იოსებ ომაძე

ვემშვიდობები XX საუკუნეს

მოთხრობები

თბილისი, გამომცემლობა “რაეო”, 2005 წ.

Copyright: იოსებ ომაძე, 2005 წ.

ISBN 99928-30-95-6

ავტორისგან

კრებულში შევიდა ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში დაწერილი მცირე პროზა: მოთხრობები, ნოველები, ნარკვევები, ჩანახატები და ა. შ., აქედან – მისი სათაურიც. ნაწარმოებები თემატურ-ჟანრობრივი ნიშნებით გავანაწილე 10 წიგნში:

I წიგნი "ღრუბელი-ცხენი ქალაქის თავზე" – ყმაწვილთათვის განკუთვნილი მოთხრობები;

II წიგნი "ლილოჭრელო" – ძირითადად ბუნებას ეძღვნება;

III წიგნი "სატირული მედალიონები" – ადამიანთა პორტრეტებია (მკითხველს ვთხოვ, გაითვალისწინოს, რომ, თუმცა ცალკეულ პორტრეტს ადამიანის სახელით ვასათაურეებ, თითოეული მათგანი არამც და არამც არ არის კონკრეტული პიროვნების ამსახველი; მის შესაქმნელად ცხოვრებისეული პროტოტიპი მხოლოდ თავდაპირველ შემოქმედებით ბიძგს იძლეოდა);

IV წიგნი "ლამაზი ქალის პორტრეტი" – ხელოვნებისა და ლიტერატურის თემებზე შექმნილ მოთხრობებს დაეთმო;

V წიგნი "თბილისური ბაზრის დღესასწაული" – XX საუკუნის მიწურულის თბილისს ეძღვნება;

VI წიგნი "ხვრინვის ბრწყინვალე ხელოვნების შესახებ" და VII წიგნი "ლატარიის იღბლიანი ბილეთი" – სალაღობო მოთხრობებია;

VIII წიგნში "ესაა ცხოვრება?" მონოლოგიური ფორმით გადმოცემულია ჩვენი დროის სახალისო თუ ტრაგიკომედიური ამბები;

IX წიგნი "ასკილი" – ძირითადად დრამატული შინაარსის მოთხრობებს შეიცავს;

X წიგნში "პირველი თოვლი" შევიდა ნაწილი ადრეული მოთხრობებისა. მკითხველი ადვილად შენიშნავს მათ უმწიფარობას, მრავალი დამწყები მწერლისთვის დამახასიათებელ "საყმაწვილო სენს" – ეგზოტიკური თემებით გატაცებას, მიდრეკილებას მელოდრამატიული სიტუაციებისადმი, სტილურ დაუხვეწაობას და ა. შ. იქნებ არც ღირდა ამ მოთხრობების (და ზოგიერთი სხვისაც წინა წიგნებიდან) გამოქვეყნება, მეორე მხრივ კი ვფიქრობ, მათი გამომზეურება ერთხელ მაინც რომ მოხდეს შემაჯამებელ კებულში, დიდ ცოდვად არ ჩაითვლება, მით უმეტეს – სიმბოლური ტირაჟით გამოცემულში; გარდა ამისა, მათ იმიტომაც ვერ შეველიე, რომ ჩემი პირველი "შვილებია"...

დასასრულ, მინდა მადლიერების გრძნობით აღვნიშნო ის ყურადღება, რომელიც თავის დროზე გამოიჩინეს ჩემდამი ჩვენმა სასიქადულო მწერლებმა: რევაზ ინანიშვილმა, ჟურნალ "დილას" რედაქტორმა და ოთარ ჭელიძემ, "სალიტერატურო გაზეთის" რედაქტორმა, აგრეთვე გამომცემლობა "რაეოს" დამფუძნებელმა ბონდო გაგნიძემ. მადლობას ვწირავ პირებს, რომლებსაც წვლილი მიუძღვით ამ წიგნის გამოცემაში, სახელდობრ: მხატვარ გივი (გიორგი) კასრაძეს, ლია თაბუკაშვილს, მამუკა გაგნიძეს, ბესარიონ და დავით ომაძეებს.

2005 წლის 1 სექტემბერი, თბილისი.

სარჩევი

წიგნი I. ღრუბელი-ცხენი ქალაქის თავზე

კარუსელი 10
გვარობია (ჟურნ. “დილა”, 1990 წ., №1) 10
ღრუბელი-ცხენი ქალაქის თავზე (ჟურნ. “დილა”, 1990 წ., №7) 11
მუსიკის გაკვეთილი (ჟურნ. “დილა”, 1990 წ., №12) 12
ყვავი (“სალიტერატურო გაზეთი”, 1996 წ., №8) 13
თუთიყუში 14
ერთი ჩემს გულშიც ჩაიხედონ! 16
კინომსახიობი მამალი 17
ცხვარი 20
თავხედი 21
თაგუნა 22
ღლავი 24
შაბათი 26
იოლი ამოცანა 27
ჯიუტი 29
დათუნას საახალწლოდ ვკრეჭთ 29
დათუნას ცხვირი 31
ღრუბლები 31
ცმაცუნა 33
ტელეფონოთერაპია 35
ია (“სალიტერატურო გაზეთი”, 1996 წ., №8) 36
ცხენი 37
ტერორისტი 38
ირმა 39
ძველი სახლი 41
გოჩას წყარო (“სალიტერატურო გაზეთი”, 1997 წ., №17) 42
ომალო (ჟურნ. “დილა”, 1991 წ., №1) 44
წყარო (ჟურნ. “დილა”, 1991 წ., №2) ..... .45
თუთა 46
სიმღერა 49
კარი მღერის 49
გამარჯობა თქვენი, ბეღურებო! 50
დაუმარცხებელი 51
გზა სკოლისკენ 55
შემოდგომის წვიმიანი საღამო 58
სევდა მსრბოლი დროისა (“სალიტერატურო გაზეთი”, 1997 წ., № 8)
1. მწვანე კონცხი 70
2. გახსენება 73
3. მეწიეთი (ჟურნ. “ცისკარი”, 1973 წ., №8) 77

წიგნი II. ლილოჭრელო

გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი 79
წელიწადის დროთა შორის რომელია ყველაზე ლამაზი? 80

წელიწადის დრონი
I. გაზაფხული. **Allegro ma non troppo** 82
II. ზაფხული. **Andante** 82
III. შემოდგომა. **Allegretto** 83
IV. ზამთარი. **Largo** 83

ლილოჭრელო
1. ზამთარია გალახული... (“სალიტერატურო გაზეთი”, 1997 წ., №4) 84
2. რა ტურფაა გაზაფხული... 84
ჭალა 85
ლოჭინი 88
ვედრება 90
კაჭკაჭი 91
ბერყენა 92
გოქშო 93
კუნელი 94
მაყვალი 95
ვარდკაჭაჭა 96
გარგარი 97
ლეღვი 97
ყაყაჩოები 98
კუ 99
მელა 100
ვირამსხალი 101
ლამაზია ალუბალი-დედოფალი! 101
თრიმლი 102
ნოემბრის ქარიან-ღრუბლიანი დღე 103
ორი ხედი მეათე სართულის ფანჯრიდან
1. აისი 104
2. შუაღამე 104
შაშვი 105
ზამთრის ხეები 106
კეკელოს კლდე 107
ზაფხულის დღე გურიაში 109
სოფელი 112
ჩვეულებრივი დღის დღესასწაული 113
შავნაბადა, საღამო... 115
პატარა მდინარის სიმღერა (1) (“სალიტერატურო გაზეთი”, 1996 წ., №8) 117
პატარა მდინარის სიმღერა (2) 118
ანარეკლი 119
ბულბული 120
ახალციხე 122
თეთრწყლებსა და თელავს შუა (ჟურნ. “დილა”, 1997 წ., მარტი-აპრილი) 123
ლამაზი მთა – ქაბარჯინა 123
ბურუსი 125
წუნდის ღამე (გაზ. “შავლეგო”, 2005 წ., № 2) 126
ადირსუს ღამე 128
არშა (გაზ. “შავლეგო”, 2004 წ., № 3) 132
ანანური (გაზ. “ურმული”, 2003 წ., № 12) 136
ერთაწმინდა (გაზ. “ურმული”, 2002 წ., № 4) 139
ფოლადაურის ციხე 143
კახეთის მთვარე 148
კინტრიში (გაზ. “კრიმანჭული”, 2004 წ., № 5) 152
ლესე (გაზ. “საპოვნელა”, 2004 წ., № 9-10) 157

წიგნი III. სატირული მედალიონები

ტაკიმასხარა 162
აბიბო 163
აბრამა 164
ალექსა 165
ალიკო 166
ანატოლი 167
ანგია 168
ანზორ 169
არჩილ 171
ბენია 172
ბენო 172
ბერდია 174
ბექა 175
ბონდო 176
ბორია 177
გედია 178
გივია 179
გობრონ 180
გოგლიკო 182
გულჩინა 183
დავარ 185
დათიკო 186
დურმიშხან 186
ევგრაფ 187
ეზეკია 187
ელიკო 190
ერმილე 192
ვალერიკო 192
ვერიკო 194
ვლადლენ 196
ვსევოლოდ 197
ზალიკო 198
ზვიად 199
თედო 201
თინა 201
იაკობ 202
იაკოფა 203
კალისტო 203
კანდიდ 204
კაპიტო 205
კაჩო 205
კმკმ 206
კიკოლა 207
კირილე 208
ლენა 209
მაია 211
მამამზე 211
მამნე 213
მარეხ 215
მართა 216
მარიკა 217
მედიკო 218
მინადორა 219
მურმან 220

ნადასი 222
ნაზიკო 223
ნუნუ 224
ოთარ 225
ოლიმპიადა 226
პალიკო 228
პარმენ 228
პეპელა 230
რაჟდენ 230
რაფიელ 231
როინ 232
რობერტ 233
სალომე 235
სერგო 236
სეფედავლე 237
სიკო 238
სოსოიე 240
ტარიელ 240
ტოლიკა 241
ფელიქს 242
ქაქრია 243
ქველი 246
ქეთინო 247
ღუღუნი 247
ყარამან 250
შურა 250
ცამცუმა 252
წაწალო 253
ხუტა 254
ჯამლეთ 255
ჯიბილო 256

წიგნი IV. ლამაზი ქალის პორტრეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილი 257
“მშრალი” ხიდი 258
Homo bulla ანუ ადამიანი-ბუშტი 261
ნატურმორტი კომშით 263
ატმები 265
“ზამთარი ძველ სენაკში. ოდა კოპიტის ხესთან” (1992 წ.)
(გაზ. “დაზღვევა და ცხოვრება”, 1992 წ., № 23-24) 269
სევდის მადლი 271
შავნაბადა 273
კონტრასტული წყვილადი პორტრეტი 275
ატენი 278
ხეები მტკვრის პირას 281
სიტყვა და საქმე 283
“კაცია-ადამიანი?!.” 284
ძეგლის გახსნა 285
ორი სურათის დახატვას როდის აპირებ..... 287
მოქანდაკე ძაღლი 289
ლამაზი ქალის პორტრეტი 289
ქალთა სამი პორტრეტი 291
პოპარტი თბილისურად 295

ვერნისაჟი 298
“ვარდისფერი აბსტრაქცია” 300
ვედრო 301
Free Jazz Concert 302
კინორეჟისორი 303
ინდური ფილმი 305
კინოტრაგიკომედია 306
თეატრალური სეზონის დახურვისადმი მიძღვნილი საღამო 307
რეზოებმა გადაჭამეს ქვეყანა! 308
სასაცილო ამბავი 309
ჰუმორისტი რედაქციაში 310
კრიტიკის მოყვარული მწერალი 313
კრიტიკის მოყვარული პოეტი (ალმ. “ქართული მწერლობა”, 1990 წ., № 2) 314
იუბილარი 314
მოგონება 315
რედაქტორი 316
პოეზია უპირველეს ყოვლისა!.. 317
კოლეგები 318
გალაკტიონი (“სალიტერატურო გაზეთი”, 1998 წ., № 11) 319
მოგონება გალაკტიონზე 320
ვაშა, ავტომანქანა შევიძინე! 321
“ყიყლიყო!” 322
უკანასკნელი ამბოხი 324
სტუმრად იასნაია პოლიანაში 332

წიგნი V. თბილისური ბაზრის დღესასწაული

ანარეკლი 337
თბილისური ბაზრის დღესასწაული 338
გაზაფხულის შხაპუნა 343
მარტი 344
ბაღში ჰყვავის ყვავილი... 347
მიმართვა 348
ავეჯი 349
მიწისძვრა 350
ფული ზეციდან 352
ღმერთი დიდი ხუმარა ვინმეა! 352
მალე ქვეყანა გადაბრუნდება! 353
არ გვეყოფა ვითომ? 354
კონსილიუმი 354
ნარდი 355
ავტომანქანა გამიფუჭდა... 356
მომწონს! 357
ჩვენ მაინც ყველაზე კარგად ვცხოვრობთ! 359
თუ ლხინია, ლხინი იყოს! 360
ჩერჩეტთა საქალაქო ყრილობა 362
მატყუარათა პარტიის მანიფესტი 364
ქებათა ქება ტყუილს 364
ხელფასი 366
ბინა გაყიდე! 367
მართა მოდის მიტინგიდან 367
მართა უტევს! 368
მიტინგოთერაპია 369
19 აგვისტო 370
პური 371
გაწყდეს შენი ჯიში! 371

განათლდით, ხალხო! 373
ტყუილაძე ანუ გვარი უნდა გამოვიცვალო! 375
კოკობზიკა ჭრიჭინაძის აბსურდის თეატრი 376
დამლაგებელთა კონკურსი (გაზ. "შარავანდი", 1999 წ., №1) 378
ქართული ხასიათი 379
ქურდის ქურდი ცხონდაო ("სალიტერატურო გაზეთი", 1998 წ., № 5) 380
შიშის სართულები 380
სიზმარია თუ ცხადი? 381
მუწუკი 382
ფული 384
ქორფა ბალახი 384
ახალი ცოცხი 385
იანვარი თბილისში, 1993 385
თებერვალი თბილისში, 1993 387
მარტი თბილისში, 1993 388
აპრილი თბილისში, 1993 389
მაისი თბილისში, 1993 390
ივნისი თბილისში, 1993 391
ივლისი თბილისში, 1993 392
აგვისტო თბილისში, 1993 393
სექტემბერი თბილისში, 1993 394
ოქტომბერი თბილისში, 1993 395
ნოემბერი თბილისში, 1993 396
დეკემბერი თბილისში, 1993 397
იანვარი, 1994 398
თებერვალი, 1994 398
მარტი, 1994 399
აპრილი, 1994 400
მაისი, 1994 401
ივნისი, 1994 401
ივლისი, 1994 402
აგვისტო, 1994 403
სექტემბერი, 1994 403
ოქტომბერი, 1994 404
ნოემბერი, 1994 405
დეკემბერი, 1994 405

წიგნი VI. ხვრინვის ბრწყინვალე ხელოვნების შესახებ

მიკვირს... 405
ჩემი დეკლარაცია ("სალიტერატურო გაზეთი", 1999 წ., №2) 406
უტყუარი ავტობიოგრაფია 407
განცხადება 409
უჰ, რა სიცივეები იცის იანვარში! (გაზ. "თბილისი", 1986 წ., № 20) 409
მეტროში 410
ჩვენი ანზორას ქორწილი 412
ბიბლიომანის განკურნება 414
ღორის მოთვინიერება 416
კახური საუბარი 417
სასწაულმოქმედი 418
მოწმე 419
თინიკოსთან ერთად სოკოს მოსაკრეფად მივდივარ 420
პაპიროსი 423
თამბაქოს ვანებებ თავს! 424
ხვრინვის ბრწყინვალე ხელოვნების შესახებ 425
ლიას საყურე 425

ფრთხილად, ლია პოეტურ ხასიათზეა! 426
კიოს მომხიბლავი ქალიშვილები 428
ახალი ჯემპრი 429
იაფი თეფშები 430
ოთხი ვარიაცია
1. როგორ გამაცურეს (გაზ. "თბილისი", 1986 წ., № 269) 431
2. ტაბაკა 432
3. ბედნიერება 433
4. ძმა 434
ნოკაუტი 436
5000 მანეთად... 437
თამაში თამაშია! 439
ჭადრაკულადაა საქმე! 439
ჭადრაკოთერაპია 441
ნაღვლიანი საფეხბურთო ამბავი 442
"სპეციალისტი" 444
საფეხბურთო წარმოდგენა 446
პენალტი 447
ინდაური 448
პოლონური კარადა 449
ნამზითვი ოდა 451
არ მითხრა ახლა, საავადმყოფოში მიმყავსო!.. 452
ღვინის ტრფიალი ("სალიტერატურო გაზეთი", 1998 წ., № 16) 453
იზაბელას მაჭარი ("სალიტერატურო გაზეთი", 1997 წ., № 20) 454
ავწიოთ ყანწი! 456
მოვიწიოთ კიტრის უხვი მოსავალი! 457

წიგნი VII. ლატარიის იღბლიანი ბილეთი

საზამთროს გამყიდველის სიმღერა 459
"ზაზუნა" 459
ქუდოსანთა ნადირობა 463
ლატარიის იღბლიანი ბილეთი (გაზ. "თბილისი", 1986 წ., № 229) 464
აბა, ცქვიტად! 466
ჩვევა 468
ქურდების სადღეგრძელო 469
შუშის ჭრის ოსტატები 470
მიოკარდიუმის ინფარქტი 471
მე სამსახურში უნდა მოვკვდე! 472
ბუზიჭერიები 473
ყველაფერი წესრიგშია! 474
მაკოს ბრწყინვალე თავგადასავალი საველე სამუშაოებზე 475
გეოლოგია იმერეთში 477
პანაშვიდი იმერეთში 478
ვარიაციები შეხვედრების თემაზე 479
საჭიროა სიზუსტე! 480
საახალწლო საჩუქარი 481
საზამთრო 482
ტყემლის საწებელა 483
ესტაფეტა 484
სენსაცია 485
დომინოს მსხვერპლი 486
ცოლი 488
ლარინგიტი 489
პირღია დავრჩი! 490

ხალტურა 493
ოპერაცია 494
ოცნება და... 494
თანაგრძობა..... 495
აუტოგენური ფსიქოთერაპიის სეანსი 495
როგორ მოვირჩინოთ სკლეროზი 498
მერაბ, ეს შენ არ შეგფერის! 500
რა სიღრმეზე დავთესოთ? 501
ოპერაცია წარმატებით ჩატარდა! 502
როგორ ჩააბარა ბესარიონმა მათემატიკის გამოცდა 503
ჟილეტი 507
გამოცდა 508
ფიზიკოსები 509
შარვალი 510
ქაიხოსრო და მისი პუდელი 510

წიგნი VIII. ესაა ცხოვრება? (მონოლოგები)

ირონიული საუბარი საკუთარ თავთან 514
გაჭირვებულის მონოლოგი 515
ჩემპიონი 516
სიზმარი 517
გული რაღაცას ხომ უნდა გადავაყოლო! 518
სამზარეულოს ელეგია 518
ქებათა ქება ლობიოსი 519
მარადი მოწაფე 520
ტყუილად მილოცავ გაბედნიერებას... 521
რიგობია 521
რჩევა, რჩევა, რჩევა... 522
შენ ქათამი გჯობნის! 523
პარაფსიქოლოგის მეგობრის მონოლოგი 523
ვაშლის მოყვარულის მონოლოგი 524
გააჩერე, გააჩერე! 525
ვითომ ანუ მოტყუების დღესასწაული! 525
წვიმაში მოხვედრილის მონოლოგი 526
შინ დასაბრუნებელი ფული 527
მე მინდა... 527
ვეჩხუბები საკუთარ თავს... 527
თვალებს ამოგჩიჩქნი!.. ლაყუჩებს აგახევ!.. 529
სხვისი მაზიარებელი – დარჩა უზიარებელი 530
ფანჯრიდან მაცქერალი ქალის მონოლოგი 530
მიყვარს მეტროპოლიტენით მგზავრობა! 531
ოთხი სადღეგრძელო
1. მოწყენილი სახლი (გაზ. “რაეო”, 2003 წ., № 1 (96) 532
2. თელავური სადღეგრძელო 533
3. ეი, შენ, ვერან! 534
4. ძუნწი 535
სალაღობო მონოლოგი 536
რა იყო, ყორნებო, თქვე ლამაზებო, კეთილებო!.. 537
რთულია ადამიანის სული! 537
ღია კარი 538
ეს ერთი მიპატიებია... (“სალიტერატურო გაზეთი”, 1998 წ., № 18) 539
ხალიჩა 540
ესაა ცხოვრება? 541
ქართველებო, ყველას გენაცვალეთ! 541
მოდი, შვილო, ვიმღეროთ! 542

ნუგეში 543
გვიანი თოვლი 544
ვასკა 544
ქალთა სილამაზის შესახებ 545
გვარის მაძიებელი 546
ვენახში 547

წიგნი IX. ასკილი

წვიმის სიმღერა 548
ასკილი 549
ვინ იყო? 556
მუხები სოფლის სასაფლაოზე 557
ხანძარი 558
მზექალა მუსალიშვილის სიკვდილი 560
მოთხრობის თემა 561
ქურანა ცხენი 562
ბნელი საქმე 563
ბაღი 565
ორი იდეალური მკვლელი 565
კედელი 568
ოთხი წელი 569
რომელი ხარ? 570
რომელი ნანული იყო? 572
მხიარული ბერძენი ვასილენკო 574
გზაჯვარედინი 575
ლამაზი 577
ბედნიერება 578
არის ღმერთი? 580
საახალწლო ნაძვის ხეზე 583
ოქსანა 583

წიგნი X. პირველი თოვლი (ძველი რვეულიდან)

წუთისოფელი 590
საზღვაო დესანტი 590
მამა 593
ვაგიფ მაჰდიზადე 597
წყნარი საღამო 600
კოტე და დალი 603
სკივრი 605
შესვენებაზე 607
ტახზე ნადირობა 609
როგორ ჩხუბობენ ზრდილობიანი ადამიანები 611
ძეწკვი 613
პირველი თოვლი 617
ბოლო დღე 618
კრებაზე 620
მერკეტალიის კეტსალი 620
უჩვეულო სტუმარი 623
ანტუან როჟეს საზრუნავი 625
ავარია 627
ჰუმორული ჰუმორესკი 629
ჯონ კამპბელის ოთხი პორტრეტი 630
როგორც მშრომელი ფუტკარი... 649

წიგნი I.

ღრუბელი-ცხენი ქალაქის თავზე

კარუსელი

ყველას გელით
ძველთაძველი
საყვარელი
კარუსელი:
აგერ ლომი –
ტახტის მნდომი,
აგერ მგელი –
საძაგელი,
აგერ მელი –
კუდი გრძელი,
აგერ ცხენი –
გავასქელი,
აგერ ყინჩი
თეთრი ყანჩა,
გრძელკისერა
სირაქლემა...
ყველა მხეცი
და ფრინველი
მოუთმენლად
მხედარს ელის!
შემოახტი,
გაუძელი –
მოეჭიდე
ორთავ ხელით!
ისევ ისმის
ჰანგი ძველი –
დატრიალდა
კა-
რუ-
სე-
ლი!

გვარობია

– ბესიკ, დაგაგვიანდება, ადექი!

– უ-უ-უ...

– რას ზმუი, ზმუკაძე ხარ? აბა, ბესარიონ, წამოხტი! ამხანაგო ადგომაძევ! გათენდა, ბიჭო, ქვეყანა გაკეთდა, შენ კი ლოგინში ნებივრობ! ზარმაცაძევ! ზარმაცუნაძევ!

– არა, მე დაწოლაძე ვარ!

— არა, შენ ადექაშვილი ხარ! ან ადგომელაშვილი!

— არ მინდა!

— არმინდაძე ხარ? თუ მინდაძე?

— ძილაძე ვარ!

— მე მგონი, უკეთესია, წამომხტარაძე იყო. გაინაზე, ჰო, გაინაზე, იქნებ ყალთაბანდაშვილი გამოხვიდე!

— თავბალიშქვეშაშვილი ვარ!

— არ გაიგუდო, ბიჭო, სად მიძვრები! ტილაძე ხარ? აბა, ტკიპაძე? ადექი, შენი ჭირიმეშვილო, ჩემო ცუგრუმელაშვილო, ჩემო გეხვანხვალაძევ!.. არ გესმის, ხომ? შე ჩიტირეკია, დიდჯორაძევ, ვირიკუდაძევ, თავდაყირაძევ, წოლელაშვილო, საბეგველაძევ! არ გეშინია, რომ გაბრაზებაძე გავხდები? ან უარესი — ლაწუნაშვილი?

— არა, მე ბაყბაყდევაძე ვარ!

— თუ ლეღვსულელაძე? არა, ბაყაყაშვილი ხარ, რას დახტი აქეთ-იქით? ჭყანიაშვილიც გახდი? აი, შე დარდუბალაძევ, შენა!

— მშიაძე ვარ!

— მე კიდევ — არმოცემაძე! თუ გინდა, კუჭიძღომიაშვილი გახდე, წამოხტი საჩქაროდ! აბა, ცქვიტაძევ, კვარკვალიტაძევ! აი, ასე!

— მე მინდა, ღორმუცელაძე ვიყო!

— კარგი რამეც მოგინდომებია. კარგი, ეგრე იყოს, ოღონდ მანამდე ფოსტლებწაყოფაძე გახდი. ყოჩაღ, ყოჩაღაძევ! ახლა კი — ტანთჩაცმაძე... უჰ, არ შემჭამე, შვილო?! ნაღდი ყაჩაღანაშვილი ხარ! კინტაურაძევ შენა! ჭრიჭინობელაძევ! რწყილიხტომიაშვილო!

— კიდევ ვითამაშოთ რა გვარობია!

— კარგი, კარგი, ოღონდ ცოტა მოუჩქარე, ზოზინაშვილო! ბუზიჭერიაშვილო!

— კიდევ თქვი რა!

— თაგვიჭერიაშვილი მოგწონს?

— არა, ჯობს, დანაქნევიაშვილი ვიყო. ხომ მიყიდი ჯაყვას?

— ყველაფერს გიყიდი, თუ მთქნარებაშვილი არ იქნები. პირდაუბანელაშვილო, ონკანისკენ ნაბიჯით იარ!

1985

ღრუბელი-ცხენი ქალაქის თავზე

რა უნდა იყოს ეს — "ღრუბელი-ცხენი", თანაც ქალაქის თავზე, უცნაური სათაურია, ხომ? ასე ჰქვია ერთ სურათს. სად შეიძლება მისი ნახვა ან ვისი დახატულია — ამ კითხვებზეც გიპასუხებთ, ოღონდ ამბის ბოლოს.

მაშ, ამბით დავიწყოთ.

თურმე მე და დათუნამ სულ ტყუილად ვირბინეთ — მუსიკის მასწავლებელს გრიპი შეჰყროდა და უკან გამოვბრუნდით. დათუნა გახლავთ რვა წლის ჩასკვნილი, შავთმიანი და მუქთვალება, მუდამ მოღიმარი ბიჭი; ცოტა — ცელქი, ცოტა — ზარმაცუნა, მაგრამ ძალიან ალერსიანი და საყვარელი.

ისევ ხელიხელჩაკიდებულნი, ამჯერად ნება-ნება შევუყევით თრიალეთის ქუჩის აღმართს. სადღა გვეჩქარება — დედა და ბესიკი კინოში არიან წასულნი. დათუნა ჭიჭყინებს, რატომ მეც არ გამიშვი მათთან ერთად, გაკვეთილი ხომ მაინც გამიცდაო, მაგრამ მალე გზა-გზა ნაირ-ნაირი გასართობი მოვიგონეთ და ბიჭიც დაშოშმინდა.

დეკემბრის უქარო, მაგრამ საკმაოდ ცივი საღამოა. ქუჩასა და ეზოებში შეხვედრილი ხეების გამოცნობა დავიწყეთ. დათუნა თითქმის არ ცდება, თუმცა ხეებს ფოთლები გაცვენილი აქვთ. აი კაკალი, რამდენიმე ჭიანაჭამი, გამოფუტუროებული ნაყოფი შერჩენია კენწეროზე; ეს ბალია, ტანის კანით ვიცანით; აგერ ლეღვი, იასამნის ბუჩქი; ალუბალს როგორი წვრილ-წვრილი, ხშირი ტოტები აქვს... არც ვაშლი შეგვშლია, მარადმწვანე სუროსა და დაფნაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. რა ლამაზად ანთია ალაგ-ალაგ ხურმის წითელი ნაყოფებით დახუნძლული ტოტები, ყვითლად ჭიატობს დაუკრეფავი კომში, ზამთრის მსხალს მსხვილ-მსხვილი ნაყოფებისგან ტოტები გაზნექია.

ჩამობნელდა, ლამპიონები აკაშკაშდა. ახლა დათუნამ სკოლის ამბები მომიყვა, მერე გამრავლების ტაბულაში ზეპირად ვავარჯიშე და ამასობაში ვარკეთილის მაღალსართულიან დასახლებასაც მივაღწიეთ. სახლებს რომ დიდ-დიდი ციფრებით კორპუსის ნომრები აწერიათ, მაგალითად, "23 კ.", ამაზე დათუნამ ახალი გასართობი იპოვა:

– მამიკო, შეხედე, ეს სახლი 23 კაპიკი ღირს! ვიყიდოთ?! არა, მეორე სახლი ჯობს, უფრო დიდია და უფრო იაფიც – 20 კაპიკი უნდა! – შემომცინის დათუნა, ჟივჟივებს, კისკისებს გაუთავებლად.

ბოლოს, ახალაშენებულ ცხრასართულიან სახლთან გავჩერდით. თვენახევრის წინათ დაიწყეს ქვაბულის ამოღება და საოცრად მოკლე დროში თითქმის დაამთავრეს სახლის აგება. უკვე რკინის მოაჯირებს უყენებენ აივნებს მეცხრე სართულზე და ელექტროშედუღების ოქროსფერი ნაპერწკლები ცეცხლოვან ლამაზ წვიმად იფრქვევა თითქმის მიწამდე. დათუნას ვაფრთხილებ, შედუღების ადგილს ნუ შეხედავ, თვალები გეტკინება-მეთქი.

მერე მარჯვნიდან შემოერთებულ ქუჩასაც გავხედეთ. გავხედეთ და:

– მამიკო, მამიკო, შეხედე! – მექაჩება სახელოზე დათუნა. – მთვარეს ზემოდან ცხენი ახტება!

მართლაც, აღმოსავლეთით, მუქ ლურჯ ცაში გამოკიდებული ჩახჩახა სავსე მთვარის ზემოთ, ალაგ-ალაგ მუქი ღრუბლების ზოლები გამწკრივებულა და ის ღრუბელი კი, რომელიც ზუსტად მთვარის თავზე გაწოლილა, გადამხტარ ცხენს ჰგავს! აგერ თავი, მერე – კისერი, წინა გაშვერილი ფეხები, ტანიც და უკან გაფარჩხული ფეხებიც! კუდიც კი აქვს, კუდი! ზუსტად იქ აქვს გაფშეკილი წამონაზარდი, სადაც კუდი უნდა ჰქონდეს წესითა და რიგით!

ვუყურებთ, ვუყურებთ...

– ხომ ლამაზია? – მეკითხება დათუნა.

– ძალიან! – ვეთანხმები, – მართლაც საოცარია! მბრწყინავი ვარსკვლავებით მოჩითული ლურჯი ცა; უზარმაზარი, კაშკაშა, მრგვალი მთვარე, მთვარეს კი ზემოდან ახტება გაფრენილი შავი "ცხენი", რომელსაც ირგვლივ მიუყვება განათებული ვიწრო ზოლი – თეთრი, ფუმფულა არშიითაა შემკული! ქვევით კი შუქ-ჩრდილებით აციმციმებულ-ჩაბნელებული ქალაქია, მანქანები გარბიან-გამორბიან და მათი ფერად-ფერადი მოძრავი შუქებით აზიმზიმებულა ქუჩა; ქუჩაზე ჩარიგებულია რუხნაცრისფერი, განათებულფანჯრებიანი სახლები, ლამპიონები მათ კედლებზე და ფილაქანზე შიშველტოტიან ხეთა ჩრდილებს აფენენ... ხომ ხედავ, დათუნა, რა მომაჯადოებელია ღამის სილამაზე!

– დღეც ხომ ლამაზი იქნებოდა? – კითხულობს დათუნა.

– რა თქმა უნდა! ისე, რასაც კი შეხედავ, ყველაზე ჩვეულებრივს, ათასჯერ ნანახსაც კი, ყველაფერში შეიძლება, სილამაზე დაინახო, ნამდვილად ყველაფერში, ძველ, დასანგრევ სახლშიც კი. თუმცა, ისიც მართალია, რომ ეს სურათი, რომელსაც ახლა ვუყურებთ, აღარასოდეს განმეორდება.

ჰოდა, სანამ ის ღრუბელი-ცხენი სადღაც თავის საქმეებზე გაეშურებოდა, მანამდე დათუნას ჩანთიდან ამოვიღე სუფთა ფურცელი და ბურთულიანი ავტოკალმისტრით ჩავხატე ქუჩაც, სახლებიც, ცაც წვრილ-წვრილი ვარსკვლავებით, ცის შუაგულში მობდრღვიალე მთვარეც მის თავზე გაფრენილი "ცხენით". იქვე ქუჩაში გაჩერებული ორი მუქი სილუეტიც მოვათავსე – ერთი ფიგურა მოდიდოა, მეორე – მომცრო, – ხელიხელჩაკიდებულნი დგანან და მთვარეს შეჰყურებენ...

მეორე დღესვე ქაღალდის ის ფურცელი ჩემს მეგობარ მხატვარს მივუტანე, იქნებ სურათის თემად გამოდგეს-მეთქი. მხატვარმა დახედა ჩანახატს, თავისთვის რაღაცაზე ჩაიცინა – არც "ჰო" უთქვამს და არც "არა" და დღემდე სურათი არ დაუხატავს. ისე კი, თუ როდისმე გამოფენაზე მსგავსი სურათი შეგხვდეთ, გეცოდინებათ უკვე, მის შექმნაში პატარა წვლილი დათუნასა და მეც მიგვიძღვის.

....დედა და ბესიკი კი კინოდან დაბრუნებულები დაგვხვდნენ შინ. ძალიან სუსტი ფილმი ვნახეთ, დრო ტყუილად დავკარგეთო.

– დათუნა, მართალია, გაკვეთილი გაგვიცდა, მაგრამ ჩვენ ხომ მაინც არ წავსულვართ უქმად? გავისეირნეთ, საინტერესოდ ვისაუბრეთ, ბევრი რამეც ვნახეთ... მარტო ღრუბელი-ცხენის სანახავად ღირდა წასვლა!

– მართალია, რა ლამაზი სურათი იყო! მამიკომ დახატა კიდეც! – და დათუნამ ჩემი ჩანახატი დადო მაგიდაზე, ცოცხლადაც აღწერა ყველაფერი.

ბესიკიცა და დედიკოც მაშინვე აივანზე გავარდნენ, მაგრამ ვეღარაფერი იხილეს – ღრუბელი–ცხენი, კარგა ხანია, სადღაც გაჭენებულიყო; მთვარეც კი არ ჩანდა, ისეთ შავ-შავ მოძალებულ ღრუბლებში ჩაკარგულიყო, ვერც მიხვდებოდი, სად იმალებოდა.

1986

მუსიკის გაკვეთილი

ჟანა ამირბეგიანს

– მოიხედე, ბიჭო, აქეთ! რას უცდი? რომელი თითით უნდა დაიწყო დაკვრა? დო, დო!.. მერე – მი! ხელს უყურე, ხელს, ყურადღებით!.. უფრო ღრმად დაუკარი, ჩაძირე, ჩაძირე თითები!.. თითი ნუ გაგიშვერია დროშასავით! უიმე, როგორ მიიზლაზნებიან, როგორ დაზოზინობენ შენი თითები კლავია-

ტურაზე! ნუ აგვიანებ! რას ჰგავს ეს – მარცხენა ხელის თითები ცალკე უკრავენ, მარჯვენასი – ცალკე! ყურადღებით!.. ერთად, ერთად! აი ასე! დაითვალე, შენ თვითონ დაითვალე!.. ხმამაღლა!.. არ მესმის!.. რომელი თითით უნდა დაუკრა? ფა დიეზი!.. ბიჭო, რა მოგივიდა? ოქტავით მაღლა რატომ აძვერი?.. უიმე!.. ჩვენ ვსხედვართ და ვითომ ვუკრავთ, ყოველგვარი სიამოვნების გარეშე, ესაა მუსიკა? როგორც აგურ-აგურ აშენებენ სახლს, ისე მიჭირავს ჩემი ხელით შენი ხელი და კი არ ვუკრავთ, ნოტს ნოტზე ვაწებებთ – თითქოს შენს თითო ხელზე თითო ფუთიანი საწონი ჩამოჰკიდეს... თავისუფლად!.. რა მოხდა? დროზე უნდა მოემზადო! შენ კი უცებ გაგახსენდება, რომ ნოტები მეორე ხელზე გადადიან და გაჰკრავ – "ისვრი". მეოთხე თითით დაიწყე!.. ნუ ცეკვავ თითით, ნუ აკაკუნებ! ერთხელ კიდევ, აი აქედან დაიწყე. რა ნოტებია აქ? ბიჭო, ნოტებს რატომ არ უყურებ? შეხედე, შეხედე, აქ რა წერია? შენ კი რას უკრავ? შენი საკუთარი ვარიაციებია?.. რას ეძებ? ნუ ცდილობ, ბახზე უკეთ მაინც ვერ მოძებნი. ნოტებს ჩახედე! დაითვალე, ერთი-და, ორი-და!.. ისე დაუკარი, შენ თვითონ მიხვდე, რას უკრავ! თითები წესიერად დააყენე!.. გააგრძელე... მელოდია ქვევით მიდის, შენ კი საით გაუხვიე? ერთი-და, ორი-და, სამი-და... ხელს მიხედე! ერთი თითი აქ გაქვს გამოჩრილი, მეორე – ტრაპიზონში! მოამრგვალე თითები! გაბმულად გააგრძელე, გადააბი, ხომ ხედავ, აქ ლეგატოა! ნუ გძინავს! ზარმაცუნა!.. მეორე თითით დაიწყე! რატომ იწყებ მეოთხეთი? ხომ ხედავ, ნოტს რამოდენა ორიანი დავუწერე ზევით, წესით ის შენ გეკუთვნის, არა თუ? მეორეთი დაიწყე-მეთქი, ხომ გითხარი? აქ რომ მიხვალ, რით დაუკრავ, მეექვსე თითი რომ არ გაქვს? თავიდან დაიწყე!.. იარე, იარე თითებით, ნუკი მიფორთხავ! შენ ხომ ბიჭი ხარ!.. ნუ დასეირნობ კლავიშებზე ფისოსავით! ფუი, როგორი უგემური ბგერებია! ინსტრუმენტს ესიამოვნება, ასე რომ უტყაპუნებ? შენ თვითონ გსიამოვნებს? ლამაზად დაუკარი, ჩვენ ხომ მუსიკოსები ვართ! ჩვენ ხომ გვინდა, ხელოვანები ვიყოთ?.. თითები ღრმად ჩაძირე, მკაფიოდ, მკაფიოდ დაუკარი!.. ნაბიჯით იარე, ნაბიჯით... იარე, კარგად, ყოჩაღად იარე – ჯარისკაცებივით უნდა დააბიჯებდნენ თითები! ითვალე, ხმამაღლა ითვალე! ერთი-და, ორი-და! .. შენი თითები რა პეპლებივით დაფარფატებენ, წონა არ აქვთ? ნახე, როგორ ულაზათოდ გაგიფარჩხავს თითები! მოამრგვალე! თანაბრად დაუკარი... რა ნოტია ეს? სწორია, სოლ! მერე, შენ რას უკრავ? ყურადღებით, აქ დიეზი არ გამოგრჩეს! მოხსენი მარცხენა ხელი, მარჯვენაში ლეგატოა! შემდეგ? გააგრძელე! შეხედე! ისე კი ნუ დაუკრავ, როგორც შენ მოგეხასიათება, როგორც რიტმულ ნახაზშია დაწერილი – ისე! აი აქედან გაიმეორე! ყურადღებით!.. ვის უცდი? მოაქუჩე თითები ერთად, მოამრგვალე, ნუ გაგიფშეკია უშნოდ! რბილად და ამავე დროს მკაფიოდ ჩაუშვი თითები! ნუ უკაკუნებ ჩაქუჩივით, ლურსმნებს კი არ აჭედებ!.. ბიჭო, აქეთ მოიხედე, ისევ ფანჯრისკენ გაგირბის თვალები? დავით, რა დაგემართა?..

დათუნა, რვა წლის ჩასკვნილი, შავთვალწარბა ბიჭი, დიდრონ, ლამაზ თვალებს მიაპყრობს ახალგაზრდა მასწავლებელ ქალს... მუსიკის მასწავლებელიც ფანჯარაში იყურება – პირველი თოვლი ესტუმრა ქალაქს! ქუჩიდან აღწევს ბავშვების ჟრიამული – გუნდაობენ, თოვლის პაპას აკოკოლავებენ, სრიალებენ ფერდობზე... აგერ კიდევ ერთი გუნდი გამოჩნდა – აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, გამალებით ხვეტენ თოვლს: ყიჟინით, ხორხოცით, ერთმანეთის ხელის კვრით, ჯიკავ-ჯიკავითა და თოვლში გორვით... მერე, სახეაწითლებულნი, თვალებაბრიალებულნი, მათი გაღებული პირებიდან რომ აჩქარებული სუნთქვით გამოსრულილი ჰაერი თეთრ ორთქლის ქულებად იბოლქვება, ჟინიანად იწყებენ კიდევ ერთი, უფრო დიდი თოვლის პაპის ძერწვას.

მუსიკის მასწავლებელმა რატომღაც ამოიოხრა, ფანჯარას მოსცილდა.

– წადი, დავით, თავისუფალი ხარ. ოღონდ, პარასკევს რომ მოხვალ, ბახის პოლონეზი ორივე ხელით ბოლომდე უნდა იცოდე. კარგად ისწავლე, მტკიცედ. სი ბემოლი და მი ბემოლი არ შეგეშალოს. ჩერნის ეტიუდიც გაიმეორე.

– კარგით, მასწავლებელო! – უკვე ნახევრად ჩაცმულმა დათუნამ ნოტები და დღიური ჩაყარა ჩანთაში და საჩქაროდ გამოაღო კარი. – ნახვამდის!

ოთახში შემოიჭრა ცივი, ცინცხალი ჰაერის ტალღა და შემოიტანა პირველი თოვლის სურნელი.

1987

ყვავი

რევაზ ინანიშვილის ხსოვნას

ივლისის შუადღეა.

წალმიანის გორაკებზე ისეთი ხვატი ტრიალებს, რომ სუნთქვა ჭირს.

საქონელი წვრილიანში შევიდა საჩრდილობლად, მწყემსები – ანდრია და ტიტე – გაბარჯღული მაჟალოს ძირს მიუსხდნენ და აბგებიდან საგზალი ამოალაგეს. ტიტე 16-17 წლის ტანთხელი,

სუსტი ბიჭია, მაღალ, გამხდარ, ჯერ კიდევ ჯანიან ანდრიას კი უკვე ტიტეს ხელა შვილიშვილები ჰყავს; ტიტე მაინც ძიას უწოდებს.

ერთხანს უხმოდ ილუკმებიან, დროდადრო ბოთლს თუ მოიყუდებენ მშრალი ლუკმის გადასაყლაპავად და ისევ თვალმოჭუტვით გასცქერიან შორეულ ივრის ჭალას, იმის იქით – ხაშმის სიმწვანეში ჩაფლულ წითელ და თეთრ სახურავებს, ცის კიდეზე აყუდებულ, გაცრეცილ ცივ-გომბორის ქედს.

ბომბორა ნაგაზი თაღრია მოშორებით წევს და ხან ანდრიას მიაჩერდება თვალებში, ხან – ტიტეს, რომლებიც დროდადრო გადაუგდებენ პურის ნატეხს ან ხორცის ნაჭერს. ტიტე განგებ ძალიან მაღლა აუგდებს ხოლმე საჭმელს, აბა თუ დაიჭერსო, ძაღლიც უმეტესად ჰაერშივე იჭერს და თითქმის დაუღეჭავად გადასანსლავს.

– სამ-ოთხ დღეში აქ ბალახი გადახმება და საით უნდა გადავინაცვლოთ? – ხმამაღლა ფიქრობს ანდრია. – ღრუბელიც არ ჩანს... ჭალაში მოგვიწევს ჩასვლა.

– თაღრიასაც სულ ეგ ადარდებს, თავის სამყოფს ყოველთვის მიიღებს! – ამბობს ტიტე და ძაღლს მიაჩერდება: – უ-უ-უ, შე ბრაზიანო, ღრენის მეტი არაფერი გაგაჩნია!

– აბა, რას ამბობ, კაცო! – არ ეთანხმება ანდრია. – ეგ რომ არა გვყავდეს, ხომ დავიხოცენით აქეთ-იქით სირბილითა, მაშ, ამ ძროხებს შენ მოუვლი მარტო?

– მართალი ხარ, ანდრია ძია, ერთი იზაბელა მოგვკლავდა თავისი სიცეტით... სად ეშმაკებში გარბის, ა? მაგას იზაბელა უნდა ერქვას? მე ვირეშმაკას დავარქმევდი!

– ჰოდა, ეგრე გეთქვა, ოჯახაშენებულო, მერმის ვირეშმაკა დავუძახოთ! ახლა ეს მითხარი, ვირეშმაკა უფრო ჭკვიანია თუ ჩვენი თაღრია?

თავისი სახელის გაგონებაზე ნაგაზმა ბომბორა თავი მოაბრუნა და ყვითელი თვალები ანდრიას მიანათა.

– რათ გინდა ლაპარაკი! – გაეპასუხა ტიტე და მოზრდილი ძვალი გადაუგდო ძაღლს. თაღრიამ ძვალი თათებში მოაქცია და ლოღნა დაუწყო საგანგებოდ მისთვის წამოღებულ ნობათს.

ამ დროს მოფრინდა რუხი ყვავი. გაიარ-გამოიარა ძაღლის წინ, თან შავ თვალს ძაღლს არ აშორებს. თაღრიამ ერთი ისე შეუღრინა, რომ ყვავი დაფეთებული აფრინდა და გადაიკარგა.

– ახლა მაგ ყვავსაც აქვს ჭკუა, ანდრია ძია? ვითომ რომ დაუსკუპდა თაღრიას წინ, რისი იმედი ჰქონდა? ხორცს მიართმევდა თაღრია თუ რა?

– მაგ ძვალს ხორცი სადღა აქვს, ტვინი შერჩა შუაში. მაშ შენა ყვავი ჩერჩეტი გგონია? – სიცხისგან მოთენთილი, უხალისოდ პასუხობს ანდრია. – აბა ერთი ორასი წელი იცოცხლე, გაძლება არ გინდა? ათასი მტერ-ოხერი გექიშპება, უჭკუოდ ერთ დღესაც ვერ იბოგინებ.

– ძაღლსაც აჯობებს? – კითხულობს ტიტე.

– ძაღლი, ტიტე ბიჭო, ადამიანთან არის გაზრდილი, ძაღლთან და ცხენთან ფრინველი როგო მოვა?

– მე კი იგრე მგონია, არც ძაღლია დიდად ჭკვიანი. მეზობლის ფინია მთელი ღამე არ მაძინებს, უაზროდ ჰყეფს და ჰყეფს გაუთავებლად.

– შენ უაზრო თქვი და, ის კი ქურდს ხომ აფრთხობს...

– ნახე, ნახე!.. – წამოაჯინა უკვე წამოწოლილი ანდრია ტიტემ.

ყვავი ისევ მოფრენილიყო, თან მეორე ყვავიც მოეყვანა.

თაღრიამ ძვლის ღრღნას თავი ანება, შეშფოთდა – რაღაც ხიფათი იგრძნო და ყვავებს მიაჩერდა.

ერთი ყვავი განცალკევდა, თაღრიას უკნიდან მიეპარა და კუდში ჩაუნისკარტა. ძაღლი, აღშფოთებული, მოტრიალდა და ეცა თავხედს, თუმცა ვერაფერი დააკლო – ყვავმა ზედ ცხვირწინ მოასწრო აფრენა. ამ დროს მეორე ყვავმა იმარჯვა, მიტოვებულ ძვალს ნისკარტი ჩაავლო და გაიტაცა.

გაოცებული მწყემსები უყურებდნენ ნირწამხდარ თაღრიას და ეღიმებოდათ.

დავა აღარ გაუგრძელებიათ, იქვე მიწვნენ და სახეზე გაზეთები წაიფარეს. ანდრიამ მაშინვე ხვრინვა ამოუშვა, ტიტე კი ყვავსა და ძაღლზე ფიქრობდა.

თაღრიამაც თვალები მილულა.

გატრუნულა, გარინდებულა ირგვლივ ყოველივე ცოცხალი – ნადირ-ფრინველიც, ხე-ბუჩქ-ბალახიც, მხოლოდ ბუზები ბზუიან.

გამოხუნებულ ცაზე ვარვარა მზის თვალი აგრძელებს გზას და თითქოს აცოცხლებს მთა-გორაკებს, ხეობებსა და ველებს – გახურებული მიწიდან მაღლა ატაცებულ აალმურებულ ჰაერში თრთიან, უღონოდ თახთახებენ, გაფერმკრთალებულნი ლივლივებენ...

შორს, ცაში, ივრის ჭალისკენ მიემართება ორი მუქი წერტილი; თანდათან პატარავდებიან და სადაცაა გაქრებიან.

1985

თუთიყუში

თემურ სორდიას

ზღაპარი მოგიყვეთ? ბატონი ბრძანდებით, ოღონდ ზღაპარს კი არა, ერთი თუთიყუშის ამბავს გიამბობთ, კარგი?

ეს პატარა, მწვანე თუთიყუში, სახელად ჟუტუ, ცოტა ხნის წინათ უყიდეს პატარა ბიჭს, ოღონდ იმ პირობით, დილით ფაფა საკუთარი ხელით უნდა ეჭამა, რაც მთავარია, ხვეწნა-მუდარის გარეშე, თანაც სწრაფად და ბოლომდე.

ჰოდა, ერთხელაც გოგიტამ გამოაღო თუთიყუშის გალიის კარი, ცოტა ხანს ფრინველმაც გაიხაროსო. ჟუტუც გამოფრინდა, რასაკვირველია, აბა რას იზამდა. ერთხანს ოთახში იფრინა – ხან ფარდებზე დაეკიდა, ხან ჭაღზე შემოჯდა, მერე ლოჯიაში გაინავარდა. იქ თურმე პატარა სარკმელი გამოღებული ყოფილა და ჟუტუც გარეთ გაფრინდა, თავისუფლებას ეწია.

მივარდა ფანჯარასთან გოგიტა, მაგრამ სადღაა ჟუტუ – ფაფუცი!.. ატირდა, მაგრამ რა ატირდა პატარა ბიჭი, შეშინებული მამამისი მოვარდა, რა მოხდა ნეტავიო.. მამამ მაშინვე გამოაღო ლოჯიის ფანჯარა და გარეთ გაყვეს თავები მამა-შვილმა. ხედავენ: მათი თუთიყუში ერთი სართულით ქვევით, ოღონდ მეორე სადარბაზო შესასვლელის მხარეს, მეზობლის სარეცხის გასაფენ თოკზე ზის საწყლად მობუზული. მობუზული იქნება, აბა რა, უკვე სადაცაა ზამთარიც მობრძანდება და საკმაოდ ცივა კიდეც.

ამ დროს დედაც მოადგა ფანჯარას. მამამ დაანახა, ჟუტუ სადაც იჯდა და ჰკითხა, იმ ბინაში ვინ ცხოვრობს, თუ იცნობო.

– მანდ რომ ქალი ბინადრობს, ელისო ჰქვია, ქმრის სახელი არ ვიცი, – უპასუხა დედამ. – ორი ბავშვი ჰყავთ, უფროსი გოგიტასავით პირველ კლასშია, ოღონდ სხვა სკოლაში სწავლობს.

– აბა დაუძახე, შე ქალო, იქნება დაიჭიროს! – უთხრა მამამ. – დროზე ქენი, სანამ ჟუტუ არ გაფრენილა.

– მე რომ ყვირილი დავიწყო, სწორედ მაშინ დაფრთხება და გაფრინდება კიდეც!

ამ დავაში იყვნენ, რომ თუთიყუში კიდევ ერთი სართულით ქვევით ჩაფრინდა; ეტყობა, მოსწყინდა ერთ ადგილზე ჯდომა ან შესცივდა.

მამამ ვერ მოასწრო ეკითხა დედისთვის, თუ იცნობ აქ მაცხოვრებელსო, – ჩიტი ისევ შეფრთხიალდა, ახლა ხელმარცხნივ გადაინაცვლა და გოგიტას ლოჯიიდან ორი სართულით ქვევით გაბმულ სარეცხის თოკზე მოკალათდა.

– ჩვენი სადარბაზოს თოკზე ზის! – წამოიძახა დედამ. – ხომ იცი, მეოთხე სართულზე ვინც ცხოვრობს, შავგვრემანი, ღიპიანი კაცია, სულ ეზოში ზის და დომინოს თამაშობს!

– დომინოს თამაშისთვის მცხელა მე? – გაბრაზდა მამა. – ხომ ხედავ, ბინაში ათასი წვრილმანია მოსაგვარებელი, თავზე მოსაფხანად ვერ ვიცლი!

– აბა, მე მცალია თქვენი თუთიყუშისთვის? – გაფიცხდა დედაც. – ეგერ ნატო ტირის, მანეჟიდან ამოყვანას მთხოვს. დაკეტეთ ფანჯარა, ბავშვი არ გამიცივოთ!

მამა სასწრაფოდ ჩავიდა მეოთხე სართულზე, გოგიტაც აედევნა. "ი. სარჩიმელია" – ეწერა კარებზე. მამამ ზარის ღილაკს მიაჭირა თითი. კარი გაუღო უზარმაზარმა, თავმოტვლეპილმა, ღიპიანმა კაცმა.

– გამარჯობა! – მიესალმა მამა.

– გაგიმარჯოთ! – უპასუხა დევკაცმა, თან გოგიტას გაუღიმა.

მამამ სეტყვასავით მიაყარა სიტყვები, ეშინოდა, თუთიყუში გაფრინდებაო:

– ძალიან ბოდიშს ვიხდით, თქვენი სარეცხის თოკზე ჩვენი თუთიყუში ზის და მისი დაჭერა გვინდა! ისე კი, უკვე ნახევარი წელია, მეზობლები გავხდით ამ ახალ სახლში და ერთმანეთი ჯერაც არ გაგვიცნია... ჩვენ მეექვსე სართულზე ვცხოვრობთ.

– მობრძანდით, ბატონო! – ფართოდ გააღო კარი მასპინძელმა. – თქვენთან ჩამოვიდა ხომ ამას წინათ წყალი ზევითა მეზობლისგან?

– დიახ, დიახ! – რატომღაც გაუხარდა მამას. – კიდევ კარგი, ჯერ რემონტი არ გაგვიკეთებია.

– არც მე დამიწყია და, მართალი მოგახსენოთ, არც მაქვს ჯერჯერობით მაგის თავი.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკით გაიარეს დერეფანი, შემდეგ დიდი ოთახი და გავიდნენ ლოჯიაში. გააღეს ფრთხილად ფანჯარა. თუთიყუში გაყუჩებული იჯდა და ის იყო მამამ გაიშვირა ხელი მის დასაჭერად, რომ ჟუტუ ადგილიდან მოწყდა და გაფრინდა. ნირწამხდრებმა სინანულით გააყოლეს თვალი – თუთიყუში მაღლა-მაღლა წავიდა და მეორე სადარბაზოს მეშვიდე სართულზე გაჭიმულ თოკზე დასკუპდა.. რა თქმა უნდა, გოგიტას ყველაზე უფრო დასწყდა გული.

მამამ ბოდიში მოიხადა და წასვლა დააპირა, მაგრამ გიგანტი ჩააფრინდა მკლავზე:

– მაგ შენ ლამაზ ბიჭს გაფიცებ, ჩემს ოჯახში პირველად შემოდგი ფეხი და დაულოცავად გაგიშვებ? პატარა ღარიბული პურ-ღვინო... ქიონია, ქალო! – გასძახა ცოლს.

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ("ათასი საქმე მაქვს დღეს გასაკეთებელი... ბავშვი ტირილით გასკდება, თუ თუთიყუში არ დავიჭირეთ... ყიდვით მეც კი ვიყიდი ახალს, მაგრამ ჟუტუს მიეჩვია უკვე ბავშვი..."), როგორც იქნა, დაიხსნა თავი, ისიც დროებით, იმ პირობით, რომ თუთიყუშის დაჭერისთანავე მამა-შვილი და დედიკოც ნატოსთან ერთად აუცილებლად ჩამოვიდოდნენ ორი სართულით დაბლა იასონ სარჩიმელიას ოჯახში – გასაცნობად, ორიოდე ჭიქა ღვინის დასალევად და სამიოდე ტკბილი სიტყვის სათქმელად. დევკაცს მხარს უბამდნენ მისი მეუღლე და ორი მოზრდილი ქალიშვილი; ერთმა ქალიშვილმა მოფერებით თმა აუჩეჩა დარცხვენილ გოგიტას, მეორემ კი აკოცა კიდეც.

შემდეგ მამა და გოგიტა გაეშურნენ მეზობელ სადარბაზოში მეშვიდე სართულზე მცხოვრებთან. აქაც არ გაუღიმათ ბედმა. ფანჯარა გააღეს თუ არა, ჟუტუ მაშინვე აფრინდა და ხელმარცხნივ გადაინაცვლა მეზობლად გაბმულ თოკზე. იქვე, სულ ახლოს იყო თითქოს, მაგრამ ხელით რომ ვერ მისწვდებოდი?

– ერთი პეპლის საჭერი ბადე მომცა! – ინატრა მამამ.

– გვერდით მეზობელს ოთხი ბავშვი ჰყავს და საჭერი ჰქონდეთ ეგება! – უთხრა მამას ახალგაცნობილმა მეზობელმა დიმიტრიმ.

სასწრაფოდ გავარდნენ იმ ბინაში, პეპლების საჭერი ბადე არც იქ აღმოაჩნდათ, თანაც ოთხმა ბავშვმა რომ ჟუტუს ამბავი გაიგო, ისეთი ჟრიამულით მიაწყდა ლოჯიას, რომ თუთიყუში იქ რას გაჩერდებოდა. ისევ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, სამაგიეროდ, კიდევ ერთი ოჯახი გაიცნეს. ერთ-ერთი ბიჭი, ბადრი, გოგიტას ტოლი აღმოჩნდა, თურმე ორი დღის შემდეგ დაბადების დღე ჰქონდა და გოგიტა სტუმრად მიიწვია.

თუთიყუშის დაჭერის ეპოპეა კი გაგრძელდა. მამა-შვილს ახლა ბადრიც აეტორღიალათ. ასე დაიარეს კიდევ რამდენიმე ოჯახი, ჟუტუს დატყვევებას კი სასიკეთო პირი არ უჩანდა. გოგიტას ისე ჩამოსტიროდა ცხვირ-პირი, მამა როგორ ეტყოდა, თუთიყუშის ჭერას შევეშვათო, თანაც ღამე ფრინველი უეჭველად დაიღუპებოდა სიცივისგან.

ბოლოს, მოთმინებამ და მონდომებამ თავისი ქნა. ჟუტუ ერთ შეუმინავ ლოჯიაში შეფრინდა, იმ ბინაში მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. თუთიყუში კედელზე ჩამოკიდებულ ბეწვა-ხერხის დასაჭიმ თოკზე ჩამომჯდარიყო. მამამ ფრთხილად მოჰკიდა ხელი ქვევიდან ხერხს, ნელა ჩამოხსნა კედლიდან და დინჯად დაიძრა ოთახისკენ... თუთიყუში გატრუნული იჯდა, მხოლოდ ზოგჯერ შეარხევდა თავს და მბზინავი თვალით ირიბად გახედავდა მამასა და ფეხის წვერებზე მიმდევარ ბიჭებს. მამამ შეიტანა თუ არა ხერხი ოთახში, მოხუცმა კაცმა მაშინვე მიხურა კარი...

– ახლა სადღა გაფრინდები? – წაიჩურჩულა მამამ, მაგრამ დაღლილი თუ სიცივისგან დამზრალი ჟუტუ არც ცდილობდა სადმე გაფრენას.

მამამ ფრთხილად აიყვანა ხელში და თბილ ხელისგულებსშუა მოაქცია, მერე მკერდზე მიიკრა ჩასათბუნებლად და ასე წამოიყვანეს შინ.

ბიჭების სიხარული თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ. მათზე არანაკლებ გაუხარდათ გოგიტას მშობლებსაც, განსაკუთრებით მამას. სხვას რომ თავი დავანებოთ, რამდენი მეზობელი გაიცნეს. უფრო სწორედ, ჟუტუმ გააცნო ისინი ერთმანეთს, ასე არ არის? ამიტომ თქვენც გირჩევთ, როგორც კი ახალ ბინაში გადასახლდებით, უპირველესად პატარა თუთიყუში შეიძინეთ.

1987

ერთი ჩემს გულშიც ჩაიხედონ!

ძვირფასო ყურშა!

იმედია, ჯანმრთელად და ტანმრთელად ბრძანდებით ყველანი, მეც, ერთი შეხედვით, თითქოს არა მიშავს რა... ხანდახან ისე მომენატრებით, ლამის ავტირდე, მაგრამ თავს ვიკავებ – მეშვიდე სართულზე ვცხოვრობ და მეზობლებმა უკვე სამჯერ უჩივლეს ჩემს პატრონს – მაგის ყეფამ და წკმუტუნმა გული გაგვიწვრილაო. აბა, რა ვქნა, ჩემო ძმაო? მიწაზე დილით ნახევარი საათით თუ გავისეირნებ, შემდეგ ჩემი პატრონი სამსახურში მიდის, ბავშვები – სკოლაში, ცოლი კი ავი თვალით მიყურებს და სულ იმის ცდაშია, რამე მიხიმანოს...

ასე უღიმღამოდ მიდის ჩემი ცხოვრება. გავსუქდი, გავზარმაცდი. დილით, როგორც მოგახსენე, და ზოგჯერ საღამოსაც პატრონს ჩავყავარ ეზოში, ნახევარი საათი დავრბივარ, დავძრწი აქეთ-იქით ფეთიანივით, ახლომახლო ყველა ბუჩქს და ხის ძირს მივაკითხავ; ხანდახან სხვა ძაღლიც შემომეფეთება – ჩემსავით პატრონთან ერთად მოსეირნე ან მაწანწალა, თვალებნაღვლიანი, ფერდებშევარ-

დნილი. რომ შემხედავენ, მოზვერივითა ვარ, ყველა რიდითა და პატივისცემით აღივსება, ახლოს მოსვლას ვერ ბედავენ...

მეზობლად მყავს ერთი ვითომ ამხანაგი – გოშია, ერთი ციდაა, არც ცხვარი უნახავს მის დღეში, არც ცხელი ძვლების სუნი უყნოსია, ნახირის ბღავილი სიზმარშიც არ მოლანდებია; არც მწვანე ბალახზე სხვებთან ერთად გორაობისა და ბღლარძუნის სიტკბო-სიამე შეუგრძნია... ეგეც იტყვის რადა – მეც ძაღლი ვარო! გვარცხვენს და მეტი არაფერი... რომ შეხედო, სიცილით მოკვდები – ერთ ლუკმად არ მეყოფა; შავია ხოჭოსავით, წვრილი თვალები დაუკუსავს; ერთთავად ხელში აყვანილს დააბრძანებენ და ეს ძალიან ეამაყება – თავი ისე უჭირავს, თითქოს მისი წინაპრები ჯვაროსანთა ლაშქრობებში იღებდნენ მონაწილეობას, მეხი კი დავაყარე!

იშვიათად ჩემთვისაც დგება დღესასწაული: ჩემი პატრონი ბავშვებისგან შორს გადამალულ ორლულიან თოფს გამოიღებს ან სასროლ ბადეს ამოაცოცებს სკივრიდან. მაშინ უნდა ნახო ჩემი სიხარული! ვერაფერი მაკავებს, ტანზე მბურძგლავს, ჟრუანტელი მივლის, ჰო-ჰო, რა კუდის ქიცინი ამიტყდება, მოუსვენრად დავწრიალებ პატრონის გარშემო, თვალებში შევციცინებ, ფეხებში ვებლანდები და დროდადრო წკმუტუნსაც ვერ ვიკავებ – შე კაცო, რას ზოზინობ, დროზე გავიდეთ შინიდან, ხომ ხედავ, მოლოდინით ლამის დავილიო... მაგრამ ასეთი ბედნიერი დღე, როგორც მოგახსენე, ხშირად არ დგება ჩემთვის, ამ ბოლო დროს კი საერთოდ მოისპო – საშინელი დროება დადგა, საჭმელიც კი აღარ მაქვს მაძღრისად. პატრონს ცოლი ეჯიჯღინება, გადააშენე ეგ ძაღლი აქედან, სად გვაქვს მაგის თავი, ბავშვებიც კი ხანდახან მშივრები გვყავსო...

რაღა ვქნა, არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე... ამ ბოლო დროს სიზმრები მომეძალა, თან სულ ჩემს მშობლიურ სოფელს ვხედავ, ნაცნობ მინდვრებსა და გორაკებს – დავრბივარ ვითომ ჩემს მეგობრებთან ერთად და ხანდახან ცაშიც კი დავფრინავ! გაგიკვირდება, ძაღლს რა გინდა ცაში, როდის იყო, ჩვენი მოდგმა-ჯიში მიწას წყდებოდაო და ცამდე მართალიც იქნები, თუმცა, მეც მართალი ვარ, იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს ურვამ და დარდმა ჩემში პოეზიის ნაპერწკალი გააღვივა, ლექსების თხზვა დავიწყე! ჰოდა, ამას სიმღერაც მოჰყვა, რა ვქნა! ნაღვლიანი სიმღერებია, განსაკუთრებით მთვარიანი ღამით მომეძალებიან... მეზობლები კი ჩივიან – შეგვჭამა ამ შტერმა ძაღლმა, მაგის წკავ-წკავ-ყმუილი არ გვაძინებსო – რა შეუგნებელნი არიან ადამიანები, უგრძნობელნი! ერთი ჩემს გულშიც ჩაიხედონ!..

ეჰ, მეტი რა მოგწერო, ცრემლები წვეთავენ ქაღალდზე – არც მეგობარი გვერდით, არც – გამგები, არც მომავალი მიღიმის... თუ ლექსების კრებულის გამოცემა მოვახერხე, აუცილებლად გამოგიგზავნი, სათაურიც თავისთავად მოფრინდა: "ერთი ჩემს გულშიც ჩაიხედონ!"

კარგად იყავი, იცოცხლე და იბედნიერე!

მთვარე მიცურავს ცაზე,
ცრემლი წვეთებად წვიმს,
ბედის ვარსკვლავი რაზე
ციმციმებს –
ვინ იცის!..

შენი ლომა.

1971

კინომსახიობი მამალი

ქრისტესია ლებანიძის ხსოვნას

ქვემო იმერეთის ერთი კოხტა სოფელი, თუნდაც სალხინეთი დავარქვათ.

ზაფხულის წყნარი დილის სიმყუდროვეს მამლების ყივილ-გადაძახილი ახალისებს.

ძველებური ერთსართულიანი ხის სახლის რიკულებიან ფართო აივანზე გამოვიდა შილიფად ჩაცმული კინორეჟისორი ბატონი დავითი და ბოხი ხმით გასცა ბრძანება:

– ნახევარ საათში მამალი აქ იყოს! ჭრელი მამალი!

ფილმის გადამღები ჯგუფის წევრები ეგზეკუციასავით მოედვნენ სოფელს – კინოგადაღებისთვის ჭრელ მამალს ეძებდნენ.

მთელ სოფელს მოეფინა ქათმების კრიახი, ძაღლების ყეფა და დიდ-პატარას ყივილ-ხივილი: "დაიჭი, არ გაუშვა!", "შენსკენ წამოვიდა, არიქა, მოვიმწყვდიოთ!"

მალე რეჟისორის ბინასთან ნახევარი სოფელი შეგროვდა. ყაყანზე აივანზე რეჟისორიც გამობრძანდა. გაუკვირდა, ბაზარში ეგონებოდა თავი კაცს – ქალებს მოეყვანათ სხვადასხვა ფერის მამ-

ლები, უმრავლესობა ქათმებით მოსულიყო, ორ გლეხს ღორები მოედენა, შაოსანი დედაბერი ცეტ თხას ძლივს აკავებდა, ერთგან თვინიერად იდგა ლამაზთვალება ბოჩოლა.

– რას ნიშნავს ეს? – ცალი წარბი აზიდა ბატონმა დავითმა.

– ბატონო, გევიგეთ, მამლები და ქათმები გდომებიათ, ალბათ ქეიფის გადაღებას თუ აპირებთ... – ზრდილობიანად უპასუხა შუახნის ქალმა, რომელსაც ხელში წითლად შებრაწული დედალი ეჭირა.

რეჟისორს თვალი დარჩა შეპიწკინებულ დედალზე, რომლის გამაღიზიანებელი სურნელიც აივნამდე აღწევდა, მით უმეტეს, საუზმეს მოწყვიტეს.

– იაკობ აბრამიჩ, მოაშორეთ ეს ბრბო აქედან! – გაანჩხლებულმა დაუყვირა ადმინისტრატორს.

– აქში, აქში! – თითქოს ხალხს კი არა, ფრინველებს მიდენისო, დაიწყო ხელების ქნევა ადმინისტრატორმა, – მიბრძანდით, მიბრძანდით, აქში!.. მამლიანებო, დარჩით!.. მხოლოდ მამლიანებო!..

ხალხი წავიდ-წამოვიდა, თან ბუზღუნებდნენ, ეს რა ახირებული ხალხი ყოფილა კინოშიო.

დაბალმა, ჩასკვნილმა რეჟისორმა სათვალე გაიკეთა და ჭოკივით მაღალ, გამხდარ მხატვართან ერთად დაუარა ქალებს, რომლებსაც მამლები ზოგს – იღლიაში ამოეჩარა, ზოგს – ხელში ეჭირა.

– ეს – პატარაა, ჯერ ყვინჩილაა... ეს – ნამეტანი გაქუცულია, არაფერს აჭმევთ?.. ეს – შავია, არ ვარგა... ეს – წითელია... – იწუნებდა რეჟისორი მამლებს, მხატვარიც მდუმარედ თავს უქნევდა დასტურის ნიშნად. – ერთი ჭრელი მამალი არ გყავთ ამხელა სოფელში?.. გადავირევი კაცი!..

– ამათ რა უჭირთ, ბატონო! – განაწყენდა ერთადერთი მამლიანი კაცი, ჩოხა-ახალუხიანი მოხუცი.

– სურათი უნდა გადავართვათ კინოში, სურათი!.. ყველა კი არ გამოვა კარგად! – ვითომ მდაბიურად აუხსნა რეჟისორმა და უკმაყოფილო ბურტყუნით სახლისკენ გაეშურა საუზმის გასაგრძელებლად.

ბატონი დავითი ოთახის ღიად დარჩენილ კარში შევიდა და სახტად დარჩა – მშვენიერი ჭრელი მამალი გაწყობილ მაგიდაზე ამხტარიყო და გულდაგულ საუზმობდა. მამალმა თავი ასწია და აწრიალდა.

– მოდი აქ, შე მამაძაღლო! – ჩაილაპარაკა რეჟისორმა და გაშლილი ხელებით მაგიდას მიუახლოვდა. – ასეთ მამალს მთელ სოფელში ვეძებთ და აგერ არ გვეახლა თავისი ფეხით?.. ნიკო, ნიკო!..

ოპერატორი ნიკო შემოვიდა, რეჟისორის უხმო ნიშანზე კარი მიხურა და მაგიდას მეორე მხრიდან დაუარა. მამალი აქეთ-იქით აწყდებოდა, ალყიდან თავის დაღწევას ცდილობდა, – საწყალმა, არ იცოდა, რომ კინომსახიობობას უპირებდნენ, – უცნაურ მამლურ ცეკვას სულ უფრო ახურებდა, ფრთებსაც აფართქალებდა და ყოველ მის ილეთს ჭახანით ემსხვერპლებოდა ხან ჭიქა (ნაბიჯი მარცხნივ!), ხანაც – თეფში (ნახტომი მარჯვნივ!)...

რეჟისორი მისი ასაკისა და წონისთვის მოულოდნელი სიცქვიტით წინ მარდად გადახტა, იმავდროულად მამლისკენ მეორე მხრიდან ოპერატორმაც ისკუპა და მამალი ყოჩაღად დაატუსაღეს. მუნჯი სურათი: გაშეშებული მამაკაცები ღიმილით დასცქერიან დატყვევებულს... უცებ მამალი განწირული ხმით აკაკანდა, თავგანწირვით აფართხალდა, ფრთებს თავ-პირში მძლავრად სცემდა თავდამსხმელებს... ორივემ ერთდროულად ხელი უშვა აბობოქრებულ ფრინველს, წონასწორობა დაჰკარგეს და წინ წახრილები, თითქოს ათი წლის უნახავმა ძმებმა ერთმანეთი უნდა გადაჰკოცნონო, მაგიდას გადაემხვნენ... მოფამფალებული მაგიდა გვერდზე გადაიხარა და წაიქცა, მასზე ნებიერად გაწოლილი სტუმრებიცა და გაწყობილი სუფრაც ზურგიდან ჩამოიფერთხა და ერთად დაახვავა...

ზრდილობიან მამალს ეუხერხულა ასეთი სურათის ყურება და ღია ფანჯარაში გავარდა.

მამალს ეგონა, რომ ამით დამთავრდებოდა მისი ძნელბედობა. რა იცოდა, რომ მთავარი ფათერაკები სამომავლოდ ელოდა. მთელი კინოექსპედიცია დაფაცურდა ყაჩაღად გავარდნილის დასაჭერად.

ერთ საათში ჭრელი მამალი ბატონ დავითს ფეხებგაკოჭილი წარუდგინეს უფრო ახლოს გასაცნობად. მისი დაჭერა დაჯდა ერთი ფეხის ღრძობად, სამ კოპად სხვადასხვა შუბლზე, ორ გახეულ ხალათად და ერთ გაფხრეწილ შარვლად, ხოლო ნაფხაჭნებსა და სხვა წვრილმანს ნუღა გამოვეკიდებით.

– ა-ა-ა, გაები, ჩიტო, მახეში! – ალერსიანად გადაუსვა აბრეშუმივით სრიალა ზურგზე ხელი ბატონმა დავითმა. – იაკობ აბრამიჩ, იყიდეთ!.. ვისია მამალი?

– ჩემია, ბატონო! – რეჟისორის წინ წარსდგა მეზობლად მცხოვრები ერმილე, მთელი კინოექსპედიციისთვის კარგად ცნობილი გლეხი, პურმარილიანი და ენაწყლიანი (რასაც დღისით მასობრივ სცენებში მონაწილეობისთვის ფულს უხდიდნენ, ათი იმდენი საღამოს ეხარჯებოდა სტუმრების მოყვარულს).

აქ საქმეში ადმინისტრატორი ჩაერია:

– ეს მამალი გაგვყიდის პირდაპირ – სამი მამლის ფასი მარტო წამლებში დაგვეხარჯა, დალეწილი ჭურჭლის საფასურს ადარ ვანგარიშობ... თანაც, ხარჯთაღრიცხვაში მამლის ყიდვა არ არის გათვალისწინებული – სულ ორი-სამი დღით დაგვჭირდება და არ ღირს ყიდვა, უნდა ვიქირაოთ.

– იყიდეთ, ბატონო!.. იაფად მოგცემთ! – კიდევ უფრო წინ წადგა ფეხი ერმილემ.

– არა, არა, ქირას მოგცემთ, მეტი რაღა გინდა! – გაწიწმატდა ადმინისტრატორი და ბოლოს რეჟისორიც დაითანხმა (ადმინისტრატორს რამდენიმე დღის წინ გადამღები ჯგუფისთვის ნაქირავები ცხენი მოუკვდა – მოვლა არ იცოდა და დაუავადდა, – ახლა კი ცდილობდა, მომჭირნეობა გაეწია).

– გული რაღაც ცუდს მიგრძნობს, ვიყიდოთ, ბატონო დავით! – ჩაერთო საუბარში მხატვარიც, მაგრამ ვინ უგდო ყური...

მამალი გოდორქვეშ დაამწყვდიეს, სიმინდი დაუყარეს და თეფშით წყალიც დაუდგეს (ამჯერად ადმინისტრატორი ძალზე ფრთხილობდა).

მეორე დღეს ყველაფერი მზად იყო გადასაღებად.

სცენარის მიხედვით, გაღარიბებული, მაგრამ კუდაბზიკა აზნაური ძმები, მურზაყანი და მიქელა, ხელზე მოსამსახურე ბიჭს, ლაზარიას, ყოველი სტუმრის მოსვლისას უბრძანებდნენ, ერთადერთი მამალი დაიჭიროს. ლაზარია ვითომ ვერ იჭერს მამალს და სტუმარს უპატივცემულოდ უშვებდნენ. ისე, ლაზარიას ძალიანაც რომ მოენდომებინა, მამალს მაინც ვერ დაიჭერდა – პირველი დუბლის გადადებისთანავე ჭრელი მამალი ფირალივით ფიცხლად გაიქცა; ვინც კი გადაღებაზე საქმემ თუ ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა – კინოჯგუფი, სოფლელი ბავშვები და უსაქმურნი – საღამომდე ამაოდ დასდევდნენ დასაჭერად. მხოლოდ ღამით შესძლეს ჩვეულ ხეზე დაბუდებულის ჩამოსმა.

შემდეგ დღესაც იგივე განმეორდა – სულ რამდენიმე წამი იყო გასული გადაღების დაწყებიდან, რომ ოპერატორი აყვირდა: "მამალი კადრიდან გავიდა!"

ეს ეპიზოდი გეგმით ორ-სამ დღეში უნდა გადაეღოთ. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, სამი კვირაც გავიდა და ეპიზოდს თავი ვერ მოაბეს: ხან ამინდი არ უწყობდათ ხელს, ხან რომელიმე მსახიობი არ იყო გუნებაზე წინა საღამოს რესტორან "იასამანში" მხიარულად გატარებული საღამოს შემდეგ, ხან მასობრივ სცენებში მონაწილენი აღშფოთებულნი უარს ამბობდნენ გლეხური ჩოხები ჩაეცვათ (ყველანი ჩემულობდნენ, აზნაურიშვილები ვართო!), ხან ჯორმა შეაყოვნათ – ვერაფრით მოახერხეს, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში ტლინკები ეყარა. მსახიობებზე უწინარეს ჯორს მოუარეს – ერთი მოხუცის მითითებით, რაღაცნაირად კუდი გადაუგრიხეს და იცოცხლე, ჯორმა ყარა ტლინკები, სულ ტყუპ-ტყუპად ისროდა, ორ ფეხზე დადიოდა, ვეღარ გააჩერეს – ყროყინით სულ წრეებს უვლიდა, ვერავინ მიეკარა...

კარგა ხანს ჭრელი მამლისთვის არავის ცხელოდა, სხვა ეპიზოდებს იღებდნენ. მოსწყინდა კიდეც ერთთავად გადმომხობილი გოდრის ქვეშ ყურყუტი. ადმინისტრატორსაც მოსწყინდა ერმილესთვის მამლის ქირის გადახდა – თვეზე მეტი გავიდა და იმ ფულით ორ მამალს მაინც იყიდდა კაცი.

– ერმილე ბატონო, მოგვყიდეთ თქვენი მამალი! – როგორც იქნა, უთხრა ადმინისტრატორმა, ბატონმა იაკობმა, მამლის პატრონს.

– აჰ, მაგი იშვიათი ჯიშის მამალია, დავიფსები კაცი, საჯიშედ მინდა! – შეიცხადა ერმილემ.

ადმინისტრატორი ახლა კი გაიქაჩა, ორმაგ ფასს აძლევდა, მაგრამ ერმილეს მამალი, მისი თქმით, საკუთარ თავს ერჩია და არ დათმო. მამალს კიდევ ორი თვის ყურყუტი მოუწია გოდორქვეშ, ორი ფუთი სიმინდი ჰქონდა უკვე შეჭმული და მესამეს მისდგა. როცა მესამე ფუთიც ჩაათავა, კინოექსპედიცია თბილისში გამოემგზავრა, დანარჩენი ეპიზოდები სტუდიის პავილიონში უნდა გადაეღოთ.

ეს რომ ერმილემ გაიგო, თვით ეახლა ადმინისტრატორს და შესთავაზა, იყიდეთ მამალი, ყაბულს ვარ, ხელოვნებისთვის მსხვერპლი გავიღოო.

მამალი თბილისშიც სჭირდებოდათ და იძულებულნი იყვნენ, შეეძინათ. ადმინისტრატორმა სიმწრის ოფლი მოიწმინდა – ჭრელი მამალი უკვე კარგა მსუქანი ცხვრის ფასზე ნაკლები არ დაუჯდათ.

ჩასვეს ჩვენი გმირი კალათში, კალათს თავი დოლბანდით მოუკრეს და სადღაც გააქანეს. კარგა ხნის დგანდგარის, რახრახის, ქშენისა და სტვენის შემდეგ კალათს თავი მოხადეს, მამალი ამოიყვანეს და ბნელ კუთხეში მიაბეს.

ხანდახან მის მომვლელად მიჩენილი ხნიერი კაცი, ამბერკი, მოვიდოდა, საკენკს დაუყრიდა, რაღაცას ებუტბუტებოდა და ზურგზე ხეშეშ ხელს ფრთხილად უსვამდა. მამალი შიშით მოიბუზებოდა, არ იცოდა, რომ ამბერკიმ მისი სახით მეორე მეგობარი შეიძინა – პირველი ღვინო გახლდათ.

როგორც ითქმის, ერთ მშვენიერ დღეს რეჟისორს გადასაღებად დასჭირდა კინომსახიობი მამალი.

გამოიყვანეს, ფეხებიც შეუხსნეს, "აქშიო", შეუყვირეს, მაგრამ მამალი ადგილიდანაც არ იძროდა, ლაზარიას ნახტომი მის დასაჭერად სრულიად ზედმეტი გამოდგა.

— ავადაა ეს უბედური. არიქა, იაკობ აბრამიჩ, ექიმთან გააქანეთ! — დაიგრგვინა ბატონ დავითის ბანმა. — ორ დღეში ფეხზე დამიყენეთ, თორემ თავებს დაგაყრევინებთ ყველას გადაღების ჩაშლისთვის!

ვეტერინარმა ექიმმა გასინჯა მამალი და ლათინურად რაღაც წაიბურდღუნა. ამბერკიმაც და მამალმაც ვერაფერი გაიგეს.

— ეს წამალი მიეცით დღეში სამჯერ — დილას, შუადღეზე და საღამოს, ორ-ორი წვეთი ღვინოც არ აწყენს ტონუსის მოსამატებლად, სუფთა ჰაერზე ასეირნეთ და რამდენიმე დღეში ჩიტივით იქნება!

გამოჯანმრთელებულმა მამალმა ეპიზოდი ჩინებულად ჩაატარა, შემდეგ სადღაც ადამისდროინდელ დეკორაციებში გადაფრინდა და მესამე დღეს ძლივს იპოვეს. ამას მაინცდამაინც არ ნაღვლობდნენ — მამალმა თავისი როლი ბრწყინვალედ შეასრულა: ლაზარია დასდევს დასაჭერად ჭრელ მამალს, მამალი კი ოსტატურ ილეთებს აკეთებს, ცრუ მოძრაობებით პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებს მდევარს... ეს მომენტი ფილმში ყოველთვის იწვევს მაყურებელთა ხარხარს.

სხვათა შორის, სულ არ ეცინებოდა ადმინისტრატორს, ბატონ იაკობს: მამლის მომვლელმა, კოსტიუმერმა ამბერკიმ მას ანგარიში წარუდგინა მამლის მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად: ექიმთან ვიზიტის, ფაეტონით მგზავრობის, წამლისა და... ორი ლიტრი შავი ღვინის საფასური.

— ეს ორი ლიტრი საფერავი საიდან გაჩნდა ანგარიშში?

— ექიმმა გამოუწერა, ბატონო!

— ეს მამალი კი არა, ხარია, ხარი, ხარის ფასად დაგვიჯდა! — განაცხადა ბატონმა დავითმა. — ამ მამლის გადამკიდეს გადახარჯვა მოგვივიდა, პრემიას უნდა გამოვემშვიდობოთ და ამ მამალს მაინც მივუყვან ცოლს საახალწლოდ!

ხომ იცით, რეჟისორის სიტყვა — კანონია! თქვა და გააკეთა კიდეც...

მაგრამ მამალი უკვე ჩვეულებრივი მამალი აღარ გახლდათ, კინომსახიობობას იყო ნაზიარები და, როგორ გგონიათ, პროზაულად დაასრულებდა თავის კარიერას საცივში ან მრგვლად მოხარშული?!. ისე შეაყვარა თავი რეჟისორის შვილიშვილებს, რომ...

სდექ!.. ეს უკვე სხვა ამბავია და, თუ მოვიცალე, მის შესახებ სხვა დროს გიამბობთ.

1973

ცხვარი

ცხვარივით კაციაო, იტყვიან თვინიერ, მოკრძალებულ, წყნარ ადამიანზე; მეორეს მხრივ, ცხვარი ცნობილია შტერ, უტვინო ცხოველად... ასეა ვითომ?

კვირადღის საღამოა, ივნისის დასაწყისი. საბაღე ნაკვეთებში ნამუშევარი ხალხი შეიკრიბა რკინიგზის ლოჭინის ბაქანთან.

თბილისისკენ მატარებელს ველით.

ექვსს უკლია ოცი წუთი. მცირე წვიმამ სულ ნახევარი საათის წინ გადაიღო და ახლა ჩვენსავით დაღლილი მზე აცხუნებს ძალზე მწველად — ნუთუ ისევ მოწვიმს?

რკინიგზის გადაღმიდან ციცაბო ფერდობზე ჩამომავალი ჯერ ცხვრები გამოჩნდნენ, შემდეგ — შუახანს გადაცილებული, ჭაღარა მწყემსი. ფარაში ორი ბოჩოლა ურევია, რამდენიმე ცხვარს ბატკნებიც ახლავს. ერთი ბატკანი სულ ერთი ციცქნაა, სქელ, დიდდუმიან დედაცხვარს მოუცილებლად კუდში დასდევს და წამდაუწუმ ლაჯებს შორის ცდილობს შერგოს თავი — ძუძუებთან.

ფარამ დაღმართი ძოვებ-ძოვებით ჩამოათავა, დედაცხვარი იმ პატარა ბატკნით ჩამორჩა. მწყემსმა გრძელი ჯოხით ჯერ ფერდობზე მასზე მაღლა მყოფი დედაცხვარი ჩამოდენა ქვევით, შემდეგ ბატკანსაც მოსდო ჯოხის კაუჭი. ბატკანი ჩამოსრიალდა და მომცრო ბუჩქებში გაეჩხირა. დედაცხვარი შეშფოთებული უყურებდა ამ სურათს და "ბე-ე-ე!" — "შეაფასა" პატრონის ქცევა: "შენაო, რას შვები, კაცო, ცოტა ფრთხილად ვერ იქნები? ხომ ხედავ, რა პატარასთან გაქვს საქმეო", ნაღდად ეგრე უთხრა. მართლა სულ მთლად ნორჩი იყო ბატკანი — მერე მწყემსისგან გავიგეთ, თურმე ჯერ მხოლოდ სამი დღისა ყოფილა. შემოდგომაზე ამ დედაცხვარს მოუგია ბატკანი და იგივე გაუმეორებია, სრულიად მოულოდნელად მწყემსისთვის, ახლაც, ზაფხულის დასაწყისში. "ყოველდღე დილის ხუთ საათზე გამოვრეკავ ფარას, — გვითხრა მწყემსმა, — რომ სიცხის დადგომამდე ძოვოს, მერე შუადღეზე ვასვენებ და საღამოს პირს, როცა ისევ აგრილდება, განვაგრძობ ძოვებას დაბინდებამდე; ჰოდა, ერთ დილით ვხედავ: ბატკანი არ მოუგია?" მწყემსმა გამოიყვანა ჩირგვიდან პატარა, დედასთან დასვა და თვით დაწინაურდა — წინ წასული ფარა რკინიგზის ლიანდაგებზე გადადიოდა და ჯოხის ქნევით ფეხი ააჩქარებინა. უკან ჩამორჩენილი დედაცხვარი გამოიქცა, ეშურებოდა დანარჩენ ცხვრებთან შეერთებას. ლიანდაგებთან შეჩერდა, უკან მოიხედა და "ბე-ე-ე!" — ისევ წაიპეტელა. მე ასე გავიგე: "შვილო, ჩემსკენ გამოეშურე, მარტო დარჩენა საშიშია!"

გადმოვიდნენ დედა-შვილი რკინიგზაზე და ფარას შეუერთდნენ, რომელიც უკვე ძალიან ციცაბო ფერდობზე ძოვდა – რკინიგზის მეორე მხარეს.

ცხვრებმა ჩაიბალახ-ჩაიარეს ეს ფერდობი, თან როჭკნარზე ფეხი უცურდებოდათ და ქვების ხრიალით ქვევით გაივაკეს. დედაცხვარი და მისი ბატკანი ზევით დარჩნენ. ბატკანი დედასავით სულ თეთრი იყო, ოღონდ ცალი ყური და დრუნჩი ჰქონდა ნახშირივით შავი.

მწყემსი მათთან მივიდა, ცალი ხელით ბატკანი წინა ორი ფეხით აიტაცა და მეორე ხელში დაჭერილი ჯოხის დაბიჯგებით დინჯად დაიწყო ჩასვლა ფერდობზე. დედაცხვარი შეშფოთებული ფეხდაფეხ უკან აედევნა და "ბე-ე-ე!" – ისევ რაღაც უთხრა. ალბათ შესთხოვა, ნუ აჩქარდები, მშვიდობით ჩაიყვანე ჩემი შვილი ქვევითო. ძირს ჩასულმა მწყემსმა ბატკანი ფრთხილად დასვა მიწაზე და იმანაც მაშინვე დედისკენ მოკურცხლა – ჯერ მის თავთან მივარდა, დააკვირდა, ეს ხომ ჩემი დედიკოაო, მერე ძუძუებისკენ გავარდა. დედაცხვარი, დამშვიდებული, ფარას შეუერთდა.

ახლაც იტყვით, ცხვარი ჩერჩეტი ცხოველიაო?

1993

თავხედი
(ჭიანჭველის მონოლოგი)

კაცო, გაგიგონიათ ასეთი რამ?

მე ერთი პატარა ჭიანჭველა ვარ – მუქი ფერის, ულვაშებცმაცუნა, წელწვრილი, მარად ფუსფუსა და ღონიერზე ღონიერი: ჩემზე ათჯერ დიდ მწერს არ შევეპუები, ზურგზე მოკიდებული უზარმაზარი ტვირთის თრევისას არც კი ვჩანვარ...

ჩვენ, ჭიანჭველები, მოგეხსენებათ, მუყაითი ხალხი ვართ, ერთი დიდი საქმის ჭაპანს ყველანი ერთსულოვნად, ერთგულად ვეწევით, გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მოსვენება არ ვიცით. ადრე გაზაფხულზე, ცოტათი დათბება და მიწაც შეშრება თუ არა, მაშინვე ჩვენი მიწისქვეშა ბუდის, – ბნელისა და ზამთრის განმავლობაში საკმაოდ დანაგვიანებულის, – დასუფთავებას ვიწყებთ; ნაწილი მიწის ზედაპირზე შემოდგომიდან შემორჩენილ ბალახთა გამხმარ თესლს და სხვა სასუსნავს ეზიდება; თუ სადმე ზამთრის ძილისგან გამოღვიძებულ და სამზეოზე გამომძვრალ ჭიაღუას გადავაწყდებით, მაშინ ხომ ჩვენი ლხინია! განსაკუთრებით გვიყვარს აგრეთვე, როცა სითბოს დადგომისთანავე ხეების ტანთა ჭრილობებიდან და ტოტთა გადანატეხებიდან გამოდენილ სურნელოვან, გემრიელ წვენს დავეწაფებით – სხვა ჭიანჭველებსაც ვასწავლით გზას პირის ჩასატკბარუნებლად... მერეც, თუ დარია, გათენებიდან მზის ჩასვლამდე ვშრომობთ, ვაშენებთ ახალ ბუდეებს, ვზრუნავთ დედა დედოფალზე, კვერცხებზე, ვანიავებთ ბუდეებს, გადანახულ სასუსნავს გაჭირვებაში ჩავარდნილთ ვუნაწილებთ, ზოგჯერ მათ ბუდეში საცხოვრებლადაც გადავბარგდებით ხოლმე და, რაც მთავარია, დაუღალავად დავწანწალებთ სარჩო-საბადებლის ძებნაში... იცოცხლე, ყნოსვა ბედაური გვაქვს და თუ სადმე საკბილოს მიაგნო რომელიმე ჩვენგანმა, – მკვდარ კალიას, მუხლუხოს, მატლს, რაიმე თესლს თუ მწიფე ხილს, – მაშინვე მთელ ოჯახს მოსდებს ამბავს ნაპოვნის შესახებ და დავესევით კიდეც ერთობლივად. დიახ, აი, ასეთები ვართ – ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის, სხვაგვარად ჭიანჭველებს გამრავლება და გვარ-ჯილაგის გადარჩენა არ გვიწერია.

და ამ დროს გამოჩნდება ვიღაც ურჩხული, ყველაზე საზიზღარი, დაუნდობელი არსება – ადამიანი!.. ორ უზარმაზარ, საშინელ თვალს აბრიალებს, ოთხი ფეხი აქვს, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ორ უკანას იყენებს სასიარულოდ, წინა ორზე კი თითოზე კიდევ ხუთ-ხუთი მომცრო ფეხი აქვს გამობმული, ნეტავ რად უნდა ამდენი? მხიარულად ღიღინებს გაზაფხულის ჰაერით აღგზნებული და ხე-ბუჩქებს რაღაც მყრალ სითხეს ასხურებს... ფუი!.. საჩქაროდ თუ არ მოკურცხლე, იმ ჭიაღუებივით მოიწამლები და ფეხებსაც გაჭიმავ, გამოსაზამთრებლად ბლომად რომ შეუფარებიათ თავი ხეთა ქერქქვეშ, ნაპრალებსა და ნაოჭებში, აქა-იქ შემორჩენილ შარშანდელ გამხმარ ფოთლებსა და ნაყოფებზე და სხვა მყუდრო ადგილებში. ეგ მაჯლაჯუნა კი ყველაფერს აფრქვევს იმ საძაგლობას და თან მხიარულ ხასიათზეცაა, რომ ყველას სპობს, თავხედი! განა ჩვენ კი ვერ მივირთმევდით სხვადასხვა მწერთა კვერცხებს და მატლებს? ახლა კი მაგის გაფიქრებისთვისაც არ გცალია – რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოუსვა აქედან და თავს უშველო...

რა უნდა, რას გვერჩის? რომ იძახის, ეს ნაკვეთი ჩემიაო, ჩემი ოჯახისააო, აბა ერთი მეც მკითხოს! მის ოჯახში თუ რამდენიმე სულია, ჩემში რამდენიმე ათეული და ასეული ათასია, ასეთი ოჯახი კი ამ ნაკვეთში ასზე ბევრად მეტიც იქნება – ვერც ვერავინ დაითვლის ჩვენს საერთო რაოდენობას... ჩვენია ეს ადგილ-მამული, ამას წყალი არ გაუვა! ჰო, გარდა ამისა, ეგ ვითომ მეპატრონეები კვირაში ერთხელ თუ მობრძანდებიან რამდენიმე საათით, ისიც – თუ კარგი ამინდია, ზამთარში კი საერთოდ გადაიკარგებიან; ჩვენ კი სულ აქა ვართ ფეხმოუცვლელად – დღეცა და ღამეც, გაგა-

ნია სიცხეშიც, ყინვა-ქარბუქშიც, თავსხმა წვიმაშიც... აქ არის ჩვენი სახლ-კარი, აქ ვდებთ კვერცხებს, აქ ვზრდით შვილებს, აქ ვშრომობთ, ვსაქმიანობთ, აქ ვმწყემსავთ ბუგრებს ნორჩ ყლორტთა წვეროკინებზე, ნაყოფებზე – ოჰ, რა გემრიელი გამონადენი, ცვარტკბილი – აქვთ მაგ დალოცვილებს! ზოგჯერ ამ ნუგბარ სასუსნავს ფუტკრებიც არ უკადრისობენ! ჰოდა, სწორედ ამ ბუგრებს და ფსილებს გვინადგურებენ ეს ბარბაროსები – ადამიანები! სარჩოს გვისპობენ და ხშირად ჩვენც გვულლტენ, თავხედები! ერთხელ შემოტევას არ გვაკმარებენ და რამდენჯერმე გვწამლავენ, ჩვენს საკუთარ სამყოფელში ამოგვძირკვავენ, ესაა სამართალი? არც მერე გვეპყრობიან გადარჩენილთ მოყვრულად: ჯერ ხომ თუთა შემოვა, იმას დაარხევენ, არ შეგვარგებენ; მერე – ბალი, ალუბალი, გარგარი, ატამი და სხვა ხილი დამწიფდება თუ არა, არც ერთს არ შეგვარჩენენ – ერთიანად მოკრეფენ; ნაწილს ადგილზევე შეთქვლეფენ, დანარჩენს კი შინ გააცუნცულებენ... ჩვენ კი მოწყალედ გვიტოვებენ თითო-ოროლა სიდამპლეშეპარულ ნაყოფს ან თუ რამე გაუვარდათ ხელიდან ან პირიდან და დაეზარათ დახრა და მისი ბალახებში ძებნა...

ჰო, ბალახებზე გამახსენდა: განა იმას კი გვიჩერებენ! ან გათიბავენ, ან საერთოდ ამოწვერვას თუ აცლიან მიწიდან და მაშინვე გათოხნიან ან ძირიანად ამოთხრიან, მოსპობენ... სულ არ ფიქრობენ იმაზე, რომ ჩვენი ძირითადი საკვები ხომ ბალახთა თესლია, ზამთრისთვის ის უნდა მოვიმარაგოთ...

მაშ, არის თუ არა ადამიანი თავხედი?! მეტსაც გეტყვით: ის დამნაშავეა!.. თუნდაც ის რად ღირს, შემოდგომასა ან გაზაფხულზე რომ შემოიჭრება ჩვენს მამულში, ერთიანად გადაბარავს ან გადახნავს მიწას – რამდენ ჩვენს დიდის რუდუნებით აშენებულ მიწისქვეშა ბუდეს ანგრევს და სპობს!..

მითხარით, როგორღა გავაგრძელო ლაპარაკი, როცა უსაზღვრო უსამართლობა ზეიმობს? მაგრამ რა ვქნათ, ადამიანი ყოველთვის მართალია, თავხედს ვინ მოსთხოვს პასუხს?..

1998

თაგუნა

თაგუნა კარგი ვინმე გახლავთ: წვრილი თვალები – შავი მბზინავი მარცვლები; გრძელზე გრძელი ულვაშები, აქეთ-იქით გაფარჩხული შავი წვეტუნა-ცხვირიდან; ნაცრისფერი ქურქი – ზევიდან, ქვევიდან კი – ღია ფერისა, გულის, პატარა გულის ფეთქვა რომ ატოკებს; წინა მოკლე, კოხტა თათები – სულ მთლად პაწუა, უკანა – უფრო გრძელი, ისიც კოხტა... ბოლოს კი კუდი – გრძელი, ძალზე გრძელი და წვრილი, ასეთი პატარა ტანისთვის მეტისმეტად გრძელი...

ფხაკ-ფხუკ... ფხაკ-ფხუკ...

საქმიანობს, დაჩაჩუნობს სადღაც კუნჭულში კარადისა თუ სკივრისა, სახურავში თუ იატაკქვეშ. ჰო, მისი ყურები დამავიწყდა – პატარა და დაცქვეტილი. როცა არ ახრაგუნებს კაკალს თუ სხვას რაიმეს, გაინაბება და ამ ყურებით საშიშროებას აყურადებს.

რამდენიც გინდა ებრძოლო, თაგუნას ვერ მოსპობ, ვერაფერს დააკლებ – მაინც ფენიქსივით აღდგება. იქნებ ეს კარგიცაა და არ ღირს მასთან ბრძოლა? ძველი სახლი და თაგუნა ხომ განუყოფელნი არიან ერთმანეთისგან...

ახლა ერთ კაცზე მინდა მოგახსენოთ – ამბერკი ერქვა. შავი ულვაშები ჰქონდა, თვალებიც შავი – ორი დიდ-დიდი, შავ-შავი თვალი. ის კი უნდა ვაღიარო, რომ ქურქი არ ჰქონდა, არც თავისი საკუთარი და არც ნათხოვარი ან ნაყიდი; მით უმეტეს, არ გააჩნდა კუდიც – არც გრძელი და არც მოკლე. მე ასე მგონია. შესაძლოა, შემდეგ გაუჩნდეს, ვნახოთ, ქვეყნიერებაზე რა არ ხდება...

ამბერკი ერთ პატარა ოთახში იჯდა სამსახურში. მისი მაგიდის გარდა, კიდევ ორი პატარა მაგიდაც იდგა, მაგრამ მათი პატრონები ბიკენტიზე იშვიათად ჩანდნენ. ალბათ საქმე ჰქონდათ ნაკლები ან, თუ ჰქონდათ, გულს ვერ უდებდნენ. ჰოდა, იმ სამი კაცის გარდა, ოთახში ერთი პატარა თაგუნაც ცხოვრობდა. უფრო სწორედ, იატაკქვეშ ფხაკურობდა. კუთხეში რომ ერთი ბეწო ხვრელი მოჩანდა შავად, იქიდან ამოძვრებოდა ხოლმე, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ ოთახში მარტო ულვაშა კაცი იჯდა. თუ სხვებიც იყვნენ, არ გამოჩნდებოდა, ის კი არა, არც ხმაურობდა, არც ახრიგინებდა რამეს და არც არაფერი. წყნარად იყო, თითქოს არც არსებობდა იმ ძველ სახლში.

ულვაშა კაცი თაგუნასთან მეგობრობდა. შუადღეზე შინიდან წამოღებულ საუზმეს რომ გეახლებოდათ, თაგუნასაც უწილადებდა ყოველთვის. ხვრელთან კი არ წაიღებდა, თავის მაგიდაზე დატოვებდა ცოტა პურს, ცოტა ყველს, ცოტა სხვა რამესაც, თუკი ექნებოდა ეს სხვა რამე, აგრეთვე – ვაშლის გულს წვრილ-წვრილი მუქი თესლებით. ამბერკიმ იცოდა: ეს თესლები უყვარდა ძალიან თაგუნას. დააწყობდა ყველაფერ ამას ულვაშა და მაშინვე გამოცუნცულდებოდა თაგუნა (თუ ოთახში სხვა არავინ ეგულებოდა). გასაოცარი მოხერხებულობით აძვრებოდა მაგიდაზე და შეუდგებოდა ტრაპეზს. ულვაშა უყურებდა და ეღიმებოდა. ხანდახან საჩვენებელ თითს გადაუსვამდა თავზე და

ზურგზე. ორჯერ, მეტჯერ არა, მერე ისევ უყურებდა თაგუნას გახურებულ საქმიანობას და ელიმებოდა. თაგუნა ზოგ რამეს მიირთმევდა, ზოგსაც სოროსკენ გააცუნცულებდა. ცოტა ხანში ისევ გამოჩნდებოდა და გაივლიდა-გაისეირნებდა ულვაშას მაგიდაზე – იცოდა, საგანგებოდ გადანახულ რამდენიმე ნამცეცს კიდევ დაუგდებდა ულვაშა მაგიდის ხან ერთ კიდეზე, ხან – მეორეზე. თაგუნაც გაცუნცულდ-გამოცუნცულდებოდა აქეთ-იქით. ისე, ულვაშას გასახარად, ისედაც არ დაიზარებდა და მაინც გაისეირნ-გამოისეირნებდა, თუნდაც სასუსნავი არ ყოფილიყო. ჰო, არ დამავიწყდეს, საუზმის წინ ამბერკი ყოველთვის აალაგებდა ხოლმე მის მაგიდაზე ახორხლილ საქაღალდეებს, საანგარიშოს და ასე შემდეგ – სამუშაო ყოველთვის თავზე საყრელი ჰქონდა. როგორც მოგახსენეთ, თაგუნა მხოლოდ ამბერკის მაგიდას ესტუმრებოდა ხოლმე.

ამბერკის უკვირდა, თაგუნა რომ მარტო იყო, მეგობარი არ ჰყავდა. იცოდა, თაგვებს სიცოცხლის მოკლე ვადა აქვთ და გული სწყდებოდა, მალე ჩემი თაგუნა სამუდამოდ დამემშვიდობებაო.

ახლაღა შევამჩნიე, რომ თურმე ნოველის წერა სხვა ფერის პასტის კალმისტრით გამიგრძელებია. გუშინ ვერ დავამთავრე, უფრო სწორედ, შევფერხდი – არ მქონდა მოფიქრებული, ამბავი როგორ გამეგრძელებინა და მისი დასრულება ხვალისთვის გადავდე, ესე იგი, დღეისთვის – დღეს უნდა დავასრულო.

ახლა, ჩემო მოწყალეო მკითხველო, ისევ საჭოჭმანოდ გამიხდა საქმე – რამდენიმე გზა მაქვს გაგრძელებისა და, გემოვნებისა და გუნება-განწყობილების კვალობაზე, შესაფერისი გაგრძელება თვით ამოირჩიე! გარდაქმნისა და დემოკრატიის ეპოქა დაიწყოო და მე რა უფლება მაქვს, ფეხი არ ავუწყო?!

ვარიანტი პირველი:

სამწუხაროდ, ფრიად სამწუხაროდ, ბატონ ამბერკის ვარაუდი მალე აუცხადდა – თაგუნა აღარ გამოჩნდა... ერთ დღეს, მეორე დღესაც, მესამე და შემდგომ დღეებშიც... რაღა არ მოჰქონდა ბატონ ამბერკის: შემწვარი ძეხვი, ძვირფასი, რაღა თქმა უნდა, სულ ნერწყვის ყლაპვით რომ დაგახრჩობს, სანამ პირველ ნაჭერს პირისკენ გააქანებ; აგრეთვე – მოხალული თხილი და ნიგოზი, მათი სურნელი ხომ ალბათ მთელი უბნის თაგვებს დაუფრთხობდა ძილს და დაუკარგავდა მოსვენებას! ამბერკის საყვარელი თაგუნა კი არა და არ ჩანდა...

ერთხელაც ზის ჩვენი ამბერკი ასე – დამწუხრებული, სახედამჟავებული – და უაზროდ შესცქერის მის წინ კედელს... და – ევრიკა! უცებ სახე უნათდება, წამოხტება გახარებული და სწორედ კედელს მივარდება. კედელზე გაკრულ ახალ ფერად ტაბელ-კალენდარს ხედავს ძველის გვერდით. ალბათ მიხვდით, იანვარში იქნებოდა ეს საქმე. 1987 წლის კალენდარი ძალიან მოსწონდა ბატონ ამბერკის – მასზე გამოსახული იყო გვერდიგვერდ ჩამწკრივებული ოთხი ყურპარტყუნა ლეკვი. ლეკვები, მაგრამ რა ლეკვები – ჩასაყლაპები! განა ლეკვი შეიძლება, გადასარევი ლამაზი არ იყოს? ბატონი ამბერკი ექსპერტ-კინოლოგი არ გახლავთ, ძაღლთა ჯიშებში სათანადოდ ვერ ერკვევა, ამიტომ მათ ჯიშს ვერ გეტყოდათ. ამ მხრივ მეც თამამად დავუმშვენებ გვერდს ბატონ ამბერკის, მაგრამ ჩემი შეხედულებით, ამ საოცრად ნაღვლიანი გამოხედვის პატრონი ცუგები ტაქსას ჯიშისა უნდა ყოფილიყვნენ. როგორც კი 1988 წელი დადგა, იქვე, ამ კალენდრის გვერდით, ახალიც მიაკრეს ჭიკარტებით, რომელზეც ოთხი მომხიბვლელი კატის კნუტის ფოტოს იხილავდით. ჰოდა, სწორედ ამან შეაშფოთა ბატონი ამბერკი – მათ ხომ თაგუნაც დაინახავდა! დაინახავდა და, მოგეხსენებათ, რა გულის ხეთქვაც დაემართებოდა – ის ამ ოთახში იყო კიდევ გამომჩენი? ოთხი კატა ერთად, ოთხი! ჰო, გინდაც კნუტები იყოს, კნუტი რა, დღეს-ხვალ კატად არ იქცევა? ნოველის გაგრძელების პირველ ვარიანტს ალბათ სამწუხარო დასასრული ექნება: ბატონი ამბერკი ახალ კედლის კალენდარს ჩამოხევს და ეჩხუბება მის კედელზე გამკვრელსაც; შესაძლოა, გულის შეტევასაც ვერ გადაურჩეს და...

აჰ, არა, შორს ჩვენგან ყოველგვარი ჩხუბი და დავიდარაბა, ჯობს, ამბის გაგრძელების მეორე ვარიანტზე გადავიდეთ.

მაშ ასე, თაგუნა დაიკარგა... დაიკარგა თაგუნა! არ ჩანს და არა! უნუგეშოდ დამწუხრებული ბატონი ამბერკი დღიდან დღემდე ზის თავის სამუშაო მაგიდასთან და იმის მაგივრად, რომ პროექტისთვის საჭირო გაანგარიშებებს აწარმოებდეს და ნახაზებს ჩაჰკირკიტებდეს, ხატვას იწყებს... დიახ, სახაზავ, შესანიშნავ სახაზავ ქაღალდზე რბილი ფანქრით თაგუნას ხატავს! თავიდან ნახატი არ გამოუვიდა მაინცდამაინც კარგი – თაგუნას გამოსახულებას თავიც ჰქონდა ყურებიან-პირიან-თვალებიანად, ტანიც და არც გრძელი კუდი დავიწყებია ბატონ ამბერკის... მთლიანობაში კი რაღაც საოცარი, უცნაური, ჯერ არნახული ცხოველი გამოუვიდა, ზოოლოგიისთვის უცნობი არსება! ბატონ ამბერკის ფარ-ხმალი არ დაუყრია ანუ ფანქარი გვერდზე არ უსვრია და ამ ახალი არსების გვერდით ისევ დაიწყო მორიგი თაგუნას შექმნა. ამჯერად შედეგი ბევრად უკეთესი გახლდათ, მაგრამ ავტორი თვითკმაყოფილებას არ მისცემია და ისევ ახალი, კიდევ უფრო გაუმჯობესებული თაგუნას პორტრეტი დახატა... ამჯერად ფერიც იხმარა – აკვარელით გააფერადა... მოგეწონათ ამბის ამგვარი გაგრძელება? კარგი, ვნახოთ, შემდეგ რა მოხდება. სცენაზე ისევ გამოვიყვან თაგუნას – მინდა, ბედნიერი დასასრული ვსინჯო. დიახ, გაიგო რაღაც მანქანებით თაგუნამ მისი პორტრეტის შექმნის ამბავი და

გამოჩნდა! მარდად აძვრა მაგიდაზე და ახლადგამოჩეკილი მხატვრის ნახელავზე გაიარ-გამოიარა – ალბათ მიხვდით, ვერ გამოდგა ხელოვნების დამფასებელი... შენი ნავარჯიშევი შენთვის შეინახე, სხვა თუ არაფერი გაქვს, ჯობს, პურის ნაფხვენები მაინც დამიყაროო, – ასე უნდა გავიგოთ მისი საქციელი.

არც ეს გაგრძელება ვარგა?

მისტიკისა და ირაციონალურის მოყვარულებს კიდევ ერთ, "პიგმალიონის ვარიანტს" შემოგთავაზებთ: ბატონ ამბერკის მარჯვენით შექმნილი თაგუნას ერთ-ერთი ბოლო, სრულყოფილებამდე დახვეწილი სურათი მისი შემქმნელის დიდი სიყვარულის წყალობით... გაცოცხლდება! უკანა თათებზე დადგება და შავი, მბზინავი თვალებით მხატვარს მიაჩერდება – თუ გამაჩინე, სასუსნავიც მომართვიო!..

კიდევ ერთ, ბოლო გაგრძელებას შემოგთავაზებთ.

დიახ, ჯერ იყო და, თაგუნა დაიკარგა... დასცინიან ბატონ ამბერკის, თაგუნას დარდი გაქვსო? ყველაზე მეტს მუშაობდა ბატონი ამბერკი და სხვებზე ბევრად ნაკლებს აძლევდნენ ჯამაგირს, – მისი დიდი ნიჭი სხვებისთვისაა და მას კი არად არგია... ბევრჯერ უნდოდა ბატონ ამბერკის, პირში ეთქვა გაბღენძილ უსაქმურთათვის, ჩემით გიდგათ სული და დაფასებაც მჭირდებაო, მაგრამ ვერ ბედავდა და მხოლოდ დაცინვას იმსახურებდა... რაც მეტად დასცინოდნენ, მით მეტად პატარავდებოდა ბატონი ამბერკი, თან თაგუნას ემსგავსებოდა. პატარავდებოდა, პატარავდებოდა და... თვითონაც თაგუნად გადაიქცა!

და ეს ამბერკი-თაგუნაც გაუჩინარდა – სოროში შეძვრა; იქნებ იქ მაინც მიაკვლიოს მეგობარს...

შეამჩნია კი ვინმემ მისი დაკარგვა?

1988

ღლავი

ვუძღვნი ბესოს – მისი დაბადების დღეს!

დიახ, სასწაული ამბავი მოხდა, შეუძლებელი, დაუჯერებელი, ჰოდა, ცოდვა არ იქნება, არ გიამბოთ და შთამომავლობისთვის დაიკარგოს?

საქმე იმით დაიწყო, რომ ორმა მოუსვენარმა ონავარმა – თორმეტი წლის ბესარიონმა და თითქმის თერთმეტი წლის დათუნამ – ჯერ ანკესები მაყიდვინეს, მერე აგვისტოს იმ თაკარა დღეს მაღაზიებში წანწალი არ მაკმარეს და, ახლა სათევზაოდ წავიდეთო, დაიჟინეს.

– წვიმა იქნება, თქეში, შეხედეთ, რა დახუთული დღეა! – ვედრიჯები შთამომავლებს. – თანაც, არ დაიღალეთ? ბესიკს სკოლის ფორმა ვუყიდე, შენთვისაც მინდოდა, დათუნა, მაგრამ შენი ზომის შარვალი მაღაზიაში საერთოდ არაა, ხომ ხედავ. ცოტა ჭამას უნდა მოუკლო და მოძრაობას უმატო!

– წავიდეთ სათევზაოდ! – ტკიპასავით ჩამაცივდა დათუნა. – აბა, შინ ჯდომაა მოძრაობა?

ბესოც ისეთი საწყალი თვალებით მიყურებს, დავყაბულდი. შინ სახელდახელოდ წავისაუზმეთ, ორი დანა დავიჭირეთ ხელში: ბლაგვი – ჭიაყელების ამოსათხრელად და ბასრი – საანკესე ჯოხების გამოსათლელად. დათუნამ შაქრის ცარიელ კოლოფში მისატყუარი – საგანგებოდ დაჭერილი ბუზები, რასაკვირველია, დახოცილები – ჩაყარა, რაღა დაგვრჩა კიდევ წასაღები? ვედროს თრევით თავი არ შევიწუხეთ, თუ ზღვა თევზმა მაინცდამაინც ჩვენი ანკესები შეიყვარა, წნორის წკნელს გავუყრით ლაყუჩებში და ასე ავასხამთ აკიდოსავით – გზაში ხალხმა ხომ უნდა დაინახოს, რომ გამოჩენილი მებადურების ხილვას ეღირსნენ და შურით პირი დააღონ? ჰო, კოჭის თეთრი ძაფიც არ დაგვავიწყდეს! ტივტივებიც!

ჰოდა, ათიოდ წუთში ახმეტელის ქუჩიდან (თბილისში, დიღმის დასახლებაში გახლავთ) ჩავცუნცულდით მტკვრის მაღალ ნაპირთან. აქ ბალახებზე აღოღებული და მიკრული თეთრნიჟარიანი წვრილი ლოკოკინები მოვაგროვე, იქნებ ჭიაყელების მაგივრობა გასწიონ. ციცაბო ბილიკი კისრისტეხით ჩარბის ფლატეზე, ჩვენ – პირიქით, არ ვჩქარობთ, თითქმის ფორთხვით ჩავძვერით ქვევით, წყლის პირთან.

სამი მებადური ჩამომჯდარა ერთმანეთისგან ასე ათი-თხუთმეტი ნაბიჯის დაშორებით. ორნი გარინდებულნი ჩასცქერიან წყალზე მონანავე ტივტივებს. ერთი გამხდარია, კაფანდარა, სათვალიანი; მისი ერთიანად გათეთრებული თმები თითქოს ანათებს დიდი ხეებით დაჩრდილულ ნაპირზე. მეორე, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი "არისტოკრატი", შუახნისაა, შეჭაღარავებული კოხტა წვერი დაუყენებია, დასაკეც სკამზე ზის. მესამეს, მოხუც რუსს, ჩექმები და სამხედრო საზაფხულო ქუდი ამშვენებს, ამჟამად ნევსკავს ამზადებს, ეტყობა, ახალი მოსულია.

ბიჭები მაშინვე დაინტერესდნენ მებადურთა ნადავლით. შორიშორ აუარ-ჩაუარეს წყალში სანახევროდ ჩადებულ და ქვით დაჭერილ ბადურებს.

— აი, ამოდენა თევზებია! ორი თუ სამი ცალი! — მახარა დათუნამ და ხელისგულები ერთმანეთს ათიოდე სანტიმეტრით დააშორა.

— ჩუმად, დათუნა, თევზს დავაფრთხობთ! — ვაშოშმინებ, თან კოჭის ძაფს ბოლოზე ვამაგრებ მსხვილ ანკესს, წვრილი არ ჰქონდათ მაღაზიაში ბავშვების გასახარად. მერე ნაპირზე გამორიყული გამხმარი ტოტებიდან ვარჩევ ორს, შედარებით სწორს და მათზე ვამაგრებ ძაფების მეორე ბოლოებს, აგრეთვე ტივტივებს — კორპის საცობებს — და ჩასაძირავ ტვირთს — მავთულის ნაჭრებს.

ბიჭები გაფაციცებით შემომცქერიან ხელებში, თან შიგადაშიგ მოუთმენლად წკმუტუნებენ — მამიკო, მოგვეცი, ჩვენ გავაკეთებთო...

აჰა, ყველაფერი მზადაა, ანკესებზე ბუზების წამოცმის ცერემონიალიც ჩატარდა და გაისმის საზეიმო ბრძანება:

— ახლა ბუზებს დააფურთხეთ!

ბიჭებმა მონდომებით დააფურთხეს.

— მოძებნეთ კარგი ადგილები და შეუდექით საქმეს!

მებადურები შემოგვცქერიან და ქირქილებენ.

— იაპონურია? — იღრიჭება სამხედროქუდიანი და დათუნას საჭერ ჯოხზე მიუთითებს. მართლაც, საკმაოდ უსწორმასწოროა, არც ბესიკის ჯოხი დაიკვეხნის სისწორით, მაგრამ რა ვქნათ — რაც არის, ეგაა.

— კოჭის ძაფი! თანაც ორმაგად დახვეული!.. ახალი სიტყვა თევზჭერაში! — ხითხითებს "არისტოკრატი". — ცოტა ძაფი კიდევ ხომ არ დაგრჩათ ჩემთვის? კაპრონისაზე თევზები ცხვირს იბზუებენ!

მოდი და აუხსენი ახლა, რომ თევზის დაჭერას კი არ ვფიქრობ, ბიჭები მინდა ცოტათი გავართო.

აღმა მივდივართ, მებადურებისგან მოშორებით და იქ ბიჭები ისვრიან ანკესებს მომწვანო მღვრიე წყალში. რამდენიმე წუთში ისევ ჰაერში ამოაქვთ ანკესები და ადგილს უნაცვლებენ.

— აცალეთ, ბიჭებო, ვერ ხედავთ, ისინი, რა ხანია, ელოდებიან, არც განძრეულან! — ვეუბნები მათ და გაშეშებულ მებადურებზე ვუთითებ. თუმცა, რა აქვთ საფორიაქო, მათი ტივტივები ოდნავ თუ იძვრიან, თანაც რატომღაც მდინარების აღმა მიდიან ნელ-ნელა — აქ წყალი დამდოვრებულია, ქაფი და წვრილი რაღაც ნაგავი ირევა მის ზედაპირზე, ირწევა; პატარა ტალღები ლოკავენ სილიან ნაპირს, ალაგ-ალაგ მსხვილი ქვები ჰყრია და მათზე კი მებადურები მოკალათებულან. მხოლოდ დათუნა და ბესიკი დგანან ფეხზე და, ჩემი შეგონების მიუხედავად, მოუსვენრად ცმუკავენ, წამდაუწუმ უნაცვლებენ ადგილს ანკესებს.

— მასე ვერაფერს დაიჭერთ! — ისევ ვმოძღვრავ ბიჭებს, თუმცა რა, არც "სტაჟიან" მებადურებს უმართლებს.

მე კი, თავისუფალი დამკვირვებელი, დავყიალობ ზევით-ქვევით.

— ჩემო მეგობარო გერონტი, საწოლს მოგიტან, ძილი მაინც შეგრჩება! — ეუბნება "არისტოკრატი" სათვალიანს, რომელიც მხართეძოზე წამოწოლილა და თვლემს.

— თევზები დაგვცინიან თუ აბუჩად გვიგდებენ, არ ვიცი! — თვალებს ახელს გერონტი, მოლივლივე წყალს დასცქერის. — ერთი მაინც მიეკაროს წამლად, თუ მთლად გადაშენდნენ?

— ფეხები არ დაგიბანია სამი თვეა და რა თევზი გაგიჩერდება! ჩვენც გვიფუჭეს საქმეს! — ექილიკება "არისტოკრატი"; ეტყობა, ისიც გაბეზრებულია უქმად ჯდომით.

— ორმეტრიანო, მოდი! — ლოცვასავით ამბობს სამხედროქუდიანი, ნემსკავზე ჩარიგებულ ანკესებზე სათითაოდ აცვამს დანით დაჭრილ პურის მომცრო ნაჭრებს, მერე ატრიალებს ჰაერში და ნემსკავს ტყვიის პატარა ტვირთთან ერთად ისვრის შუა მდინარეში.

— სამმეტრიანო, მოდი! — მხარს უბამს "არისტოკრატი", ჭიაყელას ცვლის ანკესზე და ისევ აბრუნებს მდინარეში.

— ხუთმეტრიანო, მოდი! — ჭყივის ბესიკი.

წყლის მომწვანო ზედაპირი თამაშობს, მასში ცის ნათელი ირეკლება, ცისფერი შერევია. თეთრგულა შავი მერცხლები დასრიალებენ, თითქმის ეკვრიან მდინარის ზედაპირს; იქით, მეორე ნაპირზე, თოლიები რაღაცაზე ვერ მორიგებულან და ყაშყაშებენ, აფრინდებიან და ფრთების მძიმე ფართქუნით მდინარეს ქვევით დაუყვებიან.

— მამიკო, მამიკო! — მეძახის თვალებგაფართოებული დათუნა და, მასთან მისულს, თითით მიჩვენებს: — შეხედე, ბაყაყი!

— ფუი, ამაზე ამაფორიაქე?!. შე ბაყაყის უნახავო!

თვალებდაკუსული ყიყინა, ვითომც აქ არაფერიო, ზის გაუნძრევლად.

გარემოც თითქოს თვლემს, მდოვრედ მიედინება-მისრიალებს მდინარე, დრო კი თითქოს გაჩერებულა...

მოიღრუბლა, წყალი იწმინდება, საოცარია.

წყლისპირა წნორებსა და ვერხვებს მცირე ნიავიც კი არ ატოკებს.

სიწყნარეა.

მეორე, მოტიტვლებული ნაპირის გაყოლებით აქა-იქ მოჩანან გარინდებული მებადურები, ტივტივებს რომ ჩაშტერებიან. ერთს, ეტყობა, მობეზრებია ნაპირზე უქმად ჯდომა თუ დაცხა და წყალში ნაპირთან ჭყუმპალაობს. უფრო ზევით, ერთიმეორის მიყოლებით, მცირე ინტერვალებით ჩაიგრიალებენ რკინიგზის შემადგენლობები: ხან აღმა, ხან – მეორე მიმართულებით.

ჩვენთან, მარჯვენა ნაპირზეც სიწყნარეა, მტკვარი ოდნავ დუდუნებს. "არისტოკრატი" ვერ ისვენებს და ჰყვება ძველ ამბებს. ვითომ ერთხელ უზარმაზარი ჭანარი დაიჭირა, შინ გაჭრა და მისი მუცლიდან ქვეყნის ქვირითი გადმოზვინდა. დაუძახა ნაცნობ-მეგობრებს, მოხარშა თევზი, მოახლა-ფორთა არა უშავს პურ-ღვინო – გვიანობამდე გემრიელად მოილხინეს. მეორე დღეს დილიდანვე ყველა მოქეიფეს თურმე მუცელი ხელით ეჭირა – წინა საღამოს მიღებული სიამოვნება ძმრად წამოედინათ ცხვირში, ასაქმეს, მაგრამ რა ასაქმეს. ასეაო, დაუდასტურეს სათვალიანმა და სამხედროქუდიანმა, ზოგიერთი თევზის ხიზილალა არ ვარგა, კუჭს აგიშლისო.

ბიჭები ვერ ჩერდებიან ერთ ადგილზე, მისატყუარსაც გაუთავებლად ცვლიან ანკესებზე, აღმა-დაღმა დაბორიალობენ. ლოკოკინები ნიჟარისგან გავათავისუფლე და საცდელად ახლა ისინი წამოვუგე ბიჭებს ანკესებზე.

ცოტა ხანში დათუნა ისევ მეძახის. მივედი.

– იყო, იცი, იყო! – ყვირის აღგზნებული დათუნა. – ტივტივამ ცოტა ჩაყვინთა, ამოვწიე და ჰაერში ამოვიყვანე თევზი, მაგრამ მაშინვე მოწყდა და გაიქცა!

– გაიქცა რა, ძაღლი კი არ იყო! უნდა გეცლია, კარგად ჩაეყლაპა ანკესი და მერე გამოგეკრა! – ვეუბნები დათუნას.

დათუნა კარგა ხანს ვერ დაწყნარდა, ახლა ბესიკს უყვება, რამოდენა თევზი გაექცა, მერე – ისევ მე...

ისევ სიწყნარე. დროდადრო თევზი თუ ამოხტება წყლიდან, კამარას შეჰკრავს, ჰაერში ვერცხლისფრად გასხმარტალდება და ისევ მშობლიურ სტიქიონს მისცემს თავს. თოლიები დროდადრო გამოჩნდებიან ფრთების ზანტი ქნევით, ხან თითქოს მოსთქვამენ, ხან – იცინიან... თუ დაგვცინიან? ეს ორი ყვავი, თავზე რომ ურცხვად გადაგვიფრინეს, რაღას ყრანტალებენ?

– მამიკო, მოდი, ჩქარა! – ახლა ბესიკი მეძახის. – ტივტივა იძირება!

მართლაც, ბესოს ტივტივა მოუსვენრად თითქოს ადგილზე ცეკვავს, ხანაც – ოდნავ ჩაყვინთავს-ამოყვინთავს.

– აცალე, ბიჭო, აცალე! ეთამაშება, გემოს უსინჯავს!

ტივტივამ საკმაოდ ჩაყვინთა, ჯოხიც კი ოდნავ გაიღუნა.

– მიდი! – ვეუბნები ბესოს, მერე ვეხმარები – ორივენი ჯოხს მაღლა ვექაჩებით, თევზი წყალზე-ვით ამოგვყავს. თევზი ჰაერში სხმარტალებს, ჩვენს გულებს ბაგაბუგი გაუდის... ხელები გვიკანკალებს, ჯოხი ძაგძაგებს, მე და ბესიკი ვძიძგილაობთ, ერთმანეთს ხელს ვუშლით. ბოლოს, როგორც იქნა, თევზი ნაპირზე ფართხალებს, მე კი ცალი ფეხით დედა მდინარე მტკვარში ვდგავარ...

დასველებულ ფეხს ვინ ჩივის, უ-უ-უზარმაზარი ღლავი დავიჭირეთ! ჭანარი გამოდგა.

დათუნა დავლურს უვლის, ბესო დაბნეული და ბედნიერებით გაბრუებული დასცქერის ცხოვრებაში პირველად დაჭერილ თევზს და არ კი სჯერა.

ჩვენს ჟრიამულზე მებადურებიც წამოიშალნენ და ჩვენსკენ გამოემართნენ.

– ოთხკილოიანია! – ავტორიტეტულად აცხადებს სამხედროქუდიანი, თან ცხვირ-პირი ჩამოსტირის.

– სამი კილოც არ იქნება, თვალებში ვერ იხედები? – არ ეთანხმება "არისტოკრატი". – საოცარია, ასეთ ამინდში თევზს ვინ იჭერს?

სათვალიანმა არაფერი თქვა. ისიც ვერ იყო რაღაც გუნებაზე.

ამ დროს ამოვარდა ქარი, ქარი კი არა – ქარაშოტი; ააშრიალა ხეები, აქოჩრა მდინარის ზედაპირი; საიდანღაც გამომტყვრალი მტვერი დატრიალდა ჰაერში და თვალებში შემოგვეფრქვა.

– არიქა, წვიმა დასცხებს! სასწრაფოდ შინისკენ!

დათუნა ჭანარს ალერსით ხელს უსვამდა. აღარ ვაცალე, ფაციფუცით ანკესებიანი ძაფი ჯოხებს ავაწყვიტე და შინისკენ მოვცოცხეთ, ჭანარიანად, რაღა თქმა უნდა.

ათი წუთის შემდეგ, სირბილით აქლოშინებულნი, უკვე შინ ვიყავით და ვიცვლიდით სველ ტანსაცმელს – გემოზე გავიწუწეთ...

გგონიათ, გაგვლანძღეს?

ჩვენისთანა გმირთა გმირებს, ამოდენა ღლავის დამჭერებს, ვინ რას გვეტყოდა!

მინაწერი. ბესო, ახლა შორს ხარ და ამ მოთხრობას გიგზავნი საჩუქრად – დაბადების დღეს გილოცავ! რაღაც კარგად აღარ მახსოვს, ის ღლავი მართლა შენ დაიჭირე თუ დათუნამ ივაჟკაცა?

იქნებ არც ერთს არ დაგიჭერიათ, ძალიან მომენატრეთ და აქ მოყოლილი ამბავი სულაც სიზმარში ვნახე?

1988

შაბათი

ძნელი დღეა შაბათი.

ლია ჩაის უდუღებს ბესიკს, რომელსაც, რა თქმა უნდა, არსად ეჩქარება, ჩვეულებისამებრ იზლაზნება და დღესაც აგვიანებს სკოლაში წასვლას.

მე დათუნასაც ვაყენებ ჯიკავ-ჯიკავით და ხვეწნა-მუდარით.

დათუნა ბუზღუნით გულს მიწვრილებს – რა გინდა ჩემგან, მეორე ცვლაში მაქვს გაკვეთილებიო.

ადგა თუ არა, მაშინვე, ჩაუცმელმა და პირდაუბანელმა, ექვსი ცალი ნამცხვარი შესანსლა.

ჩაის პირი არ დააკარა, არც – ფაფას.

აი, ასეთი ცუდი ჩვევა აქვს – მშრალად ნთქავს ყველაფერს.

ვიწყებ რეცხვას – ტრუსები, წინდები... არა, ჯერ პირსახოცები და ბალიშის პირები... სკოლის ფორმებიც გასარეცხია, მაგრამ მხოლოდ ხალათებს მივხედავ.

მერე სამზარეულოში – ბორშჩის კეთება: კომბოსტო, ხახვი, კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი... ცივი წყალი არ მოდის, მხოლოდ ქაფქაფა ცხელი.

დათუნა ტელევიზორს უტრიალებს. არ ვურთავ. ჯიბრიანად ბუზღუნებს:

– მეც არ ვიმეცადინებ!..

– არ იმეცადინებ და ორიანები გამოგყვება; მერე ვეღარ გამოასწორებ, მეორე სემესტრი თავდება... მთელი ზაფხული ჩაგმწარდება, თანაც სულ ტყუილად – მთელი წელი ხელი არ გაგინძრევია, არც ტვინი და ზაფხულის ორ თვეში ისწავლი? მეტი არაა ჩემი მტერი.

რაღაც უჟმური ამინდია, ვერ გაიგებ, მზიანია თუ თოვას აპირებს. თითქოს ქარიც არ არის და მაინც დროდადრო შემოუქროლებს კიდეც და იშვიათ თოვლის ფიფქებს ათამაშებს ჰაერში.

დათუნა მეცადინეობს ვითომ, უფრო პატარა ბურთს ათამაშებს. ერთხელ გავაფრთხილე, მეორედ... მერე თავს ვერ ვიკავებ და ვუყვირი. იბუზება, იბღუზება... დღეს ვერ არის ხასიათზე.

პირველის ნახევარზე დათუნა მიირთმევს ბორშჩს არაჟნით და სკოლაში მიდის.

ბესიკი დღეს ცოტა ადრე ბრუნდება სკოლიდან, ლოყები დასწითლებია – ცივა. ბორშჩის დანახვაზე იღმიჭება, არ უყვარს. მაინც ჯდება და თქვლეფს. ახლად დაყენებულ ასკილის ნაყენს აყოლებს ნამცხვარს.

ჯდება სამეცადინოდ, ყალთაბანდობს. ისიც ბურთს ათამაშებს...

ვუჯავრდები.

– კაი, კაცო, შენი ყვირილი არ შეიძლება! – მეხუტება. მერე მათემატიკას ეჭიდავება. ვეხმარები, რაღაცას იგებს, გახარებულია. მერე ბიოლოგიას კითხულობს. რაღა კითხვაა ეს – წამდაუწუმ მეღიჭინება, ტელევიზორს ჩავრთავო, მაგრამ ამაოდ.

ვაკეთებ სალათს – მოხარშული კვერცხი, ასევე მოხარშული კარტოფილი და ჭარხალი, დაჭრილი კომბოსტო, ბოლოკი, სტაფილო, ხახვი; მოვასხი არაჟანი და ზეითუნის ზეთი, დავუმატე ცოტა მარილი...

მე და ლია მივდივართ მაღაზიებში გასავლელად – ვიყიდეთ პური, ძეხვი, ფანჯრის სახელური.

დათუნა დაბრუნდა სკოლიდან, ლია მიდის სკოლაში მშობელთა კრებაზე.

ბრუნდება პირგამეხებული. დათუნას ორიანების კოლექცია შეუგროვებია – ორიანები გამოჰყვება ისტორიასა და... ფიზკულტურაში!

– ფიზკულტურის ფორმა დამრჩა და იმიტომ!

– ტვინი დაგრჩა შინ, ტვინი! – ვეუბნები დათუნას. – დაბრძანდი ახლა და მომახსენე შენი მიღწევები მათემატიკასა და ინგლისურში!.. ბესო, შენც გეხება ეს!..

დასვენების დღეა შაბათი. კარგად დავისვენე. გაზეთიც კი ვერ გადავათვალიერე, წაკითხვას ვინ ჩივის.

1989

იოლი ამოცანა

კვირადღეს დათუნა დილიდანვე მათემატიკის სახელმძღვანელოს უზის.

– ვერაფერი გავიგე! – ხვნეშით ამბობს და იზმორება, მერე ფურცელზე რაღაც უცნაური ცხოველის ხატვას აყოლებს გულს. ულვაშებიც მიუხატა, რქებითაც დაუმშვენა ბანჯგვლიანი თავი... ისევ ამოცანას დაუბრუნდა, როცა მამა წაადგა თავს:

– ძნელი ამოცანაა, გაგიჭირდა?

– ადვილია, ხელად გამოვიყვან! – ცქვიტად პასუხობს დათუნა.

– აბა, წაიკითხე.

დათუნა გახალისდა, მეათედ კითხულობს, ოღონდ ამჯერად ხმამაღლა:

– "**ABC** სამკუთხედში კუთხე **C** უდრის ორ კუთხე **A**-ს, ხოლო გვერდი **AC** უდრის ორ **BC**-ს. იპოვეთ სამკუთხედის კუთხეები".

– ჯერ ნახაზი ავაგოთ... – ამბობს მამა. – ეს **A**, ეს **B**, ეს **C**. ახლა...

– ვიცი, ვიცი!.. – ეცა კალმისტრის წასართმევად დათუნა, – მე გავაკეთებ!

– კარგი, ბატონო, – დაჰყაბულდა მამა, – თუ შესძლებ, მაგას რაღა სჯობს. მოდი, შევეჯიბროთ, ვინ უფრო სწრაფად მიიღებს პასუხს. მომეცი ერთი ფურცელი...

მამა-შვილი ამოცანის ამოხსნაში ჩაღრმავდა. ჩაღრმავდა და ჩაეფლო – შუბლშეჭმუხნილნი აცმაცუნებენ ტუჩებს, აგებენ ნახაზს, შლიან, ისევ აგებენ და ისევ შლიან... ააჭრელეს ფურცლები, გადააბრუნეს, სულ თავიდან დაიწყეს, ეს წყეული ამოცანა კი არა და არ ეპუებათ.

– ძალიან მარტივი ამოცანაა, – ამბობს მამა, – ერთი პატარა სვლა ვერა და ვერ ვიპოვე... ალბათ აღარ მუშაობს ჩემი თავი მათემატიკურად, გადაეჩვია.

– რა მათემატიკური ჭკუა მაგას უნდა, – ქედმაღლურად აცხადებს მაგიდასთან მისული დათუნას უფროსი ძმა ბესიკი, ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი, – ცოტა ტვინი უნდა გქონდეს თავში, მოსაზრება!... მოიტა, ერთი ბდღვირი ვადინო!

და ხელიდან გამოსტაცებს კალამს დათუნას, იწყებს ნახაზის აგებას. დათუნა არ უთმობს და, მამა რომ იქ არ იყოს, მათი ძიძგილაობა, შესაძლოა, ჭიდაობაშიც გადაიზარდოს.

– დაანებე თავი ბავშვს, – ეუბნება მამა ბესიკს, – თუ შნო გაქვს, აიღე შენც ფურცელი და გამოჩნდება, რა ბიჭიც ხარ.

– საბავშვო სათამაშოა, – აგდებულად აგრძელებს ბესიკი, – თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებთ... აჰა, მზად არის: ერთი კუთხე 120 გრადუსია, მეორე იქნება მაგის ნახევარი ანუ 60 გრადუსი...

– მესამე? – დაცინვით ეკითხება მამა, – ორი კუთხის ჯამი უკვე 180 გრადუსი გამოგივიდა, სამკუთხედის სამივე კუთხის ჯამი... მესამე კუთხე ნოლის ტოლია?

– ბესო, დათო, დაანებეთ ყველაფერს თავი, მოდით, ჩაი დალიეთ დროზე, ქვეყნის საქმე მაქვს!.. – მათემატიკის მაღალინტელექტუალურ ატმოსფეროში შემოიჭრა ქალბატონ ლიას პროზაული მოწოდება.

– ერთი წამი გვაცადე, დედიკო, ერთი წამი! უკვე თითქმის გამოვიყვანე! – თავის აუღებლად ბურტყუნებს დათუნა.

– გააწყვე სუფრა და მანამდე მოვახრჩობთ ამ ამოცანას, – ამბობს მამაც.

– გვაცალე, ქალო, ხელს გვიშლი! – ხმას უმაღლებს ბესიკი.

– აბა, რა უსაშველო ამოცანა შეგხვდათ, მანახვე, შვილო, მე ყველას ვაჯობებ! – ჯიბრით იღიმება ქალბატონი ლია და დათუნას გვერდით ჯდება. – ეს ამოცანაა? ერთად გავაკეთოთ.

– დამანებე თავი, არ მინდა! – ბრაზობს დათუნა.

– კარგი, კარგი, ბატონო, ბოდიში, დიდი მათემატიკოსი მყავხარ და როგორ გეკადრება სხვისი დახმარება, – წყენით ამბობს ქალბატონი ლია. – თქვენ ჯინაზე პირველი მე ამოვხსნი!

– ვნახოთ, ვნახოთ! – დაცინვით პასუხობს ბესიკი.

– ეს ოხერი და ტიალი, თითქოს უბრალო ამოცანაა და სწორ პასუხს ვერაფრით მივაგენი! – ეშხში ჩავარდა მამა. – ამას როგორ უნდა გადავყვე, ჩემი საქმეებიც თავსაყრელად მაქვს, მაგრამ ესე როგორ მივატოვო!

– გავაკეთე, გავაკეთე!.. გავაკეთე, გავაკეთე!.. – ტაში შემოჰკრა ქალბატონმა ლიამ, წამოხტა და ლამის იცეკვა კიდეც. – ესეც თქვენ!

– აბა, მაჩვენე! – მივარდა მის ფურცელს ბესიკი, დათუნას რომ წინ დაუდო ქალბატონმა ლიამ, მხოლოდ მამა არ გატოკებულა და არც შემცდარა.

– არ არის სწორი! – საზეიმოდ აცხადებს ბესიკი. – მეც არ გამიკვირდა?! ეს რა ნახაზი დაგიჯღაბნია! ორი კუთხე რომ ტოლი გამოიყვანე, სად ხედავ აქ ტოლფერდა სამკუთხედს?

– რატომ ტოლფერდას? – არ ეთანხმება ქალბატონი ლია.

– იმიტომ, რომ თუ ეს ორი კუთხე ტოლია, მათი მოპირდაპირე გვერდებიც ერთმანეთის ტოლი იქნება.

– მართლა? – გაკვირვებული მიაჩერდა ქალბატონი ლია ქმარს.

– დიახ, მართლა, მართლა! სამკუთხედებში ასეა! – მამამაც დაუქნია თავი.

ქალბატონი ლია თავიდან იწყებს ჯახირს, სხვებიც აგრძელებენ ჭიდაობას "მარტივ" ამოცანასთან... საშლელი ხელიდან ხელში გადადის, სახაზავზე ხომ ტაციაობაა; მხოლოდ მამა არ ხმარობს სახაზავს, ხელითაც მშვენივრად აგებს ნახაზს: კოხტად ავლებს სწორ ხაზებს, წრეებიც ფარგლით გამოყვანილს უგავს (წრეში ჩახაზულ სამკუთხედს უკირკიტებს) – ამოცანის გამოყვანას ესეც არ შველის...

ერთი საათის შემდეგ დათუნა უკვე მესამე ალქაჯს თუ ეშმაკს ხატავს, დანარჩენები კი, ტუჩებმოკუმულნი და შუბლშეჭმუხნილნი, დაუძლეველ ამოცანას ვერა და ვერ ეშვებიან.

– დედი, მშია! – ჩივის ბოლოს დათუნა.

– წადი და შენს თავს თვითონ მოუარე, – თავაუღებლად პასუხობს ქალბატონი ლია. – თუ ჩაი გაცივდა, გააცხელე, დანარჩენი ყველაფერი მაგიდაზეა.

– თქვენ?

– ერთი წუთი მაცალე, ახლავე დავამთავრებ...

– მამიკო?

ქალბატონი ლია არ პასუხობს და დათუნა მორიგი ურჩხულის ჯღაბნას იწყებს.

– ვაჰ, ეს რა ყოფილა, კაცო, არ წაიღო ძალა? – ხვნეშით ჩივის მამა კარგა ხნის შემდეგ და გაკავებულ წელს იზელს.

– აი, სულ ამ მაიმუნის ბრალია! – წკიპურტი უთავაზა ძმას ბესიკმა. – ტვინიკოსი!

– ერთს რომ ჩაგცხებ მაგ კოსროში! – უღრენს დათუნა. – შენი სიშტერეც ჩემი ბრალია? შენ რატომ ვერ გააკეთე?

– მამამაც ვერ ამოხსნა, რაღაც შეცდომა იქნება...

– უი, შუადღეს გადასცილდა, ჩვენ კი ჯერ დილის ჩაიც არ დაგვილევია! – შეიცხადა უცებ ქალბატონმა ლიამ, – შეხედეთ, ორის ნახევარია. მილიონი საქმე მქონდა...

– ხვალ ჩათვლა მაქვს უმაღლეს მათემატიკაში და ამ ვირისთავის ამოცანას გადავყევი, – თავის კონსპექტებში ქექვას იწყებს ბესიკი.

– შენ რისი ჩამბარებელი ხარ, საშუალო სკოლის ამოცანას ვერ მოერიე, – ნიშნის მოგებით ეუბნება ძმას დათუნა.

– მთელი დღე დამეკარგა... – წუხს მამაც. – ძნელი მაინც იყოს, ბრაზი მომდის ჩემს თავზე.

და მხოლოდ დათუნას მიერ დახატული ბანჯგვლიანი, რქებიანი, თვალებგადმოკარკლული ურჩხულები მხიარულად კრეჭენ დიდრონ თეთრ კბილებს. რა ახარებთ ნეტავი?

1994

ჯიუტი

– არ გინდა, ბიჭო, თავზე თმა შეგისწორო? ხომ ხედავ, ყურებზე გადმოგივიდა, თვალებზეც ჩამოგეფინა!

– არ მინდა!

– კარგი ახლა, ნუ მაწვალებ, დათუნა, ხომ იცი, ბოლოს მაინც დამყაბულდები... ათასი საქმე მაქვს და ეგ ერთი საქმე ახლა უცებ მოვითავოთ.

– არ მინდა!

– რატომ არ გინდა?

– არ მინდა და იმიტომ!

– ჯანდაბა გინდა? არ გირჩევნია, ახლა მოითავო? მოდი, ჩემი კარგი ბიჭი ხომ ხარ? რომ დაგპირდი, მერე კინოშიც წაგიყვან...

– ახლა არ მინდა, მერე!

– როდის მერე, ბიჭო? მერე მე არ მეცლება. შენ რომ სათამაშო მოგეწონა იმ დღეს უნივერმაღში, იმასაც გიყიდი.

– არ მინდა, ნუ გამიწყალე გული, ვა!

– ვა შენ და ზახრუმა! ნეტა რას გეხვეწები, იარე მასე ტყიურივით. მერე მე არ გაგკრეჭ, იცოდე, მოგიწევს სადალაქოში გასეირნება და იქ ფულის გადახდა. ნახე, როგორ გაგკორტნოს, ახი იქნება შენზე. მე რომ აქ გულს მიწვრილებ ჭიჭყინით, კარგად არ მიკეთებო, ვნახოთ ერთი, დალაქთან თუ ამოიკნავლებ... მე აქ პირიქით, საჩუქრებს გპირდები, კოხტადაც გაგალამაზებ და მაინც არ გინდა?

– არ მინდა, არ მინდა, არ მინდა!..

– კარგი, ბატონო, მეც აღარ მინდა. აწი, რომც მეხვეწო, მაინც ახლოს არ გაგეკარები და ვნახოთ, ვინც დარჩება მოგებული!

– არ მინდა!

– დალაქისთვის ფულის გროვება, გირჩევ, ახლავე დაიწყო! თან მარტო წაცუნცულდები, ხომ არ გგონია, მე გამოგყვები. მანამდე კი იარე მასე, მაიმუნივით!

1991

დათუნას საახალწლოდ ვკრეჭთ

დათუნა დილიდანვე მეღიჭინება:

– გამკრიჭე!

ლია ამატებს (მეათეჯერ მაინც):

– ახალი წლის წინ ტანსაც დაიბანს, რას ალაპარაკებ ამდენს!

ბოლოს, დამითანხმეს:

– ყაბულსა ვარ, ოღონდ ერთი პირობით – თავი დამანებეთ და ნუ შემჭამთ თქვენი გაუთავებელი რჩევა-დარიგებებით. დათუნა, განსაკუთრებით შენ გეხება ეს! აბა, ცქვიტად, მოიტანე სავარცხელი და მაკრატელი, გასარეცხი რამეც გადაიცვი, მალე მოვათაოთ, არ გაცივდე!

დათუნას გალამაზებას მალე მოვრჩი:

– მეტი არაფერი გჭირდება – კისერზე გაგისწორე, ყურებთანაც შევკრიჭე ჩამოწოლილი თმა, სხვაგან ოდნავ შევამოკლე. ახლა ზამთარია, მეტი არ არის საჭირო. ჰონორარს გადარიცხავ მშვიდობის ფონდში, თავისუფალი ბრძანდები!

დათუნა კრიტიკულად ათვალიერებს საკუთარ თავს სარკეში:

– ეს რა არის, მე ასე არ მინდოდა! არაფერი აგიღია, ეს რა გაკრეჭაა!

– არა, მე მეტს ხელს არ ვახლებ! – კატეგორიულად ვაცხადებ, – ეს იგივეა, მხატვარმა სრულყოფილებამდე მიიყვანოს სურათი და მერე ვიღაცა ვიგინდარა დამკვეთის ახირებით, – გინდა თუ არა, აქ ყურები დააპატარავე, იქ ცხვირი არ მომწონს, გაასწორეო, – გააფუჭოს ხელოვნების ნაწარმოები. თანაც, შენ ვერ გადაგყვები, ათასი საქმე მაქვს.

– ვა, მე უფრო მოკლედ მინდა, აგერ გვერდებზე ბევრი თმა დაგიტოვებია, კეფაზეც შესაკრეჭია! – ჯიუტობს დათუნა.

– კარგი, ბატონო, მე ჩემი საქმე მოვათავე და თუ შენ არ მოგწონს, ა, ბატონო, მაკრატელი და სავარცხელი, როგორც გაგიხარდება, ისე გაიკრიჭე, გზა დამილოცნია! – საბოლოოდ ვიბან ხელებს მე.

დათუნა განაგრძობს ჭიჭყინს, ლიაც ჩვეულებისამებრ ერთვება:

– გაუკეთე ბავშვს, როგორც მას უნდა, რა უგემურად იცი ყველაფერი!

– რა დროს მაგის ბავშვობაა, მეორე კურსის სტუდენტმა მოუაროს საკუთარ თავს.

ბესო თავს ანებებს მეტროლოგიის კონსპექტის კითხვას და მოვლენის ეპიცენტრს მოაშურებს.

– მართალია დათუნა, აი აქ, გვერდებზე, ზედმეტია დარჩენილი!

მე ჩემს საწერს ვუბრუნდები, ლია კი ჯიბრით ამბობს:

– მოდი, შვილო, ისევ მე გიშველი, ხომ ხედავ, მამაშენი არაფრის გამკეთებელი არ არის, შუა გზაზე მიაგდო სამუშაო.

ლია გარს უვლის დათუნას, იწყება მაკრატლის უგემური ღრაჭაღრუჭი...

– არ ვარგა ეს მაკრატელი, ოჯახში ერთი ხეირიანი მაკრატელი არ უნდა იყოს?!. – მესმის ლიას აღრენილი ხმა.

– შენ რომ არ ვარგოდე, მაკრატელს დააბრალე, ჰო! – ჯიბრით პასუხობს ბესიკი. – ეს რა გიჭნია, ქალო, რამოდენაზე აგიღია!

– აბა, სარკე მომეცი! – ბრძანებს დათუნა და სახე ემანჭება: – აქ "ფანჯარა" რატომ გამიკეთე? აგერ ყურთან კანი გამომიჩნდა!.. მეორე მხარეზეც!

– კარგია, ინფორმატიკის გამოცდაზე რომ გკითხავენ, რომელი სისტემა იციო, აგერ "ჭინდოწს" – "ფანჯრები" აჩვენე შენს ყურებთან და ხუთიანი გარანტირებული გაქვს! – ექილიკება ბესიკი.

— აჰა, აიღე და შენ უკეთესად გააკეთე, გოზინაყისთვის ნიგოზი მაქვს დასაჭრელი, ყველაფერი ჩემი თავში საცემია, — აჩრის ბესიკს ხელში სავარცხელსა და მაკრატელს ლია, მაგრამ წასვლას არ ჩქარობს.

— მე უნდა გიშველოთ ყოველთვის, — იბრიქება ბესიკი. — მუშაობას იწყებს საერთაშორისო კლასის ოსტატი! უყურეთ და ისწავლეთ!

ბესიკი აგრძელებს მანიპულაციებს დათუნას თავის გარშემო მაკრატლითა და სავარცხლით, თან რაღაცას ღიღინებს.

— გააჩერე ეგ ტილიანი თავი, ნუ აქიცინებ უშნოდ! აი, შენი გულისთვის ზედმეტი მოვჭერი! — წკიპურტს უთავაზებს დათუნას ბესიკი.

დათუნა სარკეში იჭყიტება, მერე შუბლთან იტაცებს ხელს და თითქმის ყვირის:

— რა იქნა ჩემი ქოჩორი?!. შე ვირო, სად არის ჩემი ქოჩორი?!.

— აგე შენი ნაქები ქოჩორი! — სიცილით მიუთითებს ბესიკი იატაკზე დაყრილ მონაკრეჭ თმაზე. — ხომ გინდოდა მოკლეზე გაკრეჭა...

ვერ გავძელი, მეც მივედი.

— ბიჭო, ეს რა გიქნია, რა კიბე-კიბედ აგიღია! — უნებურად აღმომხდა, როცა დათუნას კეფა ვიხილე.

— კარგი კიბეებია, ტილები გახარებულნი იქნებიან, ადვილად ივლიან ზევით-ქვევით, საქმე გავუადვილე! — ისევ იკრიჭება ბესიკი.

— ცუდადაა? ძალიან გააფუჭა? — ლამის ტირის დათუნა. — მაჩვენეთ, მეორე სარკეც მომეცით!..

— ჩემი რა ბრალია, სულ იძახდა, კიდევ დაამოკლეო! — თავს იმართლებს ბესიკი. — აი, ნახე, ის "ფანჯრები" აღარ ჩანს, აქაც ნელ-ნელა ავიღებ თმას და კეფაზეც გასწორდება, ნუ გეშინია.

თავი დაეჭვებულმა გავაქნიე და ისევ ჩემს საქმეს მივუბრუნდი.

დროდადრო მესმის ჭიჭყინი, გაცხარებული დავა სულ უფრო ხურდება.

ნახევარ საათში კვლავ დავუბრუნდი ბრძოლის ველს, ლიაც იქვეა.

— ნახე, მამა, რა ქნა! — შემომტირის დათუნა.

მართლაც, თხასავით გაკორტნილი დათუნა საბრალო შესახედია.

— მერე, ვისი ბრალია, ხომ გითხარი, საკმარისია, გავჩერდეთ-მეთქი! შენ კი დაიჯინე — "მოკლედ მინდა, მოკლედ მინდა!" — ვპასუხობ მე.

— სამი კაცი მუშაობდა შენს გალამაზებაზე, ბიჭო, და კიდევ უკმაყოფილო ხარ? — საყვედურობს ლია.

— ამას აღარაფერი ეშველება, გადახოტრის მეტი! — საზეიმოდ აცხადებს ბესიკი.

— საახალწლოდ სტუმრად ასე უნდა წავიდე?..

ბედნიერ ახალ წელს გილოცავთ, დათუნა!..

1997

დათუნას ცხვირი

დათუნას მუცელი ასტკივდა და დედამ არაყზე და შაქარზე დაყენებული ბალამწარა დაალევინა წამლად — სულ ერთი სუფრის კოვზი.

— კიდევ დამისხი! — სთხოვა დათუნამ, მოეწონა.

— რად გინდა მეტი, გალოთდები, — გაეხუმრა ლია.

— ტიტუ, დავიღუპე! — წამოიძახა დათუნამ. — ცხვირი გამიწითლდება! კარგია, სიბნელეში გავანათებ, სანთელი და ლამპა აღარ დაგვჭირდება!

— ჰო, იხუმრე, იხუმრე, — ვეუბნები მე, — მერე გაგაქირავებთ ხოლმე! ახლა საღამოობით დენი არ არის, ყველას უჭირს სინათლე და შენზე უკეთესს რას იქირავებენ: არც მჭვარტლი, არც ასანთის, ნავთისა თუ სანთლის ხარჯი — იაფად გამოვლენ და არც ხანძრის შიში ექნებათ.

— მერე, რომ მოისურვონ და ჭაღზე ჩამომკიდონ? — ვითომ შეშინდა დათუნა.

— ანდა, თუ მძლავრი შუქი გექნება, შუქურად დაგაყენებენ ნავსადგურის შესასვლელთან...

— რა გაგაძლებინებს მთელი ღამე: ხან ქარია, ხან — წვიმა... — ეუბნება ლია. — კარგი, დალიე, აჰა!

1994

ღრუბლები

აქამდე ვფიქრობდი, რომ შინიდან ყოველი გამოსვლის შემდეგ ერთი ნოველის დაწერა მაინც შეიძლება, თუკი დაკვირვებული კაცის თვალით და მგრძნობიარე გულით აღიქვამ ყოველივე გზად ნახულს.

აი, დღეს კი, ვგონებ, არ გამიმართლებს – რა უნდა დაწერო კაცმა ასეთ უფერულ დღეზე? მთელი დღის ნამუშევარმა (ახალი ბინის პატრონი ვარ და წვრილ-წვრილ მორჩენილ საქმეებს საკუთარი ხელით ვაგვარებ), სიცივით დამზრალმა (ძალიან აცივდა, გათბობის ჩართვას კი არ ჩქარობენ), ბავშვებთან "ომით" თავგაბეზრებულმა (მუსიკის მეცადინეობა ვერაფრით ვაიძულე) საღამოს პირს გადავწყვიტე, სასეირნოდ წავიყვანო ბესიკი და დათუნა. ქალბატონი ლიაც აგვეტორღიალა, თუმცა უამრავი საშინაო საქმე აქვს.

დიახ, ნოემბრის დასაწყისის უფერული დღეა-მეთქი, მოგახსენეთ. კიდევ უარესი – ისეთი გამყინავი, ძლიერი ქარი ქრის, რომ ჭირს წინსვლა, ჩრდილოეთის ბორიო პირდაპირ სახეში გვცემს. რა ყოფილა, კაცო, ეს ვარკეთილი, ლამის დავბერდი თბილისში და ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ქარიანი ადგილი არსებობდა ჩვენს დედაქალაქში. არადა, მეათე სართულზე ვცხოვრობ და ერთი ბეწო ჭუჭრუტანიდანაც კი უბედურად უბერავს. ქუჩაში კი ხომ სულ მთლად უსინდისოდ გთოშავს და გაიძულებს, სახე ჩამალო საყელოში, ხელის მტევნები კი რაც შეიძლება ღრმად შეჩურთო ჯიბეებში. წელს ადრეულად აცივდა, უდროოდ დაზამთრდა.

ჯავახეთის ფართო ქუჩას მივუყვებით, გვინდა, ქალაქგარეთ გავიდეთ, იქნებ თბილისის ზღვამდეც მივიდეთ, თუ ახლოსაა. ხელმარჯვნივ 9-16 სართულიანი უსახური სახლებია ჩამწკრივებული ჯარისკაცებივით, არც ხელმარცხნივ გადაშლილი უდაბური, ჯერ გაუშენებელი ტრამალი იზიდავს მზერას – ალაგ-ალაგ ნაგვის გროვები იწვის და ნაცრისფერ-მოლურჯო ბოლი წაგრძელებულა. უფრო შორს კი ვაზისუბნის სახლები მოჩანს, ისინიც მოსაწყენად ერთფეროვანნი.

ცას ავხედე – ბოლქვა-ბოლქვა ღრუბლები ჩქარ-ჩქარა მიილტვიან საითკენღაც დამფრთხალი ცხვრების ფარასავით. ერთად ერთი ეს არის ახლა ასე თუ ისე ყურადსაღები. არა, არ ვიყავი სწორი, ნამდვილად კარგი შესახედავია ცაზე გამწკრივებული ქულა-ქულა ღრუბლები, სხვადასხვა ფორმისა, ოღონდ ერთნაირი ფერისა – ნაცრისფერ ცაზე ოდნავ ჩამუქებული "ცხვრები" ერთმანეთში ირევიან, ერთმანეთს აედევნებიან, ხან იფლითებიან, ხან ალაგ-ალაგ ერთდებიან, არის მუდმივი ცვალებადობა-განახლება, – დინამიკური სპექტაკლია, დადგმული უსაზღვრო, მოუთოკავი ფანტაზიის მქონე უხილავი "რეჟისორის" მიერ.

თავაღერილი, ღრუბლებს მიჩერებული, კარგა ხანს ვდგავარ, თითქოს სიცივე სულაც არ მაწუხებს, თითქოს ქვეყნად დავრჩით მხოლოდ ჩვენ – მე და ღრუბლები! ბავშვებიც ერთხანს უყურებენ ცას, ისინიც გაართო ღრუბლების რბოლამ, მაგრამ ჩემზე მოუთმენელნი არიან და მკლავზე მომქაჩეს, წავიდეთო, თბილისის ზღვა ვნახოთო...

ვაგრძელებთ გზას და, რაკი გარშემო ისევ ისე უსახური ხედი გადაშლილა, ფიქრმა გამიტაცა. ცაზე ღრუბლების ჭვრეტა მარტო უსაქმურების და მწყემსების გასართობი არ ყოფილა. საუკუნეების განმავლობაში ადამიანი რომ გაიღვიძებდა, უპირველესად ცას ახედავდა – როგორი ამინდი იყო? ასეა ახლაც. ესაა ოღონდ, ქალაქელები ვიწრო ქუჩებმა ცაზე ახედვას გადაგვაჩვია. ლიტერატურაში როგორ აისახა ღრუბლები? ალბათ ძნელი მოსაძებნია პოეტი, რომლის ლექსებშიც ღრუბლები არ იყოს ნახსენები – ზოგჯერ პეიზაჟურად აღქმული, ზოგჯერ როგორც სიმბოლო ან ქარაგმა. "ბიბლია", უდიდესი პოეტური ძეგლი უნივერსალური ხასიათისა, ასცდებოდა ვითომ ღრუბლის თემას? საინტერესოა, რომელ თხზულებებს გავიხსენებ ასე თათარიახნად? მაიაკოვსკის "შარვლიანი ღრუბელი", არისტოფანეს კომედია "ღრუბლები"... სხვას კონკრეტულად ვერაფერს ვიხსენებ. უდიდესი ჩინელი პოეტების ლი ბოსა და დუ ფუს პეიზაჟურ-ფილოსოფიურ ლირიკაში ხშირად გვხდება ღრუბლები. "ღრუბლები და მთვარე" – ეს თემა კი ხომ გაუნელებელი ექსპლუატაციის ობიექტია პოეტების მხრივ, მხატვრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ... ისევ "ბიბლია" გამახსენდა – ცნობილი ფრანგი კარიკატურისტის ჟან ეფელის ციკლში "სამყაროს შექმნა" საბაოთი-ღმერთი ღრუბლებზე განისვენებს... ან ფიროსმანაშვილი როგორ არ უნდა გაგახსენდეს, თუნდაც მისი მომაჯადოებელი სურათები: "არსენალის მთა ღამით", "კრწანისი", "დათვი მთვარიან ღამეს", "ვირის ხიდი" და სხვები... რომანტიკოსი მხატვრების (და საერთოდ მხატვრების) მიერ შესრულებული ღრუბლებით მოჩითული ცით დამშვენებული პეიზაჟები კი ხომ საერთოდ უთვალავია...

ძველ ბერძნებს უყვარდათ ცაში ღრუბლების ჭვრეტა, თუმცა ვისღა არ უყვარდა და უყვარს? იქნებ ძველმა ჩინელებმა თავიანთი ზღაპრული დრაკონები და მფრინავი გველეშაპები სწორედ ცაზე "იპოვეს" ღრუბელთა უსასრულო ფორმათქმნადობაში?! სიმარტივისა და სირთულის, სიმკვიდრისა და განახლების, უსულოსა და ცოცხლის, მოძრაობისა და უძრაობის, სისრულისა და უკიდეგანობის,

სისადავისა და პრეტენზიული დაღვლარჭნილობის, სიცხადისა და ბუნდოვანების, მოუხეშაობისა და სინატიფის დიალექტიკური ურთიერთკავშირი ეხმიანება ზეციერისა და მიწიერის დაპირისპირება-ერთიანობას. მიწა და ცა, მასზე ღრუბელი... ღრუბელი მოძრავია, ცვალებადი, რაღაც ცხოველებს ჰგავს, უზარმაზარსა და უცნაურს... ხორციელი და სულიერი, მატერიალური და იდეალური, მყარი, უძრავი და დენადი, უსასრულოდ მრავალფეროვანი... ღრუბელი – ფანტაზიური, იდუმალი, მაღალი, მიუწვდომელი, მისტიკური და ამავე დროს – დემონურად მიმზიდველი, ხან – საშიშრად ჩაშავებულ-მოღუშული, ბრაზიანად რომ აკვესებს ელვებს და გრუხუნ-ზათქით აზანზარებს-აყრუებს დედამიწას; ხან – თქეშით დაესხმის თავს მთა-ველებს, ზოგჯერ სეტყვასაც დაუშენს სიმწვანეს და თავისი შავი საქმის დასაფარავად ყინულოვანი მარცვლებით თეთრად შეღებავს ყველაფერს; ხანაც ღრუბელი – უზრუნველად ფარფატა, თეთრქულა, ფუმფულა, ცხვარივით უწყინარი; ხანაც – დაისის აელვარებული, წითელ-ყვითლად თვალისმომჭრელად ფერადოვანი – დაგატყვევებს, გაგიტაცებს, ფიქრებში ჩაგძირავს... რაც გინდა საჩქარო საქმე გქონდეს, დგახარ და უყურებ, როგორ ნელ-ნელა იწვის, ლივლივებს ნაირფერად ღრუბელი წყნარი საღამოს ცაში, ფერების თამამი თამაში უსაზღვროა და ფიქრობ, სულაც მარტო ამისთვის ღირს ცხოვრება, ხანდახან რომ ასეთი საოცრება იხილო...

ფიქრი, ღრუბელივით მოძრავი და ცვალებადი, ხან რას მისწვდება და ხანაც მოულოდნელად საით გაუხვევს – მივდივართ და ფიქრიც მიედინება. რატომღაც სულ არ მიშლის ამაში ეს უხეიროდ გაყვანილი და ჰაიჰარად მოასფალტებული ქუჩა, უკვე რომ საკმაოდ შელანძღულა – ალაგ-ალაგ ასფალტი აცვენილა, ტროტუარების ქვის ბორდიურები მორყეულ-მოშლილა.

ბესიკი და დათუნა კი ჟივილ-ხივილით დარბიან მოუსვენრად წინ და უკან; ხან ჩამოგვრჩებიან, რაღაც მათთვის საინტერესოს ნახავენ აქა-იქ დაყრილ სამშენებლო ნაგვის გორებში, ხან წინ გაგვისწრებენ, თვალს მიეფარებიან და მხოლოდ ბავშვების ყვირილით ვაგნებთ მათ ადგილსამყოფელს: "მამიკო, მამიკო, მოდი ჩქარა, ნახე, რა ვიპოვეთ!" დიახ, რას არ ნახავ აქ დაყრილს – სამშენებლო ნაგავს, ყავლგასულ სარეცხ მანქანებს და მაცივრებს, სავსებით გამოსადეგ ხის კასრებს, მეტლახის ფილებს, ფიცრებს და რას აღარა.

ქალაქიც გათავდა, მერე გორაკების წყება ჩანს, იმ გორაკებს იქით – კიდევ გორაკებია, აქა-იქ დაფარული ფოთოლგაცვენილი ბუჩქნარით და ჯაგებით... თბილისის წყალსაცავამდე სხვა დროს გავწევთ, უკვე მოსაღამოვდა და დროა, შინისკენ მივბრუნდეთ, ბევრი საქმე გველოდება დიდ-პატარას. ოღონდ უკან სხვა გზით ვარჩევთ დაბრუნებას. ალაგ-ალაგ ახალი სახლები წამოჭიმულა, ზოგან შენდება – მივდივართ, აქეთ-იქით ვაკვირდებით ყველაფერს, თან ფეხქვეშაც ყურადღებით ვიმზირებით, რათა აყრილ-დაყრილ, სატვირთო მანქანებით აზელილ მიდამოში ანაზდად ტალახში არ ვტუცოთ ფეხი. აგერ სკოლა, – აუჰ, რამხელა ტერიტორია შემოუღობავთ, – სტადიონიც აქვს, სხვადასხვა სათამაშო მოედნები... მერე ისევ ახალმშენებლობათა უბანი, ისევ სკოლა. გუმანით მივდივართ ჩვენი სახლისკენ, ხან ქუჩას გადავჭრით, მიხვეულ-მოხვეული გზით მივემართებით, რაღაც ეზოებს გადავივლით (თუმცა სადაა აქ ნამდვილი, ძველებური ეზოები!), ერთგან ქურთული ქორწილის ზარ-ზეიმი ისმის – დოლის ბრაგუნი და ზურნის ჭყვიტინი.

აგერ ნაცნობი სახლებიც გამოჩნდა – ჩვენს უბანში ვართ! ვყიდულობთ პურს მაღაზიაში, მერე კვერცხს მეორე მაღაზიაში – ახლა უკვე თითქმის შინა ვართ და, საკმაოდ დაღლილებმა, ავაჩქარეთ ფეხი...

სდექ! ისევ შევჩერდით, შევჩერდით კი არა, გავჩერდით და დასავლეთით ცას მივაშტერდით. რა უცნაური ღრუბლები გაწოლილა ცაზე, აქამდე მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მინახავს! – მაღალ სახლებს შუა თავისუფალი სივრცეა ჰორიზონტამდე, არაფერი ეფარება მზერას, ჩანს მამადავითის მთა, ზედ ასვეტილი სატელევიზიო ანძით, მერე – ლურჯი მთების გრეხილი, რომელსაც ზევიდან ადნება ჩამავალი მზით გამლღვალი ცეცხლისფერი ზეცა; ეს ზეცა ზევით ნელ-ნელა ოქროსფერში გადადის, ფერმკრთალდება-უფერულდება, სამაგიეროდ, გრძლად გაწოლილი, მუქი იასამნისფერ-ტყვიისფერი ღრუბლით მშვენდება. დიახ, ასეთი ცაც ბევრჯერ მინახავს, ასეთი დაისიც და ასეთი ღრუბელიც, მაგრამ უჩვეულო ის იყო, რომ ამ ჩამუქებულ ღრუბელს შუაში მთელ სიგრძეზე, ძალიან დიდ მანძილზე, მიჰყვებოდა თითქმის იდეალურად სწორი საშუალო სისქის ფორთოხლისფერი ზოლი, თბილად მოღუდღუდე, თითქმის შავი ღრუბლის ცივ ფონზე კონტრასტულად საამოდ გამომჭვირვალი...

ვიდექით და ვუყურებდით, ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია? ასეთი უცნაური სილამაზე, ბუნების ძალთა უჩვეულო, მოულოდნელი თამაში... ეს გრძელი, თანაბარი სიგანის ფორთოხლისფერი ზოლი რომ ვინმე მხატვარმა დახატოს მუქი ღრუბლის ფონზე, ყველანი ერთხმად არაბუნებრიობას დასწამებენ, არადა, ფაქტს სად წაუხვალ – აგერაა, ბატონო, დადექით, ხალხო, და უყურეთ!

საინტერესოა, ჩვენს გარდა ვინმემ კიდევ თუ შეამჩნია ეს ფენომენი? სულ ცოდვილ მიწას რომ ჩავცქერით, ნუ დავიზარებთ და ზოგჯერ ზეცასაც ავხედოთ, იქნებ ბუნებამ მოულოდნელი საჩუქარი გაგვიმზადა!

1987

ცმაცუნა

აპრილის ერთ თბილ კვირადღეს მე და თხუთმეტი წლის ბატონი ბესარიონი მივბრძანდებოდით დიღმის დასახლებაში, ჩემს დასთან ანუ ბესარიონის მამიდასთან – გულიკოსთან.

ტრანსპორტი ჭირს: ავტობუსი არ დადის საწვავის უქონლობის გამო, ტროლეიბუსი ათასში ერთხელ თუ გამოჩნდება და ისეთი ჭყლეტა იმართება, რომ მეტროს სადგურ დიდუბიდან ფეხით გასეირნება ვამჯობინეთ. ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ ბესარიონის უმცროსი ძმა – ბატონი დავითი – შინ დარჩა ვარკეთილის დასახლებაში: ბევრი სამეცადინო მაქვსო (წელიწადში ერთხელ ძლივს გაახსენდა ასეთი რამ და რა ღმერთი გაგვიწყრებოდა, ძალას როგორ დავატანდი, წამოდი-მეთქი).

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მივსეირნობთ, ათასგვარ საქმეზე თუ რამეზე ვქაქანებთ. წყალდიდობით ამღვრეულ მტკვარს შესევია მეანკესეთა თუ მებადურთა მთელი ლეგიონი, ჩვენც კარგა ხანს ვდგავართ ხიდზე უსაქმურთა ჯგუფთან ერთად და მათ ვუცქერით. მერე მტკვრის მარჯვენა ნაპირს ავუყევით აღმა, კინოსტუდიისკენ. და ამ დროს ორი ყმაწვილი შემოგვხვდა; ერთს ხალათის აწეულ კალთაში შინაური კურდღელი ჩაესვა – ბოცვერი თეთრი იყო, პატარა, საწყალთვალება...

– შეხედე, ცმაცუნა! – ორთავემ ერთდროულად წამოვიძახეთ.

და გაგვახსენდა ჩვენი ცმაცუნა, ჩვენი კარგი ცმაცუნა...

უკვე ერთი თვეა, საწყალი, მიწას მივაბარეთ ყოფილი სანერგეების ერთ მყუდრო კუთხეში – ავად გახდა, აცემინებდა, ჭამას შეეშვა და გახდა, უსაშველოდ გახდა... გულიკო ძალიან შეწუხდა, ვითომ უწამლა, ოყნაც კი გაუკეთა – ვერაფრით უშველა. მერე ნანობდა – ნეტა ვეტერინართან მიმეყვანა დროზე, იქნებ გადარჩენილიყოო... მას შემდეგ დიდხანს ესიზმრებოდა გულიკოს ცმაცუნა, ახლაც ხშირად ახსენდება და საოცრად წუხს, ნაღველი შემოაწვება გულზე... ზოგჯერ ეჩვენება, რომ ცმაცუნა ძველებურად თათით აფხაჭუნებს სამზარეულოს კარზე – აივნიდან შინ შემომიშვი, მომწყინდა აქ მარტოდ ყოფნა, შენგან მოფერება მომენატრაო. ოთხი წელი ჰყავდა მამიდა გულიკოს ცმაცუნა, შეეჩვია, უვლიდა და ეფერებოდა; ხანდახან უწყრებოდა კიდეც, როცა ცმაცუნა უჭკუობით რამეს დააშავებდა – მაგიდის ფეხს ღრღნიდა ან გადასაფარებლის ბოლოს გაუსინჯავდა გემოს. დივანზე ახტომაც უყვარდა: გაიტრუნებოდა იქ ზურგსა და თავზე ხელისგულის ალერსიანი გადასმის მოლოდინში – გულიკო არ უშლიდა, ცმაცუნამ იცოდა სისუფთავე: კურკლავდა და შარდავდა მხოლოდ აივნის ერთ კუთხეში; ამისთვის საგანგებოდ იყო დადგმული განიერი სადგარი ზედ დაფენილი გაზეთით.

მგონი, ცმაცუნაზე ამბის მოყოლა დავიწყე. ბარემ თავიდან გიამბობთ ყველაფერს. კიდევ უკეთესი, თუ თვით გულიკო მოჰყვება.

მაშ, მოვუსმინოთ გულიკოს:

– როგორ მოხვდა ჩვენთან ცმაცუნა? ოთხი წლის წინ მოხდა ეს ამბავი. კვირაობით მიმყავდა ბავშვები – ბესიკი და დათუნა – ცხოველ-ფრინველთა ბაზრობაზე დიღმის დასახლების ბაზარში, მხოლოდ მათ კი არა, მეც მიყვარდა იქ გასაყიდად გამოფენილი საქონლის თვალიერება. რაღა არ იყო იქ – აკვარიუმის თევზები, მგალობელი ჩიტები, თუთიყუშები, ზაზუნები, ზღვის გოჭები, კუები, ძაღლთა ლეკვები, ბოცვრები, ქათმები, იხვები და ბატები. ერთხელ დაგვაგვიანდა მისვლა, თითქმის აღარავინ იყო დარჩენილი. ერთი პატარა ბიჭი იდგა, ბოცვრის ბაჭიას ყიდდა – დაყირავებულ ყუთზე დაესვა, ცოტა ბალახიც დაეყარა. ბაჭია მუჭისოდენაც არ იყო – პატარა, თეთრი, მხოლოდ ყურები ჰქონდა შავი. ძალიან საყვარელი იყო. დათუნამ თავი წამჭამა: “ვიყიდოთ რა, მამიდა, ვიყიდოთ რა!” – აღარ მომეშვა. ბესარიონი პირიქით, არ ვიყიდოთო, ჩვენ არ გვინდაო, იძახდა – იფიქრა, რადგან მე არ დავინახე პირველმა, რომ ვიყიდოთ, ჩემი არ იქნებაო, საძაგელმა.

– რამდენად ყიდი? – ვკითხე ბიჭს.

– სამ მანეთად. მე უფრო დიდი ვიყიდე და ამიტომ ვყიდი, – მიპასუხა.

როგორც იქნა, წამოვედით, კიბეებზეც ჩამოვედით უკვე და უკან მივიხედე – დათუნა ჩამოგვრჩა. იქვე დარჩენილიყო, ყუთთან, და, ჩაცუცქული, ბაჭიას ეფერებოდა. მეც შევხედე ბაჭიას – ყურები ისე საწყალობლად ჰქონდა ჩამოყრილი, შემეცოდა... და გავბრუნდი უკან, ვიყიდე. მარტო დათუნას უზომო სიხარულად ღირდა ბაჭიას შეძენა. დიდის ამბით მივიყვანეთ შინ. ერთი ამანათის ყუთი მქონდა, ჩავაფინეთ ძირზე რამდენიმე გაზეთი და შიგ ჩავსვით. ვუყრიდით ხილის ნაფცქვენებს, კომბოსტოს ფურცლებს, ბალახს, ბოსტნეულის ნარჩენებს. მალე გაიზარდა, გაფუმფულდა. ამოხტებოდა ყუთიდან, გაისეირნებდა სამზარეულოში; რომ მოშივდებოდა, ისევ შიგ ჩახტებოდა. ნაზ რამეებს ჭამდა, ხაოიან ბალახებს არ ეტანებოდა. მერე, როცა ცმაცუნა გაიზარდა, აივანზე გავიტანე ყუთი. ხანდახან ცმაცუნას ოთახში შემოვუშვებდი. ქარიანი ამინდის დროს – ჩხაპ-ჩხაპ! – თათით კარზე მანიშნებდა, შემომიშვიო; ერთი-ორი წუთის შემდეგ ისევ მესმოდა: ჩხაპ-ჩხაპ! შემეცოდებოდა, კარს გა-

ვუღებდი. გარშემო შემომივლიდა, წრეებს უვლიდა. თავზე რომ ხელს გადავუსვამდი, იატაკზე გაერთხმებოდა, გაიტრუნებოდა. უყვარდა ყურების ძირში ფხანა; თვალებს კატასავით ნაბავდა, ერთი ეგ იყო, არ კრუტუნებდა. ხმას საერთოდ არ იღებდა, ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიგია. ერთხელ კარში მოყვა თათი და ისეთი ხმა ამოუშვა, კატა რომ გაიფხორება, არ მომეკაროო... ჩემს ფეხებთან გაწვებოდა, ზოგჯერ დიდი სიყვარულისგან მკბენდა კიდეც.

ერთხელ გაციებული ვიყავი, ციოდა. გაყინული მოვედი შინ, გათოშილი, გაბრაზებული. ხელში ავიყვანე, დავისვი ფეხებზე: "რისი გამკეთებელი ხარ, ჩემო მწვალებელო! ფეხები მაინც გამითბე, გამიღუღუნე!" მინდოდა, კალთაში ჩასმას მიჩვევოდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მკბენდა. საერთოდ, ყველაფერს კვნეტდა. ტელევიზორს ვუყურებ ან ვაუთოებ და უცებ მესმის რაღაც უცხო ხმა – ცმაცუნა მუშაობს. ხალათები გამიფუჭა, ქოშები, საწოლის გადასაფარებლები და ზეწრები – ყველაფერი დაღრღნა. უყვარდა საწოლქვეშ დამრგვალება ბურთივით, ზოგჯერ გაწვებოდა და იმსიგრძე ჩანდა! სულ თან დამდევდა, სამზარეულოში გავიდოდი და იქაც გამომყვებოდა. "ცმაცუნა!" – რომ დავუძახებდი, ცალ ყურს აწევდა...

გახსოვთ, ცმაცუნა როგორ დავარქვით? კონკურსი გამოვაცხადეთ, ვინ უკეთეს სახელს მოუგონებდა. რას არ ვურჩევდით: სკუპსკუპა, ყურცქვიტა, ყურგრძელა, ნაცარა, ცანცარა, ხატულა (მართლაც დახატულივით ლამაზი იყო!), კუდა... ბოლოს, ცმაცუნა შერჩა. სულ აცმაცუნებდა პირს, თითქოს მიირთმევდა რაღაცას, მაგრამ არა, უზომოდ არასდროს ჭამდა, არ გაძღებოდა, დროულად გაჩერდებოდა. გაივლიდა ცოტა ხანი და ისევ ააცმაცუნებდა პირს. უყვარდა ოხრახუში, ქინძი, სხვადასხვა მწვანილი. ხშირ-ხშირად და ცოტ-ცოტას მიირთმევდა. ყნოსვა და მხედველობა, მე მგონი, ძალიან სუსტი ჰქონდა. უყვარდა, როცა ხელით მივაწვდიდი სასუსნავს – უკანა ფეხებზე დადგებოდა, წინა თათებს ჯვარედინად დაიწყობდა მკერდზე და წასწვდებოდა. სხვას არავის ეკარებოდა, კანკალებდა შიშისგან. ერთხელ პატარა ძაღლი მოიყვანა ჟანამ, ერთი ციდა გოშია; უნდა გენახა, როგორ დაფრთხა ცმაცუნა! შემვრა საწოლქვეშ, მოიკუნტა, მუშტისოდენა გახდა, სულ ძაგძაგებდა... ძალიან მშიშარა იყო. ღამე ხმაურს ატეხდა აივანზე – სარეცხის ქვაბის სახურავს გადმოაგორებდა – ბრახ!..

მე აღარ მეშინოდა მარტოობის. მარტოობას ალბათ ისიც განიცდიდა. კინორეჟისორმა სოსო ჩხაიძემ ერთხელ მითხრა: "კინოსტუდიიდან მანქანით რომ მოვდიოდი, დავინახე – შენს აივანზე ამძვრალიყო კარადაზე თუ მაგიდაზე; ეზოში ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ და ცმაცუნა უყურებდა!"

ერთხელ სოსომ მითხრა: "წამოდი ათი დღით თუშეთში (იქ ცოლ-შვილი მყავს), ადგილი გვაქვს თავისუფალი!" მე ვუთხარი: "სამწუხაროდ, ვერ წამოვალ, ცმაცუნას ამდენი ხნით მარტოს ვერ დავტოვებ!" "წამოიყვანე შენი ცმაცუნაცო". დავთანხმდი. გავუკეთე ყუთს ნახვრეტები, ჩავსვი შიგ ცმაცუნა, ჩავუყარე ვაშლი, სტაფილო, ქორფა ბალახი. გიჟივით ხტებოდა შეშინებული, ძლივს დავაკავეთ. ყუთი თოკებით შევკარით და მანქანის საბარგულში შევდგით სიბნელეში. სულ გადაირია, ბორგავდა.

ჩავსხედით ვერტმფრენში, ჩაირთო ძრავა, აძაგძაგდა მანქანა. აძაგძაგდა ყუთიც – ისე აკანკალებდა ცმაცუნას. ჩემი თავი დამავიწყდა – მეც შემეშინდა, პირველად ვიჯექი ვერტმფრენში, – გადავხსენი ყუთს თავი და ჩავიჭვრიტე. ცმაცუნა მუშტისოდენა გამხდარიყო, კუთხეში მიყუჟულიყო. მივეალერსე, თავზე გადავუსვი ხელი. სოსო დროდადრო მეკითხებოდა: "როგორ არის?" – ჩემს ამბავს კი არ კითხულობდა. რამდენიმე საათი ვიფრინეთ. ჯერ თელავში ჩავედით, შემდეგ სხვადასხვა სოფლებში გავიარეთ, ტვირთი ჰქონდათ მისატანი მეცხვარეებთან, მერე დავეშვით ომალოში, ბოლოს კი – დიკლოში, იქ ჰყავდა სოსოს ოჯახი დასასვენებლად დატოვებული. პილოტს – დიკლოელ თუშს, ძალიან ლამაზ ბიჭს – ნაცრისფერი თვალები ჰქონდა; გამხდარი იყო და რომ გაიცინებდა, თეთრ კბილებს გამოანათებდა და ახალგაზრდული ნაოჭები გარბოდნენ მზედაკრულ სახეზე.

რომ ჩავფრინდით, სოსოს ცოლ-შვილი დახვდა, აგრეთვე ცოლის ამხანაგი მულით და შვილებით. მე რომ გადავედი ყუთით, ცმაცუნა ამოვიყვანე მაშინვე. უცებ შორიდან გამორბის სოსოს გოგონა სოფიკო და ყვირის: "ცმაცუნა ჩამოვიდა! ცმაცუნა ჩამოვიდა!" – ადრე ნახული ჰყავდა ჩემთან და ახსოვდა.

ცმაცუნა აღარ კანკალებდა, ძალიან მიბნედილი იყო. იქაურები გაგიჟდნენ – თეთრი კურდღელი არ ენახათ. მწვანე მოლზე ძალიან ლამაზი ჩანდა. მალე მოვიდა გონს, ქორფა ბალახს მიეძალა. მერე გაიკუნტრუშა, მალე კი ისე გათამამდა, რომ ძაღლებთან თამაში მოუნდა, იმათ გაეკიდა და დაეფრთხო, გააქცია. მერე ერთ მიტოვებულ სახლში რომ ვცხოვრობდით, იქ ქათმები ჰყავდათ, ერთიორჯერ იმათაც გაეკიდა ჩვენი გმირი და ისინიც გააქცია – გაეთამაშა და შტერებმა ვერ გაუგეს! ყოველთვის სახლთან ახლოს იყო, არ შორდებოდა. ღამე აივნის ქვეშ იძინებდა.

ერთ ღამეს რაღაც ბუჯგურის ხმა მესმის. "ვაიმე, – ვიფიქრე, – ცმაცუნა ძაღლებმა შეჭამეს!" ავდექი, ფარანი ავანთე და გამოვედი გარეთ. ცმაცუნა არ ჩანს! ალბათ წაიყვანა მელამ ან ტურამ!..

რაღას ვიზამდი, შევბრუნდი ოთახში. ვერ მოვისვენე, ისევ ავდექი, კარგად დავათვალიერე ყველგან, – ბოსლებშიც შევიხედე, არც საქონელთან არის... გავიარ-გამოვიარე, მთვარიანი ღამე იყო და

შორს რაღაც თეთრი წერტილი შევნიშნე – მივედი და ცმაცუნა აღმოჩნდა: ვიღაცის მიერ კედელზე მიყუდებულ კიბესთან იყო მოკუნტული...

იქაურ ბავშვებს მოპარვა უნდოდათ ცმაცუნასი, სოფიკომ და მისმა პატარა ძმამ გაიგეს და ერთი ამბავი ატეხეს. ვაჭმევდი ბაბუაწვერების ყვითელ ყვავილებს, ვუგროვებდი თაიგულებს. გასუქდა ჩვენი ცმაცუნა, გაფუმფულდა, ბეწვი გაუხშირდა.

უკანა გზობაზეც კანკალებდა ცმაცუნა ვერტმფრენში. რომ ჩამოვედით და შინ მივედი, მეზობლები მოდიოდნენ ცმაცუნას სანახავად, ბავშვებიც და მოზრდილებიც – ეს რა გმირი გვყოლიაო, მეუბნებოდნენ. მოჰქონდათ მისთვის გამხმარი პური, კომბოსტო და სტაფილო. და აი, ეს გმირი კურდღელი რაღაც პატარა ინფექციამ იმსხვერპლა... ხორბალი უყვარდა ძალიან, მჭადისთვის კი გიჟდებოდა და ხორბალი რომ არ ჭამა და მჭადსაც პირი არ დააკარა, ვიფიქრე – ცუდადაა მისი საქმე– მეთქი...

ახლა ორი ქათამი მყავს – ერთი თეთრი, მეორე ჭრელი. თეთრი პატარაა, ყოველდღე თითო თეთრ კვერცხს დებს, ჭრელი ბევრად დიდია, ხან დებს მორუხო პატარა კვერცხს, ხან – არა. ორივე მიყვარს, მაგრამ ცმაცუნა მაინც სხვა იყო. ჩემი ცმაცუნა რომ მომაგონდება, მისი ყურები...

1992

ტელეფონოთერეპია

ტელეფონმა დარეკა, ყურმილი ავიღე.

– დათუნა ხარ?

– დიახ...

– უკვე ადექი?

– ავდექი!

– ლოგინი გაასწორე?

– გავასწორე!

– საუზმე მიირთვი?

– მივირთვი, მივირთვი!

– ჭურჭელიც ხომ დარეცხე?

– დავრეცხე, აბა რა ვქენი!

– ხომ კარგად გარეცხე?

– რომელი ხარ, – ვეღარ მოვითმინე, – რაში გაინტერესებს?

– შენი მამიდა გულიკო ვარ! – ახითხითდა ვიღაც წიკვინა ხმით ტელეფონის ყურმილში. – დაჯექი ახლა და იმეცადინე!... ჭკვიანად იყავი!

საიდან იცის ამ ვიღაცა ბიჭმა ყველაფერი, რაც მამიდამ დამაბარა?.. აჰა, მივხვდი! ეს ანდროა მეზობელ სადარბაზოდან!.. ხმა კი შეიცვალა, მაგრამ სიცილით მივხვდი! მოიცა, ცოტას შევიცდი და სამაგიერო ჩემზე იყოს...

ნახევარ საათში დავურეკე.

– ანდროს მშობელი ბრძანდებით? – განგებ დავიბოხე ხმა.

– საიდან რეკავთ? – იკითხა ცოტა არ იყოს შეშფოთებით ანდრომ.

– მილიციიდან გაწუხებთ! – კიდევ უფრო შევეცადე ხმის დაბოხებას, თან სიცილს ძლივს ვიკავებდი. – თქვენი შვილი შემჩნეულია ცუდ საქციელში და დროზე მიაქციეთ ყურადღება!

– რა მოხდა? – ლამის ატირდა ანდრო.

– რა და, პაპიროსს ეწევა ჩუმ-ჩუმად, ალბათ თქვენ გპარავთ! თუ არ გჯერათ, მოვალთ ერთ საათში, მოვიტანთ სპეციალურ აპარატურას, ჩავუშვებთ კუჭში და იქ ყველაფერი გამოჩნდება!

მიკროფონს ხელისგული დავაფარე – ფხუკუნი ამიტყდა. ტელეფონში კი მესმოდა ანდროს მტირალა ხმა:

– ძია, ნუ მოხვალთ, გეხვეწებით, მეტს აღარ ვიზამ, დღეიდან ერთ ღერსაც აღარ მოვწევ, გეფიცებით!..

1990

ია

თებერვალია, მზიანი დღე. გარეთ ცივა ალბათ.

ცოტა უქეიფოდ ვგრძნობ თავს და სამსახურში აღარ წავსულვარ.

ფანჯარასთან მზეზე ვთბები და თან მეათე სართულიდან გავცქერი მოგუგუნე-მოფუსფუსე ქალაქს. მერე ტახტზე ვწვები.

თერთმეტი წლის დათუნა მეორე ცვლაში სწავლობს, ახლა კი მაკრატლით ფეხებზე ბრჭყალებს იჭრის (დიახ, მის ფრჩხილებს ბრჭყალების სახელი უფრო ეკადრება – რა ხანია, ყოველდღე ვეხვეწები, შენი ხელით მოიჭერი-მეთქი).

– მამიკო, ცუდად ხარ? – უცებ თავზე დამადგება დათუნა.

– კარგადა ვარ, ვფიქრობ.

– რაზე?

რა გითხრა, დათუნა? საფიქრალს რა გამოლევს... წამი არ არის, რომ ფიქრი აბეზარი ბუზივით არ ბზუოდეს თავში, ზოგჯერ ორი-სამი ერთად; ერთმანეთს არ აცლიან – შენ ხმა ჩაიკმინდე, მე ვარ აქ მთავარიო! ახლა კი, ამ წამს, მიწა მენატრება, ზამთრის შიშველი ბაღი...

თვალებს ვხუჭავ.

...შინდისში ვარ, გორის შინდისში. სულ მთლად მართალსაც არ ვამბობ: თვითონ სოფელში კი არ ვართ – ჩემი მამიდაშვილის, გერმანეს სახლიდან ორღობეებით კარგა ხანს ვიარეთ, სანამ მის ნაკვეთში მივიდოდით. აქ ახალ, დიდ სახლს აშენებს გერმანე. ის დავტოვე შუამდე ამოყვანილ კედლებთან და თავის ანგარიშ-ფიქრებთან, მე კი ვაშლის ბაღში გავედი.

ზამთრის მზით გასხივოსნებული ვაშლის ხეთა უძრავად გაფშეკილი ტოტები შუქ-ჩრდილებს ხატავენ შეჭირხლულ გაქვავებულ ნახნავზე.

ცოტაც გავიარე ბაღის საზღვარზე პატარა კბოდემდე – მის თავზე გაუვალი ეკალბარდებია, მაყვლით გაბურდული მუქი ბუჩქები, ჩაშავებული შარშანდელი ფოთლები რომ შერჩენია ალაგ-ალაგ. ერთგან კოხტად მოწნული პატარა ბუდე ჩანს კუნელის მჩხვლეტავ ტოტებშუა, შიგ ქარს წვრილ-წვრილი გამხმარი ფოთლები ჩაუფენია.

და ვხედავ, როგორ ასდის ძალამიცემული მზის სხივებით გამთბარ კბოდეს ოხშივარი, იშმუშნება ზამთრის ძილისგან, აქა-იქ ამწვანებულა კიდეც...

ია! პატარა, მორცხვი იის ყვავილი, აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე! ან რას შეამჩნევ, ისეთი მოკრძალებულია. სად იმალები, იავ, არ იცი, როგორ მომენატრე? თვალს არ ვუჯერებ, თითქოს აქამდე ბრმა ვიყავი – მთელი კბოდე იებით ყოფილა მოფენილი! იის ჯარი შესევია ლურჯად, დადექ მუხლებზე და უცქირე გაღიმებულმა, მერე დაიხარე ლოცვასავით და სულ ახლოს, ახლოს მიიტანე სახე იასთან – ნატიფ სურნელს ისრუტავ თვალდახუჭული და მთელი ქვეყნიერება ახლა შენთვის ამ ერთი ბეწო არსებაშია განივთებული. გაღვიძებული სიცოცხლის ნიშანია, ყოველივე სულდგმულის უძლეველობის, ბუნების მარადისობის სიმბოლოა ეს კოხტად გამოქანდაკებული ყვავილი და მისი ჩუქურთმა ფოთლები...

– მამა! – გამომიყვანს გარინდებიდან დათუნას ხმა, – ისევ ფიქრობ?

გავახელ თვალებს... ერთხანს ვწევარ ისევ, კედლებზე ჩარიგებულ სურათებს ვუყურებ, მერე ტახტიდან ვდგები, მივდივარ ფანჯარასთან და შორეულ გორაკებს გავცქერი.

– უყურე, დათუნა, გორაკებს ხომ ხედავ, ალაგ-ალაგ დაღარულებია – ხევები ჩამოუდით; იმ ხევების ძირში ცოტა ხანში ნაკადულები ამღერდებიან და ახლა რომ თოვლის საბნის ქვეშ ყვავილებს სძინავთ – არა, კი არ სძინავთ, განაბულნი არიან ენძელები, ყოჩივარდები, იები, თეთრყვავილები და სხვები – ყველანი უცებ იფეთქებენ და კიდევ უფრო გაალამაზებენ ლამაზ გარემოს... ამოვირჩიოთ ერთი კვირადღე და აუცილებლად წავიდეთ სანახავად, კარგი?

1989

ცხენი

ექვსი წლის კახა პირველად მიჰყავთ თეატრში.

– არ მინდა თეატრი!

– რატომ? იცი, რა კარგია თეატრი!

– არ მინდა!
– იქ შენსავით პატარა ბიჭი თამაშობს, არ გინდა, ნახო?
– არ მინდა!
– თუ არ მოგეწონება, მაშინვე უკან წამოვალთ.
ორი ქალი და ერთი კაცი ერთად ცდილობენ კახას დაყოლიებას.
– ნაყინს გიყიდით!
– იცი, მერე ცირკში წაგიყვანთ, სხვა დროს...
– არ მინდა, ცირკში მინდა!
– ჰო, შვილო, თეატრიც იგივე ცირკია, ნახე, რამდენი იმღერონ და იოინბაზონ!
– არ მინდა!
– აბა, რა ჯანდაბა გინდა, ჩაგთხლიშო ერთი მაგ სულელ გოგრაში! – გაბრაზდა დედა, მაგრამ კახას მამიდა გადაეფარა.
– ა-ა-ა!.. – მაინც აღრიალდა კახა.
– რა გაღრიალებს? ეგდე მარტო სახლში, ჩვენ წავალთ და კარს ჩაგიკეტავთ! – დაემუქრა დედა.
– არ მინდა!
– რა არ გინდა? – მამასაც დაეტყო ხმაში მოუთმენლობა და უკმაყოფილება.
– მარტო დარჩენა არ მინდა-ა!
– მაშ, ჩაიცვი ჩქარა და გავიქცეთ, დაგვაგვიანე, შე მაიმუნო! – პალტო მიაწოდა მამამ. – შენ თვითონ ჩაიცვი, დროზე!
– ნაყინს მიყიდით?
– გიყიდით, გიყიდით, დროზე ქენი!
– შოკოლადსაც?
– ჰო, შოკოლადსაც! გაინძერი!
– ორს?
– ორმოცდაათს!.. გამოადგი ფეხი!
– ეს ფეხსაცმელი არ მინდა!..

* * *

მაყურებელთა დარბაზში შესვლისთანავე კახა გააბრუა ბევრმა სინათლემ, ბევრი ხალხის ყაყანმა, ორკესტრანტების მიერ საკრავების აწყობამ.

მთელი პირველი მოქმედება პატარა ბიჭი ნახევრად ჩაბნელებულ მაყურებელთა დარბაზის ჭაღსა და მდიდრულად გაფორმებულ კედლებს ათვალიერებდა, სცენისკენ არც გაუხედავს.

მეორე მოქმედებას კახამ ყურადღებით უყურა, მესამე მოქმედების დროს ადგილზე არ იყო – ანტრაქტის დროს გაისეირნა და აღარ დაბრუნებულა. ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, მშობლები და მამიდა ბიჭის ძებნამ გამოასავათა. ბოლოს, კულისებს უკან სადღაც ჯურღმულში მიაგნეს – ცხენს ვეძებდიო... და იპოვა კიდეც!

* * *

მეორე დღეს დედა კახას ეკითხება:
– ხომ კარგი იყო, მოგეწონა თეატრი?
– ძალიან! – თვალები გაუბრწყინდა კახას.
– ჩვენ კი წაგვამწარე და! ხომ ბრწყინვალე წარმოდგენა იყო? შენ კი წამოსვლა არ გინდოდა.. მაინც, ყველაზე უფრო რა მოგეწონა?
– ცხენი!
– ცხენი?
– ცხენი რომ გამოიყვანეს, რა ლამაზი და ჭკვიანი ცხენი იყო!.. კიდევ წამიყვანე რა!..

1986

ტერორისტი

ორი წლის ნატო დამიტოვა მეუღლემ – შენ მაინც მთელი დღე შინ იქნები და მოუარე, მე ჩემს და-ძმებს ჩამოვუვლი, რა ხანია, ისინი არ მინახავსო.

დისერტაციას ვამზადებ, რამდენიმე სტატია მაქვს წასაკითხი, ერთიც, ჩემი საკუთარი – დასამუშავებელი. რა კარგია, მთელი დღე მაქვს თავისუფალი! შუადღეზე ვაჭმევ ბავშვს, დიდი-დიდი ნახევარი საათი დამჭირდეს, დანარჩენი დრო ჩემია!

დილით მეუღლემ აჭამა ნატოს და წავიდა. დავლიე ჩაი და ჩავუჯექი სტატიის გადათეთრებას. ბავშვი თამაშობს თავისთვის.

მალე ნატო მომადგა, მექაჩება შარვალზე.

– რა გინდა?

თითით მიჩვენებს, კალამი მომეციო. მივეცი, მეორე მოვიმარჯვე და განვაგრძე მუშაობა. ცოტა ხანში ისევ მიტყაპუნებს ხელს.

– კიდევ გინდა რამე?

კალმისტარზე მიმითითებს.

– მეორე რაღად გინდა, ერთი ხომ გაქვს? მეც რომ მჭირდება? ერთი ხომ მოგეცი?

– მინდა!

მითვალთვალა, მითვალთვალა.... ვიფიქრე და არცთუ უსაფუძვლოდ, ახლა ჩემს სტატიას მომთხოვს, ჯობს, დროზე გადავმალო-მეთქი. ჩუმად შევაცოცე სხვა ქაღალდებში და გაზეთი ავიღე ვითომ წასაკითხად. ფანდიდან არაფერი გამომივიდა.

– ე, ის მინდა! – ფუნჩულა თითით მანიშნებს დამალულ წერილზე.

– არ შეიძლება! – ვეუბნები სიტყვებს, ნატოს რომ თავი მოაბეზრეს და ყველაზე უფრო ეჯავრება.

ნატოს ბევრი არ უფიქრია, დასტაცა ხელი ჩემს წინ დალაგებულ სანახევროდ დაწერილ ქაღალდებს. სანამ რამეს მოვისაზრებდი, ფურცლები ჯერ კალმისტრით გახვრიტა, შემდეგ ორად გაფხრიწა და, ფრიად კმაყოფილმა, მხიარულად გადაიკისკისა. გავიტყუე მისი მზერა ფერად-ფერადი ქაღალდებით და სანაცვლოდ ჩემი გახეული წერილი დავიბრუნე. სანამ გოგო გართული იყო ფერადი ქაღალდებით, გადავაწებე გახეული ფურცლები, გადაწერა დამეზარა. წამით ყურადღება მოვადუნე და – წებოიანი ბოთლი ონავარმა დაითრია... დაითრია და პირში კინაღამ იტაკა. ჩაიდებდა კიდეც, მაგრამ მოვასწარი და ხელი დავკარი... წებოს ნაწილი კაბაზე დაიღვარა, ნაწილი – იატაკზე. ეგ არაფერი, რომ ნატოს ტანსაცმლის გამოცვლასა და იატაკის წმენდას კარგა ხანს მოვუნდი, მეტი დრო დამჭირდა აღრიალებული ბავშვის დასაწყნარებლად...

ოღონდ გაჩერებულიყო და დავპირდი, ყველაფერს მოგცემ-მეთქი. მალე პატარა ტირანმა მანანებინა ესოდენ წინდაუხედავად გაცემული თამასუქი. კალამი დავიჭირე ხელში – მომეციო, წიგნი – მომეციო, გაზეთი – მომეციო, სხვა წიგნი, სხვა ნებისმიერი რამ – მომეცი, მომეცი, მომეციო...

ბოლოს, ჯოხი დავიჭირე ხელში – თუ ასე გააგრძელებ,, გაგლახავ-მეთქი და იმაზეც მითხრა – მინდაო, ისიც ჩაიგდო ხელში... რა მექნა, არ მისცემდი რამეს და – უნდა გენახათ (უფრო სწორედ – მოგესმინათ) ღრიალი!.. სადაც კი წავედი, ყველგან კუდივით ამედევნა. ერთხანს დამალობანას ვეთამაშებოდი; რასაც კი წამოედო, ყველაფერი ამოატრიალა. წიგნების კარადის შუშა წაქცეული სკამით ჩაამსხვრია, თითქოს ნიშნის მოგებით – აქამდე რომ გასაღებით მიკეტავდი მის კარს და წიგნებს არ მანებებდი, აწი რაღას იზამო. მეორე სკამის წაქცევას მოჰყვა ჭურჭლის კარადის შუშის წკრიალი – აწი ნატოს თავისუფლად შეეძლება საოჯახო სერვიზით გართობა-თამაში. იატაკზე სკამების ბრახუნ-ბრაგვანზე ქვედა სართულიდან მეზობელი ამოვარდა – რაიმე უბედურება ხომ არ მომხდარაო. დავარწმუნე, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, ნატოც თვალებში შესციცინებდა, როგორც სამაგალითოდ წყნარი, თავისი ასაკისთვის შეუფერებლად სერიოზული ბავშვი. სამაგიეროდ, როგორც კი მეზობელი გავისტუმრე, გაორკეცებული ენერგიით გააგრძელა ჩემი დევნა. თავი ვერაფრით დავიხსენი...

საპირფარეშოში ჩავიკეტე და სტატიის მესამედიც არ მქონდა წაკითხული, რომ კარზე ნატოს ხელების უსაშველო ტყაპატყუპი ატყდა – გამიღეო. გამოვედი. იატაკზე წიგნების, რვეულების, ხელნაწერი ფურცლების მთა აუკოკოლავებია და ალბათ უკანასკნელი სტატია დასჭირდა მშენებლობის დასაგვირგვინებლად. საშველი არ მომცა – რა არ დავპირდი, როგორ არ ვეფერე, სანამ სტატია არ მივეცი, არ მომეშვა. თუმცა მომეშვა კი? დაბაჯბაჯებდა ოთახიდან ოთახში ჩემს უკან-უკან და ვერსად დავაღწიე თავი მისი შავი თვალების მზერას. რაც კი ხელში აღებული დამინახა, ყველაფერზე თითი გამომიშვირა, მომეციო. რომ არც დაიძინა! ნეტა როგორ აძინებდა მეუღლე შუადღეზე? ჭაპანწყვეტით კი ვაჭამე (ზუსტად საათნახევარი მოვუნდი!), მაგრამ ძილზე მტკიცე უარი მტკიცა – შენთან თამაში მინდაო...

ხან ცხენი ვიყავი – შემაჯდა ზურგზე და ოთახები ფორთხვით შემოვიარეთ; მერე ვიჭიდავეთ და იატაკზე ვიგორავეთ... ბევრი მდია, ბევრი ვდიე, ოთახი ნაომარს დაემსგავსა; სიქა გამძვრა, ბავშვის დაღლა კი არ იქნა....

როცა საღამოს მეუღლე დაბრუნდა შინ, ასეთი სურათი იხილა: მე გამოსავათებული ვიჯექი კარადის თავზე და მამლის ყივილს ვბაძავდი; იატაკზე კი დაფორთხავდა ჩვენი ქალიშვილი, კისკისებდა და გულდაგულ სათითაოდ ხევდა ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ფურცლებს...

1984

ირმა

ის იყო, თავისუფალი ადგილი მოვძებნე, რომ ელექტრომატარებელიც დაიძრა. ხელმარცხნივ ფანჯრიდან ნელ-ნელა უკან-უკან წავიდა გორის ხედი – მტკვარი, მაღლა აზიდული ციხის ქვევით შეჯგუფული დიდ-პატარა სახლები.

შუადღე უკვე გადავიდა, მაგრამ მაინც ძალიან ცხელა. თბილისამდე კიდევ კაი ორი საათის სავალია, რა გაძლებს ამ დახუთულ ატმოსფეროში – ცალკე წყურვილი მოგკლავს, ცალკე – ვაგონისთვის დამახასიათებელი სუნი დაგახრჩობს.

ვაგონი მიირწევა და მისი ბორბლების ტაკატუკთან ტაქტში თავებს აკანტურებენ მთვლემარე მგზავრნი, დანარჩენებს სახეზე უკმაყოფილების გრძნობა გამოჰხატვიათ. არც საუბრის ხასიათზეა ვინმე, მხოლოდ ერთგან ბანქოს თამაშობენ უხალისოდ. ჰო, კიდევ ეს პატარა გოგონა ვერ ჩერდება ადგილზე; ორიოდე წლის იქნება. ის და დედამისი – ახალგაზრდა სანდომიანი ქალი – გორში ამოვიდნენ ჩემთან ერთად. ჯერ კიდევ სადგურში მიიქცია ჩემი ყურადღება ამ ცელქმა წითელკაბიანმა გოგომ – ერთხელ ხელიც კი გამოსტაცა დედას და გაექცა. გაიქცა – არც კი იცოდა საით, ალბათ უბრალოდ ადგილზე ვერ ჩერდებოდა და ეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც ახლა ჩემს წინ ზის, შეშფოთებული ძახილით დაედევნა უკან – ბავშვი უკვე ბაქნის კიდესთან იყო მისული და ძლივს მოასწრო მისი კაბის ბოლოში ხელის წავლება.

ახლა ეს პატარა გოგონა ჩამოცოცდა სკამიდან და ჩემს წინ გაჩერდა. მიყურებს მუქწამწამებიანი შავი, დიდი ბავშვური თვალებით. მეც ვაკვირდები, მაინტერესებს, რას იზამს. მიღიმის, მე თვალს ვუკრავ. კიდევ უფრო გაიღიმა, მოსწყდა ადგილს და წაპაკუნდა ფანჯრისკენ. იქ ყვითელკიტელიანი მოხუცი კაცი ჯოხზე დაყრდნობილი თვლემდა, დროდადრო ცხვირით უსტვენდა. ბავშვმა ხელი შეახო ჯოხს, სპილოსძვლისფერ ინკრუსტაციას დააკვირდა.

– ირმა, მოდი აქ! – ეძახის დედამისი, რომელიც აქამდე, სახეზე ცხვირსახოცაფარებული, გარინდებული მიყრდნობოდა საზურგეს.

ირმა არ მიდის, ისევ ჯოხს ათვალიერებს. დედამისი წყნარდება, რომ ბავშვი არსად წასულა და ისევ იფარებს სახეზე ვარდისფერ ცხვირსახოცს.

– ირმა, დედიკო გეძახის, გესმის? – ეუბნება უფერული ხმით მოხუცი ქალი, რომელიც ჯოხიანი მოხუცის პირისპირ ზის ფანჯარასთან. ქალის ქმარი, რომელიც გვერდზე უზის, იშმუშნება, ეტყობა, არ მოსწონს მოხუც ცოლ-ქმარს, რომ მყუდროება ირღვევა ამ ერთი ციცქნა არსების გამო.

ირმას მოსწყინდა ჯოხის თვალიერება და სკამებს შორის გასასვლელისკენ წამოკუნტრუშდა. გასასვლელთან გაჩერდა, სკამს ჩაებღაუჭა, აღარ იცოდა, რა ექნა – გაეგრძელებინა გზა თუ არა... იქით ბევრი რამ უცნობი, საინტერესო არის, მაგრამ დედიკოსგან მოშორებისაც ეშინია...

ირმა ისევ უკან შემოტრიალდა. ერთხანს ადგილზე დგას, ათვალიერებს მგზავრებს. ჯოხიანი მოხუცის გვერდით მელოტი, ღიპიანი ბიძია ზის, მძიმედ სუნთქავს; მასთან მისვლა ვერ გაბედა ირმამ. ჯოხი უკვე ნახა, ისევ მოხუც ცოლ-ქმარს უნდა გაეცნოს უფრო ახლოს. წაბაჯბაჯდა ისევ ფანჯრისკენ, მათ წინ გაჩერდა, უყურებს. ცოლს მეტად ჭრელი კაბა აცვია, ტუჩებზე ხარბად წაუსვია პომადა, მოყვითალო-ყავისფრად შეღებილ თმაზე უცნაური ფორმის მწვანე ქუდი ახურავს. ყველაფერი ეს გამხდარ და ნაოჭიან სახესთან საკმაოდ კომიკურ კონტრასტს ჰქმნის. სუფთად გაპარსული ქმარი სამხედროსავით გაჯგიმული ზის, ამ გაგანია სიცხეში შავი პიჯაკი და მუქი ჰალსტუხი ამშვენებს, გეგონებათ, ქორწილში მიემგზავრებაო.

ბავშვი და მოხუცები ერთმანეთს ათვალიერებენ: ბავშვი – აშკარა ცნობისმოყვარეობით, ფართოდ თვალებგახელილი, მოხუცები – განურჩევლად. შემდეგ მოხუცი ქალი დათაფლულად უღიმის გოგოს და აპირებს რაღაცა უთხრას, მაგრამ ირმა მაშინვე სცილდება – თითქოს ამ ღიმილმა გააგდოო. მივიდა დედასთან, მოჰკიდა კაბაში ხელი და თავი მიატრიალა მოხუცი ქალისკენ.

ირმამ უცქირა მას და უცებ გაიცინა, შემდეგ გადაიკისკისა და დედის მუხლებში ჩარგო თავი. კუთხეში ჯოხიანმა მოხუცმა გაიღვიძა, დაბნეული აჭყეტს თვალებს, ირმას დედა იცილებს სახიდან ცხვირსახოცს. გასასვლელის მეორე მხარესაც აღარ თვლემენ, ირმას უყურებენ.

ირმამაც იგრძნო დიდების ყურადღება, გაანცდა.

– შენა აბუ! – ეუბნება მელოტ ბიძიას.

– რაო, რაო? – უღიმის ბიძია.

– შენა აბუ! – იმეორებს პატარა. გარბის მელოტთან, ურტყამს მუხლზე პატარა ხელს, სიცილით გამორბის უკან.

გზაში ხუმრობით ვიჭერ. დასაკლავი გოჭივით ჭყვირის, ხელს ვუშვებ, დედის კალთაში რგავს თავს... მაგრამ დიდხანს ვერ ჩერდება, მიდის კუთხეში ჯოხიან მოხუცთან, უყურებს. ის კი ღიმილით ეუბნება:

– აი, მე შენა – ამ! – ვითომ უნდა შეჭამოს.

ირმა კისკისით გამორბის დედასთან.

– გაჩერდი, გოგო, გაჩერდი! – უწყრება დედამისი, შემდეგ მობოდიშებით გვიღიმის: – შემიკლა ხელში, ერთ წამს არ ჩერდება. თქვენც შეგაწუხათ...

ყველანი ამბობენ, რომ არავითარ შეწუხებას არ გრძნობენ, პირიქით, გახალისდნენ.

ახალგაზრდა ქალი იღიმება და ნათლად ჩანს, რომ ბავშვის ცელქობა, მართალია, ზოგჯერ მომაბეზრებელია, მაგრამ დედის გულს სიამოვნებს კიდეც.

– გერმანული სახელი რატომ დაარქვით? – კითხულობს მელოტი. – ხუთი ბავშვი მყავს და სუყველას ქართული სახელები აქვს! – ცხადია, იმიტომ წამოიწყო ლაპარაკი, სურდა, დამსწრე საზოგადოებისთვის ეცნობებინა, რომ არც მას გასწყრომია ღმერთი, ხუთი მარგალიტივით ბავშვი ჰყავს... რასაკვირველია, მას უნდოდა მათი სახელების ჩამოთვლაც, მაგრამ ჯოხიანმა მოხუცმა გააწყვეტინა – აუხსნა მელოტს, რომ ირმა ქართული სახელია. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას რვა გოგო და ბიჭი ეძახდა ბაბუას. იგი არც ამით დაკმაყოფილებულა და გვაუწყა, რომ ფრიად ნაწყენია უმცროს ბიჭზე, ნაბოლარაზე – როგორ არ იქნები უკმაყოფილო, როცა უკვე ოცდათხუთმეტი წლის კაცია და ცოლის შერთვაზე ჯერაც არ უფიქრია... მოკლედ, გაიბა საუბარი. ვერც მე გავძელი და ფრიად ფერადოვნად აღვწერე, როგორი პროფესიული ოსტატობით გახსნეს ჩემმა ბიჭებმა, გივიმ და ოთარმა (ერთი სამი წლისაა, მეორე – ხუთის), სამლიტრიანი ქილა მურაბით; კოვზი რად უნდოდათ, პირდაპირ ყოფდნენ შიგ ხელებს და ისე აჭმევდნენ ერთმანეთს. ასე რომ, მშვენიერი სურათი ვიხილეთ მე და ჩემმა მეუღლემ შინ დაბრუნებისას: ბავშვებს ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდით...

ამასობაში ირმამ ისარგებლა იმით, რომ ყურადღება საუბარზე გადავიდა და გავიდა ვაგონის შუა გასასვლელში, იქ დაბორიალობდა სკამიდან სკამისკენ, დაბაკუნობდა, რაღაცას ვითომ ელაპარაკებოდა ხალხს, მასაც ელაპარაკებოდნენ, უღიმოდნენ.

ირმას დედამ შუა სიტყვაზე შეწყვიტა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა სასაცილო სიტყვებს იგონებს ირმა, მიმოიხედა და სადღაც გადაკარგულ შვილს დაუძახა. ირმა კარგა ხანს არ გამოჩენილა, დედამისი უკვე აპირებდა მის მოსაძებნად წასვლას, რომ ერთმა ყმაწვილმა მოიყვანა. ირმა ბიჭს არ უშვებდა, არ უნდოდა ახალშეძენილ მეგობართან განშორება, სანამ ჯოხიანმა ბიძიამ ისე კარგად არ მიბაძა ძაღლის ყეფას, რომ ყველაფერი გადაავიწყა ამქვეყნად. შემდეგ მელოტი ძიას ჯერი დადგა, მანაც ჯერ უმღერა ირმას, შემდეგ ისეთნაირად დაიწყო სახის მანჭვა, რომ დიდებიც გაგვამხიარულა. გამხიარულდა მოხუცი ცოლ-ქმარიც, ოღონდ მათ არც ზღაპრები იცოდნენ, არც თავიანთი შვილიშვილების ოინებზე უთქვამთ რამე.

როცა ჩვენი რეპერტუარი ამოიწურა, ირმა ისევ აცმუკდა ადგილზე, ჟუჟუნა თვალებით იქითკენ იცქირებოდა, სადაც წინათ გაისეირნა, მერე ადგილიდან მოწყდა და გაბაკუნდა.

– ირმა, ირმა, მოდი ჩემთან! – დაუძახა მოხუცმა ქალმა, თან ტკბილისკვერივით თაფლიანი ღიმილი გამოაცხო სახეზე.

ირმამ ერთი შეხედა რაღაცით გაკვირვებულმა თუ დაბნეულმა და უცებ:

– ა-ა-ა!.. – მოულოდნელად ატირდა.

მოხუცი შეცბა.

ირმას დედამ დაუწყო ბავშვს მოფერება, მელოტმა ბიძიამ მხიარული სიმღერა შემოსძახა, ჯოხიანმა მოხუცმა გასაოცრად მიბაძა ლეკვის ყეფას, მოხუცი ქალი ჰპირდებოდა, რაღაც ჩიტს დაგანახვებო ფანჯარაში, მაგრამ ირმას ცრემლები ვერ შეაჩერეს. დედა დაემუქრა, გაჩერდი, თორემ ბუას დავუძახებო, მაგრამ ირმამ კიდევ უფრო უმატა ტირილს.

– კანფეტები, ვაფლი!.. პაპიროსი! – აყვირდა ამ დროს ჩემს გვერდით ვიღაცა. თეთრხალათიანი, გაუპარსავი გამყიდველი კალათით დაატარებს ვაგონებში თავის საქონელს.

ვყიდულობ კანფეტებსაც და ვაფლსაც და ირმას ვთავაზობ. ერთხანს არც ეს ჭრის, ბოლოს ცრემლიანი სახე ასწია დედის კალთიდან, ყოყმანობდა, შემდეგ გაუბედავად წაეპოტინა კანფეტებს, გაიღიმა კიდეც. მაშინვე ჯოხიანი მოხუცი და მელოტი ბიძია თავიანთ ბოხჩებს ეცნენ, გემრიელი რაღაც-რაღაცეები ამოალაგეს ირმასთვის. მოხუცმა ქალმაც კი გახსნა ჩანთა და ირმას დიდი, წითელი პომიდორი მიართვა.

ირმას დედა ჯერ უარს ამბობდა, შემდეგ დარცხვენით იღებდა საჩუქრებს. დედის კალთაში მოკალათებული ირმა კი კანფეტს წუწნიდა. ცოტა ხანში ირმას ძილი მოუნდა. კანფეტისგან გამობუშტული ჰქონდა ცალი ლოყა და უკვე თვალი მიელულა, როცა ხალხი აჩოჩქოლდა:

– თბილისია, თბილისში შევდივართ!

რა უცებ გაირბინა ორმა საათმა! ვერც კი ვიგრძენი.

ყველა დატრიალდა, გასასვლელად თადარიგს იჭერს. მე არსად მეჩქარება, არც ბარგი მაქვს, ამიტომ ვზივარ ჩემთვის. ისევ ირმას ვუყურებ. დედამ ჩამოსვა იატაკზე, მოუარა, შემდეგ საკუთარ ტანსაცმელს ისწორებს, თმას ივარცხნის.

ირმა ჩემს მუხლებზე მოცოცავს – ვერ ძლებ მარტოკა, შე კუდრაჭავ შენა!

კანფეტისგან გაზინზლული ხელებით ჩემს სახეს ეპოტინება. პირს გვერდზე ვაბრუნებ. ცხვირს რომ ვერაფერი დააკლო, ყურს ჩაავლო ხელი, ექაჩება, თითქოს უნდა, სამახსოვროდ წაიღოს.

მატარებელი გაჩერდა. ხალხთან ერთად ნელა ვმოძრაობ გასასვლელისკენ, ირმა ხელში მიჭირავს.

უჰ! გამოვდივართ ბაქანზე, სუფთა ჰაერზე. მზე უკვე გადახრილა, სიცხემ იკლო.

ირმას ვსვამ ასფალტზე, დედა ჰკიდებს ხელს და ორივენი მიდიან. მეც უკან მივყვები.

სადგურიდან გავედით. ვემშვიდობები ირმას და მის დედას. ჩვენ სხვადასხვა მხარეს გვაქვს გზა. მალე ჩვენს შორის ხალხი ირევა, ძლივს მოჩანს პატარა ირმა. აი, ჩემსკენ მოიხედა. ხელს ვუქნევ, ის მიღიმის და საბოლოოდ იკარგება.

სახლისკენ მივაბიჯებ და ვფიქრობ: უახლოეს შაბათს უნდა გავემგზავრო სოფელში, ჩემი ბიჭები ვნახო. ერთი კვირაა, დიდედასთან არიან და უკვე მომენატრნენ...

1967

ძველი სახლი

მეხუთე-მეექვსეკლასელები: კახა (მეტსახელად "კვახა"), ნათელა (მეტსახელად "მელა"), ნათია (მეტსახელად "აჭია-ბაჭია") და ჩხუბისთავი ვაჟა (მასაც აქვს მეტსახელი – "ქონდარა მეფე", ოღონდ ვინ გაუბედავს დაძახებას!) ოქტომბრის უღრუბლო, ქარიან კვირა დღეს სხედან ზემო უბნის ორღობეში დაგდებულ წიფლის მსხვილ მორზე და მზეს ეფიცხებიან.

გამოჩნდა მათკენ ნება-ნება, აუჩქარებლად მომავალი მაღალი, შავწვერიანი ახალგაზრდა კაცი.

მორთან გაჩერდა, მოზრდილი ჩემოდანი და ხის საეტიუდე ყუთი მიწაზე დადგა.

– გამარჯვება, ყმაწვილებო! – ახალგაზრდა ბავშვების გვერდით ჩამოჯდა, შავი კეპი მოიხადა და მუხლზე დაიდო, მაგრამ ქარმა გრძელი თმა აუწეწა და მაშინვე ისევ დაიხურა.

ბავშვებმა სალამზე უპასუხეს და ცნობისმოყვარედ მიაჩერდნენ.

ახალგაზრდა ქვევით ფერდობზე გადაშლილ სოფელს გასცქეროდა, ხანაც გაყვითლებული ფოთლებით მოფენილ ორღობეს აკვირდებოდა; ბოლოს ბავშვებს სათითაოდ ღიმილით შეაცქერდა.

– რომელი ხართ ყველაზე ყოჩაღი?!. – ღიმილითვე იკითხა.

ბავშვები უხერხულად შეიშმუშნნენ.

– მე გოგი მქვია, მხატვარი ვარ და ბინას ვეძებ. ერთი-ორი კვირით ან, შესაძლოა, მეტი ხნითაც, თქვენი ლამაზი სოფლის სტუმარი ვიქნები. აბა, ვისი სახლი სჯობს, რომლისა ავირჩიო?

– ჩემი სახლი ახალია, – პირველმა უპასუხა თამამმა ნათელამ, – ბაღიც გვაქვს, ვენახიც... ყურძენი ერთი თვეა, დავკრიფეთ.

– შენ კარგი გოგო ჩანხარ და, რა თქმა უნდა, სახლიც ლამაზი და მშვენიერი გექნება.

– ჩემი სახლი უკეთესია! – ჯიბრით ამბობს კახა. – ჩვენ გარაჟიც გვაქვს, ჭაც, კიდე, მე მელია მყავს დაჭერილი... ჰო, ოთხი ბაჭიაც მყავს გალიაში!

მხატვარი ღიმილით უსმენს, გაეხუმრა:

– მერე, მელა და ბაჭიები ერთ გალიაში არ ჩხუბობენ?

– არა, მელა ცალკეა! – ფიცხლად გაეპასუხა კახა.

– ჩემი სახლი ამ უბანში ყველაზე დიდია! – თითქმის ყვირის ვაჟა და მორიდან წამოხტა კიდეც. – წითელი აგურისაა, ორი სართული ხომ გვაქვს დიდ-დიდი აივნებით, მაღლა კიდე მანსარდა და ქვევით სარდაფი გვაქვს დიდ-დიდი და მარანი კიდე ცალკე და სათბურიც და დიდი გარაჟიც და ორი მანქანაც გვაქვს და ჩვენთან წამობრძანდით!.. კიდე, თონეც გვაქვს ეზოში, გადახურული!

მხატვარმა გაიცინა და მოულოდნელად იკითხა:

– ყველაზე დიდი კი არა, ყველაზე ძველი სახლი ვის აქვს სოფელში?

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ყველაზე ძველი ვისია, არ ვიცით... – თქვა ნათელამ.

– აი, ნათიას სახლია ძველი, ხისაა! – იყვირა ვაჟამ (ეტყობა, ხმადაბლა ლაპარაკი არ შეუძლია) და თითი გოგონასკენ გაიშვირა. – ძალიან ძველია, სულ ჩაშავებულია!

– ხის? – იკითხა გოგიმ და თავდახრილ ნათიასკენ მიტრიალდა. – აივანიც აქვს?

ნათიამ თავი დაუქნია.

– ჩუქურთმებიანი?

გოგონამ კიდევ უფრო ჩარგო თავი მხრებში:

– ზოგან ჩამტვრეულია... ალაგ-ალაგ...

– ნათია და მისი ბებია მარტონი ცხოვრობენ, – წამოეშველა მეგობარს ნათელა. – დედა მოუკვდა და მამას ქალაქში სხვა ოჯახი ჰყავს.

გოგი კარგა ხანს გაჩუმებული იყო, მერე იკითხა:

— ნათია, აბა, დამანახე, რომელ მხარესაა შენი სახლი?

— ამ ორღობის ბოლოშია, სოფლის განაპირას.

— ბაღი გაქვთ?

— ძველი ბაღია, თითქმის გატყიურებული, — ისევ ნათელამ გასცა პასუხი.

— ტყეც ახლოს იქნება. ახლა ფოთოლცვენაა, ფერების ზეიმი... თუმცა, მართალი გითხრათ, მე გაშიშვლებული ტყე კიდევ უფრო მომწონს, — თქვა გოგიმ.

— კი... ტყე არც ისე შორსაა, — როგორც იქნა, ამოხედა მხატვარს თაფლისფერი თვალებით ნათიამ.

— კარგი გადასახედია? — შორს, მტკვარს იქით, კვერნაქის ქედს გახედა გოგიმ. — კეთილი, მაგას ადგილზე ვნახავთ, თუ, რასაკვირველია, შენს დიდედასთან მიმიყვან... მიმიყვან?

ნათია ისევ მიწას ჩააცქერდა, ოდნავ გაიღიმა მორცხვად.

— კახა-კვახა, კახა-კვახა! — იყვირა უცებ ნათელამ და ორღობეში მოკურცხლა. კახამ ყურადღება არ მიაქცია.

— წავიდეთ, — წამოდგა გოგი.

ვაჟამ საეტიუდე ყუთი მხარზე ცქვიტად გადაიკიდა. ჩემოდანს კახა ეცა, მაგრამ გოგიმ არ დაანება, მძიმეაო.

— მიყვარს ძველი, უფრო სწორად, ძველებური სახლები... მერცხლის ბუდეებიც არის აივანზე? — მიმართა გოგიმ ნათიას.

— არის, — უპასუხა ნათიამ, — ბევრი... მაგრამ ახლა შემოდგომაა, დიდი ხანია, გაფრინდნენ.

— მერე რა, გაზაფხულზე ხომ ისევ დაბრუნდებიან... მე მაშინაც ჩამოვალ, კარგი?

1990

გოჩას წყარო

ხომ მშვენიერი სიტყვაა — "წყარო"? მის გაგონებაზე რა კარგი, კეთილი გრძნობა გებადება! რამდენი ხალხისა და მწერლის შეთხზული ლეგენდა და თქმულება არსებობს წყაროებზე, მე კი მინდა, ერთი უბრალო ამბავი მოგითხროთ.

უჯარმაში, სანატორიუმის ეზოს კიდეზე, წყაროა, უფრო — პატარა გუბე ეთქმის, რომელშიც გამონაჟური წყალი გუბდება. გემრიელი წყალია, თანაც — კამკამა, სუფთა; ხალხი მიდი-მოდის, ამ გუბიდან წყურვილს იკლავს. ერთია ცუდი: ჭიქით ყოველი ამოღების შემდეგ გუბე იმღვრევა და მის დაწმენდას კარგა ხანი სჭირდება.

უყურა, უყურა ამ ამბავს ჯუმბერმა და სანატორიუმის დირექტორთან მივიდა.

— ზომებს მივიღებთ, — უთხრა დირექტორმა, — ჩემს მოადგილეს დავავალებ და გიგას გააკეთებინებს, მაგას წყალი არ გაუვაო.

გავიდა რამდენიმე დღე, წყაროს მოწყობა არავის დაუწყია. ნეტა ვინ არის ეგ გიგა, რატომ აგვიანებს? ჯუმბერი ახლა მიადგა დირექტორის მოადგილეს სამეურნეო ნაწილში:

— ბატონო ჩემო, წყაროს მივხედოთ, ხალხი წვალობს!

— გიგა არ მოსულა? ახლავე გავაგზავნი გიგასთან და მოვაყვანინებ!

გააქციეს ბიჭი, მალე დაბრუნდა მარტო, ოღონდ გიგას დაუბარებია — მოვალო.

მეორე დღესაც დაუძახეს გიგას, ისევ — ცოტა ხანში მანდ გავჩნდებიო — და არც ამჯერად გამოჩენილა.

ასე გაილია ერთი კვირა, დაიწყო მეორე, გიგა ვერაფრით ვეღარ მობრძანდა.

— მამიკო, ისევ დიდხანს უნდა ვუცადოთ იმ ვიღაც გიგას? გეხვეწები, მოდი, ჩვენ თვითონ გავაკეთოთ რა! — უთხრა ჯუმბერს გოჩამ, მისმა თოთხმეტი წლის ვაჟმა.

მოთმინების ძაფი ჯუმბერსაც გაუწყდა და შვილს უპასუხა:

— ის ვიღაც გიგა-ოსტატია, ეტყობა, დევსა ჰყავს დაჭერილი, როდის განთავისუფლდება, ვინ იცის. მართლაც, ჯობს, ჩვენ თვითონ მივდგეთ-მოვდგეთ და წყაროს მივხედოთ. წესიერად მოვაწყოთ, კაპტაჟი გავუკეთოთ და ყველაფერი, რაც საჭიროა. შენ წადი, ვინმეს ბარი და წერაქვი სთხოვე, მე მასალებს ვიშოვი, კარგი?

— ახლავე, მამიკო! — გაუხარდა გოჩას.

ისევ მიაკითხა ჯუმბერმა სანატორიუმის დირექტორს, მე თვითონ მოვუვლი მაგ საქმესო. დირექტორმა გამოიძახა საწყობის გამგე და დაავალა, მიეცი ამ კაცს, რაც კი დასჭირდესო. საჭირო კი იყო ბევრი რამ: ცემენტი, ხრეში, სილა, ფიცრები ბეტონის ჩასასხმელი ქარგილებისთვის, ლურსმა-

ნი, ცოტა რკინის არმატურა, მილიც, რასაკვირველია, აგრეთვე ძალაყინი, ჩაქუჩი, დიდი ვარცლი ბეტონის ხსნარის მოსამზადებლად, ორი ვედრო, ქაფჩა, შვეული... რაიმე ხომ არ გამომრჩა?

დაიწყეს მამა-შვილმა მუშაობა.

წყალი დროებით გვერდზე გადააგდეს პატარა არხით, შემდეგ შეუდგნენ ქარგილების დასაყენებლად საფუძვლის მომზადებას – მიწის თხრას.

წვალობს, ფიქრობს ჯუმბერი, როგორ ჯობს უკეთ გაკეთება ყველაფრისა, ჯახირობს, ეძებს გამოსავალს; უნდა, რომ თან კოხტაც გამოუვიდეს, რამდენადაც შესძლებს. გოჩაც მუყაითობს, თან მამასთან საუბრობს.

ამ დროს დაადგათ თავზე ვიღაც ახმახი ჯეელი:

– რას აკეთებთ?

– წყარო უნდა მოვაწყოთ წესიერად.

–ტყუილად რატომ წვალობთ, გიგას ვერ დაუძახებთ?

საათზე მეტ ხანს ქაქანებდა, თავი მოაბეზრა რჩევა-დარიგებებით ოფლად გახვითქულ მამა-შვილს.

ახმახი წავიდა და შვებით ამოისუნთქეს, რომ ახლა ჩაგოდრებული შუახნის ცნობისმოყვარე ქალი მობრძანდა. ამან რომ ლაილაი გააბა, ახმახი მასთან მოგონილი იყო, გაძლება არ გინდოდა? ბოლოს იკითხა:

– რატომ აკეთებთ?

ჯუმბერმა გაკვირვებით ახედა:

– რატომ? რა ძნელი მისახვედრი ეგ არის!

– იმიტომ გეუბნები, შვილო, რომ არაფერი გამოგივათ, გიგაა მაგის ოსტატი!

არ დაადგა საშველი გიგა-ოსტატის ხილვას, ცალი თვალით მაინც შეხედონ, ნახონ, რა კაცია!

მალე გამოჩნდა კიდევ ერთი უსაქმური – წვერგაუპარსავი კაცი.

– ნახე, თუ მაგანაც გიგა არ ახსენოს, – ღიმილით უთხრა ჯუმბერმა გოჩას.

– რაზე ირჯებით ტყუილუბრალოდ, მაგ საქმისა ქალაქელ კაცს რა გაგეგება, გიგას უნდა უთხრათ!

წვერგაუპარსავი ახარხარებულ მშენებლებს გაკვირვებული მიაჩერდა, რა ვთქვი ისეთი სასაცილოო.

ცოტა ხანში სეირის მაყურებლების ჯგრო მოიხვეტა მამა-შვილთან. ყაყანებდნენ, ფეხებში ებლანდებოდნენ და სახელგანთქმულ გიგას წამდაუწუმ ახსენებდნენ.

– მამიკო, გავანებოთ თავი, არც წყარო გვინდა და არც არაფერი! – ვეღარ გაძლო გოჩამ.

– მოიცა, შვილო, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ! – ჯიუტად განაგრძობდა საქმიანობას ჯუმბერი. – ეგრე ადვილად რომ დავანებოთ თავი ჩვენი მიზნის განხორციელებას, რა ვაჟკაცობა იქნება... ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ, არ მოსწყინდებათ?

მართლაც, ტყუილად დგომა და ქაქანი ირგვლივ შემოჯარულთ მალე მობეზრდათ. ჯერ ერთი მიეხმარათ ქარგილების დაყენებისას და ხელი შეაშველა, მეორემ ამ დროს ბარს წამოავლო ხელი, მესამე და მეოთხე ვედროებს დასწვდნენ – ხრეში არ გეყოფათ, დავამატებთო...

მალე გახურდნენ და, თაკარა მზის მიუხედავად, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიჩაუქეში; ქილიკ-ხუმრობით და ხალისიანი შეძახილებით საქმე მსწრაფლ წავიდა წინ. დროდადრო ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ და წაიჭიდავებდნენ კიდეც – არა, მე მინდა ეს ბარი, შენ ცოტა დაისვენეო.

ჯუმბერი და გოჩა სულ აღარ გააკარეს ბარსა და ნიჩაბს – შენ ოღონდ გვითხარი, რა გავაკეთოთ და როგორაო, დანარჩენი ჩვენზე იყოსო...

საღამოსპირს ბეტონი ჩასხმული იყო და სახელდახელო პატარა სუფრაც გაიშალა: მონარჩენ ფიცრებზე გადააფარეს გაზეთები, ზედ დააწყვეს შინიდან მოტანილი ღვინო და მწვანილი, ყველი და მწნილი, კიტრი და პომიდორი... გაიხლიჩა დედასპურები, სახელგანთქმული ხაშმური საფერავით შეივსო ჭიქები და სადღეგრძელოებიც მიჰყვა ერთმანეთს – როგორც წესი და რიგია.

– პირველად ჩვენი სტუმრები ვადღეგრძელოთ – ჯუმბერი და მისი ვაჟკაცი – გოჩა!.. როგორ გვაჯობეთ, როგორ იყოჩაღეთ, კაცო... სულ ეგრე მარჯვე და გამარჯვებული ყოფილიყავით, იხარეთ და იდღეგრძელეთ, ტკბილი სიტყვით და კეთილი საქმით თქვენც ბევრჯერ გაიხარეთ და სხვაც ბევრი გაახარეთ!

მერე ერთმანეთიც ადღეგრძელეს, მშობლები გაიხსენეს, დედმამიშვილები, ალალი კაცის გამრჯე მარჯვენა...

– ჩვენს ცასა და მიწას გაუმარჯოს, სადაც ასეთი გემრიელი წყაროები იცის და ასეთი მშრომელი ხალხი ცხოვრობს!..

დროდადრო ხან ერთი, ხან მეორე აჟუჟუნებულ თვალებს ღიმილით მოწკურავდა და ხმამაღლა იკითხავდა:

– ბიჯო, აბა ერთი გაიხედე, გიგა-ოსტატი ხომ არ მოდის?

წყაროს მონათვლაც მოხდა – ერთმა თქვა, ამიერიდან ამ წყაროს "ჯუმბერის წყარო" ეწოდოსო, მაგრამ ჯუმბერი არ დაეთანხმა:

– არა, ძმაო, ამ წყაროს, სანამ სული უდგას და არ დაშრება, "გოჩას წყარო" ერქვას – მაგან შემაგულიანა! გოჩა დღეს მაგრად დავამშიე, ხელისგულებზეც გემრიელი კოჟრები დააჯდა და აბა ერთი თუ დაიჩივლა!..

მესამე დღეს, როცა ბეტონი შემაგრდა, ნაგებობას ფიცრის ქარგილები მოხსნეს და შელესეს კიდეც. მილიდან გადმოსჩქეფდა ცივი წყალი და მის ცოტა ზემოთ კი, სანამ შელესილი ჯერ საკმაოდ რბილი იყო, ლურსმნის წვერით კოხტად ამოკაწრეს:

"გოჩას წყარო".

1992

ომალო

ომალო...

თითქმის ერთი წელი გავიდა, რაც თუშეთში, ომალოში ვიყავი. ის რამდენიმე გამორჩეული დღე, ლამაზად შემოჭრილი წუთისოფლის ჩვეულებრივ, ნაცრისფერ მდინარებაში, ახლაც ხშირად მახსენდება: აგვისტოს დილიდანვე დასიცხული თბილისი, კახეთის გზატკეცილზე ცხელი ქარის შემოფეთება სახეზე (სატვირთო მანქანის ძარაში ვზივარ ორ ამხანაგთან ერთად), უჯარმა, ალაგ-ალაგ ტყე-ბუჩქნარით შეფენილი გორაკები, გომბორის აღმართი და უღელტეხილზე პურის ჭამა, ფსიტის ციხე, თელავში ღამის გათევა... დილის ბაზარი თელავში, მომაჯადოებელი ხედი – ალაზნის ველი და დაღესტნის მთები; მერე ისევ გზა და გზა... სოფელი ფშაველი, ზღაპრული სტორის ხეობა, თორღვას აბანო, გაუთავებელი დაკლაკნილი აღმართი, უბედურად დაქანებული ფერდობები, მანქანიდან გადახედვისა რომ გეშინია; როგორც იქნა, უღელტეხილი და – თუშეთის ხედი: ვიწრო ხეობა და მთები, მთები, მთები... დიდებული ამინდი – მზეზე ბრწყინავს დათოვლილი მწვერვალები, გრილი ნიავი აქანავებს ალპურ ყვავილებს... დაღმართი, მერე მდინარეს ვეჯიბრებით რბოლაში, თვალი ხარბად აკვირდება წიწვოვნებით შეფენილ ციცაბო ფერდობებს და აი, სადღაც, უსაშველო სიმაღლეზე, თუშური სოფელი გამოკრთება... აღმართი, დაღმართი, ხიდები, ისევ აღმართ-დაღმართი, ისევ თუშური სოფლები ზევით, მაღლა – "არწივის ბუდესავითა", ციხე-კოშკები და მთები, მთები, მთები... ფერდობებით შებოჭილი ხეობა უცებ გაიშლება და – ომალო!..

საკმაოდ დიდი, შედარებით სწორი ზეგანი, ზეგნის კიდეზე ჩარიგებული ძველი და ახალი სახლები, რაღაც საწყობები, შვეულმფრენის დასაჯდომი მოედანი, უკვე გადაყვითლებული ქერის ყანები; გორაკებზე – ციხე-კოშკები; მანქანები, ტრაქტორები, ხალხი მიდი-მოდის...

თუშეთის კვალობაზე დიდი სოფელია ომალო.

მრავალსაათიანი ჯაყჯაყისგან გამოსავათებულნი, უცებ გამოვცოცხლდით, ვდგავართ შუაგულ სოფელში და გარშემო ყველაფერს თვალებით ვჭამთ. რა თქმა უნდა, არც მანქანა-დანადგარებს, არც შვეულმფრენს მივაჩიჩინდით მაინცდამაინც, კახეთის მხრიდან რომ გამოჩნდა – ჯერ გუგუნი მოისმა, მერე წერტილად დააჩნდა ზეცას, გაიზარდა, გამოება კუდი; მერე სადღაც გვერდით გაუხვია, ჩამოყვინთა ხეობაში, ნელ-ნელა ნახევარწრე შემოხაზა და დაჯდომისას მტვერი აიტაცა ჰაერში...

ველაპარაკებით გამვლელ-გამომვლელთ, უმეტესად შოფრებს (მანქანისთვის ზეთი გვჭირდება), ცხენებიან პანკისელ ქისტებს.

და ამ დროს... ამ დროს დავინახე ის, რაც თითქმის ერთი წლის შემდეგაც ცხადად, მკვეთრად ამოტივტივდა ახლა მეხსიერებაში და ხელში კალამი ამაღებინა, იმდენად, შთამბეჭდავი იყო, ამასთანავე სრულიად უბრალო, დანარჩენებისთვის, შესაძლოა, ყოველგვარ ინტერესს მოკლებული.

მაშ ასე: ჩვენგან დაახლოებით ორას მეტრში ბიჭი თავდაღმართში მიაგელვებდა ქურანა ცხენს – რაღაც უჩვეულო გამეტებით მიაჭენებდა; ქარი ბიჭს თმებს უწეწავდა და ცხენის ფაფარს მიაფრიალებდა. ისეთი ჟინი და ატაცება ჩანდა ცხენ-მხედრის გავეშებაში, რომ წამით შიშის ნაპერწკალმაც გამკრა გულში – ვაითუ წაიბორძიკოს ცხენმა და...

კიდევ უფრო დავიძაბე, რადგან გაფრენილი ცხენ-მხედარი ახლა ოქროსფერ, ქარისგან აღაღანებულ ქერის ყანაში შეიჭრა და გულდაგულ მიცურავდა (რატომღაც სანახევროდ ჩანდნენ, ნუთუ ქერის ყანა ასეთი მაღალი იყო?); თითქოს მესმოდა ბიჭის ყიჟინა, ვხედავდი მისი მაღლა ამართული მათრახიანი ხელის ტრიალს, ცხენის თავის აჩქარებულ რიტმულ რხევას, ვგრძნობდი პირუტყვის გაფართოებული ნესტოებიდან ქშუტუნით გამოსროლილი ცხელი ჰაერის სიმხურვალეს...

ეს ხატი ალბათ სულ რამდენიმე ათეულ წამს თუ გრძელდებოდა, მაგრამ მე უსაშველოდ გაწელილი მომეჩვენა. და აი, ბიჭიცა და ცხენიც რაღაც ხე-ბუჩქებს მიეფარნენ და აღარც გამოჩენილან. მე კი ვიდექი და ჩემი თავდაპირველი შეძრწუნება აღტაცებამ შეცვალა...

კაციშვილს არ მიუქცევია ყურადღება ამ მართლაცდა ჩვეულებრივი ამბისადმი. მე გამეცინა კიდეც საკუთარ თავზე – ნუთუ ასე შეიცვალა ქალაქელი კაცის ფსიქოლოგია, რომ ღირსშესანიშნავს ხედავს იმაში, რაც საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრებისთვის ყოველდღიურობას წარმოადგენდა?..

...ზღაპრული ღამეც გავათიეთ მღვრიე, მბორგავი თუშეთის ალაზნის ნაპირზე, თბილისამდე უკანა გზობაზეც ბევრი საინტერესო შეგვხვდა, მაგრამ ახლა, როცა იმ მოგზაურობას ვიხსენებ, უპირველესად და ყველაზე ცხადად სწორედ ის ნახევარი წუთი წარმომიდგება თვალწინ: ბიჭი თავდავიწყებით, უგზოუკვლოდ მიაჭენებს ქურანა ცხენს – ერთ არსად ქცეული თავისუფლება და სილამაზე!

1987

წყარო

კარლო გეგელიძეს

არაგვის ჭალაში, ბულაჩაურს ქვემოთ, მე და კარლო ქაცვსა ვკრეფთ. დავაგვიანეთ, რასაკვირველია, – ნოემბერია, ბუჩქები გვარიანადაა გაკრეფილი; რაც შერჩა ნაყოფი, ისიც გადამწიფებულია და ყინვით დამზრალი.

მონარჩენებს მაინც ვკრეფთ უხალისოდ, უფრო კი აქეთ-იქით დავხეტიალობთ.

ფშანი – წყალდიდობისას კუთხე-კუნჭულებში მინასილი და ათასგვარი წვრილი ტოტებითა და ხარახურით ავსილი; ჯაგების ფოთოლგაცვენილ ტოტებში გამოჩენილი კოხტად მოწნული ბუდეები, იალღუნის ჯერ კიდევ მწვანე, გაქუცული მომცრო ბუჩქები, ვერხვთა სიყვითლემორეული, ნიავით აქანავებულ-აკანკალებული ფოთლები; ჭალის ზევით კი – მოიისფრო-მოწითალო, ნაზად აღუებული გორაკთა ფერდობები, ჯაგრცხილის, შავმუხის, კუნელის შავად გაფარჩხული, ჩია ტანის ხეები, უფრო ბუჩქები რომ ეთქმით.

ასე მივსეირნობ ნება-ნება, ხანდახან ასკილის მწიფე, კანფეტივით ჩამტკბარ, დარბილებულ ნაყოფს ვწყვეტ და ვაგემოვნებ; მაყვლის მთელ კუნწულებს ბაღის მაკრატლით ვჭრი და პარკში ვყრი (მაყვალი ახლა იწყებს ალაგ-ალაგ დამწიფებას, ასე რატომ აგვიანებს?).

უცებ ლიკლიკი მესმის, გუბურაც შემხვდა; ჭაობის ხასხასა მცენარეულობა თვალში მეცა გადამხმარ-გადაყვითლებული ბალახების შემდეგ.

ჭანჭრობში ღია ფერის მშრალი ბილიკი მოჩანს...

წყარო!..

ფლატეა, ორი-სამი მეტრის სიმაღლის რიყნარი და მისი ზემო ნაწილიდან საამოდ მოჩხრიალებს წყარო – უკვე შესამჩნევად გამოუნგრევია თითქმის შვეული კედელი და პატარა მდვიმესავით შეუქმნია. წყაროს თავზე გადმომხობილა ნიადაგის ფენა ჯაგრცხილის, შინდის, ჩია მუხის ფესვებით დაჭერილი; ეს ყავისფერი ფესვები ნიადაგს ქვევითაცაა გამოშვერილი ჰაერში, ალაგ – ღოჯებად, ალაგ – მეჩხერი წვერებივით, რომელიც ნიავზე ქანაობს.

თითქოს საგანგებოდ, მოზრდილი წნორი ამოზრდილა-აქოჩრილა ფლატის ძირში, ზედ ღვედკეცი და ეკალა ამძვრალან, მომძლავრებულან და კარგა ხშირი საბურვლით გადაუფარავთ ტოტები.

უცებ საიდანღაც მინდვრის თაგვი გამოცუნცულდა ფლატის ძირში, სუსტ შრიალად მისწვდა ჩემს სმენას ნაფხვენის ჩამოშლის ხმა... იყო კი მართლა თაგუნა თუ მომეჩვენა? სწრაფად მოხდა ყველაფერი და ისევ ისე მონოტონურად მოჩხრიალებს წყარო, ისევე გადმომდგარან ფლატის თავზე გაყვითლებული ან გამხმარ-გაყავისფერებული შინდი და კუნელი, ჯაგრცხილა და შავმუხა, ისევ ისე დამბზუის კოღოების ჯარი... სადღაც ჩიტი გალობს, მეორე წრიპინებს საწყალობლად, მესამე ჟიკჟიკებს უდარდელად, გვიანი შემოდგომის წყნარი და თბილი დღით გახარებული...

პატარა ღარს პეშვი შევუშვირე, ცივ წყალს დავეწაფე, შემდეგ სახეზეც შევისხი და კისერზეც.

ჩამოვჯექი გრილ ქვაზე.

ისმის არაგვის ნელი დუდუნი, სამხედრო გზის ზუზუნი, სადღაც ძაღლი წკავწკავებს, ვიღაცეები ისე ხმამაღლა ლაპარაკობენ, აქამდე აღწევს მათი ხმა, თუმცა სიტყვების გარჩევა შეუძლებელია.

მზე თვალს მიკრავს – ხან გამოანათებს ლეგა ღრუბლებიდან, გამითბობს სხეულს და სულს, ხან დაიმალება, გარემო ჩამუქდება და საგრძნობლად აგრილდება.

შორს საგურამოს ლურჯი ქედი იზმორება.

გვიანი შემოდგომა ფერად-ფერადი კაბით მობრძანებულა.

როგორ გამეხარდა, წყაროვ, შენი ნახვა – მარადიული განახლების, დაუშრეტელი იმედის, მაცოცხლებელი დასაწყისის ნიშან-სიმბოლოვ!

1987

თუთა

დედაჩემს, ვენერა ცხოიძეს, ძველ მეთუთეს

სოფელში აღარავის ახსოვდა, ეს უზარმაზარი თუთის ხე რა დროიდან იდგა თამარისა და ალექსანდრეს ეზოში. მაღალი და ტანმსხვილი, გაბარჯღღული ტოტებით ეზოს მოზრდილ ნაწილს ფარავდა, ცალ მხარეს კი მის ტოტებქვეშ სახლი შეყუჟულიყო, თითქოს წიწილა შეჰკედლებიაო კრუხს.

თუთას ბევრი რამ ახსოვდა. ახსოვდა, როგორ უწყრებოდნენ ალექსანდრეს მამას, გიორგი პაპას, ბიჭობაში მშობლები – ბალღო, ხეზე სახურავიდან რომ მიძვრები, კრამიტი არ ჩაამტვრიო, თორემ ვაი შენი ბრალიო. შემდგომ ასევე უჯავრდებოდა გიორგი პაპა თავის შვილებს... წლები მიდიოდა, თუთის ხის ტანი კი სულ მსხვილდებოდა, ნაყოფსაც უფრო ტკბილს ისხამდა. ახლა თამარისა და ალექსანდრეს ბავშვები იყენებდნენ მოხერხებულ გზას მშობლებისგან მალულად თუთაზე ასაძრომად.

დიახ, თუთას მრავალი რამ ახსოვდა: შეჩვეულიც და მოულოდნელიც, ტკბილიცა და მწარეც, გულის ამაჩუყებელიცა და ბოღმით ამავსებელიც...

ყოველ წელს, მაისში, მის ტოტებს მთელი დღე გაბმულად დაჰბზუოდნენ ფუტკრები, ფუსფუსა ჭიანჭველები გამალებით დაცოცავდნენ ზევით-ქვევით თუთის ხორკლიან ტანზე. ბეღურებს ხომ სტუმრობას ვერავინ დაასწრებდა – ადრე დილიდანვე პირველები გაჩნდებოდნენ, ჰქონდათ ერთი ჟივჟივი და ფრთების ფართქალი. იცოდნენ, მალე ხეს ჟრიამულით შეესეოდა ბიჭბუჭობა, ქვევიდან კი გოგონები ამოსძახებდნენ – დაარხიეთ, დაარხიეთო. ბიჭებიც არ დაიზარებდნენ და მოლზე გაფენილ გაზეთებსა თუ მუშამბაზე ასტეხდა წკაპაწკუპს თუთის სეტყვა. უფროსებიც ვერ სძლევდნენ ცდუნებას და აქეთ მოეშურებოდნენ...

მალე დგებოდა ცხელი ზაფხული. სათუთად მოვლილ ეზოსა და ბაღს საღამოობით სარწყავი რუებით დაურბენდა წყალი, სიგრილესა და სიცოცხლეს მოჰფენდა აქაურობას. თუთის ქვეშ გრძელ სკამზე ჩამომსხდარი მეზობელ-ახლობელნი ლაპარაკით ირთობდნენ თავს, თუთასაც უზიარებდნენ განცდილსა და გაგონილს; ხანაც ზღაპრით მოაჯადოებდნენ, ან სასაცილო ამბით გაამხიარულებდნენ. ღამე ლეკის შავი მთებიდან ამოიხედავდა მთვარე, შეათვალიერებდა ვარსკვლავთა ჯარს და ალაზნის ველს დაადგებოდა ნათელ გვირგვინად... განთიადისას კი, მამლების მომხმობ ყივილში, უკვე გალურჯებული მთებიდან ამოიჭყიტავდა მზის თვალი და მამლის კუდივით ფერადოვან სხივებს გადმოაფენდა არემარეს. ახმაურდებოდა სოფელი, ავარდებოდა ბუხართა თავებიდან ნაცრისფერი სვეტი ბოლისა, აჭრიალდებოდა ორღობეებში ურმები, მიაშურებდა ხალხი ზვრებსა და ყანებს, რათა მიწასთან ჭიდილში გახურებული სახიდან ოფლის მარგალიტები ეპკურებინათ მიწისთვის – ეს ხომ ერთიორად დაატკბობდა მოწეულ ლუკმას... თუთა კი იდგა შეურხევლად, მხოლოდ საღამოსპირს ააშრიალებინებდა ნიავს ფოთლებს, თითქოს გლეხკაცს უხმობდა – დროა, შინისკენ გამოუდგეთ გზას, თან არ დაგავიწყდეთ თან საზამთროსა თუ ნესვის ამოიღლიავებაო. ხანდახან ახლაც ესტუმრებოდნენ თუთას გრძელი კიბით, როცა აბრეშუმის ჭიისთვის ფოთოლი შემოაკლდებოდათ.

მერე შემოდგომაც მობრძანდებოდა, ათასგვარ სასიამოვნო საზრუნავს მატებდა სოფელს, ააფუსფუსებდა დიდ-პატარას. თუთის ხეს კი არ სწყინდებოდა სულ ერთ ადგილას დგომა – ყველაფერს ხედავდა მთელ სოფელში; იცოდა, რომელ ეზოში იკრიბებოდნენ ბავშვები სათამაშოდ, ვის ბაღში იპარებოდნენ განსაკუთრებით გემრიელი ვაშლის გასასინჯად. მთელი სოფელი სიმღერით შეესეოდა ვენახებს, ბაღებს, ყანებს; აავსებდა დიდრონ გოდრებს რქაწითელითა და საფერავით, დაახვავებდა ზვინებად სიმინდის ტაროებს, ვაშლისა და მსხლის მთებს მიუჩენდა ადგილს სხვენში – კაკალსა და ლობიოსთან, ჩირებსა და ჩურჩხელებთან, ხახვისა და ნივრის გალებთან... ბოლოს კი მათ გვერდს დაუმშვენებდა სურნელოვანი კომშიც.

ეზო ნელ-ნელა ფერად-ფერადად მოირთვებოდა, ყვითელ-ნარინჯისფერი და მეწამული ფოთლები დროდადრო მოსწყდებოდნენ მშობელ ხეებს და ფარფატით მიწას მიაშურებდნენ. თუთის ტოტები ყველაზე ბოლოს გაშიშვლდებოდა – დილის პირველი ყინვების შემდეგ. ხე გულს ჩაიხვევდა, გაირინდებოდა, აღარ აშრიალდებოდა ცივი ქარის შემობერვაზე, მხოლოდ ტოტებს შეარხევდა და მასზე შემომჯდარ მობუზულ ბეღურებს ააქანავებდა.

ოჯახში გახშირდებოდა სტუმრობა. თუთას განსაკუთრებით უყვარდა მოსმენა ფანჯრიდან ლაზათიანად გადმოფრქვეული ჩახლართული კახური მრავალჟამიერისა, კახურ ღვინოსავით მსუყესი, მძაფრისა და მათრობელასი.

ერთ დილასაც არემარე თოვლით შებურული ხვდებოდა. ტოტებდაფიფქული თუთა უყურებდა ბავშვების ხალისიან გუნდაობას, ფაფუკ თოვლში კოტრიალს; სიამოვნებდა, როცა თუთის ქვეშ დარაჯად დგამდნენ თოვლის პაპას, რათა თუთას არ მოსწყენოდა და მოსაუბრე ჰყოლოდა, მეტადრე ღამღამობით, როცა სოფელს მოახლოებული მგლები და ტურები უსმენდნენ ძაღლების გამეტებულ მჭახე ყეფას გაყინულ ჰაერში – თუ არ თოვდა, ან ყრუ, დაგუბებულ ღავღავს – თუ ფანტელები უხვად იბნეოდა ციდან.

მერე გრძელი მოსაწყენი ღამეები თანდათან დამოკლდებოდა, მზე სულ უფრო დიდი ხნით გამოჩნდებოდა, თვალისმომჭრელად აციალდებოდა ხოლმე თოვლზე; ალაგ-ალაგ გაუბედავი ნაკადულებიც აიდგამდნენ ფეხს, თუმცა, შესაძლოა, იმავე ღამით ყინულად ექცია სიცივეს. და მაინც მიწაში ღრმად წასული ფესვები უკვე გრძნობდნენ გაზაფხულის მოახლოებას... ადრე თუ გვიან, მზის მხურვალებით ჟრუანტელდავლილ ტოტებში მაცოცხლებელი დენი ამოძრავდებოდა, დაივლიდა ყოველ უჯრედს და მალე დაბერილი კვირტებიდან მორცხვად გამოიჩეკებოდნენ პირველი ხასხასა ფოთლები.

თუთაც საქმეს შეუდგებოდა; ყოველდღე უფრო მეტსა და მეტს შრომობდა, იკრებდა ძალ-ღონეს, რათა მაისში პირველი გამასპინძლებოდა მოუთმენარ სტუმრებს...

ასე მისდევდა წელი წელს. სოფელი განში იზრდებოდა, შვილები ბავშვობას ეთხოვებოდნენ, მშობლები ხუცდებოდნენ, ნაწილი ხალხისა იმ ქვეყანას მიდიოდა, უფრო მეტი – იბადებოდა... თუთასაც ემატებოდა ხანი; ხე მაინც არ აპირებდა ფარ-ხმალის დაყრას, უფრო მეტ ტკბილ ნაყოფს ისხამდა.

თუთას ჯერ არ მოსწყენოდა ყურება ფერადოვანი ველისა, სოფლის წითელი და თეთრი სახურავებისა, ლურჯ ცაზე მოგზაური ღრუბლების ცვალებადობისა, მოსმენა ქარის სისინისა, გაწვდილი ტოტებით შეხვედრა ნანატრი წვიმისა. ჯერ ისევ იზიდავდა სოფლის ყოველდღიურობა, წელიწადის დროთა ცვლა, თითოეულს რომ თავ-თავისი განსხვავებული ფერი, გემო და სუნი ჰქონდა... იდგა თუთა თამარისა და ალექსანდრეს ეზოში, სუნთქავდა, ფიქრობდა და ყოველთვის გულჩათხრობილი იყო, არავის უზიარებდა გულისნადებს, ხანდახან ფოთლებს თუ ააშრიალებდა.

ერთ ცხელ დღეს განსაკუთრებული სიჩუმე ესტუმრა სოფელს, შინაგანად დაძაბული და შფოთიანი. თუთამაც იგრძნო ეს და ყური გაფაციცდა.

ღამით კიდევ უფრო იგრძნო მღელვარება. ალექსანდრე და მისი უფროსი ვაჟი, შავტუხა მხარბეჭიანი ვაჟკაცი, დილამდე ისხდნენ თუთის ქვეშ გრძელ სკამზე, ხმადაბლა იშვიათად თუ გადაულაპარაკებდნენ ერთურთს, რათა შინაურები არ შეეწუხებინათ. თუთის ხემ იცოდა, რომ თამარიც უძილოდ იწვა ლოგინში და თვალი მიეშტერებინა სიბნელისთვის. გიორგი პაპა დროდადრო ჩაახველებდა, ეტყობოდა, არც მას მიეკარა რული... მხოლოდ ბავშვები სწვეოდნენ ძილის ქვეყანას.

ნაცრისფერი ბოლის დაკლაკნილი ჭავლი მაღლა მიძვრებოდა, გზას მიიკვლევდა თუთის ხშირ ფოთლებში. იმ ღამეს ბიჭი პირველად ეწეოდა თამბაქოს მამასთან.

სათუთუნე დაცარიელდა; აგერ, აღმოსავლეთით, ცის შავი კიდე ნაცრისფრად შეიმღვრა, მამლებმა ყივილს უხშირეს. სოფელმა ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა.

განშორების ჟამი დადგა.

წასვლისას მამამ და შვილმა პაპა, ქალი და ბავშვები ჩაჰკოცნეს, ჭიშკართან მისულები კიდევ და კიდევ გადაეხვივნენ ერთმანეთს... ბავშვები ატირდნენ, ქალსა და პაპას უხმო ცრემლებით დაეხაზათ სახეები.

ბოლო წამს ალექსანდრე სწრაფად შებრუნდა ეზოში, ჩრდილიანი ბილიკით თუთასთან მივიდა და ხელი მოუთათუნა, თითქოს უსიტყვოდ აგრძნობინა, ოჯახს შენი იმედით ვტოვებ, აბა, შენ იცი, როგორ მოუვლიო. რამდენიმე წამს გაყუჩდა, შემდეგ ოდნავ დაიხარა, ხის ხაოიან გრილ ტანს ტუჩებით შეეხო და სირბილით გასწია უკან.

იმ დღიდან მამა-შვილი თუთას აღარ უნახავს.

შემოდგომა და ზამთარი ოჯახმა და თუთამ ნატვრითა და მოლოდინით გალიეს.

გაზაფხულიც ესტუმრა სოფელს და მაისში თუთაზე ძველებურად დამწიფდა თეთრი, მსხვილი, თაფლივით ნაყოფი. ბავშვებს დღისით უკვე აღარ ეცალათ ტოტებზე საძრომიალოდ, მოზრდილებთან ერთად მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში საქმიანობდნენ. საღამოობით კი მთელი უბნის დამშეული გოგო-ბიჭები დაეხვეოდნენ თუთას და ისიც ცდილობდა, გულუხვი ყოფილიყო, არავინ დაეტოვებინა გულნაკლული ამ გაჭირვების ჟამს. ის კი არა, თამარმა ზამთრისთვისაც დაიჭირა თადარიგი და საკმაოდ დაახმო თუთის ნაყოფი, ბადაგიც დაამზადა, ტკბილი კვერებიც...

ზაფხული ცხელი დაიჭირა. ბაღჩა-ბოსტნისა და ეზო-ბაღის მორწყვა საშური საქმე გახდა.

ერთხელ კვირა ისე გაილია, რომ ეზოს რუებში მაცოცხლებელი წყალი არ გამოჩენილა. მიწა დასკდა, ხეებმა და ვაზმა მოიწყინეს, მხოლოდ თუთა არ იმჩნევდა ჯერჯერობით გასაჭირს. ის კარგად ხედავდა, როგორ აუყვა დამშრალ კალაპოტს თამარი ბარით ხელში, სათავეში გვერდზე გადაგდებული წყალი ისევ ძველ გზას გაუყენა. მეზობელი ბაღიდან ხანში შესული, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანიანი, შავსახიანი კაცი გამოვარდა გინებით და ქალის ბარს ეცა. შეიქნა ძიძგილაობა, მერე წყალმა ისევ გვერდით იწყო დენა, კაცის მუქარა და ქალის ტირილი ერთმანეთში აირია. ბავშვები და გიორგა პაპა ჩხუბის ადგილისკენ გამოეშურნენ, მაგრამ გამგელებულ კაცთან, აბა, რას გააწყობდნენ... მალე ნახევარი სოფელი შეიკრიბა იქ. თუთა სულ ფეხის წვერებზე დგებოდა და მაინც ვეღარ ამჩნევდა ხეირიანად, რა ხდებოდა. ის კი კარგად დაინახა, როგორ გაიძურწა ორღობეში მხრებში თავჩარგული შავსახიანი და ხალხი წყევლას აყოლებდა უკან. წყალმა ძველი, ნაჩვევი გზით იწყო დენა თამარის ეზოსკენ და სოფლელებიც თავ-თავიანთ საქმეს დაუბრუნდნენ. თუთამაც შვებით ამოისუნთქა...

ზაფხული გაილია, მტევნებში სიტკბო ჩადგა.

და აჰა, სექტემბრის მიწურულის ერთ წყნარ დღეს, დილიდანვე დაიძვრის ზვრებისკენ დედაწულიანად მთელი სოფელი: კაცი და ქალი, მოხუცი და ბავშვი, ცხენის რახრახა ურმები, მოჩაქჩაქე ყროყინებზე რიხიანად გადალაჯული კაცები; ცარიელი გოგროხებით, გოდრებით, კასრებით, ვედროებით, კალათებით დატვირთულ ურმებს ხალისიანად მიაჭრიალებენ აგურისფერი ხარები; ურმების ბოლოზე გამობმული შავი თიკნები და ცხვრები კიკინებენ ან ბღავიან თავიანთი უკანასკნელი საათის მოლოდინში. ყველაზე უკან მტვერსა და ბუღში მოძუნძულებენ ენაგადმოგდებული ძაღლები...

მალე ავარდება ალი ვენახის ბოლოში, გამომშრალ მიწას ხასხასა წითლად დაეპკურება სისხლი, აშიშხინდება მწვადები და შუადღისას, მწიფე ყურძნის სურნელით, მზის მცხუნვარებითა და დაღლით გაბრუებული მკრეფავები ხუმრობითა და სიცილით ხალისიანად შემოუსხდებიან გვალვიანი ზაფხულით ფერშეცვლილ ბალახზე გაშლილ სუფრას; მოუსინჯავენ მოხარშულ კვერცხებს ნაჭუჭის სიმაგრეს, აახლეჩენ ბარკალს მრგვლად მოხარშულ ვარიას, შამფურს წააცლიან ცხელცხელ მწვადს, ჭიქებში აელვარდება ქარვისფერი კახური და პირველი სადღეგრძელოც წარმოითქმის: ამ წლის ბარაქისა, გლეხკაცის შრომის დაფასებისა და მომავალში კიდევ უკეთესი მოსავლისა...

დასვენების შემდეგ კი – ისევ ვენახის რიგებშუა წამდაუწუმ დახრა, ხელის შევლება გატიკნილ მტევანზე, დანით მცირე მოძრაობა და კალათში ბარაქის მატება...

თუთასაც ყველაზე მეტად უყვარდა რთველი, როცა ყველა მხიარული და ბედნიერია. შორიდან უცქერდა ვენახებში ხალხის ჟრიამულს, ისიც სულითა და გულით თამარის ოჯახთან იყო; ერთი სული ჰქონდა, სანამ საღამოს ისევ შეხვდებოდა მათ... ამიტომ გვიან შეამჩნია, რომ ჭიშკრიდან დაუპატიჟებელი სტუმარი შემოპარულიყო – შავსიფათიანი – და ქურდულად იხედებოდა აქეთ-იქით. ნაჯახის პირველი შემოქნევა და – თუთა შეირხა, მწვავე ტკივილისგან დაიკვნესა...

როცა გვიან საღამოს თამარი და ბავშვები ეზოში შემოვიდნენ, რაღაც დიდი და უჩვეულო სიცარიელე იგრძნეს – თუთა აღარ შეგებებია მათ ჩვეული შრიალით. უკვე ოდნავ შემჭკნარფოთლებიანი ტოტები დაეხარა, თითქოს სურდა, დაეფარა გადაჭრილ ტანზე თეთრად მოკიაფე იარა. მიწა კი ირგვლივ ნაფოტებით იყო მოფენილი...

იმ ღამეს თამარსა და ბავშვებს რა დააძინებდათ.... გიორგა პაპას კი, რომელიც, დაღლილი, ვენახში დარჩა ჩალით გადახურულ ბუდრუგანაში, ესიზმრა, თითქოს გაზაფხული იდგა, ის კი ბიჭი იყო და მთელ დღეს ნაყოფით დახუნძლულ თუთაზე ამძვრალი ატარებდა...

ზამთარი ადრე მობრძანდა – ცივი და გრძელი. და აღარ ათოვდა თუთას, არც ქარი არხევდა მის ტოტებსა და რტოებზე შემომსხდარ აბუზულ ბეღურებს, რადგან აღარ იყო თუთის ხე.

უცნაური იყო სიცარიელის ხილვა მის ადგილზე და როდის შეეჩვეოდნენ ამას – ღმერთმა უწყის...

ყოველ საღამოს მთელი ოჯახი იკრიბებოდა ბუხართან, ტკბილ კვერს ან გამხმარ თუთას შეექცეოდნენ, პაპა გიორგა კი თითო-თითოდ უკეთებდა ცეცხლს შეშას და ჩუმ ოხვრასაც თან ატანდა.

ცეცხლის ენები ჯერ ფრთხილად ლოკავდნენ თუთის ხის ნაჭერს, შემდეგ ხარბ, ცეცხლოვან ყბებად იქცეოდნენ და მადიანად, შიშინ-ტკაცუნით თანდათან ნთქავდნენ.

ოთახში თბილოდა, გაუმთბარი ფიქრები კი თავს დასტრიალებდნენ ოჯახიდან დროებით წასულებს და სამუდამოდ წასულს – თუთას...

1972

სიმღერა

გაზაფხულის თბილი საღამოა. წყნარ ჰაერში დაბერილი კვირტების მომწარო-დამათრობელი სუნი ტრიალებს.. ქალიშვილები გუნდ-გუნდად დასეირნობენ, დიდ-პატარა ეზოებში გამოფენილა და თვით ქუჩაც კი თითქოს რაღაც კარგის მოლოდინით არის აღსავსე. ჩიტების მხიარული ჭიკჭიკი ბავშვების უდარდელ სირბილსა და სიცილ-კისკისს ეხამება.

გამოღებულ ფანჯარასთან ვდგავარ.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე, ხუთსართულიანი სახლის სადარბაზო შესასვლელის წინ, სამი ახალგაზრდა საუბრობს, მალე მეოთხეც ემატებათ. კარგა ხანია, მათი შიგადაშიგ სიცილგარეული ლაპარაკი მესმის, ან კი შეიძლება, რამდენიმე ქართველი (ნებისმიერი ასაკისა, მით უფრო – ახალგაზრდა!) ერთმანეთს შეხვდეს, საუბრობდნენ და დროდადრო სიცილმა არ იფეთქოს?

უცებ ნელ-ნელა შეჰყვებიან ღიღინს, ერთმანეთს ხმას უწყობენ. თანდათან შედიან ეშხში, ხმას უმატებენ, გახურდებიან, გალაღდებიან, დააგუგუნებენ "მრავალჟამიერს"... არა, ნასვამებს არ ჰგვანან, ალბათ გაზაფხულის გემრიელი საღამოს ბრალია...

დინჯად, დაგემოვნებით დაეწაფებიან სიმღერის სავსე თასს და წყურვილი კი სულ უფრო უმძაფრდებათ. თითქმის შეუსვენებლად ახლა მეორე სიმღერას მოუნაცვლებენ – "ჩაკრულოს". ურთულესი სიმღერაა, მიკვირს, როგორ ძალდაუტანებლად, თავისუფლად ჩაახვევენ ხმებს, ულამაზეს მიმოხვევებს ჰარმონიულად ჩააწნავენ ერთურთს... გატაცებით მიჰყვებიან სიმღერის მდინარებას, მხოლოდ სიამოვნებას კი არ განიცდიან – თავდავიწყებას.

მესამე სიმღერა... მეოთხე... მეათე...

გასაოცარია!

არც დაღლას გრძნობენ, არც – მოყირჭებას: თვალდახუჭულნი, თავჩაქინდრულნი, ერთმანეთის მხარიმხარ ხელგადახვეულნი, ფეხზე მკვიდრად მდგომნი, ერთ სულ და ერთ ხორც, მთლიანად მისცემიან სიმღერით ნეტარებას; სიამით გათანგულნი, მხოლოდ სიმღერას აღიქვამენ, სხვას არაფერს... სახლი, ქუჩა, ქალაქი, თვით დედამიწაც და მთელი სამყაროც ახლა ამ ხალხურ სიმღერაშია მოქცეული და მისი ომახიანობით, სიყვარულის გრძნობით, იმედის გაუტეხელი ჟინიანობით აღვსილნი, თითქოს სულ მაღლა-მაღლა იწევენ, ცაში ნეტარებით ნავარდობენ მერცხლებივით; ხანაც ქვევით დაეშვებიან დედამიწაზე – აყვავებულ, სურნელით და სილამაზით გამაბრუებელ მდელოზე...

აივანზე გამოსული ქალი, ალბათ ერთ-ერთი ახალგაზრდის დედა, მიმართავს ქვევით მდგომთ: "ზევით ამოდით, ზევით, თუ ვერ ჩერდებით მაინცდამაინც, ბინაში გააგრძელეთო". "არა, აქ გვირჩევნია, კარგი აკუსტიკა არის, რეზონანსი აქ ჯობს, სადარბაზოს წინო", – ერთი წამით გამოეთიშა შვილი დანარჩენებს და ასძახა დედას.

რეზონანსი კი მართლაც შესაშურია: მეზობელი სახლებიდანაც კი გამოუყვიათ თავები ფანჯრებში მსმენელებს, ნაწილი აივნებზე გადმომდგარა, ქუჩაში მიმავალნიც კი ჩერდებიან და გზის გაგრძელება არც ახსენდებათ. გამოითიშა ტელევიზორები, შეწყდა საოჯახო ხმამაღალი საუბრები, გადაიდო გვერდზე გაზეთები თუ წიგნები, ბავშვების ჟივილ-ხივილიც კი ჩაცხრა.

თითქოს ქუჩაც გაყუჩდა სიმღერის ტკბილ ბანგში ჩაძირული და ჩამავალი მზეც კი ჩერდება დასალიერში – სიამით გატრუნულს თვალი მოუხუჭავს და ნატრობს სიმღერის უსასრულოდ გაგრძელებას...

1987

კარი მღერის

საავადმყოფოს გრძელი დღე, როგორც იქნა, მიილია.

დაღამდა.

ძილის დროც მობრძანდა და ყველას ნელ-ნელა ძირავს თავის ლბილ, ფაფუკ საბრძანებელში.

მხოლოდ მე და კარს არ გვეძინება ჯერ.

ჩვენი პალატის საკმაოდ განიერი კარი თითქმის მთელი დღე ღიაა, – ივნისია, ცხელა, – საღამოს კი სიმღერას იწყებს. გავა ჩვენი პალატიდან რომელიმე სულსწრაფი ექთანი, სულ რომ სადღაც მიეჩქარება, ცუდად გაიხურავს კარს, ღრიჭოდ ტოვებს. კარი ერთი წამით შეჩერდება, მერე თავისით იწყებს გაღებას. აუჩქარებლად წამოიწყებს ძალიან წვრილ ხმაზე სიმღერას და რაც უფრო ფართოვდება ღრიჭო, ხმას უმატებს და მელოდიურობასაც იძენს მისი სათქმელი...

ნელ-ნელა, საოცრად ნელა, დინჯად იღება კარი და მისი სიმღერის კილოც იცვლება. მიუხვედრელნი ამ სიმღერას სხვადასხვაგვარად ნათლავენ: ზოგი ამბობს – ჭრიჭინებსო, ზოგი – როგორ გულის გამაწვრილებლად ჭრიალებსო; არიან ისეთებიც, რომლებიც კარის სიმღერაზე გუნებაც კი უფუჭდებათ და არცთუ კეთილი სიტყვებით შეამკობენ მის გამკეთებელსა თუ შემბმელს.

მე კი ვწევარ, ვუსმენ და კარგად ვუგებ, როგორ კმაყოფილია კარი, რომ კარგად არ მიაჯახუნეს და ახლა საშუალება აქვს, ორი სამყარო – პალატისა და დერეფნისა – კი არ გაყოს, გააერთიანოს. განათებული დერეფნიდან ჩაბნელებულ პალატაში შემოჭრილი სინათლის ზოლი თანდათან ფართოვდება; კარსაც უხარია რაღაცა, მის ხმაში იმედი მატულობს: კაცებო, ნუ გეშინიათო, – მღერის, – ყველანი კარგად იქნებითო; მართალია, ღამე მოდის, ბნელეთმა ჩაყლაპა ყველაფერი, მაგრამ, აბა, ფანჯარაში გაიხედეთ, როგორი ფუნჩულა მთვარე მიგორავს და თვალებს ნაბავს ჩამუქებულ ღრუბლებს შორისო; მოუსმინეთ ჩემს სიმღერას – ნემსის ყუნწში რომ გაძვრება, ისეთი წვრილი კრინით ვიწყებ და ჰანგის რამდენიმე მიმოხვევის შემდეგ მსუყე, გაბმული ბანით ვამთავრებო; ყური დაუგდეთ, როგორი სიხარულით ხვდებიან ნიავით აცელქებულ ვერხვთა კენწეროები და ნაზი შრიალით მეხმაურებიანო; დახუჭეთ, დახუჭეთ ყველამ თვალები, დაივიწყეთ თქვენ-თქვენი ტკივილი, დარდი თუ საფიქრალ-სადარდებელი, გაიხსენეთ თქვენ-თქვენი შვილები, ზოგმა – შვილიშვილები, ზოგმა კი – შვილთაშვილებიცო; იმათ ახლა უზრუნველად სძინავთ და ალბათ თქვენ, მონატრებულებს, გხედავენ სიზმრებში, გეძახიანო: "მამი თუ ბაბუ, მამიკო თუ ბაბუკო, როდის მოხვალ ჩემთან, შენი მოფერება მომენატრა; ხომ მომიტან დაპირებულ სათამაშოს, ხომ მიამბობ ლამაზ ზღაპარს?"

მოჭრიალებს, ბოდიში, მოიმღერის ნელ-ნელა კარი, კარი-ვიოლინო, კარი-ჩელო ადამიანის ხმით; ბოლოს, ჩერდება და მოთმინებით ელის, რომ ვინმე ისევ შემოვა პალატაში და გასვლისას ისევ კარგად არ გაიხურავს კარს, რათა გააგრძელოს თავისი სიმღერა...

1991

გამარჯობა თქვენი, ბეღურებო!

თითქმის ერთი თვის წოლის შემდეგ ხანხალ-ხანხალით, გაჭირვებით მიმიყვანეს საავადმყოფოს პალატის ფანჯარასთან.

ფანჯრის ლავგარდნიდან ბეღურები აფართქალდნენ და ეზოში დაეშვნენ.

მესამე სართულიდან დავცქერი ეზოს – საამოდ ამწვანებულ ბალახს და აქოჩრილ ხეებს, ნაცრისფერ სახლებს რომ ფარდად ჩამოფარებიან.

ვუყურებ ბეღურების ჟრიამულს და მეღიმება.

გამარჯობა თქვენი, ბეღურებო!

გამიხარდა თქვენი დანახვა! ჰო-ჰო, როგორი ხალისით, თავგამოდებით დახტიხართ, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებით; რა სასაცილო სკუპსკუპობით დაჩალიჩობთ – ხან აქ, ხან იქ უნისკარტებთ რაღაცას ხშირ-ხშირად მიწაზე, ხანდახან – ერთმანეთსაც! თან მალიმალ ატრიალებთ თავს, მტერ-მოყვარეს ზვერავთ, თუმცა არც უბრალო ცნობისმოყვარეობა გაკლიათ. თან ჭყიპინებთ თუ ჭყლოპინობთ საამოდ, დიახ – საამოდ! ზოგს ალბათ გაუკვირდება – ბეღურის საცოდავი "ჭყივ-ჭყავ!" როგორ შეიძლება, მიმზიდველი იყოსო, შენც ნახე რაღა იადონი თუ არა, შაშვი მაინცო! შეცდება, ვინც ასე იფიქრებს, ბეღურის სიმღერაში (დიახ, ბეღურებიც მღერიხართ!) ბგერით, მუსიკის სილამაზით ტკბობა კი არ არის მთავარი, მთავარია სიცოცხლის სისრულით, სისავსით ტკბობა... ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ არც სიმღერები გაქვთ ერთფეროვანი. და ამიტომ დახტიხართ ასე სიცოცხლით აღსავსენი, ბეღურებო, პაწია ნაცრისფერო ჩიტუნებო, და ალბათ ეს მომწონს ყველაზე უფრო თქვენში – ცოცხლები ხართ, ცინცხლები, მოუსვენრები! იქნებ არც იცით კარგად, რას ნიშნავს, იყო ცოცხალი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს! იყო ცოცხალი – ეს დიდი საოცრებაა, ეს უდიდესი საიდუმლოებაცაა, ალბათ ყველაზე დიდი საიდუმლოება ამ ქვეყანაზე! ჰოდა, განა სასწაული არ არის, რომ ამ თქვენს მუშტის ტოლა მთრთოლვარე სხეულში ამდენი ენერგია ბუდობს, ასეთი სიცოცხლის ჟინი, რომელიც ყველაფერს, თქვენს საწინააღმდეგოს, უმკლავდება – შიშსაც, შიმშილსაც, სიცივესაც, ავადობასაც, უთვალავ მტერსაც და ათას სხვა უბედურებას კიდევ, რომლებიც ჩვენ, ადამიანებსაც კი, ასეთ დიდებსა და ძლიერებს, ყოვლისმცოდნეთ და ყოვლისშემძლეთ, ხშირად გვთრგუნავს და სასოწარკვეთაში გვაგდებს... თქვენ კი რა კაჟი გიდევთ გულის მაგივრად ან რა სასიცოცხლო ძალა გიდუღთ ძარღვებში, რა თავის გატანის უნარი გიბოძათ გამჩენმა, რომ ღიმილით შემოგყურებთ ახლა და მიხარია რაღაც – ალბათ სიცოცხლის ყოვლისმძლეველობა მიტაცებს!

მიხარია თქვენი ფუსფუს-ფუთფუთი მიწაზე, თქვენი ჯომარდობა ტოტიდან ტოტზე (უფრო საჰაერო ცეკვას ჰგავს!); ხანდახან რომ ჰაერში საიდანღაც გამოტყვრენილ, ჩემსკენ გამოტყორცნილ ქვა-

სავით ჩამიქროლებთ და გვარიანად შემაშინებთ, იმაზეც არ გიბრაზდებით, უფრო საკუთარ სისუსტეზე გამეცინება...

ოღონდ ძალიან ნუკი გახვალთ თავს, მორჩით ერთმანეთში ჩხუბსა და დავიდარაბას – ბალახებში რომ ფრთხილად მოიპარება ჭრელი კატა-ფისო, ნუთუ ვერ ხედავთ მის დაცქვეტილ ყურებს და დაძაბულ მზერაში გაყინულ, ცივ თვალებს?

ჰაიტ!..

1988

დაუმარცხებელი

გამოთქმა – "ბეჭდაუდებელი ფალავანი" – ყველას გაგვიგონია. იმ მოკრივეს რაღა ვუწოდოთ, რომელსაც თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ერთი ბრძოლაც კი არ წაუგია? ასეთი მოკრივე ჯერ არ დაბადებულაო, იტყვით, მაგრამ შეცდებით. გაგიკვირდებათ, აბა, აქამდე რატომ არავის გაგვიგია სახელგანთქმული მოკრივის ბუხუტი გალანდიას სახელიო.

ამასაც გაიგებთ, თუ ბოლომდე მომისმენთ...

* * *

დარბაზთან ზუსტად დილის ცხრა საათზე მივედი – მოკრივეთა აწონა ამ დროისთვის იყო დანიშნული. დაკეტილ კართან სამიოდე ბიჭი წრიალებდა. დიდ დაფაზე მოკრივის ორი უზარმაზარი შავი ხელთათმანი იყო დახატული, მათ ქვეშ კი ეწერა:

"კვირას, 15 აპრილს
ღია რინგის დღე!
დასაწყისი 1 საათზე".

– მოხვედი? – დამკრა მხარზე ხელი ნასყიდამ, ორივენი ერთ ჯგუფში ვვარჯიშობთ ძია სანდროსთან. – ჭამე რამე?

– არა, ძია სანდრომ ხომ გვითხრა, ჯერ აიწონეთო. მომშივდა, სად არიან ამდენ ხანს? – ტყუილი წამომცდა, სად მაქვს პირში ლუკმის ჩადების თავი! მღელვარებისგან კუჭი საოცრად დაპატარავებული მეჩვენება, თითქოს სადღაც ქვესკნელში გადაიკარგა – დღეს რინგზე ბრძოლა მაქვს ჩასატარებელი, პირველი ბრძოლა ჩემს ცხოვრებაში!

ნეტა ვინ იქნება ჩემი მოწინააღმდეგე?

ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო მონაწილეთა აწონვა. მე ნასყიდაზე ნახევარი კილოგრამით მძიმე გამოვდექი. საკვირველი კია – მე ცოტა მაღალი კი ვარ მასზე, მაგრამ, სამაგიეროდ, ნასყიდა ბევრად ძვალმსხვილი და ბეჭგანიერი ჩანს.

ტანთ ჩავიცვით და ქუჩაში გამოვედით. პირველ საათამდე უამრავი დროა დარჩენილი, არ გინდა, მის ზლაზვნას გაუძლო? შევამჩნიე, რომ ნასყიდაც ღელავდა და ცოტა გულს მომეშვა.

შინ დაბრუნებულმა, პატარა ჩემოდანში ჩავალაგე პირსახოცი, კედები, ტრუსი მაისური, ბანდაჟი და ტილოს განიერი ბაფთა. ცოტა წავიხემსე და თერთმეტ საათზე გამოვედი შინიდან. დედაჩემს ვუთხარი, მაგიდის ჩოგბურთში მაქვს შეჯიბრება-მეთქი. ეს ერთი წელიწადია, მხოლოდ მამამ იცის, რომ კრივში ვვარჯიშობ. დედა რას იზამს, არ ვიცი და ბებიამ რომ გაიგოს, ხომ თავს მოიკლავს...

დარბაზის მოსაცდელ ოთახში ბიჭები ბლომად შეიყარნენ. მათგან მხოლოდ რამდენიმეს თუ ვიცნობდი. ძია სანდროც აქ იყო, ჩემი და ნასყიდას მწვრთნელი. იგი ხუმრობდა, ამხნევებდა თავის მოწაფეებს – მისი მელოტი თავი ხან აქ ბზინავდა, ხან – იქ. მან იცოდა, რა მდგომარეობაშიც იყვნენ ბიჭები, დღეს ხომ მათ სიცოცხლეში პირველი ოფიციალური ბრძოლა უნდა გამართონ და მისი შედეგი ჩაიწერება ოქმსა და მოკრივეთა პირად წიგნაკებში. იქნებ აქედან დაიწყოს ზოგიერთის ბრწყინვალე სპორტული კარიერა!

სხვა ბიჭებიც მისევიან საკუთარ მწვრთნელებს, როგორც წიწილები კრუხს, და ცდილობენ, გაფითრებულ სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც გამოხატონ.

გამოაკრეს ბრძოლების გამმართავ წყვილთა ცხრილი. გულის ფანცქალით მოვძებნე ჩემი გვარი 12-13 წლის ბიჭებს შორის: "12. გალანდია ბუხუტი – ნასყიდაშვილი ნასყიდა"

– ნასყიდ! მე და შენ ვხვდებით ერთმანეთს!

ნასყიდამ პირი დააღო.

– მე და შენ? მაშ ძია სანდრო ვისი სეკუნდანტი იქნება?

ძია სანდროს მივაშურეთ.

– ნუ გეშინიათ, ბიჭებო, გალანდიას სეკუნდანტი მე ვიქნები, ნასყიდაშვილის კი – მელიქიშვილი!

ცოტა გული მომეცა. ჯერ ერთი, ჩემი მოწინააღმდეგე ნასყიდა იქნება და არა ვიღაც უცნობი, მეორეც, ჩემი სეკუნდანტი ძია სანდროა! ნასყიდას სეკუნდანტი – მელიქიშვილი – ვინღაა?

რინგზე ბრძოლები დაიწყო და რამდენიმეს ვუყურე, თუმცა სულ მახსოვდა, რომ მეც მომიწევდა რინგზე გასვლა და ეს მიწამლავდა მთელ სიამოვნებას. შემდეგ ძია სანდრომ მითხრა, თუ შენც გიწევს რინგზე გამოსვლა, არ ვარგა სხვების შერკინების ყურებაო და მეც დავბრუნდი მოსაცდელ ოთახში. ჩვენი წყვილის რიგი მოახლოვდა და მე და ნასყიდამ დავუხვიეთ ერთმანეთს ხელის მტევნებზე ბაფთები, რაც მუშტებს ტრავმისგან დაიცავდა. ძია სანდრომ გაგვიკეთა ხელთათმანები, თან გვარიგებდა. მე და ნასყიდამ დავიწყეთ მისი მითითებების შესრულება: გასახურებლად სარკის წინ ჩავატარეთ "ბრძოლა ჩრდილთან", გამოვივლეთ პირში წყალი... განუწყვეტლივ დავდიოდი წინ და უკან და რაღაც უცნაურად შემიტოკდა გული, როცა გაღებული კარიდან დარბაზის ხმაურში გავარჩიე დიქტორის ხმა:

– მოემზადოს შემდეგი წყვილი: გალანდია – ნასყიდაშვილი!

ჩვენი რიგიც დადგა. გავედით მე და ნასყიდა და რინგის გვერდზე დავდექით. როცა რეფერიმ მიგვიწვია, ბაგირქვეშ გავძვერით პროჟექტორებით გაჩირაღდნებულ რინგზე.

– ლურჯ კუთხეშია ბუხუტი გალანდია, წითელ კუთხეში – ნასყიდა ნასყიდაშვილი! ორივე მოკრივე ატარებს პირველ ბრძოლას! – დაიბუხუნა რეპროდუქტორებიდან დიქტორის ხმამ.

გული კი მიჩქროლავს, მაგრამ მაინც გავხედე მაყურებლებს. მათ თავზევით თამბაქოს კვამლი ლივლივებდა ცისფრად, ყაყანი იდგა. ვეცადე, სახეთა ამ ზღვაში მამაჩემის გარჩევა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. იქნებ სულაც არ მოვიდა? არა, დამპირდა და სიტყვას როგორ გატეხდა...

– გალანდია, დაჯექი!

ჩემზე სამი-ოთხი წლით უფროსმა ბიჭმა, რომელსაც ყველანი ზიპოს ეძახდნენ, გადმოატარა ბაგირებს ზევიდან სკამი და კუთხეში დამიდგა.

– მე ვიქნები შენი სეკუნდანტი! – და დამიწყო ჩურჩულით დარიგება.

გავიხედე – მოპირდაპირე კუთხეში ძია სანდრო დახრილა ნასყიდასკენ და რაღაცას ეუბნება, დროდადრო ხელებით კრივის ილეთებსაც უჩვენებს... მაშ, ზიპოა მელიქიშვილი? მაშინ, რატომ თქვა ძია სანდრომ, მე ვიქნები შენი სეკუნდანტიო? მეწყინა. ზიპო არ მომწონდა, მოხულიგნო ტიპი ჩანდა. ჩასკვნილი, მაგრამ მკვირცხლი ზიპო კარგად ფლობდა მარცხენათი ირიბ დარტყმას თავში და ვარჯიშის დროსაც უყვარდა მთელი ძალით მისი გამოყენება, თუმცა ამ დროს სპარინგ-პარტნიორები ცდილობენ, არ მიაყენონ ერთმანეთს ძლიერი დარტყმები, ეს ხომ ნამდვილი ბრძოლა არ არის. ზიპოს კი უყვარდა სუსტის დაჩაგვრა და ვარჯიშის დროსაც დაუნდობლად მოაქცევდა "მოწინააღმდეგეს" რინგის კუთხეში, მოუქნევდა მარჯვენას, მოატყუებდა და ელვასავით მოუქნევდა მარცხენას... ჩემს თავსაც კი ვერ გამოვუტყდებოდი და ალბათ მეშინოდა ზიპოსი, ვცდილობდი, შორს ვყოფილიყავი მისგან. ახლა კი ჩემი სეკუნდანტი გახდა! ნეტა ძია სანდრო რას ეუბნება ნასყიდას? ზიპო მაფრთხილებს, პირველ რაუნდში ძალიან ნუ იაქტიურებ, ძალები გამოიზოგე მეორე და, განსაკუთრებით, მესამე რაუნდისთვისო... გაბრუებული ვარ ხალხის ზუზუნით, პროჟექტორების დამაბრმავებელი შუქით, კარგად ვერც ვარჩევ, რას მელაპარაკება ზიპო. თურმე მეუბნება, ადექიო და სკამს მაცლის.

წამოვხტი. გული ჩიტივით მიფართხალებს. რინგის შუაგულში მდგარ რეფერისკენ გავემართე ნასესხები ფეხებით. იქ უკვე მიცდის ნასყიდა. ხელთათმანების რბილი შეხება მისალმებისას. მსაჯი გვისინჯავს ხელთათმანებს, ნასყიდას ხელთათმანში უჩურთავს ზონრის გამოჩრილ ბოლოს, შემდეგ ორიოდე სიტყვით გვარიგებს, რომ წესები დავიცვათ და ისევ ჩვენ-ჩვენ კუთხეში გვაბრუნებს.

– ღრმად ჩაისუნთქე!.. კიდევ! – მეუბნება ზიპო. – ახლა რამდენჯერმე ჩაბუქნე... ცხვირი დაიზილე ხელთათმნით!

გონგის ხმა გაისმა.

თითქოს დენმა დამკრა, ჟრუანტელმა დამიარა მთელ ტანში. მოვტრიალდი და მეტოქის შესახვედრად გავემართე.

– ბოქს! – ხელი ჩაიქნია რეფერიმ.

მე და ნასყიდა ავცუნცრუკდით ერთ ადგილზე. წინ წასვლას, შეტევას არც ერთი ვჩქარობთ. ერთმანეთს რბილ, დაზვერვით დარტყმებს ვთავაზობთ. მერე ნასყიდა წინ-წინ მოიწევს, მე ჩემდა უნებურად უკან ვიხევ და კუთხეში მომწყვდეული აღმოვჩნდი. ახლა კი მივხვდი, რომ საშიშ მდგომარეობაში ვარ; სხვა გზა არ მაქვს, მეც უნდა შევუტიო. ნასყიდას შეტევა არც ისე საშიში ყოფილა, მის დარტყმებს იოლად ვიცილებ, ერთსაც არ მიუღწევია მიზნისთვის. მაინცდამაინც დიდი განსხვავება არ ყოფილა რინგზე ნამდვილ ბრძოლასა და სავარჯიშო შერკინებას შორის, და თუ მაშინ არ ვეპუებოდი ნასყიდას, ახლაც ხომ შემიძლია შევუტიო? ჯერ მარცხენათი – პირდაპირი, მერე მარჯვენათი – გვერდითი დარტყმა, ჰუკი!

უცებ თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა, დავიბენი; მივხვდი, რომ ჩემი დარტყმები მიზანს ასცდა, ნასყიდამ კი პირდაპირ ცხვირში მდრუზა გემრიელად ხელთათმანი. თავი გავაქნიე, ბურუსი გაიფანტა და დავინახე, რომ გახალისებული და გათამამებული ნასყიდა ცდილობდა, წარმატებითი კონტრიერიში შემდგომ განევითარებინა – ზედიზედ დამაყარა დარტყმათა სერიები, ოღონდ ოდნავ დააგვიანა. ღრმა დაცვაში გადავედი – ოდნავ მოვიხარე, ხელთათმანებით სახე დავიფარე. მერე, როგორც ვარჯიშებზე ძია სანდრო მასწავლიდა, მარჯვნივ და მარცხნივ გადახრით ავიცდინე დარტყმები და სახიფათო სიახლოვეს თავი დავაღწიე.

ისევ ავცეკვდით რინგის ცენტრში მე და ნასყიდა. ნასყიდას გული მიეცა და სულ მიტევდა. მე კი, თუმცა ცხვირში ლაზათიანად მომხვდა. პირვანდელი მღელვარება გამიქრა და ბრძოლის ჟინი დამეუფლა. როგორ მოხერხებულად დავუსხლტი რინგის კუთხიდან! მხოლოდ ახლა ჩამესმა ხალხის ყიჟინა: “მიდი, მიდი!” – ნასყიდას ამხნევებდნენ მაყურებლები. ნასყიდაც დაურიდებლად, მოუმზადებლად მაყრიდა და მაყრიდა დარტყმებს, რომელთაც იოლად ვიცილებდი უკან დახევით ან გვერდზე გადახრით. ხელის მოქნევის საშუალება არ მომეცა, მიტევდა და მიტევდა, სულ ტყუილად კი იქნევდა ხელებს, მისი დარტყმები უმეტესად ჩემს ხელთათმანებს ხვდებოდა... დამდევდა და ვერაფრით მომიხელთა. ხალხმა სიცილი დაიწყო, გაისმა სტვენა, აშკარად დამცინოდნენ. მარჯვნივ გადახრით მორიგი დარტყმა რომ ავიცილე, თვით გავტყორცნე მარჯვენა პირდაპირ, მას მივაყოლე ირიბი დარტყმა მარცხენათი... პირველი დარტყმა ხელთათმანებს მოხვდა, მეორე კი ყბაში მოვარტყი და ახლა ნასყიდას დაუდგა ცუდი დროება! მინდოდა, გამეგრძელებინა იერიში, მაგრამ გონგმა გამაჩერა – პირველი რაუნდი დამთავრდა.

ხელები ჩამოვუშვი და კუთხეში დადგმულ სკამს მივაშურე.

ღრმად ვსუნთქავდი. ცოტა ადრე რომ დამეწყო შეტევა! მაგრამ არ მოველოდი, თუ ასე ადვილად გამომივიდოდა...

ხალხის სიცილმა გამომაფხიზლა. ფუი, კუთხე შემშლია! ეს სკამი ძია სანდროს დაუდგამს, რა მინდოდა წითელ კუთხეში? ნასყიდასაც შეშლია მიმართულება, რინგის შუაში შევხვდით ერთმანეთს. მე მარჯვნივ გავდგი ნაბიჯი, მინდოდა მისთვის გვერდის ავლა, იმავდროულად ნასყიდამაც იმავე მხარეს მოინდომა იგივე და ერთმანეთს დავეჯახეთ. ახლა მე მარცხნივ წავედი, ნასყიდა – მარჯვნივ და ისევ ვერ ავცდით ერთმანეთს... გავჩერდი, ნასყიდაც გაჩერდა; დავიძარი, კვლავ ნასყიდა გადამეღობა კედელივით... ასე ვძიძგილაობდით კარგა ხანს ხალხის ხარხარში.

როგორც იქნა, მივაღწიე ჩემს კუთხეს და სკამზე ჩამოვჯექი. ზიპომ პირსახოცი ამიფრიალა გასაგრილებლად, შემდეგ მზრუნველად შემიმშრალა სახე, პირში წყალი გამომავლებინა და ისევ დაატრიალა პირსახოცი ჩემს სახესთან.

– დაიღალე? პირველი რაუნდი მისია... ეგ არაფერი, მეორე რაუნდში არ იჩქარო. დაცვას მეტი ყურადღება მიაქციე, მუცელი სულ ღია გაქვს... შენ ნუ გეშინია, დარტყმის მოლოდინში თავს ნუ ხრი, თვალებსაც ნუ ხუჭავ. მოგვხვდება, მერე რა, უნდა მიეჩვიო... დაძაბული ნუ ხარ, მსუბუქად იმოძრავე, მუშტები მხოლოდ დარტყმისას გაამაგრე... ტანი თავისუფლად ამუშავე, თითქოს ერთობი, იერიშისას დაიძაბე... ადექი, სკამი უნდა ავიღო.

ეჰ, გონგი რა მალე გაისმა!

წამოვდექი. თითქოს კიდევ უფრო დავიღალე, მაგრამ რინგის შუაგულში მისვლისას ვიგრძენი, რომ საკმაოდ დავისვენე.

– ბოქს!

ნასყიდა არ ჩქარობდა შეტევის დაწყებას, ეტყობა, რაუნდის მიწურულს მიღებული დარტყმის შთაბეჭდილების ქვეშ იყო... არც მე ვაქტიურობდი. საკმაოდ დიდხანს ვცეკვავდით ასე ერთმანეთთან და მხოლოდ იშვიათი დაზვერვითი ან ცრუ დარტყმებით ვკმაყოფილდებოდით. უკმაყოფილო მაყურებლებში აქა-იქ დაუსტვინეს კიდეც. მსაჯმა ბრძოლა შეაჩერა და ორივე გაგვაფრთხილა პასიურობისთვის.

– ბოქს!

ნასყიდა ჯიქურ გადმოვიდა შეტევაზე, დარტყმათა რამდენიმე სერია დამაყარა. თავს თითქოს კარგად ვიცავდი, მაგრამ ბოლოში ერთი-ორი დარტყმა გავუშვი, გავფიცხდი და ახლა მე ვეძგერე... მარცხენათი პირდაპირი დარტყმის შემდეგ ცრუ მოძრაობა გავაკეთე, თითქოს იმავე ხელით მუცელში უნდა დამერტყა, წინ ფეხი წავდგი და გვერდიდან მარჯვენა მოვუქნიე. ნასყიდა მიმიხვდა, ნაბიჯით უკან წახტა, თან კორპუსის ოდნავ უკან გადახრით აიცდინა ჩემი მარჯვენა, შემდეგ წინ წავარდნილ მოწინააღმდეგეს მარცხენათი პირდაპირი დარტყმა მტკიცა თავში, შემაჩერა. დარტყმა ძლიერი არ იყო, მაგრამ ხმა ჰქონდა მაგარი და აღტაცებულმა მაყურებელმა ტაში დასცხო, ყიჟინითაც გაამხნევა ნასყიდა. იმანაც გულდაგულ განაგრძო იერიში, მეტისმეტად სწორხაზოვნად წამოვიდა წინ, მოუმზადებლად – ადვილად ავიცილე მისი დარტყმები და ბოლოში მარჯვენათი პირდაპირი ძლიერი დარტყმა ვაგემე. ნასყიდა შეფერხდა, დაიბნა, მაშინვე მარცხენათი გვერდითი დარტყმაც მივაყოლე. ნასყიდამ მოასწრო უკან გახტომა...

ასე ვიჯახირეთ ერთხანს, არც იერიში გამოგვდიოდა და არც დაცვა გვივარგოდა. მერე ზიპოს დარიგება დამავიწყდა და ჯიქურ მივაყარე პირდაპირი და ირიბი დარტყმების სერია; ძალღონე ბევრი დავხარჯე, შედეგს კი ვერ მივაღწიე – დარტყმები ან ჰაერში გავუშვი ან ნასყიდას ხელთათმანებს მოვახვედრე... მერე ნასყიდამაც გამოიდო თავი, მაგრამ იგივე შედეგით. ნასყიდა არ მომეშვა, ისევ და ისევ მიშენდა დარტყმებს – სულ ფუჭად, ყველა ადვილად ავიცდინე. უკან-უკან ვიხევდი, ჩემი საპასუხო დარტყმები ბევრად იშვიათი იყო, სამაგიეროდ, უფრო ხშირად აღწევდა მიზანს. ბოლოს, ბაგირთან მიმიმწყვდია და ხელჩართული ბრძოლა გამიმართა, ჩავეხლართეთ ერთმანეთს.

– ბრეკ! – გაისმა მსაჯის ბრძანება, ესე იგი, დაშორდით, ერთმანეთს რომ ეხუტებით, ძმები კი არ ხართო.

გავედით რინგის ცენტრში და გონგის ხმაც გაისმა, მეორე რაუნდი დასრულდა.

მძიმედ ვსუნთქავდი, მივლასლასდი ჩემს კუთხეში, დავჯექი სკამზე და შვებით გავშხლართე ფეხები.

– კარგია, კარგია! – მამხნევებდა ზიპო. მომწმინდა ცხვირიდან მომდინარე სისხლი, შემდეგ სველი ტილო დამაფარა თვალთან. – მეორე რაუნდი თანაბარი იყო. მიდი ახლა, მესამე რაუნდში თავიდანვე გადადი შეტევაზე, ძალების შენახვას აზრი აღარ აქვს!.. ბოლო რაუნდია, გადამწყვეტი!

რა კარგია გრილი ჰაერი! ზიპოც რა კარგი ბიჭია! როგორ მზრუნველად მარიგებს, თან ისე მივლის, თითქოს დიდი ხნის ძმაკაცები ვიყოთ...

გონგი ისევ გვიხმობს რინგის შუაგულისკენ.

– ბოქს!

შევებით ერთმანეთს. ეტყობა, ძია სანდრომაც დაარიგა ნასყიდა, სულ უნდა შეუტიოო. გავახურეთ დარტყმების გაცვლა-გამოცვლა, ვინღა აქცევს ყურადღებას დაცვას! ვცდილობ, წინ წავიდე, იგივე სურს ნასყიდასაც, არ მეპუება, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს წინანდელი ნასყიდა აღარ არის; მის დარტყმებს აღარც სიზუსტე აქვს და აღარც ძალა, სისწრაფეზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მეც დავიღალე, თავს ძალას ვატან, კიდევ ცოტა ხანს უნდა გავძლო როგორმე...

"მიდი, მიდი!" – მესმის ხალხის ღრიალი. ბოლო ძალებს ვიკრებ და ვუტევ. ნასყიდა ცდილობს, მიპასუხოს და ისე სუსტად მირტყამს, რომ მისი ხელთათმანები ბამბასავით რბილად მეხებიან.

"მიდი, მიდი!" – ღრიალებს დარბაზი. კომბინაციების თავი სად მაქვს, არც ცრუ მოძრაობებისა, წინ-წინ მივიწევ და მეც უღონოდ ვიქნევ ხელებს. ხშირ-ხშირად ჩავეხლართებით ერთმანეთს, მსაჯი გვაშველებს, შემდეგ ისევ შეევრკინებით ერთმანეთს, უფრო კი – ერთმანეთს ჩამოვეკიდებით...

დიდხანს გრძელდება ასე, ხალხი იცინის ალბათ, ჩვენ აღარაფერი გვესმის... ცოტაც, კიდევ ცოტაც... მე ოდნავ მეტი ძალა შემრჩენია და თავდაუზოგავად მივისწრაფი წინ – მესამე რაუნდი მთავრდება! ვინც ბოლოში იაქტიურებს, გამარჯვებაც მისი იქნება!..

გონგი!

საბრძოლო აზარტში ერთმანეთში ჩახუტებული მოკრივეები ხელით დაგვაშორა მსაჯმა და ჩვენ-ჩვენი კუთხეებისკენ წავლასლასდით.

გამოსავათებული დავეგდე სკამზე.

– ყოჩაღ, ბრძოლა შენია, ბოლოში ძალიან დააწექი!.. – ზიპო სველ პირსახოცს მისვამს გახურებულ სახეზე, ოფლს მიმშრალებს მკერდზე და ზურგზე, შემდეგ ხელთათმანებს მხსნის. ცალი გასივებული თვალი თითქმის დამეხუჭა, მეორეთი ვხედავ, გვერდითი მსაჯები როგორ გამალებით წერენ ბარათებში რაღაცას, შემდეგ მსაჯთა კოლეგიის მაგიდასთან მთავარ მსაჯს აწვდიან.

მე და ნასყიდას რეფერისთან გვიწვევენ რინგის შუაში. რეფერის ჩემი მარჯვენა უჭირავს მარცხენა ხელით, მეორეთი – ნასყიდას მარცხენა. დარბაზი განაბული ელის გამარჯვებულის გამოცხადებას.

– გაიმარჯვა გალანდიამ! – ბუხუნებს რადიო და რეფერი მაღლა წევს ჩემს ხელს.

დარბაზში გამაყრუებლად სტვენენ, აქა-იქ კანტიკუნტი ტაშისცემაც ისმის. მე და ნასყიდა ხელს ვართმევთ ერთმანეთს, მერე ვეხვევი და ვკოცნი. ხელს ვართმევ მსაჯს, მივდივარ და ხელს ვართმევ ძია სანდროს – ნასყიდას სეკუნდანტს, ის კი ქეჩოში მსუბუქად წამომარტყამს. მივდივარ ჩემს ლურჯ კუთხეში, თავზე თმებს მიჩეჩავს ზიპო და გახალისებული მივძვრები ბაგირქვეშ.

დიქტორი შემდეგი წყვილის გვარებს აცხადებს, დარბაზი ნელ-ნელა წყნარდება.

გასახდელში ისევ ფუსფუსია. დაღლილობას სრულებით არ ვგრძნობ. რამდენიმე ბიჭი მოვიდა ჩემთან, მკითხეს, რა ვქენი. მილოცავენ, მხარზე ხელს მითათუნებენ. კედლის სარკესთან მივედი, სადაც ვიღაც ბიჭი გაცხარებით ატარებს "ჩრდილთან ბრძოლას". სარკეში ჩახედვა არ ღირდა: ცხვირი გამსივებია, მარჯვენა თვალქვეშ ჩალურჯებას იწყებს, ზედა ტუჩი გამხეთქვია და წამოსივებულა. ცივ წყალში დასველებულ პირსახოცს ვიფენ სახეზე, თუ რამეს მიშველის...

თბილი შხაპის შემდეგ გარეთ გამოვედი, დახუთულ ჰაერსა და ყაყანს გავშორდი.

კართან მამა დამხვდა. მაინც მოსულა!

გამიხარდა მისი დანახვა.

მამამაც ძია სანდროსავით ქეჩოში წამკრა ხელისგული – ასეთნაირად მომილოცა პირველი გამარჯვება. ჩემოდანი ჩამომართვა და ნელ-ნელა გავუყევით გზას შინისკენ.

– შენ ახლა, შვილო, – მეუბნება მამა, – გიხარია, რა თქმა უნდა... ალბათ გგონია, დიდი გმირული ბრძოლა გადაიტანე. სინამდვილეში ნეტა გენახა, რა სასაცილონი იყავით ორივენი! მამლაყინწებივით ძიძგილაობდით, საოცრად მოუხეშავები და უმწეოები იყავით... მე რომ მკითხო, იმ ბრძოლაში ორივემ გაიმარჯვეთ, ორივენი თავდაუზოგავად იბრძოდით. ისიც შემიძლია ვთქვა, რომ ორივეს დამარცხებაც გეკუთვნოდათ – ოსტატობამდე, ჩემო კარგო, ჯერ ძალიან ბევრი გაკლიათ და წინ ბევრი შრომა გელით, თუ გინდათ, ხეირიანი მოკრივეები დადგეთ... შენ ეს მითხარი, ბებიასა და დედაშენს რა ვუთხრათ? ბებიაშენს ისედაც გული უსკდებოდა, მაგი მაგიდის ჩოგბურთია თუ ჯანდაბა, სარიდო არაფერი შეემთხვას ჩემს ბუხუტიასო; ახლა კი, რომ გაიგოს, კრივზე დადიხარ, ხომ გადაირევა? არადა, სად გინდა შენი გაბუშტული ცხვირის და ჩალურჯებულ-გასივებული თვალის დამალვა? ეჰ, ბოლოს და ბოლოს, ვუთხრათ, რომ მოკრივე ხარ, ვაჟკაცები არ ვართ?..

შინ მისულებს რა დღეც დაგვმართეს, სხვა დროს გიამბობთ. კრივის ხსენებაც კი აკრძალეს ოჯახში, ისედაც არ იკლავს თავს სწავლით და თავში მუშტების რტყმევა აკლიაო?

ახლა ხომ დარწმუნდით, რომ არ ვხუმრობდი – მე მართლაც გახლავართ ალბათ მსოფლიოში ერთადერთი მოკრივე, რომელსაც დამარცხების სიმწარე არ უგემნია!

* * *

ჩემი პირველი და უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ ოცდაათ წელზე მეტი გავიდა.

ამას წინათ ჩაფიქრებული მივდიოდი ვარაზისხევის აღმართში, უნივერსიტეტში ლექციის დაწყებამდე დრო ჯერ მქონდა.

უზარმაზარმა თვითმცლელმა მანქანამ ღმუილით გამასწრო და გაჩერდა, ლურჯ გამონაბოლქვში გამხვია. როცა ბოლი გაიფანტა, ვიღაც ახმახი გადამეხვია, მის უზარმაზარ ტორებში თითქმის დავიმალე.

ნასყიდა!

ჩემი ყოფილი მეტოქე ძლივს ვიცანი. გამიკვირდა – ნუთუ ამ გოლიათთან გავიმარჯვე? მისგან ახლა სამი ჩემისთანა კაცუნა გამოიჭრება, ნამდვილად!

ნასყიდამ მისი მასტროდონტის კაბინაში მიმიწვია – წაგიყვანო. თუმცა ჩემს სამსახურამდე ფეხით სამი წუთის სავალიც არ იყო, ხათრი აღარ გავუტეხე და ძლივს ავბობღდი უზარმაზარი კაბინის მაღალ კიბეზე. ნასყიდამ რომ ძრავა ჩართო, მეგონა, დედამიწა იძრა.

გრიალით ავიარეთ აღმართი, ნასყიდამ მბრდღვინავი მანქანა-ურჩხული ამაყად გააჩერა უნივერსიტეტის წინ.

ჩამოსვლა კიდევ უფრო გამიჭირდა.

დამშვიდობებისას დავთქვით – მოკლე ხანში ერთმანეთს უნდა შევხვდეთ და გარდასულ დღეთა ამბები მოვიგონოთ... ის პირველი ბრძოლა ისე კარგად მახსოვს, თითქოს გუშინ ჩამეტარებინოს.

1984

გზა სკოლისკენ

...სტადიონის უზარმაზარი ოვალური კრატერიდან ცაში იფრქვევა ზვირთები – ყვირილის, სიცილის, ტაშისცემისა...

ვასიკო, სახის გულგრილი გამომეტყველებით, ბურთს ასწორებს თერთმეტმეტრიან ნიშნულზე. აი, ახლა გაქანდება და მაშინ, როცა შეხვედრის დამთავრებას თითქმის აღარაფერი უკლია, ერთი ზუსტი დარტყმით თბილისის "დინამოს" მოუტანს სანუკვარ გამარჯვებას... ბიჭები ცაში ქუდებს აისვრიან, ააფრენენ მტრედებს, გახარებული ამხანაგები გადაეხვევიან, სტვენა და ტაში გააყრუებს იქაურობას...

– ვასიკო, ვასიკო... ადექი, შე ძილისგუდა, სკოლაში დაგაგვიანდება!

ეს დედის ხმაა. ფრთხილად აჯანჯღარებს ვასიკოს მხარს, სტადიონი სადღაც ინთქმება და თანდათან იკვეთება ბუნდოვანებიდან სინათლის სხივები ოთახში, საათის მონოტონური წიკწიკი მაგიდაზე...

გათენებულა. ოჰ, როგორ ეზარება თბილი ლოგინიდან გამოძრომა! ვასიკო ჯერ თავს იმძინარებს, შემდეგ რწმუნდება, რომ მის მაგივრად არავინ ჩაიცვამს ტანსაცმელს და არც სკოლაში წავა... სამწუხაროა, მაგრამ რას იზამ, რაც მისი გასაკეთებელია, თვით უნდა მოათავოს, საკუთრივ. აი, რომ შეიძლებოდეს დიდედის გაგზავნა სკოლაში... დღეს მაინც...

ვასიკო ჯდება ლოგინში და მხრებზე ისხამს საბანს, ვითომ მწყემსის ნაბადია. საბანი რომ შუა ადგილას გაიხვრიტოს თავის გასაყოფად, მაშინ შეგიძლია წარმოიდგინო, თითქოს სამხრეთ ამერიკაში ხარ ინდიელთა შორის და მათნაირი მოსასხამი – პონჩო – გმოსავს. გაურკვეველია მხოლოდ, როგორ მოეწონება ამგვარი ოპერაცია დიდედას...

ვასიკო ფეხით ფეხს იფხანს და ერთ წერტილს დასჩერებია იატაკზე. არა, ასეთ მდგომარეობაში დაძინებას აზრი არ აქვს, თუმცა წათვლემა კი შეიძლება. თვალები ნელ-ნელა ეხუჭება, მაგრამ ოთახში ისევ შემოდის დედა და ვასიკო ზანტად იწყებს ჩაცმას. ავიღოთ ჯერ ხალათი... უცებ ვასიკოს გულში შიშის ისარი გაჰკრავს: გუშინ მთელი საღამო ბურთის თამაშს გადაჰყვა ეზოში და გეოგრაფიაში რომ გაიძახებენ, სულ დაავიწყდა! არა უშავს, გეოგრაფია მეორე გაკვეთილია, შესვენებაზე მოასწრებს წაკითხვას. ერთხელ რომ გადაავლოს თვალი, სავსებით საკმარისია. პირველი გაკვეთილი კი რა აქვს? ქართული... არა, ქართული მესამეა. მათემატიკა! როგორ დაავიწყდა! არც მაგალითები გამოუყვანია ალგებრაში!

ვასიკო საბოლოოდ იღვიძებს და გამალებული იწყებს ჩაცმას: იქნებ ვინმე ადრე მოვიდეს სკოლაში და მაგალითების გადაწერა მოასწროს.

ვასიკო დიდ სარკესთან მიდის. სარკეში ნამძინარევი თვალები და გაბურძგნილი თმები ჩანს. სახეს ოდნავ გაკვირვებული გამოხედვა აქვს: ეს ვინ სულელი ამდგარა ამ დილაადრიანო. ვასიკომ მორცხვად დახარა თვალები და პირის დასაბანად გაიქცა, რადგან დიდედამ დაუძახა სამზარეულოდან, ფაფა გიცივდებაო.

წყალი ონკანში საშინლად ცივია. ვასიკო ისხამს რამდენიმე პეშვს სახეზე, შემდეგ ზერელედ იმშრალებს და მირბის ისევ სარკესთან თმის დასავარცხნად. იმ ზლაზნია, ნამძინარევი ბიჭის მაგივრად ახლა ვასიკოს უყურებს დიდყურა და დიდთვალება, ფორმის ტანსაცმელში გამოწყობილი ონავარი. ცოტა უზრდელიც ჩანს, მაშინვე თვალი ჩაუკრა ვასიკოს და ენაც გამოუყო – დიდი ოინბაზი უნდა იყოს, აი!

ცხრის ნახევარია. მშობლები უკვე წასულან სამსახურში. ვასიკო სწრაფად თქვლეფს ფაფას, შემდეგ ჩაით იწვავს პირს. დიდედის აზრით, ვასიკო თავისუფლად მოასწრებს, მაგრამ ვასიკომ უფრო იცის თავისი საქმე! საინტერესოა, მაინც რაზე იყო ის მაგალითები? პავლე მასწავლებელმა რომ დაფასთან გამოიძახოს, ხომ ჩაფლავდება... შეიძლება, პეტომ უშველოს... ჰო, პეტო უკარნახებს. გაკვეთილის დაწყებამდეა საჭირო ამაზე შეთანხმება, პირობითი ნიშნების გამომუშავება. კიდევ კარგი, პეტო აქვე ცხოვრობს, ახლოს. ჯობს, ახლავე გაუაროს შინ. ნამდვილად კარგი ბიჭია. ცოტა ჭინჭყლი კია... ამას წინათ ერთი საინტერესო წიგნი დაუკარგა ვასიკოს მაგელანის მოგზაურობის შესახებ და თქვა, არ წამიღიაო. მთავარი მაინც ის არის, რომ, რაც უნდა სთხოვო, აუცილებლად შეგისრულებს. დღეს თუ ვასიკო გადაარჩინა, მაშინ იქნება ნამდვილი მეგობარი...

ვასიკო საჩქაროდ ყრის ჩანთაში წიგნებსა და რვეულებს და კისრისტეხით ჩარბის კიბეზე. ზევიდან დიდედა ჩასძახის რაღაცას, მაგრამ ვასიკო უკვე ქუჩაშია.

რა კარგია დილის ჰაერი! მზე ჯერ მხოლოდ სახლთა სახურავებს ანათებს. ვასიკო გარბის ქვაფენილზე, რომელზეც მეეზოვეს სარწყულით ერთმანეთზე გადაბმული რვიანები დაუხატავს. აი, იმ ხემდე მიასწრებს მანქანას! მიასწრო, ახლა მეორე მანქანას მიასწრებს, აი, იმ ხემდე... რაც ძალი და ღონე აქვს, გარბის – იმასაც მიასწრო! ყოჩაღ! ერთგან შოფერი დასაქოქ სახელურს ატრიალებს და ატრიალებს გამწარებული, მანქანა კი არ იქოქება. საინტერესოა, რატომ? ვასიკო წამით ანელებს ნაბიჯს, შემდეგ ისევ უჩქარებს: მაგალითების გარდა, წესებსაც უნდა გადახედოს... სკოლამდე თხუთმეტი წუთის სავალია. თუ ათი წუთით ადრე მივა, ყველაფერს მოასწრებს.

ვასიკო ფიცრულ ღობეს მიუყვება. ჩერდება და მაღლა იყურება. აქ სახლს აშენებენ. უფ! კიდევ ერთი სართული დაუმატებიათ. რამდენსართულიანი იქნება ნეტავი? მაღლა მზით განათებული მუშები საქმიანობენ, ერთმანეთს რაღაცას გადასძახებენ, ისმის კაკუნი. ერთი წუთი რომ შეჩერდეს ვასიკო, ამით რა დაშავდება? უყვარს ყურება, როგორ ფუსფუსებენ მუშები, ამწე კი ხორთუმით აწვდის მათ ხან რას და ხან რას... აი, ახლაც, უკვე მეშვიდე... არა, მერვე სართულზე საქმიანობენ, ადრიანად მოსულან ყველანი. ყოველდღე უყურებს ვასიკო, როგორ სწრაფად მიიწევენ მაღლა კედლები, როგორ იზრდება სახლი, თითქოს ცოცხალი არსება იყოს. როცა დაამთავრებენ, მაშინ ნახეთ, რა ლამაზი იქნება ჩვენი ქუჩა!

ასე ყურებაში დრო რა სწრაფად გარბის! ამიტომ, საკმარისია აქ დგომა, ახლა – სკოლისკენ! დიდედა კი ეუბნებოდა, ბევრი დრო გაქვს, ქუჩაში ყურადღებით იყავიო, მაგრამ ალგებრის გამოუყვანელი მაგალითები ფეხს აჩქარებინებს... ნეტა რას ჩასძახოდა დიდედა წამოსვლისას? კალოშები ჩაიცვიო, ალბათ. ასეთ მშვენიერ დილას! მართალია, ამ გაზაფხულს მეტად ცვალებადი ამინდია. ვასიკოს არ უყვარს კალოშების ჩაცმა. ისე უყიდეს, რომ არც უკითხავთ მისთვის. ეს არაფერი, მაგას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ამასთანავე მოითხოვენ, რომ ჩაიცვას ხოლმე. ეს კი მეტისმეტია! ამაზე დათანხმება არაფრით შეიძლება! ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საერთოდ კალოშები არ მოსწონს, უშნოა, ვინღა იცმევს... მეორეც, კალოშების პოვნა გაკვეთილების შემდეგ არც ისე ადვილია: ბიჭები

ფეხბურთის სათამაშოდ იყენებენ ან გადამალავენ სადმე ხუმრობით. მესამეც, ქუჩაში თუ კენჭი ან ცარიელი კონსერვის კოლოფი შეგხვდა, მისი დარტყმით წინ წაგდება ისე, რომ რაც შეიძლება დიდხანს არ გადაგივარდეს ტროტუარიდან, კალოშიანი ფეხსაცმლით ძნელია... თანაც წამდაუწუმ წაგძვრება და უნდა იხტუნო ცალ ფეხზე! დედა კი საყვედურობს, ფეხსაცმელი რა მალე გიცვდებაო, მაგრამ რას იზამ!

აი, ახლაც, რა მშვენიერი კენჭი შეხვდა ვასიკოს! ცუმპ! – გაჰკრა ფეხსაცმლის წვერი და გაედევნა უკან. კენჭი მიგორავს, მიგორავს და სულ სწორად მიდის, ისეთი მრგვალია! ცუმპ! კიდევ ცუმპ! რა კარგი იქნებოდა, პეტო ჰყავდეს გვერდით, კარგ პასებს მიაწვდიდნენ ერთიმეორეს!

და უცებ... უცებ ვასიკო მთელი ტანით ეჯახება ეზოდან გამოსულ ვიღაც მაღალ ძიას. ზორბა ძიას უნდა, ხელი სტაცოს ვასიკოს, მაგრამ მერცხლის დაჭერა უფრო ადვილია, როცა ის მიწასთან ახლოს დაფრინავს, ვიდრე ვასიკოსი! გაბრაზებული ძია იქნევს პორტფელს და მთელი ქუჩის გასაგონად ყვირის: "ხულიგანი! დამაცა! ასე გზრდიან მშობლები?". ვასიკო უკან მოუხედავად გარბის... რატომ არის ზოგიერთი მოზრდილი ასეთი უხეში? განსაკუთრებით კაცები... ასეთებს ყოველთვის ჰგონიათ, რომ ბავშვები ზომაზე მეტად ხმაურობენ ეზოში, ან, თუ წყნარად არიან, ნამდვილად რაღაცის ცუდის გაკეთების გეგმებს აწყობენ... და საერთოდ, ამ ბანდიტებთან როგორ გაუშვებენ სათამაშოდ ეზოში საკუთარ ბავშვებს! ყოველ წვრილმანზე ყვირილს იწყებენ... ამ დროს ვასიკოს გული ვერ იტანს ხოლმე უსამართლობას და კბილებს მაგრად აჭერს ერთმანეთს, რომ თვალებიდან ცრემლებმა არ გამოჟონოს. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ვაჟკაცია! ტირილი გოგოების საქმეა...

მაგრამ ზოგჯერ მაინც ტყდება ციხე-სიმაგრე. უფრო ხშირად ეს გეოგრაფიის გაკვეთილზე ხდება ხოლმე, როცა მარო მასწავლებელი არცხვენს ვასიკოს. მარო მასწავლებლის გაკვეთილებზე ცუღლუტობას ვერავინ ბედავს. მკაცრად ეუბნება ვასიკოს: "ვასილ ატამაძე, კიდევ ზარმაცობ? დღესაც არ მოგიმზადებია გაკვეთილი! დაბრძანდი, როგორც ჩანს, შენი გამოსწორება არ იქნება ადვილი" და უწერს ჟურნალში სამიანს. წარმოგიდგენიათ? სამიანი! პეტოსთვის რომ დაეწერა თუნდაც კარგად მომზადებულ გაკვეთილში, გახარებული დაჯდებოდა ადგილზე, ვასიკო კი? ვასიკო სულ სხვაა... იმიტომ, რომ ის მთელ სკოლაში განთქმულია, როგორც "პროფესორა" გეოგრაფიაში. გეოგრაფია მისი საყვარელი საგანია. თავისუფალ დროს გეოგრაფიული წიგნების კითხვასა და ატლასების თვალიერებაში ატარებს. გაკვეთილები უფრო ხშირად სწორედ ამიტომ რჩება მოუმზადებელი. ხანდახან, რასაკვირველია, ფეხბურთის გამოც, მაგრამ უფრო იშვიათად, რადგან ძალიან ადვილად შეიძლება, მოგზაურობების წიგნების კითხვა გაკვეთილების მომზადებად გაასაღო, რასაც ვერ იტყვი ფეხბურთზე. ვასიკომ უკვე სამი მოხსენება წაიკითხა წელს გეოგრაფიული წრის სხდომაზე. ბოლო თემას ერქვა: "მდინარე ნილოსი". მარო მასწავლებელმა აქო, ამხანაგებსაც ძალიან მოეწონათ, ისე საინტერესოდ მოყვა ვასიკო ცისფერ და თეთრ ნილოსზე, ტბა ტანაზე აბისინიაში, სადაც ერთ-ერთი ნილოსის სათავეა, და რა მნიშვნელობა ჰქონდა ათასწლეულების განმავლობაში მდინარე ნილოსის სეზონურ ადიდებას ეგვიპტელი გლეხებისთვის, ფელაჰებისთვის. ახლა კი ნილოსზე ასუანთან უზარმაზარ კაშხალსა და ელექტროსადგურს აგებენ... ალბათ მიხვდებით, რატომ უწერს მარო მასწავლებელი ვასიკოს გაკვეთილის მოუმზადებლობისთვის სამიანს, სხვა მოწაფეებს კი – ორიანს. სულაც რომ არ წაიკითხოს გაკვეთილი, სამიანზე მაინც ყოველთვის იცის. მთავარია, გაიგოს, რა არის გაკვეთილად მოცემული... ვასიკო ერთ წუთს ფიქრობს, იხსენებს და შემდეგ იწყებს მოყოლას. ჰყვება იმდენად საინტერესო ამბებს, რომ მარო მასწავლებელიც კი გატაცებით უსმენს, მაგრამ იმას, რაც სულ არ არის სახელმძღვანელოში... და როცა მარო მასწავლებელი დატუქსავს და სამიანს დაუწერს, უნებურად ცრემლები მოადგება თვალებზე. ახია მასზე, მასწავლებელი ცამდის მართალია! ჰოდა, მტკიცედ გადაწყვეტს ხოლმე, რომ გახდება უდიდესი მოგზაური, დაივლის მთელ მსოფლიოს და ვინ იცის, იქნებ ახალი კუნძულიც აღმოაჩინოს! რა თქმა უნდა, მას დაარქმევენ ვასიკოს სახელს, მარო მასწავლებელი კი სკოლაში მოუთხრობს ბავშვებს თავისი ყოფილი მოწაფის სახელობის კუნძულის შესახებ... რა ძნელი იყო მისი აღმოჩენა, რამდენი ხიფათი გადახდა თავს ვასიკოს... ნიანგები და ზებრები, ჩანჩქერები და ჯუნგლები, ველურ ტომებთან შეხვედრა...

განა ვასიკომ არ იცის, რომ ახლა დედამიწაზე სულ პატარა კუნძულის აღმოჩენაც კი შეუძლებელია, მაგრამ, უბრალოდ, ამის წარმოდგენა ძალიან სასიამოვნოა...

ვასიკო ოცნებიდან გამოერკვა. შეამჩნია, რომ ქუჩაში აღარ ჩანდნენ ჩანთიანი ბავშვები. ასეთი ნელი სეირნობით მართლაც შეიძლება დააგვიანო. პეტოსთან გავლაც რომ დაავიწყდა! დაგვიანებულს კი პავლე მასწავლებელი უსათუოდ გამოიძახებს დაფასთან, ასეთი ჩვეულება აქვს. "აჰა, ატამაძეე, დაგვიანება ინებე? აბა, ვნახოთ, ძმობილო, როგორ მოგიმზადებია გაკვეთილი! მიბრძანდი დაფასთან!".

ვასიკო კურდღელივით გარბის ქუჩაში, თან ჩაიფიქრა: "აი, იმ ხესთან "ვოლგაზე" ადრე თუ მივირბინე, არ დამაგვიანდება... მივასწარი!" უჰ, რა კარგია! გახარებული ნაბიჯს უკლებს, შემდეგ ისევ გარბის, რომ ჯოხიან მოხუცამდე უფრო ჩქარა მიაღწიოს, სანამ ის თეთრი "მოსკვიჩი" დაეწევა... მაშინ ალგებრაშიც გადარჩება...

აი, სკოლაც. ყველგან სიჩუმე სუფევს, დერეფანშიც არავინ ჩანს... ვასიკოს გული ეკუმშება – დაა-გვიანა... ფეხაკრეფით მიუყვება დაცარიელებულ დერეფანს...

წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდება: იქნებ გაკვეთილი გაცდა?.. არა, ვასიკოს კლასიდან პავლე მასწავლებლის ბოხი ხმა ისმის...

შევიდეს თუ არა? გულის ფანცქალით აღებს ჭრიალა კარს და მასწავლებლის სათვალეებს ეფე-თება დამფრთხალი მზერით...

მოსწავლეები მხიარულად იკრიჭებიან. მასწავლებელიც უღიმის და დაფისკენ უთითებს...

1964

შემოდგომის წვიმიანი საღამო

1.

ვაჟამ სადარბაზოს კარი გამოაღო და მაშინვე თვალები დახუჭა: ქარის ტალღამ გამხმარი ფოთლები დაატრიალა კუთხეში, წვიმის ცივი მტვერი პირდაპირ სახეში შეაფრქვია. კარის წინ ქარს ფოთლების გროვა მოუქუჩებია. ვაჟამ შრიალით გადაიარა მასზე და ქუჩაში გავიდა.

პალტოს საყელო ასწია და ხელები ღრმად ჩაიწყო ჯიბეებში. ციოდა. ქარი წვიმის წვეთებს არ აცლიდა მიწაზე დაცემას, შუა ქუჩაში მიაქროლებდა ჭადრის მოყვითალო-ყავისფერ ფოთლებს. ფოთლები გაფარჩხული "თითებით" ცდილობდნენ მოჰკიდებოდნენ ტროტუარის კიდეს, აკაციის ხორ-კლიან ტანს, ვაჟას პალტოს...

ვაჟამ კლარა ცეტკინის ქუჩაზე გაუხვია. აქ, გასწვრივ ქუჩაზე, ქარი კიდევ უფრო ძლიერად მი-ჯირითობდა. ეს-ეს არის ისადილა და სამსახურში მთელი დღის ყოფნით გამოწვეული დაღლილო-ბა სადღაც გაქრა. დღე გრძელი ეჩვენება, რადგან წინ კიდევ ბევრი რამ ელის: ცოტა ხანს ამხანა-გებთან ილაყბებს, მერე კინოში შევლენ ან სხვა რამ გასართობი გამოჩნდება...

ექვსი საათია. ხუთიოდე წუთი იქნება, რაც შინიდან ნათელში გამოვიდა და უკვე რამდენად ჩა-მობნელდა. რას იზამ, ნოემბერია, დღე შესამჩნევად დამოკლდა.

ვაჟამ ახლა შეროზიას ქუჩაზე გაუხვია და ლამპიონებიც აინთო. ლამპიონები ქანაობდნენ და მბზინავ ასფალტზე მოძრავ ჩრდილებს ხატავდნენ. ყველა კუნჭულში სიბნელეა, ყველა კუთხეში ჩა-მოცვენილი სველი ფოთლები შეყუჟულან. გამვლელთა ფეხსაცმელები სველ ასფალტზე ლანჩების ფლასტუნით მიიჩქარიან... მარჯვნივ ბიბლიოთეკის დიდმა, გაკაშკაშებულმა ფანჯრებმა გამოანათა. გრძელ მაგიდებთან მიმსხდარნი გაზეთებს კითხულობენ. არ ღირს ახლა იქ შესვლა, ყველაფერი ცნობილია: საიგონში მოსალოდნელია მორიგი გადატრიალება... როდეზიელი რასისტები არ ცხრები-ან... ვიეტნამში ჩამოგდებულია ხუთასრაღაცამდენი ამერიკული თვითმფრინავი... ბონის რევანშისტუ-ლი მადა...

შემდეგ რესტორან "რუსთავს" ჩაუარა და სანიტარული კულტურის თეატრის მხარეს გადავიდა – არცთუ ფართო პლეხანოვის გამზირზე.

ჩვეულებრივ ხალხმრავალი ქუჩა ამჟამად დაცარიელებული და უცხო ეჩვენა. თითო-ოროლა გამ-ვლელი სახეს მალავდა პალტოს აწეულ საყელოში და ამით კიდევ უფრო უჩვეულო იერს ანიჭებდა ქუჩას. მანქანები, როგორც ყოველთვის, ახლაც ბევრი მოძრაობდა, სველ ასფალტზე საბურავების მონოტონური შრიალით ერთმანეთს მიჰყვებოდნენ.

"ბირჟაზე" არავინ დახვდა. ასე უწოდებდნენ ბიჭები ძველთაგანვე ჩოდრიშვილის ვიწრო შესახვე-ვისა და გამზირის ამ კუთხეს. აქ, მუსიკალური მაღაზიის წინ, თითქმის ყოველ საღამოს იკრიბე-ბოდნენ ვაჟას ამხანაგები. სკოლის ბოლო კლასებიდან დასჩემდათ ეს ჩვეულება. მოეხეტებოდნენ ბი-ჭები, გაისეირნებდნენ გამზირზე, შემდეგ "ბირჟაზე" იდგნენ საათობით ან, უფრო ხშირად, კინო-ფილმის საყურებლად მიდიოდნენ (იშვიათად იმიტომ, რომ ახალ ფილმს გამოსვლისთანვე უმეტესად დღე ნახულობდნენ – გაკვეთილებიდან იპარებოდნენ, შემდეგ – ლექციებიდანაც).

ვაჟა მუსიკალური მაღაზიის წინ, ჭადრის ქვეშ გაჩერდა. სიგარეტი გააბოლა და ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა, თითქოს იმედი ჰქონდა, რახან თვითონ მოვიდა, ვინმე სხვაც გამოჩნდებოდა.

წვიმა გადაღებას აპირებს. ნუთუ არავინ მოვა? იშვიათ გამვლელებს ქარი ისევ უფრიალებს პალტოს კალთებს, ცდილობს, მოსტაცოს ქუდი. რამდენიმე უსაქმური ბიჭი მაღაზიაში მოკალათებუ-ლა – ვიტრინის უზარმაზარი შუშის იქით სითბოში დგანან, ვითომ მუსიკას უსმენენ, ფირფიტების გამყიდველ გოგონას ელაზღანდარავებიან.

ვაჟამ სიგარეტი გადააგდო და მუსიკალური მაღაზიის კარი შეაღო.

გოგონა რადიოლაზე ახალმიღებულ საესტრადო სიმღერებს უკრავდა. დახლზე მოშვებულად დაყრდნობილი, იტალიურ ლაბადებში გამოწკეპილი სამი ბიჭი, ეტყობა, კარგა ხანია, აქ იყო, თუმცა, როგორც ჩანს, ფირფიტების ყიდვას არ აპირებდა.

ვაჟა ცალყურად უსმენდა. ქუჩაში იცქირებოდა, მანქანათა მოციალე ფარებს თვალს აყოლებდა. ნუთუ არავინ გამოჩნდება? იშვიათად მომხდარა, რომ "ბირჟაზე" სამი-ოთხი ამხანაგი მაინც არ მოგროვებულიყო.

დღეს კი პირი ხომ არ შეუკრავთ? თუ ამინდმა შეაშინათ? მართლაც რომ უსიამოვნო საღამოა, ტელევიზორთან ჯდომა ჯობს გარეთ სიცივესა და ქარში უაზრო წანწალს...

ვაჟა ქუჩაში გამოვიდა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და მოიბუზა. რატომ გამოვიდა მყუდრო სადგომიდან? თვითონაც არ იცოდა. ამაზე მხოლოდ ახლა გაიფიქრა, როცა მთელ ტანში სიცივემ დაუარა. თითქოს ტყეში გზადაკარგულმა ყოველგვარი იმედი დაჰკარგაო, უაზროდ გაიხედა აქეთ-იქით. სიგარეტი ამოიღო. რა ჰქნას? სამსონას ხომ არ გაუაროს? აქვე ცხოვრობს, ჩოდრიშვილის შესახვევში. ჯერ ვერ გადაეწყვიტა, გაევლო სამსონასთან თუ არა, მისი ფეხები კი უკვე თითქოს თავისით მიაბიჯებდნენ ჩვეული გზით ვიწრო შესახვევში.

2.

ამ ბოლო დროს სამსონა იმდენად აღარ წყალობდა "ბირჟას". ჰმ, ინდაური ეგა! სკოლაში მაგაზე უფრო მზუთხავი გაკვეთილებისა მეორე არ იყო. მაინც ვერ აიღო მედალი, ვერცხლისაც კი. ცოტა ნიჭიც რომ ჰქონოდა სიბეჯითესთან ერთად! ქართულ წერაში ყოველთვის ხუთებს იღებდა. აბა, რა იქნებოდა, ბიბლიოთეკაში თუკი რაიმე მასალა მოიძევებოდა ამა თუ იმ თემის შესახებ, წიგნებს უკლებლივ გამოიტანდა, ციტატებს ბლომად ამოიწერდა აქეთ-იქიდან და დავალებაც მზად იყო. ლექსებსაც წერდა, მისი შემოქმედებითი აღმაფრენის ნაყოფი სასკოლო კედლის გაზეთის ყოველ ნომერს ამშვენებდა. ნუთუ იმათაც იპარავდა? არა, შეუძლებელია, ისეთი სუსტი ლექსები ვინმეს გამოექვეყნებინა. მაინც, რა სახელი ჰქონდა! მთელი სკოლა ამაყობდა, რომ საკუთარი პოეტი ჰყავდა. ერთხელ სამსონამ საკმაოდ ცნობილი პოეტის ამბორიც კი დაიმსახურა. ამ პოეტს შეხვედრა მოუწყეს და სამსონამ (სპილოსავით მოუხეშავი კი იყო – მაღალი და მეტისმეტად ჩასუქებული, რატომღაც ინდაურის ჭუკს ემახდნენ) საქმიანი კაცის გამომეტყველებით ცხვირსახოცით საგულდაგულოდ გააკრიალა სათვალე და ადრე დაბოხებული, მჭექარე ხმით წაიკითხა პოეტისადმი მიძღვნილი ლექსი, რასაკვირველია, საკუთარი. მოწაფეთა მქუხარე ტაშში პოეტი სავარძლიდან წამოდგა და სამსონას შუბლზე აკოცა, დალოცა, ნამდვილი პოეტი გაიზრდებიო. დაცინვა ამის შემდეგ უნდა გენახათ! ამხანაგები სამსონას გასაქანს არ აძლევდნენ, მაგრამ თან ეშინოდათ კიდეც – უწყინარი სამსონა ერთიც ვნახოთ და გაბრაზდეს, ხომ დათვივით დაგვტორავსო... თუმცა ასეთი შემთხვევა ისტორიას არ ახსოვს. ისტორია არც პოეტად შემოინახავს სამსონ კვარკვალიას სახელს. სკოლის დამთავრებიდან აგერ თორმეტი წელი გავიდა და სამსონას ერთი ლექსიც არ დაუბეჭდავს სადმე. ინდაურის ჭუკი ეგა! ჰო, დასცინე და კაცი კი დადგა! უნივერსიტეტის კურსი ჯახირით კი მოახრჩო, სამაგიეროდ, ახლა პედაგოგიკის ინსტიტუტის თანამშრომელია, საკანდიდატო თემაც აუღია... მალე დაიცავს კიდეც დიდი წარმატებით რაიმე წყალწყალა თემას, მაგალითად, "თანამედროვე ქართული პოეზიის სწავლების მეთოდიკა VII-VIII კლასებში", განყოფილების გამგეც გახდება, მეთოდურ მითითებებს გამოაცხობს, წერილებს დაბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებში... არც რამეს გააკეთებს, მაგრამ არც გააფუჭებს. რა სასაცილო იქნება, მისი კაბინეტის კარზე წარწერილი რომ იხილო: "მეცნიერებათა დოქტორი სამსონ ერასტის ძე კვარკვალია"!

ვაჟამ ვიწრო ეზოში შეუხვია, ხის ჭრიჭინა კიბით მეორე სართულზე ავიდა და დარეკა. კარს ჯერჯერობით მხოლოდ "ე. ი. კვარკვალია" ეწერა.

კარი ბიძია ერასტიმ გაუღო. უსათვალოდ ვაჟა ჯერ ვერ იცნო, თვალები მოჭუტა. საკმაოდ დაბერებულა...

– ოჰ, ამას ვის ვხედავ! შემოდი, შემოდი!

ვაჟა შევიდა პატარა დერეფანში, რომელიც სამზარეულოდ იყო გადაკეთებული.

– ხომ კარგად ბრძანდებით? სამსონი შინაა? – იკითხა ვაჟამ, თან ნაცნობ, მაგრამ თითქმის გადავიწყებულ ოთახს ათვალიერებდა.

– არ გახლავს სამსონი. ძაან მაგრად მუშაობს, ხომ იცი, დისერტაციაზე, ახლაც ბიბლიოთეკაში იქნება. ამბობს, ისეთი უნდა გავაკეთო, პირდაპირ სადოქტოროზე გამიშვანო... შენ რას შვები, ცოლი ხომ არ მოგიყვანია?

– არა, ბიძია ერასტი, რა მეჩქარება.

– აბა, უნდა დაბერდე უცოლოდ? – წარბები აძგიბა ბიძია ერასტიმ. – ჩემი ბიჭიც რას ფიქრობს, არ ვიცი. გამიგონია, ამდენი დაგვიანება? თითქმის ოცდაათისაა უკვე. არ ვარგა, ბიძი, არა. მაგის და უმცროსია და უკვე სამი შვილი ჰყავს... დედაშენი როგორაა?

— მადლობთ, კარგად არის.

— მერე, არ გიჩიჩინებს? შვილიშვილი არ უნდა? ელენე ჰქვია, ხომ? — ბიძია ერასტიმ ღიმილში ოქროს კბილები გამოაჩინა.

— ელისაბედი, ბიძია ერასტი. შვილიშვილები არ აკლია, ჩემს დას ორი ბავშვი ჰყავს.

— მერე, ბიჭებს რაღა დაგემართათ... ვაჟის შვილებიც უნდა, ვაჟის! ისე, ხომ კარგ ადგილზე მუშაობ?

— როგორ გითხრათ, ვერც კარგს ვიტყვი და ვერც — ცუდს. "თბილგაზში" ვარ ინჟინრად.

— გაზში? კი მარა, რა დარგი დაამთავრე? ჯამაგირი რამდენი გაქვს?

— ას ოცი მანეთი... სამშენებლოზე ვისწავლე, მუშაობაც დავიწყე სპეციალობით, მერე ვიფიქრე: რა მინდა მშენებლობაზე, ათას ხათაბალას გადაეყრები, ერთი წუთი მოსვენება არ გექნება, არ არის საჩემო საქმე-მეთქი... ახლა ვარ ჩემთვის, წყნარად.

— წინ წაწევის პერსპექტივა თუ გაქვს?

ვაჟას გაეღიმა. ბიძია ერასტი თბილისში დაბერდა და მეგრული სირბილე ლაპარაკში ძველებურადვე შემორჩა. როგორ არ გაგეღიმება, როცა შეხედავ მის მოჭუტულ ჭროღა თვალებს და უსმენ ენაწყლიან საუბარს. ჯერ ჰყვება, როგორ ელის ახალი ბინის მიღებას უკვე ოცი წელიწადია, მერე ყოველგვარი გადასვლის გარეშე გარდაცვლილ მეუღლეს იხსენებს; ხელს ისვამს მოტვლეპილ თავზე და ვაჟასი და მისი ამხანაგების სკოლისდროინდელ ოინებს იხსენებს... სამსონა წყნარი ბიჭი იყო, მის მშობლებს სკოლაში არასდროს იძახებდნენ, საკვირველია, ბიძია ერასტიმ საიდან იცის ასეთი წვრილმანები? ალბათ სამსონა შინ ჰყვებოდა ყველაფერს...

ვაჟა წამოდგა ფეხზე;

— მე წავალ, ბიძია ერასტი.

— დაჯექი, რა გეჩქარება. ბიჭი ახლა მალე მოვა, მეიცა ხუთი წუთი... ჩაის დაგალევინებ... — როცა დაინახა, ვაჟა დარჩენას არ აპირებდა, ჰკითხა: — ბიჭს ხომ არ გადავცე რამე? კარგი იყო, მოგეცადა... მოკითხვა გადაეცი ქალბატონ ელენეს... ბოდიში, ელისაბედს...

3.

ვაჟა ისევ ქუჩაში გამოვიდა. ქარს თითქოს შეეშრო ასფალტი და შრიალით მიდენიდა მასზე გამხმარ ფოთლებს. თენგიზასთან ხომ არ მივიდეს? აქვე, მეზობლად ცხოვრობს, სულ რამდენიმე ათეული მეტრით იქნება აქედან მისი ეზო დაშორებული.

— ვაჟა, როგორა ხარ? — წინ შეეფეთა მაღალ-მაღალი, შავპალტოიანი თენგიზი.

— ვაჰ, სწორედ შენთან მოვდიოდი, ბირჟაზე მიდიხარ?

— წავალ კი! — თენგიზმა გულმოსულად აიქნია ხელი, — მაგათი...

— მოიცა, ჰო, რა მოხდა?

— სამორიგეოდ მივდივარ, გამომიძახეს, საჩქაროდ აქ გაჩნდიო, ჭამა ძლივს მოვასწარი... საქმეა ეს? ახლა ამ ყიამეთში სამი საათი ქუჩაში უნდა ვეგდო.

— დღეს შაბათია, თან დაღამდა, რაღა დროს მორიგეობაა? დღეს მეც მომიწია მორიგეობა სამსახურში.

— რუსთაველზე უნდა მივიდე... რაზმელად გამომყვეს, ჩემზე სულელი ვერავინ ნახეს, მაგათი დედა ვატირე.... გამოვიდნენ და თვითონ იმორიგეონ, თუ კარგი ბიჭები არიან. სხვაგან სად აქვთ წესრიგი, აქ რომ ქონდეთ... არა, უნდა გადავიდე!

— სად?

— სხვა სამსახური უნდა ვიშოვო. წამო, ზევით მოდიხარ? — გაიქნია თავი პლეხანოვის გამზირის მიმართულებით.

თენგიზა რომელიღაც საპროექტო ინსტიტუტში მუშაობს. ყოველთვის წარბშეკრულია, დაღვრემილი. ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდება, გადადის ერთი დაწესებულებიდან მეორეში, პირობები არასდროს მოსწონს, სულ უკმაყოფილოა. ვაჟასთან ერთ ჯგუფში სწავლობდა სამშენებლოზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხან ხრამჰეს-II-ის მშენებლობაზე მუშაობდა, ხან — საბურთალოს დასახლების განაშენიანებაზე, რამდენიმე წელი სადღაც რუსეთშიც კი იყო — ვერსად ფეხი ვერ მოიკიდა.

— რა ამინდია ახლა ეს? სიგარეტი გაქვს? — თენგიზამ საყელო აიწია და თავი მხრებში ჩარგო.

ქარი სახეში სცემდათ. მუსიკალურ მაღაზიასთან წუთით შეჩერდნენ.

— ცოლი არ მოგყავს?

— დღე და ღამე მაგ სიტყვების მეტი არაფერი მესმის, — უპასუხა ვაჟამ, — წაჭმული მაქვს თავი... შენ ხომ არ დააპირე?

— არა, კაცო, ახლა კარგ გოგოს იშოვი? კარგად იყავი! დავრჩებოდი, მაგრამ... — თენგიზმა ასწია ხელი და სწრაფად გაშორდა.

ვაჟამ შვებით ამოისუნთქა, აღარ იცოდა, რაზე ელაპარაკნა მასთან. თენგიზა ცუდი ბიჭი არაა, მაგრამ სულ გულმოსულობა ყველაფერზე, მსხვილმან-წვრილმანზე, უხასიათობა სხვებისთვის დამთრგუნველია. ლამაზი, ვაჟკაცური სახე აქვს და რა იქნებოდა, ზოგჯერ მაინც რომ გაიღიმებდეს...

4.

ვაჟა მუსიკალური მაღაზიის ვიტრინასთან დადგა, ზურგით მიეყრდნო რკინის მოაჯირს. ქუჩის ხან ცალ მხარეს გახედავდა, ხან – მეორეს. მაინც რამდენი სინათლეები გაჭიმულა გამზირის ორივე მხარეს: ლამპიონები, გაჩახჩახებული ვიტრინები, რეკლამების მიბნედილი შუქი, მანქანათა მოძრავი ფარები – რომ მოინდომო, გაგიჭირდება დათვლა... თითქოს სადღესასწაულოდ მოურთავთ ქუჩა. იქნებ იმიტომაც ჩანს ასე, რომ ყველაფერი სველ ასფალტზე ირეკლება, ციალებს – ყვითლად, წითლად, ლურჯად...

ვაჟამ იშვიათ გამვლელებს დაუწყო თვალიერება. მის ყურადღებას უპირველესად ქალიშვილები იქცევდნენ. რა თქმა უნდა, ესიამოვნება, როცა გამვლელ-გამომვლელნი მოდურ პალტოში გამოჭიმულს, სადა, მაგრამ ძვირფას ჰალსტუხიანს შემოხედავენ; თუ ლამაზი ქალიშვილი ჩაივლის, ტუჩებს ირონიულად მოწრუპავს, წარბებს მაღლა აჭიმავს, იტალიურ მბრწყინავფეხსაცმელებიან ფეხებს გადააჯვარედინებს... მზერას გააყოლებს, განსაკუთრებით, თუ კოხტა ფეხები აქვს... ვინმე ამხანაგიც რომ ჰყავდეს გვერდით, ერთ-ორ სიტყვას დაადევნებდა, გაეხუმრებოდა... ახლა კი თითქოს ერიდება, თან არც ხალისი აქვს – ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭუკელა აღარაა...

ნეტა ზაურა კვახიძე თუ იქნება შინ? სამსონასთან რა უნდოდა, პირველად მასთან ვერ მივიდა? შორს მაინც იყოს – კინოთეატრ "კომკავშირელის" პირდაპირ, დიდ სახლში ცხოვრობს. ზაურა გეოლოგია, ზაფხულობით გადაიკარგება ხოლმე; სხვა დროსაც მაინცდამაინც ხშირად ვერ აკითხავს მეგობრებს "ბირჟაზე"; სამაგიეროდ, თუკი ამხანაგებში გაერია, მხიარულება მაშინ უნდა ნახო! განსაკუთრებით ცხვირჩამოშვებულ თენგიზას გამასხარავება უყვარს ხოლმე, ზოგჯერ სერიოზულად აბრაზებს კიდეც. ჯერ კიდევ სკოლაში ჰყავდა თენგიზა ხელში შეკლული... მაგალითად, ისტორიის მასწავლებელმა, სიფიცხისთვის პირსუკან მეტსახელად "წიწაკად" რომ მოიხსენიებდნენ, გამოიძახა თენგიზა, გაკვეთილს ეკითხება. თენგიზა იწყებს სხაპასხუპით პარიზის კომუნის ამბებს – საერთოდ, კარგად სწავლობდა, ისტორიის საგანიც უყვარდა. ზაურა წინა მერხზე დაჯდებოდა საგანგებოდ, დაიხრებოდა მერხისკენ, პირზე რუპორივით მიიდებდა ხელისგულს და... კარნახობდა! კარნახობდა განზრახ ხმამაღალი ჩურჩულით, რომ "წიწაკას" გაეგონა. თენგიზა ბრაზობდა, სულ არ სჭირდებოდა კარნახი, აზროვნების ძაფი უწყდებოდა და ზაურას მალულად მუშტს უჩვენებდა. ზაურა უსინდისოდ იკრიჭებოდა, თან მოგუდული სიცილით განაგრძობდა "დახმარებას"... "წიწაკა" ურტყამდა მაგიდაზე სახაზავს, ზაურას შენიშვნას აძლევდა, ხოლო გამძვინვარებულ თენგიზას ადგილზე აჯენდა და ორიანს უწერდა...

საერთოდ, კლასში ბევრი ნიჭიერი ბიჭი იყო, მათგან ზაურა – ერთ-ერთი გამორჩეული. სულ იოლად შეეძლო, ფრიადოსანი ყოფილიყო, მაგრამ გაკვეთილების მომზადებით თავს არასდროს იწუხებდა – რასაც მასწავლებლის მიერ გაკვეთილების ახსნისას დაიმახსოვრებდა, იმით გადიოდა ფონს, საშინაო დავალებებს კი ამხანაგებისგან იწერდა. ამიტომაც, სამიანს ზევით ნიშანს იშვიათად უწერდნენ. აბა, რა იქნებოდა, ჯერ გაუთავებელმა კოჭაობამ გაიტაცა, მერე, უფროს კლასებში, ხურდა ფულზე თამაშობდა. მამამისი ფრონტზე დაიღუპა, დედა კი, საწყალი, სუსტი აღნაგობის ქალი, რომელიღაც ფაბრიკაში მუშაობდა მქსოველად. ზაურას გარდა, მასზე უმცროსი ორი ქალიშვილისთვისაც უნდა მოევლო. ზაურა კი დამამთავრებელ კლასებში უკვე ყომარის თამაშზე გადავიდა, ვიღაც საეჭვო, წვერგაუპარსავ პიროვნებებთან ჰქონდა საქმე. სკოლისთვის ახლა სულ აღარ ეცალა. ერთხელ ვაჟამ დიდუბეში, ვიწრო შესახვევში შემთხვევით მოჰკრა თვალი. სამნი იყვნენ, ხმამაღალი ყაყანით ხალხის ყურადღებას იპყრობდნენ. ყველაზე მაღალში ვაჟამ ზაურა იცნო. გაუკვირდა, ლაწირაკს რა უნდა ამ ბიძიებშიო – დანარჩენი ორი ოცდაათ წელს იქნებოდა მიტანებული. მასზე ბევრად უფროს ამფსონებს ეს ლოყებღინღლიანი ზაურა უხეშად და მბრძანებლურად ელაპარაკებოდა, ერთ მათგანს მუქარით ხელიც კი მოუქნია და ჩააჩუმა...

რამ გადაარჩინა ზაურა კვახიძე? ალბათ წიგნებმა. ბუნებით ცნობისმოყვარე იყო და განსაკუთრებით გეოგრაფია უყვარდა. გეოგრაფიის მასწავლებელმა, დარეჯან კვახიძემ (ზაურას შორეული ნათესავი იყო), შეამჩნია ეს და ხშირ-ხშირად აძლევდა საინტერესო წიგნებს მოგზაურობათა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შესახებ... შემდეგ ზაურა ბიბლიოთეკაში სიარულს დაეჩვია. როგორც დიდაქტიკურ მოთხრობებში ხდება ხოლმე, სწორედ ასე დაემართა ზაურას – ნელ-ნელა ჩამოსცილდა ძველ ძმაკაცებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სკოლის დამთავრების შემდგომ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. ახლა კაცი უფროსი გეოლო- გია...

ვაჟამ ნაბიჯი შეანელა – გაახსენდა, ზაურა მივლინებაში აპირებდა წასვლას, მგონი, მოსკოვს... ზაურას ეზოს ჩაუარა, მხოლოდ წამით შეიხედა....

ახლა საით? მისეირნობდა ყოველგვარი მიზნის გარეშე, უკან დაბრუნებაც ეზარებოდა. სამყარო თითქოს ორად იყო გაყოფილი: განათებული – ნათურებს ქვემოთ და უკუნივით ჩაშავებული – ნათურებს ზემოთ, საიდანაც თითო-ოროლა, სინათლეში ვერცხლის ძაფივით გაელვებული წვეთი ცვიოდა.

უცებ ეს ვერცხლის ძაფები დაიქსელა წინ, საწვიმარ მილებში აბუტბუტდა წყალი – წვიმა ისევ დაიწყო. ვაჟა კუთხემდე მივიდა და მარჯანიშვილის ქუჩაზე უნივერმაღისკენ გაუხვია.

უნივერმაღის შესასვლელში რამდენიმე კაცი შეგროვილიყო, დიდი შუშის იქიდან ქუჩას გაჰყურებდნენ. ვერაფრით მიხვდებოდი – რას უცდიდნენ? წვიმისა და ქარის გადაღებას ხომ არა?

მაღაზიაში თითო-ოროლა ვაჟასავით უსაქმური დაყიალობდა. ვაჟამ ნელი ნაბიჯით დაიარა დარბაზები: ხან სათამაშოები ათვალიერა, ხან ჰალსტუხები, რამდენიმე სიმღერაც მოისმინა გრამფირფიტების სექციაში, სადაც ეშხიანი ქალიშვილი ვაჭრობდა. საერთოდ, უნივერმაღში გამყიდველებად მშვენიერი გოგონების თაიგული შეუკრებიათ... მართალია, მუშტარი ნაკლებად ჰყავთ, მოწყენილნი სხედან ან დახლს დაყრდნობიან, მაინც სიამოვნებით შეჩერდები რამდენიმე წუთით მაინც, ვითომ რაიმე საყიდელს არჩევ... რადიოსაქონლის განყოფილებაში რაღაც თავყრილობაა. თხუთმეტი თუ მეტი კაცი და ბიჭი შეგროვილა და ორ ტელევიზორში უყურებენ ფილმს "ჩემთან, მუხტარ!". ვაჟამაც უცქირა იმ მომენტამდე, ვიდრე მძარცველებს დაიჭერდნენ გადამალული საქონლის მოკითხვისას და უკან გამობრუნდა.

ქუჩაში გამოსული, იქვე, შესასვლელთან გაჩერდა, სიგარეტს მოუკიდა. ცივმა ქარმა ისევ ააწევინა საყელო. საით წავიდეს, "ბირჟისკენ"? წასასვლელად ნაბიჯიც გადადგა, რომ უცებ რამდენიმე ადამიანის შეშფოთებულმა შეძახილმა შეაჩერა...

გაქანებული ტროლეიბუსის უკანა კარიდან თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის მაღალი, გამხდარი ბიჭი ჩამოხტა, სველ ასფალტზე თავი ვერ შეიმაგრა და დაეცა. ვაჟას ეგონა, ცოცხალი ვერ ადგებოდა, მაგრამ წაქცეული მკვირცხლად წამოხტა და დაიწყო თავისი აქეთ-იქით მიმოყრილი ნივთების შეგროვება. შემდეგ ოდნავი კოჭლობით ამოვიდა ტროტუარზე და მუხლის თავზე გადახეულ შარვალს დახედა.

იქვე, ვაჟას გვერდით მდგომმა შაოსანმა დედაბერმა საწყალი ხმით უთხრა ყმაწვილს:

– შვილო, რას იკლავ თავს, რას ჩამოეკიდე...

და მოხუცი ქალი... ატირდა.

ახალგაზრდამ აგდებულად აიქნია ხელი და უკან მოუხედავად სანაპიროსკენ წავიდა.

ვაჟამ გადააფურთხა, რატომღაც ძალიან მოუვიდა გული იმ ვიგინდარაზე, თუმცა, თავის დროზე ისიც ასე არ აეკონწიალებოდა ხოლმე ტრამვაისა და ტროლეიბუსს? თუ დილით სამსახურში აგვიანდება, დაძრულ ტრანსპორტს, თუ მძღოლი დროზე არ დაკეტავს კარს, ახლაც ზოგჯერ აახტება ხოლმე...

5.

მერვე საათი დაიწყო. ვაჟა ისევ "ბირჟას" დაუბრუნდა. შინ დაბრუნებაც ადრეა, ვეღარც ის მოუფიქრებია, საით გაეშუროს... ერთი ვინმე მაინც მოსულიყო, რაღა ყველას დღეს აუტყდა მოუცლელობა... "ბირჟამდე" ვერ შეკრებილან და გასაკვირი არც არის, რომ ორ წელიწადზე მეტია, სულ იმაზე ლაპარაკობენ – შევიკრიბოთ და სკოლის დამთავრების ათი წლისთავი აღვნიშნოთო, მაგრამ ამ დრომდე საქმეს თავი ვერ მოაბეს. რას იზამ, უმეტესობა ბიჭებისა გაიფანტა აქეთ-იქით. ზოგს ალბათ ძნელად თუ იცნობ, გაგიკვირდება, ნუთუ ეს მიხო დიდთავაა ან "მზექალა" წიწილაშვილი არისო. მზეჭაბუკ წიწილაშვილი ლაყე იყო, კლასში ყველას დაბრიყვებული ჰყავდა და "მზექალა" შეარქვეს. ამას წინათ ვაჟას შეხვდა ქუჩაში, ძლივს იცნო დიდულვაშა, ბოხხმიანი კაცი. გვერდზე ორი ბავშვი მიჰყვებოდა, ბიჭები. უფროსი შვილი უკვე მეორე კლასში დადის, ერთი გოგოც ჰყოლია, არ შეგეხარბება კაცს?! ჩასუქებულა, ბუბუნა ბანით გამვლელთა ყურადღებას იქცევდა. ისე, საუბარი წინათაც მეტისმეტად ხმამაღალი იცოდა, ამიტომ არავინ სთხოვდა, მიკარნახეო... რას ერჩი, ძმაო: სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი საელმავლო დეპოში მუშაობდა დამხმარე მუშად, მერე ჯარში წაიყვანეს. როცა დაბრუნდა, ცოლი შეირთო, კურსები დაამთავრა, ახლა უკვე პირველი კლასის მემანქანეა. ესეც შენი "მზექალა"...

ვაჟა მუსიკალურ მაღაზიასთან იდგა და თვითონაც არ იცოდა, რატომ არ მიდიოდა შინ. წვიმამ ისევ გადაიღო, მაგრამ ამ ქარს რომ არაფერი ეშველა! შემდეგ ვაჟას მიხო დიდთავა გაახსენდა. ან დიდთავას ეძახდნენ, ან – "გოგრას". იმანაც ჯარი მოათავა, ახლა შოფრად მუშაობს. დიდი თავის მიუხედავად, კლასში ყველაზე ჩია ტანის იყო. ყველა ცდილობდა, თავში წკიპურტი წაეკრა, გოგრა თუ დამწიფდაო... ჰო, ბევრი რამის გახსენება შეიძლება, რა არ ხდებოდა კლასში, ეს კლასი გამორჩეული იყო ხშირი აყალმაყალის გამო. ზოგიერთი ამბავი მთელ სკოლას მოედებოდა. ერთხელ ჯიმშერ მასხულაძემ საიდანღაც ცოცხალი თაგვი მოიყვანა და სოლომონ რაჟდენოვიჩის გაკვეთილ-

ზე კლასში გაუშვა (რუსულის მასწავლებელი მეტად მკაცრი და მომთხოვნი იყო, ჯიმშერს სულ ორიანებს უწერდა). მასწავლებელი ამ დროს გამოთქმით კითხულობდა ლერმონტოვის ცნობილ ლექსს: **"На Севере диком стоит одиноко..."** (დიდი ხნის შემდეგ ვაჟამ გაიგო – ჰაინედან თავისუფალი თარგმანი ყოფილა) და როგორ იფიქრებდა, თუ ვინმე მის დაუკითხავად თვალის დახამხამებასაც კი გაბედავდა. ბიჭების ჩოჩქოლმა მიიპყრო მისი ყურადღება და ოთახის კუთხისკენ გაიხედა, სადაც კართან შეშინებული თაგვი მიყუჟულიყო და დროდადრო ბიჭების ნასროლი ქაღალდის ბურთულები და "ჩიტები" აფრთხობდნენ. საკვირველია, საიდან მიხვდა სოლომონ რაჟდენოვიჩი შფოთის დამთესს – უსიტყვოდ მივიდა ჯიმშერთან, წაავლო ხელი ყურში, გემოზე აგრიხა ზევით... ასე, ყურზე ხელმოკიდებულმა, მიიყვანა სიმწრით დაჯღანული ბიჭი კართან და დერეფანში გააგდო. ჯიმშერი სკოლიდან გარიცხვას ძლივს გადაურჩა....

სად არის ახლა ჯიმი? მასზე დიდი ხანია არაფერი სმენია. როცა სიას ადგენდნენ სკოლის დამთავრების ათი წლისთავისთვის, იგი არავის გახსენებია და კინაღამ გამორჩათ. ბედად, ხოსრომ გაიხსენა თაგვის გახმაურებული ამბავი, ის და ჯიმი ერთ მერხზე ისხდნენ. ხოსროც "ბირჟის" მუდმივი წევრია, ისიც არ ჩანს... "ხოსრო, ხოსრო, ქაიხოსრო..." პირველი კლასიდან მეთერთმეტის ჩათვლით – ერთად... რატომღაც პირველსავე დღეს მოუხდათ ჩხუბი. კარგად ახსოვს ვაჟას: ბიჭები ჯერ ერთმანეთს არ იცნობდნენ, არც არავინ ჩარეულა გასაშველებლად – იდგნენ და იცინოდნენ, თან აქეზებდნენ, სანამ ვაჟა და ქაიხოსრო იატაკზე დაგორავდნენ. თითქოს გუშინ მოხდა, ისე ახსოვს: ხოსრო ქვეშ მოექცა, ერთხანს წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, მერე... ატირდა. ახლა თუ გინდა ხოსროს გაბრაზება, ის "გაცნობა" უნდა ახსენო. ამბობს, არ მახსოვსო; თავს იკატუნებს, თუ მართლა გადაავიწყდა? იქნებ ისიც აღარ ახსოვს, მერხქვეშ რომ ჩაძვრებოდა გაკვეთილზე და დედის გამოტანებულ სამი კაცის სამყოფ საუზმეს ნთქავდა... გასუქება მაინც რჯულზე არ ეწერა, გაჩხიკინებული იყო. ახლა კი გამობუშტვია ლოყები და პატარა ღიპიც კი დაიდო... ეჰ, ხოსრო, ვინ იფიქრებს, სკოლაში ხოსრო წკიპას გეძახდნენ... მერე ინსტიტუტი... ხოსრო, თენგიზა და ვაჟა ერთ ჯგუფში აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს. ხოსრო ჩაიჭრა, მაგრამ მამამისმა რაღაც მანქანებით ხელმეორედ გადააბარებინა და... მაინც ვერ მოხვდა – ქულები დააკლდა. ხოსროს მამამ ისევ "ჩააწყო საქმე" და შვილი დაუსწრებელზე ჩაარიცხვინა. მას მერე თორმეტი წელია გასული და ხოსრო ისევ სტუდენტია. რა ყოფილა ეს დაუსწრებელი, ჰა? თუ ხოსრო ბედოვლათი რა ყოფილა? ვაჟა აგერ უკვე შვიდი წელია მუშაობს, რაც ინსტიტუტი დაამთავრა. ხოსროს მუშაობის რამდენი წლის სტაჟი ექნება? ორი-სამი წლის თუ დაუგროვდა, კარგია. ეგ სულ არ ადარდებს, მამამისი მუშაობის ცნობას ვერ უშოვის თუ? ხანდახან, მგონი, მართლაც ვითომ მუშაობს მშენებლობებზე. საკვირველია, ვაჟა და ხოსრო ასე ახლოს არიან ერთმანეთთან და მამამისი სულ რამდენჯერმე ჰყავს ნახული. ბიჭები ერთმანეთის ოჯახებში იშვიათად, მაგრამ მაინც დადიან, უფრო – დღეობებზე, ხოსროსთან კი ვაჟა სკოლის დამთავრების შემდეგ არც ყოფილა. "ბირჟის" წევრები თითქმის ყველანი ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, ხოსროა მხოლოდ სადღაც გადაკარგულში – საბურთალოს ბოლოში. ის ვეღარ მოახერხა ხოსროს მამამ, რომ ცოტა ცენტრისკენ მიეღოთ ბინა? კვაჭი კაცი თუ ხარ... ერთხელ რა დღე დააწია ხოსროს, კინაღამ მოკლა, საწყალი, ცემით... მის დღეში არ ახსოვს ვინმეს, ხოსროს მამა სკოლაში გამოჩენილიყო, რაღა იმ დღეს იკადრა მოსვლა? თითქმის მთელი კლასი გაიპარა კინოში, "ტარზანი" გადიოდა და ცდუნებას ძნელად თუ ვინმემ გაუძლო. როცა რაღაც ჭირად ხოსროს მამა სკოლაში მივიდა, დირექტორი – "ბულდოგა" – აღელვებული დახვდა: ბიოლოგიის გაკვეთილზე სამიოდე მოწაფე იყო დარჩენილი... ჰოდა, სხედან ახლა ბიჭები გაჯგიმულები ბნელ დარბაზში და ოფლს იწმენდენ – ბილეთის შოვნა არც ისე იოლი იყო. სანამ კინოჟურნალს უშვებდნენ, ზაურას გენიალური იდეა დაებადა: დაიწყო გვარების ყვირილი, ვითომ საკლასო ჟურნალში კითხულობდა გაკვეთილის დაწყების წინ: "აბჟანდაძე!.. ბაკურაძე!.. გიორგობიანი!.. " და ასე შემდეგ. დარბაზის სხვადასხვა კუთხიდან ისმოდა ბიჭების პასუხი: "ვარ!.. ვარ!.. ვარ!.." თან ყველა ცდილობდა ეს "ვარ!" რაც შეიძლება ხმამაღლა დაეყვირა და სასაცილოდ მოექცია ხმა – განზრახ დაეწვრილებინა, თხასავით წაეკიკინებინა ან სხვა ამგვარი. სწორედ მაშინ, როცა ზაურამ "ამოიკითხა": "მასხულაძე!.." – მოულოდნელად დარბაზში შუქი აინთო და ბიჭებს კინოგმირების მაგივრად გამოეცხადნენ სკოლის დირექტორი, ბიოლოგიის ახალგაზრდა მასწავლებელი და ხოსროს მამა...

მას შემდეგ ნეტავი რამდენჯერ გაიტყიპა ხოსრო? ისე კი ეკუთვნის – აქამდე სამ უმაღლესს დაამთავრებდა კაცი. ცოლ-შვილი არ ჰყავს სარჩენი და სხვა მხრივაც ხელი არაფერში ეშლება. ღვინის სმას გადაჰყვა, მაგრამ ღვინო ვის არ უყვარს? აი, ამ ერთი კვირის წინათ თქვა (ბიჭები სალუდეში ხინკალს მიირთმევდნენ, თან არაყსა და ლუდს აყოლებდნენ), მორჩა, ხვალიდან ერთ წვეთს აღარ ვსვამ, სერიოზულად ვიწყებ მეცადინეობასო. ბიჭებმა სიცილი დააყარეს – უკვე თვლა არ ჰქონდა მის ასეთ ფიცილს... თუ მართლა მოინდომა, კაცს რას არ შეძლებს – რა იცი, იქნებ ზის ახლა და წიგნს დასჩერებია? ღმერთმა ჰქნას, რომ ამ მიზეზით არ იყოს მოსული...

ვაჟამ გახედა ქუჩის მეორე მხარეზე სალუდის ყვითლად განათებულ დიდ შუშებს. ლუდს დალევს, საქმე მაინც არაფერი აქვს, ღმერთმა დასწყევლოს...

დარბაზში საკმაოდ იყვნენ მამაკაცები. ყაყანი, პაპიროსის ბოლი, ლუდის სუნი; თბილი, მაგრამ მძიმე, დახუთული ჰაერი...

ვაჟას არ ესიამოვნა იქ ყოფნა, კათხაში სანახევროდ დაიყვანა ლუდი და სუფთა ჰაერზე გამოვიდა.

6.

ისევ ცრის გულისგამაწვრილებელი წვიმა... კინოში ხომ არ შევიდეს? დრო სწრაფად გაირბენს.

ვაჟამ სიგარეტს მოუკიდა, აწეული საყელო საგულდაგულოდ აქაჩა ზევით, ხელები ჯიბეებში ღრმად ჩაიწყო და პლეხანოვის გამზირს დაუყვა კინოთეატრ "ამირანისკენ". ჯიბიდან ხელის ამოუღებლად აბოლებდა სიგარეტს, ცდილობდა, სახეზე მწინწკლავი წვიმის წვრილი წვეთებისა და ქარისთვის ყურადღება არ მიექცია. სხვა მხრივ ყველაფერი რიგზე იყო, ერთგვარ სიამოვნებასაც კი ნახულობდა ამგვარ გასეირნებაში. ქარი თითქოს აქანავებდა ქუჩაში აჩქარებით მიმავალ მობუზულ ფიგურებს, თვით ისუნთქავდა თამბაქოს სურნელოვან, თბილ ბოლს და მოჭუტული თვალებით უყურებდა ლამპიონების, რეკლამების, მანქანების შუქთა ანარეკლებს სველ, ჩაშავებულ ასფალტზე; ლუდი თუმცა ცოტა დალია, მაინც აუწია ტონუსი, – რა უნდა უნდოდეს კიდევ? ერთი ვინმეც რომ იყოს ახლა მასთან, თუნდაც ზაურა ან ხოსრო, რომლებთანაც ერთად ვინ დათვლის რამდენჯერ აუვლია-ჩაუვლია ამ ქუჩით, აუჩქარებლად, ნება-ნება უთვალიერებია გამვლელები, განსაკუთრებული ყურადღება, რასაკვირველია, ქალიშვილთათვის დაუთმია, მათი საპასუხო მზერა თვითკმაყოფილებით დაუჭერია... ახლაც დასეირნობენ, თუმცა იშვიათად, პლეხანოვის გამზირის მუდმივი მტკეპნელები, ისინიც მხოლოდ ბიჭები. აი, ის ორი ყმაწვილი, ორთავეს რომ შავი კეპი ჩამოუფხატავს თვალებზე და, წვიმის მიუხედავად, პალტო წინ ჩაუხსნია და ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაუწყვია – სხვა დროსაც ბევრჯერ უნახავს აქ მოსეირნე. სტუდენტები იქნებიან ან ბოლო კლასების მოსწავლეები. წინათ ვაჟაც ასევე გაისეირნებდა რამდენიმეჯერ მარჯანიშვილის მოედნიდან კინოთეატრ "ოქტომბრამდე" და უკან; შემდეგ რომელიმე მაღაზიის წინ დადგებოდა, დაეყრდნობოდა ვიტრინის მოაჯირს და საათობით იდგა, ამხანაგებს ელაზღანდარებოდა. ერთი-ორჯერ წაკინკლავებაც მოუხდათ ქუჩაში ვიღაც-ვიღაცეებთან, სიმთვრალეში ჩხუბიც მოსვლიათ, მაგრამ უმთავრესად ვაჟას ამხანაგები კინოში შესვლას ამჯობინებდნენ. რასაკვირველია, სულ სხვა გემო ჰქონდა ფილმის ნახვას ამხანაგთან ერთად. შეიძლება ყველაზე მოსაწყენ ფილმზეც კი კარგი დრო გაატარო: იოხუნჯო, რეპლიკებით "წაეხმარო" ეკრანზე მომხდარ ამბებს...

კინოთეატრი "ამირანი" – კინოფილმი "თამაში წესების გარეშე", დეტექტივი უნდა იყოს. განაგრძო გზა – ჯერ ადრეა, ნახავს, რა ფილმი გადის კინოთეატრ "ოქტომბერში". ოჰო, აქ "ნიუნბერგის პროცესია", შევიდეს? დადგმა სტანლი კრეიმერისა, როლებს ასრულებენ: სპენსერ ტრეისი, ბენტ ლანკასტერი, მარლენ დიტრიხი, მაქსიმილიან შელი... ამდენმა ვარსკვლავმა შეიძლება დაგაბრმავოს... ვერ ჩანს მაინცდამაინც მხიარული ფილმი: გერმანული ფაშიზმი, სისხლიანი დანაშაულობანი... შეიძლება ნახვა, მაგრამ ასეთ ამინდში ცოტა სხვანაირი სურათის ნახვა გინდა, ხასიათზე რომ მოგიყვანოს, თანაც ორ სერიას რა გაუძლებს და დაწყებამდეც კიდევ მთელი საათია დარჩენილი. ჯობს, ისევ ჩვეულ კინოთეატრს, "კომკავშირელს", მიაშუროს, იქნებ იქ გადის შესაფერისი რამ, ოღონდ აჩქარება მართებს, რვას ოცდახუთი წუთი უკლია.

არცთუ სასიამოვნო იყო სველ ასფალტზე ჩქარი სიარული, პატარა გუბეების გვერდის ავლა, მაგრამ მალე ისე გახურდა, რომ ცივი ქარის შემოტევას აღარაფრად აგდებდა.

ესეც "კომკავშირელი" – "პარიზი, პარიზი...", კარგია! ვნახოთ ერთი, რას გვიჩვენებს გიორგი ასათიანი, ამბობენ, პარიზი მხიარული ქალაქიაო. დასაწყისი რვა საათზე...

ვაჟამ დაიხედა საათზე და სალაროებისკენ ჩაუხვია ვიწრო ჩიხში.

7.

ვაჟას გაუკვირდა, როცა სალაროების თავზე მბჟუტავი ნათურის შუქზე რიგში მდგომთა საკმაოდ დიდი ჯგრო დაინახა; ალბათ დღეს რომ შაბათია, იმის გამოა. თხუთმეტ წუთში ბილეთის აღებას მოასწრებს? ვაჟამ ფეხს აუჩქარა და ამ დროს ვიღაცამ ხელი მოჰკიდა, შეაჩერა.

– საით იყურები, ვეღარა მცნობ?

გურამი! გურამ მოსიშვილი გაღიმებული უყურებს და ხელს არ უშვებს, გვერდით წითელპალტოიანი ქალიშვილი უდგას.

ერთმანეთი გადაჰკოცნეს..

– სადა ხარ, კაცო, დაკარგული! ხომ კარგად ხარ? – ჰკითხა ვაჟამ.

– რა ვქნა, ძმაო, დაკარგულები თქვენც კი ხართ...

— ჩვენ რატომ, ბიჭები ხშირად ვიკრიბებით — ზაურა, ხოსრო, თენგიზა... ჩვენი ბიჭებიდან არავის ხვდები?

— ხანდახან კაკოს ვნახულობ ტრამვაის გაჩერებაზე, — უპასუხა გურამმა, — ჩემთან ახლოს მისცეს მასაც ბინა.

— დისერტაციის რა ქენი?

— ერთი თვე იქნება, მოვახრჩე, — გაიცინა გურამმა.

— მერე, მასე უნდა, შე უნამუსო? არც კი გაგვიგია! — მხარში ხელი წაარტყა ვაჟამ.

— სექტემბრიდან საათებიც მომცეს... — უხერხულად აიჩეჩა მხრები გურამმა, თითქოს უკვირდა, როგორ მოხდა ეს ამბავიო.

— ბიჭო, ლექტორი გახდი? მომილოცავს! უნივერსიტეტში, ხომ?

— ეეეე, კარგი ერთი... შენ რას აკეთებ?

— რა ვქნა, ისევ იქ ვარ.

— რაღაც გაზთან გაქვს საქმე, თუ არ ვცდები...

— ჰო, ჰო, — დაუქნია თავი ვაჟამ, — თუ გინდა გაზის ქურის გამოცვლა ან... მოკლედ, თუ დაგჭირდე, დამირეკე. მოიცა, შინ ხომ კარგად არიან?

— რა უშავთ.

— მოკითხვა გადაეცი... ნუ დავკარგავთ, გურამ, ერთმანეთს. დიღმის მასივში გადახვედით? ტელეფონი გეკუთვნის უკვე, არ დაიდგი?

— ხომ იცი, რა ხლაფორთი უნდა. სამსახურში დამირეკე.

— შინ არც მე მაქვს. სამსახურის ნომერი ჩაიწერე...

ნომრები გაცვალეს.

— ბოდიში, ვაჟა, მე მგონი, მალე შევხვდებით ერთმანეთს... — გამოსდო გურამმა ხელი წითელპალტოიან ქალიშვილს, რომელიც მოუსვენრად აფახულებდა გრძელ წამწამებს.

— კინოში შედიხართ, ხომ? კარგი, ნახვამდის! — დაუქნია თავი ვაჟამ.

ვაჟამ ხალხის რიგს მიაშურა სალაროებთან, დაიკავა რიგი და მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ძალიან ცოტა ხანს ელაპარაკა გურამს. ორივემ რაღაც აცაბაცად მოიკითხეს ერთმანეთი, ნაჩქარევად — უკმარისობის გრძნობამ შეიპყრო. ნახევრად სიბნელეში წესიერად მისი სახეც კი ვერ გაარჩია, როგორი იერი აქვს თითქმის ოცდაათ წელს მიღწეულს, რამდენად შეიცვალა. როდის-როდის შეხვდა გურამს და რა გაიგო მასზე ახალი? დისერტაცია დაუცავს, ლექციებს კითხულობს — ეს არის ადამიანის ცხოვრებაში ყველაფერი? ბოლოს და ბოლოს, ის მაინც ეკითხა, ახალ ბინაში როგორ მოეწყვნენ, იმდენი წიგნები სად წაიღეს, ან რა თემაზე დაიცვა დისერტაცია, შემდგომში რას აპირებს... თითქოს არც შეხვედროდეს. გურამმაც მეტისმეტად იჩქარა წასვლა. ყოველ შემთხვევაში, ის წითელპალტოიანი ქალიშვილი მაინც არ უნდა გაეცნო მისთვის? საცოლეა? მეგობარი? იქნებ ცოლიც კი? დაფანტული ყურადღება ახასიათებდა, ახლაც არ შეცვლილა... საინტერესოა, ის წითელპალტოიანი, არა უშავს, კარგი გოგო ჩანდა და გურამმა როგორ შეამჩნია? სწორედ მაგ გონებადაფანტულობის ბრალი იყო, რომ ერთხელ გურამი სკოლაში სახედასიებული მოვიდა. მთელი პირისახე ჭორფლივით ჰქონდა დაწინწკლული ყავისფრად — წვრილ-წვრილი დამწვრობები. თურმე დენთს ამზადებდა და რაღაც ვერ გაითვალისწინა... ტყუილად კი არ ეძახდნენ ბიჭები "პრაფესორას"... უყურე შენ, მალე მართლაც პროფესორი შეიძლება გახდეს...

რიგი აუჩქარებლად მიიწევდა წინ. არა უშავს, მოასწრებს, სულ ოთხი-ხუთი კაცია დარჩენილი მასზე წინ; თუ, რასაკვირველია, აი იმ ყმაწვილებს, ახლა რომ მოვიდნენ და ურიგოდ ცდილობენ ბილეთების აღებას, დაუთმეს. იქ რაღაც შელაპარაკების ხმა გაისმა, შემდეგ მოპირდაპირე კედელთან მდგომმა მუქლაბადიანმა ბიჭმა უცებ ბანცალით რამდენიმე ნაბიჯი წადგა წინ. ყველა მას მიაჩერდა.

— ვინც ცუდი თვალით შემხედავს, იმის... — შეიგინა ბიჭმა, გაშლილი ხელების ქნევით, აღგზნებული თვალებით აქეთ-იქით იხედებოდა, — თქვენი... ვინ მიყურებს ცუდი თვალით?

უცებ ვაჟას შეაფეთა თვალები.

— შენ მიყურებ ცუდი თვალით? — და არეული ნაბიჯებით ვაჟასკენ გაემართა.

ვაჟამ იცნო — ეს ერთ-ერთი იმ ყმაწვილთაგანია, მუსიკალურ მაღაზიაში ამ ცოტა ხნის წინ მუსიკას რომ უსმენდა... გულმა რეჩხი უყო — როგორც ჩანს, უჩხუბრად საქმე არ დამთავრდება. გულს ბაგაბუგი გააქვს, მოხდეს, რაც მოსახდენია! მთვრალი ყმაწვილი კი ტალახში მოთხვრილი იტალიური ლაბადის ჯიბეში ხელს რას აფათურებს, დანას ხომ არ ეძებს?

— ჰო, მე გიყურებ! — მიახალა ვაჟამ და რკინის მოაჯირსქვეშიდან გასაძრომად მოიმართა.

ბიჭი ერთი წუთით მიაშტერდა ვაჟას, ადგილზე წონასწორობას ძლივს იცავდა. ეტყობა, ასეთ პასუხს არ მოელოდა, ჯიბეში ხელის ფათურს მოეშვა.

— რა დაგიშავე, ბიჭო... — ბოლოს თითქოსდა ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა ვაჟას.

ამ დროს მისი ორი ამხანაგიც მოვიდა, ცოტა უფრო ფხიზლები ჩანდნენ.

— წამო, გია, ბილეთები აღებულია... — მოჰკიდეს ხელი.

გია გაუძალიანდა, არა, ჩემს ძველ ძმაკაცს ხელი უნდა ჩამოვართვაო. ვაჟას ხელიც ჩამოართვა და დიდის ამბით თავისი მეგობრებიც გააცნო. ვაჟას არცთუ ესიამოვნა მათი გაოფლილი ხელისგულების შეხება, არეული ლაპარაკისთვის თავის ქნევა, მაგრამ რა ექნა. ნუთუ იცნეს, რომ ამას წინათ მუსიკალურ მაღაზიაში ნახეს? შემდეგ ბიჭები ბანცალით და ერთმანეთის ზურგში ხელის ბიძგებით კინოთეატრის შესასვლელისკენ გაემართნენ.

ყველაფერი კეთილად დასრულდა, მაგრამ ვაჟას ხასიათი მაინც წაუხდა. ხომ შეეძლო, დანა ან სადგისი ამოეღო? მისი ამფსონებიც თურმე იქვე იყვნენ...

ვაჟა რკინის მოაჯირის ქვეშიდან გამოძვრა, რიგი დატოვა. სულ დაეკარგა ფილმის ნახვის სურვილი. ახლა სიამოვნებით დაიბანდა ხელებს და სიგარეტს გააბოლებდა... თუმცა მოწევა ახლაც შეიძლება. ვაჟამ ჯიბეში ჩაიყო ხელი და კოლოფში მოაფათურა. სიგარეტი აღარ ჰქონია. ანგარიშით ერთი რომ უნდა დარჩენილიყო? ჰო, ერთი ღერი ხომ თენგიზას მისცა... კოლოფი დაჭმუჭნა, გვერდზე ისროლა და ქუჩაში გამოვიდა.

8.

ასფალტზე ალაგ-ალაგ გუბედ დამდგარ წყალში უშფოთველად ირეკლებიან ნათურების მბრწყინავი შუქები.

წვიმას გადაუღია, თორემ საწვიმარი მილებიდან გადმომჩქეფარე წყალს შეუშვერდა ხელებს. სიგარეტი დროზე ვერ იყიდა? ახლა უფილტროსაც სიამოვნებით მოსწევდა, მაგრამ მეპაპიროსეთა ჯიხურები რომ არსად ჩანს?

ვაჟა პლეხანოვის გამზირს დაუყვა სანიტარული კულტურის თეატრისკენ. სალუდის წინ ნაბიჯი შეანელა, შემდეგ თბილ სადგომში შეაბიჯა.

პირგამშრალმა, სულის ერთი მოთქმით სავსე კათხა ლუდი გამოსცალა, შემდეგ ისევ ჩამოასხა ავტომატიდან ლუდი და ვიტრინის შუშასთან მაღალ, მრგვალ მაგიდასთან მივიდა. სახეზე ცხვირსახოცი მოისვა და ქუჩას დაუწყო თვალიერება.

მეორე კათხას ნაკლები სიამოვნებით სვამდა, ნელ-ნელა, აუჩქარებლად. ჯერ კიდევ არ სტოვებდა იმ ბიჭის არყისგან მოშლილი თვალების ზმანება, თითქოს ეს თვალები ახლაც ჩაშტერებოდნენ მას, ხელი კი ლაბადის ჯიბეში ფათურობდა... ფუი!.. ვაჟამ თავი გააქნია, გამოერკვა და ლუდი მოსვა. ჰმ, ბავშვური გულუბრყვილო თამაში... თამაში? კარგი თამაშია!.. ამ ათი-თორმეტი წლის წინათ ვაჟაც გაისეირნებდა გამზირზე და მერე ზოგჯერ დალევდა კიდეც მეგობრებთან ერთად, განსაკუთრებით სტიპენდიის აღების დღეს... ყველაფერში ბედი გინდა! მის ამხანაგებში ერთი არ გამოჩნდა ისეთი, რომ გადაემლაშებინოს, სხვებიც აეყოლიებინოს... ბოლოს და ბოლოს, ზაურაც კი ხომ შეეშვა იმნაირ ხალხს. საინტერესოა, ზაურა რომ იმ წელს უნივერსიტეტში არ ჩარიცხულიყო, რა შედეგი მოჰყვებოდა? ერთხელ თუ ორჯერ უჩხუბია ზაურას? ღონე ერჩოდა და მხოლოდ ამიტომ აგდებულად უყურებდა დანის ტარებას, არ სჭირდებოდა მაინცდამაინც საკუთარი ბიჭური თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. რომ დაჭირვებოდა?..

როგორც უნდა იყოს, იმ დრომ ასე თუ ისე ნორმალურად ჩაიარა. კარგი იქნებოდა, გურამივით ბევრი წიგნი ჰქონოდა შინ... მაინც, რა იყო ეს გაუთავებელი ჩხირკედელაობა, ჭამის დროსაც კი წიგნში ცხვირის ჩაყოფა... შინისკენ გზა ერთი ჰქონდათ და გურამი სკოლიდან გამოსვლისას ყოველთვის შესთავაზებდა ხოლმე სირბილში გაჯიბრებულიყვნენ, რადგან უნდოდა, მალე მისულიყო შინ, სადაც რომელიმე დაუმთავრებელი მოდელი ელოდებოდა. ერთხელ გურამმა რადიომიმღების გასაკეთებლადაც კი აიყოლია. ვაჟაც გაიტაცა სქემებში კირკიტმა, საჭირო დეტალების საძებნელად ყოველგვარ ხარახურაში ქექვამ. როცა ამის შესახებ "ბირჟაზე" მოჰყვა, ბიჭებმა დაცინვა დაუწყეს, და თუმცა ვაჟა გრძნობდა, რომ ამ დაცინვაში დაფარული ინტერესიცა და შურიც იმალებოდა, მაინც შეწყვიტა გურამთან შინ სიარული. ერთი-ორჯერ კი მოენატრა მასთან მისვლა: მოუნდა გურამის მამის წიგნებსა და ჟურნალებში ჩუმად ჩახედვა, რომლებითაც ორი მცირე ოთახის კუთხეები, ფანჯარათა რაფები და საერთოდ ყოველი კუნჭული გავსებული იყო. დარჩენილ ადგილებში კიდევ რაღაც ხელსაწყოები, რადიოდეტალები, მავთულთა ხვეულები და სხვა ამგვარი იყო დახვავებული. როგორ იტანდა ყველაფერს გურამის დედა, საკვირველია, მტვრის წმენდას ვერ აუდიოდა. ერთი უნდა მივიდეს, ნახოს – ახალ ბინაში თუ დაამყარეს ოდნავი წესრიგი... გურამი არც მერე შეცვლილა, სულ რაღაცის კეთებაშია, თუმცა მამასავით რადიოინჟინერი არ გამოსულა. ბიოქიმიკოსი გახდა, რამდენიმე შრომა ჯერ კიდევ სტუდენტობის ჟამს შექმნა, ახლა კი ლექციების კითხვაც დაუწყია... ამ რამდენიმე წლის წინ, მაშინაც შემთხვევით, შეხვდა ვაჟას უნივერსიტეტთან. მთელი ორი საათი გატაცებით უყვებოდა, როგორ საინტერესო ცდებს ატარებდა, ხანდახან დღესა და ღამესაც კი გადააბამდა მუშაობით გატაცებული – და ვერ ამჩნევდა, რა მოსაწყენი იყო ვაჟასთვის მისი გრძელთაგრძელი მონოლოგი. ისე დაწვრილებით უხსნიდა ყოველ წვრილმანს, თითქოს საკუთარი დისერტაციის დაცვაზე იმყოფებოდა...

ნუთუ ვაჟას ამხანაგები ყველანი ასეთი უცნაურები არიან? ყველა თავისებურად გამორჩეულია: ხოსრო, თენგიზა, ზაურა, გურამი, სამსონა... გურამი სკოლაში ყოველთვის მჟავით გახვრეტილი შარვლით დადიოდა, საუზმეს დიდ შესვენებაზეც არ ჭამდა – ფულს აგროვებდა ხან რადიონათურის, ხან კონდენსატორის, ხან კიდევ სხვა რამის საყიდლად... ზოგჯერ მშიერი მაინც არ რჩებოდა, ხოსროს რატომღაც ეცოდებოდა და საჭმელს უნაწილებდა, ზაურა კი "პრაფესორას" მუდმივი დამცველი იყო. ვინ გაბედავდა ზაურას შიშით მისთვის ზედმეტი სიტყვა ეთქვა. თუ ზოგჯერ მოხვდებოდა გურამს, ისევ ზაურასგან: ხანდახან, როცა ხასიათზე არ იყო, თავში წიკიპურტს უთავაზებდა ხოლმე "პრაფესორას"... მაშინ ყველაზე ხმამაღლა მზეჭაბუკ წიწილაშვილს უხაროდა, თუმცა რა აცინებდა იმ შტერს – გურამის გარდა, თითქმის ყველას მისი თავი ჰქონდა ამოჩემებული საწკიპურტოდ... მართლაც, რამდენი სხვადასხვა ხასიათია, რამდენი განსხვავებული პიროვნებაა...

თვითონ? ნეტა მასზე რას ამბობენ? რა უნდა თქვან, ჩვეულებრივი ბიჭია... რაღა ბიჭი – კაცია. ცოტა ზარმაცი, რასაკვირველია, მაგრამ არც პრეტენზიები აქვს – რაც აქვს, იმითაც კმაყოფილია, არის თავისთვის. ღმერთმა უწყის, კიდევ რას ფიქრობენ მასზე? ყველაზე უკეთ ალბათ დედა იცნობს, მის ხასიათსაც და აზრებსაც. ყველაფერს მაინც ვერ უგებს, ვაჟა რომ ერთს ამბობს, დედამისს სულ სხვანაირად ესმის. მაინც რა მომაბეზრებელია და ხანდახან ნერვების მომშლელიც ყოველდღიური, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჭკუის სწავლება და საყვედური. ვაჟა, რა არის, რომ ასე უმიზნოდ ფლანგავ დროსო, იმეცადინე, რამეს მოჰკიდე ხელიო. ადრე არ კითხულობდა – სად დადიოდა, ვისთან მეგობრობდა, რატომ ასე გაჯანჯლებით, ათასჯერადი საშემოდგომო გამოცდებითა და შემდეგ – დროზე საგნების ჩაუბარებლობის გამო სტიპენდიის მოხსნით გადადიოდა კლასიდან კლასში და კურსიდან კურსზე. ახლა კი უკვე ლამის ოცდაათი წლისაა, არც ინტერესი გაღვიძებია რაიმეს მიმართ და არც ყოველდღიური და მუყაითი შრომის ჩვევები აქვს... თვითონაც გრძნობს, როგორ უნაყოფოდ და უფერულადაც მიედინებიან დღეები, მაგრამ ცვლილების სურვილი რომ არ გასჩენია? გაივლის კიდევ ათი-თხუთმეტი წელი, ასევე უინტერესო, ერთმანეთის მსგავსი დღეები მონოტონურად გაიჭიმებიან, მერე კიდევ ათი, კიდევ ათი და – ესეც შენი საპენსიო ასაკი... თუ მშვიდობით მიაწია... ეს დღეც უფერულია და მომდევნოებიც ნუთუ ასეთივე იქნება? სადამდე?

ვაჟას პაპიროსის კვამლით გავსებული, მამაკაცთა ყაყანით აკლებული სალუდის დარბაზი აუტანელი მოეჩვენა და გარეთ გასვლა არჩია.

9.

ქუჩაში მიმავალს უნდოდა, სხვა რამეზე ეფიქრა, რაღაც მნიშვნელოვანზე – უგუნებობა გაეფანტა და კინოთეატრის სალაროებთან მომხდარი ამბავი გულიდან ამოერეცხა... თუ მოსვენებას არ აძლევს თამბაქოს მოწევის სურვილი? ან იქნებ სხვა, ბევრად მნიშვნელოვანმა დაუკმაყოფილებლობის სურვილმა დააყენა ცუდ გუნებაზე? სურვილები და ოცნებები კი წინათ მრავლად ჰქონდა, უმრავლესობა გაიცრიცა და გამოხუნდა, ზოგი აღარც ახსოვს... სახელი, დიდების მოხვეჭა, რაღაცის დიდის, უჩვეულოს გაკეთება, რომელზე გაფიქრებაც მღელვარებით აგიჩქროლებს გულს და შეგიკრავს სუნთქვას... მაგრამ ოცნების განხორციელებისთვის მეტი კონკრეტულობა იყო საჭირო, რადგან ბუნდოვანი მიზნების, "რაღაც მნიშვნელოვანის" სურვილის ნდომა უსასრულოდ გაჭიანურების, ყოველდღიურობის ერთფეროვნებაში პასიურ ლოდინს იწვევდა. და ის ძნელი და ხანგრძლივი შრომა, ურომლისოდაც ვერაფერს მნიშვნელოვანს ვერ მიაღწევ, ჯერ დაწყებული კი არა, გააზრებულიც არ აქვს... აწი დაგვიანებულიც ჩანს, თუ დაოჯახდება – მით უმეტეს...

თავჩაქინდრული ვაჟა ნელა მიაბიჯებდა და საკუთარ ფიქრებში გართულს გადაავიწყდა კიდეც თამბაქო. მხოლოდ როცა ისევ მოუარა მტანჯველმა სურვილმა, გააჩერა ბედად შეხვედრილი ნაცნობი ახალგაზრდა და სიგარეტი სთხოვა. პირველი ნაფაზები ხარბად, ღრმად ჩაისუნთქა. სიგარეტის მიმცემზე გაიფიქრა: "რა ლამაზი, ვაჟკაცური სახე აქვს, სინამდვილეში კი ჩემზე უარესი ფუქსავატია. ალბათ ახლაც საქმე არ აქვს და არ იცის, რა ჰქნას, ქუჩაში დახეტიალობს. გოგოები ბევრჯერ მოუტყუებია მის გარეგნობას, მაგრამ მალე დარწმუნებულან, რა ჩიტთანაც ჰქონდათ საქმე... თუმცა, ჭკვიან გოგოს ქუჩაში იშვიათად ნახავ... აი, ამ გამოპრანჭულ ქალიშვილს თმა რა გიჟივით გაუჩეჩია, თუ ქარის ბრალია?"

ვაჟამ შეატყო საკუთარ თავს, რომ ყველა შემხვედრზე უნდოდა რაღაც ცუდი ეფიქრა. თვითონ არ იყო ხასიათზე და ყოველივესაც მუქ ფერებში ხედავდა. ამას თამბაქოც ვერ უშველიდა, აბა რა? თუმცა, სიგარეტის ყიდვა მაინც არ იქნებოდა ურიგო. ვაჟა "გასტრონომში" შევიდა. აქ კოტიკო მუშაობს ერთ-ერთ სექციაში. დღეს ისვენებს, თორემ მასთან მაინც დაილაპარაკებდა, გულს გადააყოლებდა. კაცი ხუთი თუ ექვსი წელი სადღაც გადაკარგულში იყო წასული რუსეთში, შემდეგ თბილისში დაბრუნდა რა ხანია, მაგრამ ვაჟას მხოლოდ ამ ერთი თვის წინ შეხვდა, როცა ამ მაღაზიაში გადმოვიდა სამუშაოდ. მაშინაც სიგარეტის საყიდლად შევიდა ვაჟა, კოტიკოს მყიდველები ეხვივნენ და უხერხული იყო დიდი ხნით საუბარი, ძირითადი კი მაინც გაიგეს ერთმანეთისა...

ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს კოტიკოს მშობლები ერთმანეთს გაეყარნენ, შემდეგ მოკლე დროში ორივემ ახალი ოჯახები შექმნა და კოტიკოსთვის არცერთს არ ეცალა. კოტიკოსაც რა ექნა, სკოლის დამთავრების შემდეგ ბიძასთან გაემგზავრა პერმის ოლქში, იქ ხე-ტყის დამამზადებელ მეურნეობაში მუშაობდა. თითქოს კარგად მოეწყო, მაგრამ სამშობლოდან მოშორება გაუჭირდა, თანაც ორმოცგრადუსიან ყინვებს ვერ შეეჩვია და ბოლოს უკან გამობრუნდა. აქ ცოლი შეირთო, გოგო და ბიჭი შეეძინა...

თუმც არ მოელოდა კოტიკოს დანახვას, მაინც გაიხედა მისი სექციისკენ. თეთრხალათიანი კოტიკო სქელ ქალს კარაქს უწონიდა. მთელ მაღაზიაში მეტი მყიდველი არ იყო. ვაჟამ სიგარეტი იყიდა და კოტიკოს დახლთან მივიდა.

— სალამი! აკი დღეს უნდა დაგესვენა? — გაუწოდა ხელი ვაჟამ.

— ო-ო-ო, ვაჟას გაუმარჯოს! ჩემი შემცვლელი ბიძაშვილის ქორწილშია და მთხოვა, მის მაგივრად მემუშავა. შენ საით?

— შინ. რა ქარია, ა? გამოცდების რა ქენი, ჩააბარე?

— ერთი წუთი არ მაქვს თავისუფალი, უძილობით თვალები მეხუჭება. როცა ცოტა კლიენტია, მაშინვე კონსპექტს ვკითხულობ. არადა, გულს ვერ ვუდებ — პატარა მაინცდამაინც ახლა გამიხდა ავად... — კოტიკომ თეთრი ჩაჩი მოიხადა თავიდან და ტაბურეტზე მოწყვეტით დაჯდა. საწყალი კოტიკო, როგორ უძლებს, დაუსწრებლად სწავლობს რომელიღაც ინსტიტუტში.

— თორმეტ საათამდე უნდა იყო აქ?

— რა ვქნა... სხვა, შენ რას შვრები?

— რა ვიცი... დავდივარ აქეთ-იქით.

— არაფერი არ გაწუხებს, არა? ცოლი მაინც ითხოვე.

— მერე, ოჯახს რჩენა არ უნდა? — გაიცინა ვაჟამ.

— მე? მე რომ ცოლი მოვიყვანე, არც სახლ-კარი მქონდა და არც ფული... — სერიოზულად მიიღო ვაჟას ნათქვამი კოტიკომ. — არაფერი შეცვლილა: არაფერი მქონდა და არც ახლა მაქვს რამე, მაგრამ ცოლი და ბავშვები მაინც მყავს... მერე ვნახოთ, რაღაც გამოჩნდება... ტყუილად ვდგავარ, მოდი, ერთ ბოთლს მოვიტან. რას დალევ?

— არა, არა, შენი ჭირიმე, სამუშაოზე ხარ!

— კონიაკს მოვიტან, ცოტა შევხურდებით! — გაიქაჩა კოტიკო მაგარი სასმელების სექციისკენ.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, ახლა ვერაფერს დავლევ. მერე შევხვდებით, შე კაცო, წესიერად სადმე შევიდეთ... რუსეთში მიეჩვიე მასე დალევას?

— მართლა, რაღაცას რომ ლაპარაკობდი, სკოლის დამთავრების ათი წლისთავის აღნიშვნას ვაპირებდითო...

— ა-ა-ა... არა, ვერ შევგროვდით, ხომ იცი, დავიფანტეთ აქეთ-იქით, ვინ სად არის, ვინ — სად... ძნელია ამ საქმის მოგვარება.

— ძნელი კია, მარა შეიძლება.

— როგორ არ შეიძლება, ფხა უნდა, მონდომება. თორმეტ წელზე მეტი გავიდა უკვე.

— ეჰ, მომენატრნენ ბიჭები...

— მართლა, ამ ბოლო დროს არავინ გინახავს?

— კი, როგორ არა... — რაღაც უხერხულად გაიღიმა კოტიკომ და ძლიერ დაემგვანა ადრინდელ კოტიკოს: მაშინაც გაღიმებისას ნაოჭი ტუჩის ცალ კუთხეში უჩნდებოდა, თითქოს ნახევარი სახით იცინისო. — ხოსრო ვნახე.

— ხოსრო? მერე ჩემთვის რომ არაფერი უთქვამს?

— ეჰ, ნეტავი არ მენახა... — ჩაიქნია ხელი კოტიკომ.

— რატომ, კაცო... სად ნახე?

— სად ვნახავდი. ისეთი დატვირთული ვარ, ქუჩაში იმის თავიც არ მაქვს, გავიხედ-გამოვიხედო. შინ ვმეცადინეობ, მერე საღამოს ლექციებზე სიარული, სამსახურში მორიგეობა...

— რომელ ინსტიტუტში ხარ?

— ვაჭრობის... აქ, თბილისში, ფილიალია... ჰო, ხოსრო აქ შემოვიდა, მაღაზიაში.

— იცოდა, რომ აქ მუშაობდი?

— არა, საიდან. აქ დამინახა... გამიხარდა, იმ სექციიდან ერთი ბოთლი კონიაკი მოვუტანე. კარგი, ვილაპარაკეთ, აქეთური-იქითური, წავიდა... ერთი-ორი დღის შემდეგ ისევ მომადგა — კონიაკი მთხოვა. კონიაკი აღარ იყო, რა მექნა — არაყი გავატანე, ღვინო არ მინდაო. უარს როგორ ვეტყოდი, შემრცხვა.

— რატომ? ფული არ გადაუხდია?

— რას ამბობ, რის ფული, რა ფული!.. პატივისცემამ აწყინა. ეგ არაფერი, ეგ არაფერი... ამ ერთი კვირის წინ კიდევ მოსულიყო, მე არ ვიყავი. ჩემი შემცვლელისთვის ეთქვა, კონიაკი მინდაო. იმან უთხრა, კონიაკი მეზობელ სექციაში იკითხეთო. არაო, მე კოტიკოს ამხანაგი ვარო და იმან იცისო...

— კარგი ერთი!.. ხოსრო მაგას იკისრებდა?!.

— ჰოდა... იმან არ მისცა, კოტიკოს ჩემთვის არაფერი უთქვამსო, რა ვიცი, ვინა ხარო. ვინცა ვარ, ნახავო და ჩხუბი აუტეხია... ჯერ უგინებია...

— ხოსროს?

— მაშ ვის! ხელი გაურტყამს ჩემი ამხანაგისთვის. მოკლედ, რა ვიცი, ძმაო, მერე ამ საქმის სასამართლოში გადაცემას აპირებდნენ... ისევ მე ჩავერიე, ჩემი ხათრით ის კაცი გაჩუმდა. რა მექნა, ძმაო, ხოსრო მაინც სკოლის ამხანაგია... თერთმეტი წელი ერთ კლასში ვსწავლობდით...

— სწორია, — შეაწყვეტინა ვაჟამ. — ისე კი კარგი იქნებოდა, ერთი ჭკუა ესწავლებინათ მაგისთვის... არაყმა გააფუჭა.

— სმა თუ უყვარს, რა ჩემი თავში საცემია, ძმაო! მილიონერი ვგონივარ? ქემაინც წესიერად, ზრდილობიანად მოიქეცი! იქნებ ჰგონია, კარგის და ავის გარჩევა არ ვიცი?..

— მართლა ვირულად გამოუვიდა... რაღაც შეეშალა. რა ვიცი, ყველას კარგი ბიჭი ჰგონია, მაგის ცუდი არავისგან გამიგონია. რა ვიცი... დალევა კი უყვარს.

— მამამისი ვიყო, მე ვიცი, რასაც ვუზამდი!.. — მუქარით წარმოსთქვა კოტიკომ. — გაანებივრეს ვირიშვილი, ყველაფრის მზამზარეულად მირთმევას დაეჩვია!

როგორ გაბრაზდა კოტიკო! და რა დამთმობი ხასიათი ჰქონდა სკოლაში... ვერავინ გამოიყვანდა მოთმინებიდან... ყველაზე უფრო ის სწყინდა ხოლმე, როცა "ქოსას" უწოდებდნენ. მეთერთმეტე კლასში თითქმის ყველას წვერ-ულვაში აეშალა, კოტიკო კი, მაღალი ტანის მიუხედავად, პირტიტველა იყო. მაშინაც კი, როცა ამ მეტსახელს დაუძახებდნენ, კოტიკო არაფერს უპასუხებდა, მხოლოდ აუჭარხლდებოდა სახე. მერე მთელი დღე ხმას არავის სცემდა; მასწავლებლები რომ გაკვეთილს ჰკითხავდნენ — ადგებოდა, ცოტა ხანს ჩუმად იდგა, შემდეგ ისევ ჯდებოდა, კოპებშეკრული; გაკვირვებული მასწავლებლის კითხვები თითქოს არ ესმოდა...

ახლა წაბლისფერი ხშირი ულვაში მოუშვია, თუმცა მზექალა წიწილაშვილის ულვაშებს ვერ გაუტოლდება.

ერთ საათზე მეტი გავიდა კოტიკოსთან საუბარში. რასაკვირველია, სალაპარაკო კიდევ ერთ კვირას არ გამოელეოდათ. თქვეს ამ მთისა, იმ ბარისა: კოტიკოს რუსეთში ყოფნის ამბები, სკოლისდროინდელი წლები გაიხსენეს... ეს არ იყო მხიარული და უზრუნველი ლაყბობა, როგორიც წესით უნდა ყოფილიყო დიდი ხნის უნახავ ძველ მეგობრებს შორის — თავიდანვე ხოსროს ამბავმა თავისი ელფერი დაამჩნია მთელ საუბარს.

და მაშინაც კი, როცა ვაჟა კოტიკოს დაემშვიდობა და შინისკენ გასწია, ხოსროს ქცევაზე აკვიატებული ფიქრი ვერაფრით მოიშორა თავიდან.

10.

ვაჟამ 25 თებერვლის ქუჩაზე შეუხვია. ვიწრო ქუჩაში უფრო ბნელოდა და თითქოს ქარიც უფრო ცივი იყო. გარემო აღარ იქცევდა მის ყურადღებას — არც რეკლამა ბრდღვიალებდა აქ, მანქანებიც იშვიათად გაიშრიალებდნენ... ალბათ ამიტომაც ვეღარ მოიცილა ხოსროზე ფიქრი.

ხოსრო, ხოსრო, ქაიხოსრო... აი, თურმე რისი გაკეთებაც შეგძლებია. კარგი ბიჭი, ჭკვიანი ბიჭი — და აჰა... რომ ეგონა, ხოსრო ბოლოს და ბოლოს ალბათ ჩაუჯდა გამოცდებისთვის მზადებას და იმიტომ არ მოვიდა დღესო... ჰმ! დღესაც დალევდა სადმე ამფსონებთან... არ უყვართ თუ მისი მიპატიჟება: გიტარაზე ღმერთივით უკრავს, სიმღერაშიც ვერავინ აჯობებს და სუფრაზეც მეტი რა უნდათ — მხიარული და ენამოსწრებული ახალგაზრდა ყველას უყვარს... დიახაც რომ ენამოსწრებული ყოფილა, იმ გამყიდველის შემკობის დროს განსაკუთრებით. ხოსრო და კოტიკო... ხოსროს მამიკო რამეს მოაკლებდა?.. საწყალ კოტიკოს კი ჯერ სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ იძულებული გახდა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დაეწყო მუშაობა შავ მუშად. დღისით სკოლაში დადიოდა, საღამოს — ქარხანაში და ორივეგან — ძველი დაბამბული ქურთუკით... ახლაც: მუშაობა, სწავლა და დამატებით — სარჩენი ოჯახი... ხოსროს რომ ჰკითხო, რა უფლება ჰქონდა, ორ შვილს რომ აჩენდა, თანაც არც ბინა აქვს შესაფერისიო... ასე მსჯელობა ადვილია, როცა მამიკო მუშაობის ყალბ ცნობასაც გიშოვნის, გამოცდებზეც ლექტორთან კარგ ნაცნობს მიაგზავნის...

კარგი, დავუშვათ, ხოსრო, მისი ჭკუით, "დროს ატარებს", ისიც, ვაჟაც, ფაქტიურად იგივეს არ აკეთებს? აი, დღეს შაბათია, გამოვიდა ამხანაგების სანახავად, გასართობად — ყველას კი თავთავისი საქმე ჰქონია... ახლა მივა შინ და დედამისი ისევ დაიწყებს წუწუნს — სად დაეხეტები ამ ხნის კაციო, მთელი ჩემი ცხოვრება შენი მოსამსახურე უნდა ვიყოო, მამაშენმა და შენ, ორთავემ უკუღმართებმა, სიცოცხლე გამიმწარეთო... რა უნდა უთხრა? შეიძლება, როგორც ჩვეულებრივ, ახლაც არ მიაქციო ყურადღება მის ჯიჯღინს, მაგრამ განა ეს საქმეს შეცვლის? ან ტყუილს ამბობს რამეს? სიმართლე არ მოგწონს და ყოველთვის მონახავ თავის გასამართლებელს... ყოველდღე ერთი და იგივე — მონოტონური, გამოზომილი და აწონილი... და საოცრად ერთფეროვანი და მოსაწყენი... დი-

ლით გამოუძინებელი წამოხტები, საჩქაროდ საუზმეს მიირთმევ და, როგორც წესი, სამსახურში ხუთი-ათი წუთით დააგვიანებ... შემდეგ სადისპეტჩეროში ნახევრად თვლემ, გასართობად გაზეთებს კითხულობ ან ჭადრაკს თამაშობ; შუადღეზე – სოსისი და ჭიქა ლუდი, მერე ისევ ნაცრისფერი კედლების ყურება და სიგარეტის გაბოლება ყოველ ნახევარ საათში სამუშაო დროის დამთავრებამდე... საღამოს კი: მოგბეზრდება ყოველდღე ტელევიზორის ყურება, ზოგჯერ გაგიწევს გული ამხანაგების მოსანახულებლად... რას ან ვის უნდა დაემდუროს, რაც უნდოდა, ის მიიღო: წყნარი სამუშაო, მღელვარებისა და თავსამტვრევის გარეშე; შინ – ჩვეული სიმყუდროვე (თუ არ ჩავთვლით დედის ჩვეულ საყვედურებს)... მართალია, ის ხოსროსავით არ არის გადაყოლილი დროსტარებას, მაგრამ არსებითად არც დიდად განსხვავდება მისგან...

ვაჟამ შრიალით გადაიარა სადარბაზოს წინ ქარის მიერ შექუჩებული ფოთლების გროვაზე და მძიმე კარი გააღო. შემდეგ პალტოს საყელო გადმოიწია და კიბეს მეორე სართულამდე აუყვა. ტელევიზორში ფილმის ბოლოს თუ მიუსწრებს ალბათ...

ხვალ კი ახალი დღეა, შესაძლებელია, უწვიმო და უქარო, მაგრამ ეს შეცვლის რამეს? მზიანი და წყნარი ამინდი სჯობს, რასაკვირველია, მაგრამ ხანდახან ავდარსაც არა უშავს, ერთფეროვნება ხომ ასე მომაბეზრებელია...

1966

სევდა მსრბოლი დროისა

1. მწვანე კონცხი

ბათუმის მატარებელი თბილისიდან საკმაოდ გვიან გადის.

დილიდანვე რაღაც მოუსვენრობას ვგრძნობ, როგორც ფრინველები აწრიალდებიან ხოლმე გადაფრენის წინ – უნდა გავემგზავრო იქ, სადაც დავიბადე, ფეხი ავიდგი, პირველი ყვავილი მოვწყვიტე, შუბლზე პირველმა კოპმა ამატირა, პირველმა ჩიტმა შემომჭიკჭიკა და ფართოდ გამახელინა თვალები...

გზაში მოუსვენრად მძინავს. ან კი, რა ძილია ეს? დროდადრო თითქოს რაღაცა მიბიძგებს, თვალს ვახელ და ფანჯრისკენ ვიხრები – ხომ არ გათენებულა ჯერ?

ქობულეთში უკვე სანახევროდ შინ მგონია თავი, როცა ბაქანზე ჩარიგებული წერწეტა პალმების კამეჩივით შავ ტანებსა და ფოთლების მწვანე მარაოებს შევავლებ მზერას.

ბორბლების რაკარუკსა და ვაგონის რწევაში ხან ერთ მხარეს ვიხედები ფანჯარაში, ხან მეორეში: მარცხნივ აჭარა-გურიის მომწვანო-ლურჯი, მწვერვალებზე გადათეთრებული მთებია აღმართული, მარჯვნივ ლურჯი ზღვა ლივლივებს.

ციხისძირთან უკვე ზღვასთან პირისპირ ვსაუბრობ. აქამდე შორით იტაცებდა ჩემს მზერას – ჰორიზონტთან ვერცხლისფრად მბზინავი ქერეჭოებიანი, ღია ფერის იდუმალ ზოლად გაწოლილი; ახლა კი მატარებელი მიუყვება მაღალ ნაპირს და ზევიდან დავცქერი ზღვის ქვიშიან პლაჟს და მასში ალაგ-ალაგ ამოჩრილ შავ კლდეებს. პლაჟის ნაცრისფერი საჭრეთელი დამრეცად ეხება ლურჯი ზღვის კიდეს და განუწყვეტლივ იღებს ბურბუშელას – თეთრად ჩახვეული ტალღა ნაპირს ენარცხება. ზღვის ზედაპირი სუნთქავს, მისგან ირეკლება-ინთება და ქრება მილიონობით ათინათი, მზის სხივების წამიერი გაელვება ათამაშებულ ტალღებზე ათასგან ათასჯერ თვალს გიკრავს, გესალმება დაუსრულებლივ...

ზღვა დიდია და კეთილი.

სანაპიროზე თითო-ოროლა ზღვაზე შეყვარებული ზამთრის მიუხედავად დილაადრიან ჩასულა საბანაოდ; ნაპირიდან ცოტა მოშორებით თოლიები დაფარფატებენ, ტალღებს ესაუბრებიან; უფრო შორს – თევზსაჭერი გემი ირწევა; ჰორიზონტთან კი ლამაზად გამოკვეთილა დიდი თეთრი ხომალდი.

თითქოს ჩვეულებრივი სურათია – დილის წყნარი ზღვა, გული კი მიჩქროლავს, ფიქრები ათასგვარად იხლართება; წარსულის სურათები და მომავალი შეხვედრის მოლოდინი – ყველაფერი მაღელვებს და მაფორიაქებს.

და უკვე ვეღარ ვაცილებ მზერას ზღვას, სანამ არ გამოჩნდება გვირაბის შავი ხახა, რომელიც სულმოუთქმელად ყლაპავს მატარებლის ვაგონებს.

უცებ ბნელდება... ინთება ელნათურები, ყრუდ ისმის რელსებზე ბორბლების რაკარუკი, ჩხრიალით ჩაივლის წყლის ხმაური, სინესტე და სიგრილე გეფეთება წყვდიადიდან.

მერე თეთრად აფეთქდება გარემო, მოხასხასე მწვანე ზეიმობს...

გვირაბი უკან დარჩა.

მატარებელი სვლას ანელებს, შიშინ-ჭრიალით ჩერდება.

მოვედით – ბაქანი მწვანე კონცხი.

ძლივს ვასწრებ ჩემოდნის ჩამოტანას, რომ მატარებელი ერთს ხვავრიელად ამოისუნთქავს, ელმავალი დაიზმუვლებს და შემადგენლობა იძვრის ადგილიდან.

ჩემს თვალწინ კინოფირის კადრებივით მისრიალებს ვაგონთა ფანჯრები. სულ უფრო ჩქარა, ჩქარა... და აჰა, მატარებელმა მოსახვევში მოიქნია კუდი და მიიმალა, მინელდა ბორბლების რიტმული რაკარუკი. ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩამოვედი, ჩამოვედი მწვანე კონცხში.

ოდნავ გაბრუებული და დაღლილი ვდგავარ ბაქანზე; ყურებში დაგუბებულია დაგუდული სიჩუმე, მერე სიჩუმე იხსნება და დილის ჰაერის გამჭვირვალეებაში გაისმის ჩიტების ჭიკჭიკი...

მწვანე კონცხი... თითქოს არაფერი შეცვლილა აქ. ციცაბო მწვანე ფერდობებს შორის ჩავარდნილი რკინიგზა, რკინიგზის მეორე მხარეს, კამელიაჩაყოლებულ მესერს გადაღმა, ბოტანიკურ ბაღში ისევ მდუმარედ დგას მარადმწვანე წიწვოვანები, გიგანტური მაგნოლიები მსუყე სიმწვანით გამოირჩევა, გაუშლია ფართო და გრძელი ფოთლები ბანანებს, რკინიგზის ბაქანს კი გადმოყუდებია სანდალოზისა და ქაფურის ხეთა რტოები... ჩემს ფეხებთან აგდია სანდალოზის რამდენიმე სიწითლეშეპარული ფოთოლი. ნაზი სურნელით გაჟღენთილა ჰაერი.

ისევ ისე გარინდებულა გვირაბის შესასვლელთან "სოკოს" ქვეშ რუხფარაჯიანი, ხიშტიანი გუშაგი, ისევ ისე მოწანწკარებს ხუთიოდე ნაბიჯში კლდიდან გამონაჟური წყარო, რომელსაც არ შეიძლება, არ დაეწაფო და ისევ ვრწმუნდები – ხუთ ყლუპზე მეტს ზედიზედ ყინულივით ცივ წყალს ვერ ეზიარები...

იანვარია და მაინც სრულებით არ ცივა, დილის სიგრილეა ოდნავ. საოცარი მყუდროებაა; მესალბუნება სიჩუმე, სიწყნარე, უშფოთველობა. სხვა დროსაც არ მახსოვს, ჩამოვსულიყავი და ქარი ყოფილიყო. მარტოდმარტო ვდგავარ ბაქანზე და წასვლას არ ვჩქარობ. საოცარ მღელვარებასა და აღტყინებას ვგრძნობ, ენერგიისა და სიხარულის მოზღვავებას – თან თითქოს სიზმარში ვარ და, გულაძგერებული, ძალუმად აღვიქვამ გარემოს, სადაც ყველაფერი ასე მშობლიურია და მახლობელი, ათას ფიქრსა და მოგონებას აღმიძრავს...

ნაზი სურნელით შეზავებულ გრილ ჰაერს ღრმად ვისუნთქავ, მგონია, ვერასდროს შეველევი მსუყესა და წმინდას, ვერ გავძღები. მძიმე ჩემოდანს მსუბუქად ავიტაცებ და ნელი ნაბიჯით მივეშურები ქვევით, სადაც ბაქანი თავდება და გადავკვეთ რა რკინიგზას, მარჯვნივ მიმავალი გზით პირდაპირ ზღვას გადავადგები მაღალი ნაპირიდან.

აი, ზღვაც...

ლივლივებს, ხმაურობს, ნაპირს ლოკავს... ხანდახან ქაფიანი ჩახვეული ტალღის დაფჩენილი პირით უნდა უკბინოს ნაპირს, მაგრამ ათას შხეფად იშლება, გაწვება ქვიშაზე ლაქუცა ფინიასავით, მერე სულ დაშოშმინდება, ნაპირს მოლოკავს ენასავით და ხვინჭის გადაგორება-ჩხრიალით ისევ უკან მისრიალებს.

ახლა მშვიდია და უწყინარი ზღვა, მაგრამ დახე, წლების განმავლობაში როგორ შემოუტევია ნაპირისთვის – პლაჟი საგრძნობლად დავიწროებულა, მაღალი ნაპირის ფრიალო კედელს რამდენიმე ათეული მეტრით დაუხევია უკან. დრო მიდის, ზღვა წინ მოიწევს და სანაპიროს სახეს უცვლის. მხოლოდ მარჯვნივ, პლაჟის ბოლოს, ისევ ისე შეჭრილა აქაფებულ ზღვის ტალღებში მწვანე კონცხი – შუაეოცენური ასაკის ვულკანოგენების შავი, მაღალი კლდეები. მუქი სოლივით შესობია კონცხი წყლის სილურჯეში, სახელად მწვანე რაღად დაურქმევიათ? კლდეების თავზე მჭიდრო რაზმად შეჭრილა ცინცხალი ზურმუხტისფერი ტყე, რათა იქიდან უფრო კარგად გადაჰყურებდეს ზღვას, მასში მოსრიალე ნავებსა და გემებს, მობანავე ადამიანებს, დიდი ღელვის დროს კი შეიგრძნოს კონცხის შვეულ კედელზე შემომსკდარ ტალღათა კლდის შემაზანზარებელი დარტყმის ძალა, შუბლი შეუშვიროს ზევით ავარდნილ ქაფს, პირველმა შეაგებოს, ააჩურჩულებინოს ფოთლები ზღვის უკიდეგანო სიღრმიდან მოდენილ ნელ ნიავს, და გააფთრებულ ქარიშხალსაც პირველი შეებას გამობრძმედილი, მძლავრად დაკუნთული ტოტებით... აქ, კონცხზე, სუსტი ხე ვერ ხარობს.

კონცხის თავზე ერთმანეთში ჩახვეულა მუქი წიწვოვანებისა და უფრო ღია ფოთლოვანი ხეების სხვადასხვა ინტენსივობის მწვანე ფერი. მზე ჯერ მხოლოდ მათ კენწეროებში აკიაფებულა, სანაპირო ჩრდილშია.

რამდენჯერ მინახავს მწვანე კონცხის მთა-გორები იანვარშივე თეთრად გადაპენტილიც, როცა მიწაცა და ხე-ბუჩქნარიც თოვლის სქელი საბნითაა გადაფარული, ხვავრიელი თოვა კი არ წყდება; ამ დროს ნაპირს შემომსკდარი ტალღების ღრიალში ბათუმის მხრიდან, პირქუშად დაბინდულ-დაბურუსებული შორეთიდან, დროდადრო ყრუდ ისმის გაბმული დაგუდული ყმუილი – ავად აღელვებულ-აქაფებულ ზღვაში სანეტარო ნავსაყუდელისკენ მომავალი ხომალდები მოზმუილე სირენისკენ იღებენ გეზს. და უნებურად წარმოიდგენ, როგორ განწირულად ირწევა მთებივით ტალღებზე გემი, გემბანზე მოფუსფუსე მეზღვაურებს გამთოშავ ქარში ეკლებივით ესობათ სახეზე თოვლის ფანტე-

ლები, ეკიპაჟი კი განაგრძობს ჩვეულებრივ საქმიანობას და ყურს უგდებს სირენის თანდათანობით მოახლოებულ ხმას...

ასეთ ცუდ ამინდშიც მიყვარს საათობით დგომა ნაპირზე, გაავებული ტალღების ცქერა... ან ღრმა თოვლში გზის გაკვალვა, თეთრად დაზვინულ ხეებსა და ბუჩქებს შორის ხეტიალი და ყურება, როგორ შეფრთხიალდებიან ნაძვზე ან საპნის ხეზე ამძვრალ-ჩახუჭუჭებულ სუროში დამშეული შაშვები და ჩაშავებულ ნაყოფს შეესევიან... გარშემო კი მსხვილად ბარდნის და ისეთი სიჩუმეა, თოვის ხმაც კი გესმის თითქოს. მხოლოდ დროდადრო თოვლის სიმძიმისგან ჩამომტყდარი ტოტის ტკაცუნი არღვევს მყუდროებას ან გამვლელის ფეხქვეშ ახრაშუნდება სპეტაკი თოვლი...

ჩავდივარ ქვევით უკაცურ პლაჟზე, ხრაშახრუშით ვაბიჯებ როჭკნარში, ვისუნთქავ ზღვის მარილიან-იოდიან მსუყე ჰაერს, მერე ვწვები გულაღმა გრილ ქვიშაზე, ხელებს ვშლი და თვალებს ვხუჭავ... საოცარი სიმშვიდე და სიამე მეუფლება, ნანასავით ჩამესმის ზღვისა და ნაპირის ალერსიანი საუბარი, სახეზე ნაზად მისვამს მსუბუქ ხელებს ნიავი. რა კარგია ასე გარინდება!

ხუთიოდე წუთის შემდეგ ვდგები დასვენებული, თითქოს მთელი ღამე მატარებელში კარგად გამოვიძინე, და ზღვაში რკინის ხიმინჯებზე შეცურებულ ნავმისადგომზე გავდივარ, მის კიდესთან ვჩერდები.

ნავმისადგომის მოაჯირიდან რამდენჯერ თავით გადავმხტარვარ მოლივლივე ტალღებში, ზღვის გრილ ბინდბუნდში დამიყვინთავს, სულშეგუბებულსა და გულაჩქროლებულს ხელი დამიწვდენია იდუმალი ფსკერისთვის, მუჭში მომიქცევია ერთი ბღუჯა სილა, შემდეგ ტერფებით საჩქაროდ მიბიძგებია ფსკერისთვის და შურდულივით ზევით ამოვვარდნილვარ, ამიქაფებია წყლის ზედაპირი... ღრმად ჩამისუნთქავს და მაღლა თავმომწონედ ამიშვერია მარჯვენა ხელი – ყველასთვის დამინახვებია გაშლილ ხელისგულზე სილა, რომელშიც ზოგჯერ მოლუსკების ნიჟარებიც გამორეულა...

ანკესითაც ბევრჯერ ვმჯდარვარ ნავმისადგომის კიდესთან, როგორც ახლა სხედან ორი ბიჭუკელა და ერთი მოხუცი, და რამდენიმე კეფალი და სტავრიდულა მომიტანია შინ ანიკო დეიდასთვის. ისიც მშვენივრად მახსოვს: ერთხელ ბიძაჩემ ბენედიქტესთან ერთად ღრმად შევცურეთ ნავით, კარგა ხანს ვიქანავეთ ტალღებზე და უქეიფოდ შევიქენი – ზღვის ავადმყოფობა მომეძალა, თუმცა ბიძაჩემისთვის არაფერი მიგრძნობებია. მერე როგორი სიამაყით ვუჩვენებდი ანიკო დეიდას მდიდარ ნადავლს, მას კი ყველაზე უფრო ჩემი სიხარული უხაროდა და კეთილად ეღიმებოდა. მაშინ პირველად ვიგრძენი სიამაყე, რომ დიდის, მოზრდილის სერიოზულ საქმეში მეც მედო წილი.

ხელმარცხნივ ბათუმის ყურე შემორკალურა, ზღვაში შეცურებულ ნახევარკუნძულზე კი ქალაქის თეთრი შენობები გამოკრთის. ბუნდოვნად შეიძლება გაარჩიო ნავსადგურის მაღალი ამწეები, შუქურის თეთრი სვეტი ყურის შესასვლელთან; რეიდზე გემი დამდგარა, დასატვირთავად თავის რიგს უცდის.

დიახ, ოდნავ დაბურუსებულად მოჩანს ყველაფერი, მაგრამ მე უკვე ჩემი შინაგანი მზერით ბათუმის ქუჩებში მივსეირნობ...

წყნარი, სუფთა ქუჩების ორივე მხარეს დაფნის, კამელიის, პალმის, ოლეანდრის და სხვა ხე-ბუჩქები ჩარიგებულა თეთრად მოქათქათე შენობების გასწვრივ. ორი ქალაქის ქუჩებში განსაკუთრებით მიყვარს ხეტიალი – თბილისის და ბათუმისა.

ბათუმს მარცხნიდან აჭარის მწვანე მთები დასცქერის, მარჯვნივ – ზღვა გაწოლილა და უსასრულო სივრცეში გიტყუებს...

ახლა ზღვის პირისპირ ვდგავარ, რა ხნისაც უნდა ვიყო, ყოველთვის მიზიდავს ის ადგილი, სადაც ზღვა და ცა ერთდებიან; ამინდისდა მიხედვით ხან ერთნაირ ფერს იღებენ, თითქოს ითქვიფებიან ერთმანეთში, ხან კი მათი გამყოფი ხაზი მკვეთრია: ცა ღია ფერისაა, ზღვა – მუქი...

დიახ, გიტაცებს ზღვის შორეული ჰორიზონტი და სურვილს ბადებს, გაეშურო იქით, იმ იდუმალი ადგილისკენ – რა არის მის შემდეგ? ნუთუ ისევ ზღვა? პასუხი შენთვის რა ხანია, ნათელია, მაგრამ მაინც გიპყრობს ცდუნება – გინდა შესცურო შორს, შორს, კიდევ უფრო შორს...

ჰორიზონტთან ზღვის ზედაპირი ოქროსფრად ლაპლაპებს, დილის მზის სხივებს ეთამაშება; აქ კი, ნავმისადგომსა და პლაჟზე, ჯერ კიდევ ჩრდილია.

ახლა ნაპირისკენაც მივიხედოთ... მზე ჯერჯერობით ეფარება მწვანედ ახუჭუჭებულ, საკმაოდ ციცაბო ფერდობს, რომელზეც ხეებს შორის ალაგ-ალაგ მწვანე კონცხის საცხოვრებელი სახლები და სანატორიუმების თეთრი კორპუსები მოჩანს. საკმაოდ მაღლა, უზარმაზარი ფიჭვებით თითქმის მთლიანად დაფარულს, ვპოულობ დეიდაჩემის სახლსაც... აი, იქ უნდა ავიდე, ავუყვე აღმართს... რამდენჯერ ამითავებია ეს აღმართი!.. და ახლაც შინაგანი მზერით წინ მთელმა გზამ წამიერად გაიელვა:

აღმართში მიხვეულ-მოხვეულ, მოასფალტებულ გზას ნელ-ნელა ნებიერად გავუყვები და ისევ – უკვე მერამდენედ! – გამაკვირვებს და გამახალისებს იანვარში გულწითელა ჩიტების სიმრავლე და უდარდელი ჭიკჭიკი; გზისპირა კბოდეზე იები ჰყვავის; ალბათ ჯერ შემეცოდება მათი დაკრეფა, მერე კი ასე მომრავლებულს რომ ვნახავ, ერთ წუთში მთელ კონას შევკრავ... გამახსენდება ის ადგი-

ლიც, – წყაროს ქვევით, მანდარინის ბაღში, – სადაც ალბათ, როგორც ამ დროს ყოველთვის, ენძელები იქნება თეთრად აყვავებულ-გადაფეთქილი...

სანამ მაღლა-მაღლა მივიწევ, დროდადრო გავჩერდები, ჩამოვჯდები ბამბუკის სკამზე, გადავხედავ ამწვანებულ ხევს, რომლის დატერასებულ ფერდობებზეც მანდარინის ხეები ისვენებს და თავისებურ სურნელს აფრქვევს; გზის მეორე მხარეს კი ალბათ იაპონური აკაცია უკვე ემზადება თავისი ახლადგამოჩეკილ წიწილებივით ყვითელი და ფუმფულა ყვავილების ასაფეთქებლად (რატომღაც მიმოზას რომ უწოდებენ ბევრნი); შემდეგ ჩავუვლი გიგანტურ თეთრ გემს – სანატორიუმის გრძელ შენობას, ცოტა უფრო ზევით გადავუხვევ ასფალტიდან და უამრავი კიბეების დაპყრობით, მანდარინის ბაღის გავლით, დეიდაჩემის ლურჯად შეღებილი სახლის კიბეს მივადგები...

აქ ერთს კიდევ შევჩერდები, თვალს შევავლებ აყვავებულ თეთრ და წითელ კამელიებს, გადავხედავ უკვე მაღლიდან ყურესა და მის იქით, უკვე დილის მზით განათებულ და მკვეთრად გამოკვეთილ ბათუმს. მერე გავეშურები ძახილზე გაღებული კარისკენ, რათა ვიხილო ქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე უფრო საამო სანახავი – ქალის ღიმილით და სიხარულით განათებული სახე...

ანიკო დეიდა ქმარს დაუძახებს, ჩქარა მოდიო და მალე მის გვერდით გამოჩნდება ბიძია ბენედიქტე – მაღალი და ჭაღარა; ფართოდ გაიღიმებს და მის მიერ შერქმეულ უცნაურ სახელსაც წამოიძახებს:

– კოსიმელა ჩამოსულა, ყოჩაღ!

2. გახსენება

ბიჭი ჯერ პატარა იყო – ხუთი წლის – და არ ესმოდა, რატომ უნდა წასულიყვნენ სოფელში ის და ბებია. ძალიან ეძნელებოდა ტირილი, მაგრამ ბოლოს ამ ხერხსაც მიმართა; მაინც არაფერი გამოუვიდა... არც ხვეწნამ გაჭრა, არც დაპირებამ – აწი ბებიას ყველაფერს დავუჯერებ და უნებართვოდ წყალში არ ჩავალო, მაინც უნდა გამომშვიდობებოდა მეგობარ ბავშვებს და ყველაზე დიდ მეგობარს – ზღვას...

სხვა გამოსავალი კი არ იყო. ახლა თითქმის ყოველდღე ისმოდა ბათუმის მხრიდან თვითმფრინავების ავისმომასწავებელი ბზუილი, გულის გამხეთქი ბათქაბუთქი, გუშინ კი აფეთქებათა ტალღებმა შუაბანდში რამდენიმე შუშა იმსხვერპლა. შუშის ნამსხვრევები თეფშებშიც ჩაცვივდა (ოჯახი სადილობდა) და იმ საღამოს ნახევრად მშიერნი დარჩნენ. საბოლოოდ გადაწყდა, ბებია და შვილიშვილი სოფელში გაესტუმრებინათ – ჩოხატაურის რაიონში, სოფელ ხიდისთავში, უფრო სწორედ – ამ დიდი სოფლის ზევით, გორაკებზე შეფენილ პატარა სოფელ მეწიეთში...

დიახ, სხვა გზა არ ჩანდა. მათ მარტოკებს უნდა ემგზავრათ. ბიჭის დედა მსახურობდა, მამა კი ჯარში იყო გაწვეული. ბიჭს უთხრეს, რომ ახლა სოფელში ბევრი ხილია, შენი პატარა დაიკოც უნდა ნახო, ნუთუ არ მოგენატრაო. სურსათი აქ მართლაც ძნელი საშოვნელი გახდა. ხანდახან თუ ორაგულის თავებს იშოვიდა კაცი გაჭირვებით, დიდი სიხარული იყო ოჯახში.

ბებია დილიდანვე აწრიალდა, მგზავრობის თადარიგი დაიჭირა. და აი, მიიჩქარიან დაბლა კიბეებით.

ბებია საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურება. ერთიანად თოვლივით გათეთრებულ თმაზე ჩითის უბრალო თავსაფარი წაუკრავს. მატარებლის მოსვლამდე ჯერ ორ საათზე მეტია დარჩენილი, სახლიც რკინიგზის ბაქნიდან სულ სამიოდე წუთის სავალზეა, მაგრამ ბებიის დევიზია – სიფრთხილეს თავი არ სტკივა! მწვანე კონცხის ბაქნიდანაც მოჩანს მათი სახლის შუაბანდის ფანჯრები, ქაღალდის თეთრი ზოლებით ჯვარედინად აწებებული. მაღალი, ლამაზი პალმა იქვე დგას, კიბესთან; რამდენჯერ უცდია ბიჭს მასზე აცოცება და ამაოდ გარჯილა...

ისინი მეზობლის შუახნის ქალმა, აიშემ გამოაცილა, მოეხმარა ბარგის ჩამოზიდვაში. ბარგი სულ ხუთი თავი ჰქონდათ, ცალი ხელით კიდევ ბებია ჩაჰფრენოდა ბიჭს მკლავში, რათა ვერცხლისწყალივით მოძრავი ცელქი კიბეებზე კიდევ უფრო არ დაშავებულიყო: ისედაც მარცხენა მუხლი ბანდით აქვს შეხვეული, სახეზეც სახვევი აქვს დადებული და მხოლოდ ცალ მუქ თვალს აბრიალებს. ბიჭსაც მოაქვს პატარა, მაგრამ მისთვის საკმაოდ მძიმე კალათი.

ბაქანზე ხალხი ირევა. ომი სულ რამდენიმე თვის დაწყებულია, ყველას სადღაც მიეჩქარება. ღმერთმა უწყის, როგორ უნდა ავიდნენ ვაგონში ამდენი ბარგით – მატარებელი მწვანე კონცხის ბაქანზე სულ ერთ წუთს ჩერდება.

ბებია ჩემოდანზე ზის და მაგრად იხუტებს ბიჭს, რომელიც ვერ ისვენებს, ლამობს როგორმე გაინავარდოს ბაქანზე.

ჯერ შუადღეც არ დამდგარა. ხალხი მატარებლის ლოდინმა მოასავათა. გაუთავებლად იგრძელებენ კისრებს მახინჯაურის მხრისკენ, მატარებელი კი არ ჩანს. გვირაბის შავი პირის წინ მდგომი

გუშაგი უკვე ორჯერ გამოცვალეს: ნალებიანი ჩექმების ბრახუნით აიარ-ჩაიარეს ბაქანზე ხიშტიანი შაშხანებით შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა.

ერთადერთი გასართობი: ხანდახან სატვირთო შემადგენლობა რიხინ-რიხინით ჩაივლის გაუჩერებლივ. ხან მარტო ნავთობის ცისტერნებია, ხან – ქვემეხებით ან სხვა სამხედრო საჭურვლით დატვირთული პლატფორმები; სატვირთო ვაგონების გაღებული კარებიდან ჯარისკაცები იცქირებიან.

ნელა მიიზლაზნება დრო. მატარებელმა უკვე სამ საათს დააგვიანა. ზოგიერთი იმასაც კი ლაპარაკობს, სამგზავრო მატარებელი, შეიძლება, არც გამოჩნდესო; ბაქნიდან მაინც არავინ წასულა. ბიჭს მოშივდა და დაიღალა კიდეც. მჭადის ნატეხსა და ყველს ლოღნიდა და ბებიის კალთისკენ მიიწევდა – ეძინებოდა.

შორით მოისმა ორთქლმავლის ქშენა. მოსახვევიდან აღმართში ძლივს მოღოღავდა შემადგენლობა. მწვანე ვაგონების კიბეები გადაშავებული იყო ზედ ჩამოკონწიალებული მგზავრებით.

ბაქანი აჩოჩქოლდა, ამოძრავდა.

წესიერად არც იყო მატარებელი გაჩერებული, როცა მას შეასკდა ადამიანთა ტალღა... მაგრამ მაშინვე განწირული, სასოწარკვეთილი ხმა აღმოხდათ – კიბეზე ტევა არ იყო. ყველაზე ჯანიანები კიდევ ახერხებდნენ ძლივძლივობით ფეხის მოკიდებას ვაგონებს შორის გამონაშვერებზე; ყოველ წამს მოსალოდნელი იყო ამ ჯიკავსა და ჭედვაში ვინმე უიღბლო ქვევით ჩავარდნილიყო. ყველაზე ხალვათად ვაგონთა სახურავებზე მოკალათებულნი გრძნობდნენ თავს.

ბებია ჯერ ენერგიულად მივარდა ხან ერთ კიბეს, ხან მეორეს (ბიჭი ბარგთან დატოვა), მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ვერაფერს გახდებოდა და უიმედოდ ჩამოშვებული ხელებით უყურებდა კიბეებთან ამტყდარ ორომტრიალს.

– დეიდა რებეკა, საით მიბრძანდებით? – მოესმა ამ დროს. შემდეგ იგივე სიტყვები სხვა ხმამაც გაიმეორა უფრო ხმამაღლა და ბებიამაც მიიხედა ვაგონისკენ.

ღია ფანჯარაში თავები გამოეყოთ ძმებს – ნაზიმსა და ზიას. შავტუხა ვაჟკაცებს ჯარისკაცის რუხი ფორმა ეცვათ.

– ეჰ, შვილებო, ოზურგეთში მივალ, მარა... – გაშალა ხელები ბებიამ. ყველაფერი ცხადი იყო უსიტყვოდაც.

ძმათა სახეები ვაგონის სიღრმეში ჩაიმალა, შემდეგ ფანჯარაში ცალი ჩექმა გამოიჩარა, ზიამ თავიც გამოჰყო გარეთ და მალე ჯარისკაცის ჩექმებმა ბაქანზე ბრაგვანი მოადინა.

ზია ქორივით დაეცხრა ბარგს: ერთი, ორი... სამი, ოთხი... ხუთი, ექვსი... მეექვსე თავი ბარგისა ბიჭი იყო, ისიც მსუბუქად აიტაცა ზიამ და ფანჯარაში მიაწოდა ძმას.

– ფრონტზე იყავი, ჭო?!. – გაუცინა ნაზიმმა ბიჭს, როცა თავფეხშეხვეულს ღონიერი ხელებით ძმას ართმევდა.

ბებიამ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ ზიამ მძლავრი მხრებით გაარღვია ვაგონის კიბესთან მისეული ხალხი, მიბღერტ-მობღერტა კიბეებზე შეჯგუფულებიც და ბებიაც უკან გაიყოლა. კიდევ რამდენიმე გაბრძოლება, გინების ორომტრიალი, კუნთებისა და ფსიქიკის დაძაბვა – და ბებია და ზია უკვე ტამბურის შესასვლელში არიან. აქ კი ზიამაც დაჰყარა ფარ-ხმალი – ვაგონში შეღწევა შეუძლებელი იყო.

კიდევ კარგა ხანს იდგა მატარებელი, ბოლოს, როგორც იქნა, დაიძრა და ვაგონის ტამბურში შეჭყლეტილ ადამიანებს ოდნავი შვება მიეცათ – აუტანელი სიცხე და ოფლის სუნი შესამჩნევად შეანელა ჰაერის ჭავლმა.

მატარებელმა გვირაბში შერგო თავი. დაბნელდა, სასიამოვნოდ აგრილდა, მერე კი ორთქლმავლის ბოლმა შეუხუთათ სული. შემდეგ ისევ სინათლე, რწევა, ბორბლების მოუღლელი რაკარუკი, უთავბოლო ყაყანი...

ბებია ისე იყო გაჭედილი, განძრევა არ შეეძლო. ზია ცდილობდა, როგორმე დაეცვა ბებია. ნელ-ნელა ხალხი მილაგ-მოლაგდა, დაწოლაც შენელდა. ბებია ახლა ბიჭზე წუხდა.

– ნუ გეშინია, დეიდა, ნაზიმი იქ არ არის? – დამშვიდება სცადა ზიამ, თან აუხსნა, რომ ჯობდა, მახინჯაურში ან ბათუმში ჩამსხდარიყვნენ მატარებელში, მაგრამ ბებიას რა დააწყნარებდა. იქვე კიბეზე ცალი ფეხით სასწაულებრივად მოეხერხებინა მოკალათება თორმეტიოდე წლის შავგვრემან ყმაწვილს.

– სახელურს გადასავარდნად რომ ეკონწიალები, პატრონი არ გყავს, ბიძიკო, შენ? – შეეკითხა მეზობელი, შუახნის წვერგაუპარსავი კაცი.

– აბა, უპატრონო კი არ ვარ! – იწყინა ბიჭმა.

– დედა გყავს?

– კი...

– მამაც გეყოლება.

– კი...

– აბა, არაფერი უჭირთ, შენისთანას კიდევ გააკეთებენ.

— რას ეხუმრები, კირილე, ბაღანა კი არა, ვაჟკაცი ყოფილა, — გამოესარჩლა ყმაწვილს მეორე კაცი, რკინიგზელის გახუნებული ქუდი რომ ეხურა. — რომ ჩამოვარდეს, მაგის ცოდვა ჩვენ დაგვაწვება კისერზე.

— მამაიე ჯარშია წასული... — უცებ ატირდა ბიჭი. რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვეღარ შეძლო.

კირილემ მოხვია ხელი და დაუყვავა.

— აბა, გეიწით იქით, თქვე უპატრონოებო, ბაღანა არ დამიჩაგროთ! — დაიყვირა მან და უფრო მოხერხებულად მოათავსა ბიჭი. — ნუ გეშინია, ბიძია, პაწა ვიხუმრეთ, რა მოხდა მერე... ვაჟკაცი ხომ ხარ, რა გატირებს!

— რა გაქ ამ ტომსიკაში? — შეეკითხა ბიჭს რკინიგზელი.

— ფქვილი... ბათუმში ვიყავი მამიდასთან... — უკვე აღარ ტიროდა ბიჭი, მაგრამ მის ხმაში მაინც იგრძნობოდა უნდობლობა.

— ვერ გყოლია მამიდა მაინცდამაინც მდიდარი, — სკეპტიკურად აფასებს თვალით კირილე ბიჭის ტომარას. — ხომ არ მოგშივდა? ა, პურის ნატეხი, წაიხემსე... ნუ გეშინია, არ ჩავარდები, მაგრად დაგიჭერ!..

ბებიასაც მოშივდა, წყალი საშინლად მოწყურდა, მაგრამ ამას ვინ ჩივის, მთავარია, რომ მატარებელში მოხვდნენ რაღაც ბედად.

მატარებელი კი არ ჩქარობს, პატარა ბაქნებზეც კი რატომღაც დიდხანს დგას ხოლმე.

ქობულეთი... ცოტა შეთხელდა ხალხი ვაგონებში.

აქ ნაზიმი და ზია ჩადიან. კოცნიან ბიჭს, ხელს ართმევენ ბებიას... ბებია ლოცავს მათ.

— ნენა, თქვენ გეიზარდეთ, შვილებო...

— დეიდა, გაზრდილები ვართ უკვე, — იცინიან ძმები. ბაქანზე გასულები ერთხელ კიდევ დაუქნევენ ხელს დამშვიდობების ნიშნად, უღიმიან ბიჭს და მიდიან.

ახლა ბებია და ბიჭი სხედან. ვაგონში ხალხი ისევ მრავლადაა, მაგრამ წინანდელ რაოდენობასთან შედარებაც არ შეიძლება.

ორთქლმავალმა დაიკივლა, მატარებელი დაიძრა და ოცდაათიოდე წლის ჩასუქებული ქერა ქალიც აკივლდა. ახლომახლო მყოფთ გული გაუსკდათ, ეგონათ, ვინმე ბორბლებს ქვეშ ჩავარდა, მატარებლის გაჩერებაც კი მოინდომეს. გამოირკვა, თურმე ქალს ჩემოდანი მოჰპარეს. ხალხი აწყნარებდა, მაგრამ ეს თითქოს კიდევ უფრო აფიცხებდა დაზარალებულს — ტირილითა და ვაი-ვიშით კინაღამ ცა ჩამოაქცია. როცა შეატყვეს, მტირალი გაჩერებას არ აპირებდა, აქეთ-იქიდან ზოგი გაეხუმრა, ზოგიერთმა კი შეუტია კიდეც — ჩვენი საფიქრალ-სატკივარიც გვეყოფა და ნუ გადაგვაყოლე მაგ შენს ჩემოდანს, გინდა სურსათი გქონოდა შიგ, გინდა ოქროო.

საჭმლის ხსენებაზე ბებიამ და შვილიშვილმა ცოტა წაიხემსეს მჭადითა და ყველით; ამასთან აღმოჩნდა, რომ გამქრალიყო საკმაოდ დიდი ლურჯი ბადურა, რომელშიც, საბედნიეროდ, მხოლოდ ძველმანი იყო. ნახმარი ტანისამოსი, რასაკვირველია, ამ ომიანობის დროს გამოადგებოდა კაცს, მაგრამ ბებიას ამაზე სულ არ უდარდია.

ბებია უფრო ნაზიმსა და ზიაზე ფიქრობდა. კარგი ბიჭები იყვნენ მეზობლის ვაჟიშვილები, ორთავეს სამხედრო ფორმა ეცვა. მესამე, მამია, ჯერ პატარაა, სკოლაში დადის. ბებია ნანობდა, რატომ არ გამოჰკითხა, სად მიდიოდნენ, იქნებ პირდაპირ ფრონტზე?

— ნურაფერს გაუჭირვებ, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! — ჩურჩულებს ბებია.

ბიჭი სიცხემ და დახუთულმა ჰაერმა მოთენთა. საღამოვდება, ნეტა მალე აგრილდებოდეს.

ყველანი გატანჯული სახით სხედან. ლაპარაკის თავი თითქოსდა არც უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მაინც ისმის ყაყანი. მეზობელ კუპეში ბავშვი გაჭირვეულდა, ტირილით გაიჭაჭა, ვერაფრით მოხერხდა მისი დაწყნარება.

— თქვენი რა ჩუმი ბავშვია, — ეუბნება ბებიას მის პირისპირ მჯდომი ოქროსკბილებიანი ქალი.

— ისემც ამას რა ვუთხარი! — ღიმილით პასუხობს ბებია.

იბმება საუბარი.

— ნენა, ნენა-ა... — თავს აქნევს ბებია, — გუშხამ რომ ჩამოვარდა საკორწიანედან, მეგონა, ბურდღა არ შერჩებოდა, რაფერ არ გაშპა სული, მიკვირს. მუხლის თავი გადაღლეტილი ქონდა... პამპალიეთ ევიყვანე შინ, ერი კრინტი არ დაუძრია...

— თავიც მაშინ ხომ არ დაარტყა? — კითხულობს ოქროსკბილებიანი.

— არა, თავი გადარჩა. ქუთუთოზე რაცხა ამოუვიდა, ხელით აწვალებდა და ამიტომ შევუხვიეთ თავი; მე თითონ ოთხი შვილი გავზარდე, მარა ასეთი ბაღანეს მნახველი არ ვარ, ფირალათ ვარგა!

ბიჭი სულ ოქროსკბილებიანს მისჩერებია პირში, რომელიც დიდხანს წვრილად ჰყვება საკუთარი შვილების ბავშვობისდროინდელ ამბებს. ბებია ყურადღებით უსმენს, მაგრამ მას, ბიჭისგან განსხვავებით, ლითონის ბრჭყვიალი არ იტაცებს, თვით ამბით არის დაინტერესებული.

— ამ ძღინკიანმა ყაზილარმა სისხლი გამიშრო, — სიყვარულით უსვამს ბებია გამხდარ ხელს მის კალთაში ჩაგორებული ბიჭის თავს. — სულ ზღვაში უნდა ბანაობა. ჭლიკზე ვაბამ ბაწარს და ისე ვუშვებ საჭყუმპალაოდ, ღრმად რომ არ შევიდეს. გუშხამ ფეხზე რომ ვაბამდი ბაწარს, არ გამიშპა ხელიდან და შევარდა წყალში?!. ნენა-ა-ა... სანამ დავიჭერდი, მე ჩემი დამემართა...

ბებია ლაპარაკის მოყვარულია, არც მისი თანამოსაუბრე გამოდგა სიტყვაძუნწი. მოძებნეს საერთო ნაცნობები, მიჰყვნენ — და ბოლოს ერთმანეთის შორეული ნათესაობაც კი დაადგინეს.

ოზურგეთში ჩასვლამდე დრო შეუმჩნევლად გავიდა. ჩამოსულმა მატარებელმა რკინიგზის წყნარი სადგური ააფორიაქა. ჩაძინებული ბიჭი გამოაღვიძა ბებიამ და ახლადგაცნობილი ნათესავის დახმარებით ბარგი ბაზრამდე მიიტანა.

მოსაღამოვდა. რამდენიმე საკმაოდ შეფერთხილი საბარგო მანქანა პირთამდე გატენილიყო მგზავრებით.

ბებია ხიდისთავისკენ წამსვლელ მანქანასთან მიიჭრა. კაბინაში ფეხმძიმე ქალი და ორი პატარა ბავშვი ისხდნენ.

მანქანის ბორტები თითქოს სადაცაა გადმოსკდებოდა, ხალხი კი ისევ ცდილობდა, როგორმე ამძვრალიყო ძარაში.

შავულვაშა ღიპიანმა შოფერმა მანქანას გარშემო შემოუარა. ისეთი ქორივით გამოხედვა ჰქონდა, რომ უთქმელადაც ჩამოფერთხა ბორტებზე ჩამოკონწიალებულნი და კაბინის კარი გამოაღო. ცალი ფეხით შედგა საფეხურზე და ერთხელ კიდევ ახედა ძარას. შემდეგ იქ ყველაზე წინ მდგომ 16-17 წლის ყმაწვილს მიმართა:

— ძამა, ჩამობრძანდი აქ... ჩამოდი-მეთქი, შე მამაძაღლო, არ გეყურება?!. — ხმას აუწია შოფერმა და მეორე ახალგაზრდასაც დაუქნია თითი: — შენც... ჩქარა! მიეხმარეთ ამ ადამიანს... აბრძანდით, ქალბატონო!

ბებია დაიბნა; ხან ბარგს ეცა, ხან — ბიჭს, მაგრამ უიმისოდაც ყველაფერი უკვე ძარაში იყო. ბებიაც აფორთხდა ზევით, როგორც იქნა, ახალგაზრდების დახმარებით. სულ ბოლოს ბიჭი თვითონ შოფერმა მიაწოდა:

— აბა, ვაუკაციც მოათავსეთ... ჯარში იყავი, ბიძია?.. რა ამბავია ფრონტზე, ჰიტლერს დედას მალე ვუტირებთ? — გაუცინა და კაბინაში შეძვრა. შემდეგ კარი მიიჯახუნა, მელოტ თავზე კეპი ჩამოიფხატა და ახალგაზრდებს უბრძანა, ძრავის დასაქოქი სახელური დაეტრიალებინათ.

ახალგაზრდები კაბინის საფეხურებზე დადგნენ და გადატვირთული მანქანა გაჭირვებით დაიძრა ადგილიდან.

ბებია ჩემოდანზე იჯდა, მის კალთაში კი ბიჭი იყო მოკალათებული, ხელები კაბინის სახურავზე ეწყო. ბებია აქაც ცდილობდა, გამოეძებნა მოსაუბრე და არცთუ უშედეგოდ. მის გვერდით ხნიერ ქალს გაუბა საუბარი, რომელსაც შვილი გაეცილებინა ჯარში. ამ ქალის მეუღლე იქვე იყო; ეტყობოდა, მოხუცს გვარიანად გადაეკრა, ეს მანქანის ყანყალშიც კი აშკარად შეიმჩნეოდა. სიმღერის ხასიათზე იყო, სულ ხელებს შლიდა და მეზობლებს რომ არ დაეჭირათ, ყოველ წამს შეიძლებოდა, გადავარდნილიყო.

ბიჭმაც მოძებნა საქმე. ვითომ შოფერს ეხმარებოდა, თვითონაც "ატრიალებდა" საჭეს, ბუბუნებდა, აპიპინებდა.

დახმარება კი მანქანას ნამდვილად სჭირდებოდა. ძნელი აღმართი ძრავას სიქას აცლიდა. ჩამავალი მზის სხივები ირიბად ეფინებოდა მიდამოს, მწვანეში ოქროსფერს ურევდა. ჩაის პლანტაციებით დაფარულ გორაკებს თხემების გასწვრივ კრიპტომერიების ქარსაფარი ზოლები მიუყვება. როგორ შეიცვალა გურიის პეიზაჟი რამდენიმე ათწლეულში! ბებიის ახალგაზრდობისას არც ეს პლანტაციები იყო, არც კრიპტომერიები; სიმინდის ყანათა ნაფლეთები თუ გამოკრთებოდა აქა-იქ ხეებით ჩაბურდულ არემარეში, გზაზეც ცხენზე ამხედრებული თუ შეგხვდებოდა ან ურემი მიჭრიალებდა აუჩქარებლად... თუმცა ბებია ახლა ამაზე არ ფიქრობს, მეზობელთან საუბრითაა გართული.

ჯერ შვილებზე ისაუბრეს, მერე შვილიშვილების ჯერიც დადგა. ბიჭი კი ისევ შოფერს "ეხმარება", თუხთუხებს, გაბმით პიპინებს.

აი, დაღმართიც დაიწყო. მალე ნასაკირალს უახლოვდებიან; დაღმართი ციცაბოა, დაკლაკნილი, ვიწრო და ოღროჩოღრო. დაღმართის ბოლოში, პატარა მდინარესთან მანქანა გაჩერდა. ერთი ახალგაზრდა საფეხურიდან ჩამოხტა და მარდად მოარბენინა ვედროთი წყალი რადიატორში დასამატებლად.

სუფსის ვაკე დაიწყო, სიმინდის ყანაში ცხენიანი კაცი დაიმალება. სიმინდი ჭყინტია უკვე ალბათ. გზის ორივე მხარეს აკაციები ჩარიგებულა. მალე ოზურგეთ-ჩოხატაურის გზიდან მარჯვნივ გადაუხვიეს, ხიდისთავისკენ. ჩაუარეს წისქვილს, გადალახეს ფონი პატარა მდინარეზე. შოფერმა ფარები ჩართო — სიბნელე ეპარებოდა არემარეს.

ბიჭს უკვე ეძინა ბებიის კალთაში. ძარაში მდგომი მოქანავე მგზავრები კი მღეროდნენ:

“ხასანბეგი თავდგირიძე
გარისხული ღვთისგან ერთი...”

ხიდისთავს რომ მიაღწიეს, თითქმის სულ დაბნელდა. აქა-იქ ჭიატობდა სინათლე სახლთა ფანჯრებში.

მანქანა სწრაფად დაიცალა, ხალხი წავიდ-წამოვიდა.

ბიჭი ბებიასთან ერთად იჯდა ჩემოდანზე მაღაზიის წინ. გარშემო ციცინათელები ციალებდნენ; ბიჭს უნდოდა მათი დაჭერა, მაგრამ ბებიისგან მოშორებისა ეშინოდა, თან დაღლილს თვალები ელულებოდა. ეს ჭრიჭინობელებიც რომ ნანასავით გააბამენ მონოტონურად თავიანთ სიმღერას, თითქოს მთელ გარინდებულ ქვეყნიერებას ეუბნებიან – წყნარი საღამოა, დაიძინეთო...

– რებაკო, შენ?!. რავა ბრძანდები!.. – მაღაზიის ბოძთან აიტუზა მაღალი, ჩახრინწულხმიანი მამაკაცი. ბიჭმა მაშინვე თვალები დააჭყიტა.

– გამარჯობა, კუჭულია! სა მიდიხართ ამ ღამეს? – ბებია გახარებულია, ჩემოდნიდან წამოდგა და ხელი ჩამოართვა. – აი მეორე ვინაა, ვერ ვიცანი... გირგოლე ხარ?

მეორე მამაკაციც მიუახლოვდათ. ის ბიჭს კუჭულიაზე უფრო დიდიც კი ეჩვენება. გოდორი მოუკიდებია ზურგზე, პაპიროსი დროდადრო ციცინათელასავით გამოანათებს. ნამდვილი ციცინათელები აღარ ჩანან.

ბიჭი გრძნობს ლოყაზე მჩხვლეტავ კოცნას, თამბაქოს უსიამოვნო სურნელს.

– თავი რატომ აქვს ბაღანას შეხვეული? რაა, რებაკო, შენი შვილიშვილი ჰიტლერს ეომებოდა?

– ბიჯო, ჰიტლერს წვენი მალე გაუვა?

კაცები როხროხებენ, შემდეგ ბიჭს ღონიერი ხელები ზევით აიტაცებენ, სულ ზევით და აქ უცებ გრძნობს მყარ იატაკს – ის უკვე გოდორშია.

... და მიეშურებიან გრძელი, მიხვეულ-მოხვეული, ბნელი შუკით მეწიეთისკენ ერთი ქალი და ორი მამაკაცი. აღმართს ლაპარაკით იადვილებენ, ბიჭი კი ისმენს შორით ძაღლების ყეფას, უყურებს მაღლა ვარსკვლავების ციმციმს და არ იცის, რომ მოქანავე გოდრით ასეთი უჩვეულო და უჩვეულოდ სასიამოვნო მგზავრობა მრავალი ათეული წლის შემდეგაც ემახსოვრება.

3. მეწიეთი

ხიდისთავში ავტობუსიდან ჩამოსვლას არ ვჩქარობ.

სოფლის მოედანზე ჩამომხტარი, დიდხანს ვდგავარ იქვე და თვალს წყალს ვალევინებ.

გუბაზეული ძველებურად მიაშხუილებს ტალღებს; ხიდს იქით, მეორე ნაპირზე, სკოლის დიდი შენობა წამომართულა. მდინარის პირას იხვები და ღორები დასეირნობენ. თეთრი ბატები დინჯად დაცურავენ და დროდადრო ჩაიყურყუმალავებენ – რაღაცას ეძებენ ფსკერზე.

დღეს უქმე დღეა, მოედანზე ხალხი ირევა, ბაზრობაა. ისმის ცხარე და ხმამაღალი ლაპარაკი. ვაკვირდები: ქალაქურად აცვიათ, ჩამოსულ თბილისელებში ვერ გამოარჩევ. თითო-ოროლა თამბაქოსგან ულვაშებშეყვითლებული მოხუცი თუ დაჩინდრიკობს უბრალო ტანსაცმლით, თავზე ყაბალახწახვეული. აგერ ერთმა გადმოიარა ხიდზე კიდევ, შუახნის შარვალაკაპიწებულმა კაცმა, მხარზე თოხი გაუდვია. ალბათ არხს წმენდდა სადმე ან ყანაში მუშაობდა.

საკმაოდ მაღალი გორაკების ფერდობებზეა შეფენილი სოფელი მეწიეთი; ქვევით გუბაზეულის ნაპირებზე გაშლილ დიდ სოფელ ხიდისთავს ზევიდან დაჰყურებს.

მეწიეთისკენ მიმავალ გზას მივუყვები.

ცალ მხარეს ჩამწკრივებულ მაღაზიებში ტევა არაა. აგერ კლუბიც, მის წინ მცირე პარკში – ობელისკი აღმართულა.

გადავდივარ ხიდით პატარა მდინარეზე, მას ლუგუბას ეძახიან. ზაფხულის ამ ცხელი დღის მიწურულს თბილი იქნება მისი წყალი. ალბათ როგორც წინათ, პატარა ბიჭები იჭერენ თეთრი მუცლებით ზევით ამოტივტივებულ, სიცხისგან გაოგნებულ ღორჯოებსა და წვერებს, ქალები კი სარეცხით ჩამოსულან მის ნაპირებზე; ისმის ლაპარაკი და წყლის ჭყაპუნი.

გრილ ორღობეში შუქი და ჩრდილი მაქმანივით მოხატულა მიწაზე. ძაღლმა ჩაიცუნცულა, მხოლოდ წამით მომაპყრო ჭკვიანი თვალები და დინჯად განაგრძო გზა. ჭრელი ქათამი გაძვრა ღობეში, მას წიავ-წიავით მიჰყვნენ წიწილები; ერთი, ყველაზე პატარა, ჩამორჩა, გასაძრომი ვერ უპოვია, დაბნეულს, და კრუხის ქოთქოთზე უმწეოდ წრიალებს, სუსტი ფრთების ფათრქაფურთქით ცდილობს, ზევით ახტეს; ბოლოს, ძალისძალად გაძვრება ვიწროში სარებს შორის და დანარჩენებს უერთდება. დაუღლელი ღორი მოღრუტუნობს, მიწას სუნავს. აგერ მამალმა იყივლა ვიღაცის ეზოში, მეზობელი ეზოდან მეორემ მისცა ბანი, შემდეგ უფრო შორიდან გამოეპასუხა მესამე და გაიმართა გადაძახილ-გამოძახილი... დიდ ქალაქში სოფლურ მყუდროებასა და ცინცხალ ფერებს გადაჩვეული და მონატ-

რებული, ახლა ყოველ წვრილმანს, რასაც კი თვალს შევავლებ და შევიგრძნობ, ცხოველი ყურადღებით ვაკვირდები, რატომღაც გულაჩვილებული ვისმენ მამლების უდროო ყივილსაც კი... და მაგონდება აქაურების ასეთივე გადაძახილ-გამოძახილი, როცა რამე უნდათ შეატყობინონ... "კუჭულია, უ-უ-უ!.." – ისმის ბავშვის წკრიალა ხმა. "მობრძანდი!" – ერთი კილომეტრიდან პასუხს გასცემს "ადრესატი". "ნენამ შემოგითვალა, გუშხამ რომ თოხი წეიღე, დაგვიბრუნეო!..." – ყვირილით იჭაჭება კუჭულიას დამძახებელი. კარგად მუშაობს ეს უმავთულო ტელეგრაფი – სწრაფიცაა, მოხერხებულიც, ხმასაც ავარჯიშებს, სმენასაც ამახვილებს... და ყოველდღე ისმის გორაკებზე ალაგ-ალაგ მწვანეში ჩაფლული სახლებიდან ხან ქალის გამყივანი ხმა, ხან ბავშვის მელოდიური ძახილი, ხან კი – მამაკაცის ბუხუნი...

ორღობეების გზაჯვარედინზე პატარა მინდორს მივაღწიე, ომბალოს სუნითა და ფუტკრების ბზუილით ავსებულს. აღმართი უფრო ციცაბო ხდება.

ღობეებში ჩატანებულ თხმელებსა და წვრილნაყოფა ხურმებზე მორცხვად შეთვალვას იწყებს იზაბელა – "ადესა". მოსაღამოვდება თუ არა, ალბათ მონოტონურად, ტკბილად ისმის: "ჭღ-ჭღ-ჭღ..." – ჭრიჭინობელები გაბმულად ხმიანობენ, "ამწიფებენ ყურძენს". თვენახევარში ხეებს შეესევიან ვაჟკაცები და ერთი დღით ახმიანდება სოფელი: "ა, გიდელი!" – შრიალით გაკვეთს ფოთლებს გიდლის წვერი, ხის ძირში მას დაკოჟრილ ხელებს შეაგებებენ და ჩამუქებულ მტევნებს ჩაცლიან გოდორში. გათავისუფლებული გიდელი მსუბუქად გასრიალდება ზევით; "მშვიდობით ჩამოი!" – დაედევნება ქვევიდან. ხალისიანი სიმღერა კი ერთი წუთითაც არ წყდება... მხარბეჭიანი ახალგაზრდა გაუყრის მკლავებს სამხრულებში, ერთს დაიძაბება, წამოდგება და მძიმე ნაბიჯებით, გოდრის ჭრიალით დაიძვრის საწნახლისკენ... საწნახლის უშველებელი მუცელი ნელ-ნელა ივსება, მერე საგულდაგულოდ დაიბანენ კიდეც ფეხს და მალე გაედინება ტკბილი წვენი და დატრიალდება მძაფრი სურნელი... ქვაბებს სურნელოვანი ორთქლი აუვა, დაიწყება ფუტკრების შემოსევა; დიასახლისები აფუსფუსდებიან – ფელამუში თეფშებზე დარიგდება, ჩურჩხელები გოგოს ნაწნავებივით წყვილ-წყვილად ჩარიგდება აივნების თოკებზე გასაშრობად...

ორღობე ფერდობზე მიიკლაკნება; ორივე მხარეს სიმინდის მაღალი ყანებია, ყანებში ალაგ-ალაგ – ხეები, ხეებზე – მაღლარი ვენახი... ხის ჭიშკრები, ხასხასა მოლი ოდების წინ ეზოებში, სამზადის სახურავიდან ლურჯი ბოლი იბნევა მზის სხივებით გაკაშკაშებულ ცაში. ხანძარი არ გეგონოთ, კერია მიწის იატაკზე იქნება სამზადის შუაში გაჩაღებული, კვამლს გასასვლელი ღია კარის გარდა არ აქვს და ძალაუნებურად იძულებულია, ყოველი ჭუჭრუტანიდანაც გააღწიოს გარეთ. სულ ადვილად წარმოიდგენ ცეცხლთან მოფუსფუსე მოხუც ქალს, მის ფეხებს კი კრუტუნით ეხახუნება ჭრელი კატუნია, საჭმლის მძაფრი სუნით გაღიზიანებული.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, უკვე კარგა ხანია, მეწიეთში ვარ. როდის გადმოვედი ხიდისთავიდან მეწიეთში, ღმერთმა უწყის – არასდროს მცოდნია, სად არის მათ შორის საზღვარი.

წითელი თიხა შარაგზაზე გამომშრალ-გაფერმკრთალებულა – ეტყობა, დიდი ხანია, არ უწვიმია აქეთ. გზის რამდენიმე მიხვევ-მოხვევა და ბებიაჩემის ფიცრული ოდაც გამოჩნდა. სიჩუმეა აქ, როგორც მრავალ სხვა სახლშიც – კარები დაკეტილია, მწვანე კოინდარზე არ დარბიან ბავშვები, არ ისმის ქათმების კრიახი, ჭაში ჩაშვებული ვედროს ჯაჭვის ჩხარუნი... დიახ, სამწუხაროდ, მეწიეთში თითქმის მხოლოდ ხნიერნი დარჩნენ, ახალგაზრდობამ ქალაქს მიაშურა; ზოგიერთები ზაფხულშიც კი არ აკითხავენ მშობლიურ ბუდეს.

გზა აქ ირკალება, ორი მხრიდან ვუვლი ბებიაჩემის კარ-მიდამოს; ოდის სახურავი ოდნავ ჩანს ხეხილნარში. ერთ დროს ჩემი კარგი მეგობარი იყო თითოეული ხე – დიდად გავუხარებივარ ამ ნამყენ მსხლებსაც, კორკიმელსაც, ხურმის თაფლივით ნაყოფებსაც და იმ ორ შავქლიავსაც, რომლებიც, უკვე რა ხანია, გახმა და მათი კვალიც არ ჩანს... უნებურად გამახსენდა ბებიის ხელით კეცში გამომცხვარი ცხელი მჭადი, ჭყინტი ყველი, სურნელოვანი ცხელი ლობიო და წყაროდან, "საცივიდან" დიდი დოქით ამოტანილი ყინულივით ცივი, გემრიელი წყალი...

გზა ახლა შუაეოცენური ასაკის ვულკანოგენურ ქანებშია გაჭრილი (მწვანე კონცხზეც ხომ ასეთივე ქანებია!), უფრო სწორად, უზარმაზარი ქარაფის ძირში საკმაოდ დაფერდებული ტერასაა გამოჭრილი გზისთვის. აქედან ზევიდან დავყურებ მწვანეში ჩაფლული სახლების სახურავებს. მრავალ ადამიანს, იქ წინათ და ახლა მცხოვრებს, კარგად ვიცნობდი, ბევრი რამის გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ სხვა დროისთვის გადავდოთ – უკვე გამოჩნდა დეიდაჩემ პასიკოს სამოსახლო... იქითკენ მივიჩქარი, იმ ალაგესკენ, ღობეზე გადასასვლელისკენ, რომელზეც ფეხის ერთი დადგმით გადავხტები ეზოში... მაგრამ მანამდე, მოდი, მარცხნივ შევუხვევ, სადაც ციცაბო, მაგრამ განიერი ბილიკი აუყვება და მუქი ქარაფის ნაპრალებით დასერილ შვეულ კედელს თავზე მოექცევა.

ქარაფის თავზე, სერზე, მოსწორებული, მწვანე ხასხასამოლიანი ადგილია. ვეშაპოურა! ასე ჰქვია ამ ადგილს და დაიმსახურა კიდეც, რომ საკუთარი სახელი ჰქონდეს.

სერიდან დიდებული გადასახედია ყოველ მხარეს: დასავლეთით – ხიდისთავი, გზებით დახაზული სუფსის დაბლობი, გორაკები მათზე შეფენილი სოფლებით; ჩოხატაურთან კარგად მოჩანს გო-

რაბერეჟოულის ბორცვის მუქი კვიპაროზები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის თეთრი შენობები; ჰორიზონტთან – ალაგ მთები, ალაგ დაბლობი...

აღმოსავლეთით – სერიდან ეშვება შეწამლული ვენახის მოცისფრო რიგები; გუბაზეულის ტყიანი ხეობა იერთებს შენაკადებს, მდინარეების – კალაშისა და საშუალეს – ხეობებს. გუბაზეულის ხეობის ციცაბო ფერდობზე საავტომობილო გზა მიიკლაკნება ბახმაროსკენ, მაღლა-მაღლა მიიწევს ღრუბლებით შებურული გურიის მთების მწვერვალებისკენ...

რამდენჯერ მზისთვის მიფიცხებულ ამ ვენახიან ფერდზე ბიჭებთან ერთად სირბილით დავქანებულვარ ვიწრო ბილიკით თავქვე, კალაშის გრილ და გამჭვირვალე წყალში დგაფუნით შევჭრილვარ; ხელაობითაც მითევზავია და წყალში დიდხანს ყოფნით გალურჯებულს, ხუთიოდე წვერა და ღორჯო თუ მისვრია ნაპირის ქვიშაზე.

ყველაზე კარგი საბანაო ადგილი კალაშაზე მორევი იყო წისქვილს ცოტა ზევით. წისქვილის ხავსისგან გამწვანებული ღარის ნახვრეტებიდან წყალი ალმასის მძივებად მოიპარებოდა, მოღუღუნე წისქვილის ღია კარში მდგარი სანდრო მეწისქვილე ხველებით ახვევდა გაზეთის ნახევში თუთუნს და გვიყურებდა, როგორ ვხტებოდით კლდის გამონაშვერიდან მუქ, ბოთლისფერ წყალში, ყვირილით ვადგაფუნებდით აქაფებულ მდინარეში ხელ-ფეხს, შემდეგ ამოვვარდებოდით ნაპირზე და აკანკალებულნი ვკოტრიალობდით ცხელ ქვიშაზე; წყალი კი თეთრად აქოჩრილ ჩქერებზე ხმაურობდა, ხეობის ციცაბო ფერდობებიდან მაღალი ხეები იცქირებოდნენ მდინარეში და მათი ანარეკლი ამუქებდა წყლის მოთამაშე ზედაპირს...

დილით ადრე თუ არ დაგეზარება წამოხტომა, ვეშაპოურადან მზის ამოსვლა-ამობრძანების ხილვას არაფერი სჯობს! ან არადა, საღამოს, როცა ახალგაზრდობა შეიკრიბებოდა აქ, ისმოდა სიცილი, სიმღერა, ფანდურის წკრიალი, მზის უზარმაზარი ფორთოხალი კი დიდებულად ესვენებოდა დასავლეთით, ცის დასალიერი წითლად ღუოდა, გარშემო კი ნაცრისფრდებოდა ყოველივე, იწყებდნენ ჭრიჭინობელები თავიანთ გაუთავებელ სიმღერას და ციცინათელების ნაპერწკლები ალამაზებდნენ ჩამუქებულ გარემოს...

ვეშაპოურადან ისევ ქვეით ვეშვები და გამოვდივარ შარაგზაზე. დეიდაჩემის ეზო ოცდაათიოდე ნაბიჯზეა. მოხუცი პასიკოც ვერ გაჩერდა მარტო სოფელში და ოზურგეთს მიაშურა შვილებთან, მაგრამ ზაფხულობით ისევ ძველ საბუდარს აკითხავს. იქნება ახლა შინ? აი, გადავალ ალაგეზე, ხეების სიმწვანით გადახურული ვიწრო ბილიკით გზას გავიკვლევ სიმინდის ყანაში და სამზეოზე მდგარი სახლის ფართო აივნის ჭრიალა კარს გავაღებ.

– რომელი ხარ? – გავიგონებ ნაცნობ ხმას და ნაცნობი სახის ნაცნობ ღიმილს ჩავეკონები.

1971

წიგნი II.
ლილოჭრელო

გაზაფხული

თაკარა მზით გათანგული,
ტირის თოვლი გალახული...
არემარე დახატული:
ყვავილებით მოქარგული
ლილოჭრელო მხიარული –
ცელქობს,
ლაღობს,
ფერხულს უვლის!

ზაფხული

რას ითვლის გუგული –
ჩავითქვა სურვილი?

სულ იყოს ღიმილი,
მზის თვალის ბრიალი,
ჩიტების ჟღურტული!

შემოდგომა

აბეზარი დაჰქრის ქარი
(ხეებს უჭირთ ფეხზე დგომა),
ფერად ფოთლებს აფრთიანებს,
აფარფატებს, აბზრიალებს –
ადრეაო თქვენი კვდომა!

ზამთარი

გვეძგერა თავნება,
ზარმაცი მხატვარი:
ერთ ფერად შეღება
წარმტაცი მთა-ბარი!

წელიწადის დროთა შორის რომელია ყველაზე ლამაზი?

წელიწადის დროთა შორის რომელია ყველაზე ლამაზი?
გაზაფხული?
ზაფხული?
შემოდგომა?
ზამთარი?

ბევრს, ძალიან ბევრს, მიაჩნია, რომ გაზაფხულია წელიწადის ყველაზე ლამაზი დრო საქართველოში!

მართლაც, გაზაფხული ხომ სიცოცხლის დასაწყისის, სინორჩის, ახალგაზრდობის სიმბოლოა! გაზაფხულზე იღვიძებს ბუნება: ფეხს იდგამენ ზამთრის ყინულისა და თოვლის ბორკილებიდან თავდახსნილი ნაკადულები – ერთი, მეორე, მესამე და აჰა, – მბორგავი, ადიდებული მდინარეები აწყდებიან ნაპირებს, გრიალითა და ზათქით მოშხუიან, მოაქანებენ მორღვეული ნაპირებიდან მოტაცებულ დიდრონ ხეებს, მოაგორებენ უზარმაზარ ქვებს; თოვლის საბნისგან გათავისუფლებული მთათა კალთები მწვანედ ხასხასებენ, მხიარული ცხრათვალა მზით გასხივოსნებულნი... დამთბარ ნიადაგში იღვიძებენ თესლები, გაჯიჯვდებიან, გაღივდებიან, ამოძვრებიან მიწის ზედაპირზე და სწრაფად იზრდებიან-იფოთლებიან და მომხიბვლელად ნაირფერად ყვავილობენ... ზამთრის პირქუში ხედების შემდეგ როგორ ესალბუნება გულს ათასგვარი ყვავილები, ფრთახატულა პეპლები; გახალისებული ჩიტების მხიარული ჭიკჭიკი და გალობა ვის არ მოხიბლავს! ვის არ მონუსხავს ბუნების ეს ფერისცვალება – ზურმუხტისფერი ველების ხასხასი და კრიალა ზეცის კაშკაში!.. მართალია, შიგადაშიგ შხაპუნა წვიმაც გამოერევა, მაგრამ ისიც ხომ ლამაზია! თანაც წვიმის შემდეგ პირდაბანილი ბუნების ფერები როგორ ელვარებს!..

ყველაფერი მოძრაობს, ყველანი ირჯებიან, ყველა მომავლის იმედით სუნთქავს; ქვეყანას მოედო მწერთა ჯარი – ისმის ზუზუნი, ბზუილი, წინწრიხი; ბაყაყების ყიყინიც კი ჰარმონიას არ არღვევს... შენდება ბუდეები, ბუდეებში ლამაზ-ლამაზი კვერცხები იდება, გამოიჩეკება ბარტყები... ადამიანებიც გახალისებულნი დააბიჯებენ, მინდორ-ველსა თუ ბაღჩა-ბაღებში ტრიალებენ; ქალიშვილები გამოეწყობიან ფერადოვან კაბებში, სიტურფით გაზაფხულს ეჯიბრებიან...

ლამაზია გაზაფხული!
მერე მოდის ზაფხული...
ლამაზია ზაფხული?
ლამაზია და მეტი არა?!.
მაინც, რით არისო ლამაზი, იკითხავთ...

ძალიან მიჭირს ზაფხულის მომხიბვლელობის აღწერა!

თუ გაზაფხული ტურფა ქალიშვილია – კისკასი, ფერადოვანი, ცინცხალი, მაშინ ზაფხული მშვენიერ ქალს მაგონებს – სრულად გაფურჩქნილს, დასრულებულს, სრულქმნილს...

მზე აცხუნებს, თბილა, თბილა... თუმცა ზოგჯერ ცხელა (მართალი ვთქვათ: ზოგჯერ კი არა, საკმაოდ ხშირადაც!), მაგრამ ასე ძალუმად ჩამოქნილი, სიცოცხლის ჟინით ავსილი ბუნება სხვა დროს როდის არის? ღაღანებს ყანები, ზურმუხტისფრად ანათებს ტყეები, ივსება ფერ-ხორცით ნადირ-ფრინველი თუ ნაყოფი მცენარეთა; მზე ისე გულღიად, გულსავსედ, მცხუნვარედ უცინის, ეალერსება ყოველივე სულდგმულს, რომ მისი სიუხვე და უშურველობა ხანდახან მეტისმეტ ოფლსაც მოგვადენს, ეგ ერთი აღარ უნდა ვაპატიოთ? სიცხისგან მოთენთვაც ხომ სიყვარულით მოსდის, მეტისმეტი სიყვარულით და თავდაუზოგველობით... მზეს უყვარს ყველაფერი, ყველა და ყოველივე, გვეფერება მთელი გატაცებით და ზოგჯერ ლამის დაგვახრჩოს თუ ჩაგვხრუკოს თავისი ტრფობის ალში...

დიახ, ნამდვილად მშვენიერი შესახედავია მთა-ველი, ყველგან ზაფხულის მსუყე ფერები გვხიბლავს... ალაგ-ალაგ ბალახბულახმა კი ჩაათავა სასიცოცხლო გზა და ყვითელ-რუხად გადახმა, ერთგვარად ნაღველსა და სინანულსაც იწვევს, გვახსენდება შემოდგომის ჭკნობის გარდუვალობა, მაგრამ... მაინც ლამაზია!..

მობრძანდება თავის დროზე დიდებული შემოდგომაც – თავისი სანაქებო სიუხვ-ბარაქით, ფერთა ზეიმით, სიხალისით და, რასაკვირველია, სილამაზით!

გადაჭრელდება გარემო, მთა-ბარი ვეფხვის ტყავს მოიგდებს მხრებზე; ყვითელ ჩოხებში გამოეწყობიან ჭალებსა თუ რიყეებში კაკლებისა და მუხების, ჭადრებისა თუ იფნების და სხვათა და სხვათა დიდრონი ხეები, ალვები სანთლებივით იწვიან, ნეკერჩხლები გავარვარებულ მუგუზლებს-ფოთლებს ფანტავენ გარშემო; თბილად, რბილად აღუდღუდდებიან ფერდობებზე თრიმლი და აკაცია, ძეძვი და შინდი, ათასი კიდევ სხვა ხე-ბუჩქი; მუქ იისფრად მოჩანს შორიდან ჯაგრცხილის უკვე ფოთოლგაცვენილი ჯაგნარი... ახლოსაც ბევრს ნახავ თვალგასახარს: სისხლის წვეთებივით გაბნეულ ასკილის, შინდის, წითელი კუნელის ნაყოფებს თუ ჩალურჯებულ-ჩაკუნაპეტებულ მაყვალს, კვრინჩხს, ქლიავს...

ღამე გრილა, დღისით ჯერ კიდევ თბილა; ჩატკბება მზე-ფორთოხალი, ცეცხლს უკიდებს ბაღებში ოქროსფრად, ნარინჯისფრად, შინდისფრად ვაშლებს, ყვითლად აანთებს კომშს, მსხალს, ლოყებს ვარდისფრად შეუფერავს ატმებს...

ახლა ზვრებში რა ღვთის თვალი ტრიალებს!

გვიან შემოდგომაზე ჩაწვება დროდადრო ტაფობებში ნისლი რძესავით, დილდილაობით ჭირხლით თეთრად შეიფიფქება-მოიხატება გამხმარი ბალახით დაფარული დამზრალი მიწაც, ფოთოლგაძარცული ხეებიც, სახურავებიც... მოვდივარო, – ზამთარი აკაკუნებს კარებზე, – მოემზადეთ, ხალხოო, გვაფრთხილებს..

მწუხრშიც, ჭკნობაშიც თავისებური სილამაზეა!..

გაზაფხული ხომ ლამაზია, მაინც იმდენად არ ვნანობთ მასთან განშორებას – წინ მშვენიერი ზაფხული გვეგებება, არც ზაფხულთან გამომშვიდობებას და შემოდგომასთან შეხვედრას განვიცდით მტკივნეულად... აი, შემოდგომის დათმობა, მასთან გაყრა კი სულს კაეშნით გვივსებს...

მოდის, მობრძანდება ბატონი ზამთარი – გაუღიმარი, მკაცრი აფთარი! სისხლსავსე ფერადოვნების მტერი, ცხოველსხატულობის მომსრავი, ხელში რომ უზარმაზარი ფუნჯი უჭირავს და ყველაფერს ერთი ფერით – თეთრად! – მოხატავს... არე-მიდამოს უსწორმასწორობაც სურს, მოასწოროს, თოვლ-ნამქერით გადალესოს, მოაგლუვოს...

და მაინც, ზამთრის მოჩვენებით ერთფეროვნებაში, თავშეკავებულ ფეროვან გამაში თავისებური პოეზიაა, ნატიფი, ემოციურად ტევადი გამომსახველობაა!

ამიტომაც ბევრი მხატვრის საყვარელი დრო სწორედ ზამთარია, ამ დროს უძღვნიან ისინი თავიანთი წარმტაცი პეიზაჟების დიდ ნაწილს, რამდენადაც მასში უმდიდრეს მრავალფეროვან მოტივებს ნახულობენ. თავისებური გემო აქვს ზამთრის პეიზაჟს – თითქმის მონოქრომულ ფერთა გამაში ნაზი, რბილი გადასვლები და ამ საერთო თეთრ ფონზე აქა-იქ მკვეთრი აქცენტები: შიშველ ხეთა სილუეტები ან ადამიანთა თუ ცხოველების მუქი ფიგურები, მარხილი ან თუნდაც ღობე... თუ სადმე ფერადოვანი მჭახე ლაქა კაშკაშებს, – მაგალითად, ბავშვის ყვითელი ქურთუკი ან წითელმკერდა სტვენია-ჩიტი, – ეს ხომ კიდევ უფრო მჟღერს და მეტყველს ხდის სურათს!..

დიახ, ნამდვილად ლამაზია ზამთარი, მხატვრებს არაფერი შეეშლებათ!

განა არ არის ლამაზი, როცა ხვავრიელად თოვს, თოვს, თოვს!..

არ არის ლამაზი, როცა დიდი ხნის მონატრებული მზე გამოანათებს და ზღაპრულად ააელვარებს თოვლით დაფარულ გარემოს?..

ლამაზი და მიმზიდველია ზამთარი თუნდაც იმიტომ, რომ წელიწადის სხვა დროებს არ ჰგავს, გამორჩეული იერი აქვს, მკვეთრად განსხვავებული სახე.

გამოგიტყდებით, მეც მიხატავს ზამთრის პეიზაჟები – მიზიდავს წლის ამ დროის გარემოსთვის დამახასიათებელი გრაფიკული გამოკვეთილობა, ფერთა სიძუნწე და სიმდიდრეც (ამ მოსაზრებაში წინააღმდეგობა არ გეგონოთ!), დაპირისპირება დეტალებში და ჰარმონიული ერთიანობა მთლიანისა... იმ გარდამავალი პერიოდის ხედებიც მიზიდავს, როცა თოვლი ჯერ არ მოსულა და ბუნებაში განფენილია უსაზღვრო სევდა...

მაშ, წელიწადის რომელი დროა საქართველოში ყველაზე ლამაზი?

გაზაფხული?

ზაფხული?

შემოდგომა?

ზამთარი?

ისინი ოთხ მშვენიერ დად რომ წარმოვიდგინოთ, ძალიან გამიჭირდებოდა მათ შორის ყველაზე ლამაზის გამორჩევა – ისინი ყველა თავისებურად მომხიბვლელია!..

1996

წელიწადის დრონი

შინფონია ცონცერტანტე ვიოლინოსა და ორკესტრისთვის

I. გაზაფხული. Allegro ma non troppo

პირველ ნაწილში ვიოლინოსთან ერთად დროდადრო ფლეიტის სოლოც ჩაერთვება.

სიმებიანები – ნელა, მთრთოლვარედ, ნაზად იწყებენ *სიმღერას,* მათგან მალე გამოიყოფა ვიოლინოს სოლო ცონ ანიმა. ეს სოლო თანდათან ფართო სუნთქვას იძენს, იძაბება, გაზაფხულის ვნებით სასიცოცხლო ენერგიის მოზღვავებით, ჭარბი ემოციურობით ივსება – ესაა სიყვარულის ჰიმნი, რომლითაც ესალმება ბუნების გაღვიძებას, ყოველივეს გამოცოცხლებას, იქნება ეს ნადირ-ფრინველი თუ მცენარეულობა... მზე კაშკაშებს, ხასხასა ფერებით შემკული გარემო ზეიმობს... მაგრამ გამოჩნდება ღრუბელი, ჩაამუქებს ყველაფერს, მოიღუშება მთა-ველი... დასცხებს შხაპუნა წვიმა, მხიარულად მღერის, დახტუნავს ხეთა ფოთლებზე, ცეკვავს სახლთა სახურავებზე, გუბურების ზედაპირებზე... გაჩერდა თითქოს ყოველივე ცოცხალი, შეიყუჟა, მოერიდა წვიმას სოროებში, ფუღუროებში, ხეებქვეშ, ჭერქვეშ... ჭექა-ქუხილი ნებივრობს, დახტის ცაში, ელვა ცეცხლოვნად იკლაკნება, უხარია, რომ მარტო თვითონ პარპაშებს, მისია ასპარეზი... მაგრამ მალე არაქათი ეცლება ღრუბლებს, იფანტება, იფიტება, იწრიტება და აი, მზემაც გამოიჭყიტა, განათდა ბუნება; აჭიკჭიკდნენ ჩიტები, აფარფატდნენ პეპლები, აწინწრიხდნენ კალიები და ლურჯ ცაზე გადაირკალა შვიდფერი ცისარტყელა!

II. ზაფხული. Andante

მეორე ნაწილი იწყება კადენციით, რომელიც, ტრადიციის საპირისპიროდ, იმდენად ვირტუოზული სვლებით არ გამოირჩევა, რამდენადაც სავსე, ღრმა ბგერებით აღსავსე ნელი განფენით; ფართო სვლებში შიგადაშიგ შეიჭრება ხანმოკლე კრიმანჭული – ჩახუჭუჭებული მოულოდნელი სვლებით, რიტმული და ტონალური ნახტომებით, თუმცა ამ სიცელქეში არ იგრძნობა მეტისმეტი სიშმაგე – ეს სიგიჟმაჟე ანალოგიაა ხის ტოტზე შემომჯდარი შაშვის გალობისა, ეს არის ტკბობა გარშემო დავანებული სიმშვიდით..

კაშკაშა მზე უშურველად, თავდაუზოგავად აფრქვევს ქედებსა და ხევებს, ველებსა თუ ჭალებს, ტყეებსა თუ მდინარეებს ტკბილი ჟრუანტელის მომგვრელ გამთანგავი სხივების ნიაღვარს – სიყვარულით იხუტებს ყველასა და ყველაფერს, რასაც კი მისი მცხუნვარე ხელები მისწვდება...

მაღლა ცაში ნელ-ნელა წრეებს უვლის ველის არწივი – დაუსრულებლად, მონოტონურად... თან მოძრაობს, თან არც ინძრევა – შენც ამ არწივივით ხარ: თვალებს აბრიალებ, მზერად ხარ ქცეული. ამ სიმაღლიდან გადასარევი ხედები იშლება ყველა მხარეს, მზერა შორს იტყორცნება და აღარ იცი, საით გაგექცეს თვალთა ისარი... იქნებ – ჩრდილოეთით, სადაც ჰორიზონტს კეტავს კავკასიონის ლურჯი ქედი, მთათა დიდებული გაწოლილი ქარავანი (თეთრი სვანური ქუდებით შემკული მთები ზვიად, ვაჟკაცურ სიმღერას აგუგუნებენ); იქნებ – სამხრეთით, სადაც მტკვრის ნათელი, დაკლაკნილი ზოლი აქა-იქ მუქი ჭალებით არის შემოგვირისტებული (მდინარეც მღერის – მარადი მოგზაურის სიმღერას ღიღინებს); იქნებ აღმოსავლეთით – გარე კახეთის ოქროსფერი ტრამალები და ცივგომბორის ხუჭუჭა ტყით შემოსილი ქედი – ორთავ თავისებურად ლამაზი და მიმზიდველი! თუ და-

სავლეთით გავიხედოთ – იქით მიისწრაფის მანათობელი, ჩვენც ხომ არ მივდიოთ? თუმცა არა, მისი აყოლა ჩვენ არას გვარგებს, ჯობს, ქვევით დავეშვეთ, მიწას დავუბრუნდეთ – აი, იმ დიდი მუხის ქვეშ წამოვწვეთ ჩეროში, ვუცქიროთ, როგორ გამოსჭვივის მუქ რტოებს შორის ცის ფერი, ვუსმინოთ გუგულის ერთფეროვან "გუ-გუს"... ნიავი გაშლის ფრთებს, აათამაშებს-აცეკვებს ფოთლებს (სოლო ვიოლინოს აჰყვება კლარნეტის მსუყე, ხანაც კისკისა ხმა)...

III. შემოდგომა. Allegretto

რა უყვარს ვიოლინოს?

სიმღერა!

კიდევ?

ცეკვაც უყვარს!

ხემი დაუღალავად დახტის-სრიალებს სიმებზე, ცეკვავს და აიყოლიებს-აცეკვებს სხვებსაც, ისეთი ჟინითა და გატაცებით მიჰყვება გულისთქმას!..

შემოდგომაა, როგორ შეიძლება, კაცის გულს არ ემღერებოდეს და არ ეცეკვებოდეს – თვით ბუნებაც ზეიმობს და ილხენს!

კაშკაშა ფერებით ირთვება გარემო – წითლად, ყვითლად, იასამნისფრად გადახალიჩდება მთათა ტყიანი ფერდობები, ბუჩქნარ-ბალახით შემოსილი გორაკები...

საზეიმოდ ღუდღუდებს ასკილი და წითელი კუნელი, ქარვისფრად ანათებს კომში და მსხალი, ღამისფრად დაბინდულა ქლიავი და ყურძენი... დიდი ჟრიამულია, მხიარული ფერხული ტრიალებს, ყველგან სიცილი და ხალისია, ცეკვა და სიმღერა აგვირგვინებს თავგამოდებული შრომის დასასრულს.

პირთამდე სავსე ქვევრებიც მაძღრად ფშვინავენ და ბუყბუყებენ კმაყოფილები, თათარის სურნელით დაზაფრული ფუტკარი თუ კელი თავს დასტრიალებს ტკბილი ოხშივარით აბოლებულ ქვაბებს; უხარიათ ბავშვებს, გაბავშვდნენ დიდებიც – უწყინარი ხუმრობა ისმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

უხარია მზესაც, ტრიალებს და ბრუნავს, სურს, ქვეყნად ჩამობრძანდეს, გაერიოს საერთო ფერხულში, დაუაროს დავლური და ნანობს, რომ არ სცალია – რა ბრიალა თვალია!..

IV. ზამთარი. Largo

ზამთარია, ზამთარი!..

თოვს, თოვს, თოვს...

"ძმაო, რაი სჯობს ძმობასა,
მარადჟამს ერთად ყოფნასა..."

ჭეშმარიტად!

ტკაცუნობს, შიშინებს შეშა, შეშლილივით ბუქნაობს ბუხარში ალი-ალმასი, ალი-ალქაჯი...

ჭიქებში ლიცლიცებს ლალისფერი საფერავი, სახედინჯი თანამეინახენი გაბადრულნი შესციცინებენ ერთმანეთს, გული სიყვარულითა და სითბოთი აქვთ სავსე, ტკბილი სიტყვები სადღეგრძელოებისა თაფლივით ადნებათ ბაგეზე.

გარეთ კი ეფინება გარემოს გაბმული, ნაღვლიანი მელოდია ქარისა, თოვლით გადალესილი მთა-ველი თეთრად ბოლავს, ალაგ ნამქერი დატრიალდება, მოხვეტავს დადებულ თოვლსაც, შეაფრქვევს ბალახ-ბუჩქნარს, ტყე-ღრეს...

გუგუნებს გულიდან ამოხეთქილი დიდებული სიმღერა – სადიდებელი სიცოცხლისა და სილამაზის მარადისობისა, სიკეთის უძლეველობისა...

1996

ლილოჭრელო

ლილო (ლილოჭრელი):
1. ალაგ-ალაგ გამდნარი თოვლი;
2. აჭრელებული მინდორი, ადგილი
(ჩრდილებით, ნაირ-ნაირი ყვავილებით...).
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

1. ზამთარია გალახული – კარს მოადგა გაზაფხული...

ლილოჭრელო ადრიან გაზაფხულზე იცის, ან ზამთრის ბოლოს – თებერვალში.

თვალებს ვხუჭავ და...

გომბორის უღელტეხილისკენ ტყეში მიმოხვეული, მიმბობღავი აღმართი წარმომიდგება: ფერდობზე რცხილნარია შეფენილი – თეთრად დაფენილ, ცისფერი ჩრდილებით მოხატულ თოვლის ფონზე მუქად ჩარიგებულა ხეთა ნაცრისფერი ტანების ჯარი; ჯერ შეუფოთლავი, შავად გაბარჯღული ტოტები აღვლენილან მოკრიალებული ზეცისკენ...

შუადღის ძალამიცემული, ალერსიანი მზე ძალუმად აფრქვევს სინათლის და სითბოს ნიაღვარს; აქა-იქ გამომკრთალ ხელისგულის ოდენა მდელოებზე და უტყეო ფერდობებზე სპეტაკი თოვლის ბრწყინვა თვალს გაჭუტინებს; მზისყურებში ლეღმანაკრავი თოვლი ტირის და თეთრ საბურველს აჭრელებს ალაგ-ალაგ მუქ ლაქებად თუ ზოლებად გამოჩენილი, ნეტარი სითბოსგან ჟრჟოლადავლილი, სველი მიწა.

ლილოჭრელო!

მუქისა და ნათელის, შუქისა და ჩრდილის მკვეთრი მონაცვლეობა – მკაცრი ზამთრისა და ტურფა გაზაფხულის ჭიდილი!

რცხილნარის კიდეებზე, კბოდეებზე, ბუჩქნარში – ალაგ ნეშოს რუხსა და ალაგ დაკნინებული თოვლის თეთრ ფონზე – ამოზიდულან ყოჩივარდების ლამაზად მოხატული, მუქი მწვანე ფოთლები და გიზგიზა თვალებით-ყვავილებით შესცქერიან მთა-ველს, გამოღვიძებულ, გახალისებულ გარემოს.

მოცისფროდ ფერდაკრულ ფერდობებზე უხილავი ნაკადულები ჯერ თოვლის საბანქვეშ მიიკვლევენ გზას, შემდეგ, თავქვე დაშვებულნი, მზის სინათლეზე აციმციმებულ-აბრჭყვიალებულნი, ალიკლიკდებიან, აბუტბუტდებიან, ერთმანეთს ჩაეხუტებიან და მომძლავრებულნი, აცეტებულნი, უფრო ხალისიანად აჩუხჩუხდებიან-ამღერდებიან; ვიწრო კალაპოტში აბორგებულნი, ხარბად ლოკავენ, ხანაც მოჰკბეჩენ თოვლიან ნაპირებს და ამღვრეულ-აქაფებულნი, ატეხილ-აჩქარებულნი, კისრისტეხით დაექანებიან ქვევით და ქვევით, სადაც თეთრი მცირდება, მუქი დიდდება, მერე კი ლილოჭრელო – "თოვლ-ჭრელი" (სულხან-საბა) – სულაც ქრება და გაფიცხებულ მზვარეებში ალაგ-ალაგ მწვანედ ხასხასებს ლორთქო ბალახი...

გამოხდება ხანი და ამავე მინდვრებზე და ფერდობებზე სულ სხვანაირი ლილოჭრელო გაჩნდება: დიდი ხნით გამეფდება ფერადოვანი, ნაირ-ნაირი ბალახ-ყვავილებიანი ჭრელი ხალიჩა, ავსებული მწერთა ბზუილით, პეპლების ფარფატითა და ჩიტთა ჭიკჭიკით...

2. რა ტურფაა გაზაფხული, ყვავილებით მოქარგული!

მოკრიალებული ცის გუმბათი და მცხუნვარე, ბრიალა, ბორჯღალა მზე, მზე, მზე!

ქარსაფარი ზოლის ალვის ხეებისგან შემოსაზღვრული მარტყოფის ველი და ნიავით მოღაღანე ბალახებში – ნაირფერი ყვავილები, ყვავილები, ყვავილები!

ეს ადგილი წელს არ მოუხნავთ, არც დაუთესიათ რამე და მუხლამდე ბალახებს მივარღვევ.

ყვავილებით ავსილი, ყვავილნარით გადაპენტილი მდელო – ლილოჭრელო!

მინდვრის ყვავილების რა გამაბრუებელი სურნელი ტრიალებს!

ზოგი ყვავილი თამამად შემოგციცინებს, ზოგი – თავმდაბლად მიყუჟულა, ფერიც მოკრძალებული აქვს და ზომითაც პატარაა, და თუ არ დაიხარე და კარგად არ დააკვირდი, ვერც შეამჩნევ. არადა, ასეთი, ერთი შეხედვით უფერული ყვავილიც რა ლამაზია! რა ნაზია ეს პაწია ყვავილები, თუნ-

დაც კესანე: რა ნატიფია კესანე-ცისთვალა, მერე რა, რომ თვალში არ გეცემა! აგერ მეორე ცისფერი ყვავილი: ბავშვის უმანკო თვალები ფართოდ გაუხელია და მზეს უცინის ვარდკაჭაჭა – დიდი, ცისფერი ღილები დაუბნევია მდელოს ჭრელ კაბაზე. არც ნარი გამოირჩევა თავმდაბლობით – მაღალი ღეროს წვერზე თავმომწონედ გაუშლია კაშკაშა, იისფერ-მოწითალო ყვავილები, ეკლიანი, მჩხვლეტავი ფოთლები-აბჯარი კი საიმედო დარაჯად შემორკალია – არ მომეკაროო! თუმცა, ნარის ყვავილი მაინც ყველაზე მეტად იზიდავს სტუმრებს – უამრავი ფუტკარი, კრაზანა, ხოჭო, პეპელა თუ ბუზი დასევია. აგერ კიდევ მეორენაირი – ლურჯი ნარი, ეგერ – ყვითელი ნარიც, თავკომბალა ნარიც, ნარშავაც... და ყველა მათგანისკენ მოუხარიათ მწერებს – სურნელოვანი, ლამაზი ყვავილებისკენ; დასხდებიან რბილ ხალიჩაზე – დიახ, ყვავილი ნარისა მათთვის ხალიჩაა, სადაც სუფრაც არის გაშლილი! ბალბას დიდრონი ყვითელი ყვავილები სანთლებად აუნთია და მზეს ეჯიბრება შუქიანობაში! ალაგ-ალაგ ფარსმანდუკი თეთრი ქაფივით მოდებულა, ყაყაჩოს კაშკაშა სიწითლე პატარ-პატარა კოცონებად აბრიალებულა, თეთრყვავილა ხვართქლა ჩახვევია ხან – იონჯას, ხან – შვრიუკას, ხანაც – ნაცარქათამას; ნაცრისფერ, სურნელოვან ლაქებად გამოიყოფა ავშანი, ნიავს ეთამაშება ვაციწვერა, მრავალძარღვას თავისი უფერული ყვავილები მაღლა-მაღლა წაუღია – შემხედეთ, მეც აქა ვარო!

ჩავჯექი ბალახებში – ბალახების ტყეში თუ ყვავილების ზღვაში...

რა ბზუილია, რა ფუსფუსი, მუყაითი შრომა – საითაც კი გაიხედავ!

წინწრიხით ყურთასმენა მიაქვთ კალიებს, გაუთავებელ ერთფეროვან სიმღერას არ ეშვებიან ჭრიჭინობლები, გასხმარტალდებიან მარდი ხვლიკები, საქმიანად დაბობღავენ ბალახებზე ზევით-ქვევით დაუზარელი ჭიანჭველები, ობობა დადარაჯებულა ნატიფად ნაქსოვი ქსელის შუაში... უამრავი წვრილი და წვრილზე წვრილი რაღაც მწერი თუ მწერუკა მიდი-მოდის, მიხოხავს, მიმოფრენს – საქმიანობს. აგერ კოხტა, წითელი, შავკოპლებიანი ჭიამაია ფრთებს შლის და აფრინდება-გაუჩინარდება; დინჯად, ნარნარად მიმოფრენს თავის სანადირო უბანში გამჭვირვალეფრთებიანი, ლითონივით მბზინავტანიანი ნემსიყლაპია. ნაირფერი პეპლებითაა ავსებული მინდორი – დაფარფატებენ, დასხდებიან მარდად ყვავილზე, მოიხილავენ, ხარბად ისრუტავენ ნექტარს...

მეც ნექტარს ვისრუტავ, ოღონდ თვალებით – ამ ლურჯად გაცისკროვნებულ უძირო ცას, ცაზე აბრიალებულ მზეს, მზერას რომ ვერ ვუსწორებ, შორს, ცის კიდეზე აზიდულ, ალივლივებულ ჰაერში გამოხუნებულ იალნოს ქედს, იმის აქეთ – ჩაწყობილ-ჩარიგებულ მორუხო სერებს, უფრო ახლოს კი – ქარსაცავი ზოლებით დახაზულ, მწვანე, აყვავებულ ველს – ლილოჭრელოს!

მერცხლები დაუღალავად დასრიალებენ ჰაერში აქეთ-იქით, მათზე ბევრად ზევით კი წრეს წრეზე უვლის – ბოინობს – რომელიღაც მტაცებელი ფრინველი... ველის არწივია?..

ავარდება ტოროლა მიწიდან, აიჭრება მაღლა, ჰაერშივე ფრთების ფართქალით გაჩერდება, წაყირავდება, თითქოს უნდა ზევიდან ლილოჭრელოს ყურებით დატკბესო, და გალობს, გალობს, გალობს!

ისიც გახარებულია მზიანი დღით, ამ სილამაზის ხილვით.

და რამდენი ასეთი ლილოჭრელოა ახლა საქართველოში, რამდენი ფერადოვანი მდელო, ჩემსავით რამდენს უხარებს თვალს და უხალისებს გულს!

ლექსითვე დავამთავრებ:

გაუმარჯოს ლილოჭრელოს –
ტურფა, ლამაზ საქართველოს!

1996

ჭალა

ვწევარ ლოგინში გემრიელად გაშოტილი და არ მჯერა, რომ ამდენი ტანჯვა-წვალების შემდეგ (რომ იტყვიან, ძვალი და რბილი გაერთიანებული მაქვს), როგორც იქნა, ყველანი შინ ვართ, ჩვეულ, მყუდრო გარემოში...

საწოლის გვერდით პატარა მაგიდაზე ცაცხვის სურნელოვანი, ცხელი ჩაი დამიდგა ცოლმა, სამურაბით კი – ქაცვის დაშაქრული წვენი. ამ წვენსაც თავისებური სურნელი აქვს, ნარინჯისფრად ელვარებს და შეხედვისთანავე ნერწყვით მივსებს პირს – იფ, რა ტკბილ-მომჟავო გემო აქვს!

სწორედ ამ ქაცვის წვენმა გამახსენა არაგვის ჭალა, სადაც ეს ქაცვი მოვკრიფე ოქტომბრის ქარვისფერ თვეში... გამახსენდა იმ ჭალის სურნელი, აფერადებული კუთხე-კუნჭულები, შუა შემოდგომის ნაღვლიანი, ჩანაცრისფრებული გარემოს ზეცისკენ აღვლენილი წყნარი ხმები...

ჰოდა, ახლა ვწევარ თბილად, ცაცხვის ცხელ ჩაის ვწრუპავ ნება-ნება, ქაცვის გემრიელ წვენს ვაყოლებ და ვიხსენებ, როგორ ვაგროვებდით ჭალაში ქაცვის ნაყოფს გასული წლის ნოემბრის ერთ წყნარ დღეს. თუმცა, უფრო რომ დავაგემოვნო იმ ლამაზი დღის გახსენება, ჯერ მისგან ესოდენ განსხვავებული დღევანდელი დღის შესახებ ხომ არ მოგიყვეთ? ბუნების ამ ორი დღის დაპირისპირება ტკბილ-მწარე საწუთროს ორი, განსხვავებული გემოს წვეთებია...

...დილის ექვს საათზე აკივლდა და აცეკვდა მაღვიძარა საათი, წამომახტუნა ფეხზე: მივდივართ საბაღე ნაკვეთში – ლოჭინში! არიქა, თელავის მატარებელს უნდა მივუსწროთ! ფართიფურთით ჩაცმა, სასწრაფოდ ფაფის და ჩაის მირთმევა, ვარკეთილის მეტროს სადგურამდე თითქმის სირბილით ჩასვლა, ბოლო წამს კარების დახურვამდე მეტროს ვაგონში შესწრება... შემდეგ ნავთლუღში გავვარდით რკინიგზის ბაქანზე – და ჰოი საოცრებავ! – თელავის მატარებელი ჩამომდგარა და სადაცაა დაიძვრის! (ტყუილად არ ვეჯიჯღინებოდი ცოლსა და ბიჭებს: "ფეხს აუჩქარეთ, ნუ გძინავთ, მატარებელი ჩვენ არ მოგვიცდის!").

მხოლოდ ოთხი ვაგონია, ყველა ხალხით გაძეძგილი, კიბეებზეც კი შეჭყლეტილან... მივდექ-მოვდექით, ვირბინეთ წინ და უკან და, როგორც იქნა, ერთ-ერთ კიბეზე რის ვაინაჩრობით ჩვენც მივეგლისეთ... შევეტენეთ და დაიძრა კიდეც მატარებელი.

მერე ლოჭინის ბაქნიდან ნაკვეთამდე სამი კილომეტრის გავლა, მუხლჩაუხრელი შრომა თაკარა მზის ქვეშ (დავთესეთ სიმინდი, ლობიო, სოიო, დავრგეთ პიტნის ნერგები), სანამ შინ წასასვლელი დრო არ მოვიდა (გზად მინდორში ველურად ამოზრდილი, ქარის დათესილი ქინძიც დავკრიფეთ) – მივედით ბაქანზე და... სადღაა მატარებელი! გაგვასწრო – ნახევარი საათით. აღარც ავტობუსი იქნება? წავედით ლიანდაგით მეფრინველეობის ფაბრიკისკენ – ავტობუსის გაჩერებისკენ – და ამ დროს დასცხო თავსხმა წვიმამ, მაგრამ რა დასცხო! აკაკის ხის ქვეშ შევეფარეთ, თუმცა ხუთ წუთში ერთიანად გავილუმპეთ; იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და ფეხითვე გავეშურეთ... ვიარეთ, ვიარეთ, შევედით დასახლებაში, ერთი სახლის სადარბაზოში შევიყუჟეთ. ისევ წვიმდა და ავტოტრასაზე გასვლა განვიზრახეთ (კეთილი ადამიანი – კაკო ლობჟანიძე – გვეპატიჟებოდა, ჩემთან გაათიეთ ღამეო). გავჩანჩალდით გზაზე, უკვე ღამდება, არეული დროა – ვინ გაგიჩერებს მანქანას! ვიარეთ თბილისისკენ, ვიარეთ, ფეხები დაგვაწყდა; ისევ წვიმს და წვიმს... ავტობუსებს ხელს ვუწევთ – ამაოდ, მსუბუქ მანქანებს – სულ ტყუილად...

და როცა ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა, ერთმა "ჟიგულიმ" დაამუხრუჭა და უკანა სვლით ჩვენამდე მოაღწია. "სად მიდიხართ?" – იკითხა მძღოლმა. "სადაც თქვენ!" – წამოიკნავლა საცოდავი ხმით ლიამ. "დასხედით!" და შევბარგდით ოთხივენი ჩვენი კეთილისმყოფელის მანქანაში – სველები, აკანკალებულები, დაქანცულები, თითქმის სასოწარკვეთამდე მისულები... გიორგი გოგიშვილმა (ასე ერქვა მანქანის პატრონს) ათიოდ წუთში მიგვაგრიალა მეტროს სადგურ "სამგორამდე"; ფული შევაძლიეთ, მაგრამ მტკიცე უარი მივიღეთ. ბედად, ერთი ეგზემპლარი მქონდა ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილი ჩემი წიგნისა (ოდნავ იყო დასველებული, მიკვირს, ჩანთაში ამ თავსხმაში როგორ გადარჩა) და გულთბილი წარწერით მივართვი...

ოცი წუთის შემდეგ, ჯავახეთის ქუჩის აღმართში სიარულით გახურებულებმა, ჩვენი ბინის კარი შევაღეთ; საჩქაროდ გამოვიცვალეთ ტანზე, დავითბილეთ ცხელი წყლით ფეხები და, როგორც უკვე მოგახსენეთ, ცაცხვის ჩაის მირთმევის ჯერიც დადგა ქაცვის დაშაქრული წვენით. და იმ წვენმა, მისმა განუმეორებელმა გემომ და სურნელმა გამახსენა სწორედ იმ ჭალის სურათი თუ ხატი, სადაც წინა შემოდგომით ქაცვი დავკრიფეთ.

დიახ, გამახსენდა ისიც, რომ არაგვის იმ ჭალაზე, რომელსაც მრავალჯერ ვსტუმრებივარ შემოდგომობით ქაცვის, მაყვლისა და ასკილის დასაკრეფად, კარგა ხანია, მინდოდა, დამეწერა ლირიკული ჩანახატი-სამადლობელი – ის ჩემი სულის ერთ კუნჭულში მარად და მყარად კიაფობდა ლამაზ, გაუხუნარ სურათად-მოგონებად, მაგრამ ვერაფრით მივაგენი, თხრობა როგორ დამეწყო... და ფორმისა და თხრობის ტონალობის ამ ძიებაში წლები გავიდა.

ახლა ვფიქრობ: რა საჭიროა ზედმეტად ტვინის ჭყლეტა, დავწერ ჭალაზე უბრალოდ, როგორც გამახსენდება და ჩემს წარმოდგენაში გაცოცხლდება...

...ბრწყინვალე დღე გამოვიდა – უქარო, მზიანი, ღრუბლის ერთი ფთილაც კი არ ჩანს წამლად. არადა, წინა დღეები, – ჟინჟღლიანი, დაბურუსებული, სევდის გამომწვევი, – თითქოს გვამზადებდა, შევგუებოდით სიცივეს, სინოტივეს, ლეგა ღრუბლებით დაფარულ ცას...

ჯერ კიდევ მწვანე, მოყვითალო-ჟანგისფერგარეული ჭალა – მიჩუმათებული, გარინდებული; ჭალის ვერხვებს მხოლოდ სულ წვეროკინებზეღა შერჩენიათ თითო-ოროლა, ოდნავ შესამჩნევ ნიავზე მოცახცახე, გაყვითლებული ფოთლები. ამ ვერხვთა ღია ნაცრისფერი ტანები ამოზიდულია მაღლა თხუთმეტი-ოცი მეტრით მუქი მწვანე ქვეტყიდან – იქ უმთავრესად ქაცვის ბუჩქებია; ალაგ-ალაგ, ნათელ ადგილებში – მაყვლის, კოწახურის, ასკილის, ძეძვის ბუჩქნარია, გადაწნული კატაბარდათი, ეკალათი, ღვერდკეცით.

საოცარია ჭალა, საოცარი! როგორი სიმშვიდეა აქ, სიმყუდროვე; შეშფოთებული თუ დაღლილი სულის დასავანებლად უკეთეს ადგილს ვერც ინატრებ.

ჩიტები ხან აქ აფრთხიალდებიან გუნდად, ხან დაკეცილ მარაოსავით ჩაეფინებიან ბუჩქნარს იქით – ალბათ საზრუნავი აღარ აქვთ, ბარტყები დააფრთიანეს, ახლა მხოლოდ ზამთრის დადგომამდე ბლომად ქონის მოკიდებაზე უნდა იზრუნონ.

აგერ ორი დიდი ძაღლი ბოხი ყეფით გამორბის ჩვენსკენ, თუმცა სულ ახლოს მოსვლასაც ერიდებიან, უცდიან, როდის წამოეწევა მათ თხების არვეს პატრონი – ოცდაათიოდე წლის გამხდარი, პირგაუპარსავი კაცი. ეს თხები მისი ყოფილა, – ოცდაათამდე სული, – ყველა ცეტი, ეშმაკისთვალება, მოპეტელე, მაღლა ტოტების მოპოტინე. აცანცარებენ მოკლე კუდებს, ატრიალებენ თვალებს ტკბილი ნეკერის ზვერვაში, მიბაკუნობენ და მიკუნტრუშობენ. რუხად შეფერილ, ეკალჯაგიან, შემოდგომის გატიალებულ ჭალაში მხოლოდ თხა თუ იშოვის თავის სამყოფ საკვებს – ჭკვიანი კაცია მათი მეპატრონე, ნაღდი საქმე აურჩევია ამ გაჭირვების ჟამს, როცა კომბინირებული საკვები და თივაც ასე გაძვირდა.

ჩაივლიან თხები, აშრიალდება ვერხვნარის ოქროსფერი ფოთლები საღამოსპირის გრილი ნიავით, სხივგაცივებული ნაღვლიანი მზეც მალე დაგვემშვიდობება... ქაცვის კრეფით დაფხაჭნილი ხელები ალაგ დასისხლიანებულიც კი გვაქვს, მაინც არ ვეპუებით ეკლიან ბუჩქნარს; ფრთხილად მოვიწევთ ტოტს და აქა-იქ შერჩენილ ნარინჯისფერ წვრილ ნაყოფს კი არ ვკრეფთ, ტოტიანად ვჭრით სეკატორით ან დანით და კალათში, ვედროში ან ქაღალდის დიდ პარკში ვყრით – ვისაც რა მოგვეძევება. მერე შინ გულდაგულ ჩავუჯდებით ნაყოფის გამოკრეფას ამ ტოტებიდან, აგრეთვე, არცთუ იშვიათად, ხელისგულებში და თითებში ღრმად შესობილი და იქ ჩარჩენილი ეკლების ამოღებას – ახლა ამისთვის არ გვცალია...

არ გვცალია და მაინც, როგორ გინდა, დროდადრო არ შეჩერდე და არ მიმოიხედო გარშემო – ჭალაში უსაქმოდ ხეტიალიც კი არ მოგწყინდება: ჭალა ერთიანი, დიდი და რთული სამყაროა – ხე–ბუჩქნარით თუ ბალახებით, მწერებით და ქვეწარმავლებით, სოკოებითა და ხავს-მღიერით. ეს გამორჩეული ადგილია – აქ სხვანაირი ცხოვრებაა ტყე-ბუჩქნარისა და მდინარის შესაყარზე. აქაური ტყე განსაკუთრებული შემადგენლობისა და იერსახისაა, თავისი ნადირ-ფრინველით და სხვა ცოცხალი არსებებით – აქ ხომ მდინარე მდოვრდება, იტოტება; არაგვის ძირითადი კალაპოტისგან განსხვავებით, წვრილი განაყოფები მდინარისა ზარმაცად მიიკვლევენ გზას წყალდიდობისას მოტანილ ქვიშა-მინასილს შორის; ხანაც პატარა ნატბეურებია – ბაყაყებისა და ნემსიყლაპიების ედემი. ფშანებში წყნარად მიედინება კამკამა წყალი, სველ სილაზე ათასგვარი კვალი დაუმჩნევია ნადირ-ფრინველსაც, ადამიანებსაც და საქონელსაც. ვინც კი ესტუმრება ან ბინადრობს ჭალაში, ყველასთვის უხვად მოიპოვება კოწახური, ეკალას კურკანტელი, ასკილი – ყოველი მათგანი თავისებურად, ლამაზ-ლამაზად გაწითლებული; ყვითლად ღუდღუდებს ტოტებზე უხვად დაყრილი წვრილი ქაცვის ნაყოფი; შავად კრიალებს გვიან დამწიფებული მსხვილი მაყვალი. საოცარია, ზოგან მაყვლის ბუჩქი ახლა ჰყვავის! ყვავილს სადღა ნახავ ახლა და მისი თეთრ-მოვარდისფრო ყვავილები თვალსა და გულს ესალბუნება. დადიხარ უსწორმასწორო რიყნარ-ქვიშნარზე, ხანაც სილიანზე ტოვებ ნაკვალევს, მერე ბარდები გადაგეღობება და მათში მიიკვლევ გაჭირვებით გზას; თუ ძალიან გაგიჭირდა, ათასგზის დახლართულ მჩხვლეტავ წინაღობას უქცევ მხარს... ზოგჯერ რაღაც ცხოველების მიერ გაკვალული ბილიკი გაგიტყუებს და იძულებული ხდები, ნადირივით ოთხზე დადგე და ისე გაძვრე თავდახრილი ბარდებში. გესმის უხილავი მდინარის დუდუნი; ხანდახან გაიშლიგინებს გამხმარ ფოთლებში ხვლიკი; ძაღლების შორეული, გაუთავებელი ღავღავი ისე ჩვეული ხდება, რომ ყურადღებას აღარ აქცევ.

გადახლართულ-ჩახლართულ ტოტებში გამოკრთება ვერხვის მსხვილი, ნათელი ტანი... მერე მზერას მახლობელი, შემოდგომურად აფერადებული გორაკებისკენ გადაიტან, უფრო შორს კი – ჩრდილოეთით – საღამოს გამოხუნებულ ცაზე ლურჯ უზარმაზარ დინოზავრად გამოიკვეთება კავკასიონი, ალაგ-ალაგ თეთრი მწვერვალებით დამშვენებული...

დაღლილი მზე გამოსამშვიდობებლად სხივებით ოქროს აბლაბუდას ქსოვს ჭალის ხე-ბუჩქებს შორის.

დროა, შინ წასვლაზე იფიქრო...

ეჰ, ვერა, ვერ შევძელი შესაფერისად შემემკო არაგვის ჭალა –

“ჰეი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო!”...

1991

ლოჭინი

რამდენჯერაც შაბათი დღე მოახლოვდება, იმდენჯერ ცოლი და უკვე საცოლო ბიჭები იწყებენ ჩემს შეგონებას, მეჯიჯღინებიან: “რა გააჭირე საქმე – ეს სამოც წელს გადაცილებული, თანაც ინფარქტგადატანილი კაცი, რას გარბიხარ ყოველ შაბათს საბაღე ნაკვეთში? მხოლოდ იღლები, მეტი არაფერი. თანაც იქ რომ რამე დაგემართოს, ვინ არის მშველელი? უაზრობაა შენი ხეტიალი – ყველა თვალსაზრისით სრული უაზრობა და უჭკუობაა. წმინდა წყლის ზარალია, არა თუ? ერთი ლარი და ორმოცი თეთრი უნდა დახარჯო გზის ფულად, სანაცვლოდ კი რა უნდა მოიტანო? მოგვეცი ეგ ფული და ბაზრიდან იმდენ რამეს მოვზიდავთ... შენი ნაცოდვილარი კოფრჩხილასა და სვიის, ნაცარქათამასა თუ ჭინჭრის მხალი ან ორიოდე ნასეტყვი ვაშლი – სასაცილოა! ერთ ლარად ოთხ კილოგრამ ლეღვს ვიყიდით ან ხუთ კილო მშვენიერ ვაშლს ან ამდენივე ჭანჭურს!..”

მართლაც სასაცილოა, ღმერთმანი! ცამდე მართალმა კაცმა უნდა გაუთავებლად თავი ვიმართლო, თანაც მეასეჯერ! მომბეზრდა ამდენი ლაილაი და იძულებული ვარ, წერილობით გამოვხატო ჩემი თვალსაზრისი. აწი აღარ დავიწყებ ბევრ ლაპარაკს – პირდაპირ მივაფარებ ქაღალდს პირზე – აგერ ჩემს ნაწერს გაეცანით, აქ ყველაფერია ნათქვამი, დავიღალე ამდენი ყაყანით-მეთქი. ვიცი, ჩემს დღეში სხვაც ბევრია და იმათაც მინდა, შევეხიდო.

მაშ, მისმინეთ.

ჰო, ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიაო, საზოგადოების წევრიაო – ოჯახი, სამსახური, კოლექტივი, სახელმწიფო... კი, ბატონო, არავინ დავობს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ყოველი ადამიანი პიროვნებაცაა! როგორც პიროვნებას, მას დროდადრო განმარტოებაც სჭირდება, საკუთარ თავთან კენტად დარჩენა, საკუთარ გრძნობებსა და ფიქრებში ჩაღრმავება, სულიერი დასვენება! ადამიანს ბევრი უმტკიცესი ძაფი აკავშირებს სხვა ადამიანებთან, – შინაურებთან თუ გარეშეებთან, – მაგრამ საბოლოოდ მაინც მარტოსულია...

საბაღე ნაკვეთი ჩვენ ლოჭინის ხეობაში გვაქვს: პირდაპირ თბილისს ეკვრის – ლილოს დასახლებას და ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკას (ახლა სადღაა ფაბრიკა – გაიძარცვა და გავერანდა, ისევე, როგორც ბევრი სხვა საწარმო საქართველოში ამ ბოლო წლებში). თითქოს დიდად არ გასცილდი ქალაქს და მაინც სულ სხვა განწყობა გეუფლება აქ, ხედებიც სულ სხვანაირია – გაშლილი, თვალის სალბუნი და ჰაერიც ხომ, რაღა თქმა უნდა, საუცხოოა. მანქანათა ბღუილს ჩიტთა ჭიკჭიკი ცვლის, ქუჩის აურზაურს – სიმშვიდე და უშფოთველობა. აქ შენც სხვა კაცი ხდები, სხვანაირი აზრები გებადება, თავისუფალი ხარ ყოველდღიურობის წვრილმან-მსხვილმანი, დამთრგუნავი საზრუნავისგან...

მიყვარს მარტო ყოფნა!

ათზე მეტი მოთხრობისა თუ ჩანახატის თემა შთამაგონა აქაურობამ: ნაკვეთში ტრიალმა, მდინარე ლოჭინის სანახებში ასკილსა და კვრინჩხზე, სვიასა და პანტაზე, მაყვალსა და ნუშზე მოსაგროვებლად წოწიალმა... ერთი პატარა წიგნი შეიკვრება.

კვირის განმავლობაში დაგროვილი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დაღლილობის განმუხტვა ათასგვარად შეიძლება: ზოგი ქეიფობს, სხვა – ნათესავებსა ან მეგობრებს მოინახულებს, ვინ გიტარაზე დაკვრას აყოლებს გულს, ერთი მეზობელს ეპაექრება ჭადრაკში, მეორე – დომინოს ან ნარდის ქვებს უჭახუნებს, მესამეს ფეხბურთის ყურებას არაფერი ურჩევნია, გინდაც ღლაპები დასდევდნენ ბურთს... მე კი – კაცია და გუნება – მიყვარს მარტო ყოფნა! ხეტიალი უგზო-უკვლოდ ან მიწაში ჩიჩქნა, მცენარეების მოვლა, მათ ზრდა-განვითარებაზე დაკვირვება, ბუნების ხმების მოსმენა, ან თუნდაც ხის ძირში პირაღმა წოლა! მიყვარს ხის ტოტებსა და ფოთლებში მზერით ძრომიალი – შეიძლება, დაუსრულებლად უცქირო, ცის ფონზე როგორ მიისწრაფის ზევით ტოტები, როგორ ირხევა, თამაშობს ნიავზე ფოთლები... განა ხე, ნებისმიერი ჯიშის ხე, არ არის საოცრება? ნეტავი გამაგებინა, რა ბრძანებებს აძლევს ამ აწყობილ, რთულ სისტემას – მცენარეს – ფესვები, ტანი, ფოთლები, როგორ არის მოწყობილი ყველაფერი, რომ ყვავილის თოვით გაგვახაროს, ნაყოფთა სილამაზით დაგვატკბოს! რა რეაქციები მიდის, როგორ მწიფდება ნაყოფი, რატომ იცვლის ფერს და მწვანიდან იღებს თვალგასახარ ნარინჯისფერ, ძოწისფერ, ოქროსფერ იერს? სიმჟავე თუ სიმწკლარტე ქრება და ნაყოფი ისეთი გემრიელი ხდება, რომ მისი გახსენებაც კი პირს ნერწყვით გივსებს... საოცრება არ არის განა: პაწაწკინტელა თესლიდან გაიზრდება უზარმაზარი მცენარე, რომელიც ბოლოს ნაყოფსაც გამოიბამს – ზუსტად ისეთივე თესლებით დამუხტულს!..

საკვირველი არ არის განა, აი, თუნდაც ქარი? ვერხვებს და ალვებს აშრიალებს, ფოთლებს აცეკვებს, თითქოს ჰაერის ჭავლებით ვარცხნის... რატომ აქვს ქარს არათანაბარი ხასიათი? ხან შლეგიანივით მოვარდება, შემდეგ წამს – შენელდება, თითქმის სულ ჩაცხრება და უცებ ისევ გაძლიერდება... რატომ?

ქათქათა ღრუბლები დასეირნობენ ზეცაში... არ არის საკვირველი? მოგწყინდება მათი ცქერა? ფორმის მრავალფეროვნების, თითქოს მონოტონური ერთი ფერის გადასვლების, სინაზისა და ამოუწურაობის ჭვრეტა? (ალიონისა და დაისის ფერადოვანი ცის ღრუბლებზე ალბათ ამაღლებული ლექსით უნდა ილაპარაკო და ახლა გვერდს ვუვლი!). ხანდახან ეს უცოდველი კრავები-ღრუბლები მოიქუფრებიან, დაიგორგლებიან, ჭექა-ქუხილით დაიკლაკნება ელვა, გაფატრავს ნესტით დაფეხმძიმებულ-ჩამუქებულ მუცელს და შრიალით იბადება წვიმა, გაბმულად ამღერდება – უცებ გადაამუქებს გარემოს, დაბურუსდება ირგვლივ ყველაფერი... ხილული საოცრებაა! სულ სხვა ხმაზე შრიალებენ ახლა ხეები, ირწევიან, ანანავებენ ბუდეებში განაბულ ბარტყებს, ზედ რომ ფრთებგაშლილი მშობელი გადაფაფრებია!

მერე ადრე თუ გვიან გადაიკარებს, განათდება მთა-ველი; გამოხვალ საფარიდან, აზურმუხტებულ ბალახში გაივლი – არად აგდებ ფეხის და შარვლის დასველებას; გამოკრთება ღრუბელთა ნარჩენებიდან მზის სხივი, აციალდება-აბრჭყვიალდება უთვალავ წყლის წვეთებში, მარგალიტებად რომ მიმობნეულან ფოთლებსა და ტოტებზე, ბალახებზე, მავთულებზე... ცაზე მოირკალება შვიდფერი ცისარტყელა, ხანაც – ორი ერთად და თავი ზღაპარში გგონია! არ არის საოცრება? ისევ დახეტიალობს გუგული "გუ-გუს" ძახილით, უთვალთვალებს ფრინველთა ბუდეებს, ისევ მოუღლელად დასრიალებენ ჰაერში სწრაფი მერცხლები, ისევ დახტიან და წინწრიხებენ კალიები, დაფარფატებენ პეპლები, ბზუიან ფუტკრები...

ბოდიშს ვიხდი, ცოტა არეულ-დარეულად ვყვები – როგორც წამოტივტივდება მეხსიერებაში ნაცნობი ხატებანი...

ჯერ ავტობუსის გაჩერებიდან ნაკვეთამდე სანამ მიაღწევ, იმ ნახევარ საათში რამდენ რამეს ნახავ – კარგად ნაცნობსაც, ძველსაც და ბევრ რასმე ახალსაც... ჯერ პეიზაჟი: ლოჭინის ზურმუხტოვანი ხეობა, გორაკთა რუხი ფერდობები, ქარსაფარი ზოლებით დახაზული მარტყოფის ველი: ჩრდილოეთით – იალნოს ლურჯი ქედის ხერხივით დაკბილული მწვერვალთა სილუეტი; თუ არ გეჩქარება, წუთით შეისვენებ და უკანაც მოიხედავ: შორი რუსთავის მბოლავი მილები, იაღლუჯის კალთები, ვაზიანის ჭრელი სახლები, გარე კახეთის რუხი ტრამალები... უფრო ახლოს: აგერ კუ გამალებით ცდილობს დაგშორდეს, ტოროლები ჰაერში აჭრილნი გალობენ, ბეღურები გადაიფრენენ მოკლეზე, კაჭკაჭი უჩუმარი ჭრელი აჩრდილივით გაკრთება ცის ნათელ ფონზე...

მერე გამოჩნდება ნაკვეთიც: ნაცნობი ხეები მიქნევენ ტოტებს, რტოებში შემალული ვაშლები დროდადრო გამოიჭყეტენ და თვალს მიკრავენ – მოდი, მოდიო!..

სასწრაფოდ ვიცვლი ტანსაცმელ-ფეხსაცმელს და მთელი დღე ხალისიანად ვბარავ, ვთესავ, წყალს ვეზიდები არხიდან მოსარწყავად, ვსხლავ, ნაკელს ვუყრი და ასე შემდეგ – მარად ვფუსფუსებ, ვტრიალებ, ვცოდვილობ... მხოლოდ კუჭი რომ შემახსენებს თავს, ათიოდე წუთით თუ ჩამოვჯდები წასახემსებლად.

ირგვლივ კი ბუნებაც შრომობს, ხან უჩინარი, ხანაც დაკვირვებული თვალისთვის საჩინო ამბები ხდება: ადრე გაზაფხულზე ამოხეთქავს დამბალი მიწიდან ლორთქო ბალახი, დასკდებიან დაბერილი კვირტები, დაიჩეკებიან იქიდან მწვანე ფოთლები, თვალებს დააჭყეტენ ყვავილები, ხალისიანად აბზუილდებიან მწერები, თეთრ-ვარდისფრად აფეთქდებიან ნუში, ალუბალი, ბალი, ტყემალი, ატამი, ვაშლი, მსხალი, გარგარი და სხვა და სხვა... აჩქროლებული გულით და გაახალგაზრდავებული სულით შესცქერი გარემოს საქორწილოდ მორთვა-მოკაზმვას, საზეიმო, ამაღლებული განწყობა გთანგავს და სიცოცხლის ძლევამოსილებით ატაცებული, სულ ლექსად და სიმღერად გინდა დაიღვარო...

თხუნელა საქმიანობს მიწისქვეშეთში, გაჰყავს გვირაბები და მიირთმევს ჭიაღუას, ჭიაყელები ყლაპავენ ნეშომპალიან მიწას და სასუქად აქცევენ, სასუქი აგიუებს ბალახებს – მძლავრად ამოიზრდებიან, აიზიდებიან მაღლა, ბალახებს ესევიან მუხლუხოები და კალიები – პირს იტკბარუნებენ ქორფა სიმწვანით; მწერებს გადასანსლავად დასდევს ხვლიკი, ხვლიკს კი ემტერება კაჭკაჭი – დაჰკრავს ნისკარტს და გადაუძახებს სტომაქში... ასეა აწყობილი ეს ქვეყანა: რთული, მრავალსაფეხურიანი, ურთიერთგადაჯაჭვული ბედით თუ უბედობით, ერთის მეორის ხარჯზე გახარებით, ხან ურთიერთ დახმარებით – სიმბიოზით, უფრო ხშირად – ქიშპობით, გარემო პირობებთან შეგუებაში შეჯიბრით, რასაც ჰქვია "ბრძოლა არსებობისთვის". ერთნი მოდგმის სიმრავლით ცდილობენ სახეობის გადარჩენას, მეორენი – გვალვაგამძლეობით, ფიზიკური სიმაგრე-სიმტკიცით, ეკლებით, შხამიანობით და ასე შემდეგ... როგორ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ყველაფერი – ურთიერთ გადანასკვულია უმჭიდროესად ჩემი ნაკვეთის ბინადართა ცხოვრება... მოგწყინდება ამაზე დაკვირვება? ან ყვავილთა უთვალავი ნაირსახეობის სილამაზით ტკბობა? გინდაც მხოლოდ ფოთოლთა ფორმის და სიდიდის მრავალფეროვნება და განუმეორებლობა მოგიყვანს აღტაცებაში!

უთვალავი სხვა ამბის მოწმე და მონაწილე ხარ შემდეგაც – ზაფხულში, შემოდგომაზე და, თუ არ შეგეზარა თოვლში ან ჭყაპში აქ მოსვლა – ზამთარშიც!

ყველამ, ვისაც მიწის დამუშავებასთან საქმე ჰქონია, კარგად იცის: საკუთარი ოფლით მოწეულ ჭირნახულზე გემრიელი არაფერია! გინდაც ის უდღეური, დაღვლარჭნილი კიტრი ან გასაცოდავებუ-

ლი, მუშტის ტოლა საზამთრო იყოს... რას ვთესავ? ხორბალს (ორ-სამ პეშვს მხოლოდ – მიყვარს გვიან შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე ხასხასა მწვანედ აღაღანებულ-ამღერებული ჯეჯილი! თანაც შემდეგ ამ ხორბლიდან ლუდს ვხარშავ), მწვანილეულს, ზოგჯერ – სტაფილოს, ჭარხალს, ხახვს; ვრგავ ხოლმე პომიდორის, კომბოსტოს ჩითილებს, კარტოფილს, მიწავაშლას... ერთხელ კალიები შეესივნენ ნაკვეთს და ყველაფერს მუსრი გაავლეს (არადა, იმ წელს რაღაც განსაკუთრებით ხელსაყრელი ამინდები დაიჭირა და გვარიან მოსავალსაც ველოდი); მეორე წელს – ვიღაც მწყემსებმა რამდენჯერმე გაარღვიეს მავთულის ღობე და საქონელმა გადაძოვა, გადათელა და გადაჯეგა ყველაფერი – ნათესებს ვინდა ჩივის, ხეებსაც კი ჩამოახლიჩეს, ჩამოამტვრიეს ტოტები... გავერანებულ ნაკვეთს რომ ნახავ, რომელშიც ამდენი ოფლი ჩაგიღვრია, გული არ მოგიკვდება? თავს მაინც ვერ ანებებ, გენანება აქაურობის მიტოვება (გარშემო ბევრი მიგდებული ნაკვეთია, რომელთაც პატრონები აღარ აკითხავენ და უნდა ნახო, როგორი გატიალებულია ყველაფერი ნახირის ჯირითით – ერთი ხეც კი არ გადარჩენილა გადამტვრევა-დასახიჩრებისგან, განსაკუთრებით დაბლები – ატმები, ალუბლები, ლეღვები და სხვები, – თითქმის ყველა ძირამდე მოსპობილია; მერე ბადის ღობესაც მთლიანად მოარღვევენ ხოლმე უპატრონო ნაკვეთს და სულ მალე აყვავებული ბაღ-ბოსტნის ნაცვლად ჩლიქებით დაბეკნილი ეკალ-ნარიანი საძოვარი ჩნდება)... ჰოდა, მთელი კვირის განმავლობაში ხშირ-ხშირად მოგივლის ფიქრი: "ნეტა როგორაა იქ ხეები და ბუჩქები, ვაზი და ხენდრო, მწვანე ხახვი და ქინძი და სხვები – ხომ არ მოიწყინეს მოურწყველობით, ხომ არ დაისეტყვა ან, ღმერთმა დაგვიფაროს, ისევ ხომ არ "ესტუმრათ" ნახირი? (ერთი-ორჯერ ცხვრებიც შერეკეს, ცხენებიც და ვირებიც!). როგორღა გაგიძლებს გული, რომ შაბათს სისხამ დილით არ წამოხტე! საჩქაროდ ჩაის დალევ, წინადღით ჩალაგებულ ჩანთას ხელს დაავლებ და უკაცურ ჯავახეთის ქუჩის დაღმართს დილის სიგრილეში აჩქარებული ნაბიჯით დაუყვები...

საღამოს კი, იმავე ქუჩით, ოღონდ ამჯერად ადმართში, უზომოდ დაღლილი (და ზოგჯერ უზომოდ დატვირთულიც) ნელა მიღოღავ შინისკენ და ოცნებობ, რომ დაგახვედრონ ფეხების დასათბილი ცხელი წყალი, მერე გეახლებით ვახშამს, დააყოლებ ქაფქაფა ყავას, შვებით გაიშოტები ტახტზე და ტელევიზორის საოცრებებს უყურებ – ხან კოსმოსში მიფრინავ, ხან რომელიღაც არეულ ქვეყანაში დემონსტრაციაში მონაწილეობ, ხან საკურორტო ქალაქში გამართულ ჯაზის ფესტივალს ესწრები, ხანაც თავგადასავლების მოყვარულთა ხიფათიან ცხოვრებას ეზიარები...

მე კი რომ მკითხოს კაცმა, ჩემს პატარა ნაკვეთში უფრო მეტი და უფრო მიმზიდველი საოცრებების ნახვა შეიძლება: როგორ ესტუმრებიან პეპლები ყვავილებს, როგორ "მწყემსავენ" ჭიანჭველები თავიანთ "ფარას" – წუწნია ტკიპებს რტოთა წვეროებში, როგორ აუშენებიათ ლამაზი ფიჭა-ბუდე კრაზანებს ბოძის თავზე ჩამომხობილი კონსერვის ცარიელი ქილის ქვეშ და როგორ საგულდაგულოდ იცავენ, როგორ ქანაობს არხის პირას ამოსულ ლერწმის წვერზე პატარა, გულწითელა სტვენია ჩიტი; როგორ მოხილავს ქინძის სურნელოვან ყვავილებს ფუტკარი, როგორ შხეფებივით აიჭრებიან ჰაერში შენი ყოველი ფეხის გადადგმისას კალიები და ქვედა, ვარდისფერ ფრთებს ააბრიალებენ შესაშინებლად თუ მოსახიბლავად...

როგორ, როგორ, როგორ...

როგორ მიგორავს მზე დილიდან საღამომდე ცის კაბადონზე და ჩრდილები საათის ისრებივით გადაადგილდებიან მასთან ერთად, როგორ ხაზავენ ცას სხვადასხვა მიმართულებით ფრთოსნები, როგორ იღლება საღამოსპირს მთელი გარემო შენთან ერთად და მოსასვენებლად ემზადება მიწაც და ცაც, ხე-ბუჩქიც და ნადირ-ფრინველიც – დიდ-პატარა, სულიერიც და უსულოც...

ბოლომდე წაიკითხეთ ჩემი აცაბაცად ნაწერი აღსარება? ჰოდა, კიდევ მეტყვით, ნუღარ მიდიხარ ნაკვეთში, შეეშვი უსაქმოდ და უაზროდ ყიალსო?..

1997

ვედრება

დავინახე ფოთოლგაძარცული კუნელი, სულ მთლად შიშველიც არა: მაღლა ვედრებასავით აღმართულ ტოტებზე თბილად ღუდღუდებდა კენკრა ნაყოფი – უთვალავი წითელი მძივი...

ალბათ სიმაღლეზე ყოფნამ გადაარჩინა ეს ტოტები ჩემნაირებისგან გაკრეფას – იხარეთ, ჩიტებო!

სამხრეთით, ძალიან შორს – დათოვლილი ლალვარი, ჩრდილოეთით – იალნოს ქედიც მწვერვალებზე თეთრად დაფიფქულა.

წყნარი დღეა, სანახევროდ ღრუბლიანი, ყინვიანი; ოდნავ უბერავს ნიავი, ქვევიდან ისმის ლოჭინის შხუილი, ძაღლების ყეფა; ჭალაში ჩხავის კაჭკაჭი, ვიღაცა ჭრის ხეს.

ჭალაში ყვითლად იწვის მუხები, ზოგან გამოსჭვივის მათი შავი ტანებიც; ალაგ-ალაგ შეჯგუფულა ფოთოლგაძარცული ვერხვების მსხვილი, თეთრი ტანები. ხეობის გამოხუნებულ, გადამხმარი ბალახით დაფარულ ფერდობებზე მოიისფროდ მოჩანს ჯაგრცხილის ბუჩქნარი; აქა-იქ გაფანტულ ძეძვის ბუჩქებს შერჩენილი აქვთ მხოლოდ პატარა თესლები-ბადროები.

ლოჭინის დაკლაკნილ სარტყელში თეთრად და ლურჯად ირეკლებიან ღრუბლები და ცა...

გვიანი შემოდგომის – ნოემბრის ბოლოა – დამყუდროებული და გარინდებული მონაცრისფრო–მორუხო მდინარის ხეობა ევედრება მზეს: ჩასვლის წინ ერთხელ კიდევ გამოანათე და გადმოგვაფინე შენი სხივებიო.

უჰ, როგორ ცივა – თითები დამაზრა, ვეღარ ვწერ...

1999 წლის 28 ნოემბერი.

კაჭკაჭი

გამარჯობა!

მე კაჭკაჭი გახლავართ, დიახ, ჭრელი კაჭკაჭი – თეთრ-შავი, როგორც დღე და ღამე, როგორც სიხარული და მწუხარება, ქუდბედიანობა და უბედობა; ჭრელი ვარ წუთისოფელივით. და ახლა კი, ტყე-ბუჩქნარში თუ მინდორ-ფერდობებზე ხეტიალის შემდეგ, მე ვესტუმრე ამ თეთრ ქაღალდ-მინდორს შავ ასოებად: მინდა, გეჭორაოთ, გული მოვიფხანო.

ჰმ, "ქურდი კაჭკაჭიო", – ამოუჩემებიათ. რაღა მე დამასვეს კბილი, რათა ვარ ქურდი? სხვას თუ უყვარს ბრჭყვიალა საგნების მხიარული გამონათება, არც მე მაკლია გემოვნება. აქ, ამ გრილ ჭალებში თუ მზით გაფიცხებულ, ბუჩქნარით გადაჭორფლილ გორაკ-ბორცვებზე, ველზე წაგრძელებულ წარაფებში თუ მაყვალ-ეკალღიჭით გაბარდულ ტყისპირებში – ყველაფერი ჩემია, ჩემი!

კი, ადამიანიც გამოჩნდება ხანდახან: ტყეში ხეს მოჭრის, მარწყვს, მაყვალს, კვრინჩხს, პანტას მოჰკრეფს, ველს მოხნავს, დათესს, მოსავალს მოიწევს... სანადიროდაც დაეხეტება ან საქეიფოდ მობრძანდება ძმაკაცებთან ერთად მდინარის პირას ვერხვის ქვეშ ან კბოდის ძირიდან გამონაჟურ ცივ წყაროსთან, – აქაურობას ჩემულობს, თავისად მიაჩნია, – სად არის სამართალი? მე და ჩემი მეუღლე ხომ სულ აქა ვართ, ზამთარ-ზაფხულ ამ ადგილებში ვტრიალებთ! აქაა ჩვენი სახლ-კარი, ორ-სამ ბუდესაც აქ ვაშენებთ ეკლიან ბუჩქზე ან კუნელისა თუ ბერყენის წვერში – დიდი ბუდე გვიყვარს, გადავხურავთ კიდეც ეკლიანი სახურავით: რა ვიცი, ათასი ოხერი და მუდრეგი დაძრწის! მერე ლამაზ კვერცხებსაც ვდებ ერთ-ერთ ბუდეში და ბარტყებსაც აქ ვზრდით; აქ, ამ ჩვენს არე-მიდამოში, ვუნისკარტებთ ხილსა თუ კენკრას, სხვადასხვა ბალახის თესლს მივირთმევთ, ვნადირობთ კალიებსა და ხვლიკებზე; ხანდახან, თუ ბაჭიას გადავეყარეთ, იმასაც გავკრავთ ნისკარტს; ბარტყების გამოკვების დროს სხვათა ბუდეებსაც ვესტუმრებით – მათი კვერცხებით ან ბარტყებით პირის ჩაკოკლოზინება გვიყვარს! ჩვენია აქ ყველაფერი და ყოველივე და იმიტომ! ამიტომ დავფარფატებთ ჩვენს კუთვნილ მამულში დილიდან საღამომდე, დავძვრებით ბუწკნარ-ჩირგვნარში, ვიქექებით ჩამოცვენილ ფოთლებში, ბალახში, ვუნისკარტებთ შემოფეთებულ მწერსა თუ ჭიას – ყველაფერი გვიყვარს!

ფხიზლად ვდარაჯობთ მამულს, ჩვენს შავ თვალებს არაფერი გამოეპარებათ, განსაკუთრებით განგაშს ავტეხთ ხოლმე, თუ ადამიანი შევამჩნიეთ; მართალია, ამ მხრივ ჩხიკვი გვჯობნის – ჩვენსავით აშკარად კი არ დაფრინავს, სულ ხშირ რტოებში დაძვრება, იშვიათად დალანდავ, მაგრამ მტრის აღმოჩენაში ვერავინ შეედრება! მაშინვე დასძახებს ჭყრიალით განგაშს, ნადირ-ფრინველთ, ნათესავ-მეგობრებს გვაფრთხილებს: "აგერ თავხედი ორფეხი მოდის, ერთი დაბალი ოთხფეხიც ახლავს, გაუწყდეს ჯიში!" ვიცი, ნაღდი მონადირე თოფს არ მესვრის, ჩემი ხორცი არ მოსდის გუნებაში – ჩემზე ამბობს, ყოველგვარ სისაძაგლეს ჭამს, ტყვიას მაგაზე როგორ გავაფუჭებო... არა, ბიჭო, და მაგის პრანჭია ძაღლსა ვგავარ, კარაქიან პურსაც კი რომ პირს არ აკარებს, მაინცდამაინც საგანგებოდ მისთვის შეძენილი, შემდეგ მოხარშულ-შეკმაზული, ცხელ-ცხელი ძვალ-ხორცი უნდა მიართვან! ჩვენ კი ჩვენს თავზე თვითონვე ვზრუნავთ, ათას მტერსაც მარტომ უნდა გავუმკლავდეთ, თავი გავიტანოთ... მონადირეებზე უფრო ჩვენთვის ბიჭბუჭობაა საშიში – დაგლიჯინობენ გუნდ-გუნდად შურდულებით შეიარაღებული ეგ გასაწყვეტი უსაქმურები აღმა-დაღმა და რასაც კი მოძრავს რასმე დაინახავენ, ყველაფერს კენჭებს გაუშუილებენ. ტანად არც ისე პატარა ვარ – ბეღურა და ტოროლა ვერც შემედრებიან, ჩემი შეფერილობაც, მოგეხსენებათ, – კარგი სამიზნე ვარ... მაგრამ, ნურას უკაცრავად, არც ისეთი ადვილი დასათოფი გახლავარ! მაგ ცხვირმოუხოცავებზე მეტი ჭკუაც მაქვს და მოხერხებაც – წინდაწინვე გავეცლები, ჩირგვნარს მივცემ თავს ან ტევრში გავუჩინარდები. თუმცა, სიმართლე რომ მოგახსენოთ, ხშირი, დაბურული ტყე არ მიყვარს, მე უფრო მიზიდავს, რო-

გორც ადრეც მოგახსენეთ, გამოხშირული ტყისპირები, ჭალები მდინარეთა ნაპირების გაყოლებით, ბუჩქნარით შემოსილი გორაკები თუ ვაკე – ყველგან ვპოულობ ჩემს სამყოფ სარჩოს.

როცა ამ ჩემი ადგილ-მამულის ამბები დაგჭირდეთ, მომაკითხეთ, საგულდაგულოდ ჩაგიკენჭავთ ყოველივე წვრილმანს. ჩემს თვალს რა გამოეპარება, აქ ვტრიალებ მუდამდღე, ალბათ ამიტომაც ვარ ასეთი – შავ-თეთრი. არავიში შეგეშლებით, თვალშიც უმალ მოგხვდებით და ამით ყველას ვაფრთხილებ: "ყველას გაჯობებთ, გაგაცუცურაკებთ!" მოკლედ, ჭრელი ვარ, გინდ დამჯდარი და გინდ აფრენილი, მაგრამ გაფრენილი მაინც უფრო ლამაზი ვარ, როცა ავაფართხალებ განივრად, ფართოდ ჭრელ ფრთებს, გავშლი გრძელ, შავ კუდს და მფეთქავ მუქ სილუეტად გავკრთები ტყე-ბუჩქნარის სიმწვანეზე ან ზეცის სილაჟვარდეზე...

როგორ ამშვენებს ჩემი გაფრენა მიდამოს!

თუ თქვენ დაგეზარებათ ჩემთან სტუმრობა, მე თვით მოგეახლებით თქვენს ბალ-ბოსტანში ან ეზოშიც კი – თავმდაბალი გახლავართ... და შეიძლება, რაღაც ბრჭყვიალა საგანი აგწაპნოთ კიდეც, თუ დრო ვიხელთე. ან არადა, დიდი ღორის ზურგს დავაფრინდები, ამაყად გავიჯგიმები – ქვეყანამ მიყუროს, რა უშიშარი ვარ, როგორ დავსეირნობ!

ადამიანებს მიგაჩნიათ, – თავხედებს! – რომ მავნეც ვარ და სასარგებლოც. ერთი მეც მკითხეთ, თვითონ როგორები ხართ: სასტიკნი და ყველაფრის თავისი ადლით მზომავნი! ვინ მოგცათ ამის უფლება!? ყველა უფლება თვით მიისაკუთრეთ, ყველაფრის მსაჯულიც თქვენვე ბრძანდებით!

უჰ, ძალიან ბევრი ვიჭარტალე, პირდაღებული ბარტყები კი მოუთმენლად მელიან – ძალიან გაუმაძღრები არიან, მწერების სულ ახალ-ახალ ულუფას მოითხოვენ ეგ გასაზრდელები. ასე რომ, უნდა დაგემშვიდობოთ და საქმეს ვეწიო – ფრი-ი!...

1997

ბერყენა

რა იფიქრეთ, როცა ეს სათაური წაიკითხეთ? ვინმე მოხუცი კაცის სახელი ხომ არ გეგონათ?

დიახ, ბევრმა არ იცის, რომ ბერყენა გარეული მსხლის – პანტის – ერთ-ერთი ნაირსახეობა გახლავთ. ისე კი ბებერს მართლაც ჰგავს: ტანის კანი ხეშეში აქვს, ტოტები – დაბრეცილი, ეკლიანი.

უფრო ხშირად ეულად ამართულა სადმე ხრიოკ, ალაგ-ალაგ ურო-ბალახით და ვაციწვერათი გადაყვითლებულ ფერდობზე, მეზობლად მასავით ეკლიანი და გვალვაგამძლე ძეძვი ან სხვა ბუჩქნარი თუ ბოგინობს.

ოქტომბრის დასაწყისის ერთ მოღრუბლულ დღეს ლოჭინის პატარა შენაკადის – საცხენისისხევის – საამოდ დაბურულ ჭალაში ნაქარალ კაკალს ვაგროვებდი. საღამოსპირს შინ გასამგზავრებლად ავტობუსის გაჩერებისკენ დავიძარი.

ბუჩქნარიან ფერდობზე თრიმლი გადაწითლებულა, ასკილი ნაკვერჩხლებს ჰყრის; ქარსაცავი ზოლების ალვის ხეები სანთლებივით ყვითლად ჩარიგებულან...

აღმართი ამოვიარე და რკინიგზის ლიანდაგზე მივაბიჯებდი, როცა მზერა შევაჩერე ოციოდ მეტრში, არხს იქით მდგომ უზარმაზარ მომწვანო-მოცისფრო ბურთზე – ბერყენაზე. ალბათ ძალიან ხნიერია ეს ხე – მსხვილი, ოდნავ გვერდზე გადაქანებული ტანი აქვს (მარტყოფის ველზე ხშირია ქარი) და დიდი, მრგვალი, ხშირი ვარჯი. როგორც აღვნიშნე, ჩვეულებრივ ბერყენა მშრალ ადგილებში, უმეტესწილად ნახევრად უდაბნოებსა თუ ტრამალებში ხარობს, ნელი ზრდა ახასიათებს და, ეტყობა, ამ ბერყენაზე კეთილად იმოქმედა არხის პირას გახარება-გაზრდამ. ადრევე მქონდა ეს ხე შეთვალიერებული, ბლომად ესხა პანტა და, როცა დამწიფდებოდა, საგანგებოდ ვაპირებდი მასთან სტუმრობას. ვფიქრობდი, ჯერ ადრეა, ალბათ პირველ ყინვებს რომ დაიჭერს, მაშინ არის მისი დაკრეფის დრო-მეთქი. მაინც არ დავზარდი, ახლოს მივედი, ვიწრო არხზეც გადავხტი და, გაოცებული, ბერყენას მივაჩერდი – წინათ რომ თვლა არ ჰქონდა ნაყოფს, ახლა თითო-ოროლადა შერჩენოდა აქა-იქ...

"დაუკრეფიათ!" – გავიფიქრე, მაგრამ შემდეგ შევამჩნიე, ერთი ნაყოფი ქვედა, გამხმარი ტოტის ეკალზე იყო წამოცმული. რომელიმე ნადირ-ფრინველი ხომ არ იმარაგებს ასეთნაირად ზამთრისთვის სანოვაგეს? თუ ჩამოცვენილა და შემთხვევით შერჩა ეკალზე?

დავიხარე, შევიჭყიტე ხშირ ტოტებს შორის ხის ძირში და რას ვხედავ – იქაურობა სავსეა ჩამოცვენილი წვრილი ნაყოფებით! წინა რამდენიმე დღეს ძლიერი ქარი ქროდა და ასე, თითქმის პირწმინდად ჩამოუხვეტავს ძირს... ამ დროს – წკაპ! – ბერყენას ნაყოფმა ჩამიკაკუნა კოსროში – ხემ მისაყვედურა, სად იყავი აქამდეო... წკაპ! – მეორეც რა ზუსტად დამიმიზნა! ნეტა რამდენი ცალი შეინახა საგანგებოდ ჩემთვის? მოიცა, გაგფინო შინ მაგიდაზე, ერთ-ორ კვირაში როგორ ჩარბილდები და ჩატკბები თათარასავით!

ერთი ახლო ტოტი მოვიწიე და შერჩენილი ნაყოფი მოვწყვიტე – შეხებისთანავე თავისით მოსცილდა ტოტს, ეტყობა, დრო მოსულა მისი მწიფობისა და ჩამოცვენისაც...

უნაყოფო ბერყენას რომ შეხედო, ფშატი გეგონება, ძალიან ჰგავს ფოთლებით. ხის ქვეშ ისეა აბურდული ეკლიანი ტოტები (ნაწილი – გამხმარ-ჩაშავებული), მაყვლის გრძელი ნაზარდი და ხშირი, მაღალი ბალახი, რომ ტურასაც გაუჭირდება შეძრომა – არხის პირად ყველა ჯურის მცენარეულობა გალაღებულა. მაინც არ შევეპუე ბერყენას მჩხვლეტავ ხელებს, გადავწიე თუ გადავთელე ბალახებიც და ჩაცუცქული ვაგროვებ მოტკბო-მომჟავო, ჯერ კიდევ მაგარ ნაყოფებს, რომელთაც სიმწკლარტე უკვე საკმაოდ განელებიათ და პირის გასასველებლად არა უშავს რა; ცოტა უხეში რბილობი კი აქვთ, ზომითაც მცირეა ნაყოფები – პანტაა! ზოგიერთს სანახევროდ შეჭმულსაც ვხედავ, თაგუნების ნამუშევარი ჩანს – ალბათ ნაწილს ადგილზევე დააგემოვნებენ, ნაწილს სოროში წააცუნცულებენ საზამთროდ. ეტყობა, თესლს უფრო ეტანებიან, ვიდრე რბილობს, ამიტომაა, პანტის ნაყოფებს მხოლოდ ცალი მხრიდან გამოჭამენ ხოლმე. ნაყოფში თესლი ორი-სამი თუ იქნება, სამაგიეროდ, საკმაოდ მოზრდილი, ჩვეულებრივი, კულტურული ჯიშების მსხლის თესლებზე ბევრად დიდი. მიხვდით ალბათ, რატომ – ბერყენა უნაყოფო, მწირ ადგილებში ხარობს და თესლს საზრდოს საკმაო მარაგი უნდა ჰქონდეს, რომ ღივმა ასეთ პირობებში ფესვი ღრმად და მკვიდრად გაიდგას.

ჩანს, დღეს ბევრს ვერაფერს მოვაგროვებ: პანტა კი ბევრია, მაგრამ შეგროვება ჭირს, დიდი დრო დასჭირდება; თან მეშინია, ბოლო ავტობუსმა არ გამასწროს, ამიტომ ახლა მცირედით უნდა დავკმაყოფილდე, უფრო ხანგრძლივი სტუმრობა შემდგომისთვის გადავდო. გემო რომ გავუსინჯე და ორიოდე კილოგრამი მაინც მიმაქვს შინაურთათვის – მადლობა მომიხსენებია, ბერყენავ! მჩხვლეტავტოტებიანი რომ ხარ, გარეგნულად მკაცრი და უკარება, რას იზამ, ბევრი მტერი გყავს და თავს იცავ ამ სუსხიან სამყაროში; მაინც ბევრს მასპინძლობ და არა მხოლოდ ნაყოფით – შენს შეუვალ ტოტებში არაერთგზის დაუდვიათ ბინა ფრინველებს, ბუდე ჩაუდგამთ და შთამომავლობა მშვიდობით დაუზრდიათ... სამაგიეროდ, შენი ჯიშ-ჯილაგის გამრავლებაში წილი უდევთ შენს სტუმრებს: ზოგ ნაყოფს თაგვი დაეპატრონება, ზოგს კაჭკაჭი წაიღებს ნისკარტით; შეინახავენ სოროში თუ მოფარებულში, ხანაც გზაში დაეკარგებათ ან დარჩებათ სადმე მტრისგან უცებ დამფრთხალ-დაწიოკებულებს... და გაზაფხულზე გადარჩენილი თესლიდან დასაბამი მიეცემა ახალ სიცოცხლეს: დათბება თუ არა, წვიმის შემდეგ გაღივდება თესლი, ლორთქო ფოთლები ამოიხედავენ მიწიდან, მზის სხივებს შესცინებენ და გამარჯვებას ეტყვიან ქვეყნიერებას...

მე კი ამჯერად მინდა, გითხრა:

– ნახვამდის. ბებერო ბერყენავ! რამდენიმე დღეში ისევ მოგინახულებ, მანამდე კი ბევრ სტუმარს გაუხარე გული და ცოტა ნაყოფი ჩემთვისაც გადაინახე... კეთილად დამხვდი!..

1995

გოქშო

ივნისის მზიან-ქარიან დღეს სვიის მხალის საკრეფად დავეხეტებოდი საცხენისისხევის და ლოჭინის ხეობებს შორის, კახეთის რკინიგზის გასწვრივ. ერთგან, მაყვლის ბარდებით შემოზღუდული პატარა მინდვრის პირას, რამდენიმე ადგილას გოქშო ამოზრდილიყო – თითქმის ადამიანის სიმაღლისთვის მიუღწევია მის ქაცვებით დაფარულ ხეშეშ ღეროს; ღეროზე მუხლებრივ-სართულებრივად ჩარიგებული წყვილ-წყვილი ფოთლები ღეროსთან ყველაზე ფართო იყო, ერთმანეთს კიდეებით შეზრდოდა და ერთგვარ ფართოპირიან ძაბრის ფორმის ჭურჭელს ჰქმნიდა. ამ ჭურჭელში წყალი ჩამდგარიყო – წვიმა რამდენიმე დღის წინ მოვიდა – უყურე შენ, რა მოუფიქრებია ამ ხრიოკ, მშრალ ადგილებში მობინადრე ბალახს – ფოთოლა იღლიებში სინესტეს იმარაგებს!

ხასხასა მწვანე იყო გოქშო, მოგვიანებით კი, უკვე შემოდგომაზე, როცა ისევ მივაკითხე ამ მიდამოებს, ამჯერად მაყვლის, კვრინჩხისა და ბერყენის მოსაკრეფად, ერთიანად გამხმარიყო, ყავისფრად გამომშრალიყო; მთავარი ღეროს წვეროკინაზე და ფოთოლთა იღლიებიდან ამოზრდილ მცირე ბარტყების ბოლოებზეც შეკრებილი, საკმაოდ უფერული ყვავილები მჩხვლეტავ პატარა ზღარბებად გადაქცეულიყო და მთელი მცენარეც თითქოს მოქანდაკის მიერ გამოძერწილ სასანთლეს – რამდენიმესართულიან კანდელს – წარმოქმნიდა. ქარიც კი არ აქანავებდა გახეშეშებულს, წვრილი ეკლებით შეაბჯრულს, უკარებას, მაგრამ მიმზიდველსაც თავისი გამომწვევი უხეშობით – გაურანდავი, თვითნება ველურობით და ამავე დროს (არ გაგიკვირდეთ!) – სინატიფითაც!

დანით ფრთხილად ძირში მოვჭერი გოქშო, ფრთხილადვე გავახვიე გაზეთში და ჩანთაში ისე ჩავდე, რომ არც თვითონ დაზიანებულიყო და ავტობუსშიც ვინმე უნებურად არ დაეჩხვლიტა.

შინ გრძელყელიან შუშის ლარნაკში მოვათავსე და პიანინოს თავზე შემოვდგი მარცხენა მხარეს.

– ეკლებიღა აკლია ჩვენს სახლს. – ათვალწუნებით ბუზღუნებს ცოლი. – აბა ერთი, ლამაზ ყვავილებს თუ მაღირსებ! შენც იტყვი, გემოვნება მაქვსო...

არ ვედავები. რა ვქნა, ჩემთვის კი მიმზიდველად გამოიყურება ეს ჯიუტად უკარება ლამაზმანი, რომელიც თავს იცავს ეკლიანი აბჯრით – მას ვერ მოეფერები! ზღარბივით აბურძგნულა გარეშე მტრების წინააღმდეგ – მცენარე-მებრძოლი! რა უშიშრად ამართულა, იცის ალბათ, რომ არავის დავაჩაგვრინებ მის თავს და თავისთვის ამასაც ფიქრობს: "ოთახი დავამშვენე ჩემებურად, თან დიდხანს, დიდხანს გავძლებ, ფერსაც კი არ შევიცვლი. აქ, კედლის მწვანე ფონზე, შინაურულად ვგრძნობ თავს, ვითომ მშობლიურ მდელოზე ვყელყელაობდე, თან არც მომწყინდება: მარჯვნივ, მეორე ლარნაკში მოთავსებულ ჩემს ძმაკაცებს – ლურჯ ნარსა და თეთრ ნარს – გადავულაპარაკებ ხოლმე..."

როცა დროდადრო შევხედავ მათ და სიცხით გათანგული თბილისის სანახების ერთი ფერად მკაცრი, მაგრამ ჩემთვის ფერწერულად მდიდარი კუთხე წარმომიდგება, სადაც ხეტიალი მიყვარს – ოქროსფერია იქ ყველაფერი: მშრალი ხევები, თეთრი ხვინჭკით გადაჭორფლილი, აქა-იქ ძეძვით ან ეული ბერყენით დამშვენებული გორაკები, ხრიოკი ველების გვალვით დამსკდარი მიწა, ალაგ-ალაგ დაფარული ავშნით, ეროთი, ვაციწვერათი, აბზინდათი...

მომწონს!..

1997

კუნელი

– მოცლილი ხარ, – მეუბნებიან შინაურები წინა საღამოს, – რომ აგიჩემებია, ხვალ ნაკვეთში უნდა წავიდე უსათუოდო, დაჯექი, შვილოსა, შინ, საქმეს მიხედე; გარე-გარე, ტყე-ღრეში წანწალს ეგ არ სჯობს? რამე რომ დაგემართოს, ვინ გიშველის, სად გეძებოთ? თანაც, შარშან კუნელის ყვავილი მაისის შუა რიცხვებში დაკრიფე, დღეს კი მხოლოდ 29 აპრილია, მოიცადე კიდევ ორი კვირა და მერე წადი, ახლა რა აზრი აქვს? შეხედე, რა ქარი ამოვარდა, შეიძლება, წვიმაც წამოვიდეს...

არავის ვუჯერებ, დილაადრიან ვდგები. უპირველესად ფანჯარაში ვიჭყიტები: ცოტა მოღრუბლული კია, ქარიც ქრის, მაგრამ ამ დალოცვილ ვარკეთილი-3-ის დასახლებაში ქარი როდის არ ჰქრის?

მცირე საუზმის შემდეგ, წინდაწინ გამზადებულ ჩანთას ვიჭერ ხელთ და ავტობუსის გაჩერებისკენ მივიჩქარი. ოც წუთში კახეთისკენ მიმავალ ავტოტრასაზე ვდგავარ და არ ვნანობ, რომ თბილად ჩავიცვი – საკმაოდ გრილი ქარია.

ათ წუთში მარტყოფის წითელი ავტობუსიც გამოჩნდა (შორიდანვე ვცნობ), ხელს ვუწევ და მოშორებით გაჩერებულისკენ გავრბივარ (თუ ჩემს აჩქარებულ ჩოჩიალს სირბილი ჰქვია)... კიდევ ოცდახუთი წუთი – და ხიდთან ავტობუსიდან ჩამოვდივარ (სადაც საავტომობილო გზა კახეთის რკინიგზას ზევიდან გადაუვლის).

აქაც ქარია, ოღონდ საკმაოდ ძლიერი. მაინც რაღაცნაირ შვებას ვგრძნობ, ქალაქის ხმაურს და ორომტრიალს გარიდებული, ყოველდღიურობის ჩვეული არტახებიდან თავდახსნილი. ხალისიანად ჩავდივარ ხრიოკ ფერდობზე რკინიგზისკენ. იქ რკინიგზის ვაკისის ჩრდილო, წაგრძელებულ ფერდობზე ხშირი ბუჩქნარია, უფრო მეტად კუნელი და ასკილი ხარობს.

შორიდანვე ვხედავ: თეთრ ქულებად-ბოლქვებად გამოიყოფა გაზაფხულის მწვანეზე კუნელის აყვავებული ბუჩქები თუ მომცრო ხეები – ლამაზი ქალწულები, საქორწილოდ მორთულები თეთრ, მაქმანიან კაბებში (ატამმა, ტყემალმა, ნუშმა და სხვებმა, რა ხანია, დაასრულეს ყვავილობა).

გადაზურმუხტებულია ლოჭინის ხეობა: ნაირ-ნაირად მწვანედ ხასხასებს ჭალაც, ფერდობებიც.

გაზაფხული (და ზამთარიც) საკმაოდ გვალვიანი იყო, ორიოდ კვირაა, რაც წვიმებმა დაალბო მიწა, როგორც იქნა, და აგრილდა კიდეც დათბობის შემდეგ; რამდენჯერმე გამეორდა ასე: დათბა – აცივდა, დათბა – აცივდა... დღესაც მზიან-ღრუბლიანი დღეა. ქარი მოაფრიალებს კუნელის ყვავილთა ფურცლებს, ზოგიერთი ბუჩქის ქვეშ თოვლივით ფანტელი მოფენილა. აკი ადრეა ჯერ კუნელის ყვავილის მოსაკრეფად წასვლაო? უკვე დაგვიანებულიც ჩანს ერთი-ორი დღით – წელს შარშანდელთან შედარებით ორი კვირით ადრე აყვავდა კუნელი. ყოველ წელს ვკრეფ კუნელის ყვავილს (უფრო სწორედ, ყვავილს და ფოთლებს – ერთიანად), შემდეგ ვახმობ და ჩაის დასაყენებლად ვიყენებ. ძალიან კარგი სასმელია საერთოდ – გემრიელი, სურნელოვანი, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ჩემსავით გულის მუშაობის უკმარისობას უჩივის (მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ სტენოკარდია დამჩემდა). ალბათ არც კი უნდა შაქრის თუ მურაბის დამატება კუნელის ჩაის – ოდნავ ტკბილი მაინც იქნება, მისი ყვავილები ხომ ნექტარს შეიცავენ. ახლაც, როცა მათ თეთრად აქაფებულ ყვავილედებს ვკრეფ და მუჭა-მუჭა დიდ პარკში ვყრი, ფუტკრები უწყვეტად დაბზუიან ჩემს გარშემო; სხვა

უამრავი მწერიც ეშურება კუნელის ყვავილთა წვენით ინეტარონ – მისი ყვავილობა ხომ მცირე ხანს გასტანს, ერთ კვირაში მოათავებს ხოლმე მათ მასპინძლობას.

დროდადრო ვჩერდები, ლოჭინის ხეობას გავხედავ, ავსებულს მზის სხივებით, მორიალე ღრუბელთა ჩრდილთა თამაშით, ჭალაში ქარისგან აცეკვებულ ვერხვთა გრეხით; მესმის ლოჭინისკენ მოჩხრიალე ნაკადულის ხმა, ჩიტთა ჟივჟივ-ჭიკჭიკი, ქარის გაბმული სიმღერა; სადღაც მამალი ჰყივის, ძაღლი გაუთავებლად ჰყეფს, ბაყაყებს კონცერტი გაუჩაღებიათ; იქვე ახლოს, გზაზე, მიგრიალებენ მანქანები; ზეციდან იღვრება თვითმფრინავის ყრუ გუგუნი.

ჩამოვჯექი ბალახიან კორდზე, კუნელის წამახული ეკლებისგან დაჩხვლეტილ ხელებს ვასვენებ, თან აქა-იქ ამოზრდილ მჟაუნასა და გალაღებულ კოფრჩხილას ვკრეფ ცალკე პარკში. სატაცური უკვე გადაბერებულა, გახევებულა, ჰყვავის ქოთანა, ბრიალებს თითო-ოროლა ყაყაჩო, დაფარფატებენ თეთრი პეპლები.

მერე წამოვდექი და გავაგრძელე კუნელის ყვავილების კრეფა. ისევ გაბმულად სისინებს ქარი, ღრუბლები თეთრი ხომალდებივით ისევ მიცურავენ ლურჯი ცის ზღვაში, შორს კი – იალნოს ქედის კალთებზე – დასეირნობენ ღრუბელთა მუქ-მწვანე ჩრდილები...

ვკრეფ, თან ათას რამეზე ვფიქრობ. კარგია, როცა მარტო ხარ და ფიქრს არაფერი გიშლის... იმასაც ვფიქრობ, რომ ორ-სამ დღეში აქ კუნელი დაიყვავილებს, გაიხდის თეთრ საქორწილო კაბას და მერე უფრო მაღალ ადგილებში, მთის გზებზე, მგზავრს მიაცილებენ კუნელის აყვავებული ბუჩქები...

საღამოს კი, ნებიერად გაშოტილი საწოლზე, შვებით რომ ვასვენებ მთელი დღის ხეტიალით დაღლილ სხეულს, მაინც ვერ ვისვენებ და ვშლი ენციკლოპედიას, რათა ერთხელ კიდევ წავიკითხო კუნელის შესახებ: თურმე კუნელი ეკლიანი ხეებისა და ბუჩქების ერთ-ერთი გვარია ვარდისებრთა ოჯახისა, მოიცავს 200-მდე სახეობას, საქართველოში იზრდება 9 სახეობა, მათ შორის – 2 ენდემური; ველური სახეობებიდან ჩვენში ყველაზე გავრცელებულია შავი ანუ ხუთბუშტუკოვანი და ირიბჯამფოთოლაკიანი კუნელი; ცოცხლობს 200-300 წელს (რა იქნებოდა, საშუალოდ ადამიანი ამის ნახევარს მაინც რომ ძლებდეს...). ზოგი სახეობის კუნელის ნაყოფი – ყამბრი, კნაპა და სხვ., – იჭმება (მე რომ ყვავილი მოვკრიფე, იმ კუნელს შემოდგომაზე ლამაზი, სისხლივით წითელი, მოტკბო, ცომივით ნაყოფი აქვს); ზოგან გამხმარ ნაყოფს ფქვავენ და პურის ფქვილში ურევენ, ნორჩი ფოთლებისგან აყენებენ ჩაისმაგვარ სასმელს...

მე დავამატებდი, რომ სასმელს აყენებენ არა მარტო ფოთლებისგან, ყვავილებისგანაც – აი, ახლა, ამ საღამოს მომიტანა მეუღლემ დიდი ჭიქით ცხელ-ცხელი, ახალმოკრეფილი კუნელის ყვავილებზე დაყენებული სასმელი და საამო სურნელი განეფინა ირგვლივ... სასიამოვნო და სახალისო იყო კუნელის ყვავილების კრეფაც (მერე რა, რომ ხელები გვარიანად დაფხაჭნილ-დაკაწრული მაქვს!); ახლა კი რა ნეტარებით ვწრუპავ ნება-ნება ოდნავ მღვრიე, მომწვანო ფერის, სასიამოვნო გემოს მშვენიერ სასმელს...

1998

მაყვალი

როგორ მიძინებულ-მოსვენებულია მაყვლის ბუჩქები ზამთარში, მხოლოდ აქა-იქ აქვთ შერჩენილი თითო-ოროლა შეჟინჟღილებულ-შემხმარი ფოთლები; ცხადად ჩანს ბარდების სიღრმეში შეყუჟული მომცრო, კოხტად მოწნული ჩიტთა ბუდეები. სამაგიეროდ, გაზაფხულზე როგორ იფეთქებს უცებ, გაჯიქდება – სწრაფად იზრდება რტოები; ერთი წყება გან-გან მიიწევს ყველა მხარეს, ახალ-ახალ სივრცეს იპყრობს, სასიცოცხლო არეს იფართოებს; მაღლაც გაიწვდენს ლორთქო წამონაზარდებს, ხშირად რამდენიმე მეტრით გაიბარდღნება – ახლოს არ მიგიშვებს: ხშირი ეკლები ასხია ტან-ფურცლებზე – წვრილ-წვრილი პატარა ხანჯლები, – მტრისას! (როგორც უნდა ერიდო და გაფრთხილდე, საღამოსპირს ხელ-ფეხი – ზოგჯერ სახეც და ტანიც! – დაკაწრულ-დაგაზული, სისხლშემხმარი გაქვს, შინ პატარ-პატარა ქირურგიული ოპერაციები გელის ხელისგულებსა და თითებში ჩარჩენილი ეკლების ამოსაღებად; ტანსაცმელიც საკმაოდ შემოგელანძღება, ამიტომ საგანგებოდ ძველმანით უნდა შეიმოსო, თუკი მაყვლის საკრეფად წასვლას განიზრახავ!). მერე ნაწილს ნაზარდისა მაყვლის ბუჩქი დაბლა დაუშვებს – მიწისკენ, მიეხუტება წვერით ნიადაგის ზედაპირს და... დაფესვიანდება – მაყვლის ახალი ბუჩქი დაფუძნდება ახლად დაპყრობილ ადგილზე!

მეორე წყება წამონაზარდებისა მცირედით მოიმატებს სიგრძეში, სამაგიეროდ, – უცებ გამოყრის ბლომად საყვავილე კოკრებს და მალევე აყვავდება! თეთრად, ნაზ-მოვარდისფროდ გადაიპენტება მაყვლიანები – დაჰბზუის მას ფუტკარ-ბუზები თუ სხვა მწერები, განსაკუთრებით – პეპლები... სულ ახალ-ახალი კოკრები იფურჩქნება, უკვე ალაგ-ალაგ მწიფს კიდეც ნაყოფი: კუნწულებად შეკრული დიდ-დიდი, ხარის თვალის ოდენა, გიშრისფერი მბრწყინავი მარცვლები მაცდურად ამშვენებენ და

თვალს გვტაცებენ მძლავრად გაზრდილ-გალაღებული ბარდების ძნელად მისაწვდენ წვეროკინებზე, ხშირად ახლო ხე-ბუჩქებზეც აბღოტებულ-ამძვრალნი ან ფლატის თავიდან გადმოკიდებულნი თუ ღობის ნესტიან ძირში გახარებულნი; და იქვე მწვანე მარცვლებიც ელიან დამწიფების თავიანთ რიგს, იქვეა ყვავილებიც და ჯერ გაუხსნელი კოკრებიც – ზოგი ბუჩქი გვიან შემოდგომამდე ჰყვავის, პირველ ყინვებამდეც კი.

აგვისტო-სექტემბერში შეესევა მაყვლიანებს დიდ-პატარა – გზისპირებზე, ჭალაში, არხის გასწვრივ... კრეფენ ვედროებში, კალათებში, ქილებში...

მეც დავებღოტები ხალისიანად დილიდან საღამომდე, ერთის მხრივ – სტუმართმოყვარე, მეორეს მხრივ – უკარება ბარდნარში; ტუჩებგაშავებული, მელნისფრად ხელებშეღებილი; მზე კი დამბრიალებს ზევიდან, მხრუკავს და მრუჯავს ნელ-ნელა... არც დაღლას ვგრძნობ, რომ წუთით ჩამოვჯდე, არც შიმშილ-წყურვილი მაწუხებს: პირისკენ ხშირ-ხშირად მოვუნაცვლებ ხოლმე ტკბილ-მომჟავო, სურნელოვანი კენკრით სავსე მუჭს – გაივსებ პირს და წუთით ნეტარებით დახუჭავ თვალებს..

მიყვარს მაყვლის კრეფა!

უჰ, ახლა არ იკითხავთ, როგორ მურაბას მოვხარშავთ ხოლმე!

რა ფერი აქვს, ან რა გემო!

ხილის ღვინოსაც რომ დაუმატებ ხოლმე, რა გადასარევ ლალისფერს აძლევს!

კარგია მაყვალი!

1998

ვარდკაჭაჭა

შუა ივნისია.

დილაადრიან წამოვხტი.

წინა საღამოს შინ ჩვეულებრივ მეჯიჯღინებიან: "მოღრუბლულია, ხვალ წამოწვიმს, სად მიდიხარ, რა გენაკვეთება, ზეგ, მაზეგ წადი..."

არ ვუჯერებ – საბაღე ნაკვეთში წასასვლელად განწყობილი ვარ; საღამოდანვე გამზადებული ჩანთა ავიღე და ავტობუსის გაჩერებისკენ დავეშვი. გზად მართლაც ცოტა წამოწინწკლა, მაგრამ უკან დაბრუნება არც მიფიქრია.

ელდარის ქუჩაზე სკოლის მოუვლელ დიდ ეზოში ბალახი მოდებულა და განსაკუთრებით ვარდკაჭაჭა გალაღებულა მყუდრო კუთხე-კუნჭულებში. ცისფერი ყვავილები–თვალები ფართოდ გაუშლია – მერე რა, რომ წინწკლავს, დარი იქნება! უტყუარი ბარომეტრია!

მერე, როცა ავტობუსიდან იალნოს ქედის მოწმენდილი მწვერვალები დავინახე, კიდევ უფრო ვირწმუნე – არ შევცდი, რომ წამოვედი, კარგი ამინდი იქნება!

გზად "ოროველა" ამეკვიატა:

"გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო
სახნის-საკვეთი გაუსვი,
რომ კაჭაჭს ძირი უთხარო"...

ვარდკაჭაჭას გზისპირებზე უყვარს ამოსვლა. მიდიხარ და ერთი რომ შემოგცინებს ცისფერი ყვავილებით, რამდენიმე ნაბიჯში ახლა მეორე გიჟუჟუნებს თვალებს.. მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე... თუმცა ვარდკაჭაჭა ყანებშიც გვხვდება, მაგრამ, არა მგონია, მაინცდამაინც აბეზარი სარეველა იყოს, ძალიან კი ალამაზებს გარემოს! ნეტავ რატომდა გამოარჩია ქართველმა კაცმა სხვა სარეველებში? – "რომ კაჭაჭს ძირი უთხარო..." ჰო, ძირი იცის, ძირხვენა; შემოდგომაზე ამოთხრიან, გაახმობენ, მოხალავენ, დაფქვავენ და ყავის შემცვლელად იყენებენ. არის მისი კულტურული ჯიშებიც, რომლებსაც საგანგებოდ აშენებენ ამ მიზნით. მე კი ვარდკაჭაჭას მწვანე ნაწილს ვხმარობ: მოჭრილს გავახმობ, შემდეგ ბალახების ნაკრების ჩაიში ვუმატებ მცირედად (ბევრი გაამწარებს!) – კუნელის ყვავილთან, პიტნასთან, ჭინჭართან და მაყვლის ფოთლებთან ერთად (ბოლო სამსაც ცოტ-ცოტას).

"გადი-გამოდი, გუთანო..."

"ოროველა" დიდებული სიმღერაა!

ვარდკაჭაჭაც დიდებული მცენარეა, ველ-მინდვრის დამამშვენებელი!

1999

გარგარი

დღეს 1999 წლის 6 ივლისია.

დილაადრიან უკვე ლოჭინის ნაკვეთში ვარ.

ცხელი დღეა, ოდნავ ღრუბლიანი.

ალუჩა, ბალი და ალუბალი მოილია, ახლა გარგარის ჯერიც დადგა (წელს ატმებს საერთოდ არ ასხია, რაღაც ავადმყოფობა შეეყარა და სანახევროდ გაახმო).

ნაკვეთში რამდენიმე ძირი გარგარი დგას. გარგარზე მოუსავლიანი წელია, მხოლოდ ერთ ძირს მოუქაჩლებია თავი და ძველებურად არა, მაგრამ საკმაოდ ჭიატობს აქა-იქ ფოთლებში ნარინჯისფერი ნაყოფი.

ავძვერი ხეზე (ქვედა ტოტები მწყემსს გაუკრეფია, რომელსაც ნაკვეთში ბალახის მოთიბვის ნება დავრთე), თან პლასტმასის ვედრო მაქვს. ჩემზე ბევრად ადრე ჭიანჭველების ჯარი სტუმრებია – სადაც კი ტოტს ხელს ჩავავლებ, მაშინვე ამაღოღდება უთვალავი მოფუსფუსე მწერი. პირის გემო ნამდვილად სცოდნიათ – უჰ, რა ტკბილია მწიფე გარგარი! თაფლია! და რა სურნელოვანი!.. მზის სითბო და ძალა შეუსრუტავს ამ წაგრძელებულ მზისფერ ნაყოფებს. ცაში კი მზე ბრდღვიალებს, რტოებს შორის გამოაშუქებს თვალისმომჭრელად მისი სხივები, ფოთლების მწვანე ზღვაში გაბნეული წაგრძელებული, ყვითელი, ზოგი – ლოყაშეწითლებული, თბილად მოღუდღუდე ნაყოფები-“გემები” ნელ-ნელა თავს იყრიან ვედროში-“ნავსაყუდელში”, მჭიდროდ ეხუტებიან ერთმანეთს...

თითქოს მენანება კიდეც ამ სილამაზის ხელყოფა, მაინც ვედრო ნელ-ნელა ივსება, ტოტები კი იძარცვება... საკმაოდაც მივირთვი, ან როგორ გაძლებ, დროდადრო რომ არ დააგემოვნო.

შინ რომ მივალ, – “რა მოიტანე?” – შინაურები მიესევიან ვედროს, მოხდიან სახურავს და გარგარის სურნელი და ფერი – ორივე სასწაულებრივი! – ღიმილით გაანათებს გახარებულ სახეებს...

1999

ლეღვი

მიყვარს ლეღვი!

წვრილი, მსხვილი, მწვანე, ყვითელი, ღვინისფერი, შავი, ბრტყელი, წაგრძელებული – ყველანაირი!

ლეღვის ჩირი? ან მურაბა? სჯობს რამე?

ან რა დიდებული ჩრდილი იცის ლეღვის ხემ, ზაფხულში მის ჩეროში წამოგორება ერთ რამედ ღირს, ქეიფზე ხომ ნუღარაფერს ვიტყვით!

საბაღე ნაკვეთის კიდეზე (მარტყოფის ველზე, მდინარე ლოჭინიდან დაახლოებით ნახევარი კილომეტრის დაშორებით) აღმოსავლეთის მხარეს ღრმა არხია გაჭრილი, შიგ ნაეური წყალი მილიკლიკებს. ამ არხის პირას, ნაკვეთის ციცაბო თიხოვან კიდეზე, ლეღვი ამოიზარდა – ეტყობა, უჯიშო, ველური ფორმა, – ალბათ რომელიმე ჩიტმა თუ მოიტანა თესლი... კაჭკაჭმა? ჩხიკვმა? ბეღურამ?..

კბოდესა და ნაკადულს შორის პატარა ფართი მოვასწორე, მინდოდა, იქ რამე დამეთესა ან დამერგო, ამიტომ მთლად კეთილგანწყობილი არ ვიყავი დამჩრდილავი ლეღვის ნორჩი ნერგის მიმართ. ერთხანს ვაპირებდი მის ძირიანად მოთხრასაც კი, მაგრამ ნაკვეთში შემოჭრილმა ნახირმა რამდენჯერმე გადამითელა და გამიოხრა იქ გაშენებული ხან კარტოფილი, ხან მიწავაშლა თუ ბულგარული წიწაკა. ამასობაში ლეღვი წამოიზარდა, მომძლავრდა – შემეცოდა და დავტოვე.

რამდენიმე წელიწადში ლეღვი მოღონიერდა, დროდადრო ქვედა ტოტებიდან და ტანიდან თუ ფესვებიდან ამონაყარს ვაცილებდი, რომ უფრო სწრაფად გაზრდილიყო სიმაღლეში. და ჰოი, საოცრებავ – ლეღვი გალაღდა კი არა, ათიოდე მომწვანო ნაყოფიც მოისხა! მართალია, წვრილი, მაგრამ მეტად გემრიელი, მომჟავო-ტკბილი, კარგად დამწიფებული – თაფლივით! მაგრამ ვინ აცალა ბოლომდე დამწიფება, ეტყობა, ბეღურებსაც მოეწონათ, სანახევროდ იმათ შესანსლეს.

შემდგომ წლებში კიდევ უფრო გვახარებს – ბლომად ისხამს, ოთხ-ხუთ ვედროს; მივირთმევთ კიდეც და, თუ არ შეგვეზარება, მურაბასაც ვხარშავთ – 10-12 ნახევარლიტრიან ქილას. რასაკვირველია, საკუთარი წილი აქვთ ბეღურებსა და ფუტკრებს, კრაზანებს, ჭიანჭველებს, აგრეთვე – ტკბილის მოყვარულ უამრავ სხვა მწერს.

ნეტავ რა ჯიშია? “საქართველოს მეხილეობის” IV ტომში ბევრი ვეძებე, ვერცერთ იქ აღწერილ გარეულ თუ კულტურულ ჯიშს ვერ მივამგვანე. წვრილი, მომწვანო-მოყვითალო ნაყოფი აქვს – შაქარა-ლეღვია? ჩიტა-ლეღვია?.. ქალაქურა-ლეღვია?..

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს – ლეღვია! კარგია!

ნაკვეთში სხვა ლეღვის ხეებიც მიდგას – ჩემი დარგულები. რაღაც მიზეზის გამო ვერ იხეირეს, სულს ღაფავენ; არადა, გადავყევი მათ მოვლას: ნაკელი და მორწყვა, დროზე დაბარვა-შემობარვა – არაფერი დამიკლია...

რატომღაც ლეღვი სპილოს მაგონებს: მისი ფოთლები – სპილოს ყურებია, გლუვი ტანიც – სპილოსფერია.

ორივე კეთილია.

ორივე – მიყვარს!..

1998

ყაყაჩოები

2001 წლის 4 მაისია, პარასკევი – ადრიანი გრილი დილა, ნათელი და მზიანი.

მივდივარ ნაკვეთში: სოფლის გზა ერთკვირიანი წვიმების შემდეგ ატალახებულია, მცირე ნიავი ქრის, ხამუშ-ხამუშ ისმის ძაღლების ყეფა; მამლების გადაძახილი ახალისებს ქალაქელი კაცის გულს. ცისფერი ზეცა, ამწვანებული მთა-ველი – სიწყნარე და სიმშვიდე ირგვლივ...

დაღმართი: საკმაოდ ციცაბო; მსხვილი, ღია ფერის ქვამრგვალები მანქანებისგან აზელილ თიხაში – სულ ფეხქვეშ უნდა იცქირო.

შუა დაღმართზე ერთი წუთით შევჩერდი: მინდა, მიდამოს გავხედო.

საკმაოდ ფართო ხეობა: კლაკნია პატარა მდინარის – ლოჭინის – საამოდ აზურმუხტებული ჭალა, აქა-იქ კუშტად გამომზირალი რუხი ფლატეები, ზოგი – მდინარის პირას, ზოგიც – ფერდობებზე; შორს – აკვარელის ნაზი ფერებით დახატული სურათი: იალნოს მუქი მომწვანო-მოცისფრო ქედის თავზე იშვიათი თეთრი ღრუბლები-ბატკნები აუჩქარებლად მიბალახობენ...

მარცხნივ გავხედე: იქვე, გზისპირა შიშველი კბოდეა კედელივით – ძირში ქვიშაქვების ახორხლილი ჩამონაშალით, მის ზევით – დამრეცი ფერდი მშვენიერ ხალიჩად დაუფარავს გაზაფხულის წვიმებით გალაღებული ბალახების ქორფა სიმწვანეს, ერთიანად დაწინწკლულ-დაჩითულს ბოლოკურას წვრილ-წვრილი ყვითელი ყვავილებით... და ამ გაშლილ ხალიჩაზე ნელ ნიავზე ნაზად ირხევიან სისხლივით წითელი ყოყლოჩინა ყაყაჩოები! უთვალავი შესევია ფერდობს, თითქოს ცეცხლი მოსდებია იქაურობას! ყოველი ყვავილი – გრძელი, წვრილი ღეროს ბოლოზე ალმოდებული ფურცლებით შეკრული გვირგვინი-თასი; თითოეულის ძირში და გულში კაშკაშა წითელს ექიშპება ხავერდოვანი შავი – საკვირველი ცხოველხატულობაა, ათასგზის მიმობნეული ხასხასა მწვანე ფონზე!

სახეს ნათელი ეფინება, გულს – სიამე:

“ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია...”

რამ და რატომ გააჩინა ეს მშვენიერება?!.

მე რომ მკითხოთ, მაისი მხოლოდ ვარდობის თვე არ გახლავთ – ათასი სხვა ტურფა ყვავილისაც არის და მათ შორის – ყაყაჩოსიც! (მერე, მინდორ-მინდორ რომ მივდიოდი, კიდევ ყაყაჩოს მრავალი სხვა სახეობაც ვნახე – ყვავილის და ფოთლების ფორმისა თუ ზომის, წითელი ფერის ტონის ვარიაციებით, ყველა – თითო-ოროლა გაბნეულა ბალახებში, ზომითაც მოკრძალებულია და მაინც თავისებურად, გამორჩეულად ტურფა!).

ვუცქერ ბუნების ამ დღესასწაულს და ვნატრობ: ნეტავ დამახატვინა ეს კუთხე-კუნჭული! კომპოზიციურადაც რა მეტყველია; დაქანებული, ატალახებული გზა, მის ზევით – რუხ-მონაცრისფრო შიშველი კედელი – ქვიშაქვების შრეები, სულ მაღლა – გიზგიზა ყაყაჩოებით გადაპენტილი ბალახთა ზურმუხტის ზღვა!.. ცაც არ დამავიწყდეს – ფირუზის უძირო სივრცე... და კიდევ: აღმართის ბოლოს, გზის მოსახვევში, კბოდის შვეულ კიდეზე ჯიუტად ფეხმოკიდებული, გადმოშვერილი ჯაგრცხილის ტოტებგაფარჩხული პატარა ხე-ბუჩქის სილუეტი – თითქოს ჩამოხტომა უნდა გზაზე და ვერ კი გადაუწყვეტიაო...

ვდგავარ, ვუყურებ, ვუყურებ...

წუთიც გავიდა და ნახევარი საათიც...

და სულში სიამესთან ერთად საიდანღაც ჩუმი სევდაც შემოიპარება: ნუთუ ეს სილამაზე წარმავალია, ერთი-ორი კვირის შემდეგ ამ ყაყაჩოებით აჟრიამულებული მუსიკისგან მხოლოდ მოგონებაღა დარჩება?..

თუმცა... მშვენიერი მოგონება განა ცოტაა! თანაც, თუ ეს ყაყაჩოები ეშხით ვეღარ დაგვათრობენ, სხვა ყვავილთა ჯარის ჯერიც ხომ მოვა, თვალს ახლა ისინი გაგვიხარებენ!

2001

კუ

ხუთი-ექვსი წლის წინანდელი ამბავია და მიკვირს – რატომღაც ახლა ამოტივტივდა ხსოვნის მორევიდან; არადა, არაფერი უჩვეულო და განსაკუთრებული არ მომხდარა მაშინ.

ლოჭინის რკინიგზის ბაქანზე ვიდექი, მატარებლის ლოდინით გულგაწყალებული, ნაკვეთში მთელი დღის შრომით დაღლილი და საკმაოდ მოშივებულიც. ვიდექი და რკინიგზის ლიანდაგის მეორე მხარეზე ბექობს შევცქეროდი. ბექობის ზემო ნაწილში გაშიშვლებული თიხნარ-ქვიშაქვებიანი ქანებია, დანაპრალიანებულ-გამოფიტული, ქვევით – ნაშალი ამ ქანებისა, რომლებზეც აქა-იქ გამხმარი ბალახი და ერთ ადგილას კი – ფრიალოზე ფესვმოკიდებული, თრიმლის საშემოდგომოდ კოცონივით აფერადებულ-აბრიალებული ბუჩქი.

ოქტომბრის წყნარი საღამო ილეოდა, გარემო დამყუდროვებულიყო და ჩემმა მატარებლის ხმის მომლოდინე ყურმა უცნაური შრიალი გაიგონა. ეს ჩამოშლილი ფხვიერი ქანების ხმა სწორედ ბექობის მხრიდან მოდიოდა. დავაკვირდი – კუ! დიდი, რუხბაკნიანი კუ, მშვენივრად შეგუებული გარემოს, – გამხმარი ბალახებისა და გამოფიტული ქანების ფერს, – მიბობღავდა იმ ბექობის წვერისკენ. რა ძალა მიმართავდა იქითკენ? ამაოდ კი ირჯებოდა, რადგან ბექობი ფრიად ციცაბო იყო, ზევით-ზევით კი თითქმის შვეული კედელივით ხდებოდა. თავის დროზე, როცა აქ კახეთის რკინიგზა გაჰყავდათ, ლილოს სადგურიდან ვაზიანის სადგურამდე ხაზი საკმაოდ უცნაური, მიხვეულ-მოხვეული გზით წარმართეს. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მდინარე ლოჭინის ხეობა ქვევით ძალიან განივრდება, ხიდის გასადებად ვიწრო ადგილი ხეობის საკმაოდ ზევით არსებობდა და გზაც იქით მიღრიჯეს (კახურად რომ ვთქვათ). სამაგიეროდ, ლოჭინის მეორე, მარცხენა ნაპირზე გორაკებში რკინიგზის გასაყვანად ღრმა და ფართო არხივით გასასვლელის ამოთხრა დასჭირდათ, ზოგან კი – ფერდობის ჩამოჭრაც. სწორედ ამგვარი "ჩამონაჭრის" დალაშქვრას ამაოდ ცდილობდა ახლა კუ.

არც ისე მცირე ხნისაა კუ და ნუთუ ამდენი წვალების შემდეგაც ვერ მიხვდა, რომ ზევით მისი სწრაფვა უაზროა, მხოლოდ დროისა და ძალ-ღონის ფუჭ ხარჯვას იწვევს? ნაღდი სიზიფეს შრომაა მისი ფაფხური... მიბობღავდა და ჩამოცურდებოდა, მიბობღავდა, ცოტას აიწევდა ზევით და უკანვე ჩამოცურდებოდა. რატომ არ ეშვება, რა უნდა, რა დარჩენია იქ, ზევით, მაინცდამაინც იმ მიმართულებით რომ ასე ჯიუტად მიილტვის?

თუმცა...

თუმცა ჩვენც, ადამიანები, ომო საპიენს, თავი რომ მოგვწონს ცოდნა-გონებით, ბუნების გვირგვინს რომ ვუწოდებთ საკუთარ თავს, რით ვართ იმ კუზე გონიერები? ჩვენც ყველანი ხომ სიზიფეს შრომას ვეწევით – ვწვალობთ, ვჯახირობთ, შედეგი კი ჩანს რაიმე? ჩვენსა და კუს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ჩვენ, ადამიანები, სიბრძნეს ვჩემულობთ, სინამდვილეში კი ყოველი ჩვენთაგანი სიზიფეა, ცხოვრების მძიმე ლოდს შეჭიდებული – რის ჭაპანწყვეტით მივაგორებთ იმ ლოდს, რაღაც მოჩვენებით "მწვერვალისკენ", რომელსაც ჰქვია "კეთილდღეობა", "სახელი", "თანამდებობა", სხვა და სხვა... ერთ მშვენიერ წამს კი უაზრო შრომას წერტილი ესმება – ლოდი ქვევით დაგორდება და მას ახლა ჩვენი შვილი ეჭიდება, რაღაც ბუნდოვანი და მოჩვენებითი იმედის მქონე.

ამაოება ამაოებათა...

რა პესიმისტური განწყობა მომეძალა? ალბათ დაღლამ, შიმშილმა და მატარებლის უსაშველო ლოდინმაც ტყუილად არ ჩაიარა.

სადაცაა დაბნელდება...

ბინდბუნდში კუს ვეღარ ვარჩევ, მხოლოდ ჩამოშლილი ნაშალის შრიალი ისევ მესმის იმის დასტურად, რომ ცხოველები რაღაცით მაინც გვჯობნიან ადამიანებს – ისინი პესიმისტები არასდროს არიან...

კუს უსაშველო ბრძოლის ხმას ნელ-ნელა შორეული გუგუნი შეერია – მატარებელი ხომ არ გვიახლოვდება?

დიახ, უკვე აშკარად გამოიკვეთა ვაგონების რელსთა პირაპირებზე რაკარუკი...

მალე მკვეთრი მოსახვევიდან უცებ გამოჩენილმა უზარმაზარმა მანათობელმა თვალმა ჩვენი დაღლილი სულებიც გააბრწყინა...

1999

მელა

საღამოვდება, გარე კახეთის ტრამალის ოქროსფერიც ჩამუქდა.

აგვისტოს მზით გარუჯული და მთელი დღის წანწალით ოფლად გახვითქული, ძლივს მივაბიჯებ. მეგობარი მონადირენი ალბათ, კარგა ხანია, შეგროვდნენ მანქანასთან და საზამთროს შეექცევიან.

შავად გადახნული დამრეცი ფერდობი ავიარე და ნამჯის ზვინებს მივუახლოვდი, როცა უცებ გრძელკუდა მელა პირისპირ შემომეფეთა. დაღლილობა დამავიწყდა. პატრონებში მწყრის საფანტია, მაგრამ ახლოს თუ მიმიშვა...

მელა თითქოს მეთამაშება. გაცუნცულდა და შორიახლოს ძეძვის ძირში ჩაცუცქდა.

მიყურებს.

როცა თოფი გადმოვიღე მხრიდან, აუჩქარებლად გადაინაცვლა ცოტა მოშორებით. ისევ ჩაცუცქდა და თვალს არ მაშორებს.

ნელა გავემართე მისკენ... წამოდგა და, ჩემკენ თავმობრუნებული, მიყურებს და მშორდება...

გავჩერდი, ისიც გაჩერდა, ჩაცუცქდა და მიყურებს.

დავიძარი, ისიც წავიდა...

სათოფეზე არ მიშვებს, არც გარბის.

შენ გიჩვენებ ახლა სეირს, კიდევ კარგი, ძაღლი არ მყავს თან და არ დააფრთხობს. იმ სერს თუ ამოვეფარე, მივეპარები და პირდაპირ ვდრუბავ მაცდურად წაგრძელებულ ცხვირ-პირში. შენ უნდა გამაპამპულო?

მოდი, ჯერ ზვინს მოვეფარები, იქიდან მეორე ზვინთან გადავირბენ...

ასეც ვაკეთებ. უკვე ოციოდე ნაბიჯით მივუახლოვდი მიზანს. ზვინში თაგვების წრუწუნი მესმის. მათზე ხომ არ ნადირობდა?

ფრთხილად გავიჭყიტე – მელა ისევ წამოსკუპებულა, ამჯერად უკვე ჩიტავაშლას ბუჩქთან, ჩვენს შორის კი ისევ მისთვის უსაფრთხო მანძილია. ჰაიტ, შე მამაძაღლო!

უკვე ვბრაზობ. წასვლაც მაგვიანდება, ამხანაგები მელიან, დათქმულ დროს გადავაცილე... მაგრამ შენ თუ არ მოგატყუე, სადღა გამოვყო შერცხვენილი თავი!

აქ სადღაც პატარა წყარო უნდა იყოს, წყურვილმა მომკლა კაცი. სწორედ მისი გულისთვის გამოვუხვიე აქეთ და ამ მელუკას არ გადავეყარე?

ისევ ვეფარები ზვინს, ფრთხილად ვდებ მიწაზე თოფს და მოფარებულად მივიძურწები წყაროსკენ.

წყალი საკმაოდ მლაშეა, თან უგემურიც, მაგრამ ცივია და ცოტას მაინც ვსვამ. სახეზეც ვისხამ, მერე ეშხში შესული – კისერზეც. მცირე ხნით პირაღმა გავიშოტე მშრალ და თბილ მიწაზე. ირგვლივ სავსეა ცხვრის ცურცლი. ბზე ოქროსფრად გაფენილა.

უკან ვბრუნდები და რას ვხედავ: მელა თოფს სუნავს. შურდულიდან გატყორცნილივით მოკურცხლა და ისევ ჩიტავაშლას ბუჩქთან მოკალათდა. ავიღე თოფი და დავუმიზნე. უძრავად ზის.

ასე და ამგვარად დავდევ მას, ათასგვარ ხრიკებს ვიგონებ. სიქა გამძვრა ხევებსა და ბუჩქნარში ბღოტიალით. რანაირად არ მივეპარე, არაფერი გამოდის. ბევრჯერ ვიფიქრე, ჩავიქნევ ხელს და ჩემს გზას ვეწევი-მეთქი, მაგრამ არც პირში ჩალაგამოვლებული მინდა დავრჩე და რაღაც ძალა არ მიშვებს, ამ თამაშს შევეშვა. შეჯიბრში გამომიწვია და რა ვაჟკაცობა იქნება, ფარ-ხმალი დავყარო?

...ბოლოს, მაინც მოვუღე ბოლო. როგორ? გამახსენდა, ორი ჟაკანის ტყვიით დატენილი პატრონა მქონდა ყოველი შემთხვევისთვის წამოღებული და იმით გადავტენე თოფი. თან ამ თამაშში მელა ნელ-ნელა შემეჩვია და ცოტა ახლოსაც მიმიშვა...

როცა ბათქმა ახლომახლო სერები გადაიარა, გამარჯვების ყიჟინა დავცხე და გულანთებული დამარცხებულისკენ სირბილით გავეშურე.

მელა გვერდზე ეგდო, ცახცახებდა. ერთი კიდევ გაიქნია ფეხი და მიყუჩდა.

შორიდან უფრო დიდი ჩანდა – გამხდარი იყო, გალეული. შემეცოდა... გახუნებული წითური ბეწვი, დაკრეჭილი კბილები – აი, რა დარჩა ოინბაზისგან. მისი გაქუცული ბეწვიც არაფრად ვარგა.

გული დამწყდა. რას ვერჩოდი ახლა მას? ენადირნა თავისთვის თაგვებზე... გამოვტრიალდი და, საკუთარ თავზე გაბრაზებულმა, მანქანისკენ უგუნებოდ გავწიე.

– სად დაიკარგე? – საყვედურით შემხვდნენ ამხანაგები. – დაიჭი საზამთრო!

– რაღაც არ მინდა...

– გასაგებია! ტყუილად უბათქუნე ხომ მამაზეციერს! ნუ ინაზები, კარგი საზამთროა, არ მოგწყურდა?

სხვა დროს ალბათ წავიტრაბახებდი – ჩანთაში თხუთმეტი მონადირებული მწყერი მედო, ახლა კი გამოწვდილი საზამთროს ნაჭერი უხმოდ ავიღე და ჩავკბიჩე.

1971

ვირამსხალი

რეზო როსტომაშვილს

ბაღის მეორე მხარეს ბიძაჩემის სახლი იდგა. მამიდაჩემს ძალიან უყვარდა ვარდები, კალმებით ამრავლებდა. ერთ გაზაფხულზე ეზოში, მიწაში ჩარგო ვარდის უკვე დაფესვიანებული კალამი და გარშემო ვაზის წალამი ჩაურჭო-ჩამოურიგა – ანაზდად ფეხი არავინ დაადგასო. იმ წალმებიდან ერთმა იხარა. მამიდა გაგიჟდა სიხარულით – ეს რა სასწაულიაო. მოუარა – ხშირად რწყავდა, ნაკელი დაუყარა. ვაზის ლერწი გაიზარდა, გაიზარდა და რამდენიმე წელიწადში უზარმაზარი მტევნებითაც დაასაჩუქრა – აი, თითა! ორ-სამ კილოგრამიან შესანიშნავ მტევნებს ისხამდა. ყველა განცვიფრებული იყო – საიდან მოხვდა მამიდის ხელში იმ თითას წალამი? მეზობლობაში, ახლომახლო ასეთი თითა არავის ედგა!

ბიძაჩემის სახლის წინ ზამთრის მსხალი იზრდებოდა; არ ვიცი, რა ჯიშისა იყო, ჩვენ ვირამსხალს ვეძახდით. ისიც უზარმაზარ ნაყოფებს ისხამდა. ძლიერი ქარის დროს რომ ჩამოვარდებოდა, ბიძაჩემის სახლის თუნუქის სახურავზე ვითომც ბომბი გასკდაო – თითო ერთი კილო მაინც იქნებოდა.

ბავშვობაში კაკლაობაში ძალიან უნიჭო ვიყავი, სულ ვაგებდი. იმ ერთ ცალ ვირამსხალს რამდენიმე ჩემს ამხანაგს გავუნაწილებდი, ყველას ჰყოფნიდა. ერთი ბიჭი რკინიგზის სადგურთან ცხოვრობდა, ჩემი სახლიდან 3-4 კილომეტრზე, იმას რომ მსხალს გავატანდი, შინ მისვლამდე ჰყოფნიდა საჭმელად.

შემოდგომაზე ვირამსხალი მაგარი იყო, უხეში კანი ჰქონდა. დიდედა ნაქარალ მსხლებს მოხარშავდა ხოლმე, არა უშავს საჭმელი იყო. მოკრეფილს სხვენში გავფენდით, გაზაფხულისთვის დარბილდებოდა, დატკბებოდა.

რაც თავი მახსოვს (ახლა ორმოც წელზე მეტი ხნისა ვარ), ცალ მხარეს სულ დიდი ფუღურო ჰქონდა. არ ვიცი, ახლა ცოცხალია თუ არა – სამი წელი იქნება, თელავში არ ჩავსულვარ. ალბათ ისევ ისე დგას: რამე რომ მოსვლოდა, აუცილებლად გავიგებდი – ძალიან დიდი მოვლენა იქნებოდა, ჩვენი ოჯახის წევრია!

1998

ლამაზია ალუბალი-დედოფალი!

თვალების დასასვენებლად საწერ მაგიდას გავეცალე, აივანზე გავედი და მეათე სართულიდან გარემოს გავხედე.

მზიან ამინდში აქედან, ვარკეთილი-3-ის დასახლებიდან, რუსთავის სახლები მშვენივრად მოჩანს, ასევე – მეტალურგიული ქარხნის მაღალი მილებიც, იაღლუჯის მთაზე რაღაც შენობებიც... ახლა კი შედარებით ახლო მყოფი თაბორის ქედიც კი მხოლოდ ოდნავ კრთება, აღარც მის თხემზე ამობურცული შავნაბადა ჩანს... ჯანღია თუ ნისლია – თეთრი, მქრქალი ფარდა აბურუსებს დილიდან ყველაფერს და შუადღის უღონო მზეს თამამად ვუსწორებ თვალს. უფრო ახლოს გადამაქვს მზერა და ვარკეთილის დასახლების ნაცრისფერ, უსახურ და უგემურ სახლებს-კოლოფებს ვათვალიერებ... კიდევ უფრო ახლოს – ნაცრისფერია ასფალტიც, გადატრუსულ-გადამხმარი ბალახიც...

შემდეგ ქვევით, ეზოში ვიცქირები. აქაურობას შემოჩვეული სამი ძაღლიდან მხოლოდ ერთი ჩანს და ისიც რატომღაც უმიზეზოდ, უნდილად იყეფება, თითქოს ვიღაცას შესჩივის ამ ნაცრისფერ მოწყენილობას. სხვა მხრივ კი ცარიელია ეზო, თუ არ ჩავთვლით ძველი, გაძარცული ავტომანქანა "ვოლგის" "ჩონჩხს" (ხუთი-ექვსი წლის წინ კი მსუბუქი მანქანებისგან ეზოში ტევა არ იყო და მეზობლები ერთმანეთს ეცილებოდნენ მანქანის გასაჩერებელ ადგილს, ამ გაჭირვების ჟამს კი ყველა იძულებული გახდა, გაეყიდა).

ბოდიში, ცარიელიაო, არ უნდა მეთქვა: ხეები დგანან მოთმინებით, მდუმარედ, უმრავლესნი – უკვე ფოთოლგაძარცულნი; მხოლოდ იფნები რუხი თესლითაა დახუნძლული, ორ კომშს კი ფოთლები ნაწილობრივ დასცვენია, ნაწილი – გაყვითლებია და მცირე ნაწილი კი ჯერ კიდევ მწვანეა. მწვანედ ხასხასებენ ფიჭვები, ოღონდ რატომღაც მაინც ვერ არღვევენ საერთო ერთფეროვნებას, თუმცა კარგა დიდნი გაიზარდნენ იმ 12 წელიწადში, რაც ახალ სახლში გადმოვედით საცხოვრებლად და

ზოგი სიცივით შეჭირვებული მეზობელი ბიჭებს აგზავნის მათზე ასაძრომად და ჯერაც მწვანე გირჩებს აკრეფინებს ღუმელში შესაკეთებლად.

და რაც მთავარია (და რამაც კალამი ამაღებინა ხელში) – ალუბლები!...

ჩვენი სახლის ბავშვთა გამხარებლები გაზაფხულზე, როცა ჯერ ბარაქიანად და ლაზათიანად მოირთვებიან თეთრი ყვავილებით, შემდეგ, სულ მალე – თვალგასახარი საყურეებით-ნაყოფებით, ახლა კი მე მახარებენ და მახალისებენ საზეიმო ფერადოვნებით: რა ღუდღუდა თბილი, წითელ-ყვითელ-ალუბლისფერ-იისფერი კაბები ჩაუცვამთ, ამ წელს უკანასკნელად სამეჯლისოდ გამოწყობილან, სადღესასწაულოდ მორთულან და ამ დამყუდროვებულ, გარინდებულ, უფერულ ზამთრისპირა სევდიან, ნაცრისფერ ზღვაში ლამაზ, კეკლუც, მომხიბვლელ კუნძულებად ფეთქავენ, იმედისა და სიამის, თვალისა და სულის მაამებელ კოცონებად გიზგიზებენ! რა ნაზ, გულის სალბუნ მელოდიად იღვრებიან!

სამოც წელზე მეტისაც მოვიყარე და ამგვარი ფერადოვნად ანთებული ალუბლის ხეები პირველად ვნახე. იგივე ეს ხეებიც სხვა წლებში ასე სადღესასწაულოდ არ ირთვებოდნენ...

ხუთი ამღერებული, სიკისკასით ანთებული, ტურფა ალუბალი-დედოფალი!

ძნელი ასატანი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ყოველდღიურობის ნაცრისფერ ზღვაში დროდადრო არ გამოანათებდეს სილამაზის, სიხარულის, სითბოს კუნძულები!

1997

თრიმლი

ენციკლოპედიიდან ვიწერ:

“თრიმლი (ჩოტინუს), მცენარის გვარი თუთუბოსებრთა ოჯახისა. შეიცავს ორ სახეობას. საქართველოში ბუნებრივად იზრდება მხოლოდ ერთი სახეობა – ჩოტინუს ცოგგყგრია; ბუჩქი ან პატარა ფოთოლმცვივანი ხეა, გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში. იზრდება მშრალ ქვიან და კლდოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ზოგჯერ ქვეტყედ – მუხნარსა, ჯაგრცხილნარსა, ღვიიანსა და ფიჭვნარში. სინათლის მოყვარული და გვალვაგამძლეა, ნიადაგისადმი ნაკლებად მომთხოვნი. მრავლდება ამონაყარითა და თესლით. ფოთლებს ხმარობენ ტყავის მოსათრიმლავად. მერქანი მოყვითალო–მწვანეა, იყენებენ სახარატო საქმეში, აგრეთვე მატყლისა და ტყავის შესაღებად. დეკორატიულია, განსაკუთრებით ლამაზია შემოდგომაზე, როცა ფოთლები მთლიანად უწითლდება. იყენებენ ფერდობების გასამწვანებლად და გასამაგრებლად”.

3 მაისს, საღამოს, დასთან სტუმრობიდან შინ ვბრუნდებოდი შინ და დიღმის ხიდთან თრიმლი შემხვდა – აყვავებული!

მეორე დღეს ვარკეთილის დასახლებაში ჩემს ქუჩაშიც ვნახე – თრიმლის დიდი ბუჩქი ყოფილა (რამდენჯერ გამივლია იქ და აქამდე არ შემიმჩნევია!), ისიც ჰყვაოდა.

კიდევ ერთი დღის შემდეგ ლოჭინში, ნაკვეთშიც შევამჩნიე – თრიმლის ბუჩქები ამოსულა ორ ადგილას. ორივე ერთი ციდაა და უკვე ისინიც ჰყვავის!

რა უფერული, პაწაწკინტელა ყვავილედი ჰქონია თრიმლს... თვით ყვავილები, – მინიატურული, ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმის, – ბაცი მწვანეა, ფერით ძლივს გამოარჩევ მისსავე ფოთლებისგან.

კაცმა რომ თქვას, ულამაზო ყვავილი არ არსებობს – ვერ ნახავ, ძალიანაც რომ ეძებო, ულაზათო, შეუხედავ ფოთოლს, ან ყვავილს, ან ნაყოფს; თუ დაუკვირდები, ნებისმიერი მცენარის ფოთოლიც, ყვავილიც, ნაყოფიცა და მთლიანად თვით მცენარეც ნატიფია, სრულყოფილად დახვეწილია; ჰარმონიულია მისი მთელიც და ნაწილებიც. ასევე, ეს “უფერული” თრიმლიც თავისებურად მომხიბლავია – ყვავილებიც ლამაზი აქვს და მომრგვალებული, ყუნწზე მორიგეობით ჩარიგებული ფოთლებიც. თუ მოწყვეტ ფოთოლს, თითებს შორის მოსრეს და დასუნავ – რა მძაფრი, თავისებურად მიმზიდველი სურნელი აქვს! შესაძლოა, ყველას არ ესიამოვნოს, მაგრამ მე მომწონს!

შემოდგომაზე კი მკვეთრად შეიცვლის ფერს თრიმლის ფოთლები – როგორ აბრიალდება ცეცხლისფრად, რა გიზგიზა, მცხუნვარე “კოცონები” დაინთება მისი ბუჩქებისა მზისგან გადახუნებულ-გადატრუსული ხრიოკი ფერდობების უღიმღამო, რუხ ფონზე!

გადაუვლის თრიმლის “ხანძარი” გორაკებს, ტყისპირებს, ჭალებს და შემოდგომის ფოთოლცვენისწინა ფერთა ზეიმში მის “სოლოს” გამორჩეული, მაყორული ხმოვანება შეაქვს ზამთრისპირის სადღესასწაულო და, ამავე დროს, სევდიან სიმფონიაში – ჩვენს გულში აღმტაც გამოძახილს პოულობს და სიხარულ-სიამის კოცონს აღვივებს ჩვენს სულშიც!

ამოუწურავი მრავალფეროვნება გვხიბლავს ბუნებაში და კერძოდ – მცენარეულ სამყაროშიც: ზოგს გამორჩეულად ლამაზი ყვავილები ამშვენებს, სხვებს – ნაყოფი (ბევრს კი, ამასთანავე – უგემ-

რიელესიც!), ნაწილს კი – ფოთლები! და შემოდგომობით რამდენ ქალაქელს შეხვდები, საღამოს აგარაკებიდან, საბაღე ნაკვეთებიდან თუ ბუნების წიაღში გასეირნებიდან რომ ბრუნდება და ხელთ უპყრია ზღაპრული ფასკუნჯის ბრიალა კუდი – თბილად მოღუდღუდე თრიმლის ტოტების თაიგული!

1998

ნოემბრის ქარიან-ღრუბლიანი დღე

შემოდგომის მიწურულია – 27 ნოემბერი.

სუსხიანი დილაა – მოღრუბლული, ქარიანი; გუბეებზე – ყინულის მოსარკული ზედაპირი ყმაწვილთა გასახარად – სასრიალოდ.

ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკასთან ავტობუსიდან ჩამოვედი. ნაკვეთში მივდივარ, დავხედავ (ორი კვირაა, არ ვყოფილვარ) – ისევ ხომ არ გაურღვევიათ ღობე მწყემსებს? ცოტას დავბარავ, ცოტასაც მიწავაშლას ამოვთხრი...

მივაბიჯებ რკინიგზის ვაკისზე და იმაზე ვფიქრობ, ტყუილად ხომ არ უარვყავი შინაურების რჩევა – ასეთ ამინდში რა აზრი აქვს ნაკვეთში წოწიალს, საქმე გამოგელია? აქაც საკმაოდ ცივა, ძლიერი ქარიც ქრის და შეიძლება, წამოწვიმოს კიდეცო...

და ჰოი, რა საოცრება ვიხილე!

რკინიგზის მიწაყრილის ციცაბო ფერდობზე ბუჩქნარს ზევით ამოზიდულა კუნელი, – ფოთოლგაძარცული, მაგრამ არც მთლად შიშველი, – ტოტებზე თბილად ღუდღუდებს უამრავი ნაყოფი, უთვალავი წითელი მძივი! მისი მაღლა ამართული (ვედრებასავით!) ტოტები გადაურჩა გაკრეფას; როცა სულ მალე მიწაზე თოვლს დადებს და ბალახთა თესლის შოვნა გაჭირდება – იხარეთ ბედურებო, შაშვებო, კაჭკაჭებო, ჩხიკვებო, ჩხართვებო! (ამბავს წინ გავუსწრებ – იმავე საღამოს ხვავრიელი თოვა დაიწყო!).

ვდგავარ ერთხანს, სულში სიამის ტალღები იღვრება: გვიანი შემოდგომის ფერდაკარგულ მიდამოზე ასეთი ამაღლებული, მოზეიმე დღესასწაულით ვტკბები – კუნელის უფოთლო ტოტებით, დახუნძლულით სისხლისფრად მოკიაფე ნაყოფებით.

შემდეგ მზერა ახლომახლო გადავიტანე: შემოდგომურად დასევდიანებულ გორაკებზე – გამხმარ ბალახებში წვიმების შემდეგ ამოწვერილი ქორფა ბალახი მათ ფერდობებს ხავერდოვნად, ნაზ რუხმომწვანო-მოყვითალოდ აფერადებს; ქვევით, თბილი, რბილი ფერებით სავსე ჭალაში – ალაგ ანათებენ ჭალის ვერხვთა თეთრი ტანები, ალაგ მუხათა ვარჯების უზარმაზარი გაყვითლებული ბურთებიდან აქა-იქ გამომჭვირვალი, თითქმის შავი ტანები თითქოს ნელ ალში დაფერფვლას გადაურჩენო, ალაგ – ლოჭინის თეთრ-ცისფერი დაკლაკნილი სარტყელი ირეკლავს ცას და მასზე გაფანტულ ღრუბლებს...

ფრთების უხმო ფარფატით ჭრელმა კაჭკაჭმა ასკილის ბუჩქიდან კაკლის ხეზე გადაინაცვლა.

შრიალ-ჩხრიალებს პატარა მდინარე, უხილავი ჩხიკვი ჩხავის, შორიდან ისმის ძაღლთა ყეფა, დასახლებაში ვიღაცა აპობს შეშას...

კიდევ უფრო შორს: სამხრეთით – ლალვარის დათოვლილი მთაგრეხილი ებჯინება ლეგა ღრუბლებს, ჩრდილოეთით – იალნოს ქედის ლურჯი ქედი გაწოლილა, მხოლოდ მწვერვალებზე რომ თეთრად ოდნავ დაფიფქულა...

დიახ, წამოსვლა მხოლოდ იმისთვის ღირდა, რომ ყველაფერი ეს დამენახა და შემეგრძნო – ბუნების იდუმალი მშვენიერება, ესოდენ მრავალსახა და ნაირფეროვანი, ყოველდღე – განუმეორებელი!..

თუმცა...

უჰ!..

თითები დამაზრა, ვეღარ ვწერ...

1999

ორი ხედი მეათე სართულის ფანჯრიდან

1. აისი

ყოველი დღე იწყება პატარა დღესასწაულით...

დილაადრიან, ლოგინიდან წამოვხტები თუ არა, ჯერაც ჩაუცმელი, ფეხებს წავყოფ ფლოსტებში და ცისკრისწინა ბინდში გახვეული დერეფნის გავლით მივფრატუნობ სამზარეულოში – მისი ფანჯარა სამხრეთ-აღმოსავლეთით გადის. და სანამ ელექტროჩაიდანს ჩავრთავდე, ერთი წუთით გადავხედავ ქუჩას – რა ამინდია?

გადავხედავ და – ამინდიც მავიწყდება და ქუჩაც, რადგან შორს წარიტაცებს ჩემს მზერას დიდებული ხედი... დიახ, მეათე სართულიდან დიდებული ხედი იშლება!

ყოველი დილა თავისებურად განუმეორებელია, მე მხოლოდ ერთ გაზაფხულის დილაზე მოგახსენებთ.

ჯერ მზე არ ამობრძანებულა და აღმოსავლეთით, აეროპორტის მხარეს, მძლავრი პროჟექტორები კიაფობს ნაცრისფრად ამონათებულ ფონზე. ზევით ღრუბლები უკვე განათებულია – შუაში უფრო მუქია, კიდეები კი ღუდღუდა წითელი აქვს; თითო-ოროლა ვარსკვლავიც ჯერ კიდევ ამკობს უკვე გაფერმკრთალებულ ცას. თვალდახელშუა ყვითელი ფერი მძლავრობს, მბრწყინავი ოქროსფერი ედება ღრუბლებს, მერე თანდათან შეერევა მეწამული, ათასგვარი გადასვლებით აფერადებულ-აელვარებული ჰორიზონტი მიიჯაჭვავს მზერას და აკვირდები საოცარ სიუხვეს და სიმდიდრეს ფერადოვნების ნიაღვარში – თითქოს გამოცდილმა აკვარელისტმა თავის პალიტრაზე აზარტულად შეურია ოქროსფერ-ყვითელი და სისხლივით წითელი ფერები, შეაზავა წყლით და ახლა შუშის პალიტრას ხან ცალ მხარეს დახრის, ხან – მეორე მხარეს და ფერთა ჭავლები, ერთმანეთში ნაირფერ ნაკადებად შერეულ-ჩახლართულნი, ყოველ წამს იცვლებიან, გადაედინებიან, უსასრულოდ იცვლიან ფორმასა და ფერს...

აი, ასე თამაშობს ფერებით ალიონი, ნელ-ნელა მძლავრობს და თრგუნავს აეროპორტის გაჩირაღდნებულ მხარესაც კი.

– დათუნა, ბესიკ, მოდით ჩქარა, ნახეთ, რა ლამაზი ცისკარია! – ვუძახი შვილებს.

მხოლოდ სულ მაღლა კვლავ ციმციმებს ერთი ეული ვარსკვლავი, თვალს იტაცებს მისი ცახცახ-თამაში, მხოლოდ იგი გადაურჩა ჯერჯერობით მზის სხივების მძლეთამძლეობას... თუმცა მზესაც არ აქვს ჯერ ძალა – აგერ ნელ-ნელა ამოგორდა მისი გიზგიზა წითელი თვალი, ჩვენ კი უშიშრად შევცქერით მას; სულ მალე კი, კიდეც ცოტაც და ისე იფეთქებს შადრევანივით მისი ბრწყინვალება, რომ ვინ გაბედავს, თვალი გაუსწოროს ოქროს გავარვარებულ ბურთს!

დროა, ჩვენ-ჩვენ საქმეებს მივხედოთ – სილამაზით ხომ გაგვახალისა, ახლა მზე იწყებს დღიურ ჯაფას და არ მივბაძოთ, არ იქნება!

უპირველესად – სავარჯიშოდ ნაბიჯით იარ!

2. შუადამე

უძილობაზე რომელ პოეტს არ დაუწერია ლექსი? მე კი პროზით მოგახსენებთ (უფრო ჩემს თავს გავესაუბრები!).

ღამეა.

წვიმს...

წვიმს წყნარად, გაბმულად, გადაუღებლად...

ვდგავარ ფანჯარასთან, საოცრად მსიამოვნებს, გრილი ჰაერის ჭავლი როგორ მელამუნება სახეზე. ვუყურებ – ცრის მონოტონურად; ლამპიონების შუქი გუბეებში ირეკლება, ამ ანარეკლს გამუდმებული წვეთების ჯარი თქვეფს. ხანდახან მანქანის ფარების წყვილი შუქი გამოჩნდება და წვიმის გაბმულ სიმღერას საბურავების შრიალი და ძრავის ღუღუნიც (სულ უფრო მაღალ რეგისტრში – სანამ მიახლოვდება!) პოლიფონიურად ჩაეხლართება. ჩრდილთა შავი ლაქები თავგანწირვით გარბიან. გაწოლილა ძეწკვები მოციაგე ლამპიონებისა, ნაცრისფერ მაღალ სახლებში ფანჯრების შავი

ოთხკუთხედები ჩარიგებულა; თითო-ოროლა გაკაშკაშებული ფანჯარა კი ყვითელი თვალივით იცქირება სიბნელეში (ღამის ორი საათია!).

აგერ ქვაფენილზე მოსეირნე წყვილი გამოჩნდა – აუჩქარებლად მოსეირნობენ ჩახუტებულები და ალბათ მოსაუბრობენ, ან, უფრო მგონია, მდუმარედ უსმენენ ირგვლივ გამეფებულ გარინდებას, უშფოთველობას უღრმავდებიან და თითქოს მისი ნაწილიც კი ხდებიან...

რაზე საუბრობენ ან რაზე დუმან?...

ბედნიერები!

ღამეა, წყნარად, გაბმულად წვიმს...

უკეთესი იავნანა რაღად გინდა, მე კი დიდხანს არ მეძინება...

...დილით ადრე მეღვიძება, ჯერ კიდევ ბნელა. ისევ სამზარეულოს ფანჯარას მივაშურე. წვიმას გადაუღია.

ბზინავს ყველაფერი, რასაც კი სინათლის სხივი მისწვდება. ლამპიონებს ახლა მთვარეც ეხმარება – სავსე, ნათელი, სევდიანი, წყნარი; სიფრიფანა, გაცრეცილ ღრუბლებში მიცურავს აუჩქარებლად, ირონიულად გადმოსცქერის გაყუჩებულ ქალაქს – მოგანატრეთ თუ არა თავიო.

უდაბურ ქუჩაში იშვიათად თუ გაიშრიალებს ეული მანქანის საბურავები.

შორს შუქები ციმციმ-ჭიატობს, კანკალებს, თრთის, – როგორც ჩვენი ცხოვრება, – მერყევია, ცვალებადი... ხან ოპტიმისტურად იმძლავრებს, ხანაც მიილევა, ძალა ეცლება, რომ შემდეგ ისევ ცინცხლად გამოაშუქოს და ,თვალი გაახაროს...

ნათელი დღე თენდება.

შაშვი

თებერვლის მიწურულს, მზიანი, თბილი დღის ბოლოს, მე და ბესიკი, სხვა მრავალთა მსგავსად, დიღმის ყოფილი სანერგის ტერიტორიას ვესტუმრეთ – ფეხის გასამართავად და თან ფიჩხის მოსაგროვებლად.

საღამოსპირია, ჩვენ თითქმის მარტონი ვართ, დღისით კი ბლომად ხალხი დაძრწის შეშის საშოვნელად – ხერხითა და ნაჯახით (კარგა ხანია, თბილისში გაზს აღარ აწვდიან მოსახლეობას, ელექტროდენიც ხშირად გამორთულია).

ექვს საათს თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა ზურგჩანთა თითქმის პირთამდე გავავსეთ პატარა ნაჯახით დაკეპილი ფიჩხით; ბესიკმა ზურგზე მოიგდო კიდეც – წამოსვლას ვაპირებდით, რათა დაღამებამდე მოგვესწრო შინ დაბრუნება. გვენანებოდა ტყე-პარკიდან წასვლა და ფეხს ვითრევდით.

და ამ დროს ჩიტის გალობა გაისმა – საღამოს სიმღერა.

ისე ტკბილად, თავდავიწყებით კრიმანჭულობდა, ისეთ ჩახლართულ, მოულოდნელ და იმავდროულად ნატიფ სვლებს აკეთებდა, რომ ადგილზე გავჩერდით და გავიტრუნეთ.

სიმშვიდე და სიწყნარეა განფენილი ირგვლივ, გამოუთქმელი მოლოდინით აღსავსე, მიწის ადრეული გაზაფხულის სუნთქვით დამუხტული – შარშანდელ რუხ, ფერდაკარგულ ბალახებში ამოუხეთქავს ხასხასა მწვანე ბალახს; ჰორიზონტთან რბილად მოხაზულია დაბალი, ლურჯი მთები დიდგორისა და უფრო ზევით – უკვე ჩასული მზის სხივები მწიფე ატმისფრად აკიაფებს დასავლეთით ცის კიდეს, სულ მაღლა კი ეს განათებული ზოლი ნელ-ნელა უღრუბლო ცის სილურჯეში გადადის. და ამ სამივე თარაზულად გაწოლილ ზოლს – დიღმის ველისა, დიდგორის მთებისა და დაისით დაფერილი ცისა – თავიდან ბოლომდე შვეულად ჰკვეთს ქარსაფარი ზოლის მაღალ ვერხვთა შიშველი ტანების მუქი სილუეტები...

გალობს ჩიტი; სადაცაა დაბინდდება და ამ უკანასკნელ ნათელ წუთებს უმღერის უხილავი ფრინველი; უხარია ალბათ გაზაფხულის მოახლოება, ბუნების განახლება, ტყე-ველის კოპწიად მორთვისთვის სამზადისი, დამთბარი მიწიდან დაძრული მძაფრი სურნელი.

თავები ავაღირეთ – გვინდა დავინახოთ მგალობელი – აშოლტილ, უკვე კვირტებდაბერილ ვერხვთა კენწეროებს მივაჩერდით, რომლებიც ლამაზად ინაკვთებოდა გაფერმკრთალებული ცის ფონზე; ვერა და ვერ აღმოვაჩინეთ მისი ადგილსამყოფელი... განაგრძობს სტვენას, ჩავა ბოლომდე, ოდნავ შეისვენებს, მერე თავიდან იწყებს სიმღერას, ისევ და ისევ იმეორებს ჰანგს, მაგრამ არ გვბეზრდება, მზად ვართ, დაუსრულებლად ვისმინოთ მისი თავგამოდებული გამოხატვა სიხარულისა, ტკბობა თბილი და ლამაზი საღამოთი.

ვდგავართ გარინდებულნი, სილამაზისა და ეშხის სამყაროთი მოჯადოებულნი... და უცებ სიცარიელეს ვგრძნობთ.

– რატომ გაჩერდა? – მეკითხება ბესიკი, – გინდა, დავუსტვენ? ხმას თუ გაგვცემს...

– არა, ბიჭო, – ვაჩუმებ შვილს, – ალბათ ისვენებს. მოიხსენი ზურგჩანთა და დავსხდეთ.

ცოტა ხანში ჩიტმა გალობა განაახლა, ოღონდ ოდნავ სხვა მხრიდან, ალბათ ადგილი მოინაცვლა.

— ყვა-ყვაა!..

მოშორებით ყვავთა გუნდი დაეფინა დიდი ვერხვის შიშველ ტოტებს.

— ჩუმად, ჩუმად! — უტატანებს ბესიკი ყვავებს.

რატომღაც მხოლოდ ახლა შევიგრძენი ავტომანქანების ძრავათა ღრიალი საქართველოს სამხედრო გზიდან. მგოსანს კი ხელს არაფერი უშლის — ისევ თავისუფლად იღვრება დამათრობელ ჰანგთა ნაკადი, საოცრად ესალბუნება გულს და ეხმიანება ამ კარგ საღამოს — უზრუნველსა და ბედნიერს გხდის, თუნდაც მცირე ხნით...

— რას გველაპარაკება ამდენ ხანს? — კითხულობს ბესიკი და ამატებს: — გავიგეთ, გავიგეთ!

— მღერის, ბიჭო! — ხმადაბლა ვაჩერებ ბესიკს, შემდეგ ერთი ხის კენწეროზე ვუთითებ — რომელიღაც ფრინველის კოხტად ნაგები ბუდე ცის ფონზე მუქ ლაქად ჩანს. და ამ დროს ჩვენამდე აღწევს კიდევ ერთი ხმა, — შორეული ყრუ გუგუნი, — ცაზე თითქოს სწორედ ამ ბუდისკენ მიემართება თვითმფრინავი. აი, გვერდით ჩაუარა და თეთრი კვალი დასტოვა; თეთრი კი არა, უფრო ვარდისფერი ეთქმოდა.

ყვავების ყრანტალმა მიდამო გააყრუა — შავ ღრუბლად დაფენილან ვერხვის ერთ ადგილას, დროდადრო ადგილს ინაცვლებენ, უფრო და უფრო ხმაურობენ.

გალობა შეწყდა...

ნაცრისფერი ბინდი ეპარება მიდამოს.

ბესიკმა ზურგჩანთა აიკიდა და ჩქარი ნაბიჯით გავეშურეთ ქუჩისკენ. სულში ჩაბუდებული საზეიმო განწყობა თან მიგვაქვს.

მივაბიჯებთ და უცებ: ხელმარცხნივ, მაყვლიანის კიდეზე, მიწაზე შავი შაშვი დავლანდე — რაღაცნაირად მშრალი, უცნაური ხმით კაკანებდა, ალბათ განგაშის ნიშანს იძლეოდა, ვიღაცეები მოდიანო. აი, ვინ გვატკბობდა თურმე!

შეიფრთხიალა და ჯაგებში გაუჩინარდა.

კვიპაროზების ხეივანს მივუყვებით; წინ, ლურჯად ჩამქრალი ცის ფონზე, აღმოსავლეთ მხარეს, მორცხვად ციმციმებს პირველი ვარსკვლავი, ალბათ სირიუსი. ამ ვარსკვლავისკენ მიმავალი ახალი თვითმფრინავი გამოჩნდა: გუგუნით გახაზა ნათელი ზოლი ზედ ვარსკვლავთან.

— ვარდისფერი რატომაა თვითმფრინავის ნაკვალევი? — კითხულობს ბესიკი. — სხვა დროს თეთრია ხოლმე.

— ალბათ ჩამავალი მზით დიდ სიმაღლეზე არის განათებული, მფრინავისთვის მზე ჩვენზე გვიან ჩადის.

— ვინც თვითმფრინავში ზის, მზე უჭყიტინებს ახლა თვალებში? — ისევ კითხულობს ბესიკი და თან იცინის.

სწრაფად ბნელდება. სხვა ვარსკვლავებიც ნელ-ნელა გამოიჩეკნენ.

საკმაოდ ცივი ნიავქარი (არც ნელი ნიავია და არც ძლიერი ქარი) გვაგრძნობინებს, რომ ფეხს კიდევ უფრო უნდა ავუჩქაროთ.

ახლა ბევრს აწუხებს სიცივე და შიმშილიც. ნუთუ ვინმეს აზრად მოუვა, რომ ხელის აუკანკალებლად თოფი ესროლოს შაშვს? ბევრმა, ძალიან ბევრმა ხომ უკვე მოჭრა ულამაზესი ხეები ქალაქის ქუჩებშიც და აქაც, ტყე-პარკში, ზოგმა კაკლის ხეებიც კი არ დაინდო...

წინ მომრავლდა ლამპიონთა ყვითლად მბრწყინავი თბილი, იმედიანი თვალები.

1995

ზამთრის ხეები

— ფი! მეჯავრება ზამთარი, ცივა! თან, საითაც გაიხედავ, ყველგან მომაბეზრებელი ერთფეროვნებაა: შავი, რუხი, თეთრი — თვალი ვერაფრით ხარობს... სულ სხვაა გაზაფხული ან ზაფხული — ყველაფერი ამწვანებულია!..

მზია თავმომწონედ ნაბავს თვალებს და პრუწავს მარწყვისფერ ტუჩებს.

— რათა, მე აგერ ფეხით ვიარე ორნახევარი კილომეტრი სახლიდან და ვერავითარი ერთფეროვნება ვერ შევამჩნიე... — ვპასუხობ მე. — ვახუშტის ხიდზე რომ გადმოვდიოდი, მომწვანო-მოცისფრო მტკვრის თავზე თეთრი თოლიები დასრიალებდნენ ზევით-ქვევით... მდინარე თეთრად ბოლავდა, ალბათ თოლიები ფრენით ხურდებოდნენ და ასე გაურბოდნენ სიცივეს. ქალაქი ცისფრად დაბინდულიყო. მე რომ მხატვარი ვიყო, აუცილებლად დავხატავდი ცისფერ თბილისს... სხვებმა რაც უნდა თქვან და ჩემთვის თბილისი ცისფერი ქალაქია. ხიდიდან სამხრეთით გავიხედე — დაღმა მტკვარი მისრია-

ლებს, მიიკლაკნება, ბეტონის სანაპიროებს შორის მომწყვდეული; შორს დაბურუსებულად მოჩანს მთაწმინდა, სატელევიზიო ანძა; უფრო შორს გაირჩევა თაბორის ქედი, ოღონდ მისი დაღარული ფერდობები ერთიან, ჰორიზონტის ჩამკეტ მასად აღიქმება. აქეთ და აქეთ უფრო ნათლად გამოიკვეთებიან და ინაკვთებიან ქალაქის ჩაწყობილ-ჩარიგებული სახურავები; აგერ-ეგერ – შავფანჯრებიანი კედლებია, ზოგან დიდი შენობა ამოსვეტილა მედიდურად – სასტუმრო "ევერია", ოპერის შენობის გუმბათი, თითო-ოროლა ეკლესიაც...

მეორე მხარეს, ჩრდილოეთით – საგურამოს ქედს და შემდეგ, უფრო ახლოს, ავჭალისა და დიღმის დასახლების თეთრ სახლებს ვხედავ (მახსენდება: კარგ ამინდში ზოგჯერ მყინვარწვერის სპეტაკი თავი ამოიზიდება ხოლმე ჰორიზონტზე, როგორც შორეული მირაჟი).

საგურამოს ქედი გაწოლილა თეთრი დინოზავრივით. ღამე ყინავდა და უკვე ვიცოდი, რომ დღეს კარგი, მოწმენდილი ამინდი დადგებოდა. მართლაც, მზე ამოიწვერა, როგორც იქნა; უღონოდ, ოქროსფრად აფერადებს ყოველივეს, სიცივეს კი ვერას აკლებს – თბილად კი მაცვია, მაგრამ მაინც ვიბუზები, ფეხსაც ვუჩქარებ...

აქეთ-იქით ცქერას მაინც არ ვიშლი. ამ გზაზე რამდენიმე ხე მეგულება, – გამორჩეულად ლამაზი მეჩვენება, – ცოტა ხნით მაინც გავჩერდები ხოლმე და თვალმოჭუტული ვუცქერი. ყინვაც ვერ მაცვლევინებს ნირს...

მერე გზას ისევ ვაგრძელებ. ძალაუნებურად მახსენდება რამდენიმე ხე თბილისში, რომელთა სანახავადაც საგანგებოდ შეიძლება წახვიდე და ძველ, კეთილ მეგობარივით მოინახულო, მიეახლო, უსიტყვო საუბარი გაუბა. აი, თუნდაც ბებერი თუთის ხე აკაკი წერეთლის გამზირისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩის კუთხეში. შავი მსხვილი ტანი და ფართოდ გაბარჯღული ტოტები, სულ უფრო რომ იტოტებიან გან-გან და მაღლა-მაღლა წასულები – საოცარ გრაფიკულ მაქმანს ჰქმნიან. ჭეშმარიტად: ბუნება დიდებული და ამოუწურავი შესაძლებლობების მქონე მხატვარია.

მეორე, ძალიან ლამაზი ხეც აქედან არც ისე შორსაა. ამავე აკაკი წერეთლის გამზირზე, "დინამოს" სტადიონის მოპირდაპირე მხარეს, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის შესასვლელთან ხარობს ერთი კაიხნის მუხა; უცნაური ჯიშისაა – ფესვების ყელიდანვე თანაბრად იტოტება რამდენიმე ათეულ ტანად – ზამთარშიც კი საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს; ზაფხულში კი რა ლამაზი, მომრგვალებული ხუჭუჭა ვარჯი აქვს – პირამიდულად აზიდული...

აქედან ცოტასაც გაივლი და სტადიონის წინ ჩარიგებულ თეთრტანა ჭალის ვერხვებით დამშვენებულ ტელმანის ქუჩაზე გასეირნება განა არ გაგიხარდება? ანდა სტადიონის სამხრეთი მხრიდან რომ ორასწლოვანი უზარმაზარი ჭადრები მეფობენ მთელი მაიაკოვსკის ქუჩის გაყოლებაზე (და მის გამაგრძელებელ დიდუბის ქუჩაზეც) – რა დამავიწყებს! სამწუხაროდ, რამდენიმე ათეული გიგანტი ხიდან დღესდღეობით სულ რამდენიმე გადარჩა გახმობას და მოჭრას... ბუნების კანონებს ჩვენ ვერ გავექცევით, მაგრამ, აი, იმას კი რაღას ვერჩით, რაც ჯერ არ აპირებს სიკვდილს და ჩვენ კი შეგნებულად ვანადგურებთ? თუნდაც იმავე მაიაკოვსკის ქუჩაზე, მუშტაიდის ბაღის გაყოლებაზე არსებული თუთის ხის ჯიშთა კოლექცია გაანადგურეს (ეს კოლექცია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იქმნებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი თუთის სხვადასხვა ჯიშებით) – იქ ფეხბურთის მოედანი მოაწყვეს; ვითომ ერთის გაკეთება მეორის მოსპობის ფასად შეიძლებოდეს! ანდა ას წელზე მეტი ტუიების უაზრო ამოძირკვა რაღა იყო იქვე გზის გასწვრივ? ერთმა სოფლის მეურნეობათა კანდიდატმა(?) სრულიად უმიზეზოდ, უაზრო ახირებით გააჩეხინა ეს უნიკალური ნარგავები!

თბილისის ყველა კუთხეში შეხვდები ამგვარ გამორჩეულ ხეებს... კამოს ქუჩაზე, საავადმყოფოს გვერდით, მისგან აგურის ღობით გამიჯნული ეზოა – გრძელი, ვიწრო, შესახვევს უფრო ჰგავს... და ამ ღობის იქიდან საავადმყოფოს კორპუსებს შორის ისვეტება თეთრი, მსხვილი ტანი უზარმაზარი ვერხვისა. ეტყობა, ერთი ბეწო ეზოში იზარდა, იზარდა და ყველა შენობას მოექცა ზევიდან თავისი გიგანტური ვარჯით. ვერხვი საკმაოდ სწრაფად იზრდება, ეს ხე კი კარგა ხანდაზმული ჩანს. ახლაც ლამაზია, ზამთარში – საავადმყოფოს რუხი და წითელი კედლების ფონზე მისი თეთრი ტანი და მაღლა გაბარჯღული ტოტები საამო სანახავია; ზაფხულში კი, მწვანე და დაბურული ტოტებით იჭყიტება პალატებში და ავადმყოფთა განცდებს შვებას ჰგვრის...

მზიას ვუყვები ყველაფერ ამას...

არც სხვა ხეებია ნაკლებ საყურადღებო და ლამაზი – თუნდაც ზამთარში, ფოთოლგაძარცულნი რომ დგანან. ყველას თავისი ხასიათი აქვს – ჭადრები ერთნაირად იტოტება, აკაციები – მეორენაირად, თელები კი – სულ სხვანაირად... გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი – ყველა ამ დროს თავისი ეშხი აქვს და მნიშვნელოვანწილად იმის გამოც, რომ ხეთა სახეცვლილება ახლავს მათ. სიმართლე რომ გითხრა, ქუჩაში მდგომ ნებისმიერ ხესთან შემიძლია, გავჩერდე, ავხედო, ვათვალიერო, ხელი მოვითათუნო როგორც მეგობარს...

ჩემი ესოდენ გრძელი მონოლოგით გაკვირვებული მზია აშკარა დაცინვას ვერ მალავს:

– შენ საქმე დაგლევია, ამ სიცივეში ხეების თვალიერებისთვის გცხელა?

პასუხის გაცემა ზედმეტად ჩავთვალე – რა უნდა მეთქვა?

1989

კეკელოს კლდე

ეკატერინე მესხს

კეკელო ერთი მომცრო ტანის, სიფრიფანა გოგოა: ზოგი ეკას ეძახის, მე კი კეკეს ან კეკელოს, თუმცა უკვე თვით ჰყავს პატარა ქალიშვილი. როცა გაიგო, წყნეთში უნდა ავსულიყავი ერთ საქმეზე, ცისფერი თვალები დაუწყლიანდა, რაღაც ფიქრებში ჩაიძირა... მერე მითხრა:

– იქ არის ერთი კლდე, ჩემი აღმოჩენილია. ამ სამი წლის წინ კვირა არ გავიდოდა, ორ-სამჯერ არ ავსულიყავი წყნეთში; იმ კლდეს მივაშურებდი და რამდენიმე საათს მაინც ვრჩებოდი. იქიდან ისეთი გადასახედია, ისეთი!.. მაშინ ძალიან ახლობელი ადამიანი დავკარგე და სულ ცუდ გუნებაზე ვიყავი. არ ვიცი, რა მეშველებოდა, ის კლდე რომ შემთხვევით არ აღმომეჩინა. ერთხელ ბეთანიიდან მოვდიოდით და რატომღაც მარტო ყოფნა მომინდა. წყნეთში ჯგუფს ჩამოვცილდი და უგზო-უკვლოდ წავედი სოფლის განაპირას. და სწორედ იქ, პატარა მდინარის მეორე ნაპირზე, აღმოვაჩინე... თუ დრო დაგრჩეს, ნახე ის ადგილი.

კეკემ პატარა რუკაც დამიხატა იმ ადგილის მისაგნებად – ბილიკი, მდინარე, პატარა მოედანი წყლის პირად, მასზე კაკლის ხე და მაყვლის ბუჩქი; შემდეგ – მდინარის ნაპირიდან ამართული კლდე, რომელსაც კეკელომ წააწერა: "ჩემი კლდე".

ხანდახან ვის არ ჰქონია სურვილი, გამოეთიშოს ამ წუთისოფლის აურზაურს, ცხოვრების ორომტრიალს და მიზეზით თუ უმიზეზოდ ელტვის მარტოობას, საკუთარ თავთან დარჩენას. ამ დროს სულ კენტად დარჩენაც არ ივარგებს, ყველაფერს ჯობს, ბუნებას მიმართო.

ამ ფიქრებით მივაბიჯებდი იმ დიდი, გრძელი ხევისკენ, რომელიც წყნეთს სამხრეთით საზღვრავს და ბაგებთან ერთვის მდინარე ვერეს. დაბის გარეუბანში მრავალი ქუჩა თუ ჩიხი მიემართებოდა იმ მიმართულებით. ბილიკს ვერ მივაგენი. მაშინ ხეობას ზევიდან დავუყევი, რომლის ძირშიც ციცქნა მდინარე ლაკლაკ-ლიკლიკით ეხმაურებოდა დაბალი, მაგრამ ხშირი ტყით შემოსილ ფერდობებს.

გზა დამიგრძელდა, მაგრამ არ მინანია. ჯაგრცხილისა და მუხის მწვანე მასივში ზოგჯერ თეთრად გამოანათებდა თვალის გასახარად აყვავებული მაჟალოს ხე – წელს ძალზე დააგვიანა გაზაფხულმა მობრძანება, მაისის ათი დღე გავიდა უკვე და კუნელი მხოლოდ ახლა აპირებდა აყვავებას; თხილი ჰყვაოდა, შინდსაც კი არ მოეთავებინა თავისი სადა ყვავილობა.

გამოჩნდა კეკელოს კლდე!

შუა ეოცენის ვულკანოგენური ქანების ფენით აგებული დამრეცი ფერდობი თითქოს ვიღაცას გიგანტური დანით ჩამოუჭრიაო და დანასავით ალესილ ფხაზე მივძვრები ზევით. ამ კლდის წვერზე შემეძლო, შემოვლით, ბილიკით ავსულიყავი, მაგრამ ახლა ბილიკის ძებნის დრო არ მაქვს, თან ასე ჯიქურ ასვლას უფრო აქვს გემო. მარცხნივ თითქმის გაუვალი ჯაგნარით დაფარული ფერდობია, მარჯვნივ – ფრიალო, ფრიალოს ძირში – ნაშალი ქვაღორღიანი პატარა დაქანებული ხევი. ჯაგრცხილა, ჩიტავაშლა, შავმუხა, კიდევ ათასგვარი ერთმანეთში გადახლართული ბუჩქნარი ალაგ-ალაგ ზედ ფრიალოს მოადგება და მაშინ ვარ ცოდვა – სხვა გზა არ მაქვს, უნდა როგორმე მასში გავძვრე. შიგადაშიგ მცირე, დაქანებული მინდვრებია, ყვავილებით თვალგასახარი, მის კიდეებზე ბუჩქები თეთრად ჰყვავიან; შემდეგ, როცა ერთი ხელის დადება ამოსასუნთქი თავდება, ისევ ჯაგნარში უნდა შევრგო თავი... ბუჩქები მეპოტინებიან და გზადაგზა დაკრეფილი ყვავილების წართმევას ლამობენ; ერთი დაბალი ჩხვლეტია ვაჟბატონი განსაკუთრებით აგრესიულია, შარვალშიც კი გაატანა! მისი სახელი მაინც ვიცოდე.... ისევ ვაღწევ ბუჩქნარისგან თავისუფალ კუნძულს, წუთით მუხლში ქარს ამოვიღებ; გული მაინც სადღაც გარბის და სანამ დაწყნარდებოდეს, კლდისა და ხევის თავზე მიმქროლავ მერცხლებსა და ნამგალებს ვადევნებ თვალს. ხავერდივით ბალახზე ჩამოვჯექი, მოზრიალე ფეხები გავშალე და ცხვირსახოცით გაოფლილი სახე შევიმშრალე. ველური მსხალი – ბერყენა – ზედ ჩემს ცხვირწინ აყვავებულა თეთრად. მინდა, ჩემს თაიგულს მისი ტოტიც შევმატო, მაგრამ ნურას უკაცრავად – ტანმორჩილი ხე-ბუჩქი ზედ ფრიალოს კიდეზე ჩაჰფრენია ფესვებით ნაპრალებს და თითქოს ქორივით მობღაუჭებია კლდის ქიმს, ტანი კი უფსკრულისკენ გადაუხრია. მერე სხვა შედარება დამებადა ჩემდა უნებურად: თითქოს ეს ბერყენა დარდიმანდი ბიჭი იყოს, ტრამვაის საფეხურზე ცალი ფეხით ჩამოკიდებული (ჩემს ყმაწვილკაცობაში ასეთები მახსოვს) და მეორე კი განზე ჰქონდეს გაშვერილი გაქანებული ტრამვაიდან ლაზათიანად ჩამოსახტომად, ნაცნობი გოგონებისთვის თავმოსაწონებლად...

ერთგან ბერყენას გრძელი ღეროს ბოლოზე თაიგულივით შეკრული თეთრი ყვავილები გამოუწვდია ნობათივით. ახლოს მისვლა დავაპირე, მაგრამ უნებურად უფსკრულს ჩავხედე და გული შემიქანდა – ჩიტი კი არ ვარ, რომ მივწვდე... ისევ მზერით დავტკბი, მერე წამოვდექი და გზა განვაგრძე ზევით, სადაც ახლა შაშვი გალობდა ტკბილად. ბუჩქებს რომ ლაწალუწი ავუტეხე, შავ მოჩვენებასავით გაფრთხიალდა ტოტებში, გადაინაცვლა და მალე ისევ ამღერდა. მე ნელა, ფრთხილად მივიკვლევ გზას, მერე ვყუჩდები და ვუსმენ. დროდადრო მგოსანიც ჩუმდება და მაშინ პაუზებში სხვა ჩიტების განსხვავებული ხმები ისმის: ერთის – ყღურტული, მეორის – გაბმული ჭრიაპი ჩივილივით, მერე გაკვირვებულივით ტონალობის შეცვლა და გაჩუმება; მესამე – ხანგრძლივად კრიმანჭულობს, რთული გადასვლა-თამაშებით, მეოთხე – უშფოთველად, უზრუნველად ჭიკჭიკებს, მეხუთე – მონოტონურად კუთავს, თითქოს მოსაწყენ საქმეს ასრულებდეს...

აი, უკვე მწვერვალზე ვარ, მომრგვალებულ თხემზე – და აქოშინებული, მუხლმისუსტებული, არც ვფიქრობ დავჯდე ბალახის კორდზე... რადგან ვჩქარობ, დავტკბე ჯილდოთი – ხედით კეკელოს კლდიდან!

პირველად თვალი არ ცდილობს გაერკვეს ფერებისა და ფორმების წვრილმანებში – ყველაფერს აღვიქვამ ერთბაშად, როგორც ერთ უზარმაზარ პოლიფონიურ სურათს – მთაგრეხილებისა და ხევხუვების ხლართებ-ხვეულებს, ტყისა და ცის ფერებს... რა ფართო სივრცე გადაიშალა! დასავლეთით გავყურებ: მდინარის იქით ტყიანი ციცაბო ფერდობია, მერე ზეგანივით შედარებით მოსწორებულია – წყნეთის სახლთა წითელი სახურავები და თეთრი თუ მუქი კედლები გამოსჭვივის ალაგ-ალაგ. მწვანე ხეების ოკეანეში მუქი მწვანე – ფიჭვის კორომებია, მოყვითალო-მწვანე – ალვები და ვერხვები. ვერეს ხეობის ხშირი ხევებით დასახსრული მარცხენა ნაწილი ჩანს; ერთ-ერთი ხევის უბეში სოფელი მსხალდიდი ილანდება. გორაკები-კუზები უსასრულოდ იტალღებიან, ჰორიზონტთან გაჭიმულა ხერხი მწვერვალ-ქედებისა; ჩადის მზე – ნაზად, მოყვითალო-ვარდისფრად... კიდევ უფრო ზევით კი თეთრ-შავი ღრუბლები იქუფრებიან – გაწვიმებას აპირებს და ვერ გადაუწყვეტია, გამაქციოს აქედან თუ მაცალოს, დავტკბე სილამაზით...

როცა თვალი შორს ყურებით იღლება, მზერას უფრო ახლოს ვანაცვლებ. ჩემს მიერ დაპყრობილი კლდის ძირში პატარა სამკუთხა მინდორია მდინარეს, კლდესა და ფერდობს შორის, რომლის კუთხეებშიც სათითაოდ სამი კაკალია ჩარიგებული (კეკელოს მიერ დახატულ რუკაზე კი მხოლოდ ერთია!); გვერდზე, ფერდობთან, მაყვლის ბუჩქი რუხად გაბარჯღულა; ეტყობა, ჯერ ისვენებს, არ ამწვანებულა. ხუჭუჭა ტყით შემოსილ ფერდობებზე თეთრ კუნძულებად აფეთქებულ-აყვავებული მაჟალო კიაფობს. კდემამოსილად, თითქმის შეუმჩნევლად ჰყვავის მუხა, ჯაგრცხილა, შინდი – მხოლოდ ჩემს გვერდით თუ შევამჩნევ, უშუალო სიახლოვეს; ტყემალს კი უკვე თეთრად მოუპენტავს მიწა ხის ქვეშ...

მზერა გარბის: ხან შორს, ძალზე შორს, ცის დასალიერზე, ხან – ახლომახლო ფერდობებს დაუყვება, ხან – იქვე, ერთი ფეხის ნაბიჯზე გაყუჩებულ ბუჩქებს აკვირდება... ნაცრისფერი, მოღრუბლული ცა, აქა-იქ ლურჯი ნაფლეთები მოჩანს მხოლოდ; ჩამოიქროლა გრილმა ნიავმა, მერე ისევ გაირინდა ყველაფერი. წვიმას, როგორც ჩანს, გადავურჩი.

არ ვიცი, კარგ დროს მოვხვდი კეკელოს კლდეზე თუ თვით ადგილია ასეთი, – ალბათ ერთიც და მეორეც, – აქედან წასვლა მიჭირს. ხელმარცხნივ – ჩაკეტილი, მოკლე ხედია, ხუჭუჭა ფერდობები მთაწმინდის გაგრძელებისა; პირდაპირ – წყნეთი, შორეული მთები; ჩამავალი ჩაღველფილი მზე მთებსუკანაა და იქიდან გვახსენებს, რომ ვიყავიო და დამშვიდობებისას ოქროსფრად ადნობს მთების დაკბილული კონტურის თავზე გატრუნულ ღრუბლებს. შორეული მთების ლურჯი ხავერდი სულ უფრო მუქდება, ბუნდოვანებაში ითქვიფება.

საღამოვდება. გრილ, ხალიჩასავით რბილ ბალახზე პირაღმა ვიშოტები და თვალებს ვხუჭავ. ჩამესმის მდინარის შხუილი, წყნეთის აღმართებზე მანქანების ძრავათა ღრიალი, ძაღლების ყეფა და ციდან თვითმფრინავის მონოტონური გუგუნი.

ხუთიოდე წუთში თვალებს ვახელ, – დროა, შინ წასვლაზე ვიფიქრო, – და გვერდით ვხედავ მარწყვის ნაზ, თეთრ ყვავილს... მას თავს დასცქერის ასკილის კოკრებგაუშლელი ტოტები.

უკან სხვა გზით ვბრუნდები – ტყეში გამავალი ბილიკით, ხან კი – უბილიკოდაც. გზა-გზა ვაგროვებ ყოველგვარი ხის და ბუჩქის ტოტებს და, ცხადია, ყვავილებსაც არ ვივიწყებ. არ ვარჩევ, ლამაზია თუ არა ყვავილი ან მცენარე – თუ ჯერ არ შემხვედრია, ჩემს თაიგულს ვუმატებ. მე რომ მკითხოს კაცმა, ულამაზო მათში ერთიც არ ურევია – ყველა თავისებურია, განსხვავებული და ესეც კმარა.

ისევ მებღაუჭებიან ბუჩქთა ტოტები, მეღობებიან, არ მიშვებენ.. გზაზე გამოვედი. პიჯაკის შეკრულ ღილზე ფოთოლია ჩამოცმული – ტყემ თავისი ორდენით დამაჯილდოვა! და მეპატიჟება – სხვა დროსაც მოგვინახულეო. მაშინ უფრო კარგად დაგხვდები, გაგიმასპინძლდები ტყემლით, სოკოთი, ასკილით, შინდით, მაჟალოთი, მაყვლითო...

მოვალ, ბევრჯერ მოვალ კიდევ, მით უმეტეს, რომ ჯილდოდ აქ გატარებული დრო და მერე მისი მოგონებაც მეყოფა.

1976

ზაფხულის დღე გურიაში

საღამოსპირს გეოლოგები თითქმის გაუვალ ბუჩქნარში მოვხვდით, განსაკუთრებით აკაციის ნაყარმა და მაყვლის ბარდებმა გააჭირა საქმე. წელში მოხრილები, პატარა, მუხლებამდე მდინარეში მივტოპავთ. ეს ერთადერთი გამოსავალია, თუმცა აქაც ძლივს მივიკვლევთ გზას: ფეხები გვეფლობა რბილ ფსკერში, ყოველ წუთს ვნატრობთ, ნეტა ერთი წალდი გვქონდესო. გინახავთ ოდესმე ასეთი ჯაგები? მზის სხივები ვერ ატანს ჩვენამდე – მდინარე მთლიანად გადმოხურულია მის ციცაბო თიხნარ ნაპირებზე ამოსული აკაციისა და თხმელის ტოტებით. მათში ჩახლართული მაყვლისა და კურკანტელის მჩხვლეტავი ხელები გვეპოტინებიან, გვიკაწრავენ ტანს, გვახევენ ტანსაცმელს; ალაგ-ალაგ გამორეული მაღალი ჭინჭარი გვისუსხავს ხელებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ დღეს ცხელი ამინდია: აქ ბინდია, გრილა, დამპალი ფოთლებისა და სინესტის სუნია.

ერთ ადგილას ნაპირის ფლატეზე თიხების ძირითადი გაშიშვლება გამოჩნდა. ყველანი ურტყამენ ჩაქუჩებს და მუქ ნაცრისფერ თიხაში ჩართულ თეთრ ნიჟარებს – მოლუსკების ნამარხ ფაუნას – აგროვებენ; მე კი კომბლის მსგავსი ხის ტოტი ვიპოვე და ვცელავ კი არა, პირდაპირ ვჩეხავ მწვანე, ეკლებიან კედელს, რომ შემდგომი გასასვლელი გავაკეთო. ასე გავიარე ოცდაათიოდე მეტრი ზანტად მიმდინარე წყალში და, როგორც იქნა, სუფთა ადგილზე გამოვძვერი, გაოფლიანებული.

მზის კაშკაშა სინათლეზე ბრწყინავს ყველაფერი. მდინარე კარგა ხანს სიმინდის ყანაში მიიკლაკნება, შემდეგ კი ისევ იწყება აკაციის ხშირი ნაყარი. წყალს ღრმად ჩაუჭრია თიხნარი და ყანა რამდენიმე მეტრით უფრო მაღლაა. ვხედავ: იქვე ხუთი-ექვსი წლის შავგვრემანი ბიჭი ზის ნიფხვის ამარა ერთადერთ ქვაზე. უკმაყოფილო მზერა მომაპყრო. ალბათ არ ესიამოვნა, რომ წყალი ავუმღვრიე და თევზი დავუფრთხე. ანკესი ამოსწია წყლიდან და ადგილი მოუნაცვლა. როცა გვერდზე გავუარე, იქვე მიდგმულ პატარა ვედროში ჩავიხედე. შიგ წყლის მეტი არაფერი იყო. გამეღიმა.

თიხის ციცაბო ნაპირი ავიარე და მუხლებამდე სიმინდებში ბილიკს გავუყევი. ფეხსაცმელებში წყალი ჭყლაპუნობდა. ერთ ადგილას წყარო მეგულებოდა მწვანე გორაკის ფერდობზე. სიამოვნებით დავეწაფე ცივ ანკარა წყალს. შემდეგ ცოტა მოშორებით სველი შარვალი და ფეხსაცმელი გავიხადე და მზეზე გავფინე გასაშრობად.

გურია!..

ვზივარ რცხილის ჩეროში და გავცქერი მწვანეში ჩაფლულ გორაკებს. ერთი გორაკი, მის იქით – მეორე, შემდეგ – მესამე, მეოთხე... ორსართულიანი ოდები ისეა დაბურული ხეხილით, რომ სანახევროდაც არ მოჩანან; მხოლოდ ალაგ-ალაგ წითელი კრამიტის თბილი ფერი გამოანათებს. და ძალაუნებურად წარმოიდგენ: აი, თუნდაც იმ ეზოს ღობის ძირში კრუხი ჩიჩქნის მიწას და გარშემო წიწილები ახვევია; ნაცარა მსხლის ქვეშ მწვანე კოინდარზე მურია წამოწოლილა და მზეზე თვლემს; სამზადიდან კი მოლურჯო ბოლი ამოდის – თავწაკრული მოხუცი ქალი მჭადს მარდად აკრავს კეცზე... სახლების უმეტესობაში კი ახლა არავინაა – დიდ-პატარა სამუშაოდ არის გაკრეფილი. რამდენჯერ მოგვიხდა ისეთ ეზოზე გადავლა, სადაც უჩვეულო სიჩუმე იყო; მთელი სოფელი მიტოვებული გეგონებოდა. უკაცური ოდების კარი ფართოდ არის გაღებული, რომ ნიავმა დაურბინოს ოთახებს. ძაღლებიც კი არსად ჩანან, შინ არ ჩერდებიან, ყანებსა თუ პლანტაციებში წასულ პატრონებს აედევნებიან.

სადღაც მამლები ყივიან (კარგი დრო კი იშოვეს!); ჩემს თავს ზემოთ, რცხილის ტოტებში, ჩიტები კრიმანჭულობენ; დასავლეთით გადახრილი მზე აბრეშუმის სხივებს აბამს წყნარად გარინდებულ მიდამოზე... რა სჯობს, როცა, დილიდან საღამომდე ხეტიალით დაღლილი, მიუჯდები ხეს ძირში და უყურებ ამ გორაკებს და ვერაფრით მიმხვდარხარ, სად თავდება ერთი სოფელი და სად იწყება მეორე... გორაკებს შორის პატარ-პატარა მდინარეები მიიკვლევენ გზას, ერთმანეთს უერთდებიან, მერე კი ინთქმებიან ან სუფსაში, ან ნატანებში...

პატარა მდინარე, საიდანაც მე ამოვედი, აქედან არ ჩანს – ღრმად აქვს კალაპოტი ჩაჭრილი თიხნარში და ამიტომ სიმინდის ყანა ჩემთვის უწყვეტი, მთლიანია. ყანის იქით, კაკლის ხის ქვეშ, ცისფერ ავტომანქანა "ვოლგას" ვხედავ. არცთუ ურიგო იქნებოდა, დაღლილ-დაქანცულებს ამ მანქანით ჩვენს ბაზამდე მისვლა რომ შეგვეძლოს...

ხის გრილ ტანს მივეყრდნე და თვალები დავხუჭე. ისეთი სიწყნარეა ირგვლივ, ჩიტების ჭიკჭიკი ხმამაღალი მეჩვენება. დღეს ისე დავიღალე, ძალიან ვცდილობ, არ წამთვლიმოს.

– დედა, დედა!.. მამა!.. – მესმის უცებ ბავშვის ძახილი. – ჩქარა, ჩქარა!

ისეთი დაძაბული ხმით ყვიროდა, რომ უცებ წამოვვარდი ზეზე. ნეტა რა მოუვიდა? ჩაუცმელი, სირბილით თავქვე დავეშვი მდინარისკენ. მივრბივარ სიმინდის ყანაში და ვხედავ: ცისფერი "ვოლგიდან" ქალი და კაცი გამოვარდნენ. მდინარის მაღალ ნაპირებს თითქმის ერთდროულად მივადექით გაღმა-გამოღმა. ისინი ერთ წამს შეჩერდნენ და შემდეგ თითქმის ჩაგორდნენ ციცაბო ფერდზე ზედ წყალთან. მე მაღლა დავრჩი.

– დედა, დედა, ნახე, თევზი დავიჭირე! – გაბრწყინებული თვალებით წამოდგა ზეზე პატარა ბიჭი და ხელისგულზე დადებული თითისტოლა ვერცხლისფერი თევზი გაუწოდა, რომელიც ჯერ კიდევ ატოკებდა ტანს... საკუთარი ხელით დაჭერილი პირველი თევზი მის ცხოვრებაში!

ბიჭის ბედნიერ შავ თვალებს გარდა გარშემო ვეღარაფერს ვამჩნევდი. გამეღიმა.

– ამიტომ დაგვაწიოკე, შე მამაძაღლო?! – შვებით ამოისუნთქა მაისურიანმა მამაკაცმა. – მეგონა, დაიხრჩე ან უარესი დაგემართა...

ზონზროხა სქელი ქალი კი უსიტყვოდ მივარდა ბავშვს, პატარა თევზი ხელიდან გამოღლიტა და გვერდზე მოისროლა, შემდეგ სწრაფად შეატრიალა შვილი და მოსცხო საჯდომზე. ბიჭი ჯერ დაბნეული იყურებოდა, ვერ გაეგო, რა მოხდა, შემდეგ კი... გულამოსკვნით ატირდა.

– ამ მდინარეში რა უნდა მოსვლოდა, კოჭებამდე წყალია. ჯერ ბაღანაა და... – ვეღარ დავამთავრე. აზლუქუნებულ ბავშვს ვერ ვუყურებდი.

– მიტყეპვა მაინც მოუხდება. მაიმუნმა რა ძილი დამიფრთხო!..

მამაკაცი დაიხარა, მსხვილ კისერზე და ბანჯგვლიან მკლავებზე ხმაურით შეისხა წყალი. მოსული ტანის კაცი იყო, წყლისკენ დახრას დიდი მუცელი უძნელებდა, უხეში სახე აგურისფერი გაუხდა. ბავშვს სრულებით აღარ აქცევდა ყურადღებას.

ქალმა ბრაზით შემომხედა, დაავლო ხელი შვილს და მანქანისკენ სწრაფად წაიყვანა. მტირალ ბიჭს თითქმის ძალად მიათრევდა, მსხვილი ფეხებით უხეშად თელავდა სიმინდის ნაზარდებს. მამაკაცმა ცხვირსახოცით აუჩქარებლად შეიმშრალა სახე და მათ ფლეგმატურად უკან გამოედევნა.

ამ დროს წყლის ჭყაპუნი მომესმა – ჩემი ამხანაგები იყვნენ.

– რა მოხდა? – იკითხა ლადომ, – თითქოს ვიღაცა ყვიროდა, ა?

– არაფერია, პატარა ბიჭმა თევზი დაიჭირა, – ვუპასუხე და ზურგჩანთა ჩამოვართვი. არ ვიყავი ლაპარაკის ხასიათზე.

ყველანი ბილიკს გავუყევით წყაროსკენ. ნელა მივდიოდი ძეწკვის ბოლოში და ბიჭზე ვფიქრობდი. პირველი თევზი... რამდენ ხანს დაამახსოვრდება ეს მოვლენა! შესაძლოა, მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც... ეს თიხნარში ჩაჭრილი პატარა მდინარე, წყალში მოულოდნელად ატოკებული ანკესი... ან იქნებ სულ სხვა რამ ჩარჩეს მეხსიერებაში? ადვილი შესაძლებელია. პატარა ადამიანის გული ხომ ისეთი მგრძნობიარეა... და მაშინვე მამალოს ამბავი გამახსენდა, ჩემი მამალოსი.

ოთხი თუ ხუთი წლის ვიქნებოდი. სოფლიდან ჩამოსულმა დეიდამ საოცრად დიდი და ლამაზი მამალი ჩამოიყვანა.

– საგანგებოდ შენს სახელზე გავზარდე, – მითხრა მან და თავზე მაკოცა. – ე, ბიჭო, მთლად ნუკი დაახრჩობ!

გახარებულმა, წითელ-ოქროსფერი ფრინველი ისე ჩავიკარი მკერდში, რომ საწყალი მამალი აფართხალდა, მთელი ძალით ცდილობდა, განთავისუფლებულიყო...

იმ დღიდან აღარ ვიშორებდი: დავივიწყე ყველა სათამაშო, ბურთი და საყვარელი სამთვლიანი ველოსიპედიც კი. მე ხომ ცოცხალი არსება მყავდა, რომელზედაც შემეძლო, მეზრუნა, რომელსაც შემეძლო, მოვფერებოდი... მამალიც თითქოს გრძნობდა ჩემს სიყვარულს, შემეჩვია, სულ კუდში დამდევდა – სახლშიც, ეზოშიც. ჩემი ხელიდან უშიშრად კენკავდა პურის ნაფხვენს და არ იძროდა ადგილიდან, როცა სრიალა აბრეშუმის ზურგზე ხელს გადავუსვამდი. "მამალო, მამალო!" – დავუძახებდი და ისიც ჩემკენ მოატრიალებდა წითელბიბილოიან თავს. ბიბილო კი დიდი, ლამაზი ჰქონდა, ქრიზანთემას უგავდა.

ერთხელაც სადღაც წამიყვანეს სტუმრად. როდესაც შინ დავბრუნდით, უპირველესად ჩემი მამალო ვიკითხე. დამამშვიდეს, უკვე სძინავსო, მაგრამ გული მაინც ცუდს მიგრძნობდა. დავსხედით საგახშმოდ და მაშინვე შევამჩნიე დიდ საინზე მოხარშული ფრინველის ნაწილები... "მამალო, ჩემი მამალო!" – მწარედ ავტირდი. ვერაფრით დამაწყნარეს. "ეს შენი მამალო არ არის, რა გატირებს?" – ჯერ ასე სცადეს ჩემი დამშვიდება, მერე წამოსცდათ, სხვას, უფრო კარგს გიყიდითო... ამის გაგონებაზე მთლად გადავფიჩინდი ტირილით – ჩემთვის მთელ ქვეყანაზე უკეთესი მამალო არ არსებობდა...

მას შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა. რატომღაც ბავშვობიდან ძალიან ცოტა რამ მახსოვს და ხშირად უკვირთ ხოლმე, როცა ამას ვამბობ; მაგრამ საყვარელი მამალოს ამბავი დღესაც თვალწინ მიდგას...

წყაროსთან მივედით. სანამ დანარჩენები ხელ-პირს იბანდნენ, მე ისევ გორაკებს გავხედე.

მზე კიდევ უფრო გადაიხარა. არ მინდოდა, მეფიქრა პატარა მებადურის უშნოდ ჩასუქებულ მშობლებზე, რომელთაც, ჩემი წარმოდგენით, კარგად გამოძღომასა და შემდეგ ტკბილ ძილს არაფერი ერჩივნათ ამ ქვეყნიერებაზე. ვფიქრობდი იმ ადამიანებზე, რომლებიც სწორედ ამ დროს ბრუნდებოდნენ შინ სიმინდის ყანებისა თუ ჩაის პლანტაციებიდან – მიუყვებოდნენ უთვალავ შარაგზებსა თუ შუკებს ხმამაღალი საუბრით, სიცილით და ზოგან სიმღერითაც...

“მასპინძელსა მხიარულსა
ჰყავს სტუმრები სასურველი...”

სწორედ ამ შარაგზებზე ხშირად გვებნევა გზა გეოლოგებს, რადგან ერთმანეთზე გადაბმული მწვანე გორაკები ისე ჰგავს ერთიმეორეს, იმდენი გზა იკლაკნება, იტოტება, ურთიერთ იკვეთება, რომ სულ ადვილია, ორიენტაციის დაკარგვა. მაგრამ საშიში არაფერია: ნებისმიერ ეზოში რომ შეხვიდე, დაგაკვალიანებენ, თუმცა ძალიან მეეჭვება, რომ შინისკენ მაშინვე გაეშუროთ, რადგან ყოველ ეზოში სტუმარს მონატრებული მასპინძელია ჩასაფრებული – ხუმარა, კეთილი და გულღია...

1964

სოფელი

ზაფხულში არდადეგებზე მეწიეთში ჩავდივარ – ჩოხატაურის რაიონის პატარა სოფელში, ხიდისთავს ზემოთ; იქ მელიან დეიდაჩემი პასიკო და დეიდაშვილი ჟორა.

მწვანეში ჩაფლული დიდი, დაფერდებული ეზოს კიდეზე გათლილი ქვის ბიჯგებზე წამოყუნცულა ჩამუქებული ერთსართულიანი წაბლის ხის სახლი – წითელი კრამიტის სახურავით, ფართო აივნით... მხოლოდ ორი ოთახია: ერთი – დიდი, ზალა, იგივე – საწოლი ოთახიც; მეორე – მომცრო, დახრილჭერიანი; ბუხრის გამურულ შავ პირში წვიმიან ამინდში ცეცხლის ენა ტარტალებს და რაღაცას ჰყვება – სიზმრისა თუ ზღაპრის მსგავსს...

იატაკქვეშ – საიდუმლო სამყარო: სამუშაო იარაღები: თოხი, ბარი, წალდი, ნაჯახი, ურო, ძალაყინი, წერაქვი; ჩაქუჩი, გაზი, ლურსმნები... ათასგვარი ხარახურა: ძველი ტანსაცმელი, გაცვეთილი ფეხსაცმელი... მყუდრო ადგილებში ჩუმად, “პარტიზანულად”, დედლები დებენ კვერცხებს და ყოველდღე, მოკუნტული, დავფორთხავ – დეიდის დავალებით ვეძებ მათ...

სახლის ქვედა მხარეს ბევრად მაღალი ბიჯგებია, აქ ძროხა აბია ღამით და ზოგჯერ, თუ ძილი გამიკრთა, მესმის მისი ფშვინვა და ცოხნა; იქვეა ხბოც მიბმული, მოშორებით, რომ ძუძუ არ გამოსწოვოს – ალერსიანი, რაღაცით სამუდამოდ გაკვირვებული, მშვენიერი, ჩაფიქრებული თვალებით. დილით, სანამ დეიდა ძროხას წველის, ბოჩოლა ბაწარს სიმივით ჭიმავს და ზოგჯერ ხელიდან გამისხლტება კიდეც – მივარდება დედის ცურს და დეიდას ვედროს წააქცევს...

ოდის უკან, ღობესთან – სამზადი: ხის გამჭვარტლული კედლები, შუაცეცხლი, გაშავებულ ჯაჭვზე ჩამოკიდებული კარდალა, ტაბლა, სამფეხა სკამები – “ჯორკოები”... მარად ღია კარში თავშემოყოფილი მურია, კუდს რომ აქიცინებს, მოუთმენლობით შეპყრობილი; ნასროლ ცხელი ჭადის ნატეხს ჰაერშივე იჭერს და დაუღეჭავად გადასანსლავს...

სამზადის გვერდზე, მაღლა – მოღობილი წნელის საქათმე; საღამოსპირს ქათმები ადიან ხის ტანისგან გამოთლილი ვიწრო კიბით, მაგრამ ზოგი ამჯობინებს დასაბუდებლად დიდ ლეღვზე გასვლას, რომელსაც არასდროს მოუსხამს ნაყოფი, ყოველ შემთხვევაში, მე იგი არ მიგემნია.

სახლის წინ, ეზოში – კოინდარი; ზუზუნებენ ფუტკრები, დაფარფატებენ პეპლები; აივნის კუთხესთან – თხმელა, ზედ გასული “ადესათი”; მოშორებით – მსხლის დიდი ხე სხვადასხვა ჯიშის ნამყენებით, სულ წვერზე – მწვანე და ქვასავით მაგარი “ხეჭეჭური” – “კვიჭიჭე”...

გზა ჭიშკრისკენ: მარცხნივ – დაფერდებული სიმინდის ყანა, ყანაში აქა-იქ – თხმელები, ზოგნი – შემოსალტულნი “იზაბელათი” – ”ადესით”, როგორც ტარიელი ვეფხვის ტყავით, ზოგნი – გადაბელილნი ლობიოს სარების დასამზადებლად; ღობის გასწვრივ – წვრილნაყოფა ხურმები... ხის ჭიშკართან – კვიპაროზები, ოდნავ ქვევით, გვერდზე – ოთხ მაღალ ბოძზე შემდგარი ნალია დგას, სიმინდის სასიამოვნო სურნელი ტრიალებს; ნალიის ქვეშ – მარანი: თიხით საგულდაგულოდ თავდაგოზილი ქვევრები, ზევიდან თეთრი ქვები ადევთ...

ჭიშკარს გადაღმა – აღმართიანი შარაგზა, მანქანებისთვის გაუვალი ტალახიანობის ჟამს... მარცხნივ – ეს მიხვეულ-მოხვეული შარაგზა ქვევით მიექანება, ხიდისთავისკენ, მარჯვნივ – მეწიეთის ზედა უბნისკენ, სადაც უნაგირია: რუხ-ყვითელი ეწერი მიწა და გვიმრის შემოსევა; აქაა “ჯვარი” (ალბათ წინათ აქ საყდარი იდგა) და “კლასი” (დაწყებითი სკოლის პატარა ფიცრული შენობა)... უნაგირზე გზა იყოფა: ერთი ტოტი მაღლა-მაღლა მიდის, მეორე – ნელ-ნელა ქვევით ეშვება; ფერდობებზე – ტუნგოს ხეები...

გრძელი გზა წისქვილისკენ, მდინარე კალაშა, სოფლიდან გამორიდებული ერთი მოსახლე – სულ მიკვირდა, ეს ოჯახი აქ მარტო როგორ ძლებს-მეთქი...

მაღლა აზიდული ტყიანი გურიის მთები – ძალიან შორეული რომ მეჩვენებოდა; რამდენჯერ წავსულვართ ტყეში ლობიოს სარებისთვის ჟორა, მე და ჟორას ძმაკაცი – მაღალი, გამხდარი, ქერა ყმაწვილი, სულ რომ პაპიროსი ჰქონდა გარჭობილი პირში; ცალი ფეხი თითქმის გამხმარი ჰქონდა, კოჭლობით მიათრევდა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ჩვენზე არანაკლებ ყოჩაღად მიძვრებოდა დაკიდებულ ტყიან ფერდობზე, ქვეტყედ რომ თითქმის გაუვალი მაყვალი, კურკანტელი და ათასი სხვა მჩხვლეტავ-მსუსხავი ბუჩქნარ-ბალახეული ჰქონდა... მერე ჭაპანწყვეტით ჩამოგვქონდა შეკრული სარები ამ უბედურ ფერდობზე ქვევით... შინ ძლივსძლივობით მისულს, მხარი გადაღლეტილი მქონდა და მერე რამდენიმე დღე ხელ-ფეხის კუნთები მტკიოდა...

ჭიშკარს გადაღმა, როგორც ვთქვი, შარაგზაა, მერე – ციცაბო ფერდობი, ამ დატერასებულ ფერდობზე ჟორას ვენახი აქვს გაშენებული – ცოლიკოური. ტერასის კედლებზე – მარწყვი, ახლა, ზაფხულში, უკვე მოლეული. მძიმე შრომა – შესაწამლი აპარატის თრევა. მე ბოჩოლასთვის ვაგროვებ ვაზის ლერწებს, ჟორჟიკა წალდით სხეპს მესერზე გადმოწოლილ, გალაღებულ აკაციის ტოტებს – ისინი ძროხას. უფრო მაღლა, ვენახის გაყოლებაზე, ხურმებია ჩარიგებული, მერე მესერი, გადაღმა – ისევ ხურმები, უკვე სასაფლაოსი; იქით გადახედვა არ მიყვარდა... შუადღეზე – უგემრიელესი სამხარი: წაბლის ფოთლებში გამომცხვარი სურნელოვანი კეცის ჭადი და ჭყინტი ყველი, ხელადით – ცივი წყაროს წყალი...

ტოროლას წყაროზე წყლის მოსატანად წასვლა დიდი, მძიმე, მუცელგაბერილი ჩაფით...

სიმინდის თოხნა თუ გამარგვლა – სიცხე, ოფლი თვალებს გწვავს, იქნევ თოხს და შიშველ ფეხებზე გეყრება გრილი მიწა...

მეზობლად, ზემოთა ეზოში, დეიდა დომნასთან, ასვლა: დიდი მსხლის ხე უდგათ – გულაბი; დახუნძლულ ტოტებს ბავშვები ვესვრით ქვებს, ჯოხებს; ერთ-ერთი ყოჩაღი ბიჭი აძვრება ხეზე, არხევს ტოტებს; სეტყვასავით ზრიალით მოსკდება მსხალი; დავესევით დიდ-პატარა; ღორები ჩვენზე ცქვიტებია – მარდად, გამალებით თქვლეფენ რბილ, ტკბილ, უმეტესად დამსკდარ ნაყოფებს; მივდენით, ვუქშევთ, ვურტყამთ ჯოხს, ფეხსაც – სულ ამაოდ; ზოგჯერ თუ წაიკივლებს ღორი, თუ გამეტებით მოვცხეთ...

სოფლური წარმოდგენა: ერთი ქვრივი ქალის ნახევრადდამწვარ სახლში სცენისმოყვარეთა დადგმა (ჩვენ-ჩვენი სკამები მოვიტანეთ სახლიდან); საოცარი მხიარულება "დარბაზში" ნაცნობ-მეგობართა სცენაზე თამაშის დროს; შუა წარმოდგენისას უცებ რაღაცამ იხუვლა: იატაკი ჩაინგრა და რაც გადარჩენილი კედლები იყო, თან წაიყოლა – შიშნაჭამი ხალხი აქეთ-იქით გარბის; თავს შველიან, თან ოხუნჯობენ – დასცინიან სხვებსაც და უფრო კი – საკუთარ თავს...

ბიჭებთან ერთად ბანაობა კალაშაზე – წისქვილს ზევით, დიდ მორევში; ნელ-ნელა თვითონ ვისწავლე ჯერ წყალზე გაჩერება, მერე ცურვაც – ბაყაყური...

საფქვავზე წასვლა: წისქვილის გაბმული ღრიტინი და მდინარის დუდუნი, ხეობის აქეთ-იქით აყუდებული მთების მდუმარე სიდიადე, ნელი შემოღამება, უკან მოდიხარ და წამოპარულ სიგრილეს გიქარწყლებს ზურგზე მოგდებული ტომრის სითბო...

წყნარი საღამოები ვეშაპოურაზე – კლდის მოსწორებულ, ბალახოვან თავზე: სიმღერა, ცეკვა-თამაში, ბანქო, დამალობანა... მერე – ციცინათელების ციალი ღვინისფერ ღამეში...

1976

P. S. სამი ათეული წლის წინ დაწყებული და დაუმთავრებელი ჩანახატი-მოგონება შემთხვევით აღმოვაჩინე ძველ ჩანაწერებში; ახლა ამ ფურცლებზე მივუჩინე ბინა – საოცრად მსიამოვნებს წარსულის გახსენება...

2004

ჩვეულებრივი დღის დღესასწაული

გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილს

ჩემმა მეგობარმა, მხატვარმა და მწერალმა, გოგიმ რუსულად თარგმნილი პროზის მოზრდილი კრებული – "მხატვარი" – გამოუშვა, რომელიც, სატელეფონო საუბრის შემდეგ, საჩუქრად შინ მომიტანა, – ვარკეთილის დასახლებაში ავტომანქანით მეწვია. სანაცვლოდ ჩემი ახალი რომანი-გროტესკა "გვირაბი" მივართვი.

– მომილოცავს, გოგი, ახალი მანქანა შეგიძენია, მშვიდობაში!

– იცოცხლე! კარგი მანქანაა – "ფოლკსვაგენ-გოლფი"; აბა, თუნდაც სალონს თუ შეატყობ, რომ ათზე მეტი წლის ხნისაა. საით გავისეირნოთ?

ოქტომბრის მიწურულია, თბილისში ხე-ბუჩქები სადღესასწაულო წითელ-ყვითელ კაბებში გამოეწყვნენ, ქალაქგარეთ ხომ გარემო სულ მთლად მომაჯადოებელი ფერებით იქნება მორთულ-მოკაზმული.

– საითაც გინდა: აღმოსავლეთით – მარტყოფის მონასტრისკენ, იქ ზღაპრული ტყე დაგვხვდება, დასავლეთით – მცხეთის სანახებში რამდენი უმშვენიერესი ადგილია! ჯვარი, ზედაზენი, არმაზი, შიომღვიმე, ზევითაც – არაგვის ხეობაში... გლდანთან – მამკოდა...

– თბილისის შემოგარენში ყველგან ხარ ნამყოფი?

– ყველგან და მრავალგზის... მხოლოდ ბეთანია არ მინახავს. ერთხელ, სამი ათეული წლის წინ, წავედით და მონასტრამდე ვერ მივაღწიეთ, გზა დაგვებნა.

– მივდივართ ბეთანიაში!..

გავცდით ვაკეს, ბაგებს და წყნეთის აღმართზე რბილად მივსრიალებთ. მართლაც, ბედაური მანქანაა!

ზემო წყნეთიდან კიდევ უფრო გალამაზდა გარემო – გზისპირის მოწითალო-ჟანგისფრად შეფერილი შემოდგომის ტყე და ასკილის ბუჩქნარი, ქვევით კი მოჩანს: ჯერ – წყნეთის აგარაკები, მერე, სულ ქვევით, ქვაბულში – თბილისის სახლების მოზაიკა.

სამადლოდან გზა გაფუჭდა – აფართოებენ, ხრეშია დაყრილი; მერე ისევ ასფალტია. "ბეთანიის მამათა მონასტერი" – აწერია გზისპირა ფარს გადასახვევთან; ტაძრის სქემატური გამოსახულება და ისარიც ახატია – ყველაფერი უღიმღამოდ არის შესრულებული, ბეთანიის დიდებულ ტაძარს ნამდვილად არ ეკადრება. არ ეკადრება ეს ვიწრო, უხეირო გზაც, წვიმიან ამინდში ალბათ – სრულიად გაუვალი. თუმცა, ამ მშვენიერ ამინდშიც მანქანით ვერ მივაღწიეთ ტაძრამდე, სულ ახლოს კი ვიყავით მიზანთან...

ნახშირგორა, მსხალდიდი, ნაფეტვრები, – მდინარე ვერეს ხეობის გაღმა, მარცხენა კალთაზე, – რომელიც უხვად დაღარულა ხევხუვებით, ალაგ-ალაგ შემოსილა ბუჩქნარით და მცირე კორომებით. ხეობის აქეთა მხარე კი ბევრად უსწორმასწოროა და დასახსრული: ღრმა ხევები, ციცაბო, შიშველი ფლატეები, და ოდნავ დამრეც ადგილებში – აგარაკები, აგარაკები... მცირე ნაწილი ახლაც გამოიყენება, უმეტესობა – მშენებლობით დაწყებული და სავსებით დამთავრებულიც – მიტოვებული და გაპარტახებულია, ეზოებში ხეხილის კვალიც კი არ ჩანს, ცხადია, აღარც მესრები და ღობეები შერჩენიათ – საქონელი თავისუფლად დათარეშობს...

სანამ გზა ხეობის ძირისკენ მკვეთრად დაიწყებდა დაშვებას, ერთი ფლატის თავზე მანქანიდან გადმოვედით, ჩამოვსხედით აქა-იქ გამხმარი ბალახით დაფარულ კლდოვან გამონაშვერზე. მოშივებულებმა, ცელოფანის პარკიდან გამოვიღეთ და მივირთვით ჯერ ქალბატონ ლეილას მიერ გოგისთვის გამოტანებული გემრიელი კატლეტები და შემდეგ – ქალბატონ ლიას ხელით სულ ერთი საათის წინ გამომცხვარი, ჯერ კიდევ თბილი ხაჭაპურები...

კუჭზე მეტი სიამე კი თვალებს ერგოთ!

დასავლეთით საკმაოდ გადახრილი მზე – პირდაპირ თვალებში შემოგვცქერის – თბილია, მხურვალებას მოკლებული, აღარც – ზაფხულივით თვალებბრიალა... აფერადებს ჩვენს წინ გადაშლილ დიდებულ სურათს; რა ძალამ დასახსრა ასე უბედურად ეს რელიეფი, კაცი რომ ვერ გაივლის! იმდენად ლამაზია თავისი ველური ხასიათით, რომ აქ, ამ ფლატის თავზე, ჯდომა მთელი დღე არ მოგწყინდება! დაღარულ ხევხუვების ფსკერს თვალით თუ ჩასწვდები, თორემ, მაგალითად, აქედან ქვევით ჩასვლა ალბათ მხოლოდ ალპინისტს თუ ხელეწიფება... აგერ, ჩვენს ხელმარჯვნივ, ქვევით მიექანება დანის პირივით წამახული, უსწორმასწორო კლდოვანი ფხა და მხოლოდ ამ ხრიოკ გამონაშვერზე ჯიუტად მოუკიდებია ფეხი სიცოცხლის ჟინით ფესვგადგმულ იშვიათ ბუჩქნარს თუ ბალახებს: ხასხასა მწვანე ღვიას, ჟანგისფერ ჯაგრცხილას, ერთიანად ეკლებით შეჯავშნულ, უკარება ბალახს თუ დაბალ ბუჩქს – ნეტა რა ჰქვია?.. სადღაც ძალიან ქვევით კოცონივით ბრდღვიალებს სისხლისფერი ლაქა – ალბათ თრიმლის ბუჩქია... ვნანობ, რომ არ შემიძლია ჩავიხატო ეს მშვენიე-

რება, გრაფიკულად გამოკვეთილი და ფერწერულად მდიდარი – ნამდვილ მხატვრად კი არ მომაქვს თავი (გოგის, დიდი მხატვრის, გვერდით ამას ფიქრადაც ვერ გავივლებ!), დიდ სიამოვნებას მგვრის ფორმებისა და ფერების ამ ფანტაზიურ სიმდიდრეში მზერით მოგზაურობა, შემოდგომურად სევდიანად და იმავდროულად საზეიმოდ ამღერებული გარემოთი ტკბობა...

დიდხანს შევყურებთ: ხელმარცხნივ, შედარებით დამრეც ფერდზე, სასწაულებრივად ამოზრდილა შავტანიანი, ფოთლებშეყვითლებული მუხა; თუმცა არც ისე მაღალია, კარგა ხნის იქნება – აქ ხეები მეტად ნელა იზრდებიან, თუკი საერთოდ გაუძლეს ზაფხულობით უწყლობასა და სიცხეს.

რა სიწყნარეა!

მშვენიერი საღამო მობრძანდება. ჟანგისფერ-ოქროსფრად შეფერილი ტყით დაფარული გორაკთა ზურგები ხავერდოვნად გადაედინებიან, ჰაერი ისეთი ნაზია, ვერც სიცხეს გრძნობ, ვერც სიცივეს – თითქოს არც არსებობს!

ვსხედვართ ფლატის პირად, ვილუკმებით, აღმა გავცქერით ვერეს შემოდგომურად მორთულ ხეობას. გოგი ხუმრობს:

– რას გერჩოდი ამ პატიოსან კაცს? იჯექი შინ გემრიელად, რომანს წერდი და მე კი უცებ შუა ტყეში გიკარი თავი – მგელი რომ გამოვარდეს ახლა და შეგვახრამუნოს!..

ვსაუბრობთ მხატვრობაზე, გოგის საზღვარგარეთ ყოფნისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე; მრავალ ქვეყანაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა, ბევრი ლამაზი ადგილი უნახავს, მაგრამ მშობლიური ქვეყნის მხარეთა ხილვა მაინც სულ სხვა გრძნობებს ბადებს...როგორი შთამბეჭდავია, თუნდაც ჩვენგან აღმოსავლეთით რომ მოჩანს ვერეს შენაკადი ერთ-ერთი მარჯვენა ხევის მიერ ჩამოჭრილი უზარმაზარი შიშველი კლდე; ქანთა შრეებით დახაზული თითქმის შვეული ნაცრისფერი კედელი გადაჭიმულა – ნამდვილად ღირდა ქალაქიდან აქ მოსვლა თუნდაც მხოლოდ ამ დიდებულების სანახავად!

მერე გავწიეთ ვერეს ხეობის ძირისკენ – ბეთანიის ტაძრისკენ. მალე კლდოვანი, უხეშად დაღარული, ციცაბოდ დაქანებული გზა იმდენად უვარგისი გახდა, რომ ჩვენი მანქანა იქამდე ვერ ჩააღწევდა. ორასიოდე მეტრი მაინც ჩავიარეთ ფეხით, სანამ დავინახავდით ქვევით ბეთანიის ტაძრის გუმბათს რცხილისა და მუხის ნათელი ტყის ხეთა ტანებს შორის. ფეხით ბოლომდე ჩასვლას ვერ მოვასწრებდით – მალე დაბნელებას დაიწყებდა – და უკან გამოვბრუნდით...

გული მაინც არ დაგვწყდა, რომ ქალაქიდან ამოდენა გზა ტყუილად გამოვიარეთ: რამდენიმე საათით ხომ მაინც გამოვეთიშეთ ყოველდღიურობის ტკივილიან ფიქრებს, ბუნების სილამაზის მომნუსხველმა ძალამ ჩვენს გაუხეშებულ, დარდიან სულებში სირბილე და სიამე დაავანა – დროებით მაინც.

არე-მიდამოს ღამის შავი ფარდა ეფინება – დღევანდელი წარმოდგენა დამთავრებულიაო...

მაგრამ – არა!

თბილისისკენ მეორე, კოჯრის გზით წამოვედით, უკვე ჩამობნელდა და, მთავარ გზაზე გამოსულებმა, ჯადოსნური სურათი ვიხილეთ – ამ დღის კიდევ ერთი ჯილდო: ჩამუქებული, იდუმალი ტყით შემოსილ უძოს მთის წვერზე წამოსკუპებული ვერცხლის ბურთი – სავსე მთვარე, თანაც შუაში ცისფერი თარაზული ზოლით ორად გაჭრილი... მთვარეს სარტყელი შემოურტყამს – კეკლუცობს!

ქვევით, მტკვრის ხეობაში გაჭიმული თბილისის სინათლეების ზღვა ციმციმებს, სასწაულებრივად მომხიბვლელად ჩანს მდოვრედ მიმოხვეული ცეცხლოვანი ძეწკვი – აეროპორტისკენ მიმავალი კახეთის გაჩირაღდნებული გზატკეცილი – ოქროს ყელსაბამი...

2004 წლის 30 ოქტომბერი

შავნაბადა, საღამო...

შუა იანვრის შუადღეა, მშვენიერი მზიანი ამინდია.

გოგის ერთ საქმეზე დავურეკე. მითხრა, მანქანით გამოგივლიო, ნახევარ საათში ქვევით, ეზოში დამხვდი, გავისეირნოთო.

ჩავიცვი, ჩავედი.

მალე მოგრიალდა მუქი "ფოლკსვაგენი". გოგიმ თან თავისი ახალი ნაშრომიც მოიტანა: "ახალი ზელანდია – თბილისი (მხატვრის ჩანაწერები)", მითხრა – გადახედე და თუ საჭიროდ ჩათვლი, გაზეთში დასაბეჭდად მივიტანოთო.

– სამების ტაძარი ხომ არ მოვინახულოთ? – მეკითხება გოგი.

სიამოვნებით დავთანხმდი, ჯერ იქ არ ვყოფილვარ, მხოლოდ ტელევიზორში მაქვს ნანახი.

ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული ოქროსფერი ტაძარი შორიდანვე იპყრობს მზერას.

ჯერ შიგ შევედით, ინტერიერი დავათვალიერეთ. ქუდმოხდილნი ვდგავართ გუმბათის ქვეშ.

– როგორია, მოგწონს? – მეკითხება გოგი.

პასუხს ვუგვიანებ – ჯერ ყველაფერი კარგად უნდა შევიგრძნო, გავიაზრო...

– მართლა უზარმაზარია...

– საბჭოთა კავშირის ყოფილ ტერიტორიაზე ყველაზე დიდია, – ამბობს გოგი (მე მგონი, ცდება). – მოსკოვში ახალაშენებულ მაცხოვრის ტაძარზეც.

– მე რომ მკითხო, ტაძრის შუა ნაწილი უფრო განიერი უნდა ყოფილიყო და უფრო გრძელიც... – ვამბობ მე და, თავაღერებული, მზერას მიმოვატარებ. – თუ გავითვალისწინებთ ტაძრის სიმაღლეს...

გოგის ოდნავ უკვირს, რომ აღფრთოვანებას არ გამოვთქვამ.

– თავისთავად ნაგებობის გიგანტური ზომები ხშირად არ არის ასეთივე დიდი გრძნობების გამომწვევი... არის შედარებით მოკრძალებული სიდიდის ტაძრები, რომელთა ხილვით გამოწვეული შთაბეჭდილებაც დაუვიწყარია, თუნდაც – სამთავისისა. სამების ტაძრის შიგა სივრცე მხატვრულად მთლად დახვეწილი არ მეჩვენება. შენ, გოგი, მსოფლიოს უდიდესი ტაძრები გინახავს: წმინდა პეტრესი – რომში, წმინდა სოფიოსი – სტამბოლში, ნოტრ დამი – პარიზში... აი, წმინდა სოფიოს ტაძარში, მე რომ სურათები მინახავს და წამიკითხავს, გუმბათქვეშა სივრცე მართლაც უაღრესად შთამბეჭდავი უნდა იყოს, გამაოგნებელი...

– ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კოელნის ტაძარმა გერმანიაში, – ამბობს გოგი. – ეს რაღაც წარმოუდგენელი რამ არის – როგორ არის მაღლა ატყორცნილი...

ამგვარად ვსაუბრობთ, თავებს აქეთ-იქით ვატრიალებთ...

ახლა გარედანაც უნდა დავათვალიეროთ.

გოგი შესასვლელთან შეყოვნდა, სანთლებს ყიდულობს; მე არ ვუცდი, გარეთ გამოვედი.

გავიარ-გამოვიარე, ტაძარს ვაკვირდები...

– ჰო, არც გარედან მოგწონს? – მეკითხება მოახლოებული გოგი.

– არ მომწონს-მეთქი კი არ ვამბობ, მაგრამ... გიგანტურია და, ამასთანავე, ჩემი შეხედულებით, მეტისმეტად დაწვრილმანებული... დახვეწა აკლია, არ არის მკაცრად გამოკრისტალებული.

– კოელნის ტაძარიც მაქმანივით დახუჭუჭებულია.

– დიახ, მაგრამ იქ ფორმის მთლიანობა არის მიღწეული და ამიტომ იწვევს ესოდენ ემოციურ გამოძახილს. ამ ტაძარში კი, გარდა ფორმების დანაწევრებისა, ვერც გუმბათის ყელია მოყვანილი შესაბამისობაში – დაბალია ტაძრის ქვემო ნაწილთან მიმართებაში.

– ალავერდს რომ აქვს მაღალი გუმბათის ყელი...

– სწორედ ამიტომ უწოდებენ მას ალაზნის ველის გედს.

– ჰო, აქ გუმბათის ყელი ჯანიანი მოჭიდავის მსხვილ და მოკლე კისერს ჰგავს, – მეთანხმება გოგი. – ახლა ეს ტაძარი ცინცხალია, ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში სიძველის იერი გააკეთილშობილებს, როგორც ძველი ფრესკების ჩამქრალი, გამოხუნებული ფერები გვხიბლავს.

– კი, ბატონო, დრო ამ კედლებს ფერის მხრივ გააკეთილშობილებს, მაგრამ ფორმებს, მასების შეთანადებას რა ეშველება? ის ხომ არ შეიცვლება...

– ახლა საით წავიდეთ?– მეკითხება გოგი.

შორს, თაბორის ქედზე, მშვენიერ სილუეტურ ხატებად მოჩანს შავნაბადა.

– შავნაბადას მონასტერი მოვინახულოთ!

– საიდან გაგახსენდა შავნაბადა? – გაუკვირდა გოგის. – წავიდეთ!

– ჩემი სახლიდან ყოველდღე გავხედავ ხოლმე – მშვენიერი ხედია! ღამეც, როცა დენი არ გვაქვს, იქ სინათლეები მოჩანს.

საუბარში ქალაქს გავცდით და ასფალტიანი გზიდან მარჯვნივ გადავუხვიეთ – აღმართიანი გზა არც ისე კარგია, მაგრამ გავლა შეიძლება.

პატარა სოფელია, – ალბათ თელეთი, – მერე სერზე გავედით; აქეთ-იქიდან ფერდობებია – ბუჩქნარითა და ხელოვნურად გაშენებული წიწვნარით დაფარული, მცირე ხრამ-ხევებით დაღარული. აღმართში მაღლა-მაღლა მივბღუილობთ, გზა სველია, ხირხატი, ხანაც – ტალახიანი, მერე, სულ ზევით – შემორჩენილი ძველი თოვლით დაფარული. მივუხვ-მოვუხვიეთ და კლდოვან კედელთან შევჩერდით იქ მდგომი მსუბუქი მანქანის გვერდით. მოშორებით ღია ფერის მიკროავტობუსი დგას, საქარე მინას უკან თეთრი ფურცელია, აწერია: “შავნაბადას მონასტერი”.

აქედან ჯერ ქვევით გავიხედეთ – უზარმაზარი ქალაქი გიგანტური ხვლიკივით გაწოლილა მტკვრის ხეობაში; აქამდე ყრუ გუგუნად აღწევს მისი სუნთქვა. ვუყურებთ უკვე დასავლეთისკენ ჩასასვლელად გამზადებული მზის ირიბი სხივებით განათებულ მოყავისფრო-რუხ სახურავებს, გარეუბნებში – ღია ფერის დიდ საცხოვრებელ კორპუსებს; ვამჩნევთ ქუჩებში მიმდოდავ ავტომობილებსაც...

აქ კი სიმყუდროვეა, შავნაბადას მონასტერი მდუმარედ გადაჰყურებს ზემოდან ქალაქსაც, მის იქით – იალნოს ქედს, მარჯვნივ – გარე კახეთის რუხ ზეგანსაც, თაბორის ქედის დაღარულ რუხ

ფერდობებსაც, შორს – კუმისის ტბას, ლალვარის ქედს, საღამოსპირის ბლონდში გახვეულ რუსთავს...

დიახ, სიმყუდროვეა აქ, უშფოთველობა და კაეშანიც – მუქი აზიდული კლდეები, ზედ არწივივით წამომჯდარი მუქი, მცირე საყდარი და მის გარშემო მიშენებული რაღაც შენობები – აჯღაბაჯღად, ყოველგვარი ხუროთმოძღვრული გააზრების გარეშე... ყველაფერი მრუმე საღებავით დაუფარავთ, თითქოს ამის გამკეთებელს უნდოდა, ყოველგვარი სიხალისე, ამქვეყნიური სიხარული – გინდაც მხოლოდ თვალისთვის – განედევნა აქაურობიდან... სხვაგან არსად შემხვედრია ამგვარი მოჟამული გარემო, – სწორედ მონასტრის შესაფერი, – მაშინ რატომ მოუტანიათ აქ უზარმაზარი ქვევრები (ორი ათეული იქნება) და დაულაგებიათ პატარა მოსწორებულ მოედანზე? სხვა სამყაროს შესაფერი გამომწვარი თიხის თბილი წითელი ფერი!

ჩამიჩუმი არ ისმის – ვიღაც წვეროსანი, შავანაფორიანი მამაკაცები კი გამოჩნდებიან ხოლმე მოლანდებებივით და ისევ შეძვრებიან წამით გამოღებულ კარში, როგორც გამოქვაბულში; ერთგან თუნუქის მილია გამოჩრილი ვიწრო სარკმლიდან და ნაცრისფერი ბოლი ზანტად მიიზლაზნება უფერული ცისკენ... არა, ზეცა უკვე ჩამავალი მზით ნარინჯისფრად შეფერილა; საითაც გაიხედავ, ყველა მხრივ ჰორიზონტი ლოყაწითელ ატამივით თბილად ღუის; ქვევით, ქალაქში, აქა-იქ უკვე სინათლეც აუნთიათ... ქუჩებში მანქანების მოძრავი შუქები მოჩანს, ხალხი ალბათ მიმოდის, სავსეა რესტორნები (ამ გაჭირვებულ დროს!), თეატრებში სადაცაა ფარდა აიწევა (სადაც ჯერ კიდევ შემორჩა ტრადიციით!), დაწესებულებებში საქვეყნო საქმეების გარჩევას ამთავრებენ და შინ წასასვლელად ემზადებიან...

ალბათ მოკლე ხანში ათასობით ოჯახებშიც აინთება სინათლე, ჩართულია ტელევიზორები და რადიომიმღებები, უსხედან მაგიდებს და ჭამენ, სვამენ, კითხულობენ, საუბრობენ, ზოგან – ალბათ ჩხუბობენ კიდეც...

მე და გოგი გარშემო ვუვლით შავნაბადას – ეკლესიას, მასთან მიყუჟულ სათავსოებს, სენაკებს, შემდეგ კლდოვანი გზით ავდივართ ბორცვის წვერზე, ვიჭყიტებით ეკლესიის დაკეტილ კარებში... აქედან კიდევ უკეთესი გადასახედია. თუკი წმინდა მამებს განდგომა სურდათ ამქვეყნიდან, ჩაეკლათ ყოფიერების ტკბობის გრძნობა, რატომღა ირჩევდნენ გამორჩეულად ისეთ ადგილებს, საიდანაც მომხიბვლელი ხედები იშლებოდა? ერთნი ორმოში ან მღვიმეში ჰპოვებდნენ... რას? ალბათ სულიერ სიმშვიდეს, მეორენი კი ვერ ელეოდნენ მშვენიერ სახილველს – ისიც ხომ ღმერთმა შექმნა!

გოგის ვუზიარებ ამ აზრებს, თან იმასაც ვეუბნები, რომ შავნაბადას ბორცვი გეოლოგიურად წარმოადგენს ჩამქრალი ვულკანის კონუსს, საიდანაც გეოლოგიურად არც ისე შორეულ წარსულში ამოინთხეოდა ლავა და სწორედ მისი გაცივების შედეგად არის წარმოქმნილი ეს მასიური კლდე, რომელზეც არის აგებული შავნაბადას მონასტერი... ვულკანის წვერზე, თუნდაც ჩამქრალზე – ბერთა მყუდრო ნავსაყუდელი?

უშუალოდ მონასტრის მიმდებარე აღმოსავლეთ ფერდობზე ბერებს მოუსწორებიათ მცირე ადგილი, ზედ ბაღ-ბოსტანი გაუშენებიათ... მახსოვს, ერთი ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ ჩემს ყმაწვილკაცობაში აქ რამდენჯერმე ვარ ნამყოფი; მაშინ აქაურობა გატიალებული იყო, გაპარტახებული ეკლესიის შიგნით იატაკი ცხვრის დრემლათი და ფუნით იყო დაფარული... ახლა – სენაკებიც მოუწყვიათ, საყრდენი კედლების და ბევრი სხვა რაღაცის მშენებლობაც გრძელდება.

მზის ჩასვლის შემდეგ საკმაოდ აცივდა, სწრაფად ბინდდება კიდეც – საითაც გაიხედავ, შუქთა ძეწკვები გაიბა – და დროა, შავნაბადას მადლობა შევწიროთ: აქ ყოფნამ დიდი სიამე მოგვგვარა!

ნახვამდის, შავნაბადავ!

შინ მისულმა "ქართული ენციკლოპედიიდან" ეს ცნობა ამოვიწერე:

"Savnabada, მთა თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ განშტოებაზე, თელეთის ქედზე. სიმაღლე – 770 მ. დენუდაციით პრეპარირებული ვულკანური კონუსია. აგებულია ეოცენური ვულკანოგენური დანალექებით, მთის წვერი შემოსილია ნატყეური მდელოს ბალახეულით, კალთები – ჯაგეკლიანებით. შავნაბადის წვერზე დგას მონასტერი (შუა საუკ.)."

2005 წლის 13 იანვარი

პატარა მდინარის სიმღერა (1)

აგვისტოს მიწურულის მშვენიერი მზიანი დღეა.

გეოლოგები მდინარე სურამულას ხეობაში ბილიკს აღმა ვკეცავთ.

ხევი ტყიანია: ფერდობებზე წაბლის, წიფლის, ცაცხვის მწვანე გოლიათები ერთმანეთს ეხუტებიან ტოტებით. ქვეტყეედ ხშირია შქერი, თხილი, აგრეთვე გვიმრა და ათასგვარი სხვა ბალახი. მდინა-

რის პირას ბუერებს გაუშლიათ ფართო ფოთლები, მურყნების მუქმწვანე რტოები დახრილა წმინდა, გამჭვირვალე წყლისკენ. თუმცა, აქეთ-იქით ყურებისთვის სად გვცალია: სულ ფეხქვეშ უნდა იყურო, რადგან ბილიკი ხან ქვებით ახორხლილ რიყეზე გადის, ხანაც მდინარის მეორე ნაპირზე ქვიდან ქვაზე ხტომით უნდა გახვიდე.

მერე სურამულას შენაკადს – ღრმაღელეს – ავუყევით, დაახლოებით კილომეტრი გავიარეთ და დასასვენებლად წყლის პირად კალთაგაშლილი მურყნის ჩრდილში ქვებზე ჩამოვსხედით.

აღმართში სიარულით აზრიალებულ მუხლებს და აჩქროლებულ გულებს ვასვენებთ და ტყისა და მდინარის სურნელით შეზავებულ გრილ ჰაერს ღრმად ვისუნთქავთ.

ფლატის ზემოდან მდინარისკენ გადმოხრილა იისფერყვავილებიანი ლამაზი ნაღველა. მისი ფოთლების ნაწილი რაღაცას შეუჭამია, ფოთლების "იღლიებში" ორ-ორი მოზრდილი ყვავილი იჭყიტება, ზოგჯერ – სამიც. ერთ ყვავილში დიდი ფუტკრის მსგავსი ბოხი ხმით მობზუილე მწერი შეძვრა.

მურყნის ქვედა ტოტზე ზედ ჩემს ცხვირწინ ობობებს გვერდიგვერდ ოთხი ქსელი გაუბამთ – მზეზე აბრეშუმისებრ დისკოებად განათებულნი და ნაზი ნიავით ოდნავ ატოკებულნი.

ქვებს შორის ნელა მიიკვლევს გზას პატარა მდინარე – ვერცხლისფრად ლივლივებს, უღრუბლო ცას ირეკლავს წყლის ზედაპირიდან. დიდწყლობის დროს ზოგან პატარა კუნძულებივით მინაყარ-მინასილ ადგილებში განსაკუთრებით გალაღებულან ბალახები და ზოგიერთნი ადამიანის სიმაღლესაც კი აჭარბებენ. ერთგან გდია საიდანღაც მოტაცებული მორი: მისი ტანიდან ნორჩი რტოების ამონაყარი წამოზრდილა – სამწუხაროდ, დროებით, სანამ მორში არსებული სასიცოცხლო მარაგი ამოიწურება...

მურყნის მუქ ტანს ზურგით მივეყრდენი და თვალები მივლულე.

ჩიტების უზრუნველი ჭიკჭიკი, კალიების მონოტონური წინწრიხი, ჭრიჭინობელების გაბმული ჭრიჭინი... ყველაფერს მაინც მდინარის ხმაური ძალავს – რა ტკბილად, ნანასავით მოიმღერის! მის ლიკლიკს დაუსრულებლად შეიძლება უსმინო და გრძნობ, როგორ იღვრება სულში უშფოთველობა და სიამე.

ჩუ!..

აღმოჩენა: თუ ჩაუკვირდები, წყლის მდინარება რამდენიმე განსხვავებულ ხმას გამოსცემს!

თვალები გავახილე და ირგვლივ მიმოვიხედე. ნუთუ ეს მრავალფეროვანი ხმები ერთი პაწაწკინტელა მდინარისაა?

წყალი: ალაგ – მრავალ ტოტად დანაწევრებულ-დაწვრილმანებული მოწანწკარებს, საათივით მოწიკწიკებს, ალაგ – თოთო ბავშვივით რაღაცას ენამოჩლექით ტიტინებს, სხვაგან – ჩქერებზე ჩხრიალით მიხტის ქვებზე, მხიარულად მიჩუხჩუხებს, დამდოვრებულ ადგილებში კი დაბალ ხმაზე მოდუდუნებს... და ყველა ეს ნაკადი ერთად იკვრება და ერთიან საგალობლად იღვრება მდინარისა.

იცოცხლე – იდინე და ახმიანე დაუსრულებლივ შენი მრავალხმიანი სიმღერა, პატარა მდინარევ! ამ მხრივ შენს დიდ ძმებსაც ტოლს არ უდებ და იქნებ სჯობნიხარ კიდეც, რადგან, მართალია, მათსავით ზათქით და გრგვინვით გოროზად არ მოედინები, არც ხმის სიმძლავრით დაიკვეხნი, სამაგიეროდ, ნაირფერ ხმაზე მღერი და შენებურად კიდევ უფრო ალამაზებ ნათელი დღით გასხივოსნებულ ტურფა ჭალას – ხე-ბუჩქებით და ბალახებით, რიყნარის ნაირგვარი ქვებით და გაშიშვლებული ფლატეებით, მწერებითა და ბაყაყ-ხვლიკებით, ჩიტებითა და პეპლებით...

ცისფერი გუმბათიდან კი მზრუნველად აბრიალებს ცეცხლოვან თვალს ყველაფრის დედა – მზე, პატარა მდინარის მოცახცახე სარკიდან ათასგზის ირეკლება და მხიარულ ათინათებს სტყორცნის გარშემო – ყველას გვიწილადებს სითბოს, სინათლესა და სილამაზეს.

1993

პატარა მდინარის სიმღერა (2)

უცნაურია: ამ სათაურიანი ერთი ჩანახატი გასულ წელს უკვე დავწერე და ახლა რაგომღაც ძლიერი სურვილი გამიჩნდა – ისევ მივუბრუნდე ამ თემას, ოღონდ მაშინდელ ნაწერში არ ჩავიჭყიტო... ვნახოთ, რა გამოვა ამ სამი ათეული წლის წინანდელი გაუხუნარი განცდის ხელმეორედ გახსენებიდან.

შუა ზაფხულია, რამდენიმე გეოლოგი აღმა მივუყვებით მდინარე სურამულას რომელიღაც პატარა შენაკადს. ხან ნაპირ-ნაპირ მცირე მდელოებზე მივაბიჯებთ ან ბუჩქნარს მივარღვევთ, ხანაც პირდაპირ კალაპოტში მივიკვლევთ გზას; თავდაპირველად ქვიდან ქვაზე ხტუნვა-ხტუნვით მივდიოდით,

მერე, რაღამც ფეხსაცმელში წყლის შესვლას მაინც ვერ ავცდით, წყალ-წყალ უბოდიშოდ მივდგა-ფუნობთ და ეს გვსიამოვნებს კიდეც – დღეს დილიდანვე ცხელა.

ხევის ციცაბო ნაპირების ტყეთა ზურმუხტი თვალისმომჭრელად ბრწყინავს, მზის სხივებით გა-თანგულ უძრავ ჰაერში ჭრიჭინობლების გაბმული სიმღერა თითქოს სიცხეს კიდევ უფრო აძლიე-რებს. დროდადრო წყლისპირს წამომართული ხეების ჩეროში შედიხარ და სიგრილეში სულს იბრუ-ნებ. პატარა მდინარის ზედაპირიდან არეკლილი მზის სხივთა ათინათები თამაშობენ ხეთა ტანებზე. დააგდებ ზურგჩანთას ლორთქო ბალახზე და დაიხრები (ზეცის ფირუზი და ნაპირების შუქ-ჩრდი-ლები ირეკლება მდინარის სარკეში) – წყლის გრილ დინებაში ჩაუშვებ ხელებს, შემდეგ პეშვებით ხმაურით შეისხამ წყალს სახეზე.. აფრუტუნდები, სიამოვნებით ისევ და ისევ იშხაპუნებ გამაცოცხ-ლებელ სითხეს კისერზე, თავზე, ისევ სახეზე... გაიმართები, თვალებზე ისვამ თითებს; წურწურით ჩამომავალი ნაკადები გისველებენ ხალათს, მაისურს; წყალი ცივად მიჟონავს მკერდზე, ზურგში, კი-დევ უფრო ქვევითაც...

რა კარგია! გახალისდები, აქეთ-იქით გახედვაც მოგინდება, მზერის დატკბობა – ცოცხალია პა-ტარა მდინარე, მოუსვენრად მილიკლიკებს, მიიკლაკნება, მიიჩქარის ქვებს შორის; ალაგ იტოტება და ბალახით დაფარულ მცირე კუნძულებს აჩენს; ზოგან ოდნავ გაიშლება, სველ, დანასილ ნაპირზე ჩიტებისა და ცხოველების ნაკვალევი-იეროგლიფებია აღბეჭდილი. თეთრად დაფარფატებენ პეპლები, დაუღალავად, საქმიანად დასრიალებს აღმა-დაღმა ლურჯი ნემსიყლაპია. აგერ გამოჩნდა ბოლოქან-ქალა: სულ არ მერიდება, ხალისიანად ხტის ქვიდან ქვაზე საკბილოს ძებნაში. ბუნება ფეთქავს, მოძრაობს, ფერს იცვლის...

წამოვწვები რბილ ბალახზე, დაღლილ ფეხებს შვებით გავშლი, დავხუჭავ თვალებს და ღრმად ვსუნთქავ... თან ვისმენ პატარა მდინარის ლიკლიკ-ნანინას: როგორ უჩლექს ენას თავისთავს, ნაპირე-ბის ფლატეებს, მისი ზედაპირისკენ გადმოხრილ ხეებს, აბზუილებულ-აწუილებული, მოფუსფუსე მწერებით და პეპლებით სავსე ბალახებს, აქა-იქ წამოყუნცულ მუქ ქვებს... ელამუნება ციცქნა ტალ-ღებით ხან დაბალ, ამწვანებულ ნაპირს, ხან კლდოვან გამონაშვერებს აწყდება. შეჰხარის ცას და მიწას პატარა მდინარე, ცქვიტად მოცეკვავს და უდარდელად მოიმღერის თავდაღმართში ყველას გა-სახარად. ო, ერთი რამ კი აღმოვაჩინე – პატარა მდინარის სიმღერა მრავალხმიანია! ერთგან რომ მხიარულად მოღიღინებს დაუღალავად, მეორეგან დადინჯებული მოდუდუნებს-მობუტბუტებს რაღა-ცაზე დაფიქრებული, მესამეგან კი სულ სხვა ხმაზე ჟღურტულებს ქვიდან ქვაზე ანცად მხტომი... ჰანგს ჰანგი ეწვნება და ერთიან ხალისიან სიმღერას ჰქმნის – პატარა მდინარე კარგ ხასიათზეა და მისი წმინდა ნაკადი ხან აიქოჩრება ჩქერებზე, ხან სარკესავით გლუვდება გაშლილ, შედარებით ვა-კე ადგილებში და პირდაბანილი, ჭრელი კენჭები შეგიძლია, სათითაოდ დათვალო ფსკერზე.

სად მიიჩქარი, რა გიხარია, რაზე მიიმღერი პატარა მდინარევ?

იქნებ ის გიხარია, რომ მე და სხვას მრავალს ახარებ შენი ანცი დაუდეგრობით, მოუსვენარი სწრაფვით წინ და წინ, ახალი ადგილებისკენ... ჯერ უნახავი, განუცდელი გიტაცებს, მიილტვი და მიიმღერი ნაირ-ნაირ ხმაზე: ხან ქვიდან ქვაზე გადასრიალდები ნელი სისინით, ხან ჩაჩხრიალდები მაღლიდან, მიუხვ-მოუხვევ და ფეთიანივით ეცემი აქეთ-იქით; ხან დადინჯდები, დამდოვრდები, ნელ-ნელა მიუყვები და თან ლოკავ ლამიან-სილიან ნაპირებს; დინჯად ათვალიერებ ნაირფერი ბალახე-ბით და ყვავილებით აჭრელებულ კორდებს, ცისკენ ატყორცნილ მაღალ ხეებს და გშურს მათი – შენც ხომ ცას უშტერებ თვალს, ცით მოვლენილი ხარ და ადრე თუ გვიან ისევ ცას უნდა დაუბ-რუნდე, ღრუბლად აფუმფულდე და თუ ახლა კალაპოტს ებრძვი ხაფანგში მომწყვდეული ნადირივით და მაინც ემორჩილები, მაშინ გზა ხსნილი გექნება და ჰერი! საით არ გაეშურები, რომელ მთაგრე-ხილებს არ გადალახავ ქარით გატაცებული! იხეტიალებ, აიფურტკნ-ჩაიფურტკნები, რას აღარ დაემ-გვანები – ხესაც, ძროხასაც, ურჩხულსაც, დევსაც, ცხვრის ფარას და რას აღარა...

ვწევარ ზედ წყლის პირას, ქორფაბალახიან ნაპირზე, მზე დამცქერის და დახუჭული თვალების ქუთუთოებს – ორ დიდ ფორთოხალს – ცეცხლს უკიდებს. მოუწყენლად ვუსმენ პატარა მდინარის გულისგამახარებელ სიმღერას, ასე ჰარმონიულად რომ ეხმიანება კალიების წინწრიხს და ჩიტების ჭახჭახსაც კი (ალბათ შემამჩნიეს და განგაში ატეხეს!) და მოლივლივე ტალღებზე ათამაშებული, ხმელი წკირივით თუ ხის ქერქის ნამტვრევივით თავქვე დაქანებული, გონების თვალით ვმოგზაურობ ქვევით – სურამულასკენ, მერე მტკვრით – ზღვამდეც კი... იქ, ზვიადი ტალღების ხმაურში იკარგება თითქოს პატარა მდინარის ნაზი სიმღერა, ისევე, როგორც ათასობით სხვა დიდი და მცირე მდინარე-ებისა თუ ნაკადულებისა, მაგრამ ჩემს სულში ხომ სამუდამოდ დარჩება, როგორც ბავშვობაში დე-დის თბილი ხელის თავზე ალერსიანი გადასმა...

1994

ანარეკლი

ღმერთო, გამახსენე, რომელ სადგურთანაა ნეტავი: მატარებელი რახრახით, რწევით გვერდზე ჩაურბენს ვაკეზე რუხ-ყვითლად ამოზიდულ მოზრდილ ბორცვს... წაგრძელებული გორაკის თითქმის წვერზე, დამრეცი ფერდის ნაოჭში, ქვით ნაშენი უბრალო სალოცავი – მომცრო ეკლესია – დგას. მის გარშემო ძველ საფლავთა ოთხკუთხა ქვებია მიმობნეული ძეძვის ეკლიან ბუჩქებს შორის; ზოგან ახალი საფლავების რკინის მესრებიც ჩანს. გორაკის ზურგს მიუყვება მუქად ამოჩრილი ვულკანური ქანების გრძელი, უსწორმასწორო ზოლი, რომელზეც ალაგ-ალაგ ბუჩქნარს მოუკიდებია ფეხი. ცალ მხარეს, გორაკის ძირში, პიტალო კლდეა, რომლის შვეულ კედელშიც მღვიმის პირი ჩაშავებულა დევის დავსებული თვალივით...

ეს სურათი წამიერად ჩაირბენს მატარებლის ფანჯრიდან მაცქერალისთვის – გაიელვებს და დაიკარგება. ისევ ენაცვლება ერთმანეთს ქართლის ჩვეული, იშვიათი ბუჩქნარით დალაქავებული, ხვლიკისფერი სერები, მოყვითალო ველები, ზოგან ეული საჩრდილობელი ხით დამშვენებულნი... შორს – უცვლელ ფონად – თრიალეთის ხვატისგან გაცრეცილი მომწვანო-მოლურჯო მთაგრეხილი გაწოლილა.

ეჰ, ჩემო ქართლო, რა ნაღვლიანად ხარ დაფერილი – რუხ-მდოგვისფრად, თითქოს ტკივილისგან გაფითრებულხარ, ფერი წაგსვლია... მცხუნვარე მზის ბრიალა თვალს გამოუხუნებია შენი მთა-გორები და ველები, თუ მტარვალთა და მტაცებელთა ურიცხვმა ურდოებმა, გაუთავებლად, ტალღა-ტალღად რომ მოასკდებოდნენ ქართლის აყვავებულ ბაღნარებს, ცეცხლითა და მახვილით ათასგზის გადაბუგა და იავარჰყო ეს ტანჯული, სისხლითა და ოფლით მორწყული მიწა...

მალე გამოჩნდება სოფელი:

ხეთა სიმწვანეში ჩაბუდებულ სახლთა ნაირფერი სახურავები...

სოფლელთა ფიქრიანი სახეები...

მოჟივჟივე ბავშვთა აქნეული ხელები...

ტალახისფერი წყლით ავსებული რუები...

რუთა გასწვრივ ჩარიგებული: ალაგ – ალვის ხეთა ჯარი, ალაგ – წნორების მწკრივები...

შემორაგულ ბაღებში – ტოტებდახუნძლული ვაშლის ხეები...

პატარ-პატარა საყანეები და საბოსტნეები...

მდელოებზე მობალახე ჭრელი საქონელი...

უცებ გამოანათებს მტკვრის ფოლადისფერი სარტყელი; წყლის მდოვრე ზედაპირიდან მუქად ირეკლება ჭალების მწვანე ვერხვნარი.

მერე ისევ – ხრიოკი გორაკების ქარავანი ზანტად მიიზლაზნება თაკარა მზით ალივლივებულ ჰაერში.

ფიქრიც ამედევნება, მატარებლის ბორბლების რაკარუკს მხარს აუბამს; ახალ-ახალი ხედები ენაცვლებიან ერთმანეთს, მე კი არ მცილდება იმ სევდიანი ბორცვის ხატი...

კარგა ხნის მერეც, ნეტავ რატომ გამახსენდება დროდადრო სალოცავიც, სანახევროდ მიწაში ჩაფლული საფლავის ლოდებიც, ძეძვითა და გადაყვითლებული უროთი და ვაციწვერათი დაფარული გორაკის უსწორმასწორო ფერდობებიც და კლდეში გამოკვეთილი ხვრელიც?.. იქნებ საგანგებოდ ვეწვიო იმ ადგილს მთელი დღით, დავიარო იქაურობა, აკვარელით ან გუაშით ჩავიხატო... ოღონდ სად უნდა ჩამოვიდე მატარებლიდან – უფლისციხეში თუ ქვახვრელში?

ხშირად წარმოვიდგენ:

მატარებლები გრიალ-დგანდგარით მალიმალ ჩაუქროლებენ გვერდზე ხვლიკისფერ გორაკს, ხანდახან ელმავალი მიაზმუვლებს, მაგრამ მაინც ვერ ურღვევენ მყუდროებას – მარადიულობა გაყუჩებულა იქ. მისთვის არც მიმქროლავი ვაგონები არსებობს და, მით უმეტეს, არც ფანჯრებიდან გამომზირალ მგზავრთა ფიქრიანი სახეები, რომელთა თვალებშიც წამიერად აირეკლება რუხი ბორცვი უბრალო სალოცავით, ძველი სასაფლაოთი და კლდის შავქლიავისფერ კედელში გამოკვეთილი გამოქვაბულის შავი ხახით, რომლის მარადი იდუმალება გვიზიდავს და გვაფორიაქებს...

1984

ბულბული

ატილა და ჯუმბერ ბარძიმიშვილებს

– ოთხი თუ ხუთი წლის წინანდელი ამბავია, აი, მიწების დარიგება რომ დაიწყო, იმ დროისა. სოფლად ჩამოვედი. ჩამოვედი და ვიფიქრე, ნაკვეთს მივხედავ, ამ გაჭირვებულ დროებაში ჩემს სამ შვილსა და ხუთ შვილიშვილს ცოტა შევეხიდები-მეთქი. შრომა არ მეზარება, არა, ხელის განძრევა არ მეზარება. სამოც წელს რომ მივუკაკუნე, ეგ არაფერი, ჯერ ძალ-ღონე მერჩის. ქალაქში გაზრდილი კაცი ვარ, მაგრამ, მართალი გითხრა, მიყვარს საგლეხო საქმე – სანამ ცხონებული მამაჩემი ცოცხალი იყო, ხამუშ-ხამუშ ჩამოვდიოდი ხოლმე, ვეხმარებოდი, ვეხმარებოდი. ჰო... ვაპირებდი, რაც კი ახლომახლო სოფლებში ძველებური ადგილობრივი ჯიშის ვაშლი, მსხალი, ატამი, ყურძენი, ქლიავი თუ სხვა ხილეული შემორჩენილა თითო-ოროლა ძირი, ნელ-ნელა მოვაქუჩებდი ჩემს ნაკვეთში, მოვამრავლებდი: ჯერ – მეზობლებში, მერე – ვინც კი მომაკითხავდა, ყველას ვუწილადებდი...

ცოტა გვერდზე გავუხვიე, ისევ ამბავს მივუბრუნდები. ჰო... მე გეგმებს ვაწყობ, ჩემს მამაპაპისეულ ნაკვეთში კი უკვე შეჭრილან ჩემი გარე ბიძაშვილები – სამნი ძმანი. თავიანთი "ნორმები" ეცოტავათ, არც კანონს დაგიდევენ, არც სირცხვილ-ნამუსი აწუხებთ... არადა, ადრე რომ ჩამოვდიოდი, როგორ მიხაროდა მათსა მისვლა, ჩემი და-ძმებიდან არ ვარჩევდი, ისე მიყვარდნენ სამივენი, სამივენი. ჯერ კაცურად ველაპარაკე, ორი-სამი ფართობი, თუ მეტი არა, თითოს სხვაგანაც გაქვთ, ჩემი და ჩემი ძმის კუთვნილი რა არი თქვენთვის, რა სრა-სასახლეს აგაშენებინებთ, დაგვიბრუნეთ მამაჩემის ნაკვეთი-მეთქი... ერთი დავიყოლიე, ორნი გაჯიქდნენ, გაჯიქდნენ... როცა ტკბილი ლაპარაკით, შინაურულად ვერ მოვრიგდით, ვერაფერი შევასმინე, რა უნდა მექნა? ჩივილამდე და სასამართლომდე მივიდა საქმე. რაც მე სირბილი და ნერვების წყვეტა გადამხდა, ენით აუწერელი – მარტო გორში იმდენჯერ მომიხდა ჩასვლა, ვერ დავთვლი, ვერა. როგორც იქნა, გამოვღლიტე იმ უნამუსოებს მცირე ნაწილი – მეტი კანონით არ გეკუთვნით ქალაქელებსო, – მოსამართლემ.

სამი მხრიდან ეს ჩემი მოკეთეები, სამნი ძმანი, მესაზღვრებიან, ორს აღარც ვესალმები – ხან ერთი გადმოწევს ჩაგდებულ სამანს ჩემკენ, ხან – მეორე... რა გუნებაზე ვიქნები? საერთოდ ვაპირებ სოფლისთვის თავის დანებებას, მაგის ოხერი პატრონის დედაც-მეთქი... შენთან ბოდიში... დედაკაცი უკვე მიეჩვია ჩემს გინებას. ისე მაქვს გუნება მოშხამული ადამიანის გაუტანლობით და სიხარბით, რომ...

ჰო... ბოღმა-დარდისგან მე და ჩემს დედაკაცს რა დაგვაძინებს, – შუაღამეს კარგა გადასცილდა და ლოგინში შამფურივით ვტრიალებთ, ვტრიალებთ... ცოლს ვეუბნები, ბარემ ნაკვეთში წავიდეთ, იქნებ მუშაობით გავიქარვოთ დარდი-მეთქი. კარგიო, წავიდეთო. წავედით, წავედით.

ერთ საათში ნაკვეთში ვართ... ჯერ მაისის დასაწყისია, გრილა. ვიბუზებით, ვიბუზებით. ალიონზე, იქნებოდა ესე ხუთის ნახევარი, ვარსკვლავები გამოხუნდა, აღმოსავლეთით ცის კიდე ნაცრისფრად შეიმღვრა – ვუცდით კარგად გათენებას, უნდა ბარვა დავიწყოთ...

და ამ დროს, ნაკვეთის კიდეზე რომ ორი კაკლის ხე გვიდგა, – დიდი და პატარა, – აიმ დიდ კაკალზე უცებ ბულბულმა გააბა სტვენა.

მოულოდნელობისგან გავხევდით...

ჯერ დაიწყო წყნარად, სვენებ-სვენებით, მერე აუწია, ნელ-ნელა გაახურა გალობა – ჩაახუჭუჭა, ჩაახუჭუჭა... რას ხლართავდა! გავიდ-გამოვიდოდა, ხან ზევით, ხან ქვევით კეცავდა-შლიდა, თავდავიწყებით არაკრაკებდა... ალბათ, ახლოს რომ მივსულიყავით, ცარიელი ხელით დავიჭერდით. გასუსულები ვართ მე და ჩემი ცოლი – გვეშინია, არ დავაფრთხოთ, ხელი არ შევუშალოთ. ბუნებაც გაიტრუნა, დილის ნიავსაც კი ჩქამი არ გაუღია.

ვართ ასე განაბულები, გათანგულები, მონუსხულები – ვუსმენთ, სიამის ტკბილ მორევში ვცურავთ... ვცურავთ...

ბულბული ბულბულია, ყველა კარგია, ყველა, კარგში კიდევ ხომ უკეთესებიც არის, უკეთესებზე მეტიც ხომ – ეს დალოცვილი ჩვენი მგალობელი კი მჯობნის მჯობნი იყო, უბრწყინვალესი... არა, ამის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია! რა ვიცი, იქნებ ასე იმიტომაც იმოქმედა, იმიტომ ამიტაცა, რომ გული მქონდა დაკოდილი და შეძლო ჩემი უიმედობაში გადავარდნილი გულის იარის დაამება, მხნეობით დამმუხტა...

დაამთავრა გალობა და ამ ერთი ციდა ჩიტმა სულ გადამიტრიალა სულში ყველაფერი... სულ სხვა კაცად ვიქეცი, იმედი მომეცა... იმედი მომეცა! ვიფიქრე: თუკი ასეთი სილამაზე არსებობს, ვერაფერს დაგაკლებს ზოგიერთთა სირეგვენე და სიბილწე, სიხარბე და ათასი სხვა უბედურება, ვერა, ვერაფერს დაგაკლებს! ისინი უნდა დაივიწყო, თითქოს არ არსებობენ ამ წუთისოფელში. დიახ, ქვეყნად ასეთი სილამაზე არსებობს და შენ რა უფლება გაქვს, ცხვირი ჩამოუშვა, სასოწარკვეთას მიეცე?..

გაგიკვირდება: ამ თითქოსდა უჩინარი, პატარა მგალობლის თავდავიწყებულმა სიმღერამ როგორ იმოქმედა ჩემზე, გამოსავალი დავინახე – შრომა მომინდა, მიწასთან ჭიდილი მომინდა! ძალაც მომეცა და იმედიც – ყველაფერი მინდა, ყველაფერი! მინდა, ახალი ვენახი ჩავყარო, ახალი ნამყენი ხილი გავახარო, აი, ამ სახლს, ახლა რომ ჩვენ მის წინ ვსხედვართ თალარში და გაყიდვაც რომ ვუპირებდი, მინდა, ძველი, დაფხავებული სახურავი გამოვუცვალო...

ვეცით ბარებს – უკვე გათენებულია – და საღამომდე პურის ჭამაც არ გაგვხსენებია.

დირბულა – გაგიგონია ასეთი ჯიშის ვაზი? ერთი ძირი გვედგა ძველი, ძველთაძველი, თალარად წასული, – ეს არა, ეს ახალია, ამაზე მერე გეტყვი, – მოუვლელობით გახმა, ერთი ყლორტიღა იყო წამოსული ფესვიდან, ისიც სულს ღაფავდა დაჩიავებული, გაუბედურებული. ჩემმა დედაკაცმა ამოძირკვა არ დამანება – შემოუბარა, მორწყა... მოკლედ, თოთო ბავშვივით ელოლიავებოდა და უცებ არ გაგიჟდა ეს თითქმის მიმკვდარი ლერწი? ერთ წელიწადში ხუთი მეტრით გაიზარდა! გაიზარდა!.. მეორე წელიწადს მცირე მოსავალიც მოგვცა. მომდევნო წელს ნასხალი კალმები მიწაში ჩავრგე, ჩავრგე... ორმოცდაათი ძირიდან თითქმის ყველამ გაიხარა – გაზაფხულზე ნაკვეთში გადავრგე, ექვსი რიგი გავჭიმე. ყოველ წელს კიდევ ვამატებ ხოლმე ორ-სამ რიგს...

ახლა რომ ღვინოსა ვსვამთ, აიმ ვენახისაა. დაიჯერებ, რომ სულ სამი წლის ჩაყრილია? წელს თორმეტი ყუთი ყურძენი მოვკრიფე, მერმის კიდევ მეტი იქნება – მინდა, რიგები სიმაღლეში გავზარდო, გავზარდო – დირბულამ ხომ მშვენიერი თალარი იცის, ძლიერი ზრდა აქვს, თუკი ნაკელს და წყალს არ მოაკლებ. ხომ ხედავ, ჩვენ მის ქვეშ ვსხედვართ, აქაც, იცი, რა ბარაქიანად მოისხა? შავი ყურძენია, კუნაპეტივით, წვენიც მუქი აქვს, ძალიან მუქი. მე ყოველთვის სუფთა წვენზე ვაყენებ ღვინოს, უჭაჭოდ, მაინც სქელი ღვინო გამოდის, ფაფასავით, ფაფასავით! ხომ სურნელოვანია? წიგნში წავიკითხე, არც ისე სანაქებო ღვინო იცისო, მე კი მომწონს და! ამით ლხინი არ შეიძლება, ერთი-ორი ჭიქა უნდა იკმარო – წამლად, წამლად!... ამ თალარს არ ვრწყავთ, აქ – ნაკვეთთან შედარებით – დირბულამ უფრო ტკბილი ყურძენი იცის, ამისას ცალკე ვაყენებ. მეზობლები მეუბნებიან, წყალი ჩაამატე ტკბილში ან სხვა ჯიშის ყურძენი გაურიე დაწურვის დროს, თუნდაც გორული მწვანეო, მაგრამ მე მაგას როგორ ვიზამ, წვეთს არაფერს ვურევ, არაფერს. მეზობლებს კალმები დავურიგე, ახლა ნელ-ნელა მთელ სოფელს მოედო დირბულა, მე კი ამოძირკვა მინდოდა. აქაურები ხომ ვაშლს იყენენ გადაყოლილნი, თითქმის მხოლოდ მას აშენებდნენ, თანაც ევროპულ ჯიშებს, ახლა ნელ-ნელა ვენახებიც მომრავლდა, ატამიც გაახსენდათ, მსხალიც, ქლიავიც და სხვაც...

ქალო, ხაჭაპურები მოიტა, ხომ არ დაგეძინა? ახლა შენ ბულბულის მოსმენა არ გაწყენდა, უცებ გამოგაცოცხლებდა... მოიცა, გაზაფხული დადგება და მაგისთვისაც მოვიცლით...

1996

ახალციხე

მე და შოთამ მდინარე ახალციხისხევის კალაპოტში აღმა კარგა დიდ მანძილზე ვიარეთ, შემდეგ უკან დავბრუნდით მანქანასთან და ახლა ვსხედვართ დაღლილები ფერდობზე. შოთა გეოლოგიურ ამბებს იწერს, მე კი ნიმუშები უკვე დავაბინავე პარკებში და ახლა ვუყურებ გაღმა ფერდობზე შეფენილ ყანებს, სოფელ ახალციხეს, ციხეს და ისეთნაირად კომპოზიციურად ბუნებრივად მტკიცედ შეკრული მეჩვენება პეიზაჟი, რომ სურვილი მიჩნდება, გადავიტანო ქაღალდზე ეს მშვენიერება...

მდინარის მეორე ნაპირზე საკმაოდ მოზრდილი, რბილად მოხაზული მონაცრისფრო-მოყვითალო ბორცვი აზიდულა. ბორცვს წვერზე დამსხვრეული გვირგვინივით დასდგომია ძველთაძველი ციხე. ყველაზე უკეთ შენახულია კუთხეებში მოთავსებული კოშკები, მათი დამაკავშირებელი კედლები გალავნისა კი დანგრეულია და მხოლოდ ალაგ-ალაგ კოშკებთან მიმდებარე ადგილებში შერჩენილია სანახევროდ. ვინ იცის, მტრის შემოსევის ჟამს რამდენჯერ შეფარებია მის მაღალ კედლებს სოფლის მოსახლეობა, ახლა კი გარდასულ ჟამთა უტყვი მოწმე გულისტკივილით ითვლის ყოველ წელიწადს – კიდევ რამდენი რიყის ქვა მოაკლდება და რამდენად გაუღრმავდება შუბლზე-კედლებზე ავისმომასწავებელი ნაპრალები-ნაოჭები...

გვერდით, სამხრეთ-დასავლეთით, ფერდობზე ციხის კედლებს ესაზღვრება სოფლის სასაფლაო, სადაც ალბათ ისინიც მისცემიან სამარადისო ძილს, ვინც ამ ციხის კედლებს აშენებდა, გალავნიდან ისრებსა და ქვებს უშენდა ან ტყვიას ესროდა ფერდობზე მაღლა მიმფორთხავ მტრის ურდოებს. როგორც ჩვენი ძველი ქალაქებია აჭრელებული სხვადასხვა დროის და სტილის არქიტექტურული ნიმუშებით, ამ სასაფლაოზეც ნაირგვარი საფლავებია. სულ ძველებს გრძელი გათლილი ქვები უდევთ თარაზულად, ზედ წარწერილი შენდობის თხოვნით და ამოკვეთილი სახნისით, ბორბლით, ჩაქუჩით, ურმით, ნამგლით... შემდგომი დროის საფლავებზე, ალბათ გასული საუკუნისა, უკვე შვეულად დაუდგამთ ქვის სვეტები, წვეროზე გამოჩორკნილი ქვისავე ჯვრით... ჩვენი დროის სამარხები

უკვე უცხოს ახლოს მისასვლელად აღარ იკარებენ – რკინის გისოსებიანი ღობით არიან შემოზღუდულნი, ხოლო ზოგიერთი – მოთუთიებული თუნუქის სახურავიდან მკვდრის მზის სხივებს ირეკლავს მხიარულად...

ციხეს სამხრეთით, აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით სოფელ ახალციხის სიმწვანეში ჩაფლული უბნები აკრავს. აქა-იქ წითლად ჭიატობს სახლთა კრამიტის სახურავები, ცისკენ ნაცრისფერ სვეტად მიემართება ბოლი (ხვალაც დარი იქნება) და ისმის მამლების უდროო ხრინწიანი გადაძახილი.

ჩვენი წინაპრების სისხლით, ცრემლითა და ოფლით მორწყული ქართლის მიწა!

რამდენი ისტორიული რომანის ფონად გამოდგებოდა ეს ერთი ხელის დადება შემოგარენი მარტო ახალციხისა, მდინარეების – კავთურასა და თეძამს შორის. ჩემს ზურგს უკანაა სოფლები: მეტეხი, ახალქალაქი, ხოვლე, გარიყულა, ერთაწმინდა... ჩემს პირდაპირ – ნოსტეა გიორგი სააკაძის კოშკით, კავთისხევი, თვალადი... ყოველი მდოგვისფერი, სევდიანი გორაკის თავზე ან სალოცავია, ან – ციხე. თეძმისა და კავთურის ტყიანი ხეობებით უძველესი დროიდანვე გადადიოდა გზები შიდა ქართლიდან თრიალეთში.

ახლა შუა შემოდგომაა და ამ თბილ, რბილ, ალერსიან დღეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ბაღებსა და ყანებშია გაკრეფილი. სასაფლაოს ქვევით, ბებიის საბანივით აჭრელებენ ფერდობს ოთხკუთხა ყანები. ზოგი უბანი ძეძვის ღობითაა გარშემორტყმული, ზოგან გამხმარი სიმინდის ჯერაც აუღებელი ყანაა, სხვაგან – უკვე ჩალაც გაუტანიათ და პირუტყვი ძოვს: შავი კამეჩები, ვირუკები, ცხვრებიც არის, თხებიც და აქა-იქ – ძროხებიც. ზოგან ახლა ტრიალებენ ყანაში – აქაც კარგად ისმის გადალაპარაკება, ფუსფუსი.

ზედ მდინარის პირას ალაგ-ალაგ ვენახიცაა, – მიტოვებული, დაჯანდაგებული, სანახევროდ გაველურებული, – ახალციხისხევს ნაკვეთის დიდი ნაწილი ჩამოუჭრია და გადაუყლაპავს. ზოგიერთი ძირი ვაზისა ზედ ფლატეზეა გადმოკიდებული და მაინც ამწვანებული; ჩასცქერის წყლის სრბოლას პაწაწკინტელა მდინარეში და უკვირს – ნუთუ ამ ლაწირაკმა მიყო ეს ამბავიო. მდინარე კი თვალებს ვერ სწევს ზევით, რცხვენია – ახლა ჩუმია და ნელი, თავმდაბლად, წყნარად მიიკვლევს გზას რიყნარის თეთრ ლოდებს შორის, თითქოს ეს კირქვის თეთრი, მომსხო ნამტვრევები მისი ჩამოტანილი არ იყოს ადიდება-განდიდების ჟამს. იმასაც კი ვერ ამბობს – მაპატიეთ, მე ხომ სიკეთეც მომაქვს, ნახეთ, რუებით რომ დახაზულია გაღმა-გამოღმა ფერდობები, განა სარწყავ წყალს მე არ გაძლევთო.

ლამაზი კალაპოტი აქვს ახალციხისხევს, ჭალიანი, ფერადოვნად მოკაზმული: ასკილის ბუჩქები, დაპკურებული სისხლის წვეთებივით მოგიზგიზე ნაყოფებით; კოწახური, დახუნძლული ასევე გამომწვევად აკიაფებული კუნწულებით, მათი მხოლოდ შეხედვაც რომ პირში ნერწყვს მოგიყვანს; შინდი კი უკვე უმასპინძლდება ჩვენზე ადრე ნასტუმრებთ და ახლა სირცხვილით ფოთლები უწითლდება. მას ბაძავს თრიმლის ბუჩქები, თუმცა არაფერი დაუშავებია. ძეძვი და ჯაგრცხილა კი სხვა ფერს ამჯობინებენ – ყვითელი შეჰპარვიათ. თხილის ბუჩქებმა გაუსწრო მათ გაყვითლებაში და ბლომად ფანტავს ოქროსფერ ფურცლებს; შიგადაშიგ ზოგიერთი თხილის ყავისფერ ნაყოფსაც გაუგორებს იმას, ვისაც მიწისკენ დახრა არ ეზარება. მხოლოდ მარადმწვანე ღვია არ ფიქრობს ზამთრის მოახლოებაზე და ისევ ისე ზურმუხტისფრად ხასხასებს.

ჩავცქერი ცელოფანის პარკში მოგროვილ ასკილისა და კოწახურის, კუნელისა და თხილის ნაყოფს და ისევ აღმა მივუყვები ახალციხისხევის რიყნარს, ტყე-ბუჩქნარის არტახებში მომწყვდეულ პატარა მდინარის ლიკლიკს ვუგდებ ყურს, – მაღლა მთიდან მოგზაურობის ამბავს მიყვება კოლეგას, – მეც ხომ მოგზაური ვარო, უსასრულოდ დავხეტიალობ და ჯერჯერობით კალაპოტში ვერ ჩამტიესო...

მერე ისევ სოფელ ახალციხის ხედს გავცქერი: ფერდობზე კიდევ ერთმა ნაკვეთმა შეიცვალა ფერი, – მოყავისფრო-თალხიდან ღია ყვითლად, – სიმინდის ყანა აუღიათ; გვერდზე გადაშავებული ოთხკუთხედია – დაუბარავთ...

ხალხი აღმართიან ბილიკზე გამწკრივებულა – შინისკენ მიემართებიან, წინ საქონელს მიდენიან. და მათთან ერთად მდინარიდან დაძრული ჩრდილიც ზევით მიიწევს ფერდზე – მზიანისა და ჩრდილის საზღვარი თითქოს მიერეკება სოფელში მიმავალთ. ჩრდილი ჯერ ყანებს იპყრობს, მერე – სასაფლაოს, სოფელსაც თალხში ხვევს და, ბოლოს, მაღლა ციხეღა რჩება განათებული.

ციხის დაპყრობას აღარ დავუცადე და მანქანას მივაშურე, ბესიკს მანქანა უკვე დაუქოქავს.

ნახვამდის ახალციხისხევო!

ნახვამდის ახალციხევ!

1974

თეთრწყლებსა და თელავს შუა

როცა თბილისიდან თელავს მიმავალი გომბორის უღელტეხილს გაცდები, სოფელ თეთრწყლებსაც უკან მოიტოვებ და თურდოს ხევსაც გადაივლი – შეხვალ ტყეში... რამდენჯერაც გინდა მიდიოდე ამ გზით, ეს ტყე მაინც ყოველთვის გატყვევებს; წელიწადის დრონი სხვადასხვაგვარად რთავს მას, ოღონდ ერთნაირად მიმზიდველად.

თუნდაც გაგანია ზაფხულში: სიცხით გათანგული, მანქანით ქალაქს გაერიდები, გომბორის უღელტეხილზე ნისლის რძისფერ ტბას ჩამოსცილდები ქვევით და სასწაული ადგილი გამოგეცხადება: აქეთ – ატეხილი მუხნარი, მას მერე – ქარაფი, ქარაფის თავზე – ფსიტის ციხე, უფრო სწორედ, მისი ნარჩენები, ღოჯებად ამოზრდილ-მიჩერებულნი ცისკენ... გზის ორივე მხარეს – ნაირგვარი სიმწვანე, ათასფერადი ყვავილი და ათასნაირი მოფარფატე პეპელა, მოწინწრიხე კალია თუ მობზუილე მწერი გულის სალბუნად და თვალის გასახარად. ასეთი მწვანე არსად გინახავს – აგვისტოში მელაკუდები (სოკოა ერთგვარი!) რომ წითლად ამობრწყინდებიან აი, ასეთ ხასხასა მწვანეზე, გინდა, რომ ხელები გაშალო, ჰაერი ბარაქიანად ჩაისუნთქო, მისი დიდი "ლუკმა" გადაყლაპო და მერე ნებანება ამოუშვა – ღრმად ამოისუნთქო, თვალი კიდევ და კიდევ მოავლო ირგვლივ ყოველივეს... გინდა, ფოთლებს ჩაეხუტო, გრილ ბალახზე გაგორდე, მიაჩერდე ცის ლურჯ ფონზე მუხის ფოთლების მწვანე მაქმანს...

გზა გელის, წინ კიდევ რა გამოლევს ლამაზ ადგილებს, მაგრამ ტყისპირის მიტოვება მაინც გეძნელება...

1990

ლამაზი მთა – ქაბარჯინა

იქნებ უფრო სწორი იქნებოდა, რომ სათაურად დამეწერა – "ლამაზი მწვერვალი – ქაბარჯინა"?

დიახ, ქაბარჯინა მწვერვალია ხევში. არც ისე მაღალია ამ ადგილებისთვის – სულ 3141 მეტრია ზღვის დონიდან, მაგრამ ისე ეულად დგას, სხვა მთებისგან გარიყული, რომ საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს – თითქოს ვიღაც ხელმადლიანმა ხელოვანმა უდიდესი შრომით გამოძერწა ეს წოწოლა, რუხ-შავი პირამიდა. სინამდვილეში, როგორც ენციკლოპედია გვამცნობს, ქაბარჯინა "ძველი ჩამქრალი ვულკანია, აგებულია ზედაპლიოცენური ანდეზიტ-დაციტური ტუფებით, ტუფ-ბრექჩიებითა და ლავებით; მისი დასავლეთი კალთა ჩამორეცხილ-დაღარულია და ფლატოვანია". მასზე მუდმივი თოვლ-მყინვარი არ არის, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ადვილად ახვალთ მწვერვალზე – მისი ფერდობები ციცაბოზე ციცაბოა, თანაც იშლება, ხშირია ქვის ცვენა, ასე რომ, მთამსვლელნი ნაკლებად ეტანებიან, მისი სილამაზე საშიშია.

ლამაზია ქაბარჯინა, ძალიან ლამაზი. ზოგიერთები ალბათ მიკიჟინებენ, მყინვარწვერს როგორ ადრიო? მე კი "ხევის დედოფალს" სულაც არ ვადარებ! მყინვარწვერს თავისი სილამაზე აქვს, გამორჩეული – ამ თავსპეტაკი გიგანტის ფონზე გერგეტის სამების მუქი ტაძარი და სამრეკლო ჯადოსნურ შთაბეჭდილებას ახდენს. დარწმუნებული ვარ, ამ საოცრების სანახავად მსოფლიოს ყველა კუთხიდან საგანგებოდ მოვლენ და თუ გული დასწყდებათ, მხოლოდ იმის გამო, რომ მყინვარწვერი მეტისმეტად მორცხვი პატარძალია – მისი მწვერვალი უმეტეს დროს ღრუბლების თეთრი პირბადითაა დაფარული... ოღონდ, როცა გადაიყრის მანდილს და მზეზე თვალისმომჭრელად აკაშკაშდება მისი თოვლიან-ყინულიანი შუბლი, მაშინ... მაშინ მოგინდება ლოცვა აღავლინო იმ ძალის წინაშე, რომელმაც ასეთი მშვენიერება წარმოშვა! და მეორე მხრივ, ადამიანიც შექმნა, რომ ასეთი სილამაზით დამტკბარიყო!

მყინვარწვერს მრავალი მხატვარი მოუხიბლავს, მათი შექმნილი პეიზაჟებით ალბათ შეიძლება კარგი ალბომი შეადგინო. ქაბარჯინაც არის მხატვართა შთაგონების წყარო. ჯერ კიდევ რუსი პოეტის მიხაილ ლერმონტოვის ნამუშევრებში, რომლებიც მან საქართველოში ყოფნისას შექმნა, ქაბარჯინას ხედიც არის მის ძირში მიყუჟული სოფლით – სიონით, ძველთაძველი სიონის ტაძრითა და კოშკით... თუმცა, მიყუჟულიაო, რას მიქვია, ისე მშვენივრად არის "მორგებული" რელიეფზე, რომ არაერთ აქ გამვლელ მხატვარს ფუნჯი ააღებინა ხელში.

სოფელ არშიდან, სამწუხაროდ, მყინვარწვერი არ ჩანს, სამაგიეროდ, ქაბარჯინას ყურებას არაფერი სჯობს! ჩემს არშელ მასპინძელს სოსო ღუდუშაურს ჩემი იქ ივლის-აგვისტოში ყოფნისას ხშირად ვეუბნებოდი: "მე რომ აქაური ვიყო, ამ სოფელს როგორ დავტოვებდი? ყოველ დილით რომ გამოხვალ ეზოში და აქეთ ქაბარჯინას გახედავ, იქით – ყუროს, სჯობს ამას რამე? ისეთი გრძნობით ვივსები, თითქოს აქ რომ ვცხოვრობდე, არც არასდროს დავბერდები, მუდმივად ვიქნები ამქვეყნად, მარადჟამ ვუყურებ ამ სილამაზეს!".

ყოველთვის ლამაზია ქაბარჯინა.

დილით, აისით შეფაკლულ ცის ფონზე ნელ-ნელა რომ გამოიკვეთება, მერე მზის თბილი სხივები აანთებენ მის მწვერვალს, ნელ-ნელა ნათელი ზოლი ქვევით-ქვევით იწევს მზის მაღლა წამოწევასთან ერთად და აჰა, მნათობის ელვარე თვალიც ამოანათებს ნარიანის ველიდან და ისე გააბრწყინებს გარემოს, წუთით ქაბარჯინაც სხივთა ცეცხლოვანი მარაოს უკან დაიბინდება.

მერე მთელი დღე მიგორავს მზის ბურთი ქაბარჯინას თავზე, ხანაც ღრუბელს მიეფარება და მაშინ იგრძნობ მთის სოფლის ჰაერის მსუყე სიგრილეს, შესაძლოა, ოდნავ შეგამცივნოს კიდეც, მაგრამ სულ მალე მნათობი ისევ გამოიხედავს და ისევ თბილი ტალღა ტკბილად დაგივლის ტანში.

ხანდახან ქაბარჯინას თავზე ერთი-ორი თეთრი ქულა კი არა, მთელი ფარა თავს მოიყრის მუქი ღრუბლებისა, მიდის მათი ჩახლართვა და ელვათა კვესა – აქამდეც კი აღწევს შორეული გრგვინვა მეხთატეხისა. მწვერვალი ინთქმება მბორგავ ღრუბელთა ზღვაში. აქაც, არშაში, დაუშვებს თქეშს, მას მალე მოჰყვება სეტყვა და, გადასაფარებელში შეყუჟული, გასცქერი ხრიალ-ტაკატუკით თეთრი მარცვლების ხტომას სახურავებზე, გაბნევას მიწაზე... წვიმა-სეტყვის ფარდა მალევე იცრიცება-ილევა, მერე უცებ მზე გამოაჭყეტს თვალისმომჭრელად ლურჯი, მოწმენდილი ციდან და ხედავ ქაბარჯინას, ისევ ისე აყუდებულს, ოღონდ ახლა თეთრად მწვერვალგადასპეტაკებულს, მხოლოდ ალაგ-ალაგ მუქად გამოკრთის მისი ციცაბო კალთები (ხელმარცხნივ კი ნარიანის ველი სულ თეთრად ბრწყინავს მეორე დღესაც კი – იმ სიმაღლეზე სეტყვის ფენა ნელა დნება). ქაბარჯინას თავზე უკანასკნელი თეთრი ფთილები ინთქმება-იხსნება კრიალა ზეცაში...

ქაბარჯინა ღამითაც ლამაზია, თავისებურად მომხიბვლელი, როცა მთვარე დასცქერის-დაჰნათის მუქ უზარმაზარ პირამიდას და მის კლდოვან ფერდობებსა და წვეტიან მწვერვალს ვერცხლისფრად ავარაყებს... ქვევით კი, მის ძირში, სოფელ სიონის სინათლეები თბილად ჭიატობენ, ლურჯი ხავერდის ზეცა თვალხუჭუნა ვერსკვლავებითაა მოკენჭილი. ლოდებიან კალაპოტში მბორგავი თერგის ხმაური კიდევ უფრო ამძაფრებს საყოველთაო სიწყნარის იმ გრძნობას, რომელიც თითქოს უკიდეგანო ციური სივრცე-სიღრმიდან ეფინება მთელ სოფელს, ხევს და ქვეყნიერებასაც...

ლამაზი მთაა ქაბარჯინა, ამაყად ამართული მწვერვალი, მაგრამ არა ამპარტავანი – როდესაც გნებავთ, ეწვიეთ, მიესალმეთ ერთმანეთს, როგორც თანატოლები და თანასწორნი ცისა და მიწის წინაშე.

1988

წუნდის ღამე

ქართული ენციკლოპედიიდან ამოვიწერე:

"წუნდა" – ისტორიული ქალაქი სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთში; მისი უძველესი ცენტრი მდებარეობდა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (ახლანდელი ასპინძის რაიონის სოფელ ნაქალაქევსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე). ქართული ეროვნული ტრადიციის თანახმად, ქალაქი დააარსა ქართველთა ერთ-ერთმა ეთნარქმა ჯავახოსმა (ჯავახეთის ეპონიმმა). ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ქართლის მეფემ ფარნავაზ I-მა დააარსა წუნდის საერისთავო. ერისთავის გამგებლობაში შედიოდა ჯავახეთი, კოლა, არტაანი. წუნდაში იყო საეკლესიო ცენტრიც. ქალაქზე გადიოდა ბიზანტიიდან ქართლში მიმავალი გზა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა წუნდის დაწინაურებაში.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – XII-XIII საუკუნეების დარბაზული ეკლესია. პატარა კლდეზე აღმართული ეს ეკლესია ნაგებია სუფთად გათლილი სწორი კვადრებით, კარ-სარკმელების ჩარჩოები და კარნიზი მდიდრულადაა მოჩუქურთმებული. დასავლეთის კარზე ასომთავრული წარწერაა, სამხრეთით მიშენებულია კარიბჭე, რომლის სვეტებიც ასევე უხვადაა მოჩუქურთმებული. შემორჩენილია სამრეკლო, აგრეთვე, გელაზის ქვები და ქვაში ამოჭრილი საწნახლები. ნაქალაქარის ჩრდილოეთით მდინარე მტკვრის მარჯვნივ XIX საუკუნეში ჯერ კიდევ იდგა ნაციხარი – ვერანყალა".

წუნდა, წუნდა!

სამი ათეული წელია, გეოლოგის ხვედრი მაწანწალებს საქართველოს მთა-ბარში. ვინ იცის, რამდენჯერ გამითენებია ღამე ტყე-ღრეში, გატიალებულ ტრამალში ან ცივ მთაში; სახურავად ხან კარვის ბრეზენტი მქონდა, ხანაც გადაკრიალებული ცა. ერთი ღამე განსაკუთრებით ღრმად, გამორჩეულად აღიბეჭდა ჩემს სულში და აქამდე რატომღაც ხშირად მახსენდება და სიამით მავსებს... არადა, არაფერი განსაკუთრებული თითქოს არ მომხდარა, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ღამე იყო, მესხური ღამე.

კარგა ხანია მას აქეთ.

იმ ზაფხულის ცხელ დღეს ვარძიის მონახულებაც მოვასწარით, გვინდოდა, იქვე სადმე დავბანაკებულიყავით, მაგრამ შოთამ სავსებით მართებულად გადაწყვიტა, ჯობს, ცოტა მოშორებით გავი-

დეთ, ღამე იქ გავათიოთო. მართლაც, კიდევ ვიარეთ, დავუყევით გზას მტკვარაღმა და წუნდის ტბასთან გავჩერდით.

არცთუ დიდი, მაგრამ ნატიფი წუნდის ეკლესია კოხტად შემომჯდარიყო კლდის ამონაშვერზე. გვიან ბნელდებოდა და ვახშმის შემდეგ გვარიანად ვიბღოტიალეთ ხვლიკებივით ეკლესიის გარშემო – ვუთათუნებდით ხელს დღის განმავლობაში გამთბარ მის კედლებს, ჩუქურთმებისკენ თვალმიპყრობილნი.

...და მერე იყო ღამე, წუნდის ღამე – თბილი და წყნარი. ვიწექი საველე საწოლზე საძილე ტომარაში სანახევროდ ჩამძვრალი, ხელები თავქვეშ მქონდა ამოდებული. საუბარი რა ხანია შეწყდა, მომქანცველი დღის შემდეგ, ალბათ, ყველამ დაიძინა, მე კი მიშტერებული მქონდა მზერა ღამის ჩალურჯებული ცისთვის, უზარმაზარი, უჩვეულოდ კაშკაშა, სხივოსანი ვარსკვლავებით რომ იყო მოჭედილი, და ვუსმენდი ღამის სიჩუმეს... თუმცა, რაღა სიჩუმე იყო – მტკვრის ნანასავით ბუბუნს უერთდებოდა ჭრიჭინობლების გაბმული კონცერტი, ღამურის ფრთების ფართქუნი და ძაღლის შორეული ღავღავი. ნიავი ისეთი თანაბარი იყო, რომ უხმოდ ატოკებდა ბალახებს, ოდნავ აშრიალებდა ბუჩქებს და დაგვალულ ხეებს ტაძართან. ალბათ, ტბის მცენარეულობასაც ატალღებდა და წყლის ზედაპირსაც წვრილად ანაოჭებდა; ხრიოკის მცენარეულობის საოცარი სურნელი მოჰქონდა და ეს ყველაფერი – ერთი მხრივ, მიწისეული, გონების თვალით ადვილად წარმოსადგენი, და მეორე მხრივ კი – უზარმაზარი ცარგვალი, საიდუმლო, მიუწვდომელი და ჩაუწვდომელი, – კი არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, ჰარმონიულად ავსებდნენ: ერთის სუნი, ფერი, უხეში საგნობრიობა, და მეორის – იდუმალება, მოუხელთებლობა...

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ უდაბურ ადგილას ოდესღაც ხმაურიანი ქალაქი იდგა, ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა, ვაჭართა ქარავნებს ცვლიდა მოძალადეთა ლაშქარი, მშენებლობას – ნგრევა და სისხლი... ვგრძნობდი, როგორ თანგავდა ჩემს სულს ტკივილიანი წარსულის ზმანებები, ცის უკიდეგანო სიღრმეში თვალმიშტერებულს რომ გამომეცხადებოდა... მერე ნელ-ნელა ფიქრმა გეზი იცვალა და სულ სხვა მიმართულებით გააქროლა გრძნობა-გონება... არა, ასეთი ჯადოსნური ცა ჯერ არ მენახა, ასეთი მსხვილი ვარსკვლავებით მოხატული... გენერლის განიერ მკერდს ჰგავდა წუნდის ღამეული ცა, ირმის ნახტომის თეთრი ზოლით გადაკვეთილს.

სული მიილტვოდა მაღლა, ზეცისკენ; გინდოდა, რაღაც ქაჯური სისწრაფით ატყორცნილიყავი ზევით, მაღლა და მაღლა... წამიერად განგევლო, გადაგელახა წარმოუდგენელი მანძილი – შრიალით, გუგუნით, აღტაცების ყიჟინით – რომ მიუღწეველს ეზიარე და რაღაც უსასრულო მარტოობასაც გრძნობ... უყურებ ჩავლილ, ჩაგრიალებულ, უკან გატყორცნილ სამყაროებს; მბრუნავ, სარტყელიან, მფეთქავ, გავარვარებულ ან წითლად მოღუილე (ჩამავალ მზესავით) დისკოებს, სატურნის მსგავს სარტყელებიან, ნახევარსფეროს ფორმის, თანამგზავრებით დახუნძლულ და ათასგვარ სხვა სიდიდის, ფორმის, ფერის ციურ სხეულებს, – მიფრინავ, მიჰქრიხარ, მიჰქრიხარ... მიჰქრიხარ რატომღაც მთლად დედიშობილა, მაგრამ არც გცივა, არც გცხელა, მხოლოდ გრილი ნიავი გელამუნება სასიამოვნოდ სხეულზე (თუმც კი იცი გონებით, ეს შეუძლებელია, ჰაერს აქ რა უნდა!). არაფერი გაკრთობს, არაფრის სურვილი გაქვს – მეტი რაღა უნდა გინდოდეს, გიჟურად მიჰქრიხარ, სიხარულითა და აღტაცებით ატაცებული. ქროლვას აყოლილს, თავბრუ გესხმის ბედნიერებით და ვარსკვლავთა ციმციმს, ჭიატს, ბრუნვას, თვალის ჩაპაჭუნებას აღიქვამ შენს პირად ღმერთობად; ღმერთი ხარ, ღმერთი!

წევხარ ასე, სანახევროდ საძილე ტომარაში ჩამძვრალი და გრძნობ, რომ უმიზეზოდ გეღიმება, თუმცა, რატომ უმიზეზოდ? ასეთი უკიდეგანო სიღრმე რომ შეგიტყუებს, გაგაჯირითებს და გაგალაღებს, უნებურად ყოვლისშემძლეობას შეიგრძნობ, გაიჭიმები, კუნთებს დაძაბავ და ტკბილად გაგაზმორებს.

მერე ისევ შესცქერი ვარსკვლავთა ალმასებით მოჩითულ სილურჯეს და უცებ აღმოსავლეთით ამოგორებულ სავსე მთვარეს ჰკიდებ თვალს. რა მარდად იწევს მაღლა-მაღლა, ნუთუ დრო ასე სწრაფად გარბის? ირონიული ღიმილით დამცქერის და ნათელს ადგამს გარემოს, ზღაპრულ ელფერს სძენს – მთოვარეა ნამდვილად, ვერცხლისფერ სხივებს ათოვს ყველაფერს და შავ ურჩხულად წამოყუდებული ჩვენი სატვირთო მანქანაც, მისი სხივებით მოვარაყებული, ჯადოსნურ არსებად იქცევა; გგონია, ახლა სული ჩაედგმება, აფუთფუთდება და თავისით მოწყდება აქაურობას – აქამდე თუ თქვენს ნება-სურვილს დავყვებოდი, ახლა ჩემით გავისეირნებ, სადაც მინდა, იქ გავწევ, რომელ გზებსაც მინდა, იმათ დავკეცავ – ფარების ჩართვაც არ დამჭირდება, მთვარე ბარაქიანად ანათებსო.

გონებაში უნებურად ამოტივტივდა გალაკტიონის ჯადოსნური სტრიქონები:

“ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,
 სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება...”

მერე იმას წარმოვიდგენ, რას აკეთებენ ჩემიანები ამ წუთს – კოსმოსის ვერცხლისფერი უსასრულობიდან თბილისის ერთ მყუდრო ბინაში გადავიტყორცნები... რას უნდა აკეთებდნენ? სძინავთ, ალბათ, კარგა ხანია, უკვე ღამის ორი საათი იქნება – ცარგვალის ტრიალით ვცნობ დროს ღამის

მწყემსებივით: მეც იმდენჯერ მომიწია ღია ცის ქვეშ ღამის ცისთვის თვალის მიშტერება, რომ თანავარსკვლავედების განლაგებაც ვისწავლე და დროის ცნობაც.

ტრიალებს, ტრიალებს ცარგვალის სფერო, ფიქრიც ტრიალებს, ოღონდ სულ უფრო ნელა და ნელა, თვალებს ტკბილად ვლულავ... მივძვრები საძილე ტომარაში უფრო ღრმად – დილისპირს აცივება და ცვარი იცის – და უკანასკნელად წამით მივაჩერდები ამოჩემებულ "ჩემს" ვარსკვლავს...

1989

ადირსუს ღამე

ბალყარეთის მთებში აგვისტოს მიწურულის მზიანი დილა გათენდა.

მდინარე ადირსუს სათავეში, თითქმის მყინვარის საზღვართან, მთელ ზაფხულს იდგა გეოლოგთა ორი კარავი. ბანაკი გუშინ აიშალა, ბარგი ნაქირავებ ცხენებს აჰკიდეს და ქვევით დაეშვნენ, მდინარე ბაქსანის ხეობისკენ, სადაც დათქმულ დროს სატვირთო მანქანა მოვიდოდა და გადაიყვანდა ექსპედიციას ბაზაში, ქალაქ თირნიაუზში.

ნაბანაკარში ორნი დარჩნენ – კოტე და თენგიზი, მეხუთე კურსზე გადასული პრაქტიკანტი სტუდენტები, მომავალი გეოლოგები. თენგიზი გუშინწინ შეუძლოდ შეიქნა – ალბათ რაღაცამ აწყინა: კუჭი აეშალა, მისცა მაღალი სიცხე, ძლიერი სისუსტე იგრძნო მთელ სხეულში. ექსპედიციის მუშაობის მკაცრ განრიგს ვერ დაარღვევდნენ. ექსპედიციის უფროსმა ივანემ გადაწყვიტა: შვიდ კაცში კენჭი უნდა ეყარათ; წილისყრის წინ სრულიად მოულოდნელად კოტემ განაცხადა, არ არის საჭირო გათამაშება, მე დავრჩები ავადმყოფთანო. ამ ამბავმა დანარჩენები განაცვიფრა – კოტესა და თენგიზს ერთმანეთი მაინცდამაინც არ ეხატებოდათ გულზე...

ამ დილით კი თენგიზმა უკეთ იგრძნო თავი და გადაწყვიტეს, ფეხით წასულიყვნენ საავტომობილო გზისკენ ბაქსანის ხეობაში, იქიდან კი რომელიმე გამვლელ მანქანას გაჰყოლოდნენ თირნიაუზამდე.

აუჩქარებლად ისაუზმეს, ზურგჩანთებში ჩაალაგეს საძილე ტომრები, დარჩენილი სანოვაგე, ალპინისტური მძიმე ფეხსაცმელი და წასვლის წინ ცოტა ხნით ჩამოსხდნენ კლდის ნამტვრევებზე, სკამების მაგივრობას რომ სწევდა – უკანასკნელად უნდა მოევლოთ მზერა გარემოსთვის.

თითქმის მოშუადღევდა. მზე უბედურად აჭერს – ეტყობა, ამინდი შეიცვლება. თვალისმომჭრელად ელავს მყინვარები, მწვერვალთა თეთრი წვერები და ფერდობები. უცნაური გრძნობა ებადებათ, თითქოს რომელიღაც უცხო პლანეტაზე იმყოფებიან. ორი თვე დაჰყვეს აქ და ისევ ისე იტაცებთ ეს არაამქვეყნიური სილამაზე. ვერ შეეჩვივნენ და მაინც საოცრად უჭირთ აქაურობის დატოვება – მკაცრი, ამაყი, ზვიადი ბუნებისა, შენი დამორჩილება გულშიც რომ არ გაუვლია და მაინც გიმონებს – სიძლიერით კი არა, სილამაზით...

წინ ტანმორჩილი, ჩასკვნილი კოტე მიდის წინ წახრილი, უზარმაზარი გატენილი ზურგჩანთა მთასავით ადგას ზურგზე. კიდევ კარგი, ქანთა ნიმუშები გუშინ წაიღეს ცხენებით, თორემ ალბათ გაწყდებოდნენ წელში – არ გინდა ეს ზურგჩანთები ბაქსანის ხეობამდე თხუთმეტი-ოცი კილომეტრი ატარო? მაინც ყოჩაღად მიაბრახუნებს ჩექმებს კლდოვან ბილიკზე; კალმახივით სხმარტალა ბიჭია, მოუსვენარი, დაუზარელი, ყოჩაღი. დაღვრემილს ვერასდროს ნახავ. მოსწრებული კითხვა-პასუხი აქვს, ამასთანავე მისი ხუმრობა არასდროს არის გამკილავი. თენგიზთან ხუმრობას მაინც ერიდება, მეტიც – იშვიათად თუ გადაელაპარაკება, რასაც თავისი მიზეზი აქვს.

თენგიზი კოტეზე მთელი თავით მაღალია, მხარბეჭიანი, თმახუჭუჭა, მძიმედ ადგამს ნაბიჯებს. უნდა როგორმე წონაში დაიკლოს, პაპიროსსაც უფრო ამიტომ ეწევა. ვერ იტყვი, რომ ცუდი ბიჭია, მაგრამ, კოტესგან განსხვავებით, ექსპედიციაში იგი არ უყვართ. ერთხელ დაეზარა და უარი განაცხადა ნაქირავები ცხენების პატრონისთვის დასაბრუნებლად წაყვანაზე, თუმცა მისი რიგი იყო; რამდენჯერმე ძნელ მარშრუტზე წასვლასაც თავი აარიდა, ბანაკში მორიგედ დატოვებულმა კი თავი არ შეიწუხა სადილის კეთებით – ჟოლოიანებში ძრომიალს მოუნდა და აკი დაისაჯა კიდეც: ეტყობა, ჟოლოსთან ერთად ჭიანჭველა თუ სხვა უცხო რამ ჩაჰყვა პირში და კუჭი აუშალა. საკუთარი ფიზიკური ძლიერების იმედი აქვს და არავის ეპუება. ერთხელ თირნიაუზის ტირში კოტემ აჯობა სროლაში და ეს ვერაფრით მოინელა. განსაკუთრებული ელფერი ამ პაექრობამ იმის გამოც შეიძინა, რომ შეჯიბრების წინ თენგიზი ტრაბახობდა, ორი წელი ვვარჯიშობდი სასროლეთზე და ჩინებული შედეგებიც მქონდაო. კოტეს არაფერი უთქვამს, მაგრამ სხვა ბიჭებმა თენგიზის მარცხი თავიანთი ოხუნჯობის ამოუწურავ თემად გაიხადეს და ამით ერთგვარად გულს იფხანდნენ – თენგიზი ხომ მათ არცთუ იშვიათად საკმაოდ უბოდიშოდ აგრძნობინებდა, როგორი ღონიერიც იყო...

ამხანაგების უწყინარ ხუმრობაზე თენგიზი სერიოზულად ბრაზდებოდა და რაც უფრო წიწმატდებოდა, მით მეტ საბაბს და მასალას აძლევდა მოქილიკეებს შემდგომი ხუმრობებისთვის. თენგიზი ერთგვარად გაირიყა, აღარავის ეკარებოდა, უმცირეს საბაბს ეძებდა "სამაგიეროს გადასახდელად".

განსაკუთრებით კოტეს ჩაუდგა კრიჭაში. თირნიაუზში საღამოობით საცეკვაოდ მიდიოდნენ ბიჭები და იქ გასაქანს არ აძლევდა – რომელ გოგოსთანაც კოტე დაიწყებდა ცეკვას, მივიდოდა და კოტეს ახალ პარტნიორს წაართმევდა, ვითომ ხუმრობით, რასაკვირველია: "შენ ჯერ გაიზარდე, ახლა წადი და ტირში ივარჯიშე", – დათვის ტორით ჩამოიცილებდა კოტეს გზიდან. კოტეს თენგიზის საქციელი, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა, მაგრამ სულგრძელად წყენას არ იმჩნევდა. ახლა სხვა ქალიშვილთან დაიწყებდა ცეკვას, მალე თენგიზი ძველ ილეთს მიმართავდა და ამჯერადაც წაართმევდა პარტნიორს. კოტეს მეგობრებს რამდენჯერმე უნდოდათ მიეტყიპათ თენგიზი, ჭკუა ესწავლებინათ თავხედობისთვის, მაგრამ კოტემ არ დაანება. გოგოებს კი მოსწონდათ თენგიზის, მოსული, მოხდენილი ვაჟკაცის სითამამე. ამასთანავე, თენგიზი არცთუ ძლიერი, მაგრამ გასაოცრად მაღალი, ულამაზესი ტენორით დააჯილდოვა ბუნებამ – გაგიკვირდებოდა, ნუთუ ამგვარი ბრგე ტანის პატრონს შეესაძლებელია, ასეთი ხმა ჰქონდესო. ძალიან ბევრნი, მათ შორის ვოკალის სპეციალისტებიც, ურჩევდნენ მას კონსერვატორიაში შესვლას, მაგრამ თენგიზი მათ აზრს არაფრად აგდებდა, მკაცრი რეჟიმი და დიდი შრომა არ ეპიტნავებოდა. ხმა კი მართლაც მომაჯადოებელი, ღვთით მომადლებული ჰქონდა, მუსიკალობითაც გამოირჩეოდა, იშვიათად კი მღეროდა. მხოლოდ ლხინის დროს, თუ ქალიშვილებისთვის უნდოდა თავის მოწონება, ერთ-ორ სიმღერას ხილად იმღერებდა, მეტს კი არასდროს, ხვეწნის მიუხედავად. ხმას კი არ უფრთხილდებოდა, საკუთარ სიმღერას ადებდა ფასს...

კოტემ და თენგიზმა ჯერ შედარებით სწორზე, კლდოვან ნაყარში ხტუნვა-ხტუნვით იარეს, შემდეგ ციცაბო ნაშალს დაუყვნენ ქვევით. მთებში სიარულით გავარჯიშებულებმა, საკმაოდ სწრაფად განვლეს ფერად-ფერადი ყვავილებით მოჩითული ამწვანებული ალპური ზოლი და ტყისპირს მიაღწიეს. აქ უკვე მუქი მწვანე გაბატონდა – წიწვიანი ტყით შემოსილი ულამაზესი ხეობა, რომელსაც აქა-იქ ვულკანურ ქანთა მუქი გამოსავლები ღარავდნენ.

გამოჩნდა ბილიკი; იგი ხეობის მიმოხვევას ერთგულად იმეორებს, ხანდახან ტყიდან გადის მაღალი, გალაღებული ბალახით დაფარულ მომცრო მდელოებზე, რომელთა ნაპირებში ალაგ-ალაგ ჟოლოს ბუჩქები ჩარიგებულა. ჟოლო მწიფს და, თუმცა ახლა ამისთვის არ სცალიათ, მაინც წაუცდებათ ხოლმე ხელი თბილად მოღუილე ნაყოფებისკენ.

თვალს შეჩვეული მწვერვალები მათ კარგა ხანს მიაცილებენ, მერე ნელ-ნელა ჯერ ერთის ნაცნობი კონტური ეფარება ახლო ფერდობს, შემდეგ მეორე ქრება ხეობის მორიგი მოხვევისას... და ასე თანდათან შორეული, ზაფხულის განმავლობაში შეჩვეული მწვერვალებიდან მხოლოდ მოგონებაღა დარჩა.

ორი საათი ბილიკ-ბილიკ შეუჩერებლად იარეს, თითქმის ნახევარი გზა მოიტოვეს უკან. ჩამოსხდნენ ჩრდილში დასასვენებლად, ზურგჩანთები არც მოუხსნიათ, ისე მიეყრდნნენ ფიჭვის ტანს. ცხვირსახოცებით იმშრალებენ გაოფლილ სახეებს. თენგიზი სიგარეტს ეწევა. ჩუმად სხედან, თავთავიანთ ფიქრებში ჩაძირულნი. მალე თბილისში ჩავლენ, დაიწყება ლექციები, უკანასკნელი კურსიც დარჩათ ჩასათავებელი და მერე დაიწყებენ მუშაობას...

შეჰყურებენ წიწვოვანების მწვანე ხავერდს ადირსუს ფერდობებზე, რომელზედაც ალაგ მზით განათებული ზურმუხტის ლაქები ხასხასებს, ალაგ კი ღრუბელთა ჩრდილი ეცემა.

ცა სწრაფად ჩამობნელდა. ჩრდილები გაქრა, პირველყოფილი, შეურყვნელი სილამაზე ნელ-ნელა დაიბინდა. მოულოდნელად ამოვარდნილმა ძლიერმა ქარაშოტმა ააშრიალა ფოთლები, მძლავრად დაარწია ტოტები; გამხმარი ფოთლები, წიწვები, მტვერი აიტაცა მიწიდან, დაატრიალა და ბიჭებს თვალებში შეაფრქვია...

წამოხტნენ და თითქმის სირბილით დაუყვნენ დაღმართიან ბილიკს.

უცებ ელვის ლაპლაპა ხანჯალმა ცა გაფატრა, თვალისმომჭრელად გადათეთრდა ხეობა, შემდეგ ჩაშავდა და იმავე წამს გამაყრუებელმა გრგვინვა-ქუხილმა შეაზანზარა მთელი ხეობა.

აწკაპუნდნენ წვიმის მსხვილი წვეთები ფოთლებზე, ბილიკი მაშინვე გამუქდა. ზეციდან ჩამოქცეული თქეშის ღვარი ფარდასავით ჩამოეფარა გარემოს.

ბიჭები შევარდნენ საუკუნოვანი ნაძვის ქვეშ, მაგრამ ერთ წუთში თხემით ტერფამდე გაილუმპნენ. იქ დგომას აზრი აღარ ჰქონდა და ისევ სიარული არჩიეს – აცივდა, თან მეხის დაცემისაც შეეშინდათ.

წვიმის ჩანჩქერის კედელს იქით სამ ნაბიჯში თითქმის არაფერი ჩანს, მაგრამ მაინც არ ჩერდებიან. ჩექმები პირამდე გაევსოთ წყლით, სიარული ჭირს. წინ მიმავალი კოტე ჯდება ბილიკის კიდეზე, ზურგჩანთას იხსნის, შემდეგ მოურიდებლად წვება ზურგზე და ფეხებს მაღლა იშვერს – წყალს ღვრის ჩექმებიდან. მას თენგიზიც ბაძავს.

გზადაგზა რამდენჯერმე იმეორებენ მსგავს ილეთს, გამძვინვარებული სტიქიონი კი არ ცხრება. თითქოს ჭექა-ქუხილის ღმერთის სამფლობელოში მოხვდნენ – პირს აღებენ, რომ არ დაყრუვდნენ, თან სახეზე ღვარად ჩამომდინარე წყალს სვამენ.

ჯოჯოხეთური გრგვინვა-გრიალი, ყრუ, შავი კედელივით სიბნელეში დროდადრო გაელვებისას წამიერად გამონათებული არყათა თეთრი ტანები, ნაძვთა მუქი ტოტები... და ყველაფერს წვიმისა და

ქარის კლაკნია სველი ხელები ეჯაჯგურებიან, ატორტმანებენ – ხეთა წაქცევა-ამოთხრა სურთ; ბიჭებს ხან წინიდან აწვებიან და აჩერებენ, ხან ზურგში წაუჯიკავებენ, ბილიკიდან ხევში გადასროლას ლამობენ...

საოცარია, როგორ აგნებენ ბილიკს ამ ჯოჯოხეთში, როცა ცა და მიწა ერთმანეთშია ათქვეფილი. წინ მიმავალი კოტე რაღაც ცხოველური გუმანით თუ ინსტინქტით აგრძელებს გზას; ბილიკის გადამღობავ წაქცეულ ხის ტანს ან საშიშრად გამოჩრილ გამხმარ ტოტს რომ წააწყდება, თენგიზის ახლო მოსვლას უცდის, რომ ხელი მოჰკიდოს და ხიფათს ააცილოს – ყვირილით ვერაფერს გააგონებს.

როგორც იქნა, განათდა, წვიმა შენელდა და მალე გადაიღო, ქარიც ჩადგა, მხოლოდ დროდადრო ქუხს შორს და უკანასკნელი წვეთები ეცემათ სახეზე. გალუმპულებს, სიცივისგან აძაგძაგებულებს, მხოლოდ ჩქარი სიარული თუ უშველით, რომ გახურდნენ, მაგრამ ტანსაცმელი და ზურგჩანთები ისე უბედურად დამძიმდა, ძლივს მიაბიჯებენ – სწრაფ სიარულს ვინღა ჩივის მდინარედ ქცეულ ბილიკზე. ძლიერი ნაკადი დროდადრო ღრმავდება, მუხლამდე წყალში მიტოპავენ; კანჭებს ეხეთქებათ აგორებული, საკმაოდ დიდი ქვები, წყლის ზედაპირზე მიცურავენ და ფეხებში ებლანდებათ ხეთა ტანები...

მოსაღამოვდა. გზა უსაშველოდ გაიწელა. სურთ, როგორმე ნათელში გაიარონ ყველაზე სახიფათო მონაკვეთი – ის ადგილი, სადაც ადირსუს ხეობის ბოლო "წაჭრილია" ბევრად უფრო ღრმა ბაქსანის ხეობით და მდინარე ადირსუ აქ ჩანჩქერს ჰქმნის. სწორედ ამიტომ ვერ შედის ადირსუს ხეობაში სამანქანო გზა. ის კი არა და, უსაშველოდ დაკლაკნილი საცალფეხო ბილიკიც ძლივს იკიდებს ფეხს კლდოვან გამონაშვერებზე; ამ ბილიკით უფათერაკოდ გასავლელად დღისითაც დინჯად და მოზომილად უნდა იარო, ღამე კი წინდახედული კაცი არც ეცდება გავლას.

სწრაფად დაბნელდა. მთვარე მაინც ჩანდეს... ისეთი კუპრივით სიბნელეა, თითქოს წინ შავი ხავერდის ფარდას ხედავენ. გაჩერება მაინც არ უნდათ, სცივათ. თენგიზი სავსებით მიენდო წინ მიმავალი კოტეს გუმანს; საოცარია, კოტეც თითქმის ვერაფერს ხედავს, მაგრამ იგრძნო, როდის დაიწყო ბილიკმა ციცაბო მარყუჟებად დაკლაკნა კლდოვან ქიმზე – მდინარე ბაქსანის ხეობისკენ დაშვება. ბიჭები ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრთხილად მიიწევენ ქვევით. კოტე ჩექმის წვერით მოსინჯავს ხოლმე წინ ადგილს – შეიძლება ფეხის დადგმა თუ ფრიალოს კიდეს გადასცდება? – და მხოლოდ შემდეგ დგამს ნაბიჯს. უფრო ხშირად, სადაც ბილიკი კედელშია გაჭრილი, ფორთხვით მიბობღავენ, რადგან ბილიკი სველია და ერთი თუ ფეხი დაგიცდა ან დიდი ზურგჩანთა კლდის ქიმს უნებურად გამოედო, შესაძლოა, ჩიტივით გადაფრინდე უფსკრულში...

მალე ჩანჩქერის ხმაურში ნელ-ნელა ბაქსანის ყრუ ხმაც გაარჩიეს და გაუხარდათ – ჩქარა სამშვიდობოს გავიდოდნენ. მართლაც, კლდოვანი მონაკვეთი გათავდა, ბილიკი უფრო დამრეცი გახდა, სიარულიც გაადვილდა. მერე სველ ბუჩქნარში მოუწიათ გზის გაკვალვა, ბილიკი დაკარგეს. ბუჩქნარი უფრო ხშირი გახდა, მაგრამ ამას ვინღა ნაღვლობს – გავაკდა, ფეხებს შვება მიეცათ, მალე საავტომობილო გზაზეც გავლენ!

და როცა ფეხქვეშ ხრეში ახრაშუნდა, შვებით იხსნიან სველ, მძიმე ზურგჩანთებს, პირდაპირ გზაზე ჰყრიან, სხდებიან და ზურგით ეყრდნობიან. საკმაოდ გრილა, მათ კი ოხშივარი ასდით, სახეზე ოფლს იწმენდენ სახელოებით.

ზრიალებენ ფეხები, გული ნელ-ნელა დგება საგულეში, თითქოს ცოტა სინათლეც ჩაუდგათ თვალებში – გზის ოდნავ უფრო ნათელ ზოლს არჩევენ ჩამუქებულ გარემოში, მერე – გზისპირა ბუჩქების შავ ლაქებსაც. სადღაც ძალზე ახლოს ისმის ბაქსანის შხუილი, ადირსუს ჩანჩქერი მოგუდულად ხმიანობს.

თენგიზი პაპიროსისა და ასანთის კოლოფებს იღებს ჯიბიდან – ორივე აზელილა – და გვერდზე ისვრის.

– რამდენია აქედან თირნიაუზამდე? – კითხულობს თენგიზი. თვითონაც კარგად იცის, მაგრამ ლაპარაკი მოუნდა. ალბათ ისიც წარმოიდგინა, რომ თირნიაუზის ვოლფრამ-მოლიბდენის კომბინატის საერთო საცხოვრებელში ელით თბილი შხაპი, ცხელი ჩაი და რბილი ლოგინი...

– კარგი ნაბიჯით რომ ვიაროთ, დილამდე მივალთ... – კოტეც დაღლილია, ისიც კმაყოფილია, რომ საავტომობილო გზას მიაღწიეს.

– ფეხები მტკივა, კოჟრები გამიჩნდა, აქამდეც ძლივს მოვედი.

– ნეტა მანქანამ გამოიაროს... გვიანი კია.

ოდნავი ნიავიც არ იძვრის. ბაქსანის ღრმა ხეობას გარინდებული დევებივით აყუდებული მთები დასცქერიან, თითქოს ამ პირველყოფილ უშფოთველობას დარაჯობენო. მთვარე არ ჩანს, სიბნელეში აქა-იქ ჭალის ხეთა და ბუჩქთა სილუეტები გამოკრთება. ხეობის თავზე სიშავემდე ჩალურჯებული, გაკრიალებული ცის ზოლი გაჭიმულა, ვარსკვლავ-ალმასებით მოჭედილი; მხოლოდ ღრუბლის ერთი პატარა, ღია ფერის ფთილა ეულად გამოკიდებულა და მალე ისიც ქრება ცის სიღრმის უსაზღვროებაში.

ჩუმად სხედან და გარემო ივსება ღამეული ხმებით: რაღაც ფრინველმა ფრთების ფართქუნით და კრიახით გადაუფრინათ, დაუღლელად ჭრიჭინებენ და წინწრიხობენ მწერები, მოშხუის და მოაგორებს ქვებს ადიდებული ბაქსანი.

შორს ძრავის ძლივს გასაგონი ხმა ჩაისახა. ბიჭები მაშინვე ფეხზე წამოხტნენ. ბუბუნი ნელ-ნელა მოახლოვდა, გაძლიერდა და კარგა ხნის შემდეგ ფარების წყვილმა შუქმაც გამოანათა მოსახვევიდან.

უზარმაზარი სატვირთო მანქანის ძარას ბორტები მოხსნილი აქვს და ნაძვის თუ ფიჭვის უშველებელი მორები მსხვილი ჯაჭვებით დაუმაგრებიათ. კაბინაში ორნი სხედან; ერთს კიდევ ჩავისვამთ, მეორე ზევით უნდა აბობღდეს, მორებზეო. კოტემ მაშინვე ააგდო თავისი ზურგჩანთა და მარდად აცოცდა მორებზე. თენგიზს უთხრა, შენ ნაავადმყოფარი ხარ და აქ გაცივდები, კაბინაში ჩაჯექიო, მაგრამ თენგიზმა იუარა და თვითონაც კოტეს გვერდით მოკალათდა.

როცა ორი თვის წინათ თირნიაუზიდან ადირსუს ხეობამდე ამოვიდნენ მანქანით, ფერდები არ შერჩათ მთელი ოღროჩოღრო გზაზე ჯაყჯაყით. ამჯერად, მათდა გასაკვირვებლად, მძიმედ დატვირთული მანქანა ისე რბილად მიირწევა, თითქოს ნავი მისრიალებდეს წყნარ ტბაზე და სიამის მომგვრელი გრძნობა ეუფლებათ.

მანქანის მძლავრი ფარები ანათებენ გზას, გზისპირებზე ალაგ-ალაგ აყუდებულ დიდ ქვებს, მუქ ბუჩქნარს; მოსახვევში შუქი კლდოვან კედელს გაუყვება, რომ შემდეგ ისევ უსწორმასწორო გზა გაანათოს.

აგერ გზა გადაირბინა კურდღელმა, თითქოს თეთრი ბურთი მიხტუნავსო, მერე შეჩერდა, ფარების კაშკაშა სინათლით დაბრმავებული თუ დაბნეული; ბოლოს, გადახტა და სიბნელეში ჩაინთქა.

გზა საკმაოდ ერთფეროვანია, ძრავა თანაბრად ღუღუნებს, მანქანა რბილად მიირწევა, დაღლამაც თავისი გაიტანა და კოტემ ერთი პირი წასთვლიმა კიდეც, რომ მოულოდნელად თენგიზმა სიმღერა წამოიწყო – იტალიური, ნეაპოლური სიმღერა "ო, ჩემო მზეო!". თენგიზი იტალიურად მღერის, მკაფიოდ გამოთქვამს თითოეულ ბგერას, წაგრძელებული ხმოვნები რბილად, გემრიელად ამოსდის თითქოს პირდაპირ გულიდან. მისი მძაფრი გრძნობით აღსავსე სიმღერა ჭეშმარიტი განცდის გამომხატველია და არ დაჰკრავს თეატრალური ელფერი, რაც ზოგჯერ ნეაპოლური სიმღერების შესრულებისას გამოცდილ ოსტატებსაც შეეპარებათ ხოლმე. ეტყობა, თენგიზს უყვარს ნეაპოლური სიმღერები და ესმის კიდეც თითოეულის განუმეორებელი მომხიბვლელობა – პირველს მცირე პაუზის შემდეგ მეორეც მოაყოლა, მესამეც...

კოტე მონუსხულივით გარინდებულა. აღარც მანქანის ძრავის ღუღუნი არსებობს მისთვის, აღარც – მდინარის მქუხარება ჩქერებზე... სიცივესაც კი ისე მძაფრად აღარ გრძნობს....

თენგიზი ცოტა ხნით ყუჩდება, მერე კი მოულოდნელად "ურმულს" იწყებს. თუ მშვენიერი იტალიური სიმღერები ტკბობას ანიჭებენ კოტეს, მშობლიურმა კილომ გრძნობით დამუხტა და გადაისროლა ქართლისა თუ კახეთის რომელიღაც გზაზე, აქაურმა ვარსკვლავებმაც და მთებმაც სამშობლოს იერი მიიღეს; კოტე წამოწვა კიდეც, იდაყვს დაეყრდნო, თითქოს ჭრიალა ურმის კოფოზეა წამოყუნცული. მანქანა ისე მდოვრედ მინანაობს, რომ ალბათ ურმიდან უფრო ადვილად გადმოვარდები, ვიდრე აქედან...

თენგიზს დაღლა არ ეტყობა, სულ უფრო შედის ეშხში. საიდან იცის ამდენი ხალხური სიმღერა? "გაფრინდი, შავო მერცხალო", "გუშინ შვიდნი გურჯანელნი", "ზამთარია", "წინწყარო" და სხვა ულამაზესი სიმღერები... საკვირველია, თენგიზი გურულია და სულ ქართლ-კახურ სიმღერებს კი აყოლებს ერთიმეორეს. კოტე დიდად ნანობს, რომ სიმღერა არ ეხერხება (უყვარს კი), ახლა რომ ცოტა მაინც აჰყოლოდა შიგადაშიგ... ვერაფრით ბედავს, მეორე ხმა უთხრას. თენგიზს ისე ოსტატურად, შეუმცდარად გამოჰყავს ჰანგთა მიმოხვევანი და ისე ეხატება მისი სიმღერა ამ ღამეს, მიმოხვეულ გზას, მანქანის რწევას, რომ კოტე თავს სიზმრისეულ უცხო ქვეყანაში გრძნობს, რომელშიც განფენილია სილამაზე, სიკეთე, მოჩანს მომხიბლავი ხედები; ღიმილით გაცისკროვნებულან ხანში შესულ გლეხთა დანაოჭებულ სახეებზე კეთილი თვალები და ახალგაზრდათა ჯანმრთელი, გადატკეცილი სახეები კი ენერგიასა და მომავლის რწმენას ასხივებენ. დრო თითქოს შეჩერდა, უკანაც კი დაიძრა – წარსულის მოგონებათა ხატებანი თბილად ელამუნებიან გრძნობას... კოტეს მოენატრა დედ-მამა, ძმა, სახლი, ეზო, ქუჩა, თბილისი...

და სრულიად მოულოდნელად, როცა მაღალ ფრიალოთა ძირში ერთ-ერთი მოსახვევიც განვლეს, ქალაქ თირნიაუზის სინათლეებმა სტუმართმოყვრულად გამოანათა.

1984

არშა

“ხოლო ჩასავალს ქუეით არს, ჩდილოთ კერძ, არაგვის დასავლით, ციხე არშისა, თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნული, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე და შეუალი კაცთა, მყინვარის კალთასა ზედა” – ასე მოიხსენიებს პირველად არშის ციხეს ვახუშტი ბაგრატიონი თავის სწორუპოვარ ნაშრომში “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” (“ქართლის ცხოვრება”, ტ. IV, გვ. 357, თბილისი, 1973 წ.). შემდგომში ამ წიგნის ფურცლებზე კიდევ რამდენჯერმე გამოჩნდება არშის ციხის სახელი. როცა 1623 წელს გიორგი სააკაძემ და ზურაბ ერისთავმა ირანის მრისხანე მბრძანებლის შაჰ აბასის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, “არამედ ანდუყაფარ ამილახვარსა ვერ გაანდვეს ესე, რამეთუ ჰყვა ცოლად სვიმონ მეფის ცოლის დაი, ასული ყორჩიბაშისა, მონათესავე ყეენისა, და იყო ანდუყაფარ გამოჰმადიანებულიცა. ამისთვის შეიპყრეს იგი საფურცლის ჭალასა შინა და ცოლიცა მისი წარავლინეს და პატიმარ-ყვეს არშას ციხესა შინა” (გვ. 430); “არამედ ყორჩიბაში მცდელობდა გამოყვანასა ამილახორისასა ცოლით არშიდამ და არა ძალ-ედვა ამისი ყოფად”... ბოლოს, ხოსრო-მირზამ (ქართლის მომავალმა მეფემ როსტომმა) დაიხსნა ანდუყაფარ ამილახვარი ცოლითურთ არშის ციხიდან და მიიყვანა ყორჩიბაშთან. ძვირად კი დაუჯდათ სპარსელებს ორი ადამიანის განთავისუფლება არშის ციხიდან – მარაბდის ომის შემდეგ პარტიზანულ ბრძოლას მიმართა გიორგი სააკაძემ და, კერძოდ, ხოსრო-მირზას ხევისკენ გალაშქრების დროს კარგა ბლომად ჟუჟა მტერი (თვით ხოსრო–მირზაც კი განსაკუთრებული სიმამაცის წყალობით გადაურჩა ქართველთა ტყვეობას). ცოცხალი ძალის საგანგაშოდ დიდი დანაკარგების გამო შაჰ აბასმა უარი თქვა თავის ავ განზრახვაზე – დედაბუდიანად გადაესახლებინა ქართლის მოსახლეობა ირანს... სპარსელთა ამ მარცხში თავისი წვლილი მიუძღვის არშის ციხესაც.

რამდენიმე საუკუნე გავიდა იმ დრამატული ძნელბედობის ჟამიდან, არშის ციხე კი ისევ ისე მედიდურად გადმოჰყურებს თერგის ხეობას, რომლის ძირშიც “მოდრკების არაგვი” (თერგსაც არაგვს უწოდებს ვეხუშტი)...

ძველად სოფელი არშა სწორედ ამ ციხის თითქმის ძირში იყო მიყუჟული. მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ანდეზიტის მოპოვებასთან დაკავშირებით ძველი ადგილიდან ხალხი გადმოასახლეს თერგის მეორე, მარჯვენა ნაპირზე, სადაც მათ აღარ ემუქრებოდათ აფეთქებები ქვის მომპოვებელ კარიერებში. დღეს “ძველ” არშაში თითო-ოროლა მოსახლეა.

...ქვის მშრალი წყობით აგებული ბრტყელბანიანი სახლები, მჭიდროდ მიჯრილი ერთმანეთთან (წინათ ხომ მოხევის სახლი საცხოვრისიც იყო და პატარა ციხესიმაგრეც); ქვის ყორეებით შემოსაზღვრული ეზოები; ფერდობზე, ცოტა ქვემოთ – მცირე სათიბები, ასევე ქვის ღობით შემოვლებულნი; აქა-იქ მათში მოჩანს უზარმაზარი ლოდიანების მომრგვალებული შავი ზურგები. აგვისტოში ამ მწვანე სათიბებში კოხტა ზვინებია ჩადგმული – ამ დროს თიბვის დროა და ყველა ეშურება, მოიმარაგოს საქონლისთვის ზამთრის საკვები.

წინათაც ამ დროს იცოდნენ აქ თიბვა და მკა. მთელი ოჯახი 20-22 მაისს მთაში მიდიოდა “ცხვარში” – ცხენის ურმებით, ოჯახის უფროსი კი – უნაგირის ცხენზე ამხედრებული. სამი თვის შემდეგ ბრუნდებოდნენ უკან – 20-22 აგვისტოს, როცა მთავრდებოდა ცხვრის წველა, ბატკანიც გაიპარსებოდა, სოფელში კი სამკალი ქერი და სათიბი ელოდათ. ყოველივე ეს დღეს თითქმის გადავარდა, ქერის ყანებსაც სადღა ნახავ. ზოგიერთებს ეზოებიც კი სათიბებად უქცევიათ, თუმცაღა უფრო ხშირად კარტოფილს თესავენ; თითო-ოროლა მოსახლეს დაუწყია ვაშლის ნერგების ჩაყრაც. ბევრ ეზოს ამშვენებს ცირცელის ხე-ბუჩქი – გამომწვევად გამოუწვდია ტოტთა წვეროკინები, წვრილი ნაყოფით დახუნძლულნი, ზამთრისპირს რომ ალისფრად დამწიფდებიან და გაახარებენ კაცის თვალს.

არშის ციხეს და ნასოფლარს ცალი მხრიდან ჩამოურბენს მდინარე ჩხატისწყლის თეთრი, დაკლაკნილი ზოლი – ქათქათაა გიჟურად თავქვე დაქანებული, ქვიდან ქვაზე ხტომისგან აქაფებული წყალი, რომელიც რამდენიმე ადგილას ჩანჩქერებადაც გადმოეშვება. “ჩხატი” მოხეურად ჩანჩქერს ეწოდება და მდინარის სახელი – ჩხატისწყალი – ზედგამოჭრილია მისთვის.

მზიან დღეს ალაგ-ალაგ ჩხატისწყლის ნაპირებზე ჰყრიან ნახევრადჩაცმული და სულაც ჩაუცმელი ტურისტები – მზეს ეფიცხებიან, რეცხავენ, ბანაობენ... (დაბა ყაზბეგი არშიდან სულ ხუთიოდ კილომეტრშია და ყაზბეგის ტურისტული ბაზა, აგრეთვე რაიონული საავადმყოფო, სოფელ არშაშია განლაგებული). ისინი სოფელშიც ფრიად შილიფად ჩაცმულნი დაბრძანდებიან – ქალები მხრებდაზურგმოშიშვლებულნი, ზოგნი – მოკლე შარვლებით, შორტებით, იწონებენ თავს... ხევს აღარაფერი უკვირს, წინათ კი, და ზოგჯერ ახლაც, ქალი მთელ ზაფხულს წინდაგახდილი ვერ გაივლიდა – ვერც შინ და ვერც გარეთ. ”სადოღედ არ გაგიშვებთ!” – მოხევე დედა ეუბნებოდა ქალიშვილებს, გარეთ არ გააჭაჭანებდა: “როცა გათხოვდებით, ქმრებს ჩაჰბარდებით, მერე, რაც გინდათ, გააკეთეთ!”.

დიახ, ბევრი რამ შეიცვალა ხევში და კერძოდ – არშაშიც. “ახალ” არშაში სწორი ქუჩებია, სრულიად უჩვეულო ხევის სოფლებისთვის. ახალი, დიდი სახლები ყველაზე ხშირად თეთრი თუნუქითაა გადახურული. სახლები უმეტესად ორსართულიანია, ანდეზიტის გამოთლილი ლოდებისგან აშენებული; მისგანვეა აგებული ეზოთა გალავნები – კედელი ან ღობე რომ ვუწოდო, ენა არ მიბრუნდება, აქაური კარ-მიდამო ციხესიმაგრეს მართლაც ჩამოჰგავს. რა თქმა უნდა, მტრის თავდასხმისა კი არ ეშინიათ, ანდეზიტის ქვაა ოხრად, “თავზე საყრელად” და იაფი უჯდებათ. სოფელი სულ უფრო იზრდება, – უპირატესად, საქართველოს სამხედრო გზის გაყოლებით, – ჩრდილოეთით სოფელ აჩხოტს მიუახლოვდა, სამხრეთით კი გარბანს შეერწყა. თავის მხრივ, გარბანი სოფელ სიონს გადაება და უცხო კაცს გაუჭირდება კიდეც ამ სოფლებს შორის საზღვრის დადგენა. თუ “ძველ” არშაში სულ ოთხი გვარის 30 კომლი ცხოვრობდა, – ავსაჯანიშვილები, გოგბაიძეები, სულიაურები და ბაზალები (ამ უკანასკნელთა წინაპრები ბაზალეთიდან ხომ არ მოსულან?), – ახლანდელ არშაში მათთან ერთად დასახლდნენ ღუდუშაურები, ღულელიძეები, სამქანაშვილები, ნარიმანიძეები, საბაურები, ბედოშვილები და მრავალი კიდევ სხვა.

წინათ, ძნელბედობის ჟამს, მტრისგან თავის დასაცავად თუ ხალხი მიუვალ ადგილებში სახლდებოდა, დღეს მოხევეები, სხვა მთიელთა მსგავსად, ტოვებენ მამა-პაპათა საბუდარს და გზის პირას ჩამოდიან. ასე დაიცალა არშასთან ახლომდებარე სოფლები: გაიბოტენი – ძველი არშის სამხრეთით, თითქმის თერგის პირას, კლდოვანი ქარაფების თავზე (ილია ჭავჭავაძის ლელთ-ღუნია “მგზავრის წერილებიდან” ამ სოფლიდან იყო) და თოთი – ეს სოფელი არშის დასავლეთითაა, კაი ერთი საათი უნდა იარო მუხლმაგარმა კაცმა ციცაბო აღმართში, რომ ხევის ყველაზე მაღლა მდებარე სოფელს, თოთს, მიაღწიო. ისე, არც არშაა მცირე სიმაღლეზე, დაახლოებით 1750 მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან.

მოდით, ჩემთან ერთად არშიდან მთებში გავისეირნოთ. ამისთვის აგვისტოს მზიანი დღე სჯობს.

ადრიანი დილით, როცა ბალახთა ცვარში ჯერ არ აკიაფებულიყო მზის სხივები, უკვე გზას გავუდექი. გადავედი ხიდით “ძველ” არშაში, გავუხვიე მარცხნივ, ცოტაც ვიარე თერგის ნაპირით მდინარის აღმა და შემდეგ შევუდექი დაკიდებულ აღმართს. ყოფილი ანდეზიტის კარიერების ძირში აფეთქებების დაწყებამდე საკმოდ დიდი გამოქვაბულები – მოხეურად “ქოხები” – ყოფილა, რომელთაც უამინდობისას ასობით ცხვარი აფარებდა თავს. მას დევთქობი (დევთქვაბი) ეწოდებოდა. ასეთი გამოქვაბულები სხვაც მრავალი იყო: საჯოგისქოხი, ღარაღთქოხები და სხვა.

სოფელ გაიბოტენს იქით, ხასხასა მწვანე, დამრეც ფერდობზე გაბზეკილი თითივით ამოშვერილა კლდოვანი სვეტი – “ქვაკაცა”, – რომელსაც კონკიტოს უწოდებენ. გაიბოტნელებსა და თოთელებს ერთ დროს დავა ჰქონიათ: გაიბოტნელებს უთქვიათ: თქვენ, თოთელებს, ბევრი ადგილი გაქვთო; თოთელ ფიდო ღუდუშაურს, კვიმატი ენის პატრონს, უპასუხნია გაიბოტნელებისთვის: კონკიტოზე გადით და იქ დასახლდით, იქ იქნებით ხალვათადო.

კარა ხნის “ქეჩვის” – ვიწრო, კლდოვანი საცალფეხო ბილიკით სიარულის – შემდეგ გამოჩნდა შედარებით დამრეცი ფერდობი სათიბ-საძოვრებით, ცოტა ზევით კი – თოთის სახლები (სოფელი დაახლოებით 2000 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან). იგი მიტოვებულია, რამდენიმე მოსახლე თუ ამოვა აქ ზაფხულობით ორი-სამი თვით.

...განუწყვეტლივ წინწრიხობენ კალიები, დახტიან მოზრდილი, მწვანე კუტკალიები; შავი კალიები ჩუმად სხედან, სამაგიეროდ, როცა აფრინდებიან, ტრახტრახ-ჭრიალით მიფრინავენ, თან შავი, უხეში ფრთების ქვეშიდან ნაზ, ხასხასა წითელ ფრთებს აელვარებენ. დიდი ნაწილი სათიბებისა გათიბულია და დაზვინულიც. ერთგან ხნიერი მოხევე გასახსნელ ხის ყუთში ყრის თივას და მერე ფეხებით ბეკნის. გამოდის დაწნეხილი კუბი, რომელიც ალბათ უფრო ადვილი ჩასატანია ქვევით, ხეობაში.

აფრინდა მწყერი, ირიბად წავიდა, წავიდა და თვალს მიეფარა. რაღაც შავი მტაცებელი და მერცხალი თითქმის ერთად მიფრინავდნენ (შემთხვევით, რა თქმა უნდა), შემდეგ მათი გზები გაიყარა.

რა მშვენიერი დილა გათენდა: ზეცა მოკრიალებულია, გრილი ნიავი სასიამოვნოდ ელამუნება სახეს. ამომავალმა მზემ ამოიჭყიტა ხევსურეთის მთებიდან და მთათა ჩრდილი სწრაფად გარბის ქვევით, ხეობისკენ, რომ სულ მალე სრულებით გაქრეს. თერგის ხეობიდან აქამდე აღწევს მძიმე მანქანების ძრავათა ღრიალი საქართველოს სამხედრო გზაზე. ტურისტულ ბაზაში დაკრული მუსიკაც მშვენივრად ისმის.

კალიები ფეხქვეშიდან შხეფებივით იფანტებიან და ნამიან ბალახში იკარგებიან. მთიბავებს პურის ჭამის დროს წამდაუწუმ უვარდებიან კერძში. ამბობენ, თურმე ერთ ხევსურს გაბრაზებულს უთქვამს, ახლა იქ იხტუნავეო – და კალია აღარ ამოუგდია ჯამიდან, კოვზით პირდაპირ სტომაქისკენ გაუსტუმრებია.

რაღაც წვრილ-წვრილი ჩიტუნები ჭყივიან, დაჰფრენენ ჩანჩქეროვანი მდინარის თავზე. ჩხატისწყალი ჰყოფს თოთის მინდვრებს არშის ციხისგან.

ზურმუხტოვან ფერდობზე თეთრად მიედინება ცხვარი – სულ ზევით-ზევით, ტალღა-ტალღად; უფრო ქვევით – ნაირფერი ძროხები დინჯად ძოვენ.

აქ საერთოდ უტყეო ადგილია, მხოლოდ მდინარის ქარაფოვან მარჯვენა ნაპირზე ალაგ-ალაგ ფეხი მოუკიდებია ჯუჯა არყის ხეებს; უფსკრულისკენ გადაქანებულნი, მშვენივრად გრძნობენ თავს, ხევში მიმქროლავ ნიავს აცეკვებული ფოთლების ნაზი შრიალით ეთამაშებიან. სამაგიეროდ, ყვავილებია ნაირფერი, ალბათ ამიტომაა პეპლების ასეთი სიმრავლე.

გადაიფრინა შავი, მოყრანტალე თუ მოჭყიპინე ფრინველების დიდმა გუნდმა – იქნებოდა ასამდე ფრთა. ზევით, ძალიან მაღლა, ლურჯ ცაში, პატარა ფრინველების მუქი სილუეტები რიალებენ და განუწყვეტლივ ისმის მათი მკვეთრი ძახილი: "ჭიავ-ჭიავ-ჭიავ!". წინ, ფერდობის თავზე, წრეებს უვლის ნარნარად ნაცრისფერი მტაცებელი, ალბათ მთის არწივი.

სოფელ თოთის მიტოვებულ სახლებს გვერდი ავუქციე, გადავედი მდინარის მეორე ნაპირზე და დაკეცილი ბილიკით ისევ აღმართს შევუყევი. კარგა შორიდან მოვუარე ცხვრების ფარას – ბომბორა ნაგაზები გამოექანენ ჩემკენ, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდნენ და ბრაზიანი, ბოხი ყეფით კარგა ხანს მიმაცილებდნენ, სანამ მე უკვე უგზო-უკვლოდ მაღლა-მაღლა მივბობღავდი მუქ კლდეებზე.

ჩამოვჯექი პატარა მწვერვალზე დასასვენებლად. დასავლეთით ლამაზად მოჩანს ჩხატისწყლის ხეობა – მისი კალაპოტი შედარებით დამრეცია, მხოლოდ თოთს ქვევით იწყებს ის ციცაბოზე დაქანება-დაჩანჩქერებას. ზევით ხეობა ებჯინება მყინვარწვერის ფერდს – თვალს მჭრის მისი ქათქათა, ყინულოვან-თოვლიანი ფერდობის ნაწილი. შეიძლება, უსასრულოდ იჯდე აქ და უყურო ბუნების მშვენიერებას. ორ-სამ საათში მყინვარწვერის ძირამდე ფეხითაც მიაღწევს კაცი, მაგრამ მარტო ვარ და დრულადაც უნდა დავბრუნდე შინ.

შუადღე შეუმჩნევლად წამომპარვია. მზიანი დღეა, მაგრამ აქა-იქ მაინც მოჩანს ღრუბელთა მოსეირნე ქულები, რომელთა ჩრდილებიც სწრაფად გარბიან ფერდობებზე.

წავიხემსე და დავიწყე უკან, ქვევით ჩამოსვლა. ბილიკს გავყევი – ნაგაზებთან შეხვედრა არაა მაინცდამაინც სახარბიელო, თანაც ახალი გზით ვივლი და არშის ციხესთანაც გავალ. თუმცა, რა გზაა ეს – ხან ერთი ლოდიანიდან მეორეზე მივხტი, ხან კლდის ნაშალზე "ვმგზავრობ" ქვევით და ფეხსაცმელი გასახდელი და გამოსაფერთხი მიხდება; შემდეგ ციცაბო, კლდოვან გამონაშვერებზე მივბობღავ ფრთხილად... როცა ადრე აღმართში ბილიკით მივდიოდი, უფრო შორეული მთებისა და ფერდობების სილამაზე მიტაცებდა, ახლა ძალაუნებურად სულ ფეხქვეშ ვიცქირები, ზოგჯერ კი

ციცაბო ადგილებში კლდოვან ქანებს ვეხუტები, გამონაშვერებსა და ნაპრალებში ხელ-ფეხის მოსაკიდებელ ადგილებს ვეძებ. მხოლოდ ახლა ვამჩნევ ამ ფრიალო ხრიოკებში რამდენნაირი მომხიბვლელი მცენარე ჩაბუდებულა. მართალია, ისინი მაღლა-მაღლა ვერ ყელყელაობენ, უფრო კლდის ზედაპირზე გართხმულან და კაშკაშა ფერითაც არ გამოირჩევიან, მაგრამ ყველა თავისებურად ლამაზია. ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ ბუნებას ულაზათო მცენარე საერთოდ არ გაუჩენია.

კლდის გამონაშვერზე ვჯდები ისევ და სულს ვითქვამ. აქედან დავცქერი არშის ციხეს. ხელმარჯვნივ, ჩემზე ზევით, მაღალი ქარაფებია და მის თავზე, კლდის ქიმზე, ძროხები დგანან გაუნძრევლად – ქანდაკებები გეგონება, დროდადრო კუდს რომ არ იქნევდნენ. მათ ქვევით, ქარაფის უსწორმასწოროდ დაფლეთილ კედელთან, მერცხლები დანავარდობენ. ძირში ამ ანდეზიტის კლდეებს უდევს მოწითალო ბრექჩია, ალბათ ლავის სიმხურვალით ფერშეცვლილი.

გეოლოგიური საზომებით არც ისე დიდი ხნის წინათ – მეოთხეულ პერიოდში – მყინვარწვერი აქტიურად მოქმედი ვულკანი იყო. ცენტრალური, მთავარი ყელის გარდა, მის კალთებზე არსებული მრავლრიცხოვანი პარაზიტული ვულკანური კონუსებიდან გავარვარებული ანდეზიტ-დაციტური ლავები ამოინთხეოდა დროდადრო მიწის ზედაპირზე და ფერდობზე მიედინებოდა; ზოგჯერ თერგის ხეობასაც კი აღწევდა და მდინარეს გადაკეტავდა ხოლმე. არშის ციხე ეროზიისგან გადარჩენილი ლავური ნაკადის ნაფლეთია ალბათ.

მზერა შორს გადამაქვს.

მთა მთაარ, იტყვის კაცი, მაგრამ სულ ასეც არაა... ხევი არ ჰგავს ფშავს, თუნდაც – მეზობელ ხევსურეთს ან მთიულეთს, რომ აღარაფერი ვთქვათ თუშეთსა ან სვანეთზე... საქართველოს ყველა კუთხეს განსხვავებული სახე აქვს და ეს მთებზეც ითქმის.

ნათქვამია, რა შეიძლება იყოს მთებზე მშვენიერი? ისევ მთები!

მართლაც შესანიშნავი ხედი იშლება აქედან. თითქოს ხელისგულზე გიდევსო, აქედან ისე ჩანს თერგის მარჯვენა შენაკადის – სნოსწყლის – ხეობა. მისი ჩრდილო ფერდობები ქვედა ნაწილში ტყე-ბუჩქნარისგან მუქ მწვანედ ჩახუჭუჭებულა, უფრო ზევით კი ზურმუსტისფრად ელავს საძოვრები. სოფელ სნოს ჭაჭით (ფიქლით) აშენებულ მუქ სახლებს და ღია ფერის სახურავებს შორის ცისთვის მიშვერილი რევოლვერივით ამართულა სნოს ციხე. მდინარის აღმა, ხეობაში, სხვა პატარ-პატარა სოფლებიც ილანდება.

თერგის გასწვრივ გამავალ საქართველოს სამხედრო გზაზე მიმქროლავი მანქანები ისე ჩანს აქედან, თითქოს ზოზინით მიღოღავს სათამაშო ავტომობილებიო.

მხარმარჯვნივ მწვერვალ ქაბარჯინას ეულად მდგომი რუხი პირამიდა ამართულა. გამოფიტვისგან დაღარული ციცაბო, რუხი ფერდობები ამ ჩამქრალ ვულკანურ კონუსს სიზვიადესთან ერთად

ლირიკულ განწყობასაც ანიჭებენ – ლამაზი მწვერვალია! ამას წინათ მაგარი სეტყვა მოვიდა, თეთრად გადაპენტა მიმდებარე ნაროვანის მთები, მხოლოდ ქაბარჯინას შვეულები ისევ მუქი დარჩა, თოვლმაც კი ვერ მოიკიდა ფეხი.

მხარმარცხნივ მეორე მწვერვალი დაყუდებულა – ყურო, რომლის ძირშიც მიყუჟულა დაბა ყაზბეგი. ძალიან ცვალებადი ხასიათისაა ეს რუხი გოლიათი – ხან დანისლულია, ხან კი მზე ისე ანათებს, რომ მხოლოდ სილუეტი მოჩანს ხეირიანად. ეს მთა ძალიან ციცაბოა და კლდოვანი, თითქმის ყოველთვის კუშტი იერი აქვს. ერთხელ, საღამოსპირს, თვალი განსაკუთრებით მომტაცა: მისი ძირი და ქვედა კალთები დაბურუსებული იყო, ზედა ნაწილი და წვერი კი – ჩამავალი მზით განათებული; სულ ზევით ღრუბლები ვარდისფერ ქულებად გაფანტულიყვნენ.

ვზივარ და წამოდგომა მეძნელება. ფიქრები ძალდაუტანებლად და თავისუფლად მოედინებიან, როგორც ეს მთაგრეხილთა თავზე მოქცეული თეთრი ღრუბლები მოგზაურობენ.

მთაში, რაც უნდა ბევრ ხალხში იყო, მაინც მარტო გრძნობ თავს... მთები და შენ ერთმანეთს პირისპირ, უშუალოდ ესაუბრებით, თითქოს სხვები ამ დროს საუბრის ენას ვერ იგებენ, ყრუ-მუნჯები არიან ან სულაც არ არსებობენ...

მთებში ჩაბუდებული გიგანტური ენერგია მსჭვალავს ყველაფერს – ჩვენს გრძნობებსაც. მთების პირისპირ დარჩენილი, ერთი მხრივ მცირდები ამ გოლიათების ფანტაზიური სილამაზისა და სიდიადის ფონზე, მეორეს მხრივ კი – მაღლდები, სულიერად იზრდები და შინაგანი ენერგიის მოზღვავებას გრძნობ. გინდა, ხმამაღლა იმღერო, მაგრამ ეს სიმღერა მხოლოდ შენთვის და მთებისთვის არსებობს. ეს არის სიმღერა სიტყვების გარეშე, მაგრამ მდიდარი საოცარი გრძნობით, რომ შენ ფრთები გამოგესხა, აზვირთდი, – მთებს გაუტოლდი, ღმერთებს მიუახლოვდი...

ათასჯერ თქმულა: რა შეიძლება იყოს მთებზე უკეთესი? ისევ მთები!

გიკვირს, რომ მთები დუმან... თუმცა ისინი როგორდა არიან ჩუმად, როცა შენს გულსა და სულში ასეთ მუსიკას იწვევენ? თავშეკავებულნი და ამაყნი არიან მთები და მით უფრო შთამბეჭდავ გრძნობებს აღძრავენ...

ყოველ წელს აუცილებლად, მცირე ხნით მაინც, უნდა ეწვიო მთას – სულიერად განსაწმენდად, ასამაღლებლად, მხნეობის, რწმენის შთასანერგად...

მრავალსახაა მთები.

ზოგჯერ მოიღუშებიან, უბრძანებენ ცას და ისიც შავი ღრუბლებით იფარება. მთათა მხედართმთავრები, მწვერვალები, ღრუბლებში იმალებიან, მათი კალთები თეთრ, ცივ ბურუსში უჩინარდებიან – და მაინც, შინაგანი ძალა და ენერგია გადმოგეცემა მთებისა, ოღონდ ახლა დაძაბული, შფოთიანი; თითქოს მთებს შენი შეშინებაც კი უნდათო, შენი ძალის გამოცდა სურთო, სულიერი ძალისა, გამძლეობისა – გაკაჟებს, გაჩვევს სიძნელის გადატანას, ამასთანავე, სხვა მხრივაც გამდიდრებს – თავის მრავალფეროვნებას გაზიარებს, სხვა ფერებსა და ტონალობას წარმოგიჩენს და ამითაც გზრდის... მთა დიდი და მკაცრი, მაგრამ სამართლიანი აღმზრდელია... მთა ასწავლის ადამიანებს, ჰარმონიულად შეათავსონ რომანტიკულობა და მკაცრი გათვლა, ამაღლებული პოეტური განცდა სილამაზისა და რაციონალური აზროვნება.

მთას ენა როგორ არ აქვს... ის მუდამჟამ ესაუბრება ცას, მზეს, მთვარეს... ვარსკვლავებს ეხმიანება, ღრუბლებს ანდობს გულისნადებს, მხოლოდ თერგს არაფერს ეუბნება – ნამდვილი მოხევეა, მკაცრი და თითქოს ცივიც კი თავისი შვილის მიმართ: არ მიეალერსება, არ აიყვანს ხელში... ისე კი მის გიჟურ რბოლას თვალს ადევნებს, ეამება მისი სიგიჟმაჟე, დაუდეგრობა, მუდმივი მოუსვენრობა... მთებიც ხომ მუდმივ ცვალებადობაშია!... დილა, შუადღე, საღამო, ღამე... ახლა გაზაფხულიდან ზამთრამდე მთის რამდენ ფერისცვალებას ნახავს კაცი!..

დროა, მეც დავიძრა ადგილიდან. ახლა მთავარი ყურადღება წინაღობათა გადალახვას ეპყრობა და გარეშე ფიქრები თანდათან მტოვებენ – მათთვის ვეღარ ვიცლი...

ქვევით-ქვევით ბღოტვამ მუხლები დამისუსტა, შევჩერდი და სული მოვითქვი, როცა პატარა უნაგირზე გავედი და დასავლეთიდან მივადექი არშის სახელგანთქმულ ციხეს, რომლის შესახებაც ხევში მრავალი გადმოცემა თუ ლეგენდა არსებობს. ვახუშტი ბაგრატიონი სულ მთლად სწორიც არ არის, როცა არშის ციხის შესახებ ამბობს: “თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნული”-ო – ეს მიუვალი სიმაგრე ადამიანმა კი არა, უფრო ბუნებამ შექმნა, ყველა მხრიდან თითქმის შვეული კედლები აქვს კლდის მოზრდილ ნაფლეთს. სწორედ უნაგირის მხრიდან ჰქონდა ციხეს ერთადერთი შესასვლელი: მხოლოდ აქედან, კლდეზე გადებული რამდენიმე მორით, შეიძლებოდა ციხეში მოხვედრა. შემდგომში, როცა დრო-ჟამმა მორები იავარჰყო, მათ ნაცვლად ამოაშენეს მცირე კედელი შიგ დატანებული ვიწრო კარით. შესასვლელს დღესაც მაინც “ნახიდვარს” უწოდებს ხალხი.

კარგა ერთი საათი დამაკარგვინა ჩემს ბედად მოფრენილმა ულამაზესმა პეპელამ – დღის ფარშევანგისთვალამ (Iნაცჰის *Io* ინნაეუს, 1758), ცისარტყელას ყველა ფერებით აელვარებულმა (მე მას ცისარტყელურას დავარქმევდი!), უნაგირაზე მაღალი ნარის ყვავილს რომ ესტუმრა. მისი დაჭერის ბავშვურმა ჟინმა მომიარა; ვერაფრით მოვიხელთე, მერე კი დიდხანს ამაოდ ველოდი – იქნებ

კიდევ მოფრინდეს-მეთქი... კიდევ კარგი, არ გამოჩნდა, სილამაზეს დატყვევება არ უხდება, მე კი მაინც მასთან შეხვედრამ ამაღელვა, გამახალისა და აქამდე გამომყვა მშვენიერების ხილვით გამოწვეული მაშინდელი აღტაცება...

ამ გრძნობამ ერთგვარად გამინელა ის სევდა, რომელსაც მოეცვა აწ უქმი ციხის ნანგრევები და რომელიც მეც გადამედო... დიახ, ნანგრევები ვიხილე, ოღონდ არა გალავან-ქონგურების, რომელიც ციხეს არასდროს ჰქონია და არც სჭირდებოდა, არამედ ნასოფლარისა – ეტყობა, გაჭირვების ჟამს ახლომახლო სოფლების მოსახლეობა საიმედოდ აფარებდა თავს ამ ციხეს და შეეძლო, კარგა ხანს დარჩენილიყო აქ; მით უმეტეს, რომ ფარულად წყალსადენიც შედიოდა ციხეში და საქონლის სამყოფი ბალახიც სამყოფი მოიძევებოდა – ნასოფლარის გარდა, საკმაოდ დიდი, დაქანებული ბალახიანი მდელოც იყო ციხეში... იყო და არის ახლაც – მაღალი, წელზევით ბალახით დაფარული, რომელსაც დღესაც ცელს არავინ დააკარებს – წმინდა ადგილის წაბილწვად მიიჩნევენ.

დიდხანს ვიდექი ნასოფლარის თავში, ერთ-ერთ ნასახლართან დაკიდებულ ზართან. ოდნავ ჩამოვკარი ზარს და ირგვლივ დაირხა მონოტონური, კაეშნიანი ბგერები – "დან... დან... დან..."

გამაჟრჟოლა, როცა წარმოვიდგინე, რამდენჯერ მოუსმენიათ მომხმობი ხმისთვის მოხევეთ, რა გრძნობებს იწვევდა სოფელში მოულოდნელად ციხიდან ჩამოღვრილი მისი მოგანგაშე ჟღრიალი...

წამოვდექი, – დროა, შინისკენ გავწიო. დამძიმებულმა გრძნობამ რატომღაც მიბიძგა, წუთით შევსულიყავი ერთ-ერთ ნახევრადჩაქცეულ მიწურ ქოხში, მაგრამ მისი ჩაშავებული შესასვლელი მოდარაჯე უზარმაზარ ობობას აბლაბუდით გადაეკეტა, თითქოს მომხდურთაგან იცავს სადგომსო. შევდექი, ცოტა ხანს დავყოვნდი ჟამთა ტრიალზე დაფიქრებულმა და გავტრიალდი ნახიდვარისკენ.

ბუნებრივად მიუდგომელი ადგილები მრავალ მთიან ქვეყანაში გამოიყენებოდა ციხესიმაგრეთა მოსაწყობად თუ საპატიმროებად; მაგალითად, ირანში – ალამუთის სახელგანთქმული ციხესიმაგრე ელბურსის მთებში, ქალაქ ყაზვინის მახლობლად; ეთიოპიის მთიანეთში – ეროზიის მიერ გამოცალკევებული შვეულკედლებიანი მაგიდისმაგვარი მთები, რომელთაც ამბებს უწოდებდნენ...

არშის ციხე ძირითადი საყრდენი სიმაგრე იყო ხევისა. აქედან მოჩანს სნოს ციხე – აღმოსავლეთით, სნოსწყლის ხეობაში; ხელმარცხნივ, სტეფანწმინდის მიმართულებით, ფანშეტის კოშკი ამართულა კლდის გამონაშვერზე; ხელმარჯვნივ – ქაბარჯინას ძირში სიონის ტაძარი ელავს თეთრად, გვერდით კი რუხი კოშკი ატუზულა. სხვა ციხე-კოშკებთან ერთად შუა საუკუნეებში ისინი ჰქმნიდნენ სიმაგრეთა და სათვალთვალო წერტილთა ერთიან ქსელს. ერთ რომელიმე კოშკზე რომ აბრიალდებოდა ცეცხლის ენები, მოკლე ხანში მთელმა ხევმა, შემდეგ კი – მთიულეთ-გუდამაყარმა და სხვა კუთხეებმაც იცოდა მტრის მოახლოების შესახებ...

მივაბიჯებდი შინისკენ უკვე გავაკებულზე გასული და საღამოს სიწყნარეში აბჯარასხმული ვაჟკაცებივით მთათა მწვერვალებს მზის გამოსათხოვარი სხივები ვარდისფრად აკიაფებდნენ. მთაში ამინდის უეცარი ცვალებადობა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ხვალაც დარი იქნებოდა და შემეძლებოდა, ფეხით (მხოლოდ ფეხით!) გამესეირნა სნოსწყლის ხეობაში მუქი ჭაჭით (ფიქლით) აშენებული სოფლების სანახავად ან სიონის ტყეს ვწვეოდი, სერზე თეთრად წამომართული სიონის ბაზილიკა და ფრიალოს კიდეზე აზიდული რუხი, გოროზი კოშკი მომენახულებინა; ან იქნებ ყაზბეგისკენაც გავწიო და "ხევის პატარძალი" – მყინვარწვერი – მოვიხელთო სანახავად...

საქართველოში მრავალი ლამაზი ადგილია, მაგრამ ვერაფერი შეედრება იმ შთაბეჭდილებას, ყაზბეგიდან რომ გახედავ წმინდა სამების ტაძარსა და მყინვარწვერს, თითქმის სულ რომ თოვლიანყინულიან სპეტაკ შუბლს ღრუბლებით ან ნისლის ფთილებით იბურავს კარგ ამინდშიც კი და მხოლოდ ზოგჯერ დაგანახვებს თავს. ამ ხედის აღწერა სიტყვებით შეუძლებელია, გირჩევთ, როგორმე მოახერხოთ და საკუთარი თვალით იხილოთ ეს დიადი, ამაყი მშვენიერება.

1979

ანანური

გურამ ბედოშვილს

"ანანურს ციხევ, მაღალო,
საყდარო გუმბათიანო,
ქალო და რძალო ლამაზო,
ვაქკაცო ლაზათიანო".

ვინ არ მოუხიბლავს არაგვის ხეობას. გინდაც ათასჯერ გემოგზაუროს საქართველოს სამხედრო გზით, მაინც აღტაცებას გგვრის დაკლაკნილი ხეობის ყოველ მოხვევაზე გამოჩენილი საუცხოო ხე-

დი. ანანურის გამოჩენა მაინც განსაკუთრებით შთამბეჭდავია, როცა გზის კიდეე ერთი მუხლის შემდეგ უცებ გამოგეცხადება მთელი თავისი ბრწყინვალებით. ფერდობის არაგვისპირა გავაკებაზე ლამაზად შეფენილა მწვანეში ჩაფლული სახლები და, თითქოს სოფელს გვირგვინად ადგასო, ციხის დაკბილული მაღალი კედელი გარს შემოვლებია ტაძრებსა და კოშკებს, ერთ მუშტად შეუკრავს ისინი... ალბათ ამ სიმტკიცის მიზეზიც არის, რომ ანანურის კომპლექსი ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული ხუროთმოძღვრული ანსამბლია საქართველოში. ის დღესაც ამაყად გადაჰყურებს მწვანე ჭალებს, ნაცრისფერ რიყეს, დაკლაკნილ-დატოტვილ არაგვს და თითქოს ეუბნება: შენ თუ შლეგი, დაუდეგარი სილამაზე გაქვს, აღსავსე ხარ მოძრაობით, ცვალებადობით, სიცოცხლით, სამაგიეროდ, მე ამაყი სილამაზე მაქვს – ვარ მყარი, მუდმივი, გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული... და ალბათ ანანურის ანსამბლისა და არაგვის ხეობის ბუნებათა კონტრასტი და, ამის მიუხედავად, მათი ესოდენ ჰარმონიული ერთიანობა არის ამ ადგილის მომხიბვლელობის წყარო. ორივენი კი – სოფელიც ციხე-კოშკებიანად და მდინარეც – მთების შვილები არიან, ამ მწვანედ აქოჩრილი გორების უბეს ჩახუტებულ-შეფარებულნი. დიახ, ამ მთების წყალობაა, რომ ქართველი ერი არ გაითელა, არ შეერია მტარვალთა ცხენების ფლოქვებისგან აბუქებულ მტვერს...

ხელოვნების ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ანანურის კომპლექსი გვიანფეოდალური ხანის ძეგლია. მიუხედავად ამისა, მის ტაძრებსა და ციხე-კოშკებს ბევრი რამ უნახავთ – სისხლიცა და ცრემლიც, ცეცხლიცა და გამარჯვების ყიჟინით აფრიალებული დროშებიც. ბევრჯერ ამომჭვარტლულა კოშკ "შეუპოვარის" კედლები, აუწყავი გავარვარებული კუპრი მდინარედ ჩამონთხეულა ციხის კედლებზე... სისხლის ღვარები შერევია არყალისა თუ არაგვის მღვრიე ზვირთებს; შავ კვამლს შეუმუსრავს ლურჯი ზეცა, ქალთა კივილს დაუფარავს მუგუზლების ტკაცატკუცი და ხმლების ჩახაჩუხი... დაღლილი მზე რამდენჯერ ჩასვენებულა ლომისის ქედს იქით, საცოდაობის ხილვით დაღლილი, გულმომკვდარი, და როცა მეორე დღეს გუდამაყრის ქედის ტყიან თხემებზე ამოიწვერებოდა, ფრთხილად, ცალი თვალით ამოიჭყეტდა – იხილავდა ისევ საქმიანად მოფუსფუსე ხალხს: ზოგი კირს ეზიდებოდა, ქვას ჭრიდა და კედელს ამაგრებდა, ზოგი ახალ აკვანს თლიდა... ისევ ჩაღდებოდა კერა და მიიწევდა ზეცისკენ მორჩილი, წყნარი ბოლის კუდები, ჭრიალებდა გზაზე ურემი, სამჭედლოში ისევ ურაკუნებდნენ გრდემლს, ბაღ-ბოსტნებში ისევ ჩანდა ქალთა ნაირფერი თავსაფრები, ისევ ლაპლაპებდა სათიბებში მოქნეული ცელები და ვაჟკაცური, ომახიანი სიმღერა მრავალგზის ირეკლებოდა ხეობის ფერდობებიდან.

ანანური – ეს არის ერთობლიობა მთებისა, მდინარეების – არაგვისა და არყალის – შეერთება– ხერთვისისა, ციხე-კოშკებისა და ტაძრების ანსამბლისა, და სოფლისა. ამ თანამიმდევრობით ვთქვათ ორიოდე სიტყვა მათზე.

სოფლიდან, საითაც კი გაიხედავ, მხართეძოზე წამოწოლილი დევებივით წამომართულან მთები, მთები, მთები – ფოთლოვანი ტყით გადახუჭუჭებულნი, არც ისეთი მაღალნი და გოროზნი, როგორც მთავარ კავკასიონზეა. სოფლის პირდაპირ, არაგვის მეორე, მარცხენა ნაპირზე, ერთი წოწოლა, სწორი სამკუთხა პირამიდის ფორმის ზურმუხტისფერი მთა დასცქერის არაგვის ხეობასაც და ანანურსაც. მას პატარა დავითის მთას ეძახიან (თუმცა სიმაღლით 1554 მეტრია ზღვის დონიდან!). ანანურის გარშემო მთები საამო სანახავია ყოველ დროს – დილასაც, როცა ხან გაჩახჩახებული მზით არის გახალისებული ფერდობებზე შეფენილი რცხილნარ-მუხნარ-წიფლნარი; ზოგჯერ კი თეთრი ბურუსი მიღოღავს ფერდობებზე, ქედთა მომრგვალებული თავები სულ არ ჩანს და ირგვლივ ყოველივეს ერთგვარად ჯადოსნური იერი აქვს – ზოგ ადგილას ბურუსი იფანტება და, თითქოს მანდილი მოიცილაო, გამოჩნდება მკრთალად: ხან – ხევი ჩამუქებული ბუჩქნარით, ხან – სისველისგან აპრიალებული რუხი ლოდნარი, ხან – ურთიერთ ტოტებჩაწნულ-ჩახუტებული ხეები... შუადღეც მრავალნაირია ამ მთებისა, საღამოც და ღამეც, ყველას თავთავისი ფერი და გემო აქვს – ხეობასაც, მთებსაც, ცასაც... რა დამავიწყებს თუნდაც ზოგ კრიალა, წყნარ ღამეს, როცა ამობრძანდებოდა სპილენძის ტაშტის ტოლა ბადრი მთვარე და წამოვიდოდა გორვით, გამოჭყვებოდა ქედის თხემს და მერე ცოტაღა დააკლდებოდა, რომ ანანურის ეკლესიის ჯვარზე წამოცმულიყო – ჯიღად დაადგებოდა სოფელს თავზე და ნათელს ჰფენდა არემარეს...

რა თქმა უნდა, თავისებურად მომხიბვლელია ანანურის გარშემო მთები შემოდგომაზეც – მარტო ის რად ღირს, თრიმლები და შინდები რომ ფოთლებს წითელ-ყვითლად დაიფერავენ, ტყეს ოქროსფერი დაედება ნელ-ნელა; აღარას ვამბობ, რა სიამოვნებაა მწიფე შინდის, მაყვლისა თუ ასკილის საკრეფად ხეტიალი! ახლა ზამთრის სპეტაკი სილამაზე! (გარეთ რომ ბარდნის ხვავრიელად და შენ კი სხვებთან ერთად მიფიცხებული ხარ მოღუღუნე ღუმელს, ღორის მწვადების შიშხინი და დატრიალებული სუნი ხომ მკვდარსაც გააცოცხლებს!). გაზაფხული კი ნებისმიერ ადგილას ტურფა არის და ლექსს დაგაწერინებს, ანანურში კი ალბათ პოემაც გამოგივა.

ახლა არაგვის ჯერიც მოვიდა, დაუდეგარი არაგვისა –

"მორბის არაგვი, არაგვიანი,

თან მოსძახიან მთანი ტყიანი“...

სოფელში მთელი ღამე ისმის არაგვის შხუილი (დღისით სხვა ხმაური ნთქავს, განსაკუთრებით – მანქანების დიდი მოძრაობა საქართველოს სამხედრო გზაზე). ზაფხულობით ის შედარებით წყალმცირეა, მაგრამ სულ მთლად დაწმენდილი მაინც არ არის. მის ნაპირებზე დღისით ბლომად იხილავთ ტიტლიკანა ბიჭებს, რომლებიც დროდადრო გაბერილი საავტომობილო კამერებით მიჭენაობენ ტალღებზე. ხანდახან მებადურებიც გამოჩნდებიან, ვისაც მურწა და ფიჩხული მონატრებია (კალმახი იშვიათია, უფრო ზემო წელში შეგხვდება, სადაც წყალი უფრო წმინდაცაა და უფრო ცივიც).

ალაგ-ალაგ არაგვის რიყნარზე, მყუდრო ადგილებში, თადარიგიან სოფლელებს ბაღ-ბოსტნები გაუჩენიათ – მესრებით შემოურაგვავთ და სარწყავი რუებიც გაუყვანიათ. ალბათ მაგარი წვიმების დროს მესრები მაინც ვერ იცავს ბოსტნებს ადიდებული არაგვის დაუპატიჟებელი სტუმრობისგან და ჯიუტ ანანურლებს ყველაფრის ისევ თავიდან დაწყება უხდებათ. რიყის უმეტესი ნაწილი კი ქვიშ-ნარ-როჭკნარია, რომელზეც მცენარეულობა ვერ იკიდებს ფეხს, გარდა იალღუნისა და ქაცვისა, ალაგ-ალაგ – ტირიფებისაც. არაგვს გაღმა, მის მარცხენა ნაპირზე, მშვენიერი ჭალის აქოჩრილი ტყეები მოჩანს მუქად და ამ მწვანე მასივიდან ამოზიდულა დროდადრო ნიავისგან ავერცხლილი ვერხვები. ჭალა არაგვის ზედაპირზე გარკვევით არ ირეკლება – სწრაფი დინებაა და მის ტალღებში ყველაფერი ითქვიფება.

აი, ასეთია ჩვენი არაგვი – ხან ოდნავ სირბილშენელებული, ხან ხმაურიანად აჩქერებულ-აჩქარებული... ისეთი სულსწრაფია, რომ, მტკვრისკენ მლტოლველი, ტოტებად იშლება, ისევ ერთდება, ქვიშნარ კუნძულებს ჰქმნის და შლის, აჩენს და სპობს; ხან ერთ ნაპირს მოასკდება და რეცხავს, ფლატეს “ჭამს“, ხან პირს იბრუნებს, მიიკლაკნ-მოიკლაკნება და ახლა მეორე ნაპირს მიადგება, მისილავს, ქვიშასაც მიაყოლებს... ყველაფერი ეს დროებითია – უცებ არაგვს ზნე შეეცვლება, წვიმებისგან გაგიჟებული მოვარდება, რათა ახალი გზით იაროს, ახლად დაიბადოს... კავკასიონის შვილია და მთის ამინდივით ცვალებადი ზნისაა; არაგვმა თვითონაც არ იცის, რა გზით წავა, რომელ ნაპირს მიაწყდება და მოლოკავს – თავის ტალღებში ჩაითრევს ხან ფოთლებშრიალა ხეს, ან ჩიტისბუდიან ბუჩქს, ხან მაღლა პიტალოდან ოდესღაც ჩამოვარდნილ-ჩამოქცეულ და ნაპირთან გაჩერებულ კლდის ვეება ლოდს დაადგამს თვალს და მოიტაცებს, რა ხანია ხავსით დაფარულს ჩრდილიან მხარეს და მზით გამოხუნებულს მეორე მხარეს. ეგონა, სულ ასე ვეგდებიო, მაგრამ ვერ მიართვეს! აბორგებული არაგვი ბურთივით მიაგორებს ლოდიანს და როცა თამაშით გულს იჯერებს, რომელიმე მოსახვევში ნაპირზე გამორიყავს – საკმაოდ წახნაგებმოცვეთილს და გვერდებგაპრიალებულს, გაახალგაზრდავებულს...

არაგვს მაინც არავინ ემდურის – ბუნების სტიქიონია და იმიტომ. ამ ადგილებს სხვა ტალღებიც არაერთხელ მოასკდა: ანანურის ციხის კედლებს ახსოვთ ურიცხვი შემოტევა შინაურ მტერთაც და გარეულთაც – განსაკუთრებით. ყველა მომხდურს ერთი მიზანი ჰქონდა – იავარეყო ციხე და კოშკები, ცეცხლის კერძად ექციათ ტაძრები და მახვილით გაეჟლიტათ ყოველივე ცოცხალი.

არაგვის ერისთავთა მძლავრი ციხის კედლებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მჭიდროდ ჩაუდგამთ ეკლესიები და კოშკები და წყალსაცავისთვისაც კი დაუთმიათ ადგილი. უძველესი ნაგებობაა ხევსურული ტიპის პირამიდულსახურავიანი კოშკი. მცირე გუმბათიანი ეკლესია “ღვთაება“ XVII საუკუნის შუა წლებში მიაჩნიათ აშენებულად, ხოლო დიდი ეკლესია 1689 წელს აუგიათ ბარძიმ მსაჯულთუხუცესის თაოსნობით და ქაიხოსრო ბაღსარაშვილის ხელმძღვანელობით. მართალია, საქართველოში მრავლად დაითვლება ამ ტაძარზე უფრო მეტი მხატვრული ღირებულების ძეგლებიც, მაგრამ რამდენიმე გარემოება მას განსაკუთრებით ღირსშესანიშნავს ხდის. ჯერ ერთი, დიდი ტაძრის აგებისას ვერ შეელივნენ ხევსურული ტიპის კოშკს, რომელიც თითქმის მიტმასნილია ტაძარს, და არ დაუნგრევიათ; მეორეც, ამ ტაძრის კედლებზე ქვაში გამოკვეთილი რელიეფები სიმბოლურ-სარწმუნოებრივი ხასიათისაა – ვაზის ხე, ირმები, მტრედები, ჯაჭვით დაბმული ლომები, ჯვრით დათრგუნვილი გველეშაპი – და მოწმობს, მეცნიერთა აზრით, მონუმენტურ ხელოვნებაში ქართული ხალხური ხელოვნების თემების შეღწევას და შესრულების თავისებურებებიც განპირობებულია ფოლკლორული “ხედვით“; მესამეც, დიდი ეკლესია ჩართულია შენობათა ანსამბლში, რაც შთაბეჭდილებას ბევრად აძლიერებს. კიდევ ერთი ეკლესია – ერთნავიანი “მკურნალი“ – გალავანს გარეთ გამოდის და გალავანს შიგნით მოქცეულ შენობებზე დაბლაა. მის ფანჩატურზე შედგმულია სამრეკლო. კოშკები, ხევსურულის გარდა, გალავანშია ჩატანებული. ყველაზე მაღალია ოთხკუთხა შვიდსართულიანი “შეუპოვარი“, რომელშიც საცხოვრებლად ვარგისი ოთახებიც იყო. ყველაზე უფრო მტერს ამ კოშკის აღება უჭირდა და აქედანაა მისი სახელიც. მაინც, ეს კოშკიც ვერ შველოდათ ზოგჯერ იქ თავშეფარებულებს და ისტორიამ მრავალი ტრაგიკული ამბავი შემოგვინახა “შეუპოვარის“ აღებისა და ხალხის გაჟლეტისა...

დღევანდელ სოფელზეც ხომ უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა? ვახუშტი ბაგრატიონი ასე აგვიწერს ანანურს: “ვეძათხევისხევისა და არაგვის კიდეზედ არს ანანური. ჰავითა მშუენი და კეთილი“... ხო-

ლო არაგვისპირისა და ბაზალეთის ხალხს ასე ახასიათებს: “კაცნი მებრძოლნი და მპარავ-ავაზაკნი და უშიშნი ღვთისა“(!).

ამჟამად აქ ორმოცამდე გვარი სახლობს. უმრავლესობა გვარებისა არც ისე დიდი ხნის გაჩენილი ჩანს ანანურში. შორეული, მთის სოფლებიდან ბოლო დროს დიდი ლტოლვაა გზისპირს ჩამოსასახლებლად. მაგალითად, ზოტიკიშვილები ალბათ ჩამოსულნი არიან ახლო სოფელ ზოტიკიანთკარიდან; აფციაურები, ბურდულები, ბაშარულები, ბულაურები – არაგვის ზემო წელის სოფლებიდან. ოგანოვები, ვართანოვები, ლაზრიევები, შაქაროვები ალბათ გასულ საუკუნეში საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ (მათ შორის ანანურშიც) მომრავლებული სომეხი მედუქნეებისა და წვრილი ვაჭრების შთამომავლები არიან. ოსური გვარებიც გვხვდება – აბაევები, ანდრიევები; რუსულიც – დანილოვი და პოლონურიც – ფშეშინი. ისე კი, გვარის მიუხედავად, ყველანი მთიულებად თვლიან თავს – ყანაშვილებიც, მაჭავარიანებიც, ბედოშვილებიც, როსტიაშვილებიც, ინაშვილებიც, მარიცაშვილებიც, კავკასიძეებიც, გოგოლაშვილებიც, ობგაიძეებიც, ელიაშვილებიც, შაღაშვილებიც და მრავალი სხვაც, თუმცა ენათმეცნიერები ამტკიცებენ, რომ ისინი უფრო ქართლურად მეტყველებენ, ხოლო მთიულური კილოკავი ფასანაურიდან იწყება – ანანურიდან ჩრდილოეთით 22 კილომეტრის მოშორებით.

ანანურის ძირისძირი მოსახლეობის ძიება ალბათ ფუჭია. სოფელს მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა ეკავა ამიერ-იმიერკავკასიის დამაკავშირებელ ძველთაძველ გზაზე და ვის არ დაუდგამს ფეხი ამ მიწაზე სამხრეთიდან ჩრდილოეთით ან პირუკუ ლაშქრობისას – ალანებს, ყივჩაღებს, რომაელებს, ბიზანტიელებს, არაბებს, ოსმალოებს, სპარსელებს, ლეკებს, რუსებს... გვიანფეოდალურ ხანაში ზვიად, თავკერძა არაგვის ერისთავებს, მართალია, რეზიდენცია დუშეთში ჰქონდათ, მაგრამ ანანური მათი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი – მთავარი ციხე – იყო. აქედან ილტვოდნენ ისინი ხევის, მთიულეთ-გუდამაყრის, ფშავ-ხევსურეთის დასამორჩილებლად, არ ასვენებდნენ მეზობლებს, განსაკუთრებით – ქსნის ერისთავებს, ეურჩებოდნენ თვით მეფესაც...

მშვიდობიანობის წლებიც ახსოვს ანანურს და მაშინ აქ ვითარდებოდა ხელოსნობა, მრავლდებოდა მოსახლეობა და სავაჭრო დაბიდან დროებით პატარა ქალაქად იქცეოდა...

დიახ, წაღმა-უკუღმა ბევრჯერ დატრიალებულა ანანურის ბედისწერის ჩარხი. რამდენიმე წელიწადში კი მთელმა სოფელმა უფრო ჩრდილოეთით – 2-3 კილომეტრში უნდა დაიდოს ბინა, რადგან ანანურის ციხის კედლებთან ჟინვალის წყალსაცავის ტალღები იტყლაშუნებს....

1978 წ.

ერთაწმინდა

“შემკობილო ერთაწმინდავ,
წინ მინდორო, უკან ტყეო,
ქალებისა სათამაშო,
ვაჟებისა სამოთხეო!”

მსგავს ლექსს ქართლში სხვა სოფლებზეც გაიგონებთ, მაგალითად, მეჯვრისხევზე, ხიდისთავზე, მაგრამ არც ერთს შეეფერება ერთაწმინდაზე უფრო.

ერთაწმინდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. მისი სახლები შეფენილია თრიალეთის ჩრდილო, დამრეც კალთაზე და თბილისიდან დასავლეთით მიმავალი მატარებელი, ჯერ კასპს და შემდეგ მეტეხის სადგურს რომ გასცდება, ვაგონის ფანჯრიდან კარგ ამინდში მშვენივრად მოჩანს მტკვარგაღმა სოფელი მეტეხი თავისი ტაძრით, მასზე მაღლა – ახალქალაქი და სულ მაღლა კი – ერთაწმინდა და მის შუაგულში ამოზიდული დიდებული ერთაწმინდის ტაძარი წმინდა ესტატეს სახელობისა (ალბათ ამიტომაა, რომ ერთაწმინდაში ესტატეების დიდი “მოსავალია“ და სოფელს ალბათ პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში ას სულ მოსახლეზე ესტატეების რაოდენობით, რომელთაც შინაურობაში ტატოს ეძახიან).

ზოგიერთების აზრით, სახელი “ერთაწმინდა“, შესაძლოა, წარმოშობილი იყოს “ესტატეწმინდადან“ შეკვეცა-გადასხვაფერების შედეგად, მეორენი კი უფრო დამაჯერებლად სხვა გზას თვლიან – “ერთა“ + “წმინდა“, ესე იგი “ყველას“, “ერის“ წმინდა ალაგიო. ასეა თუ ისე, ერთაწმინდა ისეა შემკობილი ღვთის მიერ ყოველივე ბუნებრივი სიკეთით, რომ წმინდა ესტატე “სასაწაულმოქმედი“ ამიტომ ააგეს სწორედ აქ – ძველები არასდროს სცდებოდნენ ტაძრის მშენებლობის დროს ადგილის შერჩევაში.

ერთაწმინდის წმინდა ესტატეს ეკლესიის მოყვითალო-რუხი, თბილი ფერის მასიური ტანი დიდებულად აგვირგვინებს ფერდობზე შეფენილი სოფლის ხედს. ტაძარი ამჟამად რესტავრირებულია, ძველ გალავანსაც პირმორღვეული ადგილები აღუდგინეს. შესასვლელი მხოლოდ ერთ ადგილას დაუტოვეს, – დაბალი თაღი, – ასე რომ, მოქეიფეთა მანქანები ვეღარ შეჯირითდებიან გალავნის შიგნით.

წმინდა ესტატეს ეკლესია თავდაპირველ სახეს ძლიერ დაშორებულია გაუარესების მხრივ. ეტყობა, მიწისძვრამ თუ სხვა რამ უბედურებამ გუმბათი ჩამოაქცია. ისევ აღუდგენიათ, მაგრამ ძლიერ გაუმარტივებიათ: გუმბათის ყელის წყობა აღარ არის ისეთი ნატიფი, აღარც ჩუქურთმებისთვის შეუწუხებიათ თავი – წმინდა ესტატე ლამაზ, ტანად, დაკუნთულ მამაკაცს ჰგავს, რომელსაც ულაზათო, შეუხედავი თავი აბია. ოთხივე მხარის ფასადები კი ფრიად მიმზიდველია, ოღონდ ჩუქურთმებით ფაქიზად შემკული ცენტრალური ჯვარი და სხვა ნაწილები შორიდან, მართალია, კარგი შესახედავია, მაგრამ ჩუქურთმები ისე წვრილია, რომ მათი კარგად გარჩევა შეუძლებელია.

თვითონ სოფელმა ერთაწმინდამ შედარებით კარგად შემოინახა ძველებური იერი – ქართლური სახლები ჩუქურთმიანი აივნებით, წითელი კრამიტით დახურულნი. აქ არ არის არც ერთი კვადრატული მეტრი ასფალტი; განაშენიანება სტიქიურია, თითქოს ქაოსურიც, რაც თავისებურ მომხიბვლელობას ანიჭებს სოფელს. იგი უბნებად არის დაყოფილი: თათხაანთ, ნავროზაანთ, ხუცაანთ, კარგარეთლიანთ, ჩაჩანიანთ, ჯავრიაანთ, სულუაანთ, ელისაბედაანთ, მასურაანთ, კორკოტაანთ, ოქროაანთ, ბატკუაანთ უბნები ერთმანეთს ვიწრო, მიმოხვეულ ქუჩა-შუკებით უკავშირდებიან. ზოგი უბანი ისე მჭიდროდ არის დასახლებული, რომ სახლები მიჯრით, ერთმანეთთან მიტმასნილი აუშენებიათ. ეზოები ერთი ციცქნაა, ხშირად უბალახო, ნაკელის სუნით ავსებული; ზოგიერთი დიდი სახლი ორად, სამად და ოთხადაც კია დანაწილებული და ნაირფერად შეღებილი – სხვადასხვა პატრონები ჰყავთ. ეტყობა, ჯერ შვილებმა გაიყვეს სახლი, შემდეგ ზოგი გათხოვდა, ან ქალაქს წავიდა და გაყიდა თავისი წილი – უმეტესობა კასპსა და თბილისში გარბის საცხოვრებლად. ახალი სახლები მაინც საკმაოდ ბევრი შენდება და გარეგნულად ძველ იერს ნელ-ნელა ჰკარგავს სოფელი – მომრავლდა თუნუქის სახურავები (კრამიტის ნაცვლად), აგურისაგან ამოყვანილი კედლები (კირქვის ნატეხების მაგივრად). ხის მოჩუქურთმებული აივნების ნაცვლად ახლა აქაც თბილისისამებრ შუშაბანდებს აკეთებენ. ერთაწმინდის ცნობილი დარბაზული ტიპის სახლებიდან მხოლოდ მათი აღწერაღა შემოგვრჩა.

ვეღარც ძველებურად ჩაცმულ ადამიანს შეხვდებით. დილაობით მხოლოდ აქა-იქ ამოდის მონაცრისფრო-მოლურჯო მოტკბო ბოლი – თონეებს თითო-ოროლა ოჯახი თუ ახურებს, მაღაზიაში ნაყიდ, ცუდად გამომცხვარ, მომჟავო გემოს პურს სჯერდებიან. ყველაზე გულსატკენი კი ის არის, რომ ქორწილ-დღეობებში ვეღარ გაიგონებ სანაქებო ქართულ ხალხურ სიმღერებს, სამაგიეროდ დოლ-გარმონის გამაღიზიანებელი ჭყვიტინი და "აღმოსავლურ" უცხო კილოზე დამღერებული ბაიათები "დაგიტკბობენ" სმენას. ძნელად დაიჯერებს კაცი, რომ ამ სოფელში ია კარგარეთელს, ვახტანგ კოტეტიშვილს და სხვებს მრავალი შესანიშნავი ხალხური ლექსი აქვთ ჩაწერილი.

დიახ, მხოლოდ ზაფხულში ახმაურდება სოფელი. ჩამოდიან მიტოვებულ ბუდეში სააგარაკოდ, თუმცა ბევრი სახლი ივლის-აგვისტოშიც დაკეტილია და ეზოები წელამდე ჭინჭრით არის სავსე. "ახმაურდებაო" – შედარებისთვის ითქვა, თორემ ქალაქიდან ზაფხულში აქ ჩასულს სწორედ სიწყნარე ხიბლავს. სრული იდილია არც აქ სუფევს, მაგრამ შემოჭრილი ხმები კიდევ უფრო უსვამენ ხაზს სოფლურ სიმყუდროვეს...

დილაობით ერთმანეთში ირევა ვირების ყროყინი, მანქანა-ტრაქტორების გუგუნი, ფუტკრის ზუზუნი (თითქმის ყოველ ეზოში მდგარი თეთრი ხართუთა ზაფხულის ბოლომდე მსხმოიარობს), მერცხლების ჟივჟივი (ბოძებზე გაბმულ მავთულებზე კოხტად ჩამომწკრივდებიან და ტკბილად გალობენ), ჭურჭელში ჩამოწველილი რძის რიტმული ჩხრიალი, მამლების გულისგასახარ ყივილს ხომ ნუღარ იკითხავთ – შეძრული აქვთ მთა და ბარი. მოისმენთ უთვალავი ბეღურის გაუთავებელ ჭყიპინსაც, შაშვის გალობასაც, წმინდა ესტატეს სახურავზე კი მთელი დღე ღუღუნებენ მტრედები, მათი ნაწილი კი ფრთების ფართქუნით გუმბათს გარშემო წრეებს უვლის.

შუადღეზე თითქოს მიწყნარდება ყველაფერი, ადამიანების გადაძახილიც არ ისმის, მხოლოდ ქარი თუ ააშრიალებს ხეებს, – ალვებსა და თუთებს, ტოტებით რომ ლურჯ ზეცას ეთამაშებიან. საერთოდ, იშვიათია დღე, რომ ერთაწმინდაში ქარი ან ნიავი არ იყოს.

დღისით სოფელში იშვიათად ჩანს მოზრდილი ადამიანი, საღამოს კი გამოეფინებიან ეზოს გარეთ. შაოსანი მოხუცი ქალები ჩამოსხდებიან ჭიშკრების წინ და ათვალიერებენ ამვლელ-ჩამვლელს. "საღამო მშვიდობისა!" – მიესალმები და პასუხად ისმის:

– მშვიდობა მოგცეს ღმერთმა!

– მადლობა!

– იცოცხლე!

– იცოცხლე და გაიხარე!

– სიცოცხლე და დღეგრძელობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა!

მზე რომ გადაიხრება და ცოტა აგრილდება, გოგო-ბიჭობა იკრიბება წმინდა ესტატეს გალავნის შიგნით და თამაშობენ ბურთს, დაჭერობანას, მშობლები ასეირნებენ პატარებს. აქვეა კლუბიც, გალავნის კედელზე მიშენებული – დიდი ხნის დასანგრევია, იმდენად დაძველებულია და უშნო. ქუჩის მხარეს გამავალ ერთ-ერთ ფანჯარაზე აკრული რკინის ბადე დროდადრო ჩამორღვეულია – ბიჭები უბილეთოდ იპარებიან კინოს სანახავად. ბადის მიჭედება საქმეს ვერ შველის – მალე ისევ მოარღვევენ.

ყველაზე ბევრი ხალხი – უპირატესად ქალები და ბავშვები – ერთაწმინდის ტაძრის გალავანთან იყრის თავს, სოფლის მთავარ მოედანზე. წყაროსთან ერთი სქელი მორი გდია, ზედ სხედან და ლაყბობენ, აკნატუნებენ მზესუმზირას, ავსებენ წყლით კოკებს. იქვე, მესერთან, სოფლიდან წამსვლელნი უცდიან ავტობუსს, სხედან კედელთან ჩამწკრივებულ ქვებზე. ჩერდება სატვირთო მანქანა და მოედანი ივსება ძარიდან ჩამობობღებული, მინდორ-ბაღებიდან შინ დაბრუნებული, ჭრელხალათიანი, თავსაფრიანი დედაკაცების ყაყანით.

ორღობეებს ავსებს მოდენილი ნახირის ხმაური – ოქროსფერი ძროხების ბღავილი, პატრონებს რომ უხმობენ – ჭიშკარი გამიღეთო, და კამეჩების ყროყინი, დინჯად რომ მიიზლაზნებიან ქუჩაში და ყველა გზას უთმობს.

აგვისტოს შუა რიცხვებიდან ეზოებიდან ისმის ჯოხთა რიტმული ცემა – მიწაზე გაფენილ ხმელ, ძირიანად მოთხრილ ლობიოს ურტყამენ – მარცვალს აცლიან.

დაბნელდა და ციცინათელები თვალს ახარებენ ნაპერწკალ-გაელვებით...

ერთაწმინდაში საუცხოო ჰაერია, თითქმის გამუდმებით ჰქრის ნიავი და ზაფხულის პაპანაქება სიცხეც კი აქ ადვილად ასატანია.

ერთაწმინდას არც ერთი მდინარე არ ჩამოუდის (თეძამი ღრმა ხეობის ძირზე მიედინება საკმაოდ მოშორებით) და შეიძლება იფიქროთ, როდის იყო, ქართველი კაცი უწყლო ადგილზე სახლდებოდაო. ამ მხრივ სოფელი დიდი მდინარეების პირას გაშენებულ დასახლებებზე უკეთეს პირობებშიც კია – სამხრეთით ერთაწმინდას გოსტიბეს ტყიანი ქედი აკრავს, საიდანაც მრავალი წყარო იღებს სათავეს: მასურასწყარო, თეთრაწყარო, უსტარაული, სამების წყარო და სხვები. უხვი წყაროები სოფელს ამარაგებენ სასმელი და სარწყავი წყლით. განსაკუთრებით ცნობილია უსტარაულის წყარო – მისი წყალი მილებით მიედინება სხვა სოფლებშიც – ახალქალაქს, მეტეხს. წყალი უსტარაულისა შესანიშნავია გემოთი და ისეთი ცივია, რომ შიგ ჩაყოფილ ხელს დიდხანს ვერ გააჩერებ. ეს წყაროები იმდენად არის განთქმული მთელ კასპის რაიონში, რომ სხვადასხვა სოფლებიდან დღენიადაგ მოგრიალებენ აქეთ მოქეიფეთა მანქანები. ერთაწმინდის ბაღ-ბოსტნები რუებით ირწყვება, რომლებითაც მთელი სოფელია დაქსელილი. აქაური თუთა, ალუბალი, ვაშლი და სხვა ხილი – საუცხოოა. შეუდარებელი თაფლია აქ, სოფელიც და მიმდებარე მინდორ-ველიც ავსებულია ფუტკრის ზუზუნით. ფუტკარი სისხამ დილიდან უკვე ფუსფუსებს, იშვიათი თვინიერი ხასიათისაა – პეპლების დევნის დროს ხშირად უბოდიშოდ შემიწუხებია ისინი (თუმც უნებურად) და არც ერთხელ არ დავუნესტრივარ.

ერთაწმინდის მიდამოებში ულამაზესი პეპლები დაფარფატებენ. ეს ალბათ ყვავილების ნაირფერობითა და სიმრავლით აიხსნება. რამდენი ყვავილია! სოფლის ეზოებიც კი, რომლებიც ხშირად ვერ დაიკვეხნის სიმწვანით, ავსებულია ბალბით, ათასგვარი სხვა ყვავილ-ბალახით, ლამაზად რომ აჭრელებენ მიდამოს; ვარდკაჭაჭა ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაუფარავად აბრიალებს თავის ფართოდ გახელილ ცისფერ თვალებს გზათა კიდეებსა და კორდებზე. კატაბარდა ალაგ-ალაგ ხეებზე აბობღებულა, ტოტებზე გამძვრალ-გამომძვრალა, მომძლავრებულა, ორღობეთა თავზე მწვანე გვირგვინად დამდგარა და დაუკიდია თავისი წვრილი, ყვითელი ყვავილები.

დიახ, პეპლებზე მინდა ვთქვა კიდევ ორიოდ სიტყვა. კარგა ბლომად შევაგროვე ისინი საკოლექციოდ და, ლამის არის, სოფლელი ბავშვების დასაცინი გავხდი, ამოდენა კაცი რომ პეპლების საჭერით ხელში თაკარა მზის ქვეშ დავდევდი მათ და ხშირად ნარეკალსა და ჭინჭარს არ ვეპუებოდი. რა ზომის, შეფერილობის და, ასე განსაჯეთ, ქცევა-ზნის პეპლებს არ შეხვდებოდა კაცი! პატარა, თეთრი და ცოტა მოზრდილი პეპლები აუჩქარებლად, დინჯად ფრენენ მიწასთან სულ ახლოს, თითქოს ცდილობენ უმცირესი ყვავილიც არ გამორჩეთ ამ მუშა, მუყაით არსებებს. ზოგი კი, რომ მოფრინდება, დააბნელებს ზეცას, იმხელაა! უფრო სწორედ, მისი სილამაზით მოხიბლული, სხვას ვეღა-

რაფერს ამჩნევ და ოცნებაში გულიც აგიფრთხიალდება – აი, ეს თუ ახლა დავიჭირე!.. ზოგიც საკმაოდ აუჩქარებლად მოფრინავს – თითქოს მოსეირნობს და არც არაფერი აინტერესებს ამქვეყნად, არც ყვავილებზე ჯდება. ასეთი ფუქსავატები გვხვდებიან ყვითლებიც, მოყავისფრონიც; ორივე ჯიში საშუალო ზომისაა. ზოგი ფეთიანივით მოვარდება, თითქოს ვიღაც მოსდევს; ხეირიანად არც არის დამჯდარი ყვავილზე, რომ უკვე გაქცეულია – თითქოს სასიყვარულო პაემანზე აგვიანდება. ისინი ძნელი დასაჭერია. ზოგი ნარნარად, ამაყად მოსრიალდება, ფრთების ფართქუნით ნაზად დაეშვება ყვავილებზე და გულდასმით ჩითავს. ზოგიც გულზვიადად, სწრაფად, გოროზად მოფრინავს, არ კადრულობს სადმე გაჩერებას – "არისტოკრატია", გვერდზე არც იყურება. ასეთებს თითქმის ვერ დაიჭერ და ალბათ ამიტომ ყველაზე მეტად მათ აფასებ შენს კოლექციაში.

რახან პეპლებს გამოვეკიდეთ, ერთაწმინდის შემოგარენიც მოვინახულოთ, მით უმეტეს, რომ, რომელ მხარესაც გინდა წახვიდე, გულაცრუებული არ დარჩები.

ჯერ მარტო ერთაწმინდიდან გადასახედი ერთ რამედ ღირს!

შესანიშნავი ხედი იშლება ჩრდილოეთით მტკვრის ხეობაზე. ველზე სწორკუთხედებია: ოქროსფერი – პურის ყანებისა, სხვადასხვა ელფერის მწვანე – ზოგი სიმინდია, ზოგიც ზოლებად – ბაღჩა-ბაღები, ჭარხალი და სხვა. მუქ მწვანე ლაქებში წითლად და თეთრად გამომჭვირვალი სახლთა სახურავები – ეს სოფლებია: ახალქალაქი, მეტეხი, რომლებიც ბრტყლად გაშლილან ველზე; აქა-იქ ალვების მუქი ტანები აზიდულან და აცოცხლებენ ხედს. მტკვრის ხეობის იქით თუ გაიხედავთ, მზერით აშურიანის ყვითელ ველს რომ გასცდები, კვერნაქის თუ ნადარბაზევის ქედებია – უტყეო, ხვლიკისფერი; ხრიოკი, ციცაბო ფერდობები დაღარულია ხევხუვებით (მოზრდილებს სახელებიც აქვს: გრაკალის, ნაბაღურევის, შუამთის...); საღამოობით ირიბი მზის სხივები ულამაზეს სანახაობად აქცევენ შუქ-ჩრდილებით აჭრელებულ ფერდობებს. უფრო ზევით – მწვერვალები მომრგვალებულა, ზეგანზე ხშირია მოსწორებული, ვაკე ადგილები ყვითლად მბზინავი პურის ყანებით. კვერნაქის ქედი საამო სანახავია ღრუბლიან დღესაც, როცა ლამაზად იჩითება ღრუბელთა ჩრდილებით და თუ ქარია, ერთაწმინდიდან მშვენივრად მოჩანს, როგორ მოძრაობს მიწაზე ეს "ფეხადგმული" სილამაზე.

ახლა კი დროა, ერთაწმინდის შემოგარენს ვეწვიოთ.

მოდით, ჯერ სამხრეთით გავწიოთ უსტარაულის წყაროსკენ. ეს წყარო მდებარეობს ერთაწმინდის სამხრეთით, გოსტიბეს მთის ძირში, სოფლიდან დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე და მასზე საკმაოდ მაღლა. მანამდე მიდიხარ პურის მწიფე ყანებით, ბაღებით, ირგვლივ ყველაფერი სავსეა ნაირფერადი ყვავილებით, მოფარფატე პეპლებით და მოწინწრიხე კალიებით. შუა გზაზე ცუცუბნის სამლოცველოა; მხოლოდ დაფხავებული კედლები შერჩენია და შიგნით კარგა მოზრდილი თუთის ხე ხარობს, რომელსაც წვრილი, მწიფე ნაყოფი ბლომად ასხია. ღრმად მოხუცებსაც არ ახსოვთ ცუცუბნის ეკლესია სახურავჩაუქცეველი. აგვისტოს დასაწყისში პური ჯერ აუღებელია და მწყრების ქვითქვითი ისმის.

ხელმარჯვნივ რჩება მლაშეები, შემდეგ – დევნამუხლები, გადაივლი საბურთალოს და წყაროსაც მიადგები. უსტარაულის წყაროს გვერდზე ჩაუდის ცხირეთის საკმაოდ ღრმა ხევი, რომელიც ცოტა ზემოთ კიდევ უფრო ღრმა და ციცაბონაპირებიანი ხდება, მერე კი ჩანჩქერია ჩამოკიდებული – ძალიან მაღალი და ლამაზი. ჩანჩქერის თავზე ფრიალო კირქვის კედელში გამოქვაბულია, გამოქვაბულის თავზე კი ფრიალოს ზევით – ტყით დაბურული, მოსწორებული ადგილი; ხშირი მცენარეულობა ფარავს ზემოცხეს, მეფე ლუარსაბის საზაფხულო საბრძანებელი რომ იყო ოდესღაც....

მეორედ, ნუ დავიზარებთ და, თუნდაც თაკარა მზიანი დღე იყოს, აღმოსავლეთით გავყვეთ ერთაწმინდიდან მიმავალ გზას. საკმაოდ მალე მივაღწევთ სერზე, პატარა გორაკზე კოხტად წამომჯდარ ზედაჯვრის სალოცავს, მაგრამ მანამდე უნდა გადავიაროთ ჯერ თონიხევი, შემდეგ – თათხაანთუბანი; სოფლიდან გასვლის შემდეგ ავუქციოთ გვერდი სამნიაგორას, ხოდაბუნებს (სულ თავკვერის ვენახია ჩაყრილი!), ცხირეთის ხევიც გადავლახოთ და საკმაოდ ციცაბო ფერდობზე ავბობღდეთ – ოფლად გახვითქულნი, მივაღწევთ კიდეც ზედაჯვრის ბაზილიკას... სამაგიეროდ, ისეთი ნიავი დაგვიხვდება, რომ სამოთხეში ვიგრძნობთ თავს. გადასახედს ხომ ნუღარ იკითხავთ – დასავლეთით ჩანს ფერდობზე შეფენილი, მწვანეში ჩაფლული ერთაწმინდის სახლები და მათ შუაში – ფეხზე წამომდგარ თამადასავით ამოზიდული წმინდა ესტატეს ტაძარი; ჩრდილოეთით – მტკვრის ხეობაა ჩაწოლილი, ფერად-ფერადი ყანა-ბაღებით, სოფლებით და მტკვარგაღმა – კვერნაქის ხრიოკი ქედით; აღმოსავლეთით – სოფელი ახალციხე მოჩანს, მის განაპირას ძველი ციხე მოღუშული იცქირება; უფრო ზევით – სოფელი ნოსტეა, გიორგი საკაძის კოშკი ნაცრისფრად ამართულა; სამხრეთით – გოსტიბეს მწვანე მთები აყუდებულა.

ბაზრობა დღეს ალბათ სურვილი გექნებათ, დილაადრიან ერთწმინდიდან ჩრდილოეთითაც – სოფელ ახალქალაქს ესტუმროთ. ავტობუსითაც შეიძლება გამგზავრება, მაგრამ მე ფეხით ვარჩევ ჩა-

ვუყვე დაღმართს. არც მანძილია შორი – რამდენიმე კილომეტრი რა სახსენებელია, სამაგიეროდ, გზად შემოგეგებებათ ფავნისის ეკლესია X საუკუნისა, XII საუკუნის შესანიშნავი ფრესკებით შემკული. აქედანაც დიდებულად მოჩანს ზევით ფერდობზე შეფენილი სოფელი ერთაწმინდა, უკან კი ფონად მუქი ტყიანი ქედია. ფავნისის ბაზილიკის კედელთა გამონაშვერებზე მოკალათებული ბელურები ჭყიპინებენ დილის სიმღერას, ნიავს კი მოაქვს ავშნის გამაბრუებელი სურნელი. მზის ელვარე სხივები ეფინება და ათასფრად აფერადებს მთა-ველს...

ბარემ ერთაწმინდის დასავლეთითაც გავისეირნოთ. ამ მიმართულებით შუა ზაფხულში უმეტესად გოგო-ბიჭები მიემართებიან თეძამში საჭყუმპალაოდ; უკან, ერთაწმინდაში ამოსვლა გრძელი და ციცაბო ბილიკებით მათ არ აფრთხობთ. აგვისტოს ბოლოსთვის ან ცოტა ადრეც, დილიდანვე დიდ-პატარა მიეშურება ქვევით – თეძმის ხეობაში იკრიფება ჭანჭური, შინდი, ქაცვი, კოწახური, მაგრამ ყველაზე უფრო – მაყვალი. თუ სურვილი გაქვთ, ზემოხსენებული ხე-ბუჩქების მსხმოიარე ტოტებს შეგიძლიათ მიუმატოთ ღვიის, თრიმლის და ჩიტავაშლას ტოტებიც და მშვენიერ თაიგულს მიიტანთ შინ. მე, მაგალითად, ძეძვის ეკლიანი ტოტიც კი წამოვიღე – ძალიან მომეწონა რომელიღაც პატარა ჩიტის მრგვალი ბუდე: იმდენად ოსტატურად იყო "შეკერილი" ძეძვის წვრილი, მოკლე ტოტებისაგან; მხოლოდ ცალ მხარეს ჰქონდა ამ მჩხვლეტავ ბურთს ვიწრო შესაძრომი. შემდგომ, თბილისში, შევეცადე გამერკვია, რა ფრინველისა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ბუდე და აღმოჩნდა... რომ პატარა თაგუნიას ნახელავი ყოფილა!

ერთაწმინდიდან არყნის ხევს თუ დავუყვებით, მის მიერთებაზე თეძამთან ვნახავთ საქრისის სალოცავს, კოხტად შემოდგმულს ბექობზე. თეძმის მარცხენა, მოპირდაპირე ნაპირზე, შემაღლებულზე ეულად დგას წმინდა გიორგის ეკლესია, ხოლო მის ქვევით, კაკლების ჩრდილს შეფარებულა ღვთისმშობლის ეკლესია. გარდა ამისა, არც ისე შორს – ჩრდილოეთით, კალოუბნის ქედის წყალგამყოფზე, კალოუბნის ეკლესიის ნანგრევები ეფექტურად გამოიყოფა ცის ფონზე. თუკი თეძამს სამხრეთით, აღმა ავუყვებით, ულამაზეს ხეობაში რაღას არ ვნახავთ – საუცხოო ძეგლების, ციხე-კოშკებისა და ეკლესიების აღწერა კი არა, მარტო ჩამოთვლაც კი გამიჭირდება. იკვისა და რკონის ტაძრები, რკონის ციხე და ჯავახაანთ ციხის კომპლექსი რომ არ ვახსენო, მაინც არ შემიძლია.

თეძმის ხეობაში უძველესი დროიდანვე გადიოდა ერთ-ერთი უმთავრესი გზა, რომელიც აკავშირებდა შიდა ქართლს თრიალეთთან, ქვემო ქართლთან თუ სამცხე-ჯავახეთთან, ხეობაზე მთელი წიგნის დაწერა შეიძლება (სერგი მაკალათიამ დაწერა კიდეც).

ახლოვდება შემოდგომა...

სადღაა ციცინათელებით აკვესებული საღამოები. დილაობით მერცხლები შექუჩდებიან ხოლმე მავთულზე და აქვთ ერთი ჟღურტულობანა გამართული; ალბათ შორს, თბილ ქვეყნებში გამგზავრების გეგმებს აწყობენ.

ხალხიც დაიძვრება ქალაქისკენ, იმ ფიქრით, რომ, თუ მშვიდობა იქნა, მომავალ წელსაც ზაფხულში სხვაგან არსად არიან წამსვლელნი, ისევ ერთაწმინდას მოაშურებენ!

1978

ფოლადაურის ციხე

გუშინწინ, როცა ბოლნისის სიონისგან მიღებული შთაბეჭდილება ჯერ კიდევ ცინცხალი იყო და ტაძრის არქაულ ფორმებზე, დინჯ სიძლიერეზე, სისადავეში ჩვენი წინაპრების მიერ მიდწეულ გენიოსობამდე მისულ სილამაზეზე ვფიქრობდი, ფოლადაურსაც მივაღწიეთ. მარცხენა მხრიდან ლოქისწყალს უერთდება ლალვარისწყლის ხეობა და ამ ხეობას გადმოჰყურებს მაღალი, ცარცული ასაკის ფრიალოების თავზე წამოსკუპებული ციხე. მაშინ ლოქისწყლის ხეობაში გავუხვიეთ და მხოლოდ მცირე ხნით შევძელი მიმეპყრო მზერა. დღეს კი, 18 აგვისტოს, მთელი დღე დავეხეტებოდით მდინარე ლოქისწყლის ხეობაში, საღამოს ვისადილეთ, ავშალეთ ჩვენი ბანაკი ორთაფოშტაში, ავიბარგეთ იქიდან და, ფოლადაურში ხიდთან მოხვევის შემდეგ, ხელმარცხნივ, სოფელს ზევით აზიდულ ქარაფოვან მთებზე ისევ გამოჩნდა ცას მიბჯენილი ციხის კედელი...

ციხეებს საქართველოში თვლა არ აქვს და თითქმის ყველა ისეთ ადგილას არის აშენებული, რომ შორიდანვე თვალს ვერ მოსწყვეტ.. გამონაკლისი არც ეს ციხე იყო – ქოროღლის ციხე, როგორც გეოლოგიური პარტიის უფროსმა შოთამ თქვა. ამ ბედუკუღმართ ქვემო ქართლში ბევრი ციხის სახელი დავიწყებულია და ადგილობრივი მოსახლეობა ყველას ქოროღლის ციხეს უწოდებს. ამ

ციხის ნამდვილი სახელი არ ვიცი და ამიტომ ფოლადაურის ციხედ მოვნათლე. ყველანი დიდხანს შევყურებდით მაღლა, ძალიან მაღლა, ქარაფის კიდეზე აზიდულ ნაგებობას. შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ ერთ-ერთი კედელი ციხისა განსაკუთრებით კარგად შენახულიყო და ცის ფონზე მაღლა აშვერილი თითივით გამოიყოფოდა.

ფოლადაურს გავცდით თუ არა, ჩვენი სატვირთო მანქანით გავფონეთ მდინარე ლალვარისწყალი და ფოთლოვან ტყეში შევედით.

საღამოს შვიდი საათია, მოსაღამოვდა. ამ ტყეზე უკეთეს ადგილს ღამის გასათევად ვერც ინატრებ: პარკივით ტყეა, ქვეტყე არ აქვს; რცხილნარში აქა-იქ მხოლოდ შინდისა და კუნელის ბუჩქები გვხვდება.

ნახევარ საათში გასაშლელი საწოლები დავდგით ხეებქვეშ, ზედ საძილე ტომრები გავშალეთ და ძილისთვის დასაძინებლად მზადება ამით ამოიწურა.

ნეტა აქედან როგორ გამოჩნდება ფოლადაურის ციხე? ყველანი გზაზე გავდივართ და, ოციოდე მეტრის გავლის შემდეგ, შევყურებთ ციხის კიდევ უფრო მოახლოვებულ, მაგრამ ამავე დროს თითქოს კიდევ უფრო მაღლა აზიდულ კონტურებს. მტვრიანი საავტომობილო გზა თითქმის მთის ძირს მიუყვება; გზიდან იწყება დამრეცი ფერდი, რომელიც თანდათან უფრო დაქანებული ხდება და, ბოლოს, ციცაბო კედლით მთავრდება. ამ თითქმის შვეულ, ფრიალო კლდეს თავს მოსჯდომია ფოლადაურის ციხე.

ციხევ, ციხევ! რა მაღლა აფრენილხარ, რა უკარება ჩანხარ აქედან!..

– რამდენ ხანში ავა ნეტავი იქ კაცი? ერთ საათში ალბათ შესძლებს... – უნებურად ვამბობ მე.

გაიმართა პაექრობა. ყველანი თავაწეულნი ისევ შევცქერით ციხეს. შოთა და ბონდო ამტკიცებენ, რომ ერთ საათში ყოვლად შეუძლებელია აქედან ციხეზე აბღოტება, ვიტალი მერყეობს, ხოლო შოფერი ოთარი საერთოდ არაფერს ამბობს.

– ავიდეთ? – ვკითხულობ მე და კოლეგებს შევცქერი. – აბა, ვინ მოდის?

– ეეე, ბიჭო, იყო დრო, როცა არ ვიცოდი, გული რომელ მხარეს მქონდა, – ამბობს შოთა, ორმოცდახუთი წლის, საშუალო სიმაღლის, გაჭაღარავებული კაცი და წინ საკმაოდ წამოზრდილ მუცელზე ხელს იტყაპუნებს. – ახლა ასხუთი კილო ვარ, ერთი-ორი კილო საზამთრო კიდევ მოემატა ორთაფოშტაში. ეჰ, წავიდა ძველი დრო, გაფრინდა... ფეხსაცმელების ისევ ჩაცმაც მეზარება, კოჭთან საყელომ გამიხეხა ფეხი.

მზერა ბონდოზე გადამაქვს. ისიც შოთას ხნისაა, მაგრამ კაფანდარა; გადაწყვეტით გაიქნია მელოტი თავი უარის ნიშნად.

– აბა, ვინა ხართ ვაჟკაცი? ვიტალი, მოდიხარ?

ვიტალის ჭროღა თვალებში გაუბედაობას ვკითხულობ.

– გვიანაა, გზაში დაგვაღამდება, – საათზე იხედება ვიტალი. – რვის ოცი წუთია, ნახევარ საათში დაბნელებას დაიწყებს.

– მერე, რა მოხდა, შე კაცო, რამ შეგაშინა, რვამდე მაინც ვიაროთ ზევით და თუ შევამჩნიეთ, რომ ასვლას ვერ მოვასწრებთ, უკან გამოვბრუნდეთ...

ვიტალი დუმს.

ახლა ოთარს მივადექი.

– შენც ამათ სიაში წერიხარ?

– ამათ სიაში რა, ჩემი თავი არ მაბია? ვერ მაესწრება და ეგ არი!

უცნაურ აღგზნებას ავუტაცივარ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მთელი დღე ნიმუშებიანი მძიმე ზურგჩანთა არ მეთრიოს ტყე-ღრეში, მგონია, დაღლილობას ვერც ვიგრძნობ ციხის წვერამდე.

– წავედი! რვის ოცდახუთი წუთია; თქვენც დანიშნეთ დრო, ციხიდან ნიშანს მოგცემთ, – და აღმართს შევუდექი.

– მოიცა, პაპიროსს წამოვიღებ! – მომძახის ოთარი, მანქანის კაბინისკენ გარბის, შემდეგ ახალი კოლოფიდან ამოღებულ პაპიროსს უკიდებს და ახლა ორნი დავიძარით ციხის ასაღებად. ერთ ღერ პაპიროსს მეც ვთხოვ და ამაყად ვირჭობ პირში, თუმცა არ ვეწევი თამბაქოს. თუ სოლიდარობაა, სოლიდარობა იყოს!

მაინცდამაინც არ ვჩქარობთ. ჯერ გზას დავადექით, შემდეგ მარცხნივ გავუხვიეთ და ბუჩქნარით შემოსილ ფერდობს შევუდექით. თუმცა ფერდი თავდაპირველად დამრეცია, მაინც გვისხლტება ფეხი, რადგან ალაგ-ალაგ წვრილ ხრეშზე ფეხს ვერ ვიკიდებთ.

– როგორ ადიოდნენ ნეტა? – ამბობს ოთარი.

– ჰო, – კვერს ვუკრავ მე, – ზევიდან ალბათ დიდ ქვებს აგორებდნენ, რომ მტერი არ მიეშვათ ახლოს.

– არა, სოფლელებზე ვამბობ. ქალები, ბავშვები, მოხუცები როგორ მოასწრებდნენ...

ჩვენ თურმე სულ სხვადასხვა რამეზე ვფიქრობდით. ოთარის სიტყვებზე წარმოვიდგინე... რა წარმოვიდგინე?.. ღამე, ქალთა უიმედო კივილი და კიდევ რატომღაც – ცეცხლის ალები... რატომ ცეცხლი და რატომ ღამე? მტერი ხომ ჯერ სოფელში არ იქნებოდა, როცა ხალხი გახიზვნას დაიწყებდა. გულამოვარდნილები, როგორ მირბოდნენ ალბათ აღმართში ციხესიმაგრისკენ... თუმცა აქ რა სირბილი შეიძლება – ჩვენ აუჩქარებლად მივიწევთ წინ და მაინც უკვე ხალათი ოფლისგან გასაწური მაქვს.

ტყიანი დაიწყო. საათზე ვიხედები – ათი წუთი გასულა, რაც ბანაკიდან გამოვედით. ამას ვატყობინებ ოთარს. ორივენი ვჩერდებით და გამოვლილ გზას გავყურებთ. ქვევით ბილიკი ისევ შედის ტყეში, სადაც ერთ ადგილას ნაწილობრივ მოჩანს ჩვენი მანქანა.

ისევ – მაღლა. ვებღაუჭებით ხან ბალახებს, ხან ჩირგვთა ტოტებს. ტყეში მუხა და რცხილა ოდნავ აბინდებენ გარემოს. ვიგრძენით საღამოს გრილი სუნთქვა. მიხვევ-მოხვევით გზას ვიკვლევთ ციხისკენ. საქონლის მიერ გაკვალულ გადახლართულ-დატოტილ ბილიკებს ვიყენებთ.

ნუთუ ასე მალე მივედით ფრიალო კედლის ძირთან? გახურებულ სახეს ცხვირსახოცით ვიმშრალებ და ისევ საათზე ვიხედები: მხოლოდ თხუთმეტი წუთი გასულა! ოთარიც გახარებულია. ციხის კედლები სულ ახლოს მოჩანს, ჩვენი ვარაუდით, ამ ადგილამდე ასასვლელად ნახევარი საათი მაინც დაგვჭირდებოდა, მაგრამ მთავარი ახლა იწყება – ჯერ ხომ უზარმაზარი ფრიალო კედლის ძირში ვართ, რომლის თავზეც არის აშენებული ციხე.

კლდოვანი კედლის ძირში ძეძვისა და მაყვლის ბუჩქებს შორის ბილიკს მივუყვებით. ამ ფრიალოზე ასვლა, რასაკვირველია, მხოლოდ სიზმარში თუ შეიძლება... იქნებ შემოვუაროთ და სხვა მხრიდან ასასვლელი მოვძებნოთ? მაღლა ვიხედები და ეჰე!.. – სულ მაღლა, თავბრუ რომ დაგეხვევა, ციხის კედლები მოჩანს. ახლა რაღა ვქნათ? შეიძლება, ერთი საათი ასასვლელი გზის ძებნაში დავკარგოთ; მანამდე კი ღამეც გვესტუმრება, უკვე რვას თხუთმეტი წუთი აკლია...

ფრიალოს უზარმაზარი ნაპრალი ჰკვეთს, კირქვის ლოდებით ჩახერგილი და ბუჩქნარ-ეკლნარით ჩაბურდული; ალაგ-ალაგ ხეებსაც მოუკიდებიათ ფეხი. ყველაზე დიდი ლოდი ამ ნაპრალის ქვედა კიდესთან ჩაჭედილა... ოჰო! მის ქვევით რაღაც ხვრელი ჩანს... ვიწროა, მაგრამ გაძრომა შეიძლება.

– ოთარ, აქეთ! – ვყვირი მე და ხვრელის დასაწყისს საცობივით ვკეტავ ტანით; საძრომი საკმაოდ გრძელი და ციცაბო ყოფილა. მივფორთხავ ხვრელში ზევით და ვცდილობ, უკან არ დავცურდე, რადგან კირქვის ხრეშზე ამაზე ადვილი არაფერია.

– ცოტა მოიცა, ოთარ, ქვა არ დამიგორდეს...

ავათავე ხვრელი და ზევით ისევ დაოთხილი მივფორთხავ: ორი ნაბიჯი წინ, მერე – ერთი ნაბიჯით უკან დაცურება კირქვის ნაშალზე... კიდევ კარგი, ნაშალის კიდეებზე ფეხი მოუკიდებიათ მაყვალსა და კიდევ რომელიღაც დაბალ, მაგრამ მეტისმეტად ეკლიან მცენარეს. ეკლებს ვინ აქცევს ყურადღებას – ხარბად ვებღაუჭები მათ ღეროებს ხიჭვებით დატენილი ხელისგულებით... თუ მაგრად ჩაცურდი – ჰაუ! – ჩაფრინდები (თუ ფრთები გაქვს!) ათმეტრიანი ქარაფიდან... აგერ აკაკის ბუჩქნარიც. მაღლა სვლა გაიოლდა და, როგორც იქნა, გავაღწიე უშიშარ ადგილას. აქ ნაპრალი უფრო ფართოა და ბუჩქნარიც მეტად არის მოდებული. ქვევით ოთარს ვუძახი, რომ ამოსვლა დაიწყოს. სანამ ქვევიდან ქვების ხრიალი, ოთარის ქშენა და გინება მესმის (მომაქვს მხოლოდ დასაბეჭდად ვარგისი ნაწილი: "რა ძალა გვედგა, აქ რომ მოვძვრებოდით?!. ერთი ქვა რომ დამიცურდეს, რას შვრები შვილოსა?!. უკან დასაბრუნებელი გზაც რომ არ მაქვს..."), ზევით ვიყურები. სანამ დროა, მართლა უკან ხომ არ დავბრუნდეთ? ახლა უფრო ადვილია ზევით აძრომა, მაგრამ ციხის სულ ქვედა კოშკებამდე ჯერ კიდევ საკმაო მანძილია და მთელი ეს სიმაღლე სულ ხვლიკივით კედელზე ფორთხვით უნდა გალიო, დაძაბული მოეჭიდო უკვე დაღლილი თითებით კლდის ყოველ გამონაშვერს... უკიდურესი ციცაბო დაქანების ცარცული ასაკის კირქვებია.

– ოთარ, თუ გაგიჭირდეს, მაო ძე დუნის ციტატები წაიკითხე ხმამაღლა, ამბობენ, შველისო... ან ერთი კახურად შეუკურთხე, აქამდე ძალიან იკავებდი თავს!

ოთარს სახუმაროდ სულ არ სცხელა; როგორც იქნა, ამოაღწია ჩემამდე.

ნაპრალი კიდევ უფრო გაფართოვდა – კარგია! ბუჩქებს შორის რაღაც ბილიკის მსგავსიც კი დაიკლაკნა. ახლა სულ გაიოლდა ასვლა, თითქოს კიბეებს მივუყვებით მაღლა-მაღლა.

უკვე პირველ ზოლს მივაღწიეთ ციხისა; პირველისა იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, უფრო ზევით კიდევ რამდენიმე ზოლია აშენებული. თუ პირველ ხაზს აიღებდა მტერი, დამცველნი შემდეგ ხაზზე გამაგრდებოდნენ...

ციხის კედლები კირქვის დიდი ნატეხებითაა ნაშენები, საკმაოდ კარგად შენახულა. ალაგ-ალაგ დუღაბს ხელით ვსინჯავ – ქვასავითაა, ნამცეცსაც კი ვერ მოამტვრევ. ეტყობა, კვერცხი ბლომად ჩაუხლიათ კირის ხსნარის მომზადების დროს.

აქედან შეიძლება ჩრდილოეთისკენაც გავიხედოთ. იქით დამრეცი ფერდი ყოფილა, შემდეგ უნაგირია და ისევ აღმართი. ტყიდან რამდენიმე ბილიკი შემოდის ციხის გალავანს შიგნით. როგორც ჩანს, ამ მხრიდან მოდიან ჩვეულებრივ მნახველები, ჩვენ კი რამდენი ვიწვალეთ... მაგრამ არა, ახლა ვგრძნობთ, რომ, თუმცა ხელები ხიწვებითა და ეკლებით გვაქვს სავსე, ალმოდებულ სახეს გრილ ნიავს ვუშვერთ და გულამოგდებულები ვსუნთქავთ – მაინც ფრიალოს მხრიდან ამოსვლა სჯობდა, სხვა გემო ჰქონდა! არ ვნანობთ – ჩვენ ციხე დავლაშქრეთ! კი არ ვნახეთ, ავიღეთ, ბრძოლა გარდაგვხდა! და როცა სულშეგუბებულები მივძვრებოდით ნაპრალში, ქვიდან ქვაზე ვხტებოდით კირქვიან ბილიკზე – გარშემო "გვესმოდა" იარაღის ჩახაჩუხი, საბრძოლო ყიჟინა გვაგულიანებდა: წინ, წინ, წინ!.. ახლა კი ვდგავართ ძველ, ჩამონგრეულ ქონგურებთან და ხარბად ვისუნთქავთ ჰაერს – ციხე დავიპყარით! თუმცა არა, ჩვენ ხომ ჯერ ციხის მხოლოდ პირველი ზღუდე დავძლიეთ.

– მივცე ცეცხლი? – კითხულობს ოთარი; თითებში გაჩრილი მბოლავი პაპიროსით მიმითითებს – გალავანს შიგნით, მოსწორებულ ადგილზე, მაღალი, გაყვითლებული ბალახი ბიბინებს.

– ტყე ახლოა.

– ციხის კედლებს მაინც არ გასცილდება.

– მაინც, ხომ იცი, ეშმაკს არ სძინავს.

ცოტა შევისვენეთ. ახლა მეორე ზღუდე უნდა ავიღოთ. მის კედელზე ვერ გადაძვრები... ჩრდილო მხრიდან გალავანს საგანგებო შესასვლელი ჰქონია, მივძვრებით შიგ. საკმაოდ ვიწრო ხვრელია, ორი კაცი ერთად ვერ გაეტევა.

– ჩვენზე სქელები არ იყვნენ? – კითხულობს ოთარი. – შეხე, კედლებში პატარა ნახვრეტები დაუტოვებიათ, ალბათ ურდულებს უდებდნენ კარის ჩასარაზად.

ალბათ ხის კარი იყო აქ. გინდაც რკინის კარი ყოფილიყო, იმასაც შემუსრავდა ჟამთა სიავე.

ვდგავართ – ორივე მხრივ კედლებს შორის მოქცეულნი, გარინდებულნი...

მეორე ზღუდიდან კიდევ უფრო კარგად მოჩანს ლალვარიწყლის ხეობა, მის იქით – მწვანე და ლურჯი, უკვე ჩამუქებული მთები; მზეს ოქროსფერი მარაო გაუშლია, საცაა ჩაესვენება.

სულ მაღლა ავძვერით, აქედან კარგად მოჩანს მთელი ციხის წყობა-აგებულება. მართლაც, ამ ამოწვეტილ კირქვის მასივზე ციხის აშენება მშვენივრად მოუაზრებიათ ჩვენს წინაპრებს. სამხრეთიდან ციხე ფრიალო კედლით საიმედოდაა დაცული. დანარჩენი მხრებიდან რამდენიმე ზოლად ვიწროსათოფურებიანი, სქელი კედლები შემოუჯარავს საფეხურებრივად. კუთხეებში მაღალი კოშკები დგანან დარაჯად.

აქ კედლები სანახევროდ დანგრეულია. ერთი წყობა უფრო მტკიცე გამოსულა, მაღლა აშვერილა რამდენიმე მეტრზე. ხელს ვკიდებ კირქვის ნატეხების წყობას... ვინ იცის, რომელი ქართველის ხელი დებდა ქვას ხსნარზე, რომელი ვაჟკაცის დაკოჟრილი მარჯვენა ათბობდა მას... ახლა კი კირქვა დროთა სრბოლისგან გამუქებულა. აგერ კიდევ დროის ნამუშევარი – მოედანზე ალაგ-ალაგ მიწა მრგვალად ჩაქცეულა; ალბათ ქვევრები თუ იყო ჩაყრილი. აქაც მაღალი ბალახი იქნებოდა – ვიღაცას ცეცხლი წაუკიდებია, შავად მოტრუსული მშრალი მიწაა.

ფრიალოს კიდესთან მივდივართ, ხელებს ფეთიანებივით ვიქნევთ და, რაც ძალი და ღონე გვაქვს, გაბმულად ვღრიალებთ...

ჩვენი ყვირილი ქვევით მიექანება და სადღაც ნაპრალებში, კირქვის უზარმაზარ ლოდებში, ჩამუქებულ ტყეში, ხეობაში იკარგება. სიხარულის მოზღვავებას ვგრძნობთ, კიდევ და კიდევ გავკივით, ჩვენი ხმების შორეთში მიყუჩებას ვუსმენთ, ისევ ვყიჟინებთ... გვიხარია, რომ ვიმარჯვეთ, ძალგულოვან მეფეებად ვგრძნობთ თავს. ვეხმიანებით შოთას, ბონდოსა და ვიტალის და გვიხარია, რომ სიბნელეს დავასწარით ციხის დაპყრობა...

ცხრის ათი წუთია. ჰორიზონტთან მზის კიდეღა მოჩანს – მთების ლურჯმა ხერხმა თითქმის ჩაათავა მისი ხერხვა... თითო-ოროლა ლოყაწითელი ღრუბელი დასცქერის ამ იდილიურ სურათს: ლალვარისწყლის მუქმწვანე ხეობას, ტყეების ხუჭუჭა საბანს, მთაგრეხილების შორეულ კონტურებს...

იდილიისგან შორს ვიქნებით, თუ გზაში დაგვაღამდა – აბა, ქვევით!

სირბილით, სირბილით! მოსახვევი, ჩამოსახტომი, კიდევ ჩამოსახტომი – და უკვე ბოლო გალავანსაც ვემშვიდობებით. ახალი, იოლი გზით ვბრუნდებით უკან – ბილიკი ტყეში ციცაბოდ ჩარბის, ჩვენც მივდევთ...

რა სწრაფად ბნელდება! ბილიკს ვკარგავთ. მარცხნივ ვიღებთ გეზს და შევცდით – ფრიალოს მივადექით... ცოტა უკან დავიხიეთ, შემოვლითი გზით ჯობს.

– მანდ ქარაფია!

– ვნახოთ! თუ ჩასავარდნია, გადავიხედოთ!

ისევ ჩავრბივართ, ხეებს გვერდს ვუქცევთ, მოზრდილ ქვებს ვახტებით, გრძნობითა და გონებით კი ისევ ციხის თავზე ვდგავარ, თეთრი კირქვის ლოდებისგან აშენებული ქონგურებიანი ციხის თავზე და გაცრეცილ ცას ვაკვირდები ჩალურჯებული მთების ზემოთ...

– მოიცა, ოთარ!

– ჰო, რა იყო?

– ნახე, მთვარე!

– რა, ახალი მთვარე არ გინახნია? – როგორც ყოველთვის, თითქოს მპასუხობს და თითქოს მეკამათება ოთარი. – ხურდა ფული გაქვს?

– არა, რად გინდა?

– მწუ-მწუ-მწუ-უ!.. – რაღაცას იქექავს ჯიბიდან ოთარი და მაღლა წევს ხელს.

– რა იყო, ბიჭო, რას წრუწუნებ?

– აჰა, – მჩრის ხელში ფულს ოთარი, – შენც დაუწრუწუნე, ფული დაანახვე მთვარეს, მთელი თვე ხეირი გექნება!

რა მენაღვლება, მეც ვაშრიალებ თითების მოსმით ორად მოკეცილ სამმანეთიანს...

ცხრის ოცდახუთი წუთია ჩემს მანათობელციფერბლატიან საათზე. ისევ თავდაღმართში მივრბივართ... დავიღალეთ, გავოფლიანდით...

ჭრიჭინობელების ღამეა, გარინდებულ ტყეში მხოლოდ მათი ხმა და ჩვენი ჩქარი სუნთქვა ისმის. ხანდახან ფეხდადგმული ხმელი ტოტის ტკაცანიც უერთდება ჩვენი ფეხსაცმელების ბრაგაბრუგს. გავედით ბუჩქნარიან დამრეც ფერდზე და ტყესთან შედარებით საკმაოდ მოიმატა სინათლემ.

და აჰა, გზაც გამოჩნდა ნაცრისფერ ზოლად, ლაპარაკის ხმაც გვესმის. ასიოდე მეტრში გზა ისევ ბნელ ტყეში შედის. სწორედ აქ დგას ჩვენი მანქანა.

დაღლილები და კმაყოფილები, პირველ ვარსკვლავებთან ერთად გამოვეცხადეთ ჩვენს ამხანაგებს.

– მალე ახვედით, – ამბობს შოთა, – მე გზიდან გიყურებდით.

– მერე მეც მინდოდა წამოსვლა, – ამბობს ვიტალი, – სხვებმაც მოინდომეს... ადვილია ასვლა?

რცხილებქვეშ გაშლილ საძილე ტომრებზე ვეყრებით. ოთარი ჰყვება, როგორ მივფოფხავდით ნაპრალზე, მერე მე საღებავებს არ ვიშურებ ციხიდან გადაშლილი ხედის აღსაწერად...

– ხვალ დილით ჩვენც ავალთ, – ამბობს ბონდო, – ერთ საათში ავალთ და ჩამოვალთ.

– მართლა, ახალი მთვარე ვნახეთ, სიფრიფანა, თხელი. ფული დავანახვეთ, ოთარმა – კარგად დაგვებედება ამ თვეშიო. მზე ახალი ჩასულია და მთვარეც დასავლეთითაა, რატომ? მთვარე აღმოსავლეთიდან არ ამოდის?

დისკუსიის შედეგად გაირკვა, რომ ჩვენს მიერ დანახული მთვარე უკვე ჩადიოდა. სულ რამდენიმე დღისა იყო და ამიტომ ადრე ამოდიოდა და ადრევე ჩადიოდა.

ჩემმა კითხვამ ახალი თემა გახსნა. შოთამ გაიხსენა, რომ პაკისტანში, სადაც ის ორი წელი მუშაობდა, ჰყავთ... მთვარის მინისტრი! დიახ, მას ეწოდება ქაშმირისა და მთვარის საქმეთა მინისტრი, ესე იგი, მას აბარია ქაშმირის პრობლემები და დამატებით – "მთვარის საქმეები" ანუ, როცა მუსლიმთა მარხვის, რამაზანის თვე მთავრდება, ოფიციალურად ახალი მთვარის გამოსვლისა და მარხვის ბოლოს სწორედ ეს მინისტრი აცხადებს. ეს ასეა ოფიციალურად, თორემ რამაზანის დამთავრებისას, საღამოს, დიდ-პატარა ქუჩაშია, რომ ახალი მთვარის გამოჩენა პირველმა დაინახოს... შემდეგ საუბარმა რელიგიურ დღესასწაულებზე გადაინაცვლა (შაჰსეი-ვაჰსეი შოთას ფერად კინოფირზეც კი ჰქონია გადაღებული!), შეეხო პაკისტანის შექმნის ისტორიას, ქალაქსა და სოფელს, ტყესა და ველს – ასი ამბავი გაიხსენა შოთამ, იქ გეოლოგად მუშაობის დროინდელი.

როცა დაძინება გაგვახსენდა, თითქმის პირველი საათი იყო და მსხვილ, მოციმციმე ვარსკვლავებს მოეკენჭათ ცა.

რაც შეეხება მეორე დილას, ციხეზე ასვლა აღარავის მოუწია; იმიტომ, რომ შუაღამისას მოულოდნელად ისეთმა ხანმოკლე, მაგრამ კოკისპირულმა წვიმამ დასცხო, რომ ყველა დამდუღრულივით გავრბოდით მანქანისკენ, სადაც ძარაში ბრეზენტის ტენტის ქვეშ წინდახედულ ბონდოსა და ვიტალის ეძინათ. მოვინდომეთ კარვის სასწრაფოდ გაშლა, გავილუმპეთ და კარავში ჩვენი საწოლების შეგორება და წვიმის შეწყვეტა ერთი იყო. ამასობაში სიბნელეში ხის ხმელ ტოტს დავეჯახე და ჭექა-ქუხილის გარეშეც უცებ საშინლად განათდა ყველაფერი – თვალი კინაღამ გამოვითხარე...

დილით მარცხენა თვალის გარშემო ისე გამისივდა და ჩამიშავდა, რომ თვალს ვეღარ ვახელდი. ასე ამიხდა ოთარის სიტყვა – დაუწრუწუნე, ფული დაანახე და ახალი მთვარე ხეირს გწევსო! დილის ჩაის შემდეგ აღქერფისკენ გავწიეთ.

1965

კახეთის მთვარე

თბილისიდან გვიან გამოსულები საღამოსპირს უჩას მივადექით გურჯაანში. შავი ღვინო დაგვალევინა, ნამდვილი ნექტარი, თუმცა უჩას მამა, ვანო, ამბობდა, ზარმაცი კაცის ვენახიდან არის ეს ღვინოო, მგონი, შანიძის ჯიშის, – არც შეწამლა უნდა, არც სხვა მხრივ გადაყოლაო.

მეორე დილით უჩას გავუარეთ, გვინდოდა, წამოგვყოლოდა, როგორც წინა საღამოს შევთანხმდით. უჩა ცოტა შეუძლოდ გამხდარიყო და ლოგინში იწვა.

მცირე ხანს ვილაპარაკეთ. საუბარი ჩამოვარდა კახელებზე, მათ ხასიათზე, ქცევის ნირზე. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ უჩას ვკითხე, შენს სიმამრს რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეემთხვა-მეთქი. გუშინ სუფრას შემოესწრო უჩას სიმამრი, ჭაღარა კახელი; ოდნავ უხეშ სახეზე ისეთი ჩამუავებული გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ვინმემ ეს-ეს არის ძლიერ აწყენინაო.

– არა, კაცო, სიკო გუშინ კარგ ხასიათზე იყო! – მიპასუხა უჩამ. – გადაკრულში იყო, ხომ ნახე, როგორ ხუმრობდა!

გაგვეცინა. მართლაც, უჩას სიმამრი სიკო, როცა სუფრას რამე დააკლდებოდა, ჩანგალს დააწკარუნებდა თეფშზე და იძახდა: "ოფიციანტ!" – მეუღლეს უხმობდა.

– პირველად, მათი სიძე რომ გავხდი, – განაგრძო უჩამ, – ვერ ვატყობდი, უხაროდათ რამე თუ სწყინდათ, სულ ასე მოღუშულები არიან. აგერ ექვსი წელი გავიდა და კარგად შევისწავლე მათი ხასიათი. ჭეშმარიტად გეუბნები: შეიძლება, გარეგნულად ღიმილით და ტკბილი სიტყვით არ შეგხვდნენ, მაგრამ შენზე მეტად მათ უხარიათ. ნამდვილად, ნამდვილად, რომ გულში ოქრო უდევთ...

უჩას ეს ნათქვამი მაგონდებოდა, როცა საღამოს, უკვე სიბნელეში, ჩვენი სატვირთო მანქანა მიჰქროდა ფარებით განათებულ ასფალტზე გურჯაანისკენ. სანამ უჩასთან მივიდოდეთ (რომელიც, როგორც გამოირკვა, საღამოს უკვე სრულიად გამოჯანმრთელდა), მინდა, მოგიყვეთ, ამ დღეს რაც გარდაგვხდა, რაც ვნახეთ და განვიცადეთ.

მაშ ასე. დილით, რასაკვირველია, უჩას კარგად ყოფნა ვუსურვეთ და გავემგზავრეთ ახმეტისკენ. სამნი ვიყავით: მე, შოფერი შოთა და მეორე გეოლოგი – ვიტალი. ახმეტაში ბაზა აქვს ბურღვის პარტიას, რამდენიმე ჭაბურღილი იბურღება ალაზნის ველზე და გვინდა, გავეცნოთ, თუკი რაიმე ახალი მონაცემები აქვთ მიღებული.

მზიანი, თბილი დღეა. მანქანა რბილი რწევით მიჰქრის ასფალტზე. გომბორის ამ ფერდზე შეფენილი სოფლები ერთიმეორეზეა გადაბმული ხირსიდან ახმეტამდე – ერთი უზარმაზარი, გრძელი ჯაჭვია სოფლებისა.

ჩუმლაყი, ახაშენი, ველისციხე, მუკუზანი, ვაზისუბანი...

სოფლიდან სოფელში გადავდივართ, ყველგან ორსართულიანი სახლების აივნებზე ჩურჩხელები ჩამოკონწიალებულა, ყველგან ახალი ღვინის სურნელი ტრიალებს. ახალ-ახალი ვენახი გზის პირსაც მიუყვება, ჩაყვითლებულ-ჩაწითლებული ვაზის ბუჩქები; ზვრები იმპრესიონისტის პალიტრას ჰგავს. მარჯვნივ ალაზნის ველი გაშლილა – ტრიალი, ფერადოვანი და ნაზი; თითქოს გვაგრძნობინებს, რომ შემოდგომაზე ამდენი გარჯისა და ბარაქის შემდეგ მეც ცოტა უნდა დავისვენოო, მივწყნარდე, ძალ-ღონე მოვიკრიბო შემდეგი წლისთვისო.

ღონიერი სოფლებია აქეთ. შაშიანი, კალაური, შრომა, აკურა, ვანთა...

გზის ორივე მხარეს ერთიმეორეს ცვლიან ორსართულიანი დიდი სახლები, – წინათ თავადებს თუ ჰქონდათ ასეთები...

შრომაში ათიოდე წუთით შევჩერდით, ვიტალიმ ძარიდან მისთვის საინტერესო რაღაც შეამჩნია მაღაზიაში. მე და შოთაც გადმოვედით კაბინიდან, ფეხი გავმართეთ. შოთამ "ფორსაიტების საგა" იყიდა – სანამ გეოლოგები მარშრუტზე ვიქნებით წასულები, აღარ მოსწყინდება ჩვენი ცდა.

წყლის დასალევად წყაროსთან მივედი. აქაურ სოფლებს არაფერი აკლია წყალსადენის გარდა. რიგში ორი-სამი კოკიანი დედაკაცი იდგა, ერთი ლამაზი ქალიშვილიც მოვიდა ჩემთან ერთად და რიგში დადგა. შავგვრემანი, ეშხიანი სახე ჰქონდა, არცთუ მაღალი, მაგრამ კოხტა ტანი. მე, რასაკვირველია, არ მეჩქარებოდა წყლის დალევა. აქ ერთმა კახელმა ძიაკაცმა "გამიფუჭა" საქმე – ქალებს დაუტატანა, ვერა ხედავთ, კაცი დგას, წყალი დაალევინეთო; მისწი-მოსწია დოქები და მთხოვა, მიირთვითო. ჯერ ვიუარე, არ მეჩქარება-მეთქი, მერე რაღას ვიზამდი, წყალს დავეწაფე...

წინათ ამ სოფელს ვაჩნაძიანი ეწოდებოდა, ახლა – შრომა. რით არ მოეწონათ ძველი სახელი? თუ თავად ვაჩნაძეების სახელის მოსპობა სურდათ, მაშინ ვაჩნაძიანის ეკლესიასაც – ძველი ქართული არქიტექტურის შესანიშნავ ძეგლს – შეუცვალონ ბარემ სახელი... მაინც, რამდენ სოფელს უნდა ერქვას "შრომა" საქართველოში?

ისევ გზა...

ბუშათი, ქვედა ხოდაშენი, წინანდალი, კისისხევი...

შალაურს შემდეგ – თელავია.

წყნარი და საყვარელი ქალაქი თელავი შემოდგომის მზეს მიფიცხებია. ქალაქში გამავალ ხევზე გადებული ხიდი ღვარს წაუღია; ზევიდან, ქალაქის ცენტრიდან, დავუარეთ და ისევ მთავარ გზაზე გავედით. ქალაქში აქა-იქ კიდევ იყო შემორჩენილი ქუჩათა თავზე გადაჭიმული ტრანსპატანტები შოთას აფორიზმებით და ქსოვილების წითელი ნაჭრები ციფრით "800". სოფლებშიც მთავარი ქუჩის გაყოლებაზე ყველგან შოთას პორტრეტები და აფორიზმები გვხვდებოდა.

ვარდისუბნის შემდეგ თურდოს მეორე ნაპირზე სოფელი რუისპირია. გზა მშვენიერია, თურდოზე განიერი კაპიტალური ხიდია გადებული. ამ 7-8 წლის წინათ ამავე გზით ვიმგზავრე და კარგად მახსოვს, პატარა ხევებზეც კი ხიდები არ იყო და მანქანა მირახრახებდა ქვიშითა და ქვა-ღორღით ავსებული მდინარის გამშრალ კალაპოტში. ამ მშრალმა ხევებმა წვიმების დროს საშინელი წყლის მოვარდნა იცის ხოლმე.

იყალთო, ზემო ხოდაშენი, ქისტაური...

არსად ვჩერდებით, უკანა გზობაზე ვაპირებთ ზოგიერთი რამის ნახვას.

ქისტაურიდან გზა უფრო ალაზნის ველის შუაგულისკენ გადმოდის, ფერდზე შეფენილი სოფლების ჯაჭვს სცილდება. აი, ახმეტაც გამოჩნდა. შოთა გვერდულზე აჩერებს მანქანას და ყველანი გადმოვდივართ დასანაყრებლად. მანქანასაც არ აწყენს ცოტა ხანს დასვენება.

გზის პირას მწვანე ბალახზე ვშლით გაზეთს და მასზე ვაწყობთ გურჯაანის ბაზარში ნაყიდ დედასპურებს, პომიდორს, ყველს და ტკბილ ყურძენს; ყველაფერი ეს კარგ მადასთან ერთად სავსებით საკმარისია. ჰო, ამას კიდევ უნდა დაემატოს ალაზნის ველის ხედი, დამრეც ფერდზე შეფენილი ქისტაურისა და სხვა სოფლების სახლები, წინ – ახმეტა და, უფრო შორს, ჩრდილოეთით – კავკასიონის მთაგრეხილები.

ალაზნის ველი აქ თანდათან ვიწროვდება და ახმეტასთან თითქმის ბოლოვდება – სამი მხრიდან მთებით იფარგლება: ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან – კავკასიონით, დასავლეთიდან კი – ციგ-გომბორის ქედით. ალაზნის სათავემდე აქედან ჯერ შორსაა; ბორბალოს მთისკენ პანკისის ხეობა მიემართება.

ისევ მანქანაზე ვართ, ხუთ წუთში ახმეტაში ვიქნებით. მარჯვნივ, ალვის ხეების ზოლს იქით, ზვრებში ხალხი ტრიალებს, რთველია გაჩაღებული. უხარიათ და ეხალისებათ ალბათ მოსავლის მოწევა ერთად.

ახმეტა. კითხვა-კითხვით ვიკვლევთ გზას გეოლოგების ბაზისკენ. ჯერჯერობით ახმეტა დიდ სოფელს უფრო ჰგავს – ახლახანს გახდა ქალაქი. ისე კი, კარგია ალბათ ამ მყუდრო, წყნარ ქალაქში ცხოვრება, ჰაერს ხომ უკეთესს ვერც ინატრებ.

აგერ გეოლოგების კანტორაც. რამდენიმე კაცი დგას ჭიშკართან, ზანტად საუბრობენ. უფროსები აქ არ დაგვხვდნენ – ჭაბურღილებზე წასულან; მალე მოვლენო, – გვითხრეს მუშებმა. კაი, ბატონო, დავუცდით. ცდაში ნახევარი საათი გავიდა. ვსაუბრობთ, რა ხალხი ცხოვრობს აქ, როგორ ცხოვრობენ, ისტორიული ძეგლები... ბახტრიონი მე სოფლის სახელი მეგონა, თურმე ადგილს რქმევია.

– ახლოსაა? – ვეკითხები მუშებს; თურმე ერთი კილომეტრიც არ იქნება ყვარლის გზაზე; მაშ, მანქანაზე ავმხედრდეთ და – ბახტრიონისკენ!

ორი მუშა მოგვყვება. გავდივართ ახმეტიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. აქ ალაზნის ველი თავდება, გზა სწორედ მის "წვერს" წაჰკვეთს. გზა სწორია და ზუსტად მის გაგრძელებაზე, სადაც ის ალაზანზე გადასვლის შემდეგ მთის ძირს აღწევს და მარჯვნივ უხვევს – პატარა გორაკი აღმართულა, გორაკზე კი ზევით აშვერილა თეთრი ობელისკი. სწორედ ამ გორაკის მიდამოებს ეწოდება ბახტრიონი. შესაძლოა, წინათ აქ ამ სახელწოდების სოფელი იყო.

არემარის გამწვანება ახლახანს დაუწყიათ – ნორჩი ნაძვები ჩაურგავთ გორაკის ფერდობზე. ობელისკიც ახალი აშენებული ჩანს, ბეტონის ათიოდ მეტრის სიმაღლის "თითზე" აწერია:

"ობელისკი აღმართულია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ 1659 წელს აჯანყებულ გმირთა სამახსოვროდ. მარად იცის-კროვნებენ ბახტრიონის გმირთა სახელები: ბიძინა, შალვა, ელიზბარ, ზეზვა, ნადირა და რომელი მათთანა"..

მდუმარედ ვდგავართ ობელისკთან. თუმცა ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, რაოდენ მძვინვარე ბრძოლა გარდახდათ აქ კახელებსა და ფშაველებს, ხევსურებსა და თუშებს, – უნებურად გჯერა ერთ-ერთი მუშის ნაამბობისა, რომ სისხლმა ალაზანი შეაფერადაო. და სულ სხვა თვალით უცქერი

უკვე პატარა თეთრ ეკლესიასაც ჩრდილო დამრეც ფერდზე; სამხრეთ ფერდზე კი მეორე, კიდევ უფრო პატარა და სულ მთლად ძველ სალოცავს. თითქოს გვესმის ვაჟა-ფშაველას პოემის გმირთა ხმები, ხმალთა ჩახაჩუხი და ვაჟკაცური შეძახილები...

– გორაკი მაღალი არ არის და მაინც მთელი ალაზნის ველი ხელისგულივით მოჩანს აქედან, – ამბობს ერთ-ერთი მუშა.

დიახ, დიდებული ადგილია! აქედან ვუცქერით სულ სხვადასხვა, კონტრასტულ ხედებს. აგერ ილტოსა და ალაზნის ხერთვისი ალაზნის ველის დასაწყისში, შემდეგ კი უფრო მარჯვნივ და ზევით – მწვანე ხეობები მიისწრაფვიან მთებში, აკვანივით გულში ჩაუკრავთ სოფლები... პანკისის ხეობის სოფლები აქედან არ ჩანს, მხოლოდ პატარა სოფელი ხორბალო ჩამუხლულა და გაჩერებულა ბახტრიონის ჩრდილოეთით. ხორბალო, ხორბალო... მშობლიური სახელია! სულ ზევით – ლურჯი მთები, მთები, მთები... სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ალაზნის ველი გადაჭიმულა და მისი კიდე არც ჩანს – დაბურუსებულია ჰორიზონტი. ხელმარცხნივ – ზემო და ქვემო ალვანის სახლები შექუჩებულა; ხელმარჯვნივ, ალაზნის ველის მეორე კიდეზე, – სოფლების ზოლია, რომლებიც ჩვენ ადრე გამოვიარეთ.

ათასჯერ თქმულა და დაწერილა: ალავერდის ტაძარი ისეთ ადგილასაა აშენებული, რომ ალაზნის ველის ყოველი წერტილიდან ერთნაირად კარგად და ეფექტურად მოჩანს – თეთრ გვირგვინად ამართულა ალაზნის ველის მუქ, მომწვანო-მოყავისფრო სწორ დაფაზე...

ამბობენ, კვეტერას ციხეც უნდა მოჩანდეს აქედანო, – ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, თიანეთისკენ მიმავალი გზის მხარეს, მაგრამ ჩვენ ვერ დავინახეთ.

ახმეტაში დაბრუნებულებს გეოლოგები მოსულები დაგვხვდნენ. ცნობილია ამ პროფესიის ადამიანთა ამბავი: დაუსრულებლად შეუძლიათ ილაპარაკონ გეოლოგიურ საკითხებზე, ათასგვარ წვრილმანზე იდავონ; ხშირად შესასწავლი მიდამო მშვენივრადაა გაშიშვლებული და მაინც მის გეოლოგიურ ინტერპრეტაციას თითოეული გეოლოგი თავისებურად ახდენს – საკუთარი ნიჭის, გამოცდილების და ფანტაზიის კვალობაზე. რაღა უნდა ვთქვათ ისეთ შემთხვევებზე, როცა მიდამო დაფარულია ტყით ან მეოთხეული ნალექებით, ამასთანავე, რთული აღნაგობისაა და მის შესასწავლად გაყვანილ ჭაბურღილთა რაოდენობა მცირეა. სწორედ ასეთ რაიონში ვიმყოფებოდით ჩვენ ამჟამად და, რასაკვირველია, თითოეულ ჩვენთაგანს ფართო შესაძლებლობა მიეცა, განევითარებინა საკუთარი წარმოდგენები ამა თუ იმ უბნის სიღრმისეული აგებულების შესახებ...

მოკლედ, კარგად მოსაღამოვდა, როცა ჩვენი მანქანა უკან გამობრუნდა.

ოქტომბერი სადაცაა დაილევა, ადრე ღამდება, მაგრამ ქისტაურში თვალი ზერელედ მაინც რომ არ შევავლოთ რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმს, ნამდვილად კარგი არ იქნება; თანაც მუზეუმი გზიდან სულ რაღაც ასიოდე მეტრში ყოფილა.

მანქანა ვიწრო ორღობეში მიღოღავს. აჰა, ერთსართულიანი მუზეუმის შენობაც. წინ პატარა ბაღი და ვენახი გაუშენებიათ. რკინის ჭიშკარს ბოქლომი ადევს, გვიან მოვსულვართ...

საწყენია. თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებთ, იქნებ ვინმე გამოჩნდეს. მოშორებით მოსახლის ეზოში ცეცხლი გაუჩაღებიათ; იქიდან არყის მძაფრი სუნი მოდის. აგერ ძიაკაციც მობარბაცებს. დიდი ამბით გვართმევს ყველას ხელს, ჭაღარა ულვაშებით დამშვენებულ გაუპარსავ სახეზე მძიმედ ისვამს ხელს და მოწიწებით კითხულობს თითოეული ჩვენთაგანის ჯანმრთელობას; შემდეგ გაჩაღებული ცეცხლის მხარისკენ გვეპატიჟება. რასაკვირველია, ჩვენ ვუარობთ და, ცხადია, ძიაკაცი დაჟინებით გვთხოვს, პატივი ვცეთ მის პატარა სუფრას. მხსნელად მოგვევლინა გამხდარი, მაღალი ქალი – მუზეუმის ექსკურსიამძღოლი გამოდგა, თურმე მეზობლად ცხოვრობს. გაგვიღო ჭიშკარი და ვენახის თალარით წინ გაგვიძღვა მუზეუმის შესასვლელისკენ. ორმოც წელს მიტანებული იქნება, მაგრამ ახლაც კოხტა ტანის რხევით მიგვიძღვება.

შევდივართ მაღალჭერიან, სქელკედლებიან ოთახებში. ქალი ყველა ოთახში ანთებს ჭაღებს, შემდეგ იღებს ხელში საჩვენებელ ჯოხს და... სხაპასხუპით იწყებს რაფიელ ერისთავის წინაპრების ამბავს. ჩვენ ერთხანს ყურადღებით ვუსმენთ, შემდეგ კი იძულებული ვართ, უმორჩილესად ვთხოვოთ, ცოტა მოკლედ მოგვითხროს, რადგან დაღამებამდე გვინდა, კიდევ ალავერდის ტაძრის მონახულებაც მოვასწროთ. ექსკურსიამძღოლი ისევ ხალისიანად განაგრძობს ახსნა-განმარტებას, უფრო ზერელედ, რასაკვირველია, – და კიდევ კარგი, რომ გაკვრით, თორემ რაფიელ ერისთავის ცხოვრება-მოღვაწეობაზე ალბათ შეუძლია, დაუღალავად და სიყვარულით ილაპარაკოს დილიდან საღამომდე... და გვწყინს, რომ დროის ნაკლებობას განვიცდით; მაინც ყურადღებით ვუსმენთ, გადავდივართ ერთი ოთახიდან მეორეში, ვათვალიერებთ ფოტოებს, სურათებს, პორტრეტებს, ხელნაწერებს, მემორიალურ ნივთებს, ვკითხულობთ რაფიელის ლექსებს – და გვაკვირვებს ამ ადამიანის არა მარტო დიდი ნიჭი, არამედ შრომისმოყვარეობა და მრავალმხრივობა: პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, ლექსიკოლოგი, გლეხკაცობის დამცველი და მოჭირნახულე, მისი ფიქრების მესაიდუმლე მამულიშვილი...

დე, ეს ჩვენი არცთუ ხანგრძლივი სტუმრობა უკანასკნელი ნუ იქნება. აუცილებლად კიდევ მოვინახულებთ აქაურობას, რათა აუჩქარებლად გავიცნოთ თითოეული კუნჭული ამ ოთახებისა, თითოეული სურათი და ფოტო დავათვალიეროთ, კედლებზე გაკრული ყველა ლექსი ჩავმარცვლოთ...

მოკლე ლექცია სამი კაცისთვის დამთავრებულია. სარეგისტრაციო წიგნში აღნიშნულია ჩვენი ჯგუფის სტუმრობა. ისევ ეზოში გამოვდივართ და არ ვიცით, რა სიტყვებით გადავუხადოთ მადლობა ჩვენს მეგზურს გულისხმიერებისთვის...

მანქანასთან შევჩერდით.

– ნამგზავრი იქნებით, ყურძენი მაინც მიირთვით!.. – მიგვითითა ჩვენმა მეგზურმა ქალმა თალარში ჩამოკონწიალებულ მტევნებზე. – მიირთვით, მიირთვით, ძალზე ტკბილია!

– დიდად გმადლობთ, გზაში დაგვაღამდება...

– მაშ შინ შემობრძანდით, თათარა მიირთვით!..

კიდევ მობოდიშება და დიდი მადლობა, ისევ ხელის ჩამორთმევა საიდანღაც გამოჩენილ შექეიფიანებულ ძიაკაცთან.

შოთა მანქანას ქოქავს და შემდეგ ფრთხილად მიასრიალებს ვიწრო ორღობეში. გული გვწყდება, რომ არ გვაქვს საშუალება, თუნდაც ერთ-ორ საათს დავრჩეთ ამ კარგ ადამიანებთან...

ზედა ხოდაშენთან ასფალტიდან მარცხნივ ვუხვევთ სოფელ ოჟიოსკენ მიმავალ მტვრიან გზაზე. ოჟიოს შემდეგ პირდაპირ ალავერდის ტაძრის გზას დავადექით. შოთა ჩქარობს, ღამე სადაცაა ნაბადს დასცემს დედამიწას. მუქი საღებავებით ნახატი სურათია ჩვენს თვალწინ: ალაზნის ბრტყელ ვაკეზე ნახნავისა და ზურმუსტისფერი ხორბლის ნაწვერალის მორიგეობა, წინ – თეთრი სილუეტი ალავერდის მაღლა აზიდული საყდრისა ჰორიზონტთან აყუდებული მუქლურჯი კავკასიონის ფონზე...

კავკასიონის დაკბილულ მწვერვალთა ძეწკვის თავზე კი ჩამუქებულ ცაზე ჩამავალი მზით გაჩირაღდნებული ღრუბელთა უძრავი ქულებია... ღრუბლებს ზევით კი ვიღაცას ჩამოუკიდებია კახეთის ახალგაზრდა მთვარე... ფერების რა კონტრასტი და, ამავე დროს, ერთიანობაა!..

ტაძარი თანდათან იზრდება, იზრდება... საკვირველია, რა მანძილიდანაც უნდა უცქეროდე, ერთნაირად მაგნიტივით იზიდავს მზერას და ერთნაირად სრულყოფილი ჩანს...

ალავერდის ტაძრის გალავანი. გალავნის კარზე უზარმაზარი ბოქლომი შავად იღრინება; ნახევარ საათში კი დაღამდება. აქამდე მოვაღწიეთ და...

უმწეოდ დავბორიალობთ გალავნის წინარე, გალავნის იქით კი ალავერდი დინჯად გვიცდის...

რა ვქნათ? ისევ უკან უნდა გავბრუნდეთ...

– ეჰეი!.. – ყვირილი გვესმის. ვიღაც შავქურთუკიანი კაცი ჯოხს იქნევს – გაჩერდითო. სადა ვართ წამსვლელნი!

ჩვენი მხსნელი ტაძრის დარაჯი გამოდგა – ორმოცდათხუთმეტიოდე წლის გაუპარსავი კახელი კინკრიხოზე მოგდებული პატარა ქუდით. როგორ ფიქრობთ, გულითადად თუ მივესალმეთ? შორიდან დავუნახივართ, გაგვიღო კარი და მეგზურობაც გაგვიწია. არ ვიცი, დარაჯი იყო თუ ხელოვნებათმცოდნე; დიდი პატრიოტი რომ იყო, ეს კი ცხადია.

ტაძრის შიგნით ალაგ-ალაგ ხარაჩოებია აღმართული, სქელი კირით დაფარულ კედლებს წმენდენ თურმე რესტავრატორები. სამხრეთ კედელზე გაუხსნიათ მეფეთა ძალიან დაზიანებული პორტრეტები, მთელი რიგი კომპოზიციებისა... საკურთხეველში – ფიგურებია, ძველი მხატვრობიდან შემორჩენილნი: მოწიწებით შევცქერით ჩვენი წინაპრების ნახელავს. იატაკზე კანკელის ოქროსვარაყიანი ნატეხები გდია – რუსთაველის იუბილეს შემდეგ დაუწყიათ ტაძრის შედარებით პირვანდელი სახით აღდგენა. კარგი საქმე უქნიათ – მოსკოვური ნახელავი კანკელი ასზე მეტი წლის წინ დაუდგამთ აქ და თუმცა თავისთავად, ოქროსფრად მბზინავი და ნაირფერადი, ლამაზი იყო, სულ არ შეეფერებოდა ქართულ ეკლესიას, მისი შიგა სივრცის პროპორციები დაარღვია.

ვიყურებით მაღლა – რა უზარმაზარი სიმაღლისაა გუმბათქვეშა სივრცე! ბინდმორეულ საყდარში, სასოებით გაჩუმებულნი, საოცარ აღელვებას ვგრძნობთ, ფორმათა და პროპორციათა სიდიადით გაოგნებულნი... მხოლოდ ჩვენი მეგზურის, ხანშიშესული კახელი გლეხკაცის ხმა ისმის და ისიც დისონანსს არ იწვევს ჩვენში, რადგან... რადგან, რომ იცოდეთ, რას გვიყვება ამ თაღების, სვეტების, გუმბათის ამომყვანთა შთამომავალი! ალავერდის ტაძრის მთელ ისტორიას: რომ VI საუკუნეში ამ ადგილას დაარსებულ იქნა ტაძარი წმიდა გიორგის სახელობისა იოსებ ალავერდელის მიერ, რომ იოსები იყო ცამეტ სირიელ მამათა შორის, რომლებიც საქართველოში დაბრუნდნენ და მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ, რომ მათ შორის კიდევ იყვნენ იოანე ზედაზნელი, ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, ზენონ იყალთოელი, აბიბო ნეკრესელი, სტეფანე ხირსელი, შიო მღვიმელი და სხვანი... გვიყვებოდა, რომ ძველი, პატარა ეკლესიის ადგილზე ახლანდელი საყდარი XI საუკუნეში უნდა იყოს აშენებული, რომ რამდენჯერმე დაზიანდა მიწისძვრებისგან, რომ პირველად იგი აღადგინეს ნესტან-დარეჯანმა, ალექსანდრემ და ანამ, ხოლო 1742 წლის მიწისძვრის შემდეგ, 1750 წელს დაიწყო შეკეთება დედოფალმა თამარმა და დაასრულა მისმა შვილმა ერეკლე მეორემ... რომ

საყდრის იატაკის ფილები ალაგ-ალაგ დაბზარულია ცხენთა ფლოქვებით, რადგან შაჰ აბასის ჯარს თავლად ჰქონდა გადაქცეული...

გარეთ გამოვედით, გარშემო შემოვუარეთ ტაძარს. ჩვენი მეგზური არც აქ გვტოვებდა, დაუღალავად გვიყვებოდა: მეფე ერეკლე და ლეკიანობა, თვით მას გადახდენილი მრავალი ძველი და ახალი ამბავი... თან ყურადღებით აკვირდებოდა გარემოს და მნახველების მიერ დაგდებულ ქაღალდის ნაგლეჯს თუ პაპიროსის ნამწვს კრეფდა მიწიდან; ახლა იმდენად აღარ ნაგვიანდება ტაძრის გარშემო ადგილიო, რადგან აუკრძალავთ გალავნის შიგნით საქონლისა და ფრინველის დაკვლა და ქეიფი.

მთავარ შესასვლელთან შევჩერდით. თავისი პროპორციულობის წყალობით, ტაძარი აქედან მაინცდამაინც მაღალი არ გეჩვენება, მაგრამ ეს ოპტიკური ილუზიაა: თუ დაუკვირდები, გუმბათის ჯვარსა და სახურავზე რომ არაფერი ვთქვათ, პირველი, ყველაზე ქვედა ლავგარდანი რა სიმაღლეზეა! ააყოლებ თვალს და არც კი გჯერა – ხუთ-ექვსსართულიანი სახლის სიმაღლის მაინც იქნება! შემდეგ, უფრო მაღლა, მეორე ლავგარდანია. და ბოლოს, მთელ შენობას გვირგვინად ადგას მაღალი, ძალზე მაღალი გუმბათის ყელი, სახურავი და ჯვარი...

ძიაკაცმა გალავანთან მიგვიყვანა, თეთრად აყვავებულ პატარა ხესთან:

– ამ ხნის კაცი ვარ და ამ დროს აყვავებული ჯონჯოლი ჯერ არ მინახავს...

სამახსოვროდ პატარა ტოტს ვტეხ და გულის ჯიბეში ვიდებ. შემდეგ გალავნის გარეთ გამოვდივართ მანქანასთან. არც აქ წყდება საუბარი. ისევ ერეკლეს ამბებს გვიყვება ძიაკაცი – 15 წლის ერეკლეს ვაჟკაცობის ამბავს ლეკიანობის დროს. შემდეგ ინგილოებზე, ფერეიდნელ ქართველებზე ვსაუბრობთ...

ბინდდება. ძნელი კია საუბრის შეწყვეტა, მაგრამ დროა, ეს პატიოსანი კაციც დავასვენოთ.

ერთხელ კიდევ თვალს ვავლებთ ალავერდს, ვემშვიდობებით ჩვენს მეგზურს და მანქანაში ვსხდებით. შესაძლოა, ამ ადამიანს შემდგომ აღარც შევხვდეთ, მაგრამ მაინც მინდა, გავიგო მისი სახელი. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი თვის წინ აქ უამრავი სტუმარი ირეოდა რუსთაველის იუბილეს დღეებში და ჩვენს მეგზურსაც ალბათ საკმაოდ მობეზრებული ექნებოდა ყოველივე; ამის მიუხედავად, არ დაგვზარდა და, როცა დაინახა, გვიანი დროის მიუხედავად, თვით მოვიდა გალავნის კარის გასაღებად. დანარჩენი ყველაფერი: მისი მოპყრობაც ჩვენდამი, საუბარი, ინტერესი მშობლიური კულტურისა და ისტორიისადმი – ძნელი დასავიწყებელია...

მანქანის დაძვრის წინ უკანასკნელად შევეხმიანე:

– ბოდიში, თუ შეიძლება, თქვენს სახელს ხომ ვერ გვეტყვით? მეტად მადლიერები ვართ თქვენი და, შეიძლება ითქვას, გაკვირვებულებიც...

– ნიკო... დიახ, ნიკო სუმბაძე მქვიან... აბა, ბედნიერი მგზავრობა!

– დიდი, დიდი მადლობა, მშვიდობით!

შოთა ფარებს ანთებს და მალე ყველაფერი უკან გვრჩება – ალავერდიც, ოჟიოც, ზედა ხოდაშენიც... მერე მანქანა მიგრიალებს ასფალტზე, სიბნელეში დროდადრო ჩნდებიან შემხვედრი მანქანების ფარები; შოთა ხან ჩაუქრობს, სინათლეს, ხან აანთებს და ისევ უმატებს გაზს. ორი საათი მაინც გვინდა გურჯაანამდე, მაგრამ მე არც დაღლა მაწუხებს და არც გრძელი გზა, რადგან მშვენიერ გუნებაზე ვარ... კარგ ადამიანებთან შეხვედრა ყოველთვის სასიამოვნოა, მე და შოთასაც განვლილი დღიდან სწორედ ეს დაგვამახსოვრდა ყველაზე მეტად. ამაზე ვსაუბრობთ მთელი გზა, ვიგონებთ მუშებს, რომლებმაც ბახტრიონი დაგვატარეს, ექსკურსიამძღოლ ქალს რაფიელ ერისთავის მუზეუმში, ალავერდის ტაძრის დარაჯს... და უჩასთან დილანდელი საუბარი გამახსენდა კახელების დინჯ ხასიათზე.

მართლაც და – გულში ოქრო უდევთ!

1966

კინტრიში

– კინტრიშის ხეობაში, ხინოში, ავიდეთო, – ბრძანა გეოლოგიური პარტიის უფროსმა შოთამ. – იქნებ იქ ცარცული ნალექები გამოდის ზედაპირზე, ხომ უნდა გავაგებინოთ ქვეყნიერებას, არადა, რუკებზე ცარცული ასაკის გამოსავლების ნატამალიც არ ჩანს...

კი, ბატონო, მაგას რაღა სჯობს, ვნახავ ამ მშვენიერ ხეობას, ვინ იცის, მომიწევს როდისმე იქ ასვლა?

ორი კაციც შემოგვემატა – ბიძინა და გურამი, რომელთაც იგივე გეოლოგიური ჭია უღრღნიდათ გულ-მუცელს და შინ არ აყენებდა.

დავიძარით თბილისიდან. შოფერ მარადის ორნი მივყევართ, მე და ბიძინა; შოთა და გურამი ზესტაფონში შემოგვიერთდებიან, ქორწილში არიან დაპატიჟებულნი.

გრილად ვიარეთ. ზესტაფონში გვიან ვართ, ოთხი საათი იქნება. ფეხარეულნი და სახეაწითლებულნი, შემოგვეგებნენ გურამი და შოთა. ჩვენ წასვლა გვინდოდა – დღესვე, 12 სექტემბერს, უნდა ჩავსულიყავით რეზოსთან ქობულეთში, ასე ვიყავით შეთანხმებულნი. ვინ გაცალა ხმის ამოღება – ქიჩოში გვწვდნენ და საქორწილო სუფრაზე ამოგვაყოფინეს თავი, მაგრად კი დავამშვენეთ იქაურობა ჩვენი საველე ტანსაცმლითა და ჩექმებით! კიდევ კარგი, ხალხი რა ხანია, წასულ-წამოსულა, მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა შემორჩენია გრძელ თალარში წინა დღით გაშლილ მაგიდებს; იქვე ძაღლები დაათრევენ მიწაზე უზომოდ გაბერილ მუცლებს... მოგვაყუდებინეს ცოლიკაურით სავსე უზარმაზარი ყანწები, – ჩემი სიგრძე მაინც იქნებოდა, ორივე ხელით თუ დაიჭერდი. დავეჭიდე ყანწს, დამეჭიდა, კიდევ დავეჭიდე – დამეჭიდა თვითონაც... ბოლოს, როგორც იქნა, ვაჯობე და იმანაც მაჯობა...

შეხურებულები ვაგრძელებთ გზას – უკვე ხუთნი.

ლანჩხუთში დაგვაღამდა. ბიძინა გურულად იქაჩება და მის სიდედრთან მიგვიყვანა ჩიბათში – ქობულეთში მისვლას ხვალაც მოვასწრებთო.

დაფაცურდნენ ქალები, აკრიახდნენ ქათმები, ბოთლებში "ადესა" აჩუხჩუხდა, ხაჭაპურის თავბრუდამხვევმა სურნელებამ დაგვზაფრა ყველა – გზაში კარგად მოგვშივნია. რა უნდა გვექნა – ზესტაფონში მირთმეულ თეთრ ცოლიკოურს ახლა ჩიბათური შავი იზაბელას ღვინო დავამატეთ; მხოლოდ შოთამ ქნა ღალატი – მუქი ჩაი ახლა ყველაფერს მირჩევნიაო.

* * *

კაშკაშა, ნამიანი დილა გათენდა. ვიძრომიალე ლეღვის ხეზე, ჩაშავებულ იზაბელასაც გავუსინჯე გემო.

ჩაის მირთმევის შემდგომ, გავრიხინდით ქობულეთისკენ.

გზაში სამგზავრო მატარებელს ვეჯიბრებით სიჩქარეში – გზატკეცილი რკინიგზას მიუყვება.

ქობულეთთან ბავშვობისდროინდელი მოგონებები მაკავშირებს. ახლანდელ ქობულეთს ვეღარ ვცნობ. მივუყვებით უუგრძეს მთავარ ქუჩას. 810-ში უნდა მივიდეთ ზორბეგ ზოიძესთან – იქ არის დაბანაკებული რეზო, ჩვენი მომავალი მეგზური კინტრიშის ხეობაში, ჩამომხტარი თავის გეოლოგიურ პარტიასთან ერთად.

გეოლოგიური პარტიის ბაზაში არავინ გვხვდება. ყველაფერს მაგიდაზე დადებული ბარათი გვიხსნის:

შოთა!

გიცადეთ 10 საათამდე. წავედით სადგურში, რომ დავხვდეთ დამატება ბათუმს. თუ არ ჩამოხვედით, შემდეგ მივდივარ მარშრუტზე. დავბრუნდები 2-3 საათისთვის. ზღვა სად არის, კარგად იცი. საჭმელი აქვეა. ყველი, კარაქი და ძეხვი მაცივარშია. მწყერი და თევზი, რომ ჩამოვალთ – შეიწვება.

გეხვევი და გკოცნი,
შენი რეზო "კრეპკი",
13 / IX – 1973 წ."

მართლაც, რა მაგარია რეზო ბატონი!

პირველი ჩვენი მასპინძელი – ზღვა – გულთბილად შეგვხვდა, მისალმების ნიშნად ოდნავ ეტყლაშუნებოდა ნაპირის ქვიშას. წყალი კი, წყალი! – გამჭვირვალე, კამკამა, ფირუზისფერი! საკმაოდ ღრმადაც კი მშვენივრად ჩანდნენ წყალში მოტივტივე თეთრი მედუზები. მათი დიდი მოსავალი იყო ამ დღეს, რად გინდა ლაპარაკი! სამაგიეროდ, პლაჟი იყო ცარიელი. ადამიანებს ვგულისხმობ, თორემ ქვიშა თავზე საყრელიც იყო და ამაზე ბევრად მეტიც.

ჩავდგაფუნდით წყალში, ჯერ ცოტა გვეგრილა, მერე – გვესიამოვნა. გავურბივართ მედუზებს – მწვავედ გვსუსხავენ; რამდენიმე დავსაჯე – ნაპირზე ვისროლე და ყინულივით დნებიან მზის სხივებზე. არც ნაპირის ქვიშაში წამოგორება არის ურიგო. ხან ზღვას გავყურებ – ტალღათა თამაშს, ზღვის მუდმივ ცვალებადობასა და მონოტონურობას; აგერ კატარღამ გაისრიალა ნაპირის გასწვრივ და ქაფის თეთრი კუდი გაშალა; უფრო მოშორებით – პატარა თევზსაჭერი გემი დამდგარა, გარინდებულა, ალბათ ბადე თუ აქვს ჩაშვებული... ხანაც ნაპირს გავცქერი, აქა-იქ რომ ადამიანები დაღოღავენ ან გაწოლილან ქვიშაზე; სანაპიროს მიუყვება ქობულეთის მწვანეში ჩაფლული 2-3 სართული-

ანი სახლების რიგი, ერთგან კი მშენებარე მრავალსართულიანი სანატორიუმისა თუ სასტუმროს ტანი აზიდულა ცისკენ.

მზე მაგრად აცხუნებს. მივუყვები ნაპირს, ლამაზ კენჭებს ვარჩევ; სახალისოა ნაპირთან გამჭვირვალე წყალში აკვარიუმისთვის ფერად-ფერადი კენჭების მოგროვება...

ბევრი ცურვისა და ყვინთვისგან მგლებივით დამშეულნი, დავბრუნდით ჩვენს "რეზიდენციაში". მალე რეზიკოც მოგრიალდა თავისი სატვირთო მანქანით, მოჰყვნენ შოფერი ვაჟა და კოლექტორი ლადო. გულარხეინად და მედგრად შევუტიეთ საკვებ სუფრას, სანამ ბოლოს მშვენიერმა "ადესამ" აქეთ არ შემოგვიტია...

* * *

მეორე დილით დავტრიალდით – ავხორხლეთ მანქანებზე ჩვენი ბარგი, მერე ქვეყნიერება დატრიალდა ჩვენს ირგვლივ. ჯერ გზატკეცილის ორივე მხარეს გარბიან უკან სახლები და ეზოები, შემდეგ მდინარე კინტრიშის ხეობას მივუყვებით აღმა და ახლა აზურმუხტებული გორაკები გამოიქცნენ ჩვენს შესაგებებლად, მწვანე გულისპირზე ალაგ-ალაგ ამოქარგული ფერად-ფერადი სახლებითა და კარ-მიდამოებით... შემდეგ მაღალი, კედელივით აზიდული ლურჯი მთებიც დაიძრნენ ჩვენსკენ და სულ უფრო გვიახლოვდებიან. ზოგან მწვერვალებს ავადმყოფებივით წაუკრავთ შუბლზე ღრუბლის თეთრი ხილაბანდი, სხვები კი მზეს შესციცინებენ და გვიცინიან – მოდით ჩვენთან სტუმრად, კარგ ამინდს დაგახვედრებთო. ჩვენც მივილტვით ასფალტიანი გზით ქობულეთის ვაკეზე და მიგვაცილებენ სოფლების – ხუცუბნის, ქობულეთის, ჭახათის – ეზო-ყურეები...

ვაკე ხელს გვიქნევს და გვემშვიდობება, აღმართს შევუტიეთ კინტრიშის დავიწროებულ ხეობაში. ჭახათს ზევით ტურისტები შემოგვხვდნენ – ხალისიანად გვიქნევენ ხელს, გვიცინიან; ჩვენც ვპასუხობთ, რასაკვირველია, მოკლეშარვლიან, ქერათმიან ანგელოზებს.

გზა ტყე-ტყე მიიკლაკნება ციცაბო ფერდობზე; ქვევით კინტრიში მიჯლიგინობს ხმაურით ზღვისკენ. მანქანების ძრავათა ღრიალი და უსწორმასწორო გზაზე ყანყალი ხასიათს მაინც ვერ გვიფუჭებს. ზოგან ისეთ ვიწრობშია გზა გაჭრილი, რომ გვეშინია, მკვეთრ მოსახვევში მანქანა კლდის ქიმს არ გამოედოს; ამას თან ერთვის ხრეშიანი, ციცაბო აღმართიც და გასაგებია, რომ უნებურად შენც ძაბავ კუნთებს და ტუჩებმოკუმული თითქოს ცდილობ, მიეხმარო დაბუქსავებულ მანქანას. წინა მანქანას ვაჟა მართავს, გეოლოგები ძარაზე დგანან და ექსკურსანტებივით ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ ერთდროულად ატრიალებენ თავებს. გეოლოგიური "ექსკურსიამძღოლი" ხან რეზიკოა, ხან – შოთიკო.

საკვირველება! საკმაოდ გრძელი დაღმართი გამოერია, ზედ მდინარესთან ჩავედით და მის მარცხენა ნაპირზე გადავედით. შემდეგ კი უფრო დიდი საკვირველება, საკვირველება კი არა – საოცრება! ქვათა საშუალო ზომის ნატეხებით შეკრულ-შედუღაბებული, ამაყად აღმართული თაღოვანი ხიდი გადაევლო კინტრიშს ზურგზე. მეორე ნაპირზე ხის ორსართულიანი ძველი სახლია, მის წინ მომცრო მოედანზე პატარა ბავშვები გამოფენილან – დაწყებითი სკოლაა. ფეხით გადავდივართ შუა საუკუნეებში აგებულ ხიდზე, ცისფერთვალება ბავშვებს ვეკითხები გვარებს: ბერიძე, შეწირული, ვარშანიძე, ბაუჟაძე... ვუღებთ ხიდს ფოტოსურათებს, დავწოწიალობთ ნაპირ-ნაპირ გადასაღებად ხელსაყრელი წერტილის ძებნაში. შუახნის წყნარი კაცი რეკავს ზარს და ბავშვები კიბეზე არბიან – გაკვეთილი იწყება.

ჩვენთვის კი გრძელდება აღმართები. ცოტა ხანში, ცხემლოვანს ზემოთ, მეორე შუასაუკუნოვან კუზიან ხიდს ვხედავთ – ძველთაძველს და კიდევ უფრო ლამაზ ადგილას აგებულს – ერთი ნახტომით გადაევლება კინტრიშის კალმახივით მოფართქალე ზვირთებს. მის გვერდით თანამედროვე ხიდია გადებული, რომლითაც ჩვენი მანქანები ისევ მარჯვენა ნაპირზე გადადიან და განვაგრძობთ ნელ-ნელა მაღლა-მაღლა ღოღვას. გარშემო ისევ ტყის მრავალფეროვნება მიგვაცილებს, დრო მაინც მონოტონურად მიიზლაზნება. ბოლოს, კირქვების გამოსავლებიც გამოჩნდა – ჩვენი გეოლოგები გამოცოცხლდნენ, ჩამოხტნენ მანქანიდან. ატყდა ერთი რაკარუკი ჩაქუჩებისა, თვალიერება კირქვის მონატეხებისა, ხელში აწონ-დაწონა, კიდევ და კიდევ ჩაკირკიტება, ცხვირთან მიტანა (ნავთობის სუნი ხომ არ აქვს?) და ლამის კბილით გასინჯვაც კი... ახლა აღარ იკითხავთ ქაქანს? თითოეული საკუთარ აზრს გამოთქვამს, სხვის შეხედულებას აჯახებს – ისმის ჭახანი და გამოიკვეთება ობიექტური სინამდვილის ნაპერწკლები.

მანქანები წინ გავუშვით, ჩვენ ფეხით მივუყვებით აღმართს, ლაპარაკ-ლაპარაკით და ჩაქუჩების კაკუნით. თავს მედიდურად დაგვცქერიან აჭარის ქედის მწვერვალები; მხრებზე ნაძვგარეული ფოთლოვანი ტყის ნაბადი მოუგდიათ და შუბლებს ღრუბელთა თეთრი ქულებით იბურავენ.

შუადღეა, მზე აცხუნებს. მზიანში – ცხელა, ჩრდილში – საკმაოდ გრილა. იგრძნობა, რომ უკვე მთაში ვართ. თვალები სინათლის ნიაღვრისგან გვეჭუტება, სუფთა, გემრიელ ჰაერს ღრმად ვისუნთქავთ.

მოსახვევი მარცხნივ და კინტრიშის ვიწრო ხეობა სახეს იცვლის – ფართოვდება.

უჩვეულოა აქ ასეთი შედარებით ფართო და სწორი ვაკის ხილვა. მასზე მიმობნეულია აჭარული ხის ოდები, კარტოფილისა და სიმინდის ყანების მწვანე ოთხკუთხედები; აქა-იქ ჩაწინწკლულან ვაშლისა და მსხლის ხეები. ესაა სოფელი დიდვაკე.

მარცხნივ ვაკეს მთის ტყიანი ფერდობი ესაზღვრება, ტყე ალაგ-ალაგ თვით ვაკეზეც შემოჭრილა; მარჯვნივ – მდინარე კინტრიშის ღრმად ჩაჭრილი კალაპოტია, წინ კი – ვაკის იქით – ხეობა ისევ ვიწროვდება, აქეთ-იქიდან შენაკადთა ხეობები ერთვის. ზევით-ზევით ფერდობები კიდევ უფრო ციცაბოა, მწვერვალები – მაღალი, ტყე – მუქი და ხშირი...

საავტომობილო გზა დიდვაკეშივე თავდება ერთსართულიან რვაწლიან სკოლასთან. აქვეა ხის ჩუქურთმებიანი მეჩეთი და მის გვერდით – სასაფლაო; აგრეთვე, ორსართულიანი ხის სახლი, რომელშიც მოუთავსებიათ სასოფლო მაღაზია და რაღაც საწყობები, რომლებსაც კარებზე უზარმაზარი ბოქლომები ადევს.

ლადო გადასატან გაზჭურასთან ტრიალებს; რეზოს დახასიათებით – დაუზარელი და შრომისმოყვარე ბიჭია, ამასთანავე, კერძების მომზადებაც ეხერხება თურმე.

სანამ სადილი მომზადდებოდეს, ჩვენი "ბანაკის" გარშემო ცნობისმოყვარე მამაკაცები და ბავშვები იკრიბებიან. თითქმის ყველას ცისფერი, ლამაზი თვალები ამშვენებს.

ერთი ახალგაზრდა კაცი, – ეტყობა, ცოტა შექეიფიანებული უნდა იყოს, – სულ ცდილობს, საუბარში ჩაერთოს; რატომღაც სწყინს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევთ. სკოლის დირექტორი აღმოჩნდა. ბოლოს, მიზეზიანად კითხულობს, ვინ ხართ, რას აკეთებთ აქო... რეზიკომ მთელი დასტა საბუთებისა გადმოულაგა, პატივმოყვარეობის ჟინი დაუკმაყოფილა. სკოლის დირექტორმა მკვეთრი ცვლილება განიცადა – სულ სიყვარულს გვეფიცებოდა და, ბოლოს, ნება დაგვრთო, ღამის გასათევად სკოლის დერეფანში მოვთავსებულიყავით...

ღირსეულად დავაფასეთ ლადოს სამზარეულო ნამოღვაწარი – მართლაც ჩინებული სადილი მოგვიმზადა!

გურამი და ბიძინა დაფაცურდნენ – ამოიღეს სათევზაო მოწყობილობა: ანკესები, კაპრონის ძაფები, ტივტივები, საანკესე ტვირთები, ქსოვილის პარკები ჭიაღუისთვის... მეც გავერიე მარაქაში – თხილის გრძელი ტოტი მიბოძეს, რომლის ბოლოზეც მოვაბი კაპრონის ძაფი ანკესით... ყველას მაინც ლადომ აჯობა – ქობულეთიდანვე ჰქონდა წამოღებული ბამბუკის ჯოხი, ხელად გააწყო ყველაფერი და მეჩეთსა და საწყობს შორის მიმავალ ბილიკს პირველი გაუყვა. დანარჩენები დიდი მეთევზე-მებადურებივით მალე მის კვალს მივყევით – ციცაბო ბილიკით ჩავგორდით მოშხუილე კინტრიშის ნაპირთან.

კინტრიში...

როგორ აღვწერო?..

დავიწყოთ პრაქტიკული საკითხით – რა უნდა დავიჭიროთ?

პასუხი: კალმახი!

კარგი მადა გვქონია, ხომ? მე ნაკლებ არისტოკრატული თევზის მოპოვებასაც არ ვითაკილებ, მაგრამ ყინულივით ცივ წყალში სხვა თევზი რომ ვერ ძლებს? ამგვარად, ან – კალმახი, ან – არაფერი! კი, ბატონო, კალმახზედაც თანახმა გახლავარ, მაგრამ ჯერ ამისთვის სხვა რამ უნდა დაიჭირო, კერძოდ – ღორტავები (უმაღლესი კიბოსნაირების ქვეკლასის უხერხემლოების რიგის წარმომადგენელი)! აბა, რა უნდა წამოაგო ანკესზე, ჭიაყელა? ამაზედაც ყაბულსა ვარ. ამოვაბრუნე ნაპირზე ქვები, იქნებ მათ ქვეშ აღმოჩნდეს. ჭიაყელასთვის ხელის მოკიდება მეზიზღება... თუ ისევ ღორტავა გირჩევნია, დიდო მებადურო, კეთილ ინებე და ამისთვის პატარა, ფრიად სასარგებლო ვარჯიში უნდა ჩაატარო: მდინარიდან ქვა უცებ უნდა ასწიო წყალზევით (ღორტავები ქვის ქვემო ნაწილზე არიან მოკალათებულნი), თორემ ღორტავები გაგექცევიან, როგორც ეს ჩემისთანა მებადურს მოსდის... ფეხიც დამიცდა და ყინულივით ცივ წყალში ვტუცე... ეს არაფერი, ხომ უნდა გავამართლო ანდაზა: თუ თევზი გინდა, შარვალი სველი უნდა გქონდესო... შარვალი კი კაი ხანია, გვარიანად სველი მაქვს, მაგრამ თევზისა რა მოგახსენოთ, თვალითაც არ დამილანდავს... კალმახი კი არა, ღორტავებიც ვერაფრით მოვიხელთე. სხვა გზა არ არის, დიდო მებადურო, ისევ ჭიაყელას თუ წამოაცვამ ანკესს, ღორტავებს შენთვის არ სცალიათ...

როგორც იქნა, ვისროლე ჭიაყელიანი ანკესი თეთრად აქაფებულ წყალში, იქნებ ჩემს წილადაც მოვიდეს ერთი გულუბრყვილო კალმახი-მეთქი. როგორც ხანგრძლივმა დაკვირვებამ ცხადჰყო, გულუბრყვილობა იყო ამგვარი იმედის ქონა, თუმცა ცდა არ დამიკლია და სად არ მოვსინჯე ბედი: უზარმაზარ ლოდიანებთან მიყუჟულ მორევებში, რომელთა მოცისფრო-მომწვანო იდუმალი ფერი თითქოს კიდევ უფრო ღრმას აჩენდა ჩამუქებულ წყალს; ანკესს ვაგდებდი თეთრად აქოჩრილ ჩქერებშიც, სადაც ზვირთთა შმაგი რბოლა ჩააყურყუმალებდა და რამდენიმე წამში გააორევდა ბოლომდე და დაჭიმული კაპრონის ძაფი იმ წამსვე იბლანდებოდა ფსკერის ქვებში ან ჩაძირულ ხის

ტოტებში... და კალმახს ვინ ჩივის, – ანკესსაც დაჰკარგავდა კაცი, თუ კარგა ხნის ჯახირის შემდეგ, გალუმპული, არ გავანთავისუფლებდი ტყვეობიდან.

ეჰ, დიდი ხანია, ხელს ავიღებდი დიდად კადნიერ ოცნებაზე – ჰაერში აფართქალებული კალმახისთვის სინქრონულად დამეკავშირებინა ჩემი საკუთარი გულის ფართხალი და აკანკალებული ხელი შემევლო წითლად დაფორაჯებული, სლიპინა თევზისთვის, მაგრამ თავდავიწყებას რა ვუყო! ამ ოხერმა მაგრად ჩამავლო ხელი და არ მიშვებს, ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევს: ხან ერთი ხავსიანი, მოლიპული ქვიდან მეორეზე მახტუნავებს, ხან გამთოშავ წყალში პირდაპირ მადგაფუნებს, ხან ნაპირზე ან დიდ ქვაზე ხანგრძლივად დამაყუდებს გაუნძრევლად და წესიერად არც ამომასუნთქებს – თევზთა გენერალი არ დაფრთხესო... დამიმონა და ეს არის! კალმახი კი ნამდვილად თევზთა გენერალია, ან თევზთა კარდინალია, უფრო კი – თევზთა მეფეა! მათ მსგავსად, ხასხასა წითელი ფერი აირჩია აქა-იქ შესამკობად. იძულებულია, შეინიღბოს ულმობელი მტრის – ადამიანის – წინაშე, თორემ ალბათ სულ მთლად წითლადაც შეიფერებოდა...

ძლივს მივბანცალებ წყალაღმა, დანარჩენებმა ბევრად გამისწრეს; მოსახვევში მხოლოდ ბიძინას ვხედავ – შარვალი სულ მთლად სველი აქვს და უკვე ჩემსავით მოურიდებლად აბოტებს პირდაპირ წყალში. თავდაპირველად მეც ვცდილობდი, ფეხმშრალად გავმძვრალიყავი, მიჭირდა კი – წყალი ზედ ციცაბო ნაპირს ელამუნება და ნაპირის გასასვლელ-გასაძრომს არ ტოვებს; ქვიდან ქვაზე ხტომითაც შორს ვერ წახვალ; გაჭირვებით ალაგ-ალაგ მეორე ნაპირზე გადასვლას თუ მოახერხებ, მაგრამ მერე სადმე აუცილებლად გაგეჭედება... და გამოსავალს ეძებ მთის ციცაბო კალთაზე წვრილიანში ზევით აძრომაში და გაუვალი ადგილის შემოვლაში.

საკალმახე წყალი ცივზე ცივია, ოხერი, მზეც არ ჩანს – დაბურუსებულია გარემო და თევზს აღარ გამოვეკიდები, მინდა, დანარჩენებს დავეწიო, იმათ რა ჰქნეს ნეტავ? სამივეს სეზონი გაუხსნია: ლადოსა და ბიძინას თითო კალმახი დაუჭერიათ, გურამს – რამდენიმე... გურამი ძველი მეკალმახეა; მის მშობლიურ სოფელში, უწერაში, რიონში ბლომად უთევზავია და ყოველთვის მდიდარი ნადავლი ჰქონია. სხვა დროსაც, ექსპედიციებში, თუკი საკალმახე მდინარეს გადაეყრებოდნენ, გურამი ბლომად იჭერდა კალმახს; სხვები, ხელმოცარულნი, კვირდებოდნენ და შურდათ, ხანდახან კი შინაგანად ბრაზობდნენ კიდეც – როგორი ბედი აქვსო... გურამს ბედი კი არ სწყალობს – გამოცდილება, ცოდნა და ალღო აქვს – ბავშვობიდანვე მდინარეში იდგა და მებადურობის მფარველ ღმერთს დაუძმაკაცდა. ხუმრობით ამბობენ ხოლმე: გურამი თბილისში, თავისი ბინის აბაზანაშიც კი მოახერხებს თევზის დაჭერასო... ახლაც, გურამს ხუთიოდე კალმახი უფართქალებს ტილოს ჩანთაში, მაგრამ მაინც უკმაყოფილოა – არ არის კალმახი, ამინდი იცვლება საღამოსპირს და არც შეიძლება, თევზი ბლომად იყოსო...

ახლაც ნათლად ვხედავ სურათს: ცისფერი კინტრიში, ჩქერებზე თეთრად აქოჩრილი, მიხტის ხმაურ-ჩანჩქარით მაღალ, ხშირი ტყით შემოსილ ნაპირებს შორის, უფრო ზევით კი ფოთლოვანი, ნაძვებშერეული ტყე მოთეთრო-ნაცრისფრად ბოლავს ნელ-ნელა მომცოცავი ნისლით...

ბიჭები ხანგრძლივად დგანან ქანდაკად, თვალს არ აშორებენ ტივტივებს; წყალი კი მიედინება მონოტონური ხმაურით – მოატივტივებს ფოთლებს, მკვდარ მწერებს, წვრილ, ხმელ ღეროებს, გაყვითლებულ ფოთლებს და ტყის სხვა ნაგავს; მერე ატრიალებს, ატრიალებს მორევში, ისევ მიაქანებს ქვევით, ალაგ-ალაგ აქუჩებს ნაპირებთან დამდოვრებულ ყურეებში...

კინტრიში, კინტრიში!..

მოკუნტრუშობს, მოუსვენრობს, ტყიანი ფერდობებით შეკრულ არტახებში მოსხმარტალობს, უნდა, ერთი თავისუფლად ამოისუნთქოს, მაგრამ ქობულეთის ვაკეზე გავა თუ არა, – დაშოშმინებული, დაწყნარებულ-დამდოვრებული, – ის ადრინდელი კინტრიში აღარაა...

აი, ეს დამრჩა მეხსიერებაში – ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება: ცისფერი, ცისფერი კამკამა წყლის დინება ზურმუხტოვან მთებს შორის...

და თუმცა იქ მეორე დღესაც დავრჩით და მრავალი რამ ლამაზი და საინტერესო ვნახეთ კინტრიშის ხეობაში უფრო ზევით გეოლოგიური მარშრუტის ჩატარების დროს, მათზე ბევრი მოყოლა აღარც მინდა...

მოკლედ მაინც ჩამოვთვლი: აჭარული კარ-მიდამოები ხის ოდებით, კოხტა ეზოებით, რამდენიმე რიგად ჩამწკრივებული საფუტკრე ბუკებით; იგივე ბუკებიც ტყეში, მაღალ ხეებზე (დათვები რომ ვერ შესწვდნენ!); ტყის საოცარი სამყარო – ნაძვების გაბარჯღული ტოტები, წაბლებისა და რცხილების ღია ნაცრისფრად გამომჭვირვალი ტოტები, ათასგვარი სოკოები, მოცვის ჭამითაც ვიჯერეთ გული; შემდეგ – ციცაბო, დაკიდებულ ფერდზე გაუვალ ჯაგნარ-მაყვლიანში გავკვალავდით გზას "განდაგანას" სიმღერით, რადგან სულ განგან, გვერდზე უნდა გვევლო, უფრო სწორედ, კი არ გვევლო, გაჭირვებით გვებღოტიალა; მკლავებშიც კი ძალა გამოგვეცალა და ხელისგულები გადაგვეტყავა ტოტებზე და აქა-იქ ამოჩრილ ფესვებზე ჩავლებით და დაკიდებით... დავიკაწრეთ და დავიფხაჭნეთ, სანამ ამ ფერდს ჩავათავებდით "ქვაკვერცხადან" კინტრიშის ერთ-ერთ შენაკადამდე... ქვაკვერცხა კი ამ ადგილს იმიტომ ჰქვია, რომ მოყვითალო ფერის კირქვები შიშვლდება და სწორედ მათ

სანახავად გადაგვხდა თავს ეს ვაი-უშველებელი... რა დიდებული შენაკადი ვნახეთ კინტრიშისა! ერთგან თვალი ვერ მოვწყვიტეთ ჩვენს ზევით ჰაერში დაკიდებულ თეთრ მოძრავ ზოლს – ქათქათა ჩანჩქერს, ცოტა ქვემოდან კი უკვე მეორე ჩანჩქერის ჩხრიალი ისმოდა... ახლა ქვაკვერცხადან გადაშლილი ხეობის ხედს არ იკითხავთ?..

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ყველაფრის ამის აღწერისგან თავს ვიკავებ, არც ჩვენი ექსპედიციის უკან დაბრუნებაზე ვიტყვი რამეს – კინტრიშის ხატებამ ყველაფერი დაჩრდილა...

ნეტავ ვიხილავ კიდევ ოდესმე კინტრიშს?!.

1973

ლესე

წინა დღით სატვირთო მანქანით კაი დიდი გზა განვლიეთ: ცხენისწყლის ნაპირიდან, სადაც ლენტეხთან ღამე გავათიეთ, დავუყევით მდინარეს ქვევით; გავიარეთ ცაგერი, ორბელი, ლაჯანურის ხეობა, ალპანა – უკვე რიონის ხეობაში; შემდეგ – ამბროლაური, ნიკორწმინდა, შაორი, ტყიბული, ახალსოფლის წყალსაცავი, ძევრი, თერჯოლა, ზესტაფონი, ჭიათურა, საჩხერე – და დარყაში დაგვიღამდა.

ზესტაფონიდან პირდაპირ თბილისში შეგვეძლო წასვლა, მაგრამ ჩვენი გეოლოგიური პარტიის უფროსმა შოთამ ბრძანა, რომ წელს დასავლეთ საქართველოში აღარ მოგვიწევს წამოსვლა და ბარემ ლესეში შევიაროთ, იქ ლიასურ ნალექებში მეტად საინტერესო ნავთობის გამოსავალია და ანალიზისთვის ნიმუში ავიღოთო.

სად მდებარეობს ლესე, სოფელია თუ დაბა?..

15 სექტემბერს, დილით, სოფელ დარყას განაპირას, წყაროსთან გავიღვიძეთ.

წინა საღამოს კარავი არ გაგვიშლია, წვიმას არ მოველოდით და დილის ნამისგან ჩვენი საძილე ტომრები ისეთი სველი იყო, რომ მზის ამოსვლისთვის უნდა დაგვეცადა გასაშრობად. მხოლოდ გულიკოს ეძინა მანქანის ძარაში და იოლად გადარჩა.

მდინარე ყვირილას ხეობა აქ საკმაოდ ვიწროა, ფოთლოვანი ტყით შემოსილი მთების ციცაბო კალთებით შემოზღუდული. მზის დანახვას საშველი არ დაადგა. ისევ კოცონს მივუფიცხეთ ჩვენი საძილე ტომრები.

როგორც იქნა, დავიძარით ამ ადგილიდან. კაბინაში შოთა და შოფერი – ოთარი – სხედან; ზევით, ძარაში, ვართ მე, მეორე გეოლოგი – ვიტალი და პალეონტოლოგი გულიკო.

გზა მაინცდამაინც აღმართიანი არ არის, მაგრამ ჩვენი ბანაკიდან ასიოდ მეტრში პირდაპირ ყვირილას ნაპირს ადგება. მდინარე აქ უხვევს, მაღალ თიხა-ქვიშიან ნაშალს, რომელშიც გზაა გაჭრილი, რეცხავს და ჩამოქცევით ემუქრება. გამოცდილ შოფერს ფრთხილად, ტაატით მიჰყავს მანქანა სახიფათო უბანზე, ჩვენ კი დაძაბულად შევცქერით მარცხნივ ყვირილას აქაფებულ ტალღებს და მარჯვნივ კი – ნაშალის კედელს... გასაქცევი არსაით გვაქვს – ყოველ წუთს შეიძლება, გზა ჩაიქცეს ყვირილაში.

ერთი წუთის შემდეგ სახიფათო უბანი აღარავის ახსოვს: წინ სოფელ პერევს ვხედავთ – სიმწვანეში ჩაფლულს, როგორც ყოველი იმერული სოფელი. კიდევ ერთი მცირე გამოცდა: ხიდი წყალს წაუღია და ყვირილას მარჯვენა ნაპირზე საკმაოდ ღრმა ფონით გავდივართ. კაკლისა და წაბლის ხეების ხეივნის შემდეგ მტვრიანი, ოღროჩოღრო გზა აღმართში მიიკლაკნება.

აგერ პირველი ოსური სოფელიც – სინაგური. აქ უკვე ვაზი ვეღარ ხარობს, სიმაღლე უშლის. წინა გზა მშვენიერ გზატკეცილად შეიძლება ჩაითვალოს ახლანდელ ჯოჯოხეთთან შედარებით... გზას კი არა, ლოდიანებით მოფენილი, ჩარეცხილ-ჩახერგილი სივრცე ღობეებსა და ყორეებს შორის, უფრო მთის მდინარის დამშრალ კალაპოტს მოგვაგონებს. მანქანა ირწევა, როგორც ნავი ქარიშხალში და ღრიალითა და ბუქსაობით მიიწევს წინ საათში ორი-სამი კილომეტრის სიჩქარით... მერე გზა ცოტა უკეთესი ხდება, მაგრამ რაღა დროს – წინა მარჯვენა თვალის რესორები ჩამტვრეულია.

მაინც წინ უნდა წავიდეთ. გზები იტოტება; ხეობა აქ მრავალია, მაგრამ შოთა აქ ნამყოფია და, ბოლოს, ვაგნებთ გზას სოფელ ჯალაბეთისკენ. აჰა, ჯალაბეთიც. გზა წყდება, მდინარე ღებურაზე მანქანა ვეღარ გადავა – უზარმაზარი ლოდიანებითაა ამოვსებული ღრმად ჩაჭრილი კალაპოტი.

მანქანა აქ უნდა დავტოვოთ. ლესემდე არც ისე შორსაა ფეხით, მაგრამ მთაში აღმართში უნდა იარო და გულიკომ და ოთარმა მანქანასთან დარჩენა ამჯობინეს.

ლესე ადგილს რქმევია ყვირილას ხეობაში, ღებურა კი ყვირილას შენაკადია, ამიტომ ყვირილას ხეობაში გადასასვლელად ხეობების გამყოფი ქედი უნდა გადავჭრათ. მართალია, შეიძლებოდა, პირ-

დაპირ ყვირილას ხეობას ავყოლოდით, მაგრამ ამით ვერაფერს მოვიგებდით: ყვირილა აქ უზარმაზარ რკალს აკეთებს და მისი ხეობით ასასვლელად სამჯერ მეტი გვექნებოდა ფეხით გასავლელი.

შოთას მოაქვს სამთო კომპასი, გეოლოგიური ჩაქუჩი, საველე წიგნაკი და ფოტოაპარატი; ვიტალის ზურგჩანთაშია ქაღალდში გახვეული პური და ყველი, აგრეთვე ქანთა ნიმუშების შესახვევი ქაღალდი; ჩემს ზურგჩანთაში დროდადრო წკარუნობს ორი ნახევარლიტრიანი ბოთლი, რომელიც ნავთობის სინჯის ასაღებად მოგვაქვს.

გულიკოსა და ოთარს ვემშვიდობებით და ღებურას კალაპოტში ჩავდივართ. ვხტებით ქვიდან ქვაზე და გადავდივართ მეორე ნაპირზე. აქ იწყება სოფელი ჯალაბეთი. აგერ სადავით ცხენი მოჰყავს ახალგაზრდა, ქერა, მაღალ ოსს. ვესალმებით.

– ერთი ეს მითხარი, ჭირიმე, მჟავე წყალთან რა გზით მივიდეთ? – ეკითხება შოთა.

ახალგაზრდა ჩერდება და დაუზარებლად, დაწვრილებით გვიხსნის გზას.

ყველანი ახალგაზრდის ნაჩვენები მიმართულებით ვიყურებით. ტყიანი ხეობა ზევით თანდათან ვიწროვდება, მას კედელივით კეტავს მაღალი, მოტვლეპილი მწვერვალი, რომლის ფერდობებიც ცოტა ქვევით მწვანე, ხუჭუჭა ტყითაა შემოსილი.

– ეს მწვერვალი ლებეურის მთაა. ერთი სურათი უნდა გადავუღო აქედან; რამდენჯერაც მოვედი, სულ ნისლით იყო შებურული.

შოთა აჩხაკუნებს ფოტოაპარატს. მწვერვალის ზევით ლურჯ, გამჭვირვალე ცაში ღრუბლის ერთი ნაფლეთიც არაა. დიდხანს ვუყურებთ მწვერვალის აწვეტილ თავს, შემდეგ ვცდილობთ, ციცაბო აღმართში მიმავალი ბილიკი თვალით დავლანდოთ ხშირ ტყეში. ბოლოს, მაღლობას ვუხდით ჩვენი გზის მაჩვენებელს და წინ მივდივართ. ვჩქარობთ, რადგან გვინდა, დღეს თბილისში ჩასვლაც მოვასწროთ.

ბილიკს მივუყვებით მდინარე ღებურას როჭკითა და ქვიშით დაფარულ საკმაოდ ფართო კალაპოტში; შემდეგ ბილიკი ტყიან ფერდობზე გადის. უკვე თითქმის თერთმეტი საათია. მზით განათებულ ტყეში სასიამოვნოა სიარული, დაღლა ჯერ არ გვიგვრძნია. დროდადრო ვჩერდებით და უკან ვიხედებით. ჯალაბეთი თანდათან პატარავდება. მოჩანს მთები, მთები, მთები... ყველა მწვანეა და ციცაბოკალთებიანი, თუმცა სიმაღლით ლებეურის მთას ვერ შეედრებიან. ზოგ მთაგრეხილს უკვე ზევიდან დავყურებთ.

ცოტა შერბილდა აღმართი. რა არის ეს? მოულოდნელობისგან გაკვირვებულები, ვჩერდებით (კაცმა რომ თქვას, უკვე აღმართისგან ქანცგამოცლილები ვიყავით და ეს შესვენება არ გვაწყენდა) – მინდორია ზურმუხტისფერი, თითქმის გავაკებული უტყეო მინდორი. აქა-იქ მოჩანს მობალახე ძროხათა სილუეტები, ერთ ადგილას კი... ნუთუ ადამიანის ქანდაკებაა? თუ ბუნების რაიმე საოცრება, მაგალითად, გამოფიტული ქვიშაქვის ნარჩენი – ქვაკაცა – ან გამხმარი ხის ტანი? უფრო ზევით, ისევ ციცაბო კალთაა მთისა, შემდეგ ტყეც იწყება; სულ მთლად ზევით კი ლებეურის მთის მწვანე იალაღები და მოწითალო თავი ბრწყინავს, კრიალა ჰაერში გამოკიდებული...

დაგვცხა აღმართში სიარულისგან, მზის სხივებიც ბუხარივით გვათბობს. წელზევით ვშიშვლდები და ტანისამოსს ზურგჩანთაში ვდებ. სიარულისას ბოთლები აღარ წკარუნობენ.

– მოგწონთ "მეფის სადგომი"? – გვეკითხება შოთა; ჩვენ თავს ვუქნევთ, შოთა კი განაგრძობს: – ამ მინდორს რატომ დაარქვეს ეს სახელი – არ ვიცი, ალბათ ასეთი მშვენიერი ადგილი მეფისთვისაც კი არის საკადრისი, ხომ? თუ დასვენება გინდა, აქ უნდა წამოხვიდე ერთ-ორ ამხანაგთან ერთად, დადგა კარავი სადმე ტყის პირას... არც რადიო, არც გაზეთები, მხოლოდ რამდენიმე საყვარელი წიგნი უნდა გქონდეს წამოღებული...

უკვე შუა მინდვრამდე მივაღწიეთ. შორეული "ქანდაკება" თანდათან ახალგაზრდა ქალის სახეს იღებს. კი მაგრამ, რატომ გაშეშებულა, არ იძვრის? თურმე ფეხზე მდგომი ქსოვს! ალბათ საქონელს მწყემსავს, რომელიც მინდორზე მიმოფანტულა. მოშორებით ბაკი და მწყემსთა ბინაც ჩანს. შორიდან ვესალმებით ქალიშვილს და განვაგრძობთ გზას.

ისევ – აღმართი და ისევ – ტყე. წიფელა, რცხილა, აგერ ერთ ადგილას თელაც გადმოსწოლია ბილიკს თავზე. ბილიკი უკვე თითქმის უაღმართოდ მიემართება – ფერდს განივად მივუყვებით. ტყეში გრილა. ჯერ ერთი, დიდ სიმაღლეზე ვართ უკვე და, გარდა ამისა, რაც უნდა იყოს, დღეს უკვე თექვსმეტი სექტემბერია. მაინც მსიამოვნებს ტანგახდილი სიარული, დანარჩენებმა კი არ მომბაძეს. ტყე მეჩხერდება. გამოჩნდა უტყეო, ციცაბო, გრძელი ფერდი; მხოლოდ აქა-იქ ბალახები და ბუჩქები ამოსულა ბაიოსის ასაკის პორფირიტების მუქ ნაშალში. ნაშალს ზევით მოჩანს რუხ-მოწითალო ძირითადი ქანების გამოსავლები. ლებეურის მწვერვალზეც ბაიოსის ეს წყება გამოდის და ის აძლევს კიდეც წითელ ფერს.

ორასიოდე მეტრის შემდეგ ნაშალი თავდება და გზა ისევ ციცაბო ტყეში მიგვიძღვება. ტყის პირას წყავის დიდი ბუჩქებია, ხარბად ვკრეფ წვრილ, ჩაშავებულ ნაყოფს. არც ამაში მიბამენ მხარს ამხანაგები – სწრაფად მიდიან წინ; დრო ცოტა გვაქვს, რას იზამ. მიწამდე მზე ძლივს ატანს. ბილიკი ისევ ტყიან ფერდს მიუყვება, რომელსაც ალაგ-ალაგ პატარა ხევები ღარავენ. აქ სიარული ადვი-

ლია – ბილიკი ნელ-ნელა უკვე თავქვე მიდის. აგერ თხილის, წყავის, შქერის ქვეტყეში მოცვის ბუჩქები გამოერია. არც აქ ვჩერდებით, გზადაგზა თითო-ოროლა ნაყოფს თუ წავწვდებით...

ფერდი თანდათან დამრეცი გახდა, ბოლოს, გავაკდა კიდეც. აქ ბილიკი ორად იყოფა: ერთი ძველებურად ფერდს მიუყვება თითქმის იმავე მიმართულებით, მარჯვენა ბილიკი კი ფერდიდან გამოზრდილი პატარა წყალგამყოფი სერის თხემზე გადის.

ვჩერდებით.

ქვეტყეში უამრავია მოცვი და ბუერას უზარმაზარი, ქოლგასავით ფოთლები. ფოთლები დაჩვრეტილია კაკლისოდენად. ბუერას ფოთლებს ხშირად ეტანება ტყის ჭიაღუა, ქორფა საჭმელია, მაგრამ ნაჩვრეტთა ნაპირები ნახევი რატომღა არის?

– რაღაც არ მეცნობა ეს ადგილი, – ამბობს შოთა და ცდილობს, ციცაბო ფერდზე ჩარბენილ ბილიკს გააყოლოს მზერა, მაგრამ ამ დაბურულ ტყეში რამდენიმე ათეული მეტრის იქით განა რაიმეს დაინახავ?

უკან მივდივართ, ისევ ბილიკების შესაყართან, და ახლა მარცხენა ბილიკს მივყვებით. ეს ბილიკიც უფრო და უფრო ციცაბო ხდება, ქვევით ჩადის. კიდევ რამდენიმე მიხვევ-მოხვევა – და შოთა მიგვითითებს ფერდის გადამკვეთი მორიგი ხევის ძირში მოყვითალო ლაქაზე.

ჩავრბივართ ქვევით, ეს ლაქა კი არა, წყაროა. წყლიდან გამოყოფილი მარილები დალექილა გარშემო ჟანგისფრად. ხის გრძელი ღარიდან მოჩხრიალებს აირიანი წყალი – ცივი, გემრიელი. ცოტათი ბორჯომის წყალს ჰგავს გემოთი, უფრო მომჟავოა.

კარგია! ხარბად ვსვამთ. ოდნავ დაჰკრავს გოგირდწყალბადის სუნი, მაგრამ ეს არაფერია – მალე წყლის სმით გავიჭყიპეთ.

ვსხედვართ წყაროსთან ჩრდილში და ვისვენებთ.

– ვერაფერი შეამჩნიეთ? – გვეკითხება შოთა.

მე და ვიტალი თავს ვანებებთ უსაგნო ჭვრეტას ბუნების მშვენიერებისა და ყურადღებით ვაკვირდებით გარემოს.

ხევში წყალი მოლიკლიკებს, წყაროდან ფერდის გაყოლებით არხივით ღარი გამოუყვანიათ მიწაში, ალბათ მჟავე წყალს აწვდიდნენ ქვევით, სადაც ხის მუქი შენობა მოჩანს ასიოდე მეტრში. კიდევ რა? მარცხნივ, ხევის მეორე, უტყეო, მოტვლეპილი ნაპირი თვალისმომჭრელად განათებულია; ორსამ ადგილას რაღაც მუქი ლაქები მოჩანს... ამაზე ხომ არ გვეუბნებოდა შოთა? დიახ, ეს ნამდვილად ნავთობის გამოსავლებია მიწის ზედაპირზე!

შოთამ დაგვიდასტურა. გვინდოდა, გადაგვეკვეთა ხევი და უფრო ახლოს გავცნობოდით ბუნებრივი ნავთობის გამოსავლებს, მაგრამ შოთა ბილიკს პირდაპირ ქვევით ჩაჰყვა ხის სახლისკენ – უკეთეს გამოსავლებს გაჩვენებთო.

ამ სახლთანაც გამოდის წყალი, აქაც მოწითალო ფერი აქვს გარშემო ყველაფერს; როგორც ჩანს, რკინის მარილებით მდიდარია. აგერ ზემო წყაროდან წამოსული პატარა არხიც. ადრე ალბათ აქ აბაზანებს იღებდნენ. გარშემო კაცის ჭაჭანება არაა, სახლი ძალზე ძველია – მიტოვებულის, მოუვლელის დაღი აზის. აქ მშვენიერი კურორტის მოწყობა შეიძლება, ცოტა ხეირიანი გზა რომ იყოს გამოყვანილი. ზაფხულში, ეტყობა, მაინც ეტანებიან ავადმყოფები.

კიდევ უფრო ქვევით ჩავდივართ – იქ, სადაც ყვირილას ხმაური ისმის. სწორედ რომ შესაფერი სახელი აქვს ამ მდინარეს – ყიჟინით მირბის ლოდებით ჩახერგილ ვიწრო კალაპოტში. მეორე ნაპირზე გზის ნარჩენები ჩანს, ადიდებულ ყვირილას საფუძვლიანად გაუფუჭებია – ტრაქტორიც კი ვერ გაივლის, არათუ მანქანა.

ყვირილას მდინარებას დავუყვევით ოციოდ მეტრზე და ნაკადულს მივადექით, რომელიც მარჯვნიდან ერთვოდა მდინარეს. ახლა ამ ნაკადულს უნდა ავყვეთ ზევით ფრიად ციცაბო კალაპოტით.

მივფორთხავთ ზევით, ლიასის ასაკის ქვიშაქვები და ფიქლები ალაგ-ალაგ თითქმის ფრიალოა, ზოგან კიბეებივით საფეხურებს ჰქმნის; მოკლედ, აძრომა შეიძლება, მით უმეტეს, რომ აქ ჩახერგილი ხეებიც გეხვდება.

ავძვერით დამრეც ადგილამდე; ირგვლივ ნავთობის დამახასიათებელი მძაფრი სუნი დგას. ნაკადულის უფრო მდოვრე ადგილებში ზედაპირზე ნავთობის აფსკები ცისარტყელას ფერებად ელვარებს; თუ შესაფერის ხედვის კუთხეს იპოვი, წყლის ზედაპირი კიდევ უფრო ხალასი და ხატოვანი ფერებით აბრიალდება.

უკვე საკმაოდ დიდ სიმაღლეზე ავბობღდით ტყიან ფერდზე, ნავთობის ისეთი გამოსავალი კი, რომ სითხე მოწანწკარებდეს, ან წვეთავდეს მაინც, რომ ბოთლში მისი ნიმუშის შეგროვება შეიძლებოდეს საანალიზოდ – ვერ ვნახეთ. მოცვისა და დეკის ქვეტყეში, მართალია, არის ადგილები, რომლებიც გამხმარი ფოთლებითაა დაფარული და საკმაოდ დიდ ლაქებად (რამდენიმე მეტრის მანძილზე) ნავთობითაა შავად გაჟღენთილი, მაგრამ ეს ჩვენ არ გამოგვადგება. როგორც ჩანს, შოთას აქ იმედი გაუცრუვდა და ისევ უკან ვბრუნდებით, ყვირილასკენ. გზაში ფიქლების ნიმუშებს ვიღებთ,

მათში ალაგ-ალაგ ნახშირის მეტად მცირე ჩანართებია. ამ ნახშირების კატაგენეზისური ცვლილებების შესწავლა ბევრ რასმე გვეტყვის თვით ქანის "ცხოვრების" შესახებ...

ხის საბაზანო შენობასთან დავბრუნდით, შემდეგ ხევის მარცხენა, ბალახ-ბუჩქნარით დაფარულ ფერდს მივუყვებით. ისევ აქ უნდა ავიღოთ ნავთობის ნიმუში. რას წარმოადგენს ნავთობის ეს ბუნებრივი გამოსავლები? რამდენიმე ადგილას ფერდზე დაახლოებით ერთი მეტრის დიამეტრის ჩაღრმავებული ადგილებია, რომლებშიც წყალი დგას; წყლის თავზე მომდგარია ნავთობის მუქი, თითქმის შავი ლაქები.

შოთამ ფოტოსურათი გადაუღო გამოსავლებს, შემდეგ საველე წიგნაკში ჩაწერას შეუდგა; მე და ვიტალიმ კი ამოვიღეთ ჩვენი ბოთლები და დავიწყეთ ნავთობის შეგროვება. ამისთვის იქვე ნაპოვნი კონსერვის ცარიელი ქილებით ფრთხილად ვაგროვებთ გუბის ზედაპირზე მოტივტივე ნავთობს და ბოთლში ვასხამთ. რასაკვირველია, წყალი უფრო მეტი მოგვყვება, ვიდრე ნავთობი; ნავთობის "გასამდიდრებლად" რამდენიმე ხერხი მოვიგონეთ. ვიტალი დროდადრო, როცა მისი ბოთლი საკმარისად შეივსება ნარევი სითხით, თითს დაუცობს ბოთლის თავს, შემდეგ გადმოატრიალებს და ასე უჭირავს ცოტა ხანს; როცა ათქვეფილი ნარევი დაწყნარდება და ნავთობი წყალს თავზე მოექცევა, ვიტალი ქვეშიდან ბოთლს პირს ცოტათი მოაცილებს თითს და ნელ-ნელა უშვებს წყალს. ასეთ ოპერაციას რამდენჯერმე იმეორებს. მე სხვა ხერხი ვიხმარე: ჩემს კონსერვის ქილას ძირში ნახვრეტი აქვს, რომელსაც თითით ვხურავ და ვაგროვებ ნავთობს გუბის ზედაპირიდან; შემდეგ ცოტა ხანს ვაჩერებ ქილას უმოძრაოდ და ვუცდი, როდის მოექცევა ნავთობი მოყოლილი წყლის ზედაპირზე. დანარჩენი ოპერაციები ვიტალისას ჰგავს: ვაღებ ქილის ძირში ნახვრეტს და ვუშვებ წყალს, დარჩენილ ნავთობს კი ვასხამ ბოთლში. ბოლოს, ჩვენმა შემოქმედებითმა ფანტაზიამ რადიკალურ ხერხს მიაგნო: მე მინდოდა, პატარა "გვირაბით" დამეწრიტა გუბე წყლისგან, ხოლო დარჩენილი ნავთობი შეგვეგროვებინა, მაგრამ შოთამ ბრძანა, დრო აღარ გვაქვს, ნავთობიც საკმარისად შეაგროვეთ უკვეო. ნავთობი ერთ ბოთლში გავაერთიანეთ და ზევით გავწიეთ – "მჟავე" წყაროსკენ.

კარგა ხანს ვიბანეთ თიხით ხელები, მაგრამ ნავთობის სუნი ვერაფრით მოვიცილეთ.

– ეგ არაფერია, – თქვა შოთამ, – ჭამაში ხელს არ შეგიშლით. ის კი არა და, როცა ჭაბურღილს დაამთავრებენ და ნავთობი წამოვა, გახარებული მუშები ნავთობს პეშვით სვამენ.

პური და ყველი ამოძვრენილია დღის სინათლეზე და ჩვენს სუფრას ამშვენებს; ზედ ვაყოლებთ "მჟავე" წყაროს წყალს და ამითაც ფრიად კმაყოფილნი გახლავართ, რასაც ხელს უწყობს ჩვენს მიერ გამოვლილი საკმაოდ გრძელი გზა და უკვე დასავლეთისკენ გადახრილი მზე.

გზა ჯალაბეთისკენ უფრო იოლი იქნება, რადგან თითქმის სულ თავდაღმართზე ვივლით; ოღონდ დასაწყისში უნდა დავძლიოთ პატარა აღმართი – ბაიოსის ნაშალ ფერდობამდე.

გზადაგზა მოცვი გვაჩერებს. როგორც რაინდებმა, გულიკოსთვის მოცვისა და წყავის "თაიგული" შევკარით. ნიმუშებით სავსე ზურგჩანთა მე და ვიტალის რიგრიგობით მიგვაქვს. ნავთობიანი ბოთლი, სათუთად შეფუთული ვიტალის სვიტრში, მეორე ზურგჩანთაშია.

გამოჩნდა ნაშალით დაფარული ფერდიც... ბილიკი გავაკდა. აქედან კარგად მოჩანს ლოხონისა და თოფარის ქედები. შოთა გვიყვება ჩანჩქერის შესახებ მდინარე ყვირილაზე, რომელსაც "ხელდახეული" ეწოდება. ამ სახელით შოთას აღწერის გარეშეც შეიძლება მიხვდეს კაცი, თუ რაოდენ ლამაზი და უკარებელი იქნება ეს რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლის ჩანჩქერი.

აჰა, ეს მცირე აღმართებიც ავათავეთ, რამდენიმე ასეული მეტრი დაღმართში ტყე-ტყე ვიარეთ და "მეფის სადგომიც" გამოჩნდა. ზევიდან ეს უტყეო, მწვანე მინდორი უფრო ლამაზია; შესაძლებელია, უზარმაზარი, აწ უკვე გაჩერებული, მეწყერი იყოს ეს ადგილი.

დაღმართში ვიტალიმ "დააწვა" და ბევრად გაგვისწრო წინ, თუმცა ნიმუშებიანი ზურგჩანთა მას მიჰქონდა. საქონელი დაბრუნებულა უკვე ბინაში; ჩვენი ნაცნობი ქალიშვილი ოსურ საცეკვაო მელოდიას უკრავს მოჭყვიტინე გარმონზე. მელოდია მარტივია და ერთფეროვანი, გრძელი, დაუსრულებელი. ქალიშვილი ჩვენ გვიყურებს და უკრავს. მოშორებით, მწყემსთა სახლის ზღურბლთან, ახალგაზრდა კაცი დგას და ისიც ჩვენ გვიყურებს, ჩვენ კი აუჩქარებლად ჩავდივართ ბალხიან ფერდზე; ოდნავ გვენანება, რომ ასეთ მშვენიერ ადგილს ვტოვებთ.

წინ მოჩანს ღებურას ხეობა, კიდევ უფრო შორს – დატოტილი ხეობები, ლურჯ-მომწვანო მთაგრეხილები, რომელთა კიდევ იქით, გადახრილი მზის თბილ სხივებში ბურუსდება იმერეთის ბორცვოვანი ზეგანი... ჩვენს უკან კი აღმართულა ლებეურის მთის ტყიანი, ციცაბო კედელი, მწვერვალის მოწითალო პირამიდით, რომელიც ასე ახლოს გვეჩვენება.

გარმონის ხმა მიგვაცილებს მინდვრის თითქმის ბოლომდე. ვიტალი ბალახზე დამჯდარა და ორ ოს მოხუცს ესაუბრება. ერთი მათგანი ჰყვება, რომ სულ ორი დღეა, რაც გამოიდარა; ხანგრძლივმა თავსხმა წვიმამ გააფუჭა გზები, წალეკა ყანები: თურმე მსხვილი სეტყვაც მოსულა. ახლაღა ვხვდები, რამ დაცხრილა ბუერას ფართო ფოთლები, ტყეში რომ ვნახე.

ნიმუშებიან ზურგჩანთას ახლა მე ვიკიდებ, წყავისა და მოცვის "თაიგულს" კი ვიტალის ვუთმობ.

ბილიკი ტყიან ფერდზე მიიკლაკნება. ალაგ-ალაგ, პატარა უტყეო მინდვრებზე, გამჭვირვალე წყაროები ამოჩუხჩუხებს, წყაროთა ირგვლივ კი პირდაპირ მიწიდან ამოზრდილი უცუნას უფოთლო ყვავილებია. ვიტალი ბლომად ჰკრეფს ამ ლამაზ, მაღალყელიან ყვავილებს და ახლა კი მართლაც მშვენიერი თაიგული გვაქვს გულიკოსთვის მისართმევი.

გრძელ, ციცაბო დაღმართში სიარული აღმართზე უარესი ყოფილა. მუხლებში ლამის არის ჩავიკეცოთ, წვრილი როჭკით დაფარული ბილიკი კიდევ უფრო აჭირვებს საქმეს. როცა უკვე ღებურას ხეობაში ჩავდიოდით, ფეხი დამისრიალდა და თითქმის მდინარის ქვიშიან კალაპოტამდე გავხოხიალდი, რასაკვირველია, ვიტალის თავშეუკავებელ როხროხში. ჩემს თავს ვინ ჩივის, შოთა უფრო გაახარა ნავთობის ნიმუშიანი ბოთლის უვნებლად გადარჩენამ.

ჯალაბეთიც გამოჩნდა; ვხედავთ ღებურას მარცხენა ნაპირზე მდგომი ჩვენი მანქანის ტენტსაც. რამდენიმე ასეული მეტრიც გავიარეთ კალაპოტის ქვიშრობში და მანქანამდე მივაღწიეთ.

საღამოს ოთხი საათია. კარგ დროს დავბრუნდით – ხეირიან გზამდე, საჩხერემდე, დაბნელებამდე ჩავაღწევთ.

მაგრამ ასე არ ფიქრობს გულიკო. სულ ნახევარი საათია თურმე, რაც მან და ოთარმა ისადილეს ჩვენი დიდი ხნის ლოდინის შემდეგ. "ნეტა ცოტა კიდევ მოგვეცა- დაო, – ამბობს გულდაწყვეტილი, – ერთად ვისადილებდითო".

არა უშავს, ახლაც კარგად მივირთმევთ – ოთარს შეშა მოუგროვებია და გულიკოს კი გემრიელი შეჭამანდი მოუხარშავს, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ "სუფი ა ლა ლესე", – თბილისამდე აღარ მოგვშივდება.

ამით შეიძლებოდა, დაგვემთავრებინა ლესეს მონახულების ამბავი, თუმცა, ერთი პატარა შემთხვევა რომ არ წავამატო, მონათხრობს მარილი დააკლდება.

მაშ ასე. როგორც მოგახსენეთ, გულიკომ მშვენიერი სადილი დაგვახვედრა – ხორცის კონსერვის, კარტოფილის, ხახვის და სხვათა და სხვათა გამოყენებით. გულიკომ, როგორც მასპინძელმა, დაგვირიგა მე და შოთას ჩვენ-ჩვენი ულუფა, შემდეგ იფიქრა, რომ კარგი იქნებოდა, ბარემ გამურული ქვაბი გაერეცხა, რადგან საველე სამუშაოების ბოლო დღე იყო, თბილისში ვბრუნდებოდით და ქვაბი აღარ დაგვჭირდებოდა; ამიტომ დარჩენილი საჭმელი ერთ დიდ, თითქმის სამლიტრიან მომინანქრებულ ჯამში ჩაასხა, – ბევრი მოსვლოდა გაკეთებული, – ქვაბი კი წაიღო ღებურას ნაპირზე გასახეხად.

ვიტალიმ ნიმუშების ყუთში ჩალაგება დაამთავრა, ღებურაში ხელი დაიბანა და ბალახზე გაშლილი გაზეთის წინ ფერხთ მოიკეცა. ამ დროს ჩვენ-ჩვენი ულუფა სანახევროდ გათავებული გვქონდა და საცაა, კიდევ უნდა გადაგვეღო დამატებით იმ სამლიტრიანი ჯამიდან.

ვიტალიმ შეხედა ჯამს, ერთი კი შეცბა, მერე თქვა:

– ეს მე გადმომიღეს ამდენი?

უნებურად ენას კბილი დავაჭირე, შოთამაც ვითომ ვერ გაიგონა ვიტალის კითხვა.

ვიტალიმ დაიდგა წინ გალიცლიცებული ჯამი და... შეუდგა იქიდან ჭამას.

სიცილი ძლივს შევიკავე, კინაღამ გავიგუდე. შოთას შევხედე, იმანაც თვალი ჩამიკრა. ვიტალი კი ჭამდა და ჭამდა, თან ბლომად პურსაც აყოლებდა – მთაში სიარულმა მაგარი მოშივება იცის!

როცა ერთი მესამედი შეჭამა, ღრმად ამოისუნთქა და, კმაყოფილმა, კოვზი ცოტა შეასვენა. "ყოჩაღ, ძმაო", – გავიფიქრე; მეგონა, ჯამს თავს დაანებებდა, მაგრამ მოვტყუვდი. მართალია, ნაკლები სიამოვნებით, მაგრამ

ვიტალი მაინც განაგრძობდა ჯამზე იერიშს. როცა ჯამი გაანახევრა, მიხვდა, რომ უკვე კარგად და მეტადაც გამაძღარი გახლდათ და პურის შეყოლებას თავი ანება, მაგრამ ჯამს კი – ნურას უკაცრავად!..

უკვე ძალისძალათი მიირთმევდა, გულიკოს გაკეთებულ შეჭამანდს კი არ უჩანდა ბოლო. მე და შოთას უკვე გვებრალებოდა ვიტალი, თვითონ კი რატომღაც არ შეიბრალა საკუთარი თავი – ვერ მოიფიქრა, ჯამი გვერდზე გადაედგა...

როგორც იქნა, ჯამის ძირი გამოჩნდა და ვიტალიც ხვნეშით გაიმართა წელში, ძლივს წამოდგა ფეხზე. სული რომ მოითქვა და გამობერილ მუცელზე ტანჯვით მოისვა ხელი, მხოლოდ მაშინ ასწია თავი. ახლა კი ჩავიფხუკუნეთ, მერე და მერე თავშეუკავებელი ხარხარით იმდენი ვიგორავეთ ბალახზე, რომ სულ გაგვიმწვანდა ტანსაცმელი.

ვიტალიმ ჯერ გვიყურა და მერე კი მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ძალიან ეწყინა.

– ვერ მითხარით მერე, ჩემი თეფში თუ არ იყო?!.

– არა, ძმაო, მაგარი ბიჭი ყოფილხარ! დაწყებული საქმე ვაჟკაცურად მიიყვანე ბოლომდე!

ვიტალის გული მაინც ვერ მოვაბრუნებინეთ:

– არა ხართ თქვენ კაი ხალხი...

– ეს რა ჰქენი, ვიტალი, მშივრები დაგვტოვე?!.

სხვათა შორის, ვიტალის, უფრო ზუსტად – მის კუჭს, კარგად მოუხდა დანჯღრეული გზა საჩხერემდე და თბილისში ჩასვლამდე ხომ სულ მთლად გამოკეთდა.

ჩვენმა ლესეში მოგზაურობამ კი ამაოდ ჩაგვიარა – ნავთობის ნიმუშიანი ბოთლი აგვწაპნეს, ვერ კი მივხვდით – სად. გზაში რომ არ გაგვტყდომოდა, ოთარმა მანქანის ბორტზე, გვერდით, სპეციალურ ადგილას ჩადგა, სადაც ჩვეულებრივ სამუხრუჭესითხიან და ზეთიან ბოთლებს ინახავდა. ეტყობა, სწორედ ასეთად ივარაუდა ვიდაცამ ნავთობის ნიმუშიანი ბოთლი და ხელს გააყოლა – ალბათ, როცა რომელიღაც შლაგბაუმთან ან შუქნიშანთან შევჩერდით. თუ ძრავას ზეთი დააკლდა და იმ ბოთლიდან დაამატა, ქურდის მანქანას კაი დღე დაადგება...

ის დღე სულ მთლად ფუჭი მაინც არ გამოდგა; თუნდაც ის რად ღირს, რომ დროდადრო ვიტალის არნახულ ვაჟკაცობას ვიხსენებთ და სიცილით გადავფიჩინდებით...

წიგნი III.
სატირული მედალიონები

ნახატები გივი (გიორგი) კასრაძისა

ტაკიმასხარა

რა არის ჩემი ცხოვრება?..
მე უცნობი კლოუნი ვარ...
ტიკინა-კლოუნი,
მარიონეტი,
სხვის ხელზე წამოცმული –
სხვისი ხმით,
სხვისი ხელით შეკერილი ტანსაცმლით შემოსილი:
გადასაყრელად გამეტებული ჭრელაჭრულა
ნაჭრებ-ნაკუწებ-ნაგლეჯებ-ნაფლეთებისგან
შემიკერეს-შემიჯღანეს უხეშად
ეს ჩასაცმელი – სამოსი-ჯვალო...
და ვიმანჭები, ვიგრიხები, ვცოდვილობ,
ხან ვიჯგიმები – გენერალივით ვბუხუნებ,
ხან ვიკუნტები – მათხოვარივით ვდუდღუნებ,
ხან მალაყებს გადავდივარ,
მხიარულად ვჭიხვინებ-დავხტივარ,
ხან მოთქმით ვტირი ჩემს უბედობა-უთვისტომობას...
და ამას ისე ვაკეთებ, რომ მაყურებელს ცრემლს ვადენ,
ოღონდ სიცილის ცრემლს, არა თანაგრძნობისა.
მე არ მიხარია – სხვები იჭაჭებიან სიცილით,
მე ვიცინი – სხვები ტირიან ჩემი საცოდაობით...
სულ საწინააღმდეგოს ვაკეთებ იმისა,
რასაც მოელიან:
“გაუმარჯოს! ადღეგრძელოს!” –
იმაზე, ვინც დასაგმობ-დასასამარებელია;
“ძირს ყოყლოჩინა, მეტიჩარა!” –
იმაზე, ვინც რაღაცას ჭკვიანურს იტყვის...
იფ-იფ, რა კარგია!
რა თავისუფალი ვარ!
შემიძლია, დავტრიალდე,
ვიცეკვო, ვიხტუნო,
ხალხს ჩემი სიმკვირცხლე და მოხერხება ვაჩვენო, –

ნახეთ რა კოხტა და ყოველთვის გამარჯვებული ვარ!
ვითომ ვიცინი და ვხარობ – ვმასხარაობ...
თან ვფიქრობ:
რას ვიცინი, არ ვიცი!
სხვის მოწეულს ვჭამ,
სხვის დაწურულ ღვინოს ვსვამ,
სხვის დაწერილ წიგნებს ვკითხულობ,
სხვის მიერ აშენებულ სახლში ვცხოვრობ...
დიახ, არცთუ იშვიათად –
ტკივილი მიჯღანავს სახეს ნიღაბს უკან,
ზოგჯერ ბოღმაც გამოერევა,
ერთს ვამბობ,
გუნებაში სხვას ვფიქრობ...
მინისტრს – პანჩური!
ჩემს დამჩაგვრელ ბობოლას – ალიყური!
ღამაზ, უკარება ქალს – კოცნა!
წარმოსახვით ყველაფრის გაკეთება შეიძლება...
ასე დავწანწალებ, ასე ვმასხარაობ...
და ბოლოს, სიცოცხლის დასასრულს,
როცა ორმოში ჩამიძახებენ,
მიწის მიყრამდე მოვასწრებ
კიდევ დაძახებას:
ხალხო!
რა კარგია,
რა ლამაზია ცხოვრება!
რა კეთილია ცა!
რა გემრიელია ჰაერი!
დამიჯერეთ!..

1990

აბიბო

ვახო მიდის ვენახში – რაღაც საქმეები აქვს... უფრო სწორედ, მისმა მუტრუკმა ბიჭმა გააბრაზა ძლიერ, ჰოდა, ვახომაც გამოიჯახუნა კარი და ასე, შილიფად ჩაცმული, გაგულისებული მიაბოტებს ორღობეში. ცოლი დაეწია სირბილით, ქუდი და ქურთუკი მიაწოდა. უნდოდა, ცოლისთვის ერთი შეეკურთხებინა ცხელ გულზე და შემოჩეჩებული ტანსაცმელი ღობის იქით ესროლა, მაგრამ რაღაცამ შეაჩერა და არც უნანია – მალე იგრძნო დეკემბრის დილის სუსხი...

ნაკვეთში გამგელებული ეცა მიწას – ბარს გავეშებული ჩაჰკრავდა და აბრუნებდა მიწას, ჩაჰკრავდა და აბრუნებდა. მალე სიცივე სულ გადაავიწყდა, ესიამოვნა კიდეც ბარვა. აბეზარი ფიქრი კი მაინც ვერ მოიშორა – ეს ვერანა, მისი ბიჭი – აბიბო – როგორ გამოვიდა ეგეთი უჯიშო და უჯილაგო? არა, უჯიშო სხვა მხრივ, თორემ თექვსმეტი წლისაა და მამამისს უკვე მთელი თავით გადაასწრო სიმაღლეში... ზარმაცია, პატრონძაღლი, ზარმაცი – მეტი რო არ შეიძლება. მარტო ერთი იცის – საათი არ გავა და უკვე ყვირის: "დედი, მშია!" აი, გაგიხმეს ეგ გულ-მუცელი! სად მიდის, კაცო, ამდენი ხორაგი, რომ არ დაადგება საშველი იმის სტომაქის ამოყორვას! განა ენანება, ღმერთმა კეთილად შეარგოს, მაგრამა... კაპიკის საქმის გამკეთებელი რო არ არის, ჩხირს არ გადააბრუნებს – გაგიგონიათ, კაცო, ეგეთი ამბავი? დილით კიდე, სკოლაში წასვლაზე ერთი ომია გამართული – ჯერ ხომ ვერ გააღვიძებ და მერე გაღვიძებულს უნდა ერთი საათი ეჭიდავო, სანამ ააყენებ ლოგინიდან, უფრო სწორედ – გადმოაგდებ... პირს ვერ დააბანინებ, პირს, მაგისგან კაცი დადგება? დღესაც ჩაუცმელი მივარდა მაგიდას, საჭმელი სად არისო, აიკლო დედამისი საყვედურებით... ეგ კი მოუთმინა ვახომ, მერე კი, როცა აბიბომ თქვა, სკოლაში დღეს ვერ წავალ, მათემატიკაში საშინაო დავალების გაკეთება ვერ მოვასწარიო, შვილს გასალახად მიეტანა. ცოლი კრუხივით გადაეფარა აბიბოს და ამან გააცოფა კაცი. იმ დასაწვავ სკოლაშიც რას ასწავლიან ნეტავი, ამას წინათ მასწავლებელმა დაიბარა და ნეტა ფეხი მოსტყდომოდა და იქ არ წასულიყო, – მიხედეთ თქვენს ყმაწვილს, თორემ წლის ბოლოს დარჩება მეათე კლასში, რვა საგანში აქვს ორიანიო...

გოგო, ანეტა, სულ სხვაა, სულ ფრიადებზე მიდის; დაუზარელიცაა – ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და უკვე დედამისზე მეტ საქმეს აკეთებს, წუთს ვერ ნახავ გაჩერებულს, წუთს... სულ მამას ჰგავს ხასიათითაც, გარეგნულადაც რომ მისი ალიკვალია – ტანმორჩილი, ქერათმიანი და ცისფერთვალება. ის მუტრუკი კი, აბიბო-მაიმუნი, დედას დაემგვანა – შავგვრემანია, უხეირო, მაგათი...

ვახო გუნებაში იგინება და ქურთუკის ჯიბეში ტყუილად აფათურებს ხელს – სიგარეტის კოლოფი შინ დარჩენია.

ადრე დაბარულ საბოსტნეს კარგა დიდი ნაჭერი მიუმატა გადაშავებული მიწისა და შეისვენა, იქვე გვერდზე, ღობესთან დაყრილ შარშანდელ სარებზე ჩამოჯდა.

წყნარი ამინდი იყო, ღამით ალბათ პირველად მოჰყინავდა. მოკრიალებულ ცაზე დაბალი მზე მიგორავდა. ბლის ხის კენწეროდან რომელიღაც პაწია ჩიტი საწყალობლად უსტვენდა. სევდა განფენილიყო ფოთოლგაძარცულ ბაღში. ხეები იწვდიდნენ შიშველ ტოტებს ცისკენ, რაღაცას შესთხოვდნენ ზეცას – ალბათ პირველ თოვლს...

გამოჩნდა აბიბო. პირდაპირ ღობეზე გადმოხტა და შორიახლო დადგა.

ვახომ ერთი ახედა და პირი მიაბრუნა.

აბიბო ცალყბად უშნოდ იკრიჭება, ცოტა ხანში ბარს დასწვდება და აგრძელებს მამის დაწყებული კვალის ბარვას.

უცებ ვახო რაღაც ჭახანმა გამოიყვანა გარინდებიდან.

აბიბოს შუაში გადამტვრეული ბარის ტარი უჭირავს ხელში...

ვახო ცქვიტად წამოხტა, მაგრამ აბიბომ დაასწრო, ღობეს გადაევლო და გადაანგრია კიდეც კამეჩივით...

– უჰ, შენი... დაბდურო, უმაქნისო!..

1992

აბრამა

აბრამა ძია ძველი მექუდე იყო. მისი მამაც, პაპაც და პაპის მამაც ჭონები იყვნენ.

ორმოცი წელი კერავდა ქუდებს აბრამა ძია, მოდის ცვალებადობას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. იყო დრო, კრაველის ბოხოხს მთელი კვირა უნდებოდა, ყალმუხის ქუდების კერვაშიც ბადალი არ ჰყავდა; ნაირნაირი ბეწვის ქუდებს გამორჩეულ მუშტრებს უკერავდა; მერე პარუსინის კოზიროკიან ქუდებს დღეში რამდენიმეს "აცხობდა"; "აეროდრომების" ეპოქაც დადგა – მოდაში შემოვიდა უზარმაზარკოზიროკიანი ქუდები, მათ მოჰყვა "ხინკალა", ბოლოს – ტყავის ქუდები ეხურა თითქმის ყველას. "ტყავისო", ზრდილობის გულისთვის ვამბობ, თორემ სადღა იშოვიდი ძველებურ, ნაღდ ტყავს – ტყავის რაღაც შემცვლელი, სუროგატი გახლდათ. "სამ წელიწადს კეთილად მოგემსახურებათო", – ძველებური მხოლოდ თავაზიანი ღიმილი და ტკბილი სიტყვაღა ერგებოდათ ხოლმე კლიენტებს ძია აბრამასგან და კიდევ – ოსტატობა იყო შერჩენილი უზადო.

ძია აბრამა სულ ერთ ადგილზე მუშაობდა, ოღონდ ამ დაწესებულებას ორმოც წელიწადში ფირნიში უფრო ხშირ-ხშირად ეცვლებოდა, ვიდრე ქუდის მოდას – ხუშტურები. ჯერ კერძო სახელოსნო იყო, მერე – არტელი თუ კოოპერატივი, ხან – რაღაც გაერთიანება, ხან კიდევ – საამქრო თუ ფილიალი... ამჟამად კი უბედურად გრძელი სახელი ჰქონდა და ძია აბრამასთვის რომ გეკითხათ, ზუსტად კი არა, მიახლოებითაც ვერ დაგისახელებდათ, რა დაწესებულებაში მუშაობდა; "საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ვმოღვაწეობო", – მოკლედ გიპასუხებდათ. უკვდავებაზე სულ არ ფიქრობდა ძია აბრამა და იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მის მიერ შეკერილ ქუდებს დიდი გასავალი ჰქონდა, სხვათა ნახელავისგან აშკარად გამოირჩეოდა. და არა მარტო განსაკუთრებული პეწითა და საგულდაგულო გამოყვანით, არამედ ფასონის თუნდაც მცირე, მაგრამ ფაქიზი ნიუანსებითაც. ამითაც მომეტებულად იზიდავდა მუშტარს.

მაგრამ ერთხელ ძია აბრამა საქვეყნოდ ცნობილი გახდა, უფრო სწორედ – მისი ფასონის ქუდი.

თუ გაინტერესებთ, მოკლედ მოგახსენებთ.

ცნობილმა მხატვარმა გუჯა გუჯალეიშვილმა გადაწყვიტა, ასევე ცნობილი ხელოვნებათმცოდნის მათე მნათობაძის პორტრეტი შეექმნა. დიდხანს ეწვალა, მაგრამ მოდელის შესაფერისი იერი ვერაფრით მიიღო. მათე მნათობაძე მელოტი გახლდათ და რაღაცნაირად ეს გარემოება ძალიან უშლიდა ხელს მხატვარს. ხან ასე დასვა, ხან – ისე, ხან ხელში დიდტანიანი მონოგრაფია თუ ალბომი დაუჭერინა, ხან სურათთან დააყენა... უამრავი ესკიზიდან ერთიც არ მოეწონა – არსად ჩანდა "ხელოვნებათმცოდნე", იმდენად ჩაგრავდა მას "მელოტი კაცი".

როგორც ნოველისტებს უყვართ ხოლმე თქმა, ერთ მშვენიერ დღეს მათე მხატვართან ქუდიანი მივიდა, ძია აბრამასთან გამოევლო. შეხედა თუ არა მხატვარმა, შეჰყვირა "ევრიკა!' და მაშინვე მათე

პოზირებისთვის დასვა, რა თქმა უნდა, ქუდმოუხდელი. სახელოსნოში საკმაოდ ცხელოდა და ერთი კვირა ორი-სამი საათის განმავლობაში ქუდით ჯდომა მათეს გაუჭირდა, მაგრამ ითმენდა, რამდენადაც მშვენივრად უწყოდა, რომ ხელოვნება მსხვერპლს ითხოვს.

ერთ კვირაში ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი პორტრეტი უკვე მხატვართა დიდ საშემოდგომო გამოფენას ამშვენებდა და საყოველთაო ყურადღებაც მიიპყრო. სურათის რეპროდუქცია დაიბეჭდა გაზეთში, შემდეგ ფერადი – ჟურნალშიც... მათეს რატომღაც სურვილი გაუჩნდა, რომ იმ გაზეთის ნომერი, სადაც მის პორტრეტს ქება-დიდებას ასხამდნენ და სურათის რეპროდუქციაც იყო გამოქვეყნებული, ძია აბრამასთვის ეჩუქებინა. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ პორტრეტი კომპოზიციურად მეტად გამომსახველად არის გადაწყვეტილიო, განსაკუთრებით კი ხაზს უსვამდნენ ქუდის, როგორც გამოსახულების ერთ-ერთი ფრიად მეტყველი ფეროვანი და კომპოზიციური კომპონენტის მნიშვნელობას.

ძია აბრამა დიდად ნაკითხი კაცი არ გახლდათ, სურათის გარჩევიდან ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ მის ნახელავ ქუდს აქებდნენ. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ესიამოვნა, მაგრამ ის კი ეწყინა, რომ ქუდის შემკერავი ოსტატი არ იყო მოხსენიებული. გაზეთში მოთავსებულ სურათის რეპროდუქციაზე კი კარგად ჩანდა, რომ ქუდი მართლაც თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოსახული და კარგი იქნებოდა, ბარემ კეთილი საქმისთვის მარილიც არ დაეშურებინათ – რატომ არ აღნიშნეს, ვისი ნახელავი იყო?

მეორე დღეს ძია აბრამამ კითხვა-კითხვით მიაკვლია სამხატვრო გალერეას. გამოფენაზე საკმაოდ ბევრი დამთვალიერებელი ირეოდა გუჯა გუჯალეიშვილის მიერ შესრულებულ მათეს პორტრეტთან. მოსწონდათ, ბჭობდნენ... ძია აბრამა ყურადღებით უსმენდა მხატვრობის მცოდნეთა და მოყვარულთა ლაპარაკს, თუმცა ხეირიანად ვერაფერს იგებდა.

თვითონაც დააკვირდა სურათს – ნეტა ვისი ნახელავია ეს ტყავის პალტოო, ფიქრობდა (ამ ხელობის ხალხიც მუშაობდა სახელოსნოში). ქუდი კი მართლაც მშვენივრად იყო დახატული! შავი ქუდი და ასეთივე პალტო ერთობ კარგი სანახავი იყო, კარგად მოერგო სურათს – მათეს სახე ზევიდან და ქვევიდან შემოსაზღვრული იყო მკაფიო, გამომსახველი კომპოზიციური სვლებით. ძია აბრამასთვის კი მთავარი ის იყო, რომ მისი ნახელავი ქუდი მართლაც საუცხოოდ დაეხატა მხატვარს – მთელი სიზუსტით; დაინტერესებულ პიროვნებას, თუნდაც ვინმე მექუდეს, შეეძლო, სრული წარმოდგენა ჰქონოდა ქუდის ფასონზე და სავსებით შეეფასებინა თუ დაეფასებინა ძია აბრამას პროფესიული ხელოვნებაც.

უსმენდა ძია აბრამა საუბრებს, იქნებ ვინმემ ქუდის შემკერავზეც თქვას რამეო, მაგრამ იგი არავის გახსენებია. ძია აბრამას ეს ამბავი დიდ უსამართლობად მოეჩვენა; ჯერ ეწყინა, მერე გაბრაზდა კიდეც (გაბრაზება ძალიან იშვიათად იცოდა). პორტრეტის მთელი ძალა, მისი ძლიერება ქუდში იყო – აბა, მოგეცილებინათ ქუდი ან სხვა ქუდი დაგეხურათ, რა დარჩებოდა პორტრეტისგან?

შინ მიმავალი ძია აბრამა ადამიანთა უმადურობაზე ფიქრობდა. დიდი ამბავი იქნებოდა, რომ ვინმეს ერთხელ მაინც ეკითხა, ეს მშვენიერი ქუდი რომელმა ოსტატმა შეკერა?

* * *

ძია აბრამა შეცდა – მე ვკითხე მათეს, ეს მშვენიერი ქუდი ვინ შეგიკერა-მეთქი. საქმე ის გახლდათ, რომ სწორედ იმხანად ჩემი ქუდი მატარებელში დამრჩა (თანაც ზამთარი კარს იყო მომდგარი, მე კი თავზე მათეზე მეტი თმით ნამდვილად ვერ დავიკვეხნი). ვიფიქრე, მოდი, ნოველას დავწერ ძია აბრამაზე და ჰონორარით ახალ ქუდს მასვე შევაკერინებ-მეთქი.

მივედი სახელოსნოში, მაგრამ ძია აბრამას რომ ქუდების კერვისთვის თავი დაუნებებია? დადის თურმე სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ჩივის უსამართლობას – ყველანი ჩემი შეკერილი ქუდებით თავს იწონებთ და რატომ ერთხელ მაინც შემკერავს არ ახსენებთო.

ყველგან ყურადღებით უსმენენ, აიმედებენ – მოვუვლით მაგ საქმეს, ერთი კვირის შემდეგ გამოიარეთო...

1983

ალექსა

მახსენდება პაპა ალექსა – მოსული ტანისა, მაგრამ სიმაღლე ეგრე რიგად არ ეტყობოდა, იმ სისხო იყო; უზარმაზარი თეთრი ულვაშები და მბრწყინავი მელოტი თავი შიშით თუ არა, რიდით მაინც განგვაწყობდა ეზოს ბავშვებს. მე რატომღაც გამომარჩევდა და ხშირად ჭადრაკის სათამაშოდ დამიძახებდა ხოლმე.

...პაპა ალექსამ შოფრობა 1905 წელს დაიწყო; ეს ხელობა XX საუკუნის დასაწყისში (და ბევრად გვიანაც) გმირულ პროფესიად ითვლებოდა. მაშინდელი "კოსმონავტები" საათში 20-30 კილომეტრის სისწრაფით ავტომობილის გაქროლებით ანცვიფრებდნენ მოწიფულ მოქალაქეებს და აღტაცებას ჰგვრიდნენ ბავშვებს. ალექსა შოფრის მარტო მაშინდელი ჩაცმულობა უნდა გენახათ: ტყავის ქურთუკი, ასეთივე ქუდი და ხელთათმანები (ეს უკანასკნელი – იდაყვამდე!), დიდი სათვალეები... და ამ შთამბეჭდავ სურათს კი აგვირგვინებდა უზარმაზარი გაფანჩული ულვაშები! ჰო, ფეხზე ეცვა ტყავის კრაგები – ჭრაჭუნა და მბრწყინავი... იმის შეხედვას არაფერი სჯობდა! გვერდით ედგა შეგირდი ბიჭი – და ცალი წარბის აზიდვით მიცემული ბრძანებების შესასრულებლად თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. მანქანას ხომ ნუღა იტყვი – შავად მბრწყინავი, გაკრიალებული! ახლა იმის დაქოქვას აღარ იკითხავთ?!. ან რა სიგნალი ჰქონდა, ან ნავთის ფარნები!

ხშირად უხდებოდა თბილისიდან ხაშურში და იმის იქითაც მანქანით გამგზავრება. გზაზე ყველა იცნობდა ალექსა შოფერს – არ გამოტოვებდა გზისპირა არც ერთ დუქანს თუ სასაუზმეს, რომ არ გაეჩერებინა და არ გადმოსულიყო მანქანიდან. შევიდოდა დუქანში, ხელის აწევით მიესალმებოდა იქ მყოფთ და მასაც შეეგებებოდნენ მხიარული შეძახილებით: "ვაჰ, ალექსას გაუმარჯოს! სად დაიკარგე კაცო!" და მიიპატიჟებდნენ სუფრასთან. ალექსა დინჯად გადაუხდიდა მადლობას, მედიდურად მიუჯდებოდა მაგიდას, დალოცავდა იქ მყოფთ და ღვინიან ჭიქას ოდნავ დააკარებდა ტუჩს – ეს იყო მისი ლხინი. მცირე ხანში ისევ მადლობას მოახსენებდა ყველას, ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობებოდა და თავმომწონედ გაიჯგიმებოდა მანქანაში. "აბა, დაატრიალე!" – უბრძანებდა შეგირდს; ისიც ეცემოდა სახელურს, დაქოქავდა მანქანას და დაიძვროდნენ ადგილიდან; თან მიჰყვებოდათ აღტაცებული შეძახილები. მიაღწევდნენ შემდეგ დუქანს და იგივე ცერემონია მეორდებოდა...

როცა საკმაოდ მოხუცდა და გაუჭირდა მძიმე საჭის ტრიალი, ახალგაზრდები ეხვეწებოდნენ ხოლმე – პაპა ალექსა, გამოგვაყვანინე გარაჟიდან მანქანაო. ისიც მოწყალედ თანხმდებოდა და ხელმძღვანელ მითითებებს იძლეოდა. ასეთი სპექტაკლი ხშირად თამაშდებოდა... მრავალი მოწაფე ჰყავდა, ბევრი შოფერი გამოზარდა. პაპა ალექსა ყველას უყვარდა და ეცოდებოდა. პენსიაში გასვლის შემდეგ ბარე ოცი წელი გასულიყო და მედიდური მიხრა-მოხრა და მბრძანებლური ინტონაციები ლაპარაკში კი მაინც შერჩენოდა...

ისე კი, სიმართლე რომ მოგახსენოთ, ჭადრაკში დიდი ვერაფერი მოთამაშე იყო – ჩემთან დიდიდიდი ყაიმისთვის მიეღწია. ბავშვი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, რომ ზოგჯერ უნდა დამეთმო, მისი ყოფილი მოწაფეების მაგალითი ხომ თვალწინ მქონდა.

1992

ალიკო

თბილის-ბორჯომის მატარებელი ბორბლების რაკარუკით მიირწევა. ეკა, მისი ქმარი – არნოლდი – და ორი შვილი – 9 წლის ოთარი და 10 წლის მაკარი – მატარებლის სვლის მიმართულებით სხედან. მათ პირისპირ ხნიერი ცოლ-ქმარი და ლალი არიან მოკალათებულნი. ლალის კალთაში სამი წლის ქალიშვილი უზის; იქვე, მეორე რიგის სკამის კიდეზე ლალის მამამთილი ყვინთავს, მათ შორის კი გასასვლელში ფეხზე დგას ლალის ქმარი, ალიკო – მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა, სულ მთლიანად, ფეხსაცმელ-შარვალ-პიჯაკიანად, თეთრებში გამოწყობილი. მხოლოდ შარვლის უკანა ჯიბეში ჩადებული უცხოური სიგარეტის წითელი კოლოფია "ამოვარდნილი" გამიდან. ალიკო საყოველთაო ყურადღებას იპყრობს – აშოლტილი ტანითაც, შავი გრუზა თმითაც და გამხდარი, ნატიფად ჩამოქნილი სახითაც; დიდი, მეტყველი თვალები და კოხტად გამოყვანილი ტუჩები ამშვენებს – "არისტოკრატული" გარეგნობა აქვს.

ლალის პატარა გოგონა დედას ჰგავს – მასავით თეთრყირმიზი, ცისფერთვალა და ბუნჩულაა; ფრიად მოძრავი, მოუსვენარია – ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, თუმცა, ეტყობა, რომ სუსტი აგებულების ბავშვია. ლალი უყვება ეკას, რომ მეორე ქალიშვილიც ჰყავთ, ერთი წლის ახლა გახდა; შინ დატოვეს, ამ გოგონამ კი ლამის გადაიყოლა – სულ ავადობს... რაც კი საყმაწვილო ავადმყოფობაა,

თითქმის ყველა გადაიტანა, მერე მთელ ტანზე ძირმაგარები დააყარა, გაიტანჯა პატარაც და გაიტანჯა დედამისიც... ძლივს მოურჩინეს, სულ ახლახან მოკეთდა, როგორც იქნა. ახლა მამამთილის დაჟინებით, მასთან მიდიან სოფელში 2-3 კვირით, ბავშვს მოუხდებაო.

ხნიერი ცოლ-ქმარი მსხალს შეექცევა (სულ რაღაც-რაღაცეებს მიირთმევენ; ქალს მისი ასაკისთვის შეუფერებელი მეტისმეტად ჭრელი კაბა აცვია, მას და მის ქმარსაც თმა მუქ ყავისფრად აქვთ შეღებილი). ეკამ შეატყო, როგორ დაჟინებით მიაპყრო ცოცხალი თვალები მათ პატარა გოგომ, ცეკლოფანის პარკიდან ამოიღო ლოყაწითელი დიდი ვაშლი და მიაწოდა (თითო-თითო თავის ბიჭებსაც მისცა). გოგონა ეცა ვაშლს და ხარბად ჩაკბიჩა. ლალის უკვირს – ძალიან უჭმელი ბავშვია, ახლა ასე რამ გააცოფაო. მერე გოგომ მეორე მიწოდებული ვაშლიც მიირთვა, არც კარტოფილიან ღვეზელზე უთქვამს უარი...

ოთარიკოს უცებ მუცელი ასტკივდა, მოიკუნტა, მაგრამ ვაუკაცურად იტანდა, მხოლოდ ოდნავ კრუსუნებდა. წყალი არავის აღმოაჩნდა, არც – "ბორჯომი", თუმცა ლალიმ მთელი ვაგონი შეაწრიალა და ქმარს, ალიკოს, სხვა ვაგონებშიც აძებნინა.

ეკამ გადახედა გამელოტებულ, ღიპიან არნოლდს, მჯდომარეს რომ ჩასძინებოდა და ლალის უთხრა – რა ლამაზი ქმარი გყავსო, თან რა დაუზარელია, აბა ოთარიკოს გასაჭირი ჩემს მეუღლეს არც გაუგია, გემრიელად ხვრინავსო.

ლალი საერთოდ ენაჭარტალაა, ახლაც ისარგებლა იმით, რომ ალიკო მოშორებით დაჯდა გათავისუფლებულ ადგილზე (ქალიშვილიც წაიყვანა და მუხლებზე დაისვა) და ეკას გადაუშალა გული: აღარ ვიცი, რა ვქნა, ისე ვარ გაწამებულიო; სული ძლივს მიდგას – 65 კილოს ვიწონიდი, ახლა 50 ძლივს ვარო; ჩემი ქმარი, ალიკო, უქნარაა – არც სწავლობს, არც მუშაობა უნდა, ასე დაყიალობს ზევით-ქვევითო; ხანდახან ვითომ მოეწყობა სამუშაოზე, როცა ნამუსზე შევაგდებთო, წაიმუშავებს ორ-სამ კვირას, მერე ანებებს თავს, ვერ ძლებს და ისევ უსაქმურობსო; მამამისის ხელის შემყურეა, ის არ არის დიდი შეძლების პატრონი, მაგრამ ცოტ-ცოტას მაინც გვეხმარებაო; ახლა ჩემი პატარა გოგო ერთი წლის გახდება თვის ბოლოს და ძალიან მიჭირს, მაგრამ იძულებული ვიქნები, სამუშაოდ გავიდეო...

კიდევ დიდხანს ილაპარაკა, სულ წვრილად ჩამოუკენჭა თავისი ოჯახის ავ-კარგი, განსაკუთრებით – დედამთილ-მამამთილთან ურთიერთობა...

ამ დროს ხაშურსაც მიაღწიეს. ლალიმ ეკას ბავშვები გადაჰკოცნა, მოკუნტულ ოთარს თავზეც გადაუსვა ხელი – გამაგრდი, ბიჭოო, ეკას კი უთხრა, ნეტავ ბოთლი გვაშოვნინა, წყალს მოგირბენინებდითო. მისი ქმარი და მამამთილიც გამოემშვიდობნენ ახალგაცნობილთ და ვაგონიდან ჩავიდნენ.

მატარებელი უკვე დაძრული იყო, როცა ღია ფანჯარასთან საიდანღაც მოირბინა ალიკომ, ეკას მიაწოდა ორი ბოთლი მინერალური წყალი "მიტარბი", თან ბოდიშიც მოუხადა, "ბორჯომი" არ იყოო. "არისტოკრატ" ალიკოს ხმაც საუცხოო აღმოაჩნდა – ღრმა, ხავერდოვანი ბანი...

1986

ანატოლი

გახსოვს ანატოლი? აი ის, მაღალი რომ იყო, აწოწილი, გამხდარი, გრძელცხვირა. ვერ გაიხსენე? სულ რომ ჩუმად იყო... ჰო, ნატოს რომ არ ცილდებოდა გვერდიდან, ფინია ძაღლივით სულ თვალებში შესციცინებდა... მაინც ვერ გაიხსენე? ა-ა-ა, შენ რომ ჩვენთან დაიწყე მუშაობა, მაშინ წავიდა ბათუმში თუ სოხუმში, კარგად არ მახსოვს... რომელიღაც სანატორიუმის მომმარაგებლად მოეწყო ნათესავის დახმარებით.

ნატოს ხომ იცნობ, უკვე სტუდენტი შვილები ჰყავს და მაინც კაი შესახედავი ქალია, ამ ოცდახუთი წლის წინ კი ნამდვილი მზეთუნახავი იყო. ოღონდ წინა ზევითა კბილებს შორის საკმაოდ დიდი ღრიჭო ამშვენებდა, ჰოდა, ცოტა ყვრიმალებიც ოდნავ მონღოლურ ყაიდაზე ჰქონდა გამოწეული პირმრგვალ სახეზე (მგონი, დედა ჰყავდა უცხო ტომის); ვეხუმრებოდით კიდეც, ლოყები ვაშლებს მიგიგავს, კაცს ჩასაკბეჩად წაუცდება სულიო, რაზედაც ნატო წამოწითლდებოდა, გაფხუკიანდებოდა და კარგა ხანს ხმას აღარ იღებდა. თხელი გოგო იყო, სიფრიფანა, თანაც საშუალოზე ბევრად მაღალი, გრძელი, ნატიფად გამოქანდაკებული კიდურებით – ჯიშიანი, გამორჩეული იერით. პიროვნული თვისებებითაც გამოირჩეოდა: იყო ძალზე აუჩქარებელი, დინჯი, დამყოლი – ყველას უყვარდა სიკეთისა და კეთილშობილებისთვის. ხნიერებს ეცოდებოდათ კიდეც – ობოლი იყო, ბებია ზრდიდა; ჩვენ კი ვერ ვგრძნობდით მის ობლობას, ახალგაზრდები ვიყავით, ცოტათი ქარაფშუტებიც – ვხედავდით, ნატო ყოველთვის სადად, მაგრამ კოხტად იყო ჩაცმული, თითქმის სულ იღიმებოდა, ნაცრისფერ თვალებს წკურავდა და კიდევ უფრო ინაკვთებოდა მისი "აზიური" ყვრიმალები...

ყველასადმი კეთილად იყო განწყობილი, ანატოლიმ კი ვერაფრით მოიგო მისი გული...

ანატოლი ტკიპასავით მიეწება, არ სცილდებოდა! რომელ გეოლოგიურ პარტიაშიც ნატოს გადაიყვანდნენ (ასეთი გადაყვან-გადმოყვანა ჩვეულებრივი ამბავი იყო ჩვენს გეოლოგიურ დაწესებულებაში), ანატოლი იმდენს გაძვრებ-გამოძვრებოდა, რომ აუცილებლად იმავე პარტიაში გადავიდოდა. და მაშინ მიეცემოდათ ლხენა იმ პარტიის თანამშრომლებს! ველზე გამგზავრებულებს ანატოლი ყველას დაასწრებდა, გეოლოგიური პარტიის დასაბანაკებლად სოფელს ერთი ათჯერ აღმა-დაღმა დაირბენდა და ყველაზე საუკეთესო ბინას აგვირჩევდა პარტიის ბაზისთვის, თანაც საკმაოდ იაფადაც – მარიფათიანი ბიჭი იყო.

დილა არ იყო გათენებული, რომ ანატოლი უკვე წამომხტარი იყო ფეხზე – საუზმეს მოამზადებდა, საველე სამუშაოებისთვის საჭიროს ყოველივეს ზურგჩანთებში ჩაალაგებდა, არ დაავიწყდებოდა არც საგზალი შუადღეზე დასვენებისას მისართმევად... საჭმელი ხომ ნაირ-ნაირი, საუკეთესო, თავზე საყრელი გვქონდა – ანატოლი გაუჩენელს გააჩენდა. საღამოს გამოსავათებულნი, დაღლილ-დაქანცულნი რომ დავბრუნდებოდით მარშრუტიდან, ანატოლი (მთელი დღე ნიმუშებით გატენილ ყველაზე მძიმე ზურგჩანთას ის ათრევდა) ცოტას წაიხემსებდა და გავარდებოდა, სადღაც გადაიკარგებოდა შოფერთან ერთად... ერთ-ორ საათში დაბრუნდებოდა და რა გინდა სულო და გულო – ყველაფერს იშოვიდა!.. საუკეთესო ხორცს, ყველს, თევზს, ხილს, მწვანილიც არ დაავიწყდებოდა! საუცხოო ღვინო ხომ ულევი გვქონდა.

ნატოს გული კი ვერაფრით მოინადირა, ვერც უბედავდა სიტყვის თქმას; ის კი არა, პირდაპირ შეხედვისაც ერიდებოდა ამ თითქოსდა ჯიუტსა და თავხედ ბიჭსაც კი – თუ ანაზდად ქალის მზერას წააწყდებოდა, სახეზე წამოჭარხლდებოდა და თვალს მაშინვე მოარიდებდა...

ახლა რასა იქმს ანატოლი? ჯერ საგარეო საქმეებს შევეხოთ. ჩვენი დაწესებულებიდან წასვლის შემდეგ, ოც წელიწადში გამოიცვალა ალბათ ოცზე მეტი სამუშაო ადგილი: იყო საწყობის გამგე, ერთხანს მილიციაშიც მოღვაწეობდა, მაგრამ მალე გამოაძუნძულეს (კაცი პისტოლეტით დაჭრა, კინაღამ შემოაკვდა), მერე რაღაც წვრილ-წვრილი თანამდებობები ეკავა, ამჟამად კი, აგერ ათ წელზე მეტია, ფილარმონიის ხაზით მოღვაწეობს. არ გეგონოთ, ხელოვნების მუზის მხევალი იყოს – ცეკვავდეს, მღეროდეს, უკრავდეს ან თუნდაც ფოკუსებს აკეთებდეს... არა, ადმინისტრატორია და სხვადასხვა სახის ღონისძიებებს უწევს ორგანიზებას. ისე, კაცმა რომ თქვას, პატარ-პატარა "ფოკუსებსაც" აკეთებს, მაგალითად, საახალწლო ნაძვის ხეებზე "ზედმეტი" ბილეთებით მანიპულაციებს, რომლებიც საკმაოდ უთბობს ჯიბეს (რაღა თქმა უნდა, ზოგიერთ სხვა პიროვნებასთან ერთად)...

ახლა საშინაო საკითხებსაც მოვფინოთ ნათელი. ნატო რომ გათხოვდა (მართლაც ყოველმხრივ კარგი ქმარი შეხვდა ობლობაში გაზრდილს!), ანატოლი სხვაგან გადავიდა სამუშაოდ, მერე ნახევარ წელიწადში დაქორწინდა კიდეც. სამწუხაროდ, ბედნიერებას ვერ ეწია: გოგონა შეეძინა თუ არა, მაშინვე განქორწინდა – ცოლი მეტად აშარი გამოდგა. მალევე მეორე ცოლი ითხოვა, განათხოვარი ლამაზმანი. ორი წლის შემდეგ მასაც ოფიციალურად გასცილდა – საყვარელთან გამოიჭირა. შემდეგ თბილისში დაბრუნდა, მესამედ იქორწინა – ისევ განათხოვარ, ოღონდ ბავშვიან ქალზე, რომელსაც ხუთი წლის ქალიშვილი მოჰყვა. ერთ წელიწადში საკუთარი ვაჟიც შეეძინა, რომელიც ახლა ათი წლისაა, მისმა ქალიშვილმა პირველი ქორწინებიდან კი უკვე სკოლა დაამთავრა.

აი, ასე აეწყო ანატოლის საქმეები. ჰო, ბატონი ანატოლი გარეგნულად საკმაოდ შეიცვალა, შეიძლება ითქვას, დამშვენდა და უფრო ახალგაზრდული იერიც კი აქვს, ვიდრე ამ ოცი წლის უკან ჰქონდა. საოცარია, ტარანივით გამხდარი იყო ყოველთვის და ამ ბოლო წლებში კი უცებ გასუქდა – 25 კილოგრამი მოიმატა წონაში! პატარა ღიპიკოც კი დაიმშვენა. დადის ჩვენი ანატოლი ყველაფრით კმაყოფილი – ღამით, რა თქმა უნდა, ძინავს, დღისით კი – სამუშაოზეა, ისვენებს თუ ერთობა – ერთთავად გასაღებების ასხმულას ათამაშებს ხელში. აუჩქარებელი სიარულიც ისწავლა და შეიფერა (სად ეჩქარება!), ბედს არ ემდურის (ძალაუნებურად!), არც რაიმეს ახალს ან მოულოდნელს მოელის ცხოვრებაში.

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: ახლახან ახალთახალი მანქანა შეიძინა ("ჟიგული-06!) და თუ ქუჩაში ნაცნობმა ხელი აუწია, არ დაზარდება, სიამოვნებით ჩაისვამს და ადგილზეც მშვიდობით მიიყვანს. რამდენჯერმე მეც ვიმგზავრე მისი მანქანით – მშვენივრად დაჰყავს!

1985

ანგია

მაგარი ბიჭია ანგია!

ყოჩაღი ბიჭია ანგია!

ფხიანი ბიჭია ანგია!

თუმცა, რაღა ბიჭია, ოცდაათ წელს უკაკუნებს უკვე.

ანგია უზბეკეთში, ქალაქ ბუხარაში, რკინიგზის სადგურის ბუფეტში შემთხვევით გაიცნეს თითქმის მისმა ტოლმა ქართველმა გეოლოგებმა – თეიმურაზმა და ანდრომ, რომლებიც რამდენიმე თვით იყვნენ მივლინებულნი რაღაც საქმეზე.

მოკლე ხანში ანგია მებუფეტეს გეოლოგები დაუმეგობრდნენ. მოსწონდათ მისი ახოვანება, რაჭული სიდინჯე და საფუძვლიანობა; ამავე დროს უკვირდათ, საიდან ჰქონდა ზემო რაჭის მთის მიყრუებულ სოფელში გაზრდილ კაცს ამდენი თანდაყოლილი კეთილშობილება და სიდარბაისლე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ამ მხარეში ადრე გადმოხვეწილ ნათესავს შეუფარებია ენერგიული და ალღოიანი ყმაწვილი. მალე ანგიამ იმავე ნათესავის წყალობით რკინიგზის ბუფეტში დაიწყო მუშაობა და აგერ უკვე ათ წელზე მეტია, ერთ ადგილს არ მოშორებია. შემოსავალი საკმაო ჰქონდა, ბედს არ ემდუროდა, ერთი რამ უთანღრავდა მხოლოდ გულს... როგორც თეიმურაზსა და ანდროს უთხრა, მას დიდად სიამოვნებდა მათთან საუბრები; როგორც ჩანს, გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდა მებუფეტეობა, არ მოსწონდა კოლეგები, მაგრამ, მეორეს მხრივ, ბუფეტში მოღვაწეობით მოგებულ ფულს კი დიდ პატივს სცემდა... არც ის დაუმალავს, რომ მისი სანუკვარი ოცნება იყო, ერთიორი კვირა გაეტარებინა მათსავით განათლებულ და კულტურულ საზოგადოებაში.

– თუ სადმე წასვლას დააპირებთ, გინდაც რამდენიმე დღით, ერთხელ მეც წამიყვანეთ, თქვენი ჭირიმე! – შეევედრა ანგია ახალგაზრდებს. – ფულს, თუ გინდათ, ჩემოდნით წამოვიღებ, ოღონდ ჩემს ოცნებას ხორცი შეესხას!

მართლაც, ერთხელ თეიმურაზი და ანდრო ტაშკენტს გაემგზავრნენ და თან ანგიაც წაიყვანეს. ანგია ისე ძვირფასად გამოეწყო-გამოიპრანჭა, რომ აშკარად გამოირჩეოდა სადად ჩაცმულ გეოლოგთა ფონზე.

ტაშკენტის გაცნობა ანგიას წინადადებით და დანარჩენთა ერთსულოვანი დასტურით რესტორნიდან დაიწყეს.

მართლაც გემრიელი სუფრა გაიწყო! ოფიციანტმა ქალმა ბოთლებით შეკვეთილი ღვინო მოიტანა და დადგა მაგიდაზე. ანგიამ ჯენტლმენობა გამოიჩინა: ერთ ბოთლს დაავლო ხელი და წამში დიდოსტატურად გახსნა, შემდეგ – მეორე, მესამე...

– თქვენ ოფიციანტი ან მებუფეტე ბრძანდებით, ხომ? – მკვირცხლად ჰკითხა ანგიას ოფიციანტმა ქალმა.

ანგია გაშრა.

ჩვეულ ზრდილობას უღალატა და კითხვა უპასუხოდ დატოვა.

უნდა გენახათ ანგიას დანაღვლიანება!

მეოთხე ბოთლი გაუხსნელი დარჩა.

– ქვე შენი ჭირიმე, ამ შობელძაღლმა როგორ მიცნო, ა?!. მაინც, რით მიხვდა, როგორ გამომარჩია?!.

1970

ანზორ

შორიდანვე ვიცანი, თუმცა – აუჰ! – რა ხანია, აღარ მენახა.

გულმა რაღაც ცუდი მიაზრა.

მოვასწრებდი ქუჩის მეორე მხარეზე დროულად გადასვლას (მაინც უნდა გადავსულიყავი), მაგრამ რატომღაც ძველებურად განვაგრძე გზა. უსიამოვნო შეხვედრა კიდევ შემეძლო ამეცილებინა; ვიფიქრე, ზედაც არ შევხედავ, ვითომ ვერ ვიცანი...

და სწორედ მაშინ, როცა გვერდზე უნდა ჩამევლო, რატომღაც ჯიქურ მივაჩერდი (ის სულ არ მიყურებდა) და ვითომ გახარებულმა წამოვიძახე:

– ანზორ!

მაღალმა, ზორბა ტანის, უკვე საკმაოდ გამელოტებულმა ქერა მამაკაცმა გაკვირვებით შემომხედა, ერთხანს მართლა ვერ მიცნო, მერე ააცმაცუნა მეჩხერი, წითური, წინ უშნოდ წამოზრდილ-გაფარჩხული ულვაშები:

– კაცო, დიმიტრი ხარ ხომ შენ?

საკუთარ თავს ვწყევლი – ეს რა ჭირად გამოველაპარაკე? ანზორთან ახლო ურთიერთობა არასდროს მქონია. თავიდანვე ერთ ჯგუფში ვსწავლობდით და რატომღაც სტუდენტობის პირველი დღეებიდანვე ავითვალწუნე, თუმცა გარეგნულად ყოველმხრივ ვცდილობდი, პირიქით მომეჩვენებინა თავი. ცოდნა-განათლებით და ნიჭიერებით არ გამოირჩეოდა, სამაგიეროდ მეტისმეტად თავდაჯერებული ლაპარაკი უყვარდა; ჯან-ღონით სხვებს სჯობდა და ხშირადაც უბოდიშოდ აგრძნობინებდა ხოლმე – მეგობრებსაც კი. ყოველთვის ხაზგასმული ფამილარობით ვექცეოდი, ვითომდა ჩემი ძმაკაცი ხარმეთქი. ხანდახან თვითონაც მიკვირდა, რატომ ვიქცეოდი ასე, მიკვირდა და მაინც ძველებურად ვუტყაპუნებდი მხარზე ხელს – სრულიად საწინააღმდეგოს ვაკეთებდი ჩემივე სურვილისა, თითქოს ვიღაცა შინიდან მიბიძგებდა და მაიძულებდა, შემენიღბა ჩემი ნამდვილი დამოკიდებულება.

კიდევ კარგი, როგორც ვთქვი, მაინცდამაინც ახლო ურთიერთობა არ გვქონდა, თორემ ადვილი შესაძლებელია, ანზორს განეჭვრიტა ჩემი "თამაში" და არ არის გამორიცხული – მიმტყეპდა კიდეც: რას მაიმუნობ, დასაცინი სხვა ვერავინ ნახეო?

აი, ახლა კი, სტუდენტობის დროიდან ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა, ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ და, კაცმა რომ თქვას, არც ერთმა ვიცით, რაზე ვილაპარაკოთ... "სავსებით უცხონი ვართ ერთმანეთისთვის და ავტობუსში შემთხვევით მგზავრს უფრო იოლად გავუბამ საუბარს, ვიდრე ამ ვირეშმაკას..." – ვფიქრობ გუნებაში. – "რას ვიტკივებდი აუტკივარ თავს? შენ ჩემო ოხერო ხასიათო, სადარდებლად და საფიქრალად სხვა ბევრი რამეც ყელამდე სავსე გაქვს, ამ მუტრუკის ამბავი რაში გაინტერესებს, რა საქონელიც იყო, იგივე დარჩებოდა, თუ უარესი არ გახდა, მაგნაირ ხალხს რა მოარჯულებს?"

მეგობრულად ვუტყაპუნებ მხარზე ხელს, ვუღიმი, თვალებში თანაგრძნობით ჩავცქერი და ვეკითხები:

– ისე, ჩემო ანზორ, ყოველთვის მაგარი ბიჭი იყავი და ახლა ხომ ხარ ვაცივით? სად მოღვაწეობ?

და ვითომ დიდი გულისყურით ვისმენ ანზორის ხრინწიან ნალაპარაკევს: რომელიღაც სამშენებლო ტრესტის მმართველი ყოფილა, პერსონალური მანქანით დაბრძანდება, მაგრამ გაჰფუჭებია და ამ ბედნიერი შემთხვევის წყალობითაა, რომ ქუჩაში ფეხით მიმავალი შემხვდა.

– ჰო, შენ ყოველთვის გამოირჩეოდი, მეგონა, მინისტრი თუ არა, მინისტრის მოადგილე მაინც იქნებოდი! – საკუთარ ლაქლაქს განცვიფრებით ვუგდებ ყურს, – მაგრამ, ხომ იცი, ჩვენს დროში საქმეს ერთნი აკეთებენ, სახრავს კი სხვები დაითრევენ ხოლმე!

ანზორი მოწყალე ღიმილში აჩენს ოქროს კბილს:

– მპირდებიან... მოკლე ხანში! ვნახოთ... ვნახოთ, რა იქნება...

ვიცი, ვიცი, ჩემო ანზორ, რაც იქნება! გახდები მინისტრის მოადგილე, მერე იქნებ მეტსაც მიაღწიო... აგერ კარგა მოზრდილი ღიპიკო მოგსწრებია შვილივით, "საჭირო ხალხთან" კავშირის დაჭერის ნიჭი და მარიფათი ღმერთმა დაგანათლა და ის თუ გახსოვს, სწავლაში რა მაჩანჩალაც იყავი და რამდენჯერ სტიპენდიაც მოგიხსნეს გამოცდებზე ჩაჭრის გამო? ერთხელ ისე "იმარჯვე", რომ გარიცხვაც გელოდა, მაგრამ მამაშენის ნაცნობ-მეგობრები დატრიალდნენ და გადარჩი...

– სხვა? ცოლ-შვილი ხომ კარგად? – შევციცინებ ისევ თვალებში ერთგულ გოშიასავით.

– რა გვიჭირს, ღვთის მადლით... ბიჭმა სამშენებლო დაამთავრა, ახლა დაიწყო მუშაობა; გოგო – სამედიცინოზეა, მესამე კურსზე.

– ძალიან კარგი, ძალიან კარგი...

უსიამოვნო პაუზა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა... დაემშვიდობე, შე გლახაკო, და ეწიე შენს გზას!" – მკარნახობს შინაგანი ხმა. – "ხომ ხედავ სულ ფეხებზე ჰკიდიხარ, აბა, ერთი თუ იკითხა შენი ამბავი?". მაინც მივშტერებივარ, იდიოტივით ვლუღლუღებ რაღაცას, ვგონებ, მისი დედ-მამის ჯანმრთელობა მაინტერესებს...

ანზორ-ბატონი მელაპარაკება, თვალებში ვუყურებ და თითქოს ახლა აღმოვაჩინე, რა ასიმეტრიული სახე ჰქონია. ცნობილია, ნებისმიერი ადამიანის სახე მეტ-ნაკლებად ასიმეტრიულია, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, არც იმდენად, რომ თვალში მოგხვდეს, ანზორის ცხვირი კი მარჯვნივ არის ცხადად გაღუნული და ნიკაპის მარჯვენა მხარეც სიდიდით ბევრად სჭარბობს მარცხენას...

სამაგიეროდ, ეტყობა, მე ტვინი მაქვს ნაღრძობი. ახლა ძველთაძველი ამბების მოგონებებს ვეპოტინები.

– გახსოვს, რა მაგარი დამრტყმელი იყავი?! ინსტიტუტის ეზოში რომ გაგიჩმახა ერთმა გეოდეზიის პრაქტიკუმის დროს, მგონი, პარალელური ჯგუფიდან იყო... როგორ ხიე ყურისძირში და გააგორე მიწაზე!.. – ვეუბნები, თან ყურადღებით ვათვალიერებ ანზორის ქოჩრის ნარჩენებს, ქონმორეულ ყბებს, ჩამოქაჩულ, ჩაწითლებულ თვალთა უპეებს. – მერე ის ბიჭი შენზე გვეკითხებოდა, მოკრივე ხომ არ არისო...

ანზორი ქედმაღლურად ღეჭავს:

— ბევრი ყბა გამილამაზებია, რომელი ერთი გავიხსენო... წავიდა ის დრო, კარგი დრო იყო. — ხაზგასმული გულგრილობით ლაპარაკობს, ეტყობა, უნდა მაგრძნობინოს, შენისთანებთან არ ღირს ლაპარაკიო... მართლაც, ვინ ვარ მისთვის მე? ერთი ტილიანი მეცნიერებათა კანდიდატი, შიმშილით რომ სული სძვრება, ოროთახიან სტანდარტულ, უხეირო ბინაში შეყუჟულს... თუმცა, ალბათ არც ჩემი კანდიდატობა იცის, არც სხვა რამე აინტერესებს ჩემი. დაემშვიდობე ახლა და წადი შენი გზით... ამის მაგივრად ვეკითხები:

— ბიჭებს ხვდები?

— არა, მშენებელს დრო ვინ მისცა თავისუფალი, შაბათი და კვირა ჩვენთვის არ არსებობს... თან საბაღე ნაკვეთში სახლს ვაშენებ, სოფელშიც მაქვს სახლ-კარი, იმასაც მიხედვა უნდა.

"აგიშენებია ქვეყანა" — გუნებაში ირონიულად ვაქებ.

— აბა, კარგად იყავი! — თავს მიქნევს ანზორი და უბოდიშოდ აჩქარებით მცილდება.

შვებით ამოვისუნთქე.

— მოიცა, მოიცა! — უცებ გამოვეკიდე უკან. ქოშინით მივირბინე შუბლშეჭმუხვნილ ანზორთან, პორტფელიდან სასწრაფოდ ჩემი ახალგამოსული მონოგრაფია ამოვიღე და თავფურცელზე წავაწერე:

"ჩემს ძმას, ანზორს, დიდი სიყვარულით,
ავტორისგან".

...მერე მთელი საღამო საკუთარი თავის ლანძღვა-გინებაში ვიყავი, ლამის იყო, საკუთარი თავი მეცემა...

რთული მოვლენაა ადამიანი!

1988

არჩილ

არჩილ კუკუმალაძე თავმოუბმელი კაცია.

ასეთი იყო ბავშვობიდანვე.

სკოლაში "პროფესორს" ეძახდნენ — ცხვირი სულ წიგნებში ჰქონდა ჩარგული. განათლებული მშობლები ჰყავდა, ორივენი ერთ-ერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მუშაობდნენ მეცნიერ მუშაკებად; ერთადერთი შვილი — არჩილი — გვიან შეეძინათ. აჩიკო ბავშვობიდანვე სამეცნიერო კამათის ატმოსფეროში იზრდებოდა. უყვარდა ქიმია — სულ მუავეებითა და ტუტეებით დაჭმულ-დალაქავებული ხელებით დადიოდა, ტანსაცმელიც აჭრელებული და ალაგ-ალაგ დახვრეტილი ჰქონდა. ფიზიკის ყველა დარგი იტაცებდა, ამოცანებს თამაშ-თამაშ იყვანდა, შინ ცდებს ატარებდა. ერთხელ საკმაოდ ძლიერი აფეთქების მსხვერპლი კინაღამ შეიქნა — ხანძარი გააჩინა. აკვარახჭინებდა საკუთარი სქემით გაკეთებულ რადიომიმღებებს, აგებდა მოქმედ მოდელებს პლანერებისა და თვითმფრინავებისა; საკუთარი ხელით გააკეთა პატარა ტელესკოპი და ღამღამობით ციურ მნათობებს აკვირდებოდა...

სკოლა ისე დაამთავრა, ვერცხლის მედალიც კი არ მისცეს, თუმცა მასწავლებლებს ნებისმიერ საგანში ტოლს არ უდებდა ცოდნით, ფრიადოსან მოწაფეებზე ხომ მთელი თავით მაღლა იდგა... მისი უბედურება ის იყო, რომ წერითი სამუშაოების დამთავრებას არ დააყენებდა საშველს — ისე დაწვრილებით და მეტისმეტი ჩაკირკიტებით გადმოსცემდა საკითხს, რომ ზარის დარეკვისას შუამდეც არ იყო მისული...

მედლის დაკარგვაზე არ უნაღვლია — უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები იოლად ჩააბარა. გეოფიზიკოსობა აირჩია — მრავალ მეცნიერებათა "გზაჯვარედინი". სწავლობდა ძალიან დიდხანს — თითო კურსის საგნებს ორ-სამ წელს ანდომებდა — სესიებისთვის საგნების მოსამზადებლად ვერ იცლიდა; კი არ ზარმაცობდა, სხვა ათასგვარი ინტერესი იტაცებდა, კითხვით თვალები ჰქონდა ამოღამებული. გადაიყვანეს დაუსწრებელ განყოფილებაზე — სულ მთლად უარესი... თხუთმეტი წლის შემდეგ, როგორც იქნა, ჭაპანწყვეტით დაასრულა უნივერსიტეტის კურსი. აკადემიკოსის ნიჭი და ცოდნა ჰქონდა, ოღონდ გამოყენებისა, პრაქტიკული რეალიზაციისა — ნოლი.

ორმოცდაათ წელს გადააცილა და ცოლის შერთვას ჯერაც არ ფიქრობს. ყველაფერს მიედ-მოედება, ყველაფერი იცის თითქოს — ცხოვრებისმიერ საკითხებში კი ჩანჩურაა. რიგით ინჟინერ-გეოფიზიკოსად მსახურობს გეოფიზიკური ექსპედიციის ერთ-ერთ საველე პარტიაში. გრამატიკა ბრწყინვალედ იცის და ანგარიშებს სხვა პარტიათა უფროსებიც ასწორებინებენ. იციან მისი განათლებულობის ამბავი, საიდან აღარ მოაკითხავენ რაიმე რთული საკითხის ასახსნელად ან საკონსულტაცი-

ოდ – მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორებიც კი, მაგრამ ისეთი გაჭიანურებული, მიხვეულ-მოხვეული, დაწვრილმანებული ახსნა იცის, რომ მაგარი ნებისყოფა გინდა მისი მრავალსაათიანი, გატაცებით წაკითხული "ლექციის" ბოლომდე მოსასმენად. ხშირად დეტალიზაციის ისეთ ლაბირინთებში შეიჭრება ხოლმე, რომ მთავარი საკითხი სადღაც გვერდზე რჩება ან სულაც გადაავიწყდება...

ჭადრაკში ვერავინ უგებს: ერთი რომ, მართლაც ძლიერად თამაშობს და, რაც მთავარია, მასთან თამაშს სულ სხვა მიზეზით ერიდებიან – თითო სვლაზე ნახევარ საათს მაინც ფიქრობს და გაძლება არ გინდა? სამაგიეროდ, კროსვორდების ამოხსნისას სიამოვნებით აკითხავენ ხოლმე, თუკი ძნელი კითხვა დაამუხრუჭებთ...

მრავალმა სცადა არჩილის "გამოსწორება", უჩიჩინებდნენ: ცოდნის შეძენა მხოლოდ ცოდნისთვის ფუჭია, მოკიდე ხელი რამეს, აიღე სადისერტაციო თემა, შენი ტვინის პატრონი სულ იოლად გაუმკლავდებიო.

თემა კი აიღო, მაგრამ წლები გადიოდა, არჩილი სამუშაოს დამთავრებას არ ჩქარობდა, კიდევ ბევრი საკითხი დარჩა გადაუჭრელიო; ისე გააჯანჯლა საქმე, რომ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი გარდაიცვალა, დაუნიშნეს ახალი; გავიდა დრო და ამანაც თქვენი ჭირი წაიღო; მესამეც შეურჩიეს – წინდახედულად ცოტა ახალგაზრდა! – მაგრამ... ყველას იმედის წყალი გადაეწურა – ეგ დისერტაციის დაცვას არასდროს დააყენებს საშველსო...

საოცარია: სხვებთან საუბრისას ახალი იდეები და პროექტები ულევად ებადება, სამეცნიერო შრომა კი სულ რამდენიმე თუ გამოაქვეყნა, ისინიც სხვებთან თანაავტორობით.

წლები გადის, ყველაფრის შეცნობის ლტოლვა კი არჩილს არ განელებია. რაიმე რომ დააინტერესებს, საფუძვლიანად, ძირისძირამდე შეისწავლის. ერთხელ საველე სამუშაოებზე იყო და გზად მკვდარი ცხენი ნახა დაგდებული. შეჩერდა, დაიჩოქა, ერთხანს ისე ათვალიერა, შემდეგ დანა ამოიღო და დაიწყო ცხენის ანატომიის შესწავლა. მთელი დღე ამას მოანდომა და დეტალურად, აკადემიურ დონეზე აითვისა ცხენის შინაგანი ორგანოებისა და ჩონჩხის აგებულება; სამსახურის საქმე სულ გადაავიწყდა... გვიან საღამოს მისი დაკარგვით შეფიქრიანებულმა კოლეგებმა არჩილის ძებნა დაიწყეს და როცა იპოვეს, უბის წიგნაკში ბეჯითად იხატავდა რაღაცას...

ამას წინათ არჩილს გულმა უმტყუნა – მიოკარდიუმის ინფარქტი!

საბედნიეროდ, გადარჩა.

მკურნალი ექიმები გააოცა: მათ ისე ელაპარაკებოდა, გამოჩენილი სპეციალისტ-მედიკოსი ეგონათ, იმდენად კარგად ერკვეოდა ამ ავადმყოფობის ყოველ წვრილმანში და ელექტროკარდიოგრამის წაკითხვაშიც კი – ტყუილად კი არ იყო გეოფიზიკოსი! ექიმებმა ისიც კი თქვეს, ამ კაცს თავის დროზე ვერ შეურჩევია შესაფერისი პროფესია, მისგან ბრწყინვალე ექიმი-კარდიოლოგი დადგებოდაო.

იქნებ მართლებიც არიან, მაგრამ, როცა მეც გადავიტანე მიოკარდიუმის ინფარქტი, არ ვისურვებდი მაშინ, არჩილის მსგავსი ექიმის ხელში მოვხვედრილიყავი...

1982

ბენია

ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ სოფლად მგზავრობა ძალიან ჭირდა; ავტობუსები სად იყო, სატვირთო მანქანით გადიოდნენ იოლას. მძღოლის ხელობა მეტად საპატიო იყო და დიდად დაფასებულიც.

შოფერი ბენია – ომახიანი, მარჯვე, ყოჩაღი, მუდამ ჩახმახივით შემართული – იმდენად დაბალი იყო, რომ, როგორც კვიმატი ენის პატრონნი ამბობდნენ, სატვირთო მანქანას ფეხზე მდგარი მართავდა... მაგრამ ვინ აჯობებდა ზემო იმერეთის უბედურ გზებზე მანქანის ტარებაში!

ჰყავდა შეგირდი – ახმახი, ბეჭებგანიერი, – კაბინაში ძლივს ეტეოდა.

– აბა, ამოჰკარი, ნოდარია! – ეტყოდა ბენია და ნოდარიც ფიცხლად ჩამოხტებოდა მანქანიდან, დასაქოქ სახელურს გაურჭობდა.

– ამას ორი ხელი რად უნდა?!. ამას ცალი ხელიც ეყოფა, მარტო ორი თითით დავქოქავ! – და ნოდარი თავისი დათვის ტორის საჩვენებელი და ცერა თითებით იოლად დაატრიალებდა სახელურს, თითქოს ერთობაო...

სხვა შოფრები ხშირად აგულიანებდნენ:

– მოდი, ბიჭო, ნოდარია, თუ კაცი ხარ, დაგვიტრიალე! ეს ოხერი, უშენოდ, ხომ იცი, არაფრად ვვარგივართ!

ნოდარი დაუზარელია, ხალისით უმართავს ხელს, ვინც კი სთხოვს.

ბენია ატყუებს, შოფრობას გასწავლიო; უკვე სამი წელია, ასე შეგირდად ჰყავს, ათასგვარ საქმეზე იხმარებს – ნოდარი ცოტა ჭკუასუსტია და საჭეს როგორ ანდობს. ნოდარის ბენია ღმერთად წარმოუდგენია – კაი დედმამიშვილია და ბენიას ვინმე თუნდაც ბუზს აუფრენს ან ხმამაღალ სიტყვას გაუბედავს...

1986

ბენო

ჩვეულებრივი ამბავია, როცა მავანი ჩივის, რომ ცხოვრებაში ვერ გაუმართლა – სულ სხვა ხელობას უნდა მოჰკიდებოდა, "ის" იყო მისი ჭეშმარიტი მოწოდება, მაგრამ სხვადასხვა ხელისშემშლელ გარემოებათა გამო ამ გზას დაადგა. უფრო ხშირად ხელოვნების დარგებს ეპოტინებიან ოცნებით: პალეონტოლოგი – ხელოვნებათმცოდნეობას, მშენებელი ინჟინერი – ფერმწერობას, მხაზველი თურმე ბალეტისთვის იყო გაჩენილი, ბიბლიოთეკარს მსახიობობა ესიზმრება...

ბენო შაშვიაშვილი, მასალათა გამძლეობის კათედრის დოცენტი, არ მიეკუთვნებოდა ზემოთ აღნიშნულ ტიპს – დაიცვა დისერტაცია და წარმატებით აგრძელებდა მეცნიერულ მოღვაწეობას. მაგრამ ერთხელ შემთხვევით შვილის ასტრონომიის სასკოლო სახელმძღვანელო ჩაუვარდა ხელში და, გაკვირვებულმა, აღმოაჩინა, რომ მეცნიერებაში დიდი ხარვეზები ყოფილა – ბევრი საკითხი დედამიწისა და სხვა ციური სხეულების წარმოშობისა ჯერ კიდევ იწვევს დავას; აზრთა სხვადასხვაობაა სამყაროს აგებულების, მისი მომავლის შესახებაც...

დიახ, ერთ მშვენიერ დღეს (თუ ღამეს?) ბატონ ბენოს მისთვის მანამდე უცნობმა ვარსკვლავმა მოსჭრა თვალი – კოსმოგონიამ ანუ მეცნიერებამ სამყაროს, როგორც ერთი მთლიანის, შესახებ. რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანი ერთგვარად კოსმოგონიის თეორეტიკოსია: თუკი ღამის მოკრიალებულ ცას ახედავს, ვარსკვლავთა ალმასებით მოჭედილ ლურჯ ხავერდს ჩაუკვირდება, მეტეორით წამიერად გახაზულ ნათელს თვალს გააყოლებს – აუცილებლად გაიფიქრებს: "რა ნამცეცა ვარ, ერთი ბეწო, ამ უკიდეგანო სამყაროში... ის კი არა, თვით დედამიწაც და, შესაძლოა, მზის სისტემაც კი, ერთი უმცირესი წერტილია მშფოთვარე და ამავე დროს უდაბურ გალაქტიკაში..." ბენოს წარმოსახვა მეორე კოსმოსური სიჩქარით ამუშავდა და ამ თემაზე უმოკლეს ვადაში მოზრდილი ტრაქტატი გამოაცხო.

ნაშრომის მონოგრაფიად გამოცემამდე ბატონმა ბენომ გადაწყვიტა, ფართო საზოგდოებრიობა გაებედნიერებინა და გეოლოგიური და გეოგრაფიული საზოგადოებების გაერთიანებულ გაფართოებულ სხდომაზე გამოვიდა სენსაციური მოხსენებით.

ზღვა ხალხი შეიკრიბა – ხმა დაირხა, მსოფლიო მეცნიერებაში გადატრიალება არის მოსალოდნელიო.

ბატონმა ბენომ წინდაწინ გააფრთხილა მსმენელნი (თითქოს ჩამორჩენილ სტუდენტებს უტარებდა დამატებით ლექციას) – გთხოვთ ჩაიწეროთ, ძალიან რთული საკითხებია, ძნელია უცებ მათში გარკვევაო; იმდენად რთული, რომ ზოგ ასპექტში სრული სინათლე ჩემთვისაც კი არ არსებობსო, – დაამატა თავმდაბლად.

მომხსენებელმა ჩამოაყალიბა თავისი ფრიად ორიგინალური თვალსაზრისი კოსმოგონიის მთელ რიგ ფუნდამენტურ პრობლემებზე, რომელთა ასახსნელადაც ამაოდ დაშვრნენ მრავალი თაობის ცნობილი მეცნიერ-ვარსკვლავები – ასტრონომები, გეოლოგები, მათემატიკოსები, ფილოსოფოსები... ბატონ ბენოს ღვაწლი კოსმოლოგიის განვითარებაში ძირითადად იმით განისაზღვრებოდა, რომ მისი ჰიპოთეზის თანახმად, სამყარო "სუნთქავს" – მისი გაფართოების პერიოდი იცვლება შეკუმშვის პერიოდით, რომელსაც ისევ მოჰყვება გაფართოება და ასე დაუსრულებლად...

ბენოს უამრავი კითხვა დააყარეს, სთხოვდნენ, განემარტა უფრო დაწვრილებით მისი ფრიად ორიგინალური თვალსაზრისის კონცეფციური და მეთოდოლოგიური საფუძვლები, აგრეთვე, რა ემპირიულ ბაზისს ემყარებოდა იგი ახალი თეორიის კონსტრუირებისას. ბატონ ბენოს ცხრა პირად გააძვრეს ტყავი: მას არა თუ არ წაეკითხა უახლესი შრომები, მაგალითად, ასტროფიზიკოსთა – რელიქტურ გამოსხივებათა შესახებ – ან ფიზიკოსთა უკანასკნელი გამოკვლევები შეუქცევად პროცესთა საერთო თეორიის შესაქმნელად, არამედ უმრავლესი ელემენტარული საკითხიც კი უცნობი ყოფილა მისთვის... ბატონი ბენო იძულებული იყო, მიკიბულ-მოკიბული პასუხები გაეცა და ხშირ-ხშირად იმეორებდა:

– ბოდიშს ვიხდი, გარეშე კითხვებს მაძლევთ... მე გეოლოგი არ ვარ სპეციალობით, არც – ასტროფიზიკოსი... ეს საკითხი მსოფლიო მეცნიერებაში ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის სათანადოდ გარკვეული...

ბენოს ნაცნობმა, ენაკვიმატმა გივი ელიზბარაძემ ვერ მოითმინა და ხუმრობით ვითომ მეცნიერული კითხვით მიმართა:

– ბატონო ბენედიქტე, სერიოზულად გიშრომიათ და დიდად საინტერესო მოხსენებაც მოვისმინეთ. მე მაინტერესებს, რა კავშირშია თქვენი თეორიის მიხედვით საწყისი სინგულარობა გაფართოების თუ შეკუმშვის ერთ-ერთ საბოლოო (პირობითად, რასაკვირველია) ეტაპთან? და აქვს თუ არა თქვენს კინემატიკურ მოდელს ნულოვანი ანათვალი, თუ იგი აბსოლუტური აზრით იცვლება უარყოფით მინუს ერთიდან დადებით პლუს ერთამდე ნულის გავლით და შემდეგ პირუკუ?

ბენომ ალღო ვერ აუღო კითხვას, მოინდომა ამჯერადაც ზოგადი, არაფრისმთქმელი სიტყვებით ფონს გასვლა და ასე დაიწყო:

– ეს ისეთი ურთულესი საკითხია, რომ მეც კი მიჭირს სრულყოფილი პასუხის გაცემა... ამ საკითხს მეორე კუთხით თუ მივუდგებით...

დარბაზიდან რეპლიკით შეაწყვეტინეს:

– მიდი, ბენო, რომელი კუთხე დაგრჩა, არ შეეშვა! გამარჯვებასთან ახლოს ხარ, უკვე ნოკდაუნში ვართ!..

დარბაზი მხიარულებამ მოიცვა. ბენო საბოლოოდ დაიბნა და თავმჯდომარემ უხერხულობის გასაფანტავად ბენოს მადლობა გადაუხადა მეტად ღრმა, მაგრამ ამავე დროს რიგ მომენტებში სადისკუსიო მოხსენებისთვის, რაც ასეთი ნოვატორული მიდგომისას სრულიად ბუნებრივიაო და საჩქაროდ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

დერეფანში გივი ელიზბარაძე მივიდა ბენოსთან და უსაყვედურა:

– ბენო, ეს რა გიქნია, კაცო!

– თეორიულ ნაწილში ჯერ ბევრი სინედლეა, დასამუშავებელია, რა თქმა უნდა... – ალუღლუღდა ბენო თავის გასამართლებლად.

– არა, მაგაზე კი არ გეუბნები! გიგლა ხისფეხიშვილს კაცი ენდობა? როგორ მიეცი შენი გენიოსური ნამუშევარი სარეცენზიოდ?!.

– დაშავდა რამე ამით? – ჰკითხა შეშინებულმა ბენომ.

– მოგპარავს!.. – ტრაგიკული ჩურჩულით ამცნო გივიმ.

ბენო მეორე დღესვე გაქანდა გიგლასთან, უნივერსიტეტში კათედრაზე მიაკითხა – საჩქაროდ მჭირდება, დამიბრუნე ჩემი ნაშრომი, გადავხედავ, ახალი იდეები დამებადა, დავხვეწ კიდევო. გიგლას ბენოს ნაცოდვილარი შინ დარჩენოდა, რამდენიმე გვერდის წაკითხვა მოესწრო და აღარც გაუგრძელებია, ჩანდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. გაუხარდა კიდეც ბენოს სურვილი – რცხვენოდა სიმართლის თქმისა: შენი ნაღვაწი, ჩემო ძვირფასო ბენო, დილეტანტური ნავარჯიშევია, მეტი არაფერი; მერმის, როცა რომელიმე შენთვის უცნობი მეცნიერების გამდიდრებას განიზრახავ, ამ დარგში ძირითად შრომებს მაინც გაეცანიო...

საღამოს აფორიაქებულმა ბენომ გივი ელიზბარაძეს დაურეკა ტელეფონით, გიგლას დავიწყებია წამოღება, ჩემი ნაშრომი შინ აქვს, რაღა მეშველება აწიო.

გივიმ ცეცხლს ნავთი შეასხა:

– ა, ხომ ხედავ, დაღუპე საქმე! არ გაძლევს, ხომ?!.

1984

ბერდია

ბერდია მამალაური მიყრუებულ-მივარდნილ მთის პატარა სოფელში დაიბადა. პატარაობიდანვე სოფლის სამუშაოებში იყო ჩაბმული: საფქვავის წაღებ-წამოღება, თხა-ცხვრის მწყემსვა, ძროხების მოვლა, თიბვა და ათასი სხვა რამ ევალა, აგრეთვე – პატარა და-ძმების მიხედვაც. მიუხედავად ამისა, ცნობისმოყვარე, მოუსვენარი ბუნების ბალღმა, კითხვა თავისით ისწავლა კედლის მოსახევი კალენდრით. ძალიან უყვარდა ლექსებისა და სიმღერების მოსმენა და რა ბედნიერი იყო, როცა აუსრულდა ოცნება – თვითონ შეეძლო წაკითხვა! განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველას პოეზია იტაცებდა. მალე წერაც თავისით შეეძლო. პოეტური ალღო დაჰყვა თავიდანვე და წერა-კითხვის სწავლამდეც გალექსავდა ხოლმე ათასგვარ გაგონილსა თუ მის ირგვლივ მომხდარ-დანახულს.

როცა ხეობაში დაბლა, უფრო დიდ სოფელში გადასახლდა ოჯახი, სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა შეამჩნია ბერდიას მიდრეკილება, აქეზებდა – ბევრი იკითხე და ბევრი წერეო – და მის ლექსებს გაკვეთილებზე ხმამაღლა კითხულობდა. რამდენიმე ლექსი რაიონულ გაზეთშიც გააგზავნინა. როცა ისინი დაიბეჭდა, ბერდია ცაში დაფრინავდა სიხარულით!

მამამისი უშლიდა კითხვას – წიგნებს ნუ გაალაყებინებ ტვინსო; ჯობს, ჩემთან წამოდი სამჭედლოში, ხარებისა და ცხენების დაჭედვას გასწავლი – ნაღდი საქმეა, პურს ყოველთვის გაჭმევსო.

ბერდიამ წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა, მერე ჯარიც მოიარა და შინ დაბრუნდა – სწავლის გაგრძელება გამოულეველმა ოჯახურმა საქმეებმა არ დაანება. მისი დები დათხოვდნენ, ძმებიც დაოჯახდნენ; ბერდიას მოგვიანებით შერთეს ცოლი – ერთი უხიაგი, უხასიათო ქალი შეხვდა, წვრილმანებზე ლანძღვით გულის მოფხანა რომ ყველაფერს ერჩივნა. ორი შვილი შეეძინათ – ქალ-ვაჟი. მერე ბერდიას მშობლები დაეხოცა. უზომოდ ბევრს შრომობდა, ცხოვრების ჭირ-ვარამს მხოლოდ პოეზია უქარვებდა... პოეზია და ღვინო-არაყი – სმას დაეჩვია.

შინ ცოლის გაუთავებელი ჯაჯღანი არ აჩერებდა, სულ გარე-გარე დადიოდა, რვეული და ფანქარი ერთთავად ჯიბეში ედო. როცა მუშაობისას, გზაში ან თუნდაც სუფრაზე ჯდომისას ფრთიანი სტრიქონი ეწვეოდა, მაშინვე რვეულს ამოიღებდა და ჩაიწერდა. მერე ერთ სტრიქონს მეორე მოებმებოდა, მეორეს მესამე აედევნებოდა და ასე შემდეგ, სანამ ლექსი არ აიკინძებოდა. ცოტას დაასვენებდა და იწყებდა გაშალაშინებას – გაურანდავ სტრიქონებს შეცვლიდა, ზოგ სიტყვას ჩაუმატებდა, სხვას ამოიღებდა, სანამ ლექსს საბოლოოდ არ დახვეწდა.

ეჰ, ეტყობა, ასეთი იყო გულმართალი, ალალი ბერდიას ბედი, რომ მის მაცოცხლებელ პოეზიასაც სიხარულთან ერთად ხშირად დიდი მწუხარებაც მოეტანა. ბევრნი ამრეზით უყურებდნენ, რადგან მრავალი და მრავალი გაუკენწლია თავის ლექსებში; კეთილი გულის მიუხედავად, ლაზათიანად მოქნეულ სტრიქონს ვერ ელეოდა და აბა, ვის ესიამოვნებოდა მისი ნაკლის შარაზე გამოჭენება! ბერდია საკუთარ ლოთობასაც კი ამათრახებდა და სხვის ნაკლს დაინდობდა?

ბერდიას პოეტურ პიროვნებაში რამდენიმე იერსახე წარმოჩნდებოდა ხოლმე: სატრფოს სიყვარულით გათანგული მგოსნისა, სამშობლოს და მშობლიური კუთხის ბედზე დაფიქრებული მამულიშვილისა, ჭრელი საწუთროს გაუტანლობით შეჭირვებული ბრძენისა და საზოგადოებრივი თუ პიროვნული ხინჯის ულმობელი მამხილებლისა. სწორედ მისმა ირონიულ-გამკილავმა ლექსებმა მიაყენა ბერდიას ბევრზე ბევრი უსიამოვნება; ლანძღვა-გინებას ვინ ჩივის, ერთხელ სასამართლოშიც კი უჩივლეს – ცილისწამება დააბრალეს. რამდენჯერმე დაუნდობლად სცემეს კიდევაც, კინაღამ მიასიკვდილეს – ნირი კი მაინც ვერ შეაცვლევინეს.

ერთხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე ცხარე, პილპილმოყრილი ლექსი დაწერა და თვითონვე ისე მოეწონა, რომ ჟურნალ "ნიანგში" გაგზავნა... დაბეჭდეს!.. თბილისში, ცენტრალურ ჟურნალში მოუწონეს, დაფასდა მისი ნიჭი და შრომა, მისთვისაც დადგა დღესასწაული!

არ გასულა დიდი ხანი და ერთხელ, შინ მიმავალს, გზაში საკუთარი მანქანით წამოეწია კოლმეურნეობის თავმჯდომარე. "ბერდიავ, შე ასეთო და ისეთო, რაებს მიჰქარავ, რას მიბედავ? ერთხელაც რომ ვნახო შენი ლექსი გაზეთში გამოჭენებული, იცოდე, ცოცხალი ვერ გადამირჩები!" – გადმოუხტა მანქანიდან. თავმჯდომარე ჯმუხი კაცი იყო, კაფანდარა ბერდია ლუკმადაც არ ეყოფოდა, მაგრამ მეტი ვეღარ გაუბედა. იდგა ბერდია, თვალმოჭუტვით შესცქეროდა თავმჯდომარეს და არაფერს ეუბნებოდა... იმასაც კი, რომ გაზეთში კი არა, ჟურნალში გამოგჭიმეო.

სულ რამდენიმე თვეში ეს ჩვენი თავმჯდომარე თანამდებობიდან გაათავისუფლეს... ბერდიას ლექსი ამ მოვლენის მიზეზი ალბათ არც იყო, მოსახდენი მაინც მოხდებოდა, მაგრამ სოფლის თვალში ბერდია სულ სხვანაირად წარმოჩნდა. ბერდიამ თვითონაც იწამა, რომ მის სიტყვას ერთგვარი ძალა ჰქონდა, მოუხშირა მამხილებელი ლექსების წერას და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში გაგზავნას. იმედიც კი გაუჩნდა, რომ ლექსების პირველი კრებულის გამოქვეყნებას შესძლებდა... დაიწყო კიდეც ორმოცი წლის განმავლობაში ნაწერის საგულდაგულოდ გადარჩევა და, მისი აზრით, შესაფერისი ლექსების ამოკრება-დალაგება.

მაგრამ... კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო – ამის შემდეგ ერთი ლექსიც კი ვეღარ გამოაქვეყნა! არამცთუ თბილისში, რაიონულ გაზეთშიც კი...

ბერდია ნერვიულობდა, ისევ და ისევ განაგრძობდა ცდას, საწადელს კი ვერაფრით მიაღწია. მთელი ცხოვრების ოცნება – საკუთარი ლექსების კრებულის გამოცემა – თვალდახელშუა გაუჩინარდა!

ბერდია ღვინო-არაყს მიეძალა. შინ უკვე შვილიშვილებიც ჰყავდა, ცოლს კი, ამდენი ხანი ერთად ცხოვრობდნენ, ვერაფრით შეეწყო. სანამ თბილი ამინდები იდგა, თივის ბულულებსა და ზვინებში ათევდა ღამეს, შემოდგომის ერთ ცივ დილას კი ყანებისკენ მიმავალ საურმე გზაზე მისი უკვე გაცივებული ნეშტი ნახეს. წინა საღამოს მწყემსებთან მაგრად გამომთვრალიყო, გზად მიმავალს ალბათ ქვისთვის ფეხი წამოეკრა და...

პირზე ღიმი შეჰყინვოდა – ალბათ იმ ქვეყნიერებას შესცინოდა, სადაც არასდროს არც ქანცგამომცლელი შრომა იყო საჭირო, არც გაუტანლობა და ძალადობა, უსამართლობა და გულაცრუება სუფევდა, სადაც მეფობდა მხოლოდ სიყვარული და პოეზია – დიდი სიყვარული და ჭეშმარიტი პოეზია.

1994

ბექა

ამ ამბავს ჰყვება მთასავით კაცი – ზურა, – საცრისთვალება, ხუმარა, მისი მელოტიც კი მხიარულად ბრწყინავს.

– ბიჭობაში, კვეხნაში ნუ ჩამომართმევ და, ჩემთან ურთიერთობის გამწვავებას ყველა ერიდებოდა, სულ ერთი-ორჯერ თუ ვარ ნაჩხუბარი... იცი, ვისი მეშინოდა ყველაზე მეტად? გეფიცები, არ დამიჯერებ! ერთი ამხანაგი მყავდა – ბექა, მეტსახელად ბრექა, – დაბალი-დაბალი, კრუხის პალოს რომ იტყვიან, თან გამხდარი, გასაცოდავებული, მაგრამ უბედური ყოყლოჩინა, არავის შეარჩენდა ფრჩხილისოდენა წყენასაც კი. ჰო, გაიცინე, გაიცინე!.. წელამდე ძლივს მწვდებოდა და, გეფიცები ყველაფერს, იმის გაწიწმატებისა მეშინოდა ყველაზე უფრო... ხომ იცი, პატარა კაცი ან ძალიან კეთილია, დამყოლი, რბილი, ზოგჯერ – დონდლოც, ან მეტისმეტად ამაყი, ფიცხი, გულზვიადი... შენ ნუ გეწყინება და საშუალო ანუ ნორმალური მათ შორის არ გვხვდება. ჰო, კარგი, კარგი, შენ გამონაკლისი ხარ, ხომ მოგიხადე ბოდიში.

ჰოდა, ერთხელ მოვიდა ჩემთან ეს ბექა. თვალები გადმოცვენაზე აქვს, აი, ასეთი, – ქათმის კვერცხისხელაზე ამრგვალებს თითებს ზურა. – "რა გინდა, ჭირიმე, – ვეუბნები, – ვინ გაბედა შენი შეწუხება?" "მეო, – მეუბნება, – ერთი ნაბიჭვარი ამიხტა, უნდა წამომყვე, მასთან სალაპარაკო მაქვსო". წავედით... გზაში ვეკითხები – რა მოხდა, ვინ არის, ვისთან მივდივართ, რა უნდა გავაკეთოთ... თურმე მისი მეზობელი ყოფილა – გოგია, მეც კარგად ვიცნობ. მე რაცა ვარ, კი მხედავ, ის გოგია კიდევ ჩემზე ბევრად ზორბა იყო, წარმოიდგინე ახლა. მისგან სამი ბექა გამოიჭრებოდა და მორჩებოდა კიდეც. "მოიცა, – ბექას ვეუბნები, – შენ განზე დადექი, ჯერ მე დავველაპარაკები, გავარკვევ საქმეს, რაღამც შენ არაფერს მეუბნები; იქნებ ბოდიში მოგიხადოს, ბიჭო, ნუ აჩქარდები; ეგ დანაც არ გამოაჩინო, თუ ძმა ხარ!"

მივედი გოგიასთან, ველაპარაკე აქეთური-იქეთური – კარგი ბიჭია, ნორმალური. მერე იმაზე ვკითხე, ბექას რა უნდა შენგან, რა აწყენინე-მეთქი. გაეცინა. "მაგიო, – მეუბნება, – ჩემი მეზობელია, რა მაქვს გასაყოფიო"... მომიყვა, რაც მოხდა.

თურმე ტროლეიბუსში შეხვედრია; შემთხვევით მხარი გაუკრავს – როგორ მოუვიდა ამსიმაღლე კაცს, მისი მხარი ბექას თავზემოთ იქნებოდა, არ ვიცი... მოკლედ, არც მოუხედია, ისე მოუხდია ბოდიში, არც იცოდა, რომ ბექას შეეჩეხა. მერე იცნო, მეორეჯერაც მოუხადა ბოდიში, ვერ შეგამჩნიეო. "რაო, ვერ შემამჩნიეო? – გაგიჟდა თურმე ბექა, – შენ თვალში ხომ არ გეპატარავებიო!" აი, ამაზე აუხტა თურმე ბუზი სპილოს, როგორ ვერ შემამჩნიეო... ეს რომ გავიგე, გამეცინა, მაგრამ ბექასკენ ყოველი შემთხვევისთვის ზურგით დავდექი, რომ არ დაენახა, – რა იცი, ტვინში რა უფრიტინებს.

მივედი ახლა ბექასთან, მოშორებით იდგა. მინდა, დავანამუსო, ტყუილად ნუ იჭაჭება. "ბიჭო, – ვეუბნები, – რა გინდა გოგიასგან, იმას შენთან რა ბრალი მიუძღვის, რას ეჭიმები?.. ეგ შენოდენს ყოველ დილით ფეხსალაგში ტოვებს..." სულ მთლად გავაგიჟე. "არაო, მე მაგას არ შევარჩენო, მე მაგას ვინა ვგონივარო". "კარგი, ბიჭო, – ვეუბნები, – შეეშვი, რას ატეხილხარ; შენ, ბიძია, ნუ გეწყინება და, ჭკუა სულ არ გქონია, – ვეუბნები, – მაგ გოგიას შენი წონა მარტო ტვინი აქვს თავში. შენ, ბუზს, ხელიც კი არ აგიქნია ასაფრენად; ისე კი, ბედი მომეც და სანაგვეზე გადამაგდეო, შენზეა ზედგამოჭრილი: მე რომ ვყოფილიყავი, – ვეუბნები, – უკვე გაბრტყელებული იქნებოდი ტყლაპივით... წამო, თუ ძმა ხარ, ახლა ერთი კარგი პურ-მარილი იკისრე იოლად გადარჩენისთვის და გოგიაც თან წამოვიყვანოთ... ასე არ ჯობს?..".

1992

ბონდო

აუდიტორიაში შემობრძანდა 80 წლის ლექტორი – ბონდო ბოლოკაური, სტუდენტთათვის არაოფიციალურად – "ბოლოკა": წარმოსადეგი, ბოხხმიანი; თავზე ზღარბივით აბურძგვნილი თმა თეთრად ანათებს.

სტუდენტები გაისუსნენ, რადგან ბატონი ბონდო, ხნიერების მიუხედავად, მეტად ფიცხი გახლავთ, უცებ იცის აფეთქება.

სია ამოიკითხა, თან ყოველი ფეხზე წამომხტარი სტუდენტი სათვალის ზემოდან ყურადღებით შეათვალიერა; მერე სკამიდან წამოდგა და რიხიანი ხმით ლექცია დაიწყო:

– დღეს, მეგობრებო, ვისაუბრებთ ელექტრული ქსელის რეჟიმის პარამეტრებზე, კერძოდ, ჯერ განვიხილავთ სიმძლავრისა და ენერგიის დანაკარგებს ქსელის ელემენტებში. აქტიურ და რეაქტიულ

სიმძლავრეთა დანაკარგები ქსელის ელემენტის აქტიურ ერ და რეაქტიულ იქს წინაღობებში იანგარიშება გამოსახულებით... – დაფაზე ცარცის კაკუნით წერდა ფორმულას და თან ხმამაღლა წარმოსთქვამდა: – დელტა პე ერ ტოლია პე კვადრატ პლუს ქუ კვადრატი გაყოფილი უ კვადრატზე და გამრავლებული ერზე ტოლია ეს კვადრატი გაყოფილი უ კვადრატზე გამრავლებული ერზე... შემდეგ: დელტა ქუ იქსი ტოლია...

მეორე ფორმულაც დაასრულა, მოტრიალდა აუდიტორიისკენ და შალვა შავდათვაძეს, მეტსახელად "კომბლეს" ჰკითხა:

– გაიგე?

კომბლე შეიშმუშნა, მაგრამ მაინც რიხიანად მიუგო:

– გავიგე, პატივცემულო!

– რა გაიგე, შე ოხერო, დღეს პირველად დაგინახე ლექციაზე!.. რისთვის მობრძანდი ნეტავ, ქუჩაში უსაქმურად დგომა არ გირჩევნია შენისთანა ვიგინდარებთან? ბრიყვო!.. რეგვენო!..

ბატონ ბონდოს დენთი მალე გამოელია, პატრუქს დაუწია და ლექცია განაგრძო.

ათიოდე წუთში ბონდო ბოლოკაურმა დაფა ფორმულებით გაავსო.

– ენერგიის წლიური დანაკარგები ქსელის ელემენტებში იანგარიშება ფორმულით: დელტა ე ტოლია დელტა რე გე გამრავლებული 8760 პლუს დელტა პე ერი გამრავლებული ტაუზე... – ბატონმა ბონდომ თავი დახარა და სათვალის ზემოდან ისევ მიაბჯინა გამჭოლი მზერა კომბლეს: – გაიგე?

კომბლე აიწურა, ფეხზე წამოდგა:

– ცოტა რაღაც ვერ გავიგე, პატივცემულო...

– მე რომ შენგან მართლა პატივცემული ვყოფილიყავი, წესიერ პასუხს მივიღებდი! – ისევ დაატეხა ჭექა-ქუხილი ბატონმა ბონდომ. – რა ვერ გაიგე, საინტერესოა, ეს ხომ მარტივზე მარტივი ასათვისებელია, ოღონდ, რასაკვირველია, ნორმალური სტუდენტისთვის და არა შენისთანა ვირისთვის! ტყუილად გაბია მაგოდენა ყურები? ხეპრეევ, მუქთახორავ, თავხედო!

კომბლე შეეცადა, ოდნავ მაინც შეერბილებინა შემოტევა, ნაძალადევად გაიღიმა:

– ჩვენ, პატივცემულო, თქვენთან განსაკუთრებული, თბილი ურთიერთობა გვაქვს... თქვენ სხვას არ გავხართ...

– ჰე, პინგვინები, პინგვინები! ჰე-ჰე-ჰე! – მართლაც გამხიარულდა ბატონი ბონდო; ამ ხნის კაცი ხტოდა და ხელებს სიცილით იქნევდა; მერე უცებ მოიღრუბლა: – შე უმეცარო, რა სითბოზე და ურთიერთობაზე ლაქლაქებ? პირველად გხედავ ლექციაზე! რა არის, ბიჭო, საძროხეში ხარ გაზრდილი? მაპამპულებ? ჩემი ამბავი ალბათ არ იცი! მე, ძამია, ომის დროს მეზღვაური ვიყავი, ბევრი რამ გადამხდა, მას შემდეგ რაღაც-რაღაცეები მახასიათებს, უცნაურობები და ნუ გაგიკვირდებათ... თუ სკამი გესროლოთ – აიცილეთ! გაიგე?

კომბლე უცებ ადგილიდან მოწყდა და ოთახიდან გავარდა, კარი არც მოუხურავს.

1999

ბორია

– ბორია ჩამოდის! – ხმა გავარდა ქვემო ფამფლოში განლაგებულ გეოლოგიურ-სადაზვერვო ბურღვის უბნის მუშა-მოსამსახურეებს შორის.

– თუ ჭკუით არ იქნება, მოვუგრიხავ კისერს, ჩემი ბორიას გვერდით დავაბამ! – ტრაბახობდა უბნის გეოლოგი პანტიკო ხეკორძულაძე. მიუხედავად ამისა, საკმაოდ შეფიქრიანებული იყო – უბნის ახალი უფროსის, ბორია წოწონაძის სახელი ქუხდა საზოგადოებაში; ანეგდოტები დადიოდა მისი ხასიათის სიმტკიცეზე, მომთხოვნელობაზე, სამართლიანობაზე... პანტიკოს მუქარის შემდეგ კი – ჩემს ბორიასთან დავაბამო, ალბათ გსურთ ამ მეორე ბორიას ვინაობის შეტყობა.

მოგახსენებთ, რომ პანტიკოს ჰყავდა ერთი მოზვერი, სახელად ბორია, რომელიც ბალახობდა და ფერ-ხორცით ივსებოდა გეოლოგიურ-სადაზვერვო უბნის შემოკავებულ ტერიტორიაზე და არცთუ იშვიათად – მის გარეთაც.

დიახ, ჩამობრძანდა ბორია წოწონაძე – ბრგე, მჭექარეხმიანი კაცი – და პანტიკო ხეკორძულაძის ყველაზე ავი მოლოდინი გამართლდა: უბნის ახალმა უფროსმა თავიდანვე დიდი მადა გამოიჩინა! შეიტყო თუ არა, რომ რუსეთში რეისიდან დაბრუნდა ერთი შოფერი, მაშინვე ბრძანა, დამიძახეთ აქაო. მე თუ უფროსი ვარ, შესაბამისი მოპყრობაც მჭირდებაო, – ეუბნება შოფერს, – დადე ახლავე სამასი მანეთი მაგიდაზე, თუ არა, შენი საქმე სახალხო კონტროლს გადაეცემაო; მომეცი შენი საბუთები აქაო... შოფერი ამაოდ უმტკიცებდა, რომ გზაში დაიჭირეს და გაკეთებული ფულის ნაწილი თავის დასახსნელად დასჭირდა; გარდა ამისა, მანქანა გაუფუჭდა და მის შესაკეთებლადაც საკმაოდ დაეხარჯა...

უფროსს არაფრის გაგონება არ სურდა.

პანტიკო და მეორე თანამშრომელი – ბურღვის ინჟინერი ვანო – იქვე იყვნენ ოთახში. მათ არაფრად ეჭაშნიკათ ახალი უფროსის ასე უბოდიშოდ პირდაპირ გადმოსვლა შეტევაზე – მას შოფრის მიერ ჩატარებულ "ოპერაციაში" არავითარი წვლილი არ მიუძღოდა და, ცხადია, წილიც არ ერგებოდა. ვედარ მოითმინეს და პატარა წალაპარაკდნენ კიდეც. განსაკუთრებით ინჟინერი გაფიცხდა და ბორიას დაემუქრა, ნამეტანი ნუ გადიხარ თავს, თორემ გიტირებ ყოფასო და ოთახიდან გავიდა, კარი გაიჯახუნა.

ორიოდ წუთის შემდეგ ოთახში სამი მუშა შემოვიდა ჩექმების ბრაგუნით. ერთს ნაჯახი ეჭირა ხელში, მეორეს – დიდი დანა, მესამეს – ურო.

– რა ვქნათ, დავკლათ ბორია? – იკითხა ნაჯახიანმა.

– მაგის ლოლიაობამ გამათავა კაცი, დაჰკალით, მაგის რჯულიც ამოვარდეს! – ხელი ჩაიქნია პანტიკომ.

ბორია წოწონაძე გაფითრდა. ეს ზონზროხა, მედიდური კაცი უცებ მომჩვარდა, სკამიდან იატაკზე ჩამოხოხდა და, მუხლებზე დაცემულმა, აკანკალებული ხმით საცოდავად შეჰღაღადა იქ მყოფთ:

– თქვენი ჭირიმე, ნუ დამღუპავთ!.. თქვენი ჭირიმე, რა დაგიშავეთ... მაპატიეთ, თქვენი ჭირიმე...

თურმე ბორია წოწონაძეს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მას ჰყავდა სეხნია მოზვერ ბორიას სახით.

1970

გედია

გედია ზოგიერთთა შეხედულებით უცნაური ბიჭი იყო (თუმცა, რაღა ბიჭი – თითქმის ორმოც წელს მიაღწია): უყვარდა მხოლოდ პოლიტიკაზე საუბარი, პოეზია და ღვინო!

ბოლოს ღვინო-არაყმა დაღუპა...

სკოლაში არაფრით გამოირჩეოდა – არც მოჩხუბარი და ქვეყნის დამაქცევარი იყო, არც – თითით საჩვენებელი სამაგალითო მოსწავლე; არც ფრიადოსანი გახლდათ და არც – მაჩანჩალა ოროსანი. ასევე გააგრძელა უნივერსიტეტში სწავლისას. მეგობრებივით სიგარეტის წევა დაიწყო, საქეიფოდ წასულ ყმაწვილთა ჯგუფს არასდროს გამოაკლდებოდა.

მერე მუშაობა დაიწყო.

ცოლი არ უთხოვია, თუმცა ლამაზი კაცი ეთქმოდა; ერთი შეუსაბამობა კი შეიმჩნეოდა – სახის ყოველი ნაკვთი თუ მშვენიერი ჰქონდა, მთლიანობაში თითქოს რაღაც მარილი აკლდა... შესაძლოა, გულგრილი, განურჩეველი გამომეტყველების გამოც... რა უნდოდა, რისთვის მოვიდა ამ ქვეყანაზე – ვერაფერს გიპასუხებდათ. თითქოს წყალწაღებული ყოფილიყოს, თვით მკლავს არ გაატოკებდა, ცხოვრების მბორგავ ტალღებში მოტივტივე ერთი ნაფოტი, ბედს არის მინდობილიო...

თითქმის ყოველთვის გადაკრულში გახლდათ – თვალები უბრწყინავდა, სულ მთლად თაფლად დნებოდა მისი სიტყვა-პასუხი.

ფხიზელს ნახავდი – ნუთუ ეს ის გედია იყო? ზრდილობა და თავდაჭერა არც ახლა აკლდა; ის კი არა, შესაძლოა, მეტიც ჰქონდა, მაგრამ ეს იყო ცივი ზრდილობა: უაღრესად თავშეკავებული, ოფიციალური ხდებოდა, ერთი სიტყვა ზედმეტი არ დასცდებოდა, ზოგიერთები შიგადაშიგ დაფარულ დაცინვასაც კი გრძნობდნენ.

დილით საკმაოდ მოგვიანებით შეივლიდა სამსახურში, უფროსის ჩვეულ საყვედურს, სად ხარ აქამდეო, გულგრილად მოისმენდა, გადაათვალიერებდა ახალ გაზეთებს (მთელ დასტას იყიდდა ხოლმე), მერე დაივლიდა ოთახებს – ერთ-ორ ანეკდოტს მოჰყვებოდა, მიწოდებულ ფინჯან ყავას დალევდა და შუადღისას სადღაც გაქრებოდა.

რა თქმა უნდა, გაქრებოდა სამსახურში, თორემ ძმაკაცებს სწორედ ამ დროს გამოეცხადებოდა ზოოპარკის წინ მდებარე სასაუზმეში. ზოგჯერ თერთმეტსართულიანი სახლის გვერდზეც, მეორე სასაუზმეში იკრიბებოდნენ ცირკის კიბეების პირდაპირ – ალბათ ერთფეროვნებას გაურბოდნენ... და მაინც საოცრად ერთფეროვნად მიედინებოდა მათი ცხოვრება. თუ დარი იდგა, ტროტუარზე გამოდგმულ მაგიდას უსხდნენ მეგობრები ტენტიანი დიდი ქოლგის ქვეშ; ცივ ლუდს წრუპავდნენ (თუ საკმაო ფული ჰქონდათ, არყის ბოთლსაც შემოდგამდნენ მაგიდაზე), თამბაქოს აბოლებდნენ და გამვლელ-გამომვლელთ ათვალიერებდნენ. საუბრის თემა ათასგზის იცვლებოდა ხოლმე, ფეხბურთიდან და ქალებიდან – პოლიტიკამდე, ერთი საფიქრალი კი არასდროს ტოვებდათ – საღამოს დასალევი ფული სად ეშოვნათ?

გედია ახლაც არაფრით გამოირჩეოდა ამხანაგებში, მხოლოდ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ თავგადაკლული პოლემისტი იყო – ოღონდ პოლიტიკაზე გექაქანებინა და მეტი არაფერი უნდოდა (გა-

ზეთების, თამბაქოსა და არაყის გარდა, რასაკვირველია). სხვა დროს თითქოს ფლეგმატური, მოშვებული, პოლიტიკის მაღალ სფეროებში შეჭრილი, სრულიად გარდაისახებოდა: ხმას უმაღლებდა, ფიცხდებოდა, მოპაექრის არგუმენტებს ზოგჯერ მაგიდაზე მუშტის ბრაგუნით და თვალების ბრიალით აქარწყლებდა. იფიქრებდი: ასეთი გამჭრიახი, საქმეში ჩახედული, თან პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი რამდენიმე პიროვნება რომ გვყავდეს ქვეყნის წინამძღოლად, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო. ჰო, კიდევ – პოეზია უყვარდა უზომოდ და საათობით შეეძლო, ზეპირად წარმოეთქვა საყვარელ პოეტთა ლექსები, განსაკუთრებით – გალაკტიონისა.

ერთხელაც მეგობრები ზოოპარკის წინ, სასაუზმის ტროტუარზე გამოდგმულ მაგიდას უსხდნენ: გოდერძი, გედია, ჭაღარა დათო და მეორე დათო – ცხვირმოღრეცილი.

მეზობელ მაგიდაზე ვიღაც ბიჭბუჭები სვამდნენ – ასე 17-18 წლის იქნებოდნენ. კარგა გვარიანად იყვნენ შეჭიკჭიკებულნი – მათი მაგიდის ქვეშ "ატენურის" უამრავი ცარიელი ბოთლი ეყარა, ეტყობა, "მშოვნელი" მშობლები ჰყავდათ. როცა პურობა გაათავეს, აღგზნებული ბიჭები გასართობის ძებნას შეუდგნენ და მალე იპოვეს კიდეც – იქვე, ბაღში, სკამზე იჯდა ვიღაც მოხუცი კაცი, ეტყობა, პენსიონერი, და თვლემდა. ერთმა ყმაწვილმა ხუმრობით ქეჩოში ხელისგული წამოარტყა, თან სიცილით ჩასძახა ყურში, "მოვედით, ხაშურია, ხაშურიო"; მისმა ამხანაგმაც მოუნაცვლა ხელი, ოღონდ ჩაჰყვირა – "სამტრედია, სამტრედია!". დანარჩენებიც შევიდნენ ეშხში და ერთმანეთს ეჯიბრებოდნან მოხუცის გაპამპულებაში. საწყალი პენსიონერი სკამიდან წამოაგდეს, აღმოჩნდა, რომ ის ინვალიდი იყო – კოჭლობდა. ყმაწვილებმა მაინც არ მოასვენეს, ხელს ჰკრავდნენ, აბა, იცეკვეო...

გედიამ ვეღარ მოითმინა და ვეფხვივით გავარდა სკვერში. გოდერძი და ორივე დათოც წამოცვივდნენ მოხუცის დასახმარებლად...

...და დაიწყო თავგასულთა ნამდვილი რბევა. გედია და მისი ამხანაგები ისე იყვნენ გაცეცხლებულნი, რომ მილიციის ჩარევამაც კი ვერ დააშოშმინათ – უმოწყალოდ ურტყამდნენ ლაწირაკებს. კიდევ კარგი, ეს უკანასკნელნი ხელს არ ანძრევდნენ თავდასაცავად, მხოლოდ პატიებას ითხოვდნენ, მივქარეთ, მეტს აღარ ვიზამთო... ისე გაასივეს ცემით, თვით მოხუცი ინვალიდი იხვეწებოდა, თქვენი ჭირიმე, თავი დაანებეთ, ეყოფათ, ვინმე არ შემოგაკვდეთ, ცოდვაში ფეხი არ ჩადგათო.

თითქოს მოულოდნელი იყო გედიასგან ასეთი გახელება, არა? ვინ იცის, ის შინაგანად სულაც არ იყო ისეთი ინდიფერენტული, პასიური, როგორც ჩანდა გარეგნულად, მაგრამ თავისი შესაძლებლობების გამოვლენის ასპარეზი ვერ მოძებნა... იქნებ სხვა პირობებში მისგან ხეირიანი პოლიტიკური მოღვაწე გამოსულიყო, მაგრამ გარემო არ იძლეოდა მაგის შესაძლებლობას... ეს ისე მოგახსენეთ – ვარაუდად.

ნახევარი წელი არც გავიდა ამ ამბის შემდეგ და გედია უცებ გარდაიცვალა...

საავადმყოფოში იწვა – ღვიძლი და თირკმელები ვერ ჰქონდა წესრიგში, დროდადრო ძალიან მაღალი წნევაც აწუხებდა.

31 დეკემბერს გამოიპარა პალატიდან, ტაქსით მივიდა შინ, იქ კოხტად გამოეწყო და ძმაკაცებს ჩამოუარა.

თითო-ოროლა ჭიქა ღვინო ყველასთან დალია (სმა საერთოდ სასტიკად ჰქონდა აკრძალული) ზოგან – ცოტ-ცოტა არაყი და კონიაკიც. როცა შუაღამე მოახლოვდა, შინისკენ დაიძრა, ახალ წელს ოჯახში უნდა შეეხვდე, ჩემს დედ-მამასთან და უმცროსი ძმის ოჯახთან ერთადო.

ქუჩაში ძალიან ციოდა, ქარბუქი მძვინვარებდა. ტრანსპორტი თითქმის არ ჩანდა. გედიამ ვერც ტაქსი დაიჭირა, ვერც – კერძო მანქანა და იძულებული გახდა, ფეხით ევლო ბანცალ-ბანცალით. ხან ერთ ხესთან შეჩერდა, ქარისგან რომ არ წაქცეულიყო, ხან – მეორესთან; მერე კედელ-კედელ იარა... ბოლოს, ერთი სადარბაზოს შესასვლელთან ცუდად შეიქნა და კარგა ხნით შეყოვნდა. სადარბაზოში გაჭირვებით შევიდა და ერთ კართან ზარის ღილაკს მისწვდა...

ახალი წელი უკვე რამდენიმე წუთის დამდგარი იყო და პირველი სადღეგრძელოც შესმული ჰქონდათ, როცა ზარის წკრიალზე კარი გააღეს – დაგვიანებული სტუმრის მისვლა თუ ეგონათ.

გედია იქვე ეგდო უგრძნობლად.

კოჭლ პენსიონერს საიდანღაც ეცნო გედია.

საახალწლო სუფრა ვიღას ახსოვდა.

შინ შეიყვანეს, სასწრაფო დახმარების მანქანას გამოუძახეს, მაგრამ სანამ რაიმეს უშველიდნენ, გედიაც გათავდა.

ტვინში სისხლის ჩაქცევა – ინსულტი.

ეჰ, გედია, გედია... რა დროს შენი ასე უდროოდ წასვლა იყო.

ამბობენ, გედი სიცოცხლეში ერთხელ მღერისო.

გედია ისე ჩაიფერფლა, რომ თავისი სიმღერა უთქმელი დარჩა....

1970

გივია

ბარდღა დათვაშვილს ერთი ლოთი მეზობელი ჰყავდა – გივია აჩემაძე, საოცრად მყრალი ენის პატრონი.

თითქმის ყოველ საღამოს გადმოდგებოდა ხოლმე თავისი ბინის აივანზე და ეზოში, დიდი თუთის ქვეშ დომინოსა და ჭადრაკის მოთამაშე მეზობლებს მთვრალი ჩამოსძახებდა: "მეზობლებო, თქვენი კეთილები ასე და ისეო", – უშვერი გინებით იკლებდა იქაურობას.

დიდხანს გრძელდებოდა ასე.

შეგონება, თხოვნა-მუდარა, მუქარა, საჩივარი მილიციაში – რა არ იღონეს, მაგრამ გივია ჩვეულებას არ ღალატობდა.

ერთხელაც ბარდღა გადაეყარა გივიას და გემოზე დათეთქვა – არც აწი მოიშლი ყიამყრალობასო? ისე "დაამუშავა", რომ გივიას საავადმყოფოში მოუწია დაწოლა.

ერთი კვირით მოისვენეს მეზობლებმა. მეტის იმედიც ჰქონდათ, მაგრამ...

გამოვიდა გივია საავადმყოფოდან.

ცოტა ხანში, ისევ გალეშილი მობარბაცდა შინ. გადმოდგა აივანზე და ეზოში მეზობლებს ძველებურად მიესიყვარულა:

– მეზობლებო! ბარდღა დათვაშვილის გარდა, თქვენი სუყველას ასე და ისეო!

ეტყობა, რომელიმე მეზობელს გივიას გალახვა ისევ მოუწევს...

1986

გობრონ

გობრონ ყრუმუნჯაძე სოფლად გაიზარდა, ღარიბ ოჯახში. მამამისი, თუმც მშრომელი კაცი იყო, რასაც შოულობდა, არაყში ეხარჯებოდა. დედა – უმაქნისი: არც ძროხა ჰყავდათ, არც – თხა-ცხვარი, ინდაურიც კი... თითო-ოროლა ქათამი თუ დაბორიალობდა გახრიოკებულ ეზოში. არც ბაღი ჰქონდათ, არც – ბაღჩა-ბოსტანი... დედამისი მწვანილეულობისთვის მეზობლებს აკითხავდა. გაზაფხულზე კარტოფილს დათესავდნენ, ერთ-ორ ღორს გაზრდიდნენ საახალწლოდ – ეგ იყო სულ. თუმცა, "გაზრდიდნენ" მაგარი ნათქვამია: გაზაფხულზე იყიდდნენ გოჭებს და გაუშვებდნენ ეზოს გადაღმა; ამიერიდან ისინი "თვითუზრუნველყოფაზე" იყვნენ გადასული – ტყის ხილით, ბალახის ძოვებითა და მეზობლების ყანა-ბოსტნებში შეპარვით გადიოდნენ იოლას. ყრუმუნჯაანთ ღორები სო- ფელში ყოველთვის განთქმულნი იყვნენ მსუნაგობით და მოხერხებულობით; თუკი ხმა დაირხეოდა, ამისა და ამის ბოსტანში ღორებს ყველაფერი გაუოხრებიათო, ცხადი იყო, რომ უეჭველად გობრონის მშობელთა ღორები იქნებოდნენ ამ გმირობის ჩამდენნი. ღორი – ღორია, ჭამა უნდა და, თუ პატრონი დღეში ერთხელაც არაფერს გაჭმევს, საკუთარ კუჭზე თვითონ ხომ მაინც უნდა იზრუნო?

გობრონიც მამასავით მშრომელი გაიზარდა, ოღონდ სასმელს არ ეტანებოდა. როცა საშუალო სკოლა დაამთავრა, თანაკლასელებმა ფული შეკრიბეს და მოილხინეს; გობრონი მათ შეკრებას არ დასწრებია – ფული ვერ მისცა მამამისმა. თავმოყვარე გობრონს ძალიან ეწყინა, ტოლ-ამხანაგებთან დაჩაგრულად იგრძნო თავი და ეს განცდილი დამცირების გრძნობა სამუდამოდ დაამახსოვრდა. მტკიცე ხასიათი ჰქონდა და ურყევად გადაწყვიტა: რადაც უნდა დასჯდომოდა, ფულიანი კაცი გამხდარიყო – ესწავლა, ეშრომა, ეწვალა კიდეც და აუცილებლად შეძლებულ ცხოვრებას ზიარებოდა. ამ მიზნის მიღწევას შეალია რამდენიმე ათეული წელი...

უმაღლეს სასწავლებელში უნდოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ მისაღებ გამოცდებზე ვერ ივაჟკაცა, ქულები არ ეყო. ორი წელი ჯარში იმსახურა, შოფრობა ისწავლა, მშვენივრად ერკვეოდა ტექნიკაში – არც ალღო აკლდა და არც მონდომება. სამხედრო სამსახურის შემდეგ შინ რომ დაბრუნებულიყო, ერთი კარგი ტრაქტორისტი ან მძღოლი შეემატებოდა სოფელს, მაგრამ გობრონს სხვა გეგმა ჰქონდა. ამჯერად უკეთ მოემზადა და უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა დაუსწრებლად. თან მუშაობდა: ჯერ პურის საცხობში – მუშად, შემდეგ – ბრიგადირად. ცოტა ხანში იქიდან პატარა საკონდიტრო საწარმოში გადავიდა ცვლის უფროსად. იმდენი ფხა და მონდომება გამოამჟღავნა, რომ უნივერსიტეტის დამთავრების დროისთვის წარმოების უფროსი იყო, მალე კი დირექტორიც გახდა.

ადგილი ფულიანი ეკავა – პურის ფქვილი იაფი იყო, იყიდდა და გეგმიური ორი ტონის მაგივრად სამ ტონა საკონდიტრო ნაწარმს გამოუშვებდა. მართალია, ნაწარმს კარაქი, შაქარი, კვერცხი, სანელებლები და სხვა მასალა ნორმით გათვალისწინებულზე მესამედით ნაკლები ჰქონდა, მაგრამ გობრონს ამის გამო უსიამოვნება იშვიათად შეხვედრია: ადვილად ახერხებდა მაკონტროლებელი

ორგანოების წარმომადგენელებთან საერთო ენის გამონახვას. ხშირად უხდებოდა “საქმიან ხალხთან” პურის ჭამა; გობრონი ყოველთვის ზომიერად დალევდა ღვინოს, არასდროს დამთვრალა ისე, რომ ფეხი არეოდა ან ზედმეტი რამ წამოეროშა.

გობრონმა ოროთახიანი კოოპერაციული ბინა აიშენა. უზომოდ მშრომელს, უქმად წუთსაც ვერ ნახავდა კაცი. ხელმარჯვეც იყო – თავისით, მარტომ გაიკეთა ბინაში ბრწყინვალე რემონტი; კარ-ფანჯრები შეკვეთით გააკეთებინა და თვითონ გამოცვალა, სანტექნიკაც თვითონვე შეცვალა უცხოურით, ახლად გაიყვანა ელექტროსადენები, სამზარეულოში კედელზე კაფელი გააკრა, ასევე – სააბაზანოშიც; მუხის პარკეტი დააგო, ოთახთა კედლები უცხოური შპალერით დაამშვენა, ჭერში ძვირფასი ჭაღები ჩამოჰკიდა... მოსკოვიდან უცხოური ავეჯი ჩამოიტანა, მხოლოდ საწოლები და დივანი ან ტახტი არ უყიდია – ერთი ძველთაძველი გასაშლელი საწოლი ჰქონდა, იმაზე იძინებდა. მიზეზი ის გახლდათ, რომ მასზე უმცროსი დები ამ დროს თბილისში, დაქირავებულ ოთახში ცხოვრობდნენ და გობრონს შეეშინდა – შემომისახლდებიანო...

ამავე მიზეზით ქალიც მალე ითხოვა – შეძლებული ოჯახის შვილი შეარჩია. ორი ბიჭი შეეძინა – გელა და მურთაზი. სიდედრს ვერ შეეწყო და ოჯახში გული არ უდგებოდა, მეტწილად ან საკონდიტროში იყო, ან ქალაქგარეთ – იქ ერთი მიტოვებული აგარაკი შეიძინა, იყიდა მსუბუქი ავტომანქანაც – “ჟიგული-06”. შენობა შეაკეთა, ბოსტანი გაიჩინა, მშვენიერი ბაღი გააშენა. ზამთარ-ზაფხულ ყოველ შაბათ-კვირას ნაკვეთში მუხლჩაუხრელად ფუსფუსებდა. ფული კი არ უჭირდა – ცნობილია, სხვა გემო აქვს საკუთარი მარჯვენით მოყვანილ ხილსა და ბოსტნეულს... მას რომ შემოდგომაზე გოგრა და სიმინდი ჩამოჰქონდა, სამ ოჯახს გასწვდებოდა, ღვინოსაც საკუთარი ვენახიდან სამყოფზე მეტსაც აყენებდა, ხილი ხომ თავზე საყრელად ჰქონდათ ოჯახში, აგრეთვე, სეზონის მიხედვით – ხახვი და ნიორი, ბადრიჯანი და კომბოსტო, ბულგარული წიწაკა და მწვანილეული, კიტრი და პომიდორი, სტაფილო და ჭარხალი... დიახ, მუყაითი კაცი გახლდათ გობრონი, შვილები კი, სამწუხაროდ, მუქთახორები გამოუვიდა, არაფერში ეხმარებოდნენ... არც ცოლი იწუხებდა თავს – ავადმყოფი დედა მყავს მოსავლელი, ვერ მივატოვებ და მეც არ ვარ მთლად ჯანმრთელადო. არავითარი სურვილი არ გასჩენია, ცოტათი ქმარს შეხიდებოდა, მხოლოდ ფულს კი სთხოვდა წამდაუწუმ...

გობრონი ციბრუტივით ტრიალებდა, ჩხირივით გახდა.

მეზობლად გამოთავისუფლებული სამოთახიანი ბინა იყიდა – ორი ბიჭი ჰყავდა დასაქორწინებელი.

ბიჭებმა სკოლა კი დაამთავრეს, მაგრამ ჭკუა მაინცდამაინც არ მომატებიათ, ჩაცმა-დახურვასა და დროსტარებას იყვნენ გადაყოლილნი. ფასიან უმაღლეს სასწავლებლებში მაინც ჩაირიცხნენ, თან რაღაც საეჭვო საქმიანობასაც მიჰყვეს ხელი. უფროსმა ვაჟმა, გელამ, მამას ფული გამოართვა და ღვინის ჩამომსხმელ კერძო ფირმაში წილი შეიტანა. თავიდან კარგა გვარიანად რჩებოდა მოგება, შემდეგ კი კონკურენტები ბლომად გამოჩნდა და საქმეც შეფერხდა.

ბოლო დროს უსიამოვნებები მოუმრავლდა გობრონსაც. ფქვილით, შაქრითა და სხვა მასალებით სახელმწიფო მომარაგება საკონდიტროს შეუწყდა, კერძოს კი ყველაფერს ცეცხლის ფასი დაედო. ხალხს პურის ყიდვა უჭირდა და ნამცხვრებისა და ტორტების მუშტარმაც მკვეთრად იკლო. ათასგვარი ჯურის გამომძალველები და ყაჩაღები შემოეჩვივნენ საკონდიტროს, მოსვენება დაუკარგეს გობრონს და ბოლოს, იმდენად გაუჭირდა, სულ გააჩერა საწარმო. აგარაკი სამჯერ გაუტეხეს და გაუძარცვეს, არაფერი დატოვეს, რის წაღებაც კი შეიძლებოდა: ტელევიზორი, მაცივარი, ავეჯი, ჭურჭელი, სამეურნეო იარაღები... კარ-ფანჯრებიც კი არ შეარჩინეს სახლს, მოთუთიებული სახურავი გადახადეს, ელექტროგაყვანილობაც კი მოხსნეს... მწყემსები წამდაუწუმ გაარღვევდნენ ხოლმე ღობეს და საქონელს გაატიალებინეს ბაღ-ბოსტანიც, ბაღიცა და ვენახიც...

უზრუნველ ცხოვრებას დაჩვეულმა გობრონის ცოლმა და სიდედრმა წუწუნს უმატეს – შენი შემოტანილი ფული წინათაც ძლივს გვყოფნიდა და ახლა ხომ მთლად აქცევ ოჯახსო. გობრონი უთქმელი კაცი იყო – ჯიჯღინ-საყვედურებს არასდროს აჰყოლია, ამჯერადაც გაცლას ამჯობინებდა... მაგრამ მალე ესეც გაუჭირდა – მანქანა მოჰპარეს! გამოისყიდა და რკინის გარაჟი შეიძინა; ცოტა ხანს გული საგულეს ჰქონდა, ერთ თვეში კი ქუჩაში გააჩერეს ავტომატიანმა ჯეელებმა, მანქანიდან გადმოსვეს, ერთი-ორი პანჩურიც უთავაზეს და მანქანიანად გაუჩინარდნენ. ჩივილი არ ღირდა – მანქანას მაინც ვერ დაიბრუნებდა, მხოლოდ აქეთ-იქით სირბილი და ნერვიულობა შერჩებოდა. ერთხელ კი, ქალთა მორიგი შემოტევის დროს, გობრონმა თავი ვეღარ შეიკავა და პასუხი გასცა მათ, მეტიც – უყვირა და ცოლიცა და სიდედრიც უშვერი გინებითაც შეამკო (მისი გამონათქვამის ამ ნაწილს, ცხადია, აქ არ მოვიტან):

– თქვე ასეთებო და ისეთებო, ვერ ხედავთ, კაცი ლანდად მაქციეთ, მომინელეთ და ახლა გინდათ, სულ მომსპოთ? აბა, თუ გაიხსენებთ, უკანასკნელად როდის მესტუმრა რომელიმე მეგობარი? თქვენს გადამკიდეს, ერთი ძმაკაცი არ შემრჩა, ის კი არა, თვითონ ვგრძნობ თავს ჩემს საკუთარ ოჯახში სტუმრად! ბარემ დააღეთ ხახები და ერთიანად ცოცხლად შემჭამეთ, ვიდრე ყოველდღე ნაწილ-ნაწილ მაგლეჯდეთ ხორცს... თქვენი გამჩენძაღლი დედაც...

მიიჯახუნა კარი და ერთი კვირა არ გამოჩენილა.

მერე შინ გაიგეს, გობრონი უმცროსი დის ოჯახში არისო და ცოლმა მურთაზი გააგზავნა – დაბრუნდესო.

გობრონს სხვა რა გზა ჰქონდა – დის დიდი ოჯახი ორ პატარა ოთახში იყო გამოჭყლეტილი, მეორე დაც ხელმოკლედ ცხოვრობდა, კიდევ უფრო უარეს პირობებში...

დაბრუნდა გობრონი და ახლა ახალი თავსატეხი გამოუჩნდა: ათას დოლარამდე ჰქონდა სასწრაფოდ გადასახდელი. თურმე მისმა შვილმა, გელა-ბედოვლათმა, ვიღაც ძმაკაცისთვის ბანკში ისესხა ხუთასი დოლარი – დარეკა ნაცნობთან, გამომატანიეო. მერე იმ ძმაკაცს ფული აღარ დასჭირდა თუ აღარ მიაკითხა გელას, და ამ უკანასკნელს ეს ამბავი გადაავიწყდა, ფული ბანკიდან აღარ გამოუტანია. რამდენიმე თვის შემდეგ ურეკავენ – მობრძანდი და ფული დაგვიბრუნე პროცენტებითო. "რომელი ფული?" – გაუკვირდა გელას. "აი, შენს სახელზე რომ იყო გამოწერილი ხუთასი დოლარი, ვადა გაუვიდა და გადაიხადეო". "მე რომ არ გამომიტანია?" "ამას არ აქვს მნიშვნელობა, შენს სახელზე იყო გამოწერილი, იქ იდო და წაიღე თუ არა, ეს ჩვენ არ გვაინტერესებსო"...

გობრონი აქეთ ეცა, იქით ეცა – ფული ვერსად იშოვა. ახლა ფიქრობს, სასწრაფოდ გაყიდოს ერთ-ერთი ბინა, თუ არ უნდა, მის შვილს სასამართლოში უჩივლონ და ხარჯს ხარჯი მიემატოს...

მივუსამძიმროთ გობრონს, სხვა რაღა დაგვრჩენია?..

1994

გოგლიკო

როცა პატარა გოგლიკო ცოტა წამოიჩიტა, ბატონმა ევტიხიმ – მამამისმა, და ქალბატონმა ნუნუმ – დედამისმა, ერთობლივი თათბირის შემდეგ დაადგინეს: მიყვანილ იქნას გოგლიკო, ერთადერთი სათაყვანო ვაჟიშვილი, ოჯახის იმედი და მომავალი, ჯერხანობით კი გაუშლელი ყვავილი, მუსიკის შესასწავლად, რამდენადაც მუსიკოსობა ფრიად პრესტიჟული ხელობაა. იმედი ჰქონდათ, ჩვენი გოგლიკო მომავალი ვირტუოზია, ახლავე დიდ ნიჭს ამჟღავნებს, გვასახელებს ნამდვილადო.

გოგლიკომ გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა: რიტმი, სმენა, მეხსიერება – ყველაფერი ფრიად მოუწონეს. თავდაპირველად სწავლაც არ მიდიოდა ურიგოდ, მაგრამ რამდენიმე თვეში გოგლიკომ მშობლებს განუცხადა – მუსიკა არ მაინტერესებს, ყველა ჩემი მეგობარი ცეკვის წრეში დადის, მეც იქ მინდაო. ერთხანს ეცადნენ მშობლები, იქნებ გოგლიკოს გადავათქმევინოთო, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ, ეყიდათ მისთვის საცეკვაო ტანსაცმელი – ჩოხა-ახალუხი, ბოხოხი, რბილი ჩექმები და სხვა.

არ გასულა სამი თვე, რომ გოგლიკოს მშობლები დაიბარა ცეკვის წრის ხელმძღვანელმა და განუცხადა: ან მე უნდა დავანებო თავი ამ წრეს ან თქვენი შვილი უნდა გაიყვანოთო; მე არ შემიძლია, ოცდაათი ბავშვიდან ერთ-ერთს, თქვენს შვილს, ჩემი დროის მეტი წილი შევწიროო – ნიჭიერია, მაგრამ საოცრად ცელქი, ჭკუადაუმჯდარი, ამავე დროს – ზარმაციცო...

– რა გიყოთ, შვილო, – გოგლიკოს ჰკითხეს მშობლებმა, – საით მიგიწევს გულიო.

– ხატვის წრეში მატარეთო, – ბრძანა გოგლიკომ რატომღაც.

იქ გოგლიკომ სამი თვე იარა, მერე მასწავლებელმა ურჩია მშობლებს: მოგეხსენებათ, ყველა ბავშვი გენიოსი მხატვარია, მაგათ ჩემი სწავლება რად უნდათ, მთავარია, ხელი არ შევუშალო მათი ნიჭის ბუნებრივ გაფურჩქვნასო; თქვენი ბიჭი სხვებზე უარესი არაფრითაა, პირიქით, მეტი მონდომება რომ ჰქონდეს, ალბათ წარმატებას მიაღწევდა – მონაცემები აქვსო; მაგრამ რად გინდა, ერთი ბეწო ინტერესს ვერ ვამჩნევ, ფანქრისა და ფუნჯის ხელში დაჭერა ჭირივით სძულს ჯობს, სხვა საქმე გამოუჩინოთ, ხედავთ, რა მსხვილი მკლავები აქვსო.

ჭიდაობის სექციას გოგლიკომ ისევ სამი თვე გაუძლო, მერე პიონერთა სასახლეში ჭადრაკის წრეში მეცადინეობდა ნახევარ წელიწადს (ერთ-ერთ ტურნირში პირველი ადგილიც კი აიღო და მერე ჭადრაკს თავი დაანება). იქიდან წასული, ლიტერატურულ წრეში "მოღვაწეობდა": კარგა ხანს "პოეტობდა", ერთი პატარა რვეული გაავსო თავისი ლექსებით... უხაროდათ მშობლებს, ეს რა სასახელო შვილი გვეზრდებაო, როგორც იქნა, საკუთარ მოწოდებას მიაგნოო (ოჯახში ლხინის დროს ამაყად სთხოვდნენ გოგლიკოს, აბა, შვილო, სტუმრებს ასიამოვნე, ჩვენც გვასახელე – შენი ლექსი გვითხარიო)... მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, თითქოს ბატონ ევტიხისა და ქალბატონ ნუნუს ჯიბრზე, გოგლიკომ პოეტურად მოშვებული კულულები შეიკრიჭა, ნაზი, არამიწიერი მზერა შეეცვალა მშრალ, ჯიუტ და უტეხ გამოხედვად...

– ვაიმე, შვილო, რა გემართებაო, – შეიცხადეს მშობლებმა.

– რითმების ცოხნა სისულელეა და მეტი არაფერი! – მტკიცედ განაცხადა გოგლიკომ. – ჩვენს დროში ამგვარ ფუჭ საქმეზე დრო როგორ უნდა დაკარგო, მომავალი ზუსტ მეცნიერებებს ეკუთვნის, მათი ფუძე-საძირკველი კი მათემატიკაა!

მშობლებმა პირი დააღეს, მაგრამ გოგლიკოს, აბა, ვინ გაუწევდა წინააღმდეგობას...

მიხვდით ალბათ, მოკლე ხანში ცხადი გახდა, რომ გოგლიკო მათემატიკოსად არ იყო დაბადებული... არც – ქიმიკოსად (ერთი თვე იარა ქიმიის წრეში, ორი ხელი ტანსაცმელი შეაჭმევინა მჟავეებსა და ტუტეებს), არც – ფიზიკოსად (ორი თვე გაძლო, სანამ თვითნაკეთი ორთქლის მანქანა არ აუფეთქდა და კინაღამ თვალი გამოსთხარა,) არც ავიამოდელისტთა შეჯიბრება გამოდგა მისთვის იღბლიანი (ბატონ ევტიხის სამი თვის ხელფასი ქარს გაატანა, თანაც პირდაპირი და ირიბი გაგებით – გოგლიკოს მიერ აგებული მოქმედი თვითმფრინავის მოდელი კურსს ასცდა, ერთი სრულიად უდანაშაულო, გარეშე მოქალაქის ბინის ფანჯარა ჩაამსხვრია, ოთახში უბოდიშოდ შეიჭრა და პატარა ხანძარიც მოაწყო)...

დიახ, ყოველივე ეს, დიდი ხანია, როგორც მემატიანეებს უყვართ თქმა, წარსულს ჩაბარდა – გოგლიკოს განსწავლის წლები თვალსა და ხელს შუა გაილია...

ახლა?

ამჟამად გოგლიკო, ოცდაათი წლის ვაჟკაცი, ავტომანქანების გასამართ სადგურში მოღვაწეობს. დილიდან საღამომდე უსხამს ბენზინს სხვადასხვა მარკის ავტომანქანებს და, სხვათა შორის, ბედს არ ემდურის – ამას წინათ (უკვე მესამედ!) ახალი ავტო იყიდა – "ვოლგა"! (პირველი მისი მანქანა "მოსკვიჩი" იყო, მეორე – "ჟიგული"). გოგლიკოს სკოლის ამხანაგთაგან ზოგი ინჟინერია, ზოგი – ექიმი, ზოგიც – მშენებელი, ერთი მეცნიერებათა კანდიდატიც გახდა, საკუთარი მანქანით კი ვერავინ დაჭრის (ერთის გარდა – ის ტაქსისტია!).

მანქანა რაა, წვრილმანია: გოგლიკომ აგარაკიც შეიძინა, მშვენიერი ორსართულიანი საკუთარი საბრძანებელიც წამოჭიმა ვეძისში – სახლს დიდი ბაღიც აკრავს...

დედ-მამა, ბატონი ევტიხი და ქალბატონი ნუნუ, ღმერთს მადლობას სწირავენ და სულ ერთსა და იმავეს იმეორებენ:

– კიდევ კარგი, კიდევ კარგი, ჩვენს გოგლიკოს არაფრის ნიჭი აღმოაჩნდა, თორემ ხომ დავიღუპებოდით! მისი ამხანაგებივით დაამთავრებდა უმაღლესს, ჯამაგირის ამარა იქნებოდა და მათხოვარივით იცხოვრებდა!..

1987

გულჩინა

გულჩინა ჩიტნამცეცაშვილს დიდი ხანია, ვიცნობ. ერთ დროს ჩემი დის კლასში სწავლობდა, მასთან მეგობრობდა და ხშირადაც მოდიოდა ჩვენთან. შემდგომ სულ უფრო და უფრო იშვიათად ვხვდებოდი. უკვე კარგა ხანია, თვალი არ მომიკრავს მისთვის და ამას წინათ კი ქუჩაში პირისპირ შევეჩეხე...

ისევ ის გულჩინაა – კეხიანი ცხვირით, ვიწრო ტუჩებითა და სახის დამახასიათებელი გამომეტყველებით: მუდმივად ეჭვით მოჭუტული თვალები და ირონიული ნაკეცები ტუჩთა კუთხეებთან ძველებურად ამკობენ მის ოვალურ სახეს.

რაღა თქმა უნდა, გულითადად მოვიკითხეთ ერთმანეთი. გულჩინა ჯერაც გაუთხოვარი ყოფილა და აგერ თითქმის ორი ათეული წელია, გამომცემლობა "ჩიტო-გვრიტოში" მუშაობს რედაქტორად. სწორედ ამ გამომცემლობის შენობის წინ შემხვდა.

– ჩემო გულჩინა, ალბათ ყველა მწერალს იცნობ, უმდიდრესი ბიბლიოთეკაც გექნება ავტორთა სამადლობელი წარწერებითა და ავტოგრაფებით დამშვენებული. ალალად მშურს შენი!

– იჰ! – ამრეზით აწია მარცხენა მხარი გულჩინამ და ტუჩის მარჯვენა კუთხესთან ნაოჭი ბევრად ღრმა გაუხდა. – მწერლებზე კარგად ვის ვიცნობ!.. აგერ, შეხედე, ერთი მოჩინდრიკობს კიდეც – ძაღლი ახსენე და... ალუდა კუდმაკრატელაშვილი ხომ გაგიგონია, აი, ეგ გახლავთ მათი ბრწყინვალება.

– მისი რამდენიმე წიგნი მაქვს შინ, მომწონს... პოეტურად წერს ბუნებაზე, ცხოველ-ფრინველთა ცხოვრებაზე. კარგი მოთხრობებიც აქვს.

– მეტი შენ რა გითხარი! – გულჩინამ თვალები ათვალწუნებით ისე მოწკურა, რომ თითქმის დახუჭა. – შეხედე ერთი, კაცს ჰგავს? ჩანჩურა! ან ბუშტა ცხვირი რას მიუგავს, ან მელოტი თავი როგორ უპრიალებს! თან რა მოკლე და მოღრეცილი ფეხები აქვს – თუ გიყვარდე, მაგას ქუჩაში გამოესვლება? "ჩამშვებიც" არის, ორ შაურად გაგყიდის.

— მართლა? რას იზამ, ოჯახში ერთი მახინჯი ყოველთვის გამოერევა... მაგრამ სხვებიც ხომ არიან — ღირსეული, პატივსაცემი შემოქმედნი? დიდი უმრავლესობა...

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, ყველა უბედური მე უნდა შემხვდეს და მომიშალოს ნერვები! — გაფიცხებით შემაწყვეტინა გულჩინამ. — ამას წინათ, ერთი პოეტია, — მაძღარა შიმშილაური, — იმან მთხოვა, კრებულის ხელნაწერი მაქვს გადასაბეჭდი და ვინმე ნაცნობ მბეჭდავ-მემანქანესთან მიმიყვანეო. მივიყვანე, რასაკვირველია, ერთ კარგ გოგოსთან. ფუი, მაგის კაცობას! ძუნწია, გროშის მონა. იმ გოგოსთვის ანგარიშის გასწორებისას თანხა ზუსტად რომ მიეცა, ხურდა ფულის თვლა დაიწყო... ასეთ გულნამცეცობას დაიჯერებ? ეგ რა პოეტია — წუწურაქი, ჯიბეში მორიელი უზის.

— იქნებ არ ჰქონდა...

— რაა? — თვალები ისე გადმოკარკლა გულჩინამ, შემეშინდა, არ გადმოუცვივდეს-მეთქი. — თავისი გადაპრანჭული ცოლის ქურქში ასტრონომიული თანხა საიდან მიაფშვნიტა?.. კარგი ერთი! მეორე ნაგავი კიდევ, ვითომ-პოეტი — შიმშილა მაძღარაული, მაგის განუყრელი ძმაკაცი, სულ ერთად ლოთობენ, — აფერისტია, მაგარი აფერისტი! მოკლე ხანში სამი ავტომანქანა გამოიცვალა, სამი ბინაც გამოიცვალა და სამი ცოლიც!.. დიახ! პირველი ცოლი შეძლებული ოჯახის შვილი შეირთო, მერე გაეყარა და უფრო მდიდარს დაადგა თვალი — უკეთეს ბინაში გადაბარგდა, "მოსკვიჩი" გაყიდა და "ჟიგული-06" შეიძინა; მერე ამ ცოლსაც გაშორდა, მესამედ დაქორწინდა... ახლა ზღაპრულ ბინაში ცხოვრობს, "ვოლგით" დაგრიალებს, სამსახურებსაც წამდაუწუმ იცვლის... რაღაცას საქმოსნობს, სვლებს ხლართავს, კომბინაციებს აწყობს — მაგას შემოქმედებისთვის სად სცხელა. ერთი დამხრჩვალი წიგნი ძლივს გამოუშვა ასი წლის წინ, ისიც პირველი საქმოსანი სიმამრის დახმარებით და ყოველ წელს ხელახლა სცემს. ახლა რაღაც კოოპერატივები გახსნა და ფულს ნიჩბით ხვეტავს. გავიგე, ბოლო ცოლსაც ეყრებაო, ალბათ "მერსედესიანი" უნდა. საკუთარი ძმაკაცი მიუგზავნა ცოლს, შეაცდინეო, რომ გაყრის საბაბი ჰქონდეს... ნახე, თუ კულტურის მინისტრი ან მისი მოადგილე მაინც არ გახდეს.

— რა პოეტის საქმეა კარიერის კიბეზე ბღოტიალი, რად უნდა სავარძელი?

და თითქოს ამ ჩემს სიტყვებს ელოდაო, გულჩინა მეტი თავგამოდებით აკაკანდა:

— ჰო, ჰო, როგორ არა! ბერდო ბერდანაშვილი სახელმწიფო პრემიაზე რომ წარადგინეს, ხომ იცი? ტიპიური კარიერისტია, თითით საჩვენებელი. ნაცნობ-მეგობრები სულ ბობოლები, "დიდი კაცები" ჰყავს, უბრალო მოკვდავთ უფრო ხშირად "ვერ სცნობს". თუ გაიღო მოწყალება და იკადრა მოსალმება, ისე ქედმაღლურად და დამამცირებლად დაგიკრავს თავს, რომ გირჩევნია, შეეგინებინა... რაც მე მაგის უნიჭო წიგნის რედაქტირებისას ოფლი ვღვარე... არადა, ვინ რას დაუბეჭდავდა, ინტრიგანი რომ არ იყოს — ეშინიათ! გავლენიანი სიმამრი ჰყავს, "ორგანოშიც" სულ მაგის ძმაკაცებია... მთელი "ტეკა"-"ცეკა", პარტიული ელიტა და მთავრობა... რაიკომის მდივნებს შვილებს უნათლავს, მათი კაბინეტის კარს ფეხით აღებს... ა, კიდევ ერთმა ჩაიარა და თუ მომესალმა!

— ვინ იყო, ეგეც "ფულისტი" ხომ არ არის? — სარკაზმი გავურიე ხმაში.

— ხარლამპია დიპლიპიტაური? ზარმაცია, ყომარბაზი და გადაბმულ ქეიფებს გადაყოლილი... ლოთი, დარდიმანდი, მედღე-მეხვალიე, ქარაფშუტა... როდის წერს ლექსებს, საკვირველია პირდაპირ.

— სხვას ხომ არავის აწერინებს? — ვითომ ვიხუმრე მე.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, რა ვიცი. ზოგიერთებზე მართლა ეჭვი მაქვს, მოპარული ლექსებით გადიან ფონს. ლიპარიტ კამბეჩოვნელი ლექსის დამწერია? ჩერჩეტია, შტერი, ცოლს ჰყავს გამოჭერილი და ბაზარშიც კი აძუნძულებს; მისი ნებართვის გარეშე ცხვირსაც ვერ დააცემინებს — ეგ დამოუკიდებლად რამეს შექმნის?

— ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არ არის, დღისით-მზისით ლექსის ქურდობას ვერაფრით დავიჯერებ... თანაც ლიპარიტს, ჩემი შეხედულებით, მშვენიერი ლექსები აქვს, მაგის ხმას ყოველთვის გამოარჩევ...

— რა არის დაუჯერებელი ჩვენს დროში? — არ დამეთანხმა გულჩინა. — ოხერი ერთი და ორი კი არ ბაირამობს? ტიკო ტიკჭორაშვილი შვიდი წიგნის ავტორია, მერე რა? უხერხემლოა, უსახო, საკუთარი არც მეობა გააჩნია, არც — აზრი; სულ იმის ცდაშია, ვინმეს რაიმე იდეა გამოსტყუოს, მცირე რამ მაინც დასცინცლოს და თავისად გაასაღოს... აიღებს სხვისას, ცოტას შეცვლის, ალაგ ფერუმარილს წაუსვამს, რაღაცას შეკვეცავს, სამაგიეროდ — სხვაგან წყალწყალად გაწელავს... და "ორიგინალური" თხზულებაც მზად აქვს!.. სულ აქეთ-იქით მელასავით დასუნსულებს, ყველას პირში შესციცინებს — იქნებ რაღაცას გამოვრჩეო.

— ჩემო გულჩინა, ყველა უნიჭო ხომ არ არის, კარგი მწერლები...

გულჩინა მაცლიდა წინადადების დასრულებას?

— შენ ქოჩორაზე მეუბნები?

— ვინ არის ქოჩორა? — დავიბენი მე.

— ქუცნა ქოჩორაშვილს არ იცნობ? აბა, ეგ არის ჭკვიანი? შეუძლია, შედევრები შექმნას, გეთანხმები, მაგრამ გადაყვა რაღაც წვრილმან, აჭიაბაჭია თემებს, მეათეხარისხოვან პოეტთა თარგმნას...

ვიღაცას ეხმარება, ვიღაცასთან წილში გადის – სცენარს ერთად წერენ... საკუთარი ძირითადი საქმისთვის დრო აღარ რჩება – ათი წელია, წიგნი არ გამოუშვია, ხომ არის ცალტვინა? ბევრნი, მაგის ფრჩხილადაც რომ არ ღირან, ყოველ წელს ბეჭდავენ წიგნებს, ზოგი ორ-სამსაც ახერხებს...

– მერე, ვინ არის თქვენი გამომცემლობის დირექტორი, ვერ მიხედავს საქმეს?

გულჩინამ ჩვეული ალმაცერი მზერა მესროლა, ეს რა სისულელე წამოროშეო.

– ბატონ ოთოთა თუთუშვილს მეტი საქმე არ აქვს, რომ გამომცემლობის პრესტიჟზე იზრუნოს! – წარმოსთქვა ირონიულად. – ოთოთას საკუთარი წიგნები აქვს გამოსაცემი სხვა გამომცემლობებში, სამაგიეროდ, იმ გამომცემლობებიდან მის ძმაკაცებს თავიანთი წიგნები მოაქვთ ჩვენს გამომცემლობაში დასაბეჭდად... ხელი ხელს ბანს.

– ოთოთას რომანი წავიკითხე...

გულჩინამ ისევ არ მაცალა:

– ოთოთასი?.. ოჰ, არ გამაცინო!.. კარგი გაძლება გქონია, ოთოთა – რომანისტი?.. მაგის ნაბოდვარს როგორ გაუძელი? ნოლია, აბსოლუტური ნოლი! სამაგიეროდ, გენაცვალე, სამ წელიწადს მუშაობს ჩვენთან დირექტორად და ხუთი საყვარელი გამოიცვალა... ზოგი შვილად კი არა, შვილიშვილადაც შეეფერება. ისე კი, სიმართლე ითქვას, გარეგნულად ყოველთვის გამოწკეპილი დადის, გემოვნებას ვერ დაუწუნებ. ჩაცმა-დახურვის ნამდვილი გიჟია. ცოლიც კარგად უვლის, მაგრამ რად გინდა – ისეთი უჟმური სიფათი აქვს, ჩაშავებულ-ჩამჟავებული, რომ არამია მაგაზე ყველაფერი, მაინც ჩანჩურას ჰგავს. ვგიჟდები, რა მოსწონთ მასში ქალებს? ვერ გამიგია, თუგინდ მომკალი...

– ჩემო გულჩინა, – რაც შეძლებოდა რბილად დავიწყე მე, – ნუ ვიქნებით მეტისმეტად მკაცრები, ყველანი ადამის შვილები ვართ და დიდ-პატარა ცოდვებისგან არცერთი ვართ თავისუფალნი... ყოველდღიური ურთიერთობის გამო ერთმანეთში მხოლოდ მიწიერ, ცოდვილ ადამიანებს ვხედავთ, ვერ ვამჩნევთ შემოქმედთა გამორჩეულობას, რაც ხშირად დაფარულია... ისეც ხომ ხდება, რომ ადამიანი ერთია და მისი შემოქმედების ნაყოფი – სულ სხვა...

– არ გამაგიჟო, არ გამაგიჟო! – თვალებს კარკლავდა გულჩინა და ვერაფრით დავარწმუნე, რომ შემწყნარებლობა ყოველთვის სჯობს განქიქებას.

რომ დავემშვიდობე, შვებით ამოვისუნთქე და ისიც კი გავიფიქრე – კიდევ კარგი, მწერალი არ ვარ-მეთქი...

1993

დავარ

თათიას დაბადების დღეზე ყველაზე გვიან მისი სკოლის დროინდელი მეგობარი ქალბატონი დავარ გვესტუმრა.

– ხუთი წუთით შემოვირბინე, მომილოცავს, მომილოცავს, ჩემო კარგო, ათასჯერ გკოცნი, მწუ–მწუ, მე მიცდიდით? დავსხდეთ, დავსხდეთ, მალე, მალე, გულზე მიცინცილებს, დიეტაზე ვარ, რა ხანია, თქვენთან არ მიჭუკჭუკია... – ტყვიამფრქვევივით დაგვაყარა სიტყვების ნიაღვარი.

დავარ-ქალის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო!

აბა, სუფრა გაშალეთ, სწრაფად, სწრაფად!

აბა, ჯამ-ჭურჭლის წკრიალი, კერძთა სურნელის შემოტევა, სკამთა ხრიგინი, მხიარულ სახეთა გამონათება!

– ეს რა გიქნია, თათია, ოჯახი დაგიქცევია, ქალო! – შეიცხადა დავარმა. – ამდენ საჭმელს რა მოერევა, აფსუს, დიეტას ვიცავ, თან ნაღვლის ბუშტმაც შემომიტია ამ ბოლო დროს...

სიცილ-ხორხოცი, ხელთა მოუთმენელი ფშვნეტა, ჭიქებში – ღვინის ლიკლიკ-ციმციმი, პირში – ბოლოკის ხრაშახრუში, ცხელი ღომის ოხშივარი, საცივი, მრგვლად მოხარშული ვარიები, სალათი და სამნაირი მხალი, ცხელ-ცხელი ხაჭაპურის სურნელი...

– გასტრიტი მაქვს, ხაჭაპური გულძმარვას იწვევს, მეშინია, არ მაწყინოს... – მწუხარე სახით აცხადებს ქალბატონი დავარ და მეორე ხაჭაპურსაც უღებს ბოლოს; როგორც იტყვიან, კომბაინივით მუშაობს, თან გუშინდელ სიზმარს დაწვრილებით, დაგემოვნებით ჰყვება; მერე წამით მოწყდება სიზმრის მეტად საინტერესო სიმბოლურ-ალეგორიულ კომენტარს და დამსწრე საზოგადოებრიობისა და თათიას გასაგონად ხმამაღლა აცხადებს: – რომ იცოდე, საცივს წიწაკა აკლია!

– დავარ, ზოგიერთს კუჭი ან ღვიძლი გვაწუხებს, ამიტომ...

დავარ მაშინვე აწყვეტინებს თათიას:

– რომ იცოდე, წიწაკაში ყველაზე მეტი ვიტამინია! მეცნიერულად დამტკიცებულია!

და დავარმა უკვე მესამედ გადაიღო დაწუნებული საცივი ახალ თეფშზე, ძველი, ნახრავი ძვლებით სავსე – მეორედ გამოუცვალეს. თან მიირთმევდა, თან დროს უქმად არ ჰკარგავდა და ფრიად

გაგვანათლა თავისი მრავალრიცხოვანი ავადმყოფობების შესახებ მეტად საინტერესო წვრილმანების მოყოლით (რომლებიც, დიდი ხანია, ყველა იქ მყოფმა უკვე ზეპირად ვიცით).

– სალათი ნამეტანი მშრალია, მაიონეზი დააკელით? – პატარა ამოსუნთქვის საშუალება მოგვცა სხვა თემაზე გადართვით დავარმა და სასალათე თითქმის ერთპიროვნულად დააცარიელა; მერე საკუთარი ვაჟიშვილისა და რძლის გემრიელ ძაგებას მოჰყვა, რძლის მშობლები კი ასეთი უმაქნისი არსების გაზრდისთვის პირდაპირ მიწასთან გაასწორა...

პირში გაფაციცებით შევყურებდით, რათა დავარის საოჯახო დრამის მეტად პიკანტური დეტალები ერთიც არ გამოგვრჩენოდა.

– ე-ეჰ, ნამეტანი ბევრი ვჭამე... – ბოლოს ხვნეშით გვაუწყა. – ღორივით კი არ უნდა გასკდე... ჰო, თათია, გენაცვალე, ჩაი რომ არ დავაყოლო, არ შეიძლება, იქნებ მიშველოს. ტორტზე ვგიჟდები-მეთქი რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი; დიახ, მიყვარსო – ნამდვილად ვერ დავიკვეხნი, მაგრამ რადგან გადმოღებულია... ძალიან დიდი ნაჭერია, მეტისმეტად, შენ რა გითხარი... ამას რა გაათავებს... თანაც, რომ იცოდე, მეტისმეტად ტკბილი გამოგსვლია...

შემდეგი ნახევარი საათი დავარის სამსახურის ამბების გაცნობას მოვანდომეთ. მისი დაქალები თვალითაც არავის გვინახავს, მაგრამ დავარის მონაყოლით, უკვე კარგა ხანია, ისე კარგად ვიცნობთ ყველას, თითქოს მათთან ერთ ოჯახში გავიზარდეთ. დრო უქმად მაინც არ დაგვიკარგავს, სულ წვრილად ჩაგვიკაკლა უახლესი ცხელ-ცხელი ამბები.

– თათია, შენ ახლა ნამუსი გაქვს? – უცებ აღშფოთებით გადმოკარკლა თვალები დავარმა. – ხომ იცი, ხინკალზე ვგიჟდები და ახლა მოგაქვს, როცა გავძეხი?.. მოიცა, მოიცა, ამდენს ვერ მოვეერევი, ხუთი ცალი მეყოფა... ჰო, კარგი, ერთიც დამიმატე, დაწყვილდეს... გინდაც მომკლას, მაინც გეახლებით... რა ამბავია, შე ქალო, ამხელა ხინკლები ვის გაუგონია, დევების ქორწილია?..

ამის შემდგომ დავარმა შესაშური გულმოდგინებით გაგვანათლა – სად, ვისთან და როდის რამდენი და როგორი ხინკალი მიირთვა და რა შთაბეჭდილება დარჩა გამკეთებელთა ოსტატობისგან. ბოლოს კი სინანულით დაასკვნა:

– რომ იცოდეთ, რამდენი წელია, წესიერი ხინკალი არ მიჭამია... თათია, შენ რაღა დაგემართა, ქალო, ასეთ წვნიან ხინკალს როდის აკეთებდი, სულ გამიოხრა კაბა...

სამწუხაროდ, ნახევარი საათის შემდეგ, ერთი მსახიობის თეატრის წარმოდგენა დასრულდა:

– ვაი, ცუდათა ვარ!.. თათია უსინდისო, ამდენი რომ ვჭამე, რატომ არ გამაჩერე?... გიგუშა, შვილო, გავარდი ქუჩაში, ტაქსი დამიჭირე; თუ ცოცხალი მივაწიე, შინ ათასი საქმე მელოდება...

1999

დათიკო

თინა შეუძლოდაა – გუშინ წნევამ აუწია, წევს.

არავის სცალია მისთვის: არც – ქმარს, არც – ქალიშვილს, მით უმეტეს – არც სიძესა და მოზრდილ შვილიშვილებს.

დილით მაინც თავს ძალა დაატანა და ადრე ადგა – იცოდა მისი ბედოვლათი ქმრის, დათიკოს ამბავი: ჩაის ვერ დაისხამს თვითონ და პურიცა და ყველიც ცოლმა უნდა დაუჭრას და კარაქიც მან უნდა წაუსვას... მურაბასაც კი ვერ გადმოიღებს. ერთხელ მაინც იკითხოს: თინა, როგორა ხარ, რამე ხომ არ გინდაო... ან რა გესიამოვნება ავადმყოფს, რამე ხომ არ მოგიტანოო...

მერე ისევ დაწვა ლოგინში.

დათიკომ ისაუზმა და შინიდან გასვლისას ცოლს ეუბნება:

– თინა, თავს მიხედე, თავს!

თინა დადნა, ესიამოვნა ქმრის სიტყვები და უნდოდა, ერთხელ კიდევ მოესმინა.

– რა თქვი, დათიკო?!. – წამოსწია თავი ბალიშიდან.

– თავს მიხედე, გოჭის თავს. ჩემი მოსვლისთვის კარგად შეწვი, ზედმეტი არ მოგივიდეს, როგორც ამას წინათ!

და დათიკომ გაიხურა კარი.

1986

დურმიშხან

აგროქიმიკოსი დურმიშხან ხახვაძე რიგით მეცნიერ-მუშაკად იღვწოდა ერთ-ერთ სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში, ხოლო თავისუფალ დროს წარმატებით ახმარდა არცთუ კეთილი, მაგრამ გულის მოსაფხანი ანონიმური წერილების წერას.

ამქვეყნად რა დაფარულა და დურმიშხანის ლიტერატურული ვნებანიც გამოაშკარავდა.

აღარ იცოდნენ, როგორ მოეშორებინათ თავიდან ყიამყრალი კაცი, რომელსაც სამსახურში ზურგს უკან "დარიშხანს" უწოდებდნენ.

სამინისტროში საჭირო გახდა აგიტაცია-პროპაგანდის სამმართველოს ახალი უფროსის დანიშვნა.

ინსტიტუტში სასწრაფოდ შესანიშნავი დახასიათება დაუწერეს და მოიცილეს თავიდან დურმიშხანი დარიშხანი.

მალე იქაც აღარ იცოდნენ, რა ეღონათ, ისე გაამწარა ყველა.

როცა ერთ-ერთ სასწავლო ინსტიტუტში პრორექტორის ადგილი განთავისუფლდა, ბევრი იჩალიჩეს, რათა როგორმე მოეხერხებინათ დურმიშხანის იქ გადაყვანა.

ახალ სამოქმედო ასპარეზზეც არ დააყოვნა თავისი უნიკალური უნარის წარმოჩენა. ამჯერად მეტსახელად "მორიელი" შეურჩიეს.

აქაც ერთი სული აქვთ, სანამ სადმე კიდევ უფრო "მაღალი" თანამდებობა გამოჩნდება.

ბატონ დურმიშხანის ბრწყინვალე დახასიათება უკვე მზად აქვთ...

1986

ევგრაფ

– მოდი, გრიშა, წიე, ჩამოჯექი პატარა ხანს, ვილაპარაკოთ!

– არ მცალია, ევგრაფ ბატონო, ბოდიშს ვიხდი...

– ცოტა ხანს მაინც, შე კაცო... მოიცა, თუ გიყვარდე!

– სხვა დროს იყოს, ძალიან მეჩქარება.

– კარგი ახლა, ჭირიმე, რა საქმე გაქვს ისეთი, ცეცხლი ხომ არ გიკიდია! ერთი წუთით დაბრძანდი, ჩქიმი პატენი!

გრიშა ხათრს ვეღარ უტეხს, ჩერდება.

საუბრობენ...

გრიშას წასვლის შემდეგ ევგრაფი ბუზღუნებს:

– ჩამომიჯდება აქ ბოქაულივით... რას ლაქლაქებს, რომ ლაქლაქებს... საქმე აქვს გამოლეული?

1986

ეზეკია

იყო და არა იყო რა...

ოჰ, ღმერთმა დასწყევლოს, კინაღამ ზღაპრის დასაწერად წამიცდა ხელი! ჩვენი გმირი კი ამ ცოდვილ მიწაზე დააბიჯებს, სინამდვილეში არსებობს, თითქმის ყოველდღე მხვდება და რაღა ზღაპრის გმირია?

ჩვენს უბანში, ვისაც კი ჰკითხავთ, ერთხმად დაადასტურებენ, რომ ასეთი ადამიანი ნებისმიერ ქალაქს გაუთქვამდა სახელს... ეზეკიაზე მოგახსენებთ, კოკაჭეიშვილზე. ისე, კაცმა რომ თქვას, გარეგნულად ვერავინ ივარაუდებს, რომ მის წინაშეა ესოდენ გამორჩეული პიროვნება. ეზეკია გარეგნულად უფრო გიგო გაბაშვილის ტილოდან გადმოსულ მთვრალ ხევსურს მოგაგონებთ – თუ ჩაცმულობით არა, სახით მაინც: ისეთივე მუქი აგურისფერი სახე, ამღვრეული, მწვანე თუ ცისფერი – კარგად ვერ გაარჩევ – თვალები; უშნოდ ჩასუქებული ტანი... მხოლოდ ულვაშებშია განსხვავება: მთვრალ ხევსურს მსხვილი ულვაშების ბოლოები ქვევით აქვს ჩამოშვებული, ეზეკია კი თავის ჭაღარა ულვაშებს ზევით იპრეხავს – ასეთი ყაიდის ულვაშები ამშვენებდა მამაკაცებს ამ ნახევარი საუ-

კუნის წინათ. ჩვეულებრივ ტანსაცმელს იცვამს: უმეტესად შავ პიჯაკს, ხოლო მის ქვეშ – ხავერდის ყავისფერ (ზამთრობით) ან სატინის თეთრ (ზაფხულობით) ხალათს; თავს ახურავს განუყრელი სვანური ქუდი (ზამთარ-ზაფხულ), საკმაოდ გაზინზლული და გაცვეთილი... აი, ბატონ ეზეკიას გარეგნობის ზედაპირული აღწერილობა. მითხარით ერთი, რას იპოვით მის იერში ისეთს, რომ ქანდაკება დაუდგა? სხვათა შორის, ჩვენს უბანში ზოგიერთები აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია, ამტკიცებენ – ეზეკიას ძეგლი მის სიცოცხლეშივე უნდა შევუკვეთოთ, ღირსია ნამდვილადო. ჩემში არასდროს მიგრძვნია მოქანდაკის ან ფერმწერის ნიჭი, თორემ ვითავებდი ამ დიდი საშვილიშვილო საქმის შესრულებას – ეზეკიას უკვდავყოფას საჭრეთლით ან ფუნჯით... ჰო, კინაღამ დამავიწყდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: მას ვერასდროს ნახავთ გაღიმებულსაც კი, სიცილზე აღარაფერს ვიტყვი. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ ეზეკია განთქმულია, როგორც ენამოსწრებული კაცი, მის მიერ ნათქვამი ნაკვესი იმავე დღეს მოივლის ხოლმე ახლომახლო ქუჩებს და მთელ უბანსაც.

მაგალითისთვის ერთ პატარა ამბავს გავიხსენებ.

იანვარია, ყინავს. ეზეკია ქუჩის კუთხეში მოთავსებულ ბოსტნეულის მაღაზიაში შედის. აქ მწვანილეულობის, კონსერვებისა და ღვინის ყიდვის გარდა, კასრის ლუდიც შეიძლება დალიო; ასევე, უსაქმურთა დიდი არჩევანიცაა, განსაკუთრებით საღამოობით, როცა პატარა მაღაზია სავსეა მამაკაცებით და ერთგვარ კლუბად იქცევა. სვამენ ლუდს და საუბრობენ, შემოსულ ეზეკიას მხიარული შეძახილებით ხვდებიან:

– როგორ გიკითხოთ, პატივცემულო ეზეკია, საქმეები ხომ კარგად მიდის? – კითხულობს ერთი. ყველანი წინდაწინ იღიმებიან, იციან, ეზეკია იხუმრებს.

– ეჰ, რაღა კარგად უნდა ვიყო, – პასუხობს ეზეკია დამწუხრებული სახით, – მთელი ღამე არ მიძინია, კაცო.

– რაო, რა მოხდა?

– ბაყაყების ყიყინმა არ დამაძინა, მაგათ გაწყვეტს ჭირი!

მამაკაცები როხროხებენ და აწვდიან ეზეკიას ლუდით სავსე კათხას. ისიც სერიოზული სახით ჩამოართმევს სასმისს და აუჩქარებლად მიიტანს ტუჩებთან. საერთოდ, ყველაფერს ასევე აკეთებს – დინჯად და საქმის სერიოზულობის შეგრძნებით... თუმცა, რა აქვს გასაკეთებელი, რა საქმეებზე იწუხებს თავს – ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

როგორც ხედავთ, ეზეკიას ხუმრობა არაა მაინცდამაინც გონებამახვილური, არც აზრის სიღრმით გამოირჩევა, მაგრამ თვით ეზეკიას მსგავს ადამიანებს მოსწონთ და სადაც ორი-სამი კაცი გაიცინებს, დანარჩენებსაც გადაედებათ ხოლმე. ეტყობა, ეზეკიამ მიაგნო რამდენიმე მეტად მარტივ ხერხს სიცილის გამოწვევისა: უნდა თქვა ის, რასაც სრულებით არ მოელიან ან ერთმანეთს დაუკავშირო სრულიად განსხვავებული საგნები ან მცნებები, რომელთა შედარების უადგილობაც სიცილს იწვევს.

მაშ რისთვის უნდა დავუდგათ ძეგლი? – იკითხავთ. ეზეკიაზე ბევრად მხიარული, ენამახვილი ადამიანები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებიან, რომლებიც, როგორც იტყვიან, ეზეკიას ჯიბეში ჩაისვამენ. აბა, რით დაიმსახურა ესოდენი პატივი, რა გააკეთა ისეთი?

არაფერიც არ გაუკეთებია! სწორედ ეს არის გასაკვირველი: დიახ, არაფერი გაუკეთებია და მაინც დაიმსახურა, რომ უკვდავყოთ მისი სახელი; სწორედ იმიტომ უნდა დავუდგათ ძეგლი, რომ თავის სიცოცხლეში არაფერი გაუკეთებია, ჩხირიც არ გადაუბრუნებია! ნუ გგონიათ, ეზეკიას მსგავსად უშნოდ ვხუმრობ – სრულიად სერიოზულად ვაცხადებ ამას. თქვენ თვით განსაჯეთ: რით არის ხოლმე გამოჩენილი ადამიანი გამორჩეული? იმით, რომ ახასიათებს რაიმე ნიჭი, უნარი, რაიც გამოჰყოფს დანარჩენ მოკვდავთაგან. რუსთაველმა და ნიკო ფიროსმანაშვილმა შეჰქმნეს ისეთი შედევრები, რომელთა ავტორობაც მხოლოდ მათ შეეძლოთ. არიან სხვა სახის ტალანტებიც. მაგალითად, ზოგს ახასიათებს ავანტიურისტობის იშვიათი თვისება, ზოგს – საბანკო სეიფების გაღების არაჩვეულებრივი უნარი, ზოგიერთს კიდევ – თაღლითობისა... ესენიც ერთგვარი ვირტუოზები არიან თავიანთი ხელობისა, ნამდვილი დიდოსტატები.

იქნებ ამგვართ მიეკუთვნება ეზეკიას ტალანტი? არა, ეზეკია სახელგანთქმულია... სიზარმაცით! მასზე ვერ იტყვი, უბრალოდ ზარმაციაო, ამგვარი განსაზღვრა ფრიად სუსტია და არაფრის მთქმელი. ზარმაციაო, რიგით ადამიანზე ამბობენ ხოლმე, ეზეკია კოკაჭეიშვილი კი განსაკუთრებული პიროვნებაა, ჩვეულებრივთა კატეგორიაში ვერ ეტევა. პირველი მიახლოებით შეიძლება ითქვას, რომ ის სიზარმაცის გენიოსია. შევეცდები, განვმარტო ბოლო ორი სიტყვის მნიშვნელობა.

ეზეკიას ბავშვობიდანვე დაჰყვა თუ არა სიზარმაცის ნიჭი, ძნელი დასადგენია. რასაკვირველია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩანასახის სახით მას თავიდანვე გააჩნდა იმედის მომცემი მონაცემები. ერთხელ, გიმნაზიის მეორე კლასში სწავლის დროს, ეზეკიას დაეზარა გაკვეთილების მომზადება. დედას უთხრა, თავი მტკივა და ვერ ვიმეცადინებო. მასწავლებელსაც იგივე მიზეზი დაუსახელა. მეორე დღეს ისევ მოიმიზეზა – ავად ვარო... მოკლედ, მიაგნო ოქროს ძარღვს.

ეზეკიას ძალიან მოეწონა და გაუტკბა თავისი ახალი მდგომარეობა. თქვენ გგონიათ, რაიმით იყო გატაცებული? არა. არც წიგნების კითხვით იყო გართული, არც – თამაშით ან სხვა რაიმით... უსაქმურობა შეუყვარდა. აღარც გაკვეთილებს ამზადებდა, აღარც ნებისმიერ სხვა რამეზე იწუხებდა თავს, პირსაც კი აღარ იბანდა. ყოველგვარ დავალებას თუ დასაქმებას ერთნაირი ხერხით იცილებდა თავიდან – ავად ვარო, ყველაფერზე ამას გაიძახოდა. ერთი-ორჯერ და მეტჯერაც მამამისმა გემრიელად მიტყეპა; იქნებ ამ წამალს შედეგიც მოჰყოლოდა, მაგრამ ყოველთვის დედა ჩაერეოდა ხოლმე – ერთადერთ ვაჟს არ "დააჩაგვრინებდა"... ეზეკიას სრულ უქნარობას აღარაფერი ეღობებოდა წინ და ისიც სრულად იმკიდა "გამარჯვების" ნაყოფს. ჯერ გიმნაზიიდან გამოაგდეს. მამამისს დუქანი ჰქონდა და მაინცდამაინც არ დასწყეტია გული, ვაჭრობას უნივერსიტეტის დიპლომის გარეშეც კარგად შეძლებს ჩემი შვილიო. სულ მოკლე ხანში დედ-მამამ თვალნათლივ დაინახეს: ეზეკიას სიზარმაცე ჩვეულებრივ ჩარჩოებში ვერ ეტეოდა, რიგით, ჩვეულებრივ სიდიდეს წარმოუდგენლად აღემატებოდა. შემდეგ გარეშეებმაც იგივე დასკვნა გააკეთეს. ერთადერთი საქმე, თუ ამას საქმეს ვუწოდებთ, რომელსაც ეზეკია არ თაკილობდა, იყო ძღომაზე ჭამა. მისი "საქმიანობის" სიას შეიძლება კიდევ დავამატოთ ძილი და ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება...

სხვა დროს რაღას აკეთებდა? გორავდა ტახტზე ლუარსაბ თათქარიძესავით. უნდა გულახდილად ითქვას, რომ ეზეკია კოკაჭეიშვილმა ბევრად აჯობა ილია ჭავჭავაძის გმირს. ლუარსაბი რაღაცაზე წუხდა, ზრუნავდა, ფიქრობდა, – ცოლის თხოვნა იყო თუ ხვალინდელი სადილ-ვახშამი, მოურავთან სამეურნეო საკითხებზე საუბარი თუ შვილის ყოლის სურვილი – ყველაფერი პოულობდა გამოძახილს მის სულში. ეზეკია კი? ნურას უკაცრავად! მსოფლიო წარღვნა რომ მოვლენილიყო, თითს მაინც არ გაანძრევდა; ყოველგვარ უსიამოვნო ფიქრებს თავიდან იცილებდა. მშობლებს იმედი ჰქონდათ, დრო გავა, გაიზრდება, ჭკუაში ჩადგებაო. გაგიგონიათ? მერე იფიქრეს: იქნებ ცოლი შევრთოთ, ამან უშველოსო. გაურიგეს ერთი კარგი გოგო. თქვენც არ მომიკვდეთ – ისევ ისეთი ეზეკია დარჩა, ერთი საათი არ უმუშავია არსად. დაებადა ერთი, მეორე, მესამე ვაჟიშვილი, ეზეკია ისევ და ისევ მხოლოდ ჭამაზე თუ იწუხებდა თავს, დანარჩენი არაფერი აინტერესებდა, არაფერი ანაღვლებდა; მისი ცოლ-შვილი უკვე მოხუცი მშობლების სარჩენი და მისახედი იყო. ბავშვების გაზრდის სირთულეები (და სიხარულიც!) ეზეკიას სულს გაკვრითაც არ შეხებია. რა უნდა ექნათ? ლურსმანი რაა, ერთი ლურსმანი არ ჩაუჭედებია არსად, სკამიც კი არ გადაუდგამს ერთი ადგილიდან მეორეზე... როცა ვინმე გულუბრყვილო დაუწყებდა ლაპარაკს, რატომ არ მუშაობ სადმე, შინაც არაფერს აკეთებო, ეზეკია მას პასუხის ღირსადაც არ თვლიდა. მისი ამხანაგები იყვნენ მხოლოდ პენსიონერები, რომლებთანაც უმეტეს დროს ატარებდა – ეზოს შუაში ამოზრდილი დიდი მამალი თუთის ქვეშ ხის გრძელი სკამები იყო გამართული და ერთთავად იქ იჯდა ზამთარ-ზაფხულ.

როცა მშობლები მოუკვდა, რაღა ჰქნა ეზეკიამ? რა და, განაგრძო ცხოვრება ძველებურად, თუ ასეთ ყოფას ცხოვრებას დავარქმევთ. ცოლი იძულებული გახდა, ემუშავა და ქმარ-შვილი გაჭირვებით ერჩინა...

აი, როგორი კაცია ეზეკია კოკაჭეიშვილი. მას რა გამოასწორებს... პასპორტიც კი არასდროს ჰქონია... მოკლედ, შეიძლებოდა, მოქალაქედაც არ ჩაგვეთვალა. როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ეზეკია ისევ ტახტზე გორავდა, ან, თუ დარი იდგა, ეზოში იჯდა თუთის ქვეშ. ხანდახან ქუჩაშიც გაისეირნებდა მადის მოსაყვანად ან ქუჩის კუთხეში ბოსტნეულის მაღაზიას ესტუმრებოდა. ცხოვრება იყო ეს? არ ვიცი... ალბათ, რომ გეკითხათ, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა ქვეყნიერებაზე, რომელი წელი იყო; ვეჭვობ, სცოდნოდა, მის შვილებს რა სახელები ერქვათ... იქნებ ჭკუასუსტია? რა თქმა უნდა, არა: მოსწონს, ძალ-რბილში გაუჯდა ამგვარი "თავისუფლება" – თავისუფალია ყოველი და ყოველგვარი მიწიერი ვნებათაღელვისგან...

ამჟამად რასა იქმს ბატონი ეზეკია?

შვილები, რა ხანია, დაიზარდნენ, მუშაობენ, საკუთარი ოჯახების პატრონები არიან. ეზეკია ჩამოუვლის ხოლმე მათ და ფულს ართმევს, რადგან მეუღლე აღარ ჰყავს ცოცხალი. ხანდახან შვილებს ემუქრება, სასამართლოში გიჩივლებთო, – ხუმრობს ალბათ, ვერ მოიშალა ძველი ჩვეულება. შვილები ზოგჯერ მას აძლევენ ფულს, თვითონ კი მშრალზე რჩებიან. ეზეკია ამას არ ნაღვლობს, მისთვის მთავარია, ყოველ საღამოს ჰქონდეს ერთი-ორი კათხა ლუდის ფული. დანარჩენი ყველაფერი ეშმაკსაც წაუღია. თუ უკაპიკოდ არის, კარგა ხანია, ერთ ხერხს იშველიებს – ხუმრობით ცდილობს, ჭიქა ლუდზე დაპატიჟონ. ამ მხრივ ძალაუნებურად თანდათან "დაოსტატდა"...

აი, როგორი კაცი გახლავთ ეზეკია კოკაჭეიშვილი. აბა, თუ ნახავთ მის სადარს სხვას, ტყუილად გაირჯებით. გამოჩენილი პიროვნებაა თუ არა ეზეკია? დამეთანხმებით – უსათუოდ, მან სიზარმაცეში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. დაიმსახურა თუ არა ძეგლი? არც ამაში შეიძლება ეჭვის შეტანა. ადამიანმა, რომელსაც სიზმარშიც კი არასდროს გაუტოკებია ხელი რაიმე საქმის გასაკეთებლად (თუ არ ჩავთვლით კოვზის პირთან მიტანას, ჭიქის აწევას და მისთანებს), ნამდვილად სამარადჟამო ძეგლი დაიმსახურა. წარმოიდგინეთ, რა უზარმაზარი ნებისყოფა, ძალების რა ტიტანური დაძაბვა იყო ამისთვის საჭირო... და თქვენ მიხვდებით, რომ ბატონმა ეზეკიამ ნამდვილი გმირობა ჩა-

იდინა, არა ვარ მართალი? აბა, თქვენ სინჯეთ, მიბაძეთ ეზეკიას და ვნახოთ, რამდენ ხანს გაძლებთ!

მე, როგორც შემეძლო, აღვწერე ჩვენი უბნის სიამაყე – ეზეკია კოკაჭეიშვილი. ახლა ვინმე გამოვა და იტყვის: ასე კი არ უნდა ხასიათის ჩვენებაო, უბრალო აღწერა არ კმარა, მოქმედებაში უნდა გამოვლინდეს პიროვნების სახეო და ასე შემდეგ. მართალს ბრძანებთ, საკვლევით გეთანხმებით; მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, როგორ უნდა გადმოსცე მოქმედი პირის ხასიათი, თუკი ის სინამდვილეში უმოქმედო პირია? როცა საერთოდ არაფრის გამკეთებელია – არც ავის და არც კარგის! თუ ვინმე ამას ჩემზე უკეთ შეძლებს, მზად ვარ, ყოველმხრივ ხელი შევუწყო. პირადად გაგაცნობთ ეზეკია კოკაჭეიშვილს, შეისწავლეთ მისი ფენომენი, თუ გნებავთ, რომანის გმირადაც გამოიყვანეთ... მისამართი გნებავთ? სრულიად საკმარისია, ქუჩის დასახელება დაიმახსოვროთ, სახლის ნომერი რა საჭიროა – ვისაც კი ქუჩაში შეხვდებით, სიამოვნებით მიგასწავლით ჩვენი უბნის სიამაყის საცხოვრისს. ჰო, ქუჩის დასახელება გნებავთ? ახლავე მოგახსენებთ, მაგრამ ერთი რამ უნდა ვთქვა კიდევ. დარწმუნებული ვარ, ბევრ ჩვენთაგანში პატარა ეზეკია მაინც ზის; დიახ, შესაძლოა, არც იჯდეს მყარად, მაგრამ ხანდახან რომ გაიღვიძებს და დაგვიმორჩილებს – ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მაშ, რაღა საჭიროს ჩვენი ქუჩის მშვენებისა და სიამაყის – ეზეკიას – ნახვა? განსაკუთრებით, თუ ამასთანავე ცოტათი გეზარებათ კიდეც ეზეკიას ძებნა?

1964

ელიკო

შუახნის ჭაღარათმიანი ქალი – ანა – საავადმყოფოს პალატაში ფანჯარასთან წევს. ავადმყოფები რვანი არიან, სულ სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის მანდილოსანნი. მათ უვლის ექთანი ელიკო – ძალიან სწრაფი, ტკბილმოუბარი, დაუზარელი ქალიშვილი. ყველას მოსწონს გარეგნულადაც – ეშხიან, შუქიან შავ თვალებს აბრდღვიალებს, გაქათქათებული თეთრი ხალათი ვერ ფარავს კენარ ტანს და შხვართ ფეხებს – ელიკოს მომხიბვლელობას ქალებიც კი აღიარებენ.

ანა კარგა ხანია, აქ წევს. ძალიან მოსწყინდა აქაურობა. ოპერაციის შემდეგ იმასღა ნატრობდა, ოღონდ ტკივილებმა გამიაროს და მეტი არაფერი მინდაო, მაგრამ თურმე ადამიანს სხვა ბევრი რამეც სჭირდება, თუნდაც ნახევარ საუკუნეს იყოს უკვე გადაცილებული... ქალთა ლაპარაკისგან თავგაბეზრებულს, უყვარს ფანჯარაში ცქერა – მოჩანს რაღაც შენობის აგურის ყრუ კედელი, მის წინ – უზარმაზარი ჭალის ვერხვის მსხვილი ნათელი ტანი და მწვანე რტოების ნაწილიც; ერთი ტოტი კი ფანჯრის მინას ეხახუნება ქარის დროს, თითქოს ითხოვს, ფანჯარა გამიღეთ, თქვენთან შემოსვლა მინდაო...

ყველაზე უფრო კი, რა თქმა უნდა, შვილების მოსვლა ახარებს ქვრივ ანას. ქალიშვილი შედარებით იშვიათად აკითხავს – ქმარშვილიანია, თან მსახურობს, კვირაში სამ-ოთხჯერ მაინც ახერხებს მოსვლას; სამაგიეროდ, ვაჟი, შიო, რომელიც ქალიშვილზე უფროსია, თითქმის ყოველ საღამოს მოდის ხოლმე და ერთი-ორი საათით რჩება. მეტ ხანსაც გაჩერდებოდა, მაგრამ ერიდება – ქალთა პალატაა და გაჭირვებული ავადმყოფები არიან, უმეტესობა – მწოლიარე, ამიტომ შიო დერეფანში გადის, სანამ ვინმეს ნემსს უკეთებენ თუ სხვა რამ პროცედურას უტარებენ. უკვე ყველას გაეცნო პალატაში, მოაქვს ახალი გაზეთები, ხანდახან – ყვავილებიც, ქალთა წვრილმან თხოვნას ყოველთვის დაუზარელად ასრულებს – იქნება ეს ვინმესთვის დარეკვა, წამლის შოვნა თუ სხვა ამგვარი. ხშირად საკმაოდ დიდხანს უწევს გრძელ დერეფანში წინ და უკან სიარული, ამ დროს ათვალიერებს იქ მორიალე ხალხს; განსაკუთრებული სიამოვნებით გააყოლებს ხოლმე თვალს ჩქარი ნაბიჯით ჩავლილ ელიკოს. მოსწონს მისი ნატიფი, თითქოს საგანგებოდ გამოქანდაკებული კოხტა ფეხები, ამაყად ამართული ტანი, გლუვად გადავარცხნილი და წითელი სარჭით დამაგრებული ხშირი შავი თმები...

ერთხელ, შიომ ჰკითხა დედას, ელიკო რატომ არ ჩანსო (იმ დღეს დილის ცვლაში მორიგეობდა). ანამ კარგა ხანია, შეატყო შვილს, რომ ქალიშვილი მოსწონდა. ანა გუმანით გრძნობდა, რომ ელიკოც არ იყო გულგრილი მისი ვაჟის მიმართ. რამდენჯერმე დააპირა კიდეც, გახუმრებოდა გოგოს, რძლად მინდიხარო, მაგრამ თავი შეიკავა, ვაითუ ეწყინოსო, თანაც ჯერ შვილთან აპირებდა გასაუბრებას.

ერთხელაც შემოცქრიალდა პალატაში ელიკო და სიცილით აუწყა ქალებს – რამდენი სასაცილო ამბავი ხდება ამქვეყნადო, თან ხელში სასკოლო რვეულიდან ამოხეულ უჯრებიან ორმაგ ფურცელს აფრიალებდა: მეზობელ, კაცთა პალატიდან ერთი ვაჟი სატრფიალო ბარათს მწერსო. წერილი ანას მისცა, – “სადედამთილოს”, – გაერთე და მერე სხვებსაც წააკითხეო.

ანამ სათვალე მოიმარჯვა და გულდასმით შეუდგა კითხვას.

წერილში ეწერა:

“გამარჯობა ელიკო. გართმევთ ხელს და გისურვებთ მრავალ საუკუნებრივ ჯამრთელ ბედნიერ სიცოცხლეს და ცხოვრებას აგრეთვე გისურვებთ თქვენი ახალ გაზრდა ნორჩი გულის მიერ დასახული ამოცანების 100%-ით შესრულებას. გისურვებთ სულით და გულით ცხოვრებაში შრომაში და სწავლაში გქონებოდეთ დიდი მიხწევები. ასევე განურჩეველი მოკითხვა და სალამი თქვენს მშობლებს და ოჯახის ყოველივე წევრს. მაშ ასე ჩემო ელიკო ჩემი მოკითხვით და სურვილებით, რომ კმაყოფილი იყოთ, მაშინ გაგიმარჯოთ და იყავით ისე, როგორც თქვენი გულის სურვილები და აზროვნება მოითხოვდეს. პატარა მოკითხვას ვამთავრებ და გადავდივარ შემდეგ საკითხზე, რომელიც ჩვენ ორივესთვის დიდათ საინტერესოა და დიდათ საპატივ საცემოა. ელიკო მე პირადათ გაგიცანით საკმარისათ შეგისწავლეთ, როგორც საჭიროა. მე, როგორც ახალ გაზრდა ვაჟი. მე ცხოვრებაში მხოლოთ პირველი შენ მომეწონე კიდევაც მიყვარხარ და პირველს თქვენ გიხსნით სიყვარულს. მე დიდი მონდომებით ვარ დაინტერესებული ამ საქმით და სურვილი მაქვს გავიცნო თქვენები. ვარ გულ კეთილი ვაჟი, არ ვარ ბოროტი, მატყუარა, და ავარა. თქვენ ჩემთვის ხართ შესაფერისი. მე აღარ შემიძლიან დამალვა და ჩემი გულის სურვილს გიმჟღავნებთ. მე მსურს შევქნა საკუთარი ოჯახი, რომელიც სავალდებულოა და ძვირფასია ყოველი წესიერი ვაჟისა და ქალისთვის. და ამიტომაც ჩემთვისაც საჭიროა. მე თქვენ მომწონხართ და განმეორებით გიწერთ წერილში მიყვარხართ და მეყვარებით. სრულ გარანტიას გაძლევთ, რომ ჩვენ ერთმანეთს შევეწყობით და ვეცდები ცხოვრებაში ბედნიერნი ვიყვნეთ. ყოველთვის ვეცდები ვიყო თქვენთვის ყველაზე უკეთესი და ახლობელი მოჭირნახულე მესაიდუმლე მეგობარი. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ როგორც თანა მედროვე შეგნებული და კულტურული ქალიშვილი თქვენ ჩემს სინდისიერ წმინდა გულის მიერ გამონათქვამ სიტყვებს დაიჯერებთ რომ მომწონხართ, მომწონს თქვენი ელასტიური სიარული, ნაზი სიცილი, მიმზიდველი და ტკბილი ლაპარაკი, ადამიანებისთვის ადამიანური მოპყრობა. მე პირადათ შეგისწავლეთ ფსიქოლოგიური დაკვირვებით ამასთანავე სტრუქტურული აგებულებით გარეგნული დაკვირვებით მომწონხართ და მინდიხართ საცოლეთ. დარწმუნებული ვარ თქვენ პიროვნებაში, რომ გაიზიარებთ ჩემის გულის ტკივილს და სიყვარულის საიდუმლეობას. მომცემთ დადებით პასუხს თქვენი საკუთარი ხელით გადმოცემით (წერილობითი სახით).

ამის შემდეგ მე მოვალ თქვენსა და დიდი სიამოვნებით გავიცნობ თქვენებს რომლებიც ჩემთვის ძვირფასებს წარმოადგენენ და მეორეთ კი ჩვენებს შეგახვედრებთ ან ჩვენთან ან თქვენთან. ასე გენაცვალე ამ დიდი წერილით თავს გაწუხებთ ამაზე ბოდიშს ვიხდი რა თქმა უნდა ამ წერილის მიზეზიც და საბაბიც თქვენ ხართ. არ დაგიმალავ მე ავათმყოფობა არ მაწუხებს ისე, როგორც თქვენზე ფიქრი ისე წუთი სათი დღე არ გაივლის რომ თქვენზე არ ვიფიქრო თქვენი შემოსვლა პალატაში და დანახვა ჩემი ავათმყოფობის გაქრობას ნიშნავს. თქვენ არ იფიქროთ დიდი რამით ვიყო დავადებული. არაფერიც იმდენი არაფერი მაქს ვარ 22 წლისა ამ ავათმყოფობას გადავიტან მხოლოთ სიყვარულს ვერ ავიტან. ექიმები მეუბნებიან ნაღველა მაქს დაზიანებულიო მაგრამ ამ ნაღველას კიდევ ნაღველა ემატება მხოლოთ თქვენზე ფიქრით. ასე მეც კარგათ გავხდები საბედნიეროთ ჩემის აზრით პირველი გამკურნავი თქვენ ხართ. თქვენ ხართ ჩემი გულის ცემა, სიხარული, სიცოცხლე და სიყვარული ასე გენაცვალე კარგათ იყავი მთელი სამყაროს და ბუნების არსებობამდის მჯერა სრული გულით რომ თქვენ დაიცავთ წმინდა ქალიშვილურ ადამიანურ ღირსებას და გთხოვთ ჩემი წერილი არავის წაკითხო და არც შინაარსი არავის გადასცე წაკითხვის შემდეგ ეს წერილი გინდ დახიე გინდ დაწვი ეს წერილი მე დავწერე მარტო ღამის 2 საათზე ისეთ ადგილზე რომ არავინაც არ იცის ამის შესახებ სხვათა შორის ისე ლაპარაკობენ სიტყვიერათ ჩვენზე სამაგიეროთ ყურს არავის უგდებ

მშვიდობით ველი პასუხს 12/V 83 წელი

ასე ელიკო აბა რაღა მოგწერო ველი პასუხს წერილით თქვენი ხელის გადმოცემით.

ნაწერზე ბოდიშს გიხდით რადგან კალმის წვერი არ მივარგოდა და თანაც მეძინებოდა

ტრისტანი”

წერილის გადაცემისას ელიკომ ანას უთხრა:

— ბოლოში რაღაც მიუწერია და მერე მაგრად წაუშლია, მაგრამ გაჭირვებით მაინც წავიკითხე: “გკოცნი შენი ტრისტანი”.

გაუმართავად, მაგრამ ალალი გულით ნაწერმა ბარათმა ანაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ელიკოს საქციელი ძალიან ეწყინა და წერილი დამალა, მოხერხებულ დროს კი ჩუმად გადასცა ვაჟიშვილს, წაიკითხე, ნახე ელიკოს ხასიათი; მერე კი არავის გადასცე წერილი, დახიეო... პალატაში კი განაცხადა, გამოტყდით, რომელს გათხოვეთ წერილი, ვეღარ ვიხსენებო. წერილი ასე “დაიკარგა”,

ელიკოს კი არაფერი უთხრა, თუმცა ერთხანს ფიქრობდა, მაგრად ხომ არ გავჯორო, სად და როგორ მოვახერხო ესო...

მეორე დღეს შიო საავადმყოფოს ეზოში უზარმაზარი ვერხვის ქვეშ ძელსკამზე იჯდა და მუხლებზე უკვე წაკითხული წერილი ედო. მწარე ფიქრს წაედო, ნიავით აფართქალებულ-შეევერცხლილ ვერხვის რტოებს მისჩერებოდა მაღლა თავაღერილი და ვერაფერს ხედავდა. შემდეგ თავი ჩაქინდრა და ასფალტს დააჩერდა – რა ოცნების ბადი გაუცამტვერა ამ ორიოდე ფურცელმა, თითქოს კარს მომდგარი ბედნიერება ხუთიოდე წუთში მოსპო...

უცებ ელიკო დაინახა – ახალი, კაშკაშა წითელი კაბა ეცვა და მოხდენილი ნაბიჯებით მოგოგმანობდა. "დილით იმორიგევა, საღამოს რატომღა დაბრუნდა? – გაიფიქრა შიომ. – ჩემთან შესახვედრად ხომ არ მოვიდა? წერილი რომ არა, ალბათ კინოში დავპატიჟებდი..."

წერილი სასწრაფოდ ჯიბეში ჩაიდო, ფეხზე წამოდგა. ახლოს მოსულმა ელიკომ გაუღიმა – ლამაზმა თეთრმა კბილებმა გამოაშუქა – და ნაბიჯი შეანელა.

შიომ ხაზგასმული თავაზიანობით მიესალმა, მზერა მოარიდა და ნელი ნაბიჯით ჭიშკრისკენ გაემართა. ელიკო ვერხვის ძირში იდგა, მიმავალ შიოს უყურებდა და რაღაცას ელოდა...

მაგრამ შიო სულ უფრო უჩქარებდა ნაბიჯს და ისე გავიდა ქუჩაში, რომ უკან არ მოუხედავს.

1999

ერმილე

თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ერთ-ერთი ცხრასართულიანი სახლის წინ, უკვე საკმაოდ წამოზრდილ-მომძლავრებული ფიჭვის ქვეშ რკინის მოგრძო მაგიდაა ფეხებით მიწაში ჩაბეტონებული; გარშემო ხის სკამებია გამართული. სხედან ამ მაგიდასთან მაცხოვრებელნი, დღისით – უმეტესად ბიჭბუჭობა, საღამოს კი ხნიერნი ჭადრაკს შლიან, ახალგაზრდები თამაშობენ ბანქოს, ლოტოს, დომინოს... წაგებულები ღვინოს ან ლუდს იყიდიან, ერთ-ორ პურსაც, ერთი ყველის ნაჭერს გამოიტანს შინიდან, მეორე – რამდენიმე კიტრს და პომიდორს... საუბრობენ, ნელ-ნელა წრუპავენ სასმელს და საკინძეგაღეღილნი, გაოფლილნი, ზაფხულის საღამოს ნიავს უშვერენ გახურებულ შუბლებს...

რა სჯობს ასეთ მოკრძალებულ ლხინსა და დროსტარებას, მაგრამ ერთ თითქმის ორი მეტრის სიმაღლის ოყრაყს, ერმილეს, არ შეუძლია, რომ საღამო არ ჩაგვამწაროს. ჩამოვა ეზოში, რამდენიმე ჭიქას დალევს და აუცილებლად აურევს – ალბათ ხასიათი აქვს ასეთი, თორემ ამხელა კაცს ორი–სამი ჭიქა ღვინო თავში როგორ უნდა აუვარდეს? თუმცა, ბატონ ერმილეს კაცობამდე ჯერ ბევრი უკლია – ოცი წლის ყმაწვილია; ვითომ სადღაც სწავლობს ფასიან სასწავლებელში, ვგონებ კბილის ტექნიკოსობას (ვაი მის მომავალ საციენტებს!); დილით გავა სახლიდან (უფრო – დედამისი ჯოხით ააყენებს, ასაუზმებს და ჯოხითვე გააგდებს – არ დააგვიანოო), სასწავლებლამდე შუა გზასაც არ გალევს, გვერდზე გაუხვევს და ღმერთმა უწყის, სად დაეხეტება...

ჰოდა, ეს დედისერთა, განებივრებული ჯეელი (სამოცლარიანზე იაფ ფეხსაცმელს არ იცვამს), მამალივით წამოიჭიმება იმ რკინის მაგიდასთან და მისი ხმა ცხრავე სართულის ყველა ბინაში ისე თავისუფლად აღწევს, თითქოს გვერდით იმყოფებოდეს... ნამდვილი ოყრაყია!.. ეგ რომ მსახიობი გამოსულიყო, მისი ჩურჩულიც კი დარბაზის ბოლო რიგებშიც არ დაიკარგებოდა. შესახედავადაც პირველი გმირის როლებია მისთვის ზედგამოჭრილი, მაგრამ რად გინდა – მხოლოდ ერთი როლის შესრულება ეხერხება – ჩხუბისთავისა... ვერაფერს უხერხებენ, არ ჭრის არც შეგონება, არც ხვეწნა-მუდარა, რამდენჯერმე შემოელახათ კიდეც – ერთხელ ქვით თავიც გაუტეხეს; ნამეტანი მაგარი თავი გამოდგა, ვერაფრით მოარჯულეს – ყველას მოაბეზრა თავი გამუდმებული გაწევ-გამოწევითა და აყალმაყალით... მამისტოლა კაცებსაც არ ეპუება (მამამისი პოლიციის მაიორია!).

ბოლოს, გამოჩნდა ორი ყმაწვილი – სანდრო და ნიკა, ცოტათი უფროსები ერმილეზე, – იპოვეს შფოთისთავისგან თავის დახსნის წამალი! მართლაც კარგი ბიჭები არიან, სტუდენტები – ერთი ჩვენს კორპუსში ცხოვრობს მეოთხე სართულზე (ერმილეს ბინის ზევით), მეორე – მეზობელ ცხრასართულიან სახლში. წამალი მეტად უბრალო გამოდგა: დაიწყებს თუ არა ყეყეჩი არევას, სანდრო და ნიკა საპასუხოდ იწყებენ... სიმღერას! "კარგი ხარ, გოგოვ, კარგი ხარ, დაფრინავ როგორც ნიბლია..."

ერმილე ბრაზობს, ცოფებს ჰყრის – ჩხუბი არ გამოსდის! გულს ვერ იფხანს!.. მაგრამ რა ჰქნას, ბიჭები ღმერთივით მღერიან და ყველას ისე მოსწონს, რომ ბევრი ააყოლებს ხმას. ერთ სიმღერას რომ ჩაათავებენ, მეორეს იწყებენ...

ერთხელაც ერმილემ ვერ მოითმინა და აყვირდა:

– ვა, რა გამიჭირეთ საქმე, ჩხუბითაც აღარ უნდა მასიამოვნოთ?

ყველას გაეცინა, ცხადია, ერმილეს გარდა.

ამან უფრო გააცეცხლა, წამოხტა და გაიქცა.

სიმღერა კი გაგრძელდა.

რამდენჯერმე გამეორდა ასე. ერმილე საჩხუბრად დაიმუხტება, აიქოჩრება, მაგრამ სიმღერა იწყება და თუ შფოთი გააგრძელა, ამას სიცილიც ემატება... თუ მაინც არ იშლის თავისას, კიდევ უფრო სასაცილო გამოჩნდება... გამოსავალს პოულობს: წამოხტება და გაბრაზებული გაეცლება იქაურობას.

ფინალი: მალე ერმილეს ოჯახი საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა.

არავინ დაინტერესებულა, სად?

ეს კი გავიფიქრე: რა ეშველებათ მათ ახალ მეზობლებს, თუ მათ შორის სიმღერის მოყვარულნი არ აღმოჩნდნენ?

1999

ვალერიკო

ეჰ, ჩემო ვალერიკო, უნდა შევუდგე შენი მცირე პორტრეტის ძერწვას – ნებისმიერი ადამიანი ღირსია ამისა, მით უმეტეს, შენისთანა, თავისებურად გამორჩეული.

შემოქმედებისა, მართალია, შენ არაფერი გცხია, სრულიად ჩვეულებრივი ხარ ამ მხრივ, შენგან რაიმე ორიგინალური აზრის ან შეხედულების გაგონება მსოფლიო სენსაცია იქნებოდა. რა ვიცი, იქნებ შენს გოგრაში განსაცვიფრებელი აღმოჩენები იბადება, მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, შენთვის ინახავ... არა, ეს მორიდებით ან თავმდაბლობით არ მოგდის, არც შიშით; დარწმუნებული ვარ, კაპიკის იდეა რომ მოგივიდეს, მანეთისას იყვირებ. რა შენი ბრალია, თუ ისეთივე ბერწი ხარ, როგორც რომელიმე ფარაონის მუმია...

ხომ არ აჯობებს, ჯერ გარეგნული პორტრეტი გაგაცნოთ? ჰაბიტუსი, მეცნიერული ენით.

შესახედავად არ დაიწუნები; საშუალოზე ცოტა მაღალიც გეთქმის; შავი ხშირი თმა; საკმაოდ სანდომიანი სახე, რომელსაც ამშვენებს დიდი, ჭროღა თვალები...

ხმამაღალი, თავდაჯერებული ლაპარაკი იცი, რომელსაც შიგადაშიგ მოთოკავ ხოლმე – "პატრუქს დაუწევ"; ტემპერამენტი ერთს გკარნახობს, კეთილგონიერება თუ შიში – მეორეს. დიახ, მშიშარა რომ ხარ, ადვილად მტკიცდება – ოც წელზე მეტია, გიცნობ და ერთი ვაჟკაცური საქციელი არ ჩაგიდენია; მართალია, შენგან არც აშკარა საძრახისი რამ მახსენდება, მაგრამ ესეც მშიშრობით ხომ არ არის გამოწვეული? კონფლიქტი, მძაფრი, პრინციპული შეჯახება – არავისთან გქონია; პირს უკან კი, ჩურჩულით, ბევრჯერ გაგიკრიტიკებია მავანი და მავანი...

შენი გადამეტებული ზრუნვა თავის დასაზღვევად ზოგჯერ ღიმილს იწვევს. აი, ფრიად დამახასიათებელი მაგალითი, შენი აზროვნების სტილის ეტალონად რომ გამოდგებოდა, უფრო სწორედ, მოდელად შენი მოქმედებისა... ვთქვათ, სხდომას ან კრებას ესწრები სხვებთან ერთად და სურვილი დაგებადა, ფანჯარა გაიღოს – დაცხა; შენ შეგიძლია, ფანჯარასთან ახლო მჯდომს, დავუშვათ ანზორს, სთხოვო, ფანჯარა გააღოს. ასე მოიქცეოდა ყველა, ოღონდ შენ არა... შენ გვერდით მჯდომს, დავუშვათ, გივის, სთხოვ, რომ, თუ კაცი ხარ, სთხოვე ფანჯარასთან მჯდომ ანზორს, ფანჯარა გააღოსო. გივი გაკვირვებით გადმოგხედავს და გეტყვის, შუამავალი რად გჭირდება, შენ თვითონ ვერ ეტყვიო? გაყუჩდები, ვითომც არაფერი. გაივლის ცოტა ხანი და გივის ისევ მიმართავ – გეთაყვა, ანზორს სთხოვე, ფანჯარა გააღოსო. ახლა ორი ვარიანტი წარმოვიდგინოთ: პირველი – გივის მობეზრდება შენთან ჯიჯღინი და ანზორს გასძახებს, გთხოვ, ფანჯარა გაადოო; მეორე შემთხვევა – გივი მოგიბრუნდება და ცოტა არ იყოს მკვახედ მოგმართავს: "შენ ცუდად ხომ არ ხარ, მაბითურებ? თუ რამე საქმე გაქვს ანზორთან, ეგერაა და თვითონ უთხარი, მე თავი დამანებე!" შენ ხმას ჩაიკმენდ... ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ახლა მეორე მეზობელს, სანდროს, სთხოვ იგივეს... და მანამდე ვერ მოისვენებ, სანამ ფანჯარას არ გამოაღებენ...

სასაცილოა, ხომ? ჰო, როცა რაიმე გჭირდება, მიზნის მისაღწევად თავმოყვარეობასაც მიაფურთხებ. დავუშვათ, რაიმე დაგჭირდა დავითისგან, ვთქვათ, გინდა, რომ მისმა მხაზველმა შენი ნახაზები დაგიხაზოს. მიხვალ და ეტყვი, ასე და ასეა ჩემი საქმე, გთხოვ, ჩემი ნახაზები შენმა ნაზიკომ გამიკეთოსო. დავითი გიპასუხებს, რომ დიდი სიამოვნებით შეასრულებდა შენს თხოვნას, მაგრამ ნაზიკო გადატვირთულია, თვითონ დავითს ერთ კვირაში ანგარიში აქვს დასაცავი და გახურებული მუშაობაა, ვერ ასწრებს და იძულებულია, ნახაზების ნაწილი კიდევ ვიღაც სხვას დაახაზვინოს... შენ ვითომ ვერ გაიგონე დავითის უარის მიზეზი, კიდევ ერთხელ გაუმეორებ თხოვნას... დავითი ისევ მოთმინებით აგიხსნის, რომ არავითარი საშუალება არ აქვს შენი თხოვნის შესრულებისა... წამოხვალ ნაწყენი. გაივლის ერთი საათი და კვლავ მიადგები დავითს იგივე თხოვნით. გაკვირვებული და-

ვითი განერვიულდება და ოდნავ ცხარედ და ხმის აწევით უარით გამოგისტუმრებს.... მეორე დღეს – ჰოი, საკვირველებავ! – დილით მიადგები დავითს და დაუწყებ ღიჭინს, მათხოვე შენი მხაზველიო. დავითი განცვიფრებულია, ჭკუასუსტი ჰგონიხარ; ისევ და ისევ დაწვრილებით გიხსნის, ასეა ჩემი საქმე და დამანებე ერთი კვირით თავიო. შენ მაინც არ მიდიხარ და დავითი იძულებულია, თითქმის ძალით გაგაგდოს – ცეცხლი მიკიდია და მომწყდი თავიდან, შენთვის არ მცალიაო. წახვალ, მაგრამ საათნახევარში ისევ დავითთან აიტუზები იმავე თხოვნით. დავითი გაანჩხლებულია, თავს ვეღარ იკავებს, გიყვირის, არ დამენახო აწი თვალით, თორემ რაღაცას გდრუზავ თავში, შე ჩერჩეტოო, დებილოო და ასე შემდეგ... დავითს ჰგონია, რომ, მადლობა ღმერთს, მოგიცილა თავიდან, მაგრამ რა მწარედ ტყუვდება! სამწუხაროდ, კარგად არ გიცნობს... შესვენებისას კარგად გამოძღები (თვითონ დავითს და მის თანამშრომლებს შესვენებისთვის სად სცალიათ) და დავითს ისე გამოეცხადები, თითქოს შენი შემამკობელი ეპითეტები სულ ცოტა ხნის წინ არ გადმოეფრქვიოს... თავმოყვარეობა რას მიქვია, მთავარია, მიზანს მიაღწიო! – აი, შენი დევიზი. მშიშარა კი ხარ, მაგრამ მორიდებული კი – რა მოგახსენოთ...

საოცრებაა, როგორ მოახერხე ჯერ დისერტაციის დაცვა და შემდეგ განყოფილების გამგედ დაჯდომა. დისერტაციის კეთებას გადაჰყევი კინაღამ კია – თხუთმეტი წელი ეჭიდავე თემას, როგორც იქნა, მოახრჩე, უფრო ზუსტად – მოგახრჩობინეს: ვინ არ დაგეხმარა, ვის არ წასჭამე თავი... საბოლოოდ შენი დისერტაცია უბრალო კომპილაცია გამოდგა, სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრეფილი მონაცემების გროვა და მეტი არაფერი. თუნდაც სხვათა მიერ მოპოვებული ფაქტების შეჯერებით, მათი ანალიზით ყოველ ნორმალურ ადამიანს რაღაც საკუთარი აზრები წარმოეშვება, საკუთარი შეხედულება ჩამოუყალიბდება, ალბათ ყველას – შენს გარდა! შენი უნაყოფობა – სანიმუშოა!

მერე რა ხალხი შეკრიბე შენს განყოფილებაში! სულ უცხო ტომის, ერთი ქართველი არ გააჭაჭანე – შენი ტვინის პატრონს მართლაც რომ უნდა ეშინოდეს კონკურენციისა! ახლანდელი თანამშრომლები კი, შენი გამჭრიახი გონების მიერ გაკეთებული დასკვნით, ვერ შეგეცილებიან თანამდებობაში, აფერუმ შენს შორსმჭვრეტელობას!

შე ოჯახაშენებულო, რაღა მეცნიერებას შესწირე თავი, არ ჯობდა, საქონელმცოდნედ, მომმარაგებლად ან საწყობის გამგედ გემოღვაწა? ეგ არის შენი ჭეშმარიტი მოწოდება! ზეპირად იცი, როდის, სად და რა შეიძლება იშოვოს კაცმა ამ საყოველთაო გახურებული დეფიციტის დროს – დაწყებული ქალის მოდური წინდებით და დამთავრებული ახალი ხორცით. მაღაზიებში სუნსულ-წანწალი შენი საყვარელი საქმიანობაა; შენთვის მაღაზია წიგნიცაა, კინოც, თეატრიც, სამხატვრო გამოფენაც და საკონცერტო დარბაზიც – შენი სული იქ იფურჩქნება, ყვავილობს და ნაყოფითაც იხუნძლება!

ჰო, კიდევ ერთი სფეროა, უმაღლეს კვალიფიკაციას რომ მიაღწიე... მიჭირს კიდეც, რა დავარქვა ამ დარგს – ინფორმაციის აკუმულატორი ხარ, ოღონდ სპეციფიკური – "საშინაო" საქმეებშიც შენი ყოვლისმცოდნეობა განსაცვიფრებელია! არ გამოგეპარება, ვის რამდენი მისცეს პრემია, ვის აძლევენ ჩუმად ავტომანქანას, რამდენი კაცია გაფორმებული "მკვდარ სულად" და ვისი მოყვანილები არიან ისინი, ვინ რომელ თანამდებობაზე გადაჰყავთ და ასე შემდეგ. შენ, მგონი, ერთადერთი ხარ, რომელიც ბუღალტერიაში ისე შედის, რომ ყოველთვის გამარჯვებული გამოდის – სულ ზეპირად იცი ინსტრუქციები, დებულებები, მოწერილობები და განკარგულებანი ზემდგომი ორგანოებიდან... შენ ვერავინ გაგაცურებს, ყოველთვის შეგიძლია დაუმტკიცო ეკონომისტს, რომ პრემიის თანხა ნაკლები გამოგიყვანა და ზოგჯერ ისეთი საბუთი მოუტანო შენი სიმართლის დასადასტურებლად, რომელიც თვით ეკონომისტისთვისაც აღმოჩენაა. ზუსტად შეგიძლია დაასახელო, რამდენი ფული "შეჭამა" ადმინისტრაციამ შენობის კაპიტალური შეკეთების დროს, რამდენი მანქანაა გაშვებული "საშოვარზე", ვის უდგას შინ დაწესებულების სახსრებით შეძენილი ფერადი ტელევიზორები და მაცივრები... არც "ადამიანური ფაქტორი" არის შენთვის უცხო – სულ წვრილად იცი, ვინ ვის ჰყვარობს, ვინ ვისი ნათესავია, ვის ჰყავს "ძლიერი ხელი" მაღალ ინსტანციებში... ახლა შენი წუწუნი! სულ რაღაც გაწუხებს, წვრილმანი რამ, რასაკვირველია, მსხვილმანისგან ღმერთმა დაგიფარა. სხვისი დიდი სატკივარიც კი, ბოდიში და, ფეხებზე გკიდია, სამაგიეროდ, შენს ერთ შემთხვევით გატეხილ კვერცხს მთელ ქვეყნიერებას გააგებინებ...

მოდი, ჩემო ვალერიკო, შენი ნიჭი ერთხელ მაინც კაცურ საქმეზე დახარჯე! ყველა გზები შენთვის ნაცნობია და დამეხმარე რჩევით, ჩემს მიერ დაწერილი შენი არცთუ კარგად შესრულებული პორტრეტი როგორ, რა ხერხებით დავბეჭდო?

1989

ვერიკო

ლია რომ 50 წლის შესრულდა, ვერიკომ საჩუქრად მიართვა უცხოური პულოვერი: შავი და ლურჯი თარაზული ფართო ზოლები, ამ ზოლების საზღვარზე სამ სხვადასხვა ადგილას მცირე თვლებია ორფერი: ლურჯის მხარეზე – თეთრი, შავის მხარეზე – წითელი. მოკლედ, დაჯექი და უყურე!

ლიას ძალიან მოეწონა (ლაბორატორიის ქალებმაც აქეს, ცხადია), ვერიკოს უღრმესი მადლობა მოახსენა.

– ახლა ჩაიცვი! იცი, როგორ მოგიხდება? – ჩააცივდა ვერიკო.

– რა აუცილებელია, მაინცდამაინც ახლა? – გაუკვირდა ლიას.

ვერიკო ჩააჯინდა, ახლა მინდა ვნახო, როგორ მოგერგებაო; ლია არ ეთანხმებოდა, ვერიკოც არ ეშვებოდა და ლიას ლამის მოთმინების ძაფი გაუწყდა – ის ძვირფასი პულოვერი კინაღამ ფანჯრიდან ისროლა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვერიკო სახალხოდ საყვედურობდა ლიას:

– მე რომ იაპონური პულოვერი გაჩუქე, რატომ არ იცვამ? ჩრჩილს უნდა შეაჭმევინო?

ლიას ჯერ უნდოდა ეპასუხა, რა შენი საქმეაო, მერე ამჯობინა, რბილად ეთქვა – ჯერ თბილა, დამცხებოდაო.

ვერიკო გაებუტასავით.

რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა ხალხმა ლაბადები და ზოგმა – პალტოებიც გაიხსენა, ვერიკო ისევ აუხირდა:

– ჩემი ნაჩუქარი პულოვერი არ მოგწონს? ხომ თქვი, აცივდება და ჩავიცვამო?

ლიამ უხერხულად იგრძნო თავი – თანამშრომლების თანდასწრებით მოურიდებლად ნათქვამი საყვედური ეხამუშა. ურთიერთობის გამწვავებას მაინც თავი აარიდა:

– ჩემო ვერიკო, შენი საჩუქარი ყველას მოსწონს, მეც, რაღა თქმა უნდა, და ძალიან ვუფრთხილდები, სათეატროდ ან სასტუმროდ ვინახავ, მინდა, თავი მოვიწონო.

ცოტა ხანში ლაბორატორიის გამგის, ბატონ კონსტანტინეს, დაბადებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავად დიდებული სუფრა გაშალეს. შუა ლხინის დროს ვერიკომ ხმამაღლა უსაყვედურა ლიას:

– შენ ჩემზე ნაწყენი ხომ არ ხარ? ჩემი ნაჩუქარი პულოვერი რატომ არ ჩაიცვი?

ლია გაბრაზდა, ასე საჯაროდ რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, თანაც სრულიად უმიზეზოდ... უკმეხი პასუხისგან ამჯერადაც თავი შეიკავა და აუხსნა, დღეს ძალიან ცივა, ოთახში ყველანი პალტოებში სხედან და რა აზრი ჰქონდა პულოვერის ჩაცმას, მაინც ვერავინ დააფასებდა მის მშვენიერებასო.

გავიდა კიდევ ორიოდ კვირა. ამჯერად ლაბორატორიის დაარსების 30 წლისთავს აღნიშნავდნენ. დიდ ოთახში გრძელი სუფრა გაშალეს, სტუმრებიც მოიწვიეს სხვა ლაბორატორიებიდან. ნავთის ღუმელი იყო გაღუღუნებული, ოთახში თბილოდა. ლიამ ადრევე ივარაუდა, ვერიკო ისევ პულოვერს გაიხსენებსო, ამიტომ, თუმც არ ესიამოვნებოდა, ნაჩუქარი პულოვერის ჩაცმა გადაწყვიტა. როცა პალტო გაიხადა, ვერიკო თვალებგაბრწყინებული მიიჭრა მასთან და ხმამაღლა გამოაცხადა:

– აი, აი!.. ნახეთ, ნახეთ!.. ჩემი ნაჩუქარი პულოვერი აცვია!

სტუმარ-მასპინძლები ლიას მიაჩერდნენ, მან კი აღარ იცოდა, რომელ სოროში შემძვრალიყო...

საქმე ამით არ დამთავრებულა.

რამდენი ახალი სტუმარიც შემოესწრებოდათ, ვერიკო მაშინვე წამოხტებოდა გახარებული:

– შეხედე!.. ხომ კარგი პულოვერი აცვია ლიას? ჩემი ნაჩუქარია!

ლია გაბრაზებული იჯდა, დღე სულ ჩაუმწარდა, სუფრის დატოვებასაც კი აპირებდა.

მხსნელი სრულიად მოულოდნელად მოევლინა.

აპოლონი, ერთ-ერთი ლაბორატორიის გამგე, ხუმარა კაცი, როგორ გაუშვებდა ხელიდან ასეთ იშვიათ შესაძლებლობას და ვერიკო გაატრიზავა:

– პატივცემულო ბატონო თამადა! ერთი სადღეგრძელო არ გამოგრჩეთ – ქალბატონ ლიას შესანიშნავი პულოვერის! ქალბატონ ვერიკოს უჩუქნია, ყოჩაღ, ვერიკო!

შემდგომში, როცა ვერიკომ ისევ ლიას პულოვერი ახსენა, ჩემი ნაჩუქარიაო, აპოლონი ფეხზე წამოხტა და ვერიკოს გაუღიმა:

– ქალბატონო ვერიკო! რა სანაქებო გემოვნება გაქვთ, თქვენი მოქსოვილი რომ იყო, მაშინვე ვიცანი! ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემს ცოლს რომ მასეთი ქსოვა სცოდნოდა!..

ლიამ შვებით ამოისუნთქა.

– აპოლონმა შენი პულოვერის თემა დახურა, – წასჩურჩულა ლიას მის გვერდით მჯდომმა კახამ, ლაბორატორიის უფროსის, კონსტანტინეს, მოადგილემ.

– რაღაც ეჭვი მეპარება, – უპასუხა ლიამ, – რადიკალური წამალი იქნებოდა, რომ ჩვენს ლაბორატორიაში გადმოვიდეს სამუშაოდ.

– აწი ვერიკოს მეც ვეყოფი, – ჩაიცინა კახამ. – აქამდეც უნდა მოგვერჯულებინა, მაგრამ ვერიდებოდით, კიდევ უფრო არ ამყრალებულიყო.

– კუზიანს სამარე გაასწორებს... რა ხანია, ვიცნობთ.

– ვნახოთ...

ერთი კვირაც არ იქნებოდა გასული აპოლონის "სამაშველო ოპერაციიდან", რომ ვერიკომ ისევ საყვარელ თემაზე გაიჯირითა. საუბარი იმ ქეიფს შეეხო და საუბარში სრულიად უადგილოდ ვერიკო ჩაეკვეხა:

– მე რომ ლიას პულოვერი ვაჩუქე, ყველას თვალი ზედ დარჩა!

ოთახში მყოფთ ღიმილი ვერ შეიკავეს.

მხოლოდ კახა დარჩა სრულიად სერიოზული.

– ქალბატონო ვერიკო, უნდა გულწრფელად ვაღიარო, რომ იმ პულოვერზე ფიქრი რა ხანია, აღარ მასვენებს, უფრო სწორედ – ოცნება. რა ოქროს ხელი გქონიათ! გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით – მეც მომიქსოვეთ პულოვერი და მარად თქვენი პატივისმცემელი ვიქნები, რაც გინდათ, მთხოვეთ!

ვერიკო აიმრიზა, ხმა არ ამოუღია.

ყველამ იცოდა: მას საერთოდ არ ეხერხებოდა ქსოვა.

1999

ვლადლენ

ახლა ერთი პატიოსანი კაცის ამბავი უნდა მოგახსენოთ.

ვლადლენ ღვაჭიჭაძე უკვე თხუთმეტი წელი მოღვაწეობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრაზე. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, გახდა დოცენტი. ეს არცთუ ხელწამოსაკრავი თანამდებობა გახლავთ, პარტიის საქალაქო კომიტეტის ნომენკლატურულ მუშაკთა ჩამონათვალს განეკუთვნება, ესე იგი, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის განკარგულებაშია!

ჰოდა, აირჩიეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატად. ეს წარმატება ვლადლენ ღვაჭიჭაძის მთელი განვლილი ცხოვრების კანონზომიერი შედეგი და ჯერჯერობით მოკრძალებული, მაგრამ მაინც გვირგვინი იყო. თვით განსაჯეთ: ვლადიკო სკოლაშივე გამოირჩეოდა ნიჭითა და იშვიათი სიბეჯითით, კლასიდან კლასში სულ ფრიადოსნის სიგელით გადადიოდა. ასევე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა პიონერული ორგანიზაციის მუშაობაში, იყო რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე; კომკავშირში შესვლის შემდეგაც სულ ხელმძღვანელ "თანამდებობებზე" ირჩევდნენ და ბოლოს – სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანიც გახდა. სხვები, მისი თანატოლები, თუ მაინ რიდისა და კონან დოილის კითხვით იყვნენ გატაცებულნი, ვლადიკომ გულდასმით წაიკითხა სტალინის ცამეტივე ტომი, "ანტი-დიურინგი", "ბუნების დიალექტიკა", "ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", "რა ვაკეთოთ?" და მარქსიზმის კლასიკოსთა სხვა ნაშრომები. გაიწაფა ისტორიასა და გეოგრაფიაში, ფილოსოფიასა და პოლიტეკონომიაში...

უნივერსიტეტშიც საჩვენებელი სტუდენტი გახლდათ, აირჩიეს ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად, სტუდენტობის დროსვე შევიდა პარტიაში.

ბატონი ვლადლენი ფრიად მუყაითად და ნაყოფიერად უკვე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა, როცა, როგორც მოგახსენეთ, რაიონული საბჭოს დეპუტატი გახდა. როდესაც პარტიის რაიკომში დეპუტატობის კანდიდატობა შესთავაზეს, ჯერ შორს დაიჭირა – ჩემს მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში შემეშლება ხელიო, მაგრამ მართებულად შეახსენეს, რომ პარტიის ერთგული წევრისთვის მხოლოდ თეორიული სფეროთი შემოფარგვლა არ არის მიზანშეწონილი, საჭიროა და აუცილებელიც პრაქტიკულადაც იბრძოდეს პარტიის მაღალი იდეებისა და წმინდა იდეალების ცხოვრებაში ხორცის შესასხმელად და განუხრელად გასატარებლადო, ჰოდა, რა ეთქმოდა? დათანხმდა. უფრო მეტიც, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის თავმჯდომარეობაც კი იკისრა.

ამრიგად, შენ ხარ ჩემი ბატონი, შეუდგა ეს პატიოსანი და ენერგიული კაცი თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას. დღეს ერთ რესტორანში შევიდა და შეამოწმა, ხვალ – სახინკლეში, ზეგ – მაღაზიებს ჩამოუარა... ყველგან ყოფდა ცხვირს და რომ აღმოაჩენდა ზომა-წონაში ან ან-

გარიშში მოტყუებას, დეფიციტური საქონლის გადამალვას, ფასების დამახინჯებას და სხვა ამისთანებს – შესაბამის აქტებს ადგენდა კანონდარღვევების შესახებ. ბატონი ვლადლენი მთელი ძალ-ღონით ცდილობს, რომ ყველგან წესრიგი დაამყაროს, ჰგონია, ეს არის მისი მოვალეობა, ამას მოელიან მისგან ერიც და ბერიც... შეწუხდნენ ზოგ-ზოგები. ხედავ შენ? ზევით, მაღალ ფენებში თუ სფეროებშიც შეშფოთდა ხალხი – ფული აღარ მისდით... სამაგიეროდ, მისდით საჩივრები – თუ ფული გინდათ, ეს ინტრიგანი როგორმე მოგვაცილეთო.

ერთ საღამოს თავის ამხანაგთან ერთად კაფე "სამაია" რომ არის ვერის დაღმართზე, მივიდა იქ. შეუკვეთა ორი ბოთლი ღვინო და რამერუმე. როცა პურობა დაასრულეს, მოითხოვა – დაწერილი ანგარიში მომიტანეთო. თან წინდაწინ გააფრთხილა ოფიციანტი: იცოდე, არ მომატყუო, თორემ ორთავ ფეხით გაებმებიო; კოხტა ქალი ჩანხარ და გთხოვ, ანგარიშიც ლამაზად დამიწეროო. ხომ მეცნიერია ვლადლენი, პედაგოგი, დეპუტატი, ლექციებსაც კითხულობს ორგანიზაცია-საწარმოებში და სხვა, ამავე დროს – დარდიმანდია ბუნებით, ყოველგვარი საქმის კეთება ხალისით, სწრაფად ეხერხება, ადამიანებთან ურთიერთობაშიც უშუალოა, ხუმრობაც უყვარს... მოკლედ, ნორმალური კაცია, კარგი კაცი. მიართვეს ანგარიში, მოითხოვა მენიუც და ყველაფერი თვით იანგარიშა. რასაკვირველია, საკმაოდ მოატყუეს... და ვლადიკომ შეადგინა აქტი. მიმტანი ქალი ეხვეწება, დახიე ეგ აქტი, შემეშალა, შევცდი, ნუ დამღუპავ, ეს ერთი მაპატიეო... დირექტორიც ჩაერია, სხვებიც, მაგრამ ვლადლენ ღვაჭიჭაძემ აქტის მოსპობა არაფრით ქნა.

რამდენიმე დღის შემდეგ, საღამოს, მიდის ბატონი ვლადლენი შინისკენ – მოსკოვის ქუჩაზე ცხოვრობს. ჰოდა, მოულოდნელად გზაზე გადაუდგა ეს მიმტანი ქალი, ვისზედაც აქტი ჰქონდა გაფორმებული... ეღიჭინება, დახიე აქტიო. ვლადლენმა უთხრა, რომც მინდოდეს, აქტის გაუქმებას ვერ შევძლებ, დანომრილი იყო, თან უკვე ჩაბარებულია, ტყუილად შეწუხდიო. ამ ცხარე საუბარში მისი სახლის ჭიშკარსაც მიუახლოვდნენ. უცებ მოგრიალდა მსუბუქი ავტომანქანა, გადმოხტნენ ვიღაც ახალგაზრდები, ეცნენ ვლადლენს და გაკოჭეს, სწრაფად შეაგდეს მანქანაში... მიიყვანეს მილიციაში, გაჩხრიკეს და პიჯაკის ჯიბეში ფულის დასტა უნახეს... ვლადლენი გაოგნებული იყო – რატომ, რისთვის დააკავეს? რა უნდოდათ მისგან? და მხოლოდ გვიან მიხვდა, რაც უნდოდათ და საიდან გაჩნდა ის ფულიც მის ჯიბეში – გზაში, მანქანაში, ჩაუდეს...

ჰოდა, მოკლე ხანში გაასამართლეს ჩვენი ვლადიკო – ქრთამის აღება დაბრალდა და ჩასვეს კიდეც ციხეში.

აბა, აწრიალდა მთელი ინსტიტუტი – დატრიალდა ვლადლენის გამოსახსნელად დირექცია, პარტკომი, პროფკომი: მიდის წერილები და მიედინება დელეგაციები პარტიის რაიკომში, მერე – ცენტრალურ კომიტეტში, უმაღლეს საბჭოში... საუბრობენ გავლენიან პირებთან, ყველას დარწმუნებას ცდილობენ – პარტიის სტაჟიანი წევრია, ხუთი წელია, ინსტიტუტის პარტკომში ირჩევენ, დეპუტატია, წლების მანძილზე სანიმუშო იყო და არის ყოველმხრივო.

ჰაი, აქეთ – ჰაი, იქით... დიდი ძალისხმევითა და ჭაპანწყვეტით, როგორც იქნა, მიაღწიეს ვლადლენის პირობით განთავისუფლებას.

ექვსი თვე მაინც ახეხინეს კამერის კედლები.

რა თქმა უნდა, პარტიული ხაზით სასტიკი საყვედური მიარჭვეს – ეს აკმარეს, პარტიიდან გარიცხვას გადაურჩა.

ახლა რაღას იქმს?

ისევ კათედრაზეა, ძველებურად კითხულობს ლექციებს.

– ეს რა მივქარეო, – სანდო პირებს ეუბნება ხოლმე ბატონი ვლადლენი, – რა მიამიტი ვიყავი, მეგონა, ქვეყანაზე კანონი და სამართლიანობა არსებობდაო.

ბატონ ვლადლენის ხმას ვეღარ გაიგონებთ კრებებზე თუ სხდომებზე – არის მიყუჟული თავისთვის. წინათ მისი მსგავსი აქტივისტი ძნელად მოიძებნებოდა: ხან რაღაც კომისიაში ირჩევდნენ, ხან მორიგ კამპანიაში ჩართავდნენ – საარჩევნოში, წესრიგის დაცვისა თუ დისციპლინის განმტკიცების და სხვა ამგვარში – ერთ-ერთ ხელმძღვანელ როლს მიანდობდნენ...

ენაკვიმატობა მაინც არ მოიშალა, თუმცა უფრო ხშირად ნაღვლიანად ხუმრობს ხოლმე.

– კიდევ კარგი, სადოქტორო დისერტაციის დაცვა ვერ მოვასწარი, თორემ უფრო დიდხანს მაყურყუტებდნენ ციხეში, ასე ადვილად ვერ შემელეოდნენო; წინათ რომ მექრთამეობაზე, ძალმომრეობასა და უკანონობაზე გავიგებდი საუბარს, დაბოღმილი ადამიანების ფანტაზიის ნაყოფი მეგონაო; ექვს თვეს ციხეში ჯდომისას ცხოვრების ნაღდი უნივერსიტეტი გავიარე და, გარკვეული თვალსაზრისით, ეს სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე უფრო ფასეულიაო...

1966

ვსევოლოდ

ჩემს ყმაწვილკაცობაში კინოთეატრ “აპოლოს” მებილეთე კარისკაცად მუშაობდა ერთი მაღალ-მაღალი, გამხდარი, მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი, რომელსაც მარადჟამ საყელოაწეული პალტო ეცვა და თავზე თვალებამდე ჩამოფხატული კეპი ეხურა. რატომღაც ეს კეპი დამამახსოვრდა ყველაზე მკაფიოდ. ფრიად უფერული ვინმე ჩანდა – ბილეთს რომ გაუწვდიდი, არასდროს შემოგხედავდა, არც მისი ხმა გამიგია როდისმე. უჩინარი, ჩამქრალ ცისფერთვალებიანი, იდგა კარებთან და ირგვლივ ყოველივე თითქოს არ არსებობდა მისთვის; ერთხელაც არ გააპარებდა მზერას მოზიმზიმე პლეხანოვის გამზირისკენ, არც სალაროებთან ატეხილ ჩოჩქოლს აქცევდა ყურადღებას.

ერთხელ ჩემს მეგობარ თამაზთან ერთად შევდიოდით ამ კინოთეატრში და ვუთხარი:

– რა უცნაური ტიპია ეს მებილეთე, ცოცხალი ლეში – ნეტა რისთვის არსებობს ამქვეყნად; სულ რომ ნაცრისფერი ტანსაცმელი აცვია, ნამდვილად ვირთხას ჰგავს!

თამაზმა გაიცინა და აი, რა მიამბო...

ეს კაცი, ვსევოლოდი, მისი ნათესავის მეზობელი ყოფილა. პირველ სართულზე ცხოვრობს თურმე ერთოთახიან ბინაში, რომელსაც პატარა სამზარეულოც აკრავს. ჰყავს ცოლი, – ლიუდმილა, – ისიც კარგა მოხუცებული უკვე. შვილი არ ჰყოლიათ. ჰო, ქალი უშვილო გამოდგა, რაც შეეხება ვსევოლოდს...

ჯობს, ამბავი სულ თავიდან დავიწყო.

დაახლოებით ოცი წლის წინ, როცა ვსევოლოდი, მართალია, ორმოცდაათ წელს გადასცილდა, მაგრამ ჯერ კიდევ წარმოსადეგი, ლამაზი, ხალისით სავსე მამაკაცი იყო, ყველასთვის მოულოდნელად... მამა გახდა! მას მშვენიერი, ჯანმრთელი ბიჭი შეეძინა თხუთმეტი წლის კარის მეზობლის ქალიშვილისგან, ლიზიკოსგან. ლიზიკო ადრე დაქალებული, ეშხიანი გოგო იყო, ბიძია ვსევოლოდთან და მის მეუღლესთან გაშინაურებული. ხანში შესული უშვილო ცოლ-ქმარი ანებივრებდა მათ თვალწინ გაზრდილ გოგონას – ვსევოლოდი ჩუქნიდა საინტერესო წიგნებს, ლიუდმილა საგანგებოდ მისთვის ამზადებდა ნამცხვრებს, უკერავდა კაბებს... მოგეხსენებათ, ოცდაათიანი წლების მიწურულს ხალხის უმეტესობა გაჭირვებული იყო, ლიზიკოს მრავალშვილიანი ოჯახიც ხელმოკლედ ცხოვრობდა.

და წარმოიდგინეთ, რა მითქმა-მოთქმა ატყდა ძველებურ თბილისურ ეზოში, ერთ დიდ ოჯახად რომ ცხოვრობდნენ, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს თანაბრად ინაწილებდნენ; მათთან არასდროს არაფერი ყოფილა დაფარული და უცებ... ლიზიკოს ფეხმძიმობა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა!

და მას შემდეგ თურმე დღემდე, აგერ უკვე ოცი წელია, ვსევოლოდი ეზოში გამოსული და მათ ქუჩაში გავლილი მეზობლებს აღარ უნახავთ... საოცარია, როგორ ახერხებს სამსახურში სიარულს. ჩაიკეტა თავის ბინაში, შეიყუჟა, როგორც ლოკოკინა ნიჟარაში. მხოლოდ დილით, ძალიან ადრე ან გვიან ღამით თუ გაიღება ვსევოლოდის ბინის კარი, მოჩვენებასავით უხმაუროდ გამოიძურწება გარეთ კაცის ლანდი... ლიუდმილაც ძალზე იშვიათად გამოჩნდება ეზოში, თავდახრილი გაივლის, არავის შეხედავს და არც შეეხმიანება.

ლიზიკომ ამ ოც წელიწადში სამჯერ მოასწრო გათხოვება. პირველ ქმარს, რაიონიდან ჩამოსულ სტუდენტს, მალე გასცილდა, მისგანაც ვაჟი შეეძინა – ბაგრატი (პირველ ბიჭს – ლადოს – ლიზიკოს მშობლები ზრდიდნენ). მეორედ ვიღაც სამხედრომ ითხოვა, რუსმა ოფიცერმა. ეს ოფიცერი რამდენიმე წელიწადში სხვაგან გადაიყვანეს, სადღაც ჩრდილოეთის მხარეს; ლიზიკო არ გაჰყვა, სიცივეს ვერ ვიტანო. მესამე ქმარი მასზე ბევრად ხნიერი იყო, ხუთი წლის ცოლქმრობის შემდეგ გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა.

ლიზიკო კი ფარ-ხმალს მაინც არ ჰყრის – ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი ქალია, პუტკუნა და სახეღიმილიანი. გაზიანი წყლისა და ხაჭაპურების გამყიდველად მუშაობს გოგოლისა და სადგურის კუთხეში მდებარე საღვეზელეში. ყველას უღიმის ხასხასაპომადიანი ტუჩებით, განსაკუთრებით კაცებს უჟუჟუნებს თვალებს და ცოტ-ცოტა ტკბილ ვაჟინს ყველას აკლებს ჭიქაში ჩასხმისას. აბა, რა ქნას, ხომ იცით, მომხიბვლელ ქალს შესაფერისი ჩაცმა-დახურვა სჭირდება, თან ორ ვაჟიშვილსაც და მოხუც მშობლებსაც ხომ უნდათ ჭამა-სმა და ჩაცმა-დახურვა...

ბიჭებიც ლამაზი ჰყავს, განსაკუთრებით, ლადო – მაღალი, ცისფერთვალება, ქერათმიანი ვაჟკაცი დადგა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს. ლიუდმილა რომ შეხვდება ზოგჯერ, სულ იმას გაიფიქრებს, როგორ ჰგავს ვსევოლოდს ახალგაზრდობისასო და ამოიოხრებს...

1992

ზალიკო

ორი ძმაკაცი შეხვდა ქუჩაში ერთმანეთს – ზურა და ზალიკო; ორივე – ორმოც წელს ოდნავ გადაცილებულნი, ორივე – მელოტი და დიდცხვირა.

– როგორა ხარ? – აროხროხდა აყლაყუდა, ასოცკილოგრამიანი, ზონზროხა ზურა და კაფანდარა ზალიკოს, იღლიამდე რომ სწვდებოდა, ზვინივით გადაეფარა, ზურგზე ტორები მოუთათუნა და კინაღამ მუხლებში ჩაკეცა.

– მოიცა, შე დათვო, შენა, თუ არ დამახრჩვე – ბრწყინვალედ! ერთი ორასი დოლარი რომ მედოს ჯიბეში, კაცი ვიქნებოდი... ამ დამხრჩვალ კუპონს რა ძალაც აქვს, ქე იცი, გინდ შპალერად გაკარი, გინდ ფეხსალაგში იხმარე, – აჭიჭყინდა ზალიკო.

– რა სულ დახრჩობა გაკერია პირზე, მეც ისე გკითხე, ზრდილობის გულისთვის – ჩვენს დროში ვინ იქნება კარგად, გახარებული და გალაღებული ქურდის, ყაჩაღისა და მამაძაღლის გარდა. ყველაფერი სანატრელი გაგვიხდა: შაქარი, კარაქი, კარტოფილი... ხორცზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. არადა, ზამთარი კარს მოგვადგა, მარაგი არაფრის მაქვს, მწნილიც კი ვერაფრის ჩავდე, კომპოტებსა და მურაბებს ვინღა ჩივის... კაცო, – ზალიკოს მხარზე დაადო მართლაც დათვის ტორი ზურამ და შეაჯანჯღარა, – შენ რომ შეგხვდები, რატომღაც მაშინვე კბილი ამტკივდება, რა ჯადო გაქვს ასეთი?

– მე რომ ჯადო მქონდეს, ფული შემომაკლდებოდა?

– ფული რად გინდა? ხელის ჭუჭყია.

– ბრიყვული კითხვაა, ზურა ბატონო, ფული გიჟსაც სჭირდება. გავივლიდი ბაზარში და ცოტ-ცოტა რაღაც-რაღაცას ვიყიდდი... ლობიო რა ღირს, ხომ არ იცი?

– არა. თუ ასე გიჭირს, მე გასესხებ ფულს, რამდენი კუპონი გინდა?

– შენ, თუ ძმა ხარ, ხუმრობის ხასიათზე ხარ? კუპონი რა ფულია, კუპონით ახლა რა უნდა იყიდო. მართლა მომცემ? ერთი ორმოცდაათი, სამოცი ათასი... ან ცოტა მეტიც არ მაწყენდა.

(რამდენადაც ქართული კუპონი ზღაპრული სისწრაფით უფასურდება, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ორ მეგობარს შორის საუბარი მოხდა 1993 წლის 3 ნოემბერს, დილით).

– როგორ არ მოგცემ, ახლა რომელი საათია? თერთმეტი? ჰო... ასე, სამი საათისთვის ხელს გაძლევს? საღამოს ბაზარს მიუსწრებ, ცოტა გაიაფებულს იყიდი. ახლა ადრე ღამდება, გაითვალისწინე. ან არადა, დილით გადმოირბინე ჩემთან, შინ ვიქნები.

– დღესვე ჯობს, კუპონი, ხომ იცი, როგორ კარგავს ძალას, ხვალ ბევრად ძვირი იქნება ყველაფერი.

– კარგი, აბა, გელოდები!

საღამოს ხუთის ნახევარი იყო, როცა ზალიკო შინ მიადგა ზურას.

– აჰა შენ ოთხმოცი ათასი, გეყოფა? მეტი არ მომცეს, – გადმოუწყო ზურამ ფულის დასტა.

– ვინ არ მოგცა? საკუთარ ფულს აღარ გაძლევენ? – გაუკვირდა ზალიკოს.

– სალარო ჰქვია თუ შემნახველი ბანკი, გაწყდეს მაგათი მომგონი, სამი საათი მაყურყუტეს რიგში.

– მეზარებოდა რიგში დგომა, თორემ ფული მეც მაქვს სალაროში, – თქვა ზალიკომ.

ზურა სახტად დარჩა, გაკვირვებისგან პირი დააღო.

– შე გაფუჭებულო, მე მეგონა, პურის ფული არ გქონდა შინ და შემეცოდე... ზალიკო, შენ ყოველთვის ასეთი აფერისტი იყავი, როგორ მოვტყუვდი! როგორი გულჩვილობა გამოვიჩინე, ვერ მიპატიებია თავისთვის... მომწყდი თავიდან, შავ ჭირს მოგცემ!.. ფუი, როგორ ამტკივდა კბილი...

1994

ზვიად

საავადმყოფოს პალატაში შემოვიდა შუახნის, ჯერ კიდევ ლამაზი, მსუქანი ქალი. უკან ორნი მოჰყვებოდნენ – წარმოსადეგი, დარბაისლური შესახედაობის მამაკაცი (მელოტზე გვერდიდან გადავარცხნილი ნასესხები თმით) და 18-19 წლის მაღალი, ჯანიანი ახალგაზრდა.

ცოლ-ქმარმა მიათვალიერ-მოათვალიერა ოთახი, ეტყობა, მთლად კმაყოფილები არ დარჩნენ; სანამ მოგვიანებით შემოსული სანიტარი ქალი ახალმოსული ავადმყოფისთვის ლოგინს შლიდა, ერთმანეთში რაღაცაზე ბჭობდნენ.

ბიჭს კუდუსუნის არეში თმის ჩაზრდა ჰქონია, ჩირქოვანი კისტა უნდა ამოჰკვეთონ.

ვალერიანი გვერდით საწოლზე იწვა, მას უკვე ჰქონდა გაკეთებული ასეთი ოპერაცია, ერთ-ორ დღეში გაეწერებოდა კიდეც. ზვიადი (ასე ერქვა ახალგაზრდას) ძლიერ შეშინებული ჩანდა – ვალერიანს ერთი ათჯერ მაინც ჰკითხა, ოპერაციის დროს გეტკინა თუ არაო. ვალერიანი ამშვიდებდა, ოპერაციის დროს ვერაფერს იგრძნობ, ვაუკაცი კაცი რამ შეგაშინაო. ზვიადი მაინც არ ეშვებოდა – ოპერაციის შემდეგ რამდენ ხანში იგრძენი ტკივილიო...

ზვიადის მეზობელი მეორე მხარეს სერგო იყო, იმას გაჭედილი ბუასილის ოპერაცია ელოდა. ჯერჯერობით ჰემოგლობინის რაოდენობა ჰქონდა დაწეული სისხლში და გაძლიერებულ კვებაზე იყო გადაყვანილი – თითქმის მთელი დღე ილუკმებოდა. სერგოც აიმედებდა ზვიადს, ოღონდ თავისებურად – მისი ვითომ დამამშვიდებელი სიტყვების შემდეგ ზვიადი კიდევ უფრო შეშფოთებული ჩანდა.

– ანალიზები აგიღეს? – ეკითხებოდა ზვიადს.

– კი.

– კარგია. ანალიზები აუცილებელია. სანამ კარგი ანალიზები არ გექნება, ოპერაციას არ გაგიკეთებენ. მე ხშირ-ხშირად მიღებენ სისხლს საანალიზოდ. ამას წინათ ავჯანყდი. "რამდენს იღებ სისხლსა!" – ექთანს ვეუბნები. "რა შენი საქმეა!" – აქეთ შემომიტია. "როგორ რა ჩემი საქმეა, ჩემი სისხლია! ჯანდაბა თქვენ!" – ვუთხარი და წამოვედი. ვითომ კანისტრას ავსებს, წურბელა!..

ზვიადი მოიკუნტა, აღარაფრის ხალისი ჰქონდა, მხოლოდ სიგარეტს ეწეოდა გაუთავებლად, მთელი პალატა გაბოლა. დედ-მამა მოუცილებლად პალატაში ისხდნენ, მხოლოდ მამა გავიდოდა ხოლმე რამდენიმე წუთით პაპიროსის მოსაწევად. ოდნავ მაშინ გამოცოცხლდა ზვიადი, როცა მისი მეგობრები მოვიდნენ – ორი ბიჭი და სამი ქალიშვილი – და აახმაურეს ოთახი.

მესამე დღეს გაფითრებული წაიყვანეს საოპერაციოდ. ცოტა ხანში პალატაში შემოიყვანეს გაკაკვებული წელით, დედ-მამა აქეთ-იქიდან მხარში ედგა. ხანხალით მიიყვანეს საწოლთან და ფრთხილად დააწვინეს. გარშემო მისი მეგობრები შეჯგუფდნენ.

ზვიადმა ცოტა სული მოითქვა და აყვირდა:

– ვაი, მტკივა! მიშველეთ! მოვკლავ მაგ ნაბიჭვარს! დამკლა! ეს რა მიქნა! არ ვაცოცხლებ!

– კარგი, შვილო, გაჩერდი, სირცხვილია! – აშოშმინებდა დედა. გაფითრებული მამა იქვე იდგა ჩუმად და პაპიროსს ეწეოდა.

– ვკვდები! რა დროს სირცხვილია! ოხ, ვის ხელში ჩამაგდეთ, მაგ ყასბისა! მოვკლავ, მაგის დედას... – და ზვიადმა უწმაწური გინება მოაყოლა. – გავხეთქავ ცემით!.. ოხ, მაგის...

– მოითმინე, შვილო, შენს გარდა აქ სხვა ავადმყოფებიც არიან!

– მე მაგას ვინ ვგონივარ! – არ ცხრებოდა ზვიადი. – ერთი ავდგე! ოღონდ ავდგე! მე მაგის... გავლახავ, მივასიკვდილებ!.. გამიჭირდება თუ რა! ვაიმე! რამე დამაწყნარებელი მომიტანეთ რა! ვაიმე! რამე გამაყუჩებელი მინდა! მომიტანეთ ჩქარა, ხალხი არა ხართ? – უეცრად ბავშვივით თხოვნა-ხვეწნას მოჰყვა.

– ბიჭო, არა გრცხვენია, ვაუკაცი კაცი ხარ... – თავს დაადგა მამა, დაიხარა, შეწუხებული სახით შვილს ეჩურჩულებოდა. – მოითმინე...

– სად არის ექიმი?! ჩქარა!.. ვკვდები!... – ყვირილს განაგრძობდა ზვიადი. – ჩქარა მოიყვანეთ, თორემ მოვკვდი... აღარ შემიძლია!.. ექიმი მოიყვანეთ!..

– ექიმი ოპერაციაზეა, ცოტა ვერ უნდა მოითმინო? – აწყნარებდა დედა და ამ დროს ზვიადმა ისე წამოიყვირა, რომ მამამისი მაშინვე გავარდა გარეთ. ზვიადის მეგობრებმაც ვერ გაუძლეს საზარელ ღრიალს და ისინიც დერეფანში გაიკრიფნენ.

ზვიადი განაგრძობდა ყვირილს, ცრემლები ღაპაღუპით მოედინებოდა თვალებიდან.

– აქ რა ჯანდაბა მინდოდა! თქვენი ბრალია, თქვენი, რატომ დაგიჯერეთ! ვაიმე, დედიკო, მიშველე! ხალხი არა ხართ, არავის ვეცოდები? ექიმი მოიყვანეთ!

ამჯერად დედამისი გაიქცა ექიმის მოსაძებნად.

– უჰ, მაგათი... ეს რა მიყვეს... რა ვქნა, მითხარით, ხალხო!..

– უნდა მოითმინო, გენაცვალე, – წყნარად უთხრა სერგომ.

– კარგი, ჰო, რა დაგემართა! – შეუტია ვალერიანმა ზვიადს. – რა ფეხმძიმე ქალივით კივი, მუცელი მოგეშალა? ნუ ააფორიაქე ყველა, ხომ ხედავ, შენს გარდა კიდევ ხუთი ავადმყოფი ვწევართ და არცერთი ვართ შენზე უკეთეს დღეში.

– მე რომ ვკვდები?! – ამოიზმუვლა ზვიადმა. – ვერა ხედავთ, რა დღეში ვარ? ვაიმე! მოვკლავ!..

– ვის მოკლავ? – შეეკითხა სერგო.

– დედაჩემს და მამაჩემს მოვკლავ! სად არიან ამდენ ხანს, ექიმი სად არის?! ვაიმე! სერგო, შენ მაინც მიშველე!

– ახლავე, შენ გენაცვალე, მივდივარ, შენ ოღონდ დაწყნარდი, – სერგოც გავიდა პალატიდან.

— დამიძახეთ ექიმს!.. ჩქარა!.. ნემსი გამიკეთეთ! გამიყუჩეთ!.. მეტი აღარ შემიძლია!.. — საშინელი ხმის ბღაოდა ზვიადი. — ეს სად მომიყვანეთ?!. თქვენი იმედი მქონდეს? ვისთან მომიყვანეთ? წადით, დაუძახეთ!.. ვალერი!.. ვალერი!..

ვალერიანი კრუსუნით წამოდგა, ტკივილისგან სახე დაემანჭა, მაინც თავს ძალა დაატანა და ჩოჩვა-ჩოჩვით გარეთ გავიდა.

პალატაში დავრჩით მე, ბაბუ, ვახტანგი და ზვიადი.

ზვიადი ისევ ბღაოდა, ვერ იყო კარგი შესახედავი, არა და არ დაწყნარდა.

ბაბუსა და ვახტანგს განგრენის გამო ფეხის თითები აქვთ წასაჭრელი. მეც ვერ ვდგები, განძრევაც კი მიჭირს ოპერაციის შემდეგ.

— უ-უჰ, თქვენი... ყველამ მიღალატეთ? სად არის ექიმი?! ვკვდები! რატომ მკლავთ, რა დავაშავე!..

მალე ჯერი ვახტანგზეც მიდგა. ყავარჯნები მოიმარჯვა და ექიმის მოსაყვანად იმანაც კარებს მიაშურა. ზვიადი ისევ ისე ბობოქრობდა. იმდენი იყვირა, რომ 70 წელს გადაცილებული ბაბუც კი წამოდგა, ყავარჯნები გაჭირვებით ამოიღლიავა და ჯახირ-ჯახირით ისიც გარეთ გავიდა. საკვირველი კი იყო: აგერ უკვე ორი კვირაა, ბაბუ საწოლიდან ვეღარ დგებოდა ფეხსალაგშიც კი და ყოველ მესამე დღეს ოყნას უკეთებდნენ.

ოთახში მხოლოდ მე და ზვიადი დავრჩით. მისი გინება-ყვირილ-ტირილი ნერვებს მიშლიდა, მე ჩემი გასაჭირიც მყოფნიდა.

რამდენიმე ხანში მთავარი ექთანი შემოცქრიალდა. შემოყვა ჯგრო ხალხი, პალატა უცებ გაივსო.

ექთანმა დაყვავება-ფერებით ბატონ ზვიადს საჯდომში გამაყუჩებელი ნემსი გაურჭო.

ბიჭი დაწყნარდა, ამხანაგებთან საუბარშიც კი გაერთო.

მალე მობრძანდა ბადრი ექიმიც — მაღალი, ზორბა კაცი, ძლივს შემოეტია კარში ყოფილი მძიმე წონის მოჭიდავე. კეთილად იღიმება, ღია კარში მდგომი ზვიადს ეკითხება:

— როგორა ხარ, ვაუკაც?!.

— ახლა რა გვიჭირს, კინაღამ დაგვხოცა! — პასუხობს ზვიადის დედა.

ზვიადი გასუსულია, ხმას არ იღებს.

— ახლა გავჭერი მხოლოდ და ჩირქი გამოვადინე; ოპერაცია რამდენიმე დღით გადავდე, ვნახოთ, როგორ იქნება საქმე. მე ოპერაცია ადგილობრივი ანესთეზიით მინდოდა გამეკეთებინა, ახლა, ვატყობ, საერთო ანესთეზიით მომიწევს! — ამბობს ქირურგი, პაპიროსს უკიდებს და მიდის.

ზვიადი წამოდგა და დერეფანში გავიდა თავის მეგობრებთან ერთად.

— ეგეთი თავხედია! — ღიმილით ამბობს დედამისი, — პატარა რამემ თუ შეაწუხა, ქვეყანას შეგვიყრის, ჯვარს გვაცვამს... როცა ყვიროდა, პირი გვერდზე მქონდა მიბრუნებული — რომ შეემჩნია, მეცინებოდა, ხომ მომკლავდა!..

“შენც კარგი ვინმე ყოფილხარ!” — გავიფიქრე გუნებაში და კედლისკენ გადავბრუნდი.

1991

თედო

წყნეთელი ძია თედო დილით გამოვიდა ეზოში და რას ხედავს: მისი ბებერი ვირი დამხრჩვალა — კბოდეზე დაცურებულა და თოკი მოსჭერია კისერზე.

— ეს რა მიყო, კაცო, როგორ დამცარა! — მოთქვამდა ძია თედო. — აწი რაღა მეშველება!

სულ არ სჭირდებოდა, რა თქმა უნდა, ეს ვირი — ხარჯის მეტი არაფერი ხეირი ჰქონდა — სამუშაოდ აღარ ვარგოდა, ჭამა-სმა და მოვლა-პატრონობა კი სჭირდებოდა. ან ვის რად უნდოდა ვირის მოტანილი შეშა — ძია თედოს ერთი ბიჭი შოფერი ჰყავდა, მიაყენებდა უზარმაზარ თვითმცლელს ეზოს და ქვანახშირის მთას დააყენებდა. გინდაც შეშას მოიტანდა ერთ გზობაზე იმდენს, რომ სამ ზამთარსაც გასწვდებოდა, მაგრამ...

მაგრამ ერთ მშვენიერ კვირადღეს ძია თედომ კოხტად ჩაიცვა (შაბათი მარტო ტანსაცმლის ძებნას და წესრიგში მოყვანას მოანდომა), დალაქთან პირი გაიპარსა და გარდაბანს წავიდა. იქ ბაზრობაზე ვირი იყიდა და ამოიყვანა. ცოტა კი გაუჭირდა ამოდენა გზის გალევა, მაგრამ, როცა ვირი ეზოში შეიყვანა, საოცარი კმაყოფილება იგრძნო. ეზოში ისევ იყო დაბმული ვირი — ეს ჩვეული სურათი გულს ესალბუნებოდა.

თუმცა, ეს კია, ვირი ჩვეულ ადგილას აღარ დააბა, იმ კბოდეს ცოტა მოაცილა — ემანდ ღმერთი არ გაუწყრეს და კიდევ არ მომიწიოს გარდაბანს წასვლაო.

1984

თინა

ო, თინა, თინა, თინა!

ცეცხლი იყო თინა, მამალი ქალი იყო თინა, რკინის მკვნეტელი ქალი იყო თინა!

შავგვრემანი, ტანადი; მკვეთრად ჩამოქნილი, მკაცრი, ლამაზი, მეტყველი სახით; თითქმის ყოველთვის კოპებშეკრული, გაუღიმარი, კუშტად აკვესებდა მუქ თვალებს. იშვიათად იცინოდა, არადა, უხდებოდა გადატკეცილ სახეზე თეთრად ჩამარგალიტებული კბილების გამობრწყინება. ლაპარაკი ჩქარი და ხმამაღალი იცოდა, – გეგონებოდა, მარადჟამ ჩხუბის საბაბს ეძებსო...

ქმარი ჰყავდა ერთი უსიტყვო, ბუნჩულა, ტანმორჩილი, მელოტი კაცი – აბესალომი, ცოლზე ბევრად დაბალი ტანად. საკმაოდ კარგ თანამდებობაზე მუშაობდა, ოჯახს არა უშავს ინახავდა; ყოველ შემთხვევაში, თინას არასდროს უმუშავია, შინ საქმიანობდა.

თინა ხომ ოჯახს გარეთ ფიცხი იყო და შემტევი, ღვთის რისხვა – უბრალო სიტყვასაც არავის შეარჩენდა, ჯიქურ მიეჭრებოდა და მოურიდებლად გათათხავდა, ლაზათიანად გამოლანძღავდა, – ქმართან წყნარი იყო და დამთმობი. და ვაი იმას, ვინც უცოდინარობით თუ სიბრიყვით მის აბესალომს ოდნავ მაინც აწყენინებდა! თინას შიშით აბესალომს მელოტზე ბუზსაც ვერავინ აუფრენდა.

საქმეშიც ფიცხელი იყო თინა – ოროთახიანი ბინა სამსართულიანი ძველი აგურის სახლის მეორე სართულზე ყოველთვის დაკრიალებულ-დაწკრიალებული ჰქონდა, ქმარი და ორი ვაჟიშვილი – კოხტად დარეცხილ-დაუთოვებულში გამოწკეპილები. თინას ვერასდროს ნახავდით ძველებურ თბილისურ, აივნებიანი სახლებით შემოსაზღვრულ ეზოში მეზობელ ქალებში უქმად მდგარს და მომუსაიფეს; მთელი დღე ოჯახში ჯარასავით ტრიალებდა – მის ხელში ხან ცოცხი იყო, ხან – იატაკის საწმენდი ტილო, ქვაბი, უთო, ჯაგრისი, ქვეშაგების საბერტყი და ასე შემდეგ.

შვილებიდან ერთი დედას დაემსგავსა ხასიათით, მეორე – მამას; უფროსი – ჯუმბერი – დედასავით მაღალი ბიჭი იყო, მაგრამ მამასავით ჩუმი. მეორე – ძმაზე სამი წლით უმცროსი მანუჩარი – მამასავით დაბალი და დედასავით ფიცხი; მამლაყინწა, შფოთისთავი; დღე არ გავიდოდა, არ ეჩხუბა ეზოში, ქუჩაში, სკოლაში... სკოლა დაამთავრა თუ არა, ერთ კვირაში თავისი თანაკლასელი გოგო მოიტაცა...

ერთ წელიწადში მანუჩარის ქალიშვილის დაბადებით გაიხარეს და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცალკე ბინაში გადავიდა. ოცი წლისაც არ იყო მანუჩარი, რომ შესამჩნევად დაეტყო გამელოტება და მეორე გოგოც შეეძინა. თინა, რასაკვირველია, ბიჭის დაბადებას ნატრობდა.

უფროსმა ვაჟიშვილმა, ჯუმბერმა, ჯერ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, შემდეგ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა, სადისერტაციო შრომაც სანახევროდ ჩაათავა და მხოლოდ მერე, ოცდაათი წლისა, დაოჯახდა.

როცა ახალი რძალი დაფეხმძიმდა, თინა რიხიანად გაიძახოდა, ნახეთ, თუ ჩემი სიტყვა არ გამართლდეს, მეოთხე შვილიშვილი ნაღდად ბიჭი იქნებაო და სახელიც კი შეურჩია – აბესალომი (ეტყობა, მანუჩარის იმედი აღარ ჰქონდა, რომელსაც ამ დროისთვის უკვე მესამე ქალიშვილიც ჰყავდა). მაგრამ ვაგლახ! – ჯუმბერსაც ქალიშვილის დაბადება მიულოცეს მეგობრებ-ამხანაგებმა (უმცროსი ძმის, მანუჩარის, უფროსი ქალიშვილები ამ დროს უკვე სკოლაში დადიოდნენ).

თინას დანა პირს არ უხსნიდა.

კიდევ წელიწადნახევარი გავიდა, ჯუმბერი და მისი მეუღლე ისევ შვილის დაბადების მოლოდინში იყვნენ.

განსაკუთრებით თინა ღელავდა...

ერთი მშვენიერი გაზაფხულის დილას კი გაფითრებული, გატანჯულსახიანი თინა გამოვიდა აივანზე და გაანჩხლებულმა მთელი ეზოს გასაგონად იყვირა:

– იხარე, მტერო, – ისევ გოგო შეგვეძინა!..

1994

იაკობ

კათედრას ამშვენებს სამოცდაათ წელს მიღწეული, მაგრამ ჭარმაგი, ენერგიული, ენაწყლიანი ლექტორი, ბატონი იაკობი – შესანიშნავად მოვლილი კერძო ნაკვეთის მფლობელი – "მემემულე", რომელიც თავის გამოცდილებას გვიზიარებს უხვი მოსავლის მიღებისა (გარდა ამისა, ბატონი იაკობი გახლავთ აგრეთვე – და უპირატესად – ჟურნალისტი, მწერალი, ფოლკლორისტი და სხვა).

– მოვიდა მეზობელი, მეუბნება: "ბატონო იაკობ, ნეხვი მოგიტანე!" "ოხერო", – ვუპასუხე, – "ნეხვი შენა ხარ, შენ ოქრო მოიტანე, ოქრო, გაიგე?" დიახ, ამ გაჭირვების ჟამს, როცა ბაზარში კონა

მწვანილი 15-20 მანეთი ღირს და კილოგრამი ჭიანი ვაშლი 25-30 მანეთზე ნაკლებ აღარაა, მთავარია რა?.. მთავარია, ჩვენც გავანძრიოთ ხელი და ჩვენ თავს შეძლებისდაგვარად ჩვენვე მოვუაროთ... დიახ, მთავარია – რა? მთავარია – კარგი ნიადაგი ანუ საქონლის პატივით განოყიერებული, მთავარია – ჯიშიანი თესლი, მთავარია – დროზე მოვლა-დამუშავება და მორწყვა და კიდევ მთავარზე მთავარია – სიყვარული, მოფერება! დიახ, მოფერება უყვარს მცენარეს, ხომ გამიგეთ?

– ჰო, შენ გენაცვალე, მიდი, მოეფერე! – აგდებულად შეუძახა ერთმა შუახნის მამაკაცმა, რომელსაც ამგვარი ქცევა ნაკლებად უხდებოდა და სულ არ ეხამებოდა მის მელოტ და საფეთქლებზე გაჭაღარავებულ თავს.

– კი არ გეხუმრებით, მართალს ვამბობ – თითო ძირს უნდა ესაუბრო, საერთო ენა გამონახო... მოვლა არ დააკლო, წყალიც დროზე მიუმარჯვო და მოსავალსაც სანაქებოს მიიღებთ... გამოივლის ვინმე, შეხედავს თქვენი გარჯის კეთილ ნაყოფს და გაუხარდება, მარჯვენას დაგილოცავთ! ხომ გამიგეთ?

– გავიგეთ, გავიგეთ! – არ ისვენებდა მოტვლეპილთავიანი. – კიდევ რა უნდა გავიგოთ?

– ჰოდა, აი, მე რომ ასკილოგრამიანი გოგრები მოვიყვანე, ბოდიში და, აგერ რომ ზის აქტიური ამხანაგი, კიდევ ბოდიში და, კი არ ზის, წამდაუწუმ წამოიმართება და რეპლიკებს მესვრის, – აი, ნახეთ, რა დიდი გოგრა მაბიაო, მისი თავის ხელა რას მიქვია, ორჯერ უფრო დიდიც გაიზარდა! სამწუხაროდ, ჯეელი კი ვარ, მაგრამ აქ მაინც ვერ წამოვიღე სიმძიმის გამო, თესლი კი თან მაქვს, გიწილადებთ ცოტ-ცოტას, თითოს თითო ცალი შეგხვდებათ!

– სამ-სამი ცალი! ერთი ცალი რას გვიზამს! – ისევ წამოხტა ფეხზე მელოტი.

– როდის დავთესოთ, პატივცემულო? – ხმა მიაწვდინა ლექტორს პირველ რიგში მჯდომმა ხნიერმა ქალბატონმა. – ერთი ცალი გვერგო და ისიც რომ უდროო დროს მოგვიხდეს დათესილი და გაცუდდეს?

– რა დროს დავთესოთ? – უპასუხა ბატონმა იაკობმა, – ქალბატონებთან, რასაკვირველია, ბოდიშს მოვიხდი და, გაზაფხულდება თუ არა, გახვალთ, გენაცვალე, ნაკვეთში, ჩაიხდით შარვალს და პერანგის ამხანაგსაც მიაყოლებთ, ჩაცუცქდებით და თუ იგრძნობთ, მიწიდან სითბო ამოდის... გრძნობთ, არა? დათესეთ!.. გამიგეთ?.. მამაპაპური წესი ყველაფერს სჯობს!

– ქალებმა როგორღა გაიგონ? – არ ისვენებდა მელოტი და მოუსვენრად ცმუკავდა ადგილზე.

– ქალები? ქალები რატომ უნდა შეაწუხოთ, ეგ კაცის საქმეა!

– ორასკილოგრამიანი გოგრის თესლი გვინდა! – არა და არ გაჩერდა მელოტი, – ხუთ-ხუთი ცალი!

– თქვენ, აქ მყოფნიც დამემოწმებიან, ჩემზე უფრო დიდი თავი გაბიათ და ალბათ თავისუფლად შეძლებთ ორასკილოგრამიანზე მეტი წონის გოგრის ჯიშის გამოყვანას! – შეჰღიმილა მელოტს ბატონმა იაკობმა. – არ დაგავიწყდეთ და პირადად ჩემთვის გადაინახეთ რამდენიმე ცალი თესლი. თუ ამაშიც მაჯობებთ, ძალიან გამიხარდება, ხომ გამიგეთ?..

მელოტი ჩუმად იჯდა.

1993

იაკოფა

გამოფენაზე მეტალურგიული ქარხნის პროდუქცია გამოიტანეს – მილები, რელსები, შველერები და ასე შემდეგ.

საზეიმო გახსნაზე მთავრობიდან მობრძანდა ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი; ზურგს უკან ხელებშემოწყობილმა დაიარა ექსპოზიცია, დაათვალიერა ყველაფერი და, ბოლოს, მოქუფრულმა ბრძანა:

– რას ჰგავს ეს?

– რა იყო, ბატონო? – შეწუხდნენ გამოფენის მესვეურნი.

– რატომ არ არის შეღებილი? გამოფენაზე ექსპონატების ასე გამოტანა შეიძლება? შეიღებოს!

– ახლავე, ბატონო!

დაფაცურდნენ, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ – კვირადღეს მღებავის პოვნა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ახლა შესაბამისი საღებავის შოვნა? რა ფერად შევღებოთო, ვეღარ შეჰკადრეს კითხვა პასუხისმგებელ ამხანაგს, არადა, რომ არ მოეწონოს მათი შერჩეული ფერი? რა თქმა უნდა, გადაღებვა ადვილია, მაგრამ რომ ეწყინოს?

დაბნეულობა გამეფებულა, ფაციფუცობენ უთავბოლოდ. ბოლოს, ერთი მიხვდება – ევრიკა! – ჩვენს იაკოფა სანტექნიკოსს ვკითხოთ, იმას ეცოდინება, სად შეიძლება მღებავის მონახვაო.

ეს იაკოფა ერთი ელამი, თითქმის სამოცდაათი წლის კაფანდარა მოხუცია – საოცრად ენერგიული, გაჭირვების ტალკვესი. გაზინზლულხალათიანი, უხეში ჩექმების ბრაგუნით მთელი დღე დაუზარლად დაფუსფუსებს, მისი ჭაღარა თავი ხან აქ გამოჩნდება, ხან – იქ; ერთთავად გაჭედილი ფეხსალაგებისა და მოშლილი ონკანების მოწესრიგებაზე ზრუნავს. უბოდიშოდ შედის ძვირფასად მოწყობილ-მოპირკეთებულ კაბინეტებშიც და მათ პატრონებსაც თანასწორივით ელაპარაკება.

დაუძახეს იაკოფას, ასეა საქმე და მღებავი სად ვიშოვოთ საჩქაროდ, ამავე წამს გვჭირდებაო.

– უახლოეს მშენებლობას მიაკითხეთ... რაში დაგჭირდათ?

როცა აუხსნეს, რა გასაჭირიც ადგათ, იაკოფა კინაღამ გაიგუდა სიცილით:

– ხალხო, ეს რამ მოგაფიქრათ, ვინ ბრიყვმა თქვა, ასე ვქნათო! რელსების შეღებვა ვინ გაიგონა? სისულელეა, სასაცილოდ გაიხდით თავს!..

აბა, ვინ აღიარებდა, ეს სიშტერე მე მოვიგონეო. მღებავის ძებნას შეეშვნენ. კიდევ კარგი, პასუხისმგებელი ამხანაგი უკვე წაბრძანებული იყო.

1986

კალისტო

კალისტოზე გიამბობ, მსგავსი კაცის მნახველი არ ვარ, განსაცვიფრებელი ვინმეა! ჩვენებური ბიჭია, შორეულ ნათესავად მერგება – ხუთი თითივით ვიცნობ. შავგვრემანი, ლამაზი ყმაწვილია, ოღონდ თვალები აქვს ღია ფერის – მონაცრისფრო თუ უფრო – მომწვანო. მის მომღიმარ, მოუსვენარ თვალებს რომ შეხედავ, ნაღდად ქაჯები და ეშმაკები ბუდობენ შიგ, მხიარული და უდარდელი ქაჯები და ეშმაკები. მარცხენა ხელის არათითზე უშველებელი ბეჭედი აქვს წამოცმული, – რქებიანი, თეთრად კბილებდაკრეჭილი შავი ეშმაკის თავი, – მზერას ვერ მოაცილებ! გეუბნები, ნამდვილად საგანგებოდ აქვს ეს ბეჭედი გაკეთებული, რომ სახეზე არ დააკვირდე და არ მიხვდე, რა მამაძაღლთანაც გაქვს საქმე. გადასარევი ვიღაცაა, ღვთის პირიდან გადავარდნილი, ნამდვილი ვირტუოზი მოტყუება-გაცუცურაკებისა. ერთ დღესაც ვერ ძლებს ცუღლუტობის გარეშე, რაღაც გაბითურების ჭინკა აქვს შემჯდარი – თაღლითობით ფულის შოვნის სურვილი ხერხავს მარად, ამ დაუძლეველი ჟინის მონაა. მისთვის შინაური და გარეული არ არსებობს, მოკალი თუ გინდა – მშობელ დედასაც უხიმანებს, ღვიძლ ძმას გააცურებს...

კალისტოს ბიძა ცნობილი ექიმია, პროფესორი, პატივსაცემი პიროვნება, პატიოსნების განსახიერება – ასეთ კაცს ახლა იშვიათად შეხვდები. საღამოობით ავადმყოფებს უფასოდ იღებდა, უამრავი გაჭირვებული ესია. ჰოდა, ერთხელაც კალისტომ ჩამოუარა ბიძამისის მუდმივ პაციენტებს და ნამუსზე შეაგდო: "ხომ ხედავთ, ბიძაჩემი გულმართალი და უხერხემლო კაცია, უსასყიდლოდ გმკურნალობთ, თვითონ კი გაჭირვებით გააქვს თავი... თქვე კაი ადამიანებო, ნამუსიც კარგი საქონელია, ამდენს გემსახურებათ უანგაროდ და თქვენც ცოტა შეეშველეთ, ხელი გაუმართეთ ასეთ ადამიანს!" ვინ ეტყოდა უარს – კალისტომ შეკრიბა საკმაოდ მოზრდილი თანხა და ჯიბეში ჩაიდო... ეს რომ შემთხვევით ბიძამისმა გაიგო, კინაღამ გადაჰყვა ამ ამბავს.

აგერ, სულ ახლახანს, კიდევ უკეთესი გმირობა ჩაიდინა, მოფიქრება არ გინდა? ერთი ვერტმფრენის ეკიპაჟს შეაბა ეჟვანი, მერე სამხედროებთან მივიდა, იარაღს და სხვა საჭურველს ოპერატიულად გადაგიტანთ აფხაზეთშიო. ჯერ საცდელად საკვები და თითო-ორორლა ავტომატი ანდეს გადასაზიდად; ეს საქმე რომ სწრაფად მოახერხა, ავტომატების დიდი პარტია მისცეს – გახურებული ბრძოლები იყო და იქ ჩვენს ბიჭებს იარაღი უჭირდათ. ჩვენმა კალისტომ კი დააღირა თავი და სვანეთში ამოყო თავი; იქ სწრაფად გაყიდა იარაღი ვიღაც-ვიღაცეებზე და მიიმალა. კიდევ კარგი, მოწინააღმდეგეს არ მიჰყიდა...

ერთხელაც, – ადრე მოხდა ეს, – ციხიდან გამოვიდა, მგონი, მეთხუთმეტე ჯდომის შემდეგ, მივიდა თავისი რაიონის რაიკომის მდივანთან და უთხრა: "შოთა, ხომ იცი, ვინც ვარ და რაც ვარ, შენც მომიტყუებიხარ... დღეიდან სხვა კაცი უნდა გავხდე, დავივიწყო ჩემი წარსული, ძველი ცოდვები გამოვისყიდო პატიოსანი შრომით – მომწყინდა სულ ძრომიალი და დამალვა. გამომცადე, სადაც მოისურვებ, იქ გამიშვი, თუნდაც მძიმე ფიზიკური სამუშაო იყოს..." შოთამ გააგზავნა მშენებლობაზე შავ მუშად, ვირულ სამუშაოზე. კალისტო შრომობს მართლაც კეთილსინდისიერად, რომ იტყვიან, თავს აკლავს საქმეს. შოთა რამდენჯერაც შეხვდება, ხელს ჩამოართმევს, გახარებულია, აქებს – ბოლოს და ბოლოს, ჩემმა მცდელობამ კაცი გამოასწორა, სამაგალითო კეთილსინდისიერებით და შრომისმოყვარეობით გამოირჩევაო, იმოქმედა ჩემმა დარიგებამო... ჰოდა, როგორც მოგახსენეთ, სადაც კი შეხვდებოდა, გადაეხვეოდა, გულთბილად მოიკითხავდა ფრიად კმაყოფილი; მეგობრულად ემუსაიფებოდა – გადავარჩინე კაციო. ერთხელაც კალისტომ ჩამოუარა რაიონის საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს: "არიქა, ბიჭებო, ჩვენი რაიკომის პირველი მდივანი, ბატონი შოთა, ახალი

დიდი მშენებლობის დაწყებას აპირებს რაიონის ცენტრში, ყველამ წილობრივი მონაწილეობა უნდა მიიღოთ, ძალიან სარფიანი საქმეა! ახლა საქმეში პირველი შესატანი დადეთ საჩქაროდ, დროულად უნდა დაიწყოს საქმე!" შეაქუჩა ბლომად ფული და, რასაკვირველია, გაუჩინარდა... როდესაც ყოველივე შოთას მოახსენეს, გაბრაზებულმა ისე მძლავრად დასცხო მუშტი მაგიდას, რომ კინაღამ ჩაამტვრია:

— ისევ მომატყუა იმ მამაძაღლმა!..

1993

კანდიდ

კანდიდ დიდიაშვილი, ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სულ გაჭირვებაზე წუწუნებს. ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგის თანამდებობა უკავია, თვიურად 400 მანეთი აქვს ხელფასი (დამეთანხმებით, ბევრისთვის მაგის ნახევარიც სანატრელია) — ოჯახში მაინც ღდინს აცლიან: ბაზარშიც არბენინებენ, ყოველ კაპიკს უთვლიან... ორი ვაჟიშვილი ჰყავს, ერთი ცოლშვილიანია, მეორე, უცოლო — ჯერ სტუდენტია; ცოლი მასწავლებელია. კანდიდი ხელფასს აიღებს თუ არა, მაშინვე ცოლი ართმევს უკლებლივ და მერე ცოტ-ცოტას გამოზოგვით აძლევს ჯიბის ფულად. მისი ძველი, ათასჯერ შენაკეთები ფეხსაცმელები, რა ხანია, პენსიაში გასვლას ითხოვენ... კანდიდს რომ დირექტორი დაიბარებს რაიმე საქმეზე ან სამეცნიერო სხდომას უნდა დაესწროს, მისვლა რცხვენია, ისეთი ადამისდროინდელი პიჯაკი აცვია... ცოლიც ძველი ბაილონის კაბით დადის, აუჰ, როდისღა იყო ბაილონი მოდაში, მისი ახალგაზრდობის დროს! გურული ქალი მაინც არ იყოს, გურულებს კოხტად ჩაცმა უყვართ.

კანდიდმა საბაღე ნაკვეთი აიღო, იქნებ ჩემივე მოყვანილი ჭირნახულით ცოტა შევეხიდო ოჯახსო. ყოველ თავისუფალ წუთს ცდილობს, ნაკვეთში იმუშაოს, საერთოდ, ძალიან ენერგიული და დაუზარელი კაცია.

ერთ შაბათ დღეს მისმა კოლეგამ და იმავდროულად მეზობელმა, გაიოზ ქიმედაძემ წაიყვანა მანქანით ნაკვეთში — ნაკვეთებიც მეზობლად აქვთ. კანდიდმა პიჯაკი დატოვა მეგობრის მანქანაში. კარგად, გემრიელად იმუშავეს თითქმის დაბნელებამდე. საღამოს, წამოსვლის წინ, ჩასხდნენ მანქანაში და კანდიდმა პიჯაკის ჯიბეებში ფართიფურთი დაიწყო — რაღაცას დიდხანს ეძებდა.

— კანდიდ, კაცო, რას ეძებ ასე გამწარებით, რწყილი ხომ არ დაგიბია ჯიბეში? — გაეხუმრა გაიოზი; მანქანა, რა ხანია, დაქოქა და ძრავაც საკმარისად გაახურა.

— ათმანეთიანი მქონდა, კარგად მახსოვს, ამ ჯიბეში და ვეღარ ვპოულობ! — განაგრძობდა პიჯაკის ჯიბეებში ქექვას კანდიდი. — სად ჯანდაბაში დაიკარგა...

"შენ მაგაზე ნუ დარდობ, შინაც უფასოდ წაგიყვანო" — ისევ უნდოდა ეხუმრა გაიოზს, მაგრამ გაჩუმება არჩია: კანდიდს ისეთი შეწუხებული სახე ჰქონდა, ისე გაფითრებულიყო, თვალები ხომ შეშლილს მიუგავდა. "ათმანეთიანის დაკარგვამ გადარია ასე ეს კაცი?!" — გაკვირვებით გაიფიქრა გაიოზმა, თან შეებრალა კანდიდი.

გაიოზმა ჩუმად საკუთარ საფულეში დაიწყო ძებნა, სამწუხაროდ, მხოლოდ სამმანეთიანები და ერთი ოცდახუთმანეთიანი აღმოაჩნდა... ერთი თუმნიანი მაინც ჰქონოდა — შეუმჩნევლად "შეუცურებდა" კანდიდს და ტანჯვისგან იხსნიდა.

— ციცინოს რაღა ვუთხრა? — ბუტბუტებდა კანდიდი და მეასეჯერ ამოწმებდა ჯიბეებს. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, დაკარგული ათმანეთიანი აღმოჩნდა — ძველთაძველი პიჯაკის გარღვეული თუ გახეული ჯიბიდან სარჩულსშიგნით ჩაცურებულიყო.

გაიოზს ეგონა, ახლა კი გახარებული კანდიდი გაიბადრებაო, მაგრამ შეცდა.

— ფუი, ამის მომგონი პატრონძაღლიც! — მეცნიერებათა კანდიდატისთვის შეუფერებლად ბოღმიანად შეიგინა კანდიდმა. და ძნელი გასაგები იყო, ვისი მისამართით იყო მიმართული მისი გულისწყრომა — ზოგადად გაჭირვების თუ ყველას მიმართ ერთიანად...

დაღმართში დაშვებული მანქანა სისწრაფეს უმატებდა.

1987

კაპიტო

პროფესორი გიგლა ყურშავიშვილი ქვემო იმერეთში გეოლოგიური ჭრილის აღების დროს ყანაში მომუშავე გლეხებს გადაეყარა. გლეხები მისი საქმიანობით დიდად დაინტერესდნენ და უამრავი კითხვა მისცეს. ბატონმა გიგლამ მათ პატარა სახელდახელო ლექცია ჩაუტარა.

– აი აქ, მეგობრებო, ზემოცარცულ დროს ზღვა იყო, კირქვა ილექებოდა, – ხელი ირგვლივ მიმოატარა პროფესორმა. – რომ მოძებნოთ, ნახავთ განამარხებულ ცხოველებს, ზღვის ზღარბს, მაგალითად...

– არ დაუჯეროთ! – გაისმა ფეხზე წამომდგარი ერთი მოხუცის, კაპიტოს ხმა, – არ დაუჯეროთ! ზღარბს ზღვაში რა უნდა!

– მე ზღვის ზღარბზე მოგახსენებდით...

– არ დაუჯეროთ! თუ ზღარბი განამარხდა, ადამიანი რატომ არ არის განამარხებული?

– ადამიანი მაშინ არ იყო, ბატონო, არ არსებობდა! – უპასუხა პროფესორმა. – ადამიანი ბევრად გვიან გაჩნდა.

– როგორ, ზღარბი იყო და ადამიანი არა? – გაიკვირვა კაპიტომ. – არ დაუჯეროთ! არ დაუჯეროთ!

მეცნიერ სტუმარს პირდაპირ ვერ შეჰკადრა – ტყუიხარო.

ზრდილობიანი კაციც იყო კაპიტო.

1986

კაჩო

მისი ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვდა, ბავშვობის მეგობრებსაც კი – ყველანი კაჩოს ეძახდნენ: ბალღობაში ჩხუბისას წინა ზედა კბილი მოსტეხეს და "კაცოს" მაგივრად "კაჩოს" ამბობდა, შერჩა კიდეც ეს მეტსახელი.

ბავშვობიდანვე ფრიად წინდახედული და ფრთხილი იყო; საკვირველია, ის ჩხუბიც როგორ შეემთხვა, მისი კბილი რომ ემსხვერპლა... ზომიერება იცოდა ყველაფერში, უყვარდა თავის მოვლა. ოჯახის წევრების ავადობას თუ სხვა რამ უსიამოვნო მოვლენას არასდროს დაურღვევია მისი დღის განრიგი – დროულად დაწვებოდა და გემრიელადაც გამოიძინებდა, გინდაც მისი ავადმყოფი შვილი სიცხით ყოფილიყო გათანგული. მის ერთ შვილიშვილს შურდულით თვალი დაუზიანეს, ისე მშვიდად მოისმინა ეს ამბავი, თითქოს ბუზი აფრენილიყოს მისი მელოტი თავიდან.

უკვე მოზრდილი შვილიშვილები ჰყავდა, როდესაც კაჩოს მეუღლე გარდაეცვალა. ერთი ძველი ძმაკაცი წაიყვანა ეკლესიაში – მგალობლები მოვიწვიოთ დაკრძალვაზეო. იქ სამი ახალგაზრდა ქალი მღეროდა ღვთიური ხმებით – მაღლა, სულ მაღლა, ზეცას აფრინდა კაჩოსა და მისი მხლებლის ამაღლებული სულები...

– ბეგლარ, შეხედე, რომელი ქალი მოგწონს ყველაზე უფრო? – საკმაოდ ხმამაღლა, მოურიდებლად ჰკითხა ძმაკაცს კაჩომ.

– რა იყო, კაჩო, რატომ მეკითხები? – გაუკვირდა ბეგლარს.

– მე ის მომწონს, მარცხნივ რომ დგას, თვალებს რომ ნაბავს სიმღერისას... შეხე, შეხე, ეშხია ცარიელი!

– ბიჭო, შენ ჯერ ცოლი არ დაგისაფლავებია, საცოლეს ხომ არ ეძებ უკვე?

– აბა, თან ხომ არ ჩავყვები სამარეში; კარგი ქალი იყო ცხონებული, მაგრამ ცხოვრებასაც რომ თავისი გააქვს?

როცა მისი მეუღლე გაასვენეს, კაჩომ სახლიდან ფეხი არ გამოდგა – პატარაზე წამოწინწკლა წვიმამ... გაცივებას მოერიდა.

1992

კეკე

უცნაური დამოკიდებულება მაქვს კეკესთან – ერთმანეთს ყველაფერს დაუფარავად ვუამბობთ. ამას წინათ ოთახში არავინ იყო თანამშრომლებიდან ჩვენს გარდა და ერთი ამბავი მომიყვა...

– თამაზ, გუშინ პაემანზე ვიყავი!..

– რაღა დროს შენი პაემანია!

– ისე მოხდა. ბეჟანი სამი წელია, არ მენახა. რამდენიმე დღის წინ შემეჩეხა მეტროში. ის შედიოდა ვაგონში, მე გამოვდიოდი და ერთმანეთს მხოლოდ თვალი შევავლეთ. "მომიცადე!" – ამის დაძახება მოასწრო და კარებიც დაიკეტა. ცოტა ხანში მეორე მატარებლით უკან დაბრუნდა. ძალიან მეჩქარებოდა, ბავშვი ექიმთან უნდა წამეყვანა. დავთქვით, მეორე დღეს შევხვდებოდით ერთმანეთს. გუშინ მართლაც წავედი პაემანზე. გამოვიპრანჭე, როგორც წესია, და წავედი. ათი წუთით დავაგვიანე, ხომ იცი ქალების ამბავი, ცოტა რომ არ დააგვიანო, არ იქნება. ბეჟანი გაზეთის ჯიხურთან იდგა, სიგარეტს ეწეოდა. ვუახლოვდები, ვფიქრობ: "რა ჯანდაბამ მომიყვანა აქ?" თან ერთგვარად აღელვებულიც ვარ, ნადირობის აზარტია თუ რა ჰქვია, აი, მოულოდნელობა რომ...

– ჯერ ეს მითხარი, ბეჟანი ვინაა? – ვაწყვეტინებ.

– ბეჟანი? ერთ დროს ვხვდებოდით, რამდენჯერმე კინოში ვიყავით... ისე, სერიოზული ჩვენს შორის არაფერი ყოფილა. მერე როგორღაც ისე მოხდა, რომ ერთხელ პაემანზე აღარ წავედი, რაღაც საქმე გამომიჩნდა, არ მახსოვს, რა იყო; აღარც იმას გამოუდვია თავი, აღარ დამირეკა და ასე ჩაიფარცხა ეს ამბავი.

– მერე, მერე?

– შენც ქალივით ცნობისმოყვარე ხარ... ჰო, მივდივართ ასე, პლეხანოვს მივუყვებით. მე გვერდიდან ვაკვირდები – დიდად არ შეცვლილა, თითქოს ოდნავ დადინჯებული ჩანს. "რატომ არაფერს ამბობ?" – ვეკითხები. "ნუთუ ჩვენ ერთმანეთი უნდა გავაკვირვოთ მჭერმეტყველებით?" – მეუბნება. გესმის? ისევ ისეთია, ცოტა უკმეხი ლაპარაკი იცის, არც ქათინაურს გეტყვის – ისე, ტყუილად მაინც, ხომ იცი, ქალს ყოველთვის ესიამოვნება, გინდაც ოთხმოცი წლის იყოს... ისიც მიყურებს... შევჩერდით და ერთხანს ასე შევჩერებივართ ერთმანეთს თვალებში. მე ვერ გავუძელი, რაღაცამ გამკრა გულში, თან, უცნაურია, მეშინია, არ გამეცინოს... ჰო, მივდივართ ასე, ნება-ნება, არ ვიცი, სად მივდივართ. მართალი გითხრა, არც ის ვიცი, რამ მომიყვანა აქ, რატომ შევხვდით ერთმანეთს და რისთვის... ისევ შევხედე – სახეზე რაღაც ტანჯული გამომეტყველება აქვს... "მე რომ სადღაც ვერთობი, ავანტიურას აყოლილი ვარ, იქნებ მისთვის ჩვენი შეხვედრა სერიოზულ რამეს ნიშნავს?" – ვფიქრობ. რა ვიცი, დამნაშავედაც კი ვიგრძენი თავი, დაბნეული ვარ, რა ვუთხრა? თვითონ ენაგადაყლაპულივით მოდის. უკვე ვბრაზდები, ბოლოს და ბოლოს, კაცია, თქვას ორი-სამი სიტყვა მაინც... ცნობისმოყვარეობა მკლავს – რა იქნება შემდეგ?.. ისევ ჩუმადაა. გადმომხედა ცერად, თითქოს მიხვდა, რომ ერთი გემრიელი პწკენა მინდოდა ან ქიმუნჯი ვუთავაზო ფერდში. "სულ არ შეცვლილხარო", – მეუბნება. "ბარემ რაღაც კიდევ დაამატე, შე ოჯახაშენებულო, – ვფიქრობ, – რას მაწიწკნი ნერვებს... ის მაინც მითხარი, ძველებურად მომწონხარო ან რაღაც ამის მსგავსი... თუ მის სიტყვებში ეს იგულისხმება?" მოკლედ, ამ ფიქრებში ვარ და მივაღწიეთ კინოთეატრ "ოქტომბრამდე". "მოდი, პროვოკაციას წამოვიწყებ, – ვფიქრობ, – უნდა ოდნავ გამოვაფხიზლო, რა მოხარშულივით მომყვება". "შენ ძალიან კეთილი ღიმილი გაქვს!", – ვეუბნები, იქნებ ხმა ამოვაღებინო ან გაიღიმოს მაინც; ხუმრობის ხასიათზე რომ ვერ დავაყენებ, ამას კი ვხვდები. რა უაზროდ მოვედი! ჩემს თავს თითქოს სხვისი მზერით ვაკვირდები, მაინტერესებს, სადამდე შემიძლია შევტოპო? ხელკავი გავუკეთე. სულ მახსოვდა ქმარი და ბავშვი, მაგრამ თითქოს ვიღაცის ჯიბრით ვაკეთებდი ყველაფერს. ისიც აღმაგზნებდა, ახლა რომ ვინმეს დავენახე... ნოდარს რომ დავენახე ბეჟანთან ერთად! ჰოი, რა სცენა გათამაშდებოდა! საკუთარ თავს თითქოს ჯიბრში ვუდგევარ – აი, მე შემიძლია ასე მოვიქცე, ეს გავაკეთო და ვაკეთებ კიდეც! ამგვარი გაორება სიამოვნებას მგვრიდა – აფორიაქება სულისა, შიშიც, ხიფათის მოლოდინი... ერთგვარი გამოფხიზლება იყო ცხოვრების ჩვეულებრივი, მონოტონური მდინარების მთვლემარებისგან... აქეთ-იქით ვიყურები, თვალებს ვაცეცებ... "სადამდე უნდა ვიაროთ ასე, კინოში მაინც შევიდეთ", – ვფიქრობ. "გადაწყვიტე ახლა, რა ვქნათ?" – ვეუბნები. როგორც ყოველთვის, მისგან ამჯერადაც მოულოდნელ პასუხს ვღებულობ: "ჯერ ნაადრევია, ჩვენს შორის რაიმე გადავწყვიტოთ!" – ეტყობა, ფილოსოფიურ აზრებშია ჩაფლული. შე კაცო, პაემანზე ხარ მოსული, ცოტა ჩემსკენაც გამოიხედე; გვერდზე მომყვები დამდურებულივით, ხმა ამოიღე, ყურადღება მომაქციე... გავბრაზდი. მერე ეს ვიფიქრე: "მე თუ მგონია, რომ ჩემი მოსვლა სისულელე იყო, ცოტა სასაცილოც, იქნებ მასაც მიაჩნია, რომ ტყუილად მომაჩანჩალა, უაზროდ და უტვინოდ?". ცოტა მოვლბი. ვკითხე, სად მუშაობ, რას აკეთებ-მეთქი და ასე შემდეგ – როგორც ძველმა ნაცნობმა. ნელ-ნელა გავახურეთ საუბარი. იმანაც მკითხა ჩემი ამბები, ყველაფერი ვუამბე. ქმარს ნოდარი ჰქვია, ქალიშვილი ორი წლისაა, მალე ახალ ბინაში გადავდივართ და ასე შემდეგ. თვითონ თურმე დაქორწინებას აპირებს...

– ალბათ ის ფიქრობდა, ჩემმა საცოლემ რომ დამინახოს ახლაო! – ჩავერთე კეკეს მონოლოგში.

— ჰო... მივდივართ ასე, ვიარეთ და ავტობუსის გაჩერებასთან ჭადრის ქვეშ შევჩერდით. სათქმელი შემოგველია თუ რა იყო, ვიდექით ასე, ვიდექით... "რომ მითხრას ახლა, უკან წავიდეთო, რაღა ვქნა მაშინ? სეირნობა გვაკლია? არ გინდა ამდენი სიჩუმის ატანა?" — ვფიქრობ. კიდევ კარგი, ბეჟანი მეხმარება, მეუბნება: "გადაწყვიტე, რაზე უნდა დაჯდე?". რა იყო აქ გადასაწყვეტი, ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდოდი და ნებისმიერი ავტობუსი თუ ტროლეიბუსი ხელს მაძლევდა. თან წასვლა მინდოდა, თან ფეხს ვითრევდი — მაინტერესებდა, ნუთუ სულ ასე ლოქოსავით იქნება ბეჟანი? სულ რაღაცას ველი, ნუთუ ტყუილად? რას ველი, მე თვითონაც არ ვიცი, მაგრამ მაინც ველი... რაღაც ხომ უნდა მომხდარიყო, ტყუილად მოვედი? თუმცა, ეს რაღაც მართლა რომ მომხდარიყო, იქნებ უფრო მწყენოდა... მოვიდა ავტობუსი. მე გავუწოდე ხელი, ვუყურებ. იქნებ მითხრას, რა გეჩქარება, კინოში შევიდეთო ან რაღაც ამგვარი... არც არაფერი. ბეჟანმა აიღო ჩემი ხელი, თითებით ოდნავ მოეფერა და გაუშვა. "ფუი, შე მართლა ლოქო!" — გავიფიქრე, გავტრიალდი და სწრაფად ავედი ავტობუსში. კი ვარ აღრენილი, მაგრამ თვალი მაინც გავაპარე. შენც არ მომიკვდე — ბეჟანს ფიქრადაც არ მოსვლია ავტობუსის ფანჯარასთან გამოსამშვიდობებლად მოსვლა, სულ სხვაგან იყურებოდა. მე კი, სულელი, ფანტაზიებს ვთხზავ: "აი, ახლა, როცა მძღოლი მანქანას დაძრავს, ის გამოიქცევა, ბოლო წამს ამოხტება, სანამ კარები დაიხურება..."

— და ცალი ფეხი გარეთ დარჩება გაშვერილი — დასამშვიდობებლად გაწვდილი, როგორც ამას ცირკის მასხარები აკეთებენ ხოლმე... — უადგილოდ ჩავეჩხირე მე.

კეკემ ტუჩები უკმაყოფილოდ გამობუსხა:

— შენ ყველაფერი უნდა გაამასხრო, აღარ გეტყვი მეტს არაფერს... ცუდო, ცუდო!

— აჰა, შენ გინდოდა, ჩემგან დაგეფარა ერთი საგულისხმო დეტალი და იმიტომ გამებუტე: გინდოდა, შენ თვითონ ჩამხტარიყავი ავტობუსიდან ბოლო წამს... ყოველ შემთხვევაში, გაიფიქრე მაინც, ასე რომ გავაკეთო. მერე რა მოხდება ნეტავიო!

— კარგი, კარგი, სულ ნუ გამაშიშვლე!..

— მგონი კანიც აგაძვრე და გეტკინა. შევწყვიტოთ ამაზე საუბარი...

1976

კიკოლა

ქობულეთში, ზღვისპირა პლაჟზე, ათამდე მამაკაცი ფრენბურთს თამაშობდა — სიცილ-ხორხოცით, წამოძახილებითა და ქილიკით.

მათში აშკარად გამოირჩეოდა კიკოლა — შუახნის, დაბალი, უკვე საკმაოდ გამელოტებული, შავგვრემანი კაცი.

დანარჩენები ბევრად ახალგაზრდები იყვნენ, ახოვანებითაც სჯაბნიდნენ. ბიჭები გოგოებს თავს აწონებდნენ აკრობატული ნახტომებით. კიკოლა ცდილობდა, ბევრად არ ჩამორჩენოდა დანარჩენებს, ყოველ შემთხვევაში, საერთო თამაში არ გაეფუჭებინა, ოხუნჯობაში კი სხვებს სჯობნიდა კიდეც. მისი მისამართით ნატყორცნ ხუმრობებს (რის საბაბსაც ხშირად აძლევდა), ზოგჯერ არცთუ მოზომილებს, ხუმრობითვე პასუხობდა და ხოგჯერ საკუთარ თავსაც არ ინდობდა.

შორიახლოს ქვიშაზე გაწოლილიყო ვინმე გველეშაპი — ისეთი უზარმაზარი, პლაჟზე გამორიყულ ვეშაპს ჰგავდა. მის ტანს უხვად ამშვენებდა სვირინგი — უამრავი სურათი და მიხვეულ-მოხვეული წარწერა. მოკლედ, მოზვერივით აბრიალებდა თვალებს და ქვიშას ჭამდა.

ერთი უხერხული დარტყმის შემდეგ ბურთი გოლიათისკენ გაგორდა. დევკაცმა უგემურად მოატრიალა სახე, დაადო თავისი უზარმაზარი ტორი ბურთს და თვალები დახუჭა, გაირინდა...

ახლოს მისვლას დიდხანს ვერავინ ბედავდა.

ბოლოს, ერთმა ახოვანმა, თავმომწონე ჯეელმა გამოიდო თავი, ეახლა მას და მოწიწებით სთხოვა ბურთის დაბრუნება.

გოლიათმა თვალები გაახილა, უკმაყოფილოდ აიქნია ხელი და კბილებიდან გამოსცრა: "ციც!" — მომწყდი თავიდან, როგორ გაბედე ჩემი მყუდროების დარღვევაო.

კარგა ბლომად ხალხი შეგროვდა — სეირის მაყურებელნი. ფრენბურთის მოთამაშენი, დაბნეულნი, ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, აღარ იცოდნენ, რა ედონათ.

ამ დროს წინ გამოვარდა თითის ტოლა კიკოლა — მელოტი უბზინავდა, მოკაუჭებული ცხვირი უცახცახებდა... თვალები გადმოკარკლა და "შენი დედა და მამა ასე და ისეო", — შეუკურთხა გოლიათს.

რამდენიმე კაცი მივარდა კიკოლასთან, ჩააფრინდნენ ხელ-ფეხში, ძლივს იჭერდნენ გაალმასებულ, გაფიცხებულ კაცს, შემკრთალნი აშოშმინებდნენ: "კიკოლა, ხომ არ გადაირიე, კაცო, რას

შვრები, ცოცხლად გადაგყლაპავს, ერთ ლუკმად არ ეყოფი!” კიკოლა კი, უარესად გაწიწმატებული, ქაჩავდა თვალებს, კისერზე ძარღვებდაბერილი ყვიროდა: “გამიშვით, მე მაგის ასე და ისეო”.

გიგანტი წამოდგა – ყველას ზაფრამ დაუარა. ეტყობა, იგი გაკვირვებული იყო კიკოლას ასეთი თავგამეტებით. ამ დროს ერთმა ჩაუარა გვერდით გოლიათს და უთხრა: “თუ ძმა ხარ, ჯობს, გაეცალო, ხიფათს თავი აარიდო; ეგ დიდი თავზეხელაღებული ვინმეაო”. მანაც დაუჯერა, რაღაც ბოდიშისმაგვარი წაიბურტყუნა, ბურთი გამოაგორა და, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული, გაეცალა იქაურობას.

ბურთი და მოედანი კიკოლას დარჩა.

არ გეგონოთ, რომ ტყუილად იდებდა თავს ან ამხანაგების იმედით იქაჩებოდა.

ვინც კიკოლას იცნობს, დამიდასტურებს – მართლა, ნამდვილად შეაკლავდა თავს...

1970

კირილე

რთული კი არა, ურთულესი არსებაა ადამიანი!

ისიც ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეს დებულება ვრცელდება ანუ სამართლიანია ყოველი ინდივიდის მიმართ – ნებისმიერი პიროვნების შესაძლებლობები ამოუწურავია და მისი ბოლომდე ამოცნობა – შეუძლებელი. და მაინც, ესა თუ ის პიროვნება რაღაც ერთი ნიშნით გვამახსოვრებს თავს და ხშირად ეს თვისება სულაც არ არის ხოლმე მნიშვნელოვანი.

ეს სიტყვები დამაწერინა ერთი ჩვენი შორეული ნათესავის, ბიძია კირილეს, გახსენებამ. გაგიკვირდებათ ალბათ, მაგრამ ორმოცდაათი წლის წინანდელ ამბავს ვიხსენებ, როცა მე თვითონ ბავშვი ვიყავი. მაშინაც და ახლაც ბიძია კირილე ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ დიდი, წითელი ცხვირი იყო და არის! ეს ფრიად ღირსშესანიშნავი და პატივსაცემი ცხვირი ჩრდილავდა მის ყველა დანარჩენ თვისებას (გავიმეორებ – ჩემთვის, რასაკვირველია) – კარგსაც და ცუდსაც, გარეგნობის დამახასიათებელსაც და შინაგანი ბუნების ამსახველსაც, მნიშვნელოვანსაც და არც ისე...

ზემოთქმულიდან ადვილი მისახვედრია, რომ ბიძია კირილე დიდად მიაგებდა პატივს ღვინო-არაყს; ამას გარდა, ძალიან უყვარდა ჩვენთან სტუმრობაც – კვირაში ერთხელ მაინც გამოივლიდა. შუახნის, ჭარმაგი, ამაყად წელგამართული, ყოველთვის გამობრუჟული მობრძანდებოდა ხოლმე; არაფრით ჩვენთან კიდევ არ დალევდა, რამდენიც უნდა ეხვეწნათ, მხოლოდ ბავშვებს კანფეტებს ჩამოურიგებდა, ტახტზე გაუხდელად მიწვებოდა და ხვრინვას ამოუშვებდა. ჰო, კიდევ – ვიწრო, პრიალა ჩექმების ჩაცმა უყვარდა, მხოლოდ იმას გამახდევინებდა; რაც მე ამ არცთუ იოლ საქმეში ოფლი მიღვრია! მეორე დღის დილამდე გვატკბობდა უსაშველოდ მძლავრი, გმირული ხვრინვით – აბა, მისი ცხვირის პატრონი ხომ არ შეირცხვენდა თავს. დილით ადრიანად წამოხტებოდა, პირს არაფერს დააკარებდა, მადლობას მოახსენებდა ჩვენს ოჯახს და წავიდოდა თავის საქმეზე. მოკლედ, გემრიელად გამოძინება უყვარდა ჩვენთან რატომღაც, ასეთი ახირება ახასიათებდა; შესაძლოა, აშარი ცოლის პატრონი იყო, ვერაფერს მოგახსენებთ.

ერთხელ ჩვეულებისამებრ გვეწვია, რა თქმა უნდა, გვარიანად შეზარხოშებული, სულ თაფლად და ბადაგად ადნებოდა სიტყვები ტუჩებზე. ბავშვებს ამჯერად არაფერი მოგვცა, სამაგიეროდ, დედაჩემს საჩუქრად გადასცა ერთ მოზრდილ კალათში ჩაწყობილი, ტყემლის საწებლით გავსებული ბოთლები. დედაჩემმა, რასაკვირველია, დიდად გაიხარა, მადლობით ჩამოართვა კალათი, ბიძია კირილემ კი მაშინვე “მის” ტახტს მიაშურა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ოთხი სული – დედაჩემი, მე, ჩემი და და ბებია – ერთოთახიან, ციცქნა ოთახში ვცხოვრობდით. სამზარეულო, სააბაზანო, საპირფარეშო და სხვა ასეთები არც დაგვესიზმრებოდა და, ცხადია, არც საკუჭნაო გვქონდა, ამიტომ ბოთლებიანი კალათი დედაჩემმა ოთახის შუაში, მაგიდაზე დადგა, მაგიდის ქვეშ კი მე გამიშალა ლოგინი.

ბიძია კირილეს ხვრინვას მიჩვეული ვიყავით ყველანი, თან ეზოში იმ დღეს დაჭერობანას ვთამაშობდი გვიანობამდე და საკმაოდ დაღლილი ვიყავი, ასე რომ, გემრიელად ჩამეძინა.

ალბათ შუაღამეს გადაცილებული იქნებოდა, რომ უცებ რაღაც საშინელმა გრიალმა წამომახტუნა და მაგიდას ქვევიდან გვარიანად ვურქინე კიდეც. დანარჩენებიც წამოხტნენ და მაშინვე ერთადერთ ფანჯარას ეცნენ – ეზოში ხომ არაფერი მოხდაო (ომი ახალი დამთავრებული იყო და რკინიგზის სადგურთან ახლოს ვცხოვრობდით გოგოლის ქუჩაზე, თან ჩვენი ეზოდან ფიროსმანის ქუჩაზეც შეიძლებოდა გასვლა, ამიტომ ყველა ჯურის მაწანწალა და ქურდ-ოხერი არ გვაკლდა და არც სროლა იყო უცხო ხილი იყო ჩვენთვის). ყველგან სიჩუმე სუფევდა, რომელსაც მხოლოდ ბიძია კი-

რილეს ხვრინვა და ორთქლმავლების კივილი არღვევდა. ბებიამ პირჯვარი გადაგვწერა ყველას და ისევ ლოგინებს მივაშურეთ.

თვალები მივლულე თუ არა, მაშინვე სიზმრის ფრთებით ფრონტზე გადავფრინდი, გახურებულ ბრძოლაში გადავეშვი, თუმცა ყველაფერი უხმოდ ხდებოდა, თითქოს მუნჯი ფილმი ყოფილიყოს. და მხოლოდ ერთხელ იქუხა ზარბაზანმა, თან ისე მძლავრად, რომ მეორედ წამომახტუნა და ისევ ვეძგერე თავით მაგიდას ქვემოდან. მშვენიერი ბადრი მთვარე იჭყიტებოდა ფანჯრიდან და ოთახს ანათებდა – ოთხი შიშნაჭამი ადამიანი ისევ ფანჯარას მივცვივდით... ეზოში ყველაფერი გარინდებულიყო, მამალი თუთის უზარმაზარი, შიშველი ტოტები შავად გაფარჩხულიყო, გვიანი შემოდგომის ჭირხლს თეთრად აეელვარებინა მოპირდაპირე მხარეს მდგომი სახლის სახურავი. ბიძია კირილეს არც ამჯერად გაუტოკებია ფეხი.

ისევ დავწექით და, როცა ცოტა ხანში ისევ რაღაცამ იბუთქა, გული აღარ გაგვხეთქია და თბილ ლოგინებს არ მოვშორებივართ. ღამის განმავლობაში კიდევ მრავალჯერ განმეორდა სროლა, რომელსაც ყურადღებას აღარ ვაქცევდით.

დილით ადგომა ყველას, როგორც ყოველთვის, ბებიამ დაგვასწრო. მისმა ხმამაღალმა ჯიჯღინმა დანარჩენებიც გამოგვაღვიძა...

– რა გვიქენი ეს, კირილე, დაგექცეს კერია, არ დაგვაფსე და დაგვიქციე ოჯახი?! – მოთქვამდა ბებია.

მაგიდის ქვეშიდან გამოვძვერი და სულელივით ხარხარი ამივარდა: მთელი ოთახი ამჟავებული ტყემლის მძაფრი სუნით იყო გაჟღენთილი; ყველგან – ლოგინებზე, იატაკზე, კარადაზე, სკამებზე, მაგიდაზე – ტყემლის ლაქები და შხეფები მიმოფანტულიყო.

– შეხედეთ, შეხედეთ! – მაღლა ავახედე სხვები, – ჭერი რა ლამაზი სანახავია!

მართლაც, ჩვენი ღარიბული ოთახის გამჭვარტლულ-დალაქავებული ჭერი ბარაქიანად ამოხეთქილი ტყემლის საწებლით წითლად მოხატულიყო, ჭერის შუაში კი ყველაზე დიდი ლაქა ნამდვილად ბიძია კირილეს ლამაზი ცხვირის ოდნავ გადიდებულ ასლს ჰგავდა. დაწინწკლულ-დალაქავებული იყო ჭერისკენ თვალმიპყრობილთა თავებიც, – ჩემს გარდა, – მაგიდამ ხომ ღამით დიდად დამაზარალა, მოზრდილი კოპები მასხდნენ შუბლზე, მაგრამ, სამაგიეროდ, ქოლგის მაგივრობაც გასწია.

ყველაზე უხვად ბიძია კირილე იყო შემკობილი. მისი ტანსაცმლის სველი ჩვრითა და ჯაგრისით წმენდას ბებია კარგა ხანს მოუნდა. როცა ამ საქმეს მორჩა, ბიძია კირილეს ხელში შეაჩეჩა უკვე ფრიად შემსუბუქებული კალათი და კიბისკენ უბიძგა...

ბიძია კირილე მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გამოჩნდა ისევ – ჩვეულებრივ ნასვამი გახლდათ, ჩვეულებრივ პრიალებდა მისი ცხვირიც და ჩექმების ცხვირებიც, ოღონდ ამჯერად ბავშვებს ორ-ორი კანფეტი მოგვცა. ჭერისკენ სულაც არ გაუხედავს, მაშინვე ტახტს მიაშურა.

1993

ლენა

რიმა შორიდანვე შევამჩნიე, მაინც იმან დამასწრო მოსალმება. კარგა ხნის უნახავებმა გადავკოცნეთ ერთმანეთი.

– როგორ ხარ, გოგო, სულ არ შეცვლილხარ! – ვიცი, ქალს ქათინაური ნებისმიერი მამაკაცისგან ესიამოვნება. – ისედაც ბიჭივით გამხდარი იყავი და ახლა უფრო გამხდარხარ და გაახალგაზრდავებულხარ! მხოლოდ ის მაინტერესებს – ასე რამ გაგაჭაღარავა, ამიტომ ხომ არ შეიკრიჭე თმები მოკლედ? ჩემს თმებს რას უყურებ, ორმოცდაათს ვუახლოვდები, ჩემზე ათი წლით მაინც იქნები უმცროსი...

– ლენას ხომ იცნობდი? – მოულოდნელად მეკითხება რიმა.

– როგორ არა... სანამ შენ სხვა სამსახურში გადახვიდოდი, თითქმის ყოველდღე არ მოდიოდა შენს სანახავად? მიკვირდა კიდეც, სად ჰქონდა ამდენი თავისუფალი დრო.

მართალი გითხრათ, ლენა რიმაზე ბევრად ლამაზი ქალი იყო – ისიც გამხდარი, ტანწერწეტა. ამაყი სიარული იცოდა, ოდნავ მკაცრი სახე კი მოქანდაკის მიერ საგულდაგულოდ გამოკვეთილს უგავდა. ვფიქრობდი კიდეც, ნაცნობ მხატვართან მივიყვან, მშვენიერი პორტრეტის შესრულება შეიძლება-მეთქი. მადლიანი ნატურა იყო, ლენას რა დამავიწყებდა!

– იმან გამაჭაღარავა, რომ ჩვენი ლენას სერგო დაიღუპა...

– რას ამბობ!

– ჰო... ორი თვე გავიდა უკვე და მაინც ჯერაც გაბრუებული ვარ!

– რა მოხდა? რამდენი წლის იყო?

— თხუთმეტი წლის შესრულდა აგვისტოში... იცი, რამსიმაღლე იყო? რა მოსიყვარულე ბიჭი... ჩემს თვალწინ გაიზარდა. რომ გამახსენდება, როგორ ვათამაშებდი ხელში, ავისვრიდი ზევით ჰაერში და როგორ კისკისებდა... მერე უცებ, სწრაფად აიყარა ტანი...

— რა დაემართა საცოდავს?

— სკოლაში მეოთხე სართულიდან გადმოვარდა... კიბეზე, მის სახელურზე ჩამოსრიალდა და... ორი დღე საავადმყოფოში ვათენ-ვაღამებდი... დედამისი გავიდოდა სადღაც, გაძვრებოდა, მშვენივრად გამოძინებული მოვიდოდა. მე ძალიან მიკვირდა, რომ ლენას შვილი კი არა, საკუთარი თავი ეცოდებოდა... ეს ჩემთვის გაუგებარი იყო და ახლაც არ მესმის... როგორ შეუძლია ლენას, დამშვიდებული იყოს?

რიმამ ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლმორეული თვალები შეიმშრალა. ტუჩების კანკალით განაგრძო:

— მე დამტოვა მომაკვდავ შვილთან, თვითონ კი გაიპარა — უნდოდა, მე გამეგო პირველს სერგოს სიკვდილი... თავს უფრთხილდებოდა, თუ რა იყო? თუ თავდაცვის, თავის გადარჩენის ინსტიქტმა უკარნახა?.. ახლა უკვე გეგმებს აწყობს, გათხოვება უნდა... მე ქმარი არასდროს მყოლია და ისე არ ვზრუნავ გათხოვებაზე, როგორც ის... ქმარი რვა წლის წინ დაკარგა. რა თქმა უნდა, ეს დიდი დარტყმა იყო მისთვის, მაგრამ ხედავ, რა იოლად გადაიტანა? გეგმებს აწყობს... სერგო აღარ არის, ის კი გეგმებს აწყობს... ეს მე მაგიჟებს! ვნერვიულობ, ლენას დასანახავადაც ვერ ვიტან... ის გრძნობს ჩემს მდგომარეობას, ისიც გაღიზიანებულია ჩემი "მეტისმეტი" მგრძნობიარობით, თან სხვები რას იფიქრებენ ჩემი და მისი განწყობების შედარებით? ესაა მისთვის მთავარი, წარმოგიდგენია? მოკლედ, ოცდაათ წელზე მეტი ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან და ახლა, სულ რაღაც ორ თვეში, ვეღარ ვიტანთ ერთმანეთს... მე მარტოობა არ მაშინებს, არც დიდად განვიცდი, არ მემძიმება, ალბათ შევეგუე, უფრო სწორედ — შევეჩვიე მარტოობას. ლენას ალბათ გაუჭირდა...

— ახლა საით გაგიწევია?

— ბაზარში ვაპირებდი, ყვავილები მინდა ვიყიდო.

— დღეობაში ხომ არ დაგპატიჟეს? ცოტა გულს გადააყოლებ...

— ეჰ, რა მედღეობება... სერგოს საფლავზე უნდა მივიდე. კვირაში ორჯერ მაინც დავხედავ ხოლმე.

— დედამისი?

— ლენა? ამ ორ თვეში სულ ორჯერ იყო, მუშებმა მითხრეს. სერგო ჩემი შვილი ეგონათ.

ვუყურებ რიმას დაბნეული, მიჭირს რაიმეს თქმა.

მივაცილე რიმა გაჩერებამდე, ტროლეიბუსიც მაშინვე მოვიდა.

მერე დიდხანს ვიდექი ქუჩაში და სულ იმას ვფიქრობდი: როცა ლენას მიყვანა მინდოდა ჩემს მეგობარ მხატვართან პორტრეტის გასაკეთებლად, რატომ გადავიფიქრე? ნუთუ რაღაცამ ქვეცნობიერად შემაჩერა?

1985

მაია

მაიკო ფეტვიკენკაძე რომ პირველად გამოჩნდა ჩვენს სამსახურში, ბიჭებმა თვალები დააჭყიტეს და პირები დააღეს: ლამაზ ფერიას ჰგავდა, ცით მოვლენილს — ცისფერი ფოფინა თვალები, ანგელოზის თეთრყირმიზი სახე, ჩამოქნილი ტანი და ნატიფი ფეხები... ჩავლილს ქალებიც კი მზერას აყოლებდნენ, ზოგნი — აღფრთოვანებით და ზოგნიც — შურით. კაცები რომ ქალებზე მოყვებოდნენ საუბარს და დაწესებულების ლამაზმანთა სიას ადგენდნენ, მაია ყოველთვის ტურფათა პირველ სამეულში შედიოდა. ერთი ეს იყო გასაკვირი, რომ ჯერაც სრულიად ახალგაზრდას გათხოვებაც მოესწრო და გამოთხოვებაც (შვილი, ხუთი წლის ლამაზი ბიჭი, ხანდახან მოჰყავდა ხოლმე სამსახურში). ასეთ მზეთუნახავს ნეტა ვინ ვერ შეეგუა?

ცოტა ხანმა გაიარა და ერთმა ოხუნჯმა ყმაწვილმა მაიკოს "ბატი ტასიკო" შეარქვა, ცნობილი ანიმაციური ფილმის გმირის სახელი. მაია მხაზველად მუშაობდა, ხანდახან რაიმე ნაწერის გადათეთრებას ან სამეცნიერო ანგარიშებიდან ამონაწერების გაკეთებას დაავალებდნენ და ძალიან ხშირად უშვებდა შეცდომებს — გამოტოვებდა სიტყვებს და ზოგჯერ მთელ წინადადებასაც კი, დაამახინჯებდა ტერმინოლოგიას და ასე შემდეგ. არც ის იყო იშვიათი შემთხვევა, როცა, მაგალითად, რაიმე ნახაზის მოტანას დაავალებდნენ სხვა ოთახიდან და მაიკო მის მაგივრად წითელ ტუშს მოიტანდა... ზოგიერთებს მისი აზრებიც უცნაურად მოეჩვენა და არც ლაპარაკი მიიჩნიეს მთლად დალაგებულად... მოკლედ, საკმაოდ დაბნეული პიროვნება ჩანდა.

მაგრამ არც ისე უსუსური და უილაჯო გამოდგა, როგორც ზოგიერთს წარმოედგინა.

ერთხელ ფაცია კენკებაძეს შვებულებიდან სამუშაოზე გამოსვლის შემდეგ ფანჯრის რაფაზე სათუთად მოვლილი ალოე და რამდენიმე სახის ოთახის ია აღარ დახვდა. ძალიან ეწყინა, რაღა თქმა უნდა. კარგა ხნის შემდეგ შემთხვევით მაიას ოთახში შევიდა, რომელიც სხვა სართულზე მდებარეობდა, და იქ აღმოაჩინა თავისი მცენარეები... ფაცია საკმაოდ მოურიდებელი ქალი იყო და ეცა კიდეც მაიას – ჩემი ყვავილები ქოთნებით ვიცანი, როგორ არ გრცხვენია, რომ მომპარეო. მაიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: როგორ გეკადრებათ, ეგ ყვავილები მე ჩემმა დეიდაშვილმა მაჩუქაო. ფაციამ დაავლო ხელი ქოთნებს და წამოიღო, თან ერთი ისე შეუბღვირა მაიას, რომ ხმა გააკმენდინა.

მეორედ ცოტა სხვანაირად წარიმართა მაიას საქმე, არც ისე მშვიდობიანად.

მეზობელ ოთახში მუშაობდა მაიას თანატოლი მედიკო – ისიც განათხოვარი, მაგრამ უშვილო (სწორედ უშვილობის გამო გასცილდა ქმარიო, ჭორავდნენ ქალები). მედიკოც კოხტა გოგო იყო, გემოვნებითაც იცვამდა და მაიამ სთხოვა, შენს ნაცნობ მკერავთან მეც მიმიყვანეო. მედიკომ შეუსრულა თხოვნა, წაიყვანა იმ მკერავთან. მაიამ ქსოვილის ნაჭერიც წაიღო და შეუთანხმდა მკერავ ქალს, შემდეგ მოზომვაზე როდის უნდა მისულიყო.

მეორედ მაია მარტო მივიდა მკერავთან, მესამედ – უკვე შეკერილი კაბის წამოსაღებად.

იმ ბოლო დღეს მკერავს ერთი უკვე შეკერილი კაბა დაეკარგა. ბევრი ეძება – უშედეგოდ, იწრიალა, ივაგლახა... მერე იფიქრა, მაიას მეტი დღეს სხვა არავინ მოსულა ჯერ ჩემთან, ალბათ იმან თუ გააყოლა ხელს, როცა მე ტელეფონზე სალაპარაკოდ დამიძახა მეზობელმაო. უთხრა ეს ამბავი მედიკოს, აუწერა წაღებული კაბაც... შეთანხმდნენ, ჯერჯერობით მაიასთვის არაფერი ეთქვათ და არც ეგრძნობებინათ რამე.

რამდენიმე კვირის შემდეგ მაია მკერავის მიერ აღწერილ კაბაში მობრძანდა სამსახურში! დადარაჯებული მედიკო დაადგა პირზე და უთხრა, რაც ეკადრებოდა... მაიამ წარბშეუხრელად, უტეხად განაცხადა, ეს კაბა კი არ მომიპარავს, ბაზრობაზე ვიყიდე, ექვსასი მანეთი მივეციო. მაშინ მედიკომ დაურეკა მკერავს, მოიყვანა სამსახურში, ფაციასაც დაუძახა (ჯანიანი ქალი იყო ფაცია!), შევიდნენ მაიას ოთახში და გადაჭრით მოსთხოვეს: ან გაიხადე ახლავე შენი ხელით ეგ მოპარული კაბა, ან მილიციას შევატყობინებთო...

მაია ყოყმანობდა.

მაშინ ქალები ეცნენ და ძალით გახადეს...

დატოვეს პერანგის ამარა.

მერე რაღა მოხდა? როგორღა წავიდა მაია შინ?

მართალი გითხრათ, ეგ მეც ძალიან მაინტერესებს! მით უმეტეს, რომ კაბის კონფისკაცია მოხდა სამუშაოს დამთავრებისას, თანაც პარასკევ დღეს.

ნეტა შაბათსა და კვირასაც დაცარიელებულ სამსახურში გაატარებს მაია?

1992

მამამზე

მამამზე ტაშფანდურაშვილს სინამდვილეში სხვა სახელი ჰქვია, მაგრამ დიდ-პატარა მამამზეს ეძახის.

გეოლოგიური პარტიის უფროსია.

სამუშაო ოთახში იშვიათად ნახავ, უყვარს სამსახურის წინ ქუჩაში საათობით სეირნობა და გამვლელ-გამომვლელ ლამაზმანთა თვალიერება... უყვარს აგრეთვე გემრიელად ჭამა-სმა, კარგად გამოძინება, ანეკდოტების მოყოლა და საკუთარი სასიყვარულო თავგადასავლების გახსენება.

ივლისის ერთ ადრიან დილას გეოლოგები გავემგზავრეთ საველე სამუშაოებზე ბრეზენტგადახურული საბარგო მანქანით. შოფერი თავისი საქმის ნამდვილი პროფესორი გვყავს – ბადრიჯანა, ნორიოელი ბიჭი; არ ვიცი, მეტსახელი მოზრდილი ცხვირის თუ შავგვრემანობის გამო შეერქვა. მასთან კაბინაში ქეთო ჩაჯდა – შინაბერა, ჯიჯღინა, ოღონდ გემრიელი კერძების კეთებაში ნამდვილი პროფესორია! ძარაში მე, ბატონი მამამზე და ბერდია ავბობღდით. ბარემ ბერდიაზეც მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას: უსაშველოდ მაღალია, ჯერაც ახალგაზრდა და უკვე გემრიელად გამელოტებული; სამსახურში ჭადრაკის თამაშის მეტს არაფერს აკეთებს, ამ საქმეში კი ისიც პროფესორია – სამსახურში ვერავინ უგებს, უცვლელი ჩემპიონია.

მამამზე საერთოდ პეწენიკია და საველე სამუშაოებზეც კი გამოპრანჭული მოდის: კოსტუმი, ჰალსტუხი – და შლაპაც კი დაუკოსებია თავზე!.. მაგრამ გაფანჩულ ულვაშებს ამჯერადაც ვერაფერი მოუხერხა. თავნება ულვაშები აქვს: თმის ღერები არეულ-დარეულად, ერთი ალთას, მეორე

ბალთას ეზრდება და თავხედურად სრულ ქაოსს ჰქმნის. მამამზეს ცდა – გარკვეულ წესრიგს დაუმორჩილოს თმების მიმართულება, მოათვინიეროს – სულ ფუჭია; არ შველის არც დასველება, არც გაპოხვა, არც ძილის წინ საულვაშეს დადება. მოკლედ, ანარქისტულად ეზრდება დიდ-დიდი, გაფანჩული ულვაშები.

ახლა, ვხედავ, თვალები ებლიტება.

– მთელი ღამის ნაქეიფარი ვარ, – გვეუბნება მამამზე, – საველე საწოლს გავშლი და სანამ ოჩამჩირეში მივალთ, ძილით გამოვძღები...

ჩვენც მივეხმარეთ და მალე მამამზე ეგრევე, ტანსაცმლიანად სანახევროდ ჩაძვრა საძილე ტომარაში, მხოლოდ ფეხზე გაიხადა და შლაპა მოიხადა, თავთან გვერდით დაიდო.

დიდხანს ვიჯანჯღარეთ და ზესტაფონს რომ მივუახლოვდით, წვიმა დაიწყო, მერე – თანდათან გაძლიერდა. რომელიღაც სოფელში მანქანა გაჩერდა და ძარაში 6-7 დასველებული ქალი ამოძვრა სამგლოვიარო გვირგვინებით – ეტყობა, შოფერს შეეცოდა ისინი. ბერდიამ ერთი დიდი გვირგვინი მამამზეს თავმარცხნივ მიაყუდა, მეორე – თავმარჯვნივ, ბორტების გასწვრივ კი გადახსნილ სკამებზე შაოსანი ქალები ჩამოსხდნენ. როცა ზესტაფონი გამოჩნდა, ერთ-ერთმა ქალმა მოთქმა-ქვითინით გაიხსენა მიცვალებული, სხვებიც აჰყვნენ: "ვაიმე, რაღა ვქნათ, ნუთუ ეს მართალია!"

მამამზეს გამოეღვიძა, დაინახა აქეთ-იქით გვირგვინები, მტირალი, ძაძით მოსილი ქალები და კინაღამ ცუდად გახდა – იფიქრა, მოვმკვდარვარ და საიქიოს მივემგზავრებიო...

– ბიჭო, ბერდია არ გინახავს? – გაოგნებულმა თვით ბერდიას ჰკითხა, ეტყობა, წინა ღამით მართლაც მაგრად გამოიბრუჟა.

– არა, ბატონო მამამზე, ბერდია იმ ქვეყანას დარჩა, – გაიკრიჭა ბერდია. – რამ შეგაწუხათ?

– მე სად მივყავარ? – შეშლილი თვალები მიმოატარა მამამზემ... აუხდა, უბედური რაღაც ნახა სიზმარში!

– თქვენ, ბატონო მამამზე, გარდაიცვალეთ და ახლა თქვენს საყვარელ, მშობლიურ ეწერში მიგასვენებთ; იქ თქვენ უნდა დაგიტიროთ და დიდი პატივით ძვირფასად დაგასაფლავოთ...

– ეს ქალები ვინღა არიან?

– ესენი დაქირავებული მოტირალები გახლავან.

– მერე, ცოტა ახალგაზრდები და ლამაზები ვერ შეარჩიეთ? – აღშფოთდა მამამზე.

შემდეგ ატეხა ერთი ვაიუშველებელი, მაგრამ რა ატეხა! გამიშვით, არ მინდა საფლავში, დაგხოცავთ ყველასო...

გადაირივნენ ის მოტირალი ქალები – გამოძვრა საძილე ტომრიდან ვიღაც თვალებგადმოკარკლული, სახეშეშლილი, საშინლად ულვაშებგაფხორილი კაცი, კოსტუმ-ჰალსტუხიანი, თითქოს საიქიოს გასამგზავრებლად საგანგებოდ გამზადებული, რომ მამაზეციერს "ფორმაში" მყოფი წარუდგეს... საწყლებს, ალბათ ეგონათ, მკვდარი გაცოცხლდაო – აკივლდნენ ქალები, ვგონებ, თავიანთი მიცვალებულიც დაავიწყდათ, გაგვაჩერებინეს მანქანა და გადაცვივდნენ ძირს პანტაპუნტით თავსხმა წვიმაში... ბერდია მამამზეს აწყნარებს, ვიხუმრეთ, ბატონო მამამზე, ცოცხალი ბრძანდებით ეჭვმიუტანლადო და დასამტკიცებლად ერთი ორჯერ ყბებშიც გაულაწუნა აქეთ-იქიდან. მამამზეს უჭირს ამის დაჯერება, კაბინიდან კი ქეთო გვიყვირის, რამ შეგშალათ ყველანი მანდო...

როგორც იქნა, დავამშვიდეთ ჩვენი მამამზე, ვიცინეთ და ვიცინეთ!

– ბატონო მამამზე, აწი რაღა მოგკლავთ, ერთი სიკვდილი უკვე გადაიტანეთ! – ხარხარით ეუბნება ბერდია. – ის ხნიერი ქალბატონები რომ ასე შეაშინეთ, ხელდაუკარებლად გადააფრინდნენ მანქანის ბორტს, რამე რომ მოსვლოდათ, რა პასუხს გასცემდით!

– მერე, შენ რას კვდები სიცილით, ბიჭო? – გაბრაზება და შიში ნელ-ნელა გაუნელდა მამამზეს.

– ჯანდაბას ჩვენი თავ-ფეხიც და სულიც, – უპასუხა ბერდიამ, – თუ სასიკვდილოები ვართ, ისევ სიცილმა დაგვხოცოს!..

1986

მამნე

მამნე ოქროკაციშვილის დაოჯახება უცნაურად მოხდა.

ამ ოცდახუთი წლის წინ ოცდაათი წლის მამნე უკვე იმედის მომცემი ახალგაზრდა მხატვარი კი აღარ იყო, არამედ საკმაოდ სახელმოხვეჭილი შემოქმედი, განსაკუთრებით მისი პირველი პერსონალური გამოფენის მოწყობის შემდეგ. მამნე ცნობილი გახდა კერძო კოლექციონერებისთვისაც, მისი სურათების შეძენის მსურველნი უცხოელნიც გამოჩნდნენ. წარმატებით ფრთაშესხმული მამნე გატაცებით მუშაობდა, ბევრ სხვა საქმესაც ასწრებდა. აიშენა სახელოსნო, მოიარა რამდენიმე ევროპული

ქვეყანა... მოკლედ, ობლობაში გაზრდილი მამნე მრავალი წლის გაჭირვების, ლუკმაპურის საშოვნელად სულ სხვადასხვა საქმიანობის შემდეგ წელში გაიმართა და წვრილმან სამუშაოებს, რომლებიც შემოქმედებაში ხელს უშლიდა, სრულიად დაანება თავი.

და ამ დროს უკვე სახელმოხვეჭილი მამნე ოქროკაციშვილს სთხოვეს, რომ წაემეცადინებინა ხატვაში ახლად სკოლადამთავრებული ქალიშვილი – სამხატვრო აკადემიაში უნდა გამოცდები ჩააბაროს, ნიჭიერი გოგოა და მადლი ჰქენიო. მართალია, მამნეს გვარიანი შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ იმხანად როგორღაც ისე მოხდა, რომ სასწრაფოდ ფული სჭირდებოდა (ავტომანქანის შეძენას აპირებდა და თანხა დააკლდა), თან საკმაოდ კარგი გასამრჯელოს წინასწარ გადახდასაც დაჰპირდნენ და მამნე, თუმც უხალისოდ, მაინც დათანხმდა.

როცა ჰორტენზია კარტოზია პირველად მიიყვანა სამეცადინოდ დედამისმა, აპრილის თბილი დღე იყო და სახელოსნოს გაღებულ სარკმელში ატმის ყვავილთა ფურცლები შემოჰქონდა ნიავს. მხატვარი გაოგნებული დარჩა – ასეთი ღვთაებრივი, თვალისმომჭრელი სილამაზის ქალიშვილი ჯერ არ შეხვედროდა!

წერწეტა, ჩამოსხმული ტანის და ნატიფი ხელ-ფეხის ქალიშვილს თბილისში რა გამოლევდა, მამნე ჰორტენზიას სახემ უფრო გააოცა – თეთრი, ძალიან თეთრი პირისკანი თითქოს ნათელს ჰფენდა ირგვლივ, დიდი, მომწვანო-მოლურჯო თვალნი-ტბანი მოჩრდილული იყო გრძელ წამწამთა მარაოებით. მონუსხული მამნე თვალს ვერ აცილებდა გოგოს... აკვირვებდა, ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს საიდან ჰქონდა შეძენილი ასეთი დედოფალივით ამაყად და ღირსებით თავის დაჭერის უნარი, გაწონასწორებულობა და სიდარბაისლე. ყოველ მის მოძრაობას თუ ქცევას, გაღიმებას, თმების ხელებით გასწორებას, სიარულს და უბრალოდ თავის მობრუნებასაც კი რაღაც განსაკუთრებული ლაზათი ჰქონდა, თავისებური პეწი, განუმეორებელი ხიბლი... ჰორტენზია მხოლოდ ლამაზი კი არ იყო, თუნდაც ძალიან ლამაზი, – ასეთები მამნეს ერთი და ორი არ ენახა, – ის სრულიად გამორჩეული იყო თავისი ჯიშიანობით (სხვათა შორის, ეს ჯიში ჰორტენზიას ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მშვენიერ დედასაც ცხადად აჩნდა, შვილი მას ძალიან ჰგავდა).

გაკვეთილები მამნესთვის გადაიქცა ნეტარებად და ტანჯვადაც ერთდროულად. გულის ფანცქალით ელოდა დათქმულ დროს ჰორტენზიას მოსვლას, მანამდე გულს ვერაფერს უდებდა. გამოჩნდებოდა ქალიშვილი დედამისთან ერთად, რაღაც განსაკუთრებული, ხავერდოვანი ხმით მიესალმებოდა, თან ღიმილი თითქოს აცისკროვნებდა მის სახეს... მამნე ბორძიკით იწყებდა მითითებების მიცემას, თავს შებორკილად გრძნობდა. ჰორტენზიასთვის პირისპირ შეხედვა კი არ აკრთობდა, აშინებდა; გრძნობდა, როგორ წამოუჭარხლდებოდა სახე, თუკი ქალიშვილთან ახლოს მოუწევდა ყოფნა, გულს კი ისეთი ბაგაბუგი გაუდიოდა, სუნთქვა ეკვროდა... ძალიან ეშინოდა, მისი მდგომარეობა არავის შეემჩნია.

როგორც იქნა, გაიარა რამდენიმე თვემ, ჰორტენზიამ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა კიდეც – მამნემ შვებით ამოისუნთქა. ჯერ გაუჭირდა ჩვეულ საქმიანობაში ჩართულიყო, მერე კი ყველაფერი ძველებურად აეწყო და მამნე ისევ შემოქმედებას მიუბრუნდა. დროდადრო კი გაახსენდებოდა ჰორტენზია, ნაღვლიანად გაიღიმებდა, თავს გააქნევდა სინანულით თუ გაკვირვებით, – როგორ ბიჭუკელასავით გრძნობდა თავს მასთან! მოკლედ, ჰორტენზიას სახე მომხიბლავ მოგონებად გადაიქცა.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთ მშვენიერ დღეს, სურათზე გახურებული მუშაობის დროს (გამოფენამდე მცირე დრო რჩებოდა), ტელეფონი აწკარუნდა და მამნეს ჰორტენზიას ხავერდოვანმა ხმამ გული აუჩქროლა... გოგონა ნებართვას თხოულობდა, მისულიყო მასთან სახელოსნოში და ახლად შეძენილი მეგობრები, თანაჯგუფელები მიეყვანა მამნეს სურათების სანახავად. არ გასულა ერთი საათი და მამნეს სახელოსნოს ესტუმრნენ მორიდებული, ცნობილი მხატვრისადმი ხაზგასმული პატივისცემით აღსავსე ახალგაზრდები – ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, მხატვრულ-დეკორატიული ქსოვილების მომავალი შემქმნელნი. ჰორტენზია მათგან ყველაზე თავისუფლად გრძნობდა თავს, სახელოსნოს კედლებზე ჩამომწკრივებულ მამნეს სურათებს აცნობდა ამხანაგებს. მამნე განაცვიფრა ჰორტენზიას ალღომ, როგორ კარგად სწვდებოდა ზოგადად მამნეს შემოქმედებით სახეს და თითოეული სურათის თავისებურებასაც. მამნეს არც კი ეგონა, თუ ჰორტენზიას ადრე ყურადღება ჰქონდა მიქცეული ამ სურათებისთვის – გაუკვირდა და გაუხარდა კიდეც...

ამის შემდეგ ჰორტენზიამ მოუხშირა მამნეს სახელოსნოში სტუმრობას; უმეტესად მარტო მოდიოდა – სულ აინტერესებდა, როგორ მიდიოდა მორიგი სურათის შექმნის საქმე. და კარგა ხანი გავიდა, სანამ მამნე განცვიფრებით და აღელვებით მიხვდებოდა, რომ ჰორტენზიას იმდენად მისი სურათები კი არ აინტერესებდა, რამდენადაც თვითონ მხატვარი...

ერთი წლის შემდეგ ისინი დაქორწინდნენ.

მამნე უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

გავიდა რამდენიმე წელი, შეეძინათ ორი შვილი – ბიჭები.

ჰორტენზიამ სხვა მხრივაც ივაჟკაცა – წარმატებით დაასრულა სამხატვრო აკადემია და მისმა სადიპლომო ნამუშევარმა, შესანიშნავი მხატვრული გემოვნებითა და ტექნიკური სრულყოფით შესრულებულმა დიდმა კედლის ფარდაგმა (რომლის შექმნაშიც მამნესაც მიუძღოდა წვლილი) არა მარტო ფრიადი შეფასება დაიმსახურა, არამედ მრავალჯერ იყო წარმოდგენილი გამოფენებზე და მისი შეძენის მსურველიც ბევრი გამოჩნდა. წესით ის სამხატვრო აკადემიის მუზეუმში უნდა დარჩენილიყო, მაგრამ მამნემ მოახერხა და საბოლოოდ გობელენმა მათი ბინის სასტუმრო ოთახი დაამშვენა.

ჰორტენზია კიდევ უფრო მომხიბლავი გახდა, – თუკი შეიძლებოდა მეტი სრულყოფილების მიღწევა, – დასრულდა, დაქალდა, დაიხვეწა...

იყიდეს კარგი ბინა, აიყვანეს შინამოსამსახურე.

ჰორტენზია შეძლებულ ოჯახში იყო გაზრდილი; მიჩვეული იყო გემრიელ ჭამა-სმას, გემოვნებით ჩაცმა-დახურვას, უზრუნველ გართობა-დროსტარებას. ახლაც, დამოუკიდებელი საოჯახო ცხოვრების დროს, თუკი რაიმე საუკეთესო მოდური ტანსაცმელი გამოჩნდებოდა, ქალაქში, ერთ-ერთ პირველს მას უნდა ჩაეცვა, არ დაჰკლებოდა არც ერთ "პრესტიჟულ" კონცერტს, ცნობილი მხატვრის გამოფენის გახსნას, წამყვან თეატრებში პრემიერებს... ამასთანავე, უეჭველად ახალი კაბით, ახალი ფეხსაცმლით, ახალი სამკაულით უნდა დასწრებოდა. დაუგროვდა საყურეების, თავსამკაულის, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის მოზრდილი "კოლექცია", რომელიც, როგორც ავი ენები ამბობდნენ, ერთი მოზრდილი მაღაზიის გახსნისთვის იქნებოდა საკმარისი...

მამნე?

მამნე... მამნე წელზე ფეხებს იდგამდა, რომ უზარმაზარ ხარჯებს გასწვდომოდა და მაინც ხშირად ვალებში იყო ჩაფლული. ოჯახი – ჰორტენზია, ორი ბიჭი, სიდედრი და შინამოსამსახურე – ყოველწლიურად რამდენჯერმე იყო დასასვენებლად გასამგზავრებელი: ზამთარში – ბაკურიანში, ზაფხულში აუცილებლად ორჯერ – მთისა და ზღვის აგარაკებზე თითო თვით მაინც (მათთან ერთად მამნეს არასდროს დაუსვენია, საერთოდ არ იცოდა, რა იყო დასვენება); თვეში ერთი-ორჯერ, ზოგჯერ უფრო ხშირადაც, ჰორტენზია მართავდა დიდ წვეულებას, რომელზეც უამრავი ნაცნობ-მეგობარი იყრიდა ხოლმე თავს... ჰორტენზიას უყვარდა ხალხში ტრიალი, ყველგან ყურადღების ცენტრში ყოფნა; თავი დედოფალივით ეჭირა, მის ღიმილს წყალობასავით იღებდა ყველა, იცოდა მთელი ქალაქის ჭორები... ყოველთვის მოვლილ-ნაპატივები, კოხტად, მოდის კვალობაზე ჩაცმულ-მოკაზმული, მარად კმაყოფილების ნეტარი ღიმილით სახეზე – ნათელს ჰფენდა ირგვლივ, თითქოს ეს ქალი ბუნებას თუ განგებას საჩუქრად გამოეგზავნა ყველასთვის, ვინც კი მას შეხვდებოდა, რათა შთაებერა მათთვის სილამაზისა და ჰარმონიით ხილვით ტკბობა.

მამნე ისევ დაგვავიწყდა... მამნე?

მამნესთვის არ არსებობდა შაბათი და კვირა – დღე და ღამე მუშაობდა. იღებდა უამრავ შეკვეთებს სამხატვრო კომბინატში, დარბოდა რაიონებშიც – რაიონულ ცენტრებსა თუ სოფლებში აფორმებდა კულტურის სახლებს, ჰქმნიდა ბელადთა პორტრეტებს, წერდა პლაკატებს და კინოთეატრების სარეკლამო ფირნიშებსაც კი. მოკლედ, არ ამბობდა უარს ნებისმიერ სამუშაოზე, თუკი ორი კაპიკის შოვნა შეიძლებოდა. შინ იშვიათად ნახავდი, სულ აქეთ-იქით დარბოდა საკუთარი ავტომანქანით, ერთ წამს მოსვენება არ ჰქონდა.

ჰორტენზიას სადიპლომო ნაშრომი – გობელენი "გაზაფხული" – პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა, შემდეგ მას თავისი პროფესია არც გახსენებია. თუმცა ქმარმა სახელოსნოში სამუშაო ადგილი გამოუყო და საქსოვი დაზგაც შეუძინა, სახელოსნოს გზა სრულიად გადაავიწყდა, არც მამნეს შემოქმედებითი საქმეები აინტერესებდა... თუმცა, რა შემოქმედებაზე შეიძლებოდა საუბარი? უკვე ორ ათეულ წელზე მეტი იყო გასული, რაც მამნეს ერთ გამოფენაშიც კი არ მიუღია მონაწილეობა, როგორც მხატვარი ის არ არსებობდა და აღარც არავინ იცნობდა... იცნობდნენ, როგორც საქმოსანს, რომელსაც სარფიანი შეკვეთების "დათრევაში" ძნელად თუ ვინმე აჯობებდა...

დიახ, გავიდა ოცდახუთი წელი მამნეს დაოჯახებიდან; მისი ბიჭები დაიზარდნენ, უფროსმა ცოლიც ითხოვა; უმცროსი უნივერსიტეტს ამთავრებდა. ჰორტენზია ძველებურად ბრწყინავდა სილამაზით, თითქოს დროის მდინარება მის მშვენიერებას ვერაფერს აკლებდა. მამნე იმ იმედით სულდგმულობდა, რომ ადრე თუ გვიან ამოისუნთქავდა, ფერწერას მიუბრუნდებოდა, სულის კუნჭულში მინავლებულ შემოქმედებით ნაკვერჩხალს გააღვივებდა... და ამ იმედით მოულოდნელად აღესრულა კიდეც აპრილის ერთ წვიმიან-ქუხილიან დღეს – გულმა უმტყუნა...

მის სახელოსნოში დარჩა ჰორტენზიას დაუმთავრებელი პორტრეტი, რომელიც მან ოცდახუთი წლის წინ დაიწყო, ბევრი იწვალა, მრავალჯერ გადააკეთა, მაგრამ ვერა და ვერ მიაღწია, რომ ჰორტენზიას განუმეორებელი ხიბლი გადმოეცა. დიახ, მამნე ვეღარ მოესწრო ჩანაფიქრის ფრთაშესხმას, ვეღარც შემოქმედების გზაზე დაბრუნება შეძლო. თუმცა... იქნებ მისი მისია ცხოვრებაში სწორედ ის იყო, რომ ჰორტენზიას ჩრდილი ყოფილიყო, ყოველმხრივ შეეწყო ხელი ამ გამორჩეული სილამაზისთვის და ალბათ ეს ქალი იყო მისი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოები...

ვინ იცის!

1995

მარეხ

მარეხ მაგრაქველაშვილი სიყვარულით გათხოვდა 1940 წელს. მისი ქმარი ომის დაწყებისთანავე, 1941 წლის აგვისტოში, ჯარში გაიწვიეს. მარეხი კინაღამ ჭკუაზე შეიშალა, დარდმა ისე დარია ხელი. ქმარს ყოველდღე სწერდა წერილს, ხანდახან – ორსაც, ხშირ-ხშირად უგზავნიდა ამანათებს. ქმარი 1943 წლის ბოლოს ტყვედ ჩავარდა, მაგრამ ომის დამთავრების შემდგომ მშვიდობით დაბრუნდა შინ. სამწუხაროდ, მარეხის სიხარული ხანმოკლე გამოდგა – ერთ წელიწადში ქმარი გადაასახლეს...

მარეხი ამჯერადაც არ აკლებდა ქმარს ამანათებს, თვითონ ყოველმხრივ იკლებდა ყველაფერს იმ გაჭირვების ჟამს, ოჯახიდან ბევრი რამის გაყიდვაც მოუწია. საერთოდ, მარეხს ახასიათებდა ასეთი ძლიერი და მყარი თავდადების გრძნობა საყვარელი ადამიანისადმი.

ერთხელ ქმარმა ციმბირიდან გამოუგზავნა რომელიღაც ფრინველი, რომელიც იქ მოენადირნა. მარეხმა დედამისს გაატანა ოსტატთან ფიტულის გასაკეთებლად. "არ გაგვიფუჭო, თორემ ჩემი ქალიშვილი ნამდვილად მოგკლავსო", – სერიოზულად განუცხადა მოხუცმა ქალმა ოსტატს. ხნიერ ტაქსიდერმისტს გაუკვირდა, რას მერჩისო. მარეხის დედამ აუხსნა, რომ ეს ფრინველი მის ქალიშვილს ქმარმა გამოუგზავნა გადასახლებიდან და რომ ისე ძლიერ უყვარს ქმარი, მხოლოდ მასზე ლაპარაკობს. ოსტატმა უთხრა, რა დროსაც იქნებოდა მზად ფიტული და დაუმატა: "თქვენ ნუ შეწუხდებით, თვით თქვენი ქალიშვილი მოვიდეს, ნახოს, როგორ მოეწონება ჩემი ნამუშევარი". მართლაც, მარეხი მივიდა ოსტატთან დათქმულ დროს და მშვენივრად შესრულებული ფიტულით კმაყოფილი დარჩა. ხნიერი ოსტატი კი აღტაცებული იყო მარეხის გაცნობით – მოეწონა მისი დიდი, ნაცრისფერ-მომწვანო, ფოფინა თვალები, მოსაუბრეს რომ თითქოს პირდაპირ სულში უჭვრეტდნენ მშვიდი მზერით, მოხიბლა ოდნავ მოგრძო, ფერმკრთალი სახის ნაკვთთა სკულპტურულმა გამოკვეთილობამ და ამავე დროს სინაზემ... სახის სინატიფეს ხაზს უსვამდა წაბლისფერი თმების სადად გადავარცხნა. განსაკუთრებით მიიქცია მისი ყურადღება მარეხის ხავერდოვანმა, მკერდისმიერმა ხმამ და ლაპარაკის წყნარმა, ოდნავ მელანქოლიურმა ნირმა და დიდხანსაც ელაპარაკა, ნელ-ნელა აამბობინა ყველაფერი. წამოსვლისას მარეხმა ჰკითხა: "რატომ უთხარით დედაჩემს, მაინცდამაინც მე მოვსულიყავი?" ოსტატმა უპასუხა: "მე მინდოდა, ერთხელ მაინც მენახა ქალი, რომელსაც ასე უყვარს ქმარი და ასე ერთგულია მისი..."

ორიოდე წლის შემდეგ მარეხს მოუვიდა წერილი, რომლითაც ვიღაც უცნობი ატყობინებდა, რომ მის ქმარს აქ დიდი ხანია მეორე ცოლი ჰყავს და ბავშვიც კი შეეძინაო...

კიდევ რამდენიმე წელი გავიდა, სტალინი გარდაიცვალა, მარეხის ქმარი ამნისტიით გაათავისუფლეს. დაბრუნდა, მივიდა მარეხთან და შერიგება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როგორც ადრე ძლიერ და თავდავიწყებით უყვარდა ეს კაცი მარეხს, ასევე ძლიერ აღეძრა სიძულვილი და ზიზღი მისდამი ახლა.

მარეხი ხელმეორედ გათხოვდა, რუსს გაჰყვა. მეორე ქმარსაც თავს ევლებოდა, თითქმის აღმერთებდა. ერთ დღეს სამსახურიდან შინ დაბრუნებულს მისი ფედია სავარძელში მჯდომი გაცივებული დახვდა – გულს ემტყუნა საწყლისთვის...

მარეხმა გაყიდა ყველაფერი, თუკი რამ ფასეული ჰქონდა შინ და საყვარელ ფედიას შესანიშნავი ძეგლი დაუდგა. მისი საფლავი ყვავილნარით შეამკო და კვირაში ორჯერ მაინც დადიოდა იქ მცენარეულობის მოსავლელად, ძეგლის გასასუფთავებლად და გასაკრიალებლად. მარეხი შინ, როგორც ძვირფას რელიკვიას, ინახავს ფედიას პორტსიგარს რამდენიმე დარჩენილი პაპიროსით, მისი უკანასკნელი პაპიროსის ნამწვს, ასანთის უკანასკნელ კოლოფს, ეფერება ხოლმე მის ტანსაცმელს, გულში იკრავს ფედიას ქუდს...

ახლახან გავიგე: მარეხი მესამედ გათხოვილა.

1966

მართა

დღეს ტელევიზიით ორჯერ გამოაცხადეს: თბილისში ავტომანქანების რამდენიმე სადღეღამისო სადგომი შეიარაღებულ პირთა თავდასხმების გამო დროებით უქმდება და მანქანათა მფლობელებს ვთხოვთ, საჩქაროდ გაიყვანონ მათი კუთვნილი მანქანებიო. უნდა მოგახსენოთ, რომ მე და ჩემს მე-

ზობლებს მანქანები ყოველთვის ჩვენს ეზოში გვიყენია და არასდროს გვშინებია მათი გატაცებისა ან გაძარცვისა.

მიზეზი მარტივია: ჩვენ გვყავს იშვიათი თვისებებით შემკული მეზობელი – მართა!

მართა ცალუღელაშვილი სამოცდაათ წელს გადაცილებული ერთი კაფანდარა ქალია – მალე შვილთაშვილიც ეყოლება. ისე კი, მაგარი ქალია, მთელი ეზო ერთხმად დამიდასტურებს! მამალი ქალია, აბა რა, სამი ლომივით ვაჟკაცი მარტომ გაზარდა – ქმარი რომ 1941 წელს ომში წავიდა (და აღარც დაბრუნებულა), სამი შვილის დედა – მართა – მხოლოდ ოცდაერთი წლისა იყო...

ახლა უმცროს შვილთან ცხოვრობს საბურთალოს დასახლებაში – ცხრასართულიანი სახლის მესამე სართულზე, მუდმივად გადმოყუდებულია ლოჯიის ღია ფანჯარაში და, როგორც მისი მეზობლები ხუმრობენ, ალბათ საგანგებო რვეულიც აქვს, სადაც მეზობლების წასვლა-წამოსვლის აღრიცხვას აწარმოებს, აგრეთვე: ვინ ვის ესტუმრა, ვინ რა შეიძინა, ვისთან დადის საყვარელი, რომელ ოჯახშია ყოველდღე ჩხუბი, მერამდენედ მოვიდა მთვრალი ამ თვეში ლონგინოზი და ასე შემდეგ.

მართას სახელი მთელ უბანში გავარდა, მანამდე კი რამდენჯერმე მეზობლების მანქანები გაძარცვას თუ გატაცებას გადაარჩინა. ერთხელ ღამის ორ საათზეც კი გაისმა მართას ყვირილი:

– ჰაიტ, თქვე მამაძაღლებო, გადმოვიღო ერთი ჩემი ანდროს სანადირო თოფი! კახა, მომაწოდე, ჩქარა!..

მოკლედ, მაღლა ცაში ჩიტი ვერ გაიფრენს და მიწაზე ჭიანჭველა ვერ გაღოღდება, თუ ქალბატონმა მართამ არ "დააფიქსირა" (ვხმარობ ფრიად სადაო და უხერხულ სიტყვას, რომელიც ქართულს ნამდვილად არ შეეფერება, მაგრამ საქმის არსს ზუსტად გამოხატავს და ამით ვიმართლებ თავს). ადამიანებზე რაღა ითქმის – მართას ცნობისმოყვარე თვალებს რა გამოეპარება!

– რატომ მიდიხარ ასე გვიან? – უბოდიშოდ გეკითხება მესამე სართულიდან.

– საიდან მოდიხარ? – ამის გაგებაც სურს.

– რა მოგაქვს? – ქალისთვის ეს კითხვა ბუნებრივია და საპატიებელიც.

– ვისთან იყავი? – ხანდახან ძალიან ღრმად შესტოპავს ხოლმე.

გინდა, ერთი შეუღრინო ან მასხრად აიგდო, მაგრამ ისეთი ალალი გამოხედვა შემოგანათებს, ისე დათაფლულად გიღიმის, ენა პირში როგორ მოგიბრუნდება მართას გასაკილად.

თავისი სახლის მობინადრეთა ასავალ-დასავალი და ყოველივე წვრილმანი ხომ იცის და იცის, მეზობელი სახლების მცხოვრებთა ამბებშიც მეტ-ნაკლებად ერკვევა. კორპუსების ნომერი და განლაგებაც მთელ უბანში მისთვის უცნობი არ გახლავთ, საოცარია!

საოცრებაზე მეტი საქმეც შეიძლება მოხდეს, თუკი მართაა მასში გარეული...

ერთხელ მისი კარის მეზობელი დიტო დაბრუნდა სამსახურიდან და მართამ ამცნო – შენი ნათესავი იყო და თქვენგან შინ არავინ დახვდითო.

– ვინც ჩემთან იყო მოსული, კარგი ნაცნობია ჩემი, – უპასუხა დიტომ, – მაგრამ, ქალბატონო მართა, თქვენ შეცდით, ის ჩემი ნათესავი არ გახლავთ.

მართას გაუკვირდა:

– დიტო, როდის აქეთ დამიწყე კამათი, ნუთუ აქამდე არ იცოდი, ის კაცი შენ რადაც გეკუთვნის? ნათესავია შენი, დამიჯერე!

დიტო განცვიფრდა:

– ქალბატონო მართა, თქვენ მასწავლით, ვინ არის ჩემი ნათესავი და ვინ არა?

– დიახ, გასწავლი! – არ დაუთმო მართამ. – მე შენი საყვედური არ მწყინს, ჩემო დიტო, მხოლოდ ერთს გეტყვი: აბა ერთი კარგად გაარკვიე, როგორ არის საქმე და მერე მითხარი, მე ვცდები თუ შენ.

დიტომ მართლაც გაიკითხ-გამოიკითხა ნათესავებში და მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მართა სავსებით მართალი იყო!

ასეა, ბატონო, ჩვენი ეზოს ამ ღირსშესანიშნავი პიროვნების შესახებ ბევრი სხვა საინტერესო რამის მოყოლა შეიძლება. ისე კი, თუ ახლომახლო ცხოვრობთ და ავტომანქანების სადგომიდან თქვენი მანქანის გამოყვანა გინდათ (სადღეღამისო გადასახადი გიჟურად გაიზარდა – 400 კუპონამდე! და ალბათ კიდევ გაიზრდება), ჩვენს ეზოში ერთი გასაჩერებელი ადგილი ჯერჯერობით თავისუფალია და იჩქარეთ მისი დაკავება. დაცვა გარანტირებულია – ქალბატონი მართა მარად სადარაჯოზეა!..

1993

მარიკა

მარიკა ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა.

– თათია ვარ, გძინავს, გოგო? აი, შე ძილისგუდავ შენა! – მოესმა ყურმილში. – უკვე თერთმეტის ნახევარია!

გვიანი ყოფილა! მარიკა უფრო იმან გააკვირვა, რაც დაქალმა შემდეგ აუწყა:

– გაიგე, მილიცა გათხოვდა?!.

თითქმის ერთი საათი იჭორავეს. ლაპარაკით რომ გული იჯერეს და თათიამ ყურმილი დადო, კარგა ხანს აღარ ამდგარა ლოგინიდან.

მარიკა კინოსტუდიაში მუშაობდა რეჟისორის ასისტენტად აგერ უკვე ათი წელია, მილიცა კი მემონტაჟე იყო, ახალმოსული ღლაპი – თვრამეტ-ცხრამეტი წლისა. "უყურე შენ იმ კრუხის პალოს!" – განაგრძობდა ფიქრს ტანდაბალ მილიცაზე მარიკა, – "ტყუილად კი არ ვეძახდი მილიციას, როგორი ბედი ჰქონია!"

საინტერესოა, ასე რა აბრმავებს კაცებს? შეუხედავი გარეგნობის მილიცას ხასიათი მაინც უვარგოდეს... თავხედი! მარიკას გაახსენდა: ერთხელ ეპიზოდს იღებდნენ – დაქირავებულ, მდიდრულად მორთულ კერძო ბინაში (მოქმედება საზღვარგარეთ მიმდინარეობდა). მილიცა პირველად იყო გადაღებაზე და ისე უტიფრად იქცეოდა, რომ მრავლისმნახველ რეჟისორსაც კი შერცხვა – მილიცამ გამოაღო კარადები, შეამოწმა, მათში რა იყო, სამზარეულოში ჩაძვრა მასპინძელთა ყველა ქვაბში... ბოლოს, ბრძანა: "ყავა მომიდუღეთ!" როცა ყავა მიირთვა, ჭურჭელი მაგიდაზე დატოვა.

ბინის პატრონმა მორიდებით შეჰკადრა მილიცას – ამ ოჯახში მოახლე-მოსამსახურეები არ გვყავს, ყველანი ჩვენ-ჩვენ თავს ვემსახურებით და ჭურჭელსაც ავალაგებთ ხოლმეო. განაწყენებულმა მილიცამ უკმაყოფილოდ აიბზუა ცხვირი, მერე მაინც იკადრა, ფინჯან-ლამბაქი მაგიდიდან აიღო და ონკანის ნიჟარაში ჩაყარა, გარეცხვით კი მაინც არ შეიწუხა თავი.

შემდგომ, გადაღებისას, ერთ-ერთ ეპიზოდში საჭირო იყო და მოიტანეს კიდეც რამდენიმე ულუფა ნაყინი. მილიცამ მაშინვე იყვირა: "ნაყინი მინდა!" როცა გაბრაზებულმა რეჟისორმა უთხრა, სამუშაოზე ხარ, გადაღებაზე და არა სანაყინეშიო, მილიცა გაიბუტა და ერთი კვირა სამუშაოდ აღარ გამოცხადებულა...

თუმცა არც მერე იკლავდა თავს – ფილმის დამთავრების დროსაც კი, როცა ზოგჯერ ორ-ორ ცვლას გადაბმულად მუშაობდნენ დილიდან გვიან ღამემდე, მილიცა გადაიკარგებოდა და კაცი არ იყო მისთვის საყვედურის მთქმელი. დედ-მამა ექიმები ჰყავდა, მილიცა მათი ერთადერთი შვილი იყო და "მაღალ სფეროებში" ნაცნობ-მეგობრების წყალობით მოაწყვეს მილიცა, მათი აზრით, "თბილ" ადგილზე "პრესტიჟულ" სამსახურში. და ეს "მუჭანახევარა", უსაქმური – გათხოვდა! არ უნდა გასკდე გულზე? ხეპრე, გაუთლელი! ქალად მაინც ვარგოდეს!

მარიკა სარკესთან მივიდა და თავს დააკვირდა. მას შესცქეროდა დიდთვალება, სწორნაკვთებიანი, ფერმკრთალი სახე, რომელიც თითქოს ჩასმული იყო ფუმფულა, ხშირი, ქერა თმების "ჩარჩოში". რაც მართალი მართალია, ლამაზი თვალები აქვს – ცისფერ-მომწვანო, წარბ-წამწამიც მშვენიერი; წამწამებისა და თვალთა უპეების შეფერადება სულაც ზედმეტია, არაფერს მატებს, მაგრამ მიჩვევა თქვი შენ – ღირს კი ყოველდღე ამაზე ერთი საათის დაკარგვა? თუმცა, სად ეჩქარება? უკვე რამდენიმე თვეა, გაცდენაზეა, განახევრებულ ხელფასს აძლევენ – მამამისის კისერზე ზის ეს ოცდათხუთმეტი წლის ქალი... მარტო ბინის მეპატრონეს თვეში ას ოც მანეთს უხდის, ხუმრობაა? ამ კინოსტუდიასაც რაღას მიაცივდა, სხვა საქმეს ვეღარ მოჰკიდა ხელი? უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, მერე კინოსტუდიაში დაიწყო მუშაობა რეჟისორის ასისტენტად (ხანგრძლივი რბენისა და დიდი წვალების შემდეგ) – რეჟისორობა იტაცებდა... მაგრამ აგერ ათი წელი გავიდა და ხედავს – რეჟისორობა ფუჭი ოცნება ყოფილა. დამოუკიდებელი დადგმის მიღება ზღაპარია, ამდენ "ღლავ" რეჟისორებში ის ლიფსიტად ჩანს და რომ თავისი პრეტენზია განაცხადოს, ხომ ცოცხლად გადაყლაპეს! არადა, მათ შორის რამდენია ისეთი, არც მარიკასნაირი ცოდნა-განათლებით დაიკვეხნის, ლიტერატურაზე მწყრალად არის, მხატვრობასა და მუსიკაზეც წარმოდგენა არ აქვს და რაღაც მანქანებით ერთ უხეირო ფილმს რომ გააკეთებს, მაშინვე მეორის გადაღებას იწყებს... თავხედებისაა ეს ქვეყანა! არ გაუკვირდება, თუ მილიცაც ბოლოს რეჟისორობას დაიწყებს... ტარტაროზი ეგა!.. სასაცილოა, მილიცას დედ-მამა რომ რეჟისორს ურეკავს ხოლმე – ჩვენი გოგო სათუთი გულისაა, მანდ, გადამღებ ჯგუფში, ათასი ჯურის ხალხი ირევა და გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, არავინ აწყენინოსო.... ჰმ! მილიცა არავინ დაგვიჩაგროსო! სასწაულია, სასწაული! ან მისი დედ-მამა ბრმები არიან და შვილის ხასიათს სრულებით არ იცნობენ, ან – მილიცასავით თავხედები. ის კი მართა-

ლია, რომ გადამღებ ჯგუფში ათასნაირი ადამიანია, საოცრად კოლორიტული. ერთი ნება დართონ და კინოგადაღებაზე გადაიღოს ფილმი! სიუჟეტი მოიფიქრა, ერთ თვეში სცენარი მზად ექნება, საუცხოო ლიტერატურული სცენარი! კინოგადაღების შესახებ კარგი კომედიური ფილმი გამოვა, დრამით შეზავებული – ტრაგიკომედია! მზამზარეული ტიპები თვალწინ უდგას... აი ერთი, "მოცლილოს" ეძახიან მეტსახელად: გამნათებელია, ათჯერ თუ არ უთხარი, ადგილიდან ვერ დაძრავ – ერთ ადგილზე ჯდომა უყვარს და გაუთავებლად ანეკდოტებს ჰყვება... მეორე, – ხანშიშესული, უთქმელი კაცი, – მუდმივად თავჩაქინდრული, დაფიქრებული დადის, რაღაცას დაეძებს, რაღაცის პოვნის სურვილი არ ასვენებს – იქნებ ცხოვრებაში ერთხელ მეც ბედს ვეწიოო... რამდენია კიდევ ასეთი, ცხოვრებაში რომ არ გაუმართლა: ზოგი – დაბოღმილი, ზოგი – გულგრილი, ზოგი – ჭკუამხიარულიც... თვითონაც უიღბლოა, გრძნობს, ამ სცენარით ახალ მტრებს გაიჩენს – ხომ არ აჯობებს, სცენარის მაგივრად რომანი დაწეროს? იქაც დაიწყებენ პროტოტიპების გამოქექვას, უამრავ გაღიზიანებულ ადამიანს გადაიკიდებს...

ზოგს კი როგორ საოცრად უმართლებს – მილიცა გათხოვდა! მე შენ გეტყვი, შეუხედავმა ვინმემ გააბედნიერა ან გაჭირვებული ოჯახის შვილმა: ერთმა ახალგაზრდა რეჟისორმა ითხოვა – ლამაზმა, განათლებულმა, ნიჭიერმა... შოთას ბევრი კარგი ქალიშვილი ეტრფოდა შორიდან – ის კი თავაზიანად ყველას ერთნაირი ყურადღებით ეპყრობოდა, არავინ გამოურჩევია...

და ბოლოს ეს კრუხის პალო ითხოვა!..

...მეორე დღეს მთელი კინოსტუდია განცვიფრებული იყო – მარიკა სამსახურში სუფთად თავგადახოტრილი მივიდა.

1986

მედიკო

შუა აგვისტოს მზიანი დღეა. კარგა ხანია, ბორჯომის ხეობაში წვეთი წვიმა არ დაცემულა, უსაშველოდ დაცხა.

ზარს შემოჰკრეს, წითელქუდიანმა მორიგემ კვერთხი ასწია; წაღვერის სადგურიდან გუგული-მატარებელი ბაკურიანის მიმართულებით დაიძრა და სიცხისგან მისავათებული მგზავრები ოდნავ გამოცოცხლდნენ – ვაგონში ნიავმა შემოაღწია.

კარი გაიღო და ჯახანით დაიკეტა. შემოსული ქალი, მედიკო, – ასე, ორმოციოდე წლის იქნებოდა, – შავგვრემანი, ჩასუქებული; თვალთა უპეები ლურჯად ჰქონდა დაფერილი, რაც დიდ, შავ თვალებს გამომწვევ იერს ანიჭებდა. იქვე კართან თავისუფალ ადგილზე დაჯდა, ვიწრო, შემოტმასნილი კაბა კინაღამ ასკდებოდა ტანზე. უზომოდ დიდი, ოქროსფერი ლითონის პრიალა რგოლები-საყურეები ლამის მის მხრებს სწვდებოდა.

მეორე მხრიდან ქერა ქალი მოდიოდა სკამებს შორის ორ პატარა ბავშვთან ერთად – თავისუფალ ადგილს ეძებდა.

– აბა, ხუთ წლამდე ბავშვები ვისაც გყავთ უბილეთოდ, დაისვით მუხლებზე და ამ ქალბატონს დაუთმეთ ადგილი! – გასცა ბრძანება მედიკომ.

ქალები უკმაყოფილოდ აბუზღუნდნენ.

– აი, აგერ დაბრძანდით, ქალბატონო! – მიუთითა მედიკომ ახალშემოსულს.

– დაკავებულია! – გაფიცხდა გვერდით მჯდომი ქალი, – აქ ორი სული ზის, ახლა ტამბურში არიან გასულები და მოვლენ!

– როცა მოვლენ, გაათავისუფლებს ადგილს! – არ შეეპუა მედიკო და ბავშვებიან ქალს მიმართა: – დაბრძანდით, დაბრძანდით!

სწორედ ამ დროს ამ ადგილის პატრონი დაბრუნდა.

– შენ აგერ დაჯექი! – ვერ ისვენებდა მედიკო, თავისებურად ანაწილებდა მგზავრებს, – შენ იქ გადაჯექი! ეს ჩანთა, ჯობს, აქ დავკიდოთ!

მგზავრები გამოცოცხლდნენ – უფასო წარმოდგენის მოლოდინში მედიკოს მიაჩერდნენ... მანაც არ გაუცრუა მათ იმედი.

– გააღეთ ფანჯარა! – მიმართა ჭაღარა, ლამაზ კაცს, რომელიც გაზეთს კითხულობდა. – აბა, თუ ვინმე გაინძრევა, ფანჯარა გააღოს, დავიხრჩვეთ პირდაპირ!

როცა ასეთმა შეგონებამაც არ გაჭრა (ლამაზი მამაკაცი ისევ გაზეთს კითხულობდა, მხოლოდ წამით ასწია თავი და მედიკოს თვალი შეავლო), იხტიბარგატეხილმა ქალმა გვერდით მჯდომ ხუთიოდე წლის გოგონას მიმართა:

– რა გქვია, გენაცვალე? – და ღიმილით ცხენის მსხვილი კბილები გამოაჩინა.

გოგონა დედას მიეკრა, ხმა არ გასცა.

— უი, უი, ენა გადაუყლაპავს, ენა გადაუყლაპავს!

ბავშვმა კიდევ უფრო დაიმორცხვა, მედიკომ კი ახალი სალაპარაკო იპოვა:

— ვისი ბავშვები გავიდნენ ღია ბაქანზე? არ გაუშვათ, საშიშია! უცებ რომ დაამუხრუჭოს?..

მედიკოს აუხსნეს, რომ იქ ბავშვებს უფროსები ახლდნენ და არაფერი იყო საგანგაშო.

— ეს რა სადგურია? — იკითხა ცოტა ხანში.

— ცემი!

— მართლა?

— აგერ სადგურის შენობას აწერია.

მედიკო მაინც წამოდგა, ერთ-ერთ ფანჯარაში გაიხედა, შეამოწმა.

ცოტა ხანს ადგილზე მოუსვენრად ცქმუტავდა, მერე, როცა მატარებელი დაიძრა, ისევ აკრიახდა:

— ეს ჩანთა ვინმეს ხომ არ დარჩა?

— ნუ სწუხართ, ქალბატონო, ჩვენი ჩანთაა.

— ესეც თქვენია? — ახლა მეორე ჩანთაზე მიუთითა. როცა ამ კითხვაზეც უპასუხეს, მედიკოს ისევ ფანჯარა გაახსენდა, გააღეთო. ამჯერადაც არავინ ათხოვა ყური მის თხოვნას, ლამაზი მამაკაცი კი ფანჯარაში იცქირებოდა, ტყის უსასრულო მრავალფეროვნებას აკვირდებოდა.

— უფ! — ვერ ისვენებდა მედიკო. — სული შემიგუბდა! ერთი, ორი, სამი, ოთხი ფანჯარაა დაკეტილი... გავაღოთ, რა იქნება! თქმა რად უნდა, თავისით ვერ უნდა მიხვდნენ ზოგიერთები?

ჭაღარა კაცი არ გამოხმაურებია ამ თავდასხმას, მზის შუქით განბანილ ტყეში შუქ-ჩრდილის თამაშს უყურებდა.

— ეჰ!.. — ამოიხვნეშა მედიკომ, — სადღა არიან ახლა მამაკაცები! ნამდვილი მამაკაცები გადაშენდნენ! ზრდილობა, ქალის პატივისცემა აღარავის ახსოვს!..

მიჰყვა და მიჰყვა...

აქეთ-იქიდან ქალები შიგადაშიგ "დასაქოქად" თითო-ოროლა რეპლიკას ესროდნენ მედიკოს, თუმცა ამის საჭიროება მაინცდამაინც არ იგრძნობოდა.

ჩამოიარა ვაგონის გამცილებელმა ქალმა:

— ვის უნდა სადგური ლიბანი? შევდივართ სადგურ ლიბანში!

ჭაღარა კაცი წამოდგა, მაღალი, წარმოსადეგი გამოდგა; იღლიაში გაზეთების დასტა ამოიჩარა, ხელში მომცრო ჩემოდანი დაიკავა და კარისკენ გაემართა. გვერდზე გავლისას მედიკოს შეხედა.

— ქალბატონო, ეს ფანჯრები, სამწუხაროდ, არც ერთი იღება! — მშვიდად უთხრა და კარში დინჯად გავიდა.

ნეტავ არაფერი ეთქვა! შემდგომ გზაზე მედიკო ჩუმად იყო და მგზავრებმა საკმაოდ მოიწყინეს.

1986

მინადორა

სიღნაღელი ყოფილი შეძლებული ვაჭრის ქალიშვილმა მინადორამ რომ სოფელში ბიბლიოთეკარად დაიწყო მუშაობა, მაშინვე თვალი დაადგა ახმახმა, ბრგე ზაალ მჭედელმა — განათლებული ქალია, კულტურულიო და მოკლე ხანში ცოლად ითხოვა (ქალის მშობლები სასტიკ უარზე იყვნენ — ეგ ტლუ, გაუთლელი ხიხო რა შენი შესაფერისიაო, მაგრამ ვერას გახდნენ).

ერთმანეთის მიყოლებით მინადორამ ზაალს სამი შვილი აჩუქა: გოგო, მერე — ბიჭი და ბოლოს — ისევ გოგო. სხვა მხრივ კი დიდი ვერაფერი მეოჯახე გამოდგა — საოცრად უდარდელი, მედღეხვალიე ქალი იყო, ყველაფერს იოლად უყურებდა; ათასი თუმანი რომ ჰქონოდა, იმავე დღეს დახარჯავდა, ხვალინდელ დღეზე ფიქრით თავს არასდროს იწუხებდა. იოლად ფანტავდა ქმრის მძიმე შრომით ნაშოვნ ლუკმაპურს — ხან გააჩუქებდა სამ ქილა ერბოს, ზაალს რომ ხარების დაჭედვაში მისცეს, ხან უკანასკნელ ფქვილს ჩამოურიგებდა მეზობლებს... ბავშვები რომ აღნავლდებოდნენ — "დედი, გვშია!" და თვითონაც აეწვებოდა კუჭი, მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდა, რომ კერძი უნდა მოემზადებინა... მთელი დღე თავისთვის რაღაცას ღიღინებდა, ხშირად გიტარასაც დაიჭერდა ხელში და გიყვარდეს! — მიაყოლებდა ერთიმეორეს ძველ თუ ახალ სიმღერებს. ხმა კი კარგი ჰქონდა! მშვენივრადაც უკრავდა! ის რომ სიმღერას დაიწყებდა, მთელი მეზობლობა მასთან მოიყრიდა თავს... ქმარი ბრაზობდა, ქალო, საქმეს მიხედე, თორემ მაგ გიტარას ჩამოგამხობ თავზეო, მაგრამ გაგიგონია! რამდენჯერმე მოთმინებადაკარგულმა ზაალმა გიტარა კედელს მიაფშვნა და ცოლმაც ძლივს გაასწრო გარეთ გამძვინვარებულ ქმარს... რად გინდა მერე მინადორას მუსიკოსობა — შვილებს არ ასწავლა

დაკვრა-სიმღერა, არც – ჭრა-კერვა, ქსოვა, კერძის გაკეთება... თვითონ კი უყვარდა საჭმლის გემრიელად შემზადება, მაგრამ არავის გაიკარებდა ახლოს ამ დროს.

ერთხელ გვიან შემოდგომაზე ზაალი ტყეში წავიდა შეშის ჩამოსაზიდად. შინ გვიან დაბრუნდა – გათოშილი, დაღლილი, დამშეული. გზად სულ იმას ნატრობდა, სახლამდე როდის მივაღწევ, ერთ-ორ ჭიქა არაყს გადავხუხავ, ცხელ შეჭამანდს გეახლები და გაღუღუნებულ ღუმელს მივეფიცხებიო. მიადგა ჭიშკარს – ჩამიჩუმი არ ისმის, სახლის კარიც დაკეტილია... აბრახუნა – არავინ უღებს. მერე მიაყურადა – ბავშვების ტირილი შემოესმა. მიაწვა ჯიქურ კარს, იმძლავრა და, როგორც იქნა, შეანგრია... ხედავს, მინადორას პატარა ბავშვები ჩაუსვამს დიდ კიდობანში, რომ იქიდან ვერ ამომძვრალიყვნენ, თავისთვისაც არაფერი ევნოთ, კარს შიგნიდან მსხვილი ჯოხი ისე შეუყუდა, რომ გამოხურვის შემდეგ ეს ჯოხი მიეყრდნო შიგნიდან კარს...

– დედათქვენი სადღა დაიკარგა? – ჰკითხა ზაალმა ბავშვებს.

ბავშვები ნამტირალევი თვალებით შესცქეროდნენ მამას, გვშიაო – ახლაღა გაახსენდათ შიმშილი, მინადორას შესახებ არაფერი იცოდნენ. სამაგიეროდ, თვით ზაალმა გაიგონა მინადორას ხმა – გიტარის თანხლებით ტკბილად დამღერებული იმხანად პოპულარული სიმღერა; ქალბატონ მინადორას აუღია გიტარა და მეზობელთან ქეიფში გადასულა, იმათი სუფრის დასამშვენებლად...

ილხენს ჩვენი მინადორა, მისი ლაღი სიმღერა ცასა სწვდება... თანამეინახენი აუუჟუნებული თვალებით შესცქერიან და სიმღერას ხმას აყოლებენ...

ამ დროს უცებ ბიძგით იღება კარი, შემოგლიჯინდება ქურქმოსხმული მთასავით კაცი და დასჭექს:

– დედაკაცო! წამოეთრიე შინა!.. – შენი ასე და ისეო, ცხრატყავად აეწვათ კანი მისი ცხრასართულიანი გინებისგან.

– ვაიმე, ზაალი მოსულა! – იყვირა დამფრთხალმა მინადორამ და სათაგურში მომწყვდეული თაგვივით აწრიალდა... ფანჯარასთან ცოტა ახლოს რომ ყოფილიყო, დაუფიქრებლად ისკუპებდა ეზოში...

– აბა, ჩემო ზაალ, ერთი დაგვლოცე! – ღვინით გალიცლიცებული ჭიქა მიაწოდა თამადამ გამძვინვარებულ კაცს დასაშოშმინებლად.

– მოიცა ერთი და!.. – აჰკრა იდაყვი გამოწვდილ ხელს ზაალმა; დაღვრილმა ღვინომ ახლო მყოფნი დაასველა, მაგიდაზე დავარდნილმა ჭიქამაც საკმაო ნგრევა გამოიწვია ჯამ-ჭიქებს შორის.

ზაალმა ცოლისკენ გაიწია, შეშინებული ქალი აკივლდა და მაგიდის ქვეშ შეძვრა; იქ საკმაო სიმარდით ფორთხავდა წინ-უკან – ქმრის ჩექმების მოძრაობას ცქვიტად აკვირდებოდა. მერე მოახერხა და ჩუმად გაიძურწა კარში და, სანამ ქმარს კაცები აკავებდნენ ("გამიშვით, უნდა მოვკლა!"), სადღაც გადაიკარგა...

ზაალმა გიტარაზე იყარა ჯავრი – ხელი წამოავლო და ასანთის ღერივით ადვილად გადაამტვრია დათვის ტორებით. ცოლი რომ ვერსად მოიხელთა, ერთხანს გინებით იოხებდა გულს, მერე სახლს მიაშურა. ცეცხლი დაანთო, ატირებული ბავშვები დააწყნარა, დააპურა და დააძინა, თვითონაც ჭამა; მერე კარი მაგრად ჩარაზა და, დაღლილ-დაქანცულმა, სცადა თვალის მოტყუება, მაგრამ აფორიაქებული სული დიდხანს არ ასვენებდა...

მინადორამ მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გაბედა შინ დაბრუნება.

1987

მურმან

ასე როგორ შევცდი, მიკვირს! არადა, დიდი არაფერი მოვიმოქმედე – ბატონი მურმანი წუთით შევაწუხე... შევაწუხე აბა რა: კაცი რომ დღედაღამ სადოქტორო დისერტაციაზე ფიქრობს, ყოველი წუთი დათვლილი აქვს, ასეთი უბრალო თხოვნით როგორ უნდა მოაცდინო! მოკლედ, ერთი ჩვენი საერთო ნაცნობის – შანშე შეშელეთელის – ტელეფონის ნომერი ვთხოვე.

– მაქვს, მოგცემ! – მოკლედ, საქმიანი კაცის იერით მოჭრა ბატონმა მურმანმა; მაგრამ იმის მაგივრად, რომ ქაღალდის ნაგლეჯზე დაეწერა ტელეფონის ნომერი და თავიდან დროზე მოვეშორებინე (რითაც საკუთარ და ჩემს ძვირფას დროსაც დაზოგავდა, ამავე დროს – ამ ნოველის დაწერისგანაც გადავრჩებოდი!), მომაჩერდა წვრილი, ცისფერი, ერთმანეთთან ახლო დასმული, გამჭოლი თვალებით, თითქოს ორლულიანი მომიშვირა: – რად გინდა?

– პატარა საქმე მაქვს, რაღაც უნდა ვკითხო.

– არა, ნაღდად არ გინდა თქმა... კარგი, შენი ნება იყოს!.. – ისევ მომაჩერდა მოლოდინით, მაგრამ მე არაფერი ვუპასუხე.

მომცა, როგორც იქნა, ქაღალდის ფურცელი ტელეფონის ნომრით და მაშინვე დავემშვიდობე – დიდი მადლობის გადახდით, რაღა თქმა უნდა.

დავბრუნდი ჩემს ოთახში ორი სართულით მაღლა და დავიწყე მუშაობა.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ მოულოდნელად ბატონი მურმანი მომადგა.

– შრომობ? დიდხანს არ მოგაცდენ... რა ქენი, დაურეკე შანშეს?

– არა, საჩქარო არაფერია... მერე მოვიცლი, თანაც, შესაძლოა, ახლა შესვენებაზე იყოს გასული.

– ჰო, კარგი... – გაიხურა კარი ბატონმა მურმანმა.

გავიდა კიდევ ერთი საათი და კარი გააღო და გაბურძგნილი თავი შემოყო ბატონმა მურმანმა ("ასეთი თავის პატრონი მეცნიერებათა დოქტორად გახდომას როგორ უნდა ფიქრობდეს?" – უნებურად გავიფიქრე):

– კიდევ არ დაგირეკია?

– არა, არ დამირეკავს.

მეტი არაფერი მითქვამს, მაინტერესებდა, რას იტყოდა თვითონ. ერთხანს გამომცდელი მზერით მბურღავდა, მერე უშნოდ გაიღიმა (გაბუტული ბავშვივით!):

– რაღაცას ხომ არ მიმალავ?

გამაგიჟებს ეს კაცი! გინდაც ვუმალავდე, არ მაქვს ამის უფლება თუ? არ ამომართვა სული ამ ტელეფონის ნომრის თხოვებით! მაინც, რა აინტერესებს ასე?

– ჰო, არ დავფარავ, გიმალავ... როგორ მიხვდი?

ბატონი მურმანი მიყურებს, მერე ღიმილში ნაოჭები უჩნდება ლოყებზე – მიგიხვდი ირონიასო; თან უნდა, დრო მოიგოს, მოისაზროს, შემდეგ რა მითხრას... მეც მივჩერებივარ და ველი.

– გეტყობა, ხუმრობის ხასიათზე ხარ, – ამოღერღა ბოლოს, – ისეთი რა საიდუმლო უნდა გქონდეს შანშესთან... შანშესთან რომ სერიოზული საქმე გქონდეს, მისი ტელეფონის ნომერს მე არ გამომართმევდი, ჩემზე ადრე გექნებოდა.

– სწორი ბრძანდები, ჩემო მურმან, გამოცანა გეკუთვნის, მეტი რა გითხრა.

ისევ მიცქერის, მიცდის, იქნებ რამე დავამატო, მე კი ჩუმად შევცქერი და ჩემდა უნებურად მეც ვიღიმები. როგორც კატა თაგვს, ისე ვეთამაშები ბატონ მურმანს... მთავარია, არ გამეცინოს და არ გავაფუჭო საქმე – მაშინ, შესაძლოა, ეწყინოს და თამაში წახდეს. თუმცა, ეწყინოს რა!..

– კარგი აბა! – გაიხურა კარი.

ეჰ, ჩემო მურმან, ვატყობ, შენ ვერ მოისვენებ და არც მე მომასვენებ; ისღა დამრჩენია, ვივარაუდო, რომ ცოტა ხანს კიდევ მაინც არ შემაწუხებ. დავხედე საათს – დრო დავინიშნე...

საჩქარო საქმე მქონდა გასაკეთებელი, მაგრამ ძალაუნებურად მურმანზე ფიქრი ვერ მოვიცილე კარგა ხანს... და სწორედ მაშინ, როცა, როგორც იქნა, საქმეს მივუბრუნდი, გაღებული კარიდან დამიზნებულმა ცისფერი თვალების ორლულიანმა შემომანათა:

– დაურეკე?

– ჯერ არა.

რა ვქნა, როგორ მოვიცილო ეს კაცი? რომ გავეხუმრო, ვერ გაიგებს, შესაძლოა, ეწყინოს კიდეც, თანაც საბაბს მივცემ საუბრის გასაგრძელებლად, რის სურვილიც სრულებით არ გამაჩნია. ისევ ჯობს, მოკლე რეპლიკით შემოვიზღუდო.

კარის ზღურბლზე დგას; არც მე ვეპატიჟები ოთახში შემოსასვლელად, წასვლაც ეძნელება. უხერხულობას ვგრძნობ, ჩუმად რომ ვარ, თითქოს ამით ვაგდებ კაცს, წადი შენი გზითო – ვერაფერი შვილი ზრდილობაა... მაგრამ ბატონ მურმანს სხვანაირად ვერ მოვექცევი, მას ხომ მორიდებისა არაფერი სცხია...

– თუ რამე დახმარება დაგჭირდეს, მითხარი, შანშესთან კარგად ვარ, მიმესვლება. არ მოგერიდოს, იცოდე!

– კარგი, შენი ჭირიმე, თუ დამჭირდა, აუცილებლად შეგაწუხებ!

ყოჩაღ, მურმან! წამგებიანი პოზიციიდანაც კი მოგებული გამოდიხარ! დიდ მზრუნველად მომევლინე, მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, თავი რომ დამანებო, ამაზე დიდ სიკეთეს შენგან ვერც ვინატრებ!..

მკითხველს რაღას ვერჩი, იმის დახსნა მაინც ხომ შემიძლია ბატონ მურმანის პიროვნებისგან – ბოდიშს ვიხდი და საჩქაროდ დიდ წერტილს ვსვამ.

1992

ნადასი

ნადასის რომ ამბავი დაემართა, სასაცილოც არის და სატირალიც...

ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათია, შესაძლოა, მსგავსი თქვენც გაგიგონიათ, მაგრამ მე მაინც მინდა, გიამბოთ.

მიტროფანესა და პარასკევას სამი შვილი ეყოლათ: ციცინო, ნადასი და ნაბოლარა სიმონი.

უფროსი ქალიშვილი, – ციცინო, – შეუხედავი, ოღონდ ტანმაღალი, წერწეტა, – ხელოვნებათმცოდნე გახდა. უყვარდა მოდის კვალობაზე კოხტად ჩაცმა-დახურვა, გულქანდები და ყელსაბამები, გრძელი საყურეების ჩამოკონწიალება, სამაჯურები და ორთავ ხელის თითებზე – უამრავი, მბრწყინავთვლიანი ბეჭედი. ზოგიერთნი ზურგსუკან "საახალწლო ნაძვის ხესაც" კი უწოდებდნენ. პრეტენზიული იყო: მეო, – ხშირად იმეორებდა, – ისეთ კაცს ცოლად არ გავყვები, რომელსაც კარგი ბინა არ ექნება და გარაჟში – საკუთარი ავტომანქანაო. რაღა გასაკვირველია, რომ გათხოვება ძალიან დაუგვიანდა. საოცარი ის იყო, რომ ბოლოს მართლაც მანქანიან-ბინიანი ქმარი იშოვა თუ მოიხელთა, თანაც სანდომიანი და ათი წლით უმცროსი! – მიშიკო ტარაბუცაძე, პროფესიით გეოლოგი. ერთიმეორის მიყოლებით ორი ბიჭი შეეძინათ – მიტო და გოგი.

ვერც უმცროსი ქალიშვილი, – ნადასი, – დაიკვეხნიდა ბრწყინვალე გარეგნობით, თანაც, დისგან განსხვავებით, მეტად დაბალი იყო – დარჩა გაუთხოვარი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ინჟინრად მუშაობდა ერთ-ერთ საპროექტო ინსტიტუტში. ქმარს ალბათ ნადასიც იშოვიდა, მაგრამ ერთი ახირება სჭირდა: მარად შეყვარებული იყო (და არც მალავდა ამას!) ძალიან ლამაზ მამაკაცებზე, ამასთანავე – გამორჩეულად ნიჭიერებსა და კარგი ოჯახის შვილებზე. ნადასის თავგამოდებული აქტიურობისა და ზოგჯერ თავხედობის მიუხედავად, სიყვარული ყოველთვის ცალმხრივი რჩებოდა... როდესაც მავანი, რომელსაც ნადასიმ თვალი დაადგა, ცოლად სხვას ითხოვდა, ქალი იხტიბარს არ იტეხდა და მოკლე ხანში მორიგი, ასევე მოხდენილი, განათლებული და სხვა შესაშური თვისებებით შემკული დასაქორწინებელი ახალგაზრდა ჩაუვარდებოდა გულში. ბიჭი, – სიმონი, – დებისგან განსხვავებით, შესახედავად კარგი ვაჟკაცი დადგა, ოღონდ რატომღაც სწავლას გული ვერ დაუდო, სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარი მოიარა და ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ცოლი ადრე ითხოვა და იმასაც, ციცინოსავით, ორი ბიჭი ჰყავდა – გურამი და ცოტნე.

უცნაური დამოკიდებულება ჰქონდათ მიტროფანესა და პარასკევას შვილების მიმართ: უფროს ქალიშვილს, ციცინოს – სიყვარული, სითბო, მზრუნველობა, ყოველმხრივ დახმარება, მოკლედ – ყველაფერი; დანარჩენ ორ შვილს – ნადასისა და, განსაკუთრებით, სიმონს – თითქმის არაფერი... სიძესაც კი – მიშიკოს – მეტ პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ, ვიდრე საკუთარ შვილს – სიმონს. მიშიკოს განსაკუთრებით თავს ევლებოდნენ – ოღონდ ჩვენი ქალიშვილი არ მიატოვოსო! სიძე მაინც უმადური გამოდგა – ქალების დევნას იყო გადაყოლილი. მივლინებები გეოლოგს ხშირ-ხშირად უწევდა და არცთუ იშვიათად თვეობით გადაიკარგებოდა შინიდან.

ერთხელ ტრაგიკომედიური ამბავი მოხდა.

ავტოავარიაში მოჰყვნენ მიშიკო, ციცინო და ნადასი. მიშიკო იოლად გადარჩა, მისი ცოლი ოდნავ დაზიანდა, ნადასი კი სერიოზულად დაშავდა – ტვინი შეერყა და ხელი მოტყდა. ამის მიუხედავად, საავადმყოფოში ყველანი – შინაური თუ გარეული – ციცინოს დასტრიალებდნენ თავს: "ციცინოს ესა და ეს უნდა გავუკეთოთ!", "ხომ კარგად არის ციცინო?", "ციცინოს ხომ არაფერი უნდა?". მოკლედ, წამდაუწუმ "ციცინო" ეკერათ პირზე, საწყალი ნადასი ვისღა ახსოვდა! სამწუხარო და გასაკვირველი ის იყო, რომ თვით ნადასისაც ამგვარი უსამართლო მოპყრობა არ უკვირდა... ნორმალურადაც კი მიაჩნდა, რომ ძაღლადაც არავინ აგდებდა ტვინშერყეულსა და ხელმოტეხილს, მის ოდნავ დაჟეჟილ დას კი ლამის გადაჰყოლოდნენ...

ციცინოს შვილებისთვის, მიტოსა და გოგისთვის, უნდოდათ ყველაფერი დიდედასაც, პაპასაც და ნადასისაც – სიმონს თითქოს შვილები არ ჰყავდა. მიტროფანე პენსიონერი იყო, იშვიათი მუყაითობით უვლიდა საბაღე ნაკვეთს ქალაქგარეთ – ნამდვილ წალკოტად აქცია; ბლომადაც მოჰყავდა ბოსტნეული, ხილი, საკუთარი ვენახიდან მშვენიერ ღვინოსაც აყენებდა. და ყველაფერი – მხოლოდ ციცინოს და მის ოჯახს; ნადასისა და სიმონს კი – არაფერი! სიმონს უჭირდა ოჯახის რჩენა, ციცინო კი ყოველმხრივ გალაღებული იყო; ამის მიუხედავად, ნადასიც დის ოჯახს იყო გადაყოლილი – დისშვილებს დღეობებს ის უხდიდა ხოლმე, ხშირად ანებივრებდა საჩუქრებით, დაჰყავდა ცირკში, თეატრში, უცხო ენებისა და მუსიკის მასწავლებლებთან... ძმისშვილების არსებობა კი არასდროს ახსენდებოდა.

სიმონის ოჯახი – ხუთი სული – ერთ მომცრო ოთახში ცხოვრობდა დიღმის დასახლებაში, ციცინო ოთხოთახიან ბინაში იყო გამოჭიმული ქალაქის ცენტრში, მაგრამ პაპამ და დიდედამ თავიანთი ბინა ციცინოს უფროს ბიჭს, მიტოს, დაუმტკიცეს ანდერძით.

როცა 1991 წლის ბოლოს საქართველოში არეულობა დაიწყო, მიშიკო მოსკოვს გადასახლდა დროებით, მერე ბიჭებიც წავიდნენ მამასთან (მანამდე უფროსმა ცოლის თხოვა მოასწრო და შვილიც ეყოლა). იქ, ეტყობა, მიშიკო სხვა ქალთან არის, რადგან შვილები ცალკე დაასახლა. მერე ციცინოც, რძალთან და შვილიშვილთან ერთად, წავიდა მოსკოვს, იქნებ ქმარი შევინარჩუნოო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა...

ამასობაში მიტროფანე და პარასკევა ამ წუთისოფელს გამოეთხოვნენ. ნადასის მოუწია ციცინოსა და დედ-მამის ბინების რიგრიგობით ყარაულობა – თავისი ერთოთახიანი ბინა, რომელიც სამსახურიდან ჰქონდა მიღებული, გამოკეტა.

სწორედ ამ დროს სიმონის უფროსმა ვაჟმა, გურამმა, სთხოვა ნადასის: მამიდა, ცოლს ვთხოულობ და დროებით შენს ცარიელ ბინაში ვიქნებიო, მაგრამ მამიდამ სასტიკი უარი სტკიცა – თავისი ბინა უმცროსი დისშვილისთვის – გოგისთვის – უნდოდა...

ამის შემდეგ არ გასულა ერთი კვირა და ნადასი საავადმყოფოში აღმოჩნდა: ქუჩაში მოლიპულ ტროტუარზე ფეხი დაუცურდა, წაიქცა და ფეხი მოიტეხა...

ფინალი: წევს ახლა ნადასი საავადმყოფოს დიდ, ცივ პალატაში, უსმენს ავადმყოფთა კვნესა-ჩივილს და გული ელევა... რვა სული წევს ერთ ოთახში და ყველა მოთქვამს და კრუსუნებს – შესჩივიან თავიანთ უბედობას, რასაც ემატება სხვა გასაჭირიც: საავადმყოფო არ თბება, ავადმყოფებისთვის საჭმელ-სასმელი ნათესავებს მოაქვთ... აღარც მედიკამენტები და დამხმარე მასალები გააჩნიათ... ბამბის, ბანდისა და იოდის შოვნაც კი ჭირს.

სხვებთან შედარებით ნადასის რა უჭირს – მისგან მოძულებული ძმა და ძმისშვილები უვლიან, წელებზე ფეხებს იდგამენ და საკვებსა და საჭირო წამლებს არ აკლებენ...

დიახ, შესცქერის ნადასი ჭერზე ნაირ-ნაირ ლაქებს და ფიქრობს...

რაზე?

ალბათ ბედის ირონიაზე... პატრონებად სწორედ ისინი გამოუჩდნენ, რომლებსაც მთელი სიცოცხლე იოტისოდენი სითბო ვერ უწილადა.

1995

ნაზიკო

კარგა ხნის ამბავია და ახლაც, რომ გავიხსენებ ხოლმე, მეცინება. ჭეშმარიტად, "დეკამერონის" შესაფერი სიუჟეტია!

ბაღდათში ჩასვლისას ყველაზე უფრო გამაკვირვა სახლმა, რომელიც ჩვენმა გეოლოგიურმა პარტიამ დაიქირავა საველე სეზონისთვის – ორი თვით. ასე უშნოდ დაპროექტებული (თუ საერთოდ არსებობდა მისი პროექტი) და ასეთი დიდი კერძო სახლი ჩემს დღეში არ მენახა. ასეთ სახლში რამდენიმე ათეული სული თავისუფლად იცხოვრებდა, მუდმივად ბინადრობდა კი მხოლოდ ორი – სევერიანე და ნაზიკო, ცოლ-ქმარი.

მათი სტუდენტი შვილები თბილისში სწავლობდნენ და რატომღაც ზაფხულში მშობლებთან არ ჩამოსულან. ჩვენს გარდა ბატონ სევერიანესთან სხვა მდგმურებიც იდგნენ, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, სახლი იმდენად უზარმაზარი იყო, რომ ფრიად ხალვათად მოვეწყვეთ და, ასე განსაჯეთ, სახელდახელო კამერალური სამუშაოებისთვის ცალკე ოთახიც კი გვქონდა. ბოლოს კი ვინანეთ ასე ფართოდ ფეხის გაშლა – წამოსვლისას ბატონმა სევერიანემ პირი გვიტეხა და დათქმულ თანხაზე სამჯერ მეტი მოგვთხოვა ბინის ქირად. საერთოდ, საოცარი წუწურაქი გამოდგა: წვრილმანი და მსხვილმანი მისთვის არ არსებობდა, ყოველ კაპიკს დაჰკანკალებდა და სულ იმის ფიქრში იყო, ვისთვის რა აეფცქვნა. იმჟამად ბატონი სევერიანე პენსიონერი გახლდათ უკვე, ფეხიც სტკიოდა (განგრენის მსგავსი რაღაც აწუხებდა, ვერაფრით მოირჩინა) და ყავარჯნით დაჩლახუნობდა. თუმცა, დაჩლახუნობდა კი არა, დაჰქროდა! ფრიად ენერგიული კაცი იყო, მუდამჟამ რაღაცას ხლაფორთობდა, სულ სადღაც მიეჩქარებოდა, ჭროღა თვალების გამჭოლი მზერით ყველასა და ყველაფერს ზვერავდა, სად რას გამოვრჩეო...

მისი ცოლი, ნაზიკო, ბევრად ახალგაზრდა იყო სევერიანეზე – კარგად შენახული, ფრიად სანდომიანი, ტანსრული ქალი. თუ სევერიანე სულ ჯიჯღინებდა, ნაზიკოს ხმამაღალ ლაპარაკს ვერ გაიგონებდი; დინჯად, ნარნარად მიმოდიოდა ეზოში, ბაღჩასა თუ ოთახებში.

ბატონ სევერიანეს იქვე, სახლთან ახლოს, პატარა მოედანზე, ადრე თურმე სასაუზმე ჰქონდა, მისი დირექტორი იყო პენსიაში გასვლამდე. გაქექილი კაცი ყველას ატყავებდა, დიდი სახლის აშენება მოახერხა... მერე მოხსნეს მეტისმეტი ღორმუცელობის გამო და ახლა წვრილ-წვრილი ყალთაბანდობით შოულობდა ფულს. ფული ცოლსაც უყვარდა, ცხადია, – მარტო სტუდენტი შვილების ხარჯი რა ტვირთად აწვათ...

ჰოდა, ბატონ სევერიანეს გონებაში მომწიფდა ფრიად გამორჩეული აზრი ფულის შოვნისა: დიდი ხვეწნა-მუდარის, ჯაჯღანისა და ჩხუბის შემდეგ, როგორც იქნა, ძლივს დაიყოლია ცოლი, რათა ნაზიკო... დაახლოებოდა ერთ-ერთ მდგმურს, ახალგაზრდა მეტყევეს არსენს!..

და ერთხელ, ვითომ შემთხვევით, სევერიანი მიჯნურთ შეესწრო...

ცოლიცა და ქმარიც აშინებდნენ არსენს – ან ფული მოგვეცი, ან გიჩივლებთო.

არაფერი გამოუვიდათ – მეტყევე მაგარი ბიჭი გამოდგა, სევერიანეს მუქარა სასაცილოდაც არ ეყო. ვერ წარმოედგინა, თუ ბატონი სევერიანე თავს შეირცხვენდა და მართლა მიმართავდა სასამართლოს, მაგრამ შეცდა...

განცხადება სასამართლოში შეტანილ იქნა და მოსმენის დღეც დაინიშნა.

წინა დღით კი არსენი და ბატონი სევერიანე შეხვდნენ ერთმანეთს. მოპასუხემ ჰკითხა მომჩივანს, მაინც რამდენი გინდა შესარიგებლად ფული მოგცეო. ბატონმა სევერიანემ სამასი მანეთი მოითხოვა. არსენს გაეცინა, მაშ, თითო თუმანი თითო ღამეშიო? არაო, გაუკვირდა ბატონ სევერიანეს, მე თითო ღამეში სამ თუმანს გახდევინებო... მერე, თითქოს უეცრად თავში დაჰკრეს ჯოხიო, წუთით გაშტერდა კაცი, შეტრიალდა და ყავარჯნის ქნევით და გინებით ფიცხლად გაშორდა არსენს...

რამდენიმე წუთის შემდეგ მთელ სახლს ესმოდა, როგორ ეჩხუბებოდა ბატონი სევერიანე ცოლს – შე ასეთო და ისეთოო, უნამუსოო, კახპაო...

თურმე ნაზიკო ბევრად ადრე დაუახლოვდა არსენს, ვიდრე ეს ბრწყინვალე გეგმა მის ქმარს ესტუმრებოდა თავში.

1963

ნუნუ

სუსხიან დილას მივიჩქარი სამარყანდის ქუჩის აღმართში და ჩვენი სამსახურის გადასახვევთან დაღმართში მომავალი ნუნუ გუნთაძე შევნიშნე. შევნიშნეო რას მიქვია, ნუ მიაქცევ ყურადღებას, თუ ბიჭი ხარ: ნუნუკა პირმრგვალი, მოსული ტანის, თავმომწონედ ყელმოღერებული კეკლუცი ქალია.

– გამარჯობა, ნუნუ, როგორ ხარ? – ქალი სალამს როგორ დამასწრებს, მით უმეტეს, ასეთი მომხიბვლელი, გამვლელები რომ მზერას ადევნებენ.

ნუნუ პასუხად მოწყალედ მიღიმის მხოლოდ, მერე ცერად გახედავს ჩემს ტილოს ჩანთას და სასხვათაშორისოდ კითხულობს:

– ყოჩაღ, რა გიშოვია ამ დილაადრიან?

– დიდი არაფერი, ბარდაა, მწვანე ბარდა – კილოგრამი სამოცდაათ მანეთად.

– ჰი-ჰი! – ქირქილებს ნუნუ და მარგალიტის კბილებს აჩენს, – რამ გაყიდია, ბიჭო, ბარდაა თუ რაცხა, მაგას დაბმული ღორიც არ ჭამს!

– ლობიოს გაკეთებისას ჩემი ცოლი შეურევს ცოტ-ცოტას, ასე, ერთ მესამედს. ხომ იცი, ლობიოს რა ცეცხლის ფასი დაედო, ორას მანეთს ფეხს არ უცვლიან ბაზარში.

– მერე მაგ ბარდიბურდას უნდა გააფუჭებინო ლობიო?

– რატომ უნდა გავაფუჭებინო? ვითომ ბარდას რა უჭირს, თავისთავადაც მშვენიერია. თუნდაც, რომ მოხარშო, კარგია კარტოფილის პიურესთან და შემწვარ ძეხვთან ერთად...

– ჰო-ო?!. – ირონიული ღიმილით მაწყვეტინებს ნუნუ.

– ბარდა შეიძლება ღრმა ტაფაშიც მოხარშო და, წყალს რომ ჩაიშრობს, კვერცხები დაახალო – გინდ ათქვეფილი, გინდ ისე... დაფხვნილ ყველსაც თუ მოაყრი...

– კიდევ, კიდევ? – ნუნუს ირონია ლამის სარკაზმში გადაიზარდოს.

– არც ბარდას ლობიანები არის დასაწუნი... – თითქოს თავს ვიმართლებო, განვაგრძობ მე. – ჩემს ცოლს ძალიან კარგი გამოსდის, ბავშვები ერთმანეთს სტაცებენ ხელიდან.

– ყველაფერს გაფიცებ, როცა გააკეთებს, ერთი ცალი მეც წამომიღე, ნერწყვი მომადგა, ხომ იცი! – ბუსხავს მარწყვის ტუჩებს, აშკარად დამცინის.

– რა გაიკვირვე, შე ქალო, ჯერ ბარდა არ გიჭამია? თუნდაც დაკონსერვებული...

– ჰო, შენ გენაცვალე, მიირთვი, მიირთვი, ღმერთმა შეგარგოს: მაგას ხარ მიჩვეული და ნუ გადაეჩვევი!

თავი ძლივს შევიკავე, რომ მეტისმეტად მკვახედ არ მეპასუხა:

– თუ არ გინდა, ძალას კი არავინ გატანს, მე კი ბარდაში ცუდს ვერაფერს ვხედავ...

– შენ ისეთ ხასიათზე ხარ, ბარდას ქებათა ქებას დაწერ და ქვეყანას მოფენ... ძალიან გიხარია, რომ იშოვე?

კიდევ კარგი სამსახურსაც მივაღწიეთ და ჩვენ-ჩვენი სამუშაო ოთახებისკენ გავწიეთ.

დაწერით კი მართლაც დავწერე, ოღონდ ვისი ქებათა ქებაა შენს მიერ წაკითხულ ამ ჩანახატში, ამის შეფასება შენთვის მომინდვია, მოწყალე მკითხველო.

1992

ოთარ

ოთარ ორშაურაშვილაძეს ალბათ ნახევარი ქალაქი მაინც იცნობს, მის უბანში ხომ – პატარა ბავშვებიც კი.

რით არის გამორჩეული?

ბევრი რამით...

უპირველესად – გარეგნობით. ადამიანის სავიზიტო ბარათი ხომ მისი, ასე ვთქვათ, ჰაბიტუსია. ჰოდა, ორმეტრიანი სიმაღლის, ვაჟკაცური შესახედაობის და ჭეშმარიტად დარბაისლური მიხრა-მოხრის წყალობით ოთარი, სადაც კი გამოჩნდება, უნებურად იქცევს საყოველთაო ყურადღებას.

ოთარი ინჟინერია, მაგრამ იმპოზანტური გარეგნობის გამო რამდენიმე ფილმში ეპიზოდური როლიც შეასრულა. ამჟამად სად მუშაობს? ერთ თონეში წილი აქვს ჩადებული და გვარიანი შემოსავალიც აქვს, მაგრამ მის ცოლ-შვილს ეს დიდად არ ეტყობა – მოგეხსენებათ, მსმელი კაცის ოჯახში ბარაქა იშვიათია.

დიახ, ძვირად ნახავ ფხიზელს.

თავისი ახალთახალი ავტომანქანა მალე გაყიდა:

– რად მინდა მანქანა, ღვინოს ვეღარ დავლევ. ქვეყანა ნაცნობ-მეგობარი მყავს, ხელის აწევაც არ მჭირდება, ისედაც ყველა მიჩერებს, აბა, ოთარ, საით მიბრძანდებითო...

შინ, შუშებიან კარადაში, სასმისების მოზრდილი კოლექციაა გამოფენილი, კედლებზე კი, ირმის უზარმაზარი რქებისა და ფრთაგაშლილი არწივის ფიტულის ქვეშ – თოფების კოლექცია. თოფებს ყველას საკუთარი სახელი დაანათლა: "სამეფო", "ჯიხვა", "ხირიმი", "გორგასალი", "ბაში-აჩუკი"...

რომ დათვრება, ერთ-ერთ თოფს გადმოიღებს, უფრო სწორედ, შვილს უბრძანებს:

– აბა, ალუდა, ჩემი "ხირიმი" მომაწოდე!

ჩაესვენება თავის "სამეფო" სავარძელში (ასეთიც აქვს!) და... სროლას იწყებს მეხუთე სართულის ფანჯრიდან!

"ხუმრობს" – "ნადირობს"... ეზოში მდგარ მსუბუქ ავტომანქანებზე!

მერე მათი შეკეთების ხარჯებს იხდის თვეობით.

მეორე დღეს კი ბავშვები მისი ფანჯრის ქვეშ აგროვებენ ცარიელ ჰილზებს – თითქმის მთელ ვედროს.

ამიტომ, როცა მეზობლები დაინახავენ, რომ ოთარი და მისი ძმაკაცები მოგრიალდნენ მანქანით და გაბადრული სახეებით გადმობრძანდნენ, ყველა სოროში იმალება. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ეშინოდეთ: ოთარი ისეთი ბალღივით უშუალო და კეთილია, მასზე გაბრაზება ყოვლად შეუძლებელია! სახეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებს, შეხვედრისას უყვარს უწყინარი ხუმრობა:

– ძმობილო, მოდი, ერთი გაკოცო!

ჩაგბღუჯავს, შეგაჯანჯღარებს, ჰაერში აგიტაცებს...

დიდ-პატარას, ქალსა თუ კაცს, ნაცნობ-უცნობს – ყველას "ძმობილოს" უწოდებს, ყველას თანაბრად ექცევა.

თუმცა არა, მეზობელ მოხუც ქალებს განსაკუთრებით ეალერსება. თუ რომელიმეს შეხვდა, აუცილებლად მოხვევს უზარმაზარ მკლავებს, მთასავით გადაეფარება დალეულ დედაბერს და თაფლად დაიღვენთება მისი ლამაზი, ხავერდოვანი, გუგუნა ბანი:

– დედილა, ჩემო დედილა! რარიგ მიყვარხარ, რომ იცოდე! სულ ჩემს სოფელში დარჩენილ დედას მაგონებ!

როგორც კი ეზოს პატარები დაინახავენ, ჟივილ-ხივილით გარბიან მისკენ:

– ოთო ბიძია მოდის!..

ოთარი უფრო ხშირად კი არ მოდის, მობარბაცებს. დაინახავს ბავშვებს, გაუბრწყინდება სახე, შეჩერდება... "სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლა-მა-ზო-ო!.." – დააგუგუნებს, მერე ჯიბეში ჩაიყოფს ხელს, ბღუჯად ამოიღებს კანფეტებს:

– თქვენ კი გენაცვალოთ ბიძია ოთარი!

ისევ ვიტყვი: შეიძლება მასზე გაბრაზდეს ვინმე?

ორი შვილი ჰყავს – ალუდა და ელისო.

შვილებმა ისე დაამთავრეს სკოლა, არც გაუგია. უმცროსმა, გოგომ, უმაღლესიც დაამთავრა, გათხოვდა, შვილიც ეყოლა. ალუდა ხან ჭიდაობდა (მამასავით ზორბა ტანისა დადგა), ხან – ქუჩის

ბიჭებს აჰყვა, ბოლოს – მამასავით სმას მიჰყო ხელი. ვითომ ინსტიტუტში სწავლობს, ათ წელიწადში მესამე კურსს ვერ გასცდა, მისი ამხანაგებიდან ზოგმა დისერტაციის დაცვაც კი მოასწრო...

ოთარს ცხოვრებაში ორი გატაცება აქვს – ღვინო და... პოეზია!

დანარჩენი ყველაფერი წყალსაც წაუღიაო.

დიახ, ლექსებს წერს, პოეტობს ოთარ ორშაურაშვილაძე.

დროდადრო რომელიმე რაიონულ გაზეთში გამოჩნდება ხოლმე მისი ლექსი. ოთარის პოეზიის თემებია: სამშობლო, სიყვარული და წუთისოფლის სიმუხთლე.

დიდი გაჭირვებით ორი-სამი ლექსი თბილისის ჟურნალებშიც დაუბეჭდეს.

მერე წიგნის გამოცემა განიზრახა.

ბევრი ირბინა, ნაცნობ-მეგობრები შეაწრიალა, უამრავი ოფლი ღვარა, მრავალი სუფრა გაშალა და ბოლოს, როგორც იქნა, შობა პირველი პოეტური კრებული "ცხელი მზე" – პაწაწკინტელა, თხელი, შიგ სამ ათეულამდე ლექსი იყო დასტამბული.

ოთარის ზღვა სიხარულს მისი გოლიათური ტანიც ვერ იტევდა!

თითქმის მთელი ტირაჟი შინ წაიღო: ნაცნობ-მეგობრებს, ნათესავებს და ხშირად შემთხვევით გაცნობილებსაც – ყველას ურიგებდა გულისამაჩუყებელი მიძღვნის წარწერით და არტისტულად ჩახუჭუჭებული ავტოგრაფით...

მერე კი დაიწყო – ოთარისთვის სრულიად მოულოდნელად – ტრაგედია...

ეგონა – მეღირსა, შევაღღე დიდი პოეზიის ჭიშკარიო და... ლექსებს მაინც არ უბეჭდავენ!

არა და არა!..

კაცი ლამის გაგიჟდეს, გახდა, გაიცრიცა.

ხან სმას უმატებს, ხან – ლექსების წერას.

დარწმუნებულია, უკეთესი და უკეთესი ლექსები გამომდისო, მის შემოქმედებით ნაღვაწს კი მაინც არ სწყალობენ...

ითხოვს განმარტებას, მიზეზის დასახელებას, აჩვენებს თავის კრებულს... დაძრწის ერთი რედაქციიდან მეორეში, მეორიდან – მესამეში...

ყველგან ეუბნებიან, რომ მისი ლექსები კარგია, მაგრამ... ხან რედაქტორია შვებულებაში, ხან განყოფილების გამგე მივლინებაში გააგზავნეს, ხან სთხოვენ, გამოიაროს მომავალ კვირაში ან, კიდევ უკეთესი – მომავალ თვეში... ხანაც: "უეჭველად დავბეჭდავდით, მაგრამ ამ წლის ნომრები სულ შევსებულია, ჯობს, სხვა რედაქციაში მიიტანეთ"...

და ვერავის უთქვამს გულახდილად ოთარისთვის, რომ მისი ლექსების მსგავსი ნაცოდვილარი ყოველდღე იმდენი მისდით, რომ ლამის არის ლექსთა ნიაღვარმა წალეკოს რედაქციები...

1996

ოლიმპიადა

ჩემი საყვარელი სიდედრი ოლიმპიადა (მარტო სახელი რად ღირს!) დროდადრო გაგვაბედნიერებს ხოლმე თავისი სტუმრობით. დროს იგი უქმად არ კარგავს და მობრძანებისთანავე ხელმძღვანელ მითითებებს არ აკლებს ოჯახის უკლებლივ ყველა წევრს – სამი წლის ნატოს, შვიდი წლის ლადოს, ოცდაათი წლის საკუთარ ქალიშვილს ნათიასა და თითქმის ორმოც წელს მიღწეულ ძვირფას სიძესაც, რაღა თქმა უნდა.

ქალბატონ ოლიმპიადას ჩვენი ოჯახის ოლიმპოზე მობრძანება-დაბრძანება, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაზე უხერხულ და მოულოდნელ დროს მოხდა, – ყველანი დიდ-პატარიანად შავად ვიყავით მოთხვრილნი, – მაყვლის კომპოტის გასაკეთებლად ვფაციფუცობდით. ბავშვები, რასაკვირველია, "გვეხმარებოდნენ" და ისე გაითხუპნენ თავ-ფეხიანად, რომ ეშმაკებს დაემგვანნენ და ჩემმა საყვარელმა სიდედრმა შვილიშვილები ძლივს იცნო.

– რა მოგვიტანე? – მივარდნენ ბავშვები დიდედას და მისი ელეგანტური კრემისფერი კაბის კალთებს მოებღაუჭნენ.

– აქშა, თქვე გასაწყვეტლებო! – დაუცაცხანა ბავშვებს ქალბატონმა ლიპამ (ეს მოკლე, საალერსოდ შერქმეული სახელი მართლაც რომ შეეფერება ქალბატონ ოლიმპიადას, ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტად, ვიდრე ახალმოდური გულამოჭრილი კაბა), მაშინვე სააბაზანოში გაექანა კაბაზე დამნაშავეთა დაქტილოსკოპიური კვალის მოსასპობად. შემდეგ ჩემი მეუღლის საშინაო ხალათში გამოეწყო, ბავშვებს თითო ჭიანი ვაშლი ამოუღო უზარმაზარი ჩანთიდან და ჩვენთვისაც მოიცალა:

– უჰ, რამდენი ვიარე, რამე წასახემსებელი გექნებათ! ოღონდ ჩემი ხასიათი ხომ იცით – გუშინდელ ტოლმას ამ გინდაც ლობიოს პირს ვერ დავაკარებ, რამე ახალი გექნებათ!

სანამ ცოლი სახელდახელოდ სოსისს მოხარშავდა, ქალბატონმა ლიპამ მაყვალს გაუსინჯა გემო.

– ფუი, რა უგემურია! – სულ ამას გაიძახოდა და ნელ-ნელა კაი ნახევარ კილოზე მეტი მაყვალი კი გადაუძახა სტომაქში.

როგორც კი ცხელ-ცხელი მოხარშული სოსოსი თეფშზე გადმოვიღე, სიდედრი მკვირცხლად წამოხტა და მაგიდას პირველი მიუჯდა.

– არ ვიცი, ეს ოხერი, ასე რა მასუქებს! – ტრაგიკული ხმით გვამცნო და ფაშფაშა თეძოებზე ხელისგულები ჩამოისვა. – თავს შიმშილით ვიკლავ და მაინც ვერ გავხდი... მე ბევრი არ მინდა, სამი ცალი მეყოფა!

ფიცხლად გადაიღო ოთხი სოსისი (თან დაფუფქულ თითებს იქნევდა ჰაერში), ბლომად არაჟანი მოასხა და ხარბად შეუდგა ჭამას.

– "სასისკი" "გარციცით" მიყვარს! – გამოგვიცხადა.

საკმაოდ ხმამაღლა (ცოტა ყურს აკლია), მაგრამ მორიდებით მოვახსენე, რომ მდოგვი, სამწუხაროდ, არ გვქონდა, საერთოდ არ ვხმარობდით ოჯახში.

– მიკვირს, ძალიან მიკვირს! "სასისკი" "გარციცითაა" კარგი! – ერთი ხუთჯერ მაინც გაიმეორა ქალბატონმა ლიპამ გაუნათლებელთა გასაგონად. არაჟანს როგორ შეუთავსებდა მდოგვს, ძალიან საინტერესო იქნებოდა, შემდგომისთვის მდოგვს მოვიმარაგებ!

სოსისი სულ ცხრა ცალი იყო – ნახევარი კილოგრამი; ქალბატონ ლიპას მიერ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ თითოს ერთნახევარიც არ გვერგებოდა. ბავშვებს ორ-ორი ცალი მივეცით, მე და მეუღლეს ნახევარ-ნახევარი გვერგო, თითო ლუკმა.

– აიღე, ჭამე, ჭამე! – ხშირ-ხშირად და მეტისმეტად ხმამაღლა, გულითადად ზრუნავს ჩემზე საყვარელი სიდედრი. საერთოდ, სანამ იგი ჩვენთანაა, თავს სტუმრად ვგრძნობ საკუთარ სახლში. მერე ჩაი მოისურვა, ქალიშვილს საზამთროდ გადანახული თაფლიანი ქილა გაახსნევინა, თითქმის გაანახევრა; "არ მომეწონა!", ბოლოს დასძინა. დესერტად მინაზებით შემოგვჩივლა:

– რა ხანია, ძილი რა არის, არ ვიცი! წასაკითხი მომიძებნე რამე, იქნება მიშველოს!

გადავაქოთე ჩემი არცთუ მცირე ბიბლიოთეკა და რაც კი წიგნი შევთავაზე, ყველა დამიწუნა.

– ეგ შენ გქონდეს, კარგი, კარგი წიგნი შემირჩიე!

ბოლოს "ნიანგის" ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული მხიარული მოთხრობების კრებული შევთავაზე სრულიად იმედგადაწურულმა და ჰოი საკვირველებავ! ჩემს წვალებას ბოლო მოეღო. დივანზე წამოწოლილმა ქალბატონმა ლიპამ სათვალე დაიკოსა ცხვირზე და ტუჩების ცმაცუნით საკმაოდ ხმამაღლა დამარცვლით დაიწყო კითხვა.

ნახევარი გვერდიც არ ჰქონდა წაკითხული, რომ ერთი კი წაილაპარაკა: "ბავშვებო, ნუ იხმაურებთ, ისე დავიღალე, ისე დავიღალე..." – და მაშინვე ისეთი ბარაქიანი ხვრინვა ამოუშვა, რომ ჭაღმა ქანაობა დაიწყო და ფანჯრებმა – ზრიალი.

ჩემს გარდა ქალბატონ ლიპას კიდევ სამი სიძე ჰყავს და ორიც – რძალი. ვაჟიშვილებთან, ვგონებ, საერთოდ არ დადის, რძლებს ვერ შეეგუა.

– არა, მე სხვანაირი სიდედრი ვარ! – თავმომწონედ ამბობს ხოლმე ქალბატონი ლიპა. – მე სხვა სიდედრებს არ ვგავარ! ცოლ-ქმრის დავაში არასდროს ჩავერევი, რა ჩემი საქმეა!

მართალს ბრძანებს – ჩემი და ჩემი მეუღლის დავაში იგი არასდროს ჩაერევა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენ საერთოდ ხმის უფლება ჩამორთმეული გვაქვს და ერთმანეთს როგორღა შევედავებით ან რა გვაქვს სადავო, მეორეც, ქალბატონი ლიპა საკუთარ ნერვებს ძალიან უფრთხილდება და ბავშვებმა თუნდაც ყველაფერი დაანგრიონ, შენიშვნას არ მისცემს. დღეში ორჯერ კარგა ხნით მიდის ხოლმე სასეირნოდ ახლომდებარე სკვერში, რისთვისაც ძლიერ ვემადლიერებით.

– კარგი სიძეები მყავს, ძალიან კარგი! – როგორც გადმომცეს, ხშირად იმეორებს თურმე ჩემი სიდედრი, – მხოლოდ ერთი ვერ გამოდგა... რაღაც ისეთია...

რას გულისხმობს "რაღაც ისეთში", ვერ მოგახსენებთ დანამდვილებით, ყოველ შემთხვევაში, კარგს არაფერს. ერთი რამ კი ყველამ იცის, რომ ის გამორჩეული "ერთი" მე გახლავართ – უმარიფათო, უნიათო, ცხოვრებას რომ ვერ აუღო ალღო, ხელფასით კმაყოფილდება და ცოლ-შვილს მათხოვრულად აცხოვრებს... სამაგიეროდ, თუ სხვა სიძეებთან ორ-სამ დღეს ძლივს ჩერდება, ჩვენთან რამდენიმე თვესაც რჩება ხოლმე. ამჯერადაც ალბათ კარგა ხნით უნდა დავემშვიდობო ოჯახის უფროსობას...

ჩემი ვარაუდი არ გამართლდა, ქალბატონმა ოლიმპიადამ მეორე დღესვე საჩქაროდ დაგვტოვა... ღმერთმა ააშენოს ჩვენი სახლმმართველობა! შუადღის სეირნობიდან დაბრუნებულ ჩემს სიდედრს ლიფტი გამორთული დახვდა და სანამ წყევლა-კრულვით მეათე სართულამდე ამოვაფოფხებდით, სანატრელი ოცნება ნაწილობრივ მაინც აისრულა – წონაში საკმაოდ დაიკლო. დენი საერთოდ გამორთული იყო მთელი დღე და საღამოსაც ლამპის შუქზე ვისხედით, ცივ საჭმელს ვილოღნებოდით (გაზი ჩვენთან არ არის გამოყვანილი, კერძს ელექტროღუმელზე ვამზადებთ). არც წყალი მოდიოდა,

“ბორჯომის” თრევას ვერ აუვედი. რატომღაც მეორე დღესაც არ იყო დენი, წყალი კი ერთი საათით მოვიდა – ცივიც და ცხელიც, სამაგიეროდ, მეცამეტე სართულზე მეზობელს ონკანი დარჩენოდა ღია და მომდევნო ოთხ სართულზე სულ ჩამოანგრია ჭერი მდუღარემ. გაჯის სუნმა ლამის დაგვახრჩო...

ქალბატონმა ოლიმპიადამ გამოგვიცხადა, თქვენთან საკმაო ხანს დავყავი, ახლა უფროს ქალიშვილთან მივდივარო. მეტროსი “ეშინია”, ავტობუსსა და ტროლეიბუსში “ცუდად ხდება”, ამიტომ საოჯახო ბიუჯეტიდან გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდიდან ცოლი ხუთ მანეთს მაძლევს ტაქსისთვის, ლიპას ჯიბეში თუმნიანსაც უდებს, მე ჩემს საყვარელ სიდედრს ხელკავს ვუკეთებ, მეორე ხელში მის დიდ ჩანთას ვიჭერ და ნელ-ნელა ჩამომყავს კიბეზე...

1986

პალიკო

მამია ორხელაშვილი ცოლ-შვილით საკუთარი ავტომანქანით ბრუნდებოდა თბილისს გურიიდან.

პატარა ბიჭს, პალიკოს, გზაში მოშივდა და დედას სთხოვა, მაჭამეო.

მამა გაუწყრა, რა წესია მანქანაში ჭამა, აი, სადმე გავაჩერებ მანქანას და მაშინ ყველამ ერთად მივირთვათო.

პალიკო არ ისვენებდა, წამდაუწუმ იძახდა, გავჩერდეთ, გავჩერდეთო, ყველას სული შეუწუხა.

სადღაც გორის სიახლოვეს მამიას დაღლა დაეტყო თუ რა იყო – საჭე გაექცა...

გადავარდნენ გზიდან, “ვოლგა” გადაკოტრიალდა და ისევ ოთხ ბორბალზე დადგა...

გადარჩნენ, არავინ დაშავებულა.

გაფითრებული მამია გადმოვიდა მანქანიდან, სხვებიც გადმოჰყვნენ, გაოგნებულნი.

პალიკო მივიდა მამიასთან და უთხრა:

– მამიკო, აქ ხომ გავჩერდით, ახლა შეიძლება ვჭამო?

1986

პარმენ

საბაღე ნაკვეთში ცხელი აგვისტოს გრძელი დღის თავაუღებელი მუშაობით ხომ ოფლად გავიხვითქე, საღამოსპირს ნიავი ჩადგა და ისეთი უბედური, მწარედ მკბენარი ქინქლა დამესია, სახის წინ გიჟივით წამდაუწუმ ამაოდ ვიქნევდი ხელს მათ მოსაგერიებლად.

გაიჭრიალა ნაკვეთის რკინის კარმა. წამით ცერად გავხედე – ვიღაც მაღალი, ზორბა კაცი უკითხავად შემობოტებულა (ხელში რაღაც რკინები უჭირავს) და სეირნობით მოდის სიმინდების გასწვრივ. მერე მარცხნივ გამოუხვია, გვიან დათესილ და ახლა ამოჟუჟუნებულ ლობიოს ნათესზე უბოდიშოდ გადმოიარა და ჯიქურ გამომიწოდა ნიჩაბივით ფართო ხელი:

– გამარჯობა!.. პარმენი მქვია!

გავიმართე, ჩემი მარჯვენა შევაგებე და შევცბი – ასეთი უზარმაზარი ხელის მტევანი ჯერ არ მენახა! თვითონაც რაღაც დიდ, მოუხეშავ ცხოველს ჰგავდა, უზარმაზარი ღიპიც ამშვენებდა... ბოდიში, ცოტა სხვაგვარად უნდა მეთქვა, ენაწყლიანობისთვის ნუ დამძრახავთ... დიახ, მშვენიერი, კოხტად მიდგმული, ბარაქიანი ღიპი ფრიად უხდებოდა; თავზე ჩამოფხატული გამოხუნებული ჯარისკაცის პანამის ქცევიდან ბუღასავით იცქირებოდნენ დიდი, მძიმე თვალები. საინტერესო ეგზემპლარია – დადექ და უცქირე! კამეჩივით კაციაო, იტყოდა ჩემი ცოლი, დღეს რომ ნაკვეთში წამომყოლოდა. ერთი კვირის გაუპარსავ, ჭაღარამორეულ ლოყაზე ხელი მოისვა და მეორეთი კი დოინჯი მოიყარა:

– ამით ზეთის მიღებას აპირებ? – აშკარა დაცინვით მიმითითა მზესუმზირის პატარა ნარგაობისკენ.

– დავაგვიანე, გვიანი, ცივი გაზაფხული იყო, – ვიმართლე თავი, – ისე, გასართობად დავთესე, ბავშვებისთვის.

ახლა მეორე მხარეს გაიხედა:

– ეს პამიდორია? ჰი! – მოჭუტა ცალი თვალი, – განახო ჩემი პამიდორი? აი! საზამთრო გეგონება!

– სეტყვამ დააზიანა, სულ მიწაზე წააწვინა, მეორედ მომიხდა ჩითილის დარგვა, – ისევ დავიწყე თავის მართლება.

– რამდენი წლის ჩაყრილია ეს ხეხილი?

– ასე, თხუთმეტი წლის იქნება, ბატონო პარმენ.

დანანებით გააქნია თავი...

მეც არ მომწონს დაჩიავებული ვაშლისა და მსხლის ხეები, ქარისგან წაფერდებულები, თანაც ამ გაზაფხულზე მაგარი სეტყვაც მოვიდა და, ორიოდე ნაყოფი თუ ჰქონდა, ისიც მიწაზე გაჰფინა.

— წამოდი, ჩემი ვაშლები ნახე. ათზე მეტი ჯიშის ვაშლი მიდგა! — ისევ დოინჯი შემოირტყა "კამეჩმა" (უჰ, შენი სულისა, რა ამაყად აქვს წინ წამოგდებული კოხტა ფაშვი, ერთ კაცად მარტო ეგა ღირს!), შემდეგ დაიწყო ჩამოთვლა (და, სამწუხაროდ, დოინჯიც მოიშალა, რის გამოც ღიპის დიდებული ფორმაც აღარ იყო ისეთი შთამბეჭდავი): — ანტონოვკა, შაფრანი, ცარსკი, სინაპი, კეხურა, ზამთრის ბანანი, რენეტები, ასტრახანული წითელი, ზამთრის ოქროს პარმენი...

ოქრო კაცი ყოფილხარ პარმენ ბატონო — ყოველგვარი ირონიის გარეშე!

— კარგი ჯიშები გქონიათ...

— არა, ბიჭო! — დაქადნებით, მედიდურად გადაისვა ულვაშზე ხელი პარმენმა. — იქით რა გაქვს? ეს რა არის, იცი?

— ტოპინამბურია, მიწავაშლა.

— ყოჩაღ, გცოდნია! მერე, რად გინდა, რომ გაგილაღებია?

— რა უჭირს, არაფერს აშავებს, საჭმელად მაგის ძირხვენები კარგია.

— კარგი? ბევრი არაფერი. მარტო თუ წნევა გაწუხებს, მისი წამალიაო, არ ვიცი. კარტოფილი დათესე, აჯობებს.

— აქ ცხელი ადგილია, კარტოფილი ვერ ხეირობს.

— ტყუილია, განახო ჩემი კარტოფილი?

— მიწის დამუშავება მიჭირს, ყამირია, ქვები. თქვენ ტრაქტორი გაქვთ, არა?

— მე არა, ეგ მინი-ტრაქტორი ჩემს მეზობლად სოსოსა აქვს. მეხვეწება, წაიღე, მოიხმარეო, მე — ა-პა-პა, არა ვშვრები — ვბარავ. შენი ხელით დაბარულს არაფერი სჯობს! დაბარე, დაბარე, ნუ გეზარება!

მართლა კამეჩია, აი! იმას კი არ იკითხავს, ინფარქტგადატანილ კაცს შემიძლია ბართან ჭიდაობა? ისე კი, ცოტ-ცოტას ვბარავ ხოლმე.

პარმენი ღობესთან მიყრილ ფიცრებს მიაჩერდა და თვალები ირონიულად მოჭუტა:

— სახლის აშენებას ახლა აპირებ?

კუთხეში დაყენებულ მოწაფესავით ავლუღლუღდი:

— ახლა რაღას ააშენებ, ისე გაძვირდა მასალა და გადატანის ხარჯი, მაგის თავი ვის აქვს. ხუხულა მქონდა აშენებული, ზამთარში ძლიერი ქარები იყო და წააქცია, დაშალა.

— მე დროზე მოვათავე საქმე, — ხუთოსან მოწაფესავით თავდაჯერებული მეუბნება. — სამი, არა, ოთხი სართული სანახევროდ სულ ჩემი ხელით ავაშენე. ქვევით მიწისქვეშა სარდაფი მაქვს, რასაც გინდა, გრილად შეინახავ, სოკოს მოყვანაც შეიძლება. პირველ სართულზე სამზარეულოა, საკუჭნაო, სასადილო ოთახიც; პატარა მარანი და გარაჟი კიდევ ცალკე მოვაწყვე, მიშენებულში. მეორე სართულზე საძინებლებია, მესამე სართული — მანსარდაა. ოცი კაცი რომ მესტუმროს, თავისუფლად დავატევ!

რა თქმა უნდა, ასეთ მაღალ და დიდ კაცს სახლიც დიდი უნდა ჰქონდეს, შესაფერისი, შვილებიც ბევრი ეყოლება და, ღმერთმა გაუზარდოს, შვილიშვილებითაც არ იქნება ღარიბი.

თითქოს ჩემს აზრს კითხულობსო, გარგარის ჩრდილში წამოგორებულ ბესარიონისკენ გაიშვირა ხელი:

— შენი მეზობელი ზარმაცობს, მთელი ნაკვეთი სარეველებითაა გატყიურებული!

— ეგ ჩემი ბიჭია, — დარცხვენით მივუგე.

აღარ გამიგრძელებია. აბა, იმას ხომ არ ვეტყოდი, რომ ბატონმა ბესარიონმა ორი თვის წინ დაამთავრა საშუალო სკოლა, მისაღებ გამოცდებსაც აბარებდა ტექნიკურ უნივერსიტეტში, მაგრამ პირველსავე გამოცდაზე მათემატიკაში ჩაიჭრა და გამოაპანღურეს... არც ის მითქვამს, რომ მეორე ვაჟი — ბატონი დავითი — მეთერთმეტე კლასში ჯერჯერობით ვერ არის გადასული, რადგან საშემოდგომო გამოცდები გამოჰყვა მათემატიკასა და საქართველოს ისტორიაში და ამიტომ არ წამომყვა ნაკვეთში — ვიმეცადინებო (ალბათ მთელი დღე ტელევიზორს უყურებს). ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი დღევანდელი ნაცნობის, პარმენის, შვილები ყველანი პროფესორები თუ არა, დოცენტები მაინც არიან და თუ შვილიშვილები უკვე სკოლაში დადიან, ისინიც სულ ფრიადოსნები გახლავან...

— ჰო, იმუშავე, იმუშავე, ნუ მოცდები! — ისევ დაიჭირა ხელში სადღაც ნაგროვები რკინის ნაჭრები და როგორც მოვიდა, ასევე მოულოდნელად წავიდა პარმენი. საკვირველი ის იყო, რომ, რაც აქ იყო, ერთი არ გაუქნევია ხელი, ქინქლა არ გაჰკარებია, მე კი ლამის შემჭამა.

თვალს რომ მიეფარა, ბესარიონი გამომეცხადა და მკითხა, ვინ იყო ის როხროხა კაცი, ძილი არ მაცალაო. სამასიოდე მეტრის მოშორებით, არხის გაღმა მხარისკენ გავიშვირე ხელი — აი, იმ დიდი სახლის და სანაქებო მამულის პატრონი იყო-მეთქი.

ბესარიონს სახე დაუმუავდა:

— ვიცი, ვიცი... მივხვდი, ვინც იყო. მაგის ძაღლია, გზაზე რომ გვხვდება ხოლმე კუდის ქიცინით მოსვლა-წასვლისას, მაგაზე გაძვალტყავებულს სანთლით ვერ მოძებნი ამ არემარეში. ეგ ოჯახაშენებული, თვითონ რომ გასივებულა ღორივით და კანში ვერ ეტევა, ძაღლს შიმშილით კლავს?

1993

პეპელა

მგზავრებით გაძეძგილ მეტროს ვაგონში კარების დაკეტვის წინ ძალით შემოეტენა ჯანიანი შუახნის ქალი — ქალბატონი პეპელა. ცხვირმოკაუჭებულია, ამოქნილი წარბები ამპარტავნულად აქვს აჭიმული და თვალებს ორბივით აბრიალებს. ლამაზი, ჩიტისფრთებიანი ქუდი ახურავს, ჭრელი ტანსაცმელი ელეგანტურობის პრეტენზიას აცხადებს.

— გაიწით, არაფერი გიჭირთ, პატარა შეიწუხეთ თავი!

იძიძგილავა, იბორგა, იმძლავრა — და მანამ არ მოისვენა, სანამ ვაგონის შუამდე არ გაიკვლია გზა.

— დამაყენეთ! — პეპელამ იქით უჯიკავა, აქეთ მიაწვა და, ბოლოს, საკმაოდ ხალვათად მოეწყო.

მის წინ 35-40 წლის კაცი ზის, გაზეთს კითხულობს. პეპელა ამ კაცის გასაგონად ამბობს:

— უიმე, დამაწყდა ფეხები!..

კაცმა ყურადღება არ მიაქცია, ისევ გაზეთს ჩასცქერის.

მის გვერდით შუახნის ქალს თვალები მიულულავს.

პეპელა ახლა მას მიუხტა:

— ღამე არ გიძინია? რას ყვინთავ, ამ კაცს აწუხებ!

პეპელას უნდოდა, როგორმე გაზეთიანის ყურადღება მიეპყრო, მაგრამ კაცს არც ახლა აუწევია თავი.

— არა, ქალბატონო, უძილობა არაფერ შუაშია, მეტროს ვერ ვიტან... — თვალები წამით გაახილა ქალმა.

აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ადგილი არ დაუთმეს... პეპელა ახლა ვაგონის მეორე მხარეს მიტრიალდა. იქაც იწრიალა, იტრიალა... როცა ზედაც არავინ შეხედა, უგემურად ამოღერღა:

— მივსავათდი ქალი, სადაცაა წავიქცევი!

ყური არავინ შეიბერტყა. პეპელა მაინც ცქმუტავს, ვერ ისვენებს... აკაკანდა:

— რა არის, როგორ სხედხართ, თავადიშვილებივით გაგიშლიათ ფეხი, წესი და რიგი არ იცით?

ხან ერთს მიაჩერდა, ხან — მეორეს; ყველას თავისი საფიქრალი ჰქონდა — უხმოდ გეზად თუ გახედავდნენ, რას ამტყდარა ეს დალოცვილი, მოცლილია ნამდვილადო.

პეპელა იძულებულია, შეტრიალდეს, კვლავ გაიკვალოს გზა საწინააღმდეგო მხარეს. იქ ისევ გაზეთიანი კაცი და თვალებმილულული ქალის წინ გაეჩხირა. გაიხედ-გამოიხედა და მათ შორის ვიწრო ადგილი შეამჩნია.

— ცოტა მიიწ-მოიწიეთ, იქნებ ჩამსვათ როგორმე!

როგორც შეძლეს, გაიჩოჩეს აქეთ-იქით, მაგრამ ადამიანის დასაჯდომად საკმარისი ფართი ვერ გამოთავისუფლდა; ამის მიუხედავად, პეპელა მაინც ჩაეკვეხა სკამის კიდეზე... მერე ენერგიულად აამოძრავა საჯდომი, რომ როგორმე მთლიანად დამჯდარიყო. გუგულის ბარტყი რომ ბუდის მკვიდრებს აგდებს ბუდიდან, სწორედ ისე მოახერხა — გაზეთიანი კაცი იძულებული გახდა, ამდგარიყო...

— აბა, ეს მგზავრობაა? — ამოიოხრა პეპელამ, მოხერხებულად მოკალათდა და მოურიდებლად ფეხის ფხანა დაიწყო, — რამ გადარია ეს ხალხი, დავიჯერო ყველას საჩქარო საქმე აქვს? ვერ დაეტევიან შინ?..

1993

რაჟდენ

ზემოჭიჭინათელი ორნი ძმანი — ანდუყაფარ და რაჟდენ — ერთმანეთს გამორჩეულად ემტერებიან, არავინ იცის, რა ვერ გაიყვეს.

ანდუყაფარ — უფროსი ძმა — დაბალია, გამხდარი, წინ გაფშეკილი ქოჩორი უტეხად ეურჩება სავარცხელს; სულ თვალებს ჭუტავს და ეჭვიანად ბურღავს ყველას და ყველაფერს.

რაჟდენ — მაღალია, ტანსრული, მარად კეთილად მოღიმარი; ერთი ესაა — ღვიძლი ძმის სახელს ვერ უხსენებ.

რომ გაიყარნენ, უმცროსი მამაპაპისეულ კარ-მიდამოში დარჩა, უფროსმა კი სოფლის მეორე ბოლოში აიშენა სახლი, რაც შეიძლება შორს რომ ყოფილიყო უმცროსი ძმისგან.

ერთხელ რაჟდენი ნებიერად მისვენებულიყო სავარძელში და დალაქი პახუმა საგულდაგულოდ უქაფავდა გაბუშტულ ლოყებს. მერე სამართებელი ჩამოუსვა საფეთქლიდან ნიკაპამდე და სწორედ ამ დროს შემოვარდა ღია კარში ნიკოლოზა ფაშვა და გახარებულმა იყვირა:

— რაჟდენ! ბიჭო, რაჟდენ! შენს ძმასა, არა, სასადილოს წინა ასიკვდილებენ! გემრიელად უნაყამენ ცხვირ-პირსა! ერთი — ხიშტაა და ორნი — ძმანი ყინტაურები!

რაჟდენი წამოხტა, თეთრი წინსაფარი მოიგლიჯა, საჩქაროდ შეიწმინდა ქაფი სახეზე და კარში გავარდა.

— ი!.. — გაკვირვებულებმა შეხედეს ერთმანეთს პახუმა დალაქმა და ნიკოლოზა ფაშვამ, — გაგონილა, კაცო, ძმების ეგრე გაბორროტება? რა სიხარულით გაიქცა რაჟდენა, ოღონდ საკუთარი ძმის, საკუთარი სისხლისა და ხორცის გაპანღურება ენახა!..

რაჟდენა კი მოჩხუბრებში ჩაერია, ლომის ტორებით ძმის დამჩაგვრელები მიჰყარ-მოჰყარა, მიბეგვ-მობეგვა კიდეც; მერე მტვერში ამოგანგლული ძმა მიწიდან წამოაყენა, სასადილოში შეიყვანა, იქ სისხლი მოჰბანა უკვე შეშუპებული სახიდან, კარგადაც ჩამოუფერთხა მტვრიანი ტანსაცმელი და ამბულატორიაში წაიყვანა დაჟეჟილ-დალილავებულის დასამუშავებლად და ცივი საფენების დასადებად...

მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა სადალაქოში.

— ჰა, როგოა საქმე, ანდუყაფარს მაგრა მოხვდა?! — სავარძელში გაჯგიმულ რაჟდენს ჰკითხა ნიკოლოზა ფაშვამ.

რაჟდენმა ცერად გაჰხედა ნიკოლოზს, ცალი წარბი ასწია და დარწმუნებით თქვა:

— იცოდეთ, ანდუყაფარს არავის დავაჩაგვრინებ!

— ი?!. — გაკვირვებით აძგიბეს წარბები დალაქმა პახუმამ და ნიკოლოზა ფაშვამ.

რაჟდენი სავარძელში გასწორდა და თავი უკან, სავარძლის ზურგს მიაყრდნო:

— ჩემს ძმასთან ჩხუბის უფლება მხოლოდ მე მაქვს!..

1990

რაფიელ

— აგერ მოდის რაფიელი, თავდაჯიბეცარიელი!..

წაიმღერა ბატონმა ვალერიანმა, ერთ-ერთი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების ლაბორატორიის გამგემ.

დიახ, შესვენებისას სხედან ქიმიური ლაბორატორიის თანამშრომლები, რამდენიმე ქალი და ბატონი ვალერიანი, დიდ ოთახში, საუბრობენ და ამ დროს შემოდის სახელოსნოს თანამშრომელი, ხარატი რაფიელ ფოცხიძე — წითური, ჭაღარაგარეული, მაღალი, დიდცხვირა. ორმოცდაათს გადაცილებულია და ჯერაც უცოლოა. ოროთახიანი ბინა აქვს კოოპერატიულ სახლში, მარტო ცხოვრობს და ვინც კი მისულა მასთან შინ, განცვიფრებულია რაფიელის სიფაქიზითა და სისუფთავით: ოთახებში იდეალური წესრიგია, სამზარეულოში ხომ ყველაფერი ბრწყინავს და კრიალებს... საჭმელსაც თვითონ იმზადებს — ნაირ-ნაირ გემრიელ კერძებს ვერავინ დაუწუნებს. ყოველთვის სუფთად და კოხტად ჩაცმულ-დახურული დადის, მოკლედ, კარგად მოვლილი კაცის შთაბეჭდილებას ახდენს.

— ოჰ, ჩვენი ძმა, პირის ზიარება! — რაფიელი დიდი ამბით, წელში მოხრით ხელს ართმევს ბატონ ვალერიანს. — კაცო, გუშინ რა მაგრა შევუბერეთ, ა?

ვალერიანი მორიდებით იღიმება:

— ბევრი არაფერი მაინცდამაინც...

— რაო? — გაოცებით თვალებს კარკლავს რაფიელი, — კინაღამ იქ დავრჩით, ისე გავიტრიტეთ და მეტი რაღა გინდა!

— სად მოილხინეთ ასე? ჩვენ რატომ არ დაგვპატიჟეთ? — თვალებს თავმომწონედ ნაბავს და ხმას ინაზებს გულიკო — ორმოცს მიტანებული გამხდარი, კოხტა ქალი; მისი უზარმაზარი საყურეები-რგოლები თითქმის ლავიწის ძვლებამდე უწევს, თმა ყორნისფრად აქვს შეღებილი, ტუჩები და ფრჩხილები — მუქ იასამნისფრად.

— ნეტა წამოსულიყავი, — ეუბნება ვალერიანი გულიკოს, — ფეხით იმ ხუთკილომეტრიან გზას როგორ გალევდი, არ ვიცი; იმსიღრმე თოვლი იდო, მკერდით მივარღვევდით!

— მოიცა, მე მოვყვები! — თითქმის ყვირის რაფიელი. — გუშინ, ქალბატონებო და ბატონებო, მოგეხსენებათ, კვირადღე იყო, შაბათ დღეს კი ხვავრიელად მოთოვა. ჰოდა, ვიფიქრე, მოდი, წავალ ნაკვეთში, დავხედავ ჩემს სახლს, გადავთოვლავ, სახურავი არ ჩაიქცეს-მეთქი. დავადექი გზას, ლისის

ზევით უნდა ავიდე წელამდე თოვლში. გავიხედე – ვიღაცა მეძახის, ჩვენი ვალერიანი არ მოჩაქჩაქებს აღმართში? მერე კიდევ ორნი გამოჩნდნენ, ჩვენსავით შერეკილები: ვიანორა – კავსაძის განყოფილებიდან და ჩვენი დირექტორის მოადგილე, ბახვა ბატონი; წყვილად მობრძანდებიან ძმაკაცები. შევუტიეთ აღმართს კოლექტიურად, ავივაკეთ და ვისვენებთ. კარგად რო დავისვენეთ, "აი, მე რა მაქვს!" – ამოიღო ვიანორამ ქურთუკის ჯიბიდან ნახვარლიტრიანი ბოთლით არაყი, გვახარებს. "მასეთი მეც წამოვიღე!" – დააძრო ბოთლი ბახვამაც. "თხა თხაზე ნაკლები..." – მეც გამოვაჩინე ჩემი ხელით გამოხდილი. ვალიკოს ჯერიც დადგა, ამას კონიაკი წამოუღია... მოკლედ, კარგად გვაქვს საქმე, მაგრად ვართ შეიარაღებულნი, გაციების აღარ გვეშინია, "საწვავი" არ შემოგვაკლდება, საჭმელიც სამყოფი გვაქვს... ავედით მაღლა და გულზე შემომეყარა – ჩემი სახლი გაუძარცვავთ! ბოქლომი რომ ვერ გაუღიათ, კარი შეუმტვრევიათ და პირწმინდად წაუღიათ ყველაფერი: ტელევიზორი, საწოლი, მაგიდა და სკამები... ჭურჭელიც მქონდა და რაღაც-რაღაცეები კიდევა, გამოსაცვლელი ძველი ტანსაცმელი... ეტყობა, სატვირთო მანქანით იყვნენ. ვიანორასა და ბახვას სახლებიც ამ დღეშია, მარტო ვალერიანი გადარჩა.

– ჩემი ორი თვის წინ გატეხეს; რაც არ მქონდა ხუხულაში, რას წაიღებდნენ! – ჩაერთო რაფიელის მონოლოგში ვალერიანი.

– დავსხედით და ბოღმიან გულზე მაგრად შევუბერეთ! – აგრძელებს საუბარს რაფიელი. – ჯერ გადავთოვლეთ, რასაკვირველია... მაგრად დავლიეთ, ყურებში სუ ბოლი გაგვდიოდა!

– აბა, აბა! – იღიმება ვალერიანი.

– ის თუ გახსოვს, ჩემო ვალიკო, უკან როგორ წამოვედით? – სიცილს ვერ იკავებს რაფიელი, – უფრო სწორედ, როგორ მოგათრევდი ხუთი კილომეტრის მანძილზე! ასე როგორ გაითიშე, კაცო, სულ გეგონა, რომ კიდევ დარჩა დასალევი და "დამისხი, დამისხიო", – დაიჯინე. არადა, ფეხზე ვერ დგებოდი. როგორ ჩამოგათრიე გზამდე იმ წელამდე თოვლში, ახლაც მიკვირს!

ბატონი ვალერიანი ცდილობს, წყნარი ღიმილი არ ჩაუქრეს და არაფერს პასუხობს.

– ვიანორა?.. – კითხულობს რაფიელი. – ის ჩემზე უარეს დღეში იყო – ბახვა აღარ მოდიოდა, აქ მინდა დავსახლდე, ცოლ-შვილს ვეყრებიო... გადაიკიდა ვიანორამ ხურჯინივით ექვსფუთიანი ბახვა მხარზე და დაღმართში წამოვიდა კოტრიალით – ფეხი დაუცდა, ისიც კარგად იყო დამბალი... ხან ბახვა იყო ზევით, ხან – ვიანორა, უკეთეს ცირკს რას ნახავდი!

– რას სკდებოდით არყით, ზოგიც მერმისისთვის დაგეტოვებინათ! – ამბობს გულიკო.

– რას ამბობ, ქალო, – უკვირს რაფიელს, – კიდევ რომ გვქონოდა, იმასაც დავამღერებდით!.. როდის-როდის ქეიფი მოგვიწია. ხომ ხედავ, თქვენთან, ამ ოთახში, შესვენებაზე ჩაისაც აღარ სვამთ, წინათ კი რა სუფრა იშლებოდა, არ გახსოვს? ყველას ნაირ-ნაირი ნამცხვრები, შემწვარ-მოხრაკული მოგქონდათ შინიდან, ახლა? ცარიელი პურიც სანატრელი გახდა... წავედი, როცა კარგი სუფრა გექნებათ, ჩემი დაძახება არ დაგავიწყდეთ!

და რაფიელმა გაიხურა კარი.

– რა ქალი გაუძლებდა მაგას! – თავს აქნევს ნათელა. – არც საჭმლის კეთებაში და არც სხვა საოჯახო საქმეში მაგის მოსაწონი ქალი ალბათ ჯერ არ დაბადებულა. იაროს მასე კენტად და აქილიკოს სხვები.

– რაფოს მე დიდ პატივს ვცემ. – თქვა ბატონმა ვალერიანმა. – არ ვიცი, როგორი მზარეულია, მაგის გაკეთებული საჭმელი მე არ მიმირთმევია, თუ იქ, ნაკვეთში წამოღებულ კარტოფილის ღვეზლებს არ ვიგულისხმებთ, მაგრამ ოქროს ხელი რომ აქვს, ეს ნაღდია, უმაღლესი კვალიფიკაციის ხარატია. რა გინდა, რომ მაგან არ გამოგიჩარხოს. ალღოიანი კაცია, ბევრი ახსნა-განმარტება არ სჭირდება, ერთ სიტყვას ეტყვი და მაშინვე მიგიხვდება, რაც გინდა... მაგრამ ენა კი აქვს უცნაური – კვიმატიანი კი არა, მწარე... თუ რა ვუწოდო, არ ვიცი... კი, დავლიეთ, როგორ არა, მაგრამ ყველამ ზომიერად, შევხურდით, ერთი სიტყვით, რაფო კი ისე დათვრა, მაგიდაზე ჩამოეძინა... კაი ხანს ვიყავით იქ, მაინც ვერ გამოფხიზლდა, ნამეტანი მოუვიდა. მერე რიგრიგობით ორ-ორი კაცი მივათრევდით იმ უბედურად მოყინულ-თოვლიან დაღმართში... აქ კი, ხომ ნახეთ, როგორ გააფორმა. ალბათ გზაში რომ ეყვინთებოდა, წაიძინებდა და მაშინ ელანდებოდა ის, რაც აქ მოყვა. ბახვასა და ვიანორს რაღას ერჩოდა?.. ფანტაზიის უნარი კარგი რამაა, თუმცა, ფანტაზიაც არის და ფანტაზიაც – გააჩნია როგორია...

1993

როინ

როინი ნიჭიერი ახალგაზრდაა, ენერგიული, დახლაფორთა.

მუშაობს ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ქიმიკოსად, უფრო სწორედ – მეცნიერ-მუშაკად; საკანდიდატო დისერტაცია, რა ხანია, მზად აქვს, არ დააყენა მის დაცვას საშველი... მშვენიერი სამეცნიერო ხელმძღვანელი ჰყავს ლაბორატორიის უფროსიც აღფრთოვანებულია როინის ალღოთი, ცოდნით, მაგრამ... მაგრამ თავმოუბმელია, აცაბაცა გაზრდილი (დედა ქმარს ადრე გასცილდა და როინი მამიდამ გაზარდა); ხან ალთასაა, ხან – ბალთას: რომელიღაც ანსამბლში მღერის და საზღვარგარეთ ხშირად დაწოწიალობს საგასტროლოდ, "ბიზნესმენობაც" დაიწყო, რაღაც ყიდვა-გაყიდვის საქმეებზე დარბის – მეცნიერება და დისერტაცია ათასში ერთხელ ახსენდება...

მოკლედ, აქეთ-იქით აწყდება, ას საქმეს ერთად ებღაუჭება და არც ერთი გამოუდის ხეირიანად.

თუნდაც, ერთ მაგალითს მოგახსენებთ.

– მოდი, აგურს მოგყიდი, გინდა? – ეუბნება ერთ ძმაკაცს, რომელსაც აგარაკის აშენება განუზრახავს.

– რა ღირს?

– 68 მანეთი თითო ცალი. მანქანასაც შენ იშოვი გადასაზიდად.

– გაგიჟდი? ადგილზე მიტანით ხუთ თუმნად მეხვეწებოდნენ ამას წინათ.

ჩაუფლავდა ეს საქმეც, უკვე მერამდენედ.

მუდამ მოდურად აცვია – ქურთუკები, ჯინსები... ერთხელ უწინდებოდ მივიდა სამსახურში. ქალებს შეეცოდათ – უდედოდ გაიზარდა და ყურადღებას არავინ აქცევსო; თურმე ახალი მოდა ყოფილა ასეთი... გარეგნობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, მაგრამ რატომღაც ქალები მისთვის გიჟდებიან. დიახ, ლაპარაკით "აბამს" გოგოებს და ბოლოს თვითონაც "გაება" – ერთი ქალიშვილი ჩაუგორდა ლოგინში და დაფეხმძიმდა. ქალის მამა დაემუქრა: თუ არ ითხოვ, ციხე არ აგცდებაო. როინი იძულებული გახდა, "გაბედნიერებულიყო"... თუმცა, არც ნანობდა მაინცდამაინც: სიმამრი – თითქმის მილიონერი, ციცინოსაც არა უშავდა რა... მალე ქალიშვილიც შეეძინათ...

დრო მიდის, როინი კი ნირს არ იცვლის – ისევ გართულია ქალების დევნით, კვლავ ათასგვარ საქმეს ეპოტინება.

ერთხელ როინი ძვირფასი სიმამრის ძვირფას ავტომანქანა "მერსედესში" გამოჭიმული ბრძანდებოდა და სადღაც მიბრძანდებოდა. გვერდზე ცოლი უჯდა, მანქანას სიმამრი მართავდა.

– ეს ჩვენი შვილი არ იყო? – იკითხა უცებ როინმა.

– მოგელანდა? აქ ჩვენს ნატოს რა უნდა! – უპასუხა ციცომ.

– რა ვიცი მე, რა უნდა! გეუბნები, ის იყო ნამდვილად!

– შენ დღეს გიჟი ხომ არ გიჭამია? – არ დაუთმო ცოლმა. – შვილი რა ხანია, არ გინახავს, ალბათ ვეღარც ცნობ.

– რას ბოდავ შენ?

– მითხარი აბა, რამდენი წლისაა ნატო? ან რომელ კლასში სწავლობს?

– რა ვიცი მე?

– ჰოდა, მორჩი ახლა ლაყაფს, თავი ამატკივე. სულ გამობჟუტურდი ამ ზევით-ქვევით წანწალში... "ჩემი შვილი იყო!" – გამოაჯავრა ციცომ.

– გეუბნები, ნატო იყო, დავნაძლევდეთ?.. გააჩერე!.. – მერე სიმამრს მიმართა: – დროზე გააჩერე, უნდა ვნახო!

ჩამოხტნენ მანქანიდან და ხელთ მართლაც ნატო შერჩათ – ამხანაგ გოგონასთან ერთად სადღაც მიცანცალებდა.

მშობლები გაკვირვებულები უყურებდნენ გოგონას; დაუცაცხანეს და მეგობართან ერთად მანქანაში ჩაისვეს.

– ასეთ დედასაც რა ვუთხრა! – წამოიძახა როინმა. – იქნებ მართლა მომეჩვენა, ასე გულგრილი მაინც როგორ უნდა იყო? იქნებ შენ შეცდი?

– გულგრილი მე ვარ თუ შენ?!. – იკივლა ცოლმა. – მისი სკოლა სად არის, ის მაინც თუ იცი?.. დამიწყო აქ მორალის კითხვა!

ვატყობ, ცოლ-ქმრის კამათი კარგა ხანს გასტანს (არც გოგონა ახსოვთ და არც მოუთმენლად მცმუკავი სიმამრი – აგვიანდება!); შენ, ჩემო მკითხველო, სხვა საქმეც გექნება და რას გერჩი, ჯობს, აქ შევწყვიტო ამ ამბის თხრობა – მე მგონი, როინი საკმარისად კარგად გაგაცანით.

1992

რობერტ

რობერტ გოჭუკელაშვილი ოცზე მეტი წლის წინ გავიცანი. მაშინ იქნებოდა ასე 32-33 წლისა, ერთ-ერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ლაბორატორიის გამგე გახლდათ. ლამაზი კაცი ეთქმოდა: ოდნავ კეხიანი, მოკაუჭებული ცხვირი ვაუკაცურ იერს აძლევდა მის სახეს; თაფლისფერი, უტიფარი თვალების გამო "ფოცხვერს" ვუწოდებდი, სხვებმა კი "ფაშისტის" მეტსახელით მონათლეს...

უხიაგი ხასიათი ჰქონდა: გაჭირვებულ ადამიანს რომ დაინახავდა, სიამოვნებისგან ხითხითებდა. თუკი შეეძლო, არასდროს დაიზარებდა, ვინმესთვის რაიმე გაეფუჭებინა ან უსიამოვნება მიენიჭებინა; თან იღიმებოდა და კმაყოფილებით იფშვნეტდა ხელებს...

ქორია თვალების წყალობით საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრების წევრი გახდა; დიდ იმედს იძლეოდა, თუმცა იქიდან მალე გამოაპანღურეს: ერთხელ, ვარჯიშის დროს, ვითომ შემთხვევით, ისარი ბეჭში მოარტყა თავის კოლეგას, მანამდე მის კარგ მეგობარს...

უყვარდა ქეიფი და დროსტარება, მაგრამ მხოლოდ სხვათა ოჯახებში, თავისთან სუფრა არასდროს გაუშლია. იშვიათად, რომ რომელიმე ოჯახს ხელმეორედ სტუმრებოდა, რადგან ყოველთვის პირშერცხვენილი წაბრძანდებოდა იქიდან: დალევდა, მაგრად დამთვრალად მოაჩვენებდა თავს და იწყებდა თავისებურ "გართობას" – განზრახ წააქცევდა სუფრაზე ღვინიან ჭიქას, მერე ვითომ ხელიდან დაუვარდებოდა ერთი თეფში, მეორე, მესამე... როცა ეგონებოდათ, დაშოშმინდა, წათვლიმა კიდეცო, თუ დაინახავდა, ყურადღებას არავინ მაქცევსო, დროს იხელთებდა და ჩუმად ზურგს უკან კედელს შეასხამდა ღვინოს, თან ხითხითებდა, ხითხითებდა... ერთ ოჯახში ჭაღი გატეხა, მეორეში – დიდი სარკე, მესამეში – ძალად აირია გული...

ალბათ არცთუ უსაფუძვლოდ არსებობს შეხედულება, რომ უკაცო ოჯახში ბიჭი უნდილი, მორცხვი, ზედმეტად მორიდებული გაიზრდებაო. რობერტს მამა ადრე გარდაეცვალა და დედამ და გაუთხოვარმა დეიდამ უპატრონეს. მართალია, სკოლაშიც და შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც კარგად სწავლობდა (უფრო თავისი ნიჭის, ვიდრე გულმოდგინების წყალობით), მაგრამ მავნე ყმაწვილად კი იყო ცნობილი. ემატებოდა ხანი და მატულობდა რობერტის უტიფრობაც და თავხედობაც. რატომღაც ქალებს მოსწონდათ – სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობდა, მექალთანედ, გოგოების ბირკად იყო ცნობილი.

ჰოდა, ქალების მეტი რა იყო ინსტიტუტში, მაგრამ რობერტი რატომღაც ბაიას შეუჩნდა, წყნარ, წესიერ, ქმარშვილიან ქალს, – და იმდენს ეცადა, შეაყვარა თავი.

ერთხელ, ზაფხულში, ბაია წყნეთში ავიდა რობერტის სანახავად და... მიუსწრო მას სხვა ქალთან ლოგინში მონებივრეს. ის ქალი – მადონა – ბაიას მეგობრადაც კი ჩაითვლებოდა, მათი სამუშაო ოთახები გვერდიგვერდ იყო და შუადღისას ჩაის ხშირად ერთად სვამდნენ...

გულდამწვარი ბაია გამობრუნდა თბილისში, ბევრიც იტირა... ვერ მოითმინა და თავისი განცდები გაანდო სიდონიას (ისინი ერთ ოთახში ისხდნენ). ეს სიდონია მთელ ინსტიტუტში ცნობილი იყო, როგორც "კაცებზე მონადირე" და მისი სასიყვარულო ამბებიც ბაიასთვისაც კარგად იყო ცნობილი.

ერთი რამ კი არ იცოდა და ვერ გაითვალისწინა ბაიამ; ეს სიდონია ეკურკურებოდა მადონას ქმარს, დათიკოს (ისიც ამ ინსტიტუტში მუშაობდა) – კეთილ, გულუბრყვილო კაცს; დათიკომ შორს დაიჭირა სიდონიას არშიყობა; სიდონიას, ცხადია, ეწყინა... და ახლა გულის მოსაფხანად დრო იხელთა, დათიკოს მიაძახა: "ნეტა რას ერთგულობ შენს მადონას, ხომ კარგად გადგამს რქებს, ბაიამ მიუსწრო მას, რობერტთან მშვენივრად ატარებდა დროს!"

გაცეცხლებული დათიკო მივარდა რობერტთან და პასუხი მოსთხოვა. "ფაშისტმა" დაუყვავა: "რას ამბობ, დათიკო, ჩვენ ხომ ძმაკაცები ვართ? ერთად ვმუშაობთ ამდენი წელია, მასეთი რამე როგორ გაიფიქრე? ხომ იცი ქალების ამბავი, რატომღაც ჩვენი გადაკიდება უნდათ და ვერ ხვდები?". დათიკო ნამუსზე შეაგდო და იმდენი ეჩიჩინა, ბოლოს ბოდიშიც კი მოახდევინა... თან გულში ხითხითებდა, ხითხითებდა...

ამ შემთხვევიდან ორი კვირის შემდეგ რობერტი მივიდა ბაიასთან სამსახურის ოთახში და უთხრა, შენთან სალაპარაკო მაქვსო. ბაიას ჯერ მისი დანახვაც არ სურდა, მაგრამ რობერტი არ მოეშვა და ჩაიყვანა სამი სართულით ქვევით, სარდაფში. იქ ბევრი ეფიცა: მაპატიე, ჩემი ბრალი არ იყო, მადონა ძალით ჩამიწვა ლოგინში, მთელ ქვეყანაზე მხოლოდ შენ მიყვარხარო. იმდენი ელაპარაკა, იმდენი ეალერსა და ეფერა აცრემლებულ ქალს, რომ გული მოულბო, მოსტეხა და იქვე დაიყოლია სასიყვარულო კავშირზე... როცა მოათავა თავისი საქმე, ადგა და ბაიას უთხრა: "მადონა ხომ გამოაჭენე და თავსლაფი დაასხი, შენც ხომ ქმარ-შვილი გყავს, რით ხარ იმაზე უკეთესი?" და ხითხითით უყურებდა, როგორ შეეცვალა ბაიას სახე, ჩაუვარდა ენა...

ბაია მიხვდა, რომ რობერტმა შეგნებულად დაიბარა წყნეთში სწორედ იმ დროისთვის, რომ მადონასთან შესწრებოდა – უნდოდა აირ-დაერია ურთიერთობები – ბაიაც გაემწარებინა და სხვებიც. ისიც ცხადი გახდა მისთვის, რომ სისაძაგლის ჩადენა სიამოვნებას ჰგვრიდა რობერტს... და ის შეზარა იმ აზრმა, რომ მას ასეთი ადამიანი უყვარდა...

ბაიას ფსიქიკური აშლილობა დაემართა. ერთი კვირის შემდეგ ვეღარ იცნობდი – თითქოს ოცი წელი ერთბაშად მოემატა.

რობერტი კი ახლა რუსიკოს თაფლავდა – შენისთანა გოგო ინსტიტუტში კი არა, მთელ ქალაქში ერთი-ორი თუ მოიძებნებაო. რუსიკო მართლაც ეშხიანი ქალიშვილი იყო, სოფლიდან ახლახან ჩამოსული. უნივერსიტეტში ჩასარიცხად ქულები არ ეყო და ერთ-ერთ ლაბორატორიაში ტექნიკოსად დაიწყო მუშაობა. ბევრი ახალგაზრდა ეარშიყებოდა, მაგრამ რობერტმა ბოლოს ყველას აჯობა. ორი თვე სიყვარულის მორევში დაცურავდა რუსიკო, შემდეგ კი... რობერტმა უთხრა: "გითხოვდი, მაგრამ ვეჭვობ, რომ ერთგული ცოლი გამოხვალ; ისეთ ქალს ვერ ვენდობი, რომელიც ხელის მოწერამდე კაცს ნებდება" და ხითხითით უყურებდა გოგონას ტირილს.

რუსიკო დღესაც გაუთხოვარია...

რობერტმა კი ოცდათხუთმეტი წლისამ ითხოვა ოცი წლის ქალიშვილი – ზინა, ინსტიტუტის დირექტორის მდივანი, – დაბალი, პუტკუნა, უშნოტანიანი, პირმრგვალი სახე სულ რომ უცინოდა (ისიც შეაცდინა, მაგრამ დაქორწინება ამჯობინა – სამსახურიდან გაგდებისა შეეშინდა!).

რობერტი ახლაც იმავე ლაბორატორიის გამგეა, აგერ უკვე ოცდახუთი წელია და საკანდიდატო დისერტაცია ჯერაც არ დაუცავს – თავი ვერ მოაბა, ზარმაცობას ვერ სძლია.

ბრწყინვალე ტვინის პატრონია, განსაცვიფრებელი მეცნიერული ალღო აქვს და ნებისმიერ რთულ საკითხს სულ თამაშ-თამაშ წყვეტს, მაგრამ რად გინდა – ნიჭითა და შრომით კი არ უნდა წინსვლა, არამედ მამაძაღლობითა და ინტრიგებით, ადამიანების ერთმანეთთან წაკიდებით. სულ ვიღაც-ვიღაცეებს ედავება, ჩემი მეცნიერული იდეები მიითვისეთო. ისევ ისე უყვარს კამათი, თვალებში ნაცრის შეყრა ძველებურად ეხერხება – იშვიათი ნიჭი აქვს მჭერმეტყველებისა, შეუძლია ნებისმიერს დაუმტკიცოს და დაარწმუნოს, რომ ეს თეთრი ცარცის ნატეხი შავიაო.

ფსიქოლოგიური ზემოქმედების მის უნარს ქალებთან ურთიერთობაში კი ბოლო მოეღო: ზინამ, ამ პატარა, უშნო, გაუნათლებელმა ქალმა, უტეხი ნებისყოფა გამოავლინა – მუჭში მოიმწყვდია ქმარი, მოსპო მისი წანწალი ქალებში; რა ხანია, აღარც ძმაკაცებში საქეიფოდ უშვებს...

რობერტს წინა კბილები ჩამოსცვივდა და მსხვილი, ქვემოთ ჩამოშვებული ულვაშები დაიყენა პირის დასაფარავად – ბებერ კატას დაემსგავსა უწინდელი "ფოცხვერი". თმებიც შეუთხელდა თავზე, გასუქდა, კიდევ უფრო გაზანტდა და მხოლოდ ძველებური ხითხითი ვერ მოიშალა, თუკი ვინმე გაჭირვებაში ჩავარდნილი ნახა.

ქალ-ვაჟი ჰყავს. ბიჭი სტუდენტია უკვე, დედას ჰგავს – დაბალია, პირმრგვალი; გოგო სკოლას ამთავრებს წელს – პირწავარდნილი მამაა: კეხიანი ცხვირი და ქორის თვალები მაინც არ აუშნოებს, პირიქით, თავისებურ ეშხს მატებს.

ზინაზე კი რა მოგახსენოთ? ორმოცი წლისას ოცი წლით მეტ ხნოვანებას მისცემთ: გახდა, ძალიან გახდა – ნაფოტს დაემსგავსა: სახე დაეღმიჭა, დაუნაოჭდა... მხოლოდ დიდი თვალებიღა შერჩა წინანდელი. ამ თვალებს არაფერი გამოეპარება, განსაკუთრებით რობერტს არ აძლევს გასაქანს. თუმცა... თუმცა ძველ "ფოცხვერს" ადრინდელი არც ბეწვი შერჩენია და აღარც კლანჭები... მხოლოდ ხითხითი არ გახუნებია. თავის თავზე თუ ხითხითებს ნეტავი?..

1995

სალომე

სამოცდაათ წელს მიტანებული, საზოგადოებრივ მოძღვრებათა ისტორიის ლექტორი, გამხდარ-გალეული, მაგრამ ძველებურად მედიდურ-გოროზი, ქალბატონი სალომე კუდიყავრიშვილი ლექციის წინ უცებ საწყალობლად აკრიახდა:

– ვაიმე, რაღა მეშველება, სათვალეს ვერ ვპოულობ! სადაა ჩემი სათვალე, სად ჯანდაბაში გადაიკარგა, ერთი ვიცოდე... მე, დასამიწებელმა, თვალები დავკარგე!.. **Я в отчаянии!.. Боже мой!..** ხალხო, ჩემი სათვალე ხომ არ დაგინახავთ? დავიღუპე, უსათვალოდ კაპიკია ჩემი ფასი, ვეღარაფერს ვაკეთებ... აწი სათვალეს ვინ მომაშავებს, ათასები ღირს, მე კი ასანთის ყიდვაც მიჭირს... ასანთი არავის გაქვთ? მომიკიდე ერთი, თუ ღმერთი გწამს... **Боже мой, я этого не переживу...** ამ უხარისხო სიგარეტმა ხომ სულ გამაუბედურა და გამატიალა, პირდაპირ მომსპო და მიწასთან გამასწორა, მოისპოს ამის მომგონი... **Настоящая отрава!..** სათვალის დაკარგვა მაკლდა სწორედ... **Это же ужас, форменный ужас!..**

ქალბატონი სალომე სიგარეტს ხარბად ქაჩავს, თან ყველა კუთხე-კუნჭულს ლექტორთა ოთახისა საგულდაგულოდ სინჯავს – ლამის დაფორთხავს მაგიდებქვეშ, იჭვრიტება კარადების უკან... ამასთანავე შეუსვენებლად ქაქანებს:

– რაჭაში ნათესავი გარდამეცვალა და აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე – იქით წასასვლელი ფული ძლივს შევაქუჩე, ყელამდე ვალებში ჩავეფალი... უკან წამოსვლა აღარ გინდა? ავტობუსის შოფერს უნდა შეევეედრო, უფასოდ წამომიყვანოს, სხვა გზა არ მაქვს... ახლა სათვალის დაკარგვა მინდოდა მე? სად მივაოხრე მე სასიკვდილემ... **Глупая старуха выжила из ума**... ყველაფერი გადავატრიალე და მაინც არ ჩანს... რა უნდა ვქნა, არ ვიცი, დავიღუპე და დავიკარგე... ახლა არ მქონდა აქ? გაზეთს ვკითხულობდი, ამოწყდეს მაგის გამომცემელი... ალბათ ვიღაცამ მომპარა, აბა, თავისით ხომ არ აორთქლდებოდა, ფეხს ხომ ვერ აიდგამდა... აჰა, მივხვდი!.. ჩემი ლექციის ჩაშლა უნდათ!.. მამაძაღლები!.. **Я знаю эти штучки**, გუშინდელი ბავშვი აღარ ვარ... ვიქტორმა ხომ არ წაიღო? ახლა ტრიალებდა აქ, ჩემს გვერდით იჯდა, რაღაცას კითხულობდა ისიც. ალბათ წავიდა და ხელს გააყოლა... ეგ გათახსირებული ეგა, ქვემძრომი, საზიზღარი!.. **Глиста сопливая**... რას მაწვალებს და მტანჯავს, რა დავუშავე ასეთი? ერთი მანახვა, ამოვუჩიჩქნი იმ ცუღლუტ თვალებს, ეგ მაწანწალა, ნაძირალა, სალახანა, ღვთის გლახა... სათვალის მოპარვა გაგონილა? ძლივს დაათრევს ფეხებს, ვერ დაეგდება შინ, ჩემი არ იყოს? თუმცა, სახლში რა საქმე გვაქვს – საჭმელსაც კი ვერ ვაკეთებთ: ლობიოს, კარტოფილს და ბურღულსაც კი ვეღარ ვყიდულობთ. ოთახებსაც აღარ ვალაგებთ... რაღაა დასალაგებელი, ავეჯი სულ დავყიდეთ... ახლა სათვალეების ქურდობაზე გადავიდა ზოგიერთი... **Чертова перечница, дундук, ирод окаянный**... ერთი შემახედა იმ გადაგვარებულის, იმ ზნედაცემულის თვალებში, რას მეტყვის ნეტავი!.. შინ ხომ არ დავურეკო, ყოველი შემთხვევისთვის?.. ხალხო, იქნებ თქვენც მომაძებნინოთ, მე ვეღარაფერს ვხედავ, სულ დავბრმავდი... ვინმემ სათვალე მათხოვეთ, ტელეფონის ნომერს ვერ ვარჩევ...

ცოტა ხანში ლექტორთა ოთახში შემოდის აქოშინებული, ქალბატონ სალომეს ხნის კაცი – მისი კოლეგა, ბატონი ვიქტორი.

– ქალბატონო სალომე, ეს რა დამემართა!.. მივედი შინ, კარი მინდა გავაღო და დამავიწყდა, სად ჩავიდე გასაღები... ვეძებ ჯიბეებში და გულზე შემომეყარა: შეცდომით თქვენი სათვალე არ წამომიღია? ორი სათვალე მიდევს ჯიბეში – ჩემი და თქვენი... ბოდიშს ვიხდი, მაპატიეთ, გამოვჩერჩეტდი და რა ვქნა... ძალიან შეგაწუხეთ... კიდევ კარგი, ახლოს ვცხოვრობ...

ქალბატონი სალომე ჩიტივით მიფრინდა ბატონ ვიქტორთან და ჩაეკონა:

– ჩემო ვიქტორ, შენ იდღეგრძელე და გაიხარე, როგორც ახლა მე გამახარე! თითქოს გულიდან უზარმაზარი ლოდი გადამიგორდა... დიდი მადლობა, არ მომარჩინე უცებ ეს სასოწარკვეთილი ქალი?!. სწორედ მეორედ დავიბადე ამქვეყნად!.. **Душка!.. Золотко мое!..** შენი ჭირიმე, შენი, არ ამოვისუნთქე თავისუფლად?!. არ ვიცოდი, გავგიჟდებოდი თუ არა... ნამდვილად ღმერთმა გამომიგზავნა შენისთანა კეთილი ადამიანი და ღმერთმა ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, ბედნიერება და კეთილდღეობა ნუ მოგიშალოს, ჩემო ვიქტორ!..

1995

ser go

საავადმყოფოს ერთ-ერთი პალატის სულ კუთხეში წევს ორმოცდაათი წლის გამხდარი, ავადმყოფური შესახედაობის კაცი – სერგო. ხელობით ავტომობილების შემკეთებელია, ბუასილის ოპერაცია აქვს გასაკეთებელი, მაგრამ სისხლში ჰემოგლობინის შემცველობა ნორმაზე ბევრად ქვევით აქვს დავარდნილი და ოპერაციის ჩატარება რამდენჯერმე გადაუდეს, სანამ ინტენსიური კვებით საქმე არ გამოკეთდება. ყოველდღე შუახნის და აკითხავს და საჭმელი და ხილი მოაქვს.

სერგო თვითონვე ამბობს, რომ მაგარი მსმელია, ლოთობის გამო ცოლმა მიატოვა. ქალიშვილი სხვა ქალაქში ჰყავს გათხოვილი და პალატაში ყველას სიამაყით უჩვენებს ერთი წლის შვილიშვილის ფოტოსურათს. ლაპარაკი უყვარსო, ჭირს თქმა – თუ არ სძინავს ან არ ჭამს, ულაპარაკოდ ვერ ძლებს! სასაუბრო თემა უმეტესად ავტომანქანებია. ეტყობა, ორი სიყვარული შერჩა ამ ცხოვრებაში – ღვინისა და ავტომანქანებისა!

ახლა მინდა, გავიხსენო სერგოს ერთი მონოლოგი და მისი მცირე, სქემატური პორტრეტის ხატვას დამთავრებულად ჩავთვლი.

– ექიმობა კარგია... ოღონდ ნაღდი ექიმი უნდა იყო, იმედს რომ არ გაუცრუებ – საქმე უნდა იცოდე კარგად. მეც ექიმი ვარ, გენაცვალე, მანქანების ექიმი... ავტომანქანების მკურნალი. წინათ, ადრე, შოფრადაც მიმუშავია, ახლა ავტომანქანებს ვმკურნალობ. ჩემს საქმეში პროფესორი ვარ. თვალდახუჭული ვცნობ, მანქანას რა "სტკივა", სად სჭირდება შველა. ხმაზე ვიგებ – "ფილტვი" გა-

მოვიდა მწყობრიდან, “გულს” უნდა შველა თუ “ფეხებია” გამოსაცვლელი... დიაგნოზის დასმაში “ფრიადი” მაქვს, არაფერი შემეშლება. იქვე გეტყვი, მანქანას რა “ოპერაციაც” სჭირდება – შეკეთება ან გამოცვლა. ტრანსპლანტაციას ვატარებ უმაღლეს დონეზე! ზოგჯერ მანქანა “გაცივებულია”, “ხიხინი” აქვს, ან სადღაც “საჭმელი” აკლია, ან უხეირო, უხარისხო “საჭმლისგან” “კუჭი” აეშალა, ვეღარ მუშაობს... “ბიულეტენი” უნდა გამოჯანმრთელებამდე. რაღაც ძრავის “სიმღერაში” არ მომეწონა? ავიღებ სტეტოსკოპს და მივადებ: ხან – იქ, ხან – აქ, მე ზუსტად ვიცი, სადაც უნდა მოვუსმინო... მოვუსმენ – აბა, სად კაკუნობს? აი, აქ არ მომწონს ხმა... ძალიან კარგი. ეტყობა, გაცვეთილია, დაშლა და გამოცვლა უნდა, შენი ჭირიმე. მანქანა უნდა გიყვარდეს, შენ გენაცვალე, უნდა ზრუნავდე მასზე, პატივს სცემდე... უნდა გაუგო, მაშ! მოუარო, მოეფერო, არაფერი მოაკლო, სამაგიეროდ – ერთგულად გემსახურება. შენ საჭმელი მოიკელი – და ბენზინი ჩაასხი! ძველი ფეხსაცმლით იარე – და მანქანას ახალი “ბაჩები” უყიდე! თითო საბურავი, მართალია, ისე გაძვირდა, რომ სამი თვის ხელფასი უნდა, მაგრამ რას იზამ... მანქანას ქალივით უნდა მოუარო, თუ გინდა, არ გიღალატოს!..

ეჰ, არ ჯობდა, ჩემო სერგო, მანქანების მაგივრად ქალებში გარკვეულიყავი?.. ცოლი აღარ მიგატოვებდა...

1991

sef edavl e

სამნი დანი დავლადაუარეშვილები განთქმული იყვნენ სილამაზით და... წუნიაობით. ორი და – უფროსი და საშუალო – საქმროების რჩევა-რჩევაში დარჩა კიდეც გაუთხოვარი. უმცროსმა, – თამარმა, – გამორჩეულად კოხტამ, მკერდსავსემ, თამამმა, – კინაღამ დების ბედი გაიზიარა. თითქმის ორმოც წელს მიუკაკუნა, როცა მოულოდნელად ბედს ეწია... ცოლად გაჰყვა ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ქვრივს, სერგო ოქროცურვილაშვილს, რომელსაც უკვე გათხოვილი ქალიშვილები ჰყავდა და რამდენიმე შვილიშვილიც. სერგო არაფრით იყო გამორჩეული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სულ მთლად გამელოტებულ თავს და საკმაოდ დიდ თანამდებობას.

წლის თავზე ბიჭი შეეძინათ. უზომო იყო სამივე დის და, რაღა თქმა უნდა, სერგოს სიხარული. დიდი ბჭობისა და რჩევის, ზოგჯერ დავისა და კამათის შემდეგ, ყრმას გამორჩეული, ჭეშმარიტად თავადური სახელი შეურჩიეს – სეფედავლე!

ბავშვი სუსტი დაიბადა, თავიდანვე სულ ავად იყო, ჭირვეულობდა, ჰოდა, რა გასაკვირველია, რომ პატარა სეფეს შინაურები თავს ევლებოდნენ, მით უმეტეს – შვიდთვიანი დაიბადა (მისი გაჩენა არცთუ ახალგაზრდა თამარს ძალიან გაუჭირდა).

ბავშვი იზრდებოდა და გაუთავებელმა ფერებ-ფერებამ, ყველა სურვილისა თუ ახირების შესრულებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი უზომოდ გაათამამა, გააფუქსავატა... არავის უწევდა ანგარიშს, შეიკლა ხელში უკვე ხანშიშესული დედ-მამა და დეიდები თავისი ხუშტურებით, ვეღარ აუდიოდნენ მის თავგასულობას. მერე სკოლაში მიიყვანეს და ვინღა არ ემდუროდა – მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც... უხიაგი, მოურჯულებელი, თავნება – ყველას სიცოცხლეს უმწარებდა. ბევრს ეცადნენ მშობლებიცა და პედაგოგებიც, როგორმე აღვირი ამოედოთ სეფეს თავხედობისთვის, მაგრამ ამაოდ... სწავლაზე გული ადრევე აიცრუა, სულ ქუჩაში იყო დილიდან საღამომდე, უსაქმურებს აყოლილი: ხან – კოჭაობდა, ხან – კაკლაობდა; მერე ფულზეც დაიწყო თამაში და ნელ-ნელა ისე შესტოპა, რომ სულ გაფცქვნა ოჯახი.

მალე მეზობლის ბინა გაქურდა.

დაიჭირეს, სამი წლით ჩააყუდეს.

მშობლებმა და დეიდებმა ირბინეს, იჩალიჩეს, ნახევარი თბილისი შეაწრიალეს – როგორც იქნა, ერთ წელიწადში გამოაშვებინეს დიდი წვალებით.

სეფემ მაინც ძველებურად გაუტია. პატიმრობიდან განთავისუფლების ერთი კვირის თავზე ვიღაც ბიჭს წაეკინკლავა და ბებუთით დაჭრა – მეორედ ჩასვეს.

ამჯერად სრულად მოიხადა სასჯელი.

ცოლი შევრთოთ, იქნებ დადინჯდეს, გონს მოეგოს, მოვალეობის გრძნობა გაუჩნდესო, – იფიქრეს მშობლებმა.

სოფლიდან ჩამოუყვანეს მშვენიერი გოგონა – ცუცა, თვინიერი, დაუზარელი, მშრომელი... მალე ქალიშვილის დაბადებით გაიხარეს.

ერთხანს სეფე დაშოშმინდა, თითქოს მუშაობდა კიდეც სადღაც, მაგრამ ცოტა ხანში ისევ აურია. ძმაკაცები ხშირად აკითხავდნენ, სადღაც მიჰყვებოდა და დაიკარგებოდა. შინ ძალიან გვიან ბრუნდებოდა, ხანაც – რამდენიმე დღე არ გამოჩნდებოდა. დაბრუნდებოდა გატრეტილი მთვრალი, ზოგჯერ – ნაცემს მოიყვანდნენ, ტანსაცმელშემოფლეთილს...

კარგი დედმამიშვილი იყავი და შენიშვნას გაუბედავდი – მაშინვე აფეთქდებოდა და მუშტებზე დაიწყებდა ყურებას. ერთხელ შელაპარაკებისას მოხუც მამაზე დანითაც კი გაიწია; თამარის კივილმა მთელი უბანი შეაწრიალა... საწყალ ცოლს ხომ წარამარა უბათქუნებდა: ხან – შარს მოსდებდა, უფრო ხშირად – უმიზეზოდ ალილავებდა.

ცუცამ ვერ გაუძლო ქმრის ასეთ მოპყრობას და სოფელში დაბრუნდა მშობლებთან, ერთი წლის გოგონაც თან წაიყვანა. ცოტა ხანში სერგომ და თამარმა რძალს ჩააკითხეს სოფელში, დიდი ხვეწნა-მუდარისა და ფიცილის შემდეგ, ძლივს დაიყოლიეს ქმართან დაბრუნებაზე.

კიდევ ერთი წელი მიილია და სეფედავლეს მეორე შვილი შეეძინა, ამჯერად – ბიჭი, რომელსაც სერგო დაარქვეს.

ოჯახში უკვე ექვსნი იყვნენ, ცუცას პატარა ხელფასი (საბავშვო ბაღში მუშაობდა დამლაგებლად) და მშობლების პენსია ოჯახის მოთხოვნილებებს ვერ სწვდებოდა. სეფე იძულებული გახდა, შოფრად დაეწყო მუშაობა. მქუხარე სახელის პატრონს, სეფედავლეს სატვირთო მანქანას ვინ აკადრებდა – მამამისმა ბევრი ირბინა და მინისტრის მოადგილის პირად მძღოლად მოაწყო. გაკრიალებულ, შავი ფერის "ვოლგას" დააქროლებდა. ღვინის სმასა და ლანძღვა-გინებას მაინც ვერაფრით გადაეჩვია. მშობლებმა ათასჯერ გააფრთხილეს: სეფე, უკვე ორი შვილის პატრონი ხარ, ოჯახს მიხედე, გარეგარე უსაქმურებთან წანწალსა და ქეიფს შეეშვი, ხიფათს არ გადაეყაროო.

შეაყარე კედელს ცერცვი... ცოლსაც ძველებურად უმიზეზოდ აუხირდებოდა ხოლმე და სცემდა კიდეც.

ერთხელ ჩვეულებისამებრ გაილეშა და გმირთა მოედანზე გვიან ღამით მანქანა ისე გააქროლა, რომ ჩელუსკინელების ქუჩის ბოლოში გადასასვლელზე გამვლელს დაატაკა; შემდეგ ტროტუარზე ავარდა და განათების რკინის ბოძს შეასკდა... კაცი ხომ მოკლა, თვითონაც ისე დაიმტვრა, რომ თუ გადარჩებოდა, არავის ეგონა. ბოლოს, როგორღაც დაუძვრა სიკვდილის კლანჭებს... ცალი თვალი დაკარგა, სამუდამოდ დაკოჭლდა კიდეც.

კარგა ხანს აყურყუტეს საპატიმროში.

იქიდან რომ განთავისუფლდა, სრულიად გამელოტებული იყო, ნახევარზე მეტი კბილები აღარ ჰქონდა ახალგაზრდა კაცს.

დედ-მამა და დეიდები აღარ დახვდა ცოცხალი, სეფედავლეს დარდს გადაჰყვნენ.

ძველმა ძმაკაცებმა აღარავინ გაიხსენა, ყველამ თავისი გზა მონახა ცხოვრებაში.

ცუცა ადრევე განქორწინდა მასთან, როცა სეფე ციხეში იჯდა; ახლა სხვაზე იყო გათხოვილი. სეფეს ბიჭი – სერგო – ორი წლის წინ გარდაცვლილიყო, ქალიშვილს კი მამინაცვლის გვარი ჰქონდა, პატარა ნახევარძმა ჰყავდა.

ეჰ, სეფე, სეფე, სეფედავლე...

si ko

სენსაცია, სენსაცია!..

პროფესორი სიკო ყურგრძელაძე ავტომანქანის მფლობელი გახდა!

იფ, რა ლამაზი, მწვანე ფერის "ჟიგული" შეუძენია, მეზობლებს თვალი ზედ დარჩათ!

ახლა კი მანქანის კარგად მართვას უნდა დაეუფლოს, ყოჩაღ! 50 წლის კაცმა სათანადო კურსები კი დაამთავრა, გამოცდებიც ჩააბარა და მართვის წიგნაკიც აიღო, მაგრამ ჯერჯერობით გამოცდილება აკლია. დღეს დამოუკიდებლად პირველად ცდის თავის ძალებს – ვნახოთ, ვნახოთ... თუმცა, პროფესორ კაცს ამაზე ბევრად რთული ამოცანაც წარმატებით გადაუჭრია, თანაც მრავალგზის, ასე რომ, ეჭვგარეშეა, მეზობლების წინაშე წარმატებით წარმოაჩენს საკუთარ უნარს.

სეირის საყურებლად რვასართულიანი სახლის ფანჯრებიდან გადმოუყვიათ თავები, ეზოშიც სიკოს მანქანის გარშემო მრავლად შეიკრიბა ხალხი.

სიკო ყურგრძელაძე დოცენტია პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ მეზობლები ყველანი მოწიწებით ბატონ პროფესორს უძახიან – სათვალიანია, დინჯი, მუდამ ტყავის შავი პორტფელით დადის. ამჯერადაც ძალზე სერიოზულია, გვერდით სკამზე დადებულ წიგნში იჭყიტება და ზუსტად ამოკითხული ინსტრუქციების მიხედვით მოქმედებს. უპირველესად შეამოწმა, არის თუ არა ზეთი ძრავაში, შემდეგ – ბენზინი ავზში, საკმარისად თუ არის დაბერილი საბურავები, როგორ მოქმედებს განათების სისტემა, ბოლოს, გრძელი ხმოვანი სიგნალიც მისცა ბავშვების გასახარად.

– ჰე, დაიწყე, რაღას უცდი! – ეუბნება მეზობელი, ტაქსის მძღოლი ჟორა. ბატონი პროფესორი ქოქავს მანქანას, რთავს პირველ სიჩქარეს და შემდეგ გადაბმულობის სატერფულს ფეხს უშვებს. მანქანამ ბიძგით წაიჩოჩა წინ და გაჩერდა – ძრავა ჩაქრა.

– გაზი მიეცი, გაზი! – არიგებს ალე, პედაგოგიური ინსტიტუტის ცხვირმოუხოცავი სტუდენტი, ბატონ პროფესორს – უკვე ორი წელია, მამამისის დაფეხვილ "ზაპოროჟეცს" დააგელვებს და თავი გამოცდილ შოფრად მოაქვს.

ბატონი პროფესორი მორჩილად მისდევს თავისი ოროსანი სტუდენტის რჩევას და დაქოქვის შემდეგ ძრავის ღრიალით ადგილიდან ძრავს მანქანას. ბოდიში, ჭეშმარიტებას პატივი უნდა ვცე და დავაზუსტო, რომ კი არ ძრავს ადგილიდან, ფეთიანივით მოწყვეტს, თითქოს ავტორალის მონაწილე იყოს...

ეზოში პანიკაა. ვინც საით მოახერხა, იქით გაასწრო. ბატონმა პროფესორმა, უფრო სწორედ, მისმა მანქანამ, ჯერ ტუიის ბუჩქები გადაჯეგა, მერე ეზოში მავთულზე გაფენილი სარეცხით გვერდები და სახურავი გაიკრიალა, ხოლო რადგან ერთი ზეწარი სამზერ მინას ჩამოეფარა, სიკომ მკვეთრად დაამუხრუჭა და დროულადაც – მეზობლის "მოსკვიჩის" კარი მხოლოდ შეჭეჭყ-გაალამაზა, ვეღარ გადააბრუნა. სიკოს საჩქაროდ უკანა სვლით მიჰყავს თავისი მწვანე "ჟიგული", ისევ აღრიალებს ძრავას; ამჯერად ჟორას ახალგარემონტებულ "ვოლგას" დაეჭიდა და საკმაოდ შთამბეჭდავი გამარჯვებაც მოიპოვა – მარჯვენა "თვალი" ამოუგდო – ფარა ჩაუმსხვრია, თვითონ კი მხოლოდ მარჯვენა უკანა "სდექ" მცირე ფარა დაკარგა.

ეზო შუშის ფერად-ფერადი ნამსხვრევებით მოიფინა, გაქცეული მაყურებლები სადარბაზოებიდან შეშინებულები იმზირებიან...

სიკოს გმირული შემართება გრძელდება. უნდა ითქვას, რომ ბატონი პროფესორი ცოტა შეცბუნებულია და ოდნავ გულგატეხილიც, ამიტომ ვაპატიოთ სახელისა და პატივის აღდგენის სურვილით გამოწვეული მოუზომავი ქმედება – ისევ წინ გააფრინა მანქანა, დროზე ვეღარ დაამუხრუჭა და პირდაპირ მეორე სადარბაზოში შერგო თავი... ულიფტოდ თუ გადაწყვიტა თავის ბინაში მეოთხე სართულზე ავარდნა, ოღონდ აჩქარების გამო სადარბაზო შეეშალა – ის მესამე სადარბაზოში ცხოვრობს. სიკოს "მერანი" წინა ბორბლებით ორ საფეხურზე ახტა კიდეც; ზედმეტია იმის დამატება, რომ ამ სადარბაზოში მყოფნი არ დაელოდნენ ლიფტს და საჩქაროდ მიაშურეს მეორე, ხოლო უფრო თადარიგიანებმა – მესამე და იმის ზევითა სართულებს (ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის კვალობაზე).

დიახ, ნაღდად კარგი მეზობლები ჰყავს სიკო ყურგრძელაძეს! გადატანილი საფრთხის მიუხედავად, მისმა ექვსმა მეზობელმა გული გაიმაგრა და ექვსი კაცის ძალის სიმძლავრით მოახერხა სამოცდათორმეტი ცხენის ძალის სიმძლავრის მანქანის ისევ ეზოში ამოთრევა. სიკოს ერთდროულად სამი კაცი სამნაირად უხსნიდა, როგორ უნდა ემოქმედა და ისედაც დაბნეულს, კიდევ უფრო აბნევდა...

სიკომ დაორთქლილი სათვალე ქათქათა ცხვირსახოცით საგულდაგულოდ გაწმინდა-გააკრიალა, – "ახლა უკვე კარგად ვხედავ!", – დაიმედა მეზობლები. ეს თქვა თუ არა, დიდ-პატარამ კისრისტეხით მიაშურა თავშესაფარს – ზოგი ხეზეც კი აძვრა, ვისაც ახალგაზრდობა და სიყოჩაღე უწყობდა ხელს. ჟორამ მოასწრო, სიკოს მანქანის მარჯვენა წინა კარი გამოაღო და მძღოლის გვერდზე დაებერტყა, კარი კი ჯახანით თავისით დაიკეტა – ბატონმა პროფესორმა წინ მარდად გაახტუნა მანქანა. ამჯერად მისი გაჯირითების მსხვერპლი შეიქნა ორი გადამსხვრეული ნორჩი ხე, მერე კი ნამდვილად კეთილშობილური აქცია განახორციელა: ბაბუცა კიკნაიშვილის საქათმის ლიკვიდაციას სახლმმართველობამ და მილიციამ რამდენიმე წელია, ვერაფრით მიაღწიეს და ბატონმა პროფესორმა კი რამდენიმე წამში ნაცარტუტად აქცია... შემდეგ მანქანა კედელს მიებჯინა და მის წინაშე კი უძლური გამოდგა.

მანქანის გარშემო თანამგრძნობთა და მრჩეველთა მჭიდრო წრე შეიკრა. ჟორა გინებით გამოვარდა მანქანიდან, გაანებეთ კაცს თავი, სანამ საბოლოოდ არ გაგიგიჟებიათ საწყალიო... კინაღამ ჩხუბი ატყდა.

ამასობაში პროფესორმა ისევ დაქოქა ჩამქრალი ძრავი და დამოუკიდებლად მოახერხა ჟორას მიერ შემოღობილ და სათუთად ნალოლიავებ პატარა, კოხტა ბაღში ყაჩაღურად შეჭრა. მანქანამ წინ და უკან გაიარ-გამოიარა და ქორფა მწვანილსა და მწიფობაში შესულ პომიდორს გემო გაუსინჯა.

– მანქანა ხომ გამიოხრე, ბაღჩას მაინც რას ერჩოდი? – ეცა ჟორა ახლადგამოჩეკილ ავტომრბოლელს.

აქ საქმეში ჩაერია სიკოს კარის მეზობელი, ადვოკატი ევტიხი თავშიშველაშვილი.

– ბატონო პროფესორო, – მიმართა სიკოს, – დღევანდელი ნორმა შესრულებული გაქვთ, თანაც დიდი გადაჭარბებით – წლიური ნორმაც უკან მოიტოვეთ. აწი დაისვენეთ, ჩვენც შეგვიბრალეთ!

ადვოკატის თავგამოდებული ზრუნვა ზედმეტი გამოდგა, რადგან მანქანა ორთქლში გაეხვია. ეტყობა, კედელთან პირისპირ ჭიდაობას უკვალოდ არ ჩაუვლია და რადიატორი დაზიანდა. ძრავა საჩქაროდ გამორთეს...

ბატონ პროფესორის შემდგომ მოღვაწეობას თანამედროვე ტექნიკის ათვისებაში მოწყალე მკითხველს სხვა დროს გავაცნობ. დასასრულ, უნდა განვაცხადო, რომ სიკო ყურგრძელაძის შემართება

და გმირული მიზანსწრაფვა ჩემში დიდ მოწონებასა და პატივისცემას იმსახურებს – და არა მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ნოველის დაწერის საბაბი მომცა.

1991

so so i e

სოსოიე გადარეულია, ნამდვილი გიჟი! აბა, ჭკვიანი კაცი ჰქვია იმას, ვინც სითფოს და სიცივეს ვერ არჩევს?

წევიდა ერხელ სოსოიე სანადიროთ. იმფერი უბედური თავსხმა წვიმა და ქარია, ძაღლი გარეთ არ გეიგდება. თუ ერიცახე ტვინი გაქ თავში, მთაში წანწალს არ ჯობია, გაღუღუნებულ ფუხარს მიუჯდე, წრუპო ადესა და მიაყოლო, თუ გაქ რამე? ამ აბდალამ კი ეიხირა, დათვი უნდა მოვკლაო. რა ედათვება ამ ყიამეთში. იყიალა აღმა-დაღმა, იბღოტიალა ტყე-ღრეში, გეილუმპა გასაწურათ, ხომ გითხარი, სიცივეს და სითფოს ვერ არჩევს-მეთქი, მარა ახლა აძიგძიგდა – ნოემბერი თავდება, ხუმროფ შენ? მთაში ალბათ თოვლს დადებს...

გემეიდარა რავარცხა იქნა, აღარ წვიმს, მზეც გამოჩთა, მარა ქარს მიაქ ყოლიფერი. სოსოიე მთის წვერზე გევიდა, იქ კარავივით რაცხა მოახლაფორთა ჟვერით – ორი მხრიდგან იცავდა ქარიდგან; მერე გეიხადა ყოლიფერი, ნიფხავიანად, და გაკიდა გასაშრობათ. მოკუნცხულია ასე და ეფიცხება მზეს, თავი აქვს ჩაღუნული. რაცხამ გეიშლიგინა, გაამჭყირა თვალი და რას ხედავს? ორ ნაბიჯში შველი დგანა კოხტათ და უმზერს. თოფი იქვე იყო მიყუდებული, წაწვდა სოსოიე და დაახალა, მარა შველმა ისკუპა და ქე გეიქცა. გამოენთო დაჭრილს სოსოიე, მიდევს შლეგიანივით თავდაღმართში. მირბის შველი, მიდევს სოსოიე, ორი ვერსი სდია. ჩევიდენ სულ ქვეით, შველი შედგაფუნდა გუბაზეულში, გაჩერდა – არაქათი გამოელია, სისხლიდგან იცლება. შევარდა ყინულივით წყალში სოსოიეც, დაახტა ზევიდგან და მოუგრიხა კისერი. მერე წამეიკიდა ზურგზე და ისევლე მთის წვერისკენ წევიდა. მიდის ზეით-ზეით შიშველი კაცი და აი შველი ქე აქ წამოკიდებული. რომ დეენახა ვინმეს, არ იფიქრებდა, ჭკუას გადაცთენილა საწყალიო?

დაბრუნდა სოსოიე შინ, არც დამჯდარა, ერი ჭიქა არაყი გადაკრა; ქალს უთხრა, ჭადი დააკარი და ბაღანე გააგზავნე, მეზობლები გადმომიპატიჯეო. თითონ მარანში წევიდა, ტანზეც და ფეხზეც არ გამოუცვლია – არ არის გიჟი?

2000

t ar i el

ტარიელ ჭიჭეიშვილი ანუ ტარიკა, როგორც მას ნაცნობ-მეგობრები უწოდებდნენ, მკვეთრად გამოირჩეოდა თანაჯგუფელებს შორის; ის კი არა და, მთელ პირველ კურსზე და, შესაძლოა, სამთო–გეოლოგიურ ფაკულტეტზეც, არავინ იყო მასავით გიტარაზე დამკვრელი და მომღერალი; ერთი-ორი თუ მოიძებნებოდა მასზე მაღალი და მხარბეჭიანი; ვაჟკაცური, სანდომიანი, მარად მღიმარი სახე და შავი, ოდნავ ხუჭუჭი, ხშირი თმა აგვირგვინებდა სანაქებო გარეგნობას.

რა გასაკვირველია, რომ მასზე გოგოები კარგავდნენ ჭკუას. სადაც კი ტარიკა გამოჩნდებოდა, იქ ატყდებოდა ხორხოცი, მხიარული შეძახილები – მას ქუთაისური საოხუნჯო ამბების ულევი მარაგი ჰქონდა. დიახ, ქუთაისელი გახლდათ ტარიკა, თბილისში ვისთან და სად ცხოვრობდა, არაფერი ვიცოდი, მაგრამ სტუდენტთა ქალაქში რომ არა, ეს ცხადი იყო. სოფლიდან თუ სხვა ქალაქიდან ჩამოსული რამდენიმე ბიჭი ჩვენი ჯგუფიდან საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და მხოლოდ სტიპენდიით გაჭირვებით ირჩენდა თავს. ტარიკა მათ არ ჰგავდა: ყოველთვის პეწიანად, შნოიანად ეცვა – მოდის კვალობაზე; ზოგიერთივით არც უპალტოობას უჩიოდა და არც უფულობას. სტიპენდიის აღების დღეს ოთხი-ხუთი ბიჭი, ღონიერი ოჯახების შვილები, აუცილებლად რესტორანს ეწვეოდნენ და ტარიკა ყოველთვის მათ შეუერთდებოდა ხოლმე...

ერთი რამ მაკვირვებდა და მაფიქრებდა მხოლოდ: ყოველმხრივ სანაქებო ყმაწვილი ჩანდა ლომტარიელი და ეს მეტსახელი – ტარიკა, – ჩემი აზრით, ფრიად შეუფერებელი და ერთგვარად დამაკნინებელიც კი, საიდან მიეწება? ერთი ხანობა ვიფიქრე, რომ ქუთაისიდან წამოყოლილი ეს მოფერებითი სახელი სიყვარულს თუ ალერსს გამოხატავდა, ერთი შემთხვევის შემდეგ კი სხვა აზრი გამიჩნდა...

ჩაიარა პირველმა სემესტრმა, დაიწყო იანვრის საგამოცდო სესია. სემესტრის განმავლობაში ტარიკას სემინარები და ლაბორატორიული სამუშაოები არ გაუცდენია, არც ლექციებს აკლდებოდა

ხოლმე მაინცდამაინც, თუმცა, უკანა მერხზე მჯდარი, უფრო ანეკდოტების მოყოლით ან რაიმე თამაშით ერთობოდა, ვიდრე ლექციას უსმენდა. გამოცდების წინ რატომდაც სხვებზე მეტად იყო აღელვებული და შეშფოთებულიც კი – ხან ერთ ჯგუფს მიეკედლებოდა გამოცდების წინ მომეცადინეებისა, ხან – მეორეს, მესამეს...

პირველი გამოცდა უმაღლეს მათემატიკაში გვქონდა – ზეპირი. ლექტორი ერთი უუმური, მკაცრი კაცი იყო, მაგრამ მე სრულიად მშვიდად ვიჯექი მოსაფიქრებელ მერხზე და გამოსაცდელად ჩემს რიგს ველოდებოდი – ყველა საკითხი კარგად ვიცოდი. ლექტორის მაგიდასთან ტარიკა იჯდა და ბილეთის კითხვებს პასუხობდა. პასუხობდა კი არა, რაღაცას ცოდვილობდა, ჭირის ოფლში იწურებოდა. ჩემდა მოულოდნელად, მომთხოვნი ლექტორი ყოველნაირად ცდილობდა, რამენაირად ბიძგი მიეცა ტარიკასთვის, დამხმარე კითხვებით დაეკვალიანებინა, როგორ უნდა გამოეყვანა მაგალითი, მაგრამ მთელი მისი მცდელობა ამაო იყო. წინა, თეორიულ საკითხებშიც ტარიკა საკმაოდ მოიკოჭლებდა. ლექტორმა სინანულით ამოიოხრა:

– სამწუხაროა, ფრიად სამწუხაროა, ჭიჭეიშვილო, მაგრამ ალბათ მოგვიხდება ერთ-ორ კვირაში კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, და მაშინ, იმედია, უკეთ მომზადებული მობრძანდებით...

ზრდილობიანად ირიბად უთხრა, ჩაჭრილი ბრძანდებიო, დახურა მატრიკული და გაუწოდა ტარიკას, შემდეგ კალამი მოიმარჯვა საგამოცდო ფურცელში ნიშნის ჩასაწერად.

ამის შემდეგ რაც მოხდა, ჩემთვის ერთდროულად სრულიად მოულოდნელი, გამაოგნებელიც იყო და, ამავე დროს, სასაცილოც...

თავიდან ვერ გავარკვიე, რას ბლუკუნებდა ტარიკა – მხრებში თავჩარგული, წელში მოკაკული... ჩია ტანის, კაფანდარა ლექტორი გაკვირვებული უყურებდა და, ეტყობა, მოულოდნელობისგან დაბნეული იყო: ზორბა სტუდენტი საწყალობლად, თავის დამამცირებელი სიტყვებით შესთხოვდა მას, რომ შეიცოდოს, არ დაუწეროს არადამაკმაყოფილებელი ნიშანი, რომ ის შეუძლოდ იყო და ამის გამო ვერ მოემზადა ჯეროვნად, რომ სტიპენდიას დაჰკარგავს, რომ პირობას იძლევა, შემდგომში უკეთ ისწავლის...

და უცებ ტარიკას მხრები აუძაგძაგდა, სახე დაემანჭა და... ტარიკა ატირდა!

ცხელ ცრემლებს ვერ იკავებდა, ცხვირსახოცით იმშრალებდა თვალებს და თავდახრილი განაგრძობდა ხვეწნა-ბუტბუტს...

ფუი!.. ვეღარ ვაგრძელებ წერას...

1994

t o l i ka

ტოლიკა: მაღალი, შხვართი, ქერა ხუჭუჭთმიანი; თაფლისფერი თვალები, პაჭუა ცხვირი მეტისმეტად ფართო ნესტოებით – ეს უკანასკნელი გარემოება რომ არა, მართლაც აპოლონის სადარი სილამაზის ეთქმოდა...

სპორტული ტიპი: ყველაფერი ეხერხება – ცურვა, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი – ვერავინ სჯობნის. ზღვაში იხვივით ყვინთავს, შორს მიცურავს ხოლმე – მისი თავიც აღარ ჩანს. ამოვა ნაპირზე და, დაღლილი კი არის, მაგრამ შეუძლია, კიდევ ერთი იმდენი გაცუროს. უყვარს შეჯიბრი – ყველასთან, ყველაფერში, – გამარჯვების ჟინი იტაცებს.

უყვარს სიცილი, ბიჭებში გარევა, თამაში და დროსტარება, მარტოს ვერ ნახავ. ოთხი ძმა ჰყავს კიდევ: ორი უფროსია მასზე, ორი – უმცროსი.

როცა წამოიჩიტა, გოგოებს დაუწყო ღლაბუცი, მერე მასზე ბევრად უფროს ქალებს; არადა, პირობები "კარგი" ჰქონდა – მისი სახლის ახლოს დიდი სანატორიუმი იყო და დამსვენებელ ქალებს რა გამოლევდა.

საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, გაემგზავრა ლენინგრადში, სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, მერე იქვე ცოლიც შეირთო.

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა...

როცა დაბაში ორი დღით ჩასვლა მომიწია, მისი ამბავი ვიკითხე. ჩამოსულა, ბათუმში მუშაობს. შვილი არ ჰყავს. პირველ ცოლს გაჰყრია, მეორე შეურთავს. გალოთებულა, სულ მთლად წასულა ხელიდან...

თბილისის მატარებელში, როცა ზედა თაროზე გავიშოტე და ნესტიანი ზეწარი გადავიფარე, ტოლიკაზე ვფიქრობდი... არაფერი უშლიდა ხელს, რომ ცხოვრებაში წარმატებისთვის მიეღწია, პატივსაცემი, დაფასებული კაცი ყოფილიყო. უფროსი ძმა არ ვიცი, სად არის და რას აკეთებს, მომდევნო – ბათუმშია, შოფრად მუშაობს, ორი ბავშვი ჰყავს; ტოლიკას მომდევნო ბიჭებიდან ერთი – ექიმია, მეორე – სამხედრო; ორივე დაოჯახებულია, მშვენივრად არიან. მაშ, ტოლიკას რაღა დაემართა? მე-

რე ჩემს თავზე დავიწყე ფიქრი. ყოველთვის ასეა, ვინმეს ბედზე რომ ფიქრობ, მერე საკუთარ ცხოვრებას ადარებ რატომღაც...

მე რაღა მაქვს სატრაბახო? ვარ კი რაიმეთი ტოლიკაზე უკეთესი? აქვს ჩემს ცხოვრებას რაიმე გამართლება? მყავს ერთი შვილი, იმასაც მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ – სულ სამებითაა გატენილი მისი წლიური ნიშნების ფურცელი... სამსახურში? ერთი რიგითი ინჟინერი ვარ, ზოგჯერ კვირა ისე გავა, კაპიკის საქმეს არ გავაკეთებ. რასაც გამაკეთებინებენ, არც ის არის დიდი ხვითო, შენი უმაღლესის დიპლომი სულ არ სჭირდება, საშუალოგანათლებიანიც იოლად შეასრულებს... უკვე თხუთმეტ წელზე მეტია, ასე ვარ – ერთ ადგილზე, ერთ თანამდებობაზე... ოდნავ მომეატა ხელფასი, ცხოვრება კი ბევრად გაძვირდა. ათი წელია, პიჯაკი არ მიყიდია, არც პალტო... ცოლი სულ ჭიჭყინებს – მათხოვარს ვგავარო.

მართალია, არ გავლოთებულვარ, არ გავბოროტებულვარ (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია), კიდევ რაღაცის იმედი მაქვს, ვფაფხურობ... ვიბრძვი-მეთქი, ვერ ვიტყვი, სამწუხაროდ, მებრძოლის თვისებები არ გაიმეტა ჩემთვის უფალმა... მეც დაკარგული პიროვნება ვარ თუ არა საზოგადოებისთვის? რა ვიცი... ჩემსავით უღიმღამო პიროვნება რომ მრავალზე მრავალია, ამაში კი დარწმუნებული ვარ. ის კი არა, ისეთებიც საკმაოზე ბევრად მეტი გახლავთ, ცხოვრების მუწუკებს რომ ეძახიან. მე თუ გადასარევს არაფერს ვაკეთებ, გაფუჭებით მაინც არაფერს ვაფუჭებ, არც არავის ვერჩი, ჩემთვის მივათრევ რიგით საქმეს... იქნებ, ჩემისთანებიც საჭიროა, აუცილებელიც კია. აი, ხორცმეტებზე რომ ვფიქრობდი, ისინი კი ნამეტნავად მომრავლდნენ, გაფუვდნენ და პარპაშებენ კიდეც. ყოველივე საუკეთესო, რაც კი ამ ცხოვრებაში არსებობს, მაგათთვის ყოფილა და ეგ არის. ჩემს მეზობლად ერთი საწყობის გამგე ცხოვრობს, წერა-კითხვა ძლივს უსწავლია, არადა, სახლი კი არა, ქარვასლა აქვს წამოჭიმული. ორი გაფუქსავატებული ბიჭი ჰყავს, ორთავეს ახალთახალი მანქანები უყიდა, ერთადერთი ქალიშვილი კი რომ გაათხოვა, მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა. მარტო საქორწინო კაბას ჩემი ერთი წლის ხელფასი არ ეყოფოდა...

ისევ ტოლიკა მახსენდება... ეტყობა, ანატოლი ვეღარასდროს გახდება. საწყენი კია – კარგი ბიჭი იყო ყოველმხრივ. ისიც მწყინს, რომ მის უნახავად მივდივარ. ნახვა როგორ არ მინდოდა, რამდენი წელი ზაფხულს სულ ერთად ვატარებდით, თითქმის ჩემთან ერთად გაიზარდა, – ჩემზე სამი-ოთხი წლით უმცროსი იყო, მაგრამ რატომღაც მე მასთან უფრო ვმეგობრობდი, ვიდრე მის უფროს ძმებთან (ყველაზე უფროსი ძმა ჩემი ტოლი იყო).

დიახ, ნახვა როგორ არ მინდოდა, რამდენი რამ გვქონდა მოსაგონარი, მაგრამ წარმოვიდგინე (გამიჭირდა კი), როგორი იქნებოდა – თვალებამღვრეული, ლოყებჩავარდნილი, ხელებაკანკალებული, ნაადრევად დაბერებული ტოლიკა... ტოლიკა – მომჩვარული, უსიცოცხლო, დაბოღმილი... ასეთ ტოლიკას ვერ ვნახავდი და არც წავსულვარ მის სანახავად, თუმცა ხუთი წუთიც არ დამჭირდებოდა მის სახლამდის მისასვლელად...

1987

f el i qs

ფელიქსმა რამდენიმე წლის წინ დაასრულა სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში და ახლა სასწრაფო დახმარების სადგურში მუშაობს ექიმად.

საშუალო ტანისაა, ძალიან გამხდარი, სათვალიანი; ყველაფერი წვეტიან-დაკუთხული აქვს – ცხვირი, ნიკაპი, იდაყვები და სათვალის მიღმა ახლომხედველი თვალებიც თითქოს მჩხვლეტავად იჭუტება და სათვალეც კი "მჭრელ" ათინათს ირეკლავს...

კარგა ხანია, ჩვენს სახლში გადმოვიდა დედასა და მამინაცვალთან ერთად, მაგრამ ხეირიანად კი არა, სრულებით არ ვიცნობ. ისე კი, მეზობლები ახასიათებენ, როგორც ახირებულ ახალგაზრდას – არავის ეკარება, სალამი თუ მოგცა, იმაზედაც მადლობელი უნდა იყო (ყველას არც ესალმება). ხშირად მოდის შინ არყით მთვრალი და რამდენჯერმე მეოთხე სართულამდე რომ ვერ ააღწია, კიბეებზე დაიძინა. ამბობენ (მეზობლის ქალებს რა გამოეპარებათ!), ვიღაც ხნიერ, ბავშვიან ქალს ჰყვარობსო. დედამისი – მუდამ შეწუხებულსახიანი, დაბალი, ჩასუქებული ქალია; მამინაცვალი – ცოლზე ახალგაზრდა, ცინცხალი, მოძრავი, ლამაზთვალება კაცი, სამხედრო – კაპიტანი. ცოლი ეჭვიანობს, მაგრამ იცის, რომ ქმარი არ მიატოვებს – ავადმყოფი კუჭი აქვს და ცოლის გაკეთებულ კერძებს არის მიჩვეული...

სექტემბერია. ხალხი ახალჩამოსულია ქალაქში, ყველანი – ხალისიანნი, მზისგან გაშავებულნი, დასვენებულნი, ძველ ნაცნობ-მეგობრებს მონატრებულნი...

ტრამვაის გაჩერებიდან შინ მოვდიოდი და ფელიქსს არ გადავეყარე?

ჩემს სალამზე მოწყალედ დამიქნია თავი. სახლამდე ხუთიოდე წუთი ერთად უნდა ვიაროთ, რაზე ველაპარაკო თითქმის უცნობ ადამიანს?

– ჟურნალ-გაზეთები უკვე გამოიწერეთ? – რაღაც ხომ უნდა მეთქვა, – მე 150 მანეთის გამოვიწერე.

– ვითომ რაო, მაგით გინდა თქვა, რომ ჩემზე ინტელიგენტი ხარ? მეც არანაკლები გამოვიწერე! – ისე უცებ გადმოვიდა შეტევაზე, რომ მოულოდნელობისგან გავშრი.

– ფიქრადაც არ მომსვლია მასეთი რამ, საიდან მოგივიდათ აზრად? – გავიკვირვე მე. – ხომ შესაძლოა, რომელიმე ჟურნალი მე მქონდეს გამოწერილი და თქვენ გათხოვოთ ხოლმე ან თქვენ მათხოვოთ რომელიმე ჟურნალი...

ნეტა არაფერი მეპასუხა!

– მე თუ რამე ჟურნალი მაინტერესებს, გამოვიწერ კიდეც, მათხოვრობას ხომ არ დავიწყებ! შენ რა, მათხოვარი გგონივარ? – უკვე ისეთი დაბოღმილი მელაპარაკება, ერთი სული მაქვს, გავეცალო, სანამ მუშტი-კრივზე არ გადავსულვართ.

– ვაჰ, საიდან სადაო! ასეთ რამეს როგორ დაგწამებთ, რამ გაფიქრებინათ ეს! ან მეზობელს რომ გაზეთი ან წიგნი სთხოვო, მათხოვრობაა?

ვატყობ, დროზე უნდა ვუშველო თავს, თორემ, უფრო და უფრო უარესობისკენ მიდის საქმე! აღშფოთებისგან ფელიქსი ადგილზე შედგა, ხელები მაღლა აიქნია და თვალებმოწკურულმა, თავშეუკავებლად ამოიხრიალა:

– ახლა წიგნებზეც გადახვედი? რა ჭირად მინდა შენი წიგნები! რაც შენ წიგნები გაქვს, იმდენი მარტო ამხანაგებს ვაჩუქე! მწიგნობარი! შენ რა, უწიგნურიც გგონივარ?

ფელიქსი ადგილს მოწყდა და სანამ მე გაშტერებული ვიდექი, ამას ვის გადავეყარე-მეთქი, ჯიქურ მომვარდა...

მისი აცახცახებული ტუჩებისა და სათვალის ავისმომასწავებელი ბზინვის უკან გაფართოებული თვალების მზერას ვეღარ გავუძელი...

– არა, არა, როგორ გეკადრებათ... ბოდიში, სამწუხაროდ, პურის ყიდვა დამავიწყდა, უნდა დაგემშვიდობოთ!

მოვტრიალდი და საწინააღმდეგო მიმართულებით მოვკურცხლე. მობუზული მივიძურწებოდი, უკან ერთხელაც არ მომიხედავს...

მგონი, იოლად გადავრჩი!

1986

qaqria

ზურიკოს ცირკში წაყვანას და ორ ულუფა ნაყინს დავპირდი და, როგორც იქნა, დავიყოლიე – თმის გასაკრეჭად წავიყვანე.

ერთი ციცქნა სადალაქოში ტევა არ არის. ჩია ტანის დიდცხვირა დალაქი სათვალის ზემოდან გვათვალიერებს.

– ხალხო, ჩემს ხელობაზე ხელს ვიღებ, თუ ეს ბიჭი ზემო ნაფეტვრებიდან არ იყოს! – ამბობს მელოტი, ხნიერი დალაქი ძია შაქრო, ყველანი რომ ქაქრიას ეძახიან. სახელად უფრო ქაქანა შეეფერება – ენას არ აჩერებს, თან ერთი შეხედვით ზანტად, მაგრამ ხელის მოზომილი, ზუსტი მოძრაობით მარდად პარსავს ლოყებჩავარდნილ შუახნის კაცს.

– რა იცი, ქაქრიავ! – იცინიან რიგში მომლოდინენი, ზოგნი – კედელთან ატუზულნი, სხვებიც – გრძელ სკამზე მჯიდროდ ჩამომსხდარნი.

ქაქრია სათვალის ზემოდან ცერად გადმოგვხედავს:

– ნახეთ, რა გოგრაა! მხოლოდ ზემონაფეტვრელებს აქვთ ეგეთი თავები. უჰ, რა გოგრაა! ბიჯო, მსოფლიოში აღმართი მეტია, თუ დაღმართი?

ზურიკოს რომ დარცხვენა შეატყო, ქაქრია ახალ ამბავს ჰყვება.

– ვა, გაიგეთ რამოტოლა ბუზი მოუყვანიათ ზოოპარკში? აი – ფრთები! – ხელებს შლის ქაქრია.

– ნელა, კაცო, ყელი არ გამომჭრა! – შეშინებულ კლიენტს ლოყები კიდევ უფრო ეჩუტება და გაქცევას ლამობს.

– ორფუთიანია, ინდოეთიდან ჩამაუყვანიათ, მა-აშ!

– გამანებე რა თავი, გამიშვი! – თვალებს კარკლავს გასაპნული.

– დაჯე, დაჯე! – ძალით სვამს კლიენტს ქაქრია. – დღეში, ამბობენ, რომა ორ კილო შოკოლადსა სჭამს.

– მართლა, კაცო?!. – პირს აღებენ რიგში მომლოდინენი.

— მა-აშ!..

— ეგ კაცმა არ ნახოს, როგორ იქნება! წავალ, ვნახავ და მერე მოვალ! — საჩქაროდ იძრობს თეთრ საფენს ლოყებჩავარდნილი კლიენტი, სამმანეთიანს უგდებს მაგიდაზე და, სანახევროდ საპონ-შეუწმენდელი, საჩქაროდ აღებს კარს. მას უკან ორი კაცი მიჰყვა, ალბათ იმ ეგზოტიკური ბუზის სანახავად.

— მოდი, ბიჯო, აქ შენა! — მოუხეშავი თითის მოკაკვით ეპატიჟება ზურიკოს ქაქრია. — ზემონა-ფეტვრელია, ქვემონაფეტვრელი არ გეგონოთ, ურიგოდ ეკუთვნის, მა-აშ!

ზურიკო სავარძელში ჯდება, შეშინებული საცოდავად იკუნტება. ქაქრია ცდილობს, გაართოს ბიჭი, თან საკრეჭ მანქანას აჩხაკუნებს:

— ზომონაფეტვრელო, შენ თუ გინახავს, ზოოპარკში რო დიდი ზღარბი ჰყავთ — მაჩვზღარბა, ჰა? ტანზე გრძელი ეკლები აქვს დაყრილი; თუ გააბრაზე, სამ მეტროზე ისვრის, გაგიგონია? თურმე სუ გაპუტულია — დამლაგებელი ქალები აბრაზებენ, მერე ეკლებს ჰკრეფენ და ჰყიდიან.

აქამდე გატრუნულმა ზურიკომ ხმა ამოიღო:

— მერე ისრებს ბავშვებს ურიგებენ? მშვილდ-ისრისთვის, არა?

— არა, კაცო, მაგ ზღარბის ისრის ღერით სათევზაო ტივტივას აკეთებენ. თითო ცალს სამ მანეთად ჰყიდიან; ამბობენ, ეგეთი ტივტივა მსოფლიოში მეორე არ არისო, მა-აშ! შენ არც ის იცი, ბალახის მჭამელი თევზები რო არსებობენ, ჰა? გავლენ წყლიდან მინდორში და გემოზე წაიბალახებენ, არა გჯერა? იცი, საიდან მიხვდნენ, რო ეგეთი თევზები არსებობენ? ერთხელ თურმე თევზები ბრუნ-დებოდნენ ბალახობიდან და რკინიგზაზე გადასვლისას ერთმა თევზმა დაიგვიანა, ვერ გადაასწრო და მატარებელმა ორად გადაჭრა... ვაჰ, ამოტოლა გოგრის პატრონმა ასეთი რამეები არ იცი? კარგი ჩხუბი მაინც თუ იცი?!. ჰა? თავური იცი?.. რას გაჩუმებულხარ?.. არც ჭიდაობა გიყვარს? ე-ე-ე, რანაი-რი ზემონაფეტვრელი ხარ?.. მაშ კარგი, ჩემი ჭიდაობის ამბავს გიამბობ, თუ გინდა. ქვემონაფეტვრე-ლები ზემონაფეტვრელებს ყველაფერში ვექიშპებოდით ხოლმე. არც ისინი ჩამოგვრჩებოდნენ შუღ-ლში, არ ვიცი, რა ვერ გავიყავით. ერთხელ ჭიდაობაში ვეჯიბრებოდით ზომონაფეტვრელები და ქვე-მონაფეტვრელები. ერთი თქვენებური ახმახი გამოვიდა საჭიდაოდ, სუ ბოლი გვადინა ქვემონაფეტ-ვრელებს და! — ზორბა, მოსული ჯეელი იყო. მაგარი იყო, რათ გინდა ლაპარაკი, ადგილიდან ვერ დაძრავდი. ჩვენი ნაქები ფალავნები სუ ლავაშივით გააკრა ნახერხზე ერთიმეორის მიყოლებით... დავღონდით ქვემოურები, არ ვიცით, რა ვიღონოთ... შენ დაუკარ!.. ერთხელ დასცხეს საჭიდაო, მეო-რედ, მესამედ — ვინღაა გამსვლელი შესარცხვენად, ნარჩევი ვაჟკაცები გაგვილახა, კაცო!.. ჩვენი ქა-ლები გაწიწმატდნენ, კაცებზე მეტად ბრაზობენ, დაბოღმილები დაგვცინიან; მაინც ვერავინ გააბრიყ-ვეს — ძალა აღმართსა ხნავს და!.. ბოლოს, ისევ ხუმრობაში ვცადეთ ქვემოურებმა ჩაგვეტარებინა ეს პაექრობა — აიღეს და ხელი მკრეს, სალაღობოდ გამაგდეს ასპარეზზე — ეხლა ეს იჭიდავებს, დაუ-დექ, თუ ვაჟკაცი ხარო!.. რა ყარამანიც ვიქნებოდი, კარგად ხედავთ... ხალხი გადაფიჩინდა!.. მაქეზებ-დნენ: მიდი, აჩვენე ზემოურებს, როგორ უნდა ჭიდაობაო. ის ბიჭი გასული იყო წრიდან დასასვენებ-ლად, ჰოდა, მეც შევიფერე "ფალავნობა" — ამაყად გავიარ-გამოვიარე ნახერხზე, თან მუხლები მეკე-ცება... თან ვიქადნები, გამოვიდეს, რაღას უცდის, ეგ თქვენი ფალავანი ლუკმად არ მეყოფა-მეთქი. რაც უფრო მეშინია, მით უფრო ვბაქიბუქობ. ქვემონაფეტვრელებმა ტაში დასცხეს, სტვენა-ყიჟინამ ხომ ყურები წაიღო — სიცილი დამაყარეს. მეც ვიფხორები ინდაურივით, გაჯგიმული დავიარები, თან ვცდილობ, ღრიანცელს ყვირილით ვაჯობო — სად არის თქვენი ქვეშაფსია ფალავანი, ხომ არ შეე-შინდა-მეთქი. ვიბერები — მეტი არ შეიძლება! ზემონაფეტვრელთა ფალავანს ეჭვის ჭია შეუჩნდა: ეგ თუ მართლა მაგარი არ არის, ასე ჯიქურად რას დადის და იქადნებაო. ერთი-ორმა ქვემოურმაც ვი-თომ სხვათა შორის მის გასაგონად ჩაილაპარაკა ჩემზე — ეგ ისეთი რკინის მკვნეტელია, თბილისი-დანაც კი ჩამოდიან მასთან დასაჭიდებლად და ყველას ბოლი ადინა ზურგზეო. ჩემმა ტანმორჩილო-ბამაც შეაფიქრიანა და დააბნია. მე კი ვიჭაჭები: ოღონდ იარაღს ნუ იხმარს და თუგინდ მასთან ერ-თად მეორესაც ვეჭიდავები — ყველ-პურივით შევატან ერთმანეთს-მეთქი... ხალხი მამხნევებს, ღრია-ლებს: "მიდი, ქაქრი!"

ქაქრიაც ჩვენთან ერთად იცინის და მუშაობას წყვეტს, დიდი ცხვირსახოცით ხმაურით იწმენდს ცხვირს.

— მერე, მერე, რით დამთავრდა ჭიდაობა, ქაქრიავ?!. — მოუთმენლად შევძახეთ.

— მერე — არაფერი... ეძებეს და ვერ ნახეს, ჩუმად გაპარულიყო!..

ქაქრიამ ზურიკოს ნაკრეჭი თმები ჩამოფერთხა, წკიპურტი მსუბუქად წაჰკრა კინკრიხოში:

— უჰ, რა გოგრაა! თავისუფალი ხარ, ზემონაფეტვრელო!

კარში გამოსვლისას შეგვეჩეხნენ ბუზის სანახავად წასულები. ჩხუბი კინაღამ აუტეხეს ქაქრიას, ამ ხნის ხალხი რად მოგვატყუეო. ქაქრიამ იხტიბარი არ გაიტეხა:

— კაცო, რას გაწიწმატდით და! იქნებ დღეს ბუზი არ გამაუყვანიათ, მა-აშ!..

ქველი

1993 წლის ნოემბრის მიწურულია. ნამდვილი ზამთრის სადარი ყინვები დაიჭირა. დილაუთენია უნდა წამოხტე და პურის რიგში ადგილი დროულად დაიკავო. რამდენიმე საათის ცდის შემდეგ, პურით დატვირთული მანქანა ან მოვა, ან კომერციული მაღაზიისკენ გაუხვევს, სადაც ერთი ცალი პური ათჯერ ძვირი ღირს...

კიდევ უფრო ადრე უნდა მოვსულიყავი – დილის ბინდბუნდში გრძელი რიგი მუქად გაწოლილა, ამ სიცივეშიც კი ადრიანადვე ბლომად ხალხი შეგროვილა. ერთ ადგილზე ცმუკავენ, ფეხებს აბაკუნებენ, ხელებს იფშვნეტენ...

– ბოლო თქვენ ბრძანდებით? – ვეკითხები დაბალ, ასეთი ამინდისთვის ფრიად შილიფად ჩაცმულ კაცს, რომელიც თხელი ლაბადის აწეულ საყელოში ცდილობს აწითლებული დიდი ყურების დამალვას.

– ჩემს შემდეგ ერთი ქალია, – მპასუხობს ლაბადიანი და ხმაზე ქველი ვიცანი, ჩემი ძველი ნაცნობი. თუ მომეჩვენა?

კარგად დავაკვირდი... ცოტა სინათლემაც მოიმატა და ეჭვი გამეფანტა – ასეთი ჯაგარა, ყალყზე დამდგარი თმა, ბავშვურად მოხამხამე თვალები და, რაც მთავარია, ჭიჭყინა ხმა, შეცდომას გამორიცხავდა.

– ქველო, შე ძველო, ასი წელი არ მინახიხარ და რაღა ამ რიგში შეგხვდი!

– დედამიწა მრგვალია, მე კი არა, შესაძლოა, სპილოსაც შეხვდე, – ხუმრობს ქველი. იშვიათი სახელი ხომ შეურქმევიათ მისთვის მშობლებს, თვით ბატონი ქველი გვარიელიძეც, ჩემი შეხედულებით, უცნაური პიროვნება გახლავთ – უყვარს გაუთავებელი საუბარი სხვადასხვა მეცნიერულ საკითხებზე; ლაპარაკობს დალაგებულად, საკმაოდ მიმზიდველად, მაგრამ მერე და მერე მისი მოსმენა გიჭირს და ლამის თავი მოგაბეზროს... თუმცა ახლა, როცა რიგში კარგა ხანს მომიწევს ყურყუტი, ასეთი მჭერმეტყველი ჭეშმარიტად უდაბნოში მხსნელ წყაროდ მომევლინა.

– რა დღეში ვართ, ჩემო ქველი, რა გვეშველება? – შევწუწუნე ჩვეულებისამებრ, როგორც სხვებთანაც არაერთგზის ამ ბოლო დროს. – გათბობა არ გვაქვს, არც – ელექტროდენი, საჭმლის შოვნა გვიჭირს, ახლა პურიც სანატრელი გაგვიხდა...

– მოთმინება არის კაცის ღონე! – დინჯად და დაგემოვნებით იწყებს გრძელთაგრძელ მონოლოგს ქველი. – ახლა თუ სისხლში და ნეხვში ვნებივრობთ, ეს არის კოსმოსური გარდუვალობა, ამიტომ აჩქარება არ ეგების. ეს რომ გეცოდინება, პურის რიგში გული არ გაგიტყდება. ჩვენ გვგონია, რომ ახლა ცუდად ვართ. თუ დათმობა არ იცი, ვერასოდეს მოიგებ. ყველაზე გონიერი – ღონიერია მოთმინებით და ზომიერებით. გადავრჩებით, ნუ გეშინია – შუა კავკასიონზე, კავკასიის შუანზე, გადის წონასწორობის, გადარჩენის იდეა. განგება გვანდობს მხოლოდ ჩვენსას კი არა, მსოფლიოს ბედს. ნათელი, გაუხუნარი სხივი გამოდის კავკასიიდან! როცა რუსებმა კოსმოსური ხომალდები გაუშვეს, დაინახეს, რომ დედამიწაზე რამდენიმე ადგილას ამოდის ნათელი და განსაკუთრებით – კავკასიიდან, ღვთიური ენერგიის ამოსვლის ცენტრიდან. სიცოცხლის საწყისი აქ არის, სათავე აქ დევს, აქედან იწყება მსოფლიო ცივილიზაციის ათვლა – გონიერ, უმაღლეს საზრისში ასული. ნულია აქ: თეთნულდი – თეთ-ნულ-დი – დამბადებელი ერთისა, სათავისა. უშ-გული – გულია აქ, აქ ხდება მიწასთან და მზესთან მიბმა. ჩვენშია ეტალონი სრულფასოვნებისა, ანათვალი აქედან იწყება, აქედან აითვლება ყოველი სიკეთე, რაც გადის დედამიწაზე – მზის სხივით აქედან იწყება გაშლა, განფენა ყოველივე ცხოველმოქმედისა, განზე გასვლა ყოველი მარაგისა. აქედან რა ანათებს, არ გაინტერესებს? ეს ჩვენი გენების ნათელია, ჩვენი დადამიწასთან წონასწორობის, ტოლობის ნაყოფია. ჩვენი ბიოლოგიური ფუნქცია უნდა განვახორციელოთ კაცობრიობის მიმართ და მოვა დრო, მსოფლიო დააფასებს ჩვენს მისიას... გინდა თუ არ გინდა, აქედან არის ამოსული მზე, აქედან გაიტანს სამყაროს ენერგიას, აქ დევს ნიშანი... მიგებ, რას გეუბნები? დედამიწაზე განფენილი სიბრძნის ცენტრი აქაა, აქაა ნათელი ადგილი: შუანეთი – სუანეთი – სვანეთი! უშ-გული, უშ-ბა!.. აქედან დაიძრა ცივილიზაცია. ჩვენ პირველი დღიდან მოვდივართ, ჩვენ საწყისი ვართ, სხვები მერე გამოვიდნენ ასპარეზზე... მაგრამ კაცობრიობა უეთიკოა და ჯერ ვერ დგას იბერიულ ასაკში – მსოფლიომ დახუჭა თვალი ქართველთა დამსახურებაზე, ჩვენს წარსულზე. გერმანელებს რომ უნდოდათ ედელვაისი კავკასიაში ეპოვნათ, სათავეს ეძებდნენ, საწყისი უნდოდათ მოეძიათ. საწყისი – დიდებული რეალობაა, მერე ამოძრავებული. ეს რეალობა უნდა აღიარო! წყლიდან პირველად ამოსული არსება არის ხმელეთზე, ქვაზე დასახლებული. ქანზე დართული სიცოცხლე არის ქან-სრული, ქან-და-რთული, ქან-რთული – ქართული სიცოცხლე. ასაკი განსაზღვრავს მისიას, ეს მისია ყველაზე ადრეულად ჩვენ დავიწყეთ, ქართველებმა! არა მხოლოდ მიწის, ცის მაკვლიერი ერიც ვართ: დიაცი – ცა, ცირა. ცა – გურულად გოგოა. ციცა – კატა, ქალსა და კატას ბევრი აქვთ საერთო, ასე არ არის? ქანი პლუს

წყალი – არის დედამიწა; ქანის, მატერიის, პლუს წყლის ჰარმონია არის სიცოცხლე. ახლა მოდის ქანის ზეიმის დრო, ჩვენი ზეობის დრო. 2000 წლიდან იწყება ქართველთა ამაღლება. 2000 წლიდან იბერებში განფენილი ძალა უნდა შეიკრიბოს, ყველა ჩვენი სხივი მუთაქის ბოლოსავით უნდა შეიკრას, მოიშიბოს, შეიკუმშოს, გაძლიერდეს... ლემური დროშით გავიტანთ მსოფლიოში იბერიულ-კავკასიურ ცოდნას. ჩვენ კაცობრიობის წიაღიდან მოვდივართ, სხვა ერებმა ახლა უნდა გაიარონ დიდი გზა. მრავალ-ჟამიერი ერი – ნიშნავს მრავალჭირგამოვლილ ერს; მიწის პატრონი ერია გეორგიანები. აქედან წავა ახალი რენესანსი ევროპაში. მსოფლიო უნდა მოვიდეს და მუხლმოდრეკილი ლოცულობდეს ჩვენზე. საზამთროსავით მორთმეული ბურთია დედამიწა და ჭიპი აქ აქვს – როგორც რეალური, ცხოვრებისეული მაგალითი. ნირი ყველაფრისა აქ არის, მისი ფორმულები აქ არის ხორცშესხმული. იდეალურსა და მატერიალურს, სულიერსა და ტანიერს ქართველი იჭერს ჰარმონიულობაში. ჰავა, მზე, მიწა – ყველაფერი ზომიერია აქ... სიყვარული, შრომა, სიძულვილი, ჭამა-სმა, გართობა, ომი, დასვენება, ლხინი – ყველაფერი წონასწორობაში, ზომიერებაში გვაქვს, ღერძიდან არ გადავვარდებით... აქ ჩაისახა კაცობრიობა, აქაა ფესვი, აქ გადის ღერძი – დიდი მარადიულობა, სიდიადე, რაც ბადებს დედამიწაზე სიცოცხლეს... საქართველო მსოფლიოზეა გაწვდომილი. აქ არის დიდი სიკეთის საწყისი, რომელმაც მსოფლიოს უნდა უპატრონოს. მთელი მსოფლიო კითხულობს: რას აპირებს კავკასია, საქართველო რას აპირებს? ყოველ მხარეს უნდა განივრცოს, აქედან ახალი იმპულსი უნდა მიეცეს აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით – და შეიკვრება წრედი. აქ არის გვირგვინი, შემავსებელი ყველა სიკეთე; აქ, ნოლ წერტილში, მივემხრობით, ვეზიარებით სულის სამსახურს. ჩვენში ყველაფერი, რასაც მზე გვაძლევს, მიწა გვაძლევს – ადის აბსოლუტში და დედამიწა ხელში გვიჭირავს. მიწას ქართველმა პირველმა შებედა ბარი – ჩვენ გეორგიანები ვართ, მიწის პატრონი ერი. პირველი ბგერაც აქედან დაიძრა, პირველი ასოც აქ დაიწერა, აბსოლუტური ბგერა აბსოლუტური ნიშნით მხოლოდ ჩვენს ენაშია განსხეულებული – ხუთი ხმოვანი ბგერა საწყისია მატერიისა, ჩვენი ანბანის 33 ასო ქრისტეს ასაკის ტოლია. ჩვენი ენის სიდიადეში დევს უდიდესი სათნოება და სიყვარული ყოველთა: ხეთა, ქვათა, ცხოველთა... ჩვენ განგებამ ქართული ენა მოგვცა, როგორც სულიწმინდა. გახსნილია დღეს იდუმალება ენის სიდიადისა, არ არსებობს ქვეყნიერებაზე ენა და სიტყვა, რომ ქართულით არ აიხსნას არსობითში ამომწურავად. ლი-ბია, ლი-ბანი, ლი-გურია – გურია, კაცო! – თავსართი ყველგან სვანურია. ტანჟერი რომაა პორტი ჩრდილო აფრიკაში: ტან-ჯერი – ტენით გაჯერებული. სპარსელებამდე იქ მიდიელები იყვნენ – მედეას შვილები. ეგვიპტემ გაზარდა მოსე მისი 40 ათასი კაცით, მერე, როცა მომწიფდნენ, ხვნა-თესვა ისწავლეს – გაუშვა. ეგვიპტე ვინ დაბადა, ვინ გამოუშვა თავის მხრივ? შუმერმა! შუმერი? კავკასიამ! მივედით სათავესთან. ჰო, ბიბლიური მოსე – მოსინიკი – მესხია, სხვა კი არა. ებრაელები, ეს უძველესი კულტურის ხალხი, მხოლოდ ახლა შედის ტახის სტადიაში, მათ მხოლოდ ახლა დაერთოთ ოფიციალურად ნება ღორის ხორცის ჭამისა. ჩვენ კი, რა ხანია, გავიარეთ ეს სტადია: ტახის კულტი კოლხეთში, თუნდაც უძველესი კახური სიმღერა "გუშინ შვიდნი გურჯანელნი"... ის, რაც სხვა ერებში ახლა მწიფდება, ჩვენ მილიონი წლის წინ გავიარეთ და მილიონი წელია ჩვენ ამ ადგილს კავკასიაში სხვები გვედავებიან. ეს არის კოსმოსური სიმართლე და არა ბრექი ვინმეს მიმართ. ქართულის სიდიადე ჭეშმარიტებაშია, მზის კაცები და ქალები ვართ და ეს რა ჩემი და შენი ბრალია?.. რა არის ხალიბობა? ქალდეველებს აღიარებენ, ჩვენ კი – არა! ქალდე – ხალდე – ხალიბი! ერთია ესენი. ხალიბობა დედამიწაზე ქართველთა პრივილეგიაა, ლითონის დამბადებელი ერი ვართ! სათავე დაკარგულია ცოდნისა – აქ არის, ჩვენთან, იბერიული კოსმოსური ცოდნა! აქ გადის შუანი ღერძი წონასწორობისა: კავკასიონი – არსიანი. წარმოვიდგინოთ დედამიწის სფერო კარგ საზამთროსავით, მზის მიმართ ორი პოლუსით. მზე გადის ეკვატორზე – ეს არის ერთი შუანი, ცეცხლის ღერძი. ორივე ბოლოში დედამიწას აქვს ყინულის მოწოლა – ყი-ნულოვანი, სამხრეთის და ჩრდილოეთის პოლუსები. ჩრდილო პოლუსიდან ეკვატორამდე ადის ჩრდილო ნახევარსფერო და მისი კავკასიონი-არსიანის ზოლი არის შუა – შუანი, ზომიერი სარტყელი. ამარანტის ქვეყანაში არის მეორე შუანის ადგილი – სასწორივით, იქ არის ცეცხლის შუანი. მისი შუანის დრო იწურება – ცეცხლის შუანისა, ახლა იწყება ჩვენი დრო – ზომიერი შუანისა. ცივილიზაციის შუაგული არის შუანეთი – სვანეთი! რატომაა შუანი აქ? იმიტომ, რომ ჰიმალაი-ჰინდუყუშის აწვდილობა არის წვეტიანი, წამახული, მაღალი, ხოლო ევროპისა – დაბალი, ბლაგვი; კავკასია კი მათ შორის – შუაშია; აქ მართი, მართალი კუთხის მთებია – ზომიერება, წონასწორობა, ჰარმონიულობა... და თუ იბერიული მოდგმის წრე იკვრება მსოფლიოს გარშემო, შუანი-სუანი-სვანეთი ძვირფასი მბრწყინავი თვალია ჩასმული ამ ბეჭედში. კავკასიიდან მთელი მსოფლიო ელის იმედს!.. კოსმოსური დიდი მადლი – ქართველი ერის დიდი მისია, კოსმოსური მისია, აწევს მხრებზე მთლიანად კავკასიას. და რადგან საქართველო კავკასიის გულია და იტვირთავს პასუხისმგებლობას მთელი კავკასიისთვის – ის არის შუანი, ღერძი კავკასიისა, მისი თავი, – მთელი ღონე კავკასიისა აქაა. ამას დანახვა უნდა. კავკასიამ დაბადა მიწაზე დიდი იბერიულ-კოლხური ცივილიზაცია... შუმერში და ძველ ეგვიპტეში სახელმწიფო ენა ქართული იყო. ბერძნების ანტიკური კულტურაც ქართულ საძირკველზეა აღმოცენებული. აბსოლუტი დევს აქ, დას-

რულებული ლოგიკა, კრებითობა, ჯამი. ჩვენ ვფლობთ სამყაროს პლასტიკურ ენას და ჩვენი გენეტიკა პასუხობს აბსოლუტური მოცულობით ტოლფარდ ღვთიურ მადლს. აქ გაიხსნა პირველად სიცოცხლის საიდუმლო კიდობანი, აქ უნდა შემოიკრას ზარი ღვთიური დიდი სამსახურისთვის – ეს არის ჩვენი მისია! ყველაზე უხნესი და იმავდროულად უბერებელი ერი ვართ. როცა გაუჭირდებათ, ჩვენ გვიყენებენ – გრძნობენ სხვები შინაგანად ჩვენს სიძლიერეს. პირველი მებრძოლები იყვნენ ქართველები ყველა ომში. 300 არაგველნი უკვე წაგებულ ომში ჩაებნენ და დაიხარჯნენ; სიკვდილში შევიდნენ, როგორც ლხინში! მხედრები იყვნენ, ფიზიკურ სხეულზე სულიერად ამაღლებულნი, კაცურად ამაღლებულნი – არხეინი მოდგმა ვართ! სხვებისთვის ეს გაუგებარი შეიძლება იყოს... ჩვენს დასაჭურისებულ დროში ათასწლეულის ენერგია ამოიწურა და ახლა ვფართხალებთ, უნდა ავიდეთ ახალ, მარადიულ აბსოლუტში. ახლა იწყება ახალი წონასწორობა, მატერიას უნდა მოვერიოთ, მოვახდინოთ ჰარმონიული თანხვედრა დროისა და სივრცისა, კოსმოსური ენერგიის რეალიზება... მივადექით კარებს, როცა უნდა მოხდეს სულიერების აბსოლუტის გახსნა. ჩვენშია ენერგია, რომელსაც უხვად გავცემთ, აქ არის მიწისა და მზესთან მიმართებაში სათავე, აქ ხდება სასიცოცხლო ენერგიის რეალიზება; მზის სხივის გამოყოფილი ენა აქ იხარჯება – ჩვენთან, ჩვენში. აქ არის ჭეშმარიტების გვირგვინი, აქაა გული, პარკუჭი დედამიწისა. სიყვარული და სათნოება უნდა ვთესოთ დედამიწაზე – ეს არის ჩვენი მისია... მიგებ, რას გეუბნები? მე პირადად მივიღე კოსმოსური ხილვები, დასტური ამისა. მთავრდება მეორე ათასწლეული და ახლა მოდის ქართველთა ხანა, მესამე ათასწლეულიდან იწყება ქართველთა ზეიმის, მათი ზეობის ხანა...

ქველის ცოტა არ იყოს დაულაგებელი ნაამბობის ჭეშმარიტებისა რა მოგახსენოთ და ამასობაში თურმე პური მოიტანეს.

გაიმართა ჭიდაობა – რიგი და წესრიგი ვისღა ახსოვდა, დადასტურდა ბატონ ქველის შეხედულება, რომ ჩვენშია ენერგია, რომელსაც უხვად გავცემთ; მოხდა სასიცოცხლო ენერგიის რეალიზება, რის შედეგადაც მე და ქველი უპუროდ დავრჩით...

ჩამოვყარეთ ყურები.

მივჩანჩალებდი გაწბილებული შინისკენ და საკუთარ თავს ვტუქსავდი, – როგორ ვერ მოვისაზრე და არ ვკითხე ბატონ ქველის: რატომ მას კოსმოსური ხილვა არ გამოეცხადა, რომ კარგა ხანს ქუჩაში, ყინვაში ვიყურყუტებდით სულ ტყუილად და პური არ შეგვხვდებოდა?..

1993

ქეთინო

კაკო კუკუმალაძის მეუღლე საზღვარგარეთ ტურისტული მოგზაურობიდან ჩამოვიდა. თანამშრომელი ქალებით გარშემორტყმულ კაკოს განსაკუთრებით ქეთინო მჩითავიშვილმა შეუწუხა სული – ცოლმა რა ჩამოგიტანაო.

– "საროჩქა"! – ამოღერღა კაკომ, ქეთინო რომ აღარ მოეშვა.

– ესა? ასე უცებ ჩაიცვი?

ცნობისმოყვარე ქეთინომ საგულდაგულოდ გასინჯა ხალათის ფასონი, მასალა და ასე შემდეგ – კისერშიც კი ჩაუძვრა საფირმო ნიშნის სანახავად.

– მეტი არაფერი?

– რა-ა?

– მეტი არაფერი ჩამოგიტანა?

– წინდები.

– გაცვია? აბა მაჩვენე!

ქეთინომ ააწევინა შარვლის ტოტები, ლამის ფეხსაცმელიც გაახდევინა.

– კიდევ?

– რა კიდევ?

– ვითომ არ გესმის! კიდევ რა ჩამოგიტანა?

– ტრუსები!.. – და აკაკიმ ხუმრობით ვითომ შარვლის ჩახდა დაიწყო.

– უზრდელო!

გაბრაზებული ქეთინო ტყვიასავით გავარდა ოთახიდან...

1984

ღუღუნი

ერთი ნაღვლიანი ამბავი უნდა მოგიყვეთ...

მაკრინე ორჩხომელიძე ქართულ ენასა და ლიტერატურას თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასწავლიდა საშუალო სკოლის მაღალ კლასებში.

ო, ფრიად მკაცრი მასწავლებელი იყო, ძალიან მომთხოვნი! თან – ძალიან კეთილიც! როგორც იტყვიან ხოლმე, მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი. ამიტომ მოწაფეები და მათი მშობლებიც დიდად სცემდნენ პატივს და ბევრს უყვარდა კიდეც. მისი გაკვეთილის უმიზეზოდ გაცდენა იშვიათი იყო, არევა ან გაკვეთილის ჩაშლა – წარმოუდგენელი რამ. განსაკუთრებით ალბათ იმიტომ უყვარდათ, რომ თითქმის ნახევარ გაკვეთილს ლექსებს უკითხავდა მოწაფეებს – სულ ზეპირად იცოდა რუსთაველის, ბესიკის, ბარათაშვილის, აკაკის, გრიშაშვილის, ლეონიძის და გალაკტიონის ლექსები, ამასთანავე თანამედროვე ახალგაზრდა პოეტებსაც დიდად აფასებდა. თუ სადმე ლიტერატურული საღამო გაიმართებოდა თბილისში, ქალბატონ მაკრინეს მთლად გაჭაღარავებული თავი და დიდი, შუქიანი თვალები პირველ რიგში იპყრობდნენ ყურადღებას. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ქალბატონი მაკრინე მთელი თავისი სიცოცხლე პლატონურად იყო შეყვარებული იოსებ გრიშაშვილზე; ზოგნი იმასაც კი ამბობდნენ, რომ სწორედ ამის გამო არ გათხოვდაო...

სკოლაში არსებულ ლიტერატურულ წრეს, რაღა თქმა უნდა, ქალბატონი მაკრინე ხელმძღვანელობდა; უშვებდნენ ხელნაწერ ჟურნალსაც "პარნასის სუნთქვა". რამდენიმე ათეული წლის მანძილზე წრეში ალბათ მრავალი ასეული ნორჩი პოეტი ეზიარა პოეზიის თავანკარა წყაროს (მაპატიეთ მაღალფარდოვნად ნათქვამი! მეც იმ სკოლაში ვსწავლობდი ორმოცზე მეტი წლის წინათ და, მართალია, იმ წრეში არ ვირიცხებოდი, მაგრამ, ეტყობა, ქალბატონ მაკრინეს პიროვნების გავლენა მაინც გამომყვა). რამდენადაც მაკრინე მასწავლებელი ჩაცმა-დახურვასა თუ ქცევაში უაღრესად სადა იყო და ამავე დროს დახვეწილიც, ლაპარაკში ცოტა არ იყოს მაღალფარდოვნება და ზეაწეული ტონი უყვარდა. დიახ, უამრავი დამწყები პოეტი გაწვრთნა თუ დააფრთიანა (საჭირო სიტყვის მოძებნა გამიჭირდა!) ქალბატონმა მაკრინემ, მაგრამ გულსატკენი ის იყო, რომ მათ შორის პროფესიად კაზმული სიტყვიერების მსახურება ერთმაც არ ისურვა (თუ ვერ შეძლო, რაც უფრო სავარაუდოა). ქალბატონი მაკრინე ამ ამბავს ძალზე მტკივნეულად განიცდიდა, ერთთავად სულ იმის ცდაში იყო, რომ მისი ერთი ნაშეგირდალი მაინც გაბრწყინებულიყო პოეზიის ცარგვალზე, – თუნდაც მცირე ვარსკვლავად, – მაგრამ ვაგლახ! ამაო იყო მისი მოლოდინი... დიახ, იმედს ბევრი იძლეოდა და ბოლოს კი არავინ ამართლებდა.

და აჰა, როგორც იქნა, აღსრულდა მისი ოცნება! ამ ოცნებას ერქვა ღუღუნი ნანუაშვილი. ღუღუნი მესამე კლასიდან შეუდგა პოეზიის ნარეკლიან აღმართს და რაც დრო გადიოდა (და კლასიდან კლასში წარჩინებით გადადიოდა), მით უფრო ვაჟკაცურ და მქუხარე ლექსებს აცხობდა. სასკოლო ზეიმი ან რაიმე დღესასწაული ისე როგორ ჩაივლიდა, რომ ღუღუნის იქ თავისი ახალი ლექსი არ წაეკითხა; პოეზიის საღამოებზე თუ მოსწავლეთა ოლიმპიადებზე ქუხდა ღუღუნის ადრე დაბოხებული ხმა. ტანადაც კლასში ყოველთვის ყველაზე მოსული იყო, ამასთანავე – ზედმეტად ჩასუქებულიც. თანაკლასელი ბიჭები მას არასდროს დასცინოდნენ და არც ჩხუბსა თუ დავიდარაბაში გაბმულა ოდესმე – ღუღუნის ახლომხედველი თვალები იმთავითვე მეტისმეტი სერიოზულობით იმზირებოდნენ სათვალეებს იქიდან, თან სკოლის მშვენება და დიდება, "ოფიციალური" ახალგაზრდა პოეტი, აბა, ვის უნდა დაეჩაგრა! იბეჭდებოდა კიდეც – საბავშვო ჟურნალ-გაზეთებიდან მისმა ლექსებმა ახალგაზრდულში გადაინაცვლა და, მართალია, კანტიკუნტად, მაგრამ მაინც ახარებდა ნორჩი შემოქმედის გულშემატკივართა და დამფასებელთა გულს სამზეოზე გამოტანილი მისი ნედლი სტრიქონები. სულ სხვა ეშხი ჰქონდა, როცა საჯაროდ ლექსს წაიკითხავდა არა ხელნაწერიდან, არამედ გაზეთში დაბეჭდილი ამანაჭრიდან. ამგვარი ამონაჭრები საერთო რვეულში ჰქონდა საგულდაგულოდ ჩაწებებული, ასე რომ, უკვე ნელ-ნელა საკუთარი ლექსების კრებულს დასაბეჭდადაც ამზადებდა...

ქალბატონ მაკრინეს განწყობა-მდგომარეობას ადვილად წარმოიდგენთ – მის სანუკვარ ოცნებას ფრთები ესხმებოდა! სულ ზედ დაჰფოფინებდა ღუღუნის: რაღა წიგნებს არ ჩუქნიდა, გააცნო რამდენიმე წვრილფეხა პოეტიც, ქება-დიდებას და შეგულიანებას არ აკლებდა – მისი სანაქებო მოწაფე ჭეშმარიტად ღირსი იყო ამისა.

და აჰა, ქალბატონ მაკრინეს სიხარულმა აპოგეას მიაღწია – რკინიგზელთა დიდებულ სასახლეში იმართებოდა სკოლის ლიტერატურული წრის წევრთა, პოეზიის მოყვარულ მოსწავლეთა და მათ მშობელთა შეხვედრა... იცით ვისთან?.. გა-ლაკ-ტი-ონ-თან!!!

მაკრინე მასწავლებელი ხომ მარად აღგზნებული გახლდათ, ახლა კი პირდაპირ კოცონივით ბრიალებდა! ღუღუნიმ რამდენიმე დღეში ათი კილოგრამი მოიმატა წონაში – საოცარია, ნერვიულობისგან მადა, რომელიც ყოველთვის სანაქებო ჰქონდა, დაკარგვის მაგივრად კიდევ უფრო გაუცხოველდა. მთელი დღე რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის, – ირგვლივ ვერაფერს და ვერავის ამჩნევდა, – და ილუკმებოდა... ხუმრობა ხომ არ იყო, გალაკტიონის წინაშე დიდი პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი უნდა წაეკითხა! წამდაუწუმ წმენდდა სათვალის დაორთქლილ შუშებს, გავარვარებულ სახეზე ოფლს იმშრალებდა ერთი ბეწო, ბავშვის ცხვირსახოცით და მორიგ ბუტერბროდს ეძგერებოდა...

ჰოდა, მაისის ერთ მშვენიერ დილას საგულდაგულოდ ქოჩორდავარცხნილი ბიჭები და საგანგებოდ კოხტად გამოწყობილი გოგონები ყვავილების თაიგულებით ხელში შეიკრიბნენ რკინიგზელთა სასახლის დიდ დარბაზში. აჟივჟივებულ მოწაფეებს ქალბატონი მაკრინე და ლიტერატურული წრის ყველაზე აქტიური წევრები აშოშმინებდნენ...

სცენაზე დადგმულ გრძელ მაგიდას შემოუსხდნენ სკოლის პედაგოგიური საბჭოს წევრები დირექტორის თავკაცობით. ყველანი საზეიმო განწყობილებით იყვნენ შეპყრობილნი და უჩვეულო, ამაღელვებელი გრძნობის დაფარვას ვერ ახერხებდნენ.

გალაკტიონს დიდად არ დაუგვიანია. გამოჩნდა თუ არა სცენაზე, ტაშმა იქუხა. გალაკტიონი გაბრწყინებული თვალებით ათვალიერებდა დარბაზში მყოფთ, ყველას თავს უკრავდა ისევ და ისევ... ბოლოს, საგანგებოდ შუა სცენაზე დადგმულ ძველებურ რბილ სავარძელში ჩაესვენა.

ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ ხან მასწავლებლები და ხანაც მოსწავლეები, საყვარელ პოეტს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს. სცენა ყვავილებით აივსო, გაბადრული გალაკტიონი კმაყოფილებით ისვამდა წვერზე ხელს.

ღუღუნის ჯერიც დადგა.

შუბლშეჭმუხნილი, სათვალეების გოროზი ელვარებით, დადგა იგი სცენის კიდესთან; პირით სანახევროდ გალაკტიონისკენ მიბრუნებულმა, მარჯვენის ქნევით დააბუბუნა სათაყვანო პოეტისადმი მიძღვნილი ლექსი. არასდროს და არსად ასეთი აღფრთოვანებით და აღმაფრენით ღუღუნის ლექსი არ წაუკითხავს! პირდაპირ ნაკვერჩხლებს ჰყრიდა თვალთაგან! და მიუხედავად იმისა, რომ ლექსი საკმაოდ გრძელი იყო (ჩემთვის რომ გეკითხათ – უსაშველოდ გაჭიანურებული და მაღალფარდოვანი), დარბაზი მაინც სულგანაბული პირში მისჩერებოდა სკოლის მშვენებას და გალაკტიონიც მთლად ყურადღებად ქცეულიყო. ღუღუნის ხელის ბოლო აქნევა (ბოდიშს ვიხდი და, ხელში რომ მარაო სჭეროდა, ალბათ ბარე ნახევარ დარბაზს სურდოს შეჰყრიდა) – პოეტთა მეფეს ბოლო მქუხარე ეპითეტით უკვდავება უწინასწარმეტყველა ნორჩმა პოეტმა, უკანასკნელი სიტყვა ყვირილით გააფრინა სცენიდან სადღაც მაღლა, მაღლა... და გაჩუმდა. თავი ჩაჰკიდა...

ფეხზე წამომხტარი მაკრინე მასწავლებელი ხელისგულებს არ ზოგავდა, აბორგებული დარბაზი ტაშს უკრავდა ღუღუნის. გულაჩუყებული გალაკტიონი წამოდგა, ღუღუნისთან მივიდა, მოეხვია და შუბლზე ეამბორა...

ო, ეს არ იყო ჩვეულებრივი კოცნა – ეს იყო მომავალი დიდი პოეტისთვის გზის დალოცვა ლექსის ჯადოქრის მიერ!

გალაკტიონი ერთხელ კიდევ გადაეხვია ღუღუნის, ხმამაღლა, რომ ყველას გაეგონა, დიდი, დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა ესოდენ გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ ყმაწვილს და ცხვირსახოცით თვალების მშრალებით ისევ სავარძელს მიაშურა...

როცა შემდეგ უთვალავჯერ ეკითხებოდნენ ღუღუნის, რას გრძნობდი იმ დროს, როცა გალაკტიონი მოგეხვიაო, კიდევ რა გითხრაო, ნორჩი პოეტი ვერაფერს პასუხობდა – მოზღვავებულ გრძნობათა სიჭარბემ ყოველგვარი კვალი წაშალა მის მეხსიერებაში... მხოლოდ ერთი რამ კი თავბრუს ახვევდა და სუნთქვას უკრავდა – ოცნების ფრთიანი ცხენი თუ რაში მიაქროლებდა სულ მაღლა და მაღლა – ის სახელგანთქმული პოეტი იქნება!

სკოლა მე ღუღუნიზე ერთი თუ ორი წლით ადრე დავამთავრე და მას შემდეგ მისთვის თვალი არ მომიკრავს. არც ჟურნალ-გაზეთებსა თუ წიგნებში შემხვედრია მისი სახელი. და აი, ოთხი ათეული წლის შემდეგ ტელევიზორში არ ვიხილე ბატონ ღუღუნის დრო-ჟამის დაუნდობელი ტრიალისგან საკმაოდ შეცვლილი სახე? მაინც მაშინვე ვიცანი; მართალია, სულ მთლად გამელოტებულა ღუღუნი, კიდევ უფრო გასუქებულა, მაგრამ ხმა, ხმა თითქმის არ შესცვლია! რიხიანად უყვებოდა ბატონი ღუღუნი ტელემაყურებლებს, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია მისი ხელმძღვანელობით ადგილობრივი მრეწველობის რომელიღაც საწარმომ გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებაში, მოწინავე ტექნიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, ასორტიმენტის გაფართოებასა და თვითღირებულების შემცირებაში და ასე შემდეგ... ნამდვილი პოეტური მგზნებარებით ლაპარაკობდა ასეთ რამეებზე (ქართულის არმცოდნეს ნაღდად ლექსის მკითხველი პოეტი ეგონებოდა!) და სათვალის დიდი შუშებიც კი კმაყოფილებით ბრწყინავდნენ...

“ნეტავ ბევრზე ბევრი გვყავდეს ასეთი განათლებული და უნარიანი საწარმოთა ხელმძღვანელები-მეთქი, – კმაყოფილი ვუსმენდი ბატონ ღუღუნი ნანიაშვილს, – ყოჩაღ, ღუღუნი, ყოჩაღ!”

თუმცა...

კიდევ კარგი, კარგა ხნის წინ გარდაცვლილი მაკრინე მასწავლებელი არ უყურებდა და არ უსმენდა მის საყვარელ მოწაფეს, თორემ ნაღდად გაუსკდებოდა გული...

1992

ყარამან

ქიმიური ლაბორატორიის შუახნის ლაბორანტი თინა ფანჯარასთან მივიდა ყვავილების მოსარწყავად, გარეთ გაიხედა და დაუძახა:

– ნათელა, ნათელა, მოდი ჩქარა!

შინაბერა ტექნიკოსი ნათელა, რომელიც წყლის გამოსახდელ აპარატთან საქმიანობდა, მაშინვე ფანჯარასთან გაჩნდა.

– უყურე შენ!

ისე, კაცმა რომ თქვას, ნათელას ამ წამოძახილს არავითარი საფუძველი არ გააჩნდა. რა მოხდა მერე, ადრეც ათასჯერ დაუნახავთ ლაბორატორიის თანამშრომლებს: მოპირდაპირე მხარეს მდებარე მაღალი შენობის მესამე სართულის აივანზე მელოტი, ჩასკვნილი, ღიპმორეული კაცი გამოსულიყო და გულმოდგინედ ჰგვიდა-ასუფთავებდა მწვანეთუთიყუშებიან გალიას, თან ჩიტებს სტვენით “ესაუბრებოდა”.

გაისმა გრუხუნი და გაზაფხულის შხაპუნა წვიმამ დაუშვა.

შილიფად ჩაცმულმა მელოტმა გალიას თავი დაანება და ოთახში შევიდა, კარები გაიხურა და ფარდაც ჩამოაფარა.

– აბა, ვნახოთ ერთი, სარეცხის ასაკრეფად თუ შეიწუხებს თავს ბატონი პროფესორი ყარამანი ან მისი პატივცემული ცოლი აგრაფინა! – დაინტერესდა თინა.

– ეტყობა, ისევ ნაჩხუბარები არიან რძალთან, ბავშვების სარეცხი აგერ უკვე ორი დღეა ჰკიდია და ჰკიდია!.. – აუბა მხარი ნათელამ.

– ალბათ რძალი შინ არ იყო ამ დღეებში. მოდი დავურეკოთ, ბავშვებს მაინც რას ერჩიან, სარეცხს მიხედონ! – ტელეფონის ყურმილი აიღო თინამ და ყარამან მამაიაძის ბინის ნომერი აკრიფა.

– ალო, ალო!.. ბოდიში, ბატონო, წვიმს და თქვენი სარეცხი დასველდება! რაო, რაო?!. რა ჩემი საქმეა?!. ეტყობა, კარგად გაქვთ ტვინი ნაღრძობი შენ და შენს ქალბატონსაც! კი, ბატონო, დავეტევი ჩემს ქერქში, მაგრამ რძლის მოძულება... არ გინდა, მათქმევინო, ხომ?.. მაინც გეტყვი!.. ვისაც საკუთარი შვილიშვილები არ უყვარს... დამიგდო ყურმილი! თფუი, შენს კაცობას, ყარამან, თფუი!..

– მაინც რას ერჩის იმ რძალს, ანგელოზებივით ორი შვილი გააჩინა, ჰგვის და რეცხავს, ბავშვებს და ქმარს უვლის, არც დედამთილ-მამამთილი ჰყავს დარჩენილი უყურადღებოდ... – მარცხენა ხელის თითებს მიმდევრობით კეცავდა ნათელა. – მეტი რაღა უნდათ?

– ჭირი მათ და ოხრობა! რატომ მდიდარი არ ხარო!.. აგრაფინა რაღამ გადარია, ქალია ბოლოს და ბოლოს, რძალს ვერ უნდა გაუგოს? – თუხთუხებდა თინა.

– მოდი, ახლა მე დავურეკავ, აგრაფინას ვიკითხავ და გავთათხავ ერთი გემრიელად!

– რა იქნება მერე? – არ დაეთანხმა თინა. – ისევ იმ საწყალ რძალს კიდევ უფრო მოიძულებენ! ალბათ ახლაც მშობლებთან არის გაქცეული და ბავშვებიც წაიყვანა.

– “ჩემს ბიჭს აკადემიკოსის ქალიშვილი ეძლეოდაო!”, წამდაუწუმ რომ ატლიკინებს ენას აგრაფინა, მაგათ მართლა უნდა შეხვედროდათ ვიოლა – ის მაიმახი, ისა! ვენაცვალე მაღალ ღმერთს, ნეტა ის ღვთისნიერი რძალი არ დაბრუნდებოდეს და ვიოლა შერთოს ვაჟიშვილს! რას გავიხარებდი! ვერ შეიშნოიეს ხომ წყნარი, პატიოსანი ადამიანი, კარგ დღეს დააყრიდათ აკადემიკოსის ქალიშვილი! ახლაც ერთი გაღიმებულს ვერ ნახავ ვერც ცოლს და ვერც ყარამანას, სულ ცხვირ-პირი ჩამოსტირით და მაშინ უნდა გენახა, რძალი რომ პაპიროსს გაირჭობდა პირში და ჩაის ჭიქით არაყს გადახუხავდა!

– ძალად რას იმწარებენ ცხოვრებას, ვერ გამიგია! – აღშფოთებულია თინაც. – რას ეძებ საჩხუბარსა და სადავიდარაბოს, რას იუგემურებ წუთისოფელს, თავი გტკივა? პროფესორი! ცალტვინა პროფესორი! გამობმია ცოლის კალთას და ცარიელი ჭურივით იმეორებს ჩერჩეტი ქალის ნაბეუტურევს... კაცია ეგა? ყარამანა – პროფესორი?!. პროფესორი კი არა, მთხლეა!

კიდევ კარგი, ამასობაში წვიმას გადაუღია, მზემაც კი გამოანათა – ვინძლო ქალების გუნება–განწყობილებაც გამოკეთდეს!

1987

შურა
(ვარიანტი ესკიზისა “მაია”)

მაიკო! ოჰ, მაიკო!..

ყველაფრით გამორჩეული იყო, ყველაფრით!

სამსახურის დერეფანში რომ გაივლიდა, ქალებიც კი აღტაცებით გააყოლებდნენ მზერას – ასეთი კოხტა ვინ შექმნა ან განგების რა ძალამ ისურვა, მისი ხილვით ჩვენი გაბედნიერებაო! ფერია, ნამდვილი ფერია: ცისფერთვალა, ოქროსთმიანი, მუდამ მღიმარე და ხალისიანი – გაცოცხლებული დედოფალა! ყველასთვის საყვარელი, ყველასთვის ბედნიერების მომტანი თილისმა – თუკი დილით შეგხვდებოდა, იმ დღეს უეჭველად წარმატება დაგებედებოდა!

მაგრამ ცხოვრებას, სამწუხაროდ, არ უყვარს ნაზი არსებანი. ეს კარგად იცის ყველამ და ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს მაიკოს თავს გადახდენილი უცნაური ამბებიც...

როცა მაიკომ საპროექტო ინსტიტუტში დაიწყო სამსახური, მისი სამუშაო ოთახი ერთ კვირაში სულ სხვა იერისა გახდა: შეცვალა სამი მაგიდის განლაგება, ორი კარადაც გადაადგილა – ბევრად მოხერხებულად განალაგა ისინი. ფანჯრები დაამშვენა მაქმანებივით მოჩითულმა თხელმა, გამჭვირვალე ფარდებმა, ფანჯრების რაფებზე კი გაჩნდნენ სხვადასხვა კაქტუსები, ნაირფერადი ოთახის იები, ჭორიკანები, გერანი, ყოჩივარდები...

ერთხელ შინაბერა შურამ (პირს უკან ყველა ასე უწოდებს, თუმცა ქმარიც ჰყავს, შვილიც და შვილიშვილებიც) – კუშტსახიანმა, გამხდარმა ქალმა, ყველას რომ ეჭვიანი თვალებით ბურღავდა, – შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ აღმოაჩინა, რომ მის ოთახში ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებული ოთახის ყვავილები – ორი ოთახის ყოჩივარდა ანუ ციკლამენი (ერთი თეთრი ყვავილებით ჰყვაოდა ხოლმე, მეორე – წითლით; ამ გარემოებას განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს ამბის შემდგომი განვითარებისას) – ვიღაცას წაუღია. შურამ არ დაახანა, არც ძალ-ღონე და არც დრო დაიშურა დანაკარგის მოსაძებნად – დაწესებულების ოთხივე სართული დაიარა და... მაიკოს მოსდო შარი: შენ მოგიპარავს ჩემი ყოჩივარდები, დანაშაულის კვალის დასაფარავად კი სხვა ქოთნებში გადაგირგავს, სულ დაგიკარგავს სირცხვილ-ნამუსიო.

უეცარი ბრალდებით თავგზააბნეული მაიკო ტყუილად იფიცებოდა: ეს ყოჩივარდები ახლახან ვიყიდე ერთი მოხუცი ქალისგან, მეტროს შესასვლელთან ჰქონდა გამოტანილი ამ გაჭირვების ჟამს პურის ფულის საშოვნელადო, მივიდეთ, ვკითხოთო. შურა არ უსმენდა, გემრიელად გათათხა მაიკო, შემდგომ დაავლო ხელი ყოჩივარდებიან ქოთნებს და წაიღო (ზაფხული იყო, ყოჩივარდები ისვენებდნენ, ფოთლები გაცვენილი ჰქონდათ); შემდგომ კი მთელ დაწესებულებას მოსდო: “მაიკო ქურდია!”.

შემოდგომაზე ყოჩივარდებმა გაიღვიძეს და შეიფოთლნენ, დეკემბერში კი ორივე ულამაზესი წითელი ყვავილებით დამშვენდა... ბევრი უმტკიცეს შურას, შენი ერთი ყოჩივარდა ხომ თეთრი იყოო, მაგრამ მაიკოს უდანაშაულობის ამ უტყუარმა საბუთმა რატომღაც შურა კიდევ უფრო გააღიზიანა და გააკერპა, არც უფიქრია ყვავილების პატრონისთვის დაბრუნება.

მათი “დუელი” ამით არ დამთავრებულა და, როცა შურას საშუალება მიეცა, მაიკოს კვლავ დაუდო კვანტი...

ამჯერად უფრო რთული ინტრიგა გაიხლართა.

დაწესებულებაში კოხტა ჩაცმა-დახურვით გამორჩეულმა გულიკომ მაიკო მიიყვანა ერთ მკერავ ქალთან, რომელთანაც ჩვეულებრივ იკერავდა ხოლმე კაბებს. ერთი თარგის, ოღონდ სხვადასხვა ფერის კაბები შეუკვეთეს: მაიკომ – ცისფერი, თავისი თვალების ფერი, გულიკომ – წითელი (მოგეხსენებათ, შავგვრემანებს ეს ფერი უხდებათ). ერთხელაც, როცა გულიკო თავისი კაბის წამოსაღებად მივიდა მკერავთან, ამ უკანასკნელმა, დაბნეულმა, უთხრა, რომ წინა დღით გულიკოს სავსებით გამზადებული კაბა... ვეღარ ნახა; კაბა გაქრა, ალბათ მოიპარეს!..

ამ სამწუხარო ამბავმა, რაღა თქმა უნდა, შურას დაცქვეტილ ყურებამდეც მიაღწია. ჰოდა, გულიკო გააჩერა დერეფანში და საიდუმლო იერით აუწყა – სერიოზულად უნდა გელაპარაკოო. გულიკოს გაუკვირდა, შურა დეიდასთან ახლოს არასდროს ვყოფილვარ, რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან ნეტავიო, მაგრამ მაინც შეჰყვა მის ოთახში.

– მე მგონი, დანამდვილებით ვიცი, ვინც არის შენი კაბის ქურდი! – ახარა გულიკოს შურამ, როცა ოთახის კარი საგულდაგულოდ ჩაკეტა.

– მართლა, დეიდა შურა? – გაუკვირდა გულიკოს.

– შენთან ერთად მაიკოც ხომ იკერავდა კაბას?

– დიახ, იმან წინა დღით წაიღო თავისი კაბა, მე ვერ შევძელი მისვლა, ჩემი დისშვილის დღეობა იყო და იქ ვეხმარებოდი.

— იმან შენი კაბაც ხელს გააყოლა! — დაბეჯითებით წარმოსთქვა შურამ და, როცა შეატყო, გულიკო შეპასუხებას აპირებდა, დაამატა: — დამიჯერე, მე უკეთ ვიცნობ მაიას, ყვავილების მოპარვას რომ იკადრებს, იმისგან ყველაფერი მოსალოდნელია! როგორი კაბა იყო?

გულიკომ დაწვრილებით აუწერა კაბის ფასონი და შურას თხოვნით, ქაღალდზე დაუხატა კიდეც — ეგონა, თავისი ქალიშვილისთვის თუ უნდაო.

გავიდა რამდენიმე დღე. გულიკომ შვებულება აიღო და დასასვენებლად წავიდა ბორჯომში. მაიკო არ დადიოდა სამსახურში, დედა ჰყავდა ავად.

— დედა კი არა, ის არ გინდა? — აგდებულად ამბობდა შურა, — სამსახურში მოსვლის ეშინია, ქურდობის ამბავი არ გამიგონო! გამოჩნდეს ერთი, ვაჩვენებ სეირს!

როცა მაიკო სამსახურში გამოცხადდა, თავის მაგიდაზე ჩვრით მტვრის გადაწმენდა და ყვავილების მორწყვა ვერ მოასწრო, რომ ოთახში შურა შემოიჭრა, თან რამდენიმე ქალიც შემოჰყვა.

— მობრძანდი, ქალბატონო?!. — რაღაც ავი ხმით წამოიძახა შურამ.

შემკრთალმა მაიკომ ვერაფერი უპასუხა, მხოლოდ გაკვირვებული მზერა მიმოატარა შემოსულებზე.

— უყურეთ, რა თავხედია — ნაქურდალი კაბით დასეირნობს უკვე!

— რას ამბობთ, დეიდა შურა, ეს ჩემი კაბაა, მკერავთან შევიკერე! — წამოიძახა მაიკომ.

— შენია ხომ? ა, ნახეთ, გულიკოს ხელით დახატულია აგერ, — ააფრიალა ხელში დაჭერილი ფურცელი შურამ, — ამ საბუთს სად წაუხვალ? ნახეთ, ქალებო, გულიკოს კაბა აცვია თუ არა?

ქალებმა გულმოდგინედ შეადარეს კაბა ნახატს და რაღა ეთქმოდათ — შურას სიმართლეში დარწმუნდნენ.

— რა გინდათ ჩემგან, რა? — ატირდა მაიკო. — დამანებეთ თავი, ჩემი კაბაა და რა ვქნა?

— რა უნდა ქნა და ახლავე შენი ხელით გაიხადო, შე უნამუსო, თორემ ძალით გაგხდით! — შეუბღვირა შურამ.

— ვაიმე, რაღა ვქნა, გავგიჟდები! — მწარედ ტიროდა მაიკო. — მომცილდით... მიშველეთ!..

შურა მივარდა მაიკოს, დანარჩენი ქალებიც მიეხმარნენ — მაიკოს ხელები გაუკავეს და კაბა ძალით გახადეს.

— იყვირე ახლა და იტირე, რამდენიც გაგიხარდება! — ნიშნის მოგებით მიაძახა შურამ მაიკოს და ახორხოცებულმა ქალებმა კარი გაიხურეს...

დარჩა მაიკო პერანგის ამარა, შინ როგორ უნდა წავიდეს?

ოდნავ გამოაღო ოთახის კარი და ფრთხილად გაყო თავი — იქნებ ვინმე ქალი გამოჩნდეს დერეფანში მშველელიო... ბედად თვალი მოჰკრა მბეჭდავ-მემანქანე გოგონას, ცარიელი გრაფინით წყლის ასაღებად რომ მიეშურებოდა...

როცა თვის ბოლოს გულიკო შვებულების შემდეგ გამოცხადდა სამსახურში, თანამშრომლებმა უთხრეს, შურა დეიდას მიაკითხე აუცილებლად, სიურპრიზი მოგიმზადაო. მივიდა შურასთან და მართლაც დიდ მოულოდნელობას წააწყდა...

— გულიკო, ა შენი კაბა, ხომ გითხარი, იმ გათახსირებულის მოპარული იქნება-მეთქი! — მიაწოდა შურამ გაზეთში გახვეული კაბა. — ცოტა დაიჭმუჭნა, უთოს გაკვრა დასჭირდება...

— დეიდა შურა, ეს არ არის ჩემი კაბა, ჩემი კაბა წითელია! — უპასუხა განცვიფრებულმა გულიკომ.

— აბა, ეს რა ფერისაა? — იკითხა შეცბუნებულმა შურამ.

— ეს ცისფერია, ფერებს ვერ არჩევთ?

— ჰო, დალტონისტი ვარ, ფერები მერევა. მაშ, შენი კაბა წითელი იყო?

— რატომ იყო? — მკვირცხლად მიუგო გულიკომ, — არის კიდეც, ახლა მაცვია!.. საიდან მოხვდა თქვენთან მაიკოს კაბა, დეიდა შურა?

კითხვას შურამ თავი აარიდა, კითხვითვე მიუგო:

— შენი კაბა როგორ იპოვე?

— მკერავმა დამირეკა შინ. თურმე შეშლია; როცა ერთ-ერთ კლიენტს შეკვეთილ კაბას ატანდა, ამ დროს ტელეფონს დაურეკავს და სიჩქარეში ჩემი კაბა გაუხვევია და გაუტანებია. იმ ქალსაც ვერ შეუმჩნევია შეცვლა და მხოლოდ შინ მისულს აღმოუჩენია. დაბრუნება გადაუდვია... ეს კაბა კი პატრონს დაუბრუნე, მაიკოს გაუხარდება.

როგორ ფიქრობთ, იყო შურა მაიკოსთან მიმსვლელი?

ცამცუმა

ცამცუმა ერბოქილაშვილი, ცნობილი მოქანდაკის შვილი და თვითონაც მოქანდაკე, დაოჯახდა. შეიყვანეს ოქროულობის მაღაზიაში...

ხედავს, ქალის ოქროს საათი 300 მანეთი ღირს.

– არა, – გაიქაჩა გარეთ გამოსასვლელად, – რა ამბავია, ამ ფასად კარგ თოფს ვიყიდი, რა ხანია, ვოცნებობ...

ძმაკაცებმა დაიჭირეს, დააშოშმინეს, ნამუსზე შეაგდეს; როგორც იქნა, ბეჭედი აყიდვინეს – თოფი ჩვენზე იყოსო.

მართლაც, იმავე დღეს მიართვეს თოფი სიძე ბატონს საჩუქრად.

წავიდნენ ფასანაურს ცოლოურთან, ქორწილში.

იქ ცამცუმამ დაიჯინა, ცოტას გავივლ-გამოვივლი თოფითო.

სიძე ბატონს უარი ვედარ შეჰკადრეს...

წავიდა ცამცუმა და წავიდა... აღარ ჩანს, დაიკარგა.

არის ერთი ნერვიულობა და დაბნეულობა, სუფრა სულ ჩაუშხამდათ.

ბოლოს, გამოჩნდა ჩვენი ცამცუმა – ნადირობას გაეტყუებინა.

როცა ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო წარმოთქვეს, სიძე ფეხზე წამოდგა და გადახსნილი პიჯაკიდან პატრონტაშში აელვარებული ჰილზები გამოუჩნდა... ეს ხუმრობაში ჩაუთვალეს...

ცოტა ხანში ძმაბიჭებმა მიიწვიეს სანადიროდ.

– იცით, ჩემს ცოლს ჩექმები მოეწონა მაღაზიაში და თოფის გაყიდვა მომიწიაო, – აუწყა მეგობრებს.

ბიჭებმა ისევ შეაგროვეს ფული და ახალი თოფით წაიყვანეს სანადიროდ.

გავიდა დრო და ცამცუმას ისევ შესთავაზეს სანადიროდ წასვლა.

– იცით, თოფი გავყიდე და ცოლს ქურქი ვუყიდეო, – დაირცხვინა ცამცუმამ.

მეტი თოფი მისთვის აღარ უყიდიათ.

1986

წაწალო

როცა სოფლიდან ჩემი სიყრმის მეგობრის, წაწალოს, ამბავი გამაგებინეს, – წავიდა, თავისი წილი მარილი წაიღო გაღმა ნაპირზეო, – არ მინდოდა დაჯერება. წაწალო და სიკვდილი?

წაწალო მეტად სუსტი ბავშვი დაიბადა, სულ ავადობდა. ბავშვობაში შინ ეალერსებოდნენ, საწყალოო – "საწალო, საწალო" და ნელ-ნელა ყველასთვის წაწალო გახდა, მისი ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვდა.

წაწალო ტანმორჩილი იზრდებოდა, რაც მეტად აღონებდა მამამისს, ოსიკოს. ხშირად აქეზებდა ნაბოლარა ბიჭს – მიდი, ძმებს დაეჭიდეო. წაწალოს სამი ძმა ჰყავდა, მასზე დიდად უფროსები. ისინი ხუმრობით ხშირად ეძიძგილავებოდნენ წაწალოს, რომელიც თანდათან თამამი და შეუპოვარი ონავარი დადგა. სკოლაში სწავლით დიდად არ გამოირჩეოდა, სამაგიეროდ, პირველი ჩხუბისთავი გახლდათ. კლასში ყველაზე ტანმორჩილი იყო, ამის მიუხედავად, არამცთუ თანაკლასელებს, მასზე ორი-სამი წლით უფროს ბიჭებსაც კი არ ეპუებოდა. ზოგჯერ გაილახებოდა კიდეც, მაგრამ ატირებული არავის უნახავს.

"წაწალომ სკოლაში ფანჯრის შუშა ჩაამსხვრია", "გოგიას, პეტრეს თუ ივანეს ქვით თავი გაუტეხა"... – ხშირად შესჩივლებდნენ ხოლმე დედამისს, დაროს. "სისხლი გამიშრო ამ არგასაზრდელმა!" – იტყოდა დარო და მოსაფერებლად წაეტანებოდა ეშმაკის ფეხს. გულის სიღრმეში უხაროდა, ტანად დაჩაგრულია და სიყოჩაღით მაინც აჯობოს სხვებსო. მოფერებაზე წაწალო შეიკრავდა კოპებს და ბურტყუნით გაუსხლტებოდა მკლავებიდან, გაეცლებოდა დედას. სულ კუშტი გამოხედვა ჰქონდა, ამრეზილი დადიოდა, თითქოს ვინმემ გაანაწყენაო. "წიწაკა" წაწალო ტოლებში დღენიადაგ ჩხუბისა და აყალმაყალის მიზეზს ეძებდა, ამიტომ მასთან შეკამათებას ერიდებოდნენ.

იზრდებოდა წაწალო, მალე მისი სახელი ნაფეტვრების ახლომახლო სოფლებშიც შეიტყვეს. ჯელობაში რა ქორწილი, დღეობა ან თუნდაც ჭირის სუფრა უნდა ყოფილიყო, რომ იქ წაწალოს თავისებურად არ აერია...

ადრე დაოჯახდა, მაგრამ თავისი ხასიათი არ შეუცვლია. ერთი რამ კი ახალი ახირებაც დასჩემდა: ნადიმი იყო თუ ქელეხი, აუცილებლად მეუღლეც თან უნდა წაეყვანა.

სმაში წაწალო არავის ჩამორჩებოდა, ის კი არა – ყოყლოჩინობდა და ცდილობდა, სხვებისთვის ეჯობნა. ღვინო კი ადვილად ეკიდებოდა და მაგრადაც თვრებოდა. ხან ვის აუშარდებოდა, ხან – ვის. ცოლი, მათიკო, ტანახოვანი ქალი იყო, იშვიათად თვინიერი. აუღელვებლად უყურებდა ქმრის ჭინჭყლს და არ კი რამეს ეტყოდა – მის პირმრგვალ სახეზე მხოლოდ ღიმილს თუ შეამჩნევდით. ხშირად ზურგით მიუყვანია შინ გალეშილი ქმარი, ნაბიჯის გადადგმის თავი რომ აღარ ჰქონდა და ყველასა და ყველაფერს გინებით იკლებდა... მხოლოდ ცოლი იყო გამონაკლისი, მისთვის უგვანო სიტყვა არასდროს უკადრებია; დანარჩენებს კი შინ თუ გარეთ თვალებგადმოქაჩული უბღვერდა – თვალები რატომღაც მუდამ ბუღასავით დაწითლებული ჰქონდა. წითური, აჯღაბაჯღად ამოსული მეჩხერი ულვაშები გაფხორილ კატასავით წინ ჰქონდა წამოშვერილი.

ერთიმეორის მიყოლებით სამი ბიჭი შეეძინათ. პირმშო ტანმორჩილი და წითური იყო წაწალოსავით, მომდევნო შვილები დედას დაემსგავსნენ – შავგვრემანები იყვნენ და სიმაღლეში ადრევე გაუსწრეს უფროს ძმას.

წაწალოს ჯაფა მოემატა, დიდ ოჯახს რჩენა უნდოდა. მამა გარდაეცვალა, დედა მოუხუცდა; ძმები ცალკე ცხოვრობდნენ და თავ-თავიანთი საზრუნავ-საფიქრალი აწუხებდათ, უმცროსი ძმისთვის იშვიათად ეცალათ. წაწალო ხან წელს იწყვეტდა მინდორსა თუ ბაღში მუშაობით, ხან კი მთელი კვირით გადაიკარგებოდა – მათიკო თან აღარ მიჰყავდა. ოჯახამდე მხოლოდ ხმები აღწევდა – გუშინ წაწალომ ბიძაშვილთან გამართულ ლხინში "ივაჟკაცაო", წაწალომ შალიკოს ბიჭის ქორწილი კინაღამ ჩაშალაო...

ერთი ასეთი შეხლა-შემოხლის დროს წაწალო გაქაჩეს და სამი წლით დასვენება მიუსაჯეს სახელმწიფო ხარჯით. საპატიმროდან განთავისუფლებულმა, შინამდე მშვიდობით ვერ მიაღწია – მატარებელში ჩხუბი ატეხა, ერთ-ერთ სადგურში ჩამოსვეს, იქ მილიციაშიც მუშტი-კრივი გამართა და ახლა ხუთი წლით პატიმრობა "აიკიდა". კოლონიაშიც ვერ მოისვენა და იქაც გაუგრძელეს პატიმრობის ვადა... მოკლედ, შინ მხოლოდ თორმეტი წლის შემდეგ დაბრუნდა. უფროსი ბიჭი ჯარში გაწვეული დახვდა, უმცროსები უკვე სკოლას ამთავრებდნენ. ერთ წელიწადში წაწალოს მეოთხე ვაჟი შეეძინა, ისიც პირმშოსავით წითური...

წაწალომ ორმოც წელიწადს გადააბიჯა, წლებმა კი ხასიათი ვერა და ვერ შეაცვლევინეს, მხოლოდ ვიწრო შუბლზე ბუჩქად დაყრილ სპილენძისფერ, ხშირ ქოჩორში ბლომად გაერია ჭაღარა. წინა კბილები ჯეელობაშივე "შემოეხარჯა" გაწევ-გამოწევებში, სახე წვრილი ნაოჭებით დაეფარა; თვალები კიდევ უფრო დაუწითლდა; ჩიფჩიფა, მამლაყინწური ლაპარაკი ვერ მოიშალა, ყოველ ორ სიტყვას მესამეს გინებას მოაყოლებდა. არ გეგონოთ, რომ ჩხუბისთავის სახელს იყენებდა და ამით აშინებდა მოწინააღმდეგეებს. რამდენჯერ უცნობებთანაც მოუხდა წაძიძგილავება და უკან არასდროს დაუხევია – საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, თავსაც შეაკლავდა. იცოდნენ მისი ჩახმახა ხასიათი და ვინც გინდა ყოფილიყო, – ბრიგადირი, თავმჯდომარე თუ უფრო მაღალი სკამის მფლობელიც, – ყველა ერიდებოდა მასთან შეკამათებას, იცოდნენ, სიმართლეს პირში დაურიდებლად მიახლიდა საჯაროდ. მეზობლები პატივს სცემდნენ, რადგან უსამართლობას ვერ იტანდა და არა მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ – სხვის, თუნდაც სრულიად უცნობის დაჩაგვრასაც არავის აპატიებდა.

და აი, წაწალოს, მუდმივად ყალყზე შეყენებულს, მშფოთვარეს, მოუსვენარს, მოულოდნელი უბედურება დაატყდა თავს – მეუღლე დაკარგა. მათიკოს უკურნებელი სენი აღმოაჩნდა და ლოყებღაჟღაჟა, ტანსრული ქალი რამდენიმე თვეში დაილია და დაიფერფლა...

წაწალოს მამისეულ ძველ სახლთან შეკრებილი მთელი სოფელი თვალს არ უჯერებდა – პირველად ნახეს, დამუნჯებული, თავჩაქინდრული წაწალო როგორ წამდაუწუმ იწმენდდა ღაპაღუპით მდინარე მდუღარე ცრემლებს...

უკვე დაკაცებული წაწალოს ბიჭები გარინდებული იდგნენ, მოსამძიმრეთ მდუმარედ ართმევდნენ ხელს; მხოლოდ ნაბოლარა ბიჭი – 4 წლის ვეფხია – ეზოში ცხენჯოხს უდარდელად დააჯირითებდა და იქაურობას ჟივილ-ხივილით იკლებდა. ტუქსავდნენ, მაგრამ უშედეგოდ... "ზედგამოჭრილი წაწალოა, ეს ერთი ციდა მამაძაღლი, შეხე, როგორ ქვეშ-ქვეშ გვიბღვერს..."

ის იყო, ორმოცის გადახდის თადარიგს იჭერდნენ, რომ წაწალოს გულმა უმტყუნა...

აღარ იყო წაწალო, "შეჩვეული ჭირი" და სოფელმა მოიწყინა. რატომღაც დააკლდა ეშხი ქორწილებსაც და ნათლობა-დღეობებსაც... ჩვეულებრივ დღესაც სულ მოელოდნენ სოფლელები, რომ აი, ახლა გაიხმიანებს წაწალოს ხრინწიანი და მაინც მჭახე, მიზეზიანი ხმა, მერე თვითონაც გამოჩნდება – თვალებმკვესარე, ჩვეულებრივად გაღიზიანებული და ზეამართულ მარჯვენა მუშტს მაგარ-მაგარ სიტყვებსაც მიაყოლებს... ავის ჩამდენი რა სახსენებელია, ცუდის გამფიქრებელიც კი გზას გაიმრუდებს, შუკაში საჩქაროდ შეუხვევს, დანარჩენები კი ჩუმად ჩაიღიმილებენ: "ეჰ, წაწალო, წაწალო, შე დაუდეგარო, როდის დაშოშმინდები..."

წაწალოს ბიჭები კი ხშირად ნატრულობენ – ნეტავი ერთხელ მაინც ისევ გაგვაგონა მამის ხმა, – როგორც ყოველთვის, ერთი გემრიელად შეგვიკურთხებდესო...

1983

ხუტა

მე მეგონა, რომ ჩვენი ლაბორატორიის გამგეს, ბატონ ხუტა გორგოლაჭაძეს. ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, რამდენიმე ნაბეჭდი და უამრავი ხელნაწერი (ეგრეთწოდებული საფონდო) შრომის ავტორს, საკუთარი პროფესიული ინტერესების გარდა სხვა არაფერი იტაცებდა, მაგრამ... მაგრამ, როგორც კი საბაღე ნაკვეთები მიწისა დაგვირიგეს, ბატონ ხუტაში, მისივე თქმით, წინაპარ გლეხთა სისხლმა იყივლა! ამიერიდან ყოველ შაბათ-კვირას ბატონი ხუტა საკუთარ ნაკვეთში ტრიალებდა; პატარა სახლიც აიშენა, სპეციალურ ლიტერატურას დაეწაფა. კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, აუცილებლად ესწრებოდა ლექცია-კონსულტაციებს, რომელთაც ატარებდა მებაღეობა-მებოსტნეობის მოყვარულთა საზოგადოება. და როგორ ვიფიქრებდი, რომ ამ ლექციებზე დასწრება-არდასწრება (ჩემი და ბატონ ხუტასი) ერთგვარ უსიამოვნებას გადამყრიდა...

დიახ, მეც მაქვს პატარა საბაღე ნაკვეთი, მაგრამ, ბატონ ხუტასგან განსხვავებით, ვერაფრით მოვახერხე თუნდაც ერთ ლექცია-კონსულტაციაზე მივსულიყავი, რადგან სკოლიდან ამ დროს მყავდა ბავშვები გამოსაყვანი.

ერთხელაც, მივაფურთხე ეშმაკს, ბავშვებს არდადეგები ჰქონდათ და ერთ-ერთ ლექციას დავესწარი. მართალი გითხრათ, ფრიად კმაყოფილი დავრჩი – საქმის მცოდნე, გამოცდილმა პრაქტიკოსმა დაწვრილებით აგვიხსნა, როგორ უნდა მოვიყვანოთ სიმინდის უხვი მოსავალი, თან დაგვპირდა, რაღაც იშვიათი ჯიშის სიმინდის 20-20 მარცვალს გაჩუქებთო – ამ სიმინდმა, თუ სასუქს, მორწყვას და გათოხნას არ მოაკლებთ, თითო მცენარემ 4-5 და, შესაძლოა, განსაკუთრებული მოვლის პირობებში, 10-12 დიდი ტარო გამოიტანოსო. "აბა, ავშენდი კაცი!" – ვიფიქრე.

ლექტორს მხოლოდ რამდენიმე ტარო ჰქონდა მოტანილი სიმინდისა, ფხვნიდა და ისე არიგებდა გამოზოგილად, რომ ყველა დამსწრეს რგებოდა. ამ დროს ქართველთათვის დამახასიათებელი ზედახორა არ გამართულა, რადგან ტელევიზიიდან ჯგუფი იყო მოსული სიუჟეტის გადასაღებად და თავშეკავებულად ვიქცეოდით.

მეც მერგო ჩემი წილი სიმინდის თესლისა. "ერთი წლის შემდეგ, როცა ამ ჯიშიან სიმინდს მოვამრავლებ, მე ხომ მეყოფა სათესლედ და ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებსაც ვუწილადებ-მეთქი, – ვფიქრობდი, – პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჩემს საყვარელ უფროსს, ბატონ ხუთას გავახარებ..."

ისე მოხდა, რომ სასწრაფოდ სოფელში მომიწია გამგზავრება, ორშაბათამდე სამსახურში ვერ მივედი და...

ორშაბათს ბატონი ხუტა ავი ღრუბელივით მოქუფრული დამხვდა!

"ალბათ გაიგო სიმინდის თესლის დარიგების შესახებ და გული დაწყდა, მას რომ არ ერგო. რაღა მაინცდამაინც იმ ლექციას არ დაესწრო?!" – გავიფიქრე. თურმე ვცდებოდი, ძაღლის თავი სხვაგან იყო დამარხული.

– ვაუბატონო, სულ ერთხელ დაესწარი მებაღეობა-მებოსტნეობის მოყვარულთა საზოგადოების ლექციას და მაშინვე ტელეეკრანზე გამოგაჭენეს! – შემომიბღვირა ბატონმა ხუტამ, სათვალის ზემოდან თვალებს მიბრიალებდა. – მეორე რიგში რომ იყავი გამოჭიმული, რაღა სულ შენს მოტვლეპილ თავს დასტრიალებდა ტელეოპერატორი, უკეთესი ვერავინ ნახა?

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა – ბატონი ხუტა გააბრაზა და წონასწორობიდანაც კი გამოიყვანა იმან, რომ სულ ერთხელ, ერთადერთხელ გამოტოვა ლექცია და სწორედ იმ დღეს, როცა ტელევიზიიდან ჯგუფი მივიდა გადასაღებად! და ასცდა ბედნიერება, რომ ტელეეკრანზე მილიონობით მაყურებელს ეხილა ბატონ ხუტას ბრძნული სახე, რომელიც არასდროს და არსად არავის ჩამორჩენია არაფერში, აქ კი – "ჩაიჭრა"! მერე რა სულელურად! არ ჯობდა, მისი ერთი რიგითი თანამშრომლის იუპიტერების მოკაშკაშე სინათლეში აელვარებული მელოტი თავის ნაცვლად ეკრანზე გამოჩენილიყო დიდი მეცნიერის, ბატონ ხუტას შესანიშნავი ქოჩორი?! მართლაც, სრული ჭეშმარიტება გახლავთ, რომ ერთ კაცად მარტო ბატონ ხუტას ქოჩორი ღირს! ეს ამაყად გაფშეკილი ქოჩორიც კი თითქოს ყვირის: "რით მჯობს ვინმე მე?" ეს ქოჩორი ერთგვარი კვინტესენციაა ბატონ ხუტას ხასიათისა. "რატომ უნდა მაჯობოს ვიღაცამ მე?" – აი კითხვა, მარად რომ აწუხებს ბატონ ხუტას... მისთვის არ არსებობს ბრძნული ქართული ანდაზა: "მჯობნის მჯობნი არ დაილევაო"... (კიდევ კარგი, ბატონი ხუტა ქოჩრიანია და მე კი – თავმოტვლეპილი; წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, პირიქით რომ ყოფილიყო!).

ახლა თქვენთვის ადვილი გასაგები იქნება ჩემი მარადი გასაჭირი – სამსახურში დროულად მისვლა-არმისვლის პრობლემა: თუ ადრე მივედი, ბატონ ხუტას ეწყინება, როგორ დამასწრო სამსახურში მოსვლაო, თუ გვიან – მეორე ჭირი: რატომ დააგვიანე, ვინ გგონია შენი თავი, რა დიდი უფროსი შენ ბრძანდებიო... "ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები, დელია რანუნი..."

რა ვქნა?..

1993

ჯამლეთ

მოგეხსენებათ, ცხოვრება ადამიანს უბრაგუნებს, წამდაუწუმ ბილიარდის ბურთულასავით ურტყამს ფერდში და გაუთავებლად აგორებს აქეთ-იქით, მიახეთქებს ყოველდღიური პრობლემების გადაულახავ ბორტებს, აჯახებს სხვა ადამიანებს-ბურთულებს, ბოლოს კი, ერთ მშვენიერ დღეს, ზუსტი დარტყმით – მშვიდობით! – ჩააგდებს ლუზაში...

ასეთ რამეებზე ფიქრისთვის ჯამლეთ ჭივჭავიშვილს არასდროს ეცალა – ის უფრო საქმის კაცი იყო, უფრო სწორედ, ერთი საქმისა კი არა, რამდენიმესი ერთად. უპირველესად ის გახლდათ უბრწყინვალესი ქირურგი – ღვთიური მადლით ცხებული; ამბობდნენ – ჯამლეთი გაქცეულ კაცს ამოაჭრის გლანდებსო! მადლიერი პაციენტები, როგორც წესი, უპატივცემულოდ არ ტოვებდნენ ჯამლეთის შრომას და გლანდების ოპერაციის შემდეგ (ან ზოგიერთები – უფრო ადრეც) ჩაუცურებდნენ თეთრი ხალათის ჯიბეში ხუთთუმნიანს...

ჯამლეთმა ჯერ ბინა აიშენა, მერე მანქანა იყიდა, ცოლ-შვილი საკადრისად შემოსა... ძველი ბინა გაყიდა, ახლის შენება წამოიწყო – რაღაც უზარმაზარისა! გარაჟსა და მარანზე აღარაფერს ვამბობ, საცურაო აუზი და საბანკეტო დარბაზიც კი ჰქონდა. მანქანაც გაყიდა და სხვა შეიძინა – ახალი და უფრო დიდი; შვილებს უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრებინა; ბიჭი დააქორწინა, მანქანაც უყიდა; გოგო გაათხოვა, არც მერე აკლებდა ყურადღებას... ძმაც არ ჰყავდა უკმაყოფილო, ნათესავებიც და ქვისლიც კი – ყველას უმართავდა ხელს. პურმარილიან, ყურადღებიან კაცად იცნობდნენ.

ფული კი მოდიოდა და მოდიოდა – ყველას ჯამლეთის იმედი ჰქონდა, მაინცდამაინც მას უნდა გაეკეთებინა ოპერაცია. ჯამლეთისთვის არ არსებობდა შაბათი და კვირა, სადღესასწაულო დღე და შვებულება – როგორც კი დაუძახებდნენ, იმ წუთსავე საავადმყოფოში გაჩნდებოდა. აქეთ კიდევ გაუთავებელი ყიდვა რაღაც-რაღაცეებისა (ცოლმა საკომისიო მაღაზიაში ისეთი ჭაღი ნახა, დიდი ხანია რომ ეძებდა... სახლის გასაფართოებელი სამუშაოებისთვის მასალის შესაძენად სირბილი...); თითქმის ყოველდღე ვიღაცასთან პურმარილზე იყო დაპატიჟებული ან თვით მართავდა ნადიმს... და სტუმრად მოსულებს სიამაყით უჩვენებდა, რა შეჰმატა ამჯერად სახლს – ყვავილების სათბურიც კი თავისი ჰქონდა, სადარბაზო ოთახის ხის მოჩუქურთმებულ დედაბოძში მხატვარსა და მოქანდაკეს რამდენიმე ათასი მანეთი გადაუხადა, ინდივიდუალური პროექტით დამზადებულ სკამებში სვამდა სტუმრებს; ძვირფას სერვიზებსა და დახვავებულ საჭმელ-სასმელზე ზედმეტია ლაპარაკი... ბარემ ერთიც აღვნიშნოთ: იატაკის ფიგურული პარკეტის ესკიზი ცნობილ დიზაინერს დაუკვეთა.

ერთმა სტუმარმა ხუმრობით ისიც კი უთხრა, სამოთხე გაქვს, ჩემო ჯამლეთ, სახლი კი არაო, მხოლოდ საბილიარდოღა გაკლიაო.

ჯამლეთს მეტი კი არ უნდოდა. ერთ კვირაში საბილიარდოსთვის ცალკე სართული დააშენებინა სახლის აღმოსავლეთ მხარეს (შენობას ისეთი საძირკველი და კედლები ჰქონდა, რომ 5-6 სართულის დაშენებასაც კი გაუძლებდა).

ირბინა უცხოური კოქტეილ-ბარის შესაძენად, მერე უცხოური ავეჯის, ფარდების, იატაკზე დასაგები ხალიჩისა და ბოლოს – უცხოური ბილიარდის საშოვნელად.

ერთ მშვენიერ დილას, სანამ ცოლი საუზმეს გააწყობდა, ჯამლეთი ავიდა საბილიარდოს დასათვალიერებლად და დაადგენდა. ცოლმა ჯერ უცადა, მერე წავიდა დასაძახებლად.

ჯამლეთი საბილიარდოს გაღებულ ფანჯარასთან ეგდო იატაკზე და უკვე აღარ სუნთქავდა.

მეზობელი შემდეგ ჰყვებოდა, რომ ცოტა ხნით ადრე ჯამლეთი მას მესამე სართულის გაღებული ფანჯრიდან ათიოდე წუთს კმაყოფილი უყვებოდა – როგორც იქნა, საბილიარდოს მოწყობა გუშინ დავამთავრეო...

1985

ჯიბილო

ამ სამი ათეული წლის წინათ ადრე დაქვრივებულმა ვანო თოხიტარაძემ თბილისი მიატოვა, სოფელში წავიდა, – ქვემო მაყვლიანში უფრო ადვილად გავიტან თავსო, – ქალაქში კი ბინაში უპატრონოდ დაყარა შვილები – თორმეტი წლის თალიკო და თოთხმეტი წლის ჯიბილო.

მალე სოფელში ვანო მეორედ დაქორწინდა.

ომი იყო, დიდი გასაჭირი იდგა, ბავშვების მიმხედავი კი არავინ იყო. ისინი ერთხანს ოჯახურ წვრილმანს ყიდდნენ და იმით ირჩენდნენ თავს. ნელ-ნელა დაჰყიდეს ჭურჭლეულობა, ავეჯი, ტანსაცმელი – საერთოდ ყველაფერი, თუკი რაიმეს გაასაღებდნენ "დეზერტირის" ბაზარში...

ერთ დღეს სოფლიდან ჩამოსული ვარდო – ვანოს დისშვილი – მათთან მივიდა: ვანოს დაუბარებია, ნახე ერთი, როგორ არიან ჩემი მათხოვრებიო. ოთახში შესულ ვარდოს ჯიბილო და თალიკო იატაკზე დაფენილ მატყლში მძინარენი დახვდნენ – სხვა რომ ვეღარაფერი ნახეს შინიდან გასაყიდად გასატანი, ბავშვებს ლეიბი დაურღვევიათ, ლეიბის პირი კი გაუყიდიათ... უკვე გვიანი შემოდგომა იდგა, ციოდა და მათ სხვა რა გამოსავალი ჰქონდათ – იატაკზე გაშლილ მატყლში ჰპოვეს თავშესაფარი...

მალე ბავშვებს გასაყიდიც არაფერი დარჩათ. მაშინ, შიმშილით შეწუხებულებმა, ხელი მიჰყვეს წვრილმან ქურდობას – ბაზარში დახლიდან ასწაპნიდნენ ხილს, კარტოფილს, ყველის ნაჭერს... ზოგჯერ გაბედავდნენ და მჭადს ან პურის კვერს გამოსტაცებდნენ ხელიდან ბაზარში ჩამოსულ დედაკაცებს. მერე გათამამდნენ და სხვისი ჯიბეებისკენაც იპოვეს გზა. თალიკო არაფერში ჩამორჩებოდა ძმას.

წლები გადიოდა, ნელ-ნელა მსხვილმან ქურდობაზეც გადავიდნენ...

ბოლოს, მოხდა მოსახდენი: ჯიბილო "ჩავარდა" – დაიჭირეს.

ციმბირში ამოაყოფინეს თავი. იქიდან ჩამოიყვანა რუსის ცოლი. თურმე ამასობაში მამა და დედინაცვალი გარდაიცვალნენ და ჯიბილო მამაპაპისეულ კერას დაუბრუნდა ქვემო მაყვლიანში. იქ ქალიშვილი შეეძინა.

ძველი "ხელობა" ვერ მოიშალა, თბილისში ჩამოდიოდა "სამუშაოდ" და მალე ისევ დააპატიმრეს ქურდობისთვის.

სასჯელის ვადის მოხდის შემდგომ ჯიბილო შინ დაბრუნდა, ერთი ბავშვი კიდევ შეეძინა და ისევ ქურდობაზე "გაება"...

თალიკო კი ასცდა მრუდე გზას, გათხოვდა კიდეც სამეგრელოში, მაგრამ აშარ ოჯახს გადაეყარა... წამოვიდა იქიდან რუსთავში: მუშაობდა მშენებლობაზე შავ მუშად – სწორედ მაშინ შენდებოდა ახალი ქალაქი. იქ ერთ ჯარისკაცს თვალში მოუვიდა თალიკო, როცა ის ყოველდღე მიდიოდა სამუშაოზე და მერე ბრუნდებოდა შინ (ეს ჯარისკაცი მსახურობდა პატიმრების დაცვაში – მალე სამსახურის ვადა უთავდებოდა). ჯარისკაცი ორი წლით უმცროსი იყო, არც იმან შეაჩერა, რომ თალიკოს სოფელში ორი წლის შვილი ჰყავდა დატოვებული და ითხოვა. ჯერ სახელდახელოდ შეკოწიწებულ ხუხულაში ცხოვრობდნენ, შემდეგ თბილისის ზღვასთან ახალ სახლში სამოთახიანი ბინაც მიიღეს. სამი შვილი ეყოლათ – ორი გოგო და ბიჭი.

ჯიბილოსაც სამი შვილი დახვდა, როცა ბოლო სასჯელი მოიხადა – სულ მთლად გაჭაღარავებული დაბრუნდა მესამე გადასახლებიდან. უფროსი გოგო უკვე სკოლას ამთავრებდა. ცოლი პატიოსანი შრომით ინახავდა ოჯახს, თავისი ბედოვლათი ქმრის ხელში გაწამებული – კარგი ქალი გამოდგა.

ახლა ჯიბილო მეოთხე შვილის დაბადებას ელოდება. ამბობს: "აწი აღარ ჩავალ თბილისში, რამდენჯერაც ჩემი ძმაკაცები მოვინახულე, იმდენჯერ შარში გამხვიეს..."

1970

წიგნი IV.

ლამაზი ქალის პორტრეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილი

აღმაფრენავ, თასით შემსვი,
შთაგონებავ, ლექსზე შემსვი, –
ღრუბლებს ზევით გამაქროლე,
გულის ძგერას ამაყოლე...
ამიშალე სულში ზვირთი
და მომხსენი ყველა ტვირთი:
შავმღელვარე მწარე ფიქრი,
უიღბლობის მწვანე ფითრი...
მაგრამ ვაგლახ...
ეს ზმანებები მუნჯი ხელებით
მჯიჯგნიან, მთელვენ შმაგ გახელებით,
მერანს მიკლავენ შუბთა ძგერებით,
გულს მიფატრავენ ხანჯალთ წვერებით.
"რა დროს ლექსია, ტკბილი სიმღერა, –
მრუმე დაგჩხავის თავს ბედისწერა, –
ვერ გაიხარებ, ვერა და ვერა!"
კეთილ მომავლის... შენ ჯერაც გჯერა?..
მჯერა!..

1997

"მშრალი" ხიდი

ბესარიონს

აბა, ბესარიონ ჩემო, შუა ოქტომბრის ამ მზიან დილას მივირთვათ ჩვენი საყვარელი დილის საუზმე – რძიანი ფეტვის ფაფა, ზედ დავაყოლოთ მურაბიანი ჩაი და დროულად გავწიოთ "მშრალი" ხიდისკენ. იქ შენ შენი კომპიუტერული ჭია გაახარე (ლაზერული დისკები – ჩაუწერავიც და პროგრამებიანიც), მე კი სურათებს დავათვალიერებ, გასაყიდად გამოტანილ სხვადასხვა მხატვრულ ნაკეთობას, ასევე, – იქნებ უფრო მეტადაც, – ხალხს, მყიდველ-გამყიდველსა და ჩემსავით, ერთი შეხედვით, უქმად მოყიალეთ. ისე კი, მე მგონია, ჯობს, ერთად ვიაროთ, სახალისოც იქნება და საუბარში მეტი აზრიც დაიბადება...

ცნობისმოყვარეობასთან ერთად, მე კიდევ ერთი მიზეზი მაქვს "მშრალი" ხიდის მონახულებისა: ოცდაათზე მეტი ზღაპარი დავწერე დღემდე (ამჟამად *ორმოცზე მეტი – 2003 წლის შენიშვნა),* კიდევ მრავალი – ჩაფიქრებული მაქვს და ვაკვირდები, ვფიქრობ, ვუმიზნებ, ვზომავ-ვწონი, კბილს ვუსინჯავ – რომელი მხატვრების მიწვევას ვისურვებდი ჩემი ზღაპრების დასურათხატებისთვის? ცხადია, ამისთვის ფულია საჭირო, რომელიც, ცხადია, მე არ გამაჩნია და ისიც ცხადია, რომ ჩემი სურვილი

პლატონურია და ასრულება არ უწერია – რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც (**ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგად, როგორც მე ეს წინასწარმეტყველება ამიხდა! – 2003 წლის შენიშვნა**)...

"მშრალი" ამ ხიდს ახლა ჰქვია; ადრე, კარგა ხანს, მის ქვეშ მტკვრის ტოტი მიდუდუნებდა. სადაც ახლა მხატვრები გამოფენა-გაყიდვას მართავენ, იქ კუნძული იყო, გარეთუბნიდან ჩუღურეთში მიმავალი გზა გადიოდა დიდი და პატარა ხიდებით. თუ ისტორიკოსს დავუჯერებთ, "1751 წელს მეფე თეიმურაზ მეორემ თავად რევაზ ორბელიანს უწყალობა გარეთუბანში მდებარე "მეიდნის სასახლის" ადგილი. ამ ადგილს ამის შემდეგ ეწოდა ორბელიანების უბანი. შემდეგ ორბელიანებმა გარეთუბანში თავიანთ მამულებს შეჰმატეს მტკვარზე დიდი კუნძული. XIX საუკუნეში კუნძული ორბელიანებმა გენერალ მადათოვს მიჰყიდეს".

II მსოფლიო ომის წინ აქ, სანაპიროს საყრდენი კედლის აშენების შემდეგ, მცირე ხიდის ქვეშ გამავალი მდინარის ტოტი ამოავსეს და გზა გაიყვანეს, ყოფილ კუნძულზე ბაღი გაშენდა, დადგეს სტალინის დიდი, კვარცხლბეკიანი ქანდაკება. ამრიგად, მტკვრის ტოტი ქუჩად იქცა და მასზე გადებული მცირე ხიდი – "მშრალ" ხიდად. 1956 წელს აქ გამართული მიტინგის სისხლიანი დარბევის შემდეგ, მონუმენტი აიღეს, კვარცხლბეკი დაანგრიეს...

ათიოდ წელი იქნება, იქნებ მეტიც, ეს ადგილი მხატვრებმა ამოიჩემეს; ყოველ შაბათ-კვირას აქ უამრავი მხატვარი იყრის თავს, თუ, რასაკვირველია, ავდარმა არ შეუშალათ ხელი; მოაქვთ თავიანთი ნახელავი, ხელოვნების მოყვარულნი ათვალიერებენ უზარმაზარ გამოფენას და, ვისაც ამის შეძლება და სურვილი აქვს, ყიდულობს კიდეც მოწონებულ სურათს თუ ნივთს.

ქვის კიბით ქვევით ჩავდივართ, სადაც ხიდის ქვეშ ახლა მღვრიე მდინარის ტოტი კი არა, მობღუილე მანქანათა ფერადოვანი ნაკადი მიედინება; ბებერი ჭალის ვერხვების ქვეშ ფილაქნის გასწვრივ და ბაღის სიღრმეში განთავსებული სურათების გრძელი რიგი გვიხმობს. იდეალური განათებაა – გამოფენა ღია ცის ქვეშ! არც დაიხუთები, ისეირნე და ათვალიერე! მოგწყინდება თუ რა – სად, რომელ ოფიციალურ გამოფენაზე შეხვდები ასეთ უკიდეგანო მრავალფეროვნებას: პრიმიტივი, პრიმიტივის ათასგვარი მიბაძვა – სტილიზაცია, კიჩი, კოლაჟი, შედევრთა უბადრუკი ასლები, ცნობილ მხატვართა ნამუშევრების უსირცხვილო გაქურდვა – უნიჭო პლაგიატი, ნატურალისტური, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ნაირ-ნაირი გადამღერება – "იმპრესიონისტებიდან" და "ფოვისტებიდან" დაწყებული, აბსტრაქციონიზმის სხვადასხვა სახეობისა და "ფოტორეალიზმის" ჩათვლით... სხვადასხვა "იზმის" პროვინციული ვარიანტები – ჩანს, რომ "განათლებული" ხელოვანნი გვყავს და არ ეზარებათ საზღვარგარეთული სამხატვრო ჟურნალებისა და ალბომების გადათვალიერება... შიგადაშიგ სერიოზულ მხატვრებსაც გამოუტანიათ თავიანთი ორიგინალური ნამუშევრები; მათ შორის ისეთებიც გვხვდებიან, რომელთა სურათსაც სიამოვნებით დავკიდებდი შინ კედელზე, მაგრამ... ვაგლახ! – ისევ ოცნებებში გადავვარდი, ჯობს, გამოფენას დავუბრუნდე.

ბესარიონს უფრო გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებისკენ გაურბის თვალი – ხმლები, ხანჯლები, ჯიხვის ყანწები, ძეწკვები, ჯვრები, ხატები, თასები, შანდლები – ყველაფერს რა ჩამოთვლის! დაბეჯითებით ვამტკიცებ: ვერცერთ საოქრომჭედლო თუ ანტიკვარულ მაღაზიაში ასეთ სიმდიდრეს ვერ შეხვდები, ვერც რაოდენობით და ვერც მრავალფეროვნებით! იბნევი, თვალები გიჭრელდება ამდენი საუცხოო, შეიძლება თამამად ითქვას, სამუზეუმო ნაკეთობათა ხილვით... აქ გამოტანილ-გამოფენილი იარაღით გვარიან არმიას შეაიარაღებდი, ხატები კი იმდენია, რამდენიმე ათეული ეკლესიის გამშვენიერებას ეყოფა.

მერე ისევ პირდაპირ მოლიან მიწაზე 5-6 რიგად გამწკრივებულ სურათებს ვუბრუნდებით.

სრული დემოკრატიაა! არც საგამოფენო კომისიაა, არც ჟიური – ყველას შეუძლია "გამოფინოს" ნებისმიერი სურათი. დიდი უმრავლესობა – ფერწერული ნამუშევრებია; როგორც მოგახსენეთ, იმდენად ნაირ-ნაირი, რომ შეიძლება, ჯერ გაგაოცოთ, მერე გაგახალისოთ და ბოლოს – დაგაბნიოთ და დაგღალოთ კიდეც. აგერ ერთ რიგს თითქოს ცეცხლი უკიდია – უკიდეგანო დეკორაციული სიმხურვალე წითელ-ყვითელი და ნარინჯის ფერებისა, გვერდზე – უღიმღამო, მრუმე ტონები, ფიგურები და ფონი ერთნაირად თალხად გამოიყურება; იქვე – კარიკატურა ფერწერის მაგივრად, თუმც პროფესიულად საკმარისად მაღალ დონეზე შესრულებული; კიდევ იქით – თითქოს საშინელებათა ფილმებიდან ნასესხები კადრებია – ნეტა ვინ გულმაგარი შეიძენს ამგვარ სურათს და დატკბება შინ ნატურალისტური სიზუსტით ასახული სიმახინჯის ყოველდღიური ხილვით?.. მიკვირს, შედარებით იშვიათია აბსტრაქტული ქაოსი, სამაგიეროდ... ო, სამაგიეროდ, რა გინდა სულო და გულო – "ფიგურაციული სამოთხე":

...ნაირ-ნაირი "ვეფხვები" (ზოგჯერ ძალიან კი ჭირს გარჩევა – შესაძლოა, კატის გადიდებული გამოსახულებაც იყოს!), "ჟირაფები", "ლომები", "თუთიყუშები", კიდევ რაღაც უცნაური ფრინველები... თუ გინდა, იხეტიალებ "უდაბნოში", "ჯუნგლებში", ტროპიკულ ეგზოტიკურ ცხოველებს პირდაპირ ბუნებრივ პირობებში შეეჩეხები – მეტი რაღა გინდა?!.

...იქეიფებ ყარაჩოხელებთან ერთად! გინდა – ფეხს მოირთხამ მწვანე მოლზე ან ლაღად გაშლი ცეკვაში ხელებს არღნის ჭიჭყინში, გინდა – ორთაჭალაში ტივზე ძმაბიჭებთან ერთად მაღლა ასწევ

კახურით პირთამდე გალიცლიცებულ ჯიხვს და ფრთიან სადღეგრძელოს სტყორცნი მეტეხის ფრიალო კლდეზე ჩამორიგებულ აივნიან სახლებს... გინდა – გამჭვარტლულ დუქანში მიუჯდები გაზინლული სუფრას ნიკალასთან ერთად და აქტრისა მარგარიტასაც გვერდით მოისვამ!..

...ნატურმორტები: ამ გვიან შემოდგომაზე უცებ აყვავებული იასამნის სურნელით დატკბები ან გაჭრილი საზამთროს მცხუნვარე წითელი გული შემოგანათებს და პირს ნერწყვით აგივსებს!.. იები, ყოჩივარდები, ხმლები, ნარგიზები, ზამბახები, მაჩიტები... და, რასაკვირველია, ნაირნაირი ვარდები, ვარდები, ვარდები – აირჩიე ჯიში თუ ფერი!..

...პეიზაჟების ცვენაა! ყოველი მეორე სურათი ქალაქური პეიზაჟია – ძველი თბილისი! კინტო-ყარაჩოხელებითაც და სტაფაჟის გარეშეც, გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში; დილას, შუადღეზე, საღამოს და ღამეც კი; დარსა და ავდარში... მხატვრებს განსაკუთრებით ამოუჩეგიათ ერთი ხედი: მეტეხის ტაძარი, ხიდი და ფრიალოზე მტკვრისკენ გადმომდგარი სახლები... ეს ურიცხვი "მეტეხები", როგორც ჩანს, უმეტესად უცხოელთათვის არის გათვალისწინებული (მსგავსი მოვლენა ადრე სხვაგანაც იყო და დღესაც არის, მაგალითად, რამდენიმე საუკუნის წინათ, ფოტოგრაფიის გამოგონებამდე, ვენეციაში ჩასული სტუმრები იძენდნენ სან მარკოს მოედნის გამოსახულებებს, უფრო სწორად – პიაცეტას და ტაძარ სანტა მარია დელა სალუტეს ხედის მინიატურულ ფერწერულ სურათებს; დღევანდელ პარიზში, ასევე, ტურისტთა სამახსოვროდ განკუთვნილი, მონმარტრის ბორცვისა და საკრე-კერის ტაძრის ხედის "მასობრივი წარმოება" ჰყვავის)...

...რამდენიმე ნაბიჯს გადავდგამთ და გადავდივართ ასი წლის წინანდელ ეპოქაში: ჩიხტიკოპიანი ქალები, თავზე თაბახდადგმული კინტოები მეიდანზე, მამლების კინკლაობა და ყოჩების ჭიდილი, ყეენობა-ბერიკაობა და სხვა და სხვა...

...სულ რომ არ მოელი: ჩინეთს მოინახულებ ან იაპონიაში ამოჰყოფ თავს; ან მთლად უკეთესი – წყნარი ოკეანის შუაგულში რომელიღაც ტროპიკულ კუნძულზე პალმების ქვეშ გაისეირნებ ან შოკოლადისფერ შიშველ ლამაზმანთან ერთად პლაჟის ოქროსფერ ქვიშაზე წამოგორდები (ერთი მანახვა, ნეტავ ვინ არის ამგვარი სურათების მუშტარი?)...

...ჰო, შიშველ ქალებზე გადავდივარ – ფრიად მრავალფეროვანი არჩევანია: ნებიერად წამოწოლილი თუ სანთელივით ამართული, თვალებმინაბული თუ სარკეში კეკლუცად მზირალი... თამამად გტყორცნის მაცდუნებელ მზერას ქერა თმაგაშლილი მზეთუნახავი; შავგვრემანი ტურფა თვალებს კდემამოსილად დაბლა ხრის; აგერ კიდევ – ყელმოღერებული ზანგი ეშხიანად აჩენს ღიმილში კბილებს-მარგალიტებს... ყველანი მუდარით მოგჩერებიან და შენი თითის დაქნევას ელიან – ჩვენზე უკეთეს მშვენიერებას რას შეიძენ ნეტავ აქო!.. (თუმცა, მართალი მოგახსენოთ, თითქმის ყველა ნიუ იმდენად უგემური ფერებით და ტექნიკურად ისე უხეიროდ არის შესრულებული, რომ ნაჩუქარზეც უარს ვიტყოდი)...

...კიდევ გავიაროთ ნება-ნება... თუ მხიარული განწყობილება გინდა შექმნა შინ – ინებეთ, ბატონო, უთვალავი არლეკინები, ჟონგლერები, კლოუნები, მასხარები, ბერიკები... თვით უკვდავი ჩარლიც კი მობრძანებულა და ირონიულად გვესალმება – შავი შლაპით, უზარმაზარი ფეხსაცმელებით და განუყრელი ჯოხით; არც ციცქნა ფინიას წამოყვანა დავიწყებია...

...პეიზაჟები, პეიზაჟები, მთელი ტყეა პეიზაჟებისა, შეიძლება, გზა დაგებნას კიდეც... მთა-ველები, ღრმა ხეობები, მდინარისპირა ჭალები, ქარში ათრთოლებულ-აშრიალებული ხეები... არის ურბანისტული პეიზაჟებიც, უპირატესად, რა თქმა უნდა, თბილისის ქუჩათა ხედებია: წვიმაში მბზინავი მანქანები მიჰქრიან და სველ ასფალტზე ირეკლებიან, დათოვლილი სახურავები და შიშველ ხეთა მუქ ტოტებზე ვიწრო ზოლებად გაწოლილი თეთრი თოვლი, ისევ და ისევ – მეტეხის ტაძარი და მტკვარზე გაწოლილი ხიდი... უნიჭო შეგირდის გულმოდგინებით შესრულებული ასლები: შვეიცარიის ალპები – დათოვლილი წოპწოპა მთები ირეკლებიან წყნარი, იდილიური ტბის ზედაპირიდან, შუა ტბაში კი მეთევზეები იდილიური სიმშვიდით შლიან ბადეს; ნაპირზე – სოფლის იდილიური ხედი... ამგვარი ყაიდის ერთი უბადრუკი ასლი, მეორე, მეათე... უჰ, წაიღეს რა ძალა!.. ბესარიონ, მალე გავეცალოთ ამ იდილიურ სისულელეებს!..

როგორც მოგახსენეთ, ბატონ ბესარიონს უფრო საგნები იზიდავს. მართლაც, თვალს იტაცებს ხანჯლების, ხანჯლის შვილების, ხმლების დიდი რაოდენობა – უმეტესობა ახალი, ბრწყინვალედ შესრულებულ ბუდეებში ჩასმულნი, ხშირად – ძვირფასი თვლებით შემკულნი; ძველთაძველი, დაჟანგულ-ფერდაკარგული იარაღიც შეგხვდება, ძნელად რომ დააძრობ ქარქაშიდან – გამოუძვრენიათ პაპისპაპის სკივრებიდან...

...თუ გინდა, ფანდურს დააღუღუნებ – სურათზე კი არ იხილავ, ნამდვილ, თუთის ხის კოხტად გამოთლილ ფანდურს დაიჭერ ხელთ; იმავე ოსტატს გაუკეთებია მშვენიერი პატარა ურმები, შიგ შებმული წყვილი ყევარით და ურემზე დადებული მუცელგაბერილი ქვევრით; მინიატურული დოლი და ფანდური ქართული დარბაზის დედაბოძის მოდელზეა ჩამოკონწიალებული...

ფარდაგები...

დეკორატიული თეფშები...

“მატრიოშკები’...

ნახატებიანი და ორნამენტებიანი დეკორატიული კვერცხები...

აგერ ნაღდი პრიმიტივი – გულუბრყვილო მოუხეშაობით გადაუტანია ტილოზე ქალაქური პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები; მხატვარი ამაყად აცხადებს: “ჩემი გამოფენა მონტე კარლოს არ-ხზე გადის საფრანგეთში!”

ხეზე მხატვრული კვეთა – სასმისები, კულები, აზარფეშები, თეფშები, შანდლები, ქვასანაყები...

ძველებურ ეტლთა მოდელები...

ბატიკი...

კერამიკა – მრავალრიცხოვანი, ათასგვარი...

ისევ ყანწებია იმდენი, რომ...

ისევ ხანჯლებია იმდენი, რომ...

ისევ ჭედური ხატები...

ვუბრუნდებით სურათებს. აგერ ერთი მხატვარი ვის არ ბაძავს – ზურაბ ნიჟარაძეს, იმპრესიონისტებს, პრიმიტივებს, აბსტრაქციონისტული ნათხიპნიც კი აქვს... ყოჩაღ, თუ თავხედობაა, თავხედობა იყოს!

...მყვირალა პლაკატური სტილი და “ფოტორეალიზმი”, “ქეიფი ქალთან” (მრავალი ვარიანტი, სულ სხვადასხვაგვარი; საერთო ის აქვთ, რომ თითქმის ყველა იისფერ-ლურჯი, ნარინჯისფერ-მწვანე და სხვა “მოწამლული” ფერის ქალი ამასთანავე ისეა დეფორმირებულ-დამახინჯებული, რომ მტერსაც არ ვუსურვებდი მასთან თუნდაც შემთხვევით ქუჩაში შეხვედრას, არამცთუ დროსტარებას).

უმრავლესობა სურათებისა, რასაკვირველია, მდარეა, მაგრამ კარგი დონის და ზოგჯერ ბრწყინვალეც გამოერევა; ზოგიერთი ისე მომწონს, რომ გულიც კი მწყდება (მერამდენედ!) – ეჰ, ჩემს გაფხეკილ ჯიბეს რა ვუთხრა!

დგანან დილიდან საღამომდე მშიერი, წვერმოშვებული მხატვრები; თუ ვინმეს ბედმა გაუღიმა და სურათი გაყიდა, მაშინვე სამი-ოთხი კაცისთვის იქვე მოლზე იშლება გაზეთი, ზედ იდგმება ბოთლით არაყი, დაიჭრება ძეხვი და პური, გაიხსნება თევზის კონსერვი... თუმცა ქუჩის მეორე მხარეს ჩამწკრივებულია რამდენიმე რესტორანი, სასაუზმე, ლუდის დარბაზიც აქვეა, გვერდით, მაგრამ იქ უცხოელი თუ შინაური ჯიბესქელები თუ შეაღებენ კარს... ჩამოიარა ღვეზლების დამტარებელმა ქალმა, საქონელს ხმამაღლა აქებს: “ცხელ-ცხელი «პერაშკები!»; მეორე ქალი ხაჭაპურებს გთავაზობთ – “ფენოვანი! ახალი ფენოვანი!”

...თითბრის მინიატურული ქანდაკებები – ორ მხატვარს (ნელი კოროტკოვა და მიხეილ წოწორია) ორ სტენდზე გამოუტანია საკმაოდ ბევრი ნამუშევარი – მშვენიერი პატარა პერსონალური გამოფენებია! მაღალმხატვრული, ნამდვილი ხელოვნებაა და, ცხადია, ფასიც – შესაბამისი...

დავდივართ ნება-ნება მე და ბესარიონი, ვჭვრეტთ, ვაჭაშნიკებთ, ვაფასებთ... მხატვრები იშვიათად თუ დაინტერესდებიან ჩვენით, ჩვეულებისამებრ, ზედაც არავინ გვიყურებს – თვალის ზერელე შევლებითაც ხვდებიან, რა გაფრენის ჩიტებიც ვართ... თუ ინგლისურს გაიგონებენ, მაშინვე ყურებს ცქვეტენ – დოლარების სუნს იყნოსავენ! ბევრს ალბათ სწორედ ამიტომ სურათებზე ხელი ინგლისურად მოუწერია...

...კოლაჟები!.. უნდა ითქვას, ძალზე ოსტატურად და გონებამახვილურად გაკეთებულებიც გვხვდება – ძველი, ლანჩაარღვეული ფეხსაცმელი ენაგადმოგდებულ ძაღლად უქცევიათ, ნახევარი აკორდეონისა და დაჭეჭყილი საყვირისთვის მიუხატავთ გროტესკული ქუდი და კაცი... და სხვა და სხვა... დიდხანს დგახარ, იღიმები, თითქოს გამოფხიზლდი და დაღლა ოდნავ მოგეშვა. არადა, რა დრო გასულა ხეტიალში, ფეხებს ძლივს ვადგამ, აღქმაც დამიჩლუნგდა... ამ უზარმაზარ კალეიდოსკოპში შენი ტრიალისგან ასეც იყო მოსალოდნელი!..

დროა, შინისკენ ვიბრუნოთ პირი...

მტკვრისპირა ბაზრობას სხვა დროს ვესტუმრებით. იქ, ბესარიონის თქმით, გველოდა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ათასგვარი სადღესასწაულო ჭურჭელი და ბროლის ნაკეთობა, ტროპიკულ ზღვათა ნიჟარები, ძვირფასი ქვები, ძველი ორდენ-მედლები, მინიატურული ქანდაკებები, გრამფირფიტები, აუდიო და ვიდეოკასეტები, რადიო და ელექტროაპარატურა და სხვა და სხვა...

დიახ, საღამოსპირი წამოგვეპარა და დაღლილ-კმყოფილნი, მშიერ-მწყურალნი, შთაბეჭდილებებით გადატვირთულნი, შინისკენ მივეშურებით.

ბაღის კიდეზე, დანარჩენი მხატვრებისგან განცალკევებით, ავადმყოფური შესახედაობის გამხდარ, შუახანს გადაცილებულ, ლაბადიან კაცს თავისი პრიმიტიული, ავადმყოფური ჰალუცინაციებით გაჯერებული მცირე ზომის “სურათები” გაუფენია მიწაზე, ხის ქვეშ გაშლილ ქსოვილზე. გავჩერდით, მდუმარედ ვათვალიერებთ უჩარჩოო, საცოდავ ნაჯახირევს, გვეცოდება მხატვარი. იგი კი მოულოდნელად რიხიანი თავდაჯერებით გვეუბნება: “სატურნი ძალიან დაგვიახლოვდა, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება! სიკვდილიანობა აღარ იქნება, სამაგიეროდ, ცხელი წყალი – მუდმივად, რძე – მუდმივად ონკანებიდან, საჭმელ-სასმელი – თავზე საყრელად...”

შენს პირს შაქარი, უცნობო ოპტიმისტო! თუმც გაჭირვებამ მოგიყვანა აქ, ბედნიერი კაცი ჩანხარ, დიდად ბედნიერი...

მეც ბედნიერი ვარ – შევძელი ჩემი დიდი გამოფენის დათვალიერება, მცირე ხნით მაინც უზარმაზარი, მშვენიერი კოლექციის მფლობელი ვიყავი!.

1999

ომო ბულლა ანუ ადამიანი-ბუშტი

ვწევარ გრიპით ორთავ ბეჭით საწოლს გაკრული და ფიქრი ისე თავისუფლად და მიმოხვეულად დაბორიალობს, როგორც ჰაერში აშვებული საბავშვო ფერადი ბუშტი...

მახსენდება: რამდენიმე საუკუნის წინ ევროპულ ფერწერაში იყო ასეთი ჟანრი – **vanitas.** ეს ლათინური სიტყვა ქართულად ნიშნავს "ყოფიერების წარმავლობას"; სიტყვა "წუთისოფელი" მიახლოებით გამოხატავს მის შინაარსს. ამ ჟანრის სურათებში ჩვეულებრივ ასახული იყო სიმბოლური მნიშვნელობის ნივთები: გადაშლილი წიგნი, ანთებული სანთელი, ადამიანის თავის ქალა, საკრავები (მუსიკა გაიხმიანებს და ქრება) და სხვა, რომლებიც მიანიშნებდნენ ყოველი სულდგმულის, მათ შორის – ადამიანის, წარმავლობას, აგრძნობინებდნენ მაყურებელს, რომ ისიც სტუმარია ამქვეყნად. ეს საგნები ჩვეულებრივ აისახებოდა ნატურმორტებში, ზოგჯერ კი – სხვა ჟანრის, მაგალითად, პორტრეტულ ნამუშევრებშიც სტაფაჟად, განსაკუთრებით – ავტოპორტრეტებში. **Vanitas-is** ტრადიციულ ატრიბუტებთან ერთად, ზოგიერთი მხატვარი სურათებში გამოსახავდა სხვა საგნებსაც; მაგალითად, ჰოლანდიელ მხატვარს დ. ბაილის ავტოპორტრეტში (1651 წ.) ჩართული აქვს საპნის ბუშტები – რა შეიძლება იყოს ამ ბრჭყვიალა, ათასგვარი ათინათებით აჭრელებული ფერადოვნებით თვალის გამხარებელზე უფრო ეფემერული, უდღეური, მოულოდნელად რომ გაქრება, – ვერც გაიგებ სკდომის ხმას, – გაქრება სამარადჟამოდ... საპნის ბუშტები არის სიმბოლო **Homo bulla-si**, "ადამიანი-ბუშტისა", ისიც ხომ ასევე უეცრად შეიძლება "აორთქლდეს" – ვითომ ის სულაც არ არსებულა!

ახლა მხატვრები ამგვარ სიმბოლურ სურათებს აღარ ქმნიან; ძველ თემებს კი არა, გუშინდელ თემებს, მიდგომას, გააზრებას, ხერხებს ზურგს აქცევენ... მხოლოდ ავანგარდისტებზე კი არ მოგახსენებთ, რეალისტებიც უკვე "სხვა სიმღერებს" და სხვანაირად მღერიან, განსაკუთრებით, უახლესი თაობა – პირწმინდად ხელი აიღეს თხრობაზე, მოქმედების ჩვენებაზე, პიროვნებათა თუ იდეათა აშკარა დაპირისპირებაზე. მოდაშია მჭვრეტელობა, რომელმაც განდევნა სურათებიდან მოქმედება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ, მაგალითად, სახლის მშენებელთა ბრიგადის წევრთა კოლექტიურ პორტრეტზე მისი წევრები გამოსახულნი არიან უმოქმედოდ, პასიურ მჭვრეტელობაში ჩაძირულნი. დიდიდიდი, შეიძლება, ერთ-ერთი მათგანი გაზეთს კითხულობდეს, თავისთვის, რასაკვირვე- ლია; დანარჩენები – ზოგი სადღაც შორს იყურება, ალბათ მსოფლიო სევდა აწუხებს, მეორენი, ჩაფიქრებულნი, მიწას ჩასცქერიან, თითქოს იქ ცდილობენ იპოვონ პასუხი, მესამენი ჩვენ შემოგვცქერიან, როგორც ძველი ფოტოს პერსონაჟები, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ "ვერ გვხედავენ", ფიქრით სადღაც შორს არიან.

დიახ, "ყოველ დროს თავისი სიმღერა აქვსო", – ამბობენ ჩვეულებრივ და სავსებით სამართლიანადაც, მაგრამ ნუთუ აუცილებელია, ყველა შემოქმედი ერთ სტილურ ნაკადს მიჰყვებოდეს პასიურად? რატომ უნდა უარვყოთ ხელაღებით ჟანრები, რომლებიც წარსულ საუკუნეებში ჩვეულებრივი იყო? მაგალითად, თუნდაც ფილოსოფიური ქვეტექსტებით დამუხტული ვანიტას-ის მოტივი განა შეუძლებელია, ახლებურად გავაცოცხლოთ? ქვეტექსტები, "მეორე პლანი", ასოციაციურ-მეტაფორული გააზრება ძველებსაც მშვენივრად ხელეწიფებოდათ და "თანამედროვე", ავანგარდისტული მხატვრული ენით ხომ ახლებურად შეიძლება მარადი თემების ამეტყველება...

და წარმოვიდგინე დღევანდელი "წუთისოფლის" ვარიანტი, ჩემებურად გააზრებული.

...სურათის ქვედა ნაწილში იგრიხება მაღალი, გამხდარი ნიღბოსანი, რომელსაც წელთან ქამარზე ჩამოკონწიალებული აქვს ნიღბები – მასხარასი, ჯალათისა, გაბღენძილი თვითკმაყოფილისა, თვალებგადმოკარკლული ცნობისმოყვარესი, ტუჩებმორღვეული მტირალასი, თვალებმოწკურული ვერაგისა და სხვათა და სხვათა...

ეს ნიღბოსანი ანუ ბედისწერა, გაყინულმზერიანი, ხაზგასმულად გულგრილი, ათამაშებს მთელ ჯგროს ადამიან-ბუშტებისა, რომელთა ძაფებიც ხელთ უპყრია. ბედისწერას ბევრი, ბევრი ხელი აბია, თითოეულში მთელი ასხმა უჭირავს ამ ადამიან-ბუშტებისა და თავის ნებაზე ათამაშებს: ძაფებს ხან ქვევით დაქაჩავს, ხან მაღლა ასწევს და ბუშტებს დროებით თავისუფლად აფრენის ილუზიით ათრობს, თვით კი ერთობა და დროდადრო სარკაზმულად იღიმება... უჰ, რამდენი სხვადასხვაგვარი ადამიან-ბუშტის ბედისწერის ძაფები უპყრია ხელთ, ვის არ ნახავთ აქ!

აგერ ჯინჯილებითა და ორდენებით დამძიმებული, ზომაზე მეტად გაბერილ-გაბღენძილი ბუშტი მაღლა აზიდულა და სხვა ბუშტებს ზევიდან ბატონკაცურად დაჰყურებს, ხმის ამოღებასაც არ კადრულობს და ქედმაღლური სიჩუმით უნდა ყველა დაამუნჯოს...

მეორე მაინც ჭიკჭიკებს გაუჩერებლივ, ოდნავ თავქარიანია და მუდმივად კარგ ხასიათზე მყოფი, ზევით-ქვევით დაცეტაობს, უთავბოლოდ დაბორიალობს და ამგვარი ყირამალა სიარულ-ფრენა ძალიან ართობს და სიამოვნებს.

ერთი ადამიანი-ბუშტი თითქმის დაჩუტულა, ნიღბოსნის ფეხებთან საწყლად მიყუჟულა, დამდნარ სახეზე მაინც საწყალობელი მწარე ღიმილი უნაოჭებს დამჭკნარ ლოყებს...

ზოგი ადამიან-ბუშტები უპრეტენზიოთა საშუალო რიგებს ამშვენებენ – არც ზევით ასასვლელად იქაჩებიან და არც ქვევით სურთ დაეშვან; მათ ამობურცულ ლოყებზე მზის ათინათები თამაშობენ; ყველაფრით კმაყოფილნი, პირებს აღებენ და გუნდად, ხმაშეწყობილად მღერიან, აბა, რა ქნან... რას მღერიან? ალბათ ამას:

“მასვი, მაჭამე, მალხინე,
მრავალჟამიერ მალხინე,
ეს ცხოვრება წუთიერი
კარგად გამატარებინე!..”

აგერ ამ ადამიან-ბუშტს თვალები დაუჭყეტია, ო-ჰო-ჰო, როგორ იბრიქება, ზედაც არავის უყურებს! გვერდით ბუშტში საკუთარ ანარეკლს აკვირდება და ვერ გამძღარა ცქერით – მე ვარ, რაცა ვარო!.. მის მეზობელ ბუშტს ცხვირ-პირი ჩამოსტირის, არც ის უყურებს ვინმეს, საკუთარი უბედურების მეტს გარშემო ვერაფერს ამჩნევს; სულ თალხ ფერად დაბინდულა, ცხვირი ჩამოზრდია და ლამის თვითონაც მარტო ცხვირად იქცეს. მასთან სულ ახლოს კი სხვა ყაიდის ადამიან-ბუშტია: როგორ კეკლუცობს, პატარა ნიავია საკმარისი, რომ ხან ერთს მიეტმასნოს, ხან – მეორეს; ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, ქერქეტაა, საკუთარი სილამაზით მთვრალი და ჰგონია, რომ ყველა მისთვის გიჟდება... ეს ბუშტი კი როგორ მომჩვარულა, ძაფზე მაგრად თუ მოქაჩე, მხოლოდ მაშინ თუ გაატოკებ; ეტყობა, ბებერია, ჰაერი გაპარვია და სულს ღაფავს; სულ გგონია, რომ აი, ახლა გამოუვა წირვა და საბოლოოდ დაენარცხება მიწასო, მაგრამ არა, იხტიბარს არ იტეხს და ბევრ, მასზე აყვავებულსა და წარმატებულს, კიდევ აჯობებს და მათ აღსასრულსაც მოესწრება...

მას გვერდს უმშვენებს უდარდელი ადამიან-ბუშტი, მარად ღრეჭია, მარად მედღეხვალიე; სულ ბზრიალებს-ტრიალებს, აქეთ-იქით ცნობისმოყვარედ ქაჩავს თვალებს, არაფერი გამომეპაროს საინტერესო ამბავიო. თუ სადმე ორი ბუშტი ერთად შეიყარა, ერთმანეთს ეჩურჩულება, აუცილებლად იქით გაეშურება და შორიახლოს ჩასაფრდება, იქნებ ყური მოვკრა ახალ ამბავსო. სხვათა ცხოვრებით ცხოვრობს, სხვათა ამბები ასულდგმულებს და, როცა ცხელ-ცხელ სიახლეს იყნოსავს, ბედნიერებით იბადრება და იბერება, კმაყოფილი ბზინვარება ირეკლება მისი დამრგვალებული ლოყებიდან...

ერთი იმ ბუშტსაც დამიხედეთ, როგორი ღაჟღაჟა წითელია, იფხორება, იბერება – ვაი, შე საცოდავო! სულ ზევით-ზევით იქაჩება, დამჭერი ძაფი ყოველთვის უკიდურესად დაჭიმულია სიმივით, – ყველაზე მაღლა სურს იყოს, ყველა მას შეჰყურებდეს, უბოდიშოდ აქეთ-იქით უბიძგებს დანარჩენებს და ჯიკავ-ჯიკავით მაღლა-მაღლა მიძვრება; ერთხელაც იქნება ამ ძიძგილაობაში ძაფს გაწყვეტს და... გაფრინდება სულ ზევით-ზევით, აიტაცებს უზომო სიხარული და სიამაყე, კიდევ უფრო გაიფუყება-გაიბერება და... ტკაც! იმის გაფიქრებასაც ვერ მოასწრებს, რომ ბედისწერას აჰყვა და დაღუპვისკენ მიექანებოდა...

ეს ადამიან-ბუშტი კი პირიქით, სულ ქვეშ-ქვეშ დაძვრება, ნატრობს, შეუმჩნეველი იყოს, ფერითაც ნაცრისფერია და ერთი სული აქვს, რომ უფერული, გამჭვირვალე, უჩინარი გახდეს... ყოველთვის ცდილობს, სხვებს ამოეფაროს, ისინი კი ზედ გადაუვლიან – ზოგი უბოდიშოდ გადაახტება, ზოგი გადაალაჯებს; ისეთებიც არიან, თავზე ფეხს დაადგამენ გასათელად; ეს ადამიან-ბუშტი კი ყველას მადლობას უხდის, საწყალობელ ღიმილად დნება...

აგერ ორი ცუგრუმელა ბუშტი: როგორ ცელქობენ, ერთმანეთს ხან გაებუტებიან, ხან ეხუტებიან; ხუმრობით ერქინებიან ერთმანეთს, ანცობენ... იქვე სხვა წყვილია – სულ ცოფებს ჰყრიან პირიდან და ნაკვერჩხლებს თვალთაგან, ერთმანეთის ლანძღვა-გინებით შემკობა არ ბეზრდებათ, გულს იფხანენ. გვერდით მოქირქილე ადამიან-ბუშტი ჩანს, ამათ ჩხუბზე გულიანად ერთობა და, როცა მოქიშპეთა უგუნურებით დანთებული შეხლა-შემოხლის ხანძარი კლებას იწყებს, მაშინვე ჩაერევა და შხამიანი სიტყვებით ნავთს შეასხამს...

ეს ბუშტი კი სულ პატარაა, ნორჩი, უცოდველი; მიამიტ თვალებს ნაბავს – რა დიდია სამყარო და რა ციცქნაა თვითონ! მისი მეზობელი კი ბებრული გულგრილობით, იშვიათად თუ გაახელს ზანტ თვალებს, დაღვრემილია, ცხოვრებით დაღლილი. ლოყათა ღრმა ნაოჭებში განურჩევლობა, ყვე-

ლაფრისადმი შემგუებლობა ჩაბუდებულა, თვალები კი ოდნავდა ბჟუტავენ და უფრო წარსულისკენ იყურებიან, ვიდრე წინ...

ბუშტები უსასრულოდ მრავალია და უსასრულოდ სხვადასხვაგვარი – ფერით, ზომით, მოყვანილობით, ზნით...

ყველანი – ცხოვრებით გალაღებულნიც და ბედისგან გულდათუთქულნიც, ერთ მშვენიერ წამს – ტკაც! – გასკდებიან და მიწისკენ მიექანება ფერადი ნაფლეთი, საწყალობელი ნაშთი ოდესღაც ტკრციალა, მბრწყინავი, სიცოცხლითა და სიხალისით აღსავსე ბუშტისა... სხვა ბუშტები ვერც იგებენ მეზობლის თუ მეგობრის გაქრობას, არც ახსოვთ იგი და აღარც არასდროს გაიხსენებენ – იყო კი ასეთი თუ ისეთი ბუშტი?

მიწა მოფენილია დაჭმუჭვნილი ნაშთებით ყოფილი სილამაზისა და დიდებისა; ფერითაც კი ნაფლეთები თითქმის ერთნაირები ხდებიან – რუხი, ჩაჟამული...

იქვე ტრიალებს მასხარა-ბედისწერის პატარა დამქაში, ხელზე მოსამსახურე ბიჭი, ახალ-ახალ, ნაირ-ნაირ ბუშტებს ბერავს პრანჭვა-გრეხით და პატრონს აწვდის... ის კი ჩვეულად ჩამოართმევს ძაფს მორიგი ბუშტისა, დროდადრო კი დასჭექს: "მიდი-მოდი! მიდი-მოდი!" და ვერ გაიგებ, დამქაშს ახელებს-აქეზებს უფრო მარდად სამუშაოდ თუ მოკლე ფილოსოფიური ფორმულით გადმოსცემს არსს მის წინარე წარმართული უვადო და უწყვეტი პროცესისა – ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან; დამქაში შეუსვენებლივ ბუშტავს და ბუშტავს ლოყებს, ბერავს და ბერავს ახალ-ახალ ბუშტებს – ყველაფერი ყოველ წამს იცვლება და საბოლოოდ კი მაინც იგივე რჩება...

დიახ, ხანდახან უცნაური აზრები და ზმანებები აეკვიატება კაცს გრიპის მაღალი სიცხის წყალობით...

და მაინც – აბა, მაგარო ბიჭებო, ჩვენო ძმანო მხატვარნო, რომელი დახატავს ასეთ სურათს? ეს ნოველა მისთვის მიმიძღვნია!

1983

ნატურმორტი კომშით

1.

ბეჟან ორნახადმსმელაშვილმა "ნატურმორტი კომშით" ერთხელ მოცალეობისას თამაშ-თამაშ დახატა მუყაოს საშუალო ზომის ნაჭერზე და მშვენიერი კი გამოუვიდა. ახლა კი ერთხელ კიდევ სევდიანად შეავლო თვალი თავის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევარს, შეფუთა და სალონში წაიღო – ფული სჭირდებოდა და სამხატვრო ლატარიისთვის ჩააბარა. უფრო იმიტომ გაიმეტა, რომ სურათის ფონი არ აკმაყოფილებდა მაინცდამაინც; ბევრჯერ შეცვალა: ხან ფონად აგურის კედელი გაუკეთა, ხან – აბსტრაქტული, უსაგნო ფერი დაუდო "სარჩულად", მაგრამ წინა და უკანა პლანების ორგანულად დაკავშირებას ვერ მიაღწია. სურათი მაინც მოსწონდა და დიდხანს ეკიდა მის საწოლთან. ხშირად უყურებდა და აპირებდა, შემდეგში სურათი გაემეორებინა: ანგარიშობდა ვარიანტებს, ფიქრობდა, როგორ დაემუშავებინა ახლებურად ფონი...

მართლაც, ბეჟანმა დიდხანს ვერ გაუძლო ჩვეულ ადგილზე საყვარელი სურათის ნაცვლად ცარიელი ადგილის ხილვას და გაუმჯობესებული ასლის შექმნა განიზრახა. ეგონა, იოლად, სულ მალე გააკეთებდა უკეთეს ვარიანტს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია: ბევრი იწვალა, დიდხანს უტრიალა, ადრინდელი ნატურმორტის ბადალი კი არა და არ გამოსდიოდა... ახალ სურათს რაღაც აკლდა – სული ვერ ჩაუდგა; ალბათ ის განწყობილება დაიკარგა, რომლითაც ადრე ორიგინალი გააკეთა. განსაკუთრებით ის აკვირვებდა, რომ წინა სურათი კარგად ახსოვდა და თითქოს ყველაფერი ისევე გაიმეორა, ახლა კი აღარც ფერი მოსწონდა, აღარც კომპოზიცია...

უკმაყოფილო მხატვარი ნანობდა, რატომ გამოვიჩინე სულმოკლეობა და დავკარგე სურათიო; იქნებ ამჟამად, საკმაო დროის გასვლის შემდეგ, ახლებურად შემეხედა და კარგად გამომსვლოდა ფონიო... მაგრამ საქმეს რაღა ეშველებოდა.

2.

გოგიტა გოგილაშვილს, როგორც აქტიურ საზოგადო მუშაკს, სამსახურში სამხატვრო ლატარიის ბილეთების გავრცელება დაავალეს. სამი ბილეთი, დიდი მცდელობის მიუხედავად, გაუსაღებელი დარჩა და გოგიტა იძულებული გახდა, თვითონ აეღო. მისდა გასაოცრად, ერთ-ერთმა ბილეთმა მოიგო ცნობილი მხატვრის ბეჟან ორნახადმსმელაშვილის ფერწერული ნამუშევარი "ნატურმორტი კომ-

შით". გოგიტას სუსტი წარმოდგენა ჰქონდა, რას წარმოადგენდა საერთოდ ნატურმორტი და, კერძოდ, რა მხატვრული ღირსებები ჰქონდა "ნატურმორტს კომშით". არც მისი მეუღლე გახლდათ მხატვრობის დიდი მოტრფიალე, ქალური ლოგიკით და გამჭრიახობით კი გაიკვირვა – სურათზე ხუთი ვაშლია გამოსახული და მხოლოდ ერთი კომში, რატომღა ჰქვია სურათს "ნატურმორტი კომშით"? შემდეგ, ასევე სავსებით სამართლიანად, დაასკვნა, რომ ლატარიის ბილეთებში გადაყრილი ფულით ბაზარში შეძლებდა მშვენიერი ნატურალური კომშის შეძენასაც, შაქარსაც იყიდდა და იმდენ მურაბას მოხარშავდა, მთელ ზამთარს ეყოფოდათ... ეს სურათი კი რის მაქნისია, მტვრის ბუდედ იქცევა, მაგის წმენდას უნდა გადაჰყვეს, თანაც ავეჯს არ უხდება, ფერით ვერ შეეწყო...

ასე იყო თუ ისე, ერთ შაბათს სურათი საკუჭნაოდან გამოიტანეს, მკვრივ ქაღალდში გაახვიეს და გოგიტამ სოფელში წაიღო – მოხუც მამიდას ვაჩუქებო (მამიდას უყვარდა ხშირ-ხშირად გამეორება, ძველი ინტელიგენტი ვარ, წმინდა ნინოს სასწავლებელი მაქვს დამთავრებულიო).

3.

სოფლად ეტიუდების შესასრულებლად ჩასული მხატვარი ჭიჭიკო ჭიჭინაშვილი ერთ ეზოში შევიდა წყლის დასალევად და კუთხეში მდგარ საქათმეს დააკვირდა. მისი ყურადღება მიიპყრო საქათმის გვერდზე მიჭედებულმა მუყაოს საშუალო ზომის ნაჭერმა, რომელზეც მშვენიერი ნატურმორტი იყო შესრულებული – ფუნჯის თავისუფალი, არტისტული მონასმებით ხუთი ლოყაწითელი ვაშლი და ერთი კომში საინტერესო კომპოზიციას ჰქმნიდნენ. სურათი არც მეტისმეტად პირობითად იყო გადაწყვეტილი და არც – მშრალი აკადემიურობით; მთავარი კი ის იყო, რომ ჭიჭიკოს პროფესიულად გაწვრთნილმა თვალმა მაშინვე შეამჩნია: ნატურმორტი ერთი შეხედვით უბრალოდ, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავად და ოსტატურად იყო გაკეთებული... იმდენად დაატყვევა მოულოდნელმა შედევრმა, რომ კარგა ხანს ვერ მოაცილა მზერასაოცარი სიხალისე ოპტიმისტურ, ნათელ, მაჟორულ ფერადოვნებად იღვრებოდაჭიჭიკოს სულში, სითბოსა და სიამეს ჰგვრიდა...

ქალბატონ მარგალიტას თქმით, ეს მუყაო მას ქალაქიდან ჩამოუტანა მისმა ძმისშვილმა, მაგრამ კედელზე არ დაუკიდია: იქნებ მოხუცს საკმაოდ დააკლდა თვალს, ან სათანადოდ ვერ შეაფასა მხატვრის თამამი მონასმები – მისი გემოვნება სხვა ყაიდის სურათებზე იყო აღზრდილი... ერთხანს სურათი ოთახში ჰქონდა შენახული კარადის უკან, მერე იფიქრა, აქ ტყუილად გდებას, ჯობს, საქათმის გარღვეული გვერდის შესაკეთებლად გამოვიყენოო...

– ჩარჩო რაღა უყავით? – ჰკითხა ჭიჭიკომ; ამ ბოლო ხანს ჩარჩოების შოვნა ჭირდა, აგრეთვე საღებავების, ტილოს, ფუნჯების და სხვა მასალების.

– ზამთარში ღუმელს შევუკეთე, – უპასუხა ქალმა.

მოხუცმა სიამოვნებით დაუთმო სურათი მხატვარს, მით უმეტეს, რომ სანაცვლოდ ჭიჭიკომ საქათმე კაპიტალურად შეუკეთა: გვერდიც გაუმაგრა ფიცრით და არც სახურავზე შიფერის დაჭედება დაზარებია.

4.

საქათმის მორღვეული ნაწილის ქარ-წვიმისგან დაცვას სურათისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. საჭირო შეიქმნა მცირე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება, განსაკუთრებით – სურათის კუთხეებში, რათა ლურსმნების მიჭედების კვალი წაშლილიყო. ჭიჭიკო ისე გაიტაცა მუშაობამ, რომ ნატურმორტს ფონად პეიზაჟი მიუხატა, რომელიც ჰარმონიულად მიესადაგა ვაშლებსა და კომშს: ფანჯრის რაფაზე დაწყობილია ხილი, გარეთ კი დათოვლილი მიდამოა; მუქ, შიშველტოტება ხეზე ჩამომჯდარი რამდენიმე გულწითელა ჩიტი სიცივისგან მობუზულა...

"ნატურმორტი კომშით" ჭიჭიკოს ნამუშევრად მაინც ვერ ჩაითვლებოდა, გამოფენაზე ვერ გაიტანდა, სამაგიეროდ, შინ უხარებდა თვალს.

ერთხელ ჭიჭიკოს კბილები გაუხდა მისახედი, იმ დროს ჯიბეზე ცოტა ქესატად გახლდათ და გადაწყვიტა, ნაცნობი ექიმისთვის სურათი მიერთმია (ღმერთმა დასწყევლოს უფულობის მომგონი!).

სტომატოლოგს სურათი მოეწონა და სამუშაო კაბინეტში დაჰკიდა.

5.

კბილის სამკურნალოდ ექიმთან მისული ბეჟან ორნახადმსმელაშვილი ჯერ სავარძელში არც იყო ჩამჯდარი და არც ექიმს უთხოვია, ისე დააღო პირი – კედელზე დაინახა "ნატურმორტი კომ-

შით"!.. იცნო კიდეც და ვერც იცნო – მისი კომპოზიციისთვის ვიღაცას ახალი ფონი მიეხატა. ბეჟანმა მაშინვე აღიარა, რომ ეს "ჩარევა" უცნობ მხატვარს ფაქიზად და გემოვნებით ჰქონდა გაკეთებული. სურათმა ბევრად მოიგო – უფრო ჰაეროვანი გახდა, სივრცე გაიშალა, გაღრმავდა, "სუნთქავდა"; წინა პლანის ფერადოვანი სიმდიდრეც მეტი სიცხოველით წარმოჩნდა და პეიზაჟურ ფონს ლამაზად მოერგო, ამასთანავე ფონი ფონად დარჩა და არ დაუჩრდილავს ვაშლები და კომში, პირიქით, კიდევ უფრო გაუსვა ხაზი მათ კომპოზიციურ სიმწყობრესა და ფეროვან სიკისკასეს.

რა თქმა უნდა, ბეჟანმა გამოჰკითხა ექიმს, საიდან მოხვდა აქ ეს სურათიო, გაუხარდა – ის და ჭიჭიკო ერთ დროს სწავლობდნენ სამხატვრო აკადემიაში, თუმცა სხვადასხვა კურსზე, და მეგობრობდნენ კიდეც.

ბეჟანმა უამბო ექიმს, რომ სურათი სანახევროდ მისი შექმნილი იყო და არც ის დაუმალავს, ძალიან მსურს, უკან დავიბრუნო ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ნამუშევარიო. სამაგიეროდ დაჰპირდა, მესტუმრეთ სახელოსნოში და სხვა სურათს გამოგატანთ, რომელიც კი მოგეწონებათო.

იმავე საღამოს "ნატურმორტი კომშით", თითქმის სამწლიანი მოგზაურობის შემდეგ, თავის "ძველ" ადგილზე ეკიდა ბეჟან ორნახადმსმელაშვილის საწოლთან.

1984

ატმები

ტიტე შეყილაძეს

ოქტომბრის მიწურულია.

ერთი კვირაა, ჩემი მეგობრის, მწერალ კიტა ლორთქაძის, აგარაკზე მცხეთასთან ახლოს მარტო ვცხოვრობ – მწერლის მეუღლემ, ქალბატონმა მარიამმა, აიჩემა, მაინცდამაინც ზაზას დავახატვინოთო და გადმომცა ვიღაც მოყვარულის მიერ გადაღებული საკმაოდ მდარე ხარისხის პატარა ზომის შავ-თეთრი ფოტოსურათი ქალაქ გორის ხედით. ეს ხედი დიდ, თითქმის კედლის ხელა ტილოზე ზეთის საღებავებით უნდა გავაკეთო: თუკი რაიმე მიზეზით აგარაკზე უარს იტყვიან, შეუძლიათ, ტილო ჩამოხსნან კედლიდან და თან წაიღონ, ნებისმიერ სხვა, შესაფერის ადგილზე მოსათავსებლად.

მთელმა კვირამ სულ უქმად ჩაიარა – გამზადებულ ტილოს ერთხელაც არ შევხებივარ ფუნჯით. არადა, ოჯახს მოცილებული, თავისუფალი ვიქნები, ხელს არავინ შემიშლის-მეთქი, ვფიქრობდი. სურათს გონებაში დიდხანს ვუტრიალე, აგარაკის ირგვლივ კი ისეთი ბრწყინვალე ხედებია, ისეთი სილამაზეა და შენ მიდი და ხელისგულის ოდენა, თანაც უხეირო ფოტოთი გორის შესაფერისი ხედი შექმენი! მთელი საათობით გადავიკარგებოდი ხოლმე, სულ ფეხით დავიარე ახლომახლო არაგვის ხეობა – თავისთავად ხომ თვალწარმტაცი და შემოდგომის ჯადოსნური ყალმით კიდევ უფრო დამშვენებული.

ბოლოს, ვიფიქრე, ოთახში ჩავიკეტები და მუშაობას შევუდგები, იქნებ შემდეგ ნელ-ნელა გავხალისდე-მეთქი... გაგიგონია! წინ მედო ფოტო და საათობით ვუცქერდი ცარიელ ტილოს, ხან ქაღალდის ფურცლებზე ვითომ რაღაც ესკიზურ ვარიანტებს ვაჯახირებდი... მეასედ ვანგარიშობდი, როგორ განმელაგებინა მასები კომპოზიციურად, ფეროვან გადაწყვეტაზე ჯერ არ ვფიქრობდი. მერე მივაგდებდი ქაღალდსაც და ფანქარსაც და... მივადგებოდი ისევ ფანჯარას. ყოველ საღამოს "საბოლოოდ" ვწყვეტდი, რომ მეორე დილით აუცილებლად დავიწყებდი მუშაობას და თუ მოვინდომებდი, ორ-სამ დღეში გავათავებდი კიდეც – ჩემი კოლეგებიც კი ხშირად განმიცვიფრებია შესრულების სისწრაფით. მაგრამ რომ არაფერი მაქვს შესასრულებელი! იქნებ ისიც მიშლიდა ხელს, რომ მუსიკა მაკლდა – მუშაობის დროს ყოველთვის ვუსმენ სიმფონიურ მუსიკას, ვუსმენ დაუსრულებლად – საოცრად მმუხტავს მუშაობის ჟინით...

გავივლი, გამოვივლი, ისევ ფანჯარასთან ვჩერდები და დიდხანს გავყურებ ეზოს. ღობესთან ერთი ატმის ხე დგას, სულ იმაზე მიჭირავს თვალი. ზოგჯერ იმასაც კი გავიფიქრებ, ეს ატმის ხე რომ არ ყოფილიყო, აქამდე სურათი მოთავებული მექნებოდა-მეთქი. ხუთად ხუთი ატამი ასხია, მაგრამ ისეთი მსხვილ-მსხვილი და ჩაყვითლებულ-ლოყაჩაწითლებული, რომ ატმის უნახავს გაგხდის კაცს! ატმის მეტი რა მინახავს, ნატურმორტებისთვის ოც წელზე მეტია, ბაზარში ვარჩევ ხილს. რამდენჯერმე კინაღამ ცდუნებამ წამძლია, ხესთან მივედი – ერთი სული მქონდა, გემრიელად ჩამეკბიჩა; წარმოვიდგენდი, მოუთმენელს, ნიკაპზე ტკბილი წვენი როგორ ჩამომეწუწებოდა და წინ წავიხრებოდი, რათა ხალათზე არ ჩამოღვენთილიყო...

საქმეზე გულაცრუებული კაცის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, სულ გარე-გარე გაურბის თვალიცა და გულიც. ფანჯარასთან აღარ მივსულვარ, სამაგიეროდ, ეზოში ჩავდიოდი და ჩემს "დამღუპველ" ატამს გარს ვუვლიდი.

ერთხელაც, ასე ვუტრიალე გარშემო ატმის ხეს, მერე ჩვეულებისამებრ ღობეში ჩატანებულ საკმაოდ ხნიერ კუნელის ხესთან მივედი და მსხვილი, შავ-შავი ნაყოფით დახუნძლული ერთი პოწკვი შევატეხე. თითო-თითოდ ვიგდებდი პირში მომჟავო მარცვლებს, რომ უცებ... უცებ მოულოდნელმა აზრმა დამიარა თავში, დამკრა და ლამის დამარეტიანა – რა მშვენიერი ატმის ხეა ეს ოხერი! აქამდე რამ დამაბრმავა?!. საჩქაროდ გადმოვყარე პირიდან კუნელის კურკები, მუჭში დარჩენილი მარცვლებიც მოვისროლე და ფაციფუცით ავფრინდი კიბეზე. მივვარდი ტილოსთან და პირდაპირ საღებავებით დავიწყე მუშაობა – ყოველგვარი წინასწარი ნახატის გარეშე... ან რად მინდოდა ნახატი – რაც მე იმ ატმის ხეს გარშემო ვუტრიალე!

ზოგჯერ ხდება, რომ მუშაობის დაწყების წინ რაღაც გაწუხებს, შენ თვითონ არ იცი, სახელდობრ რა, მაგრამ "ის" უკვე "მოითხოვს", რომ "იპოვო" ტილოზე... ჩანაფიქრი სიტყვებით გამოუთქმელია, ბუნდოვანია, მაგრამ გიბიძგებს, ხელში სასწრაფოდ აიღო ფუნჯი... ტილოზე ძიების დროს მოულოდნელი "სვლები" წამით ელვასავით გაანათებენ რაღაც ხილვებს და ცდილობ, დროულად "დაიჭირო" ეს წარმოსახვა, მატერიალური ფორმა მისცე... ჩემთვის ამჯერად ასეთად ატმის ხე იქცა. "უნდა მსხმოიარე ატმის ხე დავხატო!" – სხვა არაფერი მქონდა ჯერ გადაწყვეტილი – კომპოზიცია, ფერი, ფონი და ათასი წვრილმანი. უპირატესად მთავარს ასახავ ფუნჯის სწრაფი მონასმებით, შემდეგ კიდევ რაღაც გამოჩნდება; გზადაგზა სულ ახალ-ახალი ხატები გეწვევა, ხშირად ფრიად მოულოდნელ გზაზეც გადაუხვევ და, შესაძლოა, საბოლოო შედეგი სულ სხვა გამოგივიდეს, ვიდრე ადრე გქონდა ჩაფიქრებული.

...ვხედავ, ნელ-ნელა სურათი ფერ-ხორცს იძენს... ვგრძნობ, რაღაც გამომდის და ეს გრძნობა კიდევ უფრო აღმაგზნებს. სწრაფად ვმუშაობ, საოცარ სიმსუბუქესა და სილაღეს ავუტაცივარ, ხანდახან სუნთქვაც კი მეკვრის მღელვარებისგან და სწორედ მაშინ მოულოდნელად ისეთ გაბედულებას ვიჩენ, რომ "საღი აზრის" საწინააღმდეგო თამამ კომპოზიციურ სვლებს ვპოულობ, დაწყნარებული რომ ფიქრშიც ვერ გავბედავდი. და ეს "ერესული" განწყობა საოცარ სიამოვნებასაც მგვრის... "ვპოულობ" კი არა, ეს სვლები, ხილვები თავისით ჯგროდ მოედინებიან, მოილტვიან, მდინარებაში მითრევენ... ვჩქარობ – მეშინია, რომელიმეს ტილოზე გადატანა არ დამაგვიანდეს, თორემ დამავიწყდება, მეორე-მესამე შეიენაცვლება...

ვცდილობ, არ განელდეს ეს შინაგანი წვა, მიხარია, საოცრად მსიამოვნებს, რომ მიხარია; თითქოს სხვა ადამიანის ბედნიერებას ვუმზერ და მეც მასთან ერთად ვხარობ – შინაგანად გაორებული ვარ... აზრი კი – ცხადზე უცხადესია, ისე თავისუფლად, დაუძაბავად ვძერწავ ფერებით სურათს, თითქოს სულ მცირე ხნის წინ არაფერი მტანჯავდა, არაფერს ვეძებდი – ხელი "თავისით" შეუსვენებლივ მოძრაობს, სურათი ფუნჯის ყოველი მონასმით იცვლება – ივსება და სულ უფრო ცოცხლდება; ყოველ მონასმთან ერთად აზრი და გრძნობა თვალსა და ხელს ეხმარება, თვალი თავის მხრივ აზრს აწვდის რაღაც უხილავ ბიოდენებს, მუხტავს მას ახალი, უცაბედი, მოულოდნელი, მაგრამ, საბოლოოდ, ლოგიკური სვლების შესასრულებლად, სრული ჰარმონიით რომ ჯდება უკვე გაკეთებულში...

ამ მდგომარეობაში – ძალიან დაძაბული და ძალიან თავისუფალიც ერთსა და იმავე დროს – ალბათ კარგა ხანს ვიყავი, სანამ სურათს ძირითადად დავასრულებდი. რამდენჯერმე რაღაც იდუმალი ხმა მეუბნებოდა, რომ დამედო ფუნჯი, დამესვენა და ახალი აღმაფრენისთვის დავმუხტულიყავი; სიამოვნებითა და ტანჯვით ვემორჩილებოდი ამ შინაგან იმპულსს, გამოვდიოდი ეზოში, ცოტას გავივლიდი დინჯად, ძალიან დინჯად, ვიოკებდი ნაბიჯს, ვითომ ვისვენებდი და ხარბი მზერით კი ვაკვირდებოდი გარშემო ფერებს, ფორმებს – საგნებსაც ვერ ვამჩნევდი, ისინი არ მჭირდებოდნენ და არც არსებობდნენ ამჟამად ჩემთვის: მხოლოდ ფერთა განუზომელ მრავალფეროვნებას ვხედავდი და გული მწყდებოდა, რომ მკაცრი აუცილებლობა მოითხოვდა – შემეზღუდა თავი; უარი უნდა მეთქვა ირგვლივ უბრალო, სრულიად ჩვეულებრივ საგნებშიც კი აღმოჩენილ გასაოცარ ფეროვან სიმდიდრეზე – ბუნებასთან ჭიდილში უთუოდ დავმარცხდებოდი და, გარდა ამისა, მე მჭირდებოდა მხოლოდ განსაზღვრული გამა, – ყოველთვის მსხმოიარე ატმის ხეს "ვხედავდი" შინაგანი მზერით, – დანახული მხოლოდ ბიძგს მაძლევდა საკუთარი ფეროვანი ჰარმონიული შეთანადებების ძიებაში...

აუჩქარებლად მიმოვდიოდი, გული კი ისევ მძლავრად სცემდა და სისხლი შუილით მივლიდა ტანში; გავხედავდი ფერადოვან გორაკებს, მერე – კავკასიონის ლურჯ მწვერვალებს, თოვლისა და ყინულის თეთრი ქუდები რომ ეხურათ, მზით გასხივოსნებულ გარემოს; სადღაც ძალიან, ძალიან შორსაც დავფრინავდი გრძნობით, ფიქრით, ამავე დროს ოთახშიც ვიყავი სურათთან – რამდენიმე ადგილას ვიმყოფებოდი ერთდროულად... იდუმალი შინაგანი სამუშაო, ჩემთვისაც შეუცნობელი, ბორგავდა ჩემში და მიბიძგებდა – "დროა!"... და წვაგაუნელებელი, სირბილით ავიჭრებოდი კიბეზე, განზრახ შენელებული ნაბიჯით მივუახლოვდებოდი ტილოს – ვიხანგრძლივებდი სიამოვნებას! და, შინაგან გულისხმას მინდობილი, ჩემს ხელში დაჭერილი ფუნჯის წვერი იწყებდა თავბრუდამხვევ თამაშს ტილოს ზედაპირზე...

თავიდანვე თავისუფალი თხზვა-ნავარდი დავიწყე. ატმის ხე მაშინვე კარგად "ჩაჯდა" კომპოზიციის თითქმის შუაში, ფერის მხრივაც დიდხანს არ მიწვალია (ტყუილად არ ჩაიარა ეზოში ხეტიალ-თვალიერებამ!), ოღონდ ერთ ადგილას, უკვე სურათზე მუშაობის დამთავრებისას, პატარა "სიცარიელე" ვიგრძენი და სინამდვილეში არარსებული ატმის კიდევ ერთი ტოტი მივუმატე, ორი მსხვილი, "გემრიელი" ნაყოფით შემკული... ატმის ხის უკან მესერი მივაყოლე, მის ძირში რა ყვავილებიც მინდოდა და როგორც მინდოდა, ისე განვალაგე (უპირატესად – ვარდკაჭაჭა და ვარდისფერი ბალბა; პირველი განსაკუთრებით "ეხმიანებოდა" მოწმენდილი ცის ფერს, ხოლო მეორე – ატმის ნაყოფებს, ხოლო ატმის სიყვითლეშეპარული ფოთლები კი – ფონის გორაკებს...). კუნელის ხე-ბუჩქიც არ დამვიწყებია, მისი ვარჯიც შეყვითლებული იყო, მაგრამ განსხვავებულად... საერთო ფონად გამოვიყენე არაგვის ხეობის გაღმა მხარე, ისიც ვარიაციულად შეცვლილ-შერჩეული – მზით ხოხბის ყელივით აფერადებული გორაკები და ფერდობები, შემოდგომურად სულ ნაირფერად ნირშეცვლილნი: ჯაგრცხილის გადაბმული წვრილიანის მუქ ტოტებს, უკვე თითქმის ფოთოლგაცვენილთ, იასამნისფერი დაჰკრავს, აქა-იქ ბრიალებს თრიმლი, ძეძვის ბუჩქები კაშკაშა ყვითელ ლაქებად ჩანს... ყველაფერს კი ჰარმონიულად აერთიანებს ძირითადი თბილი ტონი გამხმარი რუხი ბალახისა... აქა-იქ ხეებიც მიმოვფანტე, ხეობის ძირში სანთლისფერი ალვები ავსვეტე შორეულ შვეულ რიტმებად... ერთი პირობა, მინდოდა, სახლიც ჩამესვა ფერდობზე, მაგრამ გადავიფიქრე და კარგიც ვქენი. ნატურის სიმდიდრე მხოლოდ ბიძგს მაძლევდა შერჩევაში, მეხმარებოდა, მეპოვა პასუხები ადრევე არსებულ კითხვებზე. რაც ბუნებაში საოცარ ჰარმონიას ჰქმნის, სურათში შეიძლება, არადამაჯერებელი იყოს; უნდა ბუნების მონობა აიცილო – ბუნებას უნდა შენებურად "უღალატო", რომ მისი ერთგული დარჩე...

სანამ განათება საკმარისი იყო, სურათიც ძირითადად დავასრულე. უკიდურესი დაღლილობა და უდიდესი ნეტარებაც ვიგრძენი. შიმშილმაც შემახსენა თავი, დავნაყრდი და ბალიშზე მივდევი თუ არა თავი, მაშინვე დამეძინა. დილით ცივი გონებით ვჭვრეტდი წინა დღის "ნაომარს". შიგადაშიგ ფუნჯს ვიღებდი და აქა-იქ დამასრულებელ თუ დამაზუსტებელ მონასმებს ვუმატებდი – ზოგან ვაღრმავებდი ხევს გორაკებს შორის, ზოგან ვანზოგადებდი ან, პირიქით, უფრო ვაკონკრეტებდი – როგორც მოუხდებოდა; აქ ჭარბ სიწითლეს ოდნავ "ჩავაქრობდი", იქ – ყვითელს ტონს შევუცვლიდი... წინა პლანი უფრო "ამოვწიე", ალაგ მეტისმეტი სიმეტრიულობა დავარღვიე, ალაგ პირიქით – მასათა დინამიკური წონასწორობის აღსადგენად გადავაადგილე ხე თუ ბუჩქი... ფერთა ჰარმონიული შეთანადებით თუ კონტრასტული დაპირისპირებით კომპოზიციური გამომსახველობისა და ბუნებრიობის მისაღწევად ამგვარ ცვლილებებს ბოლო არ უჩანდა. თითქმის მთელი დღე ვიმუშავე, ვიდრე ვამჯობინებდი, გავჩერებულიყავი, თორემ, ვინ იცის, იქნებ გამეფუჭებინა კიდეც სურათი.

შემდეგ დღეს უმნიშვნელო შესწორებები შევიტანე სურათში.

ვიყავი კი შედეგით კმაყოფილი? ალბათ... ვგრძნობდი საოცარ სიამეს, სიმშვიდეს და სიხარულს. შემეძლო უკეთ გამეკეთებინა? არ ვიცი...

როგორღაც ისე გამომდის, რომ ჩემს სურათებს ყოველთვის ახლავს ხოლმე ერთგვარი ფანტაზიური იერი – საგნები ნაცნობებიც არიან და იდუმალიც, თან სურათში ასახული ეს სამყარო თითქოს აი, ახლა დაიბადა, ამ წამს იშვა პირველყოფილი სიკისკასითა და მშვენიერებით – "ახალპირდაბანილია"; ამავე დროს, რაღაც საიდუმლოსაც ინახავს... კრიტიკოსთა აზრს მოგახსენებთ, მე ასეთ რამეებზე სურათის შექმნისას არასდროს მიფიქრია. არ ვიცი, ჩემს ინდივიდუალურ ფეროვან შეგრძნებაშია საქმე, თუ ფორმის საერთო გააზრების ხასიათში; კვლავ ვიტყვი – ორიგინალობაზე საგანგებოდ არასდროს მიზრუნია. ჩემი სურათების გამორჩეულობა, თუკი იგი მართლა არსებობს, ბუნებრივად გამოკრისტალდა, მუშაობის პროცესში თავისთავად წარმოიშვა და ჩამოყალიბდა – ქვეცნობიერად. "იყავ გულწრფელი და იქნები ორიგინალურიო", – უთქვამს ლევ ტოლსტოის. ერთი მეგობარი მყავს, – ბიჭები მიტო მონადირეს ვეძახით, – მის ნებისმიერ სურათში ირონიულობა გამოსჭვივის; თუნდაც სამზარეულოს ჩვეულებრივი ნატურმორტი გააკეთოს, გეჩვენება რომ მის სურათში ყოველი საგანი ირონიულად იღიმება. ჩემი მეორე მეგობრის, – არჩილა-თავას, – სურათებში იგივე საგნები შინაგან წუხილს, დაძაბულობას, სულიერ აფორიაქებულობას გამოხატავს...

ასეთ ფიქრებში ვიყავი, როცა საღამოსპირს კიტა ბატონი დამადგა თავს.

უყურა, უყურა ტილოს, მერე მოვიდა ჩემთან და უსიტყვოდ გადამკოცნა. ისევ კარგა ხანს ვეღარ მოაცილა მზერა სურათს, შემდეგ კი სიცილით მკითხა:

– ბიჭო, ეს არის გორის ხედი?

– სამაგიეროდ, გორული ატმები ხომ არის! – მეც სიცილით ვუპასუხე.

კიტამ ერთხანს კიდევ უყურა სურათს, მერე გავიდა ეზოში და მალე დაბრუნდა. ხუთი ცალი ყვითლად მოღუდღუდე, წითლად ლოყებდაბრაწული მსხვილი ატამი ხალათის აწეული კალთით შემოიტანა და ლანგარზე დააწყო.

ოთახი განუმეორებელი სურნელით აივსო.

კიტა ლაპარაკის ხასიათზე დადგა.

– ამ ატმებს ასე რომ ეფერებოდი, ერთი-ორი დაგეგემოვნებინა, შე კაცო! თუმცა... გამოგიტყდები, ჩემს ცოლს დათვლილი აქვს და დამაბარა, ნახე ერთი, ხომ ყველა ადგილზეაო. დავნაძლევდეთ, ყველა დამხვდება-მეთქი. ხვალ ისიც აპირებს მოსვლას და ნახე, თუ არ დაიჯინოს, შენ წააგეო; მე კი ვეტყვი, ხუთი დატოვე და შვიდი დაგხვდა-მეთქი, ჰა-ჰა-ჰა! მეტი რაღა გინდა, ჰა-ჰა-ჰა!.

გადამდები სიცილი იცის ბატონმა კიტამ, მაშინვე აგიყოლიებს. საერთოდ, ფრიად ენამოსწრებული კაცია, ჰუმორით აღსავსე. რატომღაც ეს თვისება სრულებით არ ეტყობა მის მოთხრობებს, რაც დიდად მაკვირვებს.

– რაღა თქმა უნდა, მარიამს სურათი მოეწონება, თუმცა მის დაკვეთას გადაუხვიე... დიდებულია! რაც მეტს ვუყურებ, უფრო და უფრო მომწონს... მაგარი ხარ, ზაზა, მაგარი! ფონიც რა მშვენიერი გამოგსვლია, ერთ სურათად მარტო ეგ ღირს. ოდნავ დაბურუსებული რომაა, აი, ეს მომწონს, გემრიელადაა გაკეთებული... ეს მთა-გორაკები, ათასფრად აგიზგიზებული ბუჩქნარით რომ შემოდგომურად ზეიმობს... თვითონ ფერები რა თავშეკავებული გაქვს, არადა, აშკარად გრძნობ, როგორ ხასხასებდა ყველაფერი... როგორ ახერხებ ამას? კარგია, კარგი... მარიამს ნამდვილად მოეწონება, ძალიან მოეწონება!

მეორე თვისებაც აშკარად შევამჩნიე ბატონ კიტას: ხშირად მისთვის უმაღლესი მსაჯული სხვადასხვა საკითხებში და, განსაკუთრებით, ხელოვნებაში, ქალბატონი მარიამია. პირადად მე, გულახდილად გეტყვით, ქალბატონ მარიამს ორ ბატს არ მივაბარებ მოსავლელად (ღმერთო, შემინდე!); თუნდაც ის რად ღირს, რომ გორის ხედის შექმნა მე მთხოვა. ვიცი მისი იდეალი – რაც უფრო "ფოტოგრაფიულად" გააკეთებ, მით უფრო მაღალი ფასი აქვს მის თვალში ასეთ ფორმალურ ოსტატობას. მე ის მიკვირს, რაღა ჩემზე შეაჩერა არჩევანი, მე ხომ ორგანულად ვერ ვეთვისები ნატურალისტურ "სიზუსტეს", ყოველთვის ვასხვაფერებ ნატურას, არ შემიძლია ჩემს გემოზე არ გარდავქმნა – ისე ძლიერ უფერული და უგემური მეჩვენება მუშაობაც და მისი შედეგიც... თუმცა, ქალებს რას გაუგებ! ასეა თუ ისე, ქალბატონ მარიამის ახირება რომ არა, ამ სურათს ხომ ვერ შევქმნიდი, მაგრამ ისიც საკითხავია, მოეწონება კი?

კიტამ საიდანღაც კონიაკის ბოთლი გამოაძვრინა, ჭიქები და დანები მოაყოლა, შინიდან წამოღებული კარტოფილის ღვეზლებიც დააწყო თეფშზე.

– დავლოცოთ ახალშობილი!.. მიირთვი ატამი, მიირთვი, ნუ გერიდება! ვიცი, ძალიან გინდოდა, თუნდაც ერთი ატმის გემო გაგესინჯა. შესახედად ხომ გადასარევია, არც გემო აქვს ნაკლები. ბაზარში ხშირად მიყიდია შესახედად შესანიშნავი ატამი, – მარიამი ატმის გიჟია, – შინ კი გაგვისინჯავს გემო და – დიდი არაფერი... მაინც, როგორ გასძელი, კაცო, მთელი კვირა უყურებდი ამ ატმებს და ხელი როგორ არ წაგიცდა, ჰა? ნერწყვით იხრჩობოდი, ხომ? გიკვირს, როგორ მივხვდი? იმიტომ მივხვდი, რომ მწერალი ვარ, ფსიქოლოგი, ჩემო ძმაო! ვხუმრობ, ვხუმრობ, ბაქიობაში ნუ ჩამომართმევ. ამას რა დიდი ფსიქოლოგობა სჭირდება, ასეთი ატამი წმინდანსაც შეაცდენს და ეშმაკსაც მოუგრიხავს რქებს... ყველას – შენს გარდა! გაგიმარჯოს, ჩემო ზაზა!

კიტამ ჭიქა მომიჭახუნა, შემდეგ გადაჰკრა და განაგრძო:

– ეს ატმის ხე რომ მილიონ კაცს ენახა და მათ შორის ათასი მხატვარი გამორეულიყო, ასეთ სურათს შენს მეტი მაინც ვერავინ გააკეთებდა. იტყვი, ასეთი ლამაზი ატმის ხის დახატვა რა დიდი ვაჟკაცობააო, ყოველი პროფესიონალი მხატვარი შეძლებდა კარგი სურათის შექმნასო... მართალია, მაგრამ არც მთლად! ტყუილია! უფრო სწორად, არ არის სულ მთლად ასე! კი, ბატონო, კარგ სურათს ბევრი შექმნიდა, უმეტესობა ალბათ – ჩვეულებრივ დათაფლულად ლამაზ, მხოლოდ თვალისთვის საამოდ საცქერალ, მაგრამ არაფრით გამორჩეულ სურათს... "ეს სურათი ზაზასია!" – პირველი შეხედვისთანავე ყველა იტყვის, იმიტომ, რომ შიგ შენი სულია, ჩემო ზაზა, შენი ხელიცაა და შენი გულიც! ეგ რომ მხოლოდ ცივი გონებით გაგეკეთებინა, რასაც ხედავდი, ვირტუოზი პირის გადამღების სიმარჯვით გადმოგეღო, კარგ სურათს შექმნიდი ვითომ? მე მგონია, ასეთი დონისას – მაინც ვერა... შენ კი რა გაგიკეთებია? ისე შენებურად, სახეშეცვლილად შთაგიბერია სიცოცხლე ამ ატმებისთვის, ბალახ-ხეებისთვის, გორაკებზე შეფენილი ბუჩქებისთვის, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი ხარ! როგორ გაგიმარტივებია თითქოს ნახატი, კონტურიც კი რა პირობითად გაქვს გავლებული: დენადი, ალაგ – წყვეტილი, ხან – წვრილი, ხან – სქელი... ხან – ნათელი, უფრო კი – მუქი, შავიც კი! ატმებს – შავი კონტური?!. გაბედული ხარ!.. ფერი ხომ თითქოს ფუნჯის შემთხვევითი მონასმებით დაგიტყეპებია, შენს გემოზე აგიზელია, მაგრამ რა ზუსტია ეს ასე, ერთი შეხედვით, ჰაიჰარად, დაუდევრად, სქლად დადებული ფერების შეთანადება! და რა ცოცხალია სურათი – როგორ სუნთქავს, თრთის ყოველი საგანი, სიამით გათანგულა მთელი სამყარო – ყოველივეს გამშვენიერების წადილით აღტყინებული! რა ძალა აქვს, ბიჭო, ამ ატამს, რა ცხოველმყოფელი სიძლიერე ჩაბუდებულა მასში, რა ძლევამოსილია მისი სილამაზე!..

ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგრძენი თავი ბატონ კიტას ასეთი აღტაცების გამო და მისი მაღალფარდოვანი მონოლოგი კინაღამ რამდენჯერმე შევაწყვეტინე – ქალბატონი მარიამიც ალბათ ზუსტად ასეთნაირად იმსჯელებს-მეთქი, მაგრამ ირონია აქ, რა თქმა უნდა, სრულიად უადგილო იქ-

ნებოდა: კაცს მოსწონდა სურათი და გულწრფელად ლაპარაკობდა (თუმცა, ძალიანაც რომ მნდომებოდა, ალბათ მაინც ვერ მოვახერხებდი, შევჭრილიყავი მისი სიტყვების მდინარებაში).

– გაგიმარჯოს, ზაზა, ერთიც დავლიოთ... გაუმარჯოს მხატვრის ხელსა და თვალს!.. ჰო, ახლა ერთ ამბავს გიამბობ, მწერლის თვალზეც მოგახსენებ. ჩვენთან ვიეტნამის კულტურის მუშაკთა დელეგაცია ჩამოვიდა, სულ ოთხნი იყვნენ. მეორე დღეს თარჯიმანს ვუთხარი: "აი, ეს კაცი არ ჰგავს ტიპიურ ვიეტნამელს, უფრო ჩინელს წააგავს; მეორე კამბოჯელი ხომ არ არის? დანარჩენი ორნი ნაღდი ვიეტნამელებია ჩემი შეხედულებით.ნ თარჯიმანი რამდენიმე წელს მუშაობდა ვიეტნამში, გაუკვირდა, ეს რომ ვუთხარი – მე არაფერი ვიცი და ვერც ვერაფერი შევატყვე მათ და, თუ გაინტერესებთ, გაგიგებთო. საღამოს მითხრა: უცნაურია, როგორ მიხვდიო... ის პირველი ჩინეთის მოსაზღვრე ჩრდილოეთის რაიონიდან არის წარმოშობით, მეორე – სამხრეთიდანაა, გავიეტნამებული კამბოჯელია, დანარჩენი ორი წმინდა ვიეტნამელებიაო. თარჯიმანი უფრო განცვიფრდა, როცა გაიგო, რომ მე მანამდე საერთოდ არც ჩინელი მენახა, არც – კამბოჯელი და არც – ვიეტნამელი. თუმცა, არც მთლად სწორი ვარ ალბათ – სადღაც ჟურნალებში, ტელევიზორში, კინოში, გაზეთების ფოტოებზე ვნახე და მწერლურმა თვალმა რაღაცნაირად განსხვავებულად აღიქვა ისინი, ქვეცნობიერად დაახარისხა... თარჯიმანი არ იყო არც მწერალი და არც მხატვარი... აი, ასე იყო საქმე, ჩემო ძვირფასო. უჰ, ეს კონიაკი მოუხდა ატამს, ცოტა კიდევ დავაგემოვნოთ... ამ ჭიქით მხატვრებსა და მწერლებს გაგვიმარჯოს!.. ეს ერთი, ბოლო ატამი მარიამს ვარგუნოთ, ხომ უნდა დააჭაშნიკოს – წელს პირველად მოისხა... დანარჩენი ატმები კი – გავაქრეთ, ხომ დიდებული იყო? აი, ასეთი გაქრობა მწამს: ატმები აღარ არსებობენ და მაინც სამუდამოდ კი დარჩნენ!.. ჩვენც ასე წავალთ ადრე თუ გვიან და ღმერთმა ქნას, ჩვენგანაც რაიმე კეთილი კვალი დარჩეს ამ ქვეყანაზე... გაგვიმარჯოს!

1982

"ზამთარი ძველ სენაკში. ოდა კოპიტის ხესთან". 1992 წ.

ნანა და რეზო (ემელიანე) ადამიებს

ჭაღარაწვეროსანი, მოსული ტანის მხატვარი ადრე დილიდანვე ზის მოლბერტთან თოვლით ერთიანად გადათეთრებულ ეზოში, ოდის პირდაპირ. დაბამბული ძველთაძველი ქურთუკი აცვია და კიდევ უფრო ბრგე ჩანს. მისი გამჭრიახი, დაკვირვებული მზერა განუწყვეტლივ მოგზაურობს: ტილო – გარემო – პალიტრა – ტილო... რამდენიმე სხვადასხვა ზომის ფუნჯთა მოგზაურობა ბევრად მოკლეა: პალიტრა – ტილო – პალიტრა...

და ტი0ლოზე ნელ-ნელა იკვეთება მამაპაპისეული ეზო-კარი: წაბლის ხის ოდა კომპოზიციის შუაში, მარჯვნივ – უფრო დაბალი ჯარგვალი, მარცხნივ – მუქი ბეღელი.

ახლა თოვლს უნდა მიხედოს.

ცრიატი დღეა და ჩრდილები თითქმის არ ჩანს – გაბნეული სინათლეა. ნაზი ნაცრისფერი დაჭკრავს ჩაღრმავებულ ადგილებს, სუსტი ცისფერი ჩრდილები მიწოლილა ბებერი, გადაბელილი კოპიტების – ლანჯების – მსხვილი ტანების ძირებში; ერთი ოდის მარცხნივ დგას, მეორე – ჯარგვალის წინ. მესამე კოპიტი ანუ იფანი (ასზე მეტი წლის იქნება) ოდის უკან იზრდება; მოჩანს მხოლოდ: სახურავსაცილებული მუქი, შიშველი, გრძელი ტოტები-თითები მაღლა აშვერილან, ერთფეროვან, ნაცრისფერ ზეცას დამიზნებიან.

ირგვლივ ყველგან – თოვლი, თოვლი, თოვლი...

ცივა!..

თოვლის მბრწყინავი თეთრი სამკუთხა ქუდები-სახურავები დაუხურავთ ოდასა და ჯარგვალს.

დღესვე უნდა მოასწროს სურათის დასრულება, ძირითადად მაინც, თორემ ხვალ, შესაძლოა, აღარც ეს თოვლი შემორჩეს აქაურობას და ალბათ განწყობაც სხვანაირი ექნება; ის კი არა, დღესაც საღამოსპირს განათება შეიცვლება... ახალი თოვლია, ცინცხალი, ნოტიო თოვლი, ღამე დადო და თვალი ჯერ არ შეჩვევია – მზერას ახალისებს.

მამლების მხიარული გადაძახილი მკაფიოდ ისმის გაყინულ ჰაერში.

დედამისმა, ბებია მინადორამ, ქათმები ჯარგვალის წინ დააპურა და ახლა ისინი ეზოში გაიფანტნენ მუქ მოძრავ ლაქებად.

მარცხენა გამხმარი იფანი მხოლოდ სურათს შემორჩება: ალბათ ორ-სამ დღეში მოიჭრება, – სიბერისგან წაქცევაზეა, – შეშა ბლომად ექნებათ.

აგერ გამორბის უმცროსი ქალიშვილი, შვიდი წლის მაია. მამასთან ახლოს ტრიალებს, ზურგს უკან; ხმას არ იღებს, იცის – ხელი არ უნდა შეუშალოს. დილას რომ გაიღვიძეს, რა ჟივილ-ხივილი ატეხეს ფანჯარასთან ჩაუცმელად მივარდნილმა დებმა – მაიამ და მასზე რამდენიმე წლით უფროსმა მედეამ: "თოვლი მოსულა! თოვლი მოსულა! ღამე თოვლი მოსულა!" ყველაზე უფრო კი მხატვარს

გაუხარდა – დღე კარგად იმუშავებს! გაიყინება მთელი დღე გარეთ ყოფნით, გაითოშება, შესაძლოა, წელიც გაუკავდეს და კარგა ხნით აღარ მოასვენოს სახსრების ანთებამ თუ რაღაც ჭირმა, მაგრამ სამაგიეროდ სურათი ხომ დარჩება!

მართლაც, დღეს გვარიანად ცივა! ხშირ-ხშირად მიაქვს პირთან შემცივნული ხელის მტევნები, დაიორთქლავს გასათბობად... ზოგჯერ ფუნჯსაც დადებს, წამოდგება, გაიარ-გამოიარს ხრაშუნა თოვლზე, წელს გაავარჯიშებს, რამდენჯერმე ჩაბუქნავს კიდეც. ეს ოხერი, მარილების დაგროვება რაღაა, გაცივებას რომ გადაურჩე, ის მაინც გაგტანჯავს, ლოგინს მიგაჯაჭვავს და მუშაობას ვეღარ შეძლებ – ეს არის მთავარი უბედურება... მერე, თვალდასვენებული, ახალი შემართებით აგრძელებს სურათზე მუშაობას. სიცივე რას უზამს, ნიჭიერი კაცი უნდა შეეწიროს საქმეს, არ დაზოგოს თავი, როგორც ნიკო ფიროსმანაშვილმა. ნიკოს კი არ ადრის თავს, – მისი სადარი ვინ არის, – მაგრამ მაინც... დიდი ადამიანის ცხოვრება დიდი გაკვეთილიცაა.

წელს თბილი ზამთარიაო, ვინ თქვა? აბა ერთი, დილიდან დაბნელებამდე იჯექი ერთ ადგილზე, – ღუღუნა ღუმელთან კი არა, გარეთ და ხელში ღვინიანი ჭიქის მაგივრად ფუნჯი გეჭიროს შიშველ ხელში, – მაშინაც იტყვი, თბილი ზამთარიაო?!.

კიდევ კარგი, აგერ ისევ მობაკუნობს მაია; შუადღეც მოწეულა, უჰ, რა ყოჩაღი გოგოა! მოუტანია შაშხი, ცხელი მჭადი და ცოტა არაყიც!.. მისწრებაა! სხვა დროს უყვარს ორსაათიანი გემრიელი სადილობა ნება-ნება, მამა-პაპიდან მოსდგამთ ეს ჩვეულება, – აუჩქარებლად, დინჯად, ტკბილი საუბრით... ახლა სად არის მაგის დრო, თანაც თბილ ოთახში რომ შევიდეს, იქიდან სამუშაოს გასაგრძელებლად სიცივეში დაბრუნება არ გინდა?

ცოტა ხნით თვალების დასვენების და გავლა-გამოვლის შემდეგ, დროა, ახლა უკვე წვრილმანებსაც მიხედოს, ესკიზურად ფართოდ დადებული დააზუსტოს, მაქმანივით "მოქარგოს" წინა პლანი: ვარდის ბუჩქები (წინათ აქ, სახლის წინ, ვენახი ედგათ, გადაბერდა და ამოძირკვეს, სანაცვლოდ მხატვარმა ვარდები დარგო; ვარდები თოვლის მოსვლამდე ჰყვაოდნენ და ბევრგან ახლაც ღუის ალისფერი ყვავილები დათოვლილი ბუჩქების ფონზე); ორ ბებერ, გადაბელილ იფანს მიუმატოს ახალი, ფუნჯებივით ამონაყარი; გააბნიოს ნათელ ფონზე ალუჩის, ბლის, ატმის ახალგაზრდა ხეების შავი სილუეტები, იზაბელასა და ალადასტურის დაგრეხილი ტანები და მაღლა მავთულზე თალარად გასული, შავ კატებად გაწოლილი ლერწები... "ანდამატური – მაღლა გასული – ალადასტური"... კარგად ჯდება სურათში, აცოცხლ0ებს: ჯარგვალის წინ მეუღლე ნანა და უფროსი ქალიშვილი მედეა შეშას ხერხავენ... ასევე: მრავალჯერ აქვს დახატული ეს ოდა სხვადასხვა ხედვის წერტილიდან და, უმრავლეს შემთხვევაში, ხელჯოხიანი მოხუცი დედა – ბებია მინადორა – ახალისებს ხედს, სითბოსა და, ამავე დროს, კაეშანსაც განფენს... ეტიუდს რომ გააკეთებდა ხოლმე, ბოლოს დედა მოვიდოდა: "სურათისთვის გავიარო, შვილო?" ახლაც ჩამდგარა მარჯვენა მხარეს ღრმა თოვლში (იქ სახლისკენ მიმავალი გზაა, მაგრამ თოვლის საბანქვეშ რას დაინახავ!), გვერდით ბებერი ძაღლი – ფახულა – დაყუნცულა. მეორე ძაღლი – ლეკვი ჯაგარა – მაიას ეთამაშება, ეხალისებათ ფაფუკ თოვლში სირბილი; ისმის ლეკვის მხიარული ყეფა და გოგონას წკრიალა ხმა: "ჯაგა, ჯაგა, ჯაგა!" ფუნჯის რამდენიმე ზუსტი მონასმი და ვარდის ბუჩქთან "ჩასვა" მაიაც და ჯაგარაც...

ყველგან ფუმფულა თოვლია, ჩვენებური, კოლხური ფუმფულა თოვლი – შეხედავ და გუნდაობა მოგინდება: ხასხასა, სპეტაკი, უთელავი თოვლია, მხოლოდ ძაღლთა თათების ნაკვალევით არის დაწინწკლული – რა იციან ონავრებმა, რომ ყველგან არ შეიძლება სირბილი, მხატვარს უბიწო თოვლი სჭირდება... კიდევ რამდენიმე მონასმი: თეთრ, ვიწრო ზოლებად გაწოლილა თოვლი იფნის მუქ ტოტებზე – დიდხანს არ დევს ხოლმე, პირველად იქიდან გაიპარება.

სწორედ ეს ეზო-მიდამოა, სადაც მხატვარმა ბავშვობის ტკბილი ზღაპარი იგემა – ის საოცნებო, უდარდელი წლები გაფრინდა, მხატვარიც ამოფრინდა ამ თბილი ბუდიდან... ბევრი იწოწიალა ამქვეყნად, ბევრი იბრძოლა, მრავალი გაჭირვება გადაიტანა; მისთვის მთავარი ცხოვრებაში ხელოვნება იყო – შრომა ყოველთვის ეხალისებოდა: სურათებში რაღა სტილი აღარ მოსინჯა, ნაირგვარ ჟანრებს მიმართა, სულ სხვადასხვა ხერხს გაუსინჯა გემო – დეფორმაცია, სტილიზაცია, ასევე – ექსპრესიის მისაღწევი სხვა მეთოდებიც – ხან ფერის გამძაფრება, ხან – მახვილი რაკურსები და გადანაცვლება ჩვეული პერსპექტიული ხედვებისა... ბოლოს კი, სიბერის კარიბჭესთან, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის მშობლიურ უბეზე – ერთ ჩვეულებრივ სოფელზე – უკეთესი ადგილი მისთვის მთელ დედამიწის ზურგზე არ არსებობს... ახლა რასაც ხედავს და ცდილობს, ტილოზე ასახოს მისი ხატი, ეს არე-მიდამოც ხომ მისი დედაა – ეს კოლხური ოდა, ეს სასიმინდეც და ჯარგვალიც, ეს დრო-ჟამისგან დაკორძებულ-გომოფუტუროებული იფნებიც და თოვლის საბნით ჩათბუნებულ-გაყუჩებული მიწაც... წინაპართა რამდენი თაობა დააბიჯებდა ამ მიწაზე, ოფლსაც ღვრიდა და ცრემლსაც, ტკბილ ნანასაც მღეროდა, ომახიან "აბა ულასაც" აგუგუნებდა და უდარდელ ლხინსაც ეძლეოდა მთელი ეშხით...

ყველაფერი რა ჩვეულებრივი, ჩვეული და საყვარელია: ეს ღრმად მოხუცებული ქალი, დედა, ჯოხზე დაყრდნობილი რომ მიჩაჩუნობს თოვლით ავსებულ ეზოში – ვერ ისვენებს, დაფუსფუსებს, –

სიყვარულის ზღვაა, მოგონებების ოკეანეა... მეუღლე, ბავშვები, ეს ძაღლებიც კი, ეს მამალი და ქათმები, უდარდელად რომ დასეირნობენ და იქექებიან ვარდის ბუჩქებთან – არ მოსწყინდება ამ კარ-მიდამოს ათეულობით ტილოზე გადატანა – ხანდაზმული, ცხოვრებით მოღლილი, ბავშვობაში დაბრუნდა, საწყისებთან... ამ გაჭირვების ჟამს მანქანა მოსტაცეს, – ძველი, ნაჯაფარი "მოსკვიჩი" ნეტა ვის რად უნდოდა, – ვეღარ მიდის სხვა სოფლებში თუ ადგილებში სამუშაოდ, მაგრამ ზოგი ჭირი თურმე მართლა მარგებელი ყოფილა! ახალი ნატურის შერჩევაში შეზღუდვამ აიძულა, მშობლიურ კარ-მიდამოს უტრიალოს, ჩაუღრმავდეს და სულ უფრო სრულად და მეტყველად ასახოს... და, რამდენადაც შეუძლია, ცდილობს, გარეგნულ უბრალოებასთან ერთად, თავისი სულის ემოციური გამოძახილიც გადმოსცეს... სწორი და ბრძნული ყოფილა ერთი ხელოვნებათმცოდნის ნათქვამი: ჭეშმარიტი მხატვრის ხედვა უფრო ღრმაა (და არა – უცნაური!), ვიდრე ჩვეულებრივი ხედვა. ხელოვანისთვის არაა აუცილებელი ნაძალადევი პირობითობის მოხმობა, მთავარია გულწრფელი და უშუალო იყო სურათის შექმნისას, საკუთარ სათქმელს მხატვარი ამ ფორმით გიზიარებს თუ იმ ფორმით, მიდი მასთან, შეეცადე, მისი ხედვა გაითავისო, მიენდე...

ამ თბილი სახლის ხატვა თოვლიან-ყინულიან ზამთარშიც არ მოსწყინდება. ნამდვილად თბილი სახლია – გაზაფხულზე მერცხლების ორი ოჯახი ესტუმრება ხოლმე; ბუდეს აივანზე იკეთებენ, მაღლა, კედელსა და ჭერს შუა: ერთი ოჯახი – მარცხენა მხარეს, მეორე ოჯახი – მარჯვენა მხარეს. ახლა ჩამყუდროებულია, ჩამუქებულია სახლის ღია აივანს იქით წაბლის ხის კედლები, ოდნავ ჩანს ფანჯარათა მინებში არეკლილი თეთრი ეზო...

ეს ოხერი, რა ადრე ბნელდება!.. მარცხნივ, უკანა პლანზე, ეკის მთის თოვლიანი გორაკები ცისფრად ჩამუქდა. მის ფონზე სასიმინდის გვერდზე ლეღვის დაგრეხილი ტოტებიც არ დაავიწყდეს და სურათის დამთავრებას თითქმის აღარაფერი უკლია...

.კმაყოფილია, უზომოდ დაღლილი, თითქოს ყველაფრისგან დაცლილი და ძალიან ბედნიერიც, რომ სურათი შექმნა... თვალმოჭუტვით ერთხელ კიდევ ათვალიერებს... რომ შეადაროს აგერ, ახლავე – რა სიმდიდრეა ნატურაში და რა უბადრუკად, რა უსუსურად ეჩვენება მისი ნათხაპნი! მაგრამ ეს წამიერი გრძნობაა და გულს მაინც არ იტეხს, რადგან მრავალწლიანი გამოცდილებით იცის: ბუნებასთან შეჯიბრი – ყველაფრისა და სრულად გადმოცემა – უაზრობაა, ბუნების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებასთან ახლოსაც ვერ მიხვალ, მაგრამ, თუ შესძელი იმ გრძნობის გადმოცემა, რომლითაც შენ უყურებდი ამ ხედს, მაშინ გამარჯვებული ხარ! შემდეგ, სხვა დროს, სხვა თვალით შეხედავს საკუთარ ნამუშევარს, მაშინ მიხვდება, რისი თქმაც შესძლო და რისი – ვერა...

ახლა კი, სანამ ბინდი სიბნელედ არ ქცეულა, სირბილით შინისკენ! გაღუღუნებული ღუმელისკენ, გაშლილი სუფრისკენ, გაღიმებული სახეებისკენ, გრძელთაგრძელი გულითადი მუსაიფისკენ!..

1997

სევდის მადლი

მერაბ ბერძენიშვილს

წვიმს...

ვხედავ: ილია ჭავჭავაძის გამზირზე, დავით გურამიშვილის მერაბ ბერძენიშვილისეულ ძეგლთან, მისგან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით, დგას ქალი.

შემოდგომურად, გულის გამაწვრილებლად სცრის...

მობუზული ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება მალე გალიონ მანძილი – ტროლეიბუსამდე ან ავტობუსამდე, მაღაზიამდე ან სახლის სადარბაზომდე. ყველა შეწუხებული სახით მიიჩქარის, გუბეებს გვერდს უვლის, აქეთ-იქით არ იყურება.

და მხოლოდ ეს ერთი შუახნის გამხდარი, შაოსანი ქალი დგას ქუჩაში თითქმის გაუნძრევლად, კაცურ დიდ ქოლგას შეფარებული – ქანდაკებისკენ პირშექცეული; მის ზურგს უკან აზიმზიმებულ ქუჩას ყურადღებას არ აქცევს, თითქოს მარტოობის უდაბურ კუნძულზე იყოს გარიყული.

წვიმს, გადაუღებლად წვიმს...

შესცქერიან ერთმანეთს:

იქით – უსახური აგურის კედლის წინ, დაბალ პოსტამენტზე დგას სველი, გამუქებული ქანდაკება პოეტისა;

აქეთ – ფეხსაცმლიდან თავსახვევამდე ერთიანად თალხი, თავისთავში ჩაკეტილი, შავი ქოლგით გადმოხურული ქალი.

ორივენი – უძრავნი, უტყვნი... ქალი მხოლოდ ფეხს თუ შეინაცვლებს დროდადრო და ისევ და ისევ დავით გურამიშვილის ქანდაკებასაა მიჩერებული.

თუმცა, ორივენი ფრიად მეტყველნიც არიან:

თავჩაღუნულ-ჩაფიქრებული, მოღუშულ-მჭმუნვარე, არცთუ ხნიერი პოეტის ხატი უსაზღვრო და უძირო სევდას გამოასხივებს;

სევდას მოუცავს ქალის "ქანდაკებაც" – მობუზული, წვიმისგან დაბურუსებულ გარემოში მუქ სილუეტად გამომკრთალი; დიდი, შავი ქოლგიდან "ცრემლები" წვეთავენ...

გვიანი შემოდგომის ნაღვლიანი სიმფონია: ავტომანქანების უსასრულო ნაკადის საბურავთა სი-სინ-შრიალი სველ, შავად მბზინავ ასფალტზე, ჭადართა შერჩენილი გამხმარი რუხი ფოთლებიდან ჩამონადენი წვეთების წკაპაწკუპი, საწვიმარ მილებში წყლის დინჯი, მონოტონური ბუტბუტი, ქალთა ფეხსაცმელების აჩქარებული პაკიპუკი...

მხოლოდ შაოსან ქალს და პოეტს არ ეჩქარებათ არსად.

პოეტი მარადისობას ეზიარა – უკვე დიდი ხანია, ქალს რაღაც აწუხებს და, სულის სევდის საბურველში გახვეული, უძრავად დგას.

თითქოს საერთო სევდას, საზიარო სადარდებელს მოუცავს ორივე.

მიზეზი კი ალბათ მაინც თავთავისი აქვთ.

პოეტს – საქვეყნო უბედურება, ხალხის გასაჭირი, მტრის ძალადობა, წუთისოფლის გაუტანლობა.

ქალს? იმასაც საკუთარი სატკივარი აქვს – მე რომ არ ვიცი, არც – შენ, არც – სხვამ... უბედობა? მარტოობა? საყვარელი ადამიანის დაკარგვა? ქვეყნის გასაჭირი? ალბათ მხოლოდ თვითონ იცის, ვერავის უზიარებს.

პოეტმა შეძლო, თავისი გულისთქმა საქვეყნოდ პოეზიის ენით ამოეთქვა – ხელთ უპყრია უკვდავი "დავითიანი".

ქალი, ეტყობა, სხვას ვერავის გაანდობს საკუთარ ჭირ-ვარამს – მხოლოდ დიდ პოეტს... მხოლოდ პოეტთან უნდა მოიოხოს გული, ჰპოვოს შვება.

გუგუნებს ქუჩა... უამინდობის მიუხედავად, მრავლად მიდი-მოდის ხალხი.

ისინი კი მაინც მარტონი არიან – პოეტი და ქალი.

პოეტი ყოველთვის ეულია, მაგრამ საკუთარ მარადიულ საფიქრალს და საწუხარს, სიხარულსა თუ დარდს, ყველას უწილადებს და დავითმაც თავისი ჭმუნვა-გულისტკივილი ყველას გაგვიზიარა.

ქალს არ ეხამუშება, რომ მერაბ ბერძენიშვილის დავითი ახალგაზრდაა, – ახლად წვერულვაშაბიბინებული, თმაქოჩორა, პირმშვენიერი, ტანკენარი ჭაბუკია, ის წიგნი კი, – "დავითიანი", – რომელიც მარცხენა ხელში აქვს ჩაბღუჯული და მკერდს სათუთად მიხუტებული, მოწიფულ ასაკში დაწერა, უფრო საფიქრებელია, უმეტესი ნაწილი – უკვე დაბრძენებულმა მოხუცმა. მაგრამ ეს ქანდაკება ხომ პოეტის ხორცის კი არა, სულის ხატია, სულისა, რომელიც მარადის ახალგაზრდა იყო და დარჩა ასეთად ოთხმოცი წლის ასაკშიც – მიუხედავად მშობლიური სახლ-კარიდან ძალადობით მოცილებისა, ორჯერ ტყვეობისა, ომებში გადატანილი გაჭირვებისა თუ საშინელებისა, შორს დარჩენილი სამშობლოს მონატრებისა და მისი მძიმე ბედით გულის დაკოდვისა... პოეტი მაინც პოეტად დარჩა – გულგატეხილობის, უიმედობის, თვალისჩინის დასუსტების, უძეოდ გადაგების სინანულის, მოახლოებული აღსასრულის მიუხედავად...

პოეტი ნებისმიერ ასაკში სულით ჭაბუკი უნდა იყოს.

ჭაბუკს არ შეჰფერის ჭმუნვა-ვაება, დაღვრემილობა-დაღრეჯილობა, ფილოსოფოსობა და აფორიზმებით შეგონება, მაგრამ შემოქმედს, ამ შემთხვევაში – მერაბ ბერძენიშვილს, ყოველგვარი დაწერილი თუ დაუწერელი კანონების დარღვევა შეუძლია, თუკი ეს წარმატებული შედეგის მისაღწევად სჭირდება; ამიტომ დავითი – ჭაბუკი-ბრძენი თუ ბრძენი-ჭაბუკი – ხატია სევდიანი იმედისა თუ იმედიანი სევდისა...

მთავარია ბიოგრაფიული კი არა, მხატვრული სიმართლე!

სევდის ნიჭი – ყველას არ აქვს! ამისთვის საჭირო ღრმა და, ამავე დროს, გაფაქიზებული გრძნობა, სულის სისპეტაკე.

ამიტომ მოდის ეს ქალი აქ – "პაემანზე" დიდ პოეტთან, უფრო სწორად, პოეტის სულთან, რომ შვება ჰპოვოს სევდიანი, ლამაზი და ამაღლებული სულის ხილვით – ამ ქალსაც გადმოსწვდა სევდის მადლი, – თავისი წუხილი დაავანა პოეტის უსაშველოდ დიდი სევდის ჩრდილში...

წვიმს...

დიდი შავი ქოლგიდან ქვაფენილზე ისევ ეცემიან წვეთები-ცრემლები...

1996

შავნაბადა

სამოც წელს გადაცილებული მხატვარი ბიძინა ბერმონაზვნიშვილი იმ პეიზაჟისტებს მიეკუთვნებოდა, რომელთაც ბუნებასთან მუდმივი ურთიერთობის გარეშე მუშაობა არ შეუძლიათ. ის ნატურის ბრმა მიმდევარი არ იყო, საკმაოდ თავისუფლად ხმარობდა ბუნების წიაღში დახატულ ესკიზებს, ხშირად ძირფესვიანად გადაამუშავებდა კიდეც პეიზაჟურ მოტივს, მაგრამ მაინც თავდაპირველ იმპულსს შემოქმედებისა ყოველთვის ბუნების ამოუწურავ მშვენიერებაში პოულობდა. ჰოდა, წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა – უკვე თითქმის მთელი წელი გავიდა, თბილისის ახალგაშენებულ უბანს – ვარკეთილს – გადავიდა საცხოვრებლად, ახლომახლო შემოგარენის დათვალიერება კი ვერ მოახერხა. სტენოკარდიის ხშირმა შეტევებმა, მართალია, შინ მთლად ვერ გამოამწყვდია, მაგრამ შორს გასეირნებას კი მაინც ერიდებოდა. ერთხანს ძველ ესკიზებს ამუშავებდა ან ადრინდელი ნამუშევრების ვარიანტებს ჰქმნიდა. ისე, აქაც კი, სტანდარტული სახლების გარემოცვაში, რომელსაც იგი "ქვის ჯუნგლებს" უწოდებდა, ბატონი ბიძინა, მეათე სართულიდან მზირალი, ცდილობდა, გამოეძებნა ახალი საინტერესო მოტივი და მიაგნო კიდეც – შავნაბადა!

თელეთის ფერდობდაღარული ქედის ნაწილი მოჩანს ორ მაღალ სახლს შორის შუალედში, ქედს კი ზურგზე მხედარივით მოსჯდომია შავნაბადას გორაკის მუქი კონუსი, კონუსზე – მონასტრის სილუეტი.

ყველაფერი კარგად გამოუვიდა: სურათი მისთვის ჩვეულ, თავშეკავებულ მონაცრისფრო-მოვერცხლისფრო გამაში შეასრულა, ოღონდ მხატვარი "სიცარიელეს" გრძნობდა წინა პლანზე, თითქმის დასრულებულ სურათს თითქოს რაღაც აკლდა. ვერაფრით მოიხელთა ეს "რაღაც" – ხან ნაყინის გასაყიდი ჯიხურის ჩასმა იფიქრა, ხან – ბავშვთა სათამაშო მოედნისა...

როგორც კი გაზაფხულის გადაბმული, გულის გამაწვრილებელი წვიმები ოდნავ შენელდა, ბატონმა ბიძინამ პირველსავე მზიან დღეს გადაწყვიტა გასეირნება ქალაქის განაშენიანების ბოლომდე – მას მერე რა იყო, არ იცოდა და ძალიან აინტერესებდა.

თან წაიყვანა შუადღეს სკოლიდან ახალმოსული თერთმეტი წლის შვილიშვილი – ისიც ბიძინა, ცელქი და მოუსვენარი, ოღონდ ჯერ ისადილეს.

უმცროსი ბიძინა დედისერთაა, მხატვარსაც ერთი შვილი ჰყავს და ნანობს ახლა, რატომ თავის დროზე კიდევ არ ვიყოლიეო. ცხონებული მისი მეუღლე იყო წინააღმდეგი და არც თვითონ სურდა მაინცდამაინც – შემოქმედებაში ხელი შემეშლებაო. ახლა შვილს ეჩიჩინება, პატარა ბიძინა ცოდვაა, მარტოკინა რომ იზრდებაო, მაგრამ ვინ უგდებს ყურს...

ჰოდა, მიდიან პაპა და შვილიშვილი მზით გაჩახჩახებული ქუჩით სასეირნოდ. სიმართლე ითქვას, ბატონი ბიძინა მისეირნობს, თორემ პატარა ბიძინა სულ ხტუნვა-სირბილით დაჰქრის აღმა-დაღმა და პაპის თხოვნას, ჩემთან იარეო, აინუნშიც არ აგდებს. ბატონ ბიძინას ხელში სახატავი ალბომი უჭირავს, ჯიბეში ფანქრები, საშლელი და წამლები უდევს. მიჩაჩუნობს ნელ-ნელა ბატონი ბიძინა; რაც ხანში შედის, უფრო და უფრო ნათლად ხედავს – არის თურმე უდიდესი ბედნიერება იმაში, რომ შეგიძლია გაიარო თუნდაც ერთი კილომეტრი საკუთარი ფეხით და ნახო, იხილო ეს ახალდარგული ხე, ეს სახლი, ეს მიწიდან ალაგ-ალაგ ამოწვერილი ქორფა ბალახი... რამდენია ისეთი გაჭირვებული, ფანჯარასთან მისვლაც არ ძალუძს, რათა ის გიჟური ორომტრიალი დაინახოს, რომელიც დანარჩენებს ასე გვაღიზიანებს – იმისთვის კი რა დიდი ბედნიერება იქნებოდა, ერთი წუთითაც კი რომ გადმოახედა ფანჯრიდან. უხარია ბატონ ბიძინას, ღიმილი უკრთის ოდნავ გახსნილ ტუჩთა კუთხეებში. უცნაურია, ყველაფერი ახალისებს, ისიც კი, რომ ქუჩაზე უხეიროდ დაგებული ასფალტი ალაგ-ალაგ უკვე აყრილია, ზოგან სამშენებლო ნაგვის ზვინები დგას და ზედ ბალახებს მოუკალათებიათ... ეტყობა, ძლიერ მოენატრა ფეხით გავლა; სიარული და ცქერა იყო ყოველთვის მისთვის, მხატვრისთვის, ყველაზე დიდი სიხარული ცხოვრებაში – ცქერა ამ ქვეყნისა, მიწისა და ცის გაუხუნარი სილამაზისა, მრავალფეროვნებისა, ფერისცვალებისა...

როგორ გინდა, უდარდელად მოცუნცულე შვილიშვილს გააგებინო, რომ ყველაფერი, რასაც ხედავ გარშემო, ცოცხლობს, სუნთქავს... უდიდესი ბედნიერებაა უკვე თუნდაც ის, რომ ეს დღე გათენდა, მზემ გამოიჭყიტა, შეგიძლია, შეიგრძნო ყოველი წუთის მშვენიერება და განუმეორებლობა, დაინახო ყოვლად ჩვეულებრივშიც კი რაღაც მიმზიდველი, გამორჩეული; უნდა ფართოდ გააღო თვალები, გაუღო საკუთარი გულის კარები ამ სილამაზეს, რომელიც ყოველთვის და ყველგან არსებობს...

გაზაფხულის თბილი დღეა, მზე ჩახჩახებს, გრილი ნიავი ჰქრის, ბავშვები ჟივილ-ხივილით დასდევენ ერთმანეთს, მანქანები მიმოქრიან და მტვრის ბუღს აყენებენ დანგრეულ გზაზე – მშვენიერია! ჩვეული და უჩვეულოც – ყველაფერი განსაცვიფრებელია, განსაკუთრებულია, რაც კი განგებას შეუქმნია ადამიანის საცქერლად!

ცოტა შორს კი გამოდგა ბატონ ბიძინასთვის გასეირნება. დროდადრო ჩამოჯდება და შვილიშვილს უჩვენებს ხან წვიმებით გათამამებულ ეკალნარს, სიმაღლით რომ უკვე პატარა ბიძინას თითქმის არ უდებს ტოლს (ჩახატვა ბატონმა ბიძინამ მერმისისთვის გადადო, როცა ნარი აყვავდებოდა, თან ფერებსაც წამოიღებდა), ხან გზის პირას აბიბინებულ ჯეჯილის პატარა კუნძულს (ეტყობა, ვიღაცას ერთო მუჭა ხორბალი დაპნევია), ხან ბალახებისა და ხეების სახელებს ასწავლის... უყურებენ გუგუნით თითქმის მათ თავზე გადაფრენილ თვითმფრინავებს – აეროპორტი შედარებით ახლოსაა – თვალმოჭუტვით შესცქერიან ლურჯ ზეცას.

გავიდნენ დასახლების ბოლოში. მრავალსართულიანი სახლების და ორასიოდე მეტრი ხრიოკის შემდგომ თურმე ქალაქი გრძელდება – ერთსართულიანი სახლებია ჩაკარგული ხეთა აფუებულ სიმწვანეში: ეზოები, ბაღჩა-ბაღები.

კარგა ხანს სხედან ერთ-ერთი ჭიშკრის წინ გამართულ ხის ძელსკამზე და მანქანების ქროლვას აყოლებენ მზერას – გზა თბილისის ზღვისკენ მიდის.

– როდისმე, როცა კარგად ვიქნები, ფეხით გავისეირნებთ იქამდე, – ეუბნება ბიჭს მხატვარი. – გაბანავებ კიდეც...

– ახლა წავიდეთ! – ექაჩება სახელოზე აღფრთოვანებული პატარა ბიძინა, მაგრამ ვინ არის იქ წამსვლელი, ნეტა სახლამდე მიაწიოს. პაპას უნდა ყურადღება სხვა რამეზე გადაატანინოს და უჩვენებს მსხლის, ვაშლის, თუთის, ალუბლის, ბლის, კომშის, ტყემლის ხეებს, ვერხვისა და ალვის ყველაზე მაღლა აზიდულ ვარჯებს. აგონდება საკუთარი ბავშვობა იმერეთის მწვანეში ჩაფლულ სოფელში...

უკანა გზობაზე ბატონი ბიძინა ხშირ-ხშირად ჩამოჯდება ხოლმე დასასვენებლად, ნანობს, ასე შორს რომ წამოვიდა. ჩაიდო ენის ქვეშ ნიტროგლიცერინი, გულის ტკივილი ცოტა მოეშვა. შვილიშვილმა ვიღაცის გადაგდებული რეზინის დაჩუტული ბურთი იპოვა, იმას დასდევს წინ და უკან.

– ე, ბიჭო, ჩემთან იყავი, ერთად ვიაროთ! – ემუდარება მხატვარი, პატარა ბიძინა კი ისევ ხან – წინ გაიჭრება, ხან – კარგა დიდზე ჩამორჩება, დახეულ ბურთს ვეღარ მოეშვა.

შუა გზაზე ბატონი ბიძინა დიდხანს იჯდა გზის პირას დაგდებულ რკინის მილზე. დახუთული სიცხე წვიმას მოასწავებდა, გულის არეში ჩხვლეტებიც ალბათ ამიტომ აწუხებდა.

– ბიძინა, ამ ბალახს იცი, რა ჰქვია? ვარდკაჭაჭა! ნახე, რა ცისფერი ყვავილები-თვალები აქვს... ახლა “თვალებს ხუჭავს”, ყვავილები იხურება, ალბათ ამინდი შეიცვლება.

შორს თრიალეთის ქედი და შავნაბადა მოჩანს.

– იცი, შავნაბადა სად არის? – ეკითხება შვილიშვილს.

– შენ არ მანახვე? აი ის!

– რას წარმოადგენს?

– გორაკია, ზედ კი ძველი მონასტერია! – უხარია ბიჭს, რომ ყველაფერი კარგად ახსოვს.

– სწორია! აბა, ის თუ იცი, რომ ეგ გორაკი ძველი ვულკანია?

– რას ამბობ, ბაბუა, მაშ, შეიძლება, ისევ ამოიფრქვეს?

ამ საუბარში არიან და მხატვარი ჩვეულებისამებრ ყველაფერს აკვირდება. ცაზე თითო-ოროლა თეთრქულა ღრუბელი თუა, ოღონდ დასავლეთიდან უფრო მუქი ღრუბლები მოზოზინობენ, სულ ჰორიზონტთან ჩაშავებულებიც გამოჩნდნენ. მამა დავითის მთაზე ტელეანძა ასვეტილა, იმის მარცხნივ – უძოს მთაა, მერე – მთის კალთაზე შეფენილი სოფლები მოჩანს, მერე – შავნაბადა. კიდევ უფრო მარცხნივ, შორს, მოჩანს ცისფრად დაბურუსებული იაღლუჯას მთა... მათ წინ კი განიერი ქუჩა გადაფენილა, მის შუაში ფართო ზოლია დატოვებული, ალბათ მანქანების სადგომად ან სავარჯიშო მოედნებისთვის განკუთვნილი. და, ჰოი საკვირველებავ! – სამი ალვის ხე შემორჩენილა ამ ზოლში: მაღლა ასვეტილნი, სანახევროდ გამხმარნი; მხოლოდ ქვედა ნაწილში ორი მათგანი გაუბედავად ამწვანებულა... ალბათ უკანასკნელი გაზაფხულია მათთვის, სულს ღაფავენ... მაშ, რა იქნება, გარშემო ყველაფერი მიანგრ-მოანგრიეს, ბულდოზერებით გადაზილეს, ალბათ ალვებს ფესვები გაუშიშვლეს კიდეც; მერე მიწა ისევ მოასწორეს, მაგრამ ამით ვეღარას უშველიან. ეს სამი ხე იმ ქარსაფარი ზოლის ნარჩენია, რომელიც ამ ადგილებში, ვარკეთილში, ადრევე გააშენეს ზვრებთან ერთად. ახლა აღარც ვენახებია, აღარც ქარსაფარი ზოლი შემორჩა, საცხოვრებელი უბნების დაპროექტებისას გარემოსთვის ანგარიში არავის გაუწევია...

მაინც, ყველაფერზე როგორ ნერვიულობს, ვეღარ გადაეჩვია. მხატვარი იღებს ჯიბიდან ფანქარს და ალბომში სწრაფად ესკიზურად ხატავს ამ სამ ეულ ხეს, ფართო ქუჩას, მაღალ სახლებსა მის გასწვრივ, შორს, მკრთალად – ამოზიდულ მამა დავითის მთასა და ტელეანძას. უკვე წამოდგა ზეზე, როცა გონებაში გაკვესა იდეამ – ეს სამი დაობლებული ხე მის სურათს, “შავნაბადას”, აკლია! სწორედ წინა პლანზე, “სიცარიელეს” ამოავსებს დიდებულად!

ბატონი ბიძინა, სიხარულით ფრთაშესხმული, ჩქარობს შინ მისვლას; ბიჭს მოეფერა, გზად პურიც აყიდინა (ჭუჭყიანი ხელით რომ წაატეხა ყუა პურს და ქუჩაში ღეჭვა დაიწყო ბიჭმა, ამაზედაც დაიბრმავა თვალი).

შინ მისვლისთანავე მიაშურა მოლბერტს, ტანზეც კი არ გამოუცვლია და სწრაფად იწყო სურათის წინა პლანის დამუშავება – ზამთრის ძილისგან ახალგამოღვიძებული ეული ალვების შინაგანი ტკივილით აღსავსე შიშველი ტოტები მაღლა მიისწრაფიან, ზეცისკენ აშვერილან... თელეთის ქედის თხემიდან აზიდული შავნაბადაც ასევე მიისწრაფის გაცრეცილი ზეცისკენ, რომელზედაც თითო-ოროლა თეთრი ღრუბლის ქულა სადაცაა გადნება-გაქრება გაზაფხულის უკვე ძალამიცემული მზით შემთბარ ჰაერში...

ალვათა ქვედა ტოტებზე რტოები უნდოდა აემწვანებინა, მაგრამ ხვალისთვის გადადო – გულმა შეაწუხა, თან შვილმა დაუძახა, მამა, ამ საღამოს თუ იბანავებ, თორემ ხვალიდან ოცი დღით ცხელი წყალი შეგვიწყდება, საქვაბე პროფილაქტიკური შეკეთებისთვის გაჩერდებაო.

* * *

შემდგომ გაზაფხულს გაიმართა ერთი წლის წინ უეცრად გარდაცვლილი მხატვრის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა.

შუა დარბაზში, გამოსაჩენ ადგილას, იდგა ბიძინა ბერმონაზვნიშვილის მოლბერტი ბოლო, თითქმის დამთავრებული ნამუშევრით – "შავნაბადათი", თუმცა, მრავლის აზრით, რაღა ჰქონდა დასამთავრებელი?

... ქალაქის ახალგაშენებულ უბანში მაღალ, ერთფეროვან სახლებს შორის შუალედში შორს მოჩანს თელეთის დაღარულფერდობებიანი ქედის ნაწილი; ქედის თხემზე შავნაბადას მუქი კონუსი აზიდულა.

წინა პლანზე, ახლად დაგეგმილ ეზო-ბილიკებს შორის, ჯერ საბოლოოდ მოუსწორებელი მიწის გოროხებზე გაზაფხულის სიმწვანეს ამოუხეთქავს; ამ საამო ფონზე კი ასვეტილა სამი გამხმარი ალვის სილუეტები. სამი ალვა, ოდესღაც ტანკენარი, ფოთოლჩურჩულა, ქარში მოქნილად მიმორხეული, ახლა გაფარჩხული შავი ტოტებით რაღაცას შესთხოვს ზეცას... ეს ხეები ადამიანებივით არიან, მოხუცი ადამიანებივით, ახლაც ლამაზები – იმიტომ, რომ არ არსებობს ულამაზო ადამიანი, არ გაჩენილა ჯერ შეუხედავი ხეც, თუნდაც იგი სანახევროდ გამხმარი იყოს და სულს ღაფავდეს ან თუნდაც მხოლოდ გაშავებული ტოტებიღა შერჩენოდეს უსიცოცხლო ტანზე...

მხატვარმა ვერ მოასწრო ხეთა ოდნავ მაინც გაფოთვლის ასახვა; ვინ იცის, სურათმა ამით მოიგო კიდეც.

1988

კონტრასტული წყვილადი პორტრეტი

საკმაოდ ცნობილ მხატვარ ქალს, ლარისა ბებიაძეს, დიდი ხანია, აწვალებდა ერთი ჩანაფიქრი: უნდოდა შეექმნა წყვილადი პორტრეტი, ესე იგი, ორი პიროვნების გამოსახულება ერთ სურათში; ამასთანავე, უნდოდა, ისინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულნი ყოფილიყვნენ, ეჩვენებინა მათი დაპირისპირებაც და იმავდროულად რაღაცით უნდა შეევსოთ ერთიმეორე... ქალი და კაცი... მოხუცი და ახალგაზრდა... მაღალი და დაბალი...

ბევრი ვარიანტი მოსინჯა და მიგნებაზე კი – ნურას უკაცრავად. ეს აღიზიანებდა, ვერც თავი დაანება და სხვა თემასაც ვერ მოჰკიდა ხელი – ჯიუტი იყო და სიძნელე იზიდავდა კიდეც... ბოლოს, თითქოს რაღაცას მიაგნო: ერთი ინტელიგენტია – დახვეწილი, ლამაზი, მეორე – უხეში, შეუხედავი... მერე მიხვდა, რომ ამჯერადაც არაფერი გამოუვიდა – სურათი სურათი უნდა იყოს, მხატვრობის ენით უნდა ლაპარაკობდეს და არა ლიტერატურისა, თხრობა თუ ილუსტრაციულობა ისევ ჩიხში მოამწყვდევდა; სწორხაზოვანი, უსიამოვნო დიდაქტიკის ელფერი დაღუპავდა სურათს, ამასთანავე, კომპოზიციურ გადაწყვეტასაც ვერაფრით მიაგნო, ცხადია, რატომაც – სანამ ჩანაფიქრი საკმაოდ არ გამოკრისტალდება, კომპოზიცია არაფრით გამოგივა.

ამგვარ ძიებაში იყო, რომ 50 წლისა გახდა კიდეც.

მარტის ბოლო იყო, ამ დროისთვის უჩვეულოდ დათბა; ვერხვებსა და ალვებზე კვირტები დაიბერა; ნუშმა და ატამმა უკვე იყვავილა, ალუბლები და ბლები თეთრი ყვავილებით გადაიპენტა...

ნათესავ-მეგობრების დაჟინებით, ლარისამ მრგვალი თარიღის აღნიშვნა გადაწყვიტა სასტუმრო "კალმახის" რესტორანში.

მეუღლისა და ქალიშვილის გარდა, შეიკრიბნენ: ქალიშვილის ქმარი, მეუღლის ძმა ცოლით, ნაცნობი ხელოვნებათმცოდნე, გიორგი, რომელმაც ერთ დროს დაწერა წერილი ლარისას შემოქმედების შესახებ და მას შემდეგ მეგობრობენ, ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, ბჭობენ სხვადასხვა საკითხებზე; მოვიდა რამდენიმე მეგობარი მხატვარიც, ამ უკანასკნელთა რჩევით, მოიწვია აგრეთვე "ოფიცია-

ლური პირიც” – მხატვართა კავშირის წარმომადგენელი ქალბატონი, რაღაც თანამდებობა რომ ეკავა იქ, მაგრამ იგი არ მობრძანდა.

ეგ არაფერი, უფრო საწყენი ის იყო, რომ არ ჩანდა მისი განუყრელი მეგობარი – ირინე ფედაშვილი, მისი კბილა, ისიც მხატვარი, რომელთანაც ერთად აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, დადიოდა ეტიუდებზე, ბევრჯერ ყოფილა შორეულ მოგზაურობაშიც შემოქმედებითი მივლინებით. დღეს კი არ მოვიდა... რატომ? აი, ეს აღელვებდა და აფიქრებდა ლარისას. ნუთუ ამასწინდელი ჭორის გამო? გავრცელდა ხმა, რომ ლარისას მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება. ერთხელ მხატვართა კავშირში შეხვდა ირინე და არც მისალმებია, ბოღმით მიახალა: “ახლა ალბათ აღარ იკადრებ უბრალო მოკვდავებთან ურთიერთობას!”, ჩაიარა და ლარისა გამშრალი დატოვა... შემდეგ, როცა ჭორმა ლარისას ყურამდეც მიაღწია, მიხვდა ირინეს უცნაური ქცევის მიზეზს და გული ეტკინა... ალბათ ამ ზაფხულს ერთად აღარ წავლენ სამუშაოდ, რაც ალბათ ძალიან დაეტყობა ირინეს ნამუშევრებს: ფერში, როგორც ყოველთვის, ძალიან კარგი გამოუვა, მაგრამ კომპოზიციური ამორფულობა, უფრო სწორედ, უსუსურობა, მნიშვნელოვანწილად გააუფასურებს სურათებს – კომპოზიცია გააზრებული და მოძებნილი, მოწესრიგებული არ იქნება, შემთხვევითობა “დააქუცმაცებს” მათ... წინათ მიუჯდებოდა ხოლმე გვერდით ლარისას და მის კომპოზიციურ მიგნებებს თითქმის უცვლელად გადაიტანდა საკუთარი ნამუშევრის შექმნისას; თვითონ ვითომ ეძებდა საინტერესო მოტივს, დიდხანს დადიოდა აქეთ-იქით, მაგრამ ბოლოს მაინც ლარისას გვერდით აღმოჩნდებოდა ხოლმე მოკალათებული... დამახასიათებელი ის იყო, რომ თუ ლარისასთვის ნატურაზე მუშაობა ერთ-ერთი ეტაპი იყო სურათის შესაქმნელად (როცა რაიმე არ აკმაყოფილებდა ნატურიდან შექმნილ პეიზაჟში, მერე შინ იწყებდა ძებნას ახალი კომპოზიციური სვლებისა, ფეროვანი გაორკესტრებისა; რამდენიმე ვარიანტს ასრულებდა, სანამ დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას არ მიაღწევდა), ირინესთვის ნატურიდან შესრულებული სურათი საბოლოო იყო, დასრულებული, – კომპოზიციისა თუ სხვა რამის შეცვლა-გაუმჯობესება აზრადაც არ მოსდიოდა... ხომ ნაწყენი იყო ირინეზე, მისი აქ დაუსწრებლობა კიდევ უფრო სწყინდა; არადა, ორჯერ დაურეკა, დაჰპატიჟა...

აი, ასეთი ფიქრები აეკვიატა ლარისას, როცა საზეიმო სუფრას უჯდა რესტორან “კალმახის” დიდ დარბაზში და მეგობრების მილოცვებს ისმენდა. ოფიციანტებს მარდად მოჰქონდათ საჭმელ-სასმელი; სუფრის თამადა, ლამაზი, მჭერმეტყველი და ამასთანავე ჩინებული მოქანდაკე კობა იმედიძე ახალ-ახალ სადღეგრძელოებს სთავაზობდა თანამეინახეთ.

ლარისა თან ყურს უგდებდა სუფრაზე ჩამოვარდნილ ხან საერთო, ხან ორ-სამ ადგილას ლოკალურად აღმოცენებულ ლაპარაკს, ამასთანავე, გაბოლილ და ხმაურით გადატვირთულ დიდი დარბაზის სხვა კუთხეებსაც ათვალიერებდა. საერთოდ, მუდმივ ჩვევად გადაექცა, ყოველთვის ფხიზლად დაკვირვებოდა გარემოს, მხატვრის თვალით შეეფასებინა, თუნდაც ათასჯერ ჰქონოდა ნანახი. ახლა კი, როცა მისთვის საკმაოდ უჩვეულო გარემოში მოხვდა (რესტორანში უკანასკნელად როდის იყო, აღარც ახსოვდა), ხარბად ისრუტავდა ახალ შთაბეჭდილებებს, თუმცა ბევრი რამ ეხამუშებოდა. დარბაზში ისეთი ზრიალი იდგა, ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა. სასატუმროს ბინადარნი – შოფრები, მივლინებულნი, სხვადასხვა ჯურის გაურკვეველი საქმიანობის ხალხი, ვიღაც ბიჭბუჭები, ხმამაღლა მოკისკისე, ჭარბად დახატულ-დაფერადებულ გოგოებთან ერთად... დანა-ჩანგლის თუ ჭიქა–თეფშის წკრიალს და ლაპარაკ-ზუზუნს დროდადრო ახშობდა ღრიალით ჩართული ორკესტრი. ვინ ცეკვავდა, ვინ ბღაოდა რაღაც სიმღერას; ერთგან ფეხზე ამდგარნი მღეროდნენ, მეორეგან შემთვრალი ახალგაზრდები უმიზეზოდ მოხითხითე ქალიშვილებს ეღლაბუცებოდნენ...

ლარისამ მზერა ისევ საკუთარი სუფრის წევრებზე გადაიტანა. ყველანი ლაღად გრძნობდნენ თავს, მადიანად ილუკმებოდნენ, სვამდნენ, ხალისიანად საუბრობდნენ, მხოლოდ ლარისა იჯდა მოწყენილი. რამდენჯერ გაიფიქრა, რომ აქ ყოფნით დროს ტყუილად ჰკარგავდა, მაგრამ რა ექნა, უნდა მოეთმინა, მეგობარ-ამხანაგების განაწყენება არ შეიძლებოდა – ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ერთხელ მოიყრება ნახევარი საუკუნისა და ეს თარიღი უნდა აღინიშნოს...

ტვინის ერთ კუნჭულში კი მუდმივად ფუთფუთებდა ფიქრი დაუმთავრებელ სურათზე, დაუმთავრებელზე კი არა, ჯერ დაწყებულიც კი არ ჰქონდა.

ლარისამ ყურადღება მიაქცია: მოპირდაპირე მხარის კედელთან ორნი დგანან უკვე დიდი ხანია და რაღაცაზე გაცხარებით საუბრობენ. რა ისეთი საკითხები ჰქონდათ გადასაჭრელი? არც რომელიმე სუფრაზე სხდებიან და არც რესტორნის მომსახურე პერსონალის წევრები ჩანან... ვინ არიან? და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ ლარისამ შეამჩნია, რომ ეს ორი პიროვნება საინტერესო კომპოზიციას ჰქმნიდა: ერთი მოსაუბრეთაგანი იდგა მუქ კედელთან და მისი განათებული ფიგურა და სახე მოცულობრივად, ბარელიეფივით ამოზიდული იყო შავ ფონზე; მეორე პიროვნება თეთრ ფონზე (ვიტრინის დიდ შუშაზე ფარდა იყო ჩამოფარებული) მუქ სილუეტად გამოიყოფოდა. ლარისამ მომავალი სურათის კომპოზიცია “მზამზარეულად” დაინახა და მაშინვე გამოცოცხლდა. სუფრას მიუბრუნდა, რომლისგანაც რამდენიმე ხანს სრულიად გამოთიშული იყო და ხალისიანად ჩაება მის მდინარებაში. გახალისებულმა, ცოტა ღვინოც მოწრუპა.

ქმარმა შეხედა და მზერით ანიშნა, რას შვრები, წნევამ არ შეგაწუხოს მერეო, მაგრამ ლარისას მეტი აღარ დაულევია. ქმარს უღიმოდა, ნურაფერს დარდობო. შთაგონება უხილავ ზვირთად აგორდა მის სულში და მისდა უნებურად სულ უფრო იკრებდა ძალას – გრძნობდა, სურათი გამოუვიდოდა და უკვე ისიც იცოდა, რა გზით უნდა ევლო. რა თქმა უნდა, ყოველი წვრილმანი ჯერ არ ჩანდა, ჩანაფიქრის მხოლოდ ძირითადი კონტური იყო მონახული, დანარჩენი მერე, უშუალოდ სურათზე მუშაობის პროცესში მოვიდოდა. ერთი სული ჰქონდა, როდის აღმოჩნდებოდა შინ, რომ რაც შეიძლება მალე აეღო ხელში ფანქარი და ჯერ გრაფიკულ ჩანახატებში მოეძებნა კომპოზიციური გადაწყვეტის ვარიანტები.

შუქ-ჩრდილი... რესტორანში დანახული შუქ-ჩრდილი ჩვენი ყოფის, საერთოდ ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია, მისი განუყოფელი ატრიბუტია ათაბაბიდან და ასე იქნება ქვეყნიერების დასასრულამდის. ალბათ არც ღირს ახლა ამაზე მაინცდამაინც წუხილი, რადგან რას უშველი ვაი-ვიშით? ამ ამბავს ფილოსოფიურად უნდა შეხედო და კარგიც კი დაინახო მასში: შუქ-ჩრდილი გაგრძნობინებს ცხოვრების გემოს, ყველაფერს დაგანახვებს მოცულობრივად, კონტრასტულად, მთელი სიგრძე-სიგანით. დიახ, შუქ-ჩრდილი, ტკბილ-მწარე, კონტრასტული დაპირისპირებაა, გემოს რომ აძლევს ყველაფერს. აგერ მის წინაა ცოცხალი მაგალითი: მისი თანაკურსელი, შესანიშნავი პიროვნება – გერონტი, ყველა რომ ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა, ლოთობამ დააკნინა, დააჩაჩანაკა და მის ნიჭს გაფურჩქნის საშუალება მოუსპო. რა დარჩება ქართული მხატვრობის საგანძურში მისი შემოქმედებიდან? ახალგაზრდობაში შექმნილი მართლაც შესანიშნავი რამდენიმე ტილო – თითქმის არაფერი... აი, ახლაც სულ რამდენიმე ჭიქა ღვინო დალია და მაშინვე თითქმის გამოითიშა. მისთვის შუქ-ჩრდილი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ერთი მდგომარეობა, სხვას ვეღარ იტანს...

წყვილად პორტრეტში: მუქ ფონზე ვინც იქნება, თეთრი ტანსაცმელი ეცმევა, ღია ფერის ფონზე მდგომს – მუქი ტანსაცმელი... ვიტრინის შუშის იქით გამოჩნდება ქუჩა ნაირფერი მანქანებით; ხალხი მიმოდის, იქნება ნატურმორტიც – ყვავილები ვიტრინაში...

ლარისამ ინანა, რატომ ამჯერად თან არ მაქვს ჩემი განუყრელი სახატავი რვეულიო. გამოსავალი მოძებნა – პასტიანი კალამი მეზობლად მჯდომ ხელოვნებათმცოდნეს გამოართვა და ქაღალდის ხელსახოცზე დაიწყო ჩანახატის კეთება. სწრაფად მუშაობდა, ფრიად სიამოვნებდა ხატვის პროცესი და უნებურად მის სახეზე დაძაბული ღიმილი კიაფობდა.

– თუ შეიძლება, ერთი წამით შევხედავ! – გამოართვა ჩანახატიანი ხელსახოცი გიორგიმ, როცა ლარისამ კალამი დაუბრუნა.

– აი, რას ნიშნავს ნიჭი! – თქვა გიორგიმ. – ხომ უბრალოდაა ყველაფერი გადაწყვეტილი და ლაკონიურობით, ერთგვარი ასკეტიზმითაც კი, რა გამომსახველობაა მიღწეული... ძალიან, ძალიან მომწონს. მაპატიეთ, ცოტა უხეშად თუ გამომივა, მაგრამ ამ ჩანახატს ვერ დამითმობთ?

– სიამოვნებით! – უპასუხა ლარისამ. – გონებაში მაგ ნახატის იდეა მყარად მიზის და შინ გავიმეორებ... უკეთესიც გამომივა, უფრო თავისუფალი ვიქნები, როცა ეს ჩანახატი თვალწინ არ მექნება.

– მადლობას მოგახსენებთ ძვირფასი საჩუქრისთვის, – გაუხარდა გიორგის, – უსათუოდ შუშიან ჩარჩოში ჩავსვამ და საპატიო ადგილს მივუჩენ ჩემს კოლექციაში!

1984

ატენი

(მხატვარი ქალის ნაამბობი)

შესანიშნავ მხატვარს, ლიდია შაბარშინას

ძალიან გეჩქარება? თუმცა, ვის არ ეჩქარება ჩვენს აფორიაქებულ დროში. ვიცი, გაინტერესებს და ათიოდე წუთი თუ გაქვს თავისუფალი, მოკლედ მოგიყვები.

ამას წინათ სამი ქალი წავედით პლენერზე სამუშაოდ. მე და ნათელა რა ხანია, სულ ერთად დავდივართ, ალბათ ოც წელზე მეტი იქნება. თითქმის მთელი საქართველო შემოვიარეთ, ძალიან შეგეწყვეთ ერთმანეთს. მთავარი მოგზაურობის დროს, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი საკითხებია, ამიტომ კომფორტს, ჭამა-სმასა და ასე შემდეგ ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. აბნეულ-დაბნეულად მიდის ჩემი ცხოვრება, ახლაც თავი ვერ მოვაბი ამბის დაწყებას და ნუ გაგიკვირდება.

ათასში ერთხელ ოჯახში ავჯანყდები ხოლმე, ორი-სამი დღე მოუარეთ თქვენს თავს-მეთქი და ნათელასთან ერთად მივდივარ ბუნებაში სამუშაოდ. ამას წინათაც გორში ვიყავით, შემოგვიერთდა ირინე ჭანდარაშვილი. შენ იცნობ იმასაც, ჩაპუტკუნებული რომაა, შუახნის, გაუთხოვარი. გორში სასტუმროში კარგად მიგვიღეს, მშვენივრად მოგვაწყვეს. დავთქვით, რომ დილით ადრე ატენის ხეობაში უნდა წავსულიყავით, გვემუშავა და საღამოს სასტუმროში დავბრუნებულიყავით. და ასე, ორი

კვირის განმავლობაში მოგვევლო მთელი რიგი ადგილები: უფლისციხე, მეტეხი, ერთაწმინდა, რკონი და სხვა... მოკლედ, რასაც მოვასწრებდით.

საღამოსვე მოვამზადეთ ყოველივე წასაღები და ადრე დავიძინეთ. დილით ადრიანად წამოვხტით, სახელდახელოდ წავიხემსეთ მე და ნათელამ და ირინეს ოთახის კარს მივუკაკუნეთ – უკვე წასვლის დროა, გიცდითო. ჩამიჩუმი არ ისმის. მერე ბრახუნი ავტეხეთ. კარგა ხნის შემდეგ ძლივს გავაღებინეთ კარი. გამოყო თავი – თმაგაბურძგნილი, პირდაუბანელი... თვითონაც ჩაუცმელია. გავსკდით გულზე. შევაფუცხუნეთ, აბა ჩქარა, გვაგვიანდება, ავტობუსი გაგვასწრებსო... შენც არ მომიკვდე, ისე ნელა ირჯება, თითქოს არ იცოდეს, დრო როგორ მოკლას. მე და ნათელა მის წამოსაღებ ბარგს ვაქუჩებთ, ისიც არ ჩაულაგებია საღამოს. მოკლედ, მოგვეშალა ნერვები... ჩაი აღარ დავალევინეთ, სირბილით გავეშურეთ ავტოსადგურისკენ. თუ დავაგვიანებთ, მთელი დღე დაგვეკარგება. თვითონ ირინე ზანტად მოიზლაზნება, თან ბუტერბროდს იღეჭება (საერთოდ, მაგარი "ჭამისტია"), რამ დაბადა ასეთი დამბლა? მეო, ამბობს, შინ თორმეტზე ადრე არ ვდგებიო, სად მიგეჩქარებათ, სხვა მანქანას გავყვეთ, ატენში ავტობუსები ხშირად დადისო. თუ არადა, ტაქსით არ ჯობს წასვლაო? მე ვიხდიო... წარმოგიდგენია? ამან მთლად გაგვაცოფა. რად გვინდა ტაქსი, როცა ავტობუსითაც მშვენივრად მივალთ? ტაქსის ფული არც გვქონდა. თვითონ კი თბილისში, შინიდან მხატვართა სახლში უთუოდ ტაქსით უნდა მობრძანდეს, თუნდაც სულ არ ეჩქარებოდეს. იქვე ცხოვრობს, ფეხით ათ წუთზე მეტი არ დასჭირდება მოსასვლელად, მაგრამ მიჩვეულია ტაქსს. მოკლედ, შევაგდეთ, აქოშინებულებმა, ავტობუსში ჩვენი ირინეს ოთხმოცი კილოგრამი, ბარგიც ავათრიეთ და ავტობუსიც დაიძრა. გზაში ნელ-ნელა გადაგვიარა გაბრაზებამ, წინ სასიამოვნო სამუშაო გველოდა. მთელი ყურადღება ფანჯრისკენ გვქონდა გადატანილი – ატენის ხეობა, მოგეხსენება, ლამაზია, თან შემოდგომა იდგა, მთა-გორები ლამაზად იყო აფერადებული. სოფელში ყოველი მტკაველი მიწა გამოყენებულია და ვაზის თალარები საავტომობილო გზის თავზეც კი აქვთ გადმოფენილი. კლდოვან ფერდობებზე სარწყავი არხები გაუჭრიათ, რომლებშიც მდინარე ტანას წყალი მიედინება. წყალი ისეთი წმინდაა, რომ წყალსადენსაც შეშურდება. გამოჩნდა ატენის სიონის ოქროსფერი მონოლითი-კრისტალი, პირქუში, მუქი კლდეებით შემოსაზღვრულ ვიწრო ხეობაში ნათელ ლაქად რომ გამოიყოფოდა.

ატენის სიონთან ავტობუსიდან ჩამოვედით. დავიწყეთ კარგი ხედვის წერტილის ძებნა. საერთოდ, სანამ შერჩეულ ადგილზე მუშაობას დავიწყებდეთ, ჯერ დიდხანს ვეძებთ ხოლმე შესაბამის ადგილს: "აქედან რა მშვენიერი პანორამაა! თან ეს თეთრი ქულა ღრუბლები დაბარებულებივით არ განლაგდნენ ამ ლამაზი ხეობის თავზე?!." შემდეგ ასევე დიდხანს ვბჭობთ კომპოზიციურ გადაწყვეტაზე, ფეროვანი მასების განლაგებაზე: "აი, ეს მთა იმ ტყის დიდ მასივს აწონასწორებს, თან ეს მდინარე დიაგონალურად ჭრის სასურათო სიბრტყეს, მეორე დიაგონალს ქმნის ფერით სივრცეში განვითარებადი ველი; მარჯვნივ კარგად ჯდება ბუჩქნარიანი ფერდობი". აი, ასე საბოლოოდ ვარჩევთ ადგილს და ვიწყებთ მუშაობას, თან ვმუსაიფობთ და ეს სრულებით არ გვიშლის ხელს: "შეხედე, რა ლამაზი ყვავილია, ღმერთო, რა გადასარევია! რა ჰქვია ნეტავი? შეხედე, შეხედე, კაჭკაჭი როგორ შეფრთხიალდა ჰაერში, რომ ჩავსვა კომპოზიციაში, თუ მოუხდება? რა მასშტაბის ავიღო? სილუეტურად მივცე თუ მოცულობრივად?" ხან ფილოსოფიურ თუ საყოფაცხოვრებო საკითხებსაც ვეხებით, ზოგჯერ წავიჭორავებთ კიდეც – ქალები ვართ! ყველაზე უფრო ის გვაწუხებს, რომ, როცა ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით, გვეუბნებოდნენ: "ჯერ იმუშავეთ, გამოცდილება შეიძინეთ, გამობრძმედილ ოსტატებს მიუახლოვდით დონით და მერე მოითხოვეთ ყურადღებაო". ახლა კი, როცა ხანში შევედით, ოსტატები გავხდით ყოველმხრივ (ამაში ეჭვი აღარ გვეპარება), გვეუბნებიან: "თქვენ უკვე ყავლი გაგივიდათ, თქვენი დრო წავიდა, ადგილი ახალგაზრდებს უნდა დაუთმოთ, მათია მომავალი-ო". სწორია ეს?!. გრძნობ რაღაც სიცივეს, გულგრილ დამოკიდებულებას, თუმცა ფორმალურად თითქოს ყველაფერი რიგზეა – შენს ნამუშევრებს იღებენ გამოფენებზე, იძენენ კიდეც, მაგრამ ყურადღებას, დაინტერესებას შენი პიროვნებით და შემოქმედებით ვერ ხედავ და გული გიცრუვდება არა მარტო სამუშაოზე, არამედ საერთოდ ცხოვრებაზეც... რისთვის ჯახირობ? რაღა დაგრჩა წინ? პერსონალური გამოფენის პერსპექტივაც კი აღარ გახარებს, იმდენი სირბილი, წვალება, ნერვების წყვეტა გჭირდება. არ ჯობს, მაგის მაგივრად რამდენიმე ახალი ნამუშევარი შექმნა? მოკლედ, დავიღალე, ასაკს თავისი გააქვს. თან ისიც გაღიზიანებს, რომ მუშაობის პირობები არ გაქვს – შენ თავისუფალი ხარო, არ მსახურობო და ყველა შენი შემყურეა, ყველას უნდა ემსახურო... აგერ ქმარი მოვიდა სამსახურიდან – სუფრა უნდა გაუწყო, ხვალისთვის შარვალ-ხალათი გაუუთოო; შვილს და სიძეს დრო არ აქვთ თავიანთ შვილს მიხედონ – ისიც შენი მოსავლელია... ერთი ქალი მარტო იმის დევნას უნდა, ისეთი ცელქია. რა ჰქნას, ბავშვია, იზრდება, მოძრაობას მოითხოვს მისი ორგანიზმი, დღეში სამჯერ მაინც უნდა ტანსაცმლის გამოცვლა... სულ ავადმყოფობს, სუსტი ბავშვია და ესეც ნერვებს მიწეწავს. მის ჭამას არ იკითხავთ? საჭმლის გაკეთება? ბაზარში სიარული? მოკლედ, გაწამებული ვარ. საკუთარი ავადმყოფობებისთვის ვერ მომივლია, კბილის ექიმთან ვერ მივსულვარ, ვერ მოვიცალე. ხანში შევედი და აქეთ გული შემაწუხებს, იქით – გათბობა არ არის, ყველანი ვცივდებით... ხანაც გრიპი დაგვერევა მთელ ოჯახს...

ეჰ, ჯობს, ჩვენს მოგზაურობას მივუბრუნდე. გამიგებ ალბათ, როგორ თავისუფლად ვგრძნობ თავს, მხოლოდ ერთი საზრუნავი მაქვს დარჩენილი – დრო გემრიელად გამოვიყენო, დავისვენო და კარგი სურათი გამომივიდეს. მაგრამ აქაც რაღაც რომ არ გამომიჩნდეს ნერვების ასაწეწი, როგორ შეიძლება... ქალბატონმა ირინემ ერთ ადგილს მიაგნო, დადგა თავისი საეტიუდე და დაიწყო ჩანთიდან მასალების ამოღება. "ახლოს არ მოხვიდეთ, არ მომეკაროთ, ეს ადგილი ჩემია!" – თითქმის კივის. დავაპირე, აღარ გამეცა ხმა, მაგრამ ნათელამ შეუტია და მაგრადაც გაჯორა, მეც ვეღარ მოვითმინე და შევაწიე ორიოდე ტკბილი სიტყვა. დავცილდით ირინეს და მართლაც ახლოს აღარ გავკარებივართ საღამომდე.

მიყვარს ნათელასთან გვერდიგვერდ მუშაობა. თან ვმუშაობთ, თან ვსაუბრობთ, ეტიუდიც გემრიელად იწერება. ვადარებ ჩემს ნამუშევარს მეგობრისას და ბევრი რამ მისი ნაპოვნიდან ჭკუაში მიჯდება, მაგრამ მაინც ჩემებურად გავიაზრებ და სხვაგვარად ვაკეთებ; ერთმანეთს აზრს ვუზიარებთ, დაუფარავად ვაკრიტიკებთ ერთმანეთს, ვურჩევთ და ასე მიდის საქმე. ბოლოს, ჩვენი ნამუშევრები სრულებით არ ჰგავს ერთმანეთს, თუმცა ორივე პრაქტიკულად ერთი წერტილიდანაა გაკეთებული. ჩვენ სხვადასხვა ტემპერამენტი, განსხვავებული ხედვა, ფერის განსხვავებული აღქმა გვაქვს. მე, მაგალითად, მიყვარს სულ წინა პლანის საგანგებოდ გამოყოფა – ხეს, დიდ ქვას, ღობეს ან სხვა რამეს ჩავრთავ ხოლმე, თუნდაც ნატურაში ის "კადრში" არ ხვდებოდეს. ეს საგნები ერთგვარ "მასშტაბს" წარმოადგენს სიღრმეში განლაგებული სხვა პლანებისთვის – მიყვარს, როცა თვალი გრძნობს სივრცეს, სიღრმეში პლანების ბუნებრივ მონაცვლეობას. ჩემი ხე-ბუჩქებისა თუ ბალახის სიმწვანეც თავისებური ელფერისაა – ერთი ჩემი მეგობარი იმასაც კი მეუბნება, მარტო ამ მწვანითაც შეუძლია შეუცდომლად მიხვდეს, რომ სურათი ჩემი შექმნილია. ჩემი ცაც თავისებურია, კოლორიტითაც და ფაქტურითაც – დრამატიულიაო, ამბობენ ხოლმე: დაძაბული, მუქი, კონტრასტულად განათებული ღრუბლებით. საერთოდ კი, მთელი ფეროვანი გამა ჩემი სურათებისა თავშეკავებულია; კონტრასტებს, მკვეთრ დაპირისპირებებს გავურბი. უფრო ხშირად მონაცრისფრო-ზურმუხტისფერი კოლორიტი ბატონობს, აგრეთვე ხშირია სადაფისფერ-მოვერცხლისფერო ტონები. სამაგიეროდ, მიყვარს სადმე მკვეთრი ფეროვანი აქცენტის ჩასმა, მაგალითად, ქალიშვილის სტაფაჟური მცირე ფიგურისა ალისფერ კაბაში ან ძროხის მცირე ნათელი ან მუქი ლაქისა. ბევრ რამეს ადგილს ვუცვლი, თუ ნატურაში მისი მდებარეობა "ხელს მიშლის". ნათელას პირიქით – ფერადოვანი, ზოგჯერ, ჩემი შეხედულებით, ზედმეტად მჭახე გამა აქვს – ამძაფრებს ფერებს, ჭარბად ხმარობს შეურეველ, სუფთა ყვითელ, ზაფრანისფერ, წითელ ფერებს: მისი ცა კაშკაშა ლურჯია, სიმწვანე – ხასხასა ზურმუხტისფრად ელავს... კომპოზიციას ნაკლებ ყურადღებას უთმობს, მისი სტიქიაა ფერი. საგულდაგულოდ არჩევს ფერებს და ყურადღებით აკვირდება, რომ ორი ერთნაირი ფერის ლაქა არ იყოს სურათში. მე, მაგალითად, ამას არ ვაქცევ ყურადღებას, სამაგიეროდ, დიდ დროს ვანდომებ გამომსახველი კომპოზიციის მოძებნას და დახვეწას. ის კი არა, შინ მიბრუნებული, თითქმის ყოველთვის ისევ განვაგრძობ ფიქრს სურათზე, ისევ ვარჩევ კომპოზიციას, ვეძებ, ვაანალიზებ, ახალ ვარიანტებს ვთხზავ. თუ დრო მექნა, რამდენჯერმე სხვადასხვანაირად გავიმეორებ. ხან უკეთესი გამომდის პირვანდელ ვარიანტზე, ხან – უარესი. ნათელას, მაგალითად, ვერასგზით აიძულებ, სურათი გაიმეოროს ან ახლებური ვარიანტი გააკეთოს... რაც ერთხელ დაუწერია, იმისადმი ინტერესი უკვე ამოწურული აქვს და ხელს არ მოჰკიდებს, თუნდაც მილიონი მისცე. მე კი მქონია შემთხვევა, რომ ათი-თხუთმეტი წლის წინ შექმნილ სურათს მივბრუნებივარ და გადამიკეთებია ან მის საფუძველზე ახალი სურათი შემისრულებია. ისე კი, მართალი გითხრა, ნათელას ნამუშევრები ძალიან მომწონს, თუმცა ჩემსას სრულებით არ ჰგავს. მე მამდიდრებს ნათელას გვერდით მუშაობა, ისიც ამბობს, რომ ჩემთვის სასარგებლოა შენთან ერთად მუშაობაო. ჩვენ განსხვავებული ინდივიდუალობის და გემოვნების მხატვრები ვართ, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჩვენს მეგობრობას – პირიქით, გვეხმარება შემოქმედებითად. სხვანაირადაც ხდება მხატვრებში... მოვა და დაგიწყებს ჭკუის სწავლებას – აქ მეტი კრაპლაკი უნდა იხმარო, იქ – ულტრამარინიო, თან არ გეუბნება, სახელდობრ რატომ, რა მიზნით, რა მოსაზრებით... იქნებ მე ულტრამარინს საერთოდ არ ვხმარობ, არ მიყვარს.

ეჰ, ისევ გავაბი ჩემებურად ლათაიები. ჰო, იმ დღეს კარგად ვიმუშავეთ, საღამოსთვის ეტიუდები დავასრულეთ, რამდენიმე ჩანახატიც გავაკეთეთ. დაღლით, რა თქმა უნდა, დავიღალეთ, იმდენად ფიზიკურად არა, რამდენადაც ნერვიული ენერგია დაგვეხარჯა. მაინც კმაყოფილები ვიყავით. სურათების საბოლოო დამუშავება შინ ხდება, როცა ეტიუდის გამოყენებით სურათს ჰქმნი – აუჩქარებლად, დინჯად; შეგიძლია, დახვეწო, კორექტივები შეიტანო, დასვენებული კრიტიკული თვალით აწონ-დაწონო ყველა კომპონენტი. წავიჭორავეთ კიდეც, როგორც ქალებს გვჩვევია, აქეთ-იქითაც გავიხედ-გამოვიხედეთ – ვაკვირდებოდით სოფლის ცხოვრებას, ხალხს, ვუსმენდით ბუნების ხმებს...

ავტობუსის გასვლამდე ერთი საათიღა იყო დარჩენილი, როცა ფაციფუცით დავიწყეთ ყველაფრის ალაგება-ჩალაგება. ყოველთვის ასე ხდება: დადიხარ, დადიხარ, ზოგჯერ საათობით ეძებ საინტერესო მოტივს, შთამბეჭდავ ხედს... მიაგნებ, იმუშავებ და მხოლოდ წამოსვლის დროს ამჩნევ, რომ ბევრად საინტერესო უამრავი მოტივი გარტყია გარშემო. ალბათ ფორმაში შედიხარ, თვალი უფრო

გამჭრიახი ხდება; არადა, დროც აღარ გრჩება, ისე წასვლაც გენანება, პატარა ჩანახატების გაკეთებასაც ვერ ასწრებ... ახლაც ასე დამემართა, რაღა მექნა? სახელდახელოდ, თათარიახნად ვთხიპნი – ვცდილობ, საჩქაროდ "შავად" რაღაც მოვახლაფორთო, რომ შემდეგ შინ საგულდაგულოდ დავამუშაო. შინ ვათვალიერებ ნამუშევრებს და აღმოვაჩენ, რომ ეს ბოლო ნაცოდვილარი, რომელსაც ნახევარი საათი თუ მოვანდომე, ბევრად სჯობს მის წინ გაკეთებულს, რომელსაც დილიდან საათობით ჩავკირკიტებდი... ამიტომ გვიყვარს მე და ნათელას რომელიმე ამოჩემებულ ადგილას რამდენჯერმე მისვლა – ატენის ხეობაში ასჯერაც რომ მივიდეთ, მაინც ვერ ამოვწურავთ იქაურ მოტივთა სიმდიდრეს. მერე გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი – ყველას ხომ თავ-თავისი ფერ-ხორცი და ხიბლი აქვს.

შემიმჩნევია, რომ ზოგჯერ უკეთ გამომდის, როცა თითქოს თამაშ-თამაშ, "არასერიოზულად" "ვატყეპებ" საღებავს... და მშვენიერი რამ კი გამომდის! ზოგჯერ უბრალო ჩანახატის გაკეთებასაც ვერ ვასწრებ – მაგალითად, მხოლოდ დავიმახსოვრებ ავტობუსიდან ან მატარებლიდან დანახულ საინტერესო ხედს და მერე შინ, "ცხელ კვალზე" თუ "ცხელ გულზე" სასწრაფოდ ჩავუჯდები სურათს, სანამ ემოციურად განვიცდი მოტივს, მახსოვს ფეროვანი გამა და ასე შემდეგ. ამ დროს ხშირად გამომდის კარგი ნამუშევარი – ეტყობა, ნატურის მონობა არ მთრგუნავს, თავისუფალი შემოქმედი ვარ. დიახ, შემოქმედი უნდა იყო, შემოქმედი!.. ანდა ვხედავ, რომ, დიდი ჯახირის მიუხედავად, რაღაც მშრალი ნამუშევარი გამომდის, მეტისმეტად დაწვრილმანებული... "სიზუსტემ", ნატურასთან იგივეობის მიღწევის ამაო სურვილმა შემბორკა და დამიმონა – მკვდარია ყველაფერი სურათში... ამ დროს მოვიკრებ გაბედულებას, ვიღებ ფუნჯს და დაუნდობლად, "შემთხვევითი" მონასმებით ვარღვევ მკვდარ ფორმას, უფრო კი – გავანთავისუფლებ, გავაცოცხლებ, ავამღერებ...

ისევ გავუხვიე თემიდან.

მოკლედ, ავტობუსის გასვლამდე თხუთმეტი წუთი დარჩა, როცა ირინეს შევეხმიანეთ, დროზე წავიდეთ, ავტობუსი ჩვენ არ მოგვიცდისო. გავიხედეთ – ჩვენი ირინე ძველებურად არხეინად ზის გასაშლელ სკამზე და მუშაობას განაგრძობს. გაცეცხლებულები მივვარდით: "რას გვიშვრები, ქალო, ბოლო ავტობუსია, აქ გინდა, დავრჩეთ?" თითქოს ახლა გამოფხიზლდა, უსასოოდ აწრიალდა, ვერაფერს მოაბა თავი. საღამოსპირს პატარა ქარიც ამოვარდა, ირინეს ხელში უჭირავს აკვარელის სველი ფურცელი და არ იცის, რა ქნას, სად დადოს... ისევ მე და ნათელა დავტრიალდით, საჩქაროდ ჩავყარეთ მის ჩანთაში ყველაფერი და გავიქეცით. უკვე დაძრული ავტობუსი ყვირილით გავაჩერეთ, ავცვივდით შიგ მე და ნათელა და შოფერს შევეხვეწეთ, ცოტა კიდევ შეეცადა. როგორც იქნა, მოღოდდა ირინეც აკვარელის ქაღალდის ფრიალით, აქოშინებული ამოეტია ავტობუსში და ისეთი დატანჯული სახე ჰქონდა, რომ მაშინვე დაუთმო დასაჯდომი ადგილი ვიღაც ღვთისნიერმა. ირინე დაბრძანდა, მუხლებზე დაიდო თავისი ჯერ კიდევ გაუმშრალი აკვარელი, თორემ ცუდად იქნებოდა საქმე – ამ ჭედვაში გორამდე მაგრად დაეჭმუჭნებოდა და მთელი დღის ნამუშევარი გადასაგდები გაუხდებოდა.

მერე, სასტუმროში, ვახშმის შემდეგ გულდასმით გავაანალიზეთ მისი ნამუშევარი და ძალიან მოგვეწონა – ნამდვილად კარგი გამოუვიდა. მართალია, ცოტა აკადემიური სიმშრალე და ოდნავ სიცივეც ახლდა, მაგრამ ფერში კარგად იყო გაკეთებული და კომპოზიციაც მახვილი შეერჩია, მეტყველი. გაგვიკვირდა, რადგან სხვა დროს უჭირდა ჩვენთან პლენერზე მუშაობა – ის მიჩვეული იყო შინ ფანტაზიით, წარმოდგენით თხზვას კომპოზიციებისა და ნატურიდან პეიზაჟის შექმნა აფრთხობდა: ბუნების ფერთა სიმდიდრე და ფორმათა ამოუწურავი მრავალფეროვნება აშინებდა და ფსიქოლოგიურად თრგუნავდა – ასეთ სიმდიდრეს რა მოერევა, მარტო აღქმას და გაანალიზებას ერთი დღეც არ ეყოფაო. არა, ნამდვილად ნიჭიერი ქალი იყო ირინე და ჩვენც გაგვიხარდა, რომ ნატურიდან მუშაობას ალღო აუღო. ბუნება დიდი და კეთილი მასწავლებელია, ოღონდ შესძელი მისი გაკვეთილების შეთვისება; ბუნება ამოუწურავია, იმდენ თემებსა და მოტივებს გიკარნახებს, ისეთ ფანტაზიებს გაგიღვიძებს, რომ ასი სიცოცხლეც არ გეყოფა უთვალავი ჩანაფიქრის რეალიზაციისთვის... რა თქმა უნდა, მონა არ უნდა იყო, ისე მხატვარი არ გეთქმის; არ უნდა დაგჯაბნოს ბუნების ფანტაზიურმა სილამაზემ და ულევმა მრავალფეროვნებამ. შენ შენი ხატი უნდა შექმნა, ბუნება მხოლოდ თავდაპირველ ბიძგს გაძლევს საკუთარი ფიქრის, გრძნობის, რწმენის გამოსავლინებლად...

ასე კეთილად დასრულდა ჩვენი პირველი სამუშაო დღე პლენერზე. ორ კვირაში კიდევ რამდენიმე სურათი შევქმენით თითოეულმა და უამრავი ჩანახატი. მათგან საუკეთესოები ამჟამად საშემოდგომო გამოფენაზეა წარმოდგენილი. მოდი, იქ შევხვდეთ ერთმანეთს და საუბარი მაშინ განვაგრძოთ, კარგი?

ეჰ, ლაპარაკს შევყევი, ვგონებ, ბევრი ზედმეტიც ვიქაქანე... შენ გაინტერესებს მხატვრობა, მე კი მსიამოვნებს მასზე ლაპარაკი. ახლა ბოდიშს გიხდი, შინ სარეცხი მაქვს დამბალი უკვე ერთი კვირაა, სადილიც უნდა გავაკეთო, თან შვილიშვილს გაკვეთილების მომზადებაში დავეხმარო – კიდევ ბოდიში, გავრბივარ!..

1988

ხეები მტკვრის პირას

მიყვარს ეგ ხე, რომ არც ვიცნო
და არც გამოვესაუბრო.
გალაკტიონ ტაბიძე
(* * * აქ ოდესმე სიარული...)

როცა ვერის ხიდის რეკონსტრუქცია დაიწყო, გალაკტიონს მხატვარ ალექსანდრე ციმაკურიძისთვის უთხოვია: მდინარის პირას აღმართული ლამაზი ხეები დამიხატე, ვიდრე მოჭრიდნენო.
ვახტანგ ჯავახაძე. უცნობი

ლამაზი ხეები თბილისში – ვერის ხიდთან, მტკვრის პირას...

ორი – უზარმაზარი ჭალის ვერხვი, მესამე – მათზე მომცრო.

ზაფხულის ადრიანი დილის ბინდბუნდში ჭარმაგი კაცი მოსულა მათ სანახავად; მხატვარია, სანამ მიდამოს ადამიანთა ჟრიამული მოიცავს, უნდა, ეტიუდის გაკეთება მოასწროს.

დილის სიგრილეში მიდი-მოდის, ხან ხეებს შესცქერის, ხან მდინარეს აკვირდება; დროდადრო მეორე, მაღალ ნაპირსაც გახედავს – ნაზი, ცისფერი ბურუსით ოდნავ გამქრქალებულ ფერდობზე მიჯრით მიწყობილ ორ-სამსართულიან სახლებს, ალაგ-ალაგ მათ შორის ხეთა მუქი ვარჯების ლაქებით.

დიდხანს ეძებს მოხერხებულ წერტილს, ხეები, მდინარე და გაღმა-გამოღმა ნაპირები რომ სახიერად ჩაჯდეს კომპოზიციაში; შემდეგ გასაშლელ სკამზე ჯდება, საეტიუდე ყუთს ხსნის, ტილოს ამაგრებს და ყუჩდება სინათლის მომძლავრების მოლოდინში.

ნახევარ საათში მუშაობას იწყებს. ჯერ ნახშირით ტილოზე აგებს კომპოზიციას, ანაწილებს ძირითად მასებს, შემდეგ კი ზეთის საღებავებს აზავებს პალიტრაზე და გამოცდილი ფუნჯის სწრაფი, თავისუფალი მონასმებით თანდათან ძერწავს გამოსახულებას.

შუა ქალაქში მტკვრის პირად წამომართულან ლამაზი, თეთრტანიანი ვერხვები. ნიავის ყოველ გაქროლებაზე მათი რტოების მწვანე სამოსს ვერცხლისფერი გადაურბენს – ათამაშდებიან ფოთლები და ქვედა, ღია ფერის მხარეს ააელვარებენ.

ხეები მაღლა მიილტვიან, გვერდზედაც მძლავრად გაბარჯღულან და ყველაზე დიდი ტოტები მდინარისკენ გაუშვერიათ – გადახრილან მარად მოშხუილე, დაუდგომელი წყლისკენ, თითქოს სურთ, გაარჩიონ ტალახისფერ მოლივლივე ზედაპირზე საკუთარი ტანის ანარეკლი, მაგრამ ამაოდ...

ჩვენც ხომ ხეებივით ვდგავართ ცხოვრების მდინარების წინაშე, ჩვენც ყველანი ვიცქირებით მის მღვრიე ნაკადში და ვცდილობთ, დავინახოთ საკუთარი სახე, შევიცნოთ თავი ჩვენი...

ჩვენც – ამაოდ.

და რატომ ვემდურით სხვებს, რად განვიცდით, რად გვტკივა გული, რომ არ გვაფასებენ, არ ვაინტერესებთ სხვებს... როგორ გაგვიგებენ ჩვენ, როცა ჩვენი საკუთარი თავი ვერ შეგვიცნია?

ხეები მიილტვიან მაღლა-მაღლა, თითქოს ლამაზი სულები მიისწრაფვიან ზეცისკენ.

ხეები ალბათ არ იცქირებიან მიწისკენ და ზოგჯერ თუ მაინც ჩაიხედავენ ქვევით, გაკვირვებით ეჩურჩულებიან ერთმანეთს: "ეს რა პატარ-პატარა კაცუნები დაღოღავენ მათი დიდებული ვარჯების ქვეშ, მოუსვენრად მიდი-მოდიან, ჭიანჭველებივით დაფუსფუსებენ?" ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობა – წვალება, ფიქრი და დროის ხარჯვა რაღაც სისულელეებზე, ჩასაცმელ-დასახურავზე, სამსახურზე, ფულზე... – მათთვის სრულიად გაუგებარია.

ხეები ბედნიერები არიან: არ დაწოწიალობენ აქეთ-იქით სარჩოს ძებნაში, არც სახელის მოხვეჭა ადარდებთ და არც უსახელობა. ყოველ დილით მზის ამობრძანებას აღტაცებით ხვდებიან, ყოველ შხაპუნა წვიმას სიხარულით უშვერენ ტოტებს და ფოთლებზე წვეთების დავლურს უსმენენ სიამოვნებით.

ხეები უბედურებიც არიან: მარად ერთ ადგილს მიჯაჭვულნი, უძრავნი, თავიანთ გემოზე ვერ წავლენ-წამოვლენ (მხოლოდ ქარი თუ ააქნევინებს ხელებს-ტოტებს და ააშრიალებინებს სევდიანად ფოთლებს); სულ ამ მდინარის გამუდმებულ ლტოლვას უცქერიან უცხო მხარისკენ, უცნობისკენ (მათი მოცახცახე, კლაკნია, მტოკავი ანარეკლებიც კი მდინარის ზედაპირზე თითქოს უფრო ცოცხლები არიან, ვიდრე თვით ხეები). ცოტა ქვევით, მდინარეზე რომ ხიდია, მთელ დღეს მილეთის ხალხი მიდი-მოდის, მანქანები და ტროლეიბუსები მიმოქრიან, ხეებს კი ერთხელაც არ უწერიათ მასზე გავლა, მოაჯირთან მისვლა და ზევიდან მდინარის მოთამაშე ტალღებზე გადმოხედვა... ვერც თავისუფ-

ლად თვალს წყალს დაალევინებენ, სულ ამ მამა დავითის აყუდებული მთის მაყურებელნი უნდა იყვნენ – დღე და ღამე, ზამთარში და ზაფხულში... ნეტავ რა არის ამ მშვენიერი, მაგრამ თვალსაწიერის შემზღუდავი, მობეზრებული მთის იქით?

ადამიანი ბედნიერია: რომ მოვლინა ამ ქვეყნიერებას, თვალი გააახილა, სილამაზე და სიკეთე ნახა, სიტკბო და სიამე განიცადა, რაღაც შექმნა – სხვისთვის საჭირო და საამო...

ადამიანი უბედურიცაა: გუნებას უშხამავს იმაზე ფიქრი, რომ ის მხოლოდ წუთისოფლის სტუმარია, მეტად მცირე ხნით მოვლენილი სააქაოს, ყოველ წამს შეიძლება, მისი სიცოცხლის ძაფი გაწყდეს და მაინც არ ეშვება მტრობას, ქიშპობას, ვერ ელევა მომხვეჭელობას, ჭარბად ახარებს შურს და გაუტანლობას, შეუწყნარებლობას და ღვარძლს... მრავალგვარი ბოროტების ნარი ხარობს ადამიანის სულში და იმას კი ვერ ხვდება, რომ მისი ეკლები უპირველესად და უპირატესად თვით პატრონს სჩხვლეტავენ და აჩირქებენ...

მხატვარი ჯერ ბალახებს ჩასცქერის, შემდეგ კი მაღლა, ვერხვებისკენ ააღერს თავს, – იქ სულ სხვა ტონის სიმწვანეა, – რტოთა შუალედებში ცა ნაფლეთ-ნაფლეთ კაშკაშებს... არ გინდა, ცისკენ მაცქერალმა, სიკვდილ-სიცოცხლეზე იფიქრო, იმ მარადიულ საიდუმლოზე, რომელიც მოიცავს სულ-ჩადგმულსაც და უსულოსაც; ბოლო კი ყველასი და ყველაფრის ერთია – გაქრობა – და ხეები იმითაც არიან ადამიანებზე ბედნიერები, რომ არასდროს ფიქრობენ ამაზე... ამ ვერხვებმა არ იციან, რომ განწირულნი არიან – რამდენიმე დღეში ულმობელი ნაჯახი ელით, ხიდის გაფართოებას უნდა შეეწირონ. უდროოდ წაქცევა ელით ლამაზებს, რომელთაც კიდევ დიდხანს უნდა ეცოცხლათ, დიდხანს დაემშვენებინათ აქაურობა; რომელთაც არავისთვის არაფერი დაუშავებიათ... დაინგრევა რუდუნებით ნაგები ბუდეებიც: მაღლა, ტოტებში მიყუჟულნი – ფრინველთა, და ქვევით, ხეთა ძირებთან – ჭიანჭველებისა. მოვლენ ცულებით და ხერხებით შეიარაღებული ჯმუხი კაცები, საქმიანი გამომეტყველებით ახედ-დახედავენ ხეებს, შემდეგ ხელისგულებზე საგულდაგულოდ დაიფურთხებენ, აიღებენ ბასრ ნაჯახებს, მოუქნევენ და გამეტებით შემოჰკრავენ...

ისევ და ისევ...

ყოველ დარტყმაზე ხეები შეზანზარდებიან, როგორც ერთი გრძელყუნწა ფოთოლი.

ერთი დარტყმა, მეორე... მეათე... მესამოცე... სამოცდარომელიღაც...

და უცებ შექანდება ხე, ამოიკვნესებს, გადაქანდება და ოხვრა-ბრაგვანით წაიქცევა.

ჩვენ?

ჩვენც...

ჩვენც გვირტყამს ულმობელი ბედის ნაჯახი.

ოღონდ ადამიანს, სანამ წაიქცეოდეს, ბედის ნაჯახი მთელი სიცოცხლის განმავლობაში უჩაკუნებს... ადამიანი ხეზე უფრო გამძლეა. რამდენ დაცინვა-დარტყმას, დაუფასებლობა-დარტყმას, უსამართლობა-დარტყმას, უყურადღებობა-დარტყმას, ღალატ-დარტყმას, საყვარელი ადამიანის დაკარგვა-დარტყმას და ათასგვარ სხვა მჭრელ ტკივილს იტანს ადამიანი, სანამ საბოლოოდ ბოლო დარტყმა წააქცევდეს.

რა რჩება ჩვენგან?..

ყოველდღიური ტკივილების მიუხედავად, უეჭველად უნდა დავტოვოთ კეთილი და ლამაზი კვალი.

სულ მოკლე ხანში ეს ლამაზი, ამაყი ვერხვები აქ აღარ იშრიალებენ, გრილ ჩრდილს აღარ განფენენ გარშემო, გაქრება მათი კუნძებიც კი – იმათაც ამოძირკვავენ, მაგრამ დარჩება მათი სახება სურათზე, რომელსაც ამ დილით სახელდახელოდ შესრულებული ეტიუდის საფუძველზე სახელოსნოში უფრო გულდაგულ დაწერს მხატვარი – დიდი რუდუნებით და მღელვარებით. საკვირველია: შენი სახლიდან ორ ნაბიჯზე ყოველდღე ხედავდე ამ მშვენიერ ხეებს, თითქმის ვეღარც ამჩნევდე, ისე შეეჩვიო მათ არსებობას და არასდროს აზრად არ მოგივიდეს მათი დახატვა. მხოლოდ ახლა გაგიჩნდა ასეთი სურვილი, როცა სამუდამოდ უნდა მოისპონ; ვერ წარმოგიდგენია სიცარიელე ხეთა ადგილას და სინანული გიპყრობს...

ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ეს ვერხვები, გვერდიგვერდ დობილებივით ამოზრდილნი; როცა დაკვირდები, ძლიერ განსხვავებულნიც ყოფილან.

მხატვარი კმაყოფილია – ეტიუდი კარგი გამოვიდა.

ნაღვლიანი იერი დაჰკრავს – მხატვრის სულის განწყობა მსჭვალავს ეტიუდზე გამოსახულ პეიზაჟს; რაღაცის მოლოდინში გარინდებულან მტკვრის მომწვანო-მორუხო, მოლივლივე ზედაპირისკენ ოდნავ გადმოხრილი მუქი მწვანე ვერხვები (მხოლოდ მათი მძლავრი ტანები გამოსჭვივიან ღია ნაცრისფრად), წყალს თითქმის მკერდით ეხებიან მოსრიალე მერცხლები და მხოლოდ გაღმით, მაღალ ნაპირზე შექუჩებული ნაირფერი სახლების ფანჯრებში იმედიანად ირეკლებიან ამომავალი მზის პირველი სხივები.

1996

სიტყვა და საქმე
(მხატვრის ნაამბობი)

რამდენიც გინდა, იმდენი შეგხვდება – გინდა ქალბატონი იყოს, გინდა – ვაჟბატონი, დაგიწყებს ფუყე ლაილაი-ლაქლაქს, აი, ასე უნდა იყოს, ისე უნდა მოიქცეო... მოკლედ, ბევრს ქაქანებს და საქმე საქმეზე რომ მიდგება, არაფრის გამკეთებელი არ არის, ჩირგვებში დაიმალება.

პატარა ამბავს მოგიყვები, ოცზე მეტი წლის წინ მოხდა.

ერთ ჩემს ამხანაგს, ვახტანგს, საიუბილეო დაბადების დღე შეუსრულდა – 50 წლის გახდა. მასთან ვიყავით მიპატიჟებული ბიჭები, თუმცა, რაღა ბიჭები, ყველანი თმაშევერცხლილები და უმეტესობა – გამელოტებულებიც, როგორც ქართველებს გვახასიათებს... ჰოდა, საკმაოდ გვიან, ნაქეიფრები გამოვედით ქუჩაში, – ვახტანგი სპორტის სასახლესთან ცხოვრობდა, – შინ მივდივართ.

სამნი წამოვედით მაშინდელი ლენინის ქუჩით – მე, კობა და გუჯა. ადრიანი გაზაფხულია, საკმაოდ ცივა. მე საერთოდ არ ვსვამ, კი, დავლიე, ძალიან ცოტა, ოდნავ შეხურებული ვარ. კარგა ხნის დაბნელებულია უკვე, იქნება ასე ღამის პირველი საათი, იქნებ – ოდნავ მეტიც, და მოვდივართ დაღმართში გმირთა მოედნისკენ. იქ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის წინ, თუ გახსოვს, ლენინის ძეგლი იდგა, აი, ასე ჰქონდა გაშვერილი ხელი ქუჩის მეორე მხარისკენ, იქ კიდევ მეტალურგიული ფაკულტეტის შენობა დგას და სწორედ მის შესასვლელთან, კიბის წინ, ტროტუარზე იწვა ვიღაც გალეწილი მთვრალი... ვიღაც კაცი აგდია პირქვე ცივ ასფალტზე და სძინავს გემრიელად. ჩვენ რაღაცაზე ვლაპარაკობდით, ჩავუარეთ გვერდზე და კობამ თქვა: "შეხედეთ, ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ ჩვენ გამაძღრები და შექეიფიანებულები მოვდივართ, ეს საწყალი კიდევ, ვინ იცის, მშიერი გდია აქა და უჭირს..." – და გააგრძელა და გააგრძელა ლაქლაქი გულგრილობაზე, ეგოიზმზე... საკმაოდ ნასვამი იყო, აუშვა თავისი გრძნობების აფრა და გაუტია და გაუტია. ჩემთვის ცოტა გამაღიზიანებელი იყო ამგვარი ლაპარაკი. რად სჭირდებოდა მას საკუთარი თავის კაი კაცად წარმოჩენა და ცარიელი სიტყვების როშვა? თუ გეცოდება, განიცდი და თუ მართლა ახლოს მიგაქვს გულთან მისი მდგომარეობა, მაშინ მიდი, ხელი მოჰკიდე და წამოაყენე – გვითხარი: "ჰე, ბიჭებო, მომეხმარეთ, წავიყვანოთ ეს საწყალი ჩემთან, მოვუაროთ, სანამ გამოფხიზლდებოდეს..." მაშინ სხვა ამბავია, ისე კი მხოლოდ შიშველ ლოზუნგად დარჩა მისი ნათქვამი; არ მომეწონა, გავღიზიანდი. თან გუჯას ეკითხება, ხომ ასეაო, ის კიდევ კობაზე მთვრალი იყო, სულერთი იყო მისთვის ყველაფერი: "ჰოო, – პასუხობს, – კი, კაცოო". მერე მე მეკითხება: "რას იტყვი, სწორი არ ვარო?" არ ვიცნობთ ხეირიანად ერთმანეთს, ჩვენი თანამგზავრობა შემთხვევით მოხდა. მეც ცოტა შექეიფიანებული ვიყავი, აღარ დავიხიე უკან: "არა-მეთქი, ჩემო კობა, იცი, მე, როგორც მხატვარი, ისე ვუყურებ-მეთქი, როგორც ნატურას – აი, როგორ გდია მთვრალი კაცი, რა ფორმებია, როგორ სძინავს". რა თქმა უნდა, ეს იყო გამოწვევა, მართლა მასე კი არ ვფიქრობდი, მაგრამ განგებ ვთქვი, შეგნებულად საწინააღმდეგო პოზიცია დავიკავე. საერთოდ, მაგის თქმა როგორ შეიძლებოდა, როგორც საგანს, ისე ვუყურებ ადამიანს-მეთქი, გაღიზიანებული ვიყავი, ცაში რომ დაფრინავდა, მიწაზე მინდოდა ჩამომეყვანა და იმიტომ ვუთხარი.

ზეცაში ფრენა კარგია, რა თქმა უნდა, თუკი რაღაცის გაკეთების შნო გაქვს, მაგრამ როცა არ შეგიძლია გააკეთო, ადვილად ნუ ეპოტინები ზეცას. რომ წაეყვანა შინ ეგ მიწაზე დაგდებული მთვრალი, მაშინ ვეტყოდი, რომ, აი, ღვთისნიერი კაცი ყოფილხარ-მეთქი ჭეშმარიტად – ცარიელი სიტყვები წავუშალე, ჩემი ფიქრით. ჩემს ნათქვამზე ამიხტა, ხომ გითხარი, წესიერად არც ვიცნობდით ერთმანეთს: "შენ ვინ ხარო, – მეუბნება, – რა უფლება გაქვს მასე ლაპარაკისო... ლეონარდო და ვინჩის შეეძლო ეთქვა ეგეთი რამე და არა შენაო". "რა მნიშვნელობა აქვს, ამას ვინ იტყვის, მე ვამბობ, როგორც არის-მეთქი. ახლა ვუყურებ, როგორ გდია მთვრალი კაცი, რომ მერე კარგად ვიცოდე-მეთქი". ცხადია, სისულელეს ვამბობდი, ძალიან გამაღიზიანა და სამაგიეროს ვუხდიდი კოკობზიკობისთვის.

ვაიმე, რა დღე დამაწია, რომ იცოდე! "შენაო, კაცო, რაებს ყრანტლებ აქაო, რა უფლება გაქვსო...". იგრძნო, რომ ჩამოვიყვანე დაბლა და არ ესიამოვნა. "იციო, – მეუბნება, – მე შინ ჩვენი ცნობილი მხატვრების ნამუშევრების კოლექცია მაქვსო, შენ კი ვინა ხარ, ვინ გიცნობს, რომ ეგრე ლაპარაკის უფლებას აძლევ საკუთარ თავსო". მოკლედ, ხელ-ფეხის ქნევით და ქაქანით წავიდა, დაგვცილდა, ხილიანის ქუჩაზე გაუხვია.

მე და გუჯა მოედნისკენ წავედით. გუჯა მეუბნება: "ბიჭო, შენ თურმე რა ნიჰილისტური აზრები გქონიაო". "არა, – მე ვუთხარი, – დაბლა, მიწაზე ჩამოვიყვანე, თორემ, როგორ გგონია, ადამიანი არ შემეცოდოს, რას მიქვია, მაგრამ მე კობას ჯინაზე ვთქვი, ცარიელი სიტყვების რახარუხი საქმეს არ შველის-მეთქი". "ჰოო, ეგრეაო", – მეთანხმება გუჯა. "ჰოდა, თუკი ეგრეა, მოდი, იმ საწყალ კაცს მივეხმაროთ, მადლია-მეთქი". "როგორაო", – გუჯა მეკითხება. "როგორ და... კობა სად ცხოვრობს

თუ იცი-მეთქი". "ოცდაათი წელია, ძმაკაცები ვართ, რამდენჯერ მიქეიფია მაგასთან, თვლაც დაკარგული მაქვსო!.." "მაშ, თუ მაგრეა, მოდი, ეს მთვრალი კაცი მივგვაროთ კობას შინ და საშუალება მივცეთ, სიტყვა საქმედ აქციოს-მეთქი". გუჯას გაუხარდა: "ეს რა კარგად მოიფიქრეო", – დავბრუნდით უკან, ის მთვრალი კაცი წამოვაყენეთ, აქეთ-იქიდან შევუდექით მხრებში და ხილიანის ქუჩით კობას სახლისკენ წავიყვანეთ. კობა იქვე ცხოვრობს თურმე, რვასართულიანი სახლის მესამე სართულზე. როცა ვაივაგლახით ავათრიეთ კიბეზე ეს მომჩვარული მთვრალი, დავრეკეთ კობასთან... კარგა ხნის შემდეგ კარი გაგვიღო კობას მოხუცმა დედამ, კობას უკვე ეძინა თურმე. გუჯამ უთხრა: "დედი, ეს კობას მეგობარია, დღეობაზე ერთად ვიყავით, ერთად დავთვერით; სახლამდე ვეღარ მივა, ახლა ძალიან გვიანაა, მანქანა ვერ დავიჭირეთ და გთხოვთ, თქვენ ნუ შეწუხდებით, კობა გააღვიძეთ და ის მოუვლისო". მოკლედ, შევიტანეთ ეს კაცი, ტახტზე დავაწვინეთ და მაშინვე წამოვედით.

არ ვიცი, დედამისმა კობა გააღვიძა თუ არა, ის კი ნაღდია, რომ კობა გუჯას გაებუტა, ორ წელიწადს არ ელაპარაკებოდა; მერე მაინც შერიგდნენ. კობა ახლა ჩემი კარგი ნაცნობია და როცა მაღლა აფრინდება ხოლმე ზეცაში, მაშინვე იმ ძველ ამბავს ვახსენებ სიცილით.

2000

"კაცია-ადამიანი?!."
(მხატვრის მონოლოგი)

სოფელში მიმიწვიეს ამას წინათ სტუმრად – რომელ მხარეში, ამას არ დავაზუსტებ, რადგან მსგავსი შემთხვევა ქართლშიც შეიძლება მომხდარიყო, კახეთშიც, გურიაშიც და სამეგრელოშიც...

აღფრთოვანებული გავემგზავრე: რამდენი ეტიუდის გაკეთებას შევძლებ, თან ამოვისუნთქავ, დავისვენებ, დროებით მაინც გამოვეთიშები ამ ქალაქურ ბედუკუღმართ ცხოვრებას – არც შეკვეთებია, ხშირად – არც პურის ფული მაქვს, გვტანჯავს უდენობა და ზოგჯერ – უწყლობაც...

სტუმარს რა იტაცებს ამ მხარეში? მოინახულოს მისი სოფლები, დატკბეს განუმეორებელი ხედებით, სიწყნარით... რა ღვთაებრივი კუთხეა, მნიშვნელოვანწილად ჯერაც ხელუხლებელი "ცივილიზაციის" წამბილწავი ზემოქმედებისგან – აქ ვერ ნახავ ტრაქტორისგან ათხრილ-აზელილ ტყის გზას, ქარხნის მბოლავი მილისგან აყროლებულ და მოწამლულ ჰაერს, დაზგა-დანადგარების გუგუნსა და ღრჭიალს... ჩიტების გულის გამხარებელი ჭიკჭიკი, ნაკადულების საამო ჩხრიალი, სუფთა, მსუყე ჰაერი, სიმშვიდე, დაბურულ ტყეთა სიმწვანე და რა ვიცი, კიდევ სხვა ათასი სიკეთე და მშვენიერება – სამოთხეა! თან რა ტკბილმოუბარი ადამიანები, გამრჯე და კეთილი, ბრძენი და ლამაზი!

ჩავედი თუ არა იმ თვალწარმტაც სოფელში, ამოსუნთქვა არ მაცალეს, მაშინვე გაშლილ სუფრაზე ამოვყავი თავი.

რა ჯობს ქართულ სუფრაზე ჯდომას, როგორც სამართლიანად უწოდებენ – აკადემიას, სადაც წესითა და რიგით მიდის ლხინი, ერთმანეთს ენაცვლება ბრწყინვალე მჭერმეტყველების ნიმუშები – სადღეგრძელო, ენაკვიმატობა, საოხუნჯო პაექრობა, თავშესაქცევი ამბავი, ათასგვარი სხვა მონაყოლი ტყუილ-მართალი... გემრიელ საჭმელს, მოწყურებული, აყოლებ სურნელოვან ღვინოს და ტანში სითბო გეღვრება, სულში გამეფებული ამაღლებული კმაყოფილება კი თითქოს ღმერთკაცად გაქცევს...

რამდენი საინტერესო, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ადამიანს უსმენ, ეხმიანები, საუბრის ნაკადში ერთვები და საერთო ჰარმონიას შენს ხმასაც აწნავ...

უჰ, რა კარგია!.. დროის სრბოლას ვერც ამჩნევ!..

მაგრამ გადის რამდენიმე საათი და საერთო სურათი ნელ-ნელა იცვლება. უკვე დაღლაც შემოგეპარა; კარგა ხანია, სუფრას ვუსხედვართ და თანდათან მომაბეზრებელი ხდება ლიტრიანი ყანწების ტრიალი, სადღეგრძელოებიც უკვე გაცვეთილი გეჩვენება, ერთმანეთის სიყვარულის ფიცი-მტკიცი – გულწრფელობას მოკლებული... გაძლება არ გინდა? თანამეინახეთა ჩვეულებრივი ფერი მორღვეულა – დაწითლებულ-აღგზნებული სახეები ოფლისგან პრიალებენ, ამღვრეულ თვალთა გამოხედვას მზერას არიდებ...

გინდა, სუფრიდან გაიპარო – ექვს საათს გაყურყუტებენ უკვე სუფრაზე – და ამ დროს წამოიწყეს პაექრობა.

ერთმა მთასავით ახალგაზრდამ, ილომ, უკვე საკმაოდ გამელოტებულმა, კოხტად დაყენებულ ულვაშებზე გადაისვა მარცხენა ხელი (მარჯვენაში გალიცლიცებული ყანწი ეჭირა დათვივით ტორით) და ბორძიკ-ბორძიკით წარმოსთქვა:

– დიდი ილია, რასაკვირველია, ჩვენი ერის ბრძენი მამა იყო, მაგრამ ერთ რამეში არ დავეთანხმები სეხნიას... მეტისმეტად ხომ არ გაამუქა ფერები "კაცია-ადამიანში?!" ასეთები ვართ ქართველები? გულარხეინები, არაფრის მაქნისები, ბრიყვები?

მას მაშინვე დაეთანხმა ერთიანად გაჭაღარავებული, დარბაისლური შესახედაობის ნიკო:

– ორმოცი წელია, სკოლაში ვასწავლი და ყოველთვის მეხამუშებოდა ბავშვებისთვის "კაცია-ადამიანის?!." ახსნა. ეს არ არის ხელოვნება, ლუარსაბის სახით მან კარიკატურა დახატა.

– არ გეთანხმები, ეს უფრო ცილისწამებაა, – ბოდიში, დიდი ბოდიში დიდი ილიას აჩრდილთან... რად სჭირდებოდა ასეთი მიკერძოებით ქართული ხასიათის უარყოფითი მხარეების ცალმხრივად გაზვიადება და მათი საქვეყნოდ გამოჭენება? – ცხარედ დაეთანხმა აყლაყუდა გაბრიელი, კეხიანი ცხვირის ნესტოები ნერვიულად უთრთოდა და აღგზნებისგან ფეხზეც კი წამოხტა.

– მხოლოდ სმა-ჭამაზე რომ ფიქრობს, პირუტყვად არის ქცეული, რატომ მის კარგ თვისებებზე არაფერს ამბობს? – უკმაყოფილებას გამოთქვამს ქრისტეფორე, გალიფესა და ნახევრად სამხედრო კიტელში გამოწყობილი, შუახანს გადაცილებული, ქორია თვალების პატრონი, ალბათ ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ან რაიკომის თუ მდივანი არა, რომელიმე განყოფილების გამგე მაინც.

დანარჩენებიც ერთხმად აცხადებდნენ, რომ ილიას ზედმეტი მოუვიდა, თანაც ლუარსაბის ტიპის ხატვისას მან კერძო პიროვნება კი არ გვიჩვენა, არამედ აშკარად განაცხადა კიდეც, რომ საზოგადო სატკივარს ამხელდა...

შევეცადე, საუბარში ორიოდე სიტყვა ჩამერთო, განმემარტა, რომ ლუარსაბი არ არის ისე მარტივად წარმოდგენილი, ის თანაგრძნობასა და სიბრალულსაც იწვევს თავისი უნიათობით და უხერხემლობით...

რა თქმა უნდა, ჩემი თვალსაზრისი არავინ გაიზიარა, ერთი შვება კი ის იყო, რომ, როგორც იქნა, წამსვლელ-დამრჩომთა სადღეგრძელოც მიირთვეს, სუფრა აიშალა და ფეხის გამართვის საშუალება მომეცა.

– მართალია, ხალხური სიბრძნე გვასწავლის: "მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – ზურგს უკანო", მაგრამ კერძო უარყოფითი მოვლენა თუ თვისება ასე არ უნდა განაზოგადო, ამით ხომ მთელ ერს აყენებ ჩრდილს...

ამას რომ ლაპარაკობდა, დიდად პატივცემული თამადა, ნიკო ბატონი, ლოყებდაჟღაჟა, მუხასავით ვაჟკაცი, კარებში გაეჩხირა – ისე გაბერილიყო, ვეღარ გაეტია. ატყდა სიცილ-ხორხოცი, მაგრამ მალე სამხიარულოდ სულ არ ჰქონდათ საქმე: მერე ვერც ილო გაეტია, ვერც – გაბრიელი, ვერც – ქრისტეფორე, ვერც – სხვები...

რით დამთავრდა ეს თავშესაქცევი ამბავი, ვერაფერს მოგახსენებთ: მასპინძელს არც გამოვმშვიდობებივარ, ისე გადავძვერი ფანჯრიდან ეზოში და მოვკურცხლე...

მას მერე, ნაცნობს რომ მოვკრავ თვალს ქუჩაში, მაშინვე ვიმალები – ხეს ამოვეფარები ან უახლოეს სადარბაზო შესასვლელში ვდურთავ თავს. ამგვარად ვცდილობ, საფრთხეს გადავურჩე: მეშინია, მავანმა მეგობარმა მის მშვენიერ სოფელში წასვლა და იქ დასვენება არ შემომთავაზოს...

2000

ძეგლის გახსნა

უცნაური ამბავი მიამბეს – დაუჯერებელი, ჯერ არნახული!..

მიმტკიცებდნენ – ნაღდიაო. თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ და, ტყუილია თუ მართალი, თვით განსაჯეთ.

მოგეხსენებათ, ამას წინათ ქუთაისში დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს ქალაქის გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად გამოცხადების 1000 წლისთავი. რასაკვირველია, ესწრებოდა ხონთქარი ედიშერიც თავისი ერთგული ნაზირ-ვაზირების თანხლებით. ქალაქის მთავარ მოედანზე უნდა გახსნილიყო დავით აღმაშენებლის ძეგლი, ეს იქნებოდა დღესასწაულის მთავარი მოვლენა, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ ხონთქრის სტუმრობას ქუთაისში.

რასაკვირველია (ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვის ხშირი ხმარების გამო), ამხანაგმა ხონთქარმა ბრწყინვალე სიტყვა დააგუგუნა (სხვისი დაწერილი, რასაკვირველია); არაფერი დავიწყებია, სულ წვრილად ჩამოკაკლა დიდი წინაპრის საქმენი საგმირონია.

რასაკვირველია, სიტყვის დასრულების შემდგომ ერთგულმა ქვეშევრდომებმა ხელისგულები არ დაზოგეს და მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს ისტორიული სიტყვის წარმომთქმელი.

და აჰა, დადგა საზეიმო წუთიც!

პირგაბადრულმა ამხანაგმა ხონთქარმა ედიშერმა გადაჭრა ალისფერი აბრეშუმის ბაფთა, რომელიც ცხენოსანი მეფეთ მეფის ქანდაკებაზე შემოხვეულ თეთრ ტილოს ჰქონდა შემოჭერილი – მონუმენტი ოფიციალურად გამოცხადდა გახსნილად!

ახლა ქანდაკების ფაქტიურად გახსნადა დარჩა – ამხანაგმა ხონთქარმა დამსწრეთა ტაშისცემაში მოქაჩა თოკს ტილოს მოსაცილებლად, მაგრამ...

მაგრამ ტილო რატომღაც არ ჩამოიშალა!..

ამხანაგმა ედიშერმა მეორე ხელიც შეაშველა, ისევ მოსწია თოკს, მაგრამ კვლავ და კვლავ – უშედეგოდ. ქანდაკება გაკერპდა და არაფრით უნდოდა, ჩვენებოდა დამსწრე საზოგადოებას, ამხანაგი ხონთქრის ამაო ცოდვილობაზე, მგონი, ჩუმად ქირქილებდა კიდეც...

როცა პირზე ღიმილშეყინული ამხანაგ ხონთქრის ჭიდაობა გაჯიუტებულ ქანდაკებასთან მეტისმეტად გაჭიანურდა, ფიცხლად მივარდნენ დასახმარებლად ამხანაგ ედიშერის ერთგული პირისფარეშები; უპირველესად იყოჩაღა ყველაზე ახალგაზრდამ, ქალაქის თავმა, ამხანაგმა თემურხან დუშაშიაშვილმა, შემდეგ მიეშველა დედაქალაქის ქალაქის თავი, ამხანაგი კიკოლა ლეკვიაშვილი, ბოლოს კი თავი გამოიდო ყველაზე ღონიერმა, ხელჯოხიანთა წინამძღოლმა, ამხანაგმა შეთე კვირაძაღლიაშვილმა.

კომედია გრძელდება...

თემურხანი კიკოლას ჩუმად ქიმუნჯს უთავაზებს, სანაცვლოდ კიკოლა თემურხანს მჯიღით დაასაჩუქრებს (პროვინციისა და დედაქალაქის ანტაგონიზმი), შეთე ორივეს ღიპით მძლავრად აწვება და მათ ფეხებზეც უბოდიშოდ გაივლის-გამოივლის (ძალოვანი სტრუქტურის უპირატესობა წვინტლიან ინტელიგენციაზე) – ძიძგილაობენ, ერთმანეთს იდაყვებით იცილებენ... რასაკვირველია, სამივენი ცდილობენ, ერთგულება და თავდადება დაუმტკიცონ ხონთქარს – ამხანაგ ედიშერს. და ღმერთის პირადი მოციქულიც საქართველოში, ერიკა ღუტუშაური, ლოცვა-კურთხევას არ დასჯერდა და კვერთხი მოუღერა: არ ვიცი – ქანდაკებას (გეყოფა ურჩობა, მაინც არაფერი გაგივა ამხანაგ ედიშერთან, პირადად ჩემი მონათლულიაო), არ ვიცი – ოფლად გაღვრილ მოქიჩმაჩეებს (ცუდად ირჯებითო).

მოკლედ კი ითქმის, მაგრამ ძალიან გახანგრძლივდა ბრძოლა: ისეც ქაჩეს, ასეც დაქაჩეს, იქითაც მიქაჩეს, აქეთაც მოქაჩეს, გადაქაჩ-გადმოქაჩეს, წაქაჩ-წამოქაჩეს კიდეც – კიდევ და კიდევ, ისევ და ისევ, კვლავ და კვლავ... ხელისგულებზე ტყავი გადაიქლიოთეს, გულები ამოიგდეს, ნერვები დაიწყვიტეს და, ბოლოს, გაერთიანებული ძალებით იმარჯვეს – გამარჯვების ყიჟინა გაისმა! თუმცა, ჯერ ფხრიწინ-ფხრიწინის ხმა გაისმა, შემდეგ ტილოს ზედა გადამსკდარ-გამოხეული ნაწილიდან თავი დიდმა დავითმა გამოყო...

გამოყო და თვალები დააბრიალა, გაბრაზებულმა:

– რა გამიჭირეთ საქმე, ვერ დამანებებთ თავს? რას გადამეკიდეთ, რა გვაქვს ჩვენ საერთო? ედიშერ-დამანგრეველო, რა ხელი გაქვს დავით აღმაშენებელთან? ქვეყანა რომ დააქციე, დააქუცმაცე, ხალხი დააძაბუნე, გაამათხოვრე – შენგან უდიდესი მკრეხელობაა ჩემი სახელის მხოლოდ ხსენებაც კი!..

მოჯახირე-მოჭიდავეთ არ ესმოდათ, კიდევ დაეჯაჯგურნენ – აქეთ ესა, იქით ისა, კიდევ ისა და კვლავ ისა, კიდევ დაიძაგრნენ, ისევ გაიჭინთნენ და აჰა! – ახალი გმირობა – ახლა გვერდით შესძლეს ტილოს გამოხევა და ქანდაკების მახვილიანი ხელიც გამოჩნდა!

მეფეთ მეფემ მუქარით დაიგრგვინა:

– მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, თქვე ბედოვლათებო, რომ მიდექით და მიითლით ქვეყნის მსუქანმსუქან ნაჭრებს ცხვრის დუმასავით – როგორ ფიქრობთ, ბოლომდე შეგრჩებათ ავკაცობა?

საინტერესოა, რას ფიქრობდა ამ დროს ამხანაგი ხონთქარი? თუმცა, რასაკვირველია, ეგ ჩვენთვის კი არა, ღმერთისთვისაც უცნობია – ვერავინ ვერასდროს მიმხვდარა, რას ფიქრობს სინამდვილეში მსოფლიოში დიდად ცნობილი პოლიტიკოსი და გვირჩევნია, დიდი დავითის გამოძახილს მივუბრუნდეთ, რომელმაც, მოთმინებადაკარგულმა, ისევ დასჭექა:

– ჰაი, თქვე ნაცარქექიებო, რამდენ ხანს უნდა აყაროთ ხალხს თვალში ნაცარი? ედიშერ, გენაცვალე, რომ იჯგიმები და ფეხის წვერებზე დგები, ქვეყნის გადამრჩენად და ხალხის გამაერთიანებლად მოგაქვს თავი, ნუთუ სარკეში არასდროს იხედები, რომ შენი ნადდი სახე დაინახო? თუმცა, კარგად იცი, ვინცა ხარ და რასაც იქმ, მაგრამ სინდის-ნამუსის ნატამალი რომ არ ექნება ადამიანს დაბადებიდანვე, რა უნდა ჰქნა? ბედი გქონიათ, რომ ჩემი ხელ-ფეხი ლითონისაა, თორემ ნაცარტუტად გაქცევდით, თქვე ქვეყნის მუწუკებო! წადით, დაიკარგეთ აქედან, თვალით არ დამენახოთ ქვეყნის ამომგდებებო!..

აი, ეს მიამბეს, ჭეშმარიტად ასე მოხდაო.

ზოგიერთები ერთსაც დარწმუნებით ამტკიცებენ: დავითის რისხვა იმდენად დიდი იყო, რომ შესძლო ფეხის გაქნევა და ამხანაგ ხონთქარს ერთი გემრიელი ჭიტლაყიც უთავაზა ანუ პანღური ამოჰკრაო, მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, ამ ბოლო ამბავისა მთლად არ მჯერა, ცოტაა გადაჭარბებული მგონია.

ორი სურათის დახატვას როდის აპირებ?

გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილს

რა ხანია, ავად ვარ.

გოგიმ მომინახულა – მხატვარმა, მონადირემ, მწერალმა, კარგი ოჯახისა და საკმაოდ ნახმარი მანქანის პატრონმა.

სუფთად გაპარსულ სახეზე იალბუზად აზის საკმაოდ მოზრდილი ცხვირი. გაჭაღარავებული გრძელი თმები ფართო შუბლის გაგრძელებაზე ადრეულად გამელოტებულ გლობუსს მხოლოდ გვერდებსა და კეფაზე ამშვენებს; ერთგვარი კომპენსაციის მიზნით – ბაკები ჩამოუშვია; ნუშისებრ თაფლისფერ თვალებს აგვირგვინებს ორი მორკალული ხიდი საკმაოდ მსხვილი, შავი წარბებისა.

ესაა გარეგნული პორტრეტის ესკიზი.

არწივია, ნაღდი არწივი, როცა მხარბეჭიანი, ჩემზე საგრძნობლად მაღალი, შლის გრძელ ხელებს და გადამეხვევა.

ზურგზე ხელების ურთიერთ მიტყაპუნების შემდეგ ვსხდებით და, კარგა ხნის აქეთურ-იქეთურზე ქაქანის შემდგომ, ჯიქურ დავუსვი კითხვა:

– გოგი ბატონო, შენ ჩემო ძმავ და მეგობარო, ნიჭით აღვსილო, ფანტაზიით უხვად დახუნძლულო, ემოციებით გაჯერებულო, სიზარმაცის მაცდურ ჭიას ხომ არ ახარებ შიგადაშიგ? აბა, დაყაჭე, რას აპირებ, დაფქვი შენი სულის დოლაბებშუა დატრიალებული ჩანაფიქრი!

და გოგია იწყებს მონოლოგს – აღსარებას. საჩქაროდ ვაჩეჩებ ხელთ ქაღალდის სუფთა ფურცლებს და შავი პასტის კალმისტარს, რათა ჰაერში ხელების მოძრაობით "ხატვას" მოვუღო ბოლო... ზუსტად გადმოცემა გოგის ნალაპარაკევის ხატოვანი აზრის მიხვევ-მოხვევისა და ემოციების მიქცევ-მოქცევისა არ ძალმიძს, მხოლოდ მკრთალი ასლი შემიძლია შემოგთავაზოთ.

მაშ ასე, ორი სურათი ჰქონია ჩაფიქრებული. ფანქრით უამრავ ესკიზს აკეთებს, ათობით და ასობით ვარიანტებს "გაათამაშებს", ატრიალებს, ხატავს და ხევს, ხევს და ხატავს... (ვეკვეხები მონოლოგში: "არ გენანება ესკიზების გადაყრა? მათში ხომ შენი შრომაა ჩაქსოვილი; შენ თუ დაწუნებული ესკიზები არაფრად მიგაჩნია, ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ არავისთვის არის საინტერესო, თუნდაც ჩემთვის... გთხოვ, აწი შეინახო!"). კი, ზოგს ინახავს კიდეც – ძალიან იშვიათად, თუ რაიმეთი მოეწონება, მაგრამ მერე ის განცალკევებული, გაფანტული ფურცლები სად იკარგება, კაცმა არ იცის.

პირველი სურათი ამგვარად ჩაუფიქრებია.

კედელზე ჰკიდია მშობელთა შავ-თეთრი ფოტო, შავ ჩარჩოში ჩასმული – დედ-მამას ერთმანეთისკენ ოდნავ გადაუხრიათ თავები და დიდი, ნაღვლიანი თვალებით პირდაპირ შემოგვცქერიან... ფოტოს ქვევით მათი ტანები უკვე ფერებშია გამოსახული. სურათის მარჯვენა მხარეს თბილი, მოწითალო ფერის დოქი დგას, მის ზევით – თაროებზე აწყვია ლამპა, კალათი და სხვა საოჯახო ნივთები.

მარცხენა მხარეს, სურათის დანარჩენი ნაწილის თალხი ფერებისგან განსხვავებით, გაღებულ კარში მოჩანს: გაცისკროვნებული, კაშკაშა დღის ნათელი ადგას ამწვანებულ ეზოში აყვავებულ ალუბალს...

სურათს ერქმევა "მოგონება".

როგორი ჩანაფიქრია? კარგია, რა თქმა უნდა, მაგრამ მთავარი მაინც შესრულება იქნება; შესრულება კი მხატვრის გრძნობების სიცხოველეზეც არის დამოკიდებული, ნიჭი ხომ თავისთავად იგულისხმება. გოგის ყველაფერი აქვს, რაც საჭიროა, რომ სურათს შესაბამისი *დონე* ჰქონდეს (ხაზგასმული სიტყვის ხშირი გამეორება უყვარს მხატვარს). ახლა ჩაუჯექ საქმეს, სხვა რაღა გაბრკოლებს!

მოგონება... მოგონება ტკბილი ტკივილია – წარსულში სევდიანი მოგზაურობა, შუქი და ჩრდილი გარდასულ-დღევანდლისა... მაგრამ ავს უფრო კეთილი სჯაბნის, იმიტომ გვიკრთის ტუჩთა კუთხეებში მოგონებებში ჩაძირულთ კეთილი ღიმილი...

მეორე სურათი ასეთი იქნება:

გოგის სახლი არმაზში, ალბათ "ურბანისტულად" გადმოცემული; მტკვარგაღმა კლდეები – ძალიან განზოგადებულად, ფართო მონასმებით, ფერადოვნად "წათხაპნილი" (გოგი ხელით მიჩვენებს ამ პროცესს), წინა პლანზე კი ორი ფიგურა – კაცისა და მის წინ ჩაცუცქული ლომასი... (ლომა ბომბორა, უზარმაზარი ქართული ნაგაზია; აი, მისი ფერის აღწერა კი მიჭირს... მოყვითალო-მონაცრისფრო – ჟღალი? თუმცა, არის კი არა, იყო – კარგა ხანია მას შემდეგ, რაც გოგის აგარაკს მძარცველები დაეცნენ; ერთი ღვინიანი ბოცა გატეხეს, ერთიც სასრული ბადე გააყოლეს ხელს და, რაც მთავარია, ლომა გამოასალმეს წუთისოფელს. კედელზე ჩამოკიდებული სურათებისთვის, საბედნიეროდ, ხელი არ უხლიათ, ალბათ ვერც შეამჩნიეს... ეჰ, ლომა, ლომა! გოგის ცოლმა და ორმა პატარა

ბიჭმა მისი დაკარგვა ისე განიცადეს, აღწერაც კი მეძნელება, ჰოდა, გოგიზე რაღა უნდა ვთქვა... კვირაში ორ-სამჯერ თბილისიდან არმაზში საგანგებოდ მიდიოდა ლომას დასახედად, მიჰქონდა ბლომად საკვები; თან პირდაპირ კი არ დაუყრიდა, აჰა, თქვლიფეო, – არა, ჯერ კარგად მოუხარშავდა სალაფავს, მერე გაუნელებდა, პირი არ დაიწვასო, დაუმტვრევდა ძვლებს და ისე ჩაუსხამდა ჯამტაშტებში ლომასა და საიდანღაც გამომტყვრალ მის მეგობარ ძაღლებსაც. მთელ ამ პროცედურას ლომა გაფაციცებით ადევნებდა თვალს, მაგრამ მოუთმენლობას, სულსწრაფობას არაფრით გამოხატავდა. ნეტა ჩვენი შვილები იყვნენ ასეთი მომთმენნი... ახლა ისიც ვიკითხოთ, როგორ ეფერებოდა ძაღლს გოგი, რა საალერსო სიტყვებს ახარჯავდა – რაღა შვილის მიალერსება და რაღა ლომასი!

ამას იმიტომ გიყვებით, რომ გასაგები იყოს – ლომა შემთხვევით არ მოხვედრილა გოგის მომავალ სურათში.

მთავარი კი სურათზე ჯერ არ მითქვამს: გოგი დასცქერის მის წინ უკანა ფეხებზე დაყუნცულ ლომას... "რომელიც პატრონს შესცქერის თვალებში" – დააყოლე ბარემო, იტყვის მოუთმენელი მკითხველი; მე კი მიჭირს ამის თქმა, რადგან... რადგან გოგის ტანს აგვირგვინებს ლომას თავი, ლომას ტანს კი – გოგის თავი (ამ ამბის დასაწყისში აღწერილი). ახლა თქვენ თვით განსაჯეთ, ვინ ვის უყურებს? საკითხავი აი, ეს არის!

უფრო ძნელია გარკვევა, სურათის ამ ორი პერსონაჟიდან რომელი რას ფიქრობს? ძაღლისთავიანი კაცი თუ კაცისთავიანი ძაღლი შესცქერიან ერთმანეთს...

წარმოვიდგინოთ, რომ უკვე შექმნილია ეს სურათი და ჩვენ მის წინ ვდგავართ. მაშ, რას ფიქრობს გოგი-ლომა (გოგი ლომას თავით) და ლომა-გოგი (ლომა გოგის თავით)? გოგი-ლომა ალბათ იმ ფიქრებს წაუღია, რომ... რომ, მისი (გოგის) ცხოვრება რით განსხვავდება ძაღლის ცხოვრებისგან? ისეთივე წანწალი, ლუკმაპურის საშოვნელად დღე-ღამის გასწორება (ამ სურათებსაც ამდენი ხანია ვერ ჩაუჯდა სწორედ იმიტომ, რომ "დაწვრილმანდა", ისევ და ისევ მეასედ იმეორებს "ზამთარს თბილისში" ან "გაზაფხულის ნატურმორტს"... მართალია, სურათები-ვარიანტები მთლად ერთნაირები არაა და ზოგჯერ მათში გამორჩევით საინტერესო სურათიც გამოერევა, მაგრამ მთლიანობაში მაინც დაუკმაყოფილებლობის მტანჯველ გრძნობას ბადებს მათზე მუშაობა, რადგან ცხოვრების მთავარ საქმეს აცილებს).

ლომა-გოგი რაღას ფიქრობს? "ეჰ, – ფიქრობს ალბათ, – ჩემო გოგი-ლომა, მე მაინც შენზე ბედნიერი ვარ, რადგან გიყვარვარ, ზრუნავ ჩემზე; მეც მიყვარხარ, აგერ შენს ეზო-მიდამოს ვიცავ. აბა ვინმემ ჩემი-შენი წყენინება გაბედოს, ვაჩვენებ სეირს!". "ჩემო ლომა-გოგი, – პასუხობს ალბათ გულში გოგი-ლომა, – შენ მართალი ხარ, რადგან არ იცი, რა არის ამქვეყნად პატივმოყვარეობა, მომხვეჭელობა, შეუწყნარებლობა, სინდისის ქენჯნა, საკუთარი თავის ღალატი, სასოწარკვეთა, მომავლის შეუცნობელი შიში... მაგრამ მე შენზე ბედნიერიც ვარ, რადგან შემიძლია, ვიტანჯო და არა მხოლოდ ვიხარო; სულიერი ტრთოლვით გავიხსენო და გავესაუბრო კიდეც კარგა ხნის წინათ ამ ქვეყნიდან წასულ ჩემს დედ-მამას; ხანდახან ზმანებაში ვხედავ ხოლმე, როგორ დგანან უკვე დაცოლშვილებული ჩემი ბიჭები მათი მამის ღია საფლავთან, მოშორებით კი ჩემი შვილიშვილები თამაშობენ, მხიარული ჟივილ-ხივილით დასდევენ ერთმანეთს..." (ღმერთმა ორივე მოგვასწროს, ჩემო გოგი, ჩვენი ბიჭების დაცოლშვილებას!).

დავყურებ რამდენიმე წუთის განმავლობაში გოგის მიერ სახელდახელოდ მოხაზულ ფიგურებს და გოგის კი ჩემს ფიქრებს არ ვუზიარებ... იმიტომ, რომ გოგიმ უნდა მითხრას თავისი მომავალი სურათით რამე და არა მე მას; იმიტომაც, რომ, შესაძლოა, გოგიმ სურათი სულ სხვანაირად გააკეთოს – მე რომ წარმომდგენია მომავალ სურათში არმაზის "წათხაპნილი" კლდეები და მათ ფონზე ჩამქრალ ფერებში გამოსახული ორი უცნაური ფიგურა, მხატვარი იქნებ პირიქით მოიქცეს – კაცძაღლი და ძაღლ-კაცი ფერადოვანად "გამოძერწოს", კლდეები კი მრუმე ფერებში გამოსახოს. იქვეა მტკვარი, დროის მარადიული მდინარების სიმბოლო, სახლიც სიმბოლურია, კლდეებიც კი და, რაღა თქმა უნდა, ერთმანეთს მიჩერებული ორი უცნაური ფიგურაც...

შენ რაღას ფიქრობ, გოგი ბატონო, როდის დახატავ ამ ორ სურათს?

1988

P. S. თხუთმეტი წელი გავიდა და მხატვარს ეს სურათები დღესაც არ შეუსრულებია; იქნებ ამ ჩანახატის წაკითხვის შემდგომ მაინც იფიქროს... (2003 წლის შენიშვნა).

მოქანდაკე ძაღლი

– ეს უზარმაზარი სახელოსნო რომ მუდმივად დაკეტილია, პატრონი არ ჰყავს? მხოლოდ მოხუცი ქალი მოდის დღეში ერთხელ და ძაღლს საჭმელს აძლევს...

– ეს სახელოსნო, დიდი გარაჟითა და მშვენიერი პატარა ბაღით, რომელშიც ქანდაკებები დგას, ეკუთვნის ცნობილ მოქანდაკეს, სამუელ კაკაბაურს, რომელიც ამჟამად 90 წელს გადაცილებულია, და მის ქალიშვილს, ესმას, აგრეთვე მოქანდაკეს. ამჟამად კი სახელოსნოში მოღვაწეობს (ალბათ!) მათი ჯიშიანი ძაღლი კალიოსტრო – აკეთებს (ალბათ!) ანიმალურ ქანდაკებებს, უპირველეს ყოვლისა – ძაღლებისა; შემდეგ – ცხენების, გარეულ ნადირ-ფრინველთა... მხოლოდ კატებს არ სწყალობს – მართალია, ერთი-ორი მათი ქანდაკებაც შეასრულა, მაგრამ უაღრესად გროტესკულ სტილში, დეფორმაციისა და გაზვიადების ჭარბი გამოყენებით. რა ჰქნას, ერთობ ემოციური ხელოვანია! აი, ეს ხელოვნების ნიმუში კი გამოხრული ძვალი არ გეგონოთ – სიმბოლური ეღერადობის ქანდაკებაა! კალიოსტროს შემოქმედებითი გენიის მწვერვალს უდავოდ წარმოადგენს მის მიერ მიუწვდომელი ოსტატობით შესრულებული მსოფლიო კატაკლიზმის კატასტროფული შეგრძნების აღმძვრელი, საგულდაგულოდ გალოკილი ნეკნებისგან აკოკოლავებული ქაოსური გროვა. რა ექსპრესიაა! როგორი აღმაფრენითა და შინაგანი სიღრმით განახორციელა ეს შედევრი – წრფელი გრძნობისა და ფილოსოფიური აზრის ბედნიერი შერწყმის უბადლო ნიმუში!.. შემთხვევითი არ არის, რომ, როცა მოხუცი მომვლელი ქალი მოვა და კალიოსტროს ახსნის, ძაღლი ჯერ გიჟივით ჩამოურბენს ყველა გამოფენილ ქანდაკებას, ზოგს გარშემოც შემოურბენს, მერე კი აუცილებლად დიდი ხნით ჩერდება თავის შემოქმედების მწვერვალთან – გალოკილ ნეკნებთან და დიდხანს სასოებით მისჩერებია – უყურებს, სუნავს, ლოკავს... ვერ სცილდება ვერაფრით!..

მხოლოდ მაშინ, როცა მომვლელი ქალი სალაფავს დაუსხამს მათლაფაში, აი, მხოლოდ მაშინ მოწყდება ადგილს კალიოსტრო და თავქუდმოგლეჯილი გამორბის, თითქოს სასუსნავში ვინმე ეცილებოდეს!

1986

ლამაზი ქალის პორტრეტი

ჩემი სურათი – "მსახიობ მანანა ზვიგენიძის პორტრეტი" – გახსოვს? მანანას შენც ხომ კარგად იცნობ, გადასარევი გოგოა. ყველა აღტაცებული იყო, არაჩვეულებრივი პორტრეტი გამომივიდა – ლამაზი, პოეტური.

გადამეკიდა ეს ჩვენი საერთო ძმაკაცი, იაგორა ცუგრიაშვილი, – დიდყურა იაგო, – მომეცი და მომეციო. მე ვეუბნები: "მანანას არ მივეცი და შენ მოგცე?". მაინც არ მეშვება, სულ მპატიჟებს, სუფრას მიშლის...

– რა მოხდა, გამაგებინე, – ვეუბნები, – აქამდე სულ მე გაქეიფებდი, ახლა რაღა დაგემართა?

ერთხელაც მაგრად დავთვერით ჩემს სახელოსნოში, ჩამომაღებინა კედლიდან მანანას პორტრეტი, უსინდისოდ წაიღო. თან წარწერაც რომ გამაკეთებინა? გულთბილი მიძღვნა...

მეორე დღეს თავში ვიცემ ხელს – ეს რა ვქენი!

ცოლი კიდევ ცალკე მჭამს – მიგეშავებინა რომელიმე პეიზაჟი, ეგ პორტრეტი ძალიან მომწონდაო.

მივედი იაგორა დიდყურასთან, ვეღიჭინე: "ცოლი გადამასახლებს, ბიჭო, დამიბრუნე ეგ პორტრეტი, სანაცვლოდ – რომელ სურათსაც ხელს დაადებ სახელოსნოში, შენია-მეთქი"... ისე გაეცინა, მეორედ აღარაფერი მითქვამს.

ერთხელ დამჭირდა, ვთხოვე, პერსონალური გამოფენისთვის წავიღებ ცოტა ხნით, მერე უკანვე დაგიბრუნებ-მეთქი. არ ქნა იმ გაფუჭებულმა, რამდენი ვეხვეწე და ვერაფრით დავიყოლიე... ის დიდი ყურები დაუპატარავდა, სულ გაუქრა – არაფერი ესმის, მოკალი თუ გინდა... მერე პატივსაცემი პირები მივუგზავნე შუამავლად, თავდებობდნენ, რომ სურათი დაუბრუნდებოდა – ტყუილად გაისარჯნენ, სულ ტყუილად, არაფერმა გაჭრა.

"მე კაცი არ ვიყო, თუ შიგნიდან არ აგაფეთქო!" – დავირტყი მკერდში მჯიღი.

ჰოდა, ერთხელ ვსხედვართ იაგორასთან შინ, ვქეიფობთ, მისი ცოლის, მაიას, დაბადების დღეა. ეს ჩემი ქალბატონიც მახლავს, მუჯლუგუნებს მთავაზობს ჩუმად, იდაყვსაც წამკრავს ფერდში, სულ "ღებილოს" და "შტერს" ჩამჩურჩულებს – მანანას პორტრეტს უყურებს – ჩვენს პირდაპირ ჰკიდია კედელზე.

– მაცალე, ქალო, – ვეუბნები, – მიყურე და მისმინე, ოღონდ ხმა არ ამოიღო!

იაგორას ცოლიც ხშირ-ხშირად ნიშნის მოგებით შეხედავს სურათს და, ცოტა არ იყოს, ნამეტანი მხიარულადაა. მისი დაბადების დღეა, მაგრამ მაინც... გადაკრულად გვაქილიკებს. მე კი ვგრძნობ რაღაცას, მაგრამ ბოლომდე ვერაფერს ვხვდები... ქალებს რას გამოაპარებ, თვალები ისევ ცოლმა ამიხილა.

– მაიას ბრალია, სურათი რომ არ გათხოვა იაგომ... ხედავ, რა კმაყოფილია?..

კი მიკვირდა, მართალი გითხრა, ჩემი ძმაკაცი ასე რამ გადარია – ჩემს სიტყვას აღარ ენდობა, სურათის თხოვება რა გახდა ისეთი... სხვის ნამუშევარს ხომ არ ვთხოვდი ან ძალით ხომ არ წავართმევდი. მაია კი ირონიულად მიღიმის:

– ხომ კარგ ადგილზე კიდია შენი ნამუშევარი?

გავიხედ-გამოვიხედე – იაგორა არ ჩანს, ეტყობა, ღვინის ჩამოსასხმელად გავიდა სამზარეულოში.

– ამ სურათს საერთოდ აქ რა უნდა? კაი უნამუსო ყოფილა შენი ქმარი!

– რა იყო, რას ერჩი? – წარბები გაკვირვებით აზიდა მაიკომ.

– რას და ეგ ბარბაროსი თვითონ შენ რას გერჩის? – არ ვზოგავ ძმაკაცს. – კალმახივით გოგოს გაცვლის ვინმე იმ უნამუსო ზვიგენზე? თან იმდენად თავხედია, აგერ, გამოსაჩენ ადგილზე მისი პორტრეტიც ჩამოუკიდია, ეტყობა, უნდა, აქაც დატკბეს მისი მზერით... ბარბაროსიცაა და ტარტაროზიც, ფუი!..

მაიას სახე შეცვალა, მოიქუფრა, აღარც პორტრეტს ახედავს თავმოწონებით და, მგონია, ჩვენც კი ვეღარ გვამჩნევს...

ახლა მე ვკარი მუჯლუგუნი ჩემს ცოლს, ვუჩურჩულე:

– წავიდეთ დროზე, საქმე სანახევროდ გაკეთებულია!

მეორე დღეს ჩემს სახელოსნოში მობრძანდა ბატონი იაგორა ცუგრიაშვილი.

სახეჩამუავებული მიცქერის – პირი გახეულ კალოშს უგავს, ლოყაზე კატას საფუძვლიანად ჩამოუგაზავს, შუბლსაც მოზრდილი კოპი უმშვენებს... იღლიაში ჩემი სურათი აქვს ამოჩრილი.

– აჰა შენი ძვირფასი პორტრეტი... რომ მეხვეწებოდი, ნებისმიერ სურათში გაგიცვლიო, პეიზაჟი მინდა, ამოვირჩიო?

– რა უნდა აირჩიო, შენ გიჟი ხომ არ გიჭამია? – შევუტიე ვითომ აღშფოთებულმა. – ღმერთმა ტყუილად კი არ დაგაჯილდოვა დიდი ყურებით. რას ჰგავს, ბიჭო, სურათის ჩარჩო, კაკალს ხომ არ ამტვრევდი? ტილოც გაგიფხაჭნია, ბარბაროსო!.. და კიდევ პეიზაჟს მთხოვ?

ნაცემი ძაღლის თვალებით მიყურებს, ყურებჩამოყრილი... შემეცოდა, მივეცი სანაცვლოდ რაღაცა ნაცოდვილარი, პატარა ეტიუდი – გახარებული წაკუნტრუშდა.

ნაომარი ჩარჩო გამოვუცვალე სურათს, პორტრეტს მცირე რესტავრაციაც ჩავუტარე – უკეთესი გამოჩნდა!

სახელოსნოში მოსულ ცოლს სახეგაბადრულმა ვახარე:

– ხერხი სჯობია ღონესა!.. ხომ საკუთარი ფეხით მოვატანინე პორტრეტი!

ცოლი ერთხანს გაჩუმებული იყო, პორტრეტს დაჟინებით ათვალიერებდა. მერე მოულოდნელად გაბრაზებულმა მიყვირა (არ და არ გაჩერდა):

– რა გიხარია, შე უბედურო!.. მოგართვეს ხომ უკან კახპას სურათი!.. ახლა ვხედები, რატომაც იკლავდი თავს მის დასაბრუნებლად!.. მე შენ გიჩვენებ ზვიგენებს!.. მე ქალი არ ვიყო, თუ მაგ გათახსირებულს თვალები არ ამოვჩიჩქნო!.. – და პორტრეტისკენ გაიქაჩა.

– გაგიჟდი, ქალო?! – ვეცი დაბნეული და გამწარებული, ძლივს დავაკავე. – მანანა სამი წელიწადია თვალით არ მინახავს!.. გეფიცები!.. ამ სურათს რაღას ერჩი!..

მაგარი ომი გადავიტანე. სურათი კი გადავარჩინე, მაგრამ შემდეგ იძულებული ვიყავი, გამოფენიდან გამეყიდა – მუზეუმმა შეიძინა შედარებით კარგ ფასად. იმ ფულით ცოლმა ქურქი მაყიდინა... მისთვის, აბა ჩემთვის?

1997

ქალთა სამი პორტრეტი

ივლისის დასაწყისია, თბილისში კი უკვე დილიდანვე ცხელა; შუადღეზე ხომ პაპანებაა – ვისაც შესაძლებლობა აქვს, ქალაქს ეცლება.

ავტოსადგურში საბილეთო სალაროს რიგიდან ავთო ოფლში გახვითქული გამოვიდა – მაგარი ჭიდაობა იყო გამართული. ციალა აცილებდა, დატოვებულ ჩემოდანთან იდგა და ვიღაც თეთრკაბიან ახალგაზრდა ქალს ესაუბრებოდა. ეს ჩემი ძმაო, – გააცნო ავთო თეთრკაბიანს.

ჩამოდგა ბორჯომის ავტობუსიც. ახალგაცნობილი მათ დაემშვიდობა და წავიდა.

მანქანის გასვლამდე ავთო გარეთ ელაპარაკებოდა დას. როცა გამგზავრების დრო მოვიდა და ავთომ თავის ადგილს მიაკითხა, ადგილი დაკავებული აღმოჩნდა – ორი ჯარისკაცი გვერდიგვერდ ისხდნენ. ერთ-ერთი მათგანი წამოხტა, – თურმე ადგილი წინ ჰქონია, – ავთოს სკამი დაუთმო. იჯექიო, უთხრა ავთომ, მე წინ დავჯდები შენს ადგილზეო...

მივიდა გამოცვლილ ადგილზე და ხედავს: მის მარჯვნივ, ფანჯარასთან, ზის ის თეთრკაბიანი ქალი, დამ რომ გააცნო; მისი სახელი აღარ ახსოვდა. ამ დროს ავტობუსში ამოვარდა ციალა და ავთოს ერთი ბოთლი "ბორჯომი" მოუტანა – გზაში მოგწყურდებაო. ავთომ არ გამოართვა, სამ საათს როგორმე მოვითმენო. დამ თეთრკაბიან ნაცნობს მისცა – შენ მაინც წაიღე, ხომ ხედავ, ჩემი ძმა როგორი ჯიუტიაო.

დაიძრა ავტობუსი. ავთომ ახალი გაზეთების დასტიდან ერთ-ერთი გამოიღო, გაშალა; მისი მეზობელი ჟურნალს კითხულობდა.

ავთო შეხედავს ხოლმე ქალს – დაახლოებით 33-34 წლის იქნება: სუფთა სახე, სადად გადავარცხნილი შავი თმა, უკან წითელი სარჭით დამაგრებული... ერთი ესაა – რაღაც უცნაური ფორმის მსხვილი, მწვანე მძივები უკეთია. ავთომ მხატვრის თვალით შეაფასა – ყველაფერი მოსწონდა ქალისა, მძივები კი მაინცდამაინც არ უხდებოდა.

მანქანის ჯაყჯაყში მალე მობეზრდათ კითხვა. ნელ-ნელა გააბეს საუბრის ძაფი. ქალი გრიმერი გამოდგა, ერთ-ერთ თეატრში მუშაობს (ავთოს მოეწონა: თვით სრულებით არ ხმარობს კოსმეტიკას).

– ახლა სად მიბრძანდებით? – ჰკითხა ავთომ.

– სოფელში მივდივარ, იქ ჩემი 8 წლის ვაჟიშვილი წაიყვანა დედამთილმა.

– ერთი გყავთ? ცოდოა, და ან ძმა უნდა...

– კიდევ ვიყოლიებდი, მაგრამ ქმარი ადრე გარდამეცვალა. ჩემი დედამთილი ვერ ძლებს სოფელში, ისიც ქვრივია. მეზობლები ეზოში საქონელს უშვებენ, მშვენიერი ეზო გვქონდა, სულ გაავერანეს. ადრე ყოველნაირი ხეხილი გვედგა, მოუვლელობით გატიალდა. იძულებული ვარ, კვირაში ერთხელ თბილისიდან ვზიდო ყველაფერი, ხილიც კი... თქვენმა დამ შემომჩივლა, ცოლს არ თხოულობს, თითქმის 40 წლის გახდაო... ახლა რას აპირებთ? – დაამატა ქალმა ღიმილით.

– ვეძებ... – ღიმილითვე უპასუხა ავთომ.

ავტობუსი მიირწევა, ხანდახან მოსახვევში მათი მკლავები წამით ეხებიან ერთმანეთს... სავსე, თეთრი მკლავი აქვს ქალს, კაცს – უკვე მზით დამწვარი, დაკუნთული. ავთო ცერად შეხედავს ხოლმე ქალს – როგორი თეთრი კისერი აქვს, რა ნაზი ლოყა, კოხტად გამოქანდაკებული ტუჩები, ცხვირი, შუბლი... პატარა ყურები.. სადად გადავარცხნილი ყორნისფერი თმა.. თვალებს რომ არ დაჰკვირვებია?

– მოგწონთ გრიმერის პროფესია?

– კი...

– ისიც თავისებური მხატვრობაა, ხელოვნებაა – კოლეგები ვყოფილვართ.

ქალი დიდი, მოლურჯო-ნაცრისფერი, ხშირი წამწამებით დაჩრდილული თვალებით შეაცქერდა, გაეღიმა. ასეთი ფერის თვალები იშვიათად აქვთ შავთმიანებს. ხშირად იღიმება, ოდნავ დაღლილი ღიმილი აქვს, ფიქრიანი მზერა...

ქართლის რუხი გორაკები და მინდვრები, ალაგ-ალაგ – ბაღთა სიმწვანე და ალვათა ჩარიგებული, უკვე ოდნავ შეყვითლებული მწკრივები... შორს – ლურჯი კავკასიონი, დეკორაციასავით უძრავი, თეთრი ქულა-ქულა ღრუბლები ბალახობენ მის ზევით...

ავთო მუხლებზე სახატავ ალბომს იდებს და ფანქრით ჩანახატებს აკეთებს – ერთ საათში ერთი ალბომი თითქმის გაავსო. ქართლის უმეტესად რუხ, ერთი შეხედვით ერთფეროვან პეიზაჟებში მისი გავარჯიშებული თვალი უამრავ საინტერესო მოტივებს ამჩნევს. მხედველობით მეხსიერებას არ უჩივის, მაგრამ მაინც ჯობს, როცა ასეთ ლაკონიურ ჩანახატებს აკეთებს – დრო მცირე აქვს დასამახსოვრებლად (ავტობუსი სწრაფად მიჰქრის); ფერებს მოკლედ აღნიშნავს: "ყავ.", "ბაც. მწვ.", "ნაცრ." და ასე შემდეგ.

გორის ავტოსადგურში ათწუთიანი შესვენება ცხადდება. მანქანიდან ძირს ჩადიან ფეხის გასამართავად. ავთო ორ ულუფა ნაყინს ყიდულობს, ჯიხურის ჩრდილში დგანან და აზიმზიმებულ მოედანს და გორის ციხეს გასცქერიან. აქაც ცხელა. ციხის კედლები ალმურით ალივლივებულ ჰაერში თითქოს დნებიან...

შემდგომ გზაზე ავთო ფანჯარაში აღარ იცქირება – ქალის პორტრეტებს ხატავს, თან მასთან საუბრობს. ფანქრით მოჯაყჯაყე ავტობუსში რა პორტრეტი უნდა გააკეთო, უფრო სახელდახელო ესკიზები ეთქმის – ერთს, მეორეს, მესამეს... იქნებ ეს ჩანახატები შემდგომში ზეთის საღებავებით შესასრულებელი პორტრეტის პირველი ჩანასახი გახდეს. ავთო გრძნობს, კარგი პორტრეტი გამოუვა, უკვე შინაგანად ხედავს კიდეც ზოგად გადაწყვეტას: აუცილებლად თეთრი კაბა ეცმევა, უკან თმებზე დიდ პეპელასავით წითელი სარჭი ექნება... ოღონდ ამ მწვანე მძივებს აღარ გაუკეთებს – თავშეკავებულ ფეროვან გამას იხმარს და წითელი სარჭის მკვეთრი აქცენტი საკმარისი იქნება... საერთოდ, არ უყვარს სურათის – განსაკუთრებით პორტრეტის – ზედმეტი აჭრელება. უკვე წარმოდგენით ხედავს, სახელოსნოს კედელზე თეთრკაბა ქალის პორტრეტს, ჩამოკიდებულს ქალთა ორ სხვა არსებულ პორტრეტთა გვერდით: ერთი იამზესია, მეორე – ნათელასი...

ახლაც შინაგანი მზერით წარმოუდგა იამზე პორტრეტის შესრულების დროს: მკვირცხლი და თან რაღაცნაირად მორიდებულიც, პატარა, მაგრამ კოხტა ტანით, სახის წვრილი ნაკვთებითა და მორკალული, ამოქნილი შავი წარბებით... სულ უხერხულ ღიმილში აქვს გაპობილი სავსე, მარწყვისფერი ტუჩები და წვრილ თეთრ კბილებს აელვარებს... უფრო ხშირად თავდახრილი ელაპარაკებოდა ავთოს. ავთოს მეგობრის – ისიც მხატვარია – დაა, ძმამ სოფლიდან ჩამოიყვანა და სადღაც სამსახურიც უშოვა: უმცროს ტექნიკოსად, მხაზველად მუშაობს – სტაჟი სჭირდება უმაღლესში უკონკურსოდ ჩასარიცხავად. როცა ავთოს მისთხოვდა, სულ შეიცვალა: სხვებთან ერთთავად მცინარეა, ქმართან კი – კუშტი; უკმაყოფილო სახით, ამრეზით ელაპარაკება, თითქოს ავთოს მისი დიდი ხნის ვალი ჰქონდეს... ხუმრობაც კი არ ესმის, – ავთოს ეცინება ცოლის ხუშტურზე: აუცილებლად უნდა შეეპაექროს ნებისმიერ საკითხზე საუბრისას და თავისებურად გააკეთოს – ყველაფერზე ეკამათება, ყოველგვარ წვრილმანზე... მაგალითად, შინ მისული ავთო ცოლს ეკითხება:

– "ბორჯომი" არ გვაქვს? – კუჭი აწუხებს ხანდახან. იამზე კუშტად პასუხობს:

– წადი და მოიტანე!

ხომ სულ მოქუფრული იყო, როცა ვინმე გარეშე მოვიდოდა, სტუმართან გაშლიდა ნაოჭს – ერთთავად ღიმილი ეხატა ბაგეზე, სულ "შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე!" ამოსდიოდა პირიდან, ავთოსაც დათაფლული ხმით ელაპარაკებოდა... ავთოს გული ერეოდა ცოლის ამგვარ ცვლილებაზე. მეგობარ მხატვრებს არ გამოჰპარვიათ სინამდვილეში როგორ იყო საქმე და ნელ-ნელა უკლეს ავთოსთან სიარულს, მერე კი სულ ამოიკვეთეს ფეხი. იამზეს ძმაც კი აღარ მოდიოდა, ეს იყო საკვირველი, თუმცა ავთოსთან ძველებურად მეგობრობდა. ავთო საერთოდ უყვარდათ კოლეგებს; ზურგს უკან გაკილვა არ უყვარდა, თუკი ვინმეს ნამუშევარი არ მოსწონდა, დაუფარავად იტყოდა განხილვის დროს.

იამზემ შვილი არ იყოლა, რამდენჯერმე ქმრისგან ფარულად მოიშალა მუცელი – მოვიდოდა შინ, ნაცემი ძაღლის თვალებით შეხედავდა ქმარს... ავთო ეუბნებოდა: "ქალო, შვილი როგორ არ გინდა, ქალი ხარ თუ ქაჯი? აბორტს რომ იკეთებ, ხომ შეიძლება, მერე ბავშვი საერთოდ აღარ გაგიჩნდეს? მე არაფერი უნდა ვიცოდე, არ უნდა მკითხო?

იამზე ერხანს თითქოს დატკბებოდა, მერე ისევ აუმაღლებდა ხმას. გავიდოდა დრო და ისევ მოიშლიდა მუცელს... ავთომ ხელი ჩაიქნია – აღარაფერს საყვედურობდა, ოღონდ ამის შემდეგ ერთ-ორ კვირას ცოლ-ქმარი საერთოდ არ ელაპარაკებოდა ერთმანეთს.

ავთო 7 წლით იყო იამზეზე უფროსი. არ ახსოვს, იამზეს ხელფასი მიეტანოს შინ, სულ იძახდა: "ლატარიას ვთამაშობ!"; აღარ გათავდა ეს "ლატარიობანა", მაგრამ ავთო ცოლს მაინც არ საყვედურობდა. ერთხელ ავთოს ოთხი მხატვრის ჯგუფურ გამოფენაში უნდა მიეღო მონაწილეობა ბალტიისპირეთში და სასწრაფოდ დასჭირდა 500 მანეთი. რამდენიმე დღის წინ ცოლს 800 მანეთი მისცა (სურათი გაყიდა), იამზემ კი დაუწყო მტკიცება, აღარაფერი დარჩა, სულ დაიხარჯაო. ავთოს გაბრაზებისთვის აღარ ეცალა, მეგობრებისგან ისესხა საჭირო თანხა – მოკვდა სირბილით, სულ ას-ას მანეთობით შეაგროვა და გაემგზავრა. როცა ერთი თვის შემდეგ ჩამოვიდა, იამზე შინ აღარ დახვდა... სად გაქრა? მაგიდაზე ექვსგვერდიანი, საყვედურებით სავსე, წერილი იყო დატოვებული – შენგან მივდივარო. სად – ამაზე კი არაფერი იყო ნათქვამი. გაიკითხ-გამოიკითხა – ვერსად მიაგნო, დაიკარგა იამზე; ძმამაც კი არაფერი იცოდა. ცოლის მშობლებთან აფრინა დეპეშა ხონში... არავინ უპასუხა. ერთი კვირის თავზე სიდედრ-სიმამრი ეწვივნენ, საავდრო ღრუბელივით მოღუშულები: იამზე შინ დაბრუნდა, გეყრება და ქონება გავყოთო... სიდედრმა ჩანთიდან ამოიღო რვეული-დავთარი, სიაში რაღა წვრილმანი არ ჩაეწერა იამზეს! ავთოს გაეცინა, რითაც ფრიად გააკვირვა მოულოდნელი სტუმრები. ცოლთან ერთად ცხოვრების 6 წლის განმავლობაში საერთო ბევრი ვერაფერი შეუძენიათ, სიდედრ-სიმამრმა ავთოს მშობლების მიერ დატოვებულ ძველთაძველ ავეჯს დაადეს ხელი – ეს იმის ფასში იყოს, ბინას რომ არ გეცილებითო. ავთოს ისევ გაეცინა, წაიღეთ ყველაფერი, რაც გაგიხარდებათ, ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ, ოღონდ თავი დამანებეთო... მისი სურათებისთვის არც შეუხედავთ, არც შეუმჩნევიათ, ის სურათები კი ერთიანად ალბათ 150-200 ათასი მანეთის მაინც იქნებოდა (სახელოსნოში კიდევ სამი იმდენი ნამუშევარი ჰქონდა ავთოს)...

განქორწინების შემდეგ იამზე ერთ თვეში გათხოვდა – სკოლისდროინდელი შეყვარებული ჰყოლია, კაი შეძლებული ოჯახის შვილი...

როცა ავთო იამზეს დატოვებულ წერილს კითხულობდა, სხვათა შორის, განაცვიფრა ერთმა გარემოებამ. იმან კი არ გააკვირვა, რომ იამზე ასე მოულოდნელად წავიდა (მათი გაყრა უფრო ადრეც უნდა მომხდარიყო); თვით წერილი იყო გასაოცარი: ექვს წვრილად ნაწერ გვერდზე იამზეს დაუფარავად გადმოეღვარა თავისი ნაფიქრ-ნააზრევი მათი ცოლქმრული ცხოვრების შესახებ და მერე რა გზნებით, ექსპრესიით, სილაღით! მერეც რამდენჯერმე გადაიკითხა ავთომ ეს წერილი და ისევ და ისევ გაკვირვებული რჩებოდა – იამზეს ნაწერის კითხვა სიამოვნებასაც ანიჭებდა! ცოტა პუნქტუაციის ნიშნებში მოიკოჭლებდა, ხშირად წერტილსა თუ მძიმეს საერთოდ უგულებელჰყოფდა, მაგრამ ავთო ნამდვილად გრძნობდა, რომ მის ცოლს უცილობლად ჰქონდა ლიტერატურული ნიჭი! საიდან?

როგორ? ნუთუ? ძნელი წარმოსადგენი იყო, იამზეში რაიმე უნარი აღმოჩენილიყო, გარდა წუწურაქობისა და თავის გატანის უნარისა... და აჰა!..

ახლა ხანდახან რომ შეხედავს სახელოსნოს ერთ კედელზე ჩამოკიდებულ მის მიერ შესრულებულ იამზეს პორტრეტს, უკვირს, როგორ კარგად დაუჭერია ქალის ხასიათი – გარეგნულ სილამაზეში შინაგანი სიცივე, ანგარიშიანობა, გონებაშეზღუდულობა... ჯერ უნდოდა, გაენადგურებინა სურათი, მერე გადაიფიქრა და ახლა კმაყოფილია, რომ არ მოსპო...

იამზეს პორტრეტის გვერდით ნათელას პორტრეტი ჰკიდია.

ნათელა განქორწინებიდან სამი წლის შემდეგ გაიცნო. ერთ-ერთი მეგობარი მხატვრის ბავშვის ნათლობაზე მშვენიერი პურმარილი იყო გაშლილი და კარგადაც მოილხინეს – იმღერეს, იცეკვეს, ნათელამ ხომ ყოველივეს გვირგვინი დაადგა! ისე კარგად მღეროდა, ისე კოხტად ცეკვავდა, რომ ყველა მოხიბლა. თვითონაც არ იყო შეუხედავი გოგო: ტანსრული, ღონიერი ხელ-ფეხით, ოღონდ მოქნილი და ცქვიტი. ოდნავ უხეში, სწორი სახის ნაკვთები ჰქონდა, ძლიერი ხავერდოვანი ხმა... დამ, ციალამ, შეაპარა ავთოს, როგორი გოგოაო, ხომ არ გაგირიგოო. ერთი წლით ავთოზე უფროსი გამოდგა ნათელა, ერთხელ უკვე განათხოვარი...

არა, ახლა, როცა ნათელასთან განშორების მეოთხე წელი მიდის, ცუდად არ ახსენდება მასთან გატარებული წლები... ისე, წვრილ-წვრილი უთანხმოებები, რა თქმა უნდა, ჰქონდათ. მაგალითად, ავთო სულ ეჩხუბებოდა, ამდენს ნუ ეწევი სიგარეტსო (თითებიც კი გაყვითლებული ჰქონდა ნიკოტინისგან), შენს ხმას მაინც ეცი პატივი, შენს ნიჭს, სიმღერასო... ნათელა გაიცინებდა, უამრავ ესტრადის მომღერალს ვიცნობ და თითქმის ყველა ეწევაო. ნაცნობ-მეგობრები კი უთვალავი ჰყავდა. ავთო ცნობილი მხატვარი იყო, საზოგადოებაში გამოსული კაცი, მასაც ჰყავდა საკმაოდ დიდი წრე ნაცნობობისა – მხატვრების გარდა, თეატრისა თუ კინოს მსახიობები, რეჟისორები, მწერლები, ჟურნალისტები... მაგრამ ისიც კი განცვიფრებული იყო ნათელას ნაცნობთა წრის სიფართოვით. როცა რუსთაველის გამზირზე გაისერნებდნენ ხოლმე (ხშირად სეირნობდნენ, უყვარდათ, მერე კაფეში და კინოში შედიოდნენ), ერთი ორასი კაცი თუ ქალი მაინც გადაჰკოცნიდა ნათელას, სანამ უნივერმაღიდან რუსთაველის ძეგლამდე მივიდოდნენ...

ნათელას განსაკუთრებით უყვარდა ქეიფებში თავის გამოჩენა, ძალიან კარგად მღეროდა; მერე კი მიხვდა ავთო, რომ სულ ათამდე მოდური სიმღერა შეადგენდა მისი ცოლის "რეპერტუარს" – სხვა მუსიკა მისთვის არ არსებობდა. ოპერის გაგონებაც არ უნდოდა, სიმფონიურ კონცერტზე წასვლაზე ერთხელაც ვერ დაითანხმა. ავთო მალე დარწმუნდა, რომ მისი ცოლი ფრიად შეზღუდული ინტერესების ქალი იყო – უფრო თამაშ-დროსტარება იზიდავდა, ვიდრე ინტელექტუალური ქმედება – წიგნს ვერ წააკითხებდი, ისე კი ყურმოკრულად ყველაფერი იცოდა, ყველაფრის "კურსში იყო", განსაკუთრებით – ჭორების შესახებ...

ნათელამ ფულის ყადრი არ იცოდა, აქაოდა ცნობილი მხატვრის ცოლი ვარო, ხელგაშლით ცხოვრობდა, ქმრის ჯიბის მდგომარეობას ანგარიშს არ უწევდა, განსაკუთრებით ჩაცმა-დახურვაზე იყო გადარეული... შეახტებოდა, ჩამოეკონწიალებოდა კისერზე, მერე ჩაეხუტებოდა – 400-მანეთიანი კაბა ვიყიდე, სესხი ავიღე, ხომ არ გამიჯავრდებიო... მეორედ – შენ გენაცვალე, არ გამიწყრე, 1500-მანეთიანი ქურქი ვიყიდე, ძალიან იაფად შემხვდაო... აუცილებლად უცხოური, ძვირფასი ფეხსაცმელი, საყურეები, ძეწკვები, ბეჭდები... ავთო ხშირად ეუბნებოდა: ზოგიერთ სხვა მხატვარს ნუ მადრი, ისინი საქმოსნები არიან, ფულს ნიჩბით ხვეტავენ, იმათ რას უყურებ და იმათ ცოლებსო, მაგრამ ნათელას ვერაფერი შეასმინა, ცოლის გადამკიდე, სულ ვალებში იყო; არადა, ბევრს მუშაობდა, ერთი წამით მოსვენება არ ჰქონდა, ვერ ამოისუნთქა – და მაინც სულ ფულის გასაჭირი ჰქონდა. შვილი უნდოდათ, არ გამოდიოდა არაფერი. ნათელას ეს ამბავი დიდად არ ანაღვლებდა, ავთო კი ძალიან განიცდიდა... საოჯახო საქმეები ნათელას არ ეხებოდა, სტუმარივით იყო სახლში. სასადილოებში ხეტიალმა და ხშირად მშრალად წახემსებამ ავთოს ავადმყოფი კუჭი უარეს დღეში ჩააგდო. დარეცხვა-დაუთოვებაც ნათელას ჭირივით ეჯავრებოდა; თეთრეულს ხანდახან ავთოს და ურეცხავდათ ხოლმე, ოთახებსაც უგვიდა ან იატაკს მორეცხავდა და მასტიკას წაუსვამდა, ფანჯრებს გაუწმენდდა... ნათელა მანანას კისერზე შემოეხვეოდა, შენ ჩემი ღმერთი ხარო. მერე მანანას მობეზრდა და შეეშვა – თან ხანშიც შევიდა, იმდენი აღარ შეეძლო, საკუთარი ქმარ-შვილი და შვილიშვილები ჰყავდა მოსავლელი.

ნათელა ერთ რომელიმე სამსახურს ვერ ეწყობოდა, ხან სად მუშაობდა ცოტა ხნით, ხან – სად, უფრო ხშირად კი – ისვენებდა. მუსიკალურ სკოლაში ასწავლიდა, მერე რომელიღაც ანსამბლში იყო აკომპანიატორად, კლუბშიც მღეროდა ერთხანს, ერთი მუსიკალური ფილმის გაფორმებაშიც მონაწილეობდა... ასე დაფარფატებდა პეპელასავით – თუ არსად მუშაობდა, არც ეს აწუხებდა. ავთო შინ მას იშვიათად ხედავდა, სულ დღეობებსა და წვეულებებში იყო გათქვეფილი. ავთო აღარ დაჰყვებოდა, ერჩივნა სახელოსნოში ემუშავა...

მშვიდობიანად დასცილდნენ და დამშვიდობებისას გადაჰკოცნეს კიდეც ერთმანეთი. ნათელას თავისი პორტრეტის წაღება არ გახსენებია, ალბათ სურვილი არ ჰქონდა ან აღარც ახსოვდა მისი

არსებობა – ავთოს სახელოსნოში სულ ორ-სამჯერ თუ იყო ნამყოფი, ისიც შემთხვევით. სავსებით შესაძლებელი იყო, კიდევ კარგა ხანს ყოფილიყვნენ ერთად, ორივენი თითქოს შეგუებულ-შეჩვეულნი იყვნენ ერთმანეთს, მაგრამ გრძნობდნენ, რომ ადრე თუ გვიან მათი გზები გაიყრებოდა და არჩიეს, ეს დროულად გაეკეთებინათ...

ავთო ფანჯარაში იყურება – მოხისის გადასახვევთან მისულან. აქედან რა კარგი ხედი ჩანს საკმაოდ დიდზე გაწელილი სერისა, რომელიც ლამაზად არის აჭრელებული ყანა-ბაღების ოთხკუთხედებით – ბებიას ნაჭრის საბანივით. ერთი ჩანაფიქრი აქვს: თბილისიდან ბორჯომამდე იმოგზაუროს მანქანით, ოღონდ ეს მანძილი გაიაროს დაახლოებით ორ თვეში: ხშირ-ხშირად შეჩერდეს, იმუშაოს მთელი დღე ერთ ადგილზე, შემდეგ გადაინაცვლოს რამდენიმე კილომეტრით მორიგ საინტერესო პეიზაჟურ მოტივამდე. ამას მანქანა სჭირდება, საკუთარი მანქანა. ახლა ამასაც შესძლებს – მანქანის ყიდვას; ნათელას ხელში ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. არადა, იმდენ ფულს კი შოულობდა, გაუჭირვებლად შეძლებდა ნახმარი მანქანის ყიდვას მაინც.

მარტო მოგზაურობა კარგიც არის, ხელს არავინ გიშლის, არაფერი გზღუდავს, მეორე მხრივ – სულ ეულად ყოფნაც რა ბედენაა, მოწყენილობა აგიტანს... თან სულ სხვაა, როცა ვინმესთან ბჭობ, არჩევ, მაშინ სხვის შეხედულებასთან, განსხვავებულ აზრთან თუ ხედვასთან ჭიდილში შენც უკეთ ხედავ – "სტერეოსკოპულად". თუ მოახერხა მანქანის შეძენა, მეგობარ მხატვარს გაიხდის თანამგზავრად. ავტობუსში მის გვერდით მჯდომ ქალთან ერთად თუ იქნებოდა მისთვის საინტერესო მოგზაურობა? რა უცნაური აზრი გაუჩნდა, მით უმეტეს, რომ მისი სახელიც კი არ იცის...

მორიგ, მესამე სახელდახელო პორტრეტს ამთავრებს ფანქრით (შედარებით დასრულებულებია სამივე, თორემ "მომენტალური" ჩანახატ-პორტრეტები, წამიერი ფიქსაცია მთლიანად სახისაც, ცალკეული დეტალებისაც, სხვადასხვა რაკურსში და ა. შ. უამრავი გააკეთა, თითქმის მთელი ახალი ალბომი გაავსო).

– დიდი ვერაფერი შვილი პორტრეტი გამომივიდა, – მიმართავს ავთო ქალს, – ეს პირველ ცდად ჩავთვალოთ... ქვეშ რა მივაწერო? არ ვიცი თქვენი სახელი...

– ნატო! – მაშინვე პასუხობს ქალი, შეხედავს გაღიმებული; ხშირად იღიმება, ალბათ იცის, რომ უხდება, მშვენიერი კბილებიც აქვს, ოღონდ ერთი, ზევითა წინა კბილი, ცოტა გეზად წასულა, გვერდულად და ეს კიდეც შვენის. – თქვენი სახელი ვიცი – ავთანდილი!

ავთო ფიქრობს, სახელის გარდა, ეტყობა, სხვაც ბევრი რამ იცის ჩემს შესახებო და ციალაზე გაბრაზდა. მეორე წუთს სხვა განწყობილება დაეუფლა – იქნებ ჯობს კიდეც, ციალამ რომ უამბო ჩემზეო, თუმცა ის კი ვერ გაიაზრა, რატომ იყო ადრე ცუდი ეს გარემოება, ან ახლა რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას. რაღაც საკუთარი გეგმები ხომ არ ფაჩუნობს სადღაც გულის კუნჭულში ნატოს მიმართ? ჩაეცინა – უკვე არც ისე ახალგაზრდაა, რომ ასე იოლად აცეტდეს და გულის კარნახს აჰყვეს, გამოცდილებაც აქვს... კი, ნატო მოსწონს, თვითონაც ვერ გარკვეულა რით – სისადავით, გარეგნობით, ლაპარაკით თუ სხვა რამით... ავთოს თავბრუ ვერ დაახვიეს ნატოზე ბევრად ლამაზმა ქალებმაც, მაგრამ ახლა ალბათ სხვა რაღაცაც არის, რასაც ვერ გააანალიზებ, ბოლომდე ვერ ჩასწვდები – შინაგანი ძახილი გეუბნება, რომ ეს არის ის, რასაც ეძებდი, რაღაც უხილავი ძალა გიბიძგებს, ბოლომდე გაუცნობიერებელი ნაბიჯი გადადგა...

მეორე წუთს კი ეცინება ამგვარ ფიქრებზე – ნუთუ უნდა, გაამართლოს საკუთარი ამჩატებულობა?..

– შეიძლება ვნახო? – ნატომ დიდი ხანია, შეამჩნია, ავთო რასაც აკეთებდა.

– პორტრეტს ჩაჯდომა უნდა, თანაც ავტობუსის ჯანჯღარში არაფერი გამოგივა, – აწვდის ქალს ფურცლებს ავთო და მოულოდნელად ამატებს: – თქვენი პორტრეტი მინდა შევქმნა... სურვილი მაქვს... სახელოსნოში ხომ მეწვევით?

ნატო არაფერს პასუხობს, ჩანახატებს ათვალიერებს, მერე სადღაც წინ იცქირება, ჩაფიქრებული. მერე სახეს ავთოსკენ მიატრიალებს და, ამჯერად ღიმილგამქრალი, თითქოსდა გამკაცრებულიც, უხმოდ თავს უქნევს...

ხაშურში შესულან.

ავტოსადგურში ავთომ უშველა ავტობუსის საბარგულიდან ბარგის გადმოღებაში – ბლომად ჰქონია! (ავთოს დის ნათქვამი გაახსენდა: შვილთან ცარიელ-ტარიელი როგორ მიდისო).

ავთომ ნატო ბარგთან დატოვა და თვითონ ტაქსის მოსაყვანად წავიდა. ძნელი გამოდგა ეს საქმე და ბოლოს, სხვა გზა არ იყო და კერძო მანქანის მფლობელს გაურიგდა.

როცა მანქანაში ბარგის ჩაწყობა დაამთავრეს და ავთო უკვე დამშვიდობებას აპირებდა, – ერთი წუთით მომიცადეთო, – შოფერს უთხრა, ავტობუსში ავიდა და თავისი მომცრო ჩემოდანი ჩამოიტანა (ბორჯომში სანატორიუმში მიდიოდა).

– ბარემ სახლამდე მიგაცილებთ და ამავე მანქანით წავალ ბორჯომში! – უთხრა ნატოს და მანქანაში ჩაჯდა ნატოს გვერდით. ნატოს არაფერი უთქვამს, თითქოს კიდეც მოელოდა ამას და კმაყოფილება ისევ ღიმილით გამოხატა.

სოფელში რომ ავიდნენ, საღამოსპირი იყო და ნატოს დედამთილმა შესთავაზა, ბარემ ამაღამ ჩვენთან მოისვენეთ და ხვალ დილით გაემგზავრეთო.

ისე კი გამოვიდა, რომ ავთო მთელი ორი თვე დარჩა ამ ოჯახში და მასთან ერთად ჩამოვიდა აგვისტოს ბოლოს თბილისში.

კიდევ ერთი თვის შემდეგ კი იამზესა და ნათელას პორტრეტების გვერდით ნატოს პორტრეტიც ეკიდა...

1986

პოპარტი თბილისურად

"საგნობრივი ხელოვნების გამოფენა!" – ყვირის ადლიანი ასოებით აფიშა.

– ე, ბიჭო, დემოკრატიას ვეღირსეთ, აგერ ბურჟუაზიულ ხელოვნებად მონათლული პოპარტის გამოფენაც გახსნილა; ცოდვა არ იქნება, გულგრილად ჩაუარო და არ შეხვიდე სანახავად? – მეუბნება ნაცნობი ხელოვნების მოყვარული. – პირველად თბილისში! ახალი ხედვა, ახალი სახეობრივი აზროვნება, ახალი მასალა – ყველაფერი ახალი, ახალთახალი, უახლესი! შევიდეთ!

სხვა საქმეებიც საკმაოდ მექაჩებოდნენ თავისკენ, ჰოდა, კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ, ბოლოს მაინც შევაღეთ "მხატვრის სახლის" მძიმე კარი.

ცხარე საუბარი გავაჩაღეთ. აქ მოკლედ მოგახსენებთ, რაც გამახსენდა იმ საუბრიდან, ოღონდ ვის რომელი აზრები ეკუთვნის, არ ვუთითებ, რადგან ამას მკითხველიც ადვილად მიხვდება.

– რა თქმა უნდა, ამ გამოფენას თუ ჩვეული, ტრადიციული მხატვრობის კრიტერიუმებით მივუდგებით, შეიძლება დაგაბნიოს და როგორც უჩვეულო, ძირეულად განსხვავებული "ძველისგან", უარყოფითად განგაწყოს... ჩვენ ამის არც შეფასების კულტურა გვაქვს, არც დაფასების – აღქმის კონსერვატიულობას ასე ერთი დარტყმით ვერ გადალახავ...

– დიახაც, რომ ეს გამოფენა "დარტყმაა", უფრო სწორად, გამოწვევაა, თავხედური გამოხდომაა... მე ის მიკვირს, რომ გამოფენაში მონაწილე შვიდივე მხატვარი პროფესიულ "აკადემიურ" განათლებას არის ნაზიარები და საინტერესოა, რამ უბიძგათ სრულიად განსხვავებულ სფეროში ეძებნათ თავიანთი სათქმელის რეალიზაციის გზა?

– იცი, რას გეტყვი? გვეყო, რაც ძველი გზებით გვივლია; მხოლოდ ხელოვნებას კი არ ეხება ეს – ცხოვრების ყველა მხარეს... ვერ ხედავ, როგორ უფერული გახდა ცხოვრება, კრიზისული მოვლენები გაიფურჩქნა იდეოლოგიაში, ეკონომიკაში, განათლებაში, მეცნიერებაში, ზნეობაში, კულტურაში, ყოფაში და რაში აღარა... და სწორედ ერთგვარი პროტესტის ფორმად მესახება ეს გამოფენაც. რა თქმა უნდა, ყოველ შემოქმედს აწვალებს ცდუნება "დაუკრეფავში გადასვლისა", შეუზღუდავი ექსპერიმენტისა, სრული განბორკილებით რაღაცის ისეთის შექმნისა, რასაც თვითონაც არ ელის. ფსიქოლოგიურად ეს გამოფენა სრულიად გასაგებია. ათეული და ათეული წლების "იდეოლოგიური არტახების" შემდეგ უფლება მოგვეცა, ოდნავ თავისუფლად გავშალოთ ფრთები...

– კარგი, კაცო, და! ეს არის ახალი, თავისუფალი გზებით სიარული? ძველთაძველის გადამღერებაა და არ აქვს მნიშვნელობა – ნიჭიერად თუ უნიჭოდ; მთელ მსოფლიოში უკვე მერამდენე ათეული წელია, გადაღეჭილიც არის და უკვე მოყირჭებულიც. დიახ, პოპარტი პროტესტის ნიშანია ყოველივე ჩვეულის მიმართ, მაგრამ ეს დამანგრეველი პროტესტია. ა, ბატონო, გაიხედ-გამოიხედე – ამგვარი სურათი ასე კეთდება (შეხედე, აგერ კიდია): აიღებ შენი ბავშვის დამტვრეულ სათამაშოებს, დაალაგებ, როგორც შენ გაგიხარდება რაიმე სიბრტყეზე, მიაწებებ, აქა-იქ საღებავს მიასხურებ და "შედევრიც" მზადაა – "ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ქვეყანა"!.. ხომ კარგად შეურჩევია სახელი მხატვარს?.. თუ გინდა, მეორე სურათი ვნახოთ – "მესია"; ძალიან ღრმააზროვანი სახელი აქვს და რას წარმოადგენს? აირწინაღები, რა თქმა უნდა, გაფუჭებული, რაღაც საგნები (ისეა დაჭეჭყილ-დეფორმირებული, ჭირს მათი თავდაპირველი სახის ამოცნობა), ზევით შარავანდის მსგავსი მორკალული რაღაცა – ღრმააზროვნების საჩვენებლად, ვითომ იდუმალი რაღაც... თუ შეამჩნიე, ხშირად ვხმარობ სიტყვას "რაღაც", თუ მიხვდი რატომ?.. აგერ "კონტეინერი" – ცარცით აწერია ფიცრებზე: "დამპალი თევზი. 40% გადასაყრელია. თბილისი – ფოთი"... რა არის ეს, ირონია?

– იქნებ – ნოსტალგია? აი, ეს საგნები ვიღაცას ეკუთვნოდა, სარგებლობდნენ, ახლა კი მხატვრები ამ საგნებით გვახსენებენ ძველ დროს, ძველ ხალხს...

– კარგი რა, ნუ მაცინებ! როგორ ფიქრობ, ეს ნამუშევრები სახელოსნოში უკიდიათ თუ სარდაფში აქვთ დახვავებული სხვა ხარახურასთან ერთად? ზოგჯერ ალბათ შეეშლებათ და აქ ექსპონატად ნაღდ ნაგავს ფენენ... თუ სახელოსნოს ან სარდაფის გასაღები დაგეკარგა, ბევრი არ დაგიკარგავს – უახლოეს ნაგავსაყრელს მიაშურებ... მოგებულიც კი დარჩები – კრიტიკოსები სწორედ შენს ნამუშევარს აიყვანენ ცაში ქებით...

– თუ ეს ნამუშევრები შენში მხოლოდ ირონიას იწვევს, შეეფერება კი ეს სერიოზულ კაცს სერიოზული ხელოვნების შეფასებისას? ახალ ხედვას ახალი მიდგომა სჭირდება და არა ქირქილი.

– ეს არის ახალი ხედვა? აიღებ ყავლგასულ მუსიკალურ ინსტრუმენტს, თუნდაც ტუბას, ჩაქუჩით გემოზე დაჭეჭყავ (დიდია, თანაც თითბრის, კარგად იჭეჭყება!) – და ხელოვნების ნიმუშიც მზად არის! ჩამოჰკიდე ზონრებით ჭერში და ამხიარულე ხალხი! ეს არის საგნობრივი ხელოვნება? მაინც რას წარმოადგენს "საგნობრივი ხელოვნება"? საგანი პირდაპირ არის აღებული, ზოგჯერ მექანიკურად დეფორმირებული, ჩასვამ ჩარჩოში ან ჩადებ ყუთში (შეგიძლია, ამითაც არ შეიწუხო თავი) – სულ ეს არის "მხატვრის" ამოცანა!

– იქნებ მხატვარს უნდა, ჩვენი ყურადღება მიაქციოს რაიმე საგანზე, გამოყოს დანარჩენებისგან, ან სურს, საგნების უჩვეულო კომბინაციით, გამიზნული კომპოზიციური სვლებით რაღაც ახალი გვითხრას...

– კარგი, მაგრამ რაღა სანაგვის ატრიბუტებით? თუნდაც აგერ – ძველი კედლის ფრაგმენტით? რა არის მასში ღირსშესანიშნავი? "მამის ჩრდილი"? მოდი, ცდა ჩავატაროთ... ნებისმიერ ნაგავსაყრელზე ნებისმიერი საგნები ავიღოთ და ნებისმიერი ზომის, ფორმის, ფერის სიბრტყეზე ნებისმიერ პიროვნებას დავალაგებინოთ, ბოდიში, ნებისმიერად დავაყრევინოთ... დავამაგროთ ეს საგნები სიბრტყეზე წებოთი, მავთულით, რითაც გინდა, და გავიტანოთ საგნობრივი ხელოვნების გამოფენაზე. იტყვის ვინმე, ეს ხელოვნების ნაწარმოები არ არის, მოხსენით ექსპოზიციიდანო? სად არის აქ მხატვრულობის კრიტერიუმი? ის საერთოდ უგულებელყოფილია!

– როგორ, შენ უარყოფ, რომ ამ გამოფენაზე გამოტანილ ნამუშევრებში არ ჩანს ავტორისეული საწყისი?! თუნდაც დუშაშიშვილი აქაც ფერმწერად რჩება! ჰარმონიულობა, ფერის გრძნობა...

– რას გულისხმობ ავტორისეულ საწყისში? იმას ხომ არა, რომ, მაგალითად, მიქელაშვილს ფონად უყვარს სარკეების გამოყენება, მეღალიძეს – საგნების მიმსგავსება ადამიანთან, ერთგვარი ანტროპომორფიზმი, და ასე შემდეგ? გახედე, გამოფენაზე შვიდი მხატვრის ასამდე "ნამუშევარია" და რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან? ნუთუ მხოლოდ იმით, რომ ერთს გამორჩეულად უყვარს ხეიბარი თოჯინები, მეორეს – საათის მექანიზმის ნაწილები, მესამეს – დამტვრეული სანტექნიკა თუ ავტომანქანის ყავლგასული დეტალები – ყველაფერი, რაც ნებისმიერ ნაგავსაყრელს ამშვენებს?.. შენც ხომ არ იზიარებ კურტ შვიტერსის შეხედულებას (რომელმაც ცარიელი კონსერვის ქილების, გაზეთების ნახევებისა და სხვა ნაგვის მეშვეობით შექმნა ე. წ. "მერცკოლონე")? მან განაცხადა, რომ კაცობრიობის ცივილიზაციას ახასიათებს არა მხოლოდ ადამიანის გონების მიღწევები, არამედ ყოველდღიური ცხოვრების ნაგავიცო; სწორედ ნაგავზე უნდა გაამახვილოს ყურადღება მხატვარმა, იმიტომ, რომ, რასაც კი მხატვარი შეეხება, ხელოვნებად აქცევსო, – "რასაც კი მხატვარი ამოაფურთხებს, ისიც ხელოვნებაა!". კოლაჟი – ნაგლეჯების, ნაკუწების, ნატეხების დაწებების ხერხი – თავისთავად უარსაყოფი არაა, მას ფართოდ მიმართავენ თუნდაც სცენოგრაფები წარმოდგენათა ესკიზების შესრულებისას... გინდაც დაზგურ სურათებში გამოიყენე, ვინ გიშლის! ოღონდ რაღაცას ხომ უნდა მეუბნებოდეს შენი ნაცოდვილარი, რაღაც გრძნობა ან ფიქრი ხომ უნდა აღძრას! აგერ დუშაშიშვილის "თეთრი სერია" – ეს ხომ კოლაჟია და არა საგნობრივი ხელოვნება. მისივე "ინკუბაცია" – არც ეს არის საგნობრივი ხელოვნების ნაწარმოები, უფრო აბსტრაქტული ქანდაკებაა, ხისგან გამოთლილი და შედებილი. ანდა მეღალიძის "წითელი კვიცი" (კისერზე წითელი მძივები აქვს ჩამოკონწიალებული, თანაც მიბმულია, რომ არ მოიპარონ!) – ესეც ხომ სტილიზებული ქანდაკებაა და არა – საგნობრივი ხელოვნების ნიმუში...

– ჰმ, შენც ჟანრობრივი სიწმინდის ქურუმი გახდი? რატომ უნდა შეიზღუდოს მხატვარმა თავი? ის თავისუფალია და თავისუფლად აერთიანებს ერთ ნაწარმოებში სურათს, საგანს, კოლაჟს, აბსტრაქტულად აღებულ ფერს...

– მაშ ჟანრობრივი დაყოფა არ არსებობს, სრული თვითნებობაა? კარგი, ნუ გადააყრევინებ შენს მოწაფე შვილს ნაჯღაბნ ფურცლებს, დაჭერი მაკრატლით, დააწებე მუყაოზე და ჩასვი ჩარჩოში – სურათი მზადაა! და სხვა რაღაც რომ არ იფიქროს მნახველმა, რაიმე უცნაური, ტვინის საჭყლეტი სათაური დაანათლე – ამაზე ადვილი არის რამე?

– არაფერიც! ეს ნამუშევრები ძალიან რთულადაა გაკეთებული! მარტივად გეჩვენება. მართალია, ეს არის კოლაჟი და არა საგნობრივი ხელოვნება, რადგან ბრტყელია, თუმცა ფრინველის ბუმბული და რვეულის ფურცელთა ნაფხრეწებია გამოყენებული. საგნების ერთობლიობა ახალ საგანს იძლევა, ახალ მნიშვნელობას იძენს. აგერ თუნდაც მეღალაძის "ისტორიის მსვლელობა": სხვადასხვა ზომის ჭანჭიკები, ესე იგი ჩვენ, იყრება ხორცის საკეპ მანქანაში და გამოდის სტანდარტული, ერთნაირად დახვეული მავთული... არის თუ არა იდეური ნამუშევარი?

– ასეთს, სიმბოლიკით დატვირთულს, თითო-ოროლას თუ ნახავ, თანაც ეს ნამუშევარი ერთგვარად მაინც თამაშია, ირონიული თამაში... რა დროს თამაშია? საღებავები, მართალია, ძნელი საშოვნელია, მაგრამ არა მგონია, მხოლოდ ამ მიზეზით მუშაობდნენ ამგვარად. უყვართ სხვადასხვა საგნებისა ან მათი ნამსხვრევებისგან ადამიანის "გამოქანდაკება" ან "დახატვა" – ბავშვები რომ თოვ-

ლის პაპას აკეთებენ, იმდაგვარად! ერთობიან და გამოფენის მნახველიც ერთობა. ორ-სამ კაცს თუ ნახავ ერთად, აუცილებლად ღიმილით საუბრობენ სურათზე, ხანაც ხმამაღლა იცინიან, თავს ვერ იკავებენ. თუ მარტოა დამთვალიერებელი – ტუჩაბზუებული დადის და თავისთვის რაღაცას ბურტყუნებს... ა, ბატონო, კიდევ ერთი სურათი – "მანქანის სიკვდილი": მიასხი დაჭეჭყილ რადიატორს წითელი საღებავი და ღრმა ფილოსოფიურ-ასოციაციური წიაღსვლებით დაყურსული შედევრი მზად არის! ცოტად თუ ბევრად გამოვლენილი გამომგონებლობაა და მეტი არაფერი!

– განა ხელოვნება გამომგონებლობის ან არჩევანის გარეშე არსებობს? ან თამაშის ელემენტების გარეშე?

– მითხარი აბა, სხვა დროს თუ გინახავს, რომ გამოფენაზე მოსული ბავშვი იწევდეს ნამუშევრებისკენ სათამაშოდ! ანდა, ეგერ ქალები, მიქელაშვილის "სურათებს" რომ სარკეები აქვთ ფონად, იმაში იცქირებიან და ერთი პომადასაც კი ისვამს ტუჩებზე! ისე კი, ეტყობა, მხატვრები ფრიად ინტენსიურად მუშაობენ და ღირს კი ამდენი სულიერი ენერგიის დახარჯვა თამაშზე? ან ნაგავსაყრელების მოსანახულებლად? თუ სურთ ასოციაციური ჯაჭვი გაგვიბან, ნუთუ საჭიროა ნატურალური საგანი? ნატურალურ საგანს, მის "სინამდვილეს", ხელოვნების ნიმუშის პრეტენზია არ შეიძლება გააჩნდეს, თუნდაც იგი ხელოვანის ნებით სახეშეცვლილი, დეფორმირებული იყოს. უშუალო საგნით ოპერირება ხომ ზღუდავს მხატვარს ფუნჯსა და საღებავთან შედარებით...

– ეს სულ სხვა ხელოვნებაა, სხვა კრიტერიუმები, სხვა მიდგომა ახასიათებს და ამიტომ ფორმითაც სრულიად განსხვავებულია. ტრადიციული ფასეულობებით აქ ჩიხში მოექცევი. იმას ხომ მაინც ვერ უარყოფ, რომ თვით სურათები თავისებურად მუსიკალურია, ამ საგნებისა თუ ნაწილების შეთანადება გარკვეულ მელოდიურ გადაძახილს ქმნის.

– შენ თუ მუსიკალობაში ვიოლინოს დანაწევრებას, დაშლას გულისხმობ... ხომ ნათქვამია, ჭეშმარიტების კრიტერიუმი პრაქტიკააო, თანახმა ხარ? შეხედე, ეგერ გოგოების ჯგუფი ათვალიერებს გამოფენას – ხითხითებენ, ხითხითებენ... მათ გვერდით ხნიერი კაცი მოურიდებლად ამთქნარებს... ალბათ ფიქრობს, ყველა თავისებურად იგიჟიანებს თავსო!

– მერე რა? ნებისმიერ გამოფენაზე განახვებ მასეთ ხალხს – მოხითხითე ქალიშვილებსაც და მთქნარებით ყბამონგრეულ კაცსაც... ხელოვნებას ჩაწვდომა უნდა, განსაკუთრებით – ასეთ ექსტრაორდინარულს. პოპარტი მხატვრული აზროვნების მართლაც უჩვეულო სახეა – განსხვავებული, განსაკუთრებული ტიპია. ამ ნამუშევრებში საგნების, საგანთა ნაწილების დაპირისპირებაა და არა ჰარმონია. გამოსახულებაში დარღვეულია მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირები – აბსურდული ვიდეორიგია, უარყოფილია "ძველი" ხელოვნების ზომიერება, თავშეკავებულობა, კეთილშობილება; მასში ძირითადია, ეფექტი მოახდინოს, გამომწვევად იქცევა და ხშირად შეურაცხყოფასაც არ ერიდება... ამასთანავე, საგნობრიობის მიუხედავად, "კონკრეტულ" შინაარსს არ გვაწვდის. პოპარტი – ეს არის პროტესტი საერთოდ, საზოგადოდ ნეგატიური დამოკიდებულების გამოვლინება; ეს კრიზისის "ყვირილია", ყოველგვარი ნორმატიულობის უარყოფაა – ნორმიდან გადახვევა წესად აქცია. ძველი საზომით მას ვერ მივუდგებით, მას არც უნდა, სიამე მოგვგვაროს ან დიდი განცდებით გაგვიტაცოს, უფრო – პირიქით.

– მე, ჩემდა თავად, აქ მეტს ვეღარ მოვალ, თუმცა ჩვეულებად მაქვს, თუ გამოფენა მომეწონა, რამდენჯერმე მოვინახულო. გულახდილად გეტყვი – მხიარულ გუნებაზე დამაყენა ამ გამოფენამ. მე მგონია, თვით მხატვრებიც არ არიან ჰუმორის გრძნობას მოკლებულნი – მეორე დარბაზში მათი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაა მოწყობილი და აღტაცებაში მომიყვანა შედევრთა მოკრძალებულმა ფასებმა: შვიდი ისეთი სურათია, თითო რომ 1070 მანეთადაა შეფასებული, ორი სურათი 1280-მანეთიანია, ხუთ სურათში თითოში 1605 მანეთი უნდა დაყაჭო, ხოლო ერთი – საგნობრივი ხელოვნების შედევრთშედევრი – 1926 მანეთი ღირს! ჩემი ერთი წლის ხელფასი! ძალიან მოკრძალებულად მოქცეულა მისი შემფასებელი, ბარემ დაემრგვალებინა 2000 მანეთამდე. მე მაინც ვერ შევიძენ და თუ ძალიან მომენატრება "საგნობრივი ხელოვნების" ხილვა, იძულებული ვიქნები, უახლოეს ნაგავსაყრელს მივაშურო... შენ უკვე ამორჩეული გექნება და რომელი "სურათის" შეძენით გაბედნიერდები? ეცი, ჩქარა, თორემ დარჩები ხახამშრალი, ვინმე დაგასწრებს. აბა, რომელ შედევრს ყიდულობ?..

1989

ვერნისაჟი

ავანგარდისტები ახლა მოდაში არიან, მათ გამოფენებს ხალხი მიაწყდა. ტრადიციულ, "ფიგურაციულ" ფერწერას ზოგიერთებმა ჯვარი დაუსვეს. მხატვარ ჯორჯ ძაძიკაშვილის პერსონალური გამოფენა მაინც სხვა გახლდათ. ხუმრობაა? ჯორჯი ევროპის ქვეყნებში ისე დასეირნობს, თითქოს მუშტაიდის ბაღი იყოს; ყველგან გამოფენებს აწყობს, რომელთაც, პრესის ცნობით, არნახული წარ-

მატება აქვთ... თურმე ევროპელებს ჯერ მსგავსი არაფერი უნახავთ, გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებრიობაზე... მის სურათებს მუზეუმები და მილიონერი კოლექციონერები ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ, მხატვარი შეკვეთებით აავსეს... ახლა კი ასეთმა მხატვარმა პატივი დაგვდო და თანამემამულენი გაგვაბედნიერა პერსონალური გამოფენით, როგორ არ წახვალ მის სანახავად?

ჰოდა, ზაურ ჯანსვეტაშვილი ვერნისაჟს დაესწრო მეუღლითურთ (სხვათა შორის, ლამზირაც მხატვარია – სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, ოღონდ შემოქმედებისთვის ჯერ ვერ იცლის: მცირეწლოვანი შვილები ჰყავს, ახლა ბავშვები რამდენიმე საათით მეზობელს ჩააბარა).

ზღვა ხალხი ირევა ვერნისაჟზე, მათ შორის უმეტესობა, რაღა თქმა უნდა, მხატვარია. ზაური წამდაუწუმ ესალმება კოლეგებს; ზოგიერთებზე მეუღლეს ეჩურჩულება:

– ის დიდცხვირა გურამ გურამაძეა, ხომ იცანი? გვერდზე ცოლი მიჰყვება – მედეა.

– ერთი წლის წინ რომ სხვა ცოლი ჰყავდა?

– ის გაუშვა და ეს ითხოვა.

– ეს მშვენიერი ქალი როგორ გაჰყვა ნაცოლარ კაცს, თანაც უშნოს?

– მერე რა, გურამი მისთვის მეორე ქმარია.

– რას ამბობ!

– გურამისთვის კი – მესამე ცოლი!

– პირველი ცოლი?

– ის ახლა ალახაძეს ჰყავს მეორე ცოლად.

– ალახაძეც ნაცოლარია?

– მისი პირველი ცოლი ღუტუ ორშაურაშვილმა დაითრია...

– Собачьяасвадьба!

ზაური გაოცდა:

– უყურე შენ! გოგია, ახლა კი – ჯორჯი, სულ თავის საყვარელ თემას, პეიზაჟს უტრიალებდა, საკმაოდ საინტერესოდ მუშაობდა; ნეტა რა ბზიკმა უკბინა, ყველაფერ ძველზე რომ უარი თქვა?

ცოლს სხვა რამ იტაცებს:

– შეხედე, იმ ქალს შეხედე, რა საყურეები უკეთია! მასეთებზე მეც არ ვიტყოდი უარს... ნეტა რა ღირს?

– საოცარია, შენ – და არ იცოდე? სამი ათასი მანეთი! – ატრიზავებს ზაური.

– აი, ხომ ხედავ, ქმრები თავიანთ ცოლებს ხელისგულზე ატარებენ, შენ კი ხუთასი მანეთი ძლივს გაიმეტე ჩემთვის, გინდოდა, ვერნისაჟზე მათხოვარივით წამოვსულიყავი!

ზაური კბილებს აკრაჭუნებს – ლამზირამ ერთი ამბავი დააწია, გამოფენის გახსნაზე ძველი კაბით ვერ წამოვალო. კაბების მეტი რა ჰქონდა, მაგრამ იმდენი იტირა და ივიშვიშა, რომ ქმარს ვალი ააღებინა და საჩქაროდ ახალი კაბა შეიკერა.

– რა დროს საყურეებია, ვერ ხედავ, გოგიამ ქვეყანა გადარია?!. შეხედე, შეხედე, ამ სურათს რა ჰქვია: "საგნები პეიზაჟში"! აი, მესმის ორიგინალობა! არც საგნებია, არც – პეიზაჟი... ან ეს სურათი – "დიდი ნატურმორტი". სურათი ნაღდად დიდია, მაგრამ თეორ ფონზე რაღაც ჭიაყელებივით მძიმეები რომ დაუსვამს, ნატურმორტი სადღაა?

ლამზირა უფრო მანდილოსნების თვალიერებით არის გართული:

– აი, იმ ქალს რომ დაღესტნური ვერცხლის სამაჯური უკეთია, ადრე ორმოცდაათი მანეთი ღირდა, ახლა ორასორმოცდაათ-სამას მანეთზე ნაკლებად ვერ იშოვი. ქამარსაც სამასი მანეთი უნდა, ბეჭედს – ასი...

– "მთავარი სამიზნის ნარჩენები", – კითხულობს ზაური ერთ-ერთი სურათის სათაურს. – ყოჩაღ, გოგია! მაგარი მსროლელი ყოფილხარ, ისე დაგიფლეთია საწყალი, ცოცხალი ადგილი არ დაგიტოვებია; ეტყობა, კარგა მსხვილი ყალიბის ჭურვი ბუთქე!

ლამზირა ახლა გულსაკიდებს ათვალიერებს... უცებ საკმაოდ მტკივნეულად იდაყვი გაჰკრა ფერდში ზაურს:

– შეხედე, შეხედე შავკაბიანს – ოქროს ძეწკვი! იცი, რა ღირს? ექვსი-შვიდი ათასი! არა, ეს ძეწკვი მაგარი ნამუშევარი ჩანს, შვიდიათასხუთასიანიც იქნება!

ზაური სურათს მისჩერებია:

– ყველაფრის ფასი რომ იცი საკომისიო მაღაზიის შემფასებლივით, აი, ეს სურათი რა ეღირება?

– რომელი?

– რომელი და – "შიდა მხარე", ინგლისურადაც მიუწერია რაღაც სიტყვა. ხომ ხედავ, როგორ გაუფატრავს, დაუნაწილებია ვიღაც თუ რაღაც – საწყალი! ალბათ მკვლელობის კვალის დაფარვა უნდოდა...

– შენ რაღაც მხიარულ ხასიათზე ხარ, რამდენად კოლეგიალურია ეს გოგიას მიმართ? – ეუბნება ლამზირა.

— თვითონ გოგიაა ხუმრობის ხასიათზე, მეც გადამედო.. აჰა, თუნდაც ეს სურათი — “ტრანსცენდენტური ჰუმორი”, ან მეორე — “მაგიური ხუმარა”, ისევ რაღაც დაუმატებია ინგლისურად...

— “ აგიც ჟოკერ”.

— თუ მეტყვი, ამ რებუსში რაა სახუმარო ან ხუმარა სად დაიმალა, ერთ ძვირფას სამკაულს გიყიდი!

— აი, ისეთს? შენ ვინ მოგცა მაგის შნო, ნაცარქექია! სამხატვრო ფონდში რამდენი გაქვს ასაღები? სამი ათასი? მერე რამდენს დაგიქვითავენ?.. წილში რომ ზიან, იმათაც ხომ უნდა მისცე, რამდენი დაგრჩება? პურის ფული... შეხედე, იმ ქალს რომ ბრილიანტებით მოოჭვილი ჯვარი უკეთია ყელზე, იცი, რა ღირს? ცხრა ათასი!

— “მეტაფიზიკური დრო”! ყოჩაღ, კიდევ ყოჩაღ, გოგია! მთელი გამოფენაა მეტაფიზიკური, რაღა ამ სურათს აღირსა ეს სახელი? ან ეს, მეორე სურათი — “დიდი თამაში”... ბარაქალა, დიდებულია! მთელი გამოფენის სახელად დასტურ რომ შესაფერისია!

— ყველას მოსწონს და შენ რას იბრიქები, გამომივიდა გენიოსი! — ამრეზით ეუბნება ლამზირა. — თითო სურათში საზღვარგარეთ ათასობით დოლარს აძლევენ, შური ხომ არ გხერხავს?

— შენ მოგწონს? გულწრფელად მიპასუხე!

— რატომაც არა!

— აი, ამ სურათს — “კვალი სიბრტყეზე” — დაჰკიდებდი შინ?

— მიყიდე და დავკიდებ! — ჟინიანად გააქნია თავი ლამზირამ. — ან გაუცვალე, არ გაგიცვლის შენს ნამუშევარში?

— ჩემი ერთი ეტიუდი მირჩევნია მთლიანად ამ გამოფენას! შენ რა გესმის... ჰმ, “კვალი სიბრტყეზე”... აი ნაღდი სახელი, მარჯვედ შეურჩევია! ალბათ ფუნჯს წმენდდა ხოლმე ამ ტილოზე, შედეგიც საუკეთესოა, ყოჩაღ!. ამ სურათს კი — “საღამო, დღე, ღამე” — ალბათ კუნაპეტ ღამეში ხატავდა, ტილოსაც ვერ ხედავდა... თუ მართლაც გინდა, ვთხოვ, ნამდვილად გეუბნები; ხომ იცი, მხატვარი მხატვარს სურათს არ მიჰყიდის — ვეტყვი და მაჩუქებს, გინდა? მეც ვაჩუქებ ჩემსას — ერთი ნამდვილი სურათი მაინც ექნება სახელოსნოში... მართლა გინდა?

— ესა?

— კი, ბატონო, მაგრამ ძალიან ძვირფასი სურათია, უფრო სწორად — ზომით მეტისმეტად დიდი: დაახლოებით სამი ოთხ მეტრზე... ათი ათასი დოლარის ზარალში ჩავაგდებ, უნამუსობა გამომივა! რა აწერია?

— “ რიფტ”... ინგლისური სიტყვაა, ხომ ხედავ, გვერდით მიუწერია მისი მნიშვნელობები: დინება; ქარის, მდინარების დინებით წაღება; დრეიფი...

— მაგარია გოგია, შავად შეღებილ ტილოზე თეთრად ამოუწერია ლექსიკონიდან და სურათიც გამოცხვა! მე რომ მკითხო, მეტისმეტად ღრმაასტროვანია, თანაც უზარმაზარ ტილოზე დაუმატებია გაბნეული ჩხირები და წერტილები, საღებავი არ დაენანა? შენ რას იტყვი? ჩვენს დასაბნევად ხომ არ აკეთებს? ისე კი, რაღათ გინდა ბავშვების ინგლისურის მასწავლებელთან წოწიალი, თან თვეში ასი მანეთის გადახდა, ა, ბატონო, ჩამოკიდე ეს სურათი კედელზე და რაღა გინდა მეტი... ოღონდ მაღალჭერიანი ბინის ყიდვა მოგვიწევს! “ რიფტ”... იმისთვისაც მადლობელი ვარ, რომ ამიერიდან ამ ინგლისური სიტყვის მნიშვნელობა არასდროს დამავიწყდება! მხოლოდ ამისთვის ღირდა ამ გამოფენაზე წამოსვლა! იმედია, არც სხვა სიტყვებს დაივიწყებს და მათაც აქცევს სურათების თემად — დიდ საქმეს გააკეთებს! გოგია რომ ყველაფერს ზურგს აქცევს — ზომიერებას, აზრს, ტრადიციას, საკუთარი სახელიც კი გადაასხვაფერა, ბარემ გვარზეც თქვას უარი, დაირქვას უაზროკუს ბანანა ან რაღაც ამის მაგვარი, გაირჭოს ცხვირში ბუღის დასაბმელი რგოლი, ტანზე აფრიკის რომელიმე სახელმწიფოს დროშა შემოიხვიოს და იაროს ასე. კარგს იზამს, თუ სახეზე წითელ და ლურჯ ზოლებს დაიხატავს, მკერდზე — მზეს, ზურგზე — მთვარეს...

ზაური ლაპარაკის ეშხში შევიდა და საკმაოდ გრძელი მონოლოგი გამოუვიდა.

— კარგად გიცნობთ მხატვრებს, ოღონდ ერთმანეთი გაგინებინათ და... — შეუტია ცოლმა, მაგრამ ზაურს რა გააჩერებდა.

— თითქმის ყოველ სურათში რომ ჯვარი აქვს, რას უსვამს ჯვარს — ფერწერას თუ ჩვენს აღქმას? — ირონიული ღიმილით მიმოატარა ხელი ზაურმა.

— შენ თუ არ გესმის, გაჩერდი მაინც, ნახე, რამდენი დამთვალიერებელია; ამ გამოფენის მოწყობაში ალბათ რამდენიმე ათეული განსწავლული, მცოდნე პიროვნება იღებდა მონაწილეობას, ასე არ არის? ყველანი ცდებიან და შენ ერთი ხარ მართალი?

— საინტერესოა, ჩუმად რომ შემოიპარო და სურათების სახელების აღმნიშვნელი წარწერები გადაადგილო, შენი განათლებული, მოწინავე ხელოვნებათმცოდნეთაგან ერთი თუ მაინც შეამჩნევდა ამას? აგერ რომ სურათია — “ჩანგლის იდეა”, ალბათ იმას გულისხმობს, რომ ჩანგალს აცვა მაყურებელი, თუ შენ სხვა აზრიც გინდა გამოიტანო?

– შენ ახლა ამტყდარი ხარ, ატეხილი, ყველაფერს აბითურებ და არ ღირს შენთან ერთად გამოფენის დათვალიერება; მერე მე მარტო მოვალ, უშენოდ, წავიდეთ შინ! – ასე დაასრულა პაექრობა ლამზირამ.

– შენ თუ გინდა, ათჯერ მოდი კიდევ, მე რაც ვნახე, იმაზეც მადლობელი ვარ, მეტს ვეღარ ავიტან – სიცილსაც თავისი ზომა-წონა სჭირდება! – დაჰყაბულდა ზაური. – მოდი, ბარემ შთაბეჭდილებათა წიგნიც გადავათვალიეროთ, ვნახოთ, შენკენაა მაყურებელი თუ ჩემკენ.

ეტყობა, ზაურის სულში ისე ღრმად შეჭრილიყო ჭინკა, რომ შთაბეჭდილებათა წიგნის გადაფურცვლისას ვერ მოითმინა და ზოგიერთ ჩანაწერს ლამზირას უკითხავდა და თან საკუთარ კომენტარსაც აყოლებდა:

– "კარგი გამოფენაა!" მშვენიერი ჩარჩოებია, ნამდვილად გეთანხმებით! "რა არის ეს? ვინ მისცა ტილოს ტყუილად გაფუჭების უფლება? ჩამოვახევდი თავზე!" ასე გაცეცხლებაც არ შეიძლება, ტილო ხომ საბოლოოდ გაფუჭდებოდა! "თქვენ აგვიხსენით ჩანგლის იდეა!" იმედია, უახლოეს ხანში დანა-ჩანგლის იდეასაც აგვიხსნით! შამფურის იდეაზე თუ ფიქრობთ? "მინდა, იმდენი დრო მქონდეს, რომ ამოვხსნა თითოეული სურათი!" ვაი, საწყალო, უკვდავებას ხომ არ აპირებ?..

ზაური სულ უფრო შედიოდა ეშხში, მაგრამ ცოლმა მხოლოდ რამდენიმე გვერდის წაკითხვა აცალა შთაბეჭდილებათა ჩანაწერებისა – თითქმის ძალით ააყენა სკამიდან და შინისკენ გაეშურნენ.

გზაში ზაური ისეთ ხასიათზე დადგა, რომ დიდი სურვილი გაუჩნდა, შეექმნა პაროდიული სურათი ჯორჯ ძაძიკაშვილის ნამუშევრებზე. შინ მისვლისთანავე ხალისიანად შეუდგა მუშაობას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა – რამდენიმე დღე ეწვალა და შედეგს კი ვერ მიაღწია. მიხვდა, ფერწერის პაროდიაზე პაროდიის შექმნა შეუძლებელი რამ იყო და შეეშვა...

1989

"ვარდისფერი აბსტრაქცია"
(მხატვრობის მოყვარულის მონოლოგი)

აი, შენ ყოველთვის ირონიულად მოიხსენიებ ხოლმე აბსტრაქტულ სურათებს, მათ შემქმნელებს ყალთაბანდებს უწოდებ, ფუნჯის მოცლილ ჯამბაზებს, ლამის ავაზაკებსაც კი... სწორია ეს? აბა, შენ თვით განსაჯე: ერთი და ორი მხატვარი კი არ არის გატაცებული აბსტრაქტული სურათების შექმნით, მათი რიცხვი მთელ მსოფლიოში ალბათ ძნელი დასათვლელია; ჩვენთანაც, საქართველოში, ძალიან ბევრია ასეთი შემოქმედი. რაო, რატომ გეღიმება? სიტყვა "შემოქმედი" შეუფერებელი გგონია? მაგარი ურწმუნო თომა ბრძანდები, მე და ჩემმა ღმერთმა! ერთ ამბავს მოგიყვები, კარგად გადახარშე, გააანალიზე, სანამ ირონიულ, აგდებულ აზრებს მიწყალობებ...

ამ გაზაფხულზე რიტუალური ფერწერის გამოფენას გავეცანი. უნდა გითხრა, რომ დარბაზში შესვლისთანავე საოცარმა გრძნობამ შემიპყრო. ჯერ სულ რამდენიმე ნაბიჯი მქონდა გადადგმული და უკვე ისე იმოქმედა ჩემზე სურათებისგან გამოსხივებულმა შინაგანმა ენერგიამ, რომ ჩემმა ფეხებმა ჩემდა დაუკითხავად მიმიყვანეს ერთ-ერთ სურათთან... რატომ მაინცდამაინც მასთან? არ ვიცი. სხვა სურათები უფრო ახლოსაც ეკიდა, იმ სურათს კი ალბათ გამორჩეული სიძლიერე ჰქონდა, მიზიდულობის განსაკუთრებული ძალა, იდუმალი ხიბლი თუ რაღაც სხვა – სიტყვები ვერ მიპოვნია და ვერც ჩემი გრძნობა და აზრი გადმომიცია თუნდაც მიახლოებით. ამ სურათზე, რომლის წინაც ვიდექი, არ იყო გამოსახული რაიმე კონკრეტული საგანი; საერთო ფონი იყო მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო, ალაგ-ალაგ მასზე მხატვარს წაეთხიპნა კომეტების მსგავსად (შავი კომეტებივით!) უცნაური თავიან-კუდიანი "არსებები" – სულ რამდენიმე ადგილას; ძირითადად კი ამ ფონზე გაფანტული იყო წითელი, ლურჯი და ყვითელი ოვალები, წრეები, წერტილთა გროვები, ხაზები, ლაქები – სხვადასხვა სიდიდის, სისქის, სიკაშკაშის... ერთი შეხედვით, ყოველგვარი წესრიგისა და კანონზომიერების გარეშე იყო ისინი განლაგებული, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, რომ ყველაფერი სწორედ ასე, ზუსტად ამგვარად უნდა ყოფილიყო განთავსებული და არა სხვანაირად. ეს განლაგება არ იყო შემთხვევითი, არამედ – გამიზნული, რაღაც მაღალი და იდუმალი მიზნით განპირობებული. ამაში იგულისხმებოდა უზენაესი აზრი, რომელსაც მე ვერ ჩავწვდებოდი, მაგრამ რომელსაც ჩემდა უნებურად ვეზიარებოდი და ვემორჩილებოდი კიდეც და ეს მინდობა ძალმომრეობაზე დაფუძნებული მონობა კი არ იყო, არამედ ეხმიანებოდა ჩემი სულის იდუმალ მოთხოვნილებას – სილამაზისა, ჰარმონიისა, სიმშვიდისა და სიკეთისა... რა ვიცი, კიდევ ათასი სხვა რამისა – ყველა რომ მიმზიდველი იყო, სულის დამატკბობელი და ნირვანაში გადამყვანი...

უფრო ახლოს მივედი სურათთან და აშკარად ვიგრძენი, როგორ მძლავრად ურთიერთობდა ჩემთან სურათი – კიდევ უფრო ძლიერ მოვექეცი მისი ზეგავლენის ქვეშ. უცნაური რამ დამემართა: თითქოს გავითიშე, გარშემო რაც კი იყო, უხილავი გახდა, სადღაც გაქრა; თითქოს ფრთები გამო-

მესხა, ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი, სულიერი აღმაფრენა! ჰაერში ავიჭერი, მაღალი სულიერების ძლიერმა ველმა ამიტაცა... მზერა უნებურად ეძებდა ჩვეულს, ნაცნობს – სურდა ამ ნაირფერი ლაქებისა და ხაზების ერთობლიობის მიღმა დაენახა რაღაც საგანი, რეალური ობიექტი, მაგრამ ქვეცნობიერებამ დროულად მიკარნახა, რომ ეს იყო მცდარი გზა – და მე მივენდე სურათის უცნაურ ხიბლს, როგორც მშვენიერ მუსიკალურ მელოდიას, რომელიც უშუალოდ გადმოედინებოდა ჩემს სხეულში და სულს მივსებდა ნეტარებით... სიყვარულით შევენივთე უსაზღვრო კოსმოსს, მარადისობას ვეზიარე... ვიმყოფებოდი ირეალურ სივრცეში, სადაც ჩემზე მოქმედებდა არა მატერიალური გარემო, არამედ სულიერება, ამაღლება, სიყვარული მთელი ქვეყნიერებისადმი... და გაქრა, არ არსებობდა უსამართლობა, სისასტიკე, გაუტანლობა, ბოღმა; მინდოდა, მთელი მსოფლიო გულში ჩამეკრა; ვგრძნობდი, როგორ ვივსებოდი ბედნიერებით, სახე უნებლიე ღიმილმა ამიყვავა, ფართოდ გახელილი თვალები კი ამ ჯადოქარი მხატვრის საოცარი ფუნჯით ტილოზე გადატანილ უცნაური ლაქების და ხაზების ჩახუჭუჭებას კი არ უცქერდნენ, არამედ სიამის მოვარდნილ ტალღებს შეიგრძნობდნენ, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით ამიტაცებდნენ, მანანავებდნენ ნაზად ზევით-ქვევით და ტკბილ სიმღერას მიგალობდნენ... დიახ, საგამოფენო დარბაზში ვიდექი და თვალები გახელილი მქონდა, ამავე დროს – მეძინა, მშვენიერ, საოცარ სიზმარს ვხედავდი; სადღაც ვიყავი გადატყორცნილი იდუმალი ძალით, სადაც სითბო და სიწყნარე, სიმშვიდე და განწმენდა ერთიანად ესალბუნებოდა სულსა და გულს... ავივსე ჯადოსნურ ხილვებთან გადაჯაჭვული ნეტარების ამავსებელი გრძნობებით – და მინდოდა, სულ ასე ვმდგარიყავი სურათის წინ, რომელსაც უბრალო სახელი ერქვა – "ვარდისფერი აბსტრაქცია"...

რატომ დაანათლა მხატვარმა სურათს ეს სახელი? აქ ხომ შავი ფერიც საკმაოდ იყო, ყვითელიც, ცისფერიც, მწვანეც – მათი უამრავი ელფერი, მრავალი ერთმანეთში ნარნარი გადასვლაც და მკვეთრი, მჭახე დაჯახება-დაპირისპირებაც... ალბათ სურათის დასახელებაში აისახა ის ძირითადი განწყობილება, ის ჰარმონია, რომელიც ასე ძალუმად მოქმედებდა მნახველზე.

აი, შენ ახლა მტკიცებას დამიწყებ ისევ, რომ მე მისტიკაში გადავვარდი, დავემორჩილე ჩემი დათრგუნული შინაგანი განწყობილების მაკომპენსირებელ მშვენიერ ხილვებს, რომ ჩემი ფსიქოლოგიური კონსტიტუცია არამდგრადია, მყიფეა და ადვილად ვექცევი უცხო ზეგავლენის ქვეშ... თუნდაც ასე იყოს, რით არის ცუდი, რომ ასეთმა სურათებმა თუნდაც ქვეცნობიერად შვება მოგვცეს, სიკეთის კეთებისკენ განგვაწყოს.... მაინცდამაინც რაღაც კონკრეტული გამოსახულება რატომ უნდა იყოს ამის გამომწვევი? იყოს აბსტრაქტული ტილოებიც...

"ვარდისფერი აბსტრაქციის" ფასი? კი, ვიკითხე და ნეტავ არ მეკითხა! ლადო გუდიაშვილის რამდენიმე სურათს ვიყიდდი ალბათ იმ თანხით... ჰო, მართალი ხარ, უცებ გამოვფხიზლდი! აბა, რა გინდა, ჩემო კარგო, ბაბაც გინდა და ჩიჩიაც? აუცილებელ წამალში ხომ იხდი საჭირო თანხას, სურათიც ერთგვარი წამალია... შენზე, კი, ბატონო, არ მოქმედებს, მაიმუნობას ეძახი, მე კი მშველის და რატომ გინდა, უარი ვთქვა მასზე? არ ხარ მართალი... ისევ ამბობ, მასეთი სურათები მართლაც არის წამალი, ოღონდ მათი მჯღაბნელი მხატვრების ჯიბისთვის? შენ შური და უვიცობა გალაპარაკებს, მეტი არაფერი! მერე რა, რომ მე არ შემიძლია, ვიყიდო სურათი, შესაძლებლობა არ მაქვს... შარლატანობა და ყალთაბანდობა შენთან მოიკითხე, ჭირიმე! არ გჯერა და ნუ გჯერა, კალთებს არავინ გახევს ხვეწნით – არიქა, გინდა თუ არა, იწამეო... ურწმუნო თომა!..

1999

ვედრო

– გამარჯობა, ბიჭო გოგია, მომილოცავს! – გადავკოცნე ჩემი ძმაკაცი, მხატვარი გოგი. – გავიგე, გავიგე, დიდი წარმატება ჰქონდა შენს გამოფენას მოსკოვში!

მოსკოვიდან ახალჩამოსული გოგი ცოტა დაღლილი მეჩვენება, კმაყოფილი მაინც არის, დაუზარელად მიყვება თავისი პერსონალური გამოფენის ამბებს.

– სურათებიც გავყიდე, კარგ ფასად. აბა, თუ მიხვდები, რომელი სურათი გამოიწვევდა ყველაზე დიდ ინტერესს?

დავფიქრდი. გოგის ხელოვნება საერთოდ მიზიდავდა და, ცხადია, ბევრი სურათიც მომწონდა. დავუსახელე რამდენიმე, ჩემი შეხედულებით, გამორჩეული სურათი.

გოგი სიცილით გადაფიჩინდა.

– ოლოლო შენ, ვერ გამოიცან! – სულის მოთქმის შემდეგ შემომცინა მან. – "ვედრო" მოეწონათ, "ვედრო"!

– რა ვედრო? – უცებ ვერ მივხვდი მე.

– როგორ არ გახსოვს, ბიჭო, აქ რომ სურათი ეკიდა! – სახელოსნოს კედელზე მიმითითა გოგიმ.

გამახსენდა! მანდ ეკიდა... სურათისა რა მოგახსენოთ, მე არ მიმაჩნდა ის სურათად, უფრო კოლაჟი იყო; არა, არც კოლაჟად ჩაითვლებოდა... მოკლედ, ოციოდე წლის წინ, მაშინ ახალგაზრდა მხატვარმა გოგიმ, ერთ-ერთ გამოფენაზე გაიტანა სურათი სახელწოდებით "ვედრო". რა იყო ამ სურათზე გამოსახული? გოგიმ აიღო მღებავების მიერ სანაგვეზე გადაგდებული ძველთაძველი, დეფორმირებული, საღებავებით აჭრელებული ვედრო, კიდევ უფრო დაჭეჭყა, გემრიელად გააბრტყელა და ტილოზე მიაკრა. ტილოზევე ფუნჯით მიახატა ვითომ ვედროში ჩადებული ფუნჯის სახელური. გოგის მოქმედებამ თუ შემოქმედებამ გამოფენის ჟიურის აღშფოთება გამოიწვია – გალანძღეს ჩვენი გოგი, მაგრამ რა გალანძღეს! გათათხეს პირდაპირ, ხულიგნობაც კი დასწამეს და ლამის დაჭერა დაუპირეს... სკანდალი უნდოდა ახალგაზრდა მხატვარსაც – სახელი გაითქვა!..

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და უცებ არ შებრუნდა ქარავანი? ახლა სწორედ ავანგარდისტული ნამუშევრები გახდა "მოდური". შექმნილი კონიუნქტურის შესაბამისად, გოგიმ მოსკოვში თავის გამოფენაზე წაიღო ბოლო დროს შექმნილი რამდენიმე აბსტრაქტული ტილოც და... და ძველთაძველი "ვედრო".

– მოდას აყოლილნი იქაც ბლომად გამოჩნდნენ?

– ნეტა იქ ყოფილიყავი! – ღიმილით მპასუხობს გოგი. – გენახა ერთი, რა ჭიდაობა გამართეს "ვედროს" გამო! ყველა მას ებღაჭნა, ყველას მაინცდამაინც მისი შეძენა უნდოდა, ერთმანეთს ღლეტდნენ ხელიდან! შემეშინდა, ტილო არ გაფხრიწონ-მეთქი, ვედრო კი გაუძლებდა... ვინ შეხედა სხვა სურათებს!

– არიქა, ბიჭო, – დავხედე საათს, – მოდი, გავვარდეთ აგერ ახლოს სამეურნეო მაღაზიაში, ახალთახალი ვედროები მიიღეს გასაყიდად. ვიყიდოთ თუნუქის ვედროები, რამდენსაც ვზიდავთ, შენს მანქანაში რამდენი ჩაეტევა? ჰო, კიდევ – არ დაგვავიწყდეს ერთი რკინის ურო ყიდვაც მათ დასაჭეჭყად!.. თუ ისეთი ნატიფი გემოვნებისა გახდნენ, რომ მხოლოდ ნაგავსაყრელზე გადაგდებულ ყავლგასულ ვედროებს აქვს ფასი?..

1990

Free Jazz Concert

– წამო, თავისუფალი ჯაზის კონცერტს დავესწროთ!

– რა ჯგუფია?

– "ჭატერ-ცლოსეტ", ზღაპრული ანსამბლიაო, ამბობენ!

წავედით.

ზედახორაა, ბილეთები რაღაც სასწაულით ვიშოვეთ გადამყიდველთან. ტყავი გაგვაძრო, მაგრამ მაგას ვჩივით?

აზიმზიმებულ და აჩოჩქოლებულ დარბაზში შევედით, დავსხედით.

სცენაზე გამოვიდნენ ვიღაც თმაგაჩეჩილები, წინ ხალათჩასხნილები, სულაც მხოლოდ მაისურიანები, მგონი – პირდაუბანლებიც.

ერთი ფეხშიშველია.

საიდანღაც ბზიკი გამოტყვრა, გაიფრინა – ვიღაცას დანესტრავს!

მერე ბუყბუყი გვესმის – ბოდიში, ვიღაცას კუჭი ხომ არ აეშალა?

ერთი როიალს შლის, დიდხანს ცოდვილობს.

ერთი საგიჟეთიდან გამოქცეულს ჰგავს. უაზროდ იქნევს ხელებს და ბურტყუნებს.

ერთს სძინავს. ხვრინავს გემრიელად.

ერთს, ეტყობა, რაღაც ძვირფასი დაეკარგა და დარდობს. საყვარელი ძაღლი ხომ არ მოჰპარეს?

ერთს ღამე არ უძინია და ხმამაღლა ამთქნარებს.

ერთს ბავშვის ხალათი ჩაუცვია, ჭიპი უჩანს.

ერთმა საყვირიდან ბოლი გამოუშვა.

ერთმა, ეტყობა, ტრომბონში გოჭი ჩასვა.

ერთი იჭინთება, ჭარხალივით გაწითლდა, საწყალი – ხალხო, დროზე უშველეთ, წნევამ არ დაარტყას!

ვიღაც შემობრაცუნდა სცენაზე – ახალი გიჟია? უთავო ქათამივით დაბორიალობს აქეთ-იქით, რაღაც საბავშვო საკრავს გულის გამაწვრილებლად ახმიანებს – პატრონი არ ჰყავს?

რა უნდა ამ ხალხს სცენაზე?

ერთ კუთხეში შეიკრიბნენ და მსჯელობენ, ეტყობა, ერთმანეთში რაღაც ვერ გაიყვეს. დიდხანს, მეტისმეტად დიდხანს ცდილობენ, თავიანთი ინსტრუმენტებით ერთმანეთს კამათი მოუგონ. იქნებ გვეღირსოს და გააძევონ ისინი, სცენა დროულად დაუთმონ ჯაზისტებს.

ყურები ამტკივდა.

ამ დროს მედოლემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დიდ და პატარა დოლებს ისეთი გამეტებით დასცხო ჯოხები, კინაღამ გახია, მერე ლითონის თეფშსაც სდრუზა გემრიელად, რას ერჩოდა ნეტავ?

სცენაზე მყოფნი ყველანი წელში მოიკაკვნენ.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოხტა და სტვენით, ღრიანცელითა და ტაშისცემით აფეთქდა.

აქეთ-იქით ვიხედები – ნეტა კონცერტი როდისღა დაიწყება?

თურმე კონცერტი დამთავრდა.

განათლდით, ხალხო!

თურმე ამას ჰქვია თავისუფალი ჯაზი!

1991

კინორეჟისორი

ამას წინათ ცნობილ მსახიობს, გაბო ზესიძეს ასაფლავებდნენ. ზღვა ხალხი ესწრებოდა გამოსვენებას, ზღვა ხალხი. მეც იქ ვიყავი – განსვენებული ჩემს ახლო მეგობრად არ ჩაითვლებოდა, უფრო – კარგი ნაცნობი ეთქმოდა. ათიოდე წლის წინათ გამოფენაზე ჩემს მიერ შესრულებული რამდენიმე პორტრეტი უნახავს, უკითხია, ვინ არის ეს მხატვარიო და ჩემი გაცნობის სურვილი გამოუთქვამს. მერე მკითხა, ხომ არ დათანხმდებით, ჩემი პორტრეტი შექმნათო. რა თქმა უნდა, მე დიდი ხალისით შევუდექი ამ მოულოდნელ შეკვეთაზე მუშაობას – ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ უკვე ცოლშვილიანი და, რა დასამალია, ცოტა ფულიც მიჭირდა. მსახიობი კმაყოფილი დარჩა ჩემს მიერ შესრულებული პორტრეტით და მას შემდეგ, შეხვედრისას, თბილად მოვიკითხავდით ხოლმე ერთმანეთს; ზოგჯერ, თუ გაბოს საამისო ხალისი და დრო ჰქონდა, საკმაოდ ხანგრძლივ საუბარსაც შევყვებოდით ხოლმე...

გამოსვენებამდე ერთი საათით ადრე მივედი და იქ თვალი მოვკარი ჩვენს სახელგანთქმულ კინორეჟისორს ბახვა ბახვაძეს. უნდა მოგახსენოთ, რომ უკვე ის ასაკს და მდგომარეობას მივაღწიე სამხატვრო სამყაროში, რომ ყველა შემკვეთის სურვილს აღარ ვაკმაყოფილებ – უპირატესად მე ვარჩევ მოდელს და არა პირიქით. კარგა ხანია, ბახვა ბახვაძის პორტრეტის შექმნა მქონდა განზრახული, მაგრამ რატომღაც შემთხვევა არ გამოჩნდა ისეთი, რომ ერთმანეთი პირადად გაგვეცნო. მიკვირს, ძალიან მიკვირს...

ახლა სხვა საქმე არ მქონდა, ისევ ხალხი უნდა მეთვალიერებინა და მეც მიზანში ამოვიღე ბახვა და თვალს არ ვაშორებდი. რა თქმა უნდა, მოფარებულად ვიდექი და ისე ვჭვრეტდი კარგი დეტექტივივით. მაინტერესებდა არა მხოლოდ მისი სახე, ნაკვთები – ამას ხომ სახელოსნოშიც კარგად შევისწავლიდი პორტრეტზე მუშაობისას; სახელოსნოში მოდელი მაინც "ერთგანზომილებიანია", უფრო გარეგნული სახე ჩანს მისი, "საგარეო" ქცევა, განსხვავებულ პიროვნებებთან ურთიერთობა, სახის გამომეტყველების ცვალებადობა, კითხვა-პასუხის ნირი და ასე შემდეგ. ცნობილია, კოლეგებთან ურთიერთობისას ადამიანი სხვანაირად იქცევა, ოჯახში სხვაა და ძველ მეგობრებს რომ შეხვდება – კიდევ სხვა. მოკლედ, ერთ ადამიანში მთელი "გამა" ზის, რომელთა ერთობლიობაც გვაძლევს პიროვნებას, მთელ მის სირთულეს. ამიტომ მაინტერესებდა ბატონ ბახვას იერსახე ასეთი მწუხარე ამბის დროს, რომელსაც ჩვენ ორივენი ვესწრებოდით. რა დასამალია და, ბევრი ჩვენგანი პანაშვიდებზეც ვერ იშლის ოხუნჯობას და პირადად მე მრავალი სასაცილო ამბავი სწორედ პანაშვიდებზე მაქვს გაგონილი. ალბათ ამაში ვლინდება ქვეცნობიერი მისწრაფება ადამიანისა – რაღაცნაირად შინაგანად გაემიჯნოს სამწუხარო ამბავს, ან იქნებ ამ მხიარული ამბების თხრობაში შეჭირვების ჟამს აისახა ქართველი ადამიანის ამოუძირკვავი თვისება – ყოველ ძნელ სიტუაციაში იდგეს გაჭირვებაზე მაღლა; იჩენს უნარს – ჰპოვოს ოპტიმიზმის საწყისი ყველაზე ტრაგიკულ გარემოებაშიც კი... იქნებ სწორედ ამ თვისებამ გადაარჩინა ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში თავს დატეხილ სისხლიან ქარტეხილებს და დღესაც იმედით უყურებს მომავალს, თუმცა არც დღეს ულხინს...

მგონი, გადავუხვიე სათქმელს... ჰოდა, ვდგავარ ნაცნობებში (ამდენ ხალხში თითო-ოროლა ნაცნობი ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე და ზოგჯერ – დიდი ხნის უნახავი ნათესავიც კი); ვსაუბრობთ, რასაკვირველია, რომელშიც მე თითქოს "გარეგნულად" ვმონაწილეობ – მთელი ჩემი გულისყური კი, როგორც მოგახსენეთ, თითქმის მთლიანად ბახვა ბახვაძის დაკვირვებისკენაა მიმართული. ცოტა გვერდიდან ვუცქერ და თითქმის 3/4-ში ვხედავ რეჟისორის დამახასიათებელ პროფილს – რბილი მოხაზულობა აქვს შუბლ-ცხვირ-ნიკაპისა, თითქმის იდეალურად მრგვალი თავი, შემოსილი მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თმით, პატარა, კოხტად გამოქანდაკებული ყურები... საოცარია, რეჟისორზე გამიგია, საკმაოდ მკაცრი და უკომპრომისო პიროვნებააო, გარეგნულად კი სხვაგვარი ჩანს.

ლაპარაკის ნირი წყნარი აქვს, ვერ ვამჩნევ ქართველთათვის დამახასიათებელ ჭარბ აფექტაციას ან აზრის ემოციურად ხაზგასმას ხმის ამაღლებით... არც ხელებს იქნევს – ჟესტიკულაცია მინიმალურია, საუბარში უმეტესად უსმენს, სულ არ ცდილობს "ლიდერის" როლში გამოვიდეს, თუმცა, ვატყობ, საკმაოდ მწვავე საკითხზე კამათობენ – ამას მის თანამოსაუბრეთა ქცევით ვხვდები. როგორც აღვნიშნე, ბახვა საუბარში იშვიათად ერთვება, მაშინაც წყნარად, ხმადაბლა მოკლე რეპლიკებს წარმოსთქვამს, იშვიათად რომ გრძელი წინადადება გამოურიოს. აი, მაშინ კი დანარჩენები პირში უცქერენ, არავინ აწყვეტინებს, თითოეულ სიტყვას ყურადღებით იჭერენ... ვატყობ, რა პატივისცემასაც იწვევს დანარჩენებში, თუმცა ისინი ასაკით მეტ-ნაკლებად მისი ტოლი იქნებიან. დიახ, წყნარად დგას, მაგრამ ვამჩნევ, მახვილი მზერით როგორ ზვერავს გარემოს, აქეთ-იქით შემოჯარული მრავალსართულიანი სახლებიც კი საგულდაგულოდ დაათვალიერა და, მე მგონი, არცერთი ფანჯარა, აივანი და ლოჯია არ გამოუტოვებია – ფარდები, გაფენილი სარეცხი, ყვავილები; გარეთ გატანილი სხვადასხვა საგნები ხომ მათ მფლობელებზე ერთგვარ შთაბეჭდილებას გვიქმნის... კიდევ და კიდევ – ხან ჯგუფ-ჯგუფად მდგომ ხალხს აკვირდება, ხან აქეთ-იქით მოსიარულეთ თვალს აყოლებს, ერთი-ორჯერ მისი ჭროღა, გამჭოლი თვალები ჩემს სახეზეც შეჩერდა წამით და კიდევ კარგი, დადარაჯებული ვიყავი და გულგრილი, საგანგებოდ არაფრის მთქმელი მზერა შევაგებე... დიდად ცნობილი კაცი იყო და, რა თქმა უნდა, გრძნობდა, მრავალნი უცქერდნენ, ამას მიჩვეული იყო, მაგრამ მაინც რაღაც შეამჩნია განსხვავებული ჩემს მზერაში და რამდენჯერმე თვითონაც მომინაცვლა "შემხვედრი", გამომცდელი მზერა... ალბათ ერთგვარად გამომარჩია და დამატებითი "ინფორმაციის" მიღების სურვილი იგრძნო – თვითონ დაიწყო ჩემზე "ნადირობა"... იძულებული გავხდი, ჩემს თანამოსაუბრეებს გავცლოდი და ადგილი მომენაცვლებინა, "დავკარგულიყავი"; თან ახალი ადგილიდან განსხვავებული, თუმცა ადრინდელთან შედარებით ნაკლებ საინტერესო რაკურსით შემეძლო, დავკვირვებოდი. აქედან საკმაოდ ირიბად გავყურებდი და მეტი სიფრთხილე მაიძულებდა, მაშინვე მომეცილებინა მზერა, როგორც კი შევატყობდი, რომ ჩემს მხარეს უნდა მოებრუნებინა თავი...

ვერც კი შევამჩნიე, როგორ გაირბინა ერთმა საათმა.

გაბო ზესაძის ნეშტი გამოასვენეს. კიდევ უფრო ამოძრავდა ორ რვასართულიან სახლს შორის აზიმზიმებული ბრბო. ადრე მე არ ვაპირებდი სასაფლაომდე განსვენებულის გაცილებას, მაგრამ ახლა გადავიფიქრე, დაძრულ პროცესიას ავედევნე. ისევ და ისევ ბახვა ბახვაძეს ვაკვირდებოდი, მისგან ათიოდე ნაბიჯით უკან მივდიოდი.

გაზაფხული იდგა, მაისი... "ცოდვა არ არის, ბუნების გამოღვიძების ჟამს, ამ მშვენიერ, ვარდ-ყვავილოვან თვეში სამუდამოდ დაემშვიდობოს საწუთროს ადამიანი?" – ვფიქრობდი მდინარესავით დაძრულ ხალხში მიმავალი. სხვა ფიქრებიც წუთიერად მესტუმრებოდნენ – ხომ იცით, ადამიანი ისეა მოწყობილი, საფიქრელ-სადარდებელს რა გამოულევს, გასვენებაში კი სხვა ათასგვარი მჭმუნვარე ფიქრებიც ემატება... მაგრამ ერთ, "მაგისტრალურ" საზრუნავს არ ვცილდებოდი: ბახვას ყურადღებით ვაკვირდებოდი – სულ თვალწინ ჭიატობდა მისი ნაცრისფერი კოსტიუმი და ჭაღარა მრგვალი თავი.

ნელა მიედინებოდა პროცესია. ბახვა მოსაუბრეებს ჩამოსცილდა, სწრაფად მიდიოდა წინ და არც ახლა იშლიდა აქეთ-იქით გულდასმით დაკვირვების ჩვეულებას. ერთი-ორჯერ უკანაც გამოიხედა, მერე გაჩერდა და საკმაოდ ხანგრძლივად რაღაცას ადევნებდა თვალს. ვიფიქრე, მე ხომ არ ამომიღო მიზანში-მეთქი, მაგრამ ცალი თვალით რომ შევხედე, შევატყვე, სულ სხვა რაღაცას ჭვრეტდა, სადღაც ბრბოს თავზევით იცქირებოდა...

მეც დამაინტერესა, რას აკვირდებოდა ბახვა ასეთი დაჟინებით? ფეხს ავუჩქარე და გვერდზე ისე ჩავუარე, მისთვის არ შემიხედავს, საწინააღმდეგო მხარეს მივატრიალე სახე.

რამდენიმე ნაბიჯით გავუსწარი და ბახვასავით მეც ფილაქნიდან ტროტუარზე ავედი. გავჩერდი ბახვას ზურგს უკან და მიმდინარე ხალხს მივაჩერდი. ვინმე ნაცნობს ან მეგობარს ხომ არ ეძებდა? არა, არ ჩანდა ასე – მაშინ ახლო მყოფთ, გვერდზე ჩავლილთ დააკვირდებოდა, ის კი სადღაც შორს იყურებოდა.

და უცებ ყველაფერს მივხვდი!

მე მგონია, რომ მივხვდი...

ბახვა აქაც არ იშლიდა თავის პროფესიის მსახურებას – ყველაფერს აკვირდებოდა კინორეჟისორის თვალით: "აგებდა" თუ აანალიზებდა კომპოზიციას – ხალხთა ჯგუფების მონაცვლეობას, ფერთა შეხამებას... მსახიობის გამოსვენების დროს ისეთი "ხედვის წერტილი" შეარჩია, რომ იქიდან გამოჩნდა კომპოზიციურად მოწესრიგებული ხალხის მასა როგორ გაიწელა მოძრავ გრძელ კუდად, ეს "კუდი" იკლაკნებოდა და განსხვავებულ ფორმებს იღებდა. რეჟისორი გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე (მეც შეუმჩნევლად მივდევდი უკან), მესამეზე, მეოთხეზე... ყველგან შეჩერდებოდა წუთით – გახედავდა ერთ მხარეს, რაღაცას გაიცნობიერებდა, მერე მეორე, საწინააღმდეგო მხარეს დაკვირდებოდა, ალბათ ერთმანეთს თუ ადარებდა. ერთხელ შიგ შუაგულ ბრბოში გაჩერდა, გაიხედა წინ, უკან, მერე – ცალ გვერდზე, მეორე გვერდზე...

მერე დინჯი ნაბიჯით გააგრძელა გზა საერთო მდინარებაში.

მე კი, მართალია, მხედველობითი მეხსიერება გავარჯიშებული მაქვს, მაინც ჩვეულებას არ ვუღალატე: სახატავი ალბომი ამოვიღე (რომელიც მუდამ თან დამაქვს) და ფანქრით სწრაფად და ლაკონიურად ჩავიხატე რამდენიმე ფურცელზე ის საინტერესო კომპოზიციური სქემები, რომლებიც რეჟისორის თვალით "დავინახე". ჩახატულს შეიძლება, დიდი ხნის შემდეგ მივუბრუნდე, როცა მეხსიერებაში ნანახი უკვე გაფერმკრთალებულია; გარდა ამისა, უკეთაც ვიმახსოვრებ, როცა ჩავიხატავ – ეს ბევრჯერ მაქვს გამოცდილი: ალბათ ჩახატვის პროცესში წარმოებული გააზრება მოტივისა, საგანთა ფორმების თუ ფერის შეთანადება-დაპირისპირება, მოკლედ – ანალიზი, თუმც კი სახელდახელო, მეხსიერებაში უკეთ მკვიდრდება.

მთელი ალბომი გავავსე ჩანახატებით და სად? სწორედ რომ ვერ ვიფიქრებდი, თუ ამდენი "სიმდიდრე" აღმოჩნდებოდა ასეთ შეუფერებელ სიტუაციაში...

შემდეგ სასაფლაომდეც წავყევი ავტობუსს და ვინანე, რომ მეორე ალბომი არ მქონდა. გამოსავალი ვიპოვე – ნახატებიანი ფურცლების მეორე, სუფთა გვერდზე განვაგრძე მუშაობა.

შინ მისულს უკვე სურათის ჩანაფიქრიც ამეკვიატა. მრავალი ჩანახატიდან ერთ-ერთი შევარჩიე, ზოგიერთი სხვა ჩანახატიდან რაღაც-რაღაცეები დავამატე, და ასე, ერთი კვირის წვალების შემდეგ, შავი მონახაზი სურათისა ფანქარში მზად მქონდა. ზეთის საღებავებით ეტიუდი უკვე სწრაფად შევასრულე, მერე კი უკვე შედარებით გამიიოლდა ტილოზე მთელი სურათის დაწერა.

კუთხეში სურათის შესრულების დროისა და ჩემი ხელმოწერის შემდეგ წითელი საღებავით წვრილად მივაწერე: "ვუძღვნი ბახვა ბახვაძეს".

სხვათა შორის, ეს სურათი საშემოდგომო გამოფენაზე იყო ექსპონირებული; რა თქმა უნდა, ბახვაც მალე გავიცანი და მორიგ საგაზაფხულო გამოფენაზე ბახვა ბახვაძის პორტრეტიც გავიტანე...

1989

ინდური ფილმი

ვაშა, შინ მარტო ვარ!... ცოლი და ბავშვები სადღაც წასულან, სანამ დრო მაქვს, ერთ ნოველას ჩავუჯდები – კარგა ხანია, დაწერას ვაპირებ...

"მაგრამ ქვეყნად ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა"...

მაგიდასთან წესიერად დაჯდომაც ვერ მოვასწარი, რომ კარის საკეტმა დაიჩხაკუნა და ოთახში გიუებივით შემოგლიჯინდნენ ცხრა წლის ბესიკი და რვა წლის დათუნა – აღგზნებულნი, ლოყებდაწითლებულნი, თვალებგაბრწყინებულნი... მათ შემოჰყვათ მღიმარე ქალბატონი ლია, ფრიად კმაყოფილი იერით.

– მამიკო, მამიკო! – მომვარდნენ ბიჭები, კინაღამ სკამიდან გადმომაგდეს, – ჩვენ ინდური ფილმი ვნახეთ!.. ორსერიიანი!

– ღრმაღელეში ვიყავით, "ყოვლისშემძლე" ვნახეთ! – მახარა ცოლმა.

– იმ სიშორეზე აწანწალე ბავშვები? – შევხედე ცოლს.

– ორი საათი რიგში ვიდექით! – ლია დივანზე მიესვენა. – იცი, რა ამბავია?!. თავ-პირს ალეწავენ ერთმანეთს!

– ასეთი საშინელი ფილმია?

– ფილმი კი არა, ჯერ ბილეთების რიგში! ინდურ ფილმებზე სულ ასეა.

– იცი, მამიკო, რა კარგი კაცია? ყველას ერევა! – ერთმანეთს არ აცლიან ლაპარაკს ბიჭები. – ბოროტი კაცი... ორთქლმავლის წამყვანი... ქურდები... მოტოციკლით გაფრინდა... ბუთხუზა კაციც არის... ის მსუქანა რომ არ ყოფილიყო, სასაცილო არ იქნებოდა!

მინდა, ჩემს საქმეს მივუბრუნდე, როგორმე შევაწყვეტინო ლაპარაკი:

– მერე, მერე მომიყევით, ახლა იმეცადინეთ... დათო, ხვალ საკონტროლო წერა გაქვს მათემატიკაში! არ გშიათ? წადით, ჭამეთ, მე ხელს მიშლით...

ვინ არის ჩემი გამგონი! ცოლიც ჩაერთო ინდური ამბის მოყოლაში:

– ვერ გაიგე? თავიდან მოგიყვები! მატარებელი მიდიოდა და ერთი კაცი ეუბნება მეორეს, პირველად ვიყურები დურბინდშიო; ნახე, ეგერ კაცი გარბის და ოთხნი მისდევენო...

– ქალო, სარეცხს მიხედე, ერთი კვირაა გასავლებად ჩაგიყრია, დაგილპება!

ქალბატონი ლია ასეთი აღფრთოვანებული კარგა ხანია, არ მინახავს:

– მეორე გამოართმევს დურბინდს, აბა, მანახეო. უი, ეს ხომ ჩემს შვილს მისდევენო და მატარებლიდან გადახტება დასახმარებლად...

ისევ დასაწერ ნოველაზე ფიქრი მაწვალებს... ჯერ ცოლი მინდა მოვიცილო:

– პალტოს ჯიბეები სამი წელია, გახეული მაქვს, ხურდა ფულით გაივსო სარჩული, დამძიმდა, ძლივს დავათრევ... დამიკერე, ღმერთი არ გწამს?!.

შენ ქალს გააჩერებ? ბავშვებს რაღა ჭკუა მოეთხოვებათ... მჭიდროდ ალყაშემორტყმული, გარე-მოცვაში სუსტ ადგილს ვერ ვპოულობ, ვერავის გავაკმენდინე ხმა. თავი წამჭამეს, ყველანი ერთად ლაპარაკობენ:

– ეს კაცი გარბის ლიანდაგებზე და ცხენებით მისდევენ... მისდევენ, მისდევენ...

უკანასკნელ ხერხს მივმართე:

– ტელევიზორში მულტფილმებია! თოჯინები, თოჯინები!

სულ ტყუილად ვიჭაჭები... სხვა დროს ბიჭები ყველაფერს მიატოვებდნენ და ტელევიზორის ეკ-რანს მიაჩერდებოდნენ, ახლა კი რა დაემართათ? ერთი სული აქვთ, სანამ ინდურ ფილმს დაწვრი-ლებით ჩამიკაკლავდნენ...

კარგახანს ვითმინე, მერე შეწყალება ვითხოვე:

– საქმეს მაცდენთ, აღარ გაათავებთ? რაა ასეთი უსაშველო?

– ჯერ პირველი სერია არ დამთავრებულა! – მახარეს ბიჭებმა. – ბანდიტების უფროსი თვით-მფრინავში მის გვერდით დაჯდება...

ნეტა მე ვიყო ყოვლისშემძლე ჯადოქარი, ინდურ ფილმებს საერთოდ არ გავაჭაჭანებდი ეკრანებ-ზე. უსასრულო მოთმინებით აღვიჭურვე უსასრულოდ გაწელილი ფილმის მნახველთა შემოტევის-გან... სხვა რა ძალაა, მთელი საღამო მათ მონათხრობს უნდა შევწირო... ერთი შეღავათი ისაა, რომ არცთუ მხიარული ახალი ნოველის თემა ვიპოვე...

იჩქარეთ, იჩქარეთ ინდური ფილმის "ყოვლისშემძლეს" სანახავად! თუ სხვა ფილმი იქნება, არა უშავს, ოღონდ ინდური იყოს, რა განსხვავებაა? ყველა ერთ თარგზეა გამოჭრილი: გულის ამაჩუყე-ბელი მელოდრამატული ამბავი, შეკმაზული გაუთავებელი ცეკვა-სიმღერით, დევნით, ჩხუბით და დაგვირგვინებული კეთილი დასასრულით (ჩემს ტანჯვა-წვალებას თუ ექნება დასასრული?)...

ოღონდ ერთ რამეს უმორჩილესად გთხოვთ: ღვთის გულისთვის, სხვას რას ერჩით, ნუ მოუყვე-ბით ფილმის შინაარსს!

1985

კინოტრაგიკომედია

სულელი უნდა იყო, ჩვენს დროში კინოფილმის გადაღებაზე თუნდაც რომ გაიფიქრო. ვის რად უნდა შენი გენიალური ფილმი, ვინ იყიდის? მხოლოდ ზარალს ნახავ. თუ კომერციულ ფილმს აკე-თებ, აქაც წაგების მეტი არაფერი შეგრჩება, თუ არ ჩავთვლით აგრეთვე ნერვების წეწვას და დრო-ის ტყუილად დაკარგვას. შენ შეეჯიბრები ნებისმიერი ჟანრის ამერიკულ, უმაღლეს ტექნიკურ დონე-ზე გადაღებულ კომერციულ ფილმებს? მაგრამ, შენ წარმოიდგინე, მაინც გამოჩნდებიან ხოლმე ადა-მიანები, რომლებიც მიდგებიან, მოდგებიან, რაღაც მანქანებით მოაქუჩებენ განსაზღვრულ თანხას და იწყებენ ფილმის გადაღებას "გენიალური" სცენარით, იმ იმედით, რომ წაგებულები არ დარჩები-ან და სახელსაც მოიხვეჭენ...

ერთ ასეთ შემთხვევაზე გიამბობ. პროდიუსერმა იპოვა სპონსორი, იყიდა უკვე დაწერილი, მზა კომედიური სცენარი, შეარჩია რეჟისორიც... დამუშავდა რეჟისორული სცენარი, ჩამოყალიბდა გადამ-ღები ჯგუფი, მოიწვიეს მსახიობები... და დაიწყეს გადაღება, უფრო სწორი იქნება, თუ გადაღების კომედიას ვუწოდებთ. ხომ იცი, რა ძვირია ახლა მასალები, ტრანსპორტი. ფული მალე შემოაკ-ლდათ. რა უნდა ქნან? შეცვალეს ერთი ეპიზოდი – გაამარტივეს, შემდეგ სულაც ამოაგდეს... მერე შეცვალეს რამდენიმე მსახიობი – ნაკლებ ცნობილები აიყვანეს, უფრო იაფად გაურიგდნენ. არ ეყოთ სახსრები რეჟისორული სცენარის მიხედვით შედარებით შორ ადგილზე ნატურაზე გადასაღე-ბად და წავიდნენ სხვაგან – უფრო ახლოს. მერე ამოიღეს ერთი მეორეხარისხოვანი როლი, მეო-რეც... ფული ყველაფერს მაინც ვერ გასწვდა. შეცვალეს მოქმედებაც, რამდენადაც მოქმედი პირები-დან ზოგი უკვე ამოგდებული იყო, ზოგი როლი თავისთავად გაუქმდა – ერთი მსახიობი დაიჭირეს, მეორე საზღვარგარეთ წავიდა, მესამე უფრო სარფიან კომერციულ საქმეს მოეკიდა, მეოთხე სხვა ფილმის გადაღებაზე გადაიბირეს მაღალი ჰონორარით...

საწყალი სცენარისტი კინაღამ ჭკუაზე შეიშალა სცენარის გაუთავებელი გადაკეთებით. როცა ცვლილებებს ბოლო აღარ აღმოაჩნდა, ამჯობინა, ამ საქმეს საერთოდ ჩამოშორებოდა.

შეიცვალა გადამღები ოპერატორი – კონტრაქტით გათვალისწინებული დრო რა ხანია გავიდა, თანაც ფულსაც იშვიათად და არასრულად უხდიდნენ და მოთმინების ძაფი გაუწყდა.

ფილმზე მუშაობა უსახსრობის გამო თვეობით წყდებოდა ხოლმე.

დამდგმელ რეჟისორს ამდენი ნერვიულობა კინადამ ფსიქიკურ აშლილობაში გადაეზარდა და გაუხარდა კიდეც, როცა სხვა, ნაკლებ მომთხოვნი (და ბევრად ნაკლებღირებული – შემოქმედებითად და, რაც მთავარია, ფინანსურად) რეჟისორი მიიწვიეს.

ის დროც დადგა, როცა ფულის შოვნის ყველა გზა (სესხება, პირადი ქონების გაყიდვა, შემოწირულობა...) საბოლოოდ ამოიწურა... არადა, გადაღების მეტი წილი უკვე შესრულებული იყო. საწყენად დარჩათ, რომ მეტი ფული ვერავითარი გზით ვეღარ იშოვეს...

რაღა უნდა ექნათ? ერთი გამოსავალიღა დარჩათ: დაიწყეს ძებნა ხალხისა, რომლებიც გადაღებულ მასალას იყიდდნენ და შემდგომ ფილმის დასრულებაზეც იფიქრებდნენ...

დაუსრულებელი ფილმის ასეთი ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია რამდენჯერმე მოხდა და კარგა ხნის შემდეგ ნატანჯ-ნაცოდვილარმა "ხელოვნების ნაწარმოებმა", როგორც იქნა, დასრულებული სახე მიიღო.

როგორ ფიქრობთ, როგორი?

კომედიის მაგივრად გამოვიდა... დრამა!

მშვენიერ იდეას გთავაზობთ: გადაიღეთ ფილმი ფილმის გადაღებაზე – უკეთესი კომედია რაღა გინდათ!

წარმატება გარანტირებულია!

რაღა თქმა უნდა, თუ საკმაო თანხის შეგროვებას მოახერხებთ!

1996

თეატრალური სეზონის დახურვისადმი მიძღვნილი საღამო

ტრიბუნაზეა რეჟისორი დომენტი ალექსი-ხუთჭკუაშვილი:

– რა დაგვანახვა წარსულმა თეატრალურმა სეზონმა? თანამედროვე ეტაპზე, როდესაც რეჟისორულ ხელოვნებას უნარი შესწევს, სრულყოფილად განახორციელოს ურთულესი პიესები, მოწმენი ვართ შემაშფოთებელი ფაქტისა: თეატრი სულ უფრო ნაკლები პოპულარობით სარგებლობს! სრული ობიექტური ჭეშმარიტებაა, რომ ფესვები ასეთი არანორმალური მდგომარეობისა თანამედროვე დრამატურგიაში უნდა ვეძებოთ! ჩვენ გვჭირდება ჩვენი დროის იბსენი და შექსპირი, გოგოლი და ლოპე დე ვეგა... სამწუხაროდ, უმეტესობა ნიჭიერი მწერლებისა გაურბის დრამატურგიას, ხოლო დანარჩენები იმდენად მდარე ხარისხის პიესებს გვთავაზობენ, რომ მრავალჯერადი გადამუშავების შემდეგაც ვერ აკმაყოფილებენ მომთხოვნი მაყურებლის გემოვნებას. მაღალმხატვრული პიესების უქონლობა დამღუპველად მოქმედებს ჩვენი მსახიობების შემოქმედებით ზრდაზე, განსაკუთრებით – ახალგაზრდა მსახიობების პროფესიულ დაოსტატებაზე... ყველაფერი ეს მე თეატრის სიყვარულმა მათქმევინა, რომელსაც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება შევწირე! ჩვენი თეატრის ავ-კარგის ობიექტური შეფასება, იმედი მაქვს, კარგ შედეგებს მოგვცემს.

ტრიბუნაზეა მსახიობი ამბაკო მასხარაძე:

– არა მგონია, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, რომ არცთუ ისე სასიამოვნოა ნახევრად ცარიელი დარბაზის წინაშე თამაში. მაყურებელს უნდა, ნახოს თანამედროვეობის ამსახველი მაღალმხატვრული სპექტაკლები, რომლებშიც დასმული იქნება ჩვენი ცხოვრების აქტუალური საკითხები. ამის მაგივრად დრამატურგები ხალისით წერენ და რეჟისორები ხალისით დგამენ მრავალრიცხოვან ისტორიულ პიესებს. მხოლოდ ასეთ პიესებში თამაშმა ძნელია, განგაცდევინოს შემოქმედებითი კმაყოფილება. რეჟისორები სხვა მხრივაც სცოდავენ: არ ითვალისწინებენ მსახიობის სურვილსა და ინდივიდუალობას და ბორკავენ მის შემოქმედებით ფანტაზიას. ჩვენ გვჭირდება თანამედროვე მეიერხოლდი და სტანისლავსკი, ბრეხტი და მარჯანიშვილი! თეატრი ჩვენი სახლია და ჩვენ გვინდა, ყოველდღიურად ბევრი სტუმარი გვეწვიოს და ყველას სიხარული მივანიჭოთ ჩვენი ხელოვნებით.

ტრიბუნაზეა დრამატურგი სოფოკლე ვერმიშველიშვილი:

– ეს ერთი თეატრალური სეზონიც მიიწურა და გამოჩნდა სავალალო შედეგი: თეატრალური ხელოვნება კრიზისს განიცდის, სულ უფრო კნინდება, ვეღარ იზიდავს მაყურებელს... პირუთვნელად შეიძლება ითქვას, რომ ამ დეპრესიის სათავეები უნდა ვეძიოთ ჩვენი წამყვანი რეჟისორების გატაცებაში თეატრისთვის უცხო ტენდენციებით. იმის მაგივრად, რომ შემოქმედებითად ჩასწვდნენ დრამატურგის ჩანაფიქრს, რეჟისორები მიმართავენ პიესების ტექსტის გადაკეტება-დამახინჯებას: ამოჭრიან ყველაზე მნიშვნელოვან სცენას, სანაცვლოდ ჩააკერებენ ახალს, რომელიც ავტორს არც დასიზმრებია, გადაადგილებენ მოქმედებებს და შეცვლიან პიესის ბოლოს. "გაუმჯობესებულ" პიესას ავტორი ვეღარ სცნობს და იმასღა ფიქრობს – კინოშია თუ ცირკში, რადგან სცენის დიდი ნაწილი კინოეკრანს უკავია, ხოლო თვით სცენა მაყურებელთა დარბაზის ცენტრში გადაუტანიათ... მსახიობები კი (განსაკუთრებით – ცნობილნი) სჯერდებიან ერთხელ მიღწეულ წარმატებებს და პრემიერის შემდეგ

სულ უფრო აუარესებენ თამაშს. თეატრი ჩვენი ღვიძლი საქმეა და საჭიროა მისი ნაკლოვანებების პირუთვნელი, ობიექტური კრიტიკა.

1963

რეზოებმა გადაჭამეს ქვეყანა!

ამბობენ, საქართველოში ყოველ მეორე მამაკაცს გიორგი ჰქვიაო, ყოველ მესამეს – დავითიო... რა უჭირს მერე. მე სხვა საშიშროებას ვხედავ, დროზე უნდა შემოვკრათ განგაშის ზარი!!!

რა მოხდა ისეთიო, იკითხავთ... მეტი რაღა გინდათ, აღარაა საშველი – რეზოებმა გადაჭამეს ქვეყანა!

არ გჯერათ?

გაიხედ-გამოიხედეთ – მთელი ხელოვნება მაგათია. ისეა რეზოებით გაჯერებული საქართველოს ინტელექტუალური გარემო, რომ არარეზოები ვერაფრით ჩაეკვეხებიან: მჭიდროდ დგანან რეზოები, მკვიდრად, ვითარცა რომაული ფალანგა! ხელს კი არა, თითს ვერ გაანძრევ, თითს... თუნდაც პოეზია ავიღოთ, ჩემო ბატონო, ნახეთ და დარწმუნდით – რეზო, იგივე მირზა, გელოვანი, რეზო მარგიანი, რეზო ამაშუკელი... ახლა პროზა? აქ უარესი მდგომარეობაა: რეზო ინანიშვილი, რეზო ჯაფარიძე, რეზო ჭეიშვილი, რეზო მიშველაძე... როგორ გაიხარებ? რეზო ჭეიშვილი წერს და წერს, ჩემო ბატონო, – რომანებიო, მოთხრობებიო, კინოსცენარებიო... რეზო ჯაფარიძემ იმდენი წიგნი გამოსცა, ერთ ურემზე არ დაეტევა... რეზო მიშველაძე? ღმერთო, შენ მიშველე! წყალდიდობაზე და მეწყერზე უარესია – ყოველ წელს ორ-სამ სქელტანიან ტომს ბეჭდავს, ათასზე მეტი, მგონია, მხოლოდ მოთხრობა ექნება გამოქვეყნებული... ახლა პიესები, კრიტიკული წერილები, მონოგრაფიები? ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა და თუ დროზე არ მივიღეთ საჭირო ზომები, მისი შემოქმედებითი პროდუქტიულობის ზვავი თავფეხიანად დაგვნთქავს და დაგვმარხავს!

რეზო თვარაძე – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, მთარგმნელი?

რეზო თაბუკაშვილმა პოეტობა, დრამატურგობა და მთარგმნელობა არ იკმარა და კინოშიც მიიტაცა ტერიტორია... დიახ, რეზიკოების სტიქიური უბედურების ტოლფას შემოტევას ვერც თეატრი და კინო გადაურჩა. რეზო გაბრიაძე? პროზაიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი, კინოდრამატურგი, მხატვარი (ხომ არაფერი გამომრჩა?) – რამდენი თავი აბია ამ გველეშაპს? ან რამდენი ხელი – როგორ ასწრებს ყველაფერს? რეზო ესაძემ (მაგარი მხატვარიცაა!) ყველანი შოკში ჩაგვაგდო კინოწკიპურტებით, რეზო ჩხეიძემ ჯარისკაცის მამა რომ შემოგვისია, მას მერე რა უნდა გააკეთო კინოში? ან რეზო ლაღიძემ რომ ყველა აგვამღერა, რას შექმნი მის შემდეგ უკეთესს?

ასე თათარიახნად, სახელდახელოდ ყველას ვერც გაიხსენებ, მაგრამ რეზოთა შემოტევის კატასტროფული მასშტაბი და მოცულობა ისედაც ეჭვს არ იწვევს! ამის დასტურია თუნდაც ის, რომ თითქმის ყველა ზემოდასახელებულმა რეზომ რუსთაველის პრემია მიიტაცა! ახლა სხვა პრემიები?

დიად, რეზოებმა გადაჭამეს ქვეყანა!

მხატვრები? იმათზე რატომ არაფერს ამბობო, მისაყვედურებთ... რეზო თარხან-მოურავი, რეზო კაკაბაძე, რეზო ცუცქირიძე... კინომხატვარი რეზო მირზაშვილი? რეზო (ემელიანე) ადამია?

ევრიკა! მგონი, გამოსავალს მივაგენი!

როგორ გგონიათ, ემელიანე ადამიამ რეზო რატომ დაირქვა? მიხვდით?..

თუ ხელოვნებაში რამე გინდა შექმნა, რეზო უნდა გერქვას! ან სხვა ქვეყანაში უნდა გაიხიზნო რეზოების შემოტევისგან!

მე ჩემი მშობლების შეცდომას ვეღარ გამოვასწორებ, რასაკვირველია, და სახელს ვერ გამოვიცვლი – ჩემი საქმე დაღუპულია... მერე მაინც მესწავლა ჭკუა – ჩემი ორი ბიჭიდან ერთისთვის მაინც დამერქმია რეზო? თუ ცოცხალი ვიქენი და შვილიშვილ ბიჭს მოვესწარი, ამჯერად მაინც აღარ შევცდები!

1999

სასაცილო ამბავი

ყველას ათას ერთი საქმე გვაქვს ამ აფორიაქებულ დროსა და მოუწყობელ ქვეყანაში... რასაკვირველია, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ამას წინათ სამსახურიდან სამუშაო დროის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე მივდიოდი და ბედი არ გინდა? – ეზოში ბატონი გოგილო შემხვდა. ეს დალოცვილი ახლა მოდის სამსახურში, მოცლილია ნამდვილად!

– გავიგე, მხიარულ რაღაცეებს წერ თურმე, ამას წინათ შენი სტატია წავიკითხე გაზეთში და, მართალი გითხრა, მომეწონა! – მახარა ბატონმა გოგილომ და ჭაღარა ულვაშებზე მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი გადაისვა.

– მოხარული ვარ, ბატონო გიორგი, რომ ჩემი ნოველა მოგწონებიათ, მე კი უკმაყოფილო დავრჩი... როგორც იქნა, ერთი მოთხრობა ძლივს დამიბეჭდეს და ისე უბედურად შეკრიჭეს, რედაქციულად ვითომ შეალამაზეს და "გააკეთილშობილეს", რომ მე თვითონ ვეღარ ვცნობ ჩემსავე ნაწერს. თანაც ბოლო ნაწილი სულ მოკვეთეს, ადგილი არ გვეყოო, ამით ნოველის აზრი და მარილი სულ დაიკარგა... ნეტავ სულ არ დაებეჭდათ! – ვერ შევიკავე თავი.

– მაინც კარგია! – მხარზე ხელი მომითათუნა ბატონმა გოგილომ, – მთავარია დასაწყისი, ორბიტაზე გასვლა, მერე უფრო იოლად დაგიბეჭდავენ. მე მასალა მაქვს თავზე საყრელი, შენ ოღონდაც დამიჯერე და იმდენს მოგიყვები სასაცილო ამბებს, ერთი გემრიელი წიგნი გამოგივა!.. მომისმინე! ახლა, ვატყობ, გეჩქარება და მხოლოდ ერთს მოგიყვები... მეზობელი მყავს – მტრისას! ყოვლად უვარგისი, გაბღენძილი, შურიანი. ერთი შეგახედა მაინც – ჭამისგან ქონის ტომარად არის ქცეული, შენ კი, შიმშილით რომ სული გძვრებოდეს, ერთ ლუკმას არ მოგაწვდის... ჰოდა, ამას წინათ ეზოში ვისხედით კაცები – დომინოს ვთამაშობდით – და ის ჩემი მეზობელი, ზაქრო, მობრძანდება... ხელში უზარმაზარი საზამთრო უჭირავს ამაყად, ათი კილო მაინც იქნებოდა. დაუცდა ფეხი კიბეზე, წაიქცა და გაუვარდა საზამთრო ხელიდან... ზედ სადარბაზოს შესასვლელთან, თითქმის შინ მისულს. დაგორდა ეს საზამთრო და გასკდა შუაზე; მანქანა მოდიოდა და ახლა იმან გადაუარა ზედ. ჩვენ ჩავბჟირდით სიცილით, კინაღამ დავიხოცეთ! როგორია, ა?

ღიმილით პირდაფჩენილი გოგილოს ოქროს კბილების მხიარულ ბრჭყვიალს როგორ ჩავაქრობდი, კაცს გულწრფელად უნდოდა, ჩემთვის ხელი გაემართა, ხომ უნდა დააფასო კეთილი დამოკიდებულება?!.

– ბატონო გიორგი, მშვენიერი ამბავია, თქვენც ძალიან კარგად მოყევით, ჩემგან უსინდისობა იქნება, რომ გაგძარცვოთ... გირჩევთ, თქვენ თვითონ დაწეროთ, ჩემზე უკეთ გამოგივათ!

ოჰ, კიდევ რამდენჯერ ვინანე, რომ მხიარული ნოველა გამოვაქვეყნე!

ნუნუკას გადავეყარე, ენაჭარტალა ნუნუკას; გემრიელად გადამკოცნა, მომილოცა წარმატება, თვალებგაბრწყინებულმა მადლობის თქმაც არ მაცალა, ისე მომაყარა ტყვიამფრქვევივით:

– ერთ ამბავს მოგიყვები, მასალად გამოგადგება, სხვას კიდევ მერე გეტყვი... ერთი დაქალი მყავს, ჭორბიურო, რას არ გაიგონებ მისგან. შენ იცნობ მას, ამიტომ ნამდვილ სახელს არ გეტყვი, ვითომ ნატო ჰქვია. ამ ნატომ მზიაზე თქვა, არ ვიცი, მართალია თუ ტყუილი, რომ ვითომ ამას წინათ სამსახურში მოტანილი ფეხსაცმელი თავის ფასში კი არ გაყიდა (უჭერდა და ვერ იხმარა), ორმაგ ფასში შეაჩეჩა ჩვენს ბუღალტერს. გაიგო ეს ამბავი მზიამ, მიუვარდა ნატოს და თმებით დაითრია! ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ფეხსაცმელი გაიხადა და იმით სცემა!.. ხომ სასაცილოა? ჰა-ჰა-ჰა!.. ნეტა გენახა, გავიფხრიწეთ სიცილით!

– ჰო, ძალიან სასაცილოა! – უკვე გამოცდილება მქონდა ერთგვარი, დავა არ დავუწყე, უკვე გაკვალულ გზას გავყევი: – ჩემო ნუნუ, ძალიან მომეწონა შენი ნაამბობი; ისე კოხტად ჩამოაწიკწიკე ყველაფერი, ჩემი მხრივ ვერაფერს შევმატებ, მხოლოდ გავაფუჭებ... უნდა დაწერო, უეჭველად, დიდ ნიჭს გატყობ!..

ამ ხერხის გამოყენება კიდევ მრავალჯერ მომიხდა.

ბუღალტერმა მარომ მომიყვა, როგორ გამორჩა ცუცას ხელფასების უწყისის შედგენისას თვით დირექტორის გვარი, გაცეცხლებულმა დირექტორმა დაიბარა ცუცა და ერთი თვის პრემია მოუხსნა; ქალები გადაფიჩინდნენ თურმე...

ჩემმა ძმაკაცმა სანდრომ სალაღობო ამბავი მაჩუქა: მისი შვილიშვილის დაბადებიდან ერთ წლისთავზე როგორ უბედურად დაათრო სიძე-ბატონი...

მეზობლის ბიჭმა, მეცხრე კლასის მოსწავლემ, მომითხრო, რა ოინებს უწყობენ ქიმიის მოხუც მასწავლებელს: სკამზე უსხამენ წებოს, პარავენ საკლასო ჟურნალს და იქ ფრიადებს იწერენ, გაკვეთილზე მართავენ ქაღალდის ჩიტებით შეჯიბრს, მოჰყავთ კლასში მაწანწალა ძაღლი...

სასაცილო ამბები შემომთავაზეს სრულიად უცნობმა ადამიანებმაც. რა ვიცი, მარად დაღვრემილი რომ დავდივარ, იმით ხომ არ მიხვდნენ ჩემს ჰუმორისტობას? ჯერ ვითვლიდი, რამდენმა კაცმა, ქალმა თუ ბავშვმა განიზრახა ჩემი დახმარება; როცა მათმა რიცხვმა ასს გადააჭარბა და გეომეტრიული პროგრესიით განაგრძო ზრდა, ხელი ჩავიქნიე, თვლას შევეშვი.

ცოლს შევჩივლე: თურმე წარმოდგენა არ მქონია ჰუმორზე – ამდენი სასაცილო ამბავი ხდება ქვეყნიერებაზე, მე კი ბაიბურში არ ვარ... მადლობა უფალს, უშურველი დამხმარენი ასე მრავლად ყოფილან – სქელი ყოველკვირეული მხიარული ჟურნალის გამოცემა თუ უშველის საქმეს...

ცოლმა ჩემს ირონიას ვერაფერი გაუგო. თუმცა იცოდა, მაგრამ მაინც დააზუსტა, იმ დაბეჭდილ ნოველაში რა ჰონორარი მერგო, მერე ტაში შემოჰკრა – დღეში თითო ნოველა რომ დაწერო, იქნება ცოტა წელში გავიმართოთო...

მისი ამბავი რომ ვიცი, თავისას გაიტანს და თავს უნდა ვუშველო: ჯერ ერთი, ცოლს სასწრაფოდ უნდა გავეყარო, მეორე – გვარი გამოვიცვალო და მესამეც – აწი მხიარულ ნოველას კი არა, უბრალო მოსაკითხი წერილის დასაწერადაც აღარ მოვკიდებ კალამს ხელს...

ღმერთო, შენ მიშველე!..

1991

ჰუმორისტი რედაქციაში

სამი ყველაზე მხიარული მოთხრობა ამოვიღლიავე და მივადექი ჟურნალ "დაისის" რედაქციას. ისეთ ჯურღმულში იყო მოთავსებული, სადღაც მეხუთე სართულს ზევით, მანსარდაში შეყუჟული, რომ ძლივს ავაღწიე. გზა-გზა კიბეზე სიარულში წავივარჯიშე. ჩემთან ერთად გოლგოთის გზას შესდგომოდნენ საქაღალდეებით ხელში სხვანიც მრავალნიც – ვხედავდი წინ მიმავალთა მოხრილ ზურგებს, ფეხსაცმელთა მონგრეულ ქუსლებს, მესმოდა ჩემს შემდეგ მომავალთა ცხელი სუნთქვა, ქოშინი, ჯოხის კაკუნი (ეტყობა, ოლიმპოსკენ მიმავალ გზას მრავლად შესდგომოდნენ სხვადასხვა რანგის პენსიონერებიც).

გამიკვირდა: როცა რედაქციის კარი შევაღე, დერეფანში არავინ ჩანდა. სად გაქრნენ ზევით მიმავალნი? რაიმე საიდუმლო ლუკი ხომ არ აქვთ ნეტავ მოწყობილი მოზღვავებულ უკვდავების მაძიებელთაგან თავის დასახსნელად? მეც არ ჩამიშვან შიგ... რიხინ-რიხინით ჩავალ პირველ სართულამდე! რამდენ წამში?..

შიშისგან გამაცივა...

ფრთხილად, მოზომილად ვდგამდი ნაბიჯებს, თან აქეთ-იქით ვზვერავდი გარემოს... ვაითუ უცებ ვიღაცამ გემრიელად მდრუზოს თავში მწყემსის კომბალი? კრიტიკულ "კომბლებს" ჩვენში რა გამოლევს, იმათ ყველანი შევეჩვიეთ...

მორიდებით შევიჭყიტე პირველ ოთახში... იდილიური სურათია – სამი ახალგაზრდა ქალი შეკრებილა პატარა მაგიდის გარშემო; ფეხი ფეხზე კოხტად გადაუდვიათ, ბოლავს მათ ნატიფ თითებში გარჭობილი სიგარეტები და ასდის სურნელოვანი ორთქლი ცხელ ყავას პატარა ჭიქებიდან...

გაამოთ, გაამოთ...

მეორე ოთახში უფრო გაბედულად შევაბიჯე – სიჩუმემ გამათამამა: კაცები შემოჯაროდნენ საჭადრაკო დაფას; ორნი სკამებზე ისხდნენ და თამაშობდნენ, ორნიც მაგიდაზე წამოსკუპებულიყვნენ და მათ თამაშს ზევიდან ადევნებდნენ თვალს. აქაც თამბაქოს კვამლით იყო ოთახი სავსე და საჩქაროდ გამოვვარდი უკან.

მესამე ოთახი სულ ცარიელი იყო, მეოთხეში სქელი, მელოტი მამაკაცი თვლემდა, წინ, მაგიდაზე, გადაშლილი ჟურნალი ედო – "დაისი" ხომ არა? აღარ დამიზუსტებია ეს საკითხი, მოვერიდე ტკბილ ბურანში გახვეულის შეწუხებას.

მეხუთე ოთახში ახალგაზრდა ქალიშვილი საგულდაგულოდ იღებავდა წამწამებს. სარკიდან თავი არ აუღია, ისე ამიხსნა, რომ დიახ, ამ ოთახში იყო განთავსებული პროზის განყოფილება, რომლის თანამშრომელთანაც მქონდა ბედნიერება ამჟამად მესაუბრა. თავაზიანად მირჩია, მომეცადა განყოფილების გამგისთვის, ამავე დროს წამითაც არ შეუწყვეტია სარკეში ჭყეტა და პატარა ფუნჯით ფაქიზი მანიპულაციები.

ჩავჯექი შემოთავაზებულ სავარძელში. მოწყენილობისგან ვათვალიერებდი ოთახს: დანჯღრეული მაგიდები, დანჯღრეული სკამები, გაყვითლებული ხელნაწერებით გამოტენილი დანჯღრეული კარადები... მიკვირდა ქალიშვილის გულმოდგინება – ისეთი რა ჯიშიანი წამწამები ჰქონდა ნეტავ, ან რა გამძლეობა, რომ სრულ ერთ საათს თავი ერთხელაც არ აუღია სარკიდან? გული გამიწყალდა, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ავდექი, გავისეირნე ოთახში, ისევ დავჯექი; მერე გასართობად დავიწყე თვლა, რამდენი პიროვნება შემოჰყოფდა თავს გაღებულ კარში და იკითხავდა განყოფილების გამგეს. როცა გვარიანად მომშივდა და თავშემოყოფილთა რაოდენობამ ოცს გადააჭარბა, თავაზიანად დავემშვიდობე ლიტერატორ ლამაზმანს (სარკიდან თავის აუღებლად ჩაიბურტყუნა: "ნახვამდის!") და დავეშვი კიბეზე (სამი ნოველა კი დავტოვე – უცნობი განყოფილების გამგის საჭაშნიკოდ).

სამი დღის შემდეგ ისევ ვეწვიე რედაქციას. ლამაზმანი თანამშრომელი ამჯერად მანიკიურის კეთებით იყო გართული. ვუცადე განყოფილების გამგეს ზუსტად ორი საათი... "გამოიარეთ!" – თავაზიანად დამემშვიდობა ლამაზმანი, როცა განყოფილების გამგის ნახვის იმედი გადამეწურა.

ერთი კვირის შემდეგ ისევ შევაღე რედაქციის კარი. ლამაზმანი საოცრად დიდხანს ლაპარაკობდა ტელეფონით, თან ღია ფანჯარაში გასცქეროდა ახალშეფოთლილ ხეებს. კარგა ხნის შემდეგ, შემამჩნია კართან ატუზული. "ერთი წამით!" – ჩასძახა ყურმილში, რათა ჩემთვის ეცნობებინა, რომ განყოფილების გამგე ერთკვირიანი მივლინებით იყო სადღაც გაგზავნილი.

კიდევ ორი კვირის შემდეგ: "გამგემ ერთი ფეხით გაგასწროთ, მალე მოვა, დაელოდეთ!". სამი საათი ვიყურყუტე – უშედეგოდ. არა, პატარა შედეგი მაინც ჰქონდა ჩემს ცდას – კრიტიკა-პუბლიცისტიკის განყოფილებაში სამი ხელი ჭადრაკი მოვუგე რედაქციის თანამშრომლებს და საკმაოდ სოლიდური შესახედაობის პარტნერების ერთგვარი პატივისცემაც დავიმსახურე.

ერთკვირიანი უხელფასო შვებულება ავიღე – ყოველდღე დავუდარაჯდები, ახლაც ვერ მოვიხელთებ განყოფილების გამგეს?!.

ერთი კვირის განმავლობაში დილიდან საღამომდე რედაქციაში ვიჯექი და იმდენად შემეჩვივნენ თანამშრომლები, უკვე სახელით მომმართავდნენ. ზეპირად ვიცოდი, რომელ ოთახში ჭერში რა ფორმის ნაწვიმარი ყავისფერი ლაქები იყო და რას შეიძლებოდა მათი მიმგვანება. დერეფანში მდგომი ზამბარებმოშლილი დივანი ჩემი უახლოესი მეგობარი გახდა (მას შემდეგ, რაც ჭადრაკის გაჭიანურებულ ხელს გადავყევი, განყოფილების გამგე კი მოსულა კიდეც და გამასწრო კიდეც).

გაზაფხული მიილია, მოილია თუთა, ბალი, ალუბალიც... ეზოში მდგარი ასწლიანი მამალი თუთა (მისი ტოტები რედაქციის ფანჯრებს სწვდებოდა) უფრო მოისხამდა ნაყოფს, ვიდრე ჩემს დადარაჯებას ექნებოდა ნაყოფი...

დაცხა.

სამსახურში უკვე მემუქრებოდნენ, გაცდენებისთვის გაგაგდებთო. მწარედ მეცინებოდა. ამასობაში გავხდი რედაქციის ჩემპიონი ჭადრაკში...

და ჰოი ბედნიერებავ!.. ერთ შესანიშნავ მზიან დღეს ჩემს ტანჯვას ბოლო მოეღო: როგორ იქნა, ვიხილე უჩინმაჩინისქუდიანი პროზის განყოფილების გამგე!

შევხედე თუ არა, გულმა რეჩხი მიყო: შუახნის დიდცხვირა ქალს ისეთი უგემოვნო, პრეტენზიული თმის ვარცხნილობა ჰქონდა (ორი თავის სიმაღლე დახვეული "კოშკი"), რომ ჩემთვის ნათელი გახდა – ამგვარი ვარცხნილობის პატრონს ჰუმორის გრძნობის საკმაო დეფიციტი სჭირდა...

– თქვენ რა გვარი ბრძანდებით? კალამდარიშვილი? რომ არ მახსოვს? – მითხრა უფერული ხმით. – ნამდვილად აქ დატოვეთ? გამოიარეთ იმ კვირაში!

წამოვედი ყურებჩამოყრილი... გზაში ერთი აზრი დამებადა და ვარიაციული აღრიცხვისა და, მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით, ერთ ჩემს მეგობარ მათემატიკოსს ვთხოვე გამოეანგარიშებინა, როდის უნდა მივსულიყავი რედაქციაში, რომ ექსტრავაგანტური ვარცხნილობის პატრონის სამუშაო ადგილზე "დაჭერის" ალბათობა მაქსიმალური ყოფილიყო. გასათვალისწინებელ პარამეტრებში ჩართული იყო: წვიმიანი დღეების ალბათობა, ორშაბათები (თარსი დღეა), ქალთა საპარიკმახეროების მუშაობის განრიგი და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ამ მეთოდმა არ გაამართლა და, სასოწარკვეთილმა, ისევ მე ვიპოვე გამოსავალი, გამომდინარე იმ ჭეშმარიტებიდან, რომ ყველა მოსამსახურე თვეში ორჯერ ხომ მაინც მიდის სამსახურში ხელფასის ასაღებად?!.

ამ გარემოების გათვალისწინების შემდეგ ჩვენი შეხვედრები რეგულარული გახდა – თვეში ორჯერ. ადგილისა და დროის ეკონომიის მიზნით, აქ მხოლოდ განყოფილების გამგის "მიზეზები" მომაქვს:

– უი, სულ დამავიწყდა, ჯერ არ წამიკითხავს... სამ დღეში გამოიარეთ, აუცილებლად!

– ვეძებეთ და ვერ ვნახეთ... ნამდვილად კალამდარიშვილი ბრძანდებით?.. დოდო, ჭირიმე, მოდი, შენც მომეხმარე!

გადაქექეს მთელი უჯრები, თაროები და საღამოსპირს, მტვერში ამოგანგლულებმა, მივაკვლიეთ ჩემს ძვირფას ნამოღვაწარს...

– ბოდიში, რა ჰქვია თქვენს მოთხრობას? აჰ, სამი მოთხრობაა? რა ამბავია, ჩვენ სამ მოთხრობას მხოლოდ გამოჩენილ მწერლებს ვუბეჭდავთ!.. სათაურები?.. როგორ თუ არ გახსოვთ ზუსტად, გამაგიჟებს ეს ხალხი!

რაა გასაკვირი, თითქმის მთელი წელი გავიდა რედაქციაში ჩემი პირველი სტუმრობიდან; არადა, სამივე მოკლე მოთხრობაა, სულ ათი წუთი თუ დასჭირდება სამივეს წაკითხვას.

– ბოდიში, არ მეცალა, პოეზიის დღისთვის ვამზადებდით ნომერს...

კინაღამ ვკითხე, თქვენ პოეზიის განყოფილებას განაგებთ თუ პროზისას-მეთქი, მაგრამ ზრდილობას არ ვუღალატე.

– ბოდიში, გერმოგენ ხუხუაშვილის იუბილესთვის ვამზადებდით მასალებს...

– ბოდიში, შვებულებაში ვიყავი...

– ბოდიში, გრიპი შემეყარა...

ბოდიშობა – დაუსრულებლად...

ბოლოს, რედაქციაში ჩემი გამოჩენიდან თითქმის ორ წლისთავზე, როგორც იქნა, შედგა ჩვენი პირველი (და უკანასკნელი!) საქმიანი საუბარი.

– გასაოცარია, გასაყეყეჩებელი! – ჩემს მისალმებაზე პასუხად გაასავსავა ხელები ქალბატონმა. – ეს... ეს... – სიტყვების მოძებნა გაუჭირდა.

– რა ნახეთ ჩემს მოთხრობებში ასეთი გასაოცარი?

— ეს... ეს არ არის მოთხრობები! — ამოღერღა ბოლოს გულისწყრომით, თითქოს რაღაც უმსგავსო საქციელზე წამასწრო. — ეს... ეს ფელეტონებია... ეს... ეს კარიკატურებია!..

შემეშინდა, მისი ვარცხნილობის კოშკი არ წაქცეულიყო აღშფოთების მიწისძვრით.

— თქვენ არ გიყვართ მხიარული ნოველები?

— ჩვენ არ გამოგვადგება! — მომიჭრა გამომწვევად და განრისხების დასაოკებლად გრძელტარიან პაპიროსს მოუკიდა.

— ძალიან ბოდიშს კი ვიხდი და, ხომ ვერ მეტყვით, სახელდობრ რატომ? მაინტერესებს, რა არ მოგეწონათ ჩემი მოთხრობებისა — ჟანრი, სიდიდე, თემა თუ შესრულება?

— იცით, — ღრმა ნაფაზი დაარტყა და პირდაპირ სახეში შემომაბოლა, — ჩვენი ჟურნალი სხვანაირი სტილის მოთხრობებს ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე თქვენია.

დისპუტი უაზრო იყო, მაგრამ მინდოდა, კიდევ უფრო რელიეფურად, გაშიშვლებულად წარმოედგინა თავისი თვალსაზრისი და "პროვოკაციული" კითხვები დავუსვი.

— რედაქტორმა თუ წაიკითხა ჩემი მოთხრობები?

— რედაქტორი ენდობა ჩემს გემოვნებას! — ამაყად მოიღერა ყელი განყოფილების გამგემ (ეჰ, ცოტა მარილიანი სახე მაინც ჰქონდეს!) და ისევ ლაზათიანად შემომაბოლა — სად ისწავლა ნეტავ ასე ლამაზად პაპიროსის ქაჩვა?

— ნუთუ ნაწარმოების ღირსება ჟანრზეა დამოკიდებული? — არ ვეშვებოდი მე. — ნუთუ მხიარულ ნოველას დაბედებული აქვს აზრის სიმსუბუქე? განა მას არ შეუძლია, კეთილი, თბილი გრძნობით აგვავსოს? ბოლოს და ბოლოს, ღიმილი უფრო არ ამკობს ცხოვრებას, ვიდრე ცრემლი?.. ექიმების მტკიცებით...

ვეღარ გავაგრძელე. ჩემი მჭერმეტყველების ნაკადი შებოჭა და გაყინა მისმა ყინულივით ცივმა დუმილმა; ალბათ უაზროდ და ღირსების დაკარგვად მიაჩნდა ამ თემაზე დავა, მე კი განვიზრახე უდაბნოში ხის დარგვა-გახარება... ჩემთვის ცხადი იყო, რომ განყოფილების გამგის აზრით (და, სამწუხაროდ, კიდევ მრავლისა და მრავლისა რედაქცია-გამომცემლობებში), მხიარული ნოველა "დაბალი" ჟანრია, "ნამდვილი" მწერალი არ უნდა "დაეცეს" ისე, რომ სალაღობო მოთხრობები წეროს (თითქოს ეს ძალიან ადვილი იყოს და ყველას შეეძლოს!). აი, თუ აატირებ მკითხველს, აცრემლებ, მაშინ სხვა ამბავია — დიდი ლიტერატურაა! თითქოს მხიარულ მოთხრობაში შეუძლებელი იყოს მწვავე ცხოვრებისეული პრობლემების დასმა... მიდი და უმტკიცე ასეთ "ანტიჰუმორულად" განწყობილ კრიტიკოსს, რომ ყოველგვარი (ყოველგვარი! — თითქმის გამოუკლებლივ) სერიოზული საქმეც კი მხოლოდ მოიგებს, თუ იგი გაკეთდება მხიარულად, ღიმილით, ხალისიანად...

თავს ძალა დავატანე და ყოველივე ზემოთქმული მოვახსენე. ჩემდა გასაკვირველად, ჩემი ოპონენტის ირონიული ღიმილი მოვიმკე — ამ სფინქსს ღიმილიც სცოდნია!

რაღა დამრჩენოდა, უღრმესი მადლობა მოვახსენე ყურადღებისთვის და გამოვემშვიდობე. ნოველები, რასაკვირველია, თან წამოვიღე. საკმაოდ დამავიწყდა მათი ფორმა, შესრულების ხასიათი და ახლა ისე წავიკითხავ, თითქოს სხვისი დაწერილი ყოფილიყოს (სხვათა შორის, ერთი სასაცილო მომენტი: გამომშვიდობებისას განყოფილების გამგემ დააყოლა: "გამოიარეთ!" ეტყობა, ავტომატიზმამდე მისულმა ჩვევამ თავისი ქნა).

რედაქციაში სტუმრობიდან ერთი "მოგება" მაინც დამრჩა — ამ ნოველის თემა მზამზარეულად მომართვეს, მხოლოდ დაჯექ და დაწერე! მაინცდამაინც მხიარული არ გამომივიდა — "ტრაგიკული" დასასრულით — და როგორ ფიქრობთ, ამას მაინც თუ დამიბეჭდავენ?

1984

კრიტიკის მოყვარული მწერალი

— წაიკითხე ჩემი ბოლო მოთხრობები?

— წავიკითხე.

აუჰ!.. ეს რა მივქარე, სანამ რამეს წამოროშავ, ცოტა არ უნდა დაფიქრდე? ამომართმევს ახლა სულს...

— როგორია, სიმართლე მითხარი, ნაღდი სიმართლე! — მუდარით მიცქერის ნიკო თვალებში. როგორ გინდა, ასეთ შემოხედვას გაექცე?

მაინც გავუძელი, მზერა არ ავარიდე; შემრცხვა კი სადღაც, მაგრამ სიმართლის მთქმელი ვარ?

— კარგია თუ ცუდი? პირდაპირ მაჯახე, დაურიდებლად! — ჩემი პიჯაკის ღილს ჩაჰფრენია ნიკო.

— დიახ, რა თქმა უნდა...

— რა დიახ? — მეცა პირში; ისე ახლოს მომადგა, მისი გაფართოებული თვალების მეტს ვეღარაფერს ვხედავ, გახელებული ბუღას ქშენა მესმის.

— არა, რა თქმა უნდა... — ვღეჭავ რაღაც ნედლ აზრს, რომლის გემო ჩემთვისაც უცნობია და ნიკოს რაღა ვუთხრა?

— ამოღერღე ახლა, ჰო თუ არა? — მომჩერებია ნიკო.

ვატყობ, ახლა მარჯვენით ბებუთს გამიყრის საჭმლის მომნელებელი ორგანოების არეში, მარცხენით კი ჯერჯერობით ჩემი პიჯაკის მოწყვეტილ ღილს მჩრის ხელისგულში... მერე მეორე ღილს ეპოტინება, თავისკენ მქაჩავს.

— კარგია, კარგი, ხომ გითხარი, კაცო, ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია, ნამეტანი გამახარე! გაუშვი ხელი ღილს, თუ ძმა ხარ!

— არა, შენ ყასიდად ამბობ, ჩემი გულის მოსაგებად; გინდა, მასიამოვნო და ის კი არ იცი, შენი არაგულწრფელობით უფრო მაწყენინებ! — ხელისგულში მიდებს მეორე ღილსაც. კიდევ კარგი, მესამე ღილი, რა ხანია, ამწყდა, ცოლს ერთი კვირაა ვეჯიჯღინები, დამიკერე-მეთქი და არ დააყენა საშველი — ზოგი ჭირი მარგებელია!

მაგრამ ნიკოს ასე ადვილად დაუსხლტები ხელიდან? ვგონებ, ბებუთის გაყრას გადავურჩი, სამაგიეროდ, ჩემს დედისერთა პიჯაკს ნამდვილად მოსწყვეტს სახელოს, ისეთი ძალით ექაჩება... პიჯაკის ინვალიდობა როგორ ავიცილო?

— ისე... ისე, კაცმა რომ თქვას, დიდი არაფერი შვილია შენი მოთხრობები...

ნეტა დროზე გამეხედა გვერდზე! ფერი ეცვალა, ახლა მე ვწვდი სახელოში, რომ არ წაბარბაცებულიყო. მაშინვე ვიცვალე გეზი:

— ეს ერთი შეხედვით, რასაკვირველია, ჩემო ნიკო! გაუთლელი, გაუფაქიზებელი ინტელექტისთვის შენი მოთხრობების დაფარული სიღრმეები ცოტა ძნელი ჩასაწვდომია! აი, ეს არის ყველაზე მომზიდველი შენს მოთხრობებში... მე პირადად რამდენიმეჯერ გადავიკითხავ ხოლმე და იქ იმდენ ადრე შეუმჩნეველ სიმდიდრეს აღმოვაჩენ! ესაა ნიჭი!..

— შენ რაღაც სხვანაირად დაიწყე ჭიკჭიკი, შენი დასაცინიც გავხდი? — ამრეზილ ნიკოს თვალებში ახლა გაბრაზების ნაპერწკლები აკიაფდა.

— კარგი, კაცო, რას გადამეკიდე! მაინცდამაინც გინდა, მე აგიხილო თვალები? რაღა მე ამომირჩიე?!.

— ვინა ხარ შენ, ჩემი მტერი თუ მოყვარე? მოყვარეს პირში უძრახეო, არ გაგიგონია? ჭეშმარიტი სიმართლე მინდა შენგან, ამდენ ხანს ვეღარ მიხვდი? სი-მარ-თლე!..

ერთხანს ენაგადაყლაპულივით ვიდექი, გონებრივ ძალებს ვიკრეფდი... და აი, რა მომწიფდა ჩემს გოგრაში, ტუჩებმა კი, რაც შემეძლო, რბილად ამოცოხნა:

— ჩემო ნიკო, შენც კარგად იცი, შენი მოთხრობები სუსტია, ამიტომ მაცვი ჯვარს ამდენ ხანს, მაწვალე და ბოლოს, მაიძულე, მეთქვა მწარე სიმართლე... ა, ბატონო, სიმართლე მნებავსო და მოგახსენე. გაუშვი ახლა სახელოს ხელი, მთლად ნუ მოარღვევ. იმასაც მოგახსენებ — უარესიც წამიკითხავს. თითქოს რაღაც მარცვალი არის მოთხრობებში, მაგრამ ისე უგემურადაა აწყობილი მოთხრობების ჩონჩხი, ისე უსუსურად გამოიყურება ენობრივი ქსოვილი ანუ ხორცი, რომ ვერავითარ გემოს ვერ ჩაატან. თუ ნიჭიერად არის დაწერილი, რესტორნის მენიუდანაც შეიძლება მოთხრობის შექმნა ან თუნდაც ვინმეს ჯიბეების აღწერით — ჩამოთვალო, ჩემო ბატონო, რა უდევს შიგ — ასოციაციური ირონიული კომენტარებით... ასეა, ჩემო საყვარელო, და რა გიყო...

საბრალო ნიკოს სახე ტყლაპნაჭამივით გვერდზე მოექცა. წინათ თუ კატის გაანჩხლების დონეზე იყო, ახლა ვეფხვის მძვინვარების სიმაღლემდე ერთი ნახტომით აფრინდა.

— შენ... შენ!.. — აღშფოთებისგან სული შეუგუბდა, — უსუსურიო?!. უგემურია, ხომ?!. ვაი, შენს პატრონს, კაცი მეგონე და რა ყოფილხარ! მე კი მეგობრად გთვლიდი, პატიოსან კაცად! არ მოგწონს ხომ?!. რას კითხულობ ნეტა სხვისას გადასარევს?!. საკუთარს, რასაკვირველია! ვიცი, ვიცი, რაშიცაა საქმე — შენ შური გჭამს! ვერ დაფარე — შური გჭამს, ვაჟბატონო!

კიდევ კარგი, პროზაიკოსს გადავეყარე, პოეტი რომ ყოფილიყო, ცოცხალს არ გამიშვებდა... ეჰ, ღმერთმა გაშოროთ კრიტიკის მოყვარულ კაცთან კამათი!

1988

კრიტიკის მოყვარული პოეტი

...ჰოდა, აკი ამიხდა ავი წინათგრძნობა — მოზიმზიმე რუსთაველის გამზირზე მივცურავ ნებიერად ხალხის მდინარებაში და ამ მდინარებიდან ამოჩრილ ორი მეტრი სიმაღლის პოეტის ჭიჭიკო ჭიკარტიშვილის საცრისთვალება თავს არ ვხედავ? ამოზიდულა პერისკოპივით ხალხის ზღვაში და მისი გამჭოლი, მარდი თვალები პირდაპირ ჩემზეა დამიზნებული... სად გინდა შეძვრე ან ვინ გაცლის რა-

იმეს გაფიქრებასაც კი – ჭიჭიკომ გამოიშვირა ხუთმეტრიანი (გეფიცებით!) ხელი და ელვისებურად მომიმწყვდია უზარმაზარ მუჭში (თითქმის მთლიანად – მხოლოდ თავი გამომაყოფინა!).

ქვეყნის გასაგონად როხროხებს:

– სად მემალები, კურდღელი ხომ არ ხარ?!.

დავიღუპე! გაწელავს ახლა ლათაიებს თავის ლექსებზე, დამარხავს ყველა სხვა პოეტს და კაი ბიჭი ხარ, სიტყვა შეუბრუნე – ცოცხალს გადაგყლაპავს! ისევ ჯობს, მე დავასწრო, იქნებ როგორმე მალე დავიხსნა თავი...

– შენი ლექსების ბოლო ციკლი ბრწყინვალეა! – გადავედი ფსიქიკურ შეტევაზე. – რა რითმა, რა სახეები! მერე განწყობილება?!. სიცხადე და დაშიფრულობა! ყოჩაღ, ძმაო, ეს ახალი მწვერვალია...

– რას გლახაობ აქ, თუ ძმა ხარ, შენი დასაცინიც გავხდი? – შემომიბღვირა მოულოდნელად ჭიჭიკომ და ისე მძლავრად დამკრა მხარზე მარჯვენა ტორი, რომ ასფალტი გავარღვიე და მუხლამდე მიწაში ჩავერჭვე; გაიქეცი ახლა, თუ ბიჭი ხარ! – შენ ჩემი მტერი ხარ თუ მოყვარე? ჩემთვის თუ სიკეთე გსურს, უნდა მითხრა: "ჭიჭიკო, ჭირიმე, რას შვრები, კაცო, არ გრცხვენია? ეს რა დაგიწერია, რა გარითმული ნაგავი დაგიხვავებია! ნამუსი სულ დაჰკარგე, უმანკო ქაღალდს ან მკითხველს რას ერჩი? არ უნდა წერო, როცა არ გეწერება!" აი, ასე უნდა მითხრა, ვაუკაცურად! უნდა მომთხოვო: "რომ წერ და წერ, ბეჭდავ და ბეჭდავ, ყოველ წელს წიგნსა სცემ, სულ მთლად ხელიდან წახვედი? ხომ იცი, ჩემო ჭიჭიკო, – უნდა მითხრა, – ათიდან ერთი თუა ნაღდი ლექსი. მეც ვიცი, ოჯახი ხრამია, მაგრამ მკითხველმა რაღა დააშავა? მერე რა, – უნდა მითხრა, – რომ ტექნიკა გაქვს, ნებისმიერ თემას დაამუშავებ, მაგრამ რასაც გაზეთში წაიკითხავ, ყველაფერი ლექსის თემად კი არ უნდა გაიხადო!" აი, ასე უნდა დამმოძღვრო, თუ ჩემი გულშემატკივარი ხარ, შენ კი რას ტლიკინებ აქ?

ჭიჭიკომ ისევ ძალუმად დამკრა მარჯვენა და ამჯერად ყელამდე ჩამაძვრინა მიწაში... ხელებსაც ვეღარ ვანძრევ, სადაცაა გავიგუდები – განწირული ხმით ვბღავი...

...და გამომეღვიძა!..

უჰ!.. შვებით ამოვისუნთქე – კრიტიკის მოყვარული პოეტი ზმანება ყოფილა. რა უცნაურობას არ ნახავს კაცი სიზმარში!

1988

იუბილარი

60 წელი შეუსრულდა ღვაწლმოსილ შემოქმედს, თითქმის ცნობილ ქართველ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს გრამიტონ გრაფომანიძეს.

ბატონი გრამიტონი ამ ოცდათხუთმეტი წლის წინ გამობრძანდა ქართული მწერლობის ასპარეზზე თითო-ოროლა საკმაოდ მდარე ღირსების ლექსებით, რომლის დარსაც თითქმის ყოველი საშუალო სკოლის უფროსკლასელი აჯახირებს და მას შემდეგ კალამი ხელიდან არ გაუგდია – წერს გამოცანებს, შარადებს, ენის გასატეხებს, აფორიზმებს, ოდებს, ჰიმნებსა და ბაიათებს.

ბატონი გრამიტონი ერთგულად და კეთილსინდისიერად ემსახურება მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქართულ მწერლობას, თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ჩვენი გამომცემლობების მიერ გეგმების წარმატებით შესრულებაში. მისი პატარ-პატარა მოთხრობები, მოსწრებული სიტყვა-თქმანი და საბავშვო ლექსები დროდადრო იბეჭდება რაიონულ გაზეთებში, ყოველ წელს გამოდის მჭლე კრებულებად, რომლებიც კარგა ხანს ამშვენებენ წიგნის მაღაზიების თაროებს.

საიუბილეოდ გამოდის ნაჯაფი მწერლის მოზრდილი კრებული, რომელშიც შევიდა მისი რჩეული თხზულებანი წინათ გამოცემული 30 კრებულიდან, აგრეთვე მის მიერ თარგმნილი ლექსები ჩუქჩურიდან, სუაჰილიდან, იავურიდან, სინგალურიდან, ბელუჯურიდან, რეტორომანულიდან, გუარანიდან და სორბულ-ლუჟიცურიდან.

ძმაო გრამიტონ! შენი მეგობარი ქართველი მწერლები გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს და გისურვებთ... თუმცა რაღა გისურვოთ? ისტორია ადასტურებს, რომ შენ უკვდავი ხარ!

1985

მოგონება

იმასაც მოვესწარი, რომ მოგონებათა წერა დავიწყე!

როცა გაზეთ “სალხინოს” რედაქტორმა შეიტყო, რომ ჩვენი გამოჩენილი პოეტის დევი ბახბახაშვილის სიყრმის მეგობარი ვიყავი, მთხოვა – მოკლე ხანში დევის დაბადებიდან 80 და გარდაცვალებიდან 1 წელი სრულდება და ერთი კარგი მოგონება დაგვიწერე გაზეთისთვის, ოღონდ პირუთვნელად, სრული სიმართლეო. თქვენი ხმალი და ჩემი კისერი-მეთქი, – თანხმობა მოვახსენე.

დიდი გატაცებით გავიხსენე და გადავიტანე ქაღალდზე მოგონებები ჩვენს დაუვიწყარ მეგობარზე, ბრწყინვალე პოეტსა და მომხიბლავ პიროვნებაზე – დევი ბახბახაშვილზე... მრავალი სასაცილო ამბის მოგონებამ მეც გამახალისა და ღიმილი მომგვარა... ერთხელ, მახსოვს, სტუდენტობისას, მთელი სემესტრი ლხინსა და დროსტარებას ისე გადავყევით, რომ კინაღამ უნივერსიტეტიდან გაგვრიცხეს; როგორღაც ისე “ვივაჟკაცეთ”, რომ მილიციაშიც კი მიგვაბრძანეს... მართალი გითხრათ, არც სატრფიალო თავგადასავალი გვაკლდა, განსაკუთრებით დევის – თვალტანადობა არ უწყობდა ხელს თუ საკუთარი ლექსის მჭექარე ხმით არტისტული წაკითხვა არ ეხერხებოდა! ხშირად ებმებოდა პაექრობაში, მუშტი-კრივში გავარჯიშებაც ეხალისებოდა და ვაი იმისი ბრალი, ვინც მის ფუთიან მუშტს გემოს გაუსინჯავდა! ფიცხი იყო, დენთი იყო – ლაღი, გიჟმაჟი, მოუთოკავი!

ჩავაბარე მოგონებები რედაქციას და გულის ფანცქალით ველი, როდის გამოაქვეყნებენ. გავიდა კვირა, მეორე, მერე თვეც მიილია – სადაცაა დევის საიუბილეო საღამოც გაიმართება, ჩემი ნაწერის დაბეჭდვას კი საშველი არ დაადგა.

მივადექი ისევ რედაქტორის კაბინეტის კარს, მორიდებით შევაღე...

– ასეთნაირად დაწერილი თქვენი მოგონება ვერ დაიბეჭდება! – მახარა რედაქტორმა დიმიტრი დიმპიტაურმა, გამარჯობის თქმაც არ მაცალა.

– რატომ, ბატონო, რა მიზეზით?

დიმიტრი დიმპიტაური და რედაქტორის მოადგილე დამიანე დამპიტაური სახემოქუფრულნი მომაჩერდნენ, თან გაკვირვებით აპარპალებდნენ თვალებს.

– პატივცემულო, როგორ შეიძლება ჩვენი სახელოვანი მგოსნის დევი ბახბახაშვილის გალოთებულ, საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებად წარმოჩენა?!. – ბრძანა დიმპიტაურმა. – რას იტყვის დევის ძმა, კოწია?

– მილიციაშიც კი უკრეს თავიო, ღამე იქ გაათიაო, წარმოგიდგენია? – ბანი მისცა დამპიტაურმა.

– რა მოხდა მერე, ქვეყანა კი არ დაგვიქცევია, გამოვფხიზლდით და დილას ქე გაგვიშვეს შინ... – ვცადე თავის მართლება. – კოწიაც ჩვენთან ერთად იყო, დამემოწმება.

– ან ის რას ჰგავს, არშიყი კაცი იყოო და ასე შემდეგ... დევის ცოლი გინდათ გადაგვკიდოთ? ხომ იცით, მისი დის შვილი მინისტრის მოადგილეა! – ახალი ქიმუნჯი მითავაზა დიმიტრიმ.

– ქალბატონი კატო რომ ამას წაიკითხავს, ხომ გათავდა საწყალი ქალი, ისედაც მაღალი წნევა აწუხებს! – სულ მომიღო ბოლო დამიანემ.

– ახალგაზრდობაში გატაცება ვის არ ჰქონია, ცოლის თხოვნამდე მეც ბარე ათამდე ქალი მომწონდა, დაიქცა ამით ქვეყანა? – ვცადე ოდნავ წინააღმდეგობის გაწევა.

– რას გვერჩის ეს კაცი, თუ იცი? – მიმართა დიმპიტაურმა დამპიტაურს და უკვე ნოკდაუნში მყოფს ერთი გემრიელი მუშტი კიდევ ჩამაზილა: – აგერ რომ ფერადოვანად აღწერთ დევის რაინდულ ორთაბრძოლებს, სად გაგიგონიათ, პოეტი ჩხუბისთავი იყოს? მგოსანი სულ ჰაერში დაფრინავს, მიწაზე ფეხის დადგმისა ერიდება და თქვენ კიდევ დევი გლადიატორად გამოგყავთ... ესაა ნაზი ლირიკოსი? ესაა ადამიანისა და ბუნების მომღერალი?

ისედაც სულს ვღაფავდი, მაგრამ დამიანე დამპიტაურმა ბოლო, მომაკვდინებელი დარტყმა არ დაიშურა:

– დევის ქალიშვილები მოგვივარდებიან და გაგვჩეჩენ, აყალმაყალი და დავიდარაბა გვაკლია ჩვენ?

შევხედე ჩემს ოპონენტთა მოტვლეპილ თავებს, მაგრამ საღიმილოდ არ მქონდა საქმე.

– არა, უეჭველად უნდა შევარბილოთ, ცოტათი მაინც, – დაასკვნა ბოლოს რედაქტორმა, ისე არაფერი გამოვა!

რამდენიმე დღეში ჩემი მოგონებები დაიბეჭდა, რასაკვირველია, მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით და საგრძნობლად გაუმჯობესებული სახით. ასე, მაგალითად, ნეტარხსენებული დევი ბახბახაშვილი თურმე არც ახალგაზრდობაში და, მით უმეტეს, არც მომდევნო ხანაში სათოფეზე არ ეკარებოდა ღვინოს; იმდენად მორიდებული იყო, რომ ქალებთან დალაპარაკება კი არა, მათთვის შე-

ხედვაც კი უძნელდებოდა; ნაზი გული ჰქონდა, ხმამაღალ დალაპარაკებასაც ერიდებოდა, არამცთუ გაწევ-გამოწევას...

მას შემდეგ მოგონებებს ვეღარავინ დამაწერინებს.

გაფრთხილებთ: ჩემი ნერვიული სისტემა იმდენად მორღვეულია, რომ თუ არ გინდათ გაუთვალისწინებელ უსიამოვნებას ეზიაროთ, ჩემს გამოჩენილ მეგობრებზე მოგონებების დაწერას ნუ შემომთავაზებთ.

ამ მოგონებისთვის კუთვნილი ჰონორარი კი გთხოვთ გადარიცხოთ მემუარების წინააღმდეგ მებრძოლი კავშირის ფონდში.

რედაქტორი

აბა ერთი, გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით, თქვენს მიმართ კრიტიკა, თუნდაც სამართლიანი და სიკეთის მომტანი, რომელს გიყვართ? მაგრამ არსებობს კატეგორია პიროვნებებისა, რომლებიც განსაკუთრებით ვერ იტანენ მათი ოდნავი ნაკლის აღნიშვნასაც კი, მაგალითად, ზოგიერთი ხელოვანის დასახელება შეიძლება. მე, ცოდვილმა, ამ თემაზე ერთობ უწყინარი ნოველა დავწერე, პოეტ ვინმე ჭიჭიკო ჭიკარტიშვილთან ქუჩაში შეხვედრისა და საუბრის სახით.

ჟურნალ "პრინციპული პოლემისტის" რედაქტორმა ფრანჩესკო ჯანტიკოტიკოშვილმა ჩემი ნახლაფორთევი ღიმილ-ღიმილით ჩაიკითხა, მერე კი სახე მოეღრუბლა და მკაცრად მითხრა:

– ასეთნაირად ვერ დავბეჭდავთ! უნდა გადააკეთო!

– კერძოდ, რა? – ვკითხე.

– აი, აქ რომ გაქვს აღნიშნული, პოეტი მაღალი იყოო, თანაც საცრისთვალება, ჯუზეპე უმწიფარ-უტიფარიძეს ჰგავს, არ შეიძლება! რამენაირად მოუარე ამ საქმეს.

რამდენიმე დღეში ახლად გადამუშავებულ-გადაბეჭდილი ნოველა დავუდე რედაქტორს მაგიდაზე.

– ჭიჭიკო დაგიდაბლებია, მაგრამ მაინც ვერ გამოგსვლია მთლად კარგად. სალვატორე ბაზაზხანაშვილს ეწყინება, ეგონება, რომ მას "უმიზნებ", რატომ გინდა გადამკიდო? შეეშვი ამ სიმაღლეს, თვალებსაც მოუხერხე რამე!

წამოვედი და მალე ეს გვერდნახევრიანი ნოველა ისევ მივიტანე გალამაზებულ-გადაბეჭდილი ბატონ ფრანჩესკოსთან.

– უდანოდ მკლავ? – აღშფოთებისგან ფრანჩესკო ჯანტიკოტიკოშვილი წამოდგა კიდეც სკამიდან. – წვრილთვალება რომ გამოგიყვანია, გუალტიერო პატრონსულძაღლაძეს გადავურჩები მე?..

სულ ამოვშალე, რაც კი თვალებს და სიმაღლეს ეხებოდა, საქმე გავიიოლე თითქოს, სხვა მხრივ არაფერი შემიცვლია.

– როხროხებსო, რომ წერ, ცოტა არ უნდა დაუფიქრდე? კოზიმო ჩიტბატონაშვილის შესაჭმელი გინდა გამხადო? – ისეთი ხმით მითხრა ფრანჩესკომ, რომ ნამდვილად შემეცოდა.

ჯანდაბას, როხროხსაც ამოვშლი, არ მენანება, მაგრამ რაღაც გარეგნული ნიშანი ხომ უნდა ჰქონდეს, სული წმინდა ხომ არ არის? სულ ტყუილად გავისარჯე, რედაქტორის ეჭვებს არაფერი ეშველა. გამხდარი გამოვიყვანე – ჯოვანი ზარბაზანია აგვაფეთქებსო, ღიპიანი – ჯოაკინო მაჯლაჯუნაძე გადაგვაშენებსო; ულვაშიანად ვახსენე – ჯანი პანტიპუნტაშვილი დაგვხოცავსო, მელოტად ვაქციე – ლუჩანო შალაფაშვილი ცოცხლად აგვაცვამს შამფურზეო... არც კი ვიცოდი, თუ ამდენი პოეტი გვყავდა.

ბოლოს, საწყალი ჭიჭიკო ჭიკარტიშვილი გაპუტულ ქათამს დავამსგავსე – სულ მოვაცილე, რის მოცილებაც კი შეიძლებოდა, ლამის ცარიელ აბსტრაქციად ვაქციე.

რედაქტორმა საბოლოოდ ერთხელ კიდევ გადაიკითხა შეკრეჭილ-შეკვეცილი ნოველა და ისევ შეიჭმუხნა შუბლი:

– მხარზე მძლავრად დამკრა მარჯვენა და მიწაში ჩამფლაო, რომ წერ, რუჯერო მუშტიქნევიაშვილი გვყავს ხომ მხედველობაში? მერედა, რა დარტყმა იცის, არ გაგახსენდა? შენ თუ შტერი ხარ, მე მახსოვს!

შევატყვე, ჩემი ნოველიდან, ბოდიში და, ვირის თავ-ფეხი რჩებოდა და რედაქტორს ვუთხარი:

– ისე ჩანს, ჯობს, მინუსი პლუსად გადავაქციო და სატირული ტიპის მაგივრად დადებითი გმირი გამოვიყვანო...

– ოჰ, არა, არა! – გაასავსავა ხელები ფრანჩესკომ. – არ გახსოვს, ანჯელო ზარხოშაძე რომ ვაქეთ და არქანჯელო პატარსულელაშვილი მოგვივარდა გინებით, ჩემს ჯიბრზე აკეთებთ ამასო, ჩემზე რატომ არაფერს წერთო! შეეშვი, ძმაო, ამ პოეტებს, მილიონი სხვა ხელობაა ამ ქვეყანაზე! გინდა, მაინცდამაინც ხანჯლით დამადგეს ვინმე? დაწერე საქმოსანზე ან გამყიდველზე, ახლა ეს მოდაშია!

ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე: ვატყობ, ამ ახალი ნოველით ახლა რედაქტორებსაც გადავიკიდებ; ისიც ვერ მიშველის, რომ რედაქტორის გარეგნობაზე ერთი სიტყვაც არ დამცდენია... ერთი იმედი მაინც მრჩება – ამ ნოველის დამბეჭდავი რედაქტორი, საეჭვოა, რომ გამოჩნდეს...

1990

პოეზია უპირველეს ყოვლისა!..

კაცია ჩუმ-ჩუმად ლექსებს წერს, ჰოდა, ამას წინათ გადამეკიდა – წავიდეთ, ლიტერატურული წრის "კვირტის" შეკრებას დავესწროთო.

მოზრდილ ოთახში შეიკრიბა ორ ათეულამდე თვალანთებული და პოეზიის ციური ცეცხლის გიზგიზით მკერდშებოლილი... ბოდიში – გულდამწვარი... კიდევ ბოდიში – სულაღგზნებული შემოქმედი, რომლებიც დღისით სულ სხვადასხვა საქმიანობით იყვნენ დაკავებული (ბუღალტრისა, მეხანძრისა, შოფრისა, ექიმისა, მასწავლებლისა...), ხოლო ყოველ სამშაბათ საღამოს ყველანი, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, პროფესიისა და ასე შემდეგ – პოეზიის ერთ საერთო ტაფაზე იწვოდნენ... ბოდიში – იხრაკებოდნენ... ბოდიში – ინავლებოდნენ... მოკლედ, ტკბილ ტანჯვას ეძლეოდნენ!

პირველი გამოსვლის პატივი წილად ხვდა დამსახურებულ პედაგოგს, ამაგდარ მოღვაწეს, პენსიონერ პოლიო პოლოლიკაძეს. მან გაფანჩული თეთრი ულვაშებით დაფარული უკბილო პირი აცმაცუნა – მჯდომარემ წაიკითხა ნაწყვეტი მრავალტომიანი რომანიდან ლექსად "ადამიანი და სამყარო", რომელშიც ეპოსური ფართო მონასმებით და გულის ამაჩუყებელი უშუალობით აღწერილი იყო ავტორის იდილიური ბავშვობა ქართულ სოფელში-წალკოტში. დეკლამაციის დროს მხცოვან პოეტს შიგადაშიგ ხმა ისე აუკანკალდებოდა ხოლმე, რომ მსმენელებსაც გული გვეწურებოდა და დამსწრე ქალბატონები ცხვირსახოცებს არ იცილებდნენ მშვენიერ თვალთა უპეებიდან. როცა ჩვენი ცხვირსახოცები გემრიელად ჩაბუჟბუჟდა და გასაწური გახდა, მოხუცს ძალა გამოელია და ტკბილად ჩასთვლიმა, ამნისტია გამოგვიცხადა.

შემდეგ სიტყვა მიეცა ნორჩი თაობის წარმომადგენელს – ბუთხუზა, სათვალიანმა პიონერმა რიხით წაიკითხა პატრიოტული სულისკვეთებით დამუხტული ლექსი, რომელშიც – ყველას, ყველას, ყველას! – საზეიმოდ აუწყებდა, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთსაც არ დაიშურებდა საქართველოს დასაცავად! გულდაგულ აცხადებდა: ყველა მტარვალსა და ავაზაკს, ვისაც ჩვენი მამულის ავი აქვს განზრახული, ამოწვდილ მახვილს შეაგებებდა მამაცურად და უეჭველად სამარცხვინოდ დაამარცხებდა! ისეთი გული მომეცა, რომ მივიხედ-მოვიხედე – ჩვენს საყვარელ სამშობლოს ვინმე მტერი ხომ არ ემუქრება-მეთქი და მარჯვენით არარსებულ ხანჯალს დავუწყე ძებნა...

როცა ხანგრძლივი ტაში მინელდა, წამოდგა მთასავით ვაჟკაცი – ზეზვა გაფრინდაძე, ერთ-ერთი თეატრის მსახიობი და შეკრებილთ შემოგვთავაზა თავის შინაურ პოეტურ სამზარეულოში საკუთარი რეცეპტით ახალგამომცხვარი შედევრი – ლექსი "პაწაწა ია". ამ ღრმად ემოციურ, ფაქიზ, აკვარელურად გამჭვირვალე ფერებით შესრულებულ ლექსში ავტორი საკუთარ თავს ადარებდა, უფრო სწორედ – აიგივებდა, ბუჩქის ძირას მორცხვად გამოჩეკილ იის ყვავილთან, რომელიც უმანკო თვალებით შესცქერის ქვეყნიერებას და თავისი ნაზი სურნელით აკეთილშობილებს უხეშ ყოველდღიურობას... უაღრესი გრძნობით კითხულობდა ზეზვა, ხმა დაიწვრილა, თვითონაც თითქოს დაპატარავდა, დაჩიავდა – კინაღამ აპრილის თოვლივით გაიპარა... არ ვიცი, მომეჩვენა თუ ნამდვილად მოხდა – მისგან მხოლოდ (ბოდიში!) წვინტლი დარჩა...

სიტყვა მიეცა პოეტ ქალს ნაზიკო პარპალაძეს.

შევხედე და თავდაპირველად მეგონა, პოეტი ქალი იჯდა – ერთი მტკაველის სიმაღლის ფეხსაცმელიც ვერას შველოდა, ერთი ციდა ჩანდა მაინც; სამაგიეროდ, მისი ლექსი გამოირჩეოდა მქუხარებითა და კოსმოსური გაქანებით! ნაზიკო ქვეყნიერებას ამცნობდა, რომ ის ხან ქარიშხალი იყო, რომელიც ძირფესვიანად თხრიდა საუკუნოვან მუხებს, ხან – აბობოქრებული ვულკანი, რომლის ცეცხლოვანი გრგვინვა-გრიალი აზანზარებდა მიწასა და ზეცას; მთას მთას შეახლიდა, ბარს ზეცას შესტყორცნიდა!.. დედამიწა შეზანზარდა, გლობალური კატაკლიზმების მშფოთვარე მღელვარებამ ჩვენზედაც გადმოინაცვლა – თითქოს ოთახიც შეირყა, კედლები დაიბზარა და...

პოლიო პოლოლიკაძემ გაიღვიძა, გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით – რა მოხდაო.

წამოვხტი და კაციას გასასვლელისკენ მოვქაჩე:

– ე, ბიჭო, ჭერი არ ჩამოინგრეს, ხომ ხედავ, რა მჭექარედ კითხულობს! დროზე გავასწროთ გარეთ!

1990

კოლეგები

ახალგაზრდა მწერლის კახაბერ კაბერაშვილის მოთხრობას ჟურნალ "დაისის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში პრემია მიენიჭა და მალე დაიბეჭდა კიდეც. კახაბერის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; სულ ეჩვენებოდა, რომ ყველანი მის მოთხრობაზე ლაპარაკობდნენ და ქუჩაშიც კი მის დანახვაზე ერთმანეთს ეუბნებოდნენ – ეგ კაცი მწერალიაო...

კახაბერმა "მაღარიჩი" იკისრა – ჟურნალის რედაქციის თანამშრომლები და საკონკურსო კომისიის წევრები რესტორან "მყინვარწვერში" დაპატიჟა.

...როცა ნაქეიფარი მწერლები რესტორნიდან გამოვიდნენ, საკმაოდ გვიანი იყო, ტაქსი არ ჩანდა. კახაბერმა დაიჭირა ერთი მიკროავტობუსი, შიგ ექვსნი მოთავსდნენ (რომელიმეს რომ არ ეწყინოს, – მოგეხსენებათ მწერლური ამბიციურობა! – ჩემზე წინ სხვა რატომ დაასახელაო, მათ ანბანის მიხედვით ჩამოვთვლი): აბესალომი, ანდუყაფარი, ბაგრატი, ბასილი, ივლიანე და თვით კახაბერი.

– საით? – იკითხა შოფერმა.

– საბურთალო! – ყველას დაასწრო წინ, შოფერთან, მჯდომმა აბესალომმა (დანარჩენები ჯერ ხეირიანად მოკალათებულნიც არ იყვნენ თავიანთ ადგილებზე), მერე უკან მსხდომთაკენ მიტრიალდა და რატომღაც დაბოღმილმა განაგრძო: – ვერ ვიტან ტიპებს, ბედნიერი სიფათი რომ აქვთ... გაქსუეულია, ზეთი ჩამოსდის სახეზე, ქონისგან ქშინავს და ლამის ღორივით დაიღრუტუნოს კმაყოფილებით...

– ვისზე ამბობ? – იკითხა ბაგრატმა.

– რა დიდი მიხვედრა ამას უნდა – ანტიფოზე... რა იქნებოდა, ათი წუთიც მოეცადა; სად ჯანდაბაში გარბოდა სუფრიდან, არ ვიცი. თუ ეშინოდა, მის შავ "ვოლგაში" ჭირიანები ჩავუსხდებოდით?..

– ბოდიში მოიხადა, მეჩქარებაო... – გაუბედავად თქვა კახაბერმა. ანტიფორე კვაჭიჭაძე გახლდათ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, აგრეთვე მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი და მართლაც სხვებზე ოდნავ ადრე დატოვა მათი პურობა.

– საიქიოს ეჩქარებოდეს! – თქვა ბაგრატმა. – რატომ წერაში არ ჩქარობს, ერთი და იგივე კრებული უკვე მესამედ გამოსცა შეცვლილი სათაურით, ვითომ ხალხი გადარეული იყოს მაგის მოთხრობებზე.

– იმ ნაგავსაც ვეღარ წერს! – ნიშნის მოგებით თქვა ივლიანემ.

– თვითონაც ნაგავია! – მხარი აუბა ანდუყაფარმა.

– ღორია, ღორი! – დაუდასტურა ბასილმა.

"მივქარე, ხმა რომ ამოვიღე", – გაიფიქრა კახაბერმა.

როცა აბესალომი ჩავიდა, მის ადგილზე მაშინვე ბაგრატი გადმოსკუპდა.

– ვაკეში, კინო "ყაზბეგთან"! – უბრძანა შოფერს, მერე კოლეგებისკენ მიატრიალა თავი:

– ერთი აბესალომს დაგვიხედეთ, როგორი აზიზი გაგვიხდა! თუ მანქანით უნდა გასეირნება, რატომ გაყიდა თავისი ახალთახალი "ჟიგული"?

– ერთი დღეც არ უვლია, – დაემოწმა ივლიანე. – უკვე მესამე მანქანა გამოიყვანა და მაშინვე სამმაგ ფასად გაყიდა, აღარ გაძღა მაგის მუცელი!

– მაგეთებს აქვთ ახლა ბურთი და მოედანი! – აღშფოთებით წამოიძახა ბაგრატმა.

– ათი წელია, მანქანის მიღების რიგში ვდგავარ; ნახე თუ არ წამართვას! – ბოხი ხმით დაიბუბუნა სულ უკან, კახაბერის გვერდით მჯდომმა ანდუყაფარმა. ისეთი სქელი იყო, რომ ორ სკამზე ძლივს ეტეოდა.

– რა, მაგაში ეჭვი გეპარება? – დაუდასტურა ბასილმა.

ბაგრატის სახლამდეც მიაღწიეს.

– დიდუბეში წავედით! – ბაგრატის ადგილზე ახლა ივლიანე დასკუპდა. – მე დიდუბეში უნდა ვცხოვრობდე და ბაგრატა – ვერაზე? ვინ მისცა მაგ ტილიან ბაგრატას ასეთ ადგილას ბინა?

– არ იცი? – გამოეხმაურა ანდუყაფარი. – მაგ ბინის გულისთვის პირველ ცოლს გაეყარა და ციცინო შეირთო, მინისტრის ქალიშვილი; ორი ბავშვი მიატოვა. ოთხოთახიანი ბინა დაითრია, ზღაპრულად მოწყობილი.

– ციცინოსთან ჰყავს შვილი? – იკითხა ივლიანემ.

– ქვეყნის ბოზ ციცინოსთან რა შვილი უნდა გაუჩნდეს! – დაიხვიხვინა ანდუყაფარმა.

– რას ერჩი, როგორი გათახსირებულიცაა თვითონ, ისეთი ცოლი აურჩევია, "ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა"... – თქვა ბასილმა. – რასაც შეუკვეთავენ, იმას აჯახირებს, მთელი მისი შემოქმედება ესაა.

– საქმოსანი თუ ხარ, საქმეს მიხედე, ჩვენთან რა გინდა? ა, ამ შესასვლელთან გააჩერე! – ივლიანე ჩამოვიდა მანქანიდან და მის ადგილზე გადმობობღებულ ანდუყაფარს მიმართა: – ხომ ხარ სიტყვის კაცი? რომ დამპირდი, ჩეხურ კაფელს გაშოვნინებო, მეჩქარება, იცოდე!

– დიდომი! – უბრძანა მძღოლს ანდუყაფარმა, მერე ბასილს მიმართა: – კაცია ახლა ეგ? ივლიანეზე გეუბნები. ათასი კარი აუტალახებია, გერვასის ადგილზე დამნიშნეთო.

– კი მაგრამ, იმ კაცს რომ სამი ბავშვი ჰყავს, მაგას კი – არც ერთი, ამას არ უყურებს? ნეტა რა ისეთი თანამდებობა უჭირავს გერვასის, მის ადგილს რომ დახარბდა ეგ დამპალი!

– მეც მაგას არ გეუბნები? ქეციანი ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანია, ყველა ჯოხი მაგაზე ტყდება. ჰოდა, ამას წინათ მირეკავს ივლიანე, გერვასიე იქიდან გადავაგდოთო.

– გერვასი რა ნაგავსაც ჯღაბნის, კარგად მოგეხსენება, მარა კაცი მაინც არის, ადამიანი, ეგ კი არც ადამიანად უქნია ღმერთს.

– სიმართლე თუ გინდა, მთელი ჟურნალის ჭაპანწყვეტა გერვასის ზურგზე გადადის, რას ერჩი, რას ერქინები!

კახაბერი ხმას არ იღებდა ან რა უნდა ეთქვა? ლხინის დროს სულ დათაფლული სიტყვები გადმოსდიოდათ ბაგეზე, ერთმანეთის ქება-ალერსში და ძმობა-მეგობრობის ფიცილში იყვნენ, სინდის-პატიოსნებაზე და კაცურ კაცობაზე გატყლარჭულად ქადაგებდნენ...

ანდუყაფარიც გადავიდა მანქანიდან, ბასილი წინ გადაჯდა და კახაბერს დაუძახა, აქეთ, ახლოს გადმოჯექიო. კახაბერს სულ უკან, მარტოობაში ყოფნა ერჩივნა, მაგრამ უარი ვეღარ უთხრა.

– ხედავ, რას დაემსგავსა ანდუყაფარი? – კახაბერისკენ ღიმილით გადაიხარა ბასილი. – ჭამს და სვამს, სვამს და ჭამს... მაგის დაწერილი წიგნი არავის უნახავს, სად სცალია ამისთვის, მაყუთს ღუნავს – მტრისას! ახლა ახალ აგარაკს იშენებს წყნეთში, ძველში შვიდი ათასი აიღო. დრო მოვა, ამ ახალსაც გაყიდის, ხელს მოითბობს. სულ რომ იცინის, ანეკდოტების მოყოლით დაგვხოცა სუფრაზე, ეგრე ნუ უყურებ – ცოცხლად გადაგყლაპავს, თუკი წინ გადაუდექი, ცეკაში მაგარი ზურგი აქვს. ორი ბინა აქვს და მესამესაც იშენებს კოოპერატიულ სახლში, ცოლისძმის სახელზე აფორმებს. ხომ ამ სისქეა, ნემსის ყუნწში გაძვრება, ყველა ხვრელი ზეპირად იცის, ყველა გასაძრომ-გამოსაძრომი, არაფერი შეეშლება. მეც დამიდო ერთხელ კვანტი, მაგრამ ამაზე სხვა დროს, შინ ვარ უკვე მისული... აბა, კარგად გნახეთ!

ბასილიც ჩავიდა, მანქანაში კახაბერი და შოფერი დარჩნენ.

– ეს რა ხალხი იყო? – იკითხა შოფერმა, პასუხს არ დაუცადა და დაუმატა: – ერთ სუფრაზე ისხედით, სუყველას ეგეთი აყროლებული ენა როგორ ჰქონდა... ტყუილად ჩავსვი მანქანაში, ვინ არიან, ვერ მეტყვი?

– ესენი, ბატონო, მწერლები არიან, პოეტები და პროზაიკოსები, ერთი კრიტიკოსიც იყო, თუ არ ვცდები... – უპასუხა კახაბერმა. მას იმედი გაუცრუვდა, ეგონა, სუფრაზე თუ არ მოხერხდა, გზაში მაინც ილაპარაკებდნენ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე...

– მე მეგონა, მაკლერები იყვნენ, – თქვა შოფერმა. – თქვენ ვინღა ბრძანდებით?

– მე... მე ინჟინერი ვარ...

1977

გალაკტიონი

გულიკოს

კინორეჟისორი ანგია, – ღრმად მოხუცებული, მაგრამ მაინც კოხტად ჩაცმული, ნაპატივები, – ფილმს ამონტაჟებს, შიგადაშიგ წასთვლემს კიდეც...

შუახნის, უკვე ტანდამძიმებული, მემონტაჟე ქალი, გასუსულია, მოათავებს საქმეს და ზის გარინდებული – ერთფეროვანი, დამღლელი სამუშაოსგან ისვენებს. გასცქერის ფანჯარაში გაზაფხულის ძლიერი ქარისგან მოქანავე წნორის ჩამოგრძელებულ ტოტებს, ოდნავ რომ შეჰპარვიათ სიმწვანე. ალბათ ოთახში ყველაფერი მობეზრდა, ან იქნებ თვალებს აძლევს შვებას სამონტაჟო მაგიდის ერთი ციცქნა ეკრანისგან...

უცებ მხცოვანი რეჟისორი თავს მაღლა წევს და გაკვირვებით აჭყეტს თვალებს. მერე ამოიოხრებს და ეკითხება ქალს:

– დიდი ხანია, მორჩით?

– არა, ბატონო! – მემონტაჟე ქალი დასცქერის მაჯის საათს.

– რომელი საათია? შინ ხომ არ გეჩქარებათ?

– "მაინც არ მასვენებს მწარე სინანული – რომელი საათია? რომელი საათია?" – წამღერებით, წყნარად ამბობს ქალი.

– გიყვართ გალაკტიონი? – გამოცოცხლდა რეჟისორი.

ქალი ისევ ფანჯარას მისჩერებია, არაფერს პასუხობს.

რეჟისორი თვალებს ხუჭავს, სადღაც უკან იცქირება, წარსული წლებისკენ, გალაკტიონთან შეხვედრებს იგონებს. მერე თვალს ახელს და ქალს ეკითხება:

– აბა, რომელი ოთხი სტრიქონი გიყვართ ყველაზე უფრო? მთელი ლექსი კი არა, ოთხი სტრიქონი! გალაკტიონის, რასაკვირველია.

მემონტაჟე ქალმა მოხედა და გაიღიმა:

– მიჭირს, ჯერ ლექსი რამდენია საყვარელი...

– ჩემში კი რაღაც განსაკუთრებულ გრძნობას იწვევს აი, ეს სტრიქონები:

“და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე – ვინ იცის, ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა –
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი...”

ერთხანს სიჩუმეს არც ერთი არღვევს, მხოლოდ დიდი ქალაქის ხმაური აღწევს ყრუდ. ქალი ისევ ფანჯარაში ქარისგან ათამაშებულ წნორის ტოტებს უშტერებს თვალს და გალაკტიონის ლექსს იმეორებს გუნებაში.

რეჟისორი იატაკს ჩასცქერის, თავჩაქინდრული...

მერე გალაკტიონზე იწყებენ საუბარს – ორივეს დიდ სიამოვნებას ანიჭებს გალაკტიონის ლექსების გახსენება.

რეჟისორი წამოდგება – ახოვანია, ახალგაზრდულად იმართება წელში; მიმოდის ოთახში და ხელების შლით კითხულობს გალაკტიონის ლექსს. მერე ქალი ენაცვლება, მას ისევ რეჟისორი და ასე გრძელდება ეს “პაექრობა”.

ფანჯრიდან ნელ-ნელა ლურჯი ბინდი მოიპარება...

1988

მოგონება გალაკტიონზე

– რაოდენ საამაყოა, როცა ჩვენი დროის გამოჩენილი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე შენი თანამედროვეა; მასთან ერთ დროს გიცხოვრია, ერთი ჰაერით გისუნთქია და ერთი ღვინო... ბოდიში, ერთი წყალი გისვამს!

მართალია, გალაკტიონსა და ჩემს შორის, დიდი ასაკობრივი სხვაობის გამო, ახლო მეგობრული ურთიერთობით ვერ დავიკვეხნი – მხოლოდ რამდენჯერმე მომიკრავს თვალი ქუჩაში და შემიძლია დაგიდასტუროთ, როგორი მოწიწებით ესალმებოდნენ საყვარელ პოეტს გამვლელ-გამომვლელნი. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ბედნიერება მქონდა, პირადად შევხვედროდი მას და ვზიარებოდი დიდი შემოქმედის პიროვნულ განუმეორებლობას. სწორედ ამ ჩემთვის ძალზე ძვირფასი მოგონება მინდა, გაგიზიაროთ.

სკოლიდან ვბრუნდებოდი. გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო. კარგ ხასიათზე ვიყავი, თუმცა მათემატიკის საკონტროლო სამუშაოში “ცუდი” დამიწერეს. სტვენა-სტვენით და ხტუნვა-ხტუნვით მივუყვებოდი ქუჩას და ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ვინ იფიქრებდა, რომ ახლოვდებოდა ჩემი ცხოვრების განუმეორებელი წუთი, როცა გენიოსს პირისპირ შევეყრებოდი და შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იქნებოდა, რომ აგერ ახლაც, ოთხი ათეული წლის შემდეგ, თრთოლვით ვიხსენებ უმცირეს წვრილმანსაც კი იმ მარად ღირსშესანიშნავი მოვლენისა...

მეგობრებო, გატყობთ მოუთმენლობას; მეც ვღელავ, იმ საოცნებო ამბის თხრობისას ისევ პატარა ბიჭუკელა მგონია თავი და კრძალვითა და რიდით ვიხსენებ ყველა ჩვენგანისთვის სათაყვანო დიდი ადამიანის წმინდა სახეს.

დიახ, ასე ასკინკილათი მივხტოდი, ხან ასანთის კოლოფს გავკრავდი ფეხს, ხან ხეს შემოვურბენდი გარშემო, ბეღურას ვესროდი კენჭს, სკუპ-სკუპით სასაცილოდ რომ დახტოდა ჩემს წინ... ვიქნევდი ჩანთას, ხშირ-ხშირად ვიხედებოდი უკან, თითქოს იქ რაღაც დამრჩა. ახლა კი არის ჩემთვის გასაგები, რატომ ვიხედებოდი უკან, მაშინ კი, თავქარიან ყმაწვილს, ჯერ ხომ ყველაფერი წინ მქონდა ცხოვრებაში და უკან რაღას ვეძებდი? თურმე ყველაფერი კანონზომიერად ხდება ამ ქვეყანაზე – აუცილებელი უნდა მოხდეს, ბატონებო! აი, მაშინ რომ უკან-უკან არ მეცქირა, დღეს ამ მაღალი ტრიბუნიდან ჩემს მოგონებას ვედარ გაგიზიარებდით!..

ნუ ღელავთ, მეგობრებო, ცოტაც მოითმინეთ და მოგახსენებთ, ჩვენს სასიქადულო პოეტს როგორ შევხვდი... ძალიან გამიგრძელდა?.. კი, ბატონო, მოკლედ მოგახსენებთ...

ჰოდა, მივჩინდრიკობ ასე უთავბოლოდ, როგორც ჩემი ასაკის ყმაწვილს შეეფერება და არავითარი წარმოდგენა არ მაქვს, რა ბედნიერ შეხვედრას მიმზადებს განგება... მივხტივარ, მივხტივარ და უცებ... უცებ რაღაცაზე წავიფორხილე... რა მოხდა? ის მოხდა, ბატონებო, რომ... რომ... ფეხი დავადგი ფეხზე ვიღაც ბიძიას... გვერდზე გამხტარს გაბრაზებით შემომხედა და მე ვიცანი ჩვენი უშესანიშნავესი, უნიჭიერესი პოეტი, რომლის ბევრი ლექსი სკოლაშიც გვასწავლეს... ვიცანი მისი მკერდზე დაფენილი ჭაღარა წვერი, ცეცხლოვანი თვალები.

– წინ ვერ დაიხედავ, ბიძიკო?!. – ჩაიბურდღუნა გალაკტიონმა განუმეორებელი ხავერდოვანი ხმით და წავიდა თავისი გზით...

მე კი დიდხანს გავცქეროდი დიდი ადამიანის ფიგურას, სულ უფრო და უფრო რომ პატარავდებოდა და ვინ იცის, სწორედ მაშინ მაშინ ჩაისახა ჩემს ნორჩ გულში პოეზიის ის პატარა ალი, რომელმაც დღეს მე პოეზიის მსახურად მაქცია.

1986

ვაშა, ავტომანქანა შევიძინე!

დავრბივარ, ვჩალიჩობ, ვწვალობ... არც აგარაკი მაქვს, არც – ავტომანქანა, ბინაც კი ვერ შემიკეთებია, აგერ უკვე ოცი წელიწადია. ოჯახის წევრებს მათხოვრულად გვაცვია, ცოლი ხომ ბაზარში თითო შესვლაზე თითო წყვილ ფეხსაცმელს ცვეთს – იმდენს დადის, იქნებ როგორმე იაფად შევიძინო სანოვაგეო... მოკლედ, წელში ვარ გაწყვეტილი, არადა, ოთხი წიგნი მაქვს გამზადებული დასაბეჭდად, რამდენიმე კიდევ დამუშავებასა და გაშალაშინებას ელოდება, მაგრამ რად გინდა – ვერ გამოსცემ! გინდაც მეორე "ვეფხისტყაოსანი" დაწერო, ყველა გამომცემლობიდან უარით გამოგისტუმრებენ – შენ ვინ ხარ, გამოჩენილ მწერალთა წიგნები წლობით გვიწყვია, ზოგი უკვე სასტამბოდ სავსებით გამზადებული, აწყობილი – შენ სად ეჩრებიო! ქაღალდი არ გვაქვს, ტონაში 35 000 მანეთს თუ გაიღებ, შენ თვითონ იყიდი და მოგვიტან, თან სასტამბო და საგამომცემლო ხარჯებს აანაზღაურებ, მაშინ ვნახოთ, ავტორის ხარჯით იქნებ გამოვცეთო (ჩვენში დარჩეს და, გამომცემლობა-რედაქციებში მომუშავენი მშვენივრად ახერხებენ ერთმანეთის წიგნების გამოშვებას).

მაცდუნებელი აზრი ჩამაწვეთეს: გაიჭირვე, როგორმე მოახერხე საჭირო თანხის შოვნა, გამოეცი წიგნი, გაასაღებ, ვალსაც გაისტუმრებ და იქნებ ცოტა ფული დაგრჩეს კიდეცო; მერე იმით მეორე წიგნის დაბეჭდვას შეძლებ და ასე შემდეგო; ცოტას ამოისუნთქავ და შემოქმედებითად მუშაობის უკეთესი საშუალება გაგიჩნდებაო... მეც ვიფიქრე: იქნებ ნახმარი, იაფი მანქანის შეძენაც შევძლო, ნაკვეთში სიარული გამიადვილდება, ამ სიძვირის ჟამს სამყოფ სარჩო-სანივაგეს არ მოვაკლებ ოჯახს-მეთქი...

დავტრიალდი: ზოგი – ვისესხე, ზოგი – რაღაც-რაღაცეების გაყიდვით მოვაქუჩე, ქვეყანას ჭირი მოვჭამე ხვეწნა-მუდარით... და მოულოდნელად ცა გამეხსნა – დარჩენილი თანხა უპროცენტოდ ორი წლის ვადით მომცა ჩემმა სკოლის ამხანაგმა! იგი დიდ საფეიქრო საწარმოს ხელმძღვანელობს (ისე, ჩვენში დარჩეს და, სკოლაში ლენჩი იყო, გამრავლების ტაბულაც კი ვერ ისწავლა ხეირიანად, სამაგიეროდ, სპორტსმენობამ კარგი სამსახური გაუწია – უმაღლესიც დაამთავრებინეს და მშვენიერი თანამდებობაც უბოძეს), დიდი ბიზნესმენია (ბოლო სიტყვა ამ ბოლო დროს დამკვიდრდა ჩვენში), "მერსედესით" დაბრძანდება... მე არ მშურს, რაც უშოვია, ღმერთმა კეთილად მოახმაროს, – კაცი გამოდგა, გაჭირვებაში ხელი გამიმართა.

ისე თქვენ აგიხდეთ ყოველივე კეთილად, როგორც მე შევასრულე ჩემი გეგმა (თუნდაც ნაწილობრივ)! ოღონდ იმას ნუღა მკითხავთ, რა ნერვების წეწვად, აქეთ-იქით დოღის ცხენივით სირბილად, ათასგზის თავის დამცირებად, მილიონ ტელეფონით დარეკვასა და ენერგიისა და დროის გიგანტურ ხარჯვასთან იყო დაკავშირებული ყველაფერი ეს! მართალი გითხრათ, ახალი რომანის დაწერა უფრო იოლი იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ, რაც მთავარია, წიგნი გამოვიდა – ათი წლის წინ დაწერილი რომანი!.. კარგიც გამოვიდა! სტამბის ხარჯები, საგამომცემლო ხარჯები, გავრცელების ხარჯები, ვალის ნაწილობრივ გასტუმრება – და ხელზე სუფთად დამრჩა 40 000 მანეთი! ვაშა! ამხელა თანხა პირადად ჩემთვის დიდი საოცრებაა, პირველად შევეხე! თავი სიზმარში მგონია, ნახე, თუ მანქანა არ მოვაგრიალო! მეგობრის ვალს ახლა არ გავისტუმრებ, არ მაჩქარებს...

დიდი ბრძოლის შემდეგ გავტეხე ცოლისა და სიდედრის წინააღმდეგობა და უახლოეს კვირადღეს ერთ ჩემს ძველ ძმაკაცთან ერთად გავვარდი მანქანების ბაზრობაზე ნატახტარში. ბევრი ვიარეთ, ვათვალიერეთ, ვივაჭრეთ, ბოლოს, ერთი ათი წლის წინ გამოშვებული, შედარებით კარგად შენახული "მოსკვიჩი" ვიყიდეთ. მართალი გითხრათ, მანქანაზე უფრო მისი პატრონი მოგვეწონა – სიმპათიური, სერიოზული კაცი ჩანდა და ამიტომ არჩევანიც მის მანქანაზე შევაჩერეთ. მართალია, მანქანა შესაღებია, ორი კარი შესაცვლელი აქვს, მოკლე ხანში ახალი საბურავებიც დასჭირდება, აკუმულა-

ტორიც სულს ღაფავს, მაგრამ ჯერჯერობით დარბის ეს ჩემი “ზურმუხტა” (სახელიც ხელად შევარქვი – მწვანეა!), მერე ნელ-ნელა ყველაფერს მოვაგვარებ... ორ-სამ დღეში ნომრებსაც ავიღებ და მერე ვიგრიალებ ჩემს გემოზე! საბაღე ნაკვეთშიც გემრიელად ვივლი!

გავაფორმეთ ყველა საბუთი ავტოინსპექციაში და წამოვედით, მივგორდით თუ შევგორდით ჩემს ეზოში; უფრო სწორად, ჩემი მეგობარი იჯდა საჭესთან, მე ჯერ უნდა მევარჯიშა მანქანის ტარებაში... ჰო, შევგრიალდით ეზოში, გავჩერდით და გაბადრული, ამაყად გადმოვბრძანდი ჩემი “ზურმუხტადან”... უპირველესად თვალი მოვავლე ეზოს – აბა, მიყურებენ მეზობლები თუ არა?!.

და ამ დროს ახალთახალი თეთრი “ჟიგული-07” შემოსრიალდა და ჩემი მანქანის გვერდზე დადგა. გადმოვიდა კლიმენტი – სადღაც მაღაზიაში მუშაობს. ჩუმი კაცია, მისი ხმამაღალი სიტყვა ჯერ მეზობლებში არავის გაგვიგონია. ისე კი დიდი მშრომელი, ფუსფუსა კაცია, სულ აქეთ-იქით დარბის, რაღაც საქმეებს “აწყობს”...

– მომილოცავს, კლიმენტი, მშვიდობაში!

– იცოცხლე, მადლობა, – მომიგო კლიმენტიმ.

– ძველი მანქანა რა უყავი, გაყიდე?

– ჰო, ორი წლის გახდა და მოვიცილე...

კარგა ხანს ვათვალიერე კლიმენტის კრიალა მანქანა, მას კი, რასაკვირველია, ჩემი “ზურმუხტასთვის” ზედაც არ შეუხედავს, საინტერესოა, საიდან იშოვა თითქმის ნახევარი მილიონი ამ მანქანის შესაძენად? როგორც ვიცი, დიდი არაფერი განათლება აქვს, არც თანამდებობა უჭირავს გამორჩეული...

ეზოში ძელსკამზე ჩამოვჯექი, გვერდით პირველ სართულზე მცხოვრები აზიზა მომიჯდა. ის და მისი ოჯახის წევრები დილიდან საღამომდე ეზოში არიან და ჩვენი თხუთმეტსართულიანი სახლის ბინადართა ამბები ზეპირად იციან.

– აზიზ, ნახე, კლიმენტის რა მანქანა დაუთრევია? – ვისროლე ანკესი.

– კარგია, თავის ფასში გამოიყვანა.

– როგორ მოახერხა?

– შე კაი კაცო, ავტომაღაზიაში მუშაობს და ეგ რა არის მაგისთვის. ეგ მანქანა კაპიკიც არ დასჯდომია, მუქთად დარჩა.

– როგორ, აკი თავის ფასში იყიდაო?

– ჰო, ჯერ “ვოლგა” გამოიყვანა, ორმაგ ფასში გაყიდა, მერე – ეგ “ჟიგული” და ფულიც ბლომად დარჩა. მალე გადავა – კერძო ბინა იყიდა ვეძისში.

– ძველი მანქანაც ხომ გაყიდა... დიდხანს ჩალიჩობდა ამაზე?

– სულ ერთ კვირაში გააკეთა ყველაფერი!

შევხედე “ზურმუხტას”, ჩემი თითქმის ოცი წლის შრომით შეძენილს, – ტყუილია, ვერ შეძენილს! – და მომეჩვენა, რომ მან სირცხვილით თვალები დახარა...

1992

“ყიყლიყო!”

ჟურნალ “ყიყლიყო”-ს რედაქციის კარი მორიდებით შეაღო მაღალმა, თმაშევერცხლილმა მამაკაცმა.

დიდ ოთახში უამრავი მაგიდა იდგა. ერთს, ფანჯარასთან მდგომს, რამდენიმე ქალი მისხდომოდა; ერთი ქსოვდა, დანარჩენები კი გაცხარებით ბჭობდნენ ვიღაც ლილის მოულოდნელ გათხოვებაზე. მეორე მაგიდაზე კაცებს ჭადრაკი გაეშალათ, ოთხნი იყვნენ თუ ხუთნი, კარგად ვერც გაარჩევდი თამბაქოს კვამლში. კუთხეში, მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, თვლემდა ხნიერი მელოტი მამაკაცი.

შემოსულს ყურადღება არავინ მიაქცია.

– ბოდიში, ბატონო! – მელოტის მაგიდას მიუახლოვდა ახალმოსული.

მელოტმა თვალები გაახილა.

– გამარჯვება!

მელოტი ისევ უხმოდ შესცქეროდა, ოდნავ დაუქნია თავი.

– მე, ბატონო, თქვენთან პოემა მაქვს მოტანილი ანუ რომანი ლექსად, აგერ უკვე წელიწადზე მეტია... – განაგრძო ახალმოსულმა.

– ჰო, მახსოვს, მახსოვს... – ზანტად მიუგო მელოტმა. – თქვენი გვარი... ბარათაშვილი... წერეთელი...

– არა, ბატონო, ჩემი გვარია რუსთაველი, შოთა რუსთაველი გახლავართ.

– სადაური რუსთაველი ხარ?

— მესხი გახლავართ!

— ჩვენებური ყოფილხარ, სასიამოვნოა! რა გიყო, ძამიკო, ზღვა მასალა გვაქვს, ვიხრჩობით! თან ორ წელიწადში უკვე მესამედ იცვლის ბინას რედაქცია, ახლა აქეთ გადმოგვაგდეს დროებით — ამას წინათ რომ დიდი წვიმა იყო, ჭერი ჩამოგვენგრა, ძლივს გავასწარით გარეთ! შენი პოემა გადარჩა საბედნიეროდ, სადღაც აქ უნდა მქონდეს... თუ არ გაიბნა სადმე — რედაქციის განყოფილებებს ხან გამსხვილებენ, ხან ისევ დაშლიან-დაანწილებენ, აღარ მოეღო ბოლო გაუთავებელ რეორგანიზაციებსა და გარდაქმნა-გადახალისებებს... — მელოტი მაგიდის უჯრებში საქმიანად, მაგრამ უშედეგოდ იქექებოდა, თან საუბარს განაგრძობდა: — ადრეც გითხარი, შენს პოემას ალაგ-ალაგ არა უშავს, მაგრამ მთლიანობაში — რა მოგახსენო... ასეთი მასალა, გულახდილად გეუბნები, ტონობით შემოგვდის, ძმაო, ტონობით! ა, შეხედე ამ ხელნაწერებით დაღუნულ თაროებს, აღარც გამოტენილ კარადებში გვეტევა... აღარ ვიცი, რა ვქნა!..

— დიახ, ბატონო, დიახ... — თავს უქნევდა ჭაღარა და მოთმინებით ელოდა, როდის შესთავაზებდა მელოტი დაჯდომას, რომ სხვადასხვა საქმეებზე სირბილითა და ასაკით მოქანცული ფეხები დაესვენებინა.

— მოგიძებნი, თუ გინდა, შენს პოემას, იქნებ სადმე სხვაგან მიიტანო, ა? — იმედით შეხედა მელოტმა.

— სხვაგან? სხვაგან სადღა, ბატონო, მაგ პოემამ თითქმის ყველა ჟურნალის რედაქცია მოიარა; მთლიანად დაბეჭდვაზე ლაპარაკი ზედმეტიაო, თითო-ოროლა ნაწყვეტს კი გამოვაქვეყნებთო. თვეობით დავდიოდი, სულ მაიმედებდნენ — "იმ კვირაში გამოიარე", "თვის ბოლოს გადაწყდება", "რედაქტორს ჯერ არ სცალია" და ასე გაუთავებლად. რომ შევატყვე, ვერსად ხეირს ვერ ვნახავდი, ბოლო იმედით თქვენთან ვცადე ბედი; წელზე მეტია უკვე, რაც პირველად შეგაწუხეთ... ბოდიშს გიხდით...

— საბოდიშო არაფერი გჭირს, ჩვენ ამისთვის ვართ აქ, სხვა კი არაფერი გვევალება, მაგრამ რა გიყო, ძმაო, — უჯრებში ქექვას შეეშვა და პაპიროსი გემრიელად გააბოლა მელოტმა. — ჩვენებური კაცი ხარ, მორიდებული, თავმდაბალი, არც პოემაა, მართალი რომ გითხრა, მთლად წყალში გადასაგდები... ამაზე უარესებიც იბეჭდება, მაგრამ თავს ზევით ძალა არაა. მწერალთა კავშირის წევრებსაც ვერ ვბეჭდავთ, უზარმაზარი რიგი დგას... რა თქმა უნდა, ყველასთვის არა: ეს მწერალთა კავშირის მდივანია, ის — ლაურეატია, ამას — ოცი წიგნი აქვს გამოცემული, იმას — მაღალი მფარველი ჰყავს, ზოგი — გამომცემლობაში მუშაობს, საჭირო კაცია, ზოგიც — სხვა რედაქციაში და შენც წაგეხმარება რაღაცას... ასეა! მწერალთა კავშირში ოთხასი მხოლოდ პოეტი ირიცხება, თუ არ ვცდები; ახლა რამდენი პოეტია კავშირის გარეშე! წაკითხვას ვერ ვასწრებ, დღეში 15, ხან 20 ახალგაზრდა და ხანდაზმული დამწყები პოეტი მოდის, მოაქვს ლექსებით გატენილი საერთო რვეულები... ვერ იტევს, ბატონო, ჟურნალი ყველაფერს! არ გვაქვს სამყოფი ფართობი. ამ პროფესორების დავამაც მოგვიღო ბოლო, კრიტიკოსების გაუთავებელმა დისკუსიებმა დაგვახრჩო. პოეტებს რაღა აქვთ გასაყოფი, ეს ვერ გამიგია — ლექსების მაგივრად ერთმანეთზე პასკვილებს წერენ და გამოქვეყნებას კატეგორიულად მოითხოვენ!.. სად მუშაობ? — შეცვალა უცებ საუბრის მიმართულება მელოტმა.

— მეჭურჭლეთუხუცესი გახლავართ.

— მერე, შე კაცო, მშვენიერი ხელობა გქონია, ჭურჭლის კეთებას რა სჯობს, ლექსის კეთებას არ გირჩევნია? ჭურჭელს კარგი გასავალი აქვს ახლა. ვინ გიშლის, ჩამოაყალიბე კოოპერატივი და ხვეტე ნიჩბით ფული! ნეტა მე მქონდეს სხვა ხელობა!

— არა, ბატონო, მე საჭურჭლეს, სახელმწიფო ქისას განვაგებ, ფინანსთა მინისტრს რომ იტყვიან, ის გახლავარ.

— კაი, თუ გიყვარდე! მერე, რა გრჯის, რომ კალამს აწვალებ და ტვინს იწყალებ! ერთ ლექსში რას მოგცემენ, თუ იცი — ბაზარში ორ კილო ბალს ან ერთ კილო ხენდროს თუ იყიდი, იმასაც შედარებით იაფფასიანს, დაჭყლეტილს, წვენი რომ გასდის... ისე, სხვათა შორის, თუ დაგიბეჭდავს რამე?

— არა, ბატონო, ერთხანს ვიწანწალე რედაქციებში, მერე ხელი ჩავიქნიე. არც თქვენ შეგაწუხებდით, მაგრამ ამ პოემას მთელი ჩემი ცხოვრება შევალიე.

— ეტყობა, ეტყობა. მაინც რამდენი დაგიწერია, ოჯახაშენებულო, გაგიწელია ამბავი, ცოტა მოკლედ ვერ მოჭერი? მართალი გითხრა, შუამდე ძლივს წავიკითხე, სად არის ახლა ამხელა რომანების წაკითხვის დრო... შენ კი დაწერაც მოგიხერხებია. თან არც არის ცხოვრებისეული, დამაჯერებელი, ხელოვნურად შეკოწიწებულს ჰგავს. დამიჯერე, ამას გამოცდილება მალაპარაკებს, რედაქციებში ოც წელზე მეტია, ვმუშაობ... არა, ძმაო, არ გამოგვადგება! მე კი გავუშვებდი, მაგრამ განყოფილებაში სხვებიც არიან. აქტუალური მაინც იყოს, დღევანდელობის შესაფერისი, მწვავე პრობლემების ამრეკლავი... ცოტა გადამლაშებულიც არის, არაბუნებრივია, არარეალური. ჯერ რა სათაურია — "ვეფხისტყაოსანი"? ვერ გაარჩევ, ზღაპარია თუ ნამდვილი ამბავი, თან უცხო ქვეყნებში რამ წაგიყვანა, აგერ, ჩვენს თვალწინ ცოტა რამ ხდება საინტერესო?.. იქნებ საბავშვო ჟურნალში მიგეტანა? ზღაპარია, მოეწონებათ ნამდვილად! სხვა რამ გექნება საჩვენო. სხვას არ ვეტყოდი და შენთან გუ-

ლახდილი ვიქნები – ნიჭს გამჩნევ და იმუშავე კიდევ. გული არ გაიტეხო, ეს ცხოვრება ბრძოლაა, ხომ იცი შენც. იმუშავე, იმუშავე, პატარ-პატარა რამეები დაწერე, მოიტანე და ვნახოთ! – ოპტიმისტური პათოსით დაასრულა მელოტმა.

თმაშეკერცხლილმა მამაკაცმა მხოლოდ ორი სიტყვა წარმოსთქვა:

– მადლობთ, მშვიდობით! – თავი დახარა და გატრიალდა კარისკენ.

მელოტმა შვებით ამოისუნთქა, სკამის საზურგეს მიეყრდნო და ისევ მილულა თვალები.

1988

უკანასკნელი ამბოხი

გვიანი შემოდგომის უმთვარო, ბნელი შუაღამეა. ხევგაღმა სოფლიდან, იასნაია პოლიანადან, ისმის ძაღლების ჩვეული ღავღავი. მამაკაცი და ორი ქალი ჩუმად გამოვიდნენ სათავადო სახლიდან და ვაშლის ბაღში გამავალ ატალახებულ ბილიკს გაუყვნენ. მამაკაცს მძიმე ჩემოდანი მოაქვს, ქალებს კი – ბოხჩები. შუა გზაზე შემოხვდათ საჯინიბოდან მომავალი ლევ ნიკოლაევიჩი, ხელის ელექტროფარნით ინათებდა გზას.

– თქვენს დასაჩქარებლად მოვდიოდი! – ამბობს ტოლსტოი.

წამიერი შეყოვნების შემდეგ ოთხივენი აგრძელებენ სვლას საჯინიბოსკენ.

მეეტლე ცხენებს აბამს ეტლში, დანარჩენები ბარგს ალაგებენ.

– ჩქარა, ჩქარა, ღვთის გულისთვის! – ლევ ნიკოლაევიჩი ვერ ისვენებს ადგილზე და ცდილობს, მეეტლეს მიეხმაროს, მაგრამ უფრო კი ხელს უშლის სიბნელეში.

როგორც იქნა, ყველაფერი მზადაა გასამგზავრებლად. ოჯახის ექიმი დუშან მაკოვიცკი და ტოლსტოი სხდებიან ეტლში, კოფოზე მძიმედ აბობღდა ხანდაზმული მეეტლე ადრიან პეტროვიჩი.

– მიდი, მიდი! – თითქმის ყვირის დახშული ხმით ტოლსტოი.

ცხენები ბიძგით უცბად ძრავენ ადგილიდან ეტლს. გამცილებელი ქალები – ტოლსტოის ქალიშვილი საშა და ქალიშვილის მეგობარი ვარია – ჩუმად იცრემლებიან. ტოლსტოის გამომშვიდობება დაავიწყდა – დაძაბული იცქირება სიბნელეში უჩინარი სახლის მიმართულებით: მადლობა ღმერთს, იქ სიწყნარეა, ცოლს, სოფია ანდრეევნას, არ გაღვიძებია!

ცხენოსანი მეჯინიბე ფილიპ პეტროვიჩი წინ მიუძღვით – ჩირაღდნით უნათებს გზას მეეტლეს. აჰა, ეტლმა მარჯვნივ გაუხვია – “პრეშპექტში”, ახალგაზრდა ნაძვების ხეივანში, რომელიც სათავადო სახლიდან მამულში შესასვლელისკენ მიემართება. ალაგ-ალაგ ბებერი არყის ხის ტანიც თეთრად გამოანათებს – წინათ, ტოლსტოის სიყმაწვილეში, ეს ხეივანი მთლიანად არყებისა იყო, შემდეგ მათ გახმობა იწყეს და თითქმის ყველგან ნორჩი ნაძვებით შეცვალეს. ასეა ცხოვრებაშიც – ძველი, ყავლგასული, მიდის, განსხვავებულ პირობებთან შეგუებულით იცვლება, დრომოჭმული ახალს უთმობს ადგილს. ტოლსტოი ნახევარ საუკუნეს ცხოვრობდა ამ მამულში და ახლა კი იძულებულია, დატოვოს მშობლიური მიდამო, ნაცნობი გარემო, ოჯახი და უცნობ გზას დადგეს – ისიც კი არ იცის, საით გაემგზავროს...

“პრეშპექტზე” გასული ეტლი დაღმართზე დაექანა, მერე გაივაკა – გზა დიდი გუბურის ჯებირზე გადიოდა – და მამულის შესასვლელში აქეთ-იქით ამართულ ორ თეთრ კოშკთან სვლა შეანელა.

– ფილია, მარცხნივ გასწიე, გზატკეცილისკენ! ძალიან ნუ ჩქარობ, ჩამოგრჩებით! – დაუძახა მეეტლემ მეჯინიბეს.

– მარჯვნივ, მარჯვნივ წადი! – დაიყვირა ლევ ნიკოლაევიჩმა. ამ გზითაც კიევის გზატკეცილზე გავიდოდნენ, ოღონდ სოფლის გავლით და გზა რკინიგზის სადგურ შჩოკინომდე ოდნავ მოკლდებოდა. არც მეეტლე ტყუოდა, როცა მარცხნივ შესთავაზა მეჯინიბეს წასვლა – ასე გზატკეცილზე უფრო ადრე გავიდოდნენ. ახლა კი ეტლი შეუდგა მძიმე, ტალახიან აღმართს – აქ იწყებოდა სოფელი იასნაია პოლიანა.

ცხენებს უჭირთ, მაგრამ ალბათ ახლა ყველაზე უფრო უჭირს გრაფს – მოღუშულს, ტუჩები მაგრად მოუკუმავს, ნიკაპი მკერდისთვის მიუბჯენია, თეთრი მეჩხერი წვერი დაჰფენია მკერდზე, ღრმად ჩამჯდარი თვალები მოუწკურავს და ჯერ თითქოს არც სჯერა, რომ უსასრულოდ უაზრო საშინელების წამომწყები გახლავთ... სასაცილოა თუ სატირალი? ღმერთკაცი, რომლის სახელიც ქუხს მთელ მსოფლიოში და რომლის მგრგვინავ უტეხ ხმას შიშით თუ სასოებით, სიყვარულით თუ სიძულვილით უსმენენ მილიონები მთელს მსოფლიოში, დაწყებული ინდოეთის დაბეჩავებულ გლეხთა ხელმძღვანელებით და დამთავრებული სრულიად რუსეთის იმპერატორით, სწორედ ეს სატანა თუ გენიოსი ახლა ჩუმად, ქურდულად მიიპარება შინიდან ოთხმოცდაორი წლის ასაკში... და ყველაზე უფრო იმის ეშინია, რომ მისმა მეუღლემ დროზე ადრე არ გაიღვიძოს... ბრძოლის ველზე სიკვდილის პირისპირ დადგომა არად მიუჩნევია, არ ერიდებოდა არც ავძაღლიან ეზოში დაურიდებლად შეს-

ვლას, არც ყველაზე შმაგი სულით ავადმყოფების მონახულებას საავადმყოფოში, უშიშრად ესაუბრებოდა ციხის საკანში თავზე ხელაღებულ კაცისმკვლელებს, არ ეპუებოდა არც მეფეს და არც თავად ღმერთს... როცა მომავალ, არცთუ ახოვან თეთრწვერა მოხუცს შენიშნავდნენ, სრულიად უცნობი ადამიანები გზას უთმობდნენ, რიდით და იდუმალი პატივისცემით აღვსილი გლეხები ქუდს მოწიწებით მოიხდიდნენ და გვერდზე მიდგებოდნენ... ახლა კი გაუფრთხილებლად, მალულად ეცლება მშობლიურ კუთხეს, ოჯახს და ძალიან ეშინია, რომ მისი გაქცევა დილამდე ვერ შენიშნოს სოფია ანდრეევნამ... შემდგომ მრავლისა და მრავლის აზრით, ეს არის ტოლსტოის ბოლო და ყველაზე დიდი გმირობა!

ცხენების ფლოქვები რბილად ეშვებიან ტალახში და მძიმედ ამოდიან ისევ ზევით. მეჯინიბის ჩირაღდნის მოთამაშე ალი ერთიმეორის მიყოლებით ირეკლება გზის ორივე მხარეს ჩარიგებულ გლეხთა ქოხების ფანჯრებში... აქა-იქ ლამპრები ბჟუტავს, ღუმელებიც გაუხურებიათ – ყნოსვას აღიზიანებს საკვამურებიდან ამოსული, ნამჯის სახურავებზე გაბარდღნილი და მთელ სოფელს მოდებული კვამლის სუნი. სოფელი იღვიძებს, გლეხობა საერთოდ ადრე დგება – ზოგიერთ ეზოში ლაპარაკიც ისმის.

გაივაკეს. სოფელი თავდება და გზა მარცხნივ უხვევს. წინ მიმავალი ფილიპი შეყოვნდა, ცხენიდან ჩამოქვეითდა. ეტლიც გაჩერდა. ექიმი დუშან მაკოვიცკი გადმოდის ეტლიდან: რა მოხდა? ფილიპის ცხენს მოსართავი მოშვებია.

მეზობელი ეზოდან გამოვიდა ქურქიანი გლეხი, ტალახში ჩექმების ჭყაპუნით მივიდა ფილიპთან და ჩირაღდანი გამოართვა.

– ადრიან, ვინ ეხმარება ფილიას? – იკითხა ლევ ნიკოლაევიჩმა.

– ევსტიგნეი ეხმარება, – უპასუხა მეეტლემ.

ექიმი ხელების ფშვნეტით მხრებაწურული ბრუნდება ეტლთან – ცივა! ლევ ნიკოლაევიჩი თითქოს სადღაც სხვაგან არის ფიქრით, გაჩუმებულია... მაგრამ არა, სინამდვილეში შინაგანად ბორგავს, დუღს, გაუთვალისწინებელი შეფერხება გულს უწვრილებს, მისახმარებლად ეტლიდან გადასვლასაც კი აპირებს. უცებ გრძნობს ვიღაცის ხელების ფათურს – ექიმი მაკოვიცკი ამოწმებს, ფეხებზე თუ აქვს გადაფარებული, თბილად თუ არის. ტოლსტოიმ იფეთქა, ყვირის:

– თვითონაც კარგად მოვუვლი თავს! არ მჭირდება სხვისი მონური სამსახური!

შეცბუნებული დუშანი ბოდიშს იხდის, ეტლს უკანა მხრიდან უვლის და თავის ადგილზე ჯდება.

...ადამიანი არ უნდა იყოს სხვა ადამიანის მონა ან თუნდაც მსახური. საკმარისია, რომ თვით ის, ლევ ტოლსტოი, და უთვალავი სხვაც, ყოველ წუთს, ყოველ წამს მონა არის ხან აუცილებლობისა, ხან სხვათა აზრისა, ხან კანონისა თუ ადათ-წესისა, უფრო ხშირად კი – საკუთარი სისუსტისა... რამდენჯერ ზიზღით ავსებია გული საკუთარი ქცევის გამო, მაგრამ დამორჩილებია "საზოგადოების" საყოველთაოდ მიღებულ "ნორმებს", ტრადიციის სულის შემხუთველ დესპოტიზმს, ვიღაცის მიერ ოდესღაც დაკანონებულ "მოვალეობას"...

ადრიან პეტროვიჩი ცხენებს უწრუწუნებს, დაიძრნენ. კიდევ ვერსნახევარზე ზილეს ტალახი და მერე, როგორც იქნა, მოკირწყლულ გზატკეცილზე მხიარულად აპაკუნდნენ ცხენთა ნალები. ლევ ნიკოლაევიჩი გამოცოცხლდა, გახალისდა; შვებით ამოისუნთქა, შინაგანი დაძაბულობა ოდნავ შეუნელდა. აქამდე თითქმის სულ ჩუმად იყო, ახლა კი ლაპარაკი მოუნდა, თავისი ჭირ-ვარამის სხვისთვის გაზიარება ჭმუნვის გასაქარვებლად. დუშანს მიმართა, თითქოს პატიებას სთხოვსო:

– სოფია ანდრეევნასგან უჩუმრად წამოვედი, მეტის მოთმენა აღარ შემეძლო!..

ცდილობს მოკლედ, დალაგებით მოყვეს, თუ რამ უბიძგა, რათა ასე სასწრაფოდ გაქცეულიყო შინიდან. აღელვებულს ხმა უკანკალებს, ხელის მტევნები უნებურად მუშტებად შეეკრა... და რაც მეტად ცდილობს დამაჯერებლად და თანმიმდევრობით გადმოსცეს ამბავი, მით უფრო აწეწილ-დაწეწილად და გაუგებრად გამოსდის; თვითონვე გრძნობს ამას და სულ ებორკება ენა... ნანობს, რატომ წამოიწყო საუბარი ამ თემაზე, – გაუბედავი, ყალბი, უგემოვნო ეჩვენა საკუთარი სიტყვები... მერე ეს აზრი სადღაც იკარგება და ყველაფერს ჩრდილავს განცდილის გახსენება – ისეთი სიცხოველით აფორიაქებს გრძნობები, თითქოს ახლა ხდება ყოველივე, ცხადში, მის თვალწინ... შინაგანი მზერით ცოცხლად ხედავს:

... შუაღამისას გაეღვიძა რატომღაც. სმენას მისწვდა კარის გაბმული ჭრიალი და შემდგომ იატაკზე ფეხთა ფრთხილი რონინი... აი, გაიციალა კარის ღრიჭოში სინათლის ყვითელმა ზოლმა... ეს ცოლი, სოფია ანდრეევნა, შესულა ფრთხილად კაბინეტში და მის ქაღალდებში იქექება... ალბათ ანდერძს ეძებს...

და ახლა, ეტლში, ისევე ახრჩობს ყელთან მძიმე ბურთივით მოწოლილი სიძულვილი, როგორც მაშინ, ლოგინში მწოლიარეს... და არ ესმის არც ცხენთა ფლოქვების თქარათქური მოყინულ გზატკეცილზე, არც მეეტლის ხმამაღალი შეძახილები და შოლტის ტყლაშუნი... ისევ შინ არის გონებით და გრძნობით – თავის საძინებელ ოთახში... ერთ საათზე მეტი იწრიალა მაშინ ლოგინში; სოფიო ანდრიას ასული რა ხანია, გავიდა კაბინეტიდან და ალბათ სძინავს, მას კი რული არ მიეკარა. კარ-

გა ხანს იბორგა, დაწყნარების ნაცვლად სულ უფრო ხელდებოდა; მერე, როცა სიძულვილს საკუთარი თავის სიბრალული დაერთო, ტირილი მოუნდა – ვეღარ გაუძლო გრძნობის მოწოლას; წამოჯდა, სანთელი აანთო... აჩქარებული ფეხის ხმა მოახლოვდა, კარი გაიღო და სოფია ანდრეევნას სიტყვები ჩაესმა: "როგორ ხარ, სანთელი რად აანთე?" და ეს მზრუნველი ხმა კიდევ უფრო აღიზიანებს, აღაშფოთებს – მის, ლევ ტოლსტოის, სურვილს, ნებას, აზრს არაფრად აგდებს, პატივს არ სცემს, მის ქაღალდებში უბოდიშოდ ცხვირს ჰყოფს, არაფერი რჩება დაუფარავი – და ამავე დროს, ტკბილი ხმით ეკითხება: "ლიოვოჩკა, ხომ კარგად ხარ? რატომ არ გძინავს?" ცოლს ხმა არ გასცა, დაწვა და საბანი თავზე წაიფარა... რაღა დააძინებდა – აღშფოთება სულ უფრო მატულობდა. როცა ცოლმა კარი გაიხურა, ისევ წამოჯდა ლოგინში და ერთგვარი სიამითაც კი აკვირდებოდა, როგორ უვლიდა მთელ სხეულს სიძულვილის ტალღები, როგორ იჟღინთებოდა ყოველი უჯრედი გააფთრებით, ტანი იკვრებოდა მუშტივით და თავში კი უროსავით მძიმედ და რიტმულად სცემდა ერთადერთი აზრი: "ახლა რაღაც უნდა მოხდეს... ახლა რაღაც უნდა მოხდეს!.." ცოლი რომ დაბრუნდეს, შეიძლება, მოკლას კიდეც... აჩქროლებულმა გულისცემამ აიტაცა, რაღაც შინაგანმა ძალამ ბიძგით ზეზე წამოაგდო და მაშინ მიხვდა, რომ შინიდან წასვლას ვეღარაფერი დაუდგებოდა წინ, ვერ გადაათქმევინებდა ვერაფერი... დიდი ხნის ჩაფიქრებული გამოსათხოვარი წერილი სწრაფად დაწერა და ქვედა სართულზე ჩავიდა; ჯერ დუშან მაკოვიცკი გააღვიძა, შემდეგ – ქალიშვილი საშა: მომეხმარეთ, მივდივარ, ბარგი ჩამალაგებინეთო... როგორც იქნა, მძიმე ტვირთი მოიცილა – გადაწყდა: საბოლოოდ მიდის, მიდის, მიდის!.. რა ხანია, ტანჯავდა უძლურება სურვილის შესრულებისა – ჰყოფნოდა გამბედაობა და ძალა შინიდან წასასვლელად, ყოველდღიური წამების აღსაკვეთად... და ახლა შინაგანად უცნაურად დაწყნარებულს, გრძნობადაწმენდილს, სიხარულით აფორიაქებულს და შვებით ამჩატებულს, არ ჰქონდა არც თავი და არც დრო საკუთარი სულის რთული მიმოქცევების ხვეულებში გარკვევისა, რაც სხვა დროს ყველაზე დიდი სიამოვნების მომტანი იყო მისთვის... თითქოს ყოველგვარი შემბორკავი განცდების უკან ჩამოსატოვებლად, ინსტინქტურად მოძრაობის მოთხოვნილებას მიენდო – გადადიოდა ერთი ოთახიდან მეორეში, ეხმარებოდა სხვებს წასაღებად საჭირო ნივთების მოძებნაში... და მაინც შავი აჩრდილივით თან სდევდა შიში – თვალწინ ეხატებოდა საშინელი სურათი: ცოლმა ხმაურისგან გაიღვიძა, შემოდის ოთახში და იმართება ისტერიკული სცენა... ვერ მოითმინა და სანამ სხვები ბარგს კრავდნენ, თვითონ საჯინიბოსკენ გაემართა, რათა ეტლის სამგზავროდ გამზადება დაეჩქარებინა. გზაში, ვაშლის ბაღში, სიჩქარით ბილიკს ასცდა, ტევრში მოხვდა, სიბნელეში ხეებს მიაწყდა – ერთს დაეჯახა, მეორეს, მესამეს... დაეცა, ქუდი დაკარგა, კარგა ხანს უშედეგოდ ეძება, შემდეგ უკან გამობრუნდა, ძლივძლივობით გაიკვლია გზა სახლისკენ; აქ სხვა ქუდი დაიხურა, ელექტროფარანი მოძებნა და ისევ საჯინიბოსკენ გაეშურა...

სანამ მეჯინიბე და მეეტლე ეტლში ცხენებს შეაბამდნენ, ისევ ვერ მოითმინა, სულ სოფია ანდრეევნას უდროო გაღვიძება ელანდებოდა და უკან, სახლისკენ გამოსწია დასაჩქარებლად. ვაშლის ბაღში შუა გზაზე შემოხვდნენ ბოხჩებითა და ჩემოდნით მომავალნი – დუშანი, საშა და ვარია ფეოკრიტოვა...

– გადავწყვიტე, წავსულიყავი შინიდან, თორემ, შესაძლოა, სოფია ანდრეევნასთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა, ეს კი ჩემთვის აუტანელი იქნებოდა... – ლევ ნიკოლაევიჩი ჩუმდება და ცოტა ხანში ისევ განაგრძობს: – მართლაც ძლიერ ცივა, თავი გამეყინა... მეორე ქუდიც დავიხურო?... გმადლობთ... უჰ, როგორ ცივა!.. საით გავემგზავროთ, რაც შეიძლება შორს? სოფია ანდრეევნას რომ გაუჭირდეს კვალის მიგნება...

– ბესარაბიაზე რას იტყვით? იქ მოსკოველი მუშა გუსაროვი დასახლდა ოჯახიანად, მიწას გლეხურად ამუშავებს, იქვეა თავადი ალექსანდრიც... მაგრამ იქამდე დიდი ხნის სავალია, მატარებლები ნელა დადიან.

ლევ ნიკოლაევიჩი არ პასუხობს. ეტლი მიირწევა, ქარი სიბნელეში უხილავი ხეების შიშველ ტოტებში სისინებს, თითქოს ცდილობს პასუხის გაცემას უსასრულოდ ბევრ კითხვაზე, ოღონდ, ხეტიალით დაბრძენებული და დაღლილი, მთავარს გვერდს უვლის – ღირდა კი წასვლა? მშობლიური კუთხის სამუდამოდ დატოვება, ოჯახის, შეჩვეული გარემოს დათმობა? ეს საქციელი ხომ ეწინააღმდეგება ტოლსტოის მრწამსს: არ უნდა გაექცე სიძნელეს, რაოდენ მძიმე ასატანიც უნდა იყოს... სიძნელისგან თავის არიდებით ვერ ჰპოვებ ბედნიერებას; ბედნიერება თვით ცხოვრებაა, ცხოვრების მრავალგვარი გამოვლინება – შეცდომებითა და არეულობით, ჭუჭყითა და შიმშილით, ეგოიზმითა და გაუტანლობით, ხანმოკლე სიხარულითა და გაუთავებელი საფიქრალ-საზრუნავის უწყვეტი ჯაჭვით... ამქვეყნად არის სისხლიანი ომებიც, რელიგიური, ეროვნული, პოლიტიკური და სხვა შეუწყნარებლობაც, უმეცრებისა და სიხარბის აპოთეოზი, ათასგვარი პირადი უბედურებაც, მაგრამ მაშინაც კი ადამიანმა უნდა შეძლოს, იყოს ბედნიერი... ესე იგი, იკმაროს მცირედი, იზრუნოს სხვებზე, იცხოვროს და იშრომოს სხვებისთვის... ხოლო ბრძოლა პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, სიმდიდრის მოსახვეჭად, პირადი კეთილდღეობისთვის, სულიერი სიმშვიდისთვის, ცხოველური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად – ეს ბედნიერებასთან მიახლოება კი არა, უზნეობის ჭაობში

ჩაფლობაა... თვითონ ბევრს შრომობდა და წვალობდა და ეს ბრძოლა და ტანჯვა უკვე თავისთავად არის ჯილდო... მაშ, რატომ განერიდა ოჯახს? რაც უფრო მძიმეა გარემო პირობები, მით უფრო შეიძლება, ბევრი და შედეგიანად იმუშაო საკუთარი თავის აღზრდაზე, ზნეობრივ გაკეთილშობილებაზე... განუწყვეტლივ ტანჯავდა ფიქრი საკუთარ "უსაქმურობაზე", სხვისი შრომის ნაყოფის მითვისებაზე... ათწლეულების განმავლობაში ყოველდღიურად ხედავდა, როგორ მოდიოდნენ დილაობით "ღარიბთა ხესთან" სიდუხჭირით დაჩიავებული გლეხები და ქვეყნად ყველაფრისადმი გულგრილად განწყობილი მაწანწალები (ხოლო მისი საკუთარი ვაჟიშვილები ამ დროს ლოთობასა და ბანქოს თამაშში ჰკლავდნენ დროს...), როგორ შემოუსხდებოდნენ სახლის წინ გაშლილ მაგიდას შინაურები და სტუმრები, მსახურებს კი განუწყვეტლივ მოჰქონდათ ნაირნაირი ძვირფასი კერძები (10 თავი!) და ბოლოს – ნაყინი (ხოლო სოფლებში ნახევრადჩაქცეულ ქოხებში შიმშილისა და ავადმყოფობისგან სულს ღაფავდნენ გლეხები); ის დღედაღამ ფიქრობდა, როგორ დახმარებოდა დევნილ დუხობორებს, როგორ აემხედრებინა ხალხი უაზრო, დანაშაულებრივი ომების წინააღმდეგ, როგორ მიეღწია თითოეულისა და ყველას (უპირველესად კი – საკუთარი თავის) სულიერი და ზნეობრივი გაკეთილშობილებისთვის – ყოფილიყო თითოეული თავისუფალი მონური დამოკიდებულებისგან, მატერიალური ზეგავლენისგან, უმეცრებისა და ცრურწმენის ტყვეობისგან, თავისუფალი ფუფუნებისგანაც და სიღატაკისგანაც... ჰოდა, როგორ გინდა, შეურიგდე იმ გარემოებას, რომ სოფია ანდრეევნა მისი ოჯახის წევრების ასეთი უზნეო ცხოვრებისთვის ხარჯავს ფულს, რომელიც მას, ტოლსტოის, აძლევენ მაღალზნეობრივი ცხოვრების დასამკვიდრებლად დაწერილ წიგნებში...

მიჰქრის ეტლი, მიჰქრიან ფიქრებიც – ამ მთისა და იმ ბარისა, ამაღლებულიცა და მდაბალიც, ტკბილიცა და მწარეც... და მაინც ვერაფრით იცილებს მტკივნეულ მოგონებას: სოფია ანდრეევნა ანდერძს ეძებს მის ქაღალდებში, საიდუმლო ანდერძს – ბეცი თვალები ახლოს მიაქვს მაგიდასთან, კვალის მაძებარ ძაღლსა ჰგავს... ისევ ეკვრის კრიჭა ლევ ნიკოლაევიჩს, მუშტები დაუბჯენია მუხლებზე... ნებისყოფის დაძაბვით ნელ-ნელა სხვა მოგონებებს გადასწვდება და გრძნობებს იმშვიდებს: ახალგაზრდა ცოლი, თითქმის ბავშვი, სიყვარული, ბედნიერება, შვილები... და გულაჩუყებულს უნათდება სახე, უსწორდება ნაოჭები შუბლზე, ემატება ნაოჭები ტუჩთა კუთხეებში... თვალს მომდგარი ცრემლები მოედინება ლოყებზე და მძივებად იბნევა, თეთრ, მსუბუქ წვერში... ეცოდება შინ მიტოვებული სოფია ანდრეევნა... ჯიბიდან იღებს ცხვირსახოცს, იხოცავს ცხვირს, ერკვევა ბურანიდან და გზაზე ბრუნდება – ამჩნევს ცხენთა ფლოქვების თქარათქურს, ცივი ქარის შემოჭრას ყოველ ჭუჭრუტანაში და კიდევ უფრო იფუთნება ქურქში. მერე ისევ იძირება მღელვარე ფიქრთა ტალღებში...

მსოფლიოს უდიდეს ადამიანთა ნააზრევში სიბრძნეს ეწაფებოდა წუთისოფლის ურთულეს კითხვებზე პასუხების ძიებაში – და შედეგი? საკუთარ ოჯახში შეიქნა უცხო, ვერ შეძლო ჰარმონიის შექმნა, მას კი სურდა, მთელ ქვეყნიერებაზე დამკვიდრებულიყო სათნოება, ურთიერთგაგება, სამართლიანობა, მშვიდობა... იდეალისტი გამოდგა და რეალურ ცხოვრებაში გაუთვითცნობიერებელი, და სასაცილო არ არის? – ლამობდა, ჭკუის დამრიგებელი ყოფილიყო სხვათათვის, პედაგოგობდა, მძაფრ პოლემიკურ წერილებს აქვეყნებდა, სურდა, ამოეცნო ამ ცხოვრების ჭირ-ვარამის მკურნავი წამალი – და აღმოჩნდა ხელმოცარული ქადაგი...

უკან ხომ არ დაბრუნდეს? არა და არა! რუბიკონი გადალახულია! "წასვლა – დარჩენა", პრობლემა, რომელიც ოცდაათ წელიწადს აწუხებდა, აღარ არსებობს, მტანჯველი ტვირთი მოიხსნა, მაგრამ ფიქრით კი მაინც ისევ და ისევ ზომავს და წონის... რატომ მოიგონა ღმერთმა ფიქრი? როცა რამეზე ფიქრობს – ფიქრობს დაძაბულად, ყოველი მხარის, ყოველი წვრილმანის გათვალისწინებით – ეს უკვე მისი ჩვეულებრივი მდგომარეობაა უკვე სამოცზე მეტი წლის განმავლობაში; ახალგაზრდობიდანვე ფიქრი, აზროვნება იყო მისი ყველაზე დიდი გატაცება; უმძაფრეს სიამოვნებას ანიჭებდა თვით პროცესი – საკუთარი სულის წიაღში ეძებნა პასუხები კითხვებზე, რომლებსაც მის წინაშე წამოჭრიდნენ გარემო, გონება, გრძნობა და სინდისი... კითხვებზე მას თვითონ უნდა ეპოვნა პასუხები, თუნდაც ისინი სხვათა მიერ უკვე კარგა ხანია ნაპოვნი ყოფილიყვნენ, "საყოველთაო ჭეშმარიტებას" წარმოადგენდნენ. როცა რომელიმე მოვლენაში სურს გაერკვეს ან რაიმე გაიხსენოს, მთელი ყურადღება ამ მიმართულებით აქვს გამახვილებული – ადამიანზე, ბუნების სურათზე, საზოგადო თუ კერძო მოვლენაზე... მაგრამ ამავე დროს მრავალი სხვა ზმანება და გრძნობა, აზრი და ქვეცნობიერი იმპულსი აქვე ახლოს ტრიალებს, ოღონდ მეტ-ნაკლებად ბუნდოვნად, ძირითად ხილვას თუ ფიქრს ან ასოციაციით ავსებს, ან ეწინააღმდეგება და კონტრასტით აღმოცენდება, როგორც დამაზუსტებელი, სურათის მთლიანობის შემავსებელი, მოვლენის შინაგანი წინააღმდეგობის და სირთულის მაჩვენებელი; ზოგჯერ – ყოველგვარი კავშირის გარეშე: სხვა, პარალელური ფიქრის ან გრძნობის მატარებელი, ქვეცნობიერად არსებული, ან წინა დღეებისგან ინერციით შემორჩენილი, ან, უბრალოდ, ყოველგვარ ლოგიკურ ახსნას მოკლებული, უცნაურად აკვიატებული თანდაყოლილი სახე... ცხოვრების მთელი მრავალფეროვნება გაკვირვებს, ყოველივესა და ყველაფრის არსი და ცვალებადობა გიტაცებს, სიცოცხლის ყოველი დღე თვალწარმტაცი მოგზაურობაა... მხოლოდ საკუთარი

თავის შესწავლა, დაკვირვება ჭირსა და ლხინში, რამდენ საფიქრალს იძლევა... ესეც ჩვეულებად ექცა – სამყაროს "მჭვრეტელიც" და "ამხსნელიც" იყო ერთდროულად, რადგან, სანამ ახსნიდე, მანამდე უნდა შეიცნო მოვლენა და საგანი მთელი მისი სიგრძე-სიგანით, წვრილმან-მსხვილმანით... რამდენი რამაა დასაკვირვებელი, შესასწავლი, გასააზრებელი – და მაინც უკიდეგანო სივრცე ცოდნისა დაგრჩება დაუნახავი და აუთვისებელი... რამდენი რამაა შეუცნობელი!.. სიცოცხლის ბოლო წუთამდე უნდა დარჩე დამკვირვებლად და მოაზროვნედ, შეიცნო ბუნება, ადამიანები – ბრბო და პიროვნებები, მათი ეროვნული, პროფესიული, სოციალური, ასაკობრივი, ფსიქოლოგიურო ჯგუფები, მთლიანად საზოგადოება, მისი განვითარების ტენდენციები... საჭიროა ყველაფრის (მოვლენების, საგნების, ადამიანების) დაჯგუფება, დაყოფა... (ჯარისკაცები არსებობს ასეთი და ასეთი... თავის მხრივ, ყოველი ჯგუფი ნაწილდება ქვეჯგუფებად, ქვექვეჯგუფებად...); უნდა გქონდეს მახვილი გონება, რომელსაც საკვები უნდა მისცეს არანაკლებ მახვილმა თვალებმა, ყურებმა, ცხვირმა... და აი, იბადება ლეგენდები ტოლსტოის თვალებზე: ზოგი მას "მგლის" თვალებს სწამებს, ზოგი – სფინქსის: ყველა ვერ უძლებს გაბარდღნილ წარბებქვეშიდან გამომზირალ მის გამჭოლავ, მომნუსხავ, მომთხოვნ, მკაცრ და მოუსყიდავ მზერას... და იმისდა მიუხედავად, რომ ახლომხედველია და სათვალეს იშვიათად ხმარობს, ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მას აქვს გამჭრიახი თვალები, რომლებიც ხედავენ პიროვნებას, საგანს, მოვლენას ყველა უწვრილმანესი დეტალებით და ამავე დროს მთლიანობაში აღიქვამენ; ამასთანავე, ჩვევა ყველაფრის გააზრებისა, დაპირისპირებისა, ასოციაციით ათას რამესთან დაკავშირებისა სწორი დასკვნის გამოსატანად, იშვიათი მეხსიერება – მის გულსა და გონებას აძლევს უმდიდრეს მასალას და ხშირად ლევ ნიკოლაევიჩი ერთხელ შეხვედრით (ტანსაცმელზე მოწყვეტამდე მოსუსტებული ღილით ან თმის ვარცხნილობით) უკეთ შეიცნობს პიროვნებას, ვიდრე ამ პიროვნების დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრები... რა ცხადად წარმოუდგება ახლაც სხვადასხვა ადამიანთა ტიპები, როგორი სურვილი აქვს მათი ქაღალდზე გაცოცხლებისა, მაგრამ... ყოველდღიურობა, მასთან დაკავშირებული ფიქრები და ზმანებები, წარსულის სურათები და მომავლის გადაუჭრელი პრობლემები – სულ თან სდევენ; ნაკუწებად, ნაფლეთებად, ფრაგმენტებად, იშვიათად – სრულყოფილ სურათად, ხმებად, გრძნობებად, ხატებად ქცეულნი; თითქოს ხან ფანტელებივით ცვივიან (ბავშვობის მოგონებები), ხან ქარბორბალასავით ტრიალებენ (ყოველდღიურობის ცხოვრებისეული ტკივილები), ხან შეშინებული კურდღლებივით გარბიან (საკუთარი სისუსტეები, ადამიანთა ცოდვები...), ხან მომქროლავი ორთქლმავალივით ახლოვდებიან (მომავალი: ცივილიზაციის სიკეთე და მანკი: რკინიგზა, ელექტრობა, სინემატოგრაფი, ქარხნები, ფონოგრაფი, სიღატაკე, გაუცხოება, სისასტიკე, მომხვეჭელობა, ეგოიზმი, შეუწყნარებლობა, უზნეობა...) – სტვენით, ქშენით, დამაყრუებელი გრუხუნით, თითქოს რკინის შავ ურჩხულს უნდა, რომ შენ და შენს გარშემო ყველაფერი გადაყლაპოს, ხაზი გადაუსვას ამ ცხოვრების ნათელსაც და შავსაც, ყოველივე გადათქროს და უაზრო საერთო მნიშვნელამდე დაიყვანოს...

სწორედ ამ რკინის ურჩხულმა უნდა განაშოროს მის მშობლიურ კუთხეს, რომელიც ასე უყვარს, რომელსაც ასე შეეთვისა, რომლის განუყოფელ ნაწილადაც გრძნობს თავს... უნდა შეელიოს პარკებს, სადაც სეირნობდა, ტყეებს, სადაც ნადირობდა, ველებს, სადაც ბევრჯერ უგრძნია ბედნიერება, გლეხებთან ერთად ბალახის თიბვის შემდეგ დაქანცულს...

აქ, ამ ტყე-ველებში, სეირნობდა თითქმის ყოველდღე, ყოველგვარ ამინდში; ხან ფეხით, ხან საყვარელ ცხენზე – დელირზე – ამხედრებული... განსაკუთრებით ამ ბოლო წელს სულ ვეღარ ჩერდებოდა შინ – უსაქმოდ არ შეეძლო გაჩერებულიყო, არც წერის ხასიათზე იყო, ამიტომ უფრო ხშირად, ვიდრე ოდესმე, გადიოდა სახლიდან ცხენით ან ქვეითად, შემოივლიდა ნაცნობ ადგილებს და ყოველთვის უამრავ ახალს და აღმაფრთოვანებელს აღმოაჩენდა ამ ათასგზის დავლილ ადგილებში... ყოველ წელს იცვლება გარემო: ხრამი გაღრმავებულა, ისე ადვილად ვეღარ ძლევს მის ციცაბო ფერდობს (თუ თვითონ მოხუცდა?), მისი ხელით დარგული ნერგები იზრდებიან, ვაჟკაცდებიან; დინჯ, ბრძენ, ხნიერ ხეთაგან კი ზოგი გახმობას იწყებს – კენწეროში გაზაფხულზე ტოტები ძველებურად ხალისიანად აღარ იფოთლებიან... ზოგი კი უკვე ძირს დაცემულა, ჭიანჭველები და ათასგვარი ჭიაღუა დასევია, ქერქი ალაგ-ალაგ გადასცლია და ყავისფერი, წვრილი ნასვრეტებით დაწინწკლული ტანი გაშიშვლებია... დრო არ იცდის, მასაც ხომ არ მოუწევს ასე საცოდავად დაასრულოს სიცოცხლის დღენი? თითქოს გუშინ იყო: მისი შვილები იბადებოდნენ, ღნაოდნენ უმწეოდ, საფენებს წარამარა სვრიდნენ, გაწამებული სოფია ანდრეევნა კი ისევ ფეხმძიმედ იყო... ბედნიერი ხანა! მერე ის დროც დადგა, ბიჭებმა რომ წვერი დაიყენეს, ლოთობასა და ბანქოს თამაშს მიჰყვეს ხელი; გოგოები დაქალიშვილდნენ, ახლა მათი ბედის მოწყობაზეც უნდა ეზრუნა... მერე შვილიშვილებიც გაჩნდნენ – ერთი, ორი, სამი... ოცდახუთამდე! თვით ის კი, ლევ ტოლსტოი, ძველებურად ყინჩად ზის ხოლმე ცხენზე და მრავალვერსიან გასეირნებასაც ისევ ისე ეტრფის; სიარული ხომ ისეთი სწრაფი იცის, რომ ახალგაზრდებსაც არ უდებს ტოლს...

კარგია დარდის გასაქარვებლად ტყე და მინდორ-ველი – მიდიხარ, მიდიხარ ნება-ნება, დაუსრულებელი მრავალფეროვნება და სილამაზე იშლება თვალწინ ყოველ ფეხის გადადგმაზე, აბეზარი

ფიქრები აღარ გაწუხებენ, აღარც გახსოვს ისინი – ყველაფერს შთანთქავს ბუნება, თითქოს ცივი, ადამიანის ბედის მიმართ გულგრილი, თავისი საკუთარი ცხოვრებით სავსებით გართული... და შენც გართობს და გიტაცებს ხეთა მრავალფეროვნებით, ფოთლების შრიალით, მიწის უსწორმასწორობით, ცის სილაჟვარდეში გადმოფრქვეული სხივების ტყის დაბურულ სიგრილეში აკაშკაშებით, ათინათების თამაშით რტოებში და მიწაზე; ველებზე ათასფერადი ბალახების ხალიჩით – ყვავილები, ყვავილები... რამდენი ფერია, რამდენი სურნელი; უამრავი მწერი ირევა, ბზუის, დაფარფატებს, ყვავილიდან ყვავილს მიაშურებს; ჭიანჭველები დაღოღავენ, ბუდეში მიათრევენ ზოგი მარცვალს, ზოგი ჭუპრს, სხვები დასევია კლაკნია მუხლუხოს... მერე ყველაფერი სახეს იცვლის – შემოდგომა დგება. გახშირდება წვიმები, გლეხები დაძაბულნი შეჰყურებენ ცას – უკვე დამტკბარი მზის სხივები როდის მოეფინებიან დამბალ გარემოს, მოსავალს აღება და დაბინავება უნდა... დამღამობით სიცივე წამოუვლის ალაგ-ალაგ ხევებით დაღარულ და ტყეებით გადამუქებულ, რბილად მოხაზულ ბორცვოვან-გორაკოვან არემარეს, თეთრად შეჭირხლავს ბალახებს, წითელ-ყვითელს გაურევს არყების, თელების„ იასამნების, მუხების ფოთლებს... პირველი თოვლი გადაათეთრებს გარემოს; ისევ დათბება ცოტა ხნით, ატალახდება მიწა, შემორჩენილი ფოთლებიც ქვევით მოფარფატებენ, გადაშავებულია ნახნავი; ტყეები თალხ ფერებს შეუმოსავს, მხოლოდ არყნარი ახარებს თვალს ხეთა ქათქათა თეთრი ტანების ჯარით... ბუნება თითქოს იძინებს, მას ქარიც კი ვეღარ აღვიძებს, მელანქოლიაა განფენილი პეიზაჟში – ყველაფერი ეს მოქმედებს ადამიანის გუნება-განწყობილებაზეც... ალბათ ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ სწორედ ახლა, გვიანი შემოდგომით, სტოვებს იასნაია პოლიანას... ბუნება თითქოს ემშვიდობება ადამიანს და იძინებს, რომ გაზაფხულზე ისევ აღსდგეს. ეს ბუნებას წესად აქვს, მაგრამ არა ადამიანს. ადამიანის ზამთარს გაზაფხული აღარ მოჰყვება... ადამიანიც აღსდგება ხოლმე, მაგრამ მხოლოდ თავის შვილებში და შვილიშვილებში... ნუთუ მასაც, ლევ ტოლსტოის, იგივე მოელის, რაც მილიონობით და მილიონობით ადამიანმა გაიარა კაცობრიობის არსებობის მანძილზე? ნუთუ ერთი გამონაკლისი არაა შესაძლებელი, თუნდაც მისთვის, ლევ ტოლსტოისთვის?

აი, ახლა ეტლი ხელმარჯვნივ ტოვებს კოჩაკის სასაფლაოს... ბებერ ხეებქვეშ შეყუჟულა ძველთაძველი ეკლესია, გარშემო კი მიმოფანტულან ჯვრები, ჯვრები, ჯვრები... უმრავლესი – ხის, ზოგი – რკინის, აქა-იქ – ქვისგან გამოთლილიც... და ყოველი მათგანი ჯვარს უსვამს ვიღაცის სიცოცხლის გზას... აქ განისვენებენ ტოლსტოის მშობლები, ძმა, შვილები და შვილიშვილიც კი... იასნაია პოლიანას გლეხები, კაცები და ქალები, მოხუცები და ახალგაზრდები, ბავშვები... ზოგი მათგანი ავადმყოფობამ იმსხვერპლა, ზოგი – შიმშილმა, ზოგი – უბედურმა შემთხვევამ... აქაა იმ ქალის საფლავიც, რომელიც იანვრის სუსხიან დღეს მატარებელს ჩაუვარდა ბორბლებქვეშ... და რამდენიმე წლის შემდეგ მას მიბაძა ანა კარენინამ, რადგან იპოვა მხოლოდ ეს ერთადერთი გამოსავალი...

ცხენები კი განაგრძობენ რბოლას, მეეტლე ადრიანი სულ უფრო ახურებს მათ; ცხენები განუწყვეტლივ ზომავენ წინა და უკანა ფეხების მონაცვლეობით ქვიან გზას, მათ რიტმულად მონანავე მუცლებს ოხშივარი ასდის, დაბერილი ნესტოებიდან ქშუტუნით გამოდევნილი ცხელი სუნთქვა თეთრ ორთქლად იბოლქვება ცივ ჰაერში... თუმცა ამ სიბნელეში რა უნდა გაარჩიო, მაგრამ შინაგანი მზერით ცხადად ხედავს ყოველივეს... მირბიან ცხენები და მიაგორებენ ეტლს, არ იციან საით და რისთვის... ბედნიერები! თითქოს მწირი ცხოვრება აქვთ, გაუხარელი, მძიმე მოვალეობით და სრული უუფლებობით აღსავსე სიცოცხლის გზა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ბედნიერებიც არიან, რადგან წარმოადგენენ სილამაზეს, სიძლიერეს, ჰარმონიას მთელ სამყაროსთან – არ ტყუიან სხვებთან და, რაც მთავარია, საკუთარი სინდისის წინაშე; არ ეცოდებათ საკუთარი თავი, არც ოცნებები უცრუვდებათ... მართალია, თავის ჭკუაზე არ ცხოვრობენ, ემონებიან, მაგრამ ადამიანები რომ მონებიც ვართ და აზროვნებასაც გვაიძულებენ თავიანთ ყაიდაზე, ინტელექტუალურად გვიმონებენ?.. გვეუბნებიან: ჩვენ თქვენზე ვფიქრობთ, თქვენს ინტერესებს ვიცავთ, თქვენ კი ნუღა ფიქრობთ – ჩვენი ნაფიქრალი ჭეშმარიტების უმაღლესი საფეხურია... მერე, რა არის ჭეშმარიტება? სად არის ცხოვრების აზრი? ამაზე კაცობრიობა რამდენი ათასი წლის მანძილზე იმტვრევდა თავს, ეს აწვალებდა მასაც მთელი ცხოვრება, ყველა დროისა და ქვეყნის ბრძენთა ბრძენების ნაფიქრალშიც ეძებდა პასუხს და მაინც გაურკვევლობის ეჭვი ღრღნის... საკვირველია: გამოხტება ერთი და ორი კი არა, ასობით ვიგინდარა და ქადაგად დავარდება, ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავლის როლს იტვირთავს და – როგორ არ გაგიკვირდება? – უმეცრის გულდაჯერებით უბადრუკ ნაცოდვილარ აზრებს ყვირილით გახვევს თავს: ჩემს ხელთ არის ჭეშმარიტება და ვინც მას არ აღიარებს, ეშმაკის ტყვეა, უნდა მოისპოს, უკვალოდ ამოიძირკვოსო... ჭეშმარიტება, სიმართლე – ამა ძლიერთა მიერ მიტაცებულია და “პატრიოტიზმის”, “კაცთმოყვარეობის”, “სამართლიანობის”, “თანასწორობის” სახელით ანუ მეფისა და ხალხის სახელით გზას ულოცავენ ომებს, ერთის მიერ მეორის დაბეჩავებას, ძალმომრეობისა და შეუწყნარებლობის ღვთის სახელით კურთხევას... ადამიანი არ უნდა ენდოს ბრმად არცერთ ლამაზ თეორიას – ყოველი მათგანი ადამიანის მიერაა შექმნილი, განსაზღვრულ ცოდნასა, გამოცდილებასა და ფიქრზეა აგებული და ამიტომ შესაძლებელია, ობიექტური შეცვალოს სუბიექტურით, საკუთარი, ცალმხრივი გამოცდილება საყოველთაოდ მიიღოს, არასწორი წანამძღვრებიდან არასრულყოფილი

ან მცდარი დასკვნები გამოიტანოს. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა კეთილი ზრახვებით მოქმედებს პიროვნება, ხოლო როცა უგვანო, კერძო მიზნებს ისახავს, მაშინ ხომ...

– დუშან პეტროვიჩ, ახლა გამახსენდა რატომღაც, "უტრენნიაია ზვეზდაში" არის გამოქვეყნებული ჩემი წერილი მღვდლისადმი და მისი პასუხი. როგორ დაბეჭდეს, ძალიან უმამაციათ... კარგი იქნებოდა, გაზეთებში გადაბეჭდილიყო.

ექიმი რაღაცას პასუხობს, ალბათ ეთანხმება, მაგრამ ტოლსტოის აღარ ესმის – ისევ საკუთარ ფიქრთა დენამ წარიტაცა... ეტლი მიირწევა, გზა ბორცვებზე მდოვრედ გადაედინება – მცირე აღმართებს ვაკე ადგილები მოსდევს ცოტა ხანს, მერე რბილად ეშვება დაღმართისკენ, რომელსაც ისევ სწორი ადგილი ცვლის მომავალ აღმართამდე... ასევე, ფიქრებიც მიედინებიან ტალღა-ტალღად – ხან სიამოვნების მომგვრელი, ზეამტაცი, ხანაც სწორი ადგილივით უსახური, ბანალური, უფრო ხშირად – ჭმუნვის მომტანი, ზოგჯერ კი – მთელი სხეულის შემანჯღრეველი, როცა ფიქრის ბორბალი მტკივნეული მოგონების ორმოს გადაივლის... რამდენი წერილი მოსდის, რამდენი სთხოვს რჩევას, ცხოვრებისეულ კითხვებზე პასუხს... თვითონ მას ვერ უპოვია პასუხი უმარტივეს კითხვებზე და სხვებს რაღა უპასუხოს?.. არსებობს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმაარიტებები და მაინც ხშირად იძულებული ხარ, ისევ და ისევ იქადაგო: ადამიანები ერთმანეთის ძმები არიან და სხვას ისე უნდა მოექცე, როგორც ისურვებდი, რომ შენ მოგეპყრონ... მიზანი არ ამართლებს საშუალებას – არ შეიძლება კეთილი მიზნის მიღწევა უგვანო საშუალებებით... არცერთი ადამიანი არ არის მოწოდებული, ჭკუა დაარიგოს სხვებს, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ თვით გაიწვრთნას ჭეშმარიტებასა და სიყვარულში... და მხოლოდ საკუთარი თავის აღზრდით შესძლებს ადამიანი სხვებზე ზემოქმედებას. ათასი რამ გაბრკოლებს ამ გზაზე – შინაგანიც და გარეშეც: კეთილდღეობაზე ზრუნვა, გაუბედაობა, მერყეობა, ხასიათის სისუსტე... ძნელია, დასთმო ამ ცოდვილი ცხოვრების პატარა სიამოვნებანი და კომფორტი – ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ხომ მხოლოდ ერთხელ იბადება... ეს სულიერად იმონებს პიროვნებას: გემრიელი საჭმელები, ეკიპაჟი, მორთული ბინა, ლამაზი ტანსაცმელი, მსახურები...

– დუშან პეტროვიჩ, გორბაჩოვოში მეორე კლასის ვაგონით გავემგზავროთ, იქიდან კი კოზელსკისკენ – მესამე კლასით... როგორ ფიქრობთ, ხომ არ აჯობებს, ჯერ ტულას გავემგზავროთ და იქიდან უკან გამოვბრუნდეთ გორბაჩოვოსკენ?

დუშან მაკოვიცკი, სლოვაკი ექიმი, გამხდარი, ჩუმი, უპრეტენზიო ადამიანი, ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი, ტოლსტოის თანამგზავრი შემთხვევით არ გამხდარა... პასუხობს ლევ ნიკოლაევიჩს, რომ შჩოკინოში გაიგებს მატარებლების მოძრაობის განრიგს და არის თუ არა გორბაჩოვოდან მატარებელი კოზელსკისკენ. კოზელსკთან ახლოს მდებარეობს შამარდინო, სადაც ქალთა მონასტერში ყოველ დარჩენილ დღეს ღმერთზე ფიქრში წყნარად აღამებს მარია ნიკოლაევნა – ტოლსტოის და...

ღმერთი, ღმერთი... თვითონაც რამდენს ფიქრობს უკვე არა ერთი და ორი ათეული წელია მის რაობაზე და საფიქრელი მაინც არ ელევა... ყოველ ადამიანში არის ღმერთის გამოვლინება, ყოველ მოვლენაში, აგრეთვე თვით დროისა და სივრცის არსებობაში... მაგრამ ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ღვთის გამოვლინება თვით მასში. ჩვენ შეგვიძლია, ღმერთი შევიცნოთ მხოლოდ როგორც ღვთის გამოვლინება ჩვენს აზროვნებაში. მთელი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ცდილობს, მიაკვლიოს ღვთის რაობას, რამდენჯერ ფიქრებში თითქოსდა მიაღწია მიზანს, მაგრამ როგორც კი ჩაწერას შეუდგება, თვალსა და ხელს შუა ეცლება დალაგებული, ღრმა აზრი, რჩება შიშველი შეგონება, რომ ღმერთი არის რაღაც ისეთი, რისი არსებობაც უცილობელია (ამას უფრო გრძნობა გვკარნახობს, ვიდრე გონება) და რომ ღვთის ცნება უნდა ცხადად გამოიკვეთოს თითოეულისთვის განუწყვეტელი, დაჟინებული ფიქრით... როდესაც სულ თვითაღზრდაზე, საკუთარი თავის გაკეთილშობილებაზე ზრუნავ, იდეალისკენ მიისწრაფი – ალბათ ღმერთის ცნებაც ამისთვის გვჭირდება, როგორც უმაღლესი მსაჯულისა, ადამის ძეთა შეცდომებისა და შეცოდებების ცხადად წარმომჩენისა...

ლევ ნიკოლაევიჩს მოუნდა ახლად დაბადებული აზრის უბის წიგნაკში ჩვეულებისამებრ გადატანა, რათა არ დავიწყებოდა, უნებურად მარცხენა ხელით დაიწყო ჯიბეში წიგნაკის მოფათურება, მაგრამ მაშინვე შეეშვა – სიცივე შეიჭრა ტანსაცმლის ნაკეცებში, ან ამ სიბნელესა და ყანყალში როგორ უნდა ჩაეწერა. ფილიპის მყრალად მბოლავი ჩირაღდანი მხოლოდ ოდნავ აწითლებდა გზისპირებს. აი, პატარა დადაბლებული მონაკვეთი განვლეს: ჯერ ცხენთა ფლოქვებმა წკრიალით დაფშვნეს წყლის მოყინული ზედაპირი, შემდეგ ბორბლებმა ხრაშახრუშით და ჭყაპუნით გადაიარეს ჩავარდნილი ადგილი (ეტყობა, გამთენიისას სუსხმა იმატა). ალბათ აქამდე ჯერ ვერ მოაღწიეს გზის შემკეთებლებმა, ამ გზაზე გასეირნებისას ხშირად ხედავდა, როგორ ამტვრევდნენ მუშები ქვებს გზატკეცილის მოსაკირწყლავად. მძიმე, ქანცგამწყვეტი სამუშაოა... რამ გაახსენა ახლა ეს მუშები? ხანდახან ფიქრი სად არ გაუხვევს... მაგალითად: რა ქონება დარჩებათ სუხოტინების ბავშვებს? რამდენი ნაბიჯი იქნება პარკის გარშემო? შინ მისვლისას დალევს თუ არა ყავას?.. ცხადზე ცხადია,

რომ მისი სხეულის გადაადგილება სივრცესა და დროში – გასეირნება, გასეირნების დროს წარმოშობილი ასეთი უცნაური კითხვებიც და უფრო მნიშვნელოვანი აზრებიც – რა არის ცხოვრება? მაშ, რა არის ცხოვრება? მხოლოდ ერთი პასუხია შესაძლებელი: ცხოვრება არის სულიერი საწყისის გათავისუფლება შემბოჭავი ხორციელი ცდუნებებისგან... და დიდი დანაშაულია, თუკი ის თავის აზრებს რაც შეიძლება ფართოდ არ გააცნობს გაუთვითცნობიერებელ ხალხს... ჰოდა, რაოდენ სამწუხაროა, თუკი რამდენიმე დღეს არ დაწერს არაფერს, დღიურშიც კი არაფერს ჩაინიშნავს... ხშირად მოუვლიდა მხატვრული შემოქმედების სურვილი და მაშინვე ჰკლავდა ამ მისწრაფებას მისი უპირველესი საქმისადმი სრულად, მთლიანად მინდობის შეუძლებლობა... როცა მუდმივად გღრღნის მოუსვენარი ჭია-ფიქრი და გრძნობა ცოლისადმი, მისი შეურაცხმყოფელი და ავადმყოფური, უაზრო ეჭვიანობა, გაუტანლობა, ისტერიკები... ამ დროს კი ბატონკაცურად ცხოვრობს (ის – ლევ ტოლსტოი), სხვები ემსახურებიან უსაქმურს... ყოველდღე აუცილებლად რაღაც უკლავს გულს... საკმარისია, სოფია ანდრეევნას მიერ დაქირავებულმა ჩაფარმა აჰმედმა მოიყვანოს დაჭერილი გლეხი (ერთი კონა ფიჩხი მოაგროვა ტყეში ან გზის შესამოკლებლად გაიარა ვაშლის ბაღში) და მთელი დღით გეწამლება გუნება-განწყობილება... და ამ დროსვე მოგდის წერილები, – გაკვირვებას გამოთქვამენ შენი მდგომარეობის გამო და გთავაზობენ: დატოვე იასნაია პოლიანა, უარი თქვი გრაფობაზე, დაარიგე ქონება და იცხოვრე იმ მაღალზნეობრივი ცხოვრებით, რომელსაც ქადაგებ... და არ არის დღე, რომ არ ფიქრობდე სანუკვარ ოცნებაზე – გლეხის უბრალო ქოხში ერთი კუთხე გქონდეს მიჩენილი, მთელი სულითა და გულით მუშაობდე მრავალრიცხოვანი, მიმზიდველი ჩანაფიქრების ხორცშესხმაზე და არ გეშინოდეს, რომ ვიღაც ყოველდღიურად აფათურებს ხელს შენს ნაწერებში, არ ტოვებს დაუზვერავად არც ერთ შენს ნაბიჯს, სისულელედ, ბრიყვულ სიჯიუტედ, ბებრულ მიხრწნილებად მიიჩნევს შენს ყველაზე სანუკვარ აზრებს... აი, საოცნებო ბედნიერება! გექნება შესაძლებლობა, გამოთქვა მთელი შენი გულისტკივილი ცხოვრების ჭირ-ვარამზე, შექმნა ნაწარმოები, რომელიც ყველა შენს ადრინდელ ნამუშევარს შორს ჩამოიტოვებს უკან თავისი სიდიადით, სიმართლით, ფორმის ნატიფი სისადავით და სიძლიერით... და ამ წიგნში იტყვი იმას, რაც შენთვის, ოთხმოც წელს გადაცილებული მოხუცისთვის, დღესავით ნათელია; ამ აზრების დადასტურებას ხედავ ყოველდღე და გიკვირს, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი რამ (ყველასთვის მნიშვნელოვანი!), საკაცობრიო-ფილოსოფიურადაც და ყოველდღიურობის თვალსაზრისითაც, ჯერ არავის უთქვამს... ეს ძლიერ საკვირველია... ნუთუ ეს პრობლემები აქამდე არავის შეუმჩნევია? ასეთი ცხადი და საჭირბოროტო საკითხით არავინ დაინტერესდა? თუ მარტო ჩემთვისაა ცხადი ცხოვრების ეს უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი? (კონკრეტულად რა თემა აქვს მხედველობაში, ძნელი სათქმელია, რადგან ამისთვის საკუთრივ დაჯდომა და რომანის დაწერაა საჭირო – ორიოდე სიტყვით შეუძლებელია თუნდაც ძირითადზე მინიშნებაც კი). ამაზე გაჩუმება არ შემიძლია... და ჩემი სათქმელი მით უფრო გაიხმიანებს, რაც უფრო უბრალო და მაღალმხატვრულ ფორმაში მოვაქცევ... რომ შეიძლებოდეს ამ დიდი ცხოვრებისეული სიმართლის მარტივად, ყველასთვის მისაწვდომად და სხარტად გადმოცემა! ასე უბრალოდ გაკეთება არ ივარგებს, საჭირო იქნება დიდი ფორმა, ღრმად ჩაფიქრებული პასაჟები, სიტუაციები, ხასიათები, სახეები, მოქმედებისა და პერსონაჟების სრულყოფილება – და მაშინ შესაძლოა, გამოგივიდეს ისეთი ნაწარმოები, რომელშიც მთელი თანამედროვე ცხოვრების ფილოსოფია იქნება გადმოცემული... რა ბედნიერებაა, იმუშაო გლეხის უბრალო ქოხში, გლეხისა, რომელიც შრომობს, თავისი შრომით საშუალებას აძლევს, იცოცხლოს და იცხოვროს ყველამ – თვითონ მან, მისმა ოჯახმა და იმ ინტელიგენტებმაც, რომლებიც დიდი გულმოდგინებითა და ოსტატობით ითვისებენ და ანვითარებენ მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებს, რათა დაგროვილი ცოდნის მეშვეობით ისარგებლონ გლეხთა შრომის ნაყოფით... რა კარგად არის მოწყობილი ქვეყანა: ზოგიერთების ბატონობის უზრუნველსაყოფად ძლიერებმა ამა სოფლისა მოიხმეს ადამიანის გონების ყველა მონაპოვარი – მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია, ჯარი, აღზრდისა და დაშინების, მოსყიდვისა და დასჯის უახლესი ხერხები...

სულ ამგვარ მტკივნეულ ამბებზე ფიქრობს და უნებურად წელთა განმავლობაში გარეგნულადაც იმოქმედა ამან – ფოტოებსა და მხატვართა მიერ შესრულებულ პორტრეტებზე იგი ყოველთვის მკაცრად სერიოზული, ფიქრებში ღრმად წასული გამოდის; თვალთა გამჭოლი მზერა თითქოს ერთი მხრივ მაყურებელს პირდაპირ ეკითხება – "რამდენად ზნეობრივად ცხოვრობ შენ?" და იმავდროულად კი, და უპირველესად, მეტი დაჟინებით დაუნდობლად ასამართლებს საკუთარ თავს, მუდმივად უკმაყოფილო... და ვინ დაიჯერებს, რომ ბუნებით ის ძალიან მხიარულია, უყვარს გართობა და დიდი სიამოვნებით დაწერდა კომედიებს... მაგრამ პრინციპულად მიაჩნია, რომ სატირული ხერხები, ირონიული თვალთახედვა მისი ნიჭის ბუნებას ნაკლებად შეესაბამება, თუმცა მას ლიტერატურაში ყველაფრის გაკეთების უნარი აქვს, ოსტატია – შეუძლია, თუ მოინდომებს, ლექსებსა და პოემებსაც დაწერს... მაგრამ მას ლიტერატურა მეტად სერიოზულ საქმედ მიაჩნია და ლექსების წერა ერთხელ შეადარა ხვნის დროს ცეკვას... როცა მძიმე ლიტერატურული ტვირთის ზიდვა ითავე, აღარ გეცეკვება: ცდა როგორმე დაეხმარო ხალხს, გლეხებს, ყველა გაჭირვებულსა და დაბეჩავებულს – გართობას ვერ უთავსდება.

ზის შუბლშეჭმუხნილი მოხუცი ეტლში... ზის დაუდეგარი, აფორიაქებული, სხვისი ჭირ-ვარამის ყოველთვის გულთან ახლოს მიმტანი, უსამართლობის ვერ ამტანი, საკუთარ თავთან და სხვებთან დაუღალავი მებრძოლი... ეძებდა გამოსავალს, ესწრაფოდა, მიეკვლია საზოგადოებრივი ცხოვრების სრულყოფისთვის, ზოგჯერ ცდებოდა, მაგრამ არასდროს იღლებოდა სამართლიანობისთვის ბრძოლაში; გულს არ იტეხდა, ძველს ტოვებდა და ახალ გზას, ახალ აზრებსა და იდეებს ეზიარებოდა, რომ შემდგომ ისინიც დაეგდო და ისევ და ისევ მოუსვენრად ეძია უახლესი... მწერლობა საზოგადოების უკეთესისკენ გარდაქმნის იარაღია და არა განყენებული ხელოვნება მშვენიერი, მაგრამ ცივი ნიმუშების შესაქმნელად... და სასოწარკვეთამდე მიდის საკუთარი უძლურების გამო. ზოგჯერ მთელი მისი ლიტერატურული შრომა უაზროდ, უნაყოფოდ მიაჩნია... დრო გადის, ის ისევ ნათელის გამარჯვების რწმენით ივსება, სუნთქავს და ცხოვრობს ამა სოფლის ყოველდღიური ამბებით შეშფოთებული და სიცოცხლის ყოველგვარ გამოვლინებაში შეყვარებული, ქვეყნიერების სილამაზით დამონებული და საკუთარი თავისა და პირადი ცხოვრებით უკმაყოფილო... ახლა კი ტოვებს სამუდამოდ იასნაია პოლიანას და ამ უკანასკნელი ამბოხით ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ არასდროს არის გვიან – დაიწყო ახალი ცხოვრება! (მერე რა, რომ შესაძლებელია, ზოგიერთმა რეგვენმა და გამყალბებელმა ეს ნაბიჯი აქტიური ცხოვრებიდან განდგომად, ეკლესიასთან შერიგებად მონათლოს).

ახალი ცხოვრება უკვე დაიწყო მისთვის, ცხოვრება, რომელშიც აღარ იქნება ორაზროვნება, შინაგანი გაორება, ჭიდილი გრძნობასა და მოქმედებას, სიტყვასა და საქმეს შორის...

მოხუცი მოუთმენლობამ შეიპყრო. უნდოდა, მაკოვიცკისთვის ეკითხა, კიდევ დიდი მანძილი თუ დარჩაო, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა რკინიგზის სადგურ შჩოკინოს სუსტად მბჟუტავი სინათლეები...

ახალი დღეც დგება, განთავისუფლებისა და თავისუფლების პირველი დღე – აღმოსავლეთით მღვრიე ნაცრისფრად იწყებს ნათებას ცის კიდე...

ეტლი უსახურ, პატარა შენობასთან გაჩერდა.

ლევ ნიკოლაევიჩმა მოუთმენლად წამოიწია, ეჩქარება მატარებლის ამბის გაგება.

დუშან მაკოვიცკი საჩქაროდ ჩამოხტა ეტლიდან და დაძაბული უყურებს, როგორ გაჭირვებით ცდილობს, ჩამოვიდეს ეტლიდან მოხუცი.

რკინიგზის სადგურის ფანარების ყვითელ შუქზე თითქოსდა ძალიან უბრალო და ჩვეულებრივი სურათი ჩანს: შავი ორადგილიანი ეტლიდან ზურგშექცევით ჩამოდის ტოლსტოი – ჯერ ცალ ფეხს ნელა გამოდგამს გარეთ და ფრთხილად ცდილობს, ქვევით ჩექმის ჭვინტით მიწა მოაფათუროს...

იქვე მდგომ დუშანს ეცოდება მოხუცი, სურს მივიდეს, ხელი შეაშველოს, მაგრამ ვერ ბედავს – ტოლსტოის არ უყვარს, როცა ვინმე ემსახურება და ამ უკანასკნელ ხანს ხომ სულ ვეღარ იტანს...

საყრდენს თვითონ, თვითონ უნდა მიაგნოს!..

1978 წლის 5 მაისი.

სტუმრად იასნაია პოლიანაში

1973 წლის ნოემბრის მიწურულია. მე და გიორგი მივემგზავრებით იასნაია პოლიანაში, ლევ ტოლსტოის სახლ-კარი გვინდა, მოვინახულოთ.

მოსკოვის კურსკის რკინიგზის სადგურიდან ელექტრომატრებელი დილის 9 საათზე და 10 წუთზე გადის, სამ საათში ტულაში ჩავალთ.

მატარებელი დაიძრა. ვაგონი სანახევროდ არის სავსე. გიორგიმ მაშინვე სათავგადასავლო წიგნში ჩარგო ცხვირი, მე კი მზერით ფანჯარას მივაცივდი.

დიდხანს არ თავდება მოსკოვი – ქარხნები, ძველი, ჩაშავებული, პატარა ხის სახლები, მრავალსართულიანი ახალი უბნები.

გადავედით რკინის გრძელ ხიდზე, ქვევით მდინარე მოსკოვი მდოვრედ მიედინება, ჯერ არ გაყინულა.

მერე გადათეთრებული ველები დაიწყო, ყველაფერი თოვლითაა დაფარული. ღია ნაცრისფერი ციდან თოვს ძლიერად, ქარი ფანტელებს ათამაშებს, ატრიალებს, ფანჯარას აფრქვევს... მატარებელი კი მიჰქრის, ვაგონი მიირწევა; სადგურებში რამდენიმე წუთით შეისვენებს, გაღებულ კარებში გამთოშავი ჰაერის ტალღას და ახალ მგზავრებს შემოუშვებს და ისევ აგრძელებს გზას რბილად მოხაზულ ბორცვოვან რელიეფზე. ერთმანეთს ენაცვლება თეთრი ველები და ტყის კორომები. ხან შავი მუხნარია, ხან – მუქი ნაცრისფერი არყნარი... და ამ ნაცრისფერ, კიდეებზე უფორმო, თითქოს გამონაბოლქვ არყნარის ლაქას, ხეთა ტანები შვეულად თეთრად ხაზავენ. ვერხვნარიც ნაცრისფერი ლაქაა, ოღონდ ოდნავ სიმწვანე გადაჰკრავს.

ხანდახან ბორბლების რაკარუკის ხმა მკვეთრდება – ხიდზე გადავდივართ; მდინარეებს ყველგან ღრმად ჩაუჭრიათ კალაპოტი. აგერ მდინარის გაყინულ ზედაპირზე შავი წერტილები გამოჩნდა – მებადურები თევზს იჭერენ ყინულში ამომტვრეულ ნახვრეტში.

გავიარეთ პოდოლსკი, შემდეგ ისევ წვრილ-წვრილი სადგურებია: ვესენნიაია, გრივნო, ლვოვსკაია, კოლხოზნაია, სტოლბოვაია, ჩეპელევო, ჩეხოვი. ჩეხოვში რაღაც საწყობის დათოვლილი, განიერი სახურავი მუქ ნაცრისფრად დაწინწკლულა – უამრავ მტრედს მოუყრია თავი. ზოგი წამით აფართქალდება ზევით და იქვე ახლოს გადაჯდება. მატარებელი დაიძრა და გუნდიც აიჭრა ჰაერში – შავი მოფარფატე ფანტელები თითქოს ქარმა აიტაცა, მიმართა ერთ მხარეს, მერე მიმართულება შეუცვალა, მდოვრედ მიატრიალა გვერდზე...

სადგურები: ლუჩი, შარაპოვა ოხოტა, ავანგარდი, სერპუხოვო... ამათგან მხოლოდ "შარპოვა ოხოტა" იქცევს ყურადღებას თავისი გამორჩეულობით. ვინ იყო ნეტავ ეს შარაპოვი, რომ მისი ნადირობის ოსტატობა თუ სანადირო ადგილები უკვდავყოფილია სადგურის სახელწოდებაში? ამ სადგურსაც არ გადაარქვან სახელი, – ეს ბედი, როგორც ჩანს, მრავალ სხვას ხვდა წილად... დიდი თავადი იქნებოდა ალბათ. ლევ ტოლსტოისაც ერთ დროს ძალზე იტაცებდა ნადირობა, დათვსაც კი შებმია პირისპირ და ამის სამახსოვროდ შუბლზე სამუდამოდ დააჩნდა ნაიარევი...

სერპუხოვოდან გასვლის შემდეგ მალე გადავდივართ მდინარე ოკაზე მაღალი ხიდით. განიერი, წყალუხვი ოკა ჯერ არ დაუფარავს ყინულს. მოშორებით მოჩანს სერპუხოვოს სახლები, მათი მუქი მასის შუაგულიდან ზევით ამოშვერილა ეკლესიათა ჯვრიანი გუმბათები.

შევდივართ ტულის ოლქში. ლევ ტოლსტოის მშობლიური მიწა-წყალი... ვინ იცის, რამდენჯერ უთვალიერებია ისინი მწერალს მატარებლის ფანჯრიდან. არც ამით კმაყოფილდებოდა: სამჯერ ფეხით ჩავიდა მოსკოვიდან იასნაია პოლიანაში. თითო მოგზაურობას ერთი კვირა უნდებოდა, დამეს გლეხთა ქოხებში ათენებდა, თვითონაც გლეხურად ეცვა და მასპინძლები სრულიად თავისუფლად, როგორც თავისიანს, უზიარებდნენ მწერალს მათი ცხოვრების ავ-კარგს...

ოდნავ ბორცვოვანი რელიეფია – მუქი ტყეებისა და თოვლით გადაპენტილი ველების მორიგეობა. ტყე ხან რკინიგზის ლიანდაგს მიუყვება, ხან გვშორდება, ცალკეულ მუქ კორომებად მიმოფანტულა თეთრ მინდორზე, ხან ჰორიზონტზე შავი მესერივით გაჭიმულა. ნაძვნარი – შავ-მწვანე, მუქი, სქელი; ფიჭვნარი – ისიც მუქი მწვანე, მაგრამ უფრო ჰაეროვანი, ოდნავ გამჭვირვალე... უმეტესად კი – მუხნარი ან ულამაზესი არყნარი – ხეთა თეთრი ტანები. მატარებელი მიჰქრის, არყებსაც ფეხი აუდგამთ და ერთმანეთის გასწრებას ლამობენ, მათ თავზე კი გვირგვინად ადგას წვრილი ტოტების ნაცრისფერი ლაქა. ხანგამოშვებით ტყე წყდება, ფართო ველებზე ვიწრო, სავი ზოლებია – ხვნის მიმართულებით ნახნავი მთლიანად ვერ არის დაფარული თოვლით. ტყე-ბუჩქნარით შემოსილი ხევები, მერე – ისევ თეთრი ზეწარი თოვლისა, ალაგ-ალაგ – განიერი ხევის დამრეც კალთაზე სოფელი მუქად მიყუჟულა: დაბალი სახლები, ზოგიერთი – მეზონინით, უსახურად შეღებილნი – ჟანგისფრად, ყავისფრად, ტალახისფრად... საერთოდ, ისეთი კაშკაშა თეთრი თოვლი ძევს ირგვლივ, რომ ყველაფერი სხვა მის ფონზე შავად ჩანს. ისევ ტყისა და თეთრი მინდვრების მონაცვლეობა... და ასე, ესტაფეტით ჩვენს თავს ერთმანეთს გადასცემენ: ტყე – ხევს, ხევი – ველს, ველი – ისევ ხევს ან ტყეს...

ახლო სოფელს ჩავუარეთ გვერდით: სახლების სახურავებზე – ანტენები, საკვამურებიდან ნაცრისფერი ბოლი ამოდის, შავი მესრებით შემოკავებული ეზოები. ჭოკზე – შოშიას საჩიტე, გაბარჯღულტოტებიანი ვაშლის ხეები მცირე ბაღებში; რკინიგზის გადასასვლელთან, შლაგბაუმის წინ, ცხენიანი მარხილი იცდის, მერე – რამდენიმე სახლი ეზოებში თივის ზვინებით და ისევ არყნარის კედელი... შიშველ კენწეროებში ზოგან დიდ ბუდეს აქანებს ქარი, ზოგან კი – ბუდეების მთელი ჯგუფია შავად.

სამხრეთელის თვალისთვის ოდნავ მონოტონურ, ერთფეროვან გარემოს რომ ვუყურებ, უფრო ნათლად ვგრძნობ საქართველოს პეიზაჟების თავისებურებას, უფრო ფერადოვანად შევიგრძნობ, უფრო კონტრასტული და მკვეთრად დამახასიათებელი მეჩვენება. აქ კი თითქოს არაა ულამაზო პეიზაჟი, მაგრამ თითქოს მარილი აკლია – კომპოზიციურად გაფანტულია, შეუკვრელია; არ არის ყურადღების მიმქცევი ან განვითარების მაჩვენებელი მეტყველი აქცენტები... რა თქმა უნდა, ამგვარ, ერთი შეხედვით, არაორგანიზებულ გარემოს თავისებური მომხიბვლელობაც აქვს დამ ას შესაბამისი აღქმა უნდა, შესაძლოა – შეჩვევაც. ალბათ ტოლსტოისაც მშობლიური ადგილების ხატვაში თუ ასახვაში დაეხმარა ისიც, რომ განსხვავებული ადგილების ხედების თავისებურებებიც შეიცნო – კავკასიის, ყირიმის, საფრანგეთის., გერმანიისა თუ შვეიცარიის..

იასნოგორსკი. ისევ თოვს, თოვს, თოვს... თეთრი, ნათელი არყნარი, ყველა დანარჩენი –შავი ტყე. ხეები ისეთი მსხვილი არ არის, როგორც ჩვენს ტყეებში, სიმაღლითაც ალბათ სულ 7-8 მეტრი იქნება, მეტი არა. საინტერესოა, იასნაია პოლიანაში როგორი ხეები იქნება? ზოგიერთი მათგანი ხომ 100-150 წლისა და მეტი ხნისაა.

რევიაკინო, ხომიაკოვო... მალე დაბურუსებული შორეთიდან ნელ-ნელა გამოკრთა საკმაოდ უსწორმასწორო ადგილზე გაშენებული ქალაქ ტულის უღიმღამო გარეუბნები. მატარებელმა ოდნავ დაიგვიანა – პირველის ნახევარია. სადგურისწინა მოედანზე გამოვდივართ. როგორი სახისაა ჩვენი მასპინძელი? პირველი შთაბეჭდილება": უსახური ქალაქია – ტალახისფერი, სტანდარტული სახლები, ქაოსური განაშენიანება, რაც თითქოს არ უნდა დაეშვათ რაციონალური საწყისის ზეიმის დროს. შესაძლოა, ჩვენი უსიამოვნო შთაბეჭდილება გარკვეულწილად ამინდმაც გამოიწვია – ძლიერი, ცივი ქარი ძვალ-რბილში ატანს; ხან წვიმს, ხან თოვს.

კითხვა-კითხვით მივაგენით ქალაქ შჩოკინოსკენ მიმავალ ავტობუსის გაჩერებას. ჩავსხედით ავტობუსში და სამხრეთისკენ დავიძარით. ხალხი იყო იმდენი, რომ ძლივს შევეკვეხეთ, გარემოს დათვალიერება ფიქრადაც კი არ გამივლია.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩამოვედით იასნაია პოლიანას გაჩერებაზე.

უჰ, რა სიცივეა, ქარი ხელებსა და სახეს გვითოშავს... გზა დაღმართში მიემართება სოფლისკენ. მოყინულია, ფეხი გვისრიალებს. შევძვერით მარჯვნივ არყნარ-ცაცხვნარში, მოსკოვიდან წამოღებულ სასუსნავს გეახლებით და შემდეგ უფრო ხალისიანად ვაგრძელებთ გზას. ჩავგორდით დაღმართში – მარჯვნივ საავადმყოფოა, მარცხნივ – სკოლა და სხვა რაღაც ნაგებობები; შემდეგ გავაკებულზე ვიარეთ ხუთიოდ წუთს და სოფლის დასაწყისში გავჩერდით. პატარა მოედანზე ავტობუსები ჩამწკრივებულა, აქვეა უგემოვნოდ ახირხლული რაღაც პავილიონ-სასაუზმეები, დაგაზეთო ჯიხური და სხვა. გზა პირდაპირ მიდის და სოფელს ორად ჰყოფს, მარჯვენა მხარეს კი მოჩანს ცნობილი ორი თეთრი კოშკი, ლევ ტოლსტოის მამულში შესასვლელს რომ დარაჯობენ.

მივედით, ბილეთებს არ ჰყიდიან... რატომ, თუ იცით? თუ 15 კაცი არ შეგროვდა, არ მოგცემთო, ასე ყოფილა დაკანონებული. ამტვრიე ახლა შუბლით კედელი, იქნებ ცოტა გახურდე!..

ცოტა ხანს ვიტრიალეთ აქ, მერე სიცივეში დოგმას სიარული ვამჯობინეთ – "არაორგანიზებულად" გავუყევით გზას გრაფის საცხოვრისისკენ.

გზა დასაწყისშივე ჯებირზე გადის: მარჯვნივ – ტყიანი ხევია, რომელზეც ქვევით პატარა, კუზიანი ხიდია გადებული – გაუქერქავი არყის ტანები თეთრად გამოსჭვივის ხიდის კონსტრუქციაში; ჯებირს მარცხნივ – დიდი გუბურა გაყინულა; მის ნაპირებზე ბებერი ტირიფები და წნორები არხევენ ფოთოლგაძარცულ ტოტებს. ამ გუბურის ყინულზე ერთ დროს ზამთრობით ლევ ტოლსტოის უყვარდა ციგურებით სრიალი სოფლის ბავშვებთან და შინაურებთან ერთად.

შემდეგი გზა საკმაოდ აღმართიანია; გზისპირებზე ახალგაზრდა არყები ჩამწკრივებულა; ადრინდელი ნაძვები სულ აღარაა, ერთი ბებერი, მსხვილი, ჭრელტანიანი არყია გადარჩენილი. რამდენიმე ათეული მეტრის შემდეგ აღმართი შერბილდა, მარცხნივ გზა მიემართება საჯინიბოსკენ, მარჯვნივ – სათბურებისკენ. ჩვენ პირდაპირ მივდივართ, გრაფის საბრძანებლისკენ – ორსართულიანი, თეთრი შენობაა; პირველ სართულზე ცალ მხარეს მთელ სიგრძეზე ხის განიერი აივანი მიუყვება. აბა შიგ ვინ შეგვიშვებს უბილეთოებს! მზერით ვეძებ "ღარიბთა ხეს" – ძველთაძველ, ნახევრადგამხმარ თელას მის ტანზე მიმაგრებული ზარით... აქ თითქმის ყოველ დილით ლევ ტოლსტოის ჰქონდა "მიღების საათები" – მას ელოდნენ მაწანწალები, მლოცველნი, ღარიბ-ღატაკნი, დარიგება-რჩევათა მოსურნე ქალები და კაცები... "ღარიბთა ხე" არ ჩანს; მერე გავიგეთ – 1970 წელს ამოუძირკვავთ გამხმარი; ახლა მის ადგილზე ნორჩი, წერწეტი თელა იკრებს ძალებს...

ვაგრძელებთ გზას მეორე ასეთივე სახლისკენ, "ფლიგელისკენ"; ახლა იქ ლიტერატურული მუზეუმია. აქ თურმე მეორე ბილეთი უნდა. ამასაც ავუქციეთ გვერდი. უშნო მაჩვენებელი – მწვანე ფონზე თეთრი ისარი – უჩვენებს მიმართულებას ტოლსტოის საფლავისკენ.

გზის ორივე მხარეს ვაშლის ბაღებია, მერე – რამდენიმე მიხვევ-მოხვევა და გავედით საკმაოდ ფართო მინდვრის დასაწყისში. აქ უკვე სამი ისარია: მარცხნივ – საფლავისკენ, პირდაპირ – მდინარე ვორონკასკენ, სადაც ტოლსტოი ზაფხულობით ბანაობდა, მარჯვნივ – საყვარელი სკამისკენ, სადაც მას უყვარდა მოსვენება, ტყის მზერა და ფიქრი.

ცხადია, უპირველესად საფლავის მიმართულებით მივდივართ. მივყვებით განიერ ბილიკს (წარწერები გამუდმებით გვაფრთხილებენ – დავიცვათ სიჩუმე, არ გადავიდეთ ბილიკიდან და ასე შემდეგ), რომელიც მშვენიერ არყნარ-ცაცხვნარში გადის. ულამაზესი ტყეა, ულამაზესი! გზა მოლიპულია (ღამით მოუყინავს, ახლა – ოდნავ გამლხვალა); საკმაოდ ძლიერი ქარი აქანავებს ძალიან მაღალი, 20-25 მეტრი სიმაღლის არყის ხეთა ტანებს, თეთრ ფანტელებს ატრიალებს ჰაერში და მერე უმატებს ფუმფულა თოვლის საბანს...

გზის ბოლოში, ღრმა და ვიწრო ხევის დასაწყისში, მიწის უბრალო ბორცვია. საფლავს არც ჯვარი უზის, არც ქვა დევს, არც მესერი აქვს – მხოლოდ გზის ბოლოსა და საფლავს შორის ჩამორიგებულია ერთი წყება პატარა ნაძვებისა (მათი ღია მწვანე ფერი არ უხდება აქაურობას, ისევე, როგორც ძველი ნაცნობები – მრავალრიცხოვანი გაფრთხილებები, რომ არ ვიხმაუროთ, არ გადავიდეთ ნაძვებს იქით...). ეს ადგილი, სადაც ტოლსტოი ბავშვობისას თავის ძმებთან ერთად ხშირად თამაშობდა, თვით მწერალმა ამოარჩია თავისსავე სიცოცხლეში საუკუნო განსასვენებლად...

სწორედ ამ ნაძვებთან ახალგაზრდების მოზრდილი ჯგუფი ფეხზე მდგომი სვამს არაყს – ხორხოცობენ, ჯიკაობენ, ერთმანეთს ფოტოსურათებს უღებენ. ერთ-ერთ მათგანს პირდაპირ ლიტრიანი ქილიდან ჩანგლით ამოაქვს კომბოსტოს მწნილი დასაყოლებლად და შემდეგ ქილას მეზობელს აწვდის.

მე და გიორგი ვდგავართ საფლავთან ქუდმოხდილნი რამდენიმე წუთს, ქარი შრიალებს არყათა წვეროკინებში, თეთრი ფანტელები რიალებენ გარშემო და საფლავს ედებიან...

უკან ვბრუნდებით, ისევ მინდორზე გამოვედით. აქ მცირე თათბირი გვაქვს, მერე გიორგი ჩემს წინადადებას თანხმდება – გავიაროთ ტოლსტოის საყვარელი სკამისკენ.

აქეთ ტყე (ჩეპიჟი ჰქვია) სხვანაირია – ტანმსხვილ მუხებს ტოტები გადმოუწვდენიათ ბილიკის თავზე; ზოგიერთს მძლავრ ტანზე ალაგ-ალაგ ქერქი სძვრება, ეტყობა, ხმება – შეეცოდება ადამიანს. კაიხანს მივდივართ, სკამი კი არ ჩანს. გამოვედით ტყისპირზე, მერე მარცხნივ წავედით – სულ ახალგაზრდა ნაძვნარსა და ნახნავს შორის გავიარეთ ასიოდე მეტრი და არყის თეთრი ტოტებისგან შეკრული სკამიც გამოჩნდა. ამ ადგილს ჰქვიოდა "ელოჩკი" – ნორჩი ნაძვნარი, და ახლა, ეტყობა, საგანგებოდ დაურგავთ ხელახლა პატარა ნაძვები.

ტოლსტოის საყვარელი სკამი... ჩამოვჯექი მასზე. პირი ტყისკენ მაქვს, დიდხანს ვუმზერ, მხრებზე სველი თოვლი მედება; შემდეგ გადახნული ველისკენ მივტრიალდი – სკამს უკან რამდენიმე რიგად ხეებია და მერე – ნახნავი; ნახნავს იქით ისევ ტყეა და დადაბლება – ეტყობა, მდინარე ვორონკა მიედინება იქ; იმის იქით – ისევ ტყეები ჩანს შავად, ველები – თეთრად და სულ შორს ყველაფერი მოიისფრო-ნაცრისფრად დაბურუსებულში ითქვიფება...

უკან დაბრუნებას ტოლსტოის სახლთან კარგა ხანს ვუნდებით – შორეული და ხანგრძლივი გასეირნება ჰყვარებია ლევ ნიკოლაევიჩს! ცოტა შევხურდით ჩქარ სიარულში. თეთრი "ფლიგელიდან" ახლა ვოლკონსკის სახლისკენ გავუხვიეთ. XVII საუკუნის არქიტექტურის გრძელ, ორსართულიან სახლში პირველ სართულზე პატარა გამოფენა დავათვალიერეთ – იასნაია პოლიანას მამულ-მუზეუმისა და სოფლის გაჩანაგება გერმანელი ფაშისტების მიერ 1942 წელს, ტოლსტოის შემოქმედება და კინო, ტოლსტოის სტუმრები, წერილები მუზეუმს... აქ, ოთახში, ახალგაზრდა ქალი ზის, მისი 4-5 წლის საოცრად ჟუჟუნათვალება, ღია ქერათმიანი გოგონა რაღაცას ხატავს რვეულში და განუწყვეტლივ ტიტინებს. დედამისი მესაუბრება: არ მიყვარს იასნაიაპოლიანელებიო, ძალიან გაზულუქდნენო; ზაფხულობით მოაგარაკეებს აყენებენ და უფრო მეტს ახდევინებენ, ვიდრე სასტუმროშიო... სამწუხაროდ, როგორც შევატყვე, ტოლსტოის ბიოგრაფიაზე სუსტი წარმოდგენა ჰქონდა – ეგონა, ტოლსტოი შინიდან გაქცევისას სადგურ იასნაია პოლიანაში მივიდაო; მე ვუთხარი, რომ სადგურ შჩოკინოში-მეთქი და ძალიან გაუკვირდა (სხვათა შორის, რკინიგზის სადგურ იასნაია პოლიანას მაშინ ეწოდებოდა კოზლოვა ზასეკა).

"ვოლკონსკების სახლი" ჩრდილოეთისკენ არის მიმართული ფასადით (თუ არ ვცდები); მისგან მარჯვენა მხარეს ყოფილი მეეტლეთა საცხოვრებელი პატარა, ნამჯისსახურავიანი ქოხია (ეს ერთი ქოხიღაა ასეთი ახლა, ტოლსტოის დროს კი მთელი იასნაია პოლიანას სახლები ნამჯით იყო გადახურული); წინ გრძელი, დაბალი საჯინიბოა, საჯინიბოს განაპირა მარჯვენა კუთხეში კი ეტლის სათავსო. აქ საგულდაგულოდ გარეცხილ ხის იატაკზე დგას პატარა ოთხთვალა, ორადგილიანი ეტლი; ამ ეტლით 1910 წლის 28 ოქტომბერს (ახალი სტილით – 10 ნოემბერს) დილის ხუთის ნახევარზე ლევ ტოლსტოი სამუდამოდ გაემგზავრა იასნაია პოლიანადან...

საჯინიბოს უკან გუბურაა, – "დიდი გუბურა", – სწორედ ის გუბურა, რომელიც შექმნილია ხევში ჯებირით, ზედ რომ გზა გადის მამულში შესასვლელისკენ. ამ ხევის მოპირდაპირე მხარეზე ცერად მიდის ფერდი, ფერდზე კი სოფელ იასნაია პოლიანას გარეუბანია – თითქოს ცივი ქარისგან თავდასაცავად ერთად მჭიდროდ შეჯგუფული სახლები პატარა ეზოებით, ეზოებში – ნამჯის ზვინით, ვაშლის მცირე ბაღით... აქედან ალბათ ხშირად უცქეროდა ლევ ტოლსტოი სოფლის ამ ბოლოს – გლეხთა დაბალ, ვიწროსარკმლიან ქოხებს, რომლებიც თითქოს მიწაში ჩაძრომას ლამობდნენ ყვითელი ნამჯის სქელი სახურავების სიმძიმით, ატალახებულ ეზოებში უწესრიგოს მიმოფანტულ ათასგვარ გლეხურ ხარახურას, თითო-ოროლა მწერლის რჩევით დარგულ არყისა და ვაშლის ხეს. გლეხთა ლაპარაკიც კი აღწევდა ალბათ აქამდე – ხევის მეორე მხარეს... გრაფი კი ხშირად მოდიოდა საჯინიბოში, ის ხომ თითქმის ყოველდღე ღრმა მოხუცებულობაშიც კი ცხენით სეირნობდა – დაივლიდა სოფლის სანახებს – ტყეებს, ველებს, ხევებს...

ფეხით მივუყვებით თოვლიან გზას, სწორედ იმ გზას, რომლითაც 63 წლის წინ ასეთსავე გვიანი შემოდგომის დღეს ტოლსტოი გაეშურა ეტლით რკინიგზის სადგურ შჩოკინოს...

გავედით "პრეშპექტში", ამჟამად ნორჩი არყების ხეივანში და დავეშვით დაღმართში, მამულში შემოსასვლელში ორივე მხარეს მდგომ თეთრ კოშკებთან. კარგა ხნის ხვეწნა-მუდარის შემდეგ მოგვყიდეს ბილეთები და ჩქარი ნაბიჯით გავეშურეთ უკან ტოლსტოის საცხოვრებელი სახლის დასათვალიერებლად. უკვე საკმაოდ გვიანია, სამის ნახევარია, ორ საათში დაბნელდება კიდეც.

ლევ ტოლსტოის სახლში ვერა და ვერ შევაღწიეთ. მშვენიერი გარეგნობის გოგონა გვიხსნის, რომ უნდა შეგროვდეს 15-20 კაცისგან შემდგარი ჯგუფი და მხოლოდ მერე ერთად შეგიშვებთო (სხვათა შორის, 2-3 კაცისგან შემდგარი ამერიკელთა და იტალიელთა ჯგუფები მაშინვე გაატარა). ჩვენ ვთხოვეთ: ნუ გაგვყინავთ ან ქარში, შიგ მაინც შემოგვიშვით და იქ დავიცდით, სანამ დანარჩენები მოვიდნენო, მაგრამ პასუხად მხოლოდ გოგონას ამრეზილი და ამავე დროს გაკვირვებული მზერა დავიმსახურეთ – ამგვარი სულელური აზრი როგორ მოგვიდათ თავშიო. როგორც იქნა, 40 წუთის შემდეგ მოვიდა ექსკურსანტების ჯგუფი და მათ შევუერთდით.

შევედით წინა ოთახში და უპირველესად თვალში გვეცა წიგნებით გატენილი კარადები, რაც მოსალოდნელიც იყო და შემინულ კარადაში – ტოლსტოის სანადირო თოფები.

ჩავიცვით პირდაპირ ფეხსაცმელებზე უზარმაზარი და შესახედავადაც შესაზარი რაღაც ჯღანები, დიდი ფლოსტების მსგავსი (ბაბაჯანას ქოშები მასთან შედარებით ელეგანტობის ეტალონად გამოჩნდებოდა) და ბაჯბაჯით გავეშურეთ პალტოების გასახდელად.

და აჰა, ავდივართ შიდა, ვიწრო კიბით მეორე სართულზე, გვერდს ვუვლით უძველეს საათს (200 წლის წინ უყიდია ინგლისში ტოლსტოის პაპას), მარჯვნივ ვუხვევთ და შევდივართ დიდ მისაღებ დარბაზში... აქ საღამოობით სტუმრებთან საუბრობდა ხოლმე ლევ ტოლსტოი. ვინ არ მჯდარა ამ დიდ მაგიდასთან (ერთ მხარეს სხდებოდნენ ვეგეტარიანელები – ტოლსტოი და მისი ქალიშვილები, მეორე მხარეს – დანარჩენები), ეზიარებოდა დიდი მწერლისა და მოაზროვნის საუბარს: ტურგენევი თუ გორკი, ჩეხოვი თუ ფეტი, ტანეევი თუ გარშინი, კრამსკოი თუ რეპინი და ვინ ჩამოთვლის, რამდენი კიდევ სხვა... რუსეთის თითქმის ყველა კუთხიდან, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან... კედლებზე ჰკიდია ტოლსტოის პორტრეტები, შესრულებული კრამსკოისა და რეპინის მიერ, ტოლსტოის ცოლის, სოფიო ანდრიას ასულის, ქალიშვილების – ტატიანასა დამ არიას, ტოლსტოის წინაპრების... აქვეა სავარძელი, რომელშიც ჩვეულებრივ იჯდა ტოლსტოი, ორი ფორტეპიანო – მწერალზე საოცრად ძლიერ მოქმედებდა მუსიკა; ამ ინსტრუმენტებზე თითქმის ყოველდღე უკრავდნენ ხან ტოლსტოის შვილები, ხან – თვით მწერალი, ზოგჯერ კი – სტუმარი მუსიკოსები.

მეორე ოთახი – მცირე სასტუმრო: ოთხკუთხა მაგიდა, კარადა, მრგვალ მაგიდაზე – ლამპარი, შალითაგადაკრული სკამი და გრძელი დივანი, კედლებზე – ფოტოები და სურათები.

შემდეგი – მწერლის სამუშაო ოთახია... უპირველესად ადამიანს თვალში ეცემა ტყავგადაკრული შავი ტახტი, რომელზეც დაიბადნენ თვით ტოლსტოი და მისი თითქმის ყველა შვილი. გადმოცემით, ვინც ამ ტახტზე მოევლინებოდა ქვეყნიერებას, ბედნიერი იქნებოდა. აქვეა ტოლსტოის სამუშაო მაგიდა, კედელზე – გრავიურა "სიქსტეს მადონა" და საყვარელი მწერლის, დიკენსის, პორტრეტი.წიგნის თაროზე – ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის ტომეულები. ამ ოთახში ფუსფუსებდა სოფიო ანდრიას ასული, როცა შუაღამეს გაიღვიძა ტოლსტოიმ და იმ ღამესვე წავიდა კიდეც სამუდამოდ შინიდან...

გავდივართ ტოლსტოის საძინებელ ოთახში. უბრალო საწოლი, კედელზე თავთან – ქალიშვილის პორტრეტი...

აქედან გავიარეთ ეგრეთწოდებული "სარემინგტონო" (გვერდზე დავტოვეთ რა სოფიო ანდრიას ასულის ოთახი), რომელმაც ეს სახელწოდება მიიღო საბეჭდი მანქანის – "რემინგტონისგან"; ამ მანქანის შეძენამ თავდაპირველად ტოლსტოის შეშფოთება გამოიწვია, შემდეგ კი შეეჩვია და მოსწონდა კიდეც. აქ ბეჭდავდნენ მანქანაზე მის ნაწარმოებებს, მუშაობდნენ მისი მდივნები – გუსევი და ბულგაკოვი.

მერე მოდის მცირე ოთახი, მთლიანად დაკავებული წიგნთა თაროებით – ტოლსტოის ბიბლიოთეკა: წიგნები რამდენიმე ათეულ ენაზე; თვით ტოლსტოი კითხულობდა თხუთმეტამდე ენაზე, კარგად ლაპარაკობდა და წერდა ინგლისურად, გერმანულად, ფრანგული ხომ ბავშვობიდანვე რუსულზე არანაკლებ შეითვისა.

იმავე ხის კიბით ჩამოვდივართ ქვედა სართულში, ეგრეთწოდებულ "თაღებქვეშა ოთახის" სანახავად. ამ უბრალოდ მოწყობილ ოთახში, რომლის კედლებზეც ეკიდა გლეხის სამუშაო იარაღები, – ცელი, ხერხი, – კუთხეში კი იდო ცული, ბარი, ამჯობინებდა მუშაობას მწერალი; დაბალ მაგიდასთან მიმჯდარი, სიმყუდროვეში ესაუბრებოდა მისი წარმოსახვით შექმნილ გმირებს: ნატაშა როსტოვას, პიერ ბეზუხოვს, ანდრეი ბოლკონსკის, ანა კარენინასა და მრავალს კიდევ სხვას...

როდესაც გარეთ გამოვდივართ ტოლსტოის სახლიდან, მაშინვე კიდევ უფრო გაავებული გამთოშავი ქარი გავეშებული გვეტაკება, გაანჩხლებული გვიფრიალებს პალტოს კალთებს... თბილად მაცვია და მაინც ისე თავისუფლად ატანს ტანსაცმელში ყინულივით ქარი, რომ გასახურებლად სულ სირბილ-სირბილით ვეშვებით "პრეშპექტის" დაღმართით მამულში შესასვლელთან უკვე ორი საუკუნის განმავლობაში მოდარაჯე თეთრ კოშკებთან.

ჩამოწოლილ სიბნელეში ზევიდან უცებ რაღაც წვრილად გვაცვივა. მიწისკენ ვიხრები და ხელთ შემრჩა ცაცხვისა და ნეკერჩხლის თესლები. რამდენიმე ცალს ვიყრი ჯიბეში სამახსოვროდ.

მარჯვნივ სოფელ იასნაია პოლიანას შუაში გამავალი მთავარი ქუჩა აღმართობს, რომელიც, რამდენადაც ადრე წაკითხულიდან მახსოვს, მალე ისევ მთავარ გზატკეცილს უნდა შეუერთდეს. მე ამ მიმართულებით მაინტერესებს გავლა, იასნაია პოლიანასთვის თვალის გადავლება თუნდაც სიბნელეში; შუბლზე ქუდჩამოფხატული გიორგი აბაკუნებს შემცივნულ ფეხებს და ისევ იმ გზით მირჩევს გავიდეთ გზატკეცილზე, რომლითაც მოვედით.

გარემოს იისფერი ბინდი ეფინება, ოქროსფრად აკიაფდნენ აქა-იქ ლამპიონები, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე — აღმართს მივუყვებით სოფლის შუაში გამავალი ქუჩით. გზის ორივე მხარეს თხრილები მიუყვება. მესრებში დატანებული ჭიშკრები, ეზოები, სახლები... დროდადრო საუბნო ონკანები გვხვდება, რომლისკენაც მიემართებიან სოფლელნი, რომლებსაც დაუგვიანდათ ღამის წინ შინ წყლის მომარაგება.

ქუჩა მალე გავაკდა, შემდეგ მკვეთრად მოუხვია მარცხნივ და მალე იასნაია პოლიანას უკანასკნელი სახლებიც უკან დაგვრჩა...

ძლიერი ქარი ახლა ზურგში გვიბერავს და თითქმის მიგვარბენინებს მთავარი გზატკეცილისკენ. შორს, სიბნელეში ციალებენ იქ მიმქროლავი ავტომობილების შუქები. ჩვენთან ერთად მოაბიჯებენ სხვებიც, — ათიოდე ადამიანი, — კაცები, ბავშვებიანი ქალები.

როგორც იქნა, გავედით მთავარ გზაზე. ერთი ნაბიჯით ვერ მივუსწარით ავტობუსს — მძღოლმა ცხვირწინ მოგვიკეტა კარები და დაძრა მანქანა...

1973

წიგნი V.

თბილისური ბაზრის დღესასწაული

ანარეკლი

სამსახურში მიმეჩქარება:
ერთი-ორი-სამი-ოთხი!
ავადმყოფივით უფერულ დეკემბრის დილას
მაინც ხალისიანად გამოწურავს ზეცა ქუჩაზე,
ჩემს თვალებშიც ჩიდვენთება მკრთალი ნათელი
და ეს შუქი და სიცივის ჟრჟოლა
თითქმის მიმარბენინებს ტროტუარზე:
ერთი-ორი-სამი-ოთხი!
მანქანები კი გიჟურად მიჰქრიან ფილაქნზე,
ღრიალით,
        მიჯრით,
                დამდუღრულებივით გარბიან...
ზოგს — ფარები აქვს ჩართული,
ზოგს — უიმისოდაც უჭრის თვალი.
და უცებ...
უცებ პატარა ფინია ძაღლი,
შავი, შავი, უშავესი,
ერთი ციდა, მუშტის ტოლა,
აი ასეთი პატარა, პატარა,
დიდთვალა და დიდყურა, —
აცეკვდა მანქანების მსრბოლავ ბორბლებს შორის,
თვითონაც ბორბალივით დატრიალდა —
აქეთ ეცა,
        იქით ეცა...
გაისმა მუხრუჭების ხრჭიალი,
საბურავების შრიალი და,

რასაკვირველია, შოფრების გინებაც.
მანქანების რემა გაჩერდა,
ისევ დაიძრა, ისევ გაჩერდა და დაიძრა,
ცუგო კი ხტოდა, თავგზააბნეული,
თითქოს უაზროდ ცეკვავდა...
დიახ, ცეკვავდა,
ისე ნატიფად სკუპ-სკუპობდა
თავისი წვრილი ფეხებით,
პატარა შავი ღილებივით თვალებს კი
სასოწარკვეთით აქეთ-იქით აცეცებდა...
მერე დავკარგე თვალთაგან ცუგო,
შავი ცუგო ვეღარ გავარჩიე
ტალღასავით მოვარდნილ მანქანებში.
დიდხანს ვიდექი და ველოდი
მის გამოჩენას...
არც ტროტუარზე ამოვარდნილა შეშინებული,
ვერც ციო ფილაქანზე დავლანდე უსულოდ გართხმული...
სად გაქრა შავი ცუგო,
ყურები რომ კოხტად ჰქონდა დაცქვეტილი?..
მერე ისევ განვაგრძე გზა სამსახურისკენ,
უკვე აღარ ვჩქარობდი და ვფიქრობდი:
ალბათ გაიღო ერთ-ერთი მანქანის კარი,
გამოყოფილმა თბილმა ხელმა
ჩაყვინთა
ცუგოს მრგვალი მუცლის
ქვეშ,
თითებმა ნაზად შემოსალტეს,
ხელისგულმა აიტაცა ცუგო
და მანქანის მყუდრო ბუნაგში შეიტაცა.
წამით დამუხრუჭებულმა მანქანამ სვლა განაგრძო,
ისევ მდინარესავით უწყვეტი გახდა მანქანათა ნაკადი...
თქვენი ხელი ხომ არ იყო ის?

1979

თბილისური ბაზრის დღესასწაული

დღეს 19 სექტემბერია — ჩემი დაბადების დღე — და მინდა, ერთი დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული მოთხრობა-სურათი მოვაკვარახჭინო: ქებათა ქება, ჰიმნი, ოდა, ხოტბა, შესხმა თბილისურ ბაზარს!..

ვინ მოთვლის, რამდენ პიროვნებას აქვს აღწერილი თბილისური ბაზარი, მეც მინდა, ვცადო და აჰა, ჩემი თარფიც მიირთვი, მოწყალეო მკითხველო!

თბილისურ ბაზარში გავლა-გამოვლა მართლაც დღესასწაულია — ფერთა ზეიმით, ვნებათა და სუნთა სიმძაფრით, სახეთა კალეიდოსკოპური მონაცვლეობით!..

ბაზარს არაფერი შეედრება!

პოემაა, ეპოსია, ზღაპარია, ფეერიაა!

რა დასამალია, ფული ოჯახის აუცილებელი ხარჯების დასაფარავადაც არ გვყოფნის; ჰოდა, მიკვირდა, ასეთი რა ჯადო თუ მაგნიტი აქვს ბაზარს, რომ ჩემი ცოლი ყოველთვის ხალისით გარ-ბის ხოლმე იმ დასაქცევარში, — დარსა თუ ავდარში, ზაფხულის თაკარაში და ზამთრის სუსხში, — თანაც ზოგჯერ ლამის გზის ფული აქვს მხოლოდ... წავა და დაიკარგება! დაბრუნდება 5-6 საათის შემდეგ, უკვე სიბნელეში — არაქათგამოცლილი, ფეხებდაწყვეტილი — და მოიტანს რამდენიმე კი-ლოგრამ თითქმის გადასაყრელ ჭიან ვაშლს და ერთ კონა მომჩვარულ მწვანილს... "ამაზე იწანწა-ლე, ქალო, მთელი დღე?" — მიკვირდა. მერე მივხვდი:

ბაზარი დიდი თეატრია!

ბაზარი დიდი გამოფენაა!

ბაზარი დიდი სკოლაა!

ბაზარი დიდი ზეიმია!

ბაზარი მთელი სამყაროა!

ბაზარი ისეთივე რთულია და მრავალფეროვანი, როგორც ცხოვრება, ამიტომ მის აღსაწერად, შესასწავლად, გასაანალიზებლად, შესაფასებლად საგანგებო სამეცნიერო დისციპლინა უნდა შემოვიღოთ – ბაზართმცოდნეობა! მას უნდა იკვლევდეს ბაზართმცოდნეობის ინსტიტუტი ყველაზე თანამედროვე მეთოდებით. რადგან ასეთი მეცნიერება ჯერჯერობით არ არსებობს (მარკეტინგი კი ნიშნავს ბაზრის შესწავლას, მაგრამ ნამდვილ ბაზართმცოდნეობასთან შედარებით რა მშრალია, უფერული, უხორცო და უგემური!), დიახ, სანამ მეცნიერებს ბაზრისთვის ჯერ ვერ მოუცლიათ, მე ჩემი სუსტი კალმით შევეცდები, გავავლო პირველი კვალი...

ჯერ თავიდან ბოლომდე მოვიაროთ თბილისის "დეზერტირის" ბაზარი – აუჩქარებლად, დინჯად დავუყვეთ მის "ქუჩებსა" და "შუკებს", მოვინახულოთ ყოველი კუთხე-კუნჭული და გავამახვილოთ, გავაფაქიზოთ ჩვენს გრძნობათა ყველა ორგანო, დავძაბოთ ჭკუა-გონება...

ბაზრის მისადგომებთან ნაირ-ნაირი მეწვრილმანე ირევა.

– აბა, კოხტა სათაგური!

– მაგის სიკოხტავე მე რაში მარგია, ვირთხას დაიჭერს?

– ყველაფერში კარგია! თუ ძალიან მოინდომებ, შენი გულის მურაზსაც მოაყუჩებს!

შესასვლელთან ფანდურს აწკრიალებს ხნიერი, გამხდარი, მზით დამწვარი ძიაკაცი; ღიღინებს თავისთვის რაღაცას... სხვა დროს მინახავს: დარბაისელი, სქელი ბიძია ახალთახალ, გამტკიცულ დოლზე კოხტად ათამაშებს კოტიტა თითებს – ცეკვა მოგინდება ან ვინმეს საჭიდაოდ დაეძგერო (გააჩნია, რას უკაკუნებს). ფანდურზე და დოლზეც მიფიქრია: "რა კარგია, ხომ არ შევიძინო?" ერთხანს გავჩერებულვარ, მიჭოჭმანია, შემდეგ ხელი ჩამიქნევია – ახლა ამის საშუალება არ მაქვს, შემდგომში ვიყიდი-მეთქი... რა თქმა უნდა, მერე ვნანობ – გადადებული საქმე ეშმაკისაა...

გადავაბიჯებ თუ არა ბაზრის ზღურბლს, განსაკუთრებული, "ბაზრული" ატმოსფეროთი ატივტივებული, უკვე საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი – მაშინვე თან ჩამითრევს დაძაბული აურზაური; ბრაუნის მოძრაობაში ჩავერთვები, ერთი ბეწო მტვრის ნაწილაკი ვარ; ირიბად, ოკრობოკროდ, უცნაური მიხვევ-მოხვევით მივიკვლევ გზას აზელილ, მოზუზუნე, მღელვარე ბრბოს ტალღებში და მეც არ ვიცი, ბოლოს სად მოვხვდები, სად გავცურავ ხალხის ამ მბორგავ ზღვაში – დაღლილი, გაოფლილი, სიქაგაცლილი ამდენი შთაბეჭდილებით, გაუთავებელი სიარულით, მომაბეზრებელი ყაყანით, უამრავი ფერით, საგნით, ადამიანით... ვიღაცას ვეჯახები, ვიღაცა მხარს გამკრავს უხეშად, ერთი კალათის კუთხეს დამატაკებს ფერდში, მეორე ჩანთას გამომდებს, მოულოდნელად ფეხზე ფეხს მადგამენ; აგერ სულსწრაფი ჯეელი მოარღვევს ბრბოს და უბოდიშოდ გამწევს ხელით გვერდზე; მედიდური, ტანსრული ქალი ქოლგას მოურიდებლად მომაფართხუნებს სახეზე – ძლივს ვასწრებ პირის გვერდზე მიბრუნებას... ეს შეხლა-შემოხლა (შეზავებული უკმაყოფილო ბურტყუნით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით, სხარტულებით, ხუმრობით, ბოდიშით, ხანდახან – ქოქოლითა და წყევლა-კრულვით და ზოგჯერ – გინებითაც) იმიტომ ხდება, რომ მყიდველთა მიმდელვარე, აზიმზიმებულ ნაკადში ადამიანები ერთმანეთს ვერ ამჩნევენ – ყველა მთელი გულისყურით მხოლოდ დახლებს მისჩერებია და თვალებს აცეცებს მისთვის საჭირო საყიდლების ძებნაში, ხარბი მზერით გადარბის ვაშლიდან მსხალზე, კომშიდან ატამზე, სულგუნიდან გუდის ყველზე... სხვა ადამიანებს მხოლოდ ჯიბგირები აქცევენ ყურადღებას და კიდევ... მე! დიახ, მყიდველთა თვალები მიპყრობილია მხოლოდ დახლებისადმი, რომლებზეც დახვავებულია... არა, გამოფენილი საქონლის აღწერას დროებით გვერდზე გადავდებ – ერთობ მრავალფეროვანი, მრავალგვარია და ბევრი სიტყვა და გრძნობაც უნდა დავხარჯო, ასე უბრალოდ ჩამოთვლით ვერ დავკმაყოფილდები.

ამ გაჭიანურებული შესავლის შემდეგ, ვიწყებ "დეზერტირის" ბაზრის "საინვენტარო აღწერას": ვიღებ სამუშაო იარაღებს: საერთო რვეულს, კალამს, ჩემს გოგრას მხრებზე შიგ მოთავსებული დამხმარე მოწყობილობით, როგორიცაა: თვალები, ყურები, ცხვირი და, რაც მთავარია, შიგთავსის ნაცრისფერი ნივთიერება ანუ ტვინი; დავიხმარებ გადასაადგილებელ საშუალებას – ფეხებს და ვიწყებ ბაზრის შემოვლას. შედეგი აღნუსხული და, შეძლებისდაგვარად, გაანალიზებულია ქვემომოტანილ ნაჯახირევში.

ბაზარი, როგორც ითქვა, მთელი სამყაროა, ამავე დროს – ერთგვარი ქალაქიც – თავისი ქუჩებით, მოედნებით, შესახვევებით და ასე შემდეგ:

კიტრისა და პომიდორის ქუჩა!

მწვანილის ხეივანი!

ვაშლისა და მსხლის გამზირი!

მწნილების ლაბირინთი!

საზამთროსა და ნესვის გორა!

ღვინო-არყის სადეგუსტაციო მოედანი!

ხორცის აღმართი!

რძე-მაწვნისა და ყველის უბანი!

თევზეულის სანაპირო!

ბოსტნეულის შესახვევი!

კარტოფილის ჩიხი!

გავაგრძელო?

ბაზარი ჩემთვის უპირველესად უზარმაზარი გამოფენაა! უფრო სწორედ – გამოფენების მთელი წყება:

ეთნოგრაფიული! (ბოხოხი, სვანური, კახური, იმერული ქუდები, ყაბალახი, გოდრები და კალათები, რუმბები და ტიკჭორები, ჩურჩხელები და... გავაგრძელო? თუმცა, ბევრი რამ ისე გამახსენდა, ახლა მათ მუზეუმში თუ შეხვდები, მაგალითად, ჩიხტიკოპს ან წუღა-მესტს...);

ნატურმორტებისა! (ჩამოთვლა ზედმეტია, საითაც გაიხედავ, ნაირ-ნაირი ნატურმორტების ზღვაა!);

ჟანრული სურათებისა!

პორტრეტების გალერეა!

მოდების სალონი!

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა! ჭურჭელ-ტარის გამოფენა! (ღორმუცელა კასრები – თევზის, ყველის, მჟავე კიტრისა და კომბოსტოსი... კალათები, ყუთები – ვაშლისა, სხვა ხილისა, პომიდორისა, ყურძნისა... თუნუქისა თუ პლასტმასის ვედროები – სოკოსი, ლეღვის, შინდის... ტომრები – კარტოფილისა, ჭარხლისა, სტაფილოსი, კომბოსტოსი, ლობიოსი... ბოცები, ბოთლები – ღვინო-არყისა, ზეთისა... ბიდონები – თაფლისა, ერბოსი... უზარმაზარი ქვაბები – ხორცისა... გავაგრძელო?);

ბაზარი – დიდი თეატრია!

ცხოვრების თეატრი, ცოცხალი სურათები, ეპოსური წარმოდგენა, ეთნოგრაფიული ჩანახატები, სალაღობო დიალოგები!

დრამატული, ფსიქოლოგიური, კომედიური სცენები!

ყოველდღე – პრემიერაა, განუმეორებელი სანახაობაა, განუწყვეტელი დღესასწაული!

– ფერი შენს ღვინოს კარგი აქვს; სიმაგრით როგორია, მონათლული ხომ არ არის?

– როგორ გეკადრება! ღვინოა იგეთი, რომა ორი ჭიქის შემდეგ კამეჩი მღვდელი გეგონება! თუ არ გჯერა, გასინჯე!

ტიპაჟის ნაირსახეობა: გამყიდველი, მუშტარი, გადამყიდველი, წესრიგის დამცველი, გადასახადის ამკრეფი, გამომძალველი, ქურდბაცაცა, მათხოვარი, უსაქმოდ მოყიალე დროის მფლანგველი...

– ვაშლი რა ღირს?

– ლარი!

– (ირონიით) ცალი?

– (წყენით) მასხარა თავი გაბია!

– მაშ, რა ამბავია, ერთი ლარი კილოგრამში – სამოთხის ვაშლია?

– არა, ჯოჯოხეთისა.

– იმიტომაც დაგიდვია ჯოჯოხეთური ფასი... არ დაუკლებ?

– რამდენი გინდა?

– კაცო, ჯერ ფასზე შევთანხმდეთ...

– ოთხმოც თეთრად მოგცემ.

– ათ შაურად არ იქნება?

– იქნება, როგორ არა, ოღონდ ხვალ-ზეგ გამოიარე!

ბაზარი უზარმაზარი, დიდზე დიდი, უწყვეტი, გათენებიდან დაღამებამდე გამართული მრავალსაათიანი სპექტაკლი-წარმოდგენაა – ათასობით მონაწილით, რომლებიც ამავე დროს მაყურებლებიც არიან (ჩვენი დროის ბერიკაობაა!), როგორც ხელოვნების განვითარების ადრეულ პერიოდში და ამჟამად ერთადერთი ადგილია, სადაც გადარჩა ძველთაძველი, ადრინდელი წარმოდგენის პირვანდელი ხასიათი: ბაზარი – სინკრეტული წარმოდგენაა და ამ მხრივ თეატრსა და კინოსაც სჯობნის (აღარას ვამბობ სრულ ბუნებრიობასა და იმპროვიზაციულობაზე); აქ სხვადასხვა კომპონენტების მთლიან, ერთიან აღქმას სიმღერა-მუსიკისა, დიალოგებისა, მოქმედებისა, ნახატ-ხაზ-ფერისა ემატება კიდევ ერთი – სურნელი! უფრო ზუსტად – სუნები და სურნელები!

დამარილებული ქაშაყის!

თუშური ყველის!

დამწნილებული კიტრის, პომიდორის, ნივრის, პრასის, წიწაკის, კომბოსტოს, ჯონჯოლის, სოკოსი!

კომშის!

ლიმონის!

ვაშლის!

ყურძნის!

ლეღვის!

ატმის!

გავაგრძელო?

ბაზარი ხელოვნების გიგანტური მუდმივმოქმედი სალონია (სეზონების მიხედვით: საგაზაფხულო, ზაფხულის, საშემოდგომო და ზამთრის), სადაც ხდება ექსპოზიციის მუდმივი განახლება – ყოველ-დღიურად, ყოველ საათში და ყოველ წუთშიც კი იცვლება დახლზე დახვავებული ხორაგის (ნატურ-მორტები) თუ გამყიდველ-მუშტრის (მენატურენი) სახეობა, რაოდენობა, განლაგება და სხვა და სხვა...

– აბა, კიტრი შუშა კიტრი მუხრანული! ნახე, გოჭებივით კოხტად არა წვანან?

– გასინჯეთ საზამთრო – შაქარივით საზამთრო პაპა შაქროს ბაღჩიდან!

ბაზარი ყველაზე მიმზიდველი ალბათ მხატვრისთვისაა: ფერები! ფორმები! კოლორიტი! კონტრას-ტი და შეხამება! შემთხვევითობა და ჰარმონია! რა ნატურმორტებია, მათ რა აღწერს! რა სახეებია – ნაირფერი ტიპაჟი! რა ჯგუფური კომპოზიციებია! ცალკერძ – გამყიდველთა ჩარიგება, ცალკერძ – მუშტართა აზიმზიმებულ-აჭრელებული კალეიდოსკოპი! ლამაზმანთა მრავალფეროვნება – ქერა, წი-თური, შავგვრემანი, ჩაფუნთუშებული, ალვისტანა, დედოფალივით ამაყი და უკარება, ქურციკივით ლაღი და მოსხლეტილი, იასავით მორცხვი და ნაზი... შევაჭრებაში დახელოვნებული ოჯახის ქალე-ბი – დიდ-დიდი ჩანთებით, ქორივით მზირალნი, დაღლილი, ზრუნვითა და გარჯით დანაოჭებული სახეებით, ასაკით ტანდამძიმებულნი ან ჩხირივით გამომშრალნი; პეწენიკი, წუნია, ამრეზილად მზი-რალი შინაბერები; ფაშფაშა, ქონმორეული, პეპლებივით ფერადოვნად მდიდრულ სამოსში გამოწ-კვართული (უყვართ კაბის ქსოვილის დიდყვავილებიანი ნახატი!), უზრუნველი ქალბატონები, ყველა-ზე საუკეთესო საქონელს რომ აირჩევენ, შეუვაჭრებლად იძენენ და მორჩილ კუდად მობმულ შინა-მოსამსახურეს თითით უხმოდ ანიშნებენ, ჩაალაგე ჩანთაშიო...

ბაზარი – უზარმაზარი ხელოვნების სალონი – აჯობებს ნებისმიერ, ყველაზე დიდ ულტრათანა-მედროვე მხატვრულ გამოფენას: აქ "პოპარტიც" არის, "დინამოარტიც", "ინსტალაციაც", "ჰიპერრეა-ლიზმიც", "ფოტოარტიც", "ჰაპენინგიც", "მინირეალიზმიც", კოლაჟიც და ათასგვარი სხვაც...

აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი, ოსი, ბერძენი, ქურთი, აისორი...

ქართლელი, კახელი, მთიული, ფშაველი, ხევსური, მოხევე, თუში, აჭარელი. გურული, მეგრელი, სვანი, იმერელი, რაჭველი...

ერთი საუკუნის წინ ამათ ერთმანეთისგან ადვილად გაარჩევდი – ლაპარაკით, ჩაცმა-დახურვით, – ახლა ჭირს ან შეუძლებელიცაა: ყველას უცხოური ტანსაცმელი მოსავს – პიჯაკები, ჯინსის შარ-ვლები, ძალიან გრძელი ან ძალიან მოკლე თანამედროვე მოდის კაბები – ათასგვარი ფასონის, ფე-რის, მოხატულობის – ლამაზ, ცხოველხატულ პეპელათა ფარფატი მამაკაცთა შავ-რუხ ფონზე თვალს ახარებს და ახალისებს!

ბაზარი დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლა-სასწავლებელიცაა, სადაც გამყიდველ-მყიდ-ველთა როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი წვრთნა-ვარჯიში და გამოცდების ჩაბარება მიმდინა-რეობს: ადგილის შერჩევა, ტვირთის აწევა-გადატანა, ადგილმდებარეობაზე ორიენტირება და გზის გაკვლევა, წინაღობათა გადალახვა (უბრძოლველად ადგილს ვინ დაგითმობს! აგრეთვე ძრომიალი ვიწროებში ადამიანებს, ყუთებს, კალათებს, ტომრებს, ხურჯინებს შორის), ხმის ტრენაჟი ("უცებ არ შემაშინო, ყვირილი შენზე უკეთ შემიძლია!"), ყურადღების გაფაქიზება-გამახვილება ("ეს გაუპარსა-ვი ჯეელი რაღაც საეჭვოდ ეტმასნება ჩემს ჩანთას..."), ფსიქოლოგიური ურთიერთობის რთული სკო-ლა ("ჯერ საქონელს კი არა, გამყიდველს შევხედავ ხოლმე; თუ პატრონი მომეწონა, მერე დავუწყებ ვაჭრობას"), კომუნიკაბელობა ანუ სხვებთან ურთიერთობის გაბმის ხელოვნება ("ამ დაჭყლეტილ პო-მიდორს რომ მიწონი, ჭირიმე, შინ ტომატ-პასტა მივიტანო?"), საქონელმცოდნეობა ("ეს ვაშლი მსხვი-ლო კია, შესახედავადაც მოგეწონება, მაგრამ რად გინდა – არც ისე გემრიელია"), მარკეტინგი ანუ ბაზარში მიმდინარე პროცესების გულდასმითი შესწავლა სამეურნეო გადაწყვეტილების მისაღებად ("კვირა საღამოს რომ გაიარო ბაზარში, გამყიდველები სოფელში არიან წასასვლელები და დარჩე-ნილ საქონელს იაფად მოგცემენ, მაგრამ ზოგი რამ სისხამ დილით ჯობს შეიძინო, რადგან მაშინვე იყიდება – ერთ-ორ საათში – და, შესაძლოა, მოგვიანებით ვეღარ იშოვო, ძვირადაც კი"), ანგარიში და ვარიანტების გათვლა... ხშირად ისეთ ჩახლართულ, მრავალუცნობიან განტოლებას ადგენ და მის გადაწყვეტას ლამობ, რომ ლეონარდ ოილერის გენიოსური მათემატიკური ტვინიც ვერ გიშველ-ლის; ამიტომ, როგორც ყოველ წინდახედულ ადამიანს, მაქვს საყიდლების წინასწარ შედგენილი სი-ა, დაახლოებით ასეთი სახისა:

კარტოფილი	–	5 კგ	X	25	თეთრი	=	1,25 ლარი.
ჭარხალი	–	1 კგ	X	30	თეთრი	=	0,30 ლარი.
სტაფილო	–	2 კგ	X	40	თეთრი	=	0,80 ლარი.
ვაშლი	–	3 კგ	X	50	თეთრი	=	1,50 ლარი.
თხილი	–	2 კგ	X	1	ლარი	=	2,00 ლარი.

საზამთრო	– 5 კგ X 15 თეთრი	=	0,75	ლარი.
ლიმონი	– 3 ც. X 25 თეთრი	=	0,75	ლარი.
კვერცხი	– 20 ც. X 12 თეთრი	=	2,40	ლარი.
ზეთი	– 2 ლ. X 1,6 ლარი	=	3,20	ლარი.

სულ = 12,95 ლარი.

20 კილოგრამზე მეტი დაგროვდა, ჩემი ასაკისა და ჯანის პატრონისთვის ნამეტანია (60 წელს გადავაბიჯე, თანაც ნაინფარქტალიც თუ ინფარქტგადატანილიც – როგორ იქნება მართებულად? – გახლავარ), ამიტომ საზამთროზე უარი უნდა ვთქვა; თანაც უკვე ბაზარში აღმოვაჩინე, რომ საფულეში მხოლოდ 8 ლარი და 20 თეთრი მქონია; იძულებული ვარ, სიაში ხაზი გადავუსვა აგრეთვე თხილს, შეველიო 1 ლიტრ ზეთსა და 5 ცალ კვერცხსაც... (ხანგრძლივი საოჯახო ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში მოქცევის გამო, სიაში თავიდანვე ვერ მოხვდა ყველი, თაფლი, ხორცი, კარაქი და ლობიოც კი). ჩემი ანგარიშით, ამით დაიზოგა 4 ლარი და 95 თეთრი, ესე იგი, შემიძლია, 8 ლარის რამერუმე შევიძინო, 20 თეთრიც გადავინახო მეტროთი შინ წასაბრძანებლად.

რაღა თქმა უნდა, რეალობა ამ გეგმას ფუშავს – ბაზარში ფასები სავარაუდოს არ ემთხვევა: კარტოფილს 1 კილოგრამს 35 თეთრზე იაფად ვერ იყიდი, კარგი ვაშლი 40 თეთრად შემხვდა, ლიმონი – ცალი 30 თეთრად და ასე შემდეგ. ახლა იანგარიშე, ჩემო მკითხველო, ამ ხან დაზოგვაში, ხანაც გადახარჯვაში რამდენჯერ და რამდენნაირი ვარიანტის გათვლა დამჭირდება, რომ 8 ლარის ფარგლებში ჩავეტიო და, შეძლებისდაგვარად, სიით გათვალისწინებული სურსათ-სანოვაგეც შევიძინო!.. ფუი, სიაში დამვიწყნია – უმწვანილოდ შინ ვერ მივალ; თანაც სრულიად მოულოდნელად გაუთვალისწინებელი ხარჯი გამოტყვრა: სასწაულად იაფად შესანიშნავი შინდი შემხვდა, სამურაბედ ვიყიდე 3 კილო! რას იზამ, ეს ოხერი თვალი ხარბია! და სიის შუამდეც არ ხარ ჯერ მისული, რომ აღმოაჩენ – ფული სულ შემოგხარჯვია!.. პომიდორსაც დავხარბდი – ერთ რამედ მხოლოდ მისთვის შეხედვა ღირდა – თვალი შეეჩვია, თორემ ამაზე ლამაზი ფერი თუ შეგხვედრიათ? არადა, მთებია დაზვინული პომიდორის, როგორ არ იყიდი?.. ატამი? ნაზი ქალწულის ლოყებივით სალუქი – რა სურნელს აფრქვევს, ღმერთო! თაფლა ნესვი, მზეს რომ ეჯიბრება ფერის შუქიანობასა და სიმცხუნვარეში – როგორ ჩაუვლი გულგრილად?..

ბევრი რომ არ გავაგრძელო, სიის შედგენა სულ ზედმეტი ყოფილა, მაინც ყველაფრის ათჯერ თავიდან ანგარიში მიწევს... არის თუ არა ეს ტვინის ვარჯიში? არ აქვს მნიშვნელობა, გაქვს თუ არ მათემატიკური მომზადება, მაინც ადგენ ალგორითმს – მოქმედებათა თანამიმდევრობას (ჯერ სად მიხვიდე, რა არის უპირველესად საყიდელი, თორემ, მაგალითად, თუ კვერცხი ან პომიდორი ადრე შეიძინე, შემდეგ ნაყიდი კარტოფილი ან ვაშლი ზევიდან დააყარე, ადვილი წარმოსადგენია, შინ მისულს ცოლი რა შავ დღესაც დაგაწევს...), გამოიყენებ თამაშის თეორიას გამყიდველთან ურთიერთობაში (რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს – არც შენ დარჩე წაგებული და გამყიდველიც კმაყოფილი იყოს), ვარიანტების გადარჩევას ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად; არც ფსიქოლოგია გახლავთ ზედმეტი ბარგი – ყურადღებით უნდა იყო, არ მოდუნდე, რათა ფხიანმა ენაგატლეკილმა გამყიდველმა თავისი საქონლის შესხმა-გალობით ფსიქოლოგიური ზეწოლა არ მოახდინოს შენზე და არ შემოგაჩეჩოს შენთვის შეუფერებელი რამ, ან არ მოგატყუოს წონასა თუ ანგარიშში, არ შემოგატყუოს სიდამპლეშეპარული, უმწიფარი, დაბეჟილი ან სხვა ხინჯის მქონე ხილი, ბოსტნეული და ასე შემდეგ, არ შემოგაპაროს ნაყიდის მაგივრად სხვა რამ, რასაც გაკვირვებით აღმოაჩენ შინ მისვლისას (შენ კანადური რენეტი – "ანტონოვკა" – ააწონინე, ვაშლის გამყიდველს კი მასში სანახევროდ კეხურა შეურევია... ან ყველს ერთს გაგასინჯებს და სულ სხვას აგიწონის... განსაკუთრებით ყასბები არიან დაოსტატებულნი – მოზრდილ ძვალს ისე კოხტად "შემოგიცურებენ" ორმაგად გაკეცილ გასახვევ ქაღალდში, რომ თუნდაც ასი თვალი გამოიბა, ვერაფერს შეამჩნევ).

ბაზარი უზარმაზარი შეჯიბრია, ასპარეზია, პაექრობაა – მოხერხებულობაში, გამომგონებლობაში, მოსაზრებულობაში, გონებამახვილობაში, სიტყვა-პასუხში...

ბორგავს ბრბო, დუღს ვნებანი, წკრიალებს სასწორთა თეფშები, ივსება და იცლება ქისები და ყუთები, ჩანთები და პარკები; გადი-გამოდის ხელიდან ხელში ბარაქა და ხელის ჭუჭყი...

არ გეგონოთ, ბაზარი მხოლოდ ყიდვა-გაყიდვას ემსახურება. მრავალთათვის ის წარმოადგენს აგრეთვე უგუნებობისა თუ დარდის გასაქარვებელ ან დროის გასატარებელ, გასართობ ადგილს, თვალისთვის წყლის დასალევინებელ, ენის მოსაფხან და ტვინის გასალეს ასპარეზს, ზოგიერთთათვის კი – ავანტიურისტულ ვნებათა დასაკმაყოფილებელ "სამუშაო" გარემოს... (ისწავლეთ ასეთთა გამოცნობა: სამართებელივით გამჭოლი მზერა აქვთ და უებროდ მოქნილი თითები – თქვენი საფულის "საალერსოდ"!).

ბაზარი ერთი უზარმაზარი პირველყოფილი ქაოსია, ოღონდ შიგნით აქვს "კრისტალიზაციის წერტილები": ვაშლები ვაშლებს "ეხუტებიან", კვახები – კვახებს, მწვანილეულობა – მწვანილეულობას და დაკლული საქონლის ტანებიც ერთ რიგში გვერდიგვერდ არიან ჩამწკრივებულ-ჩამოკონწია-

ლებულნი... მხოლოდ ადამიანები არიან არეულ-დარეულად განაწილებულნი სივრცეში, ყოველგვარი წესისა და რიგის გარეშე გადაზელილნი...

ბაზარი ერთი უზარმაზარი მდუღარი ქვაბია, – მოთუხთუხე, მქშინავი, მოუსვენარი, მბორგავი, ქაფით ნაპირებს გადმომდინარე, – რომელსაც ცეცხლს ადამიანის კუჭი უნთებს და ნდომის კოვზი კი ურევს და ურევს მოუღლელად!

ბაზარი ერთი უზარმაზარი კარუსელია: ტრიალებს, ბრუნავს, გაჰყვირის, ჭიჭყინებს, ფუსფუსებს, ზუზუნებს, ზიმზიმებს, ქოთქოთებს და თავბრუს გახვევს!

ბაზარი ერთი უზარმაზარი კალეიდოსკოპია, მოძრავი მოზაიკაა – ფერად-ფერადი ადამიანების-კენჭების, საგანთა ლაქების მუდმივი, ყოველწამიერი გადაადგილებით, – დენადი ორნამენტული თამაშია!

გავაგრძელო?

არა, ალბათ დროა, გავჩერდე – ტვინი გადამეზილა და! მკითხველიც უნდა დავასვენო.

დასასრულ, ბარემ ერთსაც ვიტყვი:

ბაზარი მარად მღელვარე, მშფოთვარე, მოუსვენარი, მოუღლელი ზღვაა – ვნებათა, ხმათა, ფერთა მიქცევ-მოქცევით, თბილი და ცივი დინებებით, ალაგ – ქარიშხლით და ქარბორბალათი, ალაგ – მორევებით, ალაგ – ურთიერთ ქიშპობითა და შეჯახებით, ალაგ – მეჩეჩებით...

ძალიან მინდოდა, ეს ჩემი ნაცოდვილარი მწყობრი, დაწყობილი გამოსულიყო, – მძივებივით ამესხა, ლამაზ სურათად დამელაგებინა ყველაფერი, – ბოლოს კი რა გამომივიდა? ჭრელი, აბურდულ-დაბურდული, ქაოსურად დახვავებული რაღაც, თავსა და ბოლოს რომ ვერ გაუგებ... მოკლედ რომ მოგახსენოთ – ნამდვილი ბაზარი!..

1997

გაზაფხულის შხაპუნა

ქუჩაში ჰაერი შეიკუმშა, დამდოვრდა, მერე მძიმედ გაყუჩდა რაღაცის მოლოდინში; ქარი მოვარდა გიჟივით, – ქარი-ქარბორბალა, – ზათქით მიახეთქა გაღებული ფანჯრები, მოხვეტა-დაატრიალა ქუჩის მტვერი, ნაბიჯაჩქარებულ გამვლელ-გამომვლელთ თვალებში შეაყარა, ზოგს ქუდი მოსტაცა, ზოგს კაბა აუფრიალა, თმები აუწეწა...

წამით მიწყნარდა ყველაფერი, მხოლოდ ქალაქს ზევიდან დაწოლილ მოქუფრულ ღრუბლებში ელვა დაიკლაკნა და უხეშად, ყრუ მუქარით დაიგრუხუნა-გაგორდა ქუხილი... და უცებ დასცხო შხაპუნა წვიმამ – მსხვილ-მსხვილი წვეთები აცეკვდნენ ხეთა ფოთლებზე, სახურავებზე, გადაამუქეს ქუჩა და სწრაფად წარმოქმნილი გუბურების ზედაპირზე გაჩნდა და გაქრა, გაჩნდა და გაქრა უთვალავი მბრწყინავი ბუშტი. გუბურები გაიფოფრა, ერთმანეთს შეუერთდა და ქუჩას მოასკდა წყლის ნიაღვარი – პატარა მღვრიე მდინარე...

მაღალი ყმაწვილი შეეუჟულა ერთ-ერთი სახლის სადარბაზოს შესასვლელში. მუქ, სველ თმაზე ისვამს ხელისგულს და გაღიმებული გასცქერის წვიმის ძაფებით დაქსელილ-დაბურუსებულ, გახალისებულ ქუჩას. გარბის გაწუწული, თავდახრილი ხალხი – ზოგს გაზეთი დაუფარებია თავზე (თუმცა ამას თავსხმაში რა აზრი აქვს); ხანშიშესულნი შეწუხებული სახით მიცუხცუხებენ, ზოგი უდარდელად მიაბოტებს, სულაც არ ჩქარობს – აგერ ზორბა, შუახნის მამაკაცი თითქოს მისეირნობს და ერთადერთი სადარდებელი ის აქვს, რომ სიგარეტი არ ჩაუქრეს; გოგონები გარბიან კისკის-კივილით, ბავშვების ჟრიამული ავსებს ქუჩას.

უცებ თეთრკაბიანი გალუმპული გოგონა შემოვარდა სადარბაზოში და ყმაწვილის გვერდით დადგა; თავი გაიქნია წვეთების ჩამოსაფერთხად, ფეხები დაუბაკუნა. ბიჭს ეცა გაზაფხულის – გოგონას თმების – გამაბრუებელი სურნელი.

ბიჭმა ირიბად გახედა გოგონას – მის ნაზ ლოყაზე თმის სველი კულული ჩამოშლილიყო. გოგონამ თითქოს იგრძნო მეზობლის მზერა და ხელის ნარნარი მოძრაობით კულული პატარა ყურის უკან გადაივარცხნა.

გოგონა სახეშეცვლილ ქუჩას გასცქეროდა – წვიმისგან გამოცოცხლებულს, ახმაურებულს, ბიჭი კი სულ ქალიშვილს უყურებდა, მერე ისევ ქუჩისკენ იბრუნა პირი.

წვიმამ გაახალისა ქუჩა: თითქმის ყველას გაურთულა საქმიანობა, ზოგს მცირედ შეუშალა ხელი, სხვებს დიდი გეგმებიც ჩაუშალა, მაგრამ მაინც ყველა ღიმილით ხვდება ცხოვრების აწყობილ მდინარებაში წვიმის ასეთ მოულოდნელ, უბოდიშო, უცაბედ შეჭრას. რას ერჩი, რას ემართლები – ცეტია წვიმა, თანაც მოუთოკავი, თავაშვებული, თავნება, გიჟმაჟი, მხიარული.

ბიჭი მორიდებულია, გამოლაპარაკებას ვერ ბედავს. სულ გოგოს უყურებს, ხანაც ცოტა ხნით ქუჩას მიაპყრობს მზერას. გოგონამაც წამით მიაპყრო დიდრონი, შავი, ბრდღვიალა თვალები.

– რა წვიმაა, ხომ? ნამდვილი წარღვნა! – საუბრის ძაფი გააბა ოდნავ გულმიცემულმა ბიჭმა.

– როგორც ჩანს, გადაღებას არ აპირებს! – იბუზება გოგონა და ხელისგულებს მხრებზე შემოიჭდობს.

ბიჭი ნანობს, რატომ არ ჩაიცვა დღეს პიჯაკი, ახლა შესთავაზებდა მის მხრებზე მოხურვას და მერე სახლამდეც მიაცილებდა...

– გრილი გაზაფხულია და არ გაცივდეთ! შორს ცხოვრობთ?

– არც ისე. გაცივების მართლაც მეშინია, ადვილად ვცივდები.

ბიჭმა ახლა ის ინატრა, ნეტავ ორ ნაბიჯში ვცხოვრობდე, მივიპატიჟებდი, ცხელ ჩაის დავალევინებდი, გავუშრობდი ტანსაცმელსო.

ბიჭს სულ უნდა, სახელი ჰკითხოს, რატომღაც ვერ ბედავს... ხუმრობს:

– გაცივება ადვილია, თქვენ სახელად გქვიათ – ლია!

გოგონა იღიმება.

– კარგად გამოიცანი!

ბიჭს მოსწონს, შენობით რომ ელაპარაკება გოგონა, თუმც ირონიულად.

– კარგი სახელია ლია!

პასუხად გოგონა იცინის, იცინის კი არა – კისკისებს და ეს კისკისი კიდევ უფრო ამძაფრებს ბიჭის ამაღლებულ თუ ატაცებულ მდგომარეობას, თვითონაც იცინის; უნდა, რომ სულ იწვიმოს, რაღაც ამ წვიმასავით მოულოდნელით არის აფორიაქებული მისი სული, შეუცნობელის მოლოდინით...

შეიძლება ითქვას, რომ ნაცნობობა გაიბა. ალბათ სახლამდე გაცილებაზეც არ ეტყვის უარს, გზაში კი როგორმე უნდა გაბედოს და პაემანზე დაითანხმოს... კინოში დაპატიჟებს... თუ თეატრი სჯობს? თეატრი ბევრად უკეთესია, ანტრაქტებში ისაუბრებენ... იქნებ ახლავე დაითანხმოს?

– კინო გიყვართ?... თუ თეატრი გირჩევნიათ?

პასუხი ვერ მიიღო. ბიჭმა მიიხედა და სახტად დარჩა – გოგო გამქრალა... როდის წავიდა ასე შეუმჩნევლად?..

წვიმას გადაუღია კიდეც – იშვიათი წვეთები ცვივა, მზეც აპირებს შერჩენილი ღრუბლებიდან გამოჭყეტას; განათდა ქუჩა, აბრჭყვიალდა წვეთები ხეთა ფოთლებზე...

იქნებ შორს წასვლა ვერ მოასწრო და დაეწიოს?

ბიჭი სადარბაზოდან გამოვიდა და ქუჩის ორთავე მხარეს გახედა. თეთრი კაბა დალანდა – შორს, მოსახვევში.

ბიჭი ადგილიდან მოწყდა და დასაწევად გაიქცა – უბოდიშოდ მიდგაფუნობდა ალაგ-ალაგ გაჩენილ გუბეებში...

1990

მარტი

მარტის დასაწყისში მკვეთრად დათბა, დაიბერა კვირტები ჭადრებსა და იფნებზე, აყვავებული ნუშის ხეები თეთრად აფეთქდა.

მრავალმა უპალტოოდ იწყო სიარული, ტრესტში პირველად ელგუჯამ იკმარა მხოლოდ პიჯაკი.

გურამს ის მაინცდამაინც არ მოსწონდა... ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, როგორც კი მათთან დაიწყო მუშაობა, მაშინვე ქეთინოს დაადგა თვალი; მეორეც, მეორეც... მოკლედ, არ მოსწონდა და ეგ არის. რატომღაც ისიც კი აღიზიანებდა, რომ ელგუჯას ლამაზ ბანს ათას ხმაში გამოარჩევდი. ახალი დამთავრებული ჰქონდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მაგრამ თმაში ჭაღარა უკვე საკმაოდ გამორეოდა, რაც ძალიან უხდებოდა; გურამს ესეც კი შურდა, თუმცა ამაში საკუთარ თავსაც კი არ უტყდებოდა...

ქეთინო გურამს უკვე კარგა ხანია, მოსწონდა. თვითონაც ატყობდა, ქეთოს თაფლისფერი თვალები რაღაც განსაკუთრებული სითბოთი უმზერდნენ მას, მაგრამ მეორე წუთს უკვე ეჭვიანად ფიქრობდა, რომ ის ცდებოდა, ქეთინო ყველას მიმართ ასეთივე დამოკიდებულებისა იყო. ბევრჯერ გადაწყვიტა, როგორმე დაემარტოხელებინა ქალიშვილი, გაენდო გულის ზრახვა, მთელ სცენასაც კი წარმოიდგენდა, როგორ დაპატიჟებდა თეატრში ან მუზეუმში – დიალოგი მშვენივრად, დაწყობილად მიედინებოდა, გურამი ბრწყინავდა მახვილსიტყვაობით, ნართაულად აგრძნობინებდა ქეთინოს ყველაფერს, ქალიშვილიც დარცხვენით მხარს აუბამდა საუბარში და გათამამებული გურამი პირდაპირ ეუბნებოდა, რომ...

დიახ, მარტის დასაწყისში საოცრად თბილი ამინდი დაიჭირა და თბილისში აყვავებულმა ხეხილმა ბევრს გაახსენა და მოანატრა სოფელი... მაგრამ ათ მარტს დილით გაღვიძებულმა გურამმა თვალებს არ დაუჯერა – ფანჯრიდან მოჩანდა თეთრად გადაპენტილი მიდამო. თოვლს სქლად დაე-

ფარა სახურავები, ქუჩა, ლამაზად ჩამოეთოვა ხეთა შიშველ ტოტებზე, ელექტროსადენები გამსხვილებულიყო და მძიმედ ჩაღუნულიყო თოვლისგან.

გურამი დიდხანს იდგა ფანჯარასთან. ყველგან – ნათელი, ყველა მხრიდან – რბილი, დაგუდული ხმები; ადამიანთა მუქი ფიგურები ხრაშახრუშით ხალისიანად მიიკვლევენ გზას; უთვალავი მსხვილი ფანტელი კი ცვივა და ცვივა...

თავდახრილი გურამი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა გმირთა მოედანზე – სამსახურში აგვიანდებოდა. თოვლი სახეში სცემდა, ხედვას უშლიდა, მაგრამ... მაგრამ ამ ნაცრისფერ პალტოს ათასში იცნობდა...

ქეთინოს წამოეწია, მიესალმა და საკმაოდ ბანალური საუბარი გაუბა მარტის ჭირვეულობაზე, შემდეგ ჰკითხა:

– ქეთინო, რომელი ადგილი იქნება ახლა ყველაზე ლამაზი თბილისში? ცხადია, ახლა ყველა კუთხე ლამაზია, მაგრამ მაინც, ყველაზე ლამაზი სად გეგულება?

ქეთინომ პასუხი დაუგვიანა.

– ზოოპარკი! – გამოაცხადა გურამმა, ქეთინოც მაშინვე დაეთანხმა და, მღელვარებისგან სულ-შეგუბებულმა, შემდეგი ნაბიჯი გადადგა: – შესვენების დროს ხომ არ გადავიდეთ? ერთი იდეა დამებადა: მანამდე შინ მივირბენ და ფოტოაპარატს მოვიტან.

– კარგი...

თურმე რა უბრალოდ შეიძლებოდა ყველაფრის მოგვარება, გურამი კი აქამდე პაემანზე სიტყვის ჩამოგდებას ვერ უბედავდა...

თავდაპირველად ყველაფერი წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით წარიმართა. გურამი შესვენებამდე შინ გავარდა, ფოტოაპარატი მოიტანა, ერთი დიდი ფილა შოკოლადიც იყიდა "გასტრონომში". შინაგანად მღელვარებით ატაცებული, სულ იმის წარმოდგენაში იყო, როგორ ისაუბრებდა ქეთინოსთან...

შესვენების დაწყებისას გურამი დაწესებულების კიბეზე იცდიდა და დაინახა, რომ ქეთინო მარტო არ იყო – მასთან ერთად მხაზველი ნანული და ბუღალტერი ანეტა ჩამოდიოდნენ კიბეზე. ანეტამ უკვე ორმოც წელს მიაღწია, მაგრამ ძვლებურად კოპწიაობს, ბარე ათ წელს იკლებს ხოლმე და ცდილობს, ახალგაზრდებს არაფერში ჩამორჩეს. რაც შეეხება ნანულის, მშვენიერი ცქრიალა გოგოა, გურამს მოსწონს კიდეც, მაგრამ ახლა ამჯობინებდა, სულ არ ენახა...

ყველაზე მოულოდნელი და ცუდი კი ის იყო, რომ ქუჩაში გამოსულთ ელგუჯა წამოეწიათ და მათ აეტორღიალათ.

ზოოლოგიურ პარკში ხალხი საკმაოდ იყო, ყველგან გუნდაობა გაეჩაღებინათ. ხვავრიელად თოვდა, თოვლი სქლად დასდებოდა ფიჭვებს, ნაძვებს, ბუჩქებს...

სწორედ იმ დროს, როცა გოგოები და ელგუჯა თოვლით ლამაზად დაფარული მაღალი ბუჩქის ძირში დადგნენ და გურამი მოემზადა სურათის გადასაღებად, ელგუჯა ტოტს სწვდა და ბუჩქი მძლავრად შეარხია... თვითონაც ჩამოფრქვეული თოვლის კორიანტელში გაეხვია და ქალებიც დამფრთხალი ბედურებივით აქეთ-იქით გაფრთხიალდნენ. ელგუჯას ქოქოლას აყრიდნენ, თან თავიდან და მხრებიდან თოვლს იფერთხავდნენ, კისრებში ცხვირსახოცებს ისვამდნენ.

– ე, ბიჭო, მაინცდამაინც მუმიებივით გახევებულებს უნდა გადაგვიღო? ახლა უნდა დაგეჩხაკუნებინა, როცა თოვლი ჩამოიფრქვა... – ელგუჯას არ დასცალდა ბოლომდე თქმა, უკნიდან მიპარულმა ანეტამ თავზე თოვლის დიდი გორგოლა ჩამოამხო, ქეთინომ და ნანულიმ გუნდები დაახალეს. ელგუჯა ანეტას გამოეკიდა, ფეხი გამოსდო და თოვლში გადააკოტრიალა...

გახურდა ბრძოლა ერთისა სამის წინააღმდეგ. ელგუჯა გოგოების შემოტევას არ ეპუებოდა და, თუმცა მარჯვედ იცდენდა დაშენილ გუნდებს, არც სულ მთლად უვნებელი გადარჩა. მერე ნანულის გამოენთო, ორი გუნდა ზედიზედ მოარტყა. ქეთინომ საპასუხოდ მთელი გროვა თოვლისა სახეში შეაყარა; ერთი წამით დაბრმავებული ელგუჯა სახიდან თოვლის წმენდით გამოეკიდა. ქეთინო კისკისით გაიქცა, მაგრამ, როცა ელგუჯა დაეწია, შეშინებული აკივლდა. ელგუჯამ ხელი მოხვია და ტუიის თოვლით დაფარულ დაბალ ბუჩქებზე გადააგორა...

გურამი მოწმესავით იდგა და ცდილობდა, თოვლი არ მოხვედროდა ფოტოაპარატის ობიექტივს. ფიქრობდა, ნანულიც ლამაზი გოგოა, ქეთინოზე მაღალია და ის ელგუჯას უფრო შეეფერებაო... როგორც იქნა, გურამის ხვეწნამ გაჭრა და აქოშინებული მებრძოლნი დაწყნარდნენ – ნორჩი ნაძვის წინ მოეწყვნენ სურათის გადასაღებად.

– მოდი, ქეთინო, ჩემს გვერდით დადექი, – უთხრა ელგუჯამ გოგოს, ქეთინომ ხმა არ გასცა. – მოდი, ჩემო გოგო, ჩემი შეყვარებული არ ხარ? – აღარ მოეშვა ბიჭი.

– არ ვარ, არ ვარ და არც ვიქნები! – წამოიძახა ქეთინომ, თან თოვლს იფერთხავდა ტანსაცმლიდან.

– კარგი, აბა კარგი ნაცნობი ხომ ხარ?

– არც შენი ნაცნობობა მინდა! – მიახალა ქეთინომ.

ელგუჯამ უზარმაზარი გუნდა მოაქუჩა, ძლივს ასწია და აწივლებული ქეთინოსკენ დაიძრა; ამ დროს ანეტამ იმარჯვა, უეცრად მივარდა ბიჭს, გუნდას ხელი აჰკრა და თოვლი ჯემალს შიგ სახეში შეაფრქვია. ქეთინომაც ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და მიზანს ზუსტად მოახვედრა გუნდა – ელგუჯას ქუდი გადასძვრა.

– აჰა, შენ ღია აგრესიაზე გადადი ხომ! – წამოიძახა ელგუჯამ, დიდი თოვლის გუნდა გააკეთა და ანეტასკენ გაქანდა; გზაში მკვეთრად გაუხვია ქეთინოსკენ და მოულოდნელად თავს დაადგა ხელაწეული... ქეთინოსაც რაღა უნდა ექნა, საცოდავი ხმით შესთხოვა – შემიწყალეო.

– შენი ჭირიმე, ელგუჯა, მეტს აღარ ვიზამ!.. შევრიგდეთ!.. – აკნავლდა მოკუნტული ქეთინო.

ნანულის ნასროლი გუნდა ელგუჯას ზედ ყურის ძირში მოხვდა და ყველას ხარხარი გამოიწვია, დაზარალებულის ჩათვლით. სამაგიეროდ, ელგუჯამ გუნდა ნანულის ფეხში მოარტყა. ახლა ქეთინომ ახლოდან კეფაში სდრუზა გუნდა ელგუჯას, მერე მისკენ მიტრიალებულ ბიჭს ახლა პირდაპირ სახეში მიაკოსა მეორე გუნდა და თეთრად ამოუქონა ცხვირ-პირი...

მოსალოდნელი შურისძიებით დამფრთხალმა ქეთინომ მოკურცხლა. ელგუჯამ ორჯერ ააცილა ნატყორცნი გუნდა; არ მოეშვა, წამოეწია გაქცეულს, ფიჭვის ტოტს სწვდა და მოქაჩა. თოვლის ნიაღვარმა ორივე თეთრად შეღება... შარფები, რა ხანია, ამოჩრილი ჰქონდათ და თოვლმა ადვილად შეაღწია გულისპირებში; ელგუჯამ ესეც არ იკმარა, ცალი ხელი მოხვია, მეორეთი კი თოვლი აჭამა...

ქეთინო ახლა კი ძალიან გაბრაზდა. ხელი ჰკრა გაჯიქებულმა და ელგუჯა ტუიის ცოცხალ ბორდიურს იქით ფუმფულა თოვლში გადააგორა. გოგომ მაშინვე ინანა, შეშინებულმა მოკურცხლა პარკის გასასვლელისკენ, თან ცდილობდა, გამვლელებს ამოფარებოდა. ქეთინო გავარდა ზოოპარკიდან; ელგუჯა ქუჩაშიც არ მოეშვა, გუნდებისთვის პარკის ქვის მოაჯირიდან ხვეტდა თოვლს. ქუჩაზე გადასასვლელთან ქეთინო შეფერხდა, მანქანები მჭიდროდ მისდევდნენ ერთმანეთს და ვერ მოახერხა გადასვლა; რამდენიმე გუნდა წამოეწია. ბოლოს, როგორც იქნა, გადაირბინა ქუჩა და სამსახურისკენ გაიქცა; ელგუჯა მისდევდა.

გამვლელნი, განსაკუთრებით ხანში შესულნი, ღიმილს ვერ იკავებდნენ, როცა მწყრისა და მიმინოს ამ თამაშს შესცქეროდნენ. იქვე, შენობის კედელთან, ახალგაზრდების მთელი ჯგუფი იდგა, რომლებიც სანდომიანი ქალიშვილების გავლას უცდიდნენ, რათა თავიანთი თვალზომა და სროლის სიმარჯვე შეემოწმებინათ, მაგრამ ამჯერად რაინდულად დაუთმეს ეს უფლება მხოლოდ ელგუჯას. ერთმა ყმაწვილმა, ყველაზე უმცროსმა, ვითომ სცადა ქეთინოსთვის გუნდას დადევნება, მაგრამ ბიჭებმა ქუდი ისე ღრმად ჩამოაფხატეს თვალებზე, რომ კარგა ხანს მოუნდა, სანამ ცხვირს გაითავისუფლებდა.

გურამი ანეტასა და ნანულისთან ერთად გამოჰყვა ქეთინოსა და ელგუჯას კვალს, ცდილობდა, არ დაჰკარგვოდა ისინი თვალთახედვიდან...

იმ დღეს შესვენების შემდეგ სამსახურში კარგა ხანს ვერ მოითქვეს სული: ხელები გათოშილი ჰქონდათ, ტანსაცმელი – თოვლში ამოგანგლული, ფეხსაცმელებიც დაუსველდათ. თბილ რადიატორთან მიყუჟულნი, მაინც ხალისიანად ჰყვებოდნენ გადატანილი "ბრძოლის" ამბებს. ამ დღის გახსენება დიდხანს გაამხიარულებდათ, განსაკუთრებით, თუკი ფოტოსურათები გამოვიდოდა კარგი.

გურამი ძალიან განაწყენებული დარჩა ელგუჯას მოქმედებით – ვერ მოახერხა ქეთინოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი რამის თქმა... კარგი და დამაიმედებელი კი ის იყო, რომ ქეთინო ელგუჯას აღარ ელაპარაკებოდა და, როცა საუბარში გაურიეს, ელგუჯა ფრიად ხალისიანი და ამყოლი ყმაწვილიაო, ამრეზით გამოსცრა კბილებში – დიდი მუტრუკი ვინმე ბრძანდება, არც ზომა-წონა იცის და ზრდილობასთანაც ცოტა მწყრალად უნდა იყოსო. ანეტა და ნანულიც დაეთანხმნენ, მართლაც მეტისმეტი მოუვიდაო, ქეთინომ კი დასძინა – ქაჯია, გიჟი, არანორმალურიო.

როცა საღამოს შინ წასვლისას გურამი პალტოს იცვამდა, ჯიბეში ხელს მოხვდა აზელილი, თითქმის სულ დამდნარი, შოკოლადის ფილა...

იმ დღიდან გურამი ქეთინოსთან უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს. რამდენჯერმე სამსახურიდან პედაგოგიურ ინსტიტუტამდეც მიაცილა (ქალიშვილი საღამოს დასწრებულ ფაკულტეტზე სწავლობდა). უკვე დიდი იმედი ჩაესახა გულში და გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმასაც აპირებდა, რომ...

აპრილის დასაწყისში დაწესებულების თანამშრომლები ქეთინოსა და ელგუჯას ქორწილში იყვნენ დაპატიჟებულნი. გურამი დიდხანს ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ არა, და ბოლოს შინ დარჩა.

1970

baRSi hyvavis yvavil i ...

– რატომ გაჩუმდი? – ეკითხება ლამარა გოგიას.

რა უთხრას? ის ხომ არა, – თუ გახსოვს, პირველად აი იმ სკამზე გაკოცე პირველადო (იქ ახლა წყვილი ზის – გოგო და ბიჭი – და სრულებით არ აქცევენ ყურადღებას, გარშემო რა ხდება), მაგრამ არაფერს ეტყვის. უკვირს, რომ სრულიად გულგრილია ამ ქალისადმი, რომელთანაც ათ წელზე მეტი ერთად უზიდია ცოლ-ქმრობის უღელი; საოცარია, თითქოს სრულიად გარეშე, უცხო ადამიანს ელაპარაკებოდეს... ნუთუ შეიძლება, ისე გაცივდეს გრძნობა, რომ გულში ერთი პაწაწკინტელა ადგილიც აღარ ეკავოს?

რამდენიმე წლის წინ განქორწინდნენ და გოგიას მისი ყოფილი ცოლი სულ უფრო ნაკლებად ახსენდებოდა ხოლმე, განსაკუთრებით – ბოლო ხანს. ამ მყუდრო ბაღში ლამარამ დაიბარა ტელეფონით – შენი ბიჭიო (იმასაც გოგია ჰქვია) ურევს, სკოლაში არ ემადლიერებიან, მე ვეღარ ვერევი და შენ მოელაპარაკე, ჭკუას მოეგოსო.

შეფარვით ათვალიერებენ ერთმანეთს, ცვლილებებს აკვირდებიან...

ლამარას ასაკი დასტყობია, ჯიუტად კი ცდილობს, გაუძალიანდეს დროის შემოტევას. გოგიას ცოტა ეუცხოება კიდეც ასე ყოველმხრივ ნაცნობ სახეზე რომ ხედავს საგანგებოდ ამოქნილ წარბებს, სქლად წასმულ ხასხასა წითელ პომადას, რაღაც უცნაურ, ჟოლოსფრად შეღებილ თმას... სულ სხვა ქალია ახლა მის გვერდით – საყურეები, მძივები, ოდნავ პრეტენზიული ჩაცმულობა... გოგიას ყოველთვის სისადავე იზიდავდა და ცოლყოფილს გულისტკივილითაც კი შესცქერის – თითქოს რაღაცაში მოატყუეს, გააცურეს, ნაღდის მაგივრად ყალბი რამ შეაჩეჩეს.

ქალიც აკვირდება გოგიას: ისევ ის, მისთვის კარგად ნაცნობი პიჯაკი აცვია, უკვე საკმაოდ შელანძღული. მასთან შესახვედრად მაინც ვერ ჩაიცვა უფრო შესაფერისი ტანსაცმელი? ისე, კარგი ხმარება იცოდა ტანსაცმლისა გოგიამ, ფეხსაცმელიც დიდხანს უძლებდა. ახლა რომ აცვია არცთუ ახალი ფეხსაცმელი, იმას კი ვერ სცნობს ლამარა. გოგიას სახის გამომეტყველებაც უცხოა – ცივი კი არა, რაღაცნაირად განურჩეველი, თითქოს ბუჩქს ან ტროტუარს უყურებდეს. გაბრაზებულიც ახსოვს ყოფილი ქმარი, ალერსიანიც, უხეშიც, მაგრამ ასეთი გულგრილი – არასოდეს, და ეს უგრძნობლობა შეურაცხმყოფელი ეჩვენება. ნუთუ შვილის ბედ-იღბალი მაინც სულ ერთია მისთვის? არ უნდა შეწუხებულიყო? რაღაც ხომ უნდა ეთქვა, ზის პენსიონერივით და აყვავებულ გეორგინებს შეჰყურებს... რა ახსენდება?

– რატომ გაჩუმდი? – უმეორებს კითხვას ლამარა. პასუხის მოლოდინში დაუფარავად აცქერდება. გოგია სახეზე თითქმის არ შეცვლილა, ოღონდ თმები შესთხელებია და ადრეული ჭაღარაც მოსძალებია. ცოლს რომ ითხოვდეს, უფრო მოვლილი იერი ექნებოდა...

– კარგი, ამ შაბათ-კვირას წამოვიყვან, მოველაპარაკები... სკოლაშიც მივალ, კლასის დამრიგებელს ვნახავ. შენ გოგიას ნურაფერს ეტყვი, მე თვითონ რაღაც-რაღაცეებს კაცურად ავუხსნი.

ლამარა იმრიზება. მასაც გეორგინებზე გადააქვს მზერა. მუქი წითელი გეორგინებია, ხავერდოვანი წითელი.

აქ, ბაღში, შედარებით სიწყნარეა, შაშვიც კი გალობს... მტკვრის სანაპირო აქვეა, სულ ახლოს, მანქანების ყრუ გუგუნს ისე შეეჩვია სმენა, რომ მის დუდუნს ვეღარც ამჩნევ.

გოგია კვლავ ჩუმადაა. რამდენ ხანს იქნება ასე?

ლამარა მარჯვნივ გადაიტანს მზერას – ისევ იქ დგას ის სკამი, რომელზეც კარგა ხნის წინათ ხშირად სხდებოდნენ გოგია და ლამარა. პაემნის ეს უკვე თითქოს მივიწყებული ადგილი გაახსენდა რატომღაც ლამარას, როცა გოგიას დაურეკა და შეხვედრაზე ჩამოუგდო სიტყვა. გაუჭირდათ შეხვედრის ადგილის შერჩევა – კინოსთან ან თეატრთან ვერ შესთავაზებდა, არ იცოდა, ასეთ წინადადებას როგორ შეხვდებოდა გოგია, თანაც გასართობ ადგილებში, ერთი ხანია, მეგობარ კაცთან ერთად დადიოდა. ეს ბაღი როცა უხსენა, გოგია ჯერ გაყუჩებული იყო, – ყველაფერი გარკვეული იყო, რისთვისღა უნდა შეხვედრილიყვნენ? მერე – მაინც დათანხმდა... ახლა "მათ" სკამზე შეყვარებული ქალ-ვაჟი ზის, ბიჭი თვალებში შესციცინებს ქალიშვილს, რაღაცას უყვება; თავდახრილი გოგო ჩუმად იღიმება. ბიჭი მკლავს მოხვევს მხრებზე, კიდევ უფრო ახლოს მიუჩოჩდება, გოგო ხელზე მიადებს ლოყას და თვალებს დახუჭავს.პ ისინი ბევრს არ ლაპარაკობენ, ეტყობა, უკვე ყველაფერი ითქვა და ახლა უსიტყვოდაც კარგად ესმით ერთმანეთის.

ახსოვს კი გოგიას, მრავალი წლის წინ იმ სკამზე როგორ ეჭირა ლამარას ხელი და, ბედნიერებით გაბრუებული, უხმოდ შესცქეროდა ქალიშვილს – უნდოდა ეკოცნა ტუჩის კუთხეში და ვერ კი გადაეწყვიტა, თუმცა ეს პირველი კოცნა არ იქნებოდა – მთელი საღამოს განმავლობაში ორ-სამჯერ თუ გაუბედავდა, ნაზად შეხებოდა მის ტუჩებს...

გოგია გაჩუმებულია, ისევ ყვავილებს უყურებს.

– რატომ გაჩუმდი?

პასუხად გოგია გვერდზე იყურება: მოშორებით, სკამზე მოხუცებულები სხედან – ალბათ ცოლ-ქმარი. ისინიც უცხოებივით არიან ერთმანეთის მიმართ – კაცს ნიკაპი ჩამოუდვია ჯოხზე და თვლემს, ქალიც საკუთარ ფიქრებში ჩაძირულა, რაღაცას ნელა ქსოვს.

ბაღის ერთ კუთხეში მომვლელი მუშა ფუსფუსებს, ყვავილებსა და ბუჩქებს რწყავს.

მზე ჩადის, აგრილდა. რაღას სხედან ასე? სათქმელი ერთმანეთისთვის არაფერი დარჩენიათ, ცოცხალ ადამიანს, თუნდაც მარტოხელას, საქმეს რა გამოულევს, არადა, მაინც ეძნელებათ აქაურობის მიტოვება. ყოველდღიურობის ორომტრიალიდან გამოთიშვა იშვიათად უხდებათ და ისვენებს მათი აზრი, გრძნობა, მზერა და სმენაც...პ ისვენებს კი? დღევანდელობამ მოიყვანა ისინი აქ, წარსულს კი, თუმცა მასზე მოგონებები იშვიათად გეწვევა, ასე იოლად ვერ ჰკრავ ხელს, ვერ გაემიჯნები... ერთად ცხოვრების ტკბილ-მწარე ამბები უნებურად ამოტივტივდებიან მეხსიერებაში, ზოგი ისეთიც, სხვა დროს რომ არასდროს გახსენებიათ... ერთმანეთს კი მაინც ვერ უზიარებენ ვერაფერს – შემთხვევით შეხვედრილს უფრო გაესაუბრები და გაუზიარებ გულისნადებს, ვიდრე ყოფილ თანამეცხედრეს...

მაშ, რატომღა სხედან ამდენ ხანს ჩუმად, ადგნენ და წავიდნენ, თავ-თავიანთ საქმეს ეწიონ, თუკი მათი დამაკავშირებელი ძაფები თითქმის ყველა დაწყვეტილია... რატომღა უჭირთ დაშორება, უძნელდებათ იმ წამის წარმოდგენა, როცა ერთი ცალ მხარეს წავა, მეორეც – თავისი გზით, ორივენი ხომ შვებით ამოისუნთქავენ, უსიამოვნო დაძაბულობისგან განთავისუფლდებიან...

ერთად ზიდავენ სიჩუმის მძიმე ტვირთს, უზარმაზარ ტკივილს რომ იტევს, თითქოს სიამოვნებთ ადრინდელი ერთად ყოფნის დღევანდელი ცივი გონებით ჭვრეტა...

ბაღის მუშა მარაოსავით გაშლილ წყლის ჭავლს ახლა მოხუც წყვილთან ასხურებს მწვანედ გაბრწყინებულ ბალახებსა და ბუჩქებს – მოხუცები დინჯად დგებიან და ნელ-ნელა ერთად მიეშურებიან ქუჩისკენ.

მოსაღამოვდა...

გეორგინების ყვავილები კიდევ უფრო ჩამუქდნენ, მალე მათთანაც მიაღწევს მაცოცხლებელი წყალი და მორწყვის შემდეგ ფოთლებსა და ყვავილებზე მბრწყინავ მძივებად-მარგალიტებად შერჩება წყლის წვეთები – ცოტა ხნით.

ლამარა და გოგია წამოდგნენ, ერთხელ კიდევ გაიხედეს "თავიანთი" მერხისკენ და გასასვლელისკენ გაემართნენ.

ბაღის მყუდრო კუთხეში სკამზე მსხდომ ქალიშვილსა და ვაჟს მოხუცი მებაღე ალბათ ყველაზე გვიან შეაწუხებს...

1986

მიმართვა

"ქ. თბილისის მცირე ელექტრული მანქანების ყოფაცხოვრებაში
დანერგვის სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო
ინსტიტუტის დირექტორს
მიმართვა

ქ. თბილისის 333-ე საშუალო სკოლის დირექცია გაცნობებთ, რომ თქვენი თანამშრომლის, ქალთამზე ამბროსის ასულ კაკაბაშვილის, ვაჟიშვილი გიორგი ანზორის ძე მელაკუდაშვილი სწავლობს ჩვენი სკოლის VII² კლასში. განათლების სამმართველოს მიერ ჩატარებული რეიდების დროს 1986 წლის 11 აპრილს აღმოაჩნდა სიგარეტი, ხოლო იმავე წლის 23 აპრილს არ იყო მეექვსე გაკვეთილზე. დედა ხშირად აკითხავს ბავშვს სკოლაში, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ გვაქვს.

გთხოვთ ჩაერიოთ, რომ გაძლიერდეს კონტროლი მოსწავლე გიორგი მელაკუდაშვილის ყოველდღიურ ქცევაზე. მიღებული ღონისძიების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ.

VII² კლასის დამრიგებელი: ლ. კინკილეიშვილი
333-ე სკოლის დირექტორი: ი. ხოზიკაშვილი".

ინსტიტუტის დირექტორმა გელა ღობიაშვილმა კითხვა დაამთავრა და ჯერ სკამზე მორიდებით მჯდომ ქალთამზეს შეხედა, მერე მაგიდის წინ მდგომ თმააბურძგნილ გოგიაზე გადაიტანა მზერა.

გოგია ფანჯარაში იხედებოდა.

– შეგვჭამა, ბატონო გელა! მამამისი ექადნება, შე მამაძაღლო, სკოლაში უნდა მიბარებდნენ შენთვინაო? მოგკლავო... – აწუწუნდა ქალთამზე.

– მართლა ეწევი, ბიჭო? – ჰკითხა გოგიას გელამ. – ხომ იცი, პაპიროსის წევა მავნებელია?.. ვის მიბაძე, ბიჭო?

– მამაჩემს... – ამოღერღა გოგიამ; ფანჯარაში აღარ იხედებოდა, თავჩაქინდრული იდგა.პ

— რატომ არ ანებებ თავს?

— ვერ ანებებს!.. — ამოიოხრა ქალთამზემ.

— დიდი ხანია, ეწევი? — ისევ ბიჭს მიმართა გელამ.

— ერთი თვეა, ვეწევი და ერთი კვირაა, თავი დავანებე...

— ვინ ეწევა კიდევ თქვენს კლასში?

— ოცდაექვსიდან ორნი ვიყავით, მე და წიკლაური... აღარც ის ეწევა.

— დედა ხომ გიყვარს?.. ახლა შენ პირობას დაგვიდებ, რომ სიგარეტს ხელს აღარ მოჰკიდებ... ხომ?..

თავჩაქინდრული ბიჭი ჩუმად იდგა, დედამ ქიმუნჯი გაჰკრა.

— დიახ...

— კარგი. თუ შეგამჩნიეთ, ცუდად იქნება საქმე. გაკვეთილებსაც აღარ გააცდენ უმიზეზოდ, შევთანხმდით?

— დიახ...

— ვაჟკაცის სიტყვა არ გატყდება, იმედი მაქვს, ვაჟკაცი ხარ... კარგად იყავით...

გელამ ჩვეულებისამებრ ხელი ჯიბისკენ წაიღო — მოწევა მოუნდა, მაგრამ დროზე გადაიფიქრა.

გულთამზემ მადლობა გადაუხადა დირექტორს და დედა-შვილი კარისკენ გაემართა.

"ჩემი ბიჭიც მეშვიდე კლასშია, იმანაც ხომ არ დაიწყო ჩუმ-ჩუმად სიგარეტის მოწევა?" — გაიფიქრა გელა ღობიანიძემ.

დირექტორი კარგა ხანს იჯდა გარინდებული, შემდეგ ჯიბიდან ამოიღო სიგარეტის კოლოფი, მოჭმუჭნა და ნაგვის კალათში გადაუძახა; ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

შემოსულ მდივან გოგონას სთხოვა, სიგარეტის ნამწვებით სავსე საფერფლე გაეტანა, ფანჯარა გამოაღო და თვალმოჭუტული შორეთს მიაჩერდა.

1986

ავეჯი

სანამ ჭადრაკის თამაშს დაიწყებენ, მანამდე დაფაზე ფიგურებს დაალაგებენ ხოლმე, ასეთია წესი.

ჩვენი ნოველაც ფსიქოლოგიურ საჭადრაკო პარტიას ჰგავს, აქვს "თეთრი ველებიც" (სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, შემწყნარებლობა, მიმტევებლობა და მისთანანი), არც "შავი უჯრები" აკლია (შური, ეჭვი, სიხარბე, სიძულვილი, გაუტანლობა, ბოღმა და მისთანანი).

მაშ ჩვენი ამბის — "საჭადრაკო პარტიის" — დაწყებამდე, მოქმედ პირებს — ფიგურებს — გაგაცნობთ.

სულ ოთხნი არიან: ორი — კაცი და ორიც — ქალი.

მოქმედება ხდება ერთ თბილისურ ოჯახში. მთავარი ფიგურა გახლავთ ბატონი დავით ლაზიერაშვილი — 60 წლის ფიზიკურ-მატემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ამავე დროს — წიგნების დამფასებელი და ხელოვნების დიდი ტრფიალიც. მეორე არანაკლებ (თუ მეტი არა) მთავარი ფიგურა გახლავთ მისი 54 წლის მეუღლე, ქალბატონი ელენე მეფიაშვილი. ისიც ფიზიკოსი და არცთუ ურიგო — დღე-დღეზე დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას.

ესენი არიან ნოველა-პარტიის "თეთრი ფიგურები". არის "შავი ფიგურებიც" — მათი 25 წლის ვაჟი კაკო და კაკოს მეუღლე მანანა. ეს ახალგაზრდა წყვილი წელს ამთავრებს უნივერსიტეტს — მომავალი ფიზიკოსები ერთ ჯგუფში სწავლობენ. კარგა ხანს გამოცდებისთვის სულ ერთად ემზადებოდნენ და ამ ერთი წლის წინ შეუღლდნენ კიდეც...

კიდევ ერთი ფიგურა საჭადრაკო დაფის გარეთაა — ბატონ დავითისა და ქალბატონ ელენეს გაუთხოვარი ქალიშვილი — 28 წლის ნატალია, რომელიც ამჟამად ასპირანტურაში სწავლობს მოსკოვში.

როგორც ვხედავთ, ნოველის "საჭადრაკო დაფა" არ არის ფიგურებით გადატვირთული, სამაგიეროდ, სამწუხაროდ, ბინაში არიან ფრიად ვიწროდ — მხოლოდ ორი ოთახი აქვთ. მართალია, ერთი მათგანი საკმაოდ მოზრდილია, მაგრამ პირდაპირ გატენილია ბატონ დავითის წიგნის კარადებით, თაროებით... აქვეა ცოლ-ქმრის საწოლები და დგას სამუშაო მაგიდაც. მომცრო ოთახში მათი ვაჟიშვილი და რძალი მოთავსდნენ; ნატალია რომ ასპირანტურას დაამთავრებს და დისერტაციასაც ბრწყინვალედ დაიცავს (რაშიც ეჭვი ნამდვილად არ გვეპარება), "საჭადრაკო დაფაზე" მისთვის ადგილი აღარ რჩება. ღმერთმა ჰქნას, რომ მანამდე ბედს ეწიოს და გათხოვდეს — ასაკიც "კრიტიკული" აქვს...

"კრიზისი" ცოტა ხნით მაინც გადადებული ეგონათ და თურმე კარზე იყო მომდგარი.

მოკლედ მოგახსენებთ საქმის არსს.

ერთ მშვენიერ დღეს მანანას მშობლებმა (ისინიც "საჭადრაკო დაფის" მიღმა დარჩნენ, თუმცა ფრიად შეძლებულად ცხოვრობენ და, რაც ჩვენს შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია, მათდა უნებურად კრიზისული სიტუაციის შექმნაში გარკვეული წვლილიც მიუძღვით) ქალიშვილს საჩუქრად უყიდეს უცხოური ავეჯი — 1500-მანეთიან საწოლ გარნიტურში 4500 მანეთი მისცეს. მანანას ძალიან გაუხარდა, ბატონ დავითს და ქალბატონ ელენეს — ნაკლებ... ამ სივიწროვეში თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, ეს ჯაბახანა ავეჯი სადღა უნდა დავდგათო. დიახ, მძახლების მდიდრულმა "სვლამ" ისინი ხანგრძლივი განსჯა-ფიქრისადმი განაწყო. ქალბატონმა ელენემ და ბატონმა დავითმა დიდხანს იჯიჯღინეს ერთმანეთში, გულზე გასივდნენ და "საპასუხო სვლას" ვერაფრით მიაგნეს...

ამ დროს მოიტანეს კიდეც ავეჯი.

შეხედეს დავითმა და ელენემ შვილ-რძალს და საყვედურები და მკვახე სიტყვები ბაგეზე შეეყინათ — ახალგაზრდა ცოლ-ქმარიც ვერ იყო ხასიათზე. კაკოს, ეტყობა, არაფრად ეპიტნავებოდა სიმდიდრით გაქსუებული სიდედრ-სიმამრის ხელგაშლილობა — თავი დამცირებულად იგრძნო და აქამდე თუ სულ მტრედებივით ღუღუნებდნენ ის და მანანა, ახლა ორივე აღრენილი იყო.

შეხედა ბატონმა დავითმა კრიტიკულ სიტუაციას, დაფიქრდა, ქალბატონმა ელენემაც ქალური ალღოთი შეაფასა შექმნილი მდგომარეობა...

ხმა არ ამოუღიათ, საყვედური არ წამოსცდენიათ.

ის კი არა და, ბატონი დავითი მანანას შველოდა შეფუთული ავეჯის გახსნაში, ჯარასავით ტრიალებდა; ქალბატონი ელენეც რძალს ტკბილად ეუღურტულებოდა. კაკო დაბღვერილი იჯდა დივანზე და თითს არ ანძრევდა.

დღევანდელ პარტიაში, დამუხტული პოზიციის მიუხედავად, აღვნიშნოთ ყაიმი.

ყაიმი ოჯახში — ორივე მხარის გამარჯვებაა, ასე არ არის?

1990

მიწისძვრა

ვინ გამოიცნობს ადამიანის ნაღდ ბუნებას? არ ვიცი, რამდენ ხანს იარსებებს კაცობრიობა, მაგრამ ერთში კი დარწმუნებული ვარ: ადამიანის არსში ბოლომდე ჩაწვდომას კიდევ ბევრი დააკლდება.

აი, თუნდაც ახლანდელი წუთი ავიღოთ. ჩემს თავზე მინდა მოგახსენოთ. სულ თხუთმეტი-ოცი წუთის წინათ რა მდგომარეობაში ვიყავი და ამჟამად კი მხიარულ გუნებაზე გახლავართ; მეცინება იმაზე, რასაც აგერ სულ ახლა სასაცილოდ არ ჩათვლიდა ერთი ადამიანიც კი მთელ დედამიწის ზურგზე.

გვეყო ფილოსოფოსობა, საქმეს მივხედოთ, ცხელ გულზე მოვყვეთ ამბავი დრამატულ-სასაცილო, უფრო სწორად, ჯერ ფრიად შემაშფოთებელი, მერე კი — გულის გამამხიარულებელი — ხომ ვძლიეთ შიშს!

მაშ ასე, ვსხედვართ (დათუნა და სკოლიდან ადრე მოსული ბესიკი) და ვწევართ (მე, ბატონო) ნებიერად და მივჩერებივართ ჩვენი ოჯახის უპირველეს მტერს და კიდევ უფრო დიდ მოყვარეს — ტელევიზორს; დეტექტიური ისტორია დაძაბულობის მწვერვალს აღწევს (მოდი, დროსაც აღვნიშნავ ბარემ: ექვსი დეკემბრის დაახლოებით თერთმეტი საათი და ოცდაათი წუთია — საათის შესახედად ვის სცხელოდა!), ჰოდა, უცებ ჩემი ტახტი ნავივით არ შექანჯალდა?!. წამოვჯექი, ბატონო, და ცოტა არ იყოს, გაკვირვებული აქეთ-იქით ვიხედები, ბავშვებმა ხომ არ დაიწყეს ჩვეულებისამებრ ჭიდაობა? ან იქნებ მე მაცხელებს? არც ეს არის გამორიცხული, — ავად ვარ, რა ხანია.

— ბიჭებო, რამე ხომ არ იგრძენით?

ბესიკი და დათუნა პასუხს ვერ ასწრებენ, ისე მძლავრად შეირხა იატაკი, ჭაღი გემრიელად გაქან-გამოქანდა!.. გულიც უბედურად შემიქანდა უცებ (ჩემს ნაინფარქტალ გულს ეგ უნდოდა კიდევ?!.).

— ბიჭებო, აბა, ჩქარა, მიწისძვრაა, ჩაიცვით ფეხზე და გავარდით გარეთ, ეზოში ჩადით!

მე ლამის გული მიმდის, ბავშვები კი იცინიან, კიდევ რაღაცა გასართობს ელიან, ღმერთის ფოკუსებს აგდებულად უყურებენ.

— ჩქარა! — ნახევრადჩაცმულებს მივდენი გარეთ. — ლიფტით არ ჩახვიდეთ, ფეხით ჩაირბინეთ კიბეზე და ეზოში გაჩერდით!

— შენა, მამიკო? — ორი წყვილი თვალი მომჩერებია რაღაც გამოუცნობი მუდარით.

— ჩქარა-მეთქი, კაცო! მე ვრჩები...

რაღაც იყო ალბათ ჩემს ხმაში ისეთი, რომ ბავშვები გარბიან, მე კი ვბრუნდები ბინაში. ახლაღა მახსენდება წამალი, ენის ქვეშ ვალიდოლის აბს ვიდებ, მერე კარგა ხანს ვდგავარ ასე ოთახის შუა-

გულში და უცნაური ფიქრები ირევა ჩემს თავში... რაღაცის ცუდის მოლოდინით ვარ სავსე, გამოუცნობი შიში უხილავი ბრმა ძალის წინაშე... ჩავიდე მეც ეზოში? სისულელეა! შეიძლება, ბიძგი განმეორდეს ერთი წუთის შემდეგ, ერთი საათის შემდეგ, ერთი წლის, ერთი საუკუნის ან ათასწლეულის შემდეგაც კი... ვინ იცის, როდის! ის კი ნაღდია, რომ ზუსტად მაშინ, როცა არ ელი.

კიდევ ატორტმანდა ყველაფერი, მთელი სახლის ძიგძიგს ვგრძნობ, ხალხო!.. ისევ დასეირნობს ჭაღი... თუმცა, ეს ბიძგი ბევრად სუსტი ძალისა იყო.

ბინის კარს ვაღებ სამეზობლო ღია ლოჯიაზე. რა აზრი აქვს ამას? რა თქმა უნდა, არავითარი, ოღონდ ეს არის, ერთ ადგილზე გაჩერება არ შემიძლია, უნდა ვიმოძრაო და გავდივარ კიდეც გარეთ.

რკინის მძიმე კარი გამოვიჯახუნე... ლოჯიის ჭერს ავხედე... მეტი არაფერი მომხდარა, მხოლოდ ლოჯიის ჭერზე ჩამოკიდებული სავარჯიშო რგოლები ქანაობენ; ალბათ წასვლისას ბესიკი თუ შეახტა და გაქანდა-გამოქანდა, როგორც ყოველთვის. არა, ახლა ნამდვილად არ ეცლებოდა საამისოდ...

ქვევით, ეზოში, ვხედავ შეგროვილ ხალხს – დიდებსაც და პატარებსაც. აგერ დათუნას წითელი ქურთუკი, ჩამომჯდარა ბეტონის ბორდიურზე და ზევით იყურება.

– დათუნა, ამოდი, სკოლაში დაგაგვიანდება! ბესიკი სად არის?

– მოდის!

მართლაც, ამ დროს ბესიკი შემოგლიჯინდა ლოჯიაში, მისი ძმაკაცი სოსოც მოჰყვა, მეთერთმეტე სართულზე რომ ცხოვრობს.

ხუთიოდ წუთში დათუნაც გამოცხადდა.

ერთმანეთს არ აცლიან, სულმოუთქმელად ჰყვებიან:

– მესამე სართულზე რომ ცხოვრობს ყავარჯნებიანი, იმასთან თურმე მაღვიძარა საათი გადმოვარდა იატაკზე, დაიწყო ზარის რეკვა, – რეკავს, რეკავს, აღარ ჩერდება... ის კიდე გაკვირვებულია: რა მოხდა? – იცინის დათუნა.

– ერთი ქალი ჩაუცმელი გამოვარდა, ხელში ფეხსაცმელები და პალტოები ეჭირა...

– რამდენიმემ კიდევ ფეხშიშველმა ჩამოირბინა ეზოში.

– ერთი ბებია ხალითით იყო, თავშიშველი, ქათამი ჰყავდა ატატებული.

– ერთმა ქალმა თავი გამოყო ფანჯარაში მეორე სართულზე, აქედან უყვირიან, გამოდი ჩქარა გარეთო, ის კიდევ აზრზე ვერ მოსულა, რა მოხდა!..

დათუნა სადილის მისართმევად მიდის სამზარეულოში, ბესო და სოსო საღეჭი კევის ქაღალდებზე თამაშობენ ერთხანს. მერე სოსო მიდის, დათუნა სკოლაში წასასვლელად ემზადება.

– რამდენბალიანი მიწისძვრა იქნებოდა, მამიკო?– კითხულობს ბესიკი. ეს ბალები საიდანღა იცის? ალბათ ამაზე ეზოში ლაპარაკობდნენ.

– სამ-ოთხბალიანი ალბათ, არ ვიცი.

– არა, მეტი იქნებოდა! ჩვენ რომ სამუსიკო სკოლაში ვიყავით და მიწისძვრა მოხდა, მაშინ იყო მაგდენი!

– გახსოვს, ბესო, ერთი ვიღაც რომ როიალზე უკრავდა და როიალი გაექცა?!. – კისკისებს დათუნა.

– არა, სკამი გადმოუყირავდა! – აზუსტებს ბესიკი.

როგორც იქნა, დათუნა სკოლაში წაბრძანდა, არ უნდოდა წასვლა, დღეს ალბათ ყველას მაინც შინ გამოუშვებენო.

ცოტა ხანში გაბმულად რეკავს ზარი.

– დათუნა ხომ არ დაბრუნდა სკოლიდან?! – ცოტა არ იყოს, გაბრაზებული ვარ, მაგრამ კარის გასაღებად გასულ ბესოს ისევ სოსო შემოჰყვა.

– ბესო, ჩავიდეთ ისევ ქვევით, ორის ნახევარზე კიდევ გამეორდებაო! – შეშფოთებით ამბობს სოსო.

– არა, მეტი არაფერი იქნება! – ვაწყნარებ ბავშვებს.

გადავიხედეთ ეზოში, იქ ისევ მუქი ბრბო შეკრებილა, ჯგუფ-ჯგუფად დგანან. ერთ ქალს, ელისოს, ბავშვები დაუსხამს მაგიდასთან და აჭმევს, გვერდზე დიდი ჩანთა უდევს...

...გაგრძელება მინდოდა ადრე დაწერილისა, მაგრამ ხასიათზე არ ვარ – მეტად მძიმე შედეგები მოჰყოლია ამ მიწისძვრას სომხეთში: ძლიერი ნგრევა და მრავალრიცხოვანი მსხვერპლი. ერთი პირობა, მინდოდა დაწერილის დახევაც, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე – დარჩეს მაინც დროის საბუთად...

1988

ფული ციდან

– დასწყევლოს ღმერთმა დღევანდელი გაჭირვება... ღმერთო გვიშველე... – ბუტბუტებს მოხუცი ქალი და ნელა მიჩაჩუნობს ეზოში, თან ძველთაძველ ცარიელ ჩანთას მიაქანავებს.

გამოვიდა ქუჩაში და რას ხედავს: ციდან მოფრიალებს წითელი თუმნიანები... მოფარფატებენ და ეფინებიან ფილაქანს.

ქალმა პირჯვარი გადაიწერა და დაფაცურდა: ფულს კრეფს ასფალტიდან, თან ღმერთს ლოცავს – შეისმინა ჩემი თხოვნა, გაჭირვებისგან მიხსნაო.

გამოიარა ახმახმა მერძევე კაცმა, დახრა არც მას დასზარებია – ორი თუმანი ერგო.

მოხუცი ქალი გაკაპასებული ეცა:

– ხელს ნუ ახლებ, ჩემია!

მერძევე არ შეეპუა:

– ვა, შენ რამდენი აკრიფე, მე ორიც არ უნდა ავიღო?

– შენ კი არ გადმოგიყარა, მე მომცა ღმერთმა! დიახ, ვთხოვე და იმიტომ, გაჭირვებული ვარ, შენ კი ვინა ხარ?!.

მერძევე არ უთმობდა, შეიქნა ცილობა. მოხუცმა ქალმა საოცარი სიცქვიტით შეუტია, კაცი თავს იცავდა.

– ღმერთმა ჩემთვის გადმოყარა ეს ფული ციდან! – წამდაუწუმ თავდაჯერებით გაჰყვიროდა ქალი. – ღმერთმა მე მიწყალობა, მომეცი!

– დეიდა მარიამ, ზეციდან რომ ფულები ჩამოყარა, ის ღმერთი მე ვარ! – უთხრა ამ დროს მოსულმა სქელ-სქელმა მეზობელმა, ზეინაბმა.

მოხუცი ქალი დაბნეული შეაცქერდა და წამით მერძევესთან ძიძგილაობაც კი შეწყვიტა.

– ჰო, ჰო, ის ღმერთი ნამდვილად მე ვარ... ცოტა გულმავიწყი ღმერთი კი გახლავართ, ლეიბები გადავფინე აივნის მოაჯირზე გასამზეურებლად და სულ დამავიწყდა, რომ ერთის ქვეშ ფულს ვაგროვებდი ჩუმ-ჩუმად. მადლობელი ვარ, დიდი მადლობა, რომ შემიგროვეთ, კარგი ადამიანები ჩანხართ!.. კიდევ კარგი, კიდევ კარგი, თორემ ათასი მამაძაღლი დადის...

“კეთილი ადამიანები” კი ბრაზით შესცქეროდნენ ერთმანეთს და გულში სწყევლიდნენ – “რაღა იმ დროს ჩამოიარა და შემეცილა, ყაყანი რომ არ აგვეტეხა, პატრონიც არ გადმოიხედავდა აივნიდან და ხომ შემრჩებოდა ხახვივით...”.

1986

ღმერთი დიდი ხუმარა ვინმეა!

ღმერთმა გადმოგვხედა და საბაღე ნაკვეთები გამოუყვეს ჩვენს დაწესებულებას. მათი თანამშრომელთათვის გასანაწილებლად მოიწვიეს მებაღეობის ამხანაგობის წევრთა საერთო კრება.

რატომღაც კრებას უმთავრესად ქალები დაესწრნენ.

კირიონ კარგიტაძემ წინადადება წამოაყენა:

– ქალბატონებო და ბატონებო, მოდით ასე ვქნათ: ჯგუფ-ჯგუფად ვყაროთ კენჭი. ვაზუსტებ: ესე იგი, ერთ რომელიმე ჯგუფს, შეამხანაგებულ-შეხმატკბილებულ თანამშრომლებს, ერთად, მეზობლად შეგხვდებათ ნაკვეთები...

მშვენიერი წინადადება იყო, თითქოს არავინ უნდა წასულიყო წინააღმდეგი; მაინც აყაყანდნენ ქალები და აირია მონასტერი.

როცა თავმჯდომარემ ლომკაც ლომაიძემ, როგორც იქნა, დააშოშმინა აბორგებული თანამშრომლები, შესაძლებელი გახდა ქალთა ცალკეული ხმების საერთო ჟრიამულიდან გამოყოფა.

– შენ გესიამოვნება, მეზობლად რომ ნორა გუგლიაშვილი შეგხვდეს? – რატომღაც ყვირილით ამცნობდა თავის გულისნადებს ფრიად გაფიცხებული ნაზი კანკაძე თამბაქოს წევისგან ჩახრინწული ხმით.

სულ რიგში მთასავით დაზვინულმა გოგიტა ჩიჩაძემ დაიბუხუნა და უმალ გადაფარა ქალთა ხმები:

– მე, მაგალითად, ნაზი კანკაძეს ნორა გუგლიაშვილი მილიონჯერ მირჩევნია!

— კარგით, ხალხო, სადაა აქ ლოგიკა? — იჭაჭებოდა ლომკაცი. — ბატონმა კირიონმა სწორედ იმიტომ გამოთქვა თავისი მოსაზრება, რომ ერთი ყაიდის ადამიანები, მეგობრები თუ ამხანაგები, ერთად მოხვედრილიყვნენ... ერთმანეთის მეზობლები გამხდარიყვნენ... ქალბატონო ნაზი, სადაა თქვენს სიტყვებში ლოგიკა?

— რის ლოგიკა, რა ლოგიკა! არ გვინდა და მორჩა! — არ ცხრებოდა ფეხზე წამომხტარი ნაზი კანკაძე.

— რა გინდათ, გამაგებინეთ! — ცდილობდა საერთო ღრიანცელის გადაფარვას კირიონ კარგიტაძე. — კარგი მეზობლები გყავდეთ, არ გინდათ?

— ამდენ ხალხში რაღა მე შემხვდება ოხერი და ტიალი! — გაჰყვიროდა ნორა გუგლიაშვილი.

იყაყანეს, იყაყანეს და, როგორც იქნა, კენჭისყრაც გამართეს.

გოგიტას არ დასწყდა გული — ნაზიცა და ნორაც მის გვერდით მოხვდა, პირველთან საერთო ღობეც კი ექნებოდა!

ნაზის ხომ გულს ვარდი გადაეფინა — მეზობლად ცალ მხარეს რომ გოგიტა ჰყავს, მეორე მხარეს ნორა გუგლიაშვილის ნაკვეთი ესაზღვრება! ცხადია, ნორასაც სიხარულის ცრემლი ჩამოსდიოდა!

ახლაც იტყვის ვინმე, ღმერთი არ არსებობსო? თანაც მამაზეციერი დიდი ხუმარა უნდა იყოს!

1985

მალე ქვეყანა გადაბრუნდება!

დღეს კიდევ ერთი კარგი ამბავი გავიგე — მალე ქვეყანა გადაბრუნდება!

ბრინჯის რიგში ვიდექი და იქ ერთმა მოხუცმა კაცმა ქირქილ-ქირქილით (რა ეცინებოდა ნატავი!) გვამცნო დამსწრე საზოგადოებას, რომ დღევანდელი გასაჭირი რაა, უარესისთვის უნდა მოვემზადოთ — მალე ქვეყანა გადაბრუნდება!

მეორე ხუმარაც გამოჩნდა რიგში — ერთადერთი ახალგაზრდა კაცი (დანარჩენები ქალები იყვნენ უმეტესად და ორი-სამი ჩემისთანა შუახნის კაციც ერია):

— კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდება, კუდიანი! თუ ქვეყანა იქცევა, აქ დგომით რაღად იწყალებთ გულს, რა გებრინჯებათ, ხალხო!

— ეგ კი არ ვიცი, — თქვა სქელ-სქელმა ქალმა ბოხი ხმით, — მაგრამ მთელი თბილისი ლაპარაკობს გრიგალზე, ამინდის ბიუროს გამოუცხადებია. ამბობენ, მსგავსი ქარიშხალი ჯერ არ ყოფილაო: მანქანებს ჰაერში ააბურთავებსო, სახურავებს ცხვირსახოცებივით ააფრიალებსო, ხეებს ძირიანად მოსთხრისო...

— საღამოს ექვსის ნახევარზე ამოვარდება! — კვერი დაუკრა მის გვერდით მდგომმა ქალმა, რომელსაც რატომღაც ვედრო ეჭირა ხელში. — ბავშვებს სკოლიდან ადრე გამოუშვებენ, სახლამდეც მოაცილებენ; მაღაზიები დროზე ადრე დაიკეტება...

— ჩემი შვილიშვილი საღამოს მუსიკის გაკვეთილზე უნდა წასულიყო, — ამბობს გამხდარი, შაოსანი დედაბერი. — მაშ გაუცდება? სიხარულით სულ დავლურს დაუვლის! — დაამატა დამჭკნარი ღიმილით.

— აი, ძველ კარაბადინში წერია, რომაო ორიათას წლითვინაო, არა, დიდი ამბები მოხდებაო, დიდი, დიდი ცოდვა-მადლი დატრიალდებაო! — ერთვება საუბარში კიდევ ერთი მოხუცი ქალი, ისეთი დაჩამიჩებული, რომ საკვირველია, ვინ გამოუშვა მარტოკა ქუჩაში ან როგორ მოაღწია მაღაზიამდე.

— სწორია, მეც გამიგია! — რიხით უდასტურებს შუახნის გადაპრანჭული ქალი. — ხუთი რამ მოხდება: დედამიწა უფრო ჩქარა დაიწყებს ტრიალს, ყველაფერი გადაიწვება და შიმშილი იქნება, ხმელეთს ზღვა დაფარავს, შავი თოვლი მოვა და მიწა დაიშლება, მიწისძვრა მოხდება და დედამიწაზე პირველყოფილი ცხოვრება დაიწყება...

კოხტაპრუწა ქალი, ფრიად კმაყოფილი თავისი ერუდიციით, ამაყად გადახედავს იქ მყოფთ და განსაკუთრებით კი — კაცებს, აბა ერთი, თქვენ თუ იტყვით რაიმეს, უფრო ჭკვიანურსო.

— სისულელეა ეგ ყველაფერი! — ცოტა არ იყოს, თავდაუჭერლად, ჯიქურ პასუხობს წვერგაუპარსავი, დაძაბულსახიანი კაცი. — აირია, ბატონო, ქვეყანა, ყველას ყველაფრის ეშინია, ყველაფერს იმარაგებენ, გაწყდა მაღაზიებში საპონი, მარილი, ასანთი, ვერმიშელი და მაკარონიც კი... სულ რიგებში ვდგავართ... გაზეთებში სულ წყალდიდობებზე, ზვავებზე, მიწისძვრებზე და ათას სხვა უბედურებაზე წერენ... ტელევიზია? იქ თვითმფრინავი ჩამოვარდა, ეგერ გემი ჩაიძირა, მატარებელი მატარებელს შეასკდა... შეგეშინდება, აბა რა!

— გავწყდით, ბატონო, ამდენი საშინელების მოსმენით! — ასავსავებს ხელებს სქელი ქალი. — ადამიანები რომ ერთმანეთს დავერევით, ბუნება დაგვინდობს?

ახალგაზრდას უნდა, უპასუხოს – თქვენ ისეთი ჯანიანი ბრძანდებით, ვერც წელში გაგტეხთ ვინმე და ვერც გრიგალი აგაფრენთ ცაშიო, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ლოდინით გასავათებული ადამიანები მაღაზიის შესასვლელს მიესივნენ...

1989

არ გვეყოფა ვითომ?

ყველაფერი გვაქვს ღვთის მადლით, რაც უნდა ჰქონდეს აყვავებულ ქვეყანას და ბედნიერ ერს, ოღონდ ერთი ანდაზისა არ იყოს – "კარგი ფონია, მაგრამ ერთ ადგილას ახრჩობსო", – ისეა ჩვენი საქმეც... დიახ, უცებ ყველა აყაყანდა, რომ ჩვენ გვაქვს ვითომ-საბჭოები, ვითომ-კონსტიტუცია, ვითომ-დემოკრატია, ვითომ-სამართლიანობა, ვითომ-თანასწორობა, ვითომ-თავისუფლება, ვითომ-გარდაქმნა, ვითომ-საჯაროობა, ვითომ-სასურსათო პროგრამა, ვითომ-ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ვითომ, ვითომ, ვითომ... ჩვენ "გვკურნავენ" ვითომ-ექიმები, გვასწავლიან ვითომ-მასწავლებლები, გვმოძღვრავენ და გვხელმძღვანელობენ ვითომ-სახელმწიფო მოღვაწეები, გვიცავს ვითომ-მილიცია, სამართალს დარაჯობს ვითომ-სასამართლო, ჩვენს ინტერესებს იცავს ვითომ-პროფკავშირი... მოგვიმრავლდნენ ვითომ-მშენებლები, ვითომ-მეცნიერები, ვითომ-ინჟინრები, ვითომ-საზოგადო მოღვაწეები, ვითომ-პოეტები, ვითომ-მხატვრები, ვითომ-ხელოვანები, ვითომ, ვითომ, ვითომ...

არა, უმადურობა იქნება, არ აღვნიშნო, რომ ზოგი რამ ნამდვილად გვაქვს... ზოგი კი არა, ბევრი რამ და საკმაოზე ბევრად მეტიც: ტანკები საუკეთესო, თითოს ფასად რომ სამ სკოლას ააშენებ; რაკეტები ურიცხვი, ნაირნაირი, უკეთესი რომ არ დაგესიზმრება, თითოს ფასად საშუალო სიდიდის ქარხანას ააშენებ და გააწყობ კიდეც, რაღა თქმა უნდა; სამხედრო თვითმფრინავებს, გემებს, წყალქვეშა ნავებს ნუღარ ჩამოვთვლით... არც ხელკეტები გვაკლია – მაგარ-მაგარი, არც ნიჩბები – ორმხრივ ალესილი და არც მომწამვლელი გაზი, – ისიც მაგარ-მაგარი, თავზე საყრელი; არც ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების ლოზუნგები – მთელ მსოფლიოს ეყოფა და თავსაც გადაუვლის; არც უმაღლესი სინჯის დემაგოგია – საბჭოურ სამჭედლოში გამოჭედილი; არც მიჩურინული ჯიშის კარიერისტებით ვართ ღარიბები – სანაშენო, ელიტური, სუფთა სისხლისა; არც ტყუილია ჩვენთვის უცხო, განსაკუთრებით ნამყენი ტყუილთა ტყუილი გვიყვარს ანუ ტყუილი კვადრატში ან სიცრუე კუბურ ხარისხში აყვანილი – მასშტაბები ჩვენი სტიქიაა!..

ულევად მოგვყავს სისხლის წვიმები – ყოველ თაობას თითოჯერ მაინც უწევს; ულევ ნაკადად მოედინება ჭეშმარიტი, თავანკარა დეზინფორმაცია, სიმართლის მიჩქმალვაში ხომ კარგა ხანია, მსოფლიოში ჩემპიონები ვართ...

რაღა გასაკვირველია, რომ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში სატირიკოსები "წითელ წიგნში" შესატანადაც არ მოიძებნება და ამიტომ, იძულებული ვარ, ხელი მოვაწერო: ვითომ-სატირიკოსი.

1989

კონსილიუმი

ივლისის ცხელი საღამოა, ნამდვილი თბილისური ზაფხული დადგა.

თენგიზი მანქანის ქვეშიდან გამოძვრა, გარშემო შემოუარა და კმაყოფილმა ხელები მოიფშვნიტა – ახლა შეეძლო, იქვე მაგიდასთან მიმსხდარ მეზობლებს შეერთებოდა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ საკუთარი თვალსაზრისი გამოეთქვა დომინოს ქვების ჭახუნში.

– რა ჰქენი, თენგიზ, მორჩი? რა დაგიჯდა?

– ხუთასი მანეთი. ცალი "კრილო" გამოვცვალე, წინ "პერედოკში" იყო რაღაც-რაღაცეები მოსაწესრიგებელი, ჰოდა, შეღებვა... როგორი დაჭეჭყილი იყო, უნდა გენახა; ახლა შეხედე – რა უჭირს, ა? "კუკლაა"!

– რას ამბობ, კაცო, ხუთასი მანეთი? – ტუჩი აიბზუა ზაქარიამ. – მაგარი ხარ! რაში გადაყარე, ბიჭო, ფული, მუქთად გაქვს ნაშოვნი?

– თუ ფულს იხდი, წესიერად უნდა გააკეთებინო კიდეც! – დაბეჯითებით აცხადებს კარლო. – ეგ შეღებილია? ფინაჩის ნაცოდვილარია! შეხედე ერთი, ფანჯრის რეზინებიდან საღებავი არ უნდა მოეცილებინა?

– ჯერ ერთი, შეღებვის წინ უნდა დაეკრა ზედ ქაღალდის ზოლი, რომ რეზინა არ შეღებილიყო, მეორეც, თუკი ამაზე არ შეიწუხა თავი, კეთილ ინებოს და შეღებვის შემდეგ გაწმინდოს! – ადასტურებს გოგია.

— არ იცი მაგის ამბავი? — მეორე მაგიდასთან მსხდომი ქალების ჯგუფიდან წიკვინა ხმას აწვდენს თენგიზის ცოლი ლამზირა. — ხმის ამომღები არ არის, თუგინდ თავში ჩაარტყა!

— აბა, აბა! გამოჭერილი რომ გყავს ქმარი, კარგად ვიცით, მაგრამ ხალხში რაღას ჭრი თავს! — იცინის პორფილე.

— გინდა, წამოგყვე, მივიდეთ სახელოსნოში და ყოფა ვუტიროთ? — სთავაზობს ნოდარი. — ეგ მარცხენა წინა კარი რომ დაგრჩენია დაჭეჭყილი, ვერ გაასწორებინე ისიც?

— ახალი მაქვს, იმას დავაყენებ, შენ გადაწყობაში მომეხმარე.

— ი-იჰ, — ოხრავს ზაქარია, — ამოტოლა ფული მიგიცია, მიგეტანა ეგ ახალი კარიც და ყველაფერს თვითონ გადაგიწყობდა ძველიდან, ჩამოგიკიდებდა კიდეც... მოფიქრება არ გინდა? ამოტოლა ფული ჩაგიყრია — 1500 მანეთი ხუმრობაა?

— რამდენი ვეღრიჯე კიდევ, სანამ დავითანხმებდი! ერთი კვირა აკეთებდა, ცოტა შრომა კი არ უნდა! ყველგან ასეა, მარტო მე კი არ მატყუებენ! — საწყლად იბუზება თენგიზი, მთასავით კაცი, და შესამჩნევად მოტიტვლებულ თავს იფხანს ნეკის ფრჩხილით. — ხვალ აგარაკზე მივდივართ და რა მექნა, მეჩქარებოდა.

— სამი თვეა, შენი მანქანა უპატრონოდ გდია ეზოში, დროზე ვერ მიხედე? — პატარა ბავშვივით მოძღვრავს პორფილე.

დომინოს თამაში დროებით შეწყდა, კონსილიუმი განაგრძობს თენგიზის დოყლაპიობის დიაგნოზის დაზუსტებას.

— ჩემთვის გეთქვა, შე კაი კაცო, ნაცნობთან მიგიყვანდი; ქრისტიანულად გაგიკეთებდა და არც უბედურ ფასს დაადებდა! — იქაჩება ნოდარი.

— ფიქრობს რო დროზე რამეს? — ამრეზით იწურავს მხრებს ლამზირა.

აქამდე ჩუმად მჯდომი ქრისტესია საფულეს იღებს ჯიბიდან და ხუთმანეთიანს ახეთქებს მაგიდაზე:

— ხალხო, თავი დაანებეთ საცოდავს! რას ერჩით, რად უტეხთ გულს! იმის მაგივრად, რომ უთხრათ: "ვაჰ, თენგიზჯან, ეს რა კარგი საქმე გაგიკეთებია, რა კოხტა გახდა შენი მანქანა, ღმერთმა სულ მშვიდობაში გატაროს და კეთილად მოგახმაროს!", ამის მაგივრად ყრანტალებთ აქ და კაცს გულს უხეთქავთ! ჩამოყაჭეთ, ვისაც რამდენი შეუძლია, და კარლო და ზაქარია გავარდებიან, ცივ-ცივ ლუდს მოარბენინებენ — გულიც გავიგრილოთ და თენგიზის მანქანის გაახალგაზრდავებაც დავლოცოთ! აბა, დროზე, რომ დაგიღიათ პირი, დანარჩენებმა ერთად მივეხმაროთ და კარის გამოცვლაში შევეშველოთ!..

1988

ნარდი

წამოვიწყე ბინის შეკეთება — აგვისტოა, ცოლ-შვილი სოფელში წავლალე სიდედრთან, შინ მარტო ვარ.

დილიდან დიდი ოთახის ჭერს ვუტრიალებ, ვფხეკ.

მომადგნენ დასახმარებლად მოსულნი, ორი ღიპიანი სიძე: ერთი — სიკო, ცოლისდის ქმარი, მეორე — დეიდაშვილის ქმარი, ვახო.

დევივით კაცებია, დავტრიალდებით და ორი კვირის საქმეს ორ-სამ დღეში ბდღვირს გავადენთ.

დაინახეს რაღაც ჭირად კუთხეში მიგდებული ნარდი და ჩემსკენ წესიერად არც გამოუხედავთ, მაშინვე მოიჩოჩეს პატარა სკამები, გაშალეს ნარდი და მთელი ეშხით მიეცნენ თამაშს.

ჩაუჯდნენ და ჩაუჯდნენ.

მე ვარ ერთ ამბავში, ხვითქი გადამდის, ისინი კი ყურსაც არ აპარტყუნებენ — რის დახმარება, ხომ არ დაგსიზმრებია!..

მოაჭირა შუადღემ, აღარა მაქვს არაქათი — ცალკერძ სიცხე მიჭირებს საქმეს, ცალკერძ — შიმშილი.

სიკოსა და ვახოს არაფერი ახსოვთ ნარდის გარდა, აგორებენ კამათლებს, აჭახუნებენ ქვებს, აქილიკებენ ერთმანეთს.

— ღმერთი არა გწამთ? შემეხიდეთ, ცოტა ხანს შემენაცვლეთ, სული მოვითქვა!.. ათასი კიდევ სხვა საქმეც არის! — შევღაღადე რამდენჯერმე.

— ჰო, კარგი, ახლავე, ერთ წუთს გვაცალე, — თავაუღებლად ამბობს ერთი.

— ვამთავრებთ, ბევრი აღარ გვიკლია! — ამატებს მეორე.

— ორივეს კარგა მაგრად გაკლიათ!

ასე მკვახედ თქმითაც რომ ვერ შევასმინე ვერაფერი, თავი დავანებე, აღარაფერს ვეუბნები. ისინი კი არც მოწყენას გრძნობენ, არც – დაღლას, არც შიმშილი აწუხებთ, სინდისზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

მოსაღამოვდა.

ისევ ისე ისმის: "გენაცვალე, ერთი დუდუკი დამისვი!", "დუშაში ვიცით ჩვენ!", "სე იაქე არ მოგეწონა, ვაუბატონო?" და მისთანანი...

რა უნდა ვქნა? ნერვები მომეშალა, გულში ვიგინები...

გახდა ღამის ათი საათი.

მეტი აღარ შემიძლია, ისე ვარ გამოსავათებული, ძლივს ჩამოვფოფხდი კიბიდან.

ვახო და სიკო ისევ ისე გაცხარებით აგრძელებენ თამაშს – გარშემო ვერაფერს ამჩნევენ.

– თქვე ოხრებო, მომკალით ხომ კაცი შიმშილით! – ვამბობ გაბრაზებული და ნარდს ხმაურით ვხურავ. – სიარულის თავიც არ მაქვს, გავარდით ახლავე და იყიდეთ რამე!

ძლივს გავყარე გარეთ.

ინამუსეს: მოიტანეს პური, ძეხვი, ყველი, ლიმონათი, კიდევ რაღაცეები; დავსხედით და მოვილხინეთ.

ავდექით სუფრიდან თუ არა, სიკო და ვახო მაშინვე ნარდს დაუბრუნდნენ.

– თქვენ ნორმალურები თუ ხართ? აბა ახლავე მოცოცხეთ აქედან!.. დროზე მიბრძანდით შინ, შუაღამე ხდება! უნდა დავიძინო, მკვდარი ვარ კაცი, თქვენი ნარდის ქვების ჭახაჭუხი მაკლია სწორედ!.. – ძალისძალად, მუჯლუგუნებით წამოვახტუნე ისინი სკამებიდან. – თქვენი ხის თავები თუ არ გებრალებათ, მე შემიცოდეთ, დასვენება მინდა!..

მეორე დღეს, შუადღეზე, გახურებული მუშაობის დროს, ჩემი ცოლისდა მირეკავს ტელეფონით, აღშფოთებულია:

– ეს ვინ ყოფილხარ შენ, ვაუბატონო, მომიკალი ხომ სიკო მუშაობით! პირველი საათი ხდება და ვერ ავაყენე, ჯერაც ხვრინავს!..

მერე გემრიელად გამთათხა, ნახევარი საათი მაინც დამაკარგვინა.

ის იყო კიბეზე ავფოფხდი სამუშაოს გასაგრძელებლად, რომ ახლა დეიდაშვილს გავახსენდი გასალანძღავად – გააბა და გააბა ტელეფონში მონოლოგი, ერთი სიტყვა არ ჩამეკვეხებინა:

– ნაღდი გადარეული ხარ, ნეტა რას აკეთებ ამისთანას, ვის გაუგონია დილიდან შუაღამემდე ასეთი ვირული მუშაობა? ვახო კაცად აღარ ვარგა, მიმკვდარებულია; იცოდე, ცოდვა გაწევს მხრებზე, დიდი ცოდვა...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ერთმაც და მეორემაც მაგრად შემახურეს, აწი ჩვენი ქმრების ფეხი აღარ იქნება შენთანო...

პირში წყალი ჩავიგუბე – თავის მართლებამ არ დამღუპოს, მუქარის შესრულება არ გადაიფიქრონ-მეთქი...

თქვენ თუ გიყვართ ნარდის თამაში?

1995

ავტომანქანა გამიფუჭდა...

ოც წელზე მეტია, მანქანით დავდივარ: ჯერ "ზაპოროჟეცს" დავაქროლებდი – "კუს" (სტუდენტი ვიყავი, როცა ცხონებულმა მამაჩემმა მიყიდა); მერე – "ჟიგული-02" მყავდა, ახლა, უკვე ათ წელზე მეტია, "ნივათი" დავწანწალებ; მხატვრისთვის საჭირო ათასი რამ მასალა მაქვს ხოლმე წასაღებ-წამოსაღები, სამოგზაუროდ და სანადირობოდაც მოსახერხებელია.

ამას წინათ მიმუხთლა – ძრავაში კაკუნი მომესმა. მივიყვანე ერთ გარაჟში ნაცნობ ხელოსანთან. გააქნია თავი – ისე ვატყობ ხმაზე, რაღაც სერიოზული ამბავი უნდა იყოს, ერთი კვირა მაინც დასჭირდება ამის შეკეთებასო.

რას შვრები ახლა, ჩემო გოგია? – ვფიქრობ. უფროსი ბიჭი გერმანულ სკოლაში დამყავს საბურთალოში – აწი ცოლმა უნდა იწოწიალოს იქით-აქეთ, გაიჭირვოს ცოტა ერთი კვირა, არაფერი დაემართება; პატარა საბავშვო ბაღში დადის; ბაზარს და სხვა რამესაც მოევლება... მე კი უამრავი საქმე მაქვს, ათას ადგილას ვარ მისასვლელი: ხან სამხატვრო ფონდში ვარ დაბარებული, ხან მასალა მაქვს საშოვნელი და მოსატანი, საწყობში უნდა მივიდე ტილოსთვის, ჩარჩოებისთვის, საღებავებისთვის; მხატვართა კავშირში ფერწერის სექციის სხდომა არ უნდა გამოტოვო, საზღვარგარეთელი სტუმრებიც მყავს მისაყვანი ერთ ჩემს კოლეგასთან სახელოსნოში...

მოკლედ, საბურთალოში ვარ და ვანგარიშობ, პირველად რომელი საქმე მოვითავო. ჯერ აუცილებლად რუსთაველის გამზირზე უნდა გავიდე მხატვართა კავშირში. გავიკითხ-გამოვიკითხე, რო-

მელ ტრანსპორტს უნდა გავყვე, ხომ გეუბნები, ოც წელიწადზე მეტია, სულ მანქანით დავდივარ. დავჯექი №6 ტროლეიბუსზე. ხალხი ბილეთს იღებს, მე წარმოდგენა არ მაქვს, რა ღირს... მივედი სალაროსთან, გადმოვატრიალე სახელური, დავხედე – 5 კაპიკი აწერია ბილეთს. ჩავიყავი ჯიბეში ხელი – ვიღაც მექაჩება სახელოზე, თურმე ნაცნობი მხატვარია, ჩემთვისაც აუღია ბილეთი...

ჩამოვედი ამხანაგთან ერთად საბურთალოს ბაზრის წინ. ვხედავ, ტროლეიბუსი ჩემთვის საჭირო მიმართულებით არ წავიდა? შენ ჩემო თავო, ვამბობ, რატომღა ჩამოვედი? კი გეჩქარება, მაგრამ სანამ რაიმეს გააკეთებდე, ცოტა მაინც დაფიქრდი...

ჩამოდგა სამარშრუტო ტაქსი, ჩავხტი შიგ. დავიძარით. ვხედავ, მანქანამ წრეზე შემოუარა და ვაჟა-ფშაველას გამზირისკენ მიდის – ამ მხრიდან ეს-ესაა მოვედი. შევეხვეწე მძღოლს, შემეშალა, თუ ძმა ხარ, გამიჩერე-მეთქი. ფულს ვაძლევ, იმან არ აიღო, 50 მეტრი გამოიარე, შე კაი კაცოო... ვდგავარ ასე შუა გზაზე, არ ვიცი, რა ვქნა. წავჩანჩალდი ისევ ფეხით ბაზრამდე, იქ ყველა ჯურის და მიმართულების ტრანსპორტი იყრის თავს. ბედად მაშინვე ჩამოდგა ისევ №6 ტროლეიბუსი. ჩავჯექი. მიხარია, სწორად მივდივარ, შვებით ამოვისუნთქე. გავიკარ ჯიბეს ხელი, მინდა, ბილეთი ავიღო – სად მაქვს ხურდა? ვხედავ, ბილეთების გამსინჯველი კონტროლერი დამადგა თავს... დამაჯარიმა სამი მანეთით.

კაი, ბატონო, სხვაგანაც ხომ ვარ წასასვლელი! მოვიმარაგე ხურდა, ჩემს დღეში ხურდა ჯიბეში არ მქონია... მეორედ მივდივარ ავტობუსით (ნელ-ნელა ვსწავლობ ჩემთვის საჭირო მარშრუტებს), მოვაფათურე ჯიბეში ხელი – რა დაგიკარგავს, რას ეძებ, ხუთკაპიკიანი აღარ მაქვს. ჩავაგდე აბაზიანი, ავიღე ბილეთი, სამმანეთიანი ჯარიმის გადახდას ასე სჯობს. ვდგავარ ამაყად გაჭიმული, გაბადრული – ვგონებ, დამსახურებული მხატვრის წოდება რომ მომანიჭეს, მაშინაც არ მქონდა ასეთი კმაყოფილი სახე... გადავჯექი მეორე ავტობუსში – იქაც აბაზიანი ვტუცე სალაროში... ეგ არაფერი, თურმე სხვა მარშრუტის მანქანაში ჩავჯექი. სანამ ამას მოვისაზრებდი, ისეთ უბანში მოვხვდი, სხვა ქალაქში მეგონა თავი. სასწრაფოდ ჩამოვედი, ვდგავარ იდიოტივით... ჩემთვის საჭირო რა მარშრუტის ტრანსპორტს უნდა გავყვე? ერთი ერთს მირჩევს, მეორე – სულ სხვას, მესამე – პირველი ორის საწინააღმდეგოს... დასწყევლოს ღმერთმა, რა ვქნა? უცხოეთის ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ისევ ნაცად ხერხს უნდა მივმართო – ტაქსი მიშველის!..

მალე გამოჩნდა თავისუფალი ტაქსი, გავაჩერე და შვებით ამოვისუნთქე... აწი სულ ტაქსით ვივლი! ერთი პრობლემა კი მოვაგვარე, მაგრამ მეორე გამიჩნდა – მანქანის შესაკეთებლად გადანახული ფული ალბათ სულ ტაქსში დამეხარჯება და ხელოსანს რაღა მივცე?..

1989

მომწონს!

სამუშაო დღე თითქმის მიიწურა, როცა ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ვახტანგ ბილბილაშვილმა თავის კაბინეტში გამოიძახა უფროსი ლაბორანტი ლიკა წიწილაძე და დავალება მისცა – ხვალ დილიდანვე ესა და ეს რეაქტივები მოამზადე, ვიწყებთ მადნის ქიმიური ანალიზების მორიგ სერიასო.

– შენი მეუღლე თუ სწევს სიგარეტს? – უკვე კართან მისულ ლიკას ჰკითხა ვახტანგმა.

– არა, არ ეწევა და არც ეწეოდა არასდროს, – უპასუხა ლიკამ.

– აბა, ძალიან გთხოვ, თქვენი მაღაზიიდან, ტალონებით რომ გეკუთვნით სიგარეტი, მე წამომიღე. აჰა, ფული აიღე. უცხოური სიგარეტი კი იყიდება, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს – 15, 20, 25 მანეთი ერთ კოლოფში როგორ მივცე, გაგიჟდება კაცი! არადა, უსიგარეტოდაც ვერ ვძლებ!

ლია დაჰპირდა თხოვნის შესრულებას. შემდეგ საუბარი ბუნებრივად გადავიდა საერთო სიძვირეზე, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო – პოლიტიკაზეც. გამოირკვა, რომ ვახტანგი "ოპოზიციონერი" ყოფილა, ლიკა კი – "ზვიადისტი"

– გამსახურდია დიქტატორია! – ხელებს იქნევდა უთამბაქოობით შეწუხებული ბატონი ვახტანგი. – მოსპო პრესის, რადიოს, ტელევიზიის თავისუფლება, ვართ ინფორმაციულ ვაკუუმში, უფრო სწორად – დეზინფორმაციის ჭაობში ვიხრჩობით! მოიშალა ეკონომიკა, დაინგრა მეურნეობის ყველა დარგი. აბა, რა იქნება, კომპეტენტურ ხალხს, სპეციალისტებს ახლოს არ იკარებს, არავის უჯერებს, ყველაზე ჭკვიანი მე ვარო! მისი ოდნავ გამკრიტიკებელიც კი ყველა მოღალატე და კრემლის აგენტია თურმე! ვარ თუ არა მართალი? კიდევ მოგწონს გამსახურდია?

ლიკა მორიდებული ღიმილით უსმენდა ასაკითა და თანამდებობით ბევრად უფროს კაცს:

– მომწონს და რა ვქნა!

– როგორ მოგწონს, დააქცია ქვეყანა! კარგი, კიდევ გეტყვი მაგის ცოდვებს: საკადრო პოლიტიკაში მძიმე შეცდომებია დაშვებული – ეს ერთი; არ დაწყებულა სახელმწიფო საწარმოთა და დაწესე-

ბულებათა განკერძოება ანუ პრივატიზაცია – ეს ორი; შეჩერებულია მიწის გლეხებისთვის მიცემა – ეს სამი... საკმარისია, თუ კიდევ ჩამოვთვალო?.. ხომ მართალს ვამბობ, ისევ მოგწონს გამსახურდია?

ლიკა უხერხულად იშმუშნება:

– ცოტა კიდევ მომწონს!

– გადამრევს ეს ქალი, ტყუილად მალაპარაკე ამდენ ხანს?

– ბატონო ვახტანგ, თუ თქვენ გამსახურდიას მხარეზე არ ხართ, მაშინ ალბათ ოპოზიციას უჭერთ მხარს, მის მოთხოვნებს სამართლიანად მიიჩნევთ...

– ვუჭერ! მე მხარს ვუჭერ დემოკრატიას, დიქტატურის წინააღმდეგი ვარ!

– ოპოზიციამ რომ მიისაკუთრა სახელი – "დემოკრატიული ოპოზიცია", ეს მაგარი ფანდი არ არის?

– რატომაა ფანდი?

– რატომ და, რამდენად დემოკრატიულია ოპოზიციის მიერ ძალადობის გამოყენება? ტელევიზიის ძალით დაკავება ან რუსთაველის გამზირის ნაგვით ჩახერგვა და ბარიკადების მოწყობა დემოკრატიისთვის ბრძოლად ჩაითვლება? თუ მთავრობის სასახლესთან მიჭრა, ლანძღვა-გინება, ბოთლებისა და ქვების სროლა, ავტომატების კაკანი და ჯავშანტრანსპორტერებით ქუჩებში ნავარდია დემოკრატიის უმაღლესი გამოვლინება? ძალადობა და დემოკრატია რამდენად შეესაბამება ერთმანეთს? საბჭოთა კავშირი ფაქტიურად დაიშალა, საქართველოს ფაქტიურ დამოუკიდებლობამდე ერთი ნაბიჯი, არა – ნახევარი ნაბიჯი დარჩა და ამ დროს რომ გამსახურდიას კი არა, საქართველოს პრეზიდენტს გადაუდგები, ამას ღალატის მეტს რას უწოდებ?

ვახტანგი განცვიფრებული უყურებს ლიკას – არ მოელოდა უთქმელი, მოკრძალებული ქალისგან ასეთ ცხარე მსჯელობას; ცოტა დაიბნა კიდეც.

– აბა დაუკვირდით, ბატონო ვახტანგ, თუნდაც იმას, ვინ არიან ოპოზიციის ბანაკში გაერთიანებულნი!.. სულ სხვადასხვა მისწრაფების და რაობის ადამიანები; საერთო მხოლოდ ის აქვთ, რომ ყველა დასანახად ვერ იტანს პრეზიდენტს... ჰო, კიდევ ერთიც აქვთ საერთო, – შესაძლოა, არ დამეთანხმოთ, – ყველა ბინძური ხალხია, უზნეო...

– რატომ, რა საბუთით ამბობ მაგას?

– რათ უნდა ამას საბუთი! როცა საკუთარ კარიერისტულ ზრახვებს, პირად ამბიციებს საქართველოს ინტერესებზე მაღლა დააყენებ, ყველაფერი ნათელია... დღევანდელ სიტუაციაში ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტის გვერდით უნდა იყოს ყველა, ვისაც თავისი ხალხი და ქვეყანა უყვარს, გინდაც პრეზიდენტთან უთანხმოებაც ჰქონდეს. კიდევ ხართ, ბატონო ვახტანგ, გამსახურდიას წინააღმდეგი?

– ვარ და მეტი არა?

– კეთილი, სხვასაც გეტყვით. პრეზიდენტი ის კაცია, რომელიც ჩვენზე ათი სვლით წინ იყურება, იგი "გროსმაისტერია" პოლიტიკურ თამაშში, ჩვენ კი უბრალო ოსტატის დონეზეც არ ვართ და თავდაჯერებულად გავიძახით, გამსახურდიამ ქვეყანა ჩიხში მოაქციაო. რომელი მყავს პოლიტიკოსი, დამისახელეთ, ვინც გამსახურდიას აკრიტიკებს, დამისახელეთ, ბატონო!

– მე ფაქტს გეუბნები, ქვეყანა კატასტროფის წინაშეა; როცა უფსკრულში გადავეშვებით, მაშინ დავიწყოთ გამოსავლის ძებნა? – არ ეპუება ვახტანგი.

– რომელი რესპუბლიკაა დალხინებული, ბატონო ვახტანგ, იქაც გამსახურდია ჰყავთ პრეზიდენტად? ბევრგან ჩვენზე უარესი მდგომარეობაა, ასე არ არის? ჩვენი აჭია-ბაჭია პოლიტიკოსები კი ყველა ჭირს გამსახურდიას აბრალებენ. ვარ სწორი თუ არა? – ახლა უკვე ლიკა გადავიდა შეტევაზე.

– როგორ, ყველა ცდება? რამდენი ხალხი გადაიკიდა, ყველა სულელი და გამყიდველია? – არც ვახტანგი თმობდა პოზიციებს.

– კარგით რა, ბატონო ვახტანგ! გამსახურდიამ მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს თავისუფლების იდეას შესწირა, რეპრესიები გადაიტანა, იბრძოდა იმ დროს, როცა უნებართვოდ ცხვირის დაცემინებისაც კი ეშინოდათ. სად იყვნენ მაშინ ახლანდელი დიდი პოლიტიკოსები? მე გეტყვით: ერთნი ხელისუფლების მაამებლურ ფილმებს აცხობდნენ, მეორენი – პოემებს წერდნენ, მესამენი თავიანთ კომერციულ თუ კარიერის საქმეებს აჩალიჩებდნენ... ბინა, აგარაკი, მანქანა, სადოქტორო დისერტაცია, საზღვარგარეთ სეირნობა – არაფერს იკლებდნენ და ახლა, ჩემო ბატონო, დიდი პატრიოტების მოსასხამი მოიგდეს მხრებზე და ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან, ჩვენი გზაა სწორი, გამსახურდია დაღუპავს ქვეყანასო...

– მე ასე მწამს! – ჩაურთო, როგორც იქნა, რეპლიკა ვახტანგმა.

– იყვირე, რამდენიც გინდა, მაგრამ იმის უფლება ვინ მოგცა, რომ დაიჟინებ, გინდა თუ არა, პრეზიდენტი გადადგესო? აქვთ თუ არა მაგის უფლება? ხომ მიდიან ამ შემთხვევაში ხალხის ნების წინააღმდეგ? არ გეწყინოთ, ბატონო ვახტანგ, და ძალიან მიკვირს ხოლმე, როცა ელემენტარულ ამბებს ვერ იგებს ზოგიერთი...

— შენ ძალიან შეტოპე, აი! — გაიცინა ვახტანგმა არცთუ ბუნებრივად. — ისე ვატყობ, ხვალ სიგარეტს არ მომიტან და მერე მეტყვი, შენს ჯანმრთელობას ვუფრთხილდებიო.

ამჯერად ლიკასაც გაეცინა.

— ბოდიში, ბატონო ვახტანგ, შეიძლება ზოგ რამეში მეც ვცდებოდე, ყველანი ადამის შვილები ვართ; ერთი შეცდომა კი ახლავე უნდა ვაღიარო — ნამეტანი გავერთე თქვენთან საუბრით და შინ მისვლა დამაგვიანდება... იქ სამი მშიერი მამაკაცი დამხვდება და კარგ დღეს არ დამაყრიან! სიგარეტს კი მოგიტანთ, თუკი იქნა მაღაზიაში, რასაკვირველია, ნახვამდის!

1991

ჩვენ მაინც ყველაზე კარგად ვცხოვრობთ!

უსაქმობით გულგაწყალებული ლაბორატორიის თანამშრომლები ელექტროღუმელთან მიმსხდარან და ენას იფხანენ.

— დღესაც ვერ დავლევთ ჩაის — წყალი არ მოდის... მიკვირს, რომ ჯერ დენი არ გამოურთავთ, გავიყინებით...

— ცარიელი მდუღარე რად გინდა, დღესაც საჭმელი არაფერი მოგვიტანია შინიდან. ძველი გამხმარი პური რომ გვქონდა, სულ არაფერი დარჩა?

— კაკომ შეჭამა, საწყალს ცოლი არაფერს ატანს შინიდან. ეგეც ლაბორატორიის გამგეა რაღა, მეცნიერებათა კანდიდატი!

— პური მაინც იყიდოს, არც მაგის ფულს უტოვებს?

— პური შენ იაფი გგონია? კიდევ გაძვირდებაო, ამბობენ.

— პურის ყიდვა მეც მინდოდა ამ დილით, მაგრამ იმხელა რიგი იდგა, ნამდვილად არ მომიწევდა. დილაუთენია დგებიან რიგში ამ ყინვაში.

— ეჰ, წინათ რა პურ-მარილს ვშლიდით ხოლმე შესვენებაზე! ახლა ქორწილებშიც აღარ იშლება ისეთი სუფრა.

— რა დროს ქორწილია, თუ ქალი ხარ; ცოცხლები დავრჩეთ, ესაა მთავარი.

— გაიგეთ? დღეში რამდენიმე ადამიანი კვდება შიმშილით... მეტროშიც როგორ მომრავლდა მათხოვრები, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იწვდიან ხელებს. რომელ ერთს უნდა მისცე ფული, შენ თვითონ უკანასკნელ ხურდა ფულს ითვლი ჯიბეში; სადაცაა იმ მათხოვრის გვერდით დადგე...

— დღესაც არ მოიტანენ ხელფასს? რა უბედურებაა, პურის ფულიც აღარ დამრჩა... ხან ვის ვესესხები, ხან — ვის...

— სულ რომ დახურავენ ჩვენს მუქთამჭამელ ინსტიტუტს, მაშინ რაღას იტყვი? ვის რად უნდა შენი გამოკვლევები და შენი მეცნიერება, ხალხი ფულის კეთებაზეა გადასული.

— მერე საქმით, მუშაობით კი არა — ყიდვა-გაყიდვით, მამაძაღლობით...

— ძარცვა-გლეჯით და ყაჩაღობით!

— ჩემს ნათესავს ძველებური იარაღის კოლექცია აქვს, მთელი კედელი გადაჭედილია ძვირფასი ხანჯლებით, ხმლებით, თოფებით... კი არ აქვს, ჰქონდა — ერთ საღამოს გაცივებული მივიდა შინ და ფეხს რომ ითბილავდა, მაშინ დაესხნენ თავს შეიარაღებული ყაჩაღები... უთხრა: ოღონდ ფეხმძიმე ცოლს ნუ შეაშინებთ და წაიღეთ, რაც გინდათო...

— აგერ, ამას წინათ წავიკითხე გაზეთში: ავტომატებით შეიარაღებული, სახეზე ნიღაბაფარებული სამი კაცი ფულის გამოძალვის მიზნით თავს დაესხა მოხუცებულ ქალს და ხელფეხშეკრულს პირში ჩვარი ჩასჩარა, სცემა და პირწმინდად გაძარცვა.

— კიდევ კარგად გადარჩენილა. რამდენი შემთხვევაა, ყაჩაღები ცხელი უთოთი რომ "აუთოვებენ", გვითხარი, სად გაქვს დამალული ძვირფასეულობა და ფულიო... იქნებ არ აქვს და უნდა მოკლა?

— არც მკვლელობებია იშვიათი ძარცვის დროს. ერთ კაცს დამალული ჰქონია სანადირო თოფი და დრო უხელთია, გადმოუღია და... თოფმა უმტყუნა, არ გავარდა! ცემით მოჰკლეს თავდამსხმელებმა, წამებით ამოხადეს სული.

— ის თუ გაიგეთ, კაცმა რომ სანადირო თოფით ორი კაცი მოკლა? მეზობლის ქელეხი იყო და ამ კაცს დაავალეს ფულის აკრეფა. თურმე გავიდა ეზოში, თავის ბინაში მიდიოდა და ამ დროს სამი ვიღაცა აჩერებს, მოიტა ფულიო, ნიღბები აქვთ აფარებული. აქ არ მაქვს, შევალ და გამოგიტანთო, უთქვამს. შინ თოფი ჰქონია, გამოსულა და დაუხლია ორივე ლულიდან. ორი ადგილზე მოუკლავს, მესამე დაიჭრა. მოუხსნიათ ნიღბები და ერთი ამ კაცის შვილი არ გამოდგა?

— ჩემი მეზობლის სახლი საბაღე ნაკვეთში პირწმინდად გაძარცვეს, ძველი, დანჯღრეული საწოლიც კი არ დატოვეს; კარ-ფანჯრები ჩამოხსნეს და ისიც წაიღეს, საბარგო მანქანით იყვნენ მოსულნი. ზოგიერთი სახლი იქ ორ-სამჯერ გატეხეს.

— მამიდაშვილი მყავს ერთი — მილიონერია, ორი მანქანა მოჰპარეს.

— ჩემი ძმისშვილი რკინიგზის საავადმყოფოში მუშაობს და ყოველდღე უამრავი ხალხი მიჰყავთ დაჭრილი. წინათ თითო-ოროლას თუ მიიყვანდნენ დანით დაჭრილს, ახლა სულ ცეცხლსასროლი იარაღით არიან დაშავებულნი. თბილისში მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ბრძოლებში აფხაზეთში, თანაც სულ ახალგაზრდა ბიჭები... მოკლედ, გინდა შიმშილით მომკვდარხარ და გინდა — შიშით.

— ქალო, ტერორის ქვეშა ვართ, როგორ არ გაგისკდება გული... სულ ეს გესმის: ამას ეს უბედურება მოუვიდა, იმას ეს საშინელება დაემართა... აწამეს, მოჰკლეს, გაძარცვეს, დააყაჩაღეს... წინათ არც კი გამეგონა ასეთი სიტყვა — "დააყაჩაღეს".

— ჰო, ქალო, ჩვენ კი ვწუწუნებთ აქ ჩვენს გაჭირვებაზე, მაგრამ, მე რომ ვიყურებ, ჩვენ მაინც ყველაზე კარგად ვცხოვრობთ... ჯერჯერობით მაინც!.. თუმცა, ვინ რა უნდა წაგვართვას, როცა წასართმევი არც არაფერი გაგვაჩნია.

— ღმერთმა ისე ნუ გაუჭირვოს ქურდებსა და ბანდიტებს, რომ ჩვენისთანების გაძარცვის ჯერიც დადგეს!

1993

თუ ლხინია, ლხინი იყოს!

ბატონი ზურა — ასკილოგრამიანი (ცოტა ადრე — ოცი კილოგრამით მძიმე), ასოთხმოცდაათი სანტიმეტრი სიმაღლის, მელოტი და დიდცხვირა, — დაჯდება სუფრასთან; პურისა და ხახვის მეტი არაფერი აქვს, თუ არ ჩავთვლით უშაქრო ჩაის...

რა დრო დაგვიდგა!

ბუნებაც გაგვინაწყენდა — მკაცრი ზამთარი გვესტუმრა... ცივა!

გათბობა არ არის...

სურსათ-სანოვაგე გაქრა... ცხადია, სახელმწიფო მაღაზიებში, თორემ ბაზარში — რაც მოგესურვება და რამდენიც გინდა, თუნდაც ცხრა მთას იქიდან მოტანილი ბანანი და ანანასი, კივი და ქოქოსი! შენ ფული თქვი, თორემ... არადა, რამდენი თვეა, ხელფასი თვალით არ გვინახავს, უბრალო საწყალი ხალხი როგორ უძლებს ამას, სასწაულია!

წყალი არ მოდის...

ლიფტი არ მუშაობს...

დენი უფრო ხშირად არ გვაქვს...

პურის მაღაზიებში იმსიგრძე რიგებია, რომ... დილაუთენია თუ არ დაიკავე რიგი (უჰ, როგორი ცივი ქარი გთოშავს რამდენიმე საათს!), უპუროდ დარჩები.

კიდევ კარგი, სკოლაში ხანგრძლივი არდადეგები გამოაცხადეს და ცოლ-შვილი სიდედრთან გაგზავნა...

ზურა ნელ-ნელა, დაგემოვნებით მიირთმევს ღვთით ბოძებულ სასუსნავს — პურს ხახვს ატანს — და გვერდზე დადებულ მდიდრულად დასურათხატებულ სამზარეულო წიგნს ათვალიერებს ლამპის შუქზე.

იღეჭება ნება-ნება, ნეტარებით კითხულობს ნაირ-ნაირი ნუგბარი კერძების მომზადების წესებს.

— ო, საცივი!.. ინდაურის, ქათმის, ბატის... ნეტავ, კიდევ რისი საცივი არსებობს? აბა, ვნახოთ... თევზის საცივიც ყოფილა, უყურე შენ! ღორის თავ-ფეხის საცივი რაღაა?.. არ ვიცოდი... ღორის ხორცის მუჟუჟი — ეს კი, ბატონო... თევზის გამჭვირვალე მუჟუჟი... შესანიშნავია!.. ხაში... შენ კი გენაცვალე! ჩიხირთმა... გამარჯობა შენი, რა ხანია, ვეღარ გხედავ, სად დამეკარგე?.. ჩანახი... ღვთიური საჭმელია! ბოზბაში... ბოზბაში სჯობს თუ ჩიხირთმა?.. გავგიჟდები კაცი! თან რა დიდებული ილუსტრაციებია, მგონი, სუნიც კი ასდით საჭმელებისა... ნამუსი სულ დაკარგეს ამ უღმერთოებმა!..

ზურამ ნერწყვი გადაყლაპა, პურის ნაჭერს გემრიელად ჩაკბიჩა და ხახვის მთელი თავი ხრამუნით მიაყოლა, შემდეგ განაგრძო წიგნის ფურცვლა.

— ბუღლამა... კილოგრამი საქონლის ხორცი ჩემი ერთი წლის ხელფასი რომ ეღირება, ბოღმით გასივდები, რა დროს ბუღლამაა... აგერ ცხვრის ხორცის ბუღლამაც... ჭირიმე შენი!.. ხინკალი... ცუდათა ვარ, შემიბრალეთ! ერთი ასი გრამი არაყიც რომ მიგვეყოლებინა, — გურული ჭაჭის ცეცხლივით ორნახადი, — მთლად ავშენდებოდით!.. ახლა შეჭამანდები დაიწყო, ჰო-ო... რათ გინდა ლაპარაკი, მაწვნის შეჭამანდზეც არ ვიტყოდი ახლა უარს, თანაც ორს კი არა, ხუთ კვერცხსაც ჩავთხლიშავდი შიგ! თითო კვერცხი რომ 25 მანეთი ეღირება და მაწონი კიდევ — 100 მანეთი ნახევარლიტრიანი ქილით, მე კიდევა, ერთი ლიტრი მაინც მინდა, — ერთი გაკეთება 325 მანეთი დაჯდება, თანაც უკარაქოდ, უბრინჯოდ, უხახვოდ და უმარილოდ — მათი ხარჯი კიდევ სხვაა!.. ცუდადაა საქმე... ნეტა დედაჩემს რაღა დაემართა? რატომ არ ჩანს, დილას უნდა ჩამოსულიყო მატარებლით, ავად ხომ არ

გახდა? კვერცხს ნაღდად ჩამომიტანს და თუ მაწონსაც მოაყოლებს, კარგი ქალი იქნება... აჰა, სოკოს წვნიანი შეჭამანდი – დიდად სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა! აქაც კარაქი და ფქვილი უნდა, კიდევ – ნიგოზი! ეგ რაღა დაჯდება ნეტავი?.. შეჭამანდი რძეში გადაზელილი ყველით... აგაშენა ღმერთმა, დიდი ხანია, აღარ დაგვიგემოვნებია! ყველი კი ვიცი – 220 მანეთია კილოგრამი, ეგ გვაკლდა სწორედ – რძეში გადაზელილი, ისე ვერ მივირთმევთ... თევზეულის განყოფილებასაც მივადექით... გამაგრდი, თუ ბიჭი ხარ!.. თართი, ზუთხი, ცოცხალი, კალმახი, ლოქო, ორაგული, წვერა, კობრი... რომელი ამოვირჩიო? რომელიც გინდა იყოს, ზომიერად უნდა მივირთვა, ღორმუცელობამ წყენა იცის... დანარჩენებს რომ დასწყდეთ გული? ამიტომ ცოტ-ცოტას ყველას გავუსინჯავ გემოს... ხიზილალა – წითელი და შავი, ლიმონი და კონიაკიც რომ დაუხატავთ!.. ყოჩაღ, მოხარშული კიბორჩხალაც არ დავიწყებიათ, თანაც ნიგვზის სატენით!.. სადა ხარ, დედაჩემო, დროზე ჩამოასწარი შენს შვილს, თორემ ნერწყვი დაახრჩობს!.. შილაფლავი... კარგი ხარ! ჩაქაფული... იფ-იფ, კარგადა ჟღერს, მე და ჩემმა ღმერთმა – ჩა-ქა-ფუ-ლი!.. იფ-იფ!.. შემწვარი გოჭი... ძვლებიანად შეგახრამუნებ! სუკის მწვადი... დამწვა და დამდაგა და ეგ არის!.. არიქა, სული შევუბეროთ, პირი არ დაგვწვას!.. ჩახოხბილი... უჰ, რა სურნელი ასდის!.. ხაშლამა... ტოლმა... ქაბაბი... გუფთა... კუპატი... ყაურმა... მოხარშული ძროხის ენა არაჟნით... არა, ძმაო, მეტი აღარ შემიძლია, უნდა დავწვა ეს მართლაც მოსასპობი წიგნი, სანამ არ გავგიჟებულვარ!.. მეყოფა ამდენი ხორცის კერძები, მაგრად გავძეხი, ბარემ გადავხტები, ვნახო ერთი, რა ტკბილეულით ჩავიკოკლოზინო პირი... ბოსტნეული... ფხალეული... ლობიოსგან მომზადებული კერძები.... სალათები... საწებლები... კვერცხისგან მომზადებული კერძები... ბრინჯისა და ბურღულისგან მომზადებული კერძები... აჰა, როგორც იქნა, მივაგენი: ტკბილი თავი საჭმელები!.. ცივი და ცხელი სასმელები... კოქტეილები... რომელი ავირჩიო? ჯერ ტორტი მივირთვა თუ კექსი?.. მოიცა, მანამდე ხაჭაპურები და ნაზუქებია...

ალბათ ზურა ბოლოს ნამდვილად დასწვავდა კუჭისა და წარმოსახვის გამაღიზიანებელ სამზარეულო წიგნს, მაგრამ დროულად გაისმა რკინის კარზე ატეხილი ბრახაბრუხი, რასაც მერე დაემატა ელექტროზარის წკრიალა ხმაც.

ვაშა – დენი მოსულა!.. და დედაც მოსულა!..

ასოცკილოგრამიანი (ბოდიში, შემეშალა – ამჟამად ასკილოგრამიანი) ზონზროხა ზურიკო ცქვიტად წამოხტა, მიირბინა კართან და საჩქაროდ გააღო...

– კვერცხები ჩამოიტანე? – მისალმების მაგივრად იყვირა ბატონმა ზურაბმა. – სადა ხარ, ქალო, ამდენ ხანს, წნორის მატარებელი დილით 11 საათზე არ ჩამოდის? ახლა ღამის 12 საათია, აღარც გელოდი!

გამხდარი, დალეული მოხუცი ქალი ხელში აჩეჩებს შვილს კალათსა და ფუთას, ლასლასით მიდის ტახტთან და კრუსუნით წამოწვება.

– როგორა ვარ კიდევ ცოცხალი! – მიკნავებული ხმით ჰყვება ქალი. – დილითა, შვილო, ხუთ საათზე ავდექი, მატარებელი შვიდის ნახევარზე გამოვიდა, ჯერ ბნელოდა. მთელი დღე მოვჩანჩალებდით, ერთი ათჯერ მაინც ვიდექით გზაში კარგა ხანსა... არ ვიცი, დენი გამოირთვებოდა თუ რა ჯანდაბა და დოზანა ემართებოდა. საგარეჯოში დაგვაღამდა. მთელ ვაგონში ერთი ნათურაც კი არ ენთო წამლადა, შვილო; ერთი ჩანთა ამწაპნეს, შხამად შეერგოს და არ გაიხაროს, აჰა!.. მამალი და ვარია მყვანდა შიგა, ხმა რათ არ გაიღეს, მიკვირს... ძლივ მოვაღწიე... ამ აღმართში რომ მოვბობღავდი სიბნელეში, სულ იმას ვფიქრობდი, რაც დამრჩა, ისიც ყაჩაღებმა არ წამართვან-მეთქი... არა, მართალი გითხრა, უფრო ის მადარდებდა, ცოცხალი მომეღწია შენამდისა, შვილო, სხვა ყველაფერი წყალსაც წაუღია-მეთქი... რამ გადმოგაგდო ამ დასაკარგავში – ვარკეთილი კი არა, ყაჩაღიანი უნდა ერქვას... მოვკვდი, დილასაც ლუკმა არაფერი ჩამიდევს პირში, მშიერ-მწყურვალი ვარ მთელი დღე... ვაგონში ფანჯრები სუ ჩალეწილი იყო, ისე უბერავდა, მაგრა გავიყინე... ამ ვარკეთილშიც ძლივ ამოვაღწიე, ქარმა კინაღამ წამიღო... შვილო, ზურა, ერთი წყალი გააცხელე, ფეხებს ჩავითბობ და ჩაიც აადუღე...

ბატონ ზურაბს დედის თხოვნა არ გაუგია – კალათსა და ფუთაში იქექებოდა...

1993

ჩერჩეტთა საქალაქო ყრილობა

კაკო ყურპარტყუნაძე დიდი ოპტიმისტია – ყველაფერს ვარდისფერი სათვალით უყურებს; მე პირიქით – მიმაჩნია, რომ ეს ქვეყანა უზარმაზარი ზოოპარკია, სადაც ნაირ-ნაირი ადამიანები არიან დამწყვდეულნი; მათზე ზრუნავენ, რასაკვირველია, რომ შიმშილით ფეხები არ გაჭიმონ: ცოტა სალაფავს გადაუგდებენ (ცნობილია, მაძღარი კაცი ზარმაცია, კარგად ვერ მუშაობს!), მავნე აზრები რომ

არ გაუჩნდეს – გასართობ სანახაობას შესთავაზებენ და ეგ არის სულ... დოყლაპიებითა და ჩერჩეტებით არის სავსე ეს ქვეყანა, თორემ ნორმალური ადამიანები ამგვარ მდგომარეობას მოითმენდნენ?

– კატეგორიულად არ გეთანხმები! – გამიბრაზდა კაკო, – აი, მე არც ისე ცუდად ვცხოვრობ, რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს, ზედმეტი კი არ მინდა. არ მაქვს ზედმეტისკენ მიდრეკილება, იმიტომ, რომ ნორმალური ადამიანი ვარ! არც იმის მჯერა, თითქოს ამდენი მიამიტი და ჭკუასუსტი გვყავდეს. რა საბუთით ამბობ ამას?

– კარგი, დაგიმტკიცებ! – არ დავიხიე უკან. – განა მოაზროვნე ადამიანი დაუჯერებს ასტროლოგებს, ქირომანტებს, მკითხავებს, ნათელმხილველებს, ექსტრასენსებს, უფოლოგებს და ათასი ჯურის სხვა ყალთაბანდებს? ნახე, როგორ იტაცებენ წიგნთა დახლებიდან სულელურ ნაჯღაბნს უცხოპლანეტელებზე, ანომალურ მოვლენებზე, სპირიტიზმზე, გრძნეულებზე...

– როგორ, ასტროლოგთა წინასწარმეტყველებებს და რეკომენდაციებს ტელევიზიით გადასცემენ, ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება და შენ მათ არ ენდობი? – შემომიტია ისევ კაკომ.

– შუასაუკუნებრივი უმეცრება გამეფდა! დაგიმტკიცებ, რომ ბევრ ადამიანს საღი განსჯის უნარი ნაკლებად აქვს, ან, ყოველ შემთხვევაში, ზედმეტად მიმნდობია...

ცოტა სარისკო საქმე კი წამოვიწყე, მაგრამ ჭეშმარიტების დასადგენად მსხვერპლიც უნდა გაიღო! თანაც ისეთ ექსპერიმენტს ჩავატარებ, რომელიც ჩემთვისაც ფრიად საინტერესო იქნება ფსიქოლოგიურად.

დიახ, საოცარია, რა სულელური განცხადებაც უნდა გამოაქვეყნო, ყოველთვის საკმაოდ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც სერიოზულად აღიქვამენ ყველაზე ფანტაზიურ ტყუილსა და ყალთაბანდობასაც კი. ამის დასადასტურებლად, მოდი, მოვაწყობ ჩერჩეტთა საქალაქო ყრილობას! ამისთვის ერთი გეგმა მოვიფიქრე და ჩემს ბავშვობის მეგობარს, რომელმაც სახელი გაითქვა გარკვეული სახის სარისკო ოპერაციებით, შევხვდი და ვუთხარი:

– ჩემო სევერიან, ერთი რამე მაკვირვებს: ამ ხნის კაცი ხარ და რატომ სულ წვრილმან, პარჭიპურჭა საქმეებზე ხარჯავ შენს მეტად ორიგინალურ ნიჭს? დრო არ არის, რომ მასშტაბური აქცია მოაწყო, სახელსაც გაითქვამ და სახრავიც დაგრჩება!..

ჩვენი საუბრიდან მოკლე ხანში გაზეთში "სიმართლე და ჭეშმარიტება" გამოქვეყნდა განცხადება (ქალაქში კი გაიკრა აფიშები):

"პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ო !

მხოლოდ ერთხელ – 1 აპრილს, 13 საათზე!

მხოლოდ თბილისში!

მხოლოდ სტადიონზე "ორბი"!

მ ხ ო ლ ო დ თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს !

უდიდესი ხუთსაათიანი შოუ-პროგრამა "დ ი დ ი მ ა რ ა თ ო ნ ი" –

ტოტალიზატორით, ატრაქციონებით, ლატარიის გათამაშებით!

მსოფლიოს სუპერ-ვარსკვლავების მონაწილეობით!

მსოფლიოში სახელგანთქმული ჯაზ-ბანდი –

ლუი არმსტრონგის ხელმძღვანელობით!

ე რ ო ტ ი კ - შ ო უ ჰონგ კონგიდან!

საოპერო სცენის ჯადოქრები – მ ა რ ი ა კ ა ლ ა ს ი

და

მ ა რ ი ო დ ე ლ მ ო ნ ა კ ო !

მადამ შამპლიკოს მ ი ნ ი - მ ო დ ე ბ ი ს თეატრი პარიზიდან!

ღ ' 'ღ -ის მეფე – ე ლ ვ ი ს პ რ ე ს ლ ი !

მღერის და ცეკვავს დიდი ფრანგი კომიკოსი – ფ ე რ ნ ა ნ დ ე ლ ი !

გაიყიდება საუკუნის აღმოჩენა – წამალი-სასწაული, რომელიც არჩენს

10 000 ავადმყოფობას, ხელმისაწვდომია ყველასთვის, არ აქვს უკუჩვენება!!!

ბოლოს ნაჩვენები იქნება ამერიკული სუპერსექსდეტექტივი –

"შიშველი განგსტერი ქალის შურისძიება"!

თამაშდება:

1000 ინგლისური ავტომანქანა "როკ-ენდ-როისი",

2000 იაპონური ავტომანქანა "კურო-სივო – 2535",

3000 იტალიური ავტომანქანა "ალფა-ბეტა – 2536",

4 000 ფრანგული ავტომანქანა "რენომე – 2537";

სულ – უახლესი მარკების 10 000 ავტომანქანა!

იგებს ყოველი მესამე ბილეთი!

1 ბილეთის ღირებულებაა მხოლოდ 10 მანეთი!
მოსწავლეთათვის – 5 მანეთი.
ყოველი ბილეთის მფლობელისთვის გათვალისწინებულია
სასიამოვნო სიურპრიზი!
ვიღებთ კოლექტიურ განცხადებებს.
სტადიონზე ადგილების რაოდენობა შეზღუდულია –
მხოლოდ 30 000!
მოგებათა გათამაშება – კონცერტის მსვლელობისას პაუზებში
ბილეთების ნომრების მიხედვით! მოგებათა გადაცემა – დაუყონებლივ,
ამით ბილეთების გაყალბება და თაღლითობა გამორიცხულია!
ყოველი შემთხვევისთვის თან იქონიეთ მძღოლის მოწმობა!!!
თქვენ გელით დაუვიწყარი სანახაობა!!!
16 წლამდე ბავშვები სუპერშოუზე არ დაიშვებიან!
მობრძანდით, გელით!
გისურვებთ დიდ მოგებას!
ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში, 31 მარტს,
დილის 9 საათიდან 17 საათამდე.
იჩქარეთ!!!"

საინტერესოა, რამდენი ბილეთი გაიყიდება?

გასაღდა 30 000!

მეტიც გაიყიდებოდა: აღელვებულმა ბრბომ კინაღამ გადაამტვრია სტადიონის სამი მეტრის სიმაღლის რკინის მესერი, როცა გამოაცხადეს, ბილეთები აღარ დარჩა, ტყუილად ნუღარ დგახართ რიგებშიო. მართლაც, ზედმეტი ერთი ბილეთიც არ გაყიდულა. სამაგიეროდ, იმ წამსვე გაჩნდა "შავი ბაზარი", სადაც სუპერშოუს ბილეთის ფასმა ჯერ 50 და, ბოლოს, – 100 მანეთსაც მიაღწია.

არ ვიცი, შემოსული 300 000 მანეთიდან რამდენი დასჭირდა სევერიანეს – აღებული ვალის დასაფარავად (ალბათ ფული უამრავ რამეზე დაიხარჯა: რეკლამა, გაზეთში განცხადების გამოქვეყნება, ბილეთების დაბეჭდვა და გასაღება, მრავალი "საჭირო" კაცის "პატივისცემა" და სხვა); წმინდა მოგება თუ გაინტერესებთ, თქვენ – თვით ჰკითხეთ სევერიანეს (თუმცა მეეჭვება, რომ ეს მოახერხოთ – იგი 31 მარტის საღამოს 18 საათის შემდეგ ქალაქში აღარავის უნახავს).

5 აპრილს საგანგებოდ გავეშურე კაკოს სანახავად.

– ეს ქვეყანა აფერისტებით და მამაძაღლებითაა სავსე! – აღშფოთებით მიპასუხა ბატონმა კაკომ, როცა შევეკითხე იმ სუპერშოუს შესახებ. – ბლეფი იყო, როგორ ვერ მივხვდი თავიდანვე!

– მანახვე ერთი, თუ კაცი ხარ, როგორი ბილეთია. ხომ შეინახე იმ ღირსშესანიშნავი დღის – სამახსოვროდ? ერთი ცალი თუ შეგრჩა?

– შემრჩა კი არა, არ ვიცი, სად წავიღო – ასი ცალი ვიყიდე მე შტერმა. ყველა დამრჩა ოხრად. შენთვის ერთი მაინც მომეცა, ჩემსავით შენც გაბითურებულიყავი... მივედი სტადიონზე და...

– ვერაფერი ნახე? – აღარ დავასრულებინე წინადადება.

– მხოლოდ დიდი წარწერა ვნახე: "გილოცავთ 1 აპრილს!"

გამეღიმა: კაკოს სახლის წინ ერთი ფერადოვანი აფიშა ტყუილად არ გააკვრევინა ჩემი თხოვნით სევერიანმა!

– კაკო ჩემო! ჩერჩეტთა საქალაქო თავყრილობაზე რომ მიხვედი 1 აპრილს სტადიონზე, რატომ წინდაწინ ბილეთს ყურადღებით არ დახედე? რას ხედავ შენი ბედნიერი თვალებით მასზე დახატულს? შენი პორტრეტია, ვერ შეამჩნიე? დიდთვალება, პირღია დოყლაპიას გამოსახულება არ გეცნო?

1992

მატყუარათა პარტიის მანიფესტი

პატივცემულო ამომრჩევლებო!

მეგობრებო!

საყვარელო თანამემამულენო!

დღევანდელი სავალალო რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ, შევქმნათ ახალი პარტია, რომელიც სავსებით შეესაბამება მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს და სრულიად და-

იცავს მათ. თავად განსაჯეთ: ახლა საქართველოში იმდენი პარტიაა, რომ მათი ჩამოთვლაც კი ჭირს, მაგრამ რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან? ყველა დაგვეთანხმება, რომ არაფრით! ისინი უპირველესად საკუთარ, კერძო ინტერესებს აყენებენ ყველაზე მაღლა, ხალხი, მით უმეტეს, პიროვნება, ფეხებზე ჰკიდიათ. მათი საყვარელი ხერხებია: დემაგოგია, ორპირობა, სიტყვისა და საქმის შეუსაბამობა; მიზნის მისაღწევად არ ეთაკილებათ ნებისმიერი ხერხის გამოყენება, მიზანი კი საბოლოოდ ერთი აქვთ – ანგარება, საკუთარი ჯიბის გასქელება! ამას ანაცვალებენ ისინი ყველას და ყველაფერს! ამისთვის ელტვიან ყველანი მაღალ, სარფიან და გავლენიან თანამდებობებს და თბილ სავარძლებს!

მათგან განსხვავებით, ჩვენი – მატყუარათა – პარტია პირდაპირ და არაორაზროვნად აცხადებს: იგი ყველაფერს გააკეთებს, რათა პირველ რიგში დაიცვას საკუთარი ინტერესები! მატყუარათა პარტია, სტრატეგიული თუ ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ყოველთვის ისწრაფვის უპირველესად საკუთარი ეგოისტური მიზნების აღსასრულებლად!

ჩვენ ვერავინ დაგვდებს ბრალს პირფერობაში!

ჩვენი პარტია დაუფარავად, საყოველთაოდ აცხადებს: ამომრჩეველთა ნება ჩვენთვის არაფერს ნიშნავს, ჩვენ მას არავითარ ანგარიშს არ გავუწევთ!

ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ საკუთარი ინტერესები რაც შეიძლება მეტად დავიცვათ; თუ ხალხის გულისთქმას დაემთხვა ჩვენი მისწრაფება, ხომ კარგი, თუ არა და – ბოდიში! დიახ, ბოდიში რა მოსახდელია, ნურავინ გაგვინაწყენდება!

პატიოსან სიტყვას ვიძლევით: ჩვენ ვერავინ შეგვედრება!

საზეიმოდ ვაცხადებთ: ჩვენი პირადი კეთილდღეობა, საკუთარი ჯიბე – აი ჩვენი უზენაესი მიზანი!

ხმა ჩვენ მოგვეცით, მხოლოდ ჩვენ მოგვეცით ხმა!

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეუბნებით: ჩვენს ყოველ ქმედებას, ყოველ სიტყვას ანგარება ედება საფუძვლად. პატიოსნად შეგვიძლია ვთქვათ: უამრავ დაპირებათაგან, რომლებსაც უხვად გავცემთ, ისინი ან შესრულდება, ან არა! უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი ფერადოვანი დაპირებები მხოლოდ ცისარტყელურა ლამაზი სიტყვებია, რომლებიც რეალურს არაფერს შეიცავს და მხოლოდ მიმზიდველი გარეგანი მხარით იქცევს ყურადღებას! ამიტომ ხმა მიეცით იმ პარტიას, რომლის მოღვაწეობა, პრაქტიკული საქმეები თქვენთვის არასდროს იქნება მოულოდნელი, არ გამოიწვევს აღშფოთებას ან გულისტკივილს! პირიქით, შვებას მოგგვრით, დაძაბულობას მოგხსნით, გაგახალისებთ – ეს იქნება თამაში, თვალთმაქცობა, გაგართობთ ცოტა ხნით და ოდნავ გულს მოგფხანთ – ესეც ხომ საქმეა! ფსიქოთერაპიაა! თქვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვაა!

ხმა მიეცით მატყუარათა პარტიას – ერთადერთ პარტიას, რომელიც არასდროს გაგიცრუებთ იმედებს!

გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას და ჩვენ მოგვეცით ხმა, ეს თქვენს ინტერესებს შეესაბამება!

გაუმარჯოს მატყუარათა პარტიას – ერთადერთ ჭეშმარიტად მართალ პარტიას!

1993

ქებათა ქება ტყუილს

იდღეგრძელე და იხარე მარად ჟამს და უკუნითი უკუნისამდე ჩვენი დიდო მეუფევ და უზენაესო მბრძანებელო – ტყუილო უბრწყინვალესო და უნეტარესო! ქვეყნიერებაზე ეთერივით კიდით კიდემდე განფენილო და განვრცობილო! დიდ-დიდო ჭორის გუდავ, ტყუილების გოდორო, კილვავ, სიცრუევ, ცილისწამებავ – ფლიდო და მაამებელო!

ზომიერად შეზავებულო, ოსტატურად შეკმაზულო, ალაგ-ალაგ მეტი დამაჯერებლობისთვის ჭეშმარიტების ზუსტად გამიზნული ულუფით დამშვენებულო!

გაუმარჯოს მამალ ტყუილს, მივესალმები უბოდიშო ტყუილს, დღეგრძელობა დახეთქებულ ტყუილს, ვაშა! ტყუილია ჩვენი ცხოვრების საფუძველთა საფუძველი, წუთისოფლის უცილობელი ატრიბუტი, პური არსობისა, ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ, ყველაზე სანატრელი და კარგი ნაცნობი, ჩვენი მარადი თანამგზავრი! ტყუილი – მდინარესავით ულევი, მრავალსახა და მრავალფერი:

ხან – გველივით დაკლაკნილი და მიწად მცოცავი;

ხან – თავხედურად ბაირაღივით ზეაღმართული;

ხან – პირდაპირ გულში ხანჯალივით დამიზნებული;

ხან – ქურდულად ჩასაფრებული;

ხან – ზვავივით დიდი და საზარელი;

ხან – ნიავივით სასიამოვნო და კრავივით უცოდველი;

ყოველთვის – ულევი მდინარესავით;

ხან – ცრუ გასროლასავით ეფემერული;

ხან – მიწაზე გაგორებული, ვითარცა ალერსს მონატრებული ლეკვი და ჩვენს ფეხთა ტერფების ალერსიანად მლოკავი;

ხან – მზესავით ხასხას-კაშკაშა და თვალისმომჭრელი, დამაბრმავებლად ლამაზი ცრუპენტელა;

ხან – სულის მოსაოხი, გულის სალბუნი;

ხან – ბასრი, გულის მტკენი, ბებუთივით ცივად ლაპლაპა და მჭრელი, უმოწყალოდ სისხლის მდენი;

ხან – ნიავივით ნაზად მოალერსე, მომფერებელი, თბილად დიმილმჩენი;

ხან – მძვინვარე მბრდღვინავ ლომივით, ერთი ტორის დარტყმით რომ სასიკვდილოდ ხერხემალს გადაუმტვრევს ჭეშმარიტებას, ცინიკურად აღაზევებს და ტახტზე დასვამს ბოროტებას...

ტყუილი ხან ალერსით ჩაგიკრავს მკერდში და მერე, მახრჩობელასავით შემოჭდობილი, პირფეროობით ნეკნებს ჩაგიმტვრევს, მთლიანად გადაგყლაპავს და ნელ-ნელა მოგინელებს;

ხან – მაამებლობით ნაზად მოგფხანს და დაგიამებს პატივმოყვარეობას;

ხან – ტყავს აგაძრობს, ნერვებს გაგიშიშვლებს და თავმოყვარეობას ტკივილით სულს შეუხუთავს...

ვეტრფი ცინცხალ ცოცხალ ტყუილს, ცისარტყელურას, ხოხბისყელას, ფერადოვან ოცნების ველზე ფანტაზიით ფრთაშესხმულსა და ფაფარგაშლით ლაღად გაჯირითებულს!

არს სიბრძნე სიცრუისა და არს სიცრუე სიმართლისა!

გაგიმარჯოს ტყუილო – მრავალსახავ, მრავალფერადო!

ფერადო ტყუილო, ლამაზო ტყუილო, ფერუმარულწასმულო ტყუილო – სირინოზის ხმით მგალობელო, მდიდრულად ზიზილ-პიპილებით მორთულ-მოკაზმულო ფარვანავ!

ხან – თავშესაფარო-სოროვ;

ხან – ფრთაგაშლილო თავისუფლებავ!

ტყუილო – მართლის მუწუკო, ცოდნის ფითრო, ნათლის ჩრდილო, ჭეშმარიტების იარავ, ნაღდის მარყუჟო, თავანკარას დურდოვ, ალალი ყლორტის არტახო!

ტყუილო – მტაცებელო კლანჭებიანო, ნისკარტალმასა ქორო დაუნდობელო!

ტყუილო – ლბილბეწვიანო, სიამით თვალებმინაბულო ავაზაკობავ!

ტყუილო – ქადაგად დაცემულო, მთა-ბარის გამასწორებელო ყბედო, მსაჯულო ბრუციანო! გულღრძო კაცის ფიქრო!

ხან – კუპრივით შავო და წებოვანო, ღამევ კუნაპეტო!

ხან – პეპელასავით ლამაზხატულო, თვალგასახარო და სასეიროვ!

ხან – ულმობელი მგელივით სასტიკო, ზურგსუკან ჩასაფრებულო!

ხან – თვალს მახუჭინებ, ხან – მეხივით მაქუხინებ;

ხან – მძულხარ და მაინც გემონები, ხან – მიყვარხარ და მაინც გემალები!

ხან – გაქებ და ხელზე მოწიწებით გეამბორები, ხან – გაძაგებ და მაინც შუბლზე გკოცნი!

– ხან – ღვარძლის კრატერო, განმგმირავო, სტიქიურად ლავასავით ამომსკდარო,

ხან – თავზე გადასმულო, შვების მომტანო, ალერსიანო ხელისგულო!

ხან – სწორუპოვარო მსახიობო, გაწვრთნილ-დაგეშილო,

ხან – უტეხო და უტიფარო, ჭეშმარიტების კედლის პირდაპირ მაგარი შუბლით შემანგრეველო!

ხან – კერკეტო კაკალო, სიმართლეზე მეტად მტკიცევ და შეუვალო,

ხან – მედუზასავით უხერხემლოვ, დონდლოვ, უფორმოვ, მოუხელთებელო და მაინც მწარედ მსუსხავო!

ხან – ლმობიერო მკურნალო, უწყინარო, კეთილო წამალო,

ხან – ტკბილო საწამლავო, ლამაზი თასით მოძღვნილო!

ხან – ჯიქურ დაეძგერები სიმართლეს შფოთიანი ზვირთივით, ზევიდან ტალღად გადაუვლი, თავფეხიანად დაფარავ, შეატორტმანებ, მის წამოჩოქებას და წაქცევას ლამობ, სულს შეუგუბავ – ულმობლად დასახრჩობად გაწირავ,

ხან, თუ შეატყობ, რომ ვერ მოერევი, – ლაქუცავ, ქარაქუცავ, დათაფლულო და მაამებლობით თავბრუდამხვევო, – ძლიერს ფეხქვეშ გაეგები შემპარავ თხელ, რბილ, ზეთოვან ნაკადად, აულოკავ ფეხისგულებს, შეუღიტინებ და გააცინებ, მერე კი უცებ მოულოდნელად კვანტს გამოსდებ მუხანათურად, კიდევ და კიდევ ეძიძგილავები, – იქნებ ბედმა გაგიღიმოს და წააქციო ან მუხლებზე დასცე მაინც;

თუ მიგიხვდნენ და სიმუხთლე არ გაგივიდა, – ოინბაზი ხარ ვითომ, ხან – მატრაბაზი, ან ცირკის მასხარა, ვითომ ხუმრობა-ხუმრობაში, სიცილ-კისკისში, კიდევ ერთი-ორჯერ ახლა შუაკაურს ცდი, რომ წამოიკიდო გულუბრყვილო სიმართლე და მიწას დაანარცხო!

ეჰ, ტყუილო, ტყუილო, ჩვენი სულის ნეტარებავ!

მიკვირს, ჩემამდე რომ ქება არავინ მოგიძღვნა!

ნამდვილად ღირსი ხარ, ჩვენო კეთილო მფარველო ანგელოზო, ღვაწლმოსილო და ნიადაგ დაუზარელო, ხელდაუკრეფელო!

რა ვართ ჩვენ უშენოდ? არარაობა, უსუსურობა, უმაქნისობა — არაფერი, სიცარიელე!

ქვეყანა ვერ ძლებს უშენოდ, უშენოდ არ ვარგივართ, იმიტომაც ხარ დღეგრძელი!

მაშ, ერთხელ კიდევ გაგიმარჯოს, ჩვენო კარგო და ჩვენო ცუდო ტყუილო, — ბოლოს და ბოლოს, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ ეს ტყუილ-პოემა შევაჩეჩეთ და მოტყუებით წავაკითხეთ გულუბრყვილო მკითხველს!

1988

ხელფასი

რა ბედნიერ დროებას მოვესწარით! უკვე თითქმის ორი თვეა, ხელფასი არ მოუციათ და დღეს კი, — ამ ცივ, ქარიან-ღრუბლიან დღეს, — ჩვენთვის კაშკაშა მზე ამობრწყინდა — ხელფასი მოიტანეს! მართალია, დროზე რომ მოეცათ, შესაძლოა, ხუთჯერ მეტი რამ მეყიდა (კვირა გაივლის და ხედავ — ფასები ორჯერ გაზრდილა!), მაგრამ მაგას ვჩივი, რაკიდა პურის ფულს მაინც მომცემენ?!.

სალარო ჩემს სამუშაო ოთახთან ახლოსაა და დროზე მოვასწარი რიგში ადგილის დაჭერა — ერთ წუთში უზარმაზარი რიგი გაიწელა. ჩემს წინ მხოლოდ რამდენიმე ქალი დგას, მალე ავიღებ! დრო მიდის, რიგი კი არა — წინ ვერ წავიწიე, ვიღაც-ვიღაცეების დაქალები, დობილები, მეგობრები, ჯანდაბა და დოზანა — ყველა ურიგოდ უნდა ჩაეჩხიროს. თან ისეთი ყაყანი დგას, რომ მოლარე გოგომ ერთი ათჯერ მაინც იყვირა ვიწრო სარკმლიდან — ჩუმად, ხალხო, გთხოვთ, ნუ ხმაურობთ, ფულს თვლა უყვარს, ხელი მეშლებაო... გაგიგონია?!. მეორე წუთს ისევ ბაზრობაზე გეგონება თავი.

უჰ, რა ნელა ირჯება მოლარე! რიგიც რა ზლაზვნით მიიწევს წინ! მიიწევს კი? რომ ვაკვირდები, ჩემზე წინ ხალხი ემატება და ემატება... აგერ კიდევ მოვიდნენ: მარინე, ირინე, მაკრინე, ეკა, მაკა თუ მაკაკა — რეზუსიანი თუ ურეზუსო, რა მნიშვნელობა აქვს...

მერე მოცვივდნენ ქურთუკებიანი, გაუპარსავი ჯეელები — შოფრები: ჩვენაო, პენსიონერებსა და ვეტერანებზე წინ გვეკუთვნისო; მისწი-მოსწიეს პაპის ტოლა და დიდედის ტოლა თანამშრომლები, ურიგოდ რომ ეკუთვნოდათ ხელფასი და მოლარეს შეუძახეს: აბა, დატრიალდი ციბრუტივით, თორემ სხვა დროს ბანკიდან ფულს აღარ წამოგაღებინებთო. მაშინვე სიგარეტის ბოლით ააქოთეს იქაურობა, როხროხ-სიცილითა და ზურგებსა და მხრებზე ტორების ტყაპუნით ქალთა ყაყანიც კი ჩაახშვეს. ფულის აღებისთანავე ხმაურით გაიხვეტნენ კარში და ბრაგიბრუგით დაეშვნენ კიბეზე.

ერთ საათში შესვენება იწყება, ნუთუ მანამდე ვერ მოვასწრებ ხელფასის აღებას? ვინმე მეგობარ-ამხანაგი მაინც გამოჩნდებოდეს, რომ საუბარს გული გადავაყოლო და გულის გამაწვრილებელი ლოდინი შეუმჩნევლად გაილიოს... მაგრამ ისეთი ბედი მაქვს, ყოველთვის ჩემდა საწინააღმდეგოდ აეწყობა ხოლმე ყოველივე. როცა, მაგალითად, გახურებული სამუშაო მაქვს და უსიკვდილოდ იმ დღესვე უნდა მოვასწრო მისი დამთავრება, ამ დროს შემოეხეტება ოთახში ვინმე მოცლილი, გამიბამს ლათაიებს ათასგვარ და ათასჯერ გადაღეჭილ-მოყირჭებულ თემებზე; მერე, გაიხედავ და მეორე უსაქმურიც მოემატება... ქაქანებენ, ქაქანებენ სისულელეებზე, შენ კი უნდა უსმინო და ნერვები იშალო — მუშაობაში ხელს გიშლიან და გეხათრება უთხრა, რომ დროზე წაბრძანდნენ... ეღირსები, როგორც იქნა, მათ წაბრძანებას, შვებით ამოისუნთქავ და ერთ წინადადებასაც ვერ მოუყრი თავს, რომ ვიღაც უსაქმური კარში შემოყოფს თავს... ახლა კი რატომღაც ყველა გაწყდა, კაცები ყველა თითქმის რიგის ბოლოში არიან მოქცეულნი. რაღას ვიზამ, ქალების ლაქლაქს დავუგდებ ყურს — თან ვარჩევ, რომელი ჯგუფი სჯობს, სად უფრო ნიჭიერად ქაქანებენ...

საათზე მეათასეჯერ დახედვის შემდეგ, როგორც იქნა, ჩემმა რიგმაც მოაღწია. და სწორედ ამ დროს წამოიჟღურტულა მოლარე გოგონამ: "შესვენება!" და უბოდიშოდ მოაჯახუნა სარკმლის ფანჯარა. რიგში ხანგრძლივი დგომით ფეხებდამწყდარი და წელგაკავებული ძლივს წავლაყუნდი ჩემი ოთახისკენ, ცოტა სული მოვითქვი და მალევე დავბრუნდი სალაროსთან, მაგრამ იქ უკვე კარგა გრძელი, ახალი რიგი დამხვდა გაჭიმული, თუმცა სალაროს გაღებამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი. ხელი ჩავიქნიე, დღეს მეყოფა წვალება, ხვალ რიგში ნაკლები ხალხი იქნება და მაშინ ავიღებ ხელფასს-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე — ნუთუ წყალში უნდა ჩამეყაროს ამდენი ცდა? — და ისევ რიგის დაკავება ვარჩიე. არა, ახლა ნამდვილად ურიგოდ არავის გავაჭაჭანებ!

რამდენიმე საათს მომიწია კიდევ რიგში დგომა, ბევრი ჩხუბი და დავიდარაბა გადავიტანე წესრიგის დამრღვევებთან და როცა ისევ სალაროს საოცნებო სარკმელთან აღმოვჩნდი, მოლარე გოგონამ "მახარა":

— სიაში არ ხართ, ბატონო, ალბათ უწყისის შედგენის დროს თქვენი გვარი გამორჩათ... შვებულებაში ხომ არ იყავით?.. არა? მაშინ მიბრძანდით ბუღალტერიაში და გაარკვიეთ, რაშია საქმე... შემდეგი!

1993

ბინა გაყიდე!

— გამარჯობა!.. როგორ ხარ?

— ვკვდები მშიერი! ბავშვებს მაინც რაღა ვუყო, არ ვიცი...

— რათა, კაცო?!.

— იმათა, რომ, ორი თვე სრულდება, ხელფასი არ ამიღია. ცოლის სამსახურშიც ასეა. მოკლედ, პურის ფული სანატრელი გვაქვს.

— მერე, შენც რამე გაყიდ-გამოყიდე!

— პაპაჩემსა და მამაჩემს მამულები, სასახლეები და საგვარეულო ძვირფასეულობა არ დაუტოვებიათ, რა ჩემფეხები გავყიდო?

— ბინა გაყიდე.

— ბინა? მერე ჩემი ოჯახი სად წავიყვანო?

— სამ ოთახში რომ ხარ გამოჭიმული, რად გინდა? დიდი ძვირფასი დგამ-ავეჯით არ გაქვს გადატვირთული, გაყიდე და ოროთახიანი იყიდე.

— ვაჰ, რა ჭკვიანი ყოფილხარ, აქამდე რატომ არაფერი მითხარი! იმ ფულს რომ დავამღერებ, მერე რაღა ვქნა?

— ისევ გაყიდე...

— რაღა გავყიდო, რას მეუბნები!

— ბინა გაყიდე. ოროთახიანი გაყიდე და ერთოთახიანი იყიდე — სადმე ქალაქის გარეუბანში, ფული საკმაოდ დაგრჩება.

— მაგარი ხარ, შენს მეტი ამას ვერავინ მოიფიქრებდა. მერე, ის ფულიც რომ შემომეჭმება?

— ის ერთოთახიანიც გაყიდე!

— შენი გულისა! ძვირფასი რჩევაა, საყვარელო, მე და ჩემი ოჯახი სადღა ვიცხოვრებთ?

— სადმე პარკში, სუფთა ჰაერზე მშვენივრად იქნებით. ისე გაკაჟდებით, მოფერიანდებით, ჯანღონით აივსებით, თან ათასგვარი ატრაქციონები და გასართობებია... რა სჯობს მწვანე ბალახზე კოტრიალს! ცაში ღრუბლების თვალიერებას! ხის ქვეშ ჩრდილში რომ წამოწვები, გრილი ნიავი რომ გელამუნება სახეზე და თმებზე ხელს ნაზად გისვამს, ღამე კი ვარსკვლავებს ესაუბრები პირისპირ... უკვე ახლა შურით ვივსები — რა ბედნიერი იქნები! აგარაკზე ბავშვების წაყვანაც აღარ დაგჭირდება, ბუნების წიაღში რას გაიხარებენ!

— ზამთარში რაღა ვქნა?

— შენ კარგადა ხარ, აი! პურის რიგში დგომისას რამეზე თავი ხომ არ მიგარტყმევინეს? ზამთრამდე, ჩემო კარგო და ძვირფასო, ყველანი ფეხებს გავჭიმავთ, მაგაზე დარდობ?..

1993

მართა მოდის მიტინგიდან

ამ ბოლო დროს ჩემი დობილი მართა კარგა ხნით დამეკარგა. ერთი ხუთჯერ მაინც მივედი მასთან და შინ არასდროს დამხვდა.

ერთხელ როგორ ვერ მოვიხელთე-მეთქი, მიკვირდა. ისე, რა თქმა უნდა, მართა მარტოხელა ქალია, არც მაინცდამაინც ხნიერია (დაახლოებით 45 წლის იქნება), რომ სულ შინ იჯდეს.

სრულიად მოულოდნელად, შემთხვევით კი შევხვდი.

მეტროს სადგურ "რუსთაველში" ნახევრად ცარიელ ვაგონში უცებ შემოიჭრა ადამიანთა ნიაღვარი; ვაგონი ისე გაიჭედა, რომ სუნთქვა ჭირდა. "ზვიადი, ზვიადი!" — ხმამაღლა, შეწყობილად დააგუგუნეს ახალგაზრდებმა.

— სალამი! — გადავკოცნე ჩემს გვერდით აღმოჩენილი მართა. — სადა ხარ, ქალო, რა გახდა შენი ნახვა?!. სამსახურში არ დადიხარ, ვერც შინ გნახე, სად დაბორიალობ?

— შინ რა გამაჩერებს! ახლა მიტინგიდან მოვდივარ. ეგ უსინდისოები ეგა, დემოკრატია, დემოკრატიაო, რომ გაჰყვირიან, ეგ არის მაგათი დემოკრატია?!. სვავებივით რომ ეცნენ უიარაღო მშვიდობიან

დემონსტრანტებს ავტომატებით შეიარაღებულნი და სისხლის ტბორი დააყენეს, ასე უნდათ ააშენონ ქვეყანა?!.

— კარგი, მართა, ნუ ყვირიხარ, მარტო ხომ არ ვართ, სირცხვილია...

— სირცხვილი რაც არის, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ვინ დაგიდევს სირცხვილ-ნამუსს! ნამუსიანები არც ადრე იყვნენ, ახლა კი მეტისმეტად შესტოპეს. ხალხს ატყუებენ, თავიანთ ცოდვებს სხვებს აწერენ, გაგიგონიათ, ხალხო, ასეთი უტიფრობა? კანონიერი მთავრობა იარაღის ძალით ჩამოაგდეს და ახლა გვთხოვენ კანონის დაცვას — ნუ იკრიბებით, რა დროს დემონსტრაციებია, სამხედრო წესები და კომენდანტის საათია გამოცხადებულიო!

— გაჩერდი, მართა...

— როგორ გავჩერდე? რატომ უნდა ვიყო ჩუმად? სულში ჩააფურთხეს ქართველ ხალხს, წიხლი ჩაგვაზილეს და გავიტრუნოთ, ხმა არ ამოვიღოთ? ბიჭო, შენ რა გაცინებს? — მიუბრუნდა უცებ ჩვენს გვერდით შეჭეჭყილ 15-16 წლის ახალგაზრდას. — შენ რა, ამ დამპლებს ამართლებ?

— არა, როგორ გეკადრებათ...

— აბა, თუ კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს უჭერ მხარს, ხვალ 12 საათზე სადგურის მოედანზე დიდი მიტინგი იქნება...

— ეგღა გვაკლია, ახლა ბავშვებიც ვატაროთ მიტინგებზე. ყველაფერს ჯობს, სიწყნარე იყოს, სიმშვიდე, ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ, ისე ქვეყანა დაინგრევა, — შეაწყვეტინა მართას ერთმა შუახნის გრძელცხვირა ქალმა.

მართა მას ქორივით დაეტაკა:

— რა სიმშვიდეზე ლაპარაკობთ, ქალბატონო, ყველა რომ ჩვენ-ჩვენ ნაჭუჭში ჩავიკეტოთ, ამ ბანდიტების პარპაში ამით შეწყდება?!. მიხვალთ ახლა შინ, მურაბიან ჩაის მიირთმევთ ნამცხვრით და ტელევიზორში კონცერტს ან ამერიკულ ფილმს უყურებთ — იფ, რა კარგია! ეგ არის ცხოვრება?!. კუჭი თუ ამოივსე, ყველაფრით კმაყოფილი უნდა იყო?

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, პურის რიგში სამი საათი ვიდექი და ძლივს მომიწია! — შეეპასუხა გრძელცხვირა.

— ჯერ სად ხართ, მთავარი უბედურება წინაა! მაგრამ ნურავის ეგონება, რომ შერჩება შავი საქმეები! — მეხივით დასჭექა ჩახმახივით შემართული მართას ხმამ.

კიდევ კარგი, მეტროს ვაგონში ტევა არ იყო, ამ ჭეჭყვა-ჯიკავში საპაექროდ არავის სცხელოდა, მართას აღტყინებას ფრთის გაშლის საშუალება არ მიეცა...

1992

მართა უტევს!

ო-ო-ო!.. ო-ო-ო!..

მე ვერ შევძლებ საკადრისად აღვწერო ქალბატონი მართა და შესაფერისი ძეგლი ავუგო, მაგრამ შევეცდები, ჩემი შესაძლებლობის დარად, მცირეოდენი წარმოდგენა მაინც შეგიქმნათ მისი პიროვნების შესახებ.

ქალბატონი მართა — 45 წლის, საკმაოდ სანდომიანი, გაუთხოვარი ქალი — მიადგა ასე შუახნის უფროს მეცნიერ მუშაკს გოგილო ტიკჭორაშვილს (რომელიც დერეფნის ბოლოში სიგარეტის მოსაწევად იყო მისული) და პოლიტიკაზე პაექრობაში ჩაითრია.

— მთელ მსოფლიოს დავანახვეთ, აი, რა დამპლები ვართ — გაუტანლები, ველურები! — ისე უტევს უდანაშაულო გოგილოს მართა, თითქოს მის წინ მოსისხლე მტერი იყოს. — აგვისტოში პუტჩის დროს რუსმა რუსს არ ესროლა მოსკოვში, ჩვენ კი დავერიეთ ერთმანეთს... ისინი ხითხითებდნენ: უყურეთ, უყურეთ, ვინც არიან, ხომ კარგად ხედავს მსოფლიო — ტუტუცი კაციჭამიები, ძმას რომ არ ინდობენ!

კაცი დაბნეულია, მხრებაწურული, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, ფიქრობს, როგორ დააღწიოს თავი... დროდადრო ცდილობს, როგორმე ორიოდე სიტყვა ჩართოს მართას გაბმულ მონოლოგში, მაგრამ ამაოდ აღებს პირს — ექსტაზში შესულ მართას ცეცხლოვანი იერიში მიაქვს დასჯილ პირველკლასელივით კედელზე აკრულ საწყალ გოგილოზე.

— ეს ბატონ ედიკას ოინებია, ვერ ისვენებს, ინტრიგებს ხლართავს. შეიკრნენ მისი ძმაკაცი საქმოსნები და პარტოკრატია, მოუხმეს კრიმინალებსაც — ისევ ძველებურად უნდათ იპარპაშონ. რუსებსაც მეტი რა უნდათ: თქვენ უჩვენოდაც დაჭამთ ერთმანეთს, ხომ ხედავთო... ა, ბატონო, — სხვა რესპუბლიკებს ეუბნებიან, — შეხედეთ საქართველოს, არ მოინდომა ჩვენთან ერთად ძმურ ოჯახში ყოფილიყო და ახლა რა დღეშია; თქვენც იგივე მოგელით, თუ ცალკე მოინდომებთ ორმოდან ამოძრომასო. მოკლედ რომ ვთქვათ, კრემლმა დიდი ხანია, საქართველო ამოიჩემა დასასჯელად და სხვების-

თვის ჭკუის სასწავლებლად, ერთგვარი საცდელი პოლიგონი გახადა. აქ გადის აპრობაციას კრემლის ხრიკები, ზოგიერთს კი ამოუჩემებია, ქართველები ვართ ასეთები, ისეთები, გაუტანლები და სხვა ათასი ცოდვით დამძიმებულებიო, ამიტომ მოხდა სისხლიანი ტრაგედია მაინცდამაინც ჩვენთანო... არა, ბატონო, ქართველები სხვებზე არც მეტი ვართ რამით და არც ნაკლები, ყოველი სხვა ერივით ვართ. ჩვენი მთავარი ცოდვა ისაა, რომ სხვებზე დაუმორჩილებელნი, მოუდრეკელნი, შეურიგებელნი ვართ თავისუფლებისთვის ბრძოლაში და კრემლს ეს აცოფებს. ამიტომაა, რომ ჩვენთან მოხდა 9 აპრილიც და ოპოზიციის შეიარაღებული პუტჩიც, მათი სცენარი მოსკოვში დაიწერა და ნურავინ დაიწყებს მტკიცებას, რომ, რაც მოხდა, გამსახურდიას შეცდომების ბრალიაო, ჩვენი ხალხის თუ საზოგადოების დემოკრატიისთვის მოუმზადებლობაშიაო და სხვა ამდაგვარი ზღაპრები. ტყუილია ეგ ყველაფერი, ტყუილი!

მართა ისეა ლაპარაკის ეშხში შესული, რომ ვერ ამჩნევს წინააღმდეგობას საკუთარ, სულ რამდენიმე წუთის წინ ნათქვამთან; თუმცა, ვერც იმას ამჩნევს, რომ დროდადრო თანამშრომლები გოგილოსთან ჩერდებიან, ხელს ართმევენ, ზოგნი გადაჰკოცნიან კიდეც, მხარზე ხელს უტყაპუნებენ, მას კი ჭკუა ვერ უხმარია – ხანდახან უილაჯოდ, უიმედოდ ცდილობს ჩაურთოს თავისი სიტყვა და ამით კიდევ უფრო აღაგზნებს ქალის ენერგიას, ახალ გაალმასებას იწვევს ისედაც გაფიცხებული სულისა.

ბოლოს, გოგილომ ისარგებლა ოდნავი პაუზით, როცა მართა რაღაც სიტყვას ეძებდა და მუდარით წარმოსთქვა:

– ბოდიში და, სულ არ მსურს პოლიტიკაზე ქაქანი, ვერ ვერკვევი და არც მინდა! – ბოლო სიტყვებს ხაზი გაუსვა და მარჯვენა ხელიც კი აიქნია.

– რატომ? – დაინტერესდა მართა.

– მართა, იცი, მე ცოლი შევირთე... ორი დღეა!

– მომილოცავს! – ცალყბად მიუგო ქალმა და ვითომც არაფერი, განაგრძო თავისი "ოპონენტის" გაცამტვერება: – მე შენ დაგიმტკიცებ, რომ ცდები!..

1992

მიტინგოთერაპია

მოკლედ, ასე იყო საქმე.

იყო ერთი ღვთით კურთხეული დაწესებულება და, რაღა თქმა უნდა, ჰყავდა (სხვა მრავალი ხელობისა და თანამდებობის ხალხთან ერთად) პარტკომი ანუ პარტიული კომიტეტის მდივანი, ბატონი პანტელეიმონი, შინაურობაში პანტიკოდ წოდებული (ვინც კარგა ხნის შემდეგ წაიკითხავს ჩემს მონათხრობს, იქნებ ვერც მიხვდეს, რა თანამდებობა იყო ეს "პარტკომი" და რას აკეთებდა, კერძოდ, პანტიკო ბატონი. თუ არ ვცდები, ის კომუნისტური პარტიის დამქაში იყო დაწესებულებაში და ასრულებდა ჟანდარმის როლსაც, პოლიციელის ფუნქციასაც, საიდუმლო სამსახურის დანიშნულებასაც და ასე შემდეგ – მოკლედ, წარმართავდა თავის გემოსა და ჭკუაზე დაწესებულების მუშაობას და თანამშრომელთა ბედ-იღბალსაც).

და იყო კიდევ ამ დაწესებულებაში ვინმე ბახვა, რიგითი ინჟინერი – მაღალი, ჯანიანი, ყოვლად უწყინარი პიროვნება, მხიარული ერთთავად და ოხუნჯი ფრიად. ახალი დროება რომ დადგა ანუ გარდაქმნისა და საჯაროობის ეპოქის სიომ დაჰბერა, ეს ბახვა ბატონი ეგრეთწოდებულ "არაფორმალთა" წრეში აღმოჩნდა. თუკი რამ პეტიციები, მოთხოვნები და რეზოლუციები იწერებოდა და საპროტესტო აქციები ტარდებოდა, ყველგან ბრწყინავდა მისი აზრის თუ გრძნობის ნაკვესი, აგრეთვე – მისი მელოტი თავიც; ის იყო მოთავე და სულისჩამდგმელი ყოველივე რადიკალურისა, ახლისა... ჰოდა, მის მჩქეფარე მოღვაწეობას, რაღა თქმა უნდა, ეჭვის თვალით უყურებდა ბატონი პანტიკო. ერთი-ორჯერ მეგობრულად გაჯორა კიდეც (მიუხედავად საზოგადოებრივი იერარქიის კიბეზე განსხვავებული – და საკმაოდაც – მდგომარეობისა, ისინი მეგობრობდნენ; ფრიად საკვირველი ამბავია, მაგრამ რაღა არ ხდება ამ დალოცვილ წუთისოფელში!).

ბახვამ ხუმრობაში ჩაატარა პანტიკოს შეტევა; თავის მხრივ, დიდოსტატური სვლა გააკეთა – მე რომ მსაყვედურობ, ამრევებთან და შფოთისთავებთან დაგიჭერია საქმეო, წამომყევი მათთან და ნახავ, არაფერს ისეთს საშიშს და საღი აზრისთვის მიუღებელს იქ არ ლაპარაკობენო; თუ გინდა, დავნიძლავდეთ, რომ მოკლე ხანში პოლიტიკაში ცოტა გათვითცნობიერდები, გაიწვრთნები და მე ნამდვილად აღარ დამიწყებ ჭკუის სწავლებასო; წამოდი, არ გაინტერესებს მაინცო?

პანტიკო ერთხანს ყოყმანობდა, მაგათ მიტინგებზე რა მინდაო, მაგრამ, როცა ბახვამ დასცინა, შე დედალო, ხომ არ შეგეშინდაო, დაჰყაბულდა.

ერთი კვირის თავზე, მიტინგებზე სამგზის დასწრების შემდეგ, პანტიკო დაფიქრებული დადიოდა და ბახვას აღარ ეპაექრებოდა.

გავიდა კიდევ ერთი კვირა. მომდევნო დღეებში პანტიკო ოთხჯერ წაიყვანა ბახვამ მიტინგებზე. შემდეგ ორშაბათს პანტიკომ თვით მოიწვია სამსახურში მიტინგი და მრავალპარტიული სისტემის აღიარება მოითხოვა, კომუნისტების მონოპოლია ძალაუფლებაზე გაუმართლებელიაო.

კიდევ ერთ კვირას პანტიკო უკვე თავისით, დამოუკიდებლად დადიოდა მიტინგებზე, ბოლოს კი – ოფიციალურად გავიდა კომუნისტური პარტიის რიგებიდან...

1990

19 აგვისტო

აგვისტოს ხვატია, თბილისური ზაფხული.

არც ავტობუსი ჩანს, რა უნდა ქნა? ოფლად ვიღვრები, მგონია, მალე ნაყინივით დავდნები.

– ტაქსი, ტაქსი!..

ალბათ მეასეჯერ ვყვირი, ხმა ჩამეხრინწა, მივსავათდი, მანქანა კი ისე ჩაგიქროლებს, მძღოლი არც შემოგხედავს.. კერძო ტაქსებიც რომ გაწყდა?

რაღაც სასწაულად გამოჩნდა თავისუფალი ტაქსი, კიდევ უფრო დიდი სასწაულია, რომ ზუსტად ჩემთან გააჩერა მანქანა და ჩემს მორიდებულ კითხვაზე, დიღმის დასახლებაში თუ წამიყვანთ-მეთქი, თავი მოწყალედ დამიქნია.

შვებით დავებერტყე მძღოლის გვერდით, წავედით.

მძღოლი ხნიერია.

– უფ, ეს რა უბედური გვალვაა, ღმერთი შემოგვწყრა თუ რა არის! ქვეყანაც რომ აირია!

– აირია რომელია! – აიტაცა ჩემი სიტყვები ტაქსის მძღოლმა. – პუტჩიღა გვაკლდა და ისიც მოგვართვეს.

– არა, – ვუპასუხე, – ახლა სხვა დროა, 19 აგვისტოს ამბოხი ნაღდი ავანტიურა იყო. პუტჩისტები განწირულნი იყვნენ, ხალხში მათ დასაყრდენი არ ჰქონდათ. ვინღაა ახლა დრომოჭმული დოგმების მიმდევარი, ხალხმა ყურები კარგა ხანია გამოიჩიჩქნა, ყველა განათლდა, ასეთი ფოკუსებისთვის საძირკველი არ არსებობს... ვინ გიჟი ან სულელი დაუჭერდა მათ მხარს!

– ეე, ცდები, ძალიან ცდები, გენაცვალე! – გაეცინა შოფერს. – ეგ ძველები, კომუნისტები რომ პარპაშებდნენ ამდენ ხანს, ძველ ჩვეულებას ეგრე ადვილად შეელევიან? ახლა მიჩუმათებულნი არიან, განაბულნი... ეგ უფრო საშიშია, ვინ იცის, რა ხრიკებს ამზადებენ! შენ ჩვენთან გარაჟში უნდა მოსულიყავი ამ ერთი კვირის წინ, 19 აგვისტოს, და ნახავდი, რაც ხდებოდა ჩვენთან. დილიდანვე ტაქსების პარკის ყოფილი პარტიულები, ბლომად ხალხი, მოცვივდნენ... ჰო, 19 აგვისტოს დილაადრიან მოვარდნენ, 5-6 თვის პარტიული გადასახადი ერთიანად გადაიხადეს – შეწყვეტილი სტაჟი ვაითუ არ ჩაგვეთვალოსო... ეს ჩვენი ძმა, ყოფილი პარტკომის მდივანი, აქამდე რომ კარგა ხანია არსად ჩანდა, ახლა ძველებურად ინდაურივით იფხორება, გაჯგიმული უზის მაგიდას და საწევროებს იღებს... რიგი დადგა, ყაყანია, მე ვთქვი, ჯამაგირს იქ ხომ არ არიგებენ-მეთქი. ამ ჩვენს პარტკომის მდივანს სახეზე ბრაზი და სიხარული ერთად აყვავებია, აღგზნებულია, განუწყვეტლივ ლაქლაქებს: "მოიცათ, დაგვაცათ... ერთი-ორი თვე გვაცადეთ და მერე გაჩვენებთ თამაშას! დავამყარებთ წესრიგს!.. ახლა რომ ხართ აღზევებულნი და კომუნისტებს მიწასთან გვასწორებთ, ნახეთ, როგორ გაწრუწუნოთ! ჩვენი ჟამიც დადგა!"

– ჩვენისთანა გაჭირვებულმა ხალხმა იკითხოს, თორემ მაგათ რა უჭირთ, ყოველთვის ამოყვინთავენ.

– შენ ეგა თქვი და! ახლა თითქოს მიჩუმათდა ყველაფერი, ისევ გაისუსნენ... რა ვიცი, ძმაო, წესიერება გადავარდა, ამდენი ყაჩაღი და გამომძალველი რამ გაამრავლა...

– თქვენზედაც ხომ არ მოუხდენიათ თავდასხმა? გაზეთებში წამიკითხავს, ტაქსის შოფრებს ხშირად ძარცვავენო.

– მე ღმერთმა დამიფარა. ყოველი შემთხვევისთვის ერთი რკინის კომბალი მაქვს მომარაგებული...

ამასობაში ახმეტელის ქუჩასაც მივაღწიეთ.

რამდენი მაქვს გადასახდელი? ტაქსომეტრზე ორ მანეთამდეა... მოვიქექე ჯიბე, საფულეში ერთი სამმანეთიანი და ერთიც ოცდახუთმანეთიანი მაქვს. სამმანეთიანი რომ მივცე, ვაითუ ეწყინოს, ეცოტავოს? ამ გაჭირვებულ დროს კაცს იმის უნარი შერჩა, რომ ქალაქში მთელი დღის ხეტიალით თავმობეზრებულს ჩემთან ესაუბრა... მოდი, ოცდახუთმანეთიანს მივცემ და თვითონ მომცეს ხურდა. საინტერესოა, რამდენს აიღებს...

ვუყურებ, როგორ გადათვალა ჩემთვის მოსაცემი ფული. ერთი ხუთმანეთიანი, მეორე, მესამე, მეოთხე... მერე ერთი მანეთიანი დაამატა, დაამატა მეორეც – სულ გამოდის 22 მანეთი, სამი მანეთი აუღია...

ორად გაკეცილ ფულს მაწვდის, მადლობას ვეუბნები და მანქანიდან გადმოვდივარ. რა კარგია, როცა კარგ ადამიანს შეხვდები...

შინ მისულმა რატომღაც გავხსენი საფულე და ორად მოკეცილი ფული გავშალე...

იქ იყო ორი მანეთიანი, სამი სამმანეთიანი და ზევიდან ეფარა მხოლოდ ერთი ხუთმანეთიანი...

1991

პური

– უთენია ავდექი, ხუთი საათი ვიდექი რიგში დიდუბეში და პური არ მოიტანეს, ახლა აქ მინდა ვცადო ბედი... შეგვხვდება?

– თეთრი პური ნამდვილად არ გვერგება, შეხედეთ, რა წივილ-კივილი და გაწევ-გამოწევაა. მეტი წილი გადამალეს, უკანა კარიდან ჰყიდიან მამასისხლად, იქ მეორე რიგი დგას.

– მაგათ ჯიბე უნდა გაისქელონ და ჩვენ კუჭები დავიავადმყოფოთ?

– ხარისხიანი შავი პური რომ იყოს, რა უჭირს, ქვასავითაა, შეგიძლია, სახლი ააშენო.

– ქალო, ამდენ ხალხს რომ ურიგოდ აძლევ, ნამუსი არ გაქვს?

– აბა, ნუ მისცემ, ყმაწვილებს ყველას ჯიბეში ან დანა უდევს ან პისტოლეტი. სულელი კი არ ვარ!

– გადმოვალ ახლა დახლში და გაჩვენებ, ვინცა ხარ!

– სად მოდიხარ, ქალო, ვინ არის ეს მართლა გიჟი!

– მიდი, ასწავლე ერთი ჭკუა!..

– ვაიმე!.. რას შვრები, ქალო, ვაიმე, რასა მჩქმეტ!.. ხორცები დამაგლიჯა!

– მაგან იცის საქმე, ექიმია!

– კიდევ მისცემ ურიგოდ?!. მეც არ გადმომიყვანო მანდ!..

– არ მოგცემ პურს, ხორცი რომ მომაგლიჯე, იმით გასკდი!

– მიეცი, მიეცი დროზე, ახია შენზე ყველაფერი!

– აღარ შეიძლება მუშაობა, რამდენ გადარეულს უნდა გაუძლო!

– დროა, ქალბატონო, გადარეული და ჩვენც ყველანი გადარეულები შევიქენით!..

1993

გაწყდეს შენი ჯიში!

ორმოცდაათ წელს კარგა გადაცილებულნი – ონისე დილიკაურიძე და მისი ცოლი მაგდანა – დილაადრიან დგანან ნავთლუღის რკინიგზის სადგურის ბაქანზე და მატარებელს ელოდებიან...

თელავის მატარებელი უსაშველოდ იგვიანებს.

ცოლ-ქმარს სალაპარაკო დიდი ხანია, გამოელია. მაგდანა მაინც ახერხებს საუბრის გაბმას ბაქანზე მყოფ ქალებთან, – ხან ვისთან და ხან ვისთან, – ულაპარაკოდ ვერ ძლებს. ჯერ ხომ ონისეს გაუჭირა საქმე (რომელიც სულ არ იყო ლაქლაქის ხასიათზე), მერე ფრიად იოლად აიყოლია საუბარში ერთი ახალგაზრდა ქალი, სამი ბავშვი და უამრავი ბარგი-ბარხანა რომ აეკიდებინა (მას ამ ქალის ქმარი წამდაუწუმ თვლიდა, ბოლოს ბავშვებსაც მიათვლიდა და ცოტა ხნით დაწყნარდებოდა – მორიგი დათვლის დაწყებამდე). როცა ესენი კაზრეთის მატარებელს გაჰყვნენ, მაგდანას არ დაუხანებია და ამჯერად შუახნის მანდილოსანს გაუბა მუსაიფი (ონისემ მაშინვე შეატყო, გაუთხოვარი რომ იყო – გადაპრანჭული ჩაცმულობითა და თავდაჯერებული ქცევა-ლაპარაკით)... ეს შინაბერა გარდაბნის მატარებელს გაჰყვა, ცოლმა კი ახალი მოსაუბრის ძებნა დაიწყო; ანკესი ხან აქ გადააგდო, ხან – იქ, ბოლოს კი გაახურა ლაილაი მოხუც ცქვიტ ქალთან, ჯერაც რომ არ მობეზრებოდა ქვეყნიერების თვალიერება და მკვირცხლი თვალებით აკვირდებოდა გარშემო ყველაფერს. მერე ეს მოხუციც სადახლოს მატარებელში ჩაჯდა. ბაქანზე ხალხი საკმაოდ შეთხელდა.

ონისე უყურებს ცოლს და უკვირს: როგორ შეცდა, რანაირად შემოატყუეს ეს ქალი, რამ დააბრმავა და გააბრიყვა ამ ოცდაათი წლის წინ! აღიზიანებს ცოლის მრავალსიტყვიანობა, გაუთავებელი ქაქანი, გაუაზრებელი და პრეტენზიული მსჯელობა; ან თმები რას უგავს, როგორ უხეიროდ ვითომ დაულაგებია... ათასჯერ მაინც არ ეთქვა მისთვის, ასეთი ვარცხნილობა არ გიხდებაო – ვერაფ-

რით შეასმინა. შეღებილიც რა უშნოდ აქვს... ან წესიერად შეიღებოს, ან საერთოდ დაანებოს თავი, ნუღარ წვალობს, ვის ეპრანჭება? მე შენ გეტყვი, იაფი ჯდება საღებავის შოვნა ამ ბოლო დროს. მათი ქალიშვილიც რომ პირწავარდნილი დედაა – სარკესთან ტრიალს და უტვინო ლაქლაქს არაფერი ურჩევნია, გაწყდეს მაგათი ჯიში! ცხონებულ სიდედრს რა ზედმიწევნით დაემგვანნენ, საოცარია პირდაპირ... იგივე უსაშველო პრეტენზიულობა, ყველაფრით უკმაყოფილება (დღესაც ძლივს გამოადგმევინა შინიდან ფეხი, ნაკვეთში არ უნდოდა წამოსვლა, არადა, ქმარს წნევა აწუხებს და ეშინია მარტო დარჩენა). სიდედრს კარგი თვისებებიც ჰქონდა, საქმეს თვითონ ეძებდა, ესენი რატომღა გამოდგნენ დამბლადაცემულნი? ჩერჩეტი ქალი კი იყო, ცხონებული, მაგრამ კეთილი გული ჰქონდა, ვერავის შესახებ ავს ვერ ათქმევინებდი, სიშტერემდე კეთილი იყო – უკანასკნელ პურს მისცემდა მეზობელს, ხვალინდელი დღის თადარიგი არ იცოდა...

ქმარი უყურებს ნაადრევად მობერებულ ცოლს – ნაოჭებს თვალებთან, ტუჩთა კუთხეებში, გამხდარ და ბეჭებში მოხრილ ტანს, – და ისევ და ისევ უკვირს: ნუთუ ეს ქალი მისი ცოლია? რა აქვს მასთან საერთო? ჰო, შვილები კი ჰყავთ, ბიჭი და გოგო, რაღა დედას დაემგვანნენ ორივენი, გაწყდეს მაგათი ჯიში! ქერქეტები, ცერცეტები, მედღეხვალიები, საქმის გაკეთება ჭირივით ეჯავრებათ... ოღონდ გასართობი და დროის გასატარებელი ნახონ რამე, პატარა ბავშვებივით აცერცეტდებიან...

ცოლს მემასლაათე შემოაკლდა, ახლა ქმარს მიაჩერდა. "გაწყდა შენი ჯიში!" – ფიქრობს გუნებაში ცოლი, – "სულ ასე მოჟამული და მოშხამული როგორ შეიძლება იყოს ადამიანი! სულ საქმე და შრომა, ერთს არ ამოგასუნთქებს, არ იკითხავს, ამოდენა ოჯახი მარტო მე რომ მაქვს აკიდებული... კვირადღესაც არ მომასვენებს, იმ უპატრონო ნაკვეთში მიმარბენინებს, მოუკვდა მომგონი! სამსახური, ქმარი, შვილები, შვილიშვილები... მე არ მინდა თავის მიხედვა, მეც ხომ ადამიანი ვარ?!. აღარც ძველებური ძალ-ღონე და გამძლეობა მომდევს, აღარ მეყოფა ამდენი ხალხის მომსახურედ ყოფნა? ის კიდევ მაინც უკმაყოფილოა, უმადური! ან რას ჰგავს, ერთი ჩაახედა ნეტა სარკეში! ცხვირი უკმაყოფილოდ გვერდზე მოჰღრეცია, ადამისდროინდელი შლაპაა თუ რაღაც საფრთხობელა, რა უშნოდ ჩამოუფხატავს შუბლზე, ყაჩაღს ჰგავს... უნდა ჩუმად გადავუგდო, თორემ ასე სასირცხვოდ ივლის... რომ უთხრა რამე, შემოგიბღვერს, დაეტიე შენთვის, შენი საქმისთვის ვერ მიგიხედია და სხვებს ჭკუას არიგებო... ეს ძველთაძველი პიჯაკი საიდან გამოათრია, მათხოვარს დაემგვანა, თავმოყვარეობა არ აქვს?"

უკვე მაისის დასაწყისია, მაგრამ დილაობით ჯერ საკმაოდ გრილა; თითქმის ყოველდღე წვიმს, დღესაც მოღრუბლულია.

– რომ გაწვიმდეს, რა ვქნათ? – მიანათა თაფლისფერი თვალები მაგდანამ (ოდესღაც როგორ უყვარდა ონისეს ამ თვალებში ცქერა!), – ჩემს მტკივან ფეხებს ეგ უნდა კიდევ?

– მოწვიმს და ქე იქნება მოწვიმული! – ცალყბად იღრინება ონისე. – კიდევ უკეთესი, ყველაფერი მშვენივრად გაიზრდება მოურწყავადაც.

– აბა, რატომ მიმაჩანჩალებ, ადამიანო?!.

– რატომ და ბოლომდე ვერ მოვასწარი სიმინდის და ლობიოს დათესვა, მზესუმზირა და სოიოც დამრჩა. კამა, მიწისთხილი, ზაფრანა...

– მერე, ამისთვის უნდა მომკლა? – მაგდანა თითქოს ქმარს კი არ მიმართავდა, რაღაც უსულო საგანს ელაპარაკებოდა დაფარული ბოღმით და არც ელოდა პასუხს. – ხვალ წავიდეთ, მატარებელშიც ნაკლები ხალხი იქნება, ხომ იცი, შაბათობით როგორი ჭყლეტაცაა. – "გაწყდეს შენი ჯიში!" – დააყოლა გუნებაში.

– სამაგიეროდ, კვირას რომ წამოვალთ იქიდან, გაჭედილი იქნება ვაგონი და, შეიძლება, ჩვენს ბაქანზე არც გააჩეროს... მერე ფეხით წამოხვალ?

– ავტობუსით წამოვიდეთ.

– ავტობუსი ადრე გამოდის, თანაც ძვირია. – "გაწყდა შენი ჯიში! რას მალაპარაკებს ამდენს უაზროდ, ენა ექავება?".

– მერე რა, ხომ იცი, რამდენი დასარეცხი დამიგროვდა, სადილიც გასაკეთებელია...

– ნუ დამიწყე ახლა შენებურად, ნერვების აშლა მინდა მე? მოსული ვართ, გამზადებულები და ახლა გავბრუნდეთ უკან?

"გაწყდეს შენი ჯიში!" – ფიქრობს მაგდანაც. – "ღამემდე უნდა მამუშაო ვირივით, იმას კი არ კითხულობ, შემიძლია თუ არა ავადმყოფ ქალს ამდენი; ფეხებზე ვენების გაგანიერება მაწუხებს, კოჭებთანაც ხშირად მისივდება, სად ჯანდაბაში მიგყავარ... მეც სულელი ვარ, რომ დაგყაბულდი...".

"გაწყდეს შენი ჯიში!" – ფიქრობს ონისე. – "შენზე რვა წლით უფროსი ვარ, თავს არ ვზოგავ, წელი უნდა მოვიწყვიტო და კიდევ შენს ბეჟუტურს ვუგდო ყური... ბედი არ გინდა? რაღა მე შემხვდა ასეთი უბედური..."

– მატარებელი თბილისი–თელავი შემოდის პირველ ლიანდაგზე! – გაისმა ხმამაღლამოლაპარაკედან დიქტორის მოგუდულ-ხრინწიანი, ცუდად გასარჩევი ხმა.

აფუთფუთდა ბაქანზე შეგროვილი ხალხი, მალე ელმავალმაც მოაკივლა და მომლოდინენი ჩამომდგარ მატარებელს მიესივნენ. შეიქნა ჯიკავ-ჯიკავი, ყაყანი – ვაგონები გამოტენილი იყო და კიბეებზეც კი მხოლოდ ნაწილმა შეძლო ფეხის მოკიდება.

ონისე და მაგდანა ხან ერთი ვაგონის კიბეს მიაწყდნენ, ხან – მეორის, მაგრამ ამაო იყო მათი მცდელობა – სულ ტყუილად ფაფხურობდნენ, მათზე ბევრად ახალგაზრდები და ჯანიანებიც ვერ ახერხებდნენ ვაგონში ასვლას. უფრო მოხერხებულები პირდაპირ ფანჯრებიდან მიძვრებოდნენ, მათ შორის ქალებიც ერივნენ, იდგა ერთი გნიასი, წამოკივლება და სიცილ-ხარხარი...

დიდი ხნის დგომის შემდეგ მატარებელი დაიძრა და საკმაო ხალხიც დატოვა ბაქანზე იმედგაცრუებული. ონისე და მაგდანა შინისკენ გაბრუნდნენ – მეტროს სადგურისკენ წაჩანჩალდნენ.

ბრდღვიალა, თვალმახარა მზე კი მაღლა-მაღლა იწევდა, უდარდელად ფანტავდა ღრუბლებს და მალე წამლად ერთი თეთრი ფთილაც კი აღარ დარჩა ლურჯად მოკრიალებულ ცაზე – მშვენიერი სამუშაო დღე დადგა.

“დამთარსე, გაწყდეს შენი ჯიში!” – გუნებაში იწყევლებოდა ონისე. – “ისევ უნდა ეჯღანო და ემუდარო, წამომყევიო... ძალიან ითრევენ ფეხს, მაგრამ ხვალ ერთ-ერთი შვილი უნდა წამომყვეს ან ორივე, გაწყდეს მაგათი ჯიში, თორემ მაგდანას ლაქლაქს მეტს ვეღარ ავიტან... როგორ დამნავსე და დამთარსე უაზრო ტლიკინით დღეს, გაწყდეს შენი ჯიში!”.

“გაწყდეს შენი ჯიში!” – ფიქრობდა მაგდანაც. – “ხვალ კიდევ თუ წამომათრია, ვიკივლებ! ნეტავ დილიდან თქვეში მოვარდეს, წარღვნამ წალეკოს ქვეყანა... შვილებიც როგორ სულ მამას დაემგვანნენ – თავნებები და უხიაგები, უგემურები! თვითონ წაბრძანდნენ ნაკვეთში, ჯანი აკლიათ თუ ღონე! რა ტყუილად მაჩანჩალა ეს ავადმყოფი ქალი, თითქოს წვალება შინ მაკლდეს, გაწყდეს შენი ჯიში!..”.

1993

განათლდით, ხალხო!

გემრიელი ჭამა-ყლაპვისა და ზომიერი სმის სრულიად საქართველოს საზოგადოებასთან არსებული ჩუღურეთის უნივერსიტეტი
“აჯაფსანდალი”

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას სისხამ დილის, დღის, საღამოს და შუაღამის დროსტარების განყოფილებების შემდეგ სპეციალობათა დასაუფლებლად:

1. თვალის მიკროქირურგია (კომპრომატების “გაჩითვის” პერსპექტივით);
2. შორეული ცურვის კაპიტანი (მთავრობაში ამოყვინთვის პერსპექტივით);
3. იურისტ-კრიმინალისტი (კრიმინალურ “მეფედ” გახდომის პერსპექტივით);
4. საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობათა მენეჯერი (ბანკის პრეზიდენტობის პერსპექტივით);
5. უცხო ენებიდან მთარგმნელ-რეფერენტი (სპეციალიზაციები: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, თურქული, იაპონური, სუაჰილი, გუარანი, შუმერული, პელაზგური, ეტრუსკული, ხეთური – საზღვარგარეთ სპეცდავალებების აგენტის პერსპექტივით);
6. ფორტეპიანო (პოლიტიკურ ოპონენტთა ნერვებზე ვირტუოზული დაკვრის პერსპექტივით);
7. საერთაშორისო ურთიერთობანი (სპეციალიზაციები: აშშ და კანადა, ლათინური ამერიკა, ბენილუქსი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, თურქეთი, სინგაპური, ფიჯი, ანდორა – საელჩოებში სამუშაოდ წარგზავნის პერსპექტივით);
8. ხელოვნებათმცოდნეობა (სპეციალიზაციები: კინო, თეატრი, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, ცირკი, ესტრადა, პოლიტიკოსთა მაკიაჟი, მანიპულაციები საზოგადოებრივი აზრით);
9. ღვინო-არყის წარმოების ტექნოლოგია და ტექნიკა (პოლიტიკურ თავყრილობებზე თამადობის პერსპექტივით);
10. ავიაცია და კოსმონავტიკა; რადიოფიზიკა და ელექტრონიკა აეროკოსმოსურ მრეწველობაში (ყველაზე მაღალ პოლიტორბიტაზე გასვლის პერსპექტივით);
11. თევზისა და ამომრჩევლის სამრეწველო ჭერის ტექნოლოგია და ტექნიკა;
12. მეტეოროლოგია (პოლიტიკური ამინდის ამოცნობის პერსპექტივით);
13. სამედიცინო და პედაგოგიკური ფსიქოლოგია და ფსიქოთერაპია; სპორტის ფსიქოლოგია; კრივი და ხელჩართული ბრძოლის ხელოვნება (პარლამენტში წარმატებული მოღვაწეობის პერსპექტივით);

14. ჟურნალისტიკა (სპეციალიზაციები: ხელოვნება, სპორტი, კრიმინალისტიკა, პოლიტიკა, პორნოგრაფია – შავი "P. R."-ის უმაღლეს დონეზე წარმართვის პერსპექტივით);

15. ფუტუროლოგია, ასტროლოგია, ქირომანტია, მაგია, მკითხაობისა და შელოცვის ხელოვნება, უფოლოგია და სხვა ტრანსცედენტული მოძღვრებანი (პარტიის ლიდერად გახდომის პერსპექტივით);

16. საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (პარლამენტარად გახდომის პერსპექტივით);

17. ესტრადის მსახიობი, ცირკის ტაკიმასხარა, საარჩევნო კამპანიის მენეჯერი (პარლამენტის სპიკერად ან პარლამენტის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარედ გახდომის პერსპექტივით);

18. ეთიკისა და კანიბალიზმის თეორია და პრაქტიკა (პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა შეხრამუნების ოპტიმალური მეთოდების დამუშავების პერსპექტივით).

უნივერსიტეტში უგამოცდოდ მიიღებიან დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო, საშუალო სპეციალური, დაუმთავრებელი უმაღლესი და უმაღლესი განათლების მქონე პირები ასაკისა და სქესის მიუხედავად. სწავლება წარმოებს ქართულ, ინგლისურ, რუსულ, სომხურ, თათრულ, ხეთურ და ეტრუსკულ ენებზე. სწავლის ვადა 4 წელია. სწავლა ფასიანია, მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე, წლიურად 250-დან 500 ამერიკულ დოლარამდე – არჩეული სპეციალობის კვალობაზე. ნახევარი წლის საფასურის გადახდა აუცილებელია სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე – არაუგვიანეს 23 სექტემბრისა. ჩარიცხვა წარმოებს გასაუბრებით, რომელიც მოეწყობა საბუთების შემოტანის დროს. ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ წერა-კითხვის მცოდნეთ. გასაუბრების ორგანიზაციული ხარჯებისთვის ყველა აბიტურიენტი ადგილზევე წინასწარ იხდის 50 დოლარს.

უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლებად მოწვეული არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მათ შორის არის 213 აკადემიკოსი, 32 მეცნიერებათა დოქტორი და 3 მეცნიერებათა კანდიდატი. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად და პრაქტიკული კურსებისა და სემინარების ჩასატარებლად მოწვეული არიან მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები საზღვარგარეთის ცნობილი სასწავლებლებიდან (სორბონიდან, მასაჩუზეთსის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, ოქსფორდის, კეიმბრიჯის, იეილის, ბერლინის, რომისა და სხვა წამყვანი უნივერსიტეტებიდან). წარჩინებული სტუდენტები პრაქტიკასა და სტაჟირებას გაივლიან გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ზიმბაბვესა და მალდივის რესპუბლიკაში; მეორე სემესტრიდან ისინი თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისგან.

ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ მსურველები სწავლას აგრძელებენ მაგისტრატურაში; უნივერსიტეტთან არსებობს ასპირანტურა და დოქტორანტურა, აგრეთვე საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები, კრივის, ჭიდაობისა და საცეკვაო დარბაზები, საუნა, ბიბლიოთეკა, დისკოთეკა და კომპიუტერული ცენტრი უფასო ინტერნეტით.

უნივერსიტეტი ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს მცირე და საშუალო საწარმოების, ბანკების, სხვადასხვა ტიპის კანტორების, ფირმების, სააგენტოების შექმნასა და საქმიან გაძღოლაში. ჩვენთან სწავლა სარფიანიც არის!

უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მიიღებს საერთაშორისო ფორმის დიპლომ-სერთიფიკატს, აგრეთვე დამატებით ავტომანქანის მძღოლის, მბეჭდავ-მემანქანის, მთარგმნელ-რეფერენტის, უმაღლესი თანამდებობის პირთა მდივან-თანაშემწის, მასაჟისტის, გინეკოლოგის, ექსტრასენსის, კრუპიესა და კონფერანსიეს მოწმობებს. მას შეუძლია იმუშაოს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, კომერციულ და ფინანსურ სტრუქტურებში, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში და ა. შ.

საბუთები და ფული მიიღება ყოველდღე, დღე-ღამის განმავლობაში, დასვენებისა და შესვენების გარეშე, ამა წლის 23 სექტემბრამდე. მისამართი: თბილისი, წყალდიდობის მე-3 ჩიხი, № 33 (333-ე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა, III სართული.

იჩქარეთ, ადგილების რაოდენობა შეზღუდულია!!!

1994

ტყუილაძე
ანუ
გვარი უნდა გამოვიცვალო!

– როგორა ხარ, მურად? – ვესალმები ძველ ნაცნობს.

– ბრწყინვალედ, უკეთესად შეუძლებელია! – მპასუხობს მურადი და, შემცივნული, გაქუცული ლაბადის საყელოს ზევით იწევს, კიდევ უფრო იბუზება.

– რა გააჭირა საქმე ამ თოვლ-ჭყაპმა, ჯერ ხომ სულ გვალვა იყო და ყინვები დაიჭირა, ახლა ჩავლპით პირდაპირ, – ვბუზღუნებ და თანაგრძნობით დავცქერი მის შელანძღულ ფეხსაცმელებს, რომლის თავდაპირველი ფერიც სიძველისგან ძნელი გამოსაცნობია; იმაში კი ეჭვი არ მეპარება, რომ ტალახი მასში წინიდან შედის და უკნიდან გამოდის...

– მშვენიერი ამინდია, ცხოვრებაც საამურია! – გალურჯებულ ცხვირს ისრესს მურადი; მის ჩავარდნილ, ერთი კვირის გაუპარსავ ლოყებს ჭაღარა ჯაგარი მოსდებია.

– მართლა? – ირონიულად ვუღიმი; ხელკავი გამოვდე და ქუჩას გავუყევით, საერთო გზა გვაქვს.

– აბა, არა? – მპასუხობს მურადი. – მივალ ახლა შინ, ცოლი ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს დამახვედრებს, ზედ ქაფქაფა ყავას მივაყოლებ... არა, ჯერ ცოტა კონიაკს წავუთაქებ, მერე ზუთხს მივირთმევ... თუ ინდაურის საცივი აჯობებს? მე მგონი, არც ცხელ-ცხელი ტოლმა დაიწუნება – ცოტ-ცოტას ყველაფერს გეახლებით...

მართალი მოგახსენოთ, პირი ნერწყვით ამევსო ამდენი ცხელ-ცხელი კერძის ხსენებით.

– რაო, მურად, შენი ბიჭები, ეტყობა, სარფიან საქმეში არიან ჩაბმულნი, თუ ლატარიაში დიდი მოგება დაირტყი?

– ჩემო კარგო, გამოიცან, – ერთიც და მეორეც! გარდა ამისა, არც რძლებს აქვთ ურიგო სამსახურები; მეც ხომ უფროსი მეცნიერ-მუშაკი გახლავარ, უნივერსიტეტშიც ვარ შეთავსებით; ცოლიც მუშაობს ჯერჯერობით, ისიც დოცენტია... ახლა დათბობას ველოდებით, სასწავლო წელი დამთავრდება და ესპანეთში წავალთ ორი კვირით, იქიდან პარიზში გამოვივლით... ხომ იცი, კოლეგებთან ურთიერთობა აუცილებელია, თან პრადოს და ლუვრის მონახულებაც მომენატრა. იტალიაში წელს არ ვყოფილვარ, დასანანია, რომ "ლა სკალაში" სეზონი დახურული იქნება. როგორმე მოვახერხებთ და მერმისს, ოქტომბერში მაინც დავესწრებით რამდენიმე წარმოდგენას. შვილიშვილებს ამჯერად არ წავიყვანთ... არა უშავს, მათზე მშობლებმა იზრუნონ, თვითონ რომ ნახევარი მსოფლიო მოიარეს, საკუთარ შვილებსაც მიხედონ...

გაშტერებული ვუყურებდი მურადს და ფეხიც კი შევანელე.

– მურად, მითხარი, თუ ღმერთი გწამს, სად მუშაობენ შენი ბიჭები? იქნებ ჩემი თამაზისთვის გამოჩნდეს პატარა ადგილი, ჰა? ხომ იცი, ნიჭიერი ბიჭია, მცოდნე, პატიოსანი...

გაჩერებულმა მურადმა ასწია დაღვრემილი სახე, იმანაც გაკვირვებით შემომხედა და ირონიულმა ღიმილმა ტუჩთა კუთხეებში ნაოჭები კიდევ უფრო გაუღრმავა.

– ეჰ, ჩემო კარგო, ტელევიზორში – ტყუილი, სიცრუე, გაზეთში – ტყუილი, ჭორები, ჩმახვა, გაზეთებში – ტყუილი, ჭორი, ერთმანეთის ლანძღვა-გინება... დღედაღამ ტყუილი მესმის, ტყუილმა წაგვლეკა და მეც ტყუილების თქმის მოთხოვნილება გამიჩნდა! მეც გადამედო სენი – ტყუილი ამიცრეს, საყოველთაო სიცრუის ავადმყოფობა შემეყარა!

მწარედ გამეღიმა, უფრო მაგრად მოვჭიდე ხელი და გზა განვაგრძეთ. მოფამფალებული მომეჩვენა, გამხდარი, მსუბუქი, დაჩიავებული.

– გაგვბერეს, ყელამდე აგვავსეს ტყუილებით, აღარაა საშველი! – ამოიხვნეშა მურადმა. – ეკონომიკური ზრდის ტემპებით თურმე ჩვენ ყველაზე მოწინავე ქვეყნებსაც კი ვუსწრებთ, მოსახლეობის ცხოვრების დონე დღითიდღე მატულობს, დემოკრატიით და ადამიანის უფლებების დაცვით მსოფლიოში ლამის სამაგალითონი ვყოფილვართ...

– მართალია, ჩემო მურად, თავადაც კარგად ამჩნევ: რამდენი ახალი რესტორანია გახსნილი, მეძუძურ ღორს რომ გოჭები მიაწყდებიან, ისეა მისეული იმ რესტორანებს ძვირფასი ავტომანქანები, დღედაღამ გრიალია; არც საროსკიპოები გვაკლია და ისეთებიც გამოჩნდნენ, მათ ოფიციალურად ლეგალიზებას მოითხოვენ... შეხედე, რამდენი მდიდრული მაღაზია გვჭრის თვალს თავისი ბრწყინვალებით გარედანაც და შიგნიდანაც; რამდენი სამ-ოთხსართულიანი კერძო სასახლეც წამოჭიმეს – თვალი დაგრჩება ზედ, რად გინდა საფრანგეთში ან იტალიაში გამგზავრება, თავი საზღვარგარეთ გგონია... ან რა კონცერტები ეწყობა, რა ფესტივალები – თითო ბილეთში ორმოცდაათ და მეტ ლარს აძლევს ზოგიერთი... არის თუ არა პროგრესი?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! – აღტაცებით წამოიძახა მურადმა. – დემოკრატია და თავისუფლებაა, აბა რა: გინდა – საზღვარგარეთ წაბრძანდი დასასვენებლად და გასართობად, გინდა – აქ მოკვდი შიმშილით და ჭლექით; გინდა – ქარხანა თუ ფაბრიკა შეიძინე, გინდა – იმათხოვრე; გინდა – დახუთულ კაზინოში ერთ ღამეში ოთხი-ხუთი ათასი ამერიკული დოლარი მიაფშვნიტე, გინდა – უმუშევარმა ისეირნე ქუჩებში სუფთა ჰაერზე რამდენიც გინდა... შეხედე, რას ჰგავს ჩემი კბილები, თუმცა, სადღა მაქვს, სულ რამდენიმეღა შემრჩა; ნაცნობს რომ ველაპარაკები ან ლექციის ჩასატარებლად აუდიტორიაში შევდივარ, პირზე ხელს ვიფარებ, მრცხვენია... ორმოცი წელია, ვმუშაობ, ექიმთან მისასვლელი ფული უნდა მიჭირდეს?

– ახლა საით გაგიწევია, ჩემო მურად, კბილის ექიმთან ხომ არა? – გავეხუმრე.

— არა, ჯერ პოლიციაში მივდივარ, გვარი უნდა გადავიკეთო — ტყუილაძედ, განცხადება მიმაქვს! ან ცრუპენტელაშვილად, მატყუარაძედ, ცრუიძედ, ტყუილგუდაძედ... რომელი სჯობს, ჰა?

— მურად, შე კაცო, შენ თუ გვარს იცვლი, სხვებმა რაღა უნდა ქნან, მართლა მატყუარებმა?

— იმათ ჩემზე ადრე გამოიცვალონ გვარები — სუპერტყუილაძედ, სუპერყალთაბანდაძედ! გაღლეტილაძედ! სუპერროშვაძედ! სუპერ... სუპერ... მიკიბმოკიბველაშვილად! ქვეშქვეშაძედ! დაქოქილაძედ! თაღლითაურად! მატრაბაზაძედ!..

1998

კოკობზიკა ჭრიჭინაძის აბსურდის თეატრი

იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯი ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსაღებ მოხუცებით; იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, საგუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოთ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ; ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!

ნიკო ლორთქიფანიძე, “საქართველო იყიდება”, 1910 წ.

— მომილოცავს, მომილოცავს!.. გიხაროდენ!..

— რას მილოცავ?

— უდიდესი წარმატებით ჩავატარეთ არჩევნები — 80%!.. სრული გამარჯვება! იმდენად ერთსულოვანი, რომ მკვდარმა სულებმაც, უკლებლივ ყველამ, ჩვენს კოკობზიკას მისცეს ხმა! ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი ბრწყინვალე უალტერნატივო არჩევანი ჰქონდა!

— აღარაა საშველი — უნაპირო დაპირებები, დაპირებები და დაპირებები! ტყუილი, ტყუილი და ტყუილი, მოგვკლა ამდენმა ტყუილმა... “მილიონი სამუშაო ადგილი”, “საყოველთაო კეთილდღეობა”, “აფხაზეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის დაბრუნება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა”, “ერის გამთლიანება”, “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დაცვა”, “სიღატაკის აღმოფხვრა, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება, მართლწესრიგის დამყარება, სოციალური დაცვის გარანტია”, “დემოკრატიის კიდევ უფრო გაღრმავება-განვითარება”, “ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება”, “მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობა”, “კულტურისა და ხელოვნების აყვავება”, “კორუფციისა და მექრთამეობის ძირფესვიანად ამოძირკვა” და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... არ გაგეცინება?

— მერე არ გიხარია? დიდებულია, მშვენიერია!

— რით არის კარგი ამდენი აუწონავი სიცრუის დახვავება?

— გავყიდით, შე კაცო! ცალობით და ბითუმად გავასაღებთ! ტყუილი გვაქვს ულევი, ათასფერი, ნებისმიერი გემოვნებისა და მოთხოვნილების შესაბამისი! ნატიფიც, უხეშიც, იაფფასიანიც, დემაგოგიის საკმაზით გაკეთილშობილებულიც... ბოღმა-ტყუილიც და მოუხეშავი, უბოდიშო ტყუილიც... ცოცხალი ტყუილი, შემპარავი ტყუილი, ტელე და რადიოტყუილი, საგაზეთო და საჟურნალო, ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებული მსოფლიო ტყუილი... ტყუილი სამიდან ას ოცდასამ წლამდე

ასაკის ბავშვებისთვის, ტყუილი ახალგაზრდებისა და მოხუცთათვის, ტყუილი უმუშევართა და გაჭირვებულთათვის, მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, პედაგოგთა და ექიმთათვის, პენსიონერთა და ლტოლვილთათვის, მუშებისა და გლეხებისთვის, ინტელიგენციისა და სამხედროთათვის... ათასგვარი! ამ ნაირ-ნაირ ტყუილებს საერთო ერთი აქვს: დიდ-პატარა ტყუილიც და უზარმაზარიც ცდილობს, ცისარტყელასავით ლამაზი იყოს! არჩევანი დიდია, მარაგი – ამოუწურავი, ხარისხი – სწორუპოვარი! უმაღლესი! გავიტანოთ და გავყიდოთ, გავიტანოთ და გავყიდოთ! ჩვენ დავიცავთ სასაქონლო მარკის ღირსებას და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის, სერტიფიცირებულ, მსოფლიო სტანდარტების შესაბამის ტყუილს გავიტანთ საექსპორტოდ – ბატონ კოკობზიკასი! პროფესიული მატყუარას პროდუქციას სხვა ფასი აქვს: უკეთესი მწარმოებელი რაღა გინდა, ტყუილის უნიკალური, ნახევარსაუკუნოვანი წარმოების გამოცდილებით! მრავალფეროვანი ასორტიმენტი ყოველდღიური თავდაუზოგავი შრომით კიდევ უფრო მდიდრდება და იხვეწება; უცხო, გემოვნებიან და მომთხოვნ მომხმარებელს შევთავაზებთ ფართო არჩევანს ტყუილისას: ახალგამომცხვარ, ცინცხალ, თბილ-თბილ ტყუილსაც და ძველ, ყავლგასულ, უკვე სუნდაკრულ, ამჟამად მაკიაჟ-ფერუმარილით შელამაზებულ-გაკეთილშობილებულ ტყუილსაც... იხარე, გულო, გაიფურჩქნე სულო! დასტკბი არტისტიზმითა და უსაზღვრო ფანტაზია-გამომგონებლობის უსაზღვრო ჯირითით!

– მერე, ამოდენა ტვირთბრუნვას როგორ აუვალთ?

– მშვენივრად! ჩვენი კოკობზიკა თადარიგიანი კაცია, ტყუილად კი არ ვაფართოებთ ძველ ნავსადგურებს. ფოთი-ბათუმის ათმაგად გაზრდა, საბორნე გადასასვლელები უკრაინასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან – ევროპის ბაზარი ჩვენია! ახალი ნავსადგურებიც წაგვეხმარება – ყულევი, ანაკლია, სუფსა; ბატონ კოკობზიკას ძველი მეგობარი ვლადისლავ არძინბაც მხარში ამოგვიდგება სოხუმისა და ოჩამჩირეს პორტებით... ასე რომ, პრობლემას წარმატებით გავართმევთ თავს.

– გაძვალტყავებული ქვეყნიდან სხვა რა უნდა ამოქაჩო? საწარმოები დარბეულია, დატაცებულ-გაძარცულია, გაჩანაგებულ-განადგურებულია, გაჩუქებულ-გაყიდულია... დაზგა-დანადგარებს და სხვა მოწყობილობას ხსნიან, ჭრიან და ჩალის ფასად ჯართად ჰყიდიან უცხოეთში; სტრატეგიული დარგების – ენერგეტიკის, მძიმე მრეწველობის – ტოტალურ, მიზანმიმართულ ნგრევას თან ფეოდალური წყობის დაბრუნებაც მოჰყვა: თითო-ოროლა შემორჩენილ ფაბრიკა-ქარხანაში მუშები ახალ "მეპატრონეთა" მონები გახდნენ – თითქმის მუქთად მუშაობენ და ხმის ამოღებასაც ვერ ბედავენ... რა უბედურებაც საქართველოს თავს ტრიალებს, ჯორჯ ორუელის ფანტაზიას შეშურდებოდა – კომუნისტური რეჟიმი სანატრელი გაგვიხდა... ხალხი შიმშილობს, უიმედობის ჭაობში მასობრივად იხრჩობა; ვისაც კი მცირედი შესაძლებლობა მიეცა, ყველა ქვეყნიდან გაექცა უმუშევრობას, უზნეობას, ძალადობას, სისასტიკეს... ხომ ხედავ, ფერადი და შავი ლითონების ჯართად ჩაბარების ბუმია: სანიაღვრო, საკანალიზაციო, სატელეფონო ჭებს ქუჩებში სახურავები მოხსნეს, გზებზე ხიდებს მოაჯირები მოაძვრეს, საფლავებზე ალუმინის მესრები არ შეარჩინეს, ელექტროკაბელები და მავთულები დაჭრეს, სახლებზე გაკეთებულ გამოჩენილ მამულიშვილთა ბრინჯაოს საპატიო დაფებსაც კი დაერივნენ... ეტყობა, ვინც ჯართის საზღვარგარეთ გატანას თავკაცობს პარლამენტსა თუ მთავრობაში, დღედაღამ ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე: კერძებს მაინც ვეღარ ვაკეთებთ და ალუმინის ჯამჭურჭელსა და ქვაბებს ჯართად მაინც ჩავაბარებთ, ორ კაპიკს ვიშოვით... სხვა რაღა დარჩა გასატანი? შიში? უიმედობა? სასოწარკვეთა? შიმშილი? სიცივე? ავადობა? თუმცა, ბატონ კოკობზიკას რას ერჩი, ადრინდელი არჩევნების წინ მიცემული დაპირება პირნათლად შეასრულა, წარმოება მართლაც გამოაცოცხლა: მათხოვრების, მაწანწალების, მშიერ-მწყურვალთა, სულიერი დაავადებით შეპყრობილთა, თვითმკვლელთა ჭარბწარმოებაა – მათ საექსპორტოდ საუკეთესო პირობებია შექმნილი... კარგა ხანია, დაურიდებლად, უტიფრად საქვეყნოდ გამოვაჭენეთ განცხადება: "ვყიდით: საქართველოს, თავმოყვარეობას, სირცხვილ-ნამუსს, კაცობას, ქალობას, მამულიშვილობას – სწრაფად, სარფიანად, ძალიან იაფად! ჩალის ფასად! თითქმის მუქთად! დღითა და ღამით, ყოველდღე, (უქმე დღეების ჩათვლით) – იჩქარეთ, გაუსაღებელი თითქმის აღარაფერი დარჩა!..".

– ეგ ეტაპი, ჩემო კარგო, რა ხანია, ბრწყინვალედ გავიარეთ; მართალია, გაიყიდა საქართველო, მაგრამ საშიში არაფერია! ხომ გითხარი, ყველაზე დიდი კაპიტალი დაგვრჩა – ჩვენი კოკობზიკა! სწორუპოვარი ტყუილების გუდის გარდა, მისი სხვა აუარებელი რესურსიც გვაქვს, თუნდაც უდიდესი სიმდიდრე – კოკობზიკას "უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტი"! ყოველგვარი ავტორიტეტი ძვირად ფასობს, ვყიდოთ ნაწილ-ნაწილ, კარგა ხანს გვეყოფა. მერე მისი სახელგანთქმული ცინიკური, ზიზღნარევი ღიმილი გავიტანოთ აუქციონზე; უნიკალური პროდუქტია, სავალუტო შემოსავლის უშრეტი წყარო გვაქვს – დღე არ გავა, რომ კოკობზიკამ არ გაამდიდროს ეს საგანძური ახალ-ახალი ხუმრობებით. მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოვცემთ ბატონ კოკობზიკას მომხიბლავი ზღაპრების წიგნებს, თემები გამოელევა თუ რა: "როგორ დავანგრიე ბერლინის კედელი", როგორ დავშალე საბჭოთა იმპერია", "როგორ გავაერთიანე გერმანია", "როგორ გადავარჩინე ქართული ენა", "როგორ გამოვიყვანე საბჭოთა ჯარი ავღანეთიდან", "როგორ გავხდი დემოკრატი", "როგორ გავამთლიანე ქართველი ერი", "როგორ გადავარჩინე საქართველო", "როგორ დამლოცა სიზმარში დავით აღმაშენე-

ბელმა”... რომელი სახელგანთქმული მეზღაპრის შემოქმედება გაუწევს კონკურენციას, დაიტაცებენ!.. ძირითად პროდუქციას – უნიკალური ხარისხის ტყუილს – ასორტიმენტის გასამრავალფეროვნებლად, აგრეთვე, წავახმარებთ სხვასა და სხვას კოკოპზიკას ულევი მარაგიდან: ავანტიურიზმს, კარიერიზმს, უპრინციპობას, ინტრიგანობას, ტრაბახ-კოკობზიკობას, ცინიზმს, შეუწყნარებლობას, დემაგოგიას, სხვათა მიმართ გულგრილობა-გულქვაობას, სისასტიკეს... არც კოკობზიკას საპატიო წოდებები და ორდენები დავივიწყოთ – მდიდრული კოლექცია შეაქუჩა; როგორც მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით თვითონ წამოსცდა, მათი თვლაც დაჰკარგა... არ გაუჭირდება, უშურველად წაახმაროს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს – გავიტანთ ლონდონის საერთაშორისო აუქციონებზე...

– აწი ჩვენ რაღა გვიშველის, მთელი საქართველო მტვრად და ფერფლად აქციეს...

– დიახ, ნაცარიც ბლომად დაგროვდა, მაგრამ, ბოდიში, მაგას ვერავის გაატანს – თვალებში შესაყრელად სჭირდება!..

2000 წლის 17 აპრილი

დამლაგებელთა კონკურსი

ამ ნოველის სათაურში ორი სიტყვაა და წესით ერთიცა და მეორეც ბრჭყალებში უნდა იყოს ჩასმული – თუ რატომ, ამას ქვემოთ დავინახავთ.

ცნობილმა კინორეჟისორმა ჭიჭიკო ჭიკჭიკაშვილმა თავისი ოთხოთახიანი ბინა გააქირავა თურქ საქმოსნებზე, თვიურად 700 დოლარად, თვითონ კი ოჯახთან ერთად დროებით შეიყუჟა ნაქირავებ ერთოთახიან ბინაში. რას იზამ, ცოლ-შვილს რჩენა უნდა, ისეთი დროა, კინოშედევრებიც აღარავის სჭირდება, ხალხი შიმშილისგან თავის გადარჩენაზე ფიქრობს; დოცენტები და პროფესორებიც კი შავ სამუშაოსაც არ თაკილობენ... ამბობენ, ერთი აკადემიკოსი პენსიონერთა უფასო სასადილოში დადის, რომ თავი გაიტანოსო, მეორე აკადემიკოსი კი უჭმელობისგან საიქიოსაც კი გამგზავრებულა... გამოჩენილი მეცნიერები თავიანთი პირადი ბიბლიოთეკებიდან უნიკალურ წიგნებს ჩალის ფასად ჰყიდიან, რომ პურის ფული მაინც იშოვნონ. ამას წინათ რუსთაველის გამზირზე მე თვითონ დავინახე ცნობილი მწერალი – ადრე რომ სიმსუქნისგან გაჭირვებით სუნთქავდა, ახლა მთლად გაძვალტყავებულიყო, ძლივს ვიცანი...

დიახ, ყველა ცდილობს რამენაირად დაუძვრეს სიდუხჭირის კლანჭებს და ჭიჭიკოს საქციელი არავის გაკვირვებია. საკვირველი ამბავი მერე დაიწყო.

ჭიჭიკოს ბინას დალაგება სჭირდებოდა: იატაკის მოხვეტა-მოპრიალება, კედლებისა და ჭერის გასუფთავება, ფანჯრების შუშების გაწმენდა, აბაზანის გარეცხვა და ასე შემდეგ. მეზობლებში ხმა გავარდა: თურქები ბინის წესრიგში მოსაყვანად ორმოცდაათ დოლარს იძლევიანო. სულ მოკლე ხანში ჭიჭიკოს ბინასთან ამ თანხის მოპოვების მსურველი ათზე მეტი ქალი გამოჩნდა და შეიქნა გაწევ-გამოწევა – არა მე უნდა შევასრულო ეს საქმე, არა – მეო. კონკურენციულ ბრძოლაში უპირველესნი იყვნენ კინორეჟისორის კარის მეზობლები – ოლიმპიადა ერისთავაძე და პატრიცია ამილახვრიშვილი – მედიდური გარეგნობის, ამპარტავნული მოხრა-მოხრის, ფრიად პატივსაცემი ქალბატონები. მათ იოლად უკუაქციეს დანარჩენი პრეტენდენტები და ახლა განსაკუთრებული გაავებით ეკვეთნენ ერთმანეთს. მათ არასდროს საკუთარი სახლიც არ დაულაგებიათ, არამცთუ სხვისი და თავის დროზე მოახლეებიც ჰყავდათ... მაგრამ გაჭირვებას დაუდგეს თვალები – ორმოცდაათი დოლარის გულისთვის რას არ გააკეთებ!.. დანარჩენ ქალებს, მართალია, ხელი მოეცარათ, სამაგიეროდ, უფასო წარმოდგენას დაესწრნენ.

– გასწი აქედან, მე პირველი მოვედი! – ანჩხლობდა ქალბატონი ოლიმპიადა.

– ჰო, როგორ არა, ყველაფერში პირველი ბრძანდები! – არ უთმობდა ქალბატონი პატრიცია.

– რატომაც არა? პაპაჩემი, გენაცვალე, ბრწყინვალე თავადი გახლდათ, მთელი ხეობის პატრონი იყო, მეფობას არაფერი უკლდა! – დოინჯი შემოიყარა ქალბატონმა ოლიმპიადამ. – შენისთანებს ფეხებს აბანინებდა!

– ხომ არ დაგავიწყდა, ვის ელაპარაკები! – აიფოფრა ქალბატონი პატრიცია. – ჩემი გვარი შენსაზე ნაკლები გგონია? თუ ჩემი ქმარია შენსაზე ნაკლები? შარშან მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობაზე იყრიდა კენჭს!

– ჭურში ზიხარ და რა გასაკვირია, არ იცოდე – ჩემი აბესალომი უნივერსიტეტში კათედრის გამგე გახლავს!

– რომელი უნივერსიტეტის პროფესორია, აგერ ჩვენს გვერდით, სკოლაში რომ გახსნეს ფულის მახე? მასეთი უნივერსიტეტი მხოლოდ თბილისში იმდენია, ვერ დათვლი – სკოლის შენობები აღარ

ჰყოფნით და ახლა საბავშვო ბაღებს შეესივნენ! ჰმ, კათედრის გამგე... ჩემს კონსტანტინეს ხუთი მონოგრაფია აქვს დაბეჭდილი და ორი თუ სამი კიდევ – გამოსაცემად გამზადებული!

– ვის რად უნდა ახლა თქვენი მონოგრაფიები, ფეხსალაგში დადე გამოსაჩენ ადგილზე – საქმეზე იხმარ, ქაღალდი ძალიან გაძვირდა და იოლად გამოხვალ!

– ზრდილობაზე გეტყობა, დიდი სწავლა-განათლება გექნება მიღებული, წიგნის ყადრი იცი!

– შენს თავს მოუარე, გირჩევნია, ჩემი სწავლა-განათლება რაში გეკითხება! მე სასწავლო ნაწილის გამგე რომ ვარ და ათასზე მეტი ბავშვის აღზრდა მაბარია, ალბათ დაგავიწყდა!

– იცი, გენაცვალე, რას გეტყვი? შენ თუ ბავშვებს ასწავლი, მე კიდევ შენისთანებს ვასწავლი! ორი უმაღლესის დიპლომი მაქვს, მეცნიერებათა კანდიდატი ათი წლის წინ გავხდი; ოცდახუთი სამეცნიერო შრომა მაქვს დაბეჭდილი და ორი იმდენი კიდევ – გამოუქვეყნებელი!

– ჰო, ჰო, ჩამოთვალე ხშირ-ხშირად, არ დაგავიწყდეს! მაგრად შეინახე შენი წყალწყალა შრომები, არავინ მოგტაცოს, ნობელის პრემია არ დაკარგო!..

ცოტაც კიდევ და მოქიშპენი სიტყვიერი პაექრობიდან, შესაძლოა, ხელჩართულ ბრძოლაშიც ჩაბმულიყვნენ, რომ აურზაურზე რეჟისორის ბინის კარი გაიღო და თვით ჭიჭიკო ჭიკჭიკაშვილმა გამოყო მელოტი თავი.

– რა ამბავია, ჩვენი სახლის ქალთა ყრილობაა?

შემდეგ, როცა გაწიწმატებული ქალბატონების ურთიერთ საჩივარი მოისმინა, ხელი შემართა:

– გეყოფათ, ჩემო ძვირფასებო, ტყუილად რას ჩხუბობთ? ჩემი და მადონა უკვე ამთავრებს ბინის დალაგებას...

1995

ქართული ხასიათი

თბილისი, დიღმის დასახლება, ახმეტელის ქუჩა. ცალ მხარეს ჩარიგებულია რვასართულიანი სახლები – შვიდი ერთნაირი ნაგებობა.

1995 წლის იანვრის ცრიატი დღეა. მზე არ ჩანს, ცივა.

ერთგან თბილი ორთქლი ადის – ორ, მეზობლად მდგომ სახლს შორის ალუბლის ხის განშტოებაზე თოკით ჩამოკიდებულ ჭედილას ატყავებენ კაცები.

იქვე ახლოს ნაცრისფერი კვამლიც იჭრება მაღლა – სხვა კაცები შეშას აპობენ, დიდ ქვაბქვეშ ცეცხლს აჩაღებენ.

უამრავი ხალხი ფუსფუსებს, ბავშვები ირევიან, მთელი უბნის დამშეული ძაღლები შორიახლოს დაყუნცულან...

დღეს თითქმის ოთხმოცდაათ წელს მიღწეულ ელისაბედ ბებიას ასაფლავებენ.

უდიდესი გაჭირვებაა: ძალიან ბევრნი შიმშილობენ, მრავალს პურის ყიდვაც კი უჭირს; ღამით სიბნელეში სხედან – არც ელექტროდენია, არც ნავთის ფული აქვთ. ჰყიდიან რას აღარა, ოღონდ სული გაიტანონ.

შუადღეზე სასაფლაოდან მობრუნებული ხალხი – ნათესავები, ნაცნობ-მეზობლები – ჭირის სუფრას შემოუსხდნენ: ზოგნი – განსვენებულის ბინაში, ზოგნი – მეზობელთა ოთახებში.

საღამოსპირს სახლებს შორის ეზოში გამოჩნდა უცნაური, წვერმოშვებული ახალგაზრდა – ტანზევით სრულიად შიშველი იყო. ყველანი მას მიაჩერდნენ, ორივე სახლის ფანჯრებიდანაც და ეზოში მყოფნიც. ახალგაზრდა წყლის დასალევ შადრევანთან მივიდა, დაიხარა და დიდხანს სვამდა.

ახალგაზრდა ცეცხლთან მიიყვანეს, პური და ხორცის ნაჭერი მიაწოდეს, მერე ჭიქით – ღვინოც. აუჩქარებლად ჭამდა, გამხდარ, ფერმკრთალ სახეზე უმიზნოდ გამომზირალი თვალები ისე უბრწყინავდა, რომ ადვილად მიხვდებოდით – ვერ იყო სრულ ჭკუაზე.

ვიღაცამ სასწრაფოდ შინიდან გამოტანილი ხალათი გადააცვა, სხვამ კიდევ – მეორეც. ვიღაცამ ლამაზი ჭრელი ჯემპრი გამოუტანა, ვიღაცამ – კიდევ ერთი, უფრო უკეთესი. მესამესაც აცმევდნენ, მაგრამ ახალგაზრდამ იუარა – აღარ მინდა მეტიო. ჯუბაც მოუტანეს, თავზე თბილი ქუდი დაახურეს...

მოკლედ, საქორწილოსავით გამოაწყვეს.

მერე თვალი ვეღარ მოჰკრეს, ისე უჩუმრად წავიდა.

ამ დროს ჩამავალმა მზემ, მთელი დღე რომ იმალებოდა, დასავლეთით ჰორიზონტთან გაარღვია ღრუბელთა ჯარი და გამოანათა, ოქრო შეაფრქვია სახლებს, შიშველ ხეებს; მისი გამოჩენით გახარებული გათოშილი ადამიანების თვალებში სხივნათელად აირეკლა, პატარ-პატარა გუზგუზა კოცონები დაანთო.

1995

ქურდის ქურდი ცხონდაო
(კომედიური დეტექტივი)

რობერტ გადელიას

მინდია ხმიადაური, რამდენიმე წლის წინ – ინჟინერ-მშენებელი, ამჟამად კი – უმუშევარი, ოჯახს არჩენდა საქმიანობით, რომელსაც აღნიშნავენ ახლად გაჩენილი სიტყვით "ტაქსაობა" ანუ დილიდან ღამემდე თავისი დაფეხვილი "მოსკვიჩით" დაწანწალებდა ქალაქში და მგზავრებს ემსახურებოდა.

იმ დღეს გაპრანჭული, პარიკიანი ქალი უკანა სკამზე ჩაუჯდა მანქანაში. ბევრი არ გაუვლიათ, რომ ახლა კაცმა აუწია ხელი.

– ჩავსვა? – ჰკითხა მინდიამ ქალს.

– როგორც გინდა, – უპასუხა ქალმა.

გაუჩერა და შავსათვალიანი, შუბლზე ქუდჩამოფხატული კაცი გვერდით მოუჯდა.

– საით მიბრძანდებით? – ჰკითხა კაცს მინდიამ, – იქნებ...

– რა იქნებ? – დააძრო უცებ რევოლვერი ახალმა მგზავრმა, – ჩემთვის სულ ერთია, საით მიდიხართ, აბა, ფული, ჩქარა! ქალბატონო, თქვენ საყურეები, მძივები, ბეჭდები, – კარგად დაგიხუნძლიათ თითები, – მომწონს, მომწონს!.. ალბათ ჩემთან შესახვედრად საგანგებოდ მოემზადეთ... საფულეში ძებნას ნურაფერს დაუწყებთ, მთლიანად მიბოძეთ, არჩევის დრო არ მაქვს... შენც ამოასუფთავე ჯიბეები, მეგობარო, დროზე! ცოტა უკეთესი მანქანა რომ იყოს, ლისის ტბაზე აგიყვანდი და იქ დაგტოვებდი ამ ლამაზმანთან ერთად – მშვენიერი მოყუჩებული ადგილები ვიცი... ამინდიც კარგია და იქიდან 10-15 კილომეტრის ფეხით გამოსეირნება დიდ სიამოვნებას მოგანიჭებდათ... რა არის ეს, ბიჭო?!. 9 ლარზე მეტი არ გქონია, ამ ქალის მაინც არ გრცხვენია? ახლა დაგემშვიდობებით და სხვა დროს არ გნახო ასე ქესატად... ქალიც უკეთესი შეარჩიე: საახალწლო ნაძვის ხესავით კი არის აჩონჩხლილი, მაგრამ მაინც ჯოჯოს ჰგავს... არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი, აბა, მოუსვი აქედან!..

შავსათვალიანმა კარი გაიჯახუნა.

მინდიამ საჩქაროდ დაქოქა მანქანა და გააქროლა.

– გააჩერე! – აკივლდა უცებ ქალი, – გააჩერე!

მინდიამ მკვეთრად დაამუხრუჭა მანქანა.

– მე მაგ ლაქლაქა ნაბიჭვარს მაგას შევარჩენ?!. გამძარცვა და თანაც – ჯოჯოო... არ წახვიდე აქედან, მომიცადე! – ქალი სწრაფად გადმოხტა მანქანიდან და გაიქცა.

მოკლე ხანში ქალი დაბრუნდა, აქოშინებული შემოიჭრა მანქანაში, აღგზნებული ჩანდა.

– შენ მართლაც ვერ ყოფილხარ მილიონერი! – დაცინვით მიმართა მინდიას. – აჰა შენი 9 ლარი, ერთსაც მე დაგიმატებ ნერვების წეწვისთვის და ათი გექნება. ის ვაჟბატონი შენზე მდიდარი გამოდგა, 50 ლარი ავაღლიტე... რას მიყურებ გაკვირვებული? მე შენ გასაძარცვავად ჩაგიჯექი, მაგრამ იმ ლაქლაქა შავსათვალიანმა დამასწრო. წადი ახლა და უფულოდ აღარ გნახო, თორემ ასე ადვილად ვეღარ გადამირჩები!

ქალმა შავი სათვალე გაიკეთა და მანქანიდან გადავიდა.

1997

შიშის სართულები

ნიჭიერი მხატვარია ბაკურ მაღლაჭერაძე. თავის დროზე მას გამოუყვეს ნაკვეთი საბურთალოში, ჩემს გვერდით, კარგ ადგილას. აიშენა ორსართულიანი სახლი-სახელოსნო, გააშენა ბაღი. შენობის კედლები სომხეთიდან ჩამოტანილი ფერადი ტუფით მოაპირკეთებინა, ძალიან ლამაზი სახლი გამოვიდა. მართალი გითხრა, მეორე სართულის საბოლოოდ გაწყობა-დამთავრება გაუჭირდა, წლების განმავლობაში ვერ მოაბა თავი...

ახლა, ეს ჩვენი ბრწყინვალე დროება რომ დადგა, გაჭირვება, ნამდვილი გასაჭირი რასაც ჰქვია, სწორედ ახლა იწვნია. სადღაა სარფიანი სახელმწიფო შეკვეთები, გამოფენებიდან მუზეუმებისთვის სურათების შეძენა, აღარც კერძო კოლექციონერები უტალახებენ კარის ზღურბლს – ყველა ხელოვნების ჭეშმარიტად მოყვარული და დამფასებელი, მოგეხსენება, თვითონ მშიერია და სურათების საყიდლად სად სცხელა, მზად არის, საკუთარ კოლექციასაც შეელიოს... ფულიანი ხალხი კი რესტორანებს, კაზინოებს და საზღვარგარეთის კურორტებზე დასვენებას ამჯობინებს, ვიდრე ხელოვნების ნაწარმოები შეიძინოს და მხატვარს ხელი გაუმართოს...

რაღას იზამდა ბაკური, შეეშინდა, ოჯახი შიმშილით არ ამომიწყდესო, იძულებული გახდა, თავისი დიდებული ბინა გაეყიდა და გარეუბანში გადასახლებულიყო, ოროთახიან, დაბალჭერიან, სამაგიეროდ, შედარებით იაფფასიან ბინაში და ცოტა სული მოითქვა.

სახლი და კარ-მიდამო შეიძინა ქარხანა "ფოსფორის" დირექტორმა მაკარ მაგარჭამიაშვილმა. ერთ მშვენიერ დღეს მოაყარა ბატონმა მაკარმა მძიმე სამშენებლო ტექნიკა და სახლი პირწმინდად, საძირკვლიანად დაანგრევინა; მერე რამდენიმე თვეში ისეთი სასახლე წამოჭიმა, ავ თვალს არ ენახვებოდა: სამსართულიანი, ყოველ სართულზე – სააბაზანო და საპირფარეშო ცალ-ცალკე, სულ უცხოური მასალით მოპირკეთებული; თაბაშირის რელიეფური გამოსახულებებით და უმაღლესი კლასის ოსტატების მიერ მოხატულ-დამშვენებული დარბაზებ-ოთახები პირველი კლასის რესტორანს მოგაგონებდნენ...

სულ მცირე ხანი გავიდა და შესახლება წესიერად ვერც კი მოასწრო მაკარ მაგარჭამიაშვილმა, რომ სასწრაფოდ თავიდან მოიშორა სახლი. რატომ? რატომ და... მისი ქარხნის მუშები გაიფიცნენ, ხელმძღვანელობას უჩიოდნენ – თუ საწარმოს გაძღოლაში წესრიგი არ დამყარდა და ექვსი თვის დაგვიანებულ ხელფასს უმოკლეს ვადაში არ გადაგვიხდიან, სიღატაკის ისეთ ზღვარს მივაღწიეთ, უკიდურეს ზომებს მივმართავთო. ბატონ მაკარს შეეშინდა...

სახლის გაყიდვა არ გასძნელებია, მაშინვე იშოვა მუშტარი – დაცვის უფროსიაო, მითხრეს. ვისი თუ რისი დაცვის – ოჰ, მაგას ნუღარ მკითხავთ, არ ვიცი; ის კი ხომ ცხადია, რომ ჩემი და შენი დაცვის უფროსი არ იქნება, ჩემო მკითხველო!..

კაცო, გაგონილა? იმ მაკარის სახლი ეპატარავა თუ რაღაც სხვა მიზეზით, ახალმა მფლობელმა ის სასახლე დაანგრია, სულ ნაცარტუტად აქცია, ძირის ძირამდე მოაშთო! სამაგიეროდ, უმოკლეს ვადაში, – დღედაღამ გახურებული მუშაობა იყო გაჩაღებული, ძილის დროსაც ვერ ვისვენებდით მეზობლები, – ახალი სასახლე წამომართა, ოთხსართულიანი! რა ვიცი, საელჩოდაც თავისუფლად ივარგებდა, ღმერთმანი! ახლა იმის აღწერას აღარ შევუდგები, მაგას რომანის დაწერა მირჩევნია. თავი რომ არ შეგაწყინოთ, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ იმ სახლსა თუ სასახლეს ეზოში შადრევანი და დიდი ორანჟერეა ამშვენებდა, ფარშევანგები და ციცრები დაგოგმანობდნენ... სახურავზე – საცურავი აუზი და რა ვიცი, კიდევ რა აღარა, – ჩემი სახლიდან რა უნდა დავინახო, ახლოს კი არ მივსულვარ: სატელევიზიო სათვალთვალო სისტემა აქვს მოწყობილი და რაიმე ხიფათს არ გადავეყარო, მეშინია. მთელი უბანი რომ უკუნ სიბნელეშია ჩაფლული, ეს კარ-მიდამო მთელი ღამე ისეა გაბდღვრიალებული, სადღესასწაულოდ მორთული საოკეანო ლაინერი გეგონება...

აქამდე ხომ მაღლა-მაღლა მივდიოდით, ჰოდა, ახლა ნელ-ნელა ქვევით-ქვევით დავეშვათ!

როგორ?..

აი, ასე...

მოგრიალდება შავი "მერსედესით" ის დაცვის უფროსია თუ ვიღაც კვანტი, უკან მოჰყვება თეთრი "მერსედესი"... იმაში ვინღა ზის? ამბობენ, დაცვა ზისო, დაცვის უფროსსაც დაცვა ჰყოლია! როცა ის თავის "ქოხში" ისვენებს, მისი მცველი მთელი ღამე ჭიშკრის წინ ყურყუტებს – უფროსის მშვიდ ძილს იცავს... მას, ამ თეთრ მანქანაში მორიგეს? ჰო, ალბათ ამ უფროსის მცველსაც ვიღაც იცავს – აბა, თეთრ "მერსედესში" ღამე მარტოკა ვინ გააჩერებს? ის მესამე მცველი არ ჩანს, სადღაც სახლის სადარბაზოში თუ იმალება, საწყალი...

ჯერ სართულს სართული ვამატეთ და ახლა, აგე, ჩამოვედით თუ არა ზევიდან ქვევით?

ეჰ, ეტყობა, ჩვენს დროში ყველას ეშინია...

ერთს, მაგალითად, მხატვარს, შიმშილით სიკვდილისა ეშინია!

მეორეს, მაგალითად, ქარხნის დირექტორს, – მშიერი ხალხისა!

მესამეს... თანამდებობაც აქვს, ძალაც, – მისი უნდა ეშინოდეთ, – მას კი რიღასი ეშინია?.. ან მის უფროსს, ვისაც ის იცავს?

არადა, როგორც ვატყობ, ყველაზე უფრო მათ ეშინიათ!..

1998

სიზმარია თუ ცხადი?

ვნახულობ სიზმარს...

ქვეყანაში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, ბანდების პარპაშია, მაგრამ კულტურულებისა: ნაირ-ნაირი ყაჩაღებია, ოღონდ ყველა – პორტფელიანი, ყველა – ჩაჰალსტუხებული, ყველა – დიდი დემოკრატი და ქვეყნის გადამრჩენი; მთავარი ყაჩაღი – ქურდად... უჰ, ბოდიში! – ხონთქრად ზის...

თუ ნაციხარი არ ხარ, კაცად არ ითვლები, თუ ორჯერ მაინც არ ხარ ნასამართლევი, მინისტრად არ დაგნიშნავენ...

ცხოვრება საამურია, რა მოგაწყენს: ყოველდღე – ომი მოქიშპე კლანებს შორის, ამან იმას ოფისი აუფეთქა, იმან ამას შვილი მოსტაცა მძევლად...

რას იზამ – კონკურენციაა!

დანარჩენი ხალხი, ვინც გადარჩა, გატრუნული ზის თავის ბუნაგში და ცხვირს გარეთ ვერ ჰყოფს – დენი არ აქვს, წყალი არ მოდის, გათბობაზე ზედმეტია ლაპარაკი, ფულს მხოლოდ სიზმარში ხედავენ... სამაგიეროდ, ერთმა მინისტრმა ოთხსართულიანი სასახლე აიშენა, იმ დეპუტატმა – ხუთი უცხო ქვეყანა მოიარა, ახალგამოჩეკილმა "ბიზნესმენმა" მორიგი ქარხანა იყიდა...

რას იზამ – სტაბილურობაა!

ყოველდღიური ცხოვრება ამერიკულ ყაიდაზეა მოწყობილი; ქუჩაში ყველა ერთმანეთს ინგლისურად აგინებს, კევის ღეჭვით ღრანჭი აქვთ მონგრეული; ყველას ჯიბე გამობერვია – კოლტით, ბრაუნინგით, პისტოლეტით და ასე შემდეგ... სწავლაც ყველგან ინგლისურადაა, მხოლოდ დაწყებით კლასებში დღეში ერთი გაკვეთილი მშობლიური ენის შესწავლას ეთმობა, სამაგიეროდ, საზღვარგარეთ წახვალ და ინგლისურის ცოდნით ყველგან გზა ხსნილი გაქვს! დაწესებულებების, მაღაზიების, – ბოდიში, მარკეტების, – ფირნიშები, რა თქმა უნდა, ყველგან ინგლისურადაა. საჭმელები: ჰამბურგერი, იტალიურ-ამერიკული პიცა, სანდვიჩი, ჰოთ დოგი და სხვა. სასმელები: კოკა-კოლა, პეპსი-კოლა, ვისკი... ტელევიზია: ლუდის, ღვინო-არყისა და სიგარეტის რეკლამა, "საპნის ოპერები", მუსიკალური კლიპები და მრავალფეროვანი ფილმები: საშინლებათა, კოსმოსური ომების, განგსტერული, პოლიციური-დეტექტური, სექსუალური, პრიმიტიული მელოდრამები... ცხადია, ყველაფერი ინგლისურად. გასართობი სხვაც მრავალია: თუ გინდა – კაზინოში მიბრძანდი, რამდენიმე ათასი დოლარი წააგე ერთ ჯერზე, თუ გინდა – დაბადების დღე პარიზში, ჰავაის ან ანტილის კუნძულებზე გადაიხადე; თუ გინდა – დღეში ერთხელ მიირთვი გამხმარი პურის ნაჭერი და ზედ ერთი ჭიქა წყალიც დააყოლე; თუ გინდა – დილაობით (ადრიანად, რომ ნაცნობ-მეგობრებმა არ დაგინახონ) სანაგვე ბუნკერებს ჩამოუარე, იქნებ რამე ნახევრადდამპალი სარჩო გამოქექო...

რა იზამ – დემოკრატიაა!

თუ ცოტა მარიფათი ვერ გამოიჩინე და ნებისმიერი ხერხით ფულის "გაკეთების" ნიჭი ვერ გამოამჟღავნე – დაცინვის საყვარელი ობიექტი ხარ ხელოვნების ყველა დარგში პლუს საიქიოს დროზე ადრე გამგზავრების ძვირფას შესაძლებლობას უნდა დასჯერდე ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათხოვრობის საუკეთესო პერსპექტივა გიღიმის...

რას იზამ – საბაზრო ეკონომიკაა!

გამომეღვიძა...

და გამიკვირდა: ჯერ კიდევ ცოცხალი და სრულ ჭკუაზე ვარ?..

1998

მუწუკი

"ფუი, რა სახელი აქვს ამ მოთხრობას, ძალიან საეჭვოა, ღირს კი წაკითხვა?" – იფიქრებს ალღოიანი მკითხველი და ვერც გაამტყუნებ. ცხოვრება ისედაც გაუსაძლისი გახდა, თანაც ანტიესთეტიკურ თემებზე საუბრით ისედაც არის გადატვირთული რადიო-ტელევიზიაც და ჟურნალ-გაზეთებიც, მაგრამ მეც რომ ჩემი გამორჩეული საფიქრალ-სატკივარი მაქვს (საყოველთაო და საერთო სატკივრის გარდა)? – გაუნელებელი თავის ტკივილი და ერთ ადგილზე გამომხტარი საკმაოდ მტკივნეული მუწუკი თუ ძირმაგარა... ნუ გეშინიათ, დიდ მუწუკებზე ლაქლაქით არ შეგაწყენთ თავს, თუმცა ამგვარი წარმონაქმნებით გაივსო ეს ქვეყანა – მრავლად იწონებენ თავს მინისტრი-მუწუკი, პარლამენტარი-მუწუკი, გამგებელი-მუწუკი, რწმუნებული-მუწუკი, პროკურორი-მუწუკი და სხვანი და სხვანი, მათი ბრწყინვალე უმუწუკესობანი; მე თავმდაბალი კაცი ვარ და მხოლოდ ჩემს პირად მუწუკზე და ჩემი პირადი გოგრის ტკივილზე მოგახსენებთ...

დიახ, უფულობა, უდენობა, სიცივე, შიმშილი და ხშირად უწყლობაც – რაღა გასაკვირია, რომ უკვე ერთ კვირაზე მეტია, განუწყვეტელი თავის ტკივილი მაწუხებს – პირდაპირი მნიშვნელობით ვგულისხმობ, თორემ რაც ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ათასგვარი გადაუჭრელი პრობლემები აწუხებს, თავის ტკივილს კი არა, უარესსაც დაგმართავს. ჩვენი ეგრეთწოდებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გულუხვად გვაფრქვევენ თვალებსა და ყურებში: ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაცია, სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამა, ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა (დავაზუსტებდი: ანტიეროვნული კორუფციის პროგრამა), მართვის ორგანოების გაუთავებელი რეორგანიზაცია... რომ არ ვიტიროთ, ყოველდღე ცრუ საწოვარას გვჩრიან პირში: გარდაბნის თბოელექტროსადგურში IX ბლოკი ისევ ჩაირთო (ნახევარი საათით), მორიგი ცემა-ტყეპა პარლამენტში, მავანი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს, მკვლელობა, ძალადობა, ვიღაცა იმედგადაწურულ-

მა მტკვარში ისკუპა, მავანი დააყაჩაღეს, მავანმა თავი ჩამოიხრჩო, მავანის ბინა გაძარცვეს და ასე შემდეგ... შენ კი ჯერჯერობით ცოცხალი ხარ – გიხაროდენ! არ აგტკივდება თავი? თან მუწუკიც მერგო ჯილდოდ, ეგღა მაკლდა...

ჰოდა, ჩემთვის ამოუცნობ გამოცანად რჩება ერთი მოვლენა: სწორედ გაჭირვების უკიდურეს ზღვარს რომ მიაღწევ, უცებ საიდანღაც გამოჩნდება შველა – საოცარია!

რამდენიმე თვის წინ დავწერე განცხადება დირექტორის სახელზე (ჩვენში დარჩეს და, მოზრდილი მუწუკია ისიც – დაყიდა რაც კი დაზგა-დანადგარები და ავტომანქანები იყო, გააქირავა გამოთავისუფლებული ფართობები...) და დიდი ხნის ჩხუბის, ხვეწნა-მუდარისა და ჩალიჩის შემდეგ დღეს ჩემთვისაც ამობრწყინდა მზე – უცებ სალაროში მიხმეს: თითქმის წლინახევრის არ ამიღია და ერთბაშად ექვსი თვის ჯამაგირი მომცეს!

თვალებს არ ვუჯერებდი!

მაშინვე ცოლს დავურეკე გახარებულმა: ჯანდაბას ჩემი მუწუკიც და თავის ტკივილიც, გაიხარე, ნახევარი წლის ხელფასი დავითრიე-მეთქი... იმან კი: "შენს მუწუკს ნუ ეხუმრები! მუწუკს კი არა, უბრალო განაკაწრს კაცი მოუკლავს. მამაჩემის ბაბუა (ცხონებული დუშეთში ერთ-ერთი შეძლებული ვაჭარი იყო) საკუთარ ფაეტონში ჯდებოდა, შემთხვევით ფეხი გაიკაწრა და ყოვლად ჩვეულებრივ შემთხვევას მოჰყვა ინფექციის შეჭრა და, როგორც მედიკოსები ამბობენ, ლეტალური შედეგიც... ვლადიმერ მაიაკოვსკის მამა, თითქმის ორმეტრიანი სიმაღლის ვაჟკაცი, უბრალო ნემსის ჩხვლეტამ და სისხლის მოწამვლამ გაიყვანა გაღმა ნაპირს... მთელ ოჯახს რაღაც უბედურება არ შეჰყარო, ახლავე გაიქეცი ექიმ-დერმატოლოგთან!" "აქედანვე პოლიკლინიკაში მივდივარ-მეთქი" – ვუპასუხე. "არ გამაგონო! – აკივლდა ცოლი. – ჩვენს პოლიკლინიკაში პირველ სართულზე აბანო-საროსკიპო გახსნეს, მეორეზე – კაზინო-პოკერკლუბი – უშარვლოდ გინდა შინ დაბრუნდე? თან შიდსი ან ვენერიული სენი გვაკლდა კიდევ ოჯახში სწორედ! კარგ საავადმყოფოს მიაკითხე!"

მივედი საავადმყოფოში. დამესია დამშეული ექიმ-ექთნობა – ერთმა პატარა მუწუკმა და ყოვლად ჩვეულებრივი ადამიანის თავის ტკივილმა მთელი საავადმყოფო აამოძრავა; სადღაც გენერატორიც ათუხთუხდა (დენი არ იყო): აბა სისხლის ანალიზი, ექოსკოპია, ამის სკოპია, იმის სკოპია – სკუპ-სკუპ! – დავხტივარ კაბინეტიდან კაბინეტში... დერმატოლოგი, ნევროპათოლოგი, ფსიქოლოგი, ალერგოლოგი, ქირურგი... თან გულითადი გასაუბრება: რას მივირთმევ? რას ვსვამ? აბანოში დავდივარ თუ შინ ვიბან? კარგად თუ მძინავს? ტილები ხომ არ მაწუხებს? ძაღლი მყავს შინ თუ კატა? უცხო ქალებთან გართობა ხომ არ მიყვარს?..

ერთი ექიმი მეორესთან მაგზავნის, მეორე – მესამესთან, მესამე – მეოთხესთან... მერე თვლა დავკარგე. თვალსშიგა წნევა, თავისქალისშიგა წნევა, არტერიული წნევა, კბილები, ყელ-ყური, გული, კუჭი, ნაწლავები, ღვიძლი, თირკმელები, ელენთა, საშარდე ბუშტი და სხვა და სხვა – არ მეგონა, თუ ადამიანს ამდენი ორგანო ჰქონდა და თურმე ყველა ჩემს მუწუკთან და თავის ტკივილთან ყოფილა დაკავშირებული... ძალიან რთულია ადამიანის აგებულებაში გარკვევა – მიმიქარავს მასთან ფერადი ტელევიზორი! რამე თუ არის დაზიანებული, არ გინდა, მიაგნო? სისხლის საერთო ანალიზი, შარდის ანალიზი, რაღაც ცილოვანი წონასწორობა... სკუპ-სკუპ!.. რენტგენოგრაფია, ამის გრაფია, იმის გრაფია – მართლა გრაფი ვარ, სულ ხელისგულზე მატარებენ!..

თითქმის ყველა ორგანო მქონია დაავადებული, აუცილებლად მკურნალობის მრავალი კურსი უნდა გავიარო, ოღონდ რომელი დაავადებიდან დავიწყო? კიდევ კარგი, მამოგრაფია არ ჩამიტარეს, თორემ ალბათ მასტიტიც აღმომაჩნდებოდა... სკუპ-სკუპ! აქეთ – ოცი ლარი, იქით – ოცდაათი ლარი, თეთრი ხალათის ჯიბეში – ოცდახუთი ლარი, ღია ჩანთაში – ორმოცი ლარი, გამოღებულ უჯრაში – თხუთმეტი ლარი, მორცხვად გამოწვდილ ხელში – ათი...

კარგა ხანია, არ მინახავს ამდენი გაღიმებული სახე – გაიხარე-გამახარე!..

წამალთა გამოწერილი რეცეპტები უკვე ჯიბეებში აღარ მეტევა და ნაწილი ხელში მაქვს ჩაბღუჯული – საცხები, დასალევი, ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ანტიალერგიული პრეპარატებიც ხომ საჭიროა ამდენ წამალთა მავნე ზემოქმედების გასაქარწყლებლად...

გამოვაღწიე ქუჩაში, შვებით ამოვისუნთქე და გამახსენდა – ცოლთან უნდა დავრეკო შინ.

მივედი ერთ ჯიხურთან, გამოდგმულია სარკმელთან ტელეფონი, თან იქვე წარწერაა: "დარეკვა – 20 თეთრი".

მოვიქექე ჯიბეები – ბიჭოს, ხურდა ფულიც არ შემრჩენია!..

რაღა ვქნა?

მეტროს ჟეტონის ყიდვაც აღარ შემიძლია...

სახლამდე ფეხით ვიჩანჩალე – საღამოსპირს ძლივს მივაღწიე...

და ერთი ჭირი მაინც მოვიცილე – თავის ტკივილმა გამიარა! სუფთა ჰაერზე გასეირნება – აი ნაღდი წამალი!

მერე მეზობელს ვაანგარიშებინე (კერძო აფთიაქში მუშაობს) – ყველა გამოწერილი წამლის შესაძენად სახლის გაყიდვა მომიწევდა... და ცოცხალი დავრჩებოდი თუ არა მათი კეთილსინდისიერად მიღებით – ეს კიდევ საკითხავია...

ჩვენს დროში პრობლემებს რა გამოლევს, თავი ვის არ სტკივა?

გირჩევთ: ფეხით იარეთ!

2000

ფული

ცხოვრებაში არ გაუმართლა დარბაისელ, ავკარგიან ქალბატონს – ენძელას: ადრე დაქვრივდა, წვალებით გაზარდა ერთადერთი ვაჟიშვილი, ანდრო, მერე დააცოლშვილა, გაჭირვების ორმოდან კი ვერა და ვერ ამოვიდა. ვაჟი არ მუშაობს, ქრონიკული ასთმა აწუხებს, რძალი საბავშვო ბაღში მუშაობდა, ბაღი გაუქმდა და ახლა რძალ-დედამთილი ხან პურს ყიდიან მეტროს შესასვლელთან, ხან – დილაადრიან გარბიან ავტოსადგურში, ბითუმად, შედარებით იაფად იძენენ მაწონს, ხილს, პომიდორს, კიტრს, კარტოფილს... შემდეგ მთელი დღე გაგანია სიცხეში ქუჩაში დგანან და ყიდიან, რომ საღამოსთვის პურის ფული მაინც იშოვნონ (ბაზარში დიდი გადასახადის გამო ვერ შედიან სავაჭროდ). აბა, რა ჰქნან, ქალბატონ ენძელას და ანდროს მათხოვრული პენსიების შემყურე ვერ იქნებიან, იმასაც ხომ დიდი დაგვიანებით აძლევენ.

ერთხელაც, მთელი დღის ნაწანწალები, მშიერ-მწყურვალი ქალბატონი ენძელა საღამოს ქუჩაში ფეხით მიჩანჩალებდა შინისკენ და... უცებ არ გაბედნიერდა? თავის დღეში რომ შაურიც არასდროს უპოვია, ხედავს – ათდოლარიანი აგდია! ორად მოკეცილი, საკმაოდ გაცვეთილი...

გახარებულმა სასწრაფოდ დაიხარა, აიღო ფული და ჯიბეში ჩაიდო.

შინისკენ კი არ მიდიოდა, მიფრინავდა!

იმავე საღამოს ქალბატონი ენძელა ცუდად გახდა (საერთოდ, ჯანმრთელი ქალია, იშვიათად ავადობს), ამჯერად კი მეტისმეტ მღელვარებას ვეღარ გაუძლო.

დაუძახეს მეზობელ ექიმს, იამზეს – უჟმური, ცხვირაწეული ქალბატონია, მაგრამ რა ექნათ, სასწრაფო დახმარების დასაძახებლად ფული არ ჰქონდათ (ათდოლარიანის დახურდავება ვერ მოასწრეს).

იამზე დიდი დაგვიანებით მიბრძანდა ავადმყოფთან, მაღალი წნევა და გულის უკმარისობა აქვსო, ბრძანა და მთელი დასტა წამალთა რეცეპტებისა გამოწერა.

საზღვარგარეთული წამლები იყო, ძალიან ძვირი...

ის ქუჩაში ნაპოვნი ფული წამლებს არც ეყო და მეზობლებში ისესხეს.

ქალბატონმა ენძელამ თქვა: ამის შემდეგ მილიონი რომ ვნახო ქუჩაში, ხელს არ ვახლებო...

1999

ქორფა ბალახი

მეტროდან შინ მივიჩქარი – შუა დეკემბერია და მინდა, დაბნელებამდე დავბრუნდე ჩემს ბუნაგში: ელექტროდენი არ არის, ცხადია, ლიფტი არ მუშაობს და მეათე სართულამდე ჩაბნელებულ კიბეებზე ბღოტიალი მაინცდამაინც არ მიზიდავს...

მოკლეზე გადავჭერი გზა ვარკეთილის ზედა პლატოს ოთხ-ხუთსართულიან კორპუსებს შორის (ნეტა მსოფლიოში სადმე თუ აშენებულა მსგავსი მახინჯი და საცხოვრებლად მოუხერხებელი სახლები?); ერთი სადარბაზოს უკვე ბინდდაცემულ შესასვლელთან შაოსანი ხალხი ირევა, გრძელ სკამებზე ხნიერები ჩამომსხდარან...

უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, უნებლიე მწუხარე ფიქრები: ვინ გარდაიცვალა ნეტავი? ამ ბოლო წლებში ადამიანის სიცოცხლე ისე გაუფასურდა, ცოცხლებიც მკვდრებს დავემსგავსეთ – აპათია და გულგრილობა საოცრად ერწყმის აგრესიულობას; ახალგაზრდები უბრალო წალაპარაკების გამო დანას სცემენ მკერდში ერთმანეთს, შინაურების, ერთი ოჯახის წევრების წაკინკლავება ხშირად ტრაგიკული შედეგით მთავრდება... რადიო, ტელევიზია, გაზეთები ხომ სავსეა ცხელ-ცხელი გულის გასახეთქი ამბებით: “განვლილ კვირაში საქართველოში აღრიცხულია 35 სისხლის სამართლის დანაშაული, მათ შორის: 2 მკვლელობა, 4 მკვლელობის მცდელობა, 9 ყაჩაღობა, 7 ბინის გაძარცვა, 8 სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება...”

ეჰ, რამდენი უდროოდ მიდის ამ ქვეყნიდან შიშის, შიმშილის, უმუშევრობის, უფულობის, უიმედობის გამო...

... ძალიან კი ჩავიძირე ამგვარ მჭმუნვარე ფიქრებში – რაღაც თოკს გამოვდე ფეხი და კინაღამ წავიქეცი.

ვხედავ: თუთის ხის ძირში მიბმული კარგა დიდი, მსუქანი საქელეხო ცხვარი ხარბად ძოვს ქორფა ბალახს...

2001

ახალი ცოცხი

– გამარჯობა, როგორ გიკითხო?

– ბრწყინვალედ! მოვესწარით, ქალო, ახალ ათასწლეულში შევდივართ! კაცობრიობა კიდევ ათას წელს უნდა ელოდეს ასეთი დღის დადგომას!

– ეჰ, შენ ეგა თქვი – როგორ შევდივართ...

– მაშა, ქალო, ცხოვრება საამურია: არც – დენი, არც – წყალი, არც – სამუშაო, არც – პენსია თუ ხელფასი... ხშირად პურის ფულიც გვენატრება – გიხაროდენ!

– რატომაც არა! აგერ ახალი ცოცხიც გიყიდია, ხუმრობაა? რა მიეცი?

– სამოცდაათი თეთრი. ორი თვეა, ნელ-ნელა ვაგროვებ, ძლივს გადავინახე და გავბედნიერდი – ახალი წელი მობრძანდება, ახალი საუკუნის და ახალი ათასწლეულის დაწყებას მეც ძვირფასი საჩუქრით, ახალი ცოცხით ვხვდები!.. მეტი ვეღარ შევძელი: ორმოცი თეთრი მინდოდა კიდევა, ვნატრულობდი, ბარემ იმ საირმის გორასაც მოვინახულებ, ჩვენი ახალი მილიონერების ბედნიერებას შევხედავ-მეთქი...

– აბა, ქალო, ძაან კი იყოჩაღეს ზოგიერთებმა: ქვეყანა დაიქცა, ხალხი გამათხოვრდა, დაავადმყოფდა, დაიხოცა კიდეცა, მაგათ კი ოთხ-ხუთსართულიანი სამეფო სასახლეები წამოჭიმეს საბურთალოზე, წყნეთში, საგურამოში... მეამაყება, ხომ იცი – ჩვენცა გვყავს ყოჩაღი ბიჭები, მაგარი მშოვნელები, არც რო არაფრის ეშინიათ, – იმათ მამულებში ჩიტი ვერ შეფრინდება, – სათვალთვალო სატელევიზიო სისტემით აღჭურვილი შეიარაღებული დაცვა ყოველ კუთხე-კუნჭულს აკონტროლებს... ეგ კიდე რა არის, საზღვარგარეთის ბანკებში აქვთ მრავალმილიონიანი ანგარიშები გახსნილი, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების კურორტები მოყირჭდათ და უფრო შორს გაუტიეს, დაბადების დღეს ეგზოტიკურ ტროპიკულ კუნძულებზე იხდიან...

– შენ კიდევა ლამის ცოცხის ყიდვა მომილოცო...

– ცოცხსაც გააჩნია! ახალი წელი, ახალი საუკუნე, ახალი ათასწლეული და ახალი იმედები მოდის... ყველაზე დიდი ნატვრა, იცი, რა მაქვს? ნეტავ როდის გამოჩნდება ერთი დიდი ცოცხი, რომ ეს ჩვენი დიდი ნაგავი, – მუქთამჭამელები, – ერთიანად მოხვეტოს, ნიჩაბზე დადოს და შორს, ძალიან შორს მოისროლოს!..

2001

იანვარი თბილისში, 1993

როგორ დაიწყო წელს იანვარი?

როგორ და – ახალი წლის შეხვედრით!

არის ფუსფუს-მზადება სამზარეულოში, ნაძვის ხის მორთვა-მოკაზმვა დიდ ოთახში, თან – ხელების ფშვნეტა და ნერწყვის ყლაპვა გაწყობილი სუფრის შემხედვარეთა... წამდაუწუმ საათის მზერით შეწუხება – ახალ წლამდე რამდენი წუთი დარჩა? ზოგიერთი სულსწრაფი კი უკვე აქუხებს თოფებს, ფიშტოებს, ალაგ-ალაგ კაკანებს ავტომატიც, უშვებენ ფერად-ფერად მაშხალებს...

ფანჯარასთან მივცვივდით.

– თოვს!.. ნახეთ, რა უხვად ბარდნის!

მსხვილ-მსხვილი ფანტელები ერთმანეთს ასწრებენ ქვევით სწრაფვაში, რათა თეთრ საბნად დაეფინონ მიწას, სახურავებს, ხეთა შიშველ რტოებს... ცას ხაზავენ მაშხალები და ფერადი მოძრავი სინათლეები ეფინება სპეტაკ თოვლს...

– რა ლამაზია!

ლამაზად დაიწყო წელი – საგანგებოდ ახალი წლის დადგომისას უხვად მოთოვა და თეთრად მოასწორ-მოალამაზა გარემო. შინ კი გვახალისებს კოხტად გაწყობილი, თუმც წელს უჩვეულოდ

ღარიბული, სუფრა და კეკლუცი ნაძვის ხე, სამსახურში თუ სკოლაში – კეთილი მოლოცვები და სურვილები...

იანვარი, სინოპტიკოს-სტატისტიკოსებს თუ დავუჯერებთ, ყველაზე ცივი თვეა თბილისში.

იანვარი დაიწყო და რამდენიმე დღეა, გადაუღებლად სულ თოვს, ბარდნის და ბარდნის... და ეტყობა, გამოდარებას არ აპირებს. არც ცივა მაინცდამაინც, ხალისიანად მიაბიჯებს დილაობით ხალხი გაუკვალავ თოვლში. შარშან ამ დროს კი მოჟამული ამინდები იდგა, თითქოს წყნარი: ოდნავ ცრიდა წვიმა, სველი, დამბალი იყო გარემო – ჩანაცრისფრებული, ოდნავ ცისფერიც... წვიმდა ხამუშ-ხამუშ, ნაღვლიანი ზეცა დასწოლოდა ქალაქს. ადრე ღამდებოდა, ციოდა და არც ციოდა თითქოს. საქალაქო ტრანსპორტი თითქმის არ დადიოდა. დროდადრო სროლის ხმა ისმოდა, ზოგჯერ გამოერეოდა ავტომატის გაბმული კაკანი და ძლიერი ბათქიც. ყმაწვილებიც ერთობოდნენ სასტარტო პისტოლეტების სროლით და რაღაც დიდხმიანი მუხტების აფეთქებით, მაგრამ ხალხს კი გულს უხეთქავდნენ, თითქოს შესაშინებელი ისედაც საკმაოზე მეტიც არ იყო.

დიახ, ერთი წლის იანვარი მეორის იანვარს ხშირად არ ჰგავს. მე ერთი ისეთი გამორჩეულად თბილი იანვარიც მახსოვს თბილისში, როცა ამ ათიოდე წლის წინ ქალაქში ნუში აყვავდა, შეგეძლო პიჯაკით გევლო ქუჩაში...

დღე დღეს მისდევს.

ვერა და ვერ შევეჩვიეთ ამდენ თოვლს; უკვე გვაღიზიანებს და ბავშვებსაც კი მობეზრდათ თოვლში თამაში და ანცობა. მერე, როგორც იქნა, გადაიღო, უღონო მზე ბეუტავს გამოხუნებულ ცაზე. თოვლი იწყებს უხალისოდ დნობას – ჭირვეულობს, არ უნდა წასვლა. ღამე კი მოყინავს, მოსარკავს დღისით მომდნარს და გააქვავებს. ჰოდა, ერთხელ, დილით რომ მივბრძანდებოდი ცოლთან ერთად მეტროს სადგურისკენ, დაღმართიან ჯავახეთის ქუჩაზე გადასვლისას, მანქანებით მოპრიალებულ შუა ქუჩაზე ორთავ ფეხით ერთდროულად მოვცურდი, ავქანავდი, ხან წინ გავიზნიქე, ხან უკან გავიდრიკე და, ბოლოს, უცებ ცხვირით წავედი წინ... ხელები შევაშველე დაცემისას და ოთხზე მდგომი ბედს მადლობას ვწირავდი, რომ იოლად გადავრჩი – არც ხელ-ფეხი მომტყდომია და არც თავი გამტყდომია. ადგომასაც კარგა ხანი დასჭირდა (ქალბატონი ლია მიყურებდა და კვდებოდა სიცილითა...); კიდევ კარგი, ამ დროს მანქანა არ გამოჩენილა, თორემ დაამუხრუჭებდა თუ გვერდს ამიქცევდა! მიკვირს ამ ხალხისა: ბენზინის ფანტაზიური სიძვირის პირობებში, თან ასეთ უბედურ ამინდში, რა რჯით, რომ თავს საფრთხეში იგდებენ? რამდენიმე მანქანა გაჩხერილა აღმართში მიმავალი და არც მიწოლა შველის საქმეს და არც ძრავის ღმუილი...

იმავე დღეს, საღამოს რომ ვბრუნდებოდი სამსახურიდან, უკვე ისევ წაყინული იყო დღისით შემდნარი ყინული და ახლა აღმართში ღოღვით ფრთხილად ავდივარ, გავაკებულზე გასულს კი აფთარივით მეძგერება გამჭოლავ-გამთოშავი ქარი...

აი, ასეთი თამაშია: დღისით 1-2 გრადუსი სითბო, ოდნავ მოლღვება თოვლ-ყინული, ღამით – რამდენიმე გრადუსი ყინვაა, ცივი ქარი უბერავს... ბინას არ გვითბობენ, ხანდახან ელექტროდენსაც გამოგვირთავენ და ვეღარც ცხელ ჩაის დალევ და ვერც ელექტროღუმელს ჩართავ, ოდნავ რომ მაინც ძვალი მოსტეხო ოთახში მძვინვარე სიცივეს. ორ-ორ თბილ საბანს ვიფარებთ ძილის წინ, თბილ ქუდებსაც ჩამოვიფხატავთ თავებზე... დღისით კი ვითომ ცოტა უფრო თბილა, მაგრამ უფრო ქუჩაში, ვიდრე შინ – რაც კი შეგვიძლია, ვიფუთნებით და მაინც ვიბუზებით.

ასე გრძელდება კარგა ხანს: დღე ღრუბლიან-მზიანი ამინდია, 1-2 გრადუსია ცელსიუსით, გრილი ნიავიც ჰქრის, მაგრამ უკვე მივეჩვიეთ და მშვენივრად ვგრძნობთ თავს. მხიარულად ვჭუტავთ თვალებს მზის სხივებში განბანილნი, ვანგარიშობთ – დღეს საბოლოოდ დადნება თუ არა თოვლი? მოგვაბეზრა თავი, ახალწლის ღამეს რომ დაიწყო თოვა, დადო თეთრ საბნად და შემდეგ დღეებში კიდევ დაამატა, ბევრ ადგილას დღემდე შემორჩა. დროდადრო წადნებოდა, მერე ისევ წამოთოვდა: ზოგჯერ – ცოტ-ცოტას, ზარმაცად, ზოგჯერ კი – ხვავრიელად.

ცივა, მაინც ცივა... ღამე – დროდადრო სროლის ხმა ისმის, ხალხი დაბნელების შემდგომ ქუჩაში სიარულს ერიდება, მაღაზიები და ტრანსპორტი (მეტროს გარდა) წყვეტს მუშაობას. დღე – პურის გრძელი რიგები, მგზავრებით გადატვირთული მეტროპოლიტენი, დაფიქრებული და დაბღვერილი სახეები, მომრავლებული მათხოვრები...

იანვრის ბოლოსაც მივუახლოვდით...

ახლა რომ გავყურებ მიდამოს ფანჯრიდან, ვხედავ: ბეღურები მხიარულად ჭყიპინებენ, ძაღლები ყეფის ხასიათზე დადგნენ (აქამდე ისეთი დამშეულნი იყვნენ, შემცივნულები, რომ უხმოდ დაძუნძულებდნენ-დაძრწოდნენ ხან – სად და ხან – სად); ხეები თბილი დღეების დადგომის მოლოდინში გატრუნულან, ვერხვს კი კვირტები დაჰბერვია – იმასაც ეჩქარება გაზაფხულის დადგომა.

აივნებზე ბლომად გამოუფენიათ გასაშრობად სარეცხი, ზოგან კი მოაჯირებზე გადაფენილი ლეიბიც გამოუმზეურებიათ.

ქუჩებში: ალაგ – მშრალია, ალაგ – ტალახი, ალაგ – დატკეპნილი, ყინულად ქცეული ჭუჭყიანი თოვლი.

იანვრის სულ ბოლოს კი ერთი გამორჩეული დღე მაინც გამოერია.

დილის შვიდ საათზე გავიხედე ფანჯარაში კახეთის მიმართულებით – წითლად ღუოდა აღმოსავლეთი, თანდათან გადადიოდა ოქროსფერში და შემდეგ მოცისფრო-მომწვანოში, იაღლუჯის მთის თავზე კი მტრედისფრად ციალებდა. დღეს ალბათ დარი იქნება!

მართლაც, ბრდღვიალებს ბორჯღალა მზე, თბილი ხელებით ეალერსება მიდამოს და აქრობს აქა-იქ შემორჩენილ თეთრ, უკვე ფერშეცვლილ მცირე კუნძულებს თოვლის საბნისა, ცოტა ხნის წინ რომ თითქმის მთლიანად ფარავდა ყველაფერს. მაინც ჯერ კიდევ საკმაოდ ცივა, ქარია და ცაზე ღრუბლები ირევა. შუადღეზე უცებ იმძლავრა ქარმა, ციდან ფანტელები წამოუშინა – მსხვილ-მსხვილი, მსუბუქი, ჰაერში თეთრად ათამაშებული ფანტელები. საოცარი ის იყო, რომ გარემო განათდა, მზე აშუქებდა და მის ელვარე სინათლეში აცეკვებული თოვლის ფანტელები დარიალობდნენ, ტრიალებდნენ, ზევით-ქვევით ადიოდნენ-ჩადიოდნენ, სულ არ ჩქარობდნენ მიწის კოცნას – იცოდნენ ალბათ, რომ მათგან თეთრი ბრწყინვალების მაგივრად მხოლოდ მუქი სველი წერტილიღა თუ დარჩებოდა...

გავიდა ნახევარი საათი და ყველაფერი შეწყდა: ქარი ჩადგა, აღარც ფანტელები ჩანდა, მზე კი, გახარებული, რომ ასეთი ლამაზი წარმოდგენა მოაწყო, გახალისებული იღიმებოდა ოქროსფერი სხივებით.

მძიმე, ძნელი იყავი, იანვარო, და მაინც მადლობა, რომ ასე მსუბუქად და არტისტულად დაგვშორდი!..

1993

თებერვალი თბილისში, 1993

“თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო...”

მეტი არაფერი შეგეშალოს! გაზაფხულის სუნთქვა ვიგრძენით კი არა, მგონი, ახლა იწყება ნამდვილი შუა ზამთარი – პირველ თებერვალს დილით გავიღვიძეთ და... ფანჯრის მინებზე ზამთრის ულამაზესი “ტყე” დაუხატავს ყინვას! ძლივს გავფხაჭნე ფრჩხილით მინაზე ყინულის თხელი შრე და გამოსუფთავებულ საჭვრეტინებელში შევხედე გარეთ მიჭედებულ თერმომეტრს – მინუს რვა გრადუსია ცელსიუსით! კარგ ღამეს გაათევინებდა მაწანწალა ძაღლებს და უპატრონო კატებს! თუმცა არც ადამიანები ვართ დალხინებულნი – გათბობა არ არის სახლებში საწვავი აირის უკმარისობის გამო და იძულებული ვართ, ძილის წინ ორ-ორი თბილი საბანი დავიხუროთ, თავზე მატყლის მოქსოვილი ქუდები ჩამოვიფხატოთ და ფეხზე სქელი წინდები ჩავიცვათ.

ოთხი დღის შემდეგ კი: დილიდანვე მზე ამოგორდა მოწმენდილ ცაზე – მინუს შვიდი გრადუსია ცელსიუსით და, რაც მთავარია – ქარი! ისეთი მსუსხავი, რომ სამსახურში წამსვლელს რაღა არ მაცვია ტანზე: მაისური, შალის ხალათი, მატყლის მოქსოვილი პულოვერი, პიჯაკი და სულ ზევიდან – თბილი ქურთუკი! და მაინც ატანს სუსხი! ყურებსა და ცხვირის წვერში ხომ თითქოს ნემსებს მირჭობენ, ლოყებზე კი ყინულს მისვამენ...

სამსახურში წასვლა სატანჯველია. მე და ლია მეტროს სადგურამდე სირბილით ჩავდივართ ჯავახეთის ქუჩის დაღმართში და თბილ ნავსაყუდელს ვაფარებთ თავს...

მეტროში კი ჰოი, რა ჯგლეთაა! ტროლეიბუსები ცუდად მუშაობს, ავტობუსები საწვავის უქონლობის გამო გაჩერებულია და ზღვა ხალხი მეტროს მოაწყდა. არის ჭყლეტა ვაგონებში ჩასხდომა–გადმოსვლის დროს, შიგ ვაგონში კი სუნთქვა ჭირს, ისე ხარ გაჭედილი მგზავრებს შორის. თუ ვერ მოახერხე და ვაგონის კართან შერჩი, ყოველ გაჩერებაზე ხალხის ტალღა ჯერ დაგატრიალებს და გამოგიტანს გარეთ, მერე კი მეორე, საწინააღმდეგო მიმართულების ზვირთი – უკანვე შეგტენის ვაგონში.

საღამოს კი (ექვსს აკლია ოცი წუთი) მე, ბესიკი და დათუნა მოვდივართ მეტროს სადგურიდან ჯავახეთის ქუჩის აღმართზე და მობუზულები, გამთოშავი ქარისგან დასაცავად საყელოაწეულები და ცხვირებზე კაშნეაფარებულები, ვუყურებთ, მოწმენდილ ცაზე როგორ კანკალებენ სიცივისგან პირველი ვარსკვლავები და სავსე მთვარეც მოჭირხლულ სიფათს ჯღანავს...

მეორე დღესაც ისეთი ავი ქარია, რომ იანვრის დღეები მოგვანატრა. თოვლი თითქმის გადნა, აქა-იქ თუ შერჩენილა ღრმა თხრილებში და მოფარებულ ჩრდილოვანებში. შინისკენ რომ მივჩანჩალებდი აღმართში და გავივაკე, ერთი გრძელი ცხრასართულიანი სახლის კიდიდან გამოსულს ქარი გავეშებით დამეტაკა, წარმიტაცა და სულ სირბილით მატარა; გავუძალიანდი, გავჩაჩხე ფეხები და მაინც ძალიან გამიჭირდა მიმართულების დაცვა, კინაღამ კიბეს ავცდი. კიბის ავლის შემდეგ, ქუჩის

მეორე მხარეს გადასვლისას, თავი მარცხნივ, ქარის მხარეს ვერ მივაბრუნე, რომ შემემოწმებინა, მანქანა ხომ არ მოდიოდა...

შემდეგ კვირაში თებერვალი ახალი სცენარის მიხედვით თამაშობდა: ღამე ჰყინავდა, თოვდა, დილით – გადათეთრებული იყო მიდამო, ძლივს მიღოღავდნენ მანქანები თოვლიან ქუჩაში; მერე, მოგვიანებით, მზეც ამობრწყინდებოდა და მალევე გადნებოდა თოვლი, შიშველი მიწის მუქი ლაქები იზრდებოდა.

ახალი კვირა და ძველებური ამბები: დილით – მოყინული ფანჯრები, ზამთრის ტყის პეიზაჟებით გალამაზებული (მინუს ხუთი – მინუს შვიდი გრადუსი ყინვა ცელსიუსით); დღე – ოდნავ დათბება პლუს ორ-სამ გრადუსამდე, მაგრამ ცივი ქარი მაინც არ დამტკბარა.

აი, ასე მიდის "თამაში": ხან – ყინვა და ქარი, ხან – ყინვა და თოვა ღამღამობით, მზე და ისევ ყინვა – დღისით...

ერთი ასეთი დღეც გამოერია: დილას მინუს ორი-სამი გრადუსი ცელსიუსით, 100%-იანი ღრუბლიანობა, უქარო, წყნარი ამინდია, ზარმაცად თოვს, იშვიათი წვლილი ფანტელები უგემურად მოფარფატებენ ქვევით. რაღაც დიდი სიმყუდროვე ჩაბუდებულა გარემოში, ირგვლივ განფენილა მოსაწყენი სიმშვიდე...

ვაშა!

როგორც იქნა, გავლიეთ სამი კვირა თებერვლისა და დათბა! ღამე კი ისევ ცოტათი ყინავს, მაგრამ დღის 12 საათისთვის უკვე პლუს რვა გრადუსია ხოლმე ცელსიუსით და აქა-იქ შერჩენილი თოვლი ნელ-ნელა მიიპარება. დღის ხანგრძლივობამ შესამჩნევად მოიმატა, გახალისდა ხალხიც.

სხვა მხრივ?

უკვე ორ თვეზე მეტია, რაც ხელფასი არ მოუციათ, ვერ არის საქმე კარგად... კარაქი ღირს 1200 მანეთი კილოგრამი, შაქარი – 270... ფასები რომ გაყინულიყო, ეს კი ძალიან გაგვახარებდა!

მოკლე თვეა თებერვალი, ამიტომაც მოკლედ მოვყევი. ისე კი, მართალი გითხრათ, ძალიან გაწელილ-გაჯანჯლებული მომეჩვენა ეს თვე – ცივა!..

1993

მარტი თბილისში, 1993

ესეც მარტი...

პირველი ორი დღე – უფერული, უღიმღამო: ღამე – ნისლივით რაღაც მოანაცრისფრებს მიდამოს, 2-3 გრადუსია ცელსიუსით სითბო, დღისით – მრუმე, ღრუბელშერეული, სუსხიანქარიანი დღე.

მესამე დილასაც გავიღვიძე ადრიანად თუ არა, ფანჯარაში ჩვეულებისამებრ გავიჭყიტე: თეთრად გადაპენტილა მიდამო, იშვიათი ფანტელები ზანტად დაფარფატებენ ჰაერში... ო, ისევ მოთეთრდა ზამთარი?!. თუ ასე გვეთხოვება, ლამაზად და სევდიანად?.. თეთრი საბანი გაფხრეწილა ალაგ-ალაგ და შავად მოჩანს ასფალტი თუ მიწა იარებივით; მალე მზეც ფართოდ თვალგახელილი ამობრწყინდება და მორჩენილი თოვლისგან მოგონებაღა დაგვრჩე ბა...

სამსახურში მიმავალმა ნავენახარი გადავიარე – ბოლავს მიწა, ოხშივარი ასდის, მხიარულად ჭყიპინებენ ბეღურები... მეტროს ვარკეთილის სადგურის ჩასასვლელთან, სადაც პატარა ბაზრობაა გამართული, კონებად შეკრულ ყოჩივარდებს, იებსა და ენძელებს ჰყიდიან – გაზაფხული მობრძანდა! ეს ცეტი მარტი კიდევ ბევრჯერ შეიცვლის სამოსელს – ხან აკისკისებული, ჭრელაჭრულად გამოიპრანჭება, ხან – შესაძლოა, თეთრი კაბაც კი ჩაიცვას, მოიღუშოს, მთების ცივი მწვერვალებიდან მოვარდნილი ქარი გააავოს, ააქროლოს, ააქარაშოტოს – ყინულოვანი თითებით რომ ჩაგიძვრება კალთა-უბეში, აგიწეწავს თმებს და ავი ხუმრობით ქუდისა ან კაშნეს წაღლეტასაც კი მოინდომებს... და მაინც გულში რეკავს მოლოდინის და იმედის ზარი – უკვე გაზაფხულია, გაზაფხული! ხვალ უკეთეს დღეს მოველით, უფრო გრძელს და თბილს, გაღიმებულ სახეებს, ზამთრის მძიმე ტანსაცმელ-აბჯრების ტყვეობიდან ნელ-ნელა განთავისუფლებას... ხეები კი ჯერჯერობით არ იზიარებენ ადამიანთა ამჩატებას და არ აპირებენ დაბერილ კვირტებიდან მწვანე ბაირაღების ამოფრიალებას – ვიცით მარტის ზნე, ვერ ვენდობითო, ვერა!.. მატყუარაა და ზოგჯერ ვერაგიც!

ამ დროს ადამიანთა გუნება-განწყობილებაც მარტივით ცვალებადია. დღეს რომ ჩახჩახამზიანი დარი დატკბება, ხვალ ისევ იბურება გარემო, ინისლება, ზეგ კი – ისევ ცივი ქარი, ქარი და ქარი! მარტს ქარის თვეს დავარქმევდი... მობუზული ხალხი – ქუჩებში, შიმშილით მისავათებული მაწანწალა ძაღლები – ყოველ ფეხის ნაბიჯზე... ასევე მომრავლებულ კოოპერაციულ სავაჭრო ჯიხურებს ხალხი გულგრილად უვლის გვერდს – იშვიათად ვინმესღა აქვს საშუალება შეიძინოს ძვირთა ძვირი უცხოური სიგარეტი, არაყი, ტკბილეულობა... უკვე ხსენებულ მეტროს ვარკეთილის სადგურთან სტიქიურად წარმოქმნილ პატარა ბაზარში ჰყიდიან ყველაფერს, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება –

ახალსაც და ძველსაც (აშკარად უვარგისს, გადასაგდებსაც კი): წიგნებს, გრამფირფიტებს, ხილ-ბოსტნეულს, ხორცს, კვერცხს, სარეცხ ფხვნილს და საპონს, ელექტრონათურებს და სხვადასხვა სა-ხის ბურღულს, კვერცხისა და რძის ფხვნილს, კარაქსა და თურქულ მარგარინს, თევზსა და მოხა-ლულ მზესუმზირას, მოხალულ მიწის თხილსა და თხილს, ნიგოზსა და ფორთოხალს, მანდარინსა და კარტოფილს, წინდებსა და ჩურჩხელას, სიგარეტსა და... რომელი ერთი ჩამოვთვალო!.. რა უნდა ქნას გაჭირვებულმა ადამიანმა – აგერ უკვე სამი თვეა, ხელფასი არ დაურიგებიათ! ყოჩაღ ჩვენს გამძლეობას! 9 მარტს კი ძალიან "გაგვახარეს" – მეტროპოლიტენით მგზავრობა 5 მანეთი გახდა! კარაქი ღირს 1350 მანეთი კილოგრამი! შაქარი – 280, მანანას ბურღული – 200, წიწიბურა – 330! სი-ებით დაარიგეს სულზე ერთი კილოგრამი შაქარი "შეღავათიან" ფასად – "მხოლოდ" 170 მანეთი! შეიძლება თამამად ითქვას, რომ ხალხი სულს დაფავს სიღატაკით, მაგრამ არიან ისეთი კატეგორი-ის მოქალაქენიც, რომლებიც მოგზაურობენ ტურისტულ-კომერციული მიზნით დუბაიში (არაბთა გა-ერთიანებული საამიროები), კუნძულ კეშმში (ირანი), პარიზში, ბარსელონაში, ლონდონში, ბერ-ლინში და ასე შემდეგ.

და მაინც, შორს მოვისროლოთ მჭმუნვარე ფიქრები – გაუმარჯოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს გა-ზაფხულის მობრძანებას! გაუმარჯოს მზეს, სითბოს, კვირტების დაბერვას!

შევუძახოთ ერთი, იქნებ მართლა დათბეს, ნამდვილად დათბეს, ჯერჯერობით კი ერთ-ორ მზიან დღეს თუ გამოურევს, მაგრამ როგორ გვახალისებს! აბდღვრიალებული მზის ოქროსფერ სხივებში განბანა სალბუნად გვედება; არა უშავს, რომ საკმაოდ ცივი ქარი ჰქრის, ზეცაში ყომრალი ღრუბ-ლები ბორგავენ, იხლართებიან და სადღაც გარბიან, ერთმანეთს უსწრებენ... მერე ღრუბლის ჩრდი-ლი დაგვეცემა და მოგვბუზავს... გამოერევა სულ უმზეო დღეც: დილიდანვე ბურუსით ჩანაცრდება ყველაფერი (მეათე სართულიდან გავცქერი); შუადღისას კი საოცნებო იერი აქვს გარემოს – შორე-ულ სივრცეში ლურჯად ითქვიფება იაღლუჯის ფერდობები... ცივა, სრული უქარობაა და ჩემი სახ-ლის წინ გარინდებული ფიჭვები ჩაფიქრებულან რაღაცის მოლოდინში... თუმცა ყველაფერი, ყველა-ფერი მოლოდინით არის გატრუნული.

25 მარტს კი უცებ დაცხა!

ბეღურები ჭყუმპალაობენ ეზოს ონკანთან გაჩენილ გუბეში – აფართქუნებენ ფრთებს, მხიარუ-ლად ჟივჟივებენ, ირგვლივ გაფრქვეულ შხეფებში ცისარტყელად ბრიალებს მზის სხივები.

ბავშვები ჟრიამულობენ ეზოში, ბიჭები დასდევენ ერთმანეთს, გოგონები კლასობანას თამაშობენ; კაცებიც ვერ ჩერდებიან შინ, გაყინულ ბინებში, საღამოს ეზოში კოცონს აჩაღებენ და გარშემო შე-მოერტყმიან – სწორედ ამ დროს ხშირად გამოირთვება ხოლმე ელექტროდენი და ამჯობინებენ, კო-ცონს მიეფიცხონ...

უკვე ღამურებიც გამოჩნდნენ, ხაზავენ საღამოს ჩამუქებულ სივრცეს; ადიდდა მტკვარი, აიმღვრა ტალახისფრად; მის მბორგავ ზედაპირზე ათასგვარი მოტივტივე ნაგავი ათამაშებულა...

ნაკვეთს მივაკითხეთ ლოჭინში: ყვითლად აყვავებულა შინდი, გრძელი "საყურეები" ჩამოუშვია თხილს... ქალაქშიც ნახავ აყვავებულ ხეებს – თელას, ვერხვს... მტკვრის პირას წნორებს ტოტები გამწვანებიათ; მეტროში ქალიშვილების ხელში ყვითლად ბრიალებს ნარგიზი...

არც ახლა დაიჯერებ, რომ გაზაფხული მობრძანდა?

1993

აპრილი თბილისში, 1993

ძალიან, ძალიან დააგვიანდა გაზაფხულს და მაინც ვეღირსეთ – აპრილი პატარძალივით მორ-თული გვეწვია: ამოხეთქა მწვანედ ბალახმა, იფეთქა თეთრად და მოვარდისფროდ ნუშმა და ტყე-მალმა, ატამმა და ალუბალმა... მერე – ბალმა, ვაშლმა, კომშმა და სხვებმა... აირივნენ საღამოს ცა-ში ღამურები, დასდევენ მომრავლებულ მწერებს, მოგვიანებით გამოჩნდნენ მერცხლებიც – ისინი მაღლა-მაღლა დასრიალებენ ცის სილურჯეში.

გუშინ, აღდგომა დღეს, მე და ლია წავედით სასაფლაოზე, მაგრამ იძულებული გავხდით, შუა გზიდან უკან გამოვბრუნებულიყავით: ცივი, ცივი, ძლიერი ქარია და წვიმაც წამოუშენს ხოლმე – მისი წვეთები ნემსებივით გვჩხვლეტენ სახეზე; ლიას ქოლგა ქარმა დაუჭმუჭნა და დააკეცინა, ფე-ხებიც დაგვისველდა... ნაცრისფერი ცა ალაგ-ალაგ მოქუფრულია, ხან დასცხებს წვიმა, ხან – შე-ნელდება და სწორედ ერთ-ერთი ვითომ გამოდარების დროს სასაფლაოსკენ გზა განვაგრძეთ გამო-დარების იმედით. კიდევ კარგი, დროზე გამოვბრუნდით, შინ დავბრუნდით, სველი ტანსაცმელი გამო-ვიცვალეთ, ცხელი ჩაი მივირთვით და ფეხებიც დავითბილეთ...

ხეები არ ჩქარობენ მწვანედ შემოსვას – შუა აპრილია და დღისით მხოლოდ 8 გრადუსი სითბოა ცელსიუსით.

მეორე დღეს გამოიდარა, ოღონდ ქარის ჩადგომას არაფერი ეშველა. ბედურები მაინც მხიარულად ჭყუმპალაობენ გუბეებში.

მტკვარი ადიდებულია და გადარეული მოაქანებს ზვირთებს; აგორებულ ტალღებში უზარმაზარი ხის ტანები ხან იფარებიან წყლით, ხან ისევ ამოტივტივდებიან – რატომღაც ნაპირისკენ უწევთ გული დიდ ხეებს, ალბათ, საიდანაც მოთხარა და მოიტაცა მოვარდნილმა წყალმა, ისევ იქ უნდათ დაბრუნება... ერთ დღეში ხელმრჯვე დამჭერი რამდენიმე წლის სამყოფ შეშის მარაგს მოაგროვებს სულ იოლად.

ქვეყანაც ბორგავს, სულგამწარებული და აფორიაქებულია უწინდებურად. ისევ შიმშილის შავი აჩრდილი, არეულობა, სროლა, მკვლელობა და ძარცვა-ყაჩაღობა, ძალადობა და ძალმომრეობა ყოველ ნაბიჯზე.

საკუთარი ფულის მსგავსი რაღაც მაინც გაგვიჩნდა – საქართველოში კუპონები შემოიღეს და ოთხი თვის შემდეგ პირველად მივიღეთ ხელფასი, ცოტა ამოვისუნთქეთ და წელში ასე თუ ისე გავიმართეთ.

ერთი პატარა ტკივილიან-ღიმილიანი ჩანახატით დავამთავრებ (თითქმის ნატურიდან ჩავიწერე 29 აპრილს):

ერთი კილოგრამი კომბოსტო ვიყიდე – ერთი მომცრო თავი, აგრეთვე 100 მანეთად ერთი პატარა ჭარხალი, 120 კუპონად – ერთი კილოგრამი კარტოფილი, 100 კუპონად – ნახევარი კილოგრამი სტაფილო, ხუთ თუმნად – ცოტა მწვანილი და გავაკეთე უხორცო ტყუილი ბორშჩი... (ზოგან იღებენ კუპონებს, ზოგან – არა).

მკითხავთ:

– 570 მანეთად ტყუილი შეჭამანდი გაგიკეთებია, არ გრცხვენია?

– რატომ უნდა მრცხვენოდეს? ყველგან და ყველაფერში ტყუილია: გაზეთებში – სიცრუეა, ტელევიზორში – მეოთხედი სიმართლე... ტყუილი ფული, ტყუილი პარლამენტი, ტყუილი მთავრობა... იმათ არ რცხვენიათ და მე რატომ უნდა მრცხვენოდეს?

ეჰ, იქნებ ნელ-ნელა ამინდის ჭირვეულობა შეწყდეს და ჩვენს გულებშიც ცოტა მაინც დათბეს...

1993

მაისი თბილისში, 1993

რა უღიმღამო მაისია წელს თბილისში!

მაისი და უღიმღამო?

ჯერ ამინდს არ იკითხავ? თითქოს მარტი იდგეს და არა მაისის დასაწყისი – არ დაადგა საშველი დათბობას... წვიმა და ქარი, ქარი და წვიმა; ხანდახან მზეც გაგვიცინებს ვითომ, მაგრამ ვერა და ვერ გავთბით. მხოლოდ პიჯაკით ქუჩაში გასვლას ჯერაც ვერიდები – ცივა!

ხეები გაიფოთლა, ბალახები გაგიჟდნენ ამდენი ნალექისგან. ბოლოკურა, ბაბუაწვერა ყოველ მიგდებულ მიწის ნაგლეჯზე ყვითლად აჭყეტენ თვალებს, მინდორ-ველებზე ყაყაჩოები აბრიალებულა, ჩვეულებრივ ხრიოკი ხევები და გორაკები ზურმუხტისფრად კრიალებს...

მერცხლები თვალგასახარად დასრიალებენ: მაღლა ცაში, უფრო კი – მიწის ზედაპირთან; კიდევ კარგი, მათ მაინც უხარიათ...

ბუნება თუ ადრე თუ გვიან მაინც თავისას გაიტანს, საზოგადოება უკან-უკან მიდის... ადამიანები სულ უფრო მოღუშულები ხდებიან. გაუთავებელი ომი აფხაზეთში, ძარცვა-ყაჩაღობა ყველგან, ყველა კუთხეში განუკითხაობა, საყოველთაო უკიდურესი ეკონომიკური გაჩანაგება, უმუშევრობის აჩრდილი, კატასტროფული ინფლაცია... ერთი წლის წინ რომ ვინმეს ეთქვა, ერთი ცალი კვერცხი 50 მანეთი თუ კუპონი ეღირებაო, ყველი – 2500-2800, შაქარი – 500-550 – ფანტაზიად ჩავთვლიდით. ვინ წარმოიდგენდა, რომ სოფელში ნათესავ-ახლობლის დასაფლავებაზე წასვლა პრობლემად გადაიქცეოდა, უბრალო შარვლის ან ფეხსაცმლის ყიდვა კი ოცნების მიღმა დარჩებოდა? უბედურება ისაა, რომ ჩიხიდან გამოსავალი არ ჩანს; ვისაც შესაძლებლობა აქვს, გარბის საქართველოდან, განსაკუთრებით – ახალგაზრდები.

ხალხი მიაწყდა ბაღ-ნაკვეთებს – ცდილობენ, საკუთარი ხილ-ბოსტნეული მაინც მოიყვანონ... აბა, რას იზამ, თუ კონა თვის ბოლოკი 100 კუპონი ღირს!

... მაისის დამლევს ერთი 250-გრამიანი თურქული მარგარინის ნაჭერი 250 მანეთი გახდა! კუპონებზე არ ჰყიდიან ბევრ სხვა რამესაც: ბენზინს (ლიტრი – 240 მანეთი), ტკბილეულობას, ბურღულს და სხვას. ჯიხურებზე მომრავლდა წარწერები: “ვიყიდი რუსულ მანეთს კუპონებზე – 1000 : 1500”.

... ცეცხლი შეწყდა აფხაზეთში. "უცნაური ომი" უცნაურადვე ვითომ დასრულდა. საეჭვოა, რომ ქართველთათვის სასარგებლო შედეგი ექნეს, აქამდე სულ ცხვირ-პირში ნაცემ-ნაგვემნი ვიყავით და ახლა ვითომ რატომ იქნება გამონაკლისი?

მადლობა ღმერთს, მაისის მიწურულს ამინდი გამოკეთდა, ქარიც ეგრე რიგად აღარ გვაწუხებს. ხილი გამოჩნდა გასაყიდად: ბალი, ალუჩა, აგრეთვე – ხენდრო და ახალი კარტოფილი. ფასებს აღარ ვკითხულობ (მწვანილსაც ვეღარ ვყიდულობ), მხოლოდ მზერით ვტკბები. თუნდაც მხოლოდ თვალმა გაიხაროს, მაინც კარგია!

1993

ივნისი თბილისში, 1993

მიყვარს ზაფხული!

გულის ფანცქალით ველი ზაფხულის დადგომას!

რატომ მიყვარს? სითბოს, სილამაზის, სისავსის ანუ ფერ-ხორცისა და სიკეთის გამო... მართალია, ზოგჯერ შეგვაწუხებს ხოლმე სიცხე, ხანდახან მოვითენთებით კიდეც, მოვეშვებით და თითქოს მედუზებს დავემგვანებით (შინაგანად, რასაკვირველია), მაგრამ, სამაგიეროდ, ამ დროს აქვს გემო ნაყინს, ცივ ლუდსა და გაზიან წყლებს; შემოდის კიტრი და პომიდორი (ხახვით, მწვანილით, ბულგარული წიწაკით, მარილითა და ძმრით შეკმაზული სალათა არ გიყვართ?); მრავლდება ჭიაღუა თუ მწერები, ნადირ-ფრინველი და სხვა და სხვა; ყვავილობს მცენარეულობა, ივსება ხორცით ნაყოფი, შემოდის ალუბალი და ბალი, მწიფს თუთა და ალუჩა; მზე ყოველს დაჰხარის ადრე დილიდან გვიან საღამომდე, გრძელთაგრძელი დღე შრომობს და სხვების შრომა ახალისებს, ყველას დაუფასებს გარჯას – სამართლიანია და გულუხვი, მაგრამ მცონარისა და სხვისი ხელის შემყურეს არას მიართმევს გასახარელს. თუმცა...

გასულ სამშაბათს დილიდანვე არ ჩანდა დაწყობილი ამინდის საქმე: შერეკილი ქარი, მუქი ღრუბლების ბორგვა; მზეც ვერ იყო ხასიათზე და დროდადრო თუ გამოიჭყიტავდა მცირე ხნით, მაგრამ ისე მწველად, რომ გული ცუდს გიაზრებდა...

მართლაც, შუადღეზე ქარმა სულ მთლად აიშვა თავი და მძლავრად, ავის მომასწავებლად დაჭქროლა, ხეები საზარლად ააშრიალა, მიწიდან მტვერი და ნაგავი აიტაცა; ჩამობნელდა, ზათქით გაირღვა ზეცა და გუგუნით ჩამოსკდა ნიაღვარი... წამში ჩამუქდა დასველებული გარემო, ელვა და ჭექა-ქუხილი, – ორი, ხუთი, ათი, – ერთად დაჯირითობდა და უცებ თავსხმის შიშინ-შრიალში გამოერია ხრიალის სულ უფრო მომძლავრებული ხმა: სეტყვის მსხვილი მარცვლები აწკარუნდნენ ფანჯარათა რაფებზე, თეთრად მოიქარგა მიწა...

ალბათ თითქმის ყველგან შეწყდა მუშაობა – მთელი ქალაქი ფანჯრებთან იდგა და სიხარულით და აღტაცებით, – ამავე დროს, სადღაც რიდითა და მოწიწებითაც, იქნებ შიშითაც კი! – ჩაფიქრებული უყურებდა სტიქიონის ბობოქრობას...

მეც ასევე ვუცქერი იშვიათ სანახაობას და წარმოვიდგენ, რომ ცელქი ბავშვები გამორბიან თავსხმაში, მუჭში აგროვებენ ცივ მარცვლებს, უკანვე შევარდებიან შეფარებულში და მალულად პირში იდებენ ცით მოვლენილ საჩუქარს, უფრო პატარები კი, დამფრთხალნი, მიჰკვრიან დედის თბილ გვერდს და ყოველ გრუხუნზე თვალებს ხუჭავენ... მოხუცები მქრქალი, უღონო, ოდნავ ირონიული ღიმილით, გარინდებულნი, გასცქერიან სეტყვის უსირცხვილობას – "თეთრად კი მოსკდები, მაგრამ რამდენს გაუფუჭებ მოსავალს, შე პირშავო, შენა!".

უცებ გადაიკარა, განათდა, გუბეებში უკვე წვიმის მეჩხერი წვეთები იწინწკლება; ქარი შენელდა და მზის აბრეშუმა სხივები გაბრწყინდნენ სველ მანქანებზე, აირეკლნენ პირდაბანილ გარემოზე; ცინცხალმა ცისარტყელამ დააგვირგვინა მიდამოს ახლად დაბადების სურათი!

საღამოს, კარგა გვიან, უკვე დაბნელებულში, სეტყვა მოულოდნელად ისევ დაიცხრა ქალაქს; დაიცხრა კი არა – დატორა მბრდღვინავი, გაავებული დათვივით. ისე იხუვლა უცებ ზევიდან თეთრი საფანტის ნიაღვარმა, რომ რამდენიმე წუთში გაბმულ ხრიალში თუ ღრიალში მიწა ერთიანად გადათეთრდა. მძღოლები ფაციფუცით ქოქავდნენ მანქანებს და ხეებქვეშ შეჰყავდათ – იქნებ ფოთლებმა დაიცვას მანქანების სამზერი მინა ჩამსხვრევისგან და სახურავი დაჭეჭყვისგანო... გამოთიშეს თუ გამოითიშა ელექტროდენი; გაბმული გრუხუნი იდგა, ერთდროულად მრავალი და მრავალი ელვა ეხლართებოდა ერთმანეთს და აკაშკაშებდა გარემოს. სახლის წინ ფართო ქუჩაში მოედინებოდა და ტროტუარებს შორის ვერ ეტეოდა თეთრი მდინარე – სეტყვა ბარაქიანად უბრაგუნებდა სახურავებზე, სქლად მოეფინა აივნებს... რაღაც ჯერ არნახული გამძვინვარება, ბრმა ძალების გაავება დაატყდა თავს ქალაქს!..

და არა მარტო მას – შაბათს გავემგზავრეთ ლოჭინის საბაღე ნაკვეთში და შეშფოთებით ვათვალიერებდით გზადაგზა იავარქმნილ სავარგულებს: ზოგან სეტყვით ჩამოხლეჩილი კაკლის კარგა მოზრდილი რტოები ეკიდა ხეებზე, უკვე დამჭკნარი და გამუქებული... მივედით ჩვენს საბაღე ნაკვეთში და საცოდავი სანახაობა ვიხილეთ: გაუჭირდებოდა კაცს გაერჩია, სად პომიდორი იყო დარგული და სად – კომბოსტო; ტყემლის თითო-ოროლა მარცვალიღა იყო შერჩენილი ორივე ხეზე; სხვა, ჯერ უმწიფარი ხილიც გაფენილი იყო მიწაზე... (ივნისში დაისეტყვა ქართლი, კახეთი, დასავლეთ საქართველო, ზოგი ადგილი – რამდენჯერმე).

შემდეგ დღეებში დაცხა.

დილიდანვე გამოხუნებულია ზეცა, მზე აღარ ხუმრობს, უცებ გადაყვითლდა ბალახი – ზაფხული ნაღდად ძალაში შევიდა!

დაიხუთა ჰაერი და ღამეც კი არ გრილა, სუნთქვა ჭირს; საბნები მოვიცილეთ და მაინც მოთენთილები და მისავათებულნი ვართ.

თურქმენეთიდან გაზის მოწოდება შეწყდა, გაჭირდა ქარხნებში პურის შეუფერხებელი ცხობა; გუშინდლიდან გაორმაგდა პურის ფასი – კილოგრამი დაახლოებით 60 კუპონი გახდა და ოდნავ იკლო რიგებმა. წინა დღეებში პურის აღება ნამდვილ გმირობას უდრიდა – ისეთი ზედახორა იყო გამართული ხოლმე, რომ უპუროდ დარჩენას არჩევდა ჯკუათმყოფელი კაცი, ვიდრე იმ საშინელ ჭყლეტაში გარევას... ასეც მოვიქეცით-მეთქი, ვერ დავიკვეხნი და მაინც რამდენიმე დღე უპუროდ დავრჩით – არ გვერგო.

თვის ბოლოს – ქარიანი ამინდები, სიცხე; უსაშველო სიძვირე ბაზარში (კიტრი, პომიდორი, ბალი, ალუბალი, ალუჩა, საადრიო ატამი – დაახლოებით 2000 კუპონი ღირს კილოგრამი, ხენდრო – 4000-5000); პურის შოვნა ისევ პრობლემა გახდა, საათობით უნდა იდგე რიგში და როცა მოიტანენ, ისეთი ჯგლეთაა, რომ გიჯობს, მშიერი დარჩე, ვიდრე დაგასახიჩრონ...

ასეთია ამა წლის ივნისი თბილისში. ავტობუსები უმეტესად არ მოძრაობენ, ხშირად – არც ტროლეიბუსები; ხალხი ფეხით მიჩანჩალებს ან გადატვირთულ მეტროს ვაგონებში შეჭედილი იხუთება... ბენზინი 1 ლიტრი 800 მანეთი ღირს (ანუ 3200 კუპონი), მანქანები მაინც საკმაოდ ბევრია ქუჩაში, საოცარი არ არის?

როგორიღა იქნება ივლისი?

1993

ივლისი თბილისში, 1993

გადაიტრუსა ყველაფერი – გვალვაა!

დახუთული, ცხელი ჰაერი ჩაგუბდა ქალაქში – პაპანებაა!

მილასლასებ ქუჩაში (ტრანსპორტი, მეტროს გარდა, არ მუშაობს); წინათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაზიანი ცივი წყალი იყიდებოდა ნაირ-ნაირი ვაჟინის წვენით, ახლა ისე გაძვირდა ყველაფერი, რომ პირს ვერ დააკარებ... ნაყინი? 200, 300, 400 კუპონი ღირს ერთი ულუფა – თანაც სიდიდით ადრინდელის ნახევარი თუა...

მაინც ყველაზე უფრო ზაფხული მიყვარს, თუნდაც დროდადრო ძალიან ცხელოდეს. რა სჯობს, შინ რომ დატანტალებ ნიფხვის ამარა, გრძელი დღე ათას საქმეს მოგასწრებინებს. თუმცა ამ ბოლო დროს ჩვენს თვალწინ ისეთი ამბები ხდება, რომ დიდი ნებისყოფის დაძაბვა გჭირდება კაცს, რათა რაიმე საქმეს დაუდო გული... თუნდაც სამი დღის წინანდელი ამბავი: უკვე ღამდებოდა, როცა ქუჩიდან ავტომატის ჯერი მოისმა, რასაც დაერთო ყვირილი, ბავშვის ტირილი და ქალის კივილი... მივვარდით ფანჯარასთან (თან ვფრთხილობთ!) და რას ვხედავთ: რაღაც დიდი მანქანა (ბოდიში, ჩანართი: ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ ოთახში ტახტზე წამოწოლილი, – 1993 წლის 1 აგვისტოს საღამოს ხუთის ნახევარია, – ქუჩიდან მომესმა ავტომატის კაკანის ხმა, ოცზე მეტი გასროლა!)... დიახ, დავინახეთ "კამაზ"-ის ტიპის სატვირთო ავტომანქანა, მის გვერდით იდგა (მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს – იქ ცალმხრივი მოძრაობაა) "ჟიგულის" მარკის ღია ფერის მანქანა. ამ მანქანიდან ისევ გაუშვეს ავტომატის ჯერი ჰაერში სატვირთო მანქანის კაბინის მიმართულებით (საღამოს ბინდში – ცეცხლოვან წვიმასავით გამოჩნდა!); ძრავა აღრიალდა, "ჟიგული" ადგილიდან მოწყდა და ერთ წუთში გაქრა. ისმოდა დიდი მანქანის ძრავის მუშაობის ხმა და უკანა, დაცხრილული საბურავებიდან ქშუილით გამოსვლა ჰაერისა... მოგროვდა ხალხი, შეიქნა ყაყანი. გამოირკვა, რომ ავტომატიანებს სურდათ დიდი მანქანის წართმევა, მაგრამ მძღოლმა (რომელსაც კაბინაში ცოლი და ბავშვი უსხდნენ) არაფრით გაუშვა საჭეს ხელი, არ გადმოვიდა კაბინიდან. გაბრაზებულმა ყაჩაღებმა დასცხეს ავტომატის ჯერი მანქანის უკანა საბურავებს და წავიდნენ... კიდევ კარგი, ამჯერად უსისხლოდ გაეცალნენ, თორემ, ვინ იცის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო – ჩვენს დროში ხომ კაცის სი-

ცოცხლის ფასი კიტრადაც არ ღირს! აქ კი ბოდიში – ეგ ხატოვანი თქმა ალბათ სხვა, უკეთეს დროს არის შექმნილი: დღევანდელი ბაზრის ფასების შემხედვარე ამგვარად არ იტყოდა.

ივლისის დასაწყისში მეტ სიცხეს ველოდი და ნაკლებ ფასებს... კიტრის ფასით დავიწყოთ. "დეზერტირის" შედარებით "იაფი" ბაზრის ფასი ასეთია: მინდვრის კიტრი – 1500-2000 კუპონი ერთ კილოგრამში, "შუშა" კიტრი – 3000! წვრილი პომიდორი – 1000, კარგი – 2000, ძალიან კარგი – 3000; ატამი – 1000-2000, გარგარი – 2000-3000, ვაშლი – 1000; მსხალი – 2000, ბალი – 2000-3000, ალუბალი – 2000, სტაფილო, ჭარხალი, ახალი კარტოფილი – 2000, კომბოსტო – 1500... მოკლედ, 1000 კუპონზე ნაკლებად ვერაფერს იყიდი. წინათ მცირე შეძლების ხალხი ზაფხულში იოლად გადიოდა – იაფი იყო კიტრი, პომიდორი, კარტოფილი, მწვანე ლობიო, მწვანილი... ხილსაც იყიდდა შიგადაშიგ, დღეს კი? დაჭყლეტილ პომიდორსა და დაღრეცილ კიტრსაც კი გვერდს აუვლი – ფანტაზიური ფასებია! მწვანე ლობიოს სადილი რომ გააკეთო, მხოლოდ შესაკმაზ მწვანილში 500 კუპონი დაგეხარჯება!

შევეშვათ ამაზე საუბარს – ფასებზე ლაყბობა უნებურად პოლიტიკურ ელფერს იძენს! მაინც დავძენ, რომ აფხაზეთში დამყარებულ ვითომ-მშვიდობას მე ეჭვის თვალით ვუყურებ; საკმაოდ სკეპტიკურად ვარ განწყობილი დღეს საქართველოში არსებული რეჟიმის უნარზეც (არ ვიცი – სურვილი კი აქვს?) ქვეყნის მილიონი სატკივრიდან თუნდაც ერთს მოუაროს...

ჯობს, ისევ უწყინარ თემაზე ვისაუბრო...

თვის დასაწყისში გადავდიოდი დიღმის ხიდზე და შუა ხიდზე შევჩერდი, მტკვარს გავხედე – ვის არ უყვარს მოდუდუნე, მოუსვენარი მდინარების ცქერა; არ მომწყინდება მისი მარად ცვალებადი, ათინათებით აჭრელებულ-აფორაჯებული ზედაპირისთვის თვალის მიშტერება; წყალი მწვანეა, დაწმენდილი, – სულ მთლად დაწმენდილიც არ არის, რა თქმა უნდა.

ასე მიზოზინობს ივლისი და უცებ...

სასწაულია – წვიმა!

– ფი! – ახედავს მოქუფრულ ცას ვინმე, – სიცივე, სინესტე, დაბურუსებული სივრცე, ქარი...

აბა ერთი სხვასაც ჰკითხეთ, ვინც სასოებით ყოველ დილით შესცქეროდა ცის ტატნობს – ნეტავ ერთი საავდრო ღრუბელი გამოჩნდებოდესო... მოწყურებული მიწა დამსკდარა, სიმწვანე მომჩვარულა და ძლივს ფეთქავს, მაცოცხლებელ წყალს მონატრებული...

და უცებ – წვეთები იწყებენ თავიანთ სიმღერას სახლთა სახურავებზე, წკაპაწკუპს ხეთა ფოთლებზე... წკაპუნობენ მიწაზე, შრიალებენ ბალახებზე, ჭყაპუნობენ მსწრაფლ გაჩენილ გუბეებში...

აგრილდა, სუნთქვა აღარ გვიჭირს.

რამდენიმე დღე გაივლის და ისევ შედარებით გრილა – შუა ზაფხული არ იგრძნობა. ყოველდღე ქარია, სულ მალე გამოშრა მიწა. ისევ სიცხეები დაიჭირა, უფრო მაგრადაც დაცხა – 36 გრადუსამდე ცელსიუსით.

ნუთუ ისევ ავდარს ვინატრებთ? გვირგვინი ზაფხულისა – ივლისი – გავიდა.

ვნახოთ, რას იტყვის აგვისტო...

1993

აგვისტო თბილისში, 1993

ცხელი ზაფხული იწვის, დნება თვალდათვალ...

დღე შესამჩნევად მოკლდება.

წინა წლებისგან განსხვავებით, როცა თბილისი აგვისტოში თითქმის ცარიელდებოდა ხალხისგან, წელს წასვლა-წამოსვლის საშუალება თითქმის არავის აქვს. სანატორიუმს თუ დასასვენებელ სახლს ვინ ჩივის, მშობლიურ სოფელშიც ვერ წახვალ ჰაერის გამოსაცვლელად – გზის ხარჯი ხარჯად და სოფელში რით გინდა იკვებო? პური არსად ცხვება, სოფლელები დასტა-დასტად ჩამოდიან თბილისში, რაღაც მანქანებით ბლომად შოულობენ პურს და გატენილი ტომრებით ხალხით ასევე გატენილ მატარებლებს ეტენებიან... ჩემს ოჯახსაც უნდოდა ცოტა ხნით მაინც ტრადიციულად ბაკურიანში წასვლა, მაგრამ... იქ პურს ვერ იშოვი, სხვა რამეზეც ლაპარაკი ზედმეტია, გზაში ათასი ვიგინდარა და ყაჩაღი დაწანწალებს, ამიტომ შინ დარჩენა ვარჩიეთ.

ზაფხულის პირველი ნაწილი თუ ცივი გამოდგა, აგვისტოს დასაწყისში ასევე ხანგრძლივი გვალვა დაიჭირა. ხანდახან, ძალზე იშვიათად, მოიღრუბლებოდა ზეცა, ერთი-ორი წვეთიც ჩამოცურდებოდა მიწამდე – ეს იყო და ეს, ნახევარ საათში ვერც კი შეატყობდი, რომ ვითომ-წვიმა მოვიდა...

სხვა მხრივ – იგივეა ყველაფერი. აფხაზეთში თითქოს ომი შეწყდა, ქალაქ-სოფლად კი ძარცვა–გლეჯა, ყაჩაღობა და მკვლელობა იზრდება, სადამდე? ამერიკის საელჩოს თანამშრომელს რომ ასე

თავისუფლად და დაუსჯელად მოკლავენ, სხვაზე რა უნდა თქვა. აი, თუნდაც დღევანდელი პატარა ჩანახატი ჩემი სახლის წინ მომხდარი ამბისა...

ქუჩის შუაში გაჩერდა ახალგაზრდებით გატენილი ავტომანქანა "ჟიგული", იქიდან გადმოვიდა ერთი ავტომატიანი ყმაწვილი, რომელიც ჩემს მეზობელს, თავის ძმაკაცს, ხმამაღლა შეეხმიანა, შინ თუ ხარო.

– შინ ვარ, შინ! – ჩასძახა ამ უკანასკნელმა ზევიდან.

– მაშ ნახევარ საათში ამოგივლით! – ისევ იყვირა პირველმა, ავტომატი გამოიშვირა და იდიოტური ღიმილით ჰკითხა: – გესროლო?!.

შემდეგ "ხუმარა" მანქანაში ჩაჯდა და ძრავის ღრიალით ადგილს მოწყვეტილი მანქანა წინ გავარდა თოფნაკრავივით...

ფერისცვალების შემდეგ შიგადაშიგ წვიმები გამოერია, აღარაა ისეთი სულის შემხუთავი სიცხეები.

სიძვირის ზრდა კი გრძელდება. ბაზარში ვეღარაფერს იყიდი, უსაშველოდ გაძვირდა ყველაფერი. საზამთრო – 1300-1500 კუპონი, ვაშლი – 3000-4000-მდე, ხახვი – 3000 კუპონი კილოგრამი! კარტოფილი – 2000! პომიდორი – 1300-2000! იფ, რა კარგია! გაივლი-გამოივლი ბაზარში, თვალს წყალს დაალევინებ და ცარიელ-ტარიელი დაბრუნდები შინ. ჰო, ბარემ დავამატებ: შაქარი – 6000! მაკარონი, ვერმიშელი – 2500-3000! გაუმარჯოს!

გუშინ ვაზისუბნისკენ მიმავალ მოკლე გზა-ბილიკზე გავისეირნე და იქ, ნავენახარში და აწ კი უდაბურ ადგილებში, ალაგ-ალაგ რომ გაჭირვებულ ხალხს შემოუკავებია პატარ-პატარა ბაღჩებად, ჯგუფ-ჯგუფად თუ გუნდ-გუნდად მფრინავ ბეღურებზე... ორი ჯეელი ნადირობდა სანადირო თოფით! სულ მალე ალბათ დამშეული მოსახლეობა უპატრონო ძაღლებსაც დაერევა, ასე რომ მომრავლდნენ თბილისის ქუჩებში. შესაძლოა, იმ დროსაც მოვესწროთ, ნათესავს ან მეგობარს რომ თავმომწონებით დავპატიჟებთ: "მობრძანდი ჩემთან, ისეთ ძაღლის ბარკალს მოგართმევ მშრალად მოხარშულს, რომ თითებს ჩაიკვნეტ!" შეიძლება, მწარედ გაიცინოს კაცმა, ასე უშნოდ ხუმრობა სად გაგონილაო, მაგრამ იმას თუ წარმოვიდგენდით ერთი-ორი წლის წინ, რომ დადგებოდა დრო, როცა თვიური ხელფასით ათიოდე კვერცხს თუ იყიდდი ან რამდენიმე კილოგრამ პომიდორს?!.

აგვისტოს მიწურულს ისევ უსაშველოდ დაცხა; გამოერევა მცირე, ათ-თხუთმეტწუთიანი წვიმებიც, რომლის შემდეგაც ისევ უცებ იხუთება გარემო...

ასევე დახუთულია და გაურკვეველი საზოგადოდ რიგითი ადამიანის ცხოვრება – მათხოვრული ხელფასი, იმასაც, შესაძლოა, ყოველდღე გამოეთხოვო და მაშინ ხომ შიმშილით სული ამოგძვრება. უკვე კარგა ხანია, ვეღარ ვიძენთ ყველს, კარაქს, ზეთსაც კი. ან ვაჭრობით შეგიძლია იშოვო ბლომად ფული, ან ქურდობა-ყაჩაღობით, ან ფრიად საეჭვო ფინანსური ოპერაციებით... ხვალ 1 სექტემბერია, შემოდგომას ჩამოვართმევთ ხელს. წინათ რომ მეთქვა, ტრაფარეტულად ვიტყოდი: ბარაქიანი შემოდგომა მობრძანდაო, ახლა კი, როცა მეტროს სადგურ "ვარკეთილის" შესასვლელთან ჩამწკრივებულ გამყიდველების რიგს ჩავუვლი (რაღას აღარ ჰყიდიან: საზამთროს, ნესვს, ვაშლს, მსხალს, ქლიავს, ტყემალს, ლეღვს, პომიდორს, კარტოფილს, ხახვს, ნიორს, ბოსტნეულს, მწვანილეულობას...), სევდა მიპყრობს, რომ არ მაქვს საშუალება, ბავშვებისთვის თუნდაც ერთი კილოგრამი ხილი შევიძინო...

ვატყობ, გამეორება დავიწყე ადრე ნათქვამისა; როგორც ჩანს, აკვიატებულ, დამთრგუნავ სინამდვილეს ისე შეუკვეცია ჩვენი ფანტაზია, რომ სჯობს, შევწყვიტო წერა – ღმერთმა ჰქნას, სექტემბრის ამბებში თუ შთაბეჭდილებებში უფრო ხალისიანი ფერები დავინახო...

1993

სექტემბერი თბილისში, 1993

ესეც შემოდგომა...

დაგვემშვიდობნენ მერცხლები, გვესტუმრა გრილი საღამოები, ცივი, გულისგამაწვრილებელი წვიმები. დღე და ღამე გასწორდა, მდიდარი კიდევ უფრო გამდიდრდა ფინანსური კომბინაციებით, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა შიმშილის ზღვართანაა ან უკვე შიმშილობს. ბიჭებისთვის ფეხსაცმლის ყიდვა მხოლოდ სიზმარში თუ შემიძლია (თუმცა, რაღა ბიჭებია – კაცებია უკვე, №42 ზომის ფეხსაცმელი სჭირდებათ, ჩემზე ორი ნომრით დიდი), თუნდაც ყველაზე იაფფასიანისა – ერთ წყვილს ჩემი ერთი წლის ხელფასი თუ გასწვდება. ვეღარ ვყიდულობთ არა მარტო შაქარს, ბრინჯს, ყველს, ხორცს, არამედ პომიდორს, კარტოფილსა და ხახვსაც კი. დაჯექ და ლოღნე ცარიელი პური და ცხელი წყალი დააყოლე (ხშირად ესეც სანატრელია – ამას წინათ სამი დღე ზედიზედ ვერ ავი-

ღეთ პური, ისეთი ჯგლეთა და ხელჩართული ბრძოლა იყო მაღაზიასთან რიგში და შარშანდლიდან შემორჩენილი ვერმიშელით გავედით როგორღაც იოლას).

თეატრში, კინოში და კონცერტზე წასვლა მხოლოდ ტკბილი ოცნებაა; კიდევ კარგი, პოლიტიკური თეატრი ისეთ წარმოდგენებს გვთავაზობს, რომ შეგიძლია, დილიდან საღამომდე ტელევიზორის წინ იჯდე და არ მოგწყინდება: ომები, პარლამენტის სხდომები, გადატრიალება რუსეთში და რომელი ერთი ჩამოვთვალო. ასე თუ ისე რომ არ გქონდეს კუჭი ცარიელი და ჩასაცმელ-დასახურავზე არ ფიქრობდე, მშვენიერ დროს გაატარებდი.

დღეს 23 სექტემბერია, უკვე მესამე დღეა, წვიმს... წვიმს შემოდგომურად: გაბმით, წვრილად სცრის, ნაცრისფრად დაბურუსებულ გარემოზე მოწყენილობა განფენილა, სინესტე ძვალ-რბილში ატანს; ფიქრები წინ გარბიან – ახლა რომ დღისით 12-13 გრადუსია ცელსიუსით, მერე რაღა იქნება? სიცივეს კიდევ გაუძლებს კაცი, შიმშილი რომ ავად გვიკრეჭს კბილებს, იმას რაღა მოვუხერხოთ? ხორცი – 25000 კუპონი კილოგრამი, კარაქი – 35000, კარტოფილი – 2500-4000, პომიდორი – 2000-4000, ხახვი – 2000-5000, ვაშლი – 1500-5000, ბრინჯი – 6000, პურის ფქვილი – 6000... მგონი, საკმარისია. ხელფასი? 9000-20000 კუპონი, სასაცილოა ნამდვილად.

სასწავლებლებში სწავლა დაიწყო – უღიმღამოდ, ყოველგვარი სიხარულის და სასიამოვნო მოლოდინის გარეშე. იშვიათად თუ დაინახავ გაღიმებულ სახეს, გაიგონებ უდარდელ სიცილს...

რომ ფიქრობ, ამ მდგომარეობაზე ცუდი რაღა უნდა იყოსო, ზოგ-ზოგთა მცდელობით, უდარდელობითა თუ უუნარობით ნამდვილ საშინელებას გადავეყარეთ, თანაც მე ან სხვა ვინმე მხოლოდ კი არა – მთელი ერი... აფხაზეთში სამარცხვინოდ წაგებული ომი, ორი ასეული ათასი ქართველის გამოქცევა აფხაზეთიდან გენოციდის საფრთხის გამო, ვინ იცის, რამდენი ათასი ქართველის დაღუპვა, გადაბუგულ-გადამწვარი, იავარქმნილი ქალაქები და სოფლები – აი, საქართველოს ტრაგედიის მხოლოდ კონტურები. ოქტომბრისთვის კი უარესი გველის (ნუთუ უარესი შესაძლებელია?) – სამოქალაქო ომის გამძვინვარება...

ღმერთო, გვიშველე!

1993

ოქტომბერი თბილისში, 1993

აჰა, გაგვიფრინდა ოქტომბერიც – ყველაზე ლამაზი და სასიამოვნო თვე თბილისში! ახლა მოვიგონებ მის მსვლელობას, რიცხვების მიხედვით რაც ჩავინიშნე...

8 ოქტომბერი. ოქტომბერი თბილისში ყველაზე კარგ, "გემრიელ" თვედ ითვლება, მაგრამ, როგორც სხვა ყველაფერი, ეს თვეც ალბათ იმედს გაგვიცრუებს... წვიმა, სიცივე; მთებში – ადრეული თოვლი... აფხაზეთიდან კოდორის ხეობით და შემდეგ უღელტეხილით სვანეთში, ჭუბერში ფეხით გადმოსული გატანჯული ლტოლვილნი; 80-კილომეტრიან გზაზე გამოსავათებული ავადმყოფი, ნორჩი ასაკის და ხნიერი მრავალი ადამიანის დაღუპვა სიცივისა და შიმშილისგან... პოლიტიკური დაპირისპირების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის მცდელობები და სამოქალაქო ომის კოცონის აგიზგიზებას თითქმის აღარაფერი უკლია.

11 ოქტომბერი. უკვე ზედიზედ რამდენიმე დღეა – თბილა, მზე დატკბა, არც ქარი გვაწუხებს... გვაწუხებს ქვეყნის მომავალი, განსაკუთრებით – ეკონომიკის მდგომარეობა. სრული კატასტროფისკენ მივექანებით, აღვირახსნილი ინფლაცია ისე მიჭენაობს, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უკვე შიმშილობს. ტრანსპორტიც მოშლილია, ქალაქელები მხოლოდ მეტროს იმედად ვართ – შიგ კი ისეთი ჭყლეტა-ჯგლეთაა ხალხისა, რომ ენით აუწერელი. ხშირია მათხოვრები, მათ შორის – ბავშვებიც; არცთუ იშვიათად ადამიანებს ქუჩაში გული უღონდებათ – შიმშილისგან. ბაზარში, როგორც წინათ, ყველაფერია – რა გინდა, სულო და გულო, შენ მხოლოდ ფული თქვი! უსაშველო სიძვირეა, მწვანილიც კი ვერ გვიყიდია. აბა, რა იქნება, როცა 1 ლიტრი ბენზინი 11000 კუპონი ან 700 რუსული მანეთი ღირს! ჩემი ერთი თვის ხელფასით 2 (ორ!) ლიტრ ბენზინსაც ვერ ვიყიდი!

18 ოქტომბერი. ო, რა ლამაზად შეფერადდა გორაკები თბილისის გარშემო! თვით ქალაქშიც ხეებუჩქნარი შემოდგომურად მოირთო – ყვითელი, ნარინჯისფერი, მოწითალო კაბებით... იწყება ფოთოლცვენა – ნაზად, უხმაუროდ, სევდიანად განიძარცვებიან მცენარეები და ზამთრის ცივ დღეებს გაშიშვლებულნი ხვდებიან.

21 ოქტომბერი. გუშინწინ დილიდან ქარი ქროდა – გაყვითლებული ფოთლები მოეფინა ეზოებსა და ქუჩებს. გუშინ სიწყნარე იყო და ნისლი, ჯანღი, ბურუსი (როგორც გენებოთ, ისე უწოდეთ) – სიცივე და წვრილი, გაცრილივით წვიმა. დღეს ისევ ქარია.

27 ოქტომბერი. თანდათან აცივდა. წინა დღეებში ქარის შემდეგ მზიანი, თბილი დღეები დაიჭირა – 23-25 გრადუსამდე; მართალია, ღამით საკმაოდ გრილა უკვე – 9-10 გრადუსია. დღეს კი ისევ ქარი

დათარეშობს ქალაქში. ფასებმა ასტრონომიულ ციფრებს მიაღწია: ლობიო – 20000 კუპონი კილოგრამი, კარტოფილი – 10000-15000, ღორის ხორცი – 90000 კუპონი! ერთი კოლოფი ასანთი – 300 კუპონი!

28 ოქტომბერი. ქარო, ქარო, შენ რა გითხარო! რა მწვავე ხარ, გამთოშავი, განსაკუთრებით თუ დილის ექვს საათზე უკვე პურის რიგში დგახარ ქუჩაში! (რვის ნახევარზე პური გათავდა და ბლომად ხალხი უპუროდ დარჩა, მათ შორის მეც). წინა წლებში ამ დროს ტევა არ ჰქონდა აივანზე დადგმულ კარადებში მურაბებს, კომპოტებს, ტყემლის საწებელას, მჟავეებს, ხილფაფებს, კონსერვებს... ლურსმანზე ჩამოკიდებულ მუცელგაბერილ ბადურებში ბლომად იყო საზამთროდ მომარაგებული ხახვი და ნიორი, წელს კი – უკაცრავად! ხილს საჭმელადაც ვეღარ ვყიდულობთ, არამცთუ საკომპოტედ თუ სამურაბედ, შაქარი კი ისე ძვირია, რომ თვიური ხელფასით ორი კილოგრამი მოგვივა. ვეღარც კარტოფილს ვიმარაგებთ ზამთრისთვის, ვეღარც – კომბოსტოს, სტაფილოს, ჭარხალს... რამდენიმე კილოგრამი წვრილი, სათესლე ხახვის ყიდვა მოვასწარით – ეგ იყო და ეგ...

მაინც კარგი თვეა ოქტომბერი თბილისში – თბილიც, ბარაქიანიც, ხალისიანიც... წელს სითბოს მხრივ თითქოს არა უშავდა რა, ბარაქასა და სიხალისეზე კი – რა მოგახსენოთ... ზაფხულში მოსულმა სეტყვამ თავისი სიტყვა თქვა, სხვა სეტყვაც არ დაგვკლებია – ომი, გაუთავებელი ომი გახურდა, უაზრო და გაუგებარი უბრალო ხალხისთვის. ღამღამობით, ხშირად კი – დღისითაც, ქალაქში ისმის სროლის ხმა; ზოგიერთები უკვე ისე მიეჩვივნენ ამას, რომ ხმით არჩევენ: ეს ავტომატი კაკანებს, ეს კი – პისტოლეტით ისვრიანო...

თვის ბოლო დღეებში ნამდვილი ზამთრის სიცივეებია, ქარი ავად სისინებს ფანჯრებს მიღმა და ყოველგვარ ხალისს და სურვილს გიკარგავს ქუჩაში გასვლისა...

1993

ნოემბერი თბილისში, 1993

ამ სტრიქონებს ვწერ ნოემბრის მიწურულს, შინ – ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, პირველი მიკრორაიონის ერთი თხუთმეტსართულიანი სახლის X სართულის ბინაში – ლოგინში, თბილად ჩაცმული და კიდევ – საბანგადაფარებულიც, რადგან დღის სამის ნახევარზე გარეთ სამი გრადუსი სითბოა, ოთახში კი ექვსი გრადუსი! რომ არ გავითოშო, დროდადრო წამოვხტები ხოლმე და ხელფეხს ვიქნევ გასახურებლად. ეზოში თოვლი დევს, მხოლოდ ახლახანს შეწყდა თოვა. დენი დილით ჩართეს მხოლოდ ნახევარი საათით, ჩაის ადუღებაც კი ვერ მოვასწარით, წყალი კი ერთი წვეთიც არ გაიმეტა ვიღაც გველეშაპმა... ვართ მშივრები, გაყინულები; კიდევ კარგი, სისხამ დილით ბატონმა ბესარიონმა (ჩემმა უფროსმა ვაჟმა) უბედურ ჭეჭყვა-ჯგლეთაში მოახერხა პურის ყიდვა, თორემ არ ვიცი, რა გვეშველებოდა...

ახლა კი ამ თვის ჩანაწერებს მივყვები.

1 ნოემბერი. ფოთოლცვენა.

ალვები – ყვითელი სანთლები.

ალაგ-ალაგ ამოდის მწვანე ბალახი. ხან – ქარია, წვიმა, სიცივე მატულობს, ხან – დათბება, მზე დატკბება, მერე ისევ დაიმალება ღრუბლებში, – გაირინდება, გაყუჩდება ბუნება... ღრუბლიანი დღეა, მაგრამ ჰაერი არ იძვრის, გარემო სევდიან ფიქრებშია ჩაძირული, ხალხიც ჩაფიქრებული დადის, მიწას ჩაშტერებული...

გამოჩნდა გასაყიდად მანდარინი, ხურმა – ცეცხლის ფასად. ახლა, ბატონო, მემატიანისთვის აღვნიშნოთ სხვადასხვა საქონლის ფასი მეტროს სადგურ "ვარკეთილთან" სახელდახელოდ გამართულ ბაზრობაზე: კარტოფილი, პომიდორი, მსხალი – 10000 კუპონი კილოგრამი; ნიორი, ლობიო – 1000 მანეთი ანუ 25000 კუპონი! ერთი თვის ხელფასი!

კალენდრით გვიანი შემოდგომა დაიწყო, ფაქტიურად კი – დაზამთრდა, ღამით ტემპერატურა 0 გრადუსს მიუახლოვდა.

4 ნოემბერი. ცივა, ნესტიანი სიცივეა, ვიყინებით სამსახურშიც და შინაც. გათბობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხალხი საათობით დგას პურის რიგებში, ამასთანავე, ყველა მაღაზიაში ხალხს გარეთ, ქუჩაში აყურყუტებენ, შიგ არ უშვებენ. დილით თუ 4-5 საათზე არ დაიკავე რიგში ადგილი, ადვილი შესაძლებელია, რომ პური არ შეგხვდეს. ვაი, ინვალიდებისა და მოხუცების ბრალი, ისეთი ჭიდაობა იმართება...

12 ნოემბერი. მთელი კვირა გული გაგვიწვრილა შემოდგომურა წვიმამ – სცრიდა და სცრიდა გაუთავებლად, ცივმა სინესტემ გაუღინთა ყველაფერი... ამ დილით კი – არემარე გადათეთრებული დაგვხვდა! დღისითაც თოვდა შეუჩერებლად, მსხვილ-მსხვილი ფანტელები თამაშობდნენ ჰაერში აღმა-დაღმა, თუმცა მუქ მიწაზე დაცემისთანავე დნებოდნენ. ქარი არ ჰქრის, ეგ ერთი შეღავათია,

თორემ საკმაოდ დაბალი ტემპერატურაა – პლუს 1 გრადუსი ცელსიუსით. თუ ღამეც ითოვა, შაბათ დილას ბავშვებს კარგი გასართობი ელით – გუნდაობა, ციგაობა! დიდებს კი – ყინვაში პურის რიგში საათობით დგომა (16 რიცხვიდან პური ათჯერ (!) ძვირდება), გათოშილი ბინა... გათბობა არ არის და დენსაც ხშირ-ხშირად გამოთიშავენ ხოლმე – 11 ნოემბერს შუადღეს მეტროპოლიტენსაც კი შეუწყდა ელექტროკვება, თავისუფლების მოედნიდან სახლამდე – ვარკეთილი-3-ის დასახლებამდე – სამი საათი ფეხით მოვჩანჩალებდი, ლიას კი კიდევ უფრო შორიდან – მეტროს სადგურ "რუსთაველიდან" მოუწია სახლამდე გამოსეირნება... დენი მხოლოდ ღამის პირველ საათზე ჩაურთავთ, როცა ჩვენ ყველას უკვე კარგა ხანია, გვეძინა – ადრიანად, ცხრა საათზე შევძვერით ცივ ლოგინებში.

19 ნოემბერი. ერთი კვირა გავიდა და თოვლი ზოგან ახლაც დევს. აქამდე ქარი მაინც არ იყო, ღამე კი ისეთი ყმუილი და სისინი დაიწყო, შინიდან გასვლა ნამდვილად გვესიკვდილებოდა. მონატრებული მზე კი გამოჩნდა – ჩახჩახებს. პურის შოვნა პრობლემა გახდა – ათმაგად გაძვირების მიუხედავად, უარესი რიგებია, პური კი ბევრად ნაკლები მოაქვთ – რა თქმა უნდა, კომერციულ ფასებში მოვაჭრე მაღაზიებში მიაცუნცულებენ, სადაც ფასი კიდევ ათჯერ მეტია (ესე იგი, უკვე ასჯერ და მეტად გაძვირდა – 9400 კუპონი კილოგრამი!).

ქუჩაში კაცს პური მიჰქონდა და ვიღაც ქალმა უთხრა:

– ბედნიერი ხართ, ბატონო, პური გიშოვიათ...

კაცმა უპასუხა:

– ნუ გშურთ, ქალბატონო, კომერციულ მაღაზიაშია ნაყიდი!

1 რუსულ მანეთში იძლევიან 37 კუპონს, თვის დასაწყისში კი 25-ს იძლეოდნენ.

23 ნოემბერი. დოღია, ბატონებო, ფასების დოღი!.. რამდენიმე დღეში თუ არა, ერთ კვირაში მაინც ფასები ძირითად პროდუქტებზე ორმაგდება, ჩვენი საწყალი ხელფასები კი სადღაც უკან ძლივს მოჩანჩალებენ... ერთი თვის ხელფასით შეგიძლია იყიდო: 3-4 კილოგრამი კომში ან 1-2 კილოგრამი ვაშლი, ან 1,5 კილოგრამი შაქარი, ან ნახევარი კილოგრამი ხორცი, ან რამდენიმე კვერცხი, ან 2 ლიტრი ბენზინი...

ამინდისა კი რა მოგახსენოთ – საკმაოდ ცივა, მზე არ ჩანს მთელი დღე, თუმც არც წვიმს. მინდოდა, ნაკვეთში წამემუშავებინა ცოტ-ცოტა, მაგრამ დენის ძაბვის უკმარისობის გამო კახეთის მიმართულებით დილის ოთხივე მატარებელი დროებით მოხსნილია. ბინებში ცხელი წყალი და გათბობა არ გაჭაჭანებულა და იძულებული ვართ, ელექტროღუმელები ჩავრთოთ. პურზე უზარმაზარი რიგებია, ბარათების შემოღებას კი არავინ ჩქარობს...

28 ნოემბერი. ნაღდი ზამთარი დადგა, ყოველგვარი შეღავათის გარეშე – თოვლითა და სიცივით. ბინებში ვიყინებით, დენი არ არის თითქმის მთელი დღე (დღეს დილით ერთი საათით ჩართეს მხოლოდ, ჩაის ადუღებაც ვერ მოვასწარით).

შემოდგომის ბოლო თვე ზამთარზე უარესი გამოდგა, რამდენიმე დღეში კი დეკემბერიც გვესტუმრება და მაშინ რაღა მოგველის?

1993

დეკემბერი თბილისში, 1993

მოჩანჩალდა დეკემბერიც... მისგან რას უნდა მოელოდე? რას და – ყინვას, მაგრამ ამინდებით ნოემბერს კი აჯობა! მართალია, ცოტ-ცოტა თოვლიც იყო, სიცივეც, მაგრამ შუა დეკემბერი მზიანი გამოდგა; არც მთლად დაცხა, რაღა თქმა უნდა, დილდილაობით ცოტას ჰყინავდა კიდეც... უბედურება ისაა, რომ გათბობა არ გვაქვს, ელექტროდენს ხშირად გვითიშავენ და უბრალო კერძსაც ვერ ვამზადებთ (მეც მომწყინდა ერთისა და იმავეზე წუწუნი, მაგრამ განა ჩემი ბრალია?). პურის პრობლემა თითქოს მოგვარდა, ტალონები დაგვირიგეს, მაგრამ საწვალებლად მაინც გვაქვს საქმე – დროულად არ მოაქვთ, უხარისხოცაა, თან სულზე 300 გრამი ბავშვსაც კი არ ჰყოფნის... მე შენ გეტყვი, სხვა საჭმელი გვაქვს თავზე საყრელი – ადრე ხომ სიძვირე იყო და ახლა კი, დეკემბერში, ზღაპრულ სიმაღლეებს მიაღწია! ნელ-ნელა ყველაფერი მიუწვდომელი გახდა ჩვენთვის: ჯერ – ხორცი და კარაქი, შემდეგ – მარგარინი და კარტოფილი, ხილი და მწვანილიც კი; ახლა პურის რიგიც დადგა... კარგადაა ჩვენი საქმე! არადა, არსებობს ისეთი ხალხიც, რომლებიც აქ ხომ უცხოური ახალი ავტომობილებით დაგრიალებენ, საზღვარგარეთ აგარაკებიც აქვთ შეძენილი!

დეკემბრის მიწურულს თუ შეიცვალა რამე?

ერთ კვირაზე მეტია – თბილა, მზეც ხშირ-ხშირად გვახარებს, ზოგჯერ კი მთელი დღე კაშკაშებს! გადავაგორეთ ყველაზე გრძელი ღამე, მაგრამ წინ რა გველის – ფრიად სქელი ბურუსითაა მოცული... პესიმისტურად ვარ განწყობილი, ისევე, როგორც თითქმის ყველა ჩემი ნაცნობი, ვისაც

კი ვესაუბრე. გაგონილა, რომ მაღალკვალიფიციურ, დიდი სტაჟის მქონე ინჟინერს, ექიმს, პედაგოგს თვეში 1 დოლარს აძლევდე ხელფასს? მე მგონი, მსოფლიოში ამ მაჩვენებლით ბოლო ადგილს არც ერთ ქვეყანას არ დავუთმობთ... ერთი თვის ხელფასით მხოლოდ ორ-სამ კილო კარტოფილს რომ იყიდი, მეტი რაღა უნდა თქვა! ჩვენთვის მოისპო გაზეთის ყიდვა (წიგნზე აღარაფერს ვამბობ), ტელევიზია (გვიან ღამით თუ ჩაგვირთავენ დენს, მადლობელი უნდა ვიყოთ; გუშინ, მაგალითად, ღამის თერთმეტ საათზე მოვიდა დენი და ოცი წუთის შემდეგ გამორთეს!.. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, დღის 12 საათია და აქამდე უდენოდ ვართ); მთავარი უბედურება კი ისაა, რომ სრულებით არავითარი ნიშანი არ ჩანს მდგომარეობის ოდნავი გაუმჯობესებისაც კი... წარმოება ჩამკვდარია, კიდევ როგორ ვსულდგმულობთ, საკვირველია...

ახალი წელი მობრძანდება, როგორ შეიძლება, გულგატეხილობით დავამთავრო ამ ძნელი წლის ჩანაწერები, მაგრამ რა ვქნა; ღმერთმა ჰქნას, რომ არ გამართლდეს ჩემი პესიმიზმი, ამინ.

1993

იანვარი, 1994

1 იანვარი, ახალი წელი – გაუმარჯოს დროის ჯირითს, იქნებ ამ წელს მაინც რაღაც ნათელი სხივი გამოკრთეს...

ღამის 12 საათზე ისეთი ბათქაბუთქი ატყდა, რომ დიდი ომის გენერალური ბრძოლა ეგონებოდა კაცს – ფანჯარასთან მისვლა ცოტა არ იყოს შეგვეშინდა... იმდენი ნაირფერი მაშხალა გაუშვეს, ავტომატების კაკანმაც ვერ შეგვაჩერა და დიდხანს ვუყურებდით ლამაზი, მოციაგე, ფერად-ფერადი მანათობელი ყვავილებით მოჩითულ ზეცას...

მეორე დღეს ერთმანეთს ვულოცავდით ახალი წლის დადგომას, არადა, უპრიანი იქნებოდა, ცოცხლად გადარჩენა მიგველოცა.

ახალი წელი ჯერ ხომ მზიანი, თბილი ამინდით შეგვხვდა, 2 იანვარს კი თოვა დაიწყო – ხვავრიელად, უზარმაზარი ფანტელებით, თუმცა თოვლი თითქმის არ დადო, მაშინვე დადნა.

რა მოგველის ახალ, 1994 წელს? ოფიციალური ხელისუფლება გვპირდება, რომ ეს იქნება უკეთესობისკენ მკვეთრი გარდატეხის წელიო... და 6 იანვრიდან 5-ჯერ(!) გაადიდა ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულება – 100 კუპონამდე! საწყალი კუპონი სულს ღაფავს, ჩვენც იგივე მოგველის ალბათ.

წლევანდელი იანვარი მარტივით იქცევა. 20 იანვარს დილით კაშკაშა მზე ამობრწყინდა, შუადღისას დათბა კიდეც; მერე ღრუბლები თუ აქამდე აქა-იქ გატრუნულიყვნენ, ახლა შავად აიფოფრნენ, გასივდნენ, მთელი ტატნობი გაამუქეს... წამოვიდა წვრილი ფანტელების კორიანტელი – უილაჯოდ, ზარმაცად მოფარფატებდნენ და მიწა თხელი, თეთრი ზეწრით შემოსეს. მეორე დილით – ისევ მზიანი ამინდი, ოღონდ ძლიერი ქარია; თოვლი მაინც დადნა.

თვის ბოლოს – წვიმა! მერე – ისევ მზე!..

31 იანვარს თბილა – გაზაფხულივით.

ბევრი რამ მოხდა თითქოს იანვარში, მაგრამ ხალისი არ მაქვს, წერა განვაგრძო – უკეთესობისკენ არც ეკონომიკურად, არც ფსიქოლოგიურად თუ ემოციურად ოდნავი ძვრაც ვერ შევიგრძენი. ერთი ეგაა, რომ ბოლო დროს სროლა ჩემს უბანში ნაკლებად ისმის, მაინც ვცდილობ, იშვიათად გამოვიდე შინიდან, ანკი სად წახვალ – სტუმრად, თეატრში თუ სტადიონზე? სამსახურშიც კი კვირაში 2-3-ჯერ ან ნაკლებადაც მივდივარ ხოლმე: საქმე ცოტაა ან სულაც არ არის, მეტროთი მგზავრობა – ტანჯვაა, ისედაც მათხოვრულ ხელფასს აგვიანებენ, სამუშაო ოთახებში ცივა, შინ ყოფნა არ ჯობს?

1994

თებერვალი, 1994

თებერვალი – თოვლი.... ალბათ ტყუილად არ ერითმება ეს სიტყვები ერთმანეთს: თოვლმა და სიცივემ შეგვჭამა. ლამაზად კი არის გადაბარდნილი გარემო, ნათელი დგას შინ და გარეთ, ოთახში 6-8 გრადუსი ტემპერატურაა ცელსიუსით, გარეთ – 2 გრადუსი. რამდენიმე დღის განმავლობაში ასე წაეწყო: ღამე ბარდნის და დილით ისევ გადათეთრებულია მიდამო. ბაკურიანი მომაგონდა, ოღონდ აქ დღისით მზე გვემალება და ზოგჯერ ბარდნის კიდეც...

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჩათბუნული ვარ ლოგინში, ხელები მეყინება და სუნთქვისას პირიდან ორთქლი იბოლქვება. გათბობა არ არის, არც წყალი გვაქვს, არც დენი – ლამპის შუქზე ვწერ. პური ათი დღეა, ვერ ვიყიდეთ, ხშირად საერთოდ არ მოაქვთ მაღაზიაში; თუ მოიტანეს, ისეთი ჭიდაობა იმართება, რომ დაბადების დღეს დასწყევლი; ჯობს, გაეცალო, თორემ გაგჭყლეტენ ან ტანსაცმელს მაინც შემოგაფხრეწენ...

სამსახურში კვირაში 1-2-ჯერ თუ წავალ ხოლმე, საქმე იქ დიდი არაფერი მაქვს და შინ ცოტ-ცოტას წავიმუშავებ-მეთქი, მაგრამ არაფრის ხალისი მაქვს. ბურთულიან კალმისტარში პასტა ისეა ჩაყინული, რომ გაჭირვებით ვწერ, ძალიან მაწვალებს და იძულებული ვარ, მის "მოსარჯულებლად" დროდადრო ლამპის სიმხურვალეზე გავაჩერო (სხვათა შორის, ბურთულიანი კალმისტარი ისეთი ძვირი ღირს, – 10000 კუპონიდან დაწყებული, 30000-მდე! – ჩემი ერთი თვის ხელფასით სულ რამდენიმეს თუ ვიყიდი). დროზე ვერ მოვისაზრე, რომ სხვებივით თუნუქის ღუმელი შემეძინა და შეშაც დროულად მომემარაგებინა (დროდადრო ყრუ ბრაგუნი მესმის – რომელიღაც მეზობელი ისევ ჩეხავს შეშას). ჩემი თხუთმეტსართულიანი სახლის თეთრი კედლები ალაგ-ალაგ გამურულია ფანჯრებიდან გამოყოფილი მილებიდან გამონაბოლქვი კვამლით.

მიკვირს, რით სულდგმულობს ხალხი. ისეთი საყოველთაო სიძვირეა, რომ წარმოუდგენელი. გაჭირვებულნი ყიდიან ყველაფერს, ოღონდ კი პურის ფული მაინც ჰქონდეთ.

შუა თებერვალს თოვლი დადო ხვავრიელად, მერე კი გამოიდარა და მას შემდეგ მზიანი დღეებია, მაგრამ დაბალ ტემპერატურებს არაფერი ეშველა – თოვლი მძიმედ დნება, ღამე კი კარგად ჰყინავს... დენი 1-2 საათით თუ მოვა, ზოგჯერ საჭმლის გაკეთებასაც ვერ ვასწრებთ, წამდაუწუმ თიშავენ; პურის რიგები ჯგლეთაში გადადის და ნახევარი ხალხი უპუროდ რჩება (ხანდახან სულაც ან მოაქვთ), მეტროც კი ხშირად ითიშება; ტელევიზია საღამოს 10 საათიდან იწყებს მუშაობას 2-3 საათით. გალის რაიონიდან საშინელი ამბები მოდის ასეულობით გაყინულ-გათოშილის და დაღუპულის შესახებ – ისევ ომი და უბედურება, ეთნიკური წმენდა, გენოციდი – და ჩვენი პარლამენტი პირველი კვარტლის ბიუჯეტზე ბჭობს გულგრილად (თებერვალი ლამის მიიწუროს!) – მთავრობა და ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები მშვიდად შესცქერიან გულხელდაკრეფილნი საკუთარი ხალხის გაწყვეტას... სადამდე გაგრძელდება ეს საზარელი სიზმრის მსგავსი მდგომარეობა? საოცარია, ისევ რუსეთის მთავრობის იმედად არიან, არიქა ჩქარა გვიშველეთ, შემოიყვანეთ თქვენი ჯარიო... ისევ ჩვენი დამღუპველის იმედი აქვთ, თუ?.. თუ ძალად იტუტუცებენ თავს და კარგად დამუშავებული დეტალური გეგმის შესაბამისად მიდის ყველაფერი? მეორე თვალსაზრისი ბევრად სარწმუნოა ჩემს თვალში.

მარტში კი გვეშველება რამე? ერთი ეს არის, ცოტათი მაინც დათბება...

1994

მარტი, 1994

ვერ დავემდურები: გაზაფხულის პირველი დღე ნამდვილად კარგი იყო – თბილი, მზიანი, უქარო. და სწორედ ამ დღეს დაამთხვიეს საქართველოს პარლამენტში საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის რატიფიკაცია. პარლამენტი, როგორც იტყვიან, ბატონ ედუარდს ჯიბეში უდევს და თავისი იოლად გიტანა კიდეც – აწი რაღა გვიჭირს, გავბედნიერდით, დიდ რუსეთს მაგრად ჩავეხუტეთ და აქამდე ხომ მზე და მთვარე ამოსდიოდა ჩვენზე, დღეიდან კი... სამწუხაროდ, სხდომის ტელეტრანსლაციის ჩანაწერი გვიან ღამით გაუშვეს და, რაღა თქმა უნდა, დენი გამოგვირთეს ვარკეთილის დასახლებაში, ასე რომ, დიდი საცირკო წარმოდგენის (ექვსსაათიანის!) ხილვა, სამწუხაროდ, ვერ შევძელი. ახლა გამოფხიზლებულმა "დიდმა პატრიოტებმა", ბატონ ედუარდის ოპოზიციაში მყოფებმა, იფხაკურეს, ცოფი ბევრი ჰყარეს და დამარცხდნენ. ისინი თუ ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ, დღევანდელი რეჟიმის ტაშის დამკვრელები არ უნდა ყოფილიყვნენ თავიდანვე და არც ცრუდემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობით გაემაგრებინათ მისი "ლეგიტიმურობა"; ეტყობა, ეს "დიდი პატრიოტები" იმდენად საქართველოსა და ხალხის ბედით კი არ არიან დაინტერესებულნი, რამდენადაც საკუთარი პოლიტიკური მიზნებისა და ამბიციების დაკმაყოფილებით; ეს უკანასკნელი ჩაუფლავდათ და ახლა ხმამაღლა ყვირილით სურთ, გამოხატონ თავიანთი "პატრიოტობა".

...ორ კვირაზე მეტი გავიდა წინა ჩანაწერის გაკეთებიდან და არ გამჩენია სურვილი, რამე ჩამეწერა. არც ახლა არის ღირსი, მაგრამ მაინც ვწერ... ისევ ისე: დენის ჩართვა მხოლოდ საღამოს 10 საათისთვის, მერე გამორთვა ღამის პირველ საათზე; ამ რამდენიმე საათში უნდა მოასწრო საჭმლის გაკეთება (გათბობას აღარ ვჩივით – ოდნავ დათბა, მარტის შუა რიცხვებია უკვე). წყალიც თუ წამოვიდა 1-2 საათით (უფრო ღღე ხდება ეს), მაშინვე ყველა თავისუფალ ჭურჭელსა და აბაზანას ვა-

პიპინებთ – შეიძლება, რამდენიმე დღე წყალი არ გვაღირსონ. ქალაქის ცენტრალურ უბნებში ასე არ აწამებენ ხალხს, იქ დენიც აქვთ, წყალიც, ლიფტიც მუშაობს, გაზიც აქვთ (და ამიტომ სიცივე არ აწუხებთ და საჭმლის გაკეთებაც პრობლემად არ გადაჰქცევიათ), ჩვენ რაღა დავაშავეთ, ასე რომ გაგვწირეს?

ბატონი ედუარდი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას ეწვია, გზად ჩეხეთშიც შეიარა. დიდ ფულად და სასურსათო დახმარებას ჰპირდებიან საქართველოსო, მაგრამ გაჭირვებულ ხალხს რა? არც არაფერი! ეს მილიონობით დოლარიც და "ჰუმანური დახმარების" წამლები და სურსათი ისევე დატაცებული იქნება ვიღაც-ვიღაცეების მიერ, როგორც აქამდე. ცოტა დათბეს მაინც ეს ოხერი, სიცივემ მაინც დაგვანებოს თავი... ნაკვეთში გახურებული მუშაობის დრო დადგა, მაგრამ ჯერ ერთხელაც ვერ წავედი – მგზავრობის სიძნელის და სიძვირის გამო. გაზეთების ფასებმაც კი არნახულ სიდიდეს მიაღწია – "ჩემი მამულის" მარტის ნომერი 5000 კუპონი ღირს და ეს შედარებით იაფი გაზეთია!

სხვა რა დავწერო? ხალხი სამსახურში კვირაში ერთხელ თუ მივა, ესეც კარგია, ცხადია, ვინც ჯერ კიდევ არ გაუთავისუფლებიათ ან ვინც თავისი ნებით არ დაანება თავი – მათხოვრულ ხელფასს გვაძლევენ, უფრო სიმბოლურს დავარქმევდი – პურის ფულად და მეტროში სამგზავროდ თუ გეყოფა გაჭირვებით. კუპონებზე ბაზარში მწვანილსაც ვეღარ იყიდი, ყველას რუსული მანეთი უნდა.

მეც მომბეზრდა ამდენი წუწუნი და წუხილი, ნეტავ მალე ამწვანდეს მიწა, აფეთქდეს ყვავილებით ნუში, ტყემალი, ალუბალი...

შინ ქოთანში ყოჩივარდა აყვავდა ულამაზესად მარტის პირველ რიცხვებში, ხუთ ადამიანს მივართვი კიდეც იქიდან აჭრილი ყვავილები (შარშან რატომღაც "გაგვებუტა" და არ იყვავილა, სამაგიეროდ, წელს ბლომად ასხია ყვავილთა ბუტკოები) – ცოტათი მაინც გავახაროთ ერთმანეთი!

შუა თვე – ერთი-ორი დღე მზიანი, შემდეგ – წვიმა, სიცივე, ქარი... დღისით მზე გამოანათებს, ისევ წვიმა წამოუშენს... მწვანე ბალახი იწყებს ამოწვერვას, ხეებს კვირტები დასკდომაზე აქვთ, აქა-იქ ნუში აყვავდა მორცხვად.

თვის ბოლოს დაცხა კიდეც – მზიანი ამინდი და 20 გრადუსზე მეტი ტემპერატურა, თუმცა ბოლო სამი დღე მარტისა გამაბეზრებელი წვიმით აღინიშნა და საკმაო სიცივითაც.

ბოლო დღეს კი მარტმა გამომშვიდობებისას ოინი გვიყო – თოვა დაიწყო!

თუმცა თოვლი ვერ დადო, მაინც საკმაო სიცივემ შემოგვიტია...

1994

აპრილი, 1994

3 აპრილი. 31 მარტს წამოთოვა (თუმცა თოვლი არ დადო), 1 აპრილსაც დაბღვერილი ამინდი იყო; 2 აპრილს დილით კი არემარე თეთრად გადაპენტილი დაგვხვდა! მოკლედ, ზამთარი ვერ გვეღევა, ორთავე ხელით გვებღაუჭება და გასაჭირიც გაგვიშინაურდა კარგა ხანია. ამ შაბათ-კვირას, 1-2 აპრილს, მეტროპოლიტენიც არ მუშაობს მემანქანეთა გაფიცვის გამო. სხვათა და სხვათა გაფიცვა გინდ ყოფილა და გინდ არა, საწარმო-დაწესებულებების დიდი უმრავლესობა არ მუშაობს ან ვითომ მუშაობს, მეტროპოლიტენის მუშაკთა გაფიცვამ კი ნამდვილად დაადამბლავა ქალაქი. მე ის მიკვირს, ამდენ ხანს როგორ ითმენდნენ – ხელფასს კუპონებზე იღებენ და კუპონებზე კი პურის მეტს ვერაფერს იყიდი, ყველანი რუსულ მანეთს თხოულობენ, გაუფასურებული კუპონი აღარავის უნდა.

რამდენიმე დღეში უცებ დათბა, ჰყვავის ტყემალი, ჭერამი, გარგარი, ატამი... როგორც იტყვიან ხოლმე, ჰაერში ნაღდი გაზაფხულის სუნი დატრიალდა; მეათე სართულიდან ვხედავ, როგორ "ითვისებს" სახლებს შორის დატოვებულ უკვე ამწვანებულ მიწას გაჭირვებული ხალხი, რომ ცოტაოდენი მწვანილი მაინც მოიყვანოს (მწვანილიც კი სიძვირის გამო მიუწვდომელი გახდა მოსახლეობის უმრავლესობისთვის!).

25 აპრილი. ძლიერ დათბა, მეტად სწრაფადაც კი. ერთ დღეს სეტყვაც გვეწვია: კიდევ კარგი, ყინულოვანი მარცვლები ძალიან მსხვილი არ გამოდგა, თორემ ისეთი ხშირი და საკმაოდ ხანგრძლივი სეტყვა იყო, რომ ხეებზე ყვავილებსა და ფოთლებს არ შეარჩენდა.

უამრავი ყვავილია გასაყიდი – ნარგიზი, ტიტა და ამ ბოლო დროს – იასამანიც, მაგრამ სადღაა ის ხალისი, რაც ამ დროის დადგომას ახლდა ხოლმე წინათ... ხალხი – დაბღვერილი, დამშეული, პურის რიგებში გაწამებული; თითო-ოროლა – გალაღებული, ღვინო-არაყში ჩამხრჩვალი, მიუხედავად სპირტიანი სასმელების საარაკო სიძვირისა... ბედნიერი კი აღარავინაა, ან კი როგორ შეიძლება, ბედნიერი იყო, როცა ირგვლივ ამდენი გატანჯული ადამიანი გეგულება?

29 აპრილი. 1 მაისს აღდგომაა, სააღდგომო ბატკანს ვინ ჩივის, რამდენიმე კვერცხსაც ვერ ყიდულობს მოსახლეობის უმრავლესობა. ერთი კვერცხი 120-150 რუსული მანეთი ღირს ანუ 60000-75000 კუპონი(!); გამოდის, რომ ერთი თვის ხელფასით მოსამსახურე ერთიდან სამამდე კვერცხს თუ იყიდის, ხოლო მთავრობის მიერ "შეღავათიან ფასებში " გამოცხადებული პასკის ერთი ნაჭრის შეძენას თუ შეძლებს. საქონლის ხორცი ერთი კილოგრამი 3000 რუსული მანეთი ღირს, კარაქი და ყველი – კიდევ მეტი...

თვის მიწურულს ამინდიც გვიბღვერს: რამდენიმე დღეა, თითქმის გადაბმულად წვიმს...

1994

მაისი, 1994

2 მაისი. წელს აღდგომა დაემთხვა პირველ მაისს. მაისი შემოგვეგება მზიანი, თუმც ძლიერ ქარიანი ამინდით. აგრილდა. ხეები ამწვანდა, ყველგან ბალახი ხასხასებს. ამ ლორთქო ბალახზე გაგორებულ წითელ სააღდგომო კვერცხს აქვს მადლი (თუმც პირადად მე ათეისტი ვარ). ტელევიზორში ხუთჯერ მაინც გამოაცხადეს, რომ მეტროს სადგურებიდან ორშაბათს, 2 მაისს, სასაფლაოებამდე უფასო ავტობუსები ივლიდნენ. დიდუბეში მეტროსთან ზღვა ხალხი შეგროვდა, უზარმაზარი, დაკლაკნილი რიგი გაიჭიმა (გამიკვირდა კიდეც, როგორ თვინიერად იდგნენ ამდენ უწესრიგობას დაჩვეული თბილისელები), ავტობუსები კი სადაა? მხოლოდ ერთი თუ ორი კერძო ავტობუსი დადის, მგზავრობის ფასი – 500 მანეთი... ითმინა ხალხმა, ითმინა და მერე კი ლანძღვას და ქოქოლას არ აკლებდა ამდენი ხალხის აბუჩად ამგდებთ; რამდენჯერმე წერეთლის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობის გადაკეტვაც კი სცადეს...

5 მაისი. საზარელი ამბავი გავიგე გუშინ – სასოწარკვეთილი ადამიანები თავს იკლავენ, რადგან შიმშილობით ნელ-ნელა ჩაფერფვლას ამჯობინებენ სწრაფ ბოლოს... არადა, რა სჭირდა საქართველოს ისეთი, რომ უკიდურესი გაჭირვება და ქაოსი გამეფებულიყო? ალბათ მოვა იმის დროც, რომ ყოველივეს გაანალიზებენ და ყოველი უბედურების მიზეზებს და იმათაც, ვისაც ბრალი მიუძღვის, დაასახელებენ, მაგრამ დაღუპულ ხალხს რაღა ეშველება?

17 მაისი. მაისი, როგორც ყოველთვის, უხვწვიმიანი გამოდგა. გადაირია ბალახბულახი, ფასებივით სწრაფად იზრდება. კატასტროფულად იმატა მგზავრობისა და სურსათის ღირებულებამ. სადამდე? აფხაზეთი რომ თავიდანვე გაყიდული იყო, 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ საბოლოოდ დაადასტურა – ენგურზე რუსის ჯარი ჩადგება და ცხვირს არ გაგაყოფინებს "საზღვარს" იქით, ლტოლვილები კი ისევ ვერ დაბრუნდებიან მშობლიურ ადგილებში.

30 მაისი. მაისის ბოლო როგორიღაა? უკეთესი ამინდებია, სიცხემ იმატა, სხვა მხრივ არაფერი შეცვლილა უკეთესობისკენ. შემოვიდა ბალი, ხენდრო, თუმცა კარგა ხანია, მწვანილის ყიდვაც კი ჭირს, არამცთუ ხილის. ინტელიგენცია (სხვებთან ერთად, რაღა თქმა უნდა) გაჭირვების გამო სულს ღაფავს: რით არსებობს მეცნიერ-მუშაკები, ინჟინრები, მასწავლებლები, ექიმები და სხვანი – საოცარია... თუმცა ერთი მრავლისმთქმელი მაგალითი: ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთაგან ერთნი – წვრილფეხა საქმოსანთა ჯიხურებში გამყიდველებად სხედან, მეორენი – სასადილო-სასაუზმეებში მოღვაწეობენ ჭურჭლის მრეცხავებად, მესამენი – დამლაგებლების მაღალ მისიას ასრულებენ სხვადასხვა კომერციულ ფირმებში... ოპერის თეატრში წარმოდგენები აღარ იმართება, სოლისტები საზღვარგარეთ გარბიან, გაზეთებში გამოქვეყნდა საქართველოს კომპოზიტორთა და მუსიკოსთა კავშირის სასომიხდილი ვედრება – გვიშველეთ, სანამ შიმშილით სული არ გაგვძვრაო. სამაგიეროდ, ზეიმით აღინიშნა 26 მაისის დღე – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მორიგი წლისთავი და "დიდი" სამხედრო აღლუმიც გაიმართა რესპუბლიკის მოედანზე (ბევრს სასაცილოდაც არ ეყო სამხედრო "ძლიერების" ეს საცოდავი დემონსტრაცია). მეტროთი მგზავრობა 1000 კუპონამდე გაზარდეს – ათჯერ! ამბობენ, მალე პურიც უსაშველოდ გაძვირდებაო – აი, მაშინ კი... სადამდე?

სამსახურში კვირაში ერთხელ მივდივარ (ზოგჯერ – ორჯერაც); შინ მაინც ვერ ვმუშაობ – ხალისი დაკარგული მაქვს... ვუსმენ და ვუყურებ ტელეგადაცემებს და ვერაფერს საიმედოს წინ ვერაფერს ვხედავ... ნუთუ მოისპობა საქართველო და გადაშენდება ქართველი ერი?

1994

ივნისი, 1994

ივნისის დასაწყისი უფრო მარტს მაგონებს: ხან – მზე, ხან – წვიმა, ქარიანი წვიმა. წვიმა გადაივლის, მზე გამოაჭყეტს, მაგრამ ცოტა ხნით, შემდეგ – ისევ სიცივე და წვიმიანი ქარი.

ზაფხულია და ჩემი საყვარელი თვე – თვე სითბოსი, სიმწვანის, ხილის, ლამაზი ყვავილების... წელს კი ყველაფერი გაუგემურდა... საოცარი სიძვირე, საოცარი უფულობა და საოცარი უიმედობა. წელს ჯერ ხილი არ გვიყიდია; ხილი კი არა, მწვანილს ვერ მიეკარები. ჩემი ერთი თვის ხელფასით ორი კონა მწვანე ხახვი მომივა ან ერთი კონა სტაფილო, რომელშიც სულ სამად-სამი ცალი არცთუ დიდი სტაფილოა. ჩაახერამუნე სამიოდ წუთში და თავისუფალი ხარ მთელი თვით – ჰაერით და კეთილი სურვილებით გადი იოლას! მასები შიმშილობამ მოიცვა. შიმშილობენ დოცენტები, პროფესორები და აკადემიკოსებიც კი (ამბობენ აკადემიკოსი ხვინგია სწორედ შიმშილმა იმსხვერპლაო). საშველი არ ჩანს. როგორ იტანს ხალხი ასეთ გაჭირვებას და პროტესტს არ გამოთქვამს თუნდაც გაფიცვებით, საკვირველია... თუმცა, გაფიცვა არავის ადარდებს, საწარმო-დაწესებულებები ფაქტობრივად მაინც არ მუშაობენ, მრავალი ადამიანი ფორმალურად დადის სამსახურში და მეტროპოლიტენიც ყოველთვის გადატვირთულია (ერთდერთი მეტროს თანამშრომელთა გაფიცვა აშინებთ; როგორც კი ამის საშიშროება გამოჩნდება, მაშინვე ცოტა მარგარინს და შაქარს დაურიგებენ კუპონებზე და დროებით დააშოშმინებენ).

აფხაზეთში ომის კატასტროფული შედეგები შევარდნაძეს უნდა (უნდა კი?) ნელ-ნელა, მშვიდობიანი მეთოდებით აღმოფხვრას რუსთა ჯარის შემოყვანით. ღმერთმა ჰქნას, რომ ლტოლვილები მართლაც დაბრუნდნენ აფხაზეთში (რისიც ძალიან დიდი ეჭვი მაქვს), მაგრამ თუნდაც ასე მოხდეს, ისინი იქ მძევლებად იქცევიან – უკეთეს შემთხვევაში, საქართველოს იურისდიქცია იქ მაინც ვერ აღდგება. მაშ, რა აზრი აქვს ამ "სამშვიდობო" აქციას? საფუძვლიანი ეჭვები გვიღრღნის გულს, მაგრამ ძლიერნი ამა ქვეყნისანი აგრძელებენ თავიანთ კურსს და ალბათ დასახულ მიზანსაც მიაღწევენ, ამ მიზანს კი ღიად არ აცხადებენ.

რა უნდა ჰქნას პატიოსანმა, მშრომელმა ადამიანმა, რომელსაც თავის ქვეყანაში უნდა ცხოვრება და საზღვარგარეთ გაჭირვებისგან თავის დაღწევა არ სურს? შრომას ფასი არ აქვს, ვისაც ფულის შოვნის მარიფათი აქვს (ასეთები ყოველგვარ პირობებში ახერხებენ ამას), იმასაც ვერ აქვს გული სულ მთლად საგულეს – ყოველდღიური ყაჩაღობა, გამოძალვა, ქურდობა და მისთანანი იმდენად გამრავლდა, რომ სასოწარკვეთამდე მივა ნორმალური ადამიანი. დავდივარ დის ნაკვეთში, ლოჭინში, იქნებ ცოტა მწვანილი მაინც მოვიტანო ოჯახში, თუმცა აქეთ-იქით მგზავრობის ხარჯი მეტისმეტად დიდია. სხვა გზა მაინც არ არის, მთელი დღე სუფთა ჰაერზე ნერვებდაწყნარებული რომ წაიმუშავებ, შინ ფიზიკურად მეტად დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი ბრუნდები. წინა კვირას, 18 ივნისს, დენი გამოთიშეს, მატარებლები გაჩერდა და მომიწია 20 კილომეტრზე მეტი ფეხით გამევლო – შინ ღამის სამის ნახევარზე დავბრუნდი. გზის ბოლოში თითქმის ლასლასით მოვბანცალებდი (თან ორი არცთუ მსუბუქი ჩანთა მომქონდა), სახლამდე მოვაღწიე და ახლა არ გინდა, მეათე სართულზე ისევ ფეხით ააწიო?

თვის ბოლო – ისევ მარტის ამინდები: საოცარი სიცივე, ქარი... და ხანგრძლივად გამორთვა დენის, წყლის... ხელფასს გაუბედურებულ-გაუფასურებული კუპონებითაც კი არ გვაძლევენ უკვე თვენახევარზე მეტია...

1994

ივლისი, 1994

მობრძანდა ივლისიც – ზაფხულის გვირგვინი.

საკმაოდ დათბა, მერე – დაცხა კიდეც.

ბაზარი სავსეა ნაირ-ნაირი ხილით: ბალი, ალუბალი, თუთა, გარგარი, ატამი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი...

სამაგიეროდ, ჯიბე – ცარიელია.

სული – გამოფიტული ამდენი ძალადობით, ტყუილებით, დემაგოგიით...

უკვე აღარ ვიცი, რა დავწერო – ყველაფერი იგივეა ან უფრო უარესი, სადამდე გაგრძელდება ასე? ქვეყანა უფსკრულში გადაეშვა, რომელსაც ჯერ ძირი არ უჩანს... ნუთუ მთელი ერი უნდა

ამოწყდეს – გაიხიზნოს სხვა ქვეყნებში, გადაგვარდეს, მოისპოს და მოისრას? როდის დაიწყება ერის გამოფხიზლება?

გვალვაა ბუნებაშიც – გადაიხრუკ-გადაყვითლდა ბალახები; წვიმა, თუკი მოვა, მიწას ვერც კი ასველებს, ცოტა ხანში ყველაფერი მშრალია და მხუთავი სიცხე სულს გვიწუხებს... ლუდს, ბორჯომს, ლიმონათს ისეთი ზღაპრული ფასები ადევს, რომ მხოლოდ სიზმარში თუ დალევ. ის კი არა, წყალი დღეობით არ მოდის ონკანში და ცხრა მთას იქიდან გვიხდება ვედროებით მოზიდვა; მოწანწკარე ონკანთან საათობით რიგში დგომის შემდეგ გამოსავათებული, მეათე სართულზე სიბნელეში უნდა ფეხით აბობღდე, რადგან ლიფტი არ მუშაობს – დენია გამორთული ნახევარ ქალაქში, ზოგჯერ – მთელშიც!).

ძალზე მოკლე გამოდგა წლევანდელ ივლისზე ნაწერი – კარგს ვერაფერს ვიხსენებ, ცუდზე ბევრის დაწერა აღარ მინდა; ეტყობა, შთაგონება ონკანივით დაშრა...

1994

აგვისტო, 1994

9 აგვისტო. აგვისტო – მკვდარი სეზონი. გვალვა, ნაადრევად – ერთნახევარი-ორი თვით ადრე – იწყებს დამწიფებას ყურძენი, ასკილი და სხვა და სხვა. გაყვითლებული ფოთლებიც გამოჩნდა და ქუჩებს ეფინება... ნუთუ ადრეული ზამთარი და მაგარი ყინვები მოგველის? თუმცა, გამოერია წვიმიანი დღეებიც – უგულოდ, სასხვათაშორისოდ მოაპკურა ზეცამ მიწას დიდ წყალობასავით, მაგრამ ერთ საათში ისევ გამშრალია ყველაფერი.

მდგომარეობა უცვლელია – გაძვალტყავებულ-გაუბედურებული კუპონით ვერაფერს იყიდი პურის გარდა, აგრეთვე მეტროპოლიტენით იმგზავრებ – ესაა და ეს. ბაზარში კუპონი რომ შეაძლიო ვინმეს, გიჟად ჩაგთვლიან – ყველგან რუსული მანეთი ტრიალებს. მთავრობა ოლიმპიური სიმშვიდით შეჰყურებს ქვეყნის აგონიას, ხალხის უკიდურეს სიდუხჭირეს. სამაგიეროდ, ხელისუფლებას ფრიად აღელვებს: როგორ ჩატარდება საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი, ან კინოფესტივალი, ან შავი ზღვის ქვეყნების წარმომადგენელთა თავყრილობა თბილისში – მთავარია, გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყოს, ფასადი ლამაზად გამოიყურებდეს... თბილისში კი ყოველდღიურად რამდენიმე ახალგაზრდას კლავენ, ასახიჩრებენ, საავადმყოფოებში სამხედროფორმიანი ადამიანები იჭრებიან და არბევენ – ნარკომანია მასობრივი დაავადება გახდა; ძარცვა და ყაჩაღობა, მძევლების აყვანა გამოსასყიდის მოთხოვნით აღარავის უკვირს. არავის უკვირს, რომ აღარავინ მუშაობს (მე პირადად კვირაში ერთხელ თუ შევივლი სამსახურში, ისიც ზრდილობის გულისთვის და ასეთი ხალხი უმრავლესობას შეადგენს – ვითომ მომუშავეთა); მოშლილია ჯანმრთელობის დაცვის სისტემა (გაჭირვებისას მხოლოდ კერძო სასწრაფო დახმარების იმედი შეიძლება გქონდეს – ერთი გამოძახება 18 000 რუსულ მანეთზე მეტი ღირს, დაახლოებით 9 მილიონი კუპონი – ჩემი რამდენიმე წლის ხელფასი!!!), გაჩანაგებულია მრეწველობა, ტრანსპორტი, სულს ღაფავს განათლება, კულტურა, თითქმის აღარ არსებობს სანიტარული დასუფთავება და ასე შემდეგ... გვენატრება წყალი, ელექტროდენი, საოცნებო გახდა ყველის, ხილის, ხორცის, კარაქის ყიდვა... მწვანილს და, წარმოიდგინეთ, გაზეთსაც ვეღარ ვიძენთ.

19 აგვისტო. ვაგრძელებ წერას ათი დღის შემდეგ. მაშინ აღვნიშნე, რომ კერძო სასწრაფო დახმარების გამოძახება 9 მილიონი კუპონი ჯდება-მეთქი, ანუ ჩემი რამდენიმე წლის ხელფასი... დღეს შემიძლია აღვნიშნო შესამჩნევი "პროგრესი" – იგივე გამოძახება უკვე 18 მილიონი კუპონი გახდა, რამდენადაც კუპონის კურსი მანეთთან შეფარდებით ორჯერ დაეცა! 1 მანეთი 1000 კუპონი ღირს ანუ კუპონის შემოღებიდან იგი ათასჯერ და მეტად გაუფასურდა (შესაძლოა, 2000-ჯერაც და მეტად, რადგან მანეთიც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაუფასურდა).

ეჰ, ჯობს, ისევ ამინდს მივუბრუნდე.

შუა აგვისტოს მაგარი სიცხეები დაიჭირა – თბილისში 35-36 გრადუსი ცელსიუსით. რამდენიმე დღე ღამითაც კი სუნთქვა ჭირდა, მერე კარგა გვარიანად მოწვიმა, ტემპერატურა უცებ დაეცა ათი და მეტი გრადუსით – მოღრუბლულია, აგრილდა. ამოისუნთქა მცენარეულობამ და მთელმა ქალაქმაც...

1994

სექტემბერი, 1994

13 სექტემბერი. სექტემბერი – ოქრო თვე, თაფლი თვე, სანატრელი თვე... არც ცივა ჯერ, აღარც სიცხე გაწუხებს, შემოდგომის ნობათი დახვავდა ბაზრებში, სასწავლებლები ააჟრიამულეს სწავლას მოწყურებულმა გოგო-ბიჭებმა (ცოტა სახელმძღვანელოების შეძენა ჭირს – თითო წიგნი რამდენიმე ათასი რუსული მანეთი ღირს... ახლა რვეულები, კალმები, საშლელები, სახაზავები და სხვა, რომ არაფერი ვთქვათ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელზე – მთელი ოჯახის ბიუჯეტი – წლიური! – ვერ გასწვდება ერთი მოწაფის სასკოლოდ გამზადებას, ხოლო, რაღა უნდა ქნა, თუ ორი-სამი ან მეტი გყავს?).

შიშით მოველით ზამთრის მოახლოებას – ეტყობა, დენი აღარ გვექნება, ვერც ნავთს ვყიდულობთ (ძვირია!), შეშას ქალაქში სად იშოვი? კერძი როგორ უნდა მოამზადო? ჰოდა, ახლა გვაჩვევენ ნელ-ნელა ექსტრემალურ პირობებში თავის გადარჩენის ხელოვნებას: დენს იშვიათად და ცოტა ხნით გვირთავენ, წყალი ხან მოდის, ხან – არა; კიდევ კარგი, ჯერჯერობით პურს მაინც ვყიდულობთ ტალონებით (მაგრამ არ გვყოფნის დღეში სულზე 300 გრამი). ოდნავი უკეთესობის ნიშანი ისევ და ისევ არ შეიმჩნევა, უკან-უკან კი, უფრო სწორედ, უფსკრულში ვარდნა, გრძელდება – ფასები ასტრონომიულია, სამსახურში ხელფასს ფაქტიურად არ გვაძლევენ (უდღეური კუპონი დიდი ხანია, მკვდარია), ქამრის მოჭერა გრძელდება – ახლა გვპირდებიან, რომ ეკონომიკის და საერთოდ, ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად შოკური თერაპიაა საჭირო! ფასებს აუშვებენ და პურსაც ვეღარ იყიდი! შიშის, შიმშილისა და სასოწარკვეთისგან დავრდომილს შოკური თერაპია უშველის?

23 სექტემბერი. წინა სტრიქონების დაწერიდან გავიდა რამდენიმე დღე და 17 სექტემბერს ფასები მართლაც აუშვეს, გაათავისუფლეს კი არა – გააფრინეს! მე მგონი, ბოდიში მომითხოვია და, ჩვენი ქვეყნის საჭეთმპყრობელებმაც გააფრინეს! აბა, გაგონილა, პურის ფასი ერთბაშად 300-ჯერ გაზარდო?!. ან მეტროპოლიტენით მგზავრობა – 50-ჯერ? ჩემი თვიური ხელფასი ალბათ მეყოფა სამსახურში მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში წასასვლელად, თანაც მხოლოდ მეტროთი (ავტობუსით მგზავრობა 200000-300000 კუპონი ღირს!); რასაკვირველია, თუკი სხვაგან არსად წახვალ – ნათესავთან, თეატრში, ან თუნდაც ბაზარში...

დღეები კი საოცნებოა – ოქროცურვილი, თბილი, წყნარი...

ჩაგვმწარდა!..

სამაგიეროდ, თვის მიწურულს მორიგი პოლიტიკური სპექტაკლის მოწმენი გავხდით: ბატონი სახელმწიფოს მეთაური, ჩვენი მამა და მარჩენალი, ისევ ვითომ გადადგომას აპირებდა და მისმა დამქაშებმა ისტერიული ღრიალი მორთეს – რაღა გვეშველება, ქვეყანა დაიქცევა, ანარქია გამეფდება ან დიქტატურა დამყარდებაო (ბატონმა ჯაბამ გაგვანათლა, თუ დაგვაშინა, თუ მოგვატყუა, თუ...). თემურ ყორჟოლიანის ბავშვურად მიამიტი თხოვნა შევარდნაძისადმი – თქვენი ნებით გადადექით, რადგან ქვეყანას ვერ მოუარეთ და ძველებური კურსით სიარული კიდევ უფრო უარეს შედეგს მოგვიტანსო – მოხერხებულად იქნა გამოყენებული მდარე ხარისხის ფარსის გასათამაშებლად. სანამ პარლამენტში ერთობიან, უბრალო ხალხი შიმშილობს, მალე ამას სიცივეც დაემატება და სულ მთლად ავშენდებით...

1994

ოქტომბერი, 1994

სექტემბრის ბოლოს ცოტა წამოწვიმა – ერთი დღით, შემდეგ – ოქტომბრის დასაწყისი თითქოს სექტემბრის თბილი დღეების გაგრძელებაა, ოღონდ ოდნავ დაბალი ტემპერატურებით. ხეებს ნელ-ნელა სიყვითლე შეეპარათ, განსაკუთრებით – აკაციებს.

შუა ოქტომბერს შესამჩნევად აცივდა. რამდენიმე დღე იწვიმა, ეტყობა, მთებში მოთოვა კიდეც – ისეთი გამჭოლი ქარი დათარეშობს გარეუბნებში.

ყველაფერი კიდევ უფრო გაძვირდა – განსაკუთრებით მკვეთრი ნახტომი იყო რუსული მანეთის კურსის კატასტროფული ვარდნის შემდეგ მოსკოვის ბირჟაზე. ყველაზე მეტად სურსათი გაძვირდა. ყველაფერი ბაზარში უნდა იყიდო ან კერძო ჯიხურებში, სახელმწიფო მაღაზიებში მხოლოდ პურს თუ შეიძენ ტალონებით; ზოგჯერ ისეთი უხარისხოა, ძაღლს არ აჭმევს მზრუნველი პატრონი.

მარაგები ზამთრისთვის – არავითარი, ის კი არა და, პურის ფულსაც ძლივს შევაკოწიწებთ ხოლმე – ერთი ცალი პური 170 000-190 000 კუპონი ღირს...

თვის მეორე დეკადა: ძალიან ცივა, თითქოს ზამთარი დადგა – დღისითაც კი 10-12 გრადუსია; ღრუბლიანობა – 100%; შიგადაშიგ – გადაბმული წვიმა.

მესამე დეკადაში ხამუშ-ხამუშ წვიმს, მერე რამდენიმე დღე მზიანია, თბილი ამინდი; დღისით ტემპერატურა – 18 გრადუსამდე; ღამე ცივა, უკვე თბილი საბნები გვხურავს.

ბევრი ვერაფერი დავწერე და არც არის გასაკვირი – უღიმღამო, დუხჭირი ცხოვრება ერთფეროვნად მიედინება, თუმცა, შეიძლება კი ამ ყოფას ცხოვრება უწოდო?..

1994

ნოემბერი, 1994

ნოემბრის დასაწყისში ნამდვილი ზამთარი გვესტუმრა – მკვეთრად აცივდა, მოთოვა. გამოჩნდა გასაყიდად გამოტანილი მანდარინი და ლიმონი, გაქრა პომიდორი. მძიმე ზამთარი გველის, ძალიან მძიმე. ელექტროდენს დილიდანვე თიშავენ – საღამოს 7 საათამდე; ხმა დაირხა, რომ, შესაძლოა, პურიც აღარ იყოს... სამაგიეროდ, ჯიხურები გამოტენილია საღეჭი კევით, ნაირ-ნაირი იმპორტული ღვინო-არაყით, კონიაკით, შამპანურით, სიგარეტით... ტელევიზორში ტურისტული ფირმები გვეპატიჟებიან, ვიმოგზაუროთ საზღვარგარეთ – თურქეთში, საბერძნეთში, პოლონეთში და სხვა, პეკინშიც კი; რასაკვირველია, თუ დოლარები გიჭყავის ჯიბეში. დღეს ბესარიონმა სამი თვის სტიპენდია აიღო, სულ 376 200 კუპონი ანუ... ორი კილოგრამი პურის ღირებულება! ოფიციალური კურსით, თანაც ბარათით, თორემ ხელზე ხუთჯერ ძვირი ღირს.

სითეთრე გარემოს მხოლოდ ერთი დღე შერჩა – წამოწვიმა და ატალახდა, ქარი კი არ ჩადგა – ცივი, გამთოშავი ქარი. უდენობას უწყლობაც დაემატა, მეტროპოლიტენიც კი დღეში სამჯერ მაინც ჩერდება დენის გამორთვის გამო.

თვის ბოლოს – ისევ სიცივე, სიცივე და ქარი, უდენობა, უწყლობა – მოკლედ, არაფერი შეცვლილა. თუმცა, როგორ არა, შეიცვალა უარესობისკენ: უფრო აცივდა, გაზი ქალაქს არ მიეწოდება, დენს უფრო იშვიათად ჩაგვირთავენ ხოლმე (გვიან ღამით, როცა პატიოსან ადამიანს უნდა ეძინოს), კარაქის ფასმა 10 000-12 000 რუსულ მანეთს მიაღწია, ერთი პურისა – 1 500-2 000 მანეთს... ხილს ვერ გაეკარები, ვერც – ბოსტნეულს, კარტოფილს... რა უნდა ჰქნას კაცმა? (სხვათა შორის, ხელფასი ორი თვეა, არ მოუციათ!).

ეჰ, მომწყინდა სულ წუწუნი, სულ ერთსა და იმავეზე წერა, ამიტომ ვამთავრებ...

1994

დეკემბერი, 1994

დეკემბერი ფინთად დაიწყო, მაგარი ყინვებით: ღამე – მინუს 8 გრადუსი; თურქმენეთიდან გაზის მოწოდება შეწყდა და ელექტროდენს იშვიათად რთავენ, ისიც გვიან ღამით.... იძულებული ვართ, სადილი ამ დროს მოვამზადოთ. საჭმლის გასაცხელებლად ან ჩაის ასადუღებლად, კარტოფილის მოსახარშად გავაკეთე პრიმიტიული ღუმელი თურქული მარგარინის ცარიელი სამლიტრიანი თუნუქის კოლოფისაგან და სანამ "შეშა" ანუ ხის შემორჩენილი გადანაჭრები გვეყოფა, იმით გავალთ იოლას; მე და ლია შემოგარენში ჩინჩხვარს, ყოველგვარ ხის ნაჭრებს და სხვა, საწვავად ვარგის მასალას ვაგროვებთ. ნავთის ფასმა ძალიან აიწია და ლამპისთვის ვიზოგავთ.

ისე გაგვიჭირდა, რომ "ხიზნები" შევიქენით: ჩემს მარტოხელა დასთან გადავსახლდით დიღმის დასახლებაში. ერთოთახიან ბინაში ხუთი სული ვართ შეყუჟული, სამაგიეროდ, დენი აქ არც ისე ხშირად გამოირთვება, თან ტყე-პარკი გვერდზეა და ცეცხლისთვის ჩინჩხვარი ადვილი მოსაპოვებელია.

ახალ წელს აქ ვხვდებით – ღარიბულ სუფრასთან.

ამით დამთავრდა 1994 წლის ჩანაწერები; უგულოდ და უმარილოდ ჩაიარა ამ წელმა და ნაწერიც ასეთივეა ალბათ, მაგრამ რა ვქნა, თავს ზევით ძალა არ არის...

მოუთმენლად ველით გაზაფხულს!

(ეს წელიც ძალიან მძიმე გამოდგა, არც მომავლის დიდი იმედი მაქვს, ამიტომ აღარ მაქვს სურვილი, შემდგომ თუნდაც მოკლე დღიურის წერისა).

1994

წიგნი VI.

ხვრინვის ბრწყინვალე ხელოვნების შესახებ

მიკვირს...

ერთი რამ მიკვირს:
რატომ არ არსებობს
სიყვარულისა და სიხარულის სამინისტრო?
მე მგონი (მგონი კი არა, უეჭველად!),
ეს უნდა იყოს უპირველესი სამინისტრო
და ყველა სხვა მინისტრი
უნდა მორჩილებდეს მას!
მინისტრად კი უნდა დადგეს –
ყველაზე მშრომელი,
ყველაზე მცოდნე,
ყველაზე ბრძენი
და ყველაზე კეთილი და მხიარული!

1992

ჩემი დეკლარაცია

დღეს 1998 წლის 30 ნოემბერია და ბოლო ვადაც სახელმწიფო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა პირადი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ვინც ამას თავს აარიდებს, მისი საქმე გადაეცემა სასამართლოს და იგი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდება 150 ლარით.

ცხადია, მე არც პრეზიდენტი ვარ, არც – პარლამენტის თავმჯდომარე, არც – მინისტრი, არც – გენერალური პროკურორი და ა. შ., საერთოდ არასდროს მჭერია ხელმძღვანელი თანამდებობა, ორი კაცის უფროსიც კი არ ვყოფილვარ. მერე რამ აგაღებინა კალამი ხელშიო, იკითხავთ, რა დეკლარაციის წერა აგიტყდა – კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო?

ძველი გაზეთიდან შემთხვევით შევიტყვე, რომ, თურმე, არსებობს კანონი ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ 1993 წლის 24 ოქტომბრისა, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქე ვალდებულია, შეავსოს დეკლარაცია! ამიტომაც, სანამ სასამართლოს აღმასრულებელი მომდგომია კარს 150 ლარი ჯარიმის ასართმევად, არ ჯობს, საკუთარი ცოდვები თვით აღვნუსხო და დეკლარაცია გამოვაცხადო? ჩვენი ქვეყნის ქრონიკული საბიუჯეტო გასაჭირის ამბავი რომ ვიცი, მისი დეფიციტის დასაფარავად ამჯერადაც ისევ ჩემისთანა გაჭირვებულებს ჩაუყოფენ ჯიბეში ხელს... მაგრამ წარმატებით დასრულდება კი, კერძოდ, ჩემს მიმართ, ამგვარი ეგზეკუცია? ამიტომაც ღირს ალბათ დეკლარაციის გამოქვეყნება.

ამრიგად, რა გამაჩნია? რა სიმდიდრესა და შემოსავლებს ვფლობ?

12 წელიწადია, ვცხოვრობ ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, მეათე სართულზე (უჰ, შენი გულისა, რა კარგი გადასახედია, რომ იცოდეთ – შავნაბადის, რუსთავისა და იაღლუჯის ხედებით ყოველდღე დაუბეგრავად ვტკბები!); მაქვს სამოთახიანი, ოდითგანვე შეუკეთებელი ბინა (ძალიან მიყვარს დიდ ოთახში ტახტზე წამოგორება და ჭერზე ნაპრალების სისტემისა და ნაირფერი ლაქების ასევე დაუბეგრავად ჭვრეტა – შემოქმედებითად განმაწყობს, ათასგვარ ხილვებსა და ფანტაზიებს მიღვიძებს... ასე რომ, როცა ერთხელ ცოლს წამოსცდა, კარგი იქნებოდა ბინის შეკეთებაო, კინაღამ შევიშალე – მეორედ არ გავიგონო შენგან ასეთი ბრძნული აზრი-მეთქი);

მყავს: ცოლი – ერთი (1), საცოლო ვაჟები – ორი (2), ორივე ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, ძაღლი – არა, კატა – არა, ვირთხა ან თაგვი – არა მგონია;

მაქვს: ათი წლის წინათ მშვიდობით გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი – ერთი (1) და არც ერთი ფიზიკური საგანი, რომლის ღირებულებაც მას დეკლარირების ღირსად გახდიდა, სახელდობრ, არ დავმალავ:

არ მაქვს აგარაკი (არც აქ და არც საზღვარგარეთ);

არ მაქვს გახსნილი ანგარიში ბანკში (არც აქ და არც საზღვარგარეთ);

არ მაქვს ავტომანქანა (არც საბჭოური და არც უცხოური);

არ გამაჩნია ანტიკვარიატი (ძველებური ავეჯი, საათი, ჭაღი, სტატუეტი და ა. შ.);

არ მაქვს ტელეფონი (არც ჩვეულებრივი და არც მობილური);

არ მაქვს მიღებული სახელმწიფო ჯილდოები (პრემია, ორდენი, მედალი, წოდება... თუმცა, ბოდიშს ვიხდი, გამახსენდა: ერთი ჯილდო კი დავიმსახურე – შრომის ვეტერანის მედალი, 1987 წელს!);

არ ვარ ნასამართლევი;

არ ვყოფილვარ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, არც ამჟამად ვარ;

არ ვყოფილვარ დეპუტატი ნებისმიერი დონისა;

მე და ჩემი ოჯახის წევრები არ ვყოფილვართ საზღვარგარეთ (ტურისტადაც კი);

არ მყავს ნათესავები საზღვარგარეთ;

არ მემსახურება პერსონალური ავტომანქანა;

არ მყავს პირადი მცველი (მცველები);

არ მყავს პირადი ექიმი, მასაჟისტი, დიეტოლოგი, მზარეული, თერძი, ფსიქოლოგი, ასტროლოგი და ა. შ.;

არ მყავს პირადი მდივანი (რეფერენტი, მრჩეველი, თანაშემწე და ა. შ.), ამიტომ იძულებული ვარ, ჩემი ნაწარმოებები პირადად მოვახლაფორთო;

არ მაქვს აღებული თოთხმეტი (14) თვის ხელფასი – მეცნიერ-მუშაკისა (მეუღლეს ბედმა გაუღიმა – მხოლოდ ოთხი (4) თვის ხელფასი არ მიუციათ – უმცროსი მეცნიერ-მუშაკისა);

გარდა ამისა, მრცხვენია, მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიარო:

მეტწილად არ მოდის წყალი ბინაში;

მეტწილად არ გვაქვს ელექტროდენი...

უჰ, კიდევ ბოდიში, უნებურად სხვა რაღაცეებზე გადავერთე – მოგეხსენებათ: ვისაც სად ექავება, იქ იფხანს.

შე ოჯახაშენებულო, მკითხველი შემიძახებს, ბარემ ის დაგეწერა, რაც გაქვს, უფრო იოლად მორჩებოდი საქმესო.

ყაბულს ვარ, ბატონო!

მაქვს: მაცივარი (25 წლის "ორსკი"), სარეცხი მანქანა (22 წლის "ოკა-5"), ტელევიზორი (13 წლის "რადუგა") – ღმერთმა მარჯვენა დაულოცოს მათ შემქმნელებს, დღემდე ერთგულად გვემსახურებიან, თუკი, ცხადია, დენი არის, – და პიანინო (16 წლის "რიონიში"); ერთადერთი ფასეული კი ალბათ არის რამდენიმე ათასი ტომი წიგნებისა, აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია რომ ვაგროვებ, ასევე – ჩემი მეგობარი მხატვრების მიერ ნაჩუქარი სურათები: ტიტე შეყილაძის – ათამდე ("დედამიწა", "სახიობა", "მერი", "წიქარა", "სინათლის ზოლი", "დაისი" და სხვები), გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილის – 9, ლიდია შაბარშინას – 3, ვახტანგ ჯაფარიძის – 1, გივი კასრაძის – 3, ქრისტესია ლებანიძის რამდენიმე ესკიზი სხვადასხვა კინოფილმებისთვის და სხვა; ერთ დროს ნაყიდი: რობერტ სტურუას "სამი და ჭავჭავაძენი", ვერა ბელეცკაიას "ლენჯერი" და ლია სვანიძის "მზექალა"; მაქვს ჩემს მიერ მოხლაფორთებული ასამდე აკვარელი და გუაშიც, რომელთაც ფასი ალბათ მხოლოდ ჩემი შვილებისთვის აქვს (მათ ვჩუქნიდი დაბადების დღეზე – სხვას რომ ვერაფერს ვახერხებდი); მიდგას, აგრეთვე, ერთი დღეისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი – თუნუქის ღუმელი (მეოთხე წელია, ვხმარობთ); მის გამკეთებელ ჩემთვის უცნობ ოსტატს "ღუმელის ზღაპარი" ვუძღვენი მადლიერების ნიშნად – იმით გვიდგას სული ზამთარში!

კაცო, დეკლარაცია კი არა, მგონი, რომანი გამომდის, ძალიან გამიგრძელდა...

მოკლედ მოვჭრი:

წინადადება შემომაქვს, დეკლარაციების შესავსებად მოსახლეობა ორ კატეგორიად გაიყოს – ერთმა ნაწილმა, დაახლოებით 95%-მა, დეკლარაციაში ჩაწეროს, რა აქვს (ვინც ათობით წლების განმავლობაში ნაგროვ-ნალოლიავებ წიგნებს ჰყიდის პურის ფულის საშოვნელად, ვინც სოფელს შეეხიზნა და წელებზე ფეხებს იდგამს, იქნებ შიმშილით სიკვდილს გადავარჩინო ოჯახიო, ვინც თვეობით ელის მათხოვრული ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, დახმარება-შემწეობების მიღებას და ა. შ. – ჩამონათვალი ძალიან გრძელია!); ხოლო დარჩენილ რამდენიმე პროცენტში შემავალთათვის უპრიანია, აღნიშნონ, რა არ აქვთ – მათი დეკლარაცია თხის კუდზე მოკლე გამოვა!..

რით არის ცუდი აზრი?

ყველანი თავისუფლად ამოვისუნთქავთ: როგორ გაადვილდება თავსატეხი პრობლემა ("რა მაქვს?" – "რა არ მაქვს?") და რამდენი ენერგია და დეფიციტური ქაღალდი დაიზოგება!

ალავერდს პარლამენტის საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიასთან გადავდივარ!

1998

უტყუარი ავტობიოგრაფია

მე, მოქალაქე მწყალობელი, მაამებელი, მადიდებელი, მადლობელი, ხან მალხინებელი, ხან მაურვებელი – გუერაძე ჯუზეპე, შინაურობაში პეპინოდ ხსენებული, – დავიბადე გორის მაზრის სოფელ საყავრეში, გლეხის ოჯახში. ჩემი დაბადების ზუსტი თარიღი ჯერაც გადაუწყვეტელ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიო მეცნიერებაში. ამ საკითხისადმი მიძღვნილ სადოქტორო დისერტაციაში კალენიკე კარკალაშვილი არცთუ უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ ქვეყნიერება ჩემი მოვლინებით გავაბედნიერე ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში 19 სექტემბრის 19 საათსა და 36 წუთზე. ჩემი შემოქმედები სადმი მიძღვნილ კოლექტიური ორტომიანი ფუნდამენტური მონოგრაფიის I ტომის მე-1788-ე გვერდზე პროფესორი ტრისტან ტრიტონაშვილი სხვადასხვა ფაქტობრივი მონაცემების შეჯერებით და მათი საგულდაგულო ანალიზის საფუძველზე არ დაეთანხმა წინა ავტორს და სარწმუნოდ ასაბუთებს, რომ ეს ბედნიერი ისტორიული მოვლენა უფრო ადრე ინება უზენაესმა – 19 სექტემბრის 19 საათსა და 35 წუთზე. არის სხვა მკვლევართა განსხვავებული შეხედულებებიც, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

მამაჩემი თარგმნიდა ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებს, დედაჩემს გამოჰყავდა თუთის ახალი ჯიშები, ბებიაჩემი ქსოვდა ლამაზ ფარდაგებს, პაპაჩემი კი დიდი მონდომებით ხდიდა ჭანჭურის არაყს (ხანდახან სვამდა კიდეც).

ვსწავლობდი საყავრეს სამრევლო სკოლაში. რამდენადაც კუდი ყავარზე მქონდა გადებული, შემდეგ სწავლა განვაგრძე გერმანიაში პფაიფერის აკადემიაში გერმანული კლასიკური ფილოსოფიის სპეციალობით. მერე სხვა უნივერსიტეტებიც მოვიარე და თითო სემესტრი ყველგან დავყავი. ბურშების დუელები მომბეზრდა და ლუდს ღვინო ვამჯობინე – გადავედი საფრანგეთში. დიდი ომის წინ ვსწავლობდი პარიზის ბერნარდენ-დე-სენ-პიერ-დიუ-შამპლიკოს კერძო უნივერსიტეტში ესთეტიკასა და ხელოვნების ისტორიას. ვწერდი მხატვრებისა და სამხატვრო გამოფენების შესახებ, შემდეგ ეს წერილები შევკრიბე და გამოვეცი 5 ტომად. ერთი წლის შემდეგ იტალიაში ვარ – სანტო ბარტოლომეო დე ანაპოდესტას უნივერსიტეტში ვსწავლობ შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის ხელოვნებას, პარალელურად ვმეცადინეობ მილანოს ვერდის სახელობის კონსერვატორიაში, დავიწყე ოპერის "კაცია-ადამიანი?!." წერა, მაგრამ მხოლოდ უვერტიურისა და რამდენიმე ფრაგმენტის შექმნა მოვასწარი, რადგან ესპანეთს მივაშურე და გზაში ხელნაწერებიანი ჩემოდანი, სამწუხაროდ, მომპარეს. იქ გავაკეთე კასტილიური და ანდალუსიური ჩანახატებისა და აკვარელების სერია, ამასთანავე ვსწავლობდი სანტა ბარბარა დელ პრუდენსიოს უნივერსიტეტში ზღვაოსნობის ისტორიასა და კაბალისტიკას, ვწერდი აგრეთვე მხიარულ რომანს "საყავრე და საყავრელები", მაგრამ, ისევ და ისევ სამწუხაროდ, გამომცემელი ვერ ვიშოვნე. აქედან დიდ ბრიტანეთს მივაშურე – ლითლ ჯორჯ ენდ გრანდ მაიკლის კოლეჯში ავითვისე საფინანსო საქმე და სამართლისმცოდნეობა, მოვიპოვე სამართლის დოქტორის ხარისხი. კვირაში ორჯერ გაზეთებში ვათავსებდი სასამართლო ქრონიკის საინტერესო კაზუსებს, რომლებიც შემდეგ შევკრიბე და გამოვეცი საკუთარი სახსრებით 15 ტომად. ვაპირებდი ფელეტონების საფუძველზე დეტექტიური რომანების სერიის დაწერას, მაგრამ... მაგრამ მიყვარდა ისტორია – კინაღამ გადავყევი კართაგენისა და რომის ბრძოლას. არანაკლებ მიტაცებდა გეოგრაფია – მოვიარე არქტიკის კუნძულები (საკუთარი თვალით ვიხილე ჩრდილოეთის ციალი; ღამე იყო, თორემ ფერწერულ ტილოს შევქმნიდი), საჰარის უდაბნოს უსასრულო სივრცეები (მირაჟებს აღარ ვთვლი – ათზე მეტი ვიხილე, როდისმე მოვიცლი და მათ ზღაპრულ აღწერილობას ქაღალდზე გადავიტან), დავესწარი ტაიფუნს იაპონიაში, ვულკანის ამოფრქვევას ჰავაის კუნძულებზე, ვინადირე კენიაში, ძვირფას ქვებს ვეძებდი ინდოეთში, ოქროს ვრეცხავდი ციმბირის პატარა მდინარეების ქვიშრობებში; ერთი სეზონი გავყევი ვეშაპებზე მონადირეებს, შემდეგი წელი ლჰასაში ვეუფლებოდი ტიბეტის ტრადიციული მედიცინის საიდუმლოებებს... იქიდან გავემგზავრე ჩინეთში – შევისწავლე ძველებური ტრაქტატები ფერწერის შესახებ... მერე მივაშურე ამაზონიას გემით; ინდიელთა ერთ-ერთ ტომში, რომლის არსებობაც მეცნიერებისთვის დღემდე უცნობია, თითქმის მთელი სამი წელი ვცხოვრობდი. შევაგროვე ტროპიკულ პეპელათა და ხოჭოთა უზარმაზარი კოლექცია, აგრეთვე ჰერბარიუმი. აქედან ჩავედი ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, მივიღე მონაწილეობა ორ ათეულ შეხვედრაში კრივში; ერთი ნაბიჯიდა მაკლდა და თვით მსოფლიო ჩემპიონს გამოვიწვევდი მატჩში, მაგრამ ხელსაყრელი შემთხვევა არ გავუშვი ხელიდან – შემომთავაზეს უფასოდ მემოგზაურა საჰაერო ბურთით ატლანტის ოკეანის რეკორდულ დროში გადაკვეთით. ბოსტონში ავფრინდით, წარმატებით გადავლახეთ ატლანტის ოკეანე (საოცრად გაგვიმართლა ამინდმა, ქარიც ხელს გვიწყ-

ობდა), დავეშვით მაროკოში, უდაბურ ადგილას მოვხვდით. აქ ბედუინებმა გადაგვარჩინეს. მწყემსებთან ერთად ვიმომთაბარე ატლანტის სანაპიროსკენ, აქ კასაბლანკაში დავჯექი გემზე და ხმელთაშუა ზღვის გავლით ჩავედი ბათუმში. იქიდან ფეხით წამოვედი თბილისში. გზადაგზა ვიწერდი გურულ, იმერულ და ქართლურ ნაკვესებს და არაკებს.

მას შემდეგ სულ შინ ვზივარ და ჩემს თავს გარდახდილ ამბებს ვწერ. ვწერ და ვწერ, მეშინია მელანი არ დამელიოს და ქაღალდი არ შემომაკლდეს. თუ ვინიცობაა ჩემთან სტუმრობას გადაწყვეტთ, ჩემთვის უკეთეს საჩუქარს ვერაფერს მოიტანთ – იშოვეთ ერთი ბოთლი მელანი (ღვინო არაა აუცილებელი) და ერთი დასტა ქაღალდი (ტორტი არაა აუცილებელი).

ვაპირებ გამოვცე თხზულებათა სრული კრებული 99 ტომად (მეასე ტომს ახლა ვწერ). თუ ვინმეს ჯინი გჭირთ, გირჩევთ შეიძინოთ და საჩუქრად მიართვათ მხოლოდ ერთი ტომი. 100%-იან გარანტიას გაძლევთ, რომ თქვენს მიერ საჩუქრით გაბედნიერებული აუცილებლად დანარჩენ ტომებსაც იყიდის და გაკოტრდება ნაღდად. მეც გამეხარდება და თქვენც...

ისე კი, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და სიცილი ნუ მოგიშალოთ!

1998

განცხადება

გამომცემლობა "კეთილი ალიგატორის" პატივცემულ დირექტორს,
ბატონ *ნაგან ნიანგაძეს*
მოქალაქე *პეპინო გუერაძის,*
მცხ. თბილისში, უსაშველო უბანში,
ჭიანი ჩირის ქუჩა № 1936, IX სართული,
ბინა 19

განცხადება

მოგახსენებთ, რომ გადავლახე (კარგა ხანია) ორმოცდაათი წლის მიჯნა, მქონდა ბედნიერება და საიქიოსაც ცალი ფეხი ჩავდგი (მიოკარდიუმის ინფარქტი პირადად მეწვია!), მაგრამ მამაზეციერმა თვალები დამიბრიალა და დროებით უკან გამომაბრუნა – აგერ რამდენიმე ათეული წელია, კალამს აწვალებ, რამდენიმე ასეული ნოველა მოაცოდვილე (აქედან უმეტესობა მხიარულია!), სხვას კიდევ რომ თავი დავანებოთ; ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე თეთრად გაგითენებია და ამაოდ დაშვრი? ერთი გამოცემული წიგნი მაინც თუ არ გექნა ამოჩრილი იღლიაში, თვალით არ დამენახო – მეც მაინტერესებს, რას იკლავდი თავსო...

ბატონო დირექტორო! აი, ასეთნაირად დამოძღვრილი, იძულებული ვარ, წარმოგიდგინოთ გასართობ ნოველათა კრებული "ღორის მოთვინიერება", იქნებ მოხერხდეს მისი თქვენს გამომცემლობაში დაბეჭდვა. თქვენზეა ახლა ჩემი ბედი დამოკიდებული. გამიგია, რომ ცოდვილთ სამოთხის კარიდან აპანღურებენ და მე რა დავაშავე ისეთი, რომ ჯოჯოხეთის გზაც გადაკეტილი მაქვს? ველი თქვენს მოწყალე პასუხს, იმედი მაქვს, მაღლა ღმერთთან პირშავად წარდგომისგან მიხსნით – ჩემს ჯერაც დაუთვლელ და აუწონავ, უმეტესად დაფარულ ცოდვებს კიდევ ერთს, საქვეყნოდ გამომზეურებულს დაუმატებთ – წარმოდგენილი კრებულის გამოცემას კეთილი თვალით შეხედავთ.

პატივისცემითა და მოლოდინით აღსავსე
პეპინო გუერაძე.

1989 წლის 26 ივლისი.

უჰ, რა სიცივეები იცის იანვარში!

შინიდან რომ გამოვედი, როგორც კედელს, ისე დავეჯახე გაყინულ ჰაერს – მგონი, შუბლზე ბზარებიც კი გამიჩნდა!

ცივა, მაგრამ რა ცივა – ტროლეიბუსში ორჯერ მეტი ხალხი შეეტია, ვიდრე ზაფხულში პიკის საათებში.

– გამარჯობა!

– გაგიმარჯოს! – მპასუხობს შუახნის წვრილთვალება მამაკაცი.

შორეული ნაცნობია, იქნება საუბარში გზა მალე გაილიოს. თუმცა, რაზე უნდა ისაუბრო თითქმის უცნობ ადამიანთან?

— საკმაოდ ცივა, ჰა? ყურები წამეყინა!

ამაზე უწყინარი თემა რაღა უნდა იყოს? მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. თურმე ჩემი მოსაუბრე ინჟინერ-სინოპტიკოსი ყოფილა, რაც მაშინვე ამაყად მამცნო.

— იანვარი თბილისში, და საერთოდ საქართველოშიც, ყველაზე ცივი თვეა! — გახარებულმა გამომიცხადა (რა ახარებდა ნეტავი!) და საყვარელ თემაზე ამხედრებულმა, ისეთი ჭენებით გაუტია, რომ მის მონოლოგში ერთი სიტყვის ჩართვაც კი ვერ მოვახერხე.

— ეს რა სიცივეა, ჩემო ბატონო! — აღგზნებული ლაპარაკით სულ უფრო ხურდებოდა და მისი პირიდან გათოშილ ჰაერში ორთქლიც სულ უფრო ენერგიულად იბოლქვებოდა; დასცხო, მაგრამ რა დასცხო, სულ ციფრების ქარბორბალა დაატრიალა და ფაქტების ნამქერით თვალ-ყური ამომიქოლა: რომ დაიწყო გასული საუკუნიდან (სამწუხაროდ, უფრო ადრეულ ცნობებს ვერ მოგაწვდით, რადგან დაკვირვებები არ წარმოებდაო, ფრიად დარცხვენით მომიბოდიშა), არ გამოუტოვებია არც ერთი წლის ასე თუ ისე ცივი იანვარი; ზუსტად ასახელებდა უმდაბლეს ტემპერატურას, რამდენი კაცის გაყინვა და სხვა უბედურება მოჰყვა ამას... — აი, ყინვები თუ იყო, წინათ იყო, — ისეთი სიამოვნებით იფშვნეტდა ხელებს, თითქოს სიცივემ კი არ შეაწუხა, საახალწლო სუფრა დაინახაო. — ნამდვილი ყინვები იმას ეთქმოდა! 1861 წელს თბილისში იანვარში ისეთი ყინვები დაიჭირა, რომ მტკვარი გაიყინა და ხალხი ზედ ცოგებით სრიალებდა!..

კიდევ უფრო შემცივდა, ამაძაგძაგა, სინოპტიკოსი კი თვალებგაბრწყინებული აგრძელებდა:

— 1883 წლის იანვარი კიდევ უკეთესი იყო — მინუს 18 გრადუსი ცელსიუსით! მაწანწალა ძაღლები სულ დახოცა!

სიცივემ ძვალ-რბილში დამიარა, თვალებზე ბინდი გადამეფარა, მომეჩვენა, რომ ტროლეიბუსის მგზავრებს თმებსა და წარბებზე თრთვილი დაედოთ.

— 1901 წლის იანვარი განსაკუთრებული გამოდგა! — გრძნობათა სიუხვისგან თითქმის ყვიროდა ჩემი ნაცნობი. — აბსოლუტურმა მინიმუმმა მინუს 22-სა და სამ მეათედს მიაღწია!.. ბეღურები ჰაერშივე იყინებოდნენ და ქვაფენილზე ქვებივით უსულონი ენარცხებოდნენ!..

— რა საშინელებაა! — ძლივს გამოვცარი კბილებში; ახლა მთელი თბილისის ღუმელებიც ვეღარ გამათბობდა.

— როგორ გეკადრებათ! მაგაზე დაბალი იანვრის ტემპერატურა თბილისში აღნიშნული იყო 1912 წელს, როცა გაიყინა წყალსადენი, ბავშვები ორ კვირას სკოლაში აღარ გაუშვიათ. ყოველ დილით გაყინულ მაწანწალებს აგროვებდნენ, შეშასავით აწყობდნენ ფურგონებში!

ვიგრძენი, ვითოშებოდი, უკვე განძრევა მიჭირდა, ლაპარაკის თავიც კი არ მქონდა და აღარ დამიზუსტებია, სახელდობრ რამდენი გრადუსი იყო ნულს ქვემოთ იმ ნეტარხსენებულ დროს... სინოპტიკოსი კი კიდევ უფრო ცხარდებოდა, ვერცხლისწყალივით ცქვიტი თვალები სულ უფრო უფართოვდებოდა:

— ეგ არაფერი. 1927 წლის იანვარი თბილისში რეკორდული სიცივით აღინიშნა, რასაც დაერთო გრიგალი და ქარბუქი!.. ქარი თუნუქის სახურავებს ჰაერში გაზეთებივით მიაფრიალებდა, მერე ჩაწყნარდა და ისეთი თოვლი დადო, რომ ხალხი კარს ვეღარ აღებდა!

სინოპტიკოსმა ისე გაბუქა გარემო, რომ ირგვლივ ვეღარაფერს ვხედავდი... ეგ კარგი დედმამიშვილი თვითონ კი გახურდა და ერთი ჩემიც იკითხოს! ვატყობ, თანდათან ხელ-ფეხი მებორკება, საბედისწერო წამი ახლოვდება...

ბედად ტროლეიბუსმა მორიგ გაჩერებას მიაღწია და კარის წესიერად გაღებას აღარ დავუცადე, გავშალე ფეხი და მაშინვე გადმოვხტი თუ გადმოვფრინდი — ჩემს ნაცნობთან გამომშვიდობებაზე დრო აღარ დამიკარგავს.

ცოტა ხანს ადგილზევე შევიცადე, სანამ ტროლეიბუსი თვალს მიეფარებოდა და მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე თავისუფლად...

უჰ!.. თითქოს გავთბი კიდეც. ცოტა კი მჩხვლეტს სახეზე დილის სუსხი და ჩემს სამსახურამდე სამი გაჩერებით ადრე ჩამოვსულვარ, მაგრამ მაგას ვჩივი?!. კაცი ყინულის ლოლუად გადაქცევას გადავურჩი!..

მეტროში

ჰო-ჰო, რა ჯგლეთაა დილით მეტროში!

მეტროს სადგურამდე, რასაკვირველია, ფეხით მივრბივარ; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დილის გასეირნება (გასეირნებაა ვითომ?) სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის და მეორეც, რაც მთავარია, ბაზრიდან მომავალი თადარიგიანი დიასახლისის ჩანთასავით გაძეძგილ ავტობუსში ცხვირსაც ვერ შეყოფ – კიბეზე ჩამოკონწიალებულ, ღია კარებს მოჭიდებულ, შედარებით ჯანიან მოქალაქეებს ტანკიც ვერაფერს დააკლებს, ფანჯრიდან თუ გადაძვრები ავტობუსში, თორემ ისე სხვა საშველი არაა!

ჰოდა, გაოფლილი ჩარბიხარ მეტრო "ვარკეთილის" ზედა სადგურის კიბეებზე, ორ-ორ, ხან სამსამ საფეხურსაც ახტები... ადრე თუ გვიან ფეხს იღრძობ უეჭველად, თუ უარესი არაფერი დაგემართა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო სად გაქვს – სხვა, შენსავით აჩქარებულ მოქალაქეებს ლამობ, გაასწრო; ხან მარცხნივ მიხტიხარ თავისუფალ "დერეფანში", ხან – მარჯვნივ, არცთუ იშვიათად უხმოდ იგინები კიდეც, როცა წინ გაფენილი სარეცხივით გადაგეღობება ერთ ხაზზე გამწკრივებული ნაკლებმოძრავი (უმთავრესად ქალთა) ზურგები... იძულებული ხარ ჯამბაზივით აქეთ-იქით იხტუნავო, იქნებ როგორმე აუქციო მხარი მოზოზინეთა რიგს, უფრო ხშირად – ამაოდ...

მერე ჯაჯგური ხურდა ფულის დამხურდავებელ ავტომატთან – "ფუი, გადაგიშენდა მომგონი!" – იწყევლები, ძლივს მოაღწია შენმა რიგმა და ავტომატი გამოირთო, ხურდა ფული გაუთავდა. გუნებაში საკუთარ თავსაც აგინებ, როცა ორი-სამი თავხედი ჯეელი ურიგოდ ჩაეჩხირა და არაფერი უთხარი; მერე გარბიხარ დამხურდავებელი ქალის სარკმლისკენ... აჰა, მოაღწია შენმა რიგმაც (რამდენიმეს, ურიგოდ რომ ცდილობდა გაძრომას, შეუღრინე კიდეც), მიაწოდე მანეთიანი და ის ოჯახაშენებული დამხურდავებელი დაგროვილი ხურდის თვლას იწყებს... გულზე სივდები, გიკვირს – მის წინ ბლომად აწყვია უკვე დათვლილი "მანეთიანი" ხურდის სვეტები, რა უღირდა ამ ცაიტნოტის დროს, პირდაპირ იქიდან მოეცა? მაგრამ იცი, რომ შეკამათება არ ღირს, მოთმინებით ბღუჯავ მარმარილოს უკვე გაცვეთილ დაფაზე დაუდევრად დაყრილ ხურდას, სიჩქარისგან ერთი იატაკზე გივარდება და ახლა ახორხლილი ფეხების ტყეში ცდილობ დამალული მონეტის მოძიებას...

მერე ჩარბიხარ ესკალატორის კიბეზე; ვინც დგას და ხელს გიშლის, უბოდიშოდ წევ მარჯვნივ ხელით და ჩარბიხარ, ჩარბიხარ... ბაქანზე თავქუდმოგლეჯილი გარბიხარ მატარებლისკენ, მაინცდამაინც ამ დროს ხალხის აგორებული ტალღა მოედინება შენს შესახვედრად და, დაბოღმილი, გულგასიებული, მიიკვლევ გზას ჯიკავ-ჯიკავით – ბედი არ გინდა? რაღა ახლა ჩამოდგა ორი მატარებელი ერთად!

როგორც იქნა, შენი მატარებლისკენ მიმავალი თავისუფალი დერეფანი დალანდე, უკანასკნელი გაბრძოლებაც... და შენს ცხვირწინ ჯახანით იხურება უკვე დაძრული ვაგონის კარები... ფუი ეშაკს! ამ მატარებლისთვის რომ მიგესწრო, წკიპზე მოახერხებდი სამსახურში დროზე მისვლას, ახლა კი გულგადაწურული უცდი, როდის ჩამოდგება შემდეგი მატარებელი... ის კი მოსაბრუნებელ გვირაბში დგას და დაძვრას არ ჩქარობს, ნეტა რას გაეჩხირა, რა დაემართა?

განერვიულებული დააბიჯებ ბაქანზე, წამდაუწუმ საათს შესცქერი – ერთი წუთი გავიდა, ორი, სამიც... როგორც იქნა, გვირაბიდან ზმუილი მოისმა და ელექტრომატარებლის პროჟექტორმა გამოანათა.

ჩამომდგარ მატარებელს კარებს წესიერად გახსნას არ აცდიან, მგზავრები ზრიალით ასკდებიან, იმართება ჭიდაობა – ყველას უნდა, სკამზე მოკალათდეს... სხვებს არც შენ ეპუები და სკამზე ჩამომჯდარი ოფლს იწმენდ. დაჯდომას ვერ ასწრებ და დაბარებულივით ხელჯოხიანი მოხუცი დაგადგება თავზე და მაშინვე უნდა ზლაზვნით წამოდგე, ადგილი დაუთმო. ვაგონი იტენება და ახლა თავისუფლად ფეხზე დგომაც ჭირს – პიკური საათია!

მატარებელი კი არ აპირებს წასვლას, თითქოს ბორბლები მიეყინა რელსებს. მგზავრები ჯიჯღინებენ, მოუთმენლად იყურებიან საათზე, ნერვიულად ინაცვლებენ ფეხს... სუნთქვა ჭირს... როგორც იქნა, ყურებს გტკენს მეტისმეტად ხმამაღალი, გაბმული ხრიალი: "ფრთხილად, კარები იკეტება! შემდეგი სადგური – "სამგორი"!". კარები ხმაურით იხურება და მატარებელი იძვრის ადგილიდან.

ამოსუნთქვას ვერ ასწრებ და ისმის მუხრუჭთა ხრჭიალი, ვაგონი ბიძგით ჩერდება, კარები იღება... ეტყობა, ვიღაც მოუთმენელი ნახევრადღია კარებში გაეჩხირა.

ამჯერად დიდხანს არ ვდგავართ, კარები ისევ იკეტება და მალე მატარებელი მიგრიხინობს გვირაბში. მაინც მიყვარს მეტროთი მგზავრობა – რამდენი ახალი სახე შემოგხვდება – პორტრეტთა მთელი გალერეაა, თან ყოველ გაჩერებაზე იცვლება. ზოგი სახე შემოგაცქერდება კიდეც – უყურადღებოდ, ვითომც კარს ან სავარძელს შეავლო თვალი – და მაშინვე მოგაცილებს მზერას. წავი-

და, ეჰ, კარგა ხანია, წავიდა ის დრო, როცა მარწყვივით გოგოს მიაჩერდებოდი, ისიც წამით მომნუსხველად გაგიშტერებდა თვალებს, მერე დახრიდა წამწამებს, ცოტა ხანში კი ისევ ამოგხედავდა, ამჯერად უფრო დიდხანს არ მოგარიდებდა თვალებს, შენი დაჟინებული მზერიდან წამოსულ უხილავ თბილ სხივებს საკუთარ შემხვედრ ასეთსავე ნაკადს შეაგებებდა...

ახლა შენც თანაბარი (თითქმის თანაბარი!) ყურადღებით ათვალიერებ ფეხზე მდგომ დაღლილსახიან შუახნის კაცს, ვაგონის ყანყალში გაზეთს რომ კითხულობს, გვერდით მჯდომ შაოსან დედაბერსაც, თვალები რომ დაუხუჭავს, თავი ჩაუქინდრავს და მაინც მაგრად უჭერს გამხმარ თითებს კალთაში ჩადგმულ ჩანთას (ამ დილაადრიან სად მიეჩქარება ნეტავი?); იმის იქით თვლემს ზონზროხა ქალი, ყვითლად უხეიროდ შეღებილ, მოკლედ თმაშეკრეჭილ თავს აკანტურებს... აგერ კოხტად გამოწკეპილი, ამაყად გაჯგიმული ორი ნორჩი ლეიტენანტი ერთმანეთში საუბრობს, სამ გოგოს წრე შეუკრავს და სულ კისკის-კისკისით რაღაცაზე ჩურჩულებს; ფაშვიანი უზარმაზარი კაცი მელოტ თავს თითქმის ვაგონის ჭერს აბჯენს, ტორებით ჩამოჰყუდებია მონიკელებულ ხელის მოსაჭიდს და ხარის თვალებით უდრტვინველად დაჰყურებს მოქანავე თავებს და მხრებს...

ხშირად ამოვიჩემებ ხოლმე რაიმეს, – მაგალითად, ცხვირს – და მთელი გზა მხოლოდ ცხვირების "კოლექციას" ვათვალიერებ; მეორეჯერ – ქუდებს, ღმერთო ჩემო, რამდენნაირ ქუდს არ ნახავ კაცი! მესამედ – კაბებს, ან ქსოვილების ნახატს, ან ტუჩების ფორმას, თმის ვარცხნილობას და რას აღარა! თუნდაც სხვადასხვაგვარ სათვალეებს, ღილებს, ყურებს, საყურეებს, ჩანთებს... მდიდარი "კოლექციები" შეიძლება შეაგროვო (რომ იჯდე, ჩაიხატავდი ალბომში!).

ხალხის ყაყანი და ვაგონის დგანდგარი ერთმანეთში ითქვიფება; გაჩერებებზე ერთი ნაკადი მგზავრებისა გარეთ გაედინება, სანაცვლოდ კიდევ უფრო მეტი ხალხი შემოიჭრება შიგნით... სამი გოგო გასულა, მათ ადგილზე ახლა ბიჭები დგანან, ისინიც სიცილით საუბრობენ, მხრებზე უდარდელად უტყაპუნებენ ერთმანეთს ხელს.

ჩემს წინ მჯდომი დედაბერი ხელების ცეცებით გახანხალდა გარეთ, მისი ადგილი ახალგაზრდა ქალმა დაიკავა; პატარა, ბაფთიანი გოგონა ჩაისვა კალთაში, გაუწყრა, ფეხებს ნუ აქანავებო. მეორე მხარეს ხანშიშესული კაცი დაჯდა, დასვირინგებული გამხდარი ხელები მუხლებზე დაიწყო. დაჯდომა ერთი იყო და მაშინვე ფეთიანივით წამოვარდა, ხელისკვრით ძლივძლივობით გაიკვლია გზა კარებამდე, რომელიც ის-ის იყო იკეტებოდა და ბოლო წამს გაასწრო გარეთ – კარებთან ატუზულმა ყმაწვილმა შეამჩნია და დროზე დაიჭირა ხელით დასაკეტად დაძრული კარი...

აჰა, ვაგზლის მოედანიც – აქ საბურთალოს ხაზზე უნდა გადავჯდე. ვაგონიდან გამომავალი ხალხის დინებამ გამტყორცნა გარეთ – იმ წამსვე საათს შევხედე და ნაბიჯი შევანელე... დავაგვიანე! ჩვენს უფროსს ჩვეულება აქვს: დაწესებულების წინ დგას და დაგვიანებულებს თათხავს. ხუთიათი წუთის შემდეგ თვითონაც შედის შენობაში, ამიტომ ჯობს, ათი წუთით დავაგვიანო...

გადასასვლელ გვირაბში ვცდილობ ნელა სიარულს – არაფერი გამომდის! წლობით სირბილმა მეტისმეტად მტკიცე ჩვევა გამომიმუშავა! აბა, ჰე! ვუსწრებ ერთს, მეორეს, მესამეს, გვერდს ვუქცევ ჩემსავით სულსწრაფ შემხვედრთ, გავდივარ კედელთან, კიდევ უფრო ენერგიულად თითქმის მივრბივარ თავისუფალ დერეფანში...

საბურთალოს ხაზის მატარებელი დაბარებულივით დგას და შევდივარ თუ არა ვაგონში, მაშინვე ადგილიდან იძვრის. როცა არ გეჩქარება, რატომღაც მუდამ ასეა, აბა ერთი მეჩქარებოდეს! თუ მე მეჩვენება?

ახლაც ფეხზე ვდგავარ და ისევ ჩვეული საქმით ვერთობი – მგზავრებს ვათვალიერებ. ამჯერადაც რამდენიმე მუდმივ "თანამგზავრს" ვამჩნევ. აგერ ეს ჭაღარათმიანი კაცი, თავისი განუყრელი ყავისფერი პორტფელით; მოშორებით ორი ჩემი თანამშრომლის თავებსაც ვხედავ – ქალები ერთმანეთში გაცხარებით ბჭობენ რაღაცაზე, დავიფიცებ, რომ მეცნიერულ პრობლემებზე არა.

შედარებით ხალვათობაა, დაჯდომაც შეიძლება, მაგრამ არ ღირს, სულ სამი სადგური უნდა გავიარო. ვინ – გაზეთებს კითხულობს, ვინ – თვალებდახუჭული ისვენებს ან საკუთარ ფიქრებში ჩაძირულა... სხვებიც, ვისაც მოსაუბრე არ ჰყავთ, რაღაცას თავისას ფიქრობენ, აქეთ-იქით არ იხედებიან. ეტყობა, ისეთი მომენტია მეტროთი მგზავრობა, როცა საქმის ორომტრიალს ან სირბილს დროებით გამოთიშული ხარ, შეგიძლია საკუთარ თავთან განმარტოვდე და ეს უჩვეულო მდგომარეობა სახეზე დაღვრემილობას ბადებს...

ხრიგინ-ხრიგინი, არეული ლაპარაკი, მერე – გაჩირაღდნებული სადგური, დიქტორის ხრინწიანი ხმა, კარების დაკეტვის ტკაცუნი, აჩქარებული ვაგონის მოტორის წუილი, ისევ გვირაბის კედლებიდან არეკლილი ხრიგინ-ხრიგინი...

აგერ ჩემი სადგურიც. გამოვდივარ ბაქანზე... ვდგავარ, მგზავრთა აზვირთებულ ტალღას ვატარებ და განმარტოვებით ნელა მივსეირნობ ესკალატორისკენ. ძალიან მოკლე ესკალატორია და ნახევარ წუთში ავდივარ, არც ღირდა მისი მოწყობა.

და აჰა, ამოვდივარ ქუჩაზე! დილის მზე თვალისმომჭრელად ჭიატობს ვიტრინის ფართო შუშაში, ხასხასებს ხეთა სიმწვანე, ბრწყინავენ ჯოგად მიმქროლავი ფერად-ფერადი მანქანები... გრია-

ლებს ქუჩა და მეტროსთან შედარებით მაინც ისვენებს ყურები; ბედურების ჭყლოპინი საოცარ მუსიკად ჩაგესმის...

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ქვესკნელის გველეშაპის ხახისგან დავიხსენი თავი. რა მინდოდა, კაცო, ცოცხალს მიწისქვეშეთში?

სასწაულია მეტრო, მაგრამ უფრო მეტი სასწაულია მზის სხივი, ლურჯ ცაში გამოკიდებული თეთრი ღრუბელი, ბალახის ღეროზე აკიაფებული ცვრის მარგალიტი...

აჰა, ერთი სასწაულიც – ამ სირბილ-სირბილში და სხვების თვალიერებაში ახლაღა ვამჩნევ (მობოშებული ფეხსაცმლის ზონრის შესაკრავად დავიხარე), რომ... რომ საშინაო, ზოლებიანი პიჟამოს შარვალი მაცვია!..

1987

ჩვენი ანზორას ქორწილი

სიტყვა "ქორწილი" თუ იცით, როგორ წარმოიშვა? მე მგონია, ასე: "ქორს წიწილი მიაქვს", შემოკლებულად იქნება: "ქორწილი მაქვს"!

ნათქვამი ხუმრობად ჩამითვალეთ, ახლა სერიოზულ ამბავს მოგახსენებთ.

ხომ იცით, ჩვენი ანზორა რა სულსწრაფია: პაპიროსის წევა თორმეტი წლისამ დაიწყო; სწავლა–განათლებას ჩვენს დროში რა თავში ვიხლი – მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები პირადი ბიბლიოთეკის წიგნებს ჰყიდიან პურის ფულის საშოვნელად, მათი ცოლები სხვათა ოჯახებს სარეცხს ურეცხავენ და ბინებს ულაგებენო, – ანზორამ კინომექანიკოსის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა, საშუალო სკოლა არც დაუმთავრებია; ახლა კი თვრამეტი წლის შესრულებას არ მოუცადა და დაოჯახება გადაწყვიტა! მშობლები, აბა, რას ეტყოდნენ – ერთადერთი შვილი ჰყავთ, თვითონ უკვე არც ისე ახალგაზრდები არიან, დროზე უნდათ შვილის გაბედნიერებით გაიხარონ და შვილიშვილებსაც მოესწრონ...

ჩვენს ანზორას ძმაკაცები ჰყავს ტონა, ქორწილში ყველა დაჰპატიჟა: ბესიკი, დათუნა,. ზაზა, გაგი, ვოვა, გიორგი და სხვანი და სხვანი (ყველას რა ჩამოთვლის!) – მომავალ შაბათს ხელს ვაწერ თამრიკოსთან და არც ერთი დააკლდეთო. ანზორას ოჯახი ხელმოკლეა, სამაგიეროდ, დედოფლის მხარეა შეძლებული – ქალის საქმოსანმა ბიძამ იკისრა ქორწილის მთელი ხარჯი.

დავფაცურდით ბიჭები – მანქანა სად ვიშოვოთ? ბევრი ვირბინეთ, არაფერი გამოგვდის... ბოლოს, ზაზას დანჯღრეული "მოსკვიჩი" სასწრაფოდ მოვიყვანეთ წესრიგში და შვიდი ბიჭი ამაყად გამოვიჭიმეთ შიგ (ერთმანეთს თავზე ვასხედით – კინაღამ გავიგუდეთ!).

მშვენიერი შაბათი დღეა, მანქანების ქარავანი დაიძრა ქორწინების სასახლისკენ. შუა გზაში ჩვენმა მანქანამ დაიწყო ძაგძაგი, ბიძგებით სვლა, მერე ერთი-ორჯერ გაისროლა მაყუჩში და ხმა ჩაკმინდა... ჩამქრალია ძრავა, არ უნდა ამუშავება, თუ გინდა, მოკალი. ზაზა ქოქავს, ქოქავს – სულ ტყუილად ჯახირობს... აწვალა მანქანა, სანამ აკუმულატორი დაიცლებოდა.

გადავდექით გზაზე, ყელს ვიწევთ, ვიხვეწებით – არავინ გვიჩერებს, ვის აქვს ჩვენი დარდი. მივაწექით მანქანას, გორვა-გორვით რომელიღაც ავტოპროფილაქტორიუმს მივადექით. ოფლად ვართ გახვითქულნი, შვებით ამოვისუნთქეთ. მერე რა – ჩვენთვის არავის სცალია, რიგი დგას. ხვეწნა-მუდარით და ლამის მუხლებზე დავარდნით, ცოტა ჩხუბითაც, ჩავეჩხირეთ ურიგოდ, გაგვიკეთეს მანქანა. თურმე ბევრი კი არაფერი სჭირდა – სანთლები სველდებოდა ბენზინით. მოვიქექეთ ჯიბეები, რაღაც გროშები გვებადა, ის მივეცით ხელოსანს, მერე დავაწექით და ზუსტად იმ დროს მივედით, როცა ბარათაშვილის ქუჩაზე ქორწილის სასახლესთან ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ ნეფე-დედოფალი და მათი მშობლები საგანგებოდ დაქირავებულ "მერსედესში" სხდებოდნენ. სხვებმა "ვოლგებსა" და "ჟიგულებში" მოიკალათეს, ჩვენ კი, როგორც მოგახსენეთ, ბაბუაჩემისდროინდელი გაუბედურებული "მოსკვიჩით" მივჩანჩალებდით მათ კუდში, მანქანიდან გადმოსვლა და მილოცვაც კი ვერ მოვასწარით.

თავიდან საქმე კარგად წაგვივიდა. ავგრიალდით თავისუფლების მოედანზე ხმოვანი სიგნალების ჭყვიტინით, ერთი სამი წრე შემოვუარეთ, შემდეგ რუსთაველის გამზირზე მივჯირითობთ, ერთმანეთს ვეჯიბრებით – ქორწილია, ქორწილი! დაფეხვილი "მოსკვიჩით" ვისი გამსწრები ვართ, მაგრამ ერთგან, გიორგი სააკაძის ძეგლთან რომ მანქანების ჭედვა შეიქმნა, ზაზამ ჩვენი "მოსკვიჩი" პოლიციის ორ მანქანას შორის ისეთ ვიწროში გააძვრინა, პოლიციელებს თვალები კინაღამ გადმოუცვივდათ. მივგლიჯინობთ ამ ჩვენი ბებერი მანქანით და გადაგვისწრო ისევ ყველამ, ცხადია. დიღმის ხიდთან ვიფიქრეთ: არიქა, მახარობლები ვიქნებით – გზა მოკლეზე მოვჭრათ! – სანაპიროთი წავედით. შევცდით, გაუბედურებული გზაა ბოლოში; ერთგან ჩაჰკრა ბორბალი ორმოში – ბრახ! – მან-

ქანას მაყუჩი მოსძვრა. ჩავაგდეთ საბარგულში და საშინელი გვრგვინვა-ღმუილით მივდივართ – ქორწილია, ქორწილი!

ბედი არ გინდა?!. აქ წელიწადში ერთხელ არ გაივლის და ახლა რა ჭირი ეცა, რა უნდოდა ამ მივარდნილ ადგილას – პოლიციის მანქანა არ შემოგვეფეთა? გაგვაჩერეს, ორი საგზაო ინსპექტორი ფინთი სახეებით გადმოდის შავი "ვოლგიდან"... ჯარიმა! სად გვაქვს კაპიკი – ტყუილად ვიქექავთ ჯიბეებს. ვემუდარეთ, ავუხსენით ჩვენი მდგომარეობა, თავს ვაცოდებთ... არ შეგვიწყალეს – ოქმი შეუდგინეს ზაზას, მგზავრებით გადატვირთული უმაყუჩო მანქანით გრიალით იკლებდა უბანსო, მართვის მოწმობაც წაართვეს...

როცა ჩვენს ეზოში მივჩანჩალდით, დანარჩენი მანქანები, რა ხანია, იქ იდგნენ უკვე. მთელი მეზობლობა, აივნებიდან და ფანჯრებიდან თავგამოყოფილი, ჩვენ გვიყურებდა, ისეთი ჭექა-ქუხილით მივბრძანდით – ვინ არიან ეს ქაჯებიო.

ზაზა დაძმარებული სახით ზის საჭესთან, მანქანიდან არ გადმოდის. გაგი კარს ეჯაჯგურება, გაჭედილა ეს ოხერი, ვეღარ აღებს. ორი ბიჭი ვეხმარებით, ვერც ჩვენი მონდომება იღებს შედეგს. ბოლოს, ჩვენ გარედან და გაგიმ შიგნიდან ერთდროულად შევახმატკბილეთ ძალისხმევა, მთელი ძალით მოვქაჩეთ – კარი ზათქით გაიღო, ჩვენ წავიქეცით, გაგი კი შამპანურის საცობივით გამოვარდა მანქანიდან და ასფალტზე მტვერში გადაკოტრიალდა...

"ჰა-ჰა-ჰა!.." – ჩაბჟირდნენ სეირის მაყურებელნი პირველიდან მერვე სართულის ჩათვლით და მათ თვალთაგან წამოსულმა წვიმამ ქოლგები მოანატრა ეზოში შეგროვილთ.

გაგი წამოდგა, ტანსაცმელს იფერთხავს, ლამის ტირილი მოერია:

– გზაში ჩვენს მანქანას მაყუჩი მოსძვრა!

"ჰა-ჰა-ჰა!.. – გამეორდა ისევ.

ასე დაიწყო ჩვენთვის ჩვენი ანზორას ქორწილი. ლხინის დროს კი რა ამბებიც დატრიალდა, მათი მოყოლით აღარ დაგღლით... მოკლედ მოგახსენებთ: გატყდა თხუთმეტი დიდი და პატარა თეფში, ჩვიდმეტი ჭიქა, ხუთი ბოთლი, ოთხი გრაფინი, ორი თავი, სამი ცხვირი; დათუნას ვიღაცის ფეხსაცმელმა ნიკაპი გადაუყვლიფა; ირაკლი შინ სხვისი ქურთუკით წაბანცალდა; საშკამ ეზოში სიყვარულის ახსნა დაუწყო ძაღლს, იმან კი, სამაგიეროდ, ცხვირზე უკბინა; პაატას შინისკენ სვლის მიხვეულ-მოხვეული ტრაექტორია ადვილად შეგეძლო დაგედგინა მოთხრილი ახალგაზრდა ხეებით...

ჭეშმარიტად, ჩვენი ანზორას ქორწილმა მშვენივრად ჩაიარა!..

1998

ბიბლიომანის განკურნება

გაუმარჯოს ხელფასის აღების დღეს!

ვალების გასტუმრების შემდეგ ჩვეულებისამებრ ჯერ ფილარმონიასთან მდებარე წიგნის მაღაზია "ჩირაღდანი" მოვინახულე. ვიყიდე მხატვართა რამდენიმე ალბომი, ორი გეოგრაფიული წიგნი, ერთი – ბელგიის, მეორე – პორტუგალიის შესახებ, მსოფლიოს გეოგრაფიული ატლასის ახალი გამოცემა (სკოლიდანვე ვის არ იტაცებს მოგზაურობა!), აგრეთვე "XX საუკუნის მუსიკის შესახებ" (ოჰ, ეს მუსიკა!), "სამყარო შენს შიგნით – ემოციები, ქცევა, ადაპტაცია", "ქართული სატირული რომანი" (ასეთი, "კვაჭის" მეტი, რომელია ნეტავი?) და რამდენიმე ბროშურა ხელოვნებისა და ესთეტიკის შესახებ.

შემდეგ ფეხით გავწიე რუსთაველის გამზირზე ოპერის პირდაპირ მდებარე მაღაზიისკენ (გზად ბუკინისტურ მაღაზიაში შევიარე და სამი წიგნი შევიძინე, რომელთაც დიდი ხანია ვეძებდი – ბედი არ გინდა?!.). აქაც საკმაოდ გავმდიდრდი: ორი რომანი, სამი მოთხრობებისა და ოთხი ლექსთა კრებული, ორი ლექსიკონი, "თუშეთი" (ასი წელია, თუშეთის მონახულებას ვაპირებ), "უსასრულობა, შავი ხვრელები და სამყარო" (ამ ბოლო ხანს გახშირდა ფანტაზიურ-კოსმოსური რომანები და ვაპირებ, პაროდიული რომანი დავწერო საპლანეტთაშორისო მოგზაურობაზე.)

უკვე საგრძნობლად დატვირთული, გავეშურე მარჯანიშვილის მოედნისკენ, სადაც მაღაზია "ხელოვნებაში" შევიძინე: "ხელოვნება მეცნიერების საუკუნეში", "კანტის ესთეტიკა", "კინოს ფილოსოფიური საფუძვლები", "პრაქტიკული ფსიქოლოგია" (ძალზე მოუხერხებელ, უგერგილო კაცად მიცნობენ და იქნებ მეშველოს!), "ცირკის გამოჩენილი კლოუნები" (რა ვიცოდი, სულ მალე თვით დავემსგავსებოდი მასხარას...); დავამატე კიდევ სამი ალბომი მხატვართა ნამუშევრებისა, ხუთი ღია ბარათების კომპლექტი, სამი ლექსიკონი... ვატყობ, წიგნები ბლომად დამიგროვდა და შევეშვი ზოგიერთის ორ-სამ ცალად ყიდვას. მეგობრები ყველას გვყავს და რომელს არ გაუხარდება, როცა აჩუქებ, მაგალითად, "500 სასარგებლო საოჯახო რჩევას" ან "სუფრის გაწყობის ხელოვნებას"; ზოგიერთს მიართმევ "ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემებს" ან "ეგზისტენციალიზმს"

და ამით ორ კურდღელს დაიჭერ: ჯერ შენს ინტელექტუალურ ინტერესთა სიღრმეს დაანახვებ და მეორეც – რაც მთავარია, ვისაც აჩუქე, ის მიგაჩნია თურმე დიდად განსწავლულ პიროვნებად და ძალიან ასიამოვნებ...

ამ დალოცვილ მარჯანიშვილის მოედანზე სამი წიგნის მაღაზიაა. ბოლო მაღაზიიდან გამოსვლამდე მოვახდინე ჩემი ნადავლის სისტემატიზაცია (გადავფურცლე "შრომის მეცნიერული ორგანიზაცია" და დროულადაც).

რადგან წიგნები ცალ-ცალკე ხელებში არ მეტეოდა, ახალი პრინციპი გამოვიყენე. ქვევით ყველაზე დიდი ალბომები დავდე "საძირკვლად", შემდეგ დიდ-პატარობის მიხედვით ზედ დავაწყვე "მშრალი წყობით" – თუშური კოშკივით – დანარჩენი წიგნები (მიხვდით ალბათ, "თუშეთის" გადათვალიერებაც მოვასწარი; კიდევ იტყვით რომელიმე წიგნზე, რად გინდოდა, რაში გამოგადგებაო?).

ორივე ხელით ხვნეშით ავწიე წიგნები. ვიღაც მადლიანმა ხელი მომკიდა და ქუჩაში გამომიყვანა, რადგან ჩემი "კოშკის" ზედა კიდე თვალების სიმაღლეს ასცდა და წინ ვეღარაფერს ვხედავდი. ასე "ბრმად" ნელ-ნელა, სახლთა კედლების გასწვრივ ჩოჩვით, მივაღწიე ტრამვაის გაჩერებამდე. გზა-გზა ვითომ გამეხუმრებოდნენ ხოლმე ვიღაც-ვიღაცეები – მუშა ხომ არ გჭირდებაო, მაგრამ მათთვის ყურადღება არ მიმიქცევია – ფსიქოლოგია ტყუილად კი არ მაინტერესებს; თვითაღზრდის, თავშეკავებისა და სხვა მაღალი მატერიების შესწავლაში ჭიპი მაქვს მოჭრილი!

ძლივს ავბობღდი ტრამვაიში, აქეთ-იქიდან ორი კაცი მეხმარებოდა. საბედნიეროდ, ვიღაც ქრისტიანმა, – ხმაზე შევატყვე, ახალგაზრდა ქალი უნდა ყოფილიყო, – უმალ დამითმო დასაჯდომი ადგილი.

მოვათავსე ჩემი ნადავლი მარცხენა მუხლზე, დავიჭირე მარცხენა ხელით და მარჯვენათი ჯერ სახეზე და კისერში ღვარად მომდინარე ოფლი შევიმშრალე ცხვირსახოცით, შემდეგ დავიწყე ფათური ჯიბეებში (რა თქმა უნდა, საკუთარში) ბილეთის ასაღები ხურდა ფულის მოსაძებნად. დიდხანს ვიქექე და ვერაფერი მოვქექე. სამჯერ დავუარე შარვალ-პიჯაკს მარჯვენა მხარეს ზევიდან ქვევით და მერე ქვევიდან ზევით – ამაოდ... დიდი ჭაპანწყვეტით გადავიტანე წიგნები მარჯვენა მუხლზე და ახლა მარცხენა ხელი ავამუშავე.

ზევიდან ქვევით...

არაფერი.

ქვევიდან ზევით...

სიცარიელე.

ისევ ზევიდან ქვევით...

იგივე შედეგი.

ცივმა ოფლმა გამოუონა შუბლზე, სიმწრის ოფლმა. ამაკანკალა. წარმოვიდგინე, როგორ შემოვა ბილეთების გამსინჯველი და ცივი ხმით ხმამაღლა გამოაცხადებს: "აბა, წარმოადგინეთ ბილეთები!" რას ანახვებ, რაც არ გაქვს? "წიგნების მთას რომ ეფარები, ბატონო ინტელიგენტო, ბილეთისთვის ხუთი კაპიკი გენანება? ან ჯარიმა გადაიხადე, ან მილიციაში მიგაბრძანებთ!" შემდეგ მოგზაურობა მილიციაში (ამ წიგნებს რაღა მოვუხერხო?), გადაგიღებენ სურათს და გამოგჭიმავენ გაზეთში ან ტელევიზორში სხვათა ჭკუის სასწავლად და შენს ნაცნობ-მეგობართა გასახარად... ("ნახე, ჩვენი პეპინო ტელევიზორში რომ გამოაჭენეს? რაღა უჭირს, საქვეყნოდ გაითქვა სახელი!").

არ გინდა ახლა ჩამობობღდე ტრამვაიდან და რამდენიმე კილომეტრი იწანწალო სახლამდე? დაჯექ მერე და იკითხე წიგნები: რა ხდება ჯუნგლებში, რამდენი ბრძოლა მოიგო ნაპოლეონმა, როგორ იქნება სუაჰილის ენაზე სიტყვები "ბილეთი" და "ჯარიმა"...

ნუთუ ხუთი კაპიკიც კი არ შემრჩა? ერთხელ კიდევ ცალი ხელით საცირკო მანიპულატორის მოხერხებით საგულდაგულოდ მეთოდურად ვჩითავ საფულეს (დედა ტყუილად დამიწყებს ჯიჯღინს – რად გინდოდა "საცირკო ხელოვნების ოსტატები" რომ მოგიტანიაო), მის ყველა განყოფილებასა და ქვეგანყოფილებას, მერე შარვლისა და პიჯაკის ყველა ჯიბეს, ყოველ კუთხე-კუნჭულს – ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით... გადამაქვს წიგნების ხუხულა ერთი მუხლიდან მეორეზე, მერე ვაბრუნებ ისევ პირველზე... ლამის არის საკუთარ ორთავ ყურშიც მოვჩხრიკო, იქნებ რაიმე მოვიძიო...

ევრიკა! მოულოდნელმა აზრმა გამიელვა და უიმედობის ბნელი ღამე უცებ ამოგორებულმა სიხარულის მზემ გააჩახჩახა – პიჯაკის მარჯვენა ჯიბის კუთხეში, თუ არ ვცდები, ნახვრეტი უნდა იყოს! არც დიდი და არც პატარა, ზუსტად ისეთი, ერთი მომცრო კოკროჭინა – ორ ან სამშაურიანი რომ გაეტევა თავისუფლად... არის! არის ნახვრეტი! ციებიანივით ვსინჯავ პიჯაკის კალთას... არის! რაღაც მრგვალი და ბრტყელი საგანი მოვაფათურე სარჩულში და შევუდექი მისი ამოღების რთულ ოპერაციას... (ნეტავ თუ არსებობს აფორიზმების კრებულში ასეთი მაგალითი: "ზოგჯერ გახვრეტილი ჯიბეც სიკეთეა"?).

ამ ჯახირში რომ ვარ, ჩემი წიგნების ბაბილონის გოდოლი გადაიხარა... გადაქანდა და შრიალგრიალით გადაიქცა... იმსხვერპლა ერთი ხნიერი მოქალაქის ქუდი, ცილინდრს რომ ეძახიან (ადამისდროინდელი კი იყო, მაგრამ საოცრად მარდად გაგორდა ტრამვაის იატაკზე, სანამ ვიღაც ჯეელმა

ფეხი არ დაადგა) და დედაბრის ხელოვნური კბილები, რომლის პატრონსაც დაავიწყდა, რომ მის ასაკში შეუფერებელია სხვის უბედურებაზე მოუზომავი ხარხარი.

გინდ ნადი დაარქვით, გინდ – მამითადი, ყველა ახლო მყოფმა მომასწრო იატაკისკენ დახრა წიგნების ასაკრეფად, ზევიდან მხოლოდ მოხრილი ზურგები ჩანდა ბორცვიან ლანდშაფტად.

და უცებ... მეტი რა უბედურება უნდა დამმართოდა კიდევ? კოსმოსური კატასტროფა ხომ არა? უცებ იელვა ამ უღრუბლო დღეს, ისეთი ცეცხლოვანი ბურთები დატრიალდა ჩემს თვალებში, რომ წუთისოფლის აღსასრული გვეწვია-მეთქი, ვიფიქრე...

იმავდროულად მსგავსი ფიქრები ეწვია ალბათ მშვენიერ ქალიშვილსაც, რადგანაც მანაც იტაცა ხელი შუბლზე, როცა ორივეს, ესე იგი, მე და მას, გვინდოდა აგვეღო ერთი და იგივე წიგნი ("შემთხვევითობა და აუცილებლობა თანამედროვე ფილოსოფიის თვალთახედვით"), სკამქვეშ ჯიუტად შემძვრალი... და ერთდროულად დახრის პროცესში წამიერად მოგვიხდა უახლოესი კონტაქტის დამყარება შუბლებით... უფრო მარტივად რომ მოგახსენოთ, მარქენალი ყოჩებივით დავეძგერეთ ერთმანეთს! ამ შეჯახების ექო მაშინვე არ ჩამქრალა და, ფიზიკური კანონების საწინააღმდეგოდ, დროში გაძლიერდა კიდეც. უპირველესად, ორი მოზრდილი კოპის გარდა, თვალსაჩინო იყო, ასე ვთქვათ, სულიერი კონტაქტიც, რადგან მე აღფრთოვანებული დავრჩი ნორჩი არსების გულისხმიერებითა და სულგრძელობით (და კიდევ სხვა რამითაც, რასაც შემდგომ დავინახავთ). ქალიშვილმა არ დაიზარა და ერთი ხუთკაპიკიანი თვითონ მიიდო კოპზე, მეორე კი მე მომცა. მისი თვალების ციმციმმა ისე გამათამამა, რომ ამ მილეთის ხალხში ხუმრობის ხასიათზე დავდექი და კინაღამ შევთავაზე: თქვენს შუბლზე შაურიანს მე დავიჭერ, თქვენ კი ჩემს შუბლზე მომაჭირეთ თქვენი მომხიბლავი თითი-მეთქი... ასე ვთქვათ, "ვახტანგურად" უნდა დაგვეამებინა ჩვენი კოპები...

ბევრი ლაილაით თავი რომ აღარ მოგაწყინოთ, საოცნებო ქალიშვილმა ბილეთიც ამიღო, მერე სახლამდეც მიმატანინა წიგნები.

წიგნთა "კოშკის" "დაცემა" სიმბოლური გამოდგა – ნაზი არსების შუბლის დაჯახებამ გაარღვია წიგნების "ჯებირი", რომელიც აქამდე საიმედოდ მიცავდა დაოჯახებისგან...

ერთ თვეში დავქორწინდით კიდეც. ჩემმა მეუღლემ სავსებით განმკურნა ბიბლიომანიისგან, რადგან მოკლე ხანში ერთიმეორის მიყოლებით ორი ლომის ბოკვერივით ბიჭი შეგვეძინა და ჩვენი ოჯახის ფინანსთა მინისტრის პორტფელი სწორედ მის ნატიფ თითებში აღმოჩნდა საიმედოდ ჩაბღუჯული... ცხადია, იმ პიჯაკის ჩვენი "გამაბედნიერებელი" ნახვრეტიც ლიკვიდირებულ იქნა, როგორც სრულიად უსარგებლო და ზიანის მომტანიც კი (მე კი მაინც მინდა, გავიმეორო ზემოთ ნახსენები ახალი აფორიზმი: "ზოგჯერ გახვრეტილი ჯიბეც სიკეთეა"!).

ჩემი ფინანსური დამოუკიდებლობის მოსაგონებლად კი ხუთი კაპიკიღა შემრჩა, რომელსაც სათუთად ვინახავ... სწორედ იმ შაურიანს, კოპს რომ მიამებდა.

1985

კახური საუბარი

ოღროჩოღრო, მტვრიანი გზა გადაკვეთს რკინიგზას და შემდეგ იტოტება ფერდობზე შეფენილი ბაღ-ვენახებისკენ. გადასასვლელთან შლაგბაუმია მოწყობილი და ერთიც ბუდრუგანა ჩანს დარაჯისა.

შუა შემოდგომაა, ზაფხულივით კი ცხელა. შლაგბაუმი აწეულია და წამდაუწუმ მიდი-მოდიან მანქანები: იქით – ცარიელნი, აქეთ – ყურძნით დატვირთულნი.

ხნიერ დარაჯს სტუმრები ჰყავს – გეოლოგები შეგვიპატიჟა ცივი წყლის დასალევად და დასასვენებლად. ჯერ ჩვენი ამბები გამოიკითხა, მერე ზრდილობისთვის მე დავინტერესდი:

– თქვენ რას აკეთებთ აქ, ბატონო, ყარაულობთ?

– შლაგბაუმს ვკეტავ, რომ ყურენი შინ არ გაიტანონ, მიმღებ პუნქტს ჩააბარონ.

– აბა შლაგბაუმი რომ სულ ღიაა?

– თავიანთი მოწეული ყურძენია და როგო დავუჭირო? უნდათ – ჩააბარონ, უნდათ – თვითონ დაწურონ...

და დარაჯმა მოაყოლა გინება – მაგათი ასე და ისე, ვინც ასეთ სულელურ განკარგულებებს იძლევაო, მერე შეუსვენებლივ სხვებსაც შეუკურთხა, ვინც მე აქ სადარაჯოდ დამაყენაო.

გზაზე გამოჩნდა ჩვენსკენ მომავალი მაღალი კაცი. ამ სიცხეში შავი პიჯაკი ეცვა, ხელში ჯოხი ეჭირა და მძიმე ჩექმებს მოალაყუნებდა.

– უ-უ-უ, იმის მკვდარი და ცოცხალი, ვინც ეგ დანიშნა! – აიფოფრა დარაჯი.

– ვინ არის, ბატონო, ასე რომ დაგბოღმათ? – ვკითხე.

— ეგ ჩვენი “ბრიგადელია”... ეგ ხომ კაცი არ არის, დიდი ძაღლი ვინმეა, მაგის დედა და მამა!.. — და სანამ ბრიგადირი მოვიდოდა, ნაირ-ნაირი გინებით აავსო.

შუახანს გადაცილებულმა ბრიგადირმა შემოყო თავი უშუშო ფანჯარაში, ცალთვალა აღმოჩნდა. ჭროღა მხიარული თვალით ცოცხლად ჩაგვათვალიერა სათითაოდ ყველანი და “როგორა ხართო”, — იკითხა. მერე დარაჯს უსაყვედურა, კაცი ხარ აქ თუ გუდურა, შლაგბაუმი რად გაქვს ღიაო.

დარაჯმა შეუბღვირა და ერთი-ორი მაგარი სიტყვაც მიაყოლა, წადი შენიო. ეტყობოდა, გინების მარაგის დაშრეტისა არ ეშინოდა, ისე ხელგაშლილად ხარჯავდა.

ბრიგადირი უსიტყვოდ გაეცალა, ვითომც არაფერი, და წავიდა თავისი გზით.

სტუმრები დავინტერესდით, თვალი სად დაკარგა ბრიგადირმაო.

— ეგა ფრონტიდან საღსალამათი დაბრუნდა, — თქვა დარაჯმა, — სხვებიც ჩამოვიდნენ, ზოგი ასეთი, ზოგი ისეთი, მაგას კი ომში განაკაწრიც არ მიუღია. ერთ საღამოს იქეიფეს, მერე იჩხუბეს და ჩვენს “ბრიგადელს” თვალიც მაშინ ამოუგდეს.

ამჯერად რატომღაც გინება აღარ დაუყოლებია, მხოლოდ დაამატა:

— ისე ცუდი კაცი არ არის, ჩემი სიძეა.

1980

სასწაულმოქმედი

მილიციის რაიონული განყოფილების უფროსის, ჰამლეტ ჯამფილაშვილის კაბინეტში შევარდა აქოშინებული კოხტა ცოტცოტაძე, მისი მოადგილე. მისმა უჩვეულოდ აღგზნებულმა სახემ ჰამლეტი სკამიდან წამოახტუნა.

— რა მოხდა, ხომ მშვიდობაა?

— ნეტა ფეხი მომტყდომოდა და იმ დაწყევლილ ზემო თხილიანში არ წავსულიყავი!.. ეს რა ვნახე, ამას რას მოვესწარი, კაცო!.. — სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა კოხტა; ხან შეჩერდებოდა, ხელებს ზეცისკენ აღაპყრობდა, ხანაც სწრაფი ნაბიჯებით მიმოდიოდა კაბინეტში.

— კაპიტანო ცოტცოტაძეო, სდექ! აგერ წყალი, მოსვი და გამაგებინე, რა მოხდა. ოჰ, რა უბედურად იციან დათრობა ამ წმინდა გიორგის დღესასწაულზე, ყველა წმინდანი გაუწყრეთ მათ! მერე დაერევიან ერთმანეთს და საბოლოოდ კი ჯოხი ჩვენზე ტყდება — ლოთობასთან ბრძოლას თავს არიდებთო... ამოღერღე ახლა დროზე, ამჯერად რა ამბავია?

— პალიკო ბაიბურაშვილს რომ 20 წლის ქალიშვილი მოუკვდა ამას წინათ, ხომ გაიგე?

— მერე?

— გაცოცხლდა!

— არ გადამრიო! — ჰამლეტი მაგიდას მოსცილდა და კოხტას პირისპირ დადგა.

— ჰო, სასაფლაოზე უკვე ჩასვენებას უპირებდნენ და ქე არ წამომჯდარა?!. უიო, რომ იხუვლა თურმე შეშინებულმა ხალხმა, ვინ ვის ასწრებდა, ვერ გაიგებდი; ზოგმა ტყეში დურთა თავი, ზოგმა სოფელში ჩამოირბინა კივილით. დამიძახეს და რას ვხედავ: ეკლესიაში შევარდა თავზარდაცემული ხალხი და ხატის წინ დაემხო... მერე ის გაცოცხლებული გოგოც შემოვიდა, დადგა და ქადაგება დაიწყო: ერთი ღარიბად ჩაცმული კაცი ზის ახლა მეზობელ სოფელშიო, მდინარის პირას რომ დიდი ქვაა, იმასთანო; ის მოიყვანეთ აქ და ამ მღვდლის მაგივრად დასვით, ეს ღვთის პირიდან წაწყმედილია, არ ივარგებსო... ჩვენი კოლმეურნეობის წურბელა-თავმჯდომარე რომ ჩამოთრეულა საიდანღაც და კანში ვეღარ ეტევა, ღორულად გაფცქვნა მთელი სოფელი, მალე ეტირება ყოფის დღე, მფარველებიც ვერას უშველიანო; მაღაზიის გამგე-გამყიდველი ნესტორა დიდხანს ვერ იხეირებს — ჩვენ ხომ გვყვლეფს, ხალხს რაღას წამლავს, კასრში რომ ჩამოწერილი თევზი აყროლებია და ჩუმად ყიდის ვიგინდარებზე ვითომ იაფად, თვითონ მის საქმეს აუვა ფინთად სუნიო; ტყისმცველ ბასილას ღმერთი შეაჩვენებს, ტყე ტყედ რომ გააჩანაგა და დაყიდა, ოცზე მეტი შველი რატომ აღარ შეიწყალაო... ვინც მაგასთან ერთად ერთობოდა, არც იმათ დაადგებათ კარგი დღეო; რაიონის ხელმძღვანელობა რომ დაბრმავდა და დაყრუვდა, პატიოსან ხალხს სიმართლე და სამართლიანობა დაგვიკარგა, სინდისგარეცხილი მომხვეჭები გაალაღა და დაიძმაკაცა, თვითონაც სრა-სასახლეები წამოჭიმა, აღარაფერს ერიდებიან — მათაც წამწარდებათ შენათქვლეფიო...

ჰამლეტ ჯამფილაშვილმა გაცეცხლებულმა შეაწყვეტინა:

— მერე შენ სად იყავი, ვერ მოაკეტინე?

— როგორ არა! — მუშტი მკერდზე დაიბრაგუნა კოხტა ცოტცოტაძემ. — გაჩუმდი, რაებს მიჰქარავ, თორემ მიგაბრძანებ, სადაც საჭიროა-მეთქი, ჰოდა, მეც არ მომდგა?!. შენო, კაი კაცივით რომ დამდგარხარ და ვითომ წესრიგს იცავო, ჯობს აქაურობას გაეცალო, მიხვიდე, სადაც საჭიროა და ცოდვა მოინანიო — შენი ბიძაშვილი რომ დაიხსენი და მის მაგივრად უდანაშაულო კაცს ათი წლის

პატიმრობა აჰკიდეს, არ შეგრჩება, იცოდეო... გამოვიქეცი თავქუდმოგლეჯილი, რაღა ვქნა? მირჩიე რამე!

– ეჰ, შენც ერთი! – აგდებულად აიქნია ხელი ჰამლეტ ჯამფილაშვილმა. – ვიღაც აფერისტმა ასე როგორ დაგაფრთხო!

– არა, არა! ყველაფერი იცის, არაფერი გამოეპარება! – ცხარედ შეეპასუხა მოადგილე. – ისიც კი თქვა, მილიციის უფროსს მალე ჩააყუდებენ, ყველა მაღაზიაზე რომ ფული აქვს შეწერილი, გამოაშკარავდება და იმ ოქროულობასაც მიაგნებენ, ბაღის კუთხეში სამლიტრიანი ქილით რომ ჩაფლაო!..

ჰამლეტ ჯამფილაშვილი ენაჩავარდნილი მისჩერებოდა კოხტას – სამლიტრიანი ქილის შესახებ საკუთარი ცოლისთვისაც კი არ გაუმხელია...

1986

მოწმე

კაცო, რაღაც ჭირადა იმ დღეს ცოლი ამიტყდა – კინოში წავიდეთო. ათი წელიწადია, კინოში აღარ ვყოფილვარ, ჯანდაბას, გატყდეს ნავსი-მეთქი... წავედით "ნადიკვარში", გადასარევი ამერიკული დეტექტივიაო. რო ატყდა ბათქაბუთქი ეკრანზე, ამ დროს კიდევა დარბაზში ერთი ჯეელი მეორეს გამოუდგა და ორ-სამჯერ ესროლა. აანთეს სინათლე და მსროლელი გავარდა გარეთა, დაჭრილი იქვე ეგდო... მოვარდა მილიცია, ჰაი – იქით, ჰაი – აქეთ, რა მოხდა, ვინ ვის ესროლაო. ყველა ამბობს, არაფერი დაგვინახავს, ბნელოდა და ეკრანზე სროლას ვუყურებდითო. მეცა მკითხეს, დავინახე და უარს ხო არ ვიტყოდი – აი ამან ამას ესროლა-მეთქი... შაადგინეს ოქმი, ჩამწერეს ერთადერთ მოწმედა.

ერთ კვირაში გამამიძახეს გამომძიებელთანა. მეკითხება: "აბა, როგო იყო საქმეო". "როგო-მეთქი და აი, ასე – ამან ამას ესროლა-მეთქი". "ი!.. იმ სიბნელეში როგო დაინახეო, ყველა ამბობს, არაფერი დაგვინახნია და შენ ერთი იძახი, დავინახეო". "დავინახე-მეთქი და რა ვქნა, ტყუილს ხო არ ვიტყვი... აი, თუ გინდათ, კინოს კედელზე ნატყვიარებსაც ნახავთ-მეთქი"... ის კიდე თავისას უკრამს, ვერაფერს დაინახავდიო. შევატყე, ფული უნდა ჰქონოდა აღებული მსროლელისგანა, იმიტომ მიჭირებდა საქმესა... "კარგი-მეთქი, როგოც შენ გაგიხარდება, იგრე იყოს-მეთქი". "მაშ, არ დაგინახნია სიბნელეში, ხომო". "ჰო, არცა რა დამინახნია-მეთქი". "აი, აქ მააწერე ხელი, რო არ დაგინახნიაო". წამოვედი.

კიდევ ერთი კვირა გავიდა და ისევ მეძახიან... "ადასტურებ შენს ჩვენებასაო?". "რომელ ჩვენებასა-მეთქი". "აი, კინოში რო ერთმა მეორეს ესროლაო". "ჰო, ვადასტურებ-მეთქი, რო არაფერიც არ დამინახნია, ბნელოდა"... "როგო არაო, აი კინოში შედგენილი ოქმიო". რო გამიწვრილა საქმე, "კარგი-მეთქი, აი, ასე და ასე იყო, ამან ამას ესროლა-მეთქი". "ეგრეო, შე კაი კაცოო, რაღას მაწვალებ, მოდი და ხელი მააწერე, რო ამას ადასტურებო". შევუკურთხე გუნებაში ჯერ იმას და მერე ჩემ თავსა, ე რა ხათაბალაში გავები-მეთქი...

დაინიშნა სასამართლო. მოსამართლე მეკითხება: "აბა, გვითხარ, რაც იცი ამ საქმეზეო". "პატივცემულო მოსამართლევ, მე ის ვიცი, რო ამან ამას ესროლა-მეთქი". "როგოო, – მოსამართლე მიბღვერს, – გამოძიებამ დაადასტურა, რო კინოში ბნელოდა და არც არავის რამე დაუნახნია, რაღა შენ მარტომ დაინახე, ვინა ხარ ეგეთიო, რა თვალები გაქო". გესმის შენა?.. მივხვდი, მსროლელს ფული დაუხარჯია, სასამართლო იმის მხარეზეა. "დავინახე-მეთქი", "არ დაგინახავსო", მიმტკიცებენ. რო გამიჭირეს საქმე, "თქვენი კეთილებიც-მეთქი, როგოც გინდათ, იგრე ჩაწერეთ, მე აქ მომსვლელი აღარა ვარ-მეთქი"... სასამართლო გადაიდო.

მამივიდა ერთი უწყება, მეორე, მესამე, – გამოცხადდი სასამართლოშიო. მე იქ მიმსვლელი ვარ? დამაჯარიმეს სამოცდაათი მანეთითა, გადავიხადე, ოღონდ თავი დამანებეთ-მეთქი.

ამას წინათა – იღბალი არ გინდა? – ჩემ ცხვირწინა სატვირთო მანქანა დეეჯახა მოტოციკლსა და ერთი ხუთ მეტროზე მაინც გაისროლა. მოტოციკლისტი გასისხლიანებული გდია. მივვარდი, რა თქმა უნდა, რა გული გაგიძლებს, – გადარჩა, ცოცხალია. სატვირთოს მძღოლს გული უსკდება შიშითა, ეუბნება: "ოღონდ ნურსად გააცხადებ და ფულს, რამდენსაც მამთხოვ, იმდენს გადაგიხდიო". წამოვაყენეთ, შავიყვანეთ ეზოში, შავუხვიეთ, რაც შასახვევი იყო და წამოვედი ჩემთვინა.

არ გასულა ერთი კვირა და ის მოტოციკლისტი მამადგა შინა და მეუბნება: "ამას წინეებზე შენ ქუჩაზე რო მანქანა დამეჯახა მოტოციკლით მიმავალს, ხო გახსოვსო". "მერე, რა გინდა-მეთქი". "სასამართლოში უნდა წამამყვე და დამემოწმოო". გესმის შენა? ეტყობა, სატვირთოს შოფერი ფულს არ აძლევს. "არა-მეთქი, არც არაფერი დამინახნია-მეთქი"... "ი?!. – გაუკვირდა, – შენ არ იყავ, რო მომვარდი და წამამაყენე, მერე თავიც შამიხვიეო?". "არა-მეთქი, – თავი მოავიკალ, – არც არაფერი

დამინახნია და არც არაფერი ვიცი-მეთქი... ერთხელ ძლივას გადავურჩი ხათაბალას და ისევ შარში გინდათ გამხვიოთ? ნეტა ღმერთმა ისე მამკლას, სასამართლოს კარი არ დამანახოს-მეთქი", – გადაჭრილი უარი ვუთხარ. გესმის შენა? სადა მაქ, კაცო, წყალში გადასაყრელი ფულები, საფურტკნი ნერვები კიდენა ცალკე...

1985

თინიკოსთან ერთად სოკოს მოსაკრეფად მიდივარ

გადასარევი გოგოა ბაკურიანში მეზობლად, ჩემსავით დასასვენებლად ჩამოსული თინიკო!

წინა საღამოს თვალები ამიჟუჟუნა – წავიდეთ შენს ნაქებ კალმახასოკოს მოსაკრეფადო – და აბა, უარს როგორ ვეტყოდი!

ამ ხის სოკოს ხეთამხალსაც უწოდებენ. განსაკუთრებით უყვარს წიფლის კუნძები და გამხმარი ხეები, ლათინურად მას ჰქვია ლეუროტუს ოსტრეატუს. ყველაფერი ეს ამოვიკითხე სოკოების სარკვევში, რომელიც თინიკომ თან წამოიღო. სახელი ხომ ლამაზი აქვს კალმახასოკოს, გემოც – საუკეთესო. შეწვისას არ უნდა დაგენანოთ ერბო-კარაქი ბლომად და ხახვი, ისიც ბლომად. კალმახასოკოს მარინადიც, რაღა თქმა უნდა, ბრწყინვალე გამოდის, მე თვითონ გაგასინჯებთ, როცა ზამთარში თბილისში შინ მეწვევით და მისი მომზადების წესსაც ჩაგაწერინებთ, თუ მოისურვებთ. ეს ისე, სხვათა შორის, თორემ იმ დღეს კალმახასოკო თვალითაც არ გვინახავს, არამცთუ მიგვირთმევია.

მართალია, სოკოზე "ნადირობა" აჯღაბაჯღა, არეულ-დარეული გამოდგა, თვით ამბავი მაინც მოვყვე დალაგებულად, თხრობის ძაფზე ავაგო, როგორც დათვისსოკოს, ირემასოკოს და ძმათა მისთა კოხტად ააცვამენ ხოლმე გასახმობად.

თავიდანვე უნდა მცოდნოდა, რომ იმ დღეს ხეირს ვერ ვნახავდით. სოკოზე წასვლა დილით ადრიანადაა კარგი, სხვის ნაკვალევზე რომ არ იბოდიალო. მეორეც, ტყეში წანწალი მარტოს მიყვარს. იმიტომ კი არა, რომ ნადავლი ვინმეს უნდა გავუყო – მიტაცებს ტყის იდუმალ ცხოვრებაზე დაკვირვება, თან ამ დროს სულ სხვადასხვაგვარი ფიქრიც მომეძალება, ბევრი ჩანაფიქრი სწორედ ტყეში სეირნობის შედეგია. მიდიხარ ნება-ნება, ხანდახან ჩამოჯდები ნაძვის ძირში და ცოტა ხანში გაიგონებ ციყვის წკაპწკაპს, მერე დაინახავ, როგორ რბილად დაძვრება ხის ტანზე აღმა-დაღმა, გადახტება-გადაფრინდება ერთი ხის ტოტიდან მეორისაზე, გაირბენს ტოტებზე და მესამე ხეზე ისკუპებს...

დილით დათქმულ დროს ფანჯარას შევძახე: "თინიკო!" და მაშინვე წკრიალა ხმით გამეპასუხა: "მოვდივარ!".

გავიდა ათი, თხუთმეტი, ოცი წუთი...

ისევ შევეხმიანე თინიკოს, ისევ გაისმა: "მოვდივარ!", თინიკო კი არა და არ ჩანდა. ასე გამეორდა მრავალჯერ... ახმაურდა დაბა, მზე კარგა მაღლა ამოგორდა, როცა ბოლოს, თინიკო მართლა გამომეცხადა.

და მივხვდი, ასე რატომ დააგვიანა.

ვაპატიე – ყველაფერი ძალიან უხდებოდა!

ხელოვნების ნამდვილი ნიმუში იყო თინიკო – მისი ჩაცმულობით (ძვირფასი სვიტრი, შემოტმასნილი შარვალი), საგულდაგულოდ ავარცხნილ-აკოკოლავებულ თმებზე ძვირფასი თავსაკრავით, მხარზე კოხტად გადაკიდებული, ხელით ნაქსოვი ჩანთით... ყველაფერი ერთ გამაში იყო, ოღონდ ვარიაციებით მარწყვისფრიდან ჟოლოსფრამდე. გრძელი საყურეები, ფეხის ყოველ გადადგმაზე რომ ციებიანივით ცახცახებდნენ, – იშვიათი ნაკეთობა, – ისიც ძალიან უხდებოდა! აღარას ვამბობ იასამნისფრად შეღებილ ტუჩებსა და შავად და ცისფრად მოხატულ თვალ-წამწამზე. საზეიმო აღჭურვილობა-ჩაცმულობა-მოხატულობას შთამბეჭდავად აგვირგვინებდა... კალოშები! შავად მბზინავი კალოშები დიასახლისისგან უთხოვია. მოკლედ, ტყეში სოკოს საკრეფად გასასეირნებლად თინიკო სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა.

ჰო, თავიდან კი მეცინებოდა კალოშებზე, ანსამბლიდან ამოვარდნილი ჩანდა, მაგრამ მერე და მერე აღმოჩნდა, რომ თინიკო თადარიგიანი გოგო გამოდგა: წინა დღეებში წვიმდა (ნაწვიმარზე იცის სოკომ გაგიჟება!) და ტყეში შევედით თუ არა, ვინანე, რომ მეც კალოშები არ მეცვა – ბილიკი საშინლად ატალახებულიყო. იმ ადგილამდე, სადაც კალმახასოკო მეგულებოდა, ნახევარი საათის სავალი თუ იქნებოდა, ახლა კი ალბათ ორი საათიც არ გვეყოფოდა.

არ გასულა თხუთმეტი წუთი, რომ თინიკომ იკივლა:

– ვაიმე, ოქროს საათი დავკარგე!

ძალიან მეჩქარებოდა და ხელზე გაკეთება ვერ მოვასწარიო, მის ეგზოტიკური იერის ჩანთას კი ისეთი მსხვილ-მსხვილი თვლები ჰქონდა, რომ მგონი, მაღვიძარაც კი ვერ დაეკავებინა. ამ ჩანთაში აპირებს თინიკო სოკოს მოგროვებას? ისე კი, ჩანთა ძალიან უხდებოდა!

საათის ძებნას საათზე მეტ ხანს მოვუნდით. ბარე ათჯერ გავიარეთ წინ-უკან საძიებო მანძილი, დაუზარებლად ვზილეთ ბარაქიანი ტალახი, სანამ საათს თინიკოს სახლის ეზოში აღმოვაჩენდით.

დავადექით ისევ გზას... ათი წუთის შემდეგ თინიკომ კვლავ შეიცხადა თვალების მომხიბლავი გადმოკარკვლით:

— უი, დანა დამეკარგა!

დიდი, პურის საჭრელი დანა წამოეღო, მაგრამ კარგა ხნის ძებნის მიუხედავად, ვერსად ვნახეთ. ჩავიქნიეთ ხელი და განვაგრძეთ გზა.

თინიკოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამჯერად ოცი წუთის განმავლობაში აღარაფერი დაუბნევია, მერე კი აღმოაჩინა, რომ ამჯერად თავსაფარი დავარდნია სადღაც. საბედნიეროდ, მალე ვიპოვეთ, ნახევარ საათში, თუმც საკმაოდ შელანძღული — ლაფიან ადგილზე გადახტომისას მოძვრა თურმე თავიდან.

ასეთი ლაფიანები ხშირია ტყეში, ეტყობა, ტრაქტორით მიათრევენ ხოლმე მორებს და ალაგ-ალაგ ნიადაგი ღრმადაა გადაღლეტილი; შემდეგ შიგ წვიმაში წყალი დგება, ორ-სამჯერ გადაივლის მიწის ასეთ ჭრილობაზე ტრაქტორი და ისეთი ლაფი იზილება, უკეთესს რას ინატრებ!

— თინიკო, შენ წინ იარე, შენს დაკარგულს მე ავკრეფ! — შევთავაზე ნახევრად ხუმრობით.

— უი, წავიქეცი! — იგრიხება და ნაზად მიწვდის ხელს თინიკო.

თეატრალური პოზაც კი გულის ამაჩუყებლად უხდება!

ცოტაც გავიარეთ, უფრო სწორად — ვზილეთ ტალახი და:

— ვეფლობი! — ტრაგიკული ხმით ამცნობს ტყესა და მსოფლიო საზოგადოებრიობას თინიკო.

ბავშვურად დაღებული მომხიბლავი პირის გულუბრყვილო მანჭვა გადასარევად უხდება!

დროდადრო მესმის:

— რაღა მეშველება!

მივიჩქარი საშველად... ცოტას გავივლით და:

— ვეღარ მოვდივარ!

ხანაც:

— დავიღუპე!

მოკლედ, მზად ვიყავი, ზურგზე წამომეკიდა და ისე მეთრია...

ტყეში და პატარ-პატარა მდელოებზე კი, ჰო-ჰო-ჰო, როგორ დუღს და გადმოდუღს სიცოცხლე! მზე აქა-იქ ატანს ტოტებში და მის სხივებში ირევა უთვალავი მწერი — არის ერთი ბზუილი, წინ-წრიხი, თრითინი, ტრახტრახი, წუილი... ისმის ჩიტების ჟივჟივი, ჭიკჭიკი, სტვენა, გალობა, ჟღურტული, ჭახჭახი, კაკანი, კრუალი, კოდალას კაკუნი, ყვავის ყრანტალ-ჩხავილი... ათასგვარი ყვავილი ფერად-ფერადად ჩითავს მიდამოს, მათ უხმოდ დაჰფარფატებენ თავს თეთრი, ყვითელი, წითელი, რუხი, ჭრელი პეპლები — ყოველი სულდგმული შეჰხარის მზიან ამინდს... აგერ ყვავების გუნდმა გადაგვიფრინა ყრანტალ-ყრანტალით — ისინიც ხარობენ ვითომ?

ცუდად მენიშნა.

— დავბრუნდეთ! — მომნუსხავი ღიმილით მეუბნება თინიკო. — ხომ ხედავ, არაფერი ჩანს!

— ჯერ ნაძვნარს არ გავცილებივართ, კალმახასოკოს აქ რა უნდა! წიფლნარი მალე დაიწყება, ფერდობზე... — ამაოდ ვცდილობ თინიკოს დარწმუნებას.

— მომატყუე! ფუი, რა ამბავი ჭინჭარია! — მომაჯადოებლად ჭმუხნის ლამაზ ცხვირს თინიკო და კატეგორიული ტონით აცხადებს: — მეტი აღარ შემიძლია! არც კალმახასოკო მინდა, არც არაფერი... შინ მინდა!

— ხუთ წუთში ადგილზე მივალთ, დანიშნე საათი!

— ახლა ვიკივლებ!

გამოვბრუნდით უკან, თითქმის მიზანთან მისულები...

სხვა გზით ვბრუნდებით, თინიკომ თავდაჯერებული მომხიბვლელობით დაიჟინა, აქეთ უფრო სიმშრალე იქნებაო. დავყაბულდი, დავა უაზროა.

მალე პატარა მინდორზე მიმოფანტული უამრავი წვრილ-წვრილი სოკო შემოგვეყარა. ჩემი აზრით, ეს სოკო ფრიად საეჭვო ღირსებისა იყო, თუ შხამიანი არა. თინიკო დამატყვევებელი თავგამოდებით მიმტკიცებდა, ამაზე უკეთესი საჭმელი სოკო არ არსებობსო, მთელი ჩანთა გაავსო (ჯერ თავსაფარი ჩააფინა). რა თქმა უნდა, თინიკოს სოკოების სარკვევი წიგნი სადღაც დაუთესია... ცხადია, თავისი სოკოებიანი ჩანთა მე გადმომილოცა სატარებლად, ყვავილების კრეფაში ხელს შემიშლისო... და მაინც მომხიბვლელი უშუალობით ახერხებს ყველაზე უფრო ლაფიანი ადგილების სიღრმის მოსინჯვას. თან მაიძულებს, მეც მასთან ერთად ვიარო; რამდენჯერმე მისი ამოთრევისას მეც ტალახში ჩავეფლე და გემოზე ამოვიგანგლე კიდეც.

გადავწყვიტე, ჩემი გზით მევლო. თინიკო ბავშვივით გამებუტა, გინდა, ტალახში ჩამტოვოო. არაფრით მეთანხმება, როცა ვთავაზობ, მე მომყევი უკან, ამ ადგილებს შენზე უკეთ ვიცნობ-მეთქი. გაჯიქდა, წამდაუწუმ საფლობში ვარდება, თავისას კი არ იშლის...

ერთ ადგილას თინიკომ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი და ისეთ დასაძირავში სტუცა ფეხი, რომ მაშინვე მუხლებამდე უწია ლაფმა.

– ვიძირები!

თინიკო ადგილიდან ვერ იძვრის. სახეზე ტრაგიკული გარდუვალობა ძალიან შვენის! დგას ქანდაკებასავით და ხელში მინდვრის ყვავილების თაიგული უჭირავს – საუცხოო სანახავია!

ამჯერად თინიკოს ამოყვანა ძლიერ გამიჭირდა. ამოყვანა კი არა, ტალახიდან ამოძრობა უფრო ეთქმის, რადგან ლაფს ღრმა ძირი აღმოაჩნდა. თინიკო ნელ-ნელა იძირებოდა საფლობში ორივე ფეხით. გავუწვდინე ხელი, ვეჯაჯგურე, ვიფაფხურე, გამისხლტა მისი ხელი და აქეთ მე დავეძნეყვე ქვასავით ნაპირზე, იქით კი თინიკომ მოადინა ლაზათიანი ტყაპანი ლაფიანის შიგ შუაგულში...

საჩქაროდ მოვარბენინე გრძელი ჯოხი და ტალახში მოფართხალე თინიკოს გავუწოდე ცალი ბოლო. მაშველი სამუშაოების აღწერისგან თავს ვიკავებ: რა სიტყვებით უნდა გადმოსცე ჩემი ხვნეშა, გამამხნევებელი შეძახილები და თინიკოს წიკვინი, ხანაც – სიცილი, წამოკივლება, შიგადაშიგ – წამოტირებასავით... თან თაიგულსაც ხელს რომ არ უშვებს – განსაცვიფრებელი გოგოა თინიკო!

როგორც იქნა, გამოვათრიე თინიკო ნაპირზე... ახლა მივხვდი, რატომ ვერ ელეოდა თაიგულს – ჯილდოდ მომიძღვნა! ოღონდ რა ფერის ყვავილები იყო, ვეღარ გამოიცნობდი...

თინიკოს თავფეხიანად ტალახში ამოგანგვლაც კი საოცრად უხდება!

თინიკო ხელის მტევნებს გამწარებით იფერთხავს და ჩემს ტანსაცმელს ვინ ჩივის (მეც გვარიანად ვარ მოთხვრილი), სახე შემიმკო ტალახის შხეფებით... ეგ არაფერი, ჩემო ბატონო, თინიკოს თეატრალურ ჭყიპინს, მოთქმა-გოდებას რა გაუძლებს? გვიანღა შევამჩნიე, რომ ფეხშიშველია – მისი კალოშები ლაფიანმა ძღვნად მიიღო. ამ უძირო ჭყანტობში კალოშების მოსაძებნად ჩასვლა არ გინდა? რას იზამ, გალანტური კავალერის როლი ბოლომდე უნდა ვითამაშო და უშიშრად მივიწევ წინ...

პირველი ნაბიჯი ლაფიანში – და ვგრძნობ, როგორ ჟონავს ჩემს ფეხსაცმელში სიგრილე, თითქოს ჭიაყელები მიძვრებიან შიგ... ნელ-ნელა სიგრილე მუხლამდე მიწევს, მერე – უფრო ზევითაც... ჯერ ჯოხით ამაოდ ვაფათურე ლაფში, შემდეგ მეორე ფეხითაც შევტოპე და ხელით ვეძიე. საგულდაგულო "გათხრების" შემდეგ ერთი კალოში ძლივს აღმოვაჩინე. გადმოვაპირქვავე პირთამდე ტალახით სავსე, ცოტა გამოვასუფთავე და ნაპირზე ვისროლე.

– დაიჭი! – თინიკო სანაცვლოდ გვირილას მესვრის, თან კისკისებს, კისკისებს, ტყეს ავსებს მისი სიცილი...

სიცილი ძალიან, ძალიან უხდება!

რაა აქ სასაცილო, როცა ფეხის განძრევა არ შემიძლია, ისე შეიწოვა ფეხსაცმელები ლაფმა? მაგრამ მეც ვიცინი, ვიცინი კი არა, გიჟივით ვხარხარებ, თინიკო ხომ ლამის მიწაზე გაგორდეს...

როცა სული მოვითქვით, ცრემლები მხრით მოვიწმინდე და დავიხარე, ფეხსაცმელებს სათითაოდ ვექაჩები ზევით. მივქარე, ფეხსაცმელი ნაპირზე უნდა გამეხადა და ისე ჩამოვმძვრალიყავი აქ... ფეხსაცმელებს ნაპირზე ვყრი და ძალისძალად თვითონაც გამოვდივარ თუ გამოვფორთხდები...

საღამოსპირი იყო, როცა ბაკურიანში მივბანცალდით. კარგი სანახავი კი ვიყავით ორივენი. თინიკო ამჯერადაც ერთიან გამაში იყო თავფეხიანად, ოღონდ ტალახისფერში. მარჯვენა ხელით ჯოხს ეყრდნობოდა, მარცხენათი ჩემს მკლავს ჩაჰფრენოდა; ცალ ფეხზე კალოში ეცვა, მეორით – ჩემს უზარმაზარ ფეხსაცმელს მოაფლატუნებდა.

ძალიან კი უხდებოდა!

მეც მიხდებოდა ალბათ ცალი შიშველი ფეხით სიარული, მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ქუჩას თავი მოვარიდეთ, ბაღის მხრიდან გადავძვერით ღობეზე. თინიკოს ღობის თავზე გაახსენდა მაინცდამაინც, ჩემი ჩანთა სად არისო; ყურადღების მოდუნებას შედეგად მოჰყვა უცხოური შარვლის სარის წვერზე გამოდება და ფხრიწინ-ფხრიწინით მთელ სიგრძეზე ჩახევა – სარჩულის მხრიდანაც თავდაპირველი შინდისფერი ტალახისფრით იყო შეცვლილი.

მეორე დილით თინიკო მიბრახუნებს კარზე – სოკოზე არ დაგვაგვიანდესო. ამ ალიონზე რამ წამოაფრინა, ჩიტივით ხეზე ეძინა?

ხველებით ვიხრჩობი და სიცხე 39 გრადუსი მაქვს ცელსიუსით, თინიკოს როგორ გავუმხილო?

გადასარევი გოგოა თინიკო, მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობს – გინდაც ჯანმრთელი ვყოფილიყავი, მაინც თავს მოვიმძინარებდი...

პაპიროსი

კარლო გეგელიძეს

ახლა მოგიყვებით, როგორ დავანებე თავი პაპიროსის წევას.

ომის დროა – ორმოცდაორი წელი, ნოემბრის თვე.

მეცხრე კლასში ვსწავლობ, მაგრამ სკოლის მაგივრად ტყეში ვარ, ზამთრისთვის შეშას ვიმარაგებ – ოჯახში უფროსი კაცი მე დავრჩი.

შუადღისას მორზე ვზივარ, ვისვენებ. ტყის ბილიკზე გამოჩნდა თეთრ ცხენზე ამხედრებული ხნიერი კაცი – ახოვანი, ვაჟკაცურად წელგამართული.

პირში პაპიროსი გაურჭვია, თითის სიმსხო, სტვირივით გრძელი; ალბათ გაზეთის მეოთხედი დასჭირდა მის გახვევას, თამბაქო კი ნახევარი ქისა მაინც გაიხარჯა.

მიაბოლებს და მიირხევა, ცისფერი კვამლი გრძელ კუდად მისდევს.

შორიდანვე ვიყნოსე მათრობელი სურნელი, კარგა ხანია, მოწევის სურვილი მხერხავს.

ცხენოსანს მეორე კუდიც აეკიდა – მე.

“გამარჯობა-გაგიმარჯოს” შემდეგ მხედარს ირიბი საუბარი გავუბი, პირდაპირ თქმა ვერ გავუბედე, მომაწევინე-მეთქი; გავყევი გვერდზე ლაპარაკ-ლაპარაკით. იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან მხედარი წევას მოათავებს; ამოდენა პაპიროსს რას მოერევა, ჰოდა, მერე მონარჩენს ვთხოვ...

მივდივართ და მივსაუბრობთ. ისეთი სიწყნარეა ირგვლივ და ისეთი სილამაზე – შემოდგომის ტყე! მივაშრიალებთ ოქროსფერ ფოთლებს საკმაოდ ფართო საურმე გზაზე; ტყე დამთავრდა და მდელოზე გამოვედით, მერე გორაკი უნდა გადავიაროთ. “იქ როცა მივალთ, მაშინ ვეტყვი”, – ჩავითქვი გუნებაში.

გორაკიც უკან მოვიტოვეთ და მდინარის ნაპირს ადევნებულ გზას, კარგა ხანია, ჩვენც მივდევთ. თურმე პირველი მსოფლიო ომის დროს ნახევარი ევროპა მოუვლია, ათასი უბედურება და გასაჭირი გადაუტანია, ჰოდა, მიდი და პაპიროსის ნამწვზე ჩამოუგდე სიტყვა! მეუხერხულება... ისე კი შიგადაშიგ ვაქეზებ, ყველაფერზე კოჭს ვუგორებ – სულ წყეული პაპიროსის სურნელის ეშხით, პირდაპირ ცხვირში რომ გამაღიზიანებლად მიღიტინებს...

“წისქვილთან უსიკვდილოდ ვეტყვი!” – ვფიქრობ. გადავედით მდინარეზე, გავედით გაუქმებულ წისქვილთანაც, მერე პატარა სოფელი თხილიანიც გავიარეთ და გრძელ აღმართს შევუდექით... ძიაკაცმა თბილისის, ბაქოსა და ხარკოვის გავლით, როგორც იქნა, ფრონტის მოწინავე ხაზის სანგრებს მიაღწია დიდი ფათერაკებით, შემდეგ რაღა იქნება? მთხრობელში ჯარისკაცის ძველმა ემოციებმა გაიღვიძა და პირველი საარტილერიო დარტყმის აღწერისას ზედიზედ რამდენჯერმე გრძელი ნაფაზი დაარტყა; შემდეგ კი იერიშზე გადასვლა მის ცხენსაც დაეტყო, რომელმაც აღმართს ისე შეუტია, რომ თითქმის სირბილით მივდევდი...

“ქედის უნაგირთან უსათუოდ ვეტყვი!” – ისევ ჩავთქვი, – “სამ მუხასთან!”

ისევ დამება ენა... გრძელი, დაკლაკნილი დაღმართიც დაიწყო... იკლაკნება საუბარიც. როცა ძიაკაცმა ბრძოლებს შორის შესვენების დროს უდიდესი ნეტარებით გააბოლა, ცოტა ხნით საუბრის საადავე წავართვი, ჩემთვის საინტერესო მიმართულებით ვაბრუნებინე კეხი...

ვყვები, როგორ დავიწყე პირველად პაპიროსის წევა. ჩუმ-ჩუმად რამდენიმე ბიჭი ღოლოს გამხმარ ფოთლებს ვახვევდით ქაღალდის ნაგლეჯში და უფროსების მიბაძვით ვაბოლებდით. ერთხელ მამაჩემი სკოლაში დაიბარეს კრებაზე. ჩემი ამხანაგის დედამ უთხრა მამაჩემს: “აი, ყველანი შენს შვილს აქებენ – კარგად სწავლობს, ყოფაქცევითაც გამოირჩევა; აბა ერთი ფანჯარაში გაიხედე, ვინ ეწევა თამბაქოს ჩუმად, ღობეს მოფარებული?” მამაჩემმა იქით შეუტია იმ ქალს: “ჰო, დიახ, ეწევა, შენი ფულით ნაყიდს კი არ აბოლებს, მე ვაძლევ ფულს!” – ჩემს ცდუნებას შემწყნარებლურად ეკიდებოდა. მართალია, პაპიროსის ფულს არ მაძლევდა, მაგრამ არც მოწევას მიშლიდა. ახლა ფრონტზეა და, ვინ იცის, ერთ გემრიელ ნაფაზს ნატრულობს ჩემსავით...

მხედარმა თანაგრძნობით დამიქნია თავი, გრძელი ნაფაზი დაარტყა და ისევ განაგრძო გრძელ-თაგრძელი ამბავი...

სოფელ კაკლიანამდე ვდიე ასე ცხენ-კაცს კაი ათი კილომეტრი. იქ ძიაკაცმა მოათავა პაპიროსის წევა. რა თქმა უნდა, პაპიროსის ბოლომდე დაყვანას ბევრი დააკლდა; ნარჩენს წვერზე დააფურთხა და მარჯვენა ყურს ზევით გაირჭო.

– კარგად იყავი, ბიძიკო, გახსოვდეს – თუთუნი შხამია! – ჰკრა დეზები თეთრ ცხენს და მალე თვალს მიეფარა.

წამოვჩანჩალდი უკან, გაწბილებული, და მას შემდეგ – აგერ უკვე ორმოც წელზე მეტია – აღარასოდეს მომიწევია...

1984

თამბაქოს ვანებებ თავს!

მოკლედ მოგახსენებთ – ჩემი დირექტორი გერონტი მიშლის ნერვებს!

ისედაც ხომ არ უქნია გამჩენს – ავყიაა, კარგსა და ცუდს ვერ არჩევს, – მაინც ყველას ზევიდან დაგვცქერის, თითქოს ტრაპიზონის სულთანი იყოს. ყველაზე ცუდი თვისება კი ის აქვს (უფრო ჩვევა ეთქმის ალბათ), რომ დილით სამსახურში მისვლას ვერავინ ასწრებს! დადგება მერე კარებში და ასპიტივით გვაჩერდება ყველას თვალებში... კაი ბიჭი ხარ და დააგვიანე!..

მე განსაკუთრებით გამომარჩია... ჯერ სალამი არ აქვს თქმული და უკვე ხელს გამომიწვდის:

– ერთი სიგარეტი მომაწევინე!

თუ მწეველი ხარ და არა მათხოვარი, სიგარეტი უნდა გამოგელიოს? მე, მაგალითად, დილით შინიდან რომ გამოვდივარ, ორ კოლოფ სიგარეტს ვიდებ ჯიბეში. გერონტი კი ასე სამადლოდ დამათხოვრობს, რა უჭირს ნეტა ისეთი? ორი ჩემდენი ხელფასი აქვს, სამჯერ მეტს კიდევ ისე ახლაფორთებს რაღაც-რაღაცეებს და ყოველ დილით კი – და მერეც – მაინცდამაინც მე მომადგება გლახაკივით... დღეში რამდენჯერმე ჩამისაფრდება... ჩემს სიგარეტს თაფლი უცხია?

ბევრი რომ არ ვიყბედო, ისე ამაფორიაქა, ისე გამანერვიულა, რომ ხან დავიგვიანე, ხან ძალიან ადრე მივედი, სხვა შესასვლელიდანაც ვცადე შეპარვა სამსახურში – ყოველთვის კოვზი ნაცარში ჩამივარდა... მთელი დღე ხომ არ დაემალები? დამინახავს და, როგორც მოგახსენეთ, მაშინვე სიგარეტს მთხოვს... რა გინდა, რომ ქნა? სხვა სამსახური ხომ არ მოვძებნო? ერთხელ ვიფიქრე, ვეტყვი: უჰ, ბოდიში, სიგარეტის კოლოფი შინ დამრჩენია-მეთქი, მაგრამ მაშინ მთელი დღე უთამბაქოოდ დავრჩებოდი ან მეც უნდა გერონტივით სხვის სიგარეტებზე მენადირნა.

ისე გავხდი ამდენი განცდებით, რომ ცოლმა საგზური გამიხერხა (მე შენ გეტყვი, გერონტისგან ეღირსები როდისმე!) და დასასვენებელ სახლში გამისტუმრა შოვში. იქაც ვერ მოვისვენე... რომ წარმოვიდგენდი, როგორ მივიდოდი სამსახურში და პირველი, ვისაც შევხვდებოდი, გერონტი ვაუბატონი იქნებოდა და ჩემს ამბავს კი არ იკითხავდა, მაშინვე სიგარეტს მომთხოვდა, გუნება მეშხამებოდა და დასვენებას გემოს ვერ ვატანდი. თანაც კაცურად კი არ მეტყოდა – ხელის ჩამორთმევით, ღიმილით, ორიოდე თბილი სიტყვის შეწევნით, შენს კუჭს თუ ეშველაო, – არა, ისე მედიდურად ითხოვდა სიგარეტს, თითქოს დიდ წყალობას მწევდა... იდიოტი!.. თავხედი!..

მოკლედ, გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, მომეკრიფა ნებისყოფა, ჩემი თავისთვის მეჯობნა და ნელ-ნელა თამბაქოს წევას შევშვებოდი. ისე გამოვიანგარიშე, რომ სამსახურში გამოცხადების დროისთვის თამბაქოს საბოლოოდ დავემშვიდობებოდი; მავნე ჩვევასაც დავაგდებდი (ექიმების დაჟინებული რჩევაც ეს იყო – ისე შენს კუჭს არაფერი უშველისო), ფულს საწამლავში აღარ გადავყრიდი და, რაც მთავარია, გერონტის დავტოვებდი ხახამშრალს!..

და დაიწყო ჩემი გოლგოთა. ყოველდღე ორი სიგარეტით ნაკლებს ვწევდი. ერთი კვირა კიდევ მრჩებოდა, რომ სრულიად განვიკურნე სიგარეტის მონობისგან. გამიჭირდა, ძალიან გამიჭირდა! რომ დავინახავდი პაპიროსიან ადამიანს, თავქუდმოგლეჯილი გავურბოდი, სულმოკლეობა არ გამოვიჩინო, სათხოვნელად ხელი არ წამცდეს-მეთქი. გავწამდი, სული კბილით მეჭირა, მაგრამ ყველა ცდუნებას ვძლიე! ოჰ, როგორ ესალბუნებოდა გულს, როცა წარმოვიდგენდი: შემხვდება ბატონი გერონტი, რაღა თქმა უნდა, თავისას მეტყვის, მე კი ხაზგასმული ზრდილობით ვუპასუხებ, რომ, დიდად სამწუხაროდ, აღარ ვეწევი! მერე მზრუნველად იმასაც დავამატებ, რომ მასაც ვურჩევ, დაანებოს თავი თამბაქოს წევას, ნიკოტინი ადამიანის ჯანმრთელობის მტერია!

ჰოდა, ბოლოს დადგა ნანატრი წუთი და სახეგაბადრული, ღიმილით პირგახეული, ვუახლოვდებოდი ჩემს სამსახურს!..

შესასვლელში არავინ შემხვდა, კარისკაცის გარდა – ეტყობა, ბატონმა გერონტიმ ჯერ არ იცის ჩემი ჩამოსვლის შესახებ!.. მერე, კარგა ხანს რომ აღარ გამოჩნდა, ეჭვი გამიჩნდა – ნეტავ, ხომ არის ჯანმრთელად და ტანმრთელად? იქნებ შვებულებაშია ან მივლინებით არის წასული? მინდოდა მეკითხა, ჩვენი უფროსი სად არის-მეთქი, მაგრამ თავს ვაჟკაცურად ვიკავებდი, ბოლოს, ვეღარ გავძელი, მოლოდინმა მომქანცა და გერონტის ადგილსამყოფელი ვიკითხე... საინტერესოა, ვის სთხოვდა ხოლმე სიგარეტს, ამჯერად ვინ ამოიჩემა?

მითხრეს, გერონტი დააწინაურეს, გაერთიანების უფროსის მოადგილედ გადაიყვანესო.

მეწყინა, გულახდილად გეუბნებით, ძალიან მეწყინა... თქვენ არ გეწყინებოდათ?..

გამასწრო!..

ახლაც იტყვით, გერონტის ნამუსი აქვსო?

დერეფანში გავედი, მივაშურე კუთხეში შეჯგუფულ ძმაკაცებს:

– მომეცით ვინმემ სიგარეტი, ერთი კვირაა, არ მომიწევია!

1990

ხვრინვის ბრწყინვალე ხელოვნების შესახებ

ხვრინვა ყველას კი არ ხელეწიფება – იგი ღვთით ბოძებული ნიჭია და, როგორც ყოველგვარ ნიჭს, მასაც გაფრთხილება და განვითარება სჭირდება.

ცნობილია: ქართველებს გვიყვარს თავის გამოჩენა, გარშემო მყოფთა ჩვენი გამორჩეული (აბა, არა?!.) პერსონისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. ამ მხრივ არც ძილის დროს ვღალატობთ საკუთარ ბუნებას.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ხვრინვის დამახასიათებელი ძირითადი პარამეტრები – სიძლიერე, ხანგრძლივობა და მხატვრული თავისებურებანი – უპირატესად ცხვირის სიდიდეზეა დამოკიდებული და ამ მხრივ ქართველებს ნამდვილად ბედმა გაგვიღიმა: განგებამ მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი მოზრდილი ცხვირებით დაგვასაჩუქრა. მერე, როგორ ვიყენებთ ჩვენ ამ ჯილდოს – ხვრინვის ხალას ნიჭს? თამამად შემიძლია განვაცხადო: სრული ბედოვლათობით ვანებივრებთ! ხვრინვის მეცნიერული შესწავლისთვის არავის სცალია, სამაგიეროდ, ბლომად შემოგვაქვს უცხოური ნაირ-ნაირი დაპატენტებული წამლები, დიდი სარეკლამო კამპანიაა გაჩაღებული მათი გასაღების მიზნით; დაბეჯითებით გვარწმუნებენ – საოცარი, ჯადო თვისებებით გამოირჩევიანო, თუმცა, კაცმა არ იცის, ისინი ხვრინვის შემცირებას უწყობენ ხელს თუ გაძლიერებას.

მე პირადად ცხვირის გაბარიტების მხრივ სატრაბახო არაფერი მაქვს, სამაგიეროდ, სხვა მხრივ ვარ ბედნიერი: ღამის განმავლობაში უთვალავჯერ მიხდება ხანგრძლივი სტვენა, დაწრუწუნება, ზოგჯერ – ძაღლივით ყეფაც კი და, ბოლოს, ცოლის ძილ-ღვიძილში ბურტყუნზე, რა მოხდაო, მოკლედ, მაგრამ სრული კატეგორიულობით ოფიციალური ტონით განცხადება: "გადაბრუნდი!" ან "პირი დახურე!"

უნდა მოგახსენოთ საოცარი ანომალიური ფაქტი: ჩემი ცოლის ცხვირი ზომის თვალსაზრისით არ გამოირჩევა განსაკუთრებული ჯიშიანობით და მისი ფენომენალური მონაცემები ხვრინვის მხრივ ალბათ სპეციალური მეცნიერული შესწავლის ღირსია. უნდა გავიგო, ნეტა თუ ტარდება მსოფლიო ჩემპიონატები ხვრინვაში?

ცოლის (უფრო – მისი ცხვირის!) უდიდესი დამსახურებაა ისიც, რომ დღეს, 2004 წლის 25 სექტემბერს, ღამის 5 საათზე (ან, თუ გნებავთ, დილის 5 საათზე) წამომახტუნა და ეს ტრაქტატი დამაწერინა ხვრინვის ძლევამოსილი ხელოვნების შესახებ.

დიახ, ზევით აღვნიშნე ჩემი გულისტკივილის შესახებ და ერთხელ კიდევ მსურს, გავიმეორო: არ ხდება ხვრინვის ხელოვნების სათანადო პოპულარიზაცია როგორც ზოგადად, ისე – ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ამ მხრივ ჩემი მოკრძალებული წვლილი წაადგება ამ კეთილ საქმეს და, იმედი მაქვს, სხვებს უფრო ფუნდამენტური შრომების შექმნისკენ უბიძგებს. ესტაფეტა უძილობით გაბედნიერებული კოლეგებისთვის გადამიცია, შემოქმედებით წარმატებებს და ღრმა შინაგან კმყოფილებას გისურვებთ!

2004

ლიას საყურე

– მიხდება?

საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებულს, დაღლილ-დაქანცულსა და მშიერს, უკვე ტრადიციულად ქცეულ კითხვას მაგებებს ცოლი. ყველაფერს ვხვდები და არც კი შევხედავ, ისე ვპასუხობ კითხვითვე:

– ისევ ახალი საყურე შეიძინე?

სამზარეულოდან მადის აღმძვრელი სუნი არ მცემს. ბავშვებს მთელი ბინა საღორედ გადაუქცევიათ. კარგა ხანს მათ ვერც კი მივაგენი, სადღაც იყვნენ შემძვრალნი... ცოლი კი სარკის წინ კეკლუცობს, პირს დაუსრულებლად ხან იქით შეაბრუნებს, ხან აქეთ – ახალ საყურეს ეთამაშება...

ხალხო, ეს რა სტიქიურ უბედურებას გადაეყარა ჩემი ოჯახი – მოდაში შემოვიდა საყურე! ყველა რაღამ გადარია: გოგონას ჯერ ფეხიც არ აუდგამს ხეირიანად და მაშინვე ყურებს უხვრეტენ;

საყურეებით კეკლუცობს სკოლის მოწაფეც, გასათხოვრად შეღერებული ქალიშვილიც, ოჯახის პატივცემული დიასახლისიც და, ბოდიში მომიხსენებია კაცობრიობის მშვენიერ მეორე ნახევართან, მიხრწნილი დედაბერიც...

ქალბატონმა ლიამაც, ჩემმა მეუღლემ, როგორც ჭეშმარიტ ქალს შეეფერება, ვერ გაუძლო მოდის ცდუნებას და საყურის მატარებელთა უზარმაზარ ჯგროს, ბრბოს, ხროვას, ლეგიონს... უჰ, როგორც იქნა, საჭირო სიტყვას მივაგენი, – ფარას შეუერთდა!..

ჯერ, როგორც მიამბო, ყავის ნალექზე უმარჩიელეს ლაბორატორიის ქალთა კოლოკვიუმზე; შემდეგ მცირე ქირურგიული ოპერაცია გადაიტანა ყურის ბიბილოს გახვრეტისა, რაიც, თუ ძველთაძველ ფრესკებს დავუჯერებთ, კეთდებოდა მთელ მსოფლიოში რამდენიმე ათასწლეულის წინათაც (სხვათა შორის, ალაგ-ალაგ კაცებიც არ ჩამორჩებოდნენ ქალებს საყურეების, გულქანდების, სამაჯურებისა და მისთანების ტარებით). მართალი მოგახსენოთ, ჩემთვის ქალბატონ ლიას ახირება თითქოს სულ ერთი იყო – მე არ ვიხვრეტდი ყურებს და სრულებით არ მაწუხებდა ამასთან დაკავშირებული პრობლემები – "ქირურგის" პოვნა, ჭრილობის მორჩენა, შემდეგ (ან ადრეც) შესაფერისი საყურეების შეძენა, მაგრამ ცოლი რის ცოლია, თუ ცარიელ ადგილზე პრობლემა არ გაგიშანშალა?

– სხვა მხრივ არაფრად უქნიხარ ღმერთს და ერთხელ მაინც გამომადექი! – შემომჩივლა ცოლმა. – რომ იბრიქები, ხელოვნების მოყვარული და დიდი მცოდნე გახლავარო, მომეხმარე საყურეების არჩევაში!

ვიცი, რასაც ვეტყვი, პირიქით უნდა გააკეთოს, მაგრამ ქალი ვის არ შეაცდენს – წავყევი.

შევედით მაღაზიაში. ძლივს გავიკვლიეთ გზა ქალებით მჭიდროდ შემოჯარულ დახლამდე. მივაღწიეთ და... კინაღამ იქ დავრჩით – ქალი ვერ მოვაცილე ვიტრინას, სადაც ათასგვარი საოქრომჭედლო ნაკეთობა იყო გამოფენილი, უფრო კი – ბეჭდები, გულქანდები, მძივები და საყურეები... ისე, რაც მართალი მართალია, ლიას წინაშე ძნელთაძნელი ამოცანა იდგა – გინდაც საათობით იდგე და ათვალიერო ნაირ-ნაირი ნაკეთობა, როგორ გინდა, არჩევანი გააკეთო – თვალები გაგირბის, აღარ იცი, რომელი ამოარჩიო! რას არ ნახავ აქ, რა ნაირგვარობის საყურეს! ნეტა თუ ვინმემ იანგარიშა, ყოველივე ამის დასამზადებლად რამდენი იხარჯება ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი თვლები, სხვადასხვა პლასტმასა, ფაიფური, ხე, ტყავი, შუშა, რქა და ათასი ჯანდაბა და დოზანა! რამდენი მხატვარი იჭყლეტს ტვინს, რომ როგორმე ისეთი რამ მოიგონოს, რაც სხვებს არც დასიზმრებიათ... აგერ საყურეთა რიგი, მაცდურად საგულდაგულოდ დალაგებულ-გამოფენილი ვიტრინაში – ძეწკვებზე ჩამოკონწიალებული მარგალიტი, ქარვა, ოქროს ბურთულა, მინიატურული ბანქოს ქაღალდიც კი (ალბათ ფაიფურისა), სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მზეები, ვარსკვლავები, ნახევარმთვარეები, ყვავილები, ფოთლები, პეპლები, ხოჭოები... ესეც არ უკმარიათ და გეომეტრიის სახელმძღვანელო გაუძარცვავთ – წრეები, რგოლები, სამკუთხედები, რომბები, კვადრატები, მრავალკუთხედები, კუბები, ბურთები (მათ შორის – ფეხბურთის!), დისკოები, ოვალები... ბრტყელები, მოცულობრივი, მრავალფიგურიანი კომპოზიციები... დაშტრიხულ-დახაზულები, დაწინწკლულები, ლაქებიანი, წანადღაბნებიანი, გლუვი, ხორკლიანი, კოპლებიანი, მქრქალი, მბრწყინავი... ერთმანეთში ჩაწნულები, ჩამარყუჟებულნი, გადაბმულნი, გადანასკვნილნი, ჩახლართულ-გადახლართულნი... ჩოგბურთის ჩოგნები, გემთა ღუზები, დროშები, გრამფირფიტები, მარჯნები, აბსტრაქტული სურათები...

გთხოვთ, ნუღარ გამაგრძელებინებთ საყურეთა ზომის, ფორმის, ფერის, მასალისა და სხვა ტექნიკური თუ მხატვრულ-ესთეტიკური თვისებების ჩამოთვლას, – ამგვარი "კატალოგის" აღწერა ერთი კაცის შესაძლებლობებს აღემატება. ისე დავიღალე, მგონი ტვინიც მეღრძო საყურეთა კალეიდოსკოპური თამაშისგან, თავი ამტკივდა ქალთა ყაყანისგან... მაღაზია იკეტებოდა, როცა სხვადასხვა საყურეების სარკის წინ გაუთავებელი მოსინჯვის შემდეგ, როგორც იქნა, ქალბატონმა ლიამ ამოარჩია მინიატურული მზესუმზირის ფორმის საყურე...

თუ აქამდე ქალბატონ ლიასგან მოსვენებული ვიყავი, – ქალებთან ჰქონდა გაცხოველებული აზრთა გაზიარება, – ახლა, როცა მაღაზიიდან გამოვედით და მარტო მე შევრჩი ექსპერტ-მოსაუბრედ, მაშინვე მეცა:

– მიხდება?

– რა თქმა უნდა! – პასუხი არ დამიხანებია.

– ძალიან?

– მეტი არ შეიძლება!

– ძალიან თუ ისე?

– გხატავს!

– რანაირი ხარ! ყველაფერს ამასხარავებ...

– კარგი აბა, თუ სიმართლე არ გიყვარს, ტყუილს გეტყვი – არ გიხდება!

– შენს თავს დასცინე! – გაბრაზდა ქალბატონი ლია და სახლამდე ხმა აღარ გამცა, გამებუტა.

შინ მისვლის შემდგომ ჯერ სარკეს მოაბეზრა თავი, არც შინაურებს დაგვდგომია კარგი დღე – ყველას წაგვჭამა თავი ერთი და იგივე კითხვით:

– მიხდება?

ქალის ხასიათს რას გაუგებ... არც ის მოსწონდა, თუ ეტყოდი – გიხდებაო და არც ის აკმაყოფილებდა, თუ დაუწუნებდი – არ გიხდებაო! აკაკის პეპელასავით აღარ ვიცოდით, რა გვექნა – არც მოვფრენილიყავით და არც გავფრენილიყავით... თავი უნდა მოგვეკლა, სხვა გზა არ ჩანდა!

მეორე დღეს, სამსახურიდან დაბრუნებულს, ცოლის კითხვა შემეფეთა:

– მიხდება?!.

ახალი საყურე შეუძენია – ერთი რგოლი მეორეშია გაყრილი. ეტყობა, წინა საყურე საკმარისად არ ვუქეთ.

მას აქეთ ყოველ საღამოს შინ დაბრუნებულს ისევ და ისევ მიყრის შამფურს:

– მიხდება?!.

და სახეგაბრწყინებული ცოლის ახალი საყურის უზადო, განუმეორებელი, ჯერ არნახული, ხელთუქმნელი, წარმოუდგენელი, იგავმიუწვდომელი, საოცარი, გასაშტერებელი, გასაყეყეჩებელი, არაჩვეულებრივი, გასაკვირველი, გასაგიჟებელი, ფანტაზიური, თავბრუდამხვევი სინატიფე, დახვეწილობა, სილამაზე და მომაჯადოებელი ხიბლი უნდა შევამკო ხონთქრის კარის მეხოტბე პოეტივით. და კარის მგოსანივით მშიერ-მწყურვალი უნდა ვიყო და უმადურობა მოვიმკო, რამდენადაც მომდევნო საღამოს უკვე ახალი საყურის მშვენიერებას უნდა ვუგალობო... უკვე აღარც ვიყურები სარკის წინ მბრუნავი ცოლისკენ, ისე ვუმღერი ახალ შენაძენს:

– თუ ქალი ხარ, სხვა საყურე აღარ დამანახო – ეს რა შედევრი აგირჩევია!

– ეს ხომ ჯობს წინას?

– რა შედარებაა! უკეთესს რას ნახავ! ვერც ინატრებ!

– ეს უფრო მიხდება, ხომ?

– სხვა საყურე რაღად გინდა, ამის მჯობს მაინც ვერ იშოვი!

– მართლა კარგია?

– გადასარევი!

მართლაც გადამრევს ეს ქალი გაუთავებელი გამეორებით ერთი და იგივე კითხვისა. მაინც სად აქვს ამდენი ფული, ყოველდღე ახალ-ახალ საყურეს რომ ყიდულობს?..

გავბედე და ვკითხე.

ცოლმა გადაიკისკისა:

– ეშმაკი რომ ვარ, არ იცოდი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას თავი ავარიდე.

– იცი, რა მოვიფიქრე? – აგრძელებს ქალბატონი ლია. – გამყიდველ გოგონას ვუთხარი: “ოი, როგორ გიხდებათ ეგ საყურე, მეც მასეთი მინდა!” და ულაპარაკოდ მაშინვე გამიცვალა ჩემსაში, ფასი ერთი ჰქონდათ. ის გამყიდველი გოგონა – ლამარა ჰქვია – ყოველდღე ახალ საყურეს იკეთებს, მერე მეც სიამოვნებით მიცვლის, დავმეგობრდით! მოგწონს?

როგორ არ მომწონს! ისე კი, გულახდილად გეუბნებით, მე პირადად ამ ბოლო დროს სულ უფრო მომწონს მსხვილი, დიდი რგოლის ფორმის საყურეები. ხალხო! იქნებ ერთი რგოლი მეც მაღირსოთ – ცხვირში გამიყარეთ ბუღასავით და დამაბით, თორემ გადავირევი და დავბდღვნი ყველა ვიტრინას, სადაც კი ქალთა მისაზიდად ნაირ-ნაირი საყურეები გამოუფენიათ!

ამხანაგო უცოლო მამაკაცებო! მე ხომ დავივსე და დავიქეცი, თქვენ მაინც ფხიზლად იყავით და გაფრთხილდით – არამც და არამც არ ითხოვოთ ქალიშვილი, რომელსაც ლამარა ჰქვია და რომელიც ყოველდღე იცვლის საყურეებს!

1984

ფრთხილად, ლია პოეტურ ხასიათზეა!

ლიას ისეთი უცნაური ხასიათი აქვს... მეტად ძნელად ასაწერი! ცვალებადი და წინასწარ გაუთვალისწინებელი. ხანდახან აგედევნება, აგეტორღიალება, ამოსუნთქვის საშუალებას არ მოგცემს – რაღაც აკვიატებული იდეით თუ აზრით თავს წაგჭამს.

ამას წინათ რაღაცას ვწერდი, მთლიანად ვიყავი ჩაფლული ჩემს საქმეში. საგანგებოდ საძინებელ ოთახში მოვიკალათე, რომ ხელი არავის შეეშალა. მალე გვერდზე მომიჯდა ქალბატონი ლია და დამიწყო თავისი სამსახურის ჭორების მოყოლა.

– დამანებე თავი, ქალო, არ მცალია მაგისთვის და არც მაინტერესებს! – ვეუბნები, – ბავშვები მშიერია, დროზე მოახლაფორთე რამე.

შეაყარე კედელს ცერცვი... ვიღაც ზინას ოინებს მიყვება, თითქოს არაფერი მეთქვას, თან ისე გემრიელად, გატაცებით, რომ...

რა ვუყო? არადა, თუ პატარა რამე ხელს მიშლის, ვეღარ ვმუშაობ. ცოტა ხმას ავუწიე:

– წადი, ქალო, მომშორდი! არ მაქვს ახლა შენი მოსმენის თავი!

ქალბატონი ლია თავისას უკრავს – ისე დაგემოვნებით ჰყვება ვიღაც შარახვეტია ზინას ამ-ბებს, თითქოს მთელი ქვეყნის ბედი ამაზე იყოს დამოკიდებული.

გავბრაზდი... რა ვუთხრა? ცოტა არ იყოს, პატრუქს ზომაზე მეტად ავუწიე:

– ბოდიში და, სულ ფეხებზე მკიდია იმ ვიგინდარა ზინას თავგადასავალი! მაცალე, ქალო, ხომ ხედავ, ვმუშაობ, სხვა დროს მიამბე!

– ჰო, კარგი... გაჩუმდები, გაჩუმდები... ერთს ვიტყვი რაღაცას და მერე ხმას ჩავიწყვეტ... იცი, ამაზე რა უთხრა ზინას გივიმ? შენ ვერ წარმოიდგენ!..

– ვა-ახ, ეს ვინ ყოფილა!.. ღმერთი არ გწამს? მომეშვი! მომშივდა, წადი, მოამზადე რამე.

ლია, რასაკვირველია, ეშხიანად აგრძელებს თხრობას.

მე დემონსტრაციულად ჩავრგე ცხვირი ხელნაწერში – ილაპარაკოს, რამდენიც უნდა, არ მივაქ-ცევ ყურადღებას, მაშინაც არ გაჩერდება? ნათქვამია, ყბედი მუნჯმა დაღალაო... ცხადია, უზრდელუ-რი ხერხია, მაგრამ რა ვქნა? ვითომ ვაგრძელებ მუშაობას, მაგრამ რად გინდა – ლიას ხმის ზუზუნი ყურადღებას მიფანტავს, ვატყობ, რაღაც სისულელეს ვწერ...

ავდექი, ავიღე ჩემი ქაღალდები და სამზარეულოში გადავბარგდი. ის იყო დავალაგე მაგიდაზე ფურცლები, გადავიკითხე წინა გვერდი და წერის გაგრძელება დავაპირე, რომ კარი შემოაღო ქალ-ბატონმა ლიამ (ამ კარს ერთი კარგი საკეტი ნაღდად მოუხდებოდა!). ჯერ კომპოტი დაისხა, მერე პურის მოზრდილი ყუა დაიჭირა ხელში და ჩემს პირისპირ დასკუპდა... სრული კომფორტი აქვს, ერ-თი გემრიელი მოსაუბრეღა აკლია! მოსვამს ჭიქიდან, მოჰკბეჩს პურის ნაჭერს და ჭიქას ჩემს ქაღალ-დებზე დგამს.

– ქალო, მომაცილე ეგ ჭიქა! ხომ ხედავ, დაალაქიანა ფურცელი!

– ის ზინა ისეთი გაიძვერა ვინმეა, შენ ვერ წარმოიდგენ! – ვითომც არ გაუგონია ჩემი ნათქვამი, ქალბატონი ლია აგრძელებს ვიღაც არამზადის სასახელო და დაუსრულებელ ამბავს.

ვატყობ, ახლა ნაღდად ავფეთქდები... ავიბარგე და სასტუმრო ოთახში დიდ მაგიდას მივუჯექი. მართალია, აქ ტელევიზორში რაღაც დეტექტივს უყურებდნენ ბიჭები, მაგრამ ეს იმდენად არ მიშ-ლიდა ხელს, ყოველ შემთხვევაში, არავინ მოითხოვდა ჩემგან – შენ რას იტყვი, როგორ უნდა იბო-გინოს მზის სინათლეზე ამ სინდისგარეცხილმა ზინამო.

არ გასულა ხუთი წუთი და ქალბატონი ლია ისევ ჩემს გვერდით აღმოჩნდა. უკვე შინაგანად და-ძაბული ვარ, ვეღარ ვმუშაობ, ყოველ წამს მოველი, რომ იმ ინტრიგანი ზინას ამბავს გააგრძელებს. მართლაც, ისე აგიხდათ ყველა კარგი იმედი – ქალბატონი ლია ერთ წუთსაც ვერ ძლებს ჩუმად:

– მივიდა თურმე ზინა დილაადრიან სამსახურში, რომ ვინმეს არ დაენახა...

და გაუტია!..

სად გავიქცე? ავხვეტე საჩქაროდ ჩემი ქაღალდები და საპირფარეშოს მივაშურე, შიგნიდან კარი საგულდაგულოდ ჩავკეტე.

ათ წუთში მომადგა დათუნა, მიჭირს, საჩქაროდ გამოდიო... ჩუმად გავიძურწე ლოჯიაში, დაბალ მაგიდას ქურდულად მივუჯექი და ლამპა ავანთე. ის-ის იყო არეული ქაღალდები დავაწყვე, რომ ქალბატონი ლიაც გამომეცხადა.

– ან ჭურჭელი არ გაქვს გასარეცხი, ან – გამოსახვეტი... წიგნი მაინც გადაშალე, შე ქალო, თუ საქმე გამოგელია!

– რა წავიკითხო? მომეცი და წავიკითხავ! შენ ყოველთვის მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ!..

ვიცი, ბევრჯერ გამომიცდია – რომელ წიგნსაც კი შევთავაზებ, აუცილებლად დამიწუნებს, თან დაამატებს: “ამდენი წიგნი გაქვს და მათში ერთი ხეირიანი არ ურევია!”. ბედად მაგიდაზე ახალი სა-ლიტერატურო გაზეთი იდო, გავუშალე და მივაწოდე:

– აგერ მთელი ორი გვერდი უკავია პოეტი ქალების ლექსებს, უკეთესს რას წაიკითხავ!

უჰ! ერთი საათით მაინც რომ მომასვენოს!

ქალბატონ ლიას უამრავ მომხიბვლელ თვისებასთან ერთად კიდევ ერთი უნდა გამოვყო განსა-კუთრებით – დრო მისთვის არ არსებობს! დროის კატეგორიას ჯერჯერობით ვერ ეზიარა, კაცობრი-ობას მისთვის საათი ჯერ არ გამოუგონებია – ნამდვილად ბედნიერი ადამიანია! როცა თეატრში წასვლის დრო მოვა, მაშინ იწყებს კაბის ძებნას და დაუთოებას; ბავშვებს რომ მოშივდებათ, მხო-ლოდ მაშინ გაახსენდება საჭმლის გაკეთება...

ქალბატონმა ლიამ დაიწყო ლექსების ხმამაღალი კითხვა. აშკარად ჩანდა, იმიტომ იჭაჭებოდა, რომ უნდოდა, ჩემთვის ესიამოვნებინა. კითხულობდა გამოთქმით, ხმის აწევ-დაწევით, პოეტური აღ-მაფრენითა და არტისტული მგზნებარებით... ღმერთმა დღეგრძელობა მისცეს ჩვენს მშვენიერ პოეტ ქალებს, კიდევ მრავალი და მრავალი კარგი ლექსი დაეწეროთ, მაგრამ გულახდილად ვიტყვი – კი-ნაღამ ცუდად გავხდი... მოგეხსენებათ, ლექსის აღქმას შესაბამისი განწყობაც სჭირდება...

თვალდახუჭული ვუსმენ, როდის დამთავრდება ქალბატონ ლიას დეკლამაცია. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არც დაღლა დასტყობია და არც ხმაში შეპარვია ხრინწი, ისე ჩააბულბულა ორივე გვერდი.

"მეშველა!" – შვებით ამოვისუნთქე. ახლა მაინც მომცეს ამნისტია, თუმც უკვე ქანცგაწყვეტილს და ნერვებმოშლილს... თურმე მთავარი მოვლენები ახლა იწყება, მოხდა ყველაზე საშინელი რამ – ლიამ ლექსის თხზვა დაიწყო!!! ალბათ პოეზიასთან უზომოდ დიდი დოზით ზიარებამ გონება აურია და დაუბნიდა... ქაღალდის ფურცელი და ფანქარი მთხოვა, ლოჯიიდან გავიდა და თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ უკანვე შემოიჭრა: "ნახე, რა დავწერე!" – ხელების ქნევით ხმამაღლა წარმოსთქვა დაუვიწყარი სტრიქონები... ლიას აღმაფრენის ქარიშხლის ზუსტი კლინიკური სურათის აღწერა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება და მე მხოლოდ ამ ავადმყოფური შეტევის შედეგს მოგახსენებთ. აი ისიც, ლიას გენიოსური ლექსი (მერე მაშინვე გაბრწყინებული სახით სასტუმრო ოთახშიც გავარდა, შვილებს ტელევიზორი გამოურთო და ხმამაღლა მათაც გააცნო საკუთარი სულის ქურაში გამომცხვარი პოეტური პროდუქცია):

გაუხეხავი დარჩა სტაფილო
და დაუჭრელი კომბოსტო თეთრი!
ისე დახუჭა თვალები თაფლომ,
სიზმრები ნახა ნამეტურ ბევრი:
ტორტს აკეთებდა უიშვიათესს,
თუმცა ნიგოზი ცოტა დააკლდა,
ო, ნუ გაკიცხავთ და ნურც გასცინებთ –
მან, რაც შეეძლო, ის გააკეთა!

დამეთანხმებით, მართლაც რომ შედევრია! სამწუხაროდ, ქალბატონ ლიას პოეტური სამზარეულოს ეს ნაყოფი სადილის მაგივრობას ვერ გაგვიწევდა და მშიერნი დავრჩით, თუნდაც ზედიზედ ათასჯერ გამოთქმით წაეკითხა; ამის მცდელობას კი ჰქონდა ადგილი და მხოლოდ გაერთიანებული საპროტესტო აქციის შედეგად ძლივს მივაღწიეთ მის შეწყვეტას...

1991

კიოს მომხიბლავი ქალიშვილები

ქალაქში ხმა გავარდა – ცირკში ცნობილი ილუზიონისტი კიო ჩამოვიდა, თან მის ატრაქციონში ისეთი ლამაზი მოცეკვავე ქალიშვილები მონაწილეობენ, ჭკუას დაჰკარგავო.

ჩემი ძმაკაცი სტუდენტები მაშინვე აცუნცრუკდნენ – მთელი ქალაქი ცირკს მიაწყდა, ჩვენ რაღა დავაშავეთო... როგორც ყველაზე ხათრიანს, ბიჭებმა მე "შემაწერეს" ბილეთების შოვნა. დავტრიალდი, გავძვერ-გამოვძვერი და დიდი ჭაპანწყვეტით ერთი დუჟინი ბილეთები ჩავიგდე ხელთ. ახლა მეორე პრობლემა გახდა გადასაჭრელი – ბავშვები უნდა გვეშოვა და წაგვეყვანა, მოგეხსენებათ, ცირკში ბავშვებთან ერთად დადიან; აბა ამოდენა მუტრუკები ისე ხომ არ წავიდოდით, სირცხვილია! ამ საქმის მოგვარებაც მე დამავალეს. ბევრი ვიწვალე, გავიკითხ-გამოვიკითხე ნაცნობ-მეგობრებში, ვის არ ვეხვეწე და ვემუდარე – ბავშვის გატანებაზე ყველამ უარი მითხრა. როგორც იქნა, ერთმა შორეულმა ნათესავმა "მათხოვა" დიდი ჭოჭმანის შემდეგ 4-5 წლის ცქვიტი ბავშვი (დიდების საუბარს ესწრებოდა და დაიჟინა, ცირკი მინდაო, თორემ ვერც მას "ვიშოვიდი").

ბიჭებმა მხოლოდ ერთი კინკილა ბავშვი, თავხოტორა იაგორა რომ დაინახეს, ცხვირები ჩამოუშვეს, მაგრამ რა გაეწყობოდა.

ჰოდა, ერთ საღამოს დავეწყვეთ თორმეტი ლომივით ვაჟკაცი, შუაში ჩავიყენეთ ერთი ციდა ბავშვი და ავუყევით ცირკის გრძელთაგრძელ კიბეს. იაგორას ერთმანეთს ხელიდან ვტაცებთ – არა მე წავიყვან, არა – მეო; ამ ჭიდილში იაგორა-თავხოტორა ხარხარებს, ჟივჟივებს, ხარობს – მეტი არ შეიძლება... გაგვისხლტა ხელიდან და ფერდობზე ბუჩქნარში შეძვრა – დამეწიეთო. იქ პატარა საცირკო წარმოდგენა გაიმართა დაჭერობანას ელემენტებით და აკრობატიკის ილეთებით. როგორც იქნა, პატარა მაიმუნი შევიპყარით და აჭყვირებული, მოსხმარტალე იაგორათი ხელდამშვენებულებმა ("კიდევ დამიჭირეთ, კიდევ ვითამაშოთ!"), კიბე ქოშინით ავათავეთ და ცირკის შესასვლელთან ავიტუზენით სიმაღლისდა მიხედვით – ბიჭიკო, პალიკო, ოტია, მახარე, მზეჭაბუკი, კიტა, იასე, კოსტა, ბესიკი, დათო, ედიშერი... ვინმე ხომ არ გამომრჩა? ჰო, მეც, რა თქმა უნდა – სულ ბოლოში, ყველაზე ტანდაბალი...

ამაყად გავიჯგიმეთ (აქეთ-იქით გახედვისა გვრცხვენია) და საზეიმოდ შევბრძანდით ცირკში – თორმეტ სერიოზულ მამაკაცს წინ მიუძღოდა ერთი მხიარული თავხოტორა ბიჭი. ლამის უბილეთოდ შეგვიშვეს – საცირკო წარმოდგენის მონაწილენი ვეგონეთ.

დავსხედით. იაგორას ადგილი ვერ მივუჩინეთ, ყველა თავისკენ ექაჩებოდა, ჩუმ-ჩუმად გავიხედ-გამოვიხედეთ და ერთი ბავშვი ვერ დავლანდეთ, დარბაზი სულ ღიპიანი ბიძიებით იყო გაჭედილი. ეტყობა, კიოს მართლა მომაჯადოებელი ფერიები ჩამოუყვანია!

შეგვრცხვა ისევ, გვგონია, ყველა ჩვენ გვიყურებს – ესენი რაღამ გააგიჟა, თითის ტოლა ბავშვი რამ წამოაყვანიათო.

იაგორა-თავხოტორა არის ერთ ამბავში, ნაყინი მინდაო. ერთის მაგივრად ორს ვუყიდით, ოღონდ წყნარად იჯდეს და ჩუმად იყოს, ვინძლო ხალხის ირიბ მზერას გადავურჩეთ. იაგორამ სწრაფად მოუღო ბოლო ჯერ ერთ, მერე მეორე ნაყინს და კიდევ მოითხოვა, თორემ ვიტირებო. ტირილი გვინდა კიდევ ჩვენ? აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა გავაჩაღე: ამდენი ნაყინი ყელს გაგიცივებს და შენს პატრონს რაღა ვუთხრათ? ნამცხვარი ჯობს, ის მიირთვიო. იაგორა ყაბულს იყო, ოღონდ ნამცხვრის შემდეგ ნაყინი მაინც უნდა მიგვერთმია... თორემ ვიტირებო. კარგი, ბატონო, ჯერ ეს ერთი ხაჭაპური მიირთვი... კიდევ მინდაო, ოღონდ კრემიანი ნამცხვარიო. ორი კრემიანი ნამცხვარი თვალის დახამხამებაში გადასანსლა და ცხადად დამანახა, რომ დედამისი აჭარბებდა, როცა ამბობდა, იაგორამ შეგვიკლა ხელში, არაფერს ჭამს, ძალით თუ ჩავუტენით ერთ-ორ ლუკმასო... ვხედავ, ლომივით ბაღანაა, სულ "მინდა-მინდას" იძახის, ესაა – უჭმელი ბავშვიაო? თან ისე გემოიანად მოითხუპნა სახე, ხელები და შიგადაშიგ ტანსაცმელიც, რომ აქამდე თუ იაგორას ერთმანეთს ვტაცებდით, ახლა კაციშვილს აღარ უნდა, ერთმანეთს ვაჩეჩებთ... ისევ მე გავიყვანე საპირფარეშოში. იქ, რა თქმა უნდა, წყალი არ მოდიოდა (ნახევრად ოფიციალურ ვიზიტს მთლად უქმად მაინც არ ჩაუვლია, იაგორამ პატარა საქმე მოითავა); ისევ გაზეთით და ცხვირსახოცით გავუსუფთავე ცხვირ-პირი და ასე თუ ისე ნორმალური იერი მივეცი.

ამასობაში მონაწილეთა პარადი ალე დამთავრდა და წარმოდგენაც დაიწყო, მთლად თვალებად ვიქეცით – სადაა კიოს მომხიბლავი გოგოები? კიოს ატრაქციონი თურმე მეორე განყოფილებაში იქნება, მანამდე, პირველ განყოფილებაში, ჟონგლერებს, გაწვრთნილ ძაღლებს, კლოუნებს, ბაგირზე მოსიარულეებს და იაგორა-თავხოტორას უნდა ვუყუროთ. იაგორა, რასაკვირველია, პირველობას ჩემულობს, მარტო მე მიყურეთო – ხან წინა სავარძელს ურტყა ფეხები, ხან ასაკეც სკამს დაუწყო წვალება, მერე კი... რომელი ერთი ჩამოვთვალო? მასხარის მსგავსად მეც მინდა, გადავიდე ყირაზეო, მოხტუნავე გაწვრთნილი ძაღლის სახელი მითხარითო... ცოტა ხანს გაჩერდა – ასპარეზზე კლოუნები ჭიდაობდნენ; ჩია ტანის კლოუნმა მოულოდნელი ილეთით წააქცია მაღალი, ტანსრული, გაფუყული თავისი ძლიერებითა და უძლეველობით. იაგორა-თავხოტორამ ჯერ, აღტაცებულმა, ტაში დასცხო, მერე მეზობელ სკამზე მჯდომ ბიძინას ეცა და ჭიდაობა დაუწყო – ნახე, როგორ მოგერიოო. კარგა ხანს ეძიძგილავებოდა მას, სანამ არ მოაბეზრა თავი – და ბიძინამ თავხოტორა გადაულოცა იასეს. ახლა მასთან გააგრძელა იაგორამ ჭიდაობა, სანამ, ეშხში შესული, ესტაფეტით არ გადასცეს კოსტას... თავხოტორა ყველას მთელი მონდომებით ეკვეთებოდა ხოლმე, მერე მოუსვენარ ჭინკას მეზობელს გადაულოცავდნენ ამანათივით, ღლაბუც-სიცილში.

გაანცებული იაგორა ასპარეზისკენ გაახედეს, იქნებ დაწყნარდესო – იქ ჯიგიტები ომახიანი შეძახილებით დააქროლებდნენ ბედაურებს და თან ათასგვარ ილეთებს ასრულებდნენ. იაგორამ დაიჟინა – იმ ლამაზ ცხენზე მეც შემსვითო. მერე იმ ჭრელი ბურთებით თამაში მოინდომა, კლოუნები რომ მაყურებლებში ისროდნენ. ამასობაში მაღალმა კლოუნმა დაბალს ქუდი მოსტაცა და მაღლა აწეულ ხელში ეჭირა. დაბალი მაღლა ხტებოდა და ამაოდ ცდილობდა ქუდის წართმევას. მაღალმა შორს ისროლა დაბლის ქუდი, პატრონი გაეკიდა დასაჭერად, ქუდმა კი წრე შემოხაზა და ბუმერანგივით ისევ მაღალ კლოუნთან დაბრუნდა... იაგორა-თავხოტორა ეცა კიტას ქუდს და ასპარეზისკენ ისროლა – ალბათ დაბალი კლოუნი შეეცოდა, უქუდოდ არ დარჩესო. მერე ოტიას ქუდიც აკისკისებული იაგორას ხელით გაფრინდა კლოუნებისკენ. მზეჭაბუკმა თავისი ქუდი არ დაანება და ბატონმა იაგორამ წრეგადასული ჭყვირილ-ღრიალით მთელ ცირკს ამცნო თავისი ფილტვებისა და ხმის სიძლიერე...

როცა შეგონების, მერე – დარწმუნების, მერე – დაპირების, ბოლოს კი – დაშინების ნაირ-ნაირმა ხერხებმა ვერ გაჭრა, ბიჭიკომ შეეცადა პირზე ხელის დაფარებით დაეშოშმინებინა აქტიურად მოქმედი მინი-ვულკანი – იაგორა-თავხოტორა, რომელმაც უკურეაქცია არ დააყოვნა და ისეთი გავარვარებული ლავასავით ღრიალი ამოუშვა კრატერიდან, რომ ბაგირზე მოცეკვავე ტანწერწეტა ქალიშვილი კინაღამ ძირს ჩამოვარდა.

წარმოდგენა შეწყდა.

ჩვენსკენ გამოემართა მანეჟის ინსპექტორი ბრგე უნიფორმისტების თანხლებით...

აღშფოთებულმა ჩემმა ძმაკაცებმა მათ მოსვლას არ მოუცადეს და ბურთივით გვისროლეს დარბაზიდან – ჯერ იაგორა-თავხოტორა, მერე – მეც...

რაც შეეხება კიოს მომხიბლავ ქალიშვილებს, მათზე ჯობს, ჩემს მეგობრებს ჰკითხოთ, მე და იაგორა-თავხოტორას ცირკის სახელის გაგონებაც არ გვინდა.

1985

ახალი ჯემპრი

ხელფასის რიგში ქალებთან მომიწია დგომა, ეს კი დიდი, სტრატეგიული შეცდომა იყო, რადგან ცოლის მონაქსოვი ახალი ჯემპრი მეცვა. სულის მოთქმა არ მაცალეს, რომ 5-6 ქალი უეცრად შეტევაზე გადმოვიდა.

– უი, უი, რა ჯემპრია, დედა, ღმერთო, როგორ მომწონს! – აწიკვინდა წრიპინა, ყურების გამხვრეტი ხმით მზია, თან ორი ხელით თოჯინასავით მატრიალებდა, რათა ყოველი მხრიდან კარგად დაეთვალიერებინა ქსოვის ხელოვნების შედევრი. თავბრუ დამეხვა და კინაღამ დავბარბაცდი. ბედად ახლა მაყვალამ დამატრიალა საწინააღმდეგო მხარეს.

– ძაფი სად იშოვეთ? შენმა ცოლმა შეღება? – იკითხა ნუნუმ, ზორბა ტანის გოგომ, ზემოდან რომ დამცქეროდა, თან საყელოს მიმაგრების ტექნიკას ამოწმებდა საკმაოდ დიდხანს; მის მძლავრ სუნთქვას კისერში ვგრძნობდი და არ ვიცოდი, რომელ სოროში შევმძვრალიყავი. გაქცევის ცდა ამაო იყო, რადგან უკვე ხუთი თუ ექვსი წყვილი ხელი ერთდროულად "ჩითავდა" (ეს უხეში სიტყვა უნდა მაპატიოთ – კარგად გამოხატავს მოქმედების ხასიათს) ჯემპრის ჯიბეებს, სახელოებს, გვირისტს... ციცომ ჯერ ღილების ფერი და ზომა, აგრეთვე ჯემპრის ფერთან შესაბამისობა საგულდაგულოდ გააანალიზა მადონასა და ხათუნას აქტიური მონაწილეობით – სამი წყვილი ხელი ერთად დაფათურობდა ჩემს მკერდზე დაბნეულ ღილებზე, თითქოს უზარმაზარი სალამური ვიყავი. ამ არცთუ მუსიკალურ ოპერაციას ერთი ღილი შეეწირა – რომელიღაც ხელმა შესაშური სიმარდე გამოიჩინა და სუვენირად დაითრია. ამასობაში ბაია და ლილი უკუღმა ნაქსოვს ამოწმებდნენ, ამითვე აქტიურად დაინტერესდნენ დანარჩენებიც. წამი – და ჯემპრის მაღლა აწეული კალთა თვალებზე ამეფარა. ვფიქრობდი, ჯანდაბას, ბარემ სულ გავიხდი-მეთქი, მაგრამ ხელები ზევით მქონდა აწეული ტყვედ ჩაბარებულივით და ძალაუნებურად კაპიტულაცია გამოვაცხადე – გაკავებულს განძრევაც არ შემეძლო, უკნიდანაც თავამდე აწეული ჯემპრის უკუღმა ნაქსოვს ამოწმებდნენ.

– ხალხო, მიშველეთ! – ვითომ ხუმრობით ავყვირდი, მაგრამ, ეტყობა, გარშემო კაცის ჭაჭანება არ იყო. სამაგიეროდ, ყაყანის გაძლიერებით თუ ვიმსჯელებთ, ქალთა რიცხვი საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო.

– ბიჭო, გაჩერდი ცოტა ხანს, რა დამდუღრულივით იწმაწნები! – ბოხი, პაპიროსის წევისგან ჩახლეჩილი ხმით შემომიტია ლიამ და თან ისეთი წკიპურტიც მომაყოლა კინკრიხოში, რომ თავში რაღაცამ ზარივით დარეკა.

ეტყობა, ქალები აღარ ხუმრობდნენ. დისკუსია სულ უფრო ცხარე ხასიათს იღებდა – რაღაც თარგზე ვერა და ვერ შეთანხმდნენ. ერთი პარტია რაღაცას ამტკიცებდა, ალბათ მეორის საწინააღმდეგოს, რადგან ისე გაცხარდნენ, რომ ერთმანეთს არ უსმენდნენ და ჩემი ჯემპრი კინაღამ დაავიწყდათ კიდეც.

ვისარგებლე მომენტით და ჯემპრის კალთები ჩამოვიწიე; შვებით ამოვისუნთქე და, როგორც იტყვიან, ჩლიქებზე ნალები დავიკარი მოსაკურცხლად... გავიქაჩე კიდეც, მაგრამ... ქალთა დადარაჯებულ თვალებს სადმე წაუხვალ?

– ერთმაგი ნაქსოვია! – იჭაჭებოდა ნანა და ნათელას ცხვირთან მიჰქონდა ნივთიერი მტკიცება ანუ ჩემი ჯემპრის კალთა. ჯემპრი ჯერ ეწინააღმდეგებოდა მოძალადეს (უძვირფასესი ხარისხის ძაფისგან ტყუილად კი არ იყო ნაქსოვი!), მერე და მერე გაუჭირდა, ლაზათიანად გაიწელა, ბოლოს კი რკინისებური არგუმენტაციის დაწოლას ვერ გაუძლო და პრიწინ-პრიწინით გაირღვა კარგა გვარიანად – ასე, მოზრდილი მუშტი თავისუფლად გაეტეოდა.

– შენ რა გესმის, ცალტვინა, ეს არის წაღმა-უკუღმა?!. – იფოფრებოდა და პოზიციებს არ თმობდა ნათელა. და რადგან ცალი კალთა მოწინააღმდეგეს ჰქონდა დაპყრობილი, მეორე კალთა დაითრია და აუფრიალა თვალებთან. არც მონდომება, არც ძალ-ღონე გამჩენს ნათელასავით ნანაზე ნაკლები არ მიუცია და მეტოქის ჯიბრზე ახალი ნარღვევი უფრო სოლიდური გამოდგა – საშუალო სიდიდის საზამთრო გაუჭირვებლად გაეტეოდა.

– რას მერჩით? – ვიბღავლე განწირული ხმით, მაგრამ ჩემი ღაღადი ქალთა თავგამოდებულ ჭიჭყინში დაინთქა უკვალოდ და უშედეგოდ. არც ჯემპრის თუ მისი ნარჩენის რღვევა-ხევა-წყვეტის ხმა აფხიზლებდა ექსტაზში შესულთ.

საიდანღაც ხის გრძელთა გრძელი ორი საქსოვი ჩხირი გაჩნდა რაღაც თეზისის დასამტკიცებლად, ალბათ, რომ მოწინააღმდეგე ბაიბურში არ არის, როგორ უნდა მათი სწორად ხმარება. სამა-

გიეროდ, მეორე მხარემ რკინის არგუმენტი – ფოლადის ჩხირები "დააძრო"... ავწრიალდი, დავტრიალდი შამფურზე წამოცმული გოჭივით, რათა გასაქცევი გზა-ხვრელი მეპოვნა, მაგრამ ამაოდ. ერთმანეთის პირისპირ დამდგარ დუელის მონაწილეთა სწრაფმა თითებმა საქსოვი მანიპულაციების დემონსტრაცია დაიწყო, მათ შორის კი მოხვედრილი იყო ჯემპრის ნარჩენები და მეც, რასაკვირველია... და თვალთ დამიბნელდა...

როცა ტყვიასავით მძიმე ქუთუთოები ძალისძალათი ავწიე და თვალები გავახილე, ოთახში ჩემს სამუშაო მაგიდაზე ვიყავი დასვენებული. ქალთა სახეების გარდა, რამდენიმე კაცის სახეც დავლანდე და ოდნავ იმედი მომეცა კეთილი ბოლოსი.

თავქვეშ დაგორგლილი ჩემი ახალი ჯემპრის ნაშთები მედო და უკანასკნელად მიწევდა სამსახურს, აწ უკვე როგორც სასთუმალი...

1984

იაფი თეფშები

გორიდან ელექტრომატარებლით თბილისს მივემგზავრები. ჩემს ზურგს უკან რამდენიმე ქალი ერთმანეთში საუბრობს. განსაკუთრებით ერთი, მხიარული ქალი აქტიურობს. ისეთი ხავერდოვანი, ლამაზი ხმა აქვს, ძალაუნებურად ყურს ვუგდებ.

– ჩემი დოდოი გახდა ოცი წლისა, ბიჭი – ერთი წლისა. ჰოდა, გადავწყვიტე საყიდლებზე წასვლა, მა სულ შინ ხომ არ ვიქნები გამოკეტილი. გავიგე, განჯაში ოცდაათკაპიკიანი თეფშები იშოვებაო, შვილიშვილსაც რაღაცას ვუყიდი-მეთქი... დავირაზმენით გორელი ქალები, ჩემ გარდა კიდევა მათიკოი და ნატოი. ბლომად მიყიდეთ, ი მძიმე ოხერი ჩანთები სუ ხელებს გვწყვეტენ, მაინც ვიარეთ მაღაზიებში – დაგვაგვიანდა თბილისის მატარებელზე. გვითხრეს, მეორე მატარებელიც არისო, ვუცდით იმასა. თურმე იმაზეც დაგვიგვიანია, ქალო... აქეთ ვეცით, იქით ვეცით, რაღას ვიზამთ – დავაბრუნეთ ბილეთები ჩხუბითა და დავიდარაბითა... დაგვრჩა ცოტა ფული. გვითხრეს, აღსტაფამდე წადით მატარებლითაო, იქიდან ელექტრომატარებელი დადის თბილისშიო. მატარებელში ბილეთი არ გვქონდა, იქნება უფრო იაფად გამოვძვრეთო. აგვიკლო გამყოლმა – ისეთი აშარი ქალი იყო, კინაღამ შეგვჭამა და... თითომ თუმან-თუმანი მომეცითო, ჩვენ კი ოც მანეთს ვაძლევდით სამივენი. ავუხსენით ჩვენი გაჭირვება, ფული არ გვქონდა სამყოფი. "ახლავე რევიზორებს დაგასევთო" – დაგვპირდა. ახლა ჩვენ გამოვიდეთ თავი, მოვძებნეთ მატარებლის უფროსი, მოვუყევით ყველაფერი. "ოცდაერთი მანეთი გადაიხადეთო", – ბრძანა. ჯანდაბას, იმ ოც მანეთს ერთი მანეთიანიც მივუმატეთ.

ჩავედით აღსტაფაში... სადღაა ელექტრომატარებელი – გაგვასწრო. აქაც გამოჩნდნენ მრჩევლები – ყაზახამდე ავტობუსით წადით, იქიდან თბილისში ხშირად დადიან მანქანებიო. ავიჩონჩხეთ ჩვენი ბარგით გაჭედილ ავტობუსში, მკერდში ვიხუტებთ ჩვენს ჩანთებს, – ხუმრობა იქით იყოს, გადავყევით მაგათ შოვნას! ღმერთმა დღეგრძელობა ნუ მოაკლოს, ერთმა ახალგაზრდამ გამომართვა ჩანთა, ცოტა ამოვისუნთქე; თან ვეუბნები: "თეფშებს ზევიდან სურა ადევს, ის რომ გამიტყდეს, თავიც უნდა გავიტეხო-მეთქი"...

ჩავჩერჩეტდით სამი ბატი ყაზახში. იქაც ვერ მოვისვენეთ – მათიკომ ამოიჩემა, ბარემ აქაც შევიაროთ მაღაზიებშიო... ფული აღარ გვაქვს თითქმისა, რა შავ ჭირად მინდა ტყვიასავით ჩანთებით აღმა-დაღმა წოწიალი, რა გვემაღაზიება, მაგრამ ქალის ხასიათი ხომ იცი... დავწყდით ჩვენი ოცდაათკაპიკიანი თეფშების თრევითა, თან დავიმშვევით მგლებივითა. ვნატრულობთ, ნეტავი ერთი გამხმარი პურის ნატეხი მოგვიგდოს სამადლოდ ვინმემ, ჩვენზე ბედნიერი ვინღა იქნება. ერთგან მათხოვარიცა ვნახეთ, ერთმანეთს ვეხითხითებით: "გოგო, ე თეფშები მაინცა გვაქვს ოხრად, მივუჯდეთ გვერდით ამ მათხოვარსა და თითო-თითო თეფში დავიდგათ წინა"...

რომ ვართ ამ გასაჭირშია, თბილისის ავტობუსი არ დავლანდეთ ბედად? აბა ჩქარა, სუ ბაყაყებივით ავხტით, უკვე დაძვრას აპირებდა. ეს მანქანა ცარიელი იყო, ისე მიჯაყჯაყებდა, თავბედი ვიწყევლეთ... თან ისე მიაჭენებდა ის ოჯახდალოცვილი შოფერი, რა ვიცი, თეფშები კი არა, ჩვენ როგორ გადავრჩით ცოცხლები...

ასე წვალებით მივაღწიეთ თბილის-ქალაქს, კაპიკი აღარ შეგვრჩა წამლადა, კაპიკი. ნატოს ბიძაშვილს მივადექით, სხვა რა ჩარა იყო, – ნატო ამბობს, პურს მაინც გვაჭმევს და ჩაის დაგვალევინებსო. მოვითქვით სული, ვჭამეთ კიდეცა, ცოტა ფულიც ვისესხეთ და მოვუსვით გორისკენა. მშვიდობით მივაღწიეთ ჩვენ-ჩვენ სახლებს... ახლა იქ ატყდა ომი, რა ომი – ქმრებმა კინაღამ დაგვხოცეს, სად დაიკარგენით ამდენ ხანსაო. გავხსენი ჩემი ორი ჩანთა, ახლა გავახარებ დოდოს-მეთქი, გაგიგონია? ნახევარზე მეტი თეფშები სუ დამტვრეულიყო, ი ჩემი სანაქებო სურაც – უცხვირო... აფსუს, იმით ვაპირებდი ქმრის დაშოშმინებასა, ბედი არ გინდა? არც გამომიჩენია, ჩუმადვე გადავაგდე... მერე დავსხედით ქალები და ვიანგარიშეთ – თითო თეფში თითქმის მანეთი დაგვიჯდა!..

ახლა ამაზე ამიხირდა ქმარი, ეგ არი ქალის ჭკუაო, ქალის ჭკუაო... რო აღარ გაჩერდა, იქით შევუტიე – გახსოვს-მეთქი, კაცები რო სომხეთში წატანტალდით, იქ გარგარი იაფიაო? აქ ბაზარში ორი-სამი მანეთი ღირდა მაშინა, იქ კი მართლა ორჯერ იაფად იყიდეს. მერე, სარფიანი ვაჭრობით გახარებულებმა, რესტორანში შევიდნენ და კარგადაც გამოიბრუჟნენ... ჩამობრძანდნენ გორში, ვიანგარიშეთ და კილო გარგარი ხუთი მანეთი დაგვიჯდა!..

1984

როგორ გამაცურეს
(ვარიაცია მარკ ტვენის თემის მიხედვით)

უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ სიმართლეს მხოლოდ სულელები წამოაყრანტალებენ. თუმცა მე არაფერი მითქვამს... ჯობს, ერთი ამბავი მოგიყვეთ, იმის განსჯა კი, ტყუილია ის თუ მართალი, თქვენთვის მომინდვია.

ამას წინათ ჩემს მკითხველებს ვხვდებოდი ერთ ქალაქში და, რაღა თქმა უნდა, საკუთარი სალაღობო მოთხრობებიც წავიკითხე. ჩემი გამოსვლის წინ ვიღაც ახალგაზრდა მოვიდა ჩემთან, ერთხანს მესაუბრა, მერე კი გამაფრთხილა, რომ მათ ქალაქში ერთი უცნაური კაცი ცხოვრობს, მეტად საინტერესო პიროვნება – გაცინებული არასდროს უნახავთ. ისე კი, ამბობენ, იგი გამოჩენილ სპეციალისტად ითვლება თავის დარგში, გამოსცა უამრავი სქელტანიანი ნაშრომი, ამასთანავე ნატიფი ინტელიგენტია და ასე შემდეგ.

მე აღვენთე:

– საჩქაროდ მოიყვანეთ ჩემს ლექციაზე! საინტერესოა, როგორ გადაფიჩინდება იგი ხარხარისგან! არ დაგავიწყდეთ, ჭიქით წყალიც მოიტანეთ, ცუდად არ გახდეს!

– ვგონებ, მეტისმეტი მოინდომეთ... ნაძლევი დავდოთ, მის ღიმილსაც კი ვერ ეღირსებით!

დავნაძლევდით. მალე დამანახეს პირველ რიგში, ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე მჯდომი ხანში შესული დინჯი მამაკაცი, რომლის სახესაც ამშვენებდა ღრმა ნაოჭი შეჭმუხვნილ მსხვილ წარბებს შორის. იჯდა ბუსავით თავისთვის, არც მეზობლად მსხდომებთან საუბრობდა, ხალხსაც კი არ ათვალიერებდა...

ეგ არაფერი, უარესი მუდოებიც გამიმხიარულებია.

დასაწყისშივე ვაჯახე ერთი გენიოსური ჰუმორესკი, რომელიც გაუცინარ ხელმწიფესაც კი ჯერ ცხენივით აახვიხვინებდა, მერე კი ნაპირზე ამოგდებული თევზივით უსასოოდ დააღებინებდა პირს.

შუბლშეჭმუხნილი მოქალაქე კიდევ უფრო მოიღუშა და, ეტყობა, რაღაც ჩაიბურტყუნა – მაყურებელთა ხარხარში ამას მისი ტუჩების მოძრაობით მივხვდი.

მეორე მხრივ მივადექი – ისეთი ნატიფი, ირონიით გაჟღენთილი რამ შევთავაზე დარბაზს, რომელსაც უცებ ვერც ჩასწვდები, რამდენიმე წუთის შემდეგ კი... შემდეგ სათანადოდ დააფასებ ჩანაფიქრის სიღრმესა და ორიგინალობას – დაყოვნებული მოქმედების ნაღმია!

საქმეში ხარ! ხისთავიანივით ზის გაუნძრევლად, არა და, უკვე ორი ქალი და სამი კაცი გაიყვანე დარბაზიდან სიცილით დაოსებულნი...

ხალხს სულის მოთქმა ვაცალე და მესამე იერიში უნდა დამეწყო, რომ ფლეგმატიკოსი წამოდგა, დაბღვერილმა მზერით გამსრისა და გასასვლელისკენ გაეშურა...

ერთი საათის შემდეგ ჩემთან დანაძლევებულ ახალგაზრდას ვკითხე:

– მითხარით, გეთაყვა, ის ყრუ-მუნჯია თუ სხვა რაიმე დეფექტი სჭირს?

– რას ბრძანებთ, – მიპასუხა ახალგაზრდამ, – ფრიად განათლებული და კულტურული პიროვნებაა და სულაც არ არის ყრუ, პროფესიით კი კრიტიკოსია, ლიტერატურული ჟურნალის განყოფილებას განაგებს.

ჩემი გაბრაზება იოლი არ არის, ამჯერად კი აღშფოთებისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. შეიძლება, ასე უსინდისოდ მოატყუო, ასე გააცუცურაკო უცხო ადამიანი? კრიტიკოსს, თანაც სქელტანიანი ჟურნალისა, შენ გააცინებ?

მე ახალგაზრდას ყალთაბანდი ვუწოდე და უარი ვთქვი ნაძლევის პირობის შესრულებაზე. არ ვიყავი მართალი თუ?

1986

ტაბაკა
(ვარიაცია ო. ჰენრის თემის მიხედვით)

ეგრე იციან ქალებმა ფეხმძიმობისას, უცნაური ახირებები დასჩემდებათ – ზოგს მჟავე კიტრი მოენატრება, სხვას – ნუგა მოუნდება მაინცდამაინც... მაგი მე გამოცდილი მაქვს, რაც მე მიწვალია ჩემი ცოლის ხელში!..

ერთხელ შუაღამისას მაღვიძებს, მაშინ უფროს ბიჭზე იყო ფეხმძიმედ.

– რა გინდა? – ვეკითხები.

– რაღაც მინდა... – მეუბნება.

– რა რაღაც აგიტყდა ამ შუაღამით?

– აი, მომინდა რაღაც გემრიელი, აი ისეთი...

– მაინც რა, აღარ მეტყვი? – ვბურტყუნებ და მეორე მხარეს მინდა, გადავბრუნდე, – მეძინება!

ცოლი არ მიშვებს:

– ტაბაკა, ტაბაკა! ტაბაკა მომენატრა, თითქოს ჩემს ცხვირწინ იდოს თეფშზე წითელ-მოყავისფროდ შეპიწკინებული კარაქში... იმის სუნი მაგიჟებს, ნერწყვი მახრჩობს!..

– კარგი ერთი, მოგცლია! – მინდა თავი დავიძვრინო, მაგრამ შესაძრომი სორო სად არის!

– კოტე, კოტე! – განწირული ხმით ჩამძახის ყურში, – თუ ტაბაკას არ მიშოვი, გადავირევი! გაიღვიძე, კაცო, ცუდათა ვარ!..

რაღას ვიზამდი, ავდექი. ერთი წაძინება ახლა ქვეყნიერებას მირჩევნია... ზლაზვნით ჩავიცვი, ცივი წყალი შევისხი სახეზე და გარეთ გამოვედი. გამოვედი გატიალებულ ქუჩაში, ამომწყდარია სულიერი, თითქოს სახლებსაც კი სძინავთ, ყველგან ჩაბნელებულია ფანჯრები... მხოლოდ ჩემს ბინაში ანთია სინათლე. ნეტა რომელი საათია? დავბრუნდი უკან, საათი გავიკეთე მაჯაზე – ღამის ორი საათია უკვე. სად გინდა წახვიდე... აქეთ ვეცი, იქით ვეცი – ყველაფერი დაკეტილია... იღბლად ტაქსი გამოჩნდა, გავვარდი სადგურში – კაციშვილის ჭაჭანება არაა რესტორანში. ახლა სასტუმროებს ჩამოვუარე – საქმეში ხარ? ტაბაკა არსად აქვთ. ტაქსის შოფერს დავუმმაკაცდი კიდეც, იმდენი მატარა ზევით-ქვევით. მრიცხველს დავხედე – ელდა მეცა, ძლივს გავუსწორდი შოფერს... რომელ ტაბაკაზეა ფიქრი, რომც შემხვდეს, რით გინდა, იყიდო...

წამოვჩანჩალდი შინისკენ ფეხით. სასიამოვნოა ღამის უდაბურ ქუჩებში ხეტიალი, მთელ ქვეყნიერებაზე მარტო მგონია თავი; ისეთი სიჩუმეა, ყურებში ზუზუნი მიდგას... მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ უნდა დავბრუნდე შინ? ნეტავ ცოლი დაძინებული დამხვდებოდეს...

ვუსმენ საკუთარი ნაბიჯების ხმას ასფალტზე, ხან თავს მაღლა ვწევ და ხეთა ლამპიონებით გაჩირაღდნებულ სიმწვანეს ვაკვირდები. ფეხს ვითრევ, საცაა ჩემს ქუჩაზე უნდა გავუხვიო...

უცებ ერთი გაღებული ფანჯრიდან სიმღერამ იჭექა, მაგარი ლხინი ჩანს, ხალხმრავალი. არის ერთი ხორხოცი, სიცილ-გნიასი. გავჩერდი მეორე სართულის გაკაშკაშებული ფანჯრების ქვეშ და ვუსმენ – მღერიან, მაგრამ რას მღერიან! პროფესიული ანსამბლი გეგონება!

ვიდექი ასე, ვიდექი და ერთი აზრი ამეკვიატა: რა იქნება, რომ ავიდე? ავიდე – არ ავიდე... ცოტა ხანს ვიყოყმანე და ავედი.

"გიორგი ხუციშვილი" – აწერია კარებზე მიკრულ სპილენძის ფირფიტას. ერთი კი ვიფიქრე, საინტერესოა, თბილისში რამდენი გიორგი ხუციშვილი ცხოვრობს-მეთქი (ორი მარტო მე მყავს ნათესავი) და მივაჭირე კიდეც ზარის ღილაკს თითი.

გაიღო კარი და:

– მობრძანდი, შენი ჭირიმე, დაბრძანდი, შენ გენაცვალე! – პატიჟ-პატივით დამსვეს გრძელ გაშლილ სუფრასთან.

– ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! – იღრიალა თამადამ.

ვხედავ, ნაღდად ქორწილში მოვხვდი, უკვე კარგად შეზარხოშებულან და ზოგს ცოტა მეტიც მოსვლია, ყველას სახე უცინის. მინდა, გავამხილო ჩემი სათხოვარი – ტაბაკას ელის ცოლი, მაგრამ ვინ გისმენს, – ჯერ ეს ერთი დაგვილიე, მერე ვილაპარაკოთო. მომაწოდეს უზარმაზარი ყანწი – "ჯარიმა დაგვიანებულს!" – იყვირეს აქეთ-იქიდან. დაგვიანებული კი ვარ ნაღდად, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ამ სუფრაზე... რაღა ვქნა – ნეფე-დედოფლის სახელი რომ არ ვიცი?!. გადავიხარე მარჯვნივ – ნეფის სახელი შემახსენეთ-მეთქი, ვითომ დედოფლის მხრიდან ვიყავი, მერე მარცხნივ – დედოფლის სახელი მოვიძიე, ფეხზე წამოვდექი და დიდის ამბით წარმოვთქვი საკმაოდ გატყლარჭული სადღეგრძელო... მოვიყუდე ეს ამხელა ყანწი და სულმოუთქმელად გამოვცალე – სუფთა ჰაერზე

წანწალმა პირის გაშრობა იცის. გავიხედ-გამოვიხედე (არც ჩემი სტრატეგიული ამოცანა მავიწყდება) – სუფრას ვათვალიერებ, იქნებ ტაბაკას მოვკრა თვალი. ქათმის ხორცი ყრია ოხრად, მაგრამ რად გინდა – ზოგ ქათამს, საწყალს, ბარკალი აკლია, ზოგს ცალი ფრთა აქვს უმოწყალოდ ახლეჩილი... ცოტა ხანს შევეშვი ყოველივეს და საჭმელ-სასმელს მივეძალე – გოჭის ხორცს სამნაირი მხალი შევუნაცვლე, ხაჭაპურს – მწვადები, შიგადაშიგ სადღეგრძელოებსაც ავუწყვე ფეხი... ცოტა კი გამიჭირდა – სადღეგრძელოთა ადრესატებს არავის ვიცნობ, მაგრამ ხალხი უკვე ისეა შეჭიკჭიკებული, ერთმანეთს არც უსმენენ... მაგრად მომშივნია ხეტიალში, თან ღვინოა ღმერთივით – ისე გავუტიე ჭამა-სმას, რომ, მგონი, მოკლე ხანში ბევრს გავუსწარი კიდეც... გონებას მაინც არ ვკარგავ: მივედი სიძე ბატონთან (შევატყვე, არ სვამდა), ერთხელ კიდევ მივულოცე გაბედნიერება და ავუხსენი ჩემი გასაჭირი. წამოხტა ნეფე, კაი მკვირცხლი ბიჭი ჩანდა, თითქმის ბავშვი იყო, ჩემთვის რომ გეკითხათ. დაუძახა დედამისს და ყურში რაღაც ჩაუფუჩუნა. არ გასულა ხუთი წუთი და უზარმაზარი, პირთამდე გატენილი ჩანთა დამიდეს სკამთან. მადლობა მოვახსენე, რასაკვირველია, და გავიქაჩე, მეუღლე მელოდება-მეთქი, მაგრამ რას გაგიშვებენ! რომ დამაჯახეს კიდევ ერთი ყანწი, ცოტა ხანში – მეორე, სულ გადამავიწყდა, რისთვის მოვედი აქ...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გამთენიის ხანს მივფორთხდი თურმე შინ, ზარის რეკვით ავაწრიალე მთელი სახლი, მერე ცოლს დავუგდე ლოგინთან ჩანთა (რომელშიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, იდო ორი ტაბაკა, ერთი მრგვლად მოხარშული დედალი, შემწვარი ნახევარი გოჭი, ნამცხვრები, ხილი და კიდევ რაღაცეები), გაუხდელი დავეგდე ლოგინზე და ამოვუშვი ხვრინვა...

სამი შვილი გვეყოლა, მაგრამ ამის შემდეგ ჩემს ცოლს ფეხმძიმობისას აღარასდროს დასცდენია – ან ეს მინდა, ან ის მომენატრაო...

1987

ბედნიერება

(ვარიაცია ანატოლ პოტიემკოვსკის თემის მიხედვით)

ვატმანმა დურმიშხან უზალთუნაშვილმა გაუფრთხილებლობით ტრამვაის წინა მარჯვენა მხარე გაჰკრა ქუჩაზე უდარდელად გადამვლელ მოქალაქეს, ფაცია ფუსფუსელაშვილს და, როგორც იურისტები და ექიმები იტყვიან, საშუალო ხარისხის სხეულის დაზიანება მიაყენა.

სასამართლომ გულდასმით გაარჩია საქმე და დურმიშხან უზალთუნაშვილს დააკისრა ყოველთვიური გადასახადი ორი წლის განმავლობაში დაზარალებულის სასარგებლოდ.

დურმიშხანი დიდხანს ეძებდა ხერხს, რათა როგორმე თავი დაეღწია ამ ჯარიმის გადახდისგან. ჯერ დაწერა რამდენიმე განცხადება და საჩივარი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია – სასამართლოს მაღალ ინსტანციებში განაჩენი ძალაში დატოვეს. მერე პირადად შვიდჯერ ეახლა შინ ფაცია ფუსფუსელაშვილს, ამასთანავე ხუთჯერ მიუტანა ყვავილები (სამჯერ – მიხაკები და ორჯერ – ვარდები), ერთხელ – მაღაზიაში ნაყიდი ნამცხვარი მიართვა და ბოლოს – დის ნახელავი დიდი ტორტი...

ვერაფერმა უშველა – ქალს თავი ვერ შეაცოდა, საჩივარზე უარი ვერ ათქმევინა.

ორი თვის ჯახირის შემდეგ დურმიშხან უზალთუნაშვილმა საწადელს მაინც მიაღწია – ფაცია ცოლად ითხოვა.

არავინ იცის, სად ჩაუსაფრდება ბედნიერება...

1986

ძმა

(ვარიაცია რევაზ მიშველაძის თემის მიხედვით)

“დათიკო ნატოს ცოლად ირთავს!” – ხმა გავარდა მეზობლებ-ნათესავებში.

მკითხველს გაუკვირდება: ცოლი ათეულ, ასეულ მილიონობით და, ძნელი წარმოსადგენი კი არის, მაგრამ რამდენიმე მილიარდ ადამიანს შეურთავს და ისეთი რა გმირობა გახლდათ დათიკოს მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომ ყველას გაკვირვებოდა.

დაინტერესებულ პირთ სიამოვნებით ავუხსნი, რომ დათიკოს მეზობლებისა და მეგობარ-ამხანაგების, რბილად რომ ვთქვათ, განცვიფრებას ერთგვარი მიზეზი ნამდვილად ჰქონდა, შეიძლება მეტიც ითქვას – მთელი წყებაც კი მიზეზებისა. თუ ნებას მომცემთ, რამდენიმეს დავასახელებ და ცხადი გახდება ყველაფერი...

ჯერ ერთი, დათიკო ბუხაიშვილი 25 წლისა აგერ, ორი კვირის წინ შესრულდა (მართალია, ეს "მრგვალი" თარიღი თვითონაც არ გახსენებია, არც მის ძმასა და დედას, – ეს სამი პიროვნება შეადგენდა მთელ ოჯახს, – მეგობარ-ამხანაგებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი), ჰოდა, ცნობილია, კაცი უმეტესად როდის, რა ასაკში თხოულობს ცოლს? ან სულ მთლად "უფშვიტინებს" ქარი თავში ანუ 17-18, თუნდაც 19-20 წლის ნედლი ყმაწვილია, ან ორმოცს გადააბიჯებს, დაბრძენდება, იფიქრებს: თუ ჩემთვის მინდა ცოლი, ახლა ჯობს, მოვასწრო დაოჯახებაო... დიახ, უმრავლესობა ასე ფიქრობს: 25 წლის ბიჭს რა გეჩქარება – მიდი, იგრიალე, გაერთე, მეორედ მოხვალ ამქვეყნად თუ? სიტყვაზე ვთქვი, თორემ დათიკო ნამდვილად არ ეკუთვნოდა მოსახლეობის იმ 2-5%-იან (სხვადასხვა მონაცემებით) ბობოლათა ფენის წარმომადგენლებს, რომლებსაც მის გემოზე დროსტარებას ვერაფერი დაუშლის – იგი უმცროს მეცნიერ მუშაკად მუშაობდა ხალხის კეთილდღეობისა და დოვლათის გაზრდის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, თვიური ხელფასი ჰქონდა 40 ლარი, ამ თანხიდანაც უქვითავდნენ და ხელზე რომ ბევრად ნაკლებს მიიღებდა, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ... თანაც ამ ორი კვირის წინ, სწორედ დაბადების დღეს, საჩუქარი მიართვეს (ბარაქალა, ზუსტად მოარტყეს!) – გამოუცხადეს, შტატების მაგარი შემცირება მიდის და შენ, როგორც მუყაით, ნიჭიერ და იმედის მომცემ ახალგაზრდას, შეღავათს გიწევთ – ნახევარ შტატში დაგტოვებთო...

ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს მეორე გარემოება – ამ უბედურ დროში, როცა პატიოსანი მოქალაქე, გლეხი იქნება ის, მუშა თუ ინტელიგენციის წარმომადგენელი, გაჭირვებისგან სულს ღაფავს, – არ უნდა გაითვალისწინო? რა ცოლის თხოვნა აგიტყდა, ოჯახაშენებულო, სწორედ მაგაზეა ნათქვამი: "ქვეყანა იქცეოდა და ეშმაკი გუდას ალბობდაო" (ბოდიშის მოხდით უნდა გამოვტყდე – ანდაზის ჩემი ვარიანტია!).

მესამეც, დათიკოს უფროსი ძმა, სოსიკო, უკვე 30-ს გვარიანად გადასცილდა (თავზე თმის ცვენა ათასგვარი წამლის გამოყენებამაც ვერ შეუჩერა) და, წესითა და რიგით, ჯერ ის უნდა დაოჯახებულიყო. მართალია, უკვე რამდენიმე წელია, უმუშევარი გახლდათ: ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი დღეს აღარავის სჭირდება, მით უმეტეს, როცა სადოქტორო დისერტაციაც თითქმის მზად აქვს – მწიგნობარი კაცი თავისი მდიდარი ბიბლიოთეკის წიგნებს ჰყიდდა ნელ-ნელა და პურის ფულს ასე შოულობდა...

მაპატიეთ ეს არცთუ ლირიკული გადახვევა... უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ნოველაში მთავარია არა ეკონომიკურ-ფინანსური, არამედ ფსიქოლოგიური ასპექტი, რაშიც, თუ არ დაიზარებთ და ბოლომდე წაიკითხავთ ამ მართალ მონათხრობს, თვით დარწმუნდებით. ისე კი, რაღა თქმა უნდა, ამ ოღროჩოღრო წუთისოფელში ყველაფრის თავი და თავი მაინც ეს ოხერი ფული ანუ ხელის ჭუჭყია...

ამ უცილობელ ჭეშმარიტებას ახალგამომცხვარი სასიძო, მისი უმუშევარი ძმა, სოსიკო და უკვე ხანდაზმული დედა, დარეჯანი, დიდი ხანია, იცნობდნენ, მაგრამ მთელი თავისი ულმობელი თვალსაჩინოებით სწორედ ახლა შეეჯახნენ შუბლით – დათიკომ აიჩემა, ერთი ხეირიანი პიჯაკიც კი არ მაქვს, ნათხოვარი ტანსაცმლით ხომ არ მოვიყვან ცოლსო და ოჯახის დანარჩენ წევრებს განუცხადა, უსიკვდილოდ ახალი კოსტუმი უნდა შევიკეროო.

დათიკოს დიპლომატიურ დემარშს სოსიკომ და დარეჯანმა ასე უპასუხეს: რომელი მილიონერები ჩვენ ვართ, ასეთი ფანტაზიები რომ გაწუხებს, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ და დიდის სიამოვნებით დავაკვირდებით, რა საცირკო ფოკუსებს განახორციელებ საოცნებო კოსტუმის შესაკერადო. დათიკოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამგვარი პესიმისტური განცხადებებისა და საკმაოდ დამაღონებელი ქირქილის ფონზე ფარ-ხმალი არ დაუყრია და მოკლე ხანში შინ მუყაოს მოზრდილი ყუთით ხელდამშვენებული გამოცხადდა.

ყუთში ახალშეკერილი შარვალ-კოსტუმი იდო.

– ა, რავარია? – იძახდა გახარებული დათიკო და ძმისა და დედის წინ აფრიალებდა ახალ შენაძენს.

– ფული? – ეს იყო პირველი კითხვა, რომელიც ერთდროულად აღმოხდა ორ იქ მყოფთაგანს; ალბათ მათი სახელების დაზუსტება სრულიად ზედმეტია, ისედაც მიხვდებით.

– რაი ფული? – აგდებით და, ამავე დროს, ერთგვარი სიამაყითაც უპასუხა დათიკომ. – ცოტა რაღაც კი მქონდა შავი დღისთვის გადანახული, ცოტაც სამსახურში შემიქუჩეს ბიჭებმა საქორწილო საჩუქრის მაგივრად, მერე ჩემს სკოლის ამხანაგთან მივედი, იმას შევაკერინე... ხომ გახსოვთ ჩემი კლასელი სეფედავლე უბედური, გაულახავი რომ არავინ დაუტოვებია მთელ სკოლაში, მერე ჩემპიონი გახდა კრივში; ახლა კერძო სამკერვალო სახელოსნოში მუშაობს და არის ბედნიერად... ნახევარ ფასში გამოვედი!

დათიკო თან ახსნა-განმარტებას იძლეოდა, თან ტანზე ახალ ტანისამოსს ირგებდა.

– ა, რავარია? – შიფონერის სარკის წინ ტრიალებდა დათიკო და ამ, მეცნიერი კაცისთვის შეუფერებელ, არცთუ ლიტერატურულად გამართულ, კითხვით წინადადებას უკვე მერამდენედ სთავაზობდა დაინტერესებულ მაყურებლებს.

— ძალიან, ძალიან კარგია, დიდებული ოსტატის შეკერილია, — თქვა სოსიკომ და ძმას გარშემო შემოუარა, — მშვიდობაში გაცვითე!.. მაგრამ... მოკლე ხომ არ გაქვს?

— ახლოს მანახვე ერთი... მხრებში ხომ არ გიჭერს, შვილო? — დაეჭვდა დარეჯანიც.

— რა ვიცი... — ხელები წინ გაიწვდინა და დააცქერდა მაჯებს დათიკო. — კარგად შემხედეთ, მეც ცოტა მოკლე მეჩვენება თითქოს...

ნახევარსაათიანი მსჯელობისა და დათიკოს წაღმა-უკუღმა ტრიალის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ კოსტუმი მშვენიერი ნახელავი იყო, ოღონდ ოდნავ დიდი ზომის რომ ყოფილიყო, კიდევ უკეთესი იქნებოდა.

— იქ რომ მოვიზომე, კარგად მქონდა... არაფერი შემიმჩნევია... — დაბნეული ამბობდა დათიკო.

— აბა ერთ საათში გაიზარდე ასე? — რატომღაც ეხუმრებოდა სოსიკოს.

— რაღა მეშველება ახლა?— თითქმის ტირილით მოთქვამდა დათიკო.

— არა უშავს, შვილო, პატარა ხინჯი ყველაფერს აქვს... — ფილოსოფიურად გულს უკეთებდა დარეჯანი. — არაფერი შეეტყობა, სულ ერთი-ორი საათი უნდა გეცვას...

— რავა, მასხარასავით უნდა ვიყო საკუთარ ქორწილში? — გაბრაზდა დათიკო. — ნეფე ვარ თუ მაიმუნი? ვალები ავიღე, ეს ერთი დღე გამიხარდეს, ცხოვრებაში ერთხელ წესიერად ჩაცმული ვიყო— მეთქი...

— რა მოხდა მერე, უარესიც ხდება... — აშოშმინებდა დარეჯანი. — ნუ მოიკლავ თავს რაცხა ჭინჭის გულობიზა...

— მომეცით მაკრატელი, დავჭრი, ამის დედა... — საჩქაროდ იხდიდა ტანზე დათიკო ყვირილის აკომპანემენტით. — მოვკლავ სეფედავლე ნაბიჭვარს!..

— ჰო, კარგი, ნუ გაიგიჟე თავი! — აწყნარებდა სოსიკოც. — ნუ ყვირიხარ, ბიჭო, თორემ თუ მივიდა სეფედავლეს ყურამდე, ცალი ხელით დაგჭმუჭნის ფეხსალაგის ქაღალდივით...

— მეცნიერი კაცი ხარ, ასე მოქცევა გეკადრება? — ამუნათებდა დათიკოს დარეჯანი. — დაწყნარდი... ზარალს ზარალი მიუმატო, ჭკუაა ეგ? კი, ბატონო, დაჭერი, რას მოიგებ ამით?

დათიკომ კბილები დააკრაჭუნა, ნიფხვის ამარამ გაიარ-გამოიარა ოთახში, იატაკზე დაყრილ შარვალ-კოსტიუმს ფეხი ბრაზიანად გაჰკრა...

— გაიხადე! — უცებ მიმართა უფროს ძმას.

— რა-ა?

— ვერ გაიგე, რასაც გეუბნები?.. გაიხადე!.. და ჩაიცვი, სანამ დავჭრიდე!..

ხუთიოდე წუთის შემდეგ ახლა უკვე სოსიკო ტრიალებდა სარკის წინ.

— შვილო, თითქოს შენს ტანზეა შეკერილი! — გახარებული ამბობდა დარეჯანი, — დაგხატა!

მართლაც, ახალი შარვალ-კოსტიუმი სოსიკოს ძალიან მოუხდა.

დათიკო ოდნავ დაწყნარდა:

— მართლაც კარგად გაქვს!

დარეჯანი სოსიკოს ირგვლივ დაბაჯბაჯებდა: — ნამდვილი საცოლე ბიჭი ხარ, შემოგევლოს დედა!

დათიკო შუა გზაზე არ შეჩერებულა, შემდეგ გაუტია:

— სოსიკო, ცოლი უნდა ითხოვო!

— რას ამბობ, კაცო!

— რაც გაიგონე! საცოლეც შერჩეული მყავს!

— არ გამაგიჟო!

— ძმურად გეუბნები! ნატო ისეთი გოგოა, შენ რომ გამოგადგება, ნაღდად!..

სოსიკო და დარეჯანი, გაოგნებულნი, ხმას ვეღარ იღებდნენ...

აყალმაყალი და ხმამაღალი ლაპარაკი მთელ კვირას არ დამცხრალა ოჯახში.

კიდევ ერთ კვირაში კი მოკრძალებული ქორწილი გადაიხადეს.

სუფრაზე თამადად სეფედავლე გახლდათ და, მართალი მოგახსენოთ, თავისი შეცდომა გამოასწორა — ამჯერად თავი არ შეურცხვენია, სანაქებოდ ითამადა.

2002

ნოკაუტი

— ბედნიერი კაცი ვარ, — ამბობს კოწო, — მაინცდამაინც არ მიტაცებს სპორტი, მხოლოდ ავტორბოლები და კრივი მიყვარს... ამ ორ სახეობას გულგრილად ვერ ვუვლი გვერდს, ფეხბურთის მატჩზე კი, მაგალითად, სრულიად უშფოთველად ვზივარ. არც მყავს საყვარელი გუნდი, ვგულშემატკივრობ იმ გუნდს, რომელიც უფრო სუსტია.

ავტომობილების რბოლას და კრივს კი ისე განვიცდი, სულ მაცახცახებს... გინახავს კარგი კრივი? ერთ დროს მეც გამოვდიოდი რინგზე. მახსოვს, ბაქოში ყულიევს შევხვდი; გაგიგონიათ ალბათ, ცნობილი მოკრივე იყო. დაიწყო თუ არა შეხვედრა, ყულიევი ტანკივით წამოვიდა ჩემკენ. ერთი და ორი, სამი და ოთხი... დამაყარა ყუმბარასავით დარტყმების სერიები. ხელიც კი ვერ გავანძრიე, ცომივით მიზელდა პირისახეს... ტრიბუნაზე კი ელიკო ზის, ჩემი საცოლე; ვიმეტიჩრე, ჩემი გმირობის საჩვენებლად წამოვიყვანე. ყულიევი კი მეთოდურად მამუშავებს...

მივაღწიე შესვენებამდე და დავეგდე კუთხეში სკამზე. სულს ძლივს ვითქვამ. ის მაინც მოვახერხე, ჩემს სეკუნდანტს, ავთოს, ვუთხარი დასივებულ-დამსკდარი ტუჩებით, პირსახოცი გადააგდე რინგზე-მეთქი. მოგეხსენებათ, ასე აცხადებენ უარს ბრძოლის გაგრძელებაზე, დამარცხებულად აღიარებენ თავს. "მიდი, მიდი! – მიყვირის ავთო, – ხომ არ გაგიჟდი, იმუშავე!".

მართლა ზორბად ვიმუშავე... ცოცხალი ტომარას როლში! მეორე რაუნდი როგორ გავძელი, არ მახსოვს. მეგონა, სამ საათს მაინც მიბრაგუნებდნენ სუყველგან, განძრევის არაქათიც აღარ მქონდა, მხოლოდ ვცდილობდი, როგორმე თავი და მუცელი დამეცვა დარტყმებისგან. მეჩვენებოდა, რომ ნახევარი სახე მოღლეტილი მქონდა, ცხვირი საერთოდ აღარ მება...

მხსნელი ზარივით გაისმა მეორე რაუნდის დასრულების გონგი. ძლივს მივლასლასდი კუთხეში გამოდგმულ სკამამდე. ავთო პირსახოცს მიფრიალებს პროპელერივით და რჩევა-დარიგებებს მაძლევს. მკლავენ, რჩევისთვის მცხელა? გაბრაზების თავიც აღარ მაქვს, არც მესმის, რას მეუბნება, ხმაურივით აღვიქვამ. ჩემს სხეულშიც ყველგან ხმაურია გამეფებული, დაბეგვილი ნაკვთები ზრიალებენ, მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს – ვისროლოთ პირსახოცი რინგზე... სადღაც გონების კუნჭულში ელიკოც მახსოვს, მაგრამ ახლა ჩემთვის სულერთია, რას ფიქრობს და გრძნობს იგი. გასივებული ტუჩებით ძლივს ვბუტბუტებ, ვეხვეწები ავთოს, მეტის გაძლება აღარ შემიძლია-მეთქი...

პასუხად ჩემმა სეკუნდანტმა სკამი გამომაცალა და ხელი მკრა შუაგულ რინგისკენ – მესამე რაუნდი დაიწყო...

ყულიევი უკვე მელოდება რინგის შუაში.

ცალი თვალი თითქმის დამეხუჭა, მეორეც დამისივდა. ყულიევის ადგილსამყოფელს მხოლოდ იმით ვხვდები, თუ საიდან მხვდება მუშტები. რაღაც აჩრდილი დახტის ჩემს წინ; ბურანში მყოფს უკვე აღარაფერი მინდა, ბრძოლის დამთავრებაც კი. მივბანცალებ წინ, მხოლოდ წინ, რომ როგორმე მივეტმასნო, ჩამოვეკიდო ჩემს მეტოქეს, იქნებ უფრო ნაკლებ მძლავრი გახდეს მისი დარტყმები. ის კი მიბათქუნებს ჯერ გვერდებიდან, შემდეგ სულ ახლო მისულს – ქვევიდან, ქვევიდან, ქვევიდან... მუცელში, ნიკაპში, ცხვირში...

და იმედდაკარგულს, სასომიხდილს ინსტინქტი მიკარნახებს (აბა შეგნებულად თავი აღარ მუშაობს!) – გავცილდე ყულიევის თუჯის მუშტებს... ანგარიშმიუცემლად მარჯვენას წინ ვიწვდი, რომ ვუბიძგო, განვშორდე მეტოქეს...

ვდგავარ გაბრუებული, უაზროდ თვალებგადმოკარკლული, მომჩვარულ ფეხებზე ძლივს ვდგავარ, საცაა წავიქცევი...

ყულიევის დარტყმები შეწყდა – საოცარია! მსაჯი კი ითვლის – ჩემი მეტოქე რინგზე გდია.

ორიენტაციადაკარგულს, ვიღაცამ ხელი მომკიდა და ჩემს კუთხეში სკამამდე მიმიყვანა – მოცელილივით დავეგდე...

მეორე დღეს გაზეთები წერდნენ (შენახული მაქვს, წაგაკითხებ, თუ გინდა), რომ კონსტანტინე ლუქიაშვილი საოცრად დახელოვნებული და ტაქტიკურად წინდახედული მოკრივეა – სამი რაუნდის განმავლობაში ყრუ დაცვაში იმყოფებოდა, ბრძოლის მიწურულს კი ერთი მძლავრი დარტყმით მოწინააღმდეგე ნოკაუტში ჩააგდოო!..

1971

5000 მანეთად...

– წავიდეთ ბაკურიანში! – გადამეკიდა ციალა, ათასგვარ სიამოვნებას მპირდება: – ბაკურიანი ზამთარში – ზღაპარია, თეთრი ზღაპარი! ღამე ჰყინავს, ჰყინავს უღვთოდ – 20-30 გრადუსია ნულს ქვემოთ, ქვას გახეთქს ასეთი ყინვა! ან თოვს, თოვს ხვავრიელად, დილას კი ცა გადაკრიალებულია, სქელი ფუმფულა თოვლი ფარავს ყველაფერს – შენობებს, მინდვრებს, ფიჭვებსა და ნაძვებს... მზე თვალისმომჭრელად აკიაფებს გარემოს, ყველანი ჩქარობენ სასრიალო ადგილებისკენ, მხარზე თხილამურგადებულნი... ზოგიერთნი აივნებზე გამოფენილან, თითქმის სულ გაშიშვლებულნი, თითქოს პლაჟზე იყვნენ და მზეზე იხრუკებიან... ჩავლენ თბილისში და ბაკურიანში გაშავებული კანით თვალებს უყენებენ მოდის ამყოლთ...

ისე მომხიბვლელად ამიწერა ყველაფერი, ქვის გული უნდა გქონდეს, რომ ცდუნებას გაუძლო... ბებიაჩემის დანატოვარი ფული მაქვს, მანქანის ყიდვას ვფიქრობდი, მაგრამ ცხოვრებაში ერთხელ მეც არ უნდა "ვიგრიალო"? მართალია, თხილამურებზე ოსტატური სრიალით თავს ვერ მოვიწონებ, მაგრამ თუკი სხვები ახერხებენ, მე მათზე ნაკლები რითი ვარ?!. თან ციალასთან ხომ ვერ გავამხელ, ხამი ვარ ამ საქმეში-მეთქი... შემატყო კია, რომ ვყოყმანობდი და გამამხნევა: ერთ კვირაში ყველას აჯობებ, მაგაზე ადვილი სასწავლი არაფერია, შენისთანა ვაჟკაცი ამან დაგაფიქრაო?

რაც იქნება – იქნება, მივდივარ!

თქმა ადვილია... წასვლამდე უნდა საფუძვლიანად შევიარაღდე. ვიცი, იქ ათასგვარად გამოპრანჭული ხალხი იქნება, არავის უნდა ჩამოვრჩე, აბა ჰე!

გავიკითხ-გამოვიკითხე. საჭირო ყოფილა, რასაკვირველია, უპირველესად საგზურის შოვნა, შემდეგ კი მატარებლის ბილეთის აღებამდე (მეთოდურად ჩამოვწერე): 1) თხილამურები, 2) თხილამურების სამაგრი, 3) სპეციალური ყელიანი ფეხსაცმელი და ბოლოს, 4) ტანსაცმელი...

ყველაფერი მოვაკვარახჭინე, ჩემი მოხერხებითა და ციალას უთვალავი ძმაკაც-დაქალების დახმარებით, ბებიაჩემის სული ცხონდეს!

1) თხილამურების პრობლემა რთული გამოდგა. ფირმების სიმრავლე გამოცდილ კაცსაც დააბნევდა, მაგრამ მე არ გამჭირვებია საუკეთესო ვარიანტის არჩევა (განათლებით მათემატიკოსი ვარ, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების პროგრამებს ვადგენ). იუგოსლავური "ელანი" ადვილი საშოვნელი იყო და მაშინვე უარყოფილ იქნა; მერე ჭიდილი ჰქონდათ "ატომიკსა" და "ფიშერს" – ორივე საუკეთესო ავსტრიული თხილამურებია. ბოლოს მაინც გაიმარჯვა ფრანგულმა "როსინიოლმა", სპეციალური დაკვეთით დამზადებულმა – 1500 მანეთი ტყუილად კი არ დამაყაჭვინეს! მაგრამ, როგორც მითხრეს, ჯერ ერთი, ამ თხილამურებზე ოღონდ დადექი და თვითონ გაგასეირნებს, საითაც მოისურვებო; მეორეც, რაც მთავარია, ამ მარკას რომ წაიკითხავენ და თვალებს გადმოკარკლავენ შურით, მარტო ეს ღირს ერთ იმდენად!

2) თხილამურების სამაგრი არ გამოდგა უფრო ადვილი შესარჩევი: ფრანგული "სალამონ–707"... ხუმრობაა?!. თვითმფრინავებივით სახელები არ აქვთ? რაღა "ტუ-104", "ილ-64", "ბოინგ-52" და ასე შემდეგ – განა ეჭვი ოდნავ მაინც შეგეპარება, რომ ზებგერითი სისწრაფით ისრიალებ? მერე გერმანულები – "4-12", "4-13", ავსტრიული "ტიროლი"... მოკლედ, "სალომონ-727"-ში 400 მანეთი მივაჭყლიტე...

3) სათხილამურო ფეხსაცმელი ყველაზე დიდხანს ვეძებე. იუგოსლავური "ალპინა" შედარებით ადვილი საშოვნი იყო, მაგრამ მე მაინცდამაინც ავსტრიული "კარტინგერი" მეხატებოდა გულზე და სანამ 600 მანეთი არ მივახარჯე, ვერ მოვისვენე. სამაგიეროდ, რა ლაზათიანად იკვრება ფეხზე კლიფსებით – წკაპ და მზად არის!

4) ახლა ჯერი ტანსაცმლის პრობლემის გადაჭრაზე მიდგა... და შემდეგ – ჰერი ბაკურიანისკენ! "ადიდასის" კომპლექტი შემხვდა სრულიად შემთხვევით, ზუსტად ჩემი ზომის გამოდგა და იაფადაც იძლეოდნენ – 2500 მანეთი დამადებინეს... სამაგიეროდ, კოსტიუმში რომ გამოვიჭიმე, – ერთიან ვერცხლისფერ კაპიშონ-ხალათ-შარვალში, – ნაღდად კოსმონავტს ვგავდი!

ჰოდა, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანაც არ იყო საჭირო, რომ დამეჯამებინა შემდეგი ციფრები: 1500+400+600+2500=5000 მან.! ამ ხარჯებში არ შედის: ტელეფონით უთვალავჯერ დარეკვა, ტაქსის ფული და დახარჯული დრო – დაახლოებით ერთი თვე. რაც მთავარია, ასამდე კაცი თუ ქალი მაინც გავიცანი ("საჭირო ხალხი"!) და სავსებით აღვიჭურვე...

თავს აღარ შეგაწყენთ ორი საგზურის მოპოვების ამბებით, რაიც ერთი რომანის ფაბულად გამოდგებოდა, შემდეგ მგზავრობის აღწერით ვალეს გადატვირთული მატარებლით ბორჯომამდე და ბორჯომიდან ბაკურიანამდე ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით მართლაც ზღაპრული სილამაზის ხეობით... არც ბაკურიანის რკინიგზის სადგურიდან ტურისტულ ბაზამდე ცხენიანი მარხილით მგზავრობაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას (მანძილი – არაუმეტეს ერთი კილომეტრისა, ფასი – არანაკლებ ათი მანეთისა). პირდაპირ იმ მღელვარე მომენტს მივადგეთ, როცა დილით, ლაზათიანი საუზმის შემდეგ, მე და ციალა კოხტად გამოვეწყვეთ და გავუდექით გზას სასრიალომდე....

რა თქმა უნდა, კოხტაგორამდე მარხილითაც შეგვეძლო გავგრიალებულიყავით (10-15 მანეთი რაა!), მაგრამ უნდა გაგვეხანგრძლივებინა სიამოვნება – დარდიმანდულად გავიდე მხარზე ჩემი სანაქებო თხილამურები, თანაც ისე, რომ ყველას კარგად დაენახა საფირმო წარწერა "როსინიოლი" (იმ ოჯახაშენებულებმა ცოტა დიდზე ვერ დააწერეს?)... ისე, ჩვენში დარჩეს და მხარი კინაღამ მომტეხა იმის თრევამ, კაი მანძილი ვიჩანჩალეთ! (რა თქმა უნდა, ციალას თხილამურებიც მე მომქონდა). მერე ავფორთხდით ცოტა მომაღლოზე, პატარა ბორცვუკაზე... დასაწყისისთვის ესეც ეკერესტად მეჩვენებოდა, მაგრამ ცალკერძ ციალასი მრცხვენია, ცალკერძ კი – ვხედავ, აქ მხოლოდ სკოლამდელი ღლაპები ჩამოსრიალდებიან ციგებით... და ჩემდა უნებურად მოსხლტა ჩემთა ბაგეთაგან: "ეს რაა, ციალა, მოდი, კიდევ ზემოთ ავიჩოჩოთ!"

ავბობღდით ოდნავ ზევით, სადაც უკვე 10-12 წლის ყმაწვილები ქარივით თავისუფლად დასრიალებდნენ... შემშურდა! მაგრამ არ ვიცი, რა მომდის: ბიჭების შემყურეს, მგონია, რომ არც ისე ძნელია თხილამურებით სრიალი და... ცოტაც კიდევ ავიწიეთ!

პირველი ცდისთვის საკმარისად ვცანი სიმაღლე. მერე კოხტაგორას ავხედე და შიშით დამბურძგლა – ნუთუ არსებობენ ისეთი ღმერთკაცები, იქიდან თხილამურებით დაშვებას რომ გაბედავენ? არადა, ნუ დაუჯერებ საკუთარ თვალებს თუ გინდა – საბაგირო გზას წამდაუწუმ აჰყავს ზევით სწორედ იქიდან ჩამოსრიალებულნი...

ციალამ რამდენჯერმე ამიხსნა, როგორ უნდა ვიხმარო ჯოხები, როგორ დავიჭირო ტანი, მოვიხარო მუხლებში და წელში, როგორ დავამუხრუჭო და გავჩერდე... ისიც მასწავლა, მოხერხებულად როგორ დავეცე – ეს ყოფილა უპირველესად ასათვისებელი! მთავარია, არ შეშინდე! ციალა თვალსაჩინოებისთვის თვითონაც ორჯერ ჩასრიალდა საკმაოდ ოსტატურად, მიხვევ-მოხვევის წესები წარმომიდგინა. სხვების შემხედვარეს მეც გული მომეცა.

ვახსენე ღმერთი და... წავედი!..

...ალბათ ათი-თხუთმეტი წამი ვიდექი ფეხზე ანუ თხილამურებზე – თითქოს ფრთები გამომება და გავფრინდი! ისეთი სასიამოვნო, ზეაღმტაცი გრძნობა დამეუფლა, მერე კი... დედამიწამ მიმტყუნა, ჯერ გვერდზე გამექცა, მერე აყირავდა და თვალებში ყველაფერი დატრიალდა... დატრიალდა მხოლოდ წამით, რადგან, როცა ყველაფერი ისევ გაწონასწორდა და თავის ადგილს დაუბრუნდა, ოთხ თეთრ კედელს შორის აღმოვჩნდი მოქცეული; ორთავ ფეხი, თაბაშირში ჩასმული, მაღლა აწეული ჩამოეკიდებინათ... სამიოდ კბილიც მაკლდა და ცალ თვალს ძლივს ვახელდი. მითხრეს, მაგარი ყოფილხარო – თხილამურები სულ ნაფოტებად იქცა, კომბინეზონი – ნაფლეთებად, შენ კი შედარებით იოლად გადარჩიო...

ამჟამად ფიქრის მეტი არაფერი შემიძლია; როგორც მოგახსენეთ, სახის ერთი მხარე ისე მაქვს გასივებული, ცალ თვალს ვერ ვახელ. ჰოდა, სწორედ ახლა ამეხილა თვალი! წინათ ნაღდად ორივე თვალით ბრმა ვიყავი: შე ოხერო, თუ დამტვრევა გინდოდა, 5000 მანეთს რაღას ყრიდი წყალში ან ბაკურიანში რა მოგარბენინებდა? ნუთუ დილით რომ სასრიალოდ წასაბრძანებლად ემზადებოდი, ვერ დაინახე: ახალმოსული ტურისტები მარხილებით მოგრიალდებიან, ძველები – ყავარჯნიანები, ხელფეხშეხვეულნი, გასივებული ცხვირებით – გამოფენილან აივნებზე და უყურებენ, როგორ მოჰყავთ ასევე მარხილებით, ოღონდ სხვა მხრიდან, შენსავით ბედოვლათები... ზოგი დამტვრეულ თხილამურს იბჯენს და კოჭლობით მოხანხალებს, სხვებს, ვისაც ნაკლებ გაუმართლა, ამხანაგები შესდგომიან აქეთ-იქით მხრებში...

აქვე, შესასვლელში, სამფეხა ძაღლი ჩაყუნცულა და ნაღვლიანად იყურება; მას რაღა დაემართა, ნუთუ ისიც მოთხილამურეა?.

1984

თამაში თამაშია!

გადამეკიდა ჩემი შვიდი წლის ბიჭი – ბუხუტი, გინდა თუ არა ჭადრაკი მეთამაშეო. ახალი ნასწავლი აქვს და ეხალისება. კარგა ხანს მეღიჭინა, სანამ არ დამითანხმა.

დავსხედით, ჭადრაკი გავაწყვეთ. არ ვიცი, რა ვქნა: მოვიგო – ვაი, წავაგო – ვუი... არა, უეჭველად უნდა წავაგო – მაინც ბავშვია, ახლახან ისწავლა თამაში და, რა თქმა უნდა, უჭირს ჯერ, გინდაც დიდი ნიჭი ჰქონდეს. თუ წააგებს, გული გაუტყდება, მგრძნობიარე ყმაწვილია... ისე, კაცმა რომ თქვას, თამაში გასართობად, დროის სასიამოვნოდ გასატარებლად არის მოგონილი, ცოტაც – ტვინის გასავარჯიშებლად; ასე რომ, შეიძლება ითქვას, შედეგს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

– აბა, შვილო, პირველი სვლა შენია! ყოველ სვლაზე კარგად დაფიქრდი!

ბუხუტიმ გააკეთა პირველი სვლა, თამაში დაიწყო.

“მიდი, მიდი, ბუხუტია, თამამად ითამაშე, მაინც მოიგებ!” – ვამხნევებ გუნებაში შვილს და თითქმის დაუფიქრებლად, ელვისებურად ვაკეთებ საპასუხო სვლებს. ბუხუტი რაღაცას ღიღინებს თავისთვის, როგორც ვატყობ, ისიც ჰაიჰარად თამაშობს, უფრო თვით თამაშის პროცესი იტაცებს, ვიდრე სხვა მიზანი – დიდად არ ფიქრობს საკუთარი სვლების ლოგიკურობაზე. მეც, რა თქმა უნდა, თავს არ ვიწუხებ ღრმა ანალიზით, არც შორს გამიზნულ სტრატეგიაზე ვფიქრობ, ამიტომ ბუხუტის დაუდევარ სვლებს ასევე დაუდევრად ვპასუხობ. რა მოხდა მერე, გინდაც შევწირო ერთი-ორი ფიგურა, ყოველთვის შემიძლია, სრული ძალით დავიწყო თამაში და საქმე გამოვასწორო... თუ შევატყვე, რომ ბუხუტი აგებს, შეგნებულად სუსტ სვლებს გავაკეთებ, რომ თამაში ცოტა გახანგრძლივდეს და საბოლოოდ მას მოვაგებინო...

ასეთ ფიქრებში ვარ გართული და ნელ-ნელა აღმოჩნდა, რომ საქმე წასაგებად შემექნა. ბუხუტი არც ისეთი სუსტი აღმოჩნდა, შეირგო კიდეც ჩემი უხვი "ძღვენი" და როცა საქმე საქმეზე მიდგა, გამოირკვა, რომ უფსკრულის პირას ვიდექი... ახლა კი დავფაცურდი და კარგა ხანს ვფიქრობდი თითო სვლაზე. კიდევ კარგი, ლაზიერი არ გამიცვლია და სრული ძალით ავამოქმედე შემორჩენილ თეთრ კუსა და ერთ მხედართან ერთად. გამაცივა – უცებ შევნიშნე, რომ ბუხუტის მძიმე ფიგურები მაგარ შეტევას ანვითარებდნენ და ან ლაზიერი უნდა დამეთმო, ან პარტია... სულ იმის ნატვრაში ვიყავი, ღმერთო, უძლიერესი სვლა ვერ დაინახოს-მეთქი... ვაშა, მგონი, გადავრჩი!... ბუხუტიმ ოდნავ მოადუნა დაწოლა და ორი-სამი სვლის შემდეგ ამოვისუნთქე – მხედარი წინ დავასკუპე სტრატეგიულად მნიშვნელოვან უჯრაზე... ბუხუტიმ ამას ყურადღება არ მიაქცია – ხედავდა, რომ ჩემი საქმე წასული იყო, აღარაფერი მიშველიდა... სუნთქვა შემეკრა – შენიშნავს თუ არა? შენიშნავს თუ არა, რომ მის მეფეს ემუქრებიან? ვერ შენიშნა! ბუხუტის მთელი ყურადღება ჩემი მეფის ხაფანგში მომწყვდევისადმი იყო მიმართული და ვერ გაითვალისწინა, რომ შემდეგი სვლით მე...

– შამათი!..

ბუხუტის შევხედე. საყვარლად მოებრიცა ტუჩები, თვალები აუწყლიანდა...

ფუი ეშმაკს! რამ გამომაშტერა ამხელა კაცი, რამ დამავიწყა ჩემი განზრახვა?!. თუმცა... თამაში თამაშია!..

1987

ჭადრაკულადაა საქმე!

– ქიში, შენ ხარ ჩემი ბატონი!.. ისე უნდა გაჭანჭყარო, ნაკლული ტიკივითა!

– ბიჭო, როგორ შემაშინე!.. მეორედ არ თქვა მასეთი რამ, თორემ გული გამისკდება.

– ეს დაფეხვილი პაიკიც მივირთვათ!

– კი, ბატონო, მიირთვი, მაგრამ ფრთხილად იყავი – არ გაწყინოს.

– ჩვენ მაგარი კუჭი გვაქვს, ეს მეორე პაიკიც არ გვაწყენს.

– ვითომ? ახლა სად მიხვალ? შენი კვიცი ქერსა ჭამს – გინდ ყოფილა, გინდ არა.

– ეგ მხედარი მე არც მჭირდებოდა, ღმერთმა შეგარგოს. ახლა რომელ სოროში ჩაძვრები?.. კიდევ ერთი ქიშიაშვილი გვიბრძანებია.

– ქიში, თორემ უკეთეს ადგილს არ მიდის მეფე!

– ეგ ჩვენ ვიცით, სადაც მივა... ხომ იცი, სადაც მიდიან მეფეები თავისი ფეხით? გიჟი მიუშვი ნებასა... ჰო-ჰო-ჰო, ეს ვინ ყოფილა, კაცო! თამაში გუშინ ისწავლე თუ გუშინწინ? აწი მხედარს გაძლევ წინდაწინ.

– რატომ იცი მასეთი უშნო ხუმრობა? ხალხს მართალი ეგონება.

– სიმართლე მწარეა, მაგრამ სად გაექცევი.

– კაი ერთი, თუ გიყვარდე! პატარა დამაცადე და პატივცემულ საზოგადოებას მაშინ რაღას ეტყვი, იმასაც ვნახავ.

– ჯერჯერობით ის მითქვია, რომ ამ ქეციან კუს აღარ გავაფუჭებინებ ჰაერს.

– მაგან, ჩემო კარგო, უკვე გააკეთა თავისი საქმე. პირიქით, მადლობელი ვარ, ეს გაცვლა ხელს მაძლევს...

– მართლა? ახლა კი მაგრად შეგაცდინე!.. გამოჭერაც ასე უნდა!..

– აუჰ!.. მოიცა... ცოტა მაცალე... პატივცემულ დიდოსტატს ეს ძალიან უბრალო და იშვიათი სიძლიერის საპასუხო სვლა ხომ არ გამორჩა?

– გამოძვერი ვითომ ხომ? ახლა სხვა ამბავს წამოვიწყებთ... ეს ლაზიერი რომ წამოსკუპებულა აქ, ვითომ რამეს მიკეთებდეს, იკადროს და მიბრძანდეს უკან!

– რას ერჩი ამ პატიოსან ლაზიერს? სად წავაჩანჩალო?.. აქ არ ვარგა, არც აქ... აქ?.. ჯანდაბას, დავაფუძნოთ... უჰ, ბოდიში, ბოდიში, ვერ დავინახე!..

– მაგი არ გამაგონო? ბრუციანი თუ ხარ, სათვალე გაიკეთე, ისე რაღას მეთამაშები... ფიგურას ხელი გაუშვი – გათავდა და მორჩა. დადე, დადე, სადაც უნდა იყოს!

– მაცალე, შე კაცო!

– არაფერი არ ვიცი! ხელი ხომ გაუშვი?!.

– ნუ ხარ ჭინჭყლი!

– რაო, ჭინჭყლიო? გაიგონეთ, რას უბნობს პატივცემული? კიდევ მე ვარ ჭინჭყლი? აწი შენთან აღარ ვითამაშებ! შარზეა ეს კაცი!

– ჰო, კარგი, ნუ გაფიცხდი! ჯანდაბას, დავდგამ აქ ლაზიერს, მაგრამ არ ხარ შენ კაი კაცი!

– აბა ერთი მე გამეკეთებინა მასეთი რამ, ნახევარ თბილისს შემიყრიდი.

— კარგი, გეყოფა... ხომ დავდგი, რაღას ლაპარაკობ ამდენს, ითამაშე!

— წკაპ შენი დედოფალი! ასე და ამგვარად! კიდევ გაბედავ ჩემთან თამაშს? იხტუნავე და იყავი ახლა... წასულია შენი საქმე, რაღას მეჭიდავები? გაძლებაზე ხომ არაა თამაში, ინამუსე და დროზე პატიოსნად დამნებდი.

— გვაცალე, ბატონო, წკაპი და წკუპი ჩვენც ვიცით, ნუ გეშინია. ახლა ვნახავთ სეირს! ქიში, ჩემო საყვარელო!.. გაები, ჩიტო, მახეში?!. აბა, რა გეგონა, ჩვენ ლაზიერს ტყუილად გადაგაყლაპებდით?.. რაღას ფიქრობ ამდენს, ორი სვლა გაქვს — ან აქ მიბრძანდი მეფით, ან ეტლი ჩამოაფარე. თუმცა, რად გინდა, ვეღარაფერი გშველის.

— რას მღერიხარ ასე ტკბილად? ვითომ ასეთები გვინახავს?

— თუ გინახავს, რაღას ფიქრობ? მოკაკვე თითი.

— ფუი, დალახვროს ეშმაკმა, ეს რა მივქარე!

— ხომ აგაწრუწუნე! კასპაროვი და კარპოვი ერთად რომ დასვან შენს ადგილზე, ორთავეს ბოლს ავადენდი ზურგზე!

— როგორ შევცდი, კაცო, ა?

— ხომ არ გინდა, დავაბრუნოთ? ვიცი, ძალიან გიყვარს სვლის დაბრუნება!

— თორემ შენთვის ჯერ არ დამიბრუნებია სვლა!

— ივარჯიშე, ივარჯიშე, იქნებ ცოტა მომაგრდე!

— ახლა კი ხარ მაგარ გულზე... დაგავიწყდა, ამას წინათ რომ ხუთი ხელი მშრალად მოგიპომპოლიკე!

— რაო? ხომ არ დაგსიზმრებია?

— ბოდიში, ბატონო, მშრალი ანგარიში მართლაც არ ყოფილა — ერთი ხელი გაჭირვებით გამიყაიმე.

— კარგი ზღაპრები გცოდნია! რაც შენთან ვთამაშობ, ხუთი ხელი სულ არ წამიგია.

— ხუთიც წაგიგია და ხუთასიც!

— დიდება შენდა, ღმერთო! მიდი და ამის შემდეგ ეთამაშე კიდევ ასეთ კაცს!

— ჩემისთანა კაცი მართლაც ძნელი მოსაძებნია: შენისთანა სუსტ მოჭადრაკეს თავს ვუყადრებ, ვეთამაშები, იქნებ რამე ვასწავლო-მეთქი და მერე აქეთ მედავები.

— შენთან რა მაქვს სადავო, ნუ აცინებ ხალხს! თუ გეშინია თამაშის, პირდაპირ თქვი, ვაუკაცურად.

— ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო, აწი ასეთ საჩუქარს ჩემგან ნუღარ ელი.

— კარგი, ეს ერთი პარტია ხომ მოგართვი, მეორეშიც გაგწურავ, მეტი რომ აღარ ილაპარაკო... დროზე დააწყვე, თუ ძმა ხარ.

— e2 — e4. მე ვლაპარაკობ ბევრს, თუ შენ? მაღირსე, გააკეთე საპასუხო სვლა.

— აჰა!.. დამიხვდი, თუ ბიჭი ხარ! ჰო-ჰო-ჰო, რა მოგელის, რომ იცოდე!

1970

ჭადრაკოთერაპია

საოცრად წყნარი, მორიდებული ახალგაზრდა გახლავართ და შევკრთი, როცა ჩემს ზურგს უკან ვიღაცამ მეხივით დაიბუხუნა:

— ვითამაშოთ?!.

ოჰ, რასაკვირველია, ეს ბიძია სილიბისტრომ იხუმრა. არ შევუდგები მისი მრგვალი, მღიმარე სახისა და ღიპიანი ფიგურის აღწერას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ბიძია სილიბისტრო ჭადრაკის ჭეშმარიტი ქომაგია და, ესე იგი, ყოველმხრივ შესანიშნავი პიროვნება.

გავაწყვე ჭადრაკი და თამაში დავიწყეთ. უნდა ვაღიარო, რომ ჭადრაკის თამაშისას ხშირად ვუმტკიცებ ჩემს რაინდობას ქალებს, სულგრძელობას — ახალგაზრდებს და პატივისცემას — უფროსებს. ბიძია სილიბისტრო სადმე წააგებს თუ არა, გულის მოსაოხებლად ჩემთან მოდის. საერთოდ, ჩემი საშუალო წარმადობაა თითო წაგებული პარტია ათ წუთში. ამჯერად საკუთარ თავს ვაჯობე — ტრადიციას ვუღალატე და ათ წუთში ორი ხელის წაგება მოვასწარი.

— მაგარ ფორმაში ხარ, შენთან თამაში აღარ ღირს, — კმაყოფილმა ჩაიქირქილა ბიძია სილიბისტრომ.

დავიწყე ჭადრაკის ფიგურების ყუთში ჩაყრა, მაგრამ ბიძია სილიბისტრომ გამაჩერა:

— მოიცა, მოიცა!.. მოდი, ვითამაშოთ ჭადრაკი "უკუღმა".

— უკუღმა? მაგრამ სარჩულის მხრიდან ხომ ყოველთვის უარესია, — ვცადე გახუმრება.

— უყურე, ძალიან საინტერესოა. “უკუღმა” ჭადრაკში ორივე ცდილობს არა მოგებას, არამედ წაგებას და რაც შეიძლება სწრაფად, ანუ იგებს ის, ვინც პირველი შესწირავს მეტოქეს ყველა პაიკსა და ფიგურას, გაიგე?

— აჰა! მოდი, ვსინჯოთ...

თავიდან რამდენიმე პარტია მოვიგე, ესე იგი, წავაგე... ღმერთმა დასწყევლოს, როგორ ვთქვა... ესე იგი, ბიძია სილიბისტრომ პირველმა გაითავისუფლა თავი ყველა ფიგურისა და პაიკისგან. მაგრამ მერე და მერე წაგების თანდაყოლილმა ნიჭმა თავი მაინც იჩინა და დავიწყე წაგება, ესე იგი, “უკუღმა” მოგება პარტიებისა ერთიმეორის მიყოლებით. აქ საჭირო იყო მძლავრი ნეგატიური ტალანტი, რაც ესოდენ უხვად მიბოძა განგებამ. როგორც იქნა, ვპოვე ჩემი მოწოდება! ვიგებდი და ვიგებდი, ვიგებდი და ვიგებდი! საწყალი ბიძია სილიბისტრო! ბევრს ცდილობდა, როგორმე ერთი პარტია მაინც წაეგო ანუ “უკუღმა” მოეგო, მაგრამ ნურას უკაცრავად — ზედიზედ ვწირავდი ეტლებსა და მხედრებს, პაიკებსა და თვით მეფესაც კი! (“უკუღმა” ჭადრაკში მეფის მოკვლაც შეიძლება).

უჩვეულო თამაშმა ისე გაგვიტაცა, რომ დროის ანგარიში დავკარგეთ — შუაღამეს გადასცილდა, ჩვენ კი საჭადრაკო მორევიდან ვეღარ გავთავისუფლდით... შინაურები შეფიქრიანდნენ, ემანდ ტვინი ხომ არ ეღრძოთო; გვაჯანჯღარებდნენ, რაღაცას ჩაგვჩიჩინებდნენ, მაგრამ ამაოდ — ჩვენ დავყრუვდით, ვერც რაიმეს ვხედავდით გარშემო, გარდა საჭადრაკო დაფისა...

ჩემი და ბიძია სილიბისტროს დასაცილებლად ძალის გამოყენება გახდა საჭირო. ოჰ, თავის ტკივილამდე, გამოჩერჩეტებამდე ვითამაშეთ, არ მივაკვდით, კაცო, ამ “უკუღმართ” თამაშს?!.

მერე სიზმარშიც კი განვაგრძობდი “უკუღმა” ჭადრაკის თამაშს: ვადგენდი ათასგვარ ვარიანტებს, ვიგონებდი ერთიმეორეზე გონებამახვილურ კომბინაციებს... მოულოდნელად ჩემს თვალწინ აირივნენ ჭადრაკის დაფები; პაიკები და ფიგურები დაერივნენ ერთმანეთს, მხედრები მზაკვრულად ჭიხვინებდნენ... შემდეგ ჩემს თავს რაღაც უცნაური, უკუღმართი ამბები დატრიალდა. მესიზმრებოდა, თითქოს თავდაყირა, ხელებით დავდიოდი; ჯოხით ვცემე მეზობლის ავ ძაღლს, ადრე რომ შიშის ზარს სცემდა ირგვლივ ყველას; ვითხოვე ცოლი... და მოვიმოქმედე კიდევ მრავალი განსაცვიფრებელი, დაუჯერებელი, გმირული საქციელი...

დილით გავიღვიძე — თავი მიბრუოდა ქაოსური აზრებისგან. ჩემს ტვინში რაღაც შეირყა, შეტრიალდა; თითქოს ბოროტი (თუ კეთილი?) დემონი მთელი დღე მიბიძგებდა ზურგში და მაიძულებდა, ყველაფერი პირიქით გამეკეთებინა. საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი, თითქოს ახლად დავიბადე — სრულიად სხვა ადამიანი გავხდი... თავად განსაჯეთ:

სადაც კი მაღაზიაში შევედი, ყველგან ზუსტად ავაწონინე და ხურდაც კაპიკ-კაპიკ დავაბრუნებინე. საღამოს ვიანგარიშე და გამოირკვა, რომ წინათ თურმე დღეში საკმაო თანხას ფუჭად ვკარგავდი...

კარგა ხანია, ორი ქალიშვილი მომდიოდა თვალში. ორივეს გამოვუტყდი სიყვარულში; რაც კი ნაზი, საალერსო სიტყვების მარაგი მქონდა, პირწმინდად დავხარჯე. თურმე ორივეს მოვწონდი, ახლა რაღა ვქნა, აღარ ვიცი...

არავინ მოელოდა, რომ ჩვენი დაწესებულების საერთო კრებაზე სიტყვას მოვითხოვდი. ბევრს აეწვა ფერდები... თვით დირექტორსაც მოხვდა. აღვნიშნე მისი უხეშობა, არაკომპეტენტურობა, მლიქვნელებისადმი მოწყალე მოპყრობა, ქედმაღლობა. არც ის დამვიწყებია, რომ დაწესებულებამ შეკეთების დროს დაკარგა ბიბლიოთეკა, სადაც დირექტორისთვის მოაწყვეს დასვენების ოთახი პირადი საპირფარეშოთი...

ქუჩაში ჩავები ხულიგნებთან ჩხუბში. დავკარგე ჰალსტუხი და ჯიბით შინ წამოვიღე ორი საკუთარი კბილი. სამაგიეროდ, არც მოწინააღმდეგეებს დავწყვიტე გული; ხურდად საკმაოდ ჩამოვარიგე ჩალურჯებული არეები მათი სახეების ტერიტორიაზე.

და ასე შემდეგ, ასე და ამგვარად...

დაბოლოს, ჩემი უკანასკნელი გმირობა ამ დღეს: საღამოს დავჯექი და დავწერე ეს მოთხრობა, პირველი მოთხრობა ჩემს ცხოვრებაში...

ჰო, უცნაური დღე გამოდგა... შემდეგ? შემდეგ ისევ დავწექი დასაძინებლად და ისევ ვნახე სიზმარი: უამრავი ხალხი თამაშობდა “უკუღმა” ჭადრაკს. აქ იყვნენ სხვადასხვა ჯურის თაღლითები, უსაქმურები, მექრთამეები, გამომძალველები, კაპასები, მატყუარები, ბოროტები, ხულიგნები, ქურდები და მისთანანი... ჭადრაკოთერაპიის კაბინეტში ბრძნული თამაშის გავლენით ისინი იცვლებოდნენ, სულ სხვა ადამიანები ხდებოდნენ.

სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ყველაფერი ეს სიზმარში ხდებოდა...

1974

ნაღვლიანი საფეხბურთო ამბავი

წერილებს საიქიოდან თითქმის არავინ იწერება. სამწუხარო კია, რადგან ბევრი ფრიად ჭკუის სასწავლი გაკვეთილი შეიძლებოდა მიგვეღო წერილთა ავტორების ამქვეყნიური გამოცდილებიდან. ამიტომ გადავწყვიტე, გაგაცნოთ ჩემს თავს გადამხდარი ნაღვლიანი ამბავი.

საიდან დავიწყო?

ჰო, მივლინებიდან დაბრუნებულმა, უკვე სადგურის მოედანზე ვიგრძენი, რომ საქმე ვერ იყო მთლად კარგად – ქალაქი უჩვეულო სიჩუმით შემხვდა. ის-ის იყო, თავსხმა წვიმამ გადაიღო. უტყვი გამვლელები, თავჩაღუნულები, დაღვრემილნი მიჩანჩალებდნენ სველ ასფალტზე, თითქოს რცხვენოდათ ერთმანეთისთვის შეხედვისა... მანქანები, ტროლეიბუსები, ავტობუსები აპათიურად მიღოღავდნენ, თვითონაც არ იცოდნენ – საით. მზემ წამით გამოიხედა, მაგრამ ვერ გაუძლო მტკვრის ხეობაში საწყლად მობუზული ქალაქის ხილვას და მაშინვე უკან ჩაყვინთა შავ ღრუბლებში... ჩამობნელდა, დაიქუხა და ისევ დაუშვა წვიმამ. ცა დასტიროდა რაღაცას, გულამოსკვნით გლოვობდა. მთელი ქალაქი მოკუნტულიყო, დაპატარავებულიყო და მორცხვად იმალებოდა წვიმის ჩადრის უკან. სახლები მოწყენილები შესცქეროდნენ ერთმანეთს, მხოლოდ წყალი გაბრაზებული ბუტბუტებდა სადინარ მილებში...

როგორც იქნა, მივაღწიე სახლამდე, ტანზე გამოვიცვალე და საჩქაროდ მივაშურე ჩემს სამსახურს. ეჰ, ნეტავი შინ დავრჩენილიყავი!

დაწესებულება დაცარიელებული მეჩვენა, მხოლოდ ზოგიერთ ოთახში იჯდა თითო-ოროლა კაცი, და ისინიც გაშტერებულნი მისჩერებოდნენ ფანჯარათა მინაზე წვიმის წვეთების სრიალს... ჩემს მისალმებაზე არავინ მიპასუხა. გადავდიოდი ერთი ოთახიდან მეორეში, და ბოლოს, მესამე სართულზე, ერთ მიყრუებულ ოთახს მივადექი. სწორედ აქედან მოაღწია ჩემს ყურებამდე ხმაურმა და გაშმაგებულმა კამათმა. გამიკვირდა. შევაღე კარი და თამბაქოს სქელ ბოლში ძლივს გავარჩიე ადამიანები. ოთახი გატენილი იყო აღგზნებული მამაკაცებით. ისინი შეშლილებივით იქნევდნენ ხელებს და, აზარტში შესულები, ცდილობდნენ, ჩახრინწული ხმებით ერთმანეთზე ხმამაღლა ეყვირათ...

ასე გრძელდებოდა კაი დიდი ხანი. ვერაფერი გამეგო. ერთი-ორჯერ ლამის მუშტი-კრივზე გადასულიყვნენ. როგორც იქნა, ერთ მოკამათეს სუნთქვა არ ეყო, განზე გადგა არაქათგამოლეული და ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა.

– რა მოხდა? – ვკითხე კედელთან მდგომ მოხუც ეკონომისტს.

ის ჯერ უაზროდ მიყურებდა, მერე ცოტა გამოერკვა და როცა კითხვა გავუმეორე, გაკვირვებული მომაჩერდა, რაღაც უცნაურად გაიცინა:

– უყურეთ, უყურეთ, ის კიდევ მეკითხება, რა მოხდაო!

რამდენიმე თავი ჩემკენ მოტრიალდა.

– შენ რა, მართლა არაფერი იცი? – ღიპიანმა ბუღალტერმა ცხვირსახოცით ოფლი შეიმშრალა სახეზე.

– არაფერი, სინდისს გეფიცები... ეს-ესაა მივლინებიდან დავბრუნდი.

ხუთმა თუ ექვსმა დაფჩენილმა პირმა ერთდროულად ამოანთხია სიტყვების ნიაღვარი:

– "დინამომ" გუშინ წააგო – 5 : 0!

– რომელმა "დინამომ"?

– თბილისის!!! – იღრიალა უკვე თხუთმეტმა თუ მეტმა ვულკანის კრატერმა.

– მერე რა, რა მოხდა ისეთი?

მე ალბათ საკმაოდ სულელური გამომეტყველება მქონდა ამ სიტყვების წარმოთქმისას, რადგან ყველას თვალები მე მომაჩერდა, თითქოს საიქიოდან მოვბრუნებულიყავი. ტყვიასავით მძიმე სიჩუმეში სოლივით შეიჭრა ტექნიკოს კოსტას ტენორი (სხვათა შორის, ჩვენი დაწესებულების პირველ ძირითად გუნდში თამაშობს მე-11 ნომრად):

– იცი, მოგებით ჩვენები რომელ ადგილზე ინაცვლებდნენ?

– მერე რა? – ადვილი მისახვედრია, რომ ეს სიტყვები ისევ მე მეკუთვნოდა.

– ახლა კი სად ჩამოვვარდით!!! – გულსაკლავად მომაბღავლა პირდაპირ სახეში განყოფილების გამგემ ბიძია კონსტანტინემ (სხვათა შორის, დაწესებულების ვეტერანთა გუნდში თამაშობს მე-3 ნომრად).

და აქ მე დავუშვი საბედისწერო შეცდომა... იმის მაგივრად, რომ ჩუმად ავორთქლებულიყავი ოთახიდან, სერიოზულად დავიწყე მტკიცება, რომ ფეხბურთზე არ ამოდის მზე და მთვარე; რომ

ფეხბურთი ძალიან მიყვარს, საუკეთესო რამაა, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი: შენი ინტერესები შემოიფარგლო მხოლოდ ფეხბურთით, გახდე ფანატიკოსი – ეს სისულელეა; რომ სამუშაო საათებში უნდა იმუშაო; რომ ბოლოს და ბოლოს ქვეყანაზე ფეხბურთის გარდა არსებობს კიდევ თეატრი, მუსიკა, ლიტერატურა, კინო, მხატვრობა, მეცნიერება და ათასი კიდევ რამ, რაზედაც არანაკლები გატაცებით შეიძლება ისაუბრო; რომ საყვარელი გუნდის წაგების ტრაგედიად გადაქცევა გონებაშეზღუდულს უფრო შეეფერება, რომ...

მეტის თქმა აღარ დამცალდა: აღგზნებული ბრბო ამერიკელი ინდიელების საბრძოლო ყიჟინით გააფთრებული დამესხა თავს და გამტყორცნა ღია ფანჯარაში...

დიდხანს მივფრინავდი თუ ცოტა ხანს, საბოლოოდ საიქიოს აღმოვჩნდი. დიდი წვალებით მივაღწიე წმინდა პეტრემდე, რომელიც სამოთხის კარს იცავდა. სიმპათიური ბებრუხანაა, მარჯვენას წამდაუწუმ ისვამს გაბიბინებულ წვერზე, მარცხენათი კი შოფერივით ან საწყობის გამგესავით ატრიალებს დიდ გასაღებს.

ჩემმა რიგმაც მოაღწია. გამესაუბრა წმინდა პეტრე და, ბოლოს, მეუბნება:

– ბევრზე ბევრი ცოდვა გაწევს კისერზე, მაგრამ ზეცის კანცელარიაში შეაჯამეს და ნორმაში მაინც ჩატეულხარ. აგერ გამოგზავნეს ქაღალდი, წაიკითხე.

და გამომიწოდა უსტარი, რომლის ზევითა მარცხენა კუთხეში გაკრული ხელით ეწერა:

“წმ. პეტრეს

_____-

დაუშვით სამოთხეში,

საბაოთი

15. X.”

როგორც ჩანს, ზეცის კანცელარიაში ბიუროკრატიზმს ჯერ არ გაუდგამს ფესვები, ხელად დაადეს რეზოლუცია. ერთი საკითხი მაინც მოითხოვდა დაზუსტებას. წმინდა პეტრეს ვეკითხები:

– მითხარით, გეთაყვა, ვინ არის ეს საბაოთი? დიდი კაცია?

წმინდა პეტრემ დამიბრიალა თვალები და დაიბუხუნა:

– შენ რა, გადაირიე? არ იცი ჩვენი უფლის, გამჩენის, ზეციური მეუფის სახელი?!.

– ბოდიში, ბატონო! მითხარით ბარემ, – აღარ მოვეშვი მე, – ვინ მონათლა იგი? კაი უცნაური სახელი კი შეურჩევიათ...

წმინდა პეტრემ მსხვილი წარბები შეჭმუხნა, თვალებში რისხვამ გაიელვა.

– არ იყოს უკვე რეზოლუცია დადებული, მე ვიცი, რასაც გიზამდი!.. მაგრამ... ღმერთი მოწყალეა. მშვიდობით იარე, უფალი შეგინდობს. ისე, არ უნდა იყო მთლად წმინდა წყლის კაცი...

ის უკვე აპირებდა სამოთხის კარის გაღებას, მაგრამ შემდეგ კეფა მოიფხანა, მეგობრულად გამიღიმა და მოულოდნელად მითხრა:

– შენ ნუ წუხხარ, საბაოთი ვერაფერს გაიგებს, არც ისე ყოვლისმცოდნეა. ღმერთი არ გაგიწყრეს და სხვას არავის ჰკითხო... ღმერთი ვის უნდა მოენათლა, ჰა? ისე, ძამიკო, შენც ქე უნდა დამეხმარო... აქ, იცი, ზოგჯერ ზეცის ფოსტა ვერ მუშაობს მთლად გამართულად, თან ტელევიზორის ყურებისთვისაც ყოველთვის ვერ ვიცლი... ხომ ვერ მეტყვი, როგორ დაამთავრა ბოლო შეხვედრა თბილისის “დინამომ”?

– ძალიან არ მინდა თქვენი გაწბილება, პატივცემულო, მაგრამ გულახდილად გეტყვით, ფეხბურთი არ მაინტერესებს მაინცდამაინც...

წმინდა პეტრემ გაოცებისგან პირი დააღო, გასაღები კინაღამ ხელიდან გაუვარდა...

მე მოვუყევი ჩემი ნაღვლიანი ამბავი. მისმინა წმინდა პეტრემ, მისმინა, შემდეგ უცებ დამცხო თავში უზარმაზარი გასაღები და დაიღრიალა:

– უწმინდურო სულო! თაყვანს არ სცემ გულშემატკივართა წმიდათაწმიდა ორდენს და თავხედურად სამოთხეში გინდა გაძრომა?!. არ გინდოდა ხომ სამოთხეში ვაშლის ხეების ქვეშ ფეხბურთის თამაში, მიდი ახლა და იყურყუმალავე ცხელ კუპრში! – და ერთხელ კიდევ ისე მდრუზა თავში გასაღები, რომ თვალთ დამიბნელდა...

მას შემდეგ სულ სიბნელეში ვარ. მხოლოდ ზოგჯერ ცეცხლის ანარეკლზე გამოჩნდება უწმინდურთა საზარელი, ბანჯგვლიანი სიფათები, როცა ისინი ასწევენ ქვაბის სახურავს და ამოწმებენ, ხომ კარგად ვიფუფქებით... ასე რომ, ამ წერილსაც სიბნელეში ვწერ. მაგრამ მე მაინც არ ვიტეხ გულს. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთზე გაუთავებელ ლაყბობას მაინც გადავურჩი. არ მინდა მაგათი სამოთხის ვაშლები. მე მგონი, იქ ვაშლები არც იქნება, ვაშლის ხეებზეც ალბათ ფეხბურთის ბურთები იზრდება...

ისე კი, ახია ჩემზე! ასეთი ბედოვლათი როგორ ვარ, როგორ ვერ მივხვდი, წმინდა პეტრესთან მაინც სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავი! რატომ დროულად არ მივაქციე ყურადღება, რომ წმინდა პეტრემ სამოთხის კარი ფეხბურთის კარების ყაიდაზე გააკეთებინა!

1965

"სპეციალისტი"

ჯონდო კინკილაძემ შეაღო კაბინეტის კარი, რომელსაც ეწერა: "მთავარი სპეციალისტი – ბ. დაფდაფაძე" და სახტად დარჩა – მასიურ მაგიდას უჯდა ბიძინა, მისი სტუდენტობისდროინდელი თანაჯგუფელი! როცა სამსახურში უთხრეს, დაფდაფაძესთან მიხვალ პროექტზე ხელის მოსაწერადო, როგორ ვერ მიხვდა, რომ ბიძინასთან აგზავნიდნენ?!.

– სადა ხარ, კაცო, დაკარგული! თხუთმეტი წელი იქნება, ერთმანეთი აღარ გვინახია! – ამ სიტყვებით გადაეხვია და გადაჰკოცნა ბიძინამ ჯონდო. – რას შვრები, სად მოღვაწეობ?

– რა მიჭირს, ისევ იქ ვმუშაობ. აი, ამ საერთო პროექტზე შენი ხელის მოწერაზე შეგაწუხე...

– მოიცა, კაცო, ჯერ ერთმანეთი მოვიკითხოთ... – გვერდზე გადადო ბიძინამ სქელი საქაღალდე, რომელშიც აუკინძავი პროექტი იდო.

"ერთი ბიძინას დამიხედეთ!.." – ფიქრობდა ჯონდო. – "ჯგუფში სწავლით არ ბრწყინავდა, არც განათლებით... თუ რამით გამოირჩეოდა, მხოლოდ მაღალფარდოვანი, გატყლარჭული ლაპარაკით, მოდავესთვის თვალებში ნაცრის შეყრა ემარჯვებოდა... ახლა კი მთავარი სპეციალისტი გამხდარა დიდი საპროექტო ინსტიტუტისა, საკანდიდატო დისერტაციაც მოუკვარახჭინებია და ნაძლევს ვარ, თუ სადოქტოროც დაწყებული მაინც არ ჰქონდეს..."

– ცოლ-შვილი? – იკითხა ჯონდომ.

– ორი შვილი მყავს, ქალ-ვაჟი, შენ?

– მეც ქალ-ვაჟი მყავს, ბიჭი წელს ამთავრებს სკოლას.

– დისერტაცია?

– თითქმის მზად მაქვს უკვე რა ხანია და რაღაც ვერ მოვაბი საბოლოოდ თავი...

ასე და ამგვარად მიმდინარეობდა საუბარი, შემდეგ კი პროექტს ჩაუჯდნენ. როგორც იტყვიან, შეხვედრა მიმდინარეობდა ურთიერთგაგების ვითარებაში. ბიძინას შენიშვნები არ გამოუთქვამს და თითქმის დაამთავრეს კიდეც პროექტის გადაფურცვლა, რომ შესასვენებლად დერეფანში გავიდნენ, იქიდან კი – ღია, ფართო აივანზე, რომელიც მდინარე ვერეს ხეობას გადაჰყურებდა.

ბიძინამ სიგარეტი გააბოლა. ლაპარაკობდნენ აქეთურ-იქითურს, გაიხსენეს სტუდენტობის წლები, რასაკვირველია, მათი ჯგუფელებიც – ვინ სად არის, რას აკეთებს... ისიც დათქვეს, რომ მალე ოცი წელი შესრულდება ინსტიტუტის დამთავრებიდან და კარგი იქნება, თუ ყველანი ერთად შეიყრიან თავს და აღნიშნავენ საიუბილეო თარიღს... მერე ცხოვრების წვრილმანებს შეეხნენ, ისევ ოჯახურ ამბებზე გადავიდნენ და ბოლოს – ფეხბურთზე ჩამოვარდა საუბარი.

– ფეხბურთზე ვეღარ დავდივარ, ბევრი სამუშაო მაქვს და საღამოს დივანზე წამოგორება ყველაფერს მირჩევნია, – თქვა ჯონდომ. – წელს მარტო სეზონის გახსნას დავესწარი, მეტი არ ვყოფილვარ.

– მე სულ სამჯერ... არა, ოთხჯერ ვიყავი, ბიჭმა ამიყოლია, – თქვა ბიძინამ. – მართალი გითხრა, არც ღირს წასვლა, ამ ბოლო დროს ძალიან მოუკლო თამაშს თბილისის "დინამომ".

– ტელევიზორში მაინც ვუყურებ... ხალხს აღარ აინტერესებს ფეხბურთი. გახსოვს, ჩვენს ახალგაზრდობაში რა თამაშები იყო? სტადიონზე ვერ შეხვიდოდი, ზღვა ხალხი მიედინებოდა პლეხანოვზე სტადიონისკენ, ზღვა. რამდენიმე დღით ადრე უნდა გერბინა ბილეთის საშოვნელად...

– ორი დღით ადრე უკვე აღგზნებული იყავი სასიამოვნოდ მომავალი მატჩის მოლოდინში. ახლა? ზოგჯერ მავიწყდება კიდეც, რომ იმ დღეს შეხვედრაა. რა ფეხბურთელები გვყავდა, გახსოვს? მესხი და მეტრეველი რომ ფინტების ცეცხლს დაანთებდნენ...

– კარგი ფეხბურთელები ახლაც არიან, მწვრთნელი არ გვყავს ხეირიანი. თავი თუ არ გივარგა, გინდაც ბრწყინვალე ფეხებს რა ჭკუა აქვს?..

– რას ამბობ, კაცო! – შეაწყვეტინა ბიძინამ. – ფეოლაც რომ მოიყვანო, რას გიშველის, ფეხბურთელები არ გვყავს.

– არა, ძმაო, თბილისის "დინამოელებს" ტექნიკა არასდროს აკლდათ, ახლაც მოიძებნება სამიოთხი ოსტატი, ნებისმიერ წამყვან ევროპულ კლუბს რომ დაამშვენებდა.

– მარტო ტექნიკაა საქმე? – გაფიცხდა ბიძინა. – ტვინი უნდა, ტვინი!.. აზროვნება!.. ავტომატი ხომ არ ხარ, მწვრთნელის დამუშავებული გეგმა დოგმად გაიხადო!

ბიძინა ისე გაწიწმატდა, რომ ჯონდოს შეეშინდა კიდეც, ემანდ მუშტი-კრივზე არ გადავიდესო, მაგრამ თვითონაც ვერ გაჩერდა, თავი ვეღარ შეიკავა – აშკარად ხედავდა, რომ მისი ოპონენტი მაღალფარდოვანი ლაპარაკით ფუყე აზრებს იცავდა და თამაშის კონცეფციაზე ლაილაით უნდოდა, თავისი ინტელექტუალური უპირატესობა წარმოეჩინა, მეტი არაფერი...

"კარგი, გაიბრიქე, გაიბრიქე, მე ხომ მაინც ვიცი, რაცა ხარ, რას წარმოადგენ... თავმომწონე მეტიჩარა იყავი და ხარ ახლაც, მეტს რას მოველოდი შენგან!" – ფიქრობდა გუნებაში ჯონდო. – "მივქარე, რომ ავყევი, როგორი დიდგულა ბაიყუშიც იყო, ისეთივე დარჩენილა, მას რა შეცვლიდა!"

– კეთილი! მოდი, სხვა დროს გავაგრძელოთ ეს საუბარი, სამსახურში მელიან, სხვა ხელმოწერებია კიდევ საჭირო; დროზე უნდა მივიტანო და დაგვიანება უხერხულია, – უთხრა ჯონდომ ბიძინას.

შებრუნდნენ კაბინეტში და იქ ჯონდო ფრიად უსიამოვნო გარემოებამ განაცვიფრა: რატომღაც ბიძინამ თავიდან დაიწყო პროექტის ფურცვლა და ერთ საათში მხოლოდ პროექტის მეათედი შეისწავლა... უფრო სწორედ, ჩაუკირკიტდა – თითოეულ გვერდზე უამრავი შენიშვნა აღნიშნა ფანქრით, თან სინანულს გამოთქვამდა, რომ ტყუილად უმუშავიათ ამდენი, თითქმის ყველაფერი თავიდან იქნება გასაკეთებელიო...

სავალალო და საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა.

"ფუი ეშმაკს!" – დარდობდა ჯონდო, – "რა ჭირად ავიტეხე ფეხბურთზე ლაპარაკი, რომელიო დიდი მცოდნე და გამგები ვარ! არც ბიძინა უქნია ღმერთს, მაგრამ მაინც... ის კი ნაღდად ჩანს, რომ პროექტს ამ ერთ საათში კი არა, ერთ დღეშიც ვერ გაწვდებოდა, სულ თითიდან გამოწოვილი შენიშვნებით რომ დახუნძლა ფურცლები... რა მეცინება, თორემ ერთი საქმეში ჩახედული ვინმე მანახვა, რას გავართობდი!.."

– მოდი, ცოტა შევისვენოთ, – მიმართა ჯონდომ ბიძინას. – დღეს დილით ვერ ვისაუზმე და ბუფეტში ჩავიდეთ...

ბიძინა დაჰყაბულდა.

სოსისები, სალათი და ლიმონათი აიღეს და კუთხეში მყუდროდ მიუჯდნენ მაგიდას.

– შენ ისეთი საინტერესო მოსაზრებები გამოთქვი, ნამდვილად დამაფიქრე, – დაიწყო ჯონდომ. – ამას წინათ რომ ფეხბურთზე ვიყავი, ბიჭმა რაღაცაზე გამაბრაზა და არ წავიყვანე, სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავი ვინმე მყავდეს გვერდით სალაპარაკოდ-მეთქი...

ჯონდოს სულ დაავიწყდა, რომ ბიძინას ცოტა ხნის წინ უთხრა, ფეხბურთს ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ დავესწარი სეზონის გახსნისასო, მაგრამ ეს შეუსაბამობა არც ბიძინას შეუმჩნევია.

– არა, ნამდვილად არ მეგონა, თუ შენ ასე ღრმად ერკვეოდი ფეხბურთის ნიუანსებში... – ისევ თავისას უკრავდა ჯონდო, ცდილობდა, ბიძინა ფეხბურთზე საუბარში ჩაეთრია. – ჰო, ჩემო ბიძინა, ყველას ჰგონია, ფეხბურთში პროფესორი ვარო, ნამდვილად კი თვით ისინიც კი ჯეროვნად ვერ ერკვევიან, ფეხბურთის სპეციალისტები, პროფესიონალები ვართო, რომ ყველას ჭკუას არიგებენ, დიპლომებიც აქვთ, სერტიფიკატებიც, გუნდებთან წლობით მუშაობის გამოცდილებაც... შენ მართალი ხარ – ფეხბურთი უმაღლესი ინტელექტის მქონე ადამიანს თუ გაუხსნის თავის საიდუმლოს, მისი სიღრმეების წვდომა მხოლოდ ერთეულებს ხელეწიფებათ... ბედის დაცინვა არ არის? შენ აქ იჯდე და ვიღაც ვიგინდარა ფეხბურთის საქმეს აფუჭებდეს? შენისთანა კაცი, ვისაც სტრატეგია და ტაქტიკა ასე ღრმად ესმის, ფსიქოლოგიაშიც ღრმად არის ჩახედული და მეცნიერულ საფუძველზე შეუძლია საქმის აწყობა, განსაკუთრებით გამოადგებოდა ჩვენს გუნდს...

ბიძინა გაიბადრა, უნებურად ფართო ღიმილი გადაეშალა სახეზე, ჯონდო კი განაგრძობდა ლაპარაკს, კეთილად ჩასცქეროდა თვალებში; ცდილობდა, რაც შეიძლება გულითადი, დამაჯერებელი ტონი ჰქონოდა მის სიტყვებს. "ახლა რომ ვუთხრა", – ფიქრობდა ჯონდო გულში, – "შენისთანა პროფანი, გავლენიანი ბიძის თუ სიმამრის წყალობით მთავარი სპეციალისტის სავარძელში მოკალათებული, მე სპეციალისტს, შენიშვნებს მაძლევს პროექტის გარშემო, რომელზეც წარმოდგენა არ აქვს – ეს ხომ აბსურდია! ამ საქმისა ბევრი არაფერი გაგეგება და ეს სულაც არ განაღვლებს, აი ფეხბურთი კი... ფეხბურთში ფაქიზი ნიუანსების წვდომით ერთი-ორი თუ შეგედრება – ბრწყინვალედ გესმის ფეხბურთი და ეს უნარი თვით ღმერთმა, განგებამ დაგანათლა! – ასე რომ ვუთხრა, დამიჯერებს და გაუხარდება კიდეც უზომოდ... პირიქით რომ ვუთხრა, ჩვენს დარგში კარგი სპეციალისტი ხარ და ფეხბურთზე ლაპარაკს თავი დაანებე, მაგას შენ ვერასდროს გაიგებო – ეწყინება!"

– მართალი გითხრა, – განაგრძობდა ჯონდო, – მე გული მწყდება, რომ შენი ნიჭი უქმად ცდება. გულახდილად მითხარი, კაბინეტში ჯდომას, არ გირჩევნია ერთი თუნდაც მესამე ლიგის გუნდი ჩაგაბარონ? დარწმუნებული ვარ, რამდენიმე სეზონში უმაღლესო ლიგის წამყვან გუნდად აქცევდი. მერე კი ნაკრებსაც ჩაგაბარებდნენ!

– ეჰ, რაღა დროს! – ამოიოხრა ბიძინამ.

– ბოდიში, რა დრო გასულა! – საათზე დაიხედა ჯონდომ. – პროექტს მივხედოთ, ფეხბურთზე სხვა დროს გავაგრძელოთ, აუცილებლად ერთად დავესწროთ უახლოეს მატჩს, შენთან საუბარი მაინტერესებს...

როცა კაბინეტში დაბრუნდნენ, ბიძინა არც დამჯდარა სკამზე, ისე უთხრა ჯონდოს:

— მომეცი ეგ პროექტი, რა არის აქ გასარკვევი და შესათანხმებელი... მომეცი, მომეცი, ხელი მოგიწერო... შენი წინადადება მომეწონა, ამ დღეებში დამირეკე და ერთად წავიდეთ ფეხბურთზე, მომეწატრა. ხომ იცი! მერე იქიდან ჩემსას მიგიყვან, ისეთი ღვინო მაქვს, საუცხოო, სიმამრმა მომიტანა — სპეცჩამოსხმაა!.. ცოლი ხაჭაპურების შეკვეთას მისცემს, დავსხდეთ და ვიჭუჭუკოთ... ჰო, ბილეთებს მე ვიშოვნი, აგერ ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერე! ვუყუროთ ფეხბურთს და ვისაუბროთ, გაგაცნობ, რა ახალი იდეები მაქვს! ვინმე რომ დამიჯერებდეს...

1984

საფეხბურთო წარმოდგენა

ფრიად საინტერესო შეხვედრაა, ფრიად!.. ფეხბურთის ასეთ მატჩს ყოველდღე ვერ ნახავ, ნამდვილად გეუბნები, — ნაღდი თეატრია, პანტომიმური თეატრი!

აგერ შავმგელიაშვილმა თავური დარტყმით ბურთი ჭედა მარჯვენა "ცხრიანში", ჰო-ჰო, როგორ დაესივნენ თანაგუნდელები!.. რა ხვევნა-პოშტნაში არიან, ასი წლის უნახავი ძმების შეხვედრა გეგონება! რა მოხდა, დიდგორის ბრძოლა ხომ არ მოგიგიათ, ბურთი შეაგდეთ, თქვე ოჯახაშენებულებო, მეტი ხომ არაფერი!

ითამაშეთ, ითამაშეთ, ბიჭებო, თუ თამაში არ იცით? არ გეხერხებათ? მაშინ გამოჰკარით მტერს კოჭებში ფეხი — კვანტი, ბიჭო, კვანტი! აი, ასე! უჰ, რა ელეგანტური ილეთი ვიხილეთ! მოგვერდსაც არა უშავდა — გემრიელად გადააკოტრიალა მოწინააღმდეგე, სუფთა გამარჯვებად ჩაითვლება უეჭველად! ეტყობა, სხვა მრავალი ხერხიც იცით ჭიდაობის არსენალიდან და იმათი გამოყენების ბედნიერებასაც შევესწრებით...

აი ახლა კი მოხდენილი საბალეტო ნომერიც ვიხილეთ! მაღალი მცველი ფეხით თამაშობს, დაბალი თავდამსხმელი — თავით და წარმოიშვა შთამბეჭდავი აკრობატული ეტიუდი, რომელსაც, სამწუხაროდ, უადგილოდ ჩაჩხერილი მსაჯის სასტვენის გალობა ფუშავს...

აჰა, თერთმეტმეტრიანი ჯარიმაც! ყოჩაღ, არის პენალტი!..

ბურთმა მოძებნა ხელი თუ ხელმა — ბურთი, საკითხავი აი ეს არის! შედეგი მაინც პენალტია! რაო, კედელაშვილო, მსაჯი შარზეა, თითიც არ დაგიკარებია ბურთისთვის? ტყუილად დაგაჯარიმეს? რა ლამაზად გცოდნია ხელების გაშლა, რა მოხდენილად, არტისტული გამომსახველობით — ჩანს უებრო ნიჭი! მაყურებლებს საოცარი სრულყოფილებით უჩვენებ შენს გაკვირვებას, რამ დააბრმავა ნეტავ მსაჯიო... მაყურებლებს იმედით შესცქერი, იქნებ იმათმა სტვენა-ყვირილმა გადაათქმევინოს რეგვენ მსაჯსო...

ბურთი კი თერთმეტმეტრიანის წერტილზე დევს უკვე. რა ნატიფად აფურთხებ გვერდზე, იმედგაცრუებული, რა ღრმაზროვნად ჩაშტერებიხარ მიწას, ალბათ ჩაუთქვამ, ნეტა ვერ გაიტანოს ბურთი მოწინააღმდეგემო... დარტყმა!.. არის!.. არის!..

ე, ბიჭებო, ცოტა მოუკელით, არ დაახრჩოთ ერთმანეთი, ამდენი ჩახუტებაც არ შეიძლება! დაზოგეთ ძალები, თამაშს მოახმარეთ ენერგია! ითამაშეთ, ითამაშეთ! დღეს ფაფა არ გიჭამიათ? აუჰ, თითქოს ჩემს თხოვნას ასრულებსო, რა ძლიერად, რა გამეტებით დაარტყა ბურთს იმ დალოცვილმა ბარაბაშვილმა! ახლა შეიძლება, გაშალო გაზეთი და ერთი მოზრდილი სიდიდის წერილი წაიკითხო ჩვენი ფეხბურთის პრობლემებზე, მანამდე ტრიბუნებს გადაცდენილ ბურთსაც მოძებნიან და მოიტანენ...

ამ მსაჯმა რა გააჭირა საქმე?!. ვინ ჰგონია თავი, ბოლოს და ბოლოს! ამდენი მუტრუკი დარბიხართ წინ და უკან უთავბოლოდ და ამ ერთ ვიგინდარას ვერ უნდა მოუაროთ? როგორც იქნა, გამოჩნდა თქვენს შორის ერთი ვაჟკაცი, კამათი და ხელების ქნევა არ აკმარა მსაჯს, ხელიც ჰკრა. მასე, ჰო, ჭირიმე შენი, ტარაბუაძევ, ნუ ეაზიზები, უფრო ღონივრად! აჩვენე, ვისთანაც აქვს საქმე!.. ო, ვიცოდი, რომ ამითაც არ დაკმაყოფილდებოდი! რა მოხდენილად, რა ელეგანტურად ამოჰკარი პანღური მსაჯს! ამ საქმეში ფრიადი შეფასება გეკუთვნის, ხელად ჩანს, ფეხის ხმარება რომ გეხერხება! ნაღდი არტისტი ხარ, სახალხო არტისტი! წითელ ბარათს რომ გიჩვენებენ, სად არის ღმერთი — ნუთუ შეიძლება წამყვანი მსახიობის სცენიდან გაგდება? ასწიე თავი, ცას შეხედე, მეუფეს შესჩივლე უსამართლობა, გაშალე ხელები, კარგად გაშალე, უფრო ფართოდ, ნუ გერიდება... მერე თვალები ტრიბუნებს მიაპყარი — აჩვენე ხალხს, რა განუკითხაობა მეფობს ქვეყანაზე... სადაა სამართალი?.. მსაჯი მოგიწოდებს, დროულად გაეცალო მინდორს და ხელსაც კი გკიდებს? უყურე ამ თავხედს! წაიქეცი, გემრიელად წაიქეცი, ჯერ არ წაქცეულხარ, თუ რა! ახალი სპექტაკლი გაითამაშე, ხომ ხედავ, ხალხი სტვენა-ყიჟინით ესალმება შენი მსახიობური ნიჭის გამობრწყინებას, "გმირო"! იწექი, იწექი, შენი ჭირიმე, გრილ ბალახზე დასვენებას რა ჯობს; თვალნათლიცვწარმოაჩინე, როგორ მიგ-

დის გული უსამართლობისგან... ყოჩაღ! არა, ძმაო, ასე სახალხო არტისტიც ვერ ითამაშებდა! დარწმუნებული ვარ, უკანასკნელად გიხილეთ მინდორზე – თბილისის თეატრები ერთმანეთს შეეცილებიან სამკვდრო-სასიცოცხლოდ – მაინცდამაინც ჩემი სცენა უნდა დაამშვენოს ამ ელვარე ნიჭმაო. იქნებ მაშინ მაინც გვეშველოს და ხალხმა იაროს თეატრში. ფეხბურთის მაყურებელს კი ნუ დასწყდება გული, რამდენადაც შენს გარდა კიდევ მრავალი მოთამაშეა, საშური მსახიობური ნიჭით შემკული. კიდევ მრავალ ბრწყინვალე სპექტაკლს ვიხილავთ, განუმეორებელ წარმოდგენას...

ფეხბურთი სადღა ვიხილოთ?

თქვენც ერთი! ფეხბურთს თეატრი არ სჯობს?!.

ამით ვამთავრებთ რეპორტაჟს საფეხბურთო შეხვედრის, ბოდიში – წარმოდგენის შესახებ, მომავალ შეხვედრამდე!

1989

პენალტი
(მამის მონოლოგი)

ოთხი შვილი მყავს – სამი ბიჭი და გოგო: გიორგი, ნათია, ალექსანდრე და დავითი. უფროს ბიჭს მამაჩემის სახელი დავარქვი, გოგოს – დედაჩემისა, მესამე ბიჭს – ჩემი მეუღლის მამისა და ნაბოლარას კი – დიდი დავით აღმაშენებლის პატივსაცემად. კარგი შვილები მყავს – ნიჭიერები, შრომაც უყვართ. გოგო უკვე გათხოვილია, შვილიცა ჰყავს... ახლა უმცროს ბიჭზე მოგიყვები. დანარჩენ სამს ქვეყანაზე ყველაფერი აინტერესებთ, განსაკუთრებით ჰუმანიტარული მეცნიერებები: საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ლიტერატურა, ხელოვნება... ეტყობა, ჩემგან გადაედოთ. დათო მათ ნიჭით არ ჩამოუვარდება, ჯერჯერობით სულ ფრიადოსანია, – მეხუთე კლასში სწავლობს, – მაგრამ ფეხბურთზეა გაგიჟებული. მივიყვანე გიგიაშვილთან, ცნობილი სპეციალისტია. მეც ახალგაზრდობაში ფეხბურთს ვთამაშობდი და ბევრი ნაცნობ-მეგობარი მყავს ვეტერან ფეხბურთელებში და მწვრთნელებში. მივიყვანე გიგისთან, – ვიცი, რაღაცას ისწავლის მასთან. ეს გიორგი გიგიაშვილი ჩემი ხნის იქნება – 50-ს გადაცილებულია; ძველი ფეხბურთელია, მაგრამ საქართველოში თითქმის არ უთამაშია – სულ რუსეთის საოლქო ქალაქებში, "ბ" კლასის ფეხბურთის გუნდებში; იქ გალოთდა, მაგრამ კარგი ბიჭია, თავისი საქმეც იცის...

გავიგე, – ხომ იცი, არაფერი დაიმალება, – "ჩაწყობილია" საქმე, თბილისის ჭაბუკთა უმცროსი ასაკის გუნდების შეჯიბრში "ელვას" პირველმა გუნდმა უნდა გაიმარჯვოს, გაყიდულია თამაში... ჩემი ბიჭი "ელვას" მეორე გუნდშია. პირველ გუნდშია თავმოყრილი ყველა ძლიერი მოთამაშე, სხვა გუნდებიდან გადმობირებულნი, რად უნდოდათ "ჩაწყობა", არ ვიცი. მეორე გუნდიც არ არის სუსტი, 3-4 მაგარი ბიჭი აქაც არის. უნდოდათ, იმათიც გადაყვანა პირველ გუნდში, მაგრამ მშობლებმა არ ვქენით: დასვამდნენ სათადარიგოთა სკამზე... ეს ცნობილი ხერხია, მთელ მსოფლიოში ასე შვრებიან – იყიდიან მდიდარი კლუბები სხვა კლუბების წამყვან მოთამაშეებს, იქნებ არც სჭირდებათ, მაგრამ კონკურენტებს ხომ დაასუსტებენ... ცხადია, იქ სხვა მასშტაბებია, დიდი ფული ტრიალებს, აქ კი იმის მსგავსი რაღაცა ხდება... მშობლებს გვახარებდნენ, თქვენს შვილებს იქ წავიყვანთ, აქ წამოვიყვანთ, დიდ ტურნირებში ითამაშებენო, მაგრამ, როგორც გითხარი, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ჰოდა, ფინალური მატჩია, ერთმანეთს ხვდებიან "ელვა-I" და "ელვა-II". გიგიაშვილმა დაარიგა ბიჭები, აბა თქვენ იცითო. ვატყობ, ნასვამია, მაგრამ ზომიერად. ყველამ იცის: ვინც გაიმარჯვებს, მერე საერთაშორისო ტურნირში მოუწევს მონაწილეობა, ამიტომ ზედმეტი ჩიჩინი არც იყო საჭირო – ორივე მხარე ლომებივით იბრძოდა.

იმათ ისეთი თავდასხმა ჰყავდათ, ძალიან მაგარი, არც მქონდა იმედი ჩვენების გამარჯვებისა, სამაგიეროდ, II გუნდს ძლიერი დაცვა ჰყავდა, ფეხი არ გაანძრევინა იმათ თავდამსხმელებს. დაცვის ცენტრში ჩემი ბიჭი თამაშობდა; სიმაღლით არ გამოირჩევა, არც ჯანით ბრწყინავს, მაგრამ ძალიან სწრაფია, სიმაღლეში კარგად ხტება; რაც მთავარია, ადგილს ირჩევს დიდებულად, ალღო აქვს. მცველები ძალიან ფრთხილობდნენ, მსაჯს საბაბს არ აძლევდნენ, თერთმეტმეტრიანი დაენიშნა. კი, აშკარად ჩაგრავდა ჩვენს გუნდს, მაგრამ I გუნდმა გოლი ვერა და ვერ გაგვიტანა. მოკლედ, ძირითადი დრო დამთავრდა ანგარიშით 0 : 0, მერე – დამატებითი დროც. გამარჯვებულის გამოსავლინებლად დაინიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერია...

დაარტყა იმათმა – ააცილა. მივარდა მსაჯი, უყვირა: "რატომ დაარტყი სასტვენამდე?" – თავიდან დაარტყმევინა და გაატანინა.

ჩვენმა დაარტყა – გაიტანა. მსაჯი ისევ აყვირდა: "რატომ დაარტყი სასტვენამდე? თავიდან დაარტყი!" ბიჭი განერვიულდა, ააცილა კარს. ჩემს ბიჭს ჩიტის გული აქვს, ვხედავ, ცრემლები მოადგა თვალებზე. ამასობაში იმათ მოთამაშეს ბურთი აუღო მეკარემ. მერე წავიდა ნერვებზე თამაში... ბო-

ლო დარტყმა ჩემს ბიჭს ერგო. ანგარიში საყაიმო იყო, დათოზე იყო დამოკიდებული მატჩის ბედი. მსაჯი მივარდა მასთან, შეაჯანჯღარა, უყვირა: "რას ზოზინობ, დროზე დაარტყი!"

გავარდა მოედანზე მწვრთნელი, გიგიაშვილი, მივიდა დათოსთან, ხელი მოხვია მხრებზე, ჩუმად უთხრა (მერე დათომ მიამბო); "სანამ დაარტყამდე, ათჯერ გაასწორე ბურთი... აბა შენ იცი!"

გაისუსა სტადიონი, მე რა დღეშიც ვიქნებოდი, ადვილი წარმოსადგენია. მატჩის ბედი იმდენად არ მაღელვებს – ჩემი დათო რას იზამს, სულიერი ტრავმა არ მიიღოს...

გამოქანდა, დაარტყა – გაიტანა!

2002

i ndaur i

დიმიტრი ნაფეტვარიძის, ოთარ თურქიას, გიორგი ქავთარაძისა და არკადი ძიგრაშვილის ხსოვნას

არკადი, მიტო და ოთარი (ერთი თაობის ხალხი; სხვათა შორის, მათი წლოვანებათა ჯამი 200 წელზე მეტს შეადგენს და ადვილად იანგარიშებთ, რომ თითოეული 70 წელს "უკაკუნებს") – ეს სამი კაცი, ერთი – თავმოტვლეპილი, მეორე – ღიპით დამშვენებული და მესამე – ასეც და ისეც შემკობილი, შუა ეზოში შეიყარნენ. დგანან, ლაყბობენ და სიგარეტებს აბოლებენ სამთავენი.

– ყულ-ყულ-ყულ! – მოისმა უცებ საიდანღაც ზემოდან.

– გოგიას საახალწლოდ ინდაური უყიდია! – ახედა მესამე სართულის ერთ-ერთ აივანს მიტომ. – რა ეჩქარებოდა, ჯერ ადრეა!

– ორ კვირაში კარგად მოასუქებს და ლილის საცივს გააკეთებინებს! – ტუჩები მოილოკა არკადიმ.

– და ჩვენც დაგვპატიჟებს, ჩვენი ძმაკაცი ტყუილად არის? – დაცინვით ჩაილაპარაკა მიტომ.

– აგერ ნახე, თუ არ დაგვპატიჟებს! – დაიქადნა ოთარმა, – და ახალ წელს კი არა, მაშინ ვის რა ფეხებად უნდა მაგის საცივი, ყველას საკუთარი გვექნება შინ!

– აბა როდის? – თვალები აუციმციმდა არკადის.

– ერთ კვირაში ან უფრო ადრეც! თქვენ ოღონდ მე დამიჯერეთ!

იმავე დღეს ოთარმა სამი საბავშვო სასტვენი იყიდა და მეგობრებს ჩამოურიგა.

გაივლის ოთარი ეზოში, ჩასტვენს – იმავე წამს ინდაური ეხმიანება აივნიდან: "ყულ-ყულ-ყულ!"

ახლა არკადი გაივლის, ჩასტვენს – ინდაური გახარებული გაეპასუხება: "ყულ-ყულ-ყულ!"

მერე ბატონი მიტო "ესაუბრება" ასეთნაირადვე ინდაურს, მერე – ისევ ოთარი...

– კაცო, რა არის, ჩვენი ინდაური რომ გაუთავებლად ყვირის, გამიწყალა გული! – ეუბნება ლილი გოგიას.

– რა ვიცი, მამალი ინდაურია, დედალი რომ ამდენს "ლაპარაკობდეს" არ გამიკვირდებოდა! – ეოხუნჯება ცოლს გოგია.

მეორე დღეს იგივე მეორდება, მესამე დღეს – უარესი.

– მეზობლები რას იტყვიან, შეაწუხა დიდ-პატარა! – ისევ ეუბნება გოგიას ლილი.

– ჩემგან რა გინდა, ინდაურს უთხარი, მე რა ვქნა! – პასუხობს გოგია.

– შენი ნაყიდია და შენ მოუარე!

– რავა, თავზე რეზინის საწოვარა ხომ არ ჩამოვაცვა?

– გინდაც პირი აუკარი!

– ჯერ შენ აგიკრავ პირს!

მეოთხე დღესაც გამოვიდა ეზოში მიტო, ჩაბერა სასტვენს...

ინდაურის საპასუხო "გალობა" არ ისმის...

დაუძახა არკადისა და ოთარს.

ჩაჰბერეს იმათაც – პასუხს ვერ ელირსნენ.

დაეწყვნენ სიმაღლის მიხედვით და მესამე სართულზე ავიდნენ.

დარეკეს.

კარში გოგიამ გამოიჭყიტა.

ოთარმა დამწუხრებული სახე მიიღო:

– ჩემო გოგი, ნამეტანი შევწუხდით, შენი ინდაურის ყულყული აღარ გვატკბობს... რა დაემართა?

– ჯერ გამარჯობა უნდა გეთქვა და მერე ჩემი და ლილის ჯანმრთელობა გეკითხა! – დამოძღვრა გოგიამ.

— შენ ყოველდღე გხედავთ, ბიჭო გოგია, მამამზე, ჰოდა, ინდაური ხმას რატომ არ იღებს, ხომ კარგად ბრძანდება?

— ძალიან კარგად!

— ა?!. — პირები დააღეს მოსულებმა.

— ჰო, ძალიან კარგადაა მოხარშული და საცივიც შესანიშნავი გამოვიდა... შემოდით ახლა დროზე, ბინა გაცივდა!

ოთარი, არკადი და მიტო შელაგდნენ, პირები დახურეს და კარიც მიიხურეს... თუმცა, მათ პირებს მალე მოუწიათ ხშირ-ხშირად გაღებაც და დახურვაც, სადღეგრძელოთა თქმაც და სიცილ-კისკისიც.

პირველი სადღეგრძელო ოჯახის დიასახლისის, ქალბატონ ლილის გახლდათ; განსაკუთრებით აღინიშნა მისი მიღწევები საოჯახო საქმეებში და კერძოდ — კულინარულ ფრონტზე. მეორე სადღეგრძელო ბატონ გოგიას ვერ მიეძღვნა, რადგან თვით იყო თამადა — ინდაურის ხსოვნა აღნიშნეს. ღვთიური გემოს საცივი ამას ნამდვილად იმსახურებდა.

1988

პოლონური კარადა

— შალვოვიჩ! — ამოსძახებენ ხუთსართულიანი სახლის წინ გაჩერებული სატვირთო მანქანის ძარიდან მაღლა თავაღერილნი — ვახო და ვასო.

აივანზე გადმოდგება თითქმის სამოცდაათ წელს მიღწეული გადამდგარი პირველი რანგის კაპიტანი, ამჟამად ერთ-ერთი დაწესებულების სამეურნეო ნაწილის გამგე, სევერიანე დიახსამიშვილი და ზღვის ბებერი მგლის ბუხუნა ხმით ქვევით ჩასძახებს:

— მოიტანეთ?

— მოვიტანეთ, შალვოვიჩ, მოვიტანეთ, ყველაფერი სრულ წესრიგშია! ნაკაწრიც არსად ატყვია!

— გაკაწრავდით და საზღვაო კანონის მიხედვით მიიღებდით საზღაურს! — ბუხუნებს ყოფილი კაპიტანი. — ამოიტანეთ... არა, მოიცადეთ, მოვდივარ!

ხუთ წუთში სევერიანე უკვე მანქანასთან ტრიალებს, ომახიან განკარგულებებს იძლევა, მაგრამ არსებული ძალები ნამდვილად არასაკმარისია დიდგაბარიტიანი პოლონური კარადის გადმოსატვირთად. სევერიანეს ორი თანამშრომლის გარდა, იქვე დგას ჯიბეებში ხელებჩაწყობილი სატვირთო მანქანის შოფერიც, რომელიც დიდი ინტერესით მოელის მოვლენათა შემდგომ განვითარებას.

— მეგობარო, მეოთხე კაცი გვაკლია, მოდი ერთი, ვაჟკაცურად წაგვიკარი ხელი! — მიმართავს მას სევერიანე. — ვალში არ დაგრჩები!

— ე-ე-ეჰ, ჩემო ბატონო, მაგაზე რა ხვეწნა-მუდარა მჭირდება, წელკავი მაწუხებს, თორემ ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ! — ხათრიანი კაცის ღიმილით პასუხობს შოფერი.

— სონია, სონია! — ყვირის უცებ სევერიანე და აივანზე გამოსულ ცოლს რუსულად ასძახებს: — ავრალია, ავრალი!.. სასწრაფოდ გააღვიძე ვალერი, ჩამოირბინოს ქვევით ერთი წუთით, არაფერი უჭირს!

კიდევ ხუთ წუთში აივანზე თვალების სრესით გამოდის სევერიანეს ერთადერთი ვაჟიშვილი, უგემურად იცქირება ქვევით და მალე დანარჩენებს უერთდება. მას უკან მოჰყვება თხუთმეტი წლის ვაჟიშვილი — სევერიანე-უმცროსი.

ათ წუთში კარადა ასფალტზე დგას, მანქანა მიდის. ყოფილი პირველი რანგის კაპიტანი კმაყოფილი იფშვნეტს ხელებს — მისი ენერგიული, მიზანსწრაფული და სწორი სახელმძღვანელო მითითებების შედეგად პირველი ეტაპი — გადმოტვირთვის ოპერაცია — წარმატებით დასრულდა. მაშ როგორ, ათეულ ათასობით წყალწყვის გემებს კაპიტნობდა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებზე ჭიპი აქვს მოჭრილი.

კიდევ ნახევარი საათი და — შეფუთვისგან განთავისუფლებული პოლონური კარადა პრიალებს-კრიალებს მზის სხივებზე, მხიარულ ათინათებს აგზავნის სხვადასხვა მიმართულებით. კაპიტან სევერიანესა და სხვათა მეტ-ნაკლებად გაბადრული სახეები ერთს გამოხატავენ — ყოჩაღ, იციან პოლონელებმა ავეჯის დამზადება!

ახლა მეორე ეტაპია დღის წესრიგში — სონიას და რძლის მიერ საგულდაგულოდ წინასწარ დაგვილი, მოხეხილი და მასტიკაწასმული საძინებელი ოთახის იატაკის კუთხეში ძვირფასი კარადის დადგმა. კაპიტანი სევერიანე რიხიანად გასცემს ბრძანებას:

— წინ სრული სვლით!

ეკიპაჟში შედიან: ვახო, ვასო, ვალერი და სევერიანე უმცროსი. იქვე წრიალებს ქალბატონი სონიაც — ქოთქოთებს, წუხს, შფოთავს, ყოველ წამს აფრთხილებს...

კარადა საზეიმო, ნელი სვლით შეცურდება სადარბაზოში. კარადის ნაოსნობის დასაწყისი უიღბლო გამოდგა – როგორ და ვისი მიზეზით მოხდა, ამაზე აზრთა სხვადასხვაობა იჩენს თავს, მაგრამ ფაქტი კი, როგორც იტყვიან, სახეზეა: რატომღაც კარადა ფარვატერს ასცდა და მარჯვენა წინა წიბოთი ბათქაშის მოზრდილი ნაჭერიც ჩამოაგდო... ქმედება რომ უკუქმედებას იწვევს, ეს ელემენტარული ფიზიკის ყველა სახელმძღვანელოში სწერია და, ცხადია, გამონაკლისი არც ამ შემთხვევაში მომხდარა – კარადასაც შეეტყო კედელთან ახლო ნაცნობობის კვალი. ეს კვალი ამ ინციდენტის ერთადერთი შედეგი არ არის: გაისმის მრავალსართულიანი მატროსული გინება ყოფილი პირველი რანგის კაპიტნისა, რასაც დუეტად აჰყვება წყევლა-კრულვა-წუწუნი ქალბატონ სონიასი...

საქმე კი ადგილიდან არ იძვრის, უფრო სწორედ, კარადაა გაჩერებული, ზუსტად სანახევროდაა შეტანილი სადარბაზოს შესასვლელში.

ყაყანზე გამოიხედავს რამდენიმე ცნობისმოყვარე მეზობლის სიფათი. მათგან კაპიტნის უბერებელი, მახვილი თვალი გამოარჩევს ბაკურს, თითქმის ორმეტრიანი სიმაღლის მშვიდ გოლიათს, რომელიც მაშინვე ჩარიცხულ იქნა ეკიპაჟში. იმავდროულად ნაპირზე ჩამოწერილ იქნა, როგორც უმაქნისი, სევერიანე-უმცროსი და მთელი ინციდენტიც მას დაბრალდა. მისი თავის გამამართლებელი ბურტყუნი არ იქნა არგუმენტირებულად ცნობილი, თუმცა სიმართლის გარკვეული წილი თურმე მის სიტყვებშიც მოიძებნებოდა. ეს ირკვევა მეორე სართულზე მოხვევის ოპერაციის ჩატარების დროს, როცა პირველი რანგის კაპიტნის ბრძანების თანახმად, მარჯვენა ბორტის კომანდა, ანუ ვალერი და ვასო, მოხვევის მანევრს ახორციელებდნენ, ხოლო მარცხენა ბორტისა კი – ვახო და ბაკური – წესით დრეიფში უნდა ყოფილიყვნენ ანუ თითქმის ადგილზე გაჩერებულიყვნენ. რატომღაც კარადამ ცურვის სრული ავტონომიურობა მოისურვა და "ცხვირით" შეანგრია ბატონ ბარდღა ბურდღაძის ბინის ხის კარი.

ამ მართალი ამბავის მოქმედ პირებს კიდევ სამნი ემატებიან – ბატონ ბარდღას ამჟამად შინ მყოფი წევრები. აზრთა ცხოველი ურთიერთგაზიარების და ხელების ენერგიული ქნევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ ჯობდა, ბატონ ბარდღას დროზე დაეყენებინა რკინის კარი. ბატონმა ბარდღამ გული იმით მოიფხანა, რომ არანაკლებ დაზარალდა მეორე მხარეც – კარადა მართკუთხედის მაგივრად პარალელეპიპედს დამსგავსებია. ეს დეფექტი მაშინვე სწორდება, მაგრამ შემდგომი ნაოსნობის კამპანიის დროს კარადა ისე საცოდავად ჭრიჭინებს, როგორც მრავალ ცხოვრებისეულ გრიგალებს გადარჩენილი და ტაიფუნებგამოვლილი ხომალდი. მისი კარები ყოველ წამს იღებიან, – ალბათ კარადას რაღაცის თქმა სურს, ეტყობა, ჩივილი უნდა, – კარადა იჭედება თუ იხერგება. კიდევ კარგი, ბაკურს ხარის ღონე აქვს და თავის წილ სიმძიმეს ცალი ხელით ეზიდება, მეორე ხელით კი ებრძვის კარების გაღებას, – თუ ძმა ხარ, ხომ ხედავ, რა გაჭირვებაც გვადგას, რა დროს დემოკრატიაა, ჩივილი შემდგომი დროისთვის შემოინახეო...

სამაგიეროდ, კარადა მესამე სართულზე იღებს რევანშს მისი სამოქალაქო უფლებების დათრგუნვისთვის – ისეთნაირად მიაჭეჭყავს კედელზე ბაკურს, რომ ნახევარზე მეტ საღებავს ჩამოაფხეკინებს ბეჭებით. არც სხვებს ადგიათ უკეთესი დღე – იქით რომ ბაკური და ვახო კედლებს ხეხავენ ზურგებით, აქეთ – ვასო და ვალერი, მოაჯირს მიმწყდარნი, ლამის წელში წყდებიან... ოთხივეს ოფლის ხვითქი გადასდით, საბერველივით ქშინავენ და უსმენენ ორ წამმართველ ძალას – ზევიდან ქალბატონი სონია ლამის ტირილით მოთქვამს, კარადა არ გამიოხროთო, ქვევიდან კი კაპიტანი ეჭვსბალიანი შტორმივით ბობოქრობს...

ყოფილი პირველი რანგის კაპიტნის გრგვინვა და ჭექა-ქუხილი ამჯერად ვალერის ატყდება თავს – ისიც ნაპირზე ჩამოიწერება, როგორც ყოვლად უჯიშო და უვარგისი. ეკიპაჟის საბრძოლო მწყობრში თვით ზღვის ბებერი მგელი დგება, ოპერაციაც საგრძნობლად ჩქარდება. "მაინა! ვირა! მაინა! ვირა!" – ომახიანად ისმის უკვე მეოთხე სართულზე და ოპერაციის დამაგვირგვინებელი აკორდი სწორედ მაშინ თამაშდება, როცა ქალბატონი სონია უკვე საძინებელი ოთახის კუთხეში დგას და ერთხელ კიდევ თვალით ზომავს, დაეტევა თუ არა ოჯახის ძვირფასი შენაძენი მისთვის განკუთვნილ ადგილზე.

დრამა კულმინაციას პირველი რანგის კაპიტნის ოთხოთახიანი ბინის ჰოლში აღწევს. ეპოპეის გამოსავათებული მონაწილენი შფოთიანი სანაოსნო კამპანიის შემდეგ უკვე მშვიდობიან ნავსაყუდელს უცქერიან ცალი თვალით – სასტუმრო ოთახში სახელდახელოდ გაშლილ სუფრას – და ალბათ ამის გამო ადუნებენ სიფხიზლეს, კარადას შეატრიალებენ და მიაქვთ განიერი მხრით წინ... ვიწრო ჰოლში გაჭედილ კარადას გულდაგულ ეჯაჯგურებიან და, როგორც მოსალოდნელიც იყო, შტორმისწინა გამფრთხილებელ ნიშანს, – კარადის საწყალობელ მოთქმა-ჭრიჭინს, – ყურადღებას არ აქცევენ... ეკიპაჟის შეთანხმებული ძალისხმევა წარმატებით გვირგვინდება – კარადა ერთს კი გაიბრძოლებს, "შ შ" ნიშანსაც იძლევა – უკანასკნელად განწირულად წაიჭრიალებს და ხრიალგრიალით შემადგენელ ნაწილებად იშლება...

დრამის მონაწილენი უფორმოდ დახვავებული კარადის ნაშთთა წინაშე პირდაღებულნი დგანან, გაოგნებულნი შესცქერიან ხან ერთმანეთს, ხან თავიანთ ნამოქმედარს; ყოფილი პირველი რანგის კაპიტნის გინების შტორმული ძალა შვიდ ბალს აღწევს, ქალბატონ სონიას გული უღონდება...

ვახო მაინც პოულობს განტევების ვაცს:

— ესეც შენი ნაქები პოლონური ავეჯი! ჩვენი გეყიდათ, არ ჯობდა?!.

ვასოს საკუთარი თვალსაზრისი აქვს:

— ჩვენი? გზაშივე, მანქანაში გადატანისას დაიშლებოდა!

1989

nanzi Tvi oda

გაბრიელ ჟღენტის ხსოვნას

გურია, მთის თვალწარმტაცი სოფელი, თუნდაც პიპინეთი დავარქვათ.

ოთხმოცდახუთი წლის ალფეზი უზარმაზარი ნაძვის ქვეშ ზის და სუფსის დაბლობს გასცქერის დაჟინებით...

ნეტა რას ხედავს იმ შორეთში დასუსტებული თვალებით? იმ დღეს ხომ არა, როცა სიდონია ითხოვა სამოცზე მეტი წლის წინათ და ეს ნაძვიც ამ მშვენიერ გადასახედ ადგილზე დარგო დიდი მოვლენის აღსანიშნავად... ოჰ, როგორი ჩხუბი აუტეხა მაშინ ახალშერთულმა ცოლმა, — შე ბედოვლათო, ეს უქმი ხის ნერგი რამ ამოგარჩევინა, ვაშლი ან თუნდაც კორკიმელი არ ჯობდაო?!.

ცოტა უცნაური კაცია ალფეზი — ცოლისთვის სიდონია არასდროს დაუძახია. წინათ, — აუჰ, დიდი ხნის წინ! — ალფეზი ცოლს ბათურას უწოდებდა — სიდონია გათხოვებამდე ტანმორჩილი, გემრიელად ჩაპუტკუნებული ქალიშვილი იყო (ახლა მხოლოდ ასე მიმართავს: "ქალო!"); მთელი სოფლის ბიჭებს თვალი მასზე რჩებოდათ... მაჭანკლები ახლომახლო სოფლებიდანაც ბევრი მოსდიოდა. ერთხელ ეკლესიაში სიდონიას თვალში მოუვიდა ერთი ახალგაზრდა მეზობელი სოფლიდან — ობლად გაზრდილი ალფეზი, სიდონიაზე მთელი თავით მაღალი, თმახუჭუჭა, კოხტად ულვაშებგადაწკეპილი... მართალია, სიდონიას ოჯახსაც ქონი არ გადასდიოდა თავზე, მაგრამ სიდონია გაუთხოვრად დარჩენილი ბოლო ქალიშვილი იყო, თან წაბლის სახლი მაინც ედგათ მამაპაპური.

ალფეზსაც მოეწონა სიდონია, რომლის მეტყველმა მზერამ ბევრი რამ უთხრა და გააბედვინა სიდონიას ოჯახში შორეული ნათესავის მიგზავნა გარემოების გასარკვევად. ქალი თანახმა იყო, სასიძო პატიოსანი და შრომისმოყვარე ჩანდა და სიდონიას მშობლებმაც დასტური მისცეს მათ შეუღლებას.

მას შემდეგ ექვს ათეულ წელზე მეტმა გაირბინა, მათი ოთხივე შვილი ქალაქში ცხოვრობს: ერთი — ფოთში, ერთი — ბათუმში, ორიც — თბილისში (კიდევ ერთი ვაჟი ფრონტზე დაეღუპათ 1942 წელს). რა ხანია, შვილთაშვილებსაც მოესწრნენ, ორი მათგანი უკვე სტუდენტია. მოხუცებს უჭირთ იმ დროების გახსენება, როცა ახალგაზრდები იყვნენ და ერთმანეთის სიყვარულში ათენ-აღამებდნენ...

ახლა ალფეზის მელოტი თავი პრიალებს, ჭადარა ულვაშები უფარავენ უკბილო პირს, წელშიც ცოტა მოიხარა, ოღონდ განუყრელი ყალიონი ისევ ისე გაუჩრია პირში, თუმცა იშვიათად აჩაღებს და მაშინაც ერთ-ორ სუსტ ნაფაზს თუ გაეთამაშება, მერე დაფერთხავს ჩიბუხს და ისევ პირის კუთხეში მიუჩენს ადგილს.

სიდონია სიმაღლეში, რა თქმა უნდა, არ მომატებულა, სამაგიეროდ — საკმაოდ გახდა; სახეც გაუხდა და დაუნაოჭდა, ოღონდ ძველებურად გამართული დადის, ცოცხალ, ჩიტის მრგვალ თვალებს კი უწინდებურად მკვირცხლად ათამაშებს-ატარებს აქეთ-იქით — არაფერი გამოეპარება... ყოველი წიწილა აღრიცხული ჰყავს და, ვგონებ, ხეებზე ვაშლი და ხურმაც კი აქვს დათვლილი.

ალფეზი დარდიმანდი კაცია, უყვარს ხალხში ტრიალი, კითხვა-პასუხი, სტუმარ-მასპინძლობა. ხშირად პატიჟებს ხოლმე ხან ვის, ხან ვის, ეგება გული გადავაყოლო მარტოობასო, მაგრამ ცოლის უჟმური ხასიათის გამო მის ოჯახს იშვიათად თუ ვინმე ესტუმრება.

სიდონია სულ კრუსუნებს, შენ დამაავადმყოფე, შენმა უკუღმართობამ მომინელაო; სვამს უამრავ სხვადასხვა წამალს წნევისა და გულისა, ღვიძლისა და სხვა; მისი საუბრის მუდმივი თემაა გულის ფრიალი, თავის ტკივილი, სახსრებში ტეხა და მისთანანი. ქმართან თუ ჯიჯღინებს, გარეშესთან — წუწუნებს... სტუმარს კი დაუხვდება საკადრისად, მაგრამ მეზობელი ქალებიც კი გაურბიან მასთან ხანგრძლივ საუბარს, მისი მოჟამული სახის შემხედვარენი. ალფეზი კი სად წავა, ითმენს; ზოგჯერ უწყდება მოთმინების ძაფი და გაცეცხლდება, უყვირის ცოლს. სიდონია მთელი დღე წყევლის ქმარს, ის საათი დაიწვას, შენ რომ ცოლად გამოგყევიო; ჩემს ნამზითვ ოდაში მოეთრიე, უნიფხვო, ბედოვლათი, ჩიტირეკიაო; დაგაფასეს, კაცად გაქციეს, მაგრამ რად გინდა — რა მუდრეგიც იყავი, უარესი

გახდი – ღორის თავს სუფრაზე დებდნენ, ნაცარში მიგორავდაო, შენზეა ნათქვამიო... ვერაფერს რომ ვერ შეიშნოიებ, ერთი გემრიელი სიტყვა არ გემეტება ჩემთვის, სულ იმას ცდილობ, რომ ჩემი პატივისცემა უამურობით, მწარე სიტყვებით გადამიხადო – უმადურო, უსაქმურო, ბედოვლათოო... ჩემი ნამზითვი ოდა არამი იყოს შენთვისო...

ასე, მთელი დღე მოუღლელად ფაციფუცობს სიდონია, სულ საქმეშია და სულ ბურტყუნებს, ქმარს თათხავს – ჩვევად ექცა. ზოგჯერ ალფეზი შეეპასუხება და მაშინ ხმამაღლა იფხანენ გულს, გარეშე ადამიანებსაც აღარ ერიდებიან.

ერთხელაც ზაფხულის მშვენიერ საღამოს სოფლის ერთ უბანში შავ-ნაცრისფერი ბოლი ავარდა, მერე კვამლი გაიშალა ჰაერში და კარგა დიდ მანძილზე წაიღო ატაცებული ფერფლი, საკმაო ფართობზე მიმოფანტა.

– არიქა, ალფეზისას ხანძარიაო, – დაფეთდა მთელი სოფელი, დიდ-პატარა ვედროებით ხელში კისრისტეხით გარბოდა საშველად. ახლომახლო მეზობლების ჭებზე ატყდა ჯაჭვების ჩხარაჩხური, იდგა აფორიაქებული ხალხის ყვირილი, რასაც ძაღლების ყეფა და საქონლის ბღავილიც ერთვოდა. ყველანი მოარბენინებდნენ წყლით სავსე ვედროებს, აბირბილებულ კედლებს შორიდან ასხამდნენ და ისევ ჭებისკენ გარბოდნენ... ტყუილად კი ირჯებოდნენ – წაბლის ხის ძველთაძველი სახლი ერთ მთლიან, უზარმაზარ კოცონად იყო ქცეული, ახლოს ვერ მიეკარებოდი...

სასოწარკვეთილი სიდონია დამჭკნარ ლოყებს იხოკავდა, გულსაკლავად მოთქვამდა, შიგადაშიგ კივილსაც გაურევდა. ქალები მხარს უბამდნენ, ზოგი ცდილობდა, ნუგეში ეცა, თავს ნუ იკლავ, ამით არაფერს უშველი, მთავარია, რომ თქვენ გადარჩითო...

ერთადერთი ადამიანი, რომელიც აუღელვებლად უყურებდა ამ ორომტრიალს, ალფეზი გახლდათ. ღობესთან იდგა, როგორღაც ძველებურად წელგამართული, ცალ ხელს ნერვიულად მტოკავ თეთრ ულვაშზე ისვამდა, მეორეში ჩამქრალი ჩიბუხი ეკავა და, თითქოს ცეცხლი საკმაოზე მეტიც არ იყო, დროდადრო ხან ვის მიმართავდა, ხან – ვის – "ცეხლი მათხუე"-ო. ერთი ღერი ასანთი მაინც გადაენახა, მთელი კოლოფი რომ ოდას მოახმარა...

ალფეზი კმაყოფილებით უყურებდა ცეცხლის მძვინვარე ენების თარეშს, შიგადაშიგ მწუხარებისგან მოხრილ სიდონიას გადახედავდა და ნიშნის მოგებით იმეორებდა:

– ახლაც იტყვი, ჩემი ნამზითვი ოდაო?! კიდევ იტყვი, ჩემი ნამზითვი ოდაო?!.

1985

არ მითხრა ახლა, საავადმყოფოში მიმყავსო!..

ნადიმ ყურშუბაძეს

მივერეკები ჩემს "შამილას" საათში ოთხმოცდაათი კილომეტრის სიჩქარით – ნაგომარში ვართ, გურიაში. კი არ მეჩქარება მაინცდამაინც, არც ჩემს ძმაკაცებს უკიდიათ ცეცხლი, მაგრამ შენ მიჩვევა თქვი და... ან რას მიაჭენებ, სოფელია, – რა იცი, გზაზე რა გამოგიხტება მოულოდნელად. ჰოდა, ვხედავ, უცებ ჩემს შესახვედრად გოჭი არ მოცუნცრუკობს შუა გზაზე? კუდსაც აქიცინებს სასაცილოდ, ეს დამამახსოვრდა რატომღაც. მარცხნივ გავუხვიე, გოჭიც მარცხენა მხარეს გადმოვიდა, მარჯვნივ მივხარე საჭე – მარჯვნივ გამოიქცა... მოკლედ, ვგლიჯე და გადავუარე...

გავაჩერე, არავინ ჩანს. გადმოვედი, მანქანას ხომ არაფერი დაშავებია-მეთქი, – ნოდარას და ოთარას ვეუბნები, სამნი ვსხედვართ მანქანაში. ოთარამაც გამოაღო კარი, უკან იყურება, მეუბნება, მოდი, ეს გოჭი თან წავიღოთ, შუადღეა და თუ არ მიხედა ვინმემ, გაფუჭდება, ცოდოაო. მაშინვე უკუსვლით მივაგორე მანქანა, გადმოვხტი ფიცხლად და ვტაცე ხელი გაშხლართულ გოჭს უკანა ფეხებში. ავწიე და ამ დროს ხითხითი მესმის... გავიხედე, რას ვხედავ: ფიცრის მესერთან მოხუცი ქირქილებს თეთრ ულვაშებში.

– რას უყურებ, ბიძიკო? – მეკითხება, – შენი ნაცნობი ხომ არ არის?

– არაფერს, ისე... – რა უნდა მეპასუხა.

– არ მითხრა ახლა, საავადმყოფოში მიმყავსო... – გოჭზე მიმითითა. – შემოი, შემოი, მობრძანდი! – ფართოდ გამოაღო ჭიშკარი.

"აი ხათაბალა! რამდენს წამართმევს ნეტავი?" – ვფიქრობ. გადავაყენე მანქანა და გოჭიანად მწვანე კოინდრიან ეზოში შევედი. ბიჭებიც შემომყვნენ სეირის მოლოდინში.

"დეფენე", "დოფინა" თუ რაღაც ამის მაგვარი სახელი დაიძახა მოხუცმა. იმ წამს კაფანდარა, საოცრად ცქვიტი დედაბერი გამოვიდა სამზადიდან, ყველას საგულდაგულოდ ჩამოგვართვა გამხდარი ხელი და დაგვსხა დიდი მსხლის ქვეშ მოწყობილ ბეტონის მრგვალ მაგიდასთან.

არ გასულა ნახევარი საათი და თითქოს წინდაწინ მომზადებულები ელოდნენ სტუმრებსო, მოხუცის მიერ აქნილი გოჭი უკვე იბრაწებოდა; მალე ცხელი ჭადი დაიტეხა, ყველი დაიჭრა, კიტრის

მწნილი ახრაშუნდა ჩვენს კბილებში, მოხუცმა ადესით სავსე ჭიქა ასწია და ჩვენი იქ მისვლა ადღეგრძელა. აღარც ხაჭაპურებმა დაიგვიანა და გახურდა ლხინი...

საჭესთან ვიყავი და სასმელს ვერიდებოდი, ცხადია; მაინც წამძლია სულმა და ორი ჭიქა სურნელოვანი ღვინო წრუპ-წრუპით გამოვცალე. მოხუცებს ვაკვირდებოდი – ასე გახარებული კარგა ხანია არავინ მენახა...

როცა მოხუცების სადღეგრძელო დავლიეთ, ჩვენმა მასპინძელმა საკმაოდ გრძელი სამადლობელი სიტყვა თქვა. საერთოდ, ენაწყლიანი მოსაუბრე ჩანდა. მეო, შვილებოო, ორი მუტრუკი მყავსო, ორი ვაჟიო, ერთიც ქალი მომცა ღმერთმაო, მარა რად გინდა – ქალიშვილი გათხოვდა, ოზურგეთში ცხოვრობს, ბიჭები კიდე ორივე თბილისშია სამსახურშიო; წელიწადი ისე გავა, ერთხელ არ მოგვაკითხავენო... ისევ სიძე-ბატონი თუ მოგვინახულებს, შვილიშვილებსაც გვანახვებს; თუ რაცხა საქმეა, ქე გაანძრევს პაწა ხელს – სიმინდის მოტეხვაო, ყურძნის მოკრეფაო... ნახევარს დაგვიტიებს, ნახევარი – თითონ მიაქ, ღმერთმა შეარგოს, ორი ტანკივით ბიჭი ჰყავსო... მეტი არ გეიჩინა ქალიშვილმა; ვეხვეწებით, ერთი მაინც დაგვიტიეთ, სულ გამოვყრუვდით, ბიძიებო, ამ გზაზე ყურებით თვალები დაგვეფსოო...

კინაღამ იტირა მოხუცმა, დედაბერიც თავს აკანტურებს დასტურად – მუჭის ტოლაა, შეგეცოდება, ისეა დალეული.

დამშვიდობებისას მოხუცი გვეუბნება: სტუმრებს ძალიან მონატრებული ვართ, შვილებოო, თუ აქეთ მოგიწიოთ კიდევ მგზავრობა, კიდევ გეიტანეთ ეგ ღორისშვილები, ღვთის მადლით ბევრი გვყავსო!..

მეც დავპირდი, აუცილებლად გავიტან-მეთქი, აგერ ნახავ, თუ ეგ საგმირო საქმე კიდევ არ ვქნა, ერთი-ორი კვირის ვადა მომეცი-მეთქი... ახლა იქ მივდივარ საგანგებოდ, წამოსვლისას რომ რამე-რუმეთი სავსე კალათა ჩაგვიდგეს მანქანაში, იმით მეც მინდა რაღაც მაინც წავუღო და მირჩიე, თუ კაცი ხარ, რა აჯობებს?..

1983

ღვინის ტრფიალი

ზეზვას არ იცნობ? კაცო, იმ სიგრძეა, შინ საწოლზე ვერ ეტევა, გარეთა სძინავს აივანზე, მაშა! ფეხები მეზობლის ეზოში აქვ გაშვერილი, თითო ფეხის თითებზე კიდენა ხუთ-ხუთი ინდაური უზის ხოლმე დაბუდებული...

ამას წინათ მეკითხება: "დღეს რა დღეა?.. ხუთშაბათი?.. მართლა? ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი... ჰო... მეოთხე დღეა, არ დამილევია. ეს როგო დამემართა, კაცო, აფსუს, როგო შევცდი, რა დრო დავკარგე ტყუილადა!.. არ მოგწყურდა? მე იგეთი ღვინო ვიცი, იტყვი, ნეტა პირი ჩემი იყოს და მუცელი კიდენა სხვისაო. წამო, კოკისპირულად ვსვათ!". მე ვეუბნები: "აღარ გვეყოფა? იმ დღეს არ იყო, რომა გავტიალდით უბედურადა, სარეცხივით თოკზე გასაშრობი გავხდით?". " არაო, – არ მეშვება, – ხანდახან უნდა დავლიოთ, კაცოო, თორემა ფუჩეჩივით გამოვშრებითო". "ყოველდღე ღვინის სმა – მტრისას, – ვეუბნები, – ღვინო შენ უნდა დალიო, ღვინომ შენ კი არ უნდა დაგლიოს-მეთქი...". ვერ შეევასმინე!

ამომიღლიავა, როგორც რო დედაკაცმა საბაზრე მამალი, წამაჩანჩალა მარანშია, თავისისა კი არა, მეურნეობისა, კაცო! რო მივუჩოჩდით ერთ პატარა კასრსა, როგორც რო გოჭები დედა ღორსა, ჰო, კასრუკასა რაღა, ესე – ხუთჩაფიანი იქნებოდა, ოთხნი – კიდევა დიდცხვირა სანდრუა და გიგა მეღვინეცა... ჰო, მემრე ერთი კიდევ შამოგვესწრო – ოთარა-შოფერი, ცხვირი რო სდექ-ნიშანს უგავ და გადმოაბრძანეს კიდეცა საჭიდანა და ახლა ფეხით დაბრძანდება... რო შავუბერეთ ძველებურადა, ჩვენებურადა!.. ვინ დაჯდა თამადათა? ამას ხო კითხვაც არ უნდა – ზეზვაი, კაცო, ზეზვაი! იგრე იჯდა ჩვენ შორისა, როგორც რო აქლემი გაერევა ცხვრის ფარაშია!.. თითო სადღეგრძელოსა ლიტრიანი შუშის ქილით ამბობდა, მემრე რო გადაუშვებდა ხახაშია, სამ-ოთხ ყლუპში გამოცლიდა, კაცო!.. ჩვენ ნახევარლიტრიანები გვედგა, კარდენახულადაც ვისხამდით, მაინც ყველას კინწი მოგვწყდა, ზეზვა კიდენა იყო ჩიტივითა, სუ ჭიკჭიკებდა. იმდენ ლაპარაკობდა, კაცო, იმან უფრორე დაგვაღონა; იგრე როხროხებდა, რო მარნის სახურავ კრამიტი არ შარჩა... ათი ცხელ-ცხელი ლავაში გავაქრეთ, ერთი თავი ყველიცა – დიდი, განა პატარა; ასი ხინკალი მავატანინეთ სასაუზმიდანა, კიდევ ასიცა – მეორეჯერა... დანარჩენი რა იყო, აღარც მახსომს: კიტრი, პამიდორი, მწვანილი, მწვანე ხახვი... რა ვი, იმათი პატრონი დედაცა!..

ჰო... დაღამდა და ჩვენ კიდენა იქ ვისხედით. მე, მართალი გითხრა, სუფრის თავი სადღა მქონდა, წავიხარე გვერდზედა, მემრე ნელ-ნელა წავუწექი... წავუძინე კიდეცა... დასაცინი გავხდი ალბათა. გავახილე თვალები – ღამეა, კაცო! ელექტრონის ხუთასსანთლიანი ნათურა ჩახჩახებს და ე პატრონ-

ძაღლი ზეზვაი კიდენა ზის ისევ ისე გაყინჩული ხონთქარივითა და გრძელ სადღეგრძელოს ამბობს ლიტრიანი ქილითა! გვერდზე სხვა ვიღაცეები უსხედან; ძველები სადღა არიან, ვერ გეტყვი – იქნება გაპარულან, იქნება თავისიანთა მაიკითხეს და წაიღეს კიდეცა ლეშივითა. მე აბა, ჩემი ქალი რას მამაკითხავს, თელავშია წასული თავის დასთანა...

"მოდი, დაჯექ, დაგვიმშვენე მხარიო", – მეძახის ზეზვაი, არ ვიცი, დამცინის, არ ვიცი, მართალ ამბობს, თან გალიცლიცებულ ნახევარლიტრიან მაწვდის. გიჟი ვარ, მაგას ეხლა რა დამალეინებს, თავი ფუთიანი რკინა მგონია, შიგნით – ხან სუ ცარიელია, ხან – ტყვიით სავსე... "ერთ წამ გარეთ გავალ-მეთქი", – კარებ გამოვცდი და – მოვკურცხლე კურდღელივითა!..

დილით გვიან გამეღვიძა, ზეზვა ერთი მეზობლის იქით თავის სახლში ხვრინავს, ხვრინავს, რო მთელი ქარხანა გეგონება. მაგარია ზეზვაი, რათ გინდა ლაპარაკი!.. გამაიღვიძა და ცალ ხელ ვერ იმორჩილებს, ფეხზეც ვერა დგება... წნევამ დაარტყა! სახეც მოღრეჯია უბედურათა...

ახლა რა დღეშია, არ იტყვი? ეს ერთი თვე სრულდება, წვეთი აღარ დაულევია. ღვინოს ვამბობ, თორემა წყალი რა კაცის სასმელია. სახე ნელინელ უსწორდება, ცალი ხელი და ფეხიცა ისევ ისეა – ძლივ აწევს საწყალი. ცოლი სუ წყევლის: "ადრე მთვრალი იყავ ჩემი სათრევი, ახლა – ფხიზელიცაო. მიდი, ერთხელაც კარგა გამოიბრუჟევი კიდევა, იქნება შენც დაისვენო და ჩვენც დაგვასვენოო". ბიჭები, – ორნი, მოზვრებივით მუტრუკები დაიზარდნენ, მაგრამა მამასთან მაინც ვერ მოვლენ, – ეჩხუბებიან დედასა: "ნუ იწყევლები, ქალო, ღმერთი არა გწამსო?" გამაიყვანენ აივანზე მამასა, დასვამენ ტახტზე; ზეზვაი ცალი დაჭყეტილი თვალით შასცქერის უკვე თითქმის მწიფე ყურძნით დახუნძლულ თალარსა და ოხრავს ჩუმადა... ძმაკაცები აღარ აკითხავენ, მე თუ გადავალ ათასში ერთხელა, გადავუტან ჩვენს ადრეულა უწიპწო ყურძენსა...

1996

იზაბელას მაჭარი

დეიდაშვილის – გიორგი კალანდაძის – ხსოვნას

ამკიდეს, აბა რა, სხვა სიტყვა როგორ ვიხმარო – არ შემიძლია, ჭაჭები მტკივა, ამ ოცლიტრიან ბოცას რა ათრევს-მეთქი, მაგრამ გაგიგონია?!. ვინ შემიწყალა, ვინ მათხოვა ყური!

– კაცო, უცნაური ვიღაცა ხარ! შენ რა გინდა, აგერ ოზურგეთის სადგურამდე გოგია მიგიტანს მანქანით, ჩემი ხელით ჩაგიდგამ კუპეში, თბილისში კიდევ ტაქსი გამოილია თუ რა? ადესის მაჭარს თბილისში სხვას იშონი თუ? თუ კაცი ხარ, ჩემი ტიკი რომ არის შენთან, არ დამიკარგო, ამ ბოცასთან ერთად დამიბრუნე! – ასე მმოძღვრავდა ჩემი დეიდაშვილი ჟორა, მერე ვაჟიშვილს გოგიას გასძახა: – კვაჭიჭეს და ჭადის ფქვილის ჩადება არ დაგავიწყდეს!

რას იზამ, უნდა ასწიო ხელები...

ოპერაციის პირველი ეტაპი – ჩემი ბარგი-ბარხანიანად მატარებლის ვაგონში მოთავსება – წარმატებით ჩატარდა. ქვეყანა ხალხი მოდიოდა თბილისში, უამრავი რაღაც-რაღაცეები მოჰქონდათ და ჩემს კუპეშიც ცოტა კი გამიჭირდა ყველაფრის მოთავსება.

როგორც იქნა, მატარებელი დაიძრა.

ჟორას და გოგიას ხელი დავუქნიე და კუპეში შევძვერი. დიახ, შევძვერი, ისე იყო გადატვირთული ჩემოდნებით, ფუთებით, კალათებით; საპატიო ადგილზე, ფანჯარასთან მიდგმული ჩემი ოცლიტრიანი ბოცა ირეკლავდა მბჟუტავი ელექტრონათურის შუქს. მგზავრები ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ და, რაღა თქმა უნდა, ხუმრობათა მთავარ თემას მაჭრით სავსე ბოცა წარმოადგენდა. მალე, ბარგის ქაჩვისგან დაღლილს, ვაგონის რწევასა და ჭრიალში ტკბილად ჩამეძინა. სიზმარსაც ტკბილს ვხედავდი – ვითომ გაწყობილ სუფრასთან ვიჯექი მეზობლებთან ერთად და შამპანურის ბოთლს ვხსნიდი...

... შუა ძილში რომ ვიყავი, უცებ იბუთქა რაღაცამ და კუპეში მყოფნი გულგახეთქილნი წამოგვახტუნა. კუპე იზაბელას მაჭრის მძაფრმა სურნელმა გაავსო.

– რა ხმა ჰქონდა მაგ მამაძაღლს! – თქვა შუახნის ღიპიანმა მოქალაქემ, რომელიც ბოცის საცობის ძებნაში მეხმარებოდა. – ხმაზე უკეთესი მაგას გემო ექნება. რაღამც თვითონ გაგვაღვიძა, თითო ჭიქა რომ გაგვესინჯა, არ გვიწყენდა ღმერთი!

– ვიცი ქართველების ამბავი! – ავიცილე მაცდური წინადადება. – იმ ერთ ჭიქას მერე დაწყვილება მოუხდებაო, მერე – ღმერთს სამობით უყვარსო, მერე – ოთხი სახარება შეგვეწიოსო...

ბოცისთვის საცობი მაგრად აღარ გამიკეთებია, გაზს მაინც ვერ დაამაგრებდა – ღრიჭოდ დავტოვე და მაჭრის ალერსიან დუდღუნ-დუღილში ისევ დავიძინე.

დილით ყველამ ისევ ბოცას დაადგა თვალი, ვაგონის გამყოლი ქალიც კი წამდაუწუმ იჭყიტებოდა ჩვენს კუპეში და ერთსა და იმავეს კითხულობდა რუსულად:

— ჯერ არ დაგიწყიათ?

ძლივს მოვიცილე — გამომატანეს, ჩემი არ არის, თორემ ვინ ოხერი დაგიჭერდათ ერთ-ორ ჭიქასმეთქი...

ჩემმა ბოცამ საოცარი ნიჭი გამოამჟღავნა — ვინც კი შეხედა, ყველა ხუმრობის გუნებაზე დააყენა. მებარგულმა მუშამ შემომთავაზა მისი შრომის ნატურით ანაზღაურება — რამდენიმე ჭიქა მაჭრისა საკმარისი იქნებაო.

ტაქსის შოფერმა შინ მისვლისას თავისი ხელით გადმომიღო ბოცა და როცა ლიფტის წინ დადგა იატაკზე, ალერსიანად მოუთათუნა-მოუტყაპუნა ხელისგული:

— ვატყობ, ამ მაჭარს გურული ხასიათი ექნება!

ლიფტი, მოგეხსენებათ, როცა ყველაზე უფრო გიჭირს, მაშინ არ მუშაობს. მეათე სართულზე ბოცა ჩემმა მეზობელმა გოგიტამ ციმციმ აიტანა, თან სულ ღიღინებდა:

"ჩემო ტკბილო მეგობარო,
 შენი ნახვა მენატრება..."

იმავ საღამოს, მოგეხსენებათ, აივსო ჩემი ბინა მამაკაცთა ხორხოცით, მოხარშული ჭყინტი სიმინდისა და ნედლი ნიგვზის სურნელით...

მაჭრიანი ბოცა მორცხვად მიმდგარიყო კუთხეში და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა საყოველთაო ყურადღების შუაგულში მოექცეოდა.

ეს წუთიც მალე დადგა.

როცა გაწყობილ სუფრას სტუმარ-მასპინძლები ხელების კმაყოფილი ფშვნეტით გარს შემოერტყნენ ანუ საბრძოლო ველს ალყა შემოარტყეს და გამოჩოჩებული სკამების ხრიგინი ატყდა, რაღაც ჭახანის ხმას ვინ მიაქცევდა ყურადღებას.

— აუჰ! — შემოირტყა შუბლზე ხელისგული ჩემმა მეზობელმა გუჯა ჯუჯაძემ (მეცხრე სართულზე ცხოვრობს — ზუსტად ჩემს ქვევით), — ეს რა დამემართა!

გატეხილი ბოციდან მდინარესავით იხუვლა ძველმა მაჭარმა თუ ახალგაზრდა ღვინომ (ახლა ამის გარკვევა უკვე შეუძლებელი გახდა), ახლო მყოფთ ლამის კოჭებამდე უწია, მოშორებით მყოფნი გაქცევით ლამობდნენ თავის შველას...

აქ რომ ასეთი წიაუა იყო, კარზე გამწარებული ბრახუნი და გაბმული ზარის წკრიალი ეხმატკბილებოდა ერთმანეთს.

ჩემმა ცოლმა ტილოებით კატასტროფის ლიკვიდაციის სამუშაოებს თავი ანება და კარის საკეტს გასწია. გასწია და ბიძგით გაღებულ კარში შემოიჭრა სახეშეშლილი გუჯა ჯუჯაძის ცოლი ვასასი და კივილი მორთო:

— თქვენ დაგექცათ კერია, ეს რა მიყავით, რა საშინელება ჩამოუშვით ახალგარემონტებულ ბინაში!

წავხდი კაცი, გუჯასკენ გახედვისა შემეშინდა.

— ჩაიგდე ენა მუცელში, შე ასპიტო, თორემ მე ვიცი შენი ამბავი! — იქუხა უცებ გუჯამ.

ყველამ დავაჭყიტეთ თვალები — გუჯასგან აქამდე ხმამაღალი ლაპარაკიც კი არავის გაგვიგონია. ეტყობა, იზაბელას მაჭრის სურნელმა მაინც თავისი ქნა.

ცხადია, ამ ამბავს გაგრძელებაც ჰქონდა, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, ის სხვა დროს გავიხსენოთ.

1985

ავწიოთ ყანწი!

მოგეხსენებათ, ივლის-აგვისტოში ყველა მსურველი ვერ მოხვდება სანატორიუმ-პანსიონატებსა თუ დასასვენებელ სახლებში და საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულია, კერძო ბინები იქირავოს, თვით აკეთოს კერძები, ზოგჯერ — დღეში რამდენჯერმე. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ ადამიანს ჭამა-სმა ყოველდღე სჭირდება და ისიც, სასურველია, 3-4-ჯერ მაინც. ესე იგი, გვაქვს მარტივი აღწარმოების პროცესი. პოლიტიკური ეკონომიის ელემენტარულ სახელმძღვანელოშიც შეგიძლიათ გაეცნოთ, რომ ამგვარი აღწარმოება შეიძლება გამოვხატოთ მარტივი ფორმულით (არ შეშინდეთ, ამის მეტს ფორმულით აღარ შეგაწუხებთ):

$$\text{ფ} - \text{ს} \quad \frac{\text{მ ძ}}{\text{წ ს}}, \quad \text{სადაც იგულისხმება:}$$

ფ — ფული,
ს — საქონელი,

მ ძ – მუშა ძალა,

წს – წარმოების საშუალებები.

მდაბიური ენით რომ ვთქვათ, ფულით შეგვიძლია შევქმნათ საქონელი, ამისთვის კი საჭიროა მუშა ძალა და წარმოების საშუალებანი.

ჩვენი ამბის შემთხვევაში მარტივი აღწარმოების შემადგენელი კომპონენტები შემდეგია:

1) ფული – ჩემი ხელფასიდან არაფერი გვრჩება ზაფხულისთვის გადასანახად და ამიტომ მეუღლე თავის სამსახურში თამაშობს 400-მანეთიან ლატარიას.

2) საქონელი – ანუ ყოველდღიურად წარმოებული პროდუქცია – ჩემი ოთხსულიანი ოჯახისთვის საარსებოდ საჭირო საუზმე, სადილი და ვახშამი, რასაც მოხმარდებოდა ნედლეული – ჩემი საკუთარი ზურგით ბაკურიანში სიმწრით აზიდული ეგრეთწოდებული "პროდუქტები" (წინათ რომ სურსათად მოიხსენიებოდნენ), ნაწილობრივ კი – ადგილობრივ ნაყიდი.

3) მუშა ძალა – ძირითადად ჩემი მეუღლე, საკმაოდ კვალიფიციური საოჯახო მზარეული, რომელსაც შიგადაშიგ ვეხმარები მე და აქტიურად ებლანდებიან ფეხებში ჩვენი ლომები – რვა წლის ბატონი ბესარიონი, ანუ ბესიკი, ანუ ბესო (სახელის ფორმა იცვლება გარემოების მიხედვით) და მასზე ერთი წლით და ორი თვით უმცროსი ბატონი დავითი, ანუ დათო, ანუ დათუნა, ანუ დათუჩა, ანუ დათიკო, ანუ დათა, ანუ დათია, ანუ... კიდევ არის სხვაც, ახლა არ მახსენდება.

4) წარმოების საშუალებები – საჭმლის მოსამზადებელი იარაღები: ხორცის საკეპი მანქანა, დანები, ტაფა, ქვაბები, თეფშები, კოვზები და მისთანანი.

ამ ბოლო საკითხში, როგორც ბაკურიანში მისვლისას გაირკვა, მარტივი აღწარმოების პროცესში სუსტი რგოლი აღმოჩნდა – ადგილობრივ მაღაზიებში ჭურჭელი გასაყიდად არ იყო: არც – ტაფები, არც – ალუმინის ქვაბები, არც – ჩაიდნები... წინა წლებში ჭურჭელს ბაკურიანში ვიძენდით ხოლმე, რადგან ყოველთვის ბევრი ბარგი გვქონდა და ამით ცოტა ვიადვილებდით მგზავრობას.

შეიქმნა კრიზისული სიტუაცია, რის დასაძლევადაც საოჯახო საბჭომ საჩქაროდ მიმავლინა ბორჯომ-ქალაქში.

პირველსავე მაღაზიაში საოჯახო საქონლის განყოფილებაში დახლზე დადებული მოზრდილი, გაბანჯგლული ბურთი მომხვდა თვალში. ჯერ არაფერი მეკითხა და ამ თავმა-ბურთმა მოგუდული მძლავრი ბანით უკვე დაიბუხუნა:

– არ არის!

შემდეგ ბურთი შეინძრა, დახლს მოსცილდა და ნამძინარევმა თვალებმა უაზროდ შემომხედეს. უზარმაზარ ხელში ერთი ბეწო ბუზების სახოცი ეპყრა, რომელმაც უცებ საშინელი ტყაპანი მოადინა დახლზე – ალბათ წარმოთქმული სიტყვების დასტურად ან, შესაძლოა, ბუზების დასაფრთხობადაც; ბუზები ბლომად ირეოდნენ გარშემო და, მართალი მოგახსენოთ, მათზე უფრო მე შევშინდი.

შემდეგ თავი – გაბანჯგლული ბურთი – ისევ დაეშვა დახლზე; მის უკან ყაფაზებზე-თაროებზე მართლაც არაფერი იწყო, გარდა ადამისდროინდელი მახინჯი დოქებისა და ულაზათო სურებისა,- რომლებზეც ოქროსფრად ეწერა: " ჰბდტნ ბპ <ჯჰ;ჯვბ!" – მაგრად მოწყურებულიც კი ალბათ უარს იტყოდა, დაელია ამ "ხელოვნების ნიმუშებიდან".

რაღა მექნა, მეორე მაღაზიას მივაშურე. იქ გამყიდველი საერთოდ წასულიყო, ალბათ მობეზრდა ბუზების თვლა, უფრო კი – ბუზებს გაექცა. სათავსოში შესვლა ვერც მოვასწარი ხეირიანად, რომ გახარებულმა ბუზებმა წამსვე იპოვეს სამოქმედო ასპარეზი: მაინცდამაინც ჩემს მელოტზე მოუნდათ დოღის გამართვა თუ კრივში შეჯიბრი. ამ საკითხის დაზუსტებას აღარ ვცდილვარ, საჩქაროდ გამოვვარდი გარეთ. იმის დანახვა კი მაინც მოვასწარი, რომ მაღაზიაში ტევა არ იყო დოქებისა და სურებისგან.

მესამე მაღაზიას მივაკვლიე – ნაირნაირი ჭურჭლით იყო გამოტენილი, ოღონდ ყველაფერი ბროლის იყო: სხვადასხვა ფორმის საყვავილეები, ლარნაკები, საფერფლეები, ხილის ლანგრები – ზოგი მრგვალი, ზოგი წაგრძელებული, ამოირჩიე, რაც სულს გაახალისებს და გულს გაუხარდება! უსაშველოდ ძვირი ამ ვითომ-ბროლის ესთეტიკური სახე და ტექნიკური შესრულების დონე უკუპროპორციული იყო მათი ფასისა...

როგორც იქნა! მეხუთე თუ მეექვსე მაღაზიაში გული სიამით ამიჩქროლდა – კუთხეში გორა-გორად ეწყო ემალის ქვაბები! მართალია, მათ გვერდებს უმშვენებდა ჭყეტელა მოხატულობა, იმდენად მახინჯი, რომ ვერც კი გავარჩიე, პეპლები ეხატა თუ ყვავილები. ჩვეულებრივ, მოუხატავ ქვაბებთან შედარებით ის უპირატესობა აქვთ, რომ მნიშვნელოვნად ძვირი ფასი ადევთ, მაგრამ ამას დავეძებ?

– ესენი, ბატონო, დაზიანებულებია; რამდენიმე თვეა აქ ასე ყრია, ყველა ამოტეხილია! – ცივი წყალი გადაასხა ჩემს ოცნებას გამყიდველმა გოგონამ.

სხვა გზა არ იყო – ავტობუსში ჩავჯექი, იქნებ ხაშურში გამიღიმოს ბედმა.

ერთ მაღაზიაში შევედი – მოკლე-მოკლე რქის ყანწებითაა სავსე თაროები. ვითომ მთელ ხაშურში ამდენი – მსმელს არ ვამბობ – საერთოდ მამაკაცი იქნება? თუ ტურისტებზე და გამვლელ-გამომვლელზეც არის გაანგარიშებული?

მეორე მაღაზია – აქაც ყანწების ასტრონომიული რაოდენობა, მართალია, ცოტა უფრო მოზრდილი ზომისა... სხვა ჭურჭელი არ არის.

მესამე მაღაზიაში თაროები იზნიქება ისევ და ისევ ყანწებისგან... ოღონდ – "ბროლისა"! მოფიქრება არ გინდა? "ბროლის" ყანწები! ეტყობა, აქაურები ჩაისაც ყანწებით სვამენ!.. და სადილ-ვახშმის მომზადებისას ყანწებით გადიან იოლას... ერთი რამ კი ვერ გამიგია – ტოლმა, დავუშვათ, შეიძლება წვრილ-წვრილი გააკეთო, დიდ და თუნდაც საშუალო ყანწში ჩაატიო, მაგრამ ერბო-კვერცხი როგორღა უნდა მოწვა? თუ ყანწში თოხლოდ კვერცხის მოხარშვით უნდა დაკმაყოფილდე?

ეტყობა, მრავალ ქალაქში (სოფლებს ჯერჯერობით ვერ გაწვდებიან) მოკლე ხანში ცირკის ილუზიონისტთა კურსები გაიხსნება. საგანგებო წვრთნის გარეშე ალბათ ძნელი იქნება სურებსა და დოქებში შეჭამანდების მომზადება, ბროლის საფერფლეებსა და ლარნაკებში კატლეტის ან კარტოფილის შეწვა... უნდა მოველოდეთ ჭურჭლის ახალი, ფრიად ორიგინალური მოდელების გამოშვებასაც: ფართოყელიანი ყანწებისა – ხაჭაპურების გამოსაცხობად, სახურავიანი ბროლის ლანგრებისა – ლობიოს მოსახარშად... ასე რომ, პერსპექტივებს არ უჩანს ცუდი პირი. უცხოეთშიც გავიტანთ, ვალუტას დავახვავებთ!

ხელცარიელი ხომ არ გამოვბრუნდებოდი, ოთხი ყანწი ვიყიდე; ორი დიდი – ჩემთვის და მეუღლისთვის, ორიც მომცრო – ბავშვებისთვის. ჯერჯერობით, ილუზიონისტთა კურსების გავლამდე, ყანწები ადრინდელი დანიშნულებით გამოვიყენეთ – შევავსეთ კახურით (დიდებმა) და ლიმონათით (პატარებმა) და გულით ვადღეგრძელეთ ის დიდად ენერგიული, მზრუნველი, გამჭრიახი ხელმძღვანელნი (საწარმოთა, დაგეგმვის ორგანოთა, ვაჭრობის უწყების, მხატვარ-დამპროექტებელთა), რომელთა დაუღალავი მეცადინეობით მალე ტექნიკური საოცრების მოწმენი გავხდებით – ჩვეულებრივი, ლითონის თუ მომინანქრებული ტაფებისა და ქვაბებიდან, გადავახტებით რა მაღალი სიხშირის დენების ჭურჭელს, გადავალთ პირდაპირ საცირკო მანიპულაციების ხელოვნების მასობრივ ათვისებაზე!

1984

მოვიწიოთ კიტრის უხვი მოსავალი!

ქალაქ ვერმიშველეთის ფრანც კაფკას სახელობის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში თანამშრომელთა საგანგებო საერთო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ქალაქის საბჭოს კულტურის განყოფილების გამგემ ბატონმა კალე კაიგამგონაშვილმა.

– ამხანაგებო! მოგეხსენებათ, საყოველთაო გარდაქმნამ და განახლებამ მოიცვა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფერო. რაღა თქმა უნდა, საბიბლიოთეკო დარგის მუშაკებიც განზე ვერ დარჩებიან და ამ რევოლუციურ პროცესს აქტიურად დაუჭერენ მხარს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი საშუალებაა საწარმოთა და ორგანიზაციათა თვითდაფინანსებაზე გადასვლა. აქედან გამომდინარე, თქვენს მოწინავე კოლექტივს დიდი ნდობა გამოუცხადეს და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით თქვენს ბიბლიოთეკას დაუგეგმეს წლიურად 2,5 ტონა კიტრისა და 1,5 ტონა პომიდორის დამზადება-ჩაბარება...

კალე შეჩერდა, დარბაზის გამოძახილს დააკვირდა. ბიბლიოთეკის თანამშრომლები გასუსულნი ისხდნენ. კალემ ხმაურით მოიხოცა ცხვირი ცხვირსახოცით, რომელზედაც დიდი წითელი ასოებით მხატვრულად ეწერა: "დიდება შრომას!" და გახალისებულმა განაგრძო:

– ეჭვი არ არის, ჩვენი, ესე იგი თქვენი, კოლექტივი ერთსულოვნად, არნახული აღფრთოვანებით შეეგებება პარტიისა და მთავრობის ახალ დიდ ზრუნვას მშრომელ ხალხზე. დღეს კი იმისთვის შეიკრიბეთ, რომ ახალი ინიციატივის საპასუხოდ ვიკისროთ გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები ბედნიერი მომავლის მშენებელი მშობლიური ქვეყნის კეთილდღეობისა და ეკონომიკური ძლიერების განუხრელი ზრდისთვის. ეს პატარა ამბავი არ გეგონოთ, ამხანაგებო, ეს დიდი პატივია...

– ნამეტანი, ნამეტანი! – იყვირა ვიღაცამ დარბაზიდან, – დიდი პატივით დიდ მოსავალსაც მივიღებთ!

ბატონი კალე დაიბნა და საპასუხო ვერაფერი მოიფიქრა.

– თვითდაფინანსება და სამეურნეო ანგარიში კარგი რამაა, პატივცემულო, მაგრამ ერთ რამეში გაგვარკვიეთ, გეთაყვა: ბიბლიოთეკაში მოსავალი სად უნდა მოვიყვანოთ, ამ დიდი სამკითხველო დარბაზის მაგიდებზე თუ წიგნთსაცავის სტელაჟებზე? – სათვალის სწორებით იკითხა ფოთოლა ფარფატაძემ, სამკითხველო დარბაზის გამგემ.

– ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი უკვე გაგივლიათ, ვხედავ, ყვავილები გაქვთ ქოთნებში ფანჯრების რაფებზე, – საქმიანად გაეპასუხა კალე. – მკითხველი შემოგვაკლდაო, სულ ამას ჩივით, ჰოდა, დადგით მაგიდებზე და სტელაჟებზე ქოთნები, მშვენივრად იხარებს კიტრიც და პომიდორიც!

ყვავილებივით მორწყავთ დილა-საღამოს, მეტი კი არაფერი უნდა! გარდა ამისა, ზამთარში რა ფასიც ადევს კიტრსაც და პომიდორსაც, ხომ კარგად მოგეხსენებათ. სხვა გამოუყენებელი რეზერვებიც უნდა ავამოქმედოთ! სტუდენტებს მოიყვანენ თქვენს მოწინავე ბიბლიოთეკაში პრაქტიკის გასავლელად, თქვენც აიმაღლებთ კვალიფიკაციას, მეორე პროფესიას შეიძენთ! ეზიარებით მოწინავე ტექნოლოგიებს, ფეხს აუწყობთ თანამედროვეობის მაჯისცემას!

— დამატებით ხელფასს თუ მოგვცემენ? — ერთდროულად იკითხა რამდენიმე ქალმა.

კალემ წაუყრუა, ისევ რიხიანად განაგრძო:

— მიღებული შემოსავლის ნაწილი ბიბლიოთეკას მიეცემა და შესაძლებლობა გექნებათ, შეავსოთ გაძარცული წიგნადი ფონდი, გამოცვალოთ ამორტიზებული ავეჯი და სხვა ინვენტარი, შეაკეთოთ დანჯღრეული კარადები... დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სასახელო კოლექტივის თითოეული წევრი გამოიჩენს მაღალ შეგნებულობას, ინიციატივას, კოლექტიურად დავირაზმებით, ღირსეულ წვლილს შევიტანთ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებაში, მზრუნველობას არ მოვაკლებთ კიტრისა და პომიდორის ნარგავებს და მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულებთ ჩვენს გეგმას!

— ჩვენსას კი არა, თქვენს გეგმას! თქვენ დიდი და მზიანი კაბინეტი გაქვთ და უფრო მეტ მოსავალს მოიწევთ! — წამოიძახა ვიღაცამ უკანა რიგიდან.

კალე კაიგამგონაშვილს ნერვებმა უმტყუნა და გამეტებით დასცხო მაგიდას ხელი:

— ვინ არის ეს? რომელია, წყალს რომ ამღვრევს?

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო! — წამოდგა ფეხზე კაპიტონ რახრახია, სამეცნიერო ინფორმაციისა და დაკომპლექტების განყოფილების გამგე, რომელიც სამსახურში ერთთავად სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალების კითხვით და კროსვორდების ამოხსნით იყო დაკავებული. — რას მიქვია, მარტო კიტრი და პომიდორი მოვიწიოთო, ჩვენს მშობლიურ ბიბლიოთეკას სრული შესაძლებლობა აქვს, მრავალპროფილიანი, მრავალდარგოვანი მეურნეობა მოაწყოს. მაგალითად, წიწაკაც მოვიყვანოთ, რით არის სხვაზე ნაკლები? გაგონილა კერძი უწიწაკოდ? ერთი-ორი ძირი ახლაც გვაქვს გაშენებული ქოთნებში და გარკვეული გამოცდილებაც დაგვიგროვდა, მაგრამ ახლა სულ სხვა მასშტაბი და გაქანება დაგვჭირდება, ნამდვილად!.. წიწაკაში, ჩემი დაკვირვებით და მსოფლიო მეცნიერების მონაცემებით, უამრავი ძვირფასი ვიტამინია: ა, ბე, ცე, დე...

— იქნება ოთახის ლიმონიც მოგვეშენებინა! — წამოხტა კაპიტონის გვერდით მჯდომი არისტარხო კენკელაძე, სათავგადასავლო და ახალგაზრდობის ლიტერატურის განყოფილების გამგე. — მით უმეტეს, ერთი ძირი გვაქვს უკვე — ძვირფასი, მაიერის ჯიშის; ფორთოხალი და ფეიჰოაც გვეცადა, დიდი მოთხოვნილებაა მათზე ამჟამად და მომავალშიც არ უჩანს ცუდი პირი!

— ბანანსა და ავოკადოსაც ნაღდად სარფიანად გავასაღებთ, მათ რაღა დააშავეს?! — იყვირა ვიღაცამ.

— იფ, რა წალკოტი იქნება! — ვერ დაფარა აღტაცება გრამიტონ გერმანოზაძემ, მონადირეობისა და სატყეო-სამეურნეო ლიტერატურის განყოფილების რიგითმა თანამშრომელმა. — აქეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ყვავილნარი გავაშენოთ თავისუფალ ადგილებში, იქით პატარა ლიკლიკა ნაკადული გავიყვანოთ... შამფურები დავატრიალოთ... ყანწების მოტანა ჩემზე იყოს!

— გაგიჟდით, ხალხო?!. — ტყუილად იხლეჩდა ხმას ბატონი კალე.

გრამიტონი ისევ ფართოდ შლიდა ხელებს:

— შვლებიც მოვაშენოთ... ლამაზიცაა და მწვადი ხომ — გადასარევი!...

— მერე შენ შეინახავ? — პრაქტიკულ რელსებზე შეაყენა საკითხი ღენტორ ღირღიტაძემ, მესაქონლეობა-მეფრინველეობის ლიტერატურის განყოფილების გამგის მოადგილემ. — არა, ღორები ბევრად სჯობს, სამწვადედაც კარგია და ვერც მაგიდებზე ავა, ვერც სტელაჟებს მისწვდება, პომიდორ-კიტრის ნარგავებს ვერ დააზიანებს; თანაც ადვილი შესანახია, ღორი ყველაფერს ჭამს! ქვეყნის ნარჩენებს ვყრით საღამოს ყველანი სულ ფუჭად... დიახ, ღორი არაფერს იწუნებს!

— ღორი სულელურ დირექტივებს თუ ჭამს?

— გააჩნია! თუ გერბიან ქაღალდზეა, სულ დედას უტირებს!

— ჩერჩეტ ფუნქციონერებს?

— მაგათ ყველანაირს, ნამეტანი ნაპატივები გახლავან!

ერთმანეთში აირია ათასგვარი წამოძახილი.

— ფი, ღორი! რა საშინელი სუნი იქნება! — ცხვირი აიბზუა ნათელა ნათლიაშვილმა, საბავშვო ლიტერატურის მეთოდისტმა; მის ახლოს არავინ დაჯდა, ისე უსაშველოდ და უზომოდ ხმარობდა სუნამოს.

— სიმყრალე აქ არც ახლა გვაკლია. თავზე რომ ჭერი გვექცევა ამდენი წელია გაფუჭებული კანალიზაციის გამო, გვეშველა და ეგ არის! მიუშვი კვლებზე და ზღვა მოსავალი მოსკდება!

— მერე, ამ ავარიულ ნახევარსარდაფში რა მცენარე იხარებს? ჯერ ნათელი, მზიანი შენობა გამოუყავით ბიბლიოთეკას და გეგმები მერე ჩამოუშვით!

– არა, ხალხო, ეს ვიწრო, ბნელი და ნესტიანი ოთახები ზედგამოჭრილია სოკოს მოსაყვანად! ქამასოკო მოვამრავლოთ, ნახეთ, ბაზარში ხელიდან წაგვგლეჯენ! ავშენდებით! ახალ შენობას ავაგებთ და იქ გადავალთ!..

... ბატონი კალე კაიგამგონაშვილი სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გააქანეს.

1985

წიგნი VII.

ლატარიის იღბლიანი ბილეთი

საზამთროს გამყიდველის სიმღერა

დიმპიტაური, დამპიტაური,
შაქარ-საზამთრო – ორი შაური!
მოდით, გასინჯეთ სუფრის მშვენება –
ალაზნის ჭალის მზის გახსენება!
დაჰკრავ დანას და გადიხსნის გულსა,
ნდომით აგივსებს მწყურვალსა სულსა,
ნერწყვით გაგივსებს გამშრალსა პირსა,
გადაგავიწყებს ყოველსა ჭირსა!
თუკი ჩაასვე შვებით ეშვები,
თაფლია, თაფლი – ვერ შეეშვები!

1995

“ზაზუნა”

გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილს

ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მე და შენ რომ მივემგზავრებით, კარგა ხანს ვიქნებით გზაში – ნება-ნება, დინჯად ვიაროთ, ალაგ-ალაგ ცოტა შევისვენოთ კიდეც, მუხლი გავმართოთ, ვილაპარაკოთ იმ მთისა, ამ ბარისა... მერე ისევ გავუტიოთ – იმედიანად, მხნედ ვიაროთ; მანქანა კარგია, არ დაგვადალატიანებს. ეს უკვე ჩემი მესამე მანქანაა. პირველი “ზაზუნა” იყო. ოჰ, რა პატივი მცა, რა სიკეთე მიყო, რომ იცოდე!..

მაშინ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ვიყავი, მანქანა საერთოდ ცოტა ვინმეს თუ ჰყავდა და მე მეფესავით ვგრძნობდი თავს. ხომ იცი, მხატვარი კაცი ვარ, უმანქანობა ჩემთვის ძნელია. თითოეული სურათის შექმნა იმდენ სულიერ ძალას მოითხოვს ჩემგან, ისეთი გადაღლილი ვარ ხოლმე, რომ განმუხტვა აუცილებელია. ხან სანადიროდ დავდივარ, ხან სამოგზაუროდ გავეშურები, ეტიუდებს ვაკეთებ, პატარას გავიხედ-გამოვიხედავ, ათასგვარ ხალხს შევხვდები, მერე ვბრუნდები შინ და ისევ შევუბერავ ხოლმე. არა, დალევას არ ვგულისხმობ – სამუშაოს. სხვები, და ძალიან ბევრნიც, სხვანაირად განიმუხტებიან – ლოთობენ დროდადრო. მე მაგის კაცი არ ვარ. კი, დავლევ ხანდახან, მაგრამ ზომიერად, ძველქართულად და მაშინაც მთელი კვირა ვეღარ ვმუშაობ, გამიცდება. მოკლედ, ცოლშვილიან კაცს, ოჯახს უმანქანოდ ძალიან უჭირს ჩვენს დროში.

ჰო-ო-ო... “ზაზუნას” თემას ავცდი, არა? ეგ არაფერი. როგორ, “ზაზუნა” არ იცი, რომელია? ორმოცდაათიანი წლების პირველი გამოშვება ავტომანქანა “ზაპოროჟეცი” ხომ იცი, ხალხი “კუს” რომ ეძახის მისი ფორმის გამო... თითო-ოროლა ახლაც დარბის თბილისში.

(ვისაც აინტერესებს ეს ერთი ბეწო ავტომანქანა – “ზაპოროჟეცის” პირველი მოდელი: მისი ოფიციალური დასახელებაა “ზაზ-965”; ეს იყო განსაკუთრებით მცირე კლასის 1 ჯგუფის ავტომანქანა ფორმულით 4 - 0,7 – 23 – 610, რაც ნიშნავს, რომ მას გააჩნია 4 დასაჯდომი ადგილი, ძრავის მუშა

მოცულობა ტოლია 0,7 ლიტრისა, ძრავის სიმძლავრე – 23 ცხენის ძალაა და მანქანის მშრალი მასა უდრის 610 კილოგრამს).

...შორიდან რომ მოთუხთუხებდა ეს მუშა "კუ", გეგონებოდა, დიდი ტრაქტორი მოხრიგინობსო. ხალხი დასცინის ახლა, მე კი ძეგლს დავუდგამდი. მთელი დღე რომ იარო ქალაქში, თითო-ოროლა "კუს" თუ შეხვდები; როგორც გითხარი, გადაშენების პირსაა მისული და მალე მხოლოდ მუზეუმში თუ ნახავ დინოზავრივით. სიჩქარე დიდი კი არ აქვს – 90 კილომეტრამდე საათში, სამაგიეროდ, ლაფიან ადგილებში და აღმართებში მაგრად უბერავს, რადგან ძრავა უკანა ნაწილში უყენია და უკანა თვლები არ ბუქსაობს.

ბარემ თავიდან დავიწყო, არ ჯობს? ერთხელაც მამაჩემმა დაბადების დღეზე ლატარიის ბილეთი მომატყეპა შუბლზე (ღმერთო, გაანათლე მისი წმინდა სული, სადაც არის!). "რა არის, ტარასი, ეს, მაბითურებ?" – ვეკითხები. ტარასის ულვაშებში ედიმება; "მაგ ბილეთში, ბიჭოო, – მეუბნება, – ოთხი ათასი მანეთი მივეცი, "ზაპოროჟეცი" აქვს მოგებულიო". ქალები არ ჩაგიჯდებიანო და "ზაპოროჟეცი" იმიტომ მიყიდა, თორემ უკეთესის შეძლებაც ჰქონდა.

ასე ჩამივარდა ხელში ჩემი "ლურჯა" – ღია ლურჯი ფერის იყო. სამნახევარი წელი მყავდა თუ მქონდა; სიქა გავაცალე რბენით. ისე გავხედნე, რომ შენი მოწონებული. მაგრად დარბოდა. ერთხელ ისე გავუტიე, რომ საჭე გამექცა და შევჯლიგინდი მაღაზიის ვიტრინაში. ვხედავ, მილიციონერი დაბარებულივით არ დამადგა თავზე?!. ჩემი "ლურჯა" აჭიხვინდა და ყალყზე შედგა, დავურტყი უკანა სვლა და მოვკურცხლე!.. გადავრჩი...

გადავრჩი და ეს ერთხელ?

ჩემი ნაძალადეველი ძმაკაცი თამაზა, ჯანიანი, ოდნავ მოღუნული ფეხები აქვს ჩემი "ზაზუნას" უკანა თვლებივით, მეხვეწება – რაჭაში ამიყვანე სიძესთანო. კარგი-მეთქი. ჰოდა, მიდის "ზაზუნა", მაგრამ რას მიდის, რომ იცოდე – მივგლიჯინობთ რაჭის აღმართებში ბღუილ-ბღუილით. შქმერში ავიჭერით ჭყივილ-ჭყივილით და ამ დროს აბოლდა უბედურად რაღაცა უკან, ძრავაში. გავაჩერე, ჩავხტით. ისე, ხშირად გვიხდებოდა გაჩერება, როცა აღმართში გაუჭირდებოდა "ზაზუნას", ძრავი გადახურდებოდა და გაჩერდებოდა ჯორივით. კარგა ხანს უნდა გეცადა, სანამ ძრავა გაგრილდებოდა... ავხადე კაპოტი და იქვე მდგომ თამაზას ავარდნილი ალი არ ეცა სიფათში?!. შემოვიძრე თუ შემოვიხიე სასწრაფოდ ხალათი და დავაფარე ძრავას... თამაზა გარბის თავქუდმოგლეჯილი. "თამაზ, გაჩერდი!" – ვუყვირი, მაგრამ საქმეში ხარ? მთა და ბარს ასწორებს!.. რა მოხდა და, ზეთიანი ჩვარი მეგდო იქ და აღმართში რომ გახურდა მოტორი, ქე წაეკიდა ცეცხლი... ჩავაქრე ალი, რასაკვირველია, ძრავაც გაგრილდა, გაგრილდა კი არა, გაცივდა კიდეც, თამაზა კი არ ჩანს... წავედი მოსაძებნად. სადღაც ხეზეა ასული და ცალი თვალით იჭყიტება. "თამაზ, რა დაგრჩენია მანდ?" – შევძახე. "წყალი უნდა მომეტანაო", – დუდღუნებს. "ბიჭო, რიონი სამ კილომეტრშია, მერე, როდის იყო წყალი ხის კენწეროზე მოჩუხჩუხებდა-მეთქი". "აბაო, თავი არ უნდა გიყვარდესო? გიჟი კი არ ვარო...".

ეჰ, კარგი დრო იყო – სტუდენტობა! ჩავსხავდი ბიჭებს და გავუტევდით ახალქალაქისკენ, აქ, თეძმის ხეობაში. ბიჭებმა კარგი ადგილები იცოდნენ სახატავად. რეზო, ჯონი, გელა... უკან ბორბლები გაუსწორდებოდა ხოლმე გადატვირთულ "ზაზუნას". "გაუწყერი, გაუწყერი!" – შემაგულიანებდნენ ბიჭები. "აბა, "ზიზო!" – გაზს მივცემდი და შევუბერავდით ტალახში. ერთხელ ცხავერამდე ავედით, ოსების სოფელში. "ასეთ წვიმაში ჩვენთან ჯერ მანქანა არ ამოსულაო, – გვეუბნებიან, – აგერ ერთი მანქანა მოცურდა და გადაბრუნდაო", – გვაჩვენებენ. შექეიფიანებულნი არიან, მღერიან. "არ წახვიდეთო", – გვეხვეწებიან. რა დაგვაკავებს, აქამდე ამოვედით და ახლა გავჩერდეთ?

"მიდი, "ზაზუნა", მიაწექი!" – წავიდა "ზაზუნა" გან-გან ფრთამოტეხილივით, მოცურდა თიხიან აღმართზე, მერე გვერდზე წაწვა... წკიპზე შეჩერდა ხევის პირზე. საძილე ტომრები, საწოლები, ტაფები, თეფშები, დანა-ჩანგალი და ათასი სხვა ხარახურა – ყველაფერი თავზე გადმოგვემხო; ძლივს გამოვძვერით დომხალიდან. გავიხედეთ – მთელი სოფელი გადმომდგარა სერზე და სეირს უყურებს, როგორც კინოში...

მოგვესივნენ, გადმოგვაბრუნებინეს მანქანა. მივაჭირე ხელი ქვევიდან ჩაჭეჭყილ სახურავს – ბრახ! დაიძახა ტაშტის ჟღრიალის ხმით. ხალხი გაგიჟდა. ახლა ზევიდან დავაწექი ხელისგულით და – ბრახ! – ისევ გაიჟღრიალა უბედურად. ამ ნომერს ხშირად ვაკეთებდი ვინმეს გასაცბუნებლად, ძველი ნომერი იყო. ერთხელ ლენინგრადელი მენატურე ვიოლეტა ახტა "ზაზუნას" სახურავზე – სურათი გადამიღეო და მაშინ ჩაიზნიქა პირველად სახურავი ჟღარუნით და გოგო დაფეთებული გადმოხტა ზევიდან. მერე ავკრავდი ხოლმე შიგნიდან სახურავს ხელს, აიწეოდა – ბრახ! და ასე...

ერთხელ სწორედ ამ ჩაჭეჭყილმა სახურავმა გადამარჩინა. მოვდივართ შატილიდან, დათვისჯვრის უღელტეხილზე უნდა ავიდე. დაგორდა ჩემი "ზაზუნა", სამუხრუჭე სატერფულზე რეზინი იყო ამძვრალი და აჩქარებისას ფეხი დამიცდა. ერთხელ, ორჯერ... კინაღამ შევიშალე! სიგნალიც გაფუჭებული იყო, უკან კი სატვირთო მანქანა მოგლიჯინობდა აღმართში. არც კარები იღება წესიერად, უნდა ეჯაჯგურო, შიგ შუშაც გაჭედილია... დავიწყე შიგნიდან ჭერზე ბრაგუნი – "არ დამეჯახო!"... მოკლედ, გადავრჩი!

წინა ამბავი აღარ დავამთავრე. ცხავერიდან ბედად გადარჩენილები უკან რომ წამოვედით, ახლა იგოეთის აღმართზე გვიმუხთლა ბედმა. ვატყობ, რაღაც გვერდულად მიდის ჩემი "ზაზუნა"... გავაჩერე – ერთ ღილზე იყო დარჩენილი ბორბალი, ისიც მოშვებულიყო! ამჯერადაც ბეწვზე გადავრჩით.

თემმის ხეობაში ხშირად დავდიოდით. ერთხელაც კაი გაზაფხულის დღეა. ეს დეგენერატები, ჩემი ძმაკაცები, სხედან, ხელში კარტი აქვთ დაგოჯიჯებული და თამაშობენ მთელი დღე – როგორ არ მოსწყინდებათ, არ ვიცი. "წამოდით, მხატვრები ხართ, გავიხედ-გამოვიხედოთ, ნატურაზე წავიმუშაოთ", – ვეუბნები. "არ მცალია, იქ მივდივარ, აქ მელიან..." – არ წამომყვნენ. სიაფანდზე მეუბნებიან, ეზარებათ. აკადემიაში გავიარე, ორი ბიჭი ძლივს დავიჭირე, წავედით. კარგად ვიმუშავეთ. ადიდებულ თემამში შევაგდე ჩემი "ზაზუნა", მეორე ნაპირზე გავდივართ (ახლა ამ "ნივით" ვერ გავრისკავდი!), ეს გლახაკები კი სხედან მანქანაში და: "მოიცა, ბიჭო, ფეხები არ დაგვისველდესო!" – მანქანას კი არ ჩივიან... წაიყვანე ახლა ასეთები რკონის მონასტრის სანახავად! მთელი მთა-ბარი მოვიარეთ, ეტიუდებიც გავაკეთეთ. გვიან ჩამოვედით და ის დეგენერატები ისევ კარტს თამაშობენ: ერთმა – ორი მანეთი მოიგო, მეორემ – სამი მანეთი წააგო... სხედან გამოდებილებულები.

რამდენი მიხეტიალია სანადიროდ! თუნდაც გარე კახეთში: ორასი ჰილზი, გატენილი ზურგჩანთები, საძილე ტომრები, ოთხი მონადირე და სამი ძაღლი! საწყალი "ზაზუნა"! რომ ვეღარ ვეტევით, ერთ ძაღლს თათები წინ მჯდომისთვის დაუდვია მხრებზე; როგორ ვსუნთქავთ, ისიც კი მიკვირს. ახლა რომ გავიფიქრებ, ცივად გამაჟრჟოლებს! შე ოხერო, ამ გადატვირთული ერთი ბეწო მანქანით რომ ქვეყნის დასაკარგავში მიდიხარ, ჭკუა ხომ არ დაჰკარგე? უგზო-უკვლოდ დაძრწიხარ ორღოჩოღროებში, რამე რომ დაემართოს "ზაზუნას", სად მიდიხარ? სამი დღის სავალზე კაციშვილის ჭაჭანება არ არის, ვინაა შენი მშველელი... "გაუბრაზდი, გაუბრაზდი!" – მაგულიანებენ ბიჭები, როცა "ზაზუნას" გაეჭედება. "გაუძელ, "ზაზუნა", ამდენ მუტრუკებს!" – ხმას ვაწევ მე. მწყერზე სანადიროდ მივბენტერობთ, ჩვენი ჭკუით... მილიონჯერ გავაფრთხილე ყველა, დატენილი თოფი არ შემოიტანოთ მანქანაში-მეთქი, ამ შტერებს შეაგნებინებ რამეს? რომ იბუთქა უბედურად მანქანაში, ბეწვზე გადავრჩით – ზუსტად შუაში გაიხვრიტა ჭერი. ქურთუკი აფრინდა ზევით, ავარდა ბოლი... ერთი კვირა მიწუოდა ყურები. მერე თბილისში ნახვრეტში საცობი გავურჭვე – წყალი აღარ ჩამოდიოდა. შაყირობდნენ ბიჭები – ჰა, ჭაღს როდის კიდებ, ტყუილად ხომ არ გაახვრეტინეო. იმ ნადირობას დავუბრუნდეთ... ჰოდა, ჩათმის ველზე კურდღელს გამოვეკიდე "ზაზუნათი". მივდევ, მივდევ, "ზაზუნა" ჩახტება-ამოხტება ორმოებში. ვხედავ, ბორბალი გარბის მანქანის წინ – ვიღაცის ბორბალი გვისწრებს ჩვენც და კურდღელსაც... ბრახ! – დაყვინთა ცხვირით "ზაზუნამ"! თურმე ჩვენი წინა ბორბალი ყოფილა ასე მოუთმენელი. აბა ვისი იქნებოდა, ერთი მითხარი, ახლომახლო ას კილომეტრზე სოფელი არ არის...

ი-იჰ!.. ეგ რა არი! ფშავში კიშხევში რომ ავბღოტიალდით, ლევანა გაგიუდა – ასეთი პატარა მანქანა აქ ჯერ არ ამოსულაო... ანდა მეფისკალოზე რო ვიყავით, ყაზბეგის რაიონში. თხუთმეტი გრადუსი ყინვაა, როგორ ავფორთხდით იმ სიმაღლეზე, არ ვიცი. მანქანა ზევით დავაყენე და ქვევით ჩავდიოდით ხევში სანადიროდ. სამი დღე დავდევდით დათვს, სულ ტყუილად. ძალისძალათი ამოვიარეთ დაკიდებული აღმართი მანქანამდე, მკვდრები ვართ. ჯვრის უღელტეხილზე მოძრაობა არაა. ხოშკაკალა თოვლი და ნამქერი სუნთქვას გვიკრავს, მშივრები ვართ და გათოშილები... გაყინული მანქანა ვერაფრით დავქოქე, ვყრივართ ასე, გავძაღლდით პირდაპირ. ვეჯახირები "ზაზუნას", ხან – ვეფერები, ხან – ვაგინებ, ტყუილად ვეჭიდავები. "ჯანდაბას, – გადავწყვიტეთ, – დავაგდებთ აქ მანქანას და როგორმე ფეხით ჩავალთ მლეთაში, აბა აქ ხომ არ გავიყინებით!". ერთხელაც ვსინჯავმეთქი, დავატრიალე დასაქოქი სახელური და – "ბუ-ბუ-ბუ!" – არ არახრახდა უცებ ძრავი? წავიდა და წავიდა! რომ ჩავბობღდით ქვევით, მლეთაში, იქ კინაღამ თვალები გადმოსცვივდათ – ვინ არიან ეს ქაჯები, ამ მოყინულ დაღმართზე როგორ ჩამოაღწიესო...

გაყინვას ბევრჯერ ვარ გადარჩენილი. გაყინვასაც, ხანძარსაც და ათას სხვა უბედურებას.

თოვლი რომ მოვიდოდა, ფოილოში იხვზე სანადიროდ დავდიოდით. ერთხელ უკვე უკან მოვდივართ, თბილისში ვბრუნდებით. ყინავს უბედურად. "ზაზუნას" ფარები სუსტად ანათებენ და ჯონის ხელი აქვს გარეთ გაყოფილი – ხელის ელექტროფარნით ანათებს გზას. მას დროდადრო რეზო ენაცვლება, როცა წინას ხელი წაეყინება. შუშაც გაყინულია, გაჭირვებით ავაფხიკეთ პატარა სამზერი შოფრისთვის – ჩემთვის. შუა მანქანაში პრიმუსი გვინთია, სუნი გვახრჩობს, მაგრამ გაყინვას ეგ არ სჯობს? ერთ-ერთ მოსახვევში პრიმუსი გადაბრუნდა, იბუთქა – გადმოვცვივდით, ვაქრობთ ცეცხლს, ხელებს ვირტყამთ ფერდებზე, ვიტყაპუნებთ გვერდებზე, ვახველებთ – ნაღდად შეშლილების დღესასწაული ეგონებოდა კაცს... გავიხედეთ, რაღაც მოხრიგინობს გზაზე – ორი თოვლის ბაბუა ამხედრებულა მოტოციკლზე, ისინიც მონადირეები, გაყინულები – თურმე ჩვენზე უარესი გიჟებიც ყოფილან ქვეყანაზე!.. მათ ჩვენზე ეცინებათ, ჩვენ – იმათზე...

...ზღვაზეც ბევრჯერ გამასეირნა ჩემმა "ზაზუნამ" ზაფხულობით. ერთხელ მე და თამაზა წავედით მახინჯაურში, იქიდან – ფოთში. დაგვაღამდა და მოვეწყვეთ სასტუმროში. რატომღაც დილაუთენია გამეღვიძა. გავიხედე ფანჯრიდან – ჩემი "ზაზუნა" გაქრა!.. გავგიჟდი. "თამაზ! – ვეჯაჯგურები,

– მანქანა არ დგას!". თამაზა გადაბრუნდა, რაღაც წაიბურდღუნა და ისევ დაიძინა, ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი... უცებ "ზაზუნას" ხმა მესმის, ათას ხმაში გამოვარჩევ. მანქანა მოვიდა, დადგა, გადმოვიდა ავტოინსპექტორი... მერე გავაგრძელეთ გზა, "ზაზუნაში" რაღაც რაჩხარუჩხობს, სოხუმთან გაგვეჭედა კიდეც, გავჩერდით. ვეჯახირები, ვერაფერი გავაწყვე. გამურულს რომ დამინახავენ, გაივლიან ხითხითით, დახმარებით ვინ შეიწუხებს თავს. წამიყვანა ბოლოს ერთმა სამადლოდ ბუქსირით პროფილაქტიკამდე, უარი გვითხრეს გაკეთებაზე. ვტრიალებთ სოხუმში ვირთხებივით, ყველა გვეუბნება: "ვრემია ნეტუ!"... მაგრად გავწვალდი.

მეორედაც მომტაცეს "ზაზუნა" – თბილისში. გამოვედი სამხატვრო აკადემიიდან – ვხედავ, ჩემი "ზაზუნიკო" აორთქლებულა... უფრო – ააორთქლეს. ვაი! აი, აქ იდგა ჩემი "ზაზუნა", ახლა კი სიცარიელეს ვხედავ და არ მინდა დავიჯერო საშინელი სინამდვილე! ვინ თქვა, ბუნებაში სიცარიელე არ არსებობსო? ალბათ მისთვის მანქანა არასდროს მოუპარავთ... მე ხომ ამ დღეში ვარ, ვფიქრობ, თვითონ შენ, ჩემო "ზაზუნა", რას გრძნობ ამ დროს, პატრონს რომ აგასხლიტეს, როგორც მგელმა ბატკანი?

ვდგავარ ასე სასოწარკვეთილი და უცებ ვხედავ, გელა მოაგრიალებს ჩემს "ზაზუნას"! მოაყენა ჩვეულ ადგილზე და მანქანიდან კი აღარ გადმოდის – დამინახა. ალბათ მიხვდა – მაშინვე გავულაწუნებდი ყბაში... მაგარი შეფერთხილი ვიღაც არის გელა.

მაშინ თვითონ მე ჩავუჯექი გვერდით და ვუთხარი, წავედით-მეთქი., "საით?" – გელამ. "თბილისის ზღვაზე!" – წვიმას აპირებდა და გადავწყვიტე, სადმე შორს დავტოვებდი, იქიდან ფეხით ვაჩანჩალებდი.

ვიარეთ, ვიარეთ... გავედით მინდვრებში. "გააჩერე!" – ვუბრძანე. გადმოვედი, მივდექი გვერდზე, პატარა საქმეს ვითავებ... თან ცალი თვალით გელას ვაკვირდები. ის გადმოსვლას არ აპირებს, რაღაც საწყლად იყურება. ჩავჯექი ისევ მანქანაში და ვუთხარი, კიდევ იქით წავიდეთ-მეთქი. კიდევ უფრო უდაბურ ადგილას გავაჩერებინე და გადმოვედი, ვეუბნები, შენც გადმოდი-მეთქი. გელა არ გატოკებულა... რა ბიჭია, რას გადმოვა! ასე ფსიქოლოგიურად ვაწამე კარგა ხანს, ბოლოს შემეცოდა და ვუთხარი, ქალაქში დავბრუნებულიყავით.

მივედით ისევ აკადემიასთან, გადმოვედი. გინდა – არ გინდა, ახლა ხომ მაინც უნდა გადმოხვიდე, რამდენ ხანს უნდა იჯდე მანქანაში...

გადმოვიდა. ეგონა, ახლა კი შემომკრავს და ერთ-ორ კარგ სიტყვასაც მოაყოლებსო... არაფერი მითქვამს, ისედაც გაფუჭებული იყო.

ერთხელ კინადამ მართლა დამღუპა "ზაზუნამ". თავსხმა წვიმა იყო, შემეცოდნენ და ჩავსხი – სამნი იყვნენ, ბნელოდა და კარგად ვერ დავინახე, თორემ ამდენს არ გავუჩერებდი. "სად წაგიყვანოთ?" – "სამადლოში!" – ქალაქგარეთ მოისურვეს გასეირნება. რას იზამ... წინ რკინის ნაჭერი მაქვს მოყუჩებული, ვფიქრობ, არ მომასწრონ ჩარტყმა თავში რაიმესი, როცა გავაჩერებ. განათებულზე გავაჩერე, ლამპიონის ქვეშ, ჩემდა ბედად ერთი ენთო კენტად. აქ ველით ვიღაცას და დავრჩებითო – ვერ გაბედეს ვერაფერი...

სამაგიეროდ, "ზაზუნას" ხალხი ჰყავს გადარჩენილი!

ნადირობიდან ვბრუნდებოდით და მეგობრობის გამზირზე ვიღაც გადამიდგა წინ. შევანელე სვლა, ის კი წიხლს ურტყამს მანქანას – "გააჩერე!". თურმე ორსული ქალია ჩამოკიდებული ქმარზე, უკვე მშობიარობა ეწყება. საჩქაროდ ჩამოვყარე ბიჭები და გავაქანე სამშობიაროსკენ...

სულ მალე ამის შემდეგ "ზაზუნა" ჩემს ბიძაშვილს მივყიდე. გასაფორმებლად რომ მივედით, ერთი ფოსტალიონი გადამეკიდა, ძალიან მჭირდებაო. არა, ბიძაშვილს ვაძლევ-მეთქი... ეგეთი ბიძაშვილი ნეტა მეც მყოლოდაო, ამოიოხრა...

ეჰ, ჩემო "ზაზუნა", ახლა სად ხარ, რომელ მხარეს, სად იჟანგება შენი გვერდები! ან იქნებ ჩემზე წესიერი პატრონი გამოგიჩნდა, უკეთ მოგიარა და დღესაც დარბიხარ?

1986

ქუდოსანთა ნადირობა

ტენტგადახდილ ავტომანქანა "კოლხოზნიკში" ხუთნი სხედან: შოფერი კაკო, დაწესებულების უფროსი აფრასიონ მინდორყვავილაშვილი, აფრასიონის ბავშვობის მეგობარი ნოე, აფრასიონის მოადგილე სამეურნეო დარგში ზაური და შოფრის შეგირდი მამუკა. თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ დარჩენილი ადგილი გატენილია სავსე ზურგჩანთებით, "ბორჯომისა" და ღვინისბოთლებიანი ყუთებით, ბუდიანი თოფებით და ყველაფერ ამაზე კი ზევიდან ზის ორი ძაღლი – ადვილად მიხვდებით, რომ ეს პატივცემული გვამნი (მათ შორის სამნი მაინც) ნადირობის პირველყოფილ ინსტინქტს შეუპყრია.

შოფერს შავი ფერის ტყავის "ხინკალა" კეპი ახურავს, აფრასიონს – ყავისფერი შლაპა, ათასგზის სადღაც ნაგდებ-ნათრევი, სწორედ ნადირობისთვის გამოსადეგი; დანარჩენ ორ მონადირესაც შლაპები ახურავთ, სხვადასხვა ფასონისა და ფერის, მაგრამ ერთნაირად ყავლგასული.

გაკვირვებული მკითხველი უეჭველად იკითხავს: ჯერ ნოველის გმირები მხოლოდ თანამდებობებითა და სახელებით გაგვაცნო, სხვა მხრივ არ დაუხასიათებია და რაღა შლაპებს ეცა ავტორიო, რა გახდა ეს შლაპები ასეთიო; შენ კაცი თქვი და შლაპა როგორიც გინდა ეხუროს და თუნდაც სულ უქუდოდ იყოს – რა მნიშვნელობა აქვს ამას?

მოგახსენებთ, რომ შლაპებს ამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა და მერე როგორი! ბარემ ისიც ვთქვათ, რომ შოფრის შეგირდს, მამუკას, ამ ნოველის სხვა პერსონაჟთაგან განსხვავებით, შელანძღული და თითქმის გადასაგდებად განწირული ქუდის ნაცვლად, ახალთახალი, კოხტა და, შეიძლება თამამად ითქვას, ეშხიანი, ტილოს კეპიანი ქუდი ამშვენებს.

ბოდიში, შეგირდს კი არა, რასაკვირველია, მის თავს ამშვენებს, რაც ამ შემთხვევაში თითქმის ერთი და იგივეა. ერთი ესაა მხოლოდ, რომ კეპი ცოტა სრული აქვს და თვალებზე ეფხატება, ამიტომ იძულებულია, დროდადრო გაისწოროს.

ქარიანი დღეა...

ა, ახლა ქარიო! ჯერ შლაპები, ახლა – ქარი! რად გვინდა ქარი, რაში გვჭირდება, თქვენ ხალხი გაგვაცანითო, გვიკიჟინებს კრიტიკოსი. კი, ბატონო, გაგაცნობთ, მაგრამ ნამდვილად ქარიანი ამინდია და რა ვუყო!

მაშ ასე... წინ სხედან შოფერი და უფროსი, ბატონი აფრასიონი. შოფერი კაკო დათვსა ჰგავს, საჭესთან ძლივს ეტევა; ხალათის გაღეღილი საკინძიდან გაბანჯგლული, მძლავრი მკერდი მოუჩანს, აკოტავებულ მკლავებზეც ხშირი ბალანი შავად ბიბინებს. მარტო მისი მსხვილი ულვაშები აფრასიონსაც ეყოფა და დანარჩენებსაც...

უფროსი – ერთ-ერთი სამშენებლო ტრესტის მმართველი აფრასიონ მინდორყვავილაშვილი – საკმაოდ ჩასუქებულია, ხმაც მედიდური აქვს და მიხრა-მოხრაც... თავი ახლაც კაბინეტში ჰგონია და რა ქნას!

უკან, გვერდით სკამებზე რომ სხედან, – ნოესა და ზაურის, – ერთად აღვწერ, რამდენადაც ერთმანეთს ძლიერ ჰგვანან: ორივე აფრასიონივით ტანმორჩილია და ორთავეს ამშვენებს მომცრო ღიპიკოები.

სულ უკან ზის შოფრის შეგირდი, თხუთმეტი წლის მამუკა. მისთვის ულვაშების დრო ჯერ არ დამდგარა – მუქი ღინღლი კი უკვე უმშვენებს საულვაშეს. გალეული ბიჭია, მაღალი, უტიფარი; პაპიროსს დაურიდებლად აბოლებს, თვალებს კი მაინც მალიმალ შეშინებულივით აფახულებს. ქვრივმა წვრილშვილიანმა დედამ სოფლიდან გამოატანა ძმას – შოფერს: კაცის ხელი აკლია, მე ვეღარ ვერევი, უკვე წვრილმანი ქურდობაც შევამჩნიე და იქნებ როგორმე გზაზე დააყენოო; სწავლა არ ინდომა, შოფრობა მაინც ისწავლოს, ბავშვობიდან მანქანები და ჩხირკედელაობა უყვარსო...

ქალაქი მშვიდობიანად განვლეს, მერე ტრასაზე გავიდნენ და სიჩქარემ საგრძნობლად იმატა. გეზი ქვემო ქართლისკენ აიღეს. ნოე ბატონი გაცხარებით ჰყვებოდა ცხელ-ცხელ ანეკდოტს. ყველაზე საინტერესო ადგილზე ხელები გაშალა, თავი უკან გადასწია და პირველმა გადაიხარხარა...

უცებ თავიდან შლაპა მოსძვრა და გაფრინდა.

– გააჩერე, გააჩერე!.. ქუდი მომტაცა ქარმა! – იყვირა პატივცემულმა ნოემ.

სანამ მანქანა გაჩერდებოდა, შლაპა კარგა დიდ მანძილზე ჩამოიტოვეს უკან. გაფრენილი შლაპის პატრონი ზლაზვნით წამოდგა, უკვე ასფალტზე ჩასულმა ბატონმა აფრასიონმა გადასწია თავისი სკამი და გაატარა ბატონი ნოე. სანამ ნოე უკან შლაპაჩამოფხატული დაბრუნდებოდა, ათი წუთი მაინც გავიდა.

– წავედით! – ბრძანა ბატონმა აფრასიონმა. – ნამდვილი შლაპა ხარ, ჩემო ნოე! – გაეხუმრა. შემდეგ ბატონი აფრასიონი მოჰყვა სასაცილო შემთხვევას, როცა ომის დამთავრების შემდეგ ავსტრიის დედაქალაქ ვენაში კარნავალს დაესწრნენ ის და ნოე, ორი ნიღბიანი ქალიშვილიც "დაითრიეს", დილით კი აღმოჩნდა, რომ აფრასიონს ულამაზესი ქალი შეხვდა თურმე, ნოეს კი – ხნიერი და შეუხედავი. ამჯერად ყველამ გაიცინა, რასაკვირველია, ნოეს გარდა, სამაგიეროდ, ბატონ აფრასიონის შლაპამ მოისურვა თავისუფლად განავარდება და წამში სადღაც გაუჩინარდა.

– გააჩერე, გააჩერე! – აყვირდა დაზარალებული.

კაკომ კარი გამოაღო, ფიცხლად ისკუპა მანქანიდან და ძუნძულით დაედევნა უფროსის შლაპას, რომელიც ლაღად და უტიფრად მიგორავ-მიგოგმანობდა ასფალტზე, თითქოს მისი პატრონივით კარიერას იკეთებსო და ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა კაკოს ყოველ ილეთს მისი წინ სწრაფვის აღსაკვეთად...

შოფრისა და ბატონ აფრასიონის შლაპის ორთაბრძოლა ნებისმიერი ცირკის ასპარეზს დაამშვენებდა. კაკო რომ გაშვერილი ხელით დაიხრებოდა შლაპისკენ, ეს უკანასკნელი შესაშური სიმკვირცხლით იცვლიდა გორვის მიმართულებას და მასზე მონადირეს ხახამშრალს ტოვებდა. მანქანაში

მსხდომნი გადმოვიდნენ გზისპირზე, სიცილით იჭაჭებოდნენ და სახუმარო რჩევების მიცემაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

კარგა ხანი გავიდა, სანამ ოფლში გახვითქული კაკო მილასლასდებოდა მანქანასთან ნადავლით ხელში და ისევ საჭეს მიუჯდებოდა.

ბატონი აფრასიონი მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებოდა და მოჰყვა რამდენიმე წლის წინანდელ ამბავს, როცა ძმაბიჭებთან ერთად ნადირობისას ვერაფერს გადაეყარნენ საკბილოს და გასართობად ერთმანეთს ჯიქურ ხდიდნენ ქუდებს, მაღლა აისვრიდნენ და ყველანი ერთხმად უბათქუნებდნენ თოფებს...

ამასობაში მანქანამ დაღმართისკენ ქნა პირი. ახლა ზაური აყვირდა:

— არიქა, ჩემი ქუდი!.. გააჩერე, გააჩერე!

მისმა შლაპამ საჭიროდ ჩათვალა უფროსის შლაპისთვის მიებაძა, მასაც მოესურვილა თავისუფლად გასეირნება.

ისევ აჭრიალდა მუხრუჭები...

ახლა უფროსის მოადგილემ ზაურმა მიბაძა აფრასიონს — ფეხი არ გადადგა მანქანიდან... არც კაკო აპირებდა საცირკო წარმოდგენის განმეორებას. კარგა ხანს იქნებოდნენ ასე, სანამ კაკო მოისაზრებდა:

— მამუკა, აბა, ჩახტი, ცქვიტად!

ჯერ ბატონი აფრასიონი გადავიდა მანქანიდან, შემდეგ მისი სკამი წინ გადაწიეს და ბიჭი ზლაზვნით მიჰყვა.

ამასობაში ქუდის კვალიც დაკარგულიყო... მამუკა ზანტად დალაყუნობდა ზევით-ქვევით. ბედად ქუდი შორს არ წაეღო ქარს, მაგრამ ნახევარი საათი მაინც მოუნდა მის მოძებნას...

გზა განაგრძეს. ხმას აღარავინ იღებდა. ბატონ აფრასიონს გუნება აემღვრა — სანამ მწყერზე სანადირო ადგილს მიაღწევდნენ, უღვთოდ დაცხებოდა კიდეც. სხვებიც გაბუტულებივით ისხდნენ.

დრო იყო მოსაგები და კაკომ სულ გადარია მანქანა.

— გააჩერე, გააჩერე! — აყვირდა უცებ მამუკა.

გაგულისებულმა კაკომ მკვეთრად დაამუხრუჭა და მგზავრები და ძაღლები ერთმანეთს მიაწყდნენ.

— ჰო, რა იყო? — იკითხა კაკომ უხეშად.

— ქუდი გადამივარდა! — მამუკა წამოდგა, მანქანიდან ჩასვლა დააპირა.

— რაო? — შეუბღვირა კაკომ. — შე რეგვენო, იდიოტო, რაზე იხურავ ქუდს, თავი თუ არ გაბია? ეგეთი ჩერჩეტი ვინ გაგაჩინა, ჰა? იმდენი ტვინი როგორ არ გაქვს, ღია მანქანაში ქუდი ხელით დაიჭირო? დაეგდე მანდ!..

და კაკომ ბიძგით დაძრა მანქანა.

1984

ლატარიის იღბლიანი ბილეთი

დილით სამსახურში მაგვიანდებოდა და, როცა იპოლიტე მანქანის საჭესთან დავინახე, სახე გამინათა ათასვატიანმა, ან — თუ სხვა შედარებას ვიხმარ — ათასდოლარიანმა ღიმილმა, როგორც ამერიკელები იტყოდნენ ასეთ შემთხვევაში.

— მომილოცავს!

იპოლიტემ შემომიბღვირა, ხმა არ გამცა.

— რა იყო, იპოლიტე, რა ბზიკმა გიკბინა? ესაა ჩვენი ძმაკაცობა? მანქანა შეგიძენია და არც კი დამირეკე!

— რას მილოცავ?

— ახალთახალ მანქანას დააქროლებ, ღმერთმა სულ კეთილ გზაზე გატაროს, და არ არის მოსალოცი?

იპოლიტემ კარი გამომიღო:

— დაჯექი. სამსახურში მოდიხარ?

მალე შევატყვე, იპოლიტე ახლა ითვისებდა მანქანის მართვის ხელოვნებას.

— იპოლიტე, სანამ ფეხით დადიოდი, კარგად ჩაპუტკუნებული ბრძანდებოდი, ახლა მანქანით დაბრძანდები და რამ გაგახდუნა?

— ეჰ, ნეტავი შენ! — ჩაიქნია ხელი იპოლიტემ და კინაღამ გვერდით მიმავალ მანქანას გავკარით ფერდი.

— რა მიეცი მანქანაში?

— ოცდაათი კაპიკი!

— რა?.. არ გამაგიჟო!

— ლატარიაში მოვიგე, — სრულიად სერიოზულად ამბობს იპოლიტე.

თავი ვეღარ შევიკავე და გადავიხარხარე:

— ჩემთან რა გაქვს დასამალი, ჩემო იპოლიტე, რამდენი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ...

— ეეეჰ, არც შენ გჯერა?

— კაი ერთი, ბავშვი ხომ არ ვარ, მაბითურებ?

— დალახვროს ეშმაკმა! — შეიკურთხა იპოლიტემ და საჭისთვის მე რომ ხელი არ შემეშველებინა, ნაღდად ტროტუარზე ავვარდებოდით და ერთი კარგა მსხვილი ჭადრის მდგრადობას მოვსინჯავდით.

— რა იყო, იპოლიტე?

— კაცი ვერ ვნახე, კაცი, რომ არ ეკითხოს, რამდენად იყიდე მომგებიანი ლატარიის ბილეთიო. ალბათ შენც მკითხავ...

— რა არის ამაში უცნაური?

— სინდისს გეფიცები, თუ ჩემი ერთი სიტყვაც კი ტყუილი იყოს... ბათუმში ვიყავი მივლინებით. სიგარეტი ვიყიდე მაღაზიაში, ხურდა არ ჰქონდათ და ლატარიის ორი ბილეთი თითქმის ძალათი შემომაჩეჩეს. ჩავიკუჭე პიჯაკის გულისჯიბეში. ბათუმიდან ნათესავები მოვინახულე გურიაში. წავიდა გადაბმული ლხინი და დროსტარება... მთელი გურია მოვიარე — რა ხანია, იქით არ ვყოფილვარ. ჩემი პიჯაკი ხან სად ეგდო, ხან — სად. ლატარიის ბილეთები თუ მქონდა, აღარც მახსოვდა. მერე, თბილისში დაბრუნების კარგა ხნის შემდეგ, ცოლს უნდა წაეღო პიჯაკი ქიმწმენდაში და ჯიბეების ამოსუფთავებისას დავიწყებული ლატარიის ბილეთები არ აღმოვაჩინე? გამახსენდა, სწორედ რამდენიმე დღის წინ ჩატარდა ლატარიის გათამაშება, ვნახე მოგებათა ცხრილი გაზეთში. გავსინჯე და თვალებს არ დავუჯერე — ერთმა ბილეთმა "ჟიგული" მოიგო! ას სამოცდაერთი, თერთმეტი, ნოლ ათი — ახლაც მახსოვს ნომერი. შევყარე ოჯახი, გახარებულმა. თურმე რა გიხარია?!. ჯერ ცოლმა შემომიტია, ფულებს თუ ინახავდი, რაღა ამ მანქანას მიაჭყლიტე, ვითომ აწყობილი გაქვს ოჯახში ყველაფერიო; შენი ცოლი მათხოვარივით დადის, არც შვილები გყავს უკეთეს დღეშიო... კინაღამ შემჭამა. საკუთარი ცოლი რომ არ დაგიჯერებს, ნათესავ-ნაცნობებს რაღას ერჩი? განსაკუთრებით მეზობლებმა გამიჭირეს საქმე, სად იშოვე მომგებიანი ლატარიის ბილეთი, რამდენად იყიდეო. როცა ვეუბნებოდი, ბილეთში ოცდაათი კაპიკი მივეცი-მეთქი, სიცილით იჭაჭებოდნენ, კაი მასხარა ვინმე ყოფილხარ, ეგ საკენკი სხვებს დაუყარეო. ახლა სამსახურში? ჯვარს მაცვეს... კინაღამ გადამრიეს, დავიღალე ჩემი სიმართლის მტკიცებით, მაგრამ ვინაა დამჯერი? ისე გავნერვიულდი, ლამის არის ხრამში გადავაგდო ეს დასაწვავი! ხანდახან უკვე მეც კი აღარ მჯერა, რომ მართლა ლატარიის ბილეთით მოვიგე...

— რა ვიცი, ჩემი ხელფასის ლამის ნახევარს ლატარიას ვახარჯავ ხოლმე უკვე რამდენი წელია და ჯერ ველოსიპედიც არ მომიგია, — ავუბი მხარი საუბარს. — თუმცა ერთხელ კი მოვიგე — რამხელა ნებისყოფა უნდა გქონდეს კაცს, რომ რამდენიმე ათასი დახარჯო და ბოლოს და ბოლოს რვა მანეთი მოიგო! ცოლ-შვილი რომ მყავდეს სარჩენი, არ ვიცი, რას ვიზამდი. ლატარიის გიჟს მეძახიან!

— ერთხელაც შენც მოარტყამ დიდ მოგებას და გიჟი გიძახონ მერე!

გზაჯვარედინზე შეჩერებული მანქანის ფანჯარაში უცებ თავი შემოყო ღიმილით ყურებამდე პირგახეულმა აყლაყუდა თენგიზამ:

— მშვიდობაში!.. საით გაგიწევია?.. შემოვეტევი?

იპოლიტემ უსიტყვოდ ანიშნა, უკანა სკამზე მოკალათდიო.

წავედით.

— იფ, რა ცინცხალი მანქანაა!.. საღებავის სუნი ასდის! რა დაგიჯდა?

იპოლიტეს პასუხზე თენგიზას ხარხარმა გაგვაყრუა.

— ვინ ჭამს მაგას, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე?

უცებ იპოლიტემ მანქანა ისე მკვეთრად დაამუხრუჭა, რომ კინაღამ შუბლით გავარღვიე წინა მინა.

— გადაბრძანდით, სანამ კარგ ხასიათზე ვარ! — დააბრიალა თვალები.

ერთი წუთის შემდეგ მე და თენგიზა ტროტუარიდან შიშით ვუყურებდით, როგორ მიაგლიჯინებდა მანქანას იპოლიტე ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩაში.

— კიდევ კარგი, გადმოგვსვა, — თქვა თენგიზამ, — თორემ რამე ფათერაკს გადაგვყრიდა... გიჟია ნაღდად, ამ დილაადრიან ლატარიაში გვერგო?!.

აბა, ცქვიტად!..

პარკეტს ორნი აგებენ.

ერთს სიმონი ჰქვია. გამხდარია, მაღალი, სათვალიანი; შეჭაღარავებული თმა ბუჩქად ადგას თავზე.

მეორე – ჟორა – უფრო ახალგაზრდაა. დაბალია, მელოტი, საკმაოდ მოზრდილი ღიპიც ამშვენებს, მაგრამ საოცრად სხარტია. მაისურის ამარაა, მსხვილი მკლავები უბზინავს. სიმონისგან განსხვავებით – ლაქლაქაა, მარდად ამუშავებს ხელებსაც და ენასაც. ჟორა "ბრიგადას" უფროსობს. "აბა, ცქვიტად!" – ხშირ-ხშირად ეუბნება სიმონს და დამხმარე მუშას, ჯერ უწვერულ, ჩუმ ახალგაზრდას.

სიმონი მსმელია. ჰყვება:

– აი, ფეხზე დირე დამეცა, ფრჩხილი გამიშავა. მაშინვე დავლიე, ტკივილი არც გამიგია. ისე მომირჩება ეს ფეხი, ვითომც არაფერი; ყოველდღე დავლევ მორჩენამდე, დედას ვუტირებ! მერეც დავლევ...

ჟორაც სვამს, მაგრამ ზომიერად. სიმონს ეუბნება:

– რასაც ფულს აკეთებ, ყველაფერს მუცელში ისხამ, რა ავტომანქანას იყიდი?!.

სიმონი და ჟორა ერთმანეთში სულ კინკლაობენ. ჟორა ხშირ-ხშირად ურევს საუბარში უწმაწურ სიტყვებს. სიმონი ამაზე ეჩხუბება, თუმცა უშედეგოდ:

– რას იგინები, ხომ ხედავ, აქ ქალებიც არიან, იმათ მაინც მოერიდე!

ცოლის ახირება, თორემ პარკეტის გამოცვლაზე ვიფიქრებდი? ვალი ავიღე, ოღონდ მაგის ჯიჯღინს გადავურჩე-მეთქი. ახლა თავზე ვადგავარ მეპარკეტეებს, საშინლად ძვირი დამიფასეს და ხეირიანად მაინც დააგონ. და ვისმენ ჟორას გაუთავებელ მონოლოგს...

– შენ ახლა გგონია, არა, ჩემზე – ეგ ვიღაც ჟორაა თუ ჯანდაბა, დიდი ვირეშმაკა ჩანს; არადა, ეტყობა, წერა-კითხვა ძლივს იცისო... ეგრე არ არის? ეგრე ფიქრობ, მაგან მხოლოდ ის იცის, წიფლის პარკეტი სჯობს თუ მუხის, კაკლის თუ თელისაო. ანგარიში მარტო ის იცის ჩვენმა ჟორჟიკამ, კვადრატული მეტრის დაგებაში ორი თუმანი გამოგვართვას, მასალასაც ოცი-ოცდახუთი მანეთი უნდა, სულ კვადრატული მეტრი ოთხ-ხუთ თუმნამდე ჯდება. მართალია, ეგეთი რამეები მე არ შემეშლება – ეგრეა დაწესებული, ნიხრია, ჩემი მოგონილი კი არ არის. მეპარკეტე ჟორას სხვა რამეებიც ესმის, ეგრე კი არ არის საქმე. მე, ძამიკო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ფრიადოსანი ვიყავი. არა გჯერა? სიმონმა თუ "ვეფხისტყაოსანი" იცის, მე ქიმია, ფიზიკა ახლაც სულ ზეპირად მახსოვს. უტვინო აბიტურიენტების მაგივრად გავდიოდი მისაღებ გამოცდებზე. გამომცდელები საშუალო სკოლის მასწავლებლები იყვნენ და ვინ რას მიხვდებოდა. სულ ერთი იყო ჩემთვის – მათემატიკა, ფიზიკა თუ ქიმია, სულ გლიჯინ-გლიჯინით გავდიოდი ფრიადებზე. ერთხელაც საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ ჩვენი ფაკულტეტის დეკანი არ გამომეცხადა? უკვე გამოვდიოდი გამოცდიდან და მაშინ შემობრძანდა დაგვიანებით. ელდა მეცა... მიცნო, დამიჭირა; რა უნდოდა, არ ვიცი... საქმე გასკდა, გამრიცხეს მეოთხე კურსიდან... მაგრად დავიბოღმე. ჩავუსაფრდი, გამოვიჭირე და ვცემე გემოზე. მიჩივლა და ჩამსვეს... ორ წელიწადში გამოვედი და მას მერე ვმუშაობ. ჯერ – შეგირდად, მერე საკუთარი საქმე გავიჩინე, სხვებზე ნაკლები რით ვიყავი. ცოლ-შვილსაც მოვეკიდე. დიდი ხნის ამბავია... ამას წინათ გლდანის მასივში მომიწია პარკეტის დასაგებად წასვლა. ვხედავ, ეს ჩვენი დეკანი აქაც არ შემომეფეთა? მასთან უნდა ვიმუშაო, მის ბინაში. ახლა კათედრის გამგე ყოფილა. ოროთახიან ბინაში არიან გამოჭიმულნი ხუთი სული. მერე რა უდგათ იქ, არ იკითხავ? ერთი წესიერი სკამი არ აქვს, კარადას და სხვა რამეს თავი დავანებოთ... "ეეეე, – მე ვუთხარი, – სამსახურში საათნახევარს მიჩაქჩაქებ ავტობუს-ტრამვაით, პროფესორი კაცი მანქანას რატომ არ ყიდულობ?". ჯერ ვერ მიცნო. ვეუბნები: "ჩემს ბიჭს "ჟიგული" ვუყიდე, დასრიალებს მის გემოზე. ჯერჯერობით ეყოფა, სტუდენტია. მე "ვოლგით" დავდივარ. მართალია, ძველი გამოშვებაა, მაგრამ მე მირჩევნია – უცვეთელაა, თან – მივეჩვიე, ხარჯიც ნაკლები აქვს... თუ დამჭირდა, – ვეუბნები, – ახლაც ვიყიდი, არ გამიჭირდება". იმ ნადეკანარის შვილს ჩემი გაბითურება არ მოუნდა? წყალი ვთხოვე, – ნაბახუსევი ვიყავი და პირი მიშრებოდა; მომიტანა და მეკითხება: ქვეყნის ამბებში კარგად ერკვევი, აბა, წყლის ფორმულა მითხარიო. შენ გიჩვენებ სეირს-მეთქი, ვიფიქრე, ვეუბნები: "ჯერ თვითონ მითხარი, რით განსხვავდება დეიტერიუმი ტრიტიუმისგან და რა არის მძიმე წყალი? თუ გინდა, მერე სხვა თემებზეც ვილაპარაკოთ, აი, მაგალითად, თუ იცი, კინოლოგია რას სწავლობს? ჩინეთმცოდნეობაა თუ კინომცოდნეობა? ერთსაც გკითხავ: ძაღლები თუ გიყვარს?" გავჭედე ფინთად. "შენ, – ვეუბნები, – ძია შოთა ხომ არ გგონივარ?". "ვინ ძია შოთაო", – მეკითხება. "მისმინე, – ვეუბნები, – ჩემს დროს ინსტიტუტში ერთი კარისკაცი იყო – ძალიან კეთილი, ტკბილი მოხუცი. ერთი უცნაურობა სჭირდა – დიდი ქიმიკოსი ვარო, იძახდა. სტუდენტებმა გაატუტუცეს: ეკითხებოდნენ ხოლმე, "ძია შოთა, გამოცდაზე გვეჩქარება და რაღა გვეშველება, წყლის ფორმულა გაგვახსენე, თორემ პროფესორი ჩაგვჭრისო"... ძია შოთაც ყოველთვის სერიოზულად "გაგვახსენებდა" ხოლმე და ძალი-

ან კმაყოფილი იყო. ერთხელაც კათედრის გამგე, ქიმიკოსი, მოკვდა და ძია შოთა ძლიერ დამწუხრებული იყო, ამბობდა, ორი დიდი ქიმიკოსი ვიყავით ინსტიტუტში და ახლა ერთიღა დავრჩიო".

ვხედავ, ნადეკანარი პროფესორიცა და მისი შვილიც პირდაღებულნი დგანან და მიყურებენ... შენსავით ასე დამცქეროდნენ ზევიდან, მე პარკეტს ვაგებდი. ჰოდა, მეკითხებიან, უმაღლესში სწავლობდიო? ვსწავლობდი რომელია, სულ ფრიადოსანი ვიყავი. ბედი არ გინდა? კიდევ კარგი, ისე მოხდა, პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გამომაპანღურეს, თორემ ხომ დავიღუპებოდი კაცი. რა გამოვიდოდა ჩემგან? ვიქნებოდი ერთი ქეციანი ინჟინერი, მექნებოდა თვეში 150-200 მანეთი... ოცი წლის მუშაობის შემდეგ! ახლა 200 მანეთს ზოგჯერ დღეში ვაკეთებ... ჰო, ვეკითხები: "ვერ მიცანი, პროფესორო?". მიცნო, აბა რა. "კარგად მობერებულხარ, — ვეუბნები, — პროფესორ კაცს წიგნების მეტი არაფერი უნდა ჰქონდეს შინ?". აქეთ მედავება, "მაშ შენ სტუდენტ შვილს რად ასწავლიო; ინსტიტუტიდან რომ გამოგაგდეს, ბედს ემადლიერები, შენს შვილს კი ინსტიტუტში აწყობ, სადაური ლოგიკააო". "მერე რა, — ვეუბნები, — ყველას შვილი სწავლობს, ჩემმა რა დააშავა? მაგ საქმეზე ჩემი წონა ფული მაქვს დახარჯული. სამ საგანში კერძოდ ვამზადებდი სამ წელიწადს, იანგარიშე... გოგოც მყავს, იმასაც ხომ პატრონობა უნდა, იმასაც მოვაწყობ. სკოლას წელს ამთავრებს, მარტო საზეიმო კაბას 500 მანეთი უნდა, ბანკეტის ხარჯი კიდევ სხვაა. მერე ხომ რამდენიმე წელიწადში ქორწილზეც უნდა ვიფიქრო? კაი გემრიელ ქორწილს ათი-თორმეტი ათასი უნდა, ხუმრობაა? ბიჭს სტუდენტად რომ ვაწყობ, სადაური ლოგიკაა? იქაური ლოგიკაა, ჩემო ლამაზო, რომ სანამ მამა ცოცხალი ჰყავს და რამე შეუძლია, არ დაიჩაგრება, არაფერს გავუჭირვებ. ნელ-ნელა მომაგრდება, კარგ ადგილს ვუშოვი, თანამდებობის კაცი იქნება. თუ მე ოფლით და კოჟრებით ვშოულობ ფულს, მას ეგრევე მიართმევენ ლანგრით. ცოლიც უნდა ვათხოვნინო, დროზე ჯობს ყველაფერი. ამას წინათ ბიჭი სასიმამრომ გამოაცილა. ერთი შეკვრა ჩაუდო ჯიბეში — შინ რომ დაბრუნდები, ჩემი სახელით ძმაკაცები აქეიფეო. ხუთი ათასი იყო შეკვრაში — ასი ცალი ხუთთუმნიანი. სასიმამრო ქუთაისელია, წვენებში ჩალიჩობს, ღმერთივით ცხოვრობს. კაი ვაჟკაცია. სასიძო მოეწონა, ჩემი ბიჭი კარგი მსმელია. ხომ იცი ქუთათურების ამბავი, თუ ვერ სვამ, სიძედ ვერ ივარგებ"...

ეს ნადეკანარი ჭკუას მარიგებს: "განა ფულია ამქვეყნად ყველაფერიო". რა უნდა მეთქვა? "ციხეში ღმერთმა ნუ მიგიყვანოს-მეთქი, იქ ბევრმა ისწავლა ჭკუა, ტყუილად კი არ ჰქვია გამოსასწორებელი ადგილი. თუ ფული გაქვს, იქაც კაცი ხარ. ერთს აუზი, პატარა საცურავი აუზიც კი ჰქონდა, აბა, კაცო!.. მამამისმა მოუხერხა. ფერადი ტელევიზორი, დიდეკრანიანი, შენც რომ არ გაქვს, ისეთი... ფეხების დამბანიც კი ჰყავდა... ციხის საჭმელი არც გაუსინჯია, სულ გარედან შემოგზავნილს მიირთმევდა... არც ქალი აკლდა, არც — სასმელი. კურორტზე შენ არა ხარ უკეთ, — პროფესორს ვეუბნები. — ხარჯი? იანგარიშე: ბოთლი არაყი — თხუთმეტი მანეთი, კოლოფი სიგარეტი — ხუთი მანეთი..." პროფესორი ისევ მედავება: "შენისთანების გამოა ყველაფერი, პატიოსან ხალხს ყვლეფთო; ამას წინათ სალუდეში ვიყავი კოლეგასთან ერთადო, — მეუბნება, — ვლაპარაკობდითო და ვიღაც კირით მოთხვრილი ტიპები ჩაგვეჩხირნენ ლაპარაკში — იცავთ ტილიან დისერტაციებს და უკვე პროფესორები გახდითო; პროფესორები კი არა, მუქთამჭამელები ხართო; თქვენ დისერტაციებს იცავთ და მუშაობით კიდევ სხვები იწყვეტენ წელსო; აი, რა ხალხში ჩავვარდითო", — წუწუნებდა პროფესორი. "მერე, ძმაო, — ვეუბნები, — შენი მეცნიერობა თუ არავის უნდა, პრესტიჟი დაეცა, ჩემი რა ბრალია? რომ მსაყვედურობ, მე შენ გვყვლიფავ? — მე ვეუბნები, — შენთვის რამე წამირთმევია? მე ფულს ჩემი ხელობით, აი, ამ ხელებით ვაკეთებ... მოდი, აბა, ერთი დღე ჩემსავით იმუშავე — ერთ კვირას წელში ვერ გაიმართები... ტაქსების დისპეტჩერი ცვლის ბოლოს რომ 50-70 მანეთს აკეთებს, იანგარიშე, თვეში რამდენი გამოუვა? მორიგეობისას მთქნარებით კვდება, გაზეთის კითხვაც ეზარება... მაშ, მე იმაზე ნაკლები ფული მეკუთვნის ჩემი ალალი შრომისთვის? — ვეუბნები, — პროფესორო, მოდი, შენც იმუშავე დისპეტჩერად, დრო თავზე საყრელი გექნება; წერე მონოგრაფიები, ფულსაც მეტს გააკეთებ... თითო შოფერი სულ ცოტა ათ შაურს მაინც დაგიტოვებს გარაჟში დაბრუნებისას, თუ დააგვიანა — სამ-ხუთ მანეთსაც მოგცემს... მაგრამ ჯერ თხუთმეტი ათასი უნდა მოაქუჩო, დისპეტჩერის ადგილს უფრო იაფად ვერ იშოვი. ცოტას თუ წაუმატებ, ნაცნობობით დირექტორადაც მოეწყობი — უმაღლესის დიპლომი ხომ გაქვს. თვეში ორი ათასი გექნება სუფთა, თუ იჩალიჩებ, ორ მაგდენსაც გააკეთებ. მოადგილეს, რომელიც შენთვის ფულს იღებს, რამდენიმე წელიწადში ერთხელ გამოცვლი... ოღონდ ღორი არ უნდა იყო: ყველას თავისი წილი უნდა მისცე, არაფერი შეგეშალოს — მილიციაში, რაიკომში, რაიაღმასკომში... გინდაც სადმე საწყობის გამგის ან ბაზის დირექტორის ადგილი იყიდე, ფულს ჩეჩქვივით იშოვი..."

ვხედავ, პროფესორმა ცხვირი ჩამოუშვა. ვეუბნები: "აი, შენი ბინა ბინას ჰგავს?". მეუბნება: "წლის ბოლომდე ახალ ბინას მპირდებიან, ოთხოთახიანსო". "მერე, შე ოჯახაშენებულო, პარკეტს რაღას ცვლი-მეთქი. თუ შვილს უტოვებ ამ ბინას, მაშინ სხვა ამბავია... ახალ ბინაში, იცი, რემონტი რა დაგიჯდება? ათი ათასი უნდა დაყაჭო, თუ გინდა ხეირიანად შეგიკეთონ. მარტო რკინის კარს ათასი მანეთი უნდა; აბა თქვენს კარს რომ ერთი წიხლი ჰყოფნის, იმის იმედზე გაჩერდები? იცი, — ვეუბნები, — რა სჯობს? ბინას ჩააბარებ "ბრიგადას", დადებ ოცდაათ ათასს და ორ-სამ თვეში ჩაგა-

ბარებენ გასაღებს, იატაკიც კი მოპრიალებული იქნება... თქვენ კი მეორე ოთახშიც ვერ აგებთ პარკეტს-მეთქი...”

ეჰ, რამდენს ვქაქანებ, პირი გამიშრა! წესით, შენ უფრო უნდა გეხერხებოდეს ამბების მოყოლა – ფილოლოგი კაცი ყოფილხარ... ახლა, საყვარელო, ჩვენი ღმერთი იქნები, თუ ერთ სამლიტრიან ქილას აიღებ და ცივ-ცივ ლუდს მოგვირბენინებ...

აბა, ცქვიტად!..

1984

ჩვევა

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა არის ბინის შეკეთება, რამდენ ჭაპანწყვეტასთან, სირბილთან, ნერვიულობასთან და ათასგვარ წვალებასთან არის დაკავშირებული, ხარჯს ხომ ნუღარ იტყვი...

წამიწყდა ღმერთი და მეც შევცდი – წამოვიწყე ბინის რემონტი, თავბედიც ვიწყევლე: მასალა არაფერი იშოვება, გადამყიდველებთან მამასისხლად თუ იყიდი... სამეურნეო მაღაზიებში წანწალმა მომკლა, იქნებ რაიმეს მაინც წავაწყდე-მეთქი. ტყუილად ვკითხულობ, სად არის კარის ანჯამები, ხის წებო, თარაზო, სანტექნიკა და ათასი სხვა რამ... უბრალო ფანჯრის მინის საგოზავიც კი პრობლემად იქცევა.

ეს გაწამაწია იმდენ ხანს გამიგრძელდა, რომ დავინახავ თუ არა სამეურნეო მაღაზიას, არ იქნება, ინსტიქტურად არ შევიდე – იქნებ შემთხვევით რამე ვიშოვო, რაც მჭირდება. ჩემს ნაცნობ-მეგობრებს ხომ ჭირი მოვჭამე: ხან რას ვთხოვ და ხან – რას.

ამას წინათ ჩემი სკოლის ამხანაგი შემთხვევით შემხვდა ქუჩაში. თერთმეტი წელი ერთ მერხზე ვისხედით! რა ხანია, აღარ მენახა, კოტე სამშენებლო ტრესტის უფროს ინჟინრად მუშაობს თურმე.

ტუზი დამეცა! მაშინვე მათხოვრის იერით შევღაღადე:

– ჩემო კოტე, თუ ძმა ხარ, ხომ არ იცი, ცოტა გაჯი სად შეიძლება იშოვოს კაცმა? ვინმე შენს ნაცნობ-მეგობარს ათი-თხუთმეტი კილო თაბაშირი ხომ არ მორჩა შემთხვევით? მეტლახის ფილების შოვნას გადავყევი კაცი და ნახევარი დამემტვრა, უხარისხო გამოდგა, თავიდან უნდა ვირბინო...

კოტემ ყოველგვარი დახმარება აღმითქვა; დროც დამითქვა – შინ იყავი, მანქანით მოგიტანენ ყველაფერსო...

ამ ამბით გახარებულმა, განვაგრძე გზა. სახე უნებურად ისე მიცინოდა, ვინმეს შექანებული ვეგონებოდი...

მივდივარ და ერთ კაი კაცი არ მიცინის პასუხად? გაიოზი – ძველი მეზობელი, კარის მეზობელი, ტკბილი მეზობელი, ძმასავით მეზობელი, – სანამ ბინას მივიღებდი, თითქმის ოცდაათი წელი ვცხოვრობდით გვერდიგვერდ...

ჩავაფრინდი სახელოში, რასაკვირველია, და ინსტინქტურად ვეკითხები:

– ჩემო გაიოზ, აქ ახლომახლო სანტექნიკის მაღაზია ხომ არ გეგულება? ან სამეურნეო? იქნებ ის მაინც მითხრა, ერთ ტომარა ცემენტს სად ვიშოვი?

– ბედი გქონია, ჩემო შიო, ამ ერთი კვირის წინ დავამთავრე ბინის შეკეთება და რაც კი რამ მომრჩა, შენზე უკეთესს ვის მივცემ! – მხარზე ხელი დამკრა გაიოზმა. – ჩემი მანქანით მოგიტან!

თითქოს ამ მხარზე ხელის დარტყმამ გამომაფხიზლაო, გონს მოვედი – ასე რამ გამომაშტერა, მეც ხომ უკვე ორი კვირაა, დავამთავრე ბინის რემონტი!

ამ პატიოსან კაცს ახლა კი ავუხსნი ჩემს მდგომარეობას და გემრიელად ვიცინებთ კიდეც (შესაძლოა, გაიოზსაც ჩემნაირი აკვიატებული ჩვევა დასჩემდა!), მაგრამ კოტეს გამოგზავნილი მანქანა რომ მომადგება, იმას რაღა ვუყო?..

1986

ქურდების სადღეგრძელო

ავტოზეინკალი სერგო ბარბაქაშვილი დღესაც შეჭიკჭიკებული მიადგა საკუთარი ბინის კარს. შუაღამეს არაფერი უკლდა და ამიტომ სერგო, როგორც ზრდილობიან ადამიანებს შეშვენით, დაბალ ხმაზე ღიღინებდა, რომ მეზობლების მყუდროება არ დაერღვია.

შინ მას არავინ ელოდა: ცოლი კაი ათი წლის წინ გაეყარა, ქალიშვილი სხვა ქალაქში იყო გათხოვილი.

სერგო დიდხანს აჩხაკუნებდა გასაღებს, ნახვრეტს ვერაფრით მოარგო.. თუმცა ტყუილად ირჯებოდა – ამ ჯახირში კარი თავისით გაიღო, დაუკეტავი ყოფილიყო...

სერგოს ძლიერ გაუკვირდა – გულმავიწყობას ამ ბოლო დროს კი უჩიოდა, მაგრამ დილით შინიდან გასვლისას კარი ნამდვილად საგულდაგულოდ დაკეტა.

– ნეტა ვის გავახსენდი, ვინ მესტუმრა? – ბურტყუნებდა სერგო. სინათლე აანთო და ოთახი მოათვალიერა, ქურდებმა ხომ არაფერი წაიღესო. სიმართლე რომ ითქვას, წასაღები არც არაფერი იყო: ერთ კუთხეში ადამისდროინდელი მორყეული ტახტი იდგა, მეორეში ბოთლების ჯარი შეჯგუფულიყო – სხვადასხვა ზომის და ფერის, ოღონდ ყველა ცარიელი; ასე რომ, ღვინოთა ბოთლების კოლექციონერი გვარიანად გაიხარებდა. სერგოს სტუმრები კი ალბათ გაწბილებულნი დარჩებოდნენ, რადგან, როგორც ეტყობა, ფულის ნიშნებისა და ძვირფასეულობის "კოლექციონერობით" უფრო იყვნენ გატაცებულნი... ჰო, ოთახს კიდევ ამშვენებდა შუაში მდგარი მცირე, გაზეთგადაფარებული მაგიდა და ერთიც დანჯღრეული ტაბურეტი...

სერგო ჭრიალა ტახტზე გაუხდელად წამოწვა და ნაირფერი ლაქებითა და ნაპრალებით დამშვენებულ ჭერს მიაშტერდა, თან თავისთვის ლაპარაკს მოჰყვა (საერთოდ, უყვარდა ფილოსოფოსობა):

– უოჯახო კაცი მტკვარშია გადასაგდები, არც მოყვარეს არგია და არც მტერს!.. საქმეა ახლა ესა? ცოლი ან შვილი რომ შინ ყოფილიყვნენ, ის ოჯახაშენებულები, ქურდები ხომ არ მესტუმრებოდნენ და არ შევრცხვებოდი... გაგონილა სტუმრის ასე დახვედრა, ჰა?.. ასანთიც რომ ვერ ნახეს წასაღები, სირცხვილი არ არის?.. ლოთი კაციც მტკვარშია გადასაგდები და დასახრჩობი ნაღდად, მე რომ მკითხო... რამდენი წელია, ქალიშვილს არ გავკარებივარ, მრცხვენია, ასე აჩაჩულ-ჩაჩაჩულს რომ შემხედავს, რას იფიქრებს? შვილიშვილი საერთოდ არ მინახავს, ორი წლისა გახდა უკვე... სურათი რომ გამომიგზავნა გოგომ, ნეტავ სად დამეკარგა? ქურდები იმას წაიღებდნენ ვითომ? მე კი ვეღარ მიპოვნია და... მართალია, გოგო ქუთაისში ცხოვრობს, მაგრამ მთვარეზე ხომ არა? წადი რა, შე ოხერო, ჩაჯექი ავტობუსში და ოთხ საათში იქ არა ხარ?.. ფული?.. ფული როგორ არა გაქვს, ხელოსანი კაცი ფულს ყოველთვის იშოვის, მით უმეტეს – ჩემისთანა... დახუჭული თვალებით მიმიყვანე მანქანასთან და ზუსტ დიაგნოზს დაგისვამ, რა სტკივა. მანქანების ექიმი კი არა, ნაღდი პროფესორი ვარ, ამას წყალი არ გაუვა, შენი ჭირიმე!.. თუმცა, ამ ბოლო დროს, თუ არ დავლიე, ვერ ვმუშაობ – ხელი მიკანკალებს და ხასიათზეც ვერა ვარ... ჰო, ახლაც რომ ცოტა დავამატო, არ იქნება ურიგო, ბოლოს და ბოლოს, სტუმრები მეწვია! მართალია, უპატივცემულოდ გავუშვი...

უცებ სერგოს თვალები გაუშტერდა, პირღია დარჩა, მერე უეცრად თითქოს გამოფხიზლდა, მსწრაფლ წამოხტა და ბოთლების გროვასთან მიიჭრა ოთახის კუთხეში.

გულმა რეჩხი უყო – ორი ბოთლი გაუხსნელი "გარეჯი" რომ ეგულებოდა, შემთხვევით წინა დღეს გადანახული, აღარ იყო! ქურდებს ღვინო მაინც დაჰხვედრიათ და წაუღიათ კიდეც! აბა ვინ სულელი გააჩერებდა!.. "ვაი შენ ჩემო თავო! – მწარე ფიქრებში ჩაიძირა სერგო. – ჯობდა, მარჯვენა მოეჭრათ და ის ორი ბოთლი ღვინო დაეტოვებინათ!.. ახი კია ჩემზე, – სხვა რომ ვერაფერი ნახეს, ის ბოთლები გააყოლეს ხელს... აბა, მქონოდა მდიდრულად მორთული ბინა, ძვირფასეულობა, კონიაკების კოლექცია, – იმ ორ ბოთლ "გარეჯს" ვინ შეხედავდა?"

სერგო ბარბაცით მივიდა მაგიდასთან, მოწყვეტით დაეგდო ტაბურეტზე და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო... და მხოლოდ ახლა შეამჩნია მის წინ მდგარი ერთი თლილი ჭიქა და ორი "გარეჯის" ბოთლიც!.. აკანკალებული ხელით ჯერ ერთ ბოთლს შეეხო, მერე – მეორეს, ხომ არ მეჩვენებაო... არა, ნაღდად იდგა ორი ბოთლი გაშლილ გაზეთზე და უაბაჟურო, ტიტლიკანა ნათურის შუქი ირეკლებოდა მათი გვერდებიდან... თუმცა... თუმცა სიხარული ნაადრევი გამოდგა – ორივე ბოთლი გამოცლილი იყო, საცობებიც იქვე ეყარა მაგიდაზე...

დიახ, ქურდებს ღვინო დაულევიათ, ეს დიდი დანაკლისია... იქნებ ცოტა მაინც დარჩათ? ერთ ბოთლში და მეორეშიც თითო მეოთხედი ჩანს – ქურდებს ჯენტლმენობა გამოუჩენიათ და მასაც დაუტოვეს მცირედი ყელის გასასველებლად!..

და კიდევ: თითო ბოთლის ქვეშ თითო ასმანეთიანიც დევს...

– ვაი, შენ ჩემო თავო, ქურდების შესაცოდიც გავხდი!..

სერგომ ხელის კანკალით დაასხა ჭიქაში მორჩენილი ღვინო ჯერ ერთი ბოთლიდან და ერთი ქურდი და მისი ცოლ-შვილი ადღეგრძელა, მერე მეორე ბოთლიდანაც ჩამოცალა და მეორე ქურდისა და მისი გამჩენი დედ-მამის სადღეგრძელო დალია...

შუშის ჭრის ოსტატები

ოსიკომ შესვენებაზე სამეურნეო მაღაზიიდან სამსახურში ხუთი დიდი ფანჯრის მინა მოათრია; მარაგი არ მაწყენსო – შინ ორი გაბზარული შუშა ჰქონდა გამოსაცვლელი და ერთიც შედარებით მომცრო ნაჭერი სჭირდებოდა სურათისთვის, რომელიც მას ნაცნობმა მხატვარმა აჩუქა.

დერეფანში პირზე ღიმმორეული კარლო ბატონი შეეფეთა, ხუმრობით უთხრა:

– ოსიკო, შე ძველო, ბედი გქონია, აი, სწორედ დღეს შუშის საჭრელი ვიყიდე, მოდი, მინა ჩავსვათ შენს სურათში. რაც დარჩება, მეორე სურათს რომ გაჩუქებენ, იმისთვის დაგჭირდება!

ოსიკო სიხარულით დათანხმდა.

შევიდნენ ოთახში. კარლომ სურათის ჩარჩო გაზომა, მერე შუშა დადო მაგიდაზე, მონიშნა ადგილი და საჭრელი გაუსვა. მეორედაც გაუსვა ყოველი შემთხვევისთვის და მერეღა გადატეხა. ეჰ, ვერ გამოუვიდა მთლად კარგად, იქ არ გადატყდა, სადაც საჭირო იყო...

– არა უშავს, დარჩენილი ნაწილიდან გამოვჭრი, საკმარისი ზომისა დარჩა.

ამასობაში შუშის მჭრელი ოსტატის გარშემო რამდენიმე ცნობისმოყვარე შეიკრიბა. ყველა რჩევას აძლევდა – როგორ დაეჭირა საჭრელი, სად გაესვა და როგორ... სხვა რომ ყოფილიყო, მრჩევლებს დაუცაცხანებდა, ხელს ნუ მიშლითო, მით უმეტეს, რომ კარლომ გადარჩენილი ნაწილიც გააფუჭა, მან კი მხოლოდ ხელი ჩაიქნია:

– ზარალში ვარ, საჭრელი არ ვარგა!

– საჭრელი როგორ არ ვარგა, შენ თვითონ არ ვარგიხარ! – შეუტია კოტიკომ და ულვაშები კატასავით გაეფხორა. – მომეცი აქ, შენ წადი, ცივი ლუდი დალიე!

კოტიკომ ოსტატურად დადო მაგიდაზე შუშა, კოხტად მოარგო სახაზავი და შრიალით გაუსვა საჭრელი; შემდეგ ქვევიდან ფრთხილად შემოუკაკუნა მთელ სიგრძეზე, გადასწია გადასატეხად და ტრახ! მართლაც ადვილად გადაამტვრია შუშა, ოღონდ ტყდომის ხაზი ერთ ადგილას გვერდზე გაექცა.

– ფუი ეშმაკს! – კინაღამ უფრო მაგრადაც შეიკურთხა კოტიკომ. – კარგად არ ამოვარტყი ქვემოდან, ბზარი უნდა გამეჩინა! ეგ არაფერი, მეორეს უკეთესად გადავჭრი!

კოტიკო-ოსტატმა ისევ საქმის ცოდნით დაიწყო ჩალიჩი, დანარჩენები ატრიზავებდნენ:

– სახაზავი ხომ სწორად დადე?

– საჭრელს ძალიან არ დააწვე, კოტიკო, მიაწექი, მიაწექი უფრო!

– კოტიკო, გასაჭრელზე ჯერ უნდა დააფურთხო, ისე არაფერი გამოგივა!

– ამოკაკუნება ხომ არ დაგავიწყდა? გემრიელად, გემრიელად ამოუკაკუნე, ეგ მაინც შეგრჩება! რა გენაღვლება, თუ გატყდება, კიდევ სამი შუშა დარჩება ცდების ჩასატარებლად!

კოტიკომ ყველა მანიპულაცია მაინც აუღელვებლად, გულდაგულ ჩაატარა, მერე გასწორდა, ერთი ღრმად ამოისუნთქა, შუბლზე გამოცვარული ოფლი ცხვირსახოცით შეიმშრალა და ოპერაციის ბოლო სტადია შეასრულა – გადასწია შუშის ცალი მხარე... გადასწია და ტრახ! – ისევ არასწორად გაიქცა ტეხვის ხაზი.

– ჰა-ჰა-ჰა!.. – საყოველთაო ხარხარმა სხვა ოთახებიდან რამდენიმე ცნობისმოყვარე კიდევ შემოიტყუა ოთახში, მხოლოდ ოსიკოს ჩამოსტიროდა ცხვირ-პირი და კოტიკო იღიმებოდა ცალყბად.

– შენ რა იცი შუშის ჭრა! – ებდღვნა კოტიკოს ხელებში გოგია და წაართვა საჭრელი. – მიყურეთ, შვილებო, და ისწავლეთ! აბა, გაიწიეთ იქით, უყურეთ პროფესორს!

გოგიამ დარდიმანდულად მისწია პირის კუთხეში სიგარეტი, ცალი თვალი მოჭუტა და შეუდგა სასწაულქმედებას.

– როგორც გინდათ, ისე გაგიჭრით, თუნდაც ოვალურად!

გოგიამ მინას კოხტად გაუსვა საჭრელი, კოხტადაც ამოუკაკუნა და ტკაც! – კოხტადაც გადატეხა. სახეზე ამპარტავნული ღიმილი დასთამაშებდა.

– ბიჭო, რა მიქენი, ესაა ზომა? – აყვირდა უცებ ოსიკო. – გამანებეთ თავი, მე თვითონ მოვუვლი ჩემს საქმეს!

ნირწამხდარი გოგია შეედავა:

– მოიცა, კაცო, ზომას რომ ვიღებდი, მაშინ სად იყავი?.. მაცალე, ნახე, როგორ გამოგიქანდაკო, საქმე ბოლომდე მიმაყვანინე!

გოგია რომ რაიმეს დაიჟინებს, ვინ დაუდგება წინ – ტანკია, ტანკი!

ხაზგასმულად დინჯად გადაზომა და მონიშნა მინაზე საჭირო ზომები, ოსიკოსაც შეამოწმებინა, ხომ სწორიაო, პაპიროსის ნამწვი ფანჯარაში წკიპურტით მოხდენილად ისროლა, ირგვლივ შემოჯარულთ ამაყად გადახედა და მაგიდაზე დაიხარა...

ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იყო თუ რა, ამჯერად შუშა ჯიუტად გადატყდა მრუდხაზოვანად. სამაგიეროდ, ტაში დაუკრეს სწორხაზოვნად...

– ამათი ბრალია! – გამატრიზავებლებზე აიფოფრა გოგია. – დამთარსეს, ყაყანებენ... ასეთ პირობებში შეუძლებელია ნორმალური მუშაობა. წადით რა, მაცალეთ!.. გადით ყველანი გარეთ!

ოსიკოს ისე წაუხდა გუნება, რომ ხმას ვეღარ იღებდა. გოგიამ ლამის ხელის კვრით გაყარა ყველანი დერეფანში და კარი მიხურა.

ოთახიდან ყრუდ ისმოდა გოგიას ბურტყუნი, დერეფანში ყაყანებდნენ.

არ გასულა ხუთი წუთი და ოთახის კარი ზათქით გაიღო, სახეალეწილი გოგია გამოვარდა და უკანმოუხედავად მოძურწა...

ოსიკოს კატაბალახას წვეთები დაალევინეს.

შინ წასვლის წინ, როცა წყენამ ოდნავ გაუარა, რეზო დურგალს დაუძახა და იმან რამდენიმე წუთში საჭირო ზომის შუშა გამოუჭრა. ამ დროს ოსიკოს მხოლოდ კარლო მიეკარა, ხუმრობა მაინც არ მოიშალა:

– გული ნუ დაგწყდება, ოსიკო, ყველამ შევიტანეთ ჩვენ-ჩვენი წვლილი!..

1985

მიოკარდიუმის ინფარქტი

– ო, ქურდებს, ყაჩაღებს, ყალთაბანდებს, მამაძაღლებს, გაფუჭებულებს – ჩვენი სალამი! – გლიჯინით შემოაღებს კარს მიტო შიგანჭილაძე, თითქმის ორმეტრიანი ჯეელი, მელოტი, დიდცხვირა და თაფლისფერთვალება. ასკილოგრამიან დათვს ჰგავს, ყველანი კი რატომღაც ლომს ეძახიან. პირზე მარად რომ ღიმილი დასთამაშებს, ამის აღნიშვნა ზედმეტია. ერთი ჩვეულება აქვს – ყოველდღე უნდა დაიაროს დაწესებულების ოთახები, ყველგან ვიღაცას გაეხუმრება, ახალ ანეკდოტს მოყვება, ვინმეს დაენაძლაევება ან რომელიმე საკითხში გაანათლებს...

ქურდებად, ყაჩაღებად და სხვა სანაქებო თვისებებით შემკულებად კი მხოლოდ ამ, №36 ოთახში მყოფთ შერაცხავს, რამდენადაც მათ განსაკუთრებული სიმპათიით ეპყრობა და არც არავინ ემდურის; პირიქით, როგორც კი მიტოს მელოტი თავი გამობრწყინდება შემოღებულ კარში, ყველანი საპასუხოდ ღიმილს აგებებენ... აროხროხდება, ერთს მხარზე მოუთათუნებს ხელს, მეორეს ხუმრობით წაეჭიდავება კიდეც...

№36 ოთახში ოთხნი სხედან: დურმიშხან აბაზაძე, ალე ორშაურაშვილი, კარლო ხმიადაძე და არისტოტელე ხუთჭკუაშვილი. დურმიშხან აბაზაძე (ხელფასი – 400 მანეთი თვიურად) – განყოფილების გამგეა, საპენსიო ასაკს მიახლოებული; დღედაღამ მუშაობს, ეშინია, ადგილი არ დაკარგოს. ალე ორშაურაშვილი (ხელფასი – 250 მან.) – უფროსი მეცნიერ-მუშაკია, სადოქტორო დისერტაციაზე ოცნებობს. კარლო ხმიადაძე (ხელფასი – 177 მან. 50 კაპ.) – უმცროსი მეცნიერ-მუშაკია, აღარ დააყენა საშველი საკანდიდატო დისერტაციის დაცვას... არისტოტელე ხუთჭკუაშვილიც უმცროსი მეცნიერ-მუშაკია, ხელფასსაც კარლოს ტოლს იღებს; სიმართლე რომ ვაღიაროთ, ფეხებზე ჰკიდია დისერტაციაცა და სამსახურიც კი, უფრო გატაცებულია მხატვრობაზე წერილების წერით.

ამ ოთხ განსხვავებულ პიროვნებას ერთი რამ აერთიანებს – ჯამაგირი არც ერთს არ ჰყოფნის...

იმ დღესაც გახურებული ბჭობა ჰქონდათ, როგორ გაამაგრონ ოჯახთა ბიუჯეტები და ამ დროს გამოეცხადათ პატივცემული მიტო, რომელიც მაშინვე აქტიურად ჩაერთო დისკუსიაში. მრავალი ხერხი თუ საშუალება განიხილეს გამოწვლილვით: მეფუტკრეობა, ტელევიზორების შეკეთების შესწავლა, "ტაქსაობა" საკუთარი მანქანით (სამწუხაროდ, მსუბუქი მანქანა მხოლოდ ბატონ დურმიშხანს აქვს), ღორების მოშენება, უმაღლესში მოსაწყობად "პინგვინების" მომზადება, ზარმაცი სტუდენტებისთვის საკურსოების დახაზვა, ვაკელ ბობოლათათვის ბინების შეკეთება და ასე შემდეგ.

საუბარმა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მოულოდნელი ზიგზაგი გააკეთა და ვაკეში სამოთახიანი ბინის ღირებულებაზე გადავიდა. მიტო ასეთ საქმეებში პროფესორია, სულ დაწვრილებით ჩამოკაკლა ყველაფერი, ძირფესვიანად გაგვანათლა.

– ვატყობ, ბევრი ფული გაწუხებთ, სამოთახიანი ბინა მოგნდომებიათ ვაკეში! გარემონტებული გინდათ თუ გასარემონტებელი? ყველაზე იაფი ვარიანტი ორასი ათასი დაგიჯდებათ – ნაღდი ფულით.

– რა ამბავია? – გაგვიკვირდა ყველას.

— ნახევარმილიონიანი ბინებიც არის და ორ-სამ მილიონიანიც, მაგაზე გული ნუ დაგწყდებათ, — გვანუგეშა მიტომ, — ოღონდ ოთახები მეტია, ჰოდა, ადგილსაც გააჩნია, სართულს და როგორი გარემონტებულია, რა დამხმარე სათავსოები, გარაჟი, სარდაფი აქვს... ბინა ხომ იყიდეთ? ძალიან კარგი! მის მოწყობას დაახლოებით ასი ათასი უნდა. არ გჯერათ? მარტო ფინური შავი ხის საწოლები ათი ათასი ღირს... რემონტიც გაინტერესებთ? ორი თვით დაცლით ბინას, დროებით გადახვალთ დაქირავებულში, მობრძანდებით შემდეგ და ჩაგაბარებენ გარემონტებული ბინის გასაღებს! "ფირმა" რემონტი! ისეთ მუხის მოზაიკურ პარკეტს დაგიგებენ, ილოცებ! კვადრატული მეტრი — ასი მანეთი! ძვირია? ხუთი თუმანი — მასალას უნდა, ხუთი თუმანიც — დაგებაში. თუ სურვილი გაქვს, უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტი რესტავრატორები გეწვევიან, სულ ოქროს ვარაყით გაგიმშვენიერებენ ოთახებს, ბურბონთა სასახლეში გეგონება თავი. სანტექნიკა — ზღაპარი! სულ უცხოური, ხალხს მოიყვან ექსკურსიაზე დასათვალიერებლად, შეგიძლია ბილეთები გაყიდო, როგორც მუზეუმში! მოკლედ, სულ ცოტა — ოცდაათი ათასი უნდა დაყაჭო. ჰო, გარაჟიც ხომ გინდა? ესეც ათი-თხუთმეტი ათასი: სამი-ხუთი ათასი — ქრთამად, ნებართვის ასაღებად, დანარჩენი — აშენებაში... იმ გარაჟში მანქანა ხომ უნდა შეაგრიალო? რომელი გნებავს? "დაცუნი" თუ "ჰონდა"? თითოში — ორმოცი ათასი... "ტოიოტა" — ორმოცდაათი ათასი, "ვოლვო" — სამოცი ათასი... "მერსედესი" გინდა მაინცდამაინც? კი, ბატონო, ოთხმოცი-ასოცი ათასი...

ბატონი დურმიშხანი უსმენს, უსმენს მიტოს ლაპარაკს... უცებ გაისმის — ბრახ! — იატაკზე რაღაც მძიმის დაცემის ხმა.

განყოფილების გამგე დურმიშხან აბაზაძე გადავარდნილა სკამიდან — გულმა ვერ გაუძლო...

P. S. ეს ამბავი 1985 წელს განეკუთვნება. მას შემდეგ ფასებმა სულ ცოტა სამჯერ მოიმატა; ასე რომ, მიტოს ექსპერიმენტი რომ ახლა ჩაეტარებინა, ადვილი შესაძლებელია, სკამიდან გადავარდნილთა რიცხვიც სამჯერ გაზრდილიყო!

1990

მე სამსახურში უნდა მოვკვდე!..

მესამე სართულის კიბის ბაქანზე ერთმანეთს ორი თეთრხალათიანი შუახნის ქალი შეხვდა შესვენებაზე — ლია და ნაირა. ლია მაღალია, ქერად თმაშეღებილი; სიგარეტს ეწევა და ცხარედ ლაპარაკობს:

— აღარ შემიძლია, აღარ, ლამის სული ამომხადონ — ქმარს, ხომ იცი, ყველაფერი დროულად უნდა, მოვლილი თუ არ იქნა, ცოლს გალანძღავენ; ბიჭი საცოლეა უკვე და ქარი უქრის თავში, ზოგჯერ დღეში სამჯერ იცვლის ტანსაცმელს... ქალიშვილი გავათხოვე და ვიფიქრე, ერთი სული მაინც მომაკლდება-მეთქი საზრუნავი, საქმეში ხარ? შვილიშვილიც მე მომიგდო, სიძეც ჩემს კისერზე დაჯდა არხეინად... ხუთი სულის გადია და მარჩენალი მე ვარ. ახლა რომ შვებულებაში ვიყავი, ლამის წელში გავწყდი — ბაზარში წოწიალმა, საჭმლის გაუთავებელმა კეთებამ, ჭურჭლისა და თეთრეულ-საცვლების რეცხვამ სულ გამომასავათა, ბინაც მე უნდა დავგავო-დავასუფთავო და დავალაგო... მერე რაღაც ჭირად გრიპი დამეტაკა, სიცხიანი ვაკეთებდი საქმეს, დაწოლის კი არა, დაჯდომის საშუალება არ მქონდა... ასე, ფეხზე მდგომმა გადავიტანე ავადმყოფობა და ვინ იყო ჩემი ხელის შემშველებელი. საშინლად გაგუდული, თავპირშეხვეული ძლივს დავჩოჩავდი, თავი მისკდებოდა ტკივილისგან, თვალებში მჭრიდა რაღაც, ვეღარ ვიხედებოდი... ჰოდა, იძულებული ვიყავი, საკუთარი თავისთვის ძალა დამეტანებინა და ყველასთვის მომევლო. ქალი ვკვდები და მაინც ყველას მოახლე ვარ — როგორ მოგწონს? სტუმრებივით არიან სახლში. აი, ასეთ დღეში ვარ ჩავარდნილი... როგორც იქნა, შვებულება დამიმთავრდა და სიხარულით ცას ვეწიე — სამსახურში მაინც ვიქნები მოსვენებული...

მეორე ქალი — ნაირა — ბევრად დაბალია ტანად, ოღონდ ბევრადაც მსუქანია. მასაც დაღლილი სახე აქვს, ცისფერ თვალებს არ აშორებს ლიას და თანაგრძნობით ხშირ-ხშირად უქნევს თავს. როგორც კი ლიამ ლაპარაკით გული მოიოხა, თვითონ წამოიწყო მონოლოგი:

— შეიძლება ჩემი შეგშურდეს — ორივე ქალიშვილი უკვე სტუდენტია, თავიანთ თავს მოუვლიანო, იფიქრებ. ჩემი სისუსტის ბრალია ალბათ, უფრო სწორედ, ჩემს სიკეთეს იყენებენ. თუ დაიგულეს, შინ არის დედაო, დილით ლოგინსაც კი არ აალაგებენ — შენ მაინც შინ ხარო, — დაჭკრავენ ფეხს და გვიან საღამომდე გადაიკარგებიან. შაბათ-კვირა მეჯავრება ჭირის დღესავით — ვინ მოიგონა ეს ორდღიანი "დასვენება"? გაიჭიმება უსაშველოდ ეს შაბათ-კვირა — დიდი სარეცხით, ბაზარში სამსაათიანი ხეტიალით (იქნებ იაფად გამოვიდე!), დაუსრულებელი კერძების კეთებით... ზოგჯერ ქმრის ძმაკაცები მობრძანდებიან გაუფრთხილებლად და მაშინ ნახე გასაჭირი! უნდა გადადო საუთოებელიც, ვეღარც ტანს დაიბან, ვეღარც ათას წვრილმან-მსხვილმან საქმეს მიხედავ... დატრიალდი თუ

ქალი ხარ და ძვირფას სტუმრებს პატივი ეცი, ოჯახის სახელი არ შეარცხვინო! მე შენ გეტყვი, გოგოები მომეხმარებიან, გინდაც შინ იყვნენ. თუ რაღაც სასწაულით სახლში არიან, მთელი დღე არის გახურებული ტელეფონის რეკვა, გაუთავებელი ლაპარაკი; მოგრიალდებიან მანქანით ვიღაც გოგო-ბიჭები, შეიქნება ნამდვილი ბაზარი... არის უაზრო ხორხოცი, ღრეჭა; ააქოთებენ ყველაფერს, საგულდაგულოდ გამოასუფთავებენ მაცივრიდან მთელი კვირისთვის მომარაგებულ სანოვაგეს... მერე მთელი დღე ვუნდები ყველაფრისთვის თავ-თავისი ადგილის მიჩენას – ესეც, რა თქმა უნდა, ჩემი თავსატეხია. მაგათი მე ვერც დროსტარება გავიგე, ვერც – გართობა... ვერც საქმეს ვაკეთებ, ვერც ვისვენებ, რაღა თქმა უნდა, ვერც შვილების ამხანაგებში გავერევი, რომ ერთი-ორი სიტყვა მეც ვთქვა – რა მაქვს მათთან საერთო? თითქოს არც ისეთი ხნიერი ვარ, მაგრამ... მოკლედ, ისე უგემურად გაივლის ეს გატანჯული დღე, თავ-ბედს ვიწყევლი... წავლენ სტუმრები და კიდევ უარესი – გოგოები ამიჯანყდებიან: ეს არ მოუვიდათ თვალში, ის თურმე ისე არ გავაკეთე... იმას არ გავუცინე, ამას გემრიელად არ დაველაპარაკე... არც ჩემი გაკეთებული საჭმელები მოსწონთ, ეს და ეს დავაკელი თურმე სუფრას... სულ ცხვირჩამოშვებული დადიოდი და მთელი საღამო ჩაგვამწარეო... მოახლედ უდგახარ, წელებზე ფეხებს იდგამ, ყველას თვალებში შესციცინებ, ვის რა ვასიამოვნოო, შენ ყველაფერს იკლებ და აქეთ კიდევ საყვედურებით აგიკლებენ, გაფხუკიანდებიან, ლამის არის, იტირონ და კიდევ იქით უნდა ეფერო და აწყნარო... წარმოგიდგენია?!. კიდევ იმათ უნდა უსვა თავზე ხელი და ბოდიშები უხადო. მერე დადექი და ქვეყნის ჭურჭელი რეცხე... თუ ცხელი წყალი მოდის, კიდევ რა გიჭირს... ვარ გამოკეტილი შინ ტყვესავით, ნათესავი ჩემთვის არ არსებობს და მეგობარი, კინოს და თეატრს ვინ ჩივის, რამდენი წელია, წიგნი ხელში ვერ ამიღია, გაზეთების სათაურებს თუ გადავავლებ ზოგჯერ თვალს... ტელევიზორისთვის მხოლოდ მაშინ მოვიცლი, როცა საუთოებელი მაქვს, ცალი თვალით თუ შევხედავ... შენი არ იყოს, კვირა საღამოს, გვიან, რომ მივეგდები დაღლილ-დაქანცული საწოლზე, სიამით ვივსები – ხვალ აღარ არის "დასვენების დღე", სამსახურში მივდივარ!..

ახლა ლია აგრძელებს ამ დაუსრულებელი საუბრის ძაფს:

– მალე ორმოცდათხუთმეტი წლის ვხდები და შინაურები გადამეკიდნენ, გინდა თუ არა, პენსიაში უნდა გახვიდე, გეყოფა ამდენი შრომა შინ და გარეთ, დროა, დაისვენოო... ღმერთმა დამიფაროს ამგვარი "დასვენებისგან"! ხომ ვიცი, რაც მომელის – ისე "დამასვენებენ", რომ ერთ-ორ წელიწადში ფეხებსაც გამაჭიმვინებენ და მართლაც სამუდამოდ დავისვენებ... არა, რა დამაჯენს შინ – მე სამსახურში უნდა მოვკვდე!..

1984

ბუზიჭერიები

– სანაძლეო, – ამბობს ავთო-ულვაშა, მეტსახელად "ვალეტი", გოგოების ბირკა, – თუ თხუთმეტ წუთში დაიჭერ იმ ბუზს, სამ ბოთლ შამპანურს ვკისრულობ თავის რამე-რუმეთი.

– ყაბულსა ვარ! – ხელს ართმევს გუცა გორგოლაშვილი. – რამდენი წუთითაც ადრე დავიჭერ, იმდენი ბოთლი შამპანური უნდა დაუმატო!

შემოდგომის ეული ბუზი დაბზუილობს დიდ ოთახში, რომელშიც ექვსი მაგიდა დგას და ამჟამად ხუთი თანამშრომელი იმყოფება. სკამზე მხოლოდ გოგლიკო ჭიაღუაშვილი ზის, ცალ ხელში ანთებული სიგარეტი უჭირავს, მეორეში – კოხტად წვერწამახული ფანქარი, გვერდზე საშლელი უდევს – ერთ ქეციან ნახაზს, რომელიც არც არავის სჭირდება მაინცდამაინც, უკვე ერთი თვეა ჩაჭკირკიტებს. გაავლებს ხაზს – წაშლის, გაავლებს – ისევ წაშლის... მოკლედ, ნახაზს კი არა, ხელოვნების ნაწარმოებს ჰქმნის.

დანარჩენებს უსაქმობა ჰკლავს – გაზეთები პირველი გვერდიდან ბოლო გვერდამდე წაიკითხეს, კროსვორდები ამოხსნეს, ფეხბურთზე ხმის ჩახლეჩამდე იკამათეს, ათასგვარი სალაპარაკო თემები გადაღეჭეს (მხოლოდ ჭადრაკის თამაშისგან თავს იკავებენ – ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ჩამოვლას ელიან ოთახებში შრომითი დისციპლინის განსამტკიცებლად) – შემოდგომის მობზუილე ბუზმა სწორედ სულზე მოუსწროთ. თემო თემუკაშვილი "დისერტაციაზე მუშაობს" – უკვე წელიწადზე მეტია, თემატური ანგარიში ერთსა და იმავე გვერდზეა გადაშლილი; ამჟამად ხელში ყავის საფქვავი უჭირავს და დროებით არ ამუშავებს – ბუზის დაჭერის ეპოპეის განვითარებას ელოდება. ვინც უნდა მოიგოს, დალევა არ ასცდება. კიდევ ერთმა თანამშრომელმა – მარინემ – შინიდან მოტანილი უზარმაზარი ტორტის ჭრას დაანება თავი (ყოველდღე როგორ არ ბეზრდება ნეტავ ან ცხობა, ან სამსახურში მოტანა! აფსუსი არაა განა, ასეთი მეოჯახე გოგო აქამდე გაუთხოვარია?) და ისიც გუცას გმირობის საცქერლად მოემზადა.

გუცა ხელში იღებს დაკეცილ გაზეთს და მეტად მტკიცე ნაბიჯით და მრისხანე იერით სანადიროდ მიემართება.

— ეჰეე, ხელით, ხელით, დადე გაზეთი! — პროტესტს აცხადებს ავთო.

— კაცო, მე შენ ბუზს დაგიჭერ და რა ხერხით, ეს უკვე ჩემი საქმეა! — არ ეპუება გუცა.

ამ თემაზე ბჭობა კარგა ხანს გრძელდება. დისკუსიაში ყველა იღებს მონაწილეობას გოგლიკოს გარდა, რომელიც წუთს არ ჰკარგავს, თავაუღებლად ხაზავს და შლის, შლის და ხაზავს.

ბოლოს, გუცას თვალსაზრისი იმარჯვებს, ისევ ნიშნავენ დროს და გაღიმებული გუცა გაზეთით ხელში მიემართება კედელზე დამჯდარი ბუზისკენ. ხელის მკვეთრი აქნევა, გაზეთის ტყლაშუნი კედელზე და მტვრის ბუღი იფანტება ოთახში; გოგლიკო ცხვირს აცემინებს და ნახაზიდან თავს მაღლა სწევს. აფორიაქებული ბუზი გამწარებული დაბზუის ოთახში, დროდადრო ფანჯრის მინას მიაწყდება, მერე ისევ უკან ბრუნდება.

კმაყოფილი ავთო ხელებს იფშვნეტს:

— აწი მაგ ბუზს, ყველანი რომ დავესიოთ, მაინც ვერ დავიჭერთ, ტყუილად ნუ იჭაჭები, დროზე წადი მაღაზიაში!

გუცა ახტა მაგიდაზე, მერე მეორეზე გადადის — თავაღერილი, გაზეთს უმიზნებს მიმქროლავ ბუზს, მაგრამ წონასწორობას ჰკარგავს და ხმაურით ხტება იატაკზე.

— კარგი, გეყოფა, კისერი არ მოიტეხო! — აშოშმინებს გუცას მარინე. სულ ტყუილუბრალოდ, აზარტში შესულ გუცას ახლა, დირექტორი რომ შემოვიდეს ოთახში, ისიც ვერ შეაჩერებს.

ავთო წამდაუწუმ საათზე იცქირება...

გუცა ისევ დაგლიჯინობს მაგიდიდან მაგიდაზე. დანარჩენები ხორხოცით აქეზებენ, მხოლოდ გოგლიკო უშფოთველად საქმიანობს ნახაზზე თავდახრილი და ერთხელაც მარინემ წამოიკივლა და ხელები გაასავსავა გაზეთგადაფარებული ტორტის გადასარჩენად, როცა გუცამ ერთ-ერთი ნახტომის დროს კინაღამ ფეხი სტუცა მის ნამოღვაწარში.

უცებ ბზუილი შეწყდა.

თურმე ბუზი ობობას ქსელში გაება.

გუცამ მაშინვე ხელი სტაცა ბუზს ფრთებში და წამოიყვირა:

— თორმეტი წუთი გავიდა! გაუმარჯოს ექვს ბოთლ შამპანურს!

— არაფერი შეგეშალოს! — გაეპასუხა ავთო. — მე ობობასთან ნაძლევი არ დამიდვია! შენ უნდა დაგეჭირა, ობობას კი არა!

— კარგი, კაცო, ამდენი ჭინჭყლობაც არ შეიძლება!

დისკუსიაში ოთახში მყოფთა აზრი ორად გაიყო. გადაწყდა, შექმნილიყო კომისია გოგლიკო ჭიაღუაშვილის თავმჯდომარეობით. გოგლიკომ სათვალის ზემოდან გადმოხედა მოპაექრეებს და განაცხადა:

— ეს ძალიან რთული საკითხია, მეგობრებო! რადგან ჩვენ არ ძალგვიძს მისი ერთსულოვნად გადაჭრა, ეს საკითხი შთამომავლებს გადავულოცოთ! ამისთვის კი, საჭიროა, ბუზი შენახულ იქნეს!

ბუზი ფინჯანზე დასვეს, მარილი დააყარეს და ცოტა წყალიც დაასხეს. გუცა თავს დასტრიალებს:

— ხელი არავინ ახლოთ, ისტორიული რელიკვიაა!

დანარჩენები მოწიწებით უცქერიან ბუზის ფართხალს სველ მარილში.

— ეს ერთი ბუზი ძლივს ვიშოვეთ, დეფიციტია, გავუფრთხილდეთ! — ამბობს თემო.

— როგორ, სასურსათო პრობლემის გადაჭრას მაგით აპირებ? — იცინის მარინე.

ის-ისაა, მარინე აპირებს, ასანთის ღერით გათხაროს საცოდავი ბუზის აკლდამა, რომ კარი ხმაურით იღება.

— ვაშა-ა! — ღრიალებს ოთახში შემოსული რეზო და აწეულ მარჯვენაში ფულის დასტას აფრიალებს. — თქვე ბედოვლათებო, ჩქარა, სალაროსკენ სირბილით იარ! სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულებს მეორე პრემია მოგვანიჭეს!

— პირველი რატომ არა? — სწყინს ავთოს.

ბუზი ვიღას ახსოვს, ყველა კარისკენ გარბის — როგორც იქნა, ნამდვილი საქმე გამოჩნდა!

1984

ყველაფერი წესრიგშია!

დილაა. ლაბორატორიის გამგე აპოლონ მეფისტოფელაშვილი სწრაფი ნაბიჯით შემოდის ოთახში.

— გამარჯობა! კვარკვალიტაძე სადაა?

პასუხობს სკამიდან ფეხზე წამომხტარი ახალგაზრდა თანამშრომელი დოდო; დიდი ხანი არაა, რაც ამ ლაბორატორიაში მიიღეს უმცროს ტექნიკოსად.

— ბიბლიოთეკაშია, პატივცემულო, დისერტაციის საკითხებზე მუშაობს.

— აჰა! კაკალაძე?

— კაკომ თავისი მანქანის კაპიტალური რემონტი წამოიწყო საკუთარი ძალებით, კარგა ხანს დამჭირდება საწყობებსა და ავტომაღაზიებში სირბილიო.

— მომკლა მაგის მანქანის გაუთავებელმა რემონტმა! ბუზანკალაძე თუა ადგილზე?

— დუდანა ბავშვს აწყობს საბავშვო ბაღში, უკვე ორი თვეა ამ საქმეზე დარბის და, მგონი, გამოსდის...

— მამგონაძე აქაა?

— დარეკა...

— ვიცი, ვიცი! — აწყვეტინებს აპოლონი, — გუშინაც დალევდა... მაინც რამდენს უძლებს ან მაგის ორგანიზმი, ან მაგის ცოლი! გადელაიძე სადღაა?

— სიკომაც დარეკა...

— რაო, ისევ სიდედრ-სიმამრი ჰყავს ექიმთან წასაყვანი?

— დიახ, პატივცემულო, სიდედრს...

— კარგი, კარგი... ბებიაძე?

— დარეკა...

— ჰო, რაღას ვკითხულობ, ისევ წელკავმა გაუხსენა ხომ?.. მაგის წელკავი მე მომინელებს... ბაყბაყდევაშვილი? ეგ ხომ ყოველთვის ადრე მოდის.

— დირექტორმა სასტუმროს ნომრების დასაჯავშნად გაგზავნა.

— ისევ ჩამოდიან მაღალი სტუმრები მოსკოვიდან? არ გამიგია ათი რევიზია წელიწადში! მერე რაღა ჩემი ლაბორატორიის თანამშრომლები ჰყავთ ამოჩემებული და დაბრიყვებული, ტყუილად ჰყავს დირექტორს სამი მოადგილე?.. კაკაბაშვილი? ისევ ასტკივდა კბილი?

— არა, ბავშვებს სკოლის სახელმძღვანელოები უნდა შევუძინოო.

— ვარდოს ვერ ვხედავ...

— ბინის გადასაცვლელად დარბის. ვეღარ აიტანა, პატივცემულო, ზედა მეზობელმა უკვე მეხუთედ ჩამოუშვა წყალი მის ბინაში და კიდევ აქეთ ლანძღავს. რემონტი ახალი გაკეთებული ჰქონდა, კინაღამ გული გაუსკდა...

— რა უბედურებაა, სამი წელია ასე დარბის და აქამდე არაფერი ეშველა მაგის ბინის გადაცვლას... ნამდვილად თავმოუბმელია. ორშაურაშვილი?

— ტურფას დეიდაშვილი თხოვდება და მას ეხმარება ქორწილის სამზადისში...

— მე თუ დამპატიჟებს თუ იცი?.. შენ როდისღა აპირებ გაბედნიერებას, თუ ჯერ უმაღლესში მოწყობას აპირებ?.. გეხუმრები! კუკულაშვილი სადღაა?

— არ ვიცი, პატივცემულო!

— მე ვიცი! სადაც ორშაურაშვილია, კუკულაშვილიც იქ იქნება, რამ გაყო მაგენი! რაც მართალი მართალია, ორივეს ოქროს ხელი აქვს: ერთი ხაჭაპურებს აცხობს დიდებულად, მეორის ტორტს არაფერი შეედრება! და მაინც ერთიც კი ვერაფრით გავათხოვე, საკვირველია!.. ჰო, ძალიან კარგი, ესე იგი, ყველაფერი წესრიგშია!..

— პატივცემულო...

— დიახ!

— პატივცემულო, გადაუდებელი საქმე რომ არ მქონდეს, არ შეგაწუხებდით...

— აჰ, არ გამაგონო! ვერ გაგანთავისუფლებ! ცოლმა რაღაც-რაღაცეების ყიდვა დამავალა და უნდა გავიქცე... ლაბორატორიას ხომ არ დავკეტავ, ვინმე ხომ უნდა იყოს?!. მოკლედ, წავედი! თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, რაიაღმასკომში დაიბარეს-თქო, შესვენების შემდეგ მოვა-თქო... ჩემს მოსვლამდე არსად წახვიდე!

1984

მაკოს ბრწყინვალე თავგადასავალი საველე სამუშაოებზე

მაკოს გაგაცნობთ, მანამდე კი გკითხავთ: საველე სამუშაოები თუ იცით, რა არის? გეოლოგები წავლენ მანქანით (ადრე ცხენებით დადიოდნენ, ახლა სადღა იშოვი ცხენს!), წაიღებენ კარვებს, საველე საწოლებს, საძილე ტომრებს, საჭმელ-სასმელს, ქვაბ-ჭურჭელს, ჩაქუჩებს, სამთო კომპასებს, რუკებს, ნიმუშთა ჩასალაგებელ პარკებს ან გადასახვევ ქაღალდს და სხვა რაღაცეებს — ყველაფერს, რაც კი გეოლოგიური სამუშაოებისთვის სჭირდებათ. აკეთებენ მარშრუტებს, ადგენენ გეოლო-

გიურ ჭრილებს, დააქვთ რუკებზე გეოლოგიური ინფორმაცია, იღებენ ნიმუშებს შემდგომი ანალიზისთვის და ასე შემდეგ (გეოლოგიური სამუშაოები ათასგვარია – სხვადასხვა მიზნისა და დანიშნულების, ამიტომ აღჭურვილობაც და სამუშაოებიც განსხვავებულია).

ახლა მაკოს შესახებ... არ გაგიგიათ მისი სახელი? მაშ მისმინეთ! ერთი გამწლიკული გოგოა – ტანთხელი, დიდთვალება; უხდება ღიმილი და თუ გაიცინებს, ხომ აყვავდა მთა და ველი! სამწუხაროდ, იშვიათად იღიმება; ვინც გამაცინებს, იმას ცოლად წავყვებიო, ზღაპრული მეფის ასულივით იქადნება...

პირველად რომ შევხედე, ვიფიქრე, ამან რა უნდა იმუშაოს, ერთ კილომეტრს ვერ გაივლის უგზოობაში, ალბათ გეოლოგიური ჩაქუჩი თავის დღეში ხელში არ სჭერია და ასფალტიდან მხოლოდ მუშტაიდის ბაღში თუ გადასულა-მეთქი... გადავწყვიტე, მფარველად მოვევლენოდი სუსტ არსებას, მაგის საცოდაობას ვერ ავიტანდი.

თურმე ტყემალზე ვზივარ და საზამთროსა ვკრეფ მუჭა-მუჭა!

ჰო, საზამთროთი მინდა დავიწყო.

ველზე გამგზავრების წინ, მოგეხსენებათ, ბაზარში უნდა გავიაროთ – კარტოფილი, ხახვი, ხილი და მისთანანი მოვიმარაგოთ. მე და მაკო ბაზრის რიგებშუა დავდივართ. მაკო სარფიანად ვაჭრობს, ჩემი ზურგჩანთა სულ უფრო მძიმდება და ბოლოს გატიკნილი მიმაქვს მანქანისკენ. ამ დროს ხმაური მომესმა, თურმე საზამთროს გამყიდველი ჯეელები რაღაცაზე აუხირდნენ მაკოს, თუ უშნოდ გაეარშიყნენ, არ ვიცი – ვიცი ის, რაც ჩემი თვალით დავინახე: ერთი ბიჭი, ბაყაყივით თვალებგადმოკარკლული, ცდილობდა მის პირში ჩატენილი საზამთრო ამოეგდო როგორმე, მეორე ჯეელი კი ისე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, შიშით უკან მოხედვაც ვერ გაებედა.

მაკომ ყველაზე დიდი ორი საზამთრო ამოარჩია, ფული სასწორზე დააგდო და წამოვიდა, თან დააყოლა, ვაი ამათი ბრალი, თუ ტკბილი საზამთრო არ გამოდგაო!

ავედით მთიულეთში, სოფელ კანკალიანთკარში; იქიდან ყოველდღე დავდივართ მარშრუტებზე სხვადასხვა მხარეს. დილით ჯერ მზეთუნახავი მაკო აბრძანდება, გარეთ გამობრძანდება და გამობრწყინდება; მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გაბედავს და ამოვა ძილისგუდა მზე... მაკო მანამდე დილის გამამხნევებელ ვარჯიშს ატარებს – უზარმაზარ ლოდიანებს ათამაშებს, თითქოს ცირკის ეკვილიბრისტი იყოს; მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაისვრის სამფუთიან კლდის ნატეხს, მარჯვენიდან კი სანაცვლოდ ოთხფუთიანს გადმოაგდებს მარცხენაში... და ასე ერთობა ნახევარ საათს, აბა ერთი, თუ შეეშალოს რამე, ლოდიანი ძირს დაუვარდეს! რომ დაამთავრებს თამაშს, მდინარის მორევში ბანაობს ყინულივით წყალში. ბანაობაზე უფრო ყვინთვა უყვარს. ჩაყვინთავს, ხუთ წუთს არ ამოყოფს თავს წყალზემოთ და რამდენიმე კალმახის დაჭერასაც ახერხებს – ამოყვინთავს და ისვრის ნაპირზე; თან ღიმილში გამოანათებს მარგალიტივით კბილებს, კბილებში კი კიდევ ერთი კალმახი ფართხალებს...

ბანაობის შემდეგ ხუთი კაცის საჭმელს აკეთებს, გვასაუზმებს, საგზალსაც ჩაგვიწყობს და მივდივართ გეოლოგიურ მარშრუტზე. მაკასვე მოაქვს დიდი ურო ქანების მოსამტვრევად და ნიმუშების საჭირო ზომაზე დასამუშავებლად. ჩიტივით გადახტება-გადაფრინდება ხოლმე მდინარეზე, სანამ ჩვენ ფონს ვეძებთ; ხვლიკივით მიძვრება ფრიალოებზე და ზურგჩანთას გაძეძგავს ტყვიასავით მძიმე ნიმუშებით. ჯიხვივით დახტის კლდეებზე, ერთი კენჭი არ ჩამოუგორდება (კიდევ კარგი – ჩვენ ქვევით მოვფორთხავთ).

ერთხელ მიხო-შოფერი აუხირდა – შენ რა ქალი ხარ, სულ შარვლიანი დადიხარო. დუშეთში უნდა წავსულიყავით ბაზარში და არ წაგვიყვანა, მანქანის მუხრუჭები არ იჭერსო – ეზარებოდა... მაშ შენ აქ იყავი, ბუზები თვალეო, უთხრა მაკომ, დაქოქა მანქანა და მოუსვა მარტომ. შიშით თვალები კინაღამ გადმოგვცვივდა – დაკლაკნილ დაღმართში მანქანას ორ ბორბალზე მდგარს მიაქროლებდა. მოტოციკლით რბოლას იყო შეჩვეული ალბათ...

გავარდა მაკოს სახელი, მთელ ხეობას მოედო! ზოგჯერ კინოს სანახავად რომ ჩავიდოდით სოფელში, დარბაზში ყველა მას იყო მიჩერებული; სეანსი ჩაიშლებოდა ხოლმე, ვის სცხელოდა კინოსურათისთვის! როგორც კი მექანიკოსი დარბაზს დააბნელებდა, ატყდებოდა სტვენა და ფეხების ბრახუნი: ხალხი ითხოვდა სინათლეს, რათა ისევ და ისევ მაკოს ხილვით დამტკბარიყვნენ, აღარც ჯინა ლოლობრიჯიდა აინტერესებდათ და აღარც – ბრიჟიტ ბარდო!.. დავბრუნდებოდით ისევ "შინ", ჩვენს კარვებში. კიდევ კარგი, კარვებში გვეძინა, თორემ სახლი თავზე ჩამოგვენგრეოდა – მაკო ძილში ისე ძალუმად ხვრინავდა, რომ ირგვლივ ყველაფერი ძაგძაგებდა – სულ ცოტა, ადგილობრივი მნიშვნელობის მიწისძვრას ივარაუდებდი...

ამ ნამდვილი ამბის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ მაკო დამადგა თავს და იჭყიტება ჩემს ნაწერში; მერე ქიმუნჯს მკრავს – დაიწყე ისევ შენებურიო... მისი გაცინება მინდოდა და მხოლოდ ქიმუნჯი კი მოვიმკე... თან მისი მუქი თაფლისფერი თვალების მოჩერებისა მეშინია ყველაზე უფრო – საზიზღარო, ხმას აღარ გაგცემო. სიმართლის თქმა რომ მიყვარს, იმიტომ ხომ არ გამინაწყენდი-მეთქი,

ჩემსას არ ვიშლი. პასუხად მორიგი გემრიელი ქიმუნჯი დავიმსახურე; როგორი ხელიც აქვს, კარგად მოგეხსენებათ და ამიტომ ჯობს, აქ დავასრულო თხრობა...

1991

გეოლოგია იმერეთში

რა ხანია, აბესალომს ვიცნობ, სკოლაშიც და ინსტიტუტშიც ერთად ვსწავლობდით, ახლაც ერთ დაწესებულებაში ვმუშაობთ და არ მახსოვს, ვინმესთვის წერილი გაეგზავნოს. ჰოდა, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც ამას წინათ მისგან საკმაოდ გრძელი წერილი მივიღე. აი რა ეწერა მასში:

ძმაო პეპინო!

წყეულიმც იყოს ეს იმერეთი! კაცო, ეს რა ხალხში ჩავვარდი, ენით აუწერელი ამბავი დამემართა!.. მაგრამ ჯობს, წვრილად მოგიყვე.

ჩვენი გეოლოგიური ექსპედიცია 4 ივნისს ჩავიდა ზესტაფონში. შევათვალიერეთ კარგი ეზო, სადაც ჩვენი სატვირთო მანქანაც დაეტეოდა და ჩამოვხტით. ახალი ორსართულიანი, ფართოაივნიანი სახლი, სახლს უკან – ვენახი, წინ – ხეხილით დაჩრდილული, ამწვანებული ეზო, თვით სახლში კი – კეთილად მდიმარე ადამიანები და ყოველი წინადადების შემდეგ აუცილებლად: "ბატონო"... მეტი რა უნდა გინდოდეს? მაგრამ... თურმე ჯერ სად ხარ!

ჭაღარაულვაშიანი მასპინძელი პურღვინიანი კაცი გამოდგა. სანამ ჩვენ დავლაგდებოდით, სუფრაც გაშლილი იყო. სუფრა, მაგრამ რა სუფრა! ღვინო ხომ ისეთი, რომ გამახსენდა მაქსიმ გორკის ნათქვამი: "ღვინოში ყველაზე მეტი მზეა!". მოკლედ, მეორე დღეს თითქმის შუადღეზე გავიღვიძეთ. თვალების მოფშვნეტა ვერ მოვასწარით, რომ მასპინძელი გვეცა და მოკლე ხანში ისევ სუფრასთან ამოვყავით თავი. წარმოიდგინე, ვინ იტყოდა უარს! ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როდესაც საღამოს მასპინძელმა უკვე ჭურის თავზე მიგვიპატიჟა, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდით... თუმცა, არც ფიქრის დრო გვქონდა – ახლა მეზობლებში გავარდა გეოლოგების ჩამოსვლის ხმა და ხან ერთი გვეპატიჟებოდა, ხან – მეორე. არც უარი გაგვდიოდა და გავებით გადაბმულ ქეიფში. შევატყვეთ, მთელი ჩვენი დრო სადღეგრძელოების წარმოთქმასა და ძილში წაგვივიდოდა და მეოთხე თუ მეხუთე დღეს – კარგად არ მახსოვს – დილით ადრე ადგომა და სამუშაოდ გაპარვა გადავწყვიტეთ... შენ გგონია, ამან გვიშველა? დამძიმებული თავებით მივჩანჩალებდით მარშრუტზე. თავი გასკდომაზე გვაქვს, ნაბახუსევზე პირი გვიშრება. ერთ ადგილას წყლის მოტანა ვთხოვეთ და ღვინო კი მოგვირბენინეს დოქით... შემდეგ ხვეწნა-მუდარით ეზოში შეგვათრიეს – თითო ჭიქა დაგვილიეთო. მუშაობაში წარმატება გვისურვეს (ამ სიტყვებზე მწარედ გამეცინა), ჩვენ იმათი ჭერი და ფუძე დავლოცეთ და შემდეგ როგორც გავაგრძელებდით, კარგად მოგეხსენება.

თავი რომ არ მოგაწყინო ერთისა და იმავეს მოყოლით, თითქმის დღე არ გასულა, რომ საღამოს დამბალები არ დავბრუნებულიყავით სამუშაოდან. ყოველ ეზოში საშიშროებაა ჩასაფრებული. თუ ქალი შეგვხვდა, ბედს ვემადლიერებით – ხილი და ცოტა არაყი შველის საქმეს; თუ კაცია შინ – მაშინ ხარ ცოდვა... იქამდე მივედით, რომ ხალხის დანახვის გვეშინია და ყაჩაღებივით ვიმალებით. იმერეთში ვართ და რას იზამ!

სამი კვირა გავიდა და სამი დღე და ღამე თუ ვიმუშავეთ წესიერად. ცხვირები ყველას "სდექ" ნიშანივით გაგვიჟინჟღილდა, მაგრამ გაჩერება არ გინდა?

ბოდიში, ამ წერილს ნამეტანი ნაჩქარევად ვწერ. ერთი მეზობელი მადგას თავზე და მიცდის, როდის დავამთავრებ წერას. რატომაც მიცდის, მიხვდი ალბათ. პურღვინოზე წიხლი როგორ ვუკრა? ნებით რომ არ წავყვე, ძალით წამიყვანს და რა ვქნა, არ ვიცი... ამიტომ წერილს სასწრაფოდ ვამთავრებ. ერთი თხოვნა კი უსიკვდილოდ უნდა შემისრულო: წერილი ან, უკეთესი იქნება, დეპეშა აფრინე, ვითომ ვინმე ჩემიანი ავად გახდა და სასწრაფოდ ჩამოდი-თქო. იჩქარე, სანამ საბოლოოდ არ გავლოთდი, დროზე ქენი, თუ ჩემი ძმა ხარ!..

ბედნიერებას გისურვებ, შენი აბესალომი."

საწყალი აბესალომი! სიჩქარეში თარიღის დაწერა დავიწყებია. თუ წერილი დიდხანს იყო გზაში, მაშინ ნახე სეირი! მე თვითონ ამას წინათ გამოვასწარი იმერეთიდან და კარგად მესმის აბესალომის გასაჭირი. როგორ გამოვაღწიე? ერთ ამხანაგს წერილი მივწერე და იმანაც დეპეშით მიშველა. რა ეწერა იმ წერილში, მე მგონი, თქვენთვის ცხადია...

1971

panaSvi di imer eT Si

ზემო შიშველეთის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თალიკო მარკვალიძის გაუთხოვარი, 30 წელს გადაცილებული ქალიშვილები – ლამზირა და მაყვალა – თბილისში ცხოვრობდნენ, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მუშაობდნენ და, მოგეხსენებათ ხელფასზე მცხოვრები მეცნიერების ამბავი, ქვრივ დედას ვერაფრით ეხმარებოდნენ. ამიტომ თალიკომ დიდად გაიხარა, როცა მას შესთავაზეს გეოლოგიური პარტიის ბაზისთვის ორი ოთახის მიქირავება სამი თვით – ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით – და ბედ განსაზღვრული თანხაც მისცეს.

თალიკო კმაყოფილი იყო: პირველ ორ თვეს მეორე სართულის ორი ოთახის ქირა დროზე გადაუხადეს; დილაუთენია მიდიოდნენ საველე სამუშაოებზე და გვიან საღამოს ბრუნდებოდნენ დაღლილ-დაქანცულნი. შინ მხოლოდ წვიმიან დღეს თუ გაჩერდებოდნენ და მაშინაც ქალბატონ თალიკოს არაფრით აწუხებდნენ, წესიერი და წყნარი ხალხი იყო – 4 კაცი და 1 ქალი; პირიქით, დაუახლოვდნენ მასწავლებელს და ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. ამიტომ, როცა ბოლო თვეს რაღაც მიზეზის გამო დაწესებულებამ დაუგვიანა გეოლოგებს კუთვნილი ხელფასის, საველესა და ბინის ქირის თანხის გადმოგზავნა (მხოლოდ მანქანისთვის ბენზინის ტალონები გამოუყვეს დროულად), სამუშაოებს მაინც არ წყვეტდნენ და ერთხანს თავი გაჰქონდათ, ასე ვთქვათ, შემონახული შიგა რესურსებისა და ქალბატონ თალიკოს უანგარო დახმარების წყალობით – ჰყავდა ბლომად ქათმები, მშვენიერი ბოსტანიც ჰქონდა.

მაგრამ დადგა დრო, როცა შემონახული ფულიც გაუთავდათ და, ცოტა არ იყოს, შიმშილმაც შეახსენათ თავი... გეოლოგთა შოფერი, ნორიოელი შავტუხა ბიჭი, მეტსახელად "ბადრიჯანა", ეხვეწებოდა გეოლოგიური პარტიის უფროსს, მამამზეს, გამიშვი რამდენიმე დღით და ფულს მე ვიშოვიო, მაგრამ ცივი უარი მიიღო – მილიციამ რომ დაგიჭიროს, უმანქანოდ დავრჩებით და საველე სეზონი ჩამეშლებაო.

– ჩვენთან შინ ახლა ალბათ ნამცხვარს ჭრიან, – თქვა ერთ მშვენიერ დღეს გეოლოგმა პეპინომ. – ყოველ შაბათს დედაჩემი ნამცხვარს აცხობს...

– დიდი თავადიშვილი მყავხარ, მაინცდამაინც ნამცხვარი გელანდება, იტყვი რაღა! – გაეპასუხა უფროსი გეოლოგი ბერდია – მაღალ-მაღალი, დიდცხვირა ჯეელი. – რომ გქონდეს, შავ გამხმარ პურსაც შაქარივით ჩაახრამუნებდი.

– "როცა გშია, ზაქარია, ცივი ჭადიც შაქარია..." – მელანქოლიურად წარმოსთქვა ბადრიჯანამ და სიგარეტი გააბოლა.

ყველანი საველე გასაშლელ საწოლებზე იყვნენ წამოწოლილნი და, ალბათ ენერგიის ეკონომიის მიზნით, საუბარი აღარ გაუგრძელებიათ.

მეორე დღეს თალიკო მივიდა გეოლოგიური პარტიის უფროსთან და უთხრა:

– ბატონო მამამზე, ხვალ მანქანას ვერ მათხოვებთ?

– ქალბატონო თალიკო, თქვენთვის სულსაც არ დავიშურებ... რაში დაგჭირვებიათ?

– ნათესავი გარდამეცვალა მეზობელ სოფელში და დასაფლავებას უნდა დავესწრო... თქვენც ყველანი წამომყევით, რაც მეტი მივალთ, ჩემი სახელი იქნება...

მუშაობის ხალისი მაინც აღარ ჰქონდათ და სხვებიც დათანხმდნენ, ქელეხში ერთი კარგად მაინც გამოვძღებითო.

მეორე დღეს ქალბატონი თალიკო კაბინაში ბადრიჯანას მიუჯდა გვერდზე, დანარჩენები ძარაზე აფოფხდნენ და გაემგზავრნენ ქვემო შიშველეთში.

დიდი სოფელი იყო, ქალბატონი თალიკოც კარგა ხნის წინ ყოფილიყო აქ და ჭირისუფლებს ვერ მიაგნეს. ისევ და ისევ ეძებეს, გაიკითხ-გამოიკითხეს – უშედეგოდ... სამაგიეროდ, ამ დროს შეეყარნენ შაოსან ხალხს, სხვა პანაშვიდზე მიმავალთ.

უფროსმა გეოლოგმა ბერდიამ, მაგარმა ჭამის მოყვარულმა, მომლხენმა და ხუმარამ, ქალბატონ თალიკოს უთხრა:

– ქალბატონო თალიკო, ბოდიშს კი ვიხთი, მარა... ქელეხი ქელეხია, ლობიო და დალოცვილი ღვინო იქაც იქნებოდა და იგივე ლობიო და ღვინო აქაც ქე იქნება... სულერთი არ არის? მოდით, აქ ვიქელეხოთ!

შოფერმა ბადრიჯანამ მხარი აუბა:

– ბევრი ვიწანწალეთ, შინ დასაბრუნებელი ბენზინი აღარ დაგვრჩება... თან მაგრა მამშივდა კიდეცა, დილას ცარიელი უშაქრო ჩაით გავიჭყიპე!..

ეტყობა, თალიკოსაც მობეზრდა სოფლის ოღროჩოღრო გზებზე უთავბოლო ჯანჯღარი და დათანხმდა.

ბერდია გაძვრა-გამოძვრა და გაიგო გარდაცვლილის სახელი – თურმე ისიდორე რქმეოდა.

დამწკრივდნენ გეოლოგები, წინ თალიკო წარუძღვათ, ბოლოში გაზინთულქურთუკიანი ბადრიჯანა მიჰყვებოდათ და მიადგნენ ნეტარხსენებულის ეზოს. ყველანი მოწიწებით გზას უთმობდნენ საგანგებოდ "ქალაქურად" გამოწკეპილ "პატივისმცემლებს".

თალიკო შეჩერდა კიბესთან, მოიხადა შავი მანდილი და გამყივანი ხმით იკივლა:

— ისიდორე, ბიჭო ისიდორე, ნუთუ ეს მართალია! ისიდორე, მოვედი, ბიჭო, გამომეგებე, ჩემო დაუვიწყარო ისიდორე!

რამდენჯერმე კიდევ გაიმეორა მსგავსი ძახილი, კიბეზე ასვლასთან ერთად სულ უფრო უმატებდა ხმას.

როცა ისიდორემ არ მიაქცია ყურადღება მის მოწოდებას, თალიკომ უარესად შეიცხადა:

— უი, უი, მართალი ყოფილა!.. თურმე მართალი ყოფილა!.. წასულხარ სამუდამოდ, ისიდორე, ჩემო დაუვიწყარო ისიდორე!..

საპატიო სტუმრები საგანგებოდ გრძელი სეფის თავში დასხეს.

სუფრაზე მოქელეხეთა რამდენიმე რიგი შეიცვალა, ესენი კი მიწებებულებივით ისხდნენ და ისხდნენ — კარგადაც გამოძღნენ და, ბოლოს, ხუმრობის ხასიათზეც დადგნენ...

მათ გვერდზე ერთი ბერიკაცი იჯდა. ისე მოიხიბლა განსაკუთრებით ბერდიასა და მამამზეს მახვილსიტყვაობით, რომ, თვითონაც საკმაოდ შემთვრალმა, მათ უთხრა:

— ბიძიკოებო, თქვენ სხვანაირი ხალხი ჩანხართ, არ მინდა, დავკარგოთ ერთმანეთი... გედევიდეთ, ბიძიკოებო, ჩემთან, აქვე ახლოს ვცხოვრობ... ხუთ წუთში იქ ვიქნებით და ერთი ხუთი წუთით კიდევ დაგვაფასეთ...

იქ კი ნამდვილი ლხინი გახურდა და დილამდე "ტემპერატურა" სულ მატულობდა.

ბოლოს, ქალბატონმა თალიკომ ისე მოხდენილად იცეკვა, რომ ახალგაზრდებსაც პირი დააღებინა...

ბატონმა მამამზემ შენიშნა:

— თალიკოს ქალიშვილებს რომ ასეთი ცეკვა სცოდნოდათ, ნაძლევს ვდებ, გაუთხოვრები არ დარჩებოდნენ!..

1974

ვარიაციები შეხვედრების თემაზე

— შენ რომელ საბავშვო ბაღში დადიხარ?

— არ იცი? რომელშიც შენ!

— კარგი მასწავლებელი გყავს?

— არა, სულ გვცემს! შენ?

— ხანდახან ჩვენც გვირტყამს ხოლმე, მაგრამ მაინც კეთილია, ზღაპრებს გვიკითხავს!

— გუშინ ჩვენ შოკოლადი მოგვცეს!

— მე კიდე მამიკომ მოსამართი მანქანა მიყიდა, იცი, რა ლამაზია?

— მე კიდე დედიკო ცირკში წამიყვანს!..

. . . . . .

— მე მესამე კლასში გადავედი და მამიკომ ახალი ველოსიპედი მიყიდა!

— დიდი ამბავი, მეც მესამეში გადავედი, ჩემი ამხანაგები პოლონეთში მიდიან, ორ თვეში ჩამოვლენ, ცეკვის ანსამბლში არიან!

— მე კიდე მამიკომ ახალი ჯაყვა დამპირდა, იცი, როგორი პირი აქვს? ხეზე სროლას და ჩარჭობას ვისწავლი!

— დანასობია არ გითამაშია? მე ხომ მეთამაშები?

. . . . . .

— სალამი!.. სად დაიკარგე?

— გადავყევი ამ სმას! მეტი აღარ შემიძლია, მაგრამ ვინ არის გამკითხავი! შეგარჩენს ვინმე წვეთს?

— ნახე, რა პიჯაკი დავირტყი!

— ხვალ ნინოს დაბადების დღეა, არ წამოხვალ?

— ხვალ არ მცალია. არ გათხოვილა?

— მაგას რა გაათხოვებს, მამის ფულებიც არ უშველის!

— შენ რა გიჭირს, ჩემო ძმაო, მე მასალათა გამძლეობა დამრჩა გადასაბარებელი, თორემ აუცილებლად წამოვიდოდი...

. . . . . .

— გაიგე, ჩვენი რაჟდენა ტრესტის მმართველად დაუნიშნავთ!

— ერთი მაგის სულშიც... გინდაც მინისტრი გახდეს, ეგ კაცი არ იქნება. ამას წინათ ერთი პარკი ცემენტი ვთხოვე და გადამაყოლა, დღესაც მპირდება.

— გელას სადოქტორო დაუცვია, პროფესორობას არაფერი უკლია. "დამაკმაყოფილებელზე" ძლივს მიბობღავდა ეგ საცოდავი და ვინ იფიქრებდა!

— გაბრიელი გახსოვს პარალელური კლასიდან? ყველა იმას ურტყამდა თავში საცოდავს, ქარხნის დირექტორია.

— კაკოია-უბედური რაიკომის მეორე მდივნად ერთი კვირის წინ აურჩევიათ.

— აურჩევიათ კი არა, ის არ გინდა? ნეტა მეც შემხვედროდა მასეთი სიმამრი... ახლა ცეკაში ვიქნებოდი მოყუჩებული.

— გავიდა ორბიტაზე და ეგ არის. გახსოვს, როგორ გეხვეწებოდა, ცოტა გვერდზე გასწიე თავი, კარგად ვერ ვიწერო.

— ბედი უნდა გქონდეს კაცს, ბედი...

. . . . . .

— როგორა ხარ?

— მიდგია სული, შენ?

— დავბობღავ ამ ცოდვილ მიწაზე ჯერჯერობით. გაიგე, რაჟდენა მომკვდარა?

— მიიღო უფალმა? კაცო, გელა გახსოვს? აკადემიაში წევრ-კორესპონდენტობაზე იქაჩებოდა...

— რა დაემართა საცოდავს?

— ისიც გავიდა გაღმა ნაპირზე.

— წაიღო წერილი?

— ინფარქტი. საწყალი კაკულაც მალე გაუდგება იგივე გზას.

— კაკო, კაცო? დევივით ვაჟკაცი...

— დამბლა. კიდევაც ხარ და არც ხარ, როგორ მოგწონს?

— ჩვენც ასე არ ვართ? ჩვენი რიგიც მოდის...

— მაინც არავის ვარგივართ, კი, მოდის...

1985

საჭიროა სიზუსტე!

ხნიერი კაცია, ჭაღარა ულვაშებში ეღიმება, ხელების შლით ჰყვება:

— ამას წინათ მოსკოველი სტუმარი ჩამომივიდა. რა თქმა უნდა, სუფრა გაიშალა, დავლიეთ ორი ბოთლი კონიაკი და მერე კიდევ ორი ბოთლი არაყიც მივაყოლეთ. ჩავთავეთ პურობა, — კარგა გვიანი იყო უკვე, — ჩემი სტუმარი გავიყვანეთ და მოვასვენეთ... მეც დავწექი. ცოტა ხანში ატყდა ერთი ალიაქოთი — სტუმარი ცუდად გაგვიხდა. ჰაი აქეთ, ჰაი იქით... გამოვიძახეთ "სასწრაფო"... კუჭის ამორეცხვა... მოკლედ, ყველაფერი კეთილად დასრულდა. დილით გამოირკვა, რომ ჩემი სტუმარი არ იყო მსმელი და ჩემი ხათრით დალია. არადა, არც მე ვარ ლოთიფოთი — არაყს კი არა, ღვინოსაც ვერიდები — მეც სტუმრის ხათრით ვსვამდი...

აი, ასე ხდება, როცა სიტუაციას არ დააზუსტებ.

მეორე ამბავს მოგიყვები.

ამ შაბათს ჩემს ცოლთან მისი მეგობარი ქალი მოვიდა, დიდი ხნის უნახავი. შემიჩნდნენ — წაგვიყვანე კინოშიო. წავედით. ვდგავართ ყველანი ბილეთების რიგში, ვქაქანებთ და ამ დროს დავინახე ჩემი მეგობრები — ცოლ-ქმარი. თავი დავუკარი შორიდან. ქმარმა თითი დამიქნია, აქ მოდიო. მივედი. მოვიკითხეთ ერთმანეთი, აქეთური-იქეთური... მოკლედ, ვსაუბრობთ ჩვეულებრივ. მეგობრის ცოლი მეკითხება, ვისთან ერთად ხარ კინოში წამოსულიო. ლიდასთან-მეთქი, დაუფიქრებლად ვუპასუხე, ცოლიც რომ იქ იყო, თავისთავად ვიგულისხმე. როგორ თუ ლიდასთანო, — ახტა-დახტა უცებ მეგობრის ცოლი, ცუცა, — ამ ხნის კაცი რამ აგაცუნცრუკაო, შენს სტუდენტ შვილებს რაღას ეუბნებიო, — მაგრად მამუშავებს. მე ხმა ჩამივარდა, მოულოდნელი შეტევისგან გაოგნებული ვდგავარ, ქალი კი სულ უფრო ფიცხდება, ალბათ ჩემი სიჩუმე თავისებურად გაიაზრა... არაო, მე ამ ამბავს ასე არ დავტოვებო, ლიდაც კაი ვინმე ყოფილა, ძველ მეგობრობას ამას ეძახით თქვენო? მივალ ახლა მასთან და ვაჩვენებ სეირს, როგორ უნდა ოჯახის დანგრევაო... გაქანდა გაანჩხლებული, რიგისკენ აიღო გეზი, ჩემს ცოლს ვერ ხედავდა, ის ზურგით იდგა. მივარდა ლიდას, ლიდა განცვიფრებული მიაჩერდა სახეარეულ, წამოწითლებულ ცუცას... ის იყო ცუცა შეტევაზე გადავიდა და ჩემი ცოლიც შეამჩნია... რა დაემართა, ვერ აგიწერ! ხმა ჩაუვარდა და ისიც ჩემსავით პირდაღებული იდგა, მერე ისტერიული ხარხარი აუვარდა, ვეღარ ჩერდებოდა... ახლა ლიდას და ჩემ ცოლს გაუფართოვდათ თვა-

ლები – ვერ მიმხვდარიყვნენ, რა დაემართა ცუცას. ჯერ იყო და, მუშტებმომარჯვებული, აჭარხლებული მივარდა მათთან, საკმაოდაც შეაშინა, მერე მოულოდნელად უაზრო, გაუთავებელ სიცილს მოჰყვა და ეხვეოდა ხან ჩემს ცოლს, ხან ლიდას; თან ცდილობდა რაღაც ეთქვა, ვერაფერს აგებინებდა – სიცილი ახრჩობდა და დამფრთხალი ქალები ამაოდ ცდილობდნენ მოეფიქრებინათ, როგორ დაეხსნათ თავი ჭკუაშერყეული ცუცასგან.... თვალებს კაცებისკენ აცეცებდნენ, გვიშველეთო. მივედით მათთან, ჩვენც ავხარხარდით და ამან ხომ სულ მთლად დააბნია ისინი – ნუთუ ყველანი გაგიჟდნენო...

მოკლედ, კარგა ხანი მოუნდა მომხდარ ამბავში გარკვევას და, ბოლოს, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ლიდა და ჩემი ცოლიც თავშეუკავებლად გადაფიჩინდნენ... რიგში მდგარი ხალხი უყურებდა შუახნის ხუთ მოქალაქეს, იქაურობას რომ აყრუებდნენ ხარხარით, ცხვირსახოცებით იმშრალებდნენ ცრემლებს და ცდილობდნენ, რაღაც ეთქვათ ერთმანეთისთვის...

ჩვენი მხიარული განწყობილება ირგვლივ მყოფთაც გადაედოთ, მთელი რიგი იღიმებოდა...

კინო რაღად გვინდოდა, წავედით რესტორანში.

ამ საერთო მხიარულებას კი რა უძღოდა წინ?

კინაღამ, კინაღამ ჩხუბი ატყდა! და რატომ? იმიტომ, რომ მე პატარა, სულ პატარა უზუსტობა დავუშვი... საჭიროა სიზუსტე!

1984

საახალწლო საჩუქარი

თუ სასწაული მოხდა და ასი წლის შემდეგ ამ ნამდვილ ამბავს ვინმე მოცლილი წაიკითხავს, ფრიად გაუკვირდება – ნუთუ იმ დროს ასეთი, ყოვლად უცნაური შემთხვევა შეიძლებოდა, მომხდარიყო. შესაძლოა, არც ახლა გაუკვირდეს ვინმეს, რასაკვირველია, ჩემს გარდა. შენ რატომაო, იკითხავთ. ამაზე თავის დროზე მოგახსენებთ.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თითქმის ოცი წლის ავტომანქანა "ჟიგული-01" – ძმასავით შეჩვეული "ლურჯა" – ჩემს ძმაკაც შანშეს ვაჩუქე. იმან თავი გამოიდო, ჩუქება რას მიქვია, ათას მანეთს მოგცემო. რომ აღარ მომეშვა, ვუთხარი: "ნუ წამაჭამე თავი, თუ მაინცდამაინც ატეხილი ხარ, მოდი, მაგ ფულით ერთი კარგი პური ვჭამოთ-მეთქი; ახალი წელი დგება, რა ხანია, ჩვენი ოჯახებით არ გვიქეიფია, ამ უბედური სიძვირის ხანაში მაგაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა და ჯანდაბას – ერთხელ ჩვენც გავიხაროთ!"

ჩავჩურთეთ უკანა სკამზე კალათები, პარკები და "დეზერტირის" ბაზრისკენ გავუტიეთ.

მივედით და ნეტა არ მივსულიყავით! ხალხი ირევა, ხალხი, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევს. ჯერ მანქანებია ჩარიგებული იმდენი, რომ სადღაც კუთხეში ძლივს მივაყენე ჩვენი "ლურჯა", თანაც ნახევარი საათი მაინც ვიწვალე თავისუფალი ადგილის ძებნაში.

შევედით ბაზარში-მეთქი, რომ ვთქვა, ნამეტანი რბილად ნათქვამი გამომივა – ძლივს შევეკვეხეთ, შევეტენეთ, შევეზილეთ... არ ვიცი, რა სიტყვებით შემიძლია გადმოვცე ჩვენი მდგომარეობა თუ მოქმედება.

დავიწყეთ "მძიმე არტილერიით" – გოჭით. კილომეტრზეა ჩარიგებული კბილებდაკრეჭილი გოჭები და ყველა ჩვენ კი გვიღრენს ძაღლებივით – 120-130 მანეთი ღირს ასე, საშუალო გოჭუნა. მერე ინდაურების რიგში გადავინაცვლეთ და ზუსტად გაპუტული ინდაურივით გავლურჯდით – მოზრდილი ინდაური 100-120 მანეთი დაგვიფასეს! დედა ღმერთო! ახლა ქათმები?!. 25 მანეთი! ფეხს არ უცვლიან, ეხვეწე, რამდენიც გინდა... კიდევ კარგი, ფული ბლომად გვაქვს, არაფერს ვეპუებით, კალათჩანთებს საკმაოდ სწრაფად ვავსებთ. ერთი ბეჭიც დავითრიეთ ხუთ თუმნად და ამით ძირითადად მოვათავეთ ხორცეულის ამბავი. ჰო, ორი კილო ღორის სამწვადეც დავამატეთ, ესეც ოცდაათი მანეთი...

მერე, აქეთ – ჭყინტი ყველი (10 მანეთი კილოგრამი) და თუშური ყველი (15 მან.), იქით – მწვანე ჭარხალი (2 მან. კონა), ორი კილო ნიგოზი (23 მანეთი კილო), სამი კილო ლობიო (6 მან.), მჭადის ფქვილი (2 მან.), მჟავე თუ მწნილი, ჯონჯოლი, კიტრი, ხილი...

საფუძვლიანად დატვირთულები მძიმე-მძიმედ ძლივს გამოვღოღდით აზიმზიმებულ ქუჩაში.

ძალიან ცივა, ცივა კი არა, ყინავს კიდეც, ჩვენ კი ოხშივარი აგვდის, გაოფლილები, ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ ეს ორსაათიანი ტანჯვა-წამება უკან მოვიტოვეთ... ახლა შინისკენ ჰერი-ჰერი! და დანარჩენი დავიდარაბა ჩვენი ოჯახების ქალთა შემადგენლობისთვის გადაგვილოცნია!..

უკვე მანქანაშიც მოვკალათდით, ძრავაც უნდა ჩამერთო, რომ შანშემ ჯიბეში ჩაიყო ხელი და დაჭმუჭვნილი ფული ამოიღო; თან ასწორებს, თან ითვლის.

— ბიჭოს! ათასი მანეთიდან 23 მანეთი დაგვრჩენია, ყოჩაღ ჩვენ! სიტყვა მაინც ვერ შევასრულეთ, ბოლომდე უნდა დაგვეხარჯა.

— ეგ არაფერი, — ვეუბნები, — ახლა მაგის ბენზინსაც ჩავასხამთ და უზურში გამოვალთ... თუმცა ჯერ საკმაოდ არის დარჩენილი, თან ბენზინზე დიდი რიგი იქნება ახლა.

— ბიჭო, მწვანილი? მწვანილი დაგვრჩა საყიდელი! — შემოიკრა შუბლზე ხელი შანშემ. — არ ჩავვარდებოდით ქალების ყბაში?

— მაგ მონარჩენ ფულსაც მწვანილს მივახარჯავთ და ვიქნებით თავისუფლად, ჯიბეში ხელის ჩაყოფა აღარ დაგვჭირდება... მოდი, დროზე მოვრჩეთ მაგ საქმესაც!

გამოვძვერით მანქანიდან და ბაზარში აღარ შევსულვართ, იქვე შესასვლელთან ჩარიგებულ მემწვანილეებს მივადექით.

ხუთ წუთში უკან გამოვბრუნდით და... სადღაა მანქანა!

სადაც ჩემი, აწ უკვე შანშეს (ვაგლახ, აღარც მისი!) "ლურჯა" იდგა, ახლა ვიღაცას ახალთახალი "ჟიგული-07" დაეყენებინა უკვე... ღმერთო დიდებულო! ნუთუ ვინმე გამოჩნდა ისეთი კეთილი, რომ ჩვენი დაფეხვილი მანქანა ახალში გაგვიცვალა?..

— მანქანას ვინ ჩივის, ჯანდაბას, მან თავისი საქმე პირნათლად მოილია, მაგრამ ათასი მანეთის საგანგებოდ ნარჩევი პურ-მარილი რომ ცხვირწინიდან აგვაცინცლეს?!. — დაიბოღმა შანშე, — იმაზე მწყდება გული!

მე უფრო ძველი მეგობრის, "ლურჯას", უეცარმა დაკარგვამ დამაღონა. რამდენი გზა გვითელია ერთად, ვინ მოთვლის...

— ეს ოხერი, ჩემს ხელში დაბერდა, ოცი წელი ვარიხინე და ამ ბოლო დროს მე თვითონ ძლივს ვქოქავდი, იმ ოჯახაშენებულმა როგორ მოახერხა მისი ასე უცებ ამუშავება?

1990

საზამთრო

თბილისში, მეტროს სადგურ "დიდუბესთან", ქუჩაში კახელი ჯეელები სხედან აკოკოლავებული საზამთროების უზარმაზარი მთის ძირში; გადმობრუნებულ ყუთზე გაუშლიათ გაზეთი, ზედ დაუწყვიათ დაჭრილი ყველი, პური, პომიდორი, ხახვი და შეექცევიან.

შუადღეა, ცხელა. მუშტარი იშვიათად თუ გამოჩნდება...

მოვიდა შუახნის გამხდარი ქალი, ცხვირი ჩიტის ნისკარტს მიუგავს, თვალები — ქათმის თვალებს. ჯერ წაიკითხა ფირფიცარზე გაკრული ხელით ნაწერი: "შაქარივით საზამთრო პაპა შაქროს ბაღჩიდან", მერე ცნობისმოყვარედ ახედ-დახედა საზამთროების გროვას.

ერთი ჯანიანი ბიჭი წამოიზლაზნა, ხელები წინსაფარზე შეიმშრალა.

— მეც აქა ვარ, ქალბატონო! ამაირჩიეთ, ერთიმეორეზე უკეთესებია! აი, ეს მოგწონთ?

— ეგ პატარაა.

— დიდი გნებავთ? აჰა, ეს არის ყველაზე დიდი, — მიუტყაპუნა ხელი ჯეელმა საზამთროს და ორი ხელით ასწია.

ერთი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო სასწორისკენ, რომ ქალმა თითი გაიშვირა გროვის ძირისკენ:

— აი, ის საზამთროა ყველაზე დიდი... ის მინდა!

— იმაზე დიდი ეს არ არის, ქალბატონო? ნაძლევსა ვარ! — საზამთრო ისევ ორი ხელით ეჭირა წელში მოხრილ ჯეელს და ვერ გადაეწყვიტა, დაედო თუ სასწორისკენ წაედო.

— არა, მე ის საზამთრო მომეცი! საზამთროსაც აღარ ამომარჩევინებ?

— ჩემი თავი გენაცვალოთ, ქალბატონო, ოდონდ მიბრძანეთ და...

— ჰოდა, მომეცი ჩემი არჩეული საზამთრო!

— ეგა... ეგ რომ გამოვაცალო, არა, ეგ რომ გამოვაცურო, ხომ მთელი გროვა დაიშლება.

— რა დაშლის, არაფერიც არ მოუვა.

— დაიშლება, მა რა ჯანდაბა მოუვა, დანარჩენები მაგაზე არ აწყვია?

— მაგაზეც მე ვიდარდო?

— იქნებ სხვა აგერჩიათ...

— ერთი-ორი საზამთრო გადმოაწყვეთ ზევიდან და გამოაძვრინეთ.

ჯეელი უარზე იყო, მაგრამ ქალი არ მოეშვა და ბოლოს თავისი გაიტანა.

ბიჭმა საზამთროს ფრთხილად გამოძრობა სცადა, თითქმის მიაღწია საწადელს, მაგრამ უცებ საზამთროების პირამიდა ამოძრავდა — ჯერ ნელ-ნელა დაიძრა, მერე კი უცებ იხუვლა...

დანარჩენი ბიჭებიც მოვარდნენ საშველად და ხელ-ფეხით ცდილობდნენ აგორებული მთის შეჩერებას, მაგრამ რაღა დროს – მთელი პირამიდა ჩამოიშალა და საზამთროს მწვანე ბურთები აქეთ-იქით გაიფანტა... რამდენიმე გაბედულმა საზამთრომ განიერი ქუჩაც კი გადაირბინა და მეორე მხარის ტროტუარს მიაღწია.

ქუჩაში ათიოდე წუთით შეწყდა მოძრაობა, სანამ ბიჭები ბურტყუნ-გინებით საზამთროებს აგროვებდნენ.

ამ არეულობაში რამდენიმე საზამთრო ჩუმად აწაპნეს.

როცა საქმეს მორჩნენ და ყუთებზე ჩამომსხდარნი ოფლიან სახეებსა და კისრებზე ცხვირსახოცებს ისვამდნენ, ჩიტისცხვირა ქალი მიუახლოვდათ; საკვირველი იყო, ამ შესახედავად სუსტ ქალს როგორ ეჭირა ხელში უზარმაზარი საზამთრო.

– ხომ წააგე ნაძლევი, ხომ წააგე! – გახარებულმა ნიშნის მოგებით მიმართა ჯეელს. – აჰა, არც ახლა დაიჯერებ, ეს არის ყველაზე დიდი-მეთქი!

ჯეელი წამოდგა, ქალთან მივიდა და ხელიდან გამოგლიჯა საზამთრო.

– წადი, წადი!.. მომწყდი თავიდან! არ ვყიდი საზამთროს, ბიჯოს!..

1990

ტყემლის საწებელა

წაიკითხავ სათაურს, ძვირფასო მკითხველო, და ნამდვილად ნერწყვი მოგადგება პირზე. ამიტომ, თუ გემრიელად ნასადილევი არ ბრძანდები, გადადევი გვერდზე ეს გასტრონომიული ნოველა უფრო შესაფერის დრომდე.

დიახ, იმის მოყოლა მინდოდა...

ჩემს დასთან, გულიკოსთან, ვარ სტუმრად დიღმის დასახლებაში.

ვნებივრობ – სავარძელში ნებიერად გაშხლართული, ვკითხულობ ჟურნალ-გაზეთებს და თან კომპოტსა და ხილს გეახლებით. გულიკო სამზარეულოში საქმიანობს.

რეკავს ტელეფონი, გულიკოს თხოვეთო.

გულიკო ვიღაც ქალს ელაპარაკება.

ლაპარაკი გრძელდება ხუთიოდ წუთს.

მერე გულიკო სამზარეულოში ბრუნდება.

ნახევარ საათში ისევ რეკავს ტელეფონი, გულიკოს ითხოვს იგივე ქალი. სირინოზის ხმა აქვს, დათაფლული.

გულიკო ისევ ტოვებს სამზარეულოს და კვლავ ელაპარაკება; ამჯერად საუბარი თითქმის ნახევარ საათს გრძელდება.

– უჰ, არ გამიწყალა გული?!. – ამრეზით ამბობს გულიკო და ყურმილს დებს. – ერთი კილო ტყემალს არ გადამაყოლა?

– რა ტყემალს?

– ტყემლის საწებელას აკეთებს, რა დიდი ფილოსოფია მაგას უნდა!

გულიკო ისევ სამზარეულოშია, მე კითხვას განვაგრძობ და თან ვაშლს მივირთმევ.

გავიდა კიდევ ნახევარი საათი და ტელეფონი ისევ აწკარუნდა. ისევ ის ქალბატონია.

გულიკო ამჯერადაც ხანგრძლივად ელაპარაკება, უფრო სწორედ, მოკლე-მოკლედ პასუხობს, უფრო შორისდებულებს ჩასძახის ყურმილში: "ჰო... ჰო... დიახ... ჰო... კი..."

ბოლოს, გულიკო გულმოსული ანარცხებს უდანაშაულო ყურმილს სადგარზე და ხელებს მაღლა სწევს:

– რა გახდა ერთი კილო ტყემლის მოხარშვა, ან თავს რას იკლავს, არ ვიცი! დებილი თუ არ ხარ, ვინ ხარშავს ერთ კილო ტყემალს! რაღა დარჩება, ერთ ნახევარლიტრიან ბოთლს თუ გაავსებს, ღირდა მაგისთვის ან თავის შეწუხება, ან ჩემი სულის ამოხდა?!. ოღონდ თავი დამანებოს და ორ ბოთლ ტყემალს მივცემ!

– სხვა ვერავინ ნახა?

– დედაჩემი შენს მეტს არავის ენდობაო, თავს მიქონავს, ფუი!

ისევ და ისევ ჟინიანად რეკავს ტელეფონი.

ყურმილში ნაცნობი ხმა და ნაცნობი თხოვნა ისმის.

მეც მეტისმეტად დაშაქრული ხმით ვპასუხობ:

– გულიკო გნებავთ? ბოდიში, ხუთი წუთის წინ წავიდა ბაზარში... როგორ მიდის თქვენი ტყემლის საწებლის საქმე?.. იმედია, თქვენს გაკეთებულ საწებელას ჩვენც გაგვასინჯებთ! წინასწარ გიხდით მადლობას!.. არ ვიცი, ქალბატონო, ალბათ კაი ხანს დააგვიანდება – ტყემლის საყიდლად წავი-

და; თქვა, ოც-ოცდახუთ კოლოგრამს მოვიტანო, აბა, რამდენიმე კილოს გულისთვის მხოლოდ სულელი თუ შეიწუხებს თავს!.. კეთილად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო!..

გულიკო კარებში დგას და სახე თანდათან უწყნარდება...

1988

ესტაფეტა

გერმოგენ გერმანოზაშვილმა, ერთ-ერთი დიდი ქარხნის დირექტორმა, ორშაბათ დილით საწარმოო თათბირის ჩატარების შემდეგ კაბინეტში დარჩენილ თავის მოადგილეს მომარაგების დარგში აკაკი კაკოიძეს შესჩივლა:

— გაგიგონია, კაცო, ასეთი ამბავი? ჩემი შვილიშვილის საბავშვო ბაღში ერთი თუთიყუში ჰყოლიათ, სახელად მარგალიტა, მოწყენილია თურმე და მეგობარი უნდაო... რა ვქნა, არ ვიცი. ცოლმა შემჭამა, სანამ თუთიყუშს არ ვიშოვით, ბავშვი ბაღში არ მიდისო. თუთიყუშის საძებრად მცალია მე? კვარტლის ბოლოა და თუ გეგმა ჩაგვივარდა, ყველას თავებს დაგვაჭრიან... კაკო, მომიხერხე რამე, თუ კაცი ხარ...

სამშაბათ დილას კაკო ზოოლოგიურ მაღაზიას ეწვია დირექტორის თხოვნის შესასრულებლად. მაღაზია გატენილი იყო გალიებით, მაგრამ თუთიყუშები არ ჰყავდათ, არც სხვა "საქონელი" და მთელ მაღაზიაში სულ ათიოდე ოქროს თევზი დაცურავდა დიდ აკვარიუმში. თვის ბოლომდე არაფერს ველით და მერე კი ველით თუთიყუშებსაც და კანარის ჩიტებსაცო, უთხრა გამყიდველმა იაკინთემ.

ოთხშაბათ დილით კაკო კაკოიძემ თავის ხელქვეითს — გარაჟის გამგეს ბიჭიკო ბანაშვილს შეღაღადა:

— ჩემო ბიჭიკო, ერთი თუთიყუში მჭირდება უსიკვდილოდ, პატარა რომაა, ხომ იცი, მწვანე, ქოჩრიანი, სულ რომ ჭყიპინებს...

ხუთშაბათს, დილაადრიან, უზარმაზარი სატვირთო მანქანით მიადგა ბიჭიკო ზოომაღაზიას.

გამყიდველი იაკინთე ხუმრობის ხასიათზე დადგა:

— ამხელა მანქანით რომ მომადექით, მეგონა, სპილოს წასაყვანად მობრძანდით-მეთქი... რა ვქნა, თქვენი ჭირიმე, ერთი თუთიყუშიც არ გვყავს წამლად, ერთ-ორ კვირაში შემოიარეთ.

ბიჭიკო დიღმის დასახლების ბაზარსაც ეწვია, მაგრამ საოცნებო ფრინველი ვერც იქ იშოვა.

პარასკევ საღამოს სანტექნიკოსი ძია ჟორა ბიჭიკოს ოჯახში ცხელი წყლის ონკანს ცვლიდა სამზარეულოში და იმის ოცნებაში იყო, ნეტავ მეორე ჭიქა არაყიც მომაწოდონო... ამ დროს ყური მოჰკრა: ბიჭიკო ცოლს შესჩიოდა, უფროსმა პატარა, მწვანე თუთიყუში მომთხოვა, მთელი ქალაქი გადავაბრუნე და ვერ ვიშოვნე, არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, უფროსი ისედაც ცუდი თვალით მიყურებსო.

ძია ჟორა მაშინვე მიეჭრა ბიჭიკოს და ახარა:

— მაგაზე დაგდგომია დარდი, მეგობარო? ხვალ თუ არა, ზეგ უსიკვდილოდ მოგიყვანთ, თქვენ რომ გინდათ, ისეთ თუთიყუშს!

ძია ჟორას კვლავ დაალევინეს და შესაფერის გასამრჯელოსაც დაჰპირდნენ.

მართლაც, კვირა საღამოს ძია ჟორა სახეგაბადრული მიადგა ბიჭიკოს ბინის კარებს. ხელში გალია ეჭირა, გალიაში კი დახტოდა, მოუსვენრად ცმუკავდა და გაუთავებლად ჭყიპინებდა პატარა, მწვანე თუთიყუში. რაღა თქმა უნდა, ბიძია ჟორას მადლობა მოახსენეს, შესაფერისი პატივიც სცეს, საუკუნოდ მადლობელნი ხომ დარჩნენ და დარჩნენ.

ორშაბათ დილას კი ბიჭიკომ საზეიმოდ მიართვა სანატრელი თუთიყუში კაკო კაკოიძეს; კაკომ მაშინვე გადასცა ესტაფეტა — თუთიყუში გალიითურთ — ბატონ გერმოგენს და ზედ მიაყოლა ფართო ღიმილიც: აჰა, ბატონო, თქვენი გულისთვის ქვას გავხეთქავ და თხოვნა-ბრძანებას შევასრულებო.

ბატონმა დირექტორმა, სახეგაბადრულმა, ამაყად ჩაიბარა გალია, თითქოს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოეპოვებინოს საპატიო ჯილდო.

გადაწყვიტა, მაშინვე მანქანით მისულიყო საბავშვო ბაღში და პირადად გადაეცა ძვირფასი საჩუქარი.

და შვილიშვილის ჯგუფის ოთახში შესვლისთანავე საყოველთაო გოდება-ვაების გარემოცვაში მოხვდა.

— ვაშა! — იქუხეს უცებ ბავშვებმა. — თუთიყუში, ჩვენი თუთიყუში!

მეორე თუთიყუშის შოვნას ვინ ჩივის, რომელიც ჰყავდათ, ისიც ვიღაცას აეწაპნა წინა შაბათს თუ კვირას.

ალბათ ზედმეტია იმის განმარტება, რომ ძია ჟორა ამ საბავშვო ბაღში მუშაობდა სანტექნიკოსად.

1986

სენსაცია

სამართლიანად ამბობენ, რომ ჩვენ სენსაციების დროში ვცხოვრობთ. ეგერ კაცმა პირველად დადგა ფეხი მთვარის ზედაპირზე, სადღაც ვულკანმა ამოხეთქა, აქამდე რომ ჭკვიანად იყო, აგერ ჩემმა ბიჭმა ზოოლოგიაში ხუთიანი მიიღო (თუმცა, რატომაც არ უნდა მიეღო – ვეფხია ტყუილად კი არ ჰქვია!); მისმა უმცროსმა ძმამ, დიდად პატივცემულმა ქაიხოსრომ დიდი ქაიხოსროს პატივსაცემად (მამაა, ბატონო, ჩემი) პირველად გააკეთა რამდენიმე დამოუკიდებელი ნაბიჯი პარკეტის იატაკზე... ამ დროს ფეხი აუცურდა, აიქნია ხელები და მისაშველებლად გამოქანებულ ბაბუას პირიდან გააგდებინა ანთებული ჩიბუხი. ეგ ჩიბუხი, ბატონებო, ჩვეულებრივი კი არ იყო, ქაიხოსრო ქათამაძეს ავსტრიიდან ჰქონდა ჩამოტანილი. როგორ მოხვდა ეს ჩიბუხი უფროსი ლეიტენანტის ქაიხოსრო ქათამაძის ხელში, სულ ადვილად შეიტყობთ – ბევრი ხვეწნა არ უნდა; მისი პატრონი ფერადოვნად აგიწერთ ომისშემდგომი ვენის მდგომარეობას, დაგიხასიათებთ ავსტრიელი ქალების სილამაზეს, მათ გულწრფელ მადლიერებას, რომ ბინად მათთან გაჩერდით და არა სხვასთან; ბოლოს, თუ მოთმინება გეყოთ, შეიძლება ისიც გაიგოთ, თუ როგორ მოხვდა ეს ძვირფასი ჩიბუხი მისი ახლანდელი პატრონის ხელში. ბოდიში, კიდევ ბოდიში, ამ ამბავს ქაიხოსრო ქათამაძესთან ვეღარ გაიგებთ, რადგან ავსტრიაში ნაჩუქარი ჩიბუხი იატაკზე დაცემისას, სამწუხაროდ, გატყდა...

მაგრამ ამაზე დიდი სენსაციებიც ხდება. თუნდაც, იცით, რა მოხდა ორი დღის წინ? მივედი, შენ ხარ ჩემი ბატონი, შინ... გავემგზავრე ლიფტით X სართულზე (ავედი-მეთქი მეხამუშება თქმა), მშვიდობით მივაღწიე ჩემს ბინას. კარგად მოგეხსენებათ, რას აკეთებს შემდგომ სამსახურიდან მოსული კაცი – გამოიცვლის ტანსაცმელს, დაიბანს ხელ-პირს, ივახშმებს პატიოსნად, მერე ახალ გაზეთებს აიღებს და წამოგორდება ტახტზე ან დივანზე... ერთხანს ათვალიერებს გაზეთებში საქვეყნო სენსაციებს, მერე უნებლიედ მილულავს თვალებს, უმცროს-უფროსი ქაიხოსროების თამაშ-ბღლარძუნიც კი არ უშლის ხელს... და სულ არ ფიქრობს, რომ ბედი არგუნებს "შინაურ" სენსაციას, თუნდაც X სართულზე ცხოვრობდეს და მის ბინას რკინის საიმედო კარი ჰქონდეს.

სენსაცია იწყება იმით, რომ ოთახში შემოგლიჯინდება გაოფლილი მოსწავლე ვეფხია ქათამაძე და მისი სახელის შესაფერისად ღრიალებს:

– მამიკო, მამიკო!

გულგახეთქილი წამოვვარდი ზეზე და ვეცი დასაჭერად მყუდროების აღმაშფოთებელს. ვეფხია არ გაქცეულა კურდღელივით, როგორც მოველოდი, და ამან დამარწმუნა, რომ ნამდვილად რაღაც დიდად მნიშვნელოვანი უნდა ეცნობებინა ჩემთვის.

– რა იყო, ბიჭო?

ვეფხია ხმას არ იღებს, სახელოზე მექაჩება და მუდარით შემომცქერის. ქაიხოსრო ბაბუაც დაინტერესდა.

– ის მოიყვანეს, წამოდით, ნახეთ!

– რა მოხდა, რამ გადაგრია! აღარ იტყვი, ისეთი რა მოიყვანეს? – ჭირივით მეზარება ტახტის მიტოვება.

– არ ვიცი, რა ჰქვია, სხვა ბიჭებმაც ვერ გამოიცნეს! დიდი თვალები აქვს და გრძელი კუდი! – ამოღერღა ვეფხიამ.

– გრძელი კუდი რას უნდა ჰქონდეს? – დაფიქრდა ბაბუა. – მელია ხომ არ არის?

– არა, არა, დიდია! – ხელები გაშალა ვეფხიამ.

– დიდი ბეჰემოთიც კია! – ვთქვი მე.

– ბეჰემოთი არ არის, – დარწმუნებით თქვა ვეფხიამ, – უფრო მაღალი ფეხები აქვს.

– აბა ჟირაფი ყოფილა! – გამიხარდა მე. – გეთქვა, შე კაი კაცო, გრძელი კისერი აქვს და ლამაზად აჭრელებული ტანი.

– არც ჟირაფია, ჟირაფი ზოოპარკში მინახავს, – უარყო ვეფხიამ.

– ყურები როგორი აქვს? – დაინტერესდა ბაბუა.

– დიდი!

– აფართხუნებს? აი ასე აბარტყუნებს?

– კი!

– სპილოა?!.

– სპილოს ვერ ვიცნობდი? – ეწყინა ვეფხიას.

მე და ბაბუა ქაიხოსრო დაბნეულები ერთმანეთს შევაცქერდით. რა უცნაური ცხოველია ისეთი, რომ ვეფხიას ზოოპარკშიც კი არ უნახავს? ლამა, იაგუარი, პუმა, იქედნე, ჭიანჭველაჭამია, კოალა... ვეფხიამ ყველა დაიწუნა. მერე გაიხსენა, იმ უცნაურ ცხოველს რქები აქვსო. საძიებელ ცხოველთა წრე საგრძნობლად დავიწროვდა. კულანი, არხარი, დომბა, ბიზონი... ვერც ერთი ამ ცხოველის აღწერამ ვეფხია ვერ დააკმაყოფილა.

მივედით ფანჯარასთან და ბინოკლით ეზოს გავხედეთ (ამ ბინოკლით ვადევნებ თვალყურს X სართულიდან, რას აკეთებს ხოლმე ვეფხია ეზოში). შენც არ მომიკვდე! გოგო-ბიჭები ისე იყვნენ მისეული უცხო ცხოველს, რომ მისი ფერიც კი ვერ დავადგინეთ. ჭრელიაო, – ბრძანა ვეფხიამ. ამ სიჭრელემ სულ დაგვაბნია. ტვინის უკიდურესი ჭყლეტით ხან ზებრა მოვიგონეთ, მაგრამ ჩვენვე დავიწუნეთ – რქები აკლდა, ხან ათასგვარი ანტილოპა – ისინი კი ჭრელები არ იყვნენ...

სპორტულმა აზარტმა გაგვიტაცა: გადმოვალაგეთ თაროებიდან თუკი რამ გვქონდა ზოოლოგიური და ბიოლოგიური ლიტერატურა, ატლასები, ცნობარები, გეოგრაფოსთა და ნატურალისტთა მოგზაურობათა ამსახველი წიგნები... უშედეგოდ.

ცნობისმოყვარეობის ჭიამ ისე შემოგვიტია, რომ ეზოში ჩასვლა გადავწყვიტეთ. ლიფტიდან ეზოში გამოვედით თუ არა, ინკოგნიტომ თვით გაგვაცნო თავი – ამ დროს ძროხის ბღავილი მოგვესმა... ალბათ მეტისმეტად შეაწუხა ირგვლივ შემოჯარულთა ყაყანმა.

– უი! – კინაღამ წყევლაც წამოსცდა ბაბუა ქაიხოსროს და გაწბილებულმა საკმაოდ ძლიერად წაუთაქა კეფაში ვეფხიას. – არ გრცხვენია, ძროხა ვერ იცანი?

– თქვენც ხომ ვერ გამოიცანით! – უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა ვეფხიამ.

თეთრ და შავლაქებიანი, გამხდარი ძროხა გაკვირვებული დიდი თვალებით უცქეროდა მის წინ აზიმზიმებულ ბრბოს. საინტერესოა, როგორ მოხვდა ქალაქში?

ისევ ლიფტს მივაშურეთ.

ბაბუამ უარი განაცხადა ჩვენთან ერთად დაელაგებინა აშლილი ბიბლიოთეკა.

– დიდი სატრაბახო გაქვთ, – ბუზღუნებდა ის და გატეხილ ჩიბუხს აწვალებდა ხელში, – ბიჭმა ზოოლოგიაში ხუთიანი მიიღო! ყოჩაღ! ძროხა კი ვერ იცნო. შენი ბრალია, ვაუბატონო, შენი, რა გაცინებს? რომ აიჩემე, ქალაქში მინდა ცხოვრებაო და აგერ რამდენი წელია, სოფელს ზაფხულშიც კი აღარ აკითხავ, ბაღანა მაინც გამოგეგზავნა ხანდახან! მეც რომ გამაბრიყვე! ჩამოდი, მამი, სოფელში მოგწყინდება, მარტომ რა უნდა აკეთოო... გამოვეკიდე აქ X სართულზე ცასა და მიწას შორის, მწვანე ბალახი მენატრება. ლამის მეც დამავიწყდეს, ძროხა და ცხენი რა ფერისაა...

ბუზღუნებდა, ბუზღუნებდა და მეორე დღეს, საღამოს, სადგურს მიაშურა, სოფელს ვბრუნდებიო.

ვეფხიას წაყვანაც უნდოდა, მაგრამ ზაფხულის არდადეგებამდე არ დავანებეთ.

1971

დომინოს მსხვერპლი

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის კალენიკე კაიკაციშვილის ანკეტურ მონაცემებს მთლიანად არ ჩამოვყვები, მოკლედ მოგახსენებთ: ასაკით ორმოც წელს ოდნავ გადასცილდა, თუმცა საკმაოდ ახალგაზრდული იერი აქვს; ცოლთან, სიდედრთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს ცხრასართულიანი ტიპობრივი სახლის მეექვსე სართულზე, უკავია სამოთახიანი ბინა; გამორჩეულად უყვარს ჭადრაკის თამაში...

სამწუხაროდ, პარტნიორებს იშვიათად, შემთხვევით თუ იშოვის – საკუთარი ბავშვები ჯერ პატარები არიან, ცოლს კი ჭადრაკისთვის სცხელა? ბატონმა კალენიკემ მეზობლებს შორის დაიწყო მეტოქის ძებნა. მისი მეზობლები ყოველ საღამოს ეზოში დიდი ფიჭვის ქვეშ მაგიდასთან სხედან და ხან დომინოს არახუნებენ, ხან ნარდის კამათლებს აგორებენ, ხან ბანქოს ქაღალდს ატყაპუნებენ. გულახდილად უნდა ითქვას ისიც, რომ ისინი ბატონ კალენიკეს ცოტა არ იყოს აგდებულად უყურებენ, რადგან მათზე მოკრძალებულად ცხოვრობს – არც მანქანის პატრონია, ბინაც კი არასდროს შეუკეთებია... მეზობლებიდან თითქმის ყველა მსუბუქი მანქანის მფლობელია, არ აკლიათ ჩაცმა-დახურვა "დონეზე", არც ქეიფსა და დროსტარებას იკლებენ... არადა, საბავშვო ბაღში კალენიკე მათზე მოზრდილ გადასახადს იხდიდა ბავშვებზე, მასზე დიდი ხელფასით ვერც ერთი დაიკვეხნიდა: ერთი – შოფერია, მეორე – ნოქარი, მესამე – სანტექნიკოსი, მეოთხე – საწყობში მუშაობს... ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ბატონ კალენიკეს ძაღლადაც რომ არავინ აგდებს? ყველა "ზევიდან" ქედმაღლურად დაჰყურებს "გლახაკს"...

თავმოყვარე კალენიკემ გადაწყვიტა რევანში ინტელექტუალურ სფეროში აეღო – ჭადრაკში მაინც მოვიპოვებ ავტორიტეტს, რაკი მათი ჭაღები ჩემსაზე ათჯერ ძვირია და უცხოურ ავეჯზე ხომ ნუღარ ვილაპარაკებთო.

ჰოდა, ერთ მშვენიერ შაბათ საღამოს გადმოხედა მეექვსე სართულიდან ეზოში მაგიდასთან შეკრებილ მეზობლებს, ამოიიღლიავა ჭადრაკის დაფა და ფეხით ჩავიდა ქვევით.

ნეტა არ ჩასულიყო!

მეზობლებმა სასაცილოდ აიგდეს – საქმე ხომ არ გამოგლევია, რაღაც ხომ არ გეშლება, ჭირიმე, სამსახურშიც ტვინს იჭყლეტ და აქაც არ ისვენებო?!.

რაღა ექნა, ბატონმა კალენიკემ ისევ "იმათ დონეზე" სცადა შეჯიბრში ჩაბმა, რევანშის აღება სურდა. სასტიკად გაუცრუვდა იმედი – ყველაფერში უიღბლო გამოდგა – დომინოშიც წააგო, ნარდშიც უმუხთლა ბედმა, არც ბანქოს თუ ლოტოს თამაშში გამოუჩენია თავი. ბევრჯერ მოუწია წაგებულს ცქვიტად გაცუნცულებულიყო და მეზობელთა ხორხოცში მათთვის ბოცით ცივი ლუდი მოეტანა.

ადვილი მისახვედრია, რომ ბატონ კალენიკეს ისედაც არასახარბიელო ავტორიტეტი კატასტროფულად დაეცა. მეზობლები დაუფარავად იღრიჭებოდნენ, ვინ იყო მაგაზე სულელი, ვინც მას მეცნიერებათა კანდიდატობა მისცაო.

მაგრამ ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯიუტი გამოდგა. ყოველ თავისუფალ წუთს ეზოში ჩადიოდა და პარტნიორებს ელოდა, რათა შემდეგ, დამარცხებულს, უახლოესი ჯიხურიდან ლუდი მოეტანა. ჭადრაკი? ო, ჭადრაკი ვიღას ახსოვდა, ბატონი კალენიკე ერთთავად დომინოს, ნარდისა და ბანქოს თამაშის საიდუმლოებებს სწვდებოდა. ისწავლა დომინოს ქვების ლაზათიანად დაჭახუნება, კამათლის აზარტული ტრიალი მუჭში, ბანქოს ქაღალდის ხმაურით დატყაპუნება მაგიდაზე... და ამ ოპერაციების თანმდევ ეშხიან წამოძახილებს თან გაატანა ინტელიგენტობის მნიშვნელოვანი ნაწილიც...

ამბობენ, ამოუწურავი მარაგი არ არსებობსო, ჰოდა, რამდენიმე თვეში ძალიან გაგიჭირდებოდათ ეზოში მაგიდასთან შეკრებილ მოთამაშეთა შორის გამოგეცნოთ ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი... ისე კი, ბატონ კალენიკეს სხვებისგან მაინც გამოარჩევდით – თანდათან ყველას აჯობა დომინოს თამაშშიც, ნარდშიც და ბანქოშიც. მისი ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ ბატონ კალენიკეს პარტნიორობა ყველას დიდ პატივად მიაჩნდა.

ახლა ბატონ კალენიკეს ერთი სული აქვს ხოლმე, სანამ საღამოს თავის ახალ მეგობრებს შეხვდება. ბევრ სხვათა მსგავსად, ლუდის თითქმის ყოველდღიური სმისგან წონაში საგრძნობლად მოიმატა და პატარა საპატიო ღიპიკოთიც დამშვენდა. ერთ-ერთი მეზობელი, არტუშა, დაჰპირდა – კარგი ბიჭი ჩანხარ, ალღოიანიც, რა ყრია იმ შენს ფილოსოფიაში, ვინც შენსავით სწავლით ტვინი გაითხელა, ვინ რა დაკრიფა ცხოვრების ბაღშიო; ჩემთან ავტოსახელოსნოში წაგიყვან, ნაღდ საქმეზე დაგაყენებ, კაცად გაქცევ, ნახე, თუ ერთ წელიწადში საკუთარი მანქანით არ იგრიალოო.

სხვა რამესაც ამბობენ: მოკლე ხანში უნივერსიტეტში ლექციების კითხვას თავს ანებებს და, ორ სხვა მეზობელთან ერთად შეამხანაგებული, აპირებს მებათქაშედ მუშაობის დაწყებას ბინების რემონტზეო. ოჯახშიც მეტ ფულს შეიტანს და, რაც მთავარია, შესვენების დროსაც დომინოს მუდმივი პარტნიორები იქვე ეყოლება გვერდზეო.

მაგრამ ბატონ კალენიკეს მოულოდნელად კიდევ ერთი ნიჭი აღმოაჩნდა და იქნებ... იქნებ ბინების შეკეთებას, ავტოზეინკლობას და თუნდაც სადოქტორო დისერტაციის დაწერას ახლად შეძენილმა ხელობამ სძლიოს...

ერთხელ ბატონი კალენიკე სამსახურიდან შინ გვიან მივიდა (ვითომ სადოქტოროზე მუშაობდა?) – ყველანი სიბნელეში სხედან.

– რა მოხდა?

– ნათურა გადაიწვა.

– მერე, თქვე ოჯახაშენებულებო, ვერ გამოცვალეთ?

და იმ წუთსვე გამოიტანა ახალი ნათურა და კიბე, ძველი ნათურა ამოხრახნა და ახლით შეცვალა.

ამ ამბავს შემთხვევით დაესწრო მეზობლის ქალი და შეეხვეწა – ჩემთანაც ყველაფერი ჩამქრალია, თუ კაცი ხარ, იქნებ რამე მოუხერხოო.

წაყვა. თურმე ავტომატური დამცველი გამორთულიყო, მიაჭირა ღილაკს თითი და მაშინვე ყველაფერი გააჩახჩახა.

მეორე საღამოს ორი გაფუჭებული უთო დახვდა შინ, მეზობლების მოტანილი. დაძინებამდე მათ კირკიტს გადაჰყვა.

შემდეგ დღეებში "კლიენტი" გაუხშირდა. რა არ მოჰქონდათ – მწყობრიდან გამოსული ელექტროსაპარსები და ტელევიზორები, მტვერსასრუტები და მაცივრებიც კი, ელექტროსაათები და იმპორტული ჭაღები...

მოკლედ, სულ მოკლე ხანში, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის სახელი დაიგდო. სამწუხაროდ, ეზოში ჩასასვლელად ვეღარ იცლის...

თუ თქვენ შინ რაიმე ელექტროხელსაწყო გაგიფუჭდათ, გირჩევთ, ჩვენს უბანში სახელგანთქმულ ელექტროშემკეთებელს კალენიკე კაიკაციშვილს მოუტანოთ – ხარისხიანად და უმოკლეს ვადაში უშველის "სატკივარს". იჩქარეთ, სანამ მისი მომსახურება უფასოა (ცოლი უკვე ეჯიჯღინება!).

მისამართს მე მოგცემთ.

1986

ცოლი

შემოდგომის თბილი კვირადღეა.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი კალენიკე კაიკაციშვილი შინ, კაბინეტად გადაკეთებულ ლოჯიაში საწერ მაგიდას უჯდა და სტატიას წერდა. წერილის თემა დიდი ხანია აწვალებდა კალენიკეს, როგორც იქნა, თითქოს მიაგნო "გასაღებს", დროც გამონახა (ბავშვები სიდედრმა ცირკში წაიყვანა) და ახლა წიგნებით, გადაშლილი ჟურნალებით, შავად ნაწერი ფურცლებით დაფარულ მაგიდას უჯდა და უკვე საოცარ აღტყინებას გრძნობდა – იცოდა, რომ წერის დროს მომავალში დასამუშავებელი მრავალი სხვა წარმტაცი თემაც ამოტივტივდებოდა; აზრის ხვეულების ქაღალდზე ადეკვატურად გადასატანი სიტყვების ძიება, ფრაზის ხან ასე, ხან ისე ტრიალი, სანამ ზუსტად ჩაჯდებოდა ნაფიქრის ყალიბში, ცხოვრებაში თითქმის ყველაზე დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. ზოგადი დიალექტიკის მიმართება ადამიანის აზროვნებასთან და პირუკუ – სულ ამ ურთულეს თემას უტრიალებდა; რასაც კი წაიკითხავდა, გაიგონებდა, გაიაზრებდა – ყველაფერს ამ თვალთახედვით უყურებდა...

ლოჯიის კარი ჭრიალით გაიღო და კალენიკეს ცოლი – მადონა – შემოვიდა. ახალდაბანილ თმებს ფუმფულა პირსახოცით იმშრალებდა.

– კალე, დიდხანს არ მოგაცდენ, ერთ რამეს გკითხავ მხოლოდ: ჟურნალ "პირიმზეში" წავიკითხე, რომ ნიღბისთვის ქათმის ერთი კვერცხის გულია საჭირო ან მწყერის ორი კვერცხის გულიო, რატომ?

– რა რატომ? – ვერ გაიგო კალენიკემ. – რის ნიღაბი?

– წასასმელი ნიღაბი არ გაგიგონია? ქალები სახეზე რომ იკეთებენ...

– მერე?

– მწყერის ორი კვერცხის გული რატომ არის საჭირო და ქათმის კი ერთი კვერცხის?

კალენიკე დაიბნა. ფილოსოფიის უღრანი ტყიდან გამოიყვანეს ბანალურ, მზით გაკაშკაშებულ ცხოვრებისეულ სარბიელზე და უცებ ვერ გაერკვა ვითარებაში. უნდოდა, ჩვეულებისამებრ აყვირებულიყო, როცა ვმუშაობ, ნუ მაწუხებთო (შემდეგ კი ენანა და დაეთქვა, ამის შემდეგ აღარასდროს ავუწევ ხმასო), მაგრამ იფიქრა, მერე ვეღარ ვიმუშავებ აღელვებულიო და დაფარული ბოღმით უპასუხა:

– იმიტომ, რომ მწყერის კვერცხი ბევრად პატარაა!

– შენ რა იცი, გინახავს?

– მინახავს, მინახავს! – იყვირა კალენიკემ. – ნუ მიშლი, ვმუშაობ!

– სად გინახავს? ქათმის კვერცხი სჯობს თუ მწყერის? სად იყიდება მწყერის კვერცხი? – დააყარა კითხვები ცოლმა, ქმრის გაანჩხლება მისთვის ჩვეული რამ იყო.

კალენიკემ მელოტ თავზე შემოიწყო ხელისგულები და გაირინდა.

ცოლი წასვლას არ აპირებდა. უფრო სწორედ, წამით გავიდა და რაღაც ჟურნალით დაბრუნდა.

კალენიკემ თვალები დახუჭა. მადონას ხმა აღიზიანებდა, მისი ლაპარაკის აზრში ჩაწვდომა არ უნდოდა, მაინც დროდადრო ჩაესმოდა ხოლმე ცოლის ბუტბუტი:

– "აბაზანა: ოთხი კოვზი სპეციალური მარილი, თუ არ გაქვს – სუფრის მარილი; არბილებს ფეხისგულებს, ფრჩხილებს... მკვებავი ნიღაბი: ერთი ცალი ქათმის კვერცხი, რამდენიმე წვეთი ზეთი და ლიმონის წვენი"... როგორი ზეთი უნდა ნეტა?.. "ხაჭოს ნიღაბი... დამატენიანებელი ნიღაბი: კიტრი, სტაფილო ან ვაშლი; სახეზე დაიდეთ გახეხილი... ნიღაბი – ყველა კანს უხდება... ერთი კვერცხის გული, რამდენიმე წვეთი ზეთი, თაფლი ან კარტოფილის ფქვილი... კვირაში ერთი დღე გამოყავით, ივარჯიშეთ, მაგარ ყავას ნუ დალევთ, ღვინო-არაყს და მღელვარებას ერიდეთ... სუფთა ჰაერზე ისეირნეთ, თუ გინდათ ჯანმრთელები და ლამაზები იყოთ"...

– ჰოდა, წადი, გაისეირნე! – თვალები გაახილა კალენიკემ.

– მარტომ? რამდენი ხანია, კინოში არ ვყოფილვარ... წავიდეთ...

– ტელევიზორში კინოს მეტი რაა!.. – თვალები ისევ დახუჭა კალენიკემ.

– ერთხელ გადავწყვიტე ამომესუნთქა, ვიფიქრე, ცოტას გამოვიპრანჭები, საღამოს სადმე წავალთ-მეთქი... და ახლაც მაგ სულელურ წიგნებში ჩაგიყვია ცხვირი და ირგვლივ ვერაფერს ხედავ... საჭმელების კეთებამ მომკლა... ტანსაცმლის კერვამ და ახალი ფეხსაცმელების ყიდვამ ბავშვების-

თვის... ჩემს ნაცნობ-მეგობრებს ვინ ჩივის, საკუთარ დასთან რამდენი ხანია, არ ვყოფილვარ... ნუცას საშინლად ჰქონდა ვენები გაგანიერებული ფეხებზე, საავადმყოფოში დაწოლას აპირებდა... ბიჭმაც აურია – მიხამ მანქანის ყიდვა გადაწყვიტა და ორ-ორ ცვლას მუშაობს, ნუცა კი მარტო ვეღარ ერევა მამუკას... 14 წლისაა და უკვე ორი წელია, პაპიროსს ეწევა, სკოლაში გაკვეთილებს სულ აცდენს... ჩვენს ბავშვებსაც სულ არ ატყვიათ მამის ხელი... სკოლაში მაინც გაგევლო ხანდახან, რომელ ერთ საქმეს მივხედო... ბაზარში იწანწალე ორი საათი, იქნება იაფად შეგხვდეს რამე, სამსახურში მაინც არ დავდიოდე...

კალენიკე ფანჯარაში იხედება – დასახლების სტანდარტულ, სოკოსავით მომრავლებულ სახლებს უცქერის და ფიქრობს... ეს სახლები სხვადასხვაფრად მაინც შეღებონ: რა უნდილი, მოსაწყენი ერთფეროვნებაა – შინაც, სამსახურშიც, გარეთაც... ყოველდღე – სულ ერთი და იგივე, მონოტონურად, მომაბეზრებლად... ყველაფერი მობეზრდა. აგერ, ეზოში, მთელი დღე სხედან კაცები, დომინოს ან ლოტოს თამაშობენ, ცივ ლუდს წრუპავენ (დიდი ბოცა ერთთავად ამშვენებს მაგიდას) – ნუთუ საქმე გამოელიათ? თუ ცოლებს გაექცნენ?..

კალენიკე ხვნეშით წამოდგა.

– წაისვი ეგ ნიღაბია თუ რაღაცა... ქალი ხარ შენც, გაერთე ცოტა, თავს მოუარე. მე ქვევით, ეზოში ჩავალ ცოტა ხნით...

1986

ლარინგიტი

ლიდია შაბარშინას

ყელი ჩამეხრინწა, ამტკივდასავით. ყველა ერთხმად მარიგებს – დროზე ჯობს მიხედვა.

მივედი საავადმყოფოში, მითხრეს, უმაღლესი დონის პროფესიონალები იქააო.

დიდი ნაცნობობით მიმიყვანეს ჩასუქებულ, ზორბა ექიმთან – ცირკის პროფესიონალ სიმძიმეების ამწევს ჰგავს.

ხუმრობა იქით იყოს – პროფესორია, დიდი თავადის მედიდური მიხრა-მოხრა უხდება და ნდობით გმსჭვალავს – აწი აღარაფერი გიჭირს!

უყვირა ერთ ექიმს, მეორე – დააფეთიანა, ექთნები სულ წკიპზე დადგნენ.

– დააღე პირი! – მიბრძანა.

გავაღე.

ჩახედა.

– კიდევ უფრო ფართოდ!

ღრანჭი კინაღამ მომენგრა მონდომებისგან.

ჩახედა ისევ.

დაიკაპიწა ხელები... ახლა ტორებით კინაღამ გამიხია ლაყუჩები. თითქმის ჩამიძვრა ხახაში, რა ნახა იქ უნახავი და დაუნახავი ნეტა!

ამოძვრა.

თვალებადაა ქცეული.

– ამოუსვით ყელში! – დაიღრიალა.

დაფაცურდნენ ექთნები, ერთმანეთს ფეხებში ებლანდებიან, რაღაც მყრალით გაჟღენთილი ჩვარი ჩამჩარეს ჯოხით ხახაში. დაატრიალეს უწყალოდ, თითქოს საღვინედ ქვევრს ხეხავდნენ.

თვალები გადმომცვივდა, ვხრიალებ საწყლად, ვფიქრობ: ეს ოხრები თუ მომიღებენ ბოლოს, თორემ ის ოდნავი ხრინწი რას მიზამდა!

– დააღე პირი!

გავაღე.

– უფრო ფართოდ!

და ისევ ჩამიძვრა თავის შუბლის სარკიანად ბატონი პროფესორი ყელში.

ჩაძვრა კიდევ...

კიდევ...

ლამის თავ-ფეხიანად გადაეშვა, ვგონებ, მხოლოდ იტალიური ფეხსაცმელი დარჩა ზევით, თუმცა მისი გაპრიალებული ფეხსაცმლის დარდი მაქვს? ან როგორ დავინახავ, თვალთ დამიბნელდა...

ამოძვრა.

“გადავრჩი!” – ვიფიქრე.

– ჰო-ო! – დაფიქრდა ბატონი პროფესორი. – გადაწყვეტით რაიმეს თქმა ძნელია... გამოიარეთ ორ დღეში!

“დამცინის ეს ოხერი!” – გავიფიქრე გუნებაში.

– ორ დღეში კვირაა, ბატონო! – შევკადრე.

– არა უშავს, საგანგებოდ მოვალ; სამკურნალო კოოპერატივი გვაქვს და იქ მანამდე სხვადასხვა ანალიზები გააკეთებინე ნაცხის, სისხლის, შარდის...

– დიდი მადლობა, ბატონო პროფესორო!

გუნებაში კი ვანგარიშობ: “თითო ანალიზს ათი-თხუთმეტი მანეთი უნდა, პროფესორსაც – ორი–სამი თუმანი...”

გულისჯიბეში გადანახული თუმნიანის ამოღება გადავიფიქრე, არადა, აქ მოსვლამდე – მეცოტავებოდა, ერთი თუმანი კიდევ ხომ არ დავამატო-მეთქი...

საავადმყოფოდან პირდაპირ უბნის პოლიკლინიკას მივაშურე.

ღრმად მოხუცებულმა, მოფამფალებულმა ექიმმა ერთი ჩამხედა ყელში და მაშინვე დასვა დიაგნოზი:

– ლარინგიტი!

გამომიწერა წამლის რეცეპტი და ორ დღეში ჩიტივით ვიყავი.

1988

პირღია დავრჩი!

– დააღეთ პირი!

ვაიმე, დაიწყო!..

რაღა უნდა წარმოიდგინო ამაზე საშინელი?.. ზიხარ, უფრო სწორედ, გადაწოლილი ხარ, სტომატოლოგიურ სავარძელში და ტანში გაზრიალებს ბორმანქანის ავი ზუზუნის დაწყების მოლოდინში...

ღრმად ჩავისუნთქე, პირი ფართოდ დავაღე და თვალები დავხუჭე – შიშით თუ დამაბრმავებლად მონათებულმა რეფლექტორმა მაიძულა. ვუცდი საზარელ წამს, დაძაბული, ნერვებდაჭიმული... ვუცდი, ვუცდი...

– გისმენთ!.. – გულგრილად და თან მბრძანებლურად მომმართავს ქალბატონი ნაზიკო.

თვალებს ვახელ და თითით ვუჩვენებ, ზედა ყბაზე მარცხენა ბოლო კბილი მაწუხებს-მეთქი. ქალბატონი ნაზიკო პატარა, მრგვალსარკიან იარაღს იმარჯვებს და უბოდიშოდ მთხრის პირში... რას ხედავს იმ სარკეში ნეტავი, ასე დიდხანს რომ დაატარებს აქეთ-იქით პირის ღრუში და ლამის ლაშებს მახევს? თან უფრო გვერდზე იყურება, მოქაქანე კოლეგებისკენ, ვიდრე ჩემი პირისკენ და თვითონაც აქტიურად ჩართულია მეტად საჭირბოროტო საკითხის განხილვაში – როგორ უნდა გაკეთდეს სამარხვო ნაპოლეონი? თურმე, ყველას ჯობს, თურქული მარგარინის გამოყენება... სანამ ამ ეპოქალურ დასკვნამდე მივიდოდნენ, სარკიანი იარაღი ერთხანს ჩემს პირში განისვენებდა თითქმის უძრავად და კარგი შესაძლებლობა მომეცა, საგულდაგულოდ დამეთვალიერებინა ქალბატონ ნაზიკოს მარჯვენა ხელის არათითზე წამოცმული მასიური ვერცხლის ბეჭედი შავი ქვის უზარმაზარი თვლით – გიშერია? შავად არის ჩემი საქმე!

ოთახში სამი სტომატოლოგიური სავარძელი დგას, დანარჩენ ორ ექიმ ქალბატონს პაციენტები არ ჰყავს, თავისუფლები არიან და ენებს იფხანენ. ორივენი შუახნის გახლავან, ორივე საგანგებოდ და, ჩემი შეხედულებით, უზომოდ შეღებილ-შელამაზებულია, ოღონდ ერთი სქელია, ფაშფაშა, მეორე – გამხდარ-გაჩხინკული. სამთაგან ყველაზე სიმპათიური ნაზიკოც შუა ხნისაა, მასთან დილიდანვე რიგი დგას, ერთ საათზე მეტი მომიწია მოცდა, სანამ ამ უდანაშაულო ადამიანთა სატანჯველ მოწყობილობაში ანუ სტომატოლოგიურ სავარძელში ჩემი ნებით ჩავესვენებოდი.

– დააღეთ პირი!

მეტი რაღა დავაღო, ოჯახდალოცვილო, ლამის გადავყლაპო ქვეყნიერება!

ახლა წვეტიანი რაღაცით უჩიჩხინებს ჩემს გამამწარებელ და დამტანჯველ კბილს.

– ბლუზები, ლამაზი ბლუზები იაფად! – მესმის ოთახში შემოსული ბოშა ქალის გავარჯიშებული ხმა. კი, ნამდვილად შავტუხა ბოშა ქალი იქნება. დიდხანს ამოაქვს ჩანთიდან ნაირ-ნაირი საქონელი, ქალები ათვალიერებენ უფასო გამოფენას; ქალბატონი ნაზიკოც არ იკლებს ამ სიამოვნებას, თანაც სამუშაო ადგილის დაუტოვებლად (მისი ცალი ხელი რაღაც იარაღით ჩემს პირშია ჩარჩენილი და დავიწყებული).

ქალებმა მოსაწონი ვერაფერი აღმოაჩინეს და ის იყო, ამოძრავდა ქალბატონ ნაზიკოს ხელი და მჩხვლეტავმა იარაღმა კბილის ფუღუროში საქმიანობა დაიწყო, რომ ახალი სტუმარი გვეწვია:

– კარგი ქაღალდის ხელსახოცები ხომ არ გინდათ? ფერადიც მაქვს...

იარაღი ისევ საღათას ძილმა მოიცვა, ქალებმა ხელსახოცების ხმამაღალი შეფასება დაიწყეს. მე რაღა შევაფასო, რით გავერთო? პირით ფანჯრისკენ ვზივარ, სახეს ვერ მივაბრუნებ, მოვლენები ჩემს ზურგს უკან ვითარდება; ისღა დამრჩენია, ხმის მიხედვით წარმოვიდგინო: ალბათ შემოვიდა შუახნის მელოტი კაცი, მორიდებული ღიმილით უცდის ქალთა მკაცრი კომისიის დასკვნას. ამჯერად პროდუქცია დადებით შეფასებას იმსახურებს, ფასიც, ეტყობა, მისაღებია და ქალები შინ ფერად-ფერადი ხელსახოცებით ხელდამშვენებულნი დაბრუნდებიან,

როგორც იქნა, ქალბატონ ნაზიკოს გავახსენდი და ამ დროს სქელმა ექიმმა ხავერდოვანი, ლამაზი ხმით დაიბუბუნა:

– როგორ ჰგავხარ გვადელუპეს!

– გვადელუპეს მეხიც დავაყარე, უკეთესს ვერავის შემადარე? – პასუხობს ქალის ხრინწშეპარული ხმა, ეტყობა, თამბაქოს დიდი ტრფიალია (ვიცანი: ოთახში შემოსულა ლამაზი, დახატულ-დაფერადებული, გრძელსაყურეებიანი შავგვრემანი გოგო. როცა ჩემს რიგს ვუცდიდი, დერეფანში წამდაუწუმ საქმიანი იერით გაივლიდა ხოლმე. სახის ფერი არ უვარგა მაინცდამაინც და მყვირალა წითელი ფერის პომადა სქლად წაუსვია ტუჩებზე).

– რა ვიცი, მთელი ბრაზილიის კაცები გადაურევია, – პასუხობს სქელი ქალი.

ბრაზილიაზე ვერაფერს მოგახსენებთ და თბილისელი დიასახლისები კი ნაღდად გაასულელა ამ გაუთავებელი ტელესერიალის გმირმა ქალბატონმა.

– უიმე, გუშინ დენი სწორედ მაგ დროს გამოგვირთეს! – წუხს "გვადელუპე".

– მე მაინც ვნახე, მეზობელს აქვს "მარცხენა" ხაზი ჩუმად შემოყვანილი, – ამბობს ნაზიკო და ბორმანქანის მუშაობას სინჯავს, მერე მოყოლას იწყებს.

ოთხი ქალის გახურებული სჯა-ბაასის, ემოციური წამოძახილების, თანაგრძნობის გამომხატველი შორისდებულების თუ გამკიცხავი რეპლიკების და მისთანანის გადმოცემა ჩემს სუსტ ძალებს აღემატება, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ სერიალის მორიგი ფილმის დაწვრილებითი შინაარსის გაცნობამ გული სიამით ამივსო და ხმამაღლა გამოვთქვამდი ჩემს აღტაცებას კიდეც, პირი რომ დაღებული არ მქონოდა. თან ნაზიკოს ემოციური თხრობისას ბედნიერი თვალებით შევცქეროდი მის მარჯვენაში დამოკლეს მახვილივით ამართულ ბორმანქანის თავის ბურღს (თუ რა ჯანდაბა ჰქვია), მიუხედავად იმისა, რომ რეფლექტორი პირდაპირ თვალებში მიჭყიტინებდა.

სადამდე ვიქნები ასე პირდაფჩენილი?

როგორც იქნა, ფილმზე ლაილაი ბედნიერად დასრულდა, ბორმანქანა აზუზუნდა. თვალები დავხუჭე და წესიერად შეშინებაც ვერ მოვასწარი, რომ ახლა ვიღაც კოლეგა შემოვიდა მეზობელი ოთახიდან:

– დღეს პირველად მოვედი, წელის ტკივილი მკლავს...

ბორმანქანის სიმღერა შეწყდა, სამაგიეროდ, აზუზუნდა ოთახი – ყველა ერთად ასწავლიდა, როგორ მორჩეს, როგორ მოუაროს თავს... მერე ყველას ერთად გაახსენდა, ვის რა სტკიოდა თუ აწუხებდა ბოლო ათწლეულის მანძილზე: რევმატიზმი – გამხდარ ქალბატონს, გულის ფრიალი – სქელს, წნევა – ნაზიკოს, კბილები – ისევ ნაზიკოს... გაკვირვებისგან პირი კიდევ უფრო დავაღე – თურმე, ქალბატონ ნაზიკოს საშინლად ეშინია... გამაყუჩებელი ნემსის გაკეთების, ბორმანქანის, კბილების ამოსაღები (თუ ამოსაძრობი – რომელი გამოთქმაა სწორი?) გაზის და კბილების ტკივილის დროს ყლაპავს და ყლაპავს გამაყუჩებელ აბებს...

წამლების ხსენებაზე ოთახში შემოეხეტა ვიღაც ხნიერი ქალი, თბილად ჩაცმული, გამხდარი (ასეთად წარმოვიდგინე):

– ახალთახალი წამლები! სტომატოლოგიური მასალებიც მაქვს, რომელი მოგართვათ?

ნაზიკომ მიმატოვა, აჩოჩქოლდნენ დანარჩენი ქალებიც; ატყდა ფაციფუცი, საფულეებში ქექვა, ვაჭრობა და დავიდარაბა...

სხვა გასაჭირი არ მეყოფა? ეს რეფლექტორი მაინც ჩააქროს, ლამის დამაბრმავა და სახეც გამიოფლიანდა; ისე დამცხა, აბანოში მგონია თავი – მთელ ტანზე თითქოს ჭიანჭველები დაღოღავენ... ორი მძლავრი ელექტროღუმელიცაა ჩართული ოთახში.

ქალბატონმა ნაზიკომ დააბინავა ნაყიდი, მერე ისევ შემოსკუპდა თავის მრგვალ სკამზე.

– დააღეთ პირი!

– უი, გაიგეთ, საწყალი თამარა მომკვდარა! – მესმის ახალი ხმა, რა თქმა უნდა, ქალისა.

გაიხსენეს მათი ძველი თანამშრომელი, ვიღაც ექთანი, დაახასიათეს ყოველმხრივ მისი ხასიათი, არც ქმრისა და ოჯახის სხვა წევრების ჩემთვის მეტად საინტერესო ამბები დავიწყებიათ. შემდეგ სქელმა ქალბატონმა კარგა ხანს ილაპარაკა თავის მეზობელზე – ახალგაზრდა კაცმა თურმე თავი ჩამოიხრჩო: ქმარშვილიან ქალს ჰყვარობდა, ის ქალი კი განქორწინების წინააღმდეგი იყო, აწყობილ

ოჯახს ვერ დავანგრევო. ეს თემა ქალბატონმა ნაზიკომ განაგრძო – თავმომწონედ აუწყა დამსწრეთ, რომ მას ბარე სამ-ოთხჯერ ჰქონდა საშუალება, ცოლშვილიან კაცს გაჰყოლოდა ცოლად, მაგრამ ამას როგორ იკადრებდა: "უნდა მორწმუნე იყო და ცოლშვილიანი კაცი არ შეიყვარო!" საილუსტრაციოდ არ დაიზარა იმ რამდენიმე შემთხვევის დაწვრილებით გადმოცემა ფრიად დაინტერესებული მსმენელი საზოგადოებისთვის...

ამ ქალს რომ მართლა სწამდეს ღმერთი, ასე უღვთოდ მიმატოვებდა?

ის იყო ქალბატონმა ნაზიკომ საყვარლად აამღერა ბორმანქანა, რომ გახარებული ხმა მესმის:

– მომილოცეთ, ბებია გავხდი!

აღტაცების შეძახილები, სკამების ხრიგინი, ხვევნა-კოცნა...

ახალმოსული ხმის მიხედვით შუახნის ქალბატონი უნდა ბრძანდებოდეს ანუ ახალგაზრდა ბებია (გააჩნია, რა თვალით შეხედავ, უფრო სწორედ, ჩემი მდგომარეობის გათვალისწინებით, რა ყურით მოუსმენ). სულ წვრილად ჰყვება, როგორ გადააცილა მისმა ქალიშვილმა ფეხმძიმობის ცხრა თვეს მთელი თვე; საკეისროს აპირებდნენ, მაგრამ ექოსკოპიის შემდეგ პროფესორმა როგორ აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა – ჯერ ადრეა, შეცდით, ვაცალოთო და მართლაც, ცოტა ხანში მშვენიერი ბიჭი დაიბადა! ქალიშვილიც მშვენივრადაა, მადლობა ღმერთს!.. რა სიხარულია ოჯახში!..

მეც მიხარია, რა თქმა უნდა, რომ ყველაფერი კეთილად დასრულდა და მთელი სულითა და გულით მივულოცავდი, პირღია რომ არ ვიყო... მე ჩემი სადარდებელი მაქვს; იმ გოგოს, როგორც იქნა, მაინც ეშველა, მე რაღა მომელის? ალბათ რამდენიმე დღე უნდა ვიყო ასე პირდაღებული და ვყლაპო ბუზები... თუმცა, ერთი შეღავათი მაინც არის – კიდევ კარგი, ჯერ მათი "სეზონი" არ დამდგარა, ბუზები არ ჩანან... მათ ღოღიალს რომ წარმოვიდგენ ჩემს ცხვირზე, როგორ დასეირნობენ ლოყებზე, შუბლზე...

ისევ მტრედივით აღუღუნდა ბორმანქანა.

თვალები მაგრად დავხუჭე, ღრმად ჩავისუნთქე, სავარძლის სახელურებს განწირულად ჩავაფრინდი საშინელების მოლოდინში...

ქალბატონმა ნაზიკომ რატომღაც გამორთო ბორმანქანა. რა მოხდა?

– ნათურები არ გინდათ? ყოველნაირი სიმძლავრის მაქვენ! – ეს ალბათ პირგაუპარსავი, სიგარეტის წვეთ ულვაშებგაყვითლებული ტიპია; დაღეჭილ პიჯაკში მობუზულა და მაწანწალა ძაღლის ცუღლუტი, დამფრთხალი თვალებით ქალებს რიგრიგობით ათვალიერებს.

რა უბედურებაა, ქალაქის ყველა მოხეტიალე მეწვრილმანე ამ ოთახში შემოდის? საკვირაო ბაზრობაზე მგონია თავი! ბედნიერები არიან ამ დაწესებულებაში მომუშავენი – არც ბაზარში წოწიალი უწევთ და არც მაღაზიების დავლა!

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა – შემობრძანდა ხნიერი რეგისტრატორი ქალი (ხმაზე ვიცანი):

– მომწყინდა, მე იქ ვერ ვჩერდები, თქვენ რომ აქ ლაპარაკობთ! – ფანჯარასთან მივიდა და სარეგისტრაციო გადაშლილი დავთარი რაფაზე ჩამოდო. თან რაღაცას წერდა, თან თავისი რეპლიკების შეშის ღერს ამატებდა საერთო ყაყანის კოცონში (გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოექცა ჩემი მხედველობის არეში).

ქალბატონმა ნაზიკომ ნაყიდი ნათურები დააბინავა თავის ხელჩანთაში.

– დააღეთ პირი!

აზუზუნდა ბორმანქანა, დაიძაბა ჩემი ყველა კუნთი... ვუძლებ ერთი წუთი, ორი წუთი... ბურღი უცებ ჩერდება.

– აბა საუცხოო ყავა – "არაბიკა"! საწყობის ფასად! – ამ სიტყვების წარმომთქმელი მაღალ-მაღალი, გრძელცხვირა და წვრილთვალებმა კაცი უნდა იყოს.

– მერე ვარგა? – ქალბატონი ნაზიკო სკამიდან ჩამობრძანდა.

– გასინჯეთ! მე მანამდე მეზობლად გავივლი.

მოკლე ხანში ოთახში დატრიალდა მართლაც ღვთაებრივი სურნელი, ღია პირი მაშინვე ნერწყვით გამევსო, ლამის დავიხრჩო!

– ცხელ-ცხელი ხაჭაპურები! – ცეცხლზე ნავთს ასხამს ქალის დაღლილი ხმა; მისი პატრონის გარეგნობის წარმოდგენა არც მახსენდება, რადგან ყველაფერი გამოდევნა ხაჭაპურის მომხიბვლელმა ხატმა!..

რამდენ ხანს გასტანს ჩემი ტანჯვა? ქალბატონ ნაზიკოს ნამდვილად დავავიწყდი. ნეტავ რამდენი კაცია ამ სავარძელში გარდაცვლილი უსმელ-უჭმელობით?..

საუბარი, რა თქმა უნდა, გასტრონომიულ თემებს არ სცილდება. ქალბატონი ნაზიკო თავის მრგვალ სკამზე ზის ჩემს გვერდით, ფინჯნიდან დაგემოვნებით წრუპავს ცხელ ყავას, ატანს ხაჭაპურს და არც ლაპარაკს იკლებს... როგორ ავარიდო მზერა?

– რომ გავთხოვდი, საჭმლის გაკეთება სრულებით არ ვიცოდი, ბაიბურში არ ვიყავი. მითხრეს, ყველა კერძში აუცილებლად უნდა უყო ქინძი, ოხრახუში და მარილიო, მას შემდეგ ყველაფერს

ასე ვაკეთებ... ხილი, მწვანილი და ბოსტნეული უმი უნდა ჭამო... სტაფილოს წვენია ყველაზე სასარგებლო...

ბრძნულ საუბარში სხვა ქალებიც არ იშურებენ თავიანთ გემრიელ წვლილს, სასიამოვნოა მათი მოსმენა...

როგორც იქნა, ვეღირსე:

– გააღეთ პირი!

ისედაც სულ ღია არ მაქვს? მეტი რაღა ვქნა!

და ამ დროს... დენი ჩაქრა!

თვალებმა მაინც დაისვენეს, ოდნავი შვება ვიგრძენი.

– დენი რატომ არ არის? – კითხულობს ქალბატონი ნაზიკო. – დიზელის ძრავს რატომ არ რთავს?

– ბესო შეყვარებულია, – ამბობს სქელი ექიმი, – ალბათ პაემანზეა.

ღმერთმა ხელი მოუმართოს იმ ვიღაც ბესოს – ძლივს არ გავახილე თვალები? ვუყურებ ხან ჭერს, ხარ ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებულ ქოთნებში მცენარეებს (კაქტუსები ჰყვავის გადასარევად ცეცხლისფერი ყვავილებით!), ხან კედლებზე ლურსმნებით დამაგრებულ, უბრალო უხეში თოკისგან საოცარი ოსტატობით მოქსოვილ მხატვრულ ფარდაგს – კომპოზიციას, რომელსაც აქა-იქ თოკებით ჩამოკიდებული აქვს "ჯიბეები", ამ "ჯიბეებში" თიხის მრგვალი ქოთნები ზის, ქოთნებიდან გრძელი ღეროებია ჩამოკონწიალებული მცენარისა, რომელსაც ყველანი "ჭორიკანას" უწოდებენ. ეტყობა, სიმბოლური ხასიათის დატვირთვაც აქვს აქ მათ მოშენებას...

სადღაც ათუხთუხდა დიზელის ძრავა, ისევ აკაშკაშდა ცხვირწინ რეფლექტორი, ოღონდ ნაკლები ინტენსივობით.

– გააღეთ პირი!

სად წავალ, დავაღე.

– დაპლომბვამდე ნერვია მოსაკლავი, – მზრუნველად დამტრიალებს თავს ქალბატონი ნაზიკო. – გნებავთ, დარიშხანს ჩაგიდებთ, მაშინ რამდენჯერმე მოგიწევთ მოსვლა, გნებავთ, ნემსს გაგიკეთებენ, გაგიყუჩებენ და დღესვე ამოგიღებთ ნერვს. შემდეგ მოსვლაზე კი არხსაც დაგიპლომბავთ და გვერდით ხვრელსაც... ამოირჩიეთ, ოღონდ ნემსის გაკეთებაში დამატებით ხუთი ლარის გადახდა მოგიწევთ...

ნუთუ გადავრჩი?

– ახლავე ჯობს საქმის წინ წაგდება, რომელ ოთახში უკეთებენ ნემსს?

პასუხისთვის აღარ მომისმენია, გაკავებული ტანი ძლივს დავძარი, სავარძლიდან წამოვიზლაზნე და ოთახის კარებს მივაშურე. გასვლისას კინაღამ შევეჯახე რიგში ჯდომისგან მისავათებულ, შიშისგან ფერმილეულ ჩემს შემცვლელს – გუნებაში გამძლეობა ვუსურვე და, ქუჩაში გამოსულმა, შვებით ამოვისუნთქე...

რას ესევიან ნეტა ქალბატონ ნაზიკოს, თაფლი სცხია თუ რა? სხვები რაღა იქნებიან... ჩემდა თავად აწი ქალბატონ ნაზიკოსთან შეხვედრაზე ცუდ სიზმარში თუ დავთანხმდები...

შემედავებით: კარიკატურებს ხატავო. ღმერთი, რჯული, ნატურალისტური სიზუსტით აღვწერე, ცოტა შევარბილე კიდეც, ყველაფერს რა დაიმახსოვრებდა – ტვინი გადახურებული მქონდა! ერთი თქვენ სინჯეთ: ისხედით პირდაღებული გაუნძრევლად რამდენიმე საათი და ერთი იმასაც ვნახავ, როგორ ხასიათზე იქნებით და რას დახატავთ! ისე კი, ჩემი შეხედულებით, მსგავსად მეტალურგიისა, მშენებლობისა და სამთო საქმისა, სტომატოლოგიაშიც მხოლოდ კაცები უნდა მუშაობდნენ!..

2000 წლის 15 აპრილი.

ხალტურა

– ბოდიში, გენაცვალე, ჩემი ცოლი მესამე პალატაში წევს... გვარი ქე გცოდნიათ: ერთი ასჯერ მაინც მოვედი და აბა რა იქნებოდა... რაო, ტყუპები?!. აი, ეს მესმის! აფერუმ, ქალო! ჰი-ჰი-ჰი!... ცოლი როგორაა?.. ბავშვები?.. მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს... აი, ბედიც ამას ჰქვია! ორი ბიჭი ერთად... ისე, ტყუპები იშვიათად იბადებიან და ისიც ბიჭები... თქვენ შემთხვევით ხომ არ შეცდით? კაცმა რომ სთქვას, ერთი ბიჭიც საკმარისია... ორი ბიჭი... ჰმ, დაუჯერებელია! აქ რაღაც შეცდომაა!.. დიდი რამ კი არ უნდა ამას... აქ უარესი ამბებიც ხდება, კარგად ვიცით... დიახ, დიახ, სწორედ ასეა! შემომიგდეს სხვისი ლაწირაკი! ვინ იცის, მისგან რა გამოვა... ხულიგანი ან უარესი... ნუ მეკამათებით!.. რად მინდა მე სხვისი ბავშვი? ბოდიში, მე ბავშვი არ ვარ და ამ საქმეს ასე არ დავტოვებ! დაუძახეთ, გენაცვალე, განყოფილების გამგეს!.. აუჩქარეთ, აუჩქარეთ ნაბიჯს! მიეჩვივნენ აქ ჰაიჰარად მუშაობას!.. ხან ბავშვებს აურევენ ერთმანეთში, ხან – ზედმეტს შემოგატყუებენ... არც ყურადღება,

არც მზრუნველობა... საზიზღრობაა! თავდაჯერებულობა ხომ მეტისმეტი გაქვთ! ჰმ, რასაკვირველია, თქვენ ყოველთვის მართალნი ბრძანდებით! ხმასაც არავის ამოაღებინებთ, თქვენ ხომ ყოველთვის ცამდის მართალი ხართ!.. დიდი ხანია, წესრიგია აქ დასამყარებელი!.. ა-ა-ა, სად დაიკარგეთ ამდენ ხანს? გამგე ვერ ნახეთ? როგორ, ერთი? მეორე ბიჭი სადღაა? ტყუპი მოგვარეს შეეძინა... მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს... ჰმ, თუმცა... ხომ არ აგერიათ? თქვენთან ყველაფერი მოსალოდნელია! ეშმაკმა დალახვროს, გამაგებინეთ ერთი, რა ხდება... ერთი ბიჭი დაიკარგა... ისევ რაღაცას მიწყობენ! მომეცით ჩემი ბიჭები, ორივე! გიცნობთ, ვინც ბრძანდებით! რა უყავით მეორე ვაჟიშვილი? რა უყავით ჩემი ბიჭიკო?!. თქვენც ადამიანები ხართ? მოიპარეს ბავშვი... რა, აქაც ხალტურაა?!.

1964

ოპერაცია

ნორიოელ მიხა შოფერს ცაიშში ჭაბურდილიდან მომდინარე ცხელ წყალში ბანაობის დროს გეოლოგებმა უთხრეს, – მათთან მუშაობდა, – თიაქარი გაქვსო.

როცა გეოლოგიური ექსპედიცია თბილისში დაბრუნდა, მიხა მივიდა ექიმთან, დააწვინეს საავადმყოფოში საოპერაციოდ. იქ ნაცნობიც აღმოჩნდა ერთი მიხასი – ექთანი კატუშა.

გაუკეთეს ოპერაცია. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

მივიდნენ ბიჭები სანახავად.

– როგორა ხარ?

– კარგად!

– ოპერაცია გაიკეთე?

– გავიკეთე მაშ!

– გტკივა?

– ცოტა! – და მიხამ საბანი გადაიწია.

უფროსი გეოლოგი კარლო მივიდა, დახედა:

– ბიჭო, ეგ სად გაუჭრიათ, ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაგიკეთეს?

– ი!.. რას ამბობ, კაცო!..

დაუძახეს ნაცნობ ექთანს.

კატუშამაც დახედა.

– ეს რა უქნიათ? ჭიანაწლავი ამოუჭრიათ, როგორ მოხდა?

– არ გამიკვირდა? – თქვა მიხამ, – ბოლო უნდა გავეძახებინე და მესამე კი შემიყვანეს საოპერაციოდ!

წავიდა კატუშა ექიმებში. გამოირკვა, რომ იმ დღეს ხუთი აპენდიციტის ოპერაცია იყო დანიშნული, ერთი – თიაქარის... ქირურგიც მიადგა – ერთი აპენდიქსი ამოჭრა, მეორე, მესამე მიხასი მიაყოლა...

– ბიჭო, – აშოშმინებდნენ ნირწამხდარი ექიმები მიხას, – არ იცი, რომ თიაქარის ოპერაციის წინ ჯერ აპენდიქსი უნდა ამოჭრან?

ბიჭები თავისებურად ანუგეშებდნენ:

– კიდევ კარგი, გულის ოპერაციები არ იყო დანიშნული იმ დღეს!

კარლო კვიმატობას არ იშლის:

– ალბათ არ შეეძლო, თორემ გაგიკეთებდა!..

1985

ოცნება და...

რეზო შეუძლოდ არის – გავა-წელის რადიკულიტის გამწვავება ან, თუ გნებავთ, საჯდომი ნერვის ანთება, – მიჯაჭვულია ლოგინს, რასაკვირველია, და მეათასედ ათვალიერებს ჭერზე რუხ ლაქებს. ხან ტკივილისგან კრუსუნებს, ხან კი ფიქრებში მომავლის გეგმებს აწყობს.

“აი ახლა რომ კარგად ვიყო, ჩავუჯდებოდი დისერტაციას, ვერაფერი ხელს ვერ შემიშლიდა! დღესა და ღამეს გავასწორებდი და სულ მოკლე ხანში დავასრულებდი კიდეც... სამი სტატია რომ

მაქვს დაწყებული, ერთ კვირაში სამივეს დავამთავრებდი... ყოველ დღეს ნახევარ საათს მაინც ვივარჯიშებდი, ბავშვებსაც ავიყოლიებდი; ერთ დღეს არ გამოვტოვებდი, ნებისმიერ ამინდში ჩავიყვანდი ეზოში... არა, ჯობს, ყველაფერი ფურცელზე მქონდეს ჩამოწერილი, ერთ წუთს არ დავკარგავ უქმად... რა ხანია, რომანი არ წამიკითხავს, არც პოეზია არსებობს ჩემთვის, არადა, ერთ დროს თვითონ ვწერდი ლექსებს... ამდენი წიგნი რომ დამიგროვდა, წაუკითხავად რა ფასი აქვს? გამოფენებზეც უნდა ვიარო... ოპერაში რამდენი წელია არ ვყოფილვარ? სხვა თეატრებშიც სულ ახალი თაობა იქნება მოსული... იყო დრო, თითო სპექტაკლს რამდენჯერმე ვნახულობდი, რამდენი საყვარელი მსახიობი მყავდა!.. ჰო, დედაჩემთანაც კვირაში ერთხელ აწი მე წავიყვან ბავშვებს, ცოლს ცოტა დავასვენებ... თვე ისე გაივლის, ორ-სამჯერ თუ დავურეკავ, ესაა საქმე?

ოჰ, რა ყოფილა, კაცო, ეს რადიკულიტი! კარგად ვიყო, ამ კედელს გავანგრევდი! არა, აუცილებლად გეგმით უნდა ვიხელმძღვანელო, რამდენი დრო დავკარგე, – ძვირფასი, აუნაზღაურებელი დრო! ჭკუით რომ მომეხმარა ის დრო, რაც მარტო ფეხბურთზე სიარულში დამეხარჯა! არა, ეს დრო, რა თქმა უნდა, დაკარგულად არ ჩაითვლება, დროდადრო ადამიანს განმუხტვაც ხომ სჭირდება... აი, იმაზე რაღას ვიტყვი, მთელი დღე რომ თავმოჭრილი ქათამივით უაზროდ დავბორიალობ, არც არაფერს ვაკეთებ, საღამოს კი, – ყოველ საღამოს, თითქმის! – ბარში ლუდით ვიჭყიპები ძმაკაცებთან ერთად... ანდა, მივუჯდები ამ დასაწვავი მანქანის საჭეს და აღმა-დაღმა დავქრივარ – მიდი-მოდი! რა მინდა, რას ვჩირთიფირთობ – მე თვითონაც არ ვიცი! შუა აზიაში რომ აგერ თხუთმეტი წელია, ვაპირებ სამარყანდის, ბუხარისა და ხივის ნახვას ცოლთან ერთად, ალბათ ისე მივიცვლები, რომ ოცნება ოცნებად დარჩება... აღარ გადავდებ! ზაფხულშივე წავალ! არა, შემოდგომაზე აჯობებს... თუმცა, რაღა შუა აზიას მივადექი (მადა კარგი მაქვს – ციმბირიც მინდა მოვინახულო. ბალტიისპირეთიც, დაღესტანიც...), აგერ სვანეთსა და თუშეთში არ ვარ ნამყოფი, სირცხვილი არ არის? თუ ჯერ დისერტაციას მივხედო? როგორც კი ლოგინიდან გაჭირვებით ადგომას შევძლებ, მაშინვე საწერ მაგიდას მივაშურებ... ყოველ კაპიკს დავითვლი, აქეთ-იქით უაზრო წანწალს და ფუქსავატურ დროსტარებას შევეშვები... უჰ, ეს წყეული ავადობა, რა დროს დამეჯახა, როცა ჭკუას მოვეგე...”

რეზო ნელ-ნელა მეორე გვერდზე გადაბრუნდა (კარგა ხანია, უნდოდა და ვერ ბედავდა კი!) – ბიჭოს!.. ცოტა მოეშვა, ვგონებ, ტკივილი, შეძლებს ფეხების ნელ-ნელა საწოლიდან გადმოშვებას...

ნახევარი საათის შემდეგ ჯოხზე დაყრდნობილი რეზო სალუდისკენ მიხანხალებდა.

1987

თანაგრძნობა

კარლო. სად იყავი, რეზო, სად დაიკარგე? გამხდარხარ, დისერტაციას ჩაუჯექი?

რეზო. წელი მტკიოდა, ახლაც ძლივს დავხანხალებ...

კარლო. რას ამბობ, კაცო, ეგ უბედური რამეა, თუ აგეკიდა, აღარ მოგეშვება. მე თვითონ ამტკივდა ერთხელ და მთელი კვირა გაუნძრევლად მივჩერებოდი ჭერს, თავის გვერდზე მიბრუნებაც კი საშინელ ტკივილს იწვევდა!

ნელი. ეგ ლუმბაგოა, იქნებ რეზოს მარილების დაგროვება აწუხებდა, რა იცი? საშინელი რაღაც არის, ისე მოგკაკვავს, ასი წლის დედაბერივით მოიხრები და ზურგი თავს ზევით გექნება, ვეღარ გაიმართები.

ბადრი. წელის ტკივილი თირკმელებმაც იცის, – ჩემი მეზობელი მაგან არ მოინელა? სულ სისხლს შარდავდა!

გედევანი. ჩემი დის ამხანაგს სიმსივნე ჰქონდა, სარკომა, წელის არეში, ღმერთმა ყველას გვაშოროს! რაც იმ საწყალმა იწვალა...

რეზო. ხალხო, რას მერჩით, ეგ თქვენი “ნუგეში” მინდა კიდევ მე? კარგ რამეს კი არ მეტყვით, თქვენი მტერი ვარ? ნუთუ კარგი არაფერი მომხდარა, იმაზე რომ მელაპარაკოთ? ვიღაც ხომ გათხოვდა, ვიღაცამ ლატარიაში რაღაც მოიგო, ერთს შვილი შეეძინა, მეორეს დისერტაცია დაუცავს... დავიჯერო, მხოლოდ ცუდზე უნდა ვილაპარაკოთ?

1987

აუტოგენური ფსიქოთერაპიის სეანსი

მაია მამამთავრიშვილს

ნაინფარქტალ გულს ესეც სჭირდება თურმე.

სანატორიუმში ერთთვიანი სარეაბილიტაციო მკურნალობა-დასვენების შემდეგ, შინ, საძინებელ ოთახში, ვიწყებ აუტოგენური ფსიქოთერაპიის სეანსს, რომელიც ყოველდღე უნდა ჩავიტარო...

კი, ბატონო, განვმარტოვდი, გარემოც მშვიდია (თბილისის კვალობაზე, თორემ ჩვენს დროში სიმშვიდეს სასაფლაოზეც ვერ ეღირსები – აი, ამ წამს მეათე სართულზე მანქანების ღმუილი აღწევს, თვითმფრინავსაც ახლა მოუნდა გადაფრენა; საათის წიკწიკს და მაცივრის დროდადრო ხრიალს არად ვაგდებ).

წესისამებრ, წინდაწინ 15-20 წუთით ადრე დავიწყე განწყობა თვითშთაგონების სეანსისთვის (რაც გინდა კარგი ბიჭი იყო, აბა, მოახერხე ხუთი ათეული წლის განმავლობაში დაგროვილი ტკივილის, იმედგაცრუების, გულგატეხილობის, მძიმე განცდების, ძვირფასი ადამიანების დაკარგვის, მარტოსულობის და ათას სხვა გადატანილ გრძნობათა ერთობლიობის მრავალსართულიანი დანაშრევების უცაბედად, ასე, ათ-თხუთმეტ წუთში გაქარწყლება, მხრებიდან ჩამოგდება ადგილზე მიტანილი ტვირთივით!).

ასეა თუ ისე, ვიწყებ თვითშთაგონების ფორმულების ჩემთვის უხმოდ, ნელა გამეორებას. კი, უნდა დავეუფლო საკუთარი შეგრძნებებისა და აზრების მართვას, მოთმინებაც არ მაკლია და თუ პირველად არ გამომივიდა, მეორედ, მეათედ უნდა ვსინჯო... ჯერ ვნახოთ, ახლა რა შედეგი მექნება. მანამ ზეპირად ვისწავლი სიტყვიერ ფორმულებს, "შპარგალკით" ვისარგებლებ.

მაშ ვიწყებ თვითშთაგონების თუ თვითშეგონების სამკურნალო სეანსს.

ვცდილობ, ყურადღება არ მივაქციო გარეშე ხმებს, ხმაურს, შეძლებისდაგვარად ჩავუღრმავდე საკუთარ თავს და იმ შეგრძნებებსა და სხეულის იმ ნაწილებს, რომლებზედაც ვიფიქრებ.

ჩავისუნთქე ღრმად, ღრმად...

ვაჩერებ სუნთქვას...

ამოვისუნთქე.

კიდევ ერთხელ ჩავისუნთქე ღრმად, სავსე გულმკერდით, შევიკარი სუნთქვა, ამოვისუნთქე (მადლობა უფალს, ამოსუნთქვის დრო ვიშოვნე!)...

– მე თანდათანობით ვმშვიდდები (დმერთმა ქნას!)...

– მე სრულიად მშვიდად ვგრძნობ თავს (ისემც რა გითხარი!)...

– ჩემი სხეული თანდათანობით მოდუნებას იწყებს (ისედაც მთელი ჩემი ცხოვრება დუნე იყო და მე კიდევ მოდუნება მინდა?)...

– დუნდება ჩემი სხეულის ყველა კუნთი, დუნდება წვივების კუნთები (წვივებში რაღა უნდა ნეტა მოსადუნებელ კუნთებს?)... ბარძაყები დუნდება... მუცელი რბილდება, ეშვება... გულმკერდი თავისუფლდება... მხრები თავისუფლდება... ჩემი ორივე მკლავი დუნდება (იფ-იფ! მეცით ახლა, ვისაც ჩემი ჯინი გჭირთ!)...

– ჩემი სხეული მთლიანად მოდუნდა... დამშვიდდა სხეული (სხეულის დამშვიდება ადვილია, სულს რაღა ვუყო? როგორ ჩავაქრო სულის ამბოხი? ამ ცხოვრების დედა ვატირე, ათასი მიზეზი გამოჩნდება ყოველდღიურად სულის ასამღვრევად – ეს წვრილმანი; მერე კიდევ რამდენი მსხვილმანი მთელი სიცოცხლე თან გდევს და ვერც ვერაფერს მოუხერხებ?!.)...

– მე შევაბიჯე სიმშვიდის სამყაროში (ესე იგი, საიქიოს? ვაიმე!)...

– თანდათანობით მოდუნებას იწყებს ჩემი სახე (რა ამბავია ამდენი მოდუნება, ვეღარ მოვდუნდი აქამდე?)... სახის ყველა კუნთი დუნდება... ლოყები დუნდება, პირსირგვლივი კუნთები დუნდება, ქვედა ყბა ეშვება, შუბლი იშლება, წარბები სცილდება ერთმანეთს (გაიხარეთ, ქალებო, ამ ვარჯიშით ნაოჭებისგან განთავისუფლდებით!)...

– ჩემი სახე სრულ სიმშვიდეს გამოხატავს (ვაი, მე უბედურს, გავდებილდი ნამდვილად!)...

– ჩემი სახე მოდუნებულია, სხეული ჩემი მოდუნებულია (იხარე, მტერო!)...

– მე სრულიად მშვიდად ვგრძნობ თავს... არაფერი მაღელვებს (რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ მიოკარდიუმის ინფარქტს შევეყარე, ვარ ღატაკი – მატერიალურადაც და სულიერადაც... სულიერად რატომღა? იმიტომ, ბატონო, რომ მთელი ჩემი ცხოვრება მონობაში გავატარე, ახლაც მონა ვარ სამსახურის, ახლაც პირზე კლიტე მადევს, ტირილის მაგივრად ძალად ვიცინი, ნაგავზე ვიძახი – იფ, რა მშვენიერიაო, გინების მაგივრად ტაშს ვუკრავ... და ასე დაუსრულებლად)...

— მე ვაკვირდები ჩემს ხელებს, ხელის მტევნებს თანდათანობით სასიამოვნო სითბო ეპარებათ... ორივე ხელის მტევანი გათბობას იწყებს... ორივე მტევანი გათბა, თბილია ჩემი ხელის მტევნები, თბილი... სასიამოვნო სითბო მიცოცავს ზემოთ და ჩემს წინამხრებს მოიცავს, ორივე წინამხარი თანდათანობით გათბობას იწყებს, თბება ორივე წინამხარი... წინამხრები მთლიანად გათბა, თბილია წინამხრები... თბილი...

— სასიამოვნო სითბო ახლა მხრებზე გადმოდის... ჩემი ორივე მხარი თანდათანობით გათბობას იწყებს, ორივე მხარი სითბოში ეხვევა, თბილია ორივე მხარი, თბილი...

— ჩემი ორივე ხელი მთლიანად გათბა... ხელის თითებიდან მხრებამდე სასიამოვნო სითბომ დამიარა... სიმშვიდის შეგრძნება კიდევ უფრო ღრმავდება, მე სრულიად მშვიდად ვგრძნობ თავს (მშვიდობა შენდა, მჭმუნვარე სულო! ქვეყანა იქცევა და შენ სიმშვიდე მოგნატრებია? საითაც გავიხედე, ერთი მყუდრო კუნჭული ვერსად მოვიძიე დასაწყნარებლად, სულის დასაშოშმინებლად)...

— ჩემი სხეული მთლიანად მოდუნებულია, მშვიდია სხეული, ორივე მკლავი თბილია (დიახ, დიახ, ორთავე მკლავზე ისედაც დამბლადაცემულს, კიდევ მოდუნება მინდა? ჩემს გემოზე ერთი რომ გავშალო მკლავი — მრუდეს გასწორება ვცადო და სწორთან თანადგომა, აი, ეს იქნება საქმე, რა დროს მოდუნებაა?!.)...

— სასიამოვნო სითბო თანდათანობით გულმკერდის ზედაპირზე გადმოდის... თბილი ტალღა ნაზად ეფინება გულმკერდს... ჩემი გულმკერდი თანდათანობით გათბობას იწყებს... მზის სხივების სითბოს ვგრძნობ გულმკერდის ზედაპირზე... ჩემი გულმკერდი მთლიანად გათბა... თბილია ჩემი გულმკერდი, თბილი (ავაშენე ქვეყანა! შვილები ვაჟკაცებად დავზარდე, ჩაფიქრებული — აღვასრულე კეთილად და სრულად, სიკეთეს სიკეთის წილ მივაგე და ბოროტებას წინ აღვუდექი! — რა კარგია ოცნება!)...

— სიმშვიდის შეგრძნება კიდევ უფრო ღრმავდება... სასიამოვნო სითბო გულმკერდიდან მუცელზე გადმოდის... ჩემი მუცელი თანდათანობით გათბობას იწყებს... თბილი, სასიამოვნო ტალღა ზედაპირზე იშლება... ჩემს მუცელს სითბო მოიცავს... ჩემი მუცელი თბილია, თბილი (ამდენ ლაილაის იქნებ ჯობდა, ერთი ასი გრამი არაყი გადამეხუხა?)...

— სიმშვიდის შეგრძნება კიდევ უფრო ღრმავდება... მე უფრო ღრმად ვწვდები ჩემს თავს (ჩასწვდი საკუთარ თავს უპირველესადო — ამას ჩაგვჩიჩინებდნენ მუდამ ბრძენები და ვაჰ, რა მაგარი ვყოფილვარ! — ხომ ჩავწვდი საკუთარ თავს და მერე როგორ! აქამდე არ ვიცოდი, თუ გენიოსი ვიყავი, აწი მეცოდინება!)...

— სასიამოვნო სითბო მუცლიდან ბარძაყებზე გადმოდის... ორივე ბარძაყს სითბო მოიცავს... თანდათანობით ორივე ბარძაყი თბება... თბილია ორივე ბარძაყი, თბილი (როგორ, კიდევ ვთბები? მაშ მალე ზეგენიოსი გავხდები!)...

— სასიამოვნო სითბო ბარძაყებიდან წვივებზე გადმოდის... ჩემს ორთავ წვივს სითბო მოიცავს... ორივე წვივი სითბოში ეხვევა... თბილია წვივები, თბილი (ვინც ფეხებს ცხელ წყალში ითბილავს, ყველა გენიოსი ხდება?)...

— ჩემი სხეული მთლიანად გათბა, მთელ სხეულს სასიამოვნო ტალღამ გადაუარა ხელის თითებიდან მხრებამდე... მხრებიდან — ტერფებამდე... ჩემი სხეული ახლა მშვიდია და თბილი (ღმერთი ვარ! ერთი კარგი მექისე ახლა და მთლად კარგად იქნება საქმე!)...

— სითბოსთან ერთად საოცარი სიმსუბუქის შეგრძნება მოდის ჩემთან... ჩემმა სხეულმა თითქოს წონა დაკარგა (ახლაც იტყვი, რომ ღმერთი არ ვარ!)... ჩემმა სხეულმა გასაოცარი სიმსუბუქე შეიძინა (აბა ერთი, ვნახოთ, როგორია ღრუბლებზე გასეირნება!)... ჩემი სხეული მსუბუქია, ბუმბულივით მსუბუქი (აბა, წავედით — გავფრინდი!)... წვივებმა დაჰკარგეს წონა, მსუბუქია წვივები, მსუბუქია მკლავები, მსუბუქია სხეული (და მსუბუქია აზრები, ღმერთის შესაფერი — ნეტა რაზე ფიქრობს ხოლმე უფალი, როცა თავისი ფრიად დამღლელი მოღვაწეობის შემდეგ განსატვირთავად აუტოგენური ფსიქოთერაპიის სეანსს ატარებს?!.)...

— მე სრულიად მშვიდად ვგრძნობ თავს... მე ვისვენებ (სიმშვიდე და აუღელვებლობა ღმერთისთვის დამახასიათებელია, მაგრამ ნუთუ დასვენება სჭირდება? თუმცა, ყველაფერი მისი შექმნილია და, წარმოიდგინეთ, რა ძალ-ღონეს დაახარჯავდა!)... ისვენებს ჩემი სხეული, ჩემი ნერვული სისტემა... ჩემი სხეულის ყოველი ორგანო ისვენებს... გული ძგერს რიტმულად, თანაბრად, მშვიდად, ჩემი სუნთქვა თავისუფალი და რიტმულია (რის ღმერთი, რა ღმერთი — თურმე რობოტი ვყოფილვარ, რობოტი! არაფერი მაწუხებს, არაფერზე ვფიქრობ!)...

— სითბოსთან ერთად, ყოველ ჩასუნთქვასთან ერთად, ჩემი სხეული იძენს სასიცოცხლო ენერგიის ახალ ნაკადს, რომელსაც ღრუბელივით შეიწოვს ჩემი ორგანიზმის ყველა ნაწილაკი... ყოველ ჩასუნთქვასთან ერთად ძლიერდება ჩემი სხეული, ძლიერდება ჩემი ნერვული სისტემა... მტკიცდება ყოველი ორგანო, ყოველი სისხლძარღვი, ყოველი კუნთი, ყოველი ნერვი, ყოველი უჯრედი ძლიერდება (რაღა მიჭირს, რაღა მიჭირს: ყველა პრობლემა მოხსნილია, გადავაბრუნებ დედამიწას — ამოვაყირავებ, გადავატრიალებ!)...

— მტკიცდება ჩემი აზრი, გონება ჩემი, სული ჩემი ძლიერდება (მიკვირს, აქამდე პრეზიდენტად არავინ ამირჩია!)... მე ვძლიერდები (კიდევ, კაცო? აღარ მეყოფა?)...

— ჩემს წინ იშლება ცისფერი სივრცე... ცისფერი უძირო ცა ჰორიზონტზე უერთდება მუქ ლურჯ ზღვას... მე თანდათანობით ტკბილ სიზმარში შევდივარ (აქამდე ჩემი ცხოვრება სულ სიზმარი იყო და აწი ნახეთ თქვენ!)...

მესიზმრება ლამაზი, ლამაზი მინდორი — ფართო, უკიდეგანო, უამრავი ფერად-ფერადი ყვავილებით ავსილი; ჩიტები ტკბილად გალობენ, ფრთახატულა დიდი პეპლები დაფარფატებენ, ნაზი მუსიკის ხმაზე ცეკვავენ ჰაერში... ჰაერი მზის თაკარა სხივებით განბანილა, მე კი ვწევარ რბილ ბალახზე და თვალებს ვხუჭავ — მზე თბილ ხელისგულებს მაფარებს ქუთუთოებზე, მეალერსება სახეზე... თვალებში ფერადი ბუშტები ტრიალებენ, მერე მაღლა-მაღლა მიფრინავენ სადღაც სიღრმეში, პატარავდებიან და, ბოლოს, სულ იკარგებიან ცის სილაჟვარდეში...

...აუჰ, რა გემრიელად წამძინებია! მე კი მეგონა, სამოთხეში მოვხვდი, აფსუს!..

ნახვამდის, მომავალ ფსიქოთერაპიულ სეანსამდე!..

1988

როგორ მოვირჩინოთ სკლეროზი

— მეგობრებო!.. მე გახლავართ მელიტონ ჯანჯალაძე და აქ მომიწვიეს თქვენთან შესახვედრად. უპირველესად მოგესალმებით და მერე კი ბოდიშს ვიხდი — ორატორობა არ შემიძლია, როგორც მოვახერხებ, ისე მოგიყვებით ჩემი პირადი გამოცდილების შესახებ სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობისა. ერთი თხოვნაც მაქვს: ერთი ხმა არ გავიგონო, ყოფილი ოფიცერი გახლავართ, დისციპლინა მიყვარს...

ხომ ხედავთ, სამოცდაათს კარგა მაგრად ვარ გადაცილებული და ჯერ კიდევ ყოჩაღად ვარ. ყოველდღე ვვარჯიშობ და პირობას გაძლევთ, რომ ას წლამდე ვიცოცხლებ! მე მინდა, თქვენც გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება — მე ხომ ჩემით მოვირჩინე თავი, არადა, რა უბედურება არ დატრიალებულა ჩემს თავზე. ორი ომის მონაწილე ვარ, მარტო ეს იქნებოდა საკმარისი, რომ ადამიანი დაავადმყოფებულიყო. მე მთელი თაიგული მქონდა ავადმყოფობებისა: ხერხემლის ორი მალის გაბზარვა, კენჭები თირკმელებში, მარილების საშინელი დაგროვება მუხლებში, კუჭის წყლული, პროსტატის ადენომა, ჰიპერტონიული კრიზი მაღალი წნევის გამო... ყველაფერი ეს მე თვითონ, ექიმების დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად მოვირჩინე. უნდა გითხრათ, რომ რამდენიმე ოპერაციას წკიპზე ვარ გადარჩენილი, უკვე რომ დანა დამადეს თითქმის. მე ეს შევძელი... რომ ეს ამეცილებინა, ვკითხულობდი უამრავ სამედიცინო-პიპულარულ ჟურნალს, რაც მთავარია, ჩემ თავს ვაკვირდებოდი — რა მწყინდა, რა მიხდებოდა და ამისდა მიხედვით ვმოქმედებდი.

ჰო, დამავიწყდა, — ეტყობა, სკლეროზი საბოლოოდ მაინც ვერ მოვირჩინე, — მე შემიძლია ნახევარ საათში ავადმყოფის სიცხის დაწევა, სურდოს, გაცივების მორჩენა — ყოველგვარი წამლის გარეშე, მხოლოდ ვარჯიშით... თქვენ რა გაინტერესებთ, რით დავიწყო?

— სკლეროზი!

— მარილების დაგროვება!.. ოსტეოქონდროზი!..

— პროსტატის ადენომა!

— სიცხის დაწევა!

— ჯერ სკლეროზზე გვითხარით!

— კარგი, კარგი! ყველაფერს მოგიყვებით, მაგრამ ერთი რამ უნდა იცოდეთ: უპირველესად უნდა მოიცილოთ ზედმეტი წონა, დაიმახსოვრეთ: ყველაზე საშინელი დაავადება არის სიმსუქნე.

— ახლა ზედმეტი წონა ვისღა აქვს! შიმშილით ვიხოცებით!

— სიმსუქნისგან ჩნდება ყველა სხვა დაავადება. ორგანიზმს ყველაფერში ხელს უშლის. თუ ოცდაათი კილო ზედმეტი გაქვს, რად გინდა ამ ზედმეტი ბარგის ტყუილად თრევა, არ ჯობს, სხვა საქმე გააკეთო? ვარჯიში და ჭამის ნორმალური რეჟიმი თქვენს წონას ნორმამდე დაიყვანს. დაიმახსოვრეთ: კვირაში ერთხელ — შიმშილობის დღე; დილით — ოყნა, კუჭის გასუფთავება, საღამოსაც — ოყნა!

— თუ სუსტად ვიგრძენით თავი?

— რიგგარეშე ოყნა!

— სკლეროზის წამალს არ გვეტყვით?

— მოგახსენებთ... რატომ არის ხმაური, ჩემი საუბარი არ გაინტერესებთ?... სკლეროზზე გეტყვით... აი, მომისმენთ ახლა, ტაშსაც დამიკრავთ და რამდენი გაითვალისწინებს? ექიმებს ვითომ უსმენენ,

მაგრამ უსმენენ კი? ჩემი შვილები, სანამ პატარები იყვნენ, მიჯერებდნენ, ახლა – არა!.. ჩემი ცოლი ხომ ყველაფერს უყურებდა, როგორ მოვირჩინე თავი, მე არ მიჯერებდა! ხომ იცით, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს. შვიდი წლის წინ წავიდა ამ ქვეყნიდან საწყალი...

– სკლეროზზე!..

– ჰო, სკლეროზზე. დაიმახსოვრეთ: ვარჯიშია ყველაფრის წამალი!

– როგორი ვარჯიში? რა ვარჯიშები ჩავატაროთ?

– ყოველგვარი ვარჯიში სასარგებლოა! სადგურთან ვინც ცხოვრობს, შეუძლია, დაინახოს: დილის ექვს საათზე ჩემი ოთახის ფანჯრები ღიაა. საათი მიდგას – ერევნის გამოშვებული, ძალიან კმაყოფილი ვარ!

– საქმეზე გადადით – სკლეროზისგან როგორ განიკურნეთ?!.

– მაცალეთ, ბატონო, და გეტყვით! რას ვამბობდი?.. ჰო, ექვსსართულიანი შენობაა და მე რომ ვარჯიშს ვიწყებ, მთელმა მეზობლობამ იცის, მე რომ ჩამოსული ვარ. დიახ, ექვს საათზე უკვე ფეხზე ვარ... რომ გეუბნებით, სკლეროზი მოვირჩინეო, ეტყობა, რაღაც მაინც დამრჩა! ჰა-ჰა-ჰა!.. მაგარი სკლეროზი მქონდა: ტელეფონის ნომრებს სრულებით ვერ ვიმახსოვრებდი. მაცივრის კარს რომ გამოვაღებდი, უკვე დავიწყებული მქონდა, რაზე მივედი. ვინმეს კაბინეტში შესვლამდე ქაღალდის ნაგლეჯზე ვიწერდი სახელსა და გვარს, ისე ვერ გავიხსენებდი, შევიდოდი და ქაღალდი სად მქონდა შენახული, იმას ვეღარ ვპოულობდი...

– სკლეროზის მკურნალობაზე გვითხარით რამე!

– მაცალეთ!.. სკლეროზი ათ დღეში მოვირჩინე! თვითონ ექიმები 50-60 წლის ასაკში ისე იღუპებიან, თვითონ ვერ შესძლეს საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნება. აგერ შარშან, შემოდგომაზე, გარდაიცვალა საწყალი ბიძინა... ნანიძე!.. ჰო, ნანიძე!.. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე იყო და მივედი მასთან... მთელი ჩემი დაკვირვებები და მკურნალობის ხერხები მინდოდა წიგნად გამომეცა, იმაზე მივედი. წნევა აწუხებდა და იმან მოუღო ბოლო. ვუთხარი, სულ მოკლე ხანში მოგარჩენ-მეთქი... გაგიგონია!.. არ დამიჯერა...

– ბატონო, სკლეროზზე გააგრძელეთ, როგორ მოირჩინეთ თავი!..

– დაიმახსოვრეთ: ვარჯიშით ორგანიზმი მაგრდება და სისხლს გამოაქვს ყველა შხამი. კუნთების დაჭიმულობა გამოდევნის სისხლს თავის ბაცილებიანად, მერე თირკმელები ათავისუფლებს ორგანიზმს ყოველივე მავნე ნივთიერებისგან. მე ვარჯიშით თირკმელებიდან კენჭი გამოვიყვანე... ჯერ არ მინდოდა საავადმყოფოში დაწოლა, მაგრამ, როცა მეტისმეტად შემაწუხა, აუტანელი ტკივილები დამეწყო, – სხვა რა გზა მქონდა, გინდა ასე მომკლას, გინდა – ისე-მეთქი... პროფესორი ვახურაძე უკვე აპირებდა ჩემთვის ოპერაციის გაკეთებას, როგორც იტყვიან, დანა ალესილი ჰქონდა... გამახსენდა: ერთ ჟურნალში წავიკითხე, რომ არსებობს მეთოდები ვიბრაციით კენჭების თირკმლიდან გამოდევნისა; არის სპეციალური სავარძელი, რომელსაც აჯანჯღარებს ექსცენტრიკიანი ელექტროძრავი. მე სად ვიშოვიდი ასეთ დანადგარს!.. ვიფიქრე, მოდი, ხტუნვა-ხტუნვით ჩავალ პირველ სართულზე-მეთქი!.. ეს მე ჩემით მოვიფიქრე. მეორე სართულზე ვიყავი უკვე, როცა ვხედავ, პროფესორი ვახურაძე ამოდის... თურმე ლიფტში არ შევიდა, დაინტერესდა, ვინ მოდის ასეთი ხმაურით ქვევითო. დამინახა და მომიწონა: "ო, ასე, შესაძლოა, კენჭებისგანაც განთავისუფლდეთ!" "მერე, შე მამაძაღლო,, თუ ეს იცოდი, რატომ არ მითხარი?" – გუნებაში ვაგინებ.

– იქნებ არ იცოდა?

– როგორ შეიძლება, რომ არ სცოდნოდა – პროფესორია, აუცილებლად წაკითხული მაინც ექნებოდა, მაგრამ ოპერაციის გაკეთება უნდოდა, ფულის გაკეთება, აქ არის ძაღლის თავი დამარხული!

– ბოდიში, სკლეროზი?

– ოთხი კენჭი გამოვიყვანე თირკმლიდან! პირველი დიდი იყო, ისე თავისუფლად გამოვარდა და ჩავარდა ქილაში – წკაპ!

– ოსტეოქონდროზს რით ვუშველით, მარილების დაგროვებას?

– ო, ეგ ძალიან ძნელი მოსარჩენია... დიეტა და ვარჯიში, ვარჯიში, ვარჯიში! დილას, ხომ მოგახსენეთ, როგორ ვიწყებ... არ მითქვამს?

– არა!

– უპირველეს ყოვლისა. ბატონო ჩემო, შევდივარ ფეხსალაგში... ბოდიში მომიხსენებია აქ დამსწრე ქალბატონებისთვის – ვიწმენდ კუჭს, ვთავისუფლდები ყოველგვარი წიდებისგან... დავცლი აგრეთვე, რასაკვირველია, საშარდე ბუშტსაც...

– კაცო, სკლეროზზე აღარ გვაღირსებ რამეს?

– საქმეს მიხედე, საქმეზე გადადი!

– ბოდიშს ვიხდი, სულ დამავიწყდა – ოთხი კენჭი გამოვდენე მაშინ თირკმელებიდან, ერთი – დიდი და სამი – მომცრო ზომისა...

– ეგ უკვე თქვით!

– კარგი, გავაგრძელოთ... ბოდიში, სად ვიყავი გაჩერებული?

— ფეხსალაგში, პატივცემულო!

— ჰო, გამოვდივარ, შუა ოთახში ვაგებ თხელ საბანს და ვიწყებ ვარჯიშს...

— სკლეროზი? სკლეროზი როგორ მოირჩინეთ?

— სკლეროზი... კი, ბატონო! მაგრამ ამის ტექნოლოგია რომ გავცე, მე რა ხეირი მაქვს? ისედაც ბევრი ვილაპარაკე ზედმეტი, ამიტომ დაწვრილებით მეტს ვერაფერს მოგახსენებთ... ბევრი ვირბინე, ვინ არ შევაწუხე, მაგრამ პატენტის აღება ვერ მოვახერხე — არ გინდაო, იმ ნანიძემ მითხრა, წიგნი დაწერეო, მირჩია. დაიმახსოვრეთ: მალე ჩემი წიგნი გამოვა, შეიძინეთ და იქ ნახავთ პასუხებს თქვენთვის საინტერესო კითხვებზე!.. ნახვამდის, ჯანმრთელობას გისურვებთ!

1993

მერაბ, ეს შენ არ შეგფერის!

დღეს, 11 მარტს, როგორც ყოველ ხუთშაბათს, მემამულეთა კავშირის წევრთა შეკრებაზე მორიგ ლექციას ჩაგვიტარებს მერაბ ორჩხომელაზე — ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მოყვანის დიდი სპეციალისტი. გარეგნულადაც დიდ იმედებს აღძრავს მრავალრიცხოვან მსმენელებში ბატონი მომხსენებელი: მელოტი თავი — ნესვი, ულვაშები — სიმინდის გამხმარი ფოჩები, ცხვირი — კარტოფილი, კბილები — აბაშური სიმინდი...

— მეგობრებო! დღეს, მოგეხსენებათ, კონა მწვანილი ბაზარში ვეღარ გვიყიდია. გინდაც არ გიჭირდეს, ფული საკმაოზე მეტიც გქონდეს, მაინც დაგენანება ერთ კილო მწვანილში ორი ათასი მანეთის მიცემა, ხომ ასეა? თანაც შენს მოწეულს რომ სხვა გემო და ლაზათი აქვს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს...

ჩემს მარცხნივ მჯდომი კაცი ვერ ითმენს და მომხსენებელს სავარძლიდან აუდგომლად ხმამაღლა შეაწევს:

— პირდაპირ საქმეზე გადადი!

შევხედე: ხნიერია, ჯანიანი — სავარძელში ძლივს ეტევა. კიდევ რა? ჰო, კვადრატული ნიკაპი, ვიწრო ტუჩები, ჭაღარა, შეკრეჭილი ულვაშების ორი მართკუთხედი; იხვის ბრტყელ ცხვირს აქეთ-იქიდან დარაჯად უდგანან ჭროღა თვალები, ბუჩქად გადმოფენილ წარბებქვეშიდან გამომზირალნი; მზედაკრულ, დაღარულ შუბლზე ჩამოშლილი ჭაღარა ქოჩორი...

— არ მინდოდა, დავენახე, იცის ჩემი ბრჭყალების ამბავი! — გადმოხრილი ეუბნება ჩემს მარჯვნივ მჯდომს, ალბათ ნაცნობს. ხარჯი ხარჯია, ბარემ ამ მეორესაც გაგაცნობთ, გარეგნულად მაინც. ამაყად გაჯგიმული, ცხვირაწეული ზის, გამხდარია ტარანივით, მზეზე გარუჯული გრძელი, "ცხენის" სახე ორი ღრმა ნაოჭითაა ჩასერილი, წითური ულვაშები და წაბლისფერი სწორი თმა ეხამება გადმოკარკლულ თაფლისფერ თვალებს.

მომხსენებელი პომიდორის, ბადრიჯნის, წიწაკისა და კიტრის ჩითილების გამოყვანაზე საუბრობს — ჯერ უნდა მოვამზადოთ ამისთვის საჭირო ორმოო. როცა ამ ორმოს მოწყობაზე მიდგა საქმე, ჩემს მარცხნივ მჯდომ ჯანიან მეზობელს არ მოეწონა ლექტორის მიერ აღწერილი კონსტრუქცია და ჩემს მარჯვნივ მჯდომს გადაულაპარაკა:

— ეს რა სთქვა, სად დაესიზმრა, ჰა? სხვას რომ თავი დავანებოთ, ახლა მაგხელა ჩარჩოებს სადღა იშოვი, მინაზე რომ არაფერი ვთქვათ: ერთი კვადრატული მეტრი მინა 1100-1200 მანეთი ღირს!

— რა ენაღვლება რა! — კვერი დაუკრა გამხდარმა.

მომხსენებელი ახლა საჩითილე ნიადაგის მომზადების წესს გვიხსნიდა (თუ გაინტერესებთ, თქვენც მოგახსენებთ: უნდა აიღოთ ექვსი წილი ტყის ან სხვა კარგი მიწა, ორი წილი ნეშომპალა ან გადამწვარი ნაკელი, თითო წილი — ახალი ნაკელი და ქვიშა; ყველაფერს კარგად ავურევთ). ჯანიანიცა და გამხდარიც ყურადღებით უსმენდნენ, ოღონდ ჯანიანი ირონიულად ბრეცდა ტუჩებს.

— თუ კარგი მოსავლის მიღება გსურს, ცოტა მეტი შრომა უნდა ჩადო! — ქადაგებდა მომხსენებელი და ცამდე სწორიც იყო, რასაკვირველია; შემდეგ დათესვაზე, ტემპერატურული რეჟიმის დაცვასა და განიავებაზე გადავიდა. როცა ყოველ მესამე დღეს მორწყვის საჭიროებაზე ლაპარაკობდა, ჯანიანმა საკმაოდ ხმამაღლა განაცხადა:

— მერაბ, ეს შენ არ შეგფერის, ტყუილებიც გისწავლია!

— რას ამბობს, კაცო, — დაეთანხმა გამხდარი, — ვინ მივა ნაკვეთში გასანიავებლად ყოველდღე! ან რად უნდა სამ დღეში ერთხელ რწყვა!

შემდეგ ჯერი მიდგა გადაჩითილებაზე.

ჩემს მეზობლებს ხმა არ ამოუღიათ, ოღონდ მწარედ იქნევდნენ თავებს — ემანდ რას ბოდავსო...

როცა მომხსენებელი ჩითილების დია გრუნტში გადარგვაზე ლაპარაკობდა და სავარაუდო ვადად კიტრისთვის 15 აპრილი დაასახელა, ჯანიანმა მეტი ვეღარ მოითმინა:

— ცდება ბატონი მეცნიერი!

— მეცნიერი? ჰი-ჰი-ჰი!.. — ჩაიქირქილა გამხდარმა. — გავიდე და ყური ავუწიო?

— ბოდიში, ბატონებო, ხელს მიშლით, ვერ ვიწერ! — მივმართე ჩემს მეზობლებს.

— წერეთ და იკითხეთ, ოღონდ პრაქტიკულად ვერ განახორციელებთ, კარგ ზღაპრებს ჰყვება! დამიჯერეთ, ოცდათხუთმეტი წელი აგრონომად ვმუშაობდი, მე ტყუილიც დამეჯერება... თხუთმეტი ჯიშის მარტო კიტრი მაქვს ერთ დროს გამოცდილი!

— ჩვენს პირობებს რომ შეეფერება, თბილისის საგარეუბნო ზონას ვგულისხმობ, ერთი-ორი ჯიშის თესლს ხომ ვერ მიწილადებდით? — მაშინვე პრაქტიკულ საკითხს დავუტრიალდი. — ბევრი კი არ მინდა, ერთი ათი-თხუთმეტი ცალი...

ჭაღარამ ულვაშები ააცმაცუნა, მერე შეცბუნებულმა მომიგო:

— სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით... ერთი ყველაზე ძვირფასი ჯიში მქონდა, დაავადებებისადმი ყველაზე გამძლე, მაგრამ ისიც ვერ შევინარჩუნე...

ჯანიანი განაგრძობდა საუბარს კიტრის რომელიღაც იაპონურ ჯიშზე, მაგრამ მე ყურს აღარ ვუგდებდი.

1993

რა სიღრმეზე დავთესოთ?

შუა მარტმაც მოაწია, ცოტა დათბა კიდეც, ამიტომ მორიგ ხუთშაბათს დანიშნულმა ლექციამ, რომელიც ეძღვნებოდა ტომატის ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, პომიდორის მოვლა-მოყვანის საკითხებს, ჩვეულებრივზე მეტი ხალხი მიიზიდა და დარბაზი თითქმის გაივსო. დროულად, სამ საათზე მობრძანდა ლექტორიც — იროდიონ ხინთკირიაშვილი — მაღალი, ლამაზი, რიხიანად მოლაპარაკე კაცი.

ქალები ცოტანი იყვნენ — სულ ათიოდე, ამათგან, ერთის გარდა, — ყველა ხნიერი და მაინც ყველამ იროდიონის იმპოზანტური ფიგურის დანახვისას ყურები დაცქვიტა და თვალები დააჭყიტა — ნამდვილად მოეწონათ. მართალი მოგახსენოთ, კაცების უმეტესობაც საპენსიო ასაკს კარგა გადაცილებული გახლდათ, ორი-სამი კი იმდენად ხანდაზმული იყო, რომ მათი შინიდან მარტოდ გამოშვება ალბათ არც შეიძლებოდა.

— ახლა, მოგეხსენებათ, ბაზარს ცეცხლი უკიდია, ვერ მიეკარები, ისეთი ფასებია; ამიტომ, ცხადია, ჩვენ თავს შეძლებისდაგვარად ჩვენ თვითონვე უნდა მივხედოთ — პირადად მოვიყვანოთ ოჯახისთვის საჭირო ბოსტნეული და ხილი ჩვენს ნაკვეთში, — დაიწყო ლექცია ბატონმა იროდიონმა. — ახლა ცოტა დაგვიანებული კია, მაგრამ მაინც გაგაცნობთ პომიდორის ჩითილის გამოყვანის ხერხებს და წესებს. შემდგომ ლექციებში მოგითხრობთ სიმინდის, ლობიოს და სხვა კულტურების შესახებაც. თუ საადრეო პომიდორი გნებავთ გააშენოთ, აუცილებელია ჩითილის გამოყვანა შემდეგნაირად: ჯერ მოვამზადებთ ნიადაგს, ამისთვის ავიღებთ სილისა და გადამწვარი ნაკელის ნარევს პროპორციით ერთი ერთზე...

ბატონი იროდიონი დინჯად, გამოზომილად ლაპარაკობდა, რომ მსურველებს მოესწროთ ჩაეწერათ მისი ნათქვამი.

— რა სიღრმეზე უნდა დავთესოთ პომიდორის თესლი? — იკითხა სათვალიანმა ქალმა, სქელი თეთრი თმები თავზე რომ ბუჩქად ედგა და რომლის დავარცხნაც, ცოტა არ იყოს, არ იქნებოდა ზედმეტი.

— თუ რაიმე კითხვა გექნებათ, გთხოვთ ჩაიწეროთ და ლექციის შემდეგ ყველა მათგანზე გავცემ შესაბამის პასუხს! — ოდნავ გამწყრალმა თქვა ბატონმა იროდიონმა. — თუ მაინცდამაინც სულსწრაფები ხართ, ახლავე გეტყვით, რომ პომიდორის თესლი უნდა დაითესოს ნიადაგში ორი-სამი სანტიმეტრის სიღრმეზე — ორი-სამი ცალი ერთად. შემდგომში, აღმოცენების შემდეგ, ერთ ცალს, ყველაზე ღონიერს, დავტოვებთ, დანარჩენებს ფრთხილად მოვაცილებთ....

შემდგომ ბატონმა იროდიონმა განაგრძო თხრობა იმის შესახებ, თუ როგორი ტემპერატურული და სინოტივის პირობების დაცვაა საჭირო, როგორი რეგულარობით მოვრწყოთ, გავაფხვიეროთ ნიადაგი და ასე შემდეგ. არც პომიდორის სხვადასხვა ჯიშების დახასიათება დავიწყებია.

— პატივცემულო, ბოდიში მომითხოვია, რასაკვირველია, და ერთი ეს გვიბრძანეთ, რა სიღრმეზე ჯობს მოვათავსოთ თესლი ნიადაგში? — ფეხზე წამოდგა ერთი ხნიერი, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე კაცი, რომლის სათვალეებს უკანაც ჯიუტად ელავდნენ მკაცრი თვალები.

ლექტორი შეცბა, ოდნავ შეყოვნდა, მერე გაღიზიანებას მოერია და ხაზგასმული სიმშვიდით აუხსნა შემკითხველს:

– ხომ მოგახსენეთ, ორი-სამი სანტიმეტრის სიღრმეზე უნდა ჩათესოთ-მეთქი...

შემდგომ პატივცემული ლექტორი დაწვრილებით შეეხო ტორფის ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქაღალდის ქოთნებში ჩითილის გამოყვანის უპირატესობას – შეგიძლიათ პირდაპირ ქოთნიანად გადარგოთ მუდმივ ადგილას ღია გრუნტშიო.

ერთი შუახნის ქალი კარგა ხანია ადგილზე ცქმუტავდა; ხან წამოხტებოდა, ხან – ხელს სწევდა მაღლა... ამ ქალბატონს ალბათ იმედი არ ჰქონდა, რომ მისი დიდი ცხვირი საკმაო ყურადღებას მიიქცევდა და ალისფრად შეღებილი თმები მაღლა ჰქონდა აკოკოლავებული კინკრიხოზე თვალისმომჭრელ კოცონად.

– ბატონო ლექტორო! – ხავერდოვანი ხმით ამღერდა ეს ქალბატონი, – რომ არ დამავიწყდეს, ერთი საკითხი მაინტერესებს: გვითხარით, გეთაყვა, მეცნიერების მიერ პომიდორის თესლის მოთავსება რა სიღრმეზეა რეკომენდებული?

არ მეგონა, ბატონი იროდიონი თუ ამდენი თავშეკავების უნარს გამოიჩენდა.

– ქალბატონო, პომიდორის თესლი უნდა ჩაღრმავდეს მიწაში... ნიადაგში ორი-სამი სანტიმეტრის სიღრმეზე, გასაგებია? ორი-სამი სანტიმეტრის სიღრმეზე!.. – ხმამაღლა ერთხელ კიდევ გაიმეორა ბატონმა იროდიონმა. – ახლა განვაგრძოთ საუბარი პომიდორის ავადმყოფობათა და მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ...

ჩემს გვერდით ერთი მელოტი, სუფთად პირმოპარსული კაცი იჯდა, სულ რაღაცას ღიღინებდა თავისთვის, თავჩაღუნული, ამავე დროს გულმოდგინედ იწერდა ლექტორის ნათქვამს. დიდი საერთო რვეულის ორი გვერდი საგულდაგულოდ შეავსო და როცა მესამეზე გადავიდა, თავი ასწია. დიდრონი, ჭროღა თვალები ლექტორს მიაპყრო და ისარგებლა რა, რომ ბატონმა იროდიონმა წამით ლაპარაკი შეწყვიტა, ადგილიდან წამოუდგომლად, საოცრად მჭახე ხმით თითქმის იყვირა:

– ყველაფერი გასაგებია, იროდიონ ჩემო, და ერთი რამ ვერ გავიგე: პომიდორის თესლი რა სიღრმეზე ითესება?

ოთხმა ხანდაზმულმა მოქალაქემ, – სამმა კაცმა და ერთმა ქალბატონმა, აქამდე რომ ხვრინავდნენ, – შეშინებულებმა, თვალები დააჭყიტეს.

ბატონი იროდიონი ახლა კი ხანგრძლივი დროით გაჩუმდა, დარბაზს ათვალიერებდა თუ ნერვებს იწყნარებდა, ვერ გეტყვით... ბოლოს, მწარედ გააქნია თავი, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ჩემი მეზობლისკენ გამოიშვირა და დაბეჯითებით წარმოთქვა:

– ორი-სამი სანტიმეტრი, ორი-სამი სანტიმეტრი, ორი-სამი სანტიმეტრი! ფუი!..

მერე ცოტა გაიარ-გამოიარა, ერთი-ორჯერ ფანჯარაშიც გაიხედა (აუდიტორიისკენ გამოხედვისა თუ ეშინოდა უკვე) და, როგორც იქნა, ლექცია გააგრძელა. დაწვრილებით მოჰყვა, როდის უნდა მოირწყოს პომიდორი, როდის – გაითოხნოს, მიწა შემოეყაროს. როდის უნდა მოიკრიფოს ნაყოფი... თუ არ იცით, მე მოგახსენებთ: როცა შეითვალება, სრულად დამწიფება არ უნდა აცალოთ, ამასთანავე ყუნწიანად უნდა მოჭრათ დანით, თანაც მშრალ ამინდში და ორი დღე ჩრდილში დაამწიფოთ – ნახეთ, რა გემრიელი იქნება! ერთი გარემოებაც გაითვალისწინეთ – კრეფის დაწყებისას მცენარე აღარ უნდა მოვრწყოთ!

ლექციის ბოლოს ბატონი იროდიონი შესამჩნევად აჩქარდა; ეტყობოდა, სურდა, მალე დაემთავრებინა თხრობა, მერე კითხვებზე დაიწყო პასუხის გაცემა. კითხვები შეეხებოდა პომიდორის ჯიშებს, სხვადასხვა ადგილას და ზღვის დონიდან განსხვავებულ სიმაღლეებზე დარგვის ვადებს...

– ბატონო ლექტორო, ბატონო ლექტორო! – წამოხტა ფეხზე ალისფერთმიანი დიდცხვირა ქალბატონი.

– დიახ, გისმენთ... – გაეპასუხა ბატონი იროდიონი და შეშინებული მიაჩერდა.

– ბოდიშს ვიხდი, ალბათ გამომრჩა, ჩემს ჩანაწერებში ვერსად ვნახე... მე მაინტერესებს ერთი საკითხი: პომიდორის თესლი საერთოდ რა სიღრმეზე ითესება?..

ახლა, პატივცემულო მკითხველო, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ თვითონ წარმოიდგინოთ, რა უპასუხა ბატონმა ლექტორმა ან თუ უპასუხა საერთოდ...

ერთს მაინც გეტყვით: იროდიონ ხინთკირიაშვილი შემდგომი ლექციების ჩასატარებლად მოსული მეტად აღარავის უნახავს.

1993

ოპერაცია წარმატებით ჩატარდა!

სიტუაცია თავიდანვე დაიძაბა.

კომერციულ და ეთიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორს დათვა გლეჯაძეს მაღალი ინსტანციიდან დილიდანვე დაურეკეს და ერთხელ კიდევ გააფრთხილეს, სადღეისოდ რა ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა ინსტიტუტის წინაშე.

რექტორმა ფაკულტეტთა დეკანები დაიბარა და გადამჭრელი ღონისძიებების გატარება მოსთხოვა.

დეკანებმა ფაკულტეტების გაფართოებული აქტივის სასწრაფო სხდომები ჩაატარეს და კონკრეტული გეგმებიც დასახეს.

ამ გეგმათა თანახმად საგანგებო ზომები იქნა მიღებული: ინსტიტუტის კარებები საგანგებოდ ჩაიკეტა; შენობაში ყველას უშვებდნენ, გასვლა კი მხოლოდ პირადად ინსტიტუტის რექტორის, პარტბიუროს მდივნის, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარისა და კომკავშირის ორგანიზაციის მდივნის მიერ ერთობლივად ხელმოწერილი და ბაჭედდასმული საშვით შეიძლებოდა. არ ჭრიდა არც ხვეწნა-მუდარა, არც ქრთამი, არც ცრემლი და არც მუქარა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე სტუდენტის პარიკების და გრიმის მეშვეობით გაპარვა გამჟღავნდა, საშვს პროფესორ-მასწავლებლებსაც სთხოვდნენ. მილიციის ქვედანაყოფის გამოძახება ოპერატიული ვითარების გამწვავებამდე ჯერჯერობით საჭიროდ არ სცნეს.

ყოველ ფაკულტეტზე თითოეული სტუდენტი პირადად გამოიძახეს დეკანის კაბინეტში, სადაც ჩაუტარდა ახსნა-განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობა, რის შემდეგაც დაადებინეს ხელწერილი. ჯიუტებსა და ურჩებს კატეგორიული ფორმით დაჰპირდნენ სტიპენდიის მოხსნას, საზოგადოებრივ გაკიცხვას, ინსტიტუტის გაზეთ “მოწინავე კომერსანტ-ეთიკოსის” ფურცლებზე შერცხვენას, განსაკუთრებით უტეხებს – ინსტიტუტიდან გარიცხვასაც...

ინსტიტუტის შენობას პირველი სართულის ფანჯრებზე საჩქაროდ გარედან რკინის გისოსები გაუკეთეს, ამიტომ გაპარვა თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ რამდენიმე თავზეხელაღებულმა მაინც მოახერხა მეორე სართულიდან საწვიმარ მილს ჩამოჰყოლოდა.

– ღონისძიების ჩაშლას, ხომ იცი, არავინ გვაპატიებს! – უბღვერდა დეკანი კაბინეტში გამოძახებულ მოურჯულებელ სტუდენტს.

– შავი პიჯაკი არ მაქვს! – თავს ისაწყლებდა სტუდენტი.

– ითხოვე! დაურეკე მეგობარ-ამხანაგებს, მეგობარი ხომ შავი დღისთვის გინდა!

– შეუძლოდ ვარ, პატივცემულო, ექიმთან უნდა წავიდე! – ცდილობდა დეკანის გულის მოლბობას ერთი ფანტაზიას მოკლებული სტუდენტი.

– მე მოგარჩენ, პირადად! ოყნასაც გაგიკეთებ, თუ გაგიხარდება!

– სიმღერა არ ვიცი, არასდროს მიმღერია...

– ისწავლი!.. გასწავლით!..

– რა ვქნა, ბატონო, ღმერთს ჩემთვის ხმა არ მოუცია!

– მაგას მნიშვნელობა არ აქვს, სოლოს ხომ არ იმღერებ!

– სმენა სულ არ მაქვს, გავაფუჭებ საქმეს...

– ეგ გადარდებს? ბოლო რიგში დაგაყენებთ და ნუ იმღერებ, ისე გააღე პირი!..

ოპერაციის პირველი ეტაპი წარმატებით ჩატარდა – საღამოს გაიმართა ინსტიტუტის თვითმოქმედი გუნდის რეპეტიცია. მორიგი სადღესასწაულო თარიღი კარზე იყო მომდგარი.

1987

როგორ ჩააბარა ბესარიონმა მათემატიკის გამოცდა

ბატონო ბესარიონ! მშვენივრად მოგეხსენება, შენზე უფრო ამქვეყნად არავინ მიყვარს, მაგრამ, რა ვქნა – შენზე ნოველა უნდა დავწერო! თანაც – სატირის ელემენტებით... ასეა, ბაბაია, ჩემი შინაგანი რწმენა და მოვალეობა მაიძულებს, კალამს მოვკიდო ხელი და, გარდა ამისა, ხომ გაგიგონია: “რაც მოგივა, დავითაო...”

მაშ ასე, ვიწყებთ ბატონ ბესარიონის მარტვილობის აღწერას...

წელს დაასრულა ბატონმა ბესარიონმა საშუალო სკოლის სრული კურსი (შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ გააჯახირა) და განიზრახა, შემდგომ განეგრძო აბობღება ცოდნის ტაძრის უსასრულო

სიმაღლის მწვერვალზე, ანუ, სხვა სიტყვებით რომ მოგახსენოთ, უმაღლესი განათლების მიღება. ბოლო ერთი წლის მანძილზე მშობლები სულ იმას ვუჩიჩინებდით: "შვილო, გაიღე მოწყალება და ბოლოს და ბოლოს მოგვახსენე, მეცნიერების რა დარგი გხიბლავს, რომელი უმაღლესი სასწავლებელი უნდა გააბედნიერო, სად გინდა, განაგრძო სწავლა?" ბატონმა ბესარიონმა კი, სანამ საშუალო განათლების ატესტატი არ მოიტანა შინ, მანამდე არაფერი ამოშაქრა; მერე კი გაგვახარა განცხადებით, რომ დღე და ღამე თურმე სულ ეკონომიკური მეცნიერების პრობლემები ესიზმრებოდა და არ ასვენებდა და ტექნიკურ უნივერსიტეტში აპირებდა სწავლის გაგრძელებას სპეციალობით: "საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი"! მშობლებმა შევიცხადეთ: ჯერ ერთი, მოდის აყოლა და ბიზნესის თუ საქმოსნობის – თუ კიდევ რა ჰქვია ამ სფეროს – მორევში გადაშვება არ შეესაბამება ჩვენი ოჯახის ტრადიციებს, შეხედულებებს, სურვილებს და ასე შემდეგ; მეორეც, მაგ სპეციალობაზე შემსვლელთათვის გათვალისწინებულია წერითი გამოცდა მათემატიკაში, ბატონი ბესარიონი კი სკოლაში ჰუმანიტარული განხრით "დასპეციალდა" და ბოლო ორ კლასში მათემატიკას, ფიზიკას და სხვა "ტექნიკურ" საგნებს საერთოდ არ გადიოდა... ასე რომ, სრული უაზრობა იქნებოდა მათემატიკის ჩაბარება, გამოცდამდე ხომ სულ ერთი კვირა იყო დარჩენილი! ამ დროის განმავლობაში სამ მათემატიკურ დისციპლინას, რომელსაც თითქმის ათი წლის განმავლობაში თანდათან სწავლობენ, გენიოსური მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებულიც კი ვერ აითვისებდა თუნდაც გაძვალტყავებულ "საშუალოზე" ჩასაბარებლად... ხოლო ბატონ ბესარიონის შესაძლებლობები რომ ვიცი, ამ სპეციალობაზე საბუთების შეტანა 100%-იან კრახს მოასწავებდა.

ყოველივე ზემოთქმული პოპულარული ენით ავუხსენით მომავალ ეკონომისტს დედამაც და მამამაც, მაგრამ ბატონი ბესარიონი ყინჩად იფხორებოდა და თავდაჯერებით სწევდა მაღლა ცხვირს: "თქვენ რა გინდათ, ჩავაბარებ!" ვერაფრით გადავათქმევინეთ... თანაც, როცა გამოაკრეს ცხრილი, სად რამდენი განცხადება იყო უკვე შეტანილი, უმრავლეს სპეციალობაზე კონკურსი თითქმის არ იყო, ზოგზე განცხადებათა რაოდენობა არასაკმარისიც კი გახლდათ და მხოლოდ ბატონ ბესარიონის მიერ არჩეულ სპეციალობაზე 20 ადგილზე 68 აბიტურიენტს ჰქონდა შეტანილი განცხადება – ბესარიონი 69-ე გახლდათ!

მაგრამ მანამდე საბუთების შეგროვების ეპოპეას არ იკითხავთ?

ყველაზე უფრო ჯანმრთელობის ცნობის აღება გაჭირდა. ბატონ ბესარიონის ანკეტას ვერსად მივაკვლიეთ – არც ბავშვთა პოლიკლინიკაში იყო, არც – მოზრდილთაში, არც – მის ვარკეთილის ფილიალში... როგორც იქნა, ქალბატონმა ლიამ მოაგვარა ეს საქმე (ამასობაში ბატონი ბესარიონი მათემატიკურ საგნებში "მეცადინეობდა"... მე მგონი, ტელევიზორს უყურებდა მთელი დღე და ჩვენი სამსახურიდან მოსვლის დროისთვის ერთი საათით სამადლოდ, მოსაჩვენებლად აიღებდა ხელში სახელმძღვანელოს, ლია კი ორას ადგილას დიდი ხვეწნა-მუდარით ნაშოვნ "შპარგალკებს" წერდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (რამდენიმე თემა მეც გადამაწერინეს).

ახლა იწყება მთავარი ამბები.

რა თქმა უნდა, ბატონმა ბესარიონმა ბოლომდე ითრია ფეხი და 19 ივლისს მივედით საგამოცდო კომისიაში საბუთების ჩასაბარებლად, 20 ივლისს კი – ბოლო დღეა. ჯერ ერთსაათიან რიგში ვიდექით – გამოცდებზე გასასვლელად "ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით" (ასე ეწერა საგამოცდო კომისიის კარებზე გაკრულ ოფიციალურ განცხადებაში) 1000 კუპონი უნდა გადაგვეხადა. ქვითარი ავიღეთ და, ოფლში გახვითქულებმა, ახლა ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიკლინიკას მივაკითხეთ სამედიცინო ცნობის დასადასტურებლად. ექიმმა ატრიალა ხელში საუბნო პოლიკლინიკაში აღებული ცნობა და ბრძანა:

– მაგ სპეციალობაზე ამ დიაგნოზით აბიტურიენტი არ დაიშვება!

– რა დიაგნოზია ასეთი, ქალბატონო? – შევიცხადე.

– აქ წერია, რომ პიელონეფრიტი აქვს.

"ვაჰ შენ ჩემი თავო! – ვიფიქრე, – ქალბატონ ლიას ეს რა სიჩერჩეტე ჩაუწერინებია ამ დასაწვავ ცნობაში; აიჩემა, სამხედროში არ წაიყვანენო და უბნის ექიმს ჩააწერინა, არადა, ბესარიონი შესახედავად კი ჩანს სუსტი ყმაწვილი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, თირკმელში რომ კენჭის გავლა ჰქონდა ამ რამდენიმე წლის წინათ, მას შემდეგ მშვენივრადაა. მერე, სად უმაღლესში წარსადგენი ცნობა და სად სამხედრო უწყება? ეს ელემენტარული გარემოება ვერ უნდა გაიაზრო? ისიც მაკვირვებს: ლიამ რუსული არ იცის, მისი თქმით, უბნის ექიმ რუს ქალს ქართული არ სცოდნია და ასე მშვენივრად როგორ გააგებინეს ერთმანეთს, რომ საქმე გამიფუჭეს?"

როგორც წესი და რიგია, დავუწყე ღრეჭა-ხვეწნა ექიმს, ამ საქმეს რა ეშველება-მეთქი. "თუ მიაწერინებთ, რომ შეტევები იშვიათად აქვს და არა ქრონიკულად, მაშინ შეიძლება ამ ცნობის დადასტურება, ოღონდ ეს მინაწერიც მრგვალი ბეჭდით და ხელმოწერით დაადასტურებინეთ", – გვირჩია.

გავვარდით მე და ბესარიონი ისევ ვარკეთილში, თუმცა პირდაპირ შინ წასვლა ჯობდა – უკვე სამი საათი სრულდება და ვინღა იქნება ახლა ჩვენს დროში პოლიკლინიკაში...

შინ მივაფარე ცხვირზე ეს სამედიცინო ცნობა ქალბატონ ლიას და ვუთხარი, შენი გაფუჭებული საქმე შენვე გამოასწორე ხვალ-მეთქი...

მეორე დილით, 20 ივლისს, დედა-შვილი დილაადრიან გავიდნენ შინიდან – ცნობაზე მინაწერიც უნდა გააკეთონ და შემდეგ ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიკლინიკაში დადასტურება და საგამოცდო კომისიაში საბუთების ჩაბარებაც უნდა მოასწრონ...

საღამოსპირს სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ქალბატონი ლია და ბატონი ბესარიონი დაძმარებული სახეებით შემეგებნენ – საბუთები ვერ ჩავაბარეთო.

– იმ შტერმა ექიმმა ქალმა ისევ დაგვიწუნა ცნობა, ახალი ცნობა აიღეთო.

– რატომ?

– ეს დამატება სხვა ხელითაა მიწერილი, თქვენ მიაწერდით, ასე არ ივარგებსო. ტყუილად შეგვრჩა პოლიკლინიკაში ვაზისუბნის დასახლებაში წანწალი, მერე იქიდან საბურთალოზე – უნივერსიტეტის პოლიკლინიკაში... რა უნდა ვქნათ?

– კი მაგრამ, ხვალ ხომ 21 ივლისია, დღეს დამთავრდა საბუთების ჩაბარება... – ვამბობ მე.

– ბესარიონი შევიდა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესთან და უთხრა, ცნობა მიგვიანდება, ასე და ასეა ჩემი საქმეო. იმან დართო ნება, ხვალ ჩააბაროს საბუთები, ოღონდ 12 საათამდე უნდა მოხვიდეო...

ვახშმის შემდეგ შედგა "სამხედრო საბჭოს" სხდომა.

გავაანალიზეთ ვარიანტები – როგორ მოვიქცეთ ხვალ? ბესარიონი გაჯიქდა – დამანებეთ თავი, ჩემს თავს მე თვითონ მოვუვლი, დილით მივალ საუბნო პოლიკლინიკაში, გავიგებ ჩვენი ექიმის მისამართს და მივადგები შინო; უცებ შევავსებინებ ცნობას და გავიქცევი საბუთების ჩასაბარებლადო... ის კი ვერ გაითვალისწინა პატივცემულმა ბესარიონმა, რომ უბნის ექიმიდან შემდეგ საუბნო პოლიკლინიკაში უნდა წასულიყო და იქ კიდევ მრავალი, სხვადასხვა სპეციალობის ექიმის ხელმოწერაც გაეკეთებინა, ამას კი დღის 12 საათისთვის ვერ მოასწრებდა. გარდა მაგისა, დილით პოლიკლინიკაში უბნის ექიმის მისამართის გასაგებად რომ მივიდოდა ბესარიონი, არა მგონია, 10 საათამდე ვინმე გამოჩენილიყო... მერე კიდევ – სად ცხოვრობს ის ექიმი, როდის მიაგნებ მას და შეგივსებს კი ცნობას? იქნებ კინწის კვრით გამოგაპანღუროს – 12 საათზე მობრძანდი მიღებაზეო – და ახი იქნება შენზე... ეს ვარიანტი არ ვარგა!

მეორე ვარიანტი ქალბატონ ლიასი იყო: აგერ ჩვენი მეზობელი, მეთერთმეტე სართულზე რომ ცხოვრობს, იმ პოლიკლინიკაში მუშაობს და იმასთან ავალ, რჩევას ვკითხავო. აბრძანდა და გახარებული დაბრუნდა: მეზობელმა ტელეფონზე რეკა, რეკა და ბოლოს მითხრა, ხვალ 10 საათზე ჩემს დაქალთან მივიდეს პოლიკლინიკაში და ის ყველაფერს მოგიკვარახჭინებს, მაგრამ, ხომ იცი, ცოტა პატივისცემაც დასჭირდებაო.

ბოლოს, როგორც ოჯახის უფროსმა და ასაკით უხუცესმა, საბოლოო გადაწყვეტილება გამოვიტანე და ვამცნე ოჯახის არასრულ შემადგენლობას (უმცროსი ვაჟი, ბატონი დავითი, ჩემს დასთან გვყავს გახიზნული, რომ ბატონ ბესარიონს ხელი არ შეუშალოს გამოცდებისთვის ბრწყინვალედ მომზადებაში): ხვალ დილაადრიან გავალთ ვაზისუბანში ფეხით (რადგან ტრანსპორტს ჩვენი ჯიბე ვერ გაუძლებს), პოლიკლინიკაში მოვძებნით ვინმე ღვთისნიერს, ავუხსნით მდგომარეობს და მისი დახმარებით შევეცდებით, რაც შეიძლება სწრაფად ჩავიგდოთ ხელში ახალი საექიმო ცნობა...

... 21 ივლისს, დილის 9 საათზე უკვე პოლიკლინიკაში ვართ. ბედი არ გინდა?! ქალბატონი ლია პირველად ფლუოროგრაფიულ კაბინეტს ეწვია და იქ ორი ექიმიდან ერთ-ერთმა იცნო (100 კუპონი მისცა ლიამ მაშინ, ადრე, ჯანმრთელობის ცნობის აღებისას!) – აქ რა გინდა, ხომ აიღე უკვე ცნობაო. "დავკარგე! – უფრო სიმორცხვისგან წამოიკნავლა ქალბატონმა ლიამ. – ახლა დღის 12 საათამდე როგორმე უნდა მოვასწროთ ამ ახალი ცნობის ჩაბარება!"

მე და ბესარიონი დერეფანში ფანჯარასთან ვიდექით და ქალბატონმა ლიამ სიხარულით გვაუწყა – საქმე გავჩარხე და სულ მალე ახალი ცნობა გვექნება ხელთო.

მართლაც, დავინახეთ, როგორ გამოცქრიალდა ის უკვე "ნაცნობი" ექიმი – ახლა უნდა დაუაროს ხუთ თუ ექვს კაბინეტს და შეაგროვოს სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა ხელმოწერები...

– ექიმი გამოვიდა პირველი კაბინეტიდან! – ამბობს ლია.

– მატარებელი გამოვიდა პირველი სადგურიდან, ვნახოთ, რამდენ ხანში მივა ბოლო სადგურში!

სულ მალე ჩვენი მშველელი ექიმი ისევ დავინახეთ, ქაღალდის ფურცელს მოაფრიალებდა დერეფანში.

– ყოჩაღ, გრაფიკის გასწრებით მუშაობს: ხუთ წუთში – ორი ექიმის ხელმოწერა თავის პირად ბეჭდიანად!

– არც არის გასაკვირი: კარგი საწვავი აქვს – ათასი კუპონი!

თხუთმეტ წუთში გამზადებული ცნობა ხელში გვეჭირა, შესაბამისი თანხის კუპონმა ლიას საფულედან შესაბამისი მისამართით გადაინაცვლა და ბოლო ოპერაციაღა დარჩა ჩასატარებელი – მთავარი ექიმის ხელმოწერა და პოლიკლინიკის მრგვალი ბეჭდის დარტყმა... 10 საათამდე მოცდა

მოგვიწევს – მთავარი ექიმის მოსვლამდე. მე დავიჯინე, რომ არ შეიძლება, ბეჭედი მთავარ ექიმს ვინმესთვის არ დაეტოვებინა-მეთქი და მართალიც აღმოვჩნდი – მოადგილეს აღმოაჩნდა, ხელიც მოაწერა და ათის ნახევარზე უკვე ქუჩაში გამოვედით.

ახალი ამბავი – ახლა ნარკოლოგიურ დისპანსერში უნდა დავარტყმევინოთ ბეჭედი, რომ ბესარიონი მათთან აღრიცხვაზე არ იმყოფება. ლიას უწერია მისამართი – ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის დასაწყისში; იქ მისასვლელად ჯერ მეტროს სადგურამდე უნდა ჩახვიდე, მერე მეტროთი იმგზავრო, ბოლოს – ტრამვაით...

– მეტრომდე ფეხით ჩავიდეთ: სამი კაცის ავტობუსით მგზავრობის ფასი – 600 კუპონი – შეგვრჩება, მით უმეტეს, ავტობუსი არ ჩანს! – შევთავაზე ლიასა და ბესარიონს. – თან აქედან მეტროს ვარკეთილის სადგურში კი არა, სამგორისკენ დავეშვათ – დაღმართია და თან მეტროთი მგზავრობა აღარ დაგვჭირდება.

წამოვედით სულ ხტუნვა-ხტუნვით და გზა-გზა კითხვა-კითხვით. ერთმა გვითხრა, საბაგირო გზა მუშაობს, პირდაპირ სამგორის მეტროსთან მიგიყვანთო, მაგრამ ფეხით გასეირნება ვარჩიეთ – ვაითუ დენი გამოირთოს (რაც ასე ხშირია ჩვენს დროს) და დაგვაგვიანდეს, თანაც დღეს ტრანსპორტზე ეკონომიის დღე გვაქვს!

გავედით ტრამვაის გაჩერებასთან – არაფერი ჩანს...

– ფეხით გადავიდეთ! – ისევ ავტყდი მე. – ტრამვაიმ დიდი მარყუჟი უნდა გააკეთოს, ჩვენ კი მოკლეზე გადავჭრით – დროშიც მოვიგებთ და მგზავრობის ფულსაც დავზოგავთ! წავედით, დაღმართია!

– მერე, სად უნდა მივიდეთ, იცი? – დაეჭვებულია ლია, – იქ სახინკლეა და სახინკლესთან უნდა ჩავუხვიოთ, მე გავიკითხე.

ვიარეთ დაღმართში მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით და გავედით კიდეც ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის დასაწყისში.

– აგე შენი სახინკლე! – დავანახვე ლიას.

ათს თითქმის აღარაფერი უკლდა, პოლიკლინიკაში რომ შევედით, საჭირო კაბინეტსაც მივაგენით მეორე სართულზე. იქ უკვე რიგი დამდგარა, ექიმი კი იგვიანებს. ათ წუთში ექიმიც მოცუნცულდა, კიდევ ათ წუთში ცნობაზე შესაბამისი აღნიშვნაც გაკეთდა და თერთმეტის ნახევარზე უკვე ქუჩაში ვართ ტრამვაის გაჩერებაზე. აქედან მეტროს სადგურ ისნამდე წავალთ, იქიდან კი – საბურთალოზე მეტროთი...

– თუ დროზე გამოჩნდა ტრამვაი, უნდა მოვასწროთ!

ნახევარ საათზე მეტი გავიდა, რამდენჯერმე უკვე ფეხით წასვლასაც ვაპირებდით, როცა ხალხით გაძეძგილი ტრამვაის ვაგონიც მორახრახდა. ვაგონში ასასვლელ კიბეს მიასკდა ზღვა ხალხი, მაგარი ვაჟკაცობა გინდა, რომ როგორმე შეეკვეხო. უპირველესად ბესოს ვაგულიანებთ – შენ მაინც შეძელი როგორმე ასვლა, ჩვენ მერე მოვალთ!

წავიდა ვაგონი და წარიტაცა ბატონი ბესარიონი, რომელმაც როგორღაც მოიკიდა ფეხი კიბეზე, მე და ლია კი დავრჩით ახალი ტრამვაის მოლოდინში.

ოციოდ წუთში ისიც მორახრახდა, შევეტენეთ, როგორც იქნა, და ბესარიონის კვალს გავყევით, შემდეგ მეტროში გადავსხედით. სულ ვანგარიშობთ, სად იქნება ახლა ბესარიონი, მოასწრებდა 12 საათამდე ჯანმრთელობის ცნობის დამოწმებას და საბუთების ჩაბარებას?

პირველი საათი სრულდებოდა, როცა მე და ლია აქოშინებულნი მივადექით ფაკულტეტის საბუთების მისაღების ფანჯარას...

ბესარიონი შიგნით შესულა და რაღაცას ელაპარაკება საბუთების მიმღებ ქალიშვილს. ბესარიონმა გამოიტანა განცხადების დაბეჭდილი ფურცელი და შეუდგა მის შევსებას.

– მოიცა, ბესარიონ! – ვეუბნები, – ნახე, აქ, დაფაზე? ხედავ, შენს სპეციალობაზე "საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები" 20 ადგილია და 68 აბიტურიენტის განცხადებაა უკვე! ბიჭო, იღუპავ თავს? შეხედე, სხვა სპეციალობებზე სულ არაა კონკურსი, ზოგან ხალხი აკლიათ კიდეც! იქნებ იქ შეგეტანა?

– დამანებეთ თავი! – აიფოფრა ბესარიონი, – გვიანაა, უკვე შევავსე განცხადება.

– გამოვართვათ ახალი ფურცელი, მაგაზე ადვილი რა არის!

მაგრამ ბესარიონის დაყოლიება ვერ შევძელი...

უჰ, დღეს რამდენი ვიწანწალეთ ფეხით! ცნობის აღებაში დახარჯული 1000 კუპონი "ამოვქაჩეთ" და, მგონი, გადავაჭარბეთ კიდეც, ახლა არ იქნება ურიგო, რომ ნაყინით (უსაშველოდ გაძვირებულით) გახურებული გული გავიგრილოთ!

გვეგონა, რომ ბატონ ბესარიონის ფათერაკები ამით ამოიწურა, მაგრამ შევცდით!

22 ივლისს ქალბატონმა ლიამ სამსახურიდან გამოიარა და წამოიღო ბატონ ბესარიონის საგამოცდო ფურცელი. 23 ივლისს პირველი გამოცდა აქვს – მათემატიკაში, წერითი! დღის სამ საათზე ეწყება.

ეს ბედნიერი დღეც გათენდა. კარგად გამოძინებული ბესარიონი და მე ორის ნახევარზე გავედით შინიდან, სამ საათამდე თავისუფლად მივასწრებთ. ბესარიონს მღელვარებისა არაფერი ეტყობა, არადა, რის იმედი აქვს, ნეტა მაცოდინა! ჩემთვის აშკარაა, ერთი მილიპროცენტის შანსიც არ აქვს, ჩაიჭრება.

– შენ ნუ დარდობ! – მამშვიდებს ბესარიონი. – იქ გავიხედ-გამოვიხედავ, ან გადაწერას მოვახერხებ, ან ვინმე დამეხმარება.

დავუშვათ, მოხდა სასწაული და გაუმართლა, მერე ინგლისურიც ჩააბარა და ქართული წერაც და ჩაირიცხა – პირველ კურსზე უმაღლეს მათემატიკას როგორ ისწავლის, როცა მეექვსე, მეშვიდე კლასების მათემატიკაში მოიკოჭლებს!

ამ ფიქრებში ვარ, რომ მეტროს სადგურ "პოლიტექნიკურში" გამოვედით ვაგონიდან... და ბესარიონმა გულისჯიბეზე იტაცა ხელი:

– საგამოცდო ფურცელი დამრჩა სახლში!

ვდგავართ გამოყეყჩებულები ბაქანზე, გავშეშდით...

– შენ მიდი იქ და მომიცადე, მე სირბილით ვივლი, იქნებ როგორმე მოვასწრო! – ამბობს ბესარიონი და მეორე მხარეს ჩამომდგარ მეტროს ვაგონისკენ გარბის.

ათ წუთში იმ კორპუსის წინ ვიდექი, სადაც გამოცდები ტარდება; სამს ათი წუთი უკლია. საათზე წამდაუწუმ ვიხედები და ვანგარიშობ – ახლა სად იქნება ბესარიონი?

ოთხის ხუთ წუთზე გამოაცხადეს, რომ მათემატიკაში წერითი გამოცდის მეორე ნაკადის აბიტურიენტებს იწვევდნენ შესასვლელად... ბესარიონი ამ დროს დიდი-დიდი შინ იყოს მისული, აქ მოსასვლელად სულ ცოტა ორმოცდახუთი წუთი მაინც სჭირდება...

ნახევარ საათში ოფლში გახვითქული ბესარიონი მოვარდა. საგამოცდო კომისიას წარუდგა და უთხრეს – დღეს გამოცდაზე ვეღარ დაგიშვებთ, ხვალ, 24 ივლისს, მობრძანდი დილის 8 საათზე და პირველ ნაკადთან ერთად ჩააბარე გამოცდაო...

დილით 7 საათზე უკვე მეტროში ვიყავით. ბესარიონს სხვა ხალათი ეცვა; ქალბატონმა ლიამ უთხრა:

– ამ ხალათს ნუ ჩაიცვამ, ცუდად მაქვს დაცდილი, ახალს მოგცემ!

და ბატონი ბესარიონი დილის 8 საათზე ამაყად თავაწეული შებრძანდა მათემატიკაში წერითი გამოცდის ჩასაბარებლად...

გავიდა ორსაათნახევარი – თითო-ოროლა აბიტურიენტიც გამოვიდა უკვე, ვინც ვადაზე ადრე მოასწრო დავალების შესრულება; მერე მათმა რიცხვმა იმატა. ბესარიონი არ ჩანდა, ნუთუ ამდენ ხანს ვერ მიხვდა, რომ თავში არაფერი უყრია?

გამოცდისთვის გათვალისწინებული სამი საათი ამოიწურა. და, როგორც იქნა, გამობრძანდა ჩვენი გმირიც – გმირულად, "ბოლო ტყვიამდე" იბრძოლა! თუმცა რას ვამბობ – უბედურებაც ის იყო, რომ ტყუილად ფაფხურობდა, ერთი "ტყვიაც" არ ჰქონდა... ჩვენ რაღას გვერჩოდა, რომ დაგვხოცა?

ბატონ ბესარიონს ახალმა ხალათმა ვერ უშველა – ხუთი ამოცანიდან და მაგალითიდან ერთიც ვერ გამოიყვანა. მოკლედ, ბრწყინვალედ ჩაატარა გამოცდა... გამძლეობაში! გამოცდიდან ბოლო გამოვიდა!

ნათქვამია: "გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა..."

დათუნამ შინ მისულებს უბოდიშოდ გვკითხა უფროს ძმაზე:

– რა ქნა, გამოაპანღურეს?

– როგორ მიხვდი? აბა რას უზამდნენ, ნახევარ ჯგუფს ეხმარებოდა ამოცანების გამოყვანაში!

26 ივლისს ბესარიონმა გამოიტანა საბუთები და ამით დამთავრდა ჩვენი წლევანდელი ვნებათაღელვა. თუმცა ჩემთვის მხოლოდ დაიწყო – ნაცნობ-მეგობრებისთვის არ გინდა ათასგზის ყველაფრის თავიდან მოყოლა? ამიტომ ყოველივე ავწერე, ნაწერი გავამრავლე და თავი ქუდში მაქვს – თუ ვინმე დაინტერესდება და მკითხავს, ბესარიონმა რა ჰქნაო, ამ რამდენიმე ფურცელს ჩავუდებ ხელში – ლაპარაკის თავი აღარ მაქვს.

1993

ჟილეტი

ბესოს კოსტუმი აჩუქეს – თავის ჟილეტიანად.

ჟილეტი, უჰ, რა ჟილეტი! ჟილეტთ ჟილეტი!..

ახალთახალი, ცინცხალი, ნატიფი, ზიკზიკა, ხელოვნების ნამდვილი საოცრება, სიზმარში ნანატრის ცხადად ახდენა, საოცნებო ზმანება!

ვეუბნები სიხარულით ატაცებულ ბესოს:

— არ გინდა, ბიჭო, მხოლოდ ჟილეტს ნუ ჩაიცვამ, პრანჭია ხომ არ ხარ? ვის ბაძავ? ვის გაუგია, ჟილეტი პიჯაკის ან ფრაკის გარეშე? მერე რა, რომ ბევრი დადის ასე... ეგ იგივეა, რომ პერანგის ამ-ხანაგის ამარა წახვიდე უნივერსიტეტში. დამიჯერე, მხოლოდ უტუ, ტლუ, ყეყეჩი, გაუნათლებელი და უგემოვნო პიროვნება ჩაიცვამს მარტო ჟილეტს — ეს გამოწვევა იქნება საღი აზრის მიმართ, მშვენი-ერების გრძნობის შეურაცხყოფა...

ჩემი ნათქვამი სასაცილოდ არ ჰყოფნის...

არ დამიჯერა, წაცუნცულდა დილით უნივერსიტეტში, ფრიად კმაყოფილი — თეთრი შარვალ-ხა-ლათით და მუქი ჟილეტით.

საღამოს ჰყვება:

— შევედი ლექციაზე... ცოტა დამაგვიანდა. ბიჭებმა თვალები დააჭყიტეს. ლექტორს ყბა ჩამოუ-ვარდა. წინ ადგილი არ იყო, უკან დავჯექი და ბიჭები წამდაუწუმ უკან ატრიალებდნენ თავებს. გაბ-რაზებულმა ლექტორმა, ბოლოს, ვეღარ მოითმინა და იყვირა: "მაგის ჟილეტის საყურებლად მობ-რძანდით თუ ჩემს მოსასმენად?".

— გიხაროდა ხომ, მაიმუნივით გამორჩეული რომ იყავი?!.

— ჰი, რას ამბობ, ჟილეტი მე თითქმის არც მეცვა. ხან ერთი მთხოვდა, ცოტას ვატარებო, ხან — მეორე!

— მერე, რა გიხარია, შე შტერო, ხომ ხედავ, პამპულაობის დიდი წარმოდგენის მოთავე გახდი. შენი ჟილეტი ცირკის ტაკიმასხარის სამოსად იქცა...

— არაფერი შეგეშალოს! ზურამ თქვა, მეც შევიკერავ ჟილეტსო, მერე — გიამ, დათომ, მეორე ზუ-რამაც... წავედით ბიჭები სურათის გადასაღებად — რა ხანია, ვაპირებდით და დღეს ბედად ყველა ჩემი ჯგუფელი მოვიდა, სტიპენდიაც მოგვცეს. ჩემს ჟილეტზე ტაციობა ატყდა — ყველას უნდოდა, ჟილეტში გამოწკეპილს გადაეღო სურათი. იმდენი იდავეს, ქაჩეს აქეთ-იქით, სტაცებდნენ ერთმანეთს ხელიდან, რომ... ფხრი-ი-იწ! — გაიხა შუაზე...

— ძალიანაც კარგი! მამას რომ არ დაუჯერებ, უარესიც მოგივა! ახლა რაღას აპირებ?

— რას და... ერთი სული მაქვს, რომელიმე ახალშეკერილი ჟილეტით მოვიდეს ლექციებზე!..

1996

გამოცდა

ლექტორი აბელ პარკუჭაძე შიშის ზარს სცემდა სტუდენტებს — სანამ საფუძვლიანად არ დაე-უფლებოდი მის საგანს, დამაკმაყოფილებელ ნიშანსაც ვერ ეღირსებოდი. თუ ვინმეს მიუგზავნიდი, შენი მფარველი გემრიელად გამოლანძღვას ვერ გადაურჩებოდა...

გამოცდაზე პირველი ვახო შევიდა. არ გასულა ხუთი წუთი და უმაღლესი შეფასებით დამშვენე-ბული ჩათვლის წიგნაკით გამოვიდა საგამოცდო ოთახიდან. მერე მეგიმ "კარგი" მიიღო, ოთარმაც — "კარგი"...

ჯონდოს იმედი მიეცა, "დამაკმაყოფილებელს" მაინც დავტყუებ ლექტორს, ეტყობა, დღეს კარგ ხასიათზეაო და ისიც შევიდა საგამოცდოდ.

სანამ მოსაფიქრებელ მერხზე იჯდა, პატივცემულმა აბელმა ჭირის ოფლში გაწურა სიკო და სა-ქო, — ასე ეძახდნენ განუყრელ ხუმარა მეგობრებს — გაიოზსა და ანზორს, — და კუდამოძუებულნი გაისტუმრა: წესიერად მოემზადეთ და ისე მოდითო.

— მობრძანდით! — მიიპატიჟა პარკაძემ საგამოცდო მაგიდასთან ჯონდო და მის გვერდზე დამ-ჯდარ სტუდენტს სათვალის ზემოდან დააკვირდა: — ბოდიშს ვიხდი, რასაკვირველია, ყმაწვილო, მაგ-რამ მაინც უნდა გკითხოთ: რატომ არ ესწრებოდით ჩემს ლექციებს? თუ არ ვცდები, დღეს საერთოდ პირველად გხედავთ...

ჯონდო ბორძიკ-ბორძიკით სახელდახელოდ თხზავდა ზღაპრებს — ავადმყოფობაზე, სადღაც შორს გამგზავრებაზე...

დასაწყისი ვერ იყო სახარბიელო, გაგრძელებაც... ჯონდო ჭაპანწყვეტით ხან პასუხობდა, ხან — ვერა, ღეჭავდა ფრაზებს, ხშირ-ხშირად იმეორებდა ერთსა და იმავეს. პარკუჭაძე გადაწოლილი იყო სკამის საზურგეზე, ყურადღებით უსმენდა და ცოტ-ცოტას წაეხმარებოდა კიდეც დამაკვალიანებელი კითხვებით. ჯონდო ზოგჯერ გუმანით ხვდებოდა პასუხს, უფრო ხშირად კი ნაპირზე ამოგდებული თევზივით უმწეოდ აღებდა პირს და ამაოდ ცდილობდა რაღაცის თქმას.

მერე ლექტორმა საგამოცდო ბილეთი გვერდზე გადადო და მოკლე-მოკლე კითხვები დაუსვა:

— როგორ უნდა იანგარიშოთ ორმხრივი კვების ქსელის სათავე უბანზე გამავალი სიმძლავრე, როცა ცნობილი არ არის უბანთა კომპლექსური წინაღობები? როგორ იანგარიშება ელექტრული

ქსელის პარამეტრები კვანძური ძაბვების მიხედვით? დამიწერეთ ფორმულები: ძაბვის ვარდნა უბანში, დენის სიდიდე უბანში, სიმძლავრე უბნის თავსა და ბოლოში, სიმძლავრის დანაკარგი...

მერე როგორღაც ისე წარიმართა საუბარი, რომ ელექტრობის გამოყენების სფეროებზე გადავიდნენ; ჯონდომ ახსენა ელექტროგიტარა, ელექტროორღანო, მერე მუსიკაზე ისაუბრეს და, კერძოდ, ჯაზზე. ორივე თავგადადებული ჯაზის ტრფიალი აღმოჩნდა, განსაკუთრებით – ტრადიციული ჯაზისა. ორივემ დიდი სინანული გამოთქვა, რომ მიზეზთა გამო, მუსიკალური განათლება არ მიუღიათ. ორივემ საკუთარი მდიდარი ფონოთეკით მოიწონა თავი და ბოლოს, ბატონმა ლექტორმა სურვილი გამოთქვა, გაეცვალათ ზოგიერთი ჩანაწერი.

ჯონდოს სულ ახსოვდა, გამოცდაზე რომ იმყოფებოდა და ახლა სხვა მხრივაც უხაროდა – ცოტაოდენი იმედი გაუჩნდა, იქნებ გამოცდა ჩავაბაროო...

– მაშ, სად ცხოვრობთ, ყმაწვილო? – ჰკითხა პარკუჭაძემ.

– დიდუბეში, პატივცემულო, დიდუბის ქუჩაზე.

– რა ნომერ სახლში? – გამოცოცხლდა ლექტორი, – ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობთ, მგონია.

– ოთხმოცდამერვე ნომერში...

– რას მეუბნებით! – წამოიძახა პარკუჭაძემ. – დიდი ხანია?

– ოცდახუთი წელია – რაც სახლი აშენდა... დაბადებიდან მანდ ვცხოვრობ.

– რატომ არ გიცნობ? – უკვე შენობით მიმართა ჯონდის პარკუჭაძემ. – მეც მაგ სახლში ვცხოვრობ თავიდანვე, მესამე სადარბაზოში!

– ა, იმ სადარბაზოში, სადაც შავი ძაღლი ჰყავთ, ჯეკა?

– ჯეკა ჩემი ძაღლია, – ჯერ გაუხარდა ლექტორს და მერე წყენით განაგრძო: – ამდენი ხანია, მანდ ვცხოვრობ და ჩემს პუდელს იცნობ და მე კი – არა?..

ჩაჭრა!..

1994

ფიზიკოსები

დეკემბრის ღრუბლიანი დღეა. ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი კორპუსის შესასვლელთან შეგიძლია ბროუნის მოძრაობა იხილო – სტუდენტთა ჭრელი ჯგრო ტრიალებს: ფიზიკის ლექტორებს უდარაჯებენ: ვის გამოცდა აქვს დარჩენილი ფიზიკაში ჩასაბარებელი, ვის – ჩათვლა. ეხვეწებიან, ეჯაჯღანებიან ლექტორებს – მიგვიღეთ, პატივცემულოო...

საწყალი ლექტორებისთვის (საწყლებია აბა რა, მაგათი ხელფასით ჩემმა მტერმა იცხოვრა, გზის ფულად არ ჰყოფნით) ჰუმანიტარული დახმარება გამოუყვიათ (კოლოფებს ქართულად და იტალიურად აწერია: "სოიის ზეთი. იტალიის ხალხისა და მთავრობის ნობათი"). ფიზიკის კათედრა მერვე სართულზეა; გახარებულ თანამშრომლებს ფეხით სულ ციმციმ ააქვთ ზევით ოთხ-ოთხი ხუთლიტრიანი ქილით სავსე ყუთები (დენი არ არის და ლიფტი არ მუშაობს). ცხადია, ხანშიშესულთ ოცი კილოგრამის თრევა საკმაოდ უჭირთ...

სტუდენტები ლექტორებს ახასიათებენ:

– ეს მელოტი – მექრთამეა, თუ ფული არ ჩაიჯიბა, გაგტანჯავს, ოცჯერ მიგიყვანს...

– ეს გამხდარი, შავპალტოიანი – ნაცნობობით წერს ნიშნებს, უნდა მიდგე-მოდგე, ვინმე შუამავალი გამონახო...

– ეგ გაწრიპული, დიდცხვირა – აუღებელი ციხე-სიმაგრეა, სანამ საფუძვლიანად არ ისწავლი, არ გაგიშვებს: არც ნაცნობობა ჭრის, გინდაც მინისტრმა დაურეკოს, არც ქრთამი, არც ხვეწნა-მუდარა; თავსაც ვერ შეაცოდებ ვერაფრით და მოტყუებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი...

ამ დროს კი ბატონ ლექტორებს ხვითქი გადასდით; ზოგიერთი "თავის" სტუდენტს იხმარებს (სხვა დროსაც ხდებოდა "დახმარება": ერთ ლექტორს ბარგი გადაუზიდეს ახალ ბინაში გადასვლისას, მეორეს – ნაყიდი პიანინოს შინ მიტანაში შეეშველნენ და სხვა...).

დათუნა-მაჩანჩალაც მოიხმო მისმა "კაციჭამია" ლექტორმა და დაასაქმა, ზეთიანი ქილებით სავსე ყუთი აატანინა.

როცა "სატვირთო საქმე" დასრულდა და დათუნას აჩქარებული გული საგულეს დაუბრუნდა (საკმაოდ მძიმე ყუთი იყო!), ლექტორს მიმართა:

– პატ მასწ, ერთი ეს გამაგებინეთ და მერე თუნდა სულაც გამრიცხონ, ნიშანს აღარ დავეძებ...

– რაზე იჭყლეტ მაგ შენ გენიოსურ ტვინს და ვერ მიმხვდარხარ? – მოწყალედ გადმოხედა ლექტორმა.

– რა და, პატ მასწ, მერვე სართულზე ხომ ამოვათრიეთ ეს მძიმე ქილები...

— მერე? — დაცინვით შეაწყვეტინა ლექტორმა.

— მერე აქ ერთმანეთში გაინაწილებთ...

— მერე? — კიდევ უფრო აძგიბა წარბები ლექტორმა; ვერაფრით მიმხვდარიყო, საით უმიზნებდა მისი სტუდენტი.

— მერე, შინ წასაღებად ისევ პირველ სართულზე არ უნდა ჩაიტანოთ?

— მერე? — ლექტორის სარკაზმულმა ტონმა და წარბების აძგიბვამ ზედა ექსტრემალურ ზღურბლს მიაღწია.

— მერე... ალბათ, პატ მასწ, მხოლოდ ფიზიკოსს არ შეუძლია მიხვდეს...

— რას, ბიჭო?

— იმას, რომ შეიძლებოდა იქვე, პირველ სართულზევე განაწილებულიყო ყველაფერი... იქიდან ვერ წაიღებდით შინ?

ერთხანს ლექტორი გაშტერებული შესცქერის "თავხედს", ბოლოს დაქადნებით მიუგებს:

— მოხვალ მერე შენ ჩემთან და ვნახავ ერთი, როგორ მუშაობს შენი არაფიზიკოსის ტვინი!

— პატ მასწ, ნახევარი საათის წინათ თქვენ უკვე ჩამიწერეთ ჩათვლა წიგნაკში!

— ხოო?.. კარგი... მომავალი სემესტრის ბოლოს რომ გამოცდა გაქვს, დაგავიწყდა?

დათუნას ენა ჩაუვარდა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით:

— პატ მასწ, მაშინ კიდევ გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი და ისევ მიიღებთ ჰუმნიტარულ დახმარებას!..

1997

შარვალი

ერთი კარგი ბიჭი მუშაობს ჩვენთან — გივი, თუმცა რაღა ბიჭი ეთქმის, 24-25 წლის უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა კაცია. მეტსახელად ყველანი "ბალუს" უწოდებენ, რადგან საკმაოდ პუტკუნაა, თან დაბალი, ზანტი, უშფოთველი (თუ გახსოვთ, ბალუ ერქვა სიმპათიურ დათვს რადიარდ კიპლინგის ზღაპარში "მაუგლი" — "ჯუნგლის წიგნიდან").

წავედით ერთხელ მე, ეს გივი, მიხო და შოფერი შამილა მანქანით და მოწყობილობა წავიღეთ დედოფლისწყაროში — იქ 200 მეტრის სიმაღლის სატელევიზიო ანძა დგას და სამონტაჟო სამუშაოები უნდა ჩავატაროთ, ფიჭური სატელეფონო კავშირის მიმღებ-გადამცემი სადგური დავდგათ.

მივედით ადგილზე, გადმოვედით მანქანიდან, გადმოვტვირთეთ, რაც გვჭირდებოდა. ყველანი გივის მივაჩერდით — ჯინსის ახალი შარვალი აცვია, მეტისმეტად ვიწროდ აქვს, სადაცაა გადაასკდება საჯდომზე, ძლივს დაბაჯბაჯებს.

— ბიჯო, ძაან მომწონს შენი შარვალი, ხომ არ გამიცვლი? — ებაზრება მიხო. მიხოს ორი მეტრის სიმაღლემდე სულ რამდენიმე სანტიმეტრი აკლია, გივის შარვალი ნიფხვადაც არ გამოადგება.

გივი ხმას არ სცემს, პირველი მიძვრება ანძაზე ზევით. ხომ ზანტი და მოუხეშავი ჩანს, ჩვენზე ბევრად ცქვიტად და მოხერხებულად ადის მაღლა-მაღლა, თან ჩვენზე მეტად დატვირთულიცაა. 160 მეტრის სიმაღლეზე აბღოტება არ გინდა? ნახევარ საათზე მეტ ხანს მოვუნდით. საერთოდ, საკმაოდ ცივა, ნოემბერი თავდება უკვე, მაგრამ ჩვენ ისე გავხურდით, ოხშივარი აგვდის. მე და მიხომ რომ ბაქანს მივაღწიეთ, გივი უკვე დასვენებული ჩანდა, ალაზნის ველისა და კავკასიონის ხედვითაც დატკბობა მოესწრო. ჩვენც ცოტა ამოვიქაქანეთ და მუშაობის დაწყება დავაპირეთ, როცა აღმოჩნდა, რომ იარაღების ყუთი დაგვრჩენია ქვევით: არც მოსაჭერი ქანჩები გვაქვს, არც — ჩაქუჩი და სხვა... რაღა ვქნათ?

— აბა, ბალუ, ჩვენ არაქათი აღარ გვაქვს, უნდა გვიშველო... — ეუბნება მიხო.

გივი დაუზარელად ჩაფოფხდა ქვევით, აიღო დარჩენილი იარაღები ყუთიანად და ისევ ჩვენთან ამოფოფხდა — ერთი საათი მოუნდა ამ საქმეს.

სანამ გივი სულს მოითქვამდა, მე და მიხომ დავიწყეთ მუშაობა, მალე ისიც შემოგვიერთდა. უკვე თითქმის ვამთავრებდით სადგურის მონტაჟს, რომ ახალი სიურპრიზი გველოდა: ერთი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი სადგურისა არ ჩანდა — ეტყობა, მანქანაში დაგვრჩა. მიხომ ძველი სიმღერა წამოიწყო:

— აბა, ბალუ, ისევ შენ თუ გვიშველი, ცქვიტი ხარ ქურციკივით; ჩვენ რომ გვიყურო, სანამ ჩავალთ-ამოვალთ, დაგვაღამდება...

ბუნჩულა გივიც ხმის ამოუღებლად მიძვრება ქვევით და ერთ საათში ისევ ჩვენთან არის.

როცა სამუშაო დავასრულეთ და უკვე მანქანაში ვსხდებოდით, ყველანი ისევ გავმხიარულდით. ამჯერად გივიც შემოგვიერთდა და სიცილით იკითხა:

– ვინმეს ხომ არ შეგიძლიათ, ქამარი მათხოვოთ?
შარვალი რომ არ ჩასძვრომოდა, ხელით ეჭირა...

2000

ქაიხოსრო და მისი პუდელი

ჯუმბერ (ვილიამ) ვაშაკიძის ხსოვნას

ბატონ ქაიხოსრო შვინდაძეს თბილისში, დიღმის დასახლებაში, ვინდა არ იცნობს და მის პუდელსაც, რაღა თქმა უნდა – შავია, შავი, კანკალა, ფუმფულა, ყურპარტყუნა...

შეიძლება შემოგვედავონ, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ჩვენი ნოველის გმირისთვის ეს სახელი – ქაიხოსრო – შეუფერებელია; მაგას მეც ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნა. ერთი შედავათი ისაა, რომ ქაიხოსროს არავინ ეძახის, დიდ-პატარასთვის ის ხოსროა, ზოგიერთისთვის – ხოსრო ბიძია, ბევრისთვის – ბატონი ხოსრო.

დიღმის დასახლებაში – ქუჩაში ან, უფრო ხშირად, პარკში – არცთუ იშვიათად დაინახავთ დინჯად მოსეირნე შუახნის ჩასკვნილ მამაკაცს, ზამთარ-ზაფხულ რომ პიჯაკს არ იცილებს და შავი პუდელი მუდამ თან დაჰყავს ხელში ატატებული და მკერდზე მიხუტებული; ხანაც მიწაზე დასვამს მცირე ხნით... ძაღლი გაიცუნცულებს, მისუნ-მოსუნავს ბუჩქებს თუ ხეთა ტანებს და ფეხს ასწევს; მერე ისევ პატრონთან მიგოგმანდება, ჭკვიანი, ერთგული თვალებით შესციცინებს – ხელში ამიყვანეო... ასევე, ბატონ ხოსროს ზამთარ-ზაფხულ თან დაჰყვება ცისფერი კვამლის სურნელოვანი კუდი – ცოცხალი, მოძრავი და მოთამაშე პუდელივით; დიახ, ბატონ ხოსროს მუდმივი თანამგზავრია პირის კუთხეში გაჩრილი სიგარეტი; ეს ოხერი, სიგარეტს ვერაფრით შეელია. მართალია, თამბაქოს ბოლს ვერ იტანდა ცუგო, მაგრამ ეს ერთი ცოდვა შეუნდო პატრონს, სულგრძელად აპატია.

ბატონი ხოსრო მარტოხელაა – აგერ უკვე ხუთი წელი იქნება. მანამდე ოცდახუთი წელი ერთგულად ეწეოდა მეუღლის ჭაპანს და ზუსტად ვერცხლის ქორწილის წლისთავზე ბატონმა ხოსრომ საჩუქრად შავი პუდელი – ორი კვირის ასაკის ლეკვი – მიიყვანა შინ.

– 150 მანეთი მიეცი ამ მუშტისოდენა ლეკვში?!. – შეიცხადა ცოლმა. – მაგ ფასად ახალ პალტოს ვიყიდდი!

– რა გიკვირს, ქათამი კი არ არის, წონით შეფასდეს! ჯიშიანია, საბუთი აქვს; ბებია და დედა ოქროს მედალოსნები ჰყავს... დედა ჩემპიონია, მამას ცოტა ღია ფერის ცხვირის წვერი აქვს, თორემ საქვეყნოდ გაითქვამდა სახელს... პელე უნდა დავარქვა, ნახე, რა შავია!.. შეხედე, ქალო, ნახე, რა კარგი ბიჭია!.. – იჭაჭებოდა ბატონი ხოსრო. სულ ამაოდ: ცოლის ქვის გული ვერაფრით მოალბო – ლეკვისთვის თითსაც არ გავანძრევო... ცოლმა სამართლიანად დაასკვნა, რომ საწვრთნელად და სადავიდარაბოდ ბატონი ხოსროც ყელამდე ეყოფოდა და მეორე მოსათვინიერებელი ცხოველის, ამ შემთხვევაში – პუდელის ლეკვის, ჭკუაზე მოყვანა მის ძალებს ზედმეტ დატვირთვას უქადდა.

წარმოიშვა კონფლიქტი, ხატოვნად რომ ვთქვათ, გაჩნდა საოჯახო ბზარი, რომელიც დღითიდღე ფართოვდებოდა ("ან მე, ან ძაღლი!") და საბოლოოდ მიიღო სახე საკმაოდ ღრმა უფსკრულისა, რომლის ქვესკნელშიც დაინთქა ოჯახური იდილია. გაღმა მხარეს დარჩა ცოლი, გამოღმით – ბატონი ხოსრო და ლეკვი. დამთავრდა ბატონ ხოსროს ოცდახუთწლიანი წვრთნა – მის ცოლს ისიც კი არ მოსწონდა, ქმარი ძილის წინ ჩაჩს როგორ იხურავდა, როგორ ინასკვავდა ჰალსტუხს, როგორი სიცილი იცოდა (ამის გამო ლამის სიცილს გადააჩვია ქმარი), როგორ "ცხენივით" სვამდა წყალს (საწყალი ხოსრო ჩუმად შეიპარებოდა სამზარეულოში და დალევდა წყალს – ცოლმა არ შემომისწროსო), როგორ... თუმცა, საკმარისია, გაგრძელების გარეშეც ცხადია ყველაფერი.

თავის მხრივ ბარონმა ხოსრომ მართებულად გადაწყვიტა, რომ მისთვის მისი წელკავიც (თუ იშიაზი, თუ რადიკულიტი, თუ ლუმბაგო, თუ ოსტეოქონდროზი – სახელი ამ დარგის ექიმმა დააზუსტოს) სავსებით საკმარისი იყო.

ხოსროსგან ქალის გაშვება ზოგიერთებისთვის კი არა, ძალიან ბევრისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ხოსრო ცნობილი გახლდათ, როგორც უაღრესად თავდაჭერილი, დინჯი კაცი... მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით, ხოსროს ეს ნაბიჯი არც ისე მოულოდნელი იყო. მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ხოსროს უყვარდა სანდომიანი ოფიციანტი ქალის უკნიდან რბილ ადგილზე ჩქმეტა შეზარხოშებულ თანამეინახეთა ხორხოცში. რამდენჯერმე ასეთ ამბავს ხოსროს ცოლიც შეესწრო და მთელი კვირით დაემდურა, ხმას აღარ სცემდა – ხოსროს გასახარად, სხვათა შორის.

ზოგჯერ სამსახურშიც იცოდა, ბევრის აზრით, ფრიად უცნაური მოქცევა. უცებ რაღაც აზრი აეკვიატებოდა, დაწერდა მოხსენებით ბარათს ზემდგომი ორგანოს სახელზე, რომელშიც, მაგალითად, ჩამოაყალიბებდა და დაასაბუთებდა მთლიანად სამინისტროს სტრუქტურული ცვლილების, რეორგანიზაცია-გადახალისების პროგრამას ფუნქციონირების მკვეთრი გაუმჯობესების მიზნით. ზოგნი, "კეთილისმსურველნი", დაარიგებდნენ ბატონ ქაიხოსროს, რომ მისი თანამდებობის კაცს არ შეჰფერის სხვების ჭკუის სწავლება, მით უმეტეს – მაღალი თანამდებობის პირთა კომპეტენციაში შეჭრა, რომ ამ საკითხებზე მასზე გამოცდილი და კომპეტენტური პირები უკვე დიდი ხანია მუშაობენ... ბატონი ხოსრო ირონიული ღიმილით ისმენდა რჩევებს და ჯიუტად იცავდა საკუთარ შეხედულებას... ბოლოს, გამოიყოფოდა საკითხის შემსწავლელი კომისია; ვითომ იმსჯელებდნენ ბატონ ქაიხოსროს წინადადებებზე, ვითომ იკამათებდნენ, რაღაც დადგენილებასაც მიიღებდნენ, ბატონ ქაიხოსრო შვინდაძეს უღრმეს მადლობას მოახსენებდნენ საყურადღებო, მეტად საჭირო, ძვირფასი მოსაზრებებისთვის და... და ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. ბატონი ხოსრო ყოველივე ამას ძლიერ განიცდიდა, მტკიცედ გადაწყვეტდა, ამიერიდან მხოლოდ უშუალო სამსახურებრივ მოვალეობაზე ფიქრით შემოფარგლულიყო, მაგრამ გავიდოდა ხანი, ბატონ ხოსროს ახალი იდეები უჩნდებოდა; ბოლოს, გადაწყვეტდა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი და დაწერდა ახალ მოხსენებით ბარათს...

განქორწინების შემდეგ ბატონმა ხოსრომ სადღაც მიაგდო ჩაჩი, აღარ იკეთებდა ჰალსტუხს, თავიდან ისწავლა სიცილი (ყველა ნაირსახეობა აითვისა და, ბოლოს, გულიან ხარხარსაც მიაღწია) და საერთოდ, აკეთებდა ყოველივეს, რაც კი მოეპრიანებოდა. პუდელი, ღმერთმანი, არაფერს უკრძალავდა.

რამდენადაც ბატონი ხოსრო პუდელს ძლიერ შეეთვისა და მისი გულისთვის ცოლსაც კი შეელია, ჯერი ავტომანქანაზე მიდგა – ცუგო ვერ იტანდა, თუ სიყვარულში ეცილებოდნენ; მით უმეტეს, რომ დიდი ხანია, რაც სორბონა (ეს სახელი შერჩა ძაღლს საბოლოოდ – ნამეტანი ჭკვიანი გამოდგა!) რძეში დამბალი პურის ნატეხით აღარ კმაყოფილდებოდა; შემდეგი ეტაპიც მოილია – ძეხვეული კი უყვარდა პუდელს, ნამეტნავად – ძვირფასი ნაირსახეობები, მაგრამ ვეტერინარის დაჟინებული რჩევით, თუ უნდოდა ძაღლი ჯანმრთელი და მხიარული ყოფილიყო, უნდა სისტემატურად მიეცა მისთვის საკვებად უმაღლესო ხარისხის საქონლის უმი ხორცი და ძვლები (და არამც და არამც – ცხვრისა, ღორისა ან თუნდაც ქათმისა). ასე რომ, სორბონას საკვები თვიურად 50-70 მანეთი უჯდებოდა ბატონ ხოსროს – რაღა ავტომანქანა "ჟიგულის" შენახვა და რაღა "არისტოკრატი" ძაღლისა... გამოემშვიდობა მანქანას. ახლა უკვე ორ კვირაში ერთხელ მისი რეცხვის მაგივრად პუდელს ჰბანდა აბაზანაში. ასევე, როგორც ძვირფასი ჯიშის ძაღლის პატრონს, სორბონა მეძაღლეთა ანუ კინოლოგიურ კლუბში უნდა ეტარებინა. იქ ხოსროს უთხრეს: ვასწავლით წოლას, ჯდომას, დგომას, სიარულს – ყველაფერს წესების მიხედვით უნდა აკეთებდესო და თუ ჭკვიანად იქნები, შენს ძაღლს გაცინებასაც ვასწავლითო. ერთხანს მართლაც ატარა სორბონა კლუბში, მერე შეეშვა – იქ წოწიალის თავი არ ჰქონდა. ასე რომ, თუკი სორბონამ გაცინება არ იცის, ვაპატიოთ – მხოლოდ უმაღლესი დაუმთავრებელი განათლება აქვს. მართალია, შეიძლებოდა, სორბონა კერძო პანსიონში მიებარებინა და იქ უმაღლეს დონეზე გაწვრთნიდნენ (შესაძლოა, ანეკდოტების მოყოლაც ესწავლებინათ), მაგრამ თვეში 500 მანეთი უნდა გადაეხადა. ამ თანხის გაგონებაზე ბატონ ხოსროს თმები ყალყზე დაუდგა (ფრიად შეთხელებულნი, სხვათა შორის). კიდევ კარგი, ცოლი რა ხანია, გაშვებული ჰყავდა და მაღალ წნევას აღარ უჩიოდა, თორემ იმ წუთსვე ჰიპერტონიული კრიზი ესტუმრებოდა უეჭველად.

დიახ, ასე დარჩა სორბონა უმაღლესი განათლების გარეშე; თუმცა, ტყუილად კი არ დაარქვა პატრონმა ეს სახელი – საოცრად ჭკვიანი ძაღლი იყო (საერთოდ, პუდელები "ინტელექტუალებად" არიან ცნობილნი, ამიტომ ცირკშიც წარმატებით მოღვაწეობენ) და, როგორც მოგახსენეთ, ბატონი ხოსროც უყოყმანოდ გამოემშვიდობა ავტომანქანას. განქორწინების შემდეგ მას რომ ერთი ოთახი ერგო ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, გადაცვალა ერთოთახიან ბინაზე დიღმის დასახლებაში და ამიერიდან აღარაფერი უშლიდა ხელს, უშფოთველად ესეირნა ყოველდღე მშვენიერ ხეივანში, ეფიქრა ახალ მოხსენებით ბარათზე, დროდადრო ჩამომჯდარიყო სკამზე, სიგარეტის ბოლებით გადაეთვალიერებინა ახალი ჟურნალ-გაზეთები (უამრავს იწერდა, შინ მდიდარი ბიბლიოთეკაც ჰქონდა – კარგი წიგნის საყიდლად ფული არასდროს ენანებოდა, ამაზეც სულ ეჯიჯღინებოდა ცოლი), გამოლაპარაკებოდა გვერდით მსხდომთ, უმთავრესად – პენსიონერებს, პუდელის დანახვაზე რომ გამოცოცხლდებოდნენ, ღიმილი დაუნაოჭებდათ სახეს და ლაქლაქის ხასიათზე დგებოდნენ...

ერთი სადარდებელი კი ვერა და ვერ მოიცილა ბატონმა ხოსრომ – წელკავი დღითიდღე უჭირებდა საქმეს... წელკავი, რადიკულიტი თუ სხვა ჯანდაბა და დოზანა ათასგვარი სხვადასხვა წამლით და წესით იმკურნალა, მაგრამ ტკივილებს არაფერი ეშველა. პუდელის თავზე ხელის გადასასმელადაც კი ვეღარ იხრებოდა. ჭკვიანი ცხოველი, როგორც კი პატრონი მოუხმობდა, იმ წამსვე ახტებოდა და მის მკერდთან მკლავებში დაიდებდა ბინას. ხოსრო ვეღარც ნაცნობ-მეგობრებს ნახულობდა, ნათესავები თვითონ თუ მოაკითხავდნენ.

ერთხელ მაინც გაიჭირვა და სამსახურის შემდეგ შინ ჩაკეტილ პუდელს კი არ მიაშურა, ძველ-თაძველ მეგობარს – ხუტას – ეწვია.

თუ ნებას დამრთავთ, ცოტაოდენს ბატონ ხუტას შესახებაც მოგახსენებთ.

ხუტა ნაფეტვრიშვილი სტუდენტობისას ბორჯომის ხეობაში სატყეოში პრაქტიკას გადიოდა. თბილისში დაბრუნების წინ მისთვის სრულიად მოულოდნელად მეტყევის ცხვირაპრეხილი, მკერდსავსე, სახეზე მუდამ ღიმილდაფენილი ქალიშვილი ნატაშა მწარედ აქვითინდა... გულამოსკვნილი სლუკუნებდა, ღვარღვარა ცრემლებით მოთქვამდა, ხუტამ თან წამიყვანოსო... სიმართლე თუ გნებავთ, ადრე ხუტას ქალიშვილისთვის ორიოდე სიტყვა თუ უთქვამს, წესიერად არც შეუხედია, არამცთუ გაარშიყებია. ნატაშა ბრგე, ტანმაღალ ხუტას მხრამდე ძლივს სწვდებოდა, ვაჟის ერთი-ორი უწყინარი ხუმრობა ალბათ სხვაგვარად გაიგო...

გულჩვილი, ბავშვივით მიმნდობი ხუტა დაიბნა, ნატაშა შეეცოდა და... წამოიყვანა თბილისში.

ხუტამ ინსტიტუტი დაამთავრა და რუსთავის სატყეოში დაიწყო სამსახური, ქალიშვილიც შეეძინათ. ნატაშას სახეზე ღიმილი მალე გაქრა, გაქრა სამუდამოდ. საშინელი აშარი და კერკეტი გამოდგა. ხუტა ბუნებით მეტად რბილი, დამყოლი ხასიათისა იყო, მაგრამ მასაც კი გაუწყდა მოთმინების ძაფი, ყელში ამოუვიდა ცოლის გაუთავებელი ჩხუბი წვრილმანებზე, ყოველი დახარჯული კაპიკის ანგარიში და უმთავრესად მეტყევის ქოხში ათევდა ღამეს. ოჯახს თვეში ერთხელ თუ დახედავდა, ერთ საათს ძლივს გაძლებდა და თავისი ქოხისკენ გარბოდა. იქ გააშენა მშვენიერი ბაღ-ბოსტანი, გაიჩინა ჯიშიანი სანადირო ძაღლები, შეიძინა მონადირე მეგობრები... ქალიშვილი თითქმის უმამოდ გაიზარდა, გათხოვდა და თავის ბედს ეწია. ახლა ხუტამ თითქმის სულ დაივიწყა საკუთარი სახლის გზა. ხანდახან ცოლი თვით მოაკითხავდა, ბუზღუნ-ბუზღუნით გაავსებდა ჩანთებს ხილ-ბოსტნეულითა და ხილით და ბაზრისკენ გაეშურებოდა...

ბატონმა ქაიხოსრომ პირდაპირ ხუტას ქოხს მიაშურა სატყეოში. სწორედ იმ დროს მივიდა, როცა ხუტა თავის ორ ძაღლს საკვებს აძლევდა. და უნდა გენახათ, როგორ შესციცინებდნენ თვალებში პატრონს პოინტერი და სეტერი, როგორ სიყვარულით შეჰღიმილებდა მათ ხუტა, ათასგვარ საალერსო სიტყვებს ებუტბუტებოდა...

ბატონი ხოსროც ღიმილად დაითაფლა, სიამოვნებდა მეგობრის ყურება – წარმოსადეგი, ზონზროხა, უკვე დამძიმებულის წლებითაც და წონითაც, ხარისთვალება, მსხვილულვაშა, დიდცხვირა დიდი ბავშვისა... როგორ ალალად თავს ევლებოდა ძაღლებს და მისი მელოტი თავიდან არეკლილი ათინათიც თითქოს კმაყოფილი და ხალისიანი იყო...

მეგობრებმა ერთმანეთი მოიკითხეს.

– ბიჭო, რომ წამჭამე ყურები ტრაბახით, ამდენი და ამდენი კურდღელი მოვინადირეო, ერთის ტყავი ვერ მომეცი გამოყვანილი? – უსაყვედურა ბატონმა ხოსრომ.

– ჩემი თავი გენაცვალოს, ისეთი ცინცხალი დიდყურა მოგართვა, სულ თითები ჩაიკვნიტო! – მარჯვენა ხელის თითთა წვერებს აკოცა ბატონმა ხუტამ. – რამდენი გინდა?

– კურდღელი შენ ჭამე, ჩემი გასტრიტი აიტანს მაგას? მე ტყავი მინდა. რა გახდა, ბიჭო, ერთი ქეციანი კურდღლის ტყავი? თუ გამოყვანა არ იცი?

– ნადირობაში დავბერდი და ეგ მესწავლება? – ეწყინა ბატონ ხუტას. – ორ კვირაში ჩემი ხელით მოგიტან, შენ რომ მოგეწონება, ისეთ კურდღლის ტყავს. "ტიბაანი" ხომ გექნება ჩაცივებული?.. რად გინდა კურდღლის ტყავი, არ მეტყვი?

– კაცო, წელის ტკივილმა გამათავა, არაფერმა მიშველა. ხან აბაზანები ვიკეთე, ხან – მასაჟი, სხივებით მკურნალობა, ვარჯიში... რა არ ვცადე. ა, ახლაც, ხედავ, ხელი მოკიდე – წელზე დოქტორ ჟიბოს სამკურნალო ქამარი მიკეთია, მის ზევიდან კიდევ შტანგისტის ფართო ქამარი მაქვს შემორტყმული. გაგანია სიცხეშიც კი პიჯაკს არ ვიხდი. ერთმა თანამშრომელმა მასწავლა, კურდღლის ტყავი დაიდე წელზე, ის მოგიხდებაო. აქამდე რატომ ვერ მოვისაზრე შენთან მოსვლა, მიკვირს სწორედ.

– მაგაზე უკეთესს გეტყვი, ბევრად უკეთესს.

– უკეთესი რაღა უნდა იყოს? – დაეჭვდა ბატონი ხოსრო.

– ძაღლის ბეწვი!

– არ გადამრიო! რომლის?

– პუდელის ბეწვი უებარი საშუალებაა, უებარი! მისი ბეწვისგან უნდა მოაქსოვინო სარტყელი; ისე ჩაგითბუნებს წელს, უკეთესი არ გინდა! მიმიქარავს კურდღლის ტყავი, პუდელის ბეწვი ხელად მოგარჩენს.

– პუდელის, კაცო?

– გაგიკვირდა, ხომ? ბევრმა კი არ იცის. გაიკითხ-გამოიკითხე, იქნებ იშოვო.

– ეშმაკმა დასწყევლოს, – დაირტყა მუხლზე ხელი ბატონმა ხოსრომ და იმ წამსვე სახე დაემანჭა, ტკივილმა შეახსენა თავი. – კაცო, პუდელი შინ მყავს, პატარა პუდელი, იშვიათი ჯიშის! არც დიდი, სამეფო პუდელია, არც – ჯუჯა. იცი, რა კარგი ბიჭია! ჭკვიანია, ოხერი! ნეტა ჩემს ყოფილ

ცოლს მისცეს ღმერთმა მაგდენი გაგება. როცა ავად ვარ, სულ თვალებში მომჩერებია, რა გავაკეთოო, რით გიშველოო. თუ საგარეო ტანისამოსი ჩავიცვი, სობონა თავისით მიდის სააბაზანოში; იქ საგანგებოდ გამოყოფილი კუთხე აქვს და წვება საფენზე. “მე მალე მოვალ!” – ვეტყვი და მივხურავ კარს... დილას გაიზმორება ხომ, გაიბერტყება, ბეწვს ისწორებს, ერთი ღერი არ ჩამოუვარდება! ნახევარი საათით გავუშვებ გარეთ, ირბენს აქეთ-იქეთ, მოათავებს თავის საქმეებს, დაბრუნდება და ახლა მე მექაჩება – შენც წამოდი, ერთად გავისეირნოთო. ორი დღით რომ დავამწყვდიო შინ, არაფერს დასვრის, თავს შეიკავებს... მაგიჟებს პირდაპირ, ისეთი ძაღლია!

ბატონი ხუტა ღიმილით უსმენდა, ჭაღარა ულვაშებს ქვევიდან მსხვილ, მეჩხერ კბილებს აჩენდა.

– ბეწვი ხომ აქვს კარგი?

– შესანიშნავი! წელიწადში ერთხელ ვკრეჭავ. ერთი კვირის წინ გავაკრეჭინე, ოცდაათი მანეთი მივეცი.

– ვისა, კაცო?

– ექიმს. მუდმივად მას ვაკრეჭინებ, გვარად სტოიანოვია, სახელი არ ვიცი. მთელი თბილისი მას აკრეჭინებს პუდელებს.

– მერე? ნაკრეჭი დაუტოვე? პუდელის “მატყლი” არ წამოიღე?

– არა, კაცო, რის “მატყლი”, ბაიბურში არ ვიყავი!

– შენცა ხარ რაღა! ხალხი სანთლით ეძებს პუდელის ბეწვს, მერინოსის მატყლს ბევრად სჯობს, ფასიც მაგარი აქვს... ერთ გაკრეჭაზე ნახევარი კილო ჩამოვიდოდა, სწორედ ერთ სარტყელს მოიქსოვდი. შემდგომ როდის უნდა გააკრეჭინო შენი პუდელი?

– ერთი წლის შემდეგ.

– აბა, უცადე, სანამ გაეზრდება ბეწვი და, რაც მთავარია, გაკრეჭის შემდეგ “მატყლი” არ დაგრჩეს წამოუღებელი!..

* * *

აღწერილი ამბების შემდეგ ერთმა წელმა განვლო. სორბონა ისევ გაიკრიჭა, მისი ბეწვი-“მატყლი” გულმოდგინედ შეგროვდა, შემდეგ საგულდაგულოდ გაირეცხა და გაშრა.

ბატონ ხოსროს ეგონა, რომ ახლა კი მეშველაო, ჩემს დას მოვაქსოვინებ სარტყელსო, მაგრამ სირთულეს წააწყდა – “მატყლს” თურმე ჯერ დაჩეჩვა და მერე დართვა სჭირდებოდა!

სათანადო კონსულტაციების შემდეგ გაირკვა, რომ ხელით დართვის ხელოვნება გადავარდა, დავიწყებას მიეცა, სადღა ნახავ მაგის ოსტატს!

დიდხანს ეძება ბატონმა ხოსრომ ვინმე მოხუცი ქალი – მრთველი, სოფლად მიმავალ ნაცნობ-მეგობრებსაც კი დაავალა გაეკითხ-გამოეკითხათ. ბოლოს, ისევ ქალაქში მიაკვლია საკმაოდ ახალგაზრდა, სანდომიან ქალს – ელენეს, რომელმაც წარმატებით ჩაატარა ეს ეგზოტიკურად გამხდარი ოპერაცია და სარტყლის მოქსოვაც ითავა.

სორბონას ბეწვისგან მოქსოვილმა სარტყელმა მალე გაამართლა მასზე დამყარებული იმედი. უფრო საკვირველი ის იყო, რომ ბატონმა ქაიხოსრომ ერთხელ კიდევ გაბედა (ვინ იფიქრებდა!) და დართვისა და ქსოვის ხელოვანი ელენე ცოლად ითხოვა...

ჭეშმარიტად, ძაღლი ადამიანის მეგობარია!

1984

წიგნი VIII.

ესაა ცხოვრება?

(მონოლოგები)

ირონიული საუბარი საკუთარ თავთან

სიცოცხლე,
ცხოვრება,
ბედი,
საქმე,
წლები...
გვიან ვწვები.
მაშინაც ოცნებას ვწვდები:
მე – მღილი, ლიფსიტა,
თავნება, თავხედი,
ოცნებაში
ვატრიალებ დედამიწას
ჩემი საჩვენებელი თითის წვერზე!
ვატრიალებ და ვათვალიერებ –
არა როგორც თემურლენგი
ან ნაპოლეონი,
არამედ როგორც დარვინი,
როგორც ნიუტონი ან ჯორდანო ბრუნო...
ბრუნავს, ბრუნავს!..
ტრიალებს, ტრიალებს...
მილიონებს ბადებს,
მილიონებს ატიალებს...
მე კი რა მაქვს საქმე?
დილით ავასწრებ ტოლებს,
სიმღერას დავასწრებ ტოროლებს
და მოლზე ფეხშიშველა გავივლი;
გავივლი გალაკტიონივით
და ვიფიქრებ გალაქტიკაზე...
მერე აღმომხდება ყივილი –
რა ლამაზია სიცილი!
მერე აღმომხდება კივილი –
რა ძნელია ტკივილზე დუმილი...
ტკივილი კი ქვეყნად ბევრია!..
შენ კი გადაჰყევი მასხარაობას,
რაღაც სისულელეები გიწერია,
ვეღარ გაექეცი ცრუ რაობას...

1990

გაჭირვებულის მონოლოგი

... რომ მსაყვედურობ, რატომ ხანდახან არ გამოივლი ჩემთანო, რა გიპასუხო... იმდენი საქმე და საფიქრალი მაწუხებს, არ ვიცი, რა ვქნა – რით დავიწყო, როგორ მოვაბა თავი ამდენ ერთიმეორის "კონკურენტ" პრობლემებს. რამდენი საქმე მაქვს დაწყებული, ზოგი შუამდეც ვერ მივიყვანე, იძულებული ვარ, სხვა რამეს მივხედო საჩქაროდ... არ დაიჯერებ და ათზე მეტი წერილი მაქვს დაწყებული და ვერც ერთი ვერ დავამთავრე; არადა, ახლა უნდა გადამირჩიონ უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე და რომ მომთხოვონ, აბა, რა შრომები გამოაქვეყნე საანგარიშო პერიოდშიო, რას ვუპასუხებ?

დამაქვს ეს დასაწვავი პორტფელი, ხომ ხედავ, როგორ უსაშველოდ გაბერილია; სულ ტყუილად დავათრევ – გაგიუდები, შიგ რომ ჩაგახედა. სამი წიგნი ყრია შიგ, სამივე აუცილებლად წასაკითხია და აგერ უკვე თითქმის წელიწადია უკვე, სტრიქონი არ წამიკითხავს: სამსახურში რვა საათი ხომ უნდა ვიჯდე, შესვენებაზე გავრბივარ, ექიმს უნდა გამოვუძახო – ბავშვი ავადობს და პოლიკლინიკას ტელეფონით ვერაფრით დავუკავშირდი, სულ დაკავებას იძლევა... საღამოს რაიაღმასკომში ვარ მისასვლელი – ბინაში ვიწროდ ვართ ძალიან და მე თუ არ ვირბინე ამ საქმეზე, ვინ რას მომართმევს ლანგრით? თუ დიდი რიგი არ იქნა, ხომ კარგი – ერთი წერილის დამთავრებას მოვასწრებ, ამ კვირაში უსიკვდილოდ უნდა მოვიცილო... ოჰ, არა, მეორე ბავშვს გლანდები აწუხებს, უნდა ამოვაჭრათ; ყველაფერი მზად იყო, საავადმყოფოში უნდა დაგვეწვინა და თითი გაიჭრა რაღაცაზე; ხომ იცი, მაგ ასაკის ბავშვები რა მოუსვენარებიც არიან... გაუღიზიანდა, დაუჩირქდა და არ ვიცი, რა ვიღონო... მერე გაგვიცივდა, ღამე საბანს იძრობს; ბაღში აღარ გავუშვით, დავტოვეთ შინ, აბა, რა გვექნა. შესვენებაზე მივიდა ცოლი და გულს შემოეყარა: ბავშვს მოუწყვია კარადებისა და მაგიდის უჯრების სრული რევიზია – გასაბერი ბუშტი რომ დამიმალეთ, იმას ვეძებდიო... აუწერლად აუქოთებია ყველაფერი, ერთი კვირა მოვუნდით დალაგებას... იმ ჩემი ცოდვით სავსე სიდედრს არხეინად წაუძინია, ბავშვი კი ქვეყანას ანგრევს... აქეთ ცოლი მეჯიჯღინება – ყველას ახალი ჩექმები აცვია, 300-400 მანეთს აძლევენ ხელზე და შენი ცოლი კი მათხოვარივით დადის ძველ ჯღანებში, 30-მანეთიანიც ვერ უყიდიაო; იქით – სიდედრი მებუზღუნება, სიმამრის საფლავი უპატრონოდ მივაგდეთო... ერთ უბედურებას მეორე ემატება: მეზობელს ონკანი დარჩა მოშვებული ამ ერთი კვირის წინ, არასდროს შუადღეზე წყალი არ მოდის ჩვენთან და მაინცდამაინც იმ უბედურ დღეს გაუშვიათ... მოკლედ, ჩამოგვენგრა ჭერი, გაგვიოხრდა ქვეშაგები, ავეჯი, წიგნები... ისედაც დანგრეული ბინა მაქვს – რადიატორები გამოსაცვლელია, წყლის მილები, რა ხანია, ჟანგმა შეჭამა გათბობისაც და ცივისაც, ონკანები ყველა მოშლილია, მომკლა მაღაზიებში მათ საშოვნელად სირბილმა... დააყენებ და ორსამ დღეში გადასაგდებია. სამი შუშა მაქვს გაბზარული და გამოსაცვლელი ფანჯრებში, მეოთხეში მუყაო გავუკეთე დროებით და წელზე მეტია, ასეა. ჭაღი მტვერმა და ჭვარტლმა შეჭამა, ერთი ვერც მათთვის მოვიცალე – ქალებმა იუარეს, ვერ ავძვრებით მოყანყალებულ მაგიდაზე, გვეშინიაო... დავდივარ ნერვებმოშლილი, ყველაფერზე აღრენილი, აგერ შენ გამოგიჭირე და გულს ვიოხებ... მეგობრები და ნათესავები დავივიწყე, კინო და თეატრი ჩემთვის არ არსებობს, წიგნის წაკითხვაზეც, ხომ გითხარი, ზედმეტია ლაპარაკი... მიკვირს, რესტორანები რომ ყოველთვის გამოტენილია, საქმე გამოელიათ? ასი წელია, ვაპირებ ერთ კვირადღეს ცოლ-შვილთან ერთად ქალაქგარეთ გასვლას – გაგიგონია! ხალხი დადის სანადიროდ, ზაფხულში ზღვას და ზამთარში ბაკურიანს არ იკლებს, აგარაკიც აუშენებია და საზღვარგარეთ ქვეყნები რომ მოიარა, ახლა მთვარეზე მოგზაურობაღა აკლია... საღამოობით რომ სხედან კიდევ ეზოში მაგიდასთან საათობით და მეზობლებთან ჭადრაკს თამაშობენ ან დომინოს ურახუნებენ – ვგიუდები ნაღდად! ყველა საქმე თუ მოითავე, შე კაცო, გაზეთი მაინც წაიკითხე! თუმცა, გაზეთში ხეირიანს რას ნახავ, ნერვებმოშლილს ეგ გინდა კიდევ? შიშით სული გაგძვრება: იქ კონფლიქტია, ერთმანეთს ხოცავენ, აგერ მიწისძვრამ ნახევარი ქვეყანა დაანგრია, წყალდიდობამ მთელი სოფლები წაიღო... სეტყვა, გრიგალი, მატარებლის კატასტროფა, თვითმფრინავის ჩამოვარდნა – არაფერი გამორჩებათ! იქ ქოლერის ეპიდემიაა, სხვაგან – გრიპი მძვინვარებს... რაში მჭირდება, შენი ჭირიმე, იმის ცოდნა, სად რამდენი კვდება წლიურად ლოთობით, ნარკომანიით, ინფარქტით... ჩემი გასაჭირი არ მეყოფა, სხვისი ინფარქტებიც მე ვიტირო? ალბათ ინფარქტი

მოკლე ხანში მეც მომიღებს ბოლოს... პანაშვიდებზე სიარულმა ხომ ძალა წაიღო, არ მიხვიდე – არ იქნება... დავრბივარ ენაგადმოგდებული ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში. ახლაც...

სად მირბიხარ, კაცო? პანაშვიდზე გეჩქარება შენც? სულ გამოვშტერდი, საწყალი გიგოლა ხომ შენი ამხანაგიც იყო... მერე, გზაში გველაპარაკა, შე კაცო, დროს მოვიგებდით, ახლა, მგონი, დაგვაგვიანდა კიდეც... არადა, მეორე პანაშვიდზეც რომ დღესვე უსიკვდილოდ ვარ მისასვლელი? დროზე წავიდეთ, ცქვიტად, იქნებ მოვასწრო... სულ სირბილში ვარ და მაინც ვერაფერს ვასწრებ, საქმეა ეს? ორი თვეა, კბილის ექიმთან ვაპირებ მისვლას, კუჭმა ხომ სულ მომიღო ბოლო, ვის აქვს მისი მიხედვის თავი... ჭამის დრო რომ არ გექნება ადამიანს, უკეთესს რას მოელი...

ე, ტროლეიბუსი გაჩერდა, გავიქცეთ!..

დავრბივართ ასე ერთი გასვენებიდან მეორეზე, სანამ ჩვენც არ გაგვასვენებენ... აი, მაშინ კი ნამდვილად მოვისვენებთ!..

1983

ჩემპიონი
(მხატვრის მონოლოგი)

შესანიშნავი მხატვრის, ლამაზი სულის ადამიანის,
ვახტანგ ჯაფარიძის მოსაგონარი

სამოცი წლის წინანდელ ამბავს გიამბობ...

ჩამოვედი თელავიდან თბილისს. ვხატავ, რასაკვირველია, მაგრამ მინდა, ნაღდი საქმით ვჭამო პური, ამიტომ სამხატვრო აკადემიაში კი არ ჩავაბარე, არქიტექტურულზე შევედი ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

ერთხელ მივდივარ ქუჩაში... ვიღაც მაღალმა კაცმა შემაჩერა – ვინა ხარო, საიდანო, რას აკეთებო. გამიკვირდა, შენობით რომ მელაპარაკება; რა უნდა, ერთი ხომ არ წავუთაქო-მეთქი – გავიფიქრე. თურმე ცნობილი მოჭიდავე ჩიკვილაძეა, ერთი რომ ნეკი ამომკრას, ბუმბულივით ამომაბურთავებს. თელავიდან ჩამოვედი-მეთქი, ვეუბნები. კახელი ხარო?! მაშ ჩემთან მოდი, ორ კვირაში შეჯიბრია ამიერკავკასიის პირველობაზე ფრანგულ ჭიდაობაში, უნდა გამოგიყვანოო, შენისთანა ჯანიანი ბიჭი გვჭირდებაო, – დამარტყა მხარზე ხელი ძმაბიჭურად, გახარებულმა. ისე გადამეკიდა, რომ, ვნახოთ-მეთქი, ბოლოს მათქმევინა.

ბედი არ გინდა? მეორედაც არ გადამეყარა ქუჩაში?!. შემომიტია, რად არ მოხვედი, სიტყვის კაცი არა ხარო? რას მერჩის ეს ოხერი, ვფიქრობ, კახელი კი ვარ, მაგრამ ჩემს დღეში არ მიჭიდავია, ეს კიდევ რაღაც ფრანგული ჭიდაობააო, მაგისი ხომ ინჩიბინჩი არ მესმის, სახელიც პირველად გავიგონე... მივკიბ-მოვკიბე რაღაცა, მინდა, როგორმე თავი დავიძვრინო. შე დედალოო, – ამრეზით მეუბნება, – შეგეშინდაო? ცოტა არ იყოს, გავბრაზდი, გავფიცხდი – მოვალ-მეთქი, აუცილებლად...

მართლაც მივედი, ორ-სამჯერ წავივარჯიშე, მაგრამ რას ვისწავლიდი.

შეჯიბრია, ამიერკავკასიის პირველობა!

ჩემს წონაში, მძიმეში, სულ რამდენიმე მონაწილეა.

გავიხადე ტანზე, ვითომ მზადა ვარ. ფეხები მიკანკალებს, სუ მაძაგძაგებს – პირველს ამიერკავკასიის ჩემპიონს მიშაევს ვხვდები!

რომ წარმოვიდგენ, ერთ წამში როგორ ამიტაცებს ჰაერში და დამაფერთხებს ტიკინასავით ხალიჩაზე, ცუდად ვხდები. ერთი პირობა ისიც კი გავიფიქრე, ფანჯრიდან ჩუმად გადავძვრები და ეგრევე, ნახევრად ჩაცმული გავიპარები-მეთქი...

მივალ ფანჯარასთან – გამოვბრუნდები, ისევ მივალ... ამ დროს გამიძახეს სარბიელზე.

გავედი...

ხალიჩის მეორე კიდეზე მიშაევი დგას, გულარხეინად ცალი ფეხი წინ აქვს წადგმული, ცალი ხელი – წელზე შემოუდვია დარდიმანდულად... მე არც კი მიყურებს, მაყურებლებს ათვალიერებს, ნაცნობ-მეგობრებს თავს უკრავს, უღიმის – თითქოს ჰპირდება, ახლა განახვებთ საჩვენებელ ჭიდაობასო.

მისცეს ჭიდაობის დაწყების ნიშანი, მივესალმეთ ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით და მერე მაშინვე ჯიქურ წავედი მისკენ – ჯანდაბას, მოხდეს, რაც მოსახდენია, რაც ადრე ჩათავდება ყველაფერი, მით უკეთესი! დავეტაკე, დავავლე ხელი და – ბრახ! არ გავჭიმე ხალიჩაზე ჩვენი ნაქები ჩემპიონი?!.

ატყდა ყიჟინა, ტაშისცემას და ღრიანცელს ყურთასმენა მიაქვს...

მიშაევი გაოგნებულია, აზრზე ვერ მოსულა, რა მოხდა. მე ჩემი დამემართა, ვერაფრით გავრკვეულვარ – ნუთუ გავიმარჯვე?!.

ჩიკვილაძეც განცვიფრებულია, ეს ვინა ყოფილხარო, ხელს მიტყაპუნებს ბეჭზე...

ცოტა ხანში გამიყვანეს მეორესთან – მირზოევთან – საჭიდაოდ. ეს უკვე მიფრთხის, შორ-შორ მივლის. მეც სულ მთლად არ მაქვს გული საგულეს, რომელი მოჭიდავე მე ვარ! რა იცის, სინამდვილეში ვისთან აქვს საქმე!

ასე კარგა ხანს ვუარეთ ერთმანეთს გარშემო, არც ის ატარებს ილეთს, არც – მე. მე რა უნდა ჩავატარო, ჭიდაობის ანბანიც არ მისწავლია ხეირიანად!..

მაინც ერთხელ გავბედე და – ბრახ! – ეს მეორეც არ წავაქციე?!. როგორ მოხდა ეს, რანაირად შევძელი, რა ხერხებით – თვითონაც ვერ გავიგე, მიკვირდა... ალბათ მირზოევი ჩემმა ძალამ კი არა, მისმა საკუთარმა შიშმა წააქცია...

ასეა თუ ისე, ორკესტრის გუგუნში და ტაშის გრიალში გამომაცხადეს ამიერკავკასიის ჩემპიონად და გადმომცეს მედალი და სიგელი. ახლაც შენახული მაქვს, როდისმე მოვძებნი და განახვებ, თუ გაინტერესებს.

ჩიკვილაძე კარგა ხანს დამდევდა, მაგრამ – ბოდიში! ის მე დამიჭერდა?!. სათოფეზე აღარ ვეკარებოდი. დავლანდავდი თუ არა, ეს ამ სიმაღლე კაცი თაგვის ტოლა ვხდებოდი და ყოველთვის ვახერხებდი ხოლმე სადმე სოროში შეძრომას...

დიახ, მეც ვიყავი ჩემპიონი, ბეჭდაუდებელი ფალავანი, მაშ!..

1985

სიზმარი

(ბაკურიანის პარკში მოხალული მზესუმზირის
გამყიდველი ხნიერი ქალის მონოლოგი)

ბავშვებო, გესმით? გესმით, ტყეში ჩიტი იძახის: "იპოვე?.. იპოვე?.." მეორე პასუხობს: "ვერა, ვერა!" იცით, რატომ საუბრობენ ასე?

ბავშვებო, იყო პატარა და-ძმა, ჰყავდათ ავი დედინაცვალი. ერთხელ ძროხა არ დაბრუნდა საღამოს და დედინაცვალმა გაჰყარა და-ძმა ტყეში: "მოძებნეთ, უძროხოდ უკან მოსვლა არ გაბედოთ!" – დაუყვირა.

დიდხანს იწანწალეს ტყეში, ძროხა ვერ ნახეს, ვერც შინ ბედავდნენ დაბრუნებას... რაღა ჰქნან? "ღმერთო, დიდებულო, ჩიტებად გვაქციე!" – ინატრეს და მაშინვე გადაიქცნენ ჩიტებად. მას მერე დაფრინავენ ტყეში და ასე გადასძახებენ ერთმანეთს... "იპოვე?" – კითხულობს ერთი, "ვერა, ვერა!" – პასუხობს მეორე. "იპოვე?" – იმეორებს კითხვას პირველი ჩიტი და "ვერა, ვერა!" – ისევ პასუხობს მეორე.

ძველთაძველი ზღაპარია, ალბათ ზოგიერთი თქვენგანისთვის ნაცნობი, ახლა ჩემს სიზმარს მოგიყვებით, მის მსგავსს ვერსად წაიკითხავდით.

სიზმრებს ხშირად ვნახულობ, კარგ სიზმრებს, ეგღა დამრჩა ცხოვრებაში გულის მოსაფონი...

მეც ობლობაში გავიზარდე – დედა ადრე მომიკვდა, მამამ დედინაცვალი მოიყვანა, რუსის ქალი. 14 წლის ვიყავი, როცა გამაგდეს შინიდან; წავედი, მეტროს მშენებლობაზე გვირაბის გაყვანაზე ვმუშაობდი. იქ ყველას არაყი მოჰქონდა და სმას დავეჩვიე...

სიზმრებში ზოგჯერ ცუდიც გამოერევა. აი, გუშინდამაც მესიზმრება, თან ვიცი, რომ სიზმარია, მაგრამ მაინც მიხარია, ისეთი ლამაზია... მივდივარ ვიღაც ბიჭთან ერთად, მინდორი სულ თეთრი ყვავილებით არის გავსებული... მივდივართ, მივდივართ... თეთრი, სქელი ნისლი წამოვიდა და დავკარგე ბიჭი. ვეძებე, ვეძებე, ვუძახე: "სადა ხარ, შვილო?" ვხედავ, მოდის ყავარჯნებით, ცალი ფეხით კოჭლობს. "აი, შენ რომ მიმატოვე, ფეხი მოვიტეხეო". კიდევ დაბურუსდა გარემო და ისევ დამეკარგა ბიჭი... ვყვირი, ვყვირი, მაგრამ ჩემი ხმა მევე არ მესმის, როგორც ბამბაში, ისე იკარგება... მივდივარ, მივდივარ, ისევ შემხვდა; ვხედავ, უკვე ორივე ფეხით კოჭლობს. "ახლა კი აღარ მოგცილდებიო" და მაგრად ჩავეხუტეთ ერთმანეთს. "აბა, შენ არ მოსცილდები მაგასო?" – მესმის კივილი, შავფრთებიანი ქალი დამეჯაჯგურა, უნდოდა, ერთმანეთს დავეცილებინეთ... ვიბრძოლეთ, ავსულმა შავმა ქალმა მაჯობა, დიდი, შავი ფრთების ფართქუნით აიტაცა ცაში ბიჭი...

მეორე დღეს მივდივარ ქუჩაში და ის ბიჭი არ დავინახე?!. “მე შენ გიცნობ!” – ვუთხარი. “საიდანო, პირველად გხედავთ თქვენო”. მერე ვუამბე ჩემი სიზმრის ამბავი. კინაღამ გაგიჟდა: “მეც ზუსტად ეგ სიზმარი ვნახეო”... მერე გავიგე, ერთ კვირაში ის ბიჭი მოკვდა.

1986

გული რაღაცას ხომ უნდა გადავაყოლო!

(ახალგაზრდა ქალის მონოლოგი უგრძეს პურის რიგში)

სამი შვილის პატრონი აქ უნდა ვიდგე ახლა? თან არ ვიცი, მომიწევს პური? რა ვქნა, მიჭირს და დავწანწალებ, იქნებ სადმე ცოტა იაფად წავაწყდე კარტოფილს, რძის ფხვნილს, კვერცხს, ვერმიშელს, შაქარს... შეხედე, რას მიგავს ეს ჩექმები – ამდენ სიარულში როგორ გამიუბედურდა. აღარც კი ჩაიცმება, მაგრამ რა ვქნა, ახლის მყიდველი არ ვარ... ფული რომ შემომელევა, მაშინაც კი ვერ ვისვენებ, მაშინვე დედაჩემთან გავრბივარ – ცალკე ცხოვრობს და საკმაოდ შორსაც ვერკეთილის დასახლებიდან, იქ მისვლას ნახევარი დღე ვუნდები – ტრანსპორტი არ მუშაობს, ისევ და ისევ უმეტესად ფეხით მიწევს სიარული. მივალ და – დედაჩემი ტელევიზორს მისჯდომია და მექსიკურ ტელესერიალს უყურებს “მდიდრებიც ტირიან”. დღეში ორჯერ უჩვენებენ მოსკოვის პირველი არხით – დილით და საღამოს და ორჯერვე უყურებს, ვერ სცილდება. გაზეთებში კი გაჰკილეს ეს ფილმი: მეტისმეტად გაუბრალოებულად და ერთფეროვნად არის გადმოცემული მდიდარი მექსიკელის ოჯახური უსიამოვნებანიო, მისი ცოლი მარიანა ხომ გაუთავებელ მღელვარებას არის გადაყოლილი თავისი ახირების გამოო. მერე რა? შედი ახლა რომელ მაღაზიაშიც გინდა და ნახე, თუ ყველგან გამყიდველი ქალები ტელევიზორს არ მისჩერებიან. გასაყიდი მაინც არაფერი აქვთ, დახლები ცარიელია... დაწესებულებებშიც ასეა. მე მითხრეს, ბევრი ქალი შესვენებაზე შინ გარბის ტელევიზორში მარიანას სანახავადო. ახლა სამსახურის დაკარგვა – კატასტროფაა და მაინც იპარებიან...

ჰო, ვფიქრობ: “მივალ დედაჩემთან, ვუამბობ ჩემს გასაჭირს. იმედი მაქვს, თუ ფულს არ მომცემს, მითანაგრძნობს მაინც, გამამხნევებს, რჩევას მომცემს, დამამშვიდებს”... ნეტავი შენ! სულ არ აქვს შვილის დარდი, ეკრანს არის მიჩერებული და ცრემლებს აღვარღვალებს, მარიანას ბედუკუღმართობას მისტირის...

გავცოფდი, ლამის არის, ვიკივლო! თავს ძალას ვატან, მხარზე შევანჯღრევ და რბილად ვეუბნები: “დედა, მოიხედე, გელაპარაკები, შენ კი ჩემი ამბავი სულ არ გაინტერესებს, ამ ვიღაც მარიანას კი ლამის არის გადაყვე!” მოტრიალდება გაკვირვებული, მერე, ჩემს შეშლილ სახეს რომ შეხედავს, გამოფხიზლდება და მპასუხობს: “რა ვქნა, შვილო, გული რაღაცას ხომ უნდა გადავაყოლო, მეცოდება ეგ უბედური...” წარმოგიდგენიათ? შვილი და შვილიშვილები არ ეცოდება და იმ ჩერჩეტი მარიანას განცდებს უნდა გადაყვეს!..

შეხედეთ., შეხედეთ!.. ათ წუთში იმ სულელური ფილმის მორიგი ნაწილის გადაცემა იწყება ტელევიზორში და უკვე რამდენიმე ქალი მიდის, პურის რიგს ტოვებს, ოღონდ მარიანას სულიერი მღელვარების ცქერით გაძღეს... კარგია – რაც მეტი წავა, მეტი ალბათობა იქნება, რომ პური შემხვდება...

1992

სამზარეულოს ელეგია

(გურმანის მონოლოგი)

სამზარეულოს ელეგია გაგიგია? უცნაური ნათქვამია, ხომ? სად სამზარეულო და სად ელეგია, იკითხავ და მართალიც იქნები: რომ წარმოთქვამ სიტყვას “სამზარეულო”, წარმოიდგენ... უპირველესად წარმოიდგენ, რაღა თქმა უნდა, გამაბრუებელ სურნელს მწვადისა თუ ლობიოსი, ტოლმისა თუ ჩიხირთმის და ასე შემდეგ (გააჩნია, ვის რა კერძი უყვარს); აქეთ ქვაბი თუხთუხებს გემრიელ სიმღერას, იქით ღომი დროდადრო ფშვინავს კმაყოფილი... ტრიალებს ცქვიტი დიასახლისი – ქვაბებისა და ქოთნების, ტაფებისა და ჯამ-ჭურჭლის მთავარსარდალი. კუთხეში მიყუჟულ დიდ ბოცაში გალიცლიცებული ღვინო მოთმინებით ელის, როდის გადმოუშვებენ ქარვისფერ ჭავლად დოქებში თუ

სურებში, რომ ღვთიური სურნელი დაატრიალოს ჯერ სამზარეულოში და შეერიოს ქინძისა და დანაყილი ნივრის, მოშუშული ხახვისა და შემწვარი ხორცის, დაბრაწული ქათმისა და ნიგვზის ზეთისგან გაყვითლებული საცივის, ათასი სხვა რამის ნაზ თუ "აგრესიულად" შემტევ სურნელს... ჰოდა, რა დროს ელეგიური განწყობაა? თავის დროზე საჭმელები დაამშვენებენ სუფრას და მაგიდის გარშემო შეკრებილთა სახეებს სიამოვნების ღიმილი მოეფინებათ. მანამდე კი... რას შიშხინებ ასე მადის აღმძვრელად დიდ ტაფაში ჩაჭრილო კარტოფილო? ხომ კარგად იბრაწები მოწითალო-მოყავისფროდ, ზეთსაც დროზე დაგამატებ დროდადრო, მოგირევ კიდეც – მეტი რაღა გინდა? აჰა, ალბათ ის გადარდებს, რომ უკვე დროა, ალყა-ალყად დაჭრილი ხახვი შეგირიო, რათა უკეთესი სურნელი და გემო მოგეცეს... დროულად უნდა დაგაჭრა კამაც, არც ტარხუნის მოყრა იქნება ზედმეტი, მაგრამ მანამდე დაფხვნილი სულგუნი უნდა ჩავყარო რძეში ათქვეფილ რამდენიმე კვერცხში და ყველაფერი ზევიდან მოგასხა... და, თუ კაცი ხარ, დროზე გადმობრძანდი ცეცხლიდან გვერდზე, აბა ცქვიტად! ალთან შენი პაემანი დასრულდა, აწი უფრო ნაზად იშიშხინე ერთხანს, ერთ-ორ კოვზ კარაქსაც დაგიმატებ; ორთქლში გაკეთილშობილდი, რბილიც რომ იყო და ხრაშუნაც, ნაირნაირი სურნელიც ერთ მთლიან თაიგულად შეიკრას...

შენ კი, დიდო მბრწყინავო ქვაბო, შე ანცო, რას ძიგძიგებ, სახურავს ათამაშებ წკარუნით, ხანდახან ახდი და ქაფად გადმოდიხარ გაბრაზებული – ჰო, კარგი, დაგიწევ ცოტათი ცეცხლს და სულაც მოგხდი სახურავს, თუ სული გეხუთება – მაგ მსუქან ინდაურს თუ სულ მთლად გაეპარა ქაფთან ერთად ცხიმი, რაღა გამოვა? მოითმინე, გენაცვალე, კი ხარ მიჩვეული ხშირ-ხშირად ხინკლების ბუქნაობას შენს სტომაქში, რა გიყო ახლა, ინდაურის საცივი ნაკლებია რითიმე? დაწყნარდი, მაცალე, აირღუმელიდან გამოვარდნილი სურნელი მამცნობს, ხაჭაპური მზად არისო...

კიდევ გავარძელებდი: რამდენი საჭმელ-სასმელი მიღვიძებს ლამაზ, ნერწყვისმომგვრელ ხილვებს – ხაში და კალმახი ნიგვზის საწებლით, კუპატი და ყვავილოვანი კომბოსტო კვერცხით, მინდვრის ლობიო ძმრითა და ზეთით, კიტრისა და პომიდორის სალათა, ნაყინი მარწყვით და ტორტი "ჩიტის რძე", რძეზე მოხარშული ყავა და... და ასე შემდეგ, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია... ცოლი მობრძანდა ბაზრიდან ნირწამხდარი: ატამი 5000 კუპონი დაუფასეს ერთი კილოგრამი, კიტრი – 2000-3000, ვაშლი – 2000-5000... დღეს კი 1993 წლის აგვისტოს მიწურულია უკვე, ხელფასი კარგა ხნის წინ უნდა დაერიგებინათ და დღემდე არ გვაღირსეს; თუმცა, რა უნდა მოგვცენ – 3 კილოგრამ კარტოფილს თუ ეყოფა ან 2 კილოგრამ ლობიოს...

ახლა ხომ ცხადი გახდა, რატომ ვიხმარე გამოთქმა "სამზარეულოს ელეგია"?

1993

ქებათა ქება ლობიოსი

(ლობიოს მოყვარულის მონოლოგი)

გაჭირვების ჟამს, როცა ყველის, ხორცის, შაქრის, კარაქისა და სხვა სურსათის კი არა, პურის ყიდვაც ჭირს, ბევრი ლოცავს ლობიოს.

თუმცა, ადრეც ყოველთვის მადლიერებით მოიხსენიებდნენ.

– ჩემს მშობლებს არ აქვთ ჩემზე იმდენი ამაგი, რამდენიც ლობიოს, იმან დამამთავრებინა უმაღლესი! – ხშირად იმეორებდა ერთი ჩემი ამხანაგი, სოფლიდან ქალაქს სასწავლებლად ჩამოსული.

თუ შინ ლობიო არ გაკლია, თავიც ქუდში გაქვს – შიმშილის აღარ გეშინია. "ამდენი და ამდენი ლობიო მოვიმარაგე!" – კმაყოფილი ღიმილით ეტყვის დაქალს დიასახლისი და სატრაბახოდ მართლაც აქვს საქმე.

წვნიანი ლობიოს შეჭამანდი, კურკა ანუ კირკაჟი ლობიო, ამოლესილი ლობიო – ამოირჩიე, ერთიმეორეზე უკეთესია! კინაღამ დამავიწყდა: მწვანე ლობიოს კიდევ სხვა ეშხი აქვს! უკვე სავსებით გამზადებულს რომ რამდენიმე ათქვეფილ კვერცხს მოასხამ და ერთი ხუთიოდ წუთი აცლი ცეცხლზე თუხთუხს – მერე გადმოიღე და შეექეცი! ანდა, შეიძლება, კვერცხის მაგივრად მაწონი მოასხა, ოღონდ მაშინ წინასწარ მწვანე ლობიო კარგად უნდა გაწურო. ლობიოს ყველაფერი უხდება და ლობიო ყველაფერს უხდება! აბა, დამისახელეთ კიდევ კერძი, რომელიც აგრერიგად ეგუებოდეს სხვა საჭმელებს. ლობიო პურთან ერთად – დიდებულია! მჭადთან – მთლად გადასარევი! ღომთან – უკეთესს რაღას ინატრებ! მიაყოლე რაც გინდა: ღვინო – იფ-იფ! გინდ – ცოლიკოური, გინდ – კახური, გინდ – საფერავი, გინდ – სხვა ნებისმიერი! თუნდაც ცეცხლივით არაყი – არ მონათლავს ეს და-

ლოცვილი?!. დააყოლე ლუდი – არ არის კარგი? ლიმონათი? ბურახი? თუ სულ არაფერი მოგეძევება – ცივ-ცივი წყაროს წყალი!

ლობიოს ყველაფერი უხდება, ყოველგვარი მწვანილი: ქონდარი, ქინძი, ნიახური, კამა, ტარხუნა, რეჰანი, ზაფრანა, ოხრახუში, პრასი, აგრეთვე – მწვანე ხახვი, ისე ხახვი, ნიორი, რასაკვირველია, და სხვა და სხვა... მიხაკ-დარიჩინსაც კი ხმარობს ზოგი დიასახლისი. მოთუხთუხე ქვაბში ჩაამატე შინდი ან ისრიმი, მაყვალი, ბროწეული, კვაწარახი, ტყლაპი ან ტყემალი – მწიფე თუ მკვახე, წითელი თუ ყვითელი, მსხვილი თუ წვრილი! მზესუმზირას ზეთს უზამ – დიდებულია, ზეითუნისას – კიდევ უკეთესი, მაგრამ დანაყილ ნიგოზს არაფერი შეედრება! ღორის ქონს ან თუნდაც ცხვრის დუმას ჩადებ – მშვენიერია, შაშხს – აშენდები პირდაპირ! ჰო, ცოტა წიწაკის დამატებაც არ დაგავიწყდეთ! გინდაც აჯიკისა! ძმრითაც შეკმაზავს ხოლმე ზოგიერთი...

ყველი? თუ გინდა – მიაყოლე, თუ მოგეხასიათა – შიგ ჩააჭერი, ვინ გიშლის!

ახლა მჟავეები? კიტრის, პომიდორის, ჯონჯოლის, ყაბაყის მწნილი; კომბოსტოსი გამომრჩა, ბოდიში, კიდევ – ნივრის, წიწაკის, ჭარხლის... ბოდიში, ნერწყვის მოზღვავებამ ხომ არ შეგაწუხათ? გამოგიტყდებით, მე – ფრიად და ფრიად... ჰო, კიდევ – მწნილები ეკალასი, დანდურის, აკაციის ყვავილების, მიწავაშლასი... სოკოს მარინადი? ყველას ჯობს ყვითელი პაჭიჭასოკოსი!

ბოლოკი? ეგ კუდრაჭა ეგა! წითლად გამომწვევად შემოგღუდღუდებთ და ახი არ არის, რომ დასწვდე, მარილში ჩააწო, პირისკენ გააქანო და ხრამუნ-ხრამუნით მიაყოლო ცხელ-ცხელ ლობიოს! ანდა პრასს რომ მიკეც-მოკეცავ, დაახვევ და ამოუსვამ ლობიოში!

ლობიანები? ლობიოს ღვეზლები? გინდა – ზეთში გამომცხვარი, გინდა – ერბოში, გინდა – ღორის ქონში დაბრაწული!

ლობიოს უამრავი ჯიში არსებობს, ყველას თავისი გემო და ღირსება გააჩნია. ბაზარში ყველა გურულ ლობიოს დაეძებს, მე კი რომ მკითხო, ვის გაუგონია ცუდი ლობიო?

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ქართველი კაცი ულობიოდ არ ვარგა!

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება ლობიოზე – ზოგი გამომრჩა, ახლა ვერ ვიხსენებ... ერთი კი ცხადია: ბევრს დაულოცია ლობიოს ძალა. თუ ლობიოს გეახელი – არ იცი დაღლა, გინდაც ბარავდე დილიდან საღამომდე.

შეიძლება, ვინმემ ისიც თქვას, რომ, ძნელი მოსანელებელია და, უკაცრავად კი გახლავარ, მუცლის ბერვა იცისო, – ასეთ შარიან ხალხთან დავა ზედმეტად მიმაჩნია. მირჩევნია, ერთი ჩამჩა ცხელ-ცხელი, სურნელოვანი ლობიო კიდევ დავიმატო, რასაც თქვენც გირჩევთ...

გაამოთ!

1994

მარადი მოწაფე

(ხნიერი კაცის მონოლოგი)

კაცმა უკვე ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე და მაინც მარად მოწაფედ დავრჩი – ყველა მე მასწავლის, ჭკუას მარიგებს, მმოძღვრავს, გზას მიმითითებს, თვალს ამიხელს, ჭეშმარიტებას მაზიარებს... კიდევ რანაირად და რამდენნაირად შეიძლება ჩემს მიმართ გამოვლენილი დამოკიდებულება დავახასიათო? თითქოს დაბადებიდანვე დეფექტური ვიყო – გონებადახშული, გონებაჩლუნგი, სულელი, ოტროველა, შტერი, ჩერჩეტი, ლენჩი, ჭკუასუსტი – ყველა ჩემი დამრიგებელი გახდა, არადა, ვითომ ჩემზე განათლებულები არიან ან ჩემზე მეტი ესმით?

დილიდან ცოლი შემიჩნდა:

– ჭამე, კარგად გადაიღე ფაფა; ხომ იცი, შენი ასაკისთვის და შენი კუჭისთვის რა სასარგებლოა.

– არ მინდა ამდენი, ხომ არ უნდა გავსკდე! – ვასავსავებ ხელებს.

– არა, გინდა! აჰა, მურაბაც ჩაისხი ჩაიში.

– მე უმურაბო ჩაი მირჩევნია.

– როგორ გინდა უმურაბო, ბავშვი ხომ არ ხარ!

მერე ჩემი ბიჭის რიგი დგება:

– მამა, პალტო ჩაიცვი, არ გაცივდე! – დამადგა თავზე, ხელში ჩემი პალტო უჭირავს.

– რა დროს პალტოა, თერმომეტრს შეხედე – დილაა და უკვე 23 გრადუსია.

– მერე რა! – ძალით ცდილობს ჩემთვის პალტოს ჩაცმას, – სამაგიეროდ, ქარია!

– გამანებე რა თავი, მე თვითონ მოვუვლი ჩემს თავს!

სამსახურში განყოფილების გამგე მიშრობს სისხლს:

— ეს გრაფიკი არ ვარგა. ტყუილად გიმუშავია, ახლებურად გააკეთე! — და მიწყებს ლათაიებს იმაზე, რაზეც მან ახლა გაიგო და მე კი ათი წლის წინათაც ვიცოდი. მთავარი კი ისაა, რომ ტყუილად მამუშავებს, მაწვალებს და ბოლოს კი გამოჩნდება, რომ ჩემს მიერ შესრულებული გრაფიკი სჯობდა... მაგრამ იძულებული ვარ, ვუსმინო და თავი ვუქნიო — ცნობილია, უფროსი ყოველთვის მართალი ბრძანდება...

შუადღეზე ჟურნალის რედაქციაში მივედი, ორი მოთხრობა მქონდა დატოვებული. ლიტერატურულმა თანამშრომელმა, — გამხდარმა, შუახნის ქალმა, — მანახა ჩემი მის მიერ "ლიტერატურულად დახვეწილი" მოთხრობები, რომლებიც, მართალი გითხრათ, ვერც კი ვიცანი, იმდენად იყო ნაჯიჯგნი და გადასხვაფერებული. თან დიდხანს მიჩიჩინებდა, როგორ უნდა დამეწერა. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ თვითონ მას სიცოცხლეში ერთი პატარა ჩანახატიც კი არასდროს შეუქმნია, არამცთუ მოთხრობა ან რომანი...

საღამოს დიღმის დასახლებაში ნათესავის პანაშვიდზე დას შევხვდი. როცა სადარბაზოდან გამოვედით და ჩვენ-ჩვენ სახლებში უნდა წავსულიყავით, ამიხირდა:

— აგერ ლევანს ადგილი აქვს მანქანაში, მეტროს სადგურამდე წაყევი!

— არ მინდა, ფეხით მინდა, გავისეირნო.

— რატომ არ გინდა, არის ადგილი და გამოიყენე, — არ მომეშვა და.

— ფეხით გასეირნება მირჩევნია, არც შორსაა.

— მერე რა, რომ ახლოა, ჩაჯექი, ჩაჯექი!

— კარგი რა, რას გადამეკიდე, დამანებე თავი. იქნებ არ მინდა მაგის მანქანაში ჩაჯდომა, ძალაზე ხარ?!. — ოდნავ გავღიზიანდი კიდეც.

წამოვედით, მივედით ავტობუსის გაჩერებასთან.

— დაჯექი ამ ავტობუსში, პირდაპირ მეტროს სადგურთან მიგიყვანს, — მეუბნება და.

— ქალო, ხომ გითხარი, ფეხით ვაპირებ წასვლას!

— ფეხით რა გინდა, ავტობუსით არ ჯობს? ხუთ წუთში იქ იქნები.

— ჩემთვის არ ჯობს.

— რა სულელი ხარ ამხელა კაცი, არ გეზარება ამ სიცხეში ფეხით ჩანჩალი?!.

პასუხი აღარ გავეცი — ახირებულთან დავა მართლაც სისულელე იქნებოდა.

— ნახვამდის, — ესღა ვუთხარი და ფეხით გამოვწიე... მინდა, შინ მისვლამდე ანუ აღზრდის თუ ჭკუის დარიგების მორიგ გაკვეთილამდე დრო გავიხანგრძლივო...

შენც ხომ არ მეტყვი რაიმეს ჭკუის სასწავლს?

დიდად მადლობელი ვიქნები!

1993

ტყუილად მილოცავ გაბედნიერებას...

(ერთი კვირის დაქორწინებულის მონოლოგი)

დიდი მადლობა მოლოცვისთვის, ერთი კვირის წინ გავბედნიერდი... რა გითხრა, აბა, რა დღეში ვარ... მეც ცოლი ვითხოვე ვითომ! ხომ ხედავ, რა დრო დადგა — ხელის მოწერის შემდეგ ცოლი შინ წავიყვანე... ტროლეიბუსით! კიდევ კარგი, ტროლეიბუსის ფული მაინც მქონდა, ბედმაც გამიღიმა და შუა გზაზე დენი არ გამოირთო! წარმოიდგინე, რა განწყობილებით მივიყვანე ახალშერთული ცოლი შინ: გათბობა არ გვაქვს, ცხელი წყალი არც კი მახსოვს, უკანასკნელად როდის გამოუშვეს და ცივიც ხშირად 2-3 დღით გაწყდება ხოლმე... დენიც ხშირად ითიშება, თანაც მაინცდამაინც საღამოობით... ტელევიზორსაც კი რომ ვერ უყურებ, მეტი რაღა გინდა!

ჰო, კიდევ — ღამღამობით ხშირად ისმის სროლა, თან ქუჩებში ისეთი სიბნელეა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტან... პურის რიგში ორი-სამი საათი მაინც უნდა იდგე ყინვასა და ქარში; მერე, ხომ იცი, ჩვენსკენ, გარეუბანში, რა ქარი იცის... ჩემი ხელფასი პურის ფულად გაჭირვებით გვეყოფა და სხვა არაფერი გვჭირდება? ტრანსპორტით მგზავრობა როგორ გაძვირდა, ტელეფონის და ფოსტა-ტელეგრაფის მომსახურებაც. კიდევ კარგი, ტელეფონი არ მაქვს, ესეც რომ გაგიხარდება კაცს! ღმერთმა ყველა ჯანმრთელად და ტანმრთელად ამყოფოს, ვთქვათ და ავად გახდი — რას შვრები შვილოსა? რომც გამოჯანმრთელდე, წამლისა და ექიმის ფულს თან გადაჰყვები, ვალები დაგახრჩობს. აწი დღეობაზე თუ წვეულებაზე თუ წახვალ, იღლიაში ერთი პური უნდა ამოიჩარო, თუ ორის ყიდვის შესძლებ — მთლად კარგი, უკეთესი საჩუქარი რაღა გინდა!

ახალშეუღლებულები ვართ, ხომ გვინდა, — გვინდა კი არა, აუცილებელია, — ნათესავ-მეგობრებში გავიაროთ, ვესტუმროთ — ამასაც კარგა ხნით უნდა შევეშვათ, გადავდოთ... გადავდოთ ახალი

ტანსაცმლისა თუ ათასი სხვა რამის შეძენა... რას იზამ... ვსხედვართ ასე ბაიყუშებივით სიცივესა და სიბნელეში, ნახევრადმშივრები.

არა, ძმაო, ნაღდად მალე გამექცევა ცოლი და ტყუილად მილოცავ გაბედნიერებას!

1999

რიგობია

(ფილოსოფიური განსჯისადმი მიდრეკილის მონოლოგი)

იფ, რა მხიარული დროება გვეახლა! წინათ თუ მოქალაქენი თავთავიანთ ბინებში-სოროებში იყვნენ შეყუჟულნი და ნათესავებთანაც კი იშვიათად ჰქონდათ ურთიერთობა, ახლა, ამ დალოცვილ ხანაში, ყველა სახლგარეთ დაწანწალებს – იქნებ რამე სარჩო შედარებით იაფად ვიშოვოო... თუ რამე გამოჩნდა მაღაზიაში (არ აქვს მნიშვნელობა, სახელდობრ რა), ყველაფერზე მაშინვე უუგრძესი რიგები იჭიმება – ყაყანით, ჯიკავით, მიწევ-მოწევით და ზოგჯერ ჩხუბითაც. სამაგიეროდ, რიგობიას ერთგვარი გამაერთიანებელი ფუნქციაც აქვს: ხალხი წლობით უნახავ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს სწორედ აქ ხვდება; რიგობიამ ვინღა არ გააცნო ერთმანეთს, ზოგი კი დაანათესავა კიდეც, აბა!..

ამას წინათ ცოლი დილაუთენია ყინვა-ყიამეთში წავიდა რძის ნაწარმის საყიდლად მაღაზიაში. კილომეტრიანი რიგი ქუჩაში იყო გაჭიმული, ორი საათი იყურყუტა, გაითოშა; ბოლოს, მოიტანეს რძე და ხაჭო და ისეთი ზედახორა შეიქნა, რომ იმ ორომტრიალში და აყალმაყალში დაჰკარგა ცალი ქოში, ჩამოუხიეს ჩანთა, ხალათზე ასძვრა ორი ღილი და იმითაც კმაყოფილი იყო, რომ ცოცხალი გადარჩა. მოლასლასდა შინ პირში ჩალაგამოვლებული, გამოფიტული და ბოღმით გასივებული...

წავედი სამსახურში, შესვენებაზე ვხედავ, ბუფეტში მოიტანეს ხაჭოც და არაჟანიც; ყოველგვარი რიგის გარეშე ვიყიდე ორივე და მივიტანე შინ. ცოლს თვალები გადმოუცვივდა გაკვირვებისგან და ენაც წაერთვა – აღარ იცოდა, გახარებოდა თუ გაბრაზებულიყო... მერე მისაყვედურა, რატომ რძეც არ წამოიღეო (თუმცა კარგად იცოდა, რომ ბუფეტებში რძე საერთოდ არ მოაქვთ ხოლმე)!

როგორც ჩანს, რიგობია აერთიანებს კიდეც მშრომელ მასებს და ამავე დროს ხელს უწყობს ურთიერთ განცალკევებასა და გათიშვას.

P. S. დაწერილია შავად 1990 წელს, გადაწერილია 1996 წლის იანვარში. რიგობია, მადლობა ღმერთს, მოისპო, მაგრამ სამაგიეროდ, უარესი დაგვემართა: დაიხურა და გაიძარცვა-განადგურდა ფაბრიკა-ქარხნები, გაჩანაგდა სოფლის მეურნეობა – მოისპო შემოსავალიც... რა გინდა, სულო და გულო, ყველაფერი ყრია ოხრად, – აქამდე მხოლოდ კინოში ნანახი ქოქოსი და ანანასიც კი, – მაგრამ რად გინდა, ხალხის დიდი უმრავლესობა პურის ფულს თუ შოულობს, ზოგი – იმასაც ვერა...

რჩევა, რჩევა, რჩევა...

(წვეროსანი მამაკაცის ნაამბობი)

მართლა მიხდება წვერი თუ დამცინი? კარგა ხნისაა – სამი თვეა, წვერი არ გამიპარსავს. წვერი კი არ მომიხდა, როგორც შენ ამბობ – მე მოვფერიანდი, გუნება-განწყობილება გამომიკეთდა. ხომ იცი, სულიერად დაწყნარებული ადამიანი ყოველთვის უფრო ლამაზი ჩანს, ვიდრე აფორიაქებული.

რატომ გადავწყვიტე წვერის მოშვება? არა, მოდა აქ არაფერ შუაშია, არც ვგლოვობ ვინმეს. თუ გცალია, ორიოდე სიტყვით გიამბობ.

ამ სამი თვის წინ გადამეწვა ჩემი ელექტროსამართებელი და გადავწყვიტე ახლის ყიდვა. სისულელე ვქენი – ხმამაღლა წამომცდა ჩემი განზრახვა და შინაურები მაშინვე დამესივნენ რჩევა-დარიგებებით. ხომ იცი, ოღონდ ქალს სალაპარაკო მიზეზი მიეცი და მის გაჩერებას საშველი არ დაადგება...

ჯერ ბებიაჩემმა დამმოძღვრა: ელექტრონია თუ რაცხა ჯანდაბა, რამე ფარცაგი არ შეგემთხვას, ძველებური სამართებელი ჯობიაო; ცხონებული ბაბუაშენის "ზოლინგენი" ეგდო სადღაც და მოძებნეო. მერე დედაჩემი ამიხირდა: მამაშენი მთელი თავისი ცხოვრება უსაფრთხო სამართებლით იპარსავდა, რად გინდა, შვილო, ფული ტყუილად გადაყარო ელექტროსამართებელში, ან ძველებურ სამართებელში რა ყრია, მიუჩვეველი ხარ, გაიჭრი კანს, საშიშიაო. ცოლი კიდევ რის ცოლია, თუ კი-

დევ უფრო არ არევ-დარევს საქმეს, ნერვებს არ მოგიშლის... ჩაეკვეხა არამკითხე მოამბესავით: რა ჭირად გინდა უსაფრთხო სამართებელი, სად გაქვს ახლა მაგის დრო – აქაფო, აქეთ – ცხელი წყალი, იქით – პირის დაბანა და სამართებლის რეცხვა; თან მეშინია, ბავშვებმა არ მოჰკიდონ ხელიო; ყველას ჯობს, ისევ ელექტროსამართებელი იყიდო – სამი წუთი და გალამაზებული ხარ!

სხვა ქალები მაშინვე ეცნენ: დენი თუ არ იქნა, მაშინ რა ქნას, სად შეუერთებს იმ შნურს? ცოტა უზრდელადაც მიუთითეს, სადაც შეიძლებოდა შეერთება... მოკლედ, კინაღამ ცოცხლად შემჭამეს გაუთავებელი რჩევებით, ყაყანებენ, დავობენ, ერთმანეთს არ უსმენენ, ყველა თავისას გაიძახის – სულ ერთსა და იმავეს, აღარ მობეზრდათ და აღარა... გამისკდა თავი, კინაღამ ჭკუაზე შემშალეს. წავედი ქუჩაში სახეტიალოდ – და გენიოსური აზრი დამებადა – წვერი საერთოდ არ გამეპარსა! ფულიც დამეზოგება, დროც და რჩევებსაც გადავურჩები!.. მაგრამ ახლა ამაზე ამიხირდნენ – წვერს რატომ არ იპარსავო. სანამ საქართველო და-მონებულია, ასე უნდა ვიარო-მეთქი – ჩავაწყვეტინე ხმა და ვარ მას აქეთ მოსვენებული... სხვა მხრივაც მოგებული დავრჩი: თუ რამე სანერვიულო შემხვდა, წვერზე ჩამოვისვამ ხელს და საოცრად დამაწყნარებლად მოქმედებს, საოცრად! რად გინდა ექიმი და ფსიქოთერაპია! სინჯე შენც! ჩამოვაყალიბოთ წვეროსანთა კლუბი, ვისვათ წვერებზე ხელი და ვისაუბროთ სასიამოვნო თემებზე. თან, ხომ იცი, ძველთაძველი ჭეშმარიტებაა: ნამდვილი მამაკაცი, ვაჟკაცი, წვერს უნდა ატარებდეს!..

1985

შენ ქათამი გჯობნის!

(შემოჩენილი მეგობარი კაცის მონოლოგი)

ლამრიკო, შენ ისეთი კარგი ქალი ხარ – ლამაზი, ნიჭიერი, მონდომებული... სამეცნიერო შრომები გაქვს, გაფასებენ, შენს აზრს წონა აქვს; დისერტაციაც დაიცავი, მეცნიერებათა კანდიდატი გახდი... მერე რა? როგორა ხარ, კარგად? ბოდიში და, როგორი მათხოვარიც იყავი, ისეთი ხარ ახლაც! რათა მერე? ცოდვა არ ხარ? დღეს შენ რა ხარ? არაფერი, არაფერიც არ ხარ... შენ სულ სხვა აზრები გექნებოდა, სხვა მისწრაფებები – სხვა პირობები რომ გქონდეს! რატომ გინდა – არაფერი გქონდა და არაფერი გქონდეს? რატომ ამბობ, რომ შენთვის სულ ერთია, რომელი მთავრობა იქნება? შენ ქათამი გჯობნის! არა გჯერა? გინდა, ახლავე დაგიმტკიცო? ამაზე ადვილი რა არის! კარგი, მისმინე. ქათამი დღეში ერთ კვერცხს დებს? დებს! ახლა ბაზარში მიდი, ნახე, ერთი კვერცხი რა ღირს? 400, 450, 500 კუპონი, ხან – მეტიც! კარგი, 400 კუპონი იყოს. ათ დღეში ხომ გვაქვს ათი კვერცხი, ესე იგი, 4000 კუპონი – სულ ცოტა. 30 დღეში ანუ ერთ თვეში ხომ გამოდის 12000 კუპონი? აჰა, დაო, გაჯობა თუ არა ქათამმა? შენ თვეში მაგდენ ხელფასს არ გაძლევენ და თანაც იმ გროშებიდანაც გიქვითავენ საშემოსავლო გადასახადს, რა ნამუსით?

ჰო, ბოდიში, ცოტა გადავამლაშე: ჯერ ცაში აგიყვანე, გაქე და გადიდე – სრულიად დამსახურებულად, რაღა თქმა უნდა, მერე მიწაზე დაგაბერტყე... არა, ლაფში ჩაგაგდე, ჩემო ლამარა... ქათამს შეგადარე, არ არის საწყენი? რა ვქნა, ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი – შენისთანა და ჩემისთანა პატიოსანი, მუყაითი და ნაღდი საქმის კარგად გამკეთებელი ადამიანი დაჩაგრულია... ქათამი გვჯობნის, ქათამი! რაღა უნდა თქვა კიდევ... ქათამი რომ ადამიანს აჯობებს, ის ქვეყანა ქვეყანაა? და იმ ქვეყნის მთავრობა – მთავრობაა?!.

1993

პარაფსიქოლოგის მეგობრის მონოლოგი

დიდი ურწმუნო თომა ხარ, ჩემო კეთილო... არ გწამს არც წინასწარმეტყველები, არც ასტროლოგები, არც ღმერთი და არც ბედისწერა. იყოს ნება შენი... მე ერთ ამბავს მოგახსენებ, ზღაპრადაც ჩამითვალო იქნება, შენი ჭკუის მოწყობის გამო, მაგრამ მაინც მომისმინე – რა გენაღვლება, ამაში ფულს კი არ გთხოვ!..

ჰო, იმის თქმა მინდოდა... კანჭაძე არის ერთი, ჩემი მეგობარია, ფსიქოპათოლოგი. იქნებ შენც გაგიგონია მისი სახელი, ცნობილი ექიმია. მკურნალობდა პაციენტებს ჰიპნოზით თუ შეგონებით, საოცარი ძალა ჰქონდა, საოცარი. მისი სახლის ეზოში მუდმივად ირეოდა სხვადასხვა კუთხიდან ჩამო-

სული გაჭირვებული ხალხი, გრძელი რიგი იდგა. ჰოდა, როგორც მოსალოდნელი იყო, აუჯანყდნენ ამ კანჭაძეს მთელი ქალაქის ფსიქიატრები თუ ფსიქოლოგები – იმათ აღარავინ ეკარება, ყველანი კანჭაძის კლიენტები გახდნენ. ასტეხეს ერთი ამბავი: ეგ კანჭაძე აფერისტიაო, თაღლითი, მატყუარა მამაძაღლიო; რა ძალა უნდა ჰქონდეს ისეთი მაგის ვითომ მკურნალობას, თვითმარქვიაა, განათლება არ აქვს, უდიპლომო ყალთაბანდია, ხალხს ყვლეფსო... ამათი ავადმყოფები გადაიბირა კანჭაძემ და, ცხადია, იმაზე არიან აღრენილები.

კარგიო, დაენიძლავა ეს ჩემი ამხანაგი კონკურენტებს, მე გაჩვენებთ, რა ძალაც მაქვს, თუ გინდათ, ლომს ნახტომში გავაჩერებო.

ზოოპარკის ლომი ორი კვირა აშიმშილეს, რომ უფრო ბრაზიანი ყოფილიყო, ვითომ ლომს მისი ლომობა არ ეყოფოდა. ცოტა მეტი კი მოუვიდათ – საწყალს კინაღამ ფეხები გააჭიმვინეს...

ჰოდა, გაუღეს გალიის კარი და მიუშვეს კანჭაძეზე!

ისკუპა ლომმა და შუა ნახტომში გაშეშდა!.. გაწვა მიწაზე და თავი დადო თათებზე.

მივიდა კანჭაზე, თავზე ხელი გადაუსვა, მიეფერა...

მოკაკვეს თითი ექიმებმა.

უარესად დაესივნენ კანჭაძეს პაციენტები.

ვეღარ აუდის ამდენი ხალხის მომსახურებას.

როცა მეტისმეტად მომრავლდნენ მასთან განკურნების მსურველნი, სადღაა სრული პროცედურების ჩატარების დრო! და შემოკლებული ვარიანტით მშვენივრად გადიოდა იოლას. იმდენად ძლიერი ძალა ჰქონდა შთაგონებისა (თუ შეგონებისა?), რომ პაციენტს უბრალოდ ჩამოართმევდა ხელს და ეს სრულიად საკმარისი იყო და ისიც, მადლიერი, ჩაუდებდა ხელში ხუთმანეთიანს... მაშინ ხუთი მანეთი კარგი ფული იყო!

ერთხელ შემხვდა რუსთაველზე, გაუხარდა, ჩამომართვა ხელი და მე მაშინვე ხელში ხუთმანეთიანი ჩავუდე...

როგორ გამიბრაზდა!..

გამომეკიდა და ძლივს გავასწარი ცოცხალი!..

1993

ვაშლის მოყვარულის მონოლოგი

კაცო, ისაკ, ბაზარში შემხვდი, ხომ იცი!.. არა, ცოცხლად კი არ გნახე, ცოტა სხვანაირად იყო საქმე – სიზმარში გამომეცხადე... შევედი ვითომ ბაზარში, კარგი ვაშლი მინდა, ვიყიდო. ერთი თეთრებში გამოწყობილი თეთრწვერა კაცი მეუბნება, ისაკას მეზობელი არ ხარ შენო? კი-მეთქი, ვეუბნები. აბაო, აგერ 60 ვაშლი მაქვს და მასთან უნდა გაგატანოო; შეხედე, რა კარგი ვაშლია, სულ ნარჩევიო. კარგი-მეთქი, წავუღებ – ცალი ხელი თავისუფალი მაქვს, თანაც მეზობელია, არ გამიჭირდება-მეთქი. შენო, მეუბნება, თითო წელსო, არა, თითო ვაშლი უნდა მისცე ისაკასო და გამოდის, ჩემო ისაკ, რომ... ახლა რამდენი წლისა ხარ? ორმოცის? მაშ გამოდის, რომ 100 წელს იცოცხლებ, სულ ცოტა... ჰო, გამომეღვიძა და ის სიზმარში ნახული უნდა ავასრულო უეჭველად. 100 წლის სიცოცხლე გარანტირებული გაქვს ნაღდად, ოღონდ ყოველ წელს ერთი კილო ვაშლი მომიტანე და იქიდან ერთ ცალს მოგცემ ხოლმე, ყაბულსა ხარ?.. ახლა ბაზარში ხომ არ მიდიხარ? ერთი კილო საუკეთესო ვაშლი უნდა მომიტანო, ფასს ნუ შეუშინდები, მთელი წელი უნდა გაგყვეს იმისი მადლი!..

1993

გააჩერე, გააჩერე!

(ავტობუსით ნამგზავრის მონოლოგი)

გამარჯობა, აქეთ მოდიხარ? კარგი, ფეხით გავისეირნოთ... ავედი ავტობუსში, უფრო სწორედ, შევეკვეხე, შევეჭყლიტე, კიდევ უფრო სწორედ – შემტენეს. ვცდილობდი, კარებს დიდად არ მოვცილე-

ბოდი, მალე უნდა ჩამოვსულიყავი – სამი გაჩერების შემდეგ, გაჭედილ სალონში კი გამიჭირდებოდა ხალხის დიდი მასის გარღვევა.

ყოველი მხრიდან მაწვებიან მგზავრები, სუნთქვა მეკვრის, თითქოს მეტისმეტად მოჭერილ კორსეტში ვზივარ, ღმერთო, შენ მიშველე! მგზავრი კი ემატება და ემატება, ლამის არის, გამსრისონ... უკვე აპრილი დადგა, მაგრამ ხალხი პალტოებსა და ჯუბებს ვერ ელევა.

როგორც იქნა, ავტობუსი დაიძრა და გრილი ჰაერის ნაკადის გაოფლილ სახეზე მოლამუნება ოდნავ შვებას მგვრიდა. კიდევ კარგი, მალე უნდა ჩავიდე და ამ ტანჯვას ბოლო მოეღება, თუ, რასაკვირველია, შოფერმა დროულად გააჩერა ავტობუსი.

– ახმეტელის ქუჩასთან გააჩერე! – გავძახე შოფერს, თადარიგი დავიჭირე. რაღაც საგარეუბნო ავტობუსს ჰგავს და მეშინია, სადმე ჯანდაბაში არ ჩამიყვანოს.

ხალხს ეგონა, რომ მაშინვე ჩავდიოდი და დაუწყეს შოფერს ძახილი:

– გააჩერე, გააჩერე!

– არა, ჯერ არა, ახლა არ გააჩერო! – ავყვირდი მეც. – ჯერ არა, ახმეტელის ქუჩასთან გააჩერე!

– გააჩერე, გააჩერე! – იძახიან ერთნი.

– არა, ჯერ არ გააჩერო, ახლა არა, ჯერ არ ჩავდივარ! – ვიძახი.

– გააჩერე, გააჩერე, თორემ... – ჩემს უკან ისმის ვიღაცის ხრინწიანი გინება.

– არ გააჩერო, ჯერ არ ჩადის! – გასძახიან შოფერს ერთნი.

– გააჩერე, გააჩერე, ჩადის! – ეუბნებიან მეორენი.

შოფერი დაბნეულია, ხან შეანელებს სვლას, ხან მოუჩქარებს, ბოლოს – არ გააჩერა და სვლას უმატა.

– გააჩერე, შენი... – აღრიალდა ჩახრინწულხმიანი, უშვერად იგინება, ეტყობა, მთვრალია.

მე გატრუნული ვარ, ეს გონებაარეული ვიღაც არ ამიშარდეს, გაჩერებას რომ ვეწი-ნააღმდეგებოდი.

– ჯერ არ გააჩერო! – ისევ იძახიან ერთნი.

– გააჩერე!.. – ღრიალებენ მეორენი.

როგორც იქნა, ავტობუსი მაინც გაჩერდა, მთვრალი ბუღრაობს, მითელავს მგზავრებს, ჩასასვლელად გზას იკვალავს. მეც მივყევი, ჩასასვლელად კარებთან დროულად დავიკავებ ადგილს... მაგრამ ბოლო წამს – ავტობუსი უკვე დაიძრა – ქვეცნობიერად ვიშვირე ფეხი და ფილაქანზე ჩამოვხტი, ჭადარს მიყრდნობილ მთვრალს კინაღამ შევასკდი.

სისულელე მომივიდა, რას გადავეკიდე ამ დახუთულ ავტობუსს, ჯობდა, თავიდანვე გამომესეირნა, არაფერი მიჭირდა. ვიაროთ, გრილი ჰაერი ჩავისუნთქოთ; ხეები შეფოთვლას იწყებენ, საამო სანახავია მათი ხასხასა მწვანე...

კიდევ კარგი, ის მთვრალი გამოტყვრა და ავტობუსი გააჩერა! არადა, რა ხაფი ხმით ვყვიროდი: "არ გააჩერო!" ხედავ, ხმაც კი ჩამეხრინწა...

1994

ვითომ ანუ მოტყუების დღესასწაული

(იმედგადაწურული კაცის მონოლოგი)

აი, ასეთ ეპოქაში ვცხოვრობთ – ყველა ყველას ატყუებს: ვითომ დემოკრატია, ვითომ ხელფასი, ვითომ წინსვლა, ვითომ მდგომარეობის სტაბილიზაცია, ვითომ მშვიდობა, ვითომ კანონიერების უზენაესობა, ვითომ ერთიანობა, ვითომ ქვეყნის მშენებლობა...

ვითომ...

ვითომ...

ვითომ...

ყოველდღე გვმოძღვრავს პოლიტიკური თეატრის დიდი ტაკიმასხარა – ვითომ ბრძენი, ვითომ ქვეყნის გადამრჩენი, ვითომ დემოკრატი, ვითომ დიდი პოლიტიკოსი, ვითომ მამულიშვილი...

ვითომ...

ვითომ...

ვითომ...

ვითომ სახელმწიფო, ვითომ მთავრობა, ვითომ პარლამენტი, ვითომ პოლიტიკოსები, ვითომ არმია, ვითომ პოლიცია, ვითომ კანონები, ვითომ ბიზნესმენები, ვითომ ოპოზიცია, ვითომ არჩევნები...

ვითომ...

ვითომ...

ვითომ...

ერთი და იგივე კარგიც მოგბეზრდება და ცუდზე რაღა ვთქვათ – რა ამბავია ამდენი "ვითომ"? ყოველი დღესასწაული ადრე თუ გვიან მთავრდება, მოტყუების დღესასწაულსაც ხომ როდისმე უნდა ბოლო მოეღოს? არ გვეყოფა ვითომ ამდენი "ვითომ"?..

1995

წვიმაში მოხვედრილის მონოლოგი

საღამოსპირს სამსახურიდან მოვდიოდი და როცა მეტროს სადგურ "ვარკეთილიდან" ქუჩაში გამოვედი, თითქოს ჩემს გამოჩენას ელოდაო, უბედურმა წვიმამ დასცხო – დაწიოკდა ხალხი, გარბის ფაცხაფუცხით... მე შევეფარე იქვე მაღაზიის წინ ტენტით გადმოხურულში, თან კიბესთან გამართულ პატარა ბაზრობას ვუყურებ. საოცარია, წვრილმანი რაღაც-რაღაცეების გამყიდველები არც აპირებენ დაბეგვებული ადგილების დატოვებას. წაუფარებიათ თავზე ზოგს – გაზეთი, ზოგს – მუყაოს ნაჭერი, სხვებს – ვისაც რა მოუხერხებია, გაჭირვებულნი არიან. ერთი ახალგაზრდა, – შავგვრემანი, წვერგაუპარსავი, – ჩემს გვერდით დგას და თავსხმა რატომღაც ძალიან ახარებს. ეტყობა, ვალუტის ყიდვა-გაყიდვით არის დაკავებული, ახლაც კი გაჰყვირის: "ვიყიდი კუპონს!.. ვიყიდი კუპონს ყველაზე მაღალი კურსით!" წვიმაში ხალხი გარბი-გამორბის, ვინ აქცევს ყურადღებას! ის კი ხალისიანად ყვირის: "ვიყიდი კუპონს! სწრაფად და იაფად!" ვა-ა!.. გაჰყვირის და გაჰყვირის, თანაც მხიარულად, ხუმრობით: "აბა ჩქარა, რიგი დადგა!" მისთვის ახლა ვის სცხელა, მაგრამ ეს სულაც არ ანელებს მის ენთუზიაზმს, მგონი, წვიმის თავხედური თარეში კიდეც ახალისებს! საქმეს რომ მოცდა, სრულებით არ ნაღვლობს, მუჭში ჩაბღუჯულ კუპონებს, მანეთიანებს, დოლარებს მაღლა სწევს, ხელს იქნევს და გაჰკივის: "ვის გაქვთ ცხელ-ცხელი კუპონი, სწრაფად ჩემსკენ! შებრაწული, მოხრაკული, პილპილიანი, მარილმოყრილი!" უჰ, რა მოძრავი, ცინცხალი, მოუსვენარი ყმაწვილია! ერთ წამს ვერ ისვენებს, მყისვე ეხმაურება ყოველ წვრილმანს... "ვიყიდი ქოლგას!" – დაადევნა ფეხაჩქარებულ ჭრელქოლგიან ქალიშვილს; "გოგო, ვიყიდი შენს ჭრელფოჩიან ჩანთას!" – ებაზრება მეორეს. უცებ მოტრიალდა და გვერდზე წვიმისგან მჭიდროდ შეყუჟულ-შემჭიდროებულთ შეუტია: "გაიწიეთ იქით, რას ჩამეხუტეთ, კუბოში ვარ?", შემდეგ ისევ ხალხისგან აზიმზიმებული ქუჩისკენ ყვირის: "ვიყიდი წვიმას!.. არ გინდათ? მაშინ გავყიდი კუპონს!"

"კუპონი დიდი ხანია, გაყიდულია!" – ვფიქრობ გუნებაში და კიდევ კარგი, რომ ხალხი სასოწარკვეთას მაინც არ მიეცა და ხუმრობას არ იშლის!

1996

შინ დასაბრუნებელი ფული

(ყოფილი ემიგრანტის ნაცნობის მონოლოგი)

კი, ბატონო, საყოველთაო გასაჭირია, გაძლება ძნელია – სამუშაო არ არის, საშინელი სიძვირეა, საქმის გამოკეთების, ეკონომიკის წინსვლის იმედები გაქარწყლდა... აღარ იცი, და ქნა... მაგრამ შენი სამშობლო მაინც არ უნდა დატოვო, ეს უდიდესი შეცდომაა! ამბობენ, ერთ მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა საქართველო და უცხოეთში გაქცეულთა ნაკადი არ წყდებაო. ყველაზე აქტიური და შრომისუნარიანი ნაწილი მოსახლეობისა აკლდება ქვეყანას – ეს ხომ ერს დაღუპვას უქადის... თანაც ისიც ვიკითხოთ, წასულები რა დღეში არიან იქ, უცხო მხარეს? გასაცოდავებულნი, დაჩაგრულნი, დაჩაჩანაკებულნი... ყველაზე მძიმე და ყველაზე ჭუჭყიანი სამუშაო უნდა შეასრულო, თანაც გროშებს გაძლევენ... თუ ხილს კრეფ – სეზონური სამუშაოა, დროებითი და უამრავი მსურველი აწყდება: ჰო, თუ ხილს კრეფ, დღიურ ნორმას დაგიწესებენ და თუ ვერ შეასრულე, სულ არაფერს გაძლევენ. ასეა სხვა სამუშაოზეც – თუ ვერ მოასწარი დადგენილი მოცულობის შესრულება, მუქთად გიმუშავია და ეგ არის... გაძლება არ გინდა? ახლა დამცირება? მათხოვარი ხარ და მათხოვარ-

ზე უარესიც! კარგი, თუ ძმა ხარ, როგორ თუ რა უნდა ქნა? იქ რაღა დაგრჩენია, რას ეძებ? როგორც უნდა გიჭირდეს, მაინც შენს სამშობლოში უნდა დაეტიო, შენს ნაცნობ-მეგობრებში და ნათესავებში. არა გჯერა? ახლა ერთ ამბავს გიამბობ, ნაღდ ამბავს, დანარჩენი შენ თვითონ განსაჯე.

ერთი ჩემი ნაცნობი წავიდა საბერძნეთში – სადამდე ვიყო ასე გაჭირვებული, ქვეყანა ხალხი მიდის, მეც წავალ, ორიოდე გროშს მაინც ვიშოვიო. თან ხნიერი კაცია, რამ ააწოწიალა, ეგაა, სიბერეში კაცი ბრძენდებაო? იქ, ძმაო, თუ 50 წელზე მეტი ხნისა ხარ, არავინ დაგელა-პარაკება, ყველა ჯან-ღონით სავსე ხალხს ეძებს. ის კი არა, ახალგაზრდებსაც უჭირთ; თუ ჭურჭლის მრეცხავის ან მენაგვის საქმე იშოვეს, იმაზეც გახარებულნი არიან. თვეობით დაძრწიან სამუშაოს ძებნაში. ათენში, პარკში, სკამებზე ქართულად აწერია თურმე: "ბესო", "ვაჟა", "ანზორი" და სხვა სახელები, აბა! ეს არის ემიგრანტთა "აპარტამენტები", და კაი ბიჭი ხარ, სხვის "ადგილს" დაიკავებ დასაძინებლად! იარა, იარა ამ ჩემმა ნაცნობმა, თუნდაც პავლე დავარქვათ, ვერაფერ ხეირს ეწია, შიმშილით სული სძვრება, არავინ აძლევს საქმეს. ნაცნობები ჰყავდა, – იქ ადრე ჩასული ქართველები, – ისინიც დარბოდნენ, იჩალიჩეს, ივაგლახეს და, როგორც იქნა, დიდი გაჭირვებით ერთგან გაუჩარხეს რაღაც საქმე. გაუხარდა პავლეს უზომოდ, შინ დასაბრუნებელ ფულს მაინც გავაკეთებო, ერთი ჩემი სამშობლოს მიწაზე დამადგმევინა ფეხი და მერე თუნდაც მომკლაო. იმდენი იმღელვარა, რომ წნევამ აუწია, ცუდად გახდა... ჯერ მუშაობა არც ჰქონდა დაწყებული. რაღა გინდა, რომ ქნა? აწრიალდნენ მისი დამქირავებელი "მასპინძლები" – დაახვიეს ექიმები, არ ჩაგვაკვდეს ხელშიო, წამლებიც თვითონ უყიდეს... როცა ცოტა მომჯობინდა, საბუთების გაფორმებაზე იზრუნეს, შინ დასაბრუნებელი ბილეთიც უყიდეს, საგზალიც გამოატანეს – ოღონდ შენ წადი, ხათაბალას ნუ გადაგვკიდებო. ჩასვეს ავტობუსში და გამოამგზავრეს ჩვენი პავლე, გზა დაულოცეს. დაბრუნდა შინ, მოკლედ, გადარჩა... პავლეს კარგი ხალხი შეხვდა, გამგებიანი, ყველას ხომ ასე არ გაუღიმებს ბედი, რად გინდა, შენი ძვლები სადღაც უცხო მხარეში უსახელო საფლავში ჩაყარო? სამწუხაროდ, სანამ საკუთარ ცხვირპირს არ შეალეწავ, მანამდე სხვისი უბედურება შენთვის ჭკუის სასწავლებლად უნაყოფოა; პავლე რომ დაბრუნდა, ორ თვეში მისი ცოლისძმა გაემგზავრა საზღვარგარეთ...

1996

მე მინდა...

(ოპოზიციურად განწყობილის მონოლოგი)

მე მინდა, ჩვენი ხონთქარი კიდევ რამდენიმე წელს იჯდეს ტახტზე! რატომ? იმიტომ, რომ მეტს მაინც ვეღარაფერს გააფუჭებს, ამაზე ქვევით ერისა და ქვეყნის მოთხრა და დაქცევა შეუძლებელია. სამაგიეროდ, გარშემო რომ თავისი გაზრდილი და გაწვრთნილი მამაძაღლები ახვევია, იმათგან დღეს ერთს წააწყვეტს თავს, ვინც აღარ სჭირდება, ხვალ – მეორეს, რაიმეთი რომ არ მოეწონება, ზეგ – მესამეს, ბნელი საქმის მოწმეს ან თანამოსაქმეს... გაუჭირდება თუ რა: გარშემო სულ ცოდვილი, ჭუჭყიან საქმეებში გასვრილი, მოსყიდული ხალხი ჰყავს შემოკრებილი და, როცა უნდა, მაშინ დაიჭერს, ყველანი მუჭში ჰყავს გამოჭერილი. ბევრი "თანამებრძოლი" ასე მოიცილა თავიდან, ბევრიც ახლა დევს ნიჩაბზე და თეთრი მელა შესაფერის მომენტს უცდის, რომ სანაგვეზე მოისროლოს... რა ეჩქარება, მოთმინება უსაზღვრო აქვს. მანამდე კი მათ აქებს, ადიდებს, თავისი განუმეორებელი ღიმილით და ორდენით ასაჩუქრებს!.. ჰოდა, როცა მავანს ორდენს უბოძებს, გადაჰკოცნის და დააწინაურებს კიდეც, მორიგი მსხვერპლი "მომწიფებულია"! – ციხეში უკრავს თავს ან სულაც გააქრობს... ბოლოს ჰაერს სულ გაწმენდს მამაძაღლებისგან და ერთი, ყველაზე დიდი მამაძაღლიდა დარჩება – თვითონ!.. მერე კი, ადრე თუ გვიან, ბუნების ძალით ხომ გამოგვემშვიდობება? ჰოდა, მოვისვენებთ... და მაშინ მე მას ვაღიარებ უპირველეს ოპოზიციონერად – ხალხის ყველა მტრის მომსპობად!..

1995

ვეჩხუბები საკუთარ თავს
(ბუზღუნა კაცის მონოლოგი)

ვწევარ ლოგინში, ვძაგძაგებ, ვძაგძაგებ – საწოლს სულ ჭრიჭინ-ჭრიჭინი გაუდის! ცივა ეს ოხერი – გათბობა რამდენიმე წელია, რაც გამოთიშეს, ამ ბოლო დროს ელექტროდენსაც 2-3 საათით თუ ჩაგვირთავენ... ეს ერთი კვირაა თითქმის, სულაც უდენოდ ვართ.

განვლილ დღეს ვიხსენებ და მეცინება...

დილით რის ვაივაგლახით ავადუღეთ ჩაიდანი ნავთქურაზე. ცოლი ბუზღუნებს ("ძალიან ცივა!"), მეც ვბუზღუნებ (ბიჭებს ათასჯერ რომ შეუძახებ: "აბა ჩქარა, დროზე აბრძანდით, ბედოვლათებო, ლექციებზე დაგაგვიანდებათ!", მითხარით, კარგ ხასიათზე იქნები?)... შენ ჩერჩეტო ჩემო თავო, სხვებს, ნახე, რა შვილები ჰყავთ, სულ გლიჯინ-გლიჯინით ჩააბულბულებენ სესიებს, ფრიადოსნის სტიპენდიებიც აქვთ, შენები კი, შენები? ისედაც სულ კაპიკებს (ბოდიში! ახლა – თეთრებს) ითვლი, ზოგჯერ მეტროს ფულიც არ მოგეძევება, ახლა კიდევ ბიჭებმა საგნები დროზე თუ ვერ ჩააბარეს, თავი უნდა მოიკლა და საიდანმე ფული იშოვო, რომ გადაიხადო ჯარიმა და გამოცდაზე ისევ დაუშვან... ან უნდა ეძებო ნაცნობ-მეგობარი, იქნებ გაჭრას პროტექციამ და კვლავ არ გამოაძუნძულონ გამოცდიდან შენი ვაუკაცები პირში ჩალაგამოვლებულები... სიტყვას ეტყვი – და აქეთ შემოგედავებიან ვაუბატონები – სხვებსო, არა, ჩვენსავით მათხოვარი მამა კი არ ჰყავთო, ნახე, რამდენს უდგას შინ გენერატორი, სითბოც აქვთ და სინათლეც, ტელევიზორსაც მშვენივრად უყურებენო... რას ერჩი, მართლები არიან – ასეთ ყინვაში რას იმეცადინებ... "გაიხედე, შე ბედდავსილო, – ჩემს თავს ვეუბნები, – რამდენი უცხოური მანქანა დაგრიალებს ქუჩაში, შენ კი სამოც წელს მიუკაკუნე და ფეხით დაჩანჩალებ ამ ყიამეთში... რა გინდა, რა დაგრჩენია იმ დასაწვავ სამსახურში? რამდენი თვეა, შენთვის ხელფასი არ გადაუხდიათ? 35 წელია, მანდ მუშაობ და უბრალო რიგითი მეცნიერ-მუშაკი ხარ... სადოქტოროს ვინ ჩივის, საკანდიდატო დისერტაცია მაინც მოგეხრჩო... აქამდე ვერ გამოიფხიკე ყურები? დამბლა ხარ, დამბლა – უმაქნისი, უხერხემლო... თუმცა... ჩვენში დარჩეს და სწავლა-განათლება ახლა აღარ ფასობს, ვისდა სჭირდება – უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები და კათედრის გამგეებიც კი შიმშილით სულს ღაფავენ, ხელფასი გზის ფულად თუ ეყოფათ..."

დილდილაობით მივჩანჩალებ სამსახურში; ჯერ ფეხით ჩავდივარ მეტრომდე – სამარ-შრუტო ტაქსისთვის ფული ადრეც მენანებოდა და ახლა ხომ – რაღა სათქმელია. ტროტუარის გაყოლებაზე ჩემზე უფრო გაჭირვებულ (ალბათ!) ხალხს გაუფენია ათასგვარი ხარახურა – გამოუტანია შინიდან გასაყიდად ავტონაწილები, ნაკლული სერვიზები, ბოცები. ბოთლები, მინის ქილები, ნახმარი სახელმძღვანელოები, ლარნაკები, ძველი ტანსაცმელ-ფეხსაცმელიც კი... ალაგ-ალაგ ბიდონებით ნავთს ჰყიდიან, რამდენიმე ადგილას შეშით სავსე სატვირთო მანქანებია ჩამწკრივებული.

ვათვალიერებ გზის პირზე ჩარიგებულ ჯიხურებს. ღმერთო ჩემო, როგორი აჭრელებულია მათი ვიტრინები ფერად-ფერადი ლიქიორებით, ღვინოებით, შამპანურით, კონიაკით, ნაირ-ნაირი ლუდის ბოთლებით თუ ქილებით, ხილის წვენებით და გამაგრილებელი სასმელებით (ამ ყინვაში მაგათ რა დამალევინებს!) და უამრავი მარკის არაყით... ჰო-ჰო, რა ფორმის ბოთლებს არ ნახავ, რა ოქროცურვილი და ვარაყიანი ეტიკეტები ამშვენებს, რაღა არ ახატიათ, უფრო ხშირად – გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები – მაგარი არყებია! "რასპუტინ", "ელცინ", "ჟირინოვსკი", "სტალინ", "მიშა მესხი", "საშა", "გუდაური", "შნაპს", "სმირნოფ", "სემიონოვ", "ლილო", "სტოლიჩნაია", "ტროიკა", "სიბირსკაია ვოდკა", "პოსოლსკაია", "რუსსკაია ვოდკა"... – ყველას რა ჩამოთვლის! ახლა რამდენნაირი სიგარეტი იყიდება, რამდენნაირი შოკოლადი, კანფეტები, ნამცხვრები, ძეხვი, ლორი, კონსერვები, ლობიანები, ხაჭაპურები, ღვეზლები...

მოიცა, ჯიბეები კარგად მოვიქექო, მეტროს ფული ხომ არ დამრჩა შინ?.. ხუთი თეთრი იქით გასამგზავრებლად, კიდევ ათიც მქონია, სულ თხუთმეტი თეთრი... უკანაც დავბრუნდები მგონია, და ხუთი თეთრი დამრჩება კიდეც – რაღა მიჭირს, მდიდარი ვარ! მეტროს წინ გზას ძლივს გაიკვლევ – აქაც უამრავი რამ გამოუტანიათ გასაყიდად. პრიმიტიულად მოწყობილ დახლებზე ან ხისა თუ მუყაოს ყუთებზე, ზოგს – პირდაპირ ასფალტზე გაფენილ გაზეთზე გამოუფენიათ შებოლილი და ცოცხალი თევზი, ყველი, თაფლი, კარაქი, მარგარინი, შაქარი, ბრინჯი, მაკარონი, ვერმიშელი, მზესუმზირის ზეთი, საქონლისა და ღორის ხორცი, ლობიო, ტორტები, ნამცხვრები, ვაშლი, მანდარინი, ფორთოხალი, კარტოფილი, ხახვი, მწვანილი, ბოლოკი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საკანცელარიო ნივთები, წიგნები, წინდები, რძე და რძის ნაწარმი, ლამპები და მისი შუშა, ნავთქურები, ელექტრო-ხელსაწყოები, ელექტრონათურები, ასანთი... დავიღალე ჩამოთვლით,

ბევრი რამ კი ახლა აღარ მახსენდება. ჰო, ამ შუა ზამთარში ტროპიკული ხილის ხილვითაც შეგიძლია დატკბე, აქამდე რომ მხოლოდ კინოში გენახა და ზოგის სახელი აქამდე არც გაგეგონა: კივი, ანანასი, ქოქოსი, ბანანი... მიირთვი, ბატონო! გაიკარ ჯიბეს ხელი, გულიც გაახარე, შინაურებსაც პატარა დღესასწაული მიუძღვენი, ნაცნობ-მეგობრებსაც პატივი ეცი, ნათესავები ხელდა-მშვენებულმა მოინახულე! "სხვა დროს იყოს, შე ბედოვლათო, შენა, – ჩემს თავს ვეუბნები, – ეს ყველაფერი შენთვის არ არის; აგერ მეტროს შესასვლელში ახალ გაზეთებს რომ მისევია ხალხი, შენ ერთ ნომერსაც ვერ იყიდი... თვალების ცეცებას თავი ანებე (თუმცა, ერთ რამეს მაინც უნდა აუცილებლად შეავლო თვალი – იქვე მხატვრების გასაყიდად გამოტანილ სურათებს), ჯობს, დროზე გაიარო, სამსახურში ისედაც გაგვიანდება და ჩვენი მეტროს გადამკიდე, შეიძლება, გზაში გვირაბში გაეჩხირო კიდეც – ერთი-ორი საათით ან მეტადაც, თუ ძაბვა დავარდა ან სულაც გამოირთო დენი"... ხშირ-ხშირად ხდება ასე და ამასაც მივეჩვიეთ, აღარ გვიკვირს, ისევე, როგორც უზომოდ მომრავლებული მათხოვრები, უფრო – ბავშვები და მოხუცები (ბავშვები ხალისიანად დაძვრებიან მეტროს ხალხით გაჭედილ ვაგონში, უტიფრად მოგაჩერდებიან – მოგვეცი რამეო, მოხუცები კი მეტწილად სადგურთა დარბაზებში დგანან კედელთან ან ჩაცუცქულან ხელგაწვდილები და სახე სანახევროდ დაუმალავთ ჩამოფხატული ქუდით ან თავსაბურავით... "ე-ე-ე, – მწარე ხუმრობით შევუძახებ საკუთარ თავს, – მალე იქნებ შენც მოგიწიოს მაგათ გვერდით დგომა ან სულ უნდა დაყიდო, რაც შეგრჩენია ოჯახში... თუმცა, ახლა ყველა საჭმელს დაეძებს, ვის რად უნდა შენი ძველმანები! კარგი ხარ, კარგი, გააგრძელე ასე და ამნაირად და ააშენებ ოჯახს! სხვა რომ გამგელებული დაძრწოდა, ჩალიჩობდა, ფულს ეძებდა, ოქრო-ვერცხლს იძენდა, ძვირფასეულობას, მანქანებს, აგარაკებს ხარბდებოდა, შენ გეძინა მხართეძოზე, შვილოსა? თუ მხოლოდ წიგნების კითხვა, გამოფენების ნახვა, მუსიკის მოსმენა და სხვა ასეთები, წინათ რომ გიტაცებდა, გიშველის დღეს?" – ვეჯაჯღანები საკუთარ თავს... სხვა რაღა დამრჩენია, გულს ვიფხან ჩემივე თავის გაქილიკებით!

სამსახურში სულ ტყუილად მივბანცალდი – თითქმის ყველა ლაბორატორიის კარი გამოკეტილია: დენი არ არის, ოთახებში უფრო ცივა, ვიდრე ქუჩაში; ათ წუთსაც ვერ გაძლებ სკამზე დამჯდარი... ჯამაგირი, რაღა თქმა უნდა, ისევ არ ჩანს და როდის იქნება, კაცმა არ იცის... მეც ვნახე რაღა თავშესაფარი! ასეთ წყალწაღებულ დაწესებულებაში ნორმალური კაცი ოცდათხუთმეტ წელიწადს გაჩერდებოდა? წადი, რამე ნაღდი საქმე გამოძებნე – ქვეყანა ყიდვა-გაყიდვაზეა გადასული, ამით გააქვთ თავი: სადგურის მოედანთან და დეზერტირის ბაზარში ყიდულობენ ბითუმად შედარებით იაფად სიგარეტს, არაყს, კარტოფილს და სხვას, შემდეგ მიაქვთ მეტროთი გლდანის, საბურთალოს, ვარკეთილის დასახლებებში თუ სხვაგან და ოდნავ უფრო ძვირად ჰყიდიან... ან ჯიხურში გამყიდველად დაიწყე მუშაობა – დღეში ორი-სამი ლარი გექნება... დიდი არაფერი, მაგრამ შიმშილით მაინც არ მოკვდები. რომ იძახი, ვაჭრობა არ შემიძლია, ჩემი საქმე არ არისო, ჯერ ბავშვი ხარ, უტვინო და უჭკუო! ხომ მოგეხსენება ძველებური ანდაზა: "აზნაური მჭადს არა ჭამს, მოშივდება და ჭირსაც მომჭამსო". სხვაც წამიკითხავს:

"აქამდინ აზნაურები უწრუწუნებდნენ ქორებსა,
ახლა კი მათი ცოლები უკან დასდევენ ღორებსა"...

თუმცა... ეჰ, ისევ და ისევ "თუმცა" ან "მაგრამ"... მაგრამ მხოლოდ ჩემი უბედურება ხომ არ არის ასეთი საყოველთაო გაჭირვება, რომელსაც ბოლო არ უჩანს... მართლა ყველა ვაჭრობას ხომ არ დაიწყებს, ქვეყანას არ უნდა დაეტყოს ოდნავი წინსვლა? ოდნავი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება? აგერ სულ მალე პურის ფასის მომატებას გვპირდებიან, თანაც ერთბაშად 40%-ით, თან ლარის კურსის სტაბილურობაზეც ქადაგებენ – ნახონ ერთი, როგორ ავარდება ზევით ფასები ყველაფერზე!..

ეჰ, – ისევ "ეჰ"! – აღარ მაქვს ხალისი ლაპარაკის გაგრძელებისა, სულ წუწუნიც მომაბეზრებელია, რას გადავეკიდე ჩემს თავს – მთელი დღე ვეჩხუბები, ვსაყვედურობ, უფრო ფხიანებს ვადარებ... ღმერთი, რჯული, არც ზარმაცი ვარ, არც – დავრდომილი, არც – განათლება და ჩემი საქმის ცოდნა მაკლია, მეტი რაღა ვქნა? ისღა დამრჩენია, ისევ გული მოვიფხანო საკუთარი თავის კენწვლით!

1996

თვალებს ამოგჩიჩქნი!.. ლაყუჩებს აგახევ!..

(გაბრაზებული მამის მონოლოგი)

თვალებს ამოგჩიჩქნი!.. თავს კვახივით გაგიხეთქავ!.. ისწავლე, გაისარჯე, იშრომე, თორემ ვინ გამოხვალ შენ? ჩემსავით უვიცი! ლაყუჩებს აგახევ!.. შინ ყვავილებით უნდა მიხვიდე, ქალები გაახარო... ნუ იქნები ჩემსავით გაუთლელი, უხეში!.. ჰო, ჰო, მიყურე და მისმინე! კარგად დაუკვირდი ჩემს ნათქვამს! თორემ რუმბივით გაგიხდი მაგ თავ-პირს! უნდა იცოდე, ადამიანს როგორ მოექცე, ზრდილობა ძვალსა და რბილში უნდა გქონდეს გამჯდარი, ყველას წყნარად, რბილად, კეთილი განწყობით, ალერსიანად უნდა ელაპარაკო... ჩემსავით ხეპრე ნუ იქნები! ჩემსავით ბრიყვი და მუტრუკი! აბა, რა მოსაწონია ადამიანი, რომელიც ვერ მოზომავს სათქმელს, ან კიდევ უარესი – უკეთურად მოიქცევა. ყველაფერს კარგად დააკვირდი, ისწავლე კარგისა და ცუდის გარჩევა; ერიდე ავს, მიჰყევი კეთილის ქმნას – თუკი წესიერი ადამიანის სახელი გინდა გქონდეს... არ დამიჯერებ და პანღურით დასაჩუქრება არ აგცდება! ისეთ ჭიტლაყს გითავაზებ, რომ სიკვდილამდე გემახსოვრება! ჭკუით იყავი! დაკვირვებულად! სხვებს ანგარიში გაუწიე! ნუ მოინდომებ, რომ ყველამ შენს დაკრულზე იცეკვოს! თავხედი ადამიანი არავის უყვარს, მით უმეტეს – ისეთი, სხვებს რომ არად აგდებს. ყველაფერში ზომიერებაა საჭირო! კაცი რომ გამოხვიდე, ბევრი ოფლი უნდა ღვარო, ნებისყოფა გამოიჩინო კეთილი მიზნის მისაღწევად, თორემ მერე სანანებლად გაგიხდება საქმე ჩემსავით! თუ ნებით არ დამიჯერებ, ძალით გაგაკეთებინებ! ერთი ლამაზი ალიყური მოგენატრა? შემომელახები ხელში გემრიელად! სანამ ეს არ მომხდარა, ჭკუას უხმე და ისე მოიქეცი, როგორც მე გირჩევ! ხომ გაგიგონია, რომ გონიერსა წვრთნა უყვარს, უგუნურს კი გულზე შემოეყრებაო, ისმინე და მოგებული დარჩები, თორემ რა გამოვა შენგან? ჩემსავით უქნარა, უმაქნისი, ქვეყნის მუწუკი! ყველა აგითვალწუნებს, ჩირადაც არავინ ჩაგაგდებს; შენს სიტყვას ფასი არ დაედება, შენს საქმეს გემო არ ექნება... ამას მე არ დავუშვებ! არაფრით! არასგზით! ტყლაპივით გაგაბრტყელებ, ნიორივით დაგნაყავ! ჰო! დიახ! აბა, ნახე, თუ არა! ტვინთხელი შვილი მე არ მინდა, შტერი და სულელი ჩემი თავიც მეზიზღება! ქვეყნის დასაცინი ნუ გახდები, თორემ იმდენს გიბრაგუნებ, დაფდაფი და დოლი მონაგონი იქნება შენთან! რაც მე დამაკლეს ცემა, იმასაც დაგიმატებ! რომ კაცი გამოხვიდე – ზრდილი, კეთილი, მცოდნე, გამრჯე! არ ინდომებ და – იფორთხიალე მიწაზე ჩემსავით, ხან ძაღლივით იყეფე, ხან მაიმუნივით დაიმანჭე, ხან თუთიყუშივით დაიჩხავლე... ტყუილად ოცნებობ ამაზე! მოგკლავ და კაცად გაქცევ!..

1996

სხვისი მაზიარებელი – დარჩა უზიარებელი

(პირველკურსელი სტუდენტის მონოლოგი)

მხაზველობითი გეომეტია, შენც კარგად იცი, რა მურტალი რამეა – რაღაც ჭრილები, გადაკვეთები, განფენები, მობრუნებები, კვალთა სამკუთხედი, გადაგვარებული ოთხკუთხედი... სივრცითი წარმოდგენა თუ წარმოსახვა უნდა გქონდეს განვითარებულიო. საკონტროლო დავალებების გაკეთება ყველას მეტ-ნაკლებად გაგვიჭირდა, თან ცოტა წავიზარმაცეთ კიდეც... თუ დროზე არ მოიცილე ოთხივე საკონტროლო დავალება, მერე უამრავ დროს ჰკარგავ: საგამოცდო სესიაა, გამოცდები უნდა აბარო, ყოველ დღეს ოქროს ფასი აქვს, შენ კი ჩათვლას არ გაძლევს ლექტორი – მიუტან დახაზულს და გადაგიფხრეწს შუაზე, ეს რა სისულელეები გაგიკეთებია, თანაც ღორის ნაჩიჩქნს ჰგავს, წესიერად, სუფთად და კოხტად დახაზეო. დაჯექი ახლა და თავიდან ივაგლახე, რამდენი დრო უნდა... მერე, შესაძლოა, ისიც გადაგახიოს თავზე, თუ არ მოეწონა. ამის გარდა, იცი, ერთი სახაზავი ქაღალდის ფურცელი, "ფორმატს" რომ უწოდებენ, რა ღირს? 1000-1200 მანეთი!..

მე დროზე გავინძერი, ალღო ავუღე, ლექციები და პრაქტიკულები არ გამიცდენია, წიგნებსაც ვუკირკიტე, მოკლედ, შედარებით ადვილად გავაკეთე პირველი საკონტროლო დავალების ოთხი ნახაზი.

— აბა, ბესიკ, “პროფესორო”, ჩვენი ჯილა ხარ, დაგვეხმარე, ხომ ხედავ, გაგვეჭედა! — შემეხვეწნენ ამხანაგები.

— კი, ბატონო, — ვეუბნები, — ყველას გაგიკეთებთ, რაც შემიძლია. ოღონდ თქვენ ბევრნი ხართ, მე — ერთი, ამიტომ, გიორგი, შენ მხოლოდ კონსულტაციას გაგიწევ, ცოტას წაგკრავ ხელს, როცა გაგიჭირდება — თვითონ მოერევი; ირაკლი, შენ სანახევროდ მე უნდა დაგიხაზო, ისე ვერ მოასწრებ; კოტესი თავიდან ბოლომდე ჩემი გასაკეთებელი იქნება — ხაზვა არ იცი, ძმაო, და არც გესმის, ახლა რომ შენ ახსნა-განმარტება და სწავლება დაგიწყო, გაისად ამ დროს მოვრჩებით...

ასე და ამგვარად დავახარისხე ჩემი ჯგუფელი ბიჭები, ორი გოგოც მიემატა, ისინი ხომ სულ წყალწაღებულნი იყვნენ — სულ სხვადასხვაგვარი ამოცანები იყო გადასაწყვეტი; ბევრი ვიბუქსავე, სახელმძღვანელო ლამის ზეპირად ვისწავლე... კინაღამ ტვინი მეღრძო, მგონი, ჩვენს ლექტორზე უკეთ ვიცოდი ყველაფერი.

ჩავთავეთ ყველამ პირველი საკონტროლო დავალების ოთხივე ამოცანა, მივუტანეთ ჩვენს ხელმძღვანელს — ნოეს... უფრო სწორედ, ვერაფრით მივუტანეთ, ვერ დავიჭირეთ. პრაქტიკულ მეცადინეობებს ხშირად აცდენდა, ხან ჩვენ გვეზარებოდა დარჩენა — ციოდა ძალიან — და მივდიოდით შინ (ბევრნი — კინოში). ბიჭებს რომ მოსწონთ, ისეთი ტიპი იყო: “დღეს არ მცალია, თავისუფლები ხართ!” — სულ ეს სიტყვები ეკერა პირზე, თავიდან გვიშორებდა. ნოე ლექტორი ჭუტალაა, ელამი — ვერ გაიგებ, შენ გიყურებს თუ სხვას; ვერც იმას მიხვდები წესიერად, ჩაგითვალა საგანი თუ არა... განსაკუთრებით ცალი თვალი გაურბის გვერდზე, თვითონაც სულ გარბის, სადღაც ეჩქარება... დასალევად?.. არ ვიცი, არა მგონია. ამ ჩვენს დაბოღმილ და გაჭირვებულ დროში ლოთობა ძალიან გახშირდა. თუმცა ლექტორს საქეიფო ფული ვინ მისცა; საწყალ ლექტორებს ხელფასი, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ხოლმე, სიმბოლური აქვთ. გაჭირდა ცხოვრება, ყველა სადღაც-სადღაც დარბის, რაღაცას ჩირთიფირთობს, პურის ფულს აკეთებს... ჩვენთვის აღარ სცალიათ. მეცხრე სართულზე კათედრასთან ვიყავით სულ მუდამ აყუდებულნი, ნახაზებით ვყარაულობდით ნოეს. სხვა ჯგუფელები დაგვცინოდნენ. დავინახავდით ნოეს დერეფანში, ლამის ჩავაფრინდებოდით კალთაში: “პატივცემულო, ეს ნახეთ, ეს გაგვისწორეთ...” “წადით, თავი დამანებეთ, ხვალ მოდით, ახლა არ მცალია!” მოკლედ, ყველანი ჩამორჩენილთა სიაში მოვხვდით. ვერაფრით დავამთხვიეთ დროსა და სივრცეში ჩვენი და პატივცემული ნოეს ფიგურათა კოორდინატები. მე არ ვიცი, სხვას რა საქმეს მოჰკიდა ხელი, ეპიურის გარდაქმნას გვასწავლიდა და ამდენად საკუთარი თავის გარდაქმნა, 180 გრადუსით შემობრუნება არ გაუძნელდებოდა. როგორც ვთქვი, ვერ გაამტყუნებ, დრომ აიძულა. ყოველი ადამიანი ერთგვარად ტრანსცედენტურია — ზოგი მეტად, ზოგიც ნაკლებად რაღაც საზღვრებს სცილდება — გინდა მორალურს, გინდა ფსიქოლოგიურს თუ სოციალურსაც. ზოგჯერ ისეთი პირობები იქმნება, რომ ეპიურის განფენა სულის განფენასთან შედარებით ბავშვურ თამაშად შეიძლება ჩავთვალოთ...

ჩვენი ჩათვლის ამბავი კი როგორღა დასრულდა?

ვდიეთ ნოეს, ვდიეთ და ერთხელაც, როგორც იქნა, გამოვიჭირეთ და ნიშნებიც დავაწერინეთ. კეთილი გამოდგა: ჩემს ამხანაგებს ზოგს “კარგი” დაუწერა, ზოგს — “ფრიადი”, მხოლოდ მე გამომარჩია — “დამაკმაყოფილებელი” მომატყეპა!..

1995

ფანჯრიდან მაცქერალი ქალის მონოლოგი

ვზივარ ესე ფანჯარასთან, რაფაზე იდაყვდაყრდნობილი, ეზოში ვიცქირები, ქალო. მოცლილი არ გეგონო, მილიონი საქმე მაქვს, რომელი ერთი დავიწყო, არ ვიცი, თანაც ჭირივით მეზარება განძრევა — გადაღლილი ვარ...

ვხედავ, ჩემი მეზობელი ზინა მოდის, სამი თონის პური უყიდია. რა ხანია, არ დამინახია, აქეთ-იქით დაძრწის ძუ მგელივით — ყიდულობს, ჰყიდის; ხან თურქეთშია, ხან — რუსეთში, ხან — უფრო შორსაც; ასავალ-დასავალს ვერ გაუგებ. ოჯახის მოსავლელად სად სცალია — ქმარ-შვილი ეგრევე ჰყავს მიგდებული, სადილი მაგათ არ იციან და ვახშამი, სულ მშრალზე გადადიან, ან რა კუჭები უძლებთ? გაჩერდა ზინა ეზოში ქალებთან საჭორაოდ, არის ერთ ამბავში, ქაქანებს. მივიდა მასთან ველოსიპედით ერთი ბავშვი, მისი უმცროსი ბიჭი; პურს სწვდა, დედას რომ ხელში ეჭირა, მოახლიჩა მოზრდილი ნაჭერი და დაიწყო ჭამა — ეტყობა, დილიდან მშიერია, საწყალი. მეორე შვილი, აწოწილი ჯეელი, დომინოს რომ თამაშობდა ამხანაგებთან, ახლა ის მივიდა დედასთან, იმანაც მოახია კარგა ბლომად და ღეჭვა-ღეჭვით ისევ განაგრძო ქვების ჭახუნი. ახლა უმცროსი შვილის ამხანაგი, ისიც ველოსიპედიანი, გაჩერდა ზინასთან, ისიც მისწვდა თონის პურს... დომინოს მოთამაშეებიდან

ჯერ ერთი მივიდა პურის ნაჭერის მოსახლეჩად, შემდეგ – მეორეც და მესამეც... დგას ასე შუა ეზოში ზინა და გართულია ლაპარაკით. როგორც იქნა, მორჩა ლაქლაქს და შინისკენ დააპირა წასვლა. გაუკვირდა: "ქალო, რა იქნა ჩემი პური?" ხელთ შერჩა ვიღაც უცხო ბიჭი, პურს რომ ახევდა ნაჭერს და მერე პირისკენ გააქანა ყუა, გვერდზე კი მეორე ბიჭი მოუთმენლად ცმუკავდა, ეჯიკავებოდა, თავის რიგს ელოდა... სულ ნახევარი პურიღა თუ იყო დარჩენილი. ზინამ რაღაცა ჩაიბურტყუნა, მერე მოახია ყუა, მონარჩენი ბიჭებს მისცა და თვითონაც ღეჭვა-ღეჭვით უკან გაბრუნდა მაღაზიისკენ...

1996

მიყვარს მეტროპოლიტენით მგზავრობა!

(ჩემი მონოლოგი)

მიყვარს მეტროპოლიტენით მგზავრობა! გიკვირს ხომ? მართლაც, სულ გიკანკალებს გული, ემანდ დენი არ გამოირთოს შუა გზაში და ფეხით არ მომიწიოს ჩანჩალი სველ და ბნელ გვირაბშიო... თუ მიწის ზევით მშვიდობით ამოაღწიე, მერე სახლამდე არ გინდა ნახევარი ქალაქის გავლა?

ხშირად ისეა გატენილი ვაგონები, რომ სუნთქვაც კი ჭირს; ცალ ფეხზე დამდგარსაც მიმგზავრია.

სადგურებში ისედაც დაგვიანებული მატარებელი გათვალისწინებულზე მეტ დროს დგას – გადატვირთული ვაგონის კარები არ იკეტება.

– ოღონდ კარები დამაკეტინე, მაღარიჩი ჩემზე იყოს! – ხუმრობს რადიოში მემანქანე.

– მესამე ვაგონში – დროზე გაიღვიძე! დამაკეტინე კარები, შენს გამოძინებამდე ვიდგეთ ასე? – სარკაზმს მიმართავს მეორე მემანქანე.

– ვინ დაგავალა, კარებში რომ გაჩხერილხარ! – ეტყობა, მემანქანეები საერთოდ ენაკვიმატი ხალხია.

– ზესტაფონის მატარებელი ხომ არ გგონია? შემოეტიე ვაგონში დროზე!

– არ გინდათ კარების დაკეტვა?.. კარგი, ბატონო, ვიდგეთ ასე, მე სულ არ მეჩქარება!..

ერთ ჩვეულებრივ მგზავრობაზე მოგიყვები, სადგურ "ვაგზლის მოედნიდან" "ვარკეთილამდე" როგორ ვიმგზავრე 23 აგვისტოს...

ჰო-ჰო-ჰო, ვაგონში შესვლაზე რა ზედახორაა, ჯიკავი, შეტენვა, მუჯლუგუნები, იდაყვების ომი – სუსტი აქ გაირიყება ან გაჭყლეტენ... ერთი გამხდარი, შავკაბიანი ქალი დარბის წინ და უკან, უნდა, როგორმე სადმე შეეკვეხოს, მაგრამ ვერ ახერხებს. ხელში მრგვალი პური უჭირავს, ეტყობა, დიდი ხანია, ვერ მოახერხა გამგზავრება, მოშივდა და დროდადრო პურს მოჰკბეჩს ხოლმე; ილუკმება და თან აწყდება აქეთ-იქით; პურის ნახევარი უკვე შემოეჭამა, მაინც გამალებით ამუშავებს ყბებს და თან თავგანწირვით ეკვეთება ხოლმე კარებში მოძიძგილავეებს...

როგორც იქნა, კარების დაკეტვას ეშველა, დავიძარით.

– ე, ბიჭო, ნუ აწვები, ვაგონი ამოყირავდება! – მესმის ვიღაცის ხუმრობა.

– ჩვენ უფროსები რომ მოგვიწოდებენ, ახლოს ვიყოთ ერთმანეთთან, გავერთიანდეთო, მეტი ჩახუტება რაღა შეგვიძლია! – პასუხობს მეორე.

– აბა თვითონ კი არ ეხუტებიან, დაჭამეს ერთმანეთი! – ჩაერთო მესამე.

– ღრმად ისუნთქეთ, სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის! – ამბობს მეოთხე.

ვაგონის რყევა-ყანყალში ოდნავ მიიწ-მოიწია ხალხმა, უფრო მოხერხებულად "ჩალაგდა" და მიხედ-მოხედვაც შეიძლება. "თავისუფალ" შუალედებში ხედავ ფრაგმენტებს: ხელს, ნახევარ სახეს, ცხვირს და ასე შემდეგ.

მეტროში არ მოგწყინდება. მხოლოდ ქალთა ტანსაცმლის ნაირგვარობა და ფერადოვნება ეყოფა თვალს სასეიროდ და ზოგჯერ სალაღობოდაც. ანდა ცხვირებს დააკვირდი – რა ზომის, ფორმის და თუნდაც ფერის არის! მე ყოველ მგზავრობაზე ერთ რაიმეს ამოვარჩევ და იმის მრავალფეროვნებას ვაყოლებ გულს. მაგალითად, საყურეების ნაირგვარობას, ან საათების, ან თვალების, ქუდების, ჩანთების და ასე შემდეგ...

ისევ – სადგური. კარები გაიღო და ხალხმა გარეთ იხუვლა. კვლავ ჯიკავ-ძიძგილაობა, ერთმანეთს არ აცლიან გასვლა-შემოსვლას...

– კარები იკეტება! – აცხადებს ფირზე ჩაწერილი დიქტორი ქალის დაბოხებული ხმა, – შემდეგი სადგური – "ავლაბარი"!

– ქუდი, ქუდი! მოიცათ, მომაწოდეთ! – ყვირის გარედან ხნიერი კაცი, ვაგონში ქუდი დარჩენია.

ახალგაზრდები ხელით იჭერენ კარებს, ბოლომდე დახურვის საშუალებას არ აძლევენ, დარჩენილ ღრიჭოში ნასროლი ქუდი სადგურის ბაქანზე ეცემა... კარები ხმაურით იკეტება და ვაგონიც ადგილიდან იძვრის.

– ეეეე, ჩემი ქუდი! გააჩერეთ ვაგონი! – ყვირის ამ დროს ვიღაცა შეწუხებული ხმით – შეშლიათ, ამისი ქუდი უსვრიათ ბაქანზე...

რაც დრო გადის, ვაგონი ნელ-ნელა იცლება.

ახალი დაკვირვების ობიექტი: ცოლ-ქმარი, ცოლს 3-4 წლის პატარა ბიჭი უზის კალთაში და მეზობლებს ყველას ხელს ურტყამს – აგრესიულია ფრიად!

– ეს 16 წლისა მოიტაცებს ქალს! – ამბობს ერთი მანდილოსანი.

– მაგას ქალს არავინ გაატანს – ავია! – ამატებს მეორე.

ჩემს წინ ორი ბიჭი დგას: ერთი – ჯანიანი, მაღალი და მეორე – ტანთხელი, კიდევ უფრო მაღალი; დიდი ჩანთები უჭირავთ, ეტყობა, სპორტსმანები არიან.

მორიგ გაჩერებაზე შემოცქრიალდა სამი ქალიშვილი; ერთს ვარდების თაიგული ეჭირა ხელში.

– როგორ ფიქრობ, ვისთვის მიაქვს? – ეკითხება მაღალი ბიჭი უფრო დაბალს.

– ჩემთვის, მაგრამ მორთმევა რცხვენია!

გოგოებმა ჩაიფხუკუნეს; კოხტაობენ, ფანჯრის მინაში როგორც სარკეში იცქირებიან და გაუთავებლად ჭიკჭიკებენ ერთმანეთში. ასაკით ბიჭებზე დიდები ჩანან, ერთი ძალზე მაღალია, შედებილ გრძელ წამწამებს აფახულებს, ორი დანარჩენი – ტანმორჩილია, ხალისიანი.

ვაგონი შეირყა, გოგოები შექანდნენ და ერთ ბიჭს ოდნავ შეეხო მაღალი გოგო.

– რანაირი ხარ, იცი? სულ ეგრე მეჯახები! – უთხრა ჯანიანმა ბიჭმა ამ გოგოს.

ქალიშვილებმა სახეები მიაბრუნეს და ისევ ჩაიფხუკუნეს.

ცოტა ხანში მეორე ბიჭმა მიმართა გოგოებს:

– ეს "მარჯანიშვილია"?

არადა, უკვე "ისნის" სადგურში ვართ, "მარჯანიშვილი" კარგა ხნის წინ გავიარეთ.

გოგოებმა ისევ ვერ შეიკავეს თავი სიცილისგან.

– რა ლამაზად იცინით, კარებიც რომ მასე ლამაზად იღებოდეს!

დაბალმა გოგოებმა გაიცინეს, მაღალმა კი ქედმაღლურად იბრუნა პირი – უშნო კბილები ჰქონდა.

ცოტა ხანში მოუსვენარმა ჯანიანმა ბიჭმა ისევ იკითხა:

– შემდეგ სადგურზე ჩაბრძანდებით?

– არა, გაგატარებთ...

– ძალიან კარგი, არც მე ჩავდივარ!

ამჯერად მაღალმა გოგომაც ვერ შეიკავა თავი გაცინებისგან.

– ხომ ვერ მეტყვით, რომელი საათია? – ჰკითხა მას მაღალმა ბიჭმა.

– არ ვიცი...

– თუ არ იცით, მე გეტყვით: ექვსის ოცი წუთია, ადგილობრივი დროით, რასაკვირველია. პაემანზე ხომ არ გაგვიანდებათ? რატომ შეწუხდით, ვარდებს მე მოგართმევდით!

ამ დროს ვაგონი გაჩერდა, გოგონები კისკისით გავარდნენ გაღებულ კარებში.

– აკი არ ჩავდივართო? ასე უსინდისოდ მოტყუება შეიძლება? – დაადევნა მათ მაღალმა ყმაწვილმა.

"სამგორის" სადგურში ბიჭებიც ჩადიან, ვაგონი თითქმის დაცარიელდა. მეტი რაღა მოგახსენო? ორ წუთში ბოლო სადგურია – "ვარკეთილი" – და ჩვენი საუბარიც დასრულდა...

მომავალ მგზავრობამდე მეტროთი!

1996

მოწყენილი სახლი

(დარბაისელი რაჭველი თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო)

არ გეგონოთ, მეგობრებო, ღვინო მალაპარაკებდეს! თითქმის 80 წლის ჯეელი ვარ და ჯერჯერობით ქორწილსაც კი გავუძღვები თამადად! თქვენ გენაცვალოთ ბატონი ირაკლი! როცა კი სათამადო კაცი დაგჭირდეთ, ჩემი თავი გენაცვალოთ, აქა ვარ!

ჰოდა, იმის თქმას ვაპირებდი... ამ შუა ზამთარში დამარტყამს უცებ რაღაცა თავში – ვეღარ ვისვენებ!.. ჩემი რაჭა მეძახის!... ავიკრავ მარტოკა, სულ მარტოკინა, გუდა-ნაბადს... ჰო, მარტო, სამი გოგო კი მყავს, სამივენი გათხოვილი, ძვირფასი სიძეებიც, რასაკვირველია, და შვილიშვილები კიდევ უთვალავი... ზოგმა შვილთაშვილიც კი მაჩუქა – ჩემს ქალბატონს ვეუბნები, არსად წამოგცდეს, შვილთაშვილები რომ გყავს, თორემ ვინმეს ეგონება, დაბერებულხარო!.. ჰო, ავიკრავ გუდა-ნაბადს და ეულად გავწევ ჩემი სოფლისკენ, ჩემს რაჭაში...

დათოვლილია, რასაკვირველია, ყველაფერი; მივაღწევ სადამდეც მივა მანქანა გაჭირვებით, მერე ათი კილომეტრი წელამდე თოვლში უნდა იაროს თუ იფორთხოს თქვენმა მოწყალე ბატონმა ირაკლიმ... სულ აღმართ-აღმართ, აღმართ და აღმართ... ჯოხს კი ვიბჯენ, მაგრამ დიდი ვერაფერი შეღავათია: ხან ფეხი დამიცურდება და ამდროული კაცი ყმაწვილკაცობას ვიხსენებ – გემრიელად გადავკოტრიალდები... თავ-პირი თოვლით მევსება, კისერშიც ცივად მესტუმრება... მე კი მიხარია! ჩემი ბებერი ძვლების და სახსრების ჩივილს ვინ უგდებს ყურს! აგერ ქუდიც მეურჩება, გამირბის ვითომ მისი ჭკუით, მოხუცს დავიბრიყვებო, ფიქრობს, მაგრამ სად წამივა! ისევ ვიფხატავ თავზე და ისევ მივბობღავ ზევით და ზევით... რატომ, რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ, როცა სოფელს მივაღწევ საღამო ჟამს, ჩემს საწყალ ძველ სახლს, მაღლობზე რომ წამომჯდარა, ქვევიდან შევხედო... შევხედო ჩემს მოწყენილ სახლს, საკვამურიდან რომ ბოლი არ ამოსდის...

როგორ აგიწეროთ, რას ვგრძნობ ამ მიტოვებული, გაპარტახებული ბუდის ხილვისას...

შევალ თეთრად გადაპენტილ ეზოში...

ჩამიჩუმი არ ისმის, მხოლოდ ჩემი ჩექმები ხრაშუნობს გაუკვალავ თოვლში და აქოშინებული გულის ბაგაბუგი ავსებს ყველაფერს.

შევაღებ სახლის ჭრიალა, ჩაშავებულ კარს, დედაჩემის და მამაჩემის ხელები რომ მილიონჯერ შეხებია, მანამდე კი – ბებიაჩემ-ბაბუაჩემის... დაგუბებულ ჰაერს ვაცლი ღია კარში გასვლას, მანამდე ერთს წავისვენებ, ტახტზე ჩამომჯდარი... მერე დავხურავ კარს, შევუკეთებ შეშას გამჭვარტლულ ბუხარს, გავაჩაღებ ცეცხლს, მივუჯდები, მივუფიცხებ გათოშილ ხელებს; გავიხდი ჩექმებს, ფეხებსაც მივუშვერ... ცოტას გავთბები, მერე ერთ პატარა ჭიქა არაყს გადავკრავ და გავაწყობ ღარიბულ, გემრიელ სუფრას...

"გამხიარულდი, ბუხარო,
 გულჩათხრობილი ნუ ხარო!.."

მიყვარს ლექსები!

მეორე დილით ადრიანად ავდგები. ხომ იცით, რაჭველები ფუსფუსა ხალხი ვართ. გამოვიდებ თავს – აქ იმას მივაჭედებ, იქ წაქცეულ ღობეს წამოვაყენებ... ვცოდვილობ, დავწანწალებ ჩემს ეზოყურეში. რის გამკეთებელი ვარ, უფრო ვეფერები ჩემი ბავშვობის დროს; ჩემი მშობლების აჩრდილები ყოველი კუთხიდან მადევნებენ თვალს, ჩემი და-ძმები და ყმაწვილკაცობის დროინდელი მეზობელი გოგო-ბიჭები ისევ შემოდიან და კუკუმალულობიას მეთამაშებიან... და თითქოს გამხიარულდა აქამდე მოწყენილი ჩემი სახლი, ბოლი ცისფერ სვეტად შეუდგამს ცისთვის და ამაყად გადასცქერის მეზობელ სახლებს – მობუზულებს, დაპატარავებულებს დარდ-ნაღველისგან...

ამ სასმისით მე მინდა, იმ ჩვენ-ჩვენი პატარა ბუდეების სადღეგრძელო დავლიო, ქალაქში რომ ხშირ-ხშირად გვესიზმრება ზამთრის გრძელ ღამეებში...

1984

თელავური სადღეგრძელო

... არ მითხრათ ახლა, რომ დათვერი და ღვინო გალაპარაკებსო. არა, მე სიყვარული მალაპარაკებს, სიყვარულის სადღეგრძელო მინდა ვთქვა. ქვეყანაზე ყველა კეთილ კაცს გაუმარჯოს! ვინც კი აივლის-ჩაივლის თელავის ამ ოღროჩოღრო ქუჩაზე და ჩვენი ჟრიამული მოეწონება, სიმღერა ეამება – გაუმარჯოს! ვინც კი ცხვარ-მეცხვარე შემოგვხვდება, ჩვენი სიტყვა-პასუხი მოეწონება, ჩვენი სიმღერა შეიძლება არც მოეწონოს და მწკლარტე სიტყვა გვითხრას (ამის უფლებას ვაძლევ, ოღონდ თვითონ უკეთ უნდა იმღეროს!) – ყველას გაუმარჯოს! ყველა გულწრფელ ადამიანს გაუმარჯოს – მაგინებელსაც და მაქებარსაც; ვისაც გული დაეწვება, ვისაც გაუხარდება – ყველას გაუმარჯოს!..

რა კარგია, როცა წყნარ ადგილას მოხვდები, შენს ნაცნობ-მეგობრებში გემრიელად მიუჯდები ჩვენნაირ სუფრას – მაშინ ხარ სიყვარულის ხასიათზე... სიყვარულის ნიჭი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! სიყვარული – ეს არის სვეტი, რომელსაც უჭირავს ყველაფერი: ქვეყანა, ბავშვობა, მეგობრობა, საქმე... დიდი ადამიანი მაშინ ხარ, როცა გიყვარს და არა მაშინ, როცა დიდი თანამდებობა გიჭირავს! სიყვარულს გაუმარჯოს, ყველაზე დიდ ძალას, ყველაზე დიდ სვეტს – ყველაფერი აქედან მოდის, ბავშვობაც, ჩვენი ყოველდღიური მოღვაწეობაც – მისი აზრიც და შედეგიც სიყვარულზეა და-

ფუძნებული. უსიყვარულოდ არც ერთ საქმეს არ აქვს მადლი! შენ მე შენი საქმიანობით მაინტერესებ, მე შენ – ჩემი საქმიანობით... ძალას დაგილოცავთ! ძალა უსიყვარულოდ – დამანგრეველია, ძალა სიყვარულით – დამფუძნებელი, აღმაშენებელი, ამყვავებელი, ჭირნახულის მომტანი! ჭირნახული – ბრწყინვალე ქართული სიტყვაა, ორი-სამი სიტყვა თუ გვაქვს ქართველებს მისი ბადალი. აბა ჩაუკვირდით – ჭირ-ნახული! ჭირნახულშია ჩვენი კაცობაც, ჩვენი განცდაც და იმედიც... ჭირ-ნახული! რას გვეუბნება ეს სიტყვა? მასში იგულისხმება: მხნედ იყავით, ელოდეთ და გწამდეთ! სიყვარულის გწამდეთ! ოფლიც დაღვარეთ, თუ გინდათ, გემრიელად ჭამოთ პურიო; საქმეს სიყვარული დააწინდეთ – გარჯა სიხარულიცაა! არ უნდა მოვაკლოთ სიყვარული ჩვენს ყოველდღიურობას – ჩვენს ურთიერთობას თუ ჩვენს ერთობლივ შრომას... ძვლის ადგილი მიწაა. ჩვენი ძვლები მიწაში უსიყვარულოდ არ უნდა ჩავყაროთ! ჩვენმა შვილებმა დაძინებული არ უნდა გვნახონ, წამოწოლილიც კი არ უნდა გვიხილონ – ჩვენმა ძვლებმა მიწაში უნდა დაისვენონ! ამქვეყნად მხოლოდ სიყვარული თუ გაგვაძლებინებს, იგი თუ გადაგვატანინებს ათასგვარ ცდუნებას, გასაჭირს! ბავშვი სხვანაირად გვიყვარს, ქალი – სხვანაირად, წიგნი – სხვანაირად და ჩვენი კუთხე-კუნჭული, ჩვენი ტურფა თელავი – სხვანაირად! ათასი კიდევ სხვა რამ სხვადასხვანაირად გვიყვარს, მაგრამ მთავარია, რომ გვიყვარდეს! სიყვარულს გაუმარჯოს!..

ვსვათ ღვინო, ვიმღეროთ, ვიმხიარულოთ, გემრიელი პური ვჭამოთ, ერთმანეთი არ დავჭამოთ! იხარეთ, იდღეგრძელეთ, გაგიმარჯოთ მტკიცე ჯანითა და გულითა მხიარულითა!

1987

ეი, შენ, ვერან!

(შუახნის ქიზიყელი კაცის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო)

პატივცემულო თამადა!

აი თქვენ ჩვენი წინაპრების სადღეგრძელო ბრძანეთ, რომა, ქალბატონებო და ბატონებოო, ისინი ჩვენი ფესვები არიან დღესაცო, არა? მე ქიზიყელი კაცი ვარ, ჩვენში ბატონყმობა არასდროს ყოფილა და ეგეთი მიმართვა – ბატონობითა – მეხამუშა... ჩვენთან, არა, ერთმანეთს სხვანაირად მივმართავთ: “ეი, შენ, ვერან!”

ჩემს წინაპარს გავიხსენებ: პაპაჩემს, – იმის სულს ვენაცვალე, ღმერთმა გაანათლოს, სადაც არის, – ერთი ვერანა ვირი ჰყვანდა, კოხტა ვირი. ჰოდა, წავიყვანდით მე და პაპა იმ ვირსა, ჩვენ ბაღ-ვენახში ვსაქმიანობდით, ვერანას კი საბალახოდ გავუშვებდით. საღამოს პაპა მეტყოდა, მიდი, ბიჯო, ის ვერანა წამაიყვა, მე დაღლილი ვარო. მეც მეტი რა მინდოდა, ჩავირბენდი ქვევით, – იქ პატარა ჭალა იყო, – შავჯდებოდი ვირზე და გავაჭენებდი. სახლამდე სულ ასე, ჭენებ-ჭენებით ვატარებდი. ისე შავაჩვიე, რო არც შეძახება სჭირდებოდა, არც სახრის მომარჯვება – შავჯდებოდი თუ არა, ვირი მაშინვე თავისით მოწყდებოდა ადგილიდან და გავუტევდით შინისკენა ჭენებ-ჭენებითა.

ერთხელაც პაპას ვერ წავყე ვენახში. საღამოს პაპამ მოათავა თავისი საქმეები, ჩავიდა ვირთანა და შაჯდა თუ არა, ვირი გიჟივით გაიჭრა წინა, კინაღამ გადმააგდო. გარბის ვირი, პაპა თავს ძლივ იმაგრებს, ცალ ხელში ბარი უჭირავ, იღლიაში აქვ ამოჩრილი ტარი შუბივითა, გეგონება, იერიში მიაქვს მტერზეო. ახლა სოფელში რომ შავიდნენ, პაპას ჩამოსვლა უნდა, ვირზე ჯდომა სირცხვილად ითვლება, ბალღი ხო არ არი ჩემსავითა. რას ჩამოვა, სახლამდე ვირს რა გააჩერებს! ხალხი უცქერის პაპასა, ბებერი რამ გააგიჟაო, თან, ხო იცი, რაღაც-რაღაცეებს უყვირიან კახურადა... შავარდა ეზოში ვირი და მხოლოდ ახლა იკადრა გაჩერება...

პაპა აყვირდა: “არა, ამ ვერანაზე შაჯდომა რას მიქვიან, მაგას შინაც არ გავაჩერებ, მაგან რო თავი მამჭრა ხალხში, სოფელში რა პირითღა გავალო; არა, ეხლავე წაიყვათ, ვისაც გინდათ, მიჰყიდეთ, მაგის პატრონძაღლის ვერანა სულიცაო, ვისაც გინდათ, მიეციითო”.

ისევა მე და ვირი წავედით კვირა დილით ბოდბისხევის ბაზარში. შავჯე და სუ ჩაქჩაქით ჩავედით. ჩემი მეზობელი მეუბნება: “ბიჯო, ოცი თუმანი დაადე ფასი, ხო იცი, რა ვირიცაა ეგო”. “არ გაიყიდება, – ვეუბნები, – ხო ხედავ, ათ თუმანზე ძვირად არავინ აფასებს თავის ვირებს-მეთქი”. “შენ მე დამიჯერეო, მაზანდას ნუ დაუგდებ, ეგეთი ვირი აქ არ არისო”.

კარგი... მაშინვე ერთმა ლეკმა დაადგა თვალი. შაჯდა თუ არა, ვერანა გიჟივით გავარდა. ლეკმა გაატარ-გამაატარა, ეგრევე ულაპარაკოდ ჩამითვალა ოცი თუმანი...

ჰო, წინაპრების სადღეგრძელოა, პაპიჩემის სული გაანათლოს უფალმა, არა, ვინცა ვართ, რანიცა ვართ, არა, აიმ საძირკველზეა დაფუძნებული, ძველებმა რო დაუდეს ბალავრად ჩვენს ერსა... ბევრი რამ იცვლება ჩვენს გარეშამო, ჩვენც ვიცვლებით; წინათა, არა, მღვდელი ჯორითა ან ვირით დაიარებოდა. მაშინ რო ვინმეს მღვდელი მანქანაში შოფრად ენახა, მოეწონებოდა? არა, რასაკვირვე-

ლია. ეგ იგივე იქნებოდა, ჩვენთანა, არა, ქიზიყში, რო კაცი ვირზე შამჯდარიყო და სოფელში გეევ-ლო. ხო მაკლავდნენ დაცინვითა: "აღარ ჩამაიხვიდე, ჯო, გიხდება, ვერან!"

ეჯეე, კიდე გადავუხვიე სადღეგრძელოსა, მოკლედ ვიტყვი: ჩვენი წინაპრების სადღე-გრძელო იყ-ვეს! ღმერთმა ჰქნას, ჩვენც იგრე ტკბილად მოგვიგონონ შთამომავლებმა!

1991

ძუნწი

(ქართლის სოფელში ჩემი მეგობრის მიერ თქმული სადღეგრძელო)
ჯუმბერ ბარძიმიშვილს

ერთი სადღეგრძელო მინდა კიდევ შემოგთავაზო...

აი, გზის გადაღმა რომ სახლია, ხომ ხედავ, როგორი აშენებულია – აგურისაა, ორსარ-თულიანი, დიდაივნიანი; წინ რა ეზო აქვს – თონე, მანქანის სადგომი გარაჟი, აბანო, მარანი და რა ვიცი... ჰო, საქათმე, საღორე, თავლაც აქვს... ან რა მშვენიერი თალარია გაშენებული – მაგის გაკრეფას რამდე-ნიმე დღეს უნდებიან... ერთ კუთხეში ვარდნარია, მეორეგანაც ვარდები – სხვა ჯიშისა... ახლა მაგის ნაკვეთი იკითხე! რამდენნაირი ჯიშის ვაშლი და მსხალი უდგას, ატამი და ქლიავი, მერე როგორი მოვლილი და ნაპატივები! დაბალი მოხუცი კაცი რომ ფუსფუსებს ეზოში მთელი დღე – ეგ სახლი მაგისია, თედო კეჩხობაძისა, იმისი და მისი გასათხოვარი ქალიშვილებისა... თედო თავის ძმას, საჩი-ნოს, ეუბნებოდა, სახლი ნაკვეთში ავიშენოთ, ძველი დრო ხომ აღარ არის, აქ, სოფელში, ვიწროდ ვიქნებითო, მაგრამ რატომღაც საჩინომ არ ქნა. მართლაც, იქ ჯობდა, ბაღში, სახლის ჩადგმა; მაშინ სოფლის გარეთ იქნებოდა, მაგრამ ახლა სოფელი გაიზარდა და ზოგმა იმის იქითაც აიშენა სახლი. არ ვიცი, რატომ არ ინდომა, აქეთ არც ძმაკაცები ჰყავდა, არც მაინცდამაინც ხალხში გამოსული კაცი იყო – სულ დღედაღამ მუხლჩაუხრელად შრომობდა, უსაქმოდ გაჩერებულს ვერ ნახავდი...

სოფელი "ძუნწს" ეძახდა. შეუვალი კაცი იყო, ჭირივით ეჯავრებოდა ზარმაცები და ცრუპენტე-ლები. ერთხელ ხელის ურემი ვთხოვე, საარაყე ქვაბი უნდა გადმომეტანა; არ დამიჭირა, მომცა, მაგ-რამ თან დააყოლა: "წაიღე და ნუღარ დამიბრუნებ ამ ურემსო!" ხომ მაგარია?!. ეგ რომ არ ეთქვა, დღესაც საკუთარი ურემი არ მექნებოდა, მაგის სიტყვამ მაყი-დვინა. სხვამ რაც უნდა თქვას და, სწორი კაცი იყო! მომცრო ტანისა, კუშტი, ერთი შეხედვით, ძალიან მკაცრიც ჩანდა... როგორც გითხარი, ვერ იტანდა მუქთახორა, მედღეხვალიე ადამიანებს, მაგრამ, თუ შეატყობდა, რომ შენ "ნაღდი" იყავი, მოგენდობოდა; ხომ ყოველთვის მოღუშული იყო, როცა იშვიათად მაინც გაიღიმებდა, სახეზე ნათელი მოეფინებოდა, ბავშვივით ალალი იერი ჰქონდა.

მე ერთხელ მითხრა: "შენ კაცი ხარ!" "რატომ, ძია საჩინო?" – გაკვირვებით ვკითხე. "გაშლილი ღობე გაქვს, ყველა ხედავს, რა ხდება შენთან!" საკვირველი არ არის? თვითონ ხალხს ძნელად ეგუ-ებოდა, კარჩაკეტილი, მარტოსული ჩანდა; ალბათ სურდა, ადამიანებთან, მეზობლებთან ახლო ურ-თიერთობა ჰქონოდა, მაგრამ რატომღაც ვერ ახერხებდა... რაღაცნაირი შეურიგებელი იყო, სხვას ვერ აპატიებდა მცირე რაღაც ნაკლს... ნაკლს კი, აბა, ვის არ უპოვი, ყველანი ცოდვის შვილები არა ვართ? ერთი ქალების დევნას არის გადაყოლილი, მეორე დღედაღამ ლოთობს, მესამე ამპარტავანია, გამარჯობას დაგამადლის... ეს ფუქსავატია, ის – ჩხუბისთავი და შურიანებს, ბოროტებს, ავებს და მათ მსგავსებს ქვეყანაზე რა გამოლევს... საჩინოს კიდევ, როგორც გითხარი, მთელი სოფელი ძუნწს ეძახდა – ძალიან ძუნწია, ფულს არ იძლევაო. ფული კი საჩინოს ჰქონდა – შრომით, საკუთარი ოფ-ლით ნაშოვნი ფული და უსაქ-მურებსა და ლოთებს ტყუილად რაზე გააფლანგვინებდა? დიახაც, იცოდა ფულის ფასი და ყადრი...

რა ძნელბედობა არ გამოუვლია. ტყვედ იყო ნამყოფი გერმანელებთან, იტალიაშიც იყო, მერე – ავსტრიაში... რა არ გამოსცადა იქ – უკიდურესი დაჭირვებაც და სასოწარკვეთაც. ავსტრიაში ცხე-ნებს უვლიდა თურმე, იქვე, თავლაში ეძინა. კარგად ვიყავიო, გერმანელებიც ცუდად არ მეპყრობოდ-ნენ, წესიერად ვუვლიდი ცხენებს, მადლიერები იყვნენო. ერთხელ თურმე ერთ-ერთი ტყვე, არაკაცი, გერმანელებმა გამოიჭირეს პირუტყვულ საქციელში... მტყუან-მართლის გარჩევა აღარ დაუწყიათ და ვინც კი თავლაში მუშაობდა, ყველა დაყვერეს... ასე დაჰკარგა კაცობა... მხოლოდ მე მიამბო ეს ამბა-ვი, მენდო და მეც მხოლოდ ახლა, როცა საჩინო კარგა ხნის გარდაცვლილია და თან გარეშე კაცს, გიყვები, როგორ სასტიკად და უსამართლოდ დასაჯა ბედმა... მაგრამ არ გაბოროტებულა, თავისი მეობა, სიმაღლე არ დაჰკარგა, მხოლოდ შინაგანად ჩაიკეტა, საკუთარ სამყაროში არავინ ჩაახედა...

შინ როცა ჩამოვიდა, ყველანი ეჩიჩინებოდნენ, ცოლი ითხოვეო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. თედომაც, მაგის ძმამ, ძალიან გვიან მოიყვანა მეუღლე – უკვე ორმოცდაათს უკაკუნებდა. ხომ ხე-

დავ, სამი გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავს, თვითონ კი უკვე სამოცდა-თხუთმეტი წლისაა. ცოლი მოუკვდა და გოგოები უვლიან.

მაგათ მესამე ძმაცა ჰყავდათ – რეზო, ის საჩინოზე ადრე მოკვდა, ძმებზე ბევრად უმცროსი კი იყო. იმას საჩინო ვერ ეგუებოდა – მოქეიფე, ლაზღანდარა, უმაქნისი კაცი იყო. სანამ თედო და საჩინო ფრონტიდან დაბრუნდებოდნენ, მამაპაპისეული ქონება სულ გაანიავ-გაატიალა, სახლიც კი გაყიდა და თვითონ ქალაქში გადაბარგდა. ტანითაც არ ჰგავდა ძმებს – მაღალი კაცი იყო, ლამაზი, მომლხენი და მოსიმღერე. სამი ცოლი გამოიცვალა, ვერც ერთს ვერ შეეწყო, ყველა ცარიელზე დასვა, დროსტარებას გადაჰყვა. თითოსთან ორ-ორი შვილი შეეძინა, ქალებმა ბავშვებს მამის გვარი არ მისცეს, ისე იყვნენ განწყობილნი რეზოსადმი. საკვირველია, რეზოს ყოფილ ცოლებს ერთმანეთთან მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდათ, მისვლა-მოსვლა შვილებისა... ჩვეულებრივ, პირიქით ხდება ხოლმე. მეოთხე ცოლი რეზომ ახალგაზრდა, ქმარგაყრილი ქალი შეირთო, იმასთან შვილი აღარ ჰყოლია. ტაშფანდურა კაცი იყო, ერთ წუთს არ იფიქრებდა ხვალინდელ დღეზე; ორიოდე კაპიკს თუ იშოვიდა, იმ დღესვე მიახარჯავდა, ასეთ კაცს საჩინო შეეთვისებოდა?

ძუნწიაო, საჩინოზე რომ ბრაზობდნენ, არ იყო მთლად სწორი. იცი, რა გააკეთა? სამი ათასი თავისი ფული გადაიხადა, რომ სოფლის გავერანებული სასაფლაო ეკალ-ნარისგან გაეწმინდათ და ღობე შემოევლოთ. სამი ათასი დიდი ფული იყო მაშინ, ძალიან დიდი! აი, ეს სახლიც, ნახევარი ხომ მისი იყო, ანდერძით თავისი ძმის, თედოს, ქალიშვილებს დაუტოვა. აბა, მთელი სოფელი დაიარე და რამდენს ნახავ ასეთ კარგ სახლს, თანაც ზოგიერთებივით არამად ნაშოვნი ფულით კი არ აუშენებია, სულ საკუთარი ოფლითა და გარჯით. თედოც ეხმარებოდა, მართალია, მაგრამ ომიდან დაინვალიდებული დაბრუნდა, ბევრი არაფერი შეეძლო.

აგე, ხომ ხედავ, კეჩხობაშვილების ამ ოჯახიდან გვარის გამგრძელებელი აღარავინ დარჩა, ხუთნი ძმანი კი იყვნენ. ორი ფრონტზე დაიღუპა, საჩინო უშვილძიროდ გადაეგო, თედოს სამი ქალიშვილი ჰყავს, რეზოს სამი ბიჭიდან სამივეს სხვადასხვა გვარი აქვს, მამის გვარს კი არცერთი ატარებს...

საჩინომ ერთ რამეში მართლაც იძუნწა – შთამომავლობა არ დაუტოვებია, მაგრამ კეთილი კვალი მაინც გაავლო... ევროპული ჯიშების ვაშლის ბაღებმა რომ წალეკა ქართლის ვაკე, დაივიწყეს ძველებური ადგილობრივი ჯიშები, აღარც ვენახის მოვლა-პატრონობის მცოდნენი დარჩნენ... ნახე, საჩინოს ნაკვეთი, ბაღი კი არა, ედემია! მთელი ქართლი ფეხდაფეხ დაიარა საკარმიდამო ნაკვეთებზე შემორჩენილი ყურძნის, ატმის, მსხლის, ვაშლის, ქლიავის ძველებური ჯიშების ძიებაში... რა ზვარი გააშენა საჩინომ მივიწყებული ჯიშებისა! ოღონდ ეთხოვათ და ყველას აძლევდა ნერგებს, არც რჩევა-დარიგებას იშურებდა... ახლა მხოლოდ ჩვენს სოფელში კი არა, მეზობლებთანაც გავრცელდა საჩინოს ნაკვეთიდან ის მამაპაპისეული ჯიშები, ვენახის მოვლასაც ნელ-ნელა ეჩვევიან, ჰოდა, რამდენჯერაც სუფრას მიუსხდებიან, იმდენი "ძუნწი" საჩინოს სულის მოსახსენებელი ხომ უნდა დალიონ? მაშ, თუ ეგრეა, ეგ ჭიქა ასწიე და მომიჭახუნე!.. საჩინოს გაუმარჯოს, ღმერთმა იმისი სული გაანათლოს, საცა არის, ამინ!..

1996

სალაღობო მონოლოგი

ჰო, მომისმინეთ ერთ წამს... უნდა გაცინოთ!.. დასალევად ჩავედით "დარიალში"... ვინ ვიყავით? ავქსენტი, ბიკენტი, დომენტი და... აი ის... რა მომენტი, ვინ მომენტი! ნუ მაბნევ, მაცალე, მათქმევინე ორი სიტყვა, მერე იმაიმუნე, რამდენიც გინდა, რა დროს მასხრობაა... პატენტი?!. რა შუაშია აქ პატენტი, მაგ სახელიანი შენ გეყოლება ძმაკაცი, მე – არა, მაბითურებ? თუ გაგიშალე და გთხლიშე მაგ დრუნჩ-კბილში, სად მიდიხარ, სად სიკვდილში?!. ეს ოხერი, ყველაფერზე თავისით მოდის რითმა! ბუღლამა და ჩიხირთმა!.. და კიდევ ვიღაც-ვიღაცეები დავას დამიწყებენ, რა გიგავს პოეტსო... ჰო, გამახსენდა, კიდევ იყო მამანტი! მამონტი კი არა – მა-მა-ნტი! მამანტი, კაცო!.. თუ სევასტი? არა, აჰ, დიდი ბოდიში მომიძღვნია თავის მზითევითა, ამერია, მაგენი სხვა დროს მოღვაწეობდნენ სუფრის ბატალიაში... კარგი ახლა, სულ დამაბნიე, თავიდან უნდა დავიწყო... ჰო, მე მგონი, მაშინ ნაღდად იყვნენ: ჯუზეპე, სალვატორე, ისიდორე და დოსიფორე – რას დაგვაკლებს ჩვენ სიშორე! თუ... ღმერთო, გამახსენე... თუ პაოლო, ვირჯილიო, კორნელიო – ყველა ჯამით მსმელიო!.. ლეონარდო – არ იდარდო!.. მიკელე – ღმერთო, მიშველე!.. თეოფილო, ჯორჯო – შენ თვითონ ხარ ჯოჯო!.. სილვესტრე, დემეტრიო – თმებით უნდა დაგითრიო!.. ხომ კარგია?!. ეუჯენიო – ეს რა ჰქენიო?!. ვინჩენცო – ვინც შენ ცოლი მოგცა!.. ანიბალე – მოდი მალე!.. ვიტორიო – ნუ ტირიო!.. ერკოლე, ჯოვანი – სხვანი და სხვანი!.. ჯანი, ჯანლუკა, ჯამბატისტა, ჯანკარლო, ჯანლუიჯი, ჯანპიეტრო, ჯანმუსტაფა!.. ჯან-ჯან-ჯან – ბადრიჯან!.. ნუ გგონია, გავაფრინე – სულ ჭკვიანი კი არ უნდა იყო, ხანდახან ხუმრობაც

არ გვაწყენს, გინდაც ცოტა მოსულელო იყოს!.. ბიჭოს!.. დიმპიტაური-დამპიტაური, შენ დაუკარ!.. მოდი, ერთიც დავლიოთ!..

1997

r a i yo , yo r nebo , T qve l amaz ebo , keT i l ebo !..
(mar t o xel a qal i s mo no l o gi)

გულიკოს

ძალიან რომ გამიჭირდა, დავიწყე ქალაქის ახლომახლო ხეტიალი – ვკრეფ ბალახბულახს: სატაცურს, კოფრჩხილას, ჭინჭარს, სვიას... ესენი რომ მოილია, მივადექი ნაცარქათამას, დანდურს... აბა, რა ვქნა, შენი ჭირიმე, მხალეულით მიდგას სული – სამსახურში, მითხარი, რა ხელფასი მაქვს – 12 ლარი, ყოველდღე რომ სამსახურში ვიარო, გზის ფულად არ მეყოფა. არც დავდივარ, ტყუილად იქ რა მინდა – გაჩერებულია ყველაფერი; კვირაში ერთხელ თუ გავივლი, ხომ არ გამოჩნდა რამე საქმე-მეთქი... ჰო... ჭამა კიდევ ყველა ცოცხალ არსებას უნდა, გენაცვალე, ეს ოხერი მუცელი თავისას მოითხოვს, ჰოდა, დავწანწალებ ეს სამოცი წლის ქალი მარტოდმარტო უდაბურ ადგილებში, თან შიშით გული მელევა – ხომ იცი, რამდენი ძაღლი და მამაძაღლი დაძრწის, კარგ ვაუკაცსაც შეეშინდება. ეს უპატრონო ძაღლები კიდევ ასე რამ მოამრავლა, არ ვიცი, მაგრამ მე უფრო ორფეხებს ვუფრთხი – კაცი უფრო დაუნდობელია...

ამას წინათაც ვიყავი საშოვარზე. ძალიან შორს წავედი ნელ-ნელა სიარულში. თუთაც შემხვდა, ალუბალიც – უკვე თითქმის მოლეული, ერთი-ორი კილო მოვკრიფე. ახლა ჭერამი იწყებს მწიფობას, გარგარიც... იქ დიდი ხეები იდგა, იმაზე რა მაძრომიალებდა – დაბლა, ბალახებში ჩამოცვენილი მწიფე ჭერამი საკმაოდ იყო და ისიც მეყოფოდა, თითქმის მთელი პლასტმასის პატარა ვედრო გავავსე. თან ათას რამეზე ვფიქრობ: ხან – კარგზე, ხან – ავზე, ხომ იცი, როგორ აგედევნება ხოლმე მარტოობისას ფიქრები, მიედინება თავში არეულ-დარეულად... ძველთაძველი ამბები ცოცხლდება თითქოს თვალწინ, დიდი ხნის წინ დავიწყებული ადამიანები გაგონდება, ზოგი წაკითხული ან გაგონილი ამბავიც... ცოტა გულს გადაგეყრება ფიქრები საკუთარ უბედობაზე, დუხჭირ მდგომარეობაზე – ბედნიერი ხარ, თითქმის ბედნიერი... ჰოდა, – "ყვა-ყვა!.." – აფრინდნენ ამ დროს შავი, უზარმაზარი ყორნები ახლო მდგომი ალვისხეების კენწეროებიდან, გადააშავეს, დააბნელეს ცა, გამიფუჭეს ხასიათი... "ჯანდაბა თქვენ!" – წამოვიძახე. შემიწუხდა სული, ამიჩქარდა გული, ცუდად ვარ... აღარ მახარებს არც მზიანი, მშვენიერი დღე, აღარც – მდიდარი ნადავლი... ტრიალებენ ეს ყორნები ჰაერში, მაგათი ჩხავილ-ყრანტლით გაივსო ირგვლივ ყველაფერი...

მერე გამახსენდა ამას წინათ წაკითხული წიგნი ფსიქოთერაპიაზე და ტაქტიკა გამო-ვიცვალე.

გავუღიმე ყორნებს და ალერსიანად მივმართე:

– ჰო, რა იყო, ყორნებო, თქვე ლამაზებო, კეთილებო, რამ შეგაწუხათ?

ეს ვთქვი და...

ვხედავ: გაჩერდნენ, ხმას აღარ იღებენ!

ნელ-ნელა ყველანი დასხდნენ ქარსაფარი ზოლის ალვებზე, წვეროებზე მოკალათდნენ და არიან წყნარად, გუგულებივით...

ჰო, ეგრეა, ეგრე – არ უნდა დაიბოღმო, არ უნდა დასწყევლო არავინ – ყველა ღვთის გაჩენილია... ბოროტებაზე სიკეთით უნდა უპასუხო... მაშინ შენი სინდისი ყოველთვის სუფთაა, ყოველთვის კარგ ხასიათზე ხარ, ყველაფერი გახარებს!..

1997

რთულია ადამიანის სული!
(დაბნეული კაცის გულწრფელი მონოლოგი)

ზაზას ხომ კარგად იცნობ? კი, ყველა აქებს, ყველას მოსწონს – გარეგნობითაც, ჭკუა-გონებითაც, ხასიათსაც ვერავინ დაუწუნებს, მაგრამ... მაგრამ გულახდილად გეუბნები: რატომღაც არ მომდის თვალში, თვითონ მეც კი არ ვიცი – რატომ... დიდხანსაც რომ ვჩხრიკო-ვეძებო მიზეზი, ალბათ ვერ ვიპოვი და ვერც ვიტყვი. თავიდანვე, პირველი ნახვისთანავე არ მომეწონა და ეს, საიდანღაც, ქვეცნობიერებიდან წამოსული უარყოფითი განწყობა აქამდე მდგრადია, უცვლელად გამომყვა. არადა, მისგან არავითარი საწყენი რამ ჩემს მიმართ არ მახსოვს, ყურადღებითა და გულითადობით გამოირჩევა ჩემდამი. მე თვითონ ვერ ამიხსნია, ჩემთვისაც გაუგებარია – რას ვერჩი? არც არაფერს,

რა თქმა უნდა... ის კი არა, აქამდე არავისთან სიტყვაც არ წამომცდენია სააუგო მასზე. არა, შური აქ არ არის, ნამდვილად არ მშურს მისი არაფერი – პირიქით, ყველაფერი ულაზათოდ მეჩვენება, მიუღებელი ჩემი გემოვნებისთვის...

რატომღაც მსიამოვნებს ზაზასადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულების დაფარვა: ხაზგასმულად მეგობრულად ვესაუბრები ხოლმე, ვითომ ძალიან მაინტერესებს მისი საქმეები, დახმარებას ვთავაზობ მაშინაც კი, როცა არ მთხოვს... მსიამოვნებს პირსუკან მისი ქება; ვაქებ ზომიერად, როგორც ნამდვილად დამსახურებულ კაი კაცს აქებ, ყოველგვარი გადა-ჭარბების გარეშე და ამიტომ ვცდილობ, ჩემი შესხმა გამოჩნდეს, როგორც ნაღდი, გულწრფელი, ალალი... ამ დროს კი მაღიზიანებს მისი გარეგნობაც კი – საკმაოდ სასიამოვნო, ქცევაც – სავსებით მისაღები, ხინჯს რომ ვერ უპოვნი და სახელიც კი – თუმცა სხვებს რომ ჰქვიათ ზაზა, მათ მიმართ არ მაქვს ასეთი ამრეზილი განწყობა.... რატომ მსურს სხვებს, და უპირველესად – ზაზას, ილუზიები შევუქმნა ჩემი ნამდვილი დამოკიდებულების შესახებ? არ ვიცი, ვერ ამიხსნია... არავინ მრჯის, მაშ რატომ არ გავჩერდები, რატომ ვაქებ და ვადიდებ? შეგიძლია, ამიხსნა ეს იდუმალი პარადოქსი ადამიანის სულისა?

1988

ღია კარი

(ქვრივი ქალის მონოლოგი)

ალო, ალო!.. ნაზიკო ხარ, გოგო?.. ჰო, გამარჯობა! როგორ ვარ? ნუღარ იკითხავ – მტრისას, მტრისას!.. შენ ძლივს დაგირეკე, ვერავის მივაწვდინე ხმა. სამი დღეა, ვწევარ, გოგო, საჯდომი ნერვის ანთება დამემართა... აბა, აბა! ტკივილებმა ლამის გამაგიჟოს... ჰოდა, მობრძანდა ვაჟბატონი – ჩემი შვილი – მერაბი. ორ თვეზე მეტია, თვალით არ მინახავს. ჰო, ვუთხარი, დედა სულ აღარ გახსოვს, არ გადარდებს, ცოცხალია თუ მკვდარი, ტელეფონი ხომ მაინც გაქვთ, ეს ოხერი, ვეუბნები, არ უნდა შემეხმიანო თვეში ერთხელ მაინც?.. არა, გოგო, მე იქ რა დამარეკვინებს, ისედაც ნერვები მაქვს მოშლილი; ყურმილი მძახალმა ან რძალმა რომ აიღონ, მათი ხმის გაგონება ჩემთვის იშიაზით გამოწვეულ ტკივილზე უარესია. "შენ კი გაქვს ჭკუა ნაღრძობი, – ვეუბნები, – შენი ცოლი და სიდედრი რაღამ გადარია, დეკემბერში ასე უქუდოდ რომ გამოგიშვეს ქუჩაში-მეთქი..." ჰო, გოგო, თავი სულ მთლად სველი ჰქონდა, თოვლი ადნებოდა. ვეუბნები, შენ ალბათ რაღაც გაგიჭირდა, დედა რომ გაგახსენდა-მეთქი... რა მიპასუხა, იცი? საჩქაროდ ასი ლარი მჭირდება, მიშოვეო. ვეუბნები, შვილო, მაგდენი ფული მე ვინ მომაშავა და სად ან როგორ გიშოვო, ხომ ხედავ, ვერ ვმოძრაობ, ტკივილების გამო გიჟსა ვგავარ-მეთქი... გამიბრაზდა და წავიდა, წარმოგიდგენია? მეგონა, ახლა მეშველა, საჭმელს და წამლებს მომიტანს გაჭირვებულ ქალს-მეთქი, იმან კი არც მომისმინა, გაიჯახუნა კარი... თან ისე მაგრად, რომ არ დაიკეტა, დარჩა ღია. ჩემისთანა ავადმყოფისთვის პატარა ნიავიც მომაკვდინებელია, აქ კი ყინულივით ცივი ქარი შემოდის გარედან ქშუილით... ადგომაც არ შემიძლია, რომ კარი მივხურო, რაღა ვქნა, არ ვიცი... თან სულ დეგენერატზე ვფიქრობ, ადუღებული ვარ. "დედა ხარ და ვალდებული ხარ!" – ასე მეუბნება ის ვაჟბატონი. ჩემი ქალობა მაგას შევალიე... საყვარელი ქმარი დავკარგე, მერაბი სულ სამი წლის იყო... ხომ შემეძლო, ჩემი ცხოვრება ისე წამემართა, რომ ახლად შემექმნა ოჯახი, ვზიარებოდი ბედნიერებას... ჩემი სიცოცხლე და ჯანმრთელობა მერაბმა შეიწირა, მიეჩვია, რომ დედა პატიობს ყველაფერს... კაცი კი არა, კაცუნაა... შვილიშვილი სამი წლის გახდა და ერთ წელზე მეტია, ერთხელაც არ მანახვეს, ალბათ ვეღარც ვიცნობ. ხალხია ეგ? არაადამიანები არიან... გალაღებულები, არაფრის მაქნისები, ბედოვლათები... მძახალი მთელ თბილისს იცნობს, რატომ არ ფიქრობს, მე, სუსტ, ისედაც ბედით დაჩაგრულ ქალს რომ კიდევ წიხლს მაჭერს და შვილი დამიკარგა?.. ეგდონ თავისთვის... სიბერეში ძლივს ვეღირსე ერთოთახიან ბინას, ძლივს მოვისვენე... გაერთიანება მოინდომეს ბინების და ისევ რია-რია, მაგათი ოთხი უსაქმური შვილის წამსვლელ-მომსვლელი... მაგათი მომსახურება მაკლია სწორედ ავადმყოფ ქალს. მე ვუთხარი, მოსვენება მინდა, ცხოვრებამ დამღალა უკვე, სიმყუდროვე სიცოცხლეს მირჩევნია და თქვენს აბნეულ-დაბნეულ ოჯახს ვერ ავიტან-მეთქი. ეწყინათ და ამითვალწუნეს. ჩემი ბედოვლათი შვილის ხუშტურებიც საკმარისია ჩემთვის, რომ დაიმონეთ და ჩვრად აქციეთ, დედაც კი აღარ უნდა, მისი დედა, თანაც – როგორი დედა!.. რა სიმწრით გავზარდე ჩემი მერაბი, ღმერთო, რომ გამახსენდება, რა ტანჯვა-წვალება გადავიტანე! გათხოვებაზე არც მიფიქრია; ახლა ვხვდები, რომ შევცდი, ძალიან შევცდი! ყველაფერს ვიკლებდი, ყველაფერს, რომ კაცად გამეზარდა, კაცად მექცია – და თურმე რისთვის? რომ ვიღაც უმადურმა, გაუნათლებელმა ადამიანებმა ჩემი ღირსება გათელონ, ჩემი სახელი წაღმა-უკუღმა საგინებლად გაიხადონ... შვილსაც კი შეაძულეს ჩემი თავი, შვილიშვილს არ მანახვე-

ბენ... გავიტანჯე ქალი. ვიღა მოგაკითხავს გაჭირვებაში... საკუთარ შვილს რომ არ ენდომები, სხვისგან რას მოითხოვ? ვინაა პატრონი... ძველმა მეგობარ-ამხანაგებმაც დავივიწყეთ ერთმანეთი... ჰო, ჩვენ რა ახლოს ვიყავით და რამდენი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს... არა, არა, შენ შემოგევლე, ნუ შეწუხდები, ნუღარ მოხვალ – მეზობლის გოგო შემოვიდა ნემსის გასაკეთებლად... მიხურა უკვე კარი, იმას ვენაცვალე... ჰო, კარგად, კარგად იყავი, მადლობელი ვარ, შენთან ლაპარაკს გული გადავაყოლე... ჰო, სხვა დროს გამომიარე, გოგო, უფრო წვრილად ჩაგიკენჭავ ყველაფერს, გულს მოვიოხებ...

1985

ეს ერთი მიპატიებია...

(სტუდენტის მონოლოგი)

თბილისში დეიდაჩემთან ვარ ბინად. დროდადრო ჩავდივარ რამდენიმე დღით შინ, სოფელში. ამას წინათაც ჩამიწყვეს ორი-სამი თვის სამყოფი რაღაცეები მანქანაში და წამოვედი – ორშაბათს ლექციები მეწყებოდა.. ჩალაუბნიდან რო გამოვედი, იქვე ერჭო საგზაო პოლიციის ინსპექტორი. არ გამაჩერა – ჩემს მანქანას აქ იცნობენ. კაჭრეთთან პოლიციის ორი მანქანა თითქოს მე მიცდიდა, ერთმა ინსპექტორმა მაშინვე ხელჯოხი დამიქნია კარგი ნაცნობივით. რა უნდათ? რა და... ტყუილად ხომ არ დგანან ამოდენა კაცები მთელი დღე გზაზე – ჩაბურვაკებულნი, ღაჟღაჟალოყებიანები.... მართალია, წესი არაფერი დამირღვევია, მანქანა დაზღვეული მაქვს, ტექნიკური დათვალიერებაც დროზე გავიარე, მაგრამ... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყველას თავისი წილი უნდა. უბედურება ისაა, რომ ჯიბეგაფხეკილი მოვდივარ – ჩიტის სკინტლი აბაზიანი მგონია. ბენზინი თბილისამდე ჩამიყვანს, იქ კი ზაფხულის თვეების სტიპენდია მაქვს ასაღები და გავიტან თავს.

ჰო, გამაჩერეს, როგორც მოგახსენეთ. მივეახლე და საბუთებს ვაწვდი. "მაგ ქაღალდებს რა თავში ვიხლი, ჯარიმა გადაიხადე!" – ერთი მეუბნება. "რატომ-მეთქი, ბატონო ჩემო, რა დავაშავე?" "ისაო, რომა, აგერ შელანძღული გაქვს წინა მარჯვენა ფრთაზე, ნაღდად დაჯახებიხარ რაღაცას და ცნობა წარმოგვიდგინეო". "რის ცნობა, რა ცნობა?" "ავარიისაო..."

შარზეა ეს დედმამაგანათლებული – ამ ერთი ბეწო შეჭყლეტილით უკვე ორი წელია თუ მეტი, დავდივარ და აქამდე კაციშვილს არაფერი უთქვამს... რაღა ვქნა?..

ჩურჩხელების შეკვრა გამოვაძვრინე კალათიდან (თორმეტი ცალი იყო გაზეთში კოხტად გახვეული). ინსპექტორი გვერდზე გავიყვანე და ხელში შევაჩეჩე: "ეს ჩვენი კეთილად გაცნობისა იყოს-მეთქი, სხვა დროს კიდევ შევხვდებით, სულ ამ გზაზე ვარ გაკრული და, ხომ იცი, ჩემგან არაფერი დაგეკარგება-მეთქი". "კარგიო, ეს ერთი მიპატიებია და აწი უფულოდ გავლილი არ გნახოო". მადლობა მოვახსენე, რასაკვირველია, და მანქანისკენ მივბრუნდი.

წამოვედი და ახლა ბადიაურთან, რკინიგზის გადასასვლელთან მისვლამდე, აქაც ორი მანქანით ჩასაფრებულან. ორივე მეგობრულად მიქნევს ხელჯოხს – აქეთ, გვერდზე მიაყენე მანქანა, მოგვენატრა შენი ნახვაო. აბა ერთი ჩემიც იკითხონ! ვაწვდი საბუთებს აწოწილ ინსპექტორს – ის უფრო კეთილი მეჩვენება. "ეგაო, – მეუბნება, – გინდა გულის ჯიბეში შაინახე მაგრად, გინდაც – შარვლის უკანა ჯიბეში, როგორც უფრო გაგიხარდება; შენ ჯარიმა გეკუთვნის და მოგვართვიო". "რის ჯარიმა?" – გავიკვირვე ყასიდად. "რისა და აი, რას გიგავს, მოქალაქევ, მანქანა, ალბათ ერთი თვეა, არ გაგირეცხია, საგზაო მოძრაობის წესებში კი რა წერია, დასაშვებია ასეთი უკულტურობაო?".

ვიქექავ ჯიბეებს – უკულტურობა უნდა ვზღო, მაგრამ რას ვიპოვი, რაც არ ჩამიდვია? ერთი მოზრდილი პარკი ნარჩევი კაკალი ავაჩხრიალე: "ამჯერად ეს იკმარე, ჩემო ძმაო და მეგობარო, და მერმისს, როცა შევხვდებით, დანარჩენი პატივისცემა ჩემზე იყოს-მეთქი...". "კარგიო, რატომღაც მომეწონე, პატიოსანი კაცი ჩანხარ, ეს ერთი მიპატიებია და სხვა დროს ჯიბეზე ქესატად აღარ შემხვდეო".

რა ყველანი ერთ ჰანგზე გალობენ ეს დალოცვილები, განა მე კი დამამძიმებს ჯიბეებდატენილი სიარული! ხელი ჩამოვართვი, დიდი მადლობაც მოვახსენე; იმანაც მოწყალედ დამიქნია თავი – თავისუფალი ბრძანდებიო...

ჩავჯექ ჩემს იორღაში და საკუთარ თავს ვეუბნები: "იგრე თუ გავჭენდით, მალხაზ ჩემო, თბილისამდე კარგა გვარიანად შევამსუბუქებთ მანქანას-მეთქი".

ისე აგიხდეთ ყველა კეთილი სურვილი და ტკბილი ნატვრა, როგორც ჩემი ნაფიქრი ასრულდა: გზად კიდევ რამდენი ახალი მეგობრის შეძენა მომიწია, ჩემზე მდიდარი იმ დღეს, არა მგონია, ვინმე ყოფილიყო! საგარეჯოსთან რომ გამაჩერეს, ერთმა ინსპექტორმა რატომღაც მეძებარი ძაღლივით სამჯერ შემოუარა ჩემს მანქანას, მეორემ კი ამ დროს ტკბილად დამმოძღვრა: "ისე ლამაზად გიჟუ-

ჟუნებს თვალები და გიცინის სახე, სიმართლე მიბრძანე – ღვინოს ეცი პატივი, არაყს თუ ორივეს ერთად? სხვების ჯანმრთელობას თუ არ უფრთხილდები, საკუთარ თავს რაღას ერჩი – გინდაც მშვიდობით ჩააღწიო სახლამდე, არ იცი, რომ ალკოჰოლი შხამია?". ნეტა კარგ გუნებაზე ყოფნისა რა შემატყო? ერთი პირობა ვიფიქრე, ჩხუბს ავუტეხავ-მეთქი, მაგრამ დროზე მოვეგე გონს – ორი ბოთლი ჭაჭის ორნახადით შემსუბუქებულმა გავაგრძელე მგზავრობა.

გესიამოვნება ხომ იცი: ყოველი დამეგობრების მოსურნე ღიმილით შემოგცქერის თვალებში, გულითადად გელაპარაკება – მაშინვე შეატყობ, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მაღალ დონეზე უტარდებათ... გომბორის გადასახვევთან ლობიოთი სავსე ვედროს გამოვემშვიდობე სამუდამოდ, რუსთავის გადასახვევთან – ერთ ტომარა კარტოფილს... აეროპორტის გადასახვევს უდავიდარაბოდ გავცდი, მაგრამ ცოტა ქვემოთ გავიჭედე – მთელი საათი მაყურყუტა მთლად ახალგაზრდა ინსპექტორმა... ეტყობა, გამოუცდელი იყო – კაცს რომ შეხედავ, ვერ უნდა შეატყო, რომ არაფრის მქონეა?.. არც ხვეწნა-მუდარამ გაჭრა, არც – ჯიჯღინმა, ვერც ხუთლიტრიანი მწნილიანი ქილით მოვხიბლე – ეტყობა, გულძმარვა აწუხებდა. ვერაფრით შევაცოდე თავი, სანამ იმედგადაწურულს არ გამახსენდა, რომ ლიტრიანი ქილით მეზობელმა ერთ მის ნაცნობთან თაფლი გამომატანა...

ასე მხიარულად ჩამოვცანცალდი ქალაქში, აქ კი ქუჩაში მხოლოდ ერთხელ გამაჩერეს. მხიარულ ინსპექტორთან გულღია საუბარმა კარგა ხანს გასტანა. როცა ჩემი თავგადასავალი მოვუყევი და იგი დარწმუნდა, რომ ჯიბეში გახვრეტილი შაურიც არ მიჭყიოდა, დაუბეგრავად მაინც არ დამტოვა: "კარგი ანეკდოტი გეცოდინება ახალი და ის მაინც მიამბეო". უარს როგორ შევკადრებდი, ერთი კახური ანეკდოტი ვაჯახე – და გზაც ხსნილი იყო.

მერე კი, არ ვიცი, რა ჭირი ეცათ – სხვა დროს ყოველ გზაჯვარედინზე დამისტვენდნენ ხოლმე, ახლა კი ჩემი ახლო გაცნობის მსურველი მეტი აღარ გამოჩენილა. კიდევ კარგი, თორემ, შესაძლოა, იძულებულს გამხდიდნენ, ბოლოს სამი ან ნაკლები ბორბლითაც კი მივჩანჩალებულიყავი დეიდაჩემის სახლამდე!

ასეა, ძმაო: თუ გინდა, ბევრი მეგობარი შეიძინო, უებარ საშუალებას გასწავლი – უფულოდ უნდა იარო!..

1998

ხალიჩა

(ჭორიკანა კაცის მონოლოგი)

ხომ გცალია? სანამ მაგ სიგარეტს მოსწევ, ერთ ამბავს გიამბობ... უშანგი რომ დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს, იმაზე გეტყვი – შენ შედარებით ახალი მოსული ხარ ჩვენს სამსახურში და არ გეცოდინება, კარგა ხნის წინ რა ამბავიც შეემთხვა...

მაშინ უცოლშვილო იყო, ჩვენს ლაბორატორიაში მუშაობდა და ორ ქალს – ლამარასა და მერის – ერთდროულად ეკურკურებოდა, სხვა ლაბორატორიებში კი – კიდევ სამსა თუ ოთხს, შესაძლებელია, მეტსაც; მე მხოლოდ იმას გეუბნები, რაც დანამდვილებით ვიცი... ცოლს კი არა და არ თხოულობდა, არადა, ოცდაათს კარგა მაგრად გადასცილდა. მაშინ ფხუკიანი იყო, პატარა რამე სწყინდა – დენთივით აფეთქდებოდა ხოლმე. მისი მოსაწონი ქალი ვერა და ვერ მოიძებნა. თვითონ კი ისეთ რამეებს ჰკადრებდა ხოლმე ლამარასა და მერის, მეუხერხულება თქმა...

ქალები ყველაფერს ხუმრობაში უთვლიდნენ – გათხოვებაზე იყვნენ დაფეთებულნი, ორივე ასაკით კრიტიკულ ზღვარს, ოცდაათ წელს მიუახლოვდა. ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებდნენ, ზოგჯერ თავს ვერ იკავებდნენ და უბრალო რამეზე წაკინკლავდებოდნენ, ხშირად უშანგის წაქეზებით; თვითონ უშანგი კი მათი ჩხუბით ერთობოდა...

როცა ჩემი ცოლისდა ლალი მიიღეს სამსახურში, უშანგიმ მაშინვე თვალი დაადგა! სულ მთლად ნორჩი, ლამაზი გოგო იყო ლალი, უშანგიზე ბევრად უმცროსი. სამსახურში მე მივაღებინე, დაუსწრებლად სწავლობდა უნივერსიტეტში.

ლამარამ და მერიმ ძველი ქიშპობა დაივიწყეს! სულ რაღაცას ჩურჩულებდნენ ერთმანეთში, ალბათ გეგმებს აწყობდნენ, ლალი როგორ ჩამოეშორებინათ გზიდან. როგორ, რანაირად? ლალი სასწრაფოდ ვინმეზე უნდა გაათხოვონ! – უკეთესი გამოსავალი ვერ მონახეს. დატრიალდა ლამარა, ჩავიდა მშობლიურ ქუთაისში, დაიწყო ლალისთვის "სასიძოს" ძებნა. მალე იშოვა კიდეც – ერთი ნათესავი ბიჭი. წამოიყვანა ლამარამ ბიჭის მშობლები, კიდევ ვიღაც-ვიღაცეები, იმათი ნათესავები და მოიყვანა "სარძლოს" გასასინჯად, "სასიძო" შინ დატოვეს. ლალიმ თავი მოიკლა – ჯერ ვერ გავთხოვდები, სანამ ინსტიტუტს არ დავამთავრებ, ამაზე არც ვიფიქრებ, ასე მაქვს გადაწყვეტილიო...

არაფრით არ ქნა. რაღას იზამდნენ, გაბრუნდნენ ისი-ნი ქუთაისში პირში ჩალაგამოვლებულნი. კარგა ხნის შემდეგ ჩემმა ცოლმა შემთხვევით გა-იგო, რა სიკეთესაც უპირებდა ლალის ლამარა: ერთხელ იმ "სასიძოს" დედა შეხვდა და საუბარში ყველაფერი ჩაუკაკლა – იცი, ჩვენ კინაღამ დავმოყვრდით, ჩემი ბიჭი ავადმყოფია და გვითხრეს, იქნებ ცოლის მოყვანამ უშველოსო; ლამარა შენს დას ურიგებდა, მაგრამ ლალიმ თქვა უარიო...

ბოდიში, გვერდზე გადავუხვიე...

უშანგიმ ლალის ვერაფერი გაუბედა, მე კი მითხრა: "გერონტი, მე სერიოზულად ვაპირებ ლალის ცოლად მოყვანას და ხელი შემიწყვეო". რას ვიზამდი, კარგი, ყაბულსა ვარ-მეთქი; ვიფიქრე, ეგ ფხუკიანი არ გამინაწყენდეს-მეთქი.

უშანგიმ გადაწყვიტა, წინასწარ დედამისისთვის ეჩვენებინა "სარძლო", თან ერთგვარად დაახლოებულიყო ლალისთან, ამიტომ ფანდს მიმართა – მთელი ლაბორატორია, ასე თხუთ-მეტამდე თანამშრომელი, შინ დაპატიჟა, დაბადების დღე მაქვსო.

ყველამ მშვენივრად ვიცოდით, რა მუცლის გვრემაც აწუხებდა უშანგს, განსაკუთრებით ლამარა და მერი აფორიაქდნენ... მე კი ვუთხარი, მაგრამ ისედაც ლალის ქალურ გუმანს რას გამოაპარებდი; გარეგნულად ისე იქცეოდა, ვითომ ვერაფერს ხვდებოდა და უშანგის მიპატიჟებაზე დიდი მადლობა გადაუხადა; თან მოუბოდიშა – შესაძლოა, ვერ მოვახერხო წამოსვლა, რადგან მალე საგამოცდო სესია მეწყება, ერთი სემინარიც მაქვს მოსამზადებელი, ის რომ დროზე არ ჩავაბარო, უნივერსიტეტიდან გამრიცხავენო.

ლალი არ წამოსულა საქეიფოდ, დანარჩენები, – ნანა, დალი, თინა, მერი, ნაზი, კოტე და ლაბორატორიის სხვა თანამშრომლები – დანიშნულ დროს შევიკრიბეთ უშანგის ოჯახში.

უშანგის დედა ხან ნანას შეხედავს, ხან – დალის, ხან – ნაზის და ასე შემდეგ – ყველა მანდილოსანი გულდასმით გასინჯა, ცდილობს, მიხვდეს, რომელია მისი შვილის რჩეული...

მეორე თუ მესამე დღეს სიცილით ვუთხარი ლალის: "რატომ არ წამოხვედი უშანგისთან, იშვიათი სუფრა იყო გაშლილი, რა გინდა, სულო და გულო!.. ყველანი დაძღნენ გემრიელად, მხოლოდ ლამარა და მერი იპუწკებოდნენ... რატომ თუ იცი?.. მაგარი დრო გავატარეთ, დიდად ისიამოვნებდი. ერთი ისეთი იშვიათი ხალიჩა აქვს უშანგს დიდ ოთახში, ჭერიდან იატაკამდე მთელი კედელია დაფარული – მთელი საღამო იმას ვუყურებდი. იქნებ არ შემცდარხარ, რომ თავი აარიდე იქ წამოსვლას – მართალი გითხრა, იმ ოჯახში მხოლოდ ის ხალიჩა მომეწონა..."

1997

ესაა ცხოვრება?

(ლექტორის მონოლოგი)

ესაა საქმე? ჩემი პროფესორის ხელფასი პურის ფულად არ მყოფნის. დილით, სამსახურში წამოსვლისას, მე შვილებს ვთხოვ გზის ფულს, ისინი კი ჩემს ჯიბეებში დაძრომიალობენ... ესაა ცხოვრება?

ეს ბედნიერი დროება რომ დაგვიდგა, ჯერ მანქანა გავყიდე (კიდევ კარგი, მოპარვა ვერ მოასწრეს), მერე – აგარაკი (სამჯერ გამიძარცვეს, კარ-ფანჯრები და თოხი და ბარიც კი არ შემარჩინეს)... როცა შიმშილმა ნამეტანი დამიკრაჭუნა კბილები, მომიწია ბინის გამოცვლაც – ცენტრიდან გარეუბანში გადავსახლდი... ახლა წიგნებს ვყიდი (ორმოცი წლის განმავლობაში ვაგროვებდი ჩემს პირად ბიბლიოთეკას) და იმით ვიბრუნებთ სულს... მეტი გასაყიდი ოჯახში აღარაფერი შეგვრჩა.

წინათ რომ დავდიოდი მეგობრებთან ერთად რესტორანში, მოვითხოვდი ანგარიშს და მეტყოდნენ: "როგორ გეკადრებათ, ბატონო, უკვე გადახდილიაო". მოვიდოდა ჩვენს სუფრასთან ახალგაზრდა და მორიდებით გამომელაპარაკებოდა: "მე თქვენი ყოფილი სტუდენტი ვარ, პატივცემულო, და ძალიან გამიხარდა თქვენი დანახვაო"...

ახლა?

გინდაც ასი წლის უნახავი მეგობარი შეამჩნიო ტროლეიბუსში, ემალები – გრცხვენია, იმდენი ხურდა ფულიც კი არ გაქვს ჯიბეში, რომ მისი მგზავრობის საფასურიც გადაიხადო... წინათ კი როგორ იყო? შემოვიდოდა ტროლეიბუსში ან ავტობუსში ვიღაც მთვრალი სიმღერით, ამოიღებდა ჯიბიდან ფულს და მთელ ვაგონს აუღებდა ბილეთებს...

ახლა?

მრცხვენია სტუდენტებთან ლექციაზე შესვლა – რას მიგავს პირის ღრუ, შენც ხომ ხედავ... ვჩიფჩიფებ, კბილების ჩასასმელი ფულის შოვნა ჩემთვის ზღაპარია...

ესაა ცხოვრება?

1998

ქართველებო, გენაცვალეთ!

(ახალგაზრდა ქალის მონოლოგი)

ეს ის დროა, ქვეყანაში რომ არეულობაა; ქალაქში დღისით-მზისით მანქანებს იტაცებენ, საღამოს ქუჩაში ვედარავის ნახავ, დროდადრო ისმის პისტოლეტებიდან სროლა და ავტო-მატების ჯერიც...

ტელესტუდიაში ვმუშაობ და ბევრჯერ მომიწია ღამის გათევა სტუდიის დერეფანში ან კიბეზე (ოთახებს კეტავდნენ), რადგან შინ გვიან წასვლა შეუძლებელი ხდებოდა – ტრანსპორტი სად იყო, ფეხით კი ჩაბნელებულ ქუჩებში ვინ გაბედავდა სიარულს...

ჰოდა, ერთხელაც, ერთ საღამოს, ბედად გამოჩენილ ეულ სამარშრუტო ტაქსში ჩავსხედით გახარებული მგზავრები, ყველანი ვაკეში მივდივართ. გვერდით ვიღაც შუახნის დათვივით კაცი მიზის, გვიან შევამჩნიე, რომ გვარიანი მთვრალია. ამოიღო პიჯაკის შიგნითა ჯიბიდან არყიანი ბოთლი და მაწვდის: "აჰა, მეგობარო, დალიე!" მაშინვე სხვაგან გადავჯექი. მის გვე-რდით გზად შემომატებული ხნიერი ქალი დაჯდა. ახლა იმას შესთავაზა: "დალიე, დალიე, ნუ ინაზები!" იმ ქალმაც თავს უშველა. მთვრალი ახლა მის წინ მსხდომთ აწვდიდა ბოთლს: "დალიე! დალიე და შეგერგება!"

ამასობაში წამოგვეწია მსუბუქი მანქანა – მუქი წითელი "ჟიგული" – და იქიდან გვი-ყვირიან: "გააჩერე, გააჩერე!" ჩვენმა მძღოლმა იფიქრა, რომელიმე მგზავრის ნაცნობი ხომ არ გამოჩნდაო, მაგრამ რომ დაინახა, შეცდა, აბა გიყვარდეს – დააჭირა გაზს ფეხი და მოვკურცხლეთ! მივქრივართ კი არა, მივფრინავთ, მოგვდევს ეს მანქანა და ღრიალებენ იქიდან უარესი გაანჩხლებით და გინებით: "გააჩერე, შენი..."

ვინაა გამჩერებელი, ყველას ფერფური წაგვივიდა, – სროლა არ აგვიტეხონ... მხოლოდ მთვრალი განაგრძობს თავისას – ახლა უკან მიტრიალდა და იქ მსხდომ ქალებს აჩრის არ-ყიან ბოთლს: "დალიე, ჯიგარო, დედის რძესავით შეგერგება!" დანარჩენები, კრიჭაშეკრულნი, შიშისგან ვილევით, მძღოლი ჩაფრენია საჭეს, ცოცხალი თავით არ არის მანქანის გამჩერებელი... არც "ჟიგული" გვეშვება, გაგვისწორდა, გვერდიდან გვიტევს – "გააჩერე, გააჩერე!" გავრბივართ და მოგვდევენ, ან ავარია მოგველის, ან გაძარცვა, ან უარესი რაღაც...

გადაგვისწრეს, წინიდან ჩაგვიდგნენ, ძალაუნებურად გავჩერდით, რა უნდა ქნა! ვსხე-დვართ თითქმის გულწასულები – რა მოგველის?

გადმოხტა იმ მანქანიდან ერთი ზორბა ახალგაზრდა, მოდის...

ჩვენ აღარ ვსუნთქავთ, შიშით სული გვეპარება...

გამოაღო მიკროავტობუსის კარი... კიდევ უფრო ვიბუზებით, აღარ ვიცით, სად შევძვრეთ...

შემოყო გაჩეჩილთმიანი, ზღარბა თავი, მიგვათვალიერ-მოგვათვალიერა ამღვრეული თვალებით... მერე ჩაიყო უბეში ხელი, – თვალები დავხუჭეთ! – ამოიღო ფული ბღუჯად და გაფითრებულ მძღოლს მიუყარა:

– ყველასი გადახდილია!

ჩვენმა მთვრალმა არყიანი ბოთლი შეაჩეჩა:

– მეგობარო, დალიე!

მოსულმა გამოართვა, მოიყუდა, გრძლად დაეწაფა და ბოთლი პატრონს დაუბრუნა.

მერე გაბრუნდა, მანქანაში ჩაჯდა. მანქანა გიჟურად მოწყდა ადგილს...

მანამდე კი მოასწრო და დაგვიყვირა:

– ქართველებო, ყველას გენაცვალეთ!

1999

მოდი, შვილო, ვიმღეროთ!

(ჩემი მეგობრის მონოლოგი)

პეტრე გონგლიაშვილის ხსოვნას

და თუ ტირილის დაგიდგეს ჟამი,
მონახე ჩანგი და სალამური!

ლადო ასათიანი, "ანდერძი", 1940

ჰო, გასულ ხუთშაბათს გავასვენეთ...

მაგარი კაცი იყო პეტრე, ამ უბედურ მეოცე საუკუნეში 90 წლის ასაკს გადააბიჯო არ გინდა? ომი, შვილების დაღუპვა, მეუღლის დაკარგვა, სხვა ათას ჭირ-ვარამს რა ჩამოთვლის – ყველაფერს ვაუკაცურად გაუძლო... გულახდილად გეუბნები: ყველაზე უფრო, იცი, რა მომწონდა მამაჩემში? არასდროს მეტყოდა: "აი, შვილო, ამ ხნის კაცი ვარ, ეს მიჭირს, ის მტკივა, ეს გამიკეთე, ის მიშოვე..." – უბრალო რამესაც არ მთხოვდა არაფერს... მაგრამ მე ხომ ვხედავ, რომ რაღაცა უჭირს, პრობლემები აქვს, რომელსაც ვერ უვლის... არც ჯანი აქვს, არც – ფული.... ზოგჯერ მისვლაც კი გრცხვენია სანახავად, ხელცარიელი როგორ მიხვიდე პენსიონერ კაცთან, მაშინვე რომ დატრიალდება და ერთ ბოთლ გადანახულ ღვინოს მაინც საიდანღაც გამოაძვრენს; დავსხდებით და ორიოდე სიტყვას ვეტყვით ერთმანეთს... ის კი დაგლოცავს, შენ რაღა უნდა უპასუხო? "პეტროვიჩ, – ჩემს თავს ვეუბნები, – მითხარი ერთი, რა კაცი ხარ, მამაშენს ფანჯარაში შუშაც კი ვერ ჩაუსვი, რაღაც მუყაო აუჭედებია (ჩემს დედინაცვალს სკლეროზი სჭირს, ნავთქურა ისე დადგა, ხანძარი გააჩინა და მეხანძრეებმა შუშები ჩალეწეს)... ვაჰმე, რა დრო დადგა, ზოგჯერ მამა რომ მოინახულო, გზის ფულიც არ გაქვს... ამის შემდეგ კაცი გქვია შენ?". მრცხვენია, მაგრამ რა ვქნა, უკვე ნახევარ წელზე მეტია, ხელფასი არ მოუციათ სამსახურში, ქურდობა-მამაძაღლობა მე არ შემიძლია, მითხარი, რა წყალში ჩავვარდე უფროსი მეცნიერ-მუშაკი? გასაყიდი შინ არაფერი მაქვს, ნათესავებთან ფულის სასესხებლად ვერ მივალ – ძველი ვალებიც ბლომად მაქვს გასასტუმრებელი, ცოლ-შვილი შემომყურებს – გაინძერი, გვიშველე რამეო. მეც თავს ვშველი – მამაჩემთან გავრბივარ, რამდენიმე საათით ვისვენებ, გამოვეთიშები დარდ-საფიქრალს... მხნე ბერიკაცის ცოცხალ თვალებს და იმედიან ლაპარაკს ვემკურნალები...

უკანასკნელი ორი თვე ოთხმოცდაათს გადაცილებული პეტრე ლოგინად იყო ჩავარდნილი... ბოლოს რომ მივედი, იცი, რა მითხრა? შენ გგონია, ჩივილი დაიწყო, აწუწუნდა – ნახე, შვილო, რა დღეში ვარ, მალე მიქელ-გაბრიელი მომაკითხავსო?

მითხრა: "მოდი, შვილო, ვიმღეროთ!"

როგორი ნათქვამია?

მაგარი კაცი იყო ცხონებული პეტრე... ლათინურად ხომ მისი სახელი ქვას, კლდეს ნიშნავს...

მოდი, შვილო, ვიმღეროთო!..

1998

ნუგეში

(განერვიულებული კაცის მონოლოგი)

აი, ცოლი მყავსო, მე უნდა დავიტრაბახო. პატარა უსიამოვნებაზეც კი, გინდაც სადღაც კუნჭულში თაგვმა გაიფაჩუნოს, მაშინვე მანუგეშებს:

– მაგაზე არ იდარდო, თავს გაუფრთხილდი, ყურადღებას ნუ მიაქცევ...

– ვინ გითხრა, რომ ვდარდობ? მეტი საქმე არ მაქვს! – ვპასუხობ მე. – ნუ მიშლი რა ხელს...

– რატომ ხარ ასეთი მგრძნობიარე? – აგრძელებს ცოლი, თითქოს არაფერი მეთქვას, – ყველაფერი გულთან ახლოს კი არ უნდა მიიტანო. ცხოვრებაში ათასი წვრილმანი საზიზღრობა ხდება და ყველაფერი რომ განიცადო, უჭკუობა იქნება, სისულელე...

– ჰო, ცამდე მართალი ხარ, შენ გენაცვალე, ახლა თავი დამანებე, რაღაცა დასაწერი მაქვს და მაცდენ.

ცოლი კი, ვითომც არაფერი, თავისას უკრავს:

– პატარა რამეზე აპილპილება და ბუზის სპილოდ გადაქცევა რას მოგცემს? რას მოიგებ ამით? არაფერს! ერთხელაც იქნება და – ბრახ! გული ვეღარ გაუძლებს... ხომ იცი, ადამიანი სუსტია, ნაზი არსებაა, განსაკუთრებით – კაცები, ამიტომ უნდა მიგაჩვიო, უნდა გამოგაწრთო, რკინის ნერვები უნდა გაგიხადო, რომ არაფრის გეშინოდეს...

– არაფრის არ მეშინია, შემეშვი, თუ ქალი ხარ, საქმე გამოგელია? მაცალე, დამაწერინე ორი სტრიქონი...

– შენ გენაცვალე, ოღონდ შენ იყავი კარგად და მე თუნდაც შენი ჭირი წამიღია, არ ვინაღვლებ... ნუ ნერვიულობ, ნერვიულობა რომ კლავს ადამიანს, ისე სხვა რამე რას უზამს...

– არ ვნერვიულობ, საიდან მოიგონე? თუმცა... უკვე ნერვიულობას ვიწყებ, თუ თავს არ დამანებებ...

– ნერვიულობაა ყველაფრის მიზეზი – კუჭის წყლულისაც, მაღალი წნევისაც, კიბოსიც, ინფარქტისაც და ათასი სხვა უბედურებისაც... ამიტომ თავს უნდა გაუფრთხილდე, პრასი ხომ არ ხარ, მეორედ მოხვიდე.

– კარგი, კარგი, შენი ლექციის შემდეგ აწი წესიერად მოვიქცევი, ყველაფერს დაგიჯერებ, ოღონდ ახლა საქმეს ნუ მომაცდენ.

– დარდ-ვარამს გული არ უნდა შეაჭმევინო – დიდი ხანია, ცნობილია. ქვეყანაზე რამდენი გაუნათლებელი ადამიანია, რამდენი ბოროტი სულია, რამდენი რეგვენი დადის, დაუფიქრებლად არატრატებს ენას და იმას კი არ დაუფიქრდება, რომ შეიძლება, მისი ნათქვამი სხვას არ მოეწონოს, ტყუილად აწყენინოს...

– შენს თავს გულისხმობ? – ხმაში უკვე გაბრაზება გამომერია. – ვერ ატყობ, შენი ქაქანი ცუდად მოქმედებს ჩემზე?

– ხომ გითხარი, სხვის ლაქლაქს აგრე რიგად ნუ განიცდი-მეთქი, ერთ ყურში შეუშვი და მეორეში გამოუშვი და არაფერი დაგემართება.

– რა უნდა დამემართოს, ქალო, დროზე მომცილდი თავიდან, თორემ სადაცაა, გავაფრენ!.. გინდა, მომკლა?

– მე სულ შენზე ვზრუნავ, მინდა, მოგეფერო, დაგიამო წყლული...

– რის წყლული, რა წყლული, სხვა დრო ვეღარ მონახე? დამანებე თავი, რა! ან დასარეცხი არ გაქვს რამე, ან საჭმელი გასაკეთებელი?

– კარგი, კარგი, ოღონდ შენ ნურაფერი დაგემართება და მეტი არაფერი მინდა... მეც სულელი ვარ, რომ ამდენს ვბეჟუტურობ, ნუ მაქცევ ყურადღებას, ცუდი ვარ, ცუდი, ძალიან ცუდი! – ცოლი მეხვევა და ლოყას ლოყაზე მადებს. – კარგი?

რა უნდა ვქნა?

სად გავიქცე?

მასწავლე, თუ ძმა ხარ, შენ მაინც გეცოდინება წამალი – სამი ცოლი გამოიცვალე და ყოჩივითა ხარ!..

1998

გვიანი თოვლი

(მობუზული ქალის მონოლოგი)

ჰო, ძალიან ჭირვეული ამინდია ამ გაზაფხულზე... აგერ მარტი თითქმის მიიწურა და როგორ აცივდა, მოთოვა კიდეც, თოვლი მხოლოდ ერთი დღით გვესტუმრა. გაზაფხულზე გვიანი თოვლის მოსვლა ერთ ამბავს მახსენებს...

მაშინ ნინოშვილის ქუჩაზე ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით ოთხივე მხრივ სამსართულიანი სახლებით შეკრულ ძველებურ თბილისურ ეზოში; კუთხეებში კიბეები იყო, სამივე სართულს მთლიან სარტყელებად მიუყვებოდა ღია აივნები... გვერდით ბინაში მული ცხოვრობდა. თავიდანვე ძაღლსა და კატასავით ვიყავით ერთმანეთთან. რა ვიცი, რას მერჩოდა, მე ყოველთვის თავს ვიკავებდი, ვცდი-

ლობდი, არაფრით გამომემჟღავნებინა გარეგნულად ჩემი დამოკიდებულება, არასდროს ვპასუხობდი გამომწვევ ლაპარაკზე, მაგრამ, ეტყობა, სწორედ ეს აღიზიანებდა მარგალიტას – ხომ იცი, არიან ადამიანები, რომელთაც მოთხოვნილება აქვთ, ბოღმა დაანთხიონ, დროდადრო განიტვირთონ ლანძღვა-გინებით, მე კი ამის საბაბს არ ვაძლევდი. ისეთი მკვახე, მოჟამული სახით მელაპარაკებოდა, თითქოს მისი დიდი ვალი მემართა და არ ვუხდიდი...

კარგად მახსოვს, ოცდაათი მარტი იყო, მშვენიერი მზიანი დღე... სასწრაფოდ გამაქანეს სამშობიაროში. ბიჭი შემეძინა, პირმშო. რა ბედნიერი ვიყავი! ქმარს ყოველდღე ყვავილები მოჰქონდა, დედა-ჩემი შინაურ, ჩემ საყვარელ საჭმელებს არ მაკლებდა, ჩემი და და ძმაც ხშირად მნახულობდნენ, სხვა ნათესავები, ჩემი ახლო ამხანაგები, მეზობლები... რა ვიცი, ვინღა არ მოვიდა სამშობიაროში მოსალოცად, გარდა მარგალიტასი... მართალი გითხრა, კი, მინდოდა, ისიც მოსულიყო, ერთხელ მაინც მენახა მისი სახე ნორმალურ, ბუნებრივ მდგომარეობაში, დაბღვერის გარეშე. ისე ვიყავი გახარებული, მინდოდა, მთელი ქვეყანა ჩამეკრა გულში, ჩემი ბედნიერება ყველასთვის მეწილადებინა, ყველა გახარებული ყოფილიყო...

ოთხ აპრილს უკვე შინ მიმიყვანეს პატარა ოთარიკოსთან ერთად. წინა ღამეს მოულოდნელად დიდი თოვლი მოვიდა, ლამაზად გადათეთრდა ქუჩები, ეზოები, სახურავები, ახალშეფოთლილი ხეები – ძალიან მახალისებდა ყველაფერი...

და პირველი, რაც თვალში მომხვდა, როცა მეორე სართულზე ჩვენს აივანზე ავედით, თოკზე გაფენილ სარეცხზე დადებული ფუმფულა თოვლის სქელი ზოლი იყო – ეს სარეცხი სამშობიაროში წაყვანის დღეს გავფინე...

1999

ვასკა

(მეზობელი ქალის მონოლოგი)

ვასკა?!. ო, ვასკა!.. მაგგვარი კატა ჩემს დღეში არ შემხვედრია! რა თავადური მიხრა-მოხრა ჰქონდა, რა ამაყი სიარული, სიდარბაისლე!.. ნამდვილი არისტოკრატი იყო!.. სენატორი!.. ლორდი!.. მუქი იყო, ძალიან მუქი, ოღონდ მთლად შავიც არა, მბზინავი, მონაცრისფრო-მოცისფრო ზოლებიანი ტანი ჰქონდა, კოხტა, მრგვალი თავი, მოზრდილი ყურები...

გადასარევი კატა იყო, გადასარევი!..

მეორე კატაც მყავდა – ციცო. ციცოც ლამაზი იყო, პეწენიკი, სულ თავისი ბეწვის ლოკვით იყო გართული. როცა კატებს საჭმელს დავუდგამდი მათლაფით, ციცო მაშინვე მიუცუცქდებოდა, ვასკა კი სხვანაირი იყო – თავდაჭერილი. ვითომც არაფერი მომხდარაო, ყურადღებას არ მიაქცევდა, ციცოს აცლიდა კარგად დანაყრებას – ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ! ყოველთვის იცოდა თავისი ადგილი, არ იყო თავხედი. ამასთანავე, არც თავს დააჩაგვრინებდა ვინმეს – ახლომახლო სხვა ხვადი კატა ვერ გაიჭაჭანებდა. მომრავლდა მეზობლებში ვასკას მუქი შთამომავლობა...

ერთხელ შევამჩნიე, ვერ იყო ხასიათზე, საჭმელსაც პირი არ დააკარა. გავუღე აივნის კარი, – პირველ სართულზე ვცხოვრობ, – გავუშვი გასასეირნებლად. ეჰ, როგორ ვინანე მერე, რატომ მაშინვე ვეტერინართან არ წავიყვანე-მეთქი... ვიფიქრე, თუ ავადაა, რაღაც ბალახებს მოძებნის-მეთქი, – გამიგია, კატები ავადმყოფობისას თვითონ ირჩენენ თავსო, იციან საჭირო სამკურნალო ბალახები... წავიდა ვასკა, წავიდა და აღარ გამოჩენილა, დაიკარგა...

მიყვარდა, ძალიან მიყვარდა, მაშ, არ უნდა მყვარებოდა? შვილი, რძალი, შვილიშვილი – ყველანი აგდებულად მიყურებენ, არაფრად მაგდებენ, უკვე ბებერი ხარ, აღარაფერი გჭირდებაო... როგორ არ მჭირდება, ყველაფერი მჭირდება, ყველაზე უფრო კი – ყურადღება, პატივისცემა, სიყვარული... ვასკა ერთადერთი იყო ოჯახში, ვინც არ მაბრაზებდა, არ მეჯავჯღანებოდა, არ მატყუებდა, იმედს არ გამიცრუებდა... პირიქით, ნერვებს მიწყნარებდა, მამშვიდებდა მისი ნაზი ბეწვის მოფერება, მასთან თამაში, ალერსი...

ეჰ, განუმეორებელი კატა იყო, ვასკა, განუმეორებელი...

ქალთა სილამაზის შესახებ

(მხატვრის მონოლოგი)

კარგი რა, თუ ძმა ხარ, რა არის ამ საკითხში საჭოჭმანო და გაურკვეველი? სილამაზე – ესთეტიკური კატეგორიაა და მისი განსაზღვრა მეცნიერი ესთეტიკოსების საქმეა – იმტვრიონ თავი, რამდენიც უნდათ, ერთიან აზრს კი მაინც ვერასდროს მიაღწევენ.

ჩემთვის, ვითარცა ერთი მამაკაცისთვის, სილამაზის ყველა სახე, ყველა ფორმა, ყოველგვარი გამოვლინება სიამის მომგვრელია: აისი და დაისი, ყვავილები და ფრინველები, გაშლილი სუფრა და გადაშლილი მშვენიერი პეიზაჟი, ვარსკვლავიანი იდუმალი ღამე და მღელვარე თუ დაწყნარებული ზღვა, მიმქროლავი ცხენი თუ მოთამაშე ძაღლი, მსხმოიარე ბაღი და თუნდაც უბრალო რიყის ქვა მდინარის ნაპირზე, ლალსა და საფირონზე, ზურმუხტსა და ალმასზე რომ აღარაფერი ვთქვათ – და ასე დაუსრულებლად!.. მაგრამ განსაკუთრებით ვეთაყვანები, გამორჩეულად მაღელვებს სილამაზის მწვერვალი – ქალის სილამაზე! ქალის მომხიბვლელობამ შვა პოეტი და პოეზია, მხატვარი და მხატვრობა; ამ ჯადოსნური საოცრებისადმი მიძღვნილია ზღვა რომანებისა და ოკეანე ლექსებისა...

XVI საუკუნის იტალიელ მწერალს, ნოველისტსა და კომედიოგრაფს, ანიელო ფირენცუოლას (1493-1543 წწ.), აქვს 1540 წელს დაწერილი ერთი ტრაქტატი: **"Dialogo della belezze delle donne"**, რომელიც შეიძლება ასე ითარგმნოს: "საუბარი (ბჭობა, მსჯელობა) ქალთა სილამაზის შესახებ"; იგი მიჩნეულია მაღალი აღორძინების ხანის ესთეტიკური ნააზრევის მნიშვნელოვან ნიმუშად. ამ ნაშრომში მწერალი-მონაზონი(!) ჩამოთვლის ქალური მომხიბვლელობის სხვადასხვა სახეობას და კეთილშობილებასთან, დიდებულებასთან, მოკრძალებასთან, თავშეკავებულობასთან, ღირსების გრძნობასთან, მიხრა-მოხრის სინატიფესთან და სხვა კეთილ თვისებებთან ერთად განსაკუთრებით გამოჰყოფს გრაციას – სიტურფეს, მოხდენილობას, და **vaghezza**-ს – სიტყვით გამოუთქმელ მიმზიდველობას, სურვილის გამომწვევ ხიბლს...

ჩვენს დროს კინოსა და ტელევიზიის მეშვეობით რომელი კონტინენტის, ქვეყნის, კუთხის ქალებს არ ვხედავთ ეკრანზე; გახშირდა სტუმრიანობა, სულ სხვადასხვა ტიპის ქალებს ვეცნობით, რაზედაც იმ დროს ფირენცუოლას ოცნებაც არ შეეძლო. ამიტომ შეგვიძლია, ქალთა კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, როგორებიცაა, მაგალითად: ასაკი, გარეგნობა, ტემპერამენტი, ხასიათი და ასე შემდეგ. შემდეგ გამოიყოფა ქვეკლასები, მაგალითად, გარეგნობის მიხედვით: სხვადასხვა რასა, ეროვნული ტიპი, თმა, განსხვავებული სიმაღლე, სიმსუქნე-სიგამხდრე, ტუჩები, ცხვირი, თვალები, ფეხები, მკერდი, კანი, გამოხედვა და სხვა და სხვა. განსაცვიფრებელი მრავალფეროვნებაა, ამოუწურავი!

და განა სასაცილო არ არის – ქალთა სილამაზის კონკურსები! იმ ფორმით, რა ფორმითაც ის ჩვეულებრივ ტარდება – მეტისმეტად სერიოზულად, საქმეების "ჩაწყობით", ისტერიკებითა და დაძაბული ვნებათაღელვით – პრინციპულად მიუღებელია ჩემთვის. მართლაც, სასაცილოა: მომხიბლავი ქალები, პიროვნებები, დოღის ცხენებივით შეაჯიბრო ერთმანეთს! განა სისულელე არ არის, ქულები დაუწერო, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შეაფასო ქალები, თუნდაც მათი ინტელექტი როგორ უნდა შეიცნო ასეთ "შეჯიბრებაში"? დიდ სიბრიყვედ მიმაჩნია, ქალს ქალურობა დაუწუნო, მისი სილამაზე უარყო მხოლოდ იმის გამო, რომ, დავუშვათ, მისი სიმაღლე ვიღაცეების მიერ დადგენილ ნორმაზე ნაკლებია 1-2 სანტიმეტრით... ან ჩაფუნთუშებულია... განა სრული უაზრობა არ არის ქალი დაიწუნო წელის გარშემოწერილობის სიდიდით? ისიც ხომ დიდად მნიშვნელოვანია, რომ ქალთა სილამაზის ცნება განსხვავებულია, იცვლება დროში, სხვადასხვა ქვეყნებშიც სხვადასხვაგვარად აფასებენ ქალის სილამაზეს. მონღოლური რასისთვის ევროპელი ქალები "ძროხისთვალებიანებია", ჩვენ ახლა გვეხამუშება ლეონარდო და ვინჩის პორტრეტებზე მაშინდელი მოდის შესაბამისად წარბებგაპარსული ქალები და ასე შემდეგ, მაგალითები უამრავია.

მიყვარს ადამიანის სახე – ქალისა და კაცისა, მოხუცისა და ახალგაზრდასი, ბავშვისა! განსაკუთრებით – ლამაზი ქალისა!

ლამაზს ვუწოდებ თავისებურად გამომსახველს, მეტყველს, ჩამოქნილს, გამოძერწილს ბუნების მიერ და არა ხელოვნური ზიზილ-პიპილებით – ფერუმარილით, პომადით, თვალების მოხატვით და ასე შემდეგ. მხოლოდ ზოგჯერ – ძალიან იშვიათად – ქალი გემოვნებით, ოდნავ ხაზს გაუსვამს ხოლმე თავის სიტურფე-სილამაზეს – შესაბამისი თმის ვარცხნილობით, ჩაცმით, საყურით თუ გულქანდით... რატომღაც ზომიერების გრძნობა ქალებში უფრო იშვიათია, ვიდრე კაცებში, ხშირად მეტისმეტად გადაპრანჭულები არიან...

პორტრეტული ხელოვნება ახლა, ჩემი შეხედულებით, დაკნინდა; საერთოდ, მხატვრების დიდი უმრავლესობა გაურბის ამ ყველაზე ძნელ ჟანრს; ზოგიერთი ცდილობს, ფონს გავიდეს იოლი, გარეგნული ხერხებით, სტილიზაციით და სხვა. რასაკვირველია, ბევრად ძნელია, ტილოზე გადმოსცე ქალის ხასიათის განუმეორებლობა, სიღრმე და სირთულე, ამას დიდი და ხანგრძლივი შრომა-გარჯა სჭირდება, ძალიან ძნელი მისაღწევია. რაც უფრო მნიშვნელოვანია პიროვნება, მით უფრო რთულია მისი განუმეორებელი პიროვნული ხატის წარმოჩენა. არ უნდა შეგეშინდეს, რომ შენს მიერ შექმნილი სახე იდეალიზებული იქნება, იმიტომ, რომ, დიდი ხანია, ცნობილია: ულამაზო ქალი არ არსებობს – ყველა ქალი თავისებურად ლამაზია!

აი, ამ სილამაზის დანახვა უნდა შეძლო!

სილამაზის დანახვის და გადმოცემის უნარი არის მხატვრის ნიჭი!

დიახ, მართალი ბრძანდებით, როცა მსაყვედურობთ: აფსუსი არ არის, ქალთა სილამაზის ასეთი დამფასებელი უცოლოდ ბერდებოდეს?!.

1999

გვარის მაძიებელი

(ჩემი სალაღობო მონოლოგი)

გურამ ბედოშვილს

გაინტერესებს, ეს გვარი საიდან გვაქვს? ჰო, გიამბობ, ოღონდ ზედმეტი კითხვებით ნუ შემაწუხებ და თხრობის გორგალს ნუ ამიბურდავ, კარგი?

წინათ ზამთარაძე ვიყავ გვარად, სადაც კი მივიდოდი, ვყინავდი იქაურობასა. ზაფხულში კიდევ არაფერი, მიტანდნენ და როცა ვეტყოდი ჩემს გვარს, მადლობასაც კი მეუბნებოდნენ – ცოტა გავგრილდით, შვება მოგვეცა მაგის გაგონებაზე, ხშირად გვესტუმრეო. ოღონდ ზამთრობით კი... ზამთრობით ლანძღვა-გინებით მიკლებდნენ: "ბიჭო, გვარი გამოიცვალე, თორემ დაგვყინავ ყველასო!"

რაღა მექნა, დავყევი მავანთა ნებას, გვარი უჯმაჯურიძეზე შევიცვალე. ახლა მეტი ამიხირდა, რა გვარი გაქვს, მის გაგონებაზე ყველას მაჯლაჯუნასავით რაღაცა გვაწვება მკერდზეო. "ეს რა უხიაგი ხალხია, მაგათი მოსაწონი გვარი ვეღარ უნდა მოვძებნო?" – ვიფიქრე, ვიფიქრე, ავდექი და შაქარაშვილი გავხდი – ახლაც შარს მომდებენ?

თითქოს ყველგან სიამე მიმქონდა, მაგრამ დახე უმადურობასა, არც ეს გემრიელი გვარი დაეხატა გულზე ყველასა... განსაკუთრებით ნაქეიფართ ვაღიზიანებდი – ნაღვინევზე ნუ დაგვენახვებიო... კეთილი, მჟავია გავხდები, ბატონო, ხასიათს არავის გაგიფუჭებთ-მეთქი. რა ვიცოდი, თურმე ბევრს გულძმარვა აწუხებს და ჩემი ახალი გვარის გაგონებით გამოწვეული უგუნებობა რისხვად დამატყდა. ამ გვარსაც გამოვემშვიდობე, თორემ ნაღდად დამინაყავ-დამიმჟავებდნენ ცხვირ-პირს გემრიელადა...

რა ვქნა, რა ვქნა?.. მახარაშვილი?!. ვიშ რა კარგია, ამ გვარს ვინ ახირებული შემედავება? ჰოდა, გავხდი კიდეც მახარაშვილი! ყველასთვის სიხარული და ღიმილი მომაქვს! მერე? თურმე ეს გვარიც ბევრს არ ეპიტნავება: ზოგი, მთელ კაცობრიობაზე დაბოღმილი პიროვნება, მებუზღუნებოდა: "შეხედე, რა ხდება, რამდენი სისაძაგლეა ამქვეყნად: სიძულვილი, ბოროტება, სისასტიკე, გულღრძოობა, შური და გაუტანლობა, მომხვეჭელობა, სიძუნწე, შეუწყნარებლობა, გულგრილობა და ათას ერთი სხვა უკეთურება – რა გახარებს, შე უბედურო, ეს საწუთრო ცირკი ხომ არ გგონია?" ვაჰ, აბა ჯობს, მტირალაშვილი გავხდე? მერე ეშველება ამით რამეს? თუ მწარიაშვილი სჯობს? გლახაშვილი? ბალამწარაშვილი? იქნებ საძაგლიშვილი? ბატონყმობა დიდი ხანია, გადავარდა, ამბობენ, ამგვარი გვარები იმ დროს შერქმეულიაო. ერთ ყმას ბატონის ნებადაურთველად ცოლი შეურთავს და გაბრაზებულმა ბატონმა გვარად საძაგლიშვილი მისცა; მეორე ყმა გულქვა მებატონეს გაქცევია და იმას გავარდაშვილი შეარქვეს გვარად; მესამეს კიდევა, მეორის ბედის მოზიარესა, გაიპარაშვილი დაანათლეს...

იქნება ჩიტირეკიაშვილი სჯობდეს? ან სიკინჭილაშვილი? თუ ეშმაკურაშვილი? ყველა ვსინჯე და არც ერთმა გამიმართლა – ძალად რას იაბდლებ თავსო, როგორც გურულები ბრძანებენ... მერე ერბოწონაშვილი ვარ და – შენაო, რას აღიზიანებ ისედაც შიმშილით დაოსებულ ხალხსო, ღვინიანიძე ვარ და – ყველა ვიგინდარა მეხუმრება: "რას დააყოლებ?" კატაპარიაშვილი გავხდი და – შენ რა კაცი ყოფილხარ, ძაღლიპარიაშვილი მაინც იყოო... ისევ ვკითხულობ, ჩემ თავს ვეკითხები: აბა რა ვქნა?.. მუსტაფასა და მისი ვირის არაკი ხომ გაგიგონია, ისე იყო ჩემი საქმე, შარს ვერაფრით გადავურჩი...

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, ბოლოს ისეთი მშვენიერი გვარი შევარჩიე, ვერავინ შემომედავებოდა – კაიკაციშვილი! ჰოდა, ისევ გაქირდვის საგანი გავხდი – მაშ სხვები ცუდები ვართო? კინაღამ გამლახეს... კარგი, ბატონო, ყველაზე ცუდი ისევ მე ვიყო-მეთქი და ხან ფაფაკერაშვილი ვიყავ, ხან – ქვახარშიაშვილი, მერე – ექვსშაურაშვილი, კოღუაშვილი, მასხარაშვილი...

"ჰი-ჰი-ჰი!.." – მოქირქილეთ ჯარი დადგა, უკეთესი ვერაფერი შეარჩიეთ?

დავიბოღმე, ხომ იცი შენ, გაუხარაშვილი კინაღამ გავხდი, მერე – მოდრეკილაძეც კი...

არა, თქვენ ჯინაზე არ შევდრკები-მეთქი, პირიქით – ახლა შემტევი გვარი შევარჩიე: ქვასროლიაშვილი ვარ, მერიდეთ, მაძაგებელთ თავებს თუ არ გაგიტეხავთ, ფანჯრებს მაინც ჩაგიმსხვრევთ-მეთქი! ვხუმრობ, რასაკვირველია, ენას ვიფხან – ჩხუბითა და დავიდარაბით საქმეს როდის ეშველა...

მერე უფრო მაგარი გვარი მომეწონა – ჩხუბიანაშვილი! – ახლოს არავინ მომეკაროს! ზოგ-ზოგი მაინც ვერ მოვიგერიე და აჰა თქვენ-მეთქი – პირცეცხლაშვილი ვარ უკვე, მაშა! კი ვიჭიმები ამაყად, მაგრამ არც ამით მომეცა შვება...

გადავწყვიტე, ერთი დარტყმით სამუდამოდ დამეთრგუნა ჩემი გვარით უკმაყოფილონი და...

რა ვქენი, თუ იცი?..

ახლა რომ გვარი გვაქვს, ის შევარჩიე!..

ხომ მიხვდი – რომელი?

ო-მა-ძე!..

ომაძე!..

ვაშა!..

კაციშვილი ხმას ვეღარ მცემს, მოვისვენე!..

2000

ვენახში

(ხელებდაკოჟრილი კაცის მონოლოგი)

ჯუმბერ ბარძიმიშვილს

კი, კაცო, ვიყავი სოფელში... ერთი კვირა დავყავი, მაგრამ ოთხი დღე წვიმდა, მაშინ შინ ვიჯექ. უფრო ვენახს ვუტრიალებდი, სუ მიწაზე იყო დაწოლილი ქიწნურა. შესხვლა ზამთარში მოვითავე, ახლა გადახრილ-გადმოხრილი საყრდენები, სარები გავასწორე, გავამაგრე, ვენახი ჭიგოსა და მავთულებს გავაკარ. ძალიან ვფრთხილობდი, კვირტები უკვე დაბერილი იყო, ზოგან თითო-ოროლა ფოთოლიც იყო გამოჩეკილი. ხომ იცი, ნორჩი ყლორტი რა ნაზია, დიდი სიფრთხილით უნდა მოპყრობა. რა თქმა უნდა, სიყვარულით, სიხალისით, სუ სახეგანათებულმა უნდა იშრომო, მაშინ ვენახიც გაიხარებს, დაისხამს კიდევაცა გემრიელადა და ყურძენიც ხო გემრიელი იქნება, მერე – ღვინოცა... დამიჯერე: მცენარე გრძნობს, რომ ეალერსები, შენი ლაპარაკიც ესმის... მარტო შენ კი არ ღიღინებ შენთვისა და ისე საქმიანობ, აი, ჩიტები რომ მოფრინდებიან ყველა მხრიდანა, ისინიც ჭიკჭიკებენ მხიარულადა, არიან ერთ ამბავში; ხეებიც, ბალახებიც გახალისებულნი ტოკავენ, მთელი გარემო, მთლიანად ბუნება ხარობს – ჰოდა, კარგად მიდის წინ საქმეცა, ყველაფერი კოხტად გამოგდის...

იქვე, ვენახში წამოყვანილი შვიდი წლის შვილიშვილი რომ ვითომ გეხმარება, უფრო კი ფეხებში გებლანდება, იმასაც ეფერები, შეაქებ: "ყოჩაღ, გიორგი, რა მშვენივრად შემეხიდე, უშენოდ რა მეშველებოდა, კაცო, დიდი მადლობელი ვარ შენი!" იმასაც რო უხარია და ახალისებს შექება, შენც რო გიხარია მისი გახარება, ვენახსაც რო ესიყვარულები და ისე აკრავ, ღიმილითა და ალერსით ეჭცევი როგორც თოთო ჩვილსა, – ხო გითხარი, – აი, მაშინ აქვს გემო შრომასა, შედეგიც კარგია... შენ ხო მარტო არა ხარ, შენთან ერთად ბუნებაც ხარობს, რო დაუკვირდე, ყველაფერი მღერის: კალია რო წინწრიხებს, ლამაზად გაშლილი ყვავილებიც რო ტოკავენ ნიავზე, ლამაზად დაფრინავენ, ტკბილად ყღურტულებენ ჩიტებიცა, მწერები დაბზუიან წინ-უკანა – ისინიც ხალისიანად შრომობენ... მზეც ხო ყველასა და ყველაფერს უღიმის და ეფერება თავისი თბილი ხელებითა...

გვიან საღამოს მიბრუნდები შინ ისეთი დაღლილ-დაქანცული, რო მეტი აღარ შეიძლება, მაგრამ კმაყოფილი; გემრიელად ივახშმებ, ღვინოსაც დალევ ერთ-ორ ჭიქასა და ადრიანად მიაშურებ ლოგინსა... ადრიანადვე წამოხტები მეორე დღეს დილითა, ჩიტივითა ხარ, ხალისიანადა, ძალ-ღონე გუშინდელზე მეტიცა გაქვს და თუ მზიანი დღე შემოგცინებს, ისევ ბაღ-ვენახს მიაშურებ – იქ საქმეს რა გამოლევს...

ეგრეა, ეგრე. აბა, აღრენილი თუ ხარ და ბრაზიანად აკრავ ვენახსა, ბურტყუნით აგინებ ამ დღის გამჩენსა, ბავშვსაც შეუყვირებ – ნუ ცელქობო, ხედავ: ჩიტებმა ხმა გაკმინდეს, პეპლებიც აღარა ჩანან, ხეებიც რაღაც მოწყენილად დგანან – საქმეც უგემურად კეთდება... ერთი ლერწი გადაგიტყდება, მერე – მეორე, მესამე... გამხმარი ტოტი კინაღამ თვალს გამოგთხრის, მავთულს ფეხს გამოსდებ და ცივ, ქვასავით მიწაზე დაეძნეყვები... ამინდიც გაფუჭდება: ქარი ამოვარდება, ყომრალი ღრუბლები მოეფინებიან ცასა, ჩამობნელდებასავით და დაიგრუხუნებს ბრაზიანადა... მერე აღარც ყურძენი ივარგებს შემოდგომაზე და ღვინოზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი...

ეგრეა. ქვეყნიერებაზე რაც კი ლამაზი და კარგი არსებობს, ყველაფერი სიყვარულისა და ალერსის ნაყოფია...

2001

წიგნი IX.
ასკილი

წვიმის სიმღერა

მე წვიმა ვარ!
გესმის ჩემი სიმღერა?
წკაპ-
    წკუპ!
წკაპ-
    წკუპ!
გადავივლი-გადავირბენ სველი ფეხების ტყაპუნით
ქედებს, ტყე-ველს,
ქუჩებს, სახურავებს;
ხეებს უბეებში შევუძვრები,
გადავამუქებ მტვრიან შარებს,
მბრწყინავ მარგალიტებს გავაბნევ ბალახებში...
წვე-
    თი
        წვე-
            თავს:
წვი-
    მა!
        წვი-
            მა!
წკაპ-
    წკუპ!
მხიარულად დავგლიჯინობ
ხან – იქ,
    ხან – აქ,
ვცეკვავ, ვმღერი, ვლაღობ!..
თუმცა ზოგჯერ ჩაფიქრებულიც ვარ,
საქმიანად ვხტუნავ;
ხან კი – გადარეული ვარ,
გიჟივით მოვარდნილი,
ქართან დაძმობილებული,
ქარაშოტთან ხელიხელჩაკიდებული;
დავეტაკები ყველაფერს –

მიწას,
ხეს,
სახურავს...
დიახ, ზოგჯერ ნაზად გაბმული ნანინა ვარ,
ზოგჯერ – ჯაზ-ბანდის ღრიალი...
ხან – თავშეუკავებლად ვკისკისებ და ვცეკვავ,
ხან – თითისწვერებზე მოვიპარები...
ზოგჯერ ნაღვლიანი, უიმედო და სასოწარკვეთილიც ვარ,
წყნარად ვიცრები საცერში, –
თვალებს გაგიწყალებთ,
გულებს გაგიწვრილებთ;
უფრო ხშირად კი – აღტაცებას მოგგვრით
ჩემი სილამაზით...
მიწასაც უხარია – სალბუნად დავედები,
ჰაერსაც უხარია – სიგრილეში შვება ეძლევა ყოველივეს!..

P. S. ზოგჯერ წვიმა ისე მოგენატრება, რომ ასეთ ლექსს დაგაწერინებს...

1991

ასკილი

როცა ბოლო ცარიელი ბოთლის ჭახანიც გაისმა, რევოლვერში ტყვიებიც გამოილია. მერე სიცილ-ხორხოცით ჩასხდნენ ავტომანქანაში. "ვოლგის" უკანა სავარძელზე სამი ქალიშვილი მოთავსდა, წინ ვაჟები დასხდნენ: საჭესთან – ვახო შალიკოშვილი და მის გვერდით – ნოდარი.

ვახომ თავიდანვე დიდი სიჩქარით წაიყვანა მანქანა, თან ხმოვანი სიგნალი დააჭყვირა – საღამოსპირს ტყის დაგუბებულ სიწყნარეში მჭახედ გაისმა თერთმეტი ნოტი სიმღერის მელოდიისა: "ჩი-ტო-გვრი-ტო-ჩი-ტო-მარ-გა-ლი-ტო-და!" ქალიშვილები უმიზეზოდ აკისკისდნენ, ეტყობა, გვარიანად მოეკიდათ ღვინო. ვახომ კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა სიგნალი, თან საჭეს მარდად ატრიალებდა ხეებს შორის გასაძრომად. მალე გზაზე გავიდნენ, ასფალტზე მანქანამ კიდევ უფრო უმატა სიჩქარეს.

გზატკეცილზე საკმაოდ დიდი მოძრაობა იყო და თითქმის ყოველი შემხვედრი მანქანის გამოჩენისას ისევ და ისევ ისმოდა: "ტა-ტა-ტა-ტა..." ქალიშვილები სულ კისკისებდნენ და მძღოლს აქეზებდნენ: "მიდი, ვახო!" მხოლოდ ფხიზელ ნოდარს მოჩვენებითად გულგრილი გამომეტყველება აღბეჭდოდა ნერვიულ, წვრილნაკვთებიან სახეზე, რაც ამ მდგომარეობაში გამომწვევად წარმოჩნდებოდა. ვახო შიგადაშიგ გადმოხედავდა ნოდარს და მისი ქცევა რატომღაც კიდევ უფრო აქეზებდა.

რამდენადაც ნოდარი იყო დაღვრემილი, იმდენად ვახო კარგ, ძალიან კარგ გუნებაზე გახლდათ. საჭეს მარდად ატრიალებდა, საყვირს ახმიანებდა, ქალიშვილების წიკვინს უსმენდა, თან კი ათასგვარი სხვა აზრიც უტრიალებდა თავში...

ეს ვის გადაეყარა?.. ნოდარამ კინაღამ არ მოუჟამა გუნება? მაგრამ დღეს ყველაფერი ისე კარგად აეწყო, რომ ნოდარა-დიდთავაც ვერ გაუფუჭებს ხასიათს. "ჩი-ტო-გვრი-ტო..." ისე, დიდთავას რატომ ეძახიან ნეტავი, დიდი თავი სულაც არ აქვს; ალბათ სულ წიგნებში რომ აქვს ცხვირი ჩარგული, იმიტომ. დიდი ბოთე ვიღაც კი ყოფილა, აი!.. იკითხოს სქელ-სქელი წიგნები, იკითხოს... და იჩანჩალოს ფეხით. აგერ ვახო უკვე მესამე საკუთარ მანქანას დააჭენებს... კიდევ ორი მანქანა სხვებსაც უყიდა – ისე დაამტვრია ძმაკაცებისგან ნათხოვარი. მამამისი ჰყავდეს კარგად და არაფერი უჭირს მინისტრის მოადგილის შვილს; ამ მანქანასაც მალე მოინელებს და მეოთხესაც უყიდის, ცინცხალს. შარაფი და დროსტარებაც არ აკლია – თითქმის ყოველდღე. ბინა დიდებული აუშენა მამიკომ ვაკეში, ცოლ-შვილიც მშვენიერი ჰყავს. თვითონ ჯერ მხოლოდ ოცდაათი წლისაა და უკვირთ ხოლმე, როცა გაიგებენ, რომ უკვე ათი წლის გოგოს მამაა. მართალია, ცოლი სულ ებუზღუნება, ყოველდღე ნუ ბრუნდები მთვრალიო, მაგრამ ვახო უკვე მიეჩვია მის "ოფოფებს" და ყურადღებას აღარ აქცევს. არა უშავს სამსახურშიც არის გამწესებული: ხანდახან გაივლის, მიიკითხ-მოიკითხავს ნაცნობ ძმაბიჭებს, მერე ჩაიკეტებიან რომელიმე ოთახში და ბანქოს თამაშს გაახურებენ. მეგობრები ქვეყნის ჰყავს. ყველას უყვარს – კარგი ბიჭია, მეტსახელად ღიმილას ეძახიან. ყველგან უხარიათ მისი გამოჩენა – მაშინვე ახალი ანეკდოტების მოყოლით ხოცავს ხალხს... სუფრაზე ყოველთვის პირველი მომღერალი და მომლხენია. მოსწონთ მისი ხმა, ულამაზესი ტენორი აქვს, სოლისტადაც კი იწვევ-

დნენ გუნდში. რამდენჯერმე ისიც უთხრეს, შენგან კარგი ლოტბარი დადგებაო, – ურთულესი სიმღერების ყველა ხმა იცის, – მაგრამ ვახო მაგის ჩიტია, რომ გალიაში ჩაამწყვდიონ?

ამჟამად ვახო ძალიან კმაყოფილია – ეყოფა სალაპარაკოდ და სატრაბახოდ! მართალია, დღეს თავიდანვე რაღაც ვერ აეწყო საქმე – ორი გოგო დაპატიჟეს, ვახოს ამხანაგს კი სასწრაფო საქმე გამოუჩნდა და ვეღარ წამოვიდა. ვახომ ჩამოურბინა მეგობრებს, მაგრამ, თითქოს ჯინაზე, ვერავინ ნახა წამომსვლელი; ამასობაში ისე მოხდა, რომ ორ გოგოს მესამეც მიემატა... ბოლოს, ვახომ ნოდარი ძლივს დაიყოლია ბეთანიისკენ გასეირნებაზე, იყიდა რესტორანში შამპანური, საჭმელ-სასმელი და გაემგზავრნენ.

“ჩი-ტო-გვრი-ტო-ჩი-ტო-მარ-გა-ლი-ტო-და!..” – ჭყვიტინებს საყვირი ისევ და ისევ. ვახოს სულ ეღიმება – ბიჭო, რა ვარიანტი დაატრიალა! არც დაუჯერებენ!.. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ სამივე ქალიშვილს სახელად ნანა ერქვა. ვახოს სმაში ოდნავ თუ ჩამორჩებოდნენ და გამუდმებით სიგარეტს აბოლებდნენ. ნოდარი ვერაფრით აიყოლია, ვერც სმაში და ვერც სიმღერაში, სულ ბეთანიის ტაძრისკენ წასასვლელად იქაჩებოდა, ხომ ამისთვის წამოვედითო. ბეთანიის დარდი ჰქონდა ვახოს? მას სულ სხვა რამ აწუხებდა: როგორ გინდა, ერთ-ერთი გოგო განზე გაიყვანო? დაწყვილებულები რომ ყოფილიყვნენ, საქმე მარტივად მოგვარდებოდა, მაგრამ სამ გოგოზე ორი ბიჭი მოდიოდა... მერე გაირკვა, რომ ორი კი არა, ერთი – ნოდარი ჩაჟამული სიფათით იჯდა და ამრეზილი, ღვინოს უხალისოდ წრუპავდა, თითქოს ძმარს სინჯავდა...

ვახო გუნებაში იმ ერთი მსახიობის სპექტაკლს თამაშობს, ხვალ რომ უნდა წარმოადგინოს ძმაკაცებთან... უმცირესი დეტალებით, სულ წვრილად აღწერს, როგორ მოახერხა და მასთან ყველაზე ახლო მჯდომ ნანას – სათვალიან, ზორბა ტანის, ჩასუქებულ გოგოს მიუჩოჩდა, ეღლაბუცა; მერე უჩურჩულა: “ნანა, გენაცვალე, ერთ წამს საქმე მაქვს შენთან...” – და შორიახლოს ბუჩქებში გაიყვანა. იქ “დიპლომატიურ” მოლაპარაკებაში უპირატესობა ხელებსა და ტუჩებს მიანიჭა და ცოტა ხანში ორივენი კმაყოფილნი დაუბრუნდნენ სუფრას...

ისევ განაგრძეს სმა. ვახო ნოდარს თვალს უკრავდა – ერთი ან მეორე გოგო ამოარჩიე და გაასეირნეო, მაგრამ ამაოდ – ნოდარი სულ უფრო და უფრო მჟავე სახით იჯდა, შამპანურსაც კი აღარ აკარებდა ტუჩს... დანარჩენები მაინც მშვენივრად ერთობოდნენ. ვახო სიმღერა-სიმღერით ახლა მეორე, ბიჭურად თმაშეკრეჭილ ნანას მიუჩოჩდა, თითქმის განუწყვეტლივ რომ სიგარეტს ექაჩებოდა, ვახოს ჩაშტერებით აცქერდებოდა თვალებში, აფახულებდა ხელოვნურ წამწამებს და უმიზეზოდ იცინოდა; განუწყვეტლივ ქანაობდნენ მისი ლამაზი საყურეები – წვრილი ძეწკვების ბოლოზე გამობმული ოქროს ბურთულები. ვახომ ჯერ ვითომ ტუჩებით მოინდომა ერთ-ერთი ამ მბრწყინავი ბურთულის პირით დაჭერა, მერე ძიძგილაობაში კისერზე აკოცა აკისკისებულ გოგოს. ასე აკისკისებული ხელში მსუბუქად აიტაცა და ბუჩქებს მიაშურა...

მერე ისევ სვამდნენ და მღეროდნენ, ისევ მღეროდნენ და სვამდნენ; ნოდარა-ბაიყუშს ყურადღებას არავინ აქცევდა. ვახო არ იღლებოდა სიმღერით. ისეთ ეშხში შევიდა, რომ აღტაცებული გოგოები ტაშს უკრავდნენ. მესამე ნანა (ღია ჩალისფრად შეღებილი თმები, მუქი წარბები და შავად მოხატული თვალები გამომწვევ იერს აძლევდნენ) პირდაპირ ბოთლიდან სვამდა შამპანურს და შემდეგ ნოდარს ძალით სჩრიდა – გინდა თუ არა, შენც დალიეო. ნოდარი უარზე იყო, უკვე სუფრის დატოვებასაც აპირებდა, როცა ქალიშვილი მოულოდნელად სიცილით ეძგერა, წააქცია და ზევიდან დააწვა. ნოდარი სხმარტალებდა, სახეს არიდებდა გოგოს კოცნას, ის კი მაინც არ ეშვებოდა – დანარჩენები სიცილით იფხრიწებოდნენ...

ბოლოს, ვახო წამოხტა, წამოაყენა გოგო – “ეგეთი მკვდარი შენ არ გჭირდებაო” – მოკიდა მკლავში ხელი და ნაცნობი გზით წააცუნცულა...

ვახო სიამით იზმორება და მეათასედ წარმოიდგენს, როგორ გააფორმებს ხვალ ბიჭებთან მთელ ამ ამბავს... “ჩი-ტო-გვრი-ტო-ჩი-ტო-მარ-გა-ლი-ტო-და!..” ხარხარებენ ქალიშვილები, ვახოს პირს ღიმილი არ შორდება, დროდადრო შეხედავს გვერდით მჯდომი ნოდარის გამომწვევად გულგრილ სახეს... და კვლავ და კვლავ ჩართავს: “ჩი-ტო-გვრი-ტო...”

– კარგი, გეყოფა, არ მოგბეზრდა? – ვეღარ მოითმინა ნოდარმა.

ვახომ გაკვირვებით შეხედა, მერე ლოყები დაბერა, ტუჩებით წაიმღერა: “ტა-ტა-ტა-ტა..” ისევ შეხედა ნოდარს, სიჩქარეს კიდევ მოუმატა და გააგრძელა: “ჩი-ტო, გვრი-ტო...” თან ყოველი შემხვედრი მანქანის გამოჩენისას თუ წინ მიმავალის გადასწრებისას აჭყვიტინებდა საყვირს.

– რას შვრები, ვახო, ხრამში არ გადაგვყარო! – წიკვინებდნენ ქალიშვილები და მათ ხმაში გამოსჭვიოდა შიშიც და წაქეზებაც, რაც კიდევ უფრო აფიცხებდა მძღოლს – ახლა თითქმის განუწყვეტლივ ახმიანებდა საყვირს და თვითონაც სიმღერით ხმას აყოლებდა.

– კარგი, ჰო, გაიგო მთელმა ქვეყანამ, რომ ათასმანეთიანი საყვირი გიდგას... – ისევ სთხოვა ნოდარმა; მერე, როცა ვახომ თავისი მაინც არ დაიშალა, ხელით შეეხო მკლავზე: – გააჩერე, მე ჩავალ!..

ვახომ ვითომ ვერ გაიგონა და როცა ნოდარმა მეორედ, თითქმის ყვირილით გაუმეორა მოთხოვნა, მკვახედ მიუგო:

– კარგი, კარგი, ჩაგსვამ... – ვახომ უკან მიატრიალა თავი და გოგოებს თვალი ჩაუკრა: – სუფრაზე რამე ხომ არ გეწყინა, ჭირიმე? იქ გეთქვა, თუ გქონდა სათქმელი!.. რას იბღვირები, ბეთანია არ გინახავს ამხელა კაცს, ბიჭო? შენ სწორედ საბეთანიო ხარ, ბერებთან უნდა დაგვეტოვებინე!.. პირველად ვხედავ ადამიანს, მუსიკა რომ არ უყვარდეს!

– ამ ყურების წამღებ ბღავილს უწოდებ შენ მუსიკას? – ნოდარის ამ შეკითხვაზე ვახოს პასუხი არ გაუცია, საყვირს კი ძველებურად წარამარა აჭყვიტინებდა და ნოდარმა დაამატა: – მაგარი მელომანი ხარ!

ხმაურით შეიჭრნენ ფერდობზე შეფენილ დაბაში, თითქმის ბოლომდე გაიარეს; მერე ვახომ ერთ-ერთ მოსახვევთან მანქანა გზიდან ვიწრო ქუჩაში შეაგრიალა. ჯაყჯაყითა და "მუსიკით" მიამტვერებდნენ მიხვეულ-მოხვეულ შუკას, ქათმების კრიახსა და ძაღლების ყეფაში გავიდნენ დასახლების განაპირას; კიდევ ცოტა გაიარეს ჯაგებიან ფერდობზე დაკლაკნილ დაღმართიან გზაზე და პატარა ფლატის კიდეზე შეჩერდნენ. ეტყობა, აქ ნაგვის საყრელი ადგილი იყო.

– მოვედით, შეგიძლია გადმობრძანდე, ბატონო ნოდარ! – გადმოიხარა ვახო მარჯვნივ და თვითონ გაუღო შიგნიდან კარი; ახითხითდა: – იფ, სწორედ შენს შესაფერის ადგილს არ მივადექით?!. მინდოდა, სადმე შორს, მინდორში გავსულიყავით, მაგრამ აქაც კარგი ადგი\ლია, მომილოცავს!..

ნოდარი უსიტყვოდ გადმოვიდა მანქანიდან და ბილიკს დაადგა, რომელიც პატარა ხევს გადაივლიდა, შემდეგ კი აღმართით დაბისკენ მიემართებოდა.

ვახომ ორჯერ ზედიზედ მისცა მუსიკალური სიგნალი, მაგრამ ნოდარს უკან აღარ მოუხედია. მანქანა დაიძრა, გაიარა ათიოდე მეტრი და გაჩერდა. ვახომ თავი გამოყო ფანჯრიდან, ნოდარს დაუსიგნალა, მერე დაუყვირა:

– ეი, ნაგავო!

ქალიშვილები ისედაც ატაცებულნი იყვნენ და ახლა ხომ სულ ჩაბუირდნენ სიცილით ახალი გასართობის მოლოდინში; ცხვირსახოცებს ფრთხილად იდებდნენ შავად შეღებილწამწამებიან თვალებზე და ცდილობდნენ მორეული ცრემლის შეწმენდას.

– ეს რა მაგარი ნომერი გავუკეთეთ! – სულს ძლივს ითქვამდა ქერათმიანი ქალიშვილი, მას მხარს უბამდა ჩასუქებული:

– კაი ჯიგრიანი მოსაყოლი გვაქვს ხვალისთვის, მაგრამ ვინ დაგვიჯერებს!

– ანეკდოტია, ანეკდოტი!.. – ადასტურებდა ოქროსსაყურეებიანი.

ვახომ ერთხელ კიდევ დაუსიგნალა და როცა ნოდარმა არც ახლა მოიხედა მათკენ, მანქანა უკანა სვლით დაძრა, თან სიცილით იჭაჭებოდა:

– აი, ახლა ვეტყვი... ნახეთ, რა ვუთხრა!.. ეი, ნაგავო, მოიხედე, შენთვის საგანგებოდ უნდა დავუკრა!.. – და ისევ ააჭყვირა ხმოვანი სიგნალი, კიდევ და კიდევ...

უცებ უკან რბილად მიმგორავი მანქანა შექანდა და მერე ნელ-ნელა ცალ მხარეს გადაიხარა. ვახომ დაამუხრუჭა, სიგნალსაც შეეშვა და კარი გამოაღო. უკანა მარცხენა ბორბლის საბურავიდან შუილით გამოდიოდა ჰაერი...

– კამერა გასკდა? – იკითხა ჩასუქებულმა.

– დაეშვა... ლურსმნებიანი ფიცრები დაუყრიათ, მაგათი... – დაშვებულ ბორბალთან ჩაცუცქებულმა ვახომ უშვერად შეიგინა, მერე წამოდგა, ფეხი ბრაზით შემოჰკრა დაჩუტულ საბურავს და ერთხელ კიდევ შეიგინა.

ქალიშვილებიც გადმოვიდნენ მანქანიდან, ვითომ თანაგრძნობით შესცქეროდნენ მოქუფრულ ვახოს და თან უდარდელადაც კისკისებდნენ; უხაროდათ, რომ დღევანდელი დღე ასეთი მრავალფეროვანი გამოდგა შთაბეჭდილებების მხრივ. სიგარეტები ამოიღეს, მაგრამ საღამოსპირის ნიავი უქრობდათ სანთებელას და მანქანაში მოკალათდნენ, იქ გააბოლეს და ისევ უკან გადმოვიდნენ ფეხის გასამართავად.

– დღეს რომ ფეხბურთს არ დავესწრო, გადავირევი! – თქვა ვახომ და საათს დახედა. – თბილისის "დინამო" ევროპის ჩემპიონთა თასზე თამაშობს! ახლა ხუთი სრულდება, წესით უნდა მოვასწროთ. ათ წუთში საბურავს გამოვცვლი, ერთი ნახევარი საათი გზას დასჭირდება – თქვენს სახლებში ჩამორიგებას ვეღარ მოვასწრებ, ბოდიში...

– ჩვენ არ წაგვიყვან ფეხბურთზე? – მიზეზიანად იკითხა ოქროსფრად თმაშეღებილმა.

ვახოს სალაპარაკოდ არ ეცალა – ცქვიტად დატრიალდა და მართლაც სულ მალე ოთხივე კარი მოიჯახუნეს (სქელი ქალიშვილი ვახოს გვერდით დაჯდა) და მანქანა დაიძრა ადგილიდან. არ გაუვლია ათიოდ მეტრი, რომ ვახომ ისევ დაამუხრუჭა მანქანა – ამჯერად წინა მარცხენა საბურავი გაეხვრიტა ლურსმანს.

ბრაზით გასივებულმა ვახომ ორჯერ შემოუარა მანქანას, გაჩერდა, ჯერ პაპიროსს მოუკიდა გაჭირვებით, შემდეგ შეიგინა და დაშვებულ საბურავს გამეტებით გაჰკრა ფეხსაცმლის წვერი.

— რა უნდა ვქნათ? — ჩასუქებული ქალიშვილი გადმოვიდა მანქანიდან, მას ორი დანარჩენიც მიჰყვა. — ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებით?

ეს კითხვა ვახოს იმდენად უადგილოდ და სულელურად ეჩვენა, რომ გულში დაგუბებული ბოღმა ვეღარ დაიოკა და გადმოანთხია:

— დებილებივით რომ იცინოდით და დაბორიალობდით აქ, ეს ლურსმნებიანი ფიცრები ვერ მოაცილეთ გზიდან?

ჩასუქებულმა ქალიშვილმა ეს სიტყვები იუკადრისა, ეწყინა და არც ნათქვამის ტონი ეჭაშნიკა; ამოქნილი წარბები ბრაზიანად შეჰყარა:

— ჩვენ რა უნდა გვექნა, ის ჩვენი საქმეა; შენ თუ ვერ იყურები მაგ ბრუტიან თვალებში, ჩვენი რა ბრალია!

ქერათმიანი აწიკვინდა:

— საჭესთან შენ ზიხარ თუ ჩვენ? რა დაგიკარგავს აქ, რა გინდოდა სანაგვეს რომ მიადექი?

ვახო გაფითრდა, კბილები გაახრჭიალა:

— ეცი ახლა პატივი ასეთ ხალხს!

ქერათმიანის მხარდაჭერით გულმიცემულმა სქელმა ქალიშვილმა ცეცხლს ნავთი შეასხა:

— ძალიან, ძალიან დიდი პატივი გვეცი, მეტი რომ არ შეიძლება! შესანიშნავი სანაგვეა, ძვირფასი! კარგ ადგილას დაგვაღამდება, დიდი მადლობა!

— ძვირფასი მადლობა! — აჰყვა მათ ოქროსსაყურეებიანი.

— გაჩერდი ახლა, თორემ გადავირევი! — იღრიალა ვახომ და ქალიშვილისკენ მუშტმოღერებულმა ისკუპა. ჩასუქებულმა გოგომ მოულოდნელი სიმარდით მოასწრო მისთვის ფეხის გამოდება და ვახო მიწაზე მოწყვეტით დაენარცხა...

აკივლებული ქალიშვილები ძეძვიან-ჯაგიან ფერდობზე უგზო-უკვლოდ გარბოდნენ, უკან ქოშინით მიჩაქჩაქებდა ჩასუქებული ქალიშვილი. ვახოს კომბალივით მსხვილი ტოტის გადანაჭერი ეჭირა ხელში და კოჭლობით მისდევდა მათ. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ სიმწრით დაიღმიჭა, ჩაჯდა ხრიოკ მიწაზე და ნაღრძობ კოჭზე ხელი ფრთხილად მოისვა. ისევ წამოხტა და კომბალი გაქცეულებისკენ სტყორცნა, შემდეგ რამდენჯერმე ქვაც დაადევნა უშედეგოდ... გაშმაგებულმა ირგვლივ მიმოიხედა. იქვე მანქანის გაცუდებული მთლიანი ბორბალი ეგდო საბურავიანად. ვახო მასთან მივარდა, დაეჯაჯგურა, გაჭირვებით წამოაყენა და ფერდობზე დააგორა, გაქცეულებს დაადევნა... მასიური ბორბალი ჯერ მძიმედ დაიძრა, მერე ცხოვრების ბორბალივით გაცოცხლდა, თანდათან სიჩქარეს უმატა; ნორჩ ნაძვებსა და ჯაგრცხილების ბუჩქებს ზოგს ზევიდან გადაევლო, ზოგს ზედ გადაუარა და გადათელა... წინდაწინ ძნელი გამოსაცნობი იყო: დიდხანს იგორებდა და ნელ-ნელა შეაჩერებდა წინსვლას თუ მოულოდნელ დიდ წინაღობას — ხეს, დიდ ქვას თუ კლდის კედელს ზათქით შეასკდებოდა და წამიერად მოეღებოდა ბოლო მის გიჟურ რბოლას...

* * *

კინორეჟისორი გედევან ღირსევანიშვილი, — ორმოც წელს საკმაოდ გადაცილებული, ჩასკვნილი, შავგვრემანი, თითქმის გამელოტებული კაცი, — ავტობუსიდან წყნეთის შესასვლელშივე ჩამოვიდა, შემდეგ გზატკეცილის თავდაღმართს დაუყვა. ასიოდე მეტრში ხელმარცხნივ გაუხვია და ბუჩქნარხეებით დაფარულ ფერდობზე გამავალ ბილიკს დაადგა — ასკილის მოკრეფა ჰქონდა განზრახული. მალე სრულიად უდაბურ ადგილს მიაღწია, სადაც ასკილის ბუჩქები ბლომად იყო.

ხირხატ ფერდზე ჩამოჯდა და ვერეს ხეობას გახედა.

რამდენი ხევხუვი ღარავდა გაღმა მხარეს — ნაფეტვრების ფერდობებს, მიემართებოდა ქვევით და მცირენი დიდ ხევებს უერთდებოდნენ, დიდები — უფრო დიდებს და ეს უკანასკნელნი კი — მდინარე ვერეს, რომელიც მოუღლელად მიიკლაკნებოდა, ალაგ-ალაგ ფლატეებს აჩენდა გარეცხილ ნაპირებთან, ალაგ — ქვიშა-სილის დაბალ ნაპირს ტოვებდა და ზედ ამოსულ ბუჩქებსა და იშვიათ ჯუჯა ხეებს რკალად უვლიდა. რუხი ფერდობები მდოვრედ გადაედინებოდნენ. სულ ზევით სოფელი მსხალდიდი მიყუჟულიყო, მისი სახლები და ხეები თითქოს მთის უბის კალთას ჩაჰკვრიანო. შემოდგომის თბილი მზე ალერსიანად დაჰნათოდა ყველაფერს, ნიავიც კი არ იძროდა, ირგვლივ გამეფებულ სიწყნარეს კიდევ უფრო ხაზს უსვამდა ჩიტების ჟივჟივი. გარინდებულმა გედევანმა მზერა ახლა შორს, ჰორიზონტისკენ გადაიტანა და მოულოდნელი საამო სახილველისგან ზეზეც კი წამოდგა...

მყინვარწვერი!..

მისი ამაყი, თეთრი თავი მკაფიოდ ამოზიდულიყო ლურჯი ცის ფონზე. მისგან მარჯვნივ და მარცხნივ კი უფრო დაბალი, ასევე თეთრ მწვერვალთა გრძელი ძეწკვი გაწოლილიყო. ქედების რამდენიმე რიგი მოჩანდა: ახლოს — მომწვანო, მერე, მოშორებით — ლურჯ-მომწვანო და შორეული კი — ლურჯი, რომელიც კიდევ უფრო შორს ნელ-ნელა გადადიოდა იასამნისფერში, ემატებოდა ჟოლოსფერი და ბოლოს — ნარინჯისფერი...

თბილი, პასტელური ფერები არბილებდნენ მკაცრი კავკასიონის ამაყ სილამაზეს, გეგონებოდა, იგი მუდმივად ასე იარსებებს და ბუნების ეს მშვენიერება მარადიულად უნდა ჭვრიტოს ადამიანმა, თუ უნდა, უკვდავებას ეზიაროსო...

კარგა ხანს იჯდა ხედის სიდიადითა და მომხიბვლელობით გაბრუებული, მერე კრიალა ცა გუ-გუნით გადახაზა თვითმფრინავის თეთრმა კვალმა. გედევანი წამოდგა, მზერა სინანულით მოსწყვიტა შორეთს, ფეხებს შორის ჩადგმულ ჩანთას დასწვდა და უახლოესი ასკილის ბუჩქისკენ გასწია, ასე მაცდურად რომ იწვევდა თავისი სისხლისფერი ნაყოფებით თითქმის ფოთოლგაძარცული წვრილი ტოტების წვეროკინებზე.

კრეფდა ასკილს და კარგა ხანს თან გაჰყვა ამაღლებული საზეიმო განწყობილება, მერე ნელ-ნელა ხელების დაკაწვრასთან ერთად "დედამიწას" დაუბრუნდა, საკუთარი საზრუნავ-საფიქრალის ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. მხოლოდ ახლა მისწვდა მის ყურს სოფლის ჩვეულებრივი ხმაური... თურმე წყნეთი სულ ასიოდ მეტრში იყო – ზევით, ფერდობზე.

მგონი, დროა, გედევანი ცოტა ახლოს გაგაცნოთ.

გედევან ღირსევანიშვილს ფრიად უცნაურ კაცად იცნობდნენ. ჯერ იყო და, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მრავალი ადგილი გამოიცვალა სამსახურისა – ერთ-ორ წელიწადზე მეტად ვერსად ძლებდა. თითქოს ხალხსაც შეეწყობოდა, მეგობრებსაც გაიჩენდა, ხელფასის კი, აბა, ვინ არის ხოლმე კმაყოფილი, ის რომ ყოფილიყო, მაგრამ... მეორეც ისაა, რომ კაცმა ორმოც წელს მიუკაკუნა და ყველას ეგონა, უცოლოდ დაბერდებოდა, მით უმეტეს, ქალთან გავლილიც კი არავის უნახავს... და, ბევრთათვის სრულიად მოულოდნელად, გედევანმა ცოლი ითხოვა!.. თუმცაღა, რატომაც არ უნდა დაქორწინებულიყო? მართალია, გამორჩეული თვალტანადობით ვერ დაიკვეხნიდა, გამელოტებაც ადრე დაეწყო, მაგრამ მისი ოდნავ უსწორონაკვთებიან სახეს ვაჟკაცური იერი არ აკლდა, არც სიტყვა-პასუხით იყო დასაწუნი, თუმცა საოცრად სიტყვაძუნწი კაცი იყო, უფრო სხვათა მოსმენა და მათზე დაკვირვება უყვარდა. თან ისეთნაირად ურთავდა ხოლმე ლაპარაკში თითო-ოროლა სიტყვას, რომ მისი მოსაუბრენი ახალ-ახალ მასალას პოულობდნენ საუბრის გასაგრძელებლად...

ბოლოს გედევანი კინოსტუდიაში მოეწყო. ბიოლოგის დიპლომით კინოსტუდიაში რაღა უნდოდა? თავისი სპეციალობით არასდროს უმუშავია და ახალ ადგილზე შეჩვევა არ გასჭირვებია. რეჟისორის ასისტენტად რამდენიმე წელიწადს დაჰყო – სამ ფილმზე იმუშავა, არავითარ შავ სამუშაოს არ თაკილობდა; მერე იმდენი ფხა და უარი გამოიჩინა, რომ მეორე რეჟისორად გადაიყვანეს. კიდევ რამდენიმე წელიწადმა გაიარა და იფიქრა, რომ დამდგმელ რეჟისორადაც ივარგებდა და ორწლიან სარეჟისორო კურსებზე ჩაირიცხა მოსკოვში. იქ ბევრი რამ ისწავლა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ პროფესიების გაუთავებელი ცვლა, ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვება, თურმე კინორეჟისორობისთვის მოსამზადებელი მეტად სასარგებლო ეტაპები იყო. ყველაფერი გამოადგა: წერილებს რომ აქვეყნებდა გაზეთებში სულ სხვადასხვა საკითხებზე, უმთავრესად კი – ხელოვნებაზე; რამდენიმე ათეული მოთხრობა და ჩანახატი დაწერა, მათგან მხოლოდ რამდენიმეს გამოქვეყნება მოახერხა; ერთხანს გატაცებული იყო ფოტოგრაფიით, ნადირობდა, ალპინისტურ ლაშქრობებში მიიღო მონაწილეობა... შეაგროვა რამდენიმე ათასი წიგნი სულ სხვადასხვა საკითხზე – დაწყებული სპორტით და ბიოლოგიით და დამთავრებული ფსიქოლოგიითა და ფილოსოფიით, ისტორიითა და ხელოვნებათმცოდნეობით. მოწაფეობის წლებში აგროვებდა სხვადასხვა კოლექციებს: საფოსტო ბარათების, პეპლებისა და ხოჭოების, მინერალების, მარკებისა და სამკერდე ნიშნების... ერთ დროს მსახიობობდა – უნივერსიტეტის თვითმოქმედი წრის დადგმებში მონაწილეობიდან თეატრში მეორეხარისხოვანი როლების შესრულებამდე "ამაღლდა"; კინოშიც გადაიღეს მასობრივ სცენებში და რამდენიმე ეპიზოდურ როლშიც... ხატავდა კიდეც; შემდგომში თავისი ფილმების მიზანსცენები სულ წინდაწინ ჰქონდა გრაფიკულ ჩანახატებში "დადგმული"; მთელი ფილმის სიუჟეტი კადრირებული ჰქონდა პატარ-პატარა ნახატების სახით ქაღალდის ერთნაირ ნაჭრებზე, მერე დაალაგებდა მაგიდაზე ამ ნახატებს და როგორც ბანქოს პასიანსს, საათობით ათამაშებდა მონტაჟის ვარიანტებს...

ერთხელ მისი გადამღები ჯგუფის წევრებს თითქმის ყველას დაუხატა ფერადი ფლომასტერებით სურათები, მათი ხასიათის სიმბოლური ასახვით. მაგალითად, ერთ შინაბერას, ეგზალტირებულ და ამავე დროს გულჩათხრობილ ქალს, დაუხატა წვრილი და მაღალი, ხშირი ხეებით დაბურული ტევრი, რომლის სიღრმეშიც შეიძლებოდა პატარა ქოხის დალანდვა ერთადერთი განათებული სარკმელით. მეორეს, სულ მუდამ პირმცინარე, მაგრამ ბილწი სიტყვების მოყვარულ შოფერს, მიუძღვნა ნახატი: დიდი, გლუვი მთა აფერადებულია შემოდგომურად, მზითაა გაჩახჩახებული, გვერდით ფერდობს ჰკვეთს ღრმა, შავი ხევი, ხევის ნაპირზე კი გამხმარ ხეს შეშლილივით აუშვერია შიშველი ტოტები...

დამდგმელი რეჟისორობა მოკლემეტრაჟიანი ფილმებით დაიწყო. მისმა პირველივე ფილმებმა რამდენიმე საერთაშორისო პრემია დაიმსახურა, შემდეგ ორი სრულმეტრაჟიანი ფილმიც დადგა, რომლებითაც კიდევ უფრო ცნობილი გახდა... მაგრამ გრძნობდა, რომ მანამდე შექმნილი მხოლოდ ძალების მოსინჯვა იყო მისთვის; ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში, დიდხანს ელოლიავებოდა,

აწონ-დაწონა, თუმცა არავისთვის გაუმხელია ჩანაფიქრი... გიორგი სააკაძე – აი, მისი მომავალი ფილმის მთავარი გმირი. იცოდა, რომ უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდებოდა ამ იდეის ხორცშესხმას: "როგორ, კლასიკად არის აღიარებული ამ თემაზე ადრე შექმნილი ბრწყინვალე ფილმი და რაღა აზრი აქვს ასეთ – პირდაპირ ვიტყვით – თავხედურ განზრახვას? სხვა თემები გამოილია?" მას ამგვარი შეხედულებებისა არ ეშინოდა, მაგრამ უნდოდა, რომ ისეთი სრულყოფილი სცენარი დაემუშავებინა და გამოექვეყნებინა კინორომანის სახით, რომ ყველა ოპონენტი გაეჩუმებინა. თავად, მართალია, აღიარებდა წინამორბედი ფილმის ღირსებებს, მაგრამ სრულიადაც არ აკმაყოფილებდა იქ გამოყვანილი გიორგი სააკაძის სახე; იგი ეჩვენებოდა მეტად სქემატურად, სწორხაზოვნად და პრიმიტიულად გაუბრალოებულიც კი. გედევანს გიორგი სააკაძე ურთულეს პიროვნებად წარმოედგინა, რომელშიც საოცრად რელიეფურად იყო აღბეჭდილი მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-წოდებრივი წინააღმდეგობები... დრო იყო გაუტანლობისა და ერთგულებისა, ღალატისა და თავგანწირვისა, შემგუებლობისა და სიმტკიცისა... მას უნდოდა, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ფილმი შეექმნა და არა ისტორიულ-სათაგადასავლო. ეს იქნებოდა მხოლოდ დასაწყისი – შემდეგ მთელი რიგი ფილმებისა ჰქონდა ჩაფიქრებული, უნდოდა, ყველა ჟანრში ეცადა ძალები და ყველა ეს ჟანრი თავისებურად, არატრადიციულად ჰქონდა გააზრებული. განსაკუთრებით ბევრს ფიქრობდა მუსიკისა და გამოსახულების სინთეზის პრობლემაზე, სურდა, შეექმნა ფილმი რომელიმე დიდ მუსიკოსზე, ასევე – დიდ მხატვარზე... მიაჩნდა, რომ ამ ორი გამორჩეული პროფესიის ხელოვანთა შესახებ მსოფლიო კინემატოგრაფში ერთი ხეირიანი ფილმიც არ იყო გადაღებული.

გედევანს უყვარდა ყველაფრის წინდაწინ გულდასმით გააზრება, ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ მეთოდურად წარმართა ასკილის კრეფაც. წაიხემსა, ცოტა დაისვენა კიდეც და ზუსტად განსაზღვრულ დროს ისევ შეუდგა მუშაობას. თანდათან გააუმჯობესა მუშაობის პროცესი: პოლიეთილენის პარკი ცალი ყურით ჩამოიკიდა მარცხენა ხელზე – ასე ძალიან მოხერხებულად კრეფდა, ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდა (ასევე, ფილმის გადაღების დროსაც ბევრ რამეს იმპროვიზაციით აკეთებდა და ეს მოულოდნელი მიგნებები ფილმს ბუნებრიობასაც მატებდა და მხატვრულ დამაჯერებლობასაც), თან განაგრძობდა ანალიზსაც (მას მიდრეკილება ჰქონდა მოვლენებისა თუ საგნების სისტემატიზაციის და კლასიფიკაციისა) – რა მნიშვნელოვანი განსხვავებაა ასკილის სხვადასხვა ჯიშობრივ ვარიაციებს შორის! ღოსა ცანინა – ლათინურად "ძაღლის ვარდი" – სულ არ ყოფილა ერთფეროვანი და ერთგვაროვანი. ზოგი სახეობა ძლიერი, მაღალი იზრდება, ეკლები თითქმის არ აქვს, მუქი წითელი ნაყოფი კი დიდი, წაგრძელებულია... მეორე ბუჩქი უბედურად არის შემოსილი ბასრი ეკლებით და თვით ბაცი წითელი ნაყოფებიც კი დაფარულია ხშირი, მჩხვლეტავი ბუსუსებით... საერთოდ, ჯიშის მიხედვით სხვადასხვა ფორმის, ზომისა და ფერის ნაყოფს შეხვდები – ყვითელი ფერიდან თითქმის შავამდე; წაგრძელებულს, მრგვალს, მსხლისებრს; ზოგიერთი ჯიშის დამწიფებულ ნაყოფს მომჟავო-ტკბილი, ფაფასავით "მუცელი" აქვს და შეიძლება კიდეც ჩაიტკბარუნო პირი, ზოგის ნაყოფი კი მშრალია ფქვილივით... ზოგს ადრე სცვივა ფოთოლი, ზოგის ფოთლები ყვითლდება, სხვებისა კი მოწითალო ხდება და ბუჩქი შორიდან ძალიან ლამაზია. ერთი ჯიშის ნაყოფი ადვილად ცვივა ძირს და კრეფის დროს ბევრი მიწაზე გებნევა – შეგიძლია, ჩაცუცქდე და აკრიფო ადრე ჩამოცვენილთან ერთად (თუკი შეძლებ, რადგან ხშირად ნაყოფები ბარდებში იფანტება): მეორე ჯიშის ნაყოფი მაგარყუნწიანია და ზოგჯერ მოწყვეტისას ისე "გაჯიუტდება", რომ მწიფე, დარბილებული ნაყოფი ხელში გეჭყლიტება...

საინტერესოა, ვინც ეს ლამაზი და გემრიელი ნაყოფი შექმნა, რაღა ეკლებიც უბოძა საწვალებლად? მაგრამ, მეორეს მხრივ, ასკილს ეკლები რომ არ იცავდეს, ხომ საერთოდ ვეღარ დაკრეფდი მას – მინდვრის თაგვი თუ ნაირ-ნაირი ფრინველი უცებ გაავლებდნენ მუსრს.

გედევანს გაეცინა ამის გაფიქრებაზე და ახლა ცხოვრების ფილოსოფიურ ტკბილ-მწარე ასპექტებს დაუწყო კირკიტი. ფიქრის გარეშე საერთოდ არ შეეძლო გაჩერება. დროდადრო ჩამოჯდებოდა ქვაზე ან გამხმარბალახიან მიწაზე და გარემოს აკვირდებოდა. აგერ პატარა, ბეღურაზე მომცრო, რუხი ჩიტუნა დაძვრება ჯაგრცხილის ტოტებში; მოკლე კუდი აქვს, მაგრამ რა მარჯვედ აუპრეხია ზევით! მოუსვენრად ფუსფუსებს, თითქოს ქვეყნის საქმეს აკეთებდეს, დახტის ტოტიდან ტოტზე და მალე უკვალოდ იკარგება... რა ჰქვია? ღობემძვრალა?.. ჭინჭრაქა?..

გედევანი ოთხზე დამდგარი დაფორთხავდა ხმელ ბალახებში და ჩამოცვენილ მწიფე ასკილს აგროვებდა, როცა თოფის გასროლის ხმა მოესმა, მერე – ისევ... რა მოხდა ისეთი, ვიღაც ბრაკონიერია ალბათ. ეგერსაც კი შეეშინდება მასთან მისვლა – დაუნდობელია ბრაკონიერი, ადამიანსაც კი ესვრის... შენ რაღა უნდა ჰქნა? არაფერი შეგიძლია... და ეს უსუსურობა გულს გიკუმშავს ტკივილით, როგორ უნდა აღიკვეთოს გარეწართა პარპაში, მათი ეგოისტური დამოკიდებულება ბუნებისადმი? გაცოფებს საკუთარი უილაჯობა, სისუსტე ბოროტების წინაშე და საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობა გაშფოთებს...

გედევანმა ვალიდოლი ჩაიდო ენის ქვეშ. ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა როდისმე ბოლოს მოუღებს... ჯაგრცხილის ფოთოლგაძარცულ ბუჩქებს შორიდან იასამნისფერ-იისფერი დაჰკრავთ და

გორაკები თითქოს ნელა “ბოლავენ” – საოცრად რბილი, პასტელური ტონები ნაზად გადაედინებიან ფერდობიდან ფერდობზე, გორაკიდან გორაკზე. ალაგ-ალაგ თრიმლის ბუჩქები კოცონივით გიზგიზებენ, ნელი სიო არხევს ყვითლად გადამხმარ ბალახს. ძეძვის ბუჩქები უფოთლოა და შერჩენილი ნაყოფები – პატარა რუხი დისკოები – წვრილ ყვავილებს ჰგვანან. შორეულ მთებს მოცისფრო ჯანდი თუ ბინდი გადაჰკვრია და საერთოდ, მთელი ბუნება იდილიურ განწყობას ბადებს, ოდნავ სევდაშერეულს... ზამთარი რომ მოდის, ალბათ იმიტომ... იშვიათად კალია წაიწინწრიხებს, ისმის შორეული ლაპარაკი და ძაღლების ყეფა, ჩიტების ჭიკჭიკ-ჟივჟივ-სტვენა – ყველაფერი ერთად პასტორალურ სიმფონიას ჰქმნის.

უდაბურებასაც თავისი პოეზია ჰქონია: გედევანს მეტად მოეწონა ალაგ-ალაგ ძეძვით, ასკილით და ჩიტავაშლათი დაფარული ხრიოკი ფლატეები და გამოფიტული ქვიშაქვების უცნაური ფორმის “სვეტები” და “კოშკები”. ისიც კი გაიფიქრა, აქ კაუბოური ფილმის გადასაღებად მშვენიერი ნატურა იქნებოდაო. ერთ-ერთ ბუნებრივ “ციხეს” შეუტია ყიჟინით – ნაშალი ქანებით ამოვსებული მეტად ვიწრო და ციცაბო “გზით” ძლივს აბობღდა პატარა მოედანზე. აქ ბუჩქებს შორის შავი ხვრელი იმზირებოდა – ნეტავ ვის ჰქონდა სორო ასეთ მიუდგომელ ადგილას, რომელ მხეცს?

ჩამოჯდა ფრიალოს კიდეზე და ინატრა: აი, მაღლა რომ შავად ფრთაგაშლილი ფრინველი ბოინობს, რაღაცას გულდასმით აკვირდება მიწაზე, – ალბათ მინდვრის თაგუნას თუ ცდილობს ჰკიდოს თვალი, – მასავით რომ ფრთები ჰქონდეს, გაშალოს და გაფრინდეს... ნუთუ ფრინველზე უძლურია ადამიანი? არა! მას ფიქრით, ოცნებით შეუძლია გაფრენა, ათასი რამის წარმოდგენა, წარსულში დაბრუნებაც და მომავალში სტუმრობაც კი... წარსულის გახსენებას თან ახლავს განსაკუთრებული, ნაღვლიანი სიტკბო, მაგრამ კიდევ უფრო მიმზიდველია მომავლის წარმოდგენა... და რამდენი რამ მოხდება მის ცხოვრებაში ისეთი, ახლა რომ წარმოდგენაც გაუჭირდება – სასიხარულოც და სამწუხაროც...

ახალ სრულმეტრაჟიან ფილმს ორ წელიწადში დაასრულებს, იმავდროულად იმუშავებს კიდევ სამი ფილმის სცენარებზე. ისინი ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან, სულ სხვადასხვა ჟანრის იქნებიან, ეპოქაც განსხვავებული ექნებათ და სტილიც – სულ არ ემგვანებიან ერთმანეთს. ერთი ფილმი უნდა გადაიღოს მეტად პირობითი ხერხებით (ასეთ ხერხებს ახლა ძალიან მდიდრულად იყენებს თეატრი და იმარჯვებს კიდეც, თუმცა თვითონ წმინდა თეატრალურ ხერხებს არ გამოიყენებს). ფილმების დღევანდელი მაყურებელი მიჩვეულია “ნატურალურობას”, მაგრამ რეჟისორს შეუძლია დაარწმუნოს მაყურებელი, მაგალითად, პირობითი ფონის ან მსახიობთა ქცევის თუ თამაშის პირობითი ხასიათის ხაზგასმით (წინათ კი, “მუნჯი” კინოს პერიოდში, პირობითი ხერხები ჩვეულებრივი ამბავი იყო). ერთი მუსიკალური ფილმიც აქვს ჩაფიქრებული, ოღონდ იქ მუსიკა სულ სხვანაირად უნდა გაიაზროს, ვიდრე აქამდე გამოუყენებიათ... უზომოდ უყვარს მუსიკა და ჩუმჩუმად თავისით სწავლობდა თეორიას. თითქმის ყოველთვის რაღაცას ღიღინებს, ზოგს თავისას, უფრო ხშირად – ბეთჰოფენისას... მერე გონება ნახტომისებურად სულ სხვა საგანზე გადაერთო – შვილები გაახსენდა... არა, შვილები ყოველთვის ახსოვს – რასაც უნდა აკეთებდეს, მათზე ფიქრი მოუღლელად, მოუცილებლად თან სდევს... ოღონდ ხან სადღაც სულის სიღრმეებშია მიყუჟული, ხან – პირველ პლანზე წამოტივტივებული... ბავშვები ნელ-ნელა, შეუმჩნევლად წამოიზრდებიან, რაოდენი სიხარულის მომტანია მათი ონავრობა, მათ ზრდა-განვითარებაზე დაკვირვება. რა ცელქები არიან მისი გოგონები და რა საყვარლები! იქნებ დაებედოს და მესამეც მიუმატონ – ამჯერად კი ბიჭი იქნება ნამდვილად! წყალი არ გაუვა! გოგონებს ძალიან გაუხარდებათ პატარა ძამიკოს გაჩენა, მაინც ხომ სულ ეხვეწებიან – დიდი თოჯინა გვიყიდეო. ალბათ ძამიკოზეც მოუვათ ცილობა – არა ჩემია, არა ჩემიო.

გედევანი გაჩერდა, გაღიმებული (ის უკვე ქვევით იყო ჩასული ხევში და ასკილის დიდ ბუჩქს მიადგა მოსაკრეფად) და მოუნდა, ძალიან მოუნდა ამ წუთას მის პატარებთან გაჩენა... როგორ გაიხარებენ, როცა ამდენ ასკილს დაინახავენ, გასაშრობად გაფენილი ასკილი ხომ ახალი, შესანიშნავი სათამაშო იქნება მათთვის... ეჰ, ნეტავი მართლა მისცა ამ ფრინველივით ფრთები, ახლაც რომ წრეს უვლის საღამოს ცაში – სულ ხუთიოდ წუთში ჩაფრინდებოდა ქალაქში, სახლსაც დაუბრკოლებლად მიაღწევდა, პირდაპირ აივანზე დასკუპდებოდა! ერთხანს მოუნდა ყველაფრის მიტოვება, ოღონდ რაც შეიძლება მალე ენახა თავისი გოგოცუნები, მაგრამ თავს მოერია. აზრი არ აქვს ახლა წასვლას – დღეს ხომ ფეხბურთია, ქუჩაში უამრავი ხალხი იქნება გამოსული, გზები გადაკეტილი იქნება და ტრანსპორტი ალბათ არ მუშაობს. არა უშავს, ცოტა მოგვიანებით წავა – ყველაფერი ზუსტად აქვს გათვლილი! როცა ხალვათობა იქნება, საოცარი სიწყნარე დაისადგურებს და მხოლოდ ზოგჯერ სტადიონიდან მოვლენილი ხალხის გუგუნი გაფიქრებინებს: რა დაემართა ამდენ ადამიანს, ნუთუ სხვა, უფრო სერიოზული საქმე არაფერი აწუხებთ? ზოგი ბილეთში 50 მანეთს აძლევს თურმე – სიგიჟე არ არის ეს? კარგ წიგნში რომ მისცე ან მხატვრის ალბომში, კიდევ მესმის და რა გახდა ეს ფეხბურთი? 50 მანეთად მშვენიერი ესტამპის შეძენაც შეიძლება... ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთს რომ ტელევიზორში უყურო, ამით რა დაშავდება? მისი ნაცნობი, სამოცდაათ წელს გადაცილებული ფეხბურთის ფანატიკოსი, ერთი კვირა იმით ამაყობდა ყველა შემხვედრის წინაშე, რომ ბილეთი ვი-

შოვნე, სტადიონზე მივდივარო... არადა, სულ ორი კვირა თუ იქნება გასული, რაც დედა გარდაეცვალა; არც კი იცოდნენ, თუ მას თითქმის ას წელს მიღწეული მშობელი ჰყავდა. სხვებიც რომ ბევრნი არიან ასეთები? ალბათ მოპარული ფული არ ენანებათ, თორემ პატიოსანი შრომით ნაშოვნ ფულს ერთ ბილეთში ამდენს ნამდვილად ვერ მისცემს ნორმალური კაცი. ზოგიერთებისთვის ხუთი თუმანი არაფერია – არიან ისეთებიც, ახალ მანქანას ორ წელზე მეტ ხანს არ ხმარობენ, ჰყიდიან და ისევ ახლით დაგრიალებენ, თანაც ნომერსაც კი ძველს უტოვებენ... ასეთებს უყვართ თავის მოწონება, აი, თუნდაც ისეთი ხმოვანი სიგნალით, ახლა რომ ისმის: "ჩი-ტო-გვრი-ტო-ჩი-ტო-მარ-გა-ლი-ტო-და..." ათას მანეთს ისე მისცემდა მაგის გაკეთებაში, ვითომც არაფერი, ავტოინსპექციის აკრძალვაც ფეხებზე ჰკიდია. ხანდახან ეკითხებიან, მანქანას რატომ არ ყიდულობო; გუნებაში ეცინება, იხუმრებს – ჯერ შარვალი მაქვს საყიდელი, ეგ პრობლემა რომ მოგვარდება, მერე დავიწყებ მანქანის ფულის მოქუჩებასო... თუმცა მწარე ხუმრობა გამოსდის... ერთი კინოკომედიის შექმნა ამ თემაზეც შეიძლება... მას კი ფეხბურთს ათასწილად ურჩევნია, თუნდაც ასკილის აი ამ ლამაზ-ლამაზი, წითელ-წითელი ნაყოფებით დახუნძლულ ტოტს რომ მიუტანს შვილებს. ჩადგამენ უბრალო ლარნაკში, შემოდგამენ წიგნის თაროზე მაღლა-მაღლა (რომ პატარები ვერ შესწვდნენ – ეკლიანია) და შემოჰკრავენ ტაშს – იფ, რა მშვენიერებაა! წყალს არ ჩაასხამენ ლარნაკში, ისევ ისე ლამაზად შეახმება ასკილის ნაყოფები ტოტს და იქნება ასე გაზაფხულამდე, ზაფხულშიც და საერთოდ, სანამ არ მოსწყინდებათ. თუმცა მომავალ შემოდგომაზე გედევანი ისევ წამოვა ასკილის საკრეფად და კიდევ უკეთეს ტოტს მიუტანს თავის პატარებს. ამაზე ლამაზი რაღა შეიძლება იყოს! ოღონდ მისი მოჭრა არის ძნელი. აუჰ, რა ძლიერი ბუჩქია ასკილისა, თითქმის ხეა – გაბარჯღულა, ვერ მიუდგები... ერთი ტოტი მაღლა აშვერილა, განსაკუთრებით ლამაზად დახუნძლულა სისხლისფერი ნაყოფებით; აი, ის რომ როგორმე ჯოხით მოიწიოს და დანით მიუდგეს...

გედევანი მოზრდილ ქვაზე შედგა და ტოტს გაჭირვებით შესწვდა. ქვას თურმე არამდგრადი საყრდენი ჰქონდა და გადაქანდა; გედევანმა წონასწორობა დაჰკარგა და ძალაუნებურად ჩახტა პირდაპირ ეკლიან ბარდებში... ბუჩქიდან მაცდურად ამოზრდილ ტოტს მაინც არ მოეშვა, ვერ შეელია. დიდი ხლაფორთის შემდეგ, საგულდაგულოდ დაამკვიდრა იგივე ქვა, ზედ შედგა, ფეხის წვერებზე აიწია, აიმართა და გაიწვდინა ხელი ტოტისკენ. "მაინც ხომ ჩემი გახდი!" – გაიფიქრა გედევანმა, ცალი ხელით ფრთხილად მოზიდა ტოტი თავისკენ, მეორეთი კი მოსაჭრელად დანა უნდა მოემარჯვებინა...

და ამ დროს ჩამავალი მზით ლამაზად აფერადებული ცის ფონზე რაღაც მუქი გამოფრინდა მისკენ და გაშლილი ფრთებით დააცხრა.

"ალბათ ასე ეცემა ქორი კურდღელს..."

ამის გაფიქრება მოასწრო და ცა უცებ გაშავდა.

1979

ვინ იყო?

უჰ, როგორ ბარდნის!

ნაღდი მარტია – ხან მზე გვიცინის და ისე დათბება, ლამის ხალათის ამარა გახვიდე კარში, ახლა კი – ისე თოვს დილიდანვე, შუა ზამთარი გეგონება. ლამაზი კია: მოფარფატებენ მსხვილი ფანტელები, – ზევით-ქვევით, ქვევით-ზევით, – ბოლოს კი მაინც მიწას ეფინებიან... არაფერსაც არ ეფინებიან – იმ წამსვე დნებიან.

თოვს, თოვს, თოვს – წყნარად, დაუღლელად, თითქოს ერთფეროვნადაც, მაგრამ არ მოგწყინდება მისი ცქერა...

შუადღეზე გადაიღო.

მეათე სართულიდან გავცქერი: გამოჩნდა რუსთავის სახლები, მაღლა ამართული მილები; თელეთის ქედზე და შავნაბადაზეც კი თოვლი არ ჩანს, არ დაუდვია – გაზაფხულია მაინც.

ჩემი სახლის წინ განიერი ქუჩაა, შუაში ბულვარივით ფართო ზოლია – ამჟამად მანქანების სადგომად და ჯართის მიმღებ რაღაც დაწესებულებად გამოყენებული, მხოლოდ ერთგან ძალისძალათი დაატოვებინეს მოასფალტებული ადგილი ბავშვებისთვის ფეხბურთის სათამაშოდ.

ვხედავ: ქუჩის შორეულ მხარეს, სავალი გზის კიდეზე, ქვის ბორდიურზე ჩემსკენ ზურგით ვიღაც ზის... ალბათ ქალია, თეთრი თავსაფარი მოჩანს სამკუთხედად, მუქი, თითქმის შავი ტანსაცმელი აცვია. გაუნძრევლად ზის, გვერდზე რაღაც ბოხჩა უდევს.

რატომღაც მზერას ვერ ვაცილებ – ვუყურებ, ვუყურებ...

ეგ საცოდავი, რამ დასვა იმ ცივ ქვაზე? ალბათ მოხუცია, დაიღალა და ჩამოჯდა დასასვენებლად...

ზის, ზის გაუნძრეველად...

აგერ თავი მიაბრუნა, ალბათ ჩავლილ მანქანას გააყოლა მზერა.

წარმოვიდგინე, რომ მეც ვიჯექი მის გვერდით ბორდიურის ყინულივით ქვაზე და გამაჟრჟოლა – საშინელებაა!

საწყალი... რა გაჭირვებამ გამოიყვანა შინიდან ამ ნესტიან სიცივეში? და რამდენ ხანს უნდა იყოს კიდევ ასე? იცი, რომ უამრავი ადამიანია ახლა ამ მოხუცი ქალივით გაჭირვებული, მრავალი და მრავალი ბევრად უარეს პირობებშიც კი – ზოგს ისიც კი აქვს სანატრელად გადაქცეული, რომ შეძლოს, დამოუკიდებლად მივიდეს ფანჯარასთან და ქუჩაში გადაიხედოს...

გუშინ ტელევიზორით ანახეს: ხევში, კობი-გუდაურის გზაზე უხვთოვლობის და ზვავსაშიშროების გამო ყოველგვარი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია; მგზავრები რამდენიმე დღეა, გაჩხერილნი არიან, იყინებიან, საკვებიც უთავდებათ... გზის გახსნა კი ალბათ მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ თუ მოხერხდება, რადგან განუწვეტლივ თოვს და ბულდოზერები ვერ ახერხებენ ერთნახევარ-ორი მეტრის სიმაღლის თოვლისგან გზის გაწმენდას.

ვხედავ: მოხუცი ქალი წამოდგომას აპირებს – წამოიწია, ვერ აიტანა წელი და ისევ დაჯდა; ისევ წამოიწია და დაჯდა... ასე – რამდენჯერმე. ბოლოს, როგორც იქნა, წამოდგა, წელში გაჭირვებით გაიმართა, სული მოითქვა; მერე დასწვდა ბოხჩას, – ორი გადაბმული ჩანთა აღმოჩნდა, – ხირჯინივით გადაიკიდა მხარზე და ნელა, ჩოჩიალ-ჩოჩიალით გაუყვა ქუჩას...

ნეტა ვინ იყო?

2005 წლის 11 მარტი

მუხები სოფლის სასაფლაოზე

სათაურის წაკითხვისთანვე ხომ არ მოიღუშეთ?

წინათ არ მიყვარდა ასეთ თემებზე საუბარი, მით უმეტეს – წერა, მაგრამ ახლა, როცა მოხუცებულობაში შევდგი ფეხი, უფრო სავსედ და სრულად აღვიქვამ წუთისოფლის სიტკბოსაც და სიმწარესაც, ამქვეყნად ყოვლის წარმავლობას; უფრო მძაფრია განცდა სილამაზისა – მშვენიერების დანახვა შეიძლება არა მხოლოდ ახალგაზრდა ქალში, ყვავილში ან მთვარიან ღამეში, არამედ დარდშიც, ჭმუნვაშიც, ტალახიან ორღობეშიც და უფერულ, ჩვეულებრივ დღეშიც... მთავარია, შენ იყო "მომწიფებული" მის აღსაქმელად, გქონდეს შესაბამისი განწყობა, გაფაქიზებული გრძნობა. ლამაზი შეიძლება იყოს მოხუცი ქალიც, ხრიოკი ველიცა და თვით სასაფლაოც კი – მკაცრი, თავშეკავებული, თითქოს საკუთარ თავში ჩაკეტილი, თალხი ტონის სილამაზით – ძველი სასაფლაო...

ჯერ ერთ მოხუცზე ხომ არ გიამბოთ? ჩემს მამიდაზე...

მამიდა მათიკომ (ეს ამჟამად მეტად იშვიათი სახელი ძალიან მიყვარს!) ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა – თითქმის ოთხმოცდაათ წლამდე. იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ მძიმე ცხოვრების გზა განვლო და ბედმა მტკივნეული დარტყმებიც არ დაიშურა მისთვის (ომში დაკარგა ოთხივე ძმა, მოუკვდა და, მოულოდნელად დაეღუპა დაცოლშვილებული უმცროსი ვაჟი), ყოველთვის ღიმილიანი და ხალისიანი მახსოვს. მხოლოდ სოფელში სტუმრად ჩასულებს, მე და ჩემს დას რომ დაგვინახავდა, თვალებში სიხარულთან ერთად უნებურად ცრემლიც აუკიაფდებოდა – ომში დაღუპულ ძმას ვახსენებდით...

ახლოს მოვიდოდა, ხელს მკრავდა და უცებ პატარა, კოჟრებიან, მაგარ ხელისგულს გამილაწუნებდა ყბაში.

– სადა ხარ, შე მამაძაღლო!

ასეთი თავისებური მოფერება იცოდა... თითქოს ახლა ხდებოდეს, თვალწინ მიდგას სურათი: მერე ჩაგვეხვეოდა ორივეს ერთად (როცა ვკოცნი, მის დამჭკნარ ლოყებს ვაშლის სურნელი ასდით)... დიდხანს ვდგავართ ასე – გამხდარი, დალეული მამიდა შემოჭდობილ ხელებში გვყავს მომწყვდეული და ის კი რაღაცას გაბრაზებულივით ვითომ გვეჩხუბება... მერე ჩვენთვის სხვენში საგანგებოდ გადანახული ვაშლებისთვის საოცრად ცქვიტად მიძვრება მისადგმელ ციცაბო კიბეზე ოთხმოც წელს გადაცილებული კაფანდარა ქალი; მიძვრება და ზევიდან გადმოგვხედავს ხოლმე, ახალგაზრდული თვალებიდან სიხარულის ანც ნაპერწკლებს ჰყრის, თითქოს მაჭარიაო – დაუდგომელი, მოძრავი მოხუცია, საოცარი მოხუცი!

სულ მეგონა, რომ მარად იქნებოდა ამქვეყნად ჩვენი უბერებელი მამიდა, ის კი უკვე თითქმის ორი ათეული წელია, განისვენებს სასაფლაოზე ქმრისა და უმცროსი ვაჟიშვილის გვერდით.

სასაფლაო, სოფლის უბრალო სასაფლაო...

მახსენდება ამ სასაფლაოს მუხის ტყე (სხვაგან ასეთი ტყე არსად მინახავს) — რატომღაც მხოლოდ ფოთოლგაძარცული, შავი, დაკოჟრილი ტოტებით, მუქი, მსხვილი, ხორკლიანი ტანებით — კუშტად გამომზირალი, ძალუმად გაბარჯღული, მძლავრი ჯარი გოლიათებისა, გრაფიკულად მკვეთრად რომ გამოიყოფიან გამოხუნებულ ფონზე ქართლის ვაკისა და გაცრეცილ ფონზე ზამთრის ცისა... თალხი, არეული გუნდი ყორნებისა გამოჩნდება ყრანტალით სასაფლაოს თავზე, ჩამოსხდებიან მუხათა წვეროკინებზე; უძრავად სხედან მობუზულები, ხანაც თითო-ოროლა მძიმედ აფრინდება და ადგილს მოინაცვლებს...

სიმწირე ფერთა და სიუხვე გრძნობათა...

მწუხრი და სილამაზე...

დღეც რატომღაც ცრიატი მახსენდება — წყნარი, უქარო, რაც საკმაოდ იშვიათია ქართლის ვაკეზე; გარინდებული მუხათა ლაშქარი თითქოს ჩაფიქრებულა, მარადიულ კითხვას ჩაღრმავებია: რისთვის ვდგავართ აქ, საერთოდ, რისთვის გავჩენილვართ ამქვეყნად? ალბათ თუნდაც იმიტომ, რომ სილამაზის ძლევამოსილება ერთხელ კიდევ დაგვანახოს თუ დაგვიმტკიცოს ბუნებამ — სასაფლაოზეც კი...

ეს მუხები — სიმკვიდრის, სიძლიერის, დღეგრძელობის სიმბოლო, მოწიწებისა და თაყვანისცემის საგანი, ქართველთა უძველესი, ჯერ კიდევ წარმართობის დროის ღვთაება, დიახაც რომ უხდება აქაურობას, მარადიული განსასვენებლის ადგილს, სადაც სასაფლაოს მდუმარება და ახლოს გამდინარე ლიახვის მოუსვენრობა, მუხების მკაცრი, მკვეთრად გამოკვეთილი და, ამავე დროს, თავშეკავებული სილამაზე და სასაფლაოს კაეშანი — ერთმანეთს ავსებენ... აქ არ არის შეჯახება ან ბრძოლა, — ბრძოლა, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა; აქ განფენილა უშფოთველი სიჩუმე და სიმყუდროვე, შერიგება თუ შეგუება — ყოველივესა და ყველაფრის წარმავლობა გარდუვალია...

და მხოლოდ სილამაზეა მარადი, უძლეველი და ყოვლისმომცველი, — ყველგან და ყოველთვის, — სანამ კაცობრიობა არსებობს და ადამიანს მისი დანახვის სურვილი და შეგრძნობის უნარი ექნება.

1996

ხანძარი

— გაიგე, ბოჩია ბულეისკირი დაბრუნებულა! უკვე ორი თვეა თურმე.

— ვინ ბოჩია?

— ჰო, შენ საიდან გემახსოვრება... ეგ ოცდაჩვიდმეტ წელს გადაასახლეს, მაშინ ბავშვი იყავი, ახლა ჩამოსულა.

— ჩვიდმეტი წლის შემდეგ?

— ზუსტად. არავის ეგონა, თუ ცოცხალი იყო, ცოტასღა ახსოვდა. კარგი კაცი იყო, სოფელში ყველას უყვარდა. მე სკოლაში მასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას; ახალგაზრდა კაცი უკვე სკოლის დირექტორი იყო — ცეცხლივით ბიჭი, ძალიან ნიჭიერი. მკაცრიც იყო, მაგრამ სამართლიანი, როგორც იტყვიან ხოლმე. მის მოწაფეებს ლიტერატურა ყველას შეგვაყვარა. მერე რაიონის ცენტრში გადაიყვანეს — აღმასკომში ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ.

— ფილოლოგს რა ესმოდა ჯანმრთელობის დაცვის?

— უკუღმართი დრო იყო საერთოდ... ან ბოჩიას რას ერჩოდნენ, რატომ დაიჭირეს პატიოსანი კაცი? თვრამეტი წელი სადღაც ციმბირის გადაკარგულში, კოლიმის ბანაკებში აყურყუტეს...

— თვრამეტი კი არა, ჩვიდმეტი.

— კარგი ერთი, რა მნიშვნელობა აქვს, გინდაც ჩვიდმეტი დღე ყოფილიყო... რას ერჩი უდანაშაულო ადამიანს, რატომ ტანჯავ? მიკვირს, როგორ გაძლო, იქაურ ბანაკებში ორი-სამი წელი საკმარისია ადამიანის მოსასპობად — ზნეობრივადაც და ფიზიკურადაც.

— ახლა ვისთან ცხოვრობს სოფელში? ჰყავს ნათესავები?

— როგორ არა, ნახევარი სოფელი მისი ნათესავ-მოყვრებია. ორი ღამე გაუთევია ბიძაშვილთან, მერე მთაში წასულა, ტყეში. იქ უღრანში ხის ტოტებით კარავი გაუკეთებია და დაუჟინია, აქ უნდა ვიცხოვროო.

— სრულ ჭკუაზეა? იქ როგორ უნდა გაძლოს მარტომ? ან საჭმელ-სასმელი არ უნდა?

— რა ვიცი, საწყალი, რას ფიქრობს; უნდა მივიდე ერთი, ვნახო, დაველაპარაკო, კაი კაცი იყო ნამეტანი.

* * *

— მოძებნე ბოჩია?

— კი, ვნახე... უჰ, დავიღალე, აღარა ვარ კაცი. ძლივს მივაკვლიე...

— რაო, რა გითხრა, ელაპარაკე?

— არაფერი მითხრა. გაიგო, რომ რაიკომში ვმუშაობ და, კომუნისტები ჭირის დღესავით მეჯავრებაო, მხოლოდ ეს მითხრა, მეტი ხმა აღარ ამოუღია.

— ეტყობა, ძალიან დაბოღმილია.

— რაც მაგან გასაჭირი გადაიტანა... ტყეში მოუძებნია პატარა მინდორი, ქოხმახი შეუხორხლია ტოტებისგან, ცეცხლი ენთო და რაღაც შეჭამანდს აკეთებდა. ჭაღარა წვერი მოუშვია, ტყიურს ჰგავს.

— მიეჩვია ალბათ ტყეში ცხოვრებას და იმიტომ გაურბის სოფელს.

— არა, უფრო მგონია, ამით თავის გულისწყრომას გამოხატავს იმის გამო, რაც მას თავს გადახდა... საზოგადოებამ ის ვერ დაიცვა და ახლა ასეთნაირად უხდის სამაგიეროს. ბავშვურად გამოსდის გულის მოფხანა...

* * *

— რაო ბოჩიამ?

— რა უჭირს. ცოტა ველაპარაკე. ჩემი ამბავი გაუკითხია, როგორი კაცი ვარ, რა ვარ და ახლა გული ოდნავ გადამიხსნა. მითხრა, მოგონებებს ვწერ, სულ წვრილად მინდა აღვწერო, რაც კი გამახსენდებაო — დაჭერის დღიდან გადასახლებაში ყოფნის ბოლო დღემდეო. ზოგი რაღაც გადამათვალიერებინა. ისეთი საშინელი და ამავე დროს ძალიან საინტერესო ამბებია აღწერილი, აუცილებლად წიგნად უნდა გამოიცეს, აუცილებლად! რადაც უნდა დამიჯდეს, მაგ საქმეს თავს მოვაბამ. უნდა გითხრა, ახლა არც ისე გაუმართლებელი მომეჩვენა ტყეში მისი ცხოვრება. არავინ აწუხებს, არავის აწუხებს, ხელს არავინ უშლის, არის თავისთვის, მუშაობს... მინდვრის ერთი კუთხე დაუბარავს, დაუთესია რაღაც-რაღაცეები. არც ისეთი ხნიერია, ორმოცდაათი წლის იქნება, შესახედავად სამოცდაათის გეგონება, მაგრამ ერთ წუთს არ ისვენებს, სულ ფუსფუსებს, რაღაცას აკეთებს... ფხალი მაჭამა ისეთი, ჭადთან ერთად, თან ცივი წყაროს წყალი დამალევინა, საოცრად გემრიელი მომეჩვენა ყველაფერი. მივალ ხანდახან, მადლია, ხმის გამცემი არავინ ჰყავს...

* * *

— რა გითხრა ახალი?

— თითქმის დასრულებული აქვს თავისი მოგონებების წიგნი. წავიკითხე რამდენიმე თავი. განსაცვიფრებელი ამბებია მოთხრობილი, თანაც საინტერესოდაა დაწერილი. მხატვრული ნაწარმოებია თავისი დონით — ნიჭიერი კაცია, უდაოდ ძალიან ნიჭიერი. მახვილი თვალიც აქვს და გადმოცემის უნარიც გააჩნია. თითქოს გამოზომილად წერს, თავშეკავებულად, მაგრამ ისეთი სიტყვებია მოძებნილი, ისე სახიერად და თავისუფლად, ძალდაუტანებლად ჰყვება, რომ ჩემს გრძნობებზე ძალიან იმოქმედა... თან ამბებიც თავისთავად ისეთი გამორჩეულია... კარგი ტიპები ჰყავს აღწერილი, გამორჩეულად სახიერად... ვთხოვე, გამატანე-მეთქი, მაგრამ არ ქნა — ცოტა მაცალე, რამდენიმე გვერდი დამრჩა გადასათეთრებელი და შემდეგ რომ მოხვალ, მთელი ხელნაწერი მზად მექნებაო.

— სრულად? დიდია?

— დიდი კი არა, უზარმაზარია, წიგნად ალბათ რამდენიმე მსხვილ ტომს დაიჭერს... ნამდვილი რომანია, ჭეშმარიტად დიდი რომანი — მისი მსგავსი ქართულად დაწერილი არაფერი მეგულება. ერ-

თი სული მაქვს, მთლიანად როდის წავიკითხავ. სულ რომ სახლ-კარის გაყიდვა დამჭირდეს, მაგ რომანს მაინც დავაბეჭდვინებ...

– როდის უნდა ნახო ბოჩია? შეიძლება, მეც წამოვიდე?

– კი, კაცო. ბოჩიას ხალხი უყვარს, უხარია, როცა ვინმე მოინახულებს. ორ დღეში მივაკითხოთ.

* * *

– რა მოხდა, სახე შეშლილს გიგავს...

– მიჭირს თქმა... ხვალ ბოჩიასთან ვერ წავალთ...

– რატომ, რა მოხდა?

– ბოჩია დაიღუპა... ქოხიც დამწვარია... დაწვეს...

1997

მზექალა მუსალიშვილის სიკვდილი

თეთრხალათიანი ქიმიკოსი ქალები სხედან ლაბორატორიაში და უსაქმურობისგან ლაყბობენ.

გვიანი შემოდგომის ცივი, წვიმიანი დღეა, ელექტროღუმელი ჩაურთავთ და ეფიცხებიან.

შემოვიდა კიდევ ერთი ქალი – ლაურა – და კარებიდანვე ხმამაღლა თითქმის იყვირა:

– გაიგეთ ახალი ამბავი? მზექალა მუსალიშვილს თავი მოუკლავს!

ატყდა ჩოჩქოლი, არეულ ლაპარაკში უპასუხო კითხვები დახვავდა, გორგლად შეიკრა და მერე ნელ-ნელა დაიწყეს ამ დახლართული გორგლიდან ცალ-ცალკე კითხვების ამოხვევა და მასზე პასუხის ძებნა...

ნახევარ საათში ოთახში ლილი შემოვიდა.

– რა დაემართა იმ უბედურს? – ლილი დარდიმანდულად აბოლებს სიგარეტს (სხვათა შორის, არაყსაც, ღვინოზე რომ არაფერი ვთქვათ, კარგი ვაუკაცივით გადაჰკრავს ხოლმე და ზოგ კაცსაც კი სჯაბნის).

– ჩვენ რომელს გვაქვს დალხინებული ცხოვრება, ყველამ თავი უნდა მოვიკლათ? – ამბობს მზია, თან გამალებით ქსოვს სვიტრს – ათი წლის ძმისშვილს დაბადების დღისთვის საჩუქარს უმზადებს.

– არა, საწყალ მზექალას მაინც ბევრი სიმწარე შეხვდა... – კიდევ ერთი ქალი – ეთერი – ებმება საუბარში; ჩაის სვამს – დილას ბავშვების სკოლაში გასტუმრებას გადაჰყვება ხოლმე და საუზმობისთვის დრო აღარ რჩება. – ციხისძირის დასასვენებელი სახლის საგზური რომ მიეცათ, იქნებ ეს უბედურება არ მომხდარიყო, ვინ იცის?

– მერე, მიეცათ მაგ ურჯულოებს, ქალი თითქმის ორმოცი წელია, აქ მუშაობდა, ერთხელ მაინც ვეღარ გაიმეტეს მისთვის? არადა, როგორი ერთგული და კარგი მომუშავე იყო, საწყალი.

– დედა შარშან არ გარდაეცვალა მზექალას? ჯერ წლისთავი არ გადაუხდია, ისეთ განცდებში იყო და არ უნდა გაეთვალისწინებინათ მისი სულიერი მდგომარეობა? სულ მარტო დარჩა იაქესავთ... – სიგარეტს აქრობს ლილი და ეთერს მიმართავს: – ერთი ჭიქა მეც დამისხი, შემამცივნა რაღაც.

– ეჰ, ის მაინც რა იყო, ქალმა თავის სიცოცხლეში თითქმის პირველად დაიგვიანა სამსახურში მოსვლა და მაშინვე საყვედურიც გამოუცხადეს ბრძანებით და ხელფასიდანაც დაუქვითეს! – ცხარობს ეთერი. – სხვები ყოველდღე აგვიანებენ და ვითომც არაფერი... ზოგი სულ არ დადის. მხოლოდ ხელფასის ასაღებად მობრძანდება.

– გოგო, ის როგორ მოგწონს, ამას წინათ მზექალა რომ ავად იყო და ორი კვირა სამსახურში არ მოსულა, ერთხელ მაინც გაგვევლო, – წუხს მზია. – მეც მაინცდამაინც მაშინ გამიხდა ავად ელგუჯა, მერე თათიას დაეწყო ხიხინები ფილტვებში, ერთი თვე გავტანჯე ბავშვი ექიმებში წოწიალით.

– ვერ მივხედეთ მზექალას, ვერ გამოვიჩინეთ გულისხმიერება, ყველას ჩვენ-ჩვენი გასაჭირი არ გამოგველია, – ისევ ისხამს ჩაის ეთერი და ორცხობილას წასწვდება. – თუ რამენაირად დახმარება არ შეგიძლია, წიხლს მაინც ნუ დააზელ გაჭირვებულს.

– ვის გულისხმობ? – გამოცოცხლდა ლილი.

– ჩვენ ყველანი ვცოდავთ მეტ-ნაკლებად, – ეთერის მაგივრად უპასუხა ლაურამ.

– ნუ დავიწყებთ ახლა ძიებას, ვინ რა აწყენინა, – ამბობს ეთერი. – დაჯექი ლაურა, მოგვიყევი ახლა, შენ პირადად რა ცოდვა მიგიძღვის!

— რა დროს ხუმრობაა, თუ ქალი ხარ! — ჯდება შემოთავაზებულ სკამზე ლაურა.

— მე ვიცი, შეიძლება, არც დამეთანხმოთ და გამკიცხოთ კიდეც, — ამბობს ლილი და თან ჩაის გემრიელად წრუპავს, — მაგრამ მაინც უნდა ვთქვა... ბატონ ზურაბს რომ თავი შეეკავებინა იმ დღეს და არ ეყვირა მზექალასთვის...

ზურაბ ჩლიქაშვილი გახლავთ ქიმიის ლაბორატორიის გამგე — შუახნის, წარმოსადეგი, ბოხხმიანი კაცი.

— ზურაბს რას ერჩი, ძალიან მფარველობდა მზექალას და ყოველთვის იცავდა! — არ ეთანხმება ლილის ლაურა.

— მეც მაგს არ ვამბობ?!. — ახალ სიგარეტს უკიდებს ლილი. — ზურაბ ბატონი ძალზე გაფიცხებული იყო რაღაცაზე და ვერ მოზომა, უდანაშაულო მზექალაზე მოიფხანა გული.

— არ იცი? დირექციაში უსიამოვნება ჰქონდა ზურაბს: დირექტორის მოადგილეს დარისპანს შეეჯახა, ლაბორატორიას ქიმიური რეაქტივებით და ხელსაწყოებით მომარაგება არაფრად ვარგაო. შეჰყვნენ კამათს და მაგრად გამოლანძღეს ერთმანეთი.

— მერე, მზექალას რაღას უყვიროდა, დაბალი ღობე ნახა? — გაბრაზებით იკითხა ეთერმა. — ან რა წესია საქმის გარჩევა ლანძღვა-გინებით და ჩხუბით?

— დამანებე თავი, თუ ქალი ხარ! — ამბობს ლილი. — კაცები ყველანი ხეპრეები და გაუნათლებლები არიან, გინდა კანდიდატი უძახე შენ და გინდა — მეცნიერებათა დოქტორი.

— ამიტომ დარჩი გაუთხოვარი! — ვერ ითმენს ლაურა, რომ არ ჩაუნისკარტოს. — შენი მოსაწონი კაცი ჯერ არ დაბადებულა, მგონი.

— ყოველ შემთხვევაში, ბუში მაინც არ ამიკიდებია ზოგიერთივით! — ვითომ წყნარად პასუხობს ლილი, რითაც კიდევ უფრო აფიცხებს ლაურას მუქარასავით პასუხს:

— ვის გულისხმობ, მითხარი ერთი, საინტერესოა!

— იცის იმან და კუჭიც ეწვის!

— შე გათახსირებულო, ჩემი ამბავი მაინც არ იცოდე დაწვრილებით! კოტე ფაქტიურად კარგა ხნის გაყრილი იყო ცოლთან, განქორწინება ოფიციალურად ჯერ არ იყო გაფორმებული და ამიტომ მაშინვე ვერ მოვაწერეთ ხელი... ახალი ამბავია ეს შენთვის? — აიფოფრა ლაურა.

— მორჩით ახლა, ქალებო, რა გაჩხუბებთ, დაწყნარდით! — ჩაერივნენ მზია და ეთერი.

— დიახ, კოტეს საზღვარგარეთ წასასვლელად დასჭირდა შენთან ქორწინების გაფორმება, თორემ შეგრჩებოდა შენი ნაბუშარი, ნეტა მაშინ რაღას იტყოდი? — არ უთმობს ლილი.

— შე უბედურო, ჯობს, საკუთარ თავს მიხედო, მე ქმარიც მყავს და ორი მარგალიტივით შვილიც! — ფეხზე წამოხტა ლაურა...

მზიასა და ეთერის მცდელობა, როგორმე ჩააქრონ ჩხუბის კოცონი, პირიქით შედეგს იძლევა — უთანხმოება შესაძლოა, ხანძარში გადაიზარდოს.

საწყალი მზექალას სიკვდილი აღარავის ახსოვს...

1992

მოთხრობის თემა

მამუკა ხარიბეგაშვილის ხსოვნას

— იცი, შოთა მოკლეს... ჩვენი მაშოს ბიჭი.

— რას ამბობ, კაცო!.. როგორ, რა მოხდა?

— კარგად მეც არ ვიცი... მორიგეობიდან შინ გვიან მისულა, სადღაც ვარკეთილის დასახლებაში მეშვიდე სართულზე ჰქონია ბინა. დახვედრიან, გაუკოჭავთ და უწამებიათ...

— ცოლი? ცოლი არ იყო შინ?

— არა, ცოლი დედამთილთან იყო სოფელში წასული. მეექვსე თუ მეშვიდე თვეზეა ფეხმძიმედ; აქ ცივა, გათბობა რა ხანია აღარ არის, დენიც მხოლოდ გვიან მოდის, ისიც ორი-სამი საათით... თან მთელი დღე მარტო იყო, ჰოდა, შოთას დედასთან წასულა სოფელში.

— უბედური... რას ერჩოდნენ, თუ იცი?

— რას გაიგებ. შოთა ხომ მილიციაში მუშაობდა, აგერ უკვე მესამე წელია.

— აკი თეატრალურზე აპირებდა სწავლას?

— კი, ძალიან ნიჭიერი ბიჭი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ უნდოდა, თეატრალურ ინსტიტუტში ჩაებარებინა გამოცდები; იქ უთხრეს, რა გეჩქარება, ბიძია, ჯერ სამხედრო ვალდებულება მოიხადე და მერე მოდი, თუ არ გადაიფიქრებო. ორი წელი იმსახურა, ამასობაში ქვეყანა აირ-დაირი-

ა, უკვე ხანდაზმულ მშობლებს რჩენა-პატრონობა უნდოდათ და დედისერთა შოთამ თეატრში დაიწყო მუშაობა სტატისტად – ჩემს საყვარელ ხელობასთან ახლოს ვიქნებიო. მალე თეატრებსაც შავი დღე დაუდგათ – აღარც გათბობა ჰქონდათ, აღარც ხელფასს აძლევდნენ, გაჭირვებულ ხალხსაც წარმოდგენებისთვის აღარ სცხელოდა, – ვინღა დადიოდა სპექტაკლების სანახავად, თანაც გაყინულ დარბაზში, – ყველას ლუკმაპურის შოვნის საქმე აწუხებდა... შოთასაც რა ექნა, მილიციაში მოეწყო, მალე განყოფილების უფროსის მოადგილე გახდა. იქ მოინდომა თურმე წესრიგის დამყარება, ქურდი და მამაძაღლი მილიციელები სამსახურიდან დაუთხოვია... ეტყობა, შური იძიეს და ასე უბედურად დაასრულა სიცოცხლე... მის მოხუც დედ-მამას რა ეშველებათ, ერთადერთი შვილი რომ დაკარგეს, ან ფეხმძიმე ცოლი არ არის ცოდო?

– ეჰ, არ უნდა დაეწყო იქ მუშაობა, არ იყო მისი საქმე... სად ხელოვნება და სად ქურდებისა და ყაჩაღების დევნა.

– რა ექნა?.. ჭამა-სმა ხომ უნდოდა, ოჯახიც სარჩენი ჰყავდა... ეგ ისეთი ბიჭი იყო, ბავშვობიდანვე მსახიობობაზე ოცნებობდა, ნიჭიც აშკარად ეტყობოდა... რა უაზროდ დაიღუპა! ჯერ ოცდაოთხი წლისაც არ იყო... დაწერ მოთხრობას?

– რა მოთხრობას?

– ამ თემაზე.

– არა...

– რატომ? კაცი მოკლეს... კონფლიქტი იყო, მერე კვანძი გაიხსნა...

– იცი, შოთა კარგი ბიჭი იყო – ნიჭიერი, წესიერი; არ გაუმართლა ცხოვრებაში, თორემ, შესაძლოა, ერის სახელოვანი შვილი გამხდარიყო, გვეამაყა – აი, ჩემი ნათესავია ჩვენი გამოჩენილი მსახიობიო... ძალიან მეწყინა, ძალიან. შიგნით თითქოს რაღაც ჩამწყდა, დიდხანს გამყვება ამაზე ფიქრი და დარდი... მისი მშობლები და მეუღლე მეცოდებიან, მეცოდებიან, რომ მეტი არ შეიძლება... მაგრამ, რა ვქნა – ყველა ამბავი მოთხრობის თემად არ გამოდგება. იცი, შეიძლება, კაცი მოკლან კი არა, იქნებ ქალაქიც დაინგრეს... ან იქნებ ქვეყანაც კი მოისპოს და ამოდენა ამბავიც არ გამოდგეს მოთხრობის თემად.

– აბა რა გამოდგება?

– რა? სათქმელად ძნელია. მზამზარეულად, ფორმულასავით ვერ იტყვი, რა დაგაწერინებს მოთხრობას; შესაძლოა, ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო რამ გახდეს მოთხრობის თემა, მაგალითად, ხმელი წიფელი... ზოგი მოგონება ათი, ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ ამოტივტივდება სრულიად მოულოდნელად, თავისთავად "ჩამოისხმება" მისი ფორმაც, უფრო სწორედ, არც კი ფიქრობ ამ დროს ფორმაზე; აზრები, ემოციები, მოქმედება ისე ბუნებრივად ჩაჯდება შესაბამის სიტყვიერ სამოსელში, რომ გიკვირს კიდეც – ნუთუ ასე ადვილად, ხანგრძლივი განსჯისა და გადაკეთება-დახვეწის გარეშე გამოგივიდა დასრულებული ფორმა... და გავიწყდება, რომ ნაწარმოების დაბადებას ხანგრძლივი "ორსულობის პერიოდი" უძღოდა წინ... ასეც ხდება. ცხელ გულზე დაწერილი ყოველთვის არ გამოდის კარგად, რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მაქვს დაცდილი... ეჰ, საწყალი შოთა... რამდენი რამ უნდა განეცადა, გაეკეთებინა... შვილები გაეზარდა... ეს ტიალი წუთისოფელი ხშირად არის უსამართლო. იმასაც მოვესწარი, რომ ჩემი ნათესავის დაკარგვას ორი თვის დაგვიანებით ვიგებ, ხედავ, რა დრო დაგვიდგა? შიმშილი, ნგრევა, სისასტიკე, განუკითხაობა... შენ კი მეუბნები, მოთხრობა დაწერეო, მაგისთვის მცხელა ახლა მე?

1997

ქურანა ცხენი

ბატონ პავლეს ლექცია-მონოლოგი ძალიან მომეწონა და შეძლებისდაგვარად სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე:

– ადამიანის პირველი მეგობარი ძაღლია და მერე კი – ცხენი. სულ დავივიწყეთ, ბატონებო, ცხენი, ეს კეთილშობილი ცხოველი. ყველამ ავტომანქანით ჯირითი ვარჩიეთ, აქაოდა სამოცი თუ ოთხმოცი ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავა აქვს – სჯობნისო. არც ეგრეა საქმე. ცხენისა და ხარის დახმარებით მამაპაპური წესით დამუშავებული მიწა მეტ მოსავალს იძლევა. ცოცხალი გამწევი ძალა არ აზიანებს ნიადაგს, არ ტკეპნის მიწას. ახლა, როცა ასე ჭირს მანქანა-ტრაქტორების საწვავი, ძველ, დავიწყებულ მეგობრებს – ცხენსა და ხარ-კამეჩს – უნდა მივმართოთ ისევ.

საქმეში რომც არ გამოიყენო, – არც საჯდომად, არც საზიდრად და არც ხვნა-თესვისთვის, – ცხენს, შეგიძლია, სულ უყურო და დასტკბე: ლამაზია – კოხტა, მოხდენილი, სწრაფი.

როცა შეხვდებით ცხენსა და ძაღლს, უნდა შეჩერდეთ და მოწიწებით ქედი მოუხაროთ – მათაც შეგვქმნეს ადამიანად. ცხენი და ძაღლი უნდა დავიცვათ, დიახ. ცხენი ამოწვდილი ხმალია მეომრისთვის, მეგობარი, ამხანაგი – მიწის მუშისთვის, კეთილშობილი ნატურა – მხატვრისთვის, ნარნარი მელოდია – მუსიკოსისთვის, უებარი წამალი – ავადმყოფისთვის, მერანი – პოეტისთვის, სადღეგრძელოს თემა – მოქეიფისთვის... ცხენი ადამიანთან ერთად თამაშობდა და ერთობოდა, შრომობდა და იბრძოდა, ძალზე ხშირად – იღუპებოდა კიდეც...

ერთ ამბავს გავიხსენებ.

ახალგაზრდობაში მე ცხენი არასდროს მყოლია.

ომის წინ, 1939 წელს, ჯარში გამიწვიეს და არტილერიაში ვმსახურობდი. ასოცდაორმილიმეტრიან ჰაუბიცზე გამწევად იყო ქურანა ცხენი, ოთხი წლის; "ნაპერსტოკი" ერქვა, ქართულად სათითეს ნიშნავს.

ამ დიდმა პირუტყვმა შემაყვარა თავი – დღედაღამ მასთან ვიყავი: დღეში ორჯერ ვწმენდდი-ვასუფთავებდი, სამჯერ ვაჭმევდი, კვირაში ერთხელ ხმლით კაფვაში ვვარჯიშობდი (წკეპლებს ვჩეხავდით გაქანებული ცხენიდან), თვეში ერთხელ გადარბენა გვქონდა, სროლა; ვწვალობდი, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვიყავი. ორი წელი გავატარე საჯინიბოში, ისე შევიყვარეთ ერთმანეთი, ისე შევეთვისეთ, რომ, როცა ველაპარაკებოდი, სანახევროდ ადამიანივით ესმოდა ჩემი. იმ წლებში ტკბილი ჩაი არ დამილევია, შაქარს მას ვაჭმევდი. მხოლოდ "ნაპერსტოკი" კი არა, ყველა ცხენი მცნობდა საჯინიბოში. ხუთი მანეთის შაქარს ვყიდულობდი და ჩამოვურიგებდი ყველა ცხენს. რომ მივიდოდი საჯინიბოში, ხვიხვინით მხვდებოდნენ. ხომ იცით, კარგი ცხენი უცხოს ზურგზე არ დაისვამს, პატრონისგან კი ყველაფერს აიტანს... ისე შემეჩვია, როცა ფლოქვებს ვუსუფთავებდი, თვითონ მიმარჯვებდა ფეხს.

ომი დაიწყო და მასთან ერთად მოვხვდი ფრონტზე. იქ სად მქონდა იმდენი საშუალება, ძველებურად მომევლო, მაგრამ ყოველთვის ვპოულობდი დროს, რომ მივფერებოდი მაინც.

ერთხელ პოზიციის დასაკავებლად მივდიოდით, დისლოკაციას ვიცვლიდით. თითო ჰაუბიცს ექვსი ცხენი ქაჩავდა – სამი წყვილი. დაგვიჭრეს სამი ცხენი, ჯარისკაცებიც. ბრძანება მოვიდა: უკანდახევა. რა უნდა ქნა? არ შეასრულებ ბრძანებას და... დახვრეტა! ჩავაბით ჭაპანები თავიდან, ეს სამი გადარჩენილი ცხენი შევაბით რაღაცნაირად. სათითაოდ მივეალერსე და შევევედრე: "მოგვეხმარეთ, მეგობრებო! დაიძაბეთ, არ დაზოგოთ თავი, აქედან უსიკვდილოდ უნდა გავაღწიოთ!" გამიგეს! გავქაჩეთ და გავიტანეთ ჰაუბიცი, გამოვედით. სნაიპერმა "ნაპერსტოკს" მოარტყა შუბლში ტყვია და ადგილზე მოცელა. ალბათ მე მიმიზნებდა და იმას მოხვდა. სისხლისა და უბედურების მეტი რა მენახა, მაგრამ იმ ცხენის სიკვდილმა ჩემზე ძალიან იმოქმედა, ავტირდი. იმ მკვდარ ცხენს შევფიცე: "თუ ცოცხალი გადავრჩი, ანიდან ჰაემდე ვისწავლი ცხენს, ყველაფერს ცხენის შესახებ!".

ნახევარი საუკუნე გავიდა იმ დღიდან და ახლაც ცოცხალივით თვალწინ მიდგას ის დიდი, ლამაზი ქურანა ცხენი – "ნაპერსტოკი", მოფერებით სათითე რომ შეარქვეს...

გიყვარდეთ ცხოველ-პირუტყვი, მეგობრებო, განსაკუთრებით კი, ჩვენი უპირველესი მეგობრები – ძაღლი და ცხენი!

1993 წლის 9 იანვარი.

ბნელი საქმე

(შუახნის ქალის ნაამბობი)

თამარ ბუდაძეს

ალუდა ჩემი მეზობელია. 54 წლის კაცი თითქმის მუდმივად თავის ქალაქგარეთ ნაკვეთში ცხოვრობს სოფელ გლდანთან – ექიმმა უთხრა, შენს ავადმყოფობას (ფილტვების სისუსტეს უჩივის) სუფთა ჰაერზე ყოფნა სჭირდებაო. საკუთარი ხელით აიშენა იქ მიწური, გააშენა მშვენიერი ბაღი და ბოსტანი, მოაშენა ბლომად ქათმები, რამდენიმე ღორიც გაიჩინა და ამ გაჭირვების ჟამს შვილებსა და ორ შვილიშვილს, რითაც შეუძლია, ამარაგებს.

ამ ბოლო დროს, მოგეხსენებათ, გახშირდა აგარაკების გაქურდვა. ზოგი საბაღე ნაკვეთში ჩადგმული სახლი რამდენჯერმე გაძარცვეს, კარ-ფანჯრებიც კი არ შეარჩინეს. პირველად თუ მხოლოდ ხეირიან რასმე წაიღებდნენ, – ავეჯს, ტელევიზორს, – მერე და მერე უკვე ძველმანებსაც არ თაკილობდნენ – დახეულ ფეხსაცმელებსა და გაბზარულ თეფშებსაც კი არ იწუნებდნენ.

ალუდასგან ერთი 200 მეტრის მოშორებით დიდი აგარაკი აქვს წამოჭიმული ვიღაც სქელჯიბიანს, ბნელ პიროვნებას. შემოავლო ნაკვეთს კაპიტალური მაღალი კედელი ამ "ბნელომ" (აწი ასე მო-

ვიხსენიებ, რადგან მისი ნამდვილი სახელი არ ვიცი). ეს ბნელო გაურბის ურთიერთობას მეზობლებთან, ვერ გაიგებ, როდის არის აგარაკზე და როდის წასულია თავისი უცხოური ავტომანქანით. ერთხელ ისიც გაქურდეს: წაიღეს ბლომად ფული და ოქროულობაო, ასე ამბობდნენ. საინტერესოა, ნუთუ ჭკუის ნატამალი არ ჰქონდა? ვინ ინახავს აგარაკზე ასეთ რამეს... ეტყობა, შინ შენახვისაც ეშინოდა...

ნაკვეთში ალუდას მეზობელი ერთი ქალი, დარიკო, ამტკიცებდა, რომ დაინახა, როგორ გადმოძვრა ბნელოს აგარაკის მაღალ კედელზე ვიღაცა, წამოვიდა და მერე ალუდას ეზოში გადმოხტაო (ეს ქალი ბნელოს საყვარელი იყო – სამი შვილის დედამ შეატყო, რომ ბნელო ფულიანი კაცი იყო და მიუჩოჩდა).

მანამდე ეს ქალი მისულა ალუდასთან მიწურში, აკვრია, ხელებს უსვამდა თურმე მთელ ტანზე – განუცვიფრებია კაცი. მერე, ეტყობა, წავიდა დარიკო, ბნელოს აგარაკში გაიარა და თავისი ხელები მიუსვ-მოუსვა ფანჯრებს, კარებს, მაგიდებს... იქიდან წამოსული, ალუდას მიწურში შევიდა და ერთ-ერთ საწოლს გადაუსვა ხელები – თურმე ეს საწოლი ალუდას შვილიშვილისა იყო და შეცდა სიბნელეში. რომ ატყდა ერთი ამბავი გაქურდვის გამო, მილიციიდან მოიყვანეს მეძებარი ძაღლი; იარა, იარა ამ ძაღლმა, შევიდა ალუდას ნაკვეთში, მერე – მიწურში, შეჩერდა შვილიშვილის საწოლთან და იქ დაიყეფა... ბავშვის საწოლში რა უნდა ენახათ? ვერც მიწურში იპოვეს რაიმე ხელმოსაკიდებელი.

ალუდა მაინც აიყვანეს წინასწარ პატიმრობაში...

ბნელომ მოითხოვა სამოცდაათი ათასი მანეთი საქმის შეწყვეტისთვის, დარიკო მიუგზავნა. დაფაცურდნენ ალუდას ნათესავები, დაიწყეს ფულის შეგროვება, მაგრამ ამ საქმეში მე ჩავერიე – ჩემი ნაკვეთი იქვეა, გვერდით. ვეუბნები ნათესავებს: "თქვენ გინდათ, ალუდა დაღუპოთ? არ შეაგროვოთ არც ერთი კაპიკი! ალუდა არ არის დამნაშავე და რატომ უხდით საქმეს საციხოდ?" აქ მხარი ამიბა ალუდას უფროსმა შვილმა (ორი ბიჭი ჰყავს) და რძალმა, ამ უფროსის ცოლმა (მეორე რძალი გაექცათ ამ რამდენიმე წლის წინათ – პირდაპირ სამშობიარო სახლიდან გაიპარა, მე ბავშვის მოვლის თავი არ მაქვსო. ალუდას ოჯახმა ბავშვი გამოიყვანა და თვითონ ზრდიან, ახლა პატარა გოგო სამი წლისაა და უმეტეს დროს პაპასთანაა ნაკვეთში).

მილიციაშიც დაიწყო ვაჭრობა, იმათაც უნდათ, თავიანთი წილი მიიღონ; ბოლოს, ოცდაათი ათას მანეთზე ჩამოვიდნენ: ხომ იცით, ამ საქმეში შვიდნი ვართო, დაუფარავად განაცხადეს, წარმოგიდგენია? ერთს მანქანა აქვს შესაკეთებელი და ფული სჭირდება, მეორეს რემონტი წამოუწყვია შინ, მესამეს კიდევ რაღაცა და ასე შემდეგ... ფული ვის არ სჭირდება? ჰა, როგორ მოგწონს, ასი ათასი მანეთის შოვნა ასეთი ოჯახისთვის ხუმრობაა? სულ რომ გაყიდონ ყველაფერი, მაინც ვერ შეძლებენ.

მივედი მილიციის ქვეგანყოფილების უფროსთან და ვუთხარი: "ეს კაცი უდანაშაულოა და ამ საქმიდან უფულოდ გამოვა, ვერაფერს მიიღებთ-მეთქი; ამაზე მდიდარი ვერავინ ნახეთ, თქვე გაფუჭებულებო-მეთქი"... ამაზე უფროსი აყვირდა: "ვინ ხარ შენ, ქალო, რას გადამეკიდე?" "მე ამ ოჯახის ახლობელი ვარ, – ვეუბნები, – უაღრესად პატიოსანი ოჯახია, ჩემი ნაკვეთი მათ მეზობლადაა... რად მინდა მე ქურდი და მამაძაღლი მყავდეს მეზობლად? მასეთი რომ იყოს, არც დავიცავდი... ალუდა მშრომელი კაცია, – ვეუბნები, – თქვენ და თქვენთან შეკრულ აფერისტებს გინდათ, პატიოსან კაცს ფული დასცინცლოთ, თან ალუდა იქიდან მოაცილოთ – ალუდას ახლომახლო არ იქურდება აგარაკები, რადგან დღედაღამ იქაა, იქ ცხოვრობს და ძაღლებიც ჰყავს... იმ გათახსირებულ ქალს რომ უჯერებთ, რა საბუთი გაქვთ საქმის აღძვრისთვის? გამოძიება არ ჩაგიტარებიათ, არც ექსპერტიზა, ნივთმტკიცებებიც არ გაგაჩნიათ – რა უფლებით მიყვირით აქ? მე გეტყვით, ვინცა ვარ და სადაც ვმუშაობ, – ვეუბნები და დავუძვრე ეს ჩემი წითელი წიგნაკი, – გამომცემლობაში ვმუშაობ და, თუ გინდათ, ტელეფონის ნომერიც ჩაიწერეთ ჩემი-მეთქი, – სახლისაც და სამსახურისაც..." ის ყრუ ხალხი მილიციაში ალბათ ვერ ანსხვავებს ერთმანეთისგან გამომცემლობასა და გაზეთს, ეგონათ, მე გაზეთში ვმუშაობდი და ცოტა ფახი მიეცათ. "მეო, – უფროსმა, – სინდისს გეფიცები, კაპიკი არ მინდა, მიდით, ბნელო გააჩუმეთ და საქმეს მოვსპობო".

გამოვედი კაბინეტიდან გარეთ და ვდგავარ ალუდას ნათესავებში, ვმსჯელობთ; ალუდას ძმა, აფრია – ფაფაყვერა, მშიშარა, – ამბობდა, გავიჭირვოთ, როგორმე მოვაგროვოთ ეს ოხერი ოცდაათი ათასი და გამოვაშვებინოთ ალუდა, ისე ესენი თავს არ დაგვანებებენო; მე კიდევ ვუმტკიცებ, სისულელეს გააკეთებთ, ფულსაც დაჰკარგავთ და უდანაშაულო კაცსაც დაღუპავთ-მეთქი. ამ დროს დავინახე ჩემი ძველი ნაცნობი, რომელიც თურმე ეს-ეს არის მილიციის უფროსის კაბინეტიდან გამოვიდა. ვუამბე ყველაფერი, როგორც იყო საქმე, რა ამბავი დაატრიალეს ბნელომ და მილიციამ. "უიო, – თქვა ამ ნაცნობმა, – იქ, უფროსთან, ახლა ალუდას "ჩაშვების" გეგმას აწყობდნენ, აი, ამ წუთას წავიდნენ კიდეც სადღაც მანქანითო".

მაშინვე მივხვდი, უნდოდათ "ნივთმტკიცება" ჩუმად შეეგდოთ ალუდას მიწურში, მერე ჩხრეკა ჩაეტარებინათ და "აღმოეჩინათ"! "აბა, ჩქარა, ნაკვეთში მოვუსვათ–მეთქი, ვუთხარი დანარჩენებს, ეს საზიზღრები პროვოკაციას გვიწყობენ-მეთქი".

ჩავსხედით მანქანაში, ალუდას შვილს ისე სწრაფად მიჰყავდა მანქანა, რომ სულ ვეხვეწებოდი "დაუკელი სიჩქარეს, ჩვენ მაინც მათზე ადრე მივალთ, მათ კიდევ მომზადება სჭირდებათ: ბნელოსთან მისვლა, გეგმის დაწყობა-მეთქი".

მივგრიალდით ნაკვეთში და მალე მილიციაც მობრძანდა. შევიდა გამომძიებელი მიწურში და აედევნა ორი კაცი: ერთი – წინ, მეორე – უკან. სულ თვალებად ვართ ქცეულნი, სულ ხელებში მივჩერებივართ, რომ რამე არ იმამაძალლოს... მეორეც შემოვიდა, აწრიალდა, იმასაც დავუდარაჯდით, გასაქანი არ მივეცით... მოკლედ, ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში.

იძულებულნი გახდნენ, ალუდა თავდებით გამოეშვათ წინასწარი პატიმრობიდან, საქმეც ოფიციალურად ვერ აღძრეს. სანამ ალუდა პატიმრობაში ჰყავდათ, კიდევ ორი აგარაკი გაქურდეს, თანაც ალუდას ნაკვეთთან ახლოს – ისარგებლეს ალუდას იქ არყოფნით, მათ შორის ბნელოს აგარაკიც პირწმინდად "გაასუფთავეს"... ალბათ ქურდები მილიციასთან იყვნენ შეკრულნი, ყველამ თავისი წილი მიიღო და ალუდას დაანებეს თავი. ბნელოს კი რა რჯიდა, სულელს, პატიოსან კაცს რომ აუხირდა და შარი მოსდო? ალუდა რომ არ დაეჭირათ, მისი აგარაკი ხომ გადარჩებოდა გაძარცვას... ამაზეა ნათქვამი: "რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო". მეორე ანდაზაც არის: "სხვას ორმოს ნუ უთხრი, თვითონ ჩავარდებიო"...

1996

ბაღი

მატარებელი მხიარულად მირაკუნობს რელსთა პირაპირებზე – საცეკვაოს უკრავს... რკინიგზის აქეთ-იქით ბაღებია; რიტმს აყოლილნი, ტრიალებენ ხეები, ფერხულს უვლიან, ცეკვა-ცეკვით მიირწევიან, მიგოგმანობენ უკან-უკან...

გორში ამოსული ხნიერი, დარბაისელი ქალი ჩემგან ორი სავარძლის გამოშვებით ზის; ხმა ჯერ არ გაჰბზარვია, მისი წარმოთქმული ყოველი სიტყვა მკაფიოდ, გარკვევით მესმის. დინჯად ლაპარაკობს, აუჩქარებლად.

მის მონათხრობს ვუსმენ, მეზობლად მსხდომთ რომ უზიარებს თავის ჭირ-ვარამს, თან ფანჯარაში ვიცქირები – როგორი სევდიანი იერი აქვს ქართლის მთა-ველებს... შემოდგომურად გაცრეცილ, გამოხუნებულ გორებს, მხოლოდ ადგილ-ადგილ რომ ფარავს გადამხმარი ბალახი, მდინარეთა ხეობებს უკვე შეყვითლებული ალვის ხეებით, პატარ-პატარა ბაღ-ბოსტნებით, ოქროსფერ ველებს, ზოგან მოხნულ-გადაშავებულებს... მერე – ისევ რუხი, კაეშნის მომგვრელი გორაკები, ფოთოლჩამოცვენილი ჯაგებითა და ძეძვნარით დალაქავებულნი...

ქალიც სევდიან ამბავს ჰყვება:

– თბილისში მივდივარ, იქ ნათესავები მყავს, იქნება დამეხმარონ. ამბობენ, ჩამორთმეულ ნაკვეთებს ძველ პატრონებს უბრუნებენო, საბუთები მოვაქუჩე ყველაფერი, კიდევ კარგი, არ გადაგვიყრია. ხიდისთავში, – აგე, ცოტა ხნის წინ გავიარეთ, – კარგი მამული გვქონდა, სახლიცა, კარიცა. ხიდისთავი დიდი სოფელია, ბაღებით განთქმული, მაგრამა ჩვენი ხეხილით სავსე ბაღი იყო ისეთი, რომა იტყოდი, ღმერთს თავისი კალთა დაუბერტყია აქაო... ოჯახიც ძლიერი გვქონდა, ყველანი დღედაღამ ვშრომობდით მუხლჩაუხრელად, ოფლის ღვრა არავის გვეზარებოდა. ერთ დღეს დაიარეს სოფელი, ჩვენც ჩამოგვართვეს ნაკვეთი, სახლიცა მარნითა და ბოსლით... ხმას ვინ ამაიღებდა, დაჭერას გადავურჩით... გადავსახლდით გორში, ნათესავს შევეკედლეთ დროებითა. იმ ჩვენ ბაღს სხვა დაეპატრონა, სახლსაცა. მაშინ ბავშვი ვიყა, მაინც ყველაფერი კარგად მახსოვს... ძრიელ გაგვიჭირდა ჯერა, მერე ნელ-ნელა აეწყო ცხოვრებაი. მოხუცი დეიდაჩემი ბაზარში რო წავიდოდა, ხილის საყიდლად სუ ერთ ქალს მიადგებოდა ხოლმე. არც შეევაჭრებოდა, ისე ყიდულობდა მისგან ბალს, ატამს, ვაშლსა... ხილს მხოლოდ მისგან ყიდულობდა, სხვას არ გაეკარებოდა. დიდი ხნის მერე გავიგე – ის ქალი "ჩვენი" ბაღიდან მოწეულ ხილსა ჰყიდდა...

1991

ორი იდეალური მკვლელი

2100 წლის 31 დეკემბერს, 20 საათზე ადგილობრივი დროით, გამოძიების ფედერალური ბიუროს კალიფორნიის შტატის ოფისში ვიღაც ნიღბიანმა უცნობმა ვიდეოტელეფონით დარეკა და მოკლედ

განაცხადა, რომ ზუსტად ნახევარ საათში, როცა პირველი ადრეული მაშხალები აიჭრება ქვეყნის დედაქალაქის, ვაშინგტონის ცაში ახალი საუკუნის დაბადების აღსანიშნავად (იქ მაშინ 23 საათი და 30 წუთი შესრულდება), მისი მთავარი ქუჩის – პენსილვანია ავენიუს – ჩრდილო, თეთრი სახლიდან 500 მეტრით დაშორებული ნაწილიდან ქვეყნის პრეზიდენტის რეზიდენციისკენ საგანგებო დავალებით დაიძვრება დაქირავებული იდეალური მკვლელი, რომლის შეჩერებაც პრაქტიკულად შეუძლებელია...

და გამორთო ყურმილი.

მორიგე თანამშრომელმა ვერც პირის დახურვა და, ცხადია, ვერც ყურმილის დადება მოასწრო, რომ იმავე წამს მეორე ვიდეოტელეფონიც ახმიანდა.

მორიგემ ყურმილო მეორე, თავისუფალი ხელით აიღო და ახლა სხვა უცნობმა იგივე ინფორმაცია გადმოსცა, ოღონდ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი განსხვავებული დეტალით – მკვლელი საწინააღმდეგო, სამხრეთი ნაწილიდან აპირებდა მსვლელობის დაწყებას თეთრი სახლისკენ.

სასწრაფო შეტყობინების ოპერატიული ინფორმაცია ინსტრუქციის თანახმად მაშინვე გადაეცა სპეცკავშირის ხაზით დაზვერვის ფედერალური ბიუროს ცენტრალური ოფისის ოპერატიულ სამორიგეოს ვაშინგტონში (კოლამბიის ფედერალური ოლქი), იქიდან კი, ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით ინფორმაციის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, – ქვეყნის პრეზიდენტს მუსტაფა მირზა-სტიუარტს.

23 ს. 10 წ. ბატონ პრეზიდენტს მოუწია საახალწლო ნაძვის ხესა და სადღესასწაულო სუფრასთან შეკრებილი ოჯახის დიდ-პატარა წევრების მიტოვება.

23 ს. 20 წ. თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში შეიკრიბნენ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სასწრაფოდ გამოძახებული წევრები, აგრეთვე ექსპერტები და მრჩევლები.

დაიწყეს შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის განხილვა.

უცნობი იყო მრავალზე მრავალი კითხვის პასუხი, მათ შორის: ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ინკოგნიტო ინფორმატორები? რა მიზნით დარეკეს? რამდენად რეალური იყო სპეციალური სადღეღამისო თვალთვალისა და გაძლიერებული დაცვის ზონაში ტერორისტთა გამოჩენა? რა შესაძლო მიზნები შეიძლებოდა ჰქონოდათ მათ? იქნებ ერთი მიზანი ამოძრავებდათ და წარმატების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით ქმედებათა დუბლირება იყო გათვალისწინებული? იქნებ თვალის ასახვევად, ყურადღების ჩამოსაცილებლად შეგნებულად ვითომ "გაჟონა" ინფორმაციამ და სინამდვილეში ინსცენირების მოწმე გავხდებით, რეალურად კი სულ სხვა ვერსია განხორციელდება? რა სატრანსპორტო საშუალებები, რა შეიარაღება და დამხმარე ცოცხალი ძალა შეიძლება იქნას გამოყენებული ცრუ და ნამდვილი ოპერაციების განხორციელებისას? ქვეყნის პრეზიდენტის, იმავდროულად – შეიარაღებული ძალების მთავარსარდლისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის – უსაფრთხოების მაქსიმალური უზრულველყოფისთვის ხომ არ იქნება მიზანშეწონილი მისი სპეცთავშესაფარში გადასვლა? და სხვა ათასი და ერთი მსხვილმან-წვრილმანი საკითხი...

23 ს. 25 წ. პრეზიდენტმა თეთრი სახლის დაცვის შეფი გაბორ შპილმანი საგანგებო განკარგულებით დანიშნა ახალშექმნილი საგანგებო შტაბის უფროსად, მისცა მას შესაბამისი რწმუნებანი საშიში მდგომარეობის სრულ განმუხტვამდე; შტაბის შემადგენლობაში შევიდნენ აგრეთვე ქვეყნის ძალოვან სტრუქტურათა უმაღლეს ხელმძღვანელთა მოადგილეები.

23 ს. 30 წ. უსაფრთხოების უზრუნველყოფის უკვე არსებულ პირველი, მეორე და მესამე რიგის საგანგებო ღონისძიებათა გეგმებში ამ დროისთვის უმოკლეს ვადაში შეტანილ იქნა კორექტივები და დაწყებულია პირველი რიგის ღონისძიებათა განხორციელება, მიმდინარეობს ინტენსიური მზადება შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად.

გეგმები ითვალისწინებს: ა) კიდევ უფრო გაძლიერდეს არსებული ტოტალური თვალთვალი თეთრი სახლის გარშემო დაცული ტერიტორიისა და იგი განივრცოს წრიულად 1 კმ რადიუსის მანძილზე; ამისთვის მოეწყოს სასწრაფო სპეცდაზვერვის ქსელი, რომელიც ცხელი ხაზით 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში გადასცემს ახლად მოპოვებულ ინფორმაციას შტაბს შემუშავებულ გეგმაში მიმდინარე აუცილებელი კორექტივების შესატანად;

ბ) სასწრაფოდ ევაკუირებულ იქნან აღნიშნული ზონიდან გარეშე პირები, აიკრძალოს მათი შემოსვლა და გადაადგილება ამ ზონაში (განსაკუთრებულ გადაწყვეტილებამდე); გ) თეთრი სახლის წინ რამდენიმე რიგად მოეწყოს ტერორისტთა გამანადგურებელი ჯგუფების ჩასაფრება: პირველი რიგი – ორი ჯგუფი შესაბამისად ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით, ჭიშკრიდან 400-400 მეტრის დაშორებით (შეიარაღება: ავტომატები და ტყვიამფრქვევები – როგორც ჩვეულებრივი, ისე ჯავშანმხვრეტი ტყვიებით, სანადირო თოფები – ახლო მანძილიდან მიზანში სასროლად, დაზიანების სექტორის მაქსიმალური გაზრდით); მეორე რიგი – ასევე ანალოგიურად განლაგებული ორი ჯგუფი 300-300 მეტრის დაშორებით (შეიარაღება: ცეცხლსაფრქვევები, ლაზერული კარაბინები, რეაქტიული ყუმბარმტყორცნები); მესამე რიგი – ასევე ორი ჯგუფი, თითო 200-200 მეტრის დაშორებით ჭიშკრიდან (შეიარაღება: ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური მუხტები, მძიმე და მსუბუქი ნაღმტყორ-

ცნები); მეოთხე რიგი – ორი ჯგუფი, თითო 100-100 მეტრის დაშორებით (შეიარღება: მიწა-მიწის სისტემის რაკეტული დანადგარები ლაზერული დამიზნებით და ავტომატური მიდევნებით); მეხუთე რიგი – ერთი ჯგუფი უშუალოდ ჭიშკრის წინ (შეიარაღება: გაუმდიდრებელურანიანი სარაკეტო სისტემები, მძიმე და ზემძიმე ტანკები). გარდა ამისა, ჩამოყალიბდეს ტერორისტებთან მებრძოლი სპეცდანიშნულების მობილური ჯგუფები ჯავშნიანი ავტომობილებით, მსუბუქი ტანკებითა და ვერტმფრენებით, რომელთა მუშაობასაც კოორდინაციას გაუწევს სპეცდაზვერვის ქსელის ხელმძღვანელობა დაზვერვის 2 სტაციონარული კოსმოსური თანამგზავრის მეშვეობით (ერთი – ძირითადი, მეორე – სამარქაფო); დ) მობილიზებულ იქნან სახანძრო რაზმები და სასწრაფო დახმარების ბრიგადები საჭირო რაოდენობით...

23 ს. 31 წ. სანამ "სტუმრის" თუ "სტუმართა" დასახვედრი ფაციფუცი გახურდებოდა, დაზვერვამ პირველი ცნობები გადმოსცა: თეთრი სახლის ღობის ჭიშკრიდან 500-500 მეტრის დაშორებით მართლაც ერთდროულად გამოჩნდა ორი მკვლელი, ერთი – სამხრეთიდან მოემართებოდა, მეორე – ჩრდილოეთიდან; ორივეს უცნაური ჯავშნიანი სკაფანდრი ეცვა. ორივენი რობოტებს ჰგავდნენ, თუმც განსხვავებული კონსტრუქციისა, ორივე წინ უხმაუროდ მოიწევდა დაახლოებით საათში 5 კილომეტრის სიჩქარით....

ორი ტერორისტი – "ჩრდილოელი" და "სამხრეთელი" (ასეთი პირობითი სახელები შეარქვეს მათ) – ერთმანეთის შესახვედრად მოძრაობდა, თითქოს მოსეირნობდნენ. ხელთ ეპყრათ ყუმბარმტყორცნის მსგავსი იარაღი, უფრო ზუსტად მისი რაობისა და დანიშნულების დადგენა ვერ ხერხდებოდა კონსტრუქციის უჩვეულობის გამო. ასევე გაურკვეველი იყო მკვლელთა სქესი, ასაკი და ინდივიდუალური ნიშნები, რამდენადაც სახე დაფარული ჰქონდათ, სიმაღლის გაზომვა კი მოხერხდა, საკმაო მანძილით დაშორების მიუხედავად: "ჩრდილოელის" – 194 სანტიმეტრი, "სამხრეთელის" – 195 სანტიმეტრი; ორივეს მოძრაობა – თანაბარი, პირველის – 4,9 კილომეტრი საათში, მეორის – 5,0-5,1 კილომეტრი საათში.

23 ს. 32 წ. უსიამოვნო სიურპრიზი: გამოჩნდნენ ტელეოპერატორები, ფოტო და რადიორეპორტერები; მათი რაოდენობისა და განლაგების ზუსტად დადგენა ვერ ხერხდება, რადგან სწრაფად და განუწყვეტლივ იცვლიან პოზიციებს, გაფრთხილებასა და აკრძალვაზე ნაკლებ რეაგირებენ. დაიწყო რამდენიმე პირდაპირი რეპორტაჟი ცოცხალ ეთერში რადიოთი და ტელევიზიით.

23 ს. 35 წ. გზის შემკვრელი ანტიტერორისტული ჯგუფების მიერ 400-მეტრიანი სამხრეთი და ჩრდილოეთი ნიშნულებიდან გახსნილია ინტენსიური ცეცხლი მათ ხელთ არსებული ყველა საბრძოლო საშუალებიდან. როგორც "ჩრდილოელი", ისე "სამხრეთელი" ჯერჯერობით საპასუხოდ არ ისროდნენ, ოღონდ ოსტატური მანევრებით იოლად იცილებდნენ ტყვიების დიდ უმეტესობას, მოხვედრილები კი ისე აისხლიტებოდნენ, რომ ოდნავ ზიანსაც ვერ აყენებდნენ. სრული უაზრობა იყო აგრეთვე სანადირო თოფების გამოყენებაც. ტერორისტები შეუფერხებლად განაგრძობდნენ სვლას, ბოლოს კი ჩასაფრებული ორივე ჯგუფი იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავ-თავიანთი დისლოკაციის ადგილი და უკან დაეხია 300-მეტრიანი ზღუდისკენ.

23ს. 40 წ. 400-მეტრიან დატოვებულ ნიშნულებზე ჰაერიდან ზუსტი დამიზნებით ჩამოყრილი ნადმებისა და ფუგასების აფეთქებებისგან ავარდნილი მტვერი და ბუღი საშუალებას არ იძლევა, სანდოდ და ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს ტერორისტთა ბედი.

23ს. 45 წ. როცა მხედველობის არე გაუმჯობესდა, აღმოჩნდა, რომ "ჩრდილოელიცა" და "სამხრეთელიც" განაგრძობდნენ თავდაპირველად აღებული მიმართულებით განუხრელ მოძრობას – ერთმანეთის შესახვედრად. რაიმე დაზიანებათა კვალი მათ გარეგნობაზე ვიზუალურად არ შეინიშნება, არც – მოძრაობათა კოორდინაციის დარღვევა, გადაადგილების სიჩქარეც შენარჩუნებულია. ინტენსიური საბრძოლო მოქმედებებით შესამჩნევი ზიანი აქვს მიყენებული მიმდებარე შენობა-ნაგებობებს, მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეულია, რამდენიმე ადგილას გაჩნდა ხანძარი, რომელიც ინტენსიურად ვრცელდება. კვლავ ატეხილმა სროლამ და აფეთქებებმა ისევ გააუარესა ხილვადობა, რომელიც თითქმის ნოლს გაუტოლდა. რადიოლოკაციური, ინფრაწითელი და ლაზერული ხედვითი სისტემები ტერორისტების ადგილსამყოფელს ვერ აფიქსირებენ, ისინი მათთვის "უხილავია".

და ასე გრძელდება შემდგომაც: ორი ტერორისტი ერთმანეთის შესახვედრად მიემართება, ყოველ ას მეტრში – ბათქაბუთქი, აფეთქებათა გამაყრუებელი გრიალი, იყენებენ სულ უფრო მძლავრ იარაღს და მეტი ინტენსივობით, მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ... ორივე მკვლელი ცეცხლის, კვამლისა და მტვრის მორიგი ბურთიდან უვნებელი გამოდის და ოლიმპიური სიმშვიდით განაგრძობს გზას. ადვილად იცილებენ დაშენილ ტყვიებს, ყუმბარებს, სხივებს, სხვადასხვა ყაიდისა და კონსტრუქციის უახლეს გამანადგურებელ საშუალებებს: "ჩრდილოელი" – წინწასწრებით მარჯვნივ და მარცხნივ გადახრა-რწევით, "სამხრეთელი" – ასევე წინწასწრებით წინ და უკან გადახრა-რწევით.

იძვრის ცა და მიწა, გიგანტური შავ-ნაცრისფერი ბუღი ფარავს არემარეს, იწვის და ინგრევა ირგვლივ ყველაფერი – ტერორისტებს კი ვერაფერს აკლებენ...

ჩასაფრებულთ სასოწარკვეთა იპყრობთ...

ბოლოს, “ჩრდილოელი” და “სამხრეთელი” ძლევამოსილი გასეირნების შემდეგ ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ თეთრი სახლის ღობის ჭიშკართან.

ახლა რაღა მოხდება? გზას განაგრძობენ – უკვე ერთად? საით? უშუალოდ თეთრი სახლის ბუნკერისკენ? როდის აამუშავებენ საიდუმლო იარაღს?

ტერორისტები უახლოვდებიან ერთმანეთს, უახლოვდებიან, უახლოვდებიან – იარაღშემართულნი, “ჩახმახშეყენებულნი”...

ნუთუ ერთმანეთს მტრობენ?

ბოლოს – გადაეხვივნენ ერთმანეთს: ბრწყინვალე გამარჯვება! ტრიუმფი!..

ერთ წამს ასეთ მდგომარეობაში გაირინდნენ...

და უცებ...

აფეთქება!

გავარვარებული უზარმაზარი ბურთი!

ტერორისტთაგან არაფერი რჩება – წამიერად აორთქლდნენ ჯოჯოხეთურ სიმხურვალეში...

თუმცა, მათგან რაღაც მაინც დარჩა: ტელე და ფოტორეპორტერების ლაშქარი ტყუილად არ ირჯებოდა.

ქვეყანა აფორიაქებულია, შეშფოთებულია, შეძრწუნებულია...

მომხდარს განიხილავენ, ბჭობენ, ვარაუდებს გამოთქვამენ... მთელ მსოფლიოში აკეთებენ უამრავ სხვადასხვა დასკვნას, თუმცა გარკვეული პასუხი ვერ გაუციათ კითხვაზე – რა მოხდა?

ბოლო აკორდი:

ორი უმსხვილესი სამხედრო-სამრეწველო კორპორაციის პრეზიდენტები, კონკურენტები – ალექს იქსი და დირეკ იგრეკი – ზუსტად 2100 წლის 31 დეკემბრის 24 საათზე ანუ 2101 წლის 1 იანვრის 00 საათზე ერთმანეთს საიდუმლოდ შეხვდნენ ლას ვეგასის სასტუმრო “გლოუბის“ “სამეფო“ აპარტამენტების სასტუმრო დარბაზში. უნდა გაირკვეს: ვინ მოიგო გრანდიოზული ნაძლევი სუპერრობოტ-კილერის ანუ ზემკვლელის უკეთესი ნიმუშის შექმნაზე?..

ორივემ წარმატებით გაიარა უნიკალური ურთულესი პრაქტიკული გამოცდა საბრძოლო პირობებში და ორივე საცდელმა ნიმუშმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა!

პრეზიდენტები ერთმანეთს ღიმილით ართმევენ ხელს..

ალექს იქსი დირეკ იგრეკს ეუბნება:

– ძვირფასო დირეკ, წაგებული არცერთი ვართ, ჩვენ ორივემ გავიმარჯვეთ! გულითადად გილოცავ უდიდეს წარმატებას!

დირეკი ალექსს პასუხობს:

– ჭეშმარიტად, ძვირფასო ალექს! ეჭვი აღარ მეპარება – XXII საუკუნე ჩვენი იქნება! ვიბატონებთ აქაც, მარსზეც და ვენერაზეც!

სახეგაბადრული პრეზიდენტები კიდევ ერთხელ მეგობრულად ართმევენ ხელს ერთმანეთს, თან ისე მაგრად, რომ, ო. ჰენრის თქმისა არ იყოს, მათ ხელისგულებზე ერთი მიკრობიც კი არ დარჩა ცოცხალი!

2001

კედელი

კედელი, კედელი, კედელი...

ვწევარ ლოგინში, ვერ ვიძინებ. რაღაც კედელია ჩემსა და სიზმარს შორის; რბილი ფაფუკი კედელია თითქოს, მაგრამ “იქითა მხარეს” არ მიშვებს არაფრით...

რამდენნაირი კედელი არსებობს? აბა, უცებ, რამდენს გავიხსენებ? ჩინეთის დიდი კედელი, კედლის საათი, ურთიერთგაუგებრობის კედელი, სახლის კედელი, უფრო სწორად – სასტუმრო ოთახის კედლები, რომლებზეც ჩამოკიდებულია სურათები... ყველა ეს სურათი მახსოვს: ცალ კედელზეა ტიტე შეყილაძის “დედამიწა”, “სევდა”, “მსახიობები”, მერე მარჯვნივ – რობერტ სტურუას “სამნი დანი ჭავჭავაძენი”, ვერა ბელეცკაიას “სვანეთი. მულახი”, ომარ დურმიშიძის “ნატურმორტი”... მეორე კედელზე: ვახტანგ ჯაფარიძის “მესტია. მწვერვალი უშბა” და გოგი ჩაგელიშვილის სამი სურათი – “ქალი დივანზე” (ესკიზი), “ყურძნის კრეფა” (ესკიზი) და “ქალის პორტრეტი”. მესამე კედელზე მარცხნიდან პირველი კიდია გოგის კიდევ ერთი სურათი – ყირიმული ღამის პეიზაჟი, მერე ლიდია შაბარშინას ტემპერა ”ქვემო ქართლი. მეცხვარეები”, მის მარჯვნივ – ვახტანგ ადვაძის “ფრინველის გამყიდველი”, შემდეგ ლიდიას აკვარელი “ჯიხაშკარი”... სულ თოთხმეტი სურათია, კიდევ რამდენიმე კედელზე დაკიდებას ელის. თითქოს სულ ერთია, კიდია სურათი თუ არა, არც ისე ხშირად ვუყუ-

რებ, მაგრამ აბა ერთი, მოსცილდეს ჩვეულ ადგილს, მაშინვე თვალს აკლია, გულსაც – წუხხარ, თითქოს ახლობელი დაკარგე...

კედელი, კედელი, კედელი...

მთელი ქალაქი კედლებითაა სავსე, სახლთა კედლებით, რომლებიც შავად ან ყვითლად დაწინწკლულან ფანჯრებით. მე კი თითქოს მივდივარ უსასრულო, კაცის სიმაღლე მესრის გასწვრივ, მივდივარ, მივდივარ, მიეჩლახუნობ, მივბორძიკობ... არსად კარი, არსად გასაძრომი, ან ნახვრეტი, ან გარღვეული... ვურტყამ ფეხს კედელს, იქნებ გავანგრიო; ფეხი სიცარიელეს ხვდება – კედელი არის კიდეც, არც არის, ვერაფერს ვაკლებ, ვერაფერს ვაღწევ... გავრბივარ, ისარივით მივფრინავ კედლის გასწვრივ, ხანდახან ძლიერ დავკრავ ფეხს, მინდა, გადავევლო სიმაღლეზე მხტომელივით ზღუდეს, მაგრამ ფეხი ეფლობა მიწაში, მიჭერს რადაცა, მაგნიტივით მიზიდავს, მითრევს მიწისკენ, თითქოს უსიტყვოდ მიბრძანებს, არ გაბედო მაღლა აფრენაო...

უცნაური კედელია – ვერც გადავახტი, ვერც გავეცალე, მის გასწვრივ საუკუნო რბოლას მისჯილი... ერთხელ კიდევ თავგანწირვით გავიბრძოლე, თითქოს საკუთარი ტყავიდანაც კი ამოვხტი, ისეთი ნდომით და ჟინით ავხტი – ძალების უკიდურესი დაძაბვით კედლის თავზე მოვექეცი, თვალებს ვაცეცებ და მაინცდამაინც ახლა დაბურუსდა ყველაფერი – ვერაფერს ვარჩევ, გეზი და მიმართულება დავკარგე... მერე მაღლა-მაღლა მივფრინავ, ხელები გავშალე თვითმფრინავის ფრთებივით, ჩემს გემოზე დავსრიალებ ზევით-ქვევით, კედელს კი ვერაფრით მოვცილდი, მასზე უხილავი ჯაჭვით მიბმული...

მძინავს თუ მღვიძავს? ვგონებ, სიზმარში ვხედავ ამ დაუძლეველ კედელს... რა ძალა აქვს ასეთი, რომ ირეკლავს თუ ისხლეტს ყოველ ჩემს ძალისხმევას – ვითომც არაფერი... გრავიტაციული ტალღებით ხომ არ მკრავს ხელს? უჩინარი ძალა ტვინსაც ხომ არ მიმღვრევს, აზროვნების მკაფიოდ გამოკვეთილ, ჩამოყალიბებულ ფორმებს ამახინჯებს – ეს კედელიც კი უსწორმასწოროა და ლბილი – უფორმო, დონდლო გარეგნულად, მაგრამ საოცრად ძლიერი და შეუვალი შინაგანად... ესაა, რომ მაცოფებს და ჯიუტად ვესწრაფვი, მაინც ჩემი გავიტანო – კედელი გადავლახო ანუ ჩემი თავი დავამკვიდრო... რაც უფრო უაზრო და უშედეგოა ჩემი ქიჩმაჩი, მით უფრო იზრდება კედლის სიმაღლე, მე კი ვპატარავდები, ვორთქლდები თანდათან, ვიჭმუჭნები, ვჩიავდები – ჯერ ბავშვის ხელა ვხდები, მერე – კარის ხელა, ახლა ბუზიც მაშინებს, კოღოს თვალის ხელაც გავხდი – ვიჩუტები წერტილივით, აგერ კვალიც ჩანს მხოლოდ ჩემი და უცებ ისიც ქრება... ქრება სინათლეც და ცნობიერების ზეცაზე ამოგორებული უზარმაზარი შავი მზე კიდით კიდემდე ყველაფერს ფარავს...

1989

ოთხი წელი

(ესკიზი)

ასეც ხდება: წევხარ ღამით, ყოველდღიურობის ორომტრიალით გამოფიტული და ნანატრ ძილს ელი. ამ დროს ძველი ხილვები წამოტივტივდებიან მეხსიერების უძირო მორევიდან – ადამიანები, ეპიზოდები, შენობები, ოთახები და ათასი სხვა წვრილმანი თუ მსხვილმანი კიდევ... მერე რაღაც უხილავი და გაუცნობიერებელი კავშირებით მსწრაფლ გადაენასკვება ერთიმეორეს ამ მოზაიკის ცალკეული ნაწილები და უცებ მთლიანი დასრულებული სურათი ანუ ნოველის თემა წარმოგიდგება მთელი სიგრძე-სიგანით...

აი, ერთი ასეთი ცდის ნაყოფი თქვენს წინარეა.

დიდი ქუჩა, ქუჩაში ოცდათხუთმეტიოდე წლის კაცი მიდის – დაბალი, ჩასკვნილი; შავ, შეთხელებულ თმებში ადრეული ჭაღარა გამორევია.

დიდი შენობა, მთლიანად დაკავებული მოზრდილი დაწესებულებით. რა დაწესებულებაა, ჩვენი ამბისთვის მნიშვნელობა არ აქვს.

მესამე სართულზე – საშუალო სიდიდის ოთახი, ამ ოთახში დაწესებულების ბიბლიოთეკაა განთავსებული. ოთახი ორად გადაუტიხრავთ: კარის მხარეს გრძელი მაგიდა და რამდენიმე სკამი დგას მკითხველთათვის, ტიხრის უკან – თაროებზე ჩამორიგებული აკინძული ანგარიშები, ერთიც მომცრო მაგიდა და სკამიც დაუტევიათ. ამ პატარა მაგიდას უზის მზია – ორმოციოდე წლის მაღალი, გამხდარი ქალი, უკვე რომ ჭკნობა შეჰპარვია, მაგრამ ჯერ მაინც საკმაოდ სიმპათიური გარეგნობისა გახლავთ.

მზია კატალოგს აწესრიგებს, ორიოდე მკითხველი გუშინდელ გაზეთებს ათვალიერებს. ჰო, კიდევ, ბარემ იმასაც აღვნიშნავ, რომ ფართო ფანჯარას მომდგარი ვერხვის შიშველი ტოტების იქით

მოჩანს მაღალი სახლები – ნაირფერად შეღებილი აივნებით, ლოჯიებით, მათში ათასგვარი ხარახურით. ეზოდან ბავშვების ჟრიამული ისმის – გაზაფხულდა, როგორც იქნა, დათბა.

შემოდის ჩვენი ნაცნობი კაცი, ქუჩაში მიმავალი რომ გავიცანით.

– სალამი, მზია!

– ოჰ, დათო, შენა ხარ?!. – მზია ტიხრის იქიდან გამოდის და ერთმანეთს გადაჰკოცნიან.

რა თქმა უნდა, უპირველესად ერთმანეთი მოიკითხეს, მერე – საერთო ნაცნობ-მეგობრები. ასეთნი ბევრნი ჰყავთ – დათო ამ დაწესებულებაში ათი წელი მუშაობდა. უკვე მესამე წელია, სხვაგან მოღვაწეობს და ახლა რაღამ მოიყვანა აქ? იქნებ ამ პატარა საიდუმლოს მივხვდეთ, თუკი დათოს დავაკვირდებით? თვალი წამდაუწუმ გაურბის მოპირდაპირე სახლისკენ... იქ ცხოვრობს... თუ ცხოვრობდა... ლელა! აი, ისიც – მისი სახლის აივანი... ლელაც აქ მუშაობდა რაღაც წვრილ თანამდებობაზე – უმცროსი ტექნიკოსი იყო, უფრო მარტივად – მხაზველი გახლდათ. დათოს ძალიან მოსწონდა და ქათინაურებს არ აკლებდა, გოგოც თითქოს იფერებდა და არ გაურბოდა მასთან საუბარს... ერთიორჯერ კინოშიც იყვნენ, მართალია, სხვებთან ერთად. ლელას ყველანი აქებდნენ დათოსთან, განსაკუთრებით მზია, და აგულიანებდნენ, უფრო აქტიური იყავიო, მაგრამ დათოს ცალკერძ ის აჩერებდა, რომ ათი წლით უფროსი იყო ლელაზე, მეორეც, რაც უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა, – ლელას სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა და მშობლები ჯერ არ გაათხოვებდნენ. ასეა თუ ისე, დათოს რაღაც აჩერებდა, რატომღაც სულ გადასდებდა ხოლმე საბოლოო, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას, ეგონა, საჩქარო არაფერი მჭირსო. მერე ისე მოხდა, რომ სამსახური გამოიცვალა და ძალაუნებურად ჩამოშორდა ძველ ნაცნობ-მეგობრებს – ახალ სამუშაოზე გადასვლისთანვე სამთვიან მივლინებაში მოუწია წასვლა, დაბრუნდა და ზაფხულიც დაიწყო, ყველა მიიფანტ-მოიფანტა...

ამ ერთი კვირის წინ, დასაძინებლად რომ დაწვა, კარგა ხანს იბორგა ლოგინში, მთელი წარსული ცხოვრება ახლებურად შეაფასა. დედა რამდენიმე თვის წინ გარდაეცვალა; საწყალი, სულ ჩასჩიჩინებდა, ისე ნუ იზამ, რომ შენს დაცოლშვილებას ვერ მოვესწროო... დათოს ბევრო გოგო მოსწონებია, მაგრამ საქმე საბოლოოდ ყოველთვის გულაცრუებით თავდებოდა... და ამ უძილო ღამეს რატომღაც მეხსიერებიდან ამოტივტივდა ლელას სახე, მისი გაცისკროვნებული თვალები, ბავშვური ღიმილი, მორიდებული სიცილი...

დიდხანს იწვა ასე, მოგონებებში ჩაძირული, და სულ უფრო აწუხებდა რაღაცა... ბოლოს, ეს "რაღაცა" გაცნობიერდა სურვილში – ლელა ენახა. ახლაღა მიხვდა, რომ თურმე დიდ საუნჯეს აუარა გვერდი; ერთი ხელის გაწვდენა იყო საჭირო, მეტი არაფერი, მას კი იმდენი ჭკუა არ ეყო, რომ... ნეტა, როგორ შეიცვლებოდა ლელა? ალბათ უკვე ამთავრებს ინსტიტუტს... გარეგნულადაც შეიცვლებოდა, როგორი იქნება? კიდევ თუ მუშაობს მის ძველ სამსახურში?

და აი, ბიბლიოთეკაში მოსული დათო ფიქრებში სულ ლელას თემას დასტრიალებდა, უნდოდა, მზიას რამე ეთქვა ქალიშვილზე... უკვირდა, მზიამ ერთხელაც რომ არ ახსენა, არადა, ხომ კარგად იცოდა, მზიას დათო მოსწონდა... ვერც პირდაპირ ჰკითხა, რატომღაც ერიდებოდა, ჯიქურ გაეგო ლელას ამბავი. ვითომ შემოვლითი გზებით უნდოდა, მზიას ლელა ეხსენებინა, იგონებდა ძველი დროის ამბებს, – დღეობებსა თუ ექსკურსიებში ერთად სიარულს. მზია ხალისით აიტაცებდა ხოლმე ამ თემებზე საუბარს, მაგრამ არა და არ მისცა დათოს საბაბი, რომ ლელაზე ეკითხა რაიმე... დათოს თვითონაც ვერ გაეგო, რატომ ერიდებოდა, პირდაპირ გაეგო, რაც აინტერესებდა...

კარგა ხანს გაგრძელდა მათი საუბარი. მზია ვერაფრით ხვდებოდა, როგორ იტანჯებოდა დათო...

ბოლოს, უკვე შესვენება რომ დადგა, მზიამ ყავა შესთავაზა ფეხზე წამომდგარ დათოს. დათო წასვლას აპირებდა, ერთხელ კიდევ გაიხედა ფანჯარაში და, როგორც იქნა, მზიას კითხვა გაუბედა:

– ლელა როგორ არის, ისევ იქ ცხოვრობს? – და მიუთითა ნაცნობი აივნისკენ.

– ლელა კარგად არის, ძალიან კარგად! – მზიაც ფანჯარასთან მივიდა. – ეგერ, ხედავ, მის აივანზე რომ ბავშვის საფენებია გაფენილი? უკვე სამი ბავშვი ჰყავს, სამივე – ბიჭები. მეორედ ტყუპები შეეძინა.

დათოს მკერდში რაღაც ჩაწყდა. ძლივს ამოილუღლუღა:

– კარგია, კარგი...

1989

რომელი ხარ?

სამოცი წლის იროდიონ ორშაიძე, კარგა ხანია, წევს ლოგინში. ალბათ უკვე ღამის პირველ საათს გადასცდა, მას კი ძილი არ ეკარება.

გვერდით, მეორე საწოლში, ცოლი ხვრინავს საშინლად.

ირ ოდ ი ო ნს ნ ერ ვ ებ ი ე შ ლ ებ ა, რ ამ დ ე ნ ჯ ერ მ ე დ ა უ წ რ უ წ უ ნ ა, დ ა უ ს ტ ვ ი ნ ა, შ ე უ ძ ა ხ ა კ ი დ ე ც – უ შ ე დ ე-
გ ო დ...

გ ა ნ ვ ლ ი ლ ც ხ ო ვ რ ებ ა ზ ე ფ ი ქ რ ებ ი ს ი ა ლ ქ ა ნ მ ა გ ა ი ტ ა ც ა.

რ ა მ შ ე ა რ თ ვ ე ვ ი ნ ა ე ს ჯ ო ჯ ო? მ თ ე ლ ი დ ღ ე ჯ ი ჯ ღ ი ნ ებ ს დ ა ღ ა მ ი თ ა ც ა რ ა ს ვ ე ნ ებ ს... გ ვ ი ა ნ ა ა ა ხ ლ ა თ ი თ ზ ე კ ბ ე ნ ა ნ ი. შ ე უ ჩ ნ დ ა დ ე დ ა მ ი ს ი: ა ს ე თ ქ ა ლ ს ვ ე რ ა ს დ რ ო ს შ ე ხ ვ დ ებ ი, ბ ე დ ნ ი ე რ ებ ა ს ხ ე ლ ი დ ა ნ ნ უ გ ა უ შ ვ ებ ო. ე რ თ ხ ა ნ ს ირ ო დ ი ო ნ ი უ ძ ა ლ ი ა ნ დ ებ ო დ ა, მ ე რ ე ს ი ს უ ს ტ ე გ ა მ ო ი ჩ ი ნ ა დ ა დ ა ჰ ყ ა ბ უ ლ დ ა... დ ა თ ი თ ქ მ ი ს ო ც დ ა ა თ ი წ ე ლ ი ა, ნ ა ნ ო ბ ს... უ ნ ებ ი ს ყ ო ფ ო კ ა ც ი თ უ ხ ა რ, ვ ე რ ა ა წ ყ ო ბ ც ხ ო ვ რ ებ ა ს. ა მ დ ე ნ ი ხ ა-
ნ ი ა, უ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ო დ მ ი ა თ რ ე ვ ს ო ჯ ა ხ უ რ უ ღ ე ლ ს...

მ ი ს ც ხ ო ვ რ ებ ა შ ი ქ ა ლ ებ ს უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ა დ გ ი ლ ი ე კ ა ვ ა თ.

მ ი ს თ ვ ი ს ც ხ ო ვ რ ებ ა შ ი მ თ ა ვ ა რ ი ი ყ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა, ხ ე ლ ო ვ ნ ებ ა... ა ღ ტ ა ც ებ უ ლ ი ი ყ ო ბ უ ნ ებ ი ს მ შ ვ ე-
ნ ი ე რ ებ ი თ, მ ი ს ი ა მ ო უ წ უ რ ა ვ ი მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ო ვ ნ ებ ი თ. უ ყ ვ ა რ დ ა ა დ ა მ ი ა ნ ებ ი ც – ი ზ ი დ ა ვ დ ა ნ ი ჭ თ ა გ ა ნ-
ს ხ ვ ა ვ ებ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი, პ ი რ ო ვ ნ ებ ა თ ა ა მ ო უ წ უ რ ა ვ ი ნ ა ი რ გ ვ ა რ ო ბ ა დ ა, ა მ ი თ გ ა ნ პ ი რ ო ბ ებ უ ლ ი, ხ ე ლ ო ვ ა ნ-
თ ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ო ბ ა დ ა გ ა ნ უ მ ე ო რ ებ ლ ო ბ ა. ი ტ ა ც ებ დ ა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი: ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა, ფ ე რ წ ე რ ა, გ ა ნ ს ა კ უ თ-
რ ებ ი თ – მ უ ს ი კ ა. შ ე ა გ რ ო ვ ა ხ ე ლ ო ვ ნ ებ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ი ს ა დ მ ი მ ი ძ ღ ვ ნ ი ლ ი მ დ ი დ ა რ ი ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა, ა ს ე ვ ე,
მ ს ო ფ ლ ი ო ს კ ლ ა ს ი კ ო ს თ ა დ ა თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ წ ე რ ა ლ თ ა ტ ო მ ე უ ლ ებ ი – პ ო ე ზ ი ა ც დ ა პ რ ო ზ ა ც.

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ დ რ ო ს ს უ ლ წ ი გ ნ ებ შ ი ი ყ ო ჩ ა ფ ლ უ ლ ი ან მ უ ს ი კ ა ს უ ს მ ე ნ დ ა.

ა ს ე გ ა ი ა რ ა წ ლ ებ მ ა დ ა ა თ წ ლ ე უ ლ ებ მ ა, ს ა მ ო ც ი წ ლ ი ს ა ც მ ო ი ყ ა რ ა.

ს ა კ ა ნ დ ი დ ა ტ ო დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა კ ი დ ა ი ც ვ ა, მ ა გ რ ა მ, ც ო ლ ი ს შ ე ჩ ე ნ ი ს მ ი უ ხ ე დ ა ვ ა ვ ა დ, ს ა დ ო ქ ტ ო რ ო ს ხ ე ლ ი
ა ღ ა რ მ ო ჰ კ ი დ ა.

ც ო ლ ი ს რ უ ლ ი ა დ გ უ ლ გ რ ი ლ ი ი ყ ო მ ი ს ი გ ა ტ ა ც ებ ებ ი ს ა დ მ ი...

ო რ ი ვ ე შ ვ ი ლ ი ც რ ო მ დ ე დ ი ს კ ვ ა ლ ს გ ა ჰ ყ ვ ა! ა რ ა დ ა, რ ა მ დ ე ნ ი ძ ა ლ-ღ ო ნ ე შ ე ა ლ ი ა მ ა თ: პ ა ტ ა რ ა ო ბ ი-
დ ა ნ ვ ე დ ა ჰ ყ ა ვ დ ა ს ა მ ხ ა ტ ვ რ ო გ ა მ ო ფ ე ნ ებ ი ს დ ა ს ა თ ვ ა ლ ი ე რ ებ ლ ა დ, მ ი ა ბ ა რ ა ს ა მ უ ს ი კ ო ს კ ო ლ ა შ ი... ვ ე-
რ ა ფ რ ი თ დ ა ა ი ნ ტ ე რ ე ს ა ხ ე ლ ო ვ ნ ებ ი თ, ვ ე რ ა ი ყ ო ლ ი ა ვ ე რ ც გ ო გ ო დ ა ვ ე რ ც ვ ა ჟ ი...

ა მ ბ ო ლ ო დ რ ო ს რ ა ტ ო მ ღ ა ც ხ შ ი რ ა დ ა მ ო ტ ი ვ ტ ი ვ დ ებ ა ხ ო ლ მ ე მ ი ს მ ე ხ ს ი ე რ ებ ა შ ი ე რ თ ი თ ი თ ქ ო ს დ ა
ს რ უ ლ ი ა დ უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო, ო ც დ ა ა თ ი წ ლ ი ს წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი, მ ი ვ ი წ ყ ებ უ ლ ი ა მ ბ ა ვ ი... ა ხ ლ ა ც, ა მ უ ძ ი ლ ო ბ ი ს ა ს,
ი ს ე ვ დ ა ი ს ე ვ ი ხ ს ე ნ ებ ს დ ა ი ს ე გ ა ნ ი ც დ ი ს, თ ი თ ქ ო ს დ ღ ე ს მ ო მ ხ დ ა რ ი ყ ო ს ყ ო ვ ე ლ ი ვ ე...

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ი ყ ო, ს ა მ ს ა ხ უ რ შ ი მ ი ს ი ო თ ა ხ ი ს ფ ა ნ ჯ რ ი დ ა ნ ა ყ ვ ა ვ ი ლ ებ უ ლ ი ა ლ უ ბ ლ ებ ი ს თ ე თ რ ა დ
ა ფ ე თ ქ ებ უ ლ ი ბ ურ თ ებ ი მ ო ჩ ა ნ დ ა.

კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ი დ ა ნ დ ა უ ძ ა ხ ა მ დ ი ვ ა ნ მ ა გ ო გ ო ნ ა მ – ტ ე ლ ე ფ ო ნ ზ ე გ ო თ ხ ო ვ ე ნ ო. დ ე დ ა მ ი რ ე კ ა ვ ს ო, ი ფ ი ქ რ ა,
ს ხ ვ ა ი შ ვ ი ა თ ა დ თ უ ვ ი ნ მ ე შ ე ე ხ მ ი ა ნ ებ ო დ ა.

ვ ი ღ ა ც ქ ა ლ ი დ ა ე ლ ა პ ა რ ა კ ა, ხ მ ა ზ ე ე ტ ყ ო ბ ო დ ა, ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო.

– ი ც ი, ირ ო დ ი ო ნ, შ ე ნ ძ ა ლ ი ა ნ კ ა რ გ ი ბ ი ჭ ი ხ ა რ! – პ ი რ დ ა პ ი რ უ თ ხ რ ა უ ც ნ ო ბ მ ა. ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო ხ მ ა
ჰ ქ ო ნ დ ა, რ ო გ ო რ ც მ ე რ ე გ ა ი ხ ს ე ნ ა.

– რ ო მ ე ლ ი ხ ა რ? – ს ხ ვ ა ვ ე რ ა ფ ე რ ი მ ო ა ხ ე რ ხ ა გ ა კ ვ ი რ ვ ებ უ ლ მ ა ირ ო დ ი ო ნ მ ა; თ ა ნ ი ფ ი ქ რ ა: “რ ა ღ ა
დ რ ო ს ჩ ე მ ი ბ ი ჭ ო ბ ა ა, ო ც დ ა ა თ ს მ ი ვ უ კ ა კ უ ნ ე”.

– ძ ა ლ ი ა ნ მ ო მ წ ო ნ ხ ა რ!.. – გ ა ნ ა გ რ ძ ო ქ ა ლ მ ა.

– რ ო მ ე ლ ი ხ ა რ? – შ ე ა წ ყ ვ ე ტ ი ნ ა ირ ო დ ი ო ნ მ ა დ ა დ ა ჟ ი ნ ებ ი თ გ ა ნ ა გ რ ძ ო: – მ ი თ ხ ა რ ი, რ ო მ ე ლ ი ხ ა რ?!.
რ ო მ ე ლ ი ხ ა რ?!.

ქ ა ლ ი ე რ თ ხ ა ნ ს გ ა ჩ უ მ ებ უ ლ ი ი ყ ო, მ ე რ ე ყ ურ მ ი ლ ი დ ა დ ო.

ირ ო დ ი ო ნ ი ა ფ ო რ ი ა ქ ებ უ ლ ი დ ა ბ რ უ ნ დ ა ს ა მ უ შ ა ო ო თ ა ხ შ ი.

ა რ ა ვ ი ს ა რ ა ფ ე რ ი უ თ ხ რ ა.

ა თ ა ს გ ვ ა რ ი ფ ი ქ რ ი ა რ ა ს ვ ე ნ ებ დ ა.

რ ა უ ნ დ ო დ ა ქ ა ლ ს?.. ხ ო მ ა რ დ ა ს ც ი ნ ო დ ა?.. ა ბ უ ჩ ა დ ხ ო მ ა რ ა ი გ დ ო?.. ხ მ ი თ ვ ე რ ი ც ნ ო, ნ ე ტ ა ვ ი ნ
ი ყ ო, ს ა ი დ ა ნ გ ა ი გ ო მ ი ს ი ს ა მ ს ა ხ უ რ ი ს ტ ე ლ ე ფ ო ნ ი ს ნ ო მ ე რ ი?..

მ ა ლ ე ი ნ ა ნ ა, რ ო მ დ ა უ ფ ი ქ რ ებ ლ ა დ ე ლ ა პ ა რ ა კ ა, ს უ ლ ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ უ ნ დ ა მ ო ქ ც ე უ ლ ი ყ ო...

ა ხ ლ ა ც, ო ც დ ა ა თ ი წ ლ ი ს შ ე მ დ ე გ, ნ ა ნ ო ბ ს... ხ ო მ შ ე ე ძ ლ ო, ხ უ მ რ ო ბ ა შ ი ჩ ა ე ტ ა რ ებ ი ნ ა ქ ა ლ ი ს ნ ა თ ქ ვ ა-
მ ი... ან ს ა პ ა ს უ ხ ო ქ ა თ ი ნ ა უ რ ი თ შ ე ე მ კ ო, რ ო მ ა ს ე თ ი მ ო მ ხ ი ბ ვ ლ ე ლ ი ხ მ ი ს პ ა ტ რ ო ნ ი ა ლ ბ ა თ გ ა რ ე გ ნ უ-
ლ ა დ ა ც მ შ ვ ე ნ ი ე რ ი გ ო გ ო ნ ა ა... რ ო მ მ ო ხ ა რ უ ლ ი ა, თ უ კ ი ვ ი ღ ა ც ა ს მ ა ი ნ ც მ ო ე წ ო ნ ა, ი ს ა რ ა რ ი ს გ ა ნ ებ ი ვ-
რ ებ უ ლ ი ა მ გ ვ ა რ ი ყ უ რ ა დ ღ ებ ი თ... ა რ ი ქ ნ ებ ო დ ა ურ ი გ ო, შ ე ხ ვ ე დ რ ი ლ ი ყ ვ ნ ე ნ, უ ბ რ ა ლ ო დ დ ა ლ ა პ ა რ ა კ ე-
ბ ო დ ნ ე ნ ე რ თ მ ა ნ ე თ ს, მ ე ტ ი ა რ ა ფ ე რ ი... ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო ა ი მ ა დ ა მ ი ა ნ თ ა ნ ურ თ ი ე რ თ ო ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც ს ი მ პ ა თ ი-
ი თ გ ი ყ ურ ებ ს...

დ ა ს ა მ ო ც ი წ ლ ი ს კ ა ც ი ს ი ნ ა ნ უ ლ ი თ ა ქ ნ ე ვ ს თ ა ვ ს – ა ფ ს უ ს, რ ა მ დ ა ა ბ ნ ი ა მ ა შ ი ნ? გ ა ნ ა შ ე ი ძ ლ ებ ო-
დ ა ა ს ე მ უ ტ რ უ კ უ ლ ა დ ჩ ა ჟ ი ნ ებ ა: გ ი ნ დ ა თ უ ა რ ა, ა ხ ლ ა ვ ე მ ი თ ხ ა რ ი, ვ ი ნ ხ ა რ ო? დ ა ი ბ ნ ა... მ ო უ ლ ო დ ნ ე-
ლ ო ბ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე რ ა ფ ე რ ი მ ო ი მ ო ქ მ ე დ ა. მ ი ს თ ვ ი ს ა ს ე თ ი რ ა მ ა რ ა ვ ი ს ა რ ა ს დ რ ო ს უ თ ქ ვ ა მ ს, თ ა ნ ა ც ა ს ე
ჯ ი ქ ურ, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი შ ე ს ა ვ ლ ი ს დ ა შ ე მ ზ ა დ ებ ი ს გ ა რ ე შ ე... რ ო მ შ ე ი ძ ლ ებ ო დ ე ს ო ც დ ა ა თ ი წ ლ ი თ უ კ ა ნ
გ ა დ ა ხ ტ ო მ ა!

ირ ო დ ი ო ნ ი თ ვ ა ლ ებ ს ხ უ ჭ ა ვ ს, ი ლ უ ზ ი ი ს ტ ყ ვ ე ო ბ ა შ ი ი ძ ი რ ებ ა...

ვინ იყო ნეტავი? იქნებ მაშინ ბედნიერებამ დაუკაკუნა კარზე, მან კი არ გაუღო... არც კი შეუხედავს... რა ეჩქარებოდა, რატომ გამოიჩინა სულსწრაფობა, განა ყოველდღე გეუბნებიან ასეთ სიტყვებს? ბავშვივით მოიქცა თითქმის ოცდაათი წლის კაცი...

სამწუხაროა... მაინც რა სიშტერე დაემართა, რატომ დაიჟინა, ახლავე მომახსენე, რომელი ხარო?.. ალბათ რა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი ქალმა უბოდიშოდ დასმული კითხვით... და აღარც დარეკა მეტი... უხეშ მუტრუკად გააცნო თავი და არც არის გასაკვირი. შე ოხერო, გაგება მუსაიფი, ერთი-ორი ტკბილი სიტყვა შენც გეთქვა საპასუხოდ, უწყინარად გეხუმრა, მიჰყოლოდი საუბრის დინებას, რას კარგავდი ამით, სად გეჩქარებოდა... "რომელი ხარ?" რამ ათქმევინა ეს სულელური სიტყვები, თანაც საუბარი წესიერად ჯერ არც იყო დაწყებული... ვირი, ნაღდი ვირი! ქალი ასეთ სიტყვებს გეუბნება, ვინ იცის, ალბათ, როგორ გაუჭირდა მათი წარმოთქმა, ღელავს, პირდაპირ, თავიდანვე ამბობს სათქმელს, – როგორც გადაწყვეტენ ხოლმე, დაუყონებლივ გადაეშვან ცივ წყალში თავით, მერე არ შემრცხვეს, არ გადავიფიქროო... ალბათ რა ძალა დაატანა თავს, შენ კი: "რომელი ხარ?" ამაზე უკეთესი სხვა ვერაფერი მოიფიქრე? რა სულელი ხარ!..

საშინელი სინანული იპყრობს... ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, ცოტა მეტი ჭკუა რომ გამოეჩინა... ნეტა ვინ იყო? მაშინ რამდენიმე გოგო მოსწონდა, ხმით ვერც ერთს ვერ მიამგვანა... ნეტა ახლა როგორია, რას შვრება, თუ გათხოვდა?.. ბედნიერია?.. იქნებ სულაც აღარ გათხოვდა...

წარმოდგენით ოცდაათი წლის წინ გადასახლებული, ახლა სინანულთან ერთად ერთგვარ შვებასაც გრძნობს და ცოლის ხვრინვაც კი თითქოს აღარ ესმის...

1995

რომელი ნანული იყო?

სარდიონი დროზე ადრე მობრძანდა შინ სამსახურიდან, ისე აეწყო საქმე. ლიფტი უდენობის გამო არ მუშაობდა და იგი უკმაყოფილო ბურტყუნით კიბეს აუყვა – მერვე სართულზე ანდა ასულიყო. მეორე სართულზე მეზობლის ხნიერი ქალი – ვარდო – შემოხვდა, ღიმილით გაუწოდა დაკეცილი ფურცელი:

– აქ თქვენთან ერთი ქალი იყო, შინ არ ბრძანდებოდით და აი, ეს წერილი დაგიტოვათ!

სარდიონმა წერილი ჩამოართვა, მადლობა მოახსენა და განაგრძო კიბეზე მაღლა სვლა. ცნობისმოყვარეობამ წასძლია, ვერ მოითმინა და შემდეგ სართულზე გაჩერდა, გაშალა ფურცელი და წაიკითხა:

"გამარჯობა სარდიონ!

ვიყავი შენთან, ძლივს მოგაგენი, სამწუხაროდ, არ დამხვდი. ალბათ სამსახურში ხარ. როდის იყო, რომ სამსახურისთვის იკლავდი თავს? შენ უფრო სხვა რაღაცეები გიტაცებდა, შე ცულლუტო შენა. სარდიონ, საქმე შემდეგშია: გთხოვ, მნახო, პატარა საქმე მაქვს შენთან, დანარჩენს შეხვედრისას გეტყვი. იმედია, ჩემი მისამართი არ დაგვიწყებია, იცოდე, გელი.

ნანული."

წერილი უთარიღო იყო; ხელს დააკვირდა – ვერ იცნო.

"ნეტავი რომელი ნანულია? – იდგა და გახსენებას ლამობდა. – ნანული, ნანული... ეს რა მემართება, ნუთუ მეხსიერება მღალატობს?"

ბრაზი მოსდიოდა საკუთარ თავზე, თან იმ ვიღაც ნანულიზეც, ასეთი თავსატეხი რომ გაუჩინა მოულოდნელად. "იმ ჩერჩეტს გვარი მიეწერა ან მისამართი, ვინ შტერია ნეტავი? ნანული, ნანული... ნანული..."

თავისი პირველი სიყვარული გაახსენდა...

მაშინ მესამე კურსზე სწავლობდა უნივერსიტეტში. ერთი გოგო მოსწონდა, მეათე- კლასელი ნანული გაგუჩავა, რომელიც ზაფხულში ქობულეთში გაიცნო ზღვაზე. ყოველ დილით ლექციებზე აგვიანებდა, რადგან ნანულის სახლთან იყო დადარაჯებული. ჭადრის მსხვილ ტანს მოფარებული, გულისფანცქალით ელოდა იმ წუთს, როცა ნანული გამოვიდოდა სადარბაზოდან და სკოლისკენ გასწევდა. უკან აედევნებოდა, შორიახლო მისდევდა. რატომღაც სულ ეშინოდა, არ მოიხედოს და არ შემამჩნიოსო... კარგა ხანს გრძელდებოდა ასე. ერთ დილას ორი ბიჭი წინ გადაუდგა სკოლისკენ მიმავალ ნანულის; სარდიონმა შორიდან ვერ გაარკვია, რა უნდოდათ გოგოსგან. სირბილით მიიჭრა

და ბიჭებს შეუბღვირა – ქალიშვილს თავი დაანებეთო.. ბიჭები ჩამოეცალნენ, სარდიონმა და ნანულიმ სკოლამდე გზა ერთად გალიეს. გზაში სრულიად უმნიშვნელო თემებზე საუბრობდნენ; სარდიონი თითქოს ბურანში იყო, მის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, სახეზე სისხლი მოაწვა, აწითლდა... ენა ებმებოდა და მერე, როცა, ლექციაზე მჯდომი, ნანულისთან შეხვედრას იხსენებდა, თავს სულელს, შტერს, დეგენერატს უწოდებდა – უკვირდა, როგორ დაშორდა გოგონას ისე, რომ კინოში არ დაჰპატიჟა... ან ბევრად უკეთეს ადგილას – თეატრში ან ოპერაში, იქ ანტრაქტებში ბევრი რამის თქმას მოახერხებდა...

სარდიონმა ახლადა შეამჩნია, რომ მოგონებებში ჩაძირული, მისი ბინის სართულს გასცდა; მოუწია მეათე სართულიდან ორი სართულით დაბლა დაბრუნება.

... მერე სარდიონს საგამოცდო სესია დაეწყო, მალე პრაქტიკაზე გააგზავნეს მეორე ქალაქში ორი თვით, მერე, ეტყობა, ნანული საცხოვრებლად სხვა ადგილას გადავიდა და, როცა კარგა ხნის შემდეგ შემთხვევით კვლავ შეხვდა ნანულის, ქალს ხელში ორი წლის ბუთხუზა ბიჭი ეჭირა და მუშტაიდის ბაღისკენ მიდიოდა. ნანულიმ სთხოვა, ჩემი ბიჭი ზარმაცია, ფეხით წამოსვლა არ ისურვა, მე კი მიმძიმს მისი ხელით ტარებაო და სთხოვა დახმარება. სარდიონს ეჩქარებოდა, სამსახურში აგვიანდებოდა, მაგრამ იძულებული იყო, ბავშვი გამოერთმია და ჩქარი ნაბიჯით წამოსულიყო. გაკვირვებული ნანული ძლივს ეწეოდა და საყვედურობდა, რა ცეცხლი გიკიდია, სად გარბიხარ, ორი სიტყვა მაინც მითხარიო...

სარდიონი ბინის კარს აღებდა, როცა მეორე ნანული გაახსენდა – მის წინა სამსახურში დირექტორის მდივანი ქალი... ოცდაათამდე წლის იქნებოდა, ჯანიანი გოგო იყო, მუდამ მღიმარე ვარდისფერ სახეს მარწყვივით ტუჩები უმშვენებდა. ახალგაზრდები, და ზოგნი შუა ხნისანიც, ბუზივით ეხვეოდნენ, ქათინაურებით ამკობდნენ; ნანულიც იფერებდა, თამამად, გამომწვევად ეჭირა თავი. განსაკუთრებით სარდიონს დაადგა თვალი – შეხვედრისას მოურიდებლად მიეხუტებოდა, თვალებს უჟუჟუნებდა. სარდიონსაც მოსწონდა, აღელვებდა მისი აფუებული მკერდის მოწოლა, თვითონ კი რატომღაც ძალიან თავშეკავებული იყო – ზრდილობიანად, მაგრამ მტკიცედ არიდებდა თავს ქალის შემოტევას... ალბათ ამის მიზეზი ის იყო, რომ გაგებული ჰქონდა: ნანული განათხოვარი იყო, ბოზობისთვის ქმარმა შინიდან გააგდო, ქალი გორიდან თბილისში გამოჰყვა ვიღაცა შოფერს... აქ მალე ბინაც იშოვა, სამსახურიც...

სარდიონი ტახტზე წამოწვა, სხვა ნანული გაახსენდა – იმასაც მაღალი მკერდი ჰქონდა, ტანად კი დაბალი იყო, ჩამრგვალებული. ერთხელ სამუშაოს დასრულების შემდეგ სარდიონი დაწესებულების კიბეზე ჩადიოდა. მის წინ ათიოდე საფეხურით ქვევით ასევე ჩამავალი ნანული დაინახა – ძალიან კოხტა, ტანმორჩილი ქალი – ის სხვა დაწესებულებაში მუშაობდა, რომელიც ამავე შენობაში მდებარეობდა. რატომღაც ნანულიმ ზევით ამოიხედა და ცისფერი თვალები სარდიონს აღარ მოაცილა. არც სარდიონმა მოარიდა მზერა და ასე, მონუსხულივით თვალითვალგაყრილნი, ჩადიოდნენ ქვევით. პირველ სართულზე ნანული გაჩერდა, სარდიონს უცდიდა აშკარად. სარდიონმა ხელკავი გამოსდო, გავიდნენ შენობიდან და ნელი ნაბიჯით გაუყვნენ ქუჩას... პაემანი ვაკის პარკში დათქვეს – ორი დღის შემდეგ, კვირა საღამოს. სარდიონი ნახევარი საათით ადრე მივიდა; ცოტა ხანს მოუწია მოცდა და, როცა ნანული გამოჩნდა, ჯიქურ მიეჭრა, მკლავებში მოიქცია და ხარბად დაუწყო კოცნა; შემდეგ ბუჩქებში გადაიყვანა... სპორტის სასახლესთან კერძო, ერთსართულიან, ოროთახიან სახლში ცხოვრობდა ნანული ხანში შესულ დედასთან და ხუთი წლის ვაჟიშვილთან ერთად; მისი ქმარი ორი წლის წინ ვიღაც სხვა ქალს გადაეყარა თურმე და ცოლ-შვილი მიატოვა. სარდიონი და ნანული კვირაში ორ-სამჯერ შუადღეზე ხვდებოდნენ ერთმანეთს ქალის ბინაში, როცა ნანულის დედა სამსახურში იყო, ბავშვი კი – საბავშვო ბაღში. ერთხელ დათქმულ დროს ნანულიმ კარი გაუღო და მაშინვე ტუჩებზე თითი მიიდო – სუ, დედაჩემი შინ არისო. სარდიონმა კარი მიხურა და ნახევრადბნელ, ხარახურით სავსე სათავსოში, რომელსაც, ეტყობა, საკუჭნაოდ იყენებდნენ, ნანულის მოეხვია. ერთხანს ეფერებოდნენ ერთმანეთს, მერე სარდიონმა ქალი წააწვინა... და ამ დროს უცებ რაღაც ტაშტი ჩამოვარდა, იატაკზე ჟღარუნ-ბრაგვანი მოადინა, კიდევ რაღაც-რაღაცეები ხმაურით ჩამოიშალა. სარდიონი წამოხტა, კარი ჯაჯგურით გამოაღო და გარეთ გავარდა...

ნანა, ნანა, ნანული... ნეტა რომელი ნანული წერს წერილს?.. ნანული ატამაძე ხომ არა?.. როცა გაიცნო, ეს ნანული სულ მთლად ახალგაზრდა იყო – ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა მოპირდაპირე სახლში; მაშინ სარდიონი ნაძალადევში ცხოვრობდა. ეშხიანი გოგო იყო, შავგვრემანი, დიდი, ბრიალა, ცეცხლოვანი თვალები ჰქონდა; ხშირად ეცვა აბრეშუმის ხასხასა წითელი, თეთრკოპლებიანი კაბა და, როცა ქუჩაში მიდიოდა, ყველა თვალს აყოლებდა მის ათქვირებულ სხეულს, კოხტა სიარულისას კაბის ქვედა ბოლოს ნარნარ მიმოქცევას... სარდიონი ხშირად ხედავდა თავისი ბინის ფანჯრიდან ქუჩაში ამაყად მიმავალ ნანულის და დიდხანს აცილებდა მზერით. ქუჩაში შეხვედრისას ღიმილით მიესალმებოდა ხოლმე, რამდენჯერმე გამოლაპარაკებაც უნდოდა, მაგრამ ვერასდროს გაბედა. ერთხელ ხალხით გაჭედილ ტრამვაიში მის გვერდით არ იხილა? ძალიან ცხელოდა. ამჯერად ნანულის თეთრი, სიფრიფანა მაქმანით გაწყობილი ლამაზი კაბა ეცვა. საუბარში გაირკვა, რომ ნა-

ნული გამოცდიდან მოდიოდა – პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა მესამე კურსზე. ტრამვაის ჯანჯღარში ნანულიმ ხელი მოჰკიდა მკლავში მდგრადობისთვის, მერე ნელ-ნელა ისე მიეკრა, რომ სარდიონს სუნთქვა შეეკრა... მართალია, ტრამვაის ვაგონში ბევრი ხალხი იყო, მაგრამ არც ისეთი სივიწროვე, რომ ქალიშვილი ასე ჩახუტებოდა – სარდიონი ამას გრძნობდა. როცა ტრამვაიდან ჩამოვიდნენ და შინისკენ ერთად მიდიოდნენ, სარდიონმა გულის ფანცქალით შესთავაზა, საღამოს სადმე შევხვდეთო... ფუნიკულიორზე ასულებს საამო სიგრილე შეეგებათ. სარდიონმა ნანულის ხელი მოხვია და მიყრუებული ადგილი მოძებნეს... როცა ალერსით გული იჯერეს, სწორედ ამ დროს თავს წაადგათ ვიღაც ზორბა მილიციელი: "აქ რას მამაძაღლობთ, ახლავე ჯარიმა გადაიხადეთ, თუ არ გინდათ, მილიციაში წაგაბრძანოთო; შენო, – სარდიონს უთხრა, – ხუთ მანეთს გადაიხდი, ეს ქალბატონი კი – ათ მანეთსო". სარდიონი გახარებული იყო, რომ ასე იოლად გადარჩა, მაშინვე ჯიბეს გაიკრა ხელი, შემდეგ მილიციონერს ჰკითხა, რატომ დააჯარიმა ქალი ორჯერ დიდი თანხით... "შენო, – უპასუხა მილიციონერმა, – პირველად გხედავ აქ, ეგ ქალბატონი კი უკვე მესამეჯერ დავიჭირეო"...

კარზე მაგრად დააბრახუნეს. სარდიონი ტახტიდან წამოიზლაზნა, წერილი შარვლის ჯიბეში საჩქაროდ ჩაიკუჭა და კარის გასაღებად გაემართა. კარს უკან მისი უმცროსი ვაჟი, მეხუთეკლასელი მალხაზი ცქმუტავდა, დერეფანში შემოსულმა ჩანთა გვერდზე მოისროლა და ტელევიზორის ჩასართავად დიდ ოთახში შევარდა, სულ დაავიწყდა, რომ დენი არ იყო.

მალე ისევ ატყდა კარებზე ბრახუნი.

ამჯერად მეშვიდეკლასელი მამია მობრძანდა.

დღეს რატომღაც ბიჭები დროზე ადრე მოვიდნენ შინ, მხოლოდ ცოლი, ნანა, აგვიანებდა.

სარდიონმა სამზარეულოს მიაშურა, გუნებაში სულელური წერილების დამწერებს შეუკურთხა, დაჭმუჭვნილი ფურცელი სანაგვეში ჩააგდო.

მომდევნო დღეებში სარდიონს ზოგჯერ გაახსენდებოდა წერილი, მერე – აღარ, აღარც ის ვიღაც ნანული გამოჩენილა.

1998

მხიარული ბერძენი ვასილენკო

ამ ეტიუდის წერა თითქმის ოცი წლის წინ დავიწყე – 1971 წლის აგვისტოში – და მხოლოდ ახლა ვამთავრებ – 1990 წლის ივნისში, არ არის გასაკვირი?

ღმერთმა უწყის, როგორ წარმოიშობა ჩანაფიქრი.

... ვკითხულობდი ალექსანდრ გრინის "ალისფერ იალქნებს". ერთ ადგილას შევწყვიტე კითხვა და ასოციაციით გამახსენდა შავი ზღვა (ზოგადად შავი ზღვა, თითქოს კედელზე გაკრულ რუკაზე მენახოს); სადაც ზღვაა, იქ გემები და მეზღვაურებიც გაგახსენდება. მერე აზრი უნებურად გადახტა სხვა რამეზე – რომ ბერძნები ძველთაგანვე კარგი მეზღვაურები იყვნენ და შავი ზღვის თითქმის ყველა ნავსადგურში სახლობდნენ. შემდგომ გამახსენდა მწვანეკონცხელი ბერძენი – შავგვრემანი, გამხდარი კაცი, ერთთავად მხიარული და იმედიანი. რუსი ცოლი ჰყავდა, სამი პატარა ქალიშვილი.

გვარად ეს კაცი ვასილენკო იყო, გივი ვასილენკო, მაგრამ დედა ჰყავდა ბერძენი და საკუთარ თავს ბერძნად თვლიდა. ცეცხლი ეკიდა ხელებში – ყველაფერს სწრაფად და ხალისიანად აკეთებდა, სულ ღიღინებდა, უყვარდა ხუმრობა; სამ ადგილას მუშაობდა, არც დაღლა ეტყობოდა, არც – ნერვიულობა. პატარა მოტოროლერი ჰქონდა და მთელი დღე რახრახ-ტრახტრახით დააგრიალებდა მწვანე კონცხის აღმართ-დაღმართებზე. ხშირად გავარდებოდა ბათუმშიც და სანატორიუმის სამზარეულოსთვის სურსათს და კლუბისთვის ახალ კინოსურათს მოიტანდა, ხან ელექტრომეურნეობას აწესრიგებდა, საღამოს კი კინომექანიკისის მოვალეობას ასრულებდა. სად ჰქონდა ამდენი ენერგია? არცთუ იშვიათად ზღვაში ბანაობასაც ახერხებდა, კინოსურათის ჩვენების შემდეგ კი ცეკვებსაც არ აკლდებოდა და მისი გამხდარი, დაკუნთული ფიგურა სხარტად და მოხდენილად დაცურავდა მოცეკვავეების შორის.

მას არც ხალისი ჰქონდა და არც მოცლა, რომ ვინმესთან რაიმე უსიამოვნება ჰქონოდა, მაგრამ ერთხელ კი ისე მოხდა, რომ მძაფრად შეეჯახა ასლანს...

ამ ასლანმა მთელი მისი დღე და მოსწრება ზღვაზე სანატორიუმის მშველელად გაატარა. მზიან დღეებში სულ პლაჟზე იყო დილიდან დაღამებამდე ნიფხვის ამარა, თუმცა ზღვაში ჩასულს იშვიათად ნახავდი, ხანდახან ქალებს თუ გაასეირნებდა მაშველი ნავით სანაპიროს გასწვრივ. მზეზე ეშმაკივით შავდებოდა, პირში ერთთავად სიგარეტი უბოლავდა, გორავდა ცხელ ქვიშაზე და ქალებს

ბანქოს ეთამაშებოდა. ასაკს ვერ შეატყობდი, ოცდაათი წლისაც შეიძლებოდა ყოფილიყო და ორმოცისაც. ქერა თმა მზეზე გაუხუნდა, ღია ფერის ბუჩქა წარბებქვემოდან წვრილი, ლურჯი თვალები გამჭოლავად იმზირებოდნენ. გამხდარი, მზისგან გახუხული ტანი ახალგაზრდა ბიჭისას მიუგავდა. ასევე დაკუნთული, დაღვლარჭნილი ხელ-ფეხი კიბოს საცეცებივით მორკალული ჰქონდა და სიარულის დროს ისეთნაირად ამოძრავებდა, თითქოს ცდილობდა, თავისკენ მოეხვეტა რაღაც უხილავი – ალბათ ამა ქვეყნის სიამოვნებანი... საღამოობით ასლანი სანატორიუმის კლუბში ცეკვებს არ აკლდებოდა, ქალებს ეარშიყებოდა და საკმაო წარმატებითაც.

ერთხელ (როგორც იქნა, მივადექი ამ "ერთხელს", რომელშიც ნოველის მთელი მარილია ჩაქსოვილი და უფრო გამოცდილი მწერალი პირდაპირ აქედან დაიწყებდა თხრობას), დიახ, ერთხელ... გვიანი საღამო იყო, სანატორიუმის კლუბში იმ დღეს რაღაც მიზეზის გამო (ვგონებ, კინოპროექტორი გაფუჭდა) არ უჩვენებიათ კინოფილმი და ამიტომ ადრიანად დაწყებული ცეკვები კარგა ხანს გაგრძელდა.

ასლანი ვერ იყო გუნებაზე; დილით თავისი მორიგი სატრფო, რომელსაც სანატორიუმში ყოფნის ვადა დაუმთავრდა, გაუფრინდა ბათუმის აეროპორტიდან. ერთი ხუთ-ექვს ქალს მაინც ეცეკვა, მაგრამ არავინ მოუვიდა თვალში.

უცებ თვალი მოჰკრა მომხიბლავ ქალიშვილს, რომელსაც ვასილენკო ეცეკვებოდა. კი გაუკვირდა, რამ დამაბრმავა, ამდენ ხანს ეს ფერია როგორ ვერ შევამჩნიეო. ასლანმა იმდენი ქნა, რომ ქერა, ცისფერთვალება გოგონა ვასილენკოს თითქმის ძალით "წაართვა", მაგრამ ქალიშვილმა მალე მიატოვა და ისევ ძველ პარტნერთან განაგრძო ცეკვა. ასლანი გაბრაზდა, ახლა აშკარად, ძალით მოინდომა, რომ ქალიშვილს მასთან ეცეკვა.

– რა მოგდის, ასლან, შეეშვი, არ უნდა შენთან ცეკვა და! – სცადა ასლანის დაშოშმინება ვასილენკომ.

ასლანმა შეაგინა და საცეკვაო მოედანს გაეცალა.

როცა ვასილენკო შინ ბრუნდებოდა, ჩაბნელებულ ადგილს მაგნოლიის მსხვილ ტანს მოფარებული ასლანი გადმოუხტა და მუშტი მოუქნია. ვასილენკომ მოასწრო დახრა, მაგრამ ასლანმა ახლა წიხლი ჩააზილა. ვასილენკო პირაღმა გადავარდა, ასლანის ტერფი მხარში მოხვდა. ასლანი მივარდა წაქცეულს, მეორედაც მოუქნია ფეხი, მაგრამ ვასილენკო კატასავით სხარტი იყო, ამჯერად გვერდზე გასხლტომა მოასწრო და დარტყმა აიცდინა. მერე ჯიქურ მივარდა და ხელდახელ შეეჭიდა. ჭიდაობა არც ერთმა არ იცოდა, ძალითაც თითქმის ტოლები იყვნენ და დიდხანს ბღლარძუნობდნენ. ბოლოს, უფრო ახალგაზრდა ვასილენკომ დაჯაბნა, ასლანის კისერი იღლიის ქვეშ მოიგდო, მოუგრიხა და წააქცია. ორივეს ოფლის ხვითქი გადასდიოდა, მძიმედ სუნთქავდნენ არაქათგამოცლილნი. ერთხანს იყვნენ ასე, მერე ვასილენკომ ხელი გაუშვა და წამოჯდა. ასლანი გვერდზე იწვა, მერე ისიც წამოჯდა.

ვასილენკოს მხარი სტკიოდა, მარცხენა ხელის მაღლა აწევა უჭირდა. ფეხზე წამოდგა, მარჯვენათი დაიზილა მხარი. იქვე ახლოს ონკანი ეგულებოდა და მოწყურებულმა იქით გასწია.

მეორე საღამოს კინოს შემდეგ ცეკვებზე ვასილენკო და ასლანი ისევ დაეტაკნენ ერთმანეთს. ცისფერთვალება ქალიშვილი ისევ სულ ვასილენკოსთან ცეკვავდა, შესვენებების დროსაც არ იცილებდა გვერდიდან. ასლანი არ ცეკვავდა, მათ შორიდან აკვირდებოდა; მერე მაინც მოახერხა და გივი გვერდზე გაიყვანა.

– ჭოვ, რას გადამეკიდე?!. – ვასილენკო თვით გადავიდა შეტევაზე.

– გივი, მაგას მერე შეიტყობ. მაგ ქალი უნდა დამანებო... – მერე ასლანმა უფრო მტკიცედ განაგრძო: – იქნება ცოლად მომყავს!

– არ უნდებხარ, ვერ ხედავ? თანაც მამად შეჰფერი, სხვა ვერავინ ნახე?

– შენ? შენ რომ სამი ბაღანა გიბღავის შინ, დაგავიწყდა? – იქით შეედავა ასლანი.

– მაგი არაა შენი საქმე, მასთან ვცეკვავ, მეტი კი არაფერი!

– დამიჯერე, მართლა გელაპარაკები, არ მაქნევინო საჯაყი საქმე; ჩამომეცალე, სხვანაირად მომწონს, ხომ გითხარი!

ცხარე კამათი მალე ძიძგილაობაში გადაიზარდა, ერთი-ორჯერ ერთმანეთს მუშტიც უთავაზეს, სანამ მათ ხალხი გააშველებდა...

ამ გაწევ-გამოწევამ, ეტყობა, ასლანი ძალზე გააფიცხა – დღისით, სანამ მოუცლელი ვასილენკო თავისი მოტოროლერით აღმა-დაღმა დაჰქროდა, ცისფერთვალება გოგონას ტკიპასავით მიეწება, ყველგან თან დასდევდა და რაღაცას გულმხურვალედ უმტკიცებდა, პლაჟზე მორიგეობა გადაავიწყდა.

საღამოობით ვასილენკო ქერა გოგონასთან ცეკვავდა – სულ მას მისჩერებოდა, ღიმილით ელაპარაკებოდა, აცინებდა; ასლანისკენ ერთხელაც არ გაიხედავდა.

ამჯერად ერთმა კვირამ ისე ჩაიარა, რომ გივი და ასლანი არ წაკინკლავებულან, მათ გაიყვეს "გავლენის სფეროები" – დღე ასლანი აქტიურობდა, საღამო კი ვასილენკოსი იყო.

კვირის თავზე ცისფერთვალებამ მოიმიზეზა, აქაურ ნოტიო ჰავას ვერ შეეგუეო (რამდენიმე დღე წვიმდა, მზე არ გამოჩენილა) და დროზე ბევრად ადრე გაემგზავრა მშობლიურ მხარეს.

იმავე დღეს გაუჩინარდა გივი ვასილენკოც – შინიდან მხოლოდ ჩასაცმელ-დასახურავი წაიღო, მცირე გამოსამშვიდობებელი ბარათიც არ დაუტოვებია.

საით აიღო გეზი, სად წავიდა და რამდენი ხნით, მისმა ოჯახის წევრებმაც კი ვერ დაადგინეს.

ასლანი ლომივით ბრდღვინავდა, გამძვინვარებული, მაგრამ მალე გამოუნელდა ბრაზი: ორ თვეში ერთ-ერთ ჩამოსულ დამსვენებელზე იქორწინა და ცოტა ხანში ცოლის სამშობლოში გადასახლდა – ზღვიდან რამდენიმე ათასი კილომეტრი აშორებდა.

მხიარული ბერძენის ვასილენკოს კვალი კი სამუდამოდ გაქრა.

1971, 1990

გზაჯვარედინი

(ფსიქოლოგიური ესკიზი)

I.

ივლისი, თბილისური ცხელი შუადღე.

შემთხვევით შეხვდებიან ერთმანეთს ქუჩაში, გზაჯვარედინთან, ქალი და კაცი – ძველთაძველი ნაცნობები და დიდი ხნის უნახავები. ერთ დროს მათ უყვარდათ ერთმანეთი, შემდეგ მათი ურთიერთობა გართულდა და გარეგნულად უმნიშვნელო მიზეზით ერთმანეთს დაშორდნენ...

მიდგებიან უზარმაზარი ჭადრის ჩრდილში, გააბამენ საუბარს.

ქალს ქალიშვილი ახლავს, კაცს – ასევე მოზრდილი ვაჟი.

გოგო და ბიჭი ერთმანეთს შეფარვით ათვალიერებენ, სანამ მათი მშობლები საუბრობენ.

კაცი ეუბნება ქალს:

– რა ლამაზი გოგო გყავს, შენი თავი გამახსენა, ამ ოცდახუთი წლის წინათ რომ იყავი... თუმცა, დიდი ბოდიში, ახლაც მშვენიერი ხარ, ძალიან მიხარია, რომ ასეთს გხედავ.

ქალს სიამოვნებს ქათინაური და კაცის ბიჭს აქებს:

– შენი შვილი მთელი თავით შენზე მაღალია, მოკაკვე თითი, გაჯობა სილამაზითაც... სად სწავლობს?.. ოჰ, უკვე მეოთხე კურსზეა? ყოჩაღ! ჩემი გოგო მესამე კურსზეა სამედიცინოზე. მეორე გოგო ამაზე სამი წლით უმცროსია, იმასაც ექიმობა უნდა.

კაცი:

– მეც მეორე ბიჭი მყავს, წელს ამთავრებს სკოლას; ჯერ ვერ ვათქმევინეთ, მომავლის რა გეგმები აქვს...

II.

დიდხანს საუბრობენ. ირგვლივ ქალაქი ხმაურობს, ისინი კი გარშემო თითქმის ვერაფერს ამჩნევენ...

დამშვიდობების შემდეგ ბიჭი ეკითხება მამას:

– ვინ იყო ის ქალი, რა გქონდათ ამდენი სალაპარაკო?

ქალიშვილი მოეწონა და უნდა, გაიგოს, სად ცხოვრობს, მაგრამ პირდაპირ შეკითხვა მოერიდა. მამამისმაც არ იცის, ახლა სად ცხოვრობს ქალი, არც დაინტერესებულა; ამ ოცდახუთი წლის წინ კი თითქმის ყოველდღე აკითხავდა სვანეთის უბნის ერთ ქუჩაზე და ზოგჯერ დღეში ორ-სამჯერაც – სულ არ ეძნელებოდა გრძელი აღმართის თითქმის სირბილით ავლა...

მამა ყველაფერს ხვდება, არაფერს იმჩნევს – აგრძელებენ საუბარს.

მამა ფიქრით კვლავ ძველ ამბავს უტრიალებს – იმ ქალთან ურთიერთობას... ბიჭი მიამიტურად ისევ ქალზე უსვამს შეკითხვებს (ვითომ ქალიშვილი სულ არ აინტერესებს!). მამა შვილს არაფერს ეტყვის თავის ადრინდელ ურთიერთდამოკიდებულებაზე ამ ქალთან, ისე კი კარგად მოიხსენიებს, აქებს კიდეც... მართლაც, რომ იგონებს ძველ დროს, მხოლოდ კარგი ახსენდება... ამ ქალთან იქნებ თვით იყო დამნაშავე?..

III.

ათიოდე ნაბიჯიც არ გაევლოთ მამა-შვილთან დამშვიდობების შემდეგ, რომ ქალიშვილი მოუთმენლად ეკითხება დედას:

– ვინ იყო ის კაცი? შენი ძველი ნაცნობი? მისი შვილი? კარგი ბიჭი ჩანდა! – დაუფარავად ეტყვის დედას.

ქალი აღელვებულია, უნდა, საუბარში განიმუხტოს და ამიტომ დაწვრილებით აკმაყოფილებს ქალიშვილის ინტერესს. თუმცა კაცთან თავის წინანდელ ურთიერთობაზე კრინტს არ სძრავს...

ქალი საერთოდ ლაპარაკის მოყვარულია, ახლაც ჰყვება, ჰყვება, ჰყვება... ქალი კაცს ახასიათებს ვითომ ძალიან კარგ პიროვნებად, მაგრამ შიგადაშიგ ისეთ რაღაცეებს გამოურევს, რომ საბოლოოდ კაცი წარმოჩნდება ერთ ვიგინდარა, თავქარიან, უპასუხისმგებლო პიროვნებად... ძველი წყენა გაიხსენა, როცა უმნიშვნელო "დანაშაული" არ აპატია კაცს, გაიბღუზა. კაცი შერიგებას ლამობდა, ეს ქალს რატომღაც უფრო აღიზიანებდა და, ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, უფრო და უფრო "ხურდებოდა", საკუთარ წვლილს კი ამ გაუგებრობაში სრულებით ვერ ამჩნევდა...

IV.

როდესაც ორ მოსიყვარულე ადამიანს შორის ისეთი უთანხმოება გაღვივდება, რომელიც მათ დაშორებას გამოიწვევს, წესისამებრ, ამაში მეტ-ნაკლებად ორივეა დამნაშავე. ჩვენს შემთხვევაში ვის ედება ბრალი?.. არც არავის – რადგან სხვადასხვა პიროვნებები იყვნენ, განსხვავებული ცხოვრებისეული ფილოსოფია ჰქონდათ... ქალს უფრო მატერიალური იზიდავდა, კაცს – სულიერი. რომელი იყო მართალი? ორივე! ორივე ერთგული იყო თავისი განწყობისა და არ სურდა დათმობაზე ან კომპრომისზე წასულიყო. ქალი ხშირად ამბობდა, მე მხოლოდ ისეთ კაცს გავყვები ცოლად, ვისაც "ვოლგა" ექნება გარაჟშიო. კაცს ჯერ ხუმრობა ეგონა ქალის ნათქვამი და არც არაფრად აგდებდა, მერე და მერე კი, როცა ქალმა განაცხადა, ჩემი ქმარი სულ ცოტა მეცნიერებათა კანდიდატი მაინც უნდა იყოსო, მიხვდა, რომ ცუდად იყო საქმე... და გაღიზიანებულმა მიახალა: "მე დისერტაციას არასდროს დავიცავ!" ქალს გაუკვირდა, რადგან იცოდა კაცის ნიჭიერების ამბავი... "რატომ?" – ჰკითხა. "იმიტომ, რომ პრინციპულად ვარ წინააღმდეგი, ადამიანი დაფასდეს იმისდა მიხედვით, აქვს თუ არა ოფიციალური ზიზილ-პიპილები!" – ასეთი იყო კაცის მრწამსი. ქალი რომ უფრო რბილად მოქცეულიყო, კატეგორიული ტონით არ გამოეთქვა თავისი პრეტენზია, კაცს ალბათ დაითანხმებდა, რომ დისერტაციის დაცვა არაფერს გააფუჭებსო (ამჟამად კაცი მეცნიერებათა დოქტორია და კათედრის გამგის თანამდებობა უკავია – ამის შესახებ ქალისთვის არაფერი უთქვამს)... სამწუხაროდ, ერთსაც და მეორესაც მიაჩნდა, რომ არ უნდა დაეთმო, თითქოს მტერს ელაპარაკებოდნენ და შერბილება პოზიციისა, სიტყვიერად მაინც, დამარცხების ტოლფასი იყო... არადა, დამარცხდა ორივე, რამდენადაც ერთმანეთი დაჰკარგეს...

ახლა ორივეს ოჯახი აქვს, შვილები ჰყავთ, ყველაფერი თითქოს ნორმალურად წარიმართა მათ ცხოვრებაში... თუმცა, სიყვარული რომ არ არის არც ერთ ოჯახში? ნუთუ ეს არ არის მნიშვნელოვანი? ძლიერი ხასიათი კარგია, ცხოვრება სუსტთათვის არ არის გაჩენილი, მაგრამ ზედმეტი სიხისტე, სიმკაცრე, შეურიგებლობა, მაინცდამაინც "ჩემს დაკრულზე უნდა იცეკვოს" პრინციპი საბოლოოდ ორივესთვის წამგებიანი გამოდგა. ქალი: "კაცი ძლიერია, ძლიერმა სუსტს უნდა დაუთმოს; არ დამითმო – ესე იგი, არ ვუყვარვარ..." კაცი: "ახლა რომ ასე ამიხტა და არ შემეპუა, შემდგომში უარესს არ უნდა მოველოდე?"

მთავარი მაინც ის იყო, რომ ალბათ მათი სიყვარული არ იყო ჭეშმარიტი...

1996

ლამაზი

აქედან თბილისში დარეკვა ძლიერ ჭირს – ხშირად საერთოდ დარღვეულია კავშირი; თუ ხაზი არ არის დაზიანებული, მაშინაც ზოგჯერ 1-2 საათი რიგში ცდა გიწევს...

რატომღაც ყველას საღამოს მოუნდება ხოლმე დარეკვა, თუმცა უმრავლესობა ფოსტაში მოსულისა დამსვენებელია და სხვა დროც აქვს თავისუფალი.

... ფოსტაში საღამოს 9 საათზე შემცვლელი მოვიდა – 22-23 წლის ცქრიალა, კოხტა ქალიშვილმა შეცვალა სქელი, ზონზროხა, საკმაოდ ახალგაზრდა ქალი.

– დედა, ღმერთო, რა ლამაზია! – ერთ იქ მყოფ დარეკვის მომლოდინე ქალსაც კი ხმამაღლა აღმოხდა და კაცებს რაღა დაგვემართებოდა!

არა, სილამაზის აღწერა შეუძლებელია, მხოლოდ მინიშნება თუ შეიძლება... სილამაზე მრავალგვარია, მრავალსახა და მყარ ეტალონებს არ ემორჩილება – მონღოლის სილამაზის გაგება სხვაა

და ნიგერიელის კიდევ სხვა... მაინც აღვწერო? მხოლოდ ელფერს მოგახსენებთ – შავთვალწარბა! მეტს ვერაფერს დავამატებ... არა, მაინც დავამატებ – დროის მსვლელობას ვერ ვამჩნევდი! ვიდექ მის სარკმელთან და მინის კედელს იქით ვაკვირდებოდი: როგორ ელაპარაკებოდა კლიენტებს, დეპეშების მიმღებ-გადამცემ ქალს, დეპეშების დამტარებელ შეზარხოშებულ ხნიერ კაცს... როგორ წერდა ქვითარს, როგორ იცინოდა – აელვარებდა თეთრად კბილებს, როგორ ლაპარაკობდა ტელეფონის ყურმილში... ვუყურებდი სადად გადავარცხნილ, შავად მბზინავ სწორ თმას, თითქოს გენიოსი მოქანდაკის მიერ რუდუნებითა და აღმაფრენით გამოძერწილ შუბლს, ცხვირს, ნიკაპს და ნაზ, თეთრ ყელს... როცა გაიცინებდა, თითქოს გაცისკროვნდებოდა გარემო, ყველაფერი იცინოდა; უშუალო და ბუნებრივი იყო მისი ლაპარაკიც; თვალს ვერ ვწყვეტდი მაშინაც, როცა თავდახრილი წერდა...

რაღაც დიდი საიდუმლოებაა სრულყოფილი სილამაზის მოვლინება ამქვეყნად! რაღაცისთვის არის გაჩენილი: არ ვიცი – შვების მოსატანად, არ ვიცი – ასაფორიაქებლად...

წერს, მერე თავს ასწევს და გადაულაპარაკებს დეპეშების გამგზავნ ქალს; უცებ შენ შემოგანათებს მბრწყინავ, მშვენიერ თვალებს – თითქოს დენმა დაგიარა! თურმე რაღაცას გეკითხება, შენ კი არც მისი ხმა გესმის და არც საკუთრივ კითხვა... ბოლოს, გამოფხიზლდები და როგორც რაღაც უცხო ბედნიერებას, გაუთვალისწინებელ, დაუმსახურებელ ჯილდოს, ისე აღიქვამ ორი-სამი წინადადების გაცვლა-გამოცვლას... რა ხანია, მასთან საუბარი შეწყდა, შენ კი გაბრუებული დგახარ და დიდხანს ინახავ სადღაც შიგნით ტკბილ თუ მტკივნეულ ჟრუანტელს; გამოთიშული ხარ, მთლიანად მიენდობი დამატყვევებელ მძლეთამძლეობას სილამაზისა, რომელიც ასე გაჯადოვებს და გიმონებს... დიახ, მონა ხარ, მონობით ბედნიერი – რა უნდა გიბრძანოს ახლა ამ გოგომ, რომ დაუფიქრებლად თავქუდმოგლეჯით არ გავარდე შესასრულებლად, თუნდაც აიმ მთის მოგლეჯა დაგავალოს!..

ლამაზია ეს ოხერი და მოკალი, თუ გინდა!

არა, ისევ და ისევ ცქერა გწყურია, თითქოს ისრუტავ მის მომხიბვლელობას დაუსრულებლივ და არკი აკლდება რამე – შენ კი მთვრალი ხარ, აბა რა – როგორი მშვენიერი გეჩვენება ეს მტვრიანი ფანჯრის შუშები, მბჟუტავი, ბუზების მიერ უხვად შემკობილი ნათურაც, გამოხუნებული, დიდი ხნის წინ შესაღები კედლები...

ოთხი-ხუთი წლის წინ ალბათ (ალბათ კი არა, ნამდვილად!) სკოლაში დადიოდა; დაბის ქუჩაში რომ გაივლიდა, ყველა თვალს აყოლებდა – ქალიც და კაციც. წარმოიდგენ: შენც ახლა მათთან ერთად დგახარ და უყურებ, როგორ გიახლოვდება ჩანთიანი შავთმიანი გოგონა, შორიდანვე რომ თეთრად მოაშუქებს, გიახლოვდება და გულის ძგერაც გიხშირდება... ახლა იმასაც წარმოიდგენ, რომ მასთან ერთად ერთ კლასში სწავლობ – ღმერთო! და მის გვერდით ზიხარ მერხზე... შეიძლება, ასეთი ბედნიერება არსებობდეს? შეგიძლია, დაუსრულებლად უცქირო, აგერ, შენს გვერდითაა მთელი ნახევარი დღე და სხვა შენთვის არაფერი არსებობს გარშემო – ვერც იმას ამჩნევ, რომ კლასში ხარ და არც მასწავლებელი არსებობს შენთვის...

გამოფხიზლდები ზმანებისგან, ამოიხვნეშებ და ისევ ქალიშვილს მიაჩერდები მონუსხული, თითქოს ჯადო აქვს... და როცა შენი დაკვეთა სრულდება და ტელეფონის ჯიხურში გიწვევენ, გული გწყდება, გშურს იმათი, ვინც ჯერ კიდევ თავის რიგს ელოდება...

როგორ გინდა ახლა, მშვენიერების დამატყვევებელი სამყაროდან შენი სატელეფონო საუბრის სრულიად პროზაულ თემაზე გადაერთო? აზრებსაც თავს ვერ უყრი, საუბრისთვის განკუთვნილი ხუთი წუთი კი უცებ შემოგეფცქვნება ხელში და ხაზი წყდება... ყველაზე მთავარი უთქმელი გრჩება და, განაწყენებული, ტელეფონისტ გოგონასთან ფულის გადასახდელად იჩქარი. შეხედავ და – ყოველგვარი უსიამოვნო გრძნობა წამიერად იცრიცება, უჩინარდება... ამჩნევ მხოლოდ მის ბრწყინავ თვალებს...

როცა ხურდას გაწვდის, მაშინვე აგებებ პეშვს და გეჩვენება: ხურდა ფული მისი ხელის შეხებითაა გამთბარი...

ფოსტიდან წამოსული, გზაში სულ იმას ფიქრობ: რა უნდა ამ გადასაკარგავში ასეთ გადასარევ გოგოს – ეგ ტელედიქტორი უნდა იყოს, მილიონობით ადამიანი ყოველდღიურად უნდა ეზიაროს მის სილამაზეს!..

რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მომიხდა იმ დაბაში გავლა. საგანგებოდ შევიხედე ფოსტაში და ის გოგო ისევ იქ მუშაობდა. ძველებურად ლამაზი იყო, ოღონდ გადასხვაფერებული მომეჩვენა – რაღაც ნაღვლიანი, კაეშანშეპარული თვალებით იყურებოდა...

1989

ბედნიერება

რა არის ბედნიერება?

ალბათ არ არსებობს უფრო რთული და ძნელად გადასაწყვეტი, მარადიული საკითხი... შესაძლოა, ამაზე საჭოჭმანო საფიქრალი ადამიანს სხვა არც ჰქონდეს. უთვალავი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგოსი, ხელოვანი, ბრძენი, სხვადასხვა ხელობის უამრავი პიროვნება ცდილობდა, ცდილობს და მომავალშიც ეცდება, ჩასწვდეს ბედნიერების არსს – თუ საყოველთაოსი არა, პიროვნულისა, საკუთრისა მაინც... და რამდენი, სულ სხვადასხვანაირი შეხედულება გამოუთქვამთ ბედნიერების შესახებ! ერთნიშნა, ამომწურავი ახსნა ბედნიერებისა, ზოგადი პასუხი არ არსებობს და ალბათ არც შეიძლება, არსებობდეს...

თუმცა, ჯობს, ერთი უბრალო ამბავი გავიხსენო.

მეზობელს, ალფეზ ყაჭიაურს, ჰყავდა ცხენი, კვიციანი ცხენი.

ელბერდს ადრეც უყვარდა ცხოველები, შინ ყოველთვის ჰყავდათ კატა, ძაღლი, ხანდახან – რამდენიმეც, მაგრამ ცხენი მაინც სხვა იყო!

ალფეზმა შეამჩნია: 16 წლის ბიჭი სულ მის ეზოსთან ტრიალებდა. "ჩემს ქალიშვილს ხომ არ უნდა, მოაწონოს თავიო", – იფიქრა ალფეზმა (მერე მართლაც ითხოვა ელბერდმა თავისაზე ერთი წლით უმცროსი მაიკო), მაგრამ არა, თურმე ცხენი იტაცებდა, უფრო კი – კვიცი. ალფეზმა გულისხმიერება გამოიჩინა – ბიჭს ნება დართო, ცხენისთვის მოევლო. ელბერდის ნება რომ ყოფილიყო, ღამეც იქ, მეზობლის თავლაში დაიძინებდა. ელბერდის მამა – ანტონ ძიძგილაური – ალფეზის ძმაკაცი იყო, და როცა ალფეზმა დაინახა ელბერდის თავგამოდება (თითქმის ყოველდღე დაჰყავდა ცხენი და კვიცი მდინარეში საბანაოდ) – კვიცი აჩუქა.

უნდა გენახათ ელბერდის სიხარული!

სახელიც მაშინვე შეურჩია – მერცხალა!

კვიცი დედასავით კუნაპეტი შავი ფერისა იყო, შავრა, ოღონდ მკერდზე ჰქონდა თეთრი ლაქა.

ელბერდი თავს ევლებოდა მერცხალას, თავისი ხელით აჭმევდა, წმენდდა, აბანავებდა; ჯიბეში ყოველთვის ჰქონდა მისთვის და დედამისისთვის შაქრის ნატეხი.

სწრაფად იზრდებოდა მერცხალა, იზრდებოდა ელბერდიც. სოფელში მათ ტყუპებს ეძახდნენ.

დაამთავრა ელბერდმა სკოლა. ცხენი დოღშიც მონაწილეობდა უკვე – ჯერ სასოფლო დღესასწაულებზე, მერე – თბილისშიც. ქალაქში გაიმარჯვა, მიიწვიეს კინოსტუდიაში ერთ ისტორიულ ფილმში მონაწილეობის მისაღებად. სანამ ფილმს იღებდნენ, ღამე კინოსტუდიის თავლაში იძინებდა ცხენებთან. საერთოდ, უყვარდა ცხენები, მერცხალა ხომ – განსაკუთრებით. მერე დაბრუნდა სოფელში. ეუბნებოდნენ: "ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში მოგაწყობთ, ისწავლე, თან იმუშავე, აქაც ცხენებთან იქნებიო". "არაო, – უპასუხა, – ქალაქს ვერ ვეგუები, ჩემს სოფელს არაფერი მირჩევნიაო. ცხენებს რაც შეეხება, აქ ინსტიტუტში სწავლას აზრი არ აქვს, ახალს მე ვერაფერს გავიგებ; ყველაფერი წაკითხული და შეთვისებული მაქვს, რაც კი ცხენის შესახებ ლიტერატურის შოვნა შეძელი – მისი წარმოშობის, ჯიშთა ჩამოყალიბების, მოვლა-გაზრდის, აღზრდის, ავადმყოფობების შესახებ და ასე შემდეგ; სამი უცხო ენაც საგანგებოდ ვისწავლე, რომ ლიტერატურას გავცნობოდი უფრო საფუძვლიანად... ცოტაოდენი საკუთარი გამოცდილებაც შევიძინე..."

მართლაც, ცხენთა მარტო რამდენი ფოტოსურათი შეაგროვა, ალბათ რამდენიმე ათასი – სულ სხვადასხვა ჯიშის, ფერის, ზოგი – ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი, ზოგი – ღია ბარათი, ზოგიც – მხატვარ-ანიმალისტთა შემოქმედების ამსახველი შავ-თეთრი თუ ფერადი რეპროდუქცია... ამან მხატვრობითაც დააინტერესა, ოღონდ – სპეციფიკური თვალსაზრისით: წინათ ცხოველებიდან ხომ ყველაზე ხშირად ცხენს გამოსახავდნენ; ცხენზე ამხედრებული ადამიანის გამოსახვის ისტორია საუკუნეებს და ათასწლეულებსაც კი ითვლის; მითოლოგიური, ბატალური, ისტორიული თუ ყოფითი ჟანრების ყველა დროების მრავალი მხატვარი დახელოვნებული იყო ცხენის გამოსახვაში სულ სხვადასხვა რაკურსში; პეგასებითა და კენტავრებით არის ავსებული ძველი ეპოქების მხატვრობა; ერთ დროს მეტად გავრცელებული იყო ცხენზე ამხედრებულ მეფეთა თუ მხედართმთავართა რეპრეზენტაციული, პარადული პორტრეტები; პეიზაჟისტებიც კი ცხენის სტაფაჟურ ფიგურას ხშირად რთავდნენ კომპოზიციაში... რაღა უნდა ითქვას ანიმალისტებზე – როგორც ფერმწერებზე, ასევე გრაფიკოსებსა და მოქანდაკეებზე... სახვითი ხელოვნების ისტორიაში იყვნენ დიდი ოსტატები, რომლებიც მხოლოდ ცხენს ხატავდნენ და დიდადაც გაითქვეს სახელი. ქართველებსაც გვყავს კარგი ოსტატები, თუნდაც "ვეფხისტყაოსნის" დამსურათებლები. მართლაც, არის ამქვეყნად ცხენზე მშვენიერი რამ? ყველა ცხოველი ლამაზია, მაგრამ ცხენი მაინც გამორჩეულია! გინდ – როცა დგას წყნა-

რად, წევს ან ძოვს, გინდაც – როცა მიდის, ყალყზე დგება, მითოხარიკობს თუ მიჯირითობს, თუ ჭენებ-ჭენებით მიფრინავს ფაფარგაშლილი!.. თვალები?.. მშვენიერთან ერთად – უჭკვიანესიც!.. ყურები? კისერი? განსაკუთრებით, თავს რომ მოიღერებს მოხედვისას!.. ფეხები?.. ზურგი, გავა, კუდი?.. ყველაფერი კოხტა აქვს!.. ახლა ჭკუა და ერთგულება? თვალს რომ მოგკრავს და შორიდანვე შემოგჭიხვინებს...

დიახ, ელბერდი ვერ გაჩერდა ქალაქს, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ადრევე დაოჯახდა, ორი შვილის მამაც გახდა. მერცხალას ისევ თავს ევლებოდა. ბევრი მსურველი იყო ცხენის ყიდვისა, უფრო შორეული კუთხეებიდან, რადგან, ვინც ელბერდს იცნობდა, ამ თემაზე სიტყვის ჩამოგდებას როგორ გაბედავდა... კარგი ცხენის ყადრი ჯერაც იცოდნენ სოფელში. მართალია, წინათ თუ თითქმის ყველა ოჯახს ერთი-ორი ან მეტი ცხენიც ჰყავდა და მით თავსაც იწონებდა, ახლა თითო-ოროლა კაცს თუ შერჩა ეს კეთილშობილი პირუტყვი, სამაგიეროდ, მომრავლდა ტრაქტორი, სატვირთო თუ მსუბუქი ავტომობილი, მოტოციკლი თუ ველოსიპედი. ცხენზე ამხედრებულს ირონიულად უყურებდნენ, ზოგი თავშეუკავებელი ბრიყვულად ვითომ ხუმრობით გააქილიკებდა კიდეც. ელბერდისთვის ამგვარი რამ არასდროს უკადრებიათ. მხოლოდ იმიტომ არა, რომ იცოდნენ: საერთოდ უწყინარი, რბილი ხასიათის ელბერდი ამგვარ დამოკიდებულებას არავის შეარჩენდა, არამედ უფრო იმიტომ, რომ მერცხალას დანახვისთანავე არავინ რჩებოდა გულგრილი, იმდენად ლამაზი იყო, იმდენად ლაღად, ამაყად და ხალისიანად გაითამაშებდა მნახველის თვალწინ – ყველა ღიმილით ადევნებდა მზერას და ბევრნი აღტაცებით ამოიოხრებდნენ კიდეც...

რამდენადაც ელბერდი ჩუმი, უთქმელი კაცი იყო, იმდენად როხროხა, ატაცებული ქალი იყო მისი ცოლი მაიკო. ამის მიუხედავად, ცოლ-ქმარი მშვენივრად შეეწყო ერთმანეთს, არასდროს მოსვლიათ მცირე უთანხმოებაც კი.

დრო გავიდა, ელბერდს უკვე ხუთი შვილი ჰყავდა. მერცხალა საკმაოდ ხნიერი გახლდათ, მაგრამ ქერით ნაპატივები, შრომაში ზომიერად დატვირთული და ნავარჯიშები, ისევ ისე საამო სანახავი იყო. სხვა ორი ჭაკი ცხენიც ჰყავდა ელბერდს, მერცხალაზე ბევრად ახალგაზრდები, გიჟმაჟები, ისინიც შავრები. ერთი ან, იშვიათად, ორი კვიციც დასდევდა დედებს კუდში, საყვარლად ეხუტებოდნენ. ელბერდისთვის ყველაზე დიდი სიხარულისა და სიამოვნების მომტანი იყო, როცა უყურებდა მწვანე ფერდობზე ან ტაფობში ხასხასა ბალახზე გაშვებულ ცხენებს და მათ გვერდით უდარდელად მოკუნტრუშე კვიცებს. ელბერდი თამბაქოს თავის დღეში არ გაჰკარებია, ღვინოს ან არაყს იშვიათად თუ დალევდა, იმასაც ზომიერად – მაშინ ცხენებს არ გაეკარებოდა, ჩემი მყრალი სუნთქვით არ მინდა, შევაწუხოო, ცოლს ან უკვე წამოჩიტულ უფროს ვაჟებს დაავალებდა მათ მოვლა-პატრონობას. გააგზავნიდა და თვითონაც უკან გაჰყვებოდა – გული არ უთმენდა, შორიდან მაინც უნდა დარწმუნებულიყო, რომ მის საყვარელ არსებებს არაფერი დააკლდებოდათ.

მერცხალას დაპატრონების სურვილი ბევრს მოსვენებას უკარგავდა. რამდენჯერმე უშედეგოდ სცადეს ბედაურის მოპარვა, ძალით წართმევაც მოუნდომეს ორ-სამჯერ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ელბერდმა თავხედებს თავბედი აწყევლინა...

ერთხელ ელბერდი მეზობელ სოფელში გადავიდა პატარა საქმეზე. როცა დათქმულ დროს დიდად გადასცდა და ელბერდი და მერცხალა არ გამოჩნდნენ, შინაურები შეშფოთდნენ. ადრე დილით, ოდნავ ინათლა თუ არა, მისი უფროსი ბიჭები შესხდნენ ცხენებზე და მამის საძებნელად გაეშურნენ.

გაზაფხული დამდგარიყო და ახლად შეფოთლილი ტყე გატრუნულიყო. უშფოთველობა გამეფებულიყო ირგვლივ, ბიჭებს კი გული აჩქროლებოდათ, ერთი სული ჰქონდათ, სანამ მამას დაინახავდნენ. ტყეში დიდხანს არ უვლიათ, შორიდანვე შუა გზაზე მწოლიარე კაცის სხეული დალანდეს...

გაცივებული ელბერდი პირაღმა ეგდო, მკერდში ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი... მერცხალა არსად ჩანდა.

როცა ძმებმა მამა შინ მიასვენეს, მათ მერცხალა ჭიშკართან ჭიხვინით შეხვდა.

მერცხალა წყნარად იდგა. იქვე მიწაზე ეგდო თავგაჩეჩქვილი გაბო ჯინჭველაური, შუახნის ჯმუხი მამაკაცი; ცალი ფეხი მერცხალას უზანგში შერჩენოდა. მას ახლომახლო სოფლებში დიდ-პატარა იცნობდა მეტსახელით "განაბი გაბო". იგი დახელოვნებული, უებრო მპარავი იყო, განსაკუთრებით – ძროხებისა. ყველამ იცოდა მისი ცუდკაცობის ამბავი, მაგრამ ერთხელაც ვერ დაიჭირეს ქურდობაზე...

ისევ ამ ამბის დასაწყისში ნათქვამს დავუბრუნდები.

არსებობს კი ქვეყნიერებაზე ბედნიერება?

ბედნიერება რომ არ არსებობდეს, ეს სიტყვაც ხომ არ იარსებებდა. მაშ, რა არის ბედნიერება?

თუ ცოცხალი ხარ, არ გაქვს უფლება, უბედური იყო.

თუ ცოცხალი ხარ, ბედნიერიც ხარ.

სიყვარულშია ბედნიერება – გიყვარდეს, გქონდეს საყვარელი საქმე.

უნდა გიყვარდეს სიცოცხლე და იქნები ბედნიერი.

ელბერდი ბედნიერი იყო.

1999

არის ღმერთი?

ამ ბოლო ხანს ისე იმძლავრა რელიგიურმა აღტყინებამ, რომ მეტისმეტად მძაფრი ხასიათი მიიღო. ლამის არის, ყველა უბედურება თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, განსაკუთრებით კი – ზნეობის დაცემა, რელიგიურობის შესუსტებით ახსნან. მოდად იქცა, ყოველგვარი საზოგადო გამოსვლა დაასრულონ გამოთქმით: "ჩვენთან არს ღმერთი!". ესოდენ მომრავლებული სხვადასხვა პარტიები თავიანთ დეკლარაციებს, პროგრამებს თუ მიმართვებს ასევე ამთავრებენ: "ჩვენთან არს ღმერთი!"

საერთოდ, არსებობს კი ღმერთი?

მახსენდება რამდენიმე ცხოვრებისეული ამბავი, უპირველესად კი – ორი ოჯახისა...

ერთია ბულბულოსა და ხოსიტას ამბავი, მეორე – მარიამისა და ანზორის.

ჯერ პირველს მოვყვები.

ხოსიტა არჩევანიძე რომ 1945 წლის შემოდგომაზე ჯარიდან ჩამოვიდა, ოცდაათ წელს უკვე გვარიანად იყო გადაცილებული. განათლებულს, ლამაზსა და ვაჟკაცურად ეშხიანს, ორდენ-მედლებით გულმკერდმოჭედილს (თანაც, როგორც ნაფრონტალს, ცოტა ხანში კარგი თანამდებობაც უბოძეს და ბინაც მისცეს) – წარმოიდგინეთ ახლა, როგორ დაესეოდნენ გასათხოვარი ქალები. ჩვენი ხოსიტა ხელგაშლილი კაციც იყო, ლხინისა და დროსტარების მოყვარული, მით უმეტეს, ომის საშინელებების ხსოვნიდან განქარვა აუცილებელიც იყო (სამჯერ იყო მძიმედ დაჭრილი – სტალინგრადიდან პრაღამდე ბრძოლით იარა მეავტომატეების ოცეულის მეთაურმა; საკვირველი იყო, საერთოდ როგორ გადარჩა ცოცხალი) – რაღა გასაკვირველია, ორი უფროსი და, მოხუცი დედა და მრავალრიცხოვანი ნათესაობა თავს ევლებოდნენ. ძმაკაცები ადრეც ბევრი ჰყავდა, ახლებიც ბევრი შეიძინა და გადაბმული ლხინი იმ ომისშემდგომ გაჭირვებულ დროსაც არ აკლდა. შეუჩნდნენ აქეთ-იქიდან – არიქა, ჩვენო კარგო ბიჭო ხოსიტა, ხომ ხედავ, რა მარწყვივით გოგოები გეძლევა, არც შენ ხარ ბავშვი და დააყენე საშველი, გაახარე დედა, ამოირჩიე საცოლედ, რომელიც შენს გულს მოხვდებაო.

ხოსიტა კი არ ჩქარობდა.

თურმე ბულბულომ ჩაიგდო ხელში.

ბულბულო ერთ-ერთი ქეიფის დროს გაიცნო ხოსიტამ. ქალი ათი წლით იქნებოდა მასზე უმცროსი, მაგრამ სითამამით ტოლს არ დაუდებდა ნაფრონტალ კაცსაც კი – ხოსიტას არშიყობაზე ოდნავი თავშეკავებაც არ გამოუჩენია და თვით გადავიდა "შეტევაზე". ხოსიტა, გულახდილად რომ ითქვას, მაინცდამაინც არ დაფეთებულა ბულბულოზე – ბევრად ლამაზი და ყოველმხრივ სანაქებო ოჯახიშვილები ეძლეოდნენ – ექიმებიც ერია მათ შორის, მასწავლებლებიც და ერთი პოეტიც კი... მაგრამ ისე მოხდა, რომ ბულბულომ თითქმის ძალით მიაცილებინა თავი შინ, იქ კიდევ დაალევინა ღვინო და... მეორე დილით ხოსიტამ ბულბულოს ლოგინში გაიღვიძა...

მას მერე გაუტკბა ხოსიტას ბულბულოსთან ღამის თევა. ქალი შაქარივით დნებოდა, ალერსსა და მზრუნველობას არ აკლებდა; ხან ამწყდარი ღილი დაუკერა, ხან ხალათი გაურეცხა – ნელ-ნელა ხოსიტა ისე მიეჩვია, რომ, ბოლოს, ბულბულოსთან გადაბარგდა საცხოვრებლად. როცა უნდა მისულიყო, ბულბულო მუდამ შინ ხვდებოდა; არ მუშაობდა და რით ცხოვრობდა, არავინ იცოდა. ხოსიტას ჯერ ყოველ მისვლაზე ცოტ-ცოტა საჭმელ-სასმელი მიჰქონდა, მერე ფულის მიცემაც დაუწყო რაღაც-რაღაცეების საყიდლად. ერთ მშვენიერ დღეს კი თავისი დები და მოზრდილი დისშვილები გააგზავნა ბულბულოსთან – ბაქოს ქუჩაზე ამა და ამ ნომერ სახლში ნაქირავებ ოთახში ბულბულო ცხოვრობს და თავისი ბარგი-ბარხანით ჩემთან გადმოიყვანეთო...

ბულბულომ ხოსიტას დისწულებს ხუთ-ხუთი თუმანი ჩაუდო ჯიბეში, დებს საკაბეები აჩუქა, ხოსიტას დედას კი – თბილი თავშალი, რითაც ყველას გული მოინადირა.

საღამოს პატარა სუფრაც გაიშალა.

ბულბულო უბიწოების განსახიერებასავით იჯდა მაგიდის თავში ხოსიტას გვერდით. ლამაზიც კი ჩანდა – თეთრ-თეთრი გოგო იყო, ხვეული წაბლისფერი თმა ძალიან უხდებოდა; თვალებსაც ალმასებივით აკვესებდა, ერთი ეგ იყო მხოლოდ – კეხიანი, ოდნავ მოკაუჭებული ცხვირი უფრო კაცს შეეფერებოდა, ვიდრე მანდილოსანს.

ბულბულო – ცოლად? ხოსიტას განცვიფრებული მეგობრები ერთმანეთში კი ჩურჩულებდნენ (ბულბულოსთან ღამე ბევრ მათგანს არაერთხელ ჰქონდა გატარებული), მაგრამ ბედნიერი სიძისთვის არაფერი უთქვამთ – ყველამ თავისი საქმე უკეთ იცის, ჩვენ კი რომ ამ ქორწინებაში ჩავერიოთ, შეიძლება, ხოსიტას მეგობრობა სულ დავკარგოთო.

ცოტა ხანში ხოსიტას სახელზე წერილები დასტა-დასტად წამოვიდა. ანონიმი ავტორები ვაჟკაცობას უწუნებდნენ, კახპა როგორ ითხოვე, თავი აღარ გამოგეყოფა საზოგადოებაშიო.

ხოსიტა რამდენჯერმე ელაპარაკა ცოლს, მართალია თუ არა, რაც აქ წერიაო. ბულბულომ დედ-მამა და და-ძმა დაიხოცა ფიცილით, მჭორავენ და ცილს მწამებენ, ეგ იმ გომბიოების ოინებია, შენზე გათხოვებას რომ აპირებდნენო. ხოსიტაც გაჩერდა. ახლა წერილები მის დებს და დედას ეცა ნიაღვარივით, ისეთი ამბები ეწერა, ყოვლად წარმოუდგენელი... რომ ბულბულო აქამდე სამჯერ იყო გათხოვილი, სამჯერვე ქმრებმა გამოაპანღურეს ბოზობისთვის, რომ ორი შვილი ჰყავს – ერთი ჩუმად გააშვილა დაბადებისთანვე, მეორე – საბავშვო სახლში მიაგდო.

ამ წერილობითმა შეტევამ შედეგი არ გამოიღო, ხოსიტას სიყვარულით თუ რიდით ხმა არავის ამოუღია – ერთმანეთში კი პუტუნებდნენ, მაგრამ არც ხოსიტას და არც რძალს არაფერს აგრძნობინებდნენ.

მაგრამ ჭირმა თავი მაინც არ დამალა. უცებ აურია ბულბულომ, მაგრამ რა აურია! ჯერ მულები გალანძღა, ისეთი უშვერი ბილწსიტყვაობით შეამკო, კაცებმაც კი პირი დააღეს! მერედა, არ იტყვით, რისთვის? ჩემზე ჭორებს ავრცელებთ, ასეთია, ისეთიაო... ხოსიტას დებმა თავის გამართლება სცადეს, ჰოდა, მაშინ უნდა გენახათ ბულბულოს გააფთრება – როგორ გამიბედეთ შეკამათებაო და მუშტი-კრივზე გადავიდა. რძალზე 15-20 წლით უფროსი ხოსიტას ალალმართალი დები ისედაც არ იყვნენ შემტევი ხასიათისა და, ცხადია, "გამარჯვება" ბულბულოს დარჩა. კომედია ის იყო, რომ ამ ჩხუბს ესწრებოდა თვით ხოსიტაც და ცოლის მხარე დაიჭირა – დებს საყვედურობდა, არ გიყვართო. დებმა ძმის ოჯახში ფეხი ამოიკვეთეს, დედის სანახავადაც კი. მეორე "დიდოსტატური" სვლით ბულბულომ დედამთილი გააგდო სახლიდან. საწყალი მაკრინე საოცრად უენო ქალი იყო, ვერ იტანდა ჩხუბსა და აყალმაყალს, ხმამაღალ ლაპარაკსაც კი ვერ ეგუებოდა. სულ ცდილობდა, "მოწინააღმდეგენი" შეერიგებინა, რითაც ორივე მხარის უკმაყოფილებას იმკიდა. ბულბულო ხომ განსაკუთრებით ჩაუდგა კრიჭაში და იმდენი ეჯიჯღინა, რომ საბრალო ქალი საბოლოოდ გაეცალა ვაჟის ოჯახს – ხან ერთ ქალიშვილთან იყო, ხან – მეორესთან.

ხოსიტამ ბულბულოს წაქეზებით "ფულის შოვნა" დაიწყო. სამშენებლო მასალების ერთ-ერთი დიდი ბაზის ჯერ დირექტორის მოადგილე იყო, შემდეგ, უფროსის დაწინაურების შემდეგ – დირექტორი; მერე ტრესტში გადაიყვანეს განყოფილების გამგედ, მმართველის მოადგილედ და ბოლოს – მმართველიც გახდა... ისწავლა "საქმიან ხალხთან" კავშირის გაბმა, სარფიანი კომბინაციების გაჩალიჩება. ბულბულო საკომისიო მაღაზიებში სიარულს დაეჩვია, ახალმიღებული დიდი ბინა ძვირფასად გააწყო დგამ-ავეჯით, კარადები და სერვანტები გაავსო ანტიკვარული ჭურჭლეულით... ხოსიტას ოჯახში ხშირად იშლებოდა უხვი სუფრა, ლხინი ლხინს მისდევდა...

ბულბულო თუმცა არსად მუშაობდა, ოჯახში გაჩნდა სოფლიდან ჩამოყვანილი მოახლე გოგონა – უთქმელი, დაუზარელი. ბულბულო გაიფურჩქნა, სავსებით კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებისა. გაიჩინა უამრავი ნაცნობ-მეგობარი, მხოლოდ ქმრის ღარიბ ნათესავებს ახლოსაც არ იკარებდა...

ახლა მეორე ამბავს გავიხსენებ.

მარიამი დიდუბის ეკლესიასთან ახლოს, ძველი ფიცრებით შეკოწიწებულ ქოხმახში გაიზარდა. დედ-მამა არც ახსოვდა, ადრევე დაეხოცა და გოგო ბებიამ გაზარდა დიდი გაჭირვებით. ბებიამვე შეაჩვია ეკლესიაში სიარულს, ასწავლა ლოცვები, დაამთავრებინა სკოლა. ნიჭიერი გოგო იყო მარიამი, ალღოიანი, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება უსახსრობის გამო ვერ შეძლო და მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მბეჭდავ-მემანქანედ. რამდენიმე წლის შემდეგ ცოლად გაჰყვა ინსტიტუტის დირექტორის შოფერს – ანზორს (ბებია ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო) და ქმრის ერთოთახიან ბინაში გადასახლდა.

ანზორი თვალ-ტანად არა უშავს ბიჭი იყო – მაღალი, შავულვაშა, ოდნავ დიდცხვირა. მალე ბიჭი შეეძინათ და ანზორის გარდაცვლილი მამის საპატივცემულოდ ამბაკო დაარქვეს. ამბაკო ერთი წლისაც არ იყო, რომ მარიამი პირველად გააგდო შინიდან ანზორმა. რისთვის? ეს ყველასთვის გამოცანა იყო. ანზორი ხშირად თვრებოდა, უშვერად აგინებდა ცოლს და არც ცემას აკლებდა, მაგრამ მარიამი საოცარი მოთმინებით და უდრტვინველობით იტანდა ყოველივეს; ერთი საყვედური არ წამოსცდებოდა ქმრის მიმართ და ცდილობდა, ცემისგან ჩალურჯებული კვალი სახეზე არავის შეემჩნია... თუმცა მისი ოჯახური სიამტკბილობის ამბავი როგორ დაიფარებოდა, როცა ანზორის გინება და ავეჯისა თუ ჭურჭლის მტვრევა-მსხვრევის ხმა სახლის ორივე სადარბაზოს რვავე სართულს სწვდებოდა. აიტატა მარიამმა ცალი ხელით პატარა ამბაკო, მეორეში ტანსაცმლიანი ფუთა დაიჭირა და ისევ დიდუბეში, თავის ქოხმახს მიაშურა (იქ დროებით სოფლიდან ჩამოსული სტუდენტი ნათესავი გოგონა ცხოვრობდა).

რამდენიმე თვეში ქოხმახს ავტომანქანა "ვოლგა" მოადგა, იქიდან შესარიგებლად მოსული ანზორი გადმოვიდა...

მარიამი ქმართან დაბრუნდა.

არ გასულა დიდი ხანი და ანზორმა ისევ აურია. უარესად სცემდა ქალს, ოჯახში დაუმტვრეველი აღარაფერი დატოვა. ქალს მუცელი მოეშალა... მარიამი იძულებული გახდა, ისევ თავის ძველ ქოხმახში გადაბარგებულიყო... ნახევარი წლის შემდეგ ისევ გამოჩნდა შავი, კრიალა "ვოლგა"...

კიდევ ნახევარი წელი გავიდა და მარიამი მესამედ დაბრუნდა თავის ქოხში. ამჯერად, კარგა ხნის შემდეგ, ანზორი ტაქსით მოვიდა ცოლ-შვილის წასაყვანად – მუდმივი ლოთობისთვის მანქანის მართვის მოწმობა ჩამოართვეს და სამსახურიდანაც დაითხოვეს...

მარიამის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა – ქმარი არ მუშაობდა, ლოთობას არ იშლიდა და ცემა-ტყეპისთვის დრო მეტი ჰქონდა. მარიამი წელებზე ფეხებს იდგამდა: სამსახურში ხომ უამრავი სამუშაო ჰქონდა (კარგი მბეჭდავ-მემანქანე იყო), შინაც შუაღამის შემდეგაც ისმოდა მისი ბინიდან საბეჭდი მანქანის კაკუნი. ასე რომ, ფულს საკმაოდ შოულობდა, სადილ-ვახშამიც ყოველთვის დროზე ჰქონდა გაკეთებული, ქმარ-შვილის ტანსაცმელი – დარეცხილ-დაუთოებული, ბინა – დალაგებულ-დაწკრიალებული... საოცარი იყო, როგორ ასწრებდა ყველაფრის გაკეთებას.

გავიდა კიდევ ერთი წელი ამგვარ ჯოჯოხეთურ პირობებში და მთვრალმა ანზორმა წიხლების ცემით ისევ გააგდო მარიამი ბინიდან.

მარიამმა და ამბაკომ ამჯერად კარგა ხნით დაისვენეს.

ანზორი ლოთობას განაგრძობდა, მუშაობის დაწყებაზე არც ფიქრობდა. ფული? ცოტაა განა ქვეყანაზე ჩერჩეტი ქალი? ანზორმაც მიიყვანა ვიღაც ახალგაზრდა, პუტკუნა, კარგი შესახედაობის და, რაც მთავარია, შეძლებული ქალი... იჯდა ხონთქარივით ანზორი, კარგს ჭამდა და არც კარგ სმას იკლებდა; სულაც არ ნაღვლობდა, რას პუტუნებდნენ მეზობლები – როგორ არ რცხვენია, ქალის კმაყოფაზე რომ არის, რა ბედი ჰქონია, გენაცვათ, სად შოულობს ასეთ შტერ მოახლე ქალებსო.

ძალიან გამიგრძელდა და მოკლედ დავასრულებ. წლინახევრის შემდეგ მარიამი ისევ დაბრუნდა ქმართან, მერე ისევ გააგდო ანზორმა; ახლა სხვა ქალი ცხოვრობდა მასთან და ასე გაგრძელდა შემდგომაც... ეს თითქოსდა ერთფეროვანი ციკლები დაბრუნება-გაქცევებისა უსასრულოდ გაიწელა დროში... მარიამისგან კი ბედის ჩივილი არავის გაუგონია... ისიც საკვირველი იყო, ანზორი როგორ იტანდა ამდენ გადაბმულ ლოთობას, ან ჩხუბი და აყალმაყალი როგორ არ ბეზრდებოდა, ან რა ჯადო ჰქონდა ისეთი, რით იზიდავდა მასთან დროებით მაცხოვრებელ ქალებს? ან მარიამი როგორ ურიგდებოდა ხოლმე ასეთ ქმარს?

გავიდა ხუთი, ათი, თხუთმეტი წელი... არსებითად არაფერი შეცვლილა, ერთი გარემოების გარდა: ამბაკო გაიზარდა, დაიჭირეს ქურდობისთვის (თუმც დედა ცდილობდა, მისთვის არაფერი დაეკლო)...

შეადარეთ ორი ქალის, – ბულბულოსა და მარიამის, – ბედი... კიდევ იტყვით, რომ ამქვეყნად არსებობს სამართლიანობა, არსებობს ღმერთი?..

1989

საახალწლო ნაძვის ხეზე

კლუბში არის ერთი მხიარულება: დოლს ბრაგაბრუგი გაუდის, აკორდეონი ჭყვიტინებს; ბავშვები ტაშს უკრავენ, ცეკვავენ და მღერიან, სათამაშოებითა და ნაირფერი ანთებული ნათურებით შემკულ დიდ საახალწლო ნაძვის ხეს გარს უვლიან; მშობლები თავ-თავიანთ ბავშვებს აკვირდებიან...

მეც ჩემს ბიჭებს ვუყურებ – შვიდი წლის ბესარიონსა და ექვსი წლის დათუნას. ბესიკი თვალებგაფართოებული, ოდნავ პირდაღებული დგას, სხვებთან ერთად მასაც უხარია, მაგრამ სახეზე დაბნეული, არაბავშვური განწყობაც აღბეჭდვია... მზერა დათუნაზე გადამაქვს – ისიც რაღაც საყვარლად ტუჩებგაბუსხული, გაშტერებული შესცქერის სხვების ლაღ, უშფოთველ მხიარულებას, თვითონ კი რატომღაც მთელი გულით ვერ ებმება საერთო ჟრიამულში. როცა ბავშვები წრეს უვლიან ნაძვის ხის გარშემო, ბესიკი ადგილზე რჩება, დათუნა კი ჩემთან მორბის, ერიდება ბავშვებში გარევა. ვაწყნარებ, ვეფერები, უკან ვაბრუნებ... მიჯერებს, დგება ბავშვთა მწყობრში და მათთან ერთად წრეს უვლის, მაგრამ ლეკურისთვის ხელები ბოლომდე ზევით ვერ აუწევია ფრთამოტეხილი ფრინველივით...

შიში მიკუმშავს გულს, გამოუცნობი და მოუშორებელი... მიზეზის მიკვლევა მიჭირს, ეს შფოთი სადღაც სულის კუნჭულში მიყუჟულა ქვეცნობიერად და მოსვენებას არ მაძლევს. რამდენი გაცინებული სახეა ირგვლივ, გაბრწყინებული თვალი, რამდენი ნაირგვარი სახე და განსხვავებული ხასიათია და ყველა ერთ, ხალისიან განწყობილებას არის დამორჩილებული. ღონისძიების ორგანიზატორი ორი ქალიშვილი ცდილობს გაართოს ბავშვები – ერთი დაბალია, პუტკუნა და პირმრგვალი, ოღონდ მოზრდილი, კესიანი ცხვირი აქვს; მეორე გამხდარია, მაღალი, სახე ხშირად უნაოჭდება ღი-

მილში და აჩენს უსწორმასწორო, მეჩხერ კბილებს; ქვედა ყბა წინ აქვს გამოშვერილი, სათვალის დიდი შუშების უკან მხიარული შავი თვალები უბრწყინავს. ეს ორი გოგო, ვგონებ, ბავშვებზე მეტად ერთობა. აკორდეონისტი და მედოლე ერთმანეთში რაღაცაზე საუბრობენ, მათი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ტანსაცმელი არ უხდება ზეიმს. ერთი სიგარეტს ეწევა, მერე, შუამდე დაყვანილს, მეორეს აწვდის...

შემოდის ნაცარქექია. ულვაშები უშნოდ აქვს მიწებებული, თავზე ნაცრისფერი პარიკის ქვევიდან საკუთარი შავი თმა მოუჩანს; შიშველი მკლავები დასვირინგებული აქვს, რიხიანი ხმით საკმაოდ კარგად ასრულებს თავის როლს. თოვლის პაპაც მობრძანდა, ეტყობა, საკმაოდ წაიმუტრუკებს – ერთი-ორჯერ დაუჯერებელ ბავშვებს მუჯლუგუნი უთავაზა, სხვებს კი ჯოხით დაემუქრა. მიწებებული თეთრი ულვაში წამდაუწუმ სძვრება და ხელით ისწორებს... აგერ გამოცუნცულდნენ ნაზი ფიფქია, მშიშარა "კურდღელი", გაქნილი "მელია", ავი "მგელი", გრძელცხვირა, წრიპინახმიანი ბურატინო... რა ცოტა ჰყოფნით ბავშვებს სამხიარულოდ, მე კი მაინც უგუნებოდ ვარ... იმიტომ კი არა, რომ ზეიმის დამთავრების შემდეგ შინ მისვლამდე კარგა ხანს უნდა ვიჯანჯღაროთ ტრამვაიში, მერე გადავჯდეთ მეტროში; არც იმის გამო, რომ ქარიანი, ცივი ამინდია; არც იმიტომ, რომ რომ ბესოს ახალი ფეხსაცმელი ვუყიდე, დათუნას – ჯერ ვერა... დათუნას თითი სტკივა თვეზე მეტია, ბესოს კი ღამღამობით ახველებს... ალბათ რაღაც უფრო დიდი, შეუცნობელი რამ იწვევს განუწყვეტელი განგაშის, ტკივილის გრძნობას...

ისევ აბრაგუნდა დოლი, აჰყვა აკორდეონი მხიარული ჰანგით, ბავშვები ცეკვა-ცეკვით გარს უვლიან საახალწლოდ მორთულ-მოკაზმულ ნაძვის ხეს. ჩემი შფოთიანი ფიქრიც ტრიალებს და ტრიალებს ერთ მოჯადოებულ მრუმე წრეში...

ღმერთო, შენ მიშველე – ეჭვს, შიშსა და სასოწარკვეთას მაშორე!..

1984 წლის 2 იანვარი.

ოქსანა

ოქსანა!..

როგორ აღვწერო? ან აქვს კი ამას აზრი?

ზოგადად მაინც ვეცდები, წვრილმანებს არ გამოვეკიდები.

თეთრყირმიზი. შავი მბზინავი თმები – უკან უბრალოდ, სადად გადავარცხნილი. დიდი, მომწვანო-მონაცრისფრო, ფოფინა თვალები. არავითარი სამკაულები, არც კოსმეტიკა. დადის ამაყად გამართული, თავაწეული, რაღაც შინაგანად გასხივოსნებული ეშხით... სიარულისას ენერგიულად და ამავე დროს რბილად ადგამს ღონიერ, ჩამოსხმულ ფეხებს...

ჯიშიანი – აი ყველაზე შესაფერისი სიტყვა.

ამ ექვსი-შვიდი წლის წინათ მეზობელი დაწესებულებებიდანაც კი მოდიოდნენ ახალმიღებული თანამშრომლის სანახავად. ზოგიერთი ახალგაზრდა ყოველდღე მოდიოდა, დაუდარაჯდებოდა დერეფანში ან სამუშაო დღის ბოლოს და დახვდებოდა ქუჩაში გასასვლელთან. ქალებიც კი აღტაცებულნი რჩებოდნენ მასთან შეხვედრისას. მოხუცები, – კაცებიცა და ქალებიც, – სახეზე ღიმილგადაფენილნი, უკან აყოლებდნენ მზერას და ოხრავდნენ.

85 წლის ბუღალტერმა, ბერბიჭა ვანიჩქამაც კი თქვა ბოლოს და ბოლოს – აი, ოქსანას კი ვითხოვდიო! – სალაპარაკოდ ჰქონდათ ქალებს.

მხოლოდ სილამაზე არ იზიდავდათ – ამ საკმაოდ ხალხმრავალ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ლამაზი ქალი სანთლით არ იყო საძებნელი. ოქსანა განსაკუთრებული, გამორჩეული რომ იყო ყოველმხრივ, ყველასთვის ცხადი იყო: მას კიდევ რაღაც ხიბლი ჰქონდა, რომელიც თითქოს შიგნიდან ანათებდა მის პიროვნებას და გამოსჭვივოდა ყველაფერში – ღიმილში, სიცილში, ლაპარაკში, ხმის ტემბრში, გამოხედვაში, სიარულში, ადამიანებთან ურთიერთობაში... არა, ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია!

ხელოვნების ყოველი ჭეშმარიტი ნაწარმოები თავის გარშემო ჰქმნის ზემოქმედების ძალოვან ველს, რომელიც იზიდავს და იმორჩილებს ჩვენს სულსა და გულს, აფაქიზებს, აღამაღლებს მას, განწმენდს... ასევეა მშვენიერი ქალიც – ისიც ხომ ხელოვნების ნაწარმოებია, ოღონდ ბუნების მიერ შექმნილი და ამიტომ ხელოვნების ნებისმიერ შედევრზე უსასრულოდ მაღალი, მიუწვდომელი... მარადიული, უღრმესი საიდუმლოს მფლობელი, შეუცნობელი... იქნებ ამით აიხსნება ქალების ხიბლი, უცნაური, ზოგჯერ ზებუნებრივი მიმზიდველი ძალა... ოქსანაში იყო მარადიული ქალურობა. ასი წლის შემდეგაც მომხიბლავი იქნებოდა ალბათ, რადგან გარეგნული ბრწყინვალება დროთა სრბოლით გაიცრიცებოდა, გამოხუნდებოდა, მაგრამ ის გაუფერმკრთალებელი შინაგანი შუქი მარადი იყო და უცვლელი, როგორც ხელოვნების ძვირფას ნაწარმოებში.

თავისუფლად, ლაღად თავამართული, ალალად შესცქეროდა ქვეყნიერებას, წუთისოფელს, დიდსა და პატარას; არ ერიდებოდა ცუდთან პირისპირ შეხვედრასაც და მასთან შებმასაც, ოღონდ კი არ ებრძოდა, ათვინიერებდა, ალბობდა, სიკეთისკენ მორეკავდა... და ამიტომ ყველა ემონებოდა მას და ქუჩასა თუ დაწესებულებაში მიმავალს, ყველა ღიმილით ხვდებოდა, სიამოვნებდა უკვე მხოლოდ მისი უბრალოდ დანახვაც კი. თითქოს რაღაც ჯილდო მიიღეს ან საჩუქარი.

სილამაზე სილამაზედ და ქალისთვის (რა თქმა უნდა, კაცისთვისაც) არანაკლებ მნიშვნელოვანია და ალბათ გადამწყვეტიც – იყოს პიროვნება, გამორჩეული ხასიათი ჰქონდეს. ცნობილია, ზოგი ქალი თითქოს არც არაფერს წარმოადგენს განსაკუთრებულს გარეგნულად, მაგრამ თაყვანისმცემლები ბუზივით ეხვევიან... მომხიბვლელობა!.. ეშხი!.. მთავარია, პიროვნება იყოს.

ოქსანას პიროვნების სიძლიერეს იგრძნობდი მასთან პირველად დალაპარაკების დროსაც; ეს თავისთავადობა და დამოუკიდებლობა არასდროს გადაიზრდებოდა თვითნებობაში ან თავნებობაში, არასდროს ცდილობდა, უპირატესობა ეჩვენებინა ან ეგრძნობებინაც კი – პირიქით, თავმდაბალი იყო, შეიძლება ითქვას, რბილი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ თავზეც არავის დაისვამდა და თავხედობას არავის აპატიებდა. ხნიერი და მოხუცი თანამშრომლებიც კი აფასებდნენ მის აზრს, რადგან გრძნობდნენ, რომ საღი, გამჭრიახი გონება ჰქონდა, უცებ აუღებდა ალღოს ყოველგვარ სიტუაციას, კარგად ერკვეოდა ადამიანთა დახლართულ ურთიერთობებში, იცოდა თანამშრომელთა ხასიათი და შესაძლებლობები.

როგორღაც ისე მოხდა, რომ მრავალი თავისი გასაჭირით ოქსანასთან მიდიოდა, იმედი ჰქონდა, რომ იგი გაუგებდა, გულის სითბოს უწილადებდა, რაღაც გამოსავალს ყოველთვის მოძებნიდა ანდა უბრალოდ ყურადღებით მოუსმენდა და თანაუგრძნობდა – ყველას "მამიდა" იყო. თუ ვინმე თუნდაც თითს გაიჭრიდა, მასთან გარბოდა, ფული დასჭირდებოდა სასწრაფოდ – ისევ ოქსანას იმედი ჰქონდა, რომ უშოვნიდა... თვით ოქსანას საკუთარი ფული სად ჰქონდა, ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ სხვებისთვის რაღაც მანქანებით "გააჩენდა" ხოლმე.

საქმეშიც მუყაითი და დაუზარელი იყო. უსაქმობას ვერ იტანდა, დავალების შესრულებას არასდროს გადაიტანდა სხვა დროისთვის, არ გადასდებდა, თანაც ზუსტად და ზედმიწევნით ფაქიზად ასრულებდა. ნელ-ნელა ისე მოეწყო საქმე, რომ ყველაზე რთული და პასუხსაგები ქიმიური ანალიზების ჩატარებას ოქსანას ანდობდნენ. დილით, მოვიდოდა თუ არა ლაბორატორიაში, მაშინვე სველ ტილოს გადაუსვამდა მაგიდებს, მოამზადებდა იმ დღისთვის საჭირო რეაქტივებს, მორწყავდა ოთახის მცენარეებს ფანჯარათა რაფებზე. იები, კაქტუსები, გერანი, ჭორიკანები და სხვა მცენარეები ოქსანას აქ სამუშაოდ მოსვლამდეც კარგა ხნით ადრე ჰქონდათ ლაბორატორიის ქალებს გაშენებული – უღიმღამოდ გამოიყურებოდნენ, დაბეჩავებულად, საერთოდ კინაღამ გადაჰყარეს, ისე დაჩაჩანაკდნენ. ოქსანას ხელში ყვავილები გაყოჩაღდნენ, თითქოს იმათაც გაეხარდათ ლამაზი და მუყაითი ქალიშვილის გამოჩენა – გაიხარეს, გაიმართნენ წელში, აყელყელავდნენ, აყვავდნენ.

როგორ ფიქრობთ, გადაურჩებოდა ასეთი ქალი ჭორს, მითქმა-მოთქმას?

ოქსანას საკუთარ თავზე ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ არც ის დაუმალავს, რომ განათხოვარი იყო. ოქსანას მამა რუსი იყო უკრაინიდან, დედა ქართველი ჰყავდა. მამამ ქალიშვილი და ცოლი ოთხი თუ ხუთი წლისა დატოვა და სადღაც შორს გადაიკარგა. თხუთმეტი წელი არ ჩანდა, და როცა დაბრუნდა, ოქსანა უკვე ოცი წლისა დახვდა. საოცარი ის იყო, რომ ოქსანას დედამ დაბრუნებული ქმარი მიიღო, აპატია, მიუხედავად იმისა, რომ იმ თხუთმეტი წლის განმავლობაში ქმრის ასავალ-დასავალი სრულებით არ იცოდა, მისგან ერთი წერილიც კი არ მიუღია. თვრამეტი წლის იყო ოქსანა, როცა დედამ თითქმის ძალით გაათხოვა თორმეტი წლით უფროს კაცზე – ფულიანზე, მდიდარზე (ამან მოხიბლა დედა). ხუთი თვის შემდეგ ოქსანა გამოიქცა ახალი ოჯახიდან, მე იმათთან ვერ გავძლებო და გაეყარა ქმარს. ორი თვის ფეხმძიმე იყო და აბორტი გაიკეთა – იმათი არაფერი მინდაო. ეს იყო და ეს, სხვა არაფერი უთქვამს, არც კარგი და არც ცუდი ქმრის ოჯახზე.

სამსახურში ქალებს მარტო ეს ამბები არ ჰქონდათ სალაპარაკო. სულ მისხალ-მისხალ აწონეს და გაზომეს, მკაცრად შეაფასეს ოქსანას გარეგნობაც კი, რომელიც თითქოს დისკუსიის საგნად არ უნდა ქცეულიყო.

– ძალიან მაღალია! – წიკვინა ხმით გამოაცხადა ერთხელ ასმათმა. თვითონ ერთი ციდა იყო – კრუხის პალო – და ქალებმა სიცილი დააყარეს.

– მსხვილი ფეხები აქვს! – თქვა რიტამ, საკუთარ ფეხებს შეადარა, ასანთის ღერებივით წვრილს.

– ცოტა სრული ფეხები კი აქვს, მაგრამ ძალიან კოხტად გამოყვანილი, სხვა არც მოუხდებოდა! – არ დაეთანხმა მაკა. – არა, ოქსანა კოხტა გოგოა, რად უნდა ჭიჭინი, გემრიელი გოგოა, თუ გინდა, აგერ გურამს ვკითხოთ! – მიმართა ამ დროს ოთახში შემოსულ მაღალ, შავგვრემან ყმაწვილს, კოხტაობით რომ შავი წვერი დაეყენებინა.

– ო-ო-ო! სიარული აქვს ისეთი, რომ... ნეტა სულ მაყურებინაო! ერთ ქალად მარტო მაგის სიარული ღირს! – თქვა გურამმა ღიმილით. – ახლა მზერა! უჰ, მზერა აქვს რაღაც ღვთიური! – ხავერ-

დოვანი, თბილი, – შემოგხედავს და თითქოს გაგახვევს რაღაც ფაფუკში, მიმზიდველში. ზოგ კაცს ეს ატყუებს – ჰგონიათ, მე თუ მიზიდავს ასე, მიზიდულობის კანონის თანახმად, მასაც ვიზიდავ მე-ო... და კოვზი ნაცარში უვარდება!

– შე ეშმაკო, შენა, თვითონ ხომ არ იწვნიე მისგან?!. – ახარხარდა ზონზროხა პელო.

– მე არა, ჩემი ძმაკაცი კი შეცდა! – გაეცინა გურამსაც, სულგრძელად არ დაასახელა თავისი მეგობარი ტრისტანი, თუმცა ქალები ამ ამბით ძალიან დაინტერესდნენ. დაწესებულების მომმარაგებელი, ბატონი ტრისტანი, ოცდაათიოდე წლის საკმაოდ ლამაზი, მოსული ტანის, ნაპატივები მამაკაცი, ქალების მუსუსი, იმდენად მოიხიბლა ოქსანათი, რომ უღალატა ურყევ პრინციპს – საკუთარი სამსახურის ქალებს საარშიყოდ არასდროს გაჰკარებოდა. შესაძლოა, სარისკო ნაბიჯის გადადგმა იმან გადააწყვეტინა, რომ გაიგო, ოქსანა განათხოვარიაო; უფრო კი, საფიქრებელია, ქალის მიმზიდველობამ უბიძგა... დიდხანს უვლიდა გარშემო, ქათინაურებს არ იშურებდა. ერთხელაც შინ მიმავალს გადაეღობა ოდნავ ნასვამი, კოცნა მოინდომა, მაგრამ... ოქსანა ჯერ რბილად ცდილობდა ტრისტანის მოცილებას, უხეში სიტყვაც კი არ უკადრებია; მერე იძულებული გახდა, თავი დაეცვა და ერთი ისეთი შემოჰკრა, რომ ტრისტანი დაბარბაცდა და უცებ გამოფხიზლდა... მას შემდეგ ტრისტანმა მაიმუნობას თავი ანება და საქვეყნოდ გამოაცხადა, ვაი იმისი ბრალი, ვინც ოქსანას უხიაგ სიტყვას ჰკადრებს – ჩემთან ექნება საქმეო.

– აბა, გურამ, მედიკოს შეადარე, რომელს მისცემდი უპირატესობას? – არ მოეშვა პელო.

– მედიკოს "ფრიადს" ვუწერ, მაგრამ...

– რა მაგრამ, რას უწუნებ?

– ულაპარაკოდ, ლამაზი თვალები აქვს, სახის ნაკვთებიც მკაფიო, შეიძლება ითქვას, კლასიკურად ჩამოქნილი, ტანიც მშვენიერი... ოღონდ სახე ცოტა მკაცრია, ერთგვარად ცივი და სიცილიც კი თითქოს უემოციოა მისი, ბუნებრიობა აკლია...

– ფისო?

– ისიც ლამაზია, კოხტა, მოხდენილი; თაგუნასავით წვრილი ტუჩ-კბილი და თვალები... ცოტა დაწვრილმანებულია მისი ნაკვთები და ჩემდა თავად ოდნავ მოსუქებულს უფრო მოვიწონებდი... გაიცინებს და – თვალები სად აქვს, ვეღარ უპოვნი. არა, სასიამოვნო გოგოა, სახის ფერიც მშვენიერი... სიფრიფანაა პეპელასავით თუ... არა, ნამდვილად ჩემგან დასაწუნი არაფერი სჭირს, მაგრამ...

– აქაც მაგრამ?.. რა ხართ კაცები! შენ ალბათ მაგდა უფრო მოგდის თვალში?

– მაგდა? ეფექტურია, თვალში საცემი... ცოტა მეტი სიცოცხლე რომ მიეცა ღმერთს... მსხვილ-მსხვილი, სწორი ნაკვთები, ზანგის გამობურცული ტუჩები – თავისებურად დასრულებული ტიპია, მაგრამ ზანტია, ზანტი, როგორც კამეჩი...

– შენს გემოვნებას რა ვუთხარი, – გაფიცხდა მაკა. – ლამაზი, ეშხიანი ქალიშვილი კამეჩს შეადარე!

– ბოდიშს ვხდი, ბოდიშს ვიხდი... მაკას გენაცვალე, შენც ლამაზი ხარ, ჭირიმე, მაგრამ ყველაფერი შედარებითია! – ხუმრობით ხელი მოხვია გურამმა. – ყველას უმაღლეს შეფასებას გაძლევთ, ყველას!

– ოქსანასაც? – გაეცინა მაკას.

– არა, ოქსანა შეფასების გარეშე რჩება! მასეთი გოგო ცოდოა, რაღაც ნიშანი დაუწერო. თქვენ ნუ გეწყინებათ, ლამაზებო, რა ვქნა, სიმართლე უნდა ითქვას – ჩვენი სამსახურის ყველა მამაკაცი ამასვე თუ არ იტყვის, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ოქსანა იყო ამ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თვალი.

ალბათ ერთადერთი, ვინც თითქოს გულგრილად შეხვდა ინსტიტუტის აფორიაქებას ამ შვიდი წლის წინათ, 1 ლაბორატორიის გამგე გიორგი კაჟიაური გახლდათ – მაღალი, თითქმის ორმოცდაათ წელს მიტანებული; ტალღოვანი თმა ლამაზად გასჭაღარავებოდა და მის ვაჟკაცურ სახეს კეთილშობილ, ნატიფ იერს აძლევდა. ბატონი გიორგი ისე იყო ჩაფლული თავის მეცნიერულ გამოკვლევებში, რომ ჩაცმა-დახურვასაც კი სრულიად არ აქცევდა ყურადღებას: ერთთავად ძველი, დაჭმუჭნილი პიჯაკით დადიოდა, ზამთარ-ზაფხულ ერთი და იგივე ფეხსაცმელი ეცვა, თუმცა საკმაოდ კარგი ხელფასი ჰქონდა მეცნიერებათა კანდიდატსა და ლაბორატორიის გამგეს; არც ოჯახი ჰყავდა დიდი – ცოლი და გათხოვილი ქალიშვილი. ერთი ის იყო, რომ ცოლი თითქმის მთელ ხელფასს არ-თმევდა, თვითონაც მუშაობდა და მაინც სულ ფულის უკმარობაზე წუწუნებდა. თვით ყოველთვის გამოპრანჭული დადიოდა (ქალიშვილიც!), არას დაგიდევდათ, რომ ქმარი წვეულებებს თუ მეგობრულ შეხვედრებს თავს არიდებდა, რცხვენოდა თავისი გაცვეთილი ტანსაცმლისა. არადა, გიორგი ბევრს მუშაობდა, მუდამ საქმიანი, მუდმივად პირში სიგარეტგაჩრილი, კი არ დადიოდა, თითქმის დარბოდა, ან წიგნებში, გამოთვლებში, ანგარიშებში და ქაღალდის ნაწერ ფურცლებში იყო ჩაფლული...

ბატონ გიორგის ხელწერა არ უვარგოდა და ოქსანა ხშირად ეხმარებოდა ანგარიშებისა თუ სტატიების გადათეთრებაში, თან, სიმართლეს თუ ვაღიარებთ, ლაბორატორიის ხელმძღვანელმა არც

რუსული იცოდა რიგიანად. ოქსანას ქართული სკოლა ჰქონდა დამთავრებული, პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც ქართულ ჯგუფში იყო, მაგრამ სამსახურში ყველას აკვირვებდა რუსულად წერით – რუსულ სკოლადამთავრებულებს და თვით რუსებსაც კი სჯობნიდა; მეტ-ნაკლებად იცოდა გერმანული და ინგლისურიც.

ერთხელ ოქსანამ გიორგის უთხრა:

– ბატონო გიორგი, ჩემს ოთახში სამი ქალი ვსხედვართ, სხვა ქალებიც ხშირად შემოდიან საქაქანოდ და ხმაური ხელს მიშლის. თუ შესაძლებელია, ცოტა ხნით თქვენს კაბინეტში ვიმუშავებ, სანამ ამ საჩქარო საქმეს არ მოვათავებ...

გიორგიმ ნება დართო, თვითონ მაინც ზესტაფონში ქარხანაში იყო წასასვლელი, იქ რამდენიმე ცდა უნდა ჩაეტარებინა თავისი მეთოდის სრულყოფის მიზნით, მერე კი, სახელშეკრულებო თემის დამთავრების შემდგომ, ეს მეთოდი უნდა დაენერგა კიდეც. როცა ორი კვირის თავზე მივლინებიდან დაბრუნდა, არც მაშინ უთქვამს, კაბინეტში რომ მიზიხარ, ხელს მიშლიო და ოქსანაც ხშირად მუშაობდა მის ოთახში. იქ ორი მაგიდა იდგა: ერთი წიგნებით, ჟურნალებით, ანგარიშებითა და ხელნაწერებით სავსე და მეორე, უფრო მომცრო – ამ მაგიდაზე ოქსანა ასწორებდა ხოლმე გიორგის ხელნაწერებს, ანგარიშების კორექტურას აკეთებდა და, როცა რაიმე საკითხი იყო გასარკვევი, მაშინვე შეეძლო, შეკითხოდა მის პირდაპირ მჯდომ გიორგის. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ თუ მბეჭდავ მემანქანეს არ ეცალა და საჩქარო საქმე იყო, თვით ოქსანა კისრულობდა რამდენიმე გვერდის დაბეჭდვას ან გადაბეჭდვას. ჯერ მემანქანეთა ბიუროში მიდიოდა ამისთვის, მერე საბეჭდი მანქანაც გამოიწერეს საწყობიდან და გიორგის კაბინეტში დადგეს საგანგებო პატარა მაგიდაზე, ოღონდ ოქსანა მანქანას მხოლოდ გიორგის არყოფნის დროს ამუშავებდა, ან საგანგებოდ რჩებოდა სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ. ნელ-ნელა გაიწაფა და საკმარისად მკვირცხლად უკაკუნებდა კლავიშებს რვა თითს.

როგორც ითქვა, ბატონ გიორგის ბევრი სამუშაო ჰქონდა და ოქსანა ერთთავად მის კაბინეტში იჯდა; მხოლოდ ხანდახან, განსაკუთრებით პასუხსაგები და რთული ანალიზების ჩასატარებლად, მიდიოდა ლაბორატორიაში. ქალის ხელი მალე დაეტყო ლაბორატორიის გამგის კაბინეტს: ბატონი გიორგი დილით სამსახურში ყოველთვის ნახევარი საათით ადრე მოდიოდა ხოლმე და მაინც დალაგებული და ჩვარგადასმული ხვდებოდა მისი მაგიდა, ფანჯრის რაფაზე ყვავილები – ოქსანას მიტანილი – ზომიერად იყო მორწყული, ფანჯრის შუშები გაწმენდილი... ოქსანა ყოველ პარასკევს ხსნიდა ფარდებს, მიჰქონდა შინ და ორშაბათს გარეცხილ-გაუთოვებულს ისევ ჰკიდებდა.

ბატონი გიორგი ამ ცვლილებებს თითქოს ვერ ამჩნევდა. საათობით ისხდნენ ჩუმად და მუშაობდნენ. ხანდახან ოქსანა შეხედავდა მის პირისპირ მჯდომ გიორგის და ერთხელაც არ დაუჭერია საპასუხო მზერა: კაცი ყოველთვის ჩაღრმავებული იყო სამუშაოში – სათვალის იქით ფიქრიანი თვალები დასჩერებოდნენ საწერს თუ საკითხავს, მკვეთრად მოხაზული, ოდნავ ამობურცული, მტკიცედ მოკუმული ტუჩები და ლოყებზე ორი ღრმა ნაკეცი მკაცრ იერს აძლევდნენ მის სახეს; თითქმის მთლიანად გაჭაღარავებული ხშირი, ოდნავ ხვეული თმა უტეხად აქოჩრილი ჰქონდა ზევით და მერე გვერდებზე ორ ტალღად იღვრებოდა – დროდადრო ხელის მკვეთრი მოძრაობით ბატონი გიორგი თმებს უკან გადაიყრიდა ხოლმე. ნახევარ საათში ერთხელ ბატონი გიორგი მოიხსნიდა სათვალეს, წამოდგებოდა, ოქსანას გაუღიმებდა და სიგარეტის მოსაწევად დერეფანში გავიდოდა. ერთხელ რომ გამოფერთხა და გარეცხა ოქსანამ მაგიდაზე დადებული საფერფლე, მას მერე სუფთა რჩებოდა – ბატონი გიორგი სტუმრად შემოსულთაც არ რთავდა ნებას, კაბინეტში მოეწიათ.

ასე გავიდა კიდევ ერთი ზამთარი და მარტის თოვლჭყაპიანი დღეები გაიწელა. მერე უცებ მკვეთრად დათბა, დაცხა კიდეც და მძიმე პალტოებისა და ქურქების ნაცვლად ქალებმა მსუბუქი ლაბადებით იწყეს სიარული. კაცთა თვალგასახარად ზოგიერთი გაბედული ქალიშვილი კაბითაც კი გამოდიოდა ქუჩაში, მათ შორის – ოქსანაც. დილით, ვარჯიშის შემდეგ, ცივ წყალს ტანზე წელამდე გადაივლებდა და გაცივების აღარ ეშინოდა. ინსტიტუტის ქალები სხვა რამემ გააოცა – ოქსანამ ყურის ბიბილოების გახვრეტა სთხოვა ამ საქმის დიდოსტატს, ნუნუს. აქამდე მძივიც კი არ უნახავთ, ოქსანას რომ გაეკეთებინოს, თმასაც უბრალოდ რეზინით შეიკრავდა კეფაზე ცხენის კუდივით ან თავისუფლად ჩამოიშლიდა მხრებზე. ჩაცმაც სადად იცოდა, სულ სამი-ოთხი კაბა ჰქონდა და ერთიც – საკუთარი ხელით ნაქსოვი პულოვერი. ეტყობა, ხელმოკლედ ცხოვრობდა და არც სურვილი ჰქონდა, ჩაცმით გამორჩეულიყო. ერთი კვირის შემდეგ კი ოქსანა ახალი ვარდისფერი კაბით მოვიდა სამსახურში, თან ძალიან ლამაზი, ოქროცურვილი გრძელი საყურე ეკეთა, ხელოვნების ნამდვილი ნიმუში.

– რაღაც ამბავია შენს თავს, ვიღაცას ეკეკლუცები! – ღიმილით დაუქნია თითი პელომ.

– რას ამბობთ, დეიდა პელო! ქალი დავბერდი, მალე ოცდაათს მივუკაკუნებ, რაღა დროს ჩემი კეკლუცობაა! – გაიცინა ოქსანამაც; ძალიან ცდილობდა, ქალებს არ შეემჩნიათ, როგორ წამოწითლდა სახეზე და საჩქაროდ საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა: – ეს კაბა დედაჩემმა მომცა, ჯვარი ამით დაიწერა, როგორია?

— გადასარევია, გადასარევი! — შემოერტყნენ ქალები გარშემო.

— ასეთ კაბას ახლა სად ნახავ, — თქვა მაკამ, — მთელ თბილისში მარტო შენ გაცვია ალბათ.

— აბა, გოგო, ასეთი კაბის ჩაცმას აქვს გემო, თორემ მოდას აყოლილებს რომ ვუყურებ, ცუდად ვხდები — ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილებივით ჰგვანან ერთმანეთს, — გამოეხმაურა ლენა — წითური, გამხდარი ტარანივით, რომელსაც თვით კი იმხანად მეტად მოდური ქურთუკი ეცვა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ინსტიტუტის ქალების ნახევარმა რადაცნაირად მოახერხა და ახალი ვარდისფერი კაბით იწონებდა თავს, თან საყურეც ოქსანასნაირი ეკეთა.

ქალები კი ოქსანაზე ჭორაობას გადაჰყვნენ. საერთო აზრით, ოქსანა ბატონ გიორგის "უმიზნებდა". ლენამ ოქსანას შეაპარა ვითომ ხუმრობით:

— გოგო, სულ რომ გიორგის კაბინეტში ზიხარ, თვალში "მაზოლი" გაუჩინე, არ გეშინია, რომ შეგიყვაროს? ხომ იცი, არ არის თავისუფალი, თან მაგის ცოლი ისეთი ავია, ჯაჭვით არის დასაბმელი!

ამჯერად ოქსანამ გაბრაზება ვერ დაფარა, თქმით კი მაინც არაფერი უთქვამს, მაშინვე გავიდა "საჭორაო" ოთახიდან.

— ერთი უყურე მაგ ქვეშქვეშას! — ვითომ გაიკვირვა ნუნუმ, — რა მაგის შესაფერისია ოცი წლით უფროსი, თითქმის ორმოცდაათი წლის კაცი, თანაც ცოლშვილიანი!

— გიორგი მალე პაპაც გახდება! — თქვა პელომ, — მშვენიერი ცოლიც ჰყავს, სავსე მთვარეს ჰგავს.

— კაი ერთი! — არ დაეთანხმა მაკა. — რას ჰგავს მისი ქმარი, გინდ ყოლია მასეთი ცოლი და გინდ — არა. ვერ ხედავ, დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე და უფრო გვიანობამდეც სამსახურში ზის, კარგი ცოლის პატრონი იზამდა ამას?

— არც ოქსანა მიდის შინ მასზე ადრე! — დაამატა ნუნუმ.

— გიორგი გაცინებული, რა ხანია, აღარ მინახავს, — ჩაერთო ლაპარაკში ლამარაც (ის სხვა ლაბორატორიაში მუშაობს, მაგრამ საჭორაოდ ხშირად ესტუმრება ხოლმე ამ ოთახს). — მე გიორგიზე ორი წლით ადრე, ოცდაექვსი წლის წინ მოვედი ინსტიტუტში სამუშაოდ, კარგად მახსოვს, რა ხალისიანი, ხუმარა ბიჭი იყო.

— საინტერესოა, გიორგი თუ ამჩნევს რამეს? — იკითხა პელომ.

— რა უნდა შეამჩნიოს, ჩაურგია ცხვირი თავის ცდებში და ანგარიშებში, ჭამაც არ ახსოვს კაცს, — თქვა მაკამ. — ოქსანა შუადღეზე ყავას რომ არ ასმევდეს, აქამდე ფეხებს გაფშიკავდა.

— ი-იჰ, მაკა, გენაცვალე, ცუდად იცნობ თურმე კაცებს, — ნიშნის მოგებით უპასუხა ლამარამ, — კაცი და ძაღლი ერთია!

— რა ვიცი, ჩემი შეხედულებით, მათ შორის რომ რამე იყოს, გიორგისაც შეეტყობოდა, ასე არ არის? — თქვა ნუნუმ. — ცოტა გახალისდებოდა კაცი, შეიცვლებოდა.

კიდევ დიდხანს ლაყბობდნენ ქალები, სამუშაო საათების დამთავრებაც კი გამორჩათ და შინ წასვლა დაუგვიანდათ.

ერთ დღეს ბატონმა გიორგიმ შეკრიბა ხელქვეითნი — ათამდე ქალი და ორი მამაკაცი — და გამოუცხადა მათ, რომ ორშაბათს მიემგზავრებოდა ზესტაფონში ერთი კვირით. კაცებს აქ უტოვებდა სამუშაოს მეორე, პარალელურ თემაზე, მას კი ერთი-ორი ქიმიკოსი ქალი ესაჭიროებოდა იქ ნიმუშების მოსამზადებლად, ასაწონად, წინასწარი ექსპრეს-ანალიზების ჩასატარებლად. ქალები გაიტრუნნენ, წასვლა არავის უნდოდა. ბატონმა გიორგიმ დააზუსტა, რომ ორი ან მაქსიმუმ სამი დღის შემდეგ დამხმარეს თბილისში გამოუშვებდა... ყოველ ქალს ცალკე მიმართა, მაგრამ მსურველი არც ახლა გამოჩნდა: ვინ ბავშვების მიტოვების შეუძლებლობა მოიმიზეზა, ვინ — მოხუცი მშობლები, ვინ — შეუძლოდ ყოფნა... მხოლოდ ოქსანასთვის არ შეუთავაზებია, წაჰყოლოდა და ეს გარემოება არ გამოჰპარვიათ ქალებს — ზოგი რატომღაც გაღიზიანდა კიდეც: რა წითელი კოჭია ოქსანა, მერე რა, რომ დედამისი ავადმყოფობსო.

ორშაბათ დილით ბატონი გიორგი ერთი საათით მივიდა სამსახურში, არავისთვის არაფერი უთქვამს, მოაგვარა თავისი საქმეები, ორი გატენილი საქაღალდე ჩადო პორტფელში და წავიდა.

საღამოს, ზუგდიდის მატარებლის გასვლამდე ცოტა ხნით ადრე მისულმა, ვაგონში თავისი კუპეს კარი გამოაღო და გაშტერდა — იქ ფანჯარასთან ოქსანა იჯდა და გიორგის უყურებდა.

ერთხანს გიორგი ვერაფერს ხედავდა მასზე მიჩერებული უზარმაზარი მომწვანო-ნაცრისფერი მშვენიერი თვალების გარდა...

მისალმების შემდეგ გიორგიც ფანჯარასთან დაჯდა ოქსანას პირისპირ.

ისე იყო აღელვებული, აღარ იცოდა, რა ექნა, რა ელაპარაკა.

— რაც საჭიროა ანალიზისთვის, ყველაფერი წამოიღეთ?

როცა ოქსანამ დასტურის ნიშნად უსიტყვოდ დაუქნია თავი, გიორგიმ ინსტიქტურად წაიღო ხელი ჯიბისკენ და სიგარეტის კოლოფი ამოიღო, მერე წამოდგა, ბოდიში მოიხადა და კუპედან გავიდა.

დერეფანში ღია ფანჯარასთან სიგარეტს მოუკიდა. ფანჯარაში იცქირებოდა, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა. ზედიზედ რამდენჯერმე ღრმა ნაფაზი დაარტყა.

მატარებელი დაიძრა, აჩოჩქოლდა ხალხი ბაქანზე. გიორგი ყოველივე ამას მექანიკურად აღიქვამდა, მთელი მისი აზრები მიმართული იყო კუპეში მყოფი ოქსანასკენ... მას ელოდება?.. თუ... მაშ, რატომ არის ახლა იქ?..

გიორგი რაღაცის მოლოდინშია, რაღაცის ძალიან დიდის, უზარმაზარის და თითქოს უხარია კიდეც და შეფიქრიანებულიც არის – ეყოფა კი ძალა ეს ახალი, ჯერაც აუწონავი ტვირთი ზიდოს? ის ხომ უკვე არც ისე ახალგაზრდაა... რომელი ახალგაზრდა – თითქმის სულ მთლად გაჭაღარავებული, ორმოცდაათს მიტანებული, ცხოვრებით საკმაოდ დაღლილი კაცია...

ხმაურით იღება კუპეს კარი, გამოდის ოქსანა და გიორგის გვერდით დგება. თითქოს მაღალი ქალია და როცა გვერდიდან ახედა კაცს, თურმე ნიკაპამდე თუ წვდება...

ასე ახლოს ერთმანეთთან არასდროს მდგარან. ერთხანს ჩუმად არიან, მერე ოქსანა ერთს კიდევ ახედავს და ეუბნება:

– თუ შეიძლება, ერთი მომაწევინეთ...

გიორგიმ იცის, რომ ოქსანა არ ეწევა, მაინც უსიტყვოდ იღებს პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს და აწვდის.

– არა, არა, ბევრი კი არ მინდა...

ოქსანა მისწვდა და გიორგის პირიდან გამოიღო სიგარეტი, მოუხერხებლად დაიჭირა თითებშუა და მოქაჩა... იმ წამსვე სული შეუგუბდა, სასწრაფოდ მოისროლა სიგარეტი, მოიხარა, ხველით დაოსდა...

გიორგი ისედაც დაბნეული იყო, ახლა აღარ იცოდა, რა ექნა. ჯერ გაუბედავად უტყაპუნებდა ზურგზე ხელისგულს, მერე კი, როცა აცრემლებულმა ოქსანამ ცოტა სული მოითქვა და წელში გაიმართა, ხელი მზრუნველად მოხვია და ჰკითხა, წყალი ხომ არ მოგიტანოო. ოქსანამ უარის ნიშნად თავი გააქნია და გიორგის მიეხუტა, თავი მის მკერდში ჩარგო...

დიდხანს იდგნენ ღია ფანჯარასთან, ქარი სახეში სცემდათ, გრილოდა. გიორგის ხელი მოეხვია ქალისთვის და მათი აჩქარებული გულების ცემა ვაგონის ბორბლების რაკარუკს ეხმიანებოდა.

უცებ გიორგიმ მარცხენა ხელი ჩაიყო პიჯაკის შიგნითა ჯიბეში, სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ფანჯარაში ისროლა:

– ეს ბოლო სიგარეტი იყო, მეტს აღარასდროს მოვწევ!

დაღამებულიყო და ჩაშავებულ მთა-ველებს შორის დროდადრო რომელიღაც სოფლის გამოჭიატებული სინათლეები გარბოდნენ უკან, მერე – თვალს ეფარებოდნენ; მატარებელი კი მიჰქროდა, რომ მალე გაჩირაღდნებული ახალი სოფელი გამოჩენილიყო.

* * *

ესეც ასე – დასრულდა ნოველა!

ამბის გაგრძელება ნამდვილად აღარ ღირს. გთხოვთ, ოფიციალური ნაწილი ამით დამთავრებულად ჩათვალოთ. მე კი იმ მკითხველთათვის გავაგრძელებ, რომლებიც ფანტაზიის უკმარობას უჩივიან. მართალი გითხრათ, მეც მიძნელდება ჩემს გმირებთან განშორება და, ამრიგად, ვაგრძელებ თხრობას. ოღონდ, ერთხელ კიდევ გაფრთხილებთ, რომ, როგორც ითქმის, იქნებ ჩიტი ბდღვნად არ ღირს, იქნებ არც ღირდეს კითხვის გაგრძელება, მოულოდნელი აღარაფერი მოხდება...

ოქსანა და ბატონი გიორგი ორი კვირის შემდეგ გამოჩნდნენ ინსტიტუტში.

ყველას თვალში ეცა, რომ გიორგი ძლიერ შეცვლილიყო. ჯერ ერთი, ახალი, კოხტა კოსტუმი ეცვა; მეორე – საკმაოდ მოიმატა წონაში, რაც ძალიან მოუხდა; მესამეც – არავითარი იწილო-ბიწილო არ დაუწყია, სრულებით არ ფარავდა, რა დამოკიდებულებაც ჰქონდა ოქსანასთან. ერთი ესაა, ლაპარაკსა და მითქმა-მოთქმას რა გამოლევდა.

ცოტა ხანში პარტიული კომიტეტის მდივანმა ბორის გაგანიძემ დაუძახა გიორგის შესახურებლად, ოღონდ რატომღაც ინსტიტუტის დირექტორის დავით ბელტაძის კაბინეტში მიიწვია და იქ შეუტია.

– ჩვენ, გენაცვალე, ვერ მოვითმენთ სოციალისტური მორალის შებღალვას ჩვენს ინსტიტუტში! გადავცემთ შენს საქმეს ამხანაგურ სასამართლოს და ის გადაწყვეტს შენი პასუხისმგებლობის ხასიათს, დიახ!

დავითიც ფრიად კუშტად შესცქეროდა გიორგის, მაგიდასთან მიმჯდარს მუშტები მაგიდაზე დაეწყო, ბორისის სიტყვებს დასტურის ნიშნად მძიმედ უქნევდა თავს. მერე თავისი წილიც არ დაიშურა:

– ბატონო გიორგი, ძალიან გამაკვირვეთ, ასეთ უმსგავსო საქციელზე ჩვენ პასუხს მოგთხოვთ!

გიორგის რეაქცია სრულიად მოულოდნელი იყო მათთვის: რადგან დაჯდომა არ შესთავაზეს, თვით ჩაესვენა სავარძელში, გემრიელად მოკალათდა და, რაც ყველაზე გასაკვირი იყო, გაიღიმა.

– ბატონო ბორია! რადგან მორალზე მიდგა საქმე, მოდით, თქვენი მოღვაწეობაც შევაფასოთ ამ თვალსაზრისით... გავიხსენოთ თუნდაც ის ფრიად მხიარული ეპიზოდი, როცა თქვენ ჩვენი ფილიალის "ინსპექციაზე" იყავით ქუთაისში, იქ თქვენი გენიოსი დისშვილი დასვით გამგედ და შემდეგ ამ ეპოქალური მოვლენის აღსანიშნავად რესტორანშიც მხიარულად გაატარეთ დრო... იქ დატოვებული ორი კბილი, ვგონებ, ჯერაც არ ჩაგისვამთ...

ბორის გაგანიძემ ხმა ვეღარ დაძრა, სამაგიეროდ დირექტორი წამოხტა ფეხზე:

– ახლავე დაწერ განცხადებას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ!

– დიდი სიამოვნებით, შენი ჭირიმე! – დავითსაც გაუღიმა გიორგიმ, აღელვების ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, – ოღონდ ეს მაინტერესებს, ვის გადასცემთ, ვინ გააკეთებს ჩემს თემატიკას? ერთადერთი ჩემი ლაბორატორიის ორი თემაა, წლიდან წლამდე რომ მოგებას და პრემიებს გაძლევთ, რომლის ლომის წილსაც ადმინისტრაცია იტაცებს... ვითომ რა დამსახურებისთვის? ერთადერთი ჩემი თემატიკის შედეგებია, წარმოებაში რომ ინერგება და საკმაოდ დიდი ეკონომიკური ეფექტიც აქვს, დანარჩენები? რომ გატენეთ და ბერავთ და ბერავთ შტატებს, უსაქმური ნათესავ-მეგობრებით წალეკეთ ინსტიტუტი, იმათი იმედი ხომ არ გაქვთ? კი, ბატონო, ხვალვე წავალ აქედან, თანაც ჩემი გაძევების ჭეშმარიტ მიზეზსაც დავწერ განცხადებაში... ნახევარ წელიწადში გაკოტრდებით, თქვენს მშვენიერ მუქთამჭამელების ბუდეს მიხურავენ კიდეც. ერთი გამოსავალი გექნებათ: ბატონო დავით, მეცნიერებათა დოქტორი ბრძანდებით, ჩემი ხშირი თანაავტორი და აწი თქვენ ჩემს გარეშე მოგიწევთ გამოკვლევათა გაგრძელება. წავალ თუ არ წავალ, სულ ერთია – თქვენი და ჩემი გვარები ერთად არცერთ სტატიას, არცერთ ანგარიშს აღარ დაამშვენებს!..

დირექტორი და პარტკომის მდივანი გაშრნენ...

მოკლედ მინდოდა მომეთხრო და არ გამომდის... უნდა გამოვსწორდე.

მაშ ასე: რამდენიმე თვის შემდეგ გიორგი განქორწინდა და... ალბათ მიხვდით, ვისზეც დაქორწინდებოდა. ამ მოვლენას სამწუხარო მოვლენები დაემთხვა: ოქსანას ჯერ მამა გარდაეცვალა, შემდეგ, ორ თვეში, წლის ბოლოს – დედაც...

გავიდა კიდევ ერთი წელი და ოქსანასა და გიორგის ბიჭი შეეძინათ. ამ დროს გიორგის შვილიშვილი – მანანა – უკვე ორი წლის იყო. როცა პატარა ირაკლი წლისა და ხუთი თვის შესრულდა, ოქსანამ ტყუპი ძმა აჩუქა – კახა და ქართლოსი.

ასეა, ბატონებო, – რიგი მიდის, რიგი მოდის "ტურფასა საბაღნაროსა"...

ხომ იდილიური დასასრულია?

ცხოვრებაში ასეც ხდება და შემინდეთ, თუკი ჩემს თხრობაში რაიმე შევცოდე...

1985-1992

წიგნი X.
პირველი თოვლი
(ძველი რვეულიდან)

წუთისოფელი

ბრუნავს წუთისოფლის წისქვილის დოლაბი!
ფქვავს და ფქვავს დაუსრულებლად –
დიდსაც და პატარასაც,
მდიდარსაც და უქონელსაც,
ჯანმრთელსაც და ავადმყოფსაც...
ტრიალებს წუთისოფლის დოლაბი,
კაცი რა არის მისთვის, –
სახელმწიფოებსაც კი დაფქვავს ზოგჯერ,
ისე წვრილად ჩამოფქვავს,
რომ მათგან ისტორიის სახელმძღვანელოებში
ხსენებაღა თუ რჩება,
ან გაცრეცილი ეტრატები
და გაცვეთილი ქვები
მუზეუმთა ვიტრინებში...
დაუღლელად ბრუნავს წუთისოფლის დოლაბი –
ფქვავს და ფქვავს, ფქვავს და ფქვავს...

1992

საზღვაო დესანტი

მამაჩემის, ბესარიონ ომაძის, ხსოვნას

უკუნი ღამეა.

ჩრდილოეთის ცივი ქარი ფარნაოზს ძვალ-რბილში უვლის. რამდენჯერმე სცადა, უფრო მოხერხებულად მოეფარებინა ფარაჯის ზემოდან მოგდებული ბრეზენტის მოსასხამი, მაგრამ ზურგჩანთა უშლიდა ხელს, თან სივიწროვეში წესიერად ვერც მობრუნდებოდი. მოტობოტს ნავმისადგომიდან გასვლისას სულ ბოლო წამს კიდევ თხუთმეტი მებრძოლი დაუმატეს, იგი მეტისმეტად გადატვირთულია, ღრმად ზის წყალში და გაშმაგებული ტალღები ადვილად გადმოევლებიან ხოლმე ბორტს.

ყოველი კუნჭული სიცივისგან მობუზული ადამიანებითაა გატენილი – ლაპარაკის ხალისი არავის აქვს. ასეთ ამინდში გემები ჩვეულებრივ მყუდრო ნავსაყუდელში იცდიან. მოწინააღმდეგე ალბათ არ მოელის ამ შფოთიან ღამეს დესანტის გადასხმას.

მოტობოტი მთის მდინარეში მოხვედრილი ნაფოტივით თამაშობს ტალღებზე. ძლივს ისმის სიბნელეში უხილავი ჯავსნოსანი კატარღის ძრავების გუგუნი, რომელსაც მოტობოტი ბუქსირით მიჰყავს. საოცარია, ფარნაოზს სულ იმის ფიქრი ტანჯავდა, ზღვის ავადმყოფობა არ მომეძალოსო, ახლა კი ყოველგვარი შიში გაუქრა, უკიდურესი ნერვიული დაძაბულობა დაეუფლა. სურს წარმოიდგინოს, როგორი იქნება დესანტის პირველი წუთები, თუ მივა ნაპირამდე? იქამდე მაინც მიაღწიოს ცოცხალმა, მიწაზე ფეხი დაადგას...

სად შეხვდება ახალ წელს?.. შეხვდება კი?.. დღეს ოცდაშვიდი დეკემბერია, არა – უკვე ოცდარვა... სამი დღეღა დარჩა, მხოლოდ სამი დღე-ღამე... ნეტა მის პატარებს საახალწლო ნაძვის ხე თუ

უდგათ, ნატომ თუ მოახერხა? ალბათ ცელქობენ მანანა და კატო, ნაძვის ხეზე ჩამოკონწიალებულ კანფეტებს ხარბად შესცქერიან... თუმცა ახლა შუადამეს გადაცილებულია, დიდი ხანია, სძინავთ... სძინავთ მის ქალიშვილებს და წარმოდგენაც არ აქვთ, სად არის ახლა მათი მამიკო, როგორ კანკალებს სიცივისგან, ცდილობს, არ გაინძრეს, რათა როგორმე მცირე სითბო მაინც შეინარჩუნოს...

მკვეთრი ბრძანება ისმის. დაფაცურდნენ მებრძოლები – ქუდებით, ჭურჭლეულით ამოხაპავენ ყინულივით ცივ წყალს მოტობოტის ფსკერიდან. ბოლო არ უჩანს კატორღულ სამუშაოს. ბორტზე მოხეთქებული ყოველი ტალღა კი წყლისა და მსუსხავი შხეფების ახალ ულუფას შეაფრქვევს ადამიანების გაქვავებულ სახეებს, სველ ფარაჯებსა და მოსასხამებს...

როგორც იქნა, ფარნაოზმა ისევ შედო გათოშილი ხელის მტევანი ფარაჯის ჯიბეში. რად ღირს ახლა ღუღუნა ღუმელთან ხელების მიფიცხება... ცხელი ხაჭაპური... ისეთი, ჯარში წასვლის წინ რომ გამოუცხო სიდედრმა; თან ეუბნებოდა: შე კაცო, მაცალე, ხაჭაპური ჯერ უმია, ათი წუთი როგორ არ შეგიძლია, მოიცადო; თუ გეშინია, ომი უშენოდ დამთავრდებაო... ფარნაოზს მოუთმენლობა იპყრობდა, რამდენიმე წუთსაც რა გააჩერებდა და მერე კი სადგურში სამი საათი უცდიდა მატარებელს.

თითქოს მთელი საუკუნე გავიდა იმ დღიდან... ის კი არა და, თითქოს რამდენიმე საათის წინ კი არ ჩასხდნენ მოტობოტში – წელიწადივით გაიწელა ცივი და ბნელი ღამე... ნუთუ გუშინ იყო, რომ სახელდახელოდ ყაზარმად გადაკეთებულ ფიცრულში წერდა წერილს მეუღლეს: შენ რომ მეჩიჩინებოდი, ნუ ამოგვახრჩე მაგ ბოლითო, შევასრულე შენი თხოვნა, დავანებე თუთუნის წევას თავიო...

ფარნაოზმა ამოიოხრა და მაზარის შიგნითა ჯიბეში ჩაიყო ხელი, ჩვეულ ადგილზე წეკოიანი ტილოს პარკუჭი და გაზეთის ნახევი მოაფათურა – კიდევ კარგი, არ დასველებულა. მოტობოტზე მოწევა აკრძალული იყო, მაგრამ მარჯვენა მხრიდან მომავალი სახელოში მოხერხებულად დამალული პაპიროსის სურნელოვანი ბოლი უღიზიანებდა ყნოსვას. ფარნაოზმა მეზობელს იდაყვი გაჰკრა, მისგან თვითონაც მოუკიდა მალულად და მწარე კვამლი ხარბად ჩაისუნთქა.

რა კარგია, როცა გვერდით ამდენ ამხანაგს, თანამებრძოლს ხედავს, ბევრთან უკვე მოასწრო დამეგობრება და საერთო ბედი და საერთო მისწრაფება აკავშირებს... და ამის გაფიქრება სულიერ დაძაბულობას უმსუბუქებს, იმედს მატებს – ის მარტო არ არის... დესანტზე ფიქრს მაინც ვერ იშორებს, აკვიატებული წინათგრძნობა არ ასვენებს – თუ ნაპირზე მოვასწარი ფეხის დადგმა, მერე არაფერი მიჭირს, ნეტა მიწას მშვიდობიანად მივაღწევდეო. როგორია ზღვა ახლა? სიბნელეში თითქმის არაფერი მოჩანს, ისმის მხოლოდ ჯავსნოსანი კატარღის ძრავის ყრუ ხმაური, ტალღების შფოთვა, ქარის წუილი... და ჭრიალი, ფსკერზე წყლის ტყლაშუნი – მოტობოტი საშინლად ირწევა. დროდადრო თითქოს შეგიძლია გაარჩიო (თუ გეჩვენება მზერის დაძაბულობისგან): აზვირთებული შავი ტალღის თხემზე თეთრი ქაფი ცივად დუღდება, ქარიშხლის გამთოშავი სუნთქვა ჰაერში აიტაცებს, წყლის ყინულოვან მტვერს დაატრიალებს, სადესანტო გემს შეაფრქვევს... წყალი თანდათან მატულობს; ვისაც რით შეუძლია, ისევ ცდილობს, ამოხაპოს წყალი და ზღვას დაუბრუნოს.

ზეციდან ავის მომასწავებელი ბზუილი გამოიკვეთა. ყველამ ყურები დაცქვიტა – სადესანტო ქარავანს მტრის მოდარაჯე თვითმფრინავები უახლოვდებიან. სიბნელეც ვერ გამოდგა საიმედო საფარი – პატარა პარაშუტებზე დაკიდებული შუშხუნები ნელა მოსრიალებენ ქვევით; მათ ცივ შუქზე გამოჩნდა შტორმისგან მბორგავი ზღვის ზედაპირი, ათობით მანამდე უჩინარი დიდ-პატარა გემი. მალე მზვერავ თვითმფრინავებს ბომბდამშენები ცვლიან – ტალღების ჯოჯოხეთურ თამაშს თეთრად წინწკლავს აფეთქებათა შადრევნები. შუშხუნების არაბუნებრივი ნათელი სისხლს გიყინავს, გამაყრუებელი გრუხუნისგან ტანში გაზრიალებს; პირს აღებ, რომ არ დაყრუვდე...

მოტობოტი მოეხსნა კატარღის ბუქსირს და საკუთარი ძრავები ჩართო – დაბომბვისგან თავდასაცავად მანევრირება დაიწყო. ფარნაოზი მოიხარა, კიდევ უფრო მოიკუნტა, კიდევ უფრო... შიში დაეუფლა – საზარელი, დამამცირებელი შიში... გინდა, სადმე შეძვრე, შეიმალო, მუჭის ტოლად დაპატარავდე; გარშემო კი ზღვაა და ამ უზარმაზარ გუბეში ერთი ბეწო ნაფოტი ირწევა ტალღებზე უსასოოდ – მოტობოტი, რომელსაც არ იცი, რა წამს ესტუმრება სიკვდილი. გადატვირთული მოტობოტიც რა მძიმედ, მოუხეშავად უხვევს ერთი კურსიდან მეორეზე – უნებურად კუნთებს ძაბავ, თითქოს ამით რაიმეთი მაინც დაეხმარები, უშველი შენს თავსაც... და ბრაზით გევსება გული მოწინააღმდეგის თვითმფრინავებზე – მაღლით დაგტრიალებენ თავს და მეთოდურად გზავნიან ქვევით ბომბებს – სიკვდილის მოციქულებს... სამაგიერო მიუზღო კი არ შეგწევს ძალა, იმასაც კი ვერ ხედავ, სად არიან... და მისდა უნებურად ფარნაოზი წამოიმართა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მერყევ გემბანზე ბორტისკენ, სადაც უფრო ხალვათობა იყო. კარგად ვერც კი გაიაზრა რამ უბიძგა – უძლურებით გამოწვეულმა გაშმაგებამ, თუ უნდოდა, საკუთარი თავისთვის და ამხანაგებისთვის, ან მტრისთვისაც კი, უშიშრობა ეჩვენებინა, – რომ გაისმა გაბრაზებული ზემდეგის ხრინწიანი ყვირილი:

– ეი, შენ, სიცოცხლე მოგბეზრდა?!. მოტობოტს გადააბრუნებ! – ამ სიტყვებს მოჰყვა ძარღვიანი გინება და: – ნამსხვრევებს მაინც მოერიდე!

აფეთქებები თანდათან გაიშვიათდა, შუშხუნებიც ჩაიფერფლა; კვლავ წყვდიადი გამეფდა. ფარნაოზმა ღრმად ჩაისუნთქა და ისევ იგრძნო სიცივე. რატომღაც გაახსენდა მოტობოტში ჩასხდომის წინ ნახული – ნავმისადგომთან სანახევროდ ჩაძირული ჩვენი სადარაჯო კატარღა, უფრო სწორად, წყლიდან ამოშვერილი ტყვიამფრქვევები... მის ეკიპაჟს შედარებით გაუღიმა ბედმა: კატარღას ჭურვი ნაპირთან მოხვდა და ისიც დღისით...

იმ ბედნიერ დროს, როცა შეეძლო გაკვეთილების ჩატარების შემდეგ თავისი საყვარელი გეოგრაფიული წიგნების კითხვაში ჩაფლულიყო, მანანასა და კატოსთან ეთამაშა, უშფოთველად ეცქირა მიწის სიმწვანისთვის და ცის სილურჯეში მოხეტიალე ღრუბლებისთვის, ხანდახან როგორი სიმძაფრით მოუვლიდა სურვილი – სწვეოდა უცნობ ქვეყნებს, რომლებზეც ასე ფერადოვნად და გატაცებით უამბობდა მოსწავლეებს... განსაკუთრებით ზღვით მოგზაურობა იზიდავდა. ყოველდღიურად ცდილობდა, დაერწმუნებინა მოსწავლეები, რომ ადამიანმა უნდა აღიქვას სამყარო, ცხოვრება მთელი მისი სირთულითა და სისრულით, არ გამორჩეს აგრეთვე ფილოსოფიური, ზოგადსაკაცობრიო ასპექტიც... თუმცა, გრძნობდა – მოსწავლეები ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ არ ესმოდათ მისი... ალბათ ამისთვის საჭირო იყო ცხოვრებისეული გამოცდილება... აი, მას ომებზე ხომ რამდენი რამ წაუკითხავს და სწორედ ახლა შეუძლია, წარმოიდგინოს ნათლად მათი გავლენა თითოეული ადამიანისა და ამავე დროს მთელი ქვეყნის ბედზე. დესანტის წინა დღეებში განსაკუთრებით ბევრს ფიქრობდა, ზოგჯერ სხვებთანაც საუბრობდა ოჯახზე, საკუთარ თავზე, მომავალზე და ყოველ სიტყვას, აზრს ღრმად განიცდიდა...

უცებ პროჟექტორის კაშკაშა სხივმა ზღვის ზედაპირზე გაისრიალა და გემებზე შეჩერდა. დამაბრმავებელი შუქი და სანაპირო არტილერიის იმ წამსვე გახსნილი ცეცხლი მოასწავებდა, რომ სადესანტო ქარავანი აღმოაჩინეს.

მოტობოტის ორმოცდახუთმილიმეტრიანი ყალიბის ქვემეხი დანარჩენი გემების არცთუ მძლავრ საარტილერიო პასუხს უერთდება. მოწინააღმდეგე მანათობელ ჭურვებს ისვრის, ცა შუშხუნებმა დახაზეს. მათ შუქზე მაღალი, ციცაბო ნაპირი თანდათან ახლოვდება. მოტობოტმა ჩაუარა მოწინავე აყირავებულ გემს – წყლის მოლიცლიცე ზედაპირზე ტივტივებს დაღუპულ მედესანტეთა ქუდები. რამდენიმე კაცი ცურავს შავ წყალში, ალბათ შველას ითხოვენ, მაგრამ მათი ყვირილი აფეთქებათა გრიგალით იფარება. მოტობოტი ნაპირისკენ ჯიუტად მიიწევს... ერთი ყუმბარა ზედ ბორტთან აფეთქდა, მეორე კიჩოს მოხვდა... ავარდა ალი, შენელებულმა მოტობოტმა სვლის მიმართულება იცვალა – ცალი ძრავი მწყობრიდან გამოვიდა. დაჭრილი მესაჭის შემცვლელმა ისევ ნაპირისკენ მიმართა მოტობოტის სვლა – გემთა საპასუხო ცეცხლით ნაპირზე ალმოდებული ნაგებობები კარგ ორიენტირად გამოდგნენ. მოტობოტების ქვემეხთა ბათქებს მალე დაზგის ტყვიამფრქვევების კაკანიც უერთდება.

ფარნაოზის მოტობოტი მიიჭრა ნაპირთან. სხვა მედესანტეებთან ერთად ფარნაოზიც მკერდამდე წყალში გადაეშვა; მებრძოლებს ავტომატები და შაშხანები მაღლა ამართულ ხელებში უჭირავთ, ნაპირისკენ მიისწრაფვიან. პროჟექტორებით განათებულ წყლის ზედაპირს აფეთქებები და ტყვიების წვიმა ადუღებს. მოტობოტიდან ქვემეხი და დაზგის ტყვიამფრქვევები თვალის დახამხამებაში გადაიტანეს ნაპირზე...

დეკემბრის უყმური დილა ნელა თენდება. ნაპირი დაბალი და ქვიშიანი აღმოჩნდა, შემდეგ მოჩანს მეთევზეთა დაბის თეთრი სახურავები; სამასიოდე მეტრის იქით იწყება მაღალი ფლატე, რომელიც გემიდან შუშხუნების შუქზე ზედ ნაპირთან მომდგარი ჩანდა.

ჯოჯოხეთური ცეცხლია. მებრძოლები უფრო ალღოთი ასრულებენ მეთაურთა მოთხოვნებს, ვიდრე გარკვევით არჩევდნენ ბრძანებათა სიტყვებს. ერთხანს უძრავად წვანან ქვიშაზე, სანამ მესანგრეები დიდი მაკრატლებით სასწრაფოდ აკეთებენ გასასვლელებს მავთულხლართებში, შემდეგ ნაწილი მედესანტეებისა პირისპირ მათ წინ ორმოციოდე მეტრში აღმართული საცეცხლე წერტის ჩასახშობად მიიწევს, სხვები – მოწინააღმდეგის პროჟექტორებისა და ქვემეხების შესამუსრავად.

საცეცხლე წერტის ამბრაზურაში ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები ცვივა. დაზგის ტყვიამფრქვევი ჩააჩუმეს, მაგრამ ორი ავტომატი ისევ კაკანებს. ფარნაოზი ხან მოკლე გადარბენებით მიიწევს წინ, ხან წვება, მიწას მჭიდროდ ეხუტება სხვებივით: ზოგნი სამარადჟამოდ უძრავნი გახდნენ... ისმის ხელყუმბარების აფეთქებათა ხმა, მოწინააღმდეგის მეავტომატეებიც ჩააჩუმეს. მედესანტეები წამოიშალნენ, ისევ სროლით მიილტვიან წინ და მალე მოახერხეს ყოფილ მეთევზეთა დაბაში შეჭრა... ფოთოლგაძარცულ ხეებს და შენობათა კედლებს ეფარებიან. თანამებრძოლთა "ვაშას" ფარნაოზის ყიჟინაც უერთდება. სახლთა სახურავებიდან, ფანჯრებიდან, სარდაფებიდან ჩასაფრებული მოწინააღმდეგე ისვრის. ყოველ წამს ფარნაოზის მთელი ყურადღება, ძალა, მოხერხება მიმართულია კერძო მტრისადმი: აი, ახლა რომ გვერდზე გადახრა არ მოესწრო, ეს ახმახი მეავტომატე მთელ ჯერს დაანთხევდა მას მკერდზე; საპასუხო გასროლას ვერ ასწრებ და კონდახით უმასპინძლდები; გარემოება ელვისებურად იცვლება და თუ კონდახი ან ტყვია ძნელად მისწვდება, ხელყუმბარას სტყორცნი...

— წინ, სიმაღლეებისკენ!

მოწინააღმდეგისგან დაბის მთლიანად გასაწმენდად დრო არ არის. საცეცხლე წერტების პირველ, ყველაზე საშიშ სანაპირო ხაზს უკვე შემოუარეს და დაბის შემდეგ ამართულ სიმაღლეებს ეკვეთნენ.

აქაც ფიქრის დრო აღარ რჩება: ისვრი, წვები, მირბიხარ, ღრიალებ, თანამებრძოლის მხარდაჭერას გრძნობ... აჰა, კიდევ სულ ცოტაც და ყორღნის მაგვარ ბორცვზე აკაკანებულ საცეცხლე წერტს ხელყუმბარით მისწვდები...

წამიერმა მწვავე ტკივილმა თითქოს გაფატრა ფარნაოზი, სუნთქვა შეეკრა; შემდეგ აღარ უგრძნია, როგორ მოწყვეტით დაენარცხა გარუჯული, გამხმარი ბალახით დაფარულ ღორღიან მიწას...

ირგვლივ ყველაფერი გუგუნებდა.

აღარ ესმოდა, როგორ მოასკდა ნაპირს მედესანტეთა ახალი ტალღა და მათმა "ვაშამ" ყრუ გრიალით გადაიარა დაბა, შემდეგ მისწვდა სიმაღლეებსაც, დაიპყრო ციცაბოფერდიანი გორაკები.

ვეღარ ხედავდა, როგორ შეესია სიმაღლეებს სველფარაჯიანთა ახალი ასეულები, როგორ გააქციეს მოწინააღმდეგის მანქანებით გადმოსროლილი მარქაფი, შემდეგ უკუაგდეს ტანკების კონტრშეტევაც.

ვეღარ გრძნობდა ვეღარც გამარჯვების სიხარულს, ვეღარც თანამებრძოლთა დაკარგვის ნაღველს, ვეღარც მძიმე შრომით გამოწვეულ დაღლილობას.

ის იწვა მიწაზე, რომელიც გუგუნებდა, ცოცხალივით თრთოდა და მკვდარივით ცივი იყო.

1967

მამა

I.

ახლა მე ყველაფერს ბებიას ვაბრალებ: შენ რომ არ მოგნდომებოდა მაშინ ღვინო, მე არ მექნებოდა ასეთი რთული ამოცანა გადასაჭრელი-მეთქი; მე ხომ ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისა ვარ და თექვსმეტისა მხოლოდ ზაფხულში გავხდები. ბებია კი ამბობს, ის მაინც შეგხვდებოდა, მაშინ თუ არა — შემდეგო. გულის სიღრმეში მეც ვგრძნობ ამას, მაგრამ ბებიას მაინც არ ვეთანხმები. ტყუილად კი არ მეუბნება ხოლმე ბაბუა: დედაშენივით ჯინიანი ხარო. ეჰ, ნეტავი მაშინ გავჟინიანებულიყავი და არ წავსულიყავი ღვინის მოსატანად!

ყველგან რა ფაციფუცია ახალი წლის წინადღეს! ჩვენთან კი, მართალი გითხრათ, მაგის მსგავსი არაფერი ყოფილა. ბებიამ მხოლოდ ერთი უბრალო ნამცხვარი გამოაცხო და ცოტა გოზინაყიც გააკეთა, ეს იყო სულ ჩვენი სამზადისი. უფრო სწორედ, ბებიას სამზადისი: ჩვენს დახმარებაზე უარი განაცხადა — ხელს უფრო შემიშლითო. როგორც ადვილად მიხვდებით, არც მე და არც ბაბუას მაინცდამაინც არ გვწყენია. სწორედ მაშინ, როცა ორივენი ნარდის ოცდამეცხრე ხელს ვამთავრებდით, ბებიას გაახსენდა: არიქა, გუცა, სანამ მაღაზია არ დაკეტილა, ორი ბოთლი მანეთიანი ღვინო მოარბენინეო. საშინლად მეზარებოდა, მაგრამ რა მექნა — როგორ იტყვიან, გავფრინდი მაღაზიისკენ, თან იმით ვინუგეშე თავი, მაღაზია აქვე ქუჩის კუთხეშია და პალტოს ჩაცმაც კი არ დამჭირდებოდა.

გაქანებულმა შევაღე მაღაზიის კარები და მაშინვე მეცა ცხვირში ლუდისა და თამბაქოს სუნი. ვიწრო მაღაზია თითქმის გაჭედილი იყო ხალხით. საერთოდ, აქ იყიდება ხილიც, ბოსტნეულიც, ლიმონათიც, კონსერვებიც და კიდევ ათასი რამ; ბევრს უმთავრესად კასრის ლუდი იზიდავს და საღამოობით ახლომახლო მცხოვრები მამაკაცებისთვის კლუბის მაგივრობას სწევს (მათ შორის — ბაბუაჩემისთვისაც). როგორც იქნა, დახლამდე მივაღწიე და საკმაოდ ჭუჭყიან თეთრ ხალათში გამოწყობილი ძია გუცა დავინახე.

— ო, სეხნიას გაუმარჯოს! — ღიმილით დამიქნია თავი. სხვა დროსაც ასე მესალმება ხოლმე, თითქოს ყოველ მისვლაზე ხურდის დაბრუნებაში არ მატყუებდეს. მე ბოთლები დავუდგი წინ:

— ბებიამ გთხოვათ ორი ბოთლი მანეთიანი ღვინო... — და სამმანეთიანი გავუწოდე. ძია გუცამ მომცა ღვინიანი ბოთლები და მანეთი ხურდა. კიდევ მერგებოდა აბაზი, რადგან ღვინოს მანეთიანს კი უწოდებდნენ, მაგრამ სინამდვილეში ოთხმოცდაათი კაპიკი ღირდა. ბებიამ გამაფრთხილა, აბაზიც გამოართვიო, რადგან ჩემი ამბავიც იცოდა და ბიძია გუცასიც: არც ის მომცემდა სრულად ხურდას და არც მე მოვთხოვდი — საშინლად მეუხერხულება ხოლმე ხურდის მოთხოვნა საერთოდ... ერთხანს შევიცადე, იქნებ თვითონ ძია გუცამ ინამუსოს და მომცეს აბაზი-მეთქი, შემდეგ კი ვჭოჭმანობდი: ვუთხრა, ხურდა დამიბრუნოს, თუ არა?

ასეთ ყოფაში ვარ, როცა უცებ მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი.

– იცი, ვინ ვარ მე? – მკითხა ვიღაც კაცმა; გასწი-გამოსწია ხალხი და ჩემს გვერდით მოკალათდა სივიწროვეში.

მოულოდნელობისგან შევკრთი. დაბნეულად ავიღე ბოთლები ხელში.

– იცი, ვინ ვარ? – გაიმეორა მან.

მე უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე. ისე კი რაღაც ძლიერ ნაცნობი სახე ჰქონდა, ოღონდ ხმა მეუცხოვა. ცოტა გადამიარა შიშმა და უფრო ყურადღებით დავაკვირდი. საკმაოდ ახალგაზრდულ სახეს ჭაღარაგარეული ულვაშები რაღაც არ შეესაბამებოდნენ. ყველაზე უფრო მისმა თვალებმა გამაკვირვა, უფრო სწორედ, თვალების გამომეტყველებამ. ერთმანეთს პირისპირ შევყურებდით თვალებში, მე შეცბუნებული თავს ვაქნევდი უარყოფის ნიშნად, ის კი რაღაცას ლუღლუღებდა... მე არ ვუსმენდი, იმაზე ვფიქრობდი, როგორმე გარეთ გამეღწია. ალბათ ძალიან უნდოდა, მეცნო, მუდარით შემყურებდა, რაღაცას მეუბნებოდა და მერე უცებ... ატირდა... როგორ მოგეწონებოდათ თქვენ ასეთი გულჩვილი მთვრალი? ალბათ გადაკრულშია-მეთქი, ვიფიქრე, მე კი მთვრალებს ვერ ვიტან (ამიტომ ჩუმად ყოველთვის მიხარია, როცა ბებია უკრძალავს ბაბუას საღამოობით "გუცა გამყიდველთან" წასვლას). ბოთლები ჯერ კიდევ ხელში მეჭირა, გავიხედ-გამოვიხედე, იქნებ ვინმემ მიშველოს-მეთქი. ყველა თავისი საქმიანობით იყო გართული: კაცები სვამდნენ ლუდს, ძლიერ ხმამაღლა ყაყანებდნენ თამბაქოს ბოლში გახვეულები, ძია გუცა მარდად ასხამდა ლუდს კათხებში, სიჩქარით ხეირიანად არც კი რეცხავდა მათ (საკვირველია, ასეთმა წვრილმანმა მიიქცია ამ დროს ჩემი ყურადღება).

რა ვიღონო? ჯიქურ გავიწიე გასასვლელისკენ, საკმაოდ უზრდელად გავარღვიე ხალხი. უცნობი უკნიდან მებღაუჭებოდა, თითქოს ჩემი შეჩერება უნდოდა; ისევ რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ ამ ხმაურში თითქმის არაფერი მესმოდა და არც ვუსმენდი. მივაღწიე კარებამდე, მეორე ბოთლიც მარცხენა ხელში გადავიტანე და მარჯვენათი კარები გამოვაღე. ის წამომეწია, დამწვდა ხელში. მე ძალით გავედი გარეთ და ისიც გამომყვა, შემაჩერა. შემდეგ ჩემთვის მოულოდნელად ისევ ატირდა...

– მე ხომ მამა ვარ შენი, ბიჭო!.. – თითქმის დაიყვირა.

ერთ წამს გაოგნებული გავშეშდი ადგილზე, შემდეგ კი... შემდეგ აღარ მახსოვს, რა მოვიმოქმედე: ვუპასუხე რამ, თუ უსიტყვოდ გამოვტაცე ხელი? მახსოვს მხოლოდ, როგორ გავრბოდი და უკნიდან მესმოდა: "გუცა, გუცა!" შემდეგ სულმოუთქმელად ავირბინე კიბეები და ხმაურით გავაღე სახლის კარი.

– რა ჰქენი, გამოართვი აბაზი?

– მამა მომდევს, ბებია, მამა მომდევს!..

2.

ეს ძალიან სევდიანი ამბავია... მე მგონია, მთელი რომანის დაწერა შეიძლება. სამწუხაროა, არ ვიცი, როგორ იწერება რომანები... იქნებ როდისმე ვისწავლო. მე მხოლოდ ახლა ვიგრძენი ჩემი მდგომარეობა, უფრო სწორედ, ახლა ჩავუფიქრდი, რამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე მე, ბებია, ბაბუა და მამაჩემი. მთელი დღე დავეხეტებოდი ქალაქის ცივ ქუჩებში, კინოშიც ვიყავი ორჯერ და საბოლოოდ ზოოპარკში, ერთ მყუდრო კუთხეში, მივჯექი სკამზე. ყველგან თან მდევდა ფიქრი, ვერსად ვერ გავერთე. თითქოს არც ახალი რამ გამიგია, მთელი ეს ნაღვლიანი ამბავი ხომ დაწვრილებით ვიცოდი ჯერ კიდევ მამაჩემთან შეხვედრამდეც. მართალია, დალაგებულად ჩემთვის არავის მოუყოლია, მაგრამ ოჯახში წლების მანძილზე უფროსების ნალაპარაკევიდან წვრილ-წვრილი ფაქტები ერთი ჯაჭვის რგოლებივით გადაებნენ ერთმანეთს; ასე რომ, თითქმის ყველაფერი იყო ცნობილი ჩემთვის.

მე აქამდე ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს გარეშე ოჯახს გარდახდა ყოველივე; სულ არ მაღელვებდა, რომ სადღაც არსებობდა ადამიანი, რომელიც მამად მეკუთვნოდა... არც არასდროს მიფიქრია იმაზე, როგორია-მეთქი, რას აკეთებს, ან როგორი ხასიათი აქვს... მამაჩემი თითქოს არსებობდა და, ამავე დროს, არც არსებობდა. არ არსებობდა ჩემთვის... და არც ობლობას ვგრძნობდი ჩვენს პატარა ოჯახში ბებიასა და ბაბუასთან ერთად. ახლა კი ამ ერთ-ორ დღეში თითქოს დიდი გავხდი, გავიზარდე... რისთვის მოვიდა, რა უნდოდა ეთქვა ნეტავ მაშინ მაღაზიაში?

იმ საღამოს ბაბუამ ღვინო მეც დამალევინა. დიდხანს ვიდექი ბებიას საწოლთან, სადაც კედელზე ჩამოკიდებულია მამაჩემის სურათი. სურათზე მამაჩემი და დედა იყვნენ ერთად გადაღებულნი. იდგნენ ჩვენი სახლის კიბეზე და იცინოდნენ. რაღაც უცნაურად მომეჩვენა, რომ ისინი ოდესღაც ასე მხიარულად იცინოდნენ, მე კი მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი ქვეყანაზე, რომ ისინი აღარ არიან ერთად... მივხვდი, საიდან მომეჩვენა მამაჩემის სახე ასე ნაცნობი მაშინ მაღაზიაში... დღეში ათჯერ მაინც მიხდება კედელზე ჩამოკიდებული სურათისთვის თვალის შევლება, მაგრამ არასდროს დავკვირვებივარ გულდასმით.

ამ ოციოდე წლის წინ მამაჩემი ჩამოვიდა სოფლიდან უმაღლესში სწავლის გასაგრძელებლად. ბინად ჩვენს მეზობლად, ოთარაშვილებისას ცხოვრობდა. დედაჩემი კი ჩემს ბაბუასა და ბებიასთან ერთად ცხოვრობდა; ორივეს თავიდანვე მოსწონებია ერთმანეთი, მაგრამ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შეუღლებულან, როცა მამაჩემმა ინსტიტუტი დაამთავრა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ მეც დავბადებულვარ. სწორედ მაშინ ჩამოვიდა სოფლიდან მამაჩემის დედა, ჩემი მეორე ბებია – ბაბულია. სულ პირველად, როცა გაიგო შვილის დაქორწინება, თურმე საშინლად გაბრაზდა, უჩემოდ როგორ გაბედა, თვალთ აღარ დამენახოსო... მაგრამ შვილიშვილის დაბადებამ მაინც ჩამოიყვანა თბილისში. მაშინვე თვალში არ მოსვლია დედაჩემი და პირდაპირ, დედაჩემთანვე უთქვამს: "მიტო, შვილო, სოფელში შენთვის კარგი გოგო მყავს შერჩეული და ის უნდა გათხოვინოო". ასეთი ახირებული ქალი ყოფილა თურმე ბაბულია ბებია. მეორედ ჩამოსვლისას ის გოგოც ჩამოიყვანა და შეუჩნდა მამაჩემს, გინდა თუ არა, შენს ცოლს გაეყარე და ეს მეორე ითხოვეო. მამაჩემი დედას დიდ პატივს სცემდა, მაგრამ დედაჩემიც უყვარდა. ყველაზე გასაკვირი სწორედ ეს იყო, რომ უყვარდა და, ბოლოს, მაინც გაეყარა! იმდენი უჩიჩინა, იმდენად არ მოასვენა ბაბულია ბებიამ... მე ამ დროს ის-ის იყო ფეხი უნდა ამედგა... მამაჩემი უკვე ემზადებოდა მეორედ საქორწილოდ, რომ დედაჩემმა ვეღარ გაუძლო ამდენ მღელვარებას, საყვარელი ადამიანის დაკარგვას, ლოგინად ჩავარდა და სამ თვეში გარდაიცვალა. დარდმა მოკლა. ახლა კი გონს მოვიდა მამაჩემი, მაგრამ გვიანღა იყო. ნანობდა, რომ დაჭყვა დედის ახირებულ ნება-სურვილს, სიმტკიცე და უბრალო კაცური თავმოყვარეობა ვერ გამოიჩინა. გაბრაზებულმა, იმ სოფლელი გოგოს შერთვაზე უარი თქვა და ბაბულია ბებიასაც აღარ სცემდა ხმას. წავიდა დონბასში და ათი წელი იმუშავა ქვანახშირის მაღაროში. მე ბებიისა და ბაბუის ხელში გავიზარდე. ამ ხუთიოდე წლის წინ მამაჩემი დაბრუნდა და, როგორც გავიგეთ, მალე ცოლიც შეირთო. ჩვენთან მოსვლას ვერ ბედავდა, თორემ ისე კი ფულით ზოგჯერ ეხმარებოდა მოხუცებს უკრაინაში ყოფნის დროსაც და ჩამოსვლის შემდეგაც. ბაბულია ბებიას უწინდებურად არ ეკარებოდა. ის სოფლიდან ჩამოყვანილი გოგო კი მაშინ თურმე გადაეკიდა ბაბულია ბებიას: რადგან ქალაქში ჩამომიყვანე, უკან აღარ დავბრუნდები, აქ უნდა გამათხოვოო... ჰოდა, შვილის გაბუტვით გულდამწვარ მოხუცს მოუხდა ამ აბეზარა, მის მიერვე ამორჩეული გოგოსთვის საქმრო ეძებნა... ნამდვილად სასაცილოა...

ჰ-ო-ო, გვიან მიხვდა ბაბულია ბებია, რა საქმეც დაატრიალა, მიხვდა და აქამდე გოროზი, მბრძანებელი ქალი მას შემდეგ ვეღარც შვილთან ურთიერთობის გაბმის ცდას ბედავდა, ვეღარც შვილიშვილის ნახვას. ანკი რა მოიყვანდა ჩვენთან...

ვიჯექი ასე სკამზე და რატომღაც ტირილი მომინდა, ცრემლები მომაწვა... არ ვიცი, რა მომივიდა, მაინცდამაინც გულჩვილი არასდროს ვყოფილვარ. მტირალები საშინლად მეჯავრება. ჩვენს კლასშია ერთი ბიჭი, სანდრიკას ეძახიან, სულ ცოტაა საჭირო, რომ აატირო. არც გოგოების რცხვენია, არც – დაცინვის. როგორც კი რაიმე საშიშროებას დაინახავს, მაშინვე ტირილს იწყებს ხოლმე. ის კი არა, თუ გაკვეთილი არ მოუმზადებია და მასწავლებელმა გამოიძახა, მაშინაც ცრემლებს მოიშველიებს. ჩვენს კლასში ბიჭები არც ისე ნაზად ვეპყრობით ერთმანეთს, საერთოდ, სინაზე სისუსტედ მიგვაჩნია.

ახლა კი მეც სანდრიკას ვგავარ, მაგრამ რატომღაც სულ არ მრცხვენია, რაღაცნაირ შვებას და სიამოვნებასაც კი ვგრძნობ. არც გამვლელებს ვაქცევ ყურადღებას, ახლა ისინი უბრალოდ არ არსებობენ ჩემთვის. მიყურონ, რამდენიც უნდათ, გაკვირვებით აქნიონ თავი. აგერ, ვხედავ, მილიციონერიც დაფიქრებული მოაბიჯებს ჩემკენ. არა მგონია, რამით შველა შეეძლოს... ჯობს, დროზე წავიდე აქედან...

3.

გუცა გავუშვით თუ არა კინოში, მამამისიც მოვიდა. ღმერთო ჩემო, როგორ დაბერებულა ამ თორმეტ წელიწადში!.. არა, კი არ დაბერებულა, პირთან ორი ღრმა ნაოჭი და გათეთრებული თმა ათი წლით აბერებს. შევხედე კედელს, სადაც ფოტოში ლიზიკო და მიტო იცინიან, სურათი ხომ ქორწილის დღეს არის გადაღებული... და ვეღარ შევიკავე თავი – ცრემლები წამსკდა... ჩემი ბებერი ადგა და შემომიტია – სტუმარი მოგვიდა, შენ კი მას უხერხულ მდგომარეობაში აგდებო... მაგრამ მე რას მომატყუებს, თითქმის ორმოცი წელია, ერთად ვართ: თავს ძლივს იკავებდა – წამოდგა ზეზე, ქვედა ყბა აუკანკალდა, თვალები საეჭვოდ უბრწყინავდნენ... არც მიტო იყო კარგ დღეში – გვერდზე მიაბრუნა თავი.

კარგა ხანს ვერ დამაწყნარა ჩემმა ბებერმა, მეც მინდოდა, გავჩერებულიყავი, მაგრამ რა მექნა, როცა ცრემლები თავისით მოცურავდნენ და მოცურავდნენ ლოყებზე...

იქნებ გგონიათ, იმის გამო ვტიროდი, რომ მახსენდებოდა ლიზიკოს ამორბენა ჩვენს კიბეებზე, როცა სახეგაბრწყინებულმა მოგვახარა – ხვალ მე და მიტო ხელს ვაწერთო... ხუთი წელი უყვარ-

დათ ერთმანეთი, ხვალიდან მასთან გადადიოდა საცხოვრებლად და გვტოვებდა მარტოებს... ან იქნებ ის დრო გამახსენდა, როდესაც ლიზიკომ პატარა გუცა (მაშინ ჯერ სახელიც კი არ ჰქონდა) მიაწოდა ქმარს და უთხრა: ფრთხილად, ხელიდან არ გაგივარდესო... ვინ იცის...

სამზარეულოში გავედი და დავფაცურდი. ბევრი არაფერი გვქონდა: ბლომად ერბო-კვერცხი, მწვანილი, ყველი... მხოლოდ გოზინაყი გვახსენებდა, რომ გუშინ ახალი წელი იყო.. კიდევ კარგი, ერთი ბოთლი ღვინოც გვქონდა კიდევ.

გავიტანე ყველაფერი ოთახში. მამაკაცები გაჩუმებულები სხედან, მიტო პაპიროსს ეწევა. კარგა ხანს ვერც შემდეგ მოვაბით თავი საუბარს. მამაკაცებმა ის ბოთლი სწრაფად დაცალეს, ერთი მომცრო ჭიქის დალევა მეც გავბედე. ახლა უფრო დავაკვირდი მიტოს... კარგად აცვია, მარტო პალტო თხუთმეტი თუმანი მაინც ეღირება. რატომ არ იქნება რა – კაცი ინჟინერია, მეტროს მშენებლობაზე მუშაობს... მორიდებულად კი ზის. ყოველთვის ასეთი იყო – არავის აწყენინებდა რაიმეს. დრომ არ შეცვალა, თუ ჩვენთან არის ასეთი? ძლივს პოულობს სიტყვებს: ბიჭი მინდა ვნახოო, წავიყვან სადმეო. ჩვენც არ დაგვიშლია, ან კი, რად უნდა დაგვეშალა? რაც უნდა იყოს, მამაა გუცასი. აქამდეც უნდა მოენახულებინა...

4.

ათი წუთით ადრე მივედი დათქმულ ადგილზე – კინოსტუდიასთან რომ ქუჩის საათია, იქ, ის კი უკვე მიცდიდა. დავინახე თუ არა, რატომღაც შემეშინდა – სუნთქვა შემეკრა, შემამცივნა. უცებ მომინდა, გამოვტრიალებულიყავი და გავქცეულიყავი, მაგრამ იმანაც შემამჩნია და შესახვედრად გამოემართა. უსიტყვოდ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი... შემდეგ გავუყევით პლეხანოვის გამზირს. თავჩაღუნული მივდივარ, არ ვიცი, რაზე უნდა ველაპარაკო... უხერხულიცაა უფროსთან მე წამოვიწყო საუბარი. მზიანი დღეა, თოვლი თითქმის არც კი დევს, რაც არის, ისიც დნება, ფეხქვეშ ჭყაპუნობს. მივსეირნობთ ნელა, თუ ამას სეირნობა შეიძლება ვუწოდოთ, და ვდუმვართ... უცებ მეკითხება:

– ხომ იცი, მე ვინც ვარ?

ძლივს ამოვილუღლუღე:

– თქვენ მიტო გრილიძე...

ვეღარ დავამთავრე. რაღაც სისულელე ვთქვი, მაგრამ არც სხვა რაიმე შემეძლო მეთქვა. ალბათ ეწყინა, რომ არ ვუპასუხე, შენ მამაჩემი ხარ-მეთქი. ცერად შევხედე, არა, არ ატირებულა, ცრემლი კი შევნიშნე... რა მექნა? ჩემი ბრალია, რომ ვერაფრით ვერ ვთქვი სიტყვა "მამა"?

ისევ მივუყვებით გამზირს... მეკითხება, რომელ კლასში ვსწავლობ, რა ნიშნები მაქვს... როგორ ვცხოვრობ ბებიასა და ბაბუასთან... ნელ-ნელა საუბარი თითქოს უფრო ცხოველდება...

ჩავუარეთ კინოთეატრ "ოქტომბერს". მეტისმეტი ყურადღებით დავათვალიერეთ ორივემ აფიშები.

– ხომ არ გინდა, შევიდეთ? – მეკითხება.

– მოდით, "ამირანშიც" ვნახოთ, რა გადის, – რატომღაც ვუპასუხე. ვიცოდი, იქაც იგივე ფილმი გადიოდა.

– ეს პალტო ვისია?

ალბათ უნდა, როგორღაც საუბრის უშუალობას მიაღწიოს, მაგრამ არ იცის, რაზე მელაპარაკოს, თორემ რა საკითხავია, ვისი პალტო მაცვია? სხვისას ხომ არ ჩავიცვამდი...

– ე-ე... ამხანაგისაა... მათხოვა... – არც კი დავფიქრებულვარ, რისთვის დამჭირდა ტყუილი. მიმძიმს მძიმე-მძიმე სიტყვების წარმოთქმა, როცა ყელში თითქოს რაღაც გიშლის... ჩემი პასუხიც, შესაძლებელია, კითხვის უცნაურობის გავლენით, როგორღაც თავისთავად გამომივიდა ასეთი.

– ფეხსაცმელები? – დამხედა ფეხზე.

– ფეხსაცმელები მეორე ამხანაგისაა, – ახლა უფრო სწრაფად ვუპასუხე.

დამიჯერა ნეტავი? თუ დამიჯერა, ალბათ ისიც იფიქრა, რა კარგი მეგობრები ჰყოლია, თუ ასეთ ჭყაპში ახალ ფეხსაცმელებს ათხოვებენო. ბებიამ სამი საათი ტყუილად კი არ მოანდომა ჩემს მორთვას. გამომაბერტყვინა პალტო, დამიკერა მოფამფალებული ღილი, ბაბუამ კი ამასობაში მოიტანა მაღაზიიდან ახალი ფეხსაცმელი – კიდევ კარგი, ზუსტად მომერგო. საწყენია, რომ პალტოს ქვეშ არ ჩანს ბებიის მიერ საგულდაგულოდ დაუთოებული თითქმის ახალი ჩემი შავი პიჯაკი...

ჩავუარეთ კინოთეატრ "ამირანსაც"; არც კი შეუხედია აფიშისთვის, ვერც მე ვამბობ რამეს. ისე კი აჯობებდა, კინოში შევსულიყავით, თორემ ორივენი უხერხულად ვგრძნობთ თავს: ის კითხვებს მაძლევს, მე – ვპასუხობ, შემდეგ ჩუმად ვართ, ცოტა ხანში ის ისევ მეკითხება...

მაინტერესებს, კარგად დავათვალიერო მისი სახე – თუ მგავს? მრცხვენია შეხედვის, სულ გადამაქვს: აი, იმ ხესთან რომ მივალთ, მაშინ აუცილებლად შევხედავ და დავაკვირდები... არა, იმ მაღაზიასთან...

შემიყვანა ფეხსაცმელების მაღაზიაში. პირველად რატომღაც ვერ მივხვდი, რატომ, სანამ არ მკითხა, რა ნომერს ატარებო... ძალად დაწუნება დავუწყე ფეხსაცმელებს, რომელიც კი გადმოაღებინა გამყიდველს... გული დაწყდა.

გამოვედით მაღაზიიდან და ერთი შუბლზე ქუდჩამოფხატული, გაუპარსავი კაცი გვეკითხება, რა ნომერი გნებავთო. შეგვიყვანა მეზობელ ეზოში და რამდენიმე სახის ჩემი ზომის იმპორტული ფეხსაცმელი გვიჩვენა. აქ კი წამძლია სულმა, ვეღარ ვთქვი უარი. თქვენც გინახიათ ალბათ, შავი, რბილი ტყავისგან არის მოდურად შეკერილი, ახლა ყველას ასეთი აცვია...

მერე კი მამაჩემი, გახალისებული, ახალი კოსტუმის საყიდლად მექაჩება, მიხვდა, ჩემთვის უკვე უხერხული იქნებოდა უარის თქმა...

ძლივს დავარწმუნე: ნახევარ წელიწადში დამიმოკლდება და არ ღირს, თანაც მშვენიერი კოსტუმი უკვე მაქვს-მეთქი – პალტო გადავიხსენი და ვაჩვენე...

5.

კვირას ისევ გამომაწყო ბებიამ და პირველად წავედი სტუმრად მამაჩემთან. ყველანი შინ დამხვდნენ. გზაში ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი, მეგონა, ისევ შებორკილად ვიგრძნობდი თავს და ეს მიმძიმებდა გზას. ყველაფერი კი ბევრად უბრალოდ მოხდა. დავაჭირე ზარის ღილაკს თითი თუ არა, გაიღო კარი და მომვარდნენ ბავშვები – ბიჭი და გოგო. დამავლეს ხელი და სიცილით თითქმის შემათრიეს ოთახში. ეს ჩემი და-ძმა იყო. პირველად თითქოს მეუცნაურა, რომ მე და და ძმა მყავდა, რომელთა ხილვაც კი შემეძლო... ხილვა კი არა, მარცხნიდან და მარჯვნიდან მებღაუჭებიან, შემომციცინებენ თვალებში, უხარიათ, რომ გასართობი, თავშესაქცევი იპოვეს... ისინიც პირველად მხედავენ; ალბათ წინასწარ იცოდნენ, რომ მე უნდა მივსულიყავი. ბიჭი ოთხი წლისაა, გოგო – სამის. ხან კისერზე ჩამომეკიდნენ, ხან მუხლებზე შემაცოცდნენ, დარბიან ჩემს გარშემო... მათ დედასაც არა უშავს... ისე წყნარად, უბრალოდ მელაპარაკებოდა; მეც ნელ-ნელა გავთამამდი; გავერთე საუბარში დეიდა ნატოსთან და ბავშვებთან. პატარები – გივიკო და ლიზიკო – მეტისმეტად ცელქობენ, მაგრამ მე მაინც ვერ მაჯავრებენ, რადგან ბავშვები საერთოდ ძალიან მიყვარს. მხოლოდ მამაჩემის მოპყრობა მეუხერხულება: სულ ცდილობს სუფრაზე, კარგი ნაჭერი გადმომიღოს (რა ხანია, ქათმის ხორცი არ მიჭამია), ყველა სურვილს მიმიხვდეს...

ჩემი წასვლისას ბავშვები ისევ მებღაუჭებიან, არ მიშვებენ... ბოლოს, პატიოსან სიტყვას ვდებ, რომ ხვალაც მოვალ, ზეგაც, მაზეგაც... ახლა ხომ არდადეგები მაქვს.

მეორედ მისვლისას ბავშვები ჟივილ-ხივილით მხვდებიან. საჩუქრად ბურთი ნეტავ სულ არ მიმეტანა, მალე მთელი ბინა დარბეულს დაემსგავსა. სამსახურიდან დაბრუნებულ მამაჩემს ყველანი გამხიარულებულები შევხვდით, დეიდა ნატოს ჩათვლით. სახელდახელოდ დავალაგეთ ბინა, ბავშვებიც ვითომ გვეხმარებოდნენ, ფეხებში გვებლანდებოდნენ. მათთვის შენიშვნა მაინც არავის მიუცია. შემდეგ მისვლაზე ნახატებიანი წიგნები ვუყიდე და პატარა დედოფალა.

დღეს კი წავიდე თუ არა, არ ვიცი... ვატყობ, ნელ-ნელა ვეჩვევი მათ ყველას. მინდა, მივიდე, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, როგორ მიყურებს ხოლმე მამაჩემი და თითქოს რაღაცის თქმა უნდა... ვიცი, რისი თქმაც სურს. დღეს თუ არა, ჩემს შემდეგ მისვლაზე მაინც მეტყვის. მეტყვის, დარჩიო... სულ ჩვენთან იყავიო... მე კი ბებიასა და ბაბუას ვერაფრით დავტოვებ, თუნდაც კვირაში რამდენიმე დღით, მე ხომ ღამე ჯერ სხვაგან არასდროს გამითევია. იქნებ არ წავიდე?.. არა, არ ივარგებს. ვივლი ხოლმე. ნატო დეიდას ისეთი კეთილი ღიმილი აქვს, ბავშვებსაც შევუყვარდი. ბოლოსდაბოლოს, ხომ შემიძლია, მამაჩემს პირდაპირ ვუთხრა, ვერა, ვერასდროს ვიზამ მაგას-მეთქი...

1964

ვაგიფ მაჰდიზადე

ტყის გრილი ბილიკით ორნი მიდიოდნენ.

თანდათან უფრო დაბურული გახდა გარემო. დროდადრო მზითა და ყვავილებით ავსილ პატარა მინდვრებზე გადაივლიდნენ, სადაც უზრუნველად დაფარფატებდნენ თეთრი პეპლები; მერე ისევ ტყეში შედიოდა ბილიკი, სიმყუდროვე კიდევ უფრო საგრძნობი ხდებოდა, ფოთლებიც კი არ შრიალებდნენ.

წინ მიმავალი მაღალი, გამხდარი მამაკაცი სულ ბილიკს დასჩერებოდა, დინჯად ადგამდა გრძელ ფეხებს. გზაზე გადმოხრილი ბუჩქისა თუ ხის დაბალ ტოტს გვერდზე სწევდა და ფრთხილად უშვებდა ხელს, რომ ასხლეტილი უკან მიმავალს არ მოხვედროდა.

უკანა – დაბალი, შავტუხა ვაგიფ მაჰდიზადე – განუწყვეტლივ აკვირდებოდა გარემოს, თითქოს ცდილობდა, არ გამორჩენოდა არცერთი წვრილმანი: ხეების სიმწვანე, ყვავილების სილამაზე, მიწისა და ტყის სუნი, მზის თბილი ხელების წამიერი შეხება სახეზე... არა, მაინც ვერ იყო აქაური მზე ჩვეული სიმხურვალისა, ჰაერიც ნესტიანი და მძიმე ეჩვენებოდა. მის სამშობლოშიც ზაფხული იდგა ახლა, ოღონდ სხვა ელფერის: სიმხურვალისგან გათანგული, გაფერმკრთალებული ცა, შორს – კავკასიონის ლურჯი, დაკბილული კონტური, ირგვლივ კი – ტრამალის ოქროსფერი, რომლის მარტო ერთი შეხედვა ცხელ სურნელოვან ჩაის მოგაწყურებს...

ვაგიფმა თავი გააქნია და ზმანებიდან ისევ ტყეში დაბრუნდა, დაბურულ და უშფოთველ ტყეში. ჩიტების ხმაც კი არ ისმის, თუმცა რა გააჩერებდათ აქ; ალბათ ქარტეხილს ვერ გაუძლეს: ირგვლივ ყუმბარების "მუშაობის" კვალია – მუქი ორმოები, მომტვრეული ტოტები და ნამსხვრევებისგან დაკაწრულ-დაგლეჯილი ხეთა ტანები.

წინ მიმავალი კი რაზე ფიქრობს? ვაგიფის წინ მიქანაობს ტყვის ხაკისფერი ზურგი. მხოლოდ ახლა იწყო გაბაცება მის ტანსაცმელზე გატალახიანებულმა ადგილებმა. თვითონ მაჰდიზადეს ჩექმებშიც ყოველ ნაბიჯზე წყალი ჭყაპუნობს. უბრალოდ კი მოხდა მათი ბანაობა: როცა წოწოლა მამაკაცმა გულდამშვიდებულმა ჩაიარა მდინარის ციცაბო ნაპირი და პატარა ქვაბი წყლით აავსო, წამოდგომა არ აცალეს – სამი მზვერავი მოულოდნელად დააცხრა უკნიდან და ყველანი მდინარეში ჩაგორდნენ. სანამ პირში ალიკაპს ჩაუჩურთავდნენ და ხელებს შეუკონავდნენ, მშრალი თითქმის აღარაფერი შერჩენიათ. ახლაც მოენეს მარცხენა თვალთან სილურჯე დაჰკრავს, მარჯვენა სახელო გაფხრეწილია და სათვალის ცალი შუშა – გაბზარული... მოენე მაინც მშვიდი და აუღელვებელია, არც ინტელიგენტური იერი დაუკარგავს, თუმცა მისთვის უცნობია, სად მიჰყავს ვაგიფს. მაშინ კი შიში და თავზარდაცემა ეწერა მის გაფართოებულ თვალებში, როცა კოჭებამდე მდინარეში წამოაყენეს – ნახევრადგაგუდული, ტალახში ამოსვრილი. დანარჩენებსაც არ ედგათ კარგი დღე – მქშინავებს წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ ტანზე. ტყვე ნაპირზე ბუჩქებში შეიყვანეს, ვაგიფი კი მუხლებზე დაფორთხავდა მდინარეში – მაინც სველი იყო – და ამღვრეულ წყალში მოენის სათვალეს ეძებდა. ამხანაგები ჩუმი გინებით სთხოვდნენ, დაენებებინა თავი ფუჭი ცდისთვის – ყოველ წამს შეიძლებოდა, მტერი წასდგომოდათ თავს. შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ისიც კი უთხრა ვაგიფს, მოენეს სათვალე რომც შერჩენოდა, უნდა წაგერთვა, გაქცევაზე ფიქრსაც ვეღარ გაივლებდა გულშიო. ტყვის გაქცევისა ვაგიფს არ ეშინია – ავტომატის მიშვერილ ტუჩს ვერსად წაუვა, მოენე ვერც სისწრაფით ან სიმარჯვით აჯობებს... თუმცა ტყვეს თავი წყნარად უჭირავს, მხარზე გადაკიდებული საკმაოდ მოზრდილი ჩანთა სიარულისას მიქანაობს და ნელა სცემს თეძოზე.

ბანაკს მიუახლოვდნენ, პაროლით გაიარეს რამდენიმე შენიღბული საგუშაგო.

პარტიზანთა რაზმის მეთაურის მიწური ბანაკის თითქმის შუაში იყო, მაჰდიზადემაც იქით წაიყვანა მოენე. ბანაკი ჩვეულებრივ ფუსფუსებდა, ახალმოსულთათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მეთაურის მიწურის წინ თეთრწვერა პაპა მარტოვიჩი გადაუდგათ წინ:

– მოიცადე, ტანცურაა იქ, ტყავს აძრობს.

მიწურის კარი მიხურული იყო, მეთაურის ყვირილი მაინც გარკვევით ისმოდა:

– რას მიყურებ ტამბოველი მგელივით!.. მეასედ გიხსნი, ახლა დროა, გარმონს რომ აჭყიპინებ?.. თუ ბრმა ხარ? ვერ ხედავ, რა დღეშია ჩვენი ქვეყანა? შენ კი კონცერტებს მიწყობ... სხვა საქმე არაფერი გაქვს?..

პაუზის შემდეგ ტანცურამ გაუბედავად უპასუხა:

– ამხანაგო მეთაურო, ბიჭები ცოტას გაერთობიან, გულს გადააყოლებენ...

– აი, ისევ იმას იმეორებ! გიხსნი, გიხსნი, შენ კი არ გესმის და შემოპასუხებასაც მიბედავ! ახლავე დაჭრილი მომიტანე ის ეშმაკისეული გარმონი!.. რაღას მიყურებ, გაეთრიე!

გაოგნებული ტანცურა გამოვარდა მიწურიდან, დასისხლიანებული თვალები მიანათა ვაგიფს და წაისისინა:

– უ-უ-ხ, შენი... ერთი გვყავდა ასეულში მაგის მსგავსი... თვითონ ჩვენმა ბიჭებმა გაასაღეს შეტევის დროს!.. – ჩაიქნია ხელი და სწრაფად გაუჩინარდა ხეებს შორის.

პაპა მარტოვიჩმა გაურკვევლად გააქნია თავი – ვერ გაიგებდი, მოწონებით თუ დაგმობით – და ხელით ანიშნა ვაგიფს, შედითო.

პარტიზანული რაზმის მეთაურის დუბინინის ბრგე ტანისთვის მიწური პატარა ჩანდა. მაღალი შუბლიდან ხელით უკან გადაივარცხნა ხშირი წაბლისფერი თმა და მზერა შემოსულებს მიაბჯინა.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ვაგიფს რაღაცამ შეუბორკა ხელ-ფეხი, სულ აპირებდა და ვერ მოეხსენებინა უფროსისთვის, რაც საჭირო იყო.

ისევ დუბინინმა დაასწრო:

– რა არის ეს? რატომ ტყვე ხელშეკრული არ არის? – მეტისმეტად წყნარად იკითხა და მაჰდიზადემ იგრძნო, ეს სიწყნარე რასაც მოასწავებდა.

ვაგიფმა მოკლე ხანში ბევრი სისხლი, საშინელება და შეძრწუნება ნახა, მაგრამ უხეშობასა და ყვირილს ვერ შეეჩვია. გული უსიამოვნოდ შეეკუმშა, თუმცა უშიშობითა და ვაჟკაცობით ყველას პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული. ხმა მაინც არ ამოუღია; იქნებ უაზრობად მიიჩნია შეკამათება ან იმის ეშინოდა, სათქმელს ვერ მოვახერხებო – რუსული ცუდად იცოდა და აღელვებისას კიდევ უფრო უჭირდა ლაპარაკი.

– ჰმ, ფილანტროპი!.. ამათი შებრალება იქნება?.. ა?.. – უცებ გაფიცხდა დუბინინი. – ესეც ახალი ამბავი, რევოლვერიც რომ დაუტოვებია!

– ტყვიები ამოვაცალე, ამხანაგო მეთაურო!

– ჩუმად! სანამ არ შეგეკითხებიან, ხმა უნდა ჩაიწყვიტო!.. ისღა გაკლდა, ტყვიებიც დაგეტოვებინა... – დუბინინი მიიჭრა წყნარად მდგომ ტყვესთან, ბუდიდან რევოლვერი ამოაცალა და მაგიდაზე დააგდო.

დუბინინმა მძიმე ნაბიჯებით გაიარ-გამოიარა მიწურ იატაკზე, შემდეგ მაგიდასთან შეჩერდა. მის ლამაზ, ოდნავ უხეშნაკვთებიან, ფართო სახეზე უკმაყოფილება იყო გამოსახული.

– ახლანდელ პირობებში ბავშვური გულჩვილობის დრო არ არის! – დუბინინი მკვეთრად ისროდა სიტყვებს, თითქოს ბრძანებას იძლეოდა.

დუბინინი ენერგიულად დადიოდა წინ და უკან, ხელის ქნევით კიდევ რაღაცას ლაპარაკობდა, მაჰდიზადე კი თავისას ფიქრობდა – ზედმეტად და უადგილოდ ეჩვენებოდა მარტივი და ყველასთვის ცნობილი ცნებების ღეჭვა: რომ ავბედითი დროება დადგა, სამშობლო გასაჭირშია, სიმკაცრე აუცილებელია...

მაჰდიზადემ ტყვეს შეხედა – ის ისევ წყნარად იდგა, მის სახეზე არც შიში ჩანდა, არც – შეშფოთება, მხოლოდ პირი ჰქონდა გვერდზე მიბრუნებული; სათვალის შუშაში მიწურის ვიწრო სარკმელი თეთრ წერტილად გამოკრთოდა.

დუბინინი მაჰდიზადეს წინ შეჩერდა. ერთხანს ჩაშტერებით, უხმოდ უცქირა, თითქოს უნდოდა, ამ მდუმარე ადამიანისთვის მზერით უკეთ გადაეცა თავისი აზრები.

– ვანია, მისმინე, ნუთუ ძნელი გასაგებია... – დუბინინმა მაჰდიზადეს მხარზე ხელი მოხვია.

მაჰდიზადე ვერ იტანდა, როცა დუბინინი "ვანიად" მონათლავდა და ყოველთვის შეუსწორებდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად არაფერი უთქვამს. ხანდახან დუბინინი მოულოდნელად რომელიმე მიწურში გამოჩნდებოდა, ხაზგასმული გულითადობით მიესალმებოდა ყველას, შეთავაზებულ ტაბურეტზე უარს იტყოდა, ჩამოჯდებოდა სხვებთან ერთად საწოლზე და ძმაბიჭურად გადახვევდა ხელს გვერდით მჯდომს. მებრძოლები დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ დუბინინის ანეკდოტებს, ზრდილობისთვის გაღიმებასაც ახერხებდნენ, ძუნწად პასუხობდნენ მეთაურის კითხვებს: წერილი ხომ არ მიუღიათ "დიდი მიწიდან", რა ისმის ახალი...

ამჯერადაც დუბინინმა სცადა შინაურულ კილოზე გადასულიყო. მაჰდიზადე ჩუმად უსმენდა. დუბინინი გრძნობდა მის შინაგან წინააღმდეგობას და თავს ძალას ატანდა, რომ არ აყვირებულიყო. გაჩუმდა, გაუთავებლად მიმოდიოდა მიწურში; მერე მოენისკენ მიტრიალდა, თვალებმოჭუტულმა ჩაათვალიერა:

– ბარონი! ჰმ, ნამდვილი ბარონია! ეს ჩანთაც დაუტოვე?

– ქირურგიული ჩანთაა, ამხანაგო მეთაურო! ექიმია.

– რა უნდა გვითხრას ახლი ამან? იფიქრებს, ბარონი ვარო, ასე მოწყალედ მექცევიანო... შენ კი უნდა მოგეთოკა მისი ნებისყოფა, მისი თავმოყვარეობა მოგესრისა – და წამში დაფქვავდა ყველაფერს. თუმცა მაინც არაფრად ვარგა, ექიმმა რა ცნობები უნდა მოგვაწოდოს... ვანია! ჯერ ჭამე და შემდეგ ტყვეს პარტიზანული ბრიგადის შტაბში წაიყვან. თუ გზაში გაქცევა სცადოს ან სხვა რაიმე ფოკუსი წამოიწყოს – ულაპარაკოდ ჩააძღლე ადგილზევე!

მაჰდიზადემ უსიტყვოდ მიიდო ხელი ქუდთან, შემოტრიალდა და ტყვეს თავით მისცა ნიშანი, წავიდეთო. ბოლო წამს საკუთარი თავისთვისაც მოულოდნელად მაჰდიზადემ ხელი დააკარა მაგიდაზე დაგდებულ რევოლვერს და ჯიბეში ჩაიდო.

როცა მეთაურის მიწურს საკმაოდ დაშორდნენ, მაჰდიზადემ ტყვის იარაღი ამოიღო ჯიბიდან და პატრონს დაუბრუნა. უკმაყოფილო იყო საკუთარი თავისა: მას ხომ უნდოდა, მოეხსენებინა მეთაურისთვის, რომ დანარჩენმა ორმა მზვერავმა გადაწყვიტა, განეგრძოთ ძებნა, რათა სხვა მოენე მოეპოვებინათ. ამის ცნობება მაჰდიზადემ ვერ შესძლო, როგორღაც სათქმელად მოსახერხებელი დრო ვერ შეარჩია...

ერთი საათის შემდეგ მაჰდიზადე და ტყვე ტყის ბილიკს დაადგნენ.

ისევ საპატიო ყარაულში გარინდებული ხეები, ნიავის ნელი სუნთქვა ფოთლებში, დასავლეთით გადახრილი მზის სხივთა სვეტები...

ზევიდან ზუზუნი მოისმა. მტრის თვითმფრინავები ხშირად ესტუმრებოდნენ ამ რაიონს დასაზვერად. შეიძლებოდა ყურადღება არც მიექციათ: ბილიკი დაბურულ ტყეში გადიოდა; იბზუი-

ლებდა, იტრიალებდა გაუთავებლად, ალალბედზე რამდენიმე ბომბს ჩამოაგდებდა ვითომ შესაშინებლად და ბოლოს გაეცლებოდა იქაურობას.

არემარე აფეთქებამ შეაზანზარა. მაჰდიზადემ ვერაფრის გააზრება ვერ მოასწრო, რომ ჰაერის უჩვეულოდ მკვრივმა ტალღამ უბიძგა და უგრძნობლად დაანარცხა მიწას...

როცა გონს მოვიდა, ვიღაც მიათრევდა და ყოველ ნაბიჯზე მწვავე ტკივილი ხანჯალივით ესობოდა მკერდის სიღრმეში.

შემდეგ მიწაზე დააწვინეს. აქ უკვე იმდენად აღარ იყო საშიში – წაქცეული ხის ამოტრიალებული ფესვები სანახევროდ ხურავდა ორმოს.

ქირურგის ღონიერმა ხელებმა ხალათი შემოახია. სწრაფად მოძრაობდნენ ნაჩვევი თითები, ბანდის თეთრი ნაჭერი მჭიდროდ ეხვეოდა მხარსა და მკერდზე; შემდეგ ტკივილს საოცარი სისუსტეც დაერთო და მაჰდიზადეს გონება კვლავ ბურუსით დაიბინდა.

როცა თვითმფრინავის ზუზუნი შორეთში მიილია, ბილიკზე ორმა პარტიზანმა განაგრძო გზა. მტვერი და ბოლი თითქმის გაფანტულიყო, მხოლოდ დამახასიათებელი მძაფრი სუნი ჯერ კიდევ აღიზიანებდა ყნოსვას.

საკმაოდ შეკრთნენ და იარაღი მოიმარჯვეს, როცა ვიღაცის ხმამაღალი ძახილი შემოესმათ. შემდეგ, ხეთა ტანებს მოფარებულებმა, ფრთხილად გამოიხედეს. მოწინააღმდეგისფორმიანი მაღალი, სათვალიანი კაცი ორმოდან ამოსულიყო და მათ მოუთმენლად ხელს უქნევდა...

1965

წყნარი საღამო

მოსაღამოვდა.

ნანას ნათქვამი ჰქონდა, შვიდ საათზე ვიქნები შინო, მე კი მაინც ადრე მოვედი. სირბილით ავიჭერი მეოთხე სართულზე. დამხვდება თუ არა ნანა? ხუთამდე დავითვალე და ზარის ღილაკს თითი დავაჭირე. კარი ნანას დედამ გამიღო.

– მობრძანდით, ნანა მალე მოვა... – ხელი თეთრ წინსაფარზე შეიმშრალა ქალბატონმა ქეთევანმა და ჩამოსართმევად გამომიწოდა. – მაპატიეთ, სამზარეულოში ცოტა საქმე მაქვს, შინაურულად იყავით...

ამ სიტყვებით შემიყვანა სასტუმრო ოთახში, სადაც გვერდიგვერდ რბილ სავარძლებში ორი მოხუცი ქალი იჯდა. საუბრით იყვნენ გართულნი და ტელევიზორს ისე, სასხვათაშორისოდ უყურებდნენ. მოხუცებმა საუბარი შეწყვიტეს და მე მემომაცქერდნენ. საღამო მშვიდობისა ვუსურვე მათ და კუთხეში დივანზე ჩამოვჯექი.

– მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, შვილო! – გამიღიმა ახალგაზრდული თვალებით ნანას ბებიამ მაკამ. გამხდარი, დალეული მოხუცია, წვეტიანი ნიკაპი აქვს და გრძელი თალხი კაბა აცვია. მისი ნატიფი, პატარა ცხვირი ნანას დედასა და თვით ნანასაც საგვარეულოდ გამოჰყვათ და მარტო ამისთვის შეიძლებოდა, შემყვარებოდა ეს კეთილი, თბილი მოხუცი. მეორეს პირველად ვხედავდი; მედიდურად დამიქნია თავი და შავი, გოროზი თვალებით შემათვალიერა. ცოტა არ იყოს, შევკრთი, ისეთი მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა. ახლაღა გამახსენდა: ნანას მეორე ბებია – დარო – უნდა სწვეოდა სოლოლაკიდან. ჩასუქებულ ქალს მოზრდილი ცხვირი, თოვლივით თეთრი თმა და მსხვილი, შავი წარბები ჰქონდა. რატომღაც მეგონა, პროფესიით მასწავლებელი უნდა ყოფილიყო; აი, ისეთი, ყველაზე თავზე ხელაღებულ ბიჭებსაც კი შიშის ზარს რომ სცემს ხოლმე. მასაც შავი კაბა ეცვა.

როგორც ჩანს, ბებია დარო ჩემი დათვალიერებით კმაყოფილი დარჩა.

– ახალგაზრდა... ბოდიში, თქვენი სახელი?.. ნოდარ, გთხოვთ აქეთ გადმობრძანდეთ, მანდედან ცუდად ჩანს, – მითხრა ისეთი ტონით, თითქოს გაკვეთილი არ მომემზადებინოს. წინააღმდეგობის გაწევა არც კი მიფიქრია, მის გვერდით სავარძელში გადავჯექი, თუმცა ნანას მოლოდინში სულ არ მქონდა ტელევიზორის ყურების სურვილი.

ბებია დარომ ამოიღო პაპიროსი, გააბოლა და საკმაოდ უცერემონიოდ დამიწყო გამოკითხვა – სად ვცხოვრობ, რას ვაკეთებ, ჯამაგირი თუ მაქვს კარგი, მომატებას ხომ არ აპირებენ... თვალს არ მაცილებდა, თითქოს ჩემი მონუსხვა უნდოდა. ბებია მაკაც მე მომჩერებოდა, გაღიმებული; თავისი სავარძელი ცოტათი წინ გამოაჩოჩა, რომ უკეთ დავენახე. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი... ბებია დარო კი თითქოს ვერ ამჩნევდა ჩემი პასუხების სიძუნწეს, არხეინად აბოლებდა და სულ ახალ-ახალ კითხვებს მაძლევდა. რასაკვირველია, გაგებული ექნებოდა, რომ ორი წელია, რაც ინსტიტუტი დავამთავრე, დედა და უფროსი, ცოლშვილიანი ძმა მყავს, ინჟინრად ვმუშაობ მეტროს მშენებლობაზე და ბევრად უფრო წვრილმანი ამბებიც... იცოდა, რომ ამ ოჯახის ხშირი სტუმარი ვიყავი და ალბათ ხუთიოდე წუთის წინ მოხუცები სწორედ ჩემზე და ნანაზე საუბრობდნენ. გადაჭარბებუ-

ლი ყურადღებით დავუწყე ყურება ტელევიზორს, იქნებ კითხვებისგან თავი დავისხნა-მეთქი, თუმცა შეიძლებოდა, ეს უზრდელობაშიც ჩამოერთვათ. ნეტავი ნანა მალე გამოჩენილიყო და დროის საოცრად ნელ ზლაზვნას ბოლო მოჰღებოდა...

ეკრანზე გახურებული ცეკვა-თამაში იყო გაჩაღებული. გამოდიოდა არმიული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. მოხუცებიც კი მოხიბლა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ტანწერწეტა ახალგაზრდების ცეცხლოვანმა ცეკვამ. კითხვები შეწყდა და თავისუფლად ამოვისუნთქე. ერთხანს უხმოდ ვუყურებდით ეკრანს. მდუმარება ბებია მაკამ დაარღვია:

– ცოდვა არ იქნება, ასეთი ოქროსავით ბიჭები ომში დაიღუპონ? – შემდეგ ღრმად ამოიოხრა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ჩაფიქრებით გააქნია თავი: – ჩემს ბიჭებსაც როგორ უყვარდათ ცეკვა და მხიარულება... ღმერთმა დასწყევლოს ომის გამჩენი...

მოხუცებს შევხედე. ბებია დაროს პაპიროსიანი, თვალმოჭუტული პროფილი და ბებია მაკას მოხრილი ფიგურა... ბებია დარომ პაპიროსი გამოიღო პირიდან:

– ე-ე-ეჰ, რას იზამ... მარტო შენ არ დაგიკარგავს შვილები, ჩემო მაკა. ჩემი ლადო... – ბებია დაროს მამაკაცური ხმა თითქოს დარბილდა და ჩაწყდა, პაპიროსი გამეტებით მოქაჩა.

წუთით სიჩუმეს მხოლოდ ტაშის რიტმული ცემა და მოცეკვავეთა ენერგიული შეძახილები არღვევდა. ბებია მაკამ დამჭკნარი სახე ჩემსკენ მოაბრუნა:

– ახლა შენოდენა ბიჭები ეყოლებოდათ, შვილო...

– მამაჩემიც ფრონტზე დაიღუპა, – ჩემდა უნებურად ყრუ ხმით წარმოვთქვი, თითქოს ჩემს მაგივრად ვიღაცამ სხვამ წარმოსთქვა ეს სიტყვები.

ბებია მაკას თვალები უბრწყინავდა, რაღაცას ჩიფჩიფებდა. მალე პირზე შავი თავსაფრის ბოლო აიფარა, წამოდგა და მოკლე ნაბიჯებით კარისკენ გაემართა; მიდიოდა თავჩაქინდრული, მოხრილი... ვეღარ შევძელი მისი ვიწრო, გამხდარი მხრების ცქერა, პირი ვიბრუნე.

ბებია დაროს ოდნავ უხეში, სავსე სახე კიდევ უფრო მკაცრი გაუხდა. თითებში გაჩრილი პაპიროსი ჩაუქრა. გახევებული, თვალს არ აცილებდა ეკრანს, ხედავდა კი რაიმეს? ბევრნი წავიდნენ ომში, წავიდნენ და აღარ დაბრუნებულან. აი, ასეთი ახალგაზრდები და მხიარულები იყვნენ ოდესღაც. მათ შორის მამაჩემიც იყო. ისევე უცაბედად შეიცვალა მათი ბედი, როგორც ამ ოთახში მოულოდნელად სულ სხვა განწყობილებამ დაისადგურა.

რატომღაც ვერ წარმომედგინა მამაჩემი ახალგაზრდად. ჩემი ამხანაგების მამები, ვისაც კი ვიცნობ, დარბაისელი, ხანში შესული ხალხია და, შესაძლებელია, იმიტომ. ბებიაჩემსა და დედაჩემს კი ალბათ სწორედ ახალგაზრდად გაახსენდებათ ხოლმე.

რაღაც მძლავრად შემომაწვა უცებ გულზე, ქვასავით მძიმე და გამოუთქმელი. ნეტავ პატარა ვიყო, ამდენად არ განვიცდიდე ან ცრემლისთვის მაინც თავისუფლად მიმეცა გზა... ნიკაპი ამიკანკალდა... წამოვდექი სავარძლიდან, კრიჭაშეკრულმა რამდენჯერმე ღრმად ჩავისუნთქე და გაღებულ ფანჯარას მივაშურე. ჯერ ბუნდოვნად ვხედავდი ყველაფერს, შემდეგ თავს ძალა დავატანე, თვალები მოვისრისე... სულ არ მოველოდი, თუ მამის გახსენება, რომლის სახეც მეტად მკრთალად იყო აღბეჭდილი ჩემს ცნობიერებაში, ასე იმოქმედებდა ჩემზე.

თითქმის მთელი ქალაქი მოჩანს აქედან. დიდუბეში მშენებარე სახლები, მორკალული სანაპირო, სტადიონი, ნაძალადევს ზემოთ – რუხი გორაკები, რუსთაველის სვეტი და მარჯვნივ – ნორჩი ნაძვებით დაწინწკლული მახათას მთა, რომლის თავზეც უღრუბლო ცაში თვითმფრინავი მიბზუის. მაინც რამხელაზეა გადაჭიმული თბილისი... და ყველგან სახლები, სახლები, ათასგვარი ფერისა და მოყვანილობის სახლები... წითელი თუნუქის სახურავები, უფრო ღია – შიფერის, ნაცრისფერ და მოყავისფრო კედლებს შორის – ხეთა სიმწვანე, რაც ასეთ ლამაზ შეხამებას იძლევა. ზოგიერთ ბინაში სინათლეც აინთო. ვუყურებ, გადამაქვს მზერა ერთი უბნიდან მეორეზე და ვცდილობ, გულიდან გადავიყარო მძიმე ფიქრები...

ომი, ომი... არასდროს მინახავს, მაშინ ბავშვი ვიყავი. სროლა და გრუხუნი, ნაღმების აფეთქება და ადამიანთა ჰაერში ატყორცნილი ნაფლეთები, პრიალა ხიშტის გამოქანებული მახვილი და ტყვიამფრქვევის გაბმული კაკანი – ყველაფერი ეს ალბათ კინოსურათების ნახვისას დამამახსოვრდა. ჩვეულებრივ, ყოველ ადამიანს, რომელსაც ომი არ გადაუტანია, მსგავსი სურათები წარმოუდგება ომის ხსენებისას. ბრძოლაგამოვლილ ხალხს კი ალბათ ღიმილს მოჰგვრის ამგვარი პრიმიტიული ფანტაზიები და იმასაც კი აფიქრებინებს, რომ კინოს და თუნდაც საერთოდ ხელოვნებას არ შესწევს უნარი, სრულად გადმოსცეს ძალადობის, უხეშობის, პირუტყვობის, ტანჯვისა და წამების, განადგურებისა და ბარბაროსობის, უსასრულო ლოდინისა და ფუჭი ოცნებების არათუ საერთო დიდი მატიანე, არამედ ერთი ადამიანის მიერ გადატანილის, ნაგრძნობის, ნაფიქრალის შემზარავი სურათიც კი. ალბათ მოვა დრო და ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ ომის დასრულებიდან წლების შემდეგ უბრალო გახსენება წარსული დღეებისა ტკივილით შეკუმშავს მრავალსა და მრავლის გულს, აუფორიაქებს სულს, გზას გაუხსნის ცრემლს...

ასეთი ფიქრებით მევსება თავი და უცნაური სურვილი მებადება – ერთი წუთით წარმოვიდგინო, ვითომ მე კი არ ვდგავარ ახლა ამ ფანჯარასთან, არამედ – მამაჩემი, თითქოს მისი თვალებით გავცქერი ქალაქს... ხომ შეიძლებოდა, სინამდვილეში ასე ყოფილიყო? ტანში ჟრუანტელი მივლის, ხელებს შემცივნულივით ტანზე ვიკრავ. უნებურად თავს ვაქნევ, თითქოს მინდა, შორს განვდევნო უჩვეულო ზმანება. ღრმად ვისუნთქავ საღამოს ჰაერს და მტკვრის კლაკნას თვალით მივდევ, ისევ ვცდილობ, სხვა რამეზე ვიფიქრო.

წყნარი საღამოა.

მსუბუქი ნიავი ძლივს ატოკებს ფარდას. დიდი ქალაქი ისვენებს, ნებიერად გაწოლილი მტკვრის ხეობაში და ღამის მოსვლას ელოდება. როგორი ნაზია, ხავერდოვანი, საღამოს ჰაერი! ზოგჯერ ასეთ დროს დღისა და ღამის ჭიდილს უწოდებენ. სიტყვა "ჭიდილი" საკმაოდ უცნაურად ჟღერს – ბრძოლასთან, წინააღმდეგობასთან დაკავშირებულ ასოციაციებს იწვევს, ირგვლივ კი ყველაფერი გარინდებულა... დიახ, მშვენიერი საღამოა; სადღაც მეზობლად რადიო ჩაურთავთ, სიმებიანი ორკესტრი, თითქოს შეკვეთით, სწორედ ამ საღამოს შესაფერ ნელ მუსიკას უკრავს, რომელიც იავნანას მაგონებს. ალბათ კომპოზიტორი მას ასეთსავე ოცნებით გატაცებულ, ჩაფიქრებულ და ოდნავ სევდიან საღამოს თხზავდა, ასევე უყურებდა გაცრეცილ ცაზე ჩასული მზით ოქროსფრად აალებულ თითო-ოროლა ღრუბელს, შორს ბინდში ჩაფლულ მთებს და მოინდომა, ყველაფერი ეს მუსიკაში უკვდავეყო, რადგან ვინ იცის, ასეთი იშვიათი საღამო კიდევ როდის გამეორდება...

ფერები თანდათან მქრქალდება; ტელევიზორის ხმა რომ არ მოდიოდეს, თითქოს ყველაფერი საოცარ სიჩუმეში ჩაფლულა, მაგრამ... მაგრამ კაცი რომ დაუკვირდეს, მაინც რამდენნაირი ბგერა შეუძლია გაარჩიოს... ნელი, მონოტონური ხმაური, ქალაქის სუნთქვა... აი, მესმის ჭრიჭინების გაბმული ჭრიჭინი... რა უნდათ მათ ქალაქში? ნუთუ არსებობენ? თვალები რომ დავხუჭო, ერთი წამით შეიძლება, სოფელში წარმოვიდგინო თავი, ჰო, გურულ სოფელში: დეიდას ვეკითხები, ჭრიჭინებმა რატომ წაიღეს ყურთასმენა? ომის წლებია, ზაფხულის საღამო... დეიდა დაკოჟრილ ხელისგულს თავზე ფრთხილად მისვამს და მეუბნება: იმიტომ, რომ ისინი ყურძენს ამწიფებენ, ცდილობენ, მალე შეითვალოს, მერე კი – დაშაქრდეს, ტყუილად კი არ ირჯებიანო. როგორ მიხაროდა, როგორ ვემადლიერებოდი ჭრიჭინებს! მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ თუ ბავშვი მკითხავს, რად ხმიანობენ გაუთავებლად ჭრიჭინებიო, მეც იგივე პასუხს გავიმეორებ... ქალაქში რაღას აკეთებენ ისინი? იქნებ სწორედ იმიტომ ჭრიჭინებენ, რომ ხაზი გაუსვან გარემოს სიმშვიდეს, ადამიანის გრძნობა და გონება გაიტაცონ ოცნების კეთილ ქვეყანაში, გიჩვენონ საღამოს სილამაზე, გაფიქრებინონ ადამიანის ყოველდღიურობის მიმზიდველობა, ცხოვრების სიტკბო... თითქოს გვეუბნებიან: "ხალხო, ჩვენ თქვენს მყუდროებას ვიცავთ, ირგვლივ სიწყნარეა, ხვალაც დარი იქნება. მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ, ნახეთ – ყველგან რა მშვენიერებაა!"

ქუჩაში მანქანები წყნარად მისრიალებენ, ხალხი მიდი-მოდის... რა ბედნიერებაა, რა უდიდესი სიამოვნებაა აი, თუნდაც მხოლოდ ის, რომ შეგიძლია, უმზირო ყველაფერს: ქვეყნიერების სილამაზეს, ფერების თამაშს; მოუსმინო მუსიკას, დილით მოუთმენლად გაშალო ახალი გაზეთი... შეგიძლია, მთელი გულისყური მიაპყრო შენს საყვარელ საქმეს, მიეალერსო შვილებს, წიგნები წაიკითხო... და ათასი კიდევ სხვა, თითქოსდა წვრილმანი გააკეთო, რითაც სავსეა ცხოვრება, რასაც ყოველდღიურობაში ასე მცირედ ვაფასებთ და რაზედაც ჩვენი მამები სანგრებში ასე ოცნებობდნენ. როგორ მიმზიდველად ესახებოდათ მომავალში თუნდაც აი, მშობლიურ ქალაქზე ფანჯრიდან ასე რომ გადაეხედათ, ეგრძნოთ დაურღვეველი სიჩუმის სიამე, დაენახათ გულსავსე სიცილით განათებული სახე, უდარდელად მოსეირნე ხალხი, კაშკაშა ნათურებით განათებული ღამის ქუჩები...

ქუჩებში ლამპიონები აინთო, ნანა, სად ხარ? ალბათ ერთ-ერთ ამ განათებულ ქუჩაზე მიაბიჯებ და ერთი წუთითაც კი არ წარმოგიდგენია, თუ რაზე ვფიქრობთ ახლა ამ ოთახში... არც აი, ის გამვლელი ფიქრობს ამაზე, არც – მეორე, მესამე... ყველა თავ-თავისი გზით მიდის, თითოეულს საკუთარი საქმე აქვს, რომელიც ამ წუთში დანარჩენზე უფრო მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიაჩნია. შენ კი... ნანა, შენ ჩქარობ, ძალიან ჩქარობ, რადგან იცი, გელი...

დავბრუნდი და ისევ სავარძელში ჩავჯექი. ოთახში საკმაოდ ჩამობნელებულა. მხოლოდ ბებია დაროს თეთრი თავი და ტელევიზორის განათებული ეკრანი გამოირჩევა, ხანაც პაპიროსის წვერი ციცინათელასავით გამოანათებს. კონცერტი გრძელდებოდა. კახურმა მრავალჟამიერმა გაავსო ოთახი, შვება და ლხენა შემოიტანა... მაინც, თითქოს სულ სხვა განწყობილება სუფევდა ოთახში და ჯობდა, ტელევიზორი საერთოდ გამოერთოთ... მაგრამ მაშინ სინათლეს აანთებდნენ, გაიბმებოდა საუბარი, ასე კი შემეძლო, სიბნელეს მივჩერებოდი, რაზეც მინდოდა, იმაზე მეფიქრა...

ზარმა დაიწკრიალა. მისმა ხმამ თითქოს გამომაფხიზლა, ძალა შემმატა.

– რა სიბნელეში სხედხართ!

სინათლე აინთო. გაღიმებული ნანა პირველად ბებია დაროსთან მივიდა, მოეხვია. ფეხზე წამოვდექი. როცა ნანა მომიახლოვდა, თვალებში ჩავხედე, სიხარული ვიგრძენი. თვალები უბრწყინავდა, ლოყები ვარდისფრად უღვიოდა, ალბათ ჩქარი სიარულისგან. დეიდა ქეთევანი და ბებია მაკა შემოჰ-

ყვნენ უკან. ყველანი ნანას შევყურებდით და ვიღიმებოდით. იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო, გეცქირა ნანას ახალგაზრდა, ლამაზი სახისთვის და არ გეგრძნო მის ღიმილში სიცოცხლის, სიყვარულის, იმედისა და სიხარულის ნიშანი.

1967

კოტე და დალი

1.

— ვაჰ, დალი, ეს შენა ხარ? — გადაუდგა კიბეზე ჩაფიქრებით მიმავალ შავთმიან ქალიშვილს მაღალი, მღიმარე ახალგაზრდა კაცი.

— გამარჯობა, კოტე, აქ რა გინდა? — ქალიშვილსაც გაუხარდა დიდი ხნის უნახავი ნაცნობის მოულოდნელი შეხვედრა. — რიაზანში არ ხარ?

— ვისგან გაიგე? მოკლევადიან კურსებზე ვიყავი გადასამზადებლად. რა ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს, არა?

დალიმ და კოტემ ჩაიარეს კიბე და იქვე გვერდზე მიდგნენ, რადგან ამ უზარმაზარ შენობაში მრავალი დაწესებულება იყო განთავსებული და ხალხის ტალღა მიედინებოდა გასასვლელისკენ სამუშაო დღის დამთავრების გამო.

— ჰო, რაც მე ინსტიტუტი დავამთავრე. ხუთი წელი მაინც იქნება. არა, ექვსია, რა მალე გადის დრო... — ოდნავ ნაღვლიანად გაიღიმა დალიმ, თითქოს უკვე კაი სამოც წელს ყოფილიყო მიღწეული.

— ხომ არ გათხოვილხარ, გოგო? — ჰკითხა კოტემ.

— არა, შენ რა ჰქენი? — გაუღიმა დალიმ.

— არც მე გავბედნიერებულვარ...

— რაღას უცდი?

— გამიჭირა საქმე დედაჩემმა, უკვე ოცდაცამეტი წლის ხარო, შენს ძმას რას უყურებო... ჩემი უფროსი ძმაც უცოლოა.

— ლადოც შენს დღეშია? რას მეუბნები! — გადაიკისკისა დალიმ; ბუნებრივად, ძალდაუტანებლად გრძნობდა თავს კოტესთან, თითქოს გუშინ ნახა უკანასკნელად.

— იცი რა? — გაიცინა კოტემაც, — შენც გასათხოვარი ხარ, მე — უცოლო... რა იქნება, ერთი კარგი ქორწილი გადავიხადოთ!..

— რა?.. — დაიბნა დალი, უცებ ვერ მოისაზრა, რას ეუბნებოდა კოტე. — რა სთქვი?

— დღეს ოცდაშვიდი დეკემბერია, მოდი, ახალ წლამდე მოვრჩეთ საქმეს... არა, თუ გინდა, ხვალვე, ჰა? — კოტე ისევ იღიმებოდა და თვითონვე უკვირდა, საიდან მოუვიდა ასეთი გადაწყვეტილება და თანაც სამიოდ წუთში, როცა ამის წინ დალი უბრალოდაც კი არ გახსენებია.

— რას ამბობ, კოტე, გეყოფა ახლა ხუმრობა... — ძლივს გამოთქვამდა სიტყვებს დალი და გაწითლებული იატაკს დასცქეროდა. — არა, არა...

— კარგი ახლა, შე ქალო, ნუ გაინაზები, ბოლოს და ბოლოს, ოცდაცხრა წლის ხარ, ბავშვობის დრო წავიდა, — ისევ ხუმრობასავით ეუბნებოდა კოტე. — სრულიად სერიოზულად გეუბნები.

დალი დამუნჯდა, ვეღარაფერს ამბობდა, თან ეშინოდა, ჩემი სიჩუმე თანხმობის ნიშნად არ მიიღოსო; თუმცაღა, რატომ ეშინოდა, თვითონაც ვერ გაეგო.

— ხვალ მოვალ აქ, ამ დროს და მანამდე მოიფიქრე. შინ მიდიხარ, ხომ? აქ ერთი ამხანაგის ნახვა მინდოდა, მაგრამ წასული იქნება უკვე... სახლამდე რომ მიგაცილო, ხომ არ იქნები წინააღმდეგი?..

— არა, არა!.. არ მინდა! — ახლა კი ცხოვლად უარყო ეს წინადადება დალიმ, მეტი ვერაფერი უპასუხა.

— რა არა, დალი, როდის აქეთაა, ჩემი შიში გაქვს, — კვლავ ღიმილით უთხრა კოტემ და გრძნობდა, რომ სხვა ტონით ლაპარაკი უკვე აღარ შეეძლო. — წამოდი და დედაშენს ნაკლულს კი არა, ნამატით ჩავაბარებ შენს თავს...

— რას გულისხმობ ნამატში?

— როგორ, სიძე ბატონიც რომ თავისი ფეხით ეახლება... — გაშალა ხელები კოტემ და ისე სასაცილოდ გამოუვიდა, რომ დალიმაც ვერ შეიკავა ღიმილი, მაგრამ მაშინვე ამაყად განაცხადა:

— არა, მე ჯერ ბიჭი არ მიმყოლია სახლში!..

– კარგი ერთი, მე და სხვა ერთი ვართ? – აღარ მოეშვა კოტე. – ორ-სამ დღეში ქორწილს ვაპირებთ, ხუმრობა ხომ არ არის! მე რომ მიყვარს, ის საჭმელები თუ არ იქნა სუფრაზე, რად მინდა ასეთი ქორწილი... სიდედრი ხომ უნდა გავაფრთხილო!

ასე ლაპარაკ-ლაპარაკით ნელ-ნელა მიდიოდნენ ქუჩაში, კოტე ისევ ხუმრობით ელაპარაკებოდა; თითქოს ერთგვარ უხერხულობასაც განიცდიდა ამგვარ სერიოზულ თემაზე რომ ასე თავისუფლად ესაუბრებოდა, მაგრამ გაჩერებაც აღარ შეეძლო; თანაც სიტყვები თავისთავად, ძალდაუტანებლად იღვრებოდნენ, მაინცდამაინც დიდ უკმაყოფილებას არ იწვევდნენ დალის მხრიდან და კოტეც განაგრძობდა ლაყბობას; ამასთანავე, სრულიად გულწრფელადაც ლაპარაკობდა.

თავის ეზოსთან მისული დალი კოტეს სასწრაფოდ გამოემშვიდობა და შეიჭრა ალაყაფში, შემდეგ სირბილით ალია კიბეც, მაგრამ მაინც მოესმა კოტეს ხმამაღალი ძახილი:

– ხვალ საღამოს პასუხისთვის მოვალ აქ, სახლში!.. ექვს საათზე!..

2.

საღამოს ექვსი საათი ახლოვდებოდა. ოჯახში დიდი დაბნეულობა იყო. კოტე საცაა უნდა მოსულიყო, გარკვეული გადაწყვეტილება კი ჯერ არ მიეღოთ; მართალია, კოტეს დიდი ხანია, იცნობდნენ როგორც დალის მეგობარს, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ პირადად ჯერ არ ენახათ. ერთი-ორჯერ დალის უმცროს ძმას – მასაც კოტე ერქვა – ჰყავდა ნანახი, მაგრამ მას არავინ არაფერს ჰკითხავდა, თუმცა უკვე საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასში სწავლობდა. დიდი, დიდი დაბნეულობა სუფევდა ოჯახში. გამოდის, რომ იცნობ კიდეც ადამიანს და არც იცნობ... სწორედ ამ დაბნეულობამ დალიც და მამამისიც, ბატონი პროკოფიც სამსახურიდან ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე მოიყვანა შინ. ქალბატონ ნინოსაც ეტყობოდა მღელვარება – საახალწლო სამზადისი ხშირ-ხშირად ავიწყდებოდა და ჩაფიქრებული ხანგრძლივად მიაშტერდებოდა ხოლმე ერთ წერტილს, შემდეგ ელდანაკრავივით წამოხტებოდა და გარბოდა სამზარეულოში, რათა იქ რაიმე კატასტროფა არ მომხდარიყო...

ქალბატონი ნინო და ბატონი პროკოფი წამდაუწუმ მაგიდის საათს აჩერდებოდნენ. თან უნდოდათ, მალე გაევლო დროს და შეემოწმებინათ, რამდენად შეესაბამებოდა კოტე მათ წარმოდგენებში არსებულ კოტეს და მეორე მხრივ კი – თითქოს ეშინოდათ იმ წუთის დადგომისა, როცა უცნობი ახალგაზრდა (თუ კაცი?) შემოაბიჯებდა მათ ოჯახში და უნდა დალაპარაკებოდნენ, უხერხულად ეძებნათ სიტყვები, მოჩვენებითი ინტერესით ესაუბრათ სულ სხვადასხვა საკითხებზე, გულდასმით და შეფარვით ეთვალიერებინათ ერთმანეთი...

დალი სამზარეულოდან არ გამოდიოდა, ხაჭაპურებს აცხობდა. უკვე იმდენი ხაჭაპური გამოეცხო, ოც სტუმარს გაუმასპინძლდებოდა, მაგრამ დალი მაინც არ ეშვებოდა, კიდევ და კიდევ ამზადებდა... რას ფიქრობდა? ალბათ იმას, რომ... რომ, საკვირველია, თითქმის თხუთმეტი წელია, კოტეს იცნობს და არასდროს უფიქრია, რომ ახლა ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, როცა არ იცის, უნდა თუ არა, კოტეს ცოლად გაჰყვეს...

უცებ ზარმა დარეკა და ყველას ჟრუანტელმა დაუარა.

ყველამ კარისკენ გასწია. ქალბატონმა ნინომ მიასწრო დანარჩენებს და კარი გამოაღო.

კარს უკან კოტე იდგა.

– საღამო მშვიდობისა!

– მობრძანდით, გამარჯობა, შემოდი კოტე! – ერთდროულად ახმიანდნენ ქალბატონი ნინო, ბატონი პროკოფი და დალი.

კოტემ ერთხელ კიდევ დაიფერთხა პალტო, ერთხელ კიდევ გულდასმით გაიწმინდა ფეხსაცმელი და ბინაში შემოვიდა.

– უჰ, რა თოვლია! – ფართოდ გაიღიმა, ყველას ხელი ჩამოართვა, ქალბატონ ნინოს ვარდების თაიგული მიართვა ("ამ ზამთარში სად იშოვა?" – გაიფიქრა ქალბატონმა ნინომ) და პალტო კუთხეში დაჰკიდა.

– მობრძანდით აქეთ! – წინ წაუძღვა სტუმარს ქალბატონი ნინო, უკან კი მიჰყვნენ ბატონი პროკოფი და დალი, რომელიც აღელვებით ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა ახლა საუბარი, უხერხული და თავაზიან-დიპლომატიური...

ქალბატონ ნინოს ეგონა, უფრო ლამაზი იქნებოდა კოტე, ბატონ პროკოფის კი – უფრო დაბალი... მაგრამ როცა კოტემ გაიღიმა, თეთრად ააელვარა კბილები და მაგიდასთან შეთავაზებულ სკამზე დაჯდა, ცოლ-ქმარი პირველი შთაბეჭდილებით ერთგვარად მაინც კმაყოფილი დარჩა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ის-ის იყო, იგი უხერხულ ფორმას მიიღებდა, რომ უცებ კოტე წამოდგა ფეხზე, ოთახში გაიარ-გამოიარა და ღიმილით იკითხა:

— აბა, როგორი სიძე ვიქნები? — კიდევ გაიარ-გამოიარა და: — ხომ ხედავთ, რა ბიჭიც ვარ! ჩემმა მზემ, ურიგო ბიჭი ნამდვილად არა ვარ! ხომ სეხნია?!. — დაჰკრა მხარზე ხელი იქვე მდგომ პატარა კოტეს. — როგორ მოგწონვართ?

— ე-ე-ე... რა გიჭირთ... — უხერხულად წამოიწყო ბატონმა პროკოფიმ, გაოგნებულმა საუბრის ასეთი დასაწყისით.

— რა მიჭირს კი არა, ოქრო ბიჭი ვარ, ოქრო! ხომ კი, დალი? — ისევ ფართოდ გაიღიმა, თავდახრილ დალისთან მივიდა, აკოცა, შემდეგ მხიარული თვალები მოავლო ყველას და ბატონ პროკოფის მიმართა: — ცივა, კაცო, მოდი, ერთი თითო ჭიქა მივუჭახუნოთ, ჰა?

— ახლავე, ახლავე... — დაფაცურდა ქალბატონი ნინო და თვალით ანიშნა ჭარხალივით აწითლებულ ქალიშვილს, შენ ჭიქები გამოიღე სერვანტიდან, სანამ მე ღვინოს და ხაჭაპურებს გამოვიტანო.

ბატონ პროკოფის სულ დაავიწყდა თავისი გეგმა: გულდასმით, თუმცა დიპლომატიურად, გამოეკითხა კოტესთვის — სად მუშაობს, რას აკეთებს იქ, რა გეგმები აქვს ცხოვრებაში და ასე შემდეგ... ან კი როგორ არ დაავიწყდებოდა, როცა კოტემ ჭიქა ასწია, პატარა კოტეს და ბატონ პროკოფის მიუჭახუნა და პირველი სადღეგრძელო წარმოსთქვა:

— ამ ოჯახში თქვენი სიძის პირველ შემოსვლას გაუმარჯოს! ბედნიერი იყოს მისი ფეხი, სიამტკბილობა და ყოველივე სიკეთე შემოეტანოს ამ ოჯახში!..

1967

სკივრი

იმერეთის ქუჩაზე ქუთაისში ბევრს აქვს მშვენიერი მწვანე ეზო, მაგრამ კაკო ხახვაძის კარ-მიდამის მაინც ვერც ერთი შეედრება. მისი ნახევარი უკავია ბაღჩასა და ბაღს, მეორე ნახევარზე კი კოინდარი ბიბინებს უზარმაზარი კაკლის ქვეშ. ღობის გაყოლებით ატამი, ლეღვი და ალუბალია ჩარიგებული. სახლის ქვედა სართული ბეტონითაა ამოყვანილი, მეორე კი წაბლის ხისაა.

— ისე რად მინდა სიცოცხლე, თუ ჩემს ეზოში ფეხშიშველა არ გავივლი ბალახზე... — ხშირად თავისებურად გაუმეორებია გალაკტიონის სიტყვები კაკოს. ზაფხულში, თუ დარია, სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ კაკო ჩამოიბანს მტვერს, — მშენებელი ინჟინერია, — გამოიტანს მწვანე კოინდარზე ტაბლას, მიადგამს ჯორკოს და მოხუც დედას გააწყობინებს სადილს თუ ვახშამს. ბებია ვასასისთანა კეთილი მოხუცი ძნელი წარმოსადგენია. ყველასთვის მზად აქვს ღიმილი და კეთილი სიტყვა. განსაკუთრებით პატარა ბავშვები უყვარს. თქვენ გგონიათ, საკუთარი შვილიშვილები არ ჰყავს? ორი ქალიშვილი რა ხანია, გაათხოვა, შვილიშვილები უკვე დიდები არიან, ერთი უნივერსიტეტშიც კი სწავლობს თბილისში. ახლა ნაბოლარა შვილის — კაკოს — გაბედნიერებას ელის.

— ე, ბიჭო, დააყენე საშველი, უცოლო უნდა დაბერდე? შვილიშვილს აღარ მაღირსებ? — სამოცდაათი წლის ვასასი თითქმის ყოველდღე უჩიჩინებდა კაკოს. ხან ერთ გოგოზე ეუბნებოდა, ხან — მეორეზე, მაგრამ კაკომ აგერ თითქმის ორმოც წელს მიუკაკუნა და ისევ უცოლოდ იყო. ისე კი რომელი ქალი ეტყოდა უარს! მის უბანში კარგ საცოლე ბიჭად ითვლებოდა. შავ ხუჭუჭ თმაში ჯერ ერთი თეთრი თმა არ ერია, შავულვაშიანი ლამაზი სახე კი ოცდახუთი წლისას უგავდა. ხასიათს აღარ იკითხავთ? ნახევარი ქუთაისი იცნობდა როგორც ვაუკაცს, პურმარილიანსა და კარგ მომლხენ კაცს, ყველას მოჭირნახულესა და გამგებს.. ხუთი წელი სწავლობდა თბილისში, პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ისევ ქუთაისს დაუბრუნდა. ამ ქუჩაზე სუფრა ისე არ გაიშლებოდა, რომ კაკო არ დაეპატიჟათ. მოკლედ, შესაძლოა, კაკოს ერთგვარად გაზვიადებულმა წარმოდგენამ საკუთარ პიროვნებაზე გამოიწვია მისი აქამდე უცოლოდ დარჩენა (ყოველი მხრიდან ესმოდა: რა ბედნიერი იქნება, ვინც მას ცოლად გაჰყვებაო), თანაც კვირაში ორ-სამჯერ ამხანაგებში ქეიფი და დროსტარება უწევდა... ჰოდა, დღეები და კვირები, თვეები და წლები ერთმანეთს სწრაფად მისდევდნენ. მოხუცი ვასასი ბაღჩაში საქმიანობდა, ქათმებს აპურებდა თუ სადილს აკეთებდა — სულ იმაზე ოცნებობდა, როგორ გამოტანტალდებოდნენ ეზოს ბალახზე მისი შვილიშვილები, ვაჟის შვილები...

ერთხელ ადრე გაზაფხულზე კაკო თბილისში გაგზავნეს მივლინებით. ერთი კვირის შემდეგ იმერეთის ქუჩას მოედო სენსაცია: კუკურიმ ცოლი ჩამოიყვანაო. ყველა პატარძალზე ალაპარაკდა. უკვირდათ — ერთ კვირაში როგორ მოასწრეს ყველაფერიო. ქალის ხნოვანებასაც წუნობდნენ: ასაკით ცოლ-ქმარი ტოლები იყვნენ, თუმცა არც პატარძლის მიმზიდველ გარეგნობას უარყოფდნენ. რამდენი რამ უკვირთ ამ ქვეყანაზე ადამიანებს! გასაკვირი კი არაფერი იყო: მარინე და კაკო ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლობდნენ ერთად. მაშინ მარინე მეტად ლამაზი, თავმომწონე და ამაყი ქალიშვილი იყო. კი იცოდა, კაკოს მოსწონდა, მაგრამ თავი ისე ცივად, მიუკარებლად ეჭირა, რომ კაკომ ვერაფრით გაბედა მისთვის რაიმე ეთქვა... და აი, ინსტიტუტის დამთავრებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ

მოულოდნელად ისევ შეხვდნენ ერთმანეთს: მარინე სწორედ იმ დაწესებულებაში მუშაობდა, სადაც კაკო მიავლინეს. მართალია, მარინე აღარ იყო ადრინდელივით ქორფა, მაგრამ კუკურის გული მაინც შეტოკდა, როდესაც გაიგო, ჯერ გაუთხოვარი იყო...

ვასასი ყოველთვის ფიქრობდა, რომ მისი კაკოს ცოლი ახალგაზრდა ქალიშვილი იქნებოდა, განსაკუთრებით კი – მეზობლად მცხოვრებ გოგონებიდან ერთ-ერთი მაინც. როგორც ჭკვიან ქალს შეეფერება, მეზობლებში არაფრით გამოუმჟღავნებია თავისი იმედგაცრუება, პირიქით – აქებდა კიდეც რძალს, თუმცა მისთვის უჩვეულო სიძუნწით. გამოცდილი მოხუცისთვის არ იყო საჭირო მტკიცება, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ბებია ვასასი იმით ინუგეშებდა თავს, რომ, რაც უნდა იყოს, რძალი კულტურული, განათლებული ქალია, რაც მთავარია, კაკო უყვარს, მე კი პატივისცემით მეპყრობაო. რამდენიმე თვეში ცხადი გახდა, რომ შვილიშვილითაც დაასაჩუქრებდა და სულ მოლბა მოხუცი.

ივლისის კვირადღე იყო. ვასასი მოთენთა შუადღის თაკარა მზემ და აივანზე მჯდომს თვალები ელულებოდა. შევიდა გრილ ზალაში და ტკბილად წაეძინა ტახტზე. საღამოხანს ლაპარაკმა გამოაღვიძა. აივნიდან ხმები ესმოდა, ჯერ როგორც შემაწუხებელი ხმაური, მათი აზრის გარეშე, შემდეგ ნელ-ნელა გამოერკვა ბურანიდან და საუბრის შინაარსსაც ჩასწვდა.

– აბა აქ გინდა, დავმჟავდე მთელი სიცოცხლე? – მარინეს ხმაში შეკავებული სიბრაზე იგრძნობოდა.

კაკო ცდილობდა მის დამშვიდებას:

– თბილისში გადასვლის წინააღმდეგი არც მე ვარ, მარა დედას რა ვუყოთ? სახლი...

– სახლი, სახლი!.. – გაანჩხლდა მარინე. – ხომ გითხარი, გავყიდოთ და მორჩა!

– ჩუმად, მარინე, შენი ჭირიმე... ხომ იცი, დედა არ დათანხმდება. არც თბილისში წამოვა და არც სახლს გაგვაყიდვინებს. თითქმის მთელი სიცოცხლე აქ გაუტარებია მოხუცს...

– ეგ არის შენი ვაჟკაცობა?

– მარინე...

– ფუი, შენს კაცობას!.. კიდევ არ უთხარი?!.

– რა აზრი აქვს? მაინც არ დატოვებს ამ ეზოს, მარინე, სამიოდე წელი დარჩენია ამქვეყნად და...

– შენ მხოლოდ დედაშენზე ფიქრობ!

– მარინე...

– დედა, სულ დედა! – კიდევ უფრო აუწია ხმას მარინემ. – მე თუ შემიძლია, ეს შენ არ გაინტერესებს!

– აბა, რა ვქნათ...

– აქ უნდა გამოვყრუვდე? მე დედაშენის სიკვდილს ვუცადო?

– მასე რატომ ლაპარაკობ, მარინე, საწყალ მოხუცს ვაცალოთ...

– როგორ მომბეზრდა სულ ერთისა და იმავეს ლაპარაკი! – შეაწყვეტინა მარინემ. – მეყოფა! მე თვითონ ვეტყვი...

– მარინე...

– რა მარინე, მარინე! ვეღარ გაიგე, აღარ შემიძლია, აღარ შე-მი-ძლი-ა!..

ზალაში უკვე ბინდი შემოპარულიყო. ბებია ვასასი აღარ უსმენდა ცოლ-ქმრის დავას. მოხუცის თვალები უაზროდ მიაშტერდნენ კედლის ჩამუქებულ ფიცრებს. ნუთუ ეს მარინეს ხმაა? მარინესი, რომელიც ყოველთვის ნაზი და ყურადღებიანი იყო! თუმცა, ამ ბოლო დროს... ბოლო დროს თითქოს ცივი გახდა, მთელი დღის განმავლობაში ორ სიტყვას თუ გაიმეტებდა დედამთილისთვის. კაკო? კაკოს რაღა დაემართა? ნუთუ აივანზე მისი საყვარელი შვილი ბუტბუტებს რაღაცას მათხოვარივით? სახლი გავყიდოთო... მის სიკვდილს მოელიან... სიკვდილზე უარესი არ იქნება, ამ სახლში უცხო ვიღაც ცხოვრობდეს, ეზოს კოინდარზე სხვა დადიოდეს?.. არა, ასეთი რამ ვასასი ბებიას ვერ წარმოედგინა, თუნდაც მისი სიკვდილის შემდეგაც თუ მოხდებოდა... მშობლიური ალაგი... სადაც ყოველი ხე, ყვავილი, თითოეული კუნჭული თვალდახუჭულს ცხადად წარმოუდგება... სადაც თითქმის ნახევარი საუკუნე გაუტარებია გათხოვების შემდეგ, სადაც შვილები გაუზრდია, ჭირიც უნახავს და ლხინიც...

მძიმედ აიტანა წელი ჭრიალა ტახტიდან, შემდეგ გაჭირვებით მიაღწია თავის ოთახამდე და გაუხდელად ჩაწვა ლოგინში.

იმ საღამოს აღარავის მოჰგონებია მოხუცი. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. იმ დროიდან, რაც უფროსი ბიჭის ფრონტზე დაღუპვის ცნობა მოუვიდა, ასეთი აფორიაქებული სული ჯერ არ ჰქონია.

დილას იმერეთის ქუჩამ შეიტყო: ვასასი ბებიას გულის შეტევა მოუვიდაო. კაკო ხან ექიმების მოსაყვანად გარბოდა, ხან დეპეშებს აგზავნიდა თბილისში დებთან. მეორე დილას საჩქაროდ ჩამოვიდა ვასასის უფროსი ქალიშვილი ნათელა. მოხუცი ცოტა უკეთესად შეიქნა, საჭმელიც გასინჯა, მაგრამ, რაც ყველამ შეამჩნია, არაფრით უნდოდა, რძლის ხელით ეჭამა; როცა მარინე ან კაკო დაე-

ლაპარაკებოდნენ, თითქოს არ გაუგონიაო, უპასუხოდ სტოვებდა, ერთხელაც არ შეუხედავს მათთვის. ნათელა ცდილობდა, ავადმყოფი არ შეეწუხებინა და არაფერი უკითხავს. მოხუცსაც არავისთვის გაუნდია გულისტკივილი. რძალი მის ავადმყოფობას და უცნაურ ქცევას სიბერესა და მაღალ წნევას მიაწერდა.

ყოველდღე მოდიოდნენ ბებია ვასასის სანახავად იმერეთის ქუჩის მცხოვრებნი, ესაუბრებოდნენ ენაწყლიან მოხუცს, ართობდნენ. კვირის თავზე ვასასი ბებიამ საწოლზე წამოჯდომაც შესძლო, მხოლოდ გავლას ჯერ უკრძალავდნენ ექიმები. ქუთაისის ყველაზე გამოჩენილი მკურნალები დაასია კაკომ, ნათელა დღედაღამ თავს დასტრიალებდა. მეზობელი ქალიშვილები – ციური და ლამზირა – მთელ თავისუფალ დროს ბებია ვასასისთან ატარებდნენ. ნელ-ნელა მოხუცი ისევ ვასასის, ადრინდელ ბებია ვასასის იერს იბრუნებდა – ერთთავად მღიმარე ნაოჭებიანი სახით, ტკბილი, ხალისიანი ლაპარაკით, ბავშვების განსაკუთრებული სიყვარულით...

ერთ საღამოს ბებია ვასასიმ ნათელას მოატანინა საწოლთან რკინით მოჭედილი ძველებური ხის სკივრი, რომელიც აქამდე ზალაში იდგა. რა არ ჰქონდა შენახული მოხუცს ამ სკივრში! ათასგვარი ძველებური ღილები და ქინძისთავები, რამდენიმე ლამაზი ბეჭედი, საყურეები... სხვადასხვაგვარი პატარ-პატარა ნაჭრები ქსოვილებისა, ნაქარგები, კოლოფებში ჩაწყობილი ფერად-ფერადი ძაფების კოჭები, ბრჭყვიალა მძივები, გაურკვეველი ასაკისა და დანიშნულების წვრილ-წვრილი ნივთები... მთელი სიცოცხლის განმავლობაში სათითაოდ მოგროვილი და სათუთად შენახული საგნები შეიძლებოდა, მთელი საღამო გეთვალიერებინა და არ მოგწყინდებოდა. დიდი ხანია, ვასასი ბებია ოცნებობდა, რომ ამ რუდუნებით შეგროვებულ და გადანახულ ძვირფას ნივთებს სკივრთან ერთად იმ ქალს აჩუქებდა, ვისაც მისი კაკო ცოლად აირჩევდა. ეს გადაწყვეტილება არავის გაანდო, ისეთ ღრმა, თითქმის სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩანაფიქრს კეთილი მოხუცი.

და აი ბებია ვასასიმ ციურისა და ლამზირას უსახსოვრა მთელი ეს სიმდიდრე. როცა ქალიშვილებს ეს ამბავი აცნობა, ეცადა, დაეფარა მღელვარება. ქალიშვილებმა ვერ შეამჩნიეს მოხუცის თვალებში გაბრწყინებული ცრემლი. მთელი საღამო სიცილ-კისკისით ათვალიერებდნენ ძველებური სკივრის შემცველობას, იკეთებდნენ საყურეებს, იზომებდნენ ბეჭდებს... განსაკუთრებით ქსოვილების ნაჭრების სიმრავლე, მოხატულობის ნაირფერობა და სილამაზე აკვირვებდათ. ხელისგულის ოდენა ნაჭრებიდან ორსაც ვერ შეარჩევდით ერთნაირს. გადაწყვიტეს, ამ ნაჭრებით ბებია ვასასისთვის ნაირფერი ჭრელი საბანი შეეკერათ...

როგორ გაეცინებოდა მარინეს, რომ გაეგო, ეს სკივრი თავდაპირველად ვისთვის იყო განკუთვნილი!.. "ეს ძველმანი?.. რა ფასი აქვს მაგას? ეჰ, დაბერდა და სულ გამოჩერჩეტდა, საწყალი!" და უკეთეს შემთხვევაში, ალბათ სადმე სხვენში დააგდებდა დამტვრეულ სკამებთან და სხვა ძველმანთან...

მეორე დილით ბებია ვასასის ცხედარი უკვე გაცივებული ნახეს.

1964

შესვენებაზე

როგორც იქნა, ზარი დაირეკა და სტუდენტებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. დერეფნები ლაპარაკით, სიცილითა და ფეხსაცმელების პაკიპუკით აივსო.

ჩვენც შევერიოთ ჯგუფ-ჯგუფად მდგომ სტუდენტებს... ერთგან – ფეხბურთის თაყვანისმცემლები გაცხარებულები ხელებს იქნევენ; მეორეგან – კვირის კინოფილმებს არჩევენ; აგერ კიდევ – სტუდენტები პირში მისჩერებიან ჯგუფის ხუმარას, რომელიც ლექტორებს ბაძავს... დერეფნის ბოლოში დაჭმუჭნილი ქაღალდის ფურცელი ბურთად უქცევიათ და... თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რაც ხდება. მოკლედ, ყველა ცდილობს, ათი წუთი დასვენებისა მაქსიმალურად გამოიყენოს.

გარეთ, ქუჩაში, კი ახალამწვანებული ხეები შრიალებენ, ქალიშვილებმა შინ დატოვეს ზამთრის მძიმე პალტოები და პოეტს ათქმევინებენ – ქალაქი აყვავებულაო... იქნებ ჩვენც გავიდეთ გაზაფხულის მზით ავსილ ქუჩებში? ამ ხმაურიან დერეფნებში თითქოს საინტერესოს ვერაფერს ვნახავთ. ერთხელ კიდევ გადავხედოთ დერეფნის კალეიდოსკოპს...

აი, ეს ქერა ქალიშვილი – ნათელა – ასე დაფიქრებული საით მიიკვლევს გზას? აბა ერთი, უკან მივყვეთ, იქნებ ჩვენთვის საინტერესო რაიმეს მოვკრათ თვალი...

დერეფანმა რამდენჯერმე მოუხვია. სტუდენტთა ჟრიამულმა თანდათან იკლო. ქალიშვილი გაჩერდა ყავისფერ კართან, აბრაზე აწერია: "დეკანი".

ახლა კაბინეტში სიჩუმეა. ნათელა უყურებს მასიურ კარს და, ეტყობა, ყოყმანობს.

ხის ტლანქ მაგიდას უზის დეკანი დავით ცანცალაძე და რაღაცას წერს. ერთი შეხედვით, მძიმე წონის მოჭიდავე გეგონებათ. ასეთი კაცი აქ კი არ უნდა იჯდეს, გურულის არ იყოს, ოროყიანი თო-

ხი უნდა ეპყრას ხელთ და მიწას უყაყუნებდეს. ზოგი იმასაც იტყვის, სად გაგონილა მეცნიერებათა კანდიდატი და – ხელში თოხიო... მაგრამ მე ვიცი, რასაც ვამბობ. მართალია, იყო ერთი პერიოდი, როცა ბატონი დავითი ვითომ მეცნიერების უღელში შეება. "ვითომ" იმიტომ, რომ ძალზე ჰგავდა ზარმაც ხარს, რომელიც მთელი თავისი მოქმედებით გიჩვენებს – აი, ნახე, როგორ მუყაითად ვეწევი ჭაპანსო, მაგრამ ეს მხოლოდ ფანდია და გამოცდილმა მეურმემ წამალიც კარგი იცის. ბატონ დავითისთვის კი შოლტის დამრტყმელი არ გამოჩნდა, პირიქით – დისერტაციაც კი დაიცვა.

მოკლედ, მას შემდეგ ბატონი დავითი ლექციებს კითხულობს და ამ სამი წლის წინათ დეკანადაც დანიშნეს... და არც ნანობდნენ.

კაბინეტის კარი გაიღო და ქერა ქალიშვილმა შემოჰყო თავი, შემდეგ უხმაუროდ შემოვიდა და იქვე დადგა. ნუთუ ბატონმა დავითმა ვერ შეამჩნია? ადვილი შესაძლებელია.

ბატონმა დავითმა განაგრძო წერა. მოდით, ჩუმად დავდგეთ მის ზურგს უკან და წავიკითხოთ მისი ხელით ნაწერი:

"გთხოვთ გამოგვიყოთ 15 ივნისის თამაშისთვის 15 ფეხბურთის ბილეთი..."

ბატონმა დავითმა ასწია დიდი თავი და შავი, მძიმე თვალები მიაპყრო ქალიშვილს. ნათელას გაუკვირდა. ბატონი დავითი ყველა სტუდენტს ასე უყურებდა – თითქოს დანაშაულზე წაასწროო.

– ბოდიში, პატივცემულო, მე გელაიშვილი ვარ...

– ა-ა-ა, ძალიან კარგი, ძალიან კარგი... – დეკანმა ფურცელი ამოიღო მაგიდის უჯრიდან და თვალი გადაავლო. – ნათელა გელაიშვილი? გუნდის რეპეტიციებს რატომ აცდენ? აგერ სია გადმომცა გვინცაძემ, არც შაბათს ყოფილხარ, არც იმის წინ...

– შეიძლება?

ჩვენ ვერც კი შევამჩნიეთ და ოთახში კიდევ ერთი კაცი შემოსულა. სანაძლეოს ვდებ, თუ დოცენტმა ალექსი ბუდილაძემ ფეხბურთის ბილეთი არ სთხოვოს!

– მობრძანდით, მობრძანდით, ახლავე მოვრჩები...

დოცენტ ალექსი ბუდილაძის შემოსვლამ ძალზე შეამოკლა ბატონ დავითის სიტყვა.

– ერთ თვეში საქალაქო დათვალიერებაზე უნდა გავიდეთ და შენ კი აცდენ... – რა ლამაზი, ხავერდოვანი ბარიტონი აქვს, არა? თითქოს თვითონაც გრძნობს ამას და მისი ხმა სულ უფრო მოქნილი და ინტონაციებით მდიდარი ხდება. – იძულებული ვარ, შენ და შენისთანას კიდევ რამდენიმეს ორი თვით მოგიხსნათ სტიპენდია...

ეს კი ნამდვილად მოულოდნელი ამბავი იყო ნათელასთვის. შეამჩნიეთ, როგორ გაფითრდა? სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერაფრით დავეხმარებით. შესაძლოა, ჩვენი ჩარევით გაბრაზებული ბატონ დავითის ხავერდოვანი ბარიტონი ერთი ოქტავით აგვეწია, მაგრამ, როცა ნათელას დაბნეულ სახეს უყურებ, ეს არაფრად მიგაჩნია...

მგონი, ისევ დოცენტმა ალექსი ბუდილაძემ გვიშველოს. მართლაც, აი, მან მოკლედ შეკრეჭილ ჭაღარა თმებზე ხელი გადაისვა და მზერა ბატონ დავითზე მიაბჯინა:

– პატივცემულო დავით, იქნებ გაფრთხილება ვაკმაროთ...

ბატონმა დავითმა ვითომ ვერ გაიგონა ბატონ ალექსის სიტყვები. თქვენ მოელოდით, რომ ბატონი დავითი აყვირდებოდა, რატომ ერევით სხვის საქმეშიო? მაშ ამის შემდეგ იცოდეთ, რომ ბატონ დავითს ხალხი დაყოფილი აქვს ორ კატეგორიად:

ა) რომელთაც უყვირის (ამ კატეგორიას უმეტესად სტუდენტები მიეკუთვნებიან, აგრეთვე მდივანი ქალი და ზოგი სხვა წვრილფეხობაც);

ბ) ყველა დანარჩენი, რომლებთანაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბატონი დავითი უფრო მორიდებულია.

ბატონ დავითის დიდი, შავი თვალები ნათელას მისჩერებოდნენ. უკვირდა, რომ აქამდე არასდროს შეუნიშნავს ეს ქალიშვილი. უნდა ითქვას, რომ ბატონი დავითი ლამაზ ქალიშვილებს უფრო იმახსოვრებდა, საერთოდ კი, დაუკვირვებელი კაცი იყო. უყურებდა ნათელას და ვერ ამჩნევდა ქალიშვილის მდგომარეობას...

ნათელა კი დუმდა. უნდოდა, როგორმე შეუმჩნევლად გაპარულიყო კაბინეტიდან, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. დოცენტ ალექსი ბუდილაძის სიტყვებმა ცოტა გაახალისა. უნებურად წამოსცდა:

– მე ვუთხარი, პატივცემულო, გვინცაძეს, წრეში თუ გუნდში ნუ ჩამწერთ-მეთქი... არ შემეძლო... – ნათელა გაოფლილ ხელისგულებს მაგრად აჭერდა ზურგს უკან კედელს.

ბატონმა დავითმა შეაწყვეტინა:

– რა არ შეგეძლო? როგორ თუ არ შეგეძლო? თუ გუნდში ჩაგწერეს, უნდა იარო კიდეც!

– მე, პატივცემულიო, არც ხმა მაქვს და არც დრო გუნდში მეცადინეობისთვის...

დეკანმა ისევ შეაწყვეტინა, ხმაში ლითონის ჟღერადობა გამოკრთა:

– გუნდში სიმღერა ყველას შეუძლია!

– მაგრამ მე უბრალოდ არ მაქვს სურვილი...

– მაგას შენ არავინ გეკითხება!

ბატონი დავითი სტანდარტულ ფრაზებს თითქმის ავტომატურად ისროდა.

დოცენტი ალექსი ბუდილაძე, როგორც ჩანს, არ არის წინდახედული კაცი, ისევ ვერ მოითმინა:

– თუ არ უნდა, ბატონო დავით, ძალდატანება არ იქნება მართებული...

თქვენ ალბათ მიხვდით, რომ ეს იყო უკანასკნელი წვეთი იმ მეტად მცირე მოცულობის მოთმინების ფიალაში, რომელიც ბატონ დავითს გააჩნდა. ბატონი ალექსი ერთ წამში "ბ" კატეგორიიდან "ა"-ში გადაისროლა; ბატონი დავითი ფეხზე წამოდგა...

– გთხოვთ, ხელს ნუ მიშლით მუშაობაში, მე თვითონ ვიცი ჩემი საქმე!..

– კი მაგრამ, ბატონო დავით, გელაიშვილი...

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, დაძაბულობამ გადააჭარბა კრიტიკულ მნიშვნელობას და...

რა უპასუხა ბატონმა დავითმა? სულერთი არ არის? თუგინდ ძალიან ნაზსა და მგრძნობიარე სიტყვებს ამბობდეს, განა ტონი ყველაფერს არ ნიშნავს? ყვირილით ნათქვამი ალერსიანი სიტყვებიცა და ქუჩური გინებაც ტოლფასოვანია.

ნათელამ წინდაწინ იგრძნო ქარიშხლის მოახლოება და მოიბუზა. ალექსი ბუდილაძეს კი, რაც უნდა იყოს, ფრონტზე მრავალი ჯილდო აქვს მიღებული...

დეკანის ხმა ყველაფერს ფარავდა. ამ ხმის წყალობით გაითქვა სახელი ბატონმა დავითმა და ეამაყებოდა კიდეც, რომ მეტად მკაცრი ხელმძღვანელის სახელი ჰქონდა გავარდნილი. რასაკვირველია, დიდად საამაყოა, როცა სტუდენტები პირს უკან მუტრუკს გეძახიან...

დოცენტ ალექსი ბუდილაძის უდიდესმა თავდაჭერილობამ იჩინა თავი. ეყო ნებისყოფა, რომ ყვირილითვე არ ეპასუხა, ბოლოს, სულაც გაჩუმდა, მხოლოდ პირდაპირ თვალებში უყურებდა ბატონ დავითს.

ნათელა ცოტა შეეგუა ასეთ ატმოსფეროს და იმდენად აღარ ფრთხებოდა; ხედავთ, ჩვენთან ერთად ნათელამაც შეამჩნია, რომ, რაც უფრო წყნარდებოდა ალექსი ბუდილაძე, მით უფრო უმატებდა ყვირილს ბატონი დავითი, და რაც უფრო უმატებდა ყვირილს ბატონი დავითი, მით უფრო წყნარდებოდა ბატონი ალექსი. ნათელამ ისიც შეამჩნია, რომ ბატონ დავითის თვალებში ბოლოს დაბნეულობამ თუ შიშის მაგვარმა რაღაცამ გამოიხედა. და ამის მიზეზი მის წინ ჩუმად მდგომი კაცი იყო...

ნათელა ამაზე ფიქრობდა მაშინაც, როცა ალექსი ბუდილაძემ წყნარად მოჰკიდა ხელი და დერეფანში გამოიყვანა.

მცირე ხანს უსიტყვოდ იდგნენ, შემდეგ კი დოცენტი აწყნარებდა ქალიშვილს, ნუ გეშინია, მე ყველაფერს ვიღონებ, რომ სტიპენდია არ მოგიხსნანო; დეკანის საქციელის გამო ბოდიშიც მოუხადა.

მორიგი ლექციის დაწყების ზარი გაისმა...

1963

ტახზე ნადირობა

მომრეკთა ხმაური ახლოვდებოდა, თუმცა ტახი ჯერ არსად ჩანდა.

კოტე გაბლიძე გაბარჯღული მუხის ქვეშ იდგა თითქმის ტყის კიდეზე და გარემოს ათვალიერებდა. ის არ იცქირებოდა გარშემო დაძაბული ყურადღებით, არც მონადირის აზარტი უჩქროლებდა გულს, თუმცა ხელში ორლულიანი თოფი ეჭირა და ტახზე სანადიროდ იყო წამოსული. არც იმაზე ფიქრობდა, არ გამომრჩეს ჩაქჩაქით მომავალი შეშინებული რუხი ტახის გამოჩენა სიყვითლეშეპარულ ბუჩქებს შორისო, რადგან სულ არ აპირებდა ესროლა მისთვის, თუკი მაინცდამაინც სანადირო ფრონტის ამ უბანზე გამოჩნდებოდა. ისე კი ძალიან უნდოდა, მასთან შეყრილიყო პირისპირ დინგიანი ღრუტუნა, რათა უვნებლად გაეტარებინა იგი და მხოლოდ მისი ხილვით დაკმაყოფილებულიყო...

დიდ სისულელედ მიაჩნდა, რომ აქ დგას, ხელთ თოფი უპყრია და ტახის გამოჩენას ელის... მისთვის უფრო ჩვეული იქნებოდა, ახლა, წიგნებში ჩაფლულს, შორეული წარსულის წარმოსახვაში ეძებნა შთაგონება – გარდასულ დროთა ქარტეხილებში, ადამიანთა, ხალხთა და სახელმწიფოთა ბედის დახლართულ კალეიდოსკოპში გარკვეულიყო. და ეს აღტყინება, წარსულის კვლევის ჟინი ისეთი ძლიერი იყო კოტეში, რომ ღღედაღამ თითქმის მხოლოდ ამაზე ფიქრობდა და ვერ წარმოედგინა ისტორიაზე უფრო წარმტაცი რამ... ახლაც კი, როცა ნოემბრის დასაწყისის ამ უჩვეულოდ თბილ დღეს შემოდგომის უკვე მოყვითალო-ნარინჯისფრად შეფერადებულ ტყეს უცქეროდა, უნებურად ფიქრობდა საქართველოს ძნელბედობაზე, როცა ორი საუკუნის წინ ლეკები სწორედ ამ ტყეების გავლით ესხმოდნენ კახეთის სოფლებს, გადაივლიდნენ წიოკობით ქართლს და ახალციხის საფაშოს

შეაფარებდნენ თავს... უკან უკვე სხვა გზით ბრუნდებოდნენ, მათი თარეშის კვალი კი იგივე რჩებოდა: ნახანძრალი, გატიალებული კარ-მიდამოები, ცრემლი და გოდება გზაზე...

კოტემ თავი გააქნია, მოიშორა ეს ზმანებები, ისევ ბუჩქებს მიაჩერდა – ასკილის ალისფერ და კუნელის შავ ნაყოფებს. ახლა არ იყო დრო და ადგილიც თავის ჩვეულ გატაცებას აჰყოლოდა; აქ გატარებული საათები დაკარგულად ეჩვენებოდა, თითქოს გაძარცვეს, წაართვეს ეს დღე, მაგრამ, მეორეს მხრივ, ბუნების წიაღში დასვენება მისთვის აუცილებელი იყო. ჯერ კიდევ გზაში იგრძნო, როგორ ხალისით ათვალიერებდა მანქანიდან გადაშლილ ხედებს, სოფლებში გავლისას კი ინტერესით აკვირდებოდა ახალ სახლებს, ბავშვთა ჟრიამულს, ქალების ფუსფუსს ეზოებში, მაღაზიასთან თავშეყრილი გლეხების ჯგუფს... ამ ტყისპირა მინდორზეც რას არ შეამჩნევდა კაცი – ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და ბალახებიცა და ხეებიც თითქოს შეხაროდნენ ზამთრისწინა უკანასკნელ თბილ დღეებს. ამბობდნენ, ამ ტყეებში შველიც ბინადრობსო; თუმცა მათზე ნადირობა აკრძალულია, ბრაკონიერების გადამკიდენი, მაინც სულს ღაფავენ...

ტყის ჰარმონიას მხოლოდ მოახლოებულ მომრეკთა ღრიანცელი არღვევდა. კოტეს უკმარობის გრძნობა აწუხებდა, უნდოდა, მალე დამთავრებულიყო ნადირობა და დროულად დაბრუნებულიყვნენ ქალაქში, თუმც ხმაურიანსა და მტვრიანში, მაგრამ მაინც ჩვეულსა და მახლობელში. თავიდანვე ვერ შეეწყო კომპანიონების მომაბეზრებელ ლაპარაკს ისეთ წვრილმან საკითხებზე, რომ ნერვები მოგეშლებოდა. აუტანლად ეჩვენებოდა მონადირეთა გაუთავებელი ლაყბობა – ვინ სად უნდა დამდგარიყო, გოჩამ კი ერთი ოცჯერ მაინც აუხსნა კოტეს, როგორ უნდა მოქცეულიყო და ხის ტოტიც კი შეურჩია, რომელზეც კოტე უნდა ამხტარიყო, თუკი დაჭრილი ტახი მისკენ აიღებდა გეზს...

მაინც რამ აფიქრებინა სანადიროდ წამოსვლა? გოჩას წინადადება იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის, რომ ხათრი ვეღარ გაუტეხა სკოლის დროინდელ ამხანაგს. თუ თვითონ მოუნდა, ჩვეულ გარემოს ცოტა ხნით მაინც გასცლოდა, ტყის ფერებით დამტკბარიყო, მისი იდუმალებით მოცული ცხოვრების ოდნავ მაინც შეცნობით გამდიდრებულიყო?

კარგა ხანი გავიდა. მოშორებით ყრუდ გაისმა გასროლის ხმა. ბოლოს, გოჩამ დაუძახა, ხომ არ წავიდეთო.

კოტე მისკენ გაემართა. გოჩა თურმე იფანზე მოკალათებულიყო. ჩამოხტა ძირს, უძრაობისგან გახევებული ხელ-ფეხი გაახურა და ამხანაგებმა ერთად გასწიეს მანქანისკენ. გოჩა მოუთმენლად აჩქარებდა კოტეს, აინტერესებდა ნანადირევის ნახვა.

კოტე და გოჩა ბავშვობიდან ამხანაგობდნენ. კოტე "მწიგნობარია", გოჩა – თანამდებობისა და ფულის "მშოვნელი", ამიტომ მათი გზები კარგა ხანია, გაიყარა. ხანდახან რომ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, საერთოს ვერაფერს ნახულობდნენ – ორივე ცდილობდა, მალე დაემთავრებინა უხერხული საუბარი და დამშვიდობებოდნენ ერთმანეთს. დაშორების შემდეგ რატომღაც კოტეს გოჩა ეცოდებოდა, გოჩას – კოტე. ამას წინათაც შეხვდნენ ერთმანეთს და ისე მოხდა, რომ გოჩამ კოტე ამ სიბრალულის გამო ("წიგნებმა შეჯამეს!") სანადიროდ მიიპატიჟა. კოტე საერთოდ ხათრიანი კაცი იყო და დათანხმდა...

უზარმაზარი ჭალის ვერხვის ძირში მონადირენი შეჯგუფებულიყვნენ, წრე შეეკრათ. გოჩამ გასწი-გამოსწია ხალხი, კოტე მიჰყვა.

და კოტემ დაინახა მიწაზე გართხმული დედალი შვლის სხეული... სუსტი კისერი საცოდავად გადაეგდო, ლამაზ, უძრავ თვალებში ცრემლი ჩამდგარიყო.

ერთ-ერთი ადგილობრივი მონადირე, მხარბეჭიანი ლამაზი ახალგაზრდა, რომლის კაი ხნის გაუპარსავ სახეს შავი ჯაგარი მოსდებოდა და ვაჟკაცურ იერს მატებდა, იქვე ჩაცუცქულიყო, ხელში სანადირო დანა ეჭირა და შვლის გატყავებას შესდგომოდა..

კოტეს უცებ შეამცივნა, მთელი დღის ბოდმა ყელში მოაწვა და თავი ვეღარ შეიკავა:

– რას ერჩოდი, ბიჭო, ცოდვა არ იყო?

ახალგაზრდა თითქოს ნათქვამის კილომ გააკვირვა, ერთი ცერად ახედა და საქმე გააგრძელა. იღბლიანი დღე იყო, თორემ სხვა დროს ამრეზილ მზერას გინებასაც მიაყოლებდა.

– შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ?..

თითქოს ასეთ გამომწვევ პასუხს სიხარულით ელოდაო, კოტემ ნაბიჯი წადგა წინ და გაშმაგებით წასცხო ფეხი ჩაცუცქულს მარცხენა მხარში. ახალგაზრდა პირაღმა გადავარდა. გაოგნებული იყო, მაგრამ მეორე წამს ხელიდან გავარდნილ დანას დასწვდა და ფიცხლად წამოხტა... წამოვარდა და კოტეს თვალში ეცა ხელში ჩაბღუჯული დანის გასისხლიანებული პირი...

გოჩამ მოასწრო კოტეს ორლულიანზე ხელის აკვრა – ჟაკანის ტყვიამ სადღაც მაღლა გაიშხუილა, გაყვითლებული ფოთლები ფარფატით მოფრინავდნენ ქვევით.

კოტე უწმაწურად იგინებოდა და ცდილობდა, გზიდან ჩამოეცილებინა წინ გადამდგარი გოჩა – საოცარი ძალით მოისროლა იგი გვერდზე... ახალგაზრდა ვეღარ დაინახა – მხოლოდ გაქცეულის მიერ ატეხილი ბუჩქების ლაწალუწი ისმოდა.

კოტეს ადამიანის ფერი აღარ ედო. მონადირეებს ეშინოდათ მასთან მიახლოებისა, მაგრამ შემდეგ გოჩას მიბაძეს და შეეცადნენ აცახცახებული კოტეს დაწყნარებას.

როცა კოტე ცოტა დამშვიდდა, დასწვდა უკანა ფეხებში შველს, ასწია და იქვე მდგარ "კოლხოზნიკში" შეაგდო.

— აბა, ვინ მოდიხართ შინ? — ჩახრინწული ხმით იკითხა და მანქანის კარი გამოაღო.

გოჩა, მისი მეგობარი მონადირე და შოფერი ადგილობრივ მონადირეებს გამოეყვნენ და მანქანაში ჩასხდნენ.

ალაზნამდე ხმა არავის ამოუღია.

ხიდთან კოტემ მანქანა გააჩერებინა, გადმოვიდა, შველი გადმოათრია მანქანიდან და მდინარესთან ჩაიტანა, შემდეგ ნაპირს დაუყვა. მოძებნა შესაფერისი ადგილი და რბილ, სველ სილაში ლეში ჩაფლო...

იწვა გულაღმა გრილ სილაზე და ვერხვის ალაგ სიყვითლეშეპარულ, მწვანე ფოთლებს უმზერდა. ადუღებული სისხლის ჩქროლვა ძარღვებში თითქმის დაუწყნარდა და ახლა უცნაურად ეჩვენებოდა მომხდარი ამბავი. ისეთი გრძნობაც კი ჰქონდა, თითქოს ყველაფერი სიზმარში ნახა, იმდენად უაზროდ წარმოედგინა მთელი სურათი. ზმანებისგან თავის დასაღწევად ფეხზე წამოხტა. მღვრიე წყალი შეისხა სახეზე, შემდეგ კისერზეც მოისვა სველი ხელები, ამოიხვნეშა და მანქანისკენ მიმავალ აღმართს აუყვა. თავის საქციელს გაუმართლებლად თვლიდა, მაგრამ სინანულსაც არ განიცდიდა — სხვაგვარად რომ მოქცეულიყო, ალბათ ბოღმა დაახრჩობდა.

შოფერს ვედროთი წყალი შეესხა მანქანის იატაკზე, სისხლის კვალი გამქრალიყო, მაგრამ სუნი მაინც იგრძნობოდა. კოტეს კვლავ აუჩქარდა გულისცემა, ერთი საათის წინ მომხდარი ამბავი ისევ თვალწინ წარმოუდგა. უსიტყვოდ დაჯდა თავის ადგილას, მხოლოდ სახე დაეღმიჭა. არც სხვები იყვნენ ლაპარაკის ხასიათზე. ყველანი პაპიროსს ეწეოდნენ და თავისას ფიქრობდნენ.

კოტე ვერაფრით დაწყნარდა. იქნებ არც ისეთი დამნაშავე იყო ის ახალგაზრდა მონადირე? იქნებ არც აპირებდა შვლის მონადირებას, მაგრამ როცა მოულოდნელად დაინახა, ვეღარ შეიკავა თავი, მონადირის აზარტმა უბიძგა და ჩახმახს ფეხი გამოუშალა... თვით კოტე თუ ესროდა მის ადგილას? ცხადია, არა, ტახსაც კი არ ესროდა... მაგრამ სხვები? გოჩა როგორ მოიქცეოდა?

— გოჩა, შენ ესროდი?

გოჩა მოულოდნელობისგან შეკრთა, ერთხანს პასუხი არ გასცა.

— იმ ბიჭს? ეს როგორ მოგივიდა აზრად? — გოჩას უნდოდა, რბილად გამოსვლოდა ნათქვამი, რადგან კოტეს მიმართ ერთგვარი მორიდება გაუჩნდა. არა, სულ არ ელოდა, ვერ წარმოედგინა, თუ ყოველთვის წყნარი და თავაზიანი კოტე, მუდმივად წიგნებში თავჩარგული, ასე აბობოქრდებოდა... და ეს შეცვლა დამოკიდებულებისა კოტემ ცხადად იგრძნო: წინათ გოჩას ლაპარაკში გამოსჭვიოდა თუ ქედმაღლობა არა, უპირატესობისა და მფარველობის შეუნიღბავი გრძნობა მაინც...

— შველს ესროდი?

გოჩა ისევ შეყოყმანდა. კოტე სახეში მიაჩერდა, ცდილობდა, გაეგო, მიმხვდარიყო, რატომ უჭირდა გოჩას პასუხის გაცემა, რა აფერხებდა: თვით გოჩაც ვერ გარკვეულა საკუთარ გრძნობებში... თუ იცის, რომ ესროდა, მაგრამ ერიდება ამის პირდაპირ აღიარება?

— არ ვიცი...

კოტესთვის ნათელი გახდა, რომ გოჩას ნამდვილად შეეძლო, ვერ გაეძლო ცდუნებისთვის... მაგრამ შემდგომ? დღევანდელი მოვლენის შემდეგ როგორ მოიქცევა გოჩა, ხელსაყრელი შემთხვევა თუ მიეცემა? აი, ამაზე ფიქრობდა კოტე. ის კი მაინც იყო ცხადი, რომ ასეთსავე კითხვაზე უტიფარი და უბოდიშო გოჩა წინათ მხოლოდ გაიცინებდა და გაკვირვებით ეტყოდა, ასეთი სულელური და მიამიტური კითხვა რამ გაფიქრებინაო.

თბილისამდე ჯერ კაი ძალი მანძილი იყო და საფიქრელად დროც საკმარისი რჩებოდა.

1971

როგორ ჩხუბობენ ზრდილობიანი ადამიანები

სიწყნარეა ირგვლივ. სიჩუმეს ხანდახან თუ დაარღვევს კალიის წინწრიხი. ცაზე ერთ ღრუბელსაც ვერ დალანდავს კაცი.

მდინარისპირა ფლატის კიდეზე ერთმანეთისგან ათიოდ ნაბიჯში ორი მეგობარი მებადური ზის. ალბათ მიხვდით, ერთი მაღალი და გამხდარი იქნება, მეორე კი — დაბალი და პუტკუნა. შემოდგომის მზე აცხუნებს, მაგრამ ბატონი ვანო (თეთრ ხალათში და შავ ნიფხავში გამოწყობილი, თავზე დიდი, კუთხეებგამონასკული ცხვირსახოცი დაუფარებია, წამდაუწუმ იმშრალებს ოფლს მსუქან სახეზე)

და ბატონი ილო (ბოდიში, ისიც ნიფხვისამარაა და ისეთი ზომის ფართოფარფლიანი ქუდი ახურავს თავზე, რომ მოუჩანს მხოლოდ გამხდარი ფეხები და ორი ჯოხი – მარჯვნივ და მარცხნივ) წმინდანთა მოთმინებით მისჩერებიან ტივტივებს.

ისინი ოცნებობენ ლუდზე (ბატონი ილო) და ლიმონათზე (ბატონი ვანო; იგი ლუდს ერიდება მუცლის გადიდებული გაბარიტების გამო), რომლებიც მათ მაცივრებს ამშვენებს (შინ, სამწუხაროდ), რაც სავსებით შეესაბამება კანონს ყოფიერებისა და ცნობიერების სრული შესაბამისობის შესახებ.

– დღეს რაღაც ზარმაცობს თევზი... – ამბობს ბატონი ილო.

– ჰო-ო... – პასუხობს ბატონი ვანო, შემდეგ ტენის ჩიბუხს და მალე ბატონ ილოსკენ მოედინება თამბაქოს სურნელოვანი ბოლი. ბატონი ილო სასწრაფოდ წამოხტება, პირში გაირჭობს პაპიროსს და გამოემართება ბატონ ვანოსთან მოსაკიდებლად.

ორ მწეველს და ამასთანავე მებადურს ყოველთვის მოეძებნება სასაუბრო თემა.

– გახსოვს, შარშან, ოქტომბერში, მე აქ, ზუსტად ამ ადგილზე ლოქო რომ დავიჭირე? – იწყებს ბატონი ილო. – აი, ის იყო ლოქო! სახლამდე ძლივს მივათრიე! სამწუხაროა, რომ ამჯერად არ წამოვიღე ბადე, მაშინ ბადემ ძალიან მიშველა.

– ჰო, იმ ლოქოს არა უშავდა, – მოწყალე ღიმილს გაიღებს ბატონი ვანო. – მაშინ, გახსოვს, ერთი კვირის შემდეგ მეც დავიჭირე ლოქო. იმას უკვე ორნი ძლივს ვწევდით, გაგვწყვიტა წელში! ის იყო, რაც იყო!..

ბატონ ილოს თავმოყვარეობა შელახულია:

– რა თქმა უნდა, არ იყო ურიგო, მაგრამ ჩემს ლოქოსთან მაინც ვერ მოვიდოდა.

ბატონ ილოს საუბრის კილო უფრო გულგრილია, ვიდრე დამცინავი, თითქოსდა ისეთ რამეზე ლაპარაკობენ, რაც თავისთავად იგულისხმება.

სწორედ ეს გარემოება დეტონატორივით მოქმედებს ბატონ ვანოზე:

– არა, ძამიკო, ჩემი ლოქო ნამდვილად ორი-სამი კილოთი მაინც იქნებოდა დიდი. კარგი ვქენი, რომ ბადე წამოვიღე; იმით მოვდე, თორემ ანკესის ჯოხი ნაღდად გადამიტყდებოდა.

– რას ბჟუტურობ, თუ კაცი ხარ! აგიჩემებია, ბადე, ბადეო, იმას კი არ იტყვი, რომ ჩემი ლოქო შენსას ბევრად სჭარბობდა. საერთოდ... ე-ე-ე... საერთოდ, გიყვარს ცოტა გადაჭარბება. ე-ე-ე... თუ ჩემზე მსხვილი ხარ და ჯანიანი, მაინცდამაინც ჩემზე დიდი უნდა დაიჭირო?

მსუქანი კაცისთვის მისი ზომა-წონის შეხსენებაზე უფრო დიდი შეურაცხყოფა ძნელი წარმოსადგენია; ეს იგივეა, ყველაზე უწყინარ ძაღლსაც კი კუდში რომ წაატანო ხელი.

– რომ გაჩხინკულხარ, ერთი თვის უჭმელ მაწანწალა ძაღლს მიგიგავს ფერდები, შე ქარაქუცავ! – თვალებიდან ნაკვერჩხლებს ჰყრის ბატონი ვანო. – ანკესის ჯოხის წესიერად ხელში დაჭერა ვერ გისწავლია ამ ხნის კაცს. შენ რომ რამის დამჭერი იყო, ტრაბახს კი არ მოჰყვებოდი! უფრო ლოქო დაგიჭერდა შენ! და გემოზე გაყურყუმალავებდა კიდეც! დიდი ლოქოო! ლოქოზე რა მოგახსენო და დიდზე დიდი ბრექია და ტრაბახა კი ხარ!

ბატონმა ილომ პაპიროსი გამოიღო პირიდან:

– თქვენ ცრუობას კადრულობთ, მოწყალეო ბატონო! თქვენ პასკვილანტი ბრძანდებით!

ხომ იცით, თუ ერთი მოგეფხანა სადმე, წასულია საქმე, ბატონი ვანო შეარჩენდა ვითომ?

– ვინ არის მატყუარა, შე ღვთის გლახა! შემოდგომის აზნაურო!

– მასეთი სიტყვების კადრებისთვის წინათ დუელში იწვევდნენ!

– თუ ამოვედი შენს ოხტში და გისროლე მდინარეში, იქ დაიჭერ საკუთარი ხელებით დიდ-დიდ ლოქოებს! იმათთან გაგამართინებ დუელს!

კიდევ ცოტა ხანს მოპაექრენი გულს იფხანდნენ სიტყვიერი სიმარჯვით და მოხერხებულობით, მაგრამ დიპლომატიური ნოტების გაცვლა-გამოცვლას პირდაპირი საომარი შეხლა-შემოხლა ჯერჯერობით არ მოსდევს. ერთი პატარა ნაპერწკალიღა აკლია, რომ თვალებდაქაჩული, მუშტებმომარჯვებული მამლაყინწები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ...

აყალმაყალით გართულნი გარშემო ვეღარაფერს ამჩნევდნენ, ღირს კი სხვა რამის დანახვაც. მაგალითად, ცაზე ეულ ღრუბელ-ბატკანს საიდანღაც მოდენილი ღრუბელთა მთელი ფარა რომ შეუერთდა. ღრუბლები ჩაშავდნენ, მზე თვალს მიეფარა; ამოვარდნილმა ნიავმა ააშრიალა ფოთლები და აუწეწა ჭაღარა თმები "ყვინჩილებს"... მდინარე ფოლადისფერი გახდა, ღრუბლები ტყის თავზე შექუჩდნენ, ვეღარაფრით გადაეწყვიტათ, მიწას წვიმად დაძგერებოდნენ თუ მშვიდობიანად დაშორებულიყვნენ...

შეიძლება, სიგრილემ იმოქმედა ან უკვე საკმაოდ სოლიდურმა ასაკმა გაიტანა თავისი, თუ ბუნებას მიჰბაძეს – ღრუბლები ნელ-ნელა გაიკრიფნენ და მზემ ისევ გამოაჭყიტა (თუმცაღა კი ცერად – საღამოსპირიც დამდგარა!), ასევე ჩვენი გმირებიც თანდათან დაშოშმინდნენ: ერთმა ხელი ჩაიქნია, მეორემ გვერდზე გადააპურჭყა – ერთმანეთს დაშორდნენ. ისევ ჩვეულ ადგილებზე სხედან და ჩვეულად მიშტერებიან ტივტივებს...

დიახ, მოსადამოებულა კიდეც, არყის ხეები ნაზად ეჩურჩულებიან ერთმანეთს, ტყე ჩამუქებულა, მხოლოდ ხეთა კენწეროებზე მზის ირიბი სხივები ანთებულან. კუჭმაც თავი შეახსენა. დროც საკმაოდ გასულა და გადატანილი ვნებათაღელვის შემდეგ ხომ უნდა დახარჯულ ძალებს აღდგენა? პირველი ბატონი ვანო იწყებს ხელების ფათურს თავის ჩანთაში და ალაგებს გაშლილ გაზეთზე წითელლოყა პომიდორებს და მოხარშულ კარტოფილს. ფუი, მარილი დავიწყებია! უფრო სწორედ, შეთანხმების თანახმად, მარილი ბატონ ილოს უნდა წამოეღო, ასევე პური და ორი ბოთლი ბორჯომი. ბატონი ვანო აპარებს მზერას ბატონ ილოსკენ და ბატონ ილოს თვალებს წააწყდა – ეს უკანასკნელი პურზე აყრის მარილს, მადინად ჰკბეჩს და ბორჯომს აყოლებს... ერთმანეთს საჩქაროდ არიდებენ თვალს – ერთს მიაჩნია, რომ საუზმისთვის სავსებით საკმარისია პომიდორს მიაყოლოს კარტოფილი, მეორეც კმაყოფილია მწირი სუფრით, ოღონდ უბრად მყოფ ამხანაგთან არ გატეხოს პური...

ასე იღმურძლებიან ერთხანს, მერე ერთი ჩიბუხს აჩაღებს, მეორე პაპიროსს აბოლებს და ისევ მიაჩერდებიან მდინარის ზედაპირზე ზანტად მოქანავე ტივტივებს...

და ამ დროს... ამ დროს ბატონ ვანოს ტივტივა უცებ ათამაშდა! ბატონი ვანო თვალებს არ უჯერებს, გულის ფანცქალით მიშტერებია ტივტივას და როცა ეს უკანასკნელი ჩაყვინთავს, მარდად გამოჰკრავს ჯოხს...

გვერდზე გახედვის დრო სად აქვს ბატონ ვანოს, თორემ დაინახავდა, რომ ამ დროს ბატონ ილოს ტივტივაც მოულოდნელად იწყებს ცეკვას ზევით-ქვევით, მერე კი ჩაყურყუმალავდება... ბატონი ილოც გამოჰკრავს ჯოხს, შემდეგ ფრთხილ-ფრთხილად ნაპირისკენ მიმართავს, სიამით გრძნობს, რომ კაპრონის ძაფის ბოლოზე ანკესს ვიღაც უძალიანდება...

და ორივე მებადური თითქმის ერთდროულად შეავლებს ხელს ჰაერში აფართხალებული თევზების სლიპინა ტანებს... წვერა! ორივეს წვერა შეხვდა და ორივე შესაბამის წყლიან ვედროებში მოადენს ზღართანს, ორივე ქუდბედიანი მებადური ამაყად გადახედავს მეზობელს. რაღაც სასწაულია! ზედიზედ "ქაჩავენ" თევზებს – სად იყო ამდენი! ვერ ასწრებენ ნემსკავზე ჭიაყელების გამოცვლას და ანკესის გადაგდებას მდინარეში, რომ გამგელებული წვერა მაშინვე ეძგერება! თითქოს დასწრებაზეა საქმე! გული სიამით უფანცქალებთ, მოუთმენლობისა და მოულოდნელი ბედნიერებისგან ხელები უკანკალებთ.. ოღონდ ერთი რამ უწამლავთ სიამოვნებას – რა სიხარულია ის სიხარული, რომლის სხვისთვის გაზიარებაც არ შეგიძლია! ისევ ვანო ვედარ ითმენს, პირველი შესძახებს ხმამაღლა:

– ასე არასდროს მითევზავია!

ბატონ ილოსაც ზეიმი აქვს, ისიც იყურება "მოწინააღმდეგისკენ":

– თხუთმეტი თავი დავიჭირე!

– მე – თვრამეტი!

– აუჰ, რამხელაა! ეს ერთი და სხვა მრავალი!

– ამაზე დიდი მაინც არ იქნება! ბიჭოს, რა ღლავია!

ბატონი ილო პირველი ვერ ძლებს და ბატონ ვანოს დაჭერილი თევზის სანახავად მიეშურება.

– მომილოცავს! მაგრამ ჩემი უფრო დიდია! – იღიმება იგი და ბატონ ვანოს ვედროში იჭყიტება.

– აბა? – ახლა ბატონი ვანო წამოხტა და ბატონ ილოს ვედროს "რევიზიას" ატარებს. იგი იძულებულია, აღიაროს, რომ ბატონმა ილომ მართლაც სწორუპოვარი წვერა დაიჭირა, წვერათა წვერა! მაგრამ იმასაც დასძენს, რომ საბოლოო ჯამში მას, ბატონ ვანოს, მაინც მეტი თევზი აქვს მოპოვებული და მზად არის, თუნდაც ახლავე აწონონ ორივე მებადურის ნადავლი...

ამაზე ბატონი ილო არაფერს პასუხობს, რადგან დისკუსიისთვის არ სცალია – მორიგი წვერა სწვევია მის მიერ წყალში ნასროლ ანკესს.

მეტი რაღა გითხრათ, მეგობრებო, ამ ჩვეულებრივი თევზაობის შესახებ. ბატონმა ილომ და ბატონმა ვანომ, ფრიად კმაყოფილებმა შედეგით, რამდენიმე ხანში შეწყვიტეს თევზაობა (თევზებმა თითქოს პირი შეკრეს და როგორც უეცრად ებდღვნნენ მისატყუარს, ასევე მოულოდნელად შეწყვიტეს იერიშები ანკესებზე და მომავლისთვის გადადეს ბატონ ილოს და ბატონ ვანოს მეუღლეთა ტაფებზე მოხვედრის ცერემონიალი).

ჩვენი გმირები გვერდიგვერდ დაადგნენ საკმაოდ ვიწრო ბილიკს, რომელმაც ისინი ათიოდ წუთში გაიყვანა საავტომობილო გზაზე და დღევანდელ გმირობაზე ხეირიანად ვერც მოასწრებდნენ საუბარს, რომ უკვე შინ იქნებოდნენ მისულნი.

1960

ძეწკვი

“აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა...”

— ვღიღინებ მე. მანქანის ძარაზე მარტო ვარ, შოთა კაბინაში ზის შოფერთან. გრძელცხვირა რობინზონა, განუყრელი გრძელტარიანი პაპიროსით პირში, მარდად ატრიალებს საჭეს მარჯვნივ-მარცხნივ და ერთდროულად პაპიროსიც მოგზაურობს პირის ერთი კუთხიდან მეორეში. საოცრად გრძელი და დაკლაკნილი აღმართი უკვე მომაბეზრებელი ხდება, ძრავის დაძაბული გუგუნი ყურებს აღიზიანებს.

მე გადავჯექი პირით სვლის საწინააღმდეგოდ და ვუყურებ ამომავალი მზით განათებულ კავკასიონს. ერთი მწვერვალი განსაკუთრებით კარგად მოჩანს. ამაყად დაჰყურებს მის გარშემო შემოჯარულ მთებს, როგორც ორატორი დასცქერის ბრბოს. ქვევით, ხეობაში, საიდანაც ეს-ეს არის ამოვბობღდით, ვხედავ სათამაშო სახლებს ბაღებითა და ვენახებით, რიონის ფოლადისფერ ზოლს და მწვანე მობზუილე კალიას — პატარა თვითმფრინავი დაემიზნა ხელისგულის ოდენა აეროდრომს. ვგრძნობ დილის სუფთა ჰაერის ყოველ ჩასუნთქვას, გრილი და სისხლის ამადუღებელი ჰაერისა, რომელიც კუნთებს კაჟად აქცევს და ადამიანს — ცარიელ მადად. მანქანის კაბინა ზევიდან ცვრის წვრილი წვეთებითაა დაფარული, ცხელი დღე მოგველის.

მოულოდნელად მანქანა სვლას ანელებს და ჩერდება. ძრავის გუგუნსა და ქარის შუილს გზისპირა ალვების შრიალი ცვლის. რობინზონა გადმოხტა კაბინიდან და ელაპარაკება ვიღაც ქურთუკიან, დაბალ კაცს, ალბათ მგზავრი იშოვა. სანამ ისინი ფასზე მორიგდებოდნენ, მე ისევ მთებს გავცქერი. მთებსა და ზღვას დაუსრულებლად შეიძლება უყურო. მთელი კვირა წვიმდა და ღრუბლებით შემოსილი მთები წესიერად არც კი ჩანდა, როგორც მცივანა ქალი ჩამალავს ხოლმე მელიის ქურქში სახეს; ამ დილით კი ერთ ღრუბელს ვერ ნახავ კავკასიონის მხრებზე. ახლომახლო გორაკების რუხ-მომწვანო ფერი მოშორებით თანდათან ლურჯში გადადის. როგორ ბრწყინავენ მწვერვალთა დათოვლილი თავები! სულ მაღლა, ვინ იცის, ახლა ალპინისტები ყინულოვან აღმართს მიუყვებიან, ჩვენ კი გადავლახავთ ამ წყალგამყოფს და მერე სამხრეთისკენ სულ ქვევით-ქვევით დავეშვებით...

ჩემს ფიქრებში შემოიჭრა რობინზონასა და ქურთუკიანის თითქმის ყვირილამდე მისული ვაჭრობა. კარგა ხანს იყაყანეს, შემდეგ პაპიროსები გააბოლეს და ამოათრიეს ძარაზე ხუთიოდ მძიმე ხის ყუთი; ბოლოს, ყუთების პატრონიც ამოძვრა ადგილიდან უკვე დაძრულ მანქანაზე.

— გამარჯობა! — მომესალმა ხრინწიანი ხმით.

— გაგიმარჯოს!

მან არ ისურვა შეთავაზებულ სკამზე დაჯდომა და ჩემს პირისპირ მოკალათდა ყუთზე. თბილი, ყურებიანი ქუდი, გამხდარი, მზისგან გარუჯული სახე შეჭაღარავებული ულვაშებით... საკმაოდ გაცვეთილი დაბამბული ქურთუკი წინ გახსნილი აქვს და მოუჩანს შავი ხალათი და გულის ჯიბისკენ მიმავალი საათის მასიური ძეწკვი. საქმიანად შეათვალიერა ძარაზე მოხტუნავე ჩვენი ბარგი-ბარხანა და ცისფერი, წვრილი თვალები მოჭუტა:

— გეოლოგები ხართ? ჰო, კარგია, კარგი... — შემდეგ ჯიბიდან “ყაზბეგის” კოლოფი ამოიღო და გამომიწოდა.

— მადლობთ, არ ვეწევი.

— სად მიბრძანდებით? — გააბოლა პაპიროსი.

— ზესტაფონში მივდივართ, იქ გვაქვს ბაზა. აქეთ დროებით წამოვედით, ერთი კვირით.

რასაკვირველია, კარგად იცოდა, სადაც მივდიოდით და უფრო ზრდილობისთვის დაინტერესდა. ვიგრძენი, შემდგომ რა კითხვასაც მომცემდა და წინასწარ გამეღიმა.

— კი მარა, იპოვეთ რამე? ოქრო იპოვეთ?

რა უნდა ვუპასუხო? ეს სტანდარტული კითხვაა, რომელსაც გეოლოგებს აძლევენ და უკვე საკმაოდ მოგვაბეზრა თავი. რატომღაც ჰგონიათ, რომ მარტო ოქროა ძებნის ღირსი.

ქურთუკიანი იღიმება, თამბაქოთი შეყვითლებული მეჩხერი კბილები გამოაჩინა. რაღაც არის ისეთი მის გარეგნობაში, რომ უნებურად შენობით ვუწყებ ლაპარაკს.

— შენ სადღა გაგიწევია, ბიძაჩემო?

— ბაკურიანში, პამიდორი მიმაქ გასაყიდად.

ბაკურიანი... მახსენდება ფიჭვის ტყის სურნელი, მთის ყვავილები და ასეთივე დაკლაკნილი გზა ცხრაწყაროს უღელტეხილისკენ.

— ბაკურიანში რა გინდა, აგერ ქუთაისი ყურის ძირში არ გაქვს?

— ქუთაისში რა ხეირია. — გვერდზე გადააპურჭყა და ქურთუკის სახელო გაისვა გაუპარსავ პირზე. — ბაკურიანი ცოტა შორს კია, მარა...

იგი ჯაყვასავით მოიკეცა და ძარაზე გაგორებული ორი-სამი პომიდორი დაიჭირა, შარვალზე სათუთად გაწმინდა და ყუთში ჩააბრუნა. შემდეგ ჩემი გეოლოგიური ჩაქუჩი აიღო და ყუთზე ამძვრალი ფიცარი დააჭედა. ყუთები იმდენად მძიმეა, რომ მანქანა შესამჩნევად უფრო რბილად მიდის. ამ სიშორე გზაზე მართლაც არ ღირდა ცოტა პომიდორის წაღება.

— ალბათ რუსეთშიც ხშირად დადიხარ...

— ჰო, იქ ხილი უფრო გადის. — ისეთი შინაურული იერით მესაუბრება, თითქოს მასთან ერთად ათჯერ მაინც მიმგზავრია ხილის გასაყიდად. — ერთი-ორჯერ ვიყავი, ჩემი ბიჭები უფრო დადიან, რუსულიც ჩემზე უფრო ქე ეხერხებათ და...

— მერე, სამუშაო შემოგელიათ სოფელში?

ვიგრძენი, საკმაოდ უხეში კითხვა გამომივიდა. ალბათ ეს იმან გამოიწვია, რომ ჩემს თავს შევამჩნიე, მის ყოველ სიტყვას დასტურის ნიშნად თავს ვუქნევდი. ადამიანში ზოგჯერ არის ერთგვარი შინაგანი გაორება, როდესაც გრძნობ, შენი მოსაუბრე სისულელეებს ლაპარაკობს და მაინც მისი ახლობლური საუბრის გავლენის ქვეშ ექცევი, უნებურად კვერს უკრავ ხშირად შენთვის სრულიად მიუღებელ აზრებს. მეც სწორედ ასე მომივიდა... მაგრამ ვიდრე ამას გავიაზრებდი, უკვე ქვეცნობიერად შემრცხვა ჩემი სისუსტისა და სწორედ ამის შედეგი იყო, რომ საკმაოდ უკმეხად შევაწყვეტინე სიტყვა.

მეუხერხულება შეხედვა, მაგრამ თავს ძალას ვატან და ვუყურებ: აბა, რას მიპასუხებს? ცოტა ხანს ხმას არ იღებს, შემდეგ თითქოს თავისთვის ამბობს:

— ჰო, რავა არ გვაქ, ჩემო ბატონო... სამუშაო ბევრია. მართალი ბრძანდები, მართალი...

გაკვირვებით მივაჩერდი. ჩემი კითხვა ნამდვილად ეუხერხულა; იქნებ სურს, თავიდან აიცილოს ჩემთან კამათი? ნაძალადევად იღიმება და თვალს მარიდებს. პირდაპირ იყურება, სადღაც ჩემს ზურგს უკან. ორივენი ვჩუმდებით.

რიონის ხეობა თვალს მიეფარა. როგორც იქნა, მანქანამ გაივაკა, თავისუფლად ამოისუნთქა და უფრო სწრაფად გაქუსლა. აწი თითქმის სულ დაღმართში ვივლით. შემხვედრი ჰაერის ნაკადი თითქოს უფრო ცივი და აგრესიული გახდა, მიძვრება ტანსაცმლის შიგნით და უსიამოვნო ჟრჟოლას იწვევს, იმის მიუხედავად, რომ ჩრდილიდან მზიანში გავედით. ჩემმა თანამგზავრმა ხელებით დაიჭირა აცეკვებული ყუთები და დაარღვია დუმილი:

— შენი ჭირიმე, შოფერს უთხარი, ცოტა ნელა იაროს, საქონელი დამეჭყლიტება...

უხალისოდ მივტრიალდი და მისი თხოვნა რობინზონას გადავეცი. მას პასუხი არ დაუგვიანებია, მაშინვე კუსავით გამოყო თავი ფანჯარაში:

— მაგისმა მზემ, მაგის დარდი მე მქონდეს... წყნარად იჯდეს მანდა, თორემა, საცა არის, გადავაბრძანო თავის პამიდვრებიანად!

კარგად ვიცი რობინზონას ხასიათი და უკეთესს არც მოველოდი. ხშირად, როცა გეოლოგიური პარტიის უფროსი შოთა რაიმეს მიუთითებს, მაშინაც კი აგდებულად პასუხობს და ახლა ვიღაც მგზავრს გაუწევს ანგარიშს? თანაც, ალბათ საკმაოდ გაუწყალა გული წეღან, სანამ თანხაზე მორიგდებოდნენ. ისევ მოვტრიალდი ქურთუკიანისკენ და ხელები გავშალე — ჩემს სახეზე ყველაფერი ამოიკითხა. არაფერი უთქვამს, მხოლოდ უფრო მაგრად მოუჭირა ხელები მოხტუნავე ყუთებს...

ორივენი დიდი ხნით გავჩუმდით.

საინტერესოა, რამ აიძულა ეს უკვე არც ისე ახალგაზრდა კაცი ამ მტვრიან გზაზე იჯანჯღაროს? იქნებ მასში ის ლტოლვილი სული ზის, რომელიც ვერ იტანს ერთფეროვნებას და უბიძგებს ადამიანს, ახალი ადგილები ინახულოს, ახალი შთაბეჭდილებებით გამდიდრდეს? მაგრამ მაშინ მისი მოქანავე ფიგურა, იატაკს მიბჯენილი თვალები გარემოსადმი სრულ გულგრილობას რატომ გამოხატავენ? უნებურად მისი გულის ჯიბისკენ მიმავალ საათის ძეწკვს ვუყურებ; ახლა თითო-ოროლა მოხუცი თუ ატარებს, უფრო კი ძველისძველ ფოტოებზე ნახავ; განსაკუთრებით ვაჭრებს, მედუქნეებს და სხვა ამგვარ ხალხს უყვარდა სხვების დასანახად ძეწკვის გამოჩენა. აი, სწორედ ასეთის — მსხვილი, ვერცხლის ძეწკვისა. ქურთუკიანმა შეამჩნია ჩემი ყურადღება ძეწკვისადმი, საათი ამოიღო და დახედა. ალბათ ეგონა, რომ მე დავეჭვდი, უსაათო, ცარიელი ძეწკვი ხომ არ უკიდია-მეთქი...

მზე კარგა მაღლა წამოვიდა, უცებ დაცხა. მანქანის კაბინა ისეა გახურებული, ხელს ვერ გააჩერებ ზედ. ჰორიზონტზე ძლივსღა მოჩანს გახუნებული მთებისა და ბაცი ცის გამყოფი ხაზი. გზის ორივე მხარეს კანტიკუნტად მდგომი ხეები გარინდებულან, თითქოს ჩასძინებიათო და მხოლოდ მანქანით ატაცებული მტვრიანი ჰაერის ნაკადი შეაშრიალებს მათ წუთით. ჩავუარეთ გზის შეკეთებაზე მომუშავე მამაკაცებს. ხელით მზე მოიჩრდილეს და მზერა გამოგვაყოლეს. წელზევით შიშვლებს, მზედაკრული ტანი ოფლისგან უბზინავთ. შემხვედრი ჰაერის თბილი ნაკადი აღარ გვაგრილებს, პირიქით — სულს გვიხუთავს. უჰ, ერთ ბოთლ ცივ "ბორჯომში" ახლა რას არ მივცემდი! ჩემი თანამგზავრი კი არც ქურთუკს იშორებს და არც თბილი, ყურებიანი ქუდის მოხდას აპირებს. ღიმილი დი-

დი ხანია, გაუქრა სახეზე. ხანდახან შემომხედავს ხოლმე – ხომ არ ვაპირებ საუბრის დაწყებას? ბოლოს, ვერ ძლებს და თვითონ არღვევს უხერხულ სიჩუმეს:

– ასე უსახლკაროდ დადიხართ მთელი ზაფხული?

– რას იზამ, ასეთი ხელობა გვაქვს. საქმე ხომ უნდა გაკეთდეს.

– ძნელია, ხომ?

ნაოჭები ღიმილით ობობას ქსელივით ეხლართება სახეზე. მაპატიეთ ასეთი გაცვეთილი შედარება, ძალაუნებურად გამომივიდა, რადგან მისი თაფლისფერი თვალები მართლაცდა ობობასავით გაუნძრევლად, დაძაბულად მიყურებდნენ. კაცის ღიმილი გადამდებია, მაგრამ რატომღაც არ გამეღიმა. რატომ წამოიწყო ეს საუბარი? "ძნელია, ხომ?" ამ სიტყვებით, წინდაწინ გამზადებული ღიმილით, თითქოს უნდა საპასუხოდ ჩემი კეთილი განწყობა მოიპოვოს... თუ მართლა აინტერესებს გეოლოგთა ცხოვრება?

მანქანა მირახრახებს და უკან მტვრის სქელი კუდი მისდევს. დავიხარე ჩემი თანამგზავრისკენ, რომ ქარმა სიტყვები არ მომტაცოს და ვიწყებ მოყოლას ჩვენი საქმიანობის ავ-კარგისა.

– ხედავ ამ ზურგჩანთას? ყველა ქანთა ნატეხებითაა გატენილი. ძნელია, რა თქმა უნდა, მთელი დღე ფუთობით ქვების თრევა. მართალია, ბევრს საინტერესოს ვნახულობთ მოგზაურობებში, მაგრამ ხშირად ძალიან მომქანცველიც არის...

გზის ორივე მხარეს ყანებში მომუშავეთა ნაირფერი ლაქები, სიმინდის მწვანე ნაზარდები, ახლომახლო გორაკები – ყველაფერი მზით იმდენადაა გაკაშკაშებული, რომ თვალები მეჭუტება... ისევ ქურთუკიანის შავ ხალათს მივაბჯინე მზერა.

– ხანდახან ისეთ ფრიალოზე მიძვრები, – განვაგრძობ მე, – ერთი ფეხი რომ დაგიცდეს, კაციშვილი ვერ აგაწყობს...

პირში მომჩერებია და თავს მიქნევს თანხმობის ნიშნად; თუმცა, შესაძლებელია, მანქანის ყანყალია ამის მიზეზი.

– მერე, სულ ერთი ნატეხი ქვისთვის შვები მაგას? – სახე თანაგრძნობით ემანჭება, თითქოს კბილის ტკივილი აწუხებსო. ვატყობ, ძალიან ახლოს მიაქვს გულთან ჩემი ნაამბობი. ეს გარემოება თითქოს მიბიძგებს, რომ ათასგვარი სიძნელე თუ გაჭირვება ერთმანეთზე დავახვავო. ჩემდა უნებურად მომდის ეს, სრულიად არ ვაპირებ, გეოლოგები გმირებად დავსახო ან მათ მძიმე ცხოვრებაზე დავიწყო წუწუნი; უბრალოდ, მინდა ვაჩვენო, რომ არიან ადამიანები, რომლებიც იოლი გზით სიარულს არ არიან დაჩვეულნი; თან სიამოვნებასაც მგვრის იმის ყურება, როგორ იცვლება მისი სახის გამომეტყველება... ამიტომ, შესაძლებელია, უნებლიედ ცოტათი ვაჭარბებ კიდეც.

– აი, ასეთ მზიან ამინდში უნდა დაადო თავი და გაიარო ოცი-ოცდახუთი კილომეტრი. თუ წყურვილი არ დაგახრჩობს გზაში, ხომ კარგი, და ისე უნდა ათრიო ტყვიასავით მძიმე ქვები თაკარაში...

– ნეტა რაზე აწვალებენ ხალხს? ციხეზე უარესი ყოფილა! – მჭმუნვარე მიცქერის, თითქოს სამძიმარს მიცხადებსო.

– ეგ არაფერი... სიცხეს ვინ ჩივის, პირიქით, გვიხარია ხოლმე, დღე არ გაგვიცდებაო. უარესია, როცა წვიმა დაუშენს და გადაღება დაავიწყდება. სწორედ ახლა მთელი ერთი კვირა მოგვიხდა წვიმაში მუშაობა. დღეში ერთი ხუთჯერ მაინც გადავკოტრიალდებოდი აღმართ-დაღმართში... მიხვალ კარავში გალუმპული, ტალახში ამოთხვრილი, მგელივით დამშეული...

– რას გერჩიან ნეტავი?.. ოხო-ხო-ო... ოხო-ხო-ო... რას ამბობ, კაცო! ვაი, შვილო..! – ჩემი თანამგზავრის ასეთი რეპლიკების აკომპანიმენტით მიმყავს თხრობა.. გადაჭარბებული ემოციურობით ეხმაურება ჩემს ყოველ ფრაზას. მე კი სულ უფრო ვფიცხდები; მაქეზებს ქურთუკიანის მზადყოფნა, ყველაფერში დამეთანხმოს და მითანაგრძნოს... მეორეს მხრივ, ვფიქრობ: "რა ყველაფერზე თავს მიქნევს? იქნებ გუნებაში დამცინის კიდეც და მე კი გულუბრყვილოდ ავლაქლაქდი?" მაგრამ არა. ისე შეწუხებული მიყურებს, თითქოს ყველაფერი პირადად მას გადახდენოდეს თავს; თანაც ადამიანს, რომელიც სხვას დასცინის, არასდროს აქვს ასეთი საწყლური და, ამავე დროს, ერთგვარად მლიქნელური გამომეტყველება.

– გზაში თუ გაილუმპე, ეგ დიდი არაფერია. სულ სხვა ხასიათზე დადგები, როცა კარავში წყალი შემოვა, ყველაფერს დაასველებს, ფიჩხსაც ცეცხლი არ ეკიდება... თან ისე ხარ დაღლილი, საჭმელი აღარ გახსენდება...

– უი, საწყალო, საწყალიო...

რა ერთგული ძაღლივით შემყურებს თვალებში! ეს უკვე ნერვების მომშლელია... ნუთუ, რაც უნდა ვთქვა, ყველაფერი უნდა დამიდასტუროს? ნუთუ მართლა ასეთი საბრალო, გაუსაძლისი ცხოვრება მაქვს? ცოტაც და მისი განწყობილებით გავიჟღინთები... კმარა! მისი თვალების გამომეტყველებამ ადგილიდან წამომაგდო, უცებ მოვტრიალდი და კაბინის თავზე ბრაგუნი ავტეხე:

– რობინზონ, რობინზონ, გააჩერე!.. გააჩერე, თუ ძმა ხარ!..

მუხრუჭებმა დაიხრჭიალა, კაბინის ორივე კარი ერთდროულად გაიღო და შოთა და რობინზონი გაკვირვებულები მომაჩერდნენ.

— რა ამბავია, ასე დაბრახუნება შეიძლება?.. ქვეყანა იქცევა?..

— დროზე გადავსვათ ეს კაცი მისი პომიდორებიანად, თორემ გადავირევი!... კინაღამ გადავწყვიტე, გეოლოგიას თავს ვანებებ-მეთქი... ისეთი სიბრალულით მიყურებდა, ჩემი თავი შემეცოდა...

... ახლაც მახსოვს მისი დაბნეული თვალები; გუმანით იგრძნო, რაღაც შეცდომა მოუვიდა და ცდილობდა, გარკვეულიყო — სად. დაბამბული ქურთუკი ჯერ გაიხადა, შემდეგ ჩაიცვა, შემდეგ ისევ გაიხადა და გზისპირზე დადგმულ პომიდორებიან ყუთებზე მიაგდო. გულის ჯიბისკენ მიმავალი ვერცხლის ძეწკვი მზეზე მხიარულად აბრჭყვიალდა. ძეწკვი მასიური იყო, წინდახედული კაცის შესაფერისი — რაღაც ღონიერისა თუ ძვირფასის დასაბმელად...

შემდეგ ყველაფერი მტვრის ფარდას მიეფარა.

1964

პირველი თოვლი

გიორგი კარტუზაძეს აღელვება ჯერ არ განელებია — სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ერთ-ერთმა კოლეგამ, რომელიც უფრო აშარი ხასიათით იყო ცნობილი, ვიდრე სამეცნიერო გამოკვლევებით, თავისი არ დაიშალა და ყოვლად უსაბუთოდ შეეკამათა. საწყენი უფრო ის იყო, რომ დანარჩენებმა პირში წყალი ჩაიგუბეს, თითქოს რამე გასარკვევი ყოფილიყოს...

გიორგი დგას ფანჯარასთან დერეფანში და პაპიროსს ეწევა.

თბილისური დეკემბერია, თოვა დაუწყია.

თოვს ლამაზად, ხვავრიელად — პირველი თოვლია ამ ზამთარს.

გიორგის ესიამოვნა, გაუხარდა — მისჩერებია ფანჯარას, უყურებს თოვლის მსხვილი ფანტელების უხმო ფარფატს, მშვიდდება.

უცებ ახსენდება თავისი ბავშვობა — როგორ აშენებდნენ ციხე-სიმაგრეებს თოვლით. მაშინ დიდუბეში ცხოვრობდა; ომი იყო, შიმშილი, სიცივე. ბავშვები თამაშობდნენ — აი, ფაშისტები იქედან მოვლენ, მე აქედან ვესვრი თოვლის გუნდებს, შენ ის პოზიცია გაამაგრე... როცა გამოჩნდებიან, დასცხე...

მეზობელი უბნის ბიჭები მოვარდებოდნენ, შეიქნებოდა ხელჩართული ბრძოლა...

ზამთარი გაილეოდა და იწყებოდა კოჭაობა, ლახტი, ავჭალური (სილით, ლობიოთი ან მსგავსი რამით ავსებული პატარა ნაჭრის ბურთის აკენწვლა), ფეხბურთი ჭინჭის ბურთით, გრძელი და მრგვალი ვირი, ფულობანა... რამდენი რამ ახსოვს, თითქოს გუშინ იყო ყველაფერი. თუნდაც სკოლაში შესვენებისას პირველი სართულის ფანჯრებიდან რომ პირდაპირ ეზოში ხტებოდნენ დაჭერობანას თამაშის დროს...

ან სახლის ეზოს რა დაავიწყებს: გრძელი აივნები ორივე სართულის გაყოლებით, აივნებში — ნავთქურები (უმრავლესობას საკუთარი სამზარეულო სად ჰქონდა); მეზობლების ავ-კარგი ხომ ყველამ იცის — ვის საყვარელი ჰყავს, ვის — ლოთი ქმარი, ვის — ავადმყოფი შვილი... ერთს პატარა ცუგა მთელ ქვეყანას ურჩევნია, მეორე დღე და ღამე ეზოში აშენებულ ხუხულაში შალაშინით ათას რამეებს აკეთებს... მთელი დღე ეზო აკლებული აქვს ბავშვების ხალისიან ჟივილ-ხივილს...

მერე იგონებს ომის შემდგომ წლებს — უკვე 16-17 წლის ყმაწვილია. ოჯახი გაჭირვებულია, იგი იძულებულია, ერთ-ერთ სახელოსნოში იმუშაოს სკოლის შემდეგ. როცა საღამოს დაღლილი ბრუნდება შინ, გაიხდის ხალათ-შარვალს, დედა საჩქაროდ გაურეცხავს, ნახშირის უთოთი გააშრობს, გაუუთოებს (მეტი ტანსაცმელი არ აქვს — საგარეო შარვალიც ეგ არის და საშინაოც) და გარბის ბიჭებთან გასართობად ან პაემანზე...

რა ქურდობა იყო! ჯანიან ბიჭებსაც ეშინოდათ გვიან ღამით შინ მარტო დაბრუნება — აუცილებლად სადმე დახვდებოდნენ და პალტოს გახდიდნენ. მას პალტო სად ჰქონდა, — მუშის დაბამბული ქურთუკი ეცვა, სკოლაც იმით დაამთავრა, — და მისთვის ხელი არასდროს უხლიათ. შიში კი ბევრჯერ ჭამა, სანამ თავის უბანს მიაღწევდა — აქ უკვე თავისიანებში იყო, ამ უბნელი ბანდის წევრები არას ერჩოდნენ. როცა ერთხელაც ბანდის წევრები დაიჭირეს, აღმოჩნდა, რომ მათი მეთაური ახალგაზრდა გოგო იყო... ნავთის რიგი? ნავთის წერტთან წინა საღამოდან იკავებდნენ ადგილს რიგში, ჭურჭელზე ცარცით აწერდნენ ნომრებს, ღამე კი დილამდე ჭურჭელს მოსაპარავად ვინ დატოვებდა; სამაგიეროდ დებდნენ აგურს, ქვას, რომელსაც თავის ნომერს აკუთვნებდნენ... დილით ისევ იჭერდნენ კანონიერ ადგილს ბიდონები, ვედროები, შუშის ბოცები... მოხუცები ისხდნენ მთელი დღე და საუბარს გულს აყოლებდნენ. როდის-როდის გამოჩნდებოდა ნავთის საზიდი მანქანა და ჩაასხამდნენ უშველებელ მიწისქვეშა ავზში. უცებ გაჩნდებოდა უამრავი ხალხი, უმთავრესად — ქალები და

ბავშვები, ატყდებოდა ყაყანი; ნავთის სარდაფიდან სველი ჭურჭლით ამოსულნი ამაყად მიაბიჯებდნენ შინისკენ...

ტრამვაის გაჩერებებზე გამურული, გამხდარი ბიჭები პაპიროსს ცალობით ჰყიდდნენ, იჭაჭებოდნენ: "წყვილი – მანეთი, კოლოფი – თუმანი!" ქუჩაში ხშირად შეგხვდებოდა ომიდან დაბრუნებული ხეიბარი, ბავშვიც ბევრი იყო ცალფეხა – გაქანებული ტრამვაის საფეხურზე ახტომა სპორტი იყო და მრავალი უიღბლო მოჰყოლია ბორბლებქვეშ.

გაჭირვება იყო, მაგარი გაჭირვება... წელებზე ფეხს იდგამდნენ და მაინც რა ტკბილად ახსენდება ის დრო! უცნაურია, ის ძველი ხალხიც ყველა კარგი ეჩვენება ახლა, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ; ყველა თვალწინ უდგას, მთელი სიგრძე-სიგანით, ავ-კარგით, თითქოს გუშინ გაშორდა მათ და თითოეული მათგანი მისი ოჯახის წევრი იყო... დიახ, მთელი ეზო ერთი დიდი ოჯახი იყო. საღამოობით თითქმის ყველა ერთად იკრიბებოდა: ნარდის თამაში, ბანქო, ლოტო, მერე კაცებიდან ვინმე წავიდოდა, რამდენიმე ბოთლ იაფ ღვინოს მოიტანდა, ოჯახებიდან ცოტ-ცოტა რამეს წაუმატებდნენ და ტკბილად ჭამდნენ პურს. თუკი ვინმეს სოფლიდან მოსაკითხი ჩამოუვიდოდა, თითქმის მთელ ეზოზე ნაწილდებოდა. როცა შედარებით შეძლებული ოჯახის დედა შვილებს დაუძახებდა ეზოში, მოდით საჭმელადო, ხშირად მეზობლის ბავშვებსაც მიიპატიჟებდა... მართალია, მეზობლებში ხანდახან ჩხუბიც ხდებოდა – უფრო ქალებში. ხან ეჭვიანობდნენ, ხან ბავშვები ვერ მორიგდებოდნენ ერთმანეთში და მშობლებიც ჩაებმებოდნენ კამათში... მაშინ კი, იცოცხლე – მთელი ეზო გამოეფინებოდა გარეთ სეირის საყურებლად...

... დღესაც ალბათ დანარჩენები იმიტომ არ ჩაერივნენ და აშარი კოლეგის გამოხდომას პასუხი არ გასცეს – სეირის მაყურებლობა არჩიეს...

გიორგის წყენამ რა ხანია, გაუარა, ფანჯრიდან თოვლის ფანტელების თამაშს თვალმოჭუტული გასცქეროდა და წარსულის ლანდებს ნელ-ნელა ღიმილით შორდებოდა...

1974

ბოლო დღე

გუშინ ზაურს გვიან დაეძინა, ამიტომ ამ დილით, კარმა გაიჭრიალა თუ არა, დაფეთებული წამოვარდა ზეზე – ხომ არ დამაგვიანდაო. არა, არ დაჰგვიანებია. გულაძგერებული, ჩაუცმელი იდგა ფანჯარასთან და უყურებდა ეზოს ჭიშკრისკენ მიმავალ შავთმიან ქალიშვილს. კარგა ხანს იდგა ასე, თუმცა ახლა ხედავდა მხოლოდ აყვავებულ კარტოფილს, ფიცრულ ღობეს და სულ იქით კი – ფიჭვნარით შემოსილ გორაკებს. მერე გაუშვა ფარდას ხელი და ახლა ისე იყურებოდა გარეთ. ფარდა არც კი უშლიდა, შეეძლო, ისე ეცქირა, მაგრამ, როცა ზაირა დილით გადიოდა სახლიდან, ყოველთვის ფარდის ცალ მხარეს ასწევდა ხოლმე, რომ კიდევ უკეთ დაენახა. ორი კვირაა უკვე, რაც დასჩემდა – ყოველ დილით მზერით გაცილება ზაირასი, ყურება, როგორ ჩაირბენდა დაბალ კიბეზე, სხარტად გაივლიდა ჭიშკრამდე ოცდაათიოდე ნაბიჯს და თვალს მიეფარებოდა. ზაურმა უკვე იცოდა, როდის გადიოდა სახლიდან ზაირა და რვას რომ ცოტა უკლდა, მის გამოჩენას უკვე ელოდა ფარდასთან. მისი სიარულის ნირს ათასში გამოარჩევდა; ორი კვირაა, ასე ჩუმად დარაჯობს ზაირას გასვლასაც და შინ დაბრუნებასაც. დღეს კი მის მოსვლას ვეღარ ნახავს, რადგან...

რადგან დღეს მივლინება უმთავრდება და ორი საათის შემდეგ უკვე გუგულა მატარებელში იქნება. შემდეგ გადაჯდება ბორჯომში სხვა მატარებელში და დღესვე გვიან ღამით თბილისში ჩავა. ბოლო დღეა მისი აქ ყოფნისა... უცნაურად ეჩვენებოდა ზაურს, თითქოს ერთი თვე კი არა, მთელი წლები გაეტარებინოს ბაკურიანში. განა შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, რომ ერთი თვის წინ არ იცნობდა ზაირას ან დეიდა ნინოს? ისე, ალბათ სირცხვილიც კია ამის თქმა, მაგრამ თვითონ ბაკურიანიც სად მდებარეობდა, ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა აქამდე. ზამთარში ყველა ბაკურიანს მიესევა ხოლმე, ყველა, გარდა ზაურისა; არც ერთხელ არ ყოფილა აქ... უცებ მშვენიერი აზრი დაებადა: ზამთარში წამოვა! შვებულებას აიღებს და წამოყვება ამხანაგებს! მერე რა, რომ თხილამურებზე ჯერ არასდროს მდგარა, ყველა ხომ ოდესღაც პირველად შედგა. რასაკვირველია, დეიდა ნინოსთან მოვა ისევ...

ზაურს გაახსენდა, როგორ ჩამოვიდა ბაკურიანში და ეძებდა ბინას. ეგონა, ზაფხულში ადვილად მოეწყობოდა სადმე, მაგრამ მაშინ, აგვისტოს ბოლოს, ბევრი დამსვენებელი იყო, განსაკუთრებით – ბავშვებიანი ოჯახები და გაწამებულ ზაურს პირველი ღამის გათევა კინაღამ ღია ცის ქვეშ მოუწია. სწორედ ამ დროს მოევლინა მფარველ ანგელოზად დეიდა ნინო და გაჭირვებული თავის სახლში წაიყვანა, თუმცა სხვა დროს არასდროს გაუქირავებია ოთახი. ჯერ მხოლოდ ერთი ღამით შეიფარა თითქოს, შემდეგ კი სულ თავისთან დაიტოვა. პირველი შეხედვისთანავე შეეცოდა დეიდა ნინოს, შეატყო, რა ბიჭიც იყო: ამოდენა, ოცდაექვსი წლის ვაჟკაცს, ისეთი ხათრიანი ლაპარაკი და მორიდე-

ბული ღიმილი ჰქონდა, რომ ძალზე გაუჭირდებოდა ბინის შოვნა. დეიდა ნინო წყნარად ცხოვრობდა ამ პატარა, ოროთახიან სახლში თავის ქალიშვილთან ერთად. ერთხელ მისი ვაჟიც ნახა ზაურმა – საღამო ჟამს მოვიდა სატვირთო მანქანით და ზამთრისთვის შეშა ჩამოცალა ეზოში, მეორე დილით კი წავიდა; ხმაური კი ლამის ერთი თვის სამყოფი შექმნა, რადგან ოთართან სანახავად ამხანაგები მოვიდნენ და ღვინის სმა გააჩაღეს. ცოტას დალევა ზაურსაც მოუწია, მეორე დღეს კი თავი სტკიოდა და ძლივს მიბობღავდა აღმართებზე. მისი სამუშაო მართლაც ბევრ სიარულს მოითხოვდა: ზაური იკვლევდა ფიჭვის დიდი ლაფანჭამიით დაავადებულ ტყის უბნებს. ეს ხოჭოა ერთგვარი, წინათ ჩვენში არ იყო, შემდეგ ჩითახეჭესის მშენებლობისთვის ციმბირიდან შემოტანილ ხე-ტყეს შემოყვა და ახლა განადგურებით ემუქრებოდა ფიჭვნარს. ზაურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი სწორედ ამ ბოროტებასთან ბრძოლის მეთოდებს სწავლობდა.

დილაობით ბაკურიანში საკმაოდ გრილა, ზაფხულშიც კი, ახლა კი უკვე შუა სექტემბერია. ზაურს შიშველ მკლავებზე ბუსუსები აებურძგლა, ფანჯარას მოშორდა და სწრაფად ტანთ ჩაიცვა. მერეღა შეამჩნია, რომ სამუშაო ტანსაცმელში გამოეწყო, თითქოს ისევ აპირებდა სატყეოში წასვლას. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ფიქრით მელიების მოსაშენებელ მეურნეობაში იყო. ერთხელ წაიყვანა ზაირამ დასათვალიერებლად, აჩვენა ახალი, თითქმის სულ შავი ფერის, "ბაკურიანული" ჯიშის მელიები. რატომღაც ზაურის წარმოდგენაში ახლა ზაირა სწორედ ამ ახალი ჯიშის მელიებს უვლიდა. თუმცა ახალბედას ვინ ანდობდა ჯერ – სულ ერთი თვეც კი არ იყო გასული, რაც ზაირამ მუშაობა დაიწყო აქ.

დეიდა ნინომ ჩაის დასალევად მიიწვია მეორე ოთახში. ამასაც უკანასკნელად აკეთებდა დღეს, ამ ოთახშიც უკანასკნელად იჯდა, ზაირას საყვარელ თეთრ კატასაც უკანასკნელად ხედავდა. კატამ გაიზმორა, მივიდა ზაურის ფეხთან და გაეხახუნა, თითქოს ემშვიდობებოდა. ეჰ, დეიდა ნინო აღარ მოუყვება, როგორ დარდობს თავის თავქეიფა შოფერ ვაჟზე, როგორ მოელის რამდენიმე თვეში მეორე ვაჟის დაბრუნებას სამხედრო სამსახურიდან, აღარ ეთამაშება საღამოობით ზაირასთან ერთად ბანქოს. ეგერ საკმაოდ გაცვეთილი ბანქოს ქაღალდიც დევს ფანჯრის რაფაზე. ზაურს მოუნდა, სამახსოვროდ თან წაეღო – მშობლიური გახდა მისთვის ყველაფერი ამ ოთახში... დეიდა ნინოც – თითქოს რა ხანია უკვე, ამ წყნარ, შუახნის ჩასუქებულ ქალს იცნობს. ამ უბრალოდ მოწყობილ ოთახში თავისუფლად გრძნობდა თავს – ათვალიერებდა ორ უბრალო რკინის საწოლს, გახუნებულ ლოგინს, ძველებურ კარადას... ისინი უკავშირდებოდა ზაირას ამ ოთახში ცხოვრებას და ამდენად ამ ნივთების მიტოვებაც კი უძნელდებოდა...

დეიდა ნინო იჯდა მის მის პირისპირ და ესაუბრებოდა. მოსწონდა ეს სიტყვაძუნწი, შავგვრემანი ყმაწვილი, რომელმაც იცოდა ყურადღებით მოსმენა, შემდეგ კი ნელ-ნელა თვითონაც ამოიდგა ენა, და ამ ერთ თვეში თავ-თავიანთი ოჯახების ჭირიცა და ლხინიც კარგად გაიგეს, ერთმანეთისადმი ისეთი გულღიაობა გამოიჩინეს, რომ წვრილმანი საშინაო ამბებიც კი იცოდნენ. აი, როგორი თვალებით უყურებდა ზაური მის ქალიშვილს, ეს თუ შეამჩნია? ღმერთმა უწყის... თუმცა, დედის გუმანს ძნელად რაიმე გამოეპაროს, ალბათ გრძნობდა რაღაცას... ზაურს კი, მართალია, არაფრით გამოუმჟღავნებია არც დეიდა ნინოსთვის და არც ზაირასთვის, თავისი გრძნობა. მხოლოდ ფანჯარასთან რომ დაუდარაჯდებოდა ხოლმე, იმას შეეძლო გაეცა. ახლა ზაური კიცხავდა საკუთარ თავს, რომ ვერ გადაწყვიტა, გაკვრით მაინც ეგრძნობინებინა ზაირასთვის, ათასჯერ გაიფიქრა და ვერც ერთხელ ვერ გაბედა... როცა მალულად ჭვრეტდა ხოლმე ზაირას, – ეს უფრო ბანქოს თამაშის დროს ხდებოდა, – მის ნორჩ სახის კანს, სწორ ცხვირს, ვარდისფერ სავსე ტუჩებს, ქვევით დახრილ შავ წამწამებს, – ეშინოდა, მისი გულის ცემა არ გაეგოთ; და ქურდივით მაშინვე მოაცილებდა მზერას, როგორც კი ზაირა თაფლისფერ თვალებს შეანათებდა. მაინც რით მოხიბლა ზაირამ? ლამაზი იყო, ეს უდაოა, მაგრამ ლამაზები განა სხვა დროს არ შეხვედრია? საქმეში მარდია, სხვა მხრივ კი ჩუმია, ხანდახან კატას თუ დაელაპარაკება, როცა ალერსით ხელს გადაუსვამს ზურგზე, ან დედას ეტყვის მოკლედ რამეს. მხოლოდ ბანქოს თამაშის დროს გამოცოცხლდება. მისი ხმის ტემბრი მაინც ყოველთვის ახსოვს ზაურს... ზაური-ზაირა, ზაირა-ზაური – თითო ბგერა აქვთ მხოლოდ სხვადასხვა... წყნარი, მყუდრო ოჯახია...

... ზაური ისე ჩაეფლო ფიქრებში, კიდევ დიდხანს იჯდებოდა გარინდებული, დეიდა ნინოს რომ არ შეეხსენებინა, მატარებელზე არ დაგაგვიანდესო. ზაურმა მადლობა გადაუხადა და გავიდა თავის ოთახში. იმდენი ბარგი ბევრი არაფერი ჰქონდა, თხუთმეტ წუთში უკვე ჩაალაგა ჩემოდანში ყველაფერი, უპირველესად – თავისი ჩანაწერები, ჩანახაზები და კოლექციები. დეიდა ნინო შემოვიდა მის ოთახში, დახმარება შესთავაზა; ზაური მას ესაუბრებოდა, ჩააწერინა თავისი მისამართი, სიტყვა ჩამოართვა, რომ აუცილებლად ესტუმრებოდნენ დედა-შვილი თბილისში, ურჩია, რომ მომავალ წელს ზაირას უნივერსიტეტში ჩაებარებინა მისაღები გამოცდები, რომ ბიოლოგია ფრიად საინტერესო მეცნიერებაა...

სწორედ ამ დროს გაიჭრიალა ჭიშკარმა და ზაურს გული შეუხტა. დეიდა ნინომ გადასწია ფარდა.

– ზაირა მოვიდა გამოსამშვიდობებლად, – თავისი წყნარი ხმით თქვა დეიდა ნინომ და მეორე ოთახში გავიდა.

ზაურს უცებ სისხლი მოაწვა სახეზე, ჭარხალივით გაწითლდა. ერთხანს გაუნძრევლად იდგა, ყურს უგდებდა მეორე ოთახში ქალების საუბარს, მერე გულდასმით გადაივარცხნა თმა, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა და დედა-შვილთან გავიდა.

ზაურს უნდოდა, ზაირას მისალმებოდა, მაგრამ ქალიშვილი მისკენ ზურგით იჯდა; დედამისი რაღაცას ეუბნებოდა, ის კი უარის ნიშნად აქნევდა ჩაღუნულ თავს და ჩუმად ტიროდა, რომელიც უცებ ხმამაღალ ხლუქუნში გადაიზარდა. ზაური შუა ოთახში გაჩერდა, უხერხულობა იგრძნო. დეიდა ნინო მოსცილდა შვილს და ფანჯარასთან მივიდა. რამდენჯერმე გასწია ფარდა, მაგრამ გარეთ არ გაუხედავს და მოწყვეტილად დაჯდა სკამზე. ვერც აქ მოისვენა, მაშინვე ადგა და მაგიდას ხელი გადაუსვა. რამდენიმე წუთს ასე იყვნენ. ზაურმა ხმის ამოღება ვერ შესძლო, ვერც ოთახიდან გავიდა. უნებურად ადარებდა დედა-შვილს ერთმანეთს. დეიდა ნინოს ნაცრისფერი თვალები და ღია წაბლისფერი, თხელი თმა მკვეთრ კონტრასტს ჰქმნიდა ზაირას შავ, ხშირ თმასა და თაფლისფერ თვალებთან, მაგრამ მაინც რაღაცით ერთმანეთს ემსგავსებოდნენ, საერთო იერი ჰქონდათ. თუმცა, რას იფიქრებდი, რომ ამ წყნარ გოგოს ასეთი ხმამაღალი, ცხარე ტირილი შეეძლო...

– რა მოხდა? – ზაური მივიდა დეიდა ნინოსთან და თანაგრძნობით შეხედა. დეიდა ნინომ მოარიდა მზერა და არაფერი უპასუხა.

– რამე ხომ არ გჭირდებათ? რით შემიძლია, დაგეხმაროთ? – თავი გამოიდო ზაურმა, გაახსენდა, რომ ქალებს უკაცო ოჯახი ჰქონდათ.

– გაჩერდი, სულელო, – წყნარად უთხრა დეიდა ნინომ ქალიშვილს, მერე ზაურს მიუბრუნდა: – ამოუჩემებია, ზაურმა თან წამიყვანოსო...

ქალმა მაშინვე ინანა თავისი სიტყვები, გული შეეკუმშა. ზაურს სული შეუგუბდა, მოულოდნელად წინ წადგა ნაბიჯი, ერთ წამში მშობლიურ ადამიანად ქცეული ხანში შესული ქალისკენ დაიხარა, აკოცა და ჩაეხუტა...

... მატარებელზე კინაღამ დააგვიანდათ, სულზე მიუსწრეს.

1965

კრებაზე

mo mksenebel i. ... ტრესტში ჩაფლავებულია გეგმის შესრულება და მის მმართველს, ამხანაგ ზოიშვილს, დიდი ხანია, უნდა მიექცია ყურადღება...

repl ika dar bazidan. ამხანაგი ზოიშვილი იქ აღარ მუშაობს, გადაიყვანეს ხე-ტყის სახერხი ქარხნის დირექტორად.

mo mksenebel i. არც ხე-ტყის სახერხ ქარხანაშია საქმე ბრწყინვალედ. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოშვებული პროდუქციის დიდი წილი უხარისხოა, წუნი შეადგენს 34 პროცენტს...

repl ika dar bazidan. ამხანაგი ზოიშვილი სახერხი ქარხნიდან გადაყვანილია საპნის ქარხნის მომარაგების განყოფილების უფროსად.

mo mksenebel i. იმის გამო, რომ ნედლეული დროულად არ იქნა შემოზიდული, საპნის ქარხნის მიერ პროდუქციის გამოშვების გეგმა საეჭვოა, რომ შესრულდეს...

repl ika dar bazidan. აღარც ჩვენთან მუშაობს, საკონდიტრო ფაბრიკაში დაცვის უფროსად გადაიყვანეს.

mo mksenebel i. სწორედ საკონდიტრო ფაბრიკაზე მინდოდა მეთქვა. სამწუხაროდ, დოყლაპიობისა თუ ავი განზრახვის შედეგად ფაბრიკიდან დატაცებულია 50 ტომარა შაქარი...

repl ika dar bazidan. იქიდან გადაყვანილია თამბაქოს ფაბრიკაში იარლიყების ჩამწყობად.

mo mksenebel i. იმის გამო, რომ...

1963

მერკეტალიის კეტსალი

რამდენჯერ უთხრეს ხუან ალვესს: ნუ დაძვრები მაგ მამულში, ხომ იცი, რამონა ჩვენი დაუძინებელი მტრის, მოიზეს დიდთავას, ქალიშვილია, ჰოდა, როგორ გგონია, გვაპატიებს, რომ ჩვენ მისი საუკეთესო მიწები ძალით წავართვით და უმიწაწყლო, მშიერ ინდიელებს დავურიგეთო? თუმცა ხუანი, ერთი შეხედვით, წყნარი, უთქმელი ყმაწვილი იყო, პასუხის მაგივრად თითქმის ყოველთვის მხო-

ლოდ იღიმებოდა, მაგრამ დროდადრო მაინც ისევ გადაიკარგებოდა რამდენიმე დღით და ყველამ იცოდა, სადაც შეიძლებოდა ის დაეჭირათ. თუმცა დაჭერით კი ნურას უკაცრავად, ამის გამკეთებელი ჯერ არავინ იყო, და პარტიზანულ რაზმში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხუანი მხოლოდ მკვდარი თუ ჩაუვარდებოდა ხელში მთავრობის ჯარისკაცებს, რომლებიც ახლა იცავდნენ მოიზეს დიდმუცელას მამულს. რაზმში მისი მეტსახელი კეტსალი იყო. ბედი ხუანისა, მოიზეს დიდულვაშამ არ იცოდა, რომ მისი ქალიშვილი რამონა და მამულში გამოჩენილი დროებითი მუშა ხუან ალვესი ღამღამობით მიიპარებოდნენ მამულის უზარმაზარი ბაღის მყუდრო კუნჭულში: ერთი – ორსართულიანი, ქვით ნაგები შენობიდან და მეორე – მუყაოსა და ძველი თუნუქის ნაჭრებისგან შეკოწიწებულ ქოხმახებიდან.

საკვირველი იყო: ამ თხელ, მაგრამ ღონიერ, მოქნილ სხეულში, ცეცხლოვან თვალებსა და შავგვრემან სახეში მგზნებარე ტემპერამენტი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი ხუან დოყლაპია შეარქვეს მამულში, რადგან ყველას მონა-მორჩილი, გამგონი და მეტისმეტად უსიტყვო იყო. პარტიზანებთან კი, რასაკვირველია, ყველამ იცოდა, რაც იმალებოდა ამ მოჩვენებითი ფლეგმატურობის მიღმა. თუმცა, იქაც შეცდა ზოგ-ზოგი. მაგალითად, ერთხელ, როცა რაზმი ხანგრძლივ და მომქანცველ გადასვლას ახორციელებდა მაღლა მთებში, რათა თავი დაეღწია მთავრობის ჯარების ალყისთვის, ერთმა ზორბა პარტიზანმა, ვინმე პედრო ცალთვალამ (ის შემდგომში ამხილეს, როგორც ჯაშუში), უხეშად გააჩერა ხუანი, თავისი ავტომატი გაუწოდა და ტარება უბრძანა. ხუანს საკუთარი ავტომატი და მძიმე ზურგჩანთაც სჭრიდა მხრებს და ამიტომ უსიტყვოდ ხელით გვერდზე გასწია "საჩუქარი". პედრო ცალთვალამ მუშტი აღმართა, მაგრამ ხუანის ავტომატის ლულამ ჩამოაშვებინა ხელი და ყელშივე გაუყინა სანახევროდ გადმონთხეული გინება. უკან დაიხია და რაღაც საბოდიშოს ლუღლუღს მოჰყვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ხუანმა თვით გამოართვა დაჭრილ ამხანაგს ავტომატი, ხოლო მეორე დაჭრილისა კი პედროს გაუწოდა (რომელიც განზრახ ჩამორჩა – არ უნდოდა ხუანთან ევლო, მაგრამ ხუანმა მას საგანგებოდ დაუცადა). პედრომ ნაძალადევი ღიმილით ჩამოართვა იარაღი.

აი სწორედ ეს ხუან ალვესი გაემართა ერთ წვიმიან საღამოსპირს მოიზეს დიდცხვირას ქვის სახლისკენ კარტოფილის ტარის შესახებ მამულის მმართველთან მოსალაპარაკებლად; უფრო კი – თვალი უნდოდა შეევლო ჯარისკაცთა ახლად ჩამოსული რაზმისთვის, რომელიც ვინ იცის, რა ბნელი მიზნებისთვის ჩამოიყვანეს ხუთი ავტომანქანით პირდაპირ გვატემალადან.

წვიმამ ის-ის იყო, გადაიღო. ყაზარმად გადაკეთებულ საჯინიბოდან ჯარისკაცების როხროხი ისმოდა, ეტყობა, მშვენივრად ერთობოდნენ (ცხენები კარგა ხანია, პარტიზანებმა წაასხეს). კაპიტანი დე ლარა სწორედ ამ ხმაურზე მიემართებოდა, როცა პირისპირ შეეჩეხა საყელოაწეულ, ჭრელ მოსასხამქვეშ მობუზულ ახალგაზრდას. ხუანმა წამით შეხედა და ამან დაღუპა კიდეც. კაპიტანმა დე ლარამ ყურადღებით გაადევნა თვალი; შემდეგ შიგნითა ჯიბიდან სურათების დასტა ამოიღო და მაშინვე ამოარჩია ერთ-ერთი ფოტო. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დე ლარა დაზვერვაში ნამსახურები იყო. კაპიტანმა დაუყოვნებლივ ამოიღო რევოლვერი და ხუანს დაუყვირა:

– ეი, სდექ!

ბედზე ხუანი სწორედ საჯინიბოს კუთხეს გაუსწორდა, არც მოიხედა, მაშინვე ისკუპა, თვალს მიეფარა. კაპიტანი გამოუდგა, მაგრამ ამაოდ – ხუანი გაუჩინარდა.

დე ლარამ დაიყვირა:

– კეტსალი, კეტსალი! ყველანი გარეთ!.. ყველანი გარეთ!.. ხუან კეტსალი!..

შეიარაღებული ჯარისკაცები ფაციფუცით გამორბოდნენ ყაზარმიდან. მოიზეს დიდყურას თეთრი სახლიდან ორი ლეიტენანტი გამოცვივდა. დე ლარამ საჩქაროდ აუხსნა მათ მდგომარეობა.

– შორს ვერ წავიდოდა, აქვე იქნება სადმე შეყუჟული. ჭრელი მოსასხამი აქვს, ზურგზე დიდი ყვითელი ჯვარი ახატია. აბა ჩქარა! ეძებეთ!

ჯარისკაცები ოფიცრების წინამძღოლობით მიმოიფანტნენ მრავალრიცხოვან სამეურნეო ნაგებობებში. ერთიანად გადააქოთეს ყველაფერი, გადაქექეს ათასგვარი ძველმანი ბნელ კუნჭულებში, მაგრამ ხუანის კვალს ვერ მიაგნეს.

– მოსასხამი, კაპიტანო, მოსასხამი! – მოესმა დე ლარას მულატი ლეიტენანტის ძახილი. კაპიტანი მიყრუებული ფარდულის სხვენიდან პირდაპირ იატაკზე ჩახტა და მაშინვე გრძელი საძროხისკენ გაემართა. მის კართან ლეიტენანტი იდგა და მოსასხამს ატრიალებდა ხელში.

– აქ ეგდო, აი, ამ ადგილზე, სენიორ კაპიტანო! – მოახსენა მულატმა. – საძროხეში უნდა იყოს, იქიდან გაქცეული არავის დაუნახავს!

– შიგნით დაათვალიერე?

– მხოლოდ შევიხედე, სენიორ კაპიტანო. საძროხეს სამი ფანჯარა აქვს, ყველასთან ჯარისკაცი დავაყენე...

– რამდენი?

— თითო-თითო, სენიორ კაპიტანო... მე მგონი, საკმარისია, მათ ხომ ამერიკული ავტომატები აქვთ და თვალს არ აცილებენ ფანჯრებს.

— შენ ბევრი რამ გგონია, ყეყეჩო! ორ-ორი ჯარისკაცი თითო ფანჯარასთან! — უბრძანა კაპიტანმა დე ლარამ. — იმ ფანჯარასთან, ბაღისკენ რომ იყურება, სამი-ოთხი დააყენე! ეგ კეტსალი ძუძუმწოვარა ბავშვი ხომ არ გგონია!

გაისმა რამდენიმე მოკლე ბრძანება. ჯარისკაცები კიდევ უფრო აფუსფუსდნენ, თითქმის ყველა მათგანმა საძროხის გარშემო მოიყარა თავი.

კაპიტანმა დე ლარამ ჩაბღუჯა რევოლვერი, კარს ფეხი ჰკრა და გვერდზე გახტა. საძროხეში ჩამიჩუმი არ ისმოდა. კაპიტანი უკვე აპირებდა სერჟანტისთვის ბრძანებას, მიდი, შენ პირველი შედიო, რომ კარის ჭრილში გამოჩნდა მამაკაცი ნიჩბით ხელში. ახლო მდგომ ჯარისკაცებსა და კაპიტანს ნაკელის მძაფრი სუნი ეცათ ცხვირში. ინდიელმა მეძროხემ თვალები მოჭუტა სინათლისგან და მასზე მიშვერილ იარაღს გულგრილად გაუსწორა თვალი, შემდეგ გვერდზე გადააპურჭყა.

— მანდ არის კეტსალი? — დაუყვირა კაპიტანმა, თითქოს მეძროხე ყრუ ყოფილიყოს.

— ვინა?

— ხუან კეტსალი!.. არ გესმის? კეტსალი!.

— ასეთს არ ვიცნობ, — გულგრილად მიუგო მამაკაცმა და ნიჩაბი კედელზე მიაყუდა, ალბათ გარეთ გამოსვლას ფიქრობდა.

— ეი, შენ! — დაუყვირა ისევ კაპიტანმა, — არ გამოხვიდე! არ გაბედო! სერჟანტო ალმეიდა! წადი წინ! ჯარისკაცებო, წინ!

სერჟანტი და რამდენიმე ჯარისკაცი ფრთხილად შევიდნენ ნახევრად სიბნელეში და მაშინვე გაეკრნენ ფიცრის არცთუ სუფთა კედელს. მათ უკან დე ლარა და დანარჩენი ჯარისკაცები მიჰყვნენ. ძალზე გრძელ საძროხეში სიცარიელე იგრძნობოდა: ნაწილი ძროხებისა მოიზეს დიდფაშვას სამთავრობო ჯართან ერთად დაბრუნებამდე გლეხებს დაურიგეს პარტიზანებმა, რაც არა და — თან წაასხეს მამულის დატოვებისას. შესულთა თვალები ნელ-ნელა მიეჩვივნენ სიბნელეს, ათვალიერებდნენ ჭერს და რატომღაც ხიშტებს ჩრიდნენ იატაკის ღრიჭოებში. შორეულ კუთხეში დე ლარამ შეამჩნია რამდენიმე ხარი — სანაშენო ბუღები დასაკლავად პარტიზანებს დაენანათ. მოიზეს დიდმუშტიანი განსაკუთრებით თეთრი, ლამაზი ბლანკოთი ამაყობდა; სხვებს გაყიდვას უპირებდა, მას კი ვერ შეელეოდა. ისე უყვარდა, რომ ბლანკოს ერთადერთს არ ჰქონდა გაყრილი ცხვირში რკინის რგოლი.

კაპიტანი, სერჟანტი და კიდევ ერთი ჯარისკაცი შევიდნენ ხარების საბრძანებელში (წინათ ეს ადგილი ძროხების სადგომისგან გადაკედლილი იყო, ახლა მხოლოდ რამდენიმე ფიცარიღა იყო შერჩენილი).

ხარებმა თავი მიანებეს მათ წინ ბაგაში ჩაყრილ თივას და რკინის ჯაჭვების ჩხარუნით ბრაზიანი თვალებით მიაშტერდნენ შემოსულებს. ყველაზე ბოლოს ბლანკომ ასწია თავი. მისი ჩასისხლიანებული თვალების ბრიალზე კაპიტანმა დე ლარამ უნებურად მიუშვირა რევოლვერი და ნაბიჯი წადგა უკან. უზარმაზარი წაწვეტილი რქები ნებისმიერს შეაშინებდა, თუმცა ბლანკო ორჯერ უფრო მსხვილი ჯაჭვით იყო დაბმული, ვიდრე დანარჩენები. კაპიტანი იმან გაახელა, რომ არ შეეძლო ახლოს მისულიყო და დაემცირებინა ეს მძლავრი ცხოველი — რევოლვერის ტარით გაეჩეჩქვა მისი შუბლი, ჩექმებით დაეზილა მისი ფერდები...

კაპიტანმა ნიკაპით მიუთითა სერჟანტს გვერდითი კედლისკენ. სერჟანტი და ჯარისკაცი მაშინვე შეუდგნენ ხიშტებით ჩხვლეტას ჭერამდე დახვავებულ თივის ზვინს. კაპიტანიც არ მოცდენილა: ცდილობდა, გულდასმით დაეზვერა სივრცე ხარებს უკან — ჩაჯდა, თითქმის გაწვა მყრალ, სველ ნიადაგზე (ამისთვის წინდაწინ რამდენიმე ფიცარი დააგო მიწურ იატაკზე, რასაკვირველია, საკმაო მანძილზე ბლანკოს რქებისგან), შემდეგ ხარებს მეორე მხრიდან მოექცა. ამრეზილად გატოპ-გამოტოპა წუნწუხში, გულდასმით დაათვალიერა იქაურობა; ხარების მუცელქვეშაც კი შეიხედა და საჩქაროდ გამოერიდა იმ ადგილს.

სერჟანტმა და ჯარისკაცმა სულ გადააქოთეს თივის ზვინი, დარწმუნდნენ, რომ იქ მოწრიპინე თაგვების მეტი არაფერი იყო. დანარჩენ ჯარისკაცებსაც მოსწყინდათ უშედეგო ძებნა, ზოგიერთები ვიწრო ფანჯრებიდან გარეთ დარჩენილებს გადაულაპარაკებდნენ. დე ლარამ შეიგინა, მუშტი მოუღერა ბლანკოს (შორიდან, რასაკვირველია) და უბრძანა ჯარისკაცებს, გამოსულიყვნენ საძროხედან — საჭირო იყო ეჩქარათ, სანამ კეტსალი შორს მოასწრებდა წასვლას. ეზოში გამოსულმა დე ლარამ მოიხმო საძროხის კართან ატუზული მეძროხე და სახეში სილა გააწნა:

— მითხარი, რომელი ფანჯრიდან გადაძვრა კეტსალი, რომელ მხარეს გაიქცა?

ინდიელმა უხმოდ მოისვა სახეზე ხელი და პირი გვერდზე მიაბრუნა. სხვა დროს კაპიტანი ძვირად დაუსვამდა მას მხოლოდ ბლანკოზე გაბრაზებასაც კი, მაგრამ ახლა აღარ ეცალა — სირბილით გაუძღვა წინ ჯარისკაცებს. დაბნელებამდე უნდა მოესწროთ ხუანის დაჭერა.

მეძროხემ ჯერ ცივი წყლით დაიბანა სახე, შემდეგ ყურადღებით მიმოიხედა და აუჩქარებლად გაემართა საძროხისკენ. ნიჩაბი ხელში არ აუღია, ისე მივიდა აქოთებულ თივის ზვინთან და ჩურჩულით დაუძახა:

— ხუან, ცოცხალი ხარ?

უცებ გვერდით ფაჩუნი მოესმა. ბლანკოს წინ ბაგაში ჩაყრილი თივა შეინძრა და იქიდან გადმოფოფხდა ხუან ალვესი. ბუღა გაკვირვებული უყურებდა უცნაურ ადამიანს, რომელმაც ორჯერ შეუშალა ხელი, თივა ეჭამა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო — ერქინა თავხედისთვის თუ არა?

— იქ იყავი? — სულელურად იკითხა თვალებგაფართოებულმა მეძროხემ და მასთან მისულ ხუანს ხელით დაუწყო სინჯვა. — მე მეგონა, იმ ძაღლებმა ხიშტებით ბოლო მოგიღეს.

— მივხვდი, თივის ზვინში რაც მელოდა, — თქვა ხუანმა და ბეჭები აათამაშა. — მოვკვდი მაგ ბაგაში წოლით, მთელი ტანი დამიბუჟდა. კარლოს, ახლა ბევრი ლაპარაკის დრო არ მაქვს, მთებში მივდივარ...

— მოიცა, მოსასხამი მაინც მოგიტანო, მიწაზე თუ მოგიწევს დაძინება, დაიფენ...

— მთელი ღამე უნდა ვიარო... მისმინე, კარლოს. თუ რაიმე ახალი ამბავი გაიგო, — ჯარისკაცები კიდევ მოვიდნენ დამატებით ან მსგავსი რამ, — შენ თვითონ წამოდი ან ვინმე სანდო გამოაგზავნე. როგორც ჩანს, მოიზეს დიდსაჯდომიანს შეუგზავნია თავისი კაცი რაზმში, ყველაფერს გარკვევა უნდა. დანარჩენი ხომ ყველაფერი გახსოვს ინსტრუქციიდან, როგორ უნდა მოიქცე სხვადასხვა გარემოებაში?..

— იმედი გქონდეს.

ხუანი მოეხვია მეძროხეს, შემდეგ ღია კარის განათებული ოთხკუთხედისკენ გაემართა.

— მოიცა, ხუან, — შეაჩერა იგი მეძროხემ, — ფანჯრიდან ჯობს...

ერთ საათში ხუანმა გადაჭრა ხეობა და მთისძირებში აღმართიან ბილიკს დაადგა. ჩამოწოლილ ბინდში მიუყვებოდა კლდოვან ბილიკს და განუწყვეტლივ აწვალებდა ფიქრი — საიდან გაიგო კაპიტანმა მისი მეტსახელი — კეტსალი, ვინ იყო რაზმში მოღალატე... დროზე უნდა შეატყობინოს, რომ სადამსჯელო რაზმს ორმოცდაათი ჯარისკაცი კიდევ დაემატა, ერთ ამდენს კიდევ მოელიან, მაგრამ, შესაძლოა, კაპიტანმა არ დაუცადოს მათ მოსვლას და შეეცდება, პარტიზანების ბანაკს თავს დაესხას; საჭიროა, სასწრაფოდ შეიცვალონ დისლოკაციის ადგილი...

1965

უჩვეულო სტუმარი

დილით მუშაობა უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო, როდესაც კარი გაიღო და მაღალი, მაგრამ არცთუ ბეჭგანიერი მამაკაცი შემოვიდა. მისი სახის ამაყმა, თავდაჯერებულმა გამომეტყველებამ ოთახში მყოფთა ყურადღება მიიპყრო.

— დაბრძანდით, თქვენო აღმატებულებავ! — მაშინვე სკამი მიაგება უმცროსმა მოსამსახურემ შტოლცმა. თვით განყოფილების უფროსი ჰერ ფრიდრიხ კრაუზე ყურადღების ნიშნად მიაჩერდა შემოსულს, რომელმაც ვერც კი შეამჩნია შტოლცის თავაზიანობა და რამდენიმე ხანს მედიდურად ათვალიერებდა ოთახს. თითქოს არ ესიამოვნა კანცელარული მაგიდების სიმრავლე, კარადების სიმრავლე, ქაღალდების სიმრავლე... განსაკუთრებით დაემანჭა სახე, როდესაც რკინის ფანჯარაზე მსხვილ ბადეს მოჰკრა თვალი. მაშინვე მოაცილა მზერა ფანჯარას, იმის მიუხედავად, რომ იქიდან მოჩანდა დილის მზით განათებული ქუჩა, რომლის ხილვაც, პირიქით, უნდა სიამოვნებოდა.

— თქვენ იცით მე ვინ ვარ? — უცებ გადმოკარკლა თვალები ახოვანმა მამაკაცმა. მისმა ბოხმა, მბრძანებლურმა ხმამ და ტანის სამხედრო გამოკვეთილობამ ძალაუნებურად ჰერ ფრიდრიხ კრაუზე ფეხზე წამოახტუნა, როგორც მოსწავლე დგება ხოლმე კლასში მასწავლებლის შემოსვლისას. ამან ავტომატურად გამოიწვია დანარჩენი მოსამსახურეების ფეხზე სხარტად წამოფრენა: შეფის მოადგილე იორქშირის ღორივით ჩასუქებული ანტონ კოლვიცი და სამი უფრო წვრილი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) მოხელე მხედრულად გაიჭიმნენ თავიანთ მაგიდებთან და თვალის დაუხამხამებლად მიაჩერდნენ ახლად შემოსულს.

— დაბრძანდით! — მაღალმა მამაკაცმა მოწყალედ დაიქნია თავი. როგორც ჩანდა, ცოტა უკეთეს ხასიათზე დადგა.

— კარგია, ძალიან კარგია, — განაგრძო მან, — არ დაგვიწყებიათ თქვენი ბელადი. მადლობა იმ ჭეშმარიტად მაღალი გმირული სულისთვის, რომელიც თქვენთან სუფევს. ისტორია არ დაივიწყებს გერმანიის ღირსეულ შვილებს, პატრიოტული ვალის ცოცხალ გამოხატულებას... ჩემი საბრძოლო მეგობრები... ჩემი უდიდესი როლი...

დასხდომის ნებართვის მიუხედავად, მოხელეები ფეხზე დგომას განაგრძობდნენ და, ქანდაკებებივით გახევებულები, უდიდესი ყურადღებით ისმენდნენ მაღალფარდოვან და საკმაოდ ხანგრძლივ სიტყვას.

როდესაც სტუმარმა სიტყვა დაამთავრა, განყოფილების უფროსი ფრიდრიხ კრაუზე მოწიწებით მოიხარა მის წინაშე, უხერხულად მოეჩვენა რაიმე მაინც არ ეთქვა პასუხად:

— ჰერ, ნება მიბოძეთ, წარგადგინოთ მისი აღმატებულების, ჩვენი დაწესებულების უფროსის წინაშე. ბევრ რასმე იპოვნით ჰერ ბაუერთან გასაზიარებელს... ხომ არ ინებებდით მის კაბინეტში წამობრძანებას? — ჰერ ფრიდრიხ კრაუზე ხაზგასმული პატივისცემით ელაპარაკებოდა; მის ხმაში სამხედრო საზეიმო პატაკის ინტონაციები იყო გამეფებული, მაგრამ ნათლად ჩანდა, ამასთანავე ცდილობდა, ხმის ტემბრით გამოეხატა მოწიწება, რიდი და მომენტის მნიშვნელობის გაგება.

საპატიო სტუმარს არაფერი უპასუხია, მხოლოდ კიდევ უფრო მედიდური იერი მიიღო. ფრიდრიხ კრაუზემ ეს თანხმობის ნიშნად ჩათვალა და მტკიცე, თითქმის სამხედრო ნაბიჯებით მივიდა კართან, გააღო, დაუცადა, სანამ პატივსაცემი სტუმარი პირველი გავიდოდა..

გაიხურა თუ არა კარი განყოფილების უფროსმა, მოხელეები, ჯერ კიდევ ფეხზე მდგომნი, ცხარე ინტერესით შეუდგნენ ურთიერთ აზრთა გაზიარებას უჩვეულო სტუმრობის გამო.

— მზად ვარ, ნაძლევი დავდო, რომ ჩვენი სტუმარი პერსონალური პენსიის დასანიშნად მოვიდა, — დარწმუნებით განაცხადა ანტონ კოლვიცმა. — ამას წინათ რომ გადამდგარი გენერალი გვესტუმრა, ბატონებო, გახსოვთ? როგორ მოგვეჭრა თავი! ვიღაც გზააბნეული ვიგინდარა გვეგონა და როგორ დაგვცოცხა შემდეგ შეფმა!

საერთოდ, ანტონ კოლვიცს არ უყვარდა პირველად, ყველაზე წინ აზრის გამოთქმა, დაყოვნებას ამჯობინებდა ან ნეიტრალური ფრაზებით იფარგლებოდა... მაგრამ ახლა კი იმდენად ნათელი იყო ყველაფერი, რომ ვეღარ მოითმინა და გამოთქვა იმავდროულად სხვათა თავში მოსული აზრიც.

— რასაკვირველია, ჰერ კოლვიც, თქვენ აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, სულ ცოტა, გენერალ-მაიორის წოდება მაინც ექნება, — თქვა უმცროსმა მოსამსახურემ შტოლცმა.

— გენერალ-მაიორიო? გენერალ-მაიორებს ერთი შეხედვით ვცნობ, ჩემო კარგო, — განაცხადა ფანჯარასთან ახლოს მაგიდასთან მჯდომმა მოხელემ ტილკოვსკიმ. — გადამდგარი გენერალ-ლეიტენენტია — აი, თუ გნებავთ, მისი წოდება.

ანტონ კოლვიცის სახეზე უკმაყოფილება გამოისახა.

— რამდენჯერ მითქვია თქვენთვის, ჰერ ტილკოვსკი, ნუ აკეთებთ ნაჩქარევ დასკვნებს-მეთქი. განა ეჭვი შეიძლება შევიტანოთ ჩვენი სტუმრის ნამდვილ წოდებაში? გენერალ-პოლკოვნიკი! გენერალ-პოლკოვნიკი და სხვა არაფერი! ამას გვეუბნება მისი აღმატებულების გარეგნობაც და ქცევაც!

გაიღო კარი და შემოვიდა განყოფილების უფროსი ჰერ ფრიდრიხ კრაუზე. ყველანი ინტერესით მიაჩერდნენ.

— ბატონებო, მე მგონია, თქვენ სავსებით გაქვთ შეგნებული, რა მნიშვნელოვანი პერსონაც გვეწვია, — საზეიმო და თან ერთგვარი შინაურული ტონით განაცხადა მან. — კაბინეტში შევიყვანე თუ არა, შეფი მაშინვე ფეხზე წამოხტა, მიიწვია სავარძელთან... ისეთი მოწიწებით ექცეოდა, თითქოს სტუმარს მთელი გულ-მკერდი მოჭედილი ჰქონოდეს საბრძოლო ორდენებით. თუმცა, ბატონებო, ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი სტუმარი მხოლოდ თავმდამბლობის გამო არ ატარებს წარჩინების ნიშნებს და ნამდვილად დამსახურებულად აქვს მიღებული იმდენი ჯილდო, რომ მკერდზე მართლაც მცირე ადგილიც კი არ დარჩებოდა თავისუფალი.

ჩასუქებულმა ანტონ კოლვიცმა მიმოატარა თავისი ღორის წვრილი თვალები — ხომ ხედავთ, როგორ მართალი გამოვედიო და იკითხა:

— ჰერ, ხომ არ შეგიტყვიათ, რა საქმეზეა მოსული?

— მე სულ ცოტა ხანს დავყავი შეფის კაბინეტში, მაგრამ მაინც შემიძლია, დაბეჯითებით ვთქვა, რომ საქმე ალბათ ეხება პენსიის დანიშვნას.

— როგორ, აქამდე არ აქვს დანიშნული? — გულუბრყვილოდ იკითხა უმცროსმა მოსამსახურემ ტილკოვსკიმ.

— აბა, კარტოთეკაში შეამოწმეთ! — ბრძანა განყოფილების უფროსმა. — მისი ბრწყინვალების გვარია...

— ახლავე მოვძებნი კარტოთეკაში! — მხედრულად გაიჭიმა ტილკოვსკი.

— ყოჩაღ, ტილკოვსკი! თუ არ იყოს კარტოთეკაში, საჩქაროდ მოამზადეთ ყველა საბუთები, გვარს შემდეგ ჩავწერთ, როცა შეფს შევუტან ხელის მოსაწერად და ყოველგვარი ფორმალობის გარეშე პერსონალურ პენსიას დავუნიშნავთ. ჰო, მართლა, არ დაგავიწყდეთ, ჰერ შულც, თქვენ გამოწერეთ საკომპენსაციო თანხაც იმ დროისთვის, როცა მისი უმაღლესობა პენსიას არ იღებდა; 1945 წლიდან უანგარიშეთ. იჩქარეთ, ნახევარ საათში ყველაფერი მზად იყოს.

ჰერ ფრიდრიხ კრაუზე ისევ შეფის კაბინეტისკენ გაემართა. კართან ერთ წუთს შეყოვნდა, გაისწორა ყავისფერი ჰალსტუხი, თმაზე ხელი გადაისვა და მხოლოდ შემდეგ ითხოვა ნებართვა, შესულიყო.

სტუმარი ღრმა სავარძელში ჩაფლულიყო და პატარ-პატარა ყლუპებით სვამდა მისთვის შეფის მიერ სპეციალურად შემზადებულ კოქტეილს, თუმცა ეს სრულებით არ უშლიდა ხელს, თითქმის განუწყვეტლივ ელაპარაკა. შეფი ფანჯარასთან იდგა და ყურადღებით უსმენდა. დიდი სურვილი ჰქონდა, მიექცია საპატიო სტუმრის ყურადღება კოქტეილის ორიგინალურ გემოზე (რითაც ძლიერ ამაყობდა), მაგრამ ვერ ბედავდა, შეეწყვიტა მისი გაუთავებელი მონოლოგი.

— დიახ, მე რომ წარსულ ომში ხიფათი და სიძნელე გამომიცდია, ყველას ვერც კი წარმოიდგენთ, — ლაპარაკობდა სტუმარი რიხიანად, თავაწეული სადღაც შორს იცქირებოდა, თითქოს თეთრ კედელს იქით ბევრ რასმე ხედავდა. — და მაინც, ღმერთო ჩემო, მე, დიახ მე, როგორი ბრძოლები მაქვს გადატანილი!.. რა სამხედრო გაკვეთილები მაქვს დემონსტრირებული ჩემი მოწინააღმდეგეებისთვის!..

ჰერ ფრიდრიხ კრაუზე ფეხაკრეფით მივიდა შეფთან და ყურში ჩასჩურჩულა;

— ჰერ, პენსიას უკვე აფორმებენ... კიდევ ხომ არ იქნება რაიმე საჭირო?

— ძალიან კარგი. ერთდროული დახმარება? — ჩურჩულითვე უპასუხა შეფმა.

— კომპენსაცია? როგორ არა, დაახლოებით ორმოცი ათასი მარკა გამოვა, იმდენივე, რამდენიც ჰერ კელერს მივეცით. თუ საკმარისი არ იქნება, შემდეგ კიდევ შეგვიძლია, გამოვნახოთ კომპენსაცია რაიმესთვის...

სტუმარი კი პათეტიკურად განაგრძობდა:

— ჩემი მეთაურობით გერმანულმა იარაღმა არა ერთი და ორი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა! გერმანელ ხალხს უნდა უხაროდეს, რომ მას ჰყავს ისეთი ბელადი, რომელსაც შესწევს უნარი, მთლიანად შეასრულოს მსოფლიო ისტორიის მიერ მასზე დაკისრებული მისია... ჩემი გენია და ჩემი რჩეული ადამიანები — აი ის ფაქტორები, რომლებიც გადატრიალებას მოახდენენ მსოფლიო ისტორიის მდინარებაში... ნახევარი მსოფლიო უკვე ჩვენს ხელთ არის; ახლა დაგვრჩენია, ურალიდან წყნარ ოკეანემდე გავკაფოთ არიული ცივილიზაციის ფართო შარაგზა...

კაბინეტის კარი გაიღო და ჰერ ანტონ კოლვიცის სქელმა ლოყებმა შემოიხედა. საბრალოს ისეთი შეშინებული და თან გაკვირვებული გამომეტყველება ჰქონდა, რომ განყოფილების უფროსი ჰერ ფრიდრიხ კრაუზე მაშინვე მისკენ გაეშურა, თუმცა გაფითრებულ კოლვიცს ხმა არ ამოუღია.

— რა მოხდა? — იკითხა დერეფანში გამოსულმა განყოფილების უფროსმა, მაგრამ ამ დროს კოლვიცს წინ გადაუდგა თეთრხალათიანი ახმახი და უხეშად მიახალა:

— ჰერ, თქვენი სტუმარი აქ არის?

— დიახ...

— ბელადს ხომ არ უწოდებდა საკუთარ თავს?

— დიახ... — დაბნეულად უპასუხა ჰერ ფრიდრიხ კრაუზემ.

— ისაა! — წამოიძახა თეთრხალათიანმა, შემდეგ დერეფნის ბოლოსკენ დაიყვირა: — კურტ, ჰაინც, აქეთ, ჩქარა!..

მოირბინა ორმა ზორბა მამაკაცმა, მათაც თეთრი ხალათები ეცვათ; კაბინეტის კარი შეაღეს და შეცვივდნენ.

— რა ამბავია, კოლვიც?!. — გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა კრაუზეს.

— ჰერ, ფსიქიატრიულიდან არიან... ავადმყოფი გამოქცევიათ...

კაბინეტში ამოყირავებული სკამების ხრიგინი ისმოდა.

1965

ანტუან როჟეს საზრუნავი

ადამიანთა გონებამახვილობას ალბათ საზღვარი არ უჩანს. ამის დამამტკიცებელია თუნდაც ის, რომ გამოგონებულია არანაკლებ მილიონი სხვადასხვაგვარი ხერხისა მილიონების დასაგროვებლად, თუმცაღა ამ ხერხების უმეტესობა ფრიად პოპულარულია და, ამის გამო, — ფრიად მოუხერხებელიც.

ამიტომ სრულიად გასაგებია ის გარემოება, რომ მესიე ანტუან როჟემ "სრულიად ახალ", მილიონმეერთე ხერხს მიმართა. მონმარტრის ერთ-ერთი სახლის პირველ სართულში მოაწყო თავისი მაღაზია-სალონი "ყველაფერი მხატვრისთვის", კაფე "არტისტული" და მარჩიელობისა და შავი მაგიის ბიურო — ერთდროულად, კომპლექსში.

ცნობილია, პარიზში უამრავი მხატვარი და მოქანდაკე იყრის თავს მთელი მსოფლიოდან და მესიე ანტუან როჟეს, გაზეთებში გამოქვეყნებული რეკლამისა და გემოვნებით გაფორმებული ვიტრინე-

ბის წყალობით, მუშტარი ბლომად გამოუჩნდა, – პირველ ხანებში მაინც; მაგრამ ერთმა შემთხვევამ ფრიად შეაფიქრიანა და შეაკრთო კიდეც.

ადრიანი დილა იყო. ზაფხულის გრილმა წვიმამ საფუძვლიანად დარეცხა ტროტუარები და ფილაქანი. მესიე ანტუან როჟე ყოველთვის სისხამ დილით მოდიოდა თავის მაღაზია-სალონში და ჯერ არ ახსოვდა შემთხვევა, რომ ასე ადრე მოსულიყოს მყიდველი. მაღალმა, გამხდარმა ახალგაზრდამ შემოსვლისთანავე დაიფერთხა საწვიმარი, შემდეგ ბერეტი მოიხადა და გამოწურა; მხოლოდ ამის შემდეგ შეხედა მაღაზიის პატრონს.

– მესიე, თქვენ მხოლოდ აქირავებთ, თუ ჰყიდით კიდეც? – იკითხა ახალგაზრდამ თავის დაკვრით მისალმების შემდეგ.

– გააჩნია, რა გნებავთ, მესიე. უმეტესად მხოლოდ ვაქირავებთ. თქვენ მხატვარი ბრძანდებით?

– დიახ. მე მქვია ეტრიერი, – ქერა, მოკლედ შეკრეჭილ წვერზე ჩამოისვა ხელისგული ახალგაზრდამ.

– ა-ა-ა, ეტრიერი! – მესიე ანტუანს თვალები გაუბრწყინდა, თუმცა ეს გვარი პირველად ესმოდა. – ბოდიში, უცებ ვერ გიცანით. ეჰ, სიბერე, სიბერე... – და სათვალის წმენდას შეუდგა; უნდოდა ეკითხა, თქვენ ტროტუარზე დადგმულ მოლბერტთან ხომ არ გნახეთ თეთრ ეკლესიასთანო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. – რას ინებებდით? აი, მხოლოდ დღეს განთავისუფლდა ჟაკლინი, ბედმა გაგიღიმათ, რომ ასე ადრიანად გამოიარეთ.

– ვინ ჟაკლინი? – იკითხა გაკვირვებით ახალგაზრდამ და უფრო საფუძვლიანად შეათვალიერა მესიე ანტუანის სათვალის იქით მიმალული წვრილი თვალები და ძაფივით წვრილი ულვაშები. ალბათ ისიც კი იფიქრა, შენიღბულ ღამის კლუბში ხომ არ მოვხვდიო.

– როგორ, თქვენ არ გაგიგიათ ჟაკლინის სახელი? – თავის მხრივ მესიე ანტუანსაც გაუკვირდა. – ჟაკლინზე ყოველთვის დიდი რიგი დგას, მესიე.

– არა, მესიე, თქვენ შეცდით, არავითარი ჟაკლინები და მარგოები მე არ მჭირდება!

– აჰა, თქვენ თვითონ შეცდით, მესიე, ჟაკლინი ხომ შიმპანზეა. იცით, როგორ გაიწაფა სურათების შექმნაში? მუშაობს გუაშით, ტემპერით, ნახშირით და სხვა და სხვა, თუმცა, ყველაფერს ზეთის საღებავებს ამჯობინებს. წაიყვანეთ, არ ინანებთ, თუმცა ცოტა ძვირი კი დაგიჯდებათ – სამასი ფრანკი დღეში. ახალი ფრანკი, რასაკვირველია.

– სამასი ფრანკი? ძვირია.

– მაშინ შეგიძლიათ შემოგთავაზოთ ტაბი. სულ ორას ფრანკად მოგაქირავებთ დღეში, მაგრამ ჟაკლინზე ოდნავ ნელა მუშაობს – დღეში მხოლოდ ოც ტილოს ხატავს.

– მაგიც შიმპანზეა? არა, მესიე, მადლობელი გახლავართ...

– ჟერომს ხომ არ ინებებდით? კუდით იშვიათ პეიზაჟებს ჰქმნის. მესიე გალიმარმა დიდი ტილო "ვარსკვლავის მოედანი" ხუთას დოლარად მიჰყიდა ამას წინათ ერთ ამერიკელ ტურისტს.

– ეგ ვინღაა?

– ამერიკელი?.. აჰა, ჟერომი?.. ვირია, მესიე, ძალიან თვინიერი და ნიჭიერი. ასი ფრანკი დღეში. რამდენიმე ფრანკისაც შვრია დაგჭირდებათ.

– მადლობა, სულ დამილეწავს სახელოსნოში ყველაფერს.

– კეთილი, მაშინ თუთიყუშს გირჩევთ. ჟაკო ანგელოზივით წყნარია, წარმოიდგინეთ, არც ერთი გინება არ იცის. ორმოცდაათი ფრანკი.

– იცით რა...

– მაშ ბუზები მაინც წაიყვანეთ, – შეაწყვეტინა ახალგაზრდა მხატვარს მესიე ანტუანმა. – საგანგებოდ არიან გაწვრთნილნი... ან ლოკოკინები, მესიე. დაღოღავენ ტილოზე და იშვიათი სილამაზის სადაფისფერ ნახატს წარმოქმნიან...

– საქმე ის გახლავთ, რომ მე თვით მინდა, საკუთარი ხელით შევქმნა ნაწარმოები, ასე ვთქვათ, თვით მე მივიღო მონაწილეობა... – მხატვარს თითქოსდა ეხამუშებოდა, რომ მესიე ანტუანს ყველა შეთავაზებაზე უარს ეუბნებოდა.

– გასაგებია, გასაგებია. ველოსიპედი ხომ არ გნებავთ? მხოლოდ ასი ფრანკი კვირაში. საღებავებსაც გაგატანთ ჩემს ხარჯზე. წაუსვამთ ბორბლებზე და ტილოზე გაისეირნებთ. საქმესაც გააკეთებთ და ისიამოვნებთ კიდეც!

– სამწუხაროდ, ველოსიპედზე არასდროს ვმჯდარვარ...

– არა უშავს. მაშინ გთავაზობთ პნევმატურ პისტოლეტს. შეაფრქვევთ ტილოს რიგრიგობით სხვადასხვა საღებავებს და მიიღებთ მშვენიერ სურათებს: "ღამის ფანტაზია", "გაზაფხული", "სიხარული"...

– ძალიან მეუხერხულება, რომ ტყუილად გართმევთ ამდენ დროს... მაგრამ ჩემი რელიგიური მრწამსი მიკრძალავს ხელში იარაღის დაჭერას.

— ჩაქუჩი და ლურსმნები ხომ იარაღად არ ჩაითვლება? ტილოს გახვრეტთ რამდენიმე ადგილზე ლურსმნებით და მიიღებთ მითოლოგიურ სიუჟეტზე აგებულ თემატურ სურათს, მაგალითად, "იკაროსს"...

— ასე ბევრი მუშაობს ახლა. მაპატიეთ, მესიე, მაგრამ თქვენ მეტისმეტად დახავსებულ მეთოდებს მთავაზობთ. დღეისთვის "პოპარტიც" კი დიდი ხნის განვლილი ეტაპია. უფრო ორიგინალური თუ გაქვთ რაიმე?

მესიე ანტუანი უხერხულად შეიშმუშნა და ხელები გაშალა.

— მე მეგონა, არ დამიმალავდით... — გულაცრუებულად განაგრძო ახალგაზრდამ, — ამ ბოლო დღეებში მოდაში შემოვიდა და დიდი მოწონებითაც სარგებლობს სრულიად ახალი მეთოდი სურათების შექმნისა, შეუძლებელია, თქვენ ამის შესახებ არაფერი იცოდეთ... რამდენიმე სალონში გამოიტანეს და მაშინვე გაქრა — დაიტაცეს! — ახალგაზრდამ ფრიად მრავალმნიშვნელოვნად შეხედა მესიე ანტუანს.

— როგორი იერი აქვთ იმ ტილოებს? — იკითხა მესიე ანტუანმა, თვითონაც დაინტერესებულმა.

— მართალი მოგახსენოთ, მიძნელდება აღწერა... დიდხანს ვუტრიალე გარშემო და ვერაფერი შევნიშნე, გარდა ჩარჩოსი და სუფთა ტილოსი. ამან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა! იქნებ რაიმე უხილავი საღებავებით არის დაწერილი? ისე კი ძნელი იყო კარგად დაკვირვება, უამრავი ხალხი ესეოდა. ორი ამერიკელი კინაღამ წაეჩხუბა ერთმანეთს, ორივეს უნდოდა, მას რგებოდა სურათები, ერთიანად ყიდულობდნენ.

მესიე ანტუან როჟე დაფიქრდა. არ უნდოდა, მუშტარი ხელიდან გაეშვა, მაგრამ თვითონაც რომ არ იცოდა, რა სურდა მყიდველს? იმ ტილოზე არაფერი იყო დაწერილი თუ ის საღებავები მხოლოდ სიბნელეში გამოჩნდებიან? იქნებ საგანგებო სათვალე სჭირდება?

— მაშ თქვენ გიჭირთ... გასამრჯელოზე მოვრიგდებით, მესიე... — ახალგაზრდა მხატვარი ისე მოიჩქაროდა აქ მოსვლას და იმედგაცრუებული კი რჩებოდა.

— იცით რა? თუ ამ საღამოს ან, უმჯობესია, ხვალ დილით შემოივლით, მანამდე შევეცდები, გავარკვიო თქვენთვის ყველაფერი...

ახალგაზრდა მხატვარმა მადლობა მოახსენა და დაემშვიდობა მესიე ანტუანს.

მესიე ანტუან როჟე კი იმის მაგივრად, რომ საქმეებისთვის მიეხედა, დიდხანს იჯდა მაგიდასთან ჩაფიქრებული... რას ფიქრობდა? ალბათ იმას, რომ თუ მოდაში შემოდის სუფთა დაუწერელი ტილოები, აღარ აქვს აზრი მისი მაღაზიის არსებობასაც... რადგან მხატვრებს დასჭირდებათ მხოლოდ ჩარჩო და ტილო... ევრიკა! ხომ არ აჯობებდა, ჩარჩოიანი ტილოებით დაიწყოს ვაჭრობა? გაჰყიდის სურათებიან ტილოებზე უფრო ძვირადაც, როგორც უახლესი მოდური სტილის სურათებს!.. რადგან, აბა დაამტკიცე, რა განსხვავებაა ამ ჩარჩოში ჩასმულ სუფთა ტილოსა და მოდურ სამხატვრო გალერეებში გამოფენილ ასევე სუფთა ტილოიან სურათებს შორის... ასეთი მოდა კი რომ მოვიდა, ამაში მესიე ანტუანს ეჭვიც არ ეპარებოდა, ალბათ უკვე მრავალმა გავლენიანმა ადამიანმა ჩადო ფული ამ სიახლის გასამარჯვებლად... რასაკვირველია, უწინარესად ფინანსური თვალსაზრისით! უნდა იჩქაროს, ამ ახალ მიმდინარეობაზე ხელის მოთბობა შეიძლება, სანამ მას რაიმე კიდევ უფრო ახალი მიმართულება ჩაენაცვლებოდეს, მაგალითად, მხოლოდ ჩარჩო, ყოველგვარი ტილოს თუ მუყოს გარეშე! მაშინ კიდევ უკეთესი — მხოლოდ ჩარჩოებით ვაჭრობას დაიწყებს, მთავარია, საჭირო მომენტი არ გამორჩეს... ვაჭრობა კიდევ უფრო სარფიანი გახდება!..

მესიე ანტუან როჟე ოცნებებში მიცურავს და ეღიმება... ბლომად მოგება ელის!.. მაგრამ შემდეგ შუბლი ეღრუბლება — ულმობელი ლოგიკურობით მოდის შემდეგი კითხვა: რომ შემოვიდეს მოდა უტილოო და უჩარჩოო სურათებზე? სურათებზე უარაფროდ?

მაშინ რაღა გაყიდოს მესიე ანტუანმა?

1964

ავარია

დიახ, დიახ, სინიორებო, მაშ თქვენ ამბობთ, რომ მსგავსი ავარია ათ წელიწადში ერთხელ თუ ხდება? აბა ერთი მეც მომისმინეთ, მათქმევინეთ ორიოდე სიტყვა... მეც გადამხდა ავარია, თუ ავარიაში მოვყევი — მოკლედ, როგორც გენებოთ, საქმე კი იმაშია, რომ ამ ცოტა ხნის წინ ავარიის დროს დავზარალდი. ავარიაარ, სწორედ ჩემი შემთხვევა იმსახურებს ამ საპატიო სახელს. მოკლედ, სინიორებო, ცოტა გრძლად კი გამომდის, მაპატიეთ, მაგრამ ის წყეული შემთხვევა რომ გამახსენდება, საშინელი ზმანებანი მიპყრობს, მტანჯველი ჰალუცინაციები სულს მიხუთავს, აზროვნების ძაფი მიწყდება და სიტყვებს ძლივს გამოვთქვამ...

ჯერ ჩემს პიროვნებას წარმოგიდგენთ, სინიორებო: ტულიო მანფრედინი, თქვენი მოწყალე მსახური, სინორებო, კომერსანტი, ცოლიანი, ორი ბავშვი მყავს და ასე შემდეგ... ყველაფერი ზემოხსენებული, რასაკვირველია, უმნიშვნელო კავშირშია იმ მოვლენასთან, რომელზეც უნდა მოგითხროთ; სინიორებო, ის ავარია მე გადამხდა და ხომ უნდა იცოდეთ, ვისთან გაქვთ საქმე? ო, მამა მია, ავარია რომ გამახსენდება...

დიახ, დიახ, დროა, საქმეს შევუდგე. თქვენ მოგეხსენებათ, სინიორებო, როგორ გაძნელდა ცხოვრება, უფრო სწორედ, გაძვირდა ყველაფერი... ხომ იცით, ჩემი ხელობის კაცს ენა, ლაქლაქი აჭმევს პურს; თუ ვერ გააბრუე კლიენტი სიტყვების ტკბილი ნიაღვრით, საქონელსაც ვერ გაასაღებ. მაგრამ, წმინდა მარიამის წყალობით, საქმე ცუდად არ წამივიდა და ჩემმა პატარა მაღაზიამ გამიმართლა. როგორც იქნა, ვიყიდე ნანატრი "ფიატი". მთელი კვირა მე და ბავშვები თითქმის არ გადმოვსულვართ შავი, მბრწყინავი ავტომანქანიდან; დავაქროლებდით კორსოზეც, ვენეტოზეც და უმბრიის მიყრუებულ სოფლებშიც. ო, ჩემი შავი მერცხალი! სულ ახალთახალი იყო, უცოდველი, ერთი პატარა ნაკაწრიც კი არ ჰქონდა. რა თვალებით უყურებდნენ ჩემი მეზობლები, თქვენ უნდა გენახათ! როცა გვერდზე ჩაუვლიდი, – ნელი სვლით, რასაკვირველია, – კონკურენტის მაღაზიას, ნამდვილად ზურგით ვგრძნობდი მის შურიან გამოხედვას... გული სიამით მიჩქროლავდა! დიახ, სინიორებო, ბუნებამ, სამწუხაროდ, მოსული აღნაგობით არ დამასაჩუქრა, არც ლამაზიაო, ვინმე იტყვის ჩემზე (თუმცა, ჩემს შესახებ ხშირად გამიგონია, სიმპათიური კაციაო)... ცოლი ვერ შემხვდა მაინცდამაინც სანდომიანი; სამწუხაროდ, ეს გვიან შევნიშნე. ჰოდა, როგორღაც ისე მოხდა, რომ საქმეში გვარიანად ვიმარჯვე, როგორც იქნა, მანქანაც შევიძინე და გამემტყუნება განა, თუკი მე მივფრინავდი თუ მანქანა მიფრინავდა, ვერ ვარჩევდი, სახეზე ღიმილი არ მცილდებოდა, ყველა მე შემომყურებდა და შემნატროდა...

ჭკვიანი ხალხი მეუბნებოდა, მანქანას ყოველთვის იშოვნიდი, არ ჯობდა, საქმე გაგეფართოვებინაო... არ დავუჯერე, ერთხელაც კატამ ლომივით ბრდღვინვა გავბედე და, როგორც ხედავთ, დავისაჯე კიდეც!.. თუმცა, ჯერ არაფერი მითქვია... დიახ, ახლავე მოგახსენებთ ყველაფერს.

ერთხელაც ტერაჩინოდან რომში ვბრუნდებოდი, ერთი თვის ნაყიდი მქონდა მანქანა. ტერაჩინოში რა მინდოდა? ოჰ, ბოდიში, ამას კი ვერ გეტყვით... ორმოციოდე კილომეტრი გავიარე, როცა ის საშინელი ავარია მომიხდა. გზის ნაპირებზე ორივე მხრიდან დიდი საბარგო მანქანები იყო გაჩერებული. ერთი, მგონი, გაფუჭებული იყო და აკეთებდნენ. ძალიან ქარაფშუტულად დაეყენებინათ, ახლოს ერთმანეთთან, ამან გამოიწვია ყველაფერი. ამ მანქანებს შორის გასაძრომში ჩემს შესახვედრად საბარგო "ფიატი" მოდიოდა. ძარა გავსებული იყო გლეხებით – ქალებითა და კაცებით. ადგილი კიდევ საკმაოდ იყო დარჩენილი ჩემი მანქანის გასავლელადაც – გზა იქ ფართოა – და მეც მხოლოდ ოდნავ შევანელე სვლა. მართალი გითხრათ, ერთი მზით გატრუსული გოგო მომივიდა თვალში: მანქანის ძარაზე იდგა და სხვებთან ერთად ქანაობდა, როგორც მინდვრის ყვავილი პურის ყანაში... უცებ რაღაც უცხო ხმა, საძაგელი ხრჭიალი გაისმა. გადავაყენე იქვე გვერდზე მანქანა და გამოვვარდი გარეთ. ის საბარგო მანქანაც გაჩერდა. შევხედე ჩემს მშვენიერ მერცხალას და გული მეტკინა. მანქანები ერთმანეთს გამოედნენ, არა, კი არ გამოედნენ, ცოტა გაეხახუნნენ ერთმანეთს. იმ ახმახ მანქანას რა უნდა მოსვლოდა, ჩემს შავ მარგალიტს კი წინ, მარცხენა ფრთაზე სულ გადაცლოდა საღებავი... მაშინვე ყვირილით მივვარდი "ფიატის" მძღოლთან. ასეთი წესია საზოგადოდ: მართალი ხარ თუ მტყუანი, თუკი რაიმე შეხლა მოხდა, ყვირილით უნდა მივარდე მეორე მძღოლს, ხმა არ ამოაღებინო, ინიციატივა არ დაუთმო... და რაც უფრო ხმამაღლა ყვირი და იგინები, მით უკეთესი. ეს მძღოლი კი დიდი ხიხო ვინმე ჩანდა; უსიტყვოდ ჩამოვიდა კაბინიდან და უსმენდა, როგორ ვამკობდი, თავს ვიკლავდი გოდება-წუწუნით. ხუმრობაა, მშვენიერი, ახალთახალი მანქანა ერთ წუთში, არა, ერთ წამში გაოხრდა!.. ბრიყვი მძღოლი მუნჯივით იდგა, ალბათ დაიბნა, საწყალი, ჩემი შეტევისგან, თუმცა აყლაყუდა ბიჭი იყო, მზით დამწვარი უხეში ნაკვთები ჰქონდა სახისა.

ღმერთმა უწყის, ამ დროს საიდან გაჩნდა სამი კარაბინიერი – რომელიღაც სოფელი თუ პატარა ქალაქი მხოლოდ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მოჩანდა. რასაკვირველია, უსაქმურების ჯგროც გაჩნდა, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო. წინ კარაბინიერების სერჟანტი დადგა და, მომენტის სერიოზულობის სრული შეგნებით, შეუდგა საქმის გამორკვევას. უნდა გენახათ, როგორი სახის გამომეტყველება ჰქონდა, სინიორებო, ამ ჩია ტანის ხანში შესულ წესრიგის დამცველს: თითქოს მსოფლიო ომის გამომწვევ ურთულეს გარემოებებს იკვლევსო – უშინაარსო, არაფრისმთქმელ ყეყეჩ სახეზე როგორ ჭმუხნიდა შუბლს, წამდაუწუმ ისწორებდა ფორმას, დინჯად, მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველებდა ხოლმე... რამდენჯერმე კინაღამ გამეცინა, თუმცა ფრიად არასასიამოვნო გარემოებაში აღმოვჩნდი. მამალს მაგონებდა, რომელიც თავაწეული და მკერდგადმოგდებული ამაყად დაიარება ქათმებს შორის. იმ აყლაყუდა მძღოლს დიდკაცურად ელაპარაკებოდა, მე კი ალბათ ვიღაც გავლენიანი პირი ვეგონე, სულ "თქვენო აღმატებულებავ!" ეკერა პირზე. ჩემმა მერცხალამ თუ იმოქმედა მასზე, სულ ახლად შეღებილი გახლდათ, გარეგნულად არაფერი ეტყობოდა, რომ ბარე სამი-ოთხი პატრონის ხელში გაევლო. ტანზეც ძვირფასად მეცვა, აბა ისე ტერაჩინოში ვერ წავიდოდი, ჩემს

ცოლთან ხომ არ მივდიოდი პაემანზე... ოჰ, უკაცრავად, ეს საქმეს არ ეხება. ჰოდა, ვქაქანებ ასე, მოგეხსენებათ, ლაპარაკით ჩემი დაღლა არც ისე ადვილია... სერჟანტიც თვალებში შემომციცინებს და ჩემს თითოეულ სიტყვას მოწიწებით იჭერს. მძღოლის დახასიათებას რომ მოვრჩი, თვით კარაბინიერებზე გადავედი, ისინიც კარგად გამოვთათხე: საქმე მიშვებული გაქვთ, ასეთ ბანდიტებს თავისუფლად აპარპაშებთ-მეთქი გზებზე, ისინი კი პატიოსან მოქალაქეებს მანქანებს აჯახებენ და ასე შემდეგ — მაგრად გავუტიე.

სერჟანტი მისმენს, დროდადრო ხელი ქუდთან მიაქვს და ყველაფერს მიდასტურებს. არ ვიცი, ამ დროს რა მომივიდა, აზარტში შევედი თუ რა იყო, უცებ გავუშალე და სილა ვტკიცე ამ ჩვენს მშვენიერ სერჟანტს. ძალაუნებურად მომივიდა, რასაკვირველია... ვტკიცე და დავიბენი. არა, კი არ დავიბენი, შიშით ფერი წამივიდა, ეს რა ვქენი-მეთქი... გამაჟრჟოლა, აი ახლა სერჟანტი დამიღრიალებს, დამაპატიმრებს და მერე რა მომელის, ვინ იცის... სერჟანტი ერთ წამს გაკვირვებული მიყურებდა, მერე კი ჩვეულად აიღო ხელი ქუდთან და გაიჭიმა. ის ორი კარაბინიერიც გაიჯგიმა. უყურე შენ! "ბრავო, ტულიო!" — გავიფიქრე. ახლა ამათაც მივადექი და სათითაოდ სილა ვუთავაზე, საკმაოდ სუსტი, სხვათა შორის. ისე, კარგი ბიჭები ჩანდნენ, შემეცოდნენ... გავიბერე, გავიფუყე, თითქოს სიმაღლეც მომემატა. ვგრძნობ, "ფიატის" ძარიდან ხალხი მომჩერებია და ეს მაღელვებს. დავიძარი იმ საწყალი მძღოლისკენ, რომელიც ცხვარივით იდგა. აი ახლა კი მიიღებ შენი ცოდვების მონანიებას-მეთქი და გავიქნიე ხელი...

ჰო-ო-ო... გაქნევით კი გავიქნიე, მაგრამ უცებ ეს უწყინარი ცხვარი არ გაველურდა? მომიქნია და მფერთხა, სინიორებო! დამასწრო, წმინდა მარიამს გეფიცებით... საკმაოდ სუსტად გამკრა, მართალი უნდა მოგახსენოთ. ისე, გამიცაცუნა, თითქოს ბალახის ღერო გამიტარეს ლოყაზე. მანქანის ძარიდან კი ამხნევებენ ის დასაწყევლები: მიდი, მიართვი კიდევო... მაგრამ მძღოლმა მხოლოდ გადააპურჭყა გვერდზე, მიტრიალდა და კაბინაში შეძვრა. საბარგო მანქანა დაიძრა ადგილიდან და ალბათ ისევ ატოკდა ხალხი ძარაში პურის ყანასავით... მე აღარ შემიხედავს, ჩავჯექი მანქანაში და რომისკენ გამოვწიე.

დიახ, თუ გინდათ სიმართლე, მერცხალა ოდნავ თუ იყო წინ გაფხაჭნილი, არც ღირდა იმდენ დავიდარაბად — იმავე დღეს შევაკეთებინე. ჰო, იმ გაუთლელმა რომ მაკადრა, რასაკვირველია, მართალი ბრძანდებით, უსიამოვნო იყო... დიდი არაფერიო?.. რას ამბობთ, სინიორებო, იმ ლოყაზე გაცაცუნების შემდეგ სამი დღე ვეღარ ვღეჭავდი საჭმელს, ყბა მქონდა ამოვარდნილი, ორი კბილიც იქვე დავტოვე...

დიახ, სინიორებო, ავარიები ათასი ხდება ქვეყანაზე და თქვენ კი მცირედიც ღმერთმა გაშოროთ!

1964

ჰუმორული ჰუმორესკი

ცოდვა დავიდე — მხიარული მოთხრობა დავწერე. და — ჰოი საკვირველებავ! — დაბეჭდეს! მეტიც — რედაქციაშიც მიმიწვიეს...

ჰოდა, გულისფანცქალით შევაღე რედაქციის კარი... წმიდათაწმიდა კრძალვა-ცრთოლვა დამეუფლა თხემით ტერფამდე. ვცდილობ, არ წავიფორთხილო... ვცდილობ, არაფერს წამოვედო... და, რასაკვირველია, — არ გავწითლდე... პირველ ორ ამოცანას ასე თუ ისე ვუმკლავდები, მაგრამ ვჭარხლდები, ალმური მედება სახეზე, ვითარცა ქურდბაცაცას, დანაშაულის ადგილზე რომ წაასწრეს... როგორ გინდა, ყაყაჩოსფერი არ გახდე, როცა წამოძახილზე: "ჭყინტი მობრძანდა!" (კილომეტრზე იყნოსეს, მამაძაღლებმა! თავი ანებეს ჭადრაკის თამაშს, ფეხბურთზე ლაქლაქს, კოლეგების ლანძღვას) — შექუჩდა მჭიდრო ჯგრო; თან ოთახში უბედური სივიწროვეა, ერთი ოცი წყვილი თვალი მაინც დაუნდობლად გბურღავს, თამბაქოს კვამლი თვალებს გჭამს, როგორც სკოლის საპირფარეშოში დიდი შესვენების დროს...

ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი რედაქციის გამოცდილი ვირთხა ჩანს — შემატყო გაჭირვება და საშველად იჩქარის. გამეცნო, შემდეგ კი იდაყვებით მარდად მუშაობს მარჯვნივ-მარცხნივ, როგორც თოვლისგან გზის გამწმენდი მანქანა; მე უკან მივყვები და მშვიდობით გამაღწევინა ფანჯარამდე. ბრბო იშლება მარტივ მამრავლებად და გამოკრისტალდება სკამებზე, ფანჯარათა რაფებზე და მაგიდებზეც კი შემოსკუპდნენ. ხმაურისა და აურზაურის მშფოთვარე ოკეანეს უერთდება ჩვენი ლაპარაკის მოჟღურტულე ნაკადულიც. ცხვირსახოცით ვიმშრალებ ოფლის ნაკადულებს სახისა და კისრიდან და ვეკითხები ჩემს მშველელს:

— ბოდიში, ბატონო, როგორ ახერხებთ მუშაობას ამ ჯოჯოხეთში? ამდენი თანამშრომელი ჰყავს რედაქციას?

რედაქციის მდივნის ბრტყელ სახეს ღიმილის ნაოჭებმა დაურბინა, თითქოს გუბეში ქვა ჩააგდეს:

— ესენი ჩვენი ავტორებია, ჰონორარის გაცემის დღეა.

— და ყველა ჰუმორისტია? — გაოცება ვერ დავფარე.

— აბა რა. რატომ გიკვირთ?

— საცოდავები! რამდენი ყოფილან...

ჩემი მოსაუბრე ყურადღებით მაკვირდება, ალბათ ფიქრობს: "ეს მოქალაქე რაიმე ოინის მოწყობას ხომ არ მიპირებს? ჰუმორისტისგან ყველაფერია მოსალოდნელი!" მეუბნება:

— მითხარით, გეთაყვა, რა არის ამაში ცუდი, რომ ჰუმორისტთა ამგვარი სიმრავლეა? ესენი ხომ ყველაზე მხიარული ადამიანები არიან!

— რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია... უბრალოდ, ძალიან მებრალებიან. ვერ წარმომედგინა, თუ ამ ჭირით მოცულია ამდენი კაცი და ქალებიც კი...

შევატყვე: ჩემი მოსაუბრე ხიფათისთვის მოემზადა — სათვალე მოიხსნა, ბუდეში ჩადო და ჯიბეში შეინახა, თან თავის საშველად გასაძრომს ეძებდა.

— ნუ გეშინიათ, მე სრულ ჭკუაზე გახლავართ, — ვცადე მისი დამშვიდება, — მაგრამ თქვენთვისაც ხომ ცხადია ჰუმორისტთა გასაჭირი, მათი შესაბრალისი მდგომარეობა? სადღაც თუ აგური ჩამოვარდა, აუცილებლად ჰუმორისტს უნდა აკოცოს კოსროში... კბილის ექიმი ვის ამოუღებს ჯანმრთელ კბილს დაჭიანებულის მაგივრად? ცხადია, ჰუმორისტს... ველოსიპედის გახედნა, ვითარცა ველური მუსტანგისა, რა თქმა უნდა, ჰუმორისტის ხვედრია, როცა ყველა ნორმალური ადამიანი ამ ხიფათს აიცილებს; საყოველთაოდაა ცნობილი: ჰუმორისტებს ჰყავთ ყველაზე ბრაზიანი ცოლები და ყველაზე აუტანელი სიდედრები, ჰუმორისტთა ფათერაკიანი და ანცი ბავშვები ცხოვრების ნაზი ყვავილები კი არა, ღვთის რისხვაა... ჰუმორისტს დასცინის საკუთარი ძაღლი, უცხო ძაღლები კი ბევრად შორს მიდიან მასთან ურთიერთობისას — დაწყებული მისი შარვლის ქსოვილის სიმტკიცის გამოცდით და დამთავრებული ძაღლის კბილებისა და ჰუმორისტის კანჭის ახლო ნაცნობობით... ჰუმორისტს ეჭიდავება ახალნაყიდი, უხეიროდ გაკეთებული კომოდი, კარადა თუ საწოლი და ამარცხებს კიდეც; აღარას ვამბობ წვრილმან უსიამოვნებებზე: სახელგანთქმულ თერძთან შეკერილი პიჯაკის ცალი სახელო აუცილებლად მთელი მტკაველით მოკლეა მეორეზე, ნაყიდი ფეხსაცმლის ზომა ორი ნომრით მცირე აღმოჩნდება და ინკვიზიციის იარაღად მოევლინება და ასე შემდეგ — დაუსრულებლად... შინ ნამდვილი ჯანყია: რადიომიმღები მუნჯდება და ტელევიზორი მასთან სოლიდარობის ნიშნად ბრმავდება კიდეც; ონკანი დამცინავად ხითხითებს გამომშრალი პირით, სამაგიეროდ, ჰუმორისტს დროდადრო შინ ზემო სართულის მეზობლისგან მოძღვნილი ნამდვილი წარღვნა ეწვევა და წარმოიქმნება მინიატურული ზღვა, რომლის ფლობასაც ვერავინ შეეცილება და მის შვილებს შეუძლიათ, გაიხარონ სათამაშო ფლოტილიების ბრძოლებით... თუ ჰუმორისტს საკუთარი სახლი აქვს, მისი სახურავი უფრო ცხაურს თუ საცერს წააგავს, მეზობლები ადამიანები კი არა, ორივე სქესის უსაქმურები, ლოთები, ღვარძლიანი ჭორიკანები არიან, სამსახურში ხომ მთლად უკეთესი — მისი უფროსი ნაღდი აფთარია, ცოცხლად რომ ახრამუნებს ქვეშევრდომებს ან — სრული არარაობა, ჭკუასუსტთა მეფე, კოლეგები კი — სულ გამომძალველები, უსაქმურნი, ინტრიგანები და მაამებლები, რომლებიც სამსახურში მოდიან გემრიელად გამოსაძინებლად, გაზეთების წასაკითხად და კროსვორდების ამოსახსნელად... უჰ! — მოვითქვი სული, — ასე დაუსრულებლად შემიძლია გავაგრძელო, მაგრამ თქვენს ფაქიზ ნერვიულ სისტემას გავუფრთხილდები... ახლა ხომ დამეთანხმებით, რომ ჰუმორისტებს ბედმა გემოზე დასცინა, მით უმეტეს, თუ მისი მორიგი ფელეტონის შემდეგ შეიძლება, სამსახურიდან გამოაპანღურონ, ან ვინმემ სასამართლოში უჩივლოს, ან ბნელ შესახვევში ჩაუსაფრდეს და გვერდები ლაზათიანად დაუზილოს, ან, მთლად უკეთესი — მის ტანს ღმერთისგან გაუთვალისწინებელი კიდევ ერთი ნახვრეტი დაუმატოს ფიშტოთი...

ერთხელ კიდევ ამოვიღე ცხვირსახოცი და, როცა გაოფლიანებული სახიდან მოვიცილე, ჩემი მოსაუბრე სადღაც გაუჩინარებულიყო.

მე იგი რედაქციებში აღარასდროს შემხვედრია.

1960

ჯონ კამპბელის ოთხი პორტრეტი

1.

დავუშვათ, რომ შენ ცხოვრობ შტატების ჩვეულებრივ პატარა ქალაქში, ვთქვათ, ვენტურაში, ან სანტა ბარბარაში, ან კონსეპშენში; გყავს მშობლები, რომლებსაც საკუთარი მაღაზიის შემოსავლით შეუძლიათ, ჩაგაცვან, დაგახურონ, გაჭამონ, გიყიდონ კევი და პნევმატური თოფი; დახეტიალობ ქუ-

ჩებში შენს მეგობარ ჩარლისთან ერთად, კვირაში სამჯერ ესწრები კინოს ისევ ჩარლისთან ერთად და დადიხარ ქალაქის სკოლაში უკვე ჩარლის გარეშე... რაზე ოცნებობ შენ?

ოცნებობ, რომ ჩარლი ვებსტერივით ივლი სამხატვრო კოლეჯში, სახელს გაითქვამ ამ სასწავლებლის ბეისბოლის გუნდში თამაშით...

გავიდა ხანი...

დავუშვათ, რომ შენ დილით ამაყად მიდიხარ სამხატვრო კოლეჯში, იღლიაში მოლბერტამოჩრილი, გახდი საყოველთაოდ ცნობილი ბეისბოლისტი... სპეციალურ საგნებშიც დიდ წარმატებებს მიაღწიე, შენ და ჩარლიმ მოწაფეთა გამოფენაზე მიიღეთ ქების სიგელები და პრემიები... რაზე ოცნებობ შენ?

ოცნებობ, რომ ჩარლისთან ერთად სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრები ევროპაში, მხატვრების მექაში – პარიზში, იმუშავებ განთქმული მხატვრების სახელოსნოებში, ეზიარები პარიზული ბოჰემის ცხოვრებას... დროდადრო ეწვევი ლონდონს, მადრიდს, ბერლინს, უპირველესად – მარადიულ ქალაქს, რომს, რასაკვირველია...

დრო კი გარბის...

დავუშვათ, რომ შენ უკვე გადაცურე ოკეანე (გემით, რასაკვირველია), მონმარტრის ყველა კაფე ზეპირად იცი, ლუვრი და პრადო დაიარე, ინახულე ნეაპოლის ყურე და თემზის ნაპირები, ვატიკანის მუზეუმები და უფიცი ფირენცეში... რაზე უნდა იოცნებო ახლა?

ოცნებობ, რომ ჩახვალ სამშობლოში, ნიუ იორკში მხატვართა წრეებში გამოჩნდები შესამჩნევ ფიგურად, უახლესი მიმდინარეობების ავტორიტეტულ მცოდნედ და მიმდევრად. თვითონაც შექმნი ახალ მიმდინარეობას, სკოლას, რასაც დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურებიან ახალგაზრდა მაძიებელი მხატვრები, შენს სახელს საყოველთაო პატივისცემითა და რიდითაც კი წარმოსთქვამენ სამხატვრო კრიტიკოსები და ფართო საზოგადოებრიობა...

დროს რა გააჩერებს...

დავუშვათ, ხელოვნებათმცოდნეობით ჟურნალებსა და პოპულარულ გაზეთებში ყოველდღე რამდენიმე შენი ფოტო იბეჭდება, ქვეყნდება წერილები შენს მიერ დაარსებული ახალი მიმდინარეობის ანალიზით, შენს ტილოებს სიამოვნებით იძენენ ზღაპრულ ფასად კერძო კოლექციონერები და ცნობილი სამხატვრო გალერეები, დაიპყრე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი; დაკვეთები მოდის მთელი მსოფლიოდან... მიაღწიე სახელს, დიდებას, სიმდიდრეს... რაღა დაგრჩა საოცნებო?

ეს კითხვა თავისუფლად შეგვეძლო, დაგვესვა ჯონ კამპბელისთვის, რომელიც აბოლებდა პირის კუთხეში გაჩრილ ჩიბუხსს და, საშინაო პიჟამაში გამოწყობილი, აუჩქარებლად მიმოდიოდა თავისი კოტეჯის ერთი ოთახიდან მეორეში. ირგვლივ ზეთის საღებავების მძაფრი სუნი იდგა. თუმცა კამპბელი მხატვარი იყო, მაგრამ ეს სუნი მხოლოდ იმას მიეწერებოდა, რომ ეს ახალი სახლი სულ რამდენიმე დღის უკან იყო დამთავრებული. თავდაპირველად ყველაფერი ახალისებდა ჯონს: ჯერ შეუჩვეველი ბინა, მშვენივრად მოვლილი ბაღი, ბოლო მოდელის ძვირფასი ავტომანქანა, მანსარდაში მოწყობილი ფართო და ნათელი სახელოსნო... დღეს კი რა დაემართა?

დიდი ხნის საწადელი აუხდა და მაინც თითქოს რაღაც აკლდა, რათა ბედნიერება მთელი სისრულით შეეგრძნო... რამდენიმე დღე, სანამ ოთახებს მოაწყობდა და დასტკბებოდა ახალი მდგომარეობით, ყველაფერი რიგზე იყო. რა შორეულად წარმოუდგებოდა ის დღეები, როცა სასწავლო ფული იმხანად ცნობილ მხატვრებთან ყოველგვარი შავი სამუშაოს შესრულებით უნდა მოეპოვებინა. და როგორ სასაცილოდ ეჩვენება მისი პირველი წარმატებით, პირველი გაყიდული ტილოთი გამოწვეული გიჟური სიხარული... იმ დღიდან მოყოლებული, გახშირდა დაკვეთები ტილოებზე და თითქმის აღარ გამოერეოდა დღე, როცა ფული არ ჰქონოდა... იმ მძიმე დღეების გახსენება და მეგობრებისთვის მოყოლა ერთ რამედ ღირს, განსაკუთრებული სიამე იპყრობს თანამედროვე მდგომარეობასთან შედარებისას...

ჯონ კამპბელი დილიდანვე დაბორიალობდა ოთახიდან ოთახში და ჯერაც ვერ გაეაზრებინა, რა აწუხებდა... კაცმა რომ თქვას, ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა – ჯერ ორმოცდახუთი წლისაც არ არის – და თუმცა ძალზე გასუქდა – 200 გირვანქას მიაღწია და ძნელი დასაჯერებელია, რომ ოცი წლის წინ ასორმოც გირვანქას არ აღემატებოდა, – ჯერ არც სიბერის მოახლოებას გრძნობს და არც ჯანმრთელობას უჩივის. ყველაფერს მიაღწია, რაზეც უნდა ოცნებობდეს მხატვარი: მის ტილოებს იტაცებენ, საბანკო ანგარიში მატულობს და მატულობს... მშვენიერი ბინაც აქვს: ნიუ იორკის ამ შორეულ გარეუბანში შედარებით სიწყნარეა, გაზაფხულის ძალამიცემული მზე იჭრება ფართოდ გაღებულ ფანჯრებში, ირეკლება მისი მელოტი თავისა და ახალი პრიალა ავეჯისგან. ქუჩიდან ბეღურების ჟივილი ისმის. და მაინც ერთგვარი უკმარობის გრძნობა დაეუფლა...

მიმოიხედა ირგვლივ და დაიძახა: "ევა!" ის ხომ უკვე ოთხი თვეა, ცოლიანია და მხოლოდ ახლა ეგუება ნელ-ნელა თავის ახალ მდგომარეობას. შეჩერდა მისაღებ ოთახში და ვარდისფერ კედელს მიაჩერდა. ამ კედლისგან განსხვავებით, მეზობელ კედლებზე მისი რამდენიმე ნამუშევარი ეკიდა. უსმენდა ცოლის ქოშების ბაკიბუკს და კმაყოფილი იღიმებოდა. ოთახში შემოვიდა გამხდარი, ქერა ქა-

ლიშვილი, ტანწერწეტა და ცისფერთვალება. ჯონ კამპბელმა ცოლს მოხვია მხრებზე ხელი. მაინც სულ სხვაა, როცა ვინმე გვერდზე გყავს, შეგიძლია, შენი წარმატებები და სიხარული გაუზიარო.

— ევა, — უთხრა ცოლს ჯონმა, — როგორ მოგწონს ეს ოთახი? იატაკი მშვენივრად გაუპრიალებიათ. აი, ეს კედელი რომ არ იყოს ასეთი ცარიელი... მთელი ოთახის ელფერში რაღაც დისონანსი შეაქვს.

ევამ დაჭმუხნა თითქმის ბავშვური შუბლი; ერთხანს ყურადღებით უცქირა კედელს და შემდეგ მკვირცხლად მიატრიალა თავი ქმრისკენ:

— ჰო, ჯონ, ეს კედელი ჩემშიც სიცარიელის შთაბეჭდილებას ტოვებს... ყავისფერი ხალიჩა რომ გავაკრათ, მშვენივრად შეეხამება ავეჯს...

მის ხმაში გამოსჭვიოდა გულუბრყვილო კმაყოფილება, რომ ასეთი მშვენიერი ბინა აქვს, რომ მასაც ეკითხებიან, მის ლაპარაკს სერიოზულად უგდებენ ყურს და... მოკლედ, რომ საკუთარი ოჯახი აქვს, მისი ქმარი კი უბრალო ვინმე არ გეგონოთ!

მისი ცისფერი თვალები ისევ კედელს მიაჩერდა.

— ჯონ, — გრძნობით წარმოსთქვა მან, — აქ შენი სურათი უნდა ჩამოვკიდოთ!

— მშვენიერი აზრია, ძვირფასო, — გახალისდა ჯონიც, — იცი რა? ავტოპორტრეტს დავწერ!

— ო-ო-ო, ეს კოლოსალური იქნება! — აღმოხდა ევას.

— მე რამდენიმე ავტოპორტრეტი მაქვს შექმნილი, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი შემრჩა... — ჯონის კმაყოფილ კილოში თითქოს წეღანდელი გამოუთქმელი და გაუაზრებელი წუხილის გრძნობა მთლიანად აღმოიფხვრა. — არა უშავს, ახალს დავხატავ... ხვალვე შევუდგები მუშაობას. საგანგებოდ შენ მოგიძღვნი, ჩემო ძვირფასო.

აღტაცებულმა ევამ ტაში შემოჰკრა და ქმარს კისერზე ჩამოეკიდა.

ასე დაიბადა იდეა პორტრეტის შექმნისა, რასაც გაუთვალისწინებელი და ფრიად სევდიანი შედეგები მოჰყვა.

2.

მეორე დღეს დილიდანვე ჯონ კამპბელი, ლამაზი, ფერადოვანი ხალათით შემოსილი, მოლბერტს მიუჯდა. გვერდით მაგიდაზე ფრანგული კონიაკის ბოთლი მოიდგა, ტუბებიდან პალიტრაზე გამოწურა საღებავები და შეაზავა. გადაწყვიტა, ავტოპორტრეტისთვის უპირატესად ღია ფერების გამა ეხმარა მხიარული, ოპტიმისტური ჟღერადობის მისაღწევად. შემდეგ აიღო მსხვილი ფუნჯი და შეუდგა მუშაობას. შეიძლება იკითხოთ, სარკეს თუ ხმარობს? არა, სარკე მხატვარს ამ ავტოპორტრეტის შესაქმნელად არ გამოუყენებია, რაც, რასაკვირველია, მის ნიჭსა და უნარზე თუ არა, შემოქმედებით ფანტაზიას, წარმოსახვის მდიდარ შესაძლებლობებსა და საკუთარ ძალებში რწმენას გვიჩვენებს.

ჯონ კამპბელი ითვლებოდა აბსტრაქტული ფსიქოსუბიექტივიზმის სკოლის მამამთავრად შეერთებულ შტატებში და, ცხადია, ამ მიმდინარეობის ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენლად. ამ მიმდინარეობის თეორია თვლიდა, რომ ძველი მხატვრობის მეთოდები, ხერხები, თეორია და პრაქტიკა მოძველდა და რომ ახალი დრო, ატომისა და კოსმოსში გაფრენების საუკუნე მოითხოვდა გამომსახველობითი ხერხების ძირეულ შეცვლას. არა, მისტერ კამპბელი არ იყენებდა საკუთარი სურათების შესაქმნელად გაწვრთნილ მაიმუნებს, პატარა ბავშვებს ან ვირის კუდს თუ საღებავებში ამოვლებულ ცოცხს; არც ფეხის თითებში ეჭირა ფუნჯი, არც საღებავებით გათხვრილი საკუთარი თავით ჰქმნიდა სურათებს... მისთვის უცხო იყო აგრეთვე პნევმატური პისტოლეტით საღებავების შეშხეფება ან ძველი გაზეთების, რკინის ნაჭრების, კონსერვის ცარიელი ქილების, უბრალოდ ყოველგვარი ნაგვის დამაგრება თუ მიწებება ტილოზე ან მუყაოზე... ის მუშაობდა ნამდვილ, კარგ ტილოზე, იყენებდა ჩვეულებრივ ფუნჯებსა და საღებავებს, თუმცა ჯონ კამპბელი არ უარყოფდა ზემოჩამოთვლილი და ბევრი სხვა ხერხების გამოყენების მიზანშეწონილობას. მას მიაჩნდა, რომ თითოეულ მხატვარს და ყოველ მიმდინარეობას უფლება აქვს, გამოხატოს ხელოვნების ნაწარმოებში საკუთარი სათქმელი იმ ხერხით და ისეთნაირად, როგორაც მიიჩნევს საჭიროდ. თავისი საკუთარი მიმართულებისთვის კი ჯონმა მიზანშეწონილად ცნო მხატვრობის ძველი ატრიბუტების დატოვება, მხოლოდ ახალი შინაარსით: არ არის საჭირო ნატურისადმი ასე თუ ისე ზუსტი შესატყვისობა, ტილოზე უნდა გადაიტანო არა საგანი, არამედ შენი შთაბეჭდილება მასზე ფერების სახით. შესაბამისობა ნატურისადმი ამ გზით მიიღწევა არა გარეგანი ეფექტების, არამედ ღრმა შინაგანი ერთობის მეოხებით. ამ ხერხის უპირატესობა ისიც იყო, რომ ფოტოსურათებზე მეტად ეფექტურად გამოიყურებოდა თვით წერის პროცესი: არა როგორც უცნაური ატრაქციონი (ამას ხშირად ჰგავდა ზოგიერთი მიმდინარეობის მიმდევარი მხატვრის მუშაობა), არამედ როგორც ნამდვილი მხატვრული აღმაფრენა...

შეუდგა მუშაობას. დიახ, მას არ სჭირდებოდა სარკე, რადგან ისედაც შეეძლო, ჩაეხედა საკუთარი სულის სიღრმეში და თავისი ფიქრები ყველაფერზე (და მათ შორის საკუთარ თავზეც — ავტო-

პორტრეტს ჰქმნიდა!) გადაეტანა ტილოზე წერტილებით, ერთმანეთის გადამკვეთი ცისფერი და ყვითელი ხაზებით, წითელი წრეებითა და კვადრატებით... თანდათან შედიოდა შემოქმედებით ექსტაზში. ფერების სიმფონია ტრიალებდა თვალწინ. გამალებული მუშაობდა, ფუნჯს ფართოდ და სწრაფად უსვამდა, ცდილობდა, არ გაფრენოდა ის მდგომარეობა, როცა, როგორც მას ეჩვენებოდა, დიდი ექსპრესიით გამოუდიოდა საკუთარი ამაღლებული და საოცრად რთული სულის ყველაზე ნაზი და სანუკვარი ნაფიქრალის აღბეჭდვა. ცისფერი, წითელი და ყვითელი ფერების მოზაიკურ მრავალსახეობაში ყველაზე მოულოდნელ ადგილებში შეიჭრა მწვანე ლაქებიც – ცისფრისა და ყვითლის გადაკვეთის ადგილებზე. ავტოპორტრეტი ყოველ წამს კალეიდოსკოპურად იცვლებოდა ფუნჯით თითოეული მონასმის შედეგად. კამპბელი არც დაღლას გრძნობდა და არც "საბოლოო წერტილის დასმის" აუცილებლობას. მხოლოდ როცა შექმნილი ავტოპორტრეტი მიიჩნია საკუთარი რთული პიროვნების სულის სავსებით ადეკვატურ ფერწერულ გამოხატულებად, კონტრასტისთვის რამდენიმე შტრიხი დაურთო შავი საღებავითაც ტილოს ქვედა მარჯვენა კუთხეში.

თუ იმპრესიონისტები გამოხატავდნენ ნატურას, გარემოს ისე, როგორც აღიქვამდნენ – ფერადოვნად, კაშკაშა მოზეიმე ფერებით, ამასთანავე მკვეთრი კონტურების გარეშე, აბსტრაქტული ფსიქოსუბიექტივისტები ბევრად უფრო შორს წავიდნენ. ჯონ კამპბელი აღბეჭდავდა არა უშუალოდ საგანს და მისი ცქერით მიღებულ შთაბეჭდილებას, არამედ რაღაც შინაგან, მის გულში აღძრულ გრძნობებს ფერების სახით და ეს გრძნობები თუმცა გამოწვეული იყო უმეტესწილად ობიექტით, ტილოზე გადაჰქონდა მხოლოდ სუბიექტური გრძნობა; და გამოდიოდა, რომ აუცილებელი არ იყო გარეგანი მსგავსების მიღწევა, პირიქით. ჯონ კამპბელმა სახელი გაითქვა სწორედ ისეთი ტილოებით, რომლებიც უსაგნო გრძნობებსაც კი გამოხატავდნენ. მაგალითად, მისი ციკლი "სევდა და სიხარული", ტრიპტიქი – "დაბადება", "გზა", "ბოლო" და სხვა, სადაც ეს მდგომარეობები ფერთა "სიმფონიებით" იყო გადმოცემული, მუდამ მოჰქონდათ ხელოვნების საკითხებისადმი მიძღვნილ თეორიულ წერილებსა თუ პოპულარულ ბროშურებში.

ჯონ კამპბელმა უკანასკნელად მოიყუდა ბოთლი.

ავტოპორტრეტი მოეწონა. ყავისფერი საღებავით მოაწერა ხელი მარცხენა ქვედა კუთხეში და ქვევით სართულზე მყოფ ცოლს დაუძახა, რათა მისი შეხედულებაც გაეგო.

3.

მეორე დღეს ჯონ კამპბელი და ევა დილიდანვე შეუდგნენ ავტოპორტრეტის ჩამოკიდებას. ფრთხილობდნენ, რადგან ტილო ჯერ არ იყო გამშრალი. ჯონს უნდოდა, მუშებისთვის დაეძახა, მაგრამ ევამ მოინდომა, თვით ჯონს გაეკეთებინა ეს, რასაკვირველია, მისი ხელმძღვანელობით. ევა აძლევდა მითითებებს, ჯონი კი ხალისით უსრულებდა ყველაფერს და არც კი ფიქრობდა, რომ მისი სიმძიმის ქვეშ სკამს შეეძლო, ჩამტყდარიყო.

საბოლოოდ ყველაფერი მზად იყო. ჯონი ჩამოვიდა სკამიდან და ხელი მოხვია ცოლს. ორივენი ავტოპორტრეტს უყურებდნენ. ჯონს ძლიერ სიამოვნებდა, რომ მისი ნახელავის შეფასებასა და ადგილზე მოთავსებაში დიდი მონაწილეობა მიიღო ცოლმა – სავსე სახე გაებადრა.

– როგორ მოგწონს? – იკითხა ჯონმა. შემდეგ მარცხნივ კედელზე ჩამოკიდებულ თავისსავე ტილოებს შეხედა. – ამათ ყველას ჯობს, არა?

– მშვენიერია, ჯონ, ასეთი ფერებით ბევრად უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს.

– ეს იმიტომ, რომ მე თვითონ ვარ მხიარული, – თქვა ჯონმა ხუმრობით; თითქოს დაავიწყდა, როგორ ჩაფიქრებული იდგა ამავე კედლის წინ ორი დღით ადრე. – როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად შევაფარდე ფერები, კარგად გავანაწილე.

– ჯონ, მე მომწონს შენი გამოსახულება, – თქვა ევამ და მხატვრის ავტოპორტრეტზე მიუთითა, – მაგრამ ხომ შეიძლება, ჩემი პორტრეტიც მსგავსი გამოვიდეს?

– შეიძლება კი არა, უკეთესიც კი, უფრო ცხოველი ფერები და მეტი კონტრასტები იქნება.

– მერე, როგორ უნდა იცნონ, რომ ეს ჩემი პორტრეტია? – ევას ხმაში დაინტერესება ჩანდა. – ან აი ეს ავტოპორტრეტი რომ მართლაცდა საკუთრივ შენ გამოგხატავს, როგორ გაიგებენ? იქნებ ეს ჩემი ან სხვა ვინმეს პორტრეტია? დავუშვათ, გამოფენაზე წარწერა მოძვრა...

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ჩემო ძვირფასო? – უპასუხა ჯონმა. – მთავარია, რომ მე ჩემი თავი გამოვსახე და დიდი სიამოვნებაც მივიღე, რადგან კიდევ უფრო უკეთესად შევიცანი საკუთარი არსება შესწავლის და შემდგომ გადმოცემის პროცესში. განა საკმარისი არ არის, რომ შენ იცი, ვინც არის აქ გამოსახული? საგანგებოდ შენთვის შევქმენი.

– კი, ჯონ, მაგრამ მე მინდა, რომ სხვამაც გაიზიაროს ჩემი სიხარული და სიამოვნება.

– შესრულების მანერით ჩემს სკოლას ყველა მცოდნე იცნობს... მერე, ჩემი ხელმოწერაც ხომ აქვს ავტოპორტრეტს...

ევამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მრგვალ მაგიდასთან რბილ სავარძელში ჩაჯდა. აქედან შეათვალიერა ქმრის ავტოპორტრეტი და კიდევ უფრო ლამაზი მოეჩვენა.

– მე რას ვფიქრობ, იცი? რასაკვირველია, შენს საკუთარ სახლში შენი ხელმოწერილი ტილო შენი იქნება და სპეციალისტები არ დაეჭვდებიან, რომ ვინმე მიმბაძველისაა... მაგრამ ამ ტილოზე შენი პორტრეტია თუ ვინმე სხვისი, ამის გარჩევა კი გაუძნელდებათ...

– შეიძლება ქვევით სახელწოდების დაწერა. აი, ასეთ პატარა ფირფიტაზე იქნება: "ავტოპორტრეტი"... – ჯონიც მეორე რბილ სავარძელში მოკალათდა მეუღლის გვერდით. ევამ ქმარს შეხედა და გადაიკისკისა – მიხვდა, რომ ჯონი ხუმრობდა.

– ხომ არ დაემგვანები იმ მხატვარს, ლომი რომ დახატა და ქვევით მიაწერა, ეს ლომია, კატა არ გეგონოთო!..

ჯონსაც გაეღიმა. ევა, მართალია, მხატვრობაში ფრიად სუსტად ერკვეოდა, ბევრი რამ მის წარმოდგენებში მიამიტური იყო და გამარტივებულიც, მაგრამ მასზე გაწყრომა არაფრით შეეძლო. მით უმეტეს, გრძნობდა, ცოლის სიტყვებში სიმართლეც ერია. ჯონი დაფიქრდა. თვითონაც უნდოდა, ავტოპორტრეტში გამოჩენილიყო მისი სიდიადე, როგორც ადამიანისა და როგორც მხატვრისა. უნდა იგრძნობოდეს, რომ ეს არის მთელი მიმართულების მეტრი, ცხოვრებაში მრავალნაცადი და ბევრის მნახველი პიროვნება, რომელმაც საბოლოოდ მიაღწია მშვიდ და კმაყოფილ ცხოვრებას...

– ევა, ძვირფასო, მაშინ გამოვა, რომ მე ხელი უნდა ავიღო ჩემს შემოქმედებით პრინციპებზე... უშუალოდ გამოსახვა ჩემი სახის ნაკვთების, გამომეტყველების და სხვა წვრილმანების ისევ ძველ, დიდი ხანია უარყოფილ ხერხებთან მიმიყვანს... ეს ხომ პრიმიტივიზმი გამოვა, უკან დაბრუნება, გამომსახველობითი ხელოვნების ბავშვობის ასაკი... ბარემ ფოტოსურათი შევუკვეთოთ და ეს არის!

– ნუ გეწყინება, ჯონ, სულ არ მიფიქრია ფოტოსურათი ჩამომეკონწიალებია აქ. მეტი აღარაფერი გვაკლია, მხატვრის სახლში ფოტოებით დავამშვენოთ კედლები.

– აბა, რა ვქნათ?

– ჯონ, შთამომავლობისთვის ხომ უნდა დარჩეს შენი სახე? ამაზე იფიქრე? ერთი გამონაკლისი დავუშვათ, რა უჭირს. უნდა შემისრულო თხოვნა: ხომ შეგიძლია, მეორე ავტოპორტრეტი დახატო, ისეთი გამოიყვანო, როგორიც ხარ? დიდი შეცდომა იქნება ხელოვნების მიმართ, მაგრამ ჩემი ხათრით...

ისეთნაირად საყვარლად დაემანჭა სახე, ისეთი ლურჯი სხივები კიაფობდნენ ევას თვალებში, რომ უარის თქმა ყოვლად შეუძლებელი იყო. გაღიმებულმა ჯონმა ხელი გადაუსვა ქერა თმებზე.

– რა გაეწყობა... საინტერესოა, რა გამომივა. კაი ოცი წელი გავიდა, ნატურისთვის არ მიმიბაძავს.

ევას მეტიც არ უნდოდა. წამოხტა სავარძლიდან და ქმარს ლოყაზე აკოცა.

– ამ სურათს რაღა ვუყოთ? – იკითხა ჯონმა.

– ჯერჯერობით იყოს სადაც ჰკიდია, მერე კი – ვნახოთ, იქნებ გავყიდოთ კიდევაც. ახლა კი დროა, ვისადილოთ. რამდენი დრო გასულა სურათის ჩამოკიდებაში...

ჯონიც წამოდგა. ხვალვე შეუდგება ახალ ავტოპორტრეტზე მუშაობას, იქნებ ამით მაინც გაიქარვოს ბოლო დროის იდუმალი უკმაყოფილების გრძნობა...

4.

მეორე დილით ჯონ კამპბელს ჩვეულებრივზე გვიან გაეღვიძა. დიდხანს არ უნდოდა ლოგინიდან წამოდგომა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, მოეთავებინა ევასთვის დაპირებული მეორე ავტოპორტრეტი. საუზმე დიდი ხანია, ელოდებოდა. თუმცა კი ახსოვდა, რომ საუზმის შემდეგ გუშინდელი ჩანაფიქრი უნდა განეხორციელებინა, მაგრამ ევასთან ლაპარაკში გართული, სულ არ ადარდებდა, როგორ უნდა შესდგომოდა მუშაობას, როგორ უნდა გაეაზრებინა ავტოპორტრეტი – არასდროს წინდაწინ არ ფიქრობდა ასეთ საკითხებზე: მიჩვეული იყო, რომ სულ რამდენიმე საათში თამაშ-თამაშ შექმნიდა სურათს.

ერთი საათის შემდეგ ჯონი მოლბერტთან იჯდა. გვერდით მაგიდაზე ედგა განუყრელი კონიაკიანი ბოთლი, მეორე მხარეს საწოლი ოთახიდან წამოღებული მრგვალი, საკმაოდ დიდი სარკე იყო მიყუდებული.

ჯონმა შეაზავა საღებავები. პირდაპირ საღებავებით აპირებდა პორტრეტის დაწყებას – ნახშირით ან სხვა რამით წინასწარი ნახატის შესრულების გარეშე. ის არც ეტიუდებს იყენებდა როდისმე, არც ნატურის გულდასმით შესწავლით და სხვა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებით იწუხებდა თავს. საერთოდ, პირველი შთაბეჭდილება მისთვის ყველაფერს ნიშნავდა, მაშინვე იწყებდა საღებავების ტილოზე გადატანას და მეტად მოკლე დროში – რამდენიმე საათში – სურათიც მზად იყო.

პირველ საათს ჯონი გამალებული მუშაობდა, რათა რაც შეიძლება მალე მოეშორებინა თავიდან ასეთი უჩვეულო სამუშაო. კიდევ ერთი საათი გავიდა და ავტოპორტრეტის დამთავრებამდე ჯერ შორს იყო. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სურათი ჯერ ხეირიანად დაწყებულიც არ იყო. ეს იგრძნო ჯონმა და შეჩერდა. იგი შეცბუნებული უყურებდა ნამოქმედარს: ტილოზე უხეში, განიერი მონასმებით ანაზელში დიდი გაჭირვებით შეიძლებოდა ამოგეცნოთ ვიღაცის თავი. წვრილი ფუნჯებით შემდგომი ხანგრძლივი მუშაობა იყო საჭირო, რომ რელიეფურად ამოწეულიყო ცხვირი, შუბლი, ლოყები, გამოკვეთილიყო ერთ-ერთი მთავარიც – თვალები... ჯონმა მოიყუდა ბოთლი და ისევ განაგრძო მუშაობა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, დღესვე დაემთავრებინა სურათი, მაგრამ მალე მიხვდა, რომ დეტალები არ გამოუდიოდა, საერთო ნახატი კი არაპროპორციულად იყო აგებული. ბევრჯერ გადააკეთა, აწვალა ფუნჯი სხვადასხვა ნაწილების სახის ერთიან ყალიბში მოსაქცევად, მაგრამ შეეშვა. ამდენ შრომას არ იყო დაჩვეული და დაიღალა. ისევ მოიყუდა ბოთლი და სახელოსნოში გაიარ-გამოიარა. ახლა უფრო მეტს სეირნობდა, ვიდრე მუშაობდა, ბოთლიც არ ავიწყდებოდა. შემდეგ ოთახებშიც ჩავიდა. ბოლოს, გადაწყვიტა, მეორე დღისთვის გადაედო ავტოპორტრეტის დასრულება.

მომდევნო დღესაც იგივე გამეორდა და იმის შემდგომ დღეებშიც. ჯონმა ბევრჯერ ჩამოფხიკა საღებავის გასქელებული ფენა, ისევ და ისევ გადაწერა ის ადგილები, რომლებიც არ გამოუვიდა ხეირიანი. ხშირად ევაც გვერდით ედგა და ამხნევებდა, ოსტატი კი არა და არ იყო კმაყოფილი. კიდევ და კიდევ ამუშავებდა როგორც საერთო კოლორიტს, ისე ცალკეულ დეტალებსაც. ჯონი კორპუსულად წერას იყო დაჩვეული და ტილოზე კვლავ წარმოიშვა საღებავის სქელი ფენა. დროდადრო ბასრი სამართებლით აშორებდა ტილოს მეტისმეტად ამობურცულ ადგილებს, აცილებდა დაწუნებულ უბნებს საღებავს... როგორ მოტყუვდა! ეგონა, ძლიერ ადვილი იქნებოდა "ფოტოს გაკეთება", როგორც თავდაპირველად ირონიულად ამბობდა გულში. დროს თავისი გაეტანა: ამდენი ხნის აბსტრაქციონისტულმა ვარჯიშობამ გადააჩვია ფერთა ჰარმონიას, ნახატის სიზუსტეს – გაუწაფავი ხელი არ ემორჩილებოდა. თანდათან თითქოს მუშაობამ წინ წაიწია – ახლა ევასაც შეეძლო დარწმუნებულიყო, როგორ დაემსგავსა ავტოპორტრეტი "ორიგინალს", მაგრამ ამას ჯონმა მიაღწია ხანგრძლივი დაძაბული შრომით. ასე რომ, სხვა ნამუშევრების შექმნას ხელს ვეღარ ჰკიდებდა.

და აი, როგორც იქნა, ეს ავტოპორტრეტიც დაამთავრა.

საღამო ხანი იყო. ჯონმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავისი ნახელავი და ერთგვარი კმაყოფილების გრძნობა დაეუფლა. სიამოვნებდა, რომ გაუძლო ცდუნებას – რამდენჯერ კინაღამ შეწყვიტა ავტოპორტრეტზე მუშაობა, – გადალახა მრავალი სიძნელე, მათ შორის – ფსიქოლოგიურიც, და ევასადმი მიცემული დაპირება შეასრულა.

შემდეგ დღეს, დილით, ევა ამოიყვანა ავტოპორტრეტის სანახავად. ამჯერად ჯონს სულ არ მოეწონა ავტოპორტრეტი – თითქოს დამწყების ნათითხნი ყოფილიყოს. კოლეჯში სწავლის დროს ბევრად უკეთესად გამოსდიოდა. ევას გამოუცდელ თვალსაც კი არ გამოეპარა პორტრეტის სისუსტე.. ნუთუ ასეთი არაბუნებრივი გამომეტყველება აქვს ჯონს სიცოცხლეში? სულ არ იგრძნობა მისი მხიარული ბუნება და კეთილი ხასიათი. რაღაც უსიცოცხლო, ცივი სახე, ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებული თვალებით... ამას კიდევ უფრო აძლიერებს უსიამოვნო კოლორიტი. ამ პორტრეტში ჯონმა გადაწყვიტა, ღია ფერები ეხმარა, საბოლოოდ კი მიიღო თითქოს ჭუჭყის ფერიც კი, სახის კანი ავადმყოფისას მიუგავს... და კიდევ, რაც ყველაზე მთავარია და რის სიტყვებით გადმოცემა ყოველთვის ძნელია, პორტრეტი უარყოფით ემოციებს იწვევდა, არ იგრძნობოდა თავისუფლება ფუნჯისა, რასაც აღქმისთვის ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს... რამდენი შრომა და დრო მოანდომა! იქნებ ოთახში დაკიდებული უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენს?

ჩაიტანეს პორტრეტი ქვევით და პირველი ავტოპორტრეტის ადგილზე დაჰკიდეს; შემდეგ ორივენი ჩასხდნენ ღრმა სავარძლებში და უსიტყვოდ უცქერდნენ სურათს. ჯონი საკუთარ თავს კიცხავდა გულში – არ უნდა მოეკიდა ხელი ასეთი სამუშაოსთვის! თან უკმაყოფილების გრძნობა, რომელიც ორი კვირის წინ ჰქონდა, კიდევ უფრო გაუძლიერდა. მიხვდა, რომ დამაკმაყოფილებელი პორტრეტის შესაქმნელად, ჯერ ერთი, ორი კვირა საერთოდ მეტად მცირე დრო იყო და მეორეც, საჭირო იქნებოდა – ჩვევების გამოსამუშავებლად და საზოგადოდ გასავარჯიშებლად – რამდენიმე წელი თავაუღებლად ემუშავა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწევდა საკმაო (მისი შეფასებით – "ფოტოგრაფიულ") სიზუსტეს. მაგრამ განა სიზუსტე კმარა?

ევამ მაინც არ გაიტეხა გული.

– კარგია, ჯონ, აი აქ ჩანს, რომ ეს შენ ხარ.

მისი სიტყვები ჯონს არ მოატყუებდა, რადგან ისეთი ნაძალადევი ტონით იყო ნათქვამი, რომ კიდევ უფრო ცხადი გახდა მარცხი.

– ასეთი ქმარი რომ გყავდეს, ალბათ გაიქცეოდი ამ სახლიდან, – ჯონმა ნაღვლიანად გაიღიმა. – შეიძლება, მართლაც იცნონ, რომ ეს მე ვარ, მაგრამ მერე რა? ეს ხომ ჩემი კარიკატურაა და თუ

არ დამცინებენ, მხოლოდ მნახველის ზრდილობას უნდა მივაწერო. ჰო, ნამდვილად არ არის ეს ჩემი ამპლუა, ჩემი შინაგანი ბუნება ეწინააღმდეგება ასეთი უხეირო ფოტოგრაფიების კეთებას.

ჯონი მივიდა კედელთან, ავიდა სკამზე და ჩამოხსნა სურათი. შემდეგ გამოიღო ჩარჩოდან და იქვე მიყუდებულ პირველ ავტოპორტრეტთან დადო – პირით კედლისკენ.

– არა უშავს, ჯონ, – თქვა ევამ, – მე ვიცი, შენ რომ მოინდომო და ცოტა წაივარჯიშო, სხვებზე ნაკლებად არ მიამგვანებ და თანაც ისე, როგორც საჭიროა... მე მინდოდა მეთქვა, რომ უფრო ბუნებრივად, ვიდრე შენს ავტოპორტრეტზეა და შენი პიროვნული თვისებებიც გამომჟღავნდება... მაგრამ თუ შენს სულს ეს არ უნდა, ხომ შეიძლება, სხვა ვინმეს შევუკვეთოთ?

– როგორ არა, – უპასუხა ჯონმა, – ხეირიანი პორტრეტის შეკვეთა ახლა საკმაოდ ძვირი ღირს, მაგრამ ჩვენ ეს არ გაგვიჭირდება.

ევა წამოდგა სავარძლიდან და ქმართან მივიდა. მხარზე მიეყრდნო თავით და გაუღიმა.

– ხომ არ გეწყინა, ჯონ? იქნებ შენ გინდა, ერთხელ კიდევ სცადო? ნამდვილად უკეთესი გამოგივა.

– მეც დარწმუნებული ვარ, ძვირფასო, მაგრამ ჯობს, დაკვეთა მივცეთ. მე ხომ ჩემი სამუშაოც ბევრი მაქვს. შენი სურვილი კი, ხომ იცი, ჩემთვის კანონია. ერთ კვირაში ჩემი პორტრეტი აქ იქნება დაკიდებული.

* * *

ჯონ კამპბელს არ ახასიათებდა რაიმეზე დიდი ხნით ფიქრი და მარცხით გამოწვეული გრძნობა მალე გაუქარვდა. იმავე საღამოს ერთ-ერთ მხატვართა კლუბში ყოფნისას გაახსენდა თავისი პორტრეტის ამბავი. გაიკითხა და კოლეგამ ქაღალდის ნაგლეჯზე წაუწერა შესაფერისი მხატვრის გვარი და მისამართი. ჯონმა, არც კი დაუხედავს ზედ, ისე ჩაიდო ქაღალდი პიჯაკის ჯიბეში.

* * *

რამდენიმე დღეს ჯონი გამალებული მუშაობდა დაგროვილი დაკვეთების შესასრულებლად. წინანდებურ სიამოვნებას აღარ ჰგვრიდა ფუნჯით მუშაობა და ამიტომ ხშირად ჩადიოდა ხოლმე ცოლთან ქვევით ოთახებში. გაივლიდა-გამოივლიდა ბაღში, ევას გამოელაპარაკებოდა... შემდეგ უბრუნდებოდა სამუშაოს. დიდი ხნობით იდგა გაღებულ ფანჯარასთან, უყურებდა ამწვანებულ ხეებს, ჩიტების მიმოფრენას, მოშორებით მარცხენა მხარეს მშენებარე სახლს, ქუჩაში თავთავიანთ საქმეებზე მოსიარულე ხალხს და სულ უფრო უძნელდებოდა ტილოსთან და მოლბერტთან მიბრუნება. ერთი ხანია, გული აუცრუვდა მისი მეთოდის გამომსახველობით შესაძლებლობებზე; ერთგვარი ერთფეროვნება და შეზღუდულობა იგრძნო. იბადებოდნენ ახალი სკოლები, ჩნდებოდნენ ახალი მიმართულებები ფერწერაში; ჯონს დროდადრო სურვილი ჰქონდა, ეცადა, სრულიად განსხვავებული ხერხებით ემუშავა, ძველი ხალისიც დაუბრუნდებოდა, მაგრამ ორი რამ უშლიდა ხელს: ჯერ ერთი, ბაზარი მისგან თხოულობდა სწორედ ჩვეულ სტილში შესრულებულ ნაწარმოებებს, უკვე აპრობირებულსა და კარგად ცნობილს, მეორეს მხრივ კი, რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, ჯონი გრძნობდა, რომ არც სხვა ულტრათანამედროვე მიმართულებები მისცემდნენ ნამდვილ კმაყოფილებას, რადგან პრინციპულად არ განსხვავდებოდნენ აბსტრაქტული ფსიქოსუბიექტივისტების ნამუშევრებისგან. რაც შეეძლო, მან უკვე შექმნა, თავისი წვლილი შეიტანა მხატვრობაში, აწი ექსპერიმენტები ახალგაზრდობამ გააგრძელოს... ხანდახან ისეთი აზრებიც გაუვლიდა თავში, რომ საერთოდ მთელი ხელოვნება უაზრობაა, თავისი დრო მოილია, უკვე რაიმეს ახლის თქმა შეუძლებელია... ან კი რა საჭიროა? სულ ერთი და იგივეს გამოსახვა, ერთფეროვნება და ერთფეროვნება... მაინც იძულებული იყო, სახელოსნოშიც შეეხედა, რადგან დამკვეთები ელოდებოდნენ, ბე საკმაოდ ჰქონდა აღებული.

ცოლისადმი მიცემული პირობა ჯონს არ დავიწყებია: რამდენჯერაც მისაღებ ოთახში გაივლიდა და შეხედავდა ცარიელ კედელს, იმდენჯერ გადაწყვეტდა, მოეძებნა მხატვრის მისამართი, რომელიც მას კლუბში მისცეს. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დღიდან დღემდე გადადებაში მთელი კვირა გავიდა და ბოლოს, ერთ საღამოს, ევამაც შეახსენა მისი პირობა. ჯონ კამპბელმა დაძებნა ყველა ჯიბეებში და აღმოაჩინა, როგორც იქნა, მხატვრის მისამართი. ქაღალდის ფურცელი გაუხსნელად ანახვა ცოლს იმის დასამტკიცებლად, რომ აი, მისამართიც აქ აქვს და ხვალ კი აუცილებლად მისცემს შეკვეთას თავისი პორტრეტისას. ევამ გამოართვა ქაღალდი და მხატვრის ვინაობით დაინტერესდა. "ჩარლი ვებსტერი, 205, 95 ხაზი" – წაიკითხა მან ხმამაღლა.

– ჩარლი? – გაიკვირვა ჯონმა და ცოლს ქაღალდი გამოსტაცა ხელიდან, წაიკითხა და გულაჩუყებულმა წამოიძახა: – უყურე შენ, ჩარლი, ის ვიგინდარა ისა!.. სად ყოფილა ხედავ? ჰო, რას დავეცემი ხვალ თავზე!..

— ვინ არის ჩარლი? შენი მეგობარია? — შეხედა გაღიმებულ ქმარს ევამ, მასაც გაუხარდა, რომ ქმრის ნაცნობი გამოდგა ეგ ვიღაც ჩარლი ვებსტერი.

— მეგობარია და მერე როგორი! სიყრმის ამხანაგი! ერთად ვსწავლობდით კოლეჯში და ევროპაშიც ერთად დავხეტიალობდით... როგორ არის ახლა ნეტავი?

— ა-ა-ა, საიდან სადაო! კარგი ადამიანია? რატომ დაჰკარგეთ ერთმანეთი?

ჯონმა უკანასნელ კითხვას არ უპასუხა. როგორღაც თავისთავად მოხდა, მეგობრები ნელ-ნელა დაშორდნენ ერთმანეთს... თავის დროზე ამაზე არ უფიქრია და ახლა რა უნდა ეთქვა? ყველაფერი ხდება ცხოვრებაში და ინტერესთა სხვაობამ მათი გზებიც გაჰყარა...

— რა კარგია! — წამოიძახა უცებ ევამ. — შენი მეგობრის მიერ დახატული პორტრეტი გვექნება!

— ო-ო-ო, მერე რომ იცოდე, როგორი დიდებული მხატვარია! — თქვა ჯონმა, — თავის დროზე კოლეჯში ყველას გვჯობნიდა!

ასე გადაწყდა, დაწერილიყო ჯონ კამპბელის მესამე პორტრეტი.

5.

ჩარლი ვებსტერი... რამდენი წელია, რაც არ უნახავს? თხუთმეტი წელიც იქნება, თუ მეტი არა...

ჯონს ნელა მიჰყავს მანქანა ქუჩაში და დროდადრო იყურება ქაღალდზე დაწერილ მისამართზე, თუმცა მშვენივრად ახსოვს: 205, 95 ხაზი. რაც ევროპიდან დაბრუნდნენ, მას შემდეგ ერთმანეთი არ უნახავთ. ნუთუ ჩარლიმ ვერაფერს მიაღწია? მხატვართა წრეებში მისი სახელისთვის ერთხელაც არ მოუკრავს ყური. მეორეს მხრივ, სწორედ მისი მისამართი მისცეს... საკმაოდ უცნაური პიროვნება იყო ჩარლი, კაცმა რომ სთქვას, ძალიან გულკეთილი და, ამავე დროს, საოცრად გულუბრყვილო, უნიათო, უგერგილო... ამასთანავე, ჰქონდა ყველაფრის მიმართ განუმეორებელი ჰუმორის გრძნობა...

ბავშვობიდანვე მშვენივრად შეეწყვნენ ერთმანეთს, თუმცა, პარიზში ყოფნისას, როგორღაც შინაგანად დაშორდნენ კიდეც. ჩარლის ცალკე, თავისი ამხანაგები გაუჩნდნენ, ჯონიც სულ სხვაგვარ ხალხთან დაახლოვდა... საინტერესოა, როგორ შეხვდება ახლა? რა სასაცილო იქნება, თუ ვერ იცნო ჩარლიმ!

ჯონმა მალე იპოვა საჭირო სახლი. მანქანა იქვე გააჩერა. ხუთსართულიანი, პირქუში შესახედაობის, დიდი ხნის შეუკეთებელი შენობა — აი, სად დაგიდვია ბინა, ჩარლი... ჩანს, არ გაქვს საქმეები ბრწყინვალედ, თუკი ასეთ ჯურღმულში გადაგისროლა ცხოვრებამ... ჯონმა ერთ-ერთ სადარბაზო შესასვლელის კარს ჰკრა ხელი და შევიდა. ჭუჭყიანი კიბე ციცაბოდ მიემართებოდა ზევით. მეორე სართულზე იკითხა ჩარლის ადგილსამყოფელი და მიასწავლეს, სხვენზე ასულიყო. ბნელი, ნესტიანი კიბე საოცრად გრძელი ეჩვენა. მეხუთე სართული... უჰ!.. სული ძლივს მოითქვა. კიდევ ოციოდე ჭრიჭინა საფეხური და ჯონი სხვენში მოწყობილი მანსარდის კარი შეაღო. მზით უხვად განათებულმა ოთახმა პირველად თვალები მოსჭრა, იქვე, კართან გაჩერდა. შემდეგ თანდათან გაარჩია მანსარდის დახრილი კედლები, მოლბერტებთან მდგომი თუ მჯდომი ადამიანები. ჯერ არავის მიუქცევია ყურადღება მისი გამოჩენისთვის, შემდეგ მისკენ გამოემართა ლურჯ, უბრალო ბლუზაში გამოწყობილი მაღალი მამაკაცი. "ო, ეს ნამდვილად ჩარლია!" — გაიღიმე ჯონმა. — "აბა, თუ მიცნობს!". ჩარლი სულ ახლოს მივიდა, გამოიღო პირიდან ჩიბუხი და იკითხა: "რა გნებავთ?", მაგრამ იმავე წამს, თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯერებსო, კიდევ უფრო დააკვირდა ახალშემოსულს და თვალები ღიმილით მოჭუტა: "ოჰ, ეს შენა ხარ, ჯონ?" — ღონივრად მოუტყაპუნა მხარზე მარცხენა ხელი და უხეში, შეკრეჭილი ულვაშებით ლოყა დაუჩხვლიტა. მეგობრები ერთმანეთს მოსწყდნენ და ისევ ჩაათვალიერეს ერთმანეთი. ჩარლისაც გასცვენია თმა, მაგრამ სახე სრულიად უნაოჭო აქვს.

კოლეჯში ჩარლი ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ბეისბოლის მოთამაშედ, ახლა კი მისი წარმოსადეგი ფიგურა კიდევ უფრო ჩასხმულიყო. წონით, ალბათ, თვით ჯონსაც არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ არ იყო დაუშნოებული და დეფორმირებული მისი ტანი დიდი მუცლით, რაც ერთგვარი შურით შეამჩნია ჯონმა. ხალისიანი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, ეტყობოდა, სულ არ აწუხებდა ტანის სიმძიმე. გაირჭო ისევ ჩიბუხი თეთრ კბილებში და გაუძღვა სახელოსნოს იმ კუთხისკენ, სადაც მაგიდა, წიგნების კარადა და რამდენიმე სკამი იდგა. დასხდნენ.

— როგორაა საქმეები? — იკითხა ჯონმა. — სად დაიკარგე?

— ნელ-ნელა. — ჩარლიმ სტუმარს ფორთოხლის წვენი ჩამოუსხა ჭიქაში და მერე თავისთვისაც დაისხა. — როგორც ხედავ, შეეუჟული ვარ ამ ღამურების სამფლობელოში, მაგრამ ბედს მაინც არ ვემდური.

— ეს რა ხალხია? — ჯონმა მიუთითა ახალგაზრდებზე, რომლებიც ყურადღებას არ აქცევდნენ მათ და გატაცებით მუშაობდნენ მოლბერტებთან. მინის ჭერიდან უხვად ჩამოფრქვეული სინათლე საოცრად მკვეთრად ხატავდა მათ ტანებს. ჩარლი უყურებდა ჯონს, თითქოს უნდოდა, დაეზუსტებინა, რა ცვლილება განიცადა მისმა მეგობარმა გასული წლების მანძილზე.

— ჩემი მოწაფეებია, — ჩარლიმ გამოიღო პირიდან ჩიბუხი და დაფერთხა. — დღეს კარგი ამინდია და თითქმის ყველანი მოვიდნენ. ოციოდე ახალგაზრდაა და ბევრისგან, დარწმუნებული ვარ, კარგი ფერმწერი დადგება. ხანდახან ჩემი მეგობრებიც მოდიან, ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ... შენი საქმეები როგორღაა?

— მადლობა, კარგად.

— თუმცა, რას გეკითხები, შენი სახელი ჰქუხს...

— ოჰ, კარგი, თუ ღმერთი გწამს, — ჯონმა ოდნავ უხერხულად იგრძნო თავი, თუმცა ქებას უკვე დიდი ხანია, შეჩვეული იყო.

მალე საუბარმა ერთგვარად "საოჯახო" მიმართულება მიიღო. ჯონი მოუყვა თავის ამბებს, ჩარლის კი თურმე უკვე სამი ბიჭი ჰყოლია — ათი, შვიდი და ორი წლისა. ჰო, საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობენ, დაკვეთები იშვიათია, აი, მოწაფეები შველიან ცოტას, თან სკოლაშიც ასწავლის...

საუბარი ძალდაუტანებლად, ლაღად მიმდინარეობდა. ათასი რამ გაიხსენეს და ჰქონდათ კიდეც მოსაგონარი. ისე გრძნობდნენ თავს, თითქოს გუშინ ენახოთ უკანასკნელად ერთმანეთი და ეს გავლილი წლები არ არსებობდა.

შეუმჩნევლად გადიოდა დრო... ბოლოს, ჯონმა შენიშნა:

— ჩარლი, ხომ არ მოგაცდინე მუშაობას? საკმაო დრო წაგართვი.

— რას ამბობ, რა მოცდენაზე შეიძლება ლაპარაკი. — ჩარლის თეთრი კბილები აელვარდა ღიმილით და თვალები მოეჭუტა. — ძლივს ჩაგიგდე ხელში და გინდა, ლაპარაკითაც არ გავძღე? — ჩარლი წამოდგა და მხარზე დაჰკრა თავისი თათი. — მოდი, ვნახოთ ერთი, როგორ მუშაობენ ჩემი მოწაფეები. თუ გაინტერესებს, რასაკვირველია...

პირველად მივიდნენ მაღალ, თხელ ახალგაზრდასთან, რომელსაც ქერა, პატარა წვერი და ლურჯი თვალები ჰქონდა. როცა მეგობრები მოლბერტს მიუახლოვდნენ, ქერამ შეწყვიტა მუშაობა და გვერდზე გადგა.

— გააგრძელეთ, გააგრძელეთ, — უთხრა ჩარლიმ, მაგრამ ახალგაზრდა მაინც მორიდებით მოშორებით დადგა.

მოზრდილ ტილოზე გამოსახული იყო ორი გვერდიგვერდ მომუშავე მხატვარი მოლბერტებთან. ერთი ზანგი იყო, მეორე — თეთრკანიანი. ჯონმა მიიხედ-მოიხედა და დაინახა ისინი, ვისაც ქერა ახალგაზრდა მოდელებად იყენებდა — იქვე მუშაობდნენ ორივენი. ოღონდ ტილოზე მხატვრებს სახელოსნოში კი არა, პატარა ქალაქის მიყრუებულ ქუჩაზე დაედგათ მოლბერტები და ზანგი და თეთრი ბავშვების ცნობისმოყვარე თავების გარემოცვაში იყვნენ. სურათი თითქმის დამთავრებული იყო, მხოლოდ ალაგ-ალაგ კუთხეებში კიდევ ერთხელ უნდოდა ფუნჯით გადავლა. ჯონი განსაკუთრებით დააინტერესა ტილოზე გამოსახული მხატვრების სახეებმა. ერთი კვირის წინ თვით ცდილობდა პორტრეტის შექმნას და ახლა პროფესიული თვალით უყურებდა ნამუშევარს. სულ დაავიწყდა, რომ მისი ერთობ გახმაურებული თეორიული შეხედულებები საერთოდ უარყოფდა ამგვარ მიბაძვას ნატურისადმი... საკუთარ თავს არ გამოუტყდა ჯონი, თორემ უნდოდა, ამ პორტრეტებზე დაკვირვებით მიმხვდარიყო საკუთარი მარცხის მიზეზს. ესწავლა? თვით მოსწავლეებისგან? განთქმულ მხატვარს? ჯონის ბუნება აღდგა ასეთი შესაძლებლობის წინააღმდეგ, მაგრამ ქვეცნობიერად სწორედ იმას აკეთებდა, რასაც მისი სული ასე გადაწყვეტით უარყოფდა.

ტილოზე გამოსახული სახეები კი ღირდნენ იმად, რომ ადამიანის ყურადღება მიექციათ. აი წითური მხატვრის მსხვილი პლანით მოცემული სახე: დაძაბული უყურებს მოლბერტს; ალბათ სულ არ ესმის გარშემო ბავშვების ჩურჩული და ვერც ამჩნევს მათ: მთელი ყურადღება კონცენტრირებულია სამუშაოზე: ფუნჯიანი მარჯვენა ხელი მკერდის წინ უჭირავს, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ამ ენერგიულ სახეს, შემოქმედებით აზარტში ჩაფლულს, თავდავიწყებამდე გართულს ფერებისა და ხაზების სიმფონიაში, პირი მაგრად მოუკუმავს, სახეზე კი ოდნავ მკაცრი გამომეტყველება აქვს, მაგრამ ეჭვს გარეშეა მაყურებლისთვის, რომ ასეთი ადამიანი სურათის დამთავრების შემდეგ ღრმად ამოისუნთქავს — დაღლილი, ბედნიერი — და ფართოდ გაუღიმებს გარშემო შემოჯარულ ცელქებს... ჯონს გაუკვირდა, რომ ასეთი ფიქრები აღუძრა უბრალო, მაგრამ უკვე საკმაო ოსტატობით შესრულებულმა პორტრეტმა. შემდეგ მზერა ზანგის გამოსახულებაზე გადაიტანა. ჩანდა, რომ ზანგი ისვენებდა. პალიტრა და ფუნჯი ფილაქანზე დაუდვია, თვითონ კი სადღაც შორს იყურება. შავი პატარა გოგონა უკვე აპირებს ფუნჯის აღებას, რათა უფრო ახლოს გაეცნოს ასეთ საინტერესო საგანს, მაგრამ ზანგი მხატვარი არავითარ ყურადღებას აქცევს ამ ამბავს. რითაა გართული? გამოსახატავი ხედის ფერთა თამაშს აკვირდება თუ უნდა, გაიაზროს, როგორ გადმოსცეს საინტერესოდ ტილოზე გარეუბნის არა მარტო გარეგანი სახე, არამედ მის მობინადრეთა ცხოვრების სურათებიც? თუ უბრალოდ თვალებს ასვენებს? მაშინ რად აქვს სევდიანი გამომეტყველება მის თვალებს და მსხვილი ტუჩების ნახაზს...

ჩარლი და ახალგაზრდა ქერა მხატვარი ხმადაბლა საუბრობდნენ ამ ტილოს შესახებ, ჯონი მათ არ უსმენდა. ჩაფიქრებული იდგა სურათის წინ და მხოლოდ ჩარლის ხელის მოკიდებამ გამოიყ-

ვანა ამ მდგომარეობიდან. გადავიდნენ იმ წითური ახალგაზრდას ტილოსთან, რომელიც წინა ნამუშევარზე იყო გამოსახული. მისი სურათი სულ ახალი დაწყებული იყო საღებავებში, მაგრამ ფანქრით დატანილი ძირითადი კონტურებით მაინც შეიძლებოდა მსჯელობა, თუ რა იქნებოდა მასზე გამოსახული: კრივი. თვალისმომჭრელად განათებული რინგი... მსაჯი დახრილა, რათა ყურადღებით ადევნოს თვალი ორთაბრძოლას – წითელ და თეთრმაისურებიანი ორი სპორტსმენი კი ახლო ბრძოლას აწარმოებენ. ორივეს სახეზე შეუპოვრობისა და გამარჯვებისადმი სწრაფვის გამომეტყველებაა. ცხადია, რომ აქ გაიმარჯვებს უფრო მოხერხებული და გაწაფული. უკანა პლანზე მოჩანან მაყურებელთა გაფაციცებული სახეები: აკვირდებიან თითოეულ ილეთს, ყოველი დარტყმის სიძლიერეს აფასებენ და აღტაცებით მიესალმებიან ყოველ მარჯვე მანევრს...

არა, ეს ფერები ჯერ კიდევ არ იყო დადებული, რომლებიც მოკრივეთა გახურებულ სხეულებსაც გვაგრძნობინებდნენ, დახუთულ დარბაზში გამეფებულ ვნებათაღელვასაც გადმოგვცემდნენ, მაგრამ კონტურებით მოხაზულ მოკრივეთა ცენტრალურ ფიგურებში უკვე ისეთი დინამიზმი იყო, რომ ჯონის ფანტაზია ადვილად ავსებდა არარსებულ საღებავებს. საინტერესოა, როგორი იქნება ტილო ფერებში დასრულების შემდეგ? ამერიკელებს ძალიან უყვართ კრივი და ალბათ ამ სურათს წარმატება ექნება – ახალგაზრდობის, ჯანმრთელობისა და სილამაზის აპოთეოზი...

ჯონი გადადიოდა ერთი მომუშავიდან მეორესთან. მისდა უნებურად გაიტაცა იმის ცქერამ, თუ როგორ ცდილობდნენ დამწყები მხატვრები, გადმოეცათ ტილოებზე თავიანთი ჩანაფიქრი. ჩარლიც ყურადღებით აკვირდებოდა თავისი მოწაფეების ტილოებს, ხან გადაულაპარაკებდა, მოკლე შენიშვნებს აძლევდა.

დათვალიერების შემდეგ მეგობრები ისევ მაგიდასთან მისხდნენ კუთხეში, დაისხეს ჭიქებში ფორთოხლის წვენი.

– მართლაც და მეტად ნიჭიერი ახალგაზრდები გყოლია, – თქვა ჯონმა. – ცოტა მოძველებული მანერით კი წერენ...

ჩარლიმ ჩიბუხს მოუკიდა. მოხერხებულად მოთავსდა დაწნულ სკამზე და ფეხი ფეხზე გადადო.

– რასაკვირველია, ბევრი შენიშვნის მიცემა შეიძლება მათთვის, – უპასუხა ჩარლიმ. – დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს ხარვეზებსაც ტექნიკაში, თუმცა უმეტესობა საკმაოდ დაუფლებულია ნახატსაც, კოლორიტსაც, კომპოზიციასაც და სხვას. მანერები კი... მანერაზე რა ვთქვა, მე არ ვაიძულებ მათთვის უჩვეულო, უცხო მანერით წერონ. ყველა გამოიმუშავებს, თანდათანობით, რასაკვირველია, საკუთარ მანერას ინდივიდუალობის მიხედვით; მე არ ვუშლი შემოქმედებითი თავისუფლება გამოამჟღავნონ. ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ჩავუნერგო ჩემს მოწაფეებს სახეებით აზროვნება, ყოველი შტრიხის, ყოველი მონასმის ზოგადის, საერთო ჩანფიქრის ხორცშესხმისთვის აუცილებლობის თვალსაზრისით... ტექნიკური სრულყოფის მიღწევა ძნელი არ არის. ეძიონ, ეძიონ და ეძიონ – აი, რა არის მთავარი. დაეჩვიონ ფიქრს, აზროვნებას თემის არჩევისა და მისი გადაწყვეტის დროს; ყველა ელემენტი დაუმორჩილონ ჩანაფიქრის მაქსიმალური გამომსახველობით, მაქსიმალური ემოციურობით გადმოსაცემად, რომ მათმა ტილომ მნახველში აღძრას გრძნობები და ფიქრები და, ამავე დროს, ესთეტიკური სიამოვნებაც მიანიჭოს თემის ორიგინალური გადაჭრით, ხედვის ინდივიდუალობით, ფერების ზუსტი შეთანადებით...

ჯონი ყურადღებით უსმენდა. ნელ-ნელა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთ რეალისტურ ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, "ფოტოგრაფიულ", ხელოვნებასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი; თუ ადამიანი სიამოვნებით უყურებს რაღაც პეიზაჟს ან თუნდაც კრივში შეჯიბრებას – იყოს, იარსებოს; ზოგჯერ კი ინტერესსაც კი იწვევს ასეთი სურათი და შეიძლება, კარგა ხანს უყურო და შეაფასო კიდევაც.

– შენ თუ გაქვს აქ საკუთარი ნამუშევრები? – იკითხა ჯონმა. – გაქვს საშუალება, იმუშაო?

– ყოველდღე თუ არ წავიმუშავე, ის არ შემიძლია. აქაც მაქვს ტილოები, უფრო სწორად, უმეტესობა მაქვს აქ. თუ გაინტერესებს... – ჩარლიმ მსუბუქად აიტანა თავისი ზორბა ტანი სკამიდან და გაუძღვა ჯონს მეორე კუთხისკენ მანსარდისა. – საერთოდ, ძალიან ბევრს ვმუშაობ, მაგრამ გასავალი არ აქვს და რას იზამ. ცუდად საღდება ჩემი სურათები...

მეგობრები მივიდნენ კუთხეში ერთიმეორეზე მიწყობილ ათიოდე ტილოსთან, რომლებიც ჩასმული იყო უბრალო ხის ჩარჩოებში; ალბათ გასაყიდად იყვნენ გამზადებულნი; უმეტესობა ტილოებისა კი ორ დიდ გორგლად იყო დახვეული. იქვე იდო მოზრდილი დასტა ქაღალდისა და მუყაოს ესკიზების, ჩანახატებისა და სხვა.

ჩარლიმ აიღო ერთ-ერთი ტილო და კედელზე მიაყუდა. შემდეგ შეხედა ჯონს, რომელიც უკვე მთელი გულისყურით პირდაპირ მიჯაჭული იყო მზერით სურათზე. თითქოს ყველაფერი მეტისმეტად ტრადიციული იყო გამოსახული: გემმისადგომთან თევზსაჭერი გემები ემზადებიან ზღვაში გასასვლელად... ვერ ნახავთ თითქმის ვერც ერთ გამოფენას, სადაც ანალოგიური შინაარსის რამდენიმე ტილო არ იყოს გამოფენილი. და მაინც ჯონი ინტერესით უყურებდა და, რაც უფრო მეტად აკვირდებოდა, მით უფრო მატულობდა ამ სურათის ზემოქმედების ძალა; თითქმის უსასრულოდ შეიძლე-

ბოდა გეცქირა და არ მოგწყენოდა. ჯონი ცდილობდა, გაერკვია, რაში მდგომარეობდა სურათის მომხიბვლელობის საიდუმლოება. პროფესიული თვალსაზრისი ჰკარნახობდა ზოგ რამეს, მაგალითად, მხატვრის ხედვის წერტილის მდებარეობა ისეთნაირადაა შერჩეული, რომ სეინერებს ზევიდან უყურებ. კომპოზიციურად პირველ პლანზე სეინერები ცხვირით ნავსადგურიდან გასასვლელისკენ არის მიმართული, უკანა პლანზე კი ზღვაა საკმაოდ დიდი ტალღებით. ყველაფერი ისეთნაირადაა განლაგებული, რომ გრძნობ, გემები საცაა გავლენ ნავსადგურიდან და ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ შენც იმყოფები ერთ-ერთზე, უკანასკნელ სამზადისს ამთავრებ და სხვებთან ერთად გახვალ მღელვარე ზღვაში. სურათის მშფოთვარე კოლორიტი აძლიერებს სურათის რომანტიკულ ამაღლებულობას, ღია ზღვაში აქოჩრილი ტალღები თითქოს გპირდებიან: შევეჯიბროთ – თქვენ თუ მეო... და მაინც, ტილოში იყო ისეთი რაღაც, რაც არ ეპუებოდა ანალიზს, არ გადმოიცემოდა სიტყვებით. ალბათ ეს იყო მხატვრის დიდი ნიჭის შეგრძნება და რომ ავტორი ჰქმნიდა ტილოს ისეთივე მგრძნობიარე და ამაღლებული სულით, რომელიც ნათლად გამოსჭვიოდა მთელ ნამუშევარში.

გადმოალაგეს სხვა ნამუშევრებიც. განსაკუთრებით ერთმა მიიპყრო ჯონის ყურადღება. დიდი პორტრეტი მუქკანიანი მოხუცისა პატარა ჭაღარა წვერით. სათვალის იქიდან ახალგაზრდა თვალები პირდაპირ მნახველს უყურებენ, მაგრამ ამავე დროს, ხანგრძლივი გამოცდილებით მიღებული სიბრძნისა და გაუტეხავი სიმხნევისა და ოპტიმიზმის განსახიერებაც ნათლად აღბეჭდილა მის სახეზე.

– ეს ვილიამ ჯოუნზის პორტრეტია, – აღარ დაუცადა ჩარლიმ ჯონის შეკითხვას.

უნებურად საკუთარ მეორე ავტოპორტრეტს შეადარა ჯონმა და ნათლად დაინახა, რა უდიდესი ზღვარი იყო მის მიერ ნაცოდვილარსა და ამ, ერთი შეხედვით უბრალოდ, მაგრამ მაღალი ხელოვნებით შესრულებულ პორტრეტს შორის. სწორედ ნაცოდვილარს – სხვა სიტყვა შეუფერებელი ეჩვენა, რადგან ვილიამ ჯოუნზისს პორტრეტში იყო არა მარტო მსგავსება, რაც ყოველ პორტრეტს მოეთხოვება, არამედ განუზომლად უფრო მეტი: ფსიქოლოგიურ პორტრეტზე შეხედვისას მთელი სისავსით წარმოიდგენდი ამ ადამიანის დაუდეგარ, მებრძოლ ბუნებას, ხასიათის სიმტკიცეს და, ამასთანავე, დიდი მოაზროვნის კაცთმოყვარეობას. ეს ეფექტი მიღწეული იყო გარეგნულად თითქმის შეუმჩნეველი დეტალების გააზრებით და მთელი პორტრეტის მთლიანობით. ჯონი გრძნობდა, რომ გარეგნულად მსგავსი პორტრეტის შექმნას თვითონაც მოახერხებდა, თუმცა დიდი წვალება დასჭირდებოდა დავიწყებული ტექნიკის ასათვისებლად, მაგრამ ნამდვილი პორტრეტის შესაქმნელად ეს არ კმაროდა. ამისთვის კიდევ საჭირო იყო არა მარტო წლობით გამომუშავებული ოსტატობა და შემოქმედებითი თავდაჯერება, არამედ უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილებაც, გაგება და გაზიარება აღსაბეჭდი პიროვნების ფიქრებისა და ნააზრევისა, იმ მოვლენების აღქმა და საკუთარ პრიზმაში გატარება, რომლებიც მას აღელვებდნენ... და, რასაკვირველია, ყველაფერი ფერებით უნდა იყოს მიღწეული, კომპოზიციის ენით ლაპარაკობდეს... ჩარლის სტიქია იყო სისხლსავსე ფერები, დაძაბული გამა, ერთგვარი სიმკვეთრეც კი ხელწერისა, რაც თითქმის ყველა ტილოში, შესანიშნავი პლასტიკურობით, თითქმის ხელშესახები რელიეფურობით საგნების გადმოცემისას, მკვეთრ ინდივიდუალობას ამჟღავნებდა მხატვრისა.

ჯონს მოუნდა, რომ მისი პორტრეტიც, რომელიც ჩარლისთვის უნდა შეეკვეთა, ასეთივე ამაღელვებელი ყოფილიყო, ასეთივე მეტყველი და ოსტატურად შესრულებული.

– ჩარლი, მე ვაპირებ, შევუკვეთო ვინმეს ჩემი პორტრეტი. ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება, თუ შენ დამთანხმდები...

– არ ვიცი, შევძლებ თუ არა ისეთი პორტრეტის შექმნას, რომელიც შენს მოწონებას დაიმსახურებს, – უპასუხა ჩარლიმ; შემდეგ მის თვალებში მხიარული ნაპერწკლები გამოჩნდნენ და ერთგვარი ირონიით ჰკითხა: – შენ მთელი მიმდინარეობა შეჰქმენი და ნუთუ შენი მოწაფეებიდან ჯერ არავის უკვდავუყვია მათი მეტრი?

ჯონმა გამომცდელად შეხედა ჩარლის, უნდოდა გაეგო, რა აზრს აქსოვდა ჩარლი ამ სიტყვებში. შემდეგ ხელი მოჰკიდა და მაგიდისკენ წაიყვანა.

– მოდი, დავსხდეთ, ცოტა დავიღალე. იცი, მე ავტოპორტრეტებიც მაქვს, სხვებმაც ბევრჯერ ამსახეს, მაგრამ სულ სხვაა, როცა შენი ყველაზე ახლობელი მეგობრის მიერ შესრულებულ პორტრეტს დაჰკიდებ შინ. ხომ ასეა? შენი ხელით დაწერილ ნამუშევარს რომ დავხედავ, ათას მოგონებას გამოიწვევს ჩემში და სულ სხვა გრძნობა დამეუფლება...

ისევ მაგიდასთან მივიდნენ ორივენი და დასხდნენ. მანსარდაში დაცხა, როგორც ორანჟერეაში. დახუთულ ჰაერს მაგიდაზე დადგმული ვენტილატორი და დაღებული ფანჯრებიც ვერას აკლებდნენ. წამდაუწამ ისხამდნენ ხილის წვენს ყინულით, ჯონმა პიჯაკი გაიხადა.

– მოდი, მაშინ პირველი სეანსი ახლავე ჩავატაროთ, – დათანხმდა ბოლოს ჩარლი. – ამ დიდ მუცელს კი რა ვუყოთ? ხომ არ გაგაახალგაზრდავო? – და ხუმრობით მოუცაცუნა ხელი ჭიპთან.

ჯონმა ისევ ჩაიცვა პიჯაკი, რათა მთელი ფორმით ჩაცმულს ეპოზიორა. ჩარლი ადგილიდან ადგილზე გადადიოდა, შესაფერის წერტილს ეძებდა. შემდეგ ფანქრით ქაღალდის დიდ ფურცელზე სწრაფად აამოძრავა ფანქარი... არ მოეწონა, აიღო ახალი სუფთა ფურცელი, შემდეგ ისევ ახალი...

როგორც იქნა, გადავიდა ტილოზე. ჯონი მთელ საათს მოთმინებით იჯდა და ცდილობდა, არ განძრეულიყო. როცა ძირითადი კონტურები დატანილ იქნა ტილოზე და ჩარლიც დაიღალა, ჯონმა ცხვირსახოცით შეიმშრალა გაოფლიანებული სახე და ჩეკის წიგნაკი ამოიღო. ამ დროს მისდა უნებურად საზეიმო განწყობილება გამოეხატა სახეზე.

— უჰ, მოვიხარშე მგონია... შემდეგ სეანსზე როდის მოვიდე? — ჯონმა გამოწერა ჩეკი, მოხია და გაუწოდა ჩარლის. ძალიან უნდოდა, შეეკავებინა თავი, მაგრამ ამაყმა ღიმილმა მაინც გაუწელა ჩასუქებული სახე.

— რა არის ეს? — ჩარლი გაკვირვებული მიაჩერდა ჯონს. — თუ მეგობრული გრძნობებით მოხვედი...

— საქმე საქმეა, ხომ იცი, — შეაწყვეტინა ჯონმა და თითქმის ძალად ჩაუკუჭა ხელში ჩეკი. ჩარლი უარობდა, მაგრამ არც ჯონი მოეშვა.

— 2000 დოლარი! ჯონ, რომ არ მოგეწონოს პორტრეტი? რაღამც დაიჯინე, შენი შრომა უნდა ავანაზღაუროო, პორტრეტის დამთავრებისთვის მაინც მოგეცადა... — ჩარლი უხერხულად შლიდა საღებავებით მოთხვრილ ხელებს.

— ოჰ, კარგი, გეყოფა, რა სალაპარაკოა ეს... მე თითო ნამუშევარში სამ და ხუთ ათასსაც ვიღებ. — ჯონის ლაპარაკის ნირი ჩარლის აგრძნობინებდა, რომ ფულის საკითხი ჯონისთვის დიდ საზრუნავს არ წარმოადგენდა, რამდენიმე ათასის ხარჯი მისთვის ჩვეული ამბავი იყო.

— მაშ, როდის მოვიდე შემდეგ სეანსზე? — ისევ იკითხა ჯონმა. უნდოდა, რაც შეიძლებოდა მალე გასცლოდა დახუთულ მანსარდას, თან ჩარლის მოკრძალებამაც მოაბეზრა თავი.

ჩარლიმ მიაგდო ჩეკი მაგიდაზე და მანსარდის კარისკენ გაჰყვა ჯონს გასაცილებლად.

— მხედველობითი მახსოვრობა კარგი მაქვს, — ჯონისთვის ნაცნობმა ღიმილმა მოუჭუტა ჩარლის თვალები. — პირველი დღე არაა, რაც გიცნობ, და რატომ უნდა ამოგიყვანო ამ სიმაღლეზე; მომავალ კვირას სახლში მოგიტან მზა პორტრეტს.

გაოცებულმა ჩარლიმ მადლობა მოახსენა, ხელი ჩამოართვა და ნახევრად ბნელ კიბეზე ფრთხილად დაეშვა ქვევით.

ჩარლი, ჩარლი... ისეთივე დარჩენილა, როგორიც ყოველთვის იყო — მხიარული და ოპტიმიზმით გაჟღენთილი. ჰო-ჰო, რა ოინებს აწყობდნენ ბავშვობაში!.. მერე პარიზშიც კარგად ერთობოდნენ... რა ოინბაზობას არ მოიგონებდა ხოლმე ჩარლი! ბავშვობის ჩვევები ალბათ ადამიანს დიდხანს გაჰყვება ხოლმე... ჩეკის აღება კი არ უნდოდა — ჰე, არც ამაში შეცვლილა, ყოველთვის მცირედით კმაყოფილდებოდა. იმედია, იმ საწყალ მანსარდაში შემდეგი სტუმრობისას ჰაერის კონდიცირების დანადგარს მაინც ნახავს... ორ გორგლად დახვეული ტილოებისთვისაც იყიდის ჩარჩოებს. უჰ, როგორ უბედურად ცხელოდა! საბრალო ჩარლი! ალბათ მის სიცოცხლეში სულ ამ მანსარდაში მოუწევს მუშაობა... და მხოლოდ იმიტომ, რომ დრომოჭმული, კონსერვატიული სტილით უნდა წარმატებას მიაღწიოს. ვინღა მიამიტი მუშაობს მაგდაგვარად? თუმცა, ჩარლის ზოგიერთ ტილოში იყო რაღაც ისეთი... ამას მერე უნდა გარკვევა... ფერებსაც არა უშავდა. იმედია, პორტრეტი კარგი გამოუვა და ევა ნასიამოვნები დარჩება. ჰო, ჩიბუხი... ძალიან ჰგავდა იმ ჩიბუხს, სტუდენტობის დროს რომ ხმარობდა. იქნებ ისაა? თხუთმეტი წელი ერთი და იგივე... ჩარლის ევას პორტრეტიც ხომ არ შეუკვეთოს? ჯერ ვნახოთ, მისი პორტრეტი როგორი გამოვა...

ჯონი ქუჩაში გამოვიდა ბნელი შესასვლელიდან და ბენზინის სუნით გაჟღენთილი ქუჩის გახურებულ ჰაერში ჩაეფლო.

6.

გავიდა რამდენიმე დღე. ჯონ კამპბელი მოუთმენლად მოელოდა შეკვეთილი პორტრეტის მოტანას. ძლიერ აინტერესებდა, როგორი გამოვიდოდა. ახსენდებოდა ჩარლის სახელოსნო, იქ ნახული ტილოები. რატომღაც ისევ და ისევ იგონებდა თითოეულ ტილოს, აკვიატებულად არჩევდა ყოველ წვრილმანს; უკვირდა, ასე როგორ ჩაებეჭდა გონებაში, როგორ დაამახსოვრდა ყველაფერი ასე ცხადად? ნუთუ შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერაფრით იცილებს თავიდან ამ სახეებს? ევას კი ვერაფერს ეუბნება თავისი მდგომარეობის შესახებ...

და აი, როგორც იქნა, კოტეჯის წინ გაჩერდა მანქანა, რომელსაც მართავდა ქერა, ლურჯთვალება მხატვარი. თავის ამხანაგთან ერთად მან გადმოიღო სქელ ქაღალდში გახვეული ბრტყელი საგანი და სათუთად შეიტანა მისაღებ ოთახში. ევა ამ დროს წასული იყო საყიდლებზე — როგორი სიურპრიზი დახვდება!

ჯონმა მიადგა სკამი კედელთან, სადაც ტილო უნდა ჩამოეკიდა და სქელ ქაღალდში შეხვეულ ჩარჩოიან სურათს ფაციფუცით დაუწყო გახსნა.. ქერა მხატვარი და მისი ამხანაგი იქვე იდგნენ, მაგრამ, მოუთმენლობით შეპყრობილმა, არ დაანება მათ გაეკეთებინათ ეს საქმე.

ჩარლის თუმცა უბრალო ჩარჩო შეერჩია, მაგრამ გემოვნებით შესრულებული. სამივენი დიდხანს უყურებდნენ შესანიშნავი რეალისტი მხატვრის ნამუშევარს. ტილოზე განივად მიდიოდა სხვადასხვა ფერის სქელი, ტალღისებური ზოლები, თითქოს დალტონიკი პრიმიტივისტის მიერ დახატული ზღვა არისო, ტალღებში კი სხვადასხვა ადგილას დაცურავდნენ ჯონის ტიპიური ცხვირი და ლოყები, სურათის მარჯვენა ქვედა კუთხეში – ნიკაპი და ცენტრში კი – დახუჭული თვალი; ცოტა უფრო მაღლა მესამე თვალიც იყო, ალბათ იმის საჩვენებლად, რომ ეს მხატვრის პორტრეტი იყო.. რაც მთავარია, ყველა ეს ნაწილები სახისა ადვილად შეიცნობოდა, რომ ჯონისა იყო, მაგრამ ასეთნაირად განლაგებული?

ჯონი გაოცებული უყურებდა პორტრეტს. რას ნიშნავდა ყოველივე ეს? ამგვარი უჩვეულო გადაწყვეტით ხომ არ დასცინის ჯონს? ავანგარდისტებისთვის ხომ არ მიუბაძავს? თმებს ვერსად ნახავს კაცი, ალბათ მას ფერადი განივი "ტალღები" გამოხატავენ... სიმბოლისტების გავლენაა თუ ჯონის გამელოტება აქვს მხედველობაში? ვერაფერს გაუგებს კაცი. დიახ, ოსტატური ნამუშევარია, მხოლოდ ეს კია, რომ ჯონი სულ არ მოელოდა პორტრეტის ამგვარ გადაწყვეტას... ისე, მსგავსი სტილის პორტრეტები ბევრი უნახავს და ზოგი მოსწონებია კიდეც, მაგრამ ასეთი რომ ნდომოდა, ხომ ჩარლისთან არ მივიდოდა... ახალგაზრდებს კი რა უთხრას? დგანან და სერიოზული სახით ათვალიერებენ პორტრეტს, არაფერს იმჩნევენ, წასვლის შემდეგ კი ალბათ გულს იჯერებენ სიცილით...

– გადაეცით ჩემი დიდი მადლობა მეტრს, – მიმართა ჯონმა ახალგაზრდებს, თან ცდილობდა, თავისი დაბნეულობა და იმედგაცრუება არ გამოემჟღავნებინა. – თქვენგანაც დიდად დავალებული ვარ...

ახალგაზრდები გამოემშვიდობნენ და წავიდნენ, ჯონი მარტო დარჩა თავისი პორტრეტისა და ფიქრების წინაშე. როცა ევა მოვა, რა უთხრას? იქნებ ჩამოიღოს და დამალოს? მაშინ საჭირო იქნება კიდევ ერთი პორტრეტის დაკვეთა... რა სისულელე გააკეთა, როცა ორი ათასი დოლარის ჩეკი მისცა ბატონკაცურად! ჩარლისგან კი ასეთ გაცუცურაკებას არაფრით მოელოდა... ნუთუ რაიმეთი დაიმსახურა?

ასეთ დღეში იყო საწყალი ჯონი, როცა ევაც დაბრუნდა. დაღვრემილი ქმრის ხილვამ ასეთი უცნაური პორტრეტის წინ საკმაოდ გაამხიარულა. კიდევ უფრო უკეთეს გუნებაზე დადგა, როცა შეიტყო, რომ ეს მისი მეუღლის პორტრეტი იყო, რომელსაც ესოდენ მოუთმენლად ელოდნენ ორივენი. ევას განწყობილება ცოტა ხანში ჯონსაც გადაედო და ორივემ ხალისიანად დაიწყეს მათ წინაშე წამოჭრილი თავსატეხის ამოხსნა: რა იღონონ? ნუთუ ასე ძნელი აღმოჩნდა ჯონის პორტრეტის (ნამდვილი პორტრეტის!) ჩამოკიდება ამ კედელზე? აი, უკვე მესამე ამშვენებს და, როგორც ჩანს, მეოთხეც დაიდებს ადგილს...

დიდხანს ბჭობდნენ. ჯონმა კიდევ ერთხელ, უფრო დაწვრილებით მოუყვა მეუღლეს, თუ რა შთაბეჭდილება დარჩა ჩარლის სახელოსნოსგან, აუწერა მის მიერ ნახული ტილოებიც. არაფერი ჯონის პორტრეტის მსგავსი იქ არ უნახავს და ეს რატომ შეუსრულებია ასე – გასაკვირველია... აქ რაღაც საიდუმლოება ხომ არ იმალება? ასეა თუ ისე, ჩარლის ნამდვილად შესწევს უნარი, შექმნას ისეთი პორტრეტი, რომელიც ევას მოეწონება ყოველმხრივ. ორი ათასი დოლარი კი წყალს მაინც არ გაატანა, ეკიდოს აქ ეს პორტრეტიც... ყველაზე ჭკვიანური იქნება, დაურეკოს, მერე კიდევ მივიდეს ჩარლისთან და აუხსნას, როგორი ხასიათის პორტრეტი სჭირდება...

7.

და აი ჯონი ისევ მიბობღავს ჭუჭყიან კიბეზე, სხვანაირად შესრულებული პორტრეტი სჭირდება – ევას მოსაწონი... სათქმელად ადვილია, მაგრამ როგორ აუხსნას ეს, როგორ უთხრას ჩარლის, შენს მიერ შექმნილი პორტრეტი ხელს არ მაძლევსო? რა მიზეზი მოიგონოს? არ მგავსო? ის გიპასუხებს: მე ასე გხედავო, ასეთი შინაგანი ანარეკლი მიიღო შენმა სახემო და ვერც გაამტყუნებ... თვითონ ჯონი ხომ ისეთ პორტრეტებს აკეთებს, რომლებიც სრულიად არ უპასუხებენ მსგავსების მოთხოვნას...

ამჯერად კიბე ბევრად გრძელი და ბნელი მოეჩვენა. აი მანსარდის კარიც... ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ შეაღო კარი... სახელოსნოში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იყო.

– დანარჩენები ქალაქგარეთ არიან წასული პლენერზე ეტიუდების შესასრულებლად, – განმარტა ჩარლიმ. გულგრილი გამომეტყველების ქვეშ ცდილობდა, დაეფარა ინტერესი, რომლითაც ის ჯონს აკვირდებოდა. მხოლოდ ხანდახან ძალაუნებურად ეჭუტებოდა თვალები, მაგრამ იკავებდა ღიმილს და გადახედავდა შეგირდებს, რომლებმაც შეწყვიტეს მუშაობა და ცნობისმოყვარედ შეჰყურებდნენ ორივეს.

ჯონი არ ჩქარობდა, მოსვლის მიზანი აეხსნა. არც ჩარლი ეკითხებოდა, როგორ მოეწონა მისი ნახელავი პორტრეტი. ბევრი ილაპარაკეს. როცა ბოლოს ამინდიც ყოველმხრივ დაახასიათეს, ჯონმა ვეღარ გაძლო და ვითომ სხვათა შორის ჩაურთო:

— იცი, ევას ძალიან მოეწონა პორტრეტი, აღტაცებულია, მეც ფრიად ნასიამოვნები დავრჩი... დიახ, დიახ, საერთო გააზრებაც, კოლორისტული გადაწყვეტაც და მთლიანად ყველა კომპონენტი შესანიშნავია. სწორედ ამიტომ ევამ მთხოვა, რომ კიდევ ერთი პორტრეტი შემეკვეთა შენთვის... მრავალფეროვნებისთვის სასურველი იქნებოდა, რომ ჩემი ახალი პორტრეტი შენთვის ჩვეული სტილით შეგესრულებინა... გაქვს ამის საშუალება?

ადრეც — შინ, მერე გზაში და აქაც, სახელოსნოში საუბრის დროს, — ჯონი ცდილობდა, მოეფიქრებინა, თუ როგორ შეხებოდა თავისი მოსვლის მიზეზს და ბოლოს ამგვარი გამოსავალი ნახა... მაგრამ ჩარლის რას გამოაპარებდა! გაეცინა:

— ოჰ, კარგი ერთი, ჯონ! — დაჰკრა მეგობარს მხარზე ხელი. — კარგად ვიცი, როგორც მოგეწონა ჩემი ნამუშევარი, ბიჭებმა მიამბეს! ჰა-ჰა-ჰა!.. ხომ არ გწყენია? ცოტა წავიხუმრე... მაინტერესებდა, როგორ შეხვდებოდი ამ პატარა ექსპერიმენტს... მოგეწონა ხომ? ჰა-ჰა-ჰა!.. ვიცოდი, კიდევ მოხვიდოდი. როგორი ფანდი ჩაგიტარე!.. გავიხსენე ახალგაზრდობა! ხანდახან საჭიროა, ხომ იცი, თორემ სულის სილაღეს ყოველდღიურობის ჟანგი შეგვიჭამს...

ჯონი უცქეროდა ახვიხვინებულ მეგობარს და რა უნდა ექნა? თვითონაც გაეცინა, რასაკვირველია. რატომღაც სულ არ მოსვლია აზრად, რომ ჩარლის შეეძლო, მისთვის ამგვარი ოინი მოეწყო. მით უფრო მხიარულად იგრძნო თავი, რომ ამ მოულოდნელობამ და, ამასთანავე, შვების გრძნობამ მის სულში გადატანილი მღელვარებით დაგროვილი სიმძიმე განაქარვა.

— შე ცუღლუტო, არ იშლი ძველებურ ოინებს?!. — ჯონს სიცილი მოეძალა, ჩარლი ხომ გადაფიჩინდა; ძლივსღა სუნთქავდა წელში ორად მოკეცილი და ცრემლების მოწმენდის თავიც არ ჰქონდა. ჯონს წამდაუწუმ ურტყამდა მხარზე ხელს, თითქმის ჩამოეკიდა.

— ოჰ, მეტი აღარ შემიძლია! — ძლივს მოითქვა სული ჩარლიმ. — მაშინ დაწყებული ტილო აგერ მაქვს ხელუხლებელი. შენ როგორ გეგონა, ერთსაათიანი სეანსი საკმარისი იყო? კი, არიან ისეთი ოსტატებიც, არამცთუ ერთ სეანსში, სულ უნახავადაც შექმნიან პორტრეტს და, ამასთანავე, არც გაიღიმებენ.

— მაშ თანახმა ხარ, ახალი პორტრეტი შეასრულო?

— ხომ გითხარი, მაშინ რომ ესკიზურად კონტურები დავიტანე, მას შემდეგ ხელი არ მიხლია— მეთქი. — ჩარლიმ ჯონი მიიყვანა კუთხეში და ანახვა ის ტილო, რომელზედაც წინა შეხვედრის დროს დაიწყო მისი პორტრეტი.

— აბა სახლში რომ გამომიგზავნე... — დაიწყო ჯონმა.

— ჰა-ჰა-ჰა! მაშ მოგეწონა ხომ? ის ისე, ფანტაზია გავავარჯიშე. ხუმრობა იქით იყოს და, თუ პორტრეტი გინდა, ერთი ათჯერ მაინც მოგიწევს ჩემთან სტუმრობა, თან ჩემს კიბეზე მეხუთე სართულზე ძრომიალი ფრიად მოგიხდება... — და სიცილით მოუთათუნა ხელი ჯონს წინ გამოშვერილ მუცელზე.

— კარგი, რა გაეწყობა... უჰ! როგორ ცხელა ამ მანსარდაში! ზამთარში კი ჯოჯოხეთური სიცივეა, ხომ? — ჯონი სკამზე ჩამოჯდა მაგიდასთან.

— ბევრი ასეთსაც ნატრულობს. ჩემთან მოდიან ხოლმე სამუშაოდ. დღესაც მოვა ერთი მეგობარი, იშვიათი ნიჭის პატრონი, მაგრამ მუდმივი სამუშაო ადგილი არ აქვს. აი, ასეა საქმე... მოდი, პიჯაკი ჩაიცვი და ამ ადგილას დაჯექი, ბარემ გავაგრძელებ შენს პორტრეტს. ლაპარაკს ასეც მოვახერხებთ. იცი რა? უფრო დიდ ტილოზე მინდა ვიმუშაო, მოვამზადე კიდეც. ჰო, მართლა... ჩემს კლიენტებს ძლიერ მოსწონთ რბილი სავარძელი. ახლავე მოვიტან...

ჩარლიმ გამოაღო კედელში დატანებული კარი და გამოათრია რბილი საქანელა-სავარძელი. ჯონი მოხერხებულად მოთავსდა მასში. საკმაოდ ცხელოდა, მაგრამ შეიძლება, ასეთმა წვრილმანმა შეგაწუხოს, როდესაც ორი ათასი დოლარიც გადარჩა და საერთოდაც ყოველივე მშვენივრად მოეწყო!

ჩარლი ახალ დიდ ტილოზე გამალებული მუშაობდა ნახშირით, როგორც ჩანს, უკვე გააზრებული ჰქონდა მთელი სამუშაო; ალბათ რამდენიმე დღის განმავლობაში ფიქრობდა, როგორ გადაეწყვიტა პორტრეტის კოლორიტი, კომპოზიციური მხარე, მცირე დეტალებიც კი. სწორედ ამიტომ დასჭირდა საქანელა-სავარძელი და ტილოს ფორმატის გადიდება; ასე რომ, ერთ საათში უკვე მოხაზა ნახშირით კონტურები და მარჯვენათი ფუნჯს დასწვდა, მარცხენათი პალიტრა დაიჭირა, რომელზეც წინასწარ გამოწურა-განალაგა საჭირო საღებავები. ფუნჯით ფართოდ და ლაღად მუშაობდა, და როცა კიდევ ერთ საათში ჯონმა მუხლის გასამართავად გაიარ-გამოიარა მანსარდაში, ტილოზე იხილა უკვე თითქმის დასრულებული პორტრეტი. თვითონაც ხომ ძლიერ სწრაფად მუშაობდა, მაგრამ ჩარლის მუშაობის ტემპმა განაცვიფრა.

– ჩარლი, ჩემი ათჯერ მოსვლა აქ რაზე გჭირდება? – ჰკითხა ჯონმა ჩარლის. – პორტრეტი თითქმის მზადაა. დიდი-დიდი კიდევ ერთი სეანსი დაგჭირდება. უხეშად ნაწერს წმინდად გამოიყვან და გამოკვეთ, დაწმენდ...

– არაფერი მაგის მსგავსი; მე შემიძლია, დღესვე დავამთავრო, მაგრამ განა ეს ნამდვილი პორტრეტი იქნება? – უპასუხა ჩარლიმ. – მუშაობის პროცესში ბევრჯერ დასჭირდება გადასწორება, გადაწერა, ახალ-ახალი იდეები მეწვევა... და მერე, სახეზე ძალიან რთული მუშაობა მომელის. ყველაზე მეტად ამ მთავარ მხარეზე მომიხდება თავის მტვრევა, ისევ და ისევ შესწორება... აქ შესაძლოა, ალაგ-ალაგ გავაუხეშო კიდეც და არა დავაკონკრეტო, როგორც შენ გგონია. რაო, შენ ხომ არ გინდა, რომ ცოლმა ისევ ვერ გიცნოს? – გაეცინა ჩარლის. – შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი გარეგნული დასრულებულობის მიუხედავად, ჯერჯერობით ეს მაინც ეტიუდია...

ჯონმა ცხვირსახოცი ამოიღო და სახე შეიმშრალა. ჩარლიმ მოლბერტი სკამზე დადო.

– კარგი, ჯონ, დღეისთვის გვეყოფა. ხვალ სულ სხვა თვალით შევხედავ, ახლებურად დავინახავ ავ-კარგს...

8.

ამ დღიდან მოყოლებული ჯონ კამპბელი მანსარდის ხშირი სტუმარი გახდა. მხოლოდ პოზირება არ იყო ამის მიზეზი: როგორღაც უცებ და ძლიერად დაინტერესდა ჩარლი ვებსტერის ნამუშევრებით, მისი მუშაობის თავისებურებებით; რამდენიმე მისი ნამუშევარი, რომლებიც განსაკუთრებით გამოარჩია, შეიძინა კიდეც. რომ გეკითხათ მისთვის, თუ რამ გაიტაცა კონკრეტულად მისი მეგობრის ტილოებში, ალბათ ბევრი ფიქრი დასჭირდებოდა პასუხის გასაცემად. უპირველეს ყოვლისა, ერთმა სურათმა მოაჯადოვა. ერთი შეხედვით არაფრით იყო ეს ტილო სხვებისგან გამორჩეული, ძალიან უბრალოდ შესრულებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მართლაც, რა უნდა იყოს რომანტიკული ან დრამატული, ან თუნდაც ლირიკული, ან უბრალოდ საინტერესო დასავლეთ სანაპიროს ამ პატარა ქალაქის მივარდნილი ქუჩის ხედში? ზღვა არ ჩანდა, მაგრამ ჯონისთვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ ეს ნამდვილად დასავლეთ სანაპიროს ქალაქი იყო. ყველაფერი, ყველაფერი, უმცირესი დეტალიც კი, არწმუნებდა ამაში, მაგრამ არწმუნებდა არა განცალკევებით, არამედ ერთ მთლიანობაში ქუჩის მთელი მრავალფეროვნებისა. უეჭველი იყო აგრეთვე, რომ ეს ქუჩა ერთ-ორსართულიანი ღია ფერის სახლებით, გაზონებით სახლების წინ, ქუჩის ასფალტით და გამვლელებით, შორეული მთებით და ღრუბლებითაც კი დანახული იყო ბავშვის თვალით. შეიძლება ეს ილუზია იყო, რადგან ბავშვობის შემდეგ ჯონს არ უნახავს ის ადგილები, სადაც გაიზარდა, სადაც დაეხეტებოდა ქუჩებში ჩარლისთან ერთად და უყურებდა, აკვირდებოდა ყველაფერს გარშემო. აი სწორედ ისეთი თვალებით, როგორითაც ახლა მისჩერებია ამ ტილოს და თითქოს გრძნობს ასფალტის სიმხურვალეს, მთელი უბნის სახეს, რომელიც თითქოს არ უნახავს არასდროს, მაგრამ მაინც რაღაცით ახლობელია, შინაურულია და რატომღაც გასაკვირვებლად ჰგავს იმ ქალაქის უბანს, სადაც ჯონი იზრდებოდა ჩარლისთან ერთად. იქნებ მცხუნვარე მზე იყო ასეთივე მის ყრმობაში? ან იქნებ ასეთსავე აფთიაქში შევიდოდა ხოლმე "ცხელი ძაღლის" – სოსისიანი ბუტერბროდის – საჭმელად? თუ გარემო მთების ფონი მისი ქალაქისა ასეთივე იყო? უბრალო ქუჩაა, არცთუ მთლად სუფთა; რეკლამები იშვიათია, მაგრამ სწორედ ისეთი, როგორიც შენს სულსა და გულში აღიბეჭდა; დიდი ხნის განშორების შემდეგ ქუჩის ყოველი კუნჭული, ყოველი წვრილმანი – დაკოჟრილტანიანი ბებერი ხე იქნება თუ თუნდაც გვერდზე გადახრილი ნაცნობი ტელეგრაფის ბოძი (ახლა სადღა შეხვდები მაგგვარს!), რომელზედაც ხშირად მიგიდია ყური და მისი ზუზუნა "ლაპარაკი" გაგიგონია – ყველაფერი, ამდენი ხნის უნახავი, გიჩვილებს გულს... მზად ხარ, დაუსრულებლად უყურო, იმიტომ, რომ ეს შენთვის მშობლიურია. იგი სადღაც შენი გონების კუნჭულში განზოგადებული სახით იყო აღბეჭდილ-შენახული და პატარა ბიძგი სჭირდებოდა, რათა მდიდარი ასოციაციები გამოეწვია შენში; ამ პატარა ქალაქის ცხოვრების რიტმი, ყოფიერების ატმოსფერო – დანახული მოზარდის თვალით...

და ჯონს უნებლიედ შეშურდა ჩარლის ამ უნარისა, რომ თავისი გრძნობა ეწილადებინა სხვებისთვის, განეცდევინებინა თავისი დანახულ-ნაფიქრალი. როგორ, რა ხერხებით აღწევდა ამგვარ ჯადოქრობას ჩარლი ასეთ ჩვეულებრივ სურათში – აი, რაზე ფიქრობდა ჯონი...

ფერით? მაგრამ მას საკუთრივ ხომ ბევრჯერ უხმარია ამაზე უფრო მძაფრი ფერები, დაძაბული გამა, კონტრასტების ფოიერვერკი... არა, ალბათ მთავარია ძლიერ გრძნობდე სურათის შექმნის დროს, ამოტივტივებულ წარმოდგენებს, გრძნობებს აქსოვდე ტილოს შექმნაში. არასდროს თავისი ნაწარმოების ხელმეორედ ცქერისას არ განუცდია იგივე, არ გასცოცხლებია გულში ტილოს შექმნის დროს გადატანილი ასოციაციები. მაშ რაშია საქმე? საითაც გაიხედავდა, უპასუხო კითხვები კედელივით იყო აღმართული...

ჯონი უკვე ყოველ დილით იმ სურვილით დგებოდა, რომ ერთხელ კიდევ ენახა ჩარლის ნამუშევრები, იქნებ დღეს მაინც მიეკვლია იმ საიდუმლოსთვის, რასაც ჩარლი ფლობდა. მისი პორტრეტი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ჩარლი სულ ფეხს ითრევდა, არ აძლევდა. ხან ერთ დეტალს შეასწორებდა, ან რაიმე შტრიხს დაუმატებდა და როგორც ჯონი ფიქრობდა, ტყუილად აწვალებდა ნამუშევარს, რადგან მაინცდამაინც ბევრს არაფერს ცვლიდა უკვე დამთავრებულ პორტრეტში და მხოლოდ შეეძლო, გაეფუჭებინა. ერთ სეანსზე კი ჯონმა განცვიფრებით დაინახა, რომ ჩარლიმ დაიწყო პორტრეტზე გამალებული ფუნჯის სმა. მივიდა მოლბერტთან. ჩარლის გადაეწყვიტა, ოდნავ შეეცვალა ჯონის თავის პოზა და მთელ სამუშაოს თითქმის თავიდან აკეთებდა. პორტრეტის თავიდან გადაწერა ოდნავი ცვლილების გულისთვის! მაგრამ ამის შემდეგაც კარგა ხანს აწვალა ჩარლიმ ჯონი, სანამ ოდნავ მაინც კმაყოფილი დარჩებოდა თავისი ნამუშევრით.

უჰ, როგორც იქნა! ჯონმა შვებით ამოისუნთქა, როცა დაადგა საშველი და თავისი პორტრეტი საკუთარ სახლში იხილა. თან ჩარლის უთხრა, ლაქით მე დავფარავო, რადგან ეშინოდა, ჩარლი კიდევ უსასრულოდ გააგრძელებდა შესწორებებს. და აი ჯონი შესცქერის თავის პორტრეტს, სწორედ იმ ადგილზე ჩამოკიდებულს, სადაც ჯონის წინა სამი პორტრეტი ეკიდა. პორტრეტიდან კი მნახველს უცქეროდა კედელთან საქანელა-სავარძელში ნებიერად ჩამჯდარი ჯონი, უკან კედელზე კი რამდენიმე აბსტრაქტული ნამუშევარი ჩანდა. ჯონი კმაყოფილი იყო პორტრეტით, სწორედ ასეთად წარმოუდგებოდა – აქ ნათლად ჩანდა მეტრის ხასიათი, უშფოთველი ბუნება, ეს იყო ნამდვილად მრავალმხრივ ცხოვრებაგამოცდილი, ფილოსოფიურად განსწავლული მხატვრისა და მასწავლებლის ცოცხალი განსახიერება. რაც მთავარი იყო, ევასაც მოეწონა ჩარლის ნამუშევარი, – ახლა კი ყველა გიცნობსო, სიცილით თქვა. მერე ჯონმა მოისმინა მეგობრების აღტაცებული შეფასება, მილოცვა ესოდენ შესანიშნავი პორტრეტის გამო; ზოგიერთები კითხულობდნენ ჩარლის მისამართს და ხმამაღლა გამოთქვამდნენ სურვილს, შეეკვეთათ იმავე ფერმწერისთვის რაიმე (სხვათა შორის, არც ერთ მათგანს შემდგომში ჩარლი არც გახსენებია). რამდენჯერაც მოუხდებოდა გავლა ჯონს ამ ოთახში, იმდენჯერ შეხედავდა თავის გამოსახულებას და გაეღიმებოდა, რადგან ყოველ სტუმარს ევა უპირველესად იმ პორტრეტს ანახვებდა და ჰკითხავდა: "ხომ კარგია? როგორ ჰგავს, არა?" ყველა ხაზგასმით აღნიშნავდა უდავო მსგავსებას, თუმცა განსაკუთრებით განსწავლული, საქმეში ჩახედული და გემოვნებიანი ინტელექტუალები მცირეოდენ შენიშვნებსაც გამოთქვამდნენ. მაგალითად, ერთ მათგანს არ მოეწონა თვით პრინციპი გამოსახვისა – ფოტოგრაფიზმი ჩანსო, მეორე კი, პირიქით, ამბობდა: თუ მხატვარმა მსგავსების გადმოცემა დაისახა მიზნად, ბარემ უფრო ზუსტად უნდა აესახა ორიგინალიო. ეს ორი "გურმანი" ბოლოს ისე გაფიცხდა კამათში, რომ მათი დაშოშმინება თითქოს აღარაფერს შეეძლო ამ ქვეყანაზე, მაგრამ მხიარულმა ევამ იპოვა გამოსავალი: "იჩქარეთ, იჩქარეთ, სანამ ნაყინი არ გამდნარა, გაუმკლავდითო" და ფრიად პატივსაცემ ხალხს მოუხდა ბჭობის შეწყვეტა, რადგან შოკოლადის ნაყინს ისევე სცემდნენ პატივს, როგორც ხელოვნების ყველაზე უფრო რაფინირებულ გამოვლინებას...

რა გახდა ბოლოს და ბოლოს ეს პორტრეტი! ჯონმა შეამჩნია, რომ უცნაური რამ ემართებოდა. თანდათანობით პორტრეტი მასში გაღიზიანებას იწვევდა და, ამასთანავე, მოსწონდა კიდეც, აი წინააღმდეგობა! მოსწონდა და არც მოსწონდა! მაინც კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ჯონის უკმაყოფილება? ეს თვითონაც არ იცოდა. იმას კი გრძნობდა ქვეცნობიერად, რომ პორტრეტი ისეთი არ იყო ობიექტურად, როგორც თვითონ აღიქვამდა, ესე იგი, სხვები ჯონისგან განსხვავებულად აღიქვამდნენ პიროვნებას, რომელიც ტილოზე იყო გამოსახული. ჯონის სულში რაღაცნაირი ბუნდოვანი აზრი ტრიალებდა, რომ მას აღქმაში ხელს უშლიდა ის, რასაც საკუთარ თავზე ფიქრობდა: რადგან პორტრეტში დიდი მსგავსება იყო მიღწეული ჯონ კამპბელთან, ამიტომ ჯონი ამ პორტრეტს ავტომატურად, ძალაუნებურად იმ ფსიქოლოგიური წყობით მოსავდა, რომელიც დამახასიათებელი ეგონა საკუთარი პიროვნებისა... მაგრამ სხვები ხომ, შესაძლებელია, სულ სხვაგვარად უყურებენ! მათ ხომ არ იციან, სინამდვილეში როგორია ჯონი, ისინი ამის შესახებ მხოლოდ პორტრეტის მიხედვით მსჯელობენ...

გაუფორმებელი, ჩამოუყალიბებელი ფიქრები დროდადრო იმდენად იტაცებდნენ ჯონს, რომ საათობით იდგა პორტრეტის წინ, აკვირდებოდა, და ვერაფრით გარკვეული წარმოდგენა ვერ ჩამოუყალიბდა. პირველად კი როგორ მოეწონა პორტრეტი! არა, არც ახლა იტყვის, ტყუილად გადაყარა ამ სურათში ფულიო, მაგრამ... მაგრამ თანდათანობით იმ აზრამდე მივიდა, რომ ტილოზე გამოსახული კაცი სრულებითაც არ უნდა იწვევდეს ბრძენი ადამიანისა და მოქალაქის, გამოცდილი მხატვრისა და მასწავლებლის შთაბეჭდილებას; ეს ნებიერად გაშხლართვა საქანელა-სავარძელში უფრო ფუქსავატობისა და ზერელე ხასიათის მანიშნებელია... ოდნავ დამცინავად დალაგებული ტუჩები, აგდებული, ჩვეული მზერა... ჰო, ყველაფერი ღარიბულ მანსარდაში ყოფნით არის გამოწვეული, თვალების უკმაყოფილო მოჭუტვა – ცხელი, დახუთული ჰაერით... ჰმ, თუ – კმაყოფილების, სიმშვიდის, საღი აზროვნების გამომხატველია?.. ჯონს უნდოდა, ამაში დარწმუნებულიყო; პირველად თითქოს წარმატებითაც ჩააგონა ამგვარი გაგება პორტრეტისა საკუთარ თავს და მაინც სადღაც გულის კუნ-

ჭულში გრძნობდა, – დროებით, მხოლოდ დროებით იყო მიმალული სხვანაირი, უფრო სწორი და არასასიამოვნო, მაგრამ ობიექტური სინამდვილე. უნდოდა, დავიწყებოდა ის, ან არ გამოეშვა იქიდან, არ ეფიქრა მასზე, ამ სინამდვილეზე, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც უნდა სხვანაირადაც შეეხედა ამ საკითხისთვის, რადგან სულ ამაზე ფიქრობდა და ვერსად წაუვიდოდა. ილუზია დიდხანს ვერ გასტანდა.

ბოლოს, მოიკრიბა სიმამაცე და დაეკითხა საკუთარ "მე"-ს: მაინც ჰქონდა თუ არა მორალური უფლება, გაქცეოდა პორტრეტის მიუკერძოებელ შეფასებას? ამ კითხვის დასმა უკვე გამარჯვებაც იყო და დამარცხებაც. გამარჯვება იმიტომ, რომ საკუთარ სისუსტეს სძლია, უფლება მისცა კრიტიკულ თვალს, დაენახა მისთვის გულსატკენი სინამდვილე. დამარცხება კი იმიტომ, რომ პორტრეტში დაინახა სულ სხვა ადამიანი... და, რაც ყველაზე მძიმე ასატანი იყო, საკუთარ თავშიც... უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა მისთვის: პორტრეტიდან გამომზირალი კაცის სახის გამომეტყველება გამოწვეულია არა მანსარდის სიღატაკით, არამედ აჯამებს ჯონის ზერელე შეხედულებას ყველასა და ყველაფერზე, ერთგვარ ამპარტავნობასა და ზვიადობასაც კი. ყველაფერ ამას სულ თან დაატარებს და, რაც ყველაზე განსაცვიფრებელია, აქამდე არც კი იცოდა ამის შესახებ... როგორ, ნუთუ? ნუთუ მთელი სიცოცხლე ასეთი იყო და მხოლოდ ახლა იძულებულია, აღიაროს? რატომ ადრე ვერ შეამჩნია? ამბობენ, სხვა უკეთ ხედავსო. ამ შემთხვევაში კი თავიდათავი მაინც ისაა, რომ არასდროს სერიოზულად არ დაფიქრებულა ცხოვრების ჭირსა და ლხინზე, აწმყოსა და მომავალზე... დამოუკიდებელი აზროვნება, აი რას არ მიეჩვია; სიძნელეების გვერდის აქცევა – აი რამ გამოიწვია შედეგი... კმაყოფილება ყველაფრით – რადაც უნდა დამჯდარიყო და საბოლოოდ – თვითკმაყოფილება.

და რა სრულყოფილად ჩანს ეს ჩარლის მიერ შესრულებულ პორტრეტზე! იოლი გზით წარმატების მიღწევა სწორედ ამგვარ პიროვნებას ააცილებდა ყოველგვარი თავსატეხი პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას. დიახ, სწორედ ასეთ ადამიანს. წამოიჭრებოდა რაღაც საკითხი, რომელიც სიმშვიდის დაკარგვით იმუქრებოდა? საჩქაროდ მოვიშოროთ თავიდან და ყველაზე მოკლე და უმტკივნეულო გზით! რაც შეიძლება მალე!.. კომპრომისი, დათმობაზე წასვლა – აი საფეხურები. ფულია საჭირო? ადვილად შეიძლება შოვნა! ათ-თხუთმეტ წუთს გაცხოველებული წათხიპნა ტილოზე ფუნჯისა, ირეალური წარმოდგენების აღბეჭდვა, – და სურათიც მზად არის! კარგადაც საღდება და კრიტიკოსებსაც მოსწონთ. ჭკუა აქვს ახლა იმას, ვინც წლობით ავარჯიშებს თვალსა და ხელს და საბოლოოდ მხოლოდ ცდილობს, ფოტოგრაფს შეეცილოს? ახლა კი უცებ აღმოჩნდა, რომ ტყუვდებოდა...

რატომ მოხდა ასე? ჯონი იხსენებდა განსწავლის წლებს, საოცნებო წარსულ დღეებს, ახალგაზრდული სიცხოველით, უდარდელობითა და მხიარულებით აღსავსე დღეებს... პარიზი... სწორედ მაშინ გაიყარა ჩარლისა და ჯონის გზები. ჰო, მხიარული დღეები, უდარდელი, ხშირად მეტისმეტად უდარდელი და მომქანცველად მხიარული... და გრძნობა სამყაროს უძლურებისა და მოუწყობლობისა, ყოველივეს წარმავლობისა... ამ დროს სასაცილოდ მიგაჩნდა ჩარლის მომაბეზრებელი პუნქტუალობა: ყოველგვარ ამინდში, ყოველგვარი განწყობილების დროს მუშაობა, მუშაობა და მუშაობა... ლუვრში დღეობით გადაკარგვა... თავაუღებელი კითხვა, კითხვა ყველაფერზე და ყოველივეზე – ფერწერაზე და თეატრზე, ფილოსოფიაზე და ბუნებისმეტყველებაზე, პოლიტიკაზე და ესთეტიკაზე... ხანდახან – გაქრობა ამხანაგების თვალთაგან; სად იყო, რატომ, რას აკეთებდა – ღმერთმა უწყის... და ყველაფერი ეს მაშინ, როცა პარიზში ცხოვრობ, მხიარულ პარიზში! სიცოცხლე კი ასე ხანმოკლეა, ყველაფერი უნდა ნახო, ყველაფერი გამოსცადო, დაწყებული კაბარეებით და დამთავრებული სადისკუსიო წრეებით. რა გაცხოველებული კამათი იმართება მხატვრებს შორის, რა ნაირ-ნაირი სკოლები, განსხვავებული შეხედულებებია! მართალია, ჩარლიც ხშირად ესწრება ამ დისპუტებს, მაგრამ იშვიათად ებმება პაექრობაში, მხოლოდ ყურადღებით უსმენს ექსტაზში შესულ ორატორებს. "ჩვენმა წინაპრებმა უკვე ასახეს ყოველივე"; "აქ ახალს ვეღარაფერს იტყვი და მომაბეზრებელიცაა"; "სულ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე, რასაც ჩვენ თვითონ ყოველდღე ისედაც ვხედავთ"; "ამის აღბეჭდვა ფოტოგრაფების პრივილეგია იყოს, ჩვენ კი არ უნდა ჩამოვრჩეთ ჩვენს ეპოქას"; "განა ძველი ხერხებით შესაძლებელია ადამიანის ყველაზე იდუმალი აზრებისა და ზრახვების გამოსახვა ტილოზე?"; "ადამიანის ცნობიერება და ქვეცნობიერება აბსტრაქტულია, ამიტომ გაუმარჯოს ახალ მიდგომას მათ გამოსახატავად!" "წარმოსახვისა და ცნობიერების აღბეჭდვა ტილოზე – ეს იქნება უდიდესი ცდა, ნოვატორობა, მხატვრის სულის ანარეკლი, ცდა, მივუახლოვდეთ შეუცნობადის, ფილოსოფიურის, ძლიერი და შეუკავებელი შინაგანი ინსტიქტებისა და ლტოლვის, ირაციონალურის გამოსახვას..." რა საინტერესოა! რა ორიგინალური! და რა... ადვილი! ფუნჯით ტილოზე გაუსვ-გამოუსვი და შენი შინაგანი მდგომარეობის შესატყვისობა რა უბრალოდ მიიღება! მერე როგორ შეიძლება, არ დასცინო ჩარლის, რომელიც სკეპტიკურად შეჰყურებს ამ ურიცხვ მიმდინარეობებს და სკოლებს... და ამ დატოტვილ ხეზე არც ერთი ნაყოფი არ მოეწონა ჩარლის! ჯონი კი ხან ერთს გასინჯავდა, ხან – მეორეს, ბოლოს კი საკუთარი მიმდინარეობის დაარსება ამჯობინა. უნდოდა, ჩარლიც ყოფილიყო მის მიმდევართა შორის, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ახალგაზრდა მხატვართა და მო-

ქანდაკეთა პრეტენზიული და მყვირალა დეკლარაციებისგან განსხვავებით, უხმაუროდ განაგრძობდა ერთხელ დაწყებული მიმართულებით სიარულს, ყურადღებას არ აქცევდა არც დაცინვას და არც კეთილი გულით გაკეთებულ რჩევებს.

“ფორმები, ფერები, ხაზები, მასალის ფიზიკური ელემენტები გამოსახვის დამოუკიდებელი, ინდივიდუალური საშუალებები ხდებიან, რომლებიც უშუალოდ გრძნობებს მიმართავენ და მხოლოდ გრძნობათა მეშვეობით – გონებას, მსგავსად ბგერებისა მუსიკაში”, – უჩიჩინებდნენ მას, ის კი მხოლოდ იღიმებოდა, საოცრად არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი.

9.

ევა გაკვირვებით ამჩნევდა, რომ მისი მეუღლე თითქმის ყოველდღე საათობით იდგა ჩარლის მიერ შესრულებული პორტრეტის წინ; ხან მიშტერებული აკვირდებოდა, ხან კი თავჩაქინდრული რაღაც ფიქრები იტაცებდა. ამ დროს რომ დაეძახა ცოლს ჩარლისთვის, ძნელად თუ მიიქცევდა მის ყურადღებას. მაშინ ევა მივიდოდა და ხელს მოჰკიდებდა, ჩარლი კი უაზროდ შეხედავდა და ძლივს გაიგებდა, რომ უკვე სადილობის დრო იყო. ჩუმად შეჭამდა, შემდეგ ადგებოდა მაგიდიდან და დივანზე წამოწვებოდა, მაგრამ აღარ იძინებდა, როგორც ჩვეულებრივ აკეთებდა. ევას კითხვაზე, ავად ხომ არ ხარო, მოისვამდა გვერდზე და დიდხანს ეალერსებოდა, თითქოს უნდოდა, გაქცეოდა განუწყვეტელ ფიქრებს. ზოგჯერ კი გამოცოცხლდებოდა მცირე ხნით, ჩაისვამდა მანქანაში ცოლს და თუ წინათ გაიქროლებდა ქალაქგარეთ, ახლა დააყენებდა სადმე ქუჩაში მანქანას და ერთი ბარიდან მეორეში გადადიოდა; უკან მანქანა უკვე ევას მოჰყავდა ხოლმე. მეორე დილით კი დიდხანს აღარ დგებოდა ლოგინიდან, გაღვიძების შემდეგ ჭერზე თვალებმიშტერებული ისევ რაღაც ფიქრები გაიტაცებდა. მერე უცებ წამოხტებოდა და ნახევრად ჩაცმული ისევ პორტრეტს მიაშურებდა. ძველებურად იყურებოდა პორტრეტიდან ჩარლის გამოსახულება, ისევ ისეთი, უცვლელი, მაგრამ ჩარლის ეჩვენებოდა, რომ ახლა სულ სხვანაირი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ღამით ვიღაცამ შესწორებები შეიტანა. თუ წინათ სურათზე გამოსახული იყო უზრუნველი, სიწყნარისა და მოსვენების მოყვარული ადამიანი, ახლა სავარძელში ნებიერად გაწოლილი კაცი სიბრალულს იწვევდა. რატომ სიბრალულს? საკვირველია! ჯონი კიდევ და კიდევ უყურებდა პორტრეტს. ერთი შეხედვით, პორტრეტზე გამოსახული არ იწვევს ამგვარ ემოციას... ეს ქალური ნაზი ნიკაპი ალბათ სუსტ ნებისყოფას უჩვენებს. მაგრამ რა შუაშია სუსტი ნებისყოფა და სიბრალული?.. თვალები... ნუთუ ასეთი სევდიანი თვალები აქვს? თუ თვითონ ეჩვენება და სხვები სულაც არ ხედავენ ამ ჩაფიქრებულ თვალებს, ბედით უკმაყოფილებას, მიზნის მიუღწევლობით გამოწვეულს?.. რა უკმაყოფილებაზე შეიძლება ლაპარაკი? მას ხომ ყველაფერი აქვს, რისკენაც მიილტვოდა მთელი სიცოცხლე და საბოლოოდ მიაღწია კიდეც. მიაღწია? ჰო, ბინა აქვს? მშვენიერი. სახლი? საყვარელი ცოლი? სახელი და დიდება? ყველაფერი აქვს. მაშ კიდევ რა უნდა? მაგრამ განა მხოლოდ იმისთვის ცხოვრობს ამ ქვეყანაზე, რომ რაღაც შეიძინოს, რაც აკლია – შეავსოს... რა მიზნით ცხოვრობს ადამიანი? მარადიული კითხვაა... მას ეგონა, რომ ხელოვნებისთვის იყო დაბადებული, ის მისცემდა სიხარულსაც, ახლის გრძნობასაც, განუწყვეტელ განახლებას და, საბოლოო ჯამში, კმაყოფილებას. კმაყოფილებას იმით, რომ შექმნა ისეთი რამ, რაც მას, მხოლოდ მას შეეძლო გაეკეთებინა საკუთარი ხელით; გადმოეცა თავისი სული, ინდივიდუალობა... ვისთვის? ადამიანებისთვის, რასაკვირველია, სხვების განსასჯელად. აი, როგორც თვითონ შეჰყურებს ახლა პორტრეტს. მაგრამ მისი ნამუშევრები იწვევენ კი სხვებში ამდენ ფიქრებს? საინტერესოა... უფრო ალბათ სილამაზის, ფერების თამაშის და ექსტრავაგანტობის ანაბეჭდს სტოვებდა მნახველთა თვალსა და გულში. აქ, ამ პორტრეტში კი, მისი არა მარტო გარეგნობაა მოცემული, არამედ ფსიქოლოგიაც. და, როგორც ჩანს, თუ გარეგნული მსგავსება არ არის მიღწეული, ტყუილი იქნება ფსიქოლოგიურ პორტრეტზე ზრუნვაც. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, ადრე ბევრჯერ უჩიჩინიათ მისთვის, მაგრამ მხოლოდ ახლა ჩაწვდა მას და სამწუხაროა, რომ ამდენმა წელმა ფუჭად ჩაიარა... გვიან გაიგო, გვიან ჩაწვდა... მეორეს, მხრივ, ფოტოგრაფიზმის პრინციპი? ხომ ბევრჯერ უნახავს ჯონს საკუთარი ფოტო, შეიძლება იქ ნატურისადმი ფაქტიური შესატყვისობა და პროპორციები უკეთ იყო დაცული და მაინც არასდროს გამოუწვევია მისი თვალიერებისას მისწრაფება – ღრმად გარკვეულიყო გამოსახული ადამიანის პიროვნებაში. ამ პორტრეტზე მხატვარმა კი არ გადაიღო განურჩევლად მთავარი და მეორეხარისხოვანი ნიშნები მოდელისა, არამედ ღრმად გაანრებულად, პლუს ინტუიციითა და გრძნობით მიგნებული ნიშნები წინ წამოსწია, ხაზი გაუსვა ფერების შერჩევითა და განაწილებით...

ჯონი გააოგნა იმ აზრმა, რომ ამ პორტრეტმა მას საშუალება მისცა, ჩაეხედა საკუთარ სულში! უკეთ გარკვეულიყო საკუთარ თავში, საკუთარ გრძნობებსა და მისწრაფებებში! ჰო, პორტრეტზე გამოსახული ადამიანი ზერელე ხასიათის კი არ არის, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოეჩვენოს, არამედ ცხოვრების მომავალ გზაში ჯერ კიდევ დაურწმუნებელი, მერყეობითა და სევდით დატვირ-

თული ადამიანია. ტუჩების მწარე ნახაზიც, თვალების იდუმალი ნაღველიც გამოხატავენ ღრმა უკმაყოფილებას ცხოვრების ერთფეროვნებით, დიდი მიზნის უქონლობით: აბსტრაქტული ფსიქოსუბიექტივისტების სკოლა უკვე ბავშვურ გასართობად ეჩვენებოდა. განა შეიძლება, კმაყოფილება მოგანიჭოს ისეთი ტილოს შექმნის პროცესმა, რომლის დროსაც არ გჭირდება დაფიქრება, აწონ-დაწონა, ძებნა, ძველის შეცვლა ახლით, მიგნებულით... მოკლედ, გონებისა და გრძნობის დაძაბვა – და რაც უფრო მეტი სიძნელე გხვდება, რაც მეტი სულიერი და ფიზიკური ძალღონის დაძაბვა გიხდება, მით უფრო მეტია საბოლოოდ დასახული მიზნის მიღწევით გამოწვეული სიხარული. ახლა კი ხედავდა ჩარლის მიერ მისი პორტრეტის განუწყვეტელი გადაკეთება-გადამუშავების მიზეზს. თვით მუშაობის, ძიების ხშირად მომქანცველი და მტანჯველი პროცესი შეადგენდა ჩარლისთვის საფასურს მისი ჩანაფიქრის ფრთაშესხმით გამოწვეული უდიდესი კმაყოფილების გამო. ყოველდღე სულ ახალ-ახალი სამუშაო ელოდა ჩარლის, ახალ-ახალი გადასაჭრელი თავსატეხი, ახალ-ახალი თემები და შესაბამისი ფორმის ძიება.

საწყალი, საწყალი... უყურებდა ჯონი თავის გამოსახულებას და ვერაფრით მოეშორებინა ეს გრძნობა. თუ ეჩვენება? ღამით ძილშიც კი ეზმანებოდა პორტრეტის სევდიანი თვალები. ერთხელ სიზმარში პორტრეტმა თვალები კიდევ უფრო მოჭუტა, წამოიწია და სწორად დაჯდა საქანელა-სავარძელში. "შენ, შენ ხარ დამნაშავე!" – აიქნია ხელი და კედლის წინ მდგომი ჯონის სახესთან მუშტი დაატრიალა. შეძრწუნებულ, თვალებგაფართოებულ ჯონს უნდოდა, ამ საშინელებისთვის თავი დაეღწია, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა, ადგილზე გაქვავდა და ვერც ხმას იღებდა. "არ გინდოდა დიდი შრომა, არ გინდოდა ფიქრი, აჰყევი სხვებს! შენი ბრალია, შენი!" – ღრიალებდა პორტრეტი უხმოდ, მისი ღორბლები ჯონს ეწვიმებოდა სახეზე, მოჭუტულ თვალებში გაელვებული ნაპერწკლები აბრმავებდნენ, სუნთქვა შეეკრა. "ამისთვის მე შენ დაგსჯი! უქნარა! ზარმაცო! ვეღარ-ცერთ ტილოს ვეღარ შექმნი შენს სიცოცხლეში!" – გრუხუნებდა პორტრეტი და სავარძლიდან წამომდგარი, გაავებული სახით მოიწევდა ხელების ქნევით ჯონისკენ...

ჯონს გაეღვიძა, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, სულ ოფლად იყო გაღვრილი. სინათლის აუნთებლად წამოდგა, რომ ევა არ გაეღვიძებინა და სამზარეულოში გავიდა, ცივი წყალი დალია. "გადამრევს ეს პორტრეტი!" – ჩაილაპარაკა თავისთვის.

– რა ამბავი იყო, რას დაბორიალობდი შუაღამეს? – ჰკითხა დილით ევამ.

– გაგაღვიძე? ძილში ხომ არ ვყვიროდი? ღმერთმანი, ჩემი ბრალი არ არის, ეს ალბათ ჩემი ორეული გადმოვიდა პორტრეტიდან და იმან შეგაწუხა, – მწარედ გაიღიმა ჯონმა.

– ჩამოვხსნათ კედლიდან და სადმე შევინახოთ ეგ სურათი, თორემ, როგორც ვატყობ, სულ მის წინ დგომას მოუნდები და საკუთარ ტილოებს ვეღარ შექმნი.

– აღარ მოგწონს?

– მე კი მომწონს, მაგრამ შენ მეტისმეტი მოგდის. პორტრეტი ძალიან კარგია, მესმის, მაგრამ ნუთუ აღარ მოგწყინდა საკუთარი გამოსახულების ამდენი თვალიერება?

– არა, მაგაში არ არის საქმე...

– ჯონ, ხომ იცი, ახალი მანქანა უნდა შევიძინოთ, მერე შენ დამპირდი, ევროპაში ვიმოგზაურებთო... ბევრი ფული დაგვჭირდება.

– იცი რა? მოდი, ეს პორტრეტი გავყიდოთ...

ევამ გაკვირვებით შეხედა ქმარს. ძლივს დაარწმუნა ჯონმა, რომ ის სრულიად სერიოზულად ლაპარაკობდა. თუმცა მისთვის მეტისმეტად ძნელი იყო და თითქმის შეუძლებელიც რაიმე საფუძვლიანი არგუმენტი მოეტანა ცოლისთვის, შინაგანად სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობა. მაინც რა ჯანდაბად აეკვიატა პორტრეტზე ფიქრი? იქნებ ჩარლიმ ახლაც დასცინა და ის კი სხვადასხვა გაგებას ეძებს, თავს ფუჭად იმტვრევს...

ელაპარაკებოდა ცოლს და ამ დროს უკვე არსებით სულ სხვაგან იყო, ფიქრობდა პორტრეტის გასაღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. როცა ამ პორტრეტს მოიცილებს თავიდან, იქნებ მაშინ მაინც შეძლოს, ისევ განაახლოს მუშაობა საკუთარ სურათებზე... ის კი ძალიან ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი, რა სახის ნაწარმოებებზე იმუშავებდა, როგორ ფორმას მისცემდა; ძველებური სტილით მუშაობაზე უკვე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

10.

როცა შემდეგში დაიწყო გამოძიება მომხდარი ამბისა, ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლებმა ნელ-ნელა ბევრი რამ გაიხსენეს...

ეს კაცი მათ კარგა ხანია, განსაკუთრებით გამოარჩიეს. და ძნელიც იყო, არ მიექცია მათი ყურადღება: თითქმის ყოველ დილით იდგა შემოსასვლელთან და მუზეუმის გაღებას ელოდებოდა. შემდეგ სწრაფი ნაბიჯით გასწევდა იმ ნაწილში, ახლადშეძენილი ნაწარმოებები რომ იყო გამოფენილი

და ყოველთვის ერთსა და იმავე ტილოსთან ჩერდებოდა. ეს იყო სურათი “მხატვრის პორტრეტი”. მხოლოდ იმ დღეს, როცა პირველად გამოჩნდა მუზეუმში ეს უცნაური კაცი, თვალებზე ჩამოფხატული შლაპითა და შავი სათვალით, რამდენიმე საათი დაუთმო სხვა განყოფილებების დათვალიერებას. განსაკუთრებით დიდხანს ჩერდებოდა ხოლმე თანამედროვე ავანგარდისტული მიმდინარეობების ნაწარმოებებთან. მათ ხილვას მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ მნახველები, თუმცა მუზეუმის დირექცია მათ შესაძენად ფულს არ იშურებდა, განსაკუთრებით უახლესი პოპარტის ნიმუშებისა – ევროპისა და ამერიკის წამყვანი სამხატვრო კრიტიკოსები, სხვადასხვა გამოფენების ჟიურის წევრები, სამხატვრო გალერეების მფლობელნი და სხვანი და სხვანი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ პოპარტის სახით ხედავდნენ თითქმის მკვდარი ფიგურაციული ანუ საგნობრივი ფერწერის აღორძინების ეპოქის დასაწყისს, რომელიც შეცვლიდა სხვადასხვა აბსტრაქციონისტულ მიმდინარეობებს, რომლებმაც უკვე მნიშვნელოვანწილად ამოწურეს საკუთარი შესაძლებლობანი...

როგორც ვთქვით, სხვა დღეებში ჩარლი ვებსტერის “მხატვრის პორტრეტთან” ჩერდებოდა საათობით. დროდადრო მეზობელ დარბაზებშიც გადიოდა იკინსის, ჰომერის, სალის და სხვათა ნამუშევრების სანახავად, შემდეგ აუცილებლად “მხატვრის პორტრეტთან” ბრუნდებოდა. როდესაც ადამიანი ხანგრძლივად ერთ ადგილას დგას და რაიმეს აკვირდება, ეს ყოველთვის იწვევს სხვათა ყურადღებას. ამიტომ მის გვერდით თითქმის ყოველთვის იდგნენ მნახველები და ისინიც პორტრეტს აკვირდებოდნენ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თავისთავადაც “მხატვრის პორტრეტი” იწვევდა ინტერესს. კრიტიკის ნაწილმაც შეამჩნია და რამდენიმე რეცენზიაში ქებით მოიხსენიეს. პორტრეტზე გამოსახული იყო ძვირფას კოსტიუმში გამოწყობილი სქელი კაცი, გადაწოლილი საქანელა-სავარძლზე, თითქოს რაღაც საყრდენი უნდოდა ეპოვნა, ან იქნებ უბრალოდ ჩვეულება ჰქონდა ასეთი – ცდილობდა, უფრო მოხერხებულად მოწყობილიყო. მის სახეზე იგრძნობოდა შეფარული ამპარტავნობისა და პრეტენზიულობის გამომეტყველება, რაც ესოდენ ხშირად და უფრო გარკვევითაც აისახება ხოლმე გამოჩენილ მხატვართა პორტრეტებში, რომელთათვისაც მთავარია საკუთარი პიროვნება ხელოვნებაში და სულაც არად დაგიდევთ, სხვათაც ინტერესებს თუ არა მისი ნამუშევარი – მთავარია, გამოჩნდეს მდიდარი მყიდველი. მისი მოჭუტული თვალები და პრეტენზიულად მოკუმული ტუჩები ცრუ დიდებულ იერს ანიჭებდნენ, ფუჭი ჩაფიქრებულობულობის პოზაში მისვენებულს, ადვილად შეამჩნევდით თვითკმაყოფილებას.

მნახველთაგან ერთნი მიდიოდნენ, მეორენი მოდიოდნენ, შავსათვალიანი კი ადგილს არ იცვლიდა. ყურადღებით უსმენდა ირგვლივ მოსაუბრეებს, აინტერესებდა მათი სახის გამომეტყველება, ემოციები. უმეტესობა ირონიულად წელავდა ტუჩებს – მხატვრისა რა სცხიაო, ორმა კევიღეჭია ახალგაზრდამ კი უცერემონიოდ ხმამაღლა მიუტყაპუნა ერთმანეთს მხარზე ხელი:

– მსოფლიოს ცოდნის ყველა გასაღები ხელთ აქვს, სემ!

– იმ დამტვრეული მოტოციკლის გასაღები თუ აქვს ნეტავი, მეზობელ დარბაზში ქანდაკებად რომ დგას!

და ხელების ქნევით სხვა სურათებისკენ გადავიდნენ. სხვები უფრო დიდხანს ჩერდებოდნენ პორტრეტთან, ხმადაბლა მსჯელობდნენ, ხან ახლოდან აკვირდებოდნენ, ხან შორიდან სინჯავდნენ. შავსათვალიანის გაქვავებულ სახეზე კი ძნელი იყო რაიმეს ამოკითხვა.

როცა მარტო დარჩებოდა პორტრეტის წინ, ქურდულად მოიხდიდა მცირე ხნით სათვალეს და, თუკი დარბაზში ვინმე გამოჩნდებოდა, საჩქაროდ იკეთებდა ისევ... ერთ დღეს კი სათვალე აღარ გაუკეთებია... ამის მაგივრად ჯიბიდან ამოიღო გაზეთში გახვეული მეჩექმის დანა, მივარდა ტილოსთან და გამეტებით დაუსვა – ერთჯერ, მეორეჯერ, მესამეჯერაც...

დაცვის თანამშრომლებისთვის მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ შავი სათვალე გაიკეთა ისევ და ნაფლეთებად ქცეულ სურათს საბოლოოდ შეავლო მზერა.

საპოლიციო უბანში განუწყვეტლივ ეზმანებოდა: გრძელი და გრილი დერეფანი; მისი პორტრეტი ჰკიდია კედელზე; პორტრეტი გულგრილად ათვალიერებს ხალხს; მიდი-მოდიან მნახველები; ისმის ჩურჩულით ლაპარაკი, იატაკზე ფეხსაცმელების ფლასტუნი; მოჩანს სერიოზული, დაძაბული სახეები, თუმცა შიგადაშიგ მხიარული სიფათებიც გვხვდება, რომელთაც ქუჩის ფერადოვანი შთაბეჭდილებები გამოჰყოლიათ, ანცი თვალების ზედაპირული შევლებით კმაყოფილდებიან, სულ არ იწუხებენ თავს პორტრეტის ღრმად წვდომით, შეფასებით... ჯონი მივა, პორტრეტი შეშფოთდება და განსაკუთრებით ადევნებს თვალყურს მის ქცევა-მოქმედებას. როცა ჯონი დანით მივარდება, პორტრეტი შეჰყვირებს, მწუხარების ხაზებით დაესერება სახე – სამუდამოდ ჩაუქრება თვალები...

ჯონმა კი არ იცოდა, რომ ნახევარი წლის შემდეგ აღდგენილ ტილოს ისევ იქ დაჰკიდებდნენ და მხოლოდ გულდასმით თუ დააკვირდებოდით, შესძლებდით გაჭირვებით აღმოგეჩინათ გახმაურებულ პორტრეტზე გადატანილი ოპერაციის ნიშნები.

როგორი იქნება დამნაშავის შემდგომი ბედი? ციხე, საგიჟეთი თუ დიდი ფულადი ჯარიმა? ზოგიერთთა შეხედულებით, სისულელე იქნებოდა, ადამიანი დაგვესაჯა იმისთვის, რომ საკუთარ თავზე აღმართა ხელიო.

ბოლოს და ბოლოს, ყველაზე მეტი, საბოლოო ჯამში, ხომ თვით დაჰკარგა.

1964

როგორც მშრომელი ფუტკარი...

საშუალო სიმაღლის შავულვაშიანმა მამაკაცმა დაისხა ცხელი ყავა ფინჯანში, შემდეგ ჩააქრო გაზის ქურა და გავიდა თავის ოთახში. ფართო მაგიდაზე გაზეთებისა და ჟურნალების ბოლო ნომრები და რამდენიმე წიგნი ელაგა. მამაკაცმა გასწია ისინი გვერდზე და ფინჯანი დადგა. შემდეგ შეხედა ჟურნალებს და ძალაუნებურად ხელი წაუვიდა მათკენ, მაგრამ შემდეგ ისინი კიდევ უფრო შორს გასწია, რადგან იცოდა, ერთხელ რომ ხელში აეღო, მთელი დღე დაეკარგებოდა, ისე გაიტაცებდა კითხვა. მას კი გეგმაში ჰქონდა დღეს დაეწერა მოთხრობა; კვირაში ერთი მოთხრობა – როცა ასეთია შენი ვალდებულება, ყველა ხელის შემშლელ გარემოებას უნდა მოერიდო. მამაკაცმა გაიარ-გამოიარა ოთახში, მივიდა კართან, გასაღებით საგულდაგულოდ დაკეტა და ენერგიული ნაბიჯებით დაბრუნდა მაგიდასთან. მას არ შეეძლო წერა, თუკი მცირედი რაიმეც კი ხელს შეუშლიდა.

მოთხრობა, რომლის დაწერასაც ახლა აპირებდა, უკვე ყოველმხრივ მოფიქრებული ჰქონდა, რამდენიმე დღე თითქმის მთლიანად ამას მოანდომა. ახლა მხოლოდ დაწერა იყო საჭირო, შემდეგ გასწორება, ჩასწორება, მიმატება დამაზუსტებელი სიტყვებისა, ზედმეტი, დამამძიმებელი ფრაზების ამოგდება, ძებნა საჭირო გამოთქმებისა, სხვადასხვა ეფექტური კომბინაციებისა... ხშირად თავდაპირველი ვარიანტი მოთხრობისა ისეთნაირად იცვლებოდა, რომ თვით ავტორის გაკვირვებას იწვევდა, თუმცა იდეა და სიუჟეტი ძირითადად იგივე რჩებოდა.

მამაკაცი იჯდა მაგიდასთან და გვერდზე იყურებოდა ფანჯარაში, რომლის შუშებზეც ნელა მიცოცავდნენ წვიმის წვეთები. მოჩანდა პირქუში ცის ნაფლეთი, მუქი, მაღალი სახლები, ისმოდა სველ ტროტუარზე ხალხის მიმოსვლის ხმა. მამაკაცი მივიდა ფანჯარასთან, ერთი წუთი უყურებდა შავი ქოლგების მოძრაობას, ავტომობილებისა და ეტლების ანარეკლების სრიალს სველ ფილაქანზე, შემდეგ ჩამოაფარა თეთრი ფარდა და ისევ დაჯდა მაგიდასთან.

შემოდგომის ჩვეულებრივი დღე იწყებოდა.

მოთხრობა... არა, ამჯერად ეს არ იქნება ადვილად, ერთი დაჯდომით დაწერილი, ბევრს აწვალებს. ათ-თხუთმეტ მოთხრობაში ერთი ასეთი გამოერევა, შეგიკლავს ხელში; იმდენჯერ გადაწერ, რომ შენი თავი და მთელი მსოფლიოც შეგძულდება, ბრაზობ, მაგრამ... მაგრამ მაინც თავს ვერ ანებებ, თითქოს მთელი ქვეყნიერება დაიქცეოდეს მისი დაუწერლობით...

მამაკაცმა ყავა მოსვა და ფინჯანი ხელისგულებში მოიმწყვდია; ესიამოვნა სითბო, ყავის სურნელი და თამბაქოს მოწევა მოუნდა. მალე სიგარის ორმა-სამმა გრძელმა ნაფაზმა და შემდეგ სურნელოვანი ბოლის კედელზე მიფრქვევამ ნეტარ განწყობილებაში მოაქცია, თვალების ჭუტვით შესცქეროდა მაგიდაზე პატარა ჭურჭელში ჩადგმულ შემოდგომის ნაზ ყვავილებს. ისინი თავიანთი ხასხასა ფერით ახარებდნენ თვალს, მკვეთრად გამოიყოფოდნენ ოთახის კედლების ნაცრისფერ ფონსა და უბრალო ავეჯს შორის. აი იმ ყოყლოჩინა, ეგრეთწოდებული პოპულარული მწერლებიდან რომ ვინმე მოვიდოდეს მასთან სტუმრად, ალბათ ეგონება, უშნო ხუმრობის მსხვერპლი გავხდიო. ისედაც უცნაურ კაცად მიაჩნიათ იგი, ვერ გაუგიათ, რატომ უყვარს განმარტოება, არავის უახლოვდება კოლეგებს, განდეგილივით ცხოვრობს. მისი ყოველთვის სერიოზული, დაფიქრებული სახე კი, სიტყვაძვირობა და ქუჩებში განმარტოებით ხეტიალის სიყვარული ვერაფრით გაფიქრებინებს, რომ აქ, პატარა, უბრალო ოთახში ხშირად ისმის მამაკაცის სიცილი, თუმცა ოთახში მის მეტი არავინაა. ამ დროს მამაკაცი ხელებს იფშვნეტს, კმაყოფილი, მისი თვალები კი გარშემო ვერაფერს ამჩნევენ, რადგან მისი ფანტაზიით შექმნილ გარემოში გრძნობს თავს, ესაუბრება გმირებს, ეხუმრება მათ, დროდადრო დასცინის, ცხოვრობს მათი ფიქრებითა და დარდებით... მეორე წუთში კი გული ეკუმშება, როცა წარმოიდგენს, თუ რამდენი ცუდი რამ არსებობს კიდევ ქვეყანაზე... კბილს კბილზე აჭერს და გაავებული სახით სწრაფად წერს დიდი, მოუხეშავი ასოებით... ესაა სავსე ცხოვრების რამდენიმე წუთი, როცა გრძნობ შენი სიტყვების გამანადგურებელ ძალას, გგონია, ქარიშხალივით ღრიალებენ ეს სტრიქონები, ულმობლები, დამიზნებულნი შიგ გულში, – იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც ვერ ხედავენ ქვეყანაზე გაზაფხულის ჩვილი მზის სხივებქვეშ განაბულ ამწვანებულ ხეობებსა და შორეთით ლურჯ მთებს; ზაფხულის გადახრუკულ, რუხ, მაგრამ ულამაზეს ოქროსფერ ველებს; ქალიშვილების ნაზ ღიმილს, პარკების ფართო ხეივნებში ჭაბუკებთან რომ სეირნობენ; ძველ მეგობართან ნელი, აუჩქარებელი საუბრის სიტკბოს; შემოდგომის ცივი წვიმის დროს ნაცრისფერი ტონების გადასვლებს ნიუ იორკში; ტალახიან ქუჩაში მიმავალ ჩამოძონძილ, გამხდარ ადამიანებს; განმარტოებით გასეირნების სიამეს; ამ ფანჯრიდან ხმაურიან ქუჩაში ყურების მთელ მიმზიდველობას... სამაგიეროდ, მათი გონება სავსეა ბირჟაზე აქციების კურსის ციფრებით; სიზმრები სავსეა ხან ბორგვითა

და წუხილით საქმეების გამო, ხან – ზღაპრული ოცნებებით კონკურენტისა და გაზრდილი პირადი საბანკო ანგარიშის შესახებ... ისევ და ისევ წარმოიდგენ, რომ ერთთა უძლურებისა და სიბეჩავის, მეორეთა სიმდიდრისა და გულცივობის გამო იძულებული ხარ შენ (და მრავალზე მრავალი კიდევ შენისთანა), ყოველდღე, ყოველ საათს, თითქმის ყოველ წუთსაც კი იყო მატყუარა, პირფერი, იძულებული ხარ, ასწონ-დასწონო უხილავ სასწორზე თითოეული სიტყვა, ძალით ჩაახშო გულის კარნახი, რადგან შენ დამოკიდებული ხარ სხვაზე, უფრო სწორედ, – სხვებზე... ფიქრობ ამაზე და ხელი კიდევ უფრო სწრაფად მოძრაობს, კიდევ უფრო აწვები კალამს, კიდევ უფრო დიდი და მოუხეშავი ასოებით ივსება ქაღალდის ფურცელი... მეორე წუთს კი სწორედ ამ აწონ-დაწონის გამო ხაზს გადაუსვამ ამ დიდ, გაუთლელ, გულიდან გადმოღვრილ სიტყვებს და თანდათან წერ ლამაზი, მრგვალი ხელით, წერ ნელ-ნელა, აუჩქარებლად... სად არის გამოსავალი? ან საერთოდ, სად არის სიმართლე?

სად არის გამოსავალი? სად არის ყველაფრის თავი და ბოლო? ნუთუ ჩვენ მხოლოდ იმისთვის ვართ დაბადებულნი, რომ საათობით ვიდგეთ რიგში უმუშევართა ერთი ჯამი უფასო შეჭამანდისთვის, ან გემებიდან მძიმე ტომრებისა და ყუთების ზიდვით ფეხებდასიებულებმა, ღამე გავათიოთ აქოთებულ, ნესტიან სარდაფში, სადაც თხელ ლეიბებზე გაუხდელად წამოწოლილან და ხვრინავენ, ბორგავენ, ვირთხებს იგერიებენ შენისთანები; ან ვისხდეთ ციხეებში; ან ვისხდეთ დაწესებულებებში და დღიდან დღემდე მონოტონურად, გულის გამაწვრილებლად ვაჩხაკუნოთ საანგარიშოზე? გულის გადასაყოლებლად კი – ერთი ჭიქა ლუდი, სიგარა, ვისკი...

მამაკაცმა ამოიღო უჯრიდან სუფთა ფურცლების დასტა და წინ დაიდო. შემდეგ კალმით დაიწყო მასზე სხვადასხვა გამოსახულებების ხატვა. მას ემარჯვებოდა ხატვა, მაგრამ ახლა არ ფიქრობდა ხატვაზე, უბრალოდ, ეხერხებოდა ასე ფიქრი, როცა კალამს ავტომატურად, თითქოსდა ყოველგვარი ცდის გარეშე გამოჰყავდა უცნაური, ხშირად ძალზე ლამაზი და ორიგინალური, მოულოდნელი ნახატები, პეიზაჟები, ფიგურები, ლაბირინთები... მისი აზრიც მიხტოდა, მიჰქროდა, ან უცებ შეჩერდებოდა (კალამიც გაჩერდებოდა), შემდეგ ნელ-ნელა ზიგზაგებით განაგრძობდა გზას. მისი ხელი კი ხატავდა ხან ბავშვურ კოშკებს, ხან დახლართულ ხაზებს... ჩვენი ცხოვრებაც ხომ ასეთი დახლართულია, გაუთვალისწინებელი ნაბიჯებით სავსე; მოულოდნელობები ყოველ კუთხეში ჩასაფრებულან და ბურთივით ათამაშებენ ჩვენს ბედ-იღბალს... მეტად ლამაზი გვგონია ზოგჯერ წუთისოფელი, უფრო ხშირად კი ვერ ვპოულობთ გამოსავალს ცხოვრების ლაბირინთში, უმწეოდ ვაწყდებით აქეთ-იქით, ვცდილობთ, გავერკვეთ დროების სირთულეში: სად არის გამოსავალი?

გამოსავალი კი მაინც არის, არ შეიძლება არ იყოს. იქნებ იმიტომ არ ვკარგავთ იმედს, რომ გვჯერა, ეს გამოსავალი არსებობს; შეიძლება ახლა, ამ წუთს ვერ ვხედავთ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად გამოჩნდება გზა ლაბირინთიდან; რაღაც შემთხვევა, რომელიც ძირფესვიანად შეცვლის ცივ, წვიმიან-ქარიან შემოდგომის ამინდს, უბედობას, სულის ძრწოლას... ან იქნებ გამოსავალი ლამაზ, მიმზიდველ, პოეტურ განმარტოებაშია... იმედი, იმედი... იმედი ჰკვებავს ფანტაზიას. და განა ბედნიერება არ არის, მიანიჭო ადამიანს თუნდაც ათი-თხუთმეტი წუთით სიხარულის გრძნობა, იმის გრძნობა, რომ მას არ დაუკარგავს ჯერ კიდევ სიცილის ან თუნდაც ღიმილის უნარი... ხანდახან გადაისროლო ის ზღაპრულ, პირობით სამყაროში, მხიარულების, ოხუნჯობის, სიკეთისა და სამართლიანობის სამეფოში. თუ მოთხრობის ატმოსფერომ ადამიანის ჰუმორის გრძნობაზე იმოქმედა – ეს უკვე გამარჯვებაა, თუმცა ზოგჯერ შეიძლება, ის ვერც კი მიხვდეს, რომ მას სრული სიმართლე უთხრეს, მაგრამ არა პირდაპირ... ყველას კი მაინც ვერ ეტყვი ერთნაირად, რადგან ფუტკარსაც თაფლი ყველასთვის მოეპოვება, მაგრამ მისი ბუდის გამჩანაგებლისთვის, ყაჩაღისთვის, ნესტარიც აქვს...

ზოგს – თაფლი, ზოგს – ნესტარი... და ყველას – სიმართლე.

მამაკაცი წამოდგა სკამიდან და თავდახრილმა აუჩქარებლად გაიარ-გამოიარა ოთახში. ფინჯანი ისევ ხელში ეჭირა, თუმცა ყავა მასში უკვე აღარ იყო.

სიმართლე... სხვადასხვა არის ეს სიმართლე. არის პატარა სიმართლეც. უფრო ხშირად სწორედ ეს პატარა სიმართლე შემოიჭრება მოთხრობაში, იცინის, გაცინებს, მაგრამ, თუ დაუკვირდები, იგრძნობ, რომ ის პროფესიულად მაღალ დონეზე ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მეტი არაფერი... ათ-თხუთმეტ მოთხრობაში კი გამოერევა ერთი, რომელშიც ცდილობ, ალალად თქვა სიმართლე, ყველაფერი ის, რასაც ხედავ და გრძნობ, და რაც გაღელვებს, რასაც ჩაგჩურჩულებს სირცხვილით და გიღრიალებს თავმოწონებით დიდი ქალაქი მის ქუჩებში ხეტიალის დროს. თუკი ადამიანს ახასიათებს თვისება – ჩაუფიქრდეს ყველაფერს, გააანალიზოს დანახული და განცდილი, თუკი აქვს უნარი – გადმოსცეს ყველაფერი ეს მიმზიდველად, არტისტული სილაღითა და გამომგონებლობით, ყოველგვარი უხეში ჭკუის სწავლების გარეშე, მაგრამ ოსტატურად დაფარული იდეითა და ადამიანურობის გრძნობით, – განა არ განიჭებს შენც სიხარულს ყოველი მოთხრობა, რომელიც დაწერილია შენი გულის სისხლით, შენი შრომის ოფლით? მაგრამ რას იზამ, როცა დამკვეთი გაჩქარებს, შენ კი იძულებული ხარ, ყოველ კვირაში თითო მოთხრობა წერო; ხშირად გამოერევა ისეთი მოთხრობაც, სადაც მხოლოდ "წმინდა ჰუმორია" და მეტი არაფერი, მაგრამ განა ესეც ცოტაა? ზოგიერთები გსაყვედურობენ ასეთ შემთხვევაში, მაგრამ ის კი არ იციან, ამ უბრალო, გასართობ

მოთხრობასაც რა ძალ-ღონის დაძაბვით წერ, ენერგიისა და ფანტაზიის სრული მოხმობით, იშველიებ გამომგონებლობისა და ნერვიული ენერგიის მთელ მარაგს... და ყოველთვის ცდილობ, თქვა თუ სრული სიმართლე არა, სიმართლის ნაწილი მაინც, ტყუილი მაინც არ შემოაპარო, რაგინდ მიმზიდველი და ლამაზიც უნდა იყოს იგი. სამწუხარო ის არის, რომ ნახევარი სიმართლის თქმა ზოგჯერ ტყუილის თქმას უდრის და მაინც გაიძულებენ, ნახევარი სიმართლის თქმით დაკმაყოფილდე... იქნებ სიმართლის ეს პატარა ნაწილიც კი მნიშვნელოვანი იყოს ადამიანებისთვის ცხოვრების ამ უკუღმართობაში, იქნებ რაიმეთი უშველოს სხვებს? ხომ შეიძლება, ადამიანები შეიცვალონ, უკეთესები გახდნენ? თუ ამის იმედი არ გაქვს, ჯობს, თავი დაანებო მწერლობას... უნდა მიმართო პირდაპირ მათ, მაგრამ ისე, რომ ეს არ იგრძნონ, რადგან ჭკუის სწავლება, ზნეობის ქადაგება ბავშვებსაც კი ეჯავრებათ და ხშირად საწინააღმდეგო რეაქციასაც იწვევს... როცა ფიქრობ კაცებსა და ქალებზე, უკვირდები ტიპთა, ხასიათთა მთელ მრავალფეროვნებას, ვნებათა სიმძაფრეს, ათასობით საზიზღარ ამბებს, უსამართლობის, სიხარბის, გულგრილობის ყოველდღიურ გამოვლინებას, — გიკვირს, რატომ არ არის ავსებული მთელი ქვეყანა მოთხრობებითა და რომანებით მთელ ამ საძაგლობაზე, რასაც ცხოვრება ჰქვია... რამდენჯერ გიფიქრია, რა მშვენიერი, გენიალური ნაწარმოებების შექმნა შეიძლება ამ მასალით, რომ დაიწეროს სრული სიმართლე. მაინც იმედი გაქვს, რომ ეს დაუწერელი წიგნები ჯერ კიდევ წინ გაქვს, იმათი დროც მოვა...

მამაკაცი მაგიდასთან მივიდა და ფინჯანი დადო, შემდეგ დაჯდა და სკამის ზურგს მიეყრდნო. თვალები დახუჭა. მთელს ტანში ყავის სითბოს გრძნობდა. თვალები გაახილა, ღრმად ჩაისუნთქა და ნახატებით აჭრელებულ ფურცელს დააცქერდა. ჯერ გაავლო კიდევ რამდენიმე ხაზი, შემდეგ გვერდზე გადადო ზევითა ფურცელი. აი ამ სუფთა ფურცლებზე იქნება აღბეჭდილი მისი მთელი კვირის ნაფიქრალი, მრავალგზის აწონილ-დაწონილი და შეცვლილი, ასოციაციებით გამდიდრებული, ხატოვანი სიტყვა-თქმებით მოჩუქურთმებული, მისი გულისტკივილით გაჟღენთილი და მისი ღიმილით გამთბარი... მოთხრობა გადამუშავდება და გადაიწერება ხუთ-ექვსჯერ და ბოლოს მის სულს მოიცავს უკიდურესი დაღლილობისა და აუწერელი სიამაყის გრძნობა, იმის მსგავსი, ბედნიერი დედა რომ განიცდის, როცა ახალშობილის პირველ ხმას გაიგონებს... შრომა, შრომა, შრომა, — აი კიდევ ბედნიერების გრძნობის წყარო, შრომა სხვებისთვის, შრომა ყველასთვის, ვინც გულგრილი არ არის თითოეული ჩვენთაგანის, შორეულისა და ახლობლის, ნაცნობისა და უცნობის ავ-კარგისადმი; ვინც გრძნობს და იზიარებს მთელი ქვეყნის თითოეული ადამიანის ბედნიერებასა და უბედობას...

თუმცა დროა, უშუალოდ მოთხრობის წერას შეუდგეს.

მამაკაცი ისევ მიეყრდნო სკამის ზურგს, თვალები დახუჭა. მოთხრობაზე ფიქრობდა. მალე მის წარმოსახვაში გაცოცხლდნენ გმირები, დაიწყეს ერთმანეთთან საუბარი, მოძრაობა. ასეთნაირად "შინაგანი მზერით" დანახვა ყველაფრისა საუკეთესო ხერხი იყო ამბის ბუნებრივად და ნათლად გადმოცემისათვის. ამ დროს თითქოს ყველაფერს სინამდვილეში ხედავდა, რაზეც წერდა, და ძლიერ განიცდიდა.

ჰო, ახლა საჭიროა, დაუყონებლივ შეუდგეს მუშაობას, სანამ წარმოსახულ სურათებს სიცხოველე არ დაუკარგავთ, სანამ ფერები ხასხასაა, სანამ ესმის წარმოსახვით გაცოცხლებულ გმირთა დამახასიათებელი ხმები. შემდეგ, როცა მთლიანად ჩაეფლობა მუშაობით თრობაში, მის ყურადღებას ვეღარაფერი მიიპყრობს გარეშე მოვლენებიდან; შეიძლება, მთელი ოთახი გაქურდონ, ის ვეღარაფერს შეამჩნევს...

მამაკაცი მაგიდაზე დაიხარა და დიდი ასოებით მოთხრობის სათაური გამოიყვანა.

1965